გიზო ნიშნიანიძე

# ქარიდან... ქარამდე

თბილისი
2011

სარედაქციო-საგამომცემლო ჯგუფი — გულქან (ანი) ხიხაძე,
ნატო დავითაშვილი, ირინა შაველაძე, მზია ერისთავი
ტექნიკური რედაქტორი — ირაკლი ბელთაძე
წიგნი აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „ოაზისში"
დაიბეჭდა შპს „საარში"
მისამართი: თევდორე მღვდლის 57
E-mail:saari_ltd@yahoo.com
ISBN 978-99941-427-20-6
© გიზო ნიშნიანიძე

# პროლოგი

ლომის ხმა 8 კილომეტრზე ისმისო!

მწერლის, წიგნი კი არა, უბის წიგნაკიც საინტერესოა!

ადამიანი დროს კლავს, ვიდრე დრო მასზე შურს არ იძიებსო!

„დოუწიგნია ყორიფელიო“, გურულები ამბობენ, „კალმობიეს“ სა-ბავშვო თამაშს ეძახიან და „ცხრაპოტიკი“ — ზედმეტად მოლაპარაკის იდიომია!...

არადა, მწერლობა დიდი ომია!

ანამნეზი — პლატონური ფილოსოფიის ტერმინია, რაც ნიშნავს სულის მეხსიერებას წინა ცხოვრების შესახებ.

წუთი-წუთ...

წვეთი-წვეთ ვიცლები —

ქაღალდად მაქვს გულის ფიცრები!

სიტყვა მაქვს მე დავი-დარაბად:

სალამად, ალამად, კალამად.

ჩემთავად, რაც კი მიმიგნია —

ეს ჩემი ცხოვრების წიგნია!

აქვეა, ფრანსუა რაბლეც. დიდი აქიმი და მწერალი, რომელსაც მონპელიეში კლინიკა ჰქონდა, სადაც... სიცილით მკურნალობდნენ... აქვეა მისი „გარგანტიუა და პანტაგრიუელიც“ — თავისი პანტაგრიუელიზმით და მკითხველისადმი მიმართვით: „მკითხველო ჩემო! ავსა და ბოროტს ნუ ეძებ რასმე ამ წიგნსა შიგან... ყველაფერს წვრილად შეიტყობ ბოლოს (უკეთუ მიგავს... ჩახვდები იგავს). ხინჯსაც უპოვნი, მსაჯული იყავ! ოღონდ უწყოდე, გულით გაცინებს (ცხოვრების გზაზე ეს გაგაცილებს) და გაგიქარვებს ჭმუნვას აწინდელს. ყურს არ დაგიღლის ფიცით და მტკიცით (სიცილის ძაფით იმად ავკინძე), სიცილის ფასი რადგანაც ვიცით... დანატრული ხარ რამეთუ სიცილს!...“

ქართველებზე ანუ ბატონ ლუარსაბ თათქარიძის შთამომავალზე უკეთ (რომელმაც კარგად იცის „მასვი-მაჭამე-მალხინეს“ ფასი) ვინ დააფასებს დიდ გარგანტიუასა და პანტაგრიუელს. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ფრანგული რენესანსის ამ უპოპულარულეს ნაწარმოებს, რომელიც ეროვნულ ეპოპეადაა აღიარებული, სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ილიამ. მისი ფოლკლორული საფუძველია ხალხური სიბრძნე: იგავ-არაკები, ანდაზები, ზღაპრები, სიმღერები, სურათები... დაბალი ფენის ცხოვრების ჩვენება — გროტესკი, პაროდია, რაც უპირისპირდება შუა საუკუნეების სქოლასტიკას. გარგანტიუას ფასდაუდებელი „ქრონიკები“, „ალკოფრიბაზ ნაზუს“ ფსევდონიმით (სახელის და გვარის ანაგრამაა) გამოცემული ამბავი პანტაგრიუელის მამის, დიდი გარგანტიუას სა-

ზარელი ცხოვრება... აღიარებულია ენციკლოპედიურ ძეგლად, რამაც ათქმევინა ულრიხ ფონ გუტენს, რომ: „ჭკუამ გაიღვიძა და ცხოვრება გატკბა!" გარგანტიუას პროლოგში, სატირის დიდოსტატი ავტორი მკითხველს... ძვლის გამოხვრასა და მისი სუბსტანციის ანუ ტვინის ამოღებას ურჩევს! ესე იგი, თუ თავის ტვინი არ გეყოთ, ზურგის ტვინი მიახმარეთო!

XVს. მანტუიში დაარსებულა სკოლა, რომლის სათავეში იდგა ახალი პედაგოგიკის ენთუზიასტი, ვინმე ვიტორინო და ფოლტრე (ამ ადგილზე, ალბათ, როგორ ცქვიტავენ ყურებს... დღევანდელი ყურის და ხმის ამწევი ენთუზიასტ-პედაგოგები!), მაგრამ, დღევანდელი „რეფორმატორებისაგან" განსხვავებით, იმ ძველ სკოლებს „სიხარულის სახლს" ეძახდნენ (როგორც, ოდესღაც, ორიენტალისტურმა სამყარომ უწოდა მთელ ძველ ტფილისს „სახლი სიხარულისა"!). ფრანსუა რაბლეც სწორედ მათ ჭკუაზე იყო! მისი შემოქმედებაც სქოლასტიკის წინააღმდეგ დაუნდობელი სატირაა! ასევეა, ერაზმ როტერდამელის „ქება სისულელისა" (რა ამის პასუხია, ჩვენ ბოდიში და... ხუმრობით თქვეს თუ მთელი სერიოზულობით — ჩვენთან „განმანათლებლად" მოვლენილი ამერიკელი „პედაგოგის" — ფლეთჩერის ჭკუის ხალხს, ანუ პირგაუკუღმართებულ ხალხს, „მინეტჩიკების" დედაქალაქად... „როტერდამი" შეურჩევიათ!)

ბერად შემდგარი დიდი ჰუმანისტი, ექიმი და მეცნიერ-ბოტანიკოსი ფრანსუა რაბლე, მთელი თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ჟამს, უპირველეს ყოვლისა, ეძებდა საკუთარ „მეს", ანუ აზროვნების საკუთარ წერტილებს, თვალსაზრისებს; მსხვილი პლანით ჭვრეტდა ფაქტებს, მოვლენებს... რაბლეს სიცილს, ჰომერულივით, ათას სიცილში გამოარჩევდი — პირის მარილით, სიჯანმრთელით, განმაახლებლობით, განწმენდის მადლით. ამბობენ, რომ ასე იცინოდა ჩოსერთან — მეწისქვილე, სერვანტესთან — სანჩო პანსა და, თუ გნებავთ, ნოდარ დუმბაძესთანაც — ილიკო და ილარიონი!

ყველა შედარება მოიკოჭლებსო! მაგრამ...

სხვისი არ ვიცი და, ვინც გარგანტიუასა და პანტაგრიუელის სამყაროს ერთხელ მაინც გაუფცქვნის გემოს, ის ვერასოდეს დაივიწყებს ავტორის უშუალობას და მკითხველისადმი უსაზღვრო პატივისცემას, რაც, უპირველეს ყოვლისა, მწერლურ გულითადობასა და გულახდილობაში, მის და მის ლიტერატურულ პერსონაჟთა ზარხოშიან, ნაბახუსევ საუბრებშია: როგორ უცნაურად მოევლინა ქვეყანას რაბლეს გმირი; რატომა აქვს ზოგს გრძელი და ზოგს მოკლე ცხვირი; რა მისწერა მამა-გარგანტიუამ შვილ-პანტაგრიუელს. ამ უკანასკნელმა რა დღე აყარა 300 გოლიათს და მათ წინამძღოლ სისხლისმსმელ ვურდალაკს; ღირს თუ არა, საერთოდ, ცოლის შერთვა?... როგორ ჩათვლიმა პანტაგრიუელმა კუნძულ ხანებთან და სხვა და სხვა...

ყველას თავისი თვალსაწიერი და ყველას თავისი თვალთახედვა აქვს...

აბა, როგორ?!

გივი გამრეკელი რაბლე „გარეკილზე" წერს:

ქვესკნელში ახლა მხიარულებაა! ფრანსუა რაბლეს ფრანგული რენესანსის მხიარულ ენციკლოპედიას უწოდებენ.

შატობრიანი: რაბლემ შექმნა ფრანგული ლიტერატურა, ჰომეროსმა

— ბერძნულ-რომაული, შექსპირმა — ინგლისური, დანტემ — იტალიური.

ვოლტერი: რაბლე პირველია „ბუფონთა და ტაკიმასხარათა“ შორის, მისი წიგნი დღემდე გამოუცნობი გამოცანაა... დახვეწილი მორალისა და ბინძური მანკიერებების სასწაულებრივად გადახლართვა-შეუთავსებლობაა!

უკეთეს შეფასებას ვერ ვინატრებ!.

* * *

მე რაც მინახავს, იმას ვინ ნახავს?... გულში ვიმარხავ და შენ გინახავ — ჩემო მკითხველო და განმკითხველო... გულით მსმენელო და პირში მთქმელო!

ჰოდა, ჩვენც შევსვათ ეს სადღეგრძელო —

იხარე, ჭერო და მოკვდი, მტერო!

...მაშ, გაერთეთ, გენაცვალოთ ჩემი თავი! მარილიანი სიტყვა ჯანსაც უხდება და ჭაჭებსაცა, აბულბულეთ წიგნი ესე... ილილინეთ და ილხინეთ, ოღონდ უდღეგრძელებლად არ დამაგდოთ, თქვე ვირისთავებო, თქვენა, მე კი, აბა, ისე რას გაგიშვებთ!... გვიტყუებს თავის ფიქრებში ის ეშმაკის პირი და ვიიონის სეხნია... ფრანსუა!

მაშ, ჩავიხედოთ საკუთარ თავში! ჯერ პირჯვარი გადავიწეროთ, ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ ღმერთისა! მერე კი, სანამ აგვიტანს, ავყვეთ წერას და შევუდგეთ წერას!

...ჩემო მკითხველო და განმითხველო! ისევ გინიშნავ დღეს და „პაემანზე“ გიწვევ... ოღონდ ეს უკვე სხვა „პაემანია“ — არა ვერაზე, არამედ საკუთარ თავთან!

მაშ, ასე, ვიწყებ!

მიდი... მოვდივარ!

...„მიდი“ კარგია, მაგრამ ეს მიდი-მოდი რომ შეძლოს კაცმა, საჭიროა, ისიც იცოდეს, რა გზას დაადგეს, საით და როგორ იაროს... ამიტომ, გთავაზობთ რაღაც მოძრაობის საგზაო წესების მსგავს „ინსტრუქციას“.

ქართველებს ბევრი ± (პლუს-მინუსი) აქვს, რომელიც არითმეტიკაში მოქმედებას... პლუსს (+) და მინუსს (—) ნიშნავს, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში კი — სამედიცინო დახმარებისა და აკრძალვის ნიშანს...

ზეპირი სიტყვა ათას აღმოჩენასა და აღმომჩენს ელოდება. ასი თვალი — ასი ყური გამოისხით და თქვენ, იოანე ზოსიმეს ნათქვამისა არ იყოს, ათასი საიდუმლოს მოწმე გახდებით!

ამიტომ, განსაკუთრებული სიფრთხილეც გვმართებს! (აქ, ორთოგრაფიულად, ძახილისაა და ავტოინსპექციურად კი... — გაფრთხილების ნიშანი!), რაც მიგვანიშნებს აულაგებელ სუფრებზე, გაუთავებელ ქეიფებზე!

იყო დრო, როცა ქართველებმა იცოდნენ ძმური გაყოფა (:), მაგრამ საბაზრო ეკონომიკამ გააბაზრა ხალხი. ქართველებს, განსაკუთრებით, გვჭირდება გამრავლება (X). ჩვენ მუცელს აყოლილ და გადაყოლილ ხმამაღლა მოხარხარე და მოლაპარაკე ერებს ვეკუთვნით!

* * *

ტრავერსი შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ და გიგანტური სლალომი ლიტერატურაში (ანუ დაიჯესტი).

„ადამიანი, რომელმაც დროს გაუსწრო" („კვირის პალიტრა", 31.01-6.02.2011) – ჟიულ ვერნი (ე.ი. „ნაღდი"!). ზუსტად 100 წლით (1828) ჩემზე ადრე დაბადებულა. იურისტობა დაუპირებია და ზუსტად „დილის 5 საათიდან შუადღემდე მუშაობდა-ხოლმე. ამ სამუშაოს უდიდესი დრო არა წერას, არამედ კითხვას (სხვადასხვა ლიტერატურის გაცნობას, სხვადასხვა სფეროში სიახლეების ძიებას და, რაც მთავარია, ჟიულ ვერნის ცნობილი კატალოგის შედგენას) ხმარდებოდა: სიცოცხლის ბოლოს ათასი (!) რვეული დაუგროვდა, რომლებშიც, თემების მიხედვით, მოთავსებული იყო ენციკლოპედიური ცნობები, საგაზეთო ამონაჭრები, საკუთარი მოსაზრებები..."

ჟიულ ვერნს უმცროს დიუმასთანაც (უფროსი დიუმას „ხელგაშლილობის" გარანტიით) უმუშავია – „ნუ გეშინიათ, გარწმუნებთ, თქვენს წიგნს ერთი კაცი მაინც უთუოდ იყიდის და ის კაცი... მე ვიქნებიო!" – უთქვამს დიუმა-მამას.

კაცმა, რომელმაც კაპიტანი ნემოს „ნაუტილუსით" 80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ მოგვატარა და „საიდუმლო კუნძულზე" გვაძუნძულა; კაცმა, რომელმაც საუკუნით ადრე იწინასწარმეტყველა თვითმფრინავი, ტელევიზია, კოსმოსური ხომალდები... ვერ გაძლა სიცოცხლით და თქვა „რომ იცოდეთ, როგორ ვნანობ, რომ ასე ადრე ვამთავრებ ამქვეყნიურ გზას და სიცოცხლეს იმ ეპოქის გარიჟრაჟზე ვემშვიდობები, რომელიც ამდენ სასწაულს გვპირდება..."

ყოველივე ამას ზვიად გურული იტყვის თუ გურულების სიძე, მკითხველისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ მწერლის ვალზე რას ამბობს ერის მამა ილია ჭავჭავაძე, ეს მუდამ უნდა ახსოვდეს ერს: „მამულიშვილობის ვალი ითხოვს, რომ არაფერს მოვერიდო და ცხარედ ჩავკიდო ხელი მას, რაც ჩემმა კაცობამ, ჩემმა რწმენამ, ჩემმა სინდისმა წინ დამისვა ნიშნად. ამას ითხოვს მოქალაქეობრივი გულადობა, ვაჟკაცობა და ქველობა."

**მიგელ დე სერვანტეს საავედრა:** ყველაზე საშიში ხაფანგი, რომელიც ეშმაკს შეუძლია კაცს დაუგოს, ესაა – ჩააგონოს აზრი, რომ შეუძლია, დაწეროს წიგნი, რომელიც მას მოუტანს იმდენსავე სახელს, რამდენსაც ფულს და იმდენსავე ფულს, რამდენსაც სახელს!

**ლესინგი:** წერე ისე, როგორც ლაპარაკობ და შენ კარგად დაწერ.

**დიუმა (შვილი):** ადამიანის ჭკუას თავისი საზღვრები აქვს მაშინ, როდესაც ადამიანის სისულელე... უსაზღვროა.

**ჩესტერფილდი:** სტილი – აზრის სამოსელია.

* * *

**თეონა დოლენჯაშვილი:**

ფარული გიჟი ვარ!

„რატომღაც მიაჩნიათ, რომ რომანისტები ჭარმაგი და დინჯი კაცები არიან. პროზაიკოსი ქალი იშვიათია. ვირჯინია ვულფი ერთი შეხედვით ნაზი, კაფანდარა, მაგრამ შეშლილი ქალი იყო. მართლა შეშლილი

და ცოტა არანორმალური უნდა იყო, მწერლობას რომ მოჰკიდო ხელი. გარეგნულად მშვიდი ვარ, მაგრამ შიგნით რომ არ მქონდეს ემოციების ფეიერვერკი, წარმოუდგენელია, ვწერო... ცოტათი გიჟი ვარ, ფარული გიჟი... წერის დროს შეპყრობილი ვარ... ჩვეულებრივ ცხოვრებაში ყველანი ჩვეულებრივები ვართ. საქმეზე სიგიჟემდე შეყვარებული თუ არა ხარ, ვერ გააკეთებ. წერის დროს იზოლირებული ვარ. „მემფისის" წერის დროს ვუსმენდი მელოდიურ როკს, მძიმესაც კი. მისი გავლენა ტექსტშიც იგრძნობა.

წერა არის მუდმივი ბრძოლა.

მე და თბილისი ერთმანეთში ვცხოვრობთ...

თბილისი... ჩემი თინეიჯერობის პერიოდის მირჩევნია! უფრო საინტერესოა!.. ის, ბნელი ქალაქი, ადამიანური და შეკრული იყო. გაბატონებული საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგო, ერთგვარი პროტესტი მიჩნდება და მინდა, ამოვატრიალო და ავაფეთქო, მაგრამ, რა თქმა უნდა, წერაში. ის, რაც შტამპად და აუცილებლობად იქცევა, არ მიყვარს. მინდა, უკეთეს თბილისში ვიცხოვრო. ბევრი ქვეყანა წარმოსახვით დამითვალიერებია, მაგრამ სხვაგან ვერ ვიცხოვრებ. ერთმანეთში ვცხოვრობთ მე და თბილისი. წარსული შლეიფივით დამყვება, ჩრდილივით, მაგრამ გაუმარჯოს აწმყოს! ვიყავი იდეალისტი და გავხდი რეალისტი. ზოდიაქოთი „თევზები" ვარ, თან სხვადასხვა მიმართულებით მოცურავე „თევზები". შემოვატრიალე და ახლა სამივე ერთად მივცურავთ. საით? წინ, იქ, სადაც დასაწერი ახალი წიგნებია."

* * *

ელიჩკა ახვლედიანს თბილისი გულზე ეხატა და გულით ხატავდა!

ლელა ჯიყაშვილი:

დრო გადიოდა. ხანდახან თავს ძალიან ცუდად გრძნობდა... სწორედ ასეთ დროს უთქვამს: „ძალიან მშვენიერია თბილისი, მე კი, მგონი, მივდივარო."

გული ნამდვილად წყდებოდა. არ უნდოდა განშორება ქალაქთან, რომელსაც არასოდეს არცერთ ქალაქში არ გაცვლიდა. „მშვენიერია პარიზი, მაგრამ თბილისი სასწაულია", — ამბობდა ის. ამ სასწაულში დაბრუნდა პარიზიდან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და დღესასწაული გაუმართა აქაურებს.

* * *

...ირანელი ჰაბიბის წამქცევმა, ჭიდაობაში მოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა გურამ სალარაძემ თავისი მემორიალური წიგნი მისახსოვრა და ალალად თქვა: სიტყვასთან ჭიდაობა უფრო ძნელი ყოფილაო!

* * *

ჭაბუა ამირეჯიბი: ჩემზე უკეთ, ჩემი წიგნის და ჩემი მწერლობის ფასი არავინ იცის. კარგი მწერალი ვარ, — მორჩა, გათავდა. საკმარისი არ არის?

ჩვენ არც ევროპელები ვართ, არც — აზიელები. ჩვენ ვართ ის, როგორი სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე. პლუს ის, რაც ევროპიდან და აზიიდან ვისესხეთ და გავიქართულეთ.

(დიახ, ჩვენ... ჩვენ ვართ. საკუთარი თავის გარდა არავის ვგავართ, მაგრამ ისიც საფიქრებელია, მთლად „უმსგავსოები“ არ გავხდეთ — გ.ნ.)

მსოფლიოს ისტორია ჩემთვის სიცოცხლის, ცისქვეშეთში არსებობის სახელმძღვანელო, მეტიც, დირექტივაა.

* * *

გამომცემლობა „ელფის“ დამფუძნებელი **თინათინ დიდებულიძე:**

მალე გამოვა ძალიან საინტერესო წიგნი, რომელსაც „ხუთი ბავშვი, ხუთი თბილისი“ ჰქვია. ეს გახლავთ შემეცნებითი ხასიათის ზღაპარი, სადაც თბილისის ისტორია ძალიან საინტერესოდ და უბრალოდაა მოთხრობილი. მისი ავტორი ახალგაზრდა გოგონა — გვანცა ჯობავაა.

* * *

**თამრი ფხაკაძე:**

„მე დღეს, შეიძლება, უკანასკნელი ლედი ვარ და ამის დაწერის არ მრცხვენია“!

— დასრულება არ გიჭირთ-ხოლმე? ბევრისთვის ეს აქილევსის ქუსლია. ვერ წყვეტენ, როგორი უნდა იყოს ფინალი.

— მიჭირს კი არა, ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი ნეტარება. ბოლო აკორდია, რომლისთვისაც სიამოვნებით ვემზადები. დაწყება უფრო რთულია, როცა არ იცი, რას ეჭიდები. დასასრული კი რა არის? საზეიმო მომენტი, რომლისთვისაც ამდენ ხანს ემზადე. ქსოვის დროს ხომ წინასწარ გაქვს განსაზღვრული, კაბას ქსოვ თუ წინდას?! ხომ არ შეიძლება, კაბა დაიწყო და უცებ წინდა გამოგივიდეს?

— თქვენი ბოლო რომანი „CV“ ეხება მწერალს, რომელიც თანამედროვე ცხოვრების მორევში ადგილს ვერ პოულობს. რამდენად რთულია ამაზე წერა? ისიც საინტერესოა, ამ პერსონაჟზე მუშაობისას თქვენი თავიდან ამოდიოდით თუ ზოგადი სურათი დახატეთ?

— მარტო საკუთარი თავიდან ვერანაირად ვერ ამოვიდოდი, იმიტომ, რომ ჩემ გარშემო არაერთი მწერალია, რომელმაც არ იცის, მეორე დღეს, სადილად, რა გააკეთოს, ვერ წაუყვანია შვილი იმ წრეზე, სადაც უნდა, ანდა უბრალოდ, ყოფითი პრობლემებისა და დათრგუნული განწყობის გამო, ვერ ახერხებს წერას. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩემი პრობლემაც იყო, მაგრამ მხოლოდ ჩემი არა. დიდად რომ არ ულხინს დღეს ქართველ მწერალს, ყველასთვის ცხადია. კარგი იქნებოდა, განვითარებული ქვეყნების მსგავსად, ჩვენი მწერლებიც, წიგნიდან წიგნამდე, მარტო მწერლობით ცხოვრობდნენ. დღეს პიროვნული გარიყულობის, ზედმეტობის, საკუთარი ნიჭის ვერმიგნების, მატერიალური სიდუხჭირის პერიოდია. ამ რომანის დაწერა ჩემთვის არ იყო ადვილი, მაგრამ ეს ჩემი სულის სტრიპტიზია. მე ხომ სული

გავიშიშვლე და ისე დავდე მკითხველის წინაშე. ერთი შეხედვით კი, ვწერ სიცილ-სიცილითა და იუმორით.

* * *

მკითხველი პირში ჩალაგამოვლებული არ უნდა დატოვო. მწერალმა მკითხველასაც უნდა აუშალოს კითხვის საღერღელი და თვალსა და ხელშუა, დაუსწრებლად გაუერთსულოვნდეს!

მოკლედ!...

ერთობ ბედნიერი,

კმაყოფილი ვიქნები...

თუ გვექნება...

ცეცხლგამძლე კარადები და დროგამძლე წიგნები!

* * *

„რეაქტიული კლუბის“ რეაქციები!

ისე უნდა მოკვდე, რომ დაიბადო.

ეიფორიზმები: შენ იწყები იქ, სადაც მამაშენი გაათავებს.

რითმებს და მაჯამებს — ეპოქა აჯამებს.

დელია თუ ოდელია — საქართველო მოდელია.

ამ ქვეყანაზე ვინც კი შობილა — უკან ბრუნდება დედიშობილა.

ჩემი სიყვარულის თეთრო პანაშვიდო, მოდი, დამიწექი გვერდით.

ის, რაც ადამს ევასა — ევასება ევასა.

* * *

გივი თარგამაძისა არ იყოს: როცა კალამი არ ისვრის, მაშინ თვითონ კალამი უნდა ისროლო!

* * *

აქეთურია თუ იქეთური,
ქეედაურია თუ ზედაური.
ასი თვალია თუ ასი ყური —
კალამია — ბედის ბედაური!

* * *

ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი: მხიარულების საფუძველი არა გვაქვს.

ქართველი მოლიერის — დავით კლდიაშვილის მემუარული „ჩემი ცხოვრების გზაზე“ — დოკუმენტური პროზის შედევრია!

გერონტი ქიქოძისთვის სრულიად უცხო იყო კაბინეტური სწავლულის ასკეტიზმი. მას არასდროს ჰქონია უცდომელი და უცოდველი დალაილამის პოზა.

გერონტი (და „გერონტოლოგია“): სჯობს, გადაგვასვენონ პანთეონში, ვიდრე გადმოგვასვენონ პანთეონიდან!

**ბალზაკი:** დრო მბრძანებელია, მე — აღმასრულებელი. მიბრძანებს, ვწერო და... ვწერ!

**პოლ ვალერი:** ვიდრე აზრი სიტყვებს მოირგებდეს და დაიმორჩილებდეს... სიტყვები ძალიან ურჩობენ.

მოკლედ, ბუგრიმოვა უნდა იყო და სიტყვა — ლომისა თუ სიტყვა — ვეფხვის მორჯულება უნდა შეგეძლოს... ოღონდ, არა მათრახით, არამედ ჯადოსნური ჯოხით, რასაც მწერლობაში კალმისტარი ჰქვია.

...გერმანელ ლიტერატურათმცოდნე ი. ვერნერს (1986) (პროზისა და პოეზიის ბაღნარში „უკვდავების ხისა" და ახალი „არტისტული ყვავილების" გასამრავლებელ-გასახარებლად) მოჰყავს გოეთეს სიტყვები, რომელიც, არათუ პლაგიატად თვლიდა, არამედ მოუწოდებდა მხატვრული სიტყვის მსახურთ — გამოეყენებინათ ყველაფერი, რაც მისი კალმის მოსმამდე... წინამორბედებს შეუქმნიათ! „ყვავილი მოწყვიტეთ იქ, სადაც ჰპოვებთ..." სხვათა საგანძურის გამომზეურებით იქმნება ახალი შედევრებიო! ასეთ „კეთილშობილურ" ქურდობაზე უბიძგებს თანამოკალმეებს ჰაინეც. „ხელოვნებაში არ არსებობს მე-8 მცნება, პოეტს შეუძლია, აიღოს ყველაფერი, თუკი თავის ქმნილებისათვის მასალას ჰპოვებს." შექსპირის პიესები (განსაკუთრებით „ჰამლეტი") წარმოადგენს სხვა ავტორთა პიესების გადამუშავების ახალ შემოქმედებით ნაზავსო! ჰაინეს აზრით: იდეათა სამყარო არ უნდა დავიცვათ ახირებული მოხუცის კანონებით. არსებობს ერთი არაკი, როგორ ითრევს, ბოჭავს და სძირავს ობობა ფუტკარს — შე, პლაგიატო, შენა, ყვავილებიდან ნექტარს რატომ იპარავო!

ახლა, რომელი უფრო ჭკვიანია? — ის ბებრუხანა თუ ოთარ რამიშვილი (იგივე კვაჭიჭო), თავისი გიტარითა და „ჩქარი ტაშით", სიტყვით, მუსიკითა თუ სიმღერის შესრულებით: „ფუტკარი, როგორც აფთიაქარი, ყვავილებიდან გვიმზადებს... წამალს!..." დიახ, დიახ... წამალს და არა საწამლავს. მართლმსაჯულების ურჯულოების ენაზე... პლაგიატობა რომ ჰქვია!

აიღე საუკეთესო და გახადე იგი კიდევ უფრო უკეთესი!" აი, ამ შემოქმედებითი პრინციპის... ამოსავალი პრინციპი.

...დეკარტი გვირჩევს, რომ ყველას შემდეგ მოვუსმინოთ... საკუთარ თავს!

ფიზიკის თეორიის კორიფეს — პაულის ერთობ მწარე ენა ჰქონია. მარტო ის რად ღირს, რაც ერთი ვაი-მეცნიერისათვის უთქვამს: არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ნელა აზროვნებთ, მაგრამ ვერ ვიტან, როცა იმაზე ადრე ბეჭდავთ ნაშრომებს, ვიდრე მათ მოიფიქრებთო! (მოფიქრება არ გინდა?!)

...ფარდობითობის თეორიის მიხედვით, ჩვენ ვცხოვრობთ ოთხგანზომილებიან სივრცეში (სიგრძე-სიგანე-სიმაღლე და... დრო!)

...ამ ჩვენი ზოგიერთი თბილისური მიტინგებიდან ვერ გამოაქვს ხალხს აზრი, თორემ ძველ საბერძნეთში, თურმე, სწორედ ხალხმრავალ თავყრილობებზე იმართებოდა ასპარეზობები... კამათში! (რადგანაც სწორედ კამათში იბადება ჭეშმარიტება!)

**სიმონ არველაძე:** გარდასული დრო — ჟამის მეხსიერების მღვიმეებიდან გამოხმობის დროა!

ლევ ტოლსტოის თბილისში დაუწერია პირველი მოთხრობა „ბავშ-

ვობა“! (ეტყობა, აქ, სიყრმის მზეს სხვა ეშხი აქვს!)

გოეთე, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იპყრობდა თავის შემოქმედებით მწვერვალს — „ფაუსტს“... წერდა ავტობიოგრაფიულ წიგნს „პოეზია და სინამდვილე“; ამერიკული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი სემუელ კლემენსი ხალხურ იუმორის „ბაჯაღლო“ კალმით ხატავდა ტომ სოიერსა და ჰეკლბერი ფინს!... სიმბოლისტი — „მაგიური რეალიზმის“ წარმომადგენელი, არგენტინელი ხულიო კორტასარი ქმნიდა „წიგნ-კოლაჟს“ (ის — ესეებით, მე — ისემესეებით!). ალჟირელი ალბერ კამიუ — ეგზისტენციალური ლიტერატურის... უფრო ზუსტად „აბსურდის ფილოსოფიისა და ლიტერატურის“ წარმომადგენელი, პარიზის „პარი სუარის“ ჟურნალისტი (კოლეგა!) ამტკიცებს, რომ სამყარო აბ-სურდულია! ნობელიანტი გახდა „ადამიანის სინდისის წარმოჩენისათვის“! (ჩვენც სულ იმის მტკიცებაში ვართ, რომ „სინდისიც კარგი საქონელია“! მარა, ვინ გაგდებს რამედ და ვინ გიგდებს ყურს!) მარტო მწერალი კი არა... ერიც დიდი უნდა იყოს, რომ რამედ ჩაგაგდონ, თორემ რუსთაველისა და გალაქტიონის პატრონებს... რა გვჭირს სხვისი საპატრონო!...

იაპონელი კობო აბეს (XXს.) მთავარი თემაც ადამიანსა და საზოგადოებს შორის კონფლიქტია! მარტოობის განცდა!.. ამ ნიადაგზე შეიქმნა მისი რომანი „საიდუმლო პაემანი“! (აბა, მე რომ მოვდე ქვეყანას!... თუმცა, ჩემი „პაემანი“ არაა ის სიყვარული, რომელსაც „მალვა უნდა“!)

მამათა და შვილთა სამარდისო თემაზეა ივანე ტურგენევის რომანი „მამები და შვილები“. მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, პროზა, რომელიც მარტო სათაურადაც ღირს — „დიეზები და ბემოლები“! (მამებისა და შვილების ცხოვრების შავ-თეთრის გარჩევას უნდება ყველა დროის ზეპირი თუ ბეჭდვითი სიტყვა!)

ოთარ ჭილაძის — ჩვენი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ჭკუის საკითხავი კაცის უკანასკნელი ინტერვიუ („კვირის პალიტრა“, 20-26.12.2010):

მწერალი რომ თავისი ქვეყნის „თანამდევი სულია“ — ეს კარგა ხანია ვიცით და დროდადრო, დიდი მწერლის შემოქმედების კითხვისას, კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ამ ჭეშმარიტებას.

რამდენი წელიც უნდა გავიდეს, ვიდრე საქართველო საქართველო იქნება, ოთარ ჭილაძე მის „თანამდევ სულად“ დარჩება. ყველა კითხვა, რომელიც შეიძლება გაჩნდეს ერის ცხოვრებაში, პასუხს მისი კლასიკოსის შემოქმედებაში ჰპოვებს.

„უამრავი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, ვერც მე გამოვიჩინე საჭირო სიფხიზლე. იმდენად ვიყავი აღტაცებული დავითის ხუთჯვრიანი დროშით, ფალიაშვილის მუსიკაზე შექმნილი ჰიმნითა თუ ბაგრატიონთა აღდგენილი გერბით, რომ იტყვიან, ცა ქუდად არ მიმაჩნდა, დედამიწა — ქალამნად. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი სიხარული. ჯერ საგანგებო კომისიისგან შერჩეული გერბის ნაცვლად მისი იმიტაცია შეგვრჩა ხელში. ყალყზე შემდგარი ლომები და მისი გვირგვინი ნებისმიერ სხვა ქვეყნის გერბზეც შეიძლება გამოისახოს, ხოლო, ოქროს საწმისის, დავითის შურდულისა და ქრისტეს კვართის გამოსახვა მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო ჩვენს სახელმწიფო გერბზე.“

...„ვდგავარ იქ, სადაც უნდა ვიდგე და არა იქ, სადაც უკეთ გამოვჩნდები. ბევრად ჯობს, ვერ ხედავდე, მაგრამ გრძნობდე, ვიდრე ხედავდე და ვერ გრძნობდე!“

...სერვანტესი: გამოგონილი ისტორია მხოლოდ მაშინაა თავშესაქცევი, როცა იგი სიმართლესთან ანუ ჭკუასთან ახლოსაა — ასწავლის ჭკუას მწუხარე სახის რაინდი წიგნის გამომცემლებს!

**კლოდ ჰელვეციუსი:** გაკვირვებას წუთიც ჰყოფნის, გასაკვირის შექმნას კი წლები უნდა.

**გურამ დოჩანაშვილი:** ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი, ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი, ვიდრე იყავი (და, პირიქითაც! — გ.ნ.)

**შალვა ნუცუბიძე:** ჩვენში ყველაფერს გაპატიებენ... ნიჭის გარდა!

**ციცერონ მარკ ტულიუსი:** როცა ზარბაზნები გრიალებენ... კანონები სდუმან.

...**ქეთევან ჩხეიძე:** ძველი აღმოსავლეთის ცნობილი სწავლული ალხორეზმი აღნიშნავდა: „ჩემს სამშობლოში უძველესი დროიდან იყენებენ სამკურნალოდ სიტყვას, წამალს, დანასა და მუსიკას.“

* * *

*„ალია“, 16-20.09.2010.*

ბარაკ ობამას ბავშვებისთვის წიგნი დაუწერია!

მზად არის ამერიკის პირველი შავკანიანი პრეზიდენტის მესამე წიგნი, რომელიც ბავშვებისთვისაა განკუთვნილი. წიგნის სახელწოდებაა: „შენ გიმღერი, ჩემო თბილის-ქალაქო“... უი, არა, ცოტა წავიოცნებეთ და... ობამას რიგით მესამე წიგნს სახელად შერჩეული აქვს: „შენ გიმღერი: წერილი ჩემს ქალიშვილებს“.

საინტერესოა, რომ ბარაკ ობამა არ გახლავთ პირველი ამერიკელი პრეზიდენტი, რომელმაც საბავშვო წიგნი დაწერა. მაგალითად, 1995 წელს დღის სინათლე იხილა ჯიმი კარტერის „ციცქნა სნუგლ-ფიჯერმა“. ზუსტად 100 წლით ადრე კი გამოიცა თეოდორ რუზველტის „გმირული თხზულებები ამერიკის ისტორიიდან“.

P.S. ასე რომ, პრეზიდენტებიც აყვანილი ჰყავს წერას!... ერთი, შევარდნაძე იყო, რომელმაც თავმდაბლობის „პაროქსიზმების“ ანუ „შემოტევის დროს“ ცეცხლს მისცა თავისი ლექსები (თავისი ქვეყნიანად!)

**ქეთევან ხამიცაშვილი** *(„ახავალ-დახავალი“, 21-27.09.2009):*

მიხეილ ჯავახიშვილი ლავრენტი ბერიას წინ აღუდგა მეტეხის ეკლესიის დანგრევასა და ქართული ანბანიდან ზოგიერთი ასოს ამოღების გამო. ბერიას ჯავახიშვილი არ დაუახლოვდა (მიუხედავად ბერიას მცდელობისა), მეტიც — მას არაკომპეტენტურ ხელმძღვანელად თვლიდა. რა თქმა უნდა, ბერია ამას არ შეეგუებოდა.

პირველ დღეს ჯავახიშვილის დაკითხვა ჩაატარა ბერიამ, ქობულოვისა და საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროს ლევან

კონსტანტინეს ძე აბაშიძის მონაწილებით: მეორე დღეს, ამ უკანასკნელმა ჯავახიშვილის ხელით დაწერილი ჩვენებები გადმომცა. გავეცანი მასალებს და ეჭვი გამიჩნდა. მივმართე აბაშიძეს. მან, რამდენიმე თანამშრომლის თანდასწრებით მითხრა, ჩემთვის რომ ისე ეცემათ, მეც ვაღიარებდი, რომ ვარ სიამის ჯაშუშიო.

P.S. ეს იყო სრული განუკითხაობის ანუ უმოწყალო განკითხვის ჟამი. ძველისძველმა გურულებმა მიამბეს: ოზურგეთში ჩასულა სანდრო ეული და სახალხოდ წაუკითხავს რევოლუციის „ცეცხლმოდებული" ლექსი: „ავფრინდები ცეცხლის რაშით ცაში!"

— ტრაკს მოგწვავს, ძამიავ! — დაუძახია ვიღაცას ხალხიდან... ხოლო იმ „ვიღაცის" ვინაობას და ბედს... ნუღა იკითხავთ!

დრო, დრო აღნიშნეო! (გალამ)

ალექსანდრე მაკედონელმა ტროაში მოინახულა აქილევსის განსასვენებელი, ყვავილებით შეამკო იგი და თან საფლავში ჩასძახა: „შენ არ იყავი იმდენად დიდი, რამდენადაც დიდი მაქებარი გყავდა!" (იგი ქების შემსხმელად უბადლო ჰომეროსს გულისხმობდა).

...ეპიკურე (342-271) თავისი ეთიკური მოთხრობებით ცდილობს, გაანთავისუფლოს ადამიანი სიკვდილის შიშისგან. სათნოებაზე დამყარებული სიამოვნებით, ღვთის მოშიშობითაც შეიძლება განცხრომის მიღწევაო! (სანამ სულს გავაცხებდე... მეც სულზე მომისწრო ამ ღვთაებრივმა შეგონებამ — ასეთი შეგონებით სიკვდილიც უკვდავება გეგონება!)

ოვიდიუსი (მეგობრებს წერდა): მე მოკლებული ვარ პენატებს, თქვენს თავს, სამშობლოს; წართმეული მაქვს ყველაფერი, რისი წართმევაც შეიძლება. მხოლოდ ჩემი ნიჭია ჩემთან, მხოლოდ მასზე არ აქვს არავითარი ხელმწიფება... კეისარს... შეეცადეთ, დადგეთ მიწიერ კოცონზე მაღლა!

„გამოუვალი" მდგომარეობის კლასიკური მაგალითია ქართული კინოკომედია „ქვევრი" — შიგ გაჭედილი კაცითა და მილიციის უფროსი ლეიტენანტის როლში მყოფი ეროსი მანჯგალაძის საავტორო თუ სპონტანური ტექსტით: მე რა გიშველოთ, ხალხნო! მე ღმერთი კი არა — სამჭკუაშვილი ვარო!...

სამჭკუაშვილის ეს სამში — ერთობაც... ხალხური სიბრძნის ნიმუში იყო!

ჰომეროსი რომ ჰომეროსია!... თურმე, იმდენად ხელმოკლედ ცხოვრობდა, რომ ქალიშვილს მზითვად მხოლოდ... თავისი წიგნი გაატანა! (არა ბინა, არა სახლი, არა კარი, არც მანქანა!... როგორია?)

ჰორაციუსი...ც! თურმე, თავიდან მწერალი კი არ იყო... გადამწერლად მუშაობდა: სიღარიბემ გამაბედვინა ლექსების წერა!... ახლა, ახალი ჰორაციუსიც რომ დაიბადოს (მით უმეტეს, ჩვენში!), ვერც შიმშილი ააღებინებს ხელში კალამს, რადგან ლიტერატორის შრომის ფასი... კაპიკია!... ამის მსგავსი უმსგავსობა თუ გაგიგიათ?... არადა... სი ვარადა ვარადა: სიკვდილთან მებრძოლი ლანცეტის, მეცნიერის აზრის, შემოქმედის სიტყვასა და მწერლის კალამზეა კაცობრიობის ბედისწერა!

იონიური სკოლის დიდოსტატის, ბერძენ ფერმწერ ზევქსისის დახატულ ყურძენს ჩიტები ესეოდნენ ყელის „ჩასაკოკლოზინებლად"... იგი თავის სურათებს სავაჭროდ არ ხდიდა — გასაყიდადაც კი ვერ

იმეტებდა, რადგან ფასდაუდებლად მიაჩნდა!

ავტორი წიგნს დღესაც ვერ იმეტებს სავაჭროდ (იმდენად დაკარგა წიგნმა ფასი ამ „ინტერნეტისა“ და საერთო მატერიალური ხელმოკლეობის ჟამს!)

...დღეს, საქართველოში არსებულ, ერთ, ყოვლადცნობილი და ყოვლადუცნობი კაცის... ყოვლადცნობილ და ყოვლადუცნობ „საიდუმლოს“ ჩემთვის კიდევ ერთხელ აეხადა ფარდა, როცა გავიგე, რა ბრძანა სიკეთის შესახებ უზენაესმა: „ნეტარ არს მიმცემი უფროის, ვიდრე მიღებისა“!

ზუსტად არ ვიცი, რა აზრისაა სამართლის თეორია „თვითმსაჯულებაზე“ (და, საერთოდ, არსებობს თუ არა ასეთი ტერმინი), თუ იგი ნეოლოგიზმის ახალი ნიმუშია?.. მაგრამ აშკარად გამამხნევა, აგრეთვე, ციცერონის პოსტულატმა: ყოველდღე საკუთარი თავის მსაჯულიც, ბრალმდებელიც და ბრალდებულიც... მე ვარო! (ამ განწყობილების ნაშობიარებია ეს სტროფიც: არ იჯერებს თვალები და... დარდი არ მაქვს ჩემოდნის... პროკურორის კარებიდან... ბრალდებული შემოდის!)

და, აქვეა სულიერი შეგონებაც: გიყვარდეს მხილება!

გიყვარდეს მხილება! (თუკი ეღირება)
იმის თქმა... კალამი რას ეპოტინება?
გიყვარდეს მხილება! — სიავის გინება,
ბოროტთან ძმობითა დედა გვეტირება!

...არგენტინელი ხორხე ლუის ბორხესი მთელ სამყაროს განიხილავს, როგორც ერთ დიდ წიგნს, რაც უნდა წაიკითხო და გაშიფრო!

...თბილისის რეაქტიული კლუბის მე-8 „კალმისტარი“ — პოლიკარპე გვერდული (თუ ეს სახელიც და გვარიც მოგონილი ანუ ფსევდონიმი არაა) წერს, რომ ...ზოგი ქაღალდის გულებს აგზავნის, ზოგი მომავალში იყურება. მე „ზოგი ვარ“-ო (წაღმა ვარ „გიზო“, თორემ უკუღმა... მეც „ზოგი“ ვარ!). ჩვენებური გენიალური ტუკნურელი ოკრიბელის — ნიჭიერ „შერეკილს“ მაგონებს ეს ჭკუის საკითხავი „გარეკილი“, თავისი პოეტური რჩევებით: „ისე უნდა მოკვდე, რომ დაიბადო!“ ასეთი ლინგვისტური ქარბუქით (და ბაქაბუქით) თუ ვიტყვით: გიჟი უნდა იყო, რომ ჭკვიანს ჭკუა ჰკითხო, ან ისე ჭკვიანი, რომ გიჟის აზრი გაინტერესებდეს!

აგერ, კიდევ ერთი ჩვენებური ნორჩი შერეკილი, რომელიც ჯერ, ასე ვთქვათ, მიწას არ აცილებია და აცილებას აძლევს მასზე გაცილებით უფროს საზოგადოებრივ აზრს!

ერეკლე დეისაძე („საიდუმლო სირობის“ ავტორი):

ჩემი წიგნის ირგვლივ ატეხილმა ხმაურმა ყველაფერი შუშასავით გამჭვირვალე გახადა. მე დავინახე, ვინ ვინაა და ვის რისი ტ...აკი აქვს, ახალ რომანში დიდი დოზით არის „საიდუმლო სირობის“ ირგვლივ ატეხილი სკანდალი.

„ჯი-ეიჩ-ენი“

„ჯი-ეიჩ-ენით“ ლაპარაკს ჯობია, ხალხისთვის გასაგები ენით ილაპარაკო, რადგან ხალხია მწერლის მკითხველიც და განმკითხველიც. რას წერ? რისთვის წერ? ვისთვის წერ? სამში... არცერთი კითხვა არ უნდა დარჩეს პასუხგაუცემელი!

ისე... არავის არ უნდა გაუკვირდეს, რომ, ერთი შეხედვით მშვიდობიანი და წყნარი ცარიელი თაბახის ფურცელი — მწერალ-მატადორისთვის გიჟ ხარს და სისხლიან ასპარეზსა ჰგავს, რომელზეც მან სიტყვა უნდა მოთოკოს!

გოეთე წერს, ღმერთებს ვუყვარდიო. ლათინური ანდაზაც ადასტურებს ასეთ ღვთიურ სიყვარულს: არიან ადამიანები, რომლებსაც ღმერთმა აკოცაო!

ღმერთი რომ არ მყვარებოდა
ან ღმერთს რომ არ ვყვარებოდი —
საუკუნეს ვერ გავძლებდი,
ლექსს ვერ გავეკარებოდი...

უმრისხანესი და მეამბოხე რადიკალი დიკენსი (წარმავალ საათთა ათვლაში) აშკარად ხედავდა მართალ ადამიანებს, როგორ ეპარებოდათ მარტოობის წამი.

სულიერი მამები... სულიერ შვილებს საკუთარ სულში გვახედებენ, სამყაროს შესაცნობად, და იქვე გვაფრთხილებენ, რომ ადამიანი... საკუთარი თავისთვისაც კი... საიდუმლოა!... რომლის ამოხსნას კაცი მთელი თავისი სიცოცხლე უნდება და ზოგჯერ ისე მიდის ამ ქვეყნიდან, რომ მისი პირადობის ბაიბურშიც არ არის!

აბა, ის არის და!..

ამბა ისაია: „ღვთის სამსჯავრომდე ადამიანმა არ იცის საკუთარი თავის განჩინება — სათნო ეყო თუ არა ღმერთს!“ არადა, ამის მიხედვით ხდება 20 საზვერეში ავის და კარგის გაცხრილვა და სამარადისო სასუფევლის დამკვიდრება. თუ სანთელს ანთებ და თვითონ არ იწვი... საშინელია ხვედრი არაწმინდა მწერლებისა, რადგან მათ... სიკვდილის შემდეგაც ცოდვა და ზიანი მოაქვთ!

დაბადების და გარდაცვალების თარიღებს შორის —
ტირეს ტირილს ჰგავს ეს დეფიზი... გულზე ნაკაწრი —
ეით დაეიწყების ლეთას წყალზე, თარიღი ორი —
როგორც საბუთი — ორ სოფელზე ნაფიქრი კაცის!

* * *

მახლას!
...შენი — მითხარი, ჩემი — იკითხე:
ნუ განმიკითხავ...
და წამიკითხე!

* * *

არეული, მთვარეული, გადარეული დროა!
ოთარ ჩხეიძე: აბდა-უბდაზე!
აჯაფსანდალი, „ანთუ“ დომხალი!
ანთუ, ხანთუ, პონთუ, ვინთუ, ვინცთუ, ჯერთუ, შევარდნაძეი...

საკაძეი, სიგუაი, გვარდიაი... აჰაა, ნომენკლატურაი, იქაობაი, აქაობაი...
...ყოვლად და ყველაი... შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო!

* * *

...დღეს ეს ტყუილ-მართალი... მის დასაშვებ ზღვარს გაცდა —
გამკვირვებია კაცთა — მსოფლგანცდაც კი გზას აცდა!

...ზარშჩენკო: „ფიქრს ჩავუღრმავდი, განვლილ ცხოვრებას თვალი გადავავლე და დავრწმუნდი, რომ ყველაფერი არაჩვეულებრივი სიზუსტით მახსოვდა, მახსოვდა ყოველგვარი წვრილმანი, დეტალები, ფერი... სუნიც კი...

უეცრად, გამახსენდა ჩემი მოთხრობები, მკითხველს რომ აცინახარხარებდა, მაგრამ ის სიცილი მხოლოდ წიგნის ფურცლებიდან ისმოდა და არა ჩემი გულიდან...."

ბაღდადელ მაიაკოვსკის ჰკითხეს: რამდენად მოგეწონათ თქვენი პიესაო და იმდენად, რამდენადაც ობივატელს არ მოეწონაო!, უპასუხა და შუბლში ტყვიის წერტილივით დასმის წინ დაიბარა: გესაუბრებით ისე, როგორც ცოცხლებს ცოცხალიო!

უსიკვდილობა — სიტყვა-ღმერთის მარადისობა — არის ღვთის მადლი და ღმერთია ყოვლის მომღვარი... აქ ჩვენებური რუსი კაცის სიტყვა იცნობა: გვესაუბრება ისე, როგორც ცოცხლებს ცოცხალი!

ჯუმბერ თითმერია: მაიაკოვსკის „როგორ ვაკეთოთ ლექსები" დღემდე რჩება პოეტის შემოქმედებითი ტექნოლოგიისა თუ ლაბორატორიის წარმომჩენ უაღრესად საინტერესო პროფესიულ ტრაქტატად!

ნიკოლოზ ბარათაშვილი: „მე სისხლით ვწერდი, გულის სისხლით და არა მელნით!"

რევოლუციის ქარტეხილში ნაწრთობი ალიო მირცხულავა ასეთ სატელეფონო მილოცვას უთვლის საკუთარ თავს (თავისი დაბადების 70 წლისთავზე):

„პა, ალიო, განა დადგა დრო დაბერების,
ისევ ცეცხლივით ბობოქარო, განა ბებერო?
მუდამ სამშობლოს თაეს ევლები და ეფერები,
ახლა მას უნდა, შენ მოგეფეროს!"
მე არც მოფერებას გთხოვ და არც თავზე ხელის გადასმას, კარგებო!...
— აგერ, წიგნის თაროზე ვარ და გიკითხავთ არაკებს:
მომიკითხეთ,
წამიკითხეთ,
გამომელაპარაკეთ!

* * *

აკალოთია (ანუ ლოცვათა კრებული): „გზა ტაძრისაკენ" გვაუწყებს, რომ ადამიანი 10 წლიდან განიკითხება! მეორე მსოფლიო ომის ჩვენს თაობას ჭკუას, ლამის, აკვნიდან თხოვდნენ და 7-8 წლის ბიჭებისგან... კაცობას მოითხოვდნენ!

სეი სიონაგონი: „მე ხომ ჩემი თავის სასიამოდ ვიწერდი ყოველივეს, რაც კი აზრად მომდიოდა. განა შეიძლება, რომ ეს ჩემი დაუდევარი

ჩანაწერები ხელოვნების ყველა წესითა და კანონით დაწერილ ნამდვილ წიგნებს შეედაროს?

იაპონელებს ცხოვრებამ შეუქმნა ანდაზა: „შვიდჯერ წაიქეცი?... რვაჯერ წამოდექიო!“

...რაღა თქმა უნდა, „მხოლოდ ჩემთვის ვწერდიო“... ღიმილიანი ტყუილია... ეს მხოლოდ თავისთვის, საკაცობრიო კულტურის დონეზე დაწერილი წიგნი, 1000 წლის შემდეგაც ხიბლავს მკითხველს...

ჩანაწერების ამ წიგნშია ყველაფერი, რამაც თვალთა ჩემთა წინარე ჩაიარა, ყველაფერი, რაც გულს მღელვარებით მივსებდა. ეს წიგნი დავწერე მარტომყოფმა ჩემი სახლის სიმყუდროვეში, ვიმედოვნებდი, აქ კაცთა თვალისთვის უჩინარი დარჩება-მეთქი.

მასში ზოგი რამ მეტისმეტად გულახდილად მაქვს ნათქვამი და, სამწუხარო კია, იქნებ გულიც ვატკინო მავანს და მავანს. ამას ვუფრთხობდი და მალვით ვინახავდი ჩანაწერებს...

აი, როგორ დავიწყე წერა.

ერთხელ, მისმა ბრწყინვალებამ კორეტიკამ, — კარის მინისტრი გახლდათ — დედოფალს დასტა-დასტა მოართვა ქაღალდი.

— რა ვუყო ახლა ამას? — აწრიალდა დედოფალი, — ხელმწიფისთვის უკვე თავიდან ბოლომდე გადავაღებინე „ისტორიული ჩანაწერები“.

— იცით, ეს ქაღალდი სწორედ მისწრება იქნებოდა ჩემთვის — სიმყუდროვეში, მარტოობაში, სხვათათვის იდუმალად მინდა, ვწერო და ვწერო, — ვუთხარი მე.

— აჰა, ინებე, შენი იყოს! — მოწყალება მოიღო დედოფალმა.

ასე მებოძა აუარება მშვენიერი ქაღალდი. აუ, რამდენია, ამას რა გაათავებს-მეთქი, მეჩვენებოდა და მეც ვწერდი და ვწერდი ამ მთისას, იმ ბარისას, რაღაზე არა ვწერდი, ზოგჯერ სულ უმნიშვნელო რამესაც კი ვიწერდი.

მაგრამ ჩემს წიგნში მე ყველაზე მეტს მოგითხრობთ იმ ცნობისსაწადელ და გასაოცარ ამბებზე, რომლებითაც აგრე მდიდარია სამყარო ჩვენი და გესაუბრებით ღირშესანიშნავ ადამიანებზე.

აქ მე ლექსებზეც ვსაუბრობ, ხეთა და ბალახთა, ფრინველთა და მწერთა ამბებსაც გიყვებით. ვყვები თავისუფლად, შეებით, ვყვები, როგორც გულით მომსურვებია და, რა გაეწყობა, მავანმა და მავანმა გამკილოს: გაგვიცრუვდა იმედები, გაგვიცრუვდა — ეს უკვე მეტისმეტი დანამცეცება ხომ არაა?“

სადაც სხვისა ვთქვათ, იქაც ჩვენი არ დაგვავიწყდეს

ჩემი დღიურების, კვირეულებისა თუ წლიურების ჩანაწერებს — ლექსებს, მოთხრობებს, ქარაგმებს, ნაკვესებსა თუ ნაკვნესებს... „პლატონური“ სიყვარულით — მეცნიერულად: შემეცნების (ანამნეზისის) თეორია, ადამიანურად კი წარ-სულის — ბიჭებისა და გოგონების მოგონება ჰქვია!

ჩვენ ბოდიში ბატონ პლატონთან და... ამ შესავალიდან გამოსავალს ვხედავ, ჩემი სისხლის და ხორცის — იმ ერთი უმშვენიერესი ქალბატონის (გამომცემლობა „კოლორპრინტში“) „განმიცადეს“ თავურსიტყვით გამოსულ პოეტურ დებიუტში, რომლის ავტორია წმინდა ნინოს სეხნია — ნინო მაღრაძე, რომელსაც მიწამდე ვუხრი თავს, ჩვენი უასაკო

შემოქმედებითი ნათესაობით, მისი პირით — ჩემი სათქმელის თქმაში, რასაც დიდი სიამოვნებით ვუთმობ ასპარეზს ჩემი ოთხწიგნედის მესამე წიგნის საფინალო თავფურცლებზე!

კიდევ უფრო ნათლად რომ ვთქვათ: ჩემს ლექსებს... მისი ლექსი წამოაწია (და შეაწია) ჩემი დეიდაშვილის — ელენიჩკა ვარდოსანიძის ქალის — შვილიშვილისშვილმა — საქართველოს ჯარისკაცის — პოლკოვნიკ ნიკა ჯანჯღავას მეუღლემ.

„კალამი ლექსის ჩასაწერად ითხოვს რეეულებს,
ჩემს შთაგონებას პოეზია განასხეულებს!“...
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ასეთი სიფერმკრთალე ანგელოზებს უხდებათ —
დღე ფანჯრიდან გამექცა... ბოდიშის მოუხდელად.
ამ შენს პატარა წიგნთან ისე შემომაღამდა —
ფრთხილი ნატერფალებიც მესმა ქვათა ღაღადად!
თითქოს ჩემს გულში იჯექ, ჩემს სადარდელს დარდობდი,
როცა ღამის უკუნის ხატთან სანთელს აღნობდი!
„მთელი ღამე მათოვა... თოვლი მაინც არ მყოფნის,
შემაწუხებს წუხილი — ყოფნისა და არყოფნის.
დაეიღალე სპექტაკლში სხვისი როლის თხოვებით —
ყველა ტკიეილს წერილსა ეწერ და... გამოეეთხოვები!“

# „ჩ ა კ რ უ ლ ო"

*ჩაკრულო ჩარაკრაკებდა, ჩაკვროდა გულის გასაღებს.*
*ფერი ახნია-გახნია „ჩვენი მასპინძლის სასახლოებ!" –*
*იყო სმა, ზმა და შაირი, სიმღერა ცასა წვდებოდა,*
*ქართლი – სამოთხისნაირი – მეორედ იბადებოდა!*

ბედ-იღბლის ვექტორ — ფიქრთა ტრავერსით... სულის სალესი — ლექსად გავლექსე! ვნერდი მით, ხელში რაც მომყვებოდა — ვნერდი... რაც — როგორ მენერებოდა! არც თავს ვეძებდი და არცა — ბოლოს, კალამს ეხმარობდი, როგორც შუბ-ოროლს, ვითარცა დრო და ჟამის მახვილსა — მკლავდა ნყურვილი ნატვრით ნახვისა, ჩემი მინა-ნყლის ნარსულ-მომავლის — მტრის ნამქცევის და ფეხზე მდგომარის!...

სიტყვას ეხმარობდი, როგორც სატევარს და მარცვალ-მარცვალ ვნურავდი მტევანს...

ვაზის ცრემლები — ყურძნის მტევნები (თითო მარცვალი – თითო კურცხალი!)... სულისკვეთების მარცვალ-ნვეთები... კაცი მორნმუნე – ღმერთი მონყალე!

შენ ხარ ვენახი! (ჭირის თუ ლხინის) და მათრობელა სურნელი ღვინის! „ნორჩი, კეთილი... ედემს ნერგული", პური არსობის და ღვთიე ზეპური!

...მზის პოეზია ეარქეი მე ზეარსა –
მიწის ლირიკა! – მის სტრიქონ-კეალსა,
„ფხიზელ" დარაჯად... ქორონიკონის –
სულ სხეაა ეშხი მთვრალი სტრიქონის!
...მუხრანის ველზე! –
მზე მადგა ყელზე –
და იღერებოდა ლექსის ბადაგად.
„ჩაკრულოს" სჯექდა „ერისიონი"
და ტყის სიჩუმე იდგა „ქადაგად"!

*„შეიქმნა სმა და პურობა მსგავსი მათისა ძალისა,*
*სხვა გახარება ისეთი არს უნახავი თვალისა..."*
**შოთა რუსთაველი**

*„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში."*
**გალაკტიონი**

სხვადასხვა დროში დაბადებული, მაგრამ ყველა დროს, ამ ორი ბუმბერაზის ეპიგრაფებით მინდა, შეგიძლევეთ იმ ჩვენს „საგრაფოში" ანუ მამულში და პატარა გატუნიას პირით გითხრათ დიდი გალაკტიონის გალა-სიტყვა:

„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველამ არ გაიარე, რაა მამული?!
ნინაპართაგან ნავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული...
...აქ თითო ლერნი და თითო ყლორტი მასზე ოცნებას დაემგვანება,
ისევ ამნვანდა მდელო და კორდი... დავდივარ, ვნუხვარ და მენანება"...

..."ნეტავ, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო, ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.

სჯობს, არა მქონდეს მე ეს სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი" — სადაც გალაკტიონი, იქაც ტიციანი!

საქართველოა ის ქვეყანა, სადაც ვაზის ლერწნებისგან შეკრეს ჯვარი და ღვთაებრივი ღვინით ეზიარნენ სარწმუნოებას. ღვინო და პური ქრისტეს სისხლი და ხორცია, ხოლო ქართველი „ქრისტეს რთველს" ნიშნავს — ასე სნამს ქართველს, რომელიც ისეთ სალამს გეტყვის, როგორსაც „მხოლოდ ღმერთს ეუბნებიან" (შარდენი).

კაენი და აბელი... აი, თითქმის მთელი ისტორია კაცობრიობისა (ვერტ ჰიიმერი).

პროგრესი ხორციელდება კავკასიური რასის მეშვეობით (ჰეგელი).

ჩვენს წინაპარს ჭკუა მაშინ ეყო, როცა ადამიანს ჭკუაც საძებარი ჰქონდა და მიწაც! ანუ იდგა და ცის ქვეშეთში ადგილს ეძებდა. ამასობაში კი — უფლის სადიდებელი ერთი კაი ქართული სადღეგრძელოსათვის, ღვთის წყალობით, ღმერთთან ერთად, ღმერთის სამოსახლოში დასახლდა!

დიახ!... „ღვინო და პური ქრისტეს სისხლი და ხორცია!" — წერს ჩვენი ძმა და პირის ზიარება, ფუტკარივით კაცი სოლომონ (ბიჭი) თეზელიშვილი, რომელიც კვაჭიჭოს (ოთარ რამიშვილის) გენიალური ფუტკარივით, როგორც აფთიაქარი, ჯანო ბაგრატიონის „ყვავილების ქვეყანას", აკაკის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი" — აყვავებული მთაბარიდან, ია-ენძელებით მოჩითული ველ-მინდვრებიდან, კაი ფიტოთერაპევტივით, გვიგროვებს ნამალს და ყოველ სიტყვას მალამოდ ხმარობს!

ჰოდა, ცნობილი თამადის — იგორ კვესელავას პირით ვიტყვი ამ სადღეგრძელოს: გაუმარჯოს იმ ფუტკარს, ყვავილის ერთი კოცნა სიცოცხლის ფასად რომ უჯდება; იმ ქართ-ველს ანუ ქართულ მიწას, დედამიწაზე რომ ვერ დაეტია, აჯანყდა და მთებად და მწვერვალებად იქცა!

ღვინო ქალის განსახიერებაა — ქალივით მშვენიერი და მათრობელა!

„ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვი — ბულბულს დავსვამ ჭიქაზეო!" — ასე იწყებდა ნადიმს ჩვენი დროის მარადიული თამადა სიმონიკა სხირტლაძე — საქართველოს პურისუფალი, ლხინისუფალი, ჭირისუფალი!

სიტყვა „თამადა" (ადიღეურად „ღმერთის მამადაც" რომ იხსენიება) პალინდრომია და წაღმაც იკითხება... უკუღმაც: აქედან — „თამადად", იქედან — ადამად! ანუ პირველყოფილი სამყაროს პირველ კაცად!

უწმინდესსა და უნეტარესს — საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ღმერთი ჰყავს მოწამედ და სხვა მოწმე არ სჭირდება. იგი ბრძანებს, რომ ქართული სუფრა საერო სამლოცველოა და პურის გატეხვა... ღმერთის ხსენებითა და სახელით ხდება! თუმცა, დრომ ქართულ საწესჩვეულებო სუფრას, დღეს, სამოქალაქო ნადიმის იერი მისცა, თამადის ლოცვა-ვედრებას კი, საკრალურის ნაცვლად, საერო ქეიფის მხატვრულ-ესთეტიკური ელფერი!

---

*„პირველად იყო სიტყვა. სიტყვა იყო ღმერთთან და იგი იყო ღმერთი"*

*ალიშერ ნავოი: სიტყვებით სიკვდილის თავიდან აცილება შეიძლება. სიტყვებით მკვდრების გაცოცხლებაც შეიძლება.*

„ქართული სუფრა ქართველი კაცის ცხოვრების ანარეკლია, მისი ბიოგრაფიის ნაწილი და აქ ყოველგვარ ნოვაციას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ" — წერენ „ქართული სუფრის" ავტორები და, ნებით თუ უნებლიეთ, ებმებიან დისკუსიაში, რომელიც, „კუმ ფეხი გამოყო — მეც ნახირ-ნახირას" რუბრიკით, წამოიწყო გლობალიზაციის ჭაობში ჩაფლულმა ე.წ. „კავკასიურმა ინსტიტუტმა", აქაო და ქართული სუფრა „დემოკრატიას უპირისპირდებაო"! ამ მხრივ დიდად გამოიდო თავი „ქართული სუფრის" სოციო...ფალოს თუ ფილოსოფიის დოქტორმა, ვინმე ემზარ ჯგერენაიამ, რომელმაც ქეიფს — გეიფი დაარქვა და რომლის „ზოგიერთი სხვა რამ" გვაფიქრებინებს, რომ ეს კაცი ვერ უნდა იყოს მთლად „ჯგიროდ"!

ქართველი კაცი დედისა და ღვინის გინებას ვაგლახად არავის შეარჩენს!

...ყოვლისა მიმრთმევს და ენისა მიმტანსო!

— ვინა თქვა, ქაღალდი ყველაფერს იტანსო?

არა ვიღაც ამან თუ იმან... თავად არისტოტელემ ბრძანა, რომ „ზნეობა — ეს არის, იცხოვრო შენი ხალხის წეს-ჩვეულებებით"!

...ხან — კალამი მომყვება, ხან — კალამს მივყვები. ნებაზე მყავს მიშვებული და კიდეც ნებივრობს — „მირბის, მიმაფრენს"!...

სიტყვას ვერ მოთოკავ და ამაშია მისი ძალა!

ახლა კი... მკითხველო (და, არა განმკითხველ-გადამკითხველო!) გიწვევ ნადიმზე, რომელიც მთლად პლატონის ნადიმს არ ჰგავს, მაგრამ... არც არაფერი უკლია — თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით!

ქართულ ნადიმზე, რომელსაც ბადალს ვერ უპოვენი, ყოველი მოლხინე (რაღაცით) „პირველია"... ერთი, როგორც მომღერალი, მეორე, როგორც მროკავი, მესამე, როგორც მორკინალი, მეოთხე, როგორც მჭევრმეტყველი!

დიახ, მუხრანული ქეიფი, ღრეობა კი არა, მამაპაპური ნადიმი იყო, როგორც „გველის პერანგის" ავტორმა ნიგნად გაშალა საქართველოს ისტორიის ქეიფისას თუ უქეიფობისას (დააკვირდით, ქართველი კაცი უქეიფობას — ავადმყოფობას ეძახის!). ქართველი მაშინ გრძნობს სიცოცხლეს, როცა ქეიფობს და ექეიფება! თბილისელი ყარაჩოხელის მარიფათი და ცხოვრების ეშხი სწორედ ის იყო, რომ დღე მუშაობდა და ღამე ქეიფობდა...

როდის ეძინა?

ძილისთვის ვის ეცალა!

საქართველოში მხართეძოზე წამოსაწოლი დრო არც არასდროს ყოფილა — ცოტას ნათელემდნენ

სიმღერით სიკვდილს ვეთამაშები.

ვიცი — წყალს ვეღარ მოიტანს კოკა...

დანის მლესავი,
კალმის მლესავი,
დღე-ღამესავით —
დრო მკლავს და დროს ვკლავ!

კაცი ცოდვის შვილია —
კაცში ავი ხელი დევს!...
ფუი, ეშმაკს ვძლიე და
შრომას გავიხარველე!

დრო, დრო აღნიშნეო, გალამ...
უბრძანა მან მწერლის კალამს!

ყველაზე დიდი მოგება... გულის მოგებაა!
და, მგონი, მივხვდი ერთი ქორვილელი კაცის „ჯერ არნახული, „ჯერ არგაგონილი" ხელოვანობის აზრს!

უპატრონოდ ვერ ვპატრონობთ თავს
და მიტომ დაგვესხა ამშ-ელი ძია სემი
და ჩვენი ძმა —

და დილის მადლსაც სირჩით ხვდებოდნენ. შრომაც იცოდნენ, ხმლის, სიტყვის მოქნევაც და თვალის მოტყუებაც!

მხოლოდ ხასიათით იყვნენ უტეხნი და უტყუარები. „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი!" — ნიჭიერების ასბეჭედდასმული საბუთი ლექსად გასცა ლადო ასათიანმა!

კონფუცის ნათქვამია: მელანს, ღმერთი, ისე აფასებს, როგორც წამებულის სისხლსო.

ქართველს სისხლიც ბევრი უნთხევია და მელანიც! ასე, სისხლით, ოფლით, ცრემლითა და მელნით იწერებოდა საქართველოს ისტორია!

სხვა ყველა ტყუის... ის სწორია!

„...ორი დღის თავშესანახი თუ გაქვს ერთი პური.

ყელმოტეხილ დოქში წყალი — ცივი, საამური...

რატომ უნდა ემსახურო სხვა კაცს, შენზე მცირეს,

ან თვითონ შენ რაღად გინდა... სხვისი სამსახური?"

მანევეთებს ლექსის შარბათს ომარ ხაიამი და ისე მომმართავს, როგორც იმ მოხუცს, გუშინ სარდაფში რომ უნახავს გალეშილი.

„ვუთხარ: ღვთის არ გრცხვენია? ეგრე რად დაძაბუნდი?

მითხრა: ღვთის წყალობაა, დალიე და... გაჩუმდი!

თუმცა, იმ ულრანი მუხრანის სამუხრანოსი არ იყოს, რა გამაჩუმებს „მე, პატრონს ამოდენა ცის...", მთის, ზღვის, ისტორიის???

საუკუნის წყვდიადში ვარ — ფიქრი თეთრად მათოვს.

მარადიულ კითხვებსა ესვამ — სად, როდის და რატომ?

ამ ფიქრების თავსხმაში ვარ და... ერთ მშვენიერ დღეს (სწორედ ასეთ დღეებს ჰქვია მშვენიერი!) ჩვენი თბილისური კლუბი „მეტეხი" (თეიმურაზ ჭიჭინაძის თავკაცობით, რომელიც ქალაქური სულის გადასარჩენად, „ქართულ ხმებთან", „ალილოსთან", „სიმთან" და ყველა კაი კაცთან საძმოდ იშვა)... „ჩაკრულოს" საგულშემატკივროდ და სადიდებლად, ერთ ესპანელ ბიზნესმენ იდალგოსთან (ბატონ ალეხანდროსთან) ერთად, ქართლის გულისაკენ დაიძრა!

ეს იყო სულ 10-იანებში მოსარტყმელი დღე — დღითაც, თვითაც და წლითაც! — ანუ 10.10.2010 (!) (მოდი და, ნუ ირწმუნებ მის საკრალურობას, მისტიკურობასა და იდუმალებას!)

...ბუნება ლაპარაკობს მათემატიკის ენითო, გალილეიმ! ციფრების ენაზე, „ათიანი" პირველ ათეულშია და ტყვიისა თუ ტყვიასავით სიტყვის სამიზნედაც ქცეულა!

შენ დაუკარ!

მიდი... მოვდივარ!

ჰოდა, ღმერთმა ხელი მოგვიმართოს! ვამბობთ, ვდგებით და მივდივართ საქართველოს წარსულში, აწმყოსა და მომავალში, რომ „მარტყოფის ველზე, მამლის ყივილზე" შესაკრები წინაპრების შთამომავლებმა,

---

*იოჰან ჰეიზინგი: ადამიანები სათამაშოდ აქცევენ მთელ სამყაროს.*

*ფრანსუა დე ლაროშფუკო: კაცნი, რომლებსაც ეჭვი არ ეპარებათ თავიანთ ღირსებაში, საკუთარ მოვალეობად თვლიან, უბედურებად მოგვაჩვენონ თავი, რათა ამრიგად დაარწმუნონ სხვებიცა და თავიანთი თავიც, რომ გაცილებით უკეთეს ხვედრს იმსახურებენ.*

ახლა, მუხრანის ველზე შევუშვიროთ გული საქართველოს სატკივარს და გული მივცეთ გულისათვის!

2010 წლის, მე-10 თვის 10 რიცხვია!...

ადრიანი შემოდგომის ისეთი ბაჯაღლო დილა გათენდა, იფიქრებდით, ამ დილას დაღამება არ უწერიაო. მერე აირია. განვიმდა კიდეც — ბუნებამაც წამოიტირა! მერე ისევ გამოიდარა... მზემ, როგორც ჩვენში იტყვიან, პირი დაიბანა, სხივი გვიფეშქაშა და სუფრაზეც გვეწვია — თავზე დაგვადგა და... გაგვიცინა! ჰოდა, ჩვენც მეტი რა გვინდოდა!...

წერას ატანილი კაცისთვის ყოველი წუთი ღმერთების ლოდინია. მით უფრო, ხანში შესულისთვის... გამოსვლის არანაირი შანსი რომ არა აქვს და ჩათრევას... ჩაყოლა ურჩევნია!

კაცი კი არა, დროც კი ბერდება!

სექტემ-ბერი, ოქტომ-ბერი, ნოემ-ბერი, დეკემბერი... სულ სიბერისაკენ მიდის და მთებსაც თოვლის ჭაღარა ედება!

„...მთელ ქვეყანაზე, მთელ ქვეყანაზე..." — ერთი სიმღერისა არ იყოს — ყველაფერი მოსწრებაზეა და ღმერთსა ვთხოვ, ჩემი ქვეყნის სულის მობრუნებას შემასწროს!

რა ბედნიერია კაცი, როცა არ იცის, რა უბედურია!

და, რა უბედურია, როცა თავი ბედნიერი ჰგონია!

„ღმერთო, ქართველს შეაყვარე საქართველო!"

„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!" — დღეს ყველა ქართველი (არა მხოლოდ დაბადებით!) ვაჟას სიტყვებს, თუ ხმამაღლა ვერა, გულში მაინც ამბობს და იმედით ცოცხლობს.

ჰოდა, ჩვენც ხომ იმ „ჯოგიდამა ვართ", ვინაც სამშობლოს ხატს ავედრებს და „მამაო ჩვენოს" შესთხოვს, რომ: „...ნუ შეგვიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან"!

დიახ, ეს არის რეპორტაჟი „მეტეხის" თბილისური საძმოსი — „ქართული ხმების", „ალილოს", „სიმისა" და ღვთის მადლით შემოსწრებული საპატრიარქოს მგალობელთა გუნდის გასვლითი სხდომისა (უფრო სწორად კი ფეხმორთხმისა თუ ჯდომისა!), მუხრან-ბატონთა მუხრანული სასახლის ახალ, იგავმიუწვდომელ, კოსმოგენურ მარანში!

*"Дядя Вася"!*

<u>ვალერი კვარაცხელიას ვახტანგ გოგუაძეს:</u>

*— თითქმის არაფერი გინდოდა, თითქმის არაფერს ითხოვდი — მდიდარი ის კი არ არის, ვისაც ბევრი ფული აქვს, მდიდარი ისაა, ვისაც ფული არ სჭირდება, — ეს იყო შენი ფილოსოფია.*

<u>ოთარ ნაკანი:</u> *არაფერი არ ვიცით კი არა, სვანებმა ისიც კი ვიცით, რა დაგვიბარა წერეთელმა.*

<u>ისტორიკოს-ის-ტორიკოსი სვიმონ მახარაშვილი:</u>

*მომიტინგეთა დარბევას მე აბსოლუტურად გარდაუვალ და აუცილებელ ნაბიჯად მივიჩნევ. დღესაც მივესალმები იმ სპეცრაზმელებს, ვინც დაარბია ხალხი. — ახია მაგენზეთ, ახი!*

<u>გოდერძი ჩოხელი:</u> *ჩემი ქვეყნის ისტორიას დედის თვალიდან ჩამოგორებულ ობოლ ცრემლს მაგონებს.*

...ყველაფერსა აქეს სახელი,
ყველაფერსა აქვს ყადრია,
სიტყვას – ღმერთსაც რომ ადრიან... ლექსია მისი ნათლია!
თარგამოსია, ქართლოსი, ჰაოსია თუ სხვა „ოსი“ –
ლამის, რითმებით დაეოსდი –
ქაოსით სააქაოსი!

* * *

მუხრანული ციკლის ამ პოეტური ციკლონით...
ქართული ჯიშ-ჯილაგით (ენით, გენით თუ „კლონით“)...
წარ-სულში ჩაეიხედე –
მომა-ვალი განეჭვრიტე –
და 1000-ჯერ გაეზომე, ვიდრე ერთხელ გაეჭრიდე!

* * *

წარსულ-მომავლის ფონემებს...
რო გაეუსწორე თვალია:
წარ-სულში... სული ტრიალებს,
მომა-ეალში კი... ეალია!

* * *

ქართული ენის თეზაურუსში –
ფონემების და სიბრძნის კვალია –
და იკითხება სიტყვათ ბურუსში –
წარ-სულია თუ მომა-ვალია!
ასეთი არის სიტყვა ქვე-ყანაც!
აქაც ფუძეში ბიბინებს „ყანა“!

* * *

ამ დროს...
სად იყო – სად არა –
მუხრან ბატონის საჯინიბოდან მესმის მერნების ხვიხვინ-ხვიხვინი...
წლები გარბიან რიხინ-რიხინით და საუკუნე მოგვდევს ჭიხვინით!

* * *

სამკალიცა თუ უკვე მომკილიც –
ახალიცა და ძველიც მომკიეის!
მე დროს ვეძახი და დრო მეძახის –
მე ვარ მეზვრე და შენ ხარ ვენახი!

---

*ბლეზ პასკალი: ადამიანთა სამი გვარია: ერთნი ემსახურებიან ღმერთს, იმიტომ, რომ უკვე იპოვეს; მეორენი ეძებენ ღმერთს, იმიტომ, რომ არ უპოვიათ; მესამენი არც ეძებენ და არც უპოვიათ; პირველნი ბედნიერნი არიან და კეთილგონიერნი; მეორენი – უბედურნი და კეთილგონიერნი; მესამენი – უბედურნიც და უკეთურნიც.*

* * *

საცა სიტყვა აღარა ჭრის,
რას გააწყობს მუზა იქა —
ნაკუწ-ნაკუწ,
ნაჭერ-ნაჭერ,
ექმნი დრო-ჟამის მოზაიკას!

...და, მაინც, რამდენი მსაზღვრელი სიტყვა ახლავს ამ დალოცვილ სიტყვას: დღე — პირველი, დღე — უკანასკნელი, დღე — მოკლე, დღე — გრძელი...

## დღე-სასწაული

...და მე ამ წერილს შევურჩიე ეს სათაური.
...და ეს დღე იყო ბედისწერის დღე — სასწაული!

* * *

დრო!
დრო აღნიშნეო, გალამ —
ცისკარს შეეაგებებ კალამს —
ეიკრებ ღონესა და ძალას —
ვიღებ საწერსა და კალამს —
რომე შეეეჭიდო სიტყვას —
და, რაც სათქმელია, ითქვას!

* * *

...მოწმედა მყაეს მე ჩემი და — თემიდა,
წარსულს ეწრუპაე მოგონების ჭებიდან,
ეს არს სიტყვა გულის კუნჭულებიდან,
ანუ...
რეპორტაჟი ტვინის ხუჭუჭებიდან!

* * *

...ესაა პოეტური მოზაიკა —
თვალი აქა,
ყური — იქა!
პირი აქა, გული იქა... მუზა აქა, ღუზა იქა!
ლხინი — აქა, ლხინი — იქა!
გაგვეცვითოს მთვარე — მზითა...
დღის სინათლემ ღამე ცვითა...
წავუქციოთ თითო ჭიქა!

* * *

მთების და ზღვების ამ ყანების ღაღანში —
ვარ ძმობის სეტყვაში და სიტყვის ბაღნარში.

ხალხური: ლენინმა უთხრა სტალინსო — რატომ ჭამ ამდენ მწვანილსო. სტალინმა უთხრა ლენინსო — შენ უარესი გელისო!

ფინანსისტი ნოდარ ჯავახიშვილი (2008): სოროსი ახალ აფიორას გეგმავს. გარდაუვალია ამერიკის იმპერიის დაცემა, რადგან მას უამრავი ცოდვა მიუძღვის მთელი მსოფლიოს მოსახლეობისა და თავისივე ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის წინაშე. გავიხსენოთ, თუნდაც, ინდიელების ამოწყვეტა.

...შეიცვალა საზოგადოების ღირებულებები და აქცენტები, ყველაზე მაღალანაზღაურებადია არა წარმოებისა და შექმნის ინდუსტრია, არამედ გართობის ინდუსტრია. პლანეტა ჩიხში შედის.

გოჩა ჯოჯუა: ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი: პარლამენტში ნაძალადევის რაიონის პრობლემების გადასაჭრელად კი არა, ქვეყნისა და აფხაზე-

* * *

მე ეხედაე სურათს...
სულით სულს... სულაც!
ეუსინჯაე პულსს და ვწერ იმპულსურად! –
გულის კარნახით –
თვალით ნანახით –
მოქითხვითა და ნახეისა ნატერით!

თუმცა...

ერთი ჩინური ანდაზისა არ იყოს, ფრთხილად, ნატვრამ ახდენა იცისო!

* * *

იგავის, არაკის... სიტყვათა მარაგის –
ბაღნარში ეეწევი კატრენთა ხარაკირს!
და მიტომ გაესარჯე, პროზა-პოეზია,
რომ არსულ-წარსულის გზები მომეძია!

* * *

აკი გითხარით!

ამ დღესასნაულის დრო: დღეც, თვეცა და წელიც ზუსტად 10-ს უმიზნებს და 10-იანს ურტყამს! და ჩემს ლექსს თუ ტექსტს... ამ საკრალური ციფრ-შიფრ-კოდის სულიცა უდგას!

დრო აღნიშნეო, ბრძანა გალამა! —
რაც აღასრულა ჩემმა კალამმა!

* * *

სეფე-სიტყვა — მქუხარე,
მეფეთ სადგომ-მდუღარე,
ტოპონიმად უღრანი —
მუხნარი თუ მუხრანი!...
„ფრიად შემკულ არს... (პატარძალსა ჰგავს!)
ზაფხულის მშვენნი, კეთილაგარაკოვანნი...
მოსავალი მტილთა, ნალკოტთა, ვენახითა, თესლ-მარცვალთა"
(არ ენახვების მლილთა, ავთვალთა)...
„სახლობენ გუარიანნი აზნაურნი და კაცნი მხნენი და მებრძოლნი...
არამედ მპარავნი"(?)
აქ ედგა გამჩენს ბაგრატოვანთა ერთი კარავი —
„დროშა სასპასპეტე არაგუ-ქსნისა" — (პაპის-პაპის-პაპათა ხნისა!)...

„ესე იყო ქრისტეს კვართის მფლობელ დავით „წინასნარმეტყველისათა აღმოცენებულ" ბეჭარწივიან, ბაგრატიონ-მუხრანბატონთა სამ-

---

*ეკატერინე II: ადამიანები, ხშირად, თვითონ არიან საკუთარი ბედნიერების თუ უბედურების მიზეზი.*

*ანჯელუს სილეზიუსი: ადამიანი ამქვეყნად ყველაზე საოცარია: მასში ღმერთი და ეშმაკი მარადი მეზობლები არიან.*

ფლობელო: სამხრეთით — მტკვრით, ჩრდილოეთით — ციხით ბოდავისა და მთითა — ტინის... დასავლეთით — ოკამის გორით (ვთქვათ სათქმელი, რომე ვიყოთ ღმერთთანა სწორი!).

...ქართველები მინასაც „დედას" ეძახიან, რადგან მხოლოდ დედა-მინას შეუძლია, შობოს ასეთი სახატე შვილები!

ასე განსაჯეთ!

ამგვარად... ამ გვარიდან 8 მარტო წმინდანი შეემატა სახლსა უფლისას — ქართულ ეკლესიას (სულითა სვიანს, გულითა მზიანს!): აშოტ I კურაპალატი, ჰერეთის დედოფალი დინარა, დავით IV (ანუ აღმაშენებელი), მზეთამზე თამარი, დემეტრე II, ლუარსაბნი — I-II, მუხრან ბატონიშვილი, ქეთევან დედოფალი... ისტორიის წინაშე პირნათლად წარდგომისათვის მარტო ეს წმინდანებიც ეყოფიან საქრისტიანოს!

საუკუნეების უკუნეთს... სანთლად, მარტო აქაური დიდმონამის — ქეთევან წამებულის ნათელიც ეყოფა!

„ჩვენი ვალია, ერი მოვამზადოთ ბაგრატიონთა დინასტიის აღდგომისათვის!" — ბრძანა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

ამინ!

გიკურთხოს კვერთხი, მღვდელმთავარო! —
გისმინოს ღმერთმა...

უფლის სახელით, რომ ღვთის ნება მრევლისთვის გეთქვას!

სამების, ჯვრის, სვეტიცხოვლის, ძალისის, ნილკნის, მუხრანის იოანე ნათლისმცემლის, გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ბაგრატოვანთ კარის ეკლესიების ზარ-ზეიმებით შეგვეცვალოს გლოვის ზარები, რომ ფალავნობდეს გალავანი მუხრანის ციხის და პატრიარქის აქაური თეთრა ცხენის — „თეთრონის" ჭიხვინს გადაეფაროს ურდოების რემათა ხმები — ფეხზე წამოდგნენ კაი ყმები და ქართლის მთები!

...ცხრაძმულას, ჭურთას შენაკადებით, სისხლით და ოფლით მოღელავს ქსანი —

იქეთ კი, მტკვრის და არაგვის პირზე, ისმის ყიჟინა ზვირთთა... ხმა სპანის!

ზღვასავით ღელავს მუხრანის ველი, ძველი დიდების „ჩაკრულოს" მღერის,

დგას ძეგლთაძეგლი — დიდგორის ველი და...
ქვეყნის სიჭრელეს სისინებს გველი!

*თის პრობლემის მოსაგვარებლად მოვდივარ, თორემ მესამე მოწვევის პარლამენტარი ვარ. პრობლემები საკუთარ ოჯახში ვერ გადამიჭრია და სხვის ოჯახებს რა უნდა ვუშველო?!*

*«ვერსია», 2008.*

*ჯერ კიდევ არისტოტელეს დროს, ამ უნიკალურ ბუნებრივ კომპონენტს იყენებდნენ კოსმეტოლოგიასა და მედიცინაში. მინერალური წყლით, მარილებით, სამკურნალო ტალახით და მკვდარი ზღვის მცენარეებით დამზადებული კოსმეტიკა გვჩუქნის ახალგაზრდობასა და სილამაზეს. მარილები ხელს უწყობს კანის დატენიანებას, სძენს ბზინვარებას, მინერალური წყალი შეიცავს დამარბილებელ ზეთებს და კანს არბილებს, უნარჩუნებს ტენს. მკვდარი ზღვის ნატურალური ტალახი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უწყობს ზედმეტი ცხიმისა და ტოქსინების გამოტანას, აწესრიგებს ცხიმოვან ბალანსს. ის უებარია სახსრების დაავადების, ეპიდერმისის, ცელულიტის მკურ-*

# ᲒᲐᲡᲐᲨᲕᲠᲔᲑᲐ ᲢᲘᲪᲘᲐᲜᲗᲐᲜ!

...„თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე და დაეუჩოქებ მიწას მუხლებით“ —
ვინ შეინახა ეს „უამ-იერი“ ასე შეურყვენელ და ხელუხლები!
...„ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს, ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს“,
ძარღვებში ღვინომ სისხლად იდინოს — გინებაცა და ქებაც ქართველებს!
...„დაებადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“ —
საუღლე ხარის თუ გინდა შოვნა — მტრობას მიეტირი, ძმობას ვუმღერი!
ყველამ იციან — ციან-მიწიან, ცხენ და კაციან, ზვრიან-კვიციან!
...„მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი“ — მეც პირზე მადგას, ჩემო ტიციან!

* * *

ქართველების უკვდავება ვაზის ფესვშიაო!...
...„არვიცის“ დედა იცინის, „ვიცის“ დედა კი სტირისა,
შაჰ-აბასს უბრძანებია ეს სიბრძნე-სინამდვილისა:
...აქ, საქართველოს ისტორია მინას მტკაველებით უნდა ზომავდეს!

„არქეოლოგიურმა გათხრებმა... ზუსტად განსაზღვრა უძველესი ანტიკური ქალაქის ადგილმდებარეობა და განლაგება. ასევე, მისი უბნების — აკროპოლისის, ნეკროპოლისის, გიმნაზიუმის, აბანოებისა და სხვა ნაგებობათა საზღვრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაქალაქარის არისტოკრატიულ უბანში გამოვლენილი... აბანოები, მისი იშვიათი მოზაიკის იატაკიანი კომპლექსებით... საკულტო ტაძარი და აკლდამა... ატრიუმის ცენტრში განთავსებული შადრევნის აუზით, რომელსაც დასავლეთით მიშენებული აქვს საკურთხეველი, ანუ სატაძრო განყოფილება“ (აკაკი გელაშვილი, „მუხრანის გაცოცხლებული ლეგენდა“, გვ. 34); ყოვლადუნიკალური ნაქალაქარის კომპლექსის, ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნით დათარიღებული ღვინისა და მხიარულების ღმერთის — დიონისეს სკულპტურული კომპოზიცია და მისი ტაძრის მოზაიკა (ლხინი აქა, ლხინი იქა).

დიონისე ვაკხს მხარს უმშვენებენ მისი რჩეული ქურუმები. მათ შორის, ერთ-ერთი — არიადნეა, კრეტის მეფე მინოსის ასული (თავისი მითიური ძაფით, უძლეველის ძლევის მეტაფორად რომ იქცა და თეზევსმა თავი იხსნა მინოსის გაუვალი ლაბირინთებისაგან). სხვათა შორის, ქართლში, როგორც ენციკლოპედია გვიდასტურებს, დიონისური კერპებისა და დიონისიების კვალს მცხეთაშიც, კერძოდ, სარკინეთშიც ვანყდებით!

შიოს უბანში, მუხრანსა და სამუხრანბატონოში, ვახუშტი ბატონიშვილის „სრულიად საქართველოს აღწერით“ შედიოდნენ (მარტო სახელები რად ღირს!): ახალციხე, ქინძარა, საფურცლე (ხელი კალმისკენ გამექცა!), საგუდე (თონიდან ახალამოფრენილი შოთიდა აკლია!), აღაიანი, ქადაგიანი (მეც დავეც ქადაგად!), ბეგთათავი, ვარდისუბანი, ოკამი, თეზი, ლამისყანა, ქსოვრისი, ჯიგარაშენი, კოდისწყარო, მჭადის ჯვარი, ჯვარ-მაგარი, გრემის ხევი, ოხერ-ხიდა (ნატვრის ხიდან თუ ნატვრის ტყიდან... ეს რა სოფლები შემეხიდა!) და სხვანი და სხვანი — 56 სოფელი — 1500 კომლითა და ცამეტის წარჩინებულის გვარითა! აქაურ ბაგრატიონებს, სახელად... ინგლისელებთან, მცირე ერის ქომაგად, ჩვენე-ბურების ომში მოხალისედ წასული ლეგენდარული ნიკო ბურის სახელიც ეყოფათ!

...„ფრანგოეთში“, ქართველების სავანე ლევილში, ერთი ქართული საფლავის „გულის ფიცარზე“ ერთი ასეთი წარწერა ამოუკაწრავთ: „ეგრე

ბრწყინავდიან ნათელნი თქვენნი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენნი კეთილნი" (მათე, 15-16).

პოდა, „ჩაეუხტეთ მუხრან-ბატონსა"?..
შეელეწოთ ჟამის კარია?..
„თაეს დაეანგრიოთ" კი არა,
გოდრით დაეუდგათ ბანია!
აე თეალს არ ენახეებოდეს –
ეაშოროთ აეი თეალია,
სულ ერთად მოეამკეეინოთ,
რაც მიმა-ეალის ეალია!

... გაზეთი „ცნობის ფურცელი"
(1897.09.01)!

ცნობისათვის, ეს ის „ცნობის ფურცელია", ძველისძველ თბილისის ქუჩებში, („ვერის უბნის მელოდიებში") „ტაშ-ფანდურით" რომ პყიდის გაზეთების დამტარებელი და ალა-გეურქას ძროხის მოპარეას აბრალებს მედროგე პავლეს.

...ჩემი ძველი ნასტუდენტარისა და წინაპრის სიკეთის კვალის ჩემსავით მაძიებელი კაცის — აკაკი გელაშვილის ჯერ კიდევ ხელნაწერ წიგნში („მუხრანის გაცოცხლებული ლეგენდა") ვაწყდები სწორედ იმ ცნობას, რომელიც მუხრანის ველზე „ახალი ვერსალის" დაბადებას გვაუწყებს: თბილისიდან 40 ვერსზე, სოფელ მუხრანთან, ქვითა და რკინით ნაგები დიდი სასახლე დგას. როგორც ქსნის პატარა ხევს გასცდები, ის სასახლე მაშინვე გამოჩნდება... მისი შემხედვარე, სრულიადაც ვერ წარმოიდგენ, რომ საქართველოში ხარ. საფრანგეთში ან ინგლისში გგონია თავი, სადაც ამგვარი სასახლეებით, კოშკებით, ბანებით, კიბეებით, გადახლართული ხიდებით — ერთი ბანიდამ მეორეზე, სამსაჟენიანი სარკმლებითა და სხვა... წარსული თავს იწონებს! „ვისაც ამგვარი სასახლე არ უნახავს, სამზღვრის გარეთ, ის მხოლოდ მაშინ წარმოიდგენს იმის სიდიადეს და სიმშვენიერეს, როცა ბავშვობის ზღაპარს მოიგონებს".

დრონი მეფობენო!

ენა ვერ აღწერს ულამაზეს ამ ღობე-ყორეს!...
მაგრამ ეშმაკსაც არა სძინავს და იმის ახერხებს,
ისროდნენ ლობუნგს და იკრებდნენ ძალას და ღონეს:
მშვიდობა ქოხებს, პროლეტარულს – ომი სასახლეს!
პოდა, უკეთეს სამიზნეებს სად იპოვნიდა –
რევოლუცია მახვილით და სისხლით მოვიდა!

...„ხიდისთავს შეკრეს პირობა და გახდნენ ღვიძლი ძმანია, ჩაუხტნენ მუხრანბატონსა, თავს დაანგრიეს ბანია" — 1905 წლის 10 აგვისტოს ანუ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის"

ნალოგისასა.

„დიმრიე ხოვეცი"

**P.S.** ჩვენს ახცალ-ის ცალახს მაინც ვერაფერი შეედრება! სახიკვდილოდ გადადებულ მიხოსაც ურჩიეს, თურმე. მომიხდებაო? — იკითხა. მოხდენისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მიწას მაინც შეეჩვევიო!

ჯემალ ბადამშვილი (მოჯ.ბიზნესმენი ლიმსის ხელმძღვანელი): რომ არა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, დაქცეული იქნებოდა საქართველო.

„კვირის პალიტრა"

ცნობილი კუბელიდ კაკო მახვილი ამბობს: „ოცი წლის ასაკში ადამიანს აქვს სახე, რომელიც მას ღმერთმა მისცა, 30 წლის ასაკში ადამიანი თვითონ ქმნის თავის სახეს, 50 წლის ასაკში ადამიანს აქვს სახე, როგორიც დაიმსახურა თავისი ცხოვრებით."

„ახალი დახაბალი" N17.

ბრიტანეთის დერბშირის საგრაფოს ქალაქ სადბერის ციხიდან გაქცეული

გენერალური რეპეტიციის დროს, ბოლშევიკებით წაქეზებული (ხალხი კი არა) ბრბო სასახლეში მიუხტა მუხრანბატონს და მომავლის „ეშხით" შური იძია წარსულზე — მოკლა დიდი ივანე მუხრანბატონი! ჯერ კიდევ დაუსტამბავი წიგნი „მუხრანის გაცოცხლებული ლეგენდა" გვაუწყებს, რომ... „ბედის ირონიით, მუხრანბატონის სასახლეში (ფუი, ეშმაკს!) მოკალათდა..." საქართველოში ყველაზე ავადსახსენებელი კაცი — არც მეტი, არც ნაკლები... რევოლუციის ახატანელი ხელისბიჭი — „ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი" დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ღვიძლი შვილი — ნაბიჭვარი გიგლა ბერბიჭაშვილი (!) და ეს ხელთუქმნელი სასახლე მის სათარეშოდ — სოფსაბჭოდ იქცა!

... იმ წინამურამდე კი, ჯერ კიდევ, ორი წელიწადი რჩებოდა! ანუ — ილიამდე იყო ივანე!

ზვიად გურული: საკუთარი თვალით ვნახე, როგორ სვამდა საგულე საშუალებას თბილისელი მოაგარაკე საგურამოელ გლეხებთან კამათის შემდეგ, რომლებიც ერთხმად „უმტკიცებდნენ" — ილია ჭავჭავაძე პირნავარდნილი მემამულე (ღმერთო, მაპატიე ამ სიტყვების გამეორება) და გლეხების მჩაგვრელი იყოო! აი, ასე! — ილიას სიკვდილიდან 100 წლის შემდეგ!

ქართველებმა ილია მოკლეს, ახლა, მის ხსოვნას ემუქრება საფრთხე!

მივდიოდი და აკაკის სიტყვები მიგუგუნებდა თავში, რომლითაც მან, ილიას მკვლელობის გამო, მიმართა თავის ქვეყანას: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ — საქართველოო!"

სად და რას-როგორ წააწყდები ანაზდად, უცებ — ღმერთო, ძლიერო!...

ისტორიაა ყოვლისშემძლე, ყველას აუვა...

და, არ არსებობს, ღმერთს რომ რამე გამოეპაროს —

„ბოროტი საქმე დღის სინათლეს ვერსად წაუვა!...

თუნდ, დასაფარად დედამიწა გადაეფაროს!" (შექსპირი)

„მაოხრებელი მკვედრების" ძეგლთა საძაგლეთისთვის (კვარცხლბეკებიდან პარტყა-პურტყით რომ ყრიან ახლა), ღია ცის ქვეშ, სამუზეუმოდ, ერთი ადგილი მეგულება... საგულდაგულო (სადაც ხვრეტდნენ რევოლუციის ურჩ რაინდებს...) მახათას მთაზე!!!

„ქვაში დასჯილი ბოროტება!" მინდა, დავარქვა და დავაწერო უსამარო ამ სამარის ქვას!

ასეთ საფლავსა ვერ იგუებს მიწა მთაწმინდის.

ისევ განვიმდა —

რაც დრომ „დაწინდა" — დრომ გასვარა და დრომ განმინდა!

ბედის დაცინვა და ირონია! — ისტორიის პარადოქსია, რომ აქ — წმინდა მთაზე — მთაწმინდაზე განისვენებდნენ მოკლულიც — მკვლელიც... ბოროტი ხელი!...

ასეა: ყველაფერს მისი შესაფერი სიტყვა შეჰფერის —

დიახ, ამბობენ: „დრონი მეფობენო, არა მეფენი!"

უჟამო ჟამებს ახლავს თავის აკმე-პიკები —

მსგავს „ფილიპეებს"... ეს უმსგავსი ფილიპიკები!

ამ „მაოხრებელი მკვდრის" სახელის ხსენებამ მისი სახსენებელიც გამახსენა და... ეს ამბავიც აქვე უნდა ვახსენო! (აბა, სხვა რა დროს შე-

*მაქსიმ გორკი: ადამიანი – ამაყად ჟღერს.*

*სტენდალი: ადამიანი დედამიწაზე ცხოვრობს არა იმისათვის, რომ მდიდარი გახდეს, არამედ იმისათვის, რომ ბედნიერი იყოს.*

მოვუნახო!).

როგორც ანტიკურ ტრაგედიებში, ტირილს სიცილი შევაშველოთ... სულმოსათქმელად! (ეს იმ დროის ამბავია, როცა ხალხურ სატირულ-იუმორისტულ ფოლკლორს ვაგროვებდი!)

...დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციასა და... სირცხვილს — ერთი ფერი ჰქონდათ, მაგრამ ორივემ, ნამუსთან ერთად, დაკარგა სინითლის გრძნობა!

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდითო! და, სწორედ მათმა შეერთებამ გაუერთიანა იმ უთავბოლო დროს... თავი და ბოლო!

სიცილი გურულების მოგონილიაო, ამბობენ და აქ ერთი ასეთი, არც ისე სახუმარო, მწარე რევოლუციური ხუმრობა უნდა გავიხსენო!

კოლექტივიზაციის წლებში, ფილიპე მახარაძეს, ხელქვეითების დასმენით, თავისი სოფლელი ღვიძლი ძმა დაუტუქსია.

— რატომ არ შედიხარ კოლმეურნეობაში და ის შენი ერთი ნეზვი ღორიც რატომ არ შეგყავს? — უკითხავს ამ უკანასკნელს იმ უკანასკნელისთვის!

იმ უკანასკნელს კი ამ უკანასკნელისთვის ასე უპასუხია:

— ძამა, ამბობენ, რომ თბილისში ერთ ქუჩას შენი სახელი ჰქვიებია!... იმასაც ამბობენ, გურიაში ფილიპეს ძეგლს უდგამენო!... მგონია, ოზურგეთსაც უნდა დაარქვან შენი სახელი და, მაი თუ მართალია, ძამა... აი, ერთი ნეზვი ღორი... იყოს ჩემს სახელზე!

გაიცინებდა კაცი, მაგრამ... მთლად სასაცილოდაც არ იყო საქმე, რაც მერე ისტორიამაც აღიარა: რევოლუცია თავის შვილებსაც ჭამდა!

რით ვერ გაძლა მისი მუცელი!

* * *

...„მოვიდნენ, ნახეს, სძლიეს!" — ძირძველს — რაც მტრობამ თესა!
განხეთქილების ვაშლი ესხა იმ ნატვრის ხესა!...
თუ რამეს ჭია შეეპარა... მოგჭამა ჭირი —
გული — გულს მისცეს, ხელი — ხელსა და... შეკრას პირი!
აი, პირობაც!... ურომლისოდ ვერ გაველთ ფონსა:
„ჭკუით, ქართველნო!" დრო, დრო არის, მოვეგოთ გონსა!

* * *

...კოცონზე დაწვეს ჯორდანო ბრუნო, ინკვიზიციამ კაცი ცეცხლს მისცა... თუმც, დედამი-

ტუსალი, სამი დღის შემდეგ, უკან საკუთარი ნებით დაბრუნდა. 42 წლის უესლი კროუფორდმა, რომელიც 12-წლიან სასჯელს იხდის ძარცვისათვის, გამოსასწორებელი დაწესებულების თანამშრომლებს სთხოვა, უკან მიეღოთ. თავისი საქციელი პატიმარმა იმით ახსნა, რომ ციხეში ცხოვრებს გაცილებით უკეთესი და მოსახერხებელია, ვიდრე გარეთ. კროუფორდი ე.წ. „ღია ციხეში" იჯდა, რომლის ბინადრებსაც საშუალება აქვთ, ბევრი დრო გაატარონ სუფთა ჰაერზე. მძარცველი ცხოვრობდა ოთახში, რომელიც არ იკეტებოდა, უყურებდა ტელევიზორს, ვარჯიშობდა და მრავალფეროვანი მენიუდან საყვარელ კერძებს ირჩევდა. კროუფორდი გა-სოსებს მიღმა 2001 წლის მოხედა.

„მონდი"

<u>ვაზო ნაშხასნადე:</u>
<u>(ამ წყობილების</u>
<u>განწყობილებას)</u>
სალამი ყოველთ!
ან გამოსალმებს!
თუ გვსურს,
გაუმარჯოს
გაისის მაისებს,
ნუ ვაქცევთ დაქცევის
და გლოვის კარვე-

ნა მაინცა ბრუნავს — თავბრუ არ ესხმის... წარმატებისგან!

მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული ჰყავს, გასაქცევი კი... გზები არა ჩანს!

ჭეშმარიტება ელის განაჩენს — ჯალათის კუნძს და ალესილ ნაჯახს!

დროა გამრჩევი ავის და კაის,
დროა მედროვის, უდაოს დავის,
დროა წამლისა თუ სანამლავის...
ყვავილი ჭკნება და ყვავი ყვავის!

* * *

დრო მომდევს — დროს მივდევ, დრო მკლავს — დროს ვკლავ და ვართ გაუთავებელ ომში — სიტყვას ვერ ვთოკავ, გაქცეულ კალამს ძლივსღა ვეწევი... და საუკუნის სიბნელეში, თვალის ცეცებით, (ისევ და ისევ მამაპაპური სულისკვეთებით)...

ქვეყნის საფიქრალ და უფიქრალ ფიქრებს ვეძლევი!

* * *

საქართველოში სიტყვა „ბატონი" დიდ პატივშია — დღესაც „ბატონობს" — ქვეყანა არის დღეს საპატრონო და დღეს მას ხალხი ბატონპატრონობს!

* * *

...თუმცა, ცოტა როდი გვყავს „შაჲი" — თეალთა არეში...
ვისაც სურს ბატონობა, პატრონობის გარეშე!
კარგ საქმეში მოგეიმართოს ღმერთმა ხელი!
გოეთე: „ბატონობა ადვილია — მართვა ძნელი!" —

* * *

...ჩემებურ ხელრთვა-ხელწერებად —
ვწერ ისე, როგორც მეწერება —
ხანდახან სიტყვა მეწელება —
ხანდახან პოვნაც მეძნელება...
მაგრამ ეს ის შემთხვევა არაა, როცა ეშმაკს თხოვენ — მაპოვნინეო!
...ისტორია ბობოქარი ზღვის მიქცევ-მოქცევასა ჰგავს!
ნყალნყალა ფიქრებით ზვირთებს ვერ გამოეკიდები.

ტალღები ხან აფთარივით აიძაგრებ-აიჭოჩრება, ყალყზე დგება, პირზე ქაფმორეული ასკდება ნაპირებს (თითქოს, დედამიწის წალეკვას აპირებს)!

მწერლის მაგიდას — ძრწოლა აიტანს... ხან ცეცხლი ედება, დაცხება, ხან დაცხრება, დაწყნარდება... ხან, ავაზაკივით, ავაზაკურად გაილურსება, ფერხთით გაგიწვება... ვერც იფიქრებ, წარღვნა იწყება თუ... მეორედ მოსვლის თავდავიწყება!

ზღვის ცოდვა-მადლსა რა დათვლის... ან მის ტალღებს რა დაალაგებს (მეც ვყვები, რა, იგავ-არაკებს!)... ზღვის მღელვარებას არც თავი აქვს და არც ბოლო, მაგრამ ცხოვრებას თუ „საყვარლად" გაიხდი

---

*კონსტანტინე გამსახურდია: ადამიანის ჯიში მაიმუნობაში იწყება და ღმერთობაში ხდება სრულყოფილი.*

და მის „სილაჟვარდეს", ერთი ძველი ბანტიანი გიტარის სიმღერასავით, თუნდაც, სიტყვასთან საალერსოდ შეიტყუებ... სამოთხეში აღმოჩნდები:

..."ტურფავ, ტურფავ, რას მემდური?! მოაცურე ჩემკენ ნავი... ერთად დავსხდეთ და ვუცქიროთ, როგორ არხევს ზღვას ნიავი!"... ბოლოს, სამოთხის ბურანიდანაც გამოხვალ და თვითონაც მიხვდები, რომ ნიავთან ერთად... როგორც „ანიავებ" და „არხევ" დროს... თვითონაც ისე „გერხევა"!

ახლა ეგრძნობ: როდის – რა დავაშავე? –
სიკეთე სიკეთით ეაკეთე,
ვერა და ვერ გადაეაშავე –
ვერა და ვერ გადავათეთრე.

* * *

უჭკუო...
თეალითაც ვერ ხედავს –
ჭკეიანს უთქმელადაც ესმისო,
ეინაც „დღეს" თოფს აწმყოს უმიზნებს –
მას „ხეალე" ზარბაზანს ესერისო!

* * *

ლექსით – ენაწყლიანობის შადრევნებით,
პაუზებით – სიტყვის სულის მოსათქმელით,
წყაროებით – თავის ვარსკვლავთკრებულებით,
ამღვრეული წყლებით, წყალწაღებულებით...

პოეზიის ცხრაბალიან ღელვაში, ზოგჯერ, ასე, უკითხავადაც მოიმღვრევიან ფიქრის ტალღები და მის ნებაზე გატარებენ! სწორედ ეს, დროისგან ნებას მინებებული მუხრანული ციკლონია ის ოღროჩოღრო ლირიკა, ახლა გრიგალივით რომ გადამიარა თავზე!

...სულზედ მომისწრო, სულზედა –
ამ უსახურმა დროებამ,
სიკედილი გამიიოლა ცხოვრების ამაოებამ!...
ცხადი იყო თუ ბღაპარი –
ამ ამბითა და ხაბარით –
წარსულს დაეუნთოთ მომაელის
ეს ჯადოსნური ლამპარი!

...პირზე მომდგარი სათქმელით ბუტები დაბუტბუტებდნენ — ქართლის ველების ნაჟურნი გრაალის თასში უტევდნენ... ის ძველი შიოს მარნები — ოქროპირთ გასასველები — ვით ღვინით გალეშილები — მთელემარე დრომადერები. აქლემებს ჰგავდნენ სარდაფნი, ნოეს კიდობნის კიდისო... და, გავიფიქრე: ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდისო!

ბად
ერის ამ მაისებს
და სიდარბაისლეს!
და ისე შევრიგდეთ –
ბედს არ შევურიგდეთ!
ერიდე ერიდას –
კერპს მორისძიების...
კაცს მტრობა დაამარხავს,
რაც ძმობას ვერ იცანს –
მოდის გაზაფხული...
დაზაფრული იებით!!!

„ახვალ-დახვალი",
25.04-4.05.08

...მე ახლა ვგავარ იმ გასროლილ თოფს, რომელსაც, ჯერ კიდევ, ბოლი ასდის!

ქრონიკა

დავიწყოთ წყენა: როცა წყენა მოგაწვებათ, დაიხურეთ ქუდი, გადით გარეთ და სუფთა ჰაერზე გაისეირნეთ. ფიზიკური დატვირთვა და ენერგიის ხარჯვა უარყოფითი ემოციებისგან დაგცლით. ასევე, კარგია კარგ კამპანიაში — მეგობრების წრეში გულის გადაყოლებაც, მაგრამ ნაკლებ ეფექტური.

P.S. „წყენა"... ამ

* * *

ქართველს გაჭირვების მეტი რა უნახავს?
არსული წარსული უნახავს ინახავს!

* * *

როცა ოცნებას სიტყვაში ვაქსოვ –
არც მკითხველი და არც თავი მახსოვს.
იქ ღმერთი მწყალობს, ანდა მიწყრება,
საცა იწყება თავდავიწყება.

* * *

სიტყვა აზრის მხატვარია – გულით ისმენს ყური –
სიტყვას ლექსში ფერიცა აქვს, გემოცა და სუნიც.
სიტყვით გულიც მომიგია, წამიგია თავიც,
სიტყვა ზოგჯერ წამალია, ზოგჯერ საწამლავი!

* * *

ვერ შეაშინა სიმართლის მთქმელი ჭკვათა სიმცირემ, აზრთა მრავლობამ — სულაც არ არის ჩემთვის ნათელი — „რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა!"

სხვისი სიკეთის გაგონებაზე, როცა გულები ბოღმით ევსებათ...

ისიც არ ვიცი, ვისღა ეცლება, რომ ნაგიკითხოს კაცი... ლექსებად!

* * *

კაცს, „ერისა“ თუ არ სცხია – რატომ ჰქვია ნიჭი-„ერი“?
სხვისთვის – სულელს,
მისთვის – ჭკვიანს,
უნდა ერქვას „ნი-ჭიანი!“
და ვინც ნაღდი მედროვეა და ვინც დროის ბიჭი არი,
და მის ჭიას ვინც ახარებს, იგი არის... „ნი-ჭიანი“!

* * *

...ერთხელ, „ახირებული კაცი" ნიკო ცხვედაძე, დიდ ფეოდალს, „ღენერალ" ივანე მუხრანსკის კარზე მიდგომია და ქართული უნივერსიტეტის ასაშენებლად შემწეობა უთხოვია. „კარგი საქმე წამოგიწყიათო, — უთქვამს ბატონსა და მხარი აუბია, — მუხრანში მეც ვაშენებ დიდ სასახლეს, ჰოდა, „ტფილისი — პარიზი იქნება და მუხარანი — ვერსალიო!" მუხრანბატონს საკმაოდ სოლიდური თანხა, არა მმართველობისა და ხაზინის — ფაქტობრივად, კერძო პირის თხოვნით ჩაუდია ამ საშვილიშვილო საქმეში და არა მარტო აქა... მაგრამ, ერთი ხალხური სიბრძნისა არ იყოს: „კარგი რამ გვჭირდეს, გიკვირდესო"... ესენი, აღარა, და ის კი, დღემდე, გველის ნაკბენივით ახსოვთ, ბატონყმობის გადავარდნის დროს რომ უბრძანებია: გლეხები უმიწოდ გავათავისუფლოთ მებატონისაგან და, თუ მოჰკითხავენ, ვის მიწაზე დგანან, ეს მიწა ქალამნებში ჩაუყარეთ, რომ ფიცითაც კი შეძლონ თქმა, ჩვენს მიწაზე ვდგავართო!

მწარე ნათქვამია, მაგრამ დღევის გადასახედიდან, ამას, სოციალურზე უფრო, ქარაგმული ნაკვესის იერი უფრო დაჰკრავს. ვეჟო, დიდ

ბატონს ამ ეშმაკობას თუ გავუხსენებთ, კაიკაცობასაც ნუ დავუკარგავთ, ხალხნო! — უზარმაზარი ქონება დატოვა — საფლავში არაფერი ნაუღია... — მერე, ყველაფერი ეს — ქვეყნის განძად იქცა! მოვა დრო და ქართველი ხალხი კიდევ ერთ ლამაზ ქართულ ისტორიას მუხრანბატონის „ზღაპრულ შადრევნებსაც" დაუკავშირებს! არგონავტების მითივით, ქართველ მეფეთა შთამომავალი, ქართული ღვინის შადრევნებს დაახვედრებს მომავლის სტუმრებს, — წერს მუხრანული ლეგენდის ავტორი და კვლავაც დასძენს: ვაზი და ჯვარი ჯერ კიდევ წმინდა ნინო კაბადოკიელის ხელში გადაეჯაჭვა ერთმანეთსო!

* * *

ქართლის გული ბაჯაღლო (და ალალიც — ეს არი!...)
დრომ რომ ხელი ვერ ახლოს — აქ შენდება
„ვერსალი"!
ღობე-ყორეს ვედები... ლექსით დავეხეტები...
სიტყვას ვანდე ენდემი... აქ იქნება ედემი!

* * *

შენ, ჩემო სისხლო ქართულო —
ლეგენდ-მითებში დგაფუნობ —
სულეთო სულგანაბულო —
ჯვარცმულო —
ჯვარზე გაკრულო —
სწორედ, რომ საგულდაგულოდ —
(და არა საგულნაკლულოდ) —
...სამშობლოვ ჩემო, მამულო —
თავს დაგტრიალებს „ჩაკრულო"!

გამიგონია: ვიკინგები ჩრდილოეთის ქარებს მოჰყვნენ, ქართველები კი „მრავალჟამიერსა" და „ჩაკრულოსო"!

...1976 წელს, ორბიტაზე გავიდა ამერიკული კოსმოსური ხომალდი „ვოიაჯერ-1", რომლის ბორტზე დედამიწის უნიკალური საგანძურია განთავსებული, როგორც ჩვენი პლანეტის „სიმწიფის ატესტატი", ანუ კაცობრიობის არსებობის გამამართლებელი და დამადასტურებელი საბუთი! მათ შორისაა ქართული გენის გენიალობის ნიშანი — უკვდავი ხალხური ეპოსი — „ჩაკრულო"! ალბათ, კოსმოსში, მის მარადიულ ბრუნვასთან ერთად, საფლავში ბრუნავს ივანე მუხრანბატონიც, რომელიც ამ კოსმიური სიმღერის მიწიერი ადრესატია! და, როცა ამ ჰიმნის კოსმოგენური ენერგეტიკა დავლურივით დამივლის ძარღვებში, მაინც ვფიქრობ, რა ცრუ და მუხთალია ეს წუთისოფელი!

...თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერიაო! ის-

ხუთასიიან სიტყვაში სამის — „ენა". ყველაფერი ენის ბრალია — დაჭირეთ ენას კბილი!

<u>ვლადიმერ ჟირინოვსკი (რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი)</u>: აფხაზეთში მშვენიერი ზღვაა, მთა გადასარევია, კარგი ადგილია. ახ, რომ მე წავალ პირველი და გავიყოლიებ სამ მილიონ რუსს იქ საცხოვრებლად! აფხაზები ისედაც ცოტანი არიან და დაიხოცებიან, მაგრამ სანამ დაიხოცებიან, დროა საჭირო. მანამდე კი მონებად გამოვიყენებთ.

„კვირის პალიტრა"

<u>სიმონ მასხარაშვილი (ისტორიკოსი)</u>: თუ რუსეთი მაინც გაიხერის, საქართველოს იმის ძალა შესწევს, ნებისმიერი რაოდენობის რუსული კონტინგენტი გაანადგუროს და დაამარცხოს. ეს დღეს საქართველოს რეალურად შეუძლია.

„ახალი თაობა"

**P.S.** „პატარა ერს არა აქვს დიდი შეცდომების უფლება!"

ტორიას შელამაზება არ სჭირდება, მაგრამ სწორედ ამ ისტორიული სინამდვილისა და კაცთა შინაგანი გენიალობის შეუთავსებლობამ აფიქრებინა საქართველოს სახელმწიფო ანსამბლის ლოტბარს, ჩვენს ძმასა და პირის ზიარებას ჯემალ ჭკუასელს, თავის დროზე ჭკუა ეხმარა და ამ სიმღერის „ხალხური აგრესია“ ისტორიისათვის უფრო ალალი და მისალები ტექსტით გამოეხატა, რომელიც, როგორც ერთხელ, უკვე, ხუმრობანარევი სერიოზულობით ეთქვი, კოსმოსში დედამიწაზე ფეხის დადგმის მსურველ უცხოპლანეტელებს ანგელოზებს არ დაუფრთხობს და ჩვენი მრისხანე პლანეტისათვის ზურგს არ აქცევინებს!

...ჰოდა, ახლა, ისევ იმ საბედისწერო წლებს მივუბრუნდეთ და ჭკუა მოვთხოვოთ.

## *ისევ სცთპ-კადრი,*
## *თავისი ლირიული იმპულსებით!*

ლექსებით ცოდეა-მადლს ედარაჯობ —
დარი არი თუ — ავდარია —
მიწამდე მართალ ღმერთს გაუმარჯოს და...
ცამდე მართალ ადამიანს!

* * *

...კაცი მტერ-მოყვრით იცნობა!

ივანე მუხრანბატონს არც მტერი აკლდა და არც — მოყვარე. ერთის დახვედრაც იცოდა და მეორეს — გასტუმრებაც. კარგ მეომრად და მეურნედ დაბადებული კაცი საკმაოდ უტეხი, ენამწარე და პირში მთქმელი გახლდათ. რუსეთის ისტორიიდან თუ ერთი ივანე მრისხანე ვიცით... მეორე ივანე მრისხანე, ქართველებისა — ესა ყოფილა!

მისი უკმეხ-უტეხობისა ბევრი შეგვიტყვია —
მკერდზე ჯილდოები ჰქონდა, მკერდში — ოთხი ტყვია!

* * *

შეუვალი იყო კავკასიონივით — თავს დასტრიალებდა მამულსა ქორივით...

და თუ შემოდგომით ითვლიან წიწილებს — დიდ ქველმოქმედების... რა დათვლის მის წილებს?

...ჩიტი ვერ უფრენდა მის ზვრებს და მის ყანებს
და კიდეც შეარქვეს ივანე მრისხანე!

...კოლტები, რემები, ფარები, ჯოგები — „ღენერლის“ მუნდირი და ჭკუაც მოგების!

მოხელის სახელით, მეომრის, მეურნის — ბატონი, პატრონი მუხრანისეულის!

...დრონი მეფობენო! 1905 წლის 10 აგვისტოს, ანუ, ეგრეთწოდებული ოქტომბრის რევოლუციის „გენერალური რეპეტიციის“ დროს, ლო-

---

*სოლომონ ბრძენი: ადამიანი ფიქრობს, ღმერთი განაგებს.*

*„ძველი აღთქმა“: ...და შექმნა ღმერთმა ადამიანი საკუთარ ხატად.*

*დიოგენ სინოპელი: ვეძებ ადამიანს!*

ზუნგით „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!..." პროლეტარიატის დიქტატურით გახელებული ბრბო „ჩაუხტა მუხრან ბატონსა", შეიჭრა მის სასახლეში... „თავს დაანგრია ბანია" და, პროლეტკულტელების პროლეტარული პოეზიის წაქეზებით („მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას — რევოლუცია თუ მეტყვის ამას!"), ხალხად ნოდებულმა ყაჩაღებმა მოკლეს ივანე მუხრანბატონის შთამომავალი — ისიც ივანე მუხრანბატონი! ახლა, ბაგრატოვანთა უფლებით და საქართველოს ისტორიის ნებით, დიდი ივანე მუხრანბატონი ბაგრატოვანთა საძვალეში — სვეტიცხოველში განისვენებს!

მისმა თანამედროვემ — ერეკლე მეფის შთამომავალმა და „თეკლა-ბიჭის" გაზრდილმა ალექსანდრე ორბელიანმა წარსულს, ანმყოსა და მომავალს ასე დაუტოვა ივანე მუხრანბატონის სახელი და სახსენებელი:

„მონყალენო ხელმწიფენო, დრო არის, ამ კაცს ჩუენნი გონება მივაქციოთ და თუ სამდურავი გვაქვს... ყველა დავივიწყოთ! რითაც ბევრს შევიმატებთ და, ბოლოს, მადლობელნი ვიქნებით იმისი" („ცისკარი", 10, 1859).

ისე აგიხდეთ ყველა სიკეთე, როგორც ეს სიტყვა ახდა,

რადგან უკუნსა საუკუნისას — ბნელში ნათელიც ახლდა!

...ნამდვილი მუხრანული სირცხვილი კი საქართველოს ისტორიას სხვა უფრო ახსოვს და „309 ქართული სირცხვილიდან" ლევან სანიკიძეს 89-ე ნომრად შეუტანია!

„89. გიორგი მეშვიდის მეფობის ჟამს, 1400 წელს, საქართველოს მეექვსედ შემოესია თემურლენგი.

მუხრანის ველზე დაბანაკებულ მტერს რამდენიმე ქართველი დიდაზნაური ენვია და შეევრდომა ყურმოჭრილ მონად.

ამათ შორის იყო ვინმე ვირშელ ბურდიაშვილი (კაც-არაკაცი სახელშიც და გვარშიც უცვნია ქართულ გვარ-სახელს! — გ.ნ.), რომელიც შეუჩნდა თემურლენგს, ქსნის ხეობას შევესიოთ, დიდძალ დავლასაც ავიღებთ და გიორგი მეფის ერთგულ ერისთავსაც მოვსპობთ და მის ქვეშევრდომებსაცო.

მართლაც, დასძრა თემულენგმა თათართა ურდო მოღალატე ქართველის მეგზურობით. ქსანს შეესია და „შემუსრა ყოველნი საყდარნი, მინდორნი, მთანი და ტყენი, კლდენი და ხევნი, ვითარცა ზღვამან, დაფარა ყოველი ესე ქუეყანა".

საქართველოს ისტორიას თევდორე ბერის

ისტორიამ იცის ...რიჩარდები, ყვარყვარეები, ხეთურები — მრისხანეები, „მწითურები" და ბითურები!

პლუტარქე: ამომავალ მზეს მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს, ვიდრე ჩამავალს!

ფრიდონ ხალვაში: იცოდე, ძმაო, ამბავს ბევრი მიდრეკ-მოდრეკა არ მოუხდება. წამკითხველს ნუ აუჰუწკავ მოსაყოლს. გამოუკალიბ-გამოუგზაბაწრე სათქმელი თავიდანვე და საითაც წასავალია, იმკენ სავალზე იოლაი გაიყვანე.

ითარ მამფორას:
— საიდან მოდიხარ?
— საიქიოდან.
— აბა, მამაჩემს ნახავდი.
— ვერ ვნახე, იქაც მომკვდარა საწყალი...

მძულსო უგულო მოფერება —
„პირზე კოცნა და მცლამა-მცლუში"
ბევრი ნამდვილი

კაიკაცობაც ახსოვს და ვირშელების ვირეშმაკობაც!

...ერთგულიც ბევრი გვყოლია — ორგულიც, მტრობით ნანგრევიც. სიყვარულით გვიშენებია — გაგვიძლია და გავუძლებთ!

...შობის ტროპარში („მზე სიმართლისა") ეპითეტია უფლის...

და ამ სინათლეს, თვით ბელზებელიც — ეშმაკთ-ეშმაკიც უფრთხის!

„მზის მოქცევისა" ჟამნიც მოდიან, „მზიანი ღამეც" დგება —

„მზეს შინა" ვიწვევთ კაცნი, ოდითგან, როცა... ძე იბადება!

და, მე თუ მკითხავთ, ქართველს — ქართველი! —

მხოლოდ, ე, მაშინ ჰქვია,

თუკი დედ-მამა — დედმამიშვილებს...

მამულიშვილად ზრდიან!

დღეს საქართველო სწორედ ასეთ მამულიშვილებსა და მამულიშვილობაზე დგას!

„მოყვასისადმი გაწვდილი ხელი არასოდეს რჩებაო ცარიელი!" — გვმოძღვრავს ბიბლია.

ყველა ვერ იქნება ტარიელი...

დიდი ხიბლია,

რომ უანგაროდ ემსახურო

შენს მშობელ მიწას —

ბედისწერისთვის — ხარის ბეჭს და შენს გულისფიცარს —

ეწეროს შენი სახელი და აჩენდე კვალსა,

რომ სულ პირწმინდად, უანგაროდ იხდიდე ვალსა,

რაც ქართველობით დაგვებედა და რაც გვებადა —

სხვა არაფერი არ გვიღირს და არც ღირს ქებადა!

...შენმა გახარებამ! საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივს, აგერ, აქამდე შემორჩენია ანჩის სახარება... და თამარ მეფის სიგელი (გაცემული გელათის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი)... ღვთივბეჭედდასმული, „სოფლისა მნათი-მნათობის", დიდი თამარის ხელრთვით, რითაც „სარჩოს გარეშე დარჩენილ 12 ბერს მუდმივ წყალობად ებოძა სოფელ ჭორვილის (!) გამოსაღების ნაწილი!"...

ვის უბრუნდება ვაგლახად ენა,

ანდა რას იტყვის ეშმა — მაცილი?...

ნაჩუქარს კბილი არ ესინჯება —

ღმერთმა გვაშოროს ჭორიც და ჭირიც!...

რომ ამოეშვა ბოთლიდან ჯინი —

ახლა ყვირილას საყვირალს ვყვირი!

...დღეს, ერთი ჭორვილელი კაცი არჩენს ლამის მთელ საქართველოს! (ასე ლამაზად, უხმაუროდ, სიკეთით ევლოს!)

ასეთი გახლავთ ისტორიის პარალელები —

სიცრუეს ახლავს: გრძელი ენა — მოკლე ხელები!

ტყუილსა მოკლე ფეხი აქვსო, ამბობს კაცია,

არსებობს სულის გარდასახვა — ინკარნაციაც!

ნეტავ, შენს სულში რა სულდგმულობს, კაცო კეთილო!

---

*უილიამ ჩენინგი: თითოეული ადამიანი მთელი ტომია. თუკი იცით, როგორ წაიკითხოთ ის.*

შენი კაცური მაგალითი დღეს გაკვეთილობს!
და, მე ვამაყობ:
მეც, წარმოშობით, ოკრიბელი... გელათელი ვარ
და ჩემი მეორე გვარიც (თქვენთან რაღა მაქვს დასამალი!) ანუ ფსევდონიმიც — „გელა თელია"!
იხაროს ჭერმა, მოკვდეს მტერია!
...წინ — წყალი, უკან მეწყერი თუ მეწევა ოდეს—
მივყვები ფიქრს და... სიტყვა-სეტყვით
...ფეხდაფეხ მომდევს...

* * *

„მე სულ სხვა რამე მინდოდა, მეთქვა, მაგრამ სხვას ამბობს წყეული რითმა!"-ო — სიმონ ჩიქოვანმა.

რითმის გულითვინაო, თორემაო!... უთქვია კახელს და სიტყვისათვის სიტყვა შეუბრუნებია: სად — „ტარიელი" და სად — „ცარიელიო"?

ვერ გადაერჩებით მორალითა მორიელობის —
მუცელქორობით, ღორობითა და უღონობით —
რა გადაგვარჩენს ამ „ცარიელ-ტარიელობით" —
მოყვრის მტრობითა და უაეთანდილ-
უფრიდონობით!

* * *

...„მარტყოფის ეელზე, მამლის ყივილზე!"
უხმობდა სპათა ნოსტელი მგელი...
შემოდგომაა...
ძმობით რთველობაა...
„მამითადს" ელის მუხრანის ველი —
რაც ვერ მტრობითა — მეგობრობითა,
არა ნგრევითა — აღშენებითა —
კაცის ხელით და ღმერთის შეწევნით —
ღვთის კურთხევით და უფლის ნებითა!

## *ლექსპრომტი*
## *(ცხელ გულზე)*

**(კაცურთა კაცთა და ძმათა მათთა)**

...მე, მათ შემყურეს, მქონდა განცდა, რომ...
საქართველო გაბრწყინდება!...
უფალს დიდება!
ასეთი არის ღმერთისა და ზეკაცთა ნება —

*სიყვარულის დღესაც ასაა ბაი-ბურში.*

*ოთარ იოსელიანი:*
*შეშინებული, გაქ-ყლეცილი ხალხი იყო. ახეთებადვე დარჩნენ. საერთოდ, მინობას ვერ მოიშორებ ხელ-იდან. ეგ არის უს-აზიზღრესი თვისება ადამიანის ბუნები-სა. ამიტომ ვამბობ — ჩვენ ჩვენს თბი-ლისში ვცხოვრობ-დით-მეთქი. თბილი-სი მაინც ლაღი ქალაქია.*
*„კვირის პალიტრა", 13-19.10.03*

*ჩინელმა ნეირო-ქირურგებმა სა-კვდილს გადაარ-ჩინეს 42 წლის მო-ქალაქე, რომელმაც, წლობანადზე მეტია, თავი მოაბეზრა ექიმებს, გაუსაძლი-სი თავის ტკივილი და არეული ფიქრე-ბი მაწუხებს და მიშ-ველეთო. ექიმები ფიქრობდნენ, პა-ციენტს შიზოფრენია ეწყებოდა, მაგრამ თავის ტვინის ტო-მოგრაფიული შე-მოწმებისას უცხო ფიზიკური წარ-მოშობის ცვლილება შენიშნეს.*
*როცა ავადმყოფს თავის ქალა ახადეს, ქირურგები გაოცდ-ნენ — უკვე ტვინის*

კაცნი — გამრჩეენი მტერ-მოყერისანი —
სამშობლო — მათი მითი — მიზანი!...
...„კიდეეაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკეები მგლისანი —
ისე არ ამოწყდებიან, ჯაერი არ სჭამონ მტრისანი“!
ეს ლექსიც — მამაშეილური, ახლა იმათი ხნის არი —
მათთვის ეიმარჯეე ოროლი, კალამი, როგორც ისარი!
...თქვენც იმ დიდგორის გორის ხართ,
„ძლევაის საკვირველისა“.
რაიც სისხლით თუ უსისხლოდ — ახალ დიდგორებს ელისა!
შხუილმა შიმშერ-ხმალისა წარსული გამიხალისა,
სული მით მომათქმეეინა ქართულ ჯიშ-ჯილაგ-გვარისა!...
ამდენ ქალ-ვაჟის პატრონებს — ამის კაცობაც ეყოთ და
ასეთსა დედაშვილობას — მამაშვილობაც ეტყობა!
შთამომავალზე უკეთესს რას მისცემს მამულს შვილები?!...
დღეს დრო მამონამ ამონა — ეშმაკთან გვიდევს წილები.
მთლად პარტახამდე მისულსა მიწას მარგალიტს უთესავთ,
ლხინისუფლობას გისურვებთ,
თქვენ — ქვეყნის ჭირისუფლებსა!
სულ ძმობით გიშენებიათ, რაც მტრობას დაუნგრევია —
ქვათა ქვითინით ნანგრევი — „ქვათა ღაღადის“ ქვებია!
ფიქრის თავსხმაში ვიდექი — დროთა გადებულ ხიდებზე,
მივქონდი ფიქრებს, მომდევდა ლექსი ამ რაინდ-რინდებზე!

* * *

...პოდა, ესეცა, ანუ კიდევ ერთი ექსპრომტ-ლექსპრომტი ჩემს უასაკოდ გაამხნაგებულ შვილებსა და შვილთაშვილებზე!

...თვალს ვერ ვაცილებდი ისტორიიდან გადმოსული გმირების შთამომავლებს და ვამაყობდი მათი მამაშვილობითა და უასაკო მეგობრობით.

...ეს — იდალგოს წააგავს და ის — „ტყაოსნის“ ნაშიერს!
...მათი თავი ნუ მოშლოდეს ყველა მწყურვალს და მშიერს!
ცოდვა-მადლის განკითხვაა, დგას უჟამო ჟამი და —
ჩხიკვთ ქორწილსაც ვეღარ იხდის... ყვავი — ჩხიკვის მამიდა!
ხალხს საჭმელი პურიც არ აქვს... დარჩა სანახაობა! —
მჯერა, თავის სიტყვას იტყვის მომავალი თაობა!
...დონ კიხოტს პგავს მამუკა და
ავთანდილს პგავს ლევანი,
ამ მამუკებ-ლევანების „საკვირველნი ძლევანი“ —
იყო არა „დიდგორი“ და ანისი თუ მარაბდა —
შერკინება თურქ-სელჩუკთა, მონღოლთა თუ არაბთა...
არამედ და უპირველეს... ლექსის თქმა მომანდომა —
არა ხელთა გახელებამ — ქვეყნის მკვდრეთით აღდგომამ!

---

*ჩინური: შეიძლება, იყო თავმდაბალი და არ იყო ბრძენი, მაგრამ შეუძლებელია, იყო ბრძენი და არ იყო თავმდაბალი.*

*ალექსანდრე რადიშჩევი: მხოლოდ მაშინ გახდები ადამიანი, როცა ისწავლი სხვაში ადამიანის დანახვას.*

კალმის წვერი ცერულს ცეკვავს,
ხელიც არ მომეღალა —
გონიერი კაცითაა — ღონიერი ქვეყანა!

* * *

...მიმავალი შევცქერი მომავალს
დღემდე იმედით ვცოცხლობ!
ძველ ნაგავს მივეხვეტები და
ახალი ცოცხიეთ ვცოცხობ!...

* * *

...საუკუნის დუმილში —
სასურველის სურვილში —
ცხოვრების მიწურვილში —
ვარ სიცოცხლის წყურვილში!

ეს ლექსები კი, როგორც განგება, სულ თავზე მადგას, ღამეს მითენებს და მათენებინებს!

* * *

...როცა საჯინიბოდან შემოგვეფეთა ნაბლა ულაყი და მის მხედარს მიეჭიხვინა... ცხენ-კაცის ძმობასაც შევესწარი! მეჯინიბემ მითხრა — ეს ცხენი მამუკასიაო. მაშინ, კიდევ ერთხელ დავფიქრდი: ჩვენი დროის რაინდს — ჩვენს კეთილ იდალგოს, გუნებაში, აბჯარი ავასხი და გულში ვთქვი: ესეც შენი როსინანტი-მეთქი!

* * *

კაცის პირი რას არ იტყვის,
ყური რას არ გაიგონებს,
ღმერთო, მიეც გულისყური
კარგ მთქმელსა და კარგ გამგონეს!

* * *

ჟრჟოლა, ჟრიალი აგიტანს
ოჟა ჯურხაის ფარისა,
წარსული გაგვეიხალისა
შხუილმა მათი ხმალისამ!

* * *

...დღეს ქვების სროლის დრო არის —
სიკეთეს ქვაზე ვინ დადებს?!
ყველა თავისთვის ჩალიჩობს
და მისი ბედის ქსოვს ბადეს!

*ერთ-ერთი ხვეული შეირხა. გაცოცხლებული „ხვეული" 9 სმ-იანი ჭია აღმოჩნდა.*

*გაუგებარია, როგორ აღმოჩნდა ჭია თავში. ვერც ბიოლოგებმა დაადგინეს უცნაური პარაზიტის წარმომავლობა.*

*„მეგაპოლის-ექსპრესი", № 39*

**P.S.** *რაც მეცნიერებისთვის გაუგებარია — ქართული ხალხური სიბრძნისთვისაა გასაგები — ყველა თავის ჭიას ახარებსო!*

*<u>შს მინისტრი გიორგი ბარამიძე:</u>*

*„მუხლის ძარღვი რომ გამეწყვიტა, იმდენ ქონებას დავაგროვებდი, ჩემს შთამომავლობას ეყოფოდა*

*„კვირის პალიტრა", 15-20.05.04*

**P.S.** *ისევ გრიგოლის პოლიტიკურ თოქ-შოუში, პოზიციის-ოპოზიციის აუდიტორიის წინაშე, პრემიერ-მინისტრის მოადგილემ გია ბარამიძემ „ახავალ-დახავალში", თავფურცელზე გამოქვეყნებული ჩემი ლექსი მოიშველია: „თუ ასე არ ფიქრობ, ძალიანაც ცდები, ტყუილად გამხარჯე და ტყუილად გაიხარჯე. შენი გამარჯვებით — მე არ დავე-*

## ევრიკა!
### (ანუ ისტორიული პარალელები, თავის 120-აციებით!)

...დროში კამათელს ვაგორებ და გაეაგორე დუ-შაში,
როცა ორ სახელს წავაწყდი საგვარეულო ნუსხაში...
მუხრანის დიდთა ბატონთა — ძეელთა და ახალ პატრონთა —
„მამუკასა და ლეეანსა“ (ქუჩურად რომ ვთქეა, „მეეასა“)...
აეყევი გულის ფრიალსა, მოეყევი თაეის ქნევასა —
ერთი დედ-მამის შეილნი ვართ, ეფიცაეთ ადამს და ევასა!
...ჰოდა, ამ სახელ-დიდებას ვუძღვენ ეს მცირე ოდაო:
ამბობენ: „კაცი ბჭობდა და ღმერთი კი იცინოდაო!“
სატირლად ღმერთმა ნუ მოგვეცეს საქმე და საფიქრალიო —
„თვითონ ნუნუას მიეუჯდეთ — პირუტყვეს ვანებოთ წყალიო!“
ხაზარაძეს და ეასაძეს შეეხარი — მათ მადლს ვიხსენებ,
მამათა გენი შვილებში ბობოქრობს, არც როს ისვენებს!
დღეს ძეელთა სული ჩასახლდა — ახალ მამუკა-ლევანში,
ვართ ალი-კვალის კელეეაში და ერთ შენება-ნგრეეაში!
თქეენ აგაშენოთ ღმერთმა და თქეენს აშენებულს მადლი აქვს —
სულიერ მამას ეშვილეთ — ცხენი მიჰგვარეთ პატრიარქს...
საეანე გაუჩინეთ და ააგეთ რწმენის კედლები,
რწმენით და პირჯვერის წერითა თქეენს კედლებს შეეეკედლებით!

* * *

თერთმეტ ქალ-ვაჟის პატრონებს... 2-ის კაცობა ეყოთ და
ასეთსა დედაშვილობას... მამაშვილობაც ეტყობა!
ცრემლებით გადანამული — დღემდე მოგეძახის მამული:
სანამ ამ წალკოტს წალეკავს გულგრილობისა „სამუმი“...
ვეწამოთ, ხალხნო, ვიწამოთ, რაც მოგვცა ქართლის მიწამა —
და მძიმე ჯვარი ვუზიდოთ ქართულ გოლგოთას — წიწამურს!...
„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“ —
პირმა — თქვა, ყურმა — ისმინა და დრომ ვერ დააძველაო!
დრომ ფურთხის ღირსი გახადა ძმებზე ნალესი დანები —
დროც, კაციც, ერიც, სამშობლოც — ხელიხელ საგოგმანები!
...მაგრამ გენი არ ისვენებს და სულში კვლავ ბობოქრობსა —
ღმერთო, შენ ნუ გამოგვილევ ჩვენ ამ ბაჯაღლო-ოქროსა!
პარტახად ქცეულ მიწასა მარგალიტებსა ვუთესავთ —
ლხინისუფლობას გისურვებთ ამ ქვეყნის ჭირისუფლებსა!

* * *

დროს მინდა მოვუქნიო და გადავუჭირო მათრახი —
მაშინ პარტია არც იყო, როს გაჩნდა სიტყვა „პარტახი“!
რაცა გვინახავს, ვერ ვნახეთ, უნახავის ვართ მნახველი,
ქვეყანა გავაპარტახეთ!...
ამაზე დავსვათ მახვილი!

* * *

...ტყე კი ჩუმად შრიალებდა — ნიავს არ გვაკარებდა. ცხრათვალა მზე გვიცინოდა — ზერისკენ თვალს აპარებდა. იქ, სხივებით დახანჯღლულ რქას სარზე ნელი წყდებოდა, თანამდგომი ჭიგო — ვაზსა ძმობას ეფიცებოდა!

თვალუწვდენი ზერები ჰგავდნენ ცეცხლმოდებულ სტრიქონებს —

ანეული ღვინის ჭიქა ლექსსაც თვითონ იგონებს!

## შენ ხარ ვენახი!

საქართველოა სამშობლო ვაზის — ქართველს ვაზის ჯერის მირონი აზის

და ზიარებაც, ჭირიც და ლხინიც არ არს გარეშე ამ სილამაზის!

...სწორედ, ქართული გენის უკვდავებას ეძღვნება ეს უკვდავი ჰიმნი — მოგუდული ბანით, რომელსაც ყველა ქართველი მთელის ხმითაც... და გულშიც ღიღინებს.

ჰიმნი, რომლის ხელდამსხმელი დავით აღმაშენებლის მამა და თამარის პაპა დემეტრეა... და, რასაკვირველია, ისიც პირველი!

„შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული... ნორჩი, კეთილი, ედემს შინა რგული... ღმერთმა შეგამკო" და კაცმა გაქო — ეს რა ძალა და რა ღონე გაქო!

და, ხმა გავარდა, როგორც მეხია... შაჰ-აბასს ვაზი აუჩეხია: ქართველთა სისხლის ქვევრებში დუღსო — ქართული ხმალი იმიტომ ჰქუხსო...

... დღეს, უქარქაშოდ კედლებს ჰკიდებენ — მონმე-მონამედ ძველი დიდების!

დიახ!

ჯერ კიდევ წმინდა ნინოს ხელში გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს ჯვარი და ვაზი! და ჯვარმა ჯვარი დასწერა ვაზსა ლამაზსა!

„წმინდა ნინოს" სახელობის ღვინო (რომელიც პარიზსაც ამშვენებს) რა მეტაფორასა და მზიან სიტყვას არ გათქმევინებს... გადლეგრძელებს, გამზეგრძელებს და სულსაც ტკბილად დაგალევინებს!...

* * *

წლები როგორც მოდიან — წლები ისე მიდიან.
კაცის წუთისოფელი... საცალფეხო ხიდია.
გაეიხსენოთ მუხრანი, სანამ გაეაბოლებდეთ —
ძველი მებატონიდან ახალ მეპატრონემდე!

მარცხდები, ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ.

დავით აღმაშენებელმა გააერთიანა საქართველო, ხოლო მისმა ძეგლმა... დაყო!

საცა ერთი უნდა იყოს, იქ ორი აზრი არ არსებობს!

ჩემპიონი კაცი ლევან თედიაშვილი (ვეტერანი სპორტსმენი მოჭიდავე):

ჩვენ არალეგიტიმური ხელისუფლება გვყავს. ჩვენ, თითქმის, სამუდამოდ დავკარგეთ ტერიტორიები. გამოდის, რომ ჩემი შვილი ტყუილად დაიღუპა ავღანეთში. მე მიცვალებული მაინც ჩამოვიყვანე და საფლავი გავუკეთე. ზოგს საფლავებიც არა აქვთ. შვილს რომ სამშობლოს შესწირავ, ეს დიდი სიამაყეა, მაგრამ გული მისკდება, მის სანაცვლოდ დაკარგულ ტერიტორიებს რომ ვხედავ.

ბარაკ ობამა (აშშ-ს პრეზიდენტი):

შეერთებული შტატები გადაჭრით ემხრობა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ აპირებს სეპარატის-

ახალი ძველს აგინებს – არ გვტოვებს სიმარტოვე,
ეს სოფელი ულანძღავს არაეის არ დატოვებს!

* * *

რუსი, აფხაზი თუ ოსი... პაოსია თუ ქართლოსი,
არის დრო – ჟამი – უჟამო...
ქაოსი სააქაოსი!
სიტყვები სეტყვად ქცეულა – დაუსეტყვია ქვეყანა,
ეშმაკი მაყრად წვეულა – ბაჯაღლო... ღორებს ეყარათ!
შევწიროთ ქალსა კაცობა და მაღალ ღმერთსა – მადლობა,
რომ ქვეყნის შთამომავლობა არ იქცეს მამათმავლობად!
ყვავ-ყორნებს არ დავუტოვოთ სამოთხის მიწა-წყალია –
წარ-სულით სული მოეითქვათ – გეახსოვდეს მომა-ვალია!

* * *

...კაცური სიტყვით შეპირებულზე (2012-ზე) ორი წლით ადრე, ისევ „მუხრანის ლეგენდისაკენ" გამირბის თვალი და სანამ ზღაპარი — ცხადად ან ცხადი — ზღაპრად იქცევა, ამ ზღაპარს ცხადად ეხედავ და ცხადადაც ვაცხადებ: აქ მოსულსა და აქაურობის შემხედვარეს საოცარი სევდა მეუფლება — სევდა გარდასული დიდებისა და სევდა სანატრელისადმი უდიერი დამოკიდებულებისა, ანუ სიყვარულით ნაშენების — სიძულვილით ნგრევისა!

ყოველ ნაბიჯს ეძალება ეს ტკბილ-მწარე ფიქრი კაცთა — ასეთ ცის და ასეთ მიწის... — მზის და მთვარის განძთა განცდა!

„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შეელაო!" — ერის მაჯაზე ეკიდა ხელი აკაკის, რომელსაც ღმერთმა გვარშივე უბოძა წერეთ-ლობა!

...დგანან, ძველი დიდებით, ასი წლის... ათას ქარტეხილებ— თუ მტერ-მოყვარეგამოვლილი, შელანძღული და მაინც დიდებული სასახლის კედლები — როგორც დიდ მუხრანბატონთა შავი ფიქრებისა და თეთრი სევდის ძეგლები და ახალ ბატონებს კი არა... პატრონებს ელოდებიან! და, მეც ედგევარ და ვფიქრობ:

მუხრანბატონის ავადხსენებას –
დროთა ძახილსა და გახელებას –
წყეელა-კრულვას და გამოჭენებას –
მათი მერნების მიჯობს ჭენება!

* * *

ამ ერთი დღისათვის – სასწაულისათვის...
ღირს, საუკუნეს გაუძლო და
ას წელს იცოცხლო...
მუხრანის ზერებზე ილოცო და ფესვი უკოცნო...

* * *

წვიმა და ქარში... ვიკეტები საკუთარ თავში
და ფიქრის ტალღებს ვეჭიდები ბობოქარ ზღვაში...

## დიახ!

...ზღვაში ელოდები ამინდს...
ენატრობ, ზურგის ქარი ქროდეს,
როგორი ქეიფიც ვიცით —
ისე გვექეიფებოდეს!

* * *

..ყველას თავის ხელწერა აქვს,
ყველას თავის გზაკვალი,
ყველას თავის სათქმელი აქვს —
კეთილია თუ მზაკვარი.

* * *

„ჩავუხტეთ მუხრანბატონსა —
თავს დავანგრიეთ ბანია..."
ჯერ ვისვრით, მერე ვუმიზნებთ —
დღეს გავისიგრძეგანია!
„მუხრანბატონის ყმობითა —
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა"
და, რაც ვერ ექენით ყმობითა,
ის უნდა შევექმნათ ძმობითა!
ახალი დროის რაინდებს
ღვთის ნებით ურებებიათ
და მტრობით დანგრეულები —
ძმებს — ძმობით უშენებიათ!

* * *

...არა, არ აინერება... აუნერელის ენითა —

დოქებიც მობულბულებდნენ — ჭიქებს ავსებდნენ ლხენითა —

...ტყემ ცქვიტა ფოთლის ყურები —
ცაში აიჭრა გნოლია,
ცხადში ვარ — სიზმარს ვუყურებ —
თავი ზღაპარში მგონია!

„ქართული ხმა" და „ალილო", საპატრიარქოს გუნდები... „სიმი".... (სხვა, რაა სამოთხე), ქებათაქებას ვუნდები...

როს შექიკქიკდნენ კაცები — უმღერეს ამ ღვთის წყალობას, ჩიტებმაც სტვენა შენყვიტეს, უსმენდნენ კაცთა გალობას.

დიდება შენდა, უფალო, ხატო და სანთელ-საკმევო! როგორი მოლხენაც ვიცით, ისე გვიქენი საქმეო!

ტული რეგიონების ცნობას.

„24 საათი"

<u>ექსპრომტი ბატონ გიზო ნიშნიანიძეს!</u>

საირმე არ არის თქვენი ჩვენება!

ვუთხარი ბატონ გიზოს.

(ასე მეჩვენება):

რა არ მინახავს, რა არ გამიგია —

ბევრი საოცრება, ბევრი მშვენება,

გულის უკმარისობის შემდეგ, ალბათ, ღმერთის ენება,

რომ მე აქ მენახა ასე გათენება!

საირმე, 22.08.05

ნანი ბურჯანაძე

ექიმი-კარდიოლოგი, ექოსკოპისტი, სანატორიუმი „ბაღდათი".

ძველი თამადის, <u>თავად კოტე ჩოლოყაშვილის საშემოდგომო სადღეგრძელო და ალავერდი:</u>

— იმ ალალ-მართალ კაცს გაუმარჯოს, რომელიც ვაზს ახარებს, ღვინოს დაწურავს, კიდეც დაგვლოცავს და კიდეც დაგვალევინებს...

— გულით დარგავს, ხელით მოუვლის, ფეხით დაწურავს და სიყვარულით გვადღეგრძელებს! (გ.ნ.)

„ყველა სიახლე", 7-13.08.08

* * *

ასე და ამრიგად!
...მუხრან-უღრანი ჩაეამუხრანე... ქედი ვუხარე, ჩაეაბუხარე —
სიტყვა მქუხარე, სიტყვა მწუხარე — ვაგურანდუხტე, ვაბურდუხანე...
მუხრანბატონნი და ქალბატონნი — ვაბატონე და ვაქალბატონე,
მორიდებულის და კრძალვის ტონით —
ჩვენ სიმღერითაც ვწამლობთ „ბატონებს".
...ვადიდებულე ადიდებული — დარდი ქსნისა და მტკვრის და არაგვის,
ქა-რთველის რთველი ლექსად დაეწურე... და ამოვწურე სიტყვის
მარაგიც!
„მე ვარ მისანი ხარი ნიქარა, შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო —
ზღაპრიდან მიტომ გამოვიპარე, რომ გემსახურო და გიერთგულო!"
(შოთა ნიშნიანიძე)

სიტკბოებისა სიტყვათა მტევანს,
სიტყვა-ღმერთთანა წილი ვუყარე —
მამულიშვილებს — მამუკა-ლევანს —
ქვეყნისთვის ულხენ — საუღლე ხარებს —
მამაშვილური ვუთხარი ლოცვა —
წყალობა ვთხოვე „სამების" ზარებს —
სვეტიცხოველს და ახალ ათონას —
გელათს — სამყარო მას აგანგარებს!...
„ხიდისთავს შეეკრაე პირობას" მათთან,
მკვდრეთით აღვადგენ დანგრეულ ბანებს,
ჯოჯოხეთს ვაქცევ ისევ სამოთხედ,
მუხრანს დაექიდებ სამოთხის კარებს:
კაცნი ხარობდნენ და ეშმაკები...
არ უჯერებდნენ საკუთარ თვალებს!

* * *

კიდევ ერთი სტოპ-კადრი!...
ანუ კიდევ ერთი ისტორიული პარალელი!
...ქართულ სუფრაზე ქალები იშვიათად ამბობენ სიტყვას, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას და, აი, წამოდგა ერთი წარმოსადეგი ქალბატონი — ჩემი კლასის მეგობრის შვილი და დიდი თამარის სეხნია — ჩემი კოლეგა — ქალბატონი თამარი (ცაგარეიშვილი) და ქართველი ქალის სიბრძნითა და სიამაყით თქვა ქვეყნის სათქმელი:
— მიკვირს, ღმერთმანი!.. ასეთი კარგი შვილების პატრონ ქვეყანას ასე რატომ უნდა უჭირდეს?!
ეს ისე!... არა სხვისათვის —
არამედ...
კარგი მთქმელის და გამგონისათვის!

* * *

ასე, რომ...
ჩვენს თვალსანიერ-არეში — იყო სიტყვათა თარეში —
ყოველგვარ მიკიბვ-მოკიბვის, შელამაზების გარეშე!...
უნდა ვისწავლოთ მეგობრობა ისევ და ისევ ვაზისა და ჭიგოსაგან!

---

*ნიკოლა ბუალო: ერიდეთ სალი აზრის წინააღმდეგ ხუმრობას!*

*ჯორჯ ბაირონი: მელნის ერთი წვეთი საკმარისია, რომ აღუძრა აზრი ათას და მილიონ ადამიანსაც კი.*

რომ... გული — გულს მივცეთ...

მხარი მხარს...

მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს სიყვარულით, რომ... საქართველოს მთა და ბარმა და მინდორ-ველმა იგრძნოს ჩვენი არულ-მხარული!

...ასე იწყება თაედავიწყება!

იყო წუთები, როცა მომღერალი კაცები, ყელმოღერებით კი არა... თავგანწირვით მღეროდნენ და ძველ და ახალ მუხრანს ჟრუანტელად უვლიდა ქართული გენის ელეთმელეთი!...

დუმდა ფიქრი —

დუღდა ხმელეთი!

...წინ, წინ ვიყუროთ და უკანაც მოვიხედოთ!

რადგან არ არსებობს მომა-ვალი წარ-სულის გარეშე!

...მუხრანბატონის მეურნეობის მკვდრეთით აღდგენის იდეა 2002 წელს დაიბადებულა (ირაკლი ჩხეიძე გახლდათ მისი პირველი მახარობელი). ამ საშვილიშვილო საქმეს — მამუკა ხაზარაძის თავკაცობითა და ბადრი ჯაფარიძის უცხოელი კომპანიონების — ჟაკ ფლორის თუ პოლ სენის თამადობით დაედგა თავი! ასე და ამრიგად — ღმერთია გამრიგე — უკვდავი „ჩაკრულოს" უტყუარ ხალხურ საბუთში, რევოლუციური „სენით" შეპყრობილ ქართლის გულს — გულითადობით... მუხრანს „ფლორაც" აღუდგა და მთვარეც „გაებადრა"!

ახლა ახალ მუხრანზე ამოსდით მზე და მთავრე ძველ მუხრანბატონებსაც და ახალ მუხრან-პატრონებსაც!

...და, იწყება ქართლის დიდი ქართული რენესანსი — აღორძინება!

„100 წლის შემდეგ... გამოჩენილ ქომაგთა ხელი მალე დაეტყო აქაურობას! არქეოლოგები, არქიტექტორები, სეისმოლოგები, მხატვრები და მაღალი რანგის სხვა სპეციალისტები" ყველა ღონეს ხმარობდნენ, წარ-სულის სულის მოსაბრუნებლად — მუხრანბატონის უნიკალური სასახლის აღსადგენად და, ჩქარა იგი... მთელი თავისი დიდებულებითა და გრანდიოზულობით, ხელმეორედ წარსდგება ისტორიის წინაშე!..

მასთან ერთად „გაცოცხლდება მუხრანბატონის ეპოქაც! — ბაგრატოვანთა ქართული ღვინის და ვაზის მუზეუმები... სამიათას-ადგილიანი ამფითეატრი, სასტუმროები უცხოთა და შინაურთათვის; სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნებით, აუზებით, შადრევნებით, ღვინის სალონებითა და სხვა... მე-19 საუკუნის კოლორით — დუქნებით, საოქრომჭედლოებით, სამხატვროებით, ფოტოსალონებით, საჭაშნიკოებით, საყასბოთი, სახარაზოთი, სამჭედლოთი, სადალაქოთი, სავაჭროებით და სახელოსნოებით... თავის მედუქნიან-ხელოსნიან-

*სიკეთის მკეთებელი კაცი... სიკეთის დამნახველი კაცის თვალით*

*ამონარიდი ლევან ვასაძის ჩანაწერიდან:*

*„მოვა დრო და ქართულ მატიანეში სევდით ჩაიწერება იმ წლების მესხებზე, რომლებიც ყოველ მეხუთე ქართველს სამშობლოდან წასვლა მოუწია. წასვლას ათასი და ერთი მიზეზის გამო. ათას მიზეზში იყო სიკვდილის საფრთხე, უკიდურესი ყოფითი გასაჭირი, უკეთესი ცხოვრების სურვილი და რა ვიცი, კიდევ რა. ერთი მიზეზი კი ღვთის ნება იყო, რომლის გააზრებაც მადლია, რომელსაც დღემდე სასოებით ველით.*

*მეც, ნაფოტივით, ამ ემიგრაციის ნაკადში მოვყევი და დღემდე მის წინააღმდეგ მივცურავ — სამშობლოში დაბრუნებას ვოცნებობ და ვცდილობ. თავნებობისა და ღვთის უნდობლობისაგან დაცული, უფალს მადლობას ვწირავ ყველაფრისათვის. სამშობლოდან წასულმა დავიბრუნე საქართველო, უკიდურეს სიმარტოვეში და*

კინტოიან-ყარაჩოღლიანად, რომლებიც სტუმრებს ქართულად უმასპინძლებენ და ჩვეული მარიფათით შესათავაზებენ ადგილობრივ ნანარმ-ნაკეთობებს, ნახატებს, ქსოვილებს, სუვენირებს, ხილს და ნუგბარსა და, რაც მთავარია (უნიკალური ნიკალასი არ იყოს), ქართულ ეშხსა თუ მარიფათს!.."

„შატო მუხრანის" რესტავრირებული ტყე-პარკის ბუნების ნათავხედარ ნალკოტში ისევ განიგრილებს შუბლს საძმოდ მოსული სტუმარიცა და სამოყვროდ დახვედრილი მასპინძელიც. ეს ის უნიკალური ტყე-პარკია, რომლის ჩრდილში (როგორც მუხრანბატონს უბრძანებია) — მზის სხივმაც ვერ უნდა გაიჭაჭანოსო!

„უკვე, კარგა ხანია, ამ ენდემს თავს დასტრიალებენ ვერსალის ცნობილი მებაღეები, რომლებიც ღია ცის ქვეშ მინიერ სამოთხეს გვპირდებიან".

თვით დიონისე-ვაკხსაც და მის მხიარულ მხლებლებს — სატირებსაც კი საღერღელი აეშლებოდათ აქ, მაგრამ ავის სათქმელად ენა არ მოუბრუნდებოდათ 12 სხვადასხვა ჯიშის ყურძნისა და მათი ნაყურის ხსენებაზე: საფერავი, თავკვერი, შავკაპიტო, კაბერნე, სავინიონი, სავინიონბანი, შარდონე, მუსკატი, პეტიტ ვერდო, შირაზი, ჩინური, გორული, მწვანე, რქანითელი... აი, ბროლის ჭიქებსა და არხარის რქებში მოშუშხუნე ამ ღვთაებრივი სითხის სახელები, რომლებმაც უნდა გვასახელონ!

„ძველი მუხრანის ნაკვალევზე დღეს ახალი ნარმოება ფუძნდება, რომელიც 2002 ნლიდან მუხრანში ახორციელებს ივანე მუხრანბატონის კულტურულ-ისტორიული და სამეურნეო მემკვიდრეობის აღორძინების ფართო პროექტს, რაც გულისხმობს სასახლის, მეურნეობისა და ნარმოების სრულ რეაბილიტაციასა და მუხრანის ზონის ღვინოების საერთაშორისო აღორძინებას!... ეს, აქაურ ღვინოებს საშუალებას მისცემს, კვლავ დაიკავონ ადგილი მსოფლიოს უდიდეს ბრენდებს შორის!"

...ღმერთმა დალოცოს ჩვენზე მლოცველი და ჩვენგან დალოცვილი ვაზი... თავისი ნაყურით. შემიძლია, გულზე ხელი დავიდო და ვთქვა, რომ მოსკოვში ჩემი თვალითა მაქვს ნანახი, როგორ ინონებდა თავს, არა მარტო მარნებში, არამედ... აფთიაქებში (?) ...დიახ, დიახ — აფთიაქებში... ნამლად გამოტანილი ქართული ღვინოები... ხვანჭკარა, ქინძმარაული!..

* * *

მოვლენებს ოდნავ ნინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ — იმ ჩვენი პურის ჭამიდან რამდენიმე დღეში, ტელევიზიის ცისფერ ეკრანზე ვიხილე ჩემი ასაკის... პლანეტის საყოველთაოდ ცნობილ იუველირთა (ფაბერჟეთა) გვარის უცხოელი ქალბატონი — მხატვარი ტატიანა ფაბერჟე (დედით მუხრანელი ბებიის — ელისაბედ მუხრანბატონის შვილიშვილი), რომელმაც თავის მხატვრულ ნაკეთობათა უნიკალური ექსპოზიცია ჩამოიტანა თბილისში, სვეტიცხოველში მამაპაპათა საძვალე მოინახულა, მუხრანში გარდასულ სისხლით ნათესავთა სულს მოაკითხა, სამუხრანბატონოს დღევანდელობის შემსწრეს იმედის ნაპერწკალიც ჩაუდგა საუკუნის სევდით შემოღამებულ თვალებში — თვითონაც გაიხარა და ჩვენც გაგვახარა.

* * *

ყურძნის მტევნები —
ვაზის ცრემლები —
სულისკვეთების მარცვალ-ნვეთები...
„შენ ხარ ვენახი" ჭირის თუ ლხინის

და მაორბელა სურნელი ღვინის.
მზის პოეზია ვარქვი მე ზეარსა –
მიწის ლირიკა – მის სტრიქონ-კვალსა –
ფხიზელ დარაჯად... ქორონიკონის
სულ სხვაა ეშხი... მთვრალი სტრიქონის!

P.S....და, აი, ეს დღესასწაულიც, ამ დღესასწაულ დღესთან ერთად მიილია.. რეზო ამაშუკელის ნაბახუსევი ლექსისა არ იყოს, „...მთვარე, მე შენ და არაგვი... მთვრალი ვიყავით ოთხივე"!... და მე, დიდი ირაკლის ძე — ზურაბ აბაშიძე და მისი მძახლის (თეიმურაზ ჭიჭინაძის) ნანახითა და გაგონილით გაოცებული ესპანელი ბიზნეს-პარტნიორი — ბატონი ხორხე, ერთ ჭაბუკ მძღოლთან ერთად (შთაბეჭდილებებით დამძიმებულებიც და ახალი მუხრანული ღვინით საღერღელაშლილ-ამჩატებულებიც), ვბრუნდებოდით დედაქალაქში. აი, უკვე, გამოვიარეთ მუხრანიც, ნატახტარიც... ქსანმაც, მტკვარმაც და არაგვმაც ჩაგვიქროლა (თუ ჩავუქროლეთ!)... ამასობაში ჩვენს გოლგოთას — საქართველოს მოუშუშებელ ჭრილობას — წინამურსაც გავუსწორდით და, ერის მამისა თუ საკუთარი, ძველი და ახალი ლექსიც წამოგვენია:

„ჩემზე ამბობენ, ის სიმართლეს ქართლისას ამბობს...
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია.
ბრიყვენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე ცნობს,
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!"

მაინც, რამდენი ილიასა და ივანეს სათქმელი უთქვამს მაშინ იმ დალოცვილს!...

ჰაი, ჰაი, რომ ბევრჯერ ბრიყვთა ხელში ყოფილა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ეს ანგელოზი ქვეყანა.

...თურმე, არარა ძალა არ აქვს წელთა სიშორეს... ამ სისხლს, ამ ლაქას წიწამური ვერ მოიშორებს.
ფუი, ეშმაკსა! შევაფურთხოთ წერეთლის პირით,
რომ მადლი მაგლად არ ვაქციოთ, მამულიშვილნო!

...საგურამოს გადასახვევთან (ყველა დროის მტყუან-მართალ ქართველებს) კვლავ ილია მართლის სიმართლე გადაგვეღობა, თითქოს ჩვენს გულში იჯდა და დაუსწრებლად ესწრებოდა ჩვენს მუხრანულ სერობას! ერის მამამ სწორედ შემოსწრებულივით, ალავერდად შემოგვაგება ყველა ქართველისათვის საზეპირო ლექსი-ოცნება:

„ტყემ მოისხა ფოთოლი, აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი მეტის ლხენითა სტირის.
აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები —
მამულო, საყვარელო, შენ როსღა აყვავდები?"

აი, კითხვა,
რომელსაც ყველა ქართველმა უნდა გასცეს პასუხი!!!

25.10.2010

უცხოეთში მყოფმა მივიღე საშუალება მათი უზრუნველყოფისა და, რაც მთავარია, შინაგანი სიცარიელისაგან გამოფიტულმა მივიღე მადლი ჭეშმარიტი ღმრთისა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი"...

„ყველა სიახლე", 7-13.08.08

ისეთი სიცოცხლით სავსე ქალი იყო — კაცის შარვლის ტოტის გაკარებით დაორსულდებოდა!

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:

თანამედროვე გლობალიზაციის იდეოლოგია დგას ოთხ მსოფლმხედველურ საყრდენზე. პირველი გახლავთ დარვინის თეორია, რომლის მიხედვითაც, ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა. დღეს უკვე აშკარად მიმდინარეობს ადამიანის გაცხოველების ანუ გამაიმუნების პროპაგანდა; მეორე არის მარქსის იდეოლოგია, რომელმაც კაპიტალი ადამიანის ც ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს უმაღლეს საფეხურზე აიყვანა; ანუ ღმერთი „ჩაანაცვლა" ფუ-

# კიდევ ერთი დავითი!

კაცი მიდის — სახელი რჩება! — მარადიულ სიცოცხლესთან სიკვდილს რა ხელი აქვს. არიან ადამიანები, რომლებსაც დავიწყება არ უწერიათ.

...წუხელ, ძილში, რა გაცინებდაო? — მკითხა ამ დილით ჩემმა მეუღლემ.

— თამაზის და „ტურკეცას" მამა — დავით კალანდაძე მესიზმრა-მეთქი, — ვუთხარი..

ამ სიზმრის ცხადი კი ის იყო, რომ იმ დღეს... ანუ ქრისტეს დაბადებიდან 2008 წლის, ქრისტეს შობის თვის 12-ში, ასე ვთქვათ, მისმა უკაიკაცესობამ, მისი სრული ტიტულატურით რომ ვთქვათ: მევენახეობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსმა, ქალაქ ნიუ-ორლეანის საპატიო მოქალაქემ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური სადეგუსტაციო კომისიის წევრმა, ალკოჰოლური სასმელების ექსპერტ-კონსულტანტმა ბონდო (რაღა აკლია ქართული ღვინის „ბონდერობამდე") კალანდაძემ, როგორც ქართული კონიაკის მესაძირკვლის — დავით სარაჯიშვილის მკვდრეთით აღმდგენელი წიგნის ერთ-ერთ შემდგენელს, მომართვა ქართული ვაზის ეშხით „მთვრალი" თავისი სქელტანიანი და უხვად ილუსტრირებული ენციკლოპედიური ნაშრომი — „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მატიანე", რომლის პრეზენტაცია ანუ „დასველება" და ღვინითა თუ წყლით კურთხევა სწორედ იმ დღეს შედგა მტკვარზე გადაკიდებულ, წყალში მდგარ და ზღვას მონატრებულ რესტორან „აფხაზეთში"!

იმ დღეს, ჩვენმა ძმამ და პირის ზიარებამ — ბონდო კალანდაძემ, ამ ზიარების სასმელების წიგნ-მარანით, დაუვიწყარი კალანდა გაგვითენა!

ამბავმა ამბავი იცის!

გამახსენდა ისტორიის პატრიარქის, არქიაკადემიკოსის, „მომპასივით" გალეული, ღრმად მოხუცი ისააკ მინცის სტუმრობა საქართველოში და ჩვენი მეგზურობა შემოდგომით დაბანგულ კახეთში! მთელი გზა გასუსული იჯდა მანქანაში და მხოლოდ მაშინ ამოიდგა ენა, როცა, ლადოსი არ იყოს, „უკვე ჩათავდა სოფლად რთველი და ყურძნის კრეფა — აზღვავებული შემოდგომა ბელლებს ჩაბარდა" და კახურ ფოლორცებში მონანავე ბრძენმა ბერიკაცმა, ჯიგარი კახელებით დასახლებული ადგილების სახელები ამოიკითხა:

...ცინანდალი, მუკუზანი, ნაპარეული... მთელი საქართველო საქორწილო სუფრასავითაა გაშლილიო!

ეს ეპითეტი შენ გეკუთვნის, „ვაზო, ლამაზო!"

...დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს სათქმელს!

ქართველი კაცი — დღეს... სასწაულის გარეშე — დღესასწაულად

---

*აბრაამ ლინკოლნი: შეიძლება, ხალხი ერთხელ მოატყუო, მაგრამ არ შეიძლება მისი განუწყვეტელი მოტყუება...*

*მონტესკიე: შეუძლებელია პატიოსნად აზროვნება იქ, სადაც მთელი ფიქრი ადამიანისა ლუკმაპურის მოპოვებას უნდება.*

*ბერნე: დიდბუნებოვან კაცთა შეცდომანი მეტ ჭკუას გვასწავლის, ვიდრე ჭეშმარიტებანი წვრილმანთა.*

არ თვლის, უღვინოდ კი რაა დღესასწაული!... ქართველი ქეიფში არყოფნას — უქეიფობას ეძახის.

ეს წიგნი — წიგნი-დღესასწაულია, ქეიფია (ზოგს „გეიფში" რომ ეშლება!). აქ კალამიც ცეკვავს და სიტყვაც მღერის!

ჰოდა, წამომყვა ქეიფიდან ეს წიგნი და, ახლა, თუმცა „მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოა", ამ წიგნთან როცა ხარ, მარტო არა ხარ — შენთან ქართული ფენომენი — ღვინის ღვთაება ბადაგონია! („ბიბლია ადასტურებს, რომ კავკასია ღვინის სამშობლოა! — ჰიუ ჯონსი) რად უნდა ამას „ჰიუ"?.. ჰაიჰაი, რომ ასეა!

ვის არ უმღერია ქართული ღვინისთვის!

ვინ არ აუმღერებია ქართულ ღვინოს!

ვახტანგ VI-ის „სამართლის წიგნთა კრებულის" 349-ე მუხლში ვკითხულობთ: „... ოთხი წიგნი არის სასწავლელნი ქართველთათვის: პირველი არს რიცხვთა; მეორე — მუსიკა, რომელი არს საგალობელი..."; XII საუკუნისაა დემეტრე I-ის „შენ ხარ ვენახი": „... ახლად აყვავებული, მზე გაბრწყინებული... ედემსა შინა რგული... ალვა, სურნელი, სამოთხესა მოსული... ღმერთმან შეგამკო!..."

ჰოდა, ღმერთით და კაცით შემკობილ ამ „მატიანეში" ხარ, მადლიანო!... სულ მისხალ-მისხალ მოძიებული და ყურძნის მტევანში მარცვალ-მარცვალ აკრეფილი და ჭიგო-ხარდანის გვერდში დგომით ფეხზე მდგარი! რომელი ერთი, რომელი ერთი: „რქაწითელი", „საფერავი", „მუკუზანი", „მწვანე", „კახური", „სისვი", „ციცქა", „კრახუნა", „ცოლიკაური", „ოცხანური", „პინო", „ატენური", „ალექსანდროული", „უსახელაური", „მტევანდიდი", „თამარ მეფე", „გალავანი"... ახლა, „სახლად სიხარულისა" წოდებული თბილისისა და საქართველოს სამოთხის სახელებს არ იკითხავთ?! მარტო მათი სახელები დაგარეტიანებთ: „გემო", „თეთრი დუქანი", „ლენე", „მეფისტო", „ტანც-გეურქა", „ნად-კუროი", „ტილი-პუჭურა", „ველიამინოვი", „ჭითავები", „სამადლო", „ბეთანია", „ტაბახმელა"; კახეთში — „ზუზუმბო", „ნადიკვარი", „შუამთა", „გომბორი", „აბელას დუქანი", „ველისციხე", „უტრუხუნე"; დასავლეთ საქართველოში — „ყირამალა", „დოდელიას დუქანი", „ჭალები", „გოგისვანიძეები", „ვერხვები", „ჭიშურა", „თხმელები", „ექლები", „ჯარგვალი", „ოდა", „ფაცხა", „საბაყაყიესალობიე", „ციეი", „ნოეს ვაზი", „ლაითაძის დუქანი", „ერემოს დუქანი", „ქვაშავა"... ან სხვამ რა

*ლით; მესამე არის ფროიდის თეორია, რომელმაც ლიბიდო გამოაცხადა ადამიანის ცნობიერებისა და ქმედების საფუძვლად; ანუ ნებისმიერ ადამიანურ, ზნეობრივ და ნათესაურ კავშირებზე მაღლა დააყენა სქესობრივი ლტოლვა და ამით ადამიანური თვისებები ცხოველურ თვისებებსა გაუტოლა; ადამიანისთვის, ისევე, როგორც მაიმუნისთვის, დასაშვებად მიიჩნია დედასთან, მამასთან, დასთან და ძმასთან სქესობრივი კავშირი; მეოთხეა ნიცშეს თეორია, რომელმაც გამოაცხადა, რომ „ღმერთი მოკვდა" და მისი ადგილი „ზეკაცმა" ანუ ძლიერმა ადამიანმა დაიკავა, რითაც ღიად გაილაშქრა ქრისტიანობისა და ქრისტიანული მორალის წინააღმდეგ. აი, ამაზე დგას „მასონური" იდეოლოგია, რომელსაც ამერიკა საქართველოს ცერი-ცერიაზე ავრცელებს.*

*<u>„მამა აფრიკა!"</u>*

*(ბადრიჯნისფერი მათხოვარი)*

*შუა ჰეკიანზე დგას ახოვანი, მავკანანი ახალგაზრდა (რა არ*

აშავა — ყეელი-პური და კეთილი გული... აი, საქართველოს მენიუ... რაც იქ სადღეგრძელო თქმულა... მისი ეშხით აქამდე ძლივს მიიტანა სული კაცმა და ახლა, მგონი, აღარც სადღეგრძელო ჭრის და აღარც — მიტინგები!

... მოკლედ, ვფურცლავ ამ ქართული ღვინის მატიანეს. გულში მოთმინების ფიალით ვსვამ იმ ნეტარსახსენებული დროის, ადამიანების სადღეგრძელოს და, უეცრად, 96-ე გვერდის თვალის ნამკიდეს, მაჯა მიჩქარდება!... დიდ ქართველ მრეწველ და მეცენატ დავით სარაჯიშვილთან (რომელზე დაწერილი სქელტანიანი კრებულის შემდგენელიც მე გახლავართ) ერთად მოხსენიებულია კიდევ ერთი დავითი — ჩემი სიყრმის მეგობრების — თამაზისა და საქვეყნოდ ცნობილი „ტურკეცას" მამა! დავით იაგორის ძე კალანდაძე, როგორც ქართული კონიაკის, არყის და ლიქიორის მწარმე და მისი დროის უხმაურო ქველმოქმედი! (რაზედაც მეტყველებდა მისი ის ერთადერთი სასამსახურო გრიფი და ერთობ მწირი ინფორმაცია, რისთვისაც იმ დროისთვის მიუკვლევია მკვლევარს).

საქართველოს საისტორიო ცენტრალურ არქივში — ერის მეხსიერებაში დღესაც ინახება იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის და დედოფალ ელენეს ხელმოწერილი სიგელი, რომელიც მე-16 საუკუნის ხნისაა. აქ, მეფური სეფე-სიტყვით, დამოწმებულია ვინმე გიორგი კალანდაძის ერთგულება და დამსახურება მეფის კარისადმი!

ისტორიული მასალები, ასევე, მოწმობენ კალანდაძეების გვარის ღვაწლს მეღვინეობაში.

...სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს!

გული სიამაყით ამევსო, როცა წარმოვიდგინე, რომ საშუალება მომეცა, ეს სულით და ხორცით ლამაზი კაცი (რომელსაც, სხვა სიკეთესთან ერთად, ისიც ახასიათებს, რომ „სილამაზის პრიზი" ჰქონდა აღებული საზღვარგარეთ!) ყველაზე დიდი სიკვდილისაგან — დავიწყებისაგან გადამერჩინა!...

მაშინვე შევხედი „მატიანის" ავტორსა და კალანდაძეების გვაროვნული სიკეთის კვალში მდგომ და, საერთოდ, კაი კაცობის დიოგენის ფანრით მაძებარ კაცს, შევახვედრე ჩემს ბავშვობის ძმაკაცებს — თამაზსა და გურამს („ტურკეცას") და, აი, უკვე, თქვენს წინაშეა სიკეთის შედეგი — მონოგრაფია — „კიდევ ერთი დავითი!" აქ, შემიძლია, გულზე ხელი დავიდო და ვთქვა, რომ ეს სათაური ავტორისადმი ჩემი ალავერდისაა, რადგან დღეს საქართველოში ისე ველარ ვდავითობთ... დავით! მაშინ, როცა დავით კურაპალატ თუ დავით აღმაშენებლიდან, დავით გარეჯელ თუ დავით რექტორამდე — დავითიან-ბაგრატოვანგორგასლიანთა დროშით, „ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ" დავითფერული ხმლით ისტორია თავზე გვადგას და ქართული გენი ყალყზეა!

ასე და ამრიგად, თქვენ წინაშეა წიგნი „კიდევ ერთი დავითი!" ნახეთ, როგორ შეუძლია ამ ჯადოსნურ ჯოხს — კალმისტარს რომ ვეძახ-

---

*შოთა რუსთაველი: აწღა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია.*

*ნოე ჟორდანია: მიყვარს დამარცხება, წაქცევა ცლახა აზრის, ცლახა მიმართულების, არ მიყვარს წაქცევა თვით ადამიანის.*

*განდიდების მანიით შეპყრობილისათვის გულწრფელი მეგობარი... უნიკაზია, რომელიც ადამიანს მის ვინაობას შეახსენებს (გ.ნ).*

ით, „დაბერტყოს" მტვერნაყრილი ისტორია და სამარადისო სიცოცხლე მიუსაჯოს კაცს!..

ვისაც წარ-სული ვარდის სუნს ურჩევნია;
ვისაც მოგონება ოცნებაზე უფრო ძვირი უღირს;
ვისაც გაელილი მეტი აქვს, ვიდრე გასაელელი...

იმისთვის ეს წიგნი მეგობარია, რადგან... ჩემი ერთი სლოგანისა არ იყოს (რომელიც გაზეთ „თანადგომის" უცვლელ „შპიგელშია" ალბეჭდილი): კაი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც, ვინც იხსენებს!

ალალი იყოს ეს წიგნი შენთვის — ალალ-მართალო მკითხველო და განმკითხველო, კაცო კეთილო!

ალალი იყოს შენთვის კეთილი თვალი, წიგნო კეთილო!

და ეს ლექსპრომტიც, რომელიც ეძღვნება მის ავტორს, ჩვენი „დიონისიების" ერთ მემატიანეს — ბონდო კალანდაძეს, კაცს — ფუტკარს, კაი აფთიაქარივით, წამლად რომ ეძებს სიტყვას!

## *ბონდო კალანდაძეს!*

ქართული მეღვინეობის „ბონდერსა" და მემატიანეს!

ძმური სიყვარულით, ჩვენი „დიონისიების" ერთი მემატიანე — გიზო ნიშნიანიძისაგან...

სიბრძნით — მოკლედ ითქმის სიტყვა გრძელი:
კაცი — სტუმარია, ღვინო — მასპინძელი!
თუ გინდა, კაცმა არ მოიწყინოს — უნდა გაართო.
თუ გინდა, კაცი გამოფხიზლდეს — უნდა დაათრო!
უხატოდ — ლოცვა არ ითქმის,
უღვინოდ — სადღეგრძელო.
კაცი — სტუმარია, ღვინო — მასპინძელი!
უღვინოდ არ ითქმის არც შესანდობარი,
არც ზიარება.
უღმერთოდ გზა ტაძრისაკენ არ იარება.
ღვინო ღვთაებრივი სიგიჟის
და სიყვარულის დამბადებელია...
ღვინო — მარადი ჭაბუკი და ბრძენი ბებერია!
ღვინო — დარდის ამცილებელია!
ღვინო — ლხინის გამცინებელია!
ღვინო — ჭირის გამცილებელია!
ღვინო — ქებათა მქებელია!
ღვინო — აწყვეტილი „ცერბერია"!
ღვინო — კეთილი ნების მნებელია!
ღვინო — თეთრად გამთენებელია!

*ხდება ამ პეკინზე!). აქეთ ჯანდაცვის სამინისტროს, იქით — მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, ახლა კიდევ შავკანიანი მათხოვარიც დაემატა (ნამდვილი პარადოქსია!), რომელიც შუქნიშანთან გაჩერებულ მანქანებთან მიდის და მძღოლებს დამტვრეული ქართულით ეუბნება: „დამეკმარეტ!"*

*„საქართველო და მსოფლიო", 25.11-01.12.09*

***P.S.*** *ერთი ახალი შავი კაცი ვარაზის ხევშიც შემომეფეთა. ეს აფრიკელები მგონია, აფრაკად არიან — ხელგამწვდილი მათხოვარი ჩვენი არ გვეყოფოდა, ოკეანის გაღმა და ვინ იცის, სად აღარ გარბიან მოწყალების სათხოვნელად?*

*ამასწინებზე, რუსთაველის თეატრიდან გამოსულებმა ახალი სცენა ვიხილეთ: ვიღაც ნაომარ, სამხედრო ფორმიან მათხოვარს „პროფესიონალი" მათხოვრები — ბოშები (თავის „ბოშებიანად") დაერივნენ, აწამეს, მათხოვრობაში რატომ გვეცილებიო!*

*აი, ასეთ „ციგნობასაც" ნახავს კაცი ამ ციგან დროში!*

ეს — მის გასაგონად, ეინც ღეინოს ეერ იტანს —
In vino veritas!...
ანუ ღეინოშია ჭეშმარიტება
ჭეშმარიტად!
პოდა —
ღეინოს დიდება!

ჩემი „პაემანი ვერაზე" ისედაც ვალში იყო კალანდაძეების ოჯახთან და დათიკო ბიძიასთან, ვისგანაც დიდი ხელგაშლილობა და ბევრი სითბო და სიტკბო გვახსოვს.

ვერელ ფოტოგრაფ „გრანტიკას" ამ ერთი სამახსოვრო სურათის ფულიც თამაზმა მამამისს — დათიკო ბიძიას გამოართვა, თავისი თეთრცხენიანი ფაეტონით რომ ჩამოგვეიარა ქუჩაში მოხეტიალე ბიჭებს. სურათის მარჯვენა კუთხეში თამაზ კალანდაძე დგას, იმავე კუთხეში კი თქვენი მონა-მორჩილი — გიზო ნიშნიანიძე ზის და, როგორც ხედავთ, ცა ქუდად ეჩვენება — დედამიწა... ქალამნად!

P. S. ...ესეც ასე! — ვფიქრობ გუნებაში და მეღიმება.

ახლა, შორიდან რომ შემომხედოს კაცმა და თბილისურად იკითხოს: რა აცინებს ამ კაცსო? მეორემ კი უპასუხოს: უხარია, რომ ცოცხალიაო! — ხომ იქნება მართალი!... და, კიდევ უფრო სწორი, თუ ისიც ეცოდინება და იმასაც გაითვალისწინებს, რომ... ბალზაკს, „მამა გორიოს" რომანის დამთავრებისას ცრემლები ნასკდომია და შინაურებისთვის უთქვამს, 5 წუთის წინ გარდაიცვალა მამა გორიოო (ვითომ, მწერლის ხელში არ იყო მისი გმირის სიკვდილ-სიცოცხლე!)

ჰოდა, ვის — რაში უნდა გაუკვირდეს ჩემი ღიმილი მაშინ, როცა კიდევ ერთი კაი კაცის სიცოცხლე გადავარჩინეთ სიკვდილს!

## „შენ ხარ ვენახი!"

ქართული ღვინის („რომლისგანაც არ გვახსოვს არცერთი წყენა", როგორც ერთი სიმღერა მღერის!) ღვთაება დიონისეზე ხნიერია! (ქართული ღვინის ასაკით თავი მოგვწონს და ცხოვრებაში კი „მთხლე" უფრო დიდი პატივშია. სპეციალური ტერმინიც კი შემოიღეს ხანდაზმულთათვის — „ჩარეცხილები"!).

„ულვინოთა ცხოვრება, განა, ვის ეკადრება"... მოარულ სიმღერად იქცა ქებათაქება იმ ღვთაებრივი სითხისა, რომლის სამშობლოდაც ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი — საქართველო ითვლება, რისი ახალი მოწმეც დღეს, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის — ლონდონის „ვინოპოლისი" და მისი საპატიო თავმჯდომარის ჰიუ ჯონსის წიგნია: „მოთხრობები ღვინოზე", რომელიც ალავერდს გადადის ზაურ ქოქრაშვილის ნაშ-

*მარკ ტვენი: ამერიკელი არის ადამიანი, რომელიც აკეთებს რაიმეს იმიტომ, რომ ადრე ამას ასე არავინ აკეთებდა.*

*დ. სანტაიანა: მთელი თავისი ცხოვრება ამერიკელი ან მატარებელში ხტება, როცა ის დაიძრა, ან მატარებლიდან ხტება, როცა ის ჯერ კიდევ არ გაჩერებულა. მიუხედავად ამისა, ის პლატფორმაზე არ რჩება და ვეხს არასოდეს იტეხავს.*

რომთან „ქართული ფენომენი — ღვინის ღვთაება ბადაგონი"! ამ უკანასკნელს ეპიგრაფად მიუძღვის ერთი ხალხური სტროფი, რომელიც ზიარების, სადღეგრძელოსა და შესანდობარის ამ ღვთიურ სითხეს ხალხურ რეკომენდაციას აძლევს: „არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმად მყოლია, ძველი ღვინო, ხმელი პური ნლით-ნლობამდე გამყოლია".

გაუყვები ქართული ღვინის სურნელით გაჟღენთილ ამ წიგნს და მარტო კითხვითაც ისე დათვრები, რომ „პახმელიაზე" გამოსვლა მოგინდება!

ჰოდა, ესეც ჩემი „ნაბახუსარი" დილის სიკეთე!

წინ მიდევს სუფთა ქაღალდი და მოგონებების ზღაპრულ სუფრას ვშლი!

ვაზთან და ღვინოსთან დაკავშირებულ „ზღვა მასალას, რაც ქართველ მეცნიერთა მიერ მარცვალ-მარცვალ არის მოპოვებული და შეკრებილი ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ფილოლოგიურ, ლინგვისტურ, პალეობოტანიკურ, ამპელოგრაფიულ და სხვა გამოკვლევებში, აუცილებლად სჭირდება მკითხველამდე მიტანა, ისტორიული მეხსიერების გამოსაფხიზლებლად და ამ მრავალ ასპექტიან-ნახნაგოვანი საკითხების გასარკვევად, ერის ცნობიერების მკვებავი უძველესი ერუდიციის გასააზრებლად, თორემ ისე მიდის საქმე, რომ ლამის საფლავში ავუსრულოთ ოცნება შაჰ-აბასს (ქართველს ქართველიც ეყოფა მტრადო!), რომელმაც, მისი აზრით, ერთი მუჭა ქვეყნის ძლიერების წყაროს — ვაზს მიაგნო და მისი აჩეხვა ბრძანა! სამწუხაროდ, „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო"!... ან იმ ფაქტს სად გავექცევით, რომ დაქცეულმა ქართველმა მევენახემ შვილივით ნაზარდ ვაზზე იყარა ჯავრი და საკუთარი ხელით ინება მისი ამოძირკვა! არადა, სნორედ ქართულ ვაზს უმღერა ჰიმნი დემეტრე მეფემ — „ვაზო, ლამაზოო!"

ქართველი კაცისთვის, ქართველი მასპინძლისთვის ღვინის გინება დედის გინების ტოლფასია. ერთი ფრთიანი ფრაზა ღვინის მსმელ კაცსაც კი განსაკუთრებულ პატივს მიაგებს: „მთვრალი კაცი — კაი კაციო"!

სხვაგან, ან სად გაიგონებთ ამას, ან სად გაგონილა ეს?

დღემდე მახსოვს ქუთაისის კარის გამღების და მარადიული მასპინძლის (რომლის მემორიალური ოთახიც კი არსებობს რესტორან „გოგისვანიძეებში") სოსო ხარაბაძის „საუკუნის შენიშვნა" ერთი ბნელი, „უკუნეთი მასპინძლისადმი" — პირველი გაკეთებული ღვინო რომ შემოაპარა სტუმრებს:

ახლანდელი კაცები ახლანდელ ქალებთან ისე შიშველ-ტიტველი დადიან, ადამ და ევას ფოთლების „საცვლები" გაგახსენდება. ერთი ასეთი წყვილის მოჩვენებაზე ერთი ასეთი ლექსი ამეკვიატა:

ვერაფერით ამიხსნია ასეთი „მისის" მისია —

ვერ გაიგებ, ეს მისი — მისია თუ სხვისია?

ვლადიმერ პუტინი: „საქართველოს გაერთიანება შესაძლებელია". ეს სიტყვები რუსეთის თავკაცის მიერ ითქვა სახალხოდ, ჩემი ძველი ნაცნობის, თბილისელი ევგენი (ჟენია) პრიმაკოვის 80 წლის იუბილეზე.

გაზეთი „ქართული სიტყვა" — გალაქტიონზე:

მთელი ცხოვრება თავს იგიჟიანებდა პოეტთა მეფე, რათა „ტროიკის" მარწუხებს გადარჩენოდა... დღეს კი მძვინვარე რეპრესიების მსხვერპლ ხელისდასხლეტილ პოეტს ფორმიანები „დარაჯობენ"!

ეს ღვინო არაა ვენახში ნამყოფიო! ე.ი. ვენახში არც „გაუვლიაო", ანუ არაფერი საერთო არ აქვს საქვეყნოდ სახელგანთქმულ ქართულ ღვინოებთანო!

მე თუ მკითხავთ, საქართველოს გაფუჭება... ღვინის გაფუჭებით იწყება!

ჰიუ ჯონსის წიგნის „მოთხრობები ღვინოზე" თავი და თავი ის თავია, რომელსაც სათაურად აქვს „სად იწურებოდა პირველი ყურძენი?" და, რომელიც, საქართველოს ეხება!

1991 წელს, მსოფლიო შეძრა სენსაციურმა ცნობამ, რომ საქართველოში (დმანისის ნაქალაქარზე) იპოვეს უძველესი ადამიანის ნაშთები: 4 თავის ქალა, 3 ქვედა ყბა, ათი კბილი, 30-ზე მეტი ჩონჩხის სხვადასხვა ნაწილი... ასევე, კბილბასრი ვეფხვების, ჟირაფების, მარტორქების, სპილოების, გიგანტური სირაქლემების და სხვა ცხოველთა ძვლები. სიცოცხლის ეს ნარჩენები დაახლოებით 1 800 000 წლისაა! „ქართველ მეცნიერთა აზრით, ეს არის პირველყოფილი ადამიანის ჯგუფის უძველესი წარმომადგენელი, რომელიც „მშრომელი ადამიანის" — „ჰომო ერგასტერის" სახელითაა ცნობილი და რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა „ჰომოგეორგიკუსი" უწოდეს..."

ღვინის ღვთაება — ბადაგონი... მხარიღლივ სატევრით, მარჯვენა ხელში ღვინით სავსე ყანწით და აღგზნებული მამაკაცური საწყისით (ფალოსით) დგას ახლა ჩემი შვილის — ზაზა ნიშნიანიძის ბიზნეს-ცენტრ „მეიდნის" ცენტრში, ისტორიით ამშვენებს მას და სულ სხვა აზრს აძლევს ძველი ტფილისის განახლებულ და თავზეხელაღებულ ცხოვრებას!

როგორც ღვინოს სვამს კაცი იმისათვის, რომ „ნაღმა იფიქროს ქვეყნის უკუღმა ტრიალი", ისე, ცარიელ ფურცელზე მოცეკვავე კალმისტარს ხაშმის საფერავივით, რქაწითელივით ათრობს ლურჯი მელანი.

„დღეისათვის საქვეყნოდ ცნობილია: უძველესმა ქართველმა ერმა თავისი, სრულიად განსხვავებული, ორიგინალური წვლილი შეიტანა მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში, რომლის უპირველეს გამოხატულებას, სწორედ, ქართული დამწერლობა წარმოადგენს, ერთ-ერთი უძველესი, მსოფლიოში არსებული 14 დამწერლობიდან (ლეონტი მროველი). არსებობს ქართული დამწერლობის სამი გრაფიკული სახე: „ასომთავრული (XIს-მდე); „ნუსხური" ანუ „ნუსხახუცური" (XI-XIX ს.) და „მხედრული", რომელიც ჩამოყალიბდა X ს. და თანამედროვეობამდე შემორჩა!"

ვაზისადმი ქართველი კაცის მოწიწება და სიყვარული ქართული ანბანის ორნამენტშიც კია ასახული!

ბადაგონის ბგერწერაც ხომ გადადუღებული ყურძნის წვენი — ბადაგია!

ქართული სიტყვა „ღვინის" სეხნიებია: ბერძნული „ოინო", ეოლიური „ვიონოსი", ლათინური „ვინუმი", გუთური „ვეინი", ფრანგული „ვინ"-ი, ინგლისური „ვაინ"-ი, გერმანული „ვეინ"-ი, რუსული, უკრაინუ-

---

*გ. მენკენი: ქველმოქმედება და პატრიოტიზმი ამერიკელის მთავარი ხარისხებია, რომელსაც სურს, რაიმე გაყიდოს.*

*ნაპოლეონი (ბონაპარტე): ცხვრების ჯარი, ლომის მეთაურობით, ყოველთვის გაიმარჯვებს ლომების ჯარზე, თუ მათ სათავეში ცხვარი უდგათ.*

ლი, ბულგარული, სერბო-ხორვატული, ჩეხურ-სლოვენური, პოლონური „ვინო", სომხური „გინი" (რა სჭირს საგინებელი!), ებრაული „იაინი", ეთიოპიური, არაბული „ვაონი"...

სასწორის ეტლს (ზოდიაქოს): 23 სექტემბრიდან — 22 ოქტომბრამდე... შემოდგომის ამ ასტროლოგიურ თვეს, ძველქართულად „რთველი-საი" ანუ „ღვინობისაი" ეწოდება.

ბერმუხის — რეზო ინანიშვილის სოფელ ხაშმ-ში, საფერავს „დევის სისხლს" ეძახდნენ და, საერთოდ, ამ რანგის ღვინოებს: ხვანჭკარას, ოჯალეშს, ალექსანდროულს... ღვინო კი ერქვათ, მაგრამ წამლადაც ხმარობდნენ!!!

რამდენჯერ უნდა დავიფიცო: ჩემი თვალით მინახავს მოსკოვის აფთიაქების სამკურნალწამლო საშუალებებში ქართული ღვინოები: საფერავი, ხვანჭკარა და უკვდავების წყალი — ბორჯომი.

...ერთხელ, სააგარაკოდ, ბორჯომში, შეილიშ-ვილებთან ჩემი მანქანით მიმყავდა გურული სიდ-ედრი, რომელიც მთელი გზა გაბუსუნებული იჯდა და ხმა არ ამოუღია, სანამ... ჩემმა სკოლის ძმაკაც-მა თამაზ კალანდაძემ ასეთი ინფორმაცია არ „გაა-ჟღერა": ამერიკელებს, თურმე, აღმოუჩენიათ, რომ ჩვენი საფერავი, უიშვიათეს ღვინოობასთან ერ-თად, უებარი ანტიკანცეროგენული საშუალებაა და გადაუწყვეტიათ ქართველებთან დიდი ბიზნე-სის წამოწყება...

— გამოგზავნონ კაცი და ჭურჭელი! — გაისმა ჩემი აქამდე ხმაგაკმენდილი სიდედრის მომწარო ბიზნეს-ფრაზა, რაც, ალბათ, იმას ნიშნავდა, რომ ჩვენ არაფრის მაქნისები არ ვართ — არც კაცი გვყავს და არც ჭურჭელი გვაქვსო!

მთლად მასეც არ იყო საქმე, მარა, კაცმა რომ თქვას — არც არაფერი უკლდა იმ „წითელა ბა-ტონების" დროში.

ზემოხსენებულ წიგნში კი, ქართული ღვინის ეშხის ამ აურითა და ზაურით (თუნდაც ქოქრაშ-ვილით) ისე მხნედ გამოვიყურებით, როგორც ჩვე-ნი ქართული ღვინოები, რომლის დასახელებაც კი ერთ სამოთხის სუფრად ღირს: „წითელი და ვარდ-ისფერი ყურძნის ჯიშებიდან აღმოსავლეთ საქართველოში აღსანიშნავია საფერავი, შავკაპ-იტო, ასურეთული (ომის დროს, ჩემს ნათესავ გო-ცირიძეებში „ვაფარებდით" შიმშილს თავს და პატ-არა ქალაქელ ბიჭს თოხნისაგან გადაყვლეფილი მქონდა ხელები); თავკვერი და სხვა. დასავლეთში: ოცხანური, საფერე, ალექსანდროული, უსახე-ლოური, ალადასტური, ძველშავი, ჩხავერი, ოჯალეში, კაჭიჭი, ორბელური და ა.შ. ეს ჯიშები

*„კაქაქმა, უთხრა ყვავსო...*
*ძალიან კარგადაც ეხვდებით, რა უთხრა კაქაქმა ყვავსო, მაგრამ რითმისთვის ყვე-ლაფრის თქმა არ შეიძლება.*

*<u>საუკუნის ორაკლი აბამიძე</u>*
*დღეს ასი წლის ხარ, ესე იგი, საუკუნის... სა-უკუ-ნისა რა მოგახსენო, მაგრამ შენი სამშობ-ლოს უკუნიც შენვე გერგო წილად. ისიც მინდა, ვთქვა, მაშინ მაინც სხვა დრო იყო, შენ ებრძოდი უკუნს — საუკუნი-სას... მამულის უკუ-ნს.*
*დღეს „ჩემი ნაც-ნობნი ბნელით მოც-ულან" — ეს სიტყვე-ბი ფსალმუნიდანაა, მაგრამ რა ვქნა, დღესაც ასეა.*
*შენგნით დანთებუ-ლი ცეცხლი პოეზი-ისა მზესავით ენთო ქართველ ხალხს!...*
*ცხოვრების ყველა ზვირთში ერიე!*
*ხმა კაცამიონთან*
*ო, ენავ ჩემო,*
*დედაო ენავ,*
*შენ, ჩვენო ნიჭო,*
*სრბოლავ და ფრე-ნავ,*
*შენ, ჩვენი სუნ-თქვის დიდო ალამო,*

იძლევიან თელიანს, ნაფარეულს, მუკუზანს, ყვარელს; სუფრის ღვინოებს: საფერავს, ოცხანურის საფერავს, ალექსანდროულს, ალადასტურს და სხვა... საქვეყნოდ ცნობილ ბუნებრივად ნახევრადტკბილ წითელ ღვინოებს — ხვანჭკარას, ქინძმარაულს, ახაშენს, ოჯალეშს, უსახელოურს".

მათ სახელებს ოდითგან (ჭირისუფალ-ლხინისუფლებივით) მონინებით ახსენებენ საქართველოში.

საქართველოს ყურძნის უნიკალური, ენდემური სახეობები — რქაწითელი, კახური მწვანე, გორული მწვანე, თეთრი ბუდეშური, ხიხვი, ქისი... დასავლეთის: ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, გორული მწვანე, რაჭული წულუკიძური (ბებია არ მყავდა „პოვარი", რავარც ერთ სიმღერაშია, მარა მისი წულუკიძეობით ახლაც მომწონს თავი!), თეთრა, ჩხაველი, ოჯალეში... მარტო რქაწითელის ვაჟკაცობა თქვი... რამდენ სამარკო ღვინოს იძლევა: წინანდალს, გურჯაანს, ნაფარეულს, რქაწითელს, ტიბაანს; ახლა სუფრის ღვინოები: კახეთი, ჰერეთი, გარეჯი... ახლა დასავლეთ საქართველოისაც ვთქვათ: ცოლიკოური, ციცქა, სვირი, კრახუნა... ნახევრადტკბილი: თეთრა, ტვიში (მაბოდებს ტვინში), ჩხაველი... აქეთ, გულქართლი კამკამა ატენური, მუხრანი, ბაგრატიონი...

ამ წიგნშივეა ქებათაქება ქართული კონიაკის მესაძირკვლის, რევოლუციის წლებში საფლავშიაც კი დევნილი და ჩვენგან, პირადად ჩემგან (ან ჩემს თავს რაზე დავუკარგო!), ნაჭირისუფლარი კაცის, ვაკის სასაფლაოდან ქაშვეთის ეკლესიაში გადმოსვენებული მისი ქტიტორის — დავით სარაჯიშვილის, რომელიც 1911 წელს დაკრძალეს, როგორც მეფე (დიდუბის პანთეონში), 1938 წელს მოთხარეს, როგორც მონა (რადგანაც იგი, თურმე... როგორც ქვეყნის მაშინდელი ბატონ-პატრონები თვლიდნენ, არ შეეფერებოდა საპანთეონო ნომენკლატურას) და... 1994 წელს მივაბარეთ ქაშვეთის მიწას, როგორც წმინდანი!

აჰა!... ესეც შენი კიდევ ერთი ალთადან — ბალთამდე...
თვით სიყრმის მზემდე და დედის ტკბილ კალთამდე!
აქვე რომ გავთავდე... ასე მირჩევნია.
ამ ჭიალუობას... ოცნება სჯობია.
ეს ჩემი გულისთქმა... კალმისტრის ჰობია!

* * *

კაცისათვის მთავარია, რისთვის ცოცხლობს, რისთვის კვდება?
რა სახელი მიაქვს — იქით, რა სახელი — აქეთ რჩება?...
დარქმეულს და შერქმეულში სხვაობაა ერთობ დიდი —
რა სახელით — მოდის კი არ... რა სახელით... კაცი — მიდის?
ვინც იკავებს ღვთიურ ნიშას, ეძახიან იმათ კაცებს,
პოდა, ჩვენ ამ კითხვის ნიშანს — ძახილადაც გადაეაქცევთ!

---

*ნაპოლეონი (ბონაპარტე): ხიშტებით შეიძლება ყველაფერი გააკეთო, რაც მოგესურვება, მაგრამ მასზე ჯდომა შეუძლებელია.*

*ვიქტორ მარი ჰიუგო: ორმოცი წელი სიყმაწვილისა — სიბერეა, ორმოცდაათი სიბერისა — სიყმაწვილეა.*

# ძველი და ახალი „თბილისობის ექო“

## (სადღეგრძელო)

როგორც ქართული ენციკლოპედია გვიმოწმებს!..

„ტფილელი ბერნი“ და „ქალაქის ბერნი“ მოხსენიებულნი არიან „მატიანე ქართლისაში“, ჯერ კიდევ XI საუკუნის 40-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით. ამ ტერმინის შესატყვისი უნდა იყოს „ქალაქის თავადნი“, „ქალაქის უხუცესნი“!.. ვარაუდობენ, რომ „ტფილელი ბერების“ ინსტიტუტი, თბილისის საამიროში, გაჩნდა არაბთა ბატონობის დროს. მათი ხელისუფლება ქალაქის ამირას კარზე, ქალაქის თვითმმართველობის ორგანოს წარმოადგენდა.

XI ს. 80-იანი წლებიდან (ჯაფარიან ამირათა გადაშენების შემდეგ) 1122 წლამდე (თბილისის გაერთიანებულ საქართველოსთან შეერთებამდე), „ტფილელი ბერნი“ ტფილისის სრულუფლებიანი გამგებელნი შეიქნენ.

1000 წლის შემდეგ, XI-XII საუკუნეებში, მიესალმოთ მათ სულიერ შთამომავალთ — „თბილისის საპატიო მოქალაქეებს“, რომლებიც ყოველი წლის „თბილისობის“ ზეიმზე საზეიმოდ ეახლებიან დედაქალაქს, რომ, როგორც შვილებმა დედას, დედაშვილობა უთხრან და სრულიად საქართველოსთან, თბილისთან და თბილისელებთან ერთად, კიდევ ერთხელ აღავლინონ ლოცვა — ღმერთს შეავედრონ ერთ დროს ორიენტალისტურ სამყაროში „სახლად სიხარულისა“ წოდებული თბილის-ქალაქი!

და, აი, ისინიც... დღევანდელი „ტფილელი ბერნი“, „ქალაქის თავადნი“, „ქალაქის თავქალნი და თავკაცნი“, „ქალაქის უყმაწვილეს-უხუცესნი“.

სალამი თქვენდა, „თბილისის საპატიო მოქალაქენო“ — ქალბატონებო და ბატონებო!

ნანი ბრეგვაძის ვენახებიდან თბილისში დაწურული ღვინით ვადღეგრძელოთ „ვაზი ლამაზი“!..

კალანდაძესა ანასა — ქარი უმღერის ნანასა...

აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე — ღვთისმშობელი მარიამის წილხვედრი ქვეყნის... საქართველოს წილხვედრი მარიამი!

მრავალშვილიანი დედის — მანანა აბრამიშვილ-ფეტვიაშვილის წყალი გადასხმოდეთ ქართველ დედებს, უკვდავების წყალივით რომ სჭირდებათ დღეს საქართველოს საკადრისი ღირსეული დედობა!

---

*შენ, ქართა ჩვენთა ტკბილო მალამო,*
*შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კართა,*
*შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.*

***P.S.*** *2009 წლის პირველ დეკემბერს რუსთაველის თეატრში მოეწყო მისი საუკუნოვანი ათე-ლის დღე და ეს დღე მისი ლექსისა და კაცობის დღესასწაულად იქცა.*

*სალამის ფინალი კი დიდი ირაკლის მზისგან ხელით შუბლმოჩრდილული ერთი უბრალო სა-ჯახო ფოტოსურათი იყო, რომელმაც იქეთ მოგვჭრა თვალი, როგორც (ჭირისუფლების დასანახად) მისმა საიქიოდან — სააქაოს გამოხედვამ, რამაც ჟრუანტელივით დაუარა დარბაზს!*

*დავით მხეიძე:*
*„მე თბილისის ყველა ქუჩა ვიცი!“...*
*„რომ იყო ქუჩის ბიჭი, ამასაც უნდა ნიჭი“ (ანანიას სალუქვაძე — მოთას ბიჭი!)*

*არის „საქველმოქმედო“ და არის საქველმოქმედო ფონდებიც და ფანდებიც!*

*ფონემების თუ მორფემების — ქარ-*

ქალი-სასწაული — სოფიკო ჭიაურელი!

მსოფლიო ხუთგზის დედოფალი ჭადრაკში — ნონა გაფრინდაშვილი!

ბარემ, კაცებიცა ვთქვათ!

„ბარემ" პალინდრომია: წაღმაც იკითხება და უკუღმაც: თავიდან „ბარემ" — ბოლოდან მერაბია! ჰოდა, სახელი თუ ვიცით, გვარის მიხვედრა არ გაგვიჭირდება — ბარემ — მერაბ ბერძენიშვილს მივესალმოთ: „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი!"

...როს სააკაძის ფარ-ხმალი დღესაც სამშობლოს მწედ არი,
როცა ჭიხვინებს ულაყი, მისი პატრონის მზედარი!..
როცა ნოსტეში ლაგამს გლეჯს მისი ბრინჯაოს მხედარი,
გმირი, თუნდ ქვაში ცოცხლობდეს, სოფელი მაინც მხნედ არი!

„დათა თუთაშხია" — ჭაბუა ამირეჯიბი!

ორი გიგა!

ქართული სახიობის სახე — გიგა ლორთქიფანიძე და ქალაქის სახე, თბილისის ქვაში მემატიანე — გიგა ბათიაშვილი!

სცენის მეჯადოქრე — რობერტ სტურუა!

კალამდარი — ჯანსულ ჩარკვიანი!

ათასსახიანი კაცი „ცარცის წრიდან, კაცი-სამართალი... სახელად აზდაკი ანუ რამაზ ჩხიკვაძე!

საქართველოს მემატიანე, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, ბაგრატიონთა შტოდან — ჯანო ჯანოს ძე!

ქართული კინოს თავკაცი — რეზო ჩხეიძე!

დიაგნოსტიკური ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს მაჯის შემტყობარი, საქართველოს ნესტანების, ტარიელების, ავთანდილების მკურნალი — ფრიდონ თოდუა!

დიდი თამარის სეხნია და სრულიად საქართველოს სიცოცხლის სადარაჯოზე მოწყალების უპირველესი და — აკადემიკოსი თამარ დეკანოსიძე!

აკადემიკოსი ნოდარ ყიფშიძე!

ქართული სპორტის მშვენება — მზია ჯუღელი!

ქართული სცენის მშვენება და ქართველი დედის განსახიერება მედეა ჩახავა!

„ცივ გომბორიდან კახეთში ირმების გადმოსახედი" — ბადაგივით მდუღარე კომპოზიტორი ნუნუ დუღაშვილი!

თბილისის ემბლემა და მის ხელრთვის დიდოსტატი — ემირ ბურჯანაძე!

თავად კალმით ნახატნი და ყალმით მხატვარნი — ზურაბ ლეჟავა, მურაზ მურვანიძე!

ამიერკავკასიის ცხვირპირისმტვრეველი და მრუდის გამსწორებელი — ვახტანგ ხურციძე! (ტეხავს და ასწორებს ის უსწორ-მასწორებს — ფირმა „ნოპე"!)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და მსოფლიო აკადემიათა საპატიო წევრი — თამაზ გამყრელიძე!

საქართველოს ისტორიის მეკარიბჭე — აკადემიკოსი როინ მეტრეველი!

---

*ბირსი: აფორიზმი დაღეჭილი სიბრძნეა.*

*კრაუსი: აფორიზმი მთლიანად არასოდეს ემთხვევა ჭეშმარიტებას; იგი ნახევარი ან ერთნახევარი სიმართლეა.*

თბილისის „ალმომჩენი" ხოხბის მეგობარი — „მიმინო" ვახტანგ (ბუბა) კიკაბიძე!

ზარების მრეკველი და თბილისის მუსიკალური მესიტყვე — ქართული ფეხბურთის ჰიმნის ავტორი ვაჟა აზარაშვილი!

სახელგანთქმული პოეტები: თამაზ ჩხენკელი, რევაზ ამაშუკელი!

ცნობილი პედაგოგი ლამარა მარგველაშვილი!

საქართველოს განსახიერება — მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ლევან თედიაშვილი!

ოლიმპიური ჩემპიონი რაფაელ ჩიმიშკიანი!

ვანო სარაჯიშვილის სეხნია და თვითნაბადი ოქრო, თბილისის კოლორიტი ვანიკო მაჭავარიანი!

და, ბოლოს, მეც, თქვენი მონა-მორჩილი, თბილისის კიდევ ერთი „მეტრფე" კაცი, რომელმაც, ათეული წლების წინ, მთელ თბილისს დაუნიშნა „პაემანი ვერაზე"!

მობრძანდით, გელით გაშლილი ხელით!

გელით ძველი თბილისი და თქვენს ახალ სიტყვას ელის...

ალავერდი თბილისელებთან!

2006 წ.

თელად ერთობ არასიმპათიურად ჟღერს გამინაურებული უცხო სიტყვა „ჰოლდინგი", რომელიც „ჰოლით" იწყება და „დინგით" თავდება!

ვახტანგ რჩეულიშვილი („ცეკვის პოიხცის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი): მიმაჩნია, რომ ჩემი ცხოვრების გაზაფხული საბჭოთა პერიოდში იყო. მართალია, შეზღუდვები გვქონდა, მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი, ქალებს მოვწონდი, ვქეიფობდი, დროს ვატარებდი.

თბილისში ცხოვრება აღარ მინდა. გაზაფხულზე, ზაფხულსა და ზამთარში მათუშში ვიქნებით, შემოდგომაზე კი თელავში წავალთ. თბილისი უხეში ქალაქი გახდა. რომ მახსენდება გადაკეტილი ქუჩები, მიტინგები, კარვები, ცემა და „ნა-და"-ის დაუსრულებელი დრიალი, ტანში მზარავს.

სააკაშვილის ბევრი რამე მომწონს, მაგრამ რაღაცები არ მომწონს. მაგალითად, შევარდნაძის ჩაი რომ დალია, მაგას მე ვერასოდეს გავაკეთებდი.

„რეიტინგი"

## „თბილისის ისტორია"

„შენ აგიხსნია ბეერი ქარაგმა!...
ქორონიკონის კენტი და ლუწი,
მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა —
რა სურათები მოქარგა უწინ!"

ასე გასძახოდა ხარფუხიდან დედაქალაქს ძველი ტფილისის ტრუბადური იოსებ გრიშაშვილი, კალამი ყაისნაღივით რომ ეჭირა ხელში და თბილისის სიყვარულს ქსოვდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა (სადაც ჟურნალისტიკიდან დევნილი თუ „ლტოლვილი", ერთ დროს მეც ვმუშაობდი და სადოქტორო დისერტაციაც დავიცავი თემაზე: „საქართველოს პრესა და რადიომაუწყებლობა მეორე მსოფლიო ომში — 1941-1945წწ.) გამომცემლობა „მეცნიერებაში" დასტამბა ფუნდამენტური ნაშრომი „თბილისის ისტორია" (3 წიგნად). პატივი და ერთი სული მაქვს, კიდევ ერთხელ გადავშალო იგი (მკითხველთან ერთად). ასე რომ, ჩვენ წინაშეა „თბილისი — უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე"!

32. გეოლოგიურად, თბილისის ტერიტორია მესამეული ეპოქის ზღვის ფსკერს წარმოადგენდა.

ახლო წარსულში მას რამდენიმე ხევი ჰკვეთდა: სოლოლაკის, ეკალხევი, ვარდისუბნის, გაბაანთ, კუკიის, ჩუღურეთის, ვარაზისა და სხვა. მტკვარს თბილისში ერთვის მცირე მდინარეები — ვერე და ნავკისის წყალი ან ლეღვთახევი. ახლა, ტბები: კუს, ლისის, გლდანის. მდინარე იორი კი, იმდენი ქნა, რომ თბილისის ზღვადაც დაგუბდა და ზღვა-სიხარულადაც იქცა!

ტფილისში ნასახლარებს უკვე 6000 წლის წინ ვაწყდებით!

ვაჟა-ფშაველას გამზირზე მიმდინარე სამუშაოების დროს აღმოჩნდა უძველესი დასახლების ნაშთი, ე.წ. „დელისის ნასახლარი"!

ლეღვთახევში დღემდე შემორჩა გოგირდის ცხელი წყლების კვალი, საიდანაც მოდის დედაქალაქის — თბილისის სახელი!

აქ დომინანტურ-ანთროპოლოგიურ ტიპს წარმოადგენდა: დოლიქოკრანული (გრძელთავიანი) ლეპტროპროზოპრული (ვიწროსახიანი), ლეპტორინული (ვიწროცხვირიანი), მკვეთრად პროფილირებული სახისა და ცხვირის მქონე გრაცილური კომპლექსის ადგილობრივი ვარიანტი, რომელიც ზოგად რასობრივ სისტემატიკაში ხმელთაშუაზღვისპირული რასის სახელითაა ცნობილი.

რაც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობის პალეოანთროპოლოგიაზე თქმულა, შეეხება თბილისის რეგიონის იმავდროინდელ მოსახლეობასაც. პირველი თბილისელები შთამომავლები იყვნენ ამავე რეგიონის ძველი და უძველესი მოსახლეობისა. თბილისის თანამედროვე მოსახლეობა შედის აღმოსავლურქართული ანთროპოლოგიის ტიპის შემადგენლობაში, რომელიც სამხრეთქართულ ანთროპოლოგიურ ტიპთან ერთად ქმნის წინააზიური რასის იბერულ ვარიანტს.

ბიზანტიელთა ბრძოლა თბილისისთვის!

კალას ციხის დამცველთა მიერ გოგრაზე ხაზართა მბრძანებლის ჯიბღუ ხაკანის კარიკატურული გამოსახვა, ჰერაკლე კეისრის მასხრად აგდება და თბილისის ციხისთავის ნაადრევი სიხარულის საყოველთაო გლოვით შეცვლა. „მდინარენი სისხლისანი დიოდა"!.. როცა შეწყდა განწირულთა „ხმა ტირილისა", მაშინ მტერმაც გაიგო, რომ „დაძლნენ მათი მახვილნიც".

ბიჭოს!.. ეს რა შთამომავალი შერჩენია დღესაც თბილისის ძველ ციხისთავს, ახლაც გამარჯვებას რომ ეძახიან დამარცხებას, ავიწყდებათ წინაპრის დანაბარები — დათვი თუ მოგერევა, „ბაბაია" დაუძახეთო და ფინიებივით უყეფენ მხეცს!

...ერთ დროს თბილისი გამარჯვებული ფეოდალური კლასის მეთაურის, ქართლის ერისთავის რეზიდენცია იყო. „მცხეთა ათხელდებოდა და თბილისი ეშენებოდა!"

Xს. არაბი გეოგრაფი ისთაპრი წერდა: ტფილისი... სიმდიდრით სავსე ადგილია... აქვს თბილი წყლები, მსგავსად ტიბერიისა, უცეცხლოდ ცხელი". იმავე საუკუნის არაბი ისტორიკოსი იბნ ჰაუკალი წერს: თბილისი ამიერკავკასიის მეორე ქალაქია და სიდიდით მხოლოდ დარუბანდს ჩამოუვარდებაო. ამავე საუკუნის არაბი ტაბარის ცნობით, თბილისს 5 კარი აქვს: მაიდნის კარი, კარის კარი, მცირე კარი, სოლდებილის კარი, რაბადის კარი.

---

*ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე: აფორიზმი და სენტენცია მარადისობის ფორმებია.*

(დღეს „მაიდნის კარის" პირველი „კარისკაცი" „მეიდანპალასია", რომლის მესვეურნი ჩვენა ვართ!)

81. ... ქართლის სამეფო სასანიანთა ირანის ვასალი იყო და, ქრისტიანობასთან ერთად, აქ კანონით დაშვებული გახლდათ ცეცხლთაყვანისმცემლობა. ქრისტიან ეპისკოპოსთან ერთად, მეფის კარზე მოგვთა მეთაური იჯდა, რომელსაც საისტორიო წყარო „სპარსთა ეპისკოპოსად" მოიხსენიებს.

სომეხი ისტორიკოსი უხთანესი თბილისს „საკვირველნაშენ" და საოცარ, სახელოვან და გამორჩენილ დიდ დედაქალაქად მოიხსენიებს.

101. დავით IV აღმაშენებლის სახელმწიფოს გაძლიერებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიასთან ურთიერთობის გაუმჯობესებასა და დამოყვრებას. 1116 წელს, დავითის ასული კატა კეისრის რძალი გახდა. მასზე წინ მისი უფროსი და — თამარი შირვანშაჰს გაჰყვა ცოლად. თვითონ მეფის მეუღლე გურანდუხტი ყივჩაღთა მთავრის ასული იყო.

106. თამარის ეპოქაში, რომელიც სამხედრო-პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი იყო, საქართველომ იზეიმა გამარჯვება აზერბაიჯანის ათაბაგ აბუბაქრზე, შამქორთან ბრძოლაში (1195წ.) და რუმის სულთანის ძალებზე, ბასიანში, ერზერუმის ახლოს (1203წ.). ქართველებმა აიღეს ქ. კარი (1205წ.) და წარმატებით განახორციელეს ლაშქრობა ირანში (1210წ.).

საქართველოს მოხარკეები აღმოსავლეთში იყვნენ ირანის აზერბაიჯანის ამირა და ერზინჯანის სულთანი. საქართველოს ვასალი იყო ტრაპიზონის იმპერია. აშკარა იყო გავლენა შირვანზე, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებზე, დაღესტანზე და სხვა. თბილისის სახელი განუხრელად იზრდებოდა.

107. საქართველომ ბევრი რამ გააკეთა თურქთაგან სომეხი ხალხის ფიზიკური გადარჩენისათვის.

109. დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელს დაევალა იური ანდრია ბოგოლუბსკის ძის ჩამოყვანა თამარის საქმროდ.

...ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნში (XIV) დიდი „საპატიო ვაჭრის" სისხლის დაღვრა ათას თეთრადაა შეფასებული, რითაც იგი მეფის მსახურთანაა გათანაბრებული. სამართლის იმავე ძეგლით, გლეხის სისხლი მხოლოდ 400 თეთრი ღირდა (ახლა, კაპიკია ორივეს ფასი. თუ პატრონი არ გყავს

---

ეკა ხერხეულიძე (პარლამენტარი): დარწმუნებული ვარ, ჩემი ბავშვობის ოცნებას ავიხდენ და აფხაზეთის კურორტებს მალე ვესტუმრები.

„რეიტინგი"

P.S. მეოცნებე პოეტი გამიგია, პოლიტიკოსი — არა!

მერი ციცვიხაძე: უფალმა — ჩვენმა ღმერთმა ეს სამყარო შექმნა, გადმოხედა ზეციდან და პირიქით ნახევარკუნძულმა, იმერეთის ქვეყანამ, ამ მთვარეულმა და ყოველმხრივ შემკულმა მხარემ განსაკუთრებით მოხიბლა თვალი: და იფიქრა ღმერთმა, ეს მართლაც და წარმტაცი მიწიერი სამოთხე უთუოდ მეტოქეობას გაუწევს ზეციურ სამოთხესო, და მეც სიფრთხილისთვის ქვეყანას დაუნიშნა... უვარგისი მთავრობა...

P.S. ამ საქმეში ღმერთის კი არა, ეშმაკის ხელი ურევია!

„ჩვენი ეპოქა".

მხატვარი თემურ გოცაძე: აღარ მინ-

ან უმრავლესობაში არ ხარ!)

XI-XIIსს. თბილისში ამზადებდნენ ტყავისყდიან ხელნაწერ წიგნებს. მუსულმანურ ქალაქებში მწიგნობრებს „ამიდი" ენოდებოდათ.

113. ალ-ფაკირის ცნობა: XIIს. დავით აღმაშენებელმა ქალაქის მოსახლეობაზე გაანესა ასეთი ოდენობის გადასახადები: ქართველები წელიწადში იხდიდნენ 5 დინარს, ებრაელები — 4-ს, მუსულმანები კი — 3-ს.

XIIIს. ჟამთააღმწერელი იუწყება, რომ ჯალალ ედ-დინმა თბილისში 100 000 კაცი ამოწყვიტა (თუმცა, რეზო მიშველაძეს ეჭვი ეპარება მემატიანის ცნობაში და იგი გადაჭარბებულადაც კი ეჩვენება — გ.ნ.).

სამოხელეო არისტოკრატია ირანში იყო დაბინავებული.

119. მმართველობის სხვადასხვა უწყებათა მეთვალყურეებს მუშრიბებს ეძახდნენ, პოლიციელებს — შურტებს. კონტროლი არამუსულმანებზე, ბაზრებზე, ნიხრის დანესებაზე, ზომა-წონის ანუ სასწორის სისწორეზე ევალებოდათ მუჰთასიბებს. ყადი — ისლამური სამართლის მსახური, მსაჯულ-მოსამართლე იყო.

124. თბილისის უბნები და მოედნები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ ქუჩებით ანუ შუკებითა და ფოლორცებით. ერთი ტვირთმზიდი არტერია... დედა-მდინარე მტკვარი იყო! ქალაქი ბაღნარობდა მისი მრავალრიცხოვანი ბაღებით („სამყაროს საკვირველებათა" ცნობებით).

მთაწმინდის ქვედა ნაწილში გამოვლენილია (XIIს.) მიწაში ჩალაგებული თიხის წყალსადენის ნაშთები.

131. XIIს. შეიქმნა საერო-მხატვრული პოეზია, რომელსაც, უმთავრესად, საკარო-სახოტბო შინაარსი ჰქონდა. ჩახრუხაძის „თამარიანი", იოანე შავთელის „აბდულმესიანი"; ან ქება თამარისა და დავითისა. ვარაუდობენ, რომ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც" თამარის კარზეა შექმნილი.

მეფე-ქალის საქებრად ამეტყველდნენ ქართველი პოეტები, ერაყელი მეუბნენი და მეჩანგენი, ბერძენთა და ფრანკთა მეზღვაურნი, რუსთაველი, ჩახრუხაძე, შავთელი. „თამარიანი" ქართული სახოტბო პოეზიის მაღალმხატვრული, პანეგირიკული ძეგლია.

ჩახრუხაძე ამბობს, რომ თამარ-ქალის სრულყოფილი ქებათაქება მხოლოდ არისტოტელეს თუ ძალუძს, როცა თვითონ იგი სწორუპოვარი მელექსე იყო — შეუდარებელი ლექსთწყობითა და რითმათა მუსიკალობით.

135. მრავალი ცნობა მოიპოვება თამარის მეცენატობის შესახებ. თამარის თბილისური სასახლე მწერლებისა და მეცნიერების ნამდვილ საერთო საცხოვრებლად იქცა, სადაც იმართებოდა მეჯლისები და დღესასწაულები მგოსანთა მონაწილეობით. მემატიანის ცნობით — „იქმნა სიხარული გამოუთქმელი..." „მუტრიბთა და მოთამაშეთა"... „ზმა მგოსანთა და მუშაითთა". არის ისტორიული წყაროები ლიტერატურული პაექრობა-შეჯიბრებებისა (ქართველ და ირანელ პოეტთა შორის), რომელიც თამარის კარზე გამართულა შირვანშაჰ ალსართან II-ის თბილისში სტუმრობის დროს (მის კარზე ცხოვრობდნენ სახელგანთქმული პოეტები ხაკანი და ნიზამი განჯელი). არის მოსაზრება, რომ ეს უკანასკნელი თბილისშიც ახლდა შირვანშაჰს.

მოკლედ, მხატვრული სიტყვა დუღდა და გადადუღდა! ახლა კი მწ-

ერლებს საერთოდ გამოუხურეს კარი მაჩაბლის 13-ში, მწერალთა კავშირის სასახლეში, რომელიც შემოქმედებით ინტელიგენციას უანდერძა მისმა მფლობელმა — დიდმა ქართველმა მეცენატმა და ქართული კონიაკის მესაძირკვლემ დავით სარაჯიშვილმა (და, არა ხოშტარიამ!). მე გახლავართ დავით სარაჯიშვილის საიუბილეო კრებულის შემდგენელ-რედაქტორი და კარგა ხანს ვიმუშავე მის მასალებზე, რაც მაძლევს ამის თქმის საფუძველს. ილიას და აკაკის განუყრელი მეგობრობაც კი დავით სარაჯიშვილთან და მისი იგავმიუწვდომელი ქველმოქმედების აღიარება... სრულიად საკმარისი საბუთია ამ ისტორიული სინამდვილისა.

თურმე, აკაკის როცა ჰკითხავდნენ, როგორ გიკითხოთ, ბატონოო... პასუხობდა: გამიგეთ, როგორაა დათიკო სარაჯიშვილი და გეტყვით, როგორ ვარ — მისით მიდგია სულიო!

ასე რომ, ამას არაფერი საერთო არა აქვს მწერალთა სახლის დღევანდელ ნეწვა-გლეჯვასა და შენია-ჩემიობასთან!

144. „მზე მეტია რუსთაველთან, ვიდრე ხატიც კი, ჩვეულებრივი ქრისტიანული რელიგიური წარმოდგენით... ამით აიხსნება აზრი ამ სტრიქონებისა: „აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა, ვინ მდაბალთა აამაღლებ, მეფობასა მისცემ, სვესა, მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა"-ო!

149. სახიობა პოეტური სიტყვის, მუსიკის, ცეკვისა და სხვა რიგის გასართობთა აღმნიშვნელი სიტყვა იყო, ხოლო „მემღერე", „მესახიე", „მსახიობელი" — მსახიობი! ტრაგიკოსს — „გლოვის მგოსანს" ეძახდნენ. „განწმენდა" (კათარზისი), „განსწავლა" საზოგადოების სულიერი წვრთნის მიზნებს ემსახურებოდა... მრავლისმეტყველია, აგრეთვე, „სიმღერის მწერალი", „მოშაპირე" (ახლა — მოშაყირეც!) — კომედიოგრაფი; „გალობის მწერალი", „გალობის მეტყველი" — პოეტი, ქებახოტბის მთხზველი; „მსახიობელი" — ქების სახეობის შემსრულებელი; როკვა — „ასე არს ცეკვა, ბუქნა და რაოდენსა რასმე იქმან მგოსნები" (სულხან-საბა ორბელიანი, თხზ. IV-2, გვ.15); „მწყობრი მემღერეთა" — მსახიობთა დასი; „დასაბურველი პირისა" — რიდე; ტყავი — ნიღაბი; „სარიონი" — ნიღბოსან მსახიობთა დასი... „სახილველი" — თეატრონი.

ჯერ კიდევ Vს. ადგილობრივი საზოგადოების მაღალ ფენებს ჩვეულებად ჰქონდათ „მგოსან კაც-

და ამ საზოგადოებაში ცხოვრება!

გიორგი გიგაური: ბუმიდან — ბუმამდე საქართველომ მილიონზე მეტი მოქალაქე და ტერიტორიების მესამედი დაკარგა.

„ახალ-დახალი", 28.07-03.08.08

სანამ საბჭოთა კავშირი ატომურ ბომბს შექმნიდა, რატომ მუშავდებოდა ამერიკაში საბჭოეთის დიდი ქალაქების (მათ შორის, თბილისის) ატომური დაბომბვის გეგმა?

„ლენინი არის მსოფლიოში ყველაზე ამაზრზენი სექტის ბელადი", — განაცხადა 1919 წლის 5 ნოემბერს, თემთა პალატაში გამოსვლისას, უინსტონ ჩერჩილმა.

გრაფი ჩერეპ სპირიდოვიჩი დარწმუნებულია, რომ ლენინი ცდებოდა: ლენინი ამ სექტის ბელადი კი არა, აგენტი იყო!

მარკ ტვენი: ჩემს წიგნში, მე მქონდა ბედნიერება, ხანში შესულებისათვის შემეხსენებინა: რანი ვიყავით... რა ფათ-

თა და ქალთა სიმღერების მოსმენა". (გეორგიკა — ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, გვ. 252).

აქვე, შემახსენა თავი გიორგი შაყულაშვილის წიგნმა „ძველი თბილისის პოეზიის ისტორიიდან". რამდენიმე შტრიხით მინდა, „მადლი ექნა და ზედაც მარილი მოვაყარო".

„დღეს ქართულ ლიტერატურაში სადავო აღარ არის თბილისში რინდებისა და ფითიანების არსებობის ფაქტი" (ვ. გაბაშვილი. „ფეოდალური საქართველოს ქალაქების ურთიერთობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებთან, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან", თბ., 1966, გვ.151). რინდ-ფითიანთა სუფიურ-დერვიშული ძმობის ურთიერთობა გამოვლენილია არა მხოლოდ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ აღნაგებში, არამედ ამქრის რთული და მრავალფეროვანი ცხოვრების ყველა დეტალში. თბილისის ამქარში, შეგირდი უსტაბაშის წინაშე ოსტატს უნდა წარედგინა. შეგირდს უფლება არ ჰქონდა, თვით მიახლოებოდა უსტაბაშს. მართლმსაჯულების თვითასრულების იდეა! (...ცხრალიტრიანი მუშტი!). „როსალეში" წერია, რომ ხელოსანთა მეთაური ვალდებულია, შეგირდებს შეასწავლოს შარიათი, თარიქათი და მარიკათი („როსალეს" მოლები უკითხავდნენ ისლამის ორთოდოქსებს!). „სუფი" შვილი იყო ერთი წამისა, რაც ნიშნავდა წარსულის არარსებობას, მომავლის ეჭვს და მხოლოდ არსებული წამის აღიარებას (ანტიკური აზროვნების წიაღში არსებული ფილოსოფიური თეორია, რაც არაერთი მიმდინარეობის, მათ შორის, ჰედონიზმის) ცხოვრებით ტკბობის ანუ „კარგად მყოფობით ავადმყოფობის" საყრდენად იქცა. ხვალინდელმა დღემ იზრუნოს თავის თავზეო — დერვიშული პრინციპი ნიშნავდა ერთი დღის საყოფი ლუკმის შოვნასა და ნამატის ღარიბღატაკთათვის გაცემას.

150. 1046 წ. დასავლეთ საქართველოდან თბილისის დასაკავებლად წამოსულ ბაგრატ IV-ს დიდი სადღესასწაულო შეხვედრა მოუწყვეს. მემატიანის სიტყვით: მეფეს „მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი, დილმისა ველსა" (ქართლის ცხოვრება, I, გვ.199). „კოშკები იდგა ტურფანი და მას შინა ათ-ათნი მოთამაშენი, მკვრელნი და მომღერალნი სხდიან, ზოგნი შუშარობდიან, ზოგნი იმღერდიან და ზოგნი უკრავდიან. მრავალნი უცხოდ თამაშობდიან, რომე კაცის თვალთა ეგეთნი არა ინახოდა რა" (რუსუდანიანი, 1957. გვ. 102-103).

P.S. სირინოზებს ვეჯიბრებით სიმღერაში, ჰა და ჰაო...
ახლა, მაინც ვერ იტყვიან, უნახავმა რა ნახაო!
სად ის, სად ეს — დღევანდელი... ღმერთთანაც რომ ვიყოთ სწორი —
ტაშ-ფანდურში, მინის ზურგზე, დღესაც არ გვყავს ჩვენი ტოლი!

151. დავით აღმაშენებლის მეფობაში, ორგზის იქნა აკრძალული სანახაობანი... ისტორიკოსი აღნიშნავს: „ხოლო საეშმაკონი: სიმღერანი,

---

*მარკ ტვენი: აფორიზმის სწორი დოზირებაა: მინიმალური სიტყვები. მაქსიმალური აზრი!*

*უცნობი ავტორი: აფორიზმი ჩვენი გონების საგძეარია.*

*უილიამ შექსპირი: მოსწრებული სიტყვის წარმატება დამოკიდებულია მსმენელის ყურზე და არა მარტო მთქმელის ენაზე.*

სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულველი და ყოველი უნესობა მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა". ყველა შედარება მოიკოჭლებსო და, მით უფრო, „მუხროვანის" სამხედრო ნაწილის ჯარისკაცებთან პრეზიდენტი „პრავის კაჩაობა"!

რა დამავიწყებს, იგორ გიორგაძის დროს, ჯარისკაცების სურვილით, ამ ნაწილის მზადყოფნის დათვალიერებაზე რომ მიგვიწვიეს და იქ კოჭლობით მომავალ მიშიკო შენგელიაზე უშიშროების მინისტრმა თეატრალური „დამაჯერებლობით", მაგრამ, თანაც, აშკარა იუმორით რომ თქვა: ეს კაცი ჩვენი პოლკოვნიკიაო (?!).

ამ კითხვისა და ძახილის ნიშნებივით გავხდით ეს ნვეული ხალხი და ისევ იუმორით ვუშველე თავს:

— ბატონო, უშიშროების მინისტრო!.. თუ ეს კოჭლი კაცი მართლა თქვენი აგენტია, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ თქვენი აგენტურა ერთობ მოიკოჭლებს-მეთქი.

ეჰ... სიცილი რომ არ იყოს ამ ქვეყანაზე, რა გვეშველებოდა! მაშინ, ალბათ, სულ სიბნელეში ვიქნებოდით და დღეც ღამე იქნებოდა!

158. „აბდულმესიანის" ერთ-ერთ სტროფზე დაყრდნობით, ივანე ჯავახიშვილმა შეძლო, განესაზღვრა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სასახლის შემადგენელი ნაწილები. სასახლეს გარს ერტყა გალავანი. ნაგებობის წინ იყო „მტილბაღი" — ე.ი. დროის გასატარებელი ტევრი. იქვე იყო წყაროები და წყლის საცავი. გალავანს ჰქონდა სვეტებიანი შესასვლელი... მეფეთა სასახლე ციხესიმაგრეშია აგებულიო („სამყაროს საკვირველებათა ცნობები", გვ. 28).

P.S.სადაც თავისი თქვან, იქ ჩვენიც არ დაავიწყდეთ. გაერთიანებული საქართველო კი არა, ყველაფერი გაერთიანებული გვაქვს... ქვეყნის გარდა, მარა სასახლე... მართლა გაგხდის სასახლის უნახავს! გარედანაც და შიგნიდანაც, მტერსაც და მოყვარესაც თვალს უბრმავებს. დგას ძველი თბილისის ქოხმახებში, როგორც გულივერი, თავზე, სვანური ქუდივით, ახურავს შუშის გუმბათი. ხან ტაშფანდურის ხმა გამოდის იქიდან, ხან — მიტინგების ვაი-უშველებელის და „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" მაგივრად ისმის გაძვალტყავებულების გულში ნათქვამი: მშვიდობა ქუჩებს და ომი სასახლეებს! (ღმერთმა დაიფაროს ერთიც და მეორეც! ისედაც თითზე ვართ ჩამოსათვლელნი!)

ერაყები გადაგვხდენია!

მომავლისა არ ვიცი... და წარსული ხომ ნაღდად ჩვენია!

<u>ცუცაიტულა:</u> ვისაც მტრები არ ჰყავს, იმას მეგობრები დაღუპავენ!

<u>„გამარჯობა ამხანაგო მგნე!"</u>

ამინდია წუნარი.

ფოთოლი არ იძვრის.

დგას სამოთხის კარი:

ცის, მიწის და რიწის!

<u>ლამაზ ნადარდამვალი:</u>

მადლი ქენი — ქვაზე დადე.

ალარ მითხრა ხაცუვა — „რიდის?"

ადე!

ადე!

ადე!

ადე!

თორემ, ანტიქრისტე მოდის!!!

<u>ძაბუა ამარჯაბა (მწერალი):</u> გლობალიზაციას ერისა და კაცობრიობის მტერია. მის წინააღმდეგ ვიბრძოდი მთელი ჩემი ცხოვრება და ვიბრძოლებ სიკვდილის შემდეგაც კი — იმით, რაც დამიწერია. თბი-

161. ჟამთააღმწერელნი გვამცნობენ, ერთ-ერთი მსმურობის დროს, რინდებმა, სიმთვრალეში, მეფე ლაშა-გიორგიც კი სცემეს (ქართლის ცხოვრება, II, გვ.155).

XI-XIIსს. მეფეებს ეცვათ ბისონი, რომლის შუაგული, თავიდან ბოლომდე, ძვირფასი ქსოვილით, დიადემით იყო შემკული. მეფეები წითელი ტყავის ფეხსაცმელს — „ტარსიკონს" ატარებდნენ.

162. XI-XIIსს. სატრანსპორტო საშუალებები იყო ცხენი, სახედარი, ურემი, მტკვარზე ტივები. ყველაზე საყვარელი თავშეყრის ადგილი აბანოთუბანი გახლდათ.

1195წ. შამქორის ბრძოლიდან მობრუნებულ ლაშქარს თან მოჰყავდა ცხენები, ჯორები, აქლემები, ტყვეები... ასევე, დაუვიწყარია ბასიანიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ქართულ მხედრობასთან შეხვედრა.

...აი, რუსეთ-საქართველოს ამ დღენახევრიან ომზე კი რას იტყვის ისტორია — ეშმაკმა იცის!

186. ტრაპიზონელი ბერძენი მემატიანის მიქელ პანარეტოსის თქმით: თემურ ლენგმა „ხელთ იგდო გასაოცარი ქალაქი თბილისი". ველურმა ურდოებმა კალოუბანში ბავშვები და ქალები ველური ცხენების ფლოქვებით გადათელეს.

207. ტივებზე ჯაჭვებით დამაგრებული მდინარეზე მოტივტივე ნისქვილები, ქალაქის გალავნის შიგნით მეფე-დიდებულთა სასახლეები, ქრისტიანული ეკლესიები თუ არაქრისტიანთა სალოცავები, წყლის საქაჩი დოლაბები, ბუნებრივი თერმული აბანოები (XIIIს.) თბილისს განუმეორებელ კოლორიტს ანიჭებდა.

210. თამარის ქორწილზე დიდუბეს იყო „ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელნი... იყო რაზმთა სიმრავლე და სრულ ქმნა ამასა შინა (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ.47).

ჟამთააღმწერლის ცნობით, მეფე ლაშა იყო „უხვ, სახიობის მოყუარე და გემოთ მოყუარე", თბილისში მხოლოდ შემოდგომას ატარებდა. მის (ლაშასდროინდელ) თბილისში მოქმედებდნენ რინდები, სუფიები, ისლამური თეოლოგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის წარმომადგენლები, რომელთა მიზანი იყო თავდავიწყებამდე მისვლა — ღმერთთან საბოლოო შერწყმისათვის. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ღვინის სმასა და თრობას მიმართავდნენ.

249. ვახუშტი: თბილისელი სომხები „ქცევა-ზნითა ქართულითა" ცხოვრობდნენ!

250. თბილისის მოურავი XVIს. 90-იან წლებში (სიმონ I-ის მეფობის დროს) სიაუშ სააკაძე უნდა ყოფილიყო, მის შემდეგ კი — გიორგი სააკაძე. 1626წ. კი — ქაიხოსრო ბარათაშვილი, მერე — მანუჩარ ციციშვილი, მერე — მისი ვაჟი პაატა-ბეგი, ბოლოს კი (XVIIIს.) — სააკაძის შთამომავალი ავთანდილ თარხნიშვილი.

P.S. თარხნიშვილებს, გულქართლობისთვის, ქართლის ბულბულად...

---

*ციცერონი მარკ ტულიუსი: მძლავრი, მოკლედ გამოთქმული აზრები ბევრად უწყობენ ხელს ცხოვრების გაუმჯობესებას.*

*არაბული ანდაზა: სადაც ბევრი ღვარძლია, იქ ცოტა პურია, სადაც ბევრი სიტყვაა, იქ ცოტა აზრია.*

ქართველი ერის საამაყოდ... ლეგენდარული მარო თარხნიშვილიც ეყოფათ და სირცხვილად კი ე.წ. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ლევან თუ „ლევანდ" თარხნიშვილი!

...სარდალი ლალა მუსტაფა ფაშა თურქეთის სულთანს წერდა: „თბილისი დამასკოსავით დიდი და მდიდარი ქალაქიაო"!

257. შაჰ-აბასმა კახეთში თუთის ხეებიც აჩეხა და ვაზსაც ამოძირკვა დაუპირა, რადგან ამ ერთი მუჭა ქართველების გამძლეობას ვაზში ხედავდა!

261. ...როსტომ მეფის 1639 წლის „ყანუნლამაში" ჩამოთვლილია თბილისში შემოსული საქონელი და მასზე დანესებული ბაჟი: „თევზის საპალნეზე ერთი ბისტი", დიდი ფარის გავლაზე — 1 ცხვარი.

268. „მოქიაქე" მხოლოდ თბილისის მსტოვრებს ერქვა.

281. „მე, სულხან-საბა ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა, ფრიად შრომა დამიძს ამა წიგნსა ზედა. რამეთუ, ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო... ვანათაგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყუნათ... ვახტანგ მეფის ძმამ, გიორგი მეფემ მიბრძანა ამისი ხელ-ყოფა... ხელი მივყავ და რაოდენ ძალმედვა, აღვწერე."

თითქმის არ დარჩენილა არც-ერთი „მუხრანელი" ბატონიშვილი, რომელსაც არ ეცადა კალამი ლიტერატურაში. ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩაბმული იყო ლევან ვახტანგის ძე ბაგრატიონი (ირანის უმაღლესი მოხელე), გიორგი XI-ის ძმა, ვახტანგ VI-ის მამა (ბრძენკაცი)... „პოეტური სენით" შეპყრობილი იყვნენ მისი ასული ხვარამზეც, დედოფალი თამარიც, რომელმაც შექმნა იმ დროისათვის უმდიდრესი ბიბლიოთეკა. მათი ხელშეწყობით მოღვაწეობდნენ „მეხოტბეები ბეგთაბეგ თანიაშვილი და მისი ძმა სულხანი".

...იოსებ თბილელმა სააკაძემ (თბილისის ეპისკოპოსი XVIIIს.) ისიც გაითვალისწინა, რომ ამ ეპოქაში სიმართლე, სინამდვილე უფრო აღიქმებოდა ლექსის სახით.

ჭეშმარიტად!

ლექსი ჭეშმარიტების ღვთიური დასტურია! — გ.ნ.

არჩილი (თითქმის იმავე ეპოქაში მოღვაწეობდა) უპირატესობას ანიჭებდა სასულიერო მწერ-

ლისიდან გასვლას ვერ ვასწრებდი, რომ უკვე მენატრებოდა...

„საქართველოს რესპუბლიკა"

*__დავით მაღრაძე (პოეტი):__ რაც უნდა ეცადონ, საქართველოს საჩივრების ქვეყანად ვერ გადააქცევენ. ჩვენ მაინც ლექსის ქვეყანად დავრჩებით.*

**P.S.** *ახლახანს გავიგე, რომ დათო ნობელის პრემიაზე ყოფილა წარდგენილი. ალალი იყოს!*

*__მიხეილ მაქავარიანი:__ რაღაც შეცდომები მართლაც გვაქვს და ეს ზეცაურ სასამართლოში გაირკვევა..."*

**P.S.** *მასზე ქვედა ინსტანცია არ არსებობს?*

*__მზია მარამაძე (გადაცემა „ბიბის" წამყვანი):__ მიყვარს მანქანების „საცობში" მოხვედრა, ბევრ ნაცნობს ვნახულობ და ვჭორაობ ხოლმე.*

„ყველა სიახლე"

**P.S.** *ა... როგორია?*

*__ვახტანგ ყოლბაია (აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი):__ საჭირო იყო*

ლობას... საეროსთან შედარებით!

282. სულხან-საბა ორბელიანმა „სიბრძნე-სიცრუისა" დაწერა უფლისწულ ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონის აღსაზრდელად.

292. თბილისში ქართული ინტელიგენციის თავშეყრამ ქალაქურ სოციალურ ძალთა გადაადგილება გამოიწვია, შენელდა ანტაგონიზმი თბილის-ქალაქისა და ციხე-თბილისის (აქ მაჰმადიანი მცველები ცხოვრობდნენ ოჯახებით!)

დედაქალაქისა და საქართველოს სხვა ქალაქების... რაიონების თუ სოფლების დაპირისპირება დღესაც მოდაშია. ზოგს თბილისი „იმ ორი ქუჩის" გამო არ უყვარს — სხვა ქალაქების მზეს იფიცებს და მთვარეც იქ ამოსდის.

არიან ადამიანები, რომლებიც მსოფლიო მოქალაქეებად იქცნენ და თბილისელად — ვერა, რადგან მათ ხასიათში ეს ქალაქი არ ზის და არც თვითონ უხდებიან, ასე ვთქვათ, ებრაელ ისაკა მექუდის თბილისურ ქუდს!

298. ვახტანგ VI რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ მოხელეს წერდა: „თურქეთს ვუთხარით, „გეყმობითო", აქამდე რომ ფოცხვრის ჭანგისგან გამოხსნას ვეხვეწებოდით, ახლა ბაბრის ჭანგში არ შეგვაგდონ".

330. ვახტანგ VI-ის მიერ „შუენიერი, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლით" ნაშენი სასახლე სეხნია ჩხეიძეს ასე აქვს აღწერილი: „სახლი... ოქროსა ვარაყითა შეთხზული. უმშვენიერესი სახლი არც ერანს შიგან მინახავსო" (სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, თბ., 1913, გვ.25).

სასახლის ტერიტორიაზე თეიმურაზ II-მ „ააგო სახლი ახალი... მტკვრის პირას, მშვენიერი და შემკული ყოვლით..." ამ სახლში გადაუხდიათ 7-დღელამიანი ქორწილი ერეკლე II-სა და დარეჯან დედოფალს.

360. 1790 წელს გიორგი XII ერთ თავის თბილისელ ყმას სწერდა: „20 თუმანი რომ არ გვასესხო, არასგზით არ შეიძლება. ვერც უარს გვეტყვი, სესხად გთხოვთ. თუ ეს შეიტყო ვინმემ, ჩვენს მეტმა, შენს მეტმა და ფეტიაშვილის მეტმა (ნეტავ, ამ მადლიანი რუსუდან ფეტვიაშვილისა რა იყო? ან საიდან დაიმსახურა ასეთი ნდობა, რომ ენაზე კბილის დაჭერისაგან და „მოსმენა-მიყურადებისაგან" თავისუფალი იყო!), ასე უნდა იცოდე, რომ ჩვენი მოსისხლე იქნები... ხომ იცი, რომ ბატონს დასჭირდება, ყმამ უნდა მისცეს. ყმას დასჭირდება, ბატონმა უნდა მისცეს. მაგაზე წყრომა როგორ იქნება?"-ო (რაღაც „შენერის" დღევანდელ „ჯიგარს" ჰგავს!).

თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს ვაჭარ მელიქ მიღდისის 8600 მონალთუნი ჰქონიათ ვალად.

P.S.ჯერ არდაბადებულ ქართველებსაც კი, დღევანდელი ბატონ-პატრონების იმდენი მილიარდი უცხოური სესხი აქვთ, რომ, საერთაშორისო ვალების შიშით, თავი ვერ გამოუყვიათ გარეთ და კატასტროფულად ეცემა შობადობა!

368. თბილისს ნოტარიალური გამოსაღებიც ედო მეფის სასარგებლოდ. იყო „სარუსოც" (საქართველოში მყოფი რუსი ჯარის შესანახი გადასახადებიც), „სალეკოც" (ლეკთა დაქირავებული მეომრებისათვის).

---

*პლუტარქე: სიტყვის ძალა მდგომარეობს ცოტა სიტყვებით ბევრის თქმაში.*

*იოჰან ვოლფგანგ გოეთე: არავის არ შეუძლია გათავისუფლდეს ყმაწვილობის დროის შთაბეჭდილებებისაგან.*

იყო „საულაყოც" (ბეგარა საკუთარი პირუტყვით ტვირთის გადასაზიდი). მახლას! გადასახადებით დღეს ვის გააკვირვებ!

374. თბილისის მოსახლეობას არაერთხელ გაულაშქრია ბოროტმოხელეების წინააღმდეგ. მათი ერთიანი და კატეგორიული მოთხოვნით, ხელისუფლება იძულებული გამხდარა, „ფარვით მიტაცებულობის" გამო თბილისის ნაცვალი გადაეყენებინათ (მაშინ არ იყო „სოდი" და „კუდი"!), მაგრამ, მაშინაც სანანებელი გახდომიათ თბილისელებს მისი გაპანღურება, რადგან „ფარვით მტაცებლის" ადგილზე ახლადდანიშნული ნაცვალი ისაია თაყუაშვილი... „ცხადად მტაცებელი" აღმოჩნდა. უარესზე უარესსაც რა დალევს!

380. ერეკლე II-მ შეთქმულნი საჯაროდ გაასამართლა. მეფემ დაჩოქილმა მოახსენა სახალხო შეკრებილობას (სად ერეკლე და სად... ისაო! ერეკლე მეფემ ხალხს დაუჩოქა და ახლა კი — მეფეები აჩოქებენ ხალხს!), როგორ აპირებდნენ შეთქმულნი მთელი მისი ოჯახის ამოწყვეტას, და, დასძინა: „ღმერთს თავდებად გაძლევთ, თუ ჩემზე უკეთეს მეფეს იშოვნით, საქართველოს ბედნიერებისათვის, მე ჩემს გვირგვინს იმას დავულოცავ!" დღევანდელი „მეფეებიც მაგ ჭკუაზე არიან სწორედ!"

[illegible] ვერ მოუნელებია — რატომ გადავდექით!

...1765 წლის 15 დეკემბერს, თბილისში მოეწყო შეთქმულთა საჯარო დასჯა. დასჯის პროცედურა ჩატარდა 3 ადგილზე: მეტეხის ციხის ძირში, რიყეზე და ანჩისხატის ეზოში. პაატა ბაგრატიონს და დავით აბდულა ბეგის ძეს თავი მოკვეთეს. დემეტრე ამილახვარი დასაჯეს „სამოქალაქო სიკვდილით": ვირზე უკუღმა შესვეს, თავზე ნაცარი დააყარეს და ქალაქი შემოატარეს. ალექსანდრე ამილახვარს ცხვირი მოჭრეს და მუხლის ძარღვები გადაუჭრეს; დიასამიძეს აღმოხადეს ცალი თვალი და ცერი მოაჭრეს; გლახა ციციშვილს ამოშანთეს ენა; არდაშელ თაქთაქიშვილს მოაჭრეს მარჯვენა და სხვა. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 634).

P.S. რა შედარებაა ძველი სასჯელები ჩვენს ახლანდელ დანაშაულებთან შედარებით? იხვენება დანაშაულიც და მისი დასჯის ფორმებიც! ამ თემაზე ერთი გურული ანეგდოტიც გამახსენდა:

ერთ დამნაშავეს სასჯელის ფორმას ურჩევდნენ.

— დაეხვრიტოთ! — იხუვლა ხალხმა.

— ცოტაა!

— ჩამოეახრჩოთ!

ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბება. იგი წინ აღუდგებოდა იმ ეშმაკს, რომელიც შემოჩენილა ჩვენს ქართულ სხეულს. ამიტომ, იმ შედეგებამდე ვერ მივდივართ, რასაც ჩვენ ველოდებით — აფხაზეთში დაბრუნებას.

„ახალი თაობა"

<u>პაატა დავითაია (პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე):</u> მივესალმები საკურორტო სეზონის ჩავარდნას აფხაზეთში.

„ახალი დროება"

P.S. რა ჰქვია ამას? გვეკადრება ჩვენ ასე, განა?.. ქეციანივით, ცარიელი გულის ფხანა...

<u>ქეთათი (მომღერალი ირაკლი ჩარკვიანის ქერავაძ):</u> ირაკლი იყო ძალიან განსაკუთრებული. ასეთები, ალბათ, ას წლიწადში ერთხელ იბადებიან. ის ყველა სივრცეში მეფე იყო. ის დროს უსწრებდა და კიდევ უსწრებს. სიგიჟეებს აკეთებდა და ამის გამო გაბედა და თქვა „შენ აფრენ". ეს ყველა „გაფრენილმა" საკუთარ თავზე მიიღო. მისი შემო-

— ცოტაა!

— გურული ქალი შევრთოთ...

— ცოდოა! — კვლავ იხუვლა ხალხმა.

ეს ხუმრობით!

სერიოზულად კი... არ ვიცი, ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში, დასტურლამალში თუ ქართული სამართლის სხვა ძეგლნერიდან მახსოვს, არის ერთი ასეთი ქართული სამართლებრივი მუხლი:

სამშობლოს მოღალატეს არავითარ სასჯელს არ ვუნიშნავ. იგი ყველაფრის ღირსიაო!

385. „თბილისის ისტორია" გვაუწყებს, რომ 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატი „მფარველობითი" თუ „მეგობრულ-მოკავშირეობითი" ხელშეკრულება — ორმხრივი ინტერესების საფუძველზე აღმოცენდა.

409. სკოლები იყო ნათლისმცემლის, კალოუბნის, სიონის, ქაშვეთის, მეტეხისა და ანჩისხატის ეკლესიებთან. სკოლების მუშაობას, ზოგჯერ, თვით მეფე ამონმებდა. მადლობა თქვან, შაშკინსა და ლომაიას მაინც გადაურჩნენ.

442. ქართული სუფრის ნესებზე საინტერესო მასალები მოეპოვებათ ფეშანგი ფაშვიბერტყაძეს, მეფე არჩილს, თეიმურაზ მეორეს, საქართველოში მყოფ უცხოელ ავტორებს, რომლებმაც აღნერეს ქართული მეჯლის-ნადიმები თუ ქორნილები. სამნუხაროდ, ნყაროებში თითქმის არაფერია უბრალო ხალხის ყოფაზე, პურობაზე, ხალხურ ლხინზე, არადა, აქ ერთობ საინტერესო მასალა გაუშვიათ ხელიდან მემატიანეებს. მარტო ყარაჩოღელების ყოფა-ცხოვრება და ტივზე დამღერებული ქეიფი, კინტოების იკლიკანტური სიტყვა-პასუხი და ყარაჩოღელების ყოფა რად ღირს?!

სინჯად, ერთი მაშინდელი „ყბის საქცევი"!

ერთი კოხტა დედაბერი მოდის, „მოგოგმანობს" მეიდანში. ალაგ-ალაგ კოპნიად დაკერებული კაბით. კინტო რის კინტოა, უსიტყვოდ გაუშვას.

— კაი სალამი, დიდედა-ჯან! და, ეგ კაბაც ალაგ-ალაგ მომილოცავს...

მეიდნელი დედაბერი რის მეიდნელია, რომ კინტოს ვალში დარჩეს და პასუხი ვერ გასცეს:

— ალაგ-ალაგ მილოცავ, არა? მადლობთ, შვილო, იცოცხლე... დღეგამოშვებით!

მახლას!

თუ თავი გახლავს —

გაუგებ გემოს ძველსა და ახალს!

---

*იმანუილ კანტი: თუ ბავშვს სისულელისთვის დავსჯით, ხოლო სიკეთისთვის დავაჯილდოებთ, მაშინ ის სიკეთეს მხოლოდ პირადი მოგების მიზნით გააკეთებს.*

*არისტოტელე: შეცდომებიდან თავის დაზღვევის გზა თავის თხზულებებს მეგობრებს განასჯევინებს. ლიუსიუსის ცნობით, ძველად შემოღებული იყო თხზულებათა წაკითხვა მის გამოცემამდე, მოწვეული მეგობრების წრეში.*

*ლადო მრელაშვილი: სანამ ვინმეზე იუგს ვიტყოდეთ, ჯერ კარგად ჩავიხედოთ საკუთარ ნაცულუქარში და სხვისას მერე დავდოთ მსჯავრი!*

## კაცასწროფემის სწროფემი

ბლეა ფიქრის ნებაზე ეაცურებ ნავს –
სად გინდა, გაექცე საკუთარ თავს?...

* * *

ვერც კითხეას,
ვერც პასუხს ვიგებთ,
და ვერ ვარჩევთ ჭია-ღუას –
ისი ჭკუითაც წავაგეთ...
ისევ იმასა ვთხოვეთ ჭკუას.
...ჭკუაა, ახლა, ეს?

* * *

რა გეჭირს?
გეტყვი სიტყვა-სიტყვით:
მიტინგების მინინგიტი!

## „მინდისფერია ხოფილი“...

მიმწუხრის ბინდით შებინდულ სერებს –
მთვარის ფიც-ვერცხლში შეეაბისერებ,
რომ ქორეულ და დაქტილურ ტერფის –
იამბით ეგომო სიტყვები-სეფე!

* * *

ყველა სწორი კითხვა –
სწორ პასუხსაც ითხოვს:
კარგი მხედრის ფასი...
მის ცხენს უნდა ჰკითხო!

* * *

ღამე – ძილისაა, დღე – ღვიძილისა,
დღეა – დაღამების, ღამე – დილისა...
წუთი წუთს გაგონებს,
არეა თუ მარე
და დროს მიაგორებს
ცაზე, მზე და მთვარე.

ქმედება კოსმოსში ვაჟრენის ცოლდასი იქნება ქართული კულტურისათვის.

„თბილისელები“

ფრიდონ თოდუა:

დღესაც არიან რუსეთში ე.წ. „დახურული“ გასაიდუმლოებული ქართველები: შეიძლება მე და ლეო ბოკერია შევხვდეთ რუსეთის უმაღლეს პირებს.

დავით ჩუბინაძე:

სტალინის ბრძანებით, ომის უმძიმეს დღეებში, მოსკოვის ზეცას თვითმფრინავით სამჯერ შემოუარეს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი.

გაზეთ „24 საათის“ წასაკითხად... 25 საათია საჭირო დღე-ღამეში!

უტვინო კაცი!

მარსელის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობს მამაკაცი, რომელსაც ექიმებმა თავში, ფაქტობრივად, ერთი ნამცეცი ტვინიც კი ვერ აღმოუჩინეს.

ექიმები თავიანთი, მართლაც რომ უჩვეულო, პაციენტის მხოლოდ ასაკს ამხელენ – უტვინო

* * *

რაც უფრო მიღამდება —
მიბნელდება ეს წლები...
თუმც,
ერთი კაცის წაქცევით
ქვეყანა არ იქცევა —
ერთი ბვირთი მეცა ვარ,
ერთნაირად მაღელვებს...
ზღვის ზღვასავით ღელვაც და
მოქცევაც და მიქცევაც.

* * *

ლექსი — კონიდან ამოეკონე სიტყვების კონად
და ლექსით ეზომე, ლექსით ეწონე ზომა და წონა...
სიტყვა უფლისა, თავისუფლის, სიტყვა-ღმერთისა —
იგავეუწვდომის, ყოვლისმწვდომის, ერთადერთისა!

* * *

ალიონზე ვდგები და გათენებას ვესწრები.
ცაზე მთვარე ჰკიდია, როგორც გლეხის ნამგალი —
ლექსებით [illegible] ეს წლები —
ძოძაველშიც დიდია — საუკუნის სამკალი.

* * *

პირი და პური რამ გაყო — პირიც ერთია, პირობაც.
კაცნი პურს ეჭამთო, იტყვიან და გმობენ კაცთ პურძეირობას!
ასე დაპურის-პირება... არც იგავესა ჰგავს, არც — ნაგავს —
სალახთა სანახაობა —
სალახანობას წააგავს!

* * *

გვეგონა, გიცნობდით დედაბუდიანად,
მაგრამ ვერ გაგზომეთ თავით-კუდიანად,
აფსუს, ვერ აგწონეთ შენი გუდიანად...
კაცი იზომება... თავის ქუდიანად!

*ინდური სიბრძნე: სადაც ულირსებს ღირსეულივით, ხოლო ღირსეულებს — ულირსად ეპყრობიან, იქ სამი რამ ბატონობს: შიში, შიმშილი და სიკვდილი.*

*პლუტარქე: ყველაზე ველური კვიცები საუკეთესო ცხენები გამოდიან თუ მათ ისე აღზრდით, როგორც საჭიროა.*

* * *

ეს სექსუმცირესობა — ეისაც თეალში ესობა,
ვერცა უმრაელესობის ხედავს უკეთესობას!

* * *

— ბოლოს და ბოლოს,
რა არის ლექსი?
— გაფრენა ტექსტის...
რითმების სექსი!

* * *

ენაც წინ მისწრებს,
კალამიც
და მივდევ თავდაეიწყებით —
ესაა ჩემი სალამი —
ჩვენ სიტყვა-ღმერთით ეიწყებით!
გაგიმარჯოთ!

* * *

დანა-შაულში, თუმცა, სიტყვა „დანა“ ტრიალებს —
„უდანოდაცა“ ბოროტება გაგვეატიალებს.
ამბობენ: „იგი დღის სინათლეს ეერსად წაუეა“ —
აე-კარგის რჩევას — რა იტყვის, რა სიტყვა აუეა?...
დღეს სისაძაგლეს გეთავაზობენ ისეთი ეშხით,
რომ სიბინძურის „სისუფთაეე“ ჭკუიდან შეგშლის!
რად უნდა ამას ან „დებატი“ ან „ადეკვატი“?
— ადამიანო, აზრზე მოდი და ხიდზე გადი!

* * *

ეს რა უბედობა დაგეებედა?
ეს რა დრო მოგეადგა კარსო?
დღეს, კაცის ულეაშზე უფრო მეტად —
სიმინდის ულეაში...
ჩალა და ფუჩეჩი ფასობს!

### ანტონიმების „პანტომიმები“

რანი ეიყავით და ახლა რა ეართ?
შაე-თეთრი იქცა, ახლა, თეთრ-შავად —
აე-კარგი იქცა, ახლა, კარგ-ავად...
საკუთარ თავსაც აღარა ეგავართ.

ფრანგი 44 წლისაა, ჰყავს ცოლ-შვილი და მუშაობს საკმაოდ პრესტიჟულ კომპანიაში, წამყვან თანამდებობაზე.

პრინციპში, ტვინის უქონლობა მედიკოსებმა მას შემდეგ აღმოაჩინეს, რაც პაციენტმა მათ გაუსაძლისი თავის ტკივილების გამო მიმართა, თუმცა, მაინც ვერაფერით ხსნიან, როგორ შეიძლება, ადამიანმა ასეთი დანაკლისი აიტანოს და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ინტელექტის დონეც კი საკმაოდ მაღალი ჰქონდეს.

ფრანგი ექიმები მხრებს იჩეჩავენ, — აზრზე არ ვართ, რა ხდება ჩვენს უტვინო პაციენტს და არც ის ვიცით, შევძლებთ თუ არა მისთვის თავის ტკივილების მორჩენასო, რადგან მსგავსი მოვლენა მსოფლიო მედიცინის პრაქტიკაში არასოდეს დაფიქსირებულა.

**P.S.** დღეს, კაცს ვერც ტვინით გაარჩევ და ვერც უტვინობით, მაგრამ ფაქტია, თავი რომ გტკიოდეს, ხულ ცოცა, თავი მაინც უნდა გქონდეს!

იაპონელებმა მო-

და, აღარა ჰგაეს მოდგმა მოდგმასა —
ცოდვა — მადლსა ჰგავს, მადლი — ცოდვასა —
კეთილი სიტყვა — ბოროტ ბოდვასა,
სიკეთე ქვაზე... ქვების კოდვასა.
ვერ გამიგია: ვინ კლავს? ვის კლავენ?
ვინ რასა თესავს? ვინ ჭამს? ვის შია?
გაურისკავსა რისთვის რისკავენ —
ვინ — ვინ არის და ვისი — ვისშია???

* * *

დავხეტიალობთ —
ოხერვტიალობთ —
მამაძაღლები ძაღლიერით ყეფენ...
და მე არ ვიცი, ადამიანო,
ღვთის გლახა ხარ თუ ბუნების მეფე?

* * *

სომხეთისა და საქართველოს ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრებების ასპარეზობაზე ანაკრები სტრიქონები.

ჩვენები!
ორი თავით მაღლა ედგნენ ამ „ნაგლებს“,
ჰოდა, სწორედ 2:0-ზე წააგეს.
თუმც, წაგებას ჩვენში ჰქვია მოგება —
ვინ და როგორ იცის სიტყვის მორგება.
ვიხსენებ ძველ „სოვეტაკან ერასტანსა“
5:0-ს! რაც დღესაც ახსოვს რაზდანსა!
სულ წარსულის იმედზეც ვერ იქნები —
სულწასულსა მეწვის მთელი ჯიგრები!

## *ვარსკვლავცვენა*

(ჩემს თაობას!)

ძველბერძნულად ამას ჰქვია, თურმე, ასტროლატრია:
ვარსკვლავცვენას,
ვარსკვლავლხენას,
უკვდავებას აღრიან!
ერთი დედის შვილები ვართ,
დები ვართ და ძმები ვართ.
სიყრმის მზევ და ვარსკვლავებო —
სიკვდილს დავეიწყებივართ!
ჩვენ ვარსკვლავებს ცაში ვეძებთ...
და მიწაზე გვიხსნიან.
ეს იგი, ის თაობა...
უკვდავების ღირსია!

* * *

დრო მოდის – რაღაცას მმატებს...
დრო მიდის – რაღაცას მაკლებს...
როს ვფურცლავ ლექსების ნაკრებს –
არც ცოცხლებს ვაკლივარ, არც – მკვდრებს.
სანამ ვარ, ისინიც მახლავს.
პოდა, ვართ,
როგორც ვართ...
მახლას!

## ჩემმა მზემ!

როცა ფიქრი თეთრად მათოვს,
ჩემს სიბერეს რითი ვართობ?
ახალ დროსთან ვკამათობ და
ჩემს წარსულთან ვმასლაათობ!

## სიზმარ-ცხადი

ამ წალკოტში ლექსები თავისით იწერება –
ჩვენში, ძროხა კი არა...
ნისლებიც იწველება...
მზის ამოსვლა-ჩასვლაში გადის წუთისოფელი –
დილით შაშვი გიგალობს, ვით სოლისტი ოპერის!..
აქ, ყველა გათენება... დაბადების ტოლია,
სადაც ყველა პირი-პირს, გული-გულს აპყოლია!
ღამე, მთვარის სანთელით, ორღობეში გზებს ეძებს,
სოკოწითელის ეშხით... ალმური სდით ცხელ კვეცებს.
აქ, ყველა გამარჯვებას – გაგიმარჯოს ეტყვიან!
სიყვარული მფარველობს კაცის სიტყვას სვეტყვიანს.
ღამე დნება, როგორაც უფლის თაფლის სანთელი –
სადღაც ბნელი კვდება და იბადება ნათელი!

* * *

ასეთ შვილებს ვინ იშვილებს?
ანდა, ვინ ჭამს მათ „იშკილებს"?
„კუჭის მომტყუებელსა" და
დიეტისთვის მოშიმშილეს?

## ჩვენ ბოლოში!

გვეკითხებიან:
– რეკლამა შემოქმედებაა თუ
კარგად შეფუთული ტყუილი?
– ჭკუის რეკლამა... დუმილია,
დუმილის რეკლამაა – კუილი!

ლაპარაკე ბალიში გამოიგონეს.

წარმოიდგინეთ, ახლად გაღვიძებულს თქვენი საკუთარი... ბალიში რომ მოგესალმებათ, შემდეგ კი გისაყვედურებთ:

– რამდენს ხვან-ცალებდი, ასე ხომ ნორმალური ძილი და დასვენებას არასოდეს გეღირსებათ?

აი, დაახლოებით ასეთი დანიშნულების მქონე ბალიში გამოიგონეს იაპონიის ძილის კვლევით ინსტიტუტში (თურმე, ჩვენი „ავის" თუ „თავის"-უფლების ინსტიტუტისა არ იყოს, ასეთიც ყოფილა), რომელიც ადამიანს ურჩევს, თუ როგორ პოზაში წოლა იქნება უმჯობესი მისი დასვენება-მოსვენებისათვის.

**P.S.** ზოგს ბალიშზე დასადები თავიც არა აქვს და ასეთი ბალიშის პატრონს ან რაღად უნდა თავი?

<u>ქეთა თითურია (მომღერალი):</u> მე არავის წინააღმდეგ არ ვარ და კარავში არ ჩავჯდები, ხელ ფეხებზე მკიდია. გინდა მიშა იყოს, გინდა – სხვამისა.

„კვირის პალიტრა",
27.04-03.05.00

## *1941.22.06.*

...ცა ასეთ ხმაურს არ აცეხაედა ტყუილად —
პაერში უამრავმა სეასტიკიანმა თვითმფრინაემა გაიშხუილა...
ომი დაიწყო!...
დასაბამით, 14500 ომიდან, ყეელაზე საშინელი —
სამკვდრო-სასიცოცხლო, კაცისმჭამელი და სისხლისმსმელი,
რომელმაც 50 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა —
დღემდე მათ ვალში ვართ ყველა...
ჩვენდა წილად!
„ომი დამთავრდა, ომი დამთაერდა, ომი დამთავრდა, ხალხნო!"
როგორც იქნა, მორჩა, გათავდა... და დარჩა შორი-ახლო —
მგონი, უარესიც! დრო დგება — წარღვნის და ნოეს კიდობნის...
„ომი დამთავრდა, გეშინოდეთ, ხალხნო, მშვიდობის!"
*(ბერტოლდ ბრეხტი)*

## *კალმისკაცობა!*

ბედისწერის წერაა მწერლის წერა-კითხვები.
კალმოსანი, მგოსანი — კალმის მონად ითვლები.
სალამ-კალამ-ქალამი არის მწერლის ალამი —
არამი და ალალი — ჭრილობაც და მალამოც!...
მწერლისათვის გარემოს მაშინ პქვია ქებული,
როცა მაგიდა არის... აფორიაქებული!
როცა გადაშლილია გულიცა და წიგნებიც —
მარგალიტის ძებნაში — მეტაფორის მიგნებით...
როცა გული გისკდება კაცსა სულის ამბოხით
მანამ არ მოგეშვება, სანამ სულს არ ამოგხდის!
არის სრული ქაოსი, აქ სწორდება ღამეც, დღეც...
ჯოჯოხეთიც აქეაა და იქეაა... სამოთხეც!

* * *

...რაცა მაქვს — თავიდან-ფეხებამდე —
თვალსა და ხელს შუა გავქრები.
რაც მე მაბადია — „ნაბადია" —
კუზს ზურგით დაათრევს აქლემი.
წუთია ეს წუთისოფელი,
ჯერ — შვილი, მერე ხარ — მშობელი.
კაცი რომ მის შვილში იცნობა...
ესაა ის მარადისობა!

---

*დემოკრიტე: სიტყვა საქმის... ჩრდილია.*

*ჟან ჟაკ რუსო: ახალგაზრდობა — სიბრძნის დაგროვების, სიბერე მისი გამოყენების ჟამია.*

## 1985 წლის აპრილი. ქრისტე აღსდგა!

# თბილისური სახლის კონტურები

სააქციო საზოგადოება — კინოსტუდია „ქართული ფილმი" (პრეზიდენტი რეზო ჩხეიძე) და, მეორე მხრივ, ფირმა „ბემი" (პრეზიდენტი გუჯა ბუბუტეიშვილი), დოდო აბაშიძის დარბაზისა და საზოგადოება „თბილისელის" (დავით ციციშვილი) ძირძველი თუ თბილისელების ახალი თაობის ინიციატივით, ხანგრძლივი ძიებისა და ურთიერთკაცური მოლაპარაკებით, მიდიან შესანიშნავ მოქალაქეობრივ და ეროვნულ შეთანხმებამდე — კინოთეატრ „რუსთაველში" შეიქმნას სრულიად არაორდინალური და დიდ მიზნებზე გათვლილი „თბილისური სახლი", რომელიც მიზნად ისახავს დანგრეული თბილისური სულისა და დედაქალაქის მატერიალურ აღორძინებას.

„ქართული ფილმი" ქმნის ფირმა „ბემ"-თან, დედაქალაქის მერიასთან და მოქალაქეებთან ერთად, სააქციო საზოგადოებას — ახალ იურიდიულ პირს და აყენებს პირობას, რომ კინოთეატრს არ დაუკარგავს (შეუნარჩუნებს) თავის პროფილს.

ფირმა „ბემი" ვალდებულებას იღებს, ორ წელიწადში ერთხელ დააფინანსოს ერთი სრულმეტრაჟიანი ახალი ქართული ფილმი (500 000 აშშ დოლარი), იყოს სრულუფლებიანი პროდიუსერი (აქედან გამომდინარე, ყველა უფლება-მოვალეობით), და შემოსავლის თანხა გაანაწილოს ასეთი თანაფარდობით: 75% „თბილისურ სახლს" („ბემ"), 25% კინოსტუდიას. „რუსთაველში" რეკონსტრუირებული იქნება საფესტივალო კინოდარბაზი.

ეს გახლავთ წინასწარგანზრახულობის ძირითადი მომენტები.

ახლა, ჩემი აზრით, პირველი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამ, სრულიად ახალი, საშვილთაშვილო საქმის დასაწყებად:

1) საჭიროა, განისაზღვროს სახლის სტატუსი (იუსტიციის სამინისტროსთან ერთად). ეს, ალბათ, რაღაც საკლუბო პროფილს უფრო ესატყვისება;

2) უნდა მოეწყოს შეხვედრა ისტორიკოსებთან, კერძოდ, ეთნოგრაფებთან, თბილისის მუზეუმის თანამშრომლებთან, რათა გავიხსენოთ თბილისური ადათ-წესები, ქართული, კერძოდ, მახვშური (სვანური) ტრადიცია; ყარაჩოხელთა წეს-ჩვეულებები, „შევარდენისტების" ტრადიცია (ქალაქის ხასიათის ჩამოყალიბებაში) და ა.შ. თბილისური მახასიათე-

---

*რეზო ჭეიშვილი (მწერალი):* რუსთაველი ახლა ჩვენი ოპოზიციის იმედზეა. ერთადერთი იმედი დარჩა „გერეჩიხა" და „ხაშლამა". მეკრულებიც არიან ერთმანეთთან რუსთაველი და ოპოზიცია. აბა, ნინო ბურჯანაძე და მისი ქმარი ვისი ცეკა-ცომარები არიან?

რეზო ჩხეიძეს, იქით, რა დაემართა? ელდარ შენგელაიამ მიიღო უმაღლესი ჯილდო, რომელიც, მის გარდა, მხოლოდ ბუშს აქვს მიღებული. ამ ფაქტზე რეზო ჩხეიძე აიშალა, წონასწორობა დაკარგა და ოპოზიციის მხარეზე გადავიდა. ასე ემართება ხელმოცარულ ხალხს.

ამდენ გალიებს მეძებს არ უნდოდა? მე ერთხელაც ვერ ვიყიდი, გარაჟი რომ დავიდგა. სანამ მთელ საქართველოს გალიებად და ზოოპარკად გადააქცევენ, ამასობაში პრეზიდენტს ვადა გაუვა. ამიტომ „გალოვინსკის რაინდებს" ვურჩევ, წაიღონ ეს გალიები და ჯართში ჩააბარონ.

P.S. „გალოვინსკის რაინდებს" ახლა „ბაღის კიდის" რაინდების გადაკიდებაღა და თბილისქალაქის დაპირისპირებაღა გვაკლია.

ბლები და სხვა ქალაქური სანახაობები — ბერიკაობა, ყეენობა — აქედან, დღესაც არდასაკარგავი ტრადიციების რეგენარაცია (ავთო ციბაძე).

ჩვენი სახლის მოქმედების ტაქტიკა უნდა გამომდინარეობდეს პრინციპიდან, ძველქალაქური საუკუნოვანი ტრადიციიდან — დაწერილი თუ დაუწერელი კანონებით (ჩვენში კანონი მოკვდა — წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ მის ხსოვნას!) მე, ალბათ, ჩემი საშუალებებით მაინც, წავალ ევროპის რომელიმე იმ ქვეყანაში, რომელსაც საკლუბო-საზოგადოებრივი მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს (შვეცია, სტოკჰოლმი, საფრანგეთი);

3) საჭიროა, აღვადგინოთ „ტფილელი ბერების" ინსტიტუტი (შუა საუკუნეები). XI ს. 80-იანი წლებიდან 1122-მდე, ჯაფარიან ამირთა გადაშენების შემდეგ, ისინი იყვნენ თბილისის სრულუფლებიანი „გამგებლები".

სხვანაირად მათ ერქვათ — „ქალაქის უხუცესნი".

„ტფილელი ბერები" უნდა შეირჩეს საზოგადოებრივი გამოკითხვით, დაახლოებით 33 კაცის ოდენობით. თბილისის ყველა ისტორიულ უბანს უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი. მათი კონტიგენტი უნდა შეირჩეს ყოველგვარი ასაკის, სოციალური დიფერენცირების გარეშე, პრინციპით — ჭკუის საკითხავი, კოლორიტული პიროვნება!

მაგალითად, გივი კარტოზია, გოგია რებეცა, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე (ჯაფარიანთა პარალელი!), მეთევზე პეპო, ჩხირო, გუჯა, ალექსანდრე ჯავახიშვილი, რეზო შუღლიაშვილი, გურამ ჩიჩუა. აგრეთვე, დათუნა მუსხელიშვილისთანა ალალმართალი და ნაღდი თბილისელები. მათ შორის უნდა ერიონ ხელოსნები, „შოფრები", ტრამვაის ვატმანი და ა.შ. „ტფილელი ბერების" ვერდიქტი, საზოგადოებრივი აზრის სახით, ეგზავნება ოფიციოზს (მერიას და ა.შ.). სასურველია, განხორციელდეს ჯგუფური კომპოზიციის პროექტი „თბილისელი ბიჭები" და დაიდგას მათი ძეგლი, რომლის ესკიზი შეასრულა ცნობილმა მხატვარმა ვახტანგ რურუამ (იდეის ავტორი გახლავთ თქვენი მონა-მორჩილი გიზო ნიშნიანიძე).

4) ქალაქის მსაჯულთა საბჭო ან ქალაქური სასამართლო, ჩხიროს (რეზო ჩხეიძის) მთავარი მოსამართლეობით და ქალაქური სჯულდებით. ეს სამსჯავრო გამოხატავს თბილისელთა ნებას.

მისი სასჯელის ფორმები სრულიად არაორდინალური უნდა იყოს. ვთქვათ: აეკრძალოს რუსთაველზე გავლა; მიესაჯოს სახლში ჯდომა; გამოცხადდეს არაკაცად; აეკრძალოს სამშობლოს სადღეგრძელო და სხვა (თბილისური ხასიათისა და ხალხური სიბრძნის უფლებამოსილების ფარგლებში)!

5) თბილისურ სახლს უნდა ჰყავდეს ორგანიზატორ-განმკარგულებელი — ნაღდი თბილისელი (სასურველია ახალგაზრდა იდეალისტ-რეალისტი კაცი და ამ საქმისათვის თავის დასადებად მზადმყოფი ადამიანი). უნდა შეირჩეს არაორდინალურ-ორიგინალური მიზნების მცოდნე, შეუვალი პიროვნება — ყოველმხრივ პატივსაცემი კაცი — მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ გივი კარტოზიას მსგავსი.

საჭიროა, განმკარგულებელ-ორგანიზატორს შეერჩეს გუნდი თანამდგომებისა — მამასახლისები. უბნების წარმომადგენლებთან ერთად შეიქმნას „სახლის მესვეურთა" ინსტიტუტი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გათბილისელებულებისა. მაგ. ბათუმელი თბილისელები, კახელი თბილისელები, იმერელი, მეგრელი, გურული და ა.შ.

6) სახლს უნდა ჰყავდეს დიდი დიასახლისი და დიდი სახლის პატარა დიასახლისების გუნდი (რაღაც, ჰერცოგ ალბას სახლივით).

მოეწყოს დიასახლისების მიერ მეურვეობა მოხუცებსა და ინვალიდებზე, ძნელად აღსაზრდელ (იმ „სასიკვდილე") ბავშვებზე (პატრონაჟი ნანა ხაზარაძე და სხვები).

მოეწყოს დიასახლისთა შეჯიბრებები — საცივების, ნამცხვრების, ლობიოს კონკურსები.

7) აღდგეს მაჭანკალთა ინსტიტუტი „ხანუმა".

8) შეიქმნას სპეციალური გაზეთი და ტელეარხი — „თბილისური სახლის" მოამბე.

9) „თბილისურ სახლში" იქნება ნიკალას, საიათნოვას, იეთიმ გურჯის, მანანა ორბელიანის სალონი, სულხან-საბას კათედრა, ეროსის ოთახი, სიცილის ოთახი — ნიაზა (ყოველდღიური ახალი ანეგდოტების და ქალაქის მხიარული ქრონიკის დაფიქსირებით); თავზეხელაღებულების კუთხე, ძნელადაღსაზრდელ ან, საერთოდ, „არაღსაზრდელთა" („ჯანდაბამდე გზა გქონიას" „სექტორით"); სამხატვრო სალონი, მუსიკალური დარბაზი, ღამის კლუბი („გაუმარჯოს ისეთ რესტორანს, რომლის კარები არ იკეტება!" — მამფი). უნიკალური ჩანაწერების ფონდიდან ამ ოთახებში იტრიალებს „ძველების" ფოტოები, შეგონებები, დარიგებები, დამოძღვრები, ბიუსტები... ლექსები, სიმღერები ნიკალაზე, მის „ამქარზე" და ა.შ. აქ სტუმარი რომ შემოვა, უნდა ნახოს თბილისი, თბილისური სახლიდან გაუსვლელად.

შეიძლება, დაინიშნოს ქუჩური ჩხუბებიც.

10) შეიქმნას ომისა და შრომის ვეტერანების ოთახი, დამარცხებულ ომში გამარჯვებული ბიჭების ოთახი.

11) „თბილისური სახლი" უნდა მოეწყოს ჭირისა და ლხინის დღეებისათვისაც. თბილისელი ყარაჩოხელები (ქალაქელი ამქრების ქვრივ-ობლებისათვის) ფლავს მოხარშავენ; აქვე ჩატარდება ქორწილები, დღეობები, ქელეხები.

12) დანესდეს „თბილისური სახლის" ყულაბა, შემოწირულობების დაფიქსირებით (სახლის „ქორონიკონში", ანუ სპეციალურ ალმანახში; „ღია გაზეთი" — ქრონიკები. აქვე იქნება ცარიელი სამახსოვრო რვეულები ნებისმიერი ჩანაწერისათვის.

13) სახლის მესვეურებმა ადამიანურად უნდა გაიზიარონ ერთმანეთის ჭირი და ლხინი. მეურვეობა უნდა გაუწიონ სკოლებს, ძნელად აღსაზრდელებს (მანდატურებს სკოლებთან რა ხელი აქვთ?!).

შემოღებულ იქნეს შეგირდობის ტრადიცია (უფრო სწორად, აღდგეს).

14) „თბილისურ სახლში" იმუშავებენ უცხო ენების, მუსიკის, ცეკვისა და სიმღერის შემსწავლელი წრეები და კაბინეტები;

*ყირგიზეთის რომელიღაც რაიონში არის ერთი სოფელი ოში. როგორც ირკვევა, ოშელ გლეხ იბრაგიმ ისმაილოვს საკუთარი მამლისგან ჩახოხბილის დამზადება მოუსურვებია და მაშინვე მისთვის თავის წაცლაც გადაუწყვეტია, მაგრამ ჰოი, საოცრებავ, — იხსენებს ოშელი იბრაგიმი, — როგორც კი მამალს თავი დავადებინე და ნაჯახი მოვიმარჯვე, მან მაშინვე ლოცვა დაიწყო...*

*რამდენად მართალია ეს ამბავი, რთული დასაჯერებელია, მაგრამ როგორც იბრაგიმი ამტკიცებს, მამალს „ალაჰ, ალაჰ" შეუყვირია, რის გამოც კაცს მუცლის გვრემა მაშინვე დაეწყებია, მუხლებზე დავარდნილა და ლოცვა დაუწყია.*

*წმინდა გრაალის თასი რომშია ინახება?*

*წმინდა გრაალი, რომელსაც კაცობრიობა მრავალი ასწლეულის მანძილზე უშედეგოდ დაეძებს, რომში, კერძოდ კი, სან-ლორენცოს ბაზილ-*

15) ჩატარდეს ნათლობები (კონტაქტი ქაშუეთთან). ქაშუეთის წინამძღვარი შევა „ტფილელ ბერებში".

ღია ცის ქვეშ გადავიხდით თბილისის ომის დროს დანგრეული თბილისის, რუსთაველის პროსპექტის „პანაშვიდს".

16) რუსთაველის პროსპექტის დასაგველად გამოვლენ წარჩინებული მანდილოსნები. რუსთაველის პროსპექტი გამოცხადდება უსაფრთხო სეირნობის ქუჩად.

17) „თბილისურ სახლს" ეყოლება სასწრაფო დახმარების სამსახური, ექნება პერსონალური აფთიაქი და ა.შ.

ეს ყველაფერი რეალური ფანტაზიის დონეზეა ჩაფიქრებული!

## „ძველი თბილისის სურათები"

„ძველი თბილისის სურათებს" ცინცხლად ინახავს ერთი ჩემი თანამედროვე კაცი — თეიმურაზ ბერიძე!

„დრო საოცარი ფენომენია... ყველაფერს ხარჯავს და ინელებს". სადღაა ის, თუნდაც ჩვენი დროის ბიჭობის წრე-ლახტი, ჩილიკა-ჯოხი, კოჭაობა (ალჩუ-თოხანი), ფეხით კენწლაობა (ავჭალური). ამ ოქროსფერი წიგნის ოქროსფერი სტრიქონები კი ცდილობს, მკვდრეთით აღადგინოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყეენობები, ალალი მუშტი-კრივი, ყოჩების დაჯახება, მამლაყინწების ჩხუბი... „მამადავითობა", მზითვის ჩვენება, თელეთობა, ყარაჩოღელების ქეიფი, ლოყებდაბერილი მედუდუკეები, არღანები... „წყალკურთხევა", „კვირაცხოვლობა", „ბარბარობა", „სიონობა", „ანჩისხატობა"... ყველიერში მუშტი-კრივი: ხრიდოლი, სალდასტი (ცალი ხელით)... მოკრივე-ფალავნებისა ლოხოშას, ჭიანუას, კუნძუას... მარაქის ბიჭების მკლავის მოსინჯვა (სოსო ჯაჭვლიანის მარიფათით) — ამ ღია ცის ქვეშა თეატრის იგავმიუწვდომელი სპექტაკლწარმოდგენები!

თბილისს, პირველად, მე-4 საუკუნის პიტიახშის დროიდან მოიხსენიებს „მოქცევა ქართლისა". იგი ორსახოვან იანუსს ჰგავდა თავისი ვიწრო შუკებით, ფოლორცებით და ბანიანი სახლებით. იყო დრო — წელიწადში ერთხელ, თბილისური ამქარი ქვრივ-ობლებისათვის საერთო შილა-ფლავს ხარშავდა — ჭირიც ერთი იყო და ლხინიც!

კინტო XIX საუკუნის „ფრუქტია" — უდარდელი, ზანტი, „ბუნების ნებიერი შვილი" ნეაპოლიტანელ ლაცერონსა და პარიზელ გაბენს — მაქციერა ბიჭ-ბუჭებს რომ მოგაგონებდათ!

... „პაემანი ვერაზე", ვიდრე პოემად გამოცხვებოდა და ლექსის წერას მასწავლიდა, პირველად თვალწინ დამიდგა ინგლისურ კინოფილმ „ოლივერ ტვისტში" გათენებისა და დილის მუსიკალური ფეიერვერკის ნახვისას... როგორ ლამაზად იღვიძებს ქალაქი მეყვავილეებისა და ქუჩის სიცოცხლით სავსე ნაირ-ნაირ ჰანგებზე და ხმებზე.

თბილისს... უთენია უთენებდნენ დილას წყნეთელები, კუმისელები, ტაბახმელელები, ოქროყანელები, შინდისელები...

„ვაი, შე საცოდავო, მაგ ყვირილზე გიცან...
ცოცხალი ხარ, კიდევა, შინდისელო ბიძავ —"

მისტირის ჩემი სახლიკაცი შოთა ნიშნიანიძე „ყანწებივით ქუჩებსა"

---

*ართურ შოპენჰაუერი: სიჭაბუკეში — ჭვრეტა სჭარბობს, სიბერეში — განსჯა; პირველი — პოეზიის პერიოდია, მეორე — ფილოსოფიისა.*

და „ქოთნებივით სახლებს". მეც ამ ნყნეთურმა მანონმა, ცერიანმა კუმისურმა ლელემა, თბილისური სითბოს მომტანმა ცხრათვალა მზემ და მხერხავების „ხერხიანმა" სიტყვა-პასუხმა გამაპოეტა, რადგან, ლექსის გარდა, სხვა ვერაფერი იტყვის ასეთ უთქმელ სათქმელს!

რა შნო, რა ეშხი, რა ლაზათი!

მამაჩემის მოყოლილია!

ერთი მისიდროინდელი სურათი!

კუმისიდან ვირით ჩამოჩიქჩიქებულ კუმისელს, დილის სიფთაზე, ზედ ორთაჭალის ციხესთან დაუნყია, ეგრეთნოდებული, სარეკლამო ღრიალი:

— მანოოონი, მანოოონი!

— შენი გვერდში მამნოლიო! — ვიღაც გადმომდგარა და მიურითმია რკინის გისოსებიდან!

— ვა, — შეუჩერებია მემანენეს თავისი „საპალნე" და ხურდაც დაუბრუნებია, — როგორი ჩიტიც არა ხააარ — ისეთ გალიაშიც ზიხარო!

მახლას, მაშინ მთქმელიცა და გამგონეც ბარიბარში იყვნენ!

ისე კი არ იყო, ახლა რომ უმიზეზოდ ერთობიან დედ-მამის სულში ტრიალით — აი, ისე, ვანუამ რომ ქვეერი „ნაბილნა" გინებით და ქვეერმაც რომ — იქედან გინებითვე ამოსძახა ის, რაც ჩასძახეს (?!)

— ეხო ხარ? — ჰკითხა ვანუამ.

— ეხო კი არა — მიხო ვარ! — მიიღო პასუხი.

...თუ გინდა, გაიგო ნაღდი თბილისელი — მაჯაზე მოკიდე ხელი და თბილისი უხსენე — თუ მაჯა აუჩქარდა, ესე იგი, თბილისელიაო!

მათ შორის, ვისაც თბილისის ხსენებაზე გული აუჩქარდებოდათ, იყო ერთი, ჩვენი თაობის ვერელი კაციც, თბილისის არქიტექტურის მესვეური თენგიზ კვირკველია, რომელმაც სულ ნაბიჯ-ნაბიჯ ზომა თბილისი-დედაქალაქი (ძველთბილისურ განზომილებაში), მაჯისცემა უზომა საყვარელ ქალაქს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თანამედროვეობის დაუოკებელ ურბანიზაციას, სამნუხაროდ, თან სდევს ნარსულის ზღაპრული სინამდვილის გარდაუვალი მსხვერევა და მსხვერპლი!

„თბილისში ვერცხლის, სამღებროს ქუჩების, ბამბის რიგის სახელნოდებები შუა საუკუნეების ფრაგმენტია და ამქართა ქუჩებად და უბნებად განლაგების ტრადიციას გადმოგვცემს, ისევე, როგორც „კომკავშირის ხეივნის" სახელნოდება მიუთითებს მისი უმნიფარი მშენებლის ვინაობაზე!

მოკლე ჩართვა: ჩვენსობას, ანუ გაგანია კომუნისტობის დროში, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი, თავისი ორი შვილით, ავიდა ამ ხეივანში, ქართველის დედის ძეგლთან, გადმოხედა ცოდვით სავსე თავის ქვეყანას და... მათთან ერთად გადმოეშვა კლდიდან!

იყის ქვეშ ინახება.

ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს ცნობილი იტალიელი მეცნიერი და არქეოლოგი ალბერტო ბარბაგალო.

ლეგენდის თანახმად, რომის იმპერატორ ვალერიანის მეფობის დროს, 298 წელს, როდესაც ქრისტიანების მასობრივი დევნა დაიწყო, წმინდა გრაალის მოვლა დიაკვან ლორენცოს დაევალა, რომელიც ოთხი დღის შემდეგ აღესრულა. მას მერე წმინდა გრაალის თასის შესახებ ზუსტი ცნობები აღარ ვრცელდება.

„ქრონიკა",
20-26.04.09

უჩვეულო კუბო

აფრიკის სახელმწიფო განაში, დედაქალაქის მახლობლად, მდებარეობს კუბოების საამქრო, რომელიც უნიკალურია მსოფლიოში. საამქროში მზადდება თვითმფრინავის, ლომის, კიტრის, ფეხსაცმლის, „მერსედესის" და სხვა საგნების მსგავსი კუბოები.

**P.S.** ქართველები კუბოს ხსენებაზე იფურთხებიან. იქამც იყოსო. თუმცა, ამბობენ, მუქთა კუბ-

„მრავალ დროების მონამე" მტკვარსაც კი არ ახსოვს მსგავსი ამბავი, რომელმაც საგონებელში ჩააგდო თბილისი!

...ისევ ძველისძველ თბილისს მივუბრუნდეთ!

რესტორნებსა და ბარებში დანყებული ქეიფი... აბანოში მთავრდებოდა.

იქნებ, ამიტომაც ეძახდნენ თბილისში „მაღარიჩს" — დასვენებას კი არა — დასველებას.

...მაშინ ახალი ჰოლანდია ერქვა (XIX ს.) ვარდისუბნის ქუჩას.

აშპაშხანა — სახაშეების, სახინკლეების, საქაბაბეების რიგს! აქ ყოველი დუქნის პატრონს, დაქირავებული მუსიკოსების ნაცვლად, „შეტოლებული ჩიტები ჰყავდათ გალიებში" და პატარა საკენკითაც მათ სამოთხის ჭიკჭიკი გაჰქონდათ!

ბაზაზხანა ერქვა ფალას-ფულასით... ბამბის რიგი — ბამბით, მატყლით, ჩითითა და ფარჩით სავაჭროთა რიგს.

აქეთ ბატონის მოედანი — იქეთ ბაყალხანა (სურსათ-სანოვაგის ორი ბაზით — ყასბებით, ბაყლების, ალაფების (ხორცით, ფქვილითა და მარცვლეულით მოვაჭრენი), მეთევზეთა დუქნებით.

თავად გივი ამილახვრის მიერ აგებული, დღეს ფეთხაინის ეკლესიად ცნობილი ბეთლემი, ნმინდა ეკატერინეს სახელზე — ბერძენხანა,... ვაჭარ ბეჰბუდას ბაღი და ხიდი (შემდგომში ვერის ხიდი); ბნელი ხიდი (თათრის მოედანთან)... ურიათა, ფრანგთა უბანი; გაბაანთხევი (ლურჯ მონასტერთან); განჯის კარი — ნარიყალას ბასტიონებით; გრიშუას ბაღი; გრძელი ბაზარი; დაბაღხანა; დირსიჭალის ბაღები; მუშტაიდი; დიღმის კარი; მეფის, დედოფლისა და მამასახლისის ბაღები... სამნუხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღნიეს თეატრმა და ქარვასლამ, რომელიც ჯოვანი სკუდიეროს პროექტით აშენდა და გაბატონებული ადგილი ეჭირა პასკევიჩ-ერევანსკის მოედნის სივრცეში!

ალექსანდრე დიუმა ნერდა: ბევრი თეატრი მინახავს ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ თბილისისთანა არსად და არასოდესო!

იქნებ, სულაც მაშინ გაჩნდა ეს ქარაგმა — „დაინოს მისი დამნველიო" — 1874 ნლის 11 ოქტომბერს, როცა თეატრში „ნორმა" გადიოდა და ეს დიდებული ნაგებობა ცეცხლმა ფერფლად აქცია!

...ალექსი ბარნოვი „ძველი თბილისელი მუსიკოსების" ეშხით დანერილ ნიგნში შეგვახსენებს ძველ ხალხურ საკრავებს: სალამურს, ნინნილას, ებანს, ჩანგს, ორძალს, სამძალს, ქოსს, ზროხაკუდს, ჭუნირს, დაფდაფს, ტაბლაკს, ნესტვს, ბუკს, ლარჭემს, სოინარს, გუდასტვირს, სპარსულ თარს, საზს, ქამანჩას (ჩვენებურ ჭიანურს), არაბულ დაფდაირას, ზურნას, დუდუკს, ნაღარას (დიპლიპიტოს)... მუღამათებს — ბაიათებს, თბილისურ მუხამბაზებს, თასნიფებს, შიქასტებს; ქალაქური პოეზიის ეშხს — საიათნოვას, გივიშვილს, ჰაზირას, განჯის კარელს, ბეჩარას, იეთიმ გურჯს; 1915-1916 ნლებში ოსმალეთთან ბრძოლებში მონანილე დავით ჭავჭავაძის ქართული პოლკის მეზურნეებს, გიორგის ჯვრის კავალრებს — პეტა ჩაჩანიძეს, გიორგი ბეგიაშვილს, დავით ტაბუაშვილს; პირველი მსოფლიო ომის მონანილე, გენერალ ბაგრატიონის სარდლობით მებრძოლი დივიზიის მეზურნეებს — ვანო და მიხა შაჰგულაშვილებს, სერგო და დათა ზუბიაშვილებს... მათ შვილებს — ლევა-

ნასა და ივანეს!... დათა ზუბიაშვილი (თავისი დასტით) „ველურ დივიზიაში“ იბრძოდა და (კრნანისის ომში „მაჩაბელის დასტასავით“) სიმღერითაც ებრძოდა მტერს.

ამბობენ, 1902 წელს, გიორგი ამილახვრის ბანკეტზე (ვიღაც უცხოელის საპატივცემულოდ) აბდულ-ბაღიას, ერთ-ერთი მუღამათის — ჩარგიას მესამე მუხლის — ჰასარის შესრულების დროს... სამწუთნახევრის განმავლობაში არ ამოუსუნთქია და ხმა შეიდნაირად შეუცვლია (?!)... მაშინ, როცა მას, სუნთქვის შეჩერებისას, დიაფრაგმის გამოყენების ვოკალური ტექნიკის ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა! მეორედ, „ედემში“ (1904წ), მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვს უბრძანებია, პირში ჩამახედეო (ალბათ, რაღაც ინსტრუმენტს ეძებდა დიდი თავადი და ვერაფერი საეჭვო რომ ვერ უნახავს, თითიდან სამკარატიანი ბრილიანტის ბეჭედი წაუძერია და ამ კაც-ბულბულისთვის უფეშქაშებია — ალალი იყოს, ალალი კაცის ალალი სიმღერისათვისო!

ისევ ჩემი სალოცავი ჯამით, სახლიკაცის ლექსთან შევაჯამებ გარითმულ ფიქრს და ამ ერთ ამოსუნთქვასაც ამით დავამთავრებ:

მე წარ-სულით გავცქერი მოჩა-ვალის მიზანს —
ბოდიშს ვიხდი ყოველთან — დაგვავიწყდა ვინცა —
„ორთაჭალას, მთაწმინდას, დიღუბეს თუ ისანს,
ისევ ისმის ძახილი: „ყვავილების მიწა!“

## შარდენი საქართველოზე

1975 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „საქართველოს შესახებ არსებული უცხო წყაროების კომისიამ“ გამოსცა ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოს შესახებ. ეს წიგნი გამოსვლისთანავე წავიკითხე და ახლა ჩემი საფინალო ოთხწიგნედის წერისას, მხოლოდ ჩემ მიერ ხაზგასმულ სტრიქონებს მივსდევ.

შარდენის „მოგზაურობამ“, ევროპისათვის, საქართველოს გაცნობის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა! იგი 1672 წლის სექტემბერში ჩამოსულა და 1673 წლის 28 თებერვალს გაცლია ჩვენს ქვეყანას. მისმა პირადმა შთაბეჭდილებებმა მნიშვნელოვნად შეავსო ბერძენ, რომაელ და სპარს ისტორიკოსთა და შარდენის წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა თუ მისიონერთა ცნობები საქართველოზე. მას ამ მოგზაურობაში თან ხლებია რეზენი და მხატვარი გრელო.

ოც უყვართო! ნაბახუსევმა საქომ და სიკომ კი სიმღერით დაგვიბარეს, რომ ძმებო, როცა მოვკვდებით, ნუ ჩაგვდებთ კუბოშია... ჩაგვდეთ ტიკჭორაშია!

თურმე, აკრძალულ ხილში ვიტამინები მეტია!

ჩვენ დროში სენსაციები საძებარი არაა, მაგრამ... გასული დღე-ღამის განმავლობაში არავის მოუკლავთ, არ დაუჭრიათ, არაფერი აფეთქებულა, თვითმფრინავი არ ჩამოვარდნილა, გემი არ ჩაძირულა, არც სტიქიური უბედურებები მომხდარა. საინფორმაციო სააგენტოს ახალი უღიმღამო ინფორმაციისთვის რედაქცია ბოდიშს უხდის მომხმარებლებს.
„კვირის პალიტრა“

ტაიტის კურორტ პატაიაში გაიმართა გულიანი და მხიარული სიცილის კონკურსი. 12 ქვეყნის წარმომადგენლებს უნდა ეცინათ და მაყურებლიც გაეცინებინათ. გამარჯვებულს, გარდა მაყურებლისა, აირჩევდა ტექნიკაც. რო-

პარიზიდან... მილანის, ვენეციისა და ფლორენციის გზით კონსტანტინოპოლში ჩასულა, აქედან, გემით — ყირიმში. ყირიმიდან სამეგრელოში და ახალციხის, აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთის გავლით — ისპაჰანში. ირანის შაჰი—აბას II თავის ქვეშევრდომებს უბრძანებს, რომ ფრან ნეგოციატებს არ გადაახდევინონ არავითარი ბაჟი და არ შეუქმნან არავითარი დაბრკოლება. ამ „ფირმანით" ნარსდგა იგი ქართლის მეფის — ვახტანგ VI ნინაშე.

ევროპის დაინტერესება საქართველოთი, ერთი მხრივ, გამონვეული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო გზების ძიებითაც. შარდენისთვის საქართველოს შესახებ ცნობილი უნდა ყოფილიყო XIII-XVII საუკუნის ევროპელ მოგზაურთაგანაც (მარკო პოლო, კონტარინი, პიედრო დე ლა ვალე და სხვა).

„ვიდრე შევუდგებოდე ამ სიძნელეების და სიკეთის შესახებ თხრობას, რაც სამეგრელოში გადავიტანე, მე აღვნერ ამ ქვეყანასაო" — ნერს ფრანგი მოგზაური და მის მიერ, ვინმესთვის, თუნდაც უმნიშვნელო საჩუქრის მირთმევის ამბავს ყოველთვის თან ახლავს რაღაც, ჩვენთვის უჩვეულო სინანული.

...ავტორის უდავო დაკვირვებულობაზე მეტყველებს ის, რომ თუ ერთგან იგი ქვეყნის დაქუცმაცებულობის მიზეზად იმას თვლის — ერთმა მეფემ თავის 4 შვილს ოთხად გაუყო ქვეყანაო, მეორეგან უფრო ღრმად ნვდება საქმის არსს: „კახეთისა და ქართლის სამეფოების გარდა, საქართველოში, ვასალების მსგავსი, მრავალი მცირე მეფე არსებობსო"!

მეფის ტიტულს მხოლოდ იმერეთის მბრძანებელი ატარებს და მეფედმეფეს უნოდებს თავს ქართლის გამგებელიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი, ოფიციალურად, ხანის სახელით არის ცნობილიო. აქვეა აღნიშნული, რომ მაღალ ტიტულებს არც დადიანი იკლებსო.

განუნყვეტელი ომები ერთმანეთთან, ძმათა შორის სისხლის ღვრა, ტყვეთა ნაგვრა, მნარმოებელი მოსახლეობის გაჩანაგება და ქვეყნის დაუძლურება კატასტროფულად ისახება მოსახლეობის რაოდენობაზე.

მეფე-პოეტი არჩილი ნერს, „ალაღდებიან თავადნი" და ერთმანეთს ხოცავენო.

..ღარიბები გოგონებს აკვანშივე ათხოვებენ, რომ ბატონებმა არ მოსტაცონ გასაყიდად ან სახასოდო — ნერს შარდენი.

...იმერეთის მეფე იძულებულია, სამეფო გვირგვინი დააგიროს.

...ყოველნლიურად აქედან 12 000 კაცი გაჰყავთო ტყვეთა ბაზარზე გასაყიდად.

მაკარი ანტიოქიელი მოგვითხრობს გურულის მეუღლე თეკლე დადიანზე, რომელმაც უამრავი ტყვე გამოისყიდა.

შარდენი სამეგრელოში ჩამოთვლის სავაჭრო პუნქტებს, მაგრამ ქალაქად არც ერთი არ მიაჩნია (?). იმერეთში იგი მხოლოდ ორ ქალაქს ასახელებს — ქუთაისსა და ჩხარს. თბილისი დიდი ქალაქი არ არის, მაგრამ ულამაზესი, მჭიდროდ დასახლებული და ხალხმრავალიაო. მას დარ ელ მელიქს, ანუ მეფეთა ქალაქს ეძახიანო! მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ მოიძებნება ამდენი სხვადასხვა ჯურის უცხოელიო.

... სპარსეთის შახი საქართველოდან, ხარკის სახით, ქართველ ყმანვილებთან ერთად იღებს „საუცხოო ღვინოსა და შესანიშნავ ხილს".

---

*ძველი აღთქმა. ზირაქი: შვილო, შეეწიე სიბერესა შინა მამასა შენსა და ნუ აჭირვებ მას ცხოვრებასა შინა მისსა.*

*ოვიდიუსი: ცეცხლს... ქარი აღვიძებს და ქარი აქრობს.*

მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არ არის აქაურზე გემრიელი პური. ქართულ პურზე ვახუშტიც წერს: ქართლში, სადაც ლიახვი რწყავს, იმ მიწაზე მოსული პური — უმჯობესი და უსპეტაკესიაო!

სამეგრელოში ცხენების რჩენა ადვილია და მათგან სარგებლობა კი — დიდიო. თუ მის სიტყვას ვირწმუნებთ — აქ, ნანადირევია ხალხის ერთ-ერთი საარსებო წყარო!

ქალები ზედმეტ ფერუმარილს ხმარობენ და თმებს ევროპულ ყაიდაზე ივარცხნიანო.

შარდენი გაკვირვებულია იმით, რომ დიდებულები საკუთარ ყმებთან ერთად სადილობენ.

საქართველოში სრული შემწყნარებლობა სუფევდა. აქ ცხოვრობდნენ სომხები, ბერძნები, ებრაელები, ოსმალები, სპარსელები, ინდიელები, თათრები, „მოსკოვიტები", ევროპელები და ყველას სრული უფლება ჰქონდა, ეცხოვრა საკუთარი სარწმუნოებით, წესით, ადათით, ემსჯელა მასზე, დაეცვა იგი.

დანაშაულის, ჭეშმარიტების დასადგენად, მტკიცებათა სხვადასხვა საშუალებებიდან, რომელიც გვიან ფეოდალურ საქართველოში გამოიყენებოდა, შარდენს მოხსენიებული აქვს ისეთი ორდალიები, როგორიცაა მდუღარე წყლით გამოცდა და ორთაბრძოლა (თავის მართლების ეს ორივე წესი ვახტანგ VI სამართლის წიგნშია დაკანონებული. ორთაბრძოლას აქ „ხმალში გატარება" ენოდება).

შარდენი ქართული კულტურისადმი ინტერესს ნაკლებად იჩენს. არადა, მისი მოგზაურობის დროს ცხოვრობდნენ სწორედ მეფე-პოეტები თეიმურაზ I და არჩილი. იგი აღწერს შაჰნავაზის სასახლეს, რომელიც ძალიან მოსწონებია. მიუთითებს, აგრეთვე, ქალაქის გარეუბანში მრავალი სალაღობო სახლის არსებობაზე. აქ ბაზრებიც და ქარვასლებიც ქვისგან არის ნაშენებიო.

შარდენი უყურადღებოდ არ ტოვებს იერუსალიმის ქართულ სიძველეებსაც.

1660 წელს იმერეთის ტახტზე ავიდა ბაგრატ IV. პირველად სულ რამდენიმე თვე იმეფა. დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა (დედინაცვალმა) მას თვალები დასთხარა და ტახტი წაართვა. ამ უკანასკნელმა იმერეთის ერთ-ერთი დიდებული ვახტანგ ჭუჭუნაშვილი, რომელსაც „ბაგრატიონად იტყოდნენ", ქმრად დაისვა და ერთხანს იმეფა.

იმერეთის მეფე, ყოველწლიურად, ხარკის სახით, ყმანვილებს გზავნიდა ოსმალეთში. ანალოგიური ვალდებულება ჰქონია გურულებსაც, დადიანი კი მხოლოდ ხელის ტილოს იხდიდა, თურმე, ხარკად.

დადიანის „სათათრო გამოსაღებაში" შერვაშიძის წილიც იგულისხმებოდა.

მელიც ამოწმებდა სიცილის ხანგრძლივობას. „ყველაზე მაგარ ხარხარში" სხვადასხვა ასაკის ადამიანი მონაწილეობდა, უფრო ტურისტები. პირველი ადგილი დაიკავა ინგლისური ენის მასწავლებელმა (იმ პარმოიყმელმა ფლეთჩერმა ხომ არა?.. კიდევ კარგი - არა!) ვინმე კარფი ბანგპოკა ჯიგურიტ ურნგლეპამ ბუნმა. მან 12 წუთი და 26 წამი გადაბმულად იცინა. „კვირის პალიტრა"

ვანო მერაბიშვილი (შს მინისტრი): ქართველების ერთ ნაწილს არ მოსწონს, რომ ქუჩებში ვიდეოკამერები დავაყენეთ. არ მოსწონს ქართველს, რომ სახლში მისულს ჯარიმის ქვითარი ხვდება, ინტერნეტში კი ნებისმიერი ნახავს, როგორ არღვევს მოძრაობის წესებს. ის ხომ ძველებურად ცხოვრებას არის ჩვეული: ავტოინსპექტორს 20 დოლარს მისცემდა და სახლში ამაყად მიდიოდა, რადგან ნაძირალა პოლიციელი დაამცირა. ახლა კი ამაყია პოლიციელი, რომელიც ქრთამს არ იღებს ქართველს ეს

1666 წელს (ეშმაკმა დალახვროს... ისევ ეს ეშმაკის ციფრი!) სეხნია ჩხეიძის წყალობით, თურქებს ქუთაისის ციხე ჩაუგდიათ ხელში. XVI საუკუნეში, ირანში სეფიანთა ყიზილბაშური სახელმწიფო ჩამოყალიბდა და დინასტიის დამაარსებელმა ისმაილ I საქართველო დალაშქრა და დახარკა.

შაჰ-აბას I, თავიდან, საქართველოს მიმართ ფრთხილ და კომპრომისულ პოლიტიკას ეწეოდა. ცბიერი შაჰის პოლიტიკა იმითაც იყო გამოწვეული, რომ საქართველოსადმი ამ დროს რუსეთიც დიდ ინტერესს იჩენდა. გამაჰმადიანებული როსტომ მეფე შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი გამოდგა — ქვეყანას დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა მოუტანა. შენყდა ყიზილბაშთა თარეში. შარდენმა ეს აღარ იცოდა, რა მძიმე ვითარება შეიქნა XVII ს. 60-იან წლებში, როცა როსტომს კახეთი ჩამოართვეს და დაიწყო მომთაბარე თურქმენების ჩამოსახლება, რასაც კახეთი აუმხედრდა.

შარდენი იძლევა საინტერესო ცნობებს სისხლისმსმელი შაჰ-აბასისა და „უიღბლობით საქვეყნოდ ცნობილი" თეიმურაზის შესახებ. ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ქართველი ხელისუფალი იყო, რომელიც ქედს არ იხრიდა ირან-ოსმალეთის (ბაბრის და ფოცხვერის?) წინაშე. შაჰ-აბასმა მის თვალწინ ააწიოკა კახეთი, ამოუწყვიტა ოჯახის წევრები და ტყვეობაში დაალევინა სული (მარტო ქეთევან დედოფლის ტრაგედიას რა ენა აღწერს!)

...რომის პაპმა კლიმენტი VIII –მ თეიმურაზისადმი მიწერილ წერილში იგი ფილიპე II –ის ნათესავად, ხოლო იბერიელები და ესპანელები ძმებად მოიხსენია.

თეიმურაზს პადრე ავიტაბილესათვის დაუვალებია იტალიიდან მკურნალებისა და მხატვრების ჩამოყვანა, რათა, ამ უკანასკნელთ, სპარსელებისაგან დაქცეული ეკლესიები შეეკეთებინათ და აღედგინათ.

შარდენის დროს, აღმოსავლეთ საქართველოში, კაპუცინების ორდენის ბერები მოღვაწეობდნენ, ხოლო დასავლეთში — თიათონელებისა. მათთვის შაჰნავაზს სახლები მიუცია თბილისსა და გორში. მათი ძირითადი საქმიანობა, კათოლიციზმის ქადაგებასთან ერთად, ხალხის მკურნალობა ყოფილა. ქართველები იძულებულები იყვნენ პაპის უზენაესობა ეღიარებინათ, ოღონდ საფრანგეთ-ევროპის პოლიტიკური დახმარება ჰქონოდათ (ირან-ოსმალეთის საპირისპიროდ).

შარდენის ცნობების მთლიან თარგმანში ვკითხულობთ, რომ შაჰის ჰარამხანაში ყველაზე მეტი ქართველი და ჩერქეზი ქალები არიანო. ის ყველაზე ლამაზად მოიხსენიებს მათ.

...შავი ზღვის შესართავთან გემები ისე ხშირად იღუპებიან, რომ ზღვასთან ახლოს მდებარე სოფლები „გემების ნამსხვრევებით არის აშენებულიო". „ძნელი წამოსადგენია, მაგრამ ირწმუნებიან, რომ ეს ბარბაროსები, ქარიშხლის დროს, ყველაზე სახიფათო კლდოვან ნაპირზე

*გრიგოლ ორბელიანი: ძველთ უძველესი არს ესე წესი: რაც ვერ ჰქნეს მამათ, ისი ქმნან შვილთა!*

*ილია ჭავჭავაძე: ბედს – კაცი ქმნის და არა ბედი კაცსა.*

*ბელინსკი: პატიოსან ადამიანებს ერთი ცუდი ჩვევა ჭირთ – თავხედობასა და სიბილწეს... თვალს არიდებენ.*

სინათლეს ანთებენ, რათა ამ სიყალბით მოტყუებული გემები მოიზიდონ და დაღუპონო".

...სამეგრელოს ჰავას უნდა მივაწეროთ ის, რომ აქ შხამიან ცხოველებს ან სულ არ აქვთ, ან ძალიან მცირე რაოდენობითა აქვთ გესლი.

... ტეხურა და ცხენისწყალი... ცხენის მდინარეს ეს სახელი დინების დიდი სისწრაფის გამო ჰქვია. ბერძნები, იმავე მიზეზით, ჰიპუსს ეძახიან. ორივე, ზღვაში ჩასვლამდე, უერთდება ფაზისს.

სამეგრელოს ღვინო საუცხოოა. მარგებელია! მთელ აზიაში უკეთესს ვერაფერს დალევ. მუშაობის დროს, გასამხნევებლად, ხმამაღლა მღერიან, მოძახილით. გაჰკივიან: „ეს ჩვევა არის შედეგი, როგორც გონების სიზარმაცისა, ასევე სხეულის უძლურებისა, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი უფრო გავრცელებულია სამხრეთში. ინდოეთში, მაგალითად, მეზღვაურები, სიმღერის გარეშე, თოკს, არათუ ასწევენ, ხელსაც არ ახლებენ. აქლემებიც და ხარებიც მიჩვეულნი არიან სიარულის დროს სიმღერის თანხლებას..." (ე.ი. შარდენსაც შეიძლება, ჰქონდეს ასეთი „შარდმდენი" აზრები! მიტომაც ვებაზრები!)

მეგრულ ღომზე ფრანგი მეზღვაური ასეთ ჩანაწერს ტოვებს: „ისე არიან შეჩვეული ღომს, რომ ხორბლის პურსაც კი ამჯობინებენ... მისი შედარება თავისუფლად შეიძლება პლუმ-პუდინგთან... იმდენად მომეწონა, რომ შემდეგში ძალიან გამიჭირდა ჩვეულებრივ პურზე გადასვლა."

ტყუილად არ უმღერის ამ „ფაფასა" თუ „პასტას" (როგორც თურქები ამ პურს უწოდებდნენ) ტარიელ ჭანტურია (ტიატიას ფუნაგორიაა): „ჩვენ არ გვინდა ცივი ომი, და არც ცხელი ომი — ცივი გვინდა საცივი და ცხელი გვინდა ღომი"-ო!

... დარწმუნებით შეიძლება ითქვას, — ამბობს სამეგრელოზე ჟან შარდენი, — რომ: მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ასეთი რაოდენობით იყოს მტაცებელი ფრინველი: შევარდენი, მიმინო, მარჯანი. ნანადირევის მარჯვენა ბეჭი ბატონისა, მარცხენა — ქალბატონისა, დანარჩენი კი — მონადირეებისაარ.

სამეგრელოში ბევრია კარგი ჯიშის ცხენი.

მეგრელები ძალიან კარგი ჯიშის ხალხია. კაცები — კეთილაღნაგნი, ქალები — ლამაზები! მაღალი წრის ქალებს რაღაც თავისებური ნაკვთები და სინაზე აქვთ. რაც მხიბლავს, აქვთ ჭეშმარიტად გამჭრიახი და მახვილი გონება. არიან თავაზიანები, ზრდილნი, დარბაისელნი და გულთბილნი, მაგრამ, ამავე დროს, ამაყნი, ქედმაღალნი, დაუნდობელნი, ულმობელნი და უტიფარნი. „სიმართლე

*არ მოსწონს.*

*— ისტორიული პერსონაჟებიდან, ვის გინდათ, რომ ჰგავდეთ?*

*—ხალხს ჰგონია, რომ ფუშეს ვგავარ, რადგან მიაჩნიათ, რომ ყველაფერს ვაკონტროლებ, ყველანაირ ინფორმაციას ვფლობ და ჩვენი კრემლს ძალიან ეშინია.*

**P.S.** *მთავარია, შენ როგორ გგონია?*

*__დათო მაღრაძე:__ ესენი მუზებს მიფრთხობენ...*

**P.S.** *აბა, ისაა კაი, შენ რომ ეშმაკებს გვიფრთხობ?*

*__რას წერდნენ ჟამთააღმწერლები კრწანისის ომზე__*

*ერეკლე: ჩემო შვილებო, მე თქვენთვის უნდა მოვმკვდარიყავი და თქვენ ჩემთვის იხოცებით, აბა, რაღა მეფე ვარ, რით დაგიფარეთ!*

*სოლოლაკში, დადიანისა და ლერმონტოვის ქუჩების გზაჯვარედინზე, ზის თბილისის კოლორიტად წოდებული პლეხანოველი მარინა და გამვლელ-გამომვლელს სთხოვს*

რომ ითქვას, მეშინია, ვაი თუ არ დაიჯეროს მკითხველმა და... გადაჭარბებულად ჩათვალოს".

... „თუ კაცს პერანგი და მისი ამხანაგი აქვს, მდიდრად ითვლება. ღვინის სმაში აჭარბებენ გერმანელებს და ყველა ჩრდილოელს. ღვინოში არასდროს წყალს არ ურევენ... მე ვცხოვრობდი ქუთაისთან ახლოს, ერთ აზნაურთან, რომელიც ამ მხარეში საუკეთესო მემამულედ ითვლებოდა". დილის 10 საათიდან — საღამოს 5 საათამდე, 4 კაცმა, საპალნენახევარი ღვინო დალია... მეგობრებს აიძულებენ, სვან უკანასკნელ შესაძლებლობამდე და, ამასთან, ერთმანეთს ქათინაურებით ამკობენ.

„ვშიშობ, რომ მკითხველი, ამ პატარ თხზულების კითხვისას, არ დარჩეს ისევე მოტყუებული, როგორც ეს დაემართათ მეფე საულის ჯაშუშებს, რომლებიც დავითის შესაპყრობად წავიდნენ, მაგრამ, მის მაგივრად, ლოგინში მისი აჩრდილი დახვდათ".

... კოლხების სახელით ცნობილია აფხაზები, ჩერქეზები, ალანები, სვანები.

... სამეგრელოში, ლითონის სიძვირის გამო, ზარებიც ზომით მცირენი არიან.

... მსჯავრის გამოტანისას ხატზე დაფიცებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამგვარად გამოტანილ მსჯავრს არ ასაჩივრებენ.

... ამბობენ, რომ ბედიის ეკლესიაში ინახება იესოს წვერის ღერები, ბანარი, რომლითაც იგი იქნა გათოკილი და ნაგვემი და სახვევი, რომელშიც მას ბავშვობაში ღვთისმშობელი ახვევდა.

... აღსანიშნავია, რომ თუ წირვისთვის ეკლესიაში მისულ მღვდელს კარი დაკეტილი დაუხვდა, კარზე სანთელს მიაკრავს და იქვე ჩაატარებს წირვას...

ბავშვს ზეთს სცხებენ შუბლზე, ხელებზე, კოჭებზე, კანჭებზე, დუნდულებზე, ქუსლებზე, წელზე, იდაყვებზე, მხრებზე, კეფაზე. ნათლია პურის ნაჭერს აძლევს მას, ღვინოსთან ერთად, და, თუ გასანათლავმა ის შეჭამა და დალია, ამბობენ, ნათლული ღონიერი და მამაცი იქნებაო... მერე ნათლია დედას უბრუნებს შვილს და სამჯერ წარმოთქვამს: „თქვენ მე იგი მომეცით ურიად, მე კი ქრისტიანად გიბრუნებთო"!

უბრალო ადამიანებს არ უნდა ერქვას წმინდანის სახელი.

ერთ ლაჩარ მეომარს ალექსანდრე ერქვა. მეფე გაგულისდა და უთხრა მას: ან მოიქეცი ისე, როგორც ალექსანდრე, ან შეიცვალე სახელიო!

... ეს ხალხი აღსარების საიდუმლოს აღიარებს და მას „განდობას" უწოდებს. შეცოდებას ეწოდება „ცოგია", მონანიებას — „ცოდვა", დაურვებას — „სინანული".

აქ იმ ცოდვების შენდობას ითხოვენ, რომელიც კაცს ჩაუდენია და იმისასაც, რაც მომავალში აქვთ ჩასადენი! საქმე ისაა, რომ მათ არც იციან, რა არის ცოდვა (?)

...ახალდაქორწინებულებს ნემსითა და ძაფით აკერებენ ერთმანეთს... ორი ერთმანეთში გადაგრეხილი ძაფით. ერთი თეთრი ძაფი იყო, მეორე — წითელი (ეს ძაფით მიკერება, ალბათ, ოჯახის სიმტკიცის სიმბოლო იყო). თუმცა, ერთი ძაფით გადაბმაც ცოლქმრული ურთიერთო-

---

*პლატონი: სხვათა ბედნიერების ძიებაში გართულნი... საკუთარს ვპოულობთ.*

*ჩეხოვი: არ არსებობს ისეთი ლაყაფი, თავისი მკითხველი რომ არ ჰყავდეს.*

ბის ხანმოკლეობაზე მიანიშნებს.

შარდენს მრავალცოლიანობის შემთხვევებიც აქვს აღწერილი. წმ. ილარიონი „საეკლესიო კრების შესახებ“ განმარტავს, რომ ყოველგვარი ერესი მომდინარეობს საღმრთო წერილის ცუდად გაგებისაგან.

... წმინდა ბასილიმ უთხრა, თურმე, იმპერატორის მზარეულთუხუცესს: შენი საქმეა, იმსჯელო საჭმელზე და არა საღმრთო წმინდა დოგმატებზეო!

... ქრისტიანები, ძველთაგანვე, ასე, აღმოსავლეთისაკენ პირშექცევით ლოცულობენ. მეგრელები მხოლოდ ფეხზე მდგარი ილოცებიანო.

შესანდობრად ღვინოს ოდნავ გადაღვრიან მინაზე ან სხვა ფიალაში, რაც უფლის შეწირულებაა, დავით მეფის მაგალითისამებრ, რომელმაც ბეთლემის წყალსატევიდან ისე შესწირა წყალი, რომ თვითონ, უზომოდ მწყურვალს, პირი არც დაუკარებია.

... კვირა დღეს ხარებს უღელში არ შეაბამენ და საქმეს ხელს თვითონაც არ მოჰკიდებდნენ. იგი, კაცისთვისაც და პირუტყვისთვისაც, უქმი იყო.

„ამ ხალხს იერუსალიმში თავისი ეკლესია აქვს, სადაც წირვა-ლოცვა 2 ენაზე წარმოებს, მაგრამ, ბერძნული წესის მიხედვით... პირველად ამ ეკლესიას ფრანცისკანული ორდენის ბერები ფლობდნენ, მაგრამ ეგვიპტის სულთანმა ჩამოართვა მათ, რათა იგი ამ ხალხისთვის გადაეცა იმ სამსახურის საზღაურად, რომელიც მათ გაუწევიათ მისთვის მრავალ ომში მონაწილეობით. ძველად, ამ სამლოცველოში 47 კანდელი ენთო, მაგრამ დღეს, ამ ხალხის სიღარიბის გამო, არც ერთი აღარ არის“.

...რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა მათი გლოვის შესახებ. ეს არის სასოწარკვეთილების გლოვა.

... იმპულსურად მახსენდება სამეგრელოში ერთი ღრმად მოხუცი კაცის გასვენება. მოთქმით ტირილი, მთელი ამ სამგლოვიარო სპექტაკლის, ზოგჯერ აშკარად გაზვიადებული ჭირისუფლობა და ჩემი ხელოვნური გულმწვიობაც, რამაც ერთი მოტირლისთვის მათქმევინა — ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, ეს რა ტირილი გცოდნიათ აქაურებსმეთქი.

თანაგრძნობამ კიდევ უფრო გადარია ჭირისუფალი და სლუკუნით მიპასუხა: თქვენ, კიდო, ენა არ იცით, თორემ სულ გაგიჟდებოდითო!

...იაზონი ჩამოვიდა ამ მხარეში ქალების წასაყვანად... ყველა კუთხიდან ჩამოდიან აქ ქალების წასაყვანად.

... შავი ზღვის წყლის ფერში სრულიად არ უნდა

*დახმარებას... არა-
და, ერთ დროს, მას-
თან ერთად ქეიფს
და დროსტარებას
ყოფილან ჩვეულნი
ათასი ჯურის ჩინო-
ვნიკები.*

**P.S.** *არც ის ვარგა,
კაცი რომ გამათხ-
ოვრდება და არც ის,
მათხოვარი რომ
იქცევა კაცად! ყველა
მათხოვარი როდი
უხდება ქალაქს!*

*<u>სკანდალური ინ-
ტერვიუ თენგიზ
სიგუასთან:</u>*

*ყველას ჩარეცხვა
მართლა არ შეიძლე-
ბა. ერთ დღეს,
თბილისის ზღვაზე
ვარ და იქ მომი-
ტანეს ინფორმაცია,
ზვიადი ინტელიგენ-
ციას ხვდებაო. გულ-
ში გამიხარდა. ვი-
ფიქრე, მიხვდა
თავის დანაშაულს-
მეთქი. იმავე ღამეს
ამოვიდა ჩემთან
ორი რეჟისორი და
კიდევ რამდენიმე
მწერალი, გულგა-
ტეხილები - არა, ეგ
ვინ ყოფილა, ნოდარ
დუმბაძეს ქურდების
მწერალი უწოდა და
ისევ გადაგვიარა
ყველასო.*

*„ქრონიკა“,
02-08.11.09*

*მონაკოს ნაციონა-
ლურ ორკესტრში
უფრო მეტი ადამიან-*

ვეძიოთ მიზეზი მისი სახელისა, რადგან მისი წყლები უფრო ღია ფერისაა, ვიდრე სხვებისა. მას იმიტომ დაარქვეს შავი, რომ აქ, სხვა ზღვებთან შედარებით, ცურვა მეტად სახიფათოა... უფრო შმაგი ღელვა იცის. ასეთივე აზრით, არაბები იმ სრუტეს, რომლითაც წითელ ზღვაში შედიხარ, უწოდებენ ბაბელ-მანდებს, რაც ნიშნავს „დაღუპვის კარს". შავ ზღვას წინათ იაფეტის შვილიშვილის სახელი აშკენაზი ერქვა, ბერძნებმა კი ევქსინის პონტო დაარქვეს, რაც „ჯიუტს" ნიშნავს, რომელიც „არავის უთმენს". თურქები მას ყარადენგის, ე.ი. „გიჟ ზღვას" უწოდებენ ანუ შავს, სახიფათოს, ულმობელს. ყარადენგი იგივეა, რაც ბერძნული „მაუროტალასი, ასტროდალასი, აყ-დენგისი, პროპონტილასი, თეთრი ზღვა.

ყველა გემი მდ. ფაზისის წყლით მარაგდება, რადგან მისი წყალი ნაკურთხია და ყველაზე უკეთეს წყლად ითვლება ქვეყნიერებაზე.

... იმ მთებს შორის, რომელიც კი მინახავს, კავკასიონი ყველაზე მაღალი და ყველაზე ძნელი დასალაშქრია.

... ღვთის წყალობით, მოვაღწიე ისეთ ქვეყანას, სადაც სიმშვიდე და საჭმელი უხვად მქონდა. დავტოვე ქვეყანა, სადაც ფულზედაც კი არ მაძლევდნენ საჭმელს და ჩამოვედი ისეთ კუთხეში, სადაც უსასყიდლოდ მასაზრდოებდნენ. ამ მთების შვილები, უმეტესად, ქართული წესჩვეულებების ქრისტიანები არიან.

... ქუთაისს VI ს. ბერძენი ისტორიკოსები „ქოთეზს" უწოდებენ.

... ამ ხალხზე ლაპარაკისას მათ „ქარდიელებს" უწოდებენ.

ამბობენ, სახელწოდება „გეორგიელები" თითქოს ბერძნებს მიეცეთ მათთვის, რაც „მიწათმოქმედს" ნიშნავს.

ქართლში მხოლოდ ოთხი ქალაქია: გორი, სურამი, ალი და თბილისი. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, თითქოს, ნოეს კიდობნიდან გადმოსვლის შემდეგ, ამ მხარეში დასახლდნენ.

საქართველოში ჰავა ჯანსაღი და მშრალია. ზამთარში ძალიან ცივა და ზაფხულში ძალიან ცხელა.

მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, არც ერთ დროს, არ შეიძლება აქაურზე უკეთესად ჭამოს და სვას ადამიანმა (ამ გენმოდიფიცირების დროში დღემდე ვერ დავაფასეთ ეს!).

„ქართველები აღმოსავლეთში, და, შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში, საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი, კაცი იქნება ეს თუ ქალი. ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს. ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც შეუძლებელია. ფერუმარილი... მათ არ უხდებათ!" (აჰა, ესეც მე ვარ?...)

ეკლესიებს მთის წვერზე, შორეულ და თითქმის მიუდგომელ ადგილებში აშენებენ... მათ სამი-ოთხი ლიეს მანძილიდან თაყვანსა და პატივს სცემენ. „ქართველები თვლიან, რომ როგორი ცოდვაც არ უნდა ჩაიდინონ, პატარა ეკლესიის აშენებით შეწყნარებას მიიღებენ".

საქართველოში, ვასალების მსგავსი, მრავალი მცირე მეფე მეფობდა. მათ „ერისთავებს" უწოდებდნენ და სულ ერთმანეთის ქიშპში იყვნენ, რაც გახდა საბაბი ან მიზეზი ქართველების დაკნინებისა (დღეს ეს „ერისთავები" ლამისაა, ვირისთავებად იქცნენ და დააქციონ ქვეყანა).

შაჰ-აბასმა, ვაზთან ერთად, თუთის ხეებიც კი აჩეხა საქართველოში.

„ქართველ დიდებულთა უმრავლესობა გარეგნულად მაჰმადიანობას აღიარებს". ზოგი ამ სარწმუნოებაზე გადადის იმიტომ, რომ თანამდე-

ბობა ჰქონდეს ხელმწიფის კარზე. „ასეთი ჩვეულება საქართველოში: როცა მართლმსაჯულება ვერ ახერხებს დიდებულთა შორის დავის გადანყვეტას"... მხარეებს ერთმანეთთან შებრძოლების ნება ეძლევათ... „მონინააღმდეგენი აღსარებას იტყვიან, ეზიარებიან და სასიკვდილოდ შეებმებიან ერთმანეთს. ამას უნოდებენ „ღვთის სამსჯავროზე გასვლას".

„თბილისი... ულამაზესი ქალაქია... მდინარის კლდეზე მდგარი ქალაქი... საუცხოო და მაგარი კედლითაა შემოზღუდული..."

... ლადარია—ჯგერენაიამდე ქართული სუფრა აღნერილი აქვს ფრანგ მოგზაურსაც:

„... კერძები საოცარი ნესრიგით და უხმაუროდ შემოჰქონდათ. ყველა უხმაუროდ ასრულებდა თავის საქმეს. ერთ მაგიდაზე მსხდომი სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე ამ ნადიმზე მყოფი ასორმოცდაათი კაცი".

ასე, რომ ქართულ პურმარილზე ძეირის თქმა ძეირად დაუჯდება ნებისმიერ კაცს და, მით უმეტეს, ქართველს!

გამომშვიდობებისას ქართველმა მთავარმა „მკითხა, როგორ ბრძანდებაო ჩემი ნათესავი ესპანეთის მეფე და ძვირფასი ქვებით მორთული თასით შესვა მისი სადღეგრძელო". „ესპანელები ნარმოშობით იბერიელები არიან". კაპუცინებს ვკითხე, როგორ ესმის-მეთქი ეს ნათესაობა მთავარს. მათ მიპასუხეს, რომ კლიმენტი VIII-მა თეიმურაზისადმი მინერილ ნერილებში, ფილიპე II-ს ნათესავად, ხოლო იბერიელებსა და ესპანელებს ძმებად მოიხსენიებსო!

ნიგნის კომენტარებში ვკითხულობთ, რომ კოლხების ეგვიპტური ნარმოშობის შესახებ ლეგენდა ჯერ კიდევ ჰეროდოტეს დროიდან მოდის (ს. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., გვ.71).

გეთსამანიის ველი — ბაღი, სადაც ქრისტეს უყვარდა განმარტოება. და, სადაც იუდამ გასცა იგი.

შუა საუკუნეებში ევროპის ხალხთა რელიგიური ყოფის ერთ-ერთი ყველაზე მანკიერი მხარე იყო ცოდვათა მონანიების... საბუთებით ე.ნ. ინდულგენციებით ვაჭრობა.

...უნდა იცოდე კაცმა, ვისი სახელობის ქუჩაზე ცხოვრობ... მით უფრო, თუ ამ ქუჩაზე აშენებ ბიზნესცენტრს.

დღეს ის, ლამის, ქალაქის გულად იქცა! საფლავშიაც საამაყოდ მექნება ის ფაქტი, რომ, როცა ჩემმა „გამოსკოვიტებულმა" უმრნემესმა ვაჟმა ზაზამ

*ის, ვიდრე ამ ჯუჯა სახელმწიფოს არმიაში ისე, ლამის ჩვენთანაც ასეა — ერთ კაცზე... ერთი უფროსი მოდის!*

*ირაკლი წერეთელი (ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე):* გარწმუნებთ, გუბაზ სანიკიძის გარდა, ყველა ეს ლიდერი შეკრულია სააკაშვილთან. რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას, რაც შვეიცარიაში წავიდა, მას მერე სერიოზულად დაუხცვინა.

„ჯორჯიან თაიმსი",
20-26.04.09

*ირაკლი ბათიაშვილი:* ესე იგი, რომელსაც ადამიანმა ბევრი იცის, ციხის გემოს ასინჯებენ და მერე უშვებენ, რომ მთელი ცხოვრება მოკეცილი იყოს.

„დანიელ წინასწარმეტყველის ნათქვამს თუ გავშიფრავთ, სააკაშვილსა და ბურჯანაძეს შორის ერთ-ერთი აუცილებლად დაიღუპება."

„ალია",
22-23.10.09

გადაწყვიტა, რომ მოსკოვური ბიზნესი საქართველოში, კერძოდ, თბილისში, სახელდობრ, შარდენზე, მეიდანთან ახლოს, გაეგრძელებინა და მთხოვა, გამეგო ამ ადგილისა თუ მისი კუთვნილების ასავალ-დასავალი, მთელი ჩემი „მოტორი" ჩავრთე ამ ადგილზე დასაფუძნებლად! საბედნიეროდ, საამისოდ ძალაც მეყო, იღბალიც და აი, ღვთის ნებით და კაცის ძალით... ძალაშია მისი აღმატებულება — შარდენცენტრი!

## ახლა ცოტა რამ სიცილის წარსულიდან
### (1981)

სიცილ-სიცილში „ნიანგი" (რომლის რედაქტორიც გახლდით და რედაქტორის მოადგილეც — გ. ნ.) სამოცი წლის გახდა!

შარშანწინ, ვინც სიცილის გემო იცის, სულითა და გულით მიულოცა მას ეს თარიღი, თავის 138 000-ტირაჟიანი თუ ათი ამდენი უტირაჟო, მადლიერი თუ მის ყბაში ჩავარდნილი მკითხველ-განმკითხველ-გადამკითხველ-გადმომკითხველისა და გულშემატკივარის სახელით.

ამ ასაკში, მოგეხსენებათ, კაცს მეტი სერიოზულობა მართებს, მით უფრო — „ნიანგს", რადგან სიცილი ერთობ სერიოზული საქმეა. ყოველ შემთხვევაში, ასეთია აზრი იმ ხალხისა, ვისაც ამ ქვეყანაზე ჭკუა ეკითხება.

სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა (აკაკი).

მასში დიდი რევოლუციური მუხტი დევს (დობროლიუბოვი).

...სიცილი ყოველგვარ სიბინძურეს კლავს!... მკაცრ რეალისტს — ლენინსაც „ნაყვარება" სიცილი, მისი სიცილი იყო პროლეტარული ძალის შეგნება (გორკი).

დადგება დრო, როცა სკოლაში, არითმეტიკასთან ერთად, სიცილსაც ასწავლიან (მაიაკოვსკი).

ლუი XIV მანამდე ზარდა მარილზე გაბელის სახელწოდებით შემოღებული არაპირდაპირი გადასახადი, სანამ არ მოახსენეს: — ხალხი იცინის, დაგცინის, ხელმწიფეო!

— შეწყვიტეთ! — აღმართა ხელი ტირანმა, — ეს ყველაზე უფრო საშიშია!

კაცს, რომელსაც ხუმრობა არ ესმის, დამნაშავეა! — უთქვამს მარქსს და სიცილისათვის სნორუპოვარი გვირგვინი დაუდგამს თავზე:

...მსოფლიო იტორიული ფორმის უკანასკნელი ფაზა კომედიაა. საბერძნეთის ღმერთები, რომლებიც, ერთხელ უკვე, სასიკვდილოდ დაიჭრნენ ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეოსში", კიდევ ერთხელ სიცილით უნდა დახოცილიყვნენ ლუკიანეს „საუბრებში". რატომ მიდის ასე ისტორია? რომ კაცობრიობა ამაღლდეს თავის წარსულზე და... მხიარულად განშორდეს მას.

... და, აი, დედამიწის ერთ მეექვსედზე დადგა ეს დროც — 1917 წელი! ოთხი წლის შემდეგ კი საქართველოშიც გათენდა ადრიანი გაზაფხუ-

---

*დ. როკფელერი: ბიზნესზე დამყარებული მეგობრობა უკეთესია, ვიდრე ბიზნესი, რომელიც მეგობრობაზეა დამყარებული.*

*კალდერონ დე ლა ბარკა: უდიდესი გამარჯვება საკუთარ თავზე გამარჯვებაა.*

ლის უჩვეულო დილა. დაიწყო ახალი ერა ჩვენი ერის ისტორიაში. იდგა წელი 1921, თვე — თებერვალი, დღე — 25... რევოლუციურ მეთერთმეტე არმიასთან ერთად, გოლოვინის პროსპექტზე მხნედ მოაბიჯებდა რევოლუციის ყოჩაღი ჯარისკაცი — სიცილი!

ადამიანები მხიარულად შორდებოდნენ ძველ დროს!

...სიცილი ისმოდა, უფრო ზუსტად კი — ისროდა პარიზის კომუნის ბარიკადებზე, ზამთრის სასახლის შტურმზე, ბოლოს მოასკდა კავკასიონს და დიდმა მთებმა ინყეს დრეკა!...

...არსებობს ერთი უცნაური ყვავილი, რომელსაც პრიმულა ჰქვია. როგორც კი მთაში გამოჩნდება, თავქუდმოგლეჯით გარბიან, რადგან პრიმულა ვულკანის მაუწყებელი ყვავილია. სწორედ ამ ყვავილის გამოჩენას ჰგავედა რევოლუციამდელ საქართველოში მებრძოლი სატირული პერიოდიკის — „ნიანგის" სახელოვან წინაპართა დაბადება. ისინი არალეგალურ ბოლშევიკურ პრესასთან ერთად იუწყებოდნენ, რომ კავკასიონზე მძვინვარებს რევოლუციის ვულკანი და ძლიერთა ამა ქვეყნისათა ფეხქვეშ მიწა ინვისო.

1880-დან 1921 წლამდე, უწინარესად თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, ზედიზედ ჩნდება და საბრძოლო მწყობრში დგება სატირულ-იუმორისტული გამოცემები რუსულ, ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე. ეს ჟურნალები და კრებულები მოგვევლინენ ხალხის ქომაგებად. ექსპლუატატორთა კლასის დაუძინებელ მტრებად და ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია, დღეს მოკრძალებით ვახსენოთ იმ ჭეშმარიტ გმირთა სახელები, ვინც დესპოტიზმისა და ანარქიის უკუნეთში მტკიცედ დაადგა მძიმე და ძნელად სავალ გზას, ანუ სახელოვანი კოჰორტა რევოლუციამდელი საქართველოს სატირული არმიისა. მარტო მათი სახელები რად ღირს: „ფალანგა", „გუსლი", „ჩვენებური რამე-რუმე", „შურდული ივერიიდან", „კუ-კუ-რე-კუ", „ჟგუტი", „კომარი", „კრაპივა", „პეტუშოკი", „გროზა", „სვისტოკი", „ჰოპ-ჰოპ", „მოლა ნასრედინი", „ხურმა", „კოლიუჩკა", „ხუმარა", „ბზიკი", „მასხარა", „ცეცხლი", „როგატკა", „ეშმაკის მათრახი", „ზურნა", „სეტყვა", „ჟალო", „ჯოჯოხეთი", „წითელი კვერცხი", „დიპლიპიტო", „ტარტაროზი", „606", „თავს ვეძებთ!", „ხათაბალა", „გუდოკი", „ვაი-ვაი", „ბრეკეკეკეკს", „შოლტი", „სატანა", „ალიაქოთი", „არჩევანი", „ანკესი", „აურზაური", „ჭინჭარი", „კონდახი", „გალილავება", „ვესიოლი სატირიკონი", „ლახტი", „ტანგო"... და სხვა. და ეს კიდევ არასრული გენეალოგიური ნუსხაა „ნიანგის" საგვარეულო ნატერის ხისა, რომელიც დახუნძლულია ძველ

*P.S. ღმერთმა ერთიც დაიფაროს და მეორეც. დასავლეთად არცერთი არ გვემეცება!*

*„ბუნებრივი კაპიტალი, რომლითაც დედამიწას მთელი 2000 წლის განმავლობაში უნდა ესაზრდოა, უკვე ამოწურულია, — ამტკიცებს იტალიელი მეცნიერი ანტონიო ჩანჩული.*

*მისი ინფორმაციით, 25 სექტემბერს უკვე დადგა ის დღე, როცა კაცობრიობამ ამოწურა ყველა განახლებადი რესურსი და შეუდგა იმ რესურსების მოხმარებას, რომელიც მომავალი თაობებისთვისაა განკუთვნილი.*

*P.S. ამ ჩანჩურებს კიდევ იმ ჩანჩულისგან შეშინება გვინდოდა?!*

*„ყარაყუმი" ქართულად „შავ ქვიშას" ნიშნავს. აქ, ათობით კილომეტრის რადიუსში, არც ცხოველი და არც ადამიანი არ ჭაჭანებს, ხოლო უახლოეს ყიშლაყამდე (სოფლამდე) 90 კილომეტრია. ეს 60 მ დიამეტრისა და 20 მ სიღრმის კრატერი ნამდვილი ჯოჯოხე-*

დროსთან განხეთქილების წითელი ვაშლებით და რომელმაც ახალი ერის გარიჟრაჟზე გამოისხა პირველი ქართული საბჭოთა სატირულ-იუმორისტული ჟურნალი „ყუმბარა".

მრისხანე პოლიტიკური სატირით დამუხტულმა „ყუმბარამ" ერთგვარად შეაჯამა თავის წინაპართა რევოლუციური ღვაწლი, ახალი ძალით იფეთქა და, 1921 წლის პირველ აგვისტოს, პირველსა და უკანასკნელ ნომერში გამოაქვეყნა ძველი დროების სამგლოვიარო განცხადება:

„თავზარდაცემული ჭკუის კოლოფი ანტანტა მწუხარებით აუწყებს თავის თითებზე ჩამოსათვლელ ნათესავთა და სანთლით საძებნელ მეგობრებს, რომ ხანგრძლივი სენით შეპყრობილმა ამიერკავკასიის ბურჟუაზიულმა რესპუბლიკებმა... სული განუტევეს".

აღსრულდა! რევოლუცია ფაქტად იქცა, დაიბადა პირველი სოციალისტური სახელმწიფო და დაბადებისთანავე ასეთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა — ახალ სახელმწიფოს ახალი ჰიმნი სჭირდებოდა და აქ, როგორც ყოველთვის, მუშათა კლასს ძმასავით ამოუდგა მხარში პროლეტარული სატირა, რომელმაც მაშინვე იპოვა გამოსავალი. მან თქვა: დავტოვოთ ძველი — „ბოჟე ცარია ხრანი", ოღონდ დავამატოთ თანდებული „ოტ" და გამოვიდა — „ბოჟე ოტ ცარია ხრანი".

ძნელია, გამოიძებნოს სხვა ენა, გამოსახვის უფრო ეფექტური საშუალება, რომელიც ასე ლაპიდარულად, მახვილად, ყოვლისმომცველად იტყვის ისეთ საბოლოო სიტყვას, როგორიც სატირამ, თუნდაც ერთი, იმდროინდელი კარიკატურით თქვა. დახატული იყო „საარქივო ღირსშესანიშნეობანი" , რომელზეც ისახებოდა ისტორიული მეფე-ზარბაზანი, მეფე-ზარი და თვით მეფე. ნახატს კი ამშვენებდა წარწერა: „არ ისვრის, არ რეკავს, არ მეფობს!"

მეფე, ხელმწიფე, იმპერატორი — ვინ იცის რამდენ პარადს სარდლობდნენ — ქვეყნიერების იყვნენ ბატონნი, იუმორისა კი... არასოდეს! (ევგენი ევტუშენკო).

ასე გამოუყვანა წირვა რევოლუციურმა სატირამ მეფის თვითმპყრობელობას, რეაქციას. ასეთი წინაპრის შთამომავალია საბჭოთა სატირულ-იუმორისტული პერიოდიკა და მისი ღვიძლი ძმა და პირის ზიარება — ჩვენი „ნიანგი".

**ჩემი საავტორო წიგნიდან „ხიშტად ქცეული კალამი"**

## *სიცილის დემოკრატიული ბუნება*

არ არსებობს კერძო საკუთრება სიცილზე! — ერთადერთი, რაზედაც კერძო საკუთრება არასოდეს არ არსებობდა და არც არასოდეს იარსებებს.

იგი სულიერი თავისუფლებაა: ფარაონისათვის მონად არ ქცეულა, ბატონისათვის — ყმად, არც ერთ მეფეს ლაშქრობაში არ ხლებია, არც ერთი იმპერატორის ამალა არ დაუმშვენებია. არც ერთი მონარქის ქვეშევრდომობა არ მიუღია. იგი ერთადერთია, რისი ექსპლოატაციაც ვერ შეძლეს.

სიცილი ხალხის ქომაგი და მოსარჩლე, მისი ჭირისა და ლხინის მოზიარე, ნამდვილი სახალხო გმირია.

სიცილი ავისა და კარგის საზომია, მათი ერთმანეთისაგან გარჩევის ყველაზე ობიექტური კრიტერიუმია... მაგრამ თვით მის ავ-კარგზე,

თვით მის ღირსებებზე რითი უნდა ვიმსჯელოთ? იმით, თუ რაზე იცინის, ვის დასცინის? რადგან არაფერში არ მჟღავნდება კაცის ბუნება ისე, როგორც სიცილში.

აქ უნდა ვახსენოთ უპოპულარესი ნიგნი, რომელიც, როგორც ვარაუდობენ, დანერილი უნდა იყოს ქრისტეს დაბადებამდე 336-332 ნლებში (პირველად დაიბეჭდა 1508 ნელს, შემდეგ კი — 160-ჯერ (!) გამოიცა და დაეუფლა ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიას) — არისტოტელეს „პოეტიკა". სამწუხაროდ, ამ გენიალურმა ქმნილებამ ჩვენამდე არასრული და დამახინჯებული სახით მოაღწია. ის უფრო დასანანია, რომ ეს ხარვეზი სნორედ ჩვენთვის საინტერესო თემას განუცდია ნიგნში. ტრაქტატის დასანყისში არისტოტელე გვპირდება, რომ ილარაკებს „პოეზიის არსსა და მის სახეებზე". კომედიაზე კი ნათქვამია მხოლოდ ორიოდე სიტყვა. აი, ისიც: „კომედია ყველაზე უარესი ხალხის ნარმოსახვაა, მაგრამ არა მთელი მათი ბინიერებით, არამედ სასაცილო სახით. სასაცილო — სიმახინჯის ნანილაკია, სასაცილო რაიმე შეცდომაა ან სიმახინჯე, რომელიც არ შეიცავს ტანჯვას და საზიანოს, როგორც, მაგალითად, კომიკური ნიღაბი, რომელიც მახინჯი და დაღრანჯულია, მაგრამ ტანჯვას მოკლებული".

მონათმფლობელთა იდეოლოგმა მოგვცა მეტაფიზიკური სოციალურ-ეთიკური სნავლება, რომლის მიხედვით, კომედია მხოლოდ თავშესაქცევ გასართობს ნარმოადგენს და საზოგადოებრივი გარდაქმნებისათვის არავითარი ძალა არ შესნევს, სოციალური ბრძოლის ფუნქციას მოკლებულია. ამ მოძღვრებას აშკარად ახასიათებს ვინრო კლასობრიობა, იგი მონათმფლობელთა ინტერესების ფარგლებს ვერ სცილდება.

მეცნიერები გვერდს ვერ უვლიან ავტორიტეტული ძეგლის ამ მცდარ დებულებას და მისგან კვლავ იღებენ სათავეს მცდარი თეორიები.

რუსი რევოლუციონერი დემოკრატები შეუვალ კედლად აღიმართნენ ცარიელი სიცილის ბურჟუაზიული თეორიის ნინაშე: „ჩვენ ვიცინით და ვკარგავთ გულისნყრომის ძალას, — ამბობდა დ. პისარევი სატირაში „ვერცხლისფერი" სიცილის შესახებ, — მხიარული თხრობისა და გაუთავებელი ხუმრობის მოყვარული პიროვნება ფარავს ცხოვრების შავ და ტრაგიკულ მხარეს. ჩვენ ვიცინით, მერე ვდებთ ბალიშზე თავს და პირზე ბავშვური ღიმილით ნყნარად ვიძინებთ".

საერთოდ, ყოველი ჰიპოთეზა თავის ისტორიულ რნმუნებას თხოულობს, რის გამოც იძულებუ-

თის კარიბჭეა, საიდანაც ცეცხლოვანი გაზი ამოიფრქვევა. მასში მოხვედრილი ნებისმიერი ცოცხალი არსება განწირულია. გაზი მიწის ფორებიდან ამოდის და ასობით ცეცხლის ენად იქცევა, რომელთაგან ზოგიერთის სიმაღლე 15 მ-საც კი აღწევს.

**P.S.** ამაზე თვალწარმტაცი ჯოჯოხეთიც გვინახავს, როცა კაცი უცეცხლოდ... იწვის!

სიტყვის წონა მისი მთქმელის წონით არ იწონება!

ფულის დანომრვა იმასა ჰგავს, კაცს მიმვეელი ქალის დანახვაზე არავითარი რეაქცია, ანუ ერექცია არ ჰქონდეს... ისე არ აუდგათ მის მომფიქრებლებს... გვერდები და არც ის, რის აუდგომლადაც სიცოცხლე არ არსებობს!

თუმცა, ჩვამულობით ჰყოლოსანს ჰგავხარ — ძველით „თავს იწონებ" და ინაბავ ახალს, მაგრამ ვერა მალავს, მებრუყვილი რო ხარ — „ჰყოლოსან კაცის გაცვეთილი ჩოხა"!

ლი ვართ, დავუბრუნდეთ სიცილის ისტორიის თაეფურცელს.

სიტყვა „კომედიის" ტრადიციული გაგების გარდა, არსებობს სხვა უძველესი წყაროც, რომლის მოხედვითაც, იგი წარმოიშვა განაწყენებული გლეხების დამცინავი სიმღერებიდან. „ეს მოწმობს კომედიის დემოკრატიული სათავეების არსებობას".

და, განა მარტო ეს... თუ უფრო ღრმად ჩავიხედავთ „სატირის" ეტიმოლოგიაში, ეს პირველი წყარო პირველ საბუთად იქცევა — იგი დაიბადა ხალხში და ამ დღიდან მხოლოდ „დემოსთან" კავშირში უნდა განვიხილოთ.

იმ დროსა და იმ პირობებში, როცა არისტოტელე მონას ყოვლად დაბალ არსებას უწოდებდა და არისტოკრატია სრულიად გულგრილი იყო უბრალო ხალხის მიმართ, მათი ტკივილები და იდეალები ვერ პოულობდა მაღალ მუზებში ასახვას... იქნებ, სწორედ ამიტომაც გადავიდა რელიგიის სფეროში და აისახა საკულტო წეს-ჩვეულებებში. სწორედ, ასეთ საკულტო დღეობაზე გამოჩნდნენ პირველი სატირები. ეს იყო დიონისეს დღე. ახლა დავინტერესდეთ, რატომ აირჩია სატირამ თავის შემოქმედებით ნათლობად ეს დღესასწაული. ცნების ეტიმოლოგიისათვის ამას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

დიონისეს კულტი! ეს პოპულარული ღვთაება მოხსენიებულია ჰომეროსის პოემებში (IX-VIIIს. ჩვ.წ.აღ.-მდე). დაახლოებით ამ პერიოდისათვის საზოგადოება უკვე დაყოფილი იყო მაღალ და დაბალ ფენებად, მდიდრებად, რომლებიც განაგებდნენ მოქალაქეთა ცხოვრებას და ყოველგვარ უფლებას მოკლებულ ღარიბებად. ასეთი დაყოფა თავისებურად შეეხო რელიგიასაც — ღმერთები „დახარისხდნენ" ოლიმპოს კულტებად და მონათა კულტებად.

ოლიმპოს ღმერთებს — მდიდართა კულტებს უბედურება მოჰქონდათ ბოგანოებისათვის. დიონისე კი იქცა მონათა კულტად, რომელიც, მონათმფლობელთა ღმერთებისაგან განსხვავებით, თავიდანვე შინაარსობრივად, მთლიანად, სოციალურ და ეკონომიურ ვითარებას დაუკავშირდა.

დიონისე იკითხება ასე: „ძე ღვთისა! („ნუსოს" ნიშნავს „ძეს") ჭაბუკ დიონისეს, მცენარეულობის მფარველს, დახმარებისათვის მიმართავდნენ ყველაზე ღარიბ-ღატაკნი. იგი განასახიერებდა მათ იდეალს. ჩაგრულთა ქომაგობა და მფარველობა იყო სწორედ იმის მიზეზი, რომ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" ვერ ფარავდნენ სიძულვილს ღარიბთა კულტისადმი.

ღმერთ „განმათავისუფლებლის" — დიონისეს ისტორია იწყება ჩვ.წ.აღ.-მდე VIIს. საუკუნეში, ხოლო ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, მის დღეობაზე სატირები გამოჩნდნენ ერთი საუკუნით გვიან.

სატირა გამოვიდა ხალხის წიაღიდან, დაიბადა ჩაგრულთა მფარველი კულტის სახალხო დღესასწაულზე, აქ მიიღო სახელი და აქედანვე განისაზღვრა მისი კლასობრივი კუთვნილებაც. ეს კრიტერიუმი რატომღაც დუმდა, არ გამოუყენებიათ სოციალური სიცილის ისტორიის შემსწავლელთ. სატირის დემოკრატიული ბუნების განსაზღვრისათვის კი ძველბერძნული ისტორიის ამ პირველწყაროს მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს.

პრინციპულად საჭიროა, დავრწმუნდეთ ამ დებულების — სატირის დემოკრატიულობის ღრმა ისტორიული ფესვების არსებობაში, მის მეცნიერულ სიზუსტეში, და, მაშინ, მატერიალისტური გაგების ნაცადი

შემოქმედებითი „კომპასით", შედარებით იოლად გავიკვლევთ გზას ამ მრავალსახიანი რაინდის სულიერი სამყაროს რთულ ლაბირინთში.

სოფისტების ერთ-ერთი მამამთავარი პროთაგორა (481-411წწ. ჩვ.წ.აღ.-მდე) ამ თემაზე გვთავაზობს ახლებურად შეკაზმულ სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებას: ყველა საქმეზე შეიძლება, გამოითქვას ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი... შემდეგ, აქედან გამოჰყავთ პრაქტიკული დასკვნა — შეიძლება, სუსტი სიტყვა ძლიერად აქციო, თეთრი მოაჩვენო შავად. ეს მოსაზრება გახდა ორატორული ხელოვნების საფუძველი, ხოლო ამ მეთოდმა წაახალისა ბოროტების მოციქულები, სიტყვის ჟონგლირებითა და გაუკულმართებით ეკეთებინათ ბნელი საქმეები.

ისტორიული მატერიალიზმის საფუძვლებს დაუფლებული ადამიანებისათვის გამორიცხულია ასეთი სიტყვიერი მაქინაცია. კიდეც ამიტომ, სიტყვა „სოფისტი" თვალთმაქცობის სინონიმად იქცა.

ბურჟუაზიის აპოლეგეტები, ექსპლოატატორულ კლასთა სისხლხორცეული ინტერესების ერთგულნი, სიცილს დღემდე თვითმიზნად თვლიან, სატირიკოსს — სკეპტიკოსად, რომელიც კარგზეც იცინის და ავზეც, პროგრესულსაც დასცინის და რეაქციულსაც. თითქოს ის სადღაც, დაუსახლებელ კუნძულზე იყოს გარიყული, არ გააჩნდეს ესთეტიკური და საზოგადოებრივი იდეალი, არსაით არ ხრიდეს სასწორს და გულგრილად ანთხევდეს შხამს ნალმა-უკულმა.

იდეალისტები კი „აძლებენ" დაცინვის ერთგვარ ლოკალურ ფარგლებს, იძლევიან მისი „საზღვრის" ნახაზს. თუ გსურთ, სიცილი ხელოვნების სფეროში მოახვედროთ, გამოაცალეთ მას მრისხანება და შემფასებლის ფუნქცია, რომ მან არ დაკარგოს ესთეტიკური სიამოვნების მონიჭების უნარი... და, იხსნიან რა ნიღაბს, იქვე დასძენენ — დაცინვის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ სუსტი და უვნებელი ადამიანი.

პლატონის ერთ-ერთ დიალოგში სოკრატე მენტორულად ქადაგებს: შენ მოიქცევი სწორად, თუ სასაცილოს დაუძახებ სისუსტესა და უძლურებას, რომლებიც თავიანთ თავზე ისეთი წარმოდგენისა არიან, თითქოს ძალუძთ რამე, მაგრამ სინამდვილეში უძლურნი არიან, შური იძიონ, როცა მათ დასცინიან. მათ კი, ვისაც უნარი აქვთ, შური იძიონ, დაუძახე ძლიერი... ეს იქნება მათ შესახებ ყველაზე უფრო სწორი აზრი და გზა.

„სხვანაირად, აბუჩად აგდებულნი შეიძლება იყვნენ ჩაგრულთა კლასის წარმომადგენლები,

<u>სისი ჯაჭველიაძე:</u>
ახლახან, ვენეციაში, მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა. მძიმე წონაში ჩვენმა მკლავჭიდელმა გენადი კვიკვინიძემ მოიგო ეს ჩემპიონატი და წელს ყველაზე ძლიერი მკლავი დედამიწის ზურგზე აქვს ქართველს. რამდენიმე კვირის წინ გეგბს მორის კონკურსი გაიმართა, სადაც რუსეთის სახელით გამოსულმა, წარმოშობით ქართველმა გაიმარჯვა! გენადიზე ერთხსყვასნმა ნიუსმა გაირბინა ტელევიზიით, გვიპარადის მესხებზე კი მთელი სიუჟეტი გავიდა.

**P.S.** მახლოხს, დროთა ისეთი: აფხუხ! ზოგი თვიდან იდებს ხელს და ზოგი ცრ...დან!

<u>ლილი ქიმალია:</u>
ზვიად გამსახურდიას წინ ედო 80 000 აგენტის სია, რომლებსაც ხელფასს უხდიდნენ. აქედან ბევრი დღესაც ხელისუფლებაშია!

<u>სერგეი ლაზარევი:</u>
კომუნიზმი, არსებითად, რელიგიის ალ-

რომლებიც უძლურნი არიან ექსპლოატატორთა მიმართ" (И. Дзеверин. Проблема сатиры в революционно-демократической эстетике. 1962. стр. 137). ასე გამოსჭვივის ზემოხსენებული მსჯელობიდან.

პლატონი კომედიის სიცილის მავნებლობას ხედავს იმაში, რომ იგი ხელს უშლის „იდეალურ სახელმწიფოში" სანიმუშო მოქალაქეების აღზრდას. ადვილი მისახვედრია, როგორი ადამიანი მიაჩნია მას სანიმუშოდ. მორჩილი, კირთებქვეშ მოხრილი, უსიტყვო და, მით უფრო, უმახვილსიტყვო... არა მეამბოხე სულის, არამედ სულთმობრძავი, გოშიის მადლიერებით უზენაეს ხელისუფალთა წინ მუხლმოყრილი, ხელაპყრობილი და მასზე მლოცველი.

ასევე, უცერემონიოდ აცხადებს ჰეგელიც: კომიკური გამოსახვისათვის უფრო შესაფერისია „ფიგურები დამორჩილებული წოდებიდან", რადგან ისინი სასაცილონი არიან თავიანთი უნაყოფო მისწრაფებით — განთავისუფლდნენ სხვაზე დამოკიდებული მდგომარეობიდან, მაღალი წოდების თვითნებობიდან... (Гегель. Соч. т. 12, стр. 196).

როგორც ხედავთ, აქ უკვე სხვა რეგისტრში ადის მსჯელობა, აქ აღარ არის ლაპარაკი სიცილის თვითმიზნურობაზე.

ანტიკურ თეორიაში, სიცილზე, არისტოკრატულმა კონცეფციამ პირველად აშკარად იჩინა თავი პლატონის ნააზრევში. „პლატონური" სიცილი არ არის განუკითხავი სკეპტიკოსი, რომელიც განურჩევლად ცელავს მარჯვენივაც და მარცხნივაც. მას აქვს იდეალი და იცის, ვისთვის იბრძვის. გაბატონებული კლასის იდეოლოგები სიცილსაც ადებდნენ თავიანთ ბორკილს, ბეგრავდნენ, სთხოვდნენ ხარკს და უზღუდავდნენ მოქმედების არეს. ისინი გამოდიოდნენ ლოზუნგით — სასაცილონი შეიძლება იყვნენ მხოლოდ სუსტები!

კომედიის შესახებ (არისტოტელეს „პოეტიკიდან" გამომდინარე), სრულიად გამიზნული, მცდარი შეხედულებების ნათელ შეფასებას იძლევა დიდი საბჭოთა ენციკლოპედია: არისტოტელეს თხზულებები შეიცავენ „გაშლილ და საგულდაგულოდ დამუშავებულ მონობის დაცვის თეორიას, რომელშიც ნათლად გამოიხატა მისი კლასობრივი, პარტიული პოზიციები".

ძნელი არ არის, ინამო ბერძნული პანთეონის ღმერთკაცების სიტყვა და ამ სიძნელეს, შეგნებით თუ შეუგნებლად, დღესაც განიცდის ბურჟუაზიული ესთეტიკის ბევრი გამოჩენილი მეცნიერი... მაგრამ კომიკურის პრობლემა არც ანტიკურ ხანაში იყო მჩაგვრელთა კლასის იდეოლოგების ანაბარად მიტოვებული. საკმარისია, ვახსენოთ „კომედიის მამა" (როგორც მას გოგოლი უწოდებდა) არისტოფანე.

გენიალურ პოეტ-სატირიკოსს საკუთარი შემოქმედების თვისებად და ღირსებად მიაჩნდა მისი დროის მანკიერი საზოგადოებრივი მოვლენების დაუნდობელი მხილება. სუსტი, უვნებელი ადამიანების დაცინვას იგი ქუჩურ ხუმრობად, ლაზღანდარობად თვლიდა. სწორედ, დიდი კომედიოგრაფის შემოქმედებითმა გმირობამ და სიმამაცემ ათქმევინა ქების სიმღერა ძველბერძნული ტრაგედიების კორიფეებს: არისტოფანემ მახვილი აღმართა არა „პატარა კაცების" მიმართ, არამედ „ჰერაკლეს გამბედაობით, სულის მრისხანებით აღსდგა დიდთა და ძლიერთა წინააღმდეგ". იგი უშიშრად გამოვიდა ბრძოლაში თვით დიდი ურჩხულის — კლეონის წინაშე.

მტერი მანამდე იწვევდა არისტოფანეს სატირულ ინტერესს, სანამ იგი ძლიერი იყო და საშიში. კომიკურის სოციალური და კლასობრივი

გაგება ზუსტად გამოიხატა უკვდავი ბერძენი კომედიოგრაფის შემოქმედებით მრწამსში — ძონძებზე დაცინვის უკუგდებაში. მან ლაპიდარულად გამოსახა ერთ თავის კომედიაში: არა უბრალო მცირე კაცთა, ანდა ქალთა განსაქიქები, არამედ აღსდგა ზვიადთა ზედა ჰერაკლისებრ მძვინვარე რისხვით (არისტოფანე „ზავი", გვ. 748-752).

არისტოფანე სატირის მახვილით ესხმოდა თავს ათენელი დემაგოგების პოლიტიკას, ომის გამჩაღებლებს, მდიდრებს, ოლიგარქებს. ენგელსი მას აშკარად გამოხატულ ტენდენციურ პოეტს უწოდებს. ცხადია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ბურჟუაზიული ობიექტივიზმისა და პირწმინდა ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად, ვფიქრობთ, საჭიროა არისტოფანეს შემოქმედების მცირე ანალიზი მაინც.

არისტოფანე გამოხატავს ძველი ატიკის წვრილ და საშუალო მიწათმოქმედთა აზრებსა და მისწრაფებებს. ფიქრობენ, რომ იგი, ასევე, ემსახურებოდა „ქალაქის დემოკრატიის საშუალო ფენასაც". საბჭოთა ესთეტიკური აზროვნება და ლიტერატურათმცოდნეობა ითვალისწინებს გენიალური პოეტის მსოფლმხედველობაში ზოგიერთ წინააღმდეგობრიობასაც, მონათმფლობელური ეპოქისათვის დამახასიათებელ შეზღუდულობასაც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულიად გამართლებულად მიიჩნევს არისტოფანეს „კომედიის მამად" თავისი თანამიმდევრული დემოკრატიზმის, ხალხურობის და სწორუპოვარი, ძლევამოსილი სატირისათვის.

დიდი რუსი რევოლუციონერი დემოკრატი ნ. დობროლუბოვი, უძველესი ბერძენი კომედიოგრაფის შემოქმედებაში, მდიდართა წინააღმდეგ განწყობილ, ღარიბ ათენელ მოქალაქეთა ინტერესების დამცველ კაცს ხედავს.

„სანყისშივე, კომედია საზოგადოების, ხალხის მიერ იყო შექმნილი, ყოველ შემთხვევაში, ასე გვიჩვენა ის თვით მისმა მამამ არისტოფანემ" (Н. Б. Гоголь. Полн. соб. соч., 1952. стр. 400). ძველი ბიოგრაფები გვაწვდიან ცნობას, რომლის მიხედვითაც, როცა სირაკუზელმა ტირანმა მოინდომა, დაწვრილებით გასცნობოდა ათენის სახელმწიფო წყობილებას, პლატონმა მას არისტოფანეს კომედიები გაუგზავნა. ძნელია მტკიცება ამ ისტორიული გადმოცემის სიზუსტისა, მაგრამ ჩვენ იგი გვაინტერესებს, როგორც იშვიათი მოწმობა, არისტოფანეს შემოქმედების თავისებური „რეცენზია", მისი დიდი შემეცნებითი ღირებულებისა და მწერლის მიერ ცხოვრების ზედმიწევნით კარგად ცოდნის საბუთი.

ცერნაცოვა იყო!

ჰოდა... კაცის ცნობა გაგიძვირდეს. ვინცობა,

კაცის სიტყვა პასუხითაც იცნობა.

საქვეყნოდ განთქმულია ზოგთა ბიწ-უბიწობა.

მათი რეიტინგი თუ ის რეიტინგიტობა!

თუ გინდა, არაფრის გეშინოდეს — ყველაფერს უფრთხილდი!

მეგვდი განაპოლიჯა (ეხო მოსკვის' პოლიტიკის ავტორი და წამყვანი): მე იმედი მაქვს, რომ პოლიტიკოსები გაიგებენ იმას, რაც თვალწინ ანუ ზედაპირზე დევს. 21-ე საუკუნეში ომში გამარჯვებული არ არსებობს.

**P.S.** ჩვენც იმედი გვაქვს, რომ რუსი კაცის ამ ქართულად ნათარგმნ სიტყვებს... რუსულადაც უთარგმნიან რუსებს!

გუბაზ სანაიძე: ძალაუფლებას ქუჩაში აგდია და ვინც მას ხელში აიღებს, ლიდერიც ის იქნება.

**P.S.** ახლა, სიკეთე... ქვაზე დადებული რომ ნახონ,

პოეტი — ტრიბუნი, პატრიოტი, ხალხის ქომაგი და წინამძღოლი შთამომავლობისათვის ლეგენდად იქცა. არისტოფანეს გავლენა ეტყობა იუვენალს, რომის იმპერიის ეპოქის ტიტანს, ბერძენ სატირიკოსს — დემოკრატ ლუკიანეს. მისი თაყვანისმცემლები და მიმდევრები იყვნენ გამოჩენილი ჰუმანისტები ერაზმ როტერდამელი, ფრანსუა რაბლე, დიდი განმანათლებელი ჯონათან სვიფტი, ჰაინე, რომენ როლანი... მან სატირულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში შექმნა მთელი ეპოქა და მიმდინარეობა. შემდეგ მოვიდა ისტორიული ცვლა: „კომედიის მამამ" დატოვა ღირსეული ძენი, რომელნიც დაეუფლნენ დროსა და სივრცეს, დარაჯად დაუდგნენ სატირას — ამ მძლეთამძლე იარაღს და დაიცვეს სახალხო საკუთრება — სიცილი!

მარქსისტული ესთეტიკა გვასწავლიდა, რომ სიცილის მიზეზი ობიექტურია, რაც პრინციპულად განასხვავებს მას ბურჟუაზიული ესთეტიკის თვალსაზრისიდან, რომლის მიხედვითაც, სიცილი, უმთავრესად, განიხილება, როგორც სუბიექტური მოვლენა.

„სხვადასხვა ეპოქა და კლასი სხვადასხვანაირად ხმარობს სიცილს, როგორც ბრძოლის იარაღს, მაგრამ სოციალურად მნიშვნელოვანი სიცილი, როგორც არაერთხელ ითქვა, ხალხის პირმშოა, მას ხალხი იყენებს ძველის, დრომოჭმულის გამოსამჟღავნებლად და გასაკიცხავად, ახლის გასამაგრებლად და განსამტკიცებლად. ყოველი დროის რევოლუციურ-დემოკრატიული და ჰუმანური აზრის ადამიანები არამცთუ არ ერიდებოდნენ გაბატონებული და მჩაგვრელი კლასის ნორმებსა და ნესებს, მათ დარღვევას, არამედ პირდაპირ ებრძოდნენ მათ „ზნეკეთილობას" და „კეთილგონიერებას", „ზომიერებასა" და „წინდახედულობას" (ა. ქუთელია. „სიცილის ძალა", 1961, გვ.65).

სიცილი სჯის უსამართლობას, სამსჯავროზე გამოაქვს და უარყოფს ჩაგვრას, ბოროტებას, გამოხატავს ხალხის სულიერ ინტერესს და ყველაფერში ამჟღავნებს თავის დემოკრატიულ ბუნებას.

სოციალისტური რეალიზმი, კლასიკური სატირის საუკეთესო ტრადიციები, მხატვრის პალიტრას შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს ანიჭებენ: ცხოვრებისეული სიმართლის ერთგულება, მაღალიდეურობა, ხალხის სამსახური, სინამდვილის რეალისტური ასახვა მისი შუქ-ჩრდილებით, მხილების დიდი ენერგია, თანმიმდევრულობა, დროის მოწინავე იდეებით შთაგონებული გამბედაობა, ამასთან, მაღალი მხატვრულობა და შესრულების ოსტატობა!

საზოგადოებრივი ბრძოლის ისტორია მოწმეა სხვადასხვა კლასების ფილოსოფოსთა, ესთეტიკოსთა, ლიტერატურათმცოდნეთა, მეცნიერთა სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინებისა სიცილის გადმოსაბირებლად, ამ იარაღით თავისი კლასის საბრძოლო არსენალის გასამდიდრებლად.

დიდმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა თავიანთი შემოქმედებითი გადამწყვეტი სიტყვა თქვეს სიცილის სოციალური არსისა და მისი პრაქტიკული ამოცანების შესახებ. მათ თავიდანვე ესმოდათ ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა ინტერესების ძირეული წინააღმდეგობა, შეუთავსებლობა, შეურიგებლობა.

---

*ბელინსკი: ცოდნა ავადმყოფობა. უფრო ცოდო — სიკვდილი. მაგრამ კიდევ უფრო აუტანელია ის ფაქტი. რომ არაფერი გრჩება ამ ქვეყანაზე.*

*პუბლიუსი: ბოროტების არქმნა იგივე კეთილი მოქმედებაა.*

*უილიამ შექსპირი: უკეთურობის გზით სიკეთემდე ვერ მიხვალ.*

ისიც წინასწარ განჭვრიტეს, რომ ადრე თუ გვიან, უცილობლად მოხდება ინეტერსთა შეჯახება, გადამწყვეტი კონფლიქტი. ეს სოციალურ-პოლიტიკური წინაპირობა დაედო საფუძვლად სატირის წარმოშობისა და განვითარების პრობლემას რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკაში. სოციალური სატირა რუსულ ლიტერატურაში, ბელინსკის, ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის თეორიების მიხედვით, გახდა პირველი ინსტრუმენტი ბატონყმობის, თვითმპყრობელობის მიმართ პოლიტიკური პროტესტის გამაში.

ხალხურობის პირველ პირობად ისინი თვლიდნენ მასების სასიცოცხლო ამოცანებით ლიტერატურის დაინტერესებას, ცხოვრების პირველხარისხოვანი საჭირბოროტო საზოგადოებრივი მოვლენების ინტერესებით სუნთქვას. ამას მიიჩნევდნენ ისინი სატირის ხალხურობის მთავარ ნიშნად.

არავინ ისე მუქ ფერებში არ ხატავდა რუსულ სინამდვილეს, როგორც გენიალური სატირიკოსი სალტიკოვ-შჩედრინი. სწორედ ამიტომ, რეაქციული კრიტიკოსები, გოგოლსაც და მასაც სამარეს უთხრიდნენ, პირზე ქაფმომდგარნი გაჰყვიროდნენ, მათ სძულთ რუსეთი და რუსი ხალხიო. დიდი სატირიკოსების ბედი გაიზიარა სასიქადულო ქართველმა მწერალმა ი. ჭავჭავაძემაც:

„ჩემზედ ამბობენ: ის სიცუდეს ქართვლისას ამბობს.

ჩვენ ცუდს არ მალავს — ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!.."

ბელინსკი წერდა: „მიყვარს კარგი და (იგივე კანონით) უფრო მძულს ცუდი".

„ვისაც ძალიან სძულს ბოროტება, მას ძალიან ეყვარება კეთილი" — წერდა ილია.

„მე მიყვარს რუსეთი გულისტკივილამდე..." — უპასუხებდა ვაიკრიტიკოსებს სალტიკოვ-შჩედრინი.

„...ბრიყვენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე გრძნობს,

ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!" — კვლავ იძლეოდა ხალხური სატირის პოეტურ ზუსტ მეცნიერულ ფორმულას დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე.

ისინი იბრძოდნენ, რომ სატირა „მაღალი ნოდების" თავშესაქცევი არ გამხდარიყო და ხალხურ ნიადაგს არ მოსწყვეტოდა.

დასაბამიდან ბევრი რამ სცემდა შიშის ზარს უბრალო ადამიანს. ადამის დროიდან ისწავლა მან მორჩილება. იყო სახელები, რომელთა ხსენებაც კი თავზარს სცემდა უბრალო კაცს — თვითმპყრობე-

*ვეჭვობ, ვინმე დაიხაროს მის ასაღებად.*

*ზოგჯერ და ზოგიერთს რა ადვილადაც ეპირებენ დაკიდებას, სწორედ იქ ჰკიდია დამკიდებლები!*

*თბილისის მერი თბილისელი უნდა იყოს! — ამბობენ თბილისელები და თბილისის მერისგან თბილისელობას მოითხოვენ!.*

*ფკა ლომბიძე: ამბობენ, გასული საუკუნის 30-იან წლებში აშენებული ახლანდელი პარლამენტის შენობის მოსაპირკეთებლადაც საფლავის ქვები უნდა იყოს გამოყენებული. ღმერთმა ნუ ქნას! ამ შენობას ისეც ეყოფა, საძირკველი იუნკერთა საფლავებზე რომ უდგას.*

*2014 წელს, რუსეთს ოჩი-ბალას წყევლა გაახდაგურებს?!*

*ალცაის მხარის ხელისუფლება შეშფოთებული, აღშფოთებული და შეშინებულია, რადგან, როგორც იმ მხარეში ცნობილი მამანი, ვინმე კოსარა კაჰჩა-*

ლობა, კაპიტალი, კერძოა საკუთრება, მონარქი, მეფე, იმპერატორი თუ ჟანდარმი... და, მას აღმოაჩნდა შინაგანი ძალა, რომელმაც დიდი ქომაგობა გაუწია — სატირა... და, გაქრა კერპთაყვანისმცემლობა. სატირა შრომის შვილს უქარწყლებდა შიშს ყოველგვარი ფეტიშების მიმართ, ასწავლიდა არა ცალკეული ტირანებისა და მოვლენებისადმი აღშფოთებას, არამედ ძირითადის — მათი წარმომშობი მიზეზისადმი ზიზღს.

„ჩემი სიმძაფრე გულისხმობს არა პიროვნებებს, არამედ მოვლენების გარკვეულ ერთობლიობას, რაშიაც არის კაცობრიობის დამბეჩავებელი ყველა ბოროტების წყარო... მე ძალიან კარგად მახსოვს ანდაზა: „თუ ჭაობია, ეშმაკებიც იქნებიან" და მე იმდენად მართლად ვთვლი მას, რომ არავითარ შებრუნებულ ვარიანტს არ დავუშვებ. ჭეშმარიტად, ჭაობი ბადებს ეშმაკებს და არა ეშმაკები ჰქმნიან ჭაობებს", — დაბეჯითებით ამბობს სალტიკოვ-შჩედრინი.

მწერალი ისტორიის მედიუმი არაა, უანგარიშოდ გადასცემდეს შთამომავლობას მის ტკივილებსა და ძახილს. შეგნებული ნების გარეშე, ჯერ არ გაჩენილა ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი ხელოვნების ნაწარმოებიც კი. სალტიკოვ-შჩედრინის სატირები შეუძლებელი იქნებოდა ამ დიდი გულისწყრომისა და სიმწრის გრძნობის გარეშე, რომელსაც იწვევდა მხატვარში გატიალებული, დაქცეული გლეხის რუსეთი, თვითნება ჩინოვნიკის რუსეთი, რუსეთი — გაუხამსებული, გათავხედებული მძარცველისა: მემამულის, ვაჭრის, ბობოლის რუსეთი — წერს ე. პოკუსაევი წიგნში „სალტიკოვ-შჩედრინის რევოლუციური სატირა".

მწერალი ხალხში ხედავდა ზნეობრივი სიჯანსაღის წყაროს, პოტენციალს, რომელსაც ძალუძს, თავის ჭკუაზე გადააკეთოს ქვეყანა, თავის ნებას დაუმორჩილოს ცხოვრების წესი.

სატირისათვის ერთადერთი ნაყოფიერი ნიადაგი ხალხური ნიადაგია, რადგან მხოლოდ მას შეიძლება ვუწოდოთ საზოგადოებრივი, ამ სიტყვის ნამდვილი და ჭეშმარიტი მნიშვნელობით". — დაასკვნის სალტიკოვ-შჩედრინი.

შესაძლოა, აქ ზოგიერთებმა შეგნებულად შეგვახსენონ დიდი სატირიკოსის უაღრესად პოპულარული ნაწარმოები „ერთი ქალაქის ისტორია", სადაც სიცილის მახვილი მიმართულია თვით ხალხის მიმართ. ამიტომ, ვიდრე სხვა გაგვახსენებდეს ამ ფაქტს, უმჯობესია, ჩვენ თვითონ მოვიტანოთ იგი განსასჯელად. დიახ, აქ სალტიკოვ-შჩედრინი პირველად გამოდის მასის კრიტიკით. სწორედ ეს არის ზემოხსენებული ნაწარმოების მხატვრული პრობლემატიკის ძირითადი თავისებურება, მაგრამ ჩვენი მსჯელობიდან რომ ყველაფერი ისევ თავის ადგილზე დარჩეს და ადრინდელმა დასკვნებმა ეჭვი არ აღგვიძრას, ისევე ნაცადი და უტყუარი მეტრით — სოციალური ინტერესით, იდეით გავზომოთ ეს შემთხვევაც.

სანამ მთავარს ვიტყოდეთ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შჩედრინისათვის ასეთი გამოსვლა სიახლედაც არ უნდა მოგვეჩვენოს, რადგან

---

*ქართული ანდაზა: ბოროტია ის, ვინც მხოლოდ თავისთვის არის კეთილი.*

*გოთხოლდ ეფრაიმ ლესინგი: უკეთესია, მოითმინო უსამართლობა, ვიდრე ჩაიდინო ის.*

*ამაზე უკეთესადაა ეს ნათქვამი — ღვთიური სიბრძნით — მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო!*

მას ადრინდელ ნანარმოებებშიც სრულიად უშიშრად და მოურიდებლად უთქვამს ყველაზე მწარე სიმართლე გლეხურ ფსიქოლოგიაზე, მის მონურ ბუნებაზე, მორჩილ ხასიათზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ხალხთან მწერლის დამოკიდებულების გასახსენებლად და დასახასიათებლად ყველაზე სწორი ფორმულაა ქართული ანდაზა „მოყვარეს პირში უძრახე...", თუმცა, სალტიკოვ-შჩედრინი მარტო კეთილისმოსურნე და პასიური მოყვარე როდი იყო: „ჩაგრულთა მასების მიმართ სალტიკოვ-შჩედრინის პოზიცია იყო არა გულკეთილი კაცთმოყვარეობის პოზიცია, არამედ მასწავლებლის, მოძღვრის, იდეოლოგის, რომელიც ხალხის ინტერესებს განსჯის დემოკრატიული იდეალის შუქზე."

დიდი სატირიკოსი ფრანსუა რაბლე სიცილში სიჯანსაღისა და სიხარულის გამოხატვის, განახლების, გამოცოცხლების საშუალებას ხედავს.

„კარიკატურის ილუსტრირებულ ისტორიაში", რომელიც შედგენილია 1903 წელს ავ. შვიროვის გამოკვლევებით, მეოთხე თავში ვეცნობით სახეითი სატირის ობიექტებს. აქ ჩამოთვლილთა შორის არის გლეხიც. როგორც ზემოხსენებული წიგნის ავტორი ირწმუნება, იგი ყველა დროში სიცოცხლის ერთ-ერთი მეტად პოპულარული სამიზნე ყოფილა. ცოდნის ჰორიზონტის ბუნებრივი შეზღუდულობა, ცხოვრებისეული ინტერესების განსაზღვრულობა კომიკურს ხდიდა მას... და, თუ როდესმე ჩაქრებოდა სიცილი, რომელსაც იწვევს გლეხი, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ისტორიის გარკვეულ მონაკვეთებში მას ივიწყებდნენ, საერთოდ, როგორც ადამიანს, რადგან გლეხი მათში სულ აღარ იწვევდა ინტერესს.

ახლა, როცა ჩვენ გავარჩიეთ სიცილის მრავალსახეობა, უკვე აღარ გაგვიჭირდება, განვსაზღვროთ მისი ხასიათი. გლეხი და მისი ცხოვრების სიდუხჭირე არასოდეს ყოფილა სატირის ობიექტები. შესაძლოა, მათი წილი სიცილი არსებობდეს ბუნებაში, მაგრამ ეს არ არის სატირული სიცილი. იგი გარკვეული თანაგრძნობის გამომხატველია, მოყვარული სიცილია. ხალხისადმი მტრულად განწყობილ სიცილს ჩვენ ჭეშმარიტი სოციალური სიცილის თვისებად არ ვთვლით.

XVI საუკუნის მიწურულში აურაცხელმა გადასახლებამ წელში გატეხა სოფლის ღარიბთა ფენა. თითქმის სამ ათეულ წელს გრძელდებოდა გლეხთა ჯანყი. ამ ეპოქაში გამოჩნდნენ ილუსტრირებული მფრინავი ფურცლები, რომლებითაც გლეხები სატირულ ფორმაში გამოხატავდნენ „ძლიერთა ამა ქვეყნისათა". ეს ფურცლები გავრცელდა 30-წლიანი

კოვა ამტკიცებს, (რომელსაც, სხვათა შორის, ლამის წინაპარი ჯადოსანი და მჩხიბავი ჰყავდა, 2014 წლისთვის მთელ რუსეთს საშინელი კატასტროფები დაატყდება თავს, პირველ რიგში კი სწორედ ალტაის მხარე დაზარალდება, რისი მიზეზიც, თურმე, პრინცესა ოჩი-ბალას მუმიის შეწუხება და ამას მოყოლილი მისი შემზარავი წყევლა გახდება.

როგორც ირკვევა, 1993 წელს აკადემიკოსმა ვიაჩესლავ მოლოდინმა, რომელიც ალტაის მხარეში არქეოლოგიურ ექსპედიციას ხელმძღვანელობდა, ამ უჩვეულო სახელწოდების მქონე პრინცესას მუმიას მიაგნო, რომელიც, შემდგომში შესწავლისთვის, ნოვოსიბირსკში გადააგზავნა.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივები მუმიის ალტაის მხარიდან გადატანას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ, მეცნიერებმა გადაწყვეტილება არ შეცვალეს და იგი 2007 წელს გერმანიაში გამართულ გამოფენაზეც წარადგინეს.

ომის დროს, რომელმაც მთლად გააჩანაგა გლეხობა ლანდკნეხტებით (ლანდკნეხტებს, შუა საუკუნეების გერმანიაში, უწოდებდნენ დაქირავებულ მეომრებს).

ამ პერიოდს ეკუთვნის უაღრესად პოპულარული ანდაზა: როგორც კი დაიბადება ახალი ლანდკნეხტი, მოსამსახურედ ეძლევა სამი გლეხი: ერთი აჭმევს, მეორე მისთვის ინახავს ლამაზ ცოლს, მესამე კი მის მაგივრად მიდის ჯოჯოხეთში.

„გლეხი და მისი ბედი არის და დარჩება ადამიანთა უხეშობისა და სისასტიკის ისტორიის ყველაზე სამარცხვინო ფურცლად, დამცირებულთა ცრემლითა და სისხლიანი ოფლით დაწერილ საჩივრად" — ვკითხულობთ ა. შეიროვის წიგნში.

დიახ, გლეხის სიტლანქე, მისი მოხრილი ზურგი და არაადამიანური შრომით დამახინჯებული კიდურები არასოდეს არ გამხდარა სოციალური სიცილის საგანი და, პირიქით, ეპოქის მოწინავე ადამიანები სწორედ ამ ჯანსაღ ნიადაგზე იდგნენ, აქედან, ამ პოზიციებიდან ქმნიდნენ პროგრესულს, ხალხურ ქმნილებებს.

დიდრო იმიტომ აფასებდა და ამართლებდა სიცილს, რომ იგი ურტყამს ქვემოდან ზემოთო.

ნეკრასოვი, რომლის პოეზიაში სატირას დიდი ხვედრითი წონა აქვს, ამაყობდა: „ჩემს ლექსებში, პირველ ყოვლისა, მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ მე არ მაქვს არავითარი ქება მაღალი წოდებისა, მათთვის ყველგან და ყოველთვის მაქვს მხოლოდ სატირა: მე ვცდილობდი, შთამეწერგა ახალგაზრდობისათვის ხალხისადმი, ღარიბებისადმი და ჩაგრულებისადმი — სიყვარული, მჩაგვრელებისადმი — სიძულვილი".

სატირა უპირატესობის გრძნობის გამოხატულებაა. სატირიკოსი მაღლდება იმ ფაქტზე, რასაც დასცინის, მაგრამ უპირატესობის გრძნობა ეგოიზმის საკუთრება ვერ გახდება, მისი კანონიერი მფლობელი მხოლოდ საზოგადოებრივი იდეაა!

სიცილს შინაარსს აძლევს იდეურობა, კლასობრიობა; მისი შემფასებელი და დამფასებელი ხალხია. იუმორი მგრძნობიარეა ხალხის ჭირვარამისადმი და მისი ნუხილი ღიმილს არასოდეს ჰგვრის.

სიცილის დიდოსტატი მარკ ტვენი ხალხს უძღვნის თავის სულიერ საუნჯეს: „შეიძლება, გააცინო მკითხველი, მაგრამ ეს ცარიელი საქმეა, თუ ნაწარმოებს საფუძვლად ადამიანის სიყვარული არ უდევს." ხალხის სამსახურის, მხოლოდ მისი სახელითა და იდეალებით სულდგმულობის, მხოლოდ ნაყოფიერ და ერთადერთ სწორ ნიადაგზე დგომის კლასიკური მაგალითია დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის ცხოვრება და მოღვაწეობა.

გავიხსენოთ მისი მაღალკლასობრივი შემოქმედების ერთი დამახასიათებელი ფაქტი: რევოლუციის ჩასახშობად ბურჟუაზიულმა საფრანგეთმა სესხი მისცა რუსეთს, რისთვისაც მას მ. გორკიმ „ბანკირების ხასა" უწოდა. იგი იგონებს ძველ საფრანგეთს, ვოლტერისა და ჰი-

---

*გოეთე: ადამიანი პირველი საუბარია, რომელიც ბუნებამ ღმერთთან გამართა.*

*ნ. ამოსოვი: უპირველესად, მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე იყავი! ცხოვრებაში არსებობს ორი ყველაზე საიმედო ღუზა — შენი საქმე და... ბავშვები!.*

უგოს ქვეყანას, რომელმაც თავის დროზე „დათესა თავისუფლების ყვავილები", ახლა კი ხელს უწყობს რუსთა მეფეს, მდინარეებად ღვაროს ჩაგრულთა სისხლი. მ. გორკის პამფლეტს „შესანიშნავი საფრანგეთი" დიდი პოლიტიკური რეზონანსი ჰქონდა. როგორც საერთოდ სჩვევია სატირას, პამფლეტი მკვეთრ ტენდენციას ატარებდა, კლასობრივი ხასიათისა იყო და რეაქციაც შესატყვისი მოჰყვა — რეაქციულმა პრესამ იგი მძვინვარე აღშფოთებით მიიღო, მშრომელებმა და პროგრესულმა ინტელიგენციამ კი — ერთსულოვანი აღფრთოვანებით.

ავტორმა მოურიდებლად ამხილა ბურჟუაზიული ჟურნალისტები, რომლებიც ამართლებდნენ საფრანგეთის მთავრობის ამ „იუდას სესხს". მან ღია წერილით მიმართა ფრანგ ჟურნალისტთა ჯგუფს. პამფლეტი ასე მთავრდებოდა: „ამის შემდეგ, თქვენ კიდევ ამბობთ, ჩვენ გვიყვარსო გორკი. მაგრამ, ბატონებო, გულწრფელად მოგახსენებთ: ჩემთვის, სოციალისტისათვის, დიდად შეურაცხმყოფელია სიყვარული ბურჟუისაგან! ვიმედოვნებ, რომ ეს სტრიქონები სავსებით ზუსტად და საბოლოოდ გაარკვევს ჩვენს ურთიერთობას".

როგორც ხედავთ, დიდმა მწერალმა კარგად იცოდა მტერ-მოყვრის გარჩევა. შემოქმედებაში კი მთავარია, ვისი პოზიციიდან იღებ სათავეს. ადვილი წარმოსადგენია, რა განიცადეს ბურჟუაზიის იდეოლოგებმა ამ ღია წერილის წაკითხვისას. ანატოლ ფრანსმა კი, რომელიც 1906 წელს „რუსი ხალხის მეგობრობის საზოგადოებას" თავმჯდომარეობდა, მ. გორკის საპასუხო წერილი მოსწერა: „ჩვენს ქვეყანაში თქვენ მხარს გიჭერენ ყველაზე ამაყი გულის, ყველაზე მაღალი სულის ადამიანები".

დიდი პროლეტარული მწერლის შემოქმედების კლასობრივი დანიშნულების გაგებას კიდევ უფრო ნათელს ხდის მისი მიმართვა ლიბერალურ-ხალხოსანი მწერლის ს. ელეონსკისადმი: „ვისთვის და რისთვის წერთ? ძალზე ღრმად ჩაუფიქრდით ამ კითხვას. თქვენ უნდა გაიგოთ, რომ ჩვენი დღეების ყველაზე კარგი, ძვირფასი და, ამავე დროს, ყველაზე ყურადღებიანი და მკაცრი მკითხველი, ეს წერა-კითხვის მცოდნე მუშაა, ანბანის მცოდნე გლეხი, დემოკრატია... რას უკეთებთ თქვენ ამ მკითხველს?" (М. Горкий, Собр. соч., т. XXVIII, стр. 321-322). ასევე, არ მოერიდა იგი მხატვრული სიტყვის უდიდეს ტიტანებს ლ. ტოლსტოისა და თ. დოსტოევსკის. მათი შემოქმედებით, საერთოდ, აღფრთოვანებული მ. გორკი, მთელი ძალით დაესხა

*— ოჩი-ბალამ მამინ დაწყევლა მთელი რუსეთი და საშინელ კატასტროფებს 2014 წლიდან უნდა ველოდოთ, — აცხადებს რუსი მამანი.*

*„ქრონიკა", 24-30.08.09*

*„ქართველი ქალები, რომლებიც ოჯახებს უნდა უვლიდნენ, 500 ევროს საშოვნელად მთელ მსოფლიოში გავიდნენ და მათ უკან დასაბრუნებლად ყველაფერი უნდა გავაკეთოთ", — თქვა ახლახან, მცხეთაში გამოსვლისას, პრეზიდენტმა სააკაშვილმა. უცხოეთში წასული, თითქმის მილიონნახევარი, ქართველის სამშობლოში დაბრუნება ჯერჯერობით შორეულ პერსპექტივად, ილუზიად რჩება, ხოლო ფრთიანი ფრაზა — წასული ბევრი გვინახავს, დაბრუნებული — ცოტა, — რეალობად. საბერძნეთის, კვიპროსის, რუსეთის თუ ჩეხეთის მსგავსად, ქართული „ანკლავები" ბოლო ხანს, კანადასა და ახალ ზელანდიაშიც მომრავლდა, რადგან ამ ქვეყნებში შედარებით ლიბერალური საემიგრაციო კანონია. ქართველი ქალები მსოფლიოში სა-*

თავს ტოლსტოი-მორალისტს, ბოროტებისადმი ძალის გამოყენების, წინააღმდეგობის გაწევის უარმყოფელი მოძღვრებისათვის და დოსტოევსკის ფილოსოფიას — ტანჯვისა და მოთმინების აპოლოგიისათვის.

საჭიროა, სწორედ ასე ზუსტად და სამუდამოდ გავარკვიოთ ლიტერატურისა და ხელოვნების უძველესი სახის — სატირის კლასობრივი ხასიათი, ერთხელ და სამუდამოდ გავავლოთ სადემარკაციო ხაზი სოციალურ და ანტიხალხურ, კეთილშობილ და ბოროტ სიცილს შორის.

სიცილი გადამდებია. იგი ათანაბრებს სხვადასხვა რანგისა და წოდების ადამიანებს. ჩვენში ამბობენ: ერთი იცინის — თავს დასცინის, ორი იცინის — ერთმანეთს დასცინის, სამი იცინის — სხვას დასცინისო. ესეც სიცილის კოლექტივისტობაზე მიუთითებს.

შესანიშნავად აქვს შეკრული მთელი ეს მატერიალისტური ნააზრევი ერთ ანონიმ ავტორს, რუს ესთეტიკოსს, რომელიც, ჯერ კიდევ, 1881 წელს წერდა: „სიცილის ისტორია, ეს ცივილიზაციის შიდაპირის, მისი სარჩულის ისტორიაა, რამდენადაც შესაძლებელია, ისინი გამოიხატონ უარყოფაში. თუ გსურთ, ნახოთ ხალხის ზნეობრივი დონის სიმაღლე რომელიმე ისტორიულ ეპოქაში, განსაზღვროთ უზნეობის უარყოფის ძალა და სიღრმე, მიმართეთ სატირასა და კარიკატურას — სიცილით გამოხატული მორალის მეგზურებს. რამდენადაც მეტ სასაცილოს პოულობდნენ ისინი, რამდენადაც ეხმაურებოდნენ ცხოვრების ბნელ მხარეებს, რამდენადაც ღრმად ჩასჭიდებდნენ ხელს მათ, იმდენად მაღლად უნდა ჩავთვალოთ ეპოქისა და ხალხის საუკეთესო წარმომადგენელთა იდეალი". ხალხისა და მისი საუკეთესო წარმომადგენლების იდეალი კი ყოველთვის ერთი გახლავთო. ეს უკანასკნელნი ცხოვრებას კი არ უკარნახებდნენ მზამზარეულ დოქტრინებს, პირიქით, ცხოვრების კარნახით ქმნიდნენ შედევრებს... და, რამდენადაც უფრო გაბედულად, სრულად, ამაღლებულად გადმოსცემდნენ ისინი მასების აზრსა და ლტოლვას, იმდენადვე არიან აღიარებულნი. 1887 წელს თავის მოკლე ავტობიოგრაფიას რუსი სატირიკოსი სალტიკოვ-შჩედრინი ასე ამთავრებდა: „დავწერე 22 დასახელების წიგნი, ახლა კი საშინელი სნეულებით შეპყრობილი ველი სიკვდილს". მან შვილს დაუტოვა ანდერძი: „ყველაზე მეტად გიყვარდეს რუსული ლიტერატურა და ნებისმიერ სხვას არჩიე ლიტერატორის სახელი".

არსებობს ერთი შესანიშნავი ქართული დოკუმენტი, რომელიც არ თხოულობს დამატებით საბუთს იმის დასამტკიცებლად, თუ რა ურთიერთობა ჰქონდა ხალხს თავის გმირთან. შესაძლოა, სწორედ ეს დოკუმენტი იყოს ეტალონი, როგორ ესმის და აფასებს სატირას მისი უდიდებულესობა — მუშათა კლასი.

დიდი რუსი სატირიკოსის სალტიკოვ-შჩედრინის ქვრივს თბილისის პროლეტარიატი წერდა: „...ადრევეც მოგწერდით წერილს, მაგრამ ძალიან ცოტა თავისუფალი დრო გვაქვს. ჩვენ აღვიზარდეთ და განვვი-

---

*სოკრატე: მზეს ერთი ნაკლი აქვს – საკუთარი თავის დანახვა არ ძალუძს.*

*ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი: იმისთვის, რომ ადამიანებს ესმოდეთ შენი, გოლგოთიდან უნდა ელაპარაკო მათ (და არა ოპილი სავარძლიდან).*

თარდით უბრალო, მუშურ ოჯახში, სადაც ჯერ-ჯერობით ცოტა სინათლე აღწევს, მაგრამ სადაც მას ელოდებიან და ხშირად ეძებენ, სადაც ბუდობს სიღარიბე და მწუხარება და სადაც, მოშლილობისა და მოქანცულობის გამო, ხშირად არც ფიქრის, არც კითხვის საშუალებაა...

დიდების გვირგვინში, რომელსაც შთამომავლობა დაადგამს, ჩვენი ყვავილიც იქნება. დაე, ხედავდნენ და ახსოვდეთ, რომ ჩვენ, მუშებს, გვიყვარდა იგი, ვაფასებდით მას" (შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1958, გვ. 510).

დიდი სოციალური ძვრები, კლასთა ბრძოლა, საზოგადოების განვითარების ისტორია, თავფურცლიდან ბოლო თქმამდე, სიცილს აძლევს ხალხურობის მეცნიერულ-პარტიულ რეკომენდაციას.

**„ცისკარი" N9, 1970 წელი**

## მე და ფოთა (რუსთაველი)

**(იუმორისტული მოთხრობა... დროის ნამხედურობით!)**

რვაასიოდე წელიწადია, ჩვენი პლანეტის ყველაზე დიდი თავები თავებს იტეხენ დამწყები, მაგრამ უდავოდ ნიჭიერი პოეტის ცხოვრების დასაზუსტებლად. მეცნიერთა ლაშქარი ხატაელებივით დაერია „ვეფხისტყაოსანს", მაგრამ ჯერ ვერაფერი დააკლო. ათას კითხვაზე გაცემულია ათჯერ ათასი პასუხი, მაგრამ ერთი ერთიანი პასუხი არ არის. და, აი, უეცრად, ცის ტატნობზე გაიელვა ახალმა რუსთველოლოგიურმა თანავარსკვლავედმა (ჯვებე დუმბავა, ხარიტონ ხარაბაძე, დიდიმ პატარაია) და ჩვენ ვიხილეთ ნიჭიერი გენიოსის საიდუმლოებით მოცულ სამყაროში მათი ჯგუფური „გაფრენა"! მადლობა ღმერთს! შოთა რუსთაველს პატრონი გამოუჩნდა.

პირდაპირ დავღეჭე, შემეცნებითად აღვიქვი ჟურნალ „ნიანგში" გამოქვეყნებული ჯ. დუმბავას ჟრუანტელისმომგვრელი პოლემიკური წერილი „ცოტა რამ „ვეფხისტყაოსნის" გარშემო" და მაშინვე თავში დამარტყა — არც მე მაქვს უფლება, ვდუმდე!

ჯერ, „ცოტა რამ" საკუთარი თავის გარშემო: ვარ სოფლის არცთუ უდიპლომო ფსიქიატრი. ავად-

*უკეთესი მერი პოპ-ინსკაიას იქცნენ. თუმცა, სამწუხა-როდ, არალეგალთა უმრავლესობას აკა მორჩილაძის ერთ-ერთი გმირისა არ იყოს, „ნოუბადად" (არავინად) დარჩე-ნის პერსპექტივა ელის...*

**P.S.** *ფიქრი ფიქრს ეძებს და ძველი ახ-ალს!*

*მოკლე ჩართვა!*

*„ვინ დათვალის ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები. ვინ შეამკოს ღირ-სეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლა-ვებით!"*

*მინინდა თავი ქართულ ლექსს.. ახლა კი მისი გაგრ-ძელებას ასეთის:*

*ღლეს ქალები რომ კაცობენ (კაცნი ვართ მისა... კლავე-ბი).*

*უცხოეთში თავს ვიწონებთ ჩვენ „ქართული ანკლავე-ბით"!*

*ვინაც თავის ნება-ზე სიარულს არ ენ-დობიან... ხელის გულზე ატარებენ!*

*<u>დრაა!</u>*

*მაპილების ქამრე-ბისა და „კოლუმბიურ პალ-სტუხების"*

*და... რა ხნის კითხვების და*

მყოფები არა მყავს, მაგრამ მე თვითონ პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ. მედიკამენტები და წამალი არ არის, რის გამოც დრო ბევრია და რატომ უნდა ვათქმევინო შთამომავლობას: შენღა აკლიხარ რუსთაველსო! აპა, ბატონო, მეც!

მე, ერთი შეხედვით, სოფლის უბრალო ექიმს, ხელთ მიპყრია გასაღები „ვეფხისტყაოსნის" მიღმა არსებული გნოსეოლოგიური სქოლასტიკის, ინტერპრეტაციების, ასოციაციებისა და რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავის აღსანიშნავად რეასოციაციამდე ყველა უთავბოლობისა — „ვეფხისტყაოსანი" ზოგიერთებს არა აქვთ წაკითხული თავიდან ბოლომდე. მე კი წუხელ თავიდან ბოლომდე წავიკითხე ახლახან გამოცემული ჯიბის „ვეფხისტყაოსანი".

დისპუტისა და მასთან დაკავშირებული პუტვა-გლეჯვის წამომწყებმა — ჯ. დუმბაძემ „ცოტა რამში" არც ისე „ცოტა რამ" მისცა ჩვენს ერს დღემდე უცნობი და ჭკუიდან შესაშლელი. ჯერ, მარტო ის რად ღირს, რომ გურული კაცი ასეთ გამოჩენილ პიროვნებას შეელია: რუსთაველი არც მესხია, არც სპარსი და არც გურულიო (აქ ხაზი მისია. სხვაგან კი ხაზები, წერტილები, მძიმეები და, საერთოდ, ფურცლიდან დაწყებული — კალმისტრამდე — ყველაფერი ჩემია — გ.ნ.).

პირკატა მეცა, რომ წავიკითხე, შ. რუსთაველი დონელი კაზაკიაო, მაგრამ ფაქტებივით ჯიუტმა მკვლევარებმა პოემიდან უტყუარი მაგალითები მოიყვანეს: გორლითა (Горлом), კაბანი (Кабан), აბედი (Обед), ბოლოს, პაშტაი (Постой). ამ უკანასკნელზე ეს უკანასკნელი შემდეგ განმარტებას იძლევა: იმდროინდელ ქართულში „ს" არ იყო და ამიტომ „შ"-მ შეცვალა. მაშინ გავრცელებული იყო დიალექტის შიშინა ფენაო... ჩვენ აღმოვაჩინეთ რუსული წარმოშობის ისეთი ნაღდი სიტყვები, რომ ამას არ უნდა „შიშინი": „განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა" (701-ე სტროფი). ე.ი. „ვანა" (აბაზანა) რომ მიიღო და ჭუჭყი რომ მოიცილა, თვალებში გამოიხედაო. „მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა", ხელმწიფე ხვარაზმელია" (511-ე სტროფი). აქ „ხ ვ ა რ ა ზ მ შ ა" იკითხება მდედრობით სქესად, როგორც, ვთქვათ, „გენერალშა". ახლა, მთლად ნაღდი: „ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა ს პ ე ტ ა დ" (მე-500 სტროფი). ტარიელისთვის წნევას რომ დაურტყამს, ზაფრანის ფერი დასდებია, ავთანდილს ხელი ჩაუქნევია და ასმათისთვის უთქვამს: „Его песня уже спета"-ო.

მე, როგორც ექიმს, „ვეფხისტყაოსანში" განსაკუთრებით დამაინტერესა მედიცინის პრობლემებმა. ბევრი ვეძებე, მაგრამ პოემაში ვერ წავაწყდი ჯანგანებისა და საავადმყოფოების ფართო ქსელს. მიუხედავად ამისა, ხალხი, რატომღაც, მაინც უჩიოდა ავადმყოფობას. დავიწყოთ „მუნით". „ნადი, დაბრუნდი, შეიქეც მ უ ნ ი თ ვ ე, შენი მზე სითა"-ს გამო ჯვებე დუმბაძე აყენებს გაბედულ ჰიპოთეზას: ამდენი ტყე-ტყე ხეტიალით ავთანდილს მუნი ხომ არ დაემართაო? ჩემთვის კი, ერთი

---

*ნ. ნეკრასოვი: სიტყვა შემოჭერილი – ამრი თავისუფალი (ესაა სიტყვაღმერთი, ანუ სიტყვა-უფალი! – გ.ნ.)*

*სიჭაბუკე – მიმავალია, სიბერე – მიმავალი (გ.ნ.)*

*ვახტანგ VI: გამოსწმედს ბრძმედი ოქროსა და კაცსა გამოცდილება.*

შეხედვით სოფლის უბრალო ექიმისთვის, ეს უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. ფაქტები: „გამოჩნდა მ უ ნ ი თ მინდორი, სავალი დღისა შეიდ-ისა"; „მ უ ნ ი თ ქალი გამოიჭრა გულმდუღარე, ცრემლ-დასხმული"; „ღმერთმან მ უ ნ ა მ დ ი ს მინა მყოს, ვინ მეფე ვიყო ცნობილი"... ეჭვი არაა, იმხანად (დღევანდელი შიდსისა არ იყოს) საშინელი მუნი მძვინვარებდა.

საყურადღებოა, რომ ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდნენ დიაგნოსტიკას: „მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს?" —ო. ახლა კი, თავიდან დანყებული — ფეხის ტკივილამდე, ყველაფერს გლანდებს აბრალებენ. ან: „გაიგონო ჭირნი ჩემნი, მკურნე, რაცა მეკურნების"-ო. ამაზე, მაშინდელ აქიმებსაც, ახლანდელი ექიმებისა არ იყოს, მოსწრებულად უპასუხნიათ: „თქვენვე ბრძანეთ, რაცა გიმძიმს, ანუ რაცა გეკურნების"-ო.

ჩვენი არ იყოს, მაშინ ყველაფერს ნერვებს აბრალებდნენ: „წყენაარ ჭირთა ბადე".

საყურადღებოა ისიც, რომ პრაქტიკაში მაშინაც ჰქონიათ კონსილიუმების მოწვევა: „დარბაზს ვერ მივე; მკურნალთა დამიწყეს მოსლვა მრავალთა". ეჭვი არ არის, მაშინაც, ბევრი ექიმის ხელში, ავადმყოფი უფრო ადრე ეცლებოდათ ხელიდან. ამას მიდასტურებს მომდევნო სტროფიც: „ერთი მონა დასტაქარი მყვა და წყლულნი შეუხვივნა". ამ სტროფიდან ისიც ირკვევა, რომ ძველ დროში დასტაქარი ყოფილა ავადმყოფის მონა. ახლა კი პირიქითაა.

საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული 956-ე სტროფში: „წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკვეთს, ანუ გაამსივნებს". ახლა კი ყველაფერზე იძახიან, სიმსივნეა და, არიქა, ოპერაციაო!

დიდად ვერაფრით გაგვაკვირვებენ ჩვენი წინაპრები ფარმაკოლოგიის დარგშიც. „ნ ა მ ა ლ - ს ა ტარიელისსა ეძებს ყოვლითა ღონითა"; „მკურნალნი და დასტაქარნი წ ა მ ა ლ ს ა-ყე მოგ-იტანდეს?"; „...კვლა ნ ა მ ა ლ ი არსით არი" და სხვადასხვა. ნამალი, ჩვენი არ იყოს, მაშინაც საძებარი ჰქონიათ. მაშ, სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ გენიალური შოთა „ან ვეძებ მისთა წ ა მ ა ლ ს ა ვიქმ იქით-აქეთ ბრუნვასა"-ს შესახებ არცთუ შენიღბულად გადმოგვკრავს: „ძებნა წ ა მ ლ ი-ს ა მისისა, ცოდნა ხამს მართ უვიცისა"-ო. ე.ი. რას დაბორიალობ აქეთ-იქით, უვიცი ხომ არა ხარ, წამალი ხელზე უნდა ეძებოო.

თათარიასხნი პა-სუხების!

* * *

ბოროყვების ყურ-მოჭრილი მონო-ბიდან —
თავხედობის ამ თავმოჭრილ კაცო-ბამდე.
რაღა დარჩა ამ ერ-თობის ორობიდან —
ანუ, ნაღდი კაცო-ბიდან - საცობამდე!

* * *

პყურე ცისკარამ-ვადა: (პოლიციის ოპოზიციისგან და-ხსყავას, რადგან და-მონებული არიან).
„ბრალი ედება ოპოზიციას, რომ დაამონა მან პოლი-ცია. ასეთი „მამოს-ყინნობისგან" დამო-ნებული თვით ქო-რიც კია!"

* * *

ძველ ანდაზებს დრო დაუდგათ ახლა ერთობ ელიდი.
ძაღლი ყეფს და ქარავანი — უკვე ვეღარც მიდის...

* * *

ვისთვის სულის ზეიმია და ვისთვის კი რეგრესია.
ქრისტეს ცანი — მებრძოლი და მოზე-იმე ეკლესია!

* * *

სამყარო თუ გა-დაარჩენს სიყ-ვარულს —

მეცნიერთა ერთ წრეს მიაჩნია, რომ პოემა შორეული ქვეყნებისა და შორეული დროის ამბებს აღწერს. ვინ მოგახსენათ? ქვას ქვაზე არ ვტოვებ ამ მოსაზრებიდან. ინებეთ ფაქტები: „ნუ მიჰყოლიხარ თავისა თ ა თ ბ ი რ ს ა, გაგონებასა". თქვეს: „ვ ი თ ა თ ბ ი რ ო თ, ვითა ვქმნათ, ან გამორჩევა ძნელია"; „ეგე თ ა თ ბ ი რ ი არ ვარგა, სხვაებრ ვქმნათ თავის ტერება" ან: „ან, მეფეო, არ ეგების ჩვენი ს ხ დ ო მ ა თქვენად სწორად". სად, სად იციან ამდენი თათბირები და სხდომები, თუ არა ჩვენს საყვარელ მშობლიურ სამშობლოში? შემდეგ: „ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გა-და-გვლეწოდეს". ეჭვი არაა, მაშინაც იყვნენ სახალხო რაზმელები. ამ ვერსიამ იმითაც ჩამითრია, რომ პოემაში წვრილმანი ხულიგნობის ბევრ ფაქტს წავაწყდი: „კაცი კაცსა შემოვსტყორცნი, ცხენკაცისა დავდგი გორი". მაშინ, ალბათ, ეს წვრილმან ხულიგნობაში გადიოდა. ან რა გუნებაზე დაგაყენებთ ასეთი გამოთქმა: „რა გვეახლო, ერთხელ „ვა" და, რა მოგვშორდე, ათასჯერ „ვ ა!". ვფიქრობ, მეთორმეტე საუკუნისთვის ერთხელ „ვაც" საკმარისია, არათუ ათასჯერ „ვა". „ვა" და „ტო" ხომ მეოცე საუკუნისაა... შემდეგ: „მამიდაი ქ ა ჯ ი იყო"; „არაბთა მეფე მასპინძლობს, იქმს, ოდენ ა რ ი ფ ო ბ ა ს ა"; „უბრძანა: ვიტყვი უშენოდ შენისა უფრო მე ვ ა ს ა".

მდააა! საინტერესოა, როგორ „ევასათ" ეს სტრიქონები მათ, ვინც პოემას შორეულ ქვეყნებსა და შორეულ დროს მიაწერს. ასე ხომ ჩვენი თანამედროვენი მეტყველებენ?!

ახლა კი ზოგიერთ, არცთუ ისე უმნიშვნელო, სხვა პრობლემებზეც:

1. მე „ვეფხისტყაოსანში" წავაწყდი ავტომანქანის კვალს: „არად უნდის ს ა ბ უ რ ა ვ ი, არცა წოლა საგებლითა" (1148-ე სტროფი). აქ „საბურავი" შემთხვევით არ გაჩენილა (შემთხვევით) საბურავს დღესაც ვერ ნაანწყდები კაცი).

2. მე აღმაშფოთა, ერთი შეხედვით უწყინარი და კეთილშობილი მანდილოსნის, ნესტან-დარეჯანის ინტუიტიურმა მოწოდებამ ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონისადმი — ახალი სამხედრო დაჯგუფების შესაქმნელად, ეგრეთწოდებული „სამთა ბლოკის" შესაკონინებლად, ამ „ნაზი ქმნილების" მილიტარისტულმა სწრაფვამ გამალებული შეიარაღებისა და რევანშისკენ. მკვლევართა გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ამას ვაცხადებ შემდეგი სტრიქონის მიხედვით: „ქ ა ლ ი ომსა რაგვარ მიწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი".

3. ბოლოს კი, ნამდვილი გადატრიალება რუსთველოლოგიაში: მე აღმოვაჩინე, რომ „ვეფხისტყაოსანს" სადღაც, როგორღაც, რაღაცაში, დაახლოებით 1341-ე სტროფის მიდამოებში, აკლია მთელი სტრიქონი!!! აი, თვით 1341-ე სტროფი: „ავთანდილ უჭვრეტს ტარიელს, უსულოდ ქვე-მდებარესა"... აქ აუცილებლად, სადღაც, შ ე მ ა ს მ ე წ ე ლ ი ც უნდა ვეძიოთ.

სხვა მხრივ, მე ჩემი მხრივ, რუსთაველთან სადავო არაფერი მაქვს. გმადლობთ ყურადღებისათვის!

---

*არისტოტელე: განათლებულსა და გაუნათლებელ ადამიანს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც მკვდარსა და ცოცხალს შორის.*

* * *

პირჯერით გავიკვლიე
ღვთის სახლის გზა-კვალი
და ჩემი ხაგწერა ახლა ეს ლექსია...
ორთავე სოფელში სიკეთის აკვანი —
უკუნეთიდან უკუნის ლამპარი —
მამა-ღმერთი და დედა-ეკლესია!

* * *

ლექსი — სულით იწონება,
იწურება გულითა,
ჭრელა-ჭრულით, შავ-თეთრით და
სიტყვა კუბოკრულითა!
კაცის ხელით იწერება —
ნატვრის თვალით ნანახი,
გულისყურით ისმინება —
სულიწმინდის კარნახით.
ლექსი —
კაცის პირით ითქმის
და ღმერთების ენითა.
ნეტარ იყვნენ,
ნეტარ იყვნენ —
თქმითაცა და სმენითაც!

* * *

ა, ჩემი ყოფა და ფიქრები თავეს ზევით...
ჩემი არლეკინი, ჩემი კოლომბინა —
ნაჯამბაზევი და ნამატრაბაზევი —
ტვინის ხუჭუჭები... ჭკუის კოლოფიდან!

* * *

სიმონ ჩიქოვანს უბრძანებია: „მე სულ სხვა რამე მინდოდა, მეთქვა, მაგრამ სხვას ამბობს წყეული რითმა“-ო!

თუმცა, ბევრჯერ კარგად შეგვეხმიანა — მარტო რითმის ჭკუით მტერმა იარა! ლექსისათვის გულის კარი ღიაა — გაფრენილი პროზაც პოეზიაა!

...ახლა, ალბათ, ასე — დილის ექვსია!
ამ დროს ძილიც მუდამ ლექსის ზექსზეა!
ა, ბატონო, ქაღალდი და ფანქარი —
ანგელოსთა მთელი დასიც აქ არი!
ჰოდა, ძმაო, თუ ღმერთი არ მიწყრება —
აქ იწყება ლექსით თავდავიწყება!

სიყვარული გადა-არჩენს სამყაროს!

2000 წლის 28 ივლისს, საქართვე-ლოს ტელევიზიის პირველმა არხმა დილის სიფთაზე გვახარა, რომ წიგნ-ის კითხვადობით საქართველო სამ-ხრეთ აფრიკის დონ-ეზეა!
მოკლედ: ვართ რა აფრიკულად! ანუ აფრაკად ვართ!

სამიტინგო პოე-ზიის მარგალიტები
აგახევ ლაყუჩებს,
ნუ კეტავ მაგ ქუ-ჩებს..

გივი ვეფხვაძე: აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი ამ-ბობდა, რომ ჩვენ სამყაროს მესანებ 2% თუ ვიცითო!

<u>მამუკა დოლონცა:</u> თანამედროვე ტე-ლევიზიის რიტმმა წიგნი თითქოს გა-რიყა! ტელევიზიას, მალე, მთლიანად შეცვლის ინტერნეტი, კომპიუტერი კი ახ-ალგაზრდებს გაც-ილებით მეტ დროს წაართმევს, ვიდრე ტელევიზორი.

<u>სოლომონ ბრძე-ნის შეგონებანი:</u>
„იხსენი საკვდავად

## *მთაწმინდური!*

(სათბილისოდ!)

თბილისელობა! –
პროფესია არისო, გოგლამ.
ორბელიანი „ჯადოობას" უქებდა თბილისს.
აღმოსავლეთში – „სიხარულის სახლი" პქვიოდა
და დაღამება არ ეწერა მადლს მისი დილის!
დღეცა და ღამეც მზე და მთვარე ედგა დარაჯად,
ან... ხან დათოვლილ მთებს ისხამდა მხრებზე ფარაჯად!
სალმო-სამოყვროდ ეღებოდა ექვსივე კარი
და როგორც კოჯრის ნიავ-ქარი – კვნესოდა ქნარი,
და ორთაჭალის ბაღი იყო – ბაღი სამოთხის!..
და ამ „მატრიცას" რა გრიგალი, რა დრო ამოთხრის??
ეძიებდე და პპოვებდეო! არქვეს სერობას.
„ხოხბობის დროა"!... დაეტრიალებ თავზე, ვით ქორი!
თბილისობაზე ჩვენ ვიხსენებთ თბილისელობას,
თუმცა, დღეს თბილისს... თბილისშიაც ველარ იპოვი!
ძველი თბილისი გაქრა,
უკვე ჩვენიც წავიდა.
ახლა ახალი თაობები იწყებს თავიდან.
მწიფობისთვეა,
მკვახე სიტყვა დღეს არ ეგების –
ვეძებ თბილ სიტყვას – „თბილისური არდადეგების"!
– რა პქვია ამას?
– მონატრება დედის და შვილის!
თბილისში ვცხოვრობ და თბილისში
დავეძებ თბილისს!

* * *

ეს რა მშიშარა გამაჩინა ჩემმა გამჩენმა –
საკუთარ თავთან მეშინია მარტო დარჩენა!
არის შიშებიც (უშიშრობის), სულ სხვა ყაიდის –
გალაკტიონი მარტოობის იყო რაინდი!
ვინც ცხოვრებისგან მოელოდა სულ სხვა განაჩენს –
მწუხარე სახის რაინდად ვცნობთ იმ დიდ ლამანჩელს!
თუ თავი გადგას მხრებზე! – მაშინ მარტო არ ხარო.
კაციცა ხარ და ქუდიც გხურავს – ხარო არხარო!
უშიში, ვითარც უხორცოო! – კაცზე იტყვიან.
ამ ეპითეტით მე დავეძებ მახვილსიტყვეიანს...
ვინც სიტყვა-ღმერთთან შემკიდებელს დღესაცა ხედავს –
ვინაც სიკვდილში უკვდავებას – სიცოცხლეს ბედავს!

---

*საიათნოვა: მოვი კაცი იტყვის – კაი ვყარი ვარ... ტირიფიც ხომ იტყვის – კაი კვარი ვარ.*

*ი. ტურგენევი: თუ ბედნიერებას ეძებ... ტანჯვის გემო გაიგე!*

* * *

ფიქრმა, მელანითა, სისხლი მანთხევინა —
კაცის უმწეობამ ძალა მაქრევინა —
ლექსით — უძილობამ ღამე მათევინა —
ენის უძელობამა სათქმელ-მათქმევინა!

* * *

ნეტავ, ასე ერთმანეთი რამ შეგვაძულა?
კაცნი გქვია და ვიქცევით არაკაცურად.
რამ გაგვხადა ერთმანეთზე დანის მლესავი?
გვეჯავრება ერთმანეთი ჭირის დღესავით.
ვიცი: მტრობით დანგრეული — ძმობამ აშენა:
დასანგრევად — ადვილია, ძნელი — საშენად!
ეს ქვეყანა სულ ეშმაკის სამოსახლოა?
ნუთუ ქვეყნის დასასრული ასე ახლოა!

* * *

რითმით მქმნელები... მით რის მთქმელები არიან — შენ ეს მითხარ! სად? როდის? რამ? და როგორ შეგაწუხა? — აი, ეს არის კითხვა.

იქნება, აქ არც დაქტილ-ჰეგზამეტრი — არც რითმა, არც რიტმია... შეგვინდოს უფალმა ასე გულისძგერა, ამ რითმის არითმია!

მე ბოდიშს მოვიხდი ბინდისფერ წარსულთან, რაც არ გამახსენდა ამ წამს...

ზოგჯერო — სათქმელი უთქმელი სჯობია!... (სათქმელი უთქმელი არ მწამს).

ყველას გაუმარჯოს, ვინც ხსოვნის ბურუსში ბუტავს და სევდის რძეს წველავს;

... ვინაც სიყმაწვილის ელვარე სანთლებში სულ სხვა ელვარებით ელავს!

ვინც დაგვყვა აკვანში,
ვინც აგვყვა აკვნიდან
და ვინაც ჩვენს სულებში ღელავს!...
ვინც...
კაცობა მოგვეცა და ზედ ტვირთი აგვკიდა,
ყველას გაუმარჯოს, ყველას!

* * *

მადლი მაღლად არ გადიქცეს —
კაცს ხვდეს — ღმერთისგან იყოს —
მოწყალება გაიღოს, რომ —
ღვთის წყალობა მიიღოს!

წაყვანილნი და დაიფარე დასახოცად განწირულნი" (სოლომ. 24.11), ან „ბოროტეულის გამამართლებელი და მართლის გამამტყუნებელი — ორივე სიბილწეა უფლის თვალში" (სოლომ. 17.15).

უსახლკარო ამერიკელებმა, ერთმანეთი, კვანტურ ფიზიკაზე კამათის გამო დაჭრეს.

კალიფორნიის შტატის ქალაქ სან-ფრანცისკოს ქუჩებში მცხოვრებმა ბომჟებმა ერთმანეთს მძიმე ჭრილობები მხოლოდ იმის გამო მიაყენეს, რომ კვანტური ფიზიკის საკითხებზე ერთნაირი დასკვნა ვერაფერით გამოიტანეს — სამართალდამცველებმა და სასწრაფო დახმარების ექიმებმა კლინიკაში ორი 40 წლამდე მამაკაცი სტეფან ფაფა და ჯეისონ კოლეტი გადაიყვანეს, ერთ-ერთმა კი პოლიციას უკვე ჩვენებაც მისცა.

— ჩვენ კვანტურ ფიზიკასა და ატომების დაშლაზე ვმსჯელობდით, ჯეიმსი კი საპირისპიროს ამტკიცებდა. ვეღარ მოვით-

როცა გარეთ აედარი
და გულში კი დარია.
ლექსად მოგეჩვენება მთა არი თუ ბარია!
მართალი თუ მტყუანი, თეთრია თუ შავია,
ცოცხალი თუ მკვდარია, ალია თუ ბალია,
წამწამი თუ ხამხამი თვალთა ფიჭვ-წამწამისა —
ლექსის ჟრუანტელია — ცვარ-მარგალიტ-ნამისა.
ბაჯაღლო მზე-კაბანი მობიბინე ყანისა,
ერთგულებით გულება ღობისა და სარისა.
ნაკადულის ლიკლიკის წყალ-წყალა სტრიქონები —
გულით უნდა გაიგო, არა ცივი გონებით.
ტყე მოისხამს ფოთლებს და ნიავი დაუბერავს.
ცა წამოვა ფეხით და ლექსი რჩება ღრუბლად.
გაზაფხულის ხარება ლურჯთვალება იაა —
ყვავილთა დედოფალი — მინდერის პოეზიაა!
როცა ღმერთი გეწყალობსო, ჩვენი შაშვი გალობსო,
ურმულითაც გაიტან შენს გასატან კალოსო.
როცა სალამურივით ლირას აწყობ ლექსზეა —
ბულბული რომ დაუსტვენს — ისიც ლექსის ზექსზეა!
როცა „თოფი იქუხებს“ გაზაფხულის მაყრისა —
მეხი ნიშანი არის ცივ ზამთართან გაყრისა!
როცა ჟუჟუნა წვიმა მარგალიტებს დაყრისა...
ღმერთიცა წერს თეთრ ლექსებს და... ფანტელებად გვაყრისა.

* * *

მტევანივით აწურავ ფიქრებს ლექსთა წვეულებიდან — ვკრიბავ აზრებს... სამახსოვრო ძველი რვეულებიდან.

მკითხველო თუ განმკითხველო, დობილო თუ ძმობილო! პირუთვნელო, პირში მთქმელო, კარგ გამგებად ხმობილო! სწორედ შენზე მაქვს სწორება (მართალი რომ თქვას კაცმა!) — მიჭირს შენთან განშორება — ბოლო წერტილის დასმა!

...პოდა, იმ სამი წერტილიდან (ლოდებივით რომ მაწევს გულზე), ერთი... აქ უნდა დაისვას!

ცხოვრებისგან გულდაწრეტილი — რაღაცას მალავს სამი წერტილი!

დრო, დრო, დრო უნდა აღნიშნოო! — ბრძანა გალამ და ამ ძახილის ნიშანივით გამაკალამა!

* * *

სად — ყაჩაღები ყოჩაღობენ...
გზაზე გზირისა —
ჩასაფრება და —
ჭირის — ლხინი, ლხინი — ჭირისა!
სად ცალი თვალი იცინის და
ცალი ტირისა —
იქ გასახეთქი გული სდუღს
და პირი ყვირისა!!!

* * *

ამ ჩვენს ყვარყვარებსა და...
ამ ჩვენს ნაცარქექიებს
თავი ქუდში ჰგონიათ —
რომაელი სენეკა...
სენაკელი ჰგონიათ!

* * *

მისხალ-მისხალ გეიწონიან ცოდვა-მადლს და თუ მადლზე უმეტესი ცოდვა გაქვს, შეგიძლია, გულით მოინანიო — შენი წილი შხამ-სამსალა დალიო. გაარჩიო აე-კარგის ან-ბანიო, ჯოჯოხეთის გაიხურო კარიო!... სამოთ-ხეც და ჯოჯო-ხეთიც „ხეთია!" — პოდა, ნეტა, ნატერის ხესთან გეეთია! პოდა, ნეტა, ერთ ცოდვისთვის, მოყვარე — მამა-ღმერთსა ჩვენ არ გამოვეყარეთ, იმ ზღაპრული, იმ ედემის ბაღიდან — ერთ ვაშლისთვის, კაცმა რომ თქვას, არ ღირდა...
ამდენ ვაი-უშველებელად!

* * *

დაეულოცაე მადლსა ყოველს — ქართველის დედას!
რასაც თვალი ხედავსა და ვერა ხედავს.
დედა-მიწას, დედა-ბოძს და დედა-აზრს
ემყარება რასაც! რითაც! რაზეც დგას!

* * *

მეფე ერეკლეს მოედანზე იყო „სალაყბო" —
„ზეპირ გაზეთში" ქვეყნის დარდი
იხარშებოდა.
ძველი თბილისის ჭკუიდან შორს — ჭკუასთან
ახლოს.
აეი და კარგი, წუთისოფლის, მზეზე შრებოდა!

* * *

მიმწუხრის პეიზაჟს —
დღე ხატავს ხატოენად —
ცას ახედაეენ და ღმერთსა ახსენებენ.
ბუნების სატირლად...
ეთქვათ მაღალფარდოენად:
საავდრო ღრუბლები მზეს მიასეენებენ!

*ა. რუბინშტეინი: ეცადე შეუძლებელს, რომ შესაძლებელი შეძლო!*

*მინე და თავში ხვე-
დი ჩავარდა, — ალ-
არებს ხვდებან ფავა.
ამ ოხერმა გლო-
ბალურმა ეკო-
ნომიკურმა კრიზის-
მა მანათების დევა-
ლვაციაც გამოიწვია...*
**P.S.** *„მერკელებ-
ში" რა, ერთაობსა
და მის მასწა-
ლებელს მიზიდულო-
ბის რაღაც კანონზე
არ მოუვიდათ ჯახა-
ჯუხი!... რა ქნას
კაცმა, თუ მეტი საქ-
მე არა აქვს!
...მთელი ცხოვრე-
ბა ჰგავდა ჯახირსა,
გვერეკებოდნენ,
როგორც ნახირსა.
თავი მოგვწონდა
ზოგჯერ კიცრივით
(დე, ეს წარწერა
იყოს ციცრივით!)
მოკეცილები... ჩუ-
მად „ვყვიროდით" —
აქ — ვიცინოდით,
იქით — ვტიროდით...
ჩვენ ჩვენი
მეტრით ვქროდით
და ვკერავდით —
ბირდაბირების
პირდაპირობით!*

*<u>ნინო ბურჯანაძე (პარლამენტის თავ-მჯდომარე):</u> როდესაც ფერიის მთაზე დაინ-გრა ეკლესია, მე არ ვიყავი საქართველო-ში. ამხოლოდური შოკი მქონდა, რო-დესაც ეს ამბავი გავ-იგე და მერეც გვიყვით: არ ვარ ცრუმორწმუნე, მა-გრამ ხელდაჩაურმი*

# წუთისოფელი ასეა!

## (აბდიდან-უბდამდე!)

სანამდე თვალი მიმინვდა და ყური მივკარ-მოვკარი, ვწერე, მიხედვით იმისდა, დრო მკლავდა თუ მეც „დროს ვკლავდი!.."

ზოგჯერ კალამი დამყავდა ჩემს ჭკუაზე, ზოგჯერ კალმის ჭკუაზე დავდიოდი! და, ყოველივე ამას „აბრაკადაბრაც" რომ დავარქვა, მაინც ვერ დავუკარგავ მაგიურ ძალას, რადგან იგი ბერძნულად (არც მეტი, არც ნაკლები) ღვთაების სახელია, ძველებრაულად კი — ჯადოსნური მოქმედების საიდუმლო სიტყვა, რომლის უაზრობაშიც — აზრიანი მკითხველი გარკვეულ აზრს გამოიტანს!

აბდა-უბდაც ამ რანგის — „საბუთიანობას და თანმიმდევრობას მოკლებული უთავბოლო მსჯელობააო" — განმარტავს „განმარტებითი"!

სიყმაწვილეში (ახლა რომ თინეიჯერობას ეძახიან!), როცა სიჭაბუკის ფათერაკიანი საცალფეხო გზა უფსკრულზე გადიოდა, კაცი თვალსაც ვერ მომკრავდა, და, ზოგჯერ, მე თვითონაც არ ვიცოდი, საით მივდიოდი სად მიღამდებოდა და სად მითენდებოდა! მწყუროდა ცხოვრება. და, სადაც წყაროს წავაწყდებოდი, ზედ დავაცხრებოდი. ჰოდა, ვიყავი ამ თავსხმაში!

— საით, ბიჭოო? — დამაწევდა კითხვას დედაჩემი და ამ აქეთურ-იქეთურში არასდროს პასუხი არ მქონდა: მე თვითონ არ ვიცი-მეთქი!

— ჯანდაბამდე გზა გქონიაო! — მომაძახებდა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს აშკარა წყევლაა... მოგეხსენებათ: დედის წყევლა შვილს ლოცვად მისდის და მეც, ამ „წყევლა-კრულვით", ვარ აქამდე!

„ჯანდაბა" (არაბული ჯაჰან-ნამ), არც მეტი, არც ნაკლები, ჯოჯოხეთს ნიშნავს... ქართულად კი მასში... „ჯანი" გავარდეს — სიბერესაც ვხედავ!

ამ სიბერეზე დიდი ჯოჯოხეთი, აბა, რა უნდა იყოს!

მაგრამ, ამ ჯოჯო-ხეთშიაც რომ „ხე იგი ცნობად კეთილისა და ბოროტისა" (შექმ. 2, 9) შრიალებს! სწორედ ეს „შემეცნების" ხეა ის სამოთხე, რისთვისაც ღირს ცხოვრება და რატომაც დელფოს სამისნოს აწერია: „შეიცან თავი შენიო!"

ქირომანტიის მონოპოლია ბოშა ქალებს ეკუთვნით: ყველა თითი კავშირშია გარკვეულ ორგანოებთან: ცერა თითი კავშირშია თავის ტვინთან და თავის ქალასთან, საჩვენებელი თითი — ფილტვებთან, შუა თითი — ნაწლავთა სისტემასთან, უსახელო თითი — თირკმელთან, ხოლო ნეკა თითი — გულთან. უსახელო თითს ტრადიცია აქვს — გულთან და ხელოვნების სიყვარულთან აკავშირებს. ოქროს ბეჭედი (უსახელო თითზე) დაეხმარება ადამიანს სიმდიდრისა და სახელის მოპოვებაში, სიყვარულის განმტკიცებაში. ნეკა თითი მერკურის წილხვედრია, რომელიც განაგებს მწერლობას, მათემატიკურ აზროვნებას, სამედიცინო, ვაჭრობისა და დიპლომატიურ ნიჭს. ქება და დიდება ქართულსა ენასა „ვი-

*ი.ფრიდმანი: პატიება უტკბილესი შურისძიებაა.*

*დემოკრიტე: ყველაზე მეტად... გრცხვენოდეთ საკუთარ თავისა.*

თარმედ ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს... და ესე ენა შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათაითა... მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისა" (იოანე ზოსიმე).

სიბრძნის სიმფონიის ფრაგმენტი: სიტყვა არის გასაღები, რომლის ზუსტად შერჩევის შემთხვევაში, შეგიძლიათ, გახსნათ ნებისმიერი გული და მოკეტოთ ნებისმიერი პირი!

* * *

მაიას ტომების უძველესი კალენდრის მიხედვით, რომელიც ეპოქებს, დაახლოებით, 394-წლიან პერიოდებად ყოფს და ცნობილია, როგორც ბაკტუნები, მე-13 ბაკტუნის დასასრული 1012 წლის 21 დეკემბერს უნდა დადგეს, რაც სამყაროს აღსასრულსაც ნიშნავს, თუმცა, კალენდრის მკვლევარმა, გვატემალელმა მეცნიერმა აპოლინარიო ჩილი პიქსტუნმა დაგვამშვიდა, ჩვენს სიცოცხლეს არავითარი საფრთხე აღარ ემუქრებაო!

P.S.თუმცა, პიკსტუნი ერთობ ნააგავს თბილისურ ქალაქურ ჟარგონს „ფიქსტულს" (ანუ ცრუქაქუნას და მატყუარას), მაგრამ ცუდ სიმართლეს მაინც კარგი ტყუილი გერჩიოს!

არის მეორე და არანაკლებ კომპეტენტურიც და შემზარავი ისტორიული ცნობაც: დიდმა ბრიტანელმა მეცნიერმა, თანამედროვე ფიზიკისა და ასტრონომიის მამამ — ისააკ ნიუტონმა თავის 1704 წელს დაწერილ წერილში, რომელიც იერუსალიმში „ნიუტონის საიდუმლოებათა" გამოფენაზეა წარმოდგენილი, სამყაროს დასასრული 2060 წლისთვის იწინასწარმეტყველა.

ასე რომ, ჩავიბრუნოთ თვალი სულში, თვალი გავუსწოროთ საკუთარ „მეს" და ვწეროთ რეპორტაჟი ჩვენი ტვინის ხუჭუჭებიდან!

***ამდიდან — უმდამდე...***

სულ-სრულად თუ იმპულსურად,
მაჯის შესატყობარით —
საწუთროსთან შერიგებით...
ბედ-იღბალთან ყომარით!..

ამ ქაოსის ეპიგრაფად!
მილეთით და ცით —
მთვარით და მზით ვიარე —
ჯანდაბამდე გზით!

---

*ლარომშუკო: თუ გინდა, თავი მოიტყუო, თავი ყველაზე დიდი ეშმაკი უნდა გეგონოს!*

*რომ რაღაც ჩამოინგრა და ადამიანი დაიღუპა, ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს ჩემი ეს სიტყვები, მაგრამ ვთვლი, რომ ეს იყო ძალიან მძიმე გაფრთხილება ღმერთის მხრიდან! როცა ჩამოვედი, აეროპორტიდან პირდაპირ სააკაშვილთან მივედი და კატეგორიულად მოვთხოვე პატრიარქთან მისვლა და ბოდიშის მოხდა!*

*...ვატყობ, დავრჩებით ცოცხალ-მიმველი.*

*ჰუმანიტარიც ვეღარ გვიშველის!*

*სომხეთში უკვე საქართველოსთან ომის შესაძლო სცენარები იწერება!*

*„ასავალ-დასავალი",*

*07-13.09.09*

**P.S.** *აუ, რა „სეირი" იქნება ამ „ცავყანებში"... ომს თუ ხელი წავატანეთ!*

*ჯაბა ხუბუა: 2009 წლის 9 სექტემბერს პრეზიდენტმა, კახეთში, ურმის, „ზაპოროჟეცის", „ვოლგის", „ოპელის" და კაბრიოლეტ „მერსედესის" „არაჩვეულებრივი გამოფენა" მოაწყო.*

* * *

„სასყიდელი თქვენი ფრიად არს ცათა შინა"

(სახარება, მათე, 5, 3-12).

# ნეტარ არიან მორწმუნენი!

... ჩინეთში, მეორე საუკუნეში, ქაღალდი და 1938 წელს ვინმე იშტვან მიროს ბურთულიანი კალამი რომ არ გამოეგონებინა, მეც გადავრჩებოდი და მკითხველიც! წინათ, ბატის ფრთითაც წერდნენ. ახლა, ბატის ჭკუასაც ვერ მოსთხოვ ზოგ ნაწერს და ისევ მკითხველების სულგრძელობის იმედზე ვართ!

2007 წელს მერწყულის პროგნოზი გვაფრთხილებდა, რომ უსიამოვნო პერიოდი გველოდა: „სასიცოცხლო პოტენციაციის კლება უარყოფითად აისახება ჯანმრთელობაზეო!" ის ჰოროსკოპი კოპივით მაჯდა შუბლზე და მირჩევდა „განმარტოებას"! განმარტოვდები და... მწერალი, თუ მას თავი ახლავს, არასდროს არაა მარტო! მწერალს საკუთარი თავიც ჰყოფნის „კამპანიად"! ის ვერასდროს ვერ ჩაუვლის გულგრილად კალამს და ქაღალდს!

დავით აღმაშენებელი: კაცთა პირველი სიმდიდრე წიგნითა მოძღვრებაი არს.

ჟოზეფ ადისონი: კარგი წიგნი ავტორის მიერ კაცობრიობისათვის ნაადერძევი წყალობაა!

ინგლისური მფრინავი ფრაზაა: წიგნი მეგობარივით უნდა აირჩიოო!

საკუთარ თავში და გულში ჩახედვის გარდა, ათასი წიგნი უნდა გადაშალო, რომ... ერთი ახალი დაწერო! დავცქერი ახლა ენრიკო გაბიძაშვილის, მაია მამაცაშვილის, ანა ღამბაშიძის „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიურ და თეიმურაზ ყიფიანის სამგიდო ენციკლოპედიებს („ყველაფერი ყველაფერზე — ერთი დიდი თეზაურუსი") და ყველაფერს ყველაფერზე ვზომავ და ვწონი, ვჭრი და ვკერავ. არადა, რა დროსტარებას, რა „მენიუს" გვთავაზობს ლიტერატურა და პუბლიცისტიკა! აქ ჟანრების კორიანტელია: ავტობიოგრაფია, ამბავი, ანდაზა, ანეგდოტი, დრამა, რომანი, არაკი, აფორიზმი, ბალადა, ბესტიარიუმი, ბუკოლიკა, ბურლესკი, გნომა, დეტექტივი, დღიური, ბელეტრისტიკა, ელეგია, ეპისტოლე, ეპოპეა, ეპოსი, ეტიუდი, ექსპრომტი, ზღაპარი, კანტატა, კანტონა, კომიქსი, კუპლეტები, ლეგენდა, მადრიგალი, მანიფესტი, მატიანე, მემუარები, მითი, მოთხრობა, ნოველა, ოდა, პამფლეტი, პანეგირიკი, პაროდია, პასკვილი, პასტორალი, პიესა, პოემა, რაფსოდია, რომანეტო, რომანი, რომანსი, სონეტი, სტანსი, ტრაევესტი, უტოპია, ფაბლიო, ფარსი, ფაცეცია, ქრონიკა, შვანკი, ჰაგიოგრაფია...

ახლა, პუბლიცისტიკისაცა ვთქვათ: დაიჯესტი, ესეი, ინტერვიუ, კორესპონდენცია, მიმოხილვა, ნარკვევი, პამფლეტი, პრესრელიზი, რეიდი, რეპორტაჟი, რეცენზია, სტატია, ფელეტონი, ქრონიკა, ჩანახატი, ინფორმაცია, ცნობა, წერილი...

მოკლედ, თუ თავი ქუდში გაქვს... არ დაიკარგები!

ჩემი დღე და მოსწრება ამ ბაღნარში ვარ და, ცალ-ცალკე, ვერც ერთ ჟანრში ვერ ვეტევი (ჟანრში კი არა, მგონი, საკუთარ ტყავშიც მიჭირს დატევა!)

ხან კალამი გარბის წინ, ხან კალამიც ვერ მეწევა და ერთი ბრძენი საეკლესიო მწერლისა არ იყოს, რომელიც ისტორიაში (თან, ასე მალე) მწერლის სახელითაა შესული, ლამისაა „თავქუდმოგლეჯილის" ფსევდონიმით წარვუდგე ან წარმომიდგინოს მკითხველ-გამკითხველმა.

ისე (როგორც, წარმოშობით ოკრიბელის), ერთი ჩემი ლიტერატურული ფსევდონიმი სწორედ „გელა თელია" გახლავთ და ახლა „გელათის გულანსაც" რომ მივადექი, ამ 2322-გვერდიანმა ხელნაწერმა, თავისი ჟამნით, ტიპიკონით, პარაკლიტონით, კინკლოსით, კურთხევანით, მარხვანით, ზატიკნით, სანელინდო საკითხავებით, ძეგლწერით, ქართველ მოღვაწეთა ნეტარხსენებით, მოთხრობებით შჯულთა უღვთოთა... ასოციაციით... ჩემი ლამის, ოთხიათასგვერდიანი — ვერ იქნა და ვერდამთავრებული ჩემი ოთხტომეული გამახსენა, რომლის დაწერამდე და წაკითხვამდე, მეც ერთი სული მაქვს!

...მცირე გამოხმაურება ჩემს გახმაურებულ „პაემანზე"! ანუ „გამორჩენილ მწერლებში" გამორჩენილ მწერალზე!

„არ გავკადნიერდები, გიზო ნიშნიანიძის წარდგენა რომ დავაპირო მკითხველთან. მოზომილი იუმორითა და მალალმაირით შენელებულ საფიქრალსატკივარზე მოიქნევს კალამს — გეტყვის სათქმელს და დაგაჯერებს. ერთმა ჩვენმა კოლეგამ მითხრა: გიზო ნიშნიანიძეზე ადრე მოვკვდები, რომ ვიცოდე, ჩემს ნეკროლოგს ის დაწერსო!" — წერდა ჟურნალ „ცხოვრება და კანონის" მთავარი რედაქტორი დური შენგელია.

ჩემს მკითხველს, ჯერ კიდევ „პაემანზე", „პაემანმა" გაუჩინა თავსატეხი. ჭკუის საკითხავი კაცი და ჩემი ძველისძველი ძმაკაცი რეზო დვალიშვილი წერდა: გიზო ნიშნიანიძის ქალაქური პოემა ვერცერთ ჟანრს ვერ მივაკუთვნეო!

„პაემანში"... პოეტური სახეებით ნაჩვენები თბილისური ხასიათებია, ფსიქოლოგიურად რთული ეთნიკური პროცესების კანონზომიერებებით. იგი დედაქალაქის ისტორიული და კოლექტიური ფსიქოლოგიაა, სრულიად ორიგინალური ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოები, რომლის ანალოგი ჩვენს მწერლობაში არ მეგულება!" — წერდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი ალექსანდრე ფრანგიშვილი.

დიახ, ეს არც ტარტარენ ტარასკონელის თავგადასავალს, არც ფრანსუა ვიიონის პოემა „დიდ ანდერძს", არც კამიუს ესეებს: წალმა და უკუღმას; არც ლაროშფუკოს მემუარებს; მატეო ფალკონეს;

*(ვინ აწყობს და ვის აწყობს!)*

*„კომსომოლსკაია პრავდამ" (2000) ქართველებს მაიმუნები გვიწოდა (როდის იყო, კომკავშირლები მართალს ლაპარაკობდნენ!).*

*მახსენდება ჩვენი მამების ანუ ოქტომბრის რევოლუციის ხნის ერთი „საცაქკო" სიმღერა, რომელსაც, თურმე, მედროვე პავლეს ქუჩის ვიღაც ცაპი მღეროდა: „ჩემი შვილი მეშვანილედ მინდოდა, მაზარმაცი წავიდ-წამოვიდოდა... ავიღე და მივაბარე სკოლაში, ის კი დადის თურმე... კომსომოლში!" (მაშინვე ხვდებოდა ის კაცი, ვის ხელშიაც ვვარდებოდით! აჰა, ისევ „ვარდი" მადგას ენაზე!)*

*ისეთ ბნელში ვართ, რომ სინათლის ანთების გვეშინია!*

*ერთი ქუთაისური ანეკდოტი თუ ნამდვილი ამბავი გამახსენდა: სუფრაზე ერთი ბავშვი, თურმე, მუმიასავით იჯდა და ხმას არ იღებდა.*

*სტუმრებმა იკითხეს, ეს ბავშვი რა-*

მოპასანის „ეშმაკს“; პრევოს ჩანაწერებს; პრუსტის „დაბრუნებულ დროს“; რაბლეს „გარგანტიუასა და პანტაგრიუელს“, როლანის „კოლა ბრუნიონს“, ფრანსუა საგანის რომანს „სალამი, სევდავ!“, არც „დონ კიხოტ ლამანჩელის თავგადასავალს“, ანატოლ ფრანსის პინგვინთა კუნძულს“, „ანგელოზთა ამბოხს“, არც ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხს“; საროიანის ადამიანურ კომედიას; მარკ ტვენის ჰეკლბერი ფინს, არც ფიცჯერალდის „თავქარიანებსა და ფილოსოფოსებს“; არც მექსიკელი ნაჰურას კვამლისფერ მოთხრობებს; არც ქემალის „ხეტიალის წლებს“; სილვა კაპუტიკიანის „გულახდილ საუბრებს“; ომარ ხაიამის ლირიკის ნალკოტს; ლუ სინის „გიჟის დღიურს“; არც აფრიკელი ნგუგი ვა თჰიონგოს რომანს „ჯვარცმულ ეშმაკს“; არც ებრაელ მენდელე მოიხერ ფიშკის მოთხრობას „მამებსა და შვილებს“ და მათ მსგავსთ ჰგავს! და, არც პაატა ქურდაძის მიერ ახლახან პარიზში გამოცემულ „ფსიქოლოგიურ (ანუ ჰალუცინოგენური ნივთიერებების ზეგავლენის ქვეშ დაწერილ) ქრონიკებს“, რომლის ავტორი ღვთისა და ერის წინაშე აცხადებს, რომ მას არ სურს, დუმილის პანთეონში გამოკეტოს თავისი ქვეყნის ისტორია!

ბრეჟნევის „დრუჟენნიკებს“ ან ბორის ძნელაძის ანტიქრისტე კომკავშირლებს შესადარებელი, ალბათ არაფერი ექნებათ, რადგან არც ერთი მათგანის წინაპარი კომკავშირელი არ ყოფილა: „არავინ შეეკითხება საკუთარ თავს: ხომ არ წააგავს იმ ბაბუას, რომლის შესახებ ცოტა მეტი რომ სცოდნოდა, ვარდებითა და ბუშტებით აქეთ-იქეთ სირბილის წინ, იქნებ ცოტა მეტად დაფიქრებულიყო საკუთარი „რევოლუციური“ პასუხისმგებლობის შესახებ!“ „ყველა ახალი თაობა დარწმუნებულია, რომ ისტორიის წერას... სუფთა ფურცლიდან იწყებს!“ და „დავბოდიალებთ თავგზააბნეულნი ღმერთსა და სამშობლოს შორის“!

...არის ერთი ქართული სიტყვა, რომელიც იაპონურივით ჟღერს — ასაკი!

მიუხედავად უკანმოუხედავობა-წინგაუხედავობისა და ძველ და ახალ ისტორიებთან უასაკო ზიარებისა — ყოფაქცევის მიუხედავად — ყველას თავისი მამიდა ჰყავს და ყველა თავისებურად წირავს!

დიახ! და, მაინცდამაინც, ჩემი ნაცოდვილარი არავის ჰგავს... საკუთარი თავის გარდა და მაინც მას „უმსგავსოს“ ვერ დაარქმევ!

„გიზო ნიშნიანიძე ბენვის ხიდზე გადისო!“ — თქვა მორის ფოცხიშვილმა და ჩემმა სახლიკაცმა, დიდმა შოთა ნიშნიანიძემაც დიდი პატივი დამდო, როცა ამ ბენვის ხიდივით გადებულ სტრიქონს ფრთხილად გააყოლა თვალი და ფრთა შეასხა: „როცა მავთულზე გადის ჯამბაზი და ფათერაკი მართავს მასკარადს... რადგან სიმაღლეს და რისკს აფასებს — სდუმს დარბაზი!...“

ეს დუმილი კი, თუ მთლად თანხმობისა არა, თანაგრძნობისა მაინცაა, რის მეტს არც მოვითხოვ და არც მოველი საუკუნით გზააბნეულ-გაბრუებულ-განებივრებული და გულხელდაკრეფილი მკითხველისაგან, რომელსაც ალეგორიებით, ფუნაგორიებით, კალამბურებით, ქარაგმული ნაკვესებითა თუ ნაკვნესებით, ანუ ყბის საქცევებით ვიქცევ და ვემასლაათები, რომ ჩემი შენ გითხრა და სადაც თქვენი თქვათ, იქ ჩვენიც

---

*ლ. ბერნე: განჯვა-სიბრძნის მამაა, სიყვარული — დედა.*

*ოსკარ უაილდი: ადამიანები მზად არიან, ყველა შეიწყნარონ, გარდა გენიისა.*

არ დაგავიწყდეთ!

ურუქელები, თურმე, გამუდმებით შესჩიოდნენ ღმერთებს თავიანთი მეფის — გილგამეშის ქედმაღლობას!

ასე რომ, ჩვენ არც პირველები ვართ, არც — უკანასკნელები უთავო თავკაცების ქება-დიდებაში და ტყუილად ვუჩივით ბედს და ზოგიერთ მათგანს — სტრასბურგში! ჩვენი „უმაღლესი ინსტანცია", ერთ დროს, ზემელის „დამწვარი აფთიაქი" იყო: იქ მიჩივლეო! — იცოდნენ თქმა.

ენდე?... ენდე!... როგორც კახელები იტყვიან!

...ნეილ ფილიპი „მსოფლიო მითოლოგიაში" „სიცოცხლის წიგნზე" წერს, რომ ჩინური წარმოშობის ხალხის — აქხასათვის ნაბოძები წიგნები კამეჩის ტყავზე იყო დაწერილი. შიმშილობის დროს გადაუწყვეტიათ, ტყავი მოეხარშათ და წიგნი შეეჭამათ! „ახლა ნაწერი თუ წიგნი აღარ სჭირდებათ, რადგან შემოქმედის ცოდნა კუჭში აქეთ მოქცეულიო" — წერია მსოფლიო მითებში... ჰოდა, რას ვერჩით ჩვენს განათლების, განათებისა თუ დაბნელების სამინისტროს, ახლანდელ წკვარამში ქადაგად რომაა დაცემული — რაღა დროს წიგნიაო!

...თავდაპირველად დამწერლობა მხატვრობის ნაირსახეობა ყოფილა — ადამიანები ფიქრებს ნახატებით გადმოსცემდნენ.

ქრისტეშობამდე დაახლოებით 1000 წლით ადრე ფინიკიელებმა მსოფლიოში პირველი ანბანი გამოიგონეს, რომელიც 22 ასოსაგან შედგებოდა.

... ქვეყნის მმართველობაში „ასაკობრივი პრობლემა" ჩინელებსაც ჰქონიათ. მათი უკანასკნელი იმპერატორი... 2 წლისა ასულა ტახტზე და 6 წლამდე აღარ ჩამოსულა ტახტიდან, რომელზეც ხან იჯდა, ხან კი მხარ-თეძოზე იყო წამოწოლილი და ხან რით ირთობდა თავს და ხან — რით. ამ იმპერატორის სახელი ყოფილა პუი!.. რას იზამ? ზოგჯერ დიდებსაც კი ეპარებათ-ხოლმე!

ერთ ძველ თამადას, თურმე, ნამეტანი ხმამაღალი სადღეგრძელო გამოუთქვამს და ქეც გაპარვია, მარა არ დაბნეულა — მოტრიალებულა და თავისი, უკაცრავად პასუხია, უკანალისთვის უთქვამს: თუ მე ვარ, ბატონო, ტოლუმბაში, მე მაცალეო!

რომაელ სატირიკოს პერსიუსს უთქვამს: ერთ კარგ ხუმრობას „ილიადაში" გავცვლიო! კაცია და გუნება!

მეც იმდენად მაღალი წარმოდგენისა ვარ სიცილზე, რომ ვერელ ძმაკაც, კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილთან ერთად დაწერილ სიცილის ჰიმნში, ერთი შეხედვით, პარადოქსული აზრიც კი გამ-

ტომაა ჩუმადო და მასპინძლებმა ზრდილობიანად უპასუხეს — ამ ბალანამ, ბატონო, არ იცის საგარეო ლაპარაკი!

ფირმა „ელიტ ელექტრონიქსის" დამფუძნებელმა ანზორ ქოქოლაძემ ე.წ. „ცნობად სახეებს" სახლში საახალწლო ძღვენი მოგვართვა და საოცარი „პაემანი" (საუკუნის ავტოგრაფი) გაგვიმართა.

აქედან დაიწყო ჩემი „სტეპენდიანტობა" ერთი „ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი" (ივანიშვილური) ქველმოქმედებისა, რომელიც ჩემთვის, ვერისუბნის „პაემანზე" „დაითესა" და „საუკუნის ავტოგრაფზე" იხარა!

ასეთ ნაჩუქარს კბილიც გაესინჯება და მაჯაც, რადგან ღვთისწყალობას ჰგავს!

როცა ბაიაზეთი თემურ ლენგს გაკოჭილი მიუყვანეს, თემურს სიცილი აუტყდა. ილდირიმმა იწყინა, — მართალია, დამარცხდი, მაგრამ მეფე ვარ და მეფურად მომექეცით. ამაზე თემურმა უპასუხა: შენ კი არ დაგცინი, იმაზე მეცინება, რომ ალაჰს ეს სამყარო

ოვთქვი: „სიცილით ვინც კვდება, ის დიდხანს ცოცხლობს!" სიცილი უხდება ოსტეოხონდროზს და ბევრ სხვა მანკიერებას ამიტომ ვიცინოთ უაურომიცინოდ — აბა, ჰე! აბა, ჰო! — ოხოხოხო!..

ზარმაცისთვის უთქვამთ, ქარია, კარი დაკეტეო და ქარი დაკეტავსო! ზოგჯერ ასე ვარ მეც — პირისა თუ ზურგის ქარის იმედზე! არადა, სივარადა-ვარადა! ამბობენ, ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო! მე, ახლა, მომტანიც მჭირდება და წამღებიც!

„ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის..."

მაგრამ, გააჩნია, ვის „უქრის"! გალაკტიონი რომ ჩვეულებრივი მოკვდავი არ იყო, სიკვდილითვე დაამტკიცა...

არადა, ჩვენი თაობისა თუ „უთაობისათვის" რა ფუფუნება იყო მასთან უასაკო მეგობრობა!

ერთი თათრული ანდაზა ამბობს: ყველა უბედურება ენიდან მოდისო, მაგრამ იქვე ამატებს, „გასაღები ბოქლომზე მაგარიაო!"

კალამი ყველა ცხრაკლიტულს აღებს! ე.ი. კალამს უბედურებაც და ბედნიერებაც მოაქვს. დოსტოევსკიმ, ყველა დროს, ადამიანის ცნობის დამადასტურებელი ერთადერთი „მოწმობა" წარუდგინა: „თუ კაცობრიობას როდესმე რაიმე საბუთი დასჭირდება მისი არსებობის გასამართლებლად, მას შეუძლია, აიღოს და მაგიდაზე დადოს სერვანტესის „დონ კიხოტი"!

ქვას გახეთქავს!!!

არადა, საქართველო დონ კიხოტების ქვეყანა როა, ამის საბუთად ჩემი სახლიკაცის ლექსიც („დონ კიხოტი... ზემო იმერეთში") კმარა: „იმერეთში როს ინათებს, / რა ხიბლია ჯადოსნური: / მიჩაქჩაქებს როსინანტი, ბუხრებიდან გადმოსული; / ...მაშ, ოცნებავ, დესპანობდე, / სიხარული მიბევრეთო, / კლდიაშვილის ესპანეთო, / სერვანტესის იმერეთო! / მანდაც არი აღერილი / სიმინდები ჩვეულებრივ, / ნაჩხუბარი მაყრებივით / ჩოხებჩამოხეულები... აქაც ბუზებს იგერიებს / როსინანტის ტყუპის ჩრდილი, / როგორც, ერთ დროს, მევალეებს / ძველი აზნაურის შვილი.

იბერიულ-ბასკური სისხლით ძმობის საბუთად მარტო ეს ლექსიც კმარა!

...კაცობრიობას, „ბიბლიის" გარდა, სხვა წიგნი რომ არ ჰქონდეს, ჭკუის საკითხავად, ესეც იკმარებდა! ერთი ქრისტიანული იგავია: ღვთისმეტყველი მივიდა მოხუცთან, რომელსაც „ბიბლიის" გარდა არაფერი გააჩნდა და თავისი წიგნი მიართვა. მეორედ მისვლაზე კი ჰკითხა: მოგეხმარა თუ არა ჩემი წიგნი „ბიბლიის" უკეთ გაგებაშიო?

— პირიქით! — უთხრა მოხუცმა, — ყველა წიგნის გაგებაში „ბიბლია" მეხმარებაო!

ამიტომაც ჰქვია მას წიგნთა-წიგნი!

ერთ საარაკო იგავსაც გეტყვით!

კაცი სამოთხეში მოხვედრილა და ბედნიერი, კმაყოფილი ხალხი უნახავს. ერთი თვალით ჯოჯოხეთშიც შემახედეო, უთხოვია მთავარანგელოზისთვის და აქაც ბედნიერი, მაგრამ უკმაყოფილო ხალხი დახვედრია.

---

*ონორე დე ბალზაკი: გენიოსები წინ უსწრებენ საუკუნეებს, მაშინ როცა ტალანტები წინ უსწრებენ მხოლოდ წლებს.*

*მ. ებნერ-ეშენბახი: გენიოსი გზას პოულობს, ნიჭიერი კი ამ გზით დადის.*

— ჯოჯოხეთშიც ყველაფერი სამოთხესავით ყოფილა და ამ ჩვენი ცოდვით სავსეებს, ნეტავ, რა არ მოსწონთო? — უკითხავს კაცს მთავარანგელოზისთვის.

— რა და, ამათაც სამოთხისაკენ უჭირავთ თვალი, ვაი-თუ აქაურობას იქაურობა სჯობიაო!

ეს არაკია (ამ სიტყვაში „არაც" არის და „კიც"!) და ახლა კომუნისტებისდროინდელ ერთ ანეგდოტსაც მოგიყვებით, რომელიც, ერთი სიმღერისა არ იყოს, დასავიწყებლად არ გვემეტება!

ერთ ძველ თბილისელ, დაშხომიან კაცს საიქიოს მისაღების უფროსისთვის უთხოვია — სამოთხეშიც შემახედე და ჯოჯოხეთშიც და მერე გეტყვი, სად მინდა მარადისობაში ყოფნაო. ჯერ სამოთხე „დაუჩიჩმავს" — ჩიტების ჭიკჭიკი, ბულბულების გალობა მოუსმენია... მერე ჯოჯოხეთში შეუხედია — დოლ-გარმონი, დუდუკები, ქალებში — „გრიალუშკებში" გრიალი უნახავს და გადარეულა, რა მინდა ყარაჩოღელს სამოთხეში და ბულბულებში, ჩემი ადგილი ჯოჯოხეთში ყოფილა და... სინამდვილეში, შეადგა თუ ფეხი იმ ჯურღმულში, მიხვდა, რომ დედიმისის მიირთვა: კუპრში იხარშებოდა ყველა ცოდვილი!!!

— აბა, ის რა იყო? — იკითხა იმ ჯოჯოხეთის სამოთხეზე, რომელიც თავიდან აჩვენეს.

— ის კომუნისტების აგიტპუნქტი იყოო! — უთხრეს იმ ჩვენი ლუტუნასავით გულუბრყვილო კაცს, რომელსაც აგიტატორი და პროვოკატორი ერთი ეგონა!

... მსოფლიოში დიდი დეპრესია 1929 წელს დაწყებულა უოლ სტრიტის კრახით, რასაც ჩემმა დაბადებამაც ვერ უშველა. იდგა გაგანია კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ეპოქა — 1937 წელი, რომლის კარებზე კაკუნის ხმა დღესაც გვზარავს. კარზე იყო მომდგარი მეორე მსოფლიო ომიც, რომელმაც, 13 წლის ასაკში, ჩემს სოფელში, ოჯრიბაში, გერმანელების დესანტი დამაჭერინა! მაშინდელი სიმღერაც მახსოვს: „შენი გმირობის ამბავი რადიომ მოიტანაო... ამბობენ, რომ გიპოვია ბელადის გულში ბინაო!"

ცხოვრება მიდიოდა წრიალ-წრიალში და გრიალგრიალში. სიძულვილის — სიძულვილით, სიყვარულის — სიყვარულით, თვალით — თვალში, ყურით — ყურში... ყველით, პურით, კეთილი გულით!

ყურით გაგონილს კი არა, თვალით ნანახს გეუბნებით (ეს „უბანიც" ხომ ზოგს უ-ბნელობაში ერევა!)

„საცა სიყვარული არ არის, იქ სიხარულს რა უნდაო!"

*ისე გაუუფასურებია, რომ მე, კოჭლსა და შენ, ბრუციანს, ნება მოგვცა, 400 ათასი რაინდი ერთმანეთზე შეგვეჟლიტაო!...*

*რის უგონობა ჯაბნის გონებას — ტყუილ-მართლით აიწონება! ხდება უკუღმის წაღმა ჩვენება, უკანონობის დაკანონება...*

*უკრაინის ხელისუფლებამ ელტონ ჯონს უპატრონო ბავშვის შვილად აყვანაზე უარი განუცხადა.*

*ეჭვი არ მაქვს, მიმიხვდებით, ვინც იუდას არჩევს ამბორს — ის კი არა, ვინა და რას... მთავარია, რას — ვინ ამბობს!*

*ისლანდიის ფალოლოგიის ანუ პენისის მუზეუმში 154 ნატურალური ექსპონატი ჰქონიათ გამოფენილი, რომლებიც სპეციალურ სითხეებში ინახება.*
***P.S.*** *ნეტა, ვის უნახავენ?*

*იციან, რომ „ხე-*

ახლა კი, ერთი აზერბაიჯანული ქარაგმისა არ იყოს, უნეერო კაცი... ნვერის საშოვნელად ნასულა და უულვაშოდ დაბრუნებულა. ხალხური სიბრძნე სიბრძნეა, მაგრამ იმ არაბულისა მაინც არ მჯერა, რომ „ცოცხალი ვირი ჯობია — მკვდარ გენიოსს!", რადგან... გენიოსის სიკვდილი ვის გაუგია!

სასახლე ააშენა — ქვეყანა დაანგრიაო! — ესეც არაბულია (და, ავლაბრულიც!)

ესეც!

შუშის სასახლის პატრონები ქვებს არ ისვრიანო! ქვები, არც პენტაგონის და არც ჩვენი შეიარაღებული ძალების ჩამონათვალშია. ქვები, მხოლოდ, სახალხო შეიარაღების არსენალშია!

ჩვენთან კი ქვის სროლა სიგიჟის სინონიმია. ხალხს დაპირებებით აგიჟებენ, რომ არ... გაგიჟდნენ! ასირიული ანდაზასავითაა: ღარიბი შიმშილით კვდება, მდიდარი — შიშით!

ახლა ბენგალური: თუ ფული არ გაქვს, რა გაცეკვებსო? ეს სიბრძნე ვერცა ბჟუტავს, როცა შადრევნების ენაწყლიანობითა და ბენგალური ცეცხლით „ვანათებთ", „ვიწვით" ჩვენი „სახალხო ზეიმების" საცოდაობით!

* * *

აწმყო, შობილი წარსულით —
მომავალს დაუყენს ია-ვარდს.
ბადიშის ნაჭამმა ქლიავმა —
ბაბუა გამოაქლიავა!

## *ორთაჭალის*
## *შუშის ხიდის ხიდი!*

აქ ხიდზე კი გახვალ,
თუმც, აზრზე ვერ მოხვალ,
რა გზა-კვალს ადგახარ —
თბილისელი რო ხარ!
კონტრასტი დიდია ძველის და ახალის —
ველარ გამიგია: რა დროა, რა ხანი?

* * *

ლექსს არ აეკიდებ ცოდვას და —
სხვა სათქმელს ვიტყვი სხვა ტექსტით!
„ოიდიპოსის კომპლექსი"
უნდა შევცვალოთ... „პამპერსით"!

***ილია ჭავჭავაძე:*** *ძალზედ მობურთალნი ქვეყნიერების მოედანზე მარტო დღეხასაათის კაცნი არიან. ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მამაღლებია სულთასრულობა. დღეხასაათობა.*

***ეპიქტეტე:*** *ვიდრე სხვის განსჯიდე, დაფიქრდი: ვარგახარ კი მსაჯულად?*

* * *

მე მხოლოდ მაშინ დავიკრეფ ხელებს,
როცა ხელები არ გამახელებს.
და მხოლოდ მაშინ დავხუჭავ თვალებს,
როს გავისტუმრებ ცხოვრების ვალებს!

* * *

სახელმწიფოს ხელში არი
ყველა განძი და მადანი!
არჩევანიც მისია და მისი არი არადანიც!
გინდა, კენჭი უყარე და გინდა — ყაჭი,
გინდ — კაკალი —
არჩევანიც მისია და მისი არი არადანიც!
ვართ თუ არა ქართველები...
ან ქვეყანა, ანდა ერი —
ამ კითხვაზე პასუხს ელის —
ბარიერი „ბარიერი“!

* * *

ტოლუმბაშს სწორედ
(ღვთის მადლით)
ვირჩევთ
და არ გვჭირდება მეორე ტური —
საქართველოში მხოლოდ თამადის არჩევნებია —
ობიექტური!

* * *

ორივე სოფელში... სიცილ-გოდებით...
ყოფნა-არყოფნა უთქვია გამჩენს!
ისე იცოცხლო,
როცა მოკვდები...
იქაც წახვიდე და აქაც დარჩე!

* * *

საარჩევნო ბატალია
(კარდაკარა ტანტალია!)
იწილები-ბიწილები —
დედლები და წიწილები...
დებატები, დეკვატები —
ჭუკები და ბიჭუკები!..
არჩევანი-არადანი...
პირადი და პარად-ალე!

*სერვანტესი: იცხოვრე სიმართლით!*

რხი სჯობია ღონე-სა’
თუმც, ხერხი უღონოდ ვერ მოი-გონესა
ქვეყანას, რომელ-საც სხვა პირი არ უჩანს.
მწიგნობარს არ აკ-ლის ბალსა და ალუ-ჩას.
სად ვარდსა ვთე-სავთ და ეკალი ამო-დის,
-ცამდე ავყავართ’ და ცა ფეხად ჩამო-დის!

იაპონიის ქალაქ კავასაკიში, რომელ-იც ტოკიოს ახლოს მდებარეობს, ტრად-იციული ფესტივალი კანამარა, იგივე ჟუა-მარო გაიმართა.
როგორც ირკვევა, აღნიშნული ფესტი-ვალის სიმბოლო, მრავალი ათწლე-ულია, უზარმაზარი ფალოსია, რომელ-საც მამაკაცებიც და ქალებიც მხრებით დაატარებენ.
ძალიან პოპუ-ლარული ყოფილა ფალოსის ფორმის მქონე სათამაშოები, საწუწნი კანფეტები და ასე შემდეგ.
იაპონელებს სჯე-რათ, რომ თუკი სუსტი სქესის წარ-მომადგენლები ფეს-ტივალის მთავარ სიმბოლოზე შეხებას შეძლებენ, ისინი

## რითმების რახარუხში...

ალია თუ ბალია, კაცია თუ ქალია – ლაპარაკობს ჰაერზე და რასაც წერს – წყალია! მიჰქარავენ ძალიან – სარკევად არ მცალია – ახლა ვისი – ვისშია და ვინ – ვისი ფანია? ან ვინ – ვისი ფარია – კაპიკი თუ ლარია? მათი ფასი დაეცა – გაიაფდნენ ძალიან. ავდარი თუ დარია – ქვეყნის გარეწარია. ტკბილი – ტყუილია და სიმართლე კი – მწარეა! ვინ რა შარში გარია – ჭორის ნიაღვარია; ქვეშ-ქვეშა და პარია – ეს ცხადი ზღაპარია!...

და ასე შემდეგ!... და ასეთ შედეგს –
არც კაცი, არცა ეშმა ელოდა –
ცუდი ამბები მოდის, ძმობილო,
ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოდან!
სული გაგვეწყდა – სულ დაგვავიწყდა.
ღმერთსა ვცოდეთ და ღმერთი გაგვიწყრა!
და დავრჩით ასე – ტიტველ-შიშველი –
ალბათ, ისევ თუ ღმერთი გვიშველის!

* * *

პროზა იქცა პოეზიად (სიტყვის ეშხით, ერთი – ასად!).
ვის მოუვა, ნეტავ, აზრად, – ლექსის თხრობა... მეტაფრაზად!
როცა რასაც ჩაგძახებენ – ამოგძახებს ჭურია –
შარიც – ცუდი, შურიც – ცუდი... ერთად შარიშურია!
ვისი სული გენატრება?
ვისი სისხლი გწყურია?
ვისი რჯული – ურჯულობა!
ვისი... ღმერთი – რჯულია!

## ლექსის წერას რა უნდა!

ხელში უნდა ეჭიროს მწერალს, როგორც მალამო –
როგორც მეტრი, საზომი – მისი საწერ-კალამი!
მეორეში... საშლელი – გულის გადასაშლელად...
სიტყვის სადარაჯოდა –
(იცის, სად და რა სჯობდა!!!)
ამ რეზინის ჯალათმა (ამრეზილი გულითა),
ცნობილმა, სიძულვილის... ნაღდი სიყვარულითა!
თვალწინ გიდევს ფურცელი...
მოდი და გაუძელი –
ლექსის წერის ცდუნებას...
(კაცია და გუნება!)
...ფარატინა ქაღალდი –
ასაფრენი ბილიკი –
ცხოვრების თანამგზავრთა... ქებასავით ქილიკი!
ააფრინა კაცმაო – „თხამ შეჭამა ვენახი" –
ლექსით მოგიყმაყვებს –
გიჟ-პოეტებს ვეძახით.
ასეც არის – შეშლაა... რა გგონია იგი შენ?...
ლექსის წერა ხენეშაა –
ღვთაებრივი სიგიჟე!

* * *

ლოცვებად და ოცნებად... ჩვენი წინაპრებიდან –
ჩემი დღე და მოსწრება... უბის წიგნაკებიდან!

* * *

ესაა ნებაზე მიშვებული სიტყვა!..

## ვარსკვლავის გახსნა

როცა თვალი მე ცისაკენ გამექცა –
ეს ვარსკვლავი, როგორც მეხი, დამეცა.
იციმციმე, ჩემი ბედის ვარსკვლავო!
იკაშკაშე აწ დღეცა და ღამეცა!

* * *

მართალკაცობას როს ელამობ,
ქარი ქრის და სანთელს მიქრობს:
რასაც ეფიქრობ, იმას ეამბობ –
რასაც ეამბობ – იმას ეფიქრობ!

* * *

ერთ ბიჭს იმხელა ბეჭები ჰქონდა,
რომ ბაყბაყდევსაც ჰგავდა –
ერთს კი არა და ორს კი არა და...
სამ თავსაც დაიდგამდა!

* * *

ვისთვის ცხონებაა,
ვისთვის ქვის კედლა:
გიყვარდეს ცოდვილი
და გძულდეს ცოდვა!

* * *

რა განსხვავებაა სომხებსა და ქართველებს შორის? – ჰკითხეს ერთხელ ფიროსმანივით თვითნასწავლ... არა მარტო მხატვარს – ჭკუის საკითხავ კაცს – კახა გიგაურს და მან თქვა, როგორც „რუქამ არაკი“:

სომეხს – სომეხზე უფრო, არავინ უყვარს!
ქართველს კი... ქართველის გარდა, ყველა!
არა, რო?!

ოჯახურ იდილიას ეწევიან, უშვილოე-ბი კი შვილებს გაა-ჩენენ.

საინტერესოა, რომ ფალოსის ფესტივალი მე-17 საუკუნის შუა პერიოდიდან იმა-რთება და არ ყოფი-ლა წელი, რომ ღონისძიება არ გამ-ართულიყოს.

„ქრონიკა“,
21-27.09.09

ნებაზე დროის ცარების
დიდი არის ცდუნება –
მორჩება ქვეყნის ვალები –
დრო კი...
დრო იწურება!

ზოგიერთ კიდე-გას!

ესაა ტელე-რა-დიო? ესაა ჟურნალ-გაზეთი?
ო, ღმერთო, ნეტა რა გცოდეთ –
ისეთიც, ასეთიც!

რა ნამუსი უნდა გქონდეს ან სიტყვე-ბის რა მარაგი –
საქართველოს ბედ-ილბალზე სხა-პასხუპით ლაპარა-კი...
რომ შეგეძლოს?!

...ვისთვის უჟ-მური, ან საამური –

* * *

„ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებაზე დიდმა ილიამ ბრძანა: თუ დაინტერესდება ვინმე რომელიმე ქვეყნის ხასიათით, მისი მდგომარეობით, პირველ რიგში, იმას იკითხავს, რამდენი მწერალი და მთქმელი ჰყავს ამ ქვეყანასო? დღეს კი პირიქითაა.

* * *

სული არ გამიყიდია, თავი მომწონს ჭაღარათი:
ვის ყაზზობა ანუხებს და ვის კი — ტვინის ფაღარათი!

* * *

ეს წიგნი არ გეგონოს ტყუილების გუდა.
შემოაღე გულის კარი: მთქმელს გამგონი უნდა!

* * *

XII საუკუნის ირანელი პოეტი და სუფია ჯალალედინ რუმი-მოულანი: ჩემი სიკვდილის შემდეგ, მეძებეთ არა მიწაში, არამედ ადამიანთა გულებში!

სწორედ, ამ სამოთხეს ვგულისხმობდი, როცა ჩემი ლექსების კრებულს სახელად „მიგულე" დავარქვი!

* * *

შეგონება გეგონებათ თქეენ ეს ჩემი ნაფიქრი!
ჩემი გულის საფიქრალით — თქვენს გულშიაც დაფიქრდით!
ჩემო შეილო, შვილი-შვილო — ძირო და ძირის-ძირო! ამ ცხოვრების ანა-ბანა, იწილო და ბიწილო — გულისყურით რომ ისმინო და კარგად შეისმინო... თუნდაც, ყოველ შემთხვევისთვის (ანდა შავი დღისთვისო).
უჭკუობით ეს ცხოვრება მოსჩანს „დიმპიტაურად" — ჭკუის კაცი, ჩვეულებრივ, დღეს იქმს დღესასწაულად!
შვილმა უნდა იცოდესო — სად გაჩერდა მშობელი. საუკუნოდ რომ აქციოს წუთით...წუთისოფელი!
ხან უკანაც მოიხედეთ — წინაპარს ეზიარეთ — აზრზე მოდით — ხიდზე გადით და თქვენი გზით იარეთ!

* * *

ხალხის გაღმერთებასა ღმერთი გვავალდებულებს —
ღმერთმა არ გაუმარჯოს ხალხზე გამარჯვებულებს!
შაჰ-აბასის სიტყვები ჩვენს ჯიშ-ჯილაგს კრებადობს:
ქართველებს ქართველებიც ეყოფიან მტრებადო!

---

*ქ. პეტი-სენი: წარსული და მომავალი აბრწყინებს დიად ადამიანებს. სწორედ ისევე, როგორც მზის ამოსვლა და ჩასვლა აოქროებს მხოლოდ მთების მწვერვალებს.*

* * *

ცხრა მთა და ცხრა ბარი –
ცხადი თუ ზღაპარი –
ეს – დედაწულები,
ის – მამა-პაპანი.
ეს – მძიმე ჭაპანი,
ის – ჭამა-ყლაპანი.
დრო – იაგაგანი,
საგა თუ საგანი!

## გამგები გაიგებს!

ბაბუიდან შეილიშეილში
ქართულ გენის გნიასამდე...
კაცნი გვერქვა! –
დრო გაფუჭდა:
ნიაზიდან – ნიაზამდე!

## „ღმერთები ძლიერნი“

ნარსულის შეცვლა თვით ღმერთებსაც არ შეუძლიათო, — უთქვამს აგათონს, ძველ ბერძენ დრამატურგს.

ცუდად სცნობია ისტორიის მუზის — კლიოს ქურუმნი.

ყველაფერს რომ თავი ვანებოთ, მარტო საბჭოთა „ისტორიოგრაფია" რად ღირს...

პირველყოფილი ტომის ბელადს უშველებელი კომბალი ეჭირა ხელში.

ატომური სახელმწიფოს ბელადს კი პატარა ჩემოდანი უჭირავს, რომელშიაც პანანკინტელა გასაღები დევს, მაგრამ ამ გასაღების გადატრიალებამ, შეიძლება, დედამიწა გადაატრიალოს! საბოლოო ნერტილი დაუსვას კაცობრიობის ისტორიას!

## რა არის საჭირო ბედნიერებისათვის?

— სულ ცოტა რამ! — ამბობს ეპიკურე, — ბიბლიოთეკაში ყოველთვის გქონდეს ახალი ნიგნი, სარდაფში — სავსე ხელადა, ბაღში — ქორფა ყვავილი (სიბრძნე, სილაღე, სილამაზე).

---

*ინგლისური ანდაზა: ან გაჩუმდი, ან ისეთი თქვი... დუმილს სჯობდეს!*

*„სხვა ხალხის ისმის აქ ყრიამული“*

*თავის მოკვლა გამიგია, მაგრამ ასეთი?..*

*როცა ასო ვერ არჩევს თავის დაკვეთას.*

*რას აღარ წერს ან ჭორაობს ზოგი გაზეთი —*

*სასოწარკვეთას სჯობია ასოწარკვეთას.*

*„თუ ასე გაგრძელდა, 2050 წლისთვის საქართველოში ქართველი აღარ იქნება!“*

*„ყველა სიახლე“, 27.08-02.09.09*

**P.S.** *რა გარანტია გვაქვს, რომ თვითონ 2050 წელი იქნება!*

*ანზორ თოთაძე: საჩხერის რაიონში შეუდარებელ ქველმოქმედებას ეწევა ბიძინა ივანიშვილი, რის გამოც იქ, ბოლო წლებში, ძალიან გაიზარდა შობადობა. თქვენ წარმოიდგინეთ, საჩხერეში უფრო მეტი ბავშვი იბადება, ვიდრე კომუნისტების დროს. იმერეთის რეგიონში, მხოლოდ ამ რაიონში მატულობს მოსახლეობის რიცხვი, როცა იქვე, მეზობლად მდებარე ჭია-*

* * *

4 სტრიქონს ვეძებ, ოთხკუთხივ, შუბლის ღარებზე დასაწერს –
ღმერთო, სიკეთით განმსაჯე! ღმერთო, სიმართლით დამსაჯე!

* * *

სეირს ჰგავს და რატომ ვაჩვენო სხვას –
სიმართლეს მე როგორ „გავაძრობ ტყავს".
კარგია ზოგჯერ, როს მოწმე არ გყავს,
„დახურულ წერილს" ვწერ ღიად... ჩემს თავს!

## „ფილოსოფიის ისტორია"

**(კ. ბაქრაძე, ს. წერეთელი, პ. გუჯაბიძე, ვ კილაძე, მ, ჭელიძე, მ. ნემსაძე)**

„ფილოსოფია", სიტყვასიტყვით, სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს.

ფილოსოფიას უფლება არ აქვს, ეჭვის ქვეშ დააყენოს ის „ჭეშმარიტებანი" (ეს სიტყვა მარქსიზმ-ლენინიზმის ეპოქაში , კომუნისტურ ბრჭყალებში იყო მოქცეული — გ.ნ.), რომელიც საღვთო წერილშია მოცემული.

„კონფუცის შეხედულებათა კრიტიკის საფუძველზე შექმნილია წიგნი „დაო დე ძინ" (ლაო ძი\ — V ს. ჩვ. წ.აღ.): „ყველაფერი ცვალებადია — ერთნი მიდიან, მეორენი მოდიან".

„საბერძნეთში ვაჭრობის განვითარებას კარგად ახასიათებს პოეტ ალკეოსის სიტყვები: „ფულები ქმნიან ადამიანს". (ძველბერძნულ ფილოსოფიასთან უკაცრავადა ვართ, მაგრამ პირიქითაც როა!). ფულები ზოგჯერ ქმნიან, ზოგჯერაც ყვრნიან ადამიანს!

პითაგორელთა აზრით, ყველაფერი აიხსნება რიცხვებით.

„ატომის სიცარიელისა და მოძრაობის ცნებების გამოყენებით დემოკრიტემ ააგო თავისი კოსმოგონია. მსოფლიოს არა აქვს დასაწყისი, კოსმოსი კი წარმოიშობა."

...სული შედგება ატომებისაგან... იგი მატერიალურია. ადამიანი შეიმეცნებს ორი უნარით: შეგრძნება ალქმებითა და გონებით.

ატომებს თვალი ვერ ხედავს, მხოლოდ გონებით ვიმეცნებთ.

გონების თვალი სულ სხვაა, მას ვერ დავწამებთ სიბეცეს!

ხომ გახსოვთ გალაკტიონის — ცა ისეა მოხატული, რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალიო!

...დემოკრიტე თვლიდა, რომ საზოგადოება ადამიანთა ჯამია (ისე, როგორც სხეულია ატომთა ჯამი!) და, კიდევ: ყველაზე დიდი გამარჯვება საკუთარ თავზე გამარჯვებაა!

პირველი მასწავლებელი იყო გაჭირვება.

გენიალურ ქართულ ფოლკლორში, სხვა იგავმიუწვდომელ სიბრძნესთან ერთად, ასეთი საეჭვო ღირსების ფიგურალური გამოთქმაც აგინავს ყურს: „გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო!"

თუმცა, გაჭირვებასთან ბრძოლაცაა საჭირო — სულ გაქცევით... ვერ უშველი თავს და დაიქცევი! სად გარბიხარ, კაცო, ზოგჯერ ხიდიც კი წითლდება სირცხვილით (წითელი ხიდი), გასაქცევად რომ მივაწყდებით!

დემოკრიტე, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთების არსებობას ცნობ-

---

*იოჰან ვოლფგანგ გოეთე: გმირობა ყველაფერია. დიდების გარდა.*

*უცნობი ავტორი: გმირობა ყველაზე მოკლე პროფესიაა.*

და, თან იმასაც ამბობდა, ღმერთებს ადამიანები იგონებენო!

მახსენდება კინოფილმი „ყველაფერი რჩება ხალხს". ერთი სულიერი მამის ბრძნული პასუხი მისი მოყვარე კაცის — ცნობილი ფიზიკოსის მიმართ: კომუნისტებმა უკეთესი რა მოიგონეთო!

სოკრატე უფრო თვითკრიტიკული იყო, როცა ამბობდა: მე ვიცი, ის, რომ არაფერი ვიციო (რაზეც ერთმა მთლად უცოდინარმა, მაგრამ „კუდი ყავარზე გადებულმა" და გადებილებულმაც „ალალად" თქვა: მეც ვიცი, ის, რომ არაფერი ვიცი, მარა ქვეყანა კი არ შემიყრიაო! სოკრატეს დიალექტიკაში მთავარი „მაიევტიკის" (ბებიაქალობის) მომენტია! მე, დედაჩემის ხელობას (ბებიაქალი ყოფილა) ვენევი — ადამიანებს ცნებების დაბადებაში ვეხმარებიო! ცოდნა ადამიანს სათნოებისთვის სჭირდებაო!

ბოროტების საფუძველი უვიცობაა, სიკეთის — ცოდნა. „ვერავინ იტყვის, რომ ლომი არის მამაცი. მამაცობა მხოლოდ შეგნებული მოქმედებაა! სხვაგანაც ნამიკითხავს გმირობის ფილოსოფიაზე! გმირი ის კი არაა, ვისაც არ ეშინია (ვითარცა უხორცოს), არამედ ის, ვისაც საშიშროებისას შიში ეუფლება, მაგრამ ძალა შესწევს, სძლიოს სილაჩრეს!

ავტარკია — თვითდაკმაყოფილება, სათნოება — თვითშეგნება — „შეიმეცნე თავი შენიო"! ორატორები, ზოგჯერ, ჭეშმარიტების მიღწევაზე უფრო, სხვების დარწმუნებისათვის ირჯებიან.

„და, აი, პირისპირ, ერთი-ერთზე, მივუახლოვდით ჩვენი მოქმედების საგანს — წიგნის წერას! შემეცნება იმის გაგებაა, რაც უკვე ვიცითო და მას მოგონება ჰქვია.

აზროვნება არის სულის — თავის თავთან საუბარი.

ადამიანის მიზანი არის სიკეთე (პლატონი). სიკეთე თავის მპყრობელობაა! — გვიმხელენ და გვამხელენ ფილოსოფოსნი.

პლატონს რომ ჰკითხო — ადამიანები იბადებიან, ზოგი მმართველად, ზოგი მცველად, მინათმოქმედად, ხელოსნად და ხელოვნად და ისინი უნდა აღიზარდონ მათი ბუნებრივი მიდრეკილებისამებრ! „ქალაქის მცველები, — ამბობს ბატონი პლატონი, — თავისუფალი უნდა იყვნენ კერძო საკუთრებისაგან, მათ სახელმწიფო უნდა არჩენდეს" (მაგ ჭკუაზე არიან სწორედ! დღეს ვინ-ვისგან იცავს თავს, ეშმაკმა უწყის!). პლატონის იდეალურ სახელმწიფოში მონები საქონლად ითვლებიან. მმართველები კი უნდა იყვნენ ბრძენნი, ფილოსოფოსნი — ცოდნით რჩეულნი! მმართველობის ცუდ ფორმებად კი იგი თვლის (ვავა, ვავა, პატენი!) „ტიმოკრატიას, ოლიგარქიას, დემოკრატიასა და ტირანიას". როცა სათავეში არიან პატივმოყვარეე-

თურიხსა და ზესყავონის მოსახლეობა თანდათან მცირდება.

ვიღაც ცუნისელი ქალი კი, თურმე, 12 ცუკუნს ელის!

ეკონომიკური ექსპერტი ლადო პაპავა: ბავშვები თამაშობენ — ზოგი პრეზიდენტობანას, ზოგი მინისტრობანას. ხომ გახსოვთ, ბავშვებმა ითამაშეს იმობანაც, ახლა კი სავალუტო ბაზრის რეგულირების თამაშით ერთობიან".

თენგიზ ჩიბანაძე: ერთხელ, კომპოზიტორი ბეთჰოვენი მაწანწალობისათვის დაუჭერიათ!

მიხეილ ჯავახიშვილი: როცა ხალხი ბელადს ეძებს, ის თუნდაც ხის ფუღუროდან გამოვარდება-ხოლმე.

რიომეგოსანი ღასბუყა

კუბის საკუბოვე დიქტატორს — ანუ მაციხეცა ფელხენციის, ჩვენთანაც გაუჩნდნენ სეხნიები — მაყუთა ბიძები — ფელმხეციო!

ჰიმალაის მთებში, ნეპალის ერთ სო-

ბი, ეს „ტიმოკრატიაა", რასაც მოსდევს ომი და იგი იცვლება მდიდართა ბატონობით — ოლიგარქიით, რაც გააღატაკებს — ლუმპენ და „ნუმპენ-პროლეტარებად", აქცევს ხალხს, რომელიც იძულებულია, აუჯანყდეს ძლიერთ ამა ქვეყნისათა და დაამყაროს ე.წ. დემოკრატია, სადაც, როგორც ბატონი პლატონი ბრძანებს, გაბატონდება თავაშვებულობა, თავხედობა, თავგასულობა... ეს კი „დამკაში" გაიყვანს ერთს და ის ერთი იქცევა ტირანად... ე.წ. წინ და უკან კვლის უფლებით! (და, მერე გეიტირეთ ბოხი ხმით!)

არადა, მონათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგი პლატონი ასეთ სახელმწიფოს ამოცანად უსახავდა „დემოსის" ანუ ხალხის ღვთაებრივ აღზრდას სათნოების პრინციპით, ადამიანთა მარადიული სოფლისთვის მოსამზადებლად. მისი თეორია არისტოკრატიის ბატონობის აპოლოგია იყო.

პლატონმა მოინდომა, მოეცა თეორია არისტოკრატიის ბატონობის გასამართლებლად, ხოლო პროლეტარიატის ბელადი ვლადიმერ ილიჩი ხალხს სამოთხეს... საიქიოში პირდებოდა. ამიტომაც იყო, რომ (მეგრული თარგმანით „გაღლეტილების") ანუ პროლეტარიატის საერთაშორისო ლოზუნგი: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!.." პროლეტარიატმავე გააუქმა: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, დაიშალეთ... (მაინც არაფერი გამოდისო!)

ადამიანთა ჯგუფებს აროსტოტელე სიმდიდრის ნიშნით განასხვავებდა. არსებობს სამი კლასი: ძალიან მდიდრები, უკიდურესად ღარიბები და საშუალონი. არისტოტელე იცავს მესამეს... ძალიან დიდი სიმდიდრისაკენ ლტოლვა არაბუნებრივია. ასეთი მისწრაფებების მქონე ადამიანები... ხდებიან თავხედები და ტირანები. სიმდიდრე არ უნდა იყოს თვითმიზანი. სიმდიდრეს სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს. ეს არის „ეკონომიკა", რომელიც ეწინააღმდეგება „ხრემატისტიკას" — სიმდიდრის უზნეო მოპოვების ხელოვნებას. არისტოტელე უარყოფს ღმერთთან ადამიანის პლატონურ შეერთებას.

რაც შეეხება ზნეობას, არისტოტელე ვერ ყოფილა მთლად კაი აზრის ადამიანზე, რომელსაც, არც მეტი, არც ნაკლები — პოლიტიკურ ცხოველს ადარებს: ერთისთვის კერპი სიმდიდრეა, მეორისთვის — საზოგადოებრივი აღიარება, მესამისთვის — აზროვნება, გონება, ჭჲრეტა! ბრბოსათვის უმაღლესი სიკეთე ცხოველური სიამოვნებებია და ეს ორთაჭალელმა მექისეებმა არისტოტელეზე უკეთ იციან — სულ გაამოთ, გაამოთო, უტყაპუნებენ კლიენტებს საპნის ბუშტებიან ხელს, რადგან თვითონ ცხოვრებაც საპნის ბუშტებს ჰგავს.

სიცოცხლეში... უბრალოდ რომ ვთქვათ, ყველა თავის ჭიას ახარებს, იქ კი... სამარის ჭიებმა იციან თავისი საქმე! უზენაესის ნებით, მხოლოდ სულია უკვდავი!

...ეპიკურეს მატერიალიზმი კიდევ უფრო განავითარა რომაელმა ლუკრეციუსმა თავისი პოემით „საგანთა ბუნების შესახებ", რომლის

---

*უცნობი ავტორი: გმირობა სიკვდილის სახეობაა და არა ცხოვრებისა.*

*ინგლისური ანდაზა: ზოგს იმის გამო თელიან მამაცად, რომ შეშინდა და გაქცევა ვერ მოახერხა.*

*ვიქტორ მარი ჰიუგო: ადამიანის გონება სამ გასაღებს ფლობს, რომლითაც ყველაფერს აღებს: ციფრი, ასობგერა და ნოტი.*

ავტორი ამტკიცებს, რომ, როგორც ლათინები იტყოდნენ — ნიჰილო ნიჰილ — არარაისაგან არარა იქნება! ბუნება საკუთარ ბუნებაზეა დამოკიდებული, ყველაფერი მარადიული სუბსტანციიდან მოდისო! ამ პირნავარდნილმა მატერიალისტმა და ათეისტმა იმდენი ქნა, რომ ქრისტიანობამ... გიჟად გამოაცხადა!

...ახალდაბადებულის სული სუფთა დაფაა და ამ დაფაზე იწერება მისი უპირველესი „მწერლის" უპირველესი სახელი — დედა! აქედან მოდის დედამიწაც, დედა-ენაც, დედა-აზრიც...

...სტოელების ნატვრა იყო ბრძენთა ისეთი სახელმწიფო, სადაც არც ოჯახი (და ჯახა-ჯუხი), არც სასამართლო, არც ფული, არც ბატონი და არც მონა არ იქნებოდა... რაღაც იმას ჰგავს, ერთმა, ცოლშვილით გატიალებულმა კაცმა რომ დაიგინა — ამ ოჯახის ჯახა-ჯუხში ნერვები მაქვს მოშლილიო, ვინც ცოლ-შვილი მოიგონა, მე იმისი ცოლ-შვილიო!...

...აბა, ერთი, ის ჯორდანო ბრუნოც ყოფილა, რა!

დედამიწა ტრიალებსო!

ეგ ხომ ვერისუბნელმა მედროგე პავლემაც იცის — „ტრიალებს, ტრიალებსო!", ბუბას (კიკაბიძე) პირით რომ მღერის!

ჯორდანო ბრუნოს ეკუთვნის ნაშრომი „მსოფლიო უსამართლობის..." შესახებ. მისი აზრით, ქვეყანაზე ბოროტების ჭაჭანება არ იყო და კოპერნიკივით (აბა, ერთი, ისიც იყო!) იმდენი ამლაშა, სანამ ამ შუასაუკუნეობრივ სიბნელეში კოცონზე არ დაწვეს! (დაიწოს მისი დამწველი!)

მართალია ფრანგი განმანათლებელი — მატერიალისტი, რევოლუციის თავკაცი ვოლტერიც ებრძოდა ფეოდალურ მონარქიას და კრიჭაში ედგა კათოლიკურ ეკლესიასა და თვით რომის პაპს, მაგრამ იმის ჭკუა მაინც ეყო, ერწმუნა, რომ (როგორც გურულები ამბობენ) არსებობს სტიქიის სამი სახეობა — ცეცხლი, წყალი და ბრბოი!... ჰოდა, სახალხოდ აღიარა მამაზეციერი: „ღმერთი რომ არ ყოფილიყო, იგი ჩვენ უნდა შეგვექმნაო!" არადა, რა სჭირს ყოვლის შემოქმედს ჩვენი შესაქმნელი!

ჩვენი დროის ერთ-ერთმა უდიდესმა ტვინმა — ფიზიკის ატომის კვანტური თეორიის ავტორმა ნილს ბორმა თქვა: ბუნებაში ისეთ კანონზომიერებებს ვაწყდები, შეუძლებელია, აქ ვილაცის ხელი არ ერიოსო.

ეს ვილაცაა, სწორედ, უფალი!

ღმერთო, მაპატიე ასე გაშინაურება!

...სად იყო — სად არა, ემანუილ კანტიც გაიქაჩა: მომეცით მატერია და მე ავაგებ მისგან სამყაროსო!

*ველს ათასობით ადამიანი აწყდება, რათა თაყვანი სცენ კერპს — ექვსი თავის ბავშვს, სახელად რისაბს, რომელიც ოთხი ხელითა და ოთხი ფეხით დაიბადა.*

*იყო დრო, როს მათ „დიდებით" ვმოსავდით — დაბეზღების და სიცრუის ოსტატი: „შსს", „კაგებე", „ცერეე", „მოხადი"!*

*უცნობმა თაყვანისმცემელმა თიკა კანდელაკს მილიონ დოლარად ღირებული იახტა აჩუქა და ტელევარსკვლავმა განაცხადა, ქალი ვარ და საჩუქარზე უარს ვერ ვიტყვი.*

*იახტიდან — მიახტამდე რაღა დარჩა.*

*...როგორც იტყვიან, რითმი გულითვისა, თორემ თიკა სხვა თიკუნის ღირსი უფროა!*

*ჯანმრთელი ადამიანი დაძინებას 7 წუთში ახერხებს — წერია გაზეთში. ბალიშზე თავის დადებას რომ ვერ ვასწრებ! ამას რაღა ჰქვია?*

მაგ კი არა, პირველად, ჩვენი დროის ყველაზე მოდურ თბილისელ „პარტნიოს" ბაბკენას რომ მივუტანე საკოსტუმე და ჩემი თვალის წინ რომ მიფხრიწ-მოფხრიწა ეს ძვირფასი მატერია, კინაღამ გული წამივიდა და მიდი, ახლა, შენ და ანდე ფილოსოფიური მატერია — გინდა კანტი იყოს, გინდა „ადნაბორტნი", გინდა „დვუხბორტნი"!... სამყაროს წარმოშობის თეორია სრულიად თავისუფალია ყოველგვარი ზებუნებრივისაგან!

აქვე მახსენდება ფუნაგორია, რომელიც მარქსისტული ფილოსოფიის ერთი ჩვენი დროის ლექტორზეა: „დილაა თუ უთენია — ტომებს ჩიჩქნის ქუთელია... დაბადებულს კატის კნუტად — კანტი ესმის კანტი-კუნტად!"

ჰოდა, მართლაც ასე კანტი-კუნტადაა გაბნეული ტვინის ხუჭუჭებში იმ დროის გენიოსთა ნააზრევი, რომელსაც დრო, მერე, თავის ჭკუაზე ჭრის და კერავს!

კანტზე ადრე იყო ნიუტონი, რომელმაც აღმოაჩინა მსოფლიო მიზიდულობის კანონი!

მასზე ადრე იყო ჰომეროსი და რუსთაველი, რომლებმაც აღმოაჩინეს სამყაროს მიმზიდველობის კანონი!

ფიხტე: „მე"-მ უნდა შეიცნოს თავი მისი!

ფილოსოფია — აზრებში ასახული ეპოქაა, — აღიარებდა ჰეგელი, რომელიც კარგად ცნობდა თავისი ეპოქის მაჯისცემას.

...ბახი! იოჰან სებასტიან... კი, ბატონო, ერთ მოსმენად ღირდა მისი კანტატა-ტოკატა-ფუგა რე მინორი, მაგრამ ფოიერბახი? (ეშმაკსაც წაუღია მისი თავი!) ღმერთებს გამოუცხადა ომი!

ცოტა უკაცრავად კი ვარ ასეთი არაფილოსოფიური „ფამილარობისათვის", მაგრამ სწავლა ხალისით და გართობითო! ჭკუის კოლოფები (კომპიუტერში არ აგერიოთ!) ასე გვირჩევენ!

ქართული ფილოსოფიის ისტორიაში ყურადღებას იპყრობს ქართველთა „სირიული სკოლა" და მისი თავკაცი პეტრე იბერი, რომლის ქრისტოლოგიურ შეხედულებებში უპირველეს ადგილზეა სიკეთის რაობის დადგენა!

ქართულ საეკლესიო ქრისტიანულ მწერლობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბაწმინდის მონასტრის ბერს იოანე მოსხს (მესხს), რომელიც „სულის მარგებელი" ისტორიების ძებნას და ჩაწერას ენეოდა. მარტო მისი „სიბრძნე ბალავარისა" რად ღირს!

ყველა შედარება მოიკოჭლებსო, მაგრამ ჩვენც ასე მისხალ-მისხალ ვაგროვეთ და დროის სასწორზე ვწონეთ ყოველი სიტყვა, რომლის სიბრძნეს დღეს ბალავარსაც ველარ უპოვნი. როგორც იტყვიან, აირია მონასტერი. აღარ ცხვება ობლის კვერი. აღარ ერობს ერი-ბერი, უჯერობის დადგა ჯერი!... ჩამოგვექცეს ლამის ჭერი, შეეჩვია ფარეხს მგელი. ნაკბენივით გვახსოვს გველის — ვინ-ვინ ვართ და ვის-რა გველის!

XII-XIII საუკუნეებში კი, ე.წ. „ქართული რენესანსის" — აღორძინებული საქართველოს იდეოლოგიური ვითარება პოეზიაშიც აირეკლა. ამ ეპოქისანი არიან მხატვრული სიტყვის ტიტანები დავით მეხოტბე

---

*კონფუცი (კუნ-ცზი): ადამიანს გონიერებისკენ სამი გზა აქვს: აზროვნების გზა ყველაზე კეთილშობილური გზაა; მიბაძვის გზა — ყველაზე იოლი გზა და პირადი გამოცდილების გზა — ყველაზე რთული გზა!*

*P.S. მე არ ვიცი, რა გზას ვადგავარ და საით მიდის ეს გზა.*

*ჟილიპ დორმერ სტენჰოპ ჩესტერფილდი: გზა ადამიანის გონებისაკენ გულის გავლით გაიკვლიე.*

შავთელი, ჩახრუხაძე და, ბოლოს, სულმნათი შოთა რუსთაველი. ისინი, პეტრინის ფილოსოფიით, „დიადოხოსთა" და „პერიპატოს" ანუ პლატონისა და არისტოტელეს მემკვიდრეობის ნიშნებს ატარებდნენ და... იდგა მზეთამზე თამარის ეპოქის ოქროს ხანა, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა, მით ძლიერითა... ჩვენ, კაცთა, მოგვეცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა"...

„ან ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნება". ვინ არ იცის, რომ —

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,

საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი..."

„ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,

მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა.

მართ აგრეთვე მელექსესა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა..."

„მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი"

გრძლად იტყვის თუ მოკლედ — იყოს ღმერთთანაც და კაცთან სწორი!

XVII-XVIII სს., როცა საკუთარი ძალებით საქართველოს თავის გადარჩენა აღარ შეეძლო, საჭირო შეიქნა გარეშე ძალებზე ორიენტაცია და საქართველომ თავისი ბედი რუსეთს დაუკავშირა.

სულხან-საბა ორბელიანის ფილოსოფიური გასაღები სიბრძნის ცნების გაგებაშიევა. „სიბრძნის" ცნების გაგება, შინაარსით, მის საწინააღმდეგო ცნებასთან — სიცრუესთან დაპირისპირებაშია... სიბრძნე და სიცრუე ერთი მთლიანი კომპოზიტის კომპონენტები კი არაა, არამედ მასთან სიცრუის სიბრძნეზეა ლაპარაკი.

სიბრძნე და სიცრუე საპირისპირო ცნებებია, მაგრამ, საბას გაგებით, ისინი შინაგან კავშირში არიან. სიცრუე, როგორც თავისთავად აღებული, არ არის სიბრძნე, მაგრამ თუ სიცრუე შეცნობილი და გაგებულია, მაშინ იგი, სიბრძნე თუ არა, სიბრძნის დასაწყისი მაინც არის... შეცნობილი სიცრუე არის სიბრძნის ამოსავალი.

...როცა „ქვეყნის გადამრჩენი შინაგანი ძალები ამოიწურა (XVII-XVIIIს.ს.), საჭირო შეიქნა გარეშე ძალებზე ორიენტაციის აღება და, საბოლოოდ, საქართველომ თავისი ბედი რუსეთს დაუკავშირა!" სწორედ, ეს განწყობილება აირეკლა იმ ხალხურ სიბრძნეში, რომელიც ჩვენმა წინაპარმა ჭკუის სასწავლებლად გვიანდერძა: მეზობელო, კარისაო —

**სიბრძნის სიმფონია („ყველა სიახლე")**

რიგი — ეს არის ადგილი, სადაც ადამიანებს ერთმანეთს დაკარგვის ეშინიათ.

მდიდარ ქვეყანაში ღარიბი თუ ხარ, არა უშავს. მთავარია, ღარიბ ქვეყანაში მდიდარი არ იყო.

**გურამ დოჩანაშვილი:** ეგებ ქუდზე კაცები გავხდეთ!

ჩვენი მეფეები ვერაფერს გახდებოდნენ, გასაჭირში ქუდზე კაცი რომ არ გამოსულიყო. ერეკლეს დროს ნაკლები ქართველი იბრძოდა, მეტი — ორთაჭალის ბაღებში ქეიფობდა.

ყოველი შემოქმედის უმთავრესი დანიშნულებაა, ადამიანი გახადოს უკეთესი, ვიდრე არის. უბედნიერესი ვიქნები, ამ დავარდნილობითაც, ოდნავ მაინც თუ მივწვდები ამას.

**ოვიდიუსი!**

რასაც უნდა აკეთებდე...

იფიქრე დასასრულზე!

ინგლისელ ბიოლოგებს თუ დავუ-

სინათლე ხარ თვალისაო! (პირდაპირი, ე.ნ. ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისის თვალსაზრისითაც).

როგორც წიგნის ავტორები დროის ზეგავლენით წერდნენ: „რუსეთთან შეერთება პროგრესული მოვლენა იყო. ქართველი ერი მოძალებულ მტრისგან განადგურებას გადაურჩა, მაგრამ ამ დადებით მოვლენას თავისი უარყოფითი მხარეც გააჩნდა: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობამ და ცარიზმის ბარბაროსულმა (რუსულმა) კოლონიურმა პოლიტიკამ კანონიერი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში... მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა და მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა მშრომელი მასების ჭეშმარიტი საყვარელი სამშობლო". (მტყუნის?! ამ სტრიქონებს ახლაც ოქტომბრის რევოლუციის სირცხვილის სინითლე დაჰკრავს. — გ.ნ.)

თუმცა, ისიც შეუვალი ჭეშმარიტებაა, რომ „ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის!"

„ეგ ოხერი ჩვენი ისტორია, — სწერდა ერის მამა, დიდი ილია დ. ერისთავს, — მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა სჩანს... საქმე ხალხია და ხალხი კი... არ სჩანს-"ო!

ხალხი ციხეშიაო! — ამბობს დღეს ხალხი.

* * *

ბენგალური შუშხუნებივითაა აქაური ქარაგმები! ერთი ხალხური სიბრძნე ამბობს: სადაც 10 ქალი შეიყრება, უზენაესი სასამართლოც ისააო!

რაღა აღელვებული ქალი და რაღა ზღვა! — ეს უკვე ბერძნულია.

საქართველოში კი, ახლა, ქალებს უფრო ეკითხებიან ჭკუას, ვიდრე კაცებს. ესეც ჩვენი დაჩმორების, ძია სემის დოქტრინალური და თავისუფლების (ოღონდ, ვისი და რისი თავისუფლების?) ინსტუტუციური პოლიტიკაა!

ლეონარდო და ვინჩი წინასწარმეტყველებდა: ადამიანი მოუსმენს მას, ვინც... არ ლაპარაკობს! დედამიწის ზოგ ადგილას ადამიანები უარს იტყვიან საკვებსა და სასმელზე, რომელიც სიცოცხლისთვის არის საჭირო, რადგან ეს, ყველაფერი, სიკვდილის მომტანი იქნება.

ბევრი დაიმალება ღრმა გამოქვაბულში, გადამალავენ საწოვაგესა და შვილებს. ადამიანები იქ, სიბნელეში, მრავალი თვის განმავლობაში იცხოვრებენ.

ადვილად დასანახავი იქნება ჰაერში, დიდ სიმაღლეზე, როგორ ებრძვიან ვეებერთელა გველები ფრინველებს.

მახლას, რაც არ გინახავს... იმასაც ნახავო! დიდი ვერაფერი ნუგეშია!

სიტყვაა ღმერთი —
ოქროს გასაღები, რომელიც ყველა ცხრაკლიტულს აღებს!
ფიქრით დანაღმულ თეთრ ქაღალდზე
პელენგატორივით ვაცეცებ კალამს
და ვეძებ ნაღმებს!

საქართველოს ამბებს დღეს კაცი მოყოლითაც... ალაგებითაც ვერ დაალაგებ.

ყველა თავისი ჭკუით თუ უჭკუობით დადის.

---

*ერის ჯრომი: გონება ადამიანის ბედნიერი საწუქარია და მისი თავზარიც!*

ერთ კაცს — ასი კაცის ჭკუას მოსთხოვ,
ას კაცს კი — ერთისასაც, ვერა!

* * *

ერთ ცნობილ ფილოსოფოსს ჰკითხეს, ამ ცხოვრებაში რა არისო ყველაზე ძნელი? უპასუხა: საკუთარი თავის შეცნობა. ყველაზე ადვილი? — მისცე რჩევები სხვებს! — ამოიოხრა ბრძენკაცმა.

## *როცა*

სიცოცხლის შემდეგაც არ კვდებიან...
ხსოვნის სანთლები არ ქრებიან.
წუთისოფელში იბადებიან —
მარადისობის მკვიდრნი ხდებიან!...
და „დგას სურნელი საკმეველისა".

* * *

აი, რას წერს იუდეას მმართველი პუბლია ლენტულა ცეზარისადმი მიწერილ პირად წერილში იესო ქრისტესა და წმიდა მარიამზე: „ამ კაცის (იგულისხმება იესო) შესახებ ყოველდღე სასწაულები ისმის: აღადგენს მკვდრებს, კურნავს სნეულებს, იგი საშუალო სიმაღლისაა, გულკეთილი, მაგრამ, ამავე დროს, მეფური იერის. მისი მზერა მკაცრია და ისეთი ძალის, რომ არავის შეუძლია, თვალი გაუსწოროს. ამბობენ, მოცინარი არავის უნახავსო, მტირალი კი — ხშირად. იგი ჩნდება და ქადაგებს უაღრესად თავმდაბლად, მაგრამ, ამასთან, მისი იერსახე სიდიადის გამომხატველია. იგი თავდაუბურავი დადის, ბოროტი ებრაელები მისთვის ყოველგვარი ვნების მიყენებას ცდილობენ. მისი დედა ულამაზესი ქალია მათ შორის, ვინც კი ოდესმე ამ მხარეში უნახავთ. მრავალი ამბობს, რომ ის ღმერთია. ცეზარ, ის შენი მტერია!"

## მართლმადიდებლური ენციკლოპედიიდან!

## *ადამიტები!*

ღვთიური შემოქმედების გვირგვინი — ადამიანი ღმერთმა სამყაროს დასაწყისის მეექვსე დღეს შექმნა „ხატისაებრ თვისისა"! ქრისტეს ჯვარცმით მიეცა ადამიანს ხსნა. ბიბლიის ცნობით, ადამიანმა 930 წელი იცოცხლა და მისი სამუდამო განსასვენებელი გოლგოთაზეა.

„ცისფერ ტრიოსთან" ერთად მქონდა საღვთო პატივი, ტამპლიერების თანდასწრებით მეგალობა გოლგოთაზე ქართული საგალობელი.

*ჯერებთ, მათ შეძლეს ედემის ბაღის ანუ იმ ადგილის პოვნა, სადაც, ეშმაკის მანქანებით, ჯერ ევამ, შემდეგ კი ადამმა ვაშლი იგემეს და აკრძალული ხილის მირთმევით პირველქმნილ ცოდვაში ჩადგეს ფეხი.*

*როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტის სწავლულები განმარტავენ, აღნიშნული აღმოჩენის გაკეთებაში მათ უახლესი ტექნოლოგიას და ვაშლის დნმ-ის ანალიზი დაეხმარათ.*

*მათი აზრით, საჭმელად ვარგისი პირველი ვაშლი მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე ყაზახეთის ტერიტორიაზე იზრდებოდა.*

*— უხსოვარ დროში, — განმარტავს ბერი ჯუნიპერი, — თანამედროვე ყაზახეთის ტერიტორიაზე ხილის ტყეები ხარობდა და სამოთხის ბაღი კაცობრიობამ სწორედ იქ უნდა ეძებოს...*

**P.S.** *მშვენიერმა პოეტმა და ქალბატონმა ია სულაბერიძემ ადამ და ევას ბიბლიურ ლეგენდასთან დაკავშირებული მისი უმშვენიერესი ლექსი მაჩუქა და ამაზე უკეთეს ადგილზე სად შევუნახავ!*

*ია სულაბერიძის ნაჩუქარი ლექსი (თავის „დისერტაციით")*

* * *

ერთი საწერი კალმით, დაახლოებით, 50 ათასი სიტყვის დაწერაა შესაძლებელი.

ასე რომ, ზოგიერთი სიტყვა (მით უმეტეს, უკმეხი) კალმის ერთ მოსმადაც არ ღირს!

* * *

მავანნი ამბობენ, რომ ინგლისური ენა საკმაოდ ღარიბია, რის გამოც, განსაკუთრებით, პოეტები იტანჯებიან. თურმე, არც ერთი სიტყვა არ ერითმება, მაგალითად, შემდეგ სიტყვებს: Month (თვე), Orange (ფორთოხალი, ფორთოხლისფერი), Silver (ვერცხლი),Purple (იასამნისფერი), და ა.შ.

P.S. ქართული ენის ბაღნარში კი ისეთი ჰარმონიაა, რომ კვაჭიჭოსი არ იყოს, სულ ისმის „ბულბულის სტვენა, შაშვის გალობა!.."

იმისათვის, რათა ნიანგის ყბაში ჩავარდნის საშიშროება არ შეგექმნეთ, სპეციალისტების რჩევით, მის თვალებში ცერა თითების ჩარჭობაა საჭირო, რის შემდეგაც მტაცებელი აუცილებლად შეგეშვებათ.

P.S. კაი რჩევაა... შენ ნუ მომიკვდები!

* * *

ყოველწლიურად, ჩვენს გალაქტიკაში, დაახლოებით, 40 ახალი ვარსკვლავი ჩნდება (აგერ, ახლა... ჩემი ვარსკვლავიც მიემატა!).

P.S.ჩვენი კულტურულ ღონისძიებათა დეპარტამენტის თავკაცი დათო ოქიტაშვილი კი, როცა მოეპრიანება, მაშინ წყვეტს ციდან ვარსკვლავებს!

* * *

სიბერის საწინააღმდეგო რეზინა გამოუგონებიათ!

ანი, რა მოგვკლავს!

* * *

თურმე, თურქები ჭკუიდან შეშლილებს ღმერთებთან დაახლოებულ სულიერებად მიიჩნევდნენ!

* * *

ასლან აბაშიძის „სიმბამ" კაცებს ძაღლური ერთგულების მაგალითი მისცა!

## *ბიძინა ივანიშვილის ფენომენის ამოსახსნელად!*

**„რასაც გასცემ, შენია. რაც — არა, დაკარგულია!"**

*(შოთა რუსთაველი)*

ფულს ბედნიერება მაშინ მოაქვს, როცა მას გავცემთ! — აი, ზუსტად ასე ჟღერს კანადელი მეცნიერების მოსაზრება, რომლებიც მიიჩნ-

*ბალთასარ გრასიან-მორალესი: გონება კეთილგონიერების გარეშე ორმაგი უგუნურებაა.*

*ვოლტერი: გონების ღღესასწაული იმაში მდგომარეობს, რომ შეეგუო იმ ადამიანებს, ვისაც ის არ გააჩნია.*

ევენ, რომ საკუთარი ფინანსური მდგომარეობით ადამიანი მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს კარგად... ძალიან კარგად და ბედნიერად, როცა ნათესავებს, მეგობრებსა და ახლობლებს ხელს უმართავს!

მოყვასისადმი განედილი ხელი არასოდეს რჩება ცარიელი! — სახარებისეულად განმარტა ილია მეორემ, ბიზნესმენ გუჯა ბუბუტეიშვილთან და ჩემთან შეხვედრისას, როცა მას დავით სარაჯიშვილის ქაშვეთში გადმოსვენების საკითხის შესათანხმებლად რეზიდენციაში ვეახელით.

* * *

შოთა ნიშნიანიძე:

და, როგორ გინდა, ტკბილად მოხუცდე,
ღმერთთან საუბრის გქონდეს უფლება,
როცა ყველას გეყავს თავის პროკრუსტე:
სტრიქონი! ქალი! თავისუფლება!

P.S. 53 წლის ასაკში, როცა ლექსი პირველად დავწერე, პირველი მკითხველი... სწორედ ეს ჩემი სახლიკაცი იყო და მისმა ალალმა სიტყვამ დამილოცა გზა პოეზიაში!

* * *

ბოგი წიგნი წიგნად არ ღირს —
არც პასუხად, არც კითხვებად,
რაც ადვილად იწერება —
იგი ძნელად იკითხება!

## სიბრძნის დომხალი

„ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვისო"!

გააჩნია, ვინ როგორ მოიხმარს ნინაპრის ჭკუას!

ახლა კი, ერთი პუბლიკაცია გაზეთიდან „ის":

„ხშირად მშობლები საკუთარ პატარებში საკუთარი „მეს" გაგრძელებას ხედავენ, სურთ, რომ შვილებმა იგივე გზები გაიარონ, იგივე განათლება მიიღონ ან მიაღწიონ იმას, რისი მიღწევაც თავად ვერ მოახერხეს. სამწუხაროდ, იმედი უნდა გავუცრუოთ ასეთ მშობლებს: ბავშვები საკუთარი მისიის შესასრულებლად იბადებიან... რასაც ბევრნი ვერ ხვდებიან!

ასეთია მწარე სინამდვილე, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ხშირად „კვიცი გვარზე ხტის" და აუცილებელია, შვილმა იცოდეს, სად გაჩერდა მამა!

* * *

„კაცი მოკედა პურად ძვირი, წაახეევენ ტილოსაო, მოთხრიან და ჩააგდებენ, ე, მანდ ეგდოს, შვილოსაო!

მე არ ვარ ევა
(ადამს)

მე არ ვარ ევა,
თუმცა, ვარ ქალი,
შენს თვალში ალბათ ესეც ნაკლია:
გაჩენის დღიდან
მაქვს შენი ვალი —
შენ ხომ ჩემ გამო
ნეკნი გაკლია!
ხუმრობა — იქით,
შენ შეგიყვარდა
მოცილებული შენს
სხეულს ძვალი,
ყველა ნეკნს დათმობ, იმ ერთის გარდა,
რომელსაც ღმერთმა უწოდა
„ქალი"!
და კიდევ ერთიც...
ესეცა მისი ქალობისა და ჩემი სიბერის გასაფრთხილებლად!
რომ არ დაგვერჩეს
გაზქურაზე
კერძი — გასაცხელებელი,
ვიღაც — მისავიწყებელი,
ზოგიც — გასახსენებელი,
ლექსი —
დასამთავრებელი,
ცხენი — გასაჭენებელი,
ენა — დასამოკლებელი,
ჭკუა — დასაგრძელებელი,
ბავშვი —
დასაძინებელი,
ჭორი — გასაგრძელებელი,
მიქელ-გაბრიელთან არი
ვიზა გასაგრძელებელი.

ეინც მას შენდობასა ეტყვის, ღმერთმა შეარცხვინოსაო!“
ხალხურია?
საიდან მახსოვს, „ვიხსენებ, მაგრამ ვერ გავიხსენე!“ ნაღდი კია!

* * *

„ნეტავ, რა ზნე სჭირს სიკვდილსა, ვერ ხვდება ჩემი გონება.
შიგ ამოირჩევს ვაჟკაცსა, რომელიც მოეწონება!“
P.S. ბებერ ხეს ცელავს უწყალოდ, არც წერგზე უტყვის უარსო —
და იმიტომაც ამბობენ: სიკვდილსაც კარგი უყვარსო!

* * *

გვირგვინი პატიოსანი — სჯობს მეფის თავსაბურავსა!
P.S. კაცზე ქუდი კი წააგავს სახელის თავსახურავსა!

* * *

სამში არ დაიზავება: მგელი, გველი და არწივი.
ზოგჯერ სიმართლე კიდე მარტოა — ალალ-მართალი კაცივით!

* * *

„სიმდიდრის ფასს — შეძენის დროს, მეგობრის ფასს კი — დაკარგვის დროს იგებენ!“

P.S. ჩვენ დროში კი — ქონებრივი დეკლარაციის შევსებისა და უმცირესობიდან უმრავლესობაში გადასვლის დროს, როცა შემოდგომა დგება და წილებსა და წინილებს ითვლიან!

## *ხმა მღაღადებლისა!*

**გურამ ბენაშვილი:** ქართველობა ლამის სრული სიბერწნისკენაა მიდრეკილი!

(ლ.ს. 3-9.01.03)

**ლევან სანიკიძე:** 309 ქართული სირცხვილი და 777 ქართული სიქველე! ხან ჩურჩულით, ხან ხმამაღლა ისმის კითხვა: სად არიან ქართველი მწერლები?

პასუხი: მთაწმინდაზე!

## *გულახდილი და წამუსაუხდელი დიალოგი*

— თუ გინდათ დაბრუნება წარსულში?
— საბჭოთა სინამდვილეში — არა, სიჭაბუკეში — კი!

* * *

**ფრანგი ალფრედ მიუსე:** რომ დაწერო შენი ცხოვრების ისტორია, იგი უნდა გქონდეს — ჯერ იცხოვრე!

* * *

ჩინეთში სერიოზულად დაფიქრდნენ დემოგრაფიულ პრობლემებზე და სამშობიარო სახლებზე გაჩნდა ტრანსპარანტი: „იქნებ გეყოფათ?!“

*ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი: გონებრივი და ზნეობრივი ყოველთვის ერთმანეთს ემთხვევა. გონიერული, თითქმის ყოველთვის ზნეობრივია.*

ჩვენ კი, პირიქით, სულ ვეცოტავებით ერთმანეთს და ლამის ასეთი ტრანსპარანტი გამოვაკრათ ქორწინების სახლზე — მიდი, მიანექი!

* * *

სილატაკეს — რევოლუციისკენ მივყავართ, რევოლუციას კი — სილატაკისკენო — უთქვამს ვიქტორ ჰიუგოს. ვარდების რევოლუცია კი რაღაც ახალ გზებს ეძებს!

* * *

ცოფით სიკვდილის შემთხვევების მიხედვით, საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა! გაცოფდები კაცი, აბა, რა იქნება!

* * *

სტუმარი გიყვარს ასეთი, კბილი არ ჰქონდეს არცერთი!
P.S. ასეთი, არც ქალი ვარგა, არც კაცი და არც საკაცეთი!

* * *

„ფული რეგვენის ბატონია და ჭკვიანის მსახური!"
P.S. დღეს ვისაც ფული აქვს, ქუდიც იმას ახურია!

* * *

„კალამი: ღირსი არა ხარ, მელანო, თეთრი ქაღალდის წერისა!"
P.S. მადლობა უთხარ მკითხველსა, თუ დღის სინათლე გეღირსა!

* * *

მიდის-მოდის გაბრიელი, არავინ ჰყავს მადლიერი!
P.S. აქ ვინც იგულისხმებოდა, ეფიქრობ, არ ჩანს მთლად ხნიერი.

* * *

კაცი ისაა, ვინც სიცოცხლეში არასოდეს არ მომკვდარა!

* * *

სინდისი (არც მეტი, არც ნაკლები) 1000 მოწმეაო!.. (ამას ამბობს ვინმე ტილიანი კი არა — კვინტილიანი!).

* * *

ჩემს სიკვდილში ბრალი მიუძღვის... ჩემს სიცოცხლეს!
(რომ გახსოვდეთ, რომ გესმოდეთ, რომ იცოდეთ!).

*როცა იულიუსს ჰკითხეს, ადასტურებთ თუ არა ცოლის ღალატს, მან კატეგორიულად უარყო ეს.*
*— კი, მაგრამ, თუ დარწმუნებული ხართ, რომ ცოლი არ გღალატობთ, რატომ გაშორდით მას? — ჰკითხეს კეისარს.*
*— იმიტომ, რომ არ შეიძლება კეისრის ცოლი ეჭვმიტანილი იყოს! — მიუგო კეისარმა.*
*აბა!*

*მაღდა რამიშვილი: გამორჩეული მინდა ვიყო და ეს კომპლექსი მაიძულებს. ეპატაჟსა და პროვოკაციაზე წავიდე. თავისუფლების სურვილს ვერც საქმის მიმართ დავთმობ. უნდა შევაჯანჯღაროთ საზოგადოება.*

*ციხიდან გამოსვლის შემდეგ — ციხეში დარჩენილებს „დარდუბალას" ავტორმა დაუბარა: „გამოდით! მე თქვენი ემისარი ვარ გარეთ!"*
*არა მარტო „დარდუბალით" —*
*კაცი — კაცით, ლობე — ხარით.*

* * *

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ყოფა — სიკვდილ-სიცოცხლეა!

* * *

ლოგინს მიჯაჭვული და სიცოცხლით სავსე მოქანდაკე ჭიყო (თემო) ჭყონია, წინასწარ იხდიდა ბოდიშს — ჩემს სიკვდილს, სამწუხაროდ... ვერ დავესწრებიო!

* * *

როგორ დათვალოს კაცმა კაცის სიცოცხლის ხანგრძლივობა, თუ ის კაცი სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს სიცოცხლეს?!

* * *

ნუ გამახსენებთ მე ჩემს სიბერეს. ამას, თქვენზე კარგად, ჩემი შარდის ბუშტიც აკეთებსო, — ბრძანა ბრძენმა.

* * *

ბოგდან ლებლი: მოხუცები ნელა დადიხართ არა იმიტომ, რომ ფეხები გტკივათ, არამედ იმიტომ, რომ აღარსად გეჩქარებათ.

აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია და ვერც ვერავინ ვერაფრით მოჭამს!

...ყველა თაეის გზით დაეხეტება და... ბედ-იღბალს ბოჭავს!

* * *

ლორენს პიტერი: რაა სიბერე? როცა ყველაფერი იცი და არაფერს გეკითხებიან.

...როცა თვითონ ვერ ხვდებიან!

* * *

ციცერონი: სიბერეზე — ჯერ ლოცულობენ და მერე წყევლიან!

ის სულ ელოდება... მას კი არასოდეს ელიან!

* * *

რაა ეს — მოჩვენება გულის თუ გონების?

გული მწყდება — რა ჩქარა ბერდებიან ჩემი ტოლები!

* * *

წრუწუნებენ, წრუწუნებენ, წრუწუნებენ!

სიბერეს... მადას კი არა, უკბილობას უწუნებენ!

* * *

ოსკარ უაილდი პრეზიდენტს: მუდამ პატიოსნად ითამაშე, მით უფრო, თუ ყველა კოზირი შენს ხელშია!

არ ამოუხვიდე ხალხს ყელშია!..

*გოტფილდ ეფრაიმ ლესინგი: გონიერი კაცი სულელის რჩევასაც მიიღებს, თუ ის გონივრულია.*

*არისტოტელე: გონიერი სასიამოვნოს კი არ დასდევს, არამედ უსიამოვნების აცდენას ცდილობს.*

* * *

სიმღერით ავხადოთ ჭერი, რომ... სიბერეს ეშინოდეს შენი.

* * *

პატიოსნება ღვთის წყალობა და ქებათა-ქებაა!
პატიოსნება — ღარიბ-ღატაკთა თავმოწონებაა!

* * *

ნაკლი ვერ დაფარავს ნაკლს — ის უფრო ხელგაშლილია, ვისაც ხელში არაფერი აქვს!

* * *

ეჟენი ლეცი: მე ვნახე ადამიანი — ტრიუმფის სიმბოლო. უფსკრულთან იდგა და ზედ აფსამდა!

P.S. ნეტა, რას იტყოდა ეჟენი, ჩემი საღამო რომ ენახა „ტრიუმფში"?

* * *

ჯორჯ მური: არსებობს ერთადერთი რასა — კაცობრიობა!

P.S. მისგანაა ყველა სხდომა, კრება და ყრილობა!

* * *

კრისტიან ბერნარი: კაცობრიობა 6000 წლისაა და ყოველი თაობა მას თავიდან — 1 წლიდან იწყებს!
სანამდე მიწა კაცს იტანს და არ დაამიწებს!

* * *

ბედნიერებისთვის ღიაა ყველა კარი, უბედურებისთვის — ყველა ფანჯარა!

P.S. გალაკტიონმა ხომ იპოვა ის ფანჯარა, საიდანაც გაფრინდა მარადისობაში?!

* * *

თვითმკვლელობა — ესაა საკუთარი თავიდან გაქცევის მცდელობა!

P.S. ყველა-ყველა და საკუთარ თავს ვერ გაექცევი!

* * *

დონ ამინატო: არაფერი ისე დამქანცველი არაა, როგორც რელსზე თავის დება... მატარებლის მოლოდინში!
მოლოდინი ჯობია... თბილ ლოგინში!

ემისარი
იმის არი,
რომ გაუღოს სხვასაც კარი!

<u>კონცერტი რადიომსმენელთა დაკვეთით</u>

„უშიშროების" სამინისტროს სამეთვალყურეო განყოფილების თანამშრომელთა თხოვნით მოისმინეთ სიმღერა: „ვენაცვალე მაგ შენს თვალებს, ჩუმ-ჩუმად რომ მითვალთვალებს!"

<u>ფერისცვალების მღვდლების ჰიმნი</u>

თეთრია თუ შავია,
ყველა დამნაშავეა.
ფერია თუ ბერია —
ყველა ღასაფერია!

ისევ ილესავს დრო თავის კბილებს — „რევოლუცია ჭამს თავის შვილებს!"

<u>გაგა ლორთქიფანიძე:</u>

ძნელია, იყო ღირსეული მაშინ, როცა შენს ცხოვრებასა და სახელმწიფოს, რომელშიც ცხოვრობ, უღირსი ადამიანები მართავენ და განაგებენ.

სიდედრს ორი კბილი უნდა ჰქონ-

* * *

ჯონ შელტონი: დავიწყების ღირსია ის, რაც გახსენების ღირსი არ არის!

* * *

ხსოვნა სახსოვრის ფასია!
(რითმაც კი ამბობს, რომ ასეა!)

* * *

სინდისი მაწანწალა ძაღლია, რომელიც გაგიშვებს, მაგრამ ცოტას ნაგიყეფს.

P.S. ზოგი სინდისი უფრო მამაძაღლია, არ შეგიყეფს, მაგრამ... იკბინება!

* * *

**სიტყვაუღრანი მუხრანი (მაჭავარიანი):**

ვის გაუმარჯოს, რას გაუმარჯოს,
ეგეც არ იცი?! ეაი, შენს პატრონს!

* * *

არსებობს ამერიკელ მეცნიერთა ჰიპოთეზა, რომ სულისა და სხეულის დაცილების პროცესი ელექტრული კონდენსატორის განმუხტვის მსგავსი მოვლენაა და სიკვდილის მომენტში, თავდაპირველად, სხეულიდან სულის 90%-ის დაცილება ხდება, ხოლო დანარჩენი ნაწილი მე-9 დღიდან მე-40 დღემდე მოცემულ პერიოდში სცილდება.

ამერიკელ დოქტორ ჩავლას ექსპერიმენტი იმასაც ადასტურებს, რომ სხეულში ადამიანის სულის ადგილი თავის ტვინია.

P.S.არადა, ქართველებს რომ ჰკითხოთ, სული სადღაც გულთან ეგულებათ და „გულში ჭირიმე, სულში ჭირიმეს!" გარდა ერთი გურული სიმღერაც სულ სულის ასავალ-დასავალის ძებნაშია: „გურიაში მივალ, მარა სული წინ-წინ გეიპარაო!" მოკლედ, ყველაფერზე სული მიგედის და ყველაფერზე სული გველევა. ვინ... ლაფავს, ვის ყელში აქვს, ვისი სული — ვის ხელშია, ვინ — სულით მაღლდება, ვინ — ეცემა, ვის — კბილით უჭირავს...

მახლას, არსად არაა და ყველგან... ყველაფერშია!

* * *

რუნებზე და ზოდიაქოს ნიშნებზე — რომელი რუნა რაზე უბიძგებს ადამიანს, გვესაუბრება „ასავალ-დასავალი" (26.10-1.11.09). რუნა ნაუდი (რომელიც იღბალთან და ბედისწერასთან ასოცირდება) უკავშირდება სამ დას — ნორდულ ქალღმერთებს: ურდი — წარსულია, ვერდანდი — აწმყო, სკალდი — მომავალი.

---

*ძველი აღთქმა. მირაქი: გონიერის გული იგავებს თხზავს. ბრძენისათვის კი ყურადღებიანი ყურია გულისყური.*

*გერმანული ანდაზა: რასაც ხელი — ხელი წერს, იმაზე თავმა უნდა იფიქროს.*

*ნაპოლეონ I: რაც მე ამქვეყნად მაოცებს — ესაა ძალის უძლურება; ორ მძლავრ ფაქტორთა — ძალასა და გონებას შორის გონება, ბოლოს და ბოლოს, მუდამ გამარჯვებული გამოდის.*

* * *

ძველი ეგვიპტური გამონათქვამია: „იღბალი მუდმივად არ გაგიმართლებს, ამიტომ ცდუნებას არ აჰყვე; იღბალი მუდმივად ზურგს არ შეგაქცევს, ამიტომ მოთმენა ისწავლე".

* * *

მიუწვდომლის მისაწვდომად —
მიზნად უნდა დაეისახოთ!
ხილულს უნდა გაეცდეთ, რომა...
უხილავი დაეინახოთ!

* * *

შეგახსენებთ!

**ნილს ბორი ამბობდა:** მეცნიერული ძიებებისა და ექსპერიმენტების დროს ბუნებაში იმდენ კანონზომიერებებს ვაწყდები, რომ ძნელი წარმოსადგენია, აქ „ვინმეს" ხელი არ ერიოსო!" ამბობენ, სისხლის შემადგენლობაც ადასტურებს ღმერთის არსებობას! სამყაროს წესრიგში ღმერთის ხელი ურევია. არადა, გაგანია სოციალიზმის დროს, არა მარტო ღმერთს, მორწმუნეებსაც დევნიდნენ. ერთი, ჩემსავით ძველი ანეგდოტია: ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ — ნოემბერში ვიღაც თბილისელი კინტო „კედელზე მიუყენებიათ": თუ ღმერთი არ გნამს, შეაგინეო! ამ უკანასკნელს იმ უკანასკნელებისთვის უთქვამს: თუ არ არის, ვის შევაგინო და თუ არის, „ატნაშენია" რაზე გავიფუჭოო?..

ეს ხუმრობით! მთელი სერიოზულობით კი — ახლა სულ სხვა საუკუნეა: უკვე ლაპარაკია „პარალელური სამყაროს აღმოჩენაზე", რომლის ავტორთა შორისაა აინშტაინის მარაქის სრულიად ახალგაზრდა კაცი — პროფესორი გია დვალი (სხვათა შორის, ეს გვარი, ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა სალვადორ დალის ფსევდონიმად აქცია, რაზეც გვარიანად ვიხალისე!)

* * *

აღმოჩენების დროა!
დრო თავის „კარტებს" შლის.
დღეს საიდუმლო როა —
ხვალე ეხსნება ტვინს!

დეს, რომ ერთით — ლუდი გახსნას და მეორე — სულ მუდამ ტკიოდეს!

„სიძე-სიდედრისანი"

<u>მამუკა არეშიძე (ექსპერტი კავკასიის საკითხებში)</u>: კოკოითი და მინძაევი უტიფრად აცხადებდნენ, — ბაკურიანი ჩვენიაო, — მაგრამ ახლა „ჩვენება" შეცვალეს და თრუსოს ხეობა მოინდომეს. თუმცა, ეს არ არის კოკოითის „ნოუჰაუ". — ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ოსეთის გაზეთები წერენ, რომ ყაზბეგის რაიონი, გასაბჭოებამდე, ჩრდილოეთ ოსეთის შემადგენლობაში შედიოდა, გასაბჭოების შემდეგ კი საქართველოს „გადასცეს". ეს ხეობა ალაგირის რაიონს ერთვის და, საკმარისია, ოსმა სეპარატისტებმა ქედი გადალახონ, რომ გუდაური და ყაზბეგი კოკოითს, უფრო სწორად კი — რუსეთს დარჩეს.

ჟურნალი „გზა" (ღმერთმა ნუ ქნას, რომ სხვა გზა არ იყოს!)

ქალბატონმა მედეა ჯაფარიძემ ტაქსი გააჩერა, მარჯანიშ-

* * *

გია კვაშილავამ პროტოქართულ კოლხურ ენაზე (კვაშილავას ტერმინია) გაშიფრა „ფესტოსის დისკო", რომელსაც, საუკუნეების მანძილზე, უტრიალებდნენ მეცნიერები და გასაღები ვერ მოუძებნეს.

„დისკოზე დაბეჭდილი ნახატ-ნიშნები „კოლხური ოქროდამნერლობაა", რაც იმას ნიშნავს, რომ, თითქმის ოთხი ათასი წლის წინათ, ანუ იმ დროს, როცა „ფესტოსის დისკოა" შექმნილი, კოლხებს, თურმე, დამნერლობა ჰქონიათ" — გვაწვდის ინფორმაციას მკვლევარი „ახალი რაკურსით"!

**ჟანრი ლოლაშვილი:**

## „სახით სტენისპინ"

ქართული სიტყვა სხვა ფენომენიცაა! როცა ენრიალებ სიტყვებში და გავიბნევი-ხოლმე, ვამჩნევ, თითქოს მათ თავისი ვალენტობა აქვთ — გახსოვთ, ალბათ, მენდელეევის პერიოდული სისტემა — ვფიქრობ, ასეთივე ვალენტობა აქვთ სიტყვებს. ხომ ხედავთ, რა ეპოქაში ვცხოვრობთ? კომპიუტერში ვიგებთ ყველაფერს, შეიცვალა დედამიწის რუკა. ახლა, კიდევ, არიქა, თავს ვუშველოთ, პლანეტა ილუპებაო. ნეტა, რა გველის? ამ ნარლენაზე ფიქრი დამღუპველია.

მიყვარს ადამიანი, ვისაც სხვისით აღტაცება შეუძლია. აღტაცება გენიალური პროცესია და არაფრით ჩამოუვარდება სექსუალურ აქტს.

ბუნებამ ადამიანში ჩადო, თუნდაც, სიზმარი. ამიტომ, ამის გამო, მისტიკური არსებები ვართ. ნუ ეკანკალებთ! ჩვენ ჩვენი საქმე ვაკეთოთ!

ნიჭი და მხურვალე გული ადამიანებთან ურთიერთობის ხელსაწყოებია. როცა ძმაკაცები სადმე მეპატიჟებიან და ვერ მივდივარ, მეუბნებიან-ხოლმე, ვერ მოდიხარ, ნიჭი დაგელალა? დიახ, ურთიერთობა ნიჭია.

„ომი დამთავრდა. მშვიდობის გეშინოდეთ, ხალხო!!!"

P.S.ლოლაშვილი თვითონ ჟანრია, რომელსაც, კარგად მხოლოდ თბილისი და „თბილოლოგია" იცნობს!

* * *

ნიუტონის სისტემა მიაჩნდათ სამყაროს დასრულებულ, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ სურათად. ასეთმა შეფასებამ გამოხატულება ჰპოვა ცნობილ ლექსში:

„ბუნება, მისი კანონიით, წყვდიადით იყო ნათელი —
ღმერთმა თქვა: „იქმნას ნიუტონი!" და ასე იქმნა ნათელი."

აინშტაინის ფარდობითობის თეორიის გამოჩენისა და ნიუტონისეული მექანიკის ამოსავალი იდეების უარყოფის შემდეგ დაიწერა ამ სტრიქონების გაგრძელება:

„დიდი ხნით არა, მარა ეშმაკმა თქვა: „იქმნას აინშტაინი!..
და ყველაფერი ისევ წყვდიადმა შთანთქაო!"

აინშტაინი: დოსტოევსკი უფრო მეტს მაძლევს, ვიდრე სხვა რომელიმე მოაზროვნე!..

* * *

ჩვენი გონების სკანირება უკვე ხდება.

ნევროლოგები სპეციფიკური „ნეირონული დეკოდირების" პროგრამების საშუალებით უკვე ახერხებენ ადამიანის გონებაში შეღწევას. ეს, ერთდროულად, მეცნიერების დიდი მიღწევაცაა და შეშფოთების საბაბი თუ მიზეზიც.

* * *

აშშ-ს პრეზიდენტს ბარაქ ობამას ჰკითხეს:

რამდენად შეესაბამება სიმართლეს, თითქოს მოხუცების პროგრამა „მედიკერის" ფარგლებში, ნებისმიერი ხანში შესული ადამიანი ვალდებული იქნება, ჩინოვნიკებს განუმარტოს, როგორ და რა გზებით სურს სიკვდილი?

P.S. მე ახლავე ვაცხადებ, რომ სიბერით მინდა მოვკვდე (და ისიც ძილში)!

* * *

**აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი:** გიყვარდეს და ეყვარები!

პატრიარქის მიერ სიკეთით არცთუ გამორჩეულ ადამიანში დადებითის დანახვა და ხაზგასმა, მეცნიერულადაც კი, გენიალური და აბსოლუტურად ბრძნული საქციელია!

P.S. ჩემი ერთი სადღეგრძელოც ეს არის — სიკეთის მკეთებელ და სიკეთის დამნახველ კაცს, გაუმარჯოს!

* * *

ინდიანას შტატში დღემდე მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც, ულვაშიან მამაკაცს სასტიკად ეკრძალება ადამიანის კოცნა.

კონექტიკუტის შტატში, თურმე, არ შეიძლება ცოლისთვის კვირაობით კოცნაც კი და „კუტა" რაღა დღეში იქნება!

* * *

ჯერ კიდევ ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ ადამიანის სახე შედგებოდა შვიდი ნაწილისგან (ნაკვთისგან), რომლებიც მზის სისტემის შვიდ პლანეტასთან იყო დაკავშირებული. 1. მზე — მარჯვენა თვალი; 2. მთვარე — მარცხენა თვალი; 3. იუპიტერი —შუბლი; 4. სატურნი — ნიკაპი; 5. მარსი — ცხვირი; 6. ვენერა — პირი; 7. მერკური — ღანვები.

P.S. დღეს არსებობს საშიშროება ადამიანის მარტივ მამრავლებად დაშლისა!

* * *

ფუტუროლოგ რეი ქერზვეილის აზრით, ორი ათეული წლის შემდეგ, უკვდავება ფანტასტიკის

*ვილის თეატრთან მიმიყვანეთ. ტაქსისტმა კითხვა შეუბრუნა, უნივერმაღთან მიგიყვანოთ?! ამაზე მეტად გადაირია, იმ ადამიანს როგორ ჩავუჯდები, რომელმაც არ იცის, თეატრი სად არის.*

*კვიპროსში ხელზემოსამსახურე ქართველი პედაგოგი გულიკო ტაბატაძე: ერთმა ინგლისელმა ტურისტმა ჩემს დასასვენებელ ნომერში ოქროს ბეჭედი დატოვა. დიასახლისმა დამიბარა და ვიღაც იქ მყოფი, წარმოშობით წალკელი ბერძენი, მოიყვანა თარჯიმნად. შევედი თუ არა, დიასახლისმა კარი საკუთარი ხელით ჩაკეტა, ხოლო წალკელის პირით მიბრძანა, გამეხადა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. „თარჯიმანმა" ამიხსნა, რომ ქურდობაში მდებდნენ ბრალს, არავინ არაფერი დამიჯერა. დიასახლისმა მოუხმო დაცვის ბიჭებს და ტანსაცმელი ძალით შემომახიეს... მაშინ კი მიმტყუნა ნერვებმა, მუხლებზე დავეცი, სახეზე ხელები ავიფარე და ავქვითინდი. წალკელმა მიშველ სა-*

სფეროს გასცდება. იგი დარწმუნებულია, რომ ეს დრო ნანოტექნოლოგიების შესაქმნელად სავსებით საკმარისია.

P.S. მერე ნახე შენ სიკვდილის მონატრება! სიკვდილი რომ არ იყოს, სიცოცხლეს რა ეშველებოდა?

* * *

ისევ გაზეთ „ის" არატრადიციული პროგნოზები მომავალი კატაკლიზმების შესახებ.

ასეთი „კლიზმები" კატასაც ააჩხავლებს!

დაუნდობელი ქარიშხლები და მინისძვრები, ვულკანური ამოფრქვევები, საშინელი ომები, დრამატული ეპიზოდები, მეორედ მოსვლა... ეს მხოლოდ ნაწილი გახლავთ იმ წინასწარმეტყველებებისა, რომლებიც ჟურნალმა „სან"-მა გამოაქვეყნა.

P.S. აგერ, ამომავალი მზის ქვეყნის მსოფლიო ტრაგედიაც! ალბათ, ამიტომაცა თქვა ნიაზმა, ამქვეყანაზე, ჩემდათავად, მეორედ მომსვლელისაცაო!

„არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლო, რომელი არა გამოცხადნეს." (მათე, 10-26)

* * *

პუშკინის სიტყვებს შეგახსენებთ: „არაფრის ფასად არ გავცვლი ქვეყანას, რომელიც უფალმა სამშობლოდ მომისაჯა."

არ არსებობს ამაზე უფრო ტკბილი და უფრო მწარე სასჯელი!

* * *

ქედის მოხრა არ გეგონოთ,
თუ მე ზოგჯერ ვარჩევ დუმილს,
ანგელოზებს უფრთხობს ბოროტს
ჩემი ჩუმი ჩამი-ჩუმიც!

* * *

ადამიანის დაბადებისთანავე, ტვინში 14 მილიარდი უჯრედი ჩნდება და მათი რაოდენობა სიკვდილამდე აღარ იზრდება. პირიქით, 25 წლის შემდეგ თავის ტვინის უჯრედების რაოდენობა ყოველდღიურად 1000-ით მცირდება. ასე, მაგალითად: 25 წლის შემდეგ, ყოველი ერთი გვერდის წაკითხვისას, დაახლოებით, 70 უჯრედი იკარგება. 40 წლის შემდეგ თავის ტვინის დეგრადაცია მკვეთრად მატულობს, ხოლო 50 წლის შემდეგ ნეირონები (ნერვული უჯრედები) შრება და ტვინის მოცულობა მნიშვნელოვნად მცირდება.

P.S. ამიტომაცაა ნათქვამი: გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო. ასე რომ, ღმერთმა იცის, რამდენი უჯრედის ვალშია მწერალი... თავის მკითხველთან!

## *როგორ ვებრძოლოთ სიბერეს*

დღე დღეს მისდევს და შეძრწუნებული ამჩნევთ სახეზე სიბერის ნიშნებს: თვალებთან და შუბლზე ნაოჭებს, კანი მშრალია და ფერდაკარგუ-

*ჟან დე ლაბრიუერი: არაფერია მშვენიერ სახეზე უფრო მომხიბლავი და არც საყვარელი არსების ხმაზე უფრო საამური.*

ლი, თმა (თუ, საერთოდ, შეგრჩათ თავზე) — გაუხეშებული, ნერვები — დანყვეტაზე!..

მეცნიერები გვასწავლიან ნესებს ახალგაზრდობისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად:

1. მუდმივად განავითარეთ გონება, ავარჯიშეთ მეხსიერება;

2. კარგი ურთიერთობა და პატივისცემა შეინარჩუნეთ ოჯახის ნევრებთან;

3. შეებრძოლეთ სტრესებს! შეეცადეთ, თავი აარიდოთ უსიამოვნებებს; აუცილებლად დაიცავით ოჯახში ნესრიგი, რადგან არეული ოჯახი უარყოფითად მოქმედებს ადამიანებზე. ქალებმა მუდმივად უნდა იფიქრონ გარეგნობაზე, ჩაცმულობაზე, მაკიაჟზე და ა.შ.

4. არ გადაიტვირთოთ საქმეებით;

5. ისნავლეთ მედიტაცია, რომელიც დადებითად მოქმედებს, არა მარტო იმუნურ სისტემაზე, არამედ კურნავს ზოგიერთ დაავადებასაც ართრიტიდან — ქრონიკულ ტკივილებამდე;

6. ისნავლეთ „არას" თქმა. როგორც კი შეგამჩნევენ, რომ შეგიძლიათ... თავზე დაგაყრიან უამრავ საქმეს;

7. იყავით ოპტიმისტი!

8. ნუ იქნებით გარემოს მიმართ გულგრილნი!

P.S. ამას გარდა, კაცს სიბერესთან ბრძოლის საკუთარი ხერხებიც უნდა ჰქონდეს!

„დაბრუნდით ბავშვობაში" და მიიღეთ თქვენი სიყრმის მზის „ზაგარი"!

* * *

სიჭაბუკე — ალმართია, სიბერე კი — დალმართი:
ის ტკბილი ძილ-ღვიძილია, ეს კი — ძილი საღათის!

* * *

სოხუმელი მნერალი გურამ ოდიშარია: „ზღვა, რომელიც შორია!" (დიმა ჯაიანმა დამპატიჟა ამ პიესის პრემიერაზე და ზღვა ცრემლი გვადინა!)
ქვეყანას, სამნუხაროდ, დღეს, ნიგნისთვის არ სცალია!

* * *

ჩვენი სახელმნიფო მეტისმეტად პოლიტიზირე-

*ფეულზე ხალათი მომახურა და მამშვიდებდა. ჩემი საქციელით შეწუხებულმა დიასახლისმა აქვითინებული ძლივს ამაგლიჯა იატაკს და ყვირილით, მთელი ძალით, სახეში გამილაწუნა. მეორე დილით კარი გაიღო და დიასახლისი ბეჭდის დამკარგავ ინგლისელთან ერთად შემოვიდა. ინგლისელი მომექცა, ხელი გადამხვია და მუდარით რაღაცას ბუტბუტებდა, ხელში დოლარებს მუჯვრას მჩრიდა, თან თითზე წამოცმულ ბეჭედს მაჩვენებდა. მივხვდი, რაც მოხდა. მას ბეჭედი პიჯაკის გახეულ სარჩულში ჩავარდნოდა, რომელიც დილით უპოვია. ხომ ასე მიჭირდა, ისე ვიყავი ბრალდებით შეურაცხყოფილი, შემოთავაზებული ფული ფეხით კუთხეში მივყარე!*

*<u>რამაზ კლდიაშვილი:</u>*
*...და ჩვენს თავზე, დამოკლეს მახვილივით, კვლავ ძალაში რჩება რუსეთის მუქარა, რომ საქართველოს იმ სახით დაუტოვებენ, როგორიც ის იყო მათი იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიამდე!*

ბულია, ყველაზე პოპულარული ადამიანები პოლიტიკოსები არიან, რადგან ქვეყანა ვერ დალაგდა, ტერიტორიებს კარგავს, გაურკვეველი მომავალი აქვს (საერთოდ, თუ აქვს მომავალი?). უამრავმა ადამიანმა დატოვა სამშობლო, რომელსაც ჯერ კიდევ საქართველო ჰქვია!

* * *

„ბიბლიიდან" კისრისტეხით გადმოღებული ვიღაცის ქარაგმული ნაკვესი: პირველად იყო სიტყვა და მერე... მუშტი მოჰყვა!

* * *

ანბანი, რომელიც სამუელ მორზემ შექმნა, იმდენად დასახვენი ყოფილა, რომ იგი დასაწყისშივე დაიწუნეს. მორზეს ანბანად წოდებული კოდირებული ასოების ენა, რომელსაც სამხედროები დღემდე იყენებენ, გერმანელმა და ავსტრიელმა ინჟინრებმა მე-19 საუკუნის შუა პერიოდში დახვეწეს.

ცხადია, ეს პოეზიის ენაცაა — საგანგაშო და პროზაული აზრების კოდირებისთვის.

* * *

განგსტერი ალ კაპონე: ტკბილი სიტყვით და... პისტოლეტით უფრო მეტის მიღწევა შეიძლება, ვიდრე მხოლოდ ტკბილი სიტყვით!

## *ლირიული იმპულსი!*

*მწერლობა წერა-კითხვის ჟინია,*
*ჯადოქრობაა სულის ნაჭდევის,*
*იმის დაკარგვის რო გეშინია,*
*„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების"!*

## *81 წლის ასაკში, ჰინ ფეირთო ცოლად „შავი წიგნის" ავტორმა...*

— როგორ დაგითანხმათ ბატონმა კიტამ ქორწინებაზე?

მწერალ კიტა ბუაჩიძის უკანასკნელი სიყვარული — აკადემიკოსი თინა ბარამიძე:

— ჩვენი მეგობრები ჩაერივნენ — გიზო ნიშნიანიძე და გუჯა ბუბუტეიშვილი. სასიძო კოსტიუმში გამოაწყვეს, მერე ჩემ ნასაყვანად მოვიდნენ და ჯვარი მათ დაგვწერეს, ქორწილიც გადაგვეიხადეს. ბატონი გიზო ნიშნიანიძე თამადა იყო. იმხანად კიტა 81 წლის იყო, მე — 65-ის.

P.S.თუ ბოროტება დღის სინათლეს ვერსად წაუვა, არც სიკეთე უნდა დაიკარგოს. ერთ მშვენიერ დღეს, ბიზნესმენმა ელგუჯა ბუბუტეიშვილმა მითხრა, მწერალი კიტა ბუაჩიძე ძალიან „კერკეტი" თუ „კირკიტა" კაცი ყოფილა — ამ ცხოვრებაზე განაწყენებული და მის ნათესავს, ბიზნესმენ თემურ ჭყონიას თავის კოკაკოლიანად თხრის, გამაცანი და დამაწყნარებინეო. სწორედ ასე მოხდა მათი გაცნობა, რომელიც ძმობაში გადაიზარდა და კაი კაცობით დაგვირგვინდა!

## „პაემანი" ქ-ნ ნანა მოსიძის სკოლის რუსთაველ მოსწავლეებთან!

ჩემო ძვირფასო გიმნაზიავ და
ჩემო ძვირფასო გიმნაზიელებო!

„სნავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების!"-ო... ამ სიმწარეზე დიდი სიტკბო ცხოვრებაში არ არსებობს! და, ამას გეუბნებით მე, გიზო ნიშნიანიძე — ცხოვრებგამოვლილი კაცი, რომელმაც გამოვიარე ბავშვობა, ვნახე სიყმაწვილე, ფეხი შევდგი კაცობაში, მივაბიჯებ ბერიკაცობაში და დღემდე ვერ შევლევივარ ბიჭობას, რადგან:

„ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი
და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი!"

მე ახლა იმ ხნის ვარ, როცა ჩემი ხნის კაცს, როგორც იტყვიან, ტყუილიც კი დაეჯერება, რადგან იგი უკვე აღარაფერში სჭირდება და ისიც კარგად იცის, რომ „სიცრუე და ორპირობა ავნებს..."

ეგლა მაკლია.

ამიტომ,

„ხანდაზმული ვარ, ხან არა,
ხან არც ესა ვარ, არც ისა...
რაცა მაქვს, ის არ მანუხებს
და რაც არა მაქვს, არც ისა!"

ჰოდა, რაღაში მჭირდება ტყუილი, მით უფრო, თქვენთან, ვისთანაც ბავშვობაში მეორედ მოსვლის ბედნიერება მქონდა და ეს სამოთხე მაკავშირებს (სანამ ადამ და ევასავით არ გამოგვყრიან იქიდან).

მე თქვენ დამიფარეთ და თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ!

თქვენს გულში ვზივარ და სულ ვნუხდი...
ამ ოქროს ხელიდან გაშვებას...
ხარკს ვუხდი ყველაზე დიდ მეფეს!
მის უდიდესობას!
მის უწმინდესობას!
მის უციგნესობას!
მის უგიჟესობას!
მის უტკბილესობას!..
ბავშვობას!

ეს საფინალო სტროფებია ვერის უბნის „პაემანიდან", რომელიც მეორედ გაიმართა თქვენი სახელითა და თქვენივე სკოლის თავქალის ნანა მოსიძის მონწვევით რუსთავში, სახსოვრად ჩვენი უასაკო მეგობრობისა!

დღეს მე, როგორც უკვე ძველი მეგობარი, ვესწრები იმ „პაემანს", რომელსაც თქვენი და თქვენი გიმნაზიის საერთო დაბადების დღე — 15 წლისთავი ანუ პირველი ინდიქტიონი ჰქვია. ზეიმი, რომელიც „მუდამ იქნება თქვენთან"!

*ახალი სახელმძღვანელოებით ბავშვები წერა-კითხვას ვერ სწავლობენ, რაც ქვეყანას და მომავალი თაობებისათვის დამღუპველია. ახალი სახელმძღვანელოები, მეტ-ნაკლები დოზით, მთლიანად ანგრევს თაობებში ნაციონალურ ფსიქოლოგიას და დაუნდობლად შლის ეროვნულობას.*

*ვავა!..
ადამიანებს, საძღომად ჭამისთვის, ერთი პლანეტაც არ ჰყოფნით.*

*მეცნიერებმა ცხოველის ახალი ჯიში გამოიყვანეს. მას კურდღლის ყურები, კატის ცხვირ-პირი, და ცხენის კუდი აქვს.*

*ერთხელ, პიკასო პარიზის მერთან მივიდა და მერიის შენობის ერთ-ერთი კედლის მოხატვა შესთავაზა. მერმა უარით გამოისტუმრა, უკაცრავად, ახლახან გავაკეთეთ რემონტი.*

* * *

„ქრონიკული" სიჭაბუკის რეცეპტი:

როგორც წესი, 27 წლის ქალები სიბერეზე არ ფიქრობენ-ხოლმე, არადა, ადამიანის ორგანიზმის დაბერების პროცესი, თურმე, სწორედ ამ ასაკიდან იწყება!

სპეციალისტების რჩევით, თუკი შეძლებთ გარკვეული სტერეოტიპებისგან გათავისუფლებას, ასეთ შემთხვევაში, ინტელექტუალური განვითარების შეფერხებისგან ნაწილობრივ მაინც დაიზღვევთ თავს.

და, კიდევ ერთი: სიბერე ვერ დააკაკუნებს დროზე ადრე იმ ადამიანის კარზე, რომელიც მიზანმიმართულია და საკუთარი გეგმების განხორციელებისთვის ძალებს არ იშურებს.

* * *

მტაცებელი ცხოველებიდან, ყველაზე პატარა გული აქვს ლომს, ყველაზე დიდგულაა — ადამიანი.

არადა, ლოკოკინას უფრო მეტი კუნთი აქვს, ვიდრე ადამიანს.

* * *

თბილისელებს, აგერ, „ნაბუშარი" ქუჩის არსებობა აწუხებთ და, თურმე, სტავროპოლის მხარეში, კერძოდ კი ინოზემცევოს რაიონში, ადგილობრივმა ხელისუფლებმა... ოყნის ძეგლი დადგეს.

* * *

ნაპოლეონის მრავალრიცხოვანი სასმისებიდან ერთ-ერთი იტალიელი ავანტიურისტის კალიოსტროს ჩონჩხისგან იყო დამზადებული.

* * *

ავსტრიელმა მწერალმა ფრანც კაფკამ ნათესავებს უანდერძა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი ყველა ნაწარმოები დაეწვათ. საბედნიეროდ, კაფკას ანდერძი არავის შეუსრულებია.

საუბედუროდ და საბედნიეროდ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ჭკვიანურად ედუარდ ამბროსოვიჩი მოიქცა — მან არავის ანდო ეს საქმე და საკუთარი ხელით დაწვა მისი „დამწველი" საკუთარი ლექსები!

* * *

გავრცელდა ცნობა, რომ ბიოტერორისტი მატლები — კოლუმბიური ჭიაყელები გამოჩნდნენ შიდა ქართლში, თავიდან ამერიკული პეპელა ეგონათ. ხეხილს ეტანება.

ახლა, ამერიკული პეპელა-ღა გვაკლდა!
ვკითხოთ, თუნდაც, „მაქციერს" —
რა ჰქვია მათ საქციელს.
ამ „დაპეპლვის" აქციებს —
მადლი მატლად აქციეს!
ამ სტროფივით, გაურკვევლობაშია მთელი საქართველო!

* * *

კაცობრიობა კაცობრიობას შოპენის სამგლოვიარო მარშით ისტუმრებს სააქაოდან საიქიოში. კომპოზიტორს კი ანდერძი დაუტოვებია, სხეული საფრანგეთში დაეკრძალათ, გული კი ჩაეტანებინათ ვარშავის

წმინდა ჯვრის ეკლესიის სვეტში.

არ არსებობს ფრედერიკ შოპენის სამგლოვიარო მარშზე უფრო დიდი შეხსენება, რომ „გახსოვდეს სიკვდილი!"(Memento mori!).

* * *

აინშტაინს აქვს ნათქვამი: „ორი უსასრულობა არსებობს — სამყარო და... ადამიანების იდიოტიზმი!.. ამ უკანასკნელს კი ნამდვილად არ აქვს სასრულიო".

* * *

„დემოკრატია ერის ფიზიკური და სულიერი ძალების უმკაცრესი გამოცდააო" — გვმოძღვრავს ისტორია.

* * *

დედაენა დაგვეიწყებია და
დედინაცვლის ენას ხოტბით ეამკობთ...
რაეარია?
მთაეარია —
ის კი არა, რა ენაზე...
რა და როგორ გეესმის, არამედ...
რას და როგორ ელაპარაკობთ!
მშობლიურ ქართულსა და უცხოურს შორის —
სალაპარაკო ენა ეერ აგეირჩევია —
ერთი, ჩეენცა გეკითხეთ, სხვათა შორის,
იქნებ —
ინგლისურს... მანგლისური მირჩეენია!

* * *

ძველის თუ ახლის კორიანტელით —
ძველის ბნელით და ახლის ნათელით.
ჩემს წინაპარსა —
და ჩემს მომავალს —
უნდა დაეუნთო ერთი სანთელი!
ხატს შეეაეედრო ჩეენი წარსული,
და ხატსეე ეანდო დღე ხეალინდელი,
იმ ძველ ხიდებზე რა დრო გასულა...
ახალ ხიდებზე ძველ ფიქრს მიედენი...

* * *

გაზაფხული უიოდ და ლექსი უსულოდ არ არსებობს! ამიტომაც მაქვს უსასაკო ძმაკაცობა იას სულაბერიძესთან, რომელსაც დღიურიდან ამოვუხიე ერთი ფურცელი!

*რა დროა? ანჯელინა ჯოლის ტუჩები მოგწონთ? ინებეთ! შეგიძლიათ, პამელა ანდერსონის მკერდიც და მადონას უკანალიც თან გაიყოლოთ... ქალები იბერებიან, კაცები იჩუტებიან...*

*არადა, ძველი დროიდან, ერთი კახელის ნაცვერა მახსოვს — ნეტა, იმის ის მომცა და ამის — ესო. შენი რადა იქნებაო! — უთხრეს. მერე კი ის შემთხვევა იყო — კახელს რომ სხვისი ახოს გადანერგვა ურჩიეს და ქვა ააგდო და თავი შეუმვირა: რას ამბობ, ჯო?... სხვისი იმითა — ჩემი ცოლი ვიხმარო?...*

*ბევრი იმიტომ წერს, რომ ბევრი დრო აქვს, თითებიდან მელანი გადმოსდის და ქაღალდი ზურგივით „ეფხანება". ასეთი მწერლის მკითხველი საცოდავია, რადგან ის, რაც იოლად იწერება, ძნელად იკითხება!*

*გაზეთი „ყველა სიახლე" წერს, რომ „ისტრიის ნახევარკუნძულზე (იუგოსლავია) მსოფლიოს ყველაზე პატარა ქალაქი მდებარ-*

„მზე მიინაელა ჩვეულებრივად,
დღიური ნორმის გაცედა ვნებები
და სასთუმალთან მოვიმარაგე...
ტკბილეული და მოგონებები!“

ჯერ რა დროს ამის მოგონებებია — ყვავილობის ხანაშია, მაგრამ ასე ეწერება და ღმერთმა ხელი მოუმართოს! მშვენიერი „ლექსპრომტი“ მომიძღვნა:

სიცილის, ტირილის ცრემლებსაც ვიზოგავ,
რომ მერე პურივით გავიყოთ:
თქვენ ჩემთვის, ქართულად, „ბატონი გიზო“ ხართ,
ხოლო ესპანურად — „ამიგო“!
82-ე წასულა ზაითარი,
83-ე მიდის და —
ღმერთმა ას წელიწადს კიდევ ნუ მოშალოს
თქვენი პაემანი თბილისთან!

ეს „ხანში შესული“ სამახსოვრო ლექსი კი პრემიალური იყოს!

„რომ არ დაგვრჩეს გაზქურაზე კერძი — გასაცხელებელი, ვიღაც — მისავიწყებელი, ზოგიც — გასახსენებელი, ლექსი — დასამთავრებელი, ცხენი — გასაჭენებელი, ენა — დასამოკლებელი, ჭკუა — დასაგრძელებელი, ბავშვი — დასაძინებელი, ჭორი — გასავრცელებელი... ღმერთი ვინამოთ!“

* * *

ეს აზრი ერთხელ, უკვე, გამოვთქვი და მანამ გავიმეორებ, სანამ გამეორება არ დასჭირდება!

ამბობენ, სადღაც, მახათას მთისკენ, ხვრეტდნენო სიკვდილმისჯილებს! ჰოდა, ახლა, სწორედ მახათას მთაზე შეიძლება, გაიხსნას მუზეუმი, სახელწოდებით „ქვათა ღაღადი“ ან „ქვაში დასჯილი ბოროტება“, სადაც, ღია ცის ქვეშ, თავს მოიყრიან დროთა მეფობით კვარცხლბეკებზე ასული და დროთა მეფობითვე კვარცხლბეკებიდან ჩამოყრილი, ასე ვთქვათ, ძეგლთა „სამშვიდობოს“ გასული ძველი და ახალი კერპები. ამით ხელოვნებასაც ვცემთ პატივს და იმ პატივაყრილ მედროვეებსაც მივაგებთ საკადრისს.

P.S.სადღაც, იმერეთში, მგონი ზესტაფონში, ლენინის ძეგლს, თურმე, თავი დაუზიანდა (ეტყობა, ვიღაცამ რაღაცა ესროლა და დააზიანა). ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, უკეთესს რას მოიფიქრებდნენ, ვიღაც ჭკუის კოლოფი ქანდაქარი მოუძებნიათ და, სხვა რომ ვერაფერი მოუფიქრებიათ — ბელადის გატეხილ თავზე... ქუდი დაუხურავთ. მოუხსნიათ ხარაჩოები, გაუხსნიათ ძეგლი და... ვაი, ამ გახსნას! მსოფლიო პროლეტარიატის თავკაცს ერთი ქუდი თავზე აღმოაჩნდა და მეორე... ხელში!

---

*პეტრე იაკობის ძე ჩადაევი: გრძნობაში მეტია გონება, ვიდრე გონებაში — გრძნობა.*

*ფრანსუა დე ლარომფუკო: დიდი ვნებების ქარცეცხლში გამოვლილი კაცი მთელი სიცოცხლის მანძილზე ბედნიერია და, თანაც, უბედური... მათგან განკურნების შემდეგ.*

* * *

**ბუასტი:** სამოთხე კარგ წიგნსა და სპეტაკ სინდისშია. ჰიუგოს ფრაზაა: სინათლე... სინათლე! იგი წიგნებშია!

**გიორგი გოგოლაშვილი** წერდა წერილში: („პროფესორის ხელფასია"), რომ ერთი ცნობილი უნივერსიტეტელი, ბუკინისტების მაღაზიაში ძველი წიგნების გასაყიდად მიტანის წინ, მათ შეყვარებულივით შორდებოდა — ერთხელ კიდევ გადაიკითხავდა.

P.S.ერთხელ, ქუჩაში გამოტანილ წიგნებს შორის წავაწყდი ასეთ წარწერიან წიგნს: „ვაჟა კარანაძეს... დევი სტურუასაგან!" ელდა მეცა. ასე როგორ უნდა გაჭირვებოდათ ამ დიდებულ ადამიანებს, რომ ეს წიგნი ამ „ამაოების ბაზარზე" მოხვედრილიყო! ჰოდა, რადგან ასე გასაბაზრებლად ვერ გავიმეტე, მაშინვე ვიყიდე ეს წიგნი!

კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო!

რა დამალავს ამდენ ჭირს!

მალეა სიყვარულს უნდაო! ახლა, სიყვარულიც... სანახაობად იქცა!

* * *

ზვიად გამსახურდიას უთქვამს: საქართველოში კადრების ძებნა იგივეა, საცოლე რომ საროსკიპოში ეძებოო!

როცა საროსკიპოდ იქცევა ქვეყანა, იქ პატიოსნებას არ ეძებენ!

* * *

ცნობილი რუსი ჯალათი ზაქარია შაშურკინი, პაპანინის ქუჩაზე, ვალოდია მებურიშვილის მეზობელი იყო. ვალოდია გახლდათ, ალბათ, ერთადერთი მასთან შეხუმრებული კაცი, რომელიც თავს უფლებას აძლევდა, ამ პროფესიონალ მკვლელთან ემაყირა: ზახარ! მზად ხარ კაცის ჭამად — თუ დაგჭირდა... მოკლავ მამას...

ისიც იცინოდა და ათასში ერთხელ თუ შემოუღრენდა გერმანული ნაგაზივით!

* * *

გული ეტნასავით ძგერს და, საცაა, ვეზუვივით ამოხეთქავს!

*დედალს დაკლავენ და მერე დარდობენ — კვერცხისმდებელი ყოფილაო!*

ეობს. აქ სულ 25 მცხოვრებია. ქალაქში არის ერთი მაღაზია, რომელიც კვირაში ორჯერ მუშაობს, ორი ეკლესია, ერთი ავტობუსი, რომელიც დღეში სამ რეისს ასრულებს. ორი ქუჩა, ლენინის სარდათი, სასადილო, 16 ქუჩის ფარანი და 13 სახლი.

**P.S.** ჰოდა, ის თუ ქალაქია, მაშინ ჩხოროწყუმ რაღა დააშავა, რომ ვიღაცას თვალში ეპატარავება და დაბას ეძახიან. ერთ აქაურ კაცს ლექსითაც კი გამოუთქვამს პროტესტი: შენ სოფელი აღარ ხარ... არა, არა — „ნწუ" — შენ დიიდი ქალაქი ხარ, ჩემო ჩხოროწყუ-ო!

ასევე, გაგიგებულა ერთი ჩვენი კარის მეზობელი სომეხი, „თბილისის ზღვა" რომ დაგვირქმევია წყალსაცავისთვის. ეს ზღვაა და სევანი ტბა? ნამუს ჩუნემო!

...ჰოლივუდის ვარსკვლავი ორლანდო ბლუმი ერთადერთი ვარსკვლავი არაა, ვინც აუქციონზე, საქველმოქმედო მიზნით, მასთან პაემანის ან კოცნის უფლებას ყიდის. მაგალითად, ამ წლის დასაწყისში, კეიტ მოსმა კოცნის უფ-

## *წუთისოფელ-ცრუთისოფელი!*

### (კატასტროფების სტროფებით!)

ცის ნამი და ცუნამი... ცრუობს წუთისოფელი –
მიწამ პირი გეიღო და სკდება ატომგულები.
ამომავალ მზის ქვეყნის – მზე ამოდის... მზე ჩადის,
იხეთქება გულები – ცხრა მთას იქეთ ყურებით...
ბაბილონის მეძავი ისევ მზეთუნახავობს –
იაპეეს და ეშმაკის ორთაბრძოლა ცას წვდება –
ყოფნისა თუ არყოფნის ანუ აპოკალიფსის –
მეცხრე ტალღა ნაპირებს წასალეკად აწყდება!...
ციცქნა იაპონია პონის ეტლსა წაავაეს...
ქარიშხალის ჭკუაზე ჩემმა მტერმა იარა...
გრიგალებმა წალკოტი დაამსგავსეს დიდ ნაგავს –
მიწამ არმაგედონის ბედი გაიზიარა!
მე ეს უბედურება შორს სულ არ მეგულება,
სხვისი ჭირი... ღობეში ჩხირად არ მეჩვენება,
მიწის და ცის ცდუნება – კაცია და გუნება...
კატასტროფის სტროფებით სავსეა შეჩვენება!
საუკუნის უკუნში ტოკიოცა ტოკაედა
და ღვთის წყრომა კაცზედა – ქვეყნის სასრულს მოჰგავდა.
ერთი ხელის მოსმითა (აბობოქრდა სატანა!)
დედამიწა ტაიფუნს, წყალ-მეწყერს გაატანა!
მზის მესამე პლანეტას... შიშის ზარი რეკავდა –
იან სიბილიუსის სიკვდილის ვალს ცეკვავდა.
იქნებ კაცობრიობის ბედი ახლა იქ წყდება –
თუ აღარ განკაცდება შობილიც და მშობელიც.
იქ, იგავი-არაკსა... საარაკოდ მიწვდება –
რაღა წუთისოფელი – რაღა ცრუთისოფელი!...
აქ ყოველი ქრება და – დედამიწა... მიწდება!
წარღვნაა თუ წარყვნაა? და რა ღმერთი გეიწყრება!

---

*კარლ იულიუს ვებერი: ზედმეტი მყრძნობიარობა... ჭეშმარიტი უბედურებაა.*

* * *

როდესაც გული იძერის 9 ბალით —
შავი ფიქრები თეთრად მათოეენ...
თუ მოგადექი
ამბავ-ხაბარით...
ყურს ნუ დამიგდებ — ყური მათხოეე!

* * *

ვერც მიხედები, უთავო თავს რაზე დებენ —
რა სიცრუეს „ცრუს“ კადრები იკადრებენ!!!

* * *

ენა დამება!
უნდა იყო კაცი ამება...
ვერ გაარჩიო ცოლისა
და ცილისწამება!

* * *

გულზე მჯიღის საცემად, თუმც, „კმარაცა“
კმარა,
მარა...
კაცზე — ქუდი არის
თუმცა...
ქუდზე — კაცი — არა!

* * *

ეითარც დავით —
მეფედ-მეფემ, —
ლოცვა-წყევლით შემზარა —
ზართა ენით —
შეხსენება, ზარებს არ დაეზარათ!...
ჭეშმარიტი ზარ-ზეიმი შვენის ჭეშმარიტებას —
არა დაღმამშენებლობას
და არა ყალბ დიდებას.

* * *

... საცა მწვერვალნი ცასა წვდებიან —
იქ უფლის კარის მისადგებია!
რწმენის კედელი ზედაზენია!...
ურწმუნო კაცი ამაზრზენია!
გველი სიჭრელით ვინ დაიწუნოს?
უხსენებელი პქვია ურწმუნოს!

ლებს 500 ევროდ გაყიდა.

**P.S.** ყველაფერი გაბონდა და გაძვირდა, თორემ... აგერ ერთი ძველი, ბანტიან გიტარაზე დასამღერებელი ზესტაფონური სიმღერაა მოწმე: „სიმონიკა გიტაძე თუმანს იხდის კოცნაზეო“. მაშინ, ასე ვთქვათ, პირზე კოცნით და ბარძაყზე ბწკენით თავდებოდა საქმე-აკა!

ძველის თუ ახალ დროის კომპლიმენტი —

აგენტი თუ რეზიდენტი, კომფიდენტი!

ღვთის გლახა არ უნდა იყო და ყველაფერი ღმერთს არ უნდა თხოვო! ზოგი საკუთარ თავსაც მოკითხე!...

რა სახელი ჰქვია ამ ყოფნა-არყოფნებს:

ვის ამარა ვტოვებთ... მიტოვებულ სოფლებს?...

თავის მოვლას მაშინ ვიწყებთ, როცა უკვე თავის მოვლის თავიც აღარ გვაქვს. თანაც, ისეთ თავს სჭირდება მოვლა, რომელიც, შენ გარდა, სხვასაც სჭირდება!

* * *

როცა ვკითხულობ
ან, მით უფრო, ვწერ ლექსს თუ რომანს,
ამასა ჰქვია
სიტყვა – ღმერთის ჯვარცმით „განცხრომა"!
როდესაც ღმერთებს ესმით შენი ლოცვა-ვედრება –
ასეთი ტანჯვის ნეტარებას რა შეედრება!!!

## პარადოქსი

დღეს საგნები ლაგდებიან ახალ საგებად!
გაგიგიათ გაუგებრის მსგავსი გაგება?
ქებაა ცრუ წუთისოფლის, თუა ძაგება –
თუ ფული გაქვს... სიმართლე არ დაგეკარგება?!

* * *

საქართველოს ეკლესიის სამრეკლოთა ზარები –
ზართა სიბრძნისმეტყველებით
მიწას აზანზარებენ!...
რომ
განეხვენას მორწმუნეთა –
ღვთიო – აღსავლის კარები –
რომ
„ცოდეილთა ცეცხლი ჰგვემდეს" –
„მართალნი ნეტარებდნენ"!!!

* * *

მიტროპოლიტ იეროთეოს ელახოსის
წინასიტყვაობა წიგნისათვის
„მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია"

ედგას სამოყვრე ამინდი უნათლეს ნათლით მნათისა,
სავინიცობო ჟამთაგან – განკითხვით წუთ-საათისა,
ფარავდეს სევტიცხოველი – მადლი ღვთიური კვართისა,
...დაე, მიაგოს უფალმან მათ – „გულითაებრ მათისა"
დაე, მოგვაგოს უფალმან ჩვენ გულითაებრ ჩვენისა –
უნარი ჭირთა თმენისა და ცათა შინა ლხენისა!

* * *

არიან ადამიანები, რომლებსაც (გულითაც რომ გინდოდეს) ვერ დაივიწყებ...

ჰოდა, მათი ამბების მოყოლას ვიწყებ!...

---

*ხალილ ჯებრან ჯებრანი: ძალიან ძნელია, აიძულო თავი, რომ ილაპარაკო.ს. უფრო ძნელია, აიძულო ფიქრი, მაგრამ ყველაზე ძნელია, აიძულო გრძნობა.*

* * *

დღეც არი და კეირაძალიც,
თეეც არი და წელიც არი,
მაგრამ, მაინც, არსთა მშობელს
ეძახიან წუთისოფელს!
დღეც არი და კეირაც არი,
თეეც არი და საუკუნეც,
მაგრამ, მაინც, წუთისოფელს
ეძახიან ამ უკუნეთს!

* * *

ღირსებაა
ღირებული,
რაიცა კაცს აბადია:
ღმერთმა კაცსა —
ღმერთი — რჯული —
აპათიაც აპატია!

* * *

წმინდა გრიგოლ სიჩელი თელის
საკურთხებლად სულის ნებას:
„გიარებას სადღეთო კრავთან"
და „უფალთან ქორწინებას"!

* * *

ეშმაკის რამდენ გრძნეულებას
გეიმალავს საფლავის ლოდი.
სხეულის მრავალი სნეულებაც —
სულის უძლურებით მოდის!

* * *

სტრიქონი ცრემლად გამოეიდინე
და სიხარული გამოეიტირე.
ფიქრი თვალებში შემომცეცინებს —
სული იწვის და გული ქეითინებს.
ჩემი სიყრმის მზის უკვე ეიმღერე —
ჩემი სიბერე მუშტებს მიღერებს.

* * *

შიშოფრენიიდან რაღა დარჩა გიშოფრენიამდე!

❖❖❖

<u>მსახიობი ნაყო მურვანიძე:</u> დღევანდელი საქართველო „ჯაყოს ხიზნებში" აღწერილს ჰგავს.

<u>აკაკი ასათიანი (ტრადიციონალისტთა ლიდერი):</u> ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყნის უსაფრთხოება ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. არასოდეს მესმოდა მათი, ვინც უცხოელებს უყოყინებდნენ, საქართველოს დამოუკიდებლობა არ ცხით გამსახურდიას ხელში. არც იმ ხალხის მესმოდა, რომელიც ამბობდა, ჯანდაბას, აფხაზეთი დაიკარგოს, ოღონდ ეს შევარდნაძეს დაბრალდესო. ახლა კი იმას ვერ ვიგებ — სააკაშვილის ჯიბრზე ომი წავაგოთ.

<u>ფრანკლინ რუზველტი:</u> ნუ წახვალთ პოლიტიკაში, თუ თქვენი კანი ოდნავ მაინც ჩამოუვარდება სისქით მარტორქის ტყავს!

<u>ნორმან მეილერი:</u> ეპოქა იშვიათად არის ადამიანებზე უარესი!

* * *

სული — სინდის-ნამუსია, ხორცი — მისი სამოსია!
ხორცი — წუთის ქონებაა — სული — ჭკუა-გონებაა!
მიწა იყო, მიწად იქცა — ხორცი,
სული რით შეიცან?
სული — ჭკუა-გონებაა,
ხორცი — ქონებ-„ცხონებაა"...
და როდესაც კაცი კვდება:
ხორცი მიდის,
სული რჩება!
ჰოდა, საიქ-იქაოში,
სულით-ხორცი — ღმერთმა გესაჯოს,
რომ ამა და იმ სოფელში
წამსელელ-დამრჩენს, გაუმარჯოს!

* * *

ზოგი ჭამს, რომ იარსებოს —
სხვა არსებობს, რომ ჭამოსო!
კაცი უნდა ღირდეს იმად, კაცმა უთხრას — გაამოსო!
არსსა ჩვენი პურობისას — ეძებ აზრსა, ემეცნიერობ —
პური ჩვენი არსობისა მოგვეც, მამაზეციერო!

* * *

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები რაც კია —
კაცია, გუნება და მედიტაციაა!
ყველაზე დიდი სიცრუე თუ სიბრძნეა —
ყველაზე დიდი სიბრძნე — სიცრუეა!
ყველაზე დიდი სიცოცხლის წყარო — დედის რძეა —
ყველაზე დიდი სიცოცხლის ხე... ნატერის ხეა!
ყველაზე დიდი დღესასწაული... თეითონ დღეა —
ყველაზე უფრო ულიმღამო... თეით ღამეა!
ყველაზე უფრო იდუმალის ტყვე თეით ტყეა.
ყველაზე დიდი მუსიკა — სიჩუმეა!

## *პოეზია ხელის მზეა!*

თბილისურ მეტრ —
კოლორმეტრით —
სიგრძითა და სიგანით...
კოლორიტი იმას პქვია — ვისაც პქვია... ჯიგარი!
თბილისური ხასიათით,
თბილი გნით და იერით,
უთვალავი სიკეთით და მისი თვალსაწიერით.

*ილია ჭავჭავაძე: ადამიანის გული თვალუწვდენელი ორმოა.*

* * *

დრო და ჟამში ( როგორც ნესი) —
თუ სიტყვისთვის გდევნიან —
ესე იგი — შენი ლექსი...
როგორც ჩანს — შედევრია!..

* * *

„ანმყო, შობილი ნარსულით, არის მომავლის მშობელი!"

იყოდან — არაიყომდე ნუთია ნუთისოფელი!

* * *

სერგეი ესენინი: „რევოლუციური, ჯერ არგაგონილი, ჯერ არნახული" ლირიკა:

Серп и молот – молот, серп!...
Это наш советский герб.
Хочешь жни и хочешь куй,
Все равно получешь... х-უი!

* * *

ზოგ-ზოგი დებატები — არაადეკვატები —
ყეფასა ჰგავს ძაღლების,
კნავილსა ჰგავს კატების.
დაობებულ აზრებით უაზრობა დაობსა —
ჭაობი ქმნის ბაყაყსა თუ ბაყაყი ჭაობსა?

* * *

ერთხელ, ჩვენზე 15 წლით უფროსმა ვალოდია მებურიშვილმა, ზემელზე, უმცროს ბიჭებში ნაიტრაბახა: მე რომ, ქე რომ, პენალტს დავარტყამდი, ეშმაკი ვერ დაიჭერდაო! — თქვა და კინაღამ ენა გადაყლაპა, როცა ამ ღლაპებში თვალებდაჭყეტილი და ყურებდაცქვეტილი მისი კლასელი, ცნობილი დრამატურგი კაკი ჭავჭანიძე დაინახა... მარა, ერთადერთი, ეს შობელძაღლი თუ იღებდა ჩემს „სმერტელნი" ბურთებსო! ტრაბახა-ბუხში გაიამხანაგა!

* * *

ძველ ჩინეთში, დაბადების დღისთვის, ყველაზე საუკეთესო საჩუქარი... კუბო გახლდათ!

ა!.. ამას ჰქვია, თურმე, ხელდამშვენებული მოსვლა!

* * *

ნიგნთა-ნიგნის — ბიბლიის ნანილები, სულ, 2212 ენაზე თარგმნილი, სრულად კი, ბიბლია, 366 ენაზე დაბეჭდილი.

*სუხომლინსკი: სამი უბედურება ჭირს კაცობრიობას: სიკვდილი, სიბერე და ცუდი შვილები!*

*რომენ როლანი: შექმნა, ნიშნავს მოკლა სიკვდილი!*

*მამუკა არეშიძე:* აფხაზეთში 10-12 წე-
ლიწადში აფხაზები
აღარ იქნებიან. მი-
უსერა რუსებისთვის
საუკეთესო ლუკმაა
და როგორ გაიმეტე-
ბენ? ადიღეელებს
გულრიფშის რაიონი
გამოუყვეს, ოღონდ
ზღვისპირა ზოლი
კი არა, სიღრმეში,
მთისკენ. სხვათა
შორის, გულრიფშის
რაიონს განეკუთვნე-
ბა კოდორის ხეობაც.
ოჩამჩირის რაიონ-
ის მიტოვებული
ქართული სოფლები
კი აფხაზებისთვის
არის გათვალისწი-
ნებული. რაც შეეხე-
ბა სოხუმს და გაგ-
რას, რუსები ამ ტერ-
იტორიას არავის
დაუთმობენ.

**P.S.** „მშობლიურო
ჩემო მიწავ, შენს
საყვარელ სახელს
ვფიცავ, რომ დაგი-
ცავ -ო! ხატზე იფიცე-
ბა ქართული ლექსი!

2009 წლის 18
აგვისტოს, დილის 2
საათზე, თბილისის
ზოოპარკიდან ორი
მაიმუნი გაიქცა.
მაიმუნებს, როგორც
ჩანს, მოსწყინდათ
ცხოველთა შორის
ცხოვრება და უფრო
ინტელექტუალურ გა-
რემოში გადაბარგე-
ბა გადაწყვიტეს.
ერთ-ერთი მათგანი
ტელევიზიის შენობა-

* * *

„ფეხზე მდგომთა" თათბირს... „მსხდომთა" თათბირზე სამჯერ ნაკლები დრო სჭირდება, თუმცა, „ფეხზე მდგომები" არანაკლებ გონივრულ გადაწყვეტილებას იღებენ, — დაასკვნეს მისურის შტატის მენეჯმენტის სპეციალისტებმა.

* * *

სამეცნიერო ინტერნეტგამოცემების მიხედვით, „ოჯახური სითბო" მშვენივრად შეიძლება სიტყვით გამოვხატოთ: დედ-მამა და ორი შვილი წელიწადში გამოიმუშავებს 1300 კვტ/სთ თბოენერგიას(!)

P.S. სსსუუუ... არსად წამოგცდეთ, თორემ ამ „ინდივიდუალური გათბობის" გადასახადსაც შეგვაწერენ.

* * *

„უცნობი": „მწუხარებას ვერ დავფარავ, ღვინოს დააბრალებენ." ვერის ხიდთან სკვერში, ჩვეულებისამებრ, შუაღამემდე შეყოვნებულა. შუაღამისას მორიგე მილიციელს შეუჩნევია და სკვერის დატოვება უბრძანებია. პოეტი არ დამორჩილებია და ამაყად უპასუხნია: მე გალაკტიონ ტაბიძე გახლავართ. ამაოდ. შემდეგ, მილიციელის ყურადღება ლენინის ორდენს მიუპყრია და გაოცებულს დაუტუქსავს ორდენოსანი, როგორ არცხვენ უმაღლეს ჯილდოსო. ვარცხვენ კი არა, ვამშვენებ მაგ ლითონსო, — კვლავ შეუპოვრად შეპასუხებია პოეტი. გაბრაზებულა მილიციელი და იძულებით მოუნდომებია ურჩის მილიციაში წაყვანა, მაშინ კი აღშფოთებულ ორდენოსანს ორდენი მკერდიდან მოუგლეჯია და სახეში უთხლეშია". ჩემი სახლიკაცის, შოთა ნიშნიანიძის ლექსი გამახსენდა: „როცა მედალი დამკიდეს ყელზე... ვიგრძენი, როგორ მიჭერდა ყულფი"-ო!

* * *

სიყვარულის ახსნა მარცხენა ყურში ჯობსო... — გვირჩევს პრესა.

P.S. ვითომ რატომ? მარჯვენა რა — ყურის ბიბილოთი გვისმენს?..

* * *

ცნობილია, რომ ჩვენი ტვინი მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროების, იგივე ჰემისფეროებისგან შედგება.

ამათგან, მარცხენა ჰემისფერო ლოგიკასა და ზუსტ მეცნიერებებთან „გვაკავშირებს", მარჯვენა ჰემისფერო კი ემოციურია — განწყობაზე, ინტუიციასა და ხელოვნების აღქმაზეა „სპეციალიზებული". ანუ, მარცხენა ჰემისფერო, ასე ვთქვათ, „მამაკაცურია", მარჯვენა კი „ქალური", რასაც ევროპელ და ამერიკელ მეცნიერთა კვლევის შედეგები ადასტურებს!

არ აგვერიოს! თორემ, ასეთი ქართული ანდაზაც არსებობს: ერთ ყურში შეუშვი და მეორედან გაუშვიო! ახლა, გულისყურის დეფიციტის დროა და ყურებს შორის დაჰქრის გულგრილობის ორპირი ქარი, ანუ „სკვაზნიაკი". ორპირი კი, არც ქარი ვარგა, არც — კაცი!

---

*ანტუან რივაროლი: ადამიანის გულმა სამღერები არ იცის. გონება კი შეშლილია.*

*დანტე ალიგიერი: ჯოჯოხეთში ყველაზე ცხელი კუთხეები მათთვისაა, ვინც უდიდესი ზნეობრივი გარდატეხის დროს ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა.*

* * *

ჰოლანდიელი შეყვარებულები ერთმანეთს პაემანს ასე უნიშნავენ: „მოდი, ამ საღამოს ერთად გავისეირნოთ... ადამიანშიო!"

ახლა, რა ხდება! ბევრი იფიქრეს ჰოლანდიელებმა თუ ცოტა, გადანყვიტეს: აღარ გვინდა ამდენი შემეცნებითი გადაცემა და შოუ, რომლებიც ჭკუას გვასწავლიან. ყოველდღე ერთ „ცისტერნა" ჩაის რაოდენ დადებითი შედეგები მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. უმჯობესია, ადამიანის ორგანიზმი საკუთარი თვალით დავათვალიეროთ და ვნახოთ, რა ემართება მას ამა თუ იმ მოვლენის შედეგადო...

ჰოდა, გაიხსნა კიდეც ადამიანის სხეულის მუზეუმი, რომლის შექმნაზეც, თითქმის, 12 წელი და 27 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა.

როგორც ირკვევა, ადამიანის სხეულის მუზეუმი არის 35-მეტრიანი, ნახევრად გამჭვირვალე შენობა.

მუზეუმში მოგზაურობა ადამიანის ქვედა კიდურებიდან ინყება და თავის ტვინის მიდამოებში სრულდება. დამთვალიერებელს, შეუძლია, იხილოს და მოისმინოს ყველა ის პროცესი, რაც ადამიანის ორგანიზმში ხდება — სისხლის მიმოქცევა, კუნთებისა და კუჭ-ნანლავის მუშაობა, სუნთქვა, ხველება, ხიხინი და ა.შ.

საინტერესოა, რომ დამთვალიერებელს შეუძლია, ნებისმიერ ორგანოში მოხვდეს, რომელსაც თავად აირჩევს — პირში, ცხვირში, ყურებში, თვალებში, გულში და, რაღა თქმა უნდა, „იქაც".

ჰოლანდიელი შეყვარებულების ტერმინოლოგიით, ახლა მე ჩემს თავში დავსეირნობ და „დავსეირობ" და, ვინ იცის, სად ამოვყოფ თავს?!

ასეთი „ალია"-ბალიების (24-25.09.09) დროში რა მოგანყენს, მით უმეტეს, თუ საკუთარი თავის ცხრაკლიტულები გაქვს შემოსავლელი!

* * *

<u>გალაკტიონი:</u>

უნდა ავმაღლდეთ გარეთ,
უნდა განვმტკიცდეთ შიგნით,
თუ სადმე ნახვალ არედ,
ნიგნით და მხოლოდ ნიგნით.

* * *

საქართველოში ფუნქციონირებდა 2123 ერთეული ბიბლიოთეკა. დღეს, იცით, რამდენია? 824, ანუ ბიბლიოთეკების რაოდენობა, დაახლოებით, 1500-ით შემცირდა. სამაგიეროდ, ქართველი ლუარსაბების ეშხით, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იხსნება კუჭის საკითხავები და ლამისაა, მუცელს გადავყვეთ. ...მუცელს გადაყოლილი კი... ქალია ცოდვა, კაცი და, მით უმეტეს, ქვეყანა — არა!

*ში შეიპარა. გაუგებილი ფანჯრიდან გადაძვრა და იქ მიიკალათა.*

***P.S.*** *მაიმუნობის დროს და ამაში თვითონ მაიმუნებიც დარწმუნდნენ!*

*გადავყევით მუცელს და გადავყევით პარტიებს —*

*კაცმა რომ გვაპატიოს — ღმერთი არ გვაპატიებს!*

*<u>ავთო ხიჯაძე</u>: ვის ნიკოლაძეს ზღაპრის წერა სიმართლეში დაუწყია (თვითონ ზღაპარიც ხომ სიზმარ-ცხადს ჰგავს!). ხაზაზი, რამაც ზღაპრის წერას დააწყებინა, ერთი ფრაზისადმი ინტერესი აღმოჩნდა. ..ჩიტის მოტანილი ამბავი" — ეს ფრაზა გახდა ვის ცნობისმოყვარეობის საფუძველი. ზღაპრის წერამ ვის ნიკოლაზე მავნე ჩვევებისგანაც გაათავისუფლა. ნარკოტიკებზე საბოლოოდ ათქმევინა უარი, ნაკლებად შურისმაძიებელი და კაცთმოყვარე გახადა. ..ამ ძალამ წამალზე მათქმევინა უარი. აღარ მსიამოვნებს. ჩემი ნარკოტიკი ახლა წერაა".*

* * *

23 წლის ამერიკელმა გოგონამ, რომელმაც გონება უეცრად დაკარგა, აზრზე მოსვლის შემდეგ, 120 ენაზე დაიწყო საუბარი, რომელთა უმეტესი ნაწილი დიდი ხნის წინ იყო დაკარგული. მეცნიერები ამ ფენომენის ახსნას ვერ პოულობენ!

P.S. რამდენი კითხვაცაა, სადაა იმდენი პასუხი?!

* * *

**ხათუნა პაიჭაძე:** ქაოსით მასების მართვის ხელოვნებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ ხერხს მარჯვედ იყენებდა და ხვეწდა სხვადასხვა რეჟიმი. სხვათა შორის, ქაოსით მასების მართვის კონცეფცია არც მასონური ორგანიზაციების სხვადასხვა მიმდინარეობისთვის იყო უცხო. როზენკრაიცერები (სიტყვასიტყვით „ვარდი და ჯვარი"), ტამპლიერები თუ ილუმინატები მართვის ერთ-ერთ შესაძლებლობად მასების ქაოსით მართვას განიხილავდნენ.

რუსეთში აღარც მალავენ, რომ სასწრაფოდ საქართველოს დესუვერენიზაციაა საჭირო და ამისთვის ერთ-ერთ ხერხად, სწორედ, ქაოსი სახელდება.

P.S. რა მაგის პასუხია (ან... რა უპასუხობა), ა-ფხა-ზეთშიც და ქაოსშიც, შეხეთ, რა ფონემებია ჩაბუდებული!

## *თომას ვულფის ფიქრის ყულფი!*

ეს ცხოვრება მარტოობასა და ძიებაში გავატარე.

„ყველაზე ტრაგიკული, ამაღლებული და მშვენიერი გამოხატულება ადამიანური სიმარტოვისა, რაც ოდესმე წამიკითხავს, არის წიგნი იობისა, ყველაზე უდიდესი და ფილოსოფიური კი — ეკლესიასტე! აქ მინდა, გამოვყო ეს ყველაფრისაგან... თუ განსხვავდებოდა, რაც ჩემს პატარა ბიჭობაში გამიგონია მარტოობაზე! როცა პირველად ვიგრძენი სიმარტოვე და ვიხილე ცხოვრების ტრაგიკული, დაფარული მხარე, განვცვიფრდი და უნდობლად განვეწყვე. დავეჭვდი იმ ყოვლისმომცველ რეალობაში, რამაც ცხადი გახადა ეს ჩემთვის. მაგრამ, ის იდგა მარტო კლდესავით!.. წლები რომ გავიდა, ამ აღმოჩენის სიმართლე ცხოვრების ღერძად მექცა. მეორე მსოფლიო ომის ბავშვობას ისე გადავურჩი, რომ თავი ქუდში მქონდა. არ წამომტკენია ფრჩხილი... თუმცა, ახლაც ტანში მცრის, რომ მახსენდება პურის, ნავთის რიგი, თევზის ქონი, რძის და კვერცხის ფხვნილი!

ბუს თუ კუს კვერცხები...
შაე-თეთრი „ბუხანკები"...
შებინდული ფანჯრები...
განგაშის ზარები...
ძმობის ფიც-ვერცხლები,
სვასტიკა-ტანკები,
პირსისხლა ქაჯები,
სიცოცხლის ბზარები!

*ვოვენარგი: ადამიანები იბადებიან გულახდილებად და კვდებიან მატყუარებად .*

...როგორ მომრავლდნენ უხელოები, უფეხოები, დაჭრილები, დასახიჩრებულები, თავგაგლეჯილები... სულიანები, გულიანები, უზადოები, უსათნოები, ჯიშიანები, ჯიგრიანები, ჯილები!...

თბილისის ფანჯრებში სინათლე ჩაქრა,
ზომაზე მოგვიჭრეს პური —
ბავშვობა თვალსა და ხელს შუა გაქრა,
ტყვიებში ნიოდა ყური!

* * *

ახლა რომ მკითხოთ, ზუსტად იმ ჭკუაზე ვარ, რამაც ხარფუხელ იოსებ გრიშაშვილს მუნასიბი დაანერინა („აპრილი თბილისში"), არქივიდან ამოსვლის შემდეგ, როცა ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა!

„რად აეიხირე არქივი,
სულის და გულის მღაღველი,
ან რადა ეშრომობ ამდენსა,
განა, ცოტა მაქეს ნაღველი?
მინდა, ავცელქდე, ყით უწინ,
მაგრამ რომ არა მცალია?!
სოსო, რა კარგი დღე არის!
სოსო, რამდენი ქალია!
რად ეეჭიდები ამ გუჯრებს, —
ამ ცხრათაეიან მდეეებსა, —
ერთ კარგ რითმაში არ გავცელი
მე ამდენ გამოკელეეებსა!
პაერში ოქრო ლიელიეებს,
მთებზე — ზურმუხტი, ლალია...
აფსუს, რა კარგი დღე არის!
აფსუს, რამდენი ქალია!
სადა ხართ, ლამაზმანებო?
მოდით, დამათვრეთ ბუნებით.
ამიესეთ ტუჩის ყულაბა
მაგ კოცნის უზალთუნებით.
თორემ ებერდებით... და გულმაც
ლოდინის შხამი დალია!
პაუ, რა კარგი დღე არის!
პაუ, რამდენი ქალია!"

P.S.ამ ლექსს... თბილისის მეტრფეს რომ არ დაენერა, დაუნერელს ვინ დატოვებდა! ამ ლექსის დამნერს რა დააბერებდა! სწორედ, ამ ხასიათზე დაინერა ეს სტრიქონებიც:

სიყვარულის რითმა — სიხარულია,
სიყვარული ხომ ბაჯაღლო მზეაო,
სიბერემ თქვა: რა დროს სიყვარულია!
სიყვარულმა: რა დროს სიბერეაო!

*ხან ზედაზენზე,
ხან პიტარეთში
დაგცქერის ციდან
ვარსკვლავთ კრე-
ბული.
ღმერთის შენში
და შენ ხარ ღმერთში
ღვთისანაბარას მი-
ტოვებული.*

*<u>გია გაბრიჩიძე:</u> ნუ
შემოიტანთ ქარ-
თველებისთვის მი-
ულებელ კიდევ ერთ
„უცხო სხეულს",
რასაც ქსენოფობია
ჰქვია.
ქართული ტელევი-
ზიიდან ისმოდა
სხვადასხვა „მოღ-
ვაწეების" მიერ გა-
მოთქმული „ბრძნუ-
ლი აზრები", რომ-
ლებშიც ისინი რუ-
სეთის წინააღმდეგ
პროტესტს იმით გა-
მოთქვამდნენ, რომ
ტოლსტოის და დოს-
ტოევსკის აღარ წა-
იკითხავთ და რუ-
სულ პროდუქტს არ
შევჭამთო!
„საქართველოს
რესპუბლიკა",
11.08.09.*

***P.S.** ეს, რაღაც, იმ
ვაი-ხუმრობასაა ჰგ-
ავს, ერთხელ გუ-
რულმა პაპანაქება
სიცხეში „პროტეს-
ტი" რომ გამოთქვა:
თუ ამერიკა არ გაიყ-
ვანს ჯარს ვიეტნამ-
იდან... ამ სიცხეში
ჩაში სამუშაოდ არ
გავალ!*

* * *

**მამა თეოდორე (გიგნაძე):**

კაცობრიობის ისტორიას აქვს დასაწყისი და დასასრული. დასასრული დადგება არა იმიტომ, რომ ამას ღმერთი გადაწყვეტს, არამედ იმიტომ, რომ კაცობრიობა შევა ისეთ ფაზაში, როცა ადამიანს აღარ ექნება შესაძლებლობა, ღმერთსა და ეშმაკს, სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანის გაკეთებისა.

ასეთ დროს კაცობრიობის განვითარება აზრს დაკარგავს. უფალი ამბობს: „როცა დავბრუნდები, ვიპოვი კი მორწმუნეებს დედამიწაზე?" და, სწორედ, მაშინ მოვა უფალი მეორედ დედამიწაზე, მანამდე კი იქნება ანტიქრისტეს ბატონობის ხანა. ვიღაცას, შეიძლება, ჰგონია, ანტიქრისტეს კუდი, რქები და ჩლიქები ექნება. არა, ბატონო, ექნება უაღრესად სანდომიანი, განათლებული ადამიანის სახე, რომელიც უამრავ მიწიერ სიკეთეს მოუტანს საზოგადოებას და კიდევ უფრო მეტს დაჰპირდება, სანაცვლოდ კი მოითხოვს სრულ მორჩილებას, ანუ ადამიანთა სულებს. „მე ვარ ყველაფერი და პატივი მეცით!" — და, ეს იქნება, არა, როგორც პოლიტიკური ლიდერის, არამედ, როგორც ღვთის მოთხოვნა.

ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, სულების გაყიდვის ჩათვლით, არის მცდელობა და სამზადისი იმისა, გაარკვიონ, არის თუ არა მსოფლიო მზად ანტიქრისტეს მისაღებად!

P.S. ღმერთო დიდებულო!.. დიდი უღმერთო დროა და ეკლესიებს სული კბილით უჭირავთ.

* * *

ადამიანის ტვინში, ყოველ წამში, თურმე, 100 ათასი ქიმიური რეაქცია ხდება.

* * *

**ქეთევან ხამიცაშვილი:**

— ბატონო გიორგი, გასული საუკუნის 80-იან წლებში გმირთა მოედანზე უნდა დადგმულიყო თქვენი ქანდაკება „მშვიდობის ჩირაღდანი", რომელიც, შემდეგ, საბერძნეთში დაიდგა. რა იყო ამ ნამუშევრის უარყოფის მიზეზი?

გიორგი შხვაცაბაია:

— აქ არ დადგეს. სამაგიეროდ, დადგეს ბერძნებმა ქალაქ ოლიმპიაში, ძველი ოლიმპიის ცენტრალურ მოედანზე, იმ წმიდათაწმიდა ადგილთან ახლოს, სადაც უკვდავი პრაქსიტელეს „ჰერმესი" დგას. თავიდან ამ ნამუშევარს ერქვა „ჰიმნი მშვიდობას", მაგრამ რუსებმა ჩათვალეს, რომ ეს იყო თავისუფლების ერთგვარი სიმბოლო და აღარ დამადგმევინეს. შევარდნაძემაც დახურა ეს პროექტი. ზუსტად 18 წლის წინ, ეს ქანდაკება ვაჩვენე ოლიმპიის მაშინდელ მერს სპიროსს ფოტინოსს, რომელსაც ძალიან მოეწონა და დადგა კიდეც, სხვათა შორის, ზუსტად 5 ივნისს. წარმოიდგინეთ, ოლიმპიადის დროს, ზუსტად 4 წელიწადში ერთხელ, როცა ჰერას ტაძრიდან ანთებული ჩირაღდანი მოაქვს სპორტსმენს, პირველ შესვენებას აკეთებს ჩემს ძეგლთან! იქვე ალმართულ თეთრ პიედესტალთან... პირველი სპორტსმენი მეორეს გადასცემს ესტაფეტას — ანთებულ ჩირაღდანს! დიახ, აქ არ ინდომებს, ბერძნებისთვის კი ეს ძეგლი, უკვე, მათ ისტორიად იქცა.

რა ვქნათ? ასეა. ძეგლები გადააქვთ, გადმოაქვთ, ზოგს მარხავენ, ზოგს ამსხვრევენ. არაფერი მიკვირს. ჩემი ქანდაკება, რომელიც 1969 წელს დაიდგა ბარათაშვილის ხიდთან, მწვანე სკვერში, მოხსნეს და დამარხეს იმის გამო, რომ კიროვის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარეს, მედიკოს ჰგავსო. ქანდაკება დამარხულია ოქროყანაში, სადაც ახლა სტადიონია, ხელმარცხნივ. ბოლომდე კარგად ვერ ჩამარხეს, ის ადგილი ახლაც ამობურცულია. მოკლედ, ფრანგები რომ იტყვაინ: „შერშე ლა ფამ!" (ეძიეთ ქალი!).

P.S. ზუსტად ამ სათაურით ამ თემაზე ჩემი ფელეტონი დაიბეჭდა საკავშირო ჟურნალ „კროკოდილში" და ამ ფელეტონიანად კარგა ხანს მათრიეს არა მარტო ცეკა-ტეკაში, არამედ თვით საკავშირო სკკპ(ბ)-ში და ცუდად იყო საქმე, რომ ისევ იმ სულგანათლებულ ვასილ პავლოვიჩ მჟავანაძეს არ მოეცა ჩემთვის ახსნა-განმარტება „კაპეესესში" ნარსადგენად (მომჩივანი ძეგლის თვითნებურად აღებას მას აბრალებდა. ფიქრობდა, ნასული კაცია და ამ „შარსაც" მას ავკიდებო!).

ცოტა რამ დააბრალეს ამ ღვთისნიერ კაცს?! მაგრამ, როგორც ზღვა არ მიიღებს სიბინძურეს: როგორი სუფთა კაციც იყო, ისეთად დარჩა!

მიკვირს, თვით მოქანდაკე გოგა შხვაცაბაიამ რომ არ გაიხსენა ეს ისტორიული ფაქტი, რომელმაც მაშინ, მუზებთან ერთად, საკავშირო მასშტაბითაც დაიგრიალა?!

* * *

არაერთხელ, არაერთმა ინტერვიუერმა სტალინზე მკითხა აზრი. ამ კითხვაზე ყოველთვის ასეთი პასუხი მქონდა:

— სტალინზე რომ აზრი გამოთქვა, სულ ცოტა... ლენინი უნდა იყო!

ჩვენ შემხვედრი მანქანის ტალახებივით ვასხამთ ერთმანეთს ქებასაც და გინებასაც. ერთიც ამოვიდა ყელში და მეორეც!

08.06.2010-ის „ვერსიაში" თვალს ეკალივით მოხვდა ვინმე მაიკლ მოინიანის პუბლიკაცია: „სტალინის საზარელი მუზეუმი და სხვა ქართული გასართობები"(?!) ყოველი ზიზღი ამაზრზენია.. თანაც... ასეთი!

„ამერიკელ და ბრიტანელ ჟურნალისტთა ჯგუფმა გორში „ტირანიის" ეს მონუმენტი მოინახულა. 20-წუთიანი ზუზუნისა და მოსაწყენი პანეგირიკის შემდეგ, რომელშიც „ძილისმომგვრელი" პატრიოტული ომების აღწერილობაც შედიოდა,

*არ ვიცი, გოგონებს რით ვაწონებდი თავს. რამსიგრძეც ვიყავი, ორი იმ სიგრძე ენა მქონდა და ენით შემეძლო, შუბლზე ბუზი მომეკლა!*

*პირველი თამადა, როგორც ჩანს, „ადამი" მოგვევლინა. ეს სახელი პალინდრომი აღმოჩნდა და სწორედ ასე წაღმა-უკუღმა იკითხება „თამადა-ადამათ!"*

*მამა გაბრიელი: „მძიმე ჯვარს ატარებს კათოლიკოს-პატრიარქი. ვინც მას განიკითხავს, თავზე აგიზგიზებულ ნაკვერჩხლებს დაიყრის!..."*

***P.S.*** *თავი თუ არა აქვს, ენითაც ხომ შეიძლება ნაკვერჩხლების ყრა, მამაო? ...და, აი, ეს „ვინცა" გამოჩნდა... რაიცა „კმარელი" აღმოჩნდა. ყვარყვარე თუთაბერს აჯობა — თავს თუთაბერიძის ქაჯობამ!*

*სტალინი ცოლისგან ასკეტიზმს არ*

მუზეუმის გიდს ერთი, სრულიად გასაგები, კითხვა დავუსვი: „თუ ვინმე წმენდებსა და უკრაინულ გოლოდომორზე, ან მისი მმართველობის სისატიკეზე კითხვას დაგისვამთ, შეძლებთ, გულწრფელად უპასუხოთ?"
„არა", — ეს, ცოტა არ იყოს, დამცინავი ინტონაციით წარმოითქვა, ისე, თითქოს მეუბნებოდა: „თქვენ, რა, დამცინით?"

„შორიდან ჩანს, რომ იგი ცუდად მორგებულ ზამთრის პალტოშია გახვეული." (ლაპარაკია გორის ძეგლზე)... მახლას! წაიღო ტვინი ამ სტალინოფილობა-ფილიპიკამ!

ასეთებს ისტორია, ვერც მკვდარს და ვერც ცოცხალს, ხელს ვერ ახლებს! თვითონ ამ სასწაულ გორელ კაცსა აქვს ნათქვამი, რომ დრომ რამდენი ნაგავიც არ უნდა დამაყაროს, ისტორიის ქარტეხილები ყველაფერს წაიღებს და ჩემი სახელი ხელუხლებელი დარჩებაო!

* * *

როგორც იქნა, სიბერის დამამუხრუჭებელი წამალიც გამოიგონეს. მეცნიერებმა, „ბიოლოგიური საათის" მიმართულების შეცვლითა და დაბერებულ-ჩამომჭკნარი კუნთების აღდგენის შედეგად, გაახალგაზრდავების მექანიზმი აამუშავეს.

ასე რომ, მატარებელი „სიჭაბუკე-სიბერე", როცა ჩვენ გაგვეხარდება, მაშინ გავა ბოლო ლიანდაგიდან! როგორია! თუმცა, ისიც ბრძენის ნათქვამია, „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი..."

ვინ მისდევს, რო?!

* * *

„დატოვე ყოველგვარი იმედი, ვიდრე აქ შემოხვალ!" — ასე აწერია ჯოჯოხეთის კარს (დანტე ალიგიერის მიხედვით).

ერთ-ერთმა ბრიტანულმა ჟურნალმა სპეციალური გამოკითხვა ჩაატარა, რომლის არსი შემდეგი გახლავთ: ჩამოთვლილი, ან გარდაცვლილი ცნობილი სახეებიდან მკითხველებს უნდა აერჩიათ ერთ-ერთი, საიქიოდან ვის დაბრუნებასაც ისურვებდნენ. ჩვენში კი იტყვიან, ყველამ თავისი მიცვალებული იტიროსო!

პირველად, თბილისში რომ „მეტრო" ამუშავდა, ზემელზე იდგა, თურმე, ერთი მოხუცი და ინტერესით ათვალიერებდა ესკალატორით მიწისქვეშეთიდან ამომავალ ხალხს: იქნებ ჩემი მიცვალებულებიც გამოჩნდენო!

* * *

**რატი ამაღლობელი:**

ნარკოტიკის არანაირი ინტერესი არ მქონია. ადრე ბევრი არ იკეთებდა, მაგრამ ისეთ იმიჯს ირგებდა, ვითომ ნარკომანი იყო... ასეთ ბიჭებზე თხოვდებოდნენ ძალიან კარგი გოგონები. მათთან კონკურენცია მართლა გვიჭირდა ჯანსაღ ბიჭებს.

ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ჩავაბარე. ეს „ფაუსტური" არჩევანი იყო, ყველაფერს რომ სწავლობ და არაფერი რომ არ გამოგდის!

---

*ბელა ახმადულინა:* „Не дай мне бог бесстидства бумаги!".

*ბრანსტერი: მლიქვნელობა მუხლებზე მდგომი აგრესიაა..*

ღმერთო, მაპატიე აპათია, რაც კი მაბადია – მაპატიე, ერთსაც ვერ ვასრულებ შენაპირებს, ნეტა, მოვაგნებდე შენს ნაპირებს, თორემ უშენობა უშმეოა, არ ვიცი, ვისავით უმწეო ვარ... ქვიშაზე ნაწერივით წავიშლები, უშენოდ სიზმარშიც არ გავიშვები.

P.S.ასეთი რატები ისეთ რეტიანებშიც გამოერევა დღეს, ახალი თაობის უთაობას რომ მიტირიან კი არა... მისცინიან!

* * *

შეფილდის უნივერსიტეტის სნავლულებმა გამოკვლევები ჩაატარეს, რომლის შედეგადაც დაასკვნეს, რომ ადამიანის ტვინი გაცილებით უკეთ აღიქვამს მამაკაცის ლაპარაკს, ვიდრე ქალისას (მით უმეტეს, ელსმენით!)

P.S. ე.ი ყური... ლაყბობას უფრო ეჩვევა, ვიდრე ტლიკინს!

* * *

სადაც არ სჯობს, გაცლა სჯობსო
(გამარჯვებად არ თვლითა იქნებ!),
მტერ-მოყვარეს აღარ ვცნობთო:
ხმლის მაგივრად ენას ვიქნევთ!

* * *

გულის პერანგს მახევს... პირზე მომდგარი,
სტრიქონსა მთხოვს – შუბლი დამეღარაო.
ლექსის ცეცხლი გაუნელდა ოტარიდს,
ნიკალამ თქვა: ნიჭი დამეღალაო!

* * *

...რომ არ აცდეს სიტყვას და არ გაცდეს სამანს,
შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამა!

* * *

„თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში" „კათარზისის" მუდმივი სტუმრები კმაყოფილები არიან საკუთარი სიბერით, რადგან ცხოვრებამ ისინი აქ მოიყვანა, სადაც მიეცათ შესაძლებლობა, ყველასგან მიტოვებულებს, გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის საკუთარი ნიჭი: ცეკვის, სიმღერის, ლექსების წერის, მსახიობობის. ისინი თვლიან, რომ სიბერეში გაახალგაზრდავდნენ. მიაჩნიათ, რომ კათარზისმა ისინი გადაარჩინა არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც.

P.S.რაღაც ამდაგვარის აშენებას ჩვენი ბიჭე-

*ითხოვდა, მხოლოდ კოსმეტიკასა და სუნამის ვერ იტანდა. ეუბნებოდა: რაში გჭირდება? ჩემთვის ისედაც მშვენიერი ხარ! ჩაცმასა და ქცევაში ნადეჟდაც ძალიან სადა იყო. სამოსს თვითონ იკერავდა – მხოლოდ ბოლო წლებში გამოუგზავნა ძმამ, პავლემ, ბერლინიდან რამდენიმე კარგი კაბა. აკადემიაში ტრამვაით დადიოდა და თანაკურსელებიდან არავინ იცოდა, რომ სტალინის ცოლი იყო.*

***P.S.*** *დღეს კი ქალების „გულახდილობა", ლამისაა, კაცების შარვალჩახდილობამდე მივიდეს!!!*

*წინ წყალი – უკან მეწყერი,*
*კაცნი სხვადასხვა ხელწერის –*
*ტურა და მგელი, მხეცები –*
*ბოლოში... მენამცეცენი!*

*გაზეთები წერენ, რომ ფოთის პორტის ახალი პატრონი არაბია (გაზეთებიდან).*

***P.S.*** *ახლა მიდი შენ და არკვიე – ვის*

ბიც ვაპირებდით, რომ ერთად მოგვეთქვა და ერთად დაგველია სული!
აბა, ისაა კაი — ჩვენი ღრმად მოხუცი ცოლები: ლიანა, იუნონა და დუდა ტელევიზორში უაზროდ მოცინარები რომ აჩვენონ და დიქტორმა გამოაცხადოს: კარგად დააკვირდით სახეებს და ამ უპატრონოებს პატრონებმა მოაკითხეთო!

ეჰ... ვისაც ჩვენი ბიჭობა არ უნახავს, სიბერე არ აჩვენოსო! — ნატვრასავით ანდაზაა.

* * *

ყველაზე „კეთილი" და სასიამოვნო კანონი მილანში მოქმედებს: დიდ იტალიურ ქალაქში სავალდებულოა... ყველგან გაღიმება, გარდა პანაშვიდებზე, საავადმყოფოებში და, მით უმეტეს, სასაფლაოებზე!

ჩვენ კი, ზოგჯერ, სატირალზე გვეცინება და საცინარზე გვეტირება!

* * *

**აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:** ლევან რამიშვილის პროექტით, ჩვენ გვექნება გურიის შტატი, კახეთის შტატი და ა.შ. თუ რუსეთთან ახალ ომს გამოვკრავთ ხელს, ამერიკისგან პამპერსებითა და წყლით დახმარება გარანტირებული გვაქვს!

...თურმე, ოქტომბრის რევოლუციის დროს, ერთ მეგრელს სუფრაზე არამც და არამც არ დაულევია ე.წ. „ჩვენი მინა-წყლის სადღეგრძელო" — მინა ჩამოგვართვეს და წყალი შეისხან უკანო!

* * *

რა მაგის პასუხია და, ეს ლევან რამიშვილი, 120-აციითა თუ 220-აციით (საიდან სადაო)! რის და რამის შვილი კი არა, ლევინ ასრატიანი ყოფილა! (ჰკითხეთ, ბატონო, აკადემიკოს იაკობ ახუაშვილს. მასზე უკეთესად ვინ იცის, ვინ ვართ და ვის დავკარგვივართ!)

* * *

**ბალათერ არაბული:** ჩვენმა თაობამ მრავალი გაჭირვება გამოიარა, მაგრამ ზნეობრივი საყრდენი გვქონდა. მაშინ ერი და ბერი შეკრული იყო, დღეს ბზარია გაჩენილი. ეს იმან გამოიწვია, რომ საყრდენი, რომელსაც წიგნი ქმნიდა, მოშლილია!

მცხეთაში, სადაც ფარნავაზის ტახტი იდგა და სადაც შეიქმნა ქართული მწიგნობრობა, ერთადერთი ბიბლიოთეკა იყო და ისიც გააუქმეს. რეგიონებშიც, ბიბლიოთეკების ადგილას, სახინკლეები გახსნეს!

P.S. ტვინის ჭყლეტისა და კუჭის მოტყუების დრო წავიდა და მუცლის გვემის დროა.

* * *

**იურა მეჩითოვი:** „მიუხედავად შუაღამისა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა. ზოგს ტკბილეული მოჰქონდა, ზოგსაც ღვინო დასალოცად. მარჩელო გაოგნებული უყურებდა ამას... მოგვიანებით მასტროიანიმ აღნიშნა, რომ ასეთი სიყვარულით მას მხოლოდ სამშობლოში, იტალიაში, ხვდებიან..."

---

*იოჰან ვოლფგანგ გოეთე: ორი მოჩხუბარისაგან... შედარებით ჭკვიანია უფრო დამნაშავე!*

ფრანგი დიზაინერის ივ სენ ლორანისათვის, პარიზში გამგზავრებამდე, სერგო ფარაჯანოვმა სვანეთისუბნელ მექუდეს ქუდი შეუკვეთა. თავისი საქმის დიდოსტატს მიხეილ მეჩითოვს ბევრი ცნობილი ადამიანისთვის ჰქონდა ქუდი შეკერილი, მაგრამ ივ სენ ლორანისთვის შეკვეთის მიღება მან განსაკუთრებული ღირსების საქმედ მიიჩნია.

იურა მეჩითოვი: „პარიზში გამგზავრებიდან რამდენიმე დღეში ფარაჯანოვისგან ტელეგრამა მივიღეთ, რომელმაც მთელი ოჯახი შოკში ჩააგდო. ფარაჯანოვი მამას სწერდა, როგორ აღაფრთოვანა მის მიერ შეკერილმა თბილისურმა ქუდმა ივ სენ ლორანი."

**„პრაიმ ტაიმი“**

* * *

...მიშა მეჩითოვი, ყოველ წელს, როგორც ებრაელ ისაკა მექუდის ძველ კლიენტსა და მის ძველ მეგობარს, ახალი სეზონის ქუდს მიგზავნიდა, რათა?.. რათა და იმათა — არ დამვიწყნოდა, თბილისელი რომა ვარ და თბილისური ქუდი რომ მხურავს!

ჩემს ერთ დაბადების დღეზე, ზემელზე... ვერაზე, მელიქ აზარიანცის სახლის ჯურღმულებში გახსნილ რესტორან „ვერნისაჟში“ დავპატიჟე ჩემი „პარტნიორ" — საიათა ჯალალ-ოღლი, სწორედ ეს მექუდე — მიშა მეჩითოვი ... სევილიელი კი არა, ვერელი დალაქი რაფიკა, ორთაჭალელი მეთევზე გოგია, ჭრელაბანოელი მექისე ალი-ზადე!... და, ალალ ლუკმას თბილისური გემო ჩავატანე... „ცავადტანემ!"

თბილისელი სომეხიც სხვაა, თათარიც, ებრაელიც... თბილისელობა თვითონაა ეროვნება, თბილისელობა პროფესიააო! — გოგლას ნათქვამია.

* * *

როგორ მარტივ მამრავლებად
დაიშალა ჩვენი გენი —
(ასე ჰარი-ჰარალებად)
ვით დაინგრა კართაგენი!

* * *

ექიმის დარიგება:
ახტალა!
ან მოგარჩენს, ან — არა,
მარა...

ტალახის აბაზანები მომიხდებაო? — იკითხა კახელმა. მოხდენის რა მოგახსენოთ, მაგრამ მიწას მაინც შეეჩვევიო!

„აბია" და ვის „არ აბია"! (მას თუ ჩვენ?)

სილუეტები ათასწლეულებისა („კვირის პალიტრა")

ერაყის ცახცხზე ადის ბიჭოლაანთ გიორგის ბიჭი!

ღმერთო, როგორ წარმართებოდა ჩვენი სამშობლოს ბედიღბალი, ამ რჩეულ ვაჟკაცებს საქართველოსთვის რომ მოექნიათ ხმალი.

<u>სიბრძნის სიმფონია</u>
<u>(„ყველა სასახლიდან")</u>

ჩვენში კაცთათვის მიზეზი კი არა, ორი ადამიანის საქირო!

— რომელია ყველაზე ლამაზი კაბა?
— გახდილი!

<u>კობა ბენდელიანი:</u> მოსკოველი ქართველების მცდელობით, რუსეთის პატრიარქს ალექსი მეორეს, სიკვდილამდე, გამოცხადება ჰქონდა, რამეთუ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეპარქიების აღიარებაზე უარის თქმა მოაგონა. იმასაც ამბობენ, რომ

## ინფორმაცია მარკესზე!
## („ვერსიის" ვერსია)

კოლუმბიელმა გაბრიელ გარსია მარკესმა, რომელიც ლიტერატურის სფეროში ნობელის პრემიის ლაურეატი და ცნობილი რომანის „მარტოობის ასი წელიწადის" ავტორია, რამდენიმე წლის წინ, სალიტერატურო კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. თუმცა, ამის მიუხედავად, ის ბოლო ახალ რომანს გამოსაცემად ამზადებს და მასში შესწორებები შეაქვს.

250-გვერდიან ახალ რომანს ჯერ-ჯერობით სათაური არ აქვს და არც მისი გამოცემის თარიღია დადგენილი, თუმცა, როგორც ცნობილია, მარკესი ტექსტის მეხუთე ვარიანტს ასწორებს.

P.S.თუმცა, კალმოსანი გულთმისანია, მაგრამ, ეჭვი მეპარება, მან იცოდეს, რას დაწერს და რას — ვერა, რადგან ყველაფერი ღვთის ნებაა და მწერალი — სიტყვა-ღმერთის მსახური!

* * *

ტერენტი გრანელის „გამცოცხლებელმა", ლაო-ძის უწმინდეს წიგნად შერაცხული საკაცობრიო თხზულების „დაო დე ძინის" გამომცემელმა, უნივერსალური, ძველინდური ფილოსოფიურ-რელიგიური „უპანიშატების" გადმომქართულებელმა ლერი ალიმონაკმა მაჩუქა ეს „სიბრძნე, რომელიც არ ბერდება!"

ეტიმოლოგიურად, უპანიშატა გამომდინარეობს არსებითი სახელისაგან — უპა-ნი-სატ, რაც გვერდით (ფეხმორთხმით) ჯდომას ნიშნავს, როცა მოძღვარი მონაფეს საიდუმლო, საკრალურ ცოდნასთან აზიარებს.

რაა ყოფიერება? როგორ გავჩნდით? რისთვის? ჭეშმარიტება მხოლოდ ეზოთერული გადმოცემებითა და სიმბოლოებით გვესახება — მხოლოდ უპანიშატები წვდებიან სულის წიაღს. მხოლოდ თვითჭვრეტით იხილავს განდეგილი თავის „მეს". ღმერთთან მიახლოება და შერწყმაა ადამიანის უმაღლესი მიზანი. „მან უნდა დაამსხვრიოს თავისი ყოფიერების პატარა ნიჟარა და მიეახლოს მარადისობას. ესაა მისი უმაღლესი ნეტარება...

ნარსულის სიბნელიდან — მომავლის ნყვდიადამდე:
ეს ხილული გიჩვენებს — იმ უხილავს... ვადამდე!

* * *

ვ. კოტეტიშვილი, „ქართული ლიტერატურის ისტორია": „მეცნიერება ხომ უკვე დაპქანცა სიზმრის პრობლემამ. განა, ძილი, ეს ერთგვარი სიკვდილის პატარა ოაზისები არ არის, რომელიც აყუჩებს სიცოცხლის ტკივილებს, ვიდრე დიდი სიკვდილი პატარა სიცოცხლეს მთლად არ მიაძინებს?"

---

*არისტოტელე: დანაშაულს მხოლოდ საბაბი სჭირდება. (ახლა. უამისოდაც იოლად გადის!).*

*ციცერონ მარკ ტულიუსი: დაუსჯელობა დანაშაულის ჯილდოა.*

*ჟაკ დიუპანი: წერდე თანამედროვეობაზე იგივეა. ხატო პეიზაჟი ნისლიან ამინდში.*

* * *

ერთს ჰკითხეს: თუ იცი, რაა ასოციაციაო?

— ასო ვიცი და „ციაცია", ალბათ, კვერცხები იქნებაო!

* * *

ჩემი და კომპოზიტორ ნუნუ დულაშვილის „სიცილის ჰიმნის" შეგონებაა:

„სიცილით ვინც კვდება, ის დიდხანს ცოცხლობს.
სიცილი უხდება ოსტეოხონდროზს!"
და სხვა ბევრ რამესაც!

## *ძილისა და დასვენების რეჟიმი*

ძილისათვის საუკეთესო დროა 22 საათიდან დილის 5-6 საათამდე. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ „ტოროლები" უფრო ჯანმრთელები არიან, ვიდრე „ბუები". კარგი გუნება-განწყობილების და დაბერების ხელისშემშლელი ბუნებრივი ჰორმონი — მელატონინი გარიჟრაჟზე იწყებს გამომუშავებას.

ჟ. „ცელებნიკი"

P.S....ტყუილად კი არ მღერის საკანდელიძის მენახშირე ბიჭი („მაგდანას ლურჯა"): ტოროლა ვარ და... გოგოებო ნუ დამძრახავთ, თუ დაგიფრთხეთ დილის ძილიო!

რაღა დაგიმალოთ და... სწორედ რომ ალიონის ნაკარნახევია ჩემი ლექსებიც!

* * *

ბაკურ გულუა:

ვსწავლობდი მოსკოვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში და იქ გვასწავლიდნენ, რომ ოქტომბრის რევოლუცია... არ მომხდარა?! სინამდვილეში, ეს იყო უსისხლო ავანტიურა, სასახლის გადატრიალება, ბოლშევიკთა ერთი მცირე ჯგუფის მიერ შუაღამეს მოფიქრებული ამბოხი! რომ ლენინი იყო ყაჩაღი, მოღალატე, მკვლელი, ანტირუსი და ა.შ.

P.S.ადრე, ამის თქმისათვის კი არა, გაგონებისთვისაც ციმბირი უკან დაგრჩებოდა!

Калыма, Калыма, Калыма –
Дивная планета –
Двенадцать месяцев зима –
Остальное... лето!

ეს კატორღული სიმღერაც მაშინდელია!

---

*ალექსანდრე კალანდაძე: ჩვენ უნდა ვიცოდეთ – საიდან მოვდივართ. რათა გავიგოთ – საით მივდივართ.*

---

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხზე რუსული საპატრიარქის პოზიციას კრემლის არ მოეწონა და უკმაყოფილებაც არ დაუმალავს. ამის შემდეგ რუსეთის პატრიარქი მალე გარდაიცვალა.

„ინტერპრესნიუსი"

<u>ოთარ ჭილაძე</u> — „წინ მარადისობაა"!

გულწრფელად ვაღიარებ, რომ, უამრავი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, ვერც მე გამოვიჩინე საჭირო სიფხიზლე. იმდენად ვიყავი აღფრთოვანებული დავითის ხუთჯვრიანი დროშით, ფალიაშვილის მუსიკაზე შექმნილი ჰიმნითა თუ ბაგრატიონთა აღდგენილი გერბით, რომ იწყვიან. ეს ქუდად არ მიმაჩნდა, დედამიწა — ქალამნად. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი სიხარული. ჯერ, საგანგებო კომისიისგან შერჩეული გერბის ნაცვლად, მისი იმიტაცია შეგვრჩა ხელში. ყველაზე შემდგარი ლომები და სამეფო გვირგვინი ნებისმიერ სხვა ქვეყნის გერბზეც შეიძლება გამოისახოს, ხოლო, ოქროს

„ყოველი ადამიანი, მიუხედავად იმისა, მორწმუნეა იგი თუ ურწმუნო, ხშირად ფიქრობს იმაზე, რისთვის არის მოწოდებული და რა უნდა აკეთოს ამქვეყნად. ამ კითხვაზე პასუხი, რა თქმა უნდა, ყველას სხვადასხვა აქვს. ზოგი ფიქრობს, რომ იგი მეცნიერებაში მოღვაწეობისათვის დაიბადა, ზოგსაც თავის მოწოდებად მწერლობა მიაჩნია, სხვა კიდევ ფიქრობს, რომ მისი მოწოდება ძალაუფლების ან სიმდიდრის მოხვეჭაში მდგომარეობს. სინამდვილეში კი, ჭეშმარიტ მოწოდებას, რომელიც ყველა ადამიანისთვის საერთოა, ღვთისაგან ბოძებული უკვდავი სულის გადარჩენისა და ცხონებისათვის ზრუნვა წარმოადგენს. ადამიანი იმისთვისაა მოწოდებული, რომ, რაც შეიძლება, ახლოს მივიდეს ღმერთთან."

...რომ ღმერთი-კაცი და კაც-ღმერთი
იყოს ურთიერთად:
ჯერ ჩვენ ვიყოთ ღმერთთან, რომ
ღმერთი იყოს ჩვენთან!

* * *

როგორც ამბობენ, ილია მეორეს მტრედი, მას მერე ინოდება „პატრიარქის მტრედად", რაც, ერთ-ერთი ლიტურგიის დროს, უწმინდესს მხარზე დააჯდა. პატრიარქს სხვა მტერედებიც ჰყავს, რომელთაც თავად უვლის, პატრონობს, კვებავს.

P.S. ასე შემოასკუპდა მხრებზე მტრედები დიდ მოქანდაკეს, ჩვენს მერაბ ბერძენიშვილს, როცა მისი მემორიალი გახსნეს ქუთაისში. ასეთი რამეები შემთხვევით არ ხდება... რაც მიწაზე არა, ის ცაში თანხმდება!!!

* * *

ბერძნული მითოლოგიის ადრინდელი ვარიანტების მიხედვით, მჭედლობის და ცეცხლის ღმერთის ჰეფესტოსის სამჭედლო ზუსტად თანამედროვე ლაზისტანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ბერძნების აზრით, იმავე ლაზისტანის მთებზე იყო მიჯაჭვული ამირანი, რომელიც დღემდე ჯაჭვების ჭაპან-წყვეტაში და თავისუფლების ძებნაშია.

**გაზეთი „ის"**

P.S. ეგ კი არა და, დღეს, მგონი, თვითონ თავისუფლებაც „ძებნაშია".

* * *

მეცნიერებმა (კონტინენტის ყველა წერტილიდან) 600-მდე სრული გენომი შეისწავლეს. მიტოქონდრიული დნმ, რომელიც შთამომავლობას მხოლოდ დედისგან გადაეცემა, გამოიყენეს 1987 წელს, რათა დაედგინათ ე.წ. „ბიბლიური ევას" — ადამიანების საერთო წინაპრის ასაკი. კვლევა

---

*უცნობი ავტორი: ვინც დანაშაულს გვერდს აუვლის, ის აქეზებს მას.*

*ჟან დე ლაბრიუერი: თუ სიღარიბე დანაშაულების დედაა, მაშინ მოკლე ჭკუა მათი მამაა.*

*ვოლტერი: მხოლოდ სუსტები ჩადიან დანაშაულს. ძლიერს და ბედნიერს ის არ სჭირდება.*

*ამბობენ: ქალი რამდენადაც გამოიყურება, იმდენი წლისააო, რაც იმის „გარანტიას" იძლევა, რომ ევა მარადიული ქალია, ისევე, როგორც უბერებელი დედამიწა!*

აჩვენებს, რომ მიტოქონდრიული ევა ცხოვრობდა აფრიკაში დაახლოებით 200 ათასი წლის წინათ.

* * *

არ ევარგვართ ჯიგრებით,
არც ტბად, არც არაგვად.
ჰკუით ვერ ვიქნებით,
რადგანაც... არა გვაქვს!

* * *

მსოფლიომ იცის, რომ ომის დროს ინგლისის დედოფალმა ღუმელი არ აანთო, რადგან სირცხვილი იყო, სასახლიდან ამოსულიყო კვამლი მაშინ, როცა ინგლისის მოქალაქეებს სციოდათ.

P.S. აი, რა შეუძლია ადამიანის სითბურ ენერგიას!

* * *

**უმბერტო ეკო:**

ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი გამოცდილებაა, და, ძალიან მიხარია, რომ მოვახერხე მისი დაგროვება. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც სიკვდილი არ მინდა, ისაა, რომ არ მსურს, ჩემი გამოცდილება დაიკარგოს. შეიძლება, ამიტომაც ვწერ წიგნებს. დიდებას სერიოზულად არ უნდა მოეკიდო. ძალიან მიხარია, თუკი ადამიანები ჩემს წიგნებს კითხულობენ, თუმცა ამას გარკვეული უხერხულობაც ახლავს.

უკვე ავარჩიე, რისი ამოტვიფრა მინდა ჩემი საფლავის ქვაზე — ესაა უკანასკნელი სიტყვები კამპანელას დიალოგიდან — „მზის ქალაქი": „მოიცა, მოიცა..."

P.S. მთელი ცხოვრება უნდება საფლავზე ამოსაკანრი სიტყვის პოვნას!

* * *

„ჯერ არ ყოფილა გენიოსი, ცოტათი მაინც რომ არ აფრენდეს!"

ბალზაკმა და დოსტოევსკიმ, სიკვდილის შემდეგ ვალები არ დაგვრჩესო, ჯერ დაუწერელი წიგნების დასტამბვის უფლება გამომცემლებს მიჰყიდეს, მემკვიდრეობად კი, მათ ნათესავებს, მხოლოდ ვალები ერგოთ.

გუსტავ ფლობერი ერთობ ბევრს ჭამდა. შინ, ტრაპეზის წინ, პიჯაკს იხდიდა, საყელოს, მანჟეტებს იხსნიდა, ჩაროზის მირთმევამდე კი ფეხსაცმელებსაც წაიძრობდა, რომ არაფერს შეეშალა ხელი მუცლის ნეტარებისათვის!

გენიოსი ფრიდრიხ ჰეგელიც „დააჯილდოვა"

*საწმისის, დავითის მერდულისა და ქრისტეს კვართის გამოსახვა მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო ჩვენს სახელმწიფო გერბზე. „ფეოდალური წარსულის ამსახველი" სიმბოლიკა, რაც ჩვენს ზოგიერთ ოპონენტს ჩამორჩენილობად მიაჩნია, პაციფისტების გონებას თუ არა, ინტერესს აუცილებლად გაუჩენდა სხვა ხალხებს ჩვენ მიმართ.*

*და, მაინც, დიდი უსამართლობა იქნება, ღმერთისგანაც და კაცისგანაც, ჩვენი გაწირვა, მხოლოდ იმიტომ, კვლავაც იქ რომ ვდგავართ, სადაც გაჩენის დღიდან ვმდგარვართ და სადაც უნდა ვიდგეთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. კვლავაც ის რომ გვწამს, რაც თვალის გახელისთანავე ვისწავლეთ და დღესაც სანახევროდ თითქმის უკვე დამწვარ, გულსაკლავად დამახინჯებულ-დაპატარავებულ სამშობლოს ამარა დარჩენილებსაც გვწამს: სამშობლო ერთადერთია და განუმეორებელი! მას ვერ გამოიგონებ, ვერც სურვილისამებრ აირჩევ — ღმერთის საჩუქარია — ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, გვევალე-*

ბუნებამ თავისი წილი სიგიჟით. საქმე ის არის, რომ მოწინააღმდეგეები მარქსსა და ენგელსზე მეტად ფილოსოფოსს „წმინდა ოჯახში" მისი „ახალგაზრდული ვნებებისთვის" აკრიტიკებდნენ. ქრისტიანა ბურკჰარდტი ჰეგელის სახლის მფლობელის ცოლი იყო. ქალმა მას ვაჟი ლუდვიგი გაუჩინა, მაგრამ ბუნებამ ისე დაისვენა სწავლულის ამ ბედოვლათ ნაშიერზე, რომ ვერაფერი შეისწავლა. ფილოსოფოსი, ბიჭის უნიათობით და საზოგადოების კრიტიკით, ისე იყო შეძრწუნებული, რომ შვილს გვარის — ჰეგელის ტარება აუკრძალა.

„გენიალური და სენტიმენტალური" ჩარლზ დიკენსი 17 წლის მსახიობის ვნების მორევში გადაეშვა და ცოლი, რომელმაც ათი შვილი გაუჩინა, უსახლკაროდ დატოვა. არადა, ოჯახის დანარჩენი წევრებისგან სამხედრო დისციპლინას ითხოვდა.

ნიუტონს არა მარტო მდაბიური წარმოშობა აწუხებდა, არ მოსწონდა თავისი მშობლების ქორწინების დღეც და „ციფრების ჰარმონიის" თხზვისას, ოჯახური მოვლენების ქრონოლოგიას ცვლიდა, თუმცა-ღა ამის გამო ღმერთს შენდობა სთხოვა.

დიდი მეზღაპრე ანდერსენიც თავის პრობლემებს ღმერთს ამცნობდა: „ქუჩაში მზე ანათებს, — წერს დღიურში, — ღმერთო, დამეხმარე, რომ ყოველი ადამიანი მიყვარდეს".

ღმერთკაცების ადამიანურ სისუსტეებს რა ჩამოთვლის...

მახლას, ყველას თავისი ოფოფები ჰყავს და ყველა თავისებურად და ზოგჯერ... წყვილწყვილადაც კი აფრენს!

* * *

ნოსტალგიამ შემიკლა — ქართველობას ვიეიწყებ...
ეს პირი რამ შემიკრა, გული საით მიმიწევს.
ის ძველი „იეერია" ახლა „რედისონია" —
სტუმარს — მისი, მასპინძელს — ისევ ჩვენი პგონია.
ცხეირს ვინ შეგაყოფინებს —
სხვის სახლში სხვა მასპინძლობს.
არც დიდგორი — დიდგორობს,
არც ასპინძა — ასპინძობს!

* * *

**მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი:**

„ჩემს მისიას სახალხო კრების მომზადება-მოწვევასა და ამ ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლაში ვხედავ".

აბა, რისთვის ვარ აქ მე?

დიდი მოჭადრაკის ამ სიტყვებიდანაც ჩანს, რომ... ჭანდრაკულად არის საქმე!

* * *

ტელეკომპანია „იმედის" მმართველი საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელი ბიძინა ბარათაშვილი: დაშორების ერთ-ერთი მიზეზი ურთიერთობის დეფიციტია. სამწუხაროდ, ახლა მაღალ მატერიებზე ზრუნვის დრო არ არის.

P.S. და, საერთოდ, ვინ იცის, რა დროა?

---

*კონფუცი (კუნ-ცზი): ყველა დანაშაულზე დიდი დანაშაული... უგულობაა!*

*ინგლისური ანდაზა: არავინ იცის სხვისი ტვირთის წონა.*

* * *

**თემურ ქორიძე (ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი)**

**ფარული ჩანაწერები:**

როგორც აკაკი ბრძანებს, „ხან უგნური(ც) ვარ";

ხშირად „ყრუი და ცრუი", „მტრის არმცნობი" და „მოყვრის მგმობი" ვარ (ილია).

ეს კი არა და, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ „ხანდახან ვაზროვნებ" (პოლ ვალერი)

ბოლოს და ბოლოს, „მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი" (სოკრატე). მაშ, სადაური ბრძენი ვარ?!

„ხალხი არ იყიდება!"

მყიდველს გააჩნია, თორემ...

სამაგიეროდ:

„იყიდება საქართველო..." (ნიკო ლორთქიფანიძე)

„ხალხს ვერ შეაშინებთ!"

ნუთუ, არასოდეს გინახავთ შეშინებული ხალხი?!

აი, შეხედეთ, ერთობ პოეტურად გამოიყურება:

„შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა..." (იოანე საბანისძე).

ხელისუფალნო!

„იყავით უფრო საშიში! მე ამის მომხრე ვარ, მაგრამ ისე, რომ თქვენ მიერ ჩემდამი მოგვრილი შიში შერბილებული იყოს რაიმე დიდი ზნეობრივი იდეით!" (დიდრო)

„ნიქსონის ცენტრი!"

არ დარჩენილა ქართველი პოლიტიკოსი, ჩინიანი თუ უჩინო პარტიული ფუნქციონერი, ნერილფეხა თუ მსხვილფეხა ავანტიურისტი, — ბოლო დროს მრავალგზის რომ არ სწვეოდა ამ იდუმალ სამისნოს.

შედეგი?

თვალშისაცემად მძიმე ჩემოდნები და არცერთი ზედმეტი ნაოჭი მათ შუბლზე!

მოკლედ: „ძალიან კარგად იციან ამ პოლიტიკოსებმა თავიანთი ჯიბის სასარგებლოზე სახელმნიფო საჭიროების ნილბის მორგება" (ჰიუგო)

ხმებს კი არ „წონიან" (ილია), არამედ მხოლოდ ითვლიან და ამდენად, დიდი ალბათობაა იმისა, რომ გამარჯვებულის ჩირაღდანს, პრომეთეს ნაცვლად, ჰეროსტრატე დაეუფლოს.

„მონაც, შეიძლება, თავისუფალი იყოს, ისე, როგორც დიოგენე; შეიძლება, ტუსაღიც იყოს თავისუფალი, როგორც სოკრატე; და, ასევე, შეიძლება, თავისივე ძალაუფლების მონად იქცეს იმპერატორი, სწორედ ისე, როგორც ნერონი." (ეპიქტიტე).

ბა კიდევ. გაუფრთხილდით, არ დაუკარგოთ, რაკი სიცოცხლესთან ერთად გვეძლევა და სისხლივით, სულივით გადაეცემა ჩვენს შთამომავალს...

<u>ილია ჭავჭავაძე, ქვათა ღაღადი (1899წ.):</u> ქვეყანაზე რომ ბევრი ეძის თავისის თავის ქებასა და სხვის ძაგებას, რამდენი სომეხთა მეცნიერი დამუნჯდებოდა სომეხთა სასახელოდ და ჩვენდა სამშვიდობოდ.

<u>გაზეთებიდან:</u> არავის უკვირს, რომ კიდევ ცირკის შაპიტოს არენაზე გამოდიან ჯამბაზები, აკრობატები, საჰაერო ტანმოვარჯიშენი, მასხარები, გაწვრთნილი ცხოველები. მაგრამ ბუნების „საოცრებას" — ხუთფეხა ძროხის გამოსვლას დიდ-პატარა გაფაციცებით ელის.

ეს უცნაური ძროხა სომხეთში გაჩნდა. ცირკის მესვეურებმა სიამოვნებით შეიძინეს ხუთფეხა და „ცოცომა" დაარქვეს. ხუთი წლისა, ცოცომა ცირკის სრულუფლებიანი წევრი და საყვარელი მსახიობია.

**P.S.** არადა, რამდენი ორგული, ორ-

როდესაც ღრმად მოხუცებული ტალეირანი გარდაიცვალა, პარიზი უჩვეულო ეჭვმა შეიპყრო: „როგორც სჩანს, რალაცისთვის დასჭირდა, თორემ ჰერცოგი არაფრისდიდებით არ მოკვდებოდაო..."(?!)

„კეისრის ცოლი ყოველგვარ ეჭვზე მაღლა უნდა იდგეს!!!"

ასეთი რამ მხოლოდ ძველ რომში და ისიც მხოლოდ გაიუს იულიუს კეისრის მიერ შეიძლებოდა, თქმულიყო!

დღეს კი, ფრიად დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ საქართველოში „ყოველგვარ ეჭვზე მაღლა" თვითონ კეისარიც არაა და სხვას ვის გაუშვებს?..

* * *

**გაზეთებიდან:**

— რა განსხვავებაა ბრძენსა და იდიოტს შორის?

— ბრძენმა იცის, რომ ბრძენია, იდიოტს კი ვერაფრით დააჯერებ მის იდიოტობაში.

* * *

მაღალ მატერიებზე კაცმა მაშინ უნდა ილაპარაკოს, თუ გულისა და გონების გახსნის ჟამს სიტყვებმა მათემატიკური სიზუსტით — ციფრებივით დაიწყეს ლაპარაკი!

## *იდუმალი და შეუცნობელი*

ადამიანმა თუ არ აამოქმედა საკუთარ შესაძლებლობათა ფარული რეზერვები, ინფორმაციისა და ენერგიის უწყვეტ ნაკადს ვერ გაუმკლავდება. სამწუხაროდ, მეცნიერებისა და ტექნიკის, ცივილიზაციის განვითარებამ ჩიხში შეგვიყვანა. ამ, ფრიად საჭირბოროტო საკითხს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტის თანამშრომლებიც იკვლევდნენ, აკადემიკოს ივერი ფრანგიშვილის თაოსნობით. კინორეჟისორ გივი ვეფხვაძესთან, რომლის პირად არქივშიც საინტერესო მასალები ინახება მართვის პრობლემების ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ, სწორედ მომავლის ადამიანზე, სუპერმენზე გვექნება საუბარი.

ცივილიზაციის განვითარების პარალელურად, ადამიანმა ბევრი რამ დაკარგა ისეთი, რაც ბუნებამ მისცა. ავიღოთ, თუნდაც, ხუთი სენსორული გრძნობა: სმენა, მხედველობა, გემო, ყნოსვა, შეხება. ტექნიკურმა პროგრესმა ხუთივე გრძნობა დაგვიქვეითა.

მატერიალურ და არამატერიალურ სამყაროებს შორის არსებობს დამაკავშირებელი სივრცე, სადაც ცნობიერის „სხეული" იმყოფება.

---

*ილია ჭავჭავაძე: სიცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა?*

*ფ. ლუბოვიცი: დემოკრატია არ არის მოკლებული ნაკლოვანებებს, მთავარი კი ის ტრაგიკული ტენდენციაა, რომლითაც ხალხს არწმუნებენ, თითქოს დაბადებიდან ყველას ერთნაირი უფლებები გააჩნია.*

ქვეცნობიერი, ცნობიერი და ზეცნობიერი ერთიან სტრუქტურას ქმნიან და ადამიანში მიმდინარე ენერგოინფორმაციულ პროცესებს აყალიბებენ. ორგანიზმის ზეცნობიერის ფუნქციონირება უკავშირდება თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს, რომელიც ბევრს სუსტად აქვს განვითარებული. მარცხენა ნახევარსფერო კურირებს ანალიზსა და ლოგიკურ აზროვნებას. მარჯვენა ნახევარსფერო პასუხს აგებს აბსტრაქტულ და ხატოვან აზროვნებაზე, ადამიანის მიდრეკილებაზე ხელოვნებისადმი.

P.S. კაცი კი (რა ნახევარსფერო ეყოფა) პასუხს აგებს მთელი კაცობრიობის ნინაშე!

* * *

ნინასნარმეტყველი ჩიტიშვილი გვპირდებოდა, 2008 ნელს ქვეყანა დალაგდებაო. ჩვენც კაი ჩიტები ვართ — როცა გვინდა, დაუჯერებელსაც ვიჯერებთ და როცა ფაქტი სახეზეა — პირს ვარიდებთ და სარკეშიც არ ვიყურებით!

„კაკრაზ", 2008 ნელს გავაფრინეთ!

* * *

ცნობილ ლოტბარსა და კაი პურის მჭამელ ქუთაისელ კაცს — ბიძინა ღოღობერიძეს, სახელგანთქმული ზესტაფონელი ბონდერის შვილის, ერთი გოგოსთვის ჯერ ნაჩხუბარი და მერე დაძმაკაცებული გივი კეთილაძის ქორნილში გავეცანი!

ნეტაი იმ დროს!

მე და ცხონებული ბოცო ჟორჟოლაძე (იშვიათი პირველი ხმა ჰქონდა!) ჩონგურივით ავეწყვეთ ამ საქვეყნოდ ცნობილ კოლორიტ კაცს, რომელზეც ქუთაისში დღემდე ყვებიან ათას ტყუილ-მართალს.

ჩვენი დრო — ადამიანებისა იყო, ახლა —მასებისაა!

* * *

მარგალიტის ნვიმა მანვიმს,
მოჟუჟუნობს ნვეთები...
მისეელდება ცრემლით ღანვი —
ფიქრის შემოფეთებიი.
იმერეთი გავიხსენოთ,
იმერეთის ამბები...
სიყვარულის სტრიქონებად
სანამ დაეილამბები!...

❖❖❖

ჭირი ადამიანის და ეს არავის უყვარს!

*ჟან პოლ სარტრი:*
ადამიანი თავისუფლებისათვის არის განწირული!

ამერიკაში კაცებს ქალები ინახავენ? საქართველოშიც ასეა დღეს!

გენდერულ განდონურობით რომ ვიყოთ ცოლეერხნორები — ცოლებს დავარქვათ ქმრები და ქმრებს კი დავარქვათ — ცოლები!

შხაპის მიღებამდე თქვენი ლოგინი (ჩილეს უახლესი პროდუქცია „ED"-ის დახმარებით) თავისით გადაიფერთხებს, განიავებს, გაფუმფულებს და ალაგებს. მთავარია, ლოგინზე თითის დაჭერა არ დაგვავიწყდეთ.

**P.S.** ეს მაინც ქნას ან შეგვახსენოს ცოლმა!

*კონსტანტინე გამსახურდია:*
თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშარებსა და მცონარებს.

* * *

„ნლო“

თავის დროზე ნამდვილ ვარსკვლავებად ითვლებოდნენ უცნაური არტისტები, რომლებიც მახინჯების ცირკის ჩაკეტილ სამყაროში ცხოვრობდნენ: გოლიათები, ჯუჯები, სიამის ტყუპები, სამფეხა და ქერეჭიანები, ბალნიანი, ეშვებიანი, სპილოსფეხებიანი ადამიანები. ისინი ოდითგანვე ცირკის არენაზე გამოდიოდნენ, მაყურებელს ართობდნენ და ამით დიდ ფულსაც შოულობდნენ. 1887 წელს აშშ-ში პოპულარული იყო ოჰაიოელი უზარმაზარტერფებიანი გლეხის გოგო.

ყველაზე პოპულარული სიამის ტყუპები იყვნენ. ძმებმა — ჩანგმა და ენგმა სიამი 1820 წელს დატოვეს და ამერიკაში გაემგზავრნენ. სიმახინჯის წყალობით ზღაპრულად გამდიდრდნენ. გარდა ამისა, ცირკმა მათ პოპულარობა მოუტანა, შეიძინეს რამდენიმე სახლი, პლანტაცია და ჰყავდათ უამრავი მსახური. ძმებმა დები შეირთეს და 22 შვილი შეეძინათ: ათი ჩანგის და თორმეტი — ენგის.

P.S.თბილისშიც იყო ერთი უხელებო კაცი — დადეშქელიანი. ცირკში გამოდიოდა. სასწაულებს აკეთებდა — ფეხით როიალზე უკრავდა; თოფით სანთელს აქრობდა... ფეხით ჩხუბობდა... (მგონი, ახალგაზრდობაში ჯიბგირობდა — ჯიბეზეც კი დადიოდა!), რას აღარ აკეთებდა!

საცირკოდ, სპეციალურადაც, ქირურგიული ჩარევით, ამახინჯებდნენ ადამიანებს, რომლებსაც კომპრაჩიკოსები ერქვათ!

* * *

ბოსნიელ ემილ ვეხაბოვიკს ეჭვის ჭია შეუჩნდა და აფიქრებინა, რომ როდესაც იგი გაღმა მხარეს, მარილზე გავიდოდა, ანუ გარდაიცვლებოდა, მას არავინ დაიტირებდა. ეს ეჭვები რომ გაექარწყლებინა, ერთ-ერთ ადგილობრივ დამკრძალავ ბიუროს, საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდის შემდეგ, საკუთარი გარდაცვალების მოწმობა დაამზადებინა და თან კუბოც შეუკვეთა, რომელშიც, ვითომ, თავად განისვენებდა.

ემირ ვეხაბოვიკმა ნაცნობ-მეგობრებსა და საკუთარ დედასაც კი თავისი „უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპვის“ ცნობა გაუგზავნა და „პანაშვიდზე“ მიიპატიჟა.

ცერცეტი და ეგოისტი ბოსნიელი დაკრძალვის ცერემონიას, თურმე, შორიდან უყურებდა და სხვების ტირილით ბედნიერი, სიხარულის ცრემლებით ტიროდა, როგორ ვყვარებივარ ამდენ ხალხსო!

P.S.ცრემლები ტირილსაც მოსდის და სიცილსაც!

* * *

რას არ მოიგონებს და რას არ გაიგონებს კაცი: ოპოზიციის წარმომადგენლებმა ისიც კი თქვეს, მერიაში ბაყაყებს ხოცავენ, რომ წვიმა ნამოვიდეს და მიტინგებს ხელი შეუშალოსო!

P.S.წვიმის მოყვანა თუ შეეძლოთ, ხალხის გამოყვანა გაუჭირდებოდათ?

---

*ვ. რომანოვი: დემოკრატია — ეს მეთოდია. როცა კარგად ორგანიზებული უმცირესობა მართავს ცუდად ორგანიზებულ უმრავლესობას (ჩვენთან, როგორც წესი, პირიქითაა!).*

*ოსკარ უაილდი: დემოკრატია ხალხის კეთილდღეობისთვის — ხალხის დახმარებით — ხალხის გასულელებაა!*

* * *

ვაჟა გავაშელი: აკაკი წერეთელს თავადაზნაურობამ სთხოვა, კენჭი ეყარა რუსეთის დუმაში, რაზეც ძლივს დაითანხმეს მგოსანი და საქმე საქმეზე რომ მიდგა, ხმები არ მისცეს და გააშავეს ერისკაცი (შავი ბიულეტენები ჩაუყარეს).

ილია ჭავჭავაძეს ტყვია ესროლეთ იმიტომ, რომ გამორჩეული ერისკაცი იყო (მე ერთმანეთს არავის ვადარებ). აკი, დიდი კონსტანტინეც ამბობდა: „ოდითგანვე აგრე მოგვდგამს ქართველებს. მუდამ ჩვენს სიმცირეს მივტიროდით, რადგან მტერი აურაცხელი გვყავდა მუდამ, მაგრამ დიდკაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები...“

მოსისხლე მტერმაც გვაქცია მტრადო!

„ქართველს — ქართველიც ეყოფა მტრადო!“

გაიხსენეთ, ვინ თქვა ეს?

* * *

დღეისათვის მსოფლიოში 8 ათასი იშვიათი და უცნაური დაავადებაა აღმოჩენილი, მათ შორისაა, პროგერიით — ნაადრევი სიბერის ავადმყოფობა. თანამედროვე მედიცინისათვის იშვიათი დაავადებების გამომწვევ მიზეზებსა და მათი მკურნალობის მეთოდებზე ცოტა რამ თუ არის ცნობილი. მკვლევართა მონაცემებით, მხოლოდ ევროპის ქვეყნებში, იშვიათი სენით შეპყრობილი 25 მლნ კაცი ცხოვრობს, ხოლო ყოველ ერთ კვირაში მეცნიერები 5 ახალ დაავადებას აღმოაჩენენ-ხოლმე. გასული წლიდან ევროპა უცნაური დაავადებების დღესაც კი აღნიშნავს და ამისთვის ყველაზე იშვიათი კალენდარული დღე — 29 თებერვალი შეირჩა.

P.S.ალბათ, აქაც კი არაა გათვალისწინებულ-ათვალისწუნებული ერთი, დღეს ჩვენში ფრიად გავრცელებული სენი — კარგადმყოფობის ავადმყოფობა! ანუ ფუფუნომანია!

* * *

„სოვეტაკან ერასტანის“ ყოფილ რედაქტორს, ჩემს ძველ ნაცნობს ვავ ბაიბურთს უთქვამს: იცით, როგორ მინდა კარგი ცხოვრებაო?..

ვა, უნდა და რა ქნას?

*დემოკრიტე: ჩვენ ბევრ რამეში ცხოველთა და ფრინველთა შეგირდები ვართ. ქსოვა ობობასაგან ვისწავლეთ. სახლის შენება — მერცხლებისაგან. სიმღერა — მგალობელ ფრინველთაგან.*

*პაინე: წიგნები აგროვებენ ადამიანის აზროვნების მარგალიტებს და გადასცემენ შემდეგ თაობებს.*

*ორიოლ-რეშკას მაღლა ავაგდებთ და ვმარჩიელობთ... რა გზას დავადგეთ!*

*ყველა მისას მიიღებს — საკუთარ მისაგებელს — ცეზარიც თუ კაცებიც — თავის პასუხს აგებენ!*

*აფრიკელებს თუ არა, აფრაკებს ხომ ვუქმნით — კავკასიელ ლათინოსებს — თეთრკანიან ზანგებს. ჰოდა, შეურაცხყოფა, ამ ხალხისთვის არის. უპასუხისმგებლობა... პასუხს თვითონ აგებს!*

*~~ზაალ კასრელიძე (კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე):~~ უკანასკნელი მოვლენები ცხადყოფს, რომ კავკასიაში ვითარება იცვლება. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ჩრდილოკავკასიელების მიერ უპირობო ლი-*

* * *

ვისი რა ვალში ვართ!

ველოსიპედის გამოგონება არ გვჭირდება, რადგან იგი, არც მეტი, არც ნაკლები — ლეონარდო და ვინჩმა გამოიგონა! აი, თბილისური საბავშვო „სამოკატკები" კი თვითონ თბილისელმა ბავშვებმა გამოვიგონეთ!

ტოტალიზატორი — ანა სტიუარტის გამოგონილია!

გილიოტინა — ჟოზეფ გიოტენს შემოულია!

უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა? მახსენდება, რა თქვა ყულფში თავის გაყოფის წინ ფრანსუა ვიიონმა: ხვალ გაიგებს ჩემი თავი, რას იწონის ჩემი ტრაკიო!

ასანთი (1826წ.) სემუელ ჯონსის მოგონილია (მცირე ასაკისა და კარგა ხნის ბავშვებს... ცეცხლთან ნუ მიუშვებთო!).

შამპანური პირველად ჩამოუსხამს ნიკოლ კლიკოს!

(ტყვიის ჭექა-ქუხილს — მისი ბათქა-ბუთქი ჯობია!)

საკერავი მანქანა შექმნა ერნესტ გაუმ და ისაკ ზინგერმა, რომლებიც, თითქმის, ერთ დროს (1845-1851წლებში) წავიდნენ ამ წუთისოფლიდან (რაც მკერავმა ქალმა — დედაჩემმა წემსისა და საკერავი მანქანების მომგონებლები წყევლა, ან იქამდე რამ აცოცხლათ!)

ახლა, კოკა-კოლას მომგონს — ჯონ პემბერტონს ემუქრება მშობლების წყევლა, თუ უკვე არაა გაღმა გასული!...

რაღა ჩაილურისა და რაღა კოკა-კოლა, პეპსი-კოლა თუ საშა და კოლა!

* * *

იქნებ ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს, რომ ამასწინათ, ნაციონალურმა ტელევიზიებმა ღამის პირველ „ნიუსად" გაუშვეს: სადღაც, ევროპაში, გეების კონკურსზე, ქართველი პედერასტის გია ბარამიას გამარჯვების „სასიხარულო", „საამაყო" და საზარელი ამბავი!

## *საახალწლო*

მობრძანდით, გელით გაშლილი ხელით —
კეთილი გულით, პურით და ყველით,
წარსულში ცქერით, მომაელის მზერით,
სიყრმის მზის მწეელით და ბედისწერით!

* * *

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ქრონიკიდან თითქმის ყველაფერი მახსოვს და ორი ეპიზოდი... განსაკუთრებით!

პოლიციის პოლკოვნიკმა ჭელიძემ, ოსებთან პირველი შეტაკების დროს თქვა: ვერ გავაგებინე ამ ხალხს, რომ ჩვენ მტრები არ ვართ... და ტყვიებს ჰაერში ვისვრიო!

...5.07.1993. სოხუმზე შეტევის დროს, ერთ ცალფეხა, ყავარჯნიან ბიჭს ტელეკორესპონდენტმა უთხრა: ფრონტისკენ როგორ იქაჩები და მიგინევს გული ცალფეხა კაცს?.. რომ დაგჭირდეს, როგორ უნდა გაიქცეო? — გაქცევას არც ვაპირებო! — უპასუხა.

* * *

პრეზიდენტი რომ გახდა, ზვიადს რეზიდენციად „პიონერთა და მოსწავლეთა სახლი" შესთავაზეს იმ... ვითომ გულშემატკივრებმა.

— თქვენ ხომ არ გაგიჟებულხართ, ბავშვებს ქუჩაში გავყრი და მათ სახლში ვიცხოვრებ, ეგ რამ გაფიქრებინათო? — უთხრა ზვიადმა.

P.S. სამაგიეროდ, იმ სახლის... თუ სასახლის ნერწყვმა ბევრი დაახრჩო!

* * *

ნოდარ კოჭლავაშვილი:

უდიდესი გამომგონებლის, თომას ედისონის შეხედულება სულზე და შამანთა იდეა, იდენტურია! მეცნიერი, თანამედროვეთა ცნობით, უცნაური პიროვნება იყო. ამტკიცებდა, საიქიო სულაც არ არის შორს... მივხვდი, რომ სიკვდილის შემდეგაც შეგვიძლია მატერიაზე ზემოქმედება და ძნელი არ არის იმგვარი ინსტრუმენტის შექმნა, რომლის საშუალებითაც საიქიოდანაც გავუზიარებთ სააქაოს დარჩენილ ახლობლებს ჩვენს შეხედულებებსო.

P.S.საინტერესოა: საიქიოში რას ეძახიან სააქაოს? დაუკვირდით, მარტო ამ სიტყვაში რა ქაოსია!

* * *

ღმერთის ნება იყოს ჩვენი სურვილი, რომ ღმერთმა გადადგას ჩვენში ყოველი სამკვდრო-სასიცოცხლო ნაბიჯი!

ესაა ჩემი ნატვრა!

ბევრი კი ღმერთს ვერ უბედავს, მაგრამ, კაცს, პირში თუ არა, გულში ეუბნება: „ჩემი ნება იყოს შენი სურვილიო!" მხოლოდ ღმერთების ენას შეუძლია, ერთ სტრიქონში ჩაიტიოს მთელი ეს ქრისტიანული მორალი!

კაცსა და ღმერთს განგეასხვავებს თუკი რამ —
ერთმანეთზე ბატონობის წყურვილი.
უსამართლო სამართალი თუ გინდა —
შენი ნება იყოს... ჩემი სურვილი!
არ ჯობია: მე შენს გულში ვიჯდე და
სიყვარულით შევცვალო სიძულვილი?...
ვბედავ, რადგან უკეთეს გზას ვერ ვხედავ:
შენი ნება იყოს... ჩემი სურვილი!
ღმერთსა და კაცს განასხვავებს თუკი რამ —
ნებასა და სურვილს შორის წყურვილი.
„ქმნა მართლისა სიმართლისა" თუ გინდა —
უფლის ნება იყოს — შენი სურვილი!
სხვას რა უთქვამს, მე რას ვიტყვი ახალსა:
რაც შენ გსურდეს — ღმერთს ენებოს მაღალსა!

დერად აღიარებს მიანიშნებს, რომ კავკასიელთა ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამას დაემატა ისიც, რომ ჩრდილოკავკასიელთა სათვისტომოების ლიდერებისათვის ევროპის კარი გაიღო. რა როლი აქვს ამ ყველაფერში საქართველოს და როგორ გადაწყდება კავკასიის ბედი. ამასთან დაკავშირებით საკეთარ პროგნოზს გვთავაზობს ჩეჩნური დიასპორის ხელმძღვანელი ევროპაში.

საიდ ხაჩიევი:

დღეს ევროპაში ძალას იკრებს ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ძლიერი გაერთიანება. გაერთიანებას 200 000 ჩეჩენის. ათიათასობით დაღესტნელისაგან შედგება. ახლა მათ რიგებს ინგუშებიც ემატებიან. ეს არის ძალა, რომელსაც სამომავლოდ ევროპელები დაეყრდნობიან კავკასიაში. მაგრამ, ისევ და ისევ, სად არის საქართველო?

**P.S.** საქართველო... თვითონ ეძებს საქართველოს!

ნიკო ნიკოლაძეს აქვს ნათქვამი: კაცობრიობას არაფერი მოუგონებია ამაზე უფრო ცუბილი

## ლირიკული
## ექსპერიმენტ... ციფრ-ასო-რტიმენტი!

„ბუნება ლაპარაკობს მათემატიკის ენით“ —
და საიქმელს ამბობს იგი ციფრ-ბგერით! —
ბრძანა გალილეო გალილეიმ.
განა, ლინგვისტიკის საწყენად!...
ქართულში უამრავი საიდუმლო მარხიაო —
იოანე ზოსიმემ... აგერ როდის დაწერა!
ლირიკულ-არითმეტიკულ, ასო-ციფრულ თამაშში...
ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეც ვრწმუნდები ამაში:
სიტყვებში, ციფრებში, ბგერებში, რიცხვებში,
1-ურთის ქებაში, ურთი-1 კიცხვებში!...
სიტყვაა, პასუხი, რითმი თუ რიტმია —
ან სიტყვით, ან ციფრით უტყვესაც კი იტყვიან.
კაცია და გუნება — გუნება და კაცია...
გინდა მეტაფრასტია — გინდ ვერსიფიკაცია!...
რაც გინდათ, ის დაარქვით ამ ლინგვისტურ პერიმეტრს —
რიცხვების და სიტყვების „სეტყვის“ ექსპერიმენტს!...
უ(1)...ობოდ ე(1)ობით — ულმ(1)ობით გეიჭირს —
ეს (3-4)ე ვერ მამ(7)ებს გა(20)ების ნიჭით!
ურთი(1)თა გალ(2)ებით გამი(3)და ყური —
(4)ით დავალ და(4)ილი, მე(5)ება სული!
6-იანი უკუღმა ხომ 9-იანია ნაღდი...
ხან წაღმა ხარ — ხან უკუღმა, ფულით გამილაღდი.
7-იანი მ(7) არი, 8 კი მიშლის ნე(8)ებს —
9 რომ თავზე დაგადგება, მოგანატრებს მე-8-ს!

...აგერ, კარის მეზობელმაც (პროფესორმა ალიკო ცინცაძემ) წამაშველა სიტყვა! ტკინიკოსი კაცია და მისი პირით ითქვა: თუ ყინვიდან — დუღილამდე 0 დანა 100-ია... მიტომ ჰქვია ყი(0) ნული, მდუღარეს კი (100)ია!

P.S. *ასე და ამრიგად!*
ციფრების „გრამატიკით“,
ასოთა „ართმეტიკით“,
ამდენი მიქა(8)ებით...
გეიდგას ფიქრის კა(8)ები!

* * *

სიცოცხლის აზრს როს ვერ ხედებიან,
მაშინ უცოდველნიც ცდებიან!
კაცნი სიცოცხლეში კვდებიან —
სიცოცხლის აზრს როს ვერ წვდებიან.
ქარები ქარებს ეხლებიან —
ორპირში... სანთლებიც ქრებიან,
დასასრულს სხვა რაღა კლებია —
ხენი ზეზეურად ხმებიან!

---

*რ. ნიბური: ადამიანების მიერ კანონების გვერდის ავლის მიდრეკილება აუცილებელს ხდის... დემოკრატიას.*

* * *

დიდება ქართულ ჯიშ-ჯილაგს,
ქებათა-ქება ეიანარქებს.
ყველა სათავეს, მეტ-ნაკლებ,
გენის გენს ეინა და რიოი არგებს!
...კახოს-კუხოსი, მცხეთოსი,
თარგამოსია და ქართლოსი,
დიდი ქართული ეიანოსი,
ქაოსი — სააქაოსი!

* * *

**1982 წლის 12 დეკემბერს დაიბადა ჩემი პირველი შეილიშეილი, ანუ მეორე გიზო ნიშნიანიძე;**
**1994 წლის 26 აპრილს — დავითი (დათო);**
**2000 წლის 23 ივლისს — დიმიტრი;**
**2002 წლის 7 ივნისს — ელენე;**
**2005 წლის 3 ივნისს — ანნა;**
**2009 წლის 5 ივნისს გაჩნდა მარია...**

აეე მარია!
...ეღელავე ძალიან —
რეკავს ზარია —
გაჩნდა მარია —
გაგეიხარია!
გენის ვალია —
ნატვრის თვალია
კარგი დარია...
აეე მარია!
ბედნიერების ნიაღვარია!
გიზო —
დავითი — გაგიხარია!
დიმიტრი —
ლენა —
ანნა —
მარია —
აეე მარია! აეე მარია!..
ეს ჩემი უკვდავების და
ჩემი სამოთხის კარია!
ანნა — მარია — ელენე —
დიმიტრი — დათო — და გიზო —
ღმერთმა ინებოს, რომ მათში
მეორედ მოსვლა მაღირსოს!

* * *

თვითონ ხალხი იყო ჯარი!
ყეელა კაცი — ჯარისკაცი!
კაცზე ქუდი არის, მაგრამ —
ქუდზე კაცი აღარ არი!

*რამ, ვიდრე ქალის კორსეტის ნელ-ნელა ჩახსნა.*

*მოქკავშირი — მონკავშირად, ანუ თანამდებობებზე მონადირეთა და მონათა კავშირად იქცა!*

*მარინე ოზილელი იხსენებდა, თეატრის ფოიეში „კაცია-ადამიანის" და „რიჩარდის" სურათები ერთდროულად, თავისით ჩამოცვივდა... სწორედ იმ დროს ვასო გარდაცვლილა.*

*ვერიკო ანჯაფარიძე, შვილის სიკვდილის შემდეგ, ახალი გამოსული იყო თეატრში. მოთქმით დასტიროდა ვასოს ცხედარს: ყველა მე რატომ უნდა დავიტიროთო...*

*ვასო ხშირად ამბობდა, კუკიაზე დამასაფლავეთ, დედაჩემთან, ანდერძშიც ეწერა... მაგრამ ანდერძი დაიკარგა. ვასო გოძიაშვილი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს...*

*<u>რეზო მატაკოშვილი:</u>*

*„ნატა ვაჩნაძის სახე არის სახე მეტერლინკის ზღაპ-*

* * *

ეს ჩემი ფოლიანტი — ნათელი თუ წყვდიადი —
ჩემი სიყრმის მზე-რაა... ჩემი ბედის წერაა!
გულით რაც მიწერია, ჭკუით რაც მიმიგნია —
საწერი მაგიდა თუ სამაგიდე წიგნია!
ჩემს გულში ჩაგახედე — შენს გულში ჩავიხედე —
ისე გაეითაეხედე — თვალს ეუსწორებ ამ ხედებს...
ეს ხედები ხიდებად ექნება შთამომავალს —
მამის კვალზე მიმავალს — თავის კვალზე მომავალს!
გადაშალე გულიერით — გიყურებ და მიყურე.
წიგნი მეგობარია,
მეგულე და... მიგულე!

* * *

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე... მთელი ცხოვრება მოვუნდი ამის თქმას!

ვინ იცის, რას, როდის და როგორ გიკარნახებს ცხოვრება და რას, როდის და როგორ დაგანერინებს მას ბედი-მწერალი!

* * *

ნუთისოფელი ბრმა არის! ნუთისოფელი ყრუ არის! ნუთისოფელი მრუდეა, ნუთისოფელი ცრუ არის!... ნუთისოფელი მოკლეა, ნუთისოფელი ჭრელია, ნუთისოფელი ფლიდია, ნუთისოფელი ძნელია... ნუთისოფელი ტკბილია, ნუთისოფელი ლხინია, ზოგჯერ სიმწრისგან ვიცინით, ზოგჯერ სიცილით ტირიან. ჩვენ რომ სხვას ჭირი მოვჭამეთ, სხვამ ჩვენ მოგვჭამა ჭირია, ვისთვისაც ჭირი სხვისია და, თანაც, „ღობეს ჩხირია"... ორშაბათიან-კვირიან სიცოცხლეშივე ტირიან. ნახევარია ღვიძილი, ნახევარია ძილია. ნუთიც არ არის სოფელი, ვისათვის ის ძილ-ღვიძილია! ნუთისოფელი დიდია, თუ კაცი ტვირთის მზიდია... დროსაც ფეხებზე ჰკიდიხარ, შენც თუ ფეხებზე გკიდია!

* * *

ანტიბიოტიკს წაავგავსო სიმწრით სიცილი —
ბაქტერიებსა ვინ ებრძვისო ხიცინ-ხიცინით!
წამხდარ საქმესა ვეღარ შველის ტირილ-ყვირილი,
ამბიციებსაც ვინ მკურნალობს ამბიცილინით?

---

*ივანე ჯავახიშვილი: „კარგი ყარ, იმას ნუ იტყვი. თავს ნუ დაუწყებ ქებასა. კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასა."*

*ბირსი: დიპლომატია პატრიოტული ხელოვნებაა, მოიტყუო საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.*

*ადამიანს ენის ამოსადგმელად 2 წელი სჭირდება, 60 წელი კი — ენაზე კბილის დასაჭერად.*

* * *

ასაეალი — დასავალი,
აქეთური — იქეთური,
მოსაეალი — გასაეალი...
ქებაცა და საყეედურიც!
აეი — კარგი, თეთრი — შაეი —
ოინით და დაეა დაეით —
ხელის ჭუჭყი — ხელის ქაეილს —
თეთრი ყვაეის შილა-ფლაეი!
დროა ხელწამოსაკრავი...
თაეად დროა დღეს საკლავი!

* * *

ბოგი კაცი სიტყვასა —
ტყეიასავით გესერის!
მათი, გულის კი არა —
ფეხის ხმაც კი მესმის.

* * *

რაა წუთისოფელი?
თვალის დახამხამება —
წუთი-წუთის-საწუთრო,
წამი-წამის-წამება!

* * *

ნიშნიანიძე გიზოს
მთელი ცხოვრება, ნიშნაეს...
ამ ორი ნიშნის ჯამსა —
კითხვა-ძახილის ნიშანს!

* * *

რაღა ძველი „კგბ“ და
რაღა ჩეენი „შსს“ —
თუმც, რაღაცით წააგავდა —
ეს სსრ — უსუსურს!

* * *

ამ სიბრძნისა და სიცრუის ნამრაელს,
ეერ მოეუგონე ამ წიგნს სხეა აბრა.
ამიტომ ვარქეი მას აბდაუბდა,
აჯაფსანდალი, აბრაკადაბრა!

* * *

აი, ჩეენებური „კაცი და გუნება“ —
გულის აცრუება, ყურის წაყრუება.
თაეის მოტყუება, თვალის მოტყუება —
„ყოლისფრის“ თუმც, არა... „კუჭის მოტყუება“!

რისასი ანდა ჰოლ-
ადანის ნაყალიასი —
აქ არის ზეციური
სიმშვიდე და ან-
გელოსის სისადავე.
ასეთი თვალები აქვს
ქართულ ფრესკებზე
ღვთისმშობელს, რო-
მელსაც წასვლია
სალებავი და რომ-
ლის თვალები დახ-
ვრეტილია მონგოლ-
თა, ოსმალთა თუ
ლეკთა ტყვიით“ —
ამბობდა ტიციან
ტაბიძე.

„იშვიათი სახის,
შეუპოვარი სის-
პეტაკის და კდემა-
მოსილების ტალან-
ტი... უყვარდა სა-
ქართველოს მიწა
და, საერთოდ, მთ-
ელ დედამიწას“, —
ამბობდა ბორის პას-
ტერნაკი.

<u>ერიკ ჰოფერი:</u>
ჩვენ ვიმყოფებით
ვირთხების გა-
რემოცვაში, ე.ი.
გემი ჯერ არ იძირე-
ბა!

ამჯერად, სწორედ
ის ეპოქა გვინდა
გვახსენოთ, როცა
ურთიერთქიშპით
და შუღლით ქარ-
თველებმა ქვეყნის
ერთიანობას ბოლო
საკუთარი ხელით
მოუღეს და ერთიანი
საქართველო სამ
სამეფოდ და ხუთ
სამთავროდ დააქუც-
მაცეს.

* * *

ნათქვამია, ჭკვიანი ძნელად იწყებს, სულელი ძნელად ამთავრებსო. მე კი ორივე გამიჭირდა. თუმცა, მეორე ნახევარის ვექტორი, მგონი, მთლად ჭკუისკენ ვერაა გადახრილი!

* * *

აინშტაინი: „კაცობრიობას სჭირდება ერთი სკამი, რომ დაჯდეს და დაფიქრდეს!"

* * *

„ყველაფერს ეშინია დროის. დროს კი ეშინია პირამიდების!" — ნათქვამია ეგვიპტის პირამიდებზე.

* * *

მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე, ადრე, ჯონი ნიჟარაძის შვილიშვილი იყო. ახლა, ჯონია მისი ბაბუა! ასე, დრონი მეფობენო! ვის ვისით და ვისთან ვის ახსენებენ!

ქართული კონიაკივით მაგარი იყო ნიჟარაძეების ოჯახი. ვარსკვლავებს ვერ დაუთვლიდი. 2 პოლკოვნიკი ცხოვრობდა აქ — მამა და შვილი. ჯონი შსს „ასობი ინსპექციის" უფროსი იყო.

ვალოდია ბიძია რკინიგზაზე მუშაობდა. კარლია და ხელგაშლილი ოჯახი ჰქონდათ. ყველაზე „კაშკაშა" ვარსკვლავი კი მაინც „პიტუ" — ტანმორჩილი და თქვენი მონა-მორჩილი გივი ნიჟარაძე იყო, ურომლისოდაც ერთი დღე ვერ ვძლებდით.

ერთ, ნინალამის ნაბახუსარ დღეს, ხაშზე... დაგვპატიჟეს, დაგვიძახეს და წამოგვყარეს ლოგინებიდან.

ეიცი თქვენი ხვაში ადი —

წამოდუღდა ხაში... ადე!-ო.

ალიონზე შემოგვიძახა პიტუმ და ისეთი სიურპრიზი დაგვახვედრა, რომ დღემდე გვახსოვს — ეს იყო „სიურეალიზმის" გაკვეთილი — ცირკის ცნობილ კლოუნს ოლეგ პოპოვს (გასტროლებზე იყო თბილისში) ყირა ჰქონდა გაჭიმული და უკუღმა გვიცინოდა!

ჩვენ კიდევ აყირავება და გადარევა გვაკლდა?! ადგილზე გავიყინეთ: და კინაღამ სისხლი გაგვეყინა. ყველას გვეგონა, რომ ამდენი ქეიფებისა და „თავსხმა" სმის შემდეგ... ჰალუცინაციები დაგვეწყო!

ჩვენი გამოთაყვანებით გული რომ იჯერეს, ოლეგ პოპოვი საწყის მდგომარეობაში დაბრუნდა და ეს ამდენი „ფეხებზე დაკიდებული" ხალხი... ხაშით მოგვასულიერეს!

---

*მაკმილანი: კარგ დიპლომატს ყოველთვის ახსოვს, რომ... უნდა დაიყიწყოს.*

*სენეკა ლუციუს ანეუსი: დედამიწიდან ვარსკვლავებამდე სავალი გზა... გზატკეცილი არ არის.*

* * *

არისხებენ რისხეის ზარებს,
კისკის ტყვიებს ეესერით ხალხს...
დედამიწა უზანზარებს —
ათას ძაღლს და მამაძაღლს!

## სამახსოვრო ჩანაწერები!

ქართული ანბანის შექმნის შესახებ, ძველ ნერილობით წყაროებში, ორი ცნობაა დაცული.

XI ს. ცნობილი მოღავნის ლეონტი მროველის დანერილ თუ გადანერილ „ქართლის ცხოვრებაში" ნათქვამია: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართულისა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული."

მეორე ცნობა! (V ს. სომეხი ისტორიკოსის კორიუნის თხზულებაში „მაშტოცის ცხოვრება"). მისი ცნობით, მაშტოცმა 361-440წწ. შექმნა სომხური დამნერლობა და მანვე გამოიგონა ქართული და ალბანური დამნერლობები. ქრისტეს საყვარელმა (მაშტოცმა) იზრუნა, აგრეთვე, ბარბაროს ქვეყანაზედაც. და იგი შეუდგა იბერიული (ქართული) ენის დამნერლობის შექმნას. ა? როგორია?

ივანე ჯავახიშვილმა დამაჯერებლად უარყო ეს ფაქტი და დაამტკიცა, რომ ეს ცნობა მერმინდელი ჩანართია.

მაშტოცმა ქართული არც იცოდა.

ქართულ ანბანს საფუძვლად უდევს ფინიკიურ-არამეული. ჯავახიშვილი თვლის, რომ ქართული დამნერლობა შექმნილია არა უგვიანეს VII ს. ჩვ.წ.აღ.-მდე.

ფინიკიური ანბანიდან მომდინარედ თვლის ქართულ ანბანს ჩემი კლასელი რამაზ პატარიძეც, რომელიც ქართულ დამნერლობას ჩვ.წ.-მდე VIს. ათარიღებს.

აკადემიკოსი გ. ნერეთელი ფიქრობდა, რომ ქართული დამნერლობა მომდინარეობს არამეულიდან.

ქართული ანბანის ის სახეობა, რომელიც ჩვენამდეა მოღნეული, გენეტიკურად ბერძნულს უკავშირდება .

არმაზის ბილინგვა მოგვითხრობს იბერიის სამეფო კარის ამბავს ბერძნულად და არამეულად, მაგრამ არა ქართულად.

ძველი აღქმის პირველსავე წიგნშია (მეორენაირად „შესაქმეთა" წიგნი ჰქვია) აღწერილი,

ბრედ პიტი მთელ მსოფლიოში ულვაშების პროპაგანდას ეწევა. აგერ, ბატონო, მას მიმდევარი, ასევე ცნობილი და პოპულარული მსახიობი ჯორჯ კლუნი გამოუჩნდა, რომელმაც თავის მეგობარს და კოლეგას მიბაძა.

— რატომაც არა? ვითომ რა არის ცუდი ულვაშებში? პირიქით, ეს მამაკაცობას გვმატებს და უფრო მომხიბვლელადაც გამოვიყურებით, — ამბობს კლუნი და ულვაშებზე ისვამს ხელებს.

სხვათა შორის, ბრედ პიტიც და ჯორჯ კლუნიც ის ვარსკვლავები არიან, რომლებიც ერთი სქესის ადამიანების ქორწილის დაკანონებას ითხოვენ და ახლა გამოდიან და ამტკიცებენ, კაცობას ულვაშები გვმატებსო.

**P.S.** ამ „ულვაშებიანმა" ამბავმა ერთი წვეროსიანი ამბავი გამახსენა: ჩემი ცოლის ბაბუას, გურიაში ცნობილ ულვაშებიან „კაძახს" არსენ კვქაყმაძეს ვიღაცა „ახალგამომცხვარმა" მაყურით უთხრა: ბაბუ, ქორწილში მივდივარ და

როგორ გაჩნდა ეს ქვეყანა.

რელიგია რწმენას ითხოვს და არა რწმუნებებს! (გ.ნ.)

ბიბლია აისახა „ვეფხისტყაოსანშიც".

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა"...

## მოძღვრება ადამიანზე!

ამ ქვეყნად მხოლოდ ადამიანშია ორი საწყისი — ღვთაებრივიც და მიწიერიც. თვალი სულის სარკმელიაო. ადამიანის ოთხი უმთავრესი ღირსებაა: სიკეთე, სიბრძნე, სიყვარული, მშვენიერება.

რაა ჭეშმარიტი ბედნიერება? ყველა ეპოქამ ამ კითხვას სხვადასხვანაირად გასცა პასუხი. ხან ბრძოლაა ბედნიერება, ხან — სიმშვიდე, ხან — სიბრძნის სიყვარული, ხან — შრომა. რომანტიკოსები თვლიდნენ, რომ ბედნიერებაა დაუსრულებელი სწრაფვა ბედნიერებისაკენ.

„შენ ხარ ვენახია" — ქართული „ავე მარია!"

„ამაღლებულის ესთეტიკამ მიიყვანა ქართული ჰიმნოგრაფია ფორმით პროზაულ ლირიკამდე. დიდი ნილი ჩვენი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობისა სწორედ პროზის ფორმითაა დაწერილი... პოეზიაში გაბატონდა აზრი, რომელსაც შეეწირა ფორმა.

ვერლიბრი — თავისუფალი ლექსი, უსაზომოდ, უწყობილსიტყვოდ.

სიმბოლისტური პოეზიის პრინციპი: „მუსიკა, უპირველეს ყოვლისა!"

გალაკტიონი: „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი."

რუსთაველი: „შაირობა, პირველადვე, სიბრძნისაა ერთი დარგი..."

ქართული სიმღერა სამხმიანია. პირველი ხმაა მზახრი (მოძახილი), მეორე — ჟირი, მესამე — ბამიო.

ამშვენებს მაღალ ამბიონს — ლოცვა-კურთხევის ნამიო!
მზახრი, ჟირი და ბამიო... სამი ხმა-სიმი სამიო!

ტაძარში პატრონიკედან ხმა საკურთხევლისკენ მიდის, მერე გუმბათამდე აღწევს და დაბლა ეშვება. ასეთი რეზონანსი ბგერას სასურველ ხანგრძლივობას ანიჭებს.

დავით აღმაშენებელი („გალობანი სინანულისანი")
რომლისაცა წინაშე
ქედდრეკილ არს ყოველი,
მუხლი ყოველი მოდრკების და ენა ყოველი
შენსა ხმობს აღსარებასა...
მეცა, სიტყუაო,
აღმსარებელსა მომხედენ!

* * *

ვაი, თქვენდა, მწიგნობარნო, ფარისეველნო და თვალთმაქცნო". (მათე, 23,13)

რომელნიც სიყალბით აღამებთ და სიცრუით ათენებთ!

---

*ონორე დე ბალზაკი: დიდება არ არის მომგებიანი საქონელი – ძვირი ღირს და ცუდად ინახება.*

*ანა ახმატოვა: მიწიერი დიდება კვამლივითაა (ბოლავს).*

* * *

ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი: 45 ქვეყანას შორის, ნიჭიერების თვალსაზრისით, ბოლოდან მეცხრე ადგილზე ვართ.

P.S. ბოლოდან ათვლით უფრო კარგად გამოვიყურებით!

* * *

ჩვენს დროს სულ ოთხად-ოთხი მამათმავალი იყო ქალაქში და ისინიც სულ „დაოთხილები" დადიოდნენ თბილისში, რომ არც ქალაქი და არც საკუთარი თავი არ ჩაეყენებინათ უხერხულ მდგომარეობაში.

ახლანდელი პედერასტები კი „გვეზდრასტებიან", ლამისაა, გეიპარადების მოწყობით გვემუქრებიან და საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებებით... გვამარცხებენ!

* * *

რა გუნებაზე დადგებოდით, თქვენი ქალაქის ქუჩები მონსტრებით რომ ავსებულიყო? თითქოს, საშინელებათა ფილმებიდან გადმოვიდნენო — პირსისხლიანი კაციჭამიები, ვამპირები, მკვლელები და ათასი ჯურის საშინელებები შებინდებისას ქალაქს მოედებიან, ყოველი კუთხე-კუნჭულიდან თუ სარდაფებიდან გამოჩნდებიან, კანალიზაციის მილებიდან მოძვრებიან... ამას ვინ დაეძებს? გაცოცხლებული მიცვალებულები ხომ თავზარს სცემენ ყველას, სისხლსა და მიწაში ამოთხვრილები, ჭრილობებითა და გვამური ლაქებით აჭრელებულნი მიიზლაზნებიან, გამვლელებს ისე უყურებენ, თითქოს მათთან ჩახუტება უნდათ... რა არის ეს, ავადმყოფური ბოდვა თუ სინამდვილე? სამწუხაროდ, რეალობაა. „ზომბების" ასეთი მარშები კანადასა და აშშ-ის ბევრ ქალაქში ეწყობა.

„ნლო"

P.S. უზომო ზომბირების მცდელობებს უკვე სად არ ვაწყდებით!

* * *

**ლაო-ძი:**

სიცოცხლეს ცამეტი საფეხური აქვს.
სიკვდილსაც ცამეტი საფეხური აქვს.
კაცობრივი სიცოცხლის საფეხურებიც —
ნიადაგ რომ სიკვდილს შეერთვის:
ცამეტია.

P.S.ამიტომაა, რომ მე ცამეტი თარს რიცხვად არ მე-ცა-მეტება! (სხვა თუ არაფერი, ამქვეყნად ჩემი მოსვლის დღეც 13-ია!)

შენი ულვაშები მათ-ხუჯეო! თავის სიცოცხლეში პირველად უთქვამს უარი მეზობლისთვის: ახალგაზრდებმა ქაქის ჭამა იცით და და-მისვრით!

ყურნალი „ნლო":
რქიანი ადამიანები დღესაც ბლომად არიან. ერთ პოლონელ 76 წლის დედაბერს 16 სმ-იანი რქა მოაჭრეს. 95 წლის ჩინელ ჩაოს, რქა, შუბლზე გაჩენილი ხალისაგან განუვითარდა, სამ წლიწადში 10 სმ-მდე გაიზარდა.

თანამედროვე ამერიკელი ახალგაზრდები მზად არიან, რქა თავის ქალაზე ან შუბლზე მიიხრახნონ. მშობლები შეძრწუნებულები არიან, ექიმები ექსტრავაგანტურ ახალგაზრდებს აფრთხილებენ — მსგავსმა ცდებმა შეიძლება გონებასუსტობა გამოიწვიოს. მაგრამ დასავლეთში რქებჩახრახნილი ახალგაზრდების რიცხვი მაინც მატულობს.

**P.S.** „რქიანების" ყველაზე დიდ მოსავალში მაინც ვერავინ შეგვეცილება! ჯერ კიდევ რუსთაველი ლაპარაკობ-

* * *

ასტრონომებს დედამიწის მსგავსი ეგზოპლანეტა აღმოუჩენიათ. აბა ახლა ის გაგვიჩენს ახალ თავსატეხს!

P.S. ისევ ამ „რაშა-ორერას" იმედზე ვარ: „მაღლა ცაში ავფრინდები, გადმოვხედავ ქვეყანას, მაგრამ ვერსად ვერ შევხვდები... ჩემი სამშობლოსთანას..."

* * *

პიმ ვან ლომელის სამეცნიერი ჯგუფის წევრებმა 10 საავადმყოფოში 344 პაციენტი კომიდან გამოსვლისთანავე გამოჰკითხეს. მათგან მხოლოდ 62-მა (18%) უამბო ნანახი და განცდილი — სხეულიდან გამოვედით და გარშემო რაც ხდებოდა, ყველაფერი დავინახეთო. სხეულში ყველა ერთნაირად ბრუნდება ძაბრისებრი ხვრელით, რომელმაც სული უსულო სხეულში შეისრუტა.

აღსანიშნავია, რომ ბრმების შთაბეჭდილებები არაფრით განსხვავდება თვალხილულთაგან. 55%-მა დადებითი ემოცია განიცადა, 50%-მა თავისი სიკვდილი შეიგრძნო, 32% ადრე გარდაცვლილებს შეხვდა, 31% გვირაბში გავიდა, 29%-მა ვარსკვლავებიანი ცა დაინახა, 24% საკუთარ თავს ხედავდა გვერდიდან, 23% — კაშკაშა სინათლეს, 13%-მა განვლილი ცხოვრების გაელვება დააფიქსირა, 8%-მა ცოცხალთა და გარდაცვლილთა სამყაროების საზღვარი დაინახა. უსიამოვნო და საშიში შთაბეჭდილებების შესახებ არავინ ჰყვება.

P.S.სიკვდილში, ასე ვთქვათ, ცალი თვალით მეც ჩამიხედია, როცა, თბილისის ომის დროს, ბრმა ტყვიამოხვედრილი, ღრმა ნარკოზში ვიყავი. ერთი შეხედვით, საიქიო მართლაც არ ტოვებს სააქაოზე უფრო ცუდ შთაბეჭდილებას!

და, მაინც, სიკვდილზე კარგის მთქმელი იშვიათად მინახავს კაცი. ზაურ ბოლქვაძე გაღმა გასულებს ასეთ იმედს უტოვებს: შენ ჩემთვის როგორ არა ხარ... მე აღარა ვარ შენთვისო! ასეთი ჭირისუფლის „აღარაობას" ვინ დაიჯერებს?! ნოდარ გურეშიძემ უსაქართველოდ საფლავშიც ვერ გაიმეტა ქართველი და მეორე მსოფლიო ომში — კავკასიონიდან ბერლინამდე გაბნეულ 300 000 კაცს, ერთი საძმო საფლავი გაუთხარა: „მზემ ღრუბლის მძიმე ფარდა გახია, / აქაც ლამაზი მთა და მდელოა, / სადაც ქართველი კაცი მარხია, / ყველგან პატარა საქართველოა!"

ამბობენ: სიკვდილსაც კარგები უყვარსო...
მას, რაღა სიკვდილი არჩევინებს?...
ერთი კი ნაღდია:
ადრე ნასულები...
რაღაცით გვჯობია დარჩენილებს!
...დაბადებიდან ვკვდებით და დღე გვემატება... კლებით!
ვინ — სიცოცხლეშიც ვცვდებით, ვინ — მკვდრეთით ვიბადებით!
და, მაინც... და, მაინც... როგორი სულის სიმხნევეც არ უნდა გეყოს,

---

*ჟან ლაფონტენი: ყვავილებით მოფენილ გზას არასოდეს დიდებამდე არ მიუყავართ.*

*თეოდორ გოთლიბ ჰიპელი: შენი დიდება შენს ჩრდილსა ჰგავს: ხან შენ წინ მიდის, ხანაც უკან მოგდევს... ხან შენზე მეტია, ხან — ნაკლები*

ჩვენი ნინაპარი სასაფლაოს საგოდებელს ეძახდა, აბლობელს — ჭირისუფალს! დანახვა კი არა, სასაფლაოს ის სიჩუმეც მზარავს. ეს ის სიჩუმე არაა... თანხმობას რომ ნიშნავს, რადგან აქ შენ, ჭირისუფალო, პირველად ნახავ ნაქცეულ გივი კარტოზიას, დამარცხებულ შალიკო დვალს, ჩაძირულ პეტრე მშვენიერაძეს, დამშეიდებულ ოთარა მგელაძეს, გულზეხელდაკრეფილ ასტამურ აჩბას, ენაჩავარდნილ ჩირგოს, ცეკვით დაღლილ ნუზო — გივი ნიშნიანიძეს, ფრთამოტეხილ გედს — ეთერ ჭაბუკიანს, დადუმებულ ჰამლეტ გონაშვილს...

რომელ ერთს,
რომელ ერთს,
დიდება ამ სულეთს!
ნათელში ამყოფოს უფალმა,
შეეთხოვე ღმერთს!

P.S. აგერ, ახლა (2011), ამ სულეთს მგალობლები: ზაურ ბოლქვაძე და მიშიკო შენგელიაც შეემატნენ... ე.ი. ჭირი კი არა... ლხინი იქაც!

* * *

ბანტიანი, ზესტაფონური გიტარის ერთი კუპლეტი მახსოვს და დასავინყებლად არ მემეტება:

ეი...ეირია მონასტერი.
ყველგან გაქრა ყველი, პური.
ძაღლი... ძაღლი პატრონს ვეღარა ცნობს —
იაპო... იაპონიას პორტარტური.

**მარინა ბაბუნაშვილი:**

*გრავიტაციული ველის პარადოქსი!*

მალე ისეთი აღმოჩენები გაკეთდება, რაც თავდაყირა დააყენებს დღემდე გამოკვლეულსა და მეცნიერულად დასაბუთებულს. 2017 წლის ოქტომბერში დედამიწელები კონტაქტს დაამყარებენ სხვა ცივილიზაციებთან. იცვლება რა გრავიტაციული ველი, იგი ცვლის დროსა და სივრცეს. იცვლება რა თვითონ, ამრუდებს დროსაც. სწორედ ეს გახლავთ დროის მანქანის გასაღები, რომლის გამოყენებითაც 80 წლის მოხუცის 16 წლის ჭაბუკად გადაქცევა შესაძლებელია (რა გაძლებს 2017-მდე). ამის შესახებ დაწვრილებით რომ მოგიყვეთ, ერთი საგაზეთო მასალა არ გეყოფათ. ამაზე მრავალი წელი ვიმუშავე და მეცნიერულად დავასაბუთე კიდეც, თუმცა, კარგა ხანს ვმალავდი ჩემს გამოკვლევას, რადგან, ის რომ ხმამაღლა გამეცხადებინა, ფსიქიატრიული კლინიკის „საგზური" გარანტირებული მექნებოდა — ამბობს ქობულეთელი ნოდარ გოგიტიძე.

*და მამინდელ ქაჯე-ბზე!*

*ეჭვისა და სიმ-წრის ცეცხლი გა-აღვივა დეპუტატ ვა-სილ მაღლაფერიძის კომენტარმა, რაული მე მოხოვდა, ზურაბ ჟვანიას მემასხვე-დრე (?!)*

*რაულის მამამ კი თქვა: მაღლაფერიძე მატყუარაა. ძალიან უცნაური იყო დეპუ-ტატ კაცის გამამეი-ლის გაუკუღმართებული პასუხიც.*

*გაზ. „ასავალ-და-სავალი". 10-16.11.08*

***P.S.*** *ამ ამბის „ასა-ვალ-დასავალი" დღე-მდე არ იცის კაცმა. ყველამ (ან, ლამის ყველამ) ისწავლა ენაზე კბილის დაჭ-ერა, რადგან „ენა ვიბორგამდე ჩაგიყ-ვანსო", ნათქვამია! თუმცა, საქართვე-ლის ვინდა მისცა გადასასახლებელი (ანუ გასაციმბირებე-ლი) ან კაცი, ან ადგილი... ეს გაცი-მბირების ფუფუნე-ბაც კი ვერ მოვი-ფერეთ!*

*...ისევ გამექცა სიტყვა, თუ მე გა-ვექეცი სათქმელს, რომელიც კარგა ხა-ნია, მაწუხებს.*

*„ბოროტი საქმე-ღის სინათლეს ვერსად წაუვა. თუნდ დასამალად დედამი-წა გადაეფაროს" —*

* * *

**გერმანული ხალხური სიბრძნე:**

ნაღდი ფული იცინის.
სირცხვილში სიმდიდრეს პატიოსნებაში სიღარიბე ჯობია!
უფრთხილდი დასასრულს!
ძველ სიყვარულს ჟანგი არ ეკიდება —
ნარსულს, ანმყოს და მომავალს დიდება! (გ.ნ.)

* * *

**ფოტოხელოვანი იური მეჩითოვი:**

ჩემი ძმაკაცის, მექუდე გოგიას შვილი გენიალურ სურათს ხატავს ერთ გენიალურ თბილისელ სომეხ კაცზე, რომელიც სიცოცხლეში თბილისს ვერ შეელია და სიკვდილში მარტო მისი ხსოვნალა დარჩა (დანარჩენი კი ჩვენი თაექარიანობით... ქარს გავატანეთ!)

„ია უმერ ვ სვოიომ დეტსტვე.
ია უმერაიუ ი კაკ უმერაიუ,
ეტო ნე ვაჟნო,
ია სჩასტლივ,
ჩტო ობმანულ სებია" — ნერდა სიკვდილის ნინ კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი.

თბილისის სიყვარული და ნოსტალგია მთელ მის შემოქმედებას ნითელ ხაზად გასდევს.

იგი მოევლინა კაცობრიობას იმიტომ, რომ ეჩვენებინა ადამიანებისათვის, რა ფართო ასპარეზი არსებობს ამ სამყაროში, რამდენად დიდ რაღაცებზე გათვალა უფალმა ადამიანი (და არა მხოლოდ არსებობისთვის ბრძოლაზე).

ფედერიკო ფელინიმ თქვა: „ფარაჯანოვის სიკვდილით კინომ დაკარგა ერთ-ერთი მაგი". მის ყოფილ სახლში, კოტე მესხის ქუჩაზე, გაიხსნება ფარაჯანოვის მუზეუმი, კულტურის კერა, სადაც დაიდგმება სამოვარი და ასრულდება ფიროსმანის ნატვრა: ვილაპარაკებთ ხელოვნებაზე!

* * *

მსოფლიოში ყველაზე ხანმოკლე ომი 1896 ნელს დაფიქსირდა, როცა ინგლისმა ზანზიბარს შეუტია. ომი, სულ რაღაც... 38 ნუთს გაგრძელდა.

P.S. ეს რომ ნავიკითხე, კინალამ გულზე შემომეყარა! არა, ის კი არ მნყენია, რომ ომი სნრაფად დამთავრებულა, არამედ ის, რომ „ჩვენი" ქართულ-რუსული ომის დროის ხანგრძლივობის რეკორდი მოიხსნა.

ისე, კაცმა რომ თქვას, ომი, რომელიც ასე ჩქარა მთავრდება... არც უნდა ინყებოდეს!

## *რა დრო?*

ადამიანის სხეულის ქსოვილებს, ძვლებსა და ხრტილებს ექიმები ყიდიან, ახლობლების ნებართვის გარეშე. როგორც ნესი, გვამებიდან ამოღებული „ანატომიური ნანილები" მიდის ტრანსპლანტატების

---

*პოლ ბრეგი: სიცოცხლის მომნიჭებელი ცხრა მკურნალია: მზის სხივი, სუფთა ჰაერი, სუფთა წყალი, ბუნებრივი კვება, შიმშილობა, ფიზიკური ვარჯიში, დასვენება, კარგი განადობა და გონება.*

დამზადებაზე... ერთი გვამისგან მიღებული შემოსავალი შეიძლება 250 ათას დოლარს შეადგენდეს. ყველაზე აქტიური არის ბიოლოგიური ტრანსპლანტანტები, რომლებიც მიიღება მკვდარი სხეულიდან და რომელიც ყველაზე აქტიურად გამოიყენება აშშ-ში...

ქართულ კვალზეც გადავალ. პროზექტურა, როგორც წესი, ურიგდებოდა კონკრეტულ ექიმებსა და, აუცილებლად, რეანიმაციის პერსონალს. ფასები: გვამის მხრის ძვალი ღირს 42,90 ევრო, თეძოს ძვალი — 49,0 ევრო, მკერდის ჩანთის ძვალი — 13,30 ევრო და პერიკარდი — 16,40 ევრო.

**„ალია", 21-25.09.09**

ასე რომ, ვაჭრობაც მოდის!

ბოლო ფასი — რა ღირს სიცოცხლე? და, საერთოდ, ღირს კი?

* * *

ჩემი კოლეგა, სკოლის ძმაკაცის — ვოვა ცაგარეიშვილის ქალიშვილს და ჩემი უასაკო მეგობრის, ოთარ შამათავას მეუღლეს, ქალბატონ თამარ ცაგარეიშვილს მოჰყავს კონფუცის შეგონება: „არ დაელაპარაკო ადამიანს, ვისთანაც ღირს ლაპარაკი — ნიშნავს, დაკარგო ის. დაელაპარაკო იმას, ვისთანაც არ ღირს ლაპარაკი, ნიშნავს, დაკარგო სიტყვა!" ამ მოსაზრებით მას ეეჭვებოდა, ღირდა თუ არა დალაპარაკება დისიდენტ ტოლცთან. არადა, ეს იყო კაცი, რომელიც შუაგულ ევროპაში 30 კილომეტრით გაცდა გაბლდღვიალებულ სტრასბურგს და, იცით, რატომ? მანქანაში დისკს — „Мне Тифлис горбатый снится" — საქართველოზე რუსი პოეტების ლექსებს უსმენდა!

სიყვარულს თუ საბუთი უნდა, ესეც საბუთი!

* * *

ბოლოს და ბოლოს
რა არის ლექსი —
სიტყვა პგავს ოროლს
რითმების სექსით!
„წუთო, შეჩერდი, მშვენიერი ხარ!"
(შენ წუთისოფლის წუთ-იერი ხარ!).
ლექსს შეუძლია, სძლიოს უკუნეთს —
გაუძლოს დროს და თეით საუკუნეს!
გალაკტიონი ისე ატროედა —
„ფრთები მინდაო" — ფრენას ნატრობდა!
ოლიმპოს მთაზე, მუზებთან ახლოს,
ღმერთი წერს ლექსებს და კაცს კარნახობს!

ბრძანებს ტრაგედიის მამა უილიამ შექსპირი!

ახლა კი ყოველგვარი დაკითხვის გარეშე:

კუს ტბაზე... კუსტბელებმა იმ ერთ არამშვენიერ დღეს, როცა ზურაბ ჟვანია მოკვდა თუ მოკლეს... „ჩვენმა დარჩეს" რუბრიკით, მაგრამ ვითომ სახს-ვათაშორისოდ, მითხრეს, რომ აქ, იმ სასხამ დილის ბინდბუნდში, ერთად უნახავთ... თუ ხვდებით, ვინ... ის უსუფოვი და ის მაღლაფერიძე!

იცის თუ არა ეს გამოძიებამ, ან აინტერესებს კია?

ეს იყო და ეს!

ვინც სხვის ჭკუაზე გაიარა, თავის გზას აცდა!

<u>სტანისლავ ლეცი:</u> კარიერის კიბე, ზოგჯერ... სახრჩობელაზე ადის!

<u>ნინო ბურჯანაძე:</u> ჩვენი დიდი შეცდომა იყო იმ პირთა გამოცდილების უარყოფა, რომლებიც ასაკის გამო, ქვეყნის მართვას ჩამოაცილეს. ამან, ბუნებრივია, ბზარი გააჩინა ხელისუფლე-

* * *

ანტიკური აფორიზმი: სიბერე ორ-მაგი ბავშვობაა (ერთ სიტყვაში 2 მაგი რავარია?). მოხუცებს ახალგაზრდებისთვის იმიტომ უყვართ კარგი რჩევის თქმა, რომ ცუდი მაგალითის მიცემა აღარ შეუძლიათო.

კონფუციმ, 60 წლისამ, ისწავლა ტყუილ-მართლის გარჩევა, მე დღემდე ვსწავლობ.

„70 წლისამ დავიწყე ცხოვრება გულის კარნახითო." — კონფუციმ.

თბილისელი ბიჭების ალალმართლობა უფრო მცირეწლოვანი იყო!

* * *

ეგვიპტის ფარაონებს, დღევანდელი მრჩევლებივით, კარისკაცები ყოლიათ, რომელთა ფუნქციაც იყო, დღეში რამდენჯერმე შესულიყვნენ უუმაღლეს ხელისუფლებთან და შეეხსენებინათ, რომ ისინი... ღმერთები არ არიან!

დღევანდელი „დიდი კაცებისათვის" ამის ერთადერთი შემხსენებლები ...უნიტაზებია!

* * *

მამათა და შვილთა საკითხი — ბაბუათა და შვილიშვილთა პრობლემად იქცა!

დღეს სხვანაირად გამოითქმის თვით ხალხური სიბრძნე: ბაბუის ნაჭამმა ქლიავმა... შვილიშვილი გამოაქლიავა!

* * *

„ბალი — 10 შაურიო!" (ეს ფასი ანდაზას შემორჩა, თორე, ახლა უკვე 10 მანეთია!).

* * *

სად დაიკარგნენ მერცხლები?
ან მგალობელი შაშვები?
არ ჭიკჭიკებენ ჩიტები,
არ ყლურტულებენ ბავშვები...

მახსოვს, ერთ დროს ერთი შაშვი (აკაკის ხეზე) ისე შემოგვეჩვია, რომ, ლამის, „ფართის უფლებით" ჩავნერე სახლში.

ახლა კი თვალშიც მაკლია და ყურშიც!

გაზაფხულები მოდიან, ან მიდიან... ისინი კი არ ჩანან!

„ვინ მკითხულობს?

ვინ დამეძებს?" — ერთი სასულიკოო სიმღერისა არ იყოს. „რომელ

---

*საფირი: „დრო გადის" — მიეეჩვიეთ ამის თქმას. მაგრამ ის დამკვიდრებულია არასწორი გაგებით. დრო მუდმივია: გავდივართ ჩვენ!*

*ანდრეას გრიფიუსი: დრო მკურნალია, მან ყველა წყლულის წამალი იცის.*

მსაჯულს ვკითხო სამართალია?" — ორნითოლ-ოგებს?...

ეგენიც კაი ჩიტები არიან... ან კი, რამდენჯერ მითქვამს... რამდენი კითხვაცაა, სადაა იმდენი პასუხი!

* * *

ნაცარქექიასთან, ტომ სოიერთან, დონ კიხოტ-თან ღამე თუ არ გითევია... რაა ბავშვობა!

## ორაზროვანი და მრავლისმეტყველი ფრაზები (გაზეთებიდან)

უსაფრთხოების დაცვაზე უარის თქმით ადამიანი არა მხოლოდ ილუპება, არამედ იბადება კიდეც;

შესანიშნავი დაავადებაა სკლეროზი: არაფერი გტკივა და ყოველდღე ახალ ამბებს იგებ!

გადაიხადე ვალები და იძინე მშვიდად! (წარწერა საფლავის ქვაზე)

არასოდეს დაარტყა წაქცეულს!... ხომ შეიძლება, რომ ის ადგეს?!

P.S. ორაზროვანი აზრიდანაც ერთი აზრი უნდა გამოიტანო!

* * *

სიყვარული არ არსებობს... სიძულვილის გარეშე.
სიყვარულის ეშხი არი — სიძულვილზე თარეში!

* * *

**ეპისკოპოსი ზენონი („სიცოცხლის საზრისი"):** „შენ შეგიძლია, ყოველ წამს განმარტოვდე შენსავე თავში, ხოლო ყველაზე მყუდრო და უშფოთველი სადგური, სადაც კაცს შეუძლია, განმარტოვდეს — სულია მისი!" — მარკუს ავრელიუსის ამ სიტყვებით იწყება ეპისკოპოს ზენონ იარაჯულის წიგნი „სიცოცხლის საზრისი". ამ ძალიან საინტერესო და მრავლისმთქმელ წიგნში ეპისკოპოსი ზენონი ადამიანის ცხოვრების დანიშნულებაზე, სიცოცხლის საზრისზე და იმ მარადიულ თემებზე წერს, რომელზეც ყოველთვის უნდა ფიქრობდეს თითოეული ჩვენგანი.

---

*იაკობ გოგებაშვილი: ისტორიაში ვერ მოძებნით მაგალითს, რომ ერს ეღალატნოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტურისათვის და არ გაზრწნილიყოს.*

*კლოდიუსი: ცარიელი გუდა ქარისგან იბერება, ცარიელი თავი — ამპარტავნებისაგან.*

ბასა და საზოგადოე-ბას შორის.

**P.S.** დამთავრდა უფროს-უმცროსობა და დაიწყო უმცროს-უფროსობა... — შვი-ლიშვილებმა ბაბუებს დაუწყეს ყურის წავ-ლება!

თესლს ვაგდებთ
და ვიწყებთ ლოდ-ინს —
ვარდს ვთესავთ
და...
რა ამოდის?

„როცა გული არა გულობს
და ქართველი არ ქართველობს —
„შენ კვდები და მეცა ვკვდები,
გეთხოვები, საქარ-თველო!

**P.S.** ბოლო ორი სტრიქონი აკაკის თავისი საფლავის ეპიტაფიად ჰქონია შერჩეული.

პროფესიით იურისტმა, არაერთი წიგნის ავტორმა, მათ შორის, ხელოვნების, ესთეტიკისა და ესქატოლოგიური ენციკლოპედიების შემქმნელმა ბიძმა - ბიძი თეზელიშვილმა წელს გამოსცა არაჩვეულებრივი წიგნი, რომელშიც მოცემულია საინტერესო მასალა, გამორჩეულ

* * *

როცა გთათხაეენ – შენ პასუხი არ უნდა გასცე –
„ძაღლი ყეფსო და ქარავანი მისი გზით მიდის!“...
ეშმაკმა იცის, რა სჯობია და რჩეეას გაძლეეს,
რომ წაუყრუო – თუმც, საბაბი არ გაქეს სიმშეიდის!
კაცი ჭირს მალავს – თუმცა, ჭირი არ მალაეს თაესა.
დრო არჩევს ავ-კარგს, კეთილ-ბოროტს, თეთრსა და შავსა.
წყალნი წაელენ და წამოელენო – ტოეებენ ქვიშას –
გინდა-არ გინდა – ეს სიჩუმეც... რაღაცას ნიშნაეს!

## თმანს!

*(ჩემს ძმას და პირის ზიარეზას!)*

ესეც ორი პარასკეეის განცდები –
მალე, უკვე, საუკუნეს გაეცდებით!
რასაც ვამბობთ, იმას კატაც ვერ შეწვდა.
ჩვენ კი მასაც შეეწეღებით და გაეწეღებით!
ჩვენი ძმობა საბას იგავსა ჰგავსა.
სისხლით წრთობა ვერ იგუებს ნაგავსა.
კაცის ცნობა საქმეა საშიშონი –
„ამხანაგის უკეთესს რას იშოენი?“

* * *

დამიჯერე, ეს ლექსები ჩემი სულის ნამსხვრევებია, რომელსაც, ახლა შენთან ერთად, მეც პირველად ვკითხულობ, მკითხველო!

* * *

ეინ გაკოტრდა – ეინ გაკოტრიალდა –
ეინ გაყიალდა – ვინ გატიალდა –
ვინ გადიდდა და გაიდეალდა –
ეინ გამათხოვრდა – ვინ „გაპიარდა“...
არც „ქიცმაცურის“ და არცა „ქიცის“ –
დღეს ეინ-ეინ არის – ეშმაკმა იცის!
ისეე ეშმას ვთხოეთ, რომ შეგეეშეასა:
ვაი – ჩეენს პატრონს, ფუი – ეშმაკსა!

* * *

რაც ჩვენ გვიხარია – თქვენთვის საწყენია,
რაც სამწუხაროა – ის ჩვენ გვიხარია,
აი, ეს სტრიქონიც – ცრემლით ნაწერია –
ჰოდა, ამ სტრიქონში, იცი, რა წერია!..
რადგან საქართველო...
უკვე არ ქართველობს –
რადგან ვისი ჭირი – ვისთვის ლხინი არი,
ჩვენი ჭირი ახლა – თქვენთვის ჭიაყელობს –
ყველა მადლის მატლი – ჭირი-მღილი არი!

* * *

„შიშსა დიდი თვალები აქვს“ ...
და ვერავერს ვერ ხედავს –
თუმცა, ენას ძვალი არ აქვს...
სიმართლის თქმას ვერ ბედავს!

* * *

ვინაც ცხოვრობს ღვთის გმობით და წყრომით –
უაეკარგოდ – ანუ ძმობის მგრობით –
ასეთ კაცებს არც და კიდეც ვცნობდით –
და მოგვეწონდა თავი უთავობით!

*მადლობა „ქართუს“*

თბილისის ისტორიულ-ეთნოლოგიური ენციკლოპედიის შექმნაში თანადგომისათვის!

ვიცის დედა იცინოდა
და ტიროდა არვიცის –
მცოდნე კაცსა – ვიცი ჰქვია,
უ-ცოდინარს – უ-ვიცი!

* * *

„მე ვარ და ჩემი ნაბადი“!..
ვინაც ეს ცეცხლი აჩაღა –
კუდი ყავარზე გაგვიდო –
ყოჩაღი გაგვიყაჩაღა!

* * *

ეს ჩვენს ხასიათშია –
ყვარყვარეს სინდრომიეით –
ჰკითხავ კაცს:
– როგორა ხარ?
გიპასუხებს:
– ლომივით!

* * *

წარსულის ტყვეობაში ვარ,
არ მინდა ფიქრებს დავენებდე,
ასი წლისაც კი ბავშვი ვარ...
ვიდრე ლეთას წყალს დაველევდე.
დადგება ჟამი უჟამო –
ჩემი საათიც დარეკავს
და დავიწყების მდინარე
წასალეკს ყოველს წალეკავს.
დალევ და... რა დაგავიწყებს
ან შვილსა, ანდა მშობელსა –
უწუთისოფლოდ რა გაძლებს
თუნდ, მარადიულ სოფელსა!

*ადამიანთა სიკვდილისწინა სიტყვები, განცდები, ქმედებები. არასოდეს არის ადამიანი ისეთი საინტერესო და ამაღელვებელი, როგორც სიკვდილის პირას! – ამბობენ ცნობილი მეცნიერები და გენიოსების სიკვდილისწინა უტყუარ ეპიზოდებს აღწერენ.*

*ილია ჭავჭავაძემ, სიკვდილის წინ, დამხვდურ ყაჩაღებს ეს შესძახა: რას სჩადიხართ, ილია ვარ! ილია ვერც წარმოიდგენდა, სწორედ იმიტომ კლავდნენ, რომ ილია იყო.*

*ერეკლე მეორემ და კონსტანტინე გამსახურდიამ სიკვდილის წინ ფეხზე წამოდგომა მოისურვეს.*

*სიკვდილის წინ, რეზო ინანიშვილი და მისი სიძე საუბრობდნენ 1992 წლის დეკემბერ-იანვრის სისხლიან ამბებზე. მწერალმა თვალი გაახილა და ამოიკვნესა: რას ამბობ, ქართველები ხოცავენ ერთმანეთს? მერე, დილამდე ხმა არ ამოუღია, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან.*

*გოეთეს, სიკვდილის წინ, თვალთ დაუბნელდა და წამოიძახა: მეტი სინათლე, მეტი სინათლე!*

*29. 03. 09*

*გივი კარტოზიას*

(ჩემპიონი კაცის გახსენების დღე)

## *ცხელ გულზე ნათქვამი*

**(სადღეგრძელო და არა შესანდობარი!)**

ასეთ კაცზე სულთათანას მღერიან –
ასეთ კაცზე სიტყვასაც ვერ აჭარბებ –
ასე იტყვის, ერია თუ ბერია –
შორიაო, ვიტყვით... კაცით-კაცამდე!
კარტოზია გივის რა დაგვავიწყებს?...
კარტოზიას გახსენება რად უნდა?...
ეს არაა „ქარიშხალი ჭიქაში“ –
წავიდა და ქარიც ჩადგა... დადუმდა!
სახელია მისი აელადიდება! –
ბედისწერა – ვით მახვილი დამოკლეს!...
დანარჩენი ერთ ჯორს აეკიდება –
კაცი კვდება –
მის სახელს კი რა მოკლავს?...
ამ გოლიათს რა სიკვდილი წააქცევს!...
წავუქციოთ ჭიქა – სიკვდილს გავაქცევთ! –
კარტოზიას რა სჭირს შესანდობარი –
მეტოქისთვისაც იყო... მეგობარი!
ასეთები დღეს გვაკლია ძალიან –
გულზე ხელდასაკრეფად ვის სცალია? –
ჩვენმა გენმა ჯავრი უნდა იყაროს,
რომ მამებმა – შვილებში გაიხაროს!
...მეტრი იყო და საზომი კაცობის –
მამაცობის, კაი ყმის, ვაჟკაცობის –
სასწორივით სწორი – ცნობა-არცნობის –
ვერ მოერგო ბოთლს, როგორაც საცობი!
შეუვალი იყო იგი – კლდესავით –
ავის მძლეული,
თვით სიკეთის მთესავი –
ბალახივით თავმდაბალი...
მზესავით! –
ზნეკეთილი კაცი – ნატვრის ხესავით!

## *ცხვირი!*

ცხვირი რომ არ იყოსო შუაში –
თვალი-თვალსაც კი გადაემტერებოდა:
შერჩეული ჭირი რომ არ ჯობდეს...
შეურჩეველ ლხინს –
სადღეგრძელო წყევლად მოგვეჩვენებოდა!

* * *

რისი კეთებაა ყველაზე ძნელი?
არაფრის!

* * *

მშობლები —შობენ და
ნაშობნი — მშობლობენ —
თუ გეწამს და ღმერთი არ გეიწყრება:
სამშობლო — შეილებით გრძელდება,
სამშობლო — მშობლებით იწყება!

* * *

**რეზო ინანიშვილი:**

თუ სხვა გზა არ არის და —
არის გარდუვალიო...
მოთმინების ფიალით —
სული უნდა დალიო!

## *ცხოვრების გზაგასაყარზე...*

არ ეიცი — საიდან და რა მელის?
არ ეიცი — ეიცინო თუ ეიტირო?
იქედან — შორი ხარ, სიცოცხლევ!
აქედან — ახლო ხარ, სიკედილო!

## *ნამახუსევი ლექსი*

ღამე ვუთიეთ ნათელს და...
ამასობაში გათენდა!
ის 1001 ზღაპარი —
ქეიფში ღამეს ათეედა.
ჩანჩქერი მოჩანჩქარობდა
და თავის სათქმელს ჩქარობდა.
ცისა და მიწის შემყურე —
კაციც და ღმერთიც ხარობდა.

* * *

ასე თქეა ბატონმა კარამზინმა
და ჭკუაც ასე განაწილდა:
ის, რაც სასაცილოდ გეეჩვენება —
იმას არ აცდება შეჩვენება!
არადა, სიცილი — მკურნალია;
არადა, სიცილი — წამალია;
არადა, სიცილი დამარხული —
ყეელაზე მხიარული სამარეა!

ანტონ ჩეხოვი ჭლექით იყო ავად და ალკოჰოლს არ ეკარებოდა. სიკვდილის წინ კი მან ისურვა: რა ხანია, შამპანური არ დამილევია.

პეტრარკას ბოლო სიტყვები და სურვილი იყო, მინდა, სიკვდილმა მიწიოს წერის დროს!

ყველაზე დიდმა ათეისტებმაც კი, სიკვდილის წინ, ღმერთი აღიარეს. ნილ არმსტრონგმა — კოსმონავტმა, რომელმაც მთვარეზე ფეხი დადგა, თქვა, რომ ღმერთი არსებობსო!

აი, დავით აღმაშენებლის ეპიტაფია: „ეს არს განსასვენებელი ჩემი საუკუნოდ. აქა დავემკვიდრო, რამეთუ მინავს მე."

ალექსანდრე მაკედონელის ეპიტაფია: ეს საფლავი საკმარისი აღმოჩნდა მისთვის, ვისაც არ ჰყოფნიდა მთელი მსოფლიო!

ისააკ ნიუტონის ეპიტაფია: ეს მარმარილოს ლოდი აღიარებს ისააკ ნიუტონს მოკვდავად, მაშინ, როცა დრო, ბუნება და ზეცა მოწმობენ მის უკვდავებას.

ნაპოლეონ მეორე ბონაპარტემ, რომელიც 21 წლის გარ-

* * *

მზე იცინოდა — ღრუბელი კი თავსხმა წვიმას იწველებოდა...
„საქართველოს ისტორია კი...
კაცის სისხლით და ქალის ცრემლით იწერებოდა!"

*ჩვენი დროის გმირი!*

**ჟიული შარტავა:**

ვერავითარ გარიგებაზე ვერ წავალ, მით უმეტეს, სინდისთან. ვერც ისეთ წინადადებას მივიღებ, რომ იგი პროვოკაციით ან ჩემი და ჩემი ოჯახის ფიზიკური განადგურებით დამთავრდეს. ამის რეალური საფრთხე არა ერთხელ გავიარე. ხოლო, თუ სიცოცხლის გაღება იქნება საჭირო, მე უყოყმანოდ გავაკეთებ ამას, ერისთვის და ოჯახისთვის!.. მერწმუნეთ, ეს ხმამაღლობისთვის და პათოსისთვის არ არის ნათქვამი...

P.S.ამ სიტყვების სიმართლემ სიცოცხლესთან სიკვდილით აგო პასუხი!

* * *

გრიგოლ ორბელიანს აქვს ნათქვამი: ქართველები თანდათან კარგავენ ფერსო...

თან ყველა... ფერსო?

* * *

დღევანდელ „ჯერ არნახულ, ჯერ არგაგონილ" გართობებს „კიჩი" ჰქვია.

ამ „ვაკხანალიებზე" ზედგამოჭრილია ერთი ჩვენი მაშინდელი სისულელეების თანმხლები დედური „რითმა" თუ წყევლა-ლოცვა: კისერიც გიტეხიაო და კინჩხიც ზედ მიგიყოლებიათო!

* * *

ამბობენ, ადამიანი ტვინის 1%-ს იყენებსო.

ზოგი უიმისოდაც იოლას გადის.

ერთს უთქვამს: რაში მჭირდება ჭკუა: სახლში — ცოლის და სამსახურში — უფროსის ჭკუაზე დავდივარო... სამსახურიდან სახლში მისასვლელად კი ჩემი ჭკუაც მყოფნისო!

ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ სრული ჭეშმარიტება ბრძანა: პოეტი ცოტა გიჟი უნდა იყოსო!

ისე, კაცმა რომ თქვას, ცოტა სიგიჟე არავის აწყენს.

ჩემმა მტერმა უყურა ნორმალურად ამ არანორმალურ ქვეყანას!

* * *

ერთი მწერალი, ჰალსტუხის მაგივრად, სტაფილოს იკიდებდა ყელზე და ახლა წარმოიდგინეთ, სხვას რას—სად დაიკიდებდა!

* * *

პოეტი შელი ზღვაში ქარიშხლის დროს დაღუპულა... არადა, თავში ქარიშხლით ცოცხლობს პოეზია!

---

*ჟიულ რენანი: მხოლოდ დრო არ კარგავს დროს.*

*ალბერტო მორავია: ცივილიზაციის გზა კონსერვის ქილებითაა მოკირწყლული.*

### ჭუბერის უღელტეხილიდან ირმა ინაშვილის სისხლიანი რეპორტაჟის ექო! (27.09.1993)

დიდრიბშის მთაზე ღრუბლები,
როცა საავდროდ იყრება...
ეს ნიშნავს ძმათა უბრობას
და ცა ცრემლებად იღვრება.
მინდოდა, ფსოუს ხიდიდან
ღვთისმშობლის ხვედრი მეხილა.
ახალ გოლგოთას იტყვიან...
ჭუბერის უღელტეხილად!

* * *

კაი კაცი,
კაი ვაჟი,
კაი ყმა,
(ვაჟას თარგზე)
გველებთან მორკინალნი არაგველნი...
გუდამაყრელები, ხანდოელები,
ჭართლის თემელები,
უშიშ-უხორცონი, შიშის ზარის მცემელები...
არა კარისკაცნი — ერისკაცნი!
კაი ყმა — 300 არაგველი —
მტრის სისხლში ხმალ-ხანჯალს პურაედა —
თავზე ხელაღება-გალაღებით!..
„დაგელაობდა სიკვდილი" და
„სუდარებსა ჰკერავდა"!
ის ქართველობაც ნაღდად ღირდა
მაჩაბლის დასტის მღერადა!
...ეს ცხოვრება იქ გაოხერტიალდა,
ეს ქვეყანა მაშინ დაიქცა,
როცა 300 არაგველის მემორიალი...
1 გველის საბორიალად გადიქცა!!!

### *სიბერემდე სიქაჩლეს!*

უნიტაზების მსგავს თავებს
სიქაჩლით გაეხუმრეო —
ჰეგელმა ბრძანა:
„ჭკვიან თავს...
თმები არ ცვივა", თურმეო.

P.S. ჰეგელთან შეკამათება არ მიფიქრია დღემდეო — ხევსურმა სიბრძნემა ბრძანა — სიქაჩლე... სიბერემდეო!

* * *

არ ვიცი, ფსევდონიმია თუ არა და რა „სენი" სჭირს „ლექსენს" — თეთრი და შავი ლექსების გათეთრებისა... თუ გაშავების გარდა!

*დაიცვალა, თავისი სიცოცხლე მამისას მეადარა და სიკვდილის წინ თქვა: დაბადება და სიკვდილი — აი, მთელი ჩემი ისტორია!*

*სასიკვდილოდ დაჭრილმა პეტრე ბაგრატიონმა როდესაც გაიგო, რომ ფრანგებმა მოსკოვი აიღეს, ლოგინიდან წამოვარდა, იატაკს ფეხი დაარტყა და ასმჯერ დაიყვირა: მოსკოვი, მოსკოვი, მოსკოვი!*

*რომის იმპერატორმა ოქტავიანე ავგუსტუსმა, სიკვდილის წინ, გარშემომყოფთ მიმართა: ბატონებო, ვგონებ, რომ კარგად ვითამაშე ჩემი როლი ადამიანურ კომედიაში.*

*ლენინი გარდაცვალებამდე გონებადაბნელებული იყო, მღვდელსა და ხახამებს სთხოვდა ცოდვათა მიტევებას.*

*დიდ მაფიოზ ალკაპონეს, იცით, რა უთქვამს? — გვედრებ მეწყალებას, იესო. დიდ რუს რეჟისორს სტანისლავსკის ჩაუჩურჩულებია: გაუფრთხილდით მაყურებელს.*

*მოცარტმა თქვა: მე არ მეშინია, დავწერე პოემა, მე პოეტი არა ვარ. მე არ მეშინია, ჩემი*

* * *

წერა... კალმითაც შეიძლება და წერა...ქვითაც!
ქვაზე ნაკაწრი — გულის ფიცარზე ნაკაწრს ჰგავს!
ზოგჯერ — უთქმელობით შავდება, ზოგჯერ — თქმითაც,
თუ... კაი მთქმელს კაი გამგონე არა ჰყავს!

* * *

ბიზნესმენმა ელგუჯა ბუბუტეიშვილმა და მე, ორთაჭალის ციხეში საქველმოქმედო ვიზიტის დროს, მივიტანეთ ახლადგამოცემული წიგნი „პაემანი ვერაზე".

ეს, ალბათ, ერთ-ერთი იშვიათი წიგნია, რომელმაც, ასე ვთქვათ, „სროკი მოიხადა"!

მთაწმინდელმა ცნობილმა „ტაბურეტკამ" „სვაბოდაზე" ყოფნის დროს თქვა: მე და ეს წიგნი ერთად ვათენებდით ღამეებსო!

ან წიგნს, ან კაცს მეტი რა უნდა მოსთხოვო?!

გამიხარდა!

* * *

რუსთაველი: „დიდი ძეს კაცით-კაცამდის, კაცი არ ყველა სწორია!"
ფერი ფერს ეძებს — მადლი ღმერთს, როგორც ტოლს ეძებს ტოლია,
წესია: ყველა „ავანსა" — თავის „ჩავანი" ჰყოლია.
მუცელს, აქორებ, — ქორია, მუცელს, აღორებ — ღორია.

* * *

ერნესტ ჰემინგუეი: მწერალი, ღვთის მსახურივით, მოუსყიდველი უნდა იყოს!

თედორე დოსტოევსკი: ადამიანი ამოცანაა, რომელიც უნდა ამოიხსნას!

პოეზია ადგილია ალგებრასა და მუსიკას შორის.

* * *

გამოუგონებიათ ძაღლის საყელური, რომელიც ყეფას „თარგმნის"!

P.S. ღრენას?

* * *

არსებობს, თურმე, სირცხვილ-სინითლის გრძნობისაგან გასათავისუფლებელი საშუალებაც, ე.წ. ქირურგიული ჩარევა: იღლიაში რომელიღაც ნერვს გადაჭრიან და... სირცხვილ-ნამუსიდან თავისუფალი ხარ!

P.S.მგონი, მოგიყევით!

ჩემს ბავშვობაში ერთი თეთრწვერა მოხუცი მახსოვს — მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინზე გაბრაზებული, ვიტრინებში მათი პორტრეტების დანახვის დროს, ბელადებს სულ დედ-მამის სულს უტრიალებდა.

ერთხელ, ეს კაცი დაიკარგა.

მერე, ისევ გამოჩნდა და ისევ ჩამოუარა ვიტრინებს... მაგრამ მისი ხმა აღარავის გაუგონია. ხელებს კი ისევ ძველებურად უქნევდა პროლეტარიატის კერპებს, მაგრამ ხმა?... თურმე, აქაც ქირურგების ხელი ერია — გლანდების ოპერაციის საბაბით ხმის იოგები გადაუჭრიათ ბერიკაცისთვის!

ამაზე დიდი „ვერაგობა და სიყვარული" თუ გაგიგონიათ?!

* * *

რაცა გვიჭირს, მსგავსისა არ ვართ მნახველი...
— რა გველის? (კითხვაა ამ ქვეყნის ნაღველის).

* * *

ციცერონი: ზოგჯერ მთავრობის ღალატი პატრიოტის უმაღლესი მოვალეობაც!

* * *

— ჩემი გულისათვის მოკვდები?
— შენ რა, არა გცალია?

* * *

დღეს უნდა ვილაპარაკოთ არა ტრიბუნების, არამედ ზარების შემზარავი ენით!

**„საქართველოს რესპუბლიკა", 26.09.09.**

* * *

**ელენე ბერკოვა:** ოსლოში გაიმართა სილამაზის მეხუთე კონკურსი ევროპის ჰომოსექსუალისტებს შორის. კონკურსის ფავორიტი აღმოჩნდა რუსეთის სახელით გამომავალი ქართველი დავით ბარამია, რომელიც სცენაზე გამოჩნდა ანგელოზის სახით. თანდათანობით, დუნდულების მძაფრი ქნევით ჭაბუკმა ჩამოუშვა ფრთები და შარვალი, გამოეცხადა მოზეიმე ხალხს... ეშმაკის კუდით. ალეგორია ისე მოეწონათ გარყვნილებს, რომ მზად იყვნენ მის გასაუპატიურებლად, პირდაპირ სცენაზე.

ქართველმა დავით ბარამიამ გაიმარჯვა ქვედა ტანის თეთრეულის კონკურსში „მისტერ გეი ევროპა — 2009".

ყველაზე მეტად დავითის წარმატება მის სამშობლოში გაუხარდათ. ინტერნეტ-პორტალმა „გეი კავკასიამ" მას „წლის ქართველი" უწოდა (ს-ასონარკვეთილობიდან ასონარკვეთილობამდე — „ყ"-დან „წ"-მდე რაღა დარჩა?!.

P.S.ჰოდა, ჩვენ ისევ ძველებური მორიდებით ვეძახოთ ნიფხავს „პერანგის ამხანაგი", ვიამხანაგოთ ამ გაურკვეველი სქესის ადამიანებთან და რაღაცაში მაინც ვიყოთ პირველები თუ უკანასკნელები!

* * *

გაზ. „სიახლის" „სიბრძნის სიმფონია"!

„მხიარული სკანვორდი აცხადებს: „შეგინდობთ ცოდვებს.. ფასდაკლებით!"

თუ გინდათ, რომ შეგამჩნიონ... შეიშმუშნეთ მაინც!

...ავიარეისი „თბილისი-ჩხორონყუ" გადაიდო...

*განზრახვა გადმოვცე მხატვრულად, მექჩრდილებად. მე ფერმწერი არა ვარ. მე არ შემიძლია, ჩემი ფიქრები და გრძნობები გამოვხატო ჟესტით და პანტომიმით. მე მოცეკვავე არა ვარ, მაგრამ განვახორციელე ყოველივე ეს... ბგერებით!*

*და, ბოლოს, ერთი უცნობი ადამიანის ეპიტაფიას გეტყვით, რათა დავფიქრდეთ ცხოვრებაზე და გავაცნობიეროთ ჩვენი ამქვეყნიური მისია, რომ საბედისწერო შეცდომები არ დავუშვათ: „გამვლელო, შესდექ და პატივი ეცი ჩემს ხსოვნას, რადგან მე ვიყავი ის, რაც შენ ხარ და შენ იქნები ის, რაც მე ვარ!"*

*დავფიქრდეთ ამაზე!*

*დროულობა და მედროვეობა ხშირად გვერევა ერთმანეთში!*

*<u>ედუარდ შევარდნაძე</u>: ვარდების რევოლუციას „აბდლების რევოლუციას" ვერ დავარქმევ, მაგრამ არც მთლად ჭკვიანების იყო!*

*ეს „რევოლუცია*

აეროპორტის არარსებობის გამო!

კეთილი ყოველთვის ამარცხებს ბოროტს? — ჰოდა, დაელოდე და ვინც გაიმარჯვებს, ის იქნება კეთილი.

პარაშუტით გადახტომის გეშინიათ? — უპარაშუტოდ გადახტით!

P.S.სასაცილოა... ბოლოს სატირალი რომ არ იყოს!

* * *

19.06.2010.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაცხადეს, რომ ზუგდიდში, ძველ სამაროვანებში, არქეოლოგებს უპოვიათ ცოტნე დადიანის საფლავი!

ნუ შეავანუხებთ მიცვალებულებს!

ჩვენ, დღეს, ცოცხალი ცოტნე დადიანი გვყავს საძებარი!

* * *

82 წლის კაცს 28 წლის კაცები რომ გეუბნებიან, ბიჭიევით გამოიყურებიო, ვიცი, ისინიც მატყუებენ და მეც ვიტყუებ თავს. იმ „ტყუილმა" დამანერინა ეს „სიმართლე":

ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი

და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი!

მახსენდება: 70 წლის ლუდოვიკო XIV-საც უთხრა კეთილი ტყუილი თვით სულხან-საბა ორბელიანმა: თქვენ ისე ლამაზად ატარებთ ასაკს... ბევრი ინატრებდა მოხუცებულობასო!

ზოგჯერ, აშკარა ტყუილი...

სიაშკარავის ობია —

მწარე სიმართლეს (თუ მკითხავთ)

ტკბილი ტყუილი ჯობია!

* * *

ერთ გაგანია სიცხეში, ერთ პაპანაქება დღეს, ერთი ბენდუქიძისნაირი კაცის ჩრდილს მისდევდა ერთი, იპოლიტე ხვიჩიასავით კაცი, რომელსაც ვიღაცა ნაცნობმა სიტყვა დაადევნა — საით გაგიწევიაო?

— რა ვიცი, საით მიდის ეს ახმახი... იმის ჩრდილს მივსდევო! — გამოსძახა ჩრდილიდან... ჩრდილმა.

* * *

Curriculum Vitae — ანუ აბრევიატურა CV („სივი") არის ინგლისური და ნიშნავს სრულ მონაცემებს პიროვნების შესახებ.

რაღაც, ძველბიჭურ, თბილისურ ტერმინსაც („ქსივი") ჰგავს!

---

*სულხან-საბა ორბელიანი: არცარა ენის უტკბესი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოველისა ქვეყანისასა.*

*ტალეირანი: ენა იმიტომ მიეცა ადამიანს, რომ თავისი აზრები... დამალოს.*

* * *

**ილია მართალი:**

„ამოეიკითხავთ ნიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, ეს-ეს არის, ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთო. ქვეყანაზე ბევრი რამ არის უნიგნოდაც ნასნავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც — აქეთ. რაკი ნიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო, ჭკუა, თუ არ ნიგნში, სხვაგან აღარსად იყოს."

...„ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივ ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია".

* * *

მთელი ჩვენი ცხოვრება ლელთ ღუნიას მსგავს ნატერაში ვარ: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" და როცა „გვეყუდნა", ახლა იმის ძებნაში ვართ, ვის ვეყუდნოთ ანუ ვის შევეფეროთ და ვის შევაფაროთ თავი!

* * *

მზის ჩასვლის იმედი... მზის ამოსვლაა!
მამაზეციერმა გელოცოს!
ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოთ!
კაცი იმედით ცოცხლობს!

* * *

რეპორტაჟი ხანშიშესული კაცის დღემდე გაუმხელელი ფიქრებიდან... ანუ 1000-ობით დღისა და ღამის 1001 სიზმარი და ცხადი, ზღაპარი და სინამდვილე!

ადამ და ევას შვილნი ვართ
და ძენი „ვეფხისტყაოსნის",
ჩვენი ჭირი და ლხინია —
ქაოსი სააქაოსი!

* * *

— რა განსხვავებაა ჟურნალისტსა და მწერალს შორის?

— თუნდაც ის, რაც ამ კითხვაშივეა: ჟურნალისტს შეიძლება, აზრი ჰკითხო ჟურნალისტზე, მწერალს — არა... როგორც ლამაზ ქალს ლამაზ ქალზე...

აქ, აზრის კითხვას ... აზრი არა აქვს!

*„პოგრუზინსკი" კი არის, „პუური პომერიკანსკი" იყო... რა თქმა უნდა, „ს რუსსკიმ პროდიუსინგომ"!*

*მოკლედ, ჯაბა იოსელიანი ხუმრობს და ლაღობს. ეს მისი მემუარებიდანაც ჩანს:*

*„ქალაქის კომენდანტი გელა ლანჩავა ცოლს ბაზარში ტანკით მიაგრუხუნებს. დილით კომენდატურიდან გაუვლის, ფანჯარაში შესძახებს და ისიც კალათებით ჩამოცუნცულდება. იქვე, ქალების ბრბო შეეხვებილოა. აა, მიტინგის?! — იძახის ლანჩავა და ტანკის ქვემეხებს მათკენ ატრიალებს. „არა, კაცო! — კივიან ქალები. — პურის რიგის, პურის". — „ჰო, ორი პური მეც ამიღეთ". ისე, კაცმა რომ თქვას, რიგებიც ხომ თავისებური მიტინგებია. ბავშვობიდან სულ რიგები მახსოვს: პურის, შაქრის, კარაქის, ნავთის და ა.შ. განა ისინი მდუმარე ეკონომიკურ მიტინგებად არ შეიძლებოდა, ჩაგვეთვალა?!*

*„ასავალ-დასავალი, 14-20.07.08*

* * *

...და გეშინოდეს თაე-გასულისა –
...და გეშინოდეს აეი თ-ეალისა –
„აწმყო, შობილი წარ-სულისაგან
არის მშობელი მომა-ეალისა!"

* * *

**ვახტანგ VI:**

კაცმან უნდა საქმე თვისი ყველა ღეთითა მოიეარგოს,
სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სამე დარგოს!
ნუ დაეძებს ყველაფერში გამორჩენას, თაეის სარგოს,
ბოძებული ღეთიე სიკეთე შეირგოს და სხეას შეარგოს!

* * *

— უწმინდესმა და უნეტარესმა ერთ-ერთი შეხვედრის დროს მითხრა, რომ გადაწყვეტილი აქვს ვახტანგ VI-ს ანდერძის აღსრულება და ასტრახანიდან მისი ნეშტის საქართველოში საზეიმო გადმოსვენება.

## *სხვადასხვა დროის ინტერვიუების კითხვა-პასუხები*

— 53 წლისამ დაიწყე ლექსის წერა. რა დაგემართა?

— წერამ ამიტანა.

— რას იტყვით ჩვენს პროფესიაზე?

— ეს ნებაყოფლობითი კატორღაა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დროს ასე იყო. თუმცა, კომპიუტერიზაციამ ეს ჯოჯოხეთიც „კატორღულ სამოთხედ" აქცია.

მახსოვს, რაღაც გამოკვლევით, ჟურნალისტიკა (სიმძიმით) მაღაროელების შემდეგ მოდის და სიცოცხლის ხანგრძლივობითაც (ქართული სადღეგრძელოების მიუხედავად) არ გამოირჩევა.

ესაა მწვერვალების დაპყრობა — ერთ თოკზე ათი რომ ჰკიდია... რაღაც ბეწვის ხიდივით!

კლდის ვეფხვს მიხეილ ხერგიანს რომ ჰკითხეს, რა გინდა, ამ მთებში რომ დადიხარ და ამდენ ფათერაკებს ეძებო?

— რა მინდა მთებში და, ის, რომ იქ ასეთ სისულელეს არავინ იკითხავსო!

— ქართველებმა უკან დახევა არ იცოდნენ. რატომ?

— იმიტომ, რომ საქართველოში უკან დასახევი ადგილი არ არის.

—რას დაარქმევდით ქართულ-აფხაზურ ომს?

— უსახელოს!

თუმცა, აქვე ვიტყვი:

---

*ვახტანგ VI: ენა უკლიტოდ, მორბედი, ჭირია ულხინებელი!*

*სულხან-საბა ორბელიანი: ენისა დანაკოდარი ხრმლისაგან უარესია!*

*ბაშკირული ანდაზა: თავი იყოს და ქუდი იქნება!*

*პლინიუსი: ისა ჰქმენ, რაც ღირსია აღწერის და ის აღწერე, რაც ღირსია... წაკითხვის!*

დიდება ამ დამარცხებულ ომში გამარჯვებულ ბიჭებს, რომლებიც მოკვდნენ და სამშობლოსათვის თავგანწირვის ნიჭი გადაარჩინეს!

— რისი უფლება აქვს და არა აქვს ქართველს?

— რთული კითხვაა, მაგრამ მარტივი პასუხი აქვს: საქართველოში ყველა ქართველს აქვს უფლება, კარგად იცხოვროს, მაგრამ არავის აქვს უფლება, იცხოვროს საქართველოზე კარგად!

— დღევანდელობის დასახასიათებლად რაიმე შტრიხი!

— რომელი ერთი?

ჩემი ყურით მოვისმინე და ჩემი თვალით ვნახე, ერთმა ქალმა ერთ კაცს „გამარჯობაზე" რომ უთხრა — „არ გაგიმარჯოსო!" (იმდენი ცოდვა ჰქონია იმ ღმერთგამწყრალს და უტიფარ მესალმეს... ამ გამომსალმებელთან).

დღეს, ყველა „გაგიმარჯოს" „გამარჯობა" არ ეკუთვნის.

ბევრი სალამი...სალამის ღირსი არაა.

თანაც, იმ ქვეყანაში, სადაც სალამი ღვთისაა!

— ვინ არის მწერლის მასწავლებელი?

— მკითხველი!

— ვის ვალში თვლით თავს?

— ქართული ენის, რომლითაც „უთქმელიც კი ითქმის" (იოანე ზოსიმესი არ იყოს). თუმცა, ამ ნაღმართ ენას დღეს, ხშირად, უკუღმართად ვიყენებთ: ყაჩაღს — ყოჩაღს ვეძახით, ფუფუნების ფუფუნებაზე ვოცნებობთ, არადა, ეს სიტყვა ორჯერ იფურთხება. შარი და შური, ცალ-ცალკე, ცუდი სიტყვებია, ერთად კი მშვენიერი — „შარი-შური"!

— რას იტყვით ახლა ცხოვრების უთანასწორობის ამ უფსკრულზე?

— ერის წინაშე, ბერის წინაშე, უფლის წინაშე — რაც მართალია...

მას — ყველაფერი, სხვას — არაფერი,
ეს ვერაფერი სამართალია!

...ჩვენი ჭირი ნაიღოო, ნასულებზე ამბობენ.
ბოლო გზაზე აცილებენ, ადიდებენ, ამკობენ.
სამადლობელ მადლად ჩავთვლი თავზე ხელის აღებას,
რომ შემეძლოს, ჩემთან ერთად, თქვენი ჭირის ნაღებას.

კახური
„გახურებით"!

ჩვენი „ჯინი" არი „მტრის ჯინია" (ამას არ უნდა ჭრიჭინია):

ვეჯინის სეხნიაა ვირ-ჯინია,

„ჯორჯიის" კიდე-ნა — ჯორ-ჯინია!

ღვთის — ზარებს.
ცოცხალ — ჯაჭვს.
ნაყვრის — ხეს.
გული — გულს!
მხარი — მხარს!
ხელი — ხელს!
ერთობა „ცახცას"
ჩვენთვის დღეს...
გული — გულს!
მხარი — მხარს!
ხელი — ხელს!

„ბედნიერების დონით" საქართველოს მოსახლეობა მსოფლიოს სახელმწიფოთა სულ ბოლო ათეულშია. ასეთია აშშ-ში გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც 98 ქვეყანასა და რეგიონში ჩატარდა. „ბედნიერების დონის" განსასაზღვრად, კვლევას ყოველწლიურად ატარებს მიჩიგანის შტატის უნივერსიტეტთან არსებული სოციალური კვლევების ინსტიტუტი. ყველა ქვეყანაში მხ-

— პიროვნების როლი ისტორიაში...

— კომუნისტების დროს ყველაფერი ხალხი იყო. ყველაფერი კი... სინამდვილეში არაფერია. ყველა ე.ი. არავინ. სინამდვილეში კი, პიროვნების როლი ისტორიაში თითქმის განუსაზღვრელია.

თუმცა, ერთ კაცს არც ქვეყნის აშენება უნდა დავაბრალოთ, არც — დაქცევა.

კიდევ ერთიც! — ერთ კაცს არ შეუძლია, აქციოს ჭირი — ლხინად... ლხინი — ჭირად, ანუ პირიქით კი!..

გაიხსენეთ „ქართლის ცხოვრება". რას წერს ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს სამეფოს აღწერაში:

„ხოლო კაცნი ამის ქვეყნისანი... კეთილ-ბოროტზე ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყვარენი, თუალმგებნი და მოთაკილენი..."

— კალმის გარდა, რა იარაღი გიხმარიათ ცხოვრებაში?

— გახსოვთ ილია?

„ხმალი იმოდენს ვერას იქმს, მრისხანე და ძლიერიო —
რასაც იქმა მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო!"

თუ 16 წლამდე (ანუ არასრულწლოვანები!) კინოში არ დაიშვებიან... თუ ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ნებართვაა საჭირო.. კალამთანაც ყველა არ მიიშვება! — განურჩევლად ასაკისა (დღეს ეს უფრო თვალნათლად ჩანს). კალმის გარდა ვხმარობდი სიცილს, ნიღბებს. ჩემმა სახლიკაცმა შოთა ნიშნიანიძემ მომიძღვნა თავისი ლექსი „ნიღბები":

„ამ წყეულ ნიღბებს იმიტომ ვიცვლი, რომ ჩემი სახე შევინარჩუნო...
ვიცოცხლო, ვწერო და ვიფაჩუნო..."

„ ...და, როცა დღიურ ფუსფუსის მიღმა ღამე საკუთარ სულს ჩამახუტებს,
მე გადავხედავ ჩამოხსნილ ნიღბებს, როგორც ნაომარ რკინის ჩაფხუტებს"

— რას არ გვაპატიებს ღმერთი?

— მამა-პაპათა საქციელს არ ეკადრება ხელყოფა —
ქვეყანა ნაცრად ვაქციეთ — თავზე საყრელად გვეყოფა!

* * *

**რობერტ მელქაძე:**

თქვენს უშველებელ, მემორიალურ წიგნს („გიზო ნიშნიანიძე") ერთი ნაკლი აქვს — იმ სისქეა, შტანგისტი უნდა იყო, რომ დიდხანს გეჭიროს ხელში და, კიდევ... ღამე, უსინათლობის გამო, არ იკითხება?!

„თელასს" ვთხოვოთ, სააქაოში გვამყოფოს ნათელში, თორემ საიქიოში, ანუ ღმერთის სათხოვარს იმას ვინ კითხავს?!

— ბუნებრივია, თქვენი წიგნი ჩვენი დროის უტყუარი მატიანეა... რა შტრიხებში ხედავთ ჩვენს დროს?

* * *

— გალაქტიონმა ბრძანა: დრო, დრო აღნიშნეო!

ეს არის უდროობის დრო, როცა:

---

*ინგლისური ანდაზა: ენის სიჩუმე... კაცის ჭკუაზე მიუთითებს.*

*ფრანსუა დე ლაროშფუკო: ბრძენის სიბრძნე და ერთგულება არის საკუთარ სულში განგაშის დაფარვის ხელოვნებაა!*

ხელმწიფე არის — სახელმწიფო არა!
მთქმელი არის — გამგონი არა!
ვალი არის — გადამხდელი არა!
სიტყვა არის — პატრონი არა!
ხელისუფლება არის — თავისუფლება არა!
ხმალი არის — მომქნევი არა!
მწერალი არის — მკითხველი არა!

— თქვენ ერთხელ იხმარეთ სრულიად ახალი სიტყვა — „ზენარმაველები". როგორ გავიგოთ?

— ქვენარმავლებად!

— თქვენი აზრით, თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი ჟურნალისტური და მწერლური მონაპოვარი!

— საფლავშიც კი დევნილი დიდი ქართველი მოღვაწის დავით სარაჯიშვილის მკვდრეთით აღდგენა და ქაშუეთის ქტიტორ-აღმშენებლის მეორედ მოსვლა.

1911 წელს დამარხეს, როგორც მეფე;

1938 წელს მოთხარეს, როგორც მონა;

1994 წელს ქაშუეთის მიწას მივაბარეთ, როგორც წმინდანი;

2002 წელს კი ძეგლი დავუდგით, როგორც ახალი დროის მედროშეს!

ეს ერთი!

მეორე — „პაემანი ვერაზე" და მესამე — აღამაჰმად-ხანის შთამომავლის, ულამაზესი იზეტ ყაჯარის თბილისში აღმოჩენა, რუბრიკით „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია".

— დაბადების დღეს თუ იხდით?

— რა დროს დაბადების დღეა, როცა დაბადების დღეს ინყეველის ხალხი. წაიკითხეთ „ქრონიკაში", რას ამბობს ყველაზე დიდი იუბილარი. სათაურშივე რა ელფერი დაჰკრავს ლირიულ „ექსპრომტ"—ინფორმაციას: „ნუხელის ბიჭი დაბადებულა!"

ზუსტად ჩემკბილა პრეზიდენტმა ბრძანა, რომ „ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემებია. ამიტომ, პრეზიდენტს უფლება არ აქვს, საიუბილეო ღონისძიებას დათანხმდეს!"

ის, რაც შეიძლება იუპიტერისთვის, არ შეიძლება ხარისთვის. ან, იქნებ, პირიქითაც. მახლას! როგორც არის!

— ყველაზე მეტად რისი დარდი განუხებთ?
— აღარაფრის დარდი აღარ მანუხებს,
დავეხსენი ამ ცხოვრების მარწუხებს...
უდარდელის მარიფათიც გაჩვენე...
რაღას ვუცდი? —

*ილოდ 2 კითხვას უსვამენ: მიიჩნევენ თუ არა ისინი თავს ბედნიერად ან უბედურად და კმაყოფილნი არიან თუ არა თავიანთი ცხოვრებით. საქართველო ბოლო ათეულში 90-ე ადგილს იკავებს. მათ მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს რუსეთი. ქართველებზე უფრო უბედურად თავს მიიჩნევენ ბულგარეთის, ერაყის, ალბანეთის, უკრაინის, ბელარუსიის, მოლდოვას, სომხეთისა და ზიმბაბვეს მოქალაქეები. დედამიწის ყველაზე ბედნიერი ადამიანები, გამოკითხვის შედეგად, დანიაში ცხოვრობენ. „ყველაზე ბედნიერთა" პირველ ათეულში შედიან: პუერტო-რიკო, კოლუმბია, ისლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, შვეიცარია, ნიდერლანდები, კანადა, ავსტრია და სალვადორი. აშშ სიის მე-16 რიგშია, დიდი ბრიტანეთი — 21-ე, გერმანია — 35-ე, საფრანგეთი — 37-ე, ვიეტნამი 36-ე, ჩინეთი — 54-ე ადგილზე.*

*„ქრონიკა",*
*7-13.07.08*

ისევ დარდი მაჩერებს!

— არის თუ არა ადამიანი „ბუნების მეფე"?

— მამაჩემსა აქვს ცხონება, ჯობია, ბუნების შვილობას დავეჯერდეთ.

ჩვენზე ლამაზია ცხენი, ვეფხვი... ჩვენზე ღონიერია ლომი... მხეცები, თავიანთ ტანსაცმლიანად, ქურქ-შუბებიანად რომ იბადებიან!

მხეცებსაც კი აზრად არ მოუვათ, იფიქრონ ბუნების მეფობაზე!

— ხართ თუ არა დამსახურებული ჟურნალისტი, მწერალთა კავშირის წევრი? გაქვთ თუ არა ჯილდოები? და, თუ არა, რატომ?

— ერთი ბრძენის არ იყოს, მე მირჩევნია, მკითხონ, რატომ არ მაქვს, ვიდრე მითხრან, რატომ გაქვსო!

შოთა ნიშნიანიძის ლექსი გახსოვთ? როცა მედალი დამკიდეს ყელზე... „ვიგრძენი, როგორ მიჭერდა ყულფიო!" ახლა, ზოგი აბარებს ორდენებს, ზოგი „ტალკუჩკაზე" ყიდის.

„ორდენები საშუალებას იძლევა, გავარჩიოთ პოლიტიკოსები და ოფიციანტებიო" — თქვა ერიხ მენდემ. მეც ავიღე და ვენდე! მააშ!

...და, მაინც, ცოდვა გამჟღავნებული ჯობია. სიბერეში მაინც გამიტკბა და ნარსულმა ჩინ-მედლებით ამავსო! მაქვს მედალი „კავკასიის დაცვისათვის"; ივანე ჯავახიშვილის საუნივერსიტეტო მედალი; ღირსების, გორგასლის საბრძოლო მედალი; „თბილისის" საპატიო მოქალაქის ნოდება... ახლახან ევრაზე ვარსკვლავიც გამიხსნეს... მოკლედ, ჩინ-მედლებით ყელამდე ვარ და ყელში მაინც არ ამომსვლია!

— რა გვჭირს ქართველებს?

— ერთმანეთის ჯინაზე კარგად ყოფნის... უბედურება!

— რა სჭირს საქართველოს?

— ეკლესიასტე, თავი X, 16. „ვაი, შენ და ქვეყანავ... შენი დიდებულები დილიდანვე რომ ინყებენ ჭამას!"

ერთხელ, ძალიან დაგვიანებულმა შემოდგომის აზნაურმა ვახტანგ ჭყოიძემ თქვა: რაფრა იქნები, ბოშო, იმ ქვეყანაში, სადაც დილით ადგები და 200 მილიონი კაცი საშოვარზე და საქურდლად რომ გარბისო!

— თქვენ ნერთ, რომ საქართველოში უკან დასახევი ადგილი არ არის და ქართველებმა უკან დახევა არ იცოდნენო! დღეს კი სხვები მამლობენ!

— სხვისი მამლობა ჩვენი დედლობის ბრალია!

— რით განსხვავდება ჩვენი და თქვენი დროის თბილისი?

— ჩვენს დროს დედაქალაქი იყო, ახლა კი უბრალო მისამართად იქცა.

თბილისმა ხასიათი დაკარგა. უხასიათო კი, ილიასი არ იყოს, კაცი რაა, ქალაქი რა იქნება! ყველა ქალაქს თავისი განუმეორებელი ხიბლი აქვს!

— გვითხარით ერთი სადღეგრძელო!

— ძველი ეშხით სანთელივით ვინვოდე,
ვხედავ უკვე, სიცოცხლის ნრე იკვრება —
და, თუ სადმე ჩემს სულს დავლევ, იცოდეთ,
ისიც თქვენი სადღეგრძელო იქნება!

---

*ფრენსის ბეკონი: არაფერია ისეთი მავნებელი ხელისუფლებისათვის, როგორც ეშმაკობის სიბრძნედ მიღება.*

*ხალხური: თუ მარტო ხარ, რჩევა ქუდს ჰკითხე!*

*ფრანსუა დე ლარომფუკო: ეჭვიანობაში თავმოყვარეობა უფრო მეტია, ვიდრე სიყვარული.*

* * *

**„იდუმალების სამყაროში“**
(თამარ ოთიაშვილი)

— რაღა 13-ში დაიბადეთ?

— სწორედ იმ თარსის გასატეხად... ესეც არ იყოს, ეკლესია სულაც არ უყურებს 13-ს თარსად. 12 მოციქული ჰყავდა მამაზეციერს და მე-13 სწორედ თავად იყო.

ეს ისე, ზოგჯერ ბიჭზედაც ხომ იტყვიან, ღმერთივით ბიჭიაო!

— ომის დროის ბავშვობა როგორ იყო?

— ადრე დაკაცებული... პურისა და ნავთის რიგებში, თვითნაკეთი ხმალ-ხანჯლით, „სამაკატკებითა“ და თოფ-დამბაჩებით!

რადგან სამუშაოები არ იყო, ჩვენი თაობა ვარსკვლავებს ეთამაშებოდა და ციდან ვარსკვლავების მოსანყვეტად იქაჩებოდა.

ამ დროზე კი... „პაემანი“ კი არა, „საჩივრის წიგნი“ თუ დაიწერება. ბატონი — გვყავს, პატრონი — არა!

— ძეელი ინერციით წერის დროს თუ გრძნობთ ცენზურას?

— არა მარტო წერის... კითხვის დროსაც — ძველს არა — „მთავლიტი“ რომ ერქვა... ცივ სიოს არ უშვებენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიმართ, ქარიშხალად არ მოგვიბრუნდესო!

ენას კბილი დააჭირეო... ან ტვინი (თუ კბილი აღარ გაქვსო). „შიში შეიქმს სიყვარულსაო!“ — ამ მშიშარა ბედნიერებით ვცხოვრობთ დღესაც.

არადა, ზაურ ბოლქვაძისა არ იყოს:

„ჯერ მათქმევინეთ მართალი სიტყვა
და მერე, თუნდაც, მომჭერით ენაო!“

ასე იყო, ასეა და ასე იქნება?

* * *

**„ივერია ექსპრესი“**
(ნათია ჩუბინიძე)

— თქვენ თვლით, რომ სიცილი დაგიმახინჯდათ? რატომ?

— დროა ისეთი, თორემ შევარდნაძეს (ხომ გახსოვთ) როგორი „ვალუტნი“ ღიმილი ჰქონდა!... მაგრამ, დღეს, ზოგჯერ, დანა პირს არ უხსნის.

მე კი მთლად გუიმპლენივით გამომდის, სპეცი-

*სამი საუკუნის უკუნში გაძლება არ გინდა!*

*...იგი უხუცესი ქართველია (ეგებ მსოფლიოს უხუცესი ადამიანიც), რომელსაც გასულ კვირაში 128 წელი შეუსრულდა. 1880 წლის 8 ივლისს დაბადებული ანტისა ხვიჩავა მესამე საუკუნეს მოესწრო. უნიკალური მოვლენაა, რომელთან შედარებითაც გინესის წიგნის ყველა აღნუსხული რეკორდი ხუნდება.*

**P.S.** *ეს ცას გამოკერება, ანუ უკვდავებაა... პირდაპირი გაგებით!*

*ბაჩანა ბრეგვაძე*
*(ბოლო ჩანაწერები)*

*რა არის ფილოსოფია?*

*ციცერონის მიხედვით, ესაა „სციენცია რერუმ დივინარუმ ეტ ჰუმანარუმ ცაუსარუმქვე ქუიბუს ჰის რეს ცონტინენტურ.“ — ანუ! — „ღვთაებრივ თუ ადამიანურ საგანთა და იმ მიზეზთა ცოდნა, რომლებშიაც ისინი არიან მოქცეულნი.“*

ფიკურად დამახინჯებული კომპრაჩიკოსები რომ გამოჰყავდათ ცირკში სამასხაროდ და ხალხის გასაცინებლად.

ვაი, ამ სიცილს!

## *ოთარ ჭილაძეს!*

...სიტყვა სულს აჩენს!

ჩვენში დარჩეს — ანუ ცასა და მიწას შორის —

ამბავი კაცის... არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი კაცის — ცისა და მიწის სწორის!

დღეს ოთარ ჭილაძე ტოვებს ვერელ ბიჭებს!

დღეს ოთარ ჭილაძე მთაწმინდის პანთეონში ანუ უკვდავებაში შეაბიჯებს!

მამადავითზე დარდი განვიმდება და გადაიკარებს —

პირველიდან — ბოლო და...

ბოლოდან — პირველი გამოიხურავს სამოთხის კარებს.

პანთეონი დაიხურება — (ხალხის გულზე უკეთესი არც მეგულება!)

დღეს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი წაიშლება!

აქ — ჭირის,

იქ — ლხინის სუფრა გაიშლება!

ოთარ ჭილაძის მარადისობის სუფრის თამადა იქნება შედან ჭილაძე —

წარსულიც გვყოფნის — სამომავლოდ, მტრების ჯინაზე!

მშვიდობით, ოთარ! — უხდებოდი შენს ქართულ მიწას.

შენი ადგილი ცაშია დაამშვენებ მის ცას!

* * *

**ილია მართალი:**

სიმღერა, გალობა სხვა არა არის რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა. აქ, სიმღერაში, გალობაში, მწყობრი ხმა ჰშველის წყობილსიტყვაობას და წყობილსიტყვაობა მწყობრს ხმასა, რათა მთლად და სავსებით ადამიანმა გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა. ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე, ბევრს შემთხვევაში, უღონონი არიან, ადამიანის გულის სიღრმიდამ ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისას. სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა.

---

*ქართული ტრადიციის ამოძირკვას... გვარის გაქრობა სჯობია! (რაც მამის სახელის წაშლით იწყება!)*

*ყირგიზული სიბრძნე: მონასავით იშრომე და ბატონივით იცხოვრე!*

*ძველი გმირებიდან ზღაპრებიღა დარჩა!*

* * *

— როგორია დღეს თბილისი?

— როგორი თბილისელებიც ვართ, ისეთი თბილისი გვაქვს!

ზოგი ქალაქი ნეერის გაპარსვადაც არ ღირს!

* * *

„წინა კაცი უკანასთვის ხიდია"...
დღეს კი წინას – ერთ ადგილზე ჰკიდია:
შემოსავალ-მოსავალ-გასავალი:
უკანაც და იმის წინაც მავალი!

* * *

— ადამიანი გვიან ხვდება, როგორ უნდა ეცხოვრა. თქვენ?

— მე მართალი გითხრათ, ჩოხასავით მოვირგე ირაკლი აბაშიძის ერთი, შედარებით უცნობი ლექსი-აღსარება.

„იქნება ჯობდა,
კაცმა რომ თქვას, ჯობდა ნამდვილად,
მეცხოვრა ჩემთვის, მხოლოდ კაცის ხმით და უფლებით,
უფრო საკუთრად, უფრო ლაღად, უფრო ადვილად —
ჩემი ქალაქით, ჩემი დასტით, ჩემი უბნებით!"

ჭეშმარიტად, ჯობდა ნამდვილად!

და, სულო ცოდვილო, თუ ეს ქართული მწერლობის პატრიარქისთვის ნატვრა გახლდათ, ჩემთვის კი — რეალობაა! ლამის, მონმედ ვასახელებ... ვერის „ვერიზმს", ანუ ჭეშმარიტსა და ჭეშმარიტებას!

* * *

— ჰემინგუეი ფეხზე ამდგარი წერდა. კიტსი საგარეო კოსტუმს იცმევდა წერის დროს. თქვენ?

— ხან რა მაცვია, ხან — რა. მაცვია, მახურავს, ვდგევარ, ვწევარ, წერას ვყავარ ატანილი და მეწერება!

პოეტი მედიუმია. ბავშვობიდან გვზრდიდა თბილისი პოეტური სულით — „ვისი სული გსურსო?"

— მაინც რა დროა?

— საათს გეტყვით, დროს — ვერა.

ზუსტად ისეთი დროა, ალბათ, თვით მიქელანჯელომ რომ ბრძანა: არ ვიცი, რა ჯობია — ბოროტება, რომელსაც სიკეთე მოაქვს, თუ პირიქით. —სიკეთე, რომელსაც ბოროტება მოსდევს.

ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

მათე, 5,10

ერთ ბერს უდაბნოში ჰყავდა მორჩილი. მორჩილი ემსახურებოდა მოძღვარს, რომ ზოგი ლანძღავდა და ზოგი აქებდა მას. მორჩილმა ჰკითხა მოძღვარს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. ბერმა ურჩია, წასულიყო სასაფლაოზე და იქ მიცვალებულები ხან ექო და ხან გაელანძღა. ეს ყველაფერი რომ გააკეთა მორჩილმა, ისევ მივიდა თავის მოძღვართან და უთხრა, რომ მას არანაირი პასუხი არ მიუღია და სწორედ ამიტომ, მოძღვარმა მორჩილს ურჩია, რომ როდესაც მას ლანძღავდნენ ან აქებდნენ, თვითონაც ასე მოქცეულიყო.

ილია მეორე

ჩემი საყრმის მეგობრებს
ჩვენი საყრმის მზე დასცქერის.
ვერის უბნის უბემი ვართ —
ნამობი და გამოზრდილი.

— როგორი მონაფე იყავით?

— სულ კუთხეში ვიდექი კლასში და მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ.

ფრანგმა ლე-კორბუზიემ (არქიტექტორი), თურმე, მრგვალი კოშკი დააპროექტა, ისე იყო განამებული სკოლაში კუთხეში დგომით.

ომმა დაგვაკაცა.

ბავშვობაში კაცები ვიყავით და კაცობაში ბავშვებად დავრჩით.

* * *

**მირიან ჭიჭინაძე:** რა არის თბილისელობა?

— მოვალეობა და არა უფლება!

ახალი პოემა: გოგლა ამბობდა, რომ თბილისელობა პროფესიააო.

ნაიკითხეთ: რუსთაველი — ქაჯებზე და ნარმოიდგინეთ: ქაჯები — რუსთაველზე!

* * *

— თქვენი ახალგაზრდობის ნიგნებიდან და, თუ გნებავთ, თქვენი დროის ქალებიდან, რომელი მოგნონთ ყველაზე მეტად?

— რომელიც ჯერ არ დამინერია...

უცნაური შედარებაა. თუმცა, უცნობი ქალი მართლაც ჰგავს ნაუკითხავ ნიგნს!

* * *

— როგორ ცხოვრებას ინატრებდით?

— ისეთს, როგორიც ერთმა ჭკვიანმა ებრაელმა ინატრა: დილით სიამოვნებით მივდიოდე სამსახურში და საღამოს სიხარულით ებრუნდებოდე სახლშიო!

ერთმა ებრაელმა, თურმე, ისიც თქვა: მე ისეთი პატარა ქვეყნის შვილი ვარ, რომელსაც უფლება არა აქვს, დიდი შეცდომები დაუშვასო!

ქართველებმაც ორივე ყურში უნდა შეუშვან ეს!

* * *

კაცმა იმისთვის უნდა იცოცხლოს, რისთვისაც კვდება!

* * *

— რა არის ცხოვრება?

— ცხოვრება ნება-სურვილის ასპარეზია. სურვილი ნინ უსნრებს ნებას, მაგრამ ნება პირველია და სურვილი — მეორე. ამიტომაც ჰქვია მას ნება-სურვილი!

* * *

— ამდენი ხანი გავიდა. რატომ ვერ გაიმართა ნელში ეს ქვეყანა?

— ყველა იმ საქმეს აკეთებს, რაც მისი საქმე არაა. ჩვენი სასამართლო ხელის გადანევას ჰგავს, სადაც ძლიერი კი არაა სიმართლის, არამედ

*ასირიული სიბრძნე: როცა ბრიყვი ლაპარაკობს, ბრძენი — დუმს.*

*ქართული სიბრძნე: სიტყვა ვერცხლია. დუმილი — ოქრო.*

— სიმართლეა ძლიერის მხარეს! ჩვენში, თუ ფული გაქვს, სიმართლე არ დაგეკარგება!

* * *

— როგორ იმოქმედა თქვენზე ახალმა ეპოქამ?

— ახლებურმა შოუმ კი არა, ბერნარდ შოუმ თქვა: ზოგიერთისთვის ეპოქის ქარი მხოლოდ სურდოს ინვევსო!

— რას იტყვით ახალი დროის ფილოსოფოსებზე?

— „ფიცი მნამს, ბოლო მაკვირვებს!" ნათქვამია: ნვერს ვხედავ — ფილოსოფოსებს ვერაო!

* * *

არსებობა სიტყვის ჭეშმარიტი თავისუფლებაა! ტაციტის ციტატა: იშვიათია, როცა შეგიძლია, იფიქრო ის, რაც გინდა და თქვა ის, რასაც ფიქრობ!

* * *

— რამდენად შეელის ლანძღვა-გინება „თელასს"?

კონფუცი: ჯობია, ერთი სანთელი დაანთო, ვიდრე მთელი ცხოვრება სიბნელეს უჩიოდე.

* * *

სამოთხეში ვიყავით და ერთი ვაშლის გულისთვის გამოგვყარეს იქედან.

ადამ და ევა ნაღდად ქართველები იყვნენ, იმიტომ, რომ ადამი ევამ აცდუნა და ევა — ვაშლმა. მუცელს გადავყევით.

სამოთხეში იყვნენ, მაგრამ მოერია ადამს ევა.

მე თუ მკითხავთ, მუცლის გარდა, ჩვენ ვერავინ მოგვერევა.

* * *

მკითხეს:

— თუ გსურთ დაბრუნება ნარსულში?

— ახალგაზრდობაში კი, სსრკ-ში — არა! მე მას უსუსური კავშირი შევადარე და, საერთოდ, არცერთი კავშირი არ მომნონს... სქესობრივის გარდა! მით უფრო, დღეს — სვინგერ-კლუბებისა და ჯგუფური სექსების ეპოქაში. ნახეთ, რა უდროობის დროა — ალილოზე მოსულები... ყაჩაღები აღმოჩნდნენ.

პრეზიდენტი (ე. შევარდნაძე. — რედ.) დღეში, როგორც თავად ამბობს, „ორ კალათ" ნერილს იღებს და ორ ფუთ პასუხს სცემს.

*დავით ვარსიმაშვილი:* დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

*ნინო მჟავანაძე:* ხრუშჩოვის ოცნება იყო საქართველოდან ქართველების გასახლება. თურმე, გაიძახოდა: საქართველო საკურორტო ზონად მინდა ვაქციო, დავუტოვებ იმდენ ქართველს, რამდენიც მომსახურებას დასჭირდება, დანარჩენებს გადავასახლებო.

**P.S.** ეს აზრი ხან საიდან უბერავს, ხან საიდან!

*თამაზ წივწივაძე:* ქართული სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიის ბედი ახლა მხოლოდ თქვენს ხელშია, თქვენო უწმინდესობავ! და, თუკი დიდი რომაელი სარდლის გნეუს პომპეუსის სიტყვებით ვიტყვით, ქართული სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიის გადარჩენა აუცილებელია — ჩვენი სიცოცხლე და (ღმერთო, მაპატიე!) თქვენიც კი, აუცილებელი არაა!

*ოთარ მეღვინეთუხუცესი (მსახიობი):* ოდა თუთბერ-

* * *

**გაზ. „კალმასობა“, 2002. N11**

პროფესორი გურამ ბენაშვილი: „...ეშმაკეული ცდუნებებით შეპყრობილი დრტვინავს და ამაოდ „ნეტარებს“ ლამის სრული სიბერნისკენ მიდრეკილი ქართველობა!“

შარლოტა კვანტალიანი ლეგენდად ქცეული მოქანდაკის ბიძინა ავალიშვილის გამოსათხოვარში წერს: „ეს ტოტალური უზნეობის პირქუში ეპოქააო!"

თამაზ ჩხენკელი კი იგონებს, რომ „ჩვენს თაობაში ბიძინა ავალიშვილი ერთადერთი იყო, ვინც ბედავდა ეკლესიის წინ დამდგარიყო და ყველას თვალწინ პირჯვარი გადაეწერა."

ბიძინა ავალიშვილი: შევარცხვინე ის თბილისელი, რომლის თბილისელობა „ზნაჩოკით“ გახდება საცნობიო.

ბესიკის პორტრეტი მისი ნატურიდანაა!

ერთადერთი მოქანდაკეა, რომელმაც გალაკტიონი ნატურიდან გამოძერწა!

უულამაზესი ბიჭი იყო, მაგრამ უუუმყრალესი სიმთვრალე ჰქონდა!

ერთხელ, გალეწილი მთვრალი მართავდა თავის ახალ „ვოლგას“, რომელიც ლურსმნიანი, ძველი ღობის სარებით ჰქონდა სავსე. „ზემელზე“ გაგვიჩერა მე და გოგი შიოშვილს (რომელიც მუდამ ქორწილში ნამსვლელივით იყო გამოწკეპილი!). უარი არ გაგვივიდა და ამ სარებში... სარგადაყლაპულებივით ვიჯექით. დანა პირს არ გვიხსნიდა! არადა, ეს სიჩუმე ავისმომასწავებლად მეჩვენა და ხუმრობას შევეცადე:

— ბატონო ბიძინა, რაა ეს ძველი სარ-პალოები?

— ესა, იუზგარ? — გადმოგვიბღვირა. — წყნეთში მიმაქვს აგარაკზე, რა!

— ნეტაი შენ, რას წვალობ. რად გინდა ამდენი პალო? — ვითომ ვიანგლე, — აიღე ერთი პალო, დაარჭე ეზოს შესასვლელთან და ზედ დააწერე: „სახლში ვარ! მთვრალი ვარ!" ეშმაკიც ვერ მოგეკარება-მეთქი!

კინაღამ სიცილით მოკვდა და ჩვენც ზედ მიგვაყოლა — ძლივს გააჩერა გაძეძგილი მანქანა ვერის ხიდთან!

* * *

საზრიანი ხალხია ქუთათურები!

ერთხელ, თურმე, გიდი გახდომიათ ავად და „ინტურისტ"-შინტურისტების შოფერს შეუთავსებია მისი მოვალეობა, თანაც, ერთობ მარტივად და მახვილგონივრულად.

როგორ?

როგორ და ნუხანდელ ნაქეიფარს, ტურისტული მარშრუტის დაწყების წინ, ერთადერთი სიტყვა უთქვამს:

— პატივცემულო ტურისტებო! ვიწყებთ ექსკურსიას... გაიხედეთ,

---

*პლინიუს უმცროსი: ჭეშმარიტი დიდება იმაში მდგომარეობს, რომ აკეთო ის, რაც აღწერის ღირსია, და სწერო ის, რაც წაკითხვის ღირსია.*

*ლაო ძი: ბრძენი სიბრძნეს ფლობს და დუმს; უმეცარი — უმეცრებას და... ქადაგებს.*

ბატონო, მარჯვნივ!... რასაც თქვენ ახლა ხედავთ, მარჯვნივ, უკან დაბრუნების დროს იქნება მარცხნივ!

„ინ“ და „შინ-ტურისტები“ სიცილით დახოცილან და კარგადაც შეუქცევიათ თავი.

*მეტაფორა:*

ყვავილი — დაფრენილი პეპელა.
პეპელა — აფრენილი ყვავილი!

* * *

**ჟურნალი „ოჯახის მკურნალი“, N3 (115), 2.11-15.11.2006.**

დევი ლომიძე

*მწერლობა მილიონი კითხვის ნიშანია*

„ყველა იმისთვის მოდის ამქვეყნად, რომ საკუთარი თავი შეიცნოს. ეს ისეთი ერთუცნობიანი განტოლებაა, რომლის ამოხსნაც ყველას არ ძალუძს. მე საკმაოდ დიდი გზა გავიარე და ახლა სხვებს ვადევნებ თვალს — მათაც ხომ იგივე გზა უნდა განვლონ. ასე, რომ რაც მინახავს, ისევ ვნახავ... ცხოვრებაში ასეა: 50-60 წლამდე ასაკი გემატება, მერე და მერე — გაკლდება, მაგრამ სიცოცხლე მაინც გიხარია, თუმცა, რა გიხარია, არ იცი. ცხოვრება, ვინც ფიქრობს, იმისთვისაც — საინტერესოა, ვინც არ ფიქრობს, იმისთვის — სახარბიელო... არ მეგონა, არ მეგონა, თუ საკუთარ თავზე მომინევდა საუბარი, არც ვიყავი ამ თემისთვის მზად. ხომ ხედავთ, დროს ვიგებ. ისე, როცა წინასწარ გაქვს ნაფიქრი, ინტერვიუ უფრო უინტერესო გამოდის. ერთ ბრძენს უთქვამს, უთქმელი სიტყვა უფრო მეტს ამბობსო. მეც ასე მგონია“, — ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი მწერალმა და ჟურნალისტმა გიზო ნიშნიანიძემ. 13 თებერვალს მას 78 წელი უსრულდება.

*სულის სარკეში*

დრო აჩქარდა, წლები მემატება და ნელ-ნელა მამაჩემს ვემსგავსები. უკვე იმ ასაკში შევედი, სარკეს რომ გაურბიან. საკუთარი სახის დანახვას მირჩევნია, სულის სარკეში ჩავიხედო — იქ უფრო უკეთ ჩანს, რა მაწუხებს და რა მიხარია. მაგალითად, რამის აზრს რომ ჩავწვდები, რამეს რომ ამოვხსნი...

*იმეს თუ ქუჩაში სადმე წავაწყდი, თმით ვითრევ. ეს როგორ გაბედა? მაგის და მაგნაირების უნამუსობას საზღვარი არ აქვს. ამ გათახსირებულებს დორივით უნდა წააცალო თავი ასეთი საქციელის გამო*

*„ჯორჯიან თაიმსი“ 2009*

*„ხელშეუხებლობის გარანტია კი აქვთ, მარა, ეგხ-შეუხებლობის გარანტია ხომ არავისთვის მიგვეცია?... პანდური და მისი ჯანი!!!*

*ოთარ ჭილაძე:*

*ჩვენ მედეას გაჩენილი და ამირანის გამჩენელი ხალხი ვართ და ჩვენი ხსნა მხოლოდ ბრძოლაშია, ანუ ჩვენთვის ყველაფერი ბრძოლაა: ლხინიც, გლოვაც... ყველაფერი, რითაც საკუთარ ვიანობას ადასტურებს და საკუთარ მეობას წარმოაჩენს ადამიანი, ჩვენც, ჩვენს სამშობლოსთან ერთად, ვიწვით ცოცხლად, მარადიულ ცეცხლში! მაგრამ ფერფლივით კი არ უნდა გაგვფანტოს ქარმა, არამედ ისევ მშობლიურ ცასა და მიწას უნდა მოვემატოთ ცად და მიწად.*

*გახსოვდეს, წინ მარადისობაა!!!*

ამას წინათ ასეთი რამ ვთქვი: „სიმართლე ტყუილმა იცის-მეთქი" და მესიამოვნა — ძალიან მოკლედ გამოვთქვი ვრცლად სათქმელი...

თითქოს, ახალი რა უნდა ვთქვა, მაგრამ განა არის რამე უფრო ძველი და სასწაული, ვიდრე დღე და ღამეა? სულ მგონია, ღმერთი, დღითა და ღამით, სიცოცხლესა და სიკვდილს გვაჩვევს... თუ სიკვდილი ძილია, მაშინ მასაც ექნება თავისი „პრემიალურები" — კარგი სიზმრები!

კიდევ რა მიხარია? სიყვარული რომ შემიძლია. მგონი, პუშკინს აქვს ნათქვამი, ყველაზე დიდი კეთილდღეობა სამართლიანი შურისძიებააო, მაგრამ ადამიანს სიკეთითაც შეიძლება დაანახო თავისი სიმახინჯე. შეიძლება, სიყვარულის უნარი ჩემი სისუსტეც იყოს. ნაზი კილასონიას აქვს ასეთი სიტყვები: „მე შენი სიმახინჯეც სიკეთედ ვინამე და ახლა სინანულის ნამი მდევს, ჩვენ ორში, ერთ-ერთი, მეტია მინაზე — ნახვალ თუ ნავიდე?" მე, მაგალითად, ვერ ვიმეტებ ადამიანს, მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ამით საკუთარ თავს ვიმეტებ? და, მაინც, ეს თვისება ძლიერებად მიმაჩნია.

პირდაპირი ვარ. ჩემს მეგობრებს ბევრჯერ უთქვამთ, შენ გაქვს იმის ფუფუნება, რომ პირდაპირ თქვა სათქმელიო. აღარ სწყინთ ჩემი პირდაპირობა. არ ვიცი, სიბერის ბრალია თუ, უბრალოდ, პატივს სცემენ ჩემს სიტყვას... სიმართლე ხომ მწარეა ხანდახან, მაგრამ საჭიროა.

წყენასაც იოლად ვივიწყებ... „იმ გრძნობას გაუმარჯოს, ბიჭებო, დედის მუცლიდან რომ არ დაგვყვა. იმ წყენას გაუმარჯოს, ბიჭებო, იქიდან აქამდე რომ არ გაგვყვა!"

ადამიანს ყველაფერი რომ წაართვა, გააშიშვლო და დასახვრეტად კედელთან მიაყენო, მას კიდევ დარჩება ერთი ძალა — დასცინოს სიკვდილს. თუ მას ეს უნარი აღმოაჩნდა, მაშინ იგი სიკვდილზე ძლიერია.

მოკლედ, ერთი... არც თუ ისე, მაგრამ მაინც იოლი კაცი ვარ. ვარ სიკეთისათვის, მაგრამ არა ქედმაღლობისთვის, სიგლახისთვის. გულით მინდა, ვიყო ადამიანი, რომელსაც, კაცთან კი არა, ღმერთთანაც მიესვლება.

ამდენი ხნის ვარ და ჯერ ბოლომდე ვერ გამირკვევია, სად არის ტყუილი და სად — მართალი. ამქვეყნად რამდენი კითხვაც არის, არა მგონია, პასუხიც იმდენივე იყოს. ყოველთვის რჩება ერთი კითხვით მეტი, რომლის პასუხსაც ღმერთი, ალბათ, თავისთვის იტოვებს.

საკმაოდ მაქვს განვითარებული ინტუიცია. ადამიანს ბუნებასთან ურთიერთობის უამრავი საშუალება გააჩნია და მინდა, ყველა გამოვცადო. ბედისწერისაც მჯერა. მთელი მწერლობა ხომ ბედისწერაა, ბედის ბადე უნდა მოუსვა, რომ რაღაც მოჰყვეს მასში... მწამს, რომ არსებობს შეუცნობელი, შემეცნების მილმიერიც. სამყარო იმხელაა, ჩვენი უმაღლესი განათლებაც კი, მასთან შედარებით, დაწყებითს ჰგავს. ნილს ბორმა, რომელიც ყოველდღე ახალ აღმოჩენას აკეთებდა, თქვა: ბუნებაში იმდენი საიდუმლოებაა, არ შეიძლება, აქ ვიღაცის ხელი ერიოსო. სხვა ვინ?.. ალბათ, ღმერთი ჰყავდა მხედველობაში.

ოჯახში როგორი ვარ? ოოო, ამაზე მე და ჩემს მეუღლეს განსხვავებული აზრი გვაქვს. ულლის გამწევი მთავარი ძალა მე ვარ. ბევრჯერ უთქვამთ, საკუთარ თავზე ბევრს იღებო. არ ვიცი, ეს ლანძღვასაც ჰგავს და გინებასაც!

— თქვენი მეუღლეც ასე ფიქრობს?

---

*მისი უკვდავი ლექსიკონის შექმნას საბამ 30 წელიწადი მოანდომა!*

*თვითონ სიტყვა ლექსი-კონი, სხვა ენებისგან გასხვავებით, „ლექსია" (და არა სხვა რამ „სიტყვარი".).*

— ხომ იცით, აქტიური კაცის გვერდით მდგომ ადამიანს აქტიურობა ან აშინებს, ან აღიზიანებს. გამოგიტყდებით, ერთი ნაკლიც მაქვს: ყველაფერში ცხვირს ვყოფ. ეს მარტო ცნობისმოყვარეობით არ მომდის; უბრალოდ, საკუთარი თავის გარდა ვერავის ვენდობი. ხანდახან საკუთარ თავსაც ვერ ენდობა კაცი. მაქვს იდეაფიქსები, ცუდი ჩვევები, ვიცი ფულის დათვლა, კარს ხშირად ვამოწმებ, დაკეტილია თუ არა-მეთქი. სისუსტეა, მაგრამ რა ვქნა, საკუთარ თავს ხომ ვერ გადავახტები? კარზე ერთი ამბავი გამახსენდა: გენიალურმა მხატვარმა ავთო ვარაზმა, ცოლი „გლაზოკს" რომ აყენებდა, ჰკითხა: რას აკეთებო? ვინმე რომ მოვა, გავხედავთ და გავიგებთ, ვინ არისო. — შეაბრუნე და ისე დააყენე, მომსვლელმა აქეთ ნახოს, ვართ თუ არა შინო, უპასუხია ავთოს.

კაცს დადებითიც და უარყოფითიც თანაბრად უნდა გქონდეს...

მოკლედ... არც ეშმაკი ვარ და არც ანგელოზი. რაცა ვარ — ესა ვარ.

## „ჯანმრთელობისაკენ, ნაბიჯით იარ!"

უამრავი ავადმყოფობა გადავიტანე. გულის ოპერაციაც მაქვს გაკეთებული, თბილისის ომის დროს ტყვიაც მომხვედრია. ასე, რომ მთლად ჯანმრთელიც არ ვარ. მაგრამ 78 წლის კაცის პირობაზე, სამდურავიც არ მეთქმის. 70 წლის რომ გავხდი, მოსანევე ბარათებს ასეთი რამ დავაწერე: „ვერაფერი ვერ გავიგე წუთისოფლის საათის, მივიხედე, მოვიხედე, გავხდი სამოცდაათის. ღვთის წყალობა ჰქვია, ალბათ, ამ ასაკის შესწრებას, ჩემი ხნის კაცს, დღეობაზე, თვითონ ღმერთიც ესწრება!". ჩემს ახლანდელ ასაკსაც ღვთის წყალობად მივიჩნევ. თამადობა ჯერ კიდევ შემიძლია. თამადების რეესტრში მეთხუთმეტე ადგილზე ვარ. სიცილის, ხუმრობის უნარიც ჯერ კიდევ შემრჩა, სიმღერაც მინევს ხანდახან. ამდენი რამ შემაძლებინა ღმერთმა, განა ეს ქონება არ არის? ღვინოს არ ვსვამ. არა, როგორ არ ვსვამ, მაგრამ, აი, სუფრაზე ხალხი ღვინის სმით რომ იხრჩობა, მე ნახევარი ბოთლი თუ მექნება დალეული.

ერთხელ, მე და ნოდარ დუმბაძე მიგვიწვიეს კახეთში. ორმეტრიანი ბიჭები დაგვახვედრეს! თამადად დამაყენეს. კარგად მოვილხინე, ვმღერი, ვხუმრობ, ანეკდოტებს ვყვები. მოკლედ, გავილექსე. ხალხი სვამს, მე — არა. ბოლოს ერთმა (უკვე კონდიციამდე იყო მისული, გულამომჯდარი ასლოკინებდა) იყვირა: ხალხო, ეს არღანივით კაცი, ორი

ავსტრალიაში ეკონომ-კლასის სასაფლაო გაიხსნა.

ერთმა ავსტრალიელმა კომპანიამ თანამემამულეებს საკმაოდ უჩვეულო მომსახურება შესთავაზა — ამიერიდან შესაძლებელი იქნება იმ ადამიანების სურვილების გათვალისწინება, რომლებსაც ახლობლების დასაფლავებისთვის ხარჯების გაღება დიდად არ ხელეწიფებათ!

ახალ სასაფლაოზე, თურმე, ადამიანებს ფეხზე დამდგარს კრძალავენ, რაც, შესაბამისად, მიწის უფრო მცირე ტერიტორიას იკავებს და გადასახადიც ნაკლებია.

**P.S.** ჰა, ჰა... სიკვდილთან ხუმრობა არ შეიძლება, თორემ ერთ რაციონალიზატორულ წინადადებას ჩვენც წამოვაყენებდით: თუ მიცვალებულს „ფეხზე წამოაყენებთ" და ვერტიკალურად დამარხავთ, მაშინ (აისორი „მალარებისა" არ იყოს), წლის ზევით ცოცა ბრონზებსაც წავუხმევთ და ძველიც მზად იქნება და ახალი „არაჩვეულებრივი" გამოვეწებაც!

ისე, კარგი აზრია. რა დროს მხართეძოზე წამოწოლისა და გულზე ხელის დაკრეფის დროა!

საათია, ვაკვირდები, წვეთს არ სვამსო! ვუპასუხე: შე დალოცვილო, რაც ღვინომ უნდა მაქნევინოს, იმას ისედაც ვაკეთებ და თუ გინდა, დავასლოკინებ კიდეც-მეთქი.

სიგარეტს ბავშვობიდან ვეწეოდი. ათი წელია, თავი დავანებე. მივხვდი, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, აქამდე ვერც მოვაღწევდი. მარკ ტვენს უთქვამს: სიგარეტისთვის თავის დანებებაზე იოლი არაფერია, პირადად მე, ერთი ოცჯერ მაინც დამინებებია თავიო. გემრიელად ჭამა კი მიყვარს, მაგრამ თავს ვიზღუდავ. ჩემი ლოზუნგია: „ჯანმრთელობისკენ, ნაბიჯით იარ!" თითქმის ყოველდღე, ოთხ კილომეტრამდე მანძილს გავდივარ ფეხით. შედეგიც მალე ვიგრძენი: წინათ 3-4 საათი ნავიმუშავებდი და უნდა დამესვენა, ახლა ენერგია მომემატა, გაცილებით მეტს ვიღწვი და დაღლილობასაც იშვიათად ვგრძნობ. ახალ წიგნზე ვმუშაობ და შეიძლება, ამიტომაც. ერთი ასეთი სტრიქონი მაქვს: „მე არ ვიცოდი, ლექსის წერა თუკი ვიცოდი, მაგრამ ვიწვოდი!" ბოლოს, ამ წვამ შემოქმედებითი ცეცხლით ქაღალდიც ააბრიალა... ამ წიგნს ჩემთვის უფრო ვწერ. ხომ ვიცი, რომ დრო მკლავს... ჰოდა, მეც „აბაროტს" ვუღებ სიკვდილს — წიგნზე მუშაობით იქეთ ვკლავ დროს.

— ბარემ, ექიმებზეც გაიხსენეთ ორიოდე კურიოზი...

— თქვენს კოლეგებს, იმედია, არ ეწყინებათ... ექიმი შემოვლაზეა. ერთმა ავადმყოფმა — ვაიმე, დედაო! — წამოიძახა. ექიმმა — ხომ ხართ მონმე, ჯერ ხელიც არ მიხლიაო. ერთი ამბავიც გამახსენდა: ძმაკაცის დედა ნიჟარაძის ქალი იყო, საოცარი იუმორის პატრონი. ავად გახდა და შვილს პროფესორის მოყვანა სთხოვა. მან მესამეკურსელი სტუდენტი მიუყვანა. დედამისმა რომ შეხედა, თქვა: ამის გამოწერილ წამალს მე კუჭში არ ჩავუშვებ და გარედან, რამდენიც გინდათ, იმდენი მისვითო...

## *სიცილ-სიცილით*

ჩვენს დროში ქუჩა, დღევანდელთან შედარებით, სულ სხვა იყო. ლექსებს კითხულობდნენ გალაკტიონი, გიორგი ქუჩიშვილი, ვარლამ ჟურული... თავი რამით უნდა დაგემკვიდრებინა. მე, მაგალითად, იუმორის გრძნობა ალმომაჩნდა და იმწუთშივე დავიწყე მისი რეალიზაცია. არადა, „რა დროის შენი ქუჩაა, არ განახო გარეთ გასული, ღმერთო, რა შევცოდე ამის ფასი, ეს რა ეშმაკია, რა სული! მეზობელს უბრძანებია (თქვენ ასე განსაჯეთ): ახლავე დასაჯეთ, თავზე არ დაიჯინოთო... მე გირჩევთ, რომ სამჯერ ისროლოთ ჰაერში და ორჯერ დაიჭიროთო!" აი, ასეთ ვითარებაში, ქუჩაში გამოსული კაცი ვიღაცას დაველაპარაკე, ვიღაცას ვეხუმრე, ვიღაცამ კაცად ჩამთვალა... ერთხელ, სიცილით პირგახეული ხალხის შუაში მდგარი რომ დამინახა იოსებ ნონეშვილმა, „ნიანგის" რედაქტორის მოადგილემ, მომკიდა ხელი და „ნიანგში" წამაპორწიალა — ხუმრობებში ჩვენ ფულს ვიხდითო. გავაკეთდი-მეთქი, ვიფიქრე და წავყევი. „თანამშრომელი დირექტორს სთხოვდა, ისეთი დახასიათება

---

*იმანუილ კანტი: ვინც უარი თქვა მეღმეტობისაგან, ის აკრძალვებისგან თავისუფალია.*

*სულხან-საბა ორბელიანი: ხარბად ნუ ითხოვ ხმოსანი, მუტრიბი ხარ თუ მგოსანი!*

მომეცი, გუშინ სადღეგრძელოში რომ მითხარიო", — ეს იყო ჩემი პირველი ხუმრობა. სიცილ-სიცილით, მოვედი ჩემს პროფესიასთან. ამ ცხოვრებას ჯოჯოხეთს ვეძახი, ხოლო მწერლობას — სამოთხეს, თუმცა, მწერლობაც ჯოჯოხეთური საქმეა.

იურიდიულზეც ვსწავლობდი, მაგრამ იარაღს... სიცილით მკურნალობა და დასჯა ვარჩიე. სიცილი უძლიერესი ცხოვრებისეული იარაღია. სიცილი ხალხის მხარეზეა, სიმართლისა და გარემოების საყვირია. სიცილს მყიდველი და გამყიდველი არ უყვარს. სიცილი ბუნებით დემოკრატია, იგი სიკეთის მხარეზეა და არა ფულისა...

სხვათა შორის, სიცილის ხანგრძლივობა სიცოცხლესაც ახანგრძლივებს.

ადრე, ყველაზე დიდ ლანძღვად — „ხუმრობა არ გესმის, კაცო?" — ითვლებოდა. ახლა უფრო სატირული, შეუბრალებელი სიცილია მოდაში. იუმორი — შავრქიანი თეთრი ხარია, სატირა — თეთრრქიანი შავი ხარი. იუმორი — ალალია, სატირა — მწარეზე მწარე...

დღეს რაც ხდება, დასაფიქრებელია. ვატყობ, გლობალიზაციის ზვავში ვყვებით და მეშინია, მთლიანად არ ნაგვლეკოს. დღეს ბევრ რამეს ივინყებენ ახალგაზრდები, რაც ჩვენისთანა პატარა ერისთვის, შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს. მე, მაგალითად, საქართველო... ტრადიციების გარეშე ვერ წარმომიდგენია. ქართველი ვარ და ღმერთმა დამიფაროს, საქართველოს უცხოელის თვალით შევხედო! 1983 წელს, ამერიკაში, სი-ენ-ენის კორესპონდენტი დამადგა თავს — ერთმანეთს შეადარე ჩვენი ჯორჯია და თქვენი ჯორჯიაო. მაშინ ძალიან საშიში იყო საბჭოთა კავშირზე რამე ზედმეტის თქმა. მე ვთქვი: თქვენს ჯორჯიაში — ღმერთი ისვენებს და კაცი მუშაობს, ჩვენს ჯორჯიაში კი — ღმერთი მუშაობს და კაცი ისვენებს-მეთქი. წალკოტია ჩვენი ქვეყანა და ამ წალკოტს მოვლა, მიხედვა უნდა.

ძალიან მიხარია, რომ თბილისი ნაირ-ნაირ ფერშია, ჩვენს ფანჯრებში სინათლე რომ გამოჩნდა. ჩვენი პრეზიდენტის სიტყვებიც მომეწონა, ნაზარბაევს რომ უთხრა: აი, ხომ ხედავთ, სხვადასხვა თაობის ხალხი ერთმანეთს როგორ ვუგებთო. მადლობა ღმერთს, თუ ამ ჭკუაზე დავდექით — წინა კაცი ხომ უკანას ხიდია...

... მე, ახლა, სევდიანი კაცი მქვია. ქუჩაში მონყენილი სახე რომ დამენახა... მოვეფერებოდი, კეთილ სიტყვას ვეტყოდი, გავაცინებდი და ბედნიერი დავშორდებოდი, მაგრამ ვატყობ, რომ ბოლო დროს სევდა მომეძალა. მარტოსული ადამიანი ვარ,

ადამიანისა და ცხოველის ურთიერთობის მორიგი გასაოცარი შემთხვევა დაფიქსირდა დიდ ბრიტანეთში, სადაც არისტოკრატული ოჯახის შვილმა, უმდიდრესმა პატრისია ო'ნილმა მთელი ქონება თავის შიმპანზეს უანდერძა.

**P.S.** ადამიანებმა იკითხონ, თორემ მაიმუნებს, დღეს, რა უჭირთ. მაიმუნობის დროა!

ვერა პუტინა მზად არის. დნმ-ის ანალიზი ჩაატაროს

ამ ქვეყნად, ყველაზე ჯიუტი და უსაყვედური... დედის მოლოდინია. ვერა პუტინამ ვოვა რუსეთში, ბებიასთან დატოვა და საქართველოში დაბრუნდა ქმართან — გიორგი ოსეფაშვილთან და შვილებთან, რომლებიც ელოდნენ. კითხვაზე — რუსეთი გესიზმრება-ხოლმე? ის პასუხობს: „არა. მარტო ვლადიმირს ვხედავ-ხოლმე, მეტს არავის! ერთხელ, სიზმარში ვუთხარი კიდეც: რას მებუტები, დამნაშავე არ ვარ-მეთქი. ეკლესიაში სანთელს ვანთებ, რომ ხშირად დამესიზმროს"

მიუხედავად იმისა, რომ უამრავ ხალხში ვტრიალებ. სტუდენტობის დრო გაბნეული ვიყავი საჩემიანოში, ფიქრის დრო არ მქონდა. ახლა, საფიქრა ლის მეტი რა დამრჩენია... მწერლობა მილიონი კითხვის ნიშანია. ამ ბობენ, პოეზიის ენა ღმერთის ენააო. წერს სადღაც, თავისთვის, ღმერ თი ლექსებს, ნაკუწ-ნაკუწ ხევს და ზამთარში თოვლის ფანტელებად გვაყრის თავზე, ზაფხულში კი მზის სხივებად გვიგზავნის... და თვალში გვეიჭყიტინებს.

... ჩვენ ხომ ახლა, ნახევრად სერიოზულად და ნახევრად ხუმრობით ვლაპარაკობთ! ამბობენ, იმერელის ხუმრობა ნახევრად მართალიაო თუმცა, ჩვენ დღეს ნახევარი სიმართლის დრო აღარა გვაქვს!

## „მჭევრმეტყველებისა და ორატორული ხელოვნების ისტორია"

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველებისა და საჯარო მეტყველებ-ის ორატორული ხელოვნების ისტორია დიდადაა დავალებული ნიკოლოზ კანდელაკისაგან, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მის კვლევას და სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბებას.

ფარტაზი: უძლეველი რამ არის მჭევრმეტყველება.

12. გიორგი მერჩულე (X ს.): „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხე-ბის, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა აღესრულების".

13. იოანე ზოსიმე (X ს.) „შემკული და კურთხეული" ქართული ენის საყოველთაო მნიშვნელობაზე წერს: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს" და ამისთვის „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა".

21. არისტოტელე („რიტორიკა"): „არ არის საკმარისი იმის ცოდნა, რაც უნდა ითქვას, აუცილებელია ისე ითქვას, როგორც საჭიროა."

29. IV ს. შუა წლებში კოლხეთის აკადემიაში, ფოთთან, არსებობდა რიტორიკული განათლების ცენტრი, სადაც სწავლობდნენ ბერძენი ახ-ალგაზრდები.

34. გიორგი მთაწმინდელი, როგორც მჭევრმეტყველი, შესანიშნავ სიტყვას ამბობს ანტიოქიის პატრიარქის წინაშე: „რამეთუ, ვითარცა მდინარე დაუწყუედელად, ესრეთ დიოდეს სიტყვანი წმიდათა წერილთ-ანი პირით მისით".

37. მოთქმით ტირილიც ერთგვარი ორატორული ძეგლია. მო-ტირლებს ლეონტი მროველი გლოვის მგოსნებს ეძახის. „ქართლის ცხ-ოვრება" (გვ. 53) აღწერს გლოვის მგოსანთა მიერ ფარსმან ქველის „სიმხ-ნის, სიქველისა და სიმშვენიერის" დატირებას.

34. ისტორიკოსი აღწერს ქართველ-სომეხთა პაექრობას რელიგიის საკითხებზე და დავით აღმაშენებლის ესევითარ მდაბალ განცხადებას: „მე შორს ვარ" ამ საქმეებიდან, ვითარცა მხედრობათა შინა აღზრდილ-იო", შემდეგ კი „იწყო მათდა მიმართ სიტყუათა თქმად, რომელსა ღმ-ერთი მოსცემდა უეჭველად პირსა მისსა. ესეოდენთა იგავთა და სახეთა წინა დაუდევდა"-ო.

43. ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების გასარკვევად გან-

---

*ეფრემ ასური: „პე, უფალო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა".*

საკუთრებით მნიშვნელოვანია ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობა" და იოანე ბატონიშვილის „კალმასობა".

62. ორატორულ ხელოვნებასთან დაკავშირებული სიტყვები და გამოთქმები: პირ-მეტყველი, ენათმაქცევარი, ენადღეობა, ენამზეობა, ენოვანი, ენაკეთილი, საუბარ-ჰამო, ენამახვილი, ენაბევრი, ენა ტკბილად მოუბარი, ენადაუშრობელი, ტკბილქართული, ტკბილ-მოუბარი, ტურფა სიტყვა, ენაწყლიანი, ღრმადმეტყველი, ენა-მეცნიერი, ენა-ტკბილი, ენა-მნარე, სიტყვამიშვეობა, კეთილმეტყველი, ოქროპირი, ნრფელ-უბნობა („წყობილსიტყვაობა"), თაფლივით ენა, სიტყვამარჯვე, მესათნოე და სხვა.

68. ძველი ქალაქის მოედნები მჭევრმეტყველების თავისებური ცენტრები იყო (ჩვენს დროს, მაგალითად, „ზემელი" — ახლა რუსთაველის მოედანი).

70. ქართული მჭევრმეტყველების მნიშვნელოვან კერას ნამოადგენდა კოლხეთის დედაქალაქი, არქეოპოლისი (ძველი ქალაქი), დღევანდელი ნოქალაქევი.

ყრილობის მსგავს კრება-თათბირებს ატარებდნენ დასავლეთ საქართველოს ცენტრებში: პეტრაში, ვარდციხეში, მოხირისში, ონოგურისში, სკანდესა და შორაპანში.

71. ქართული მჭევრმეტყველების უძველესი კერა იყო ბოლნისის ტაძარი, რომელიც დადასტურებულია დიდი ქართველი მქადაგებლის იოანე ბოლნელის შემოქმედებით.

79. გორგასლის სამეფო კარზე სახელმნიფო დარბაზის სხდომა-თათბირებზე მოგვითხრობს ჯუანშერი: „მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ ნლისა თხუთმეტისა, მოუნოდა ყოველთა ნარჩინებულთა ქართლისათა და შემოიკრიბნა ყოველნი..."

დარბაზის ერის კრება-თათბირებს ხატავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რომელიც რუისურბნისის კრებაზე ნერს: „დიდთა ნყლულებათა კურნებად შემოკრბა ერი მრავალი... ფრიად გამონვლილვითა კეთილად გამოიძევს და ყოველი ცთომა განმართეს" („ქართლის ცხოვრება", გვ. 327)

90. დიდი ნარმატებას აღნევს ჩვენი სადარბაზო, სამხედრო, სამოსასამართლო, სადღესასნაულო და სამგლოვიარო ორატორული შემოქმედება, რომლის ნარმომადგენლები არიან გიორგი მთანმინდელი, გიორგი მცირე, დავით აღმაშენებელი, არსენ ბერი, გიორგი მესამე, თამარ მეფე, დემეტრე თავდადებული, ბექა ჯაყელი და სხვები.

92. XVIII ს. მეორე ნახევარში განვითარდა სამ-

*რუსეთის ყოფილი პრეზიდენტისა და ახლანდელი პრემიერ-მინისტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ბიოგრაფიაში ბავშვობის წლებსა და მშობლებზე არაფერია ნათქვამი. სხვა ინტერნეტ-ვერსიებში კი აღნიშნულია, რომ ვლადიმერ პუტინის მამა — ვლადიმირი ლენინგრადის დაცვის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდა, დედა — მარია პუტინა კი ტვერის გუბერნიადან იყო. ორივე მშობელი გარდაცვლილი ჰყავს. აღსანიშნავია, რომ პუტინის ბიოგრაფია 10 წლიდან იწყება!*

*გურამ შარაძის სისხლის სამართლის საქმის ადვოკატი ნინო ნიშნიანიძე: როცა დიდი ესპანელი პოეტი — ფედერიკო გარსია ლორკა მოკლეს, მკვლელები დუქანში შევიდნენ, დათვრნენ და ლორკას ლექსებზე შექმნილ სიმღერებს მღეროდნენ. საინტერესოა, რა პასუხს გასცემს ოთარ ქაროსანიძე თავის სამ შვილს, როცა, ერთ მშვენიერ დღეს, ისინი აუცილებლად*

ქადაგებლო, სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველება. ქართული ორატორული ხელოვნების უჭკნობი შედევრია სოლომონ ლეონიძის გამოსათხოვარი სიტყვა ერეკლე მეორის მიმართ.

ამავე პერიოდის ცნობილი მჭევრმეტყველები არიან ზაქარია გაბაშვილი, ანტონ კათალიკოსი, საბა ნინონმინდელი, გაიოზ რექტორი, მზეჭაბუკ ორბელიანი, ამბროსი ნეკრესელი, ანტონ ჭყონდიდელი...

ახალი ქართული მჭევრმეტყველების დიდოსტატები არიან: იოანე ბატონიშვილი, იოანე ხელაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ნიკო დადიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი...

109. აი, ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ბასილი კესარიელის საალმზრდელო ქადაგებიდან „სინანულისათვის და სიკვდილისა": „გუეშინოდენ გულის სიტყვათაგან ბოროტთა, რამეთუ მათ მიერ იქმნებიან საქმენი უკეთურობისანი. ღმერთსა მოუცია ჩვენდა საბრძოლად... თითოეულად ნინააღსადგომელი: ნინა — აღსადგომელად ბნელისა — ნათელი, და სიმნარისა — სიტკბოება, და ძილისა — მღვიძარება, და შიმშილისა — განძღომა"...

138. რუსთაველის ესთეტიკური კონცეფციით, „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი".

153. ჩვენმა ნინაპარმა კარგად იცოდა, რომ „დიდია ძალა თავის დროზე, შესაფერის ადგილზე და საჭიროების მიხედვით ნათქვამი სიტყვისა".

169. ქართული სიბრძნე მეტყველებს, რომ „ენით მრავალმა აჯობა ხელით მრავალსო!"

146. ქართული ხალხური ორატორული ხელოვნების ერთი ძირითადი დარგია სასუფრო მჭევრმეტყველება. რუსთაველი: „ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი — მხიარული!"

P.S.ერთ-ერთ ჟურნალში ყველა დროის მე-15 თამადად დამასახელეს და დღემდე მომნონს ამით თავი. ერთმა ჩვენმა ჟურნალისტმა, თავისი ნარკვევით „ქართველი თამადა", ტოლუმბაშობის, ასე ვთქვათ, საერთაშორისო სერტიფიკატი მომანიჭა!

197. „კალმასობაში", სადაც მოთხრობილია ქართული ისტორია, ვკითხულობთ: „აქუნდა მეფეს ორი დიდი პალატი: ერთი სახალხოდ და მეორე — სამლოცველოდ."

198. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფშაველი ხევისბერის დიდება: „დიდება შენთვის, ღმერთო, დიდება შენთვის... გიორგი მეორის ანგელოზს, დიდება შენთვის, თამარ დედოფალს, ხმელეთის დამრიგებელს!... თქვენ თქვენი გამჩენი ღმერთი არ მოგინყენსთ, არ მოგიძულებსთ... რასაც ნყალობას გეთხოვებოდნენ, ის ნყალობა ღმერთს გამოეთხოვეთ... და თვითონაც თქვენი ნყალობა უყავით... კაცსა კაცრიელობისა, მტრის ხელი აჰხადეთ, სიკვდილს ხმა მოაშორეთ, დალევდაფარეთ ლაღის მტრისაგან, მნარე სიკვდილისაგან...

მოგეცთ ნყალობა, რაც იდიდა, იხსენა იმათმა დაველათმა, თემო, სოფელო, ქუდოსანო, მანდილოსანო" (ვაჟა-ფშაველა, ფშაველები. გვ.30)

207. საბას განმარტებით, გერინი „სამგლოელი ხმაა".

მოტირალი მგრძნობიარე ლექსით აღნერდა მიცვალებულის ნარსულ

---

*ვ. ორბელიანი: ბევრით სჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაშია.*

*აზერბაიჯანული ანდაზა: კატა თავვისთვის ლომია.*

ცხოვრებას... ძველ მიცვალებულებსაც „შაატირებდა".

213. სამგლოვიარო სიტყვის საინტერესო ნიმუშია მოთავსებული გიორგი მერჩულეს ნანარმოებში, სადაც გრიგოლ ხანძთელის მიერ აშოტ კურაპალატის დატირება ნარმოდგენილია ორატორული მოთქმის ფორმით: მეფეო, ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო, სადათ მე მომელოდი, აღმოსავალით მე ანუ დასავალით, ჩრდილოთ — მე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ..."

217. 35 ნელს, ფარსმან პირველმა სარმატებისა და ალბანელების დახმარებით დიდი ომი გადაიხადა პართიელთა ნინააღმდეგ და ბრნყინვალედ გაიმარჯვა უთანასნორო ბრძოლაში. ამ ომის ნინ, კორნელი ტაციტუსის თქმით, ფარსმან პირველს მხედრობისთვის მიუმართავს მგზნებარე სიტყვით, რაც პერიფრაზული თხრობის სახით აღბეჭდილია ამავე ისტორიკოსის „ანალების" მეექვსე ნიგნში. ფარსმანმა თავისიანებს უთხრა: „პართელის ბატონობა არასოდეს გაგვკარებია და, რაც უფრო ვეცდებით, მით უფრო მეტ სახელს მოვიხვეჭთ გამარჯვებით, ხოლო თუ მტერს ზურგი ვუჩვენეთ, სირცხვილსა და ხიფათში ჩავცვივდებით... აქ ვაჟკაცები არიან, იქ კი საშოვარიაო".

245. იოანე საბანისძე (VII ს.): „...მასპინძელო, ექმენით სიტყვათა ამათ ჩემთა"... „საყუარელნო, ნუ გენყინებიან სმენად სიტყუათა ამათ, რათა არა ცუდად დავშურეთ: მე სიტყუითა და თქვენ სმენითა".

250. იოანე ბოლნელი (დიდი ქართველი მქადაგებელი, ჩვენი ორიგინალური ჰომილეტიკის ამყვავებელი X ს.).

252. იოანე ბოლნელის მეტყველებაში გვხვდება ანაფორული ნყობის სხვა სახეობაც — ქვენყობილ ნინადადებათა შორის დასაკავშირებელი სიტყვების განმეორება, მაგალითად: „იყო შიმშილი ძლიერი მას სოფელსა, რამეთუ სადა მეცნიერებით იფქლი არა იშრომებიან — მუნ შიმშილი ძლიერი არნ; სადა სინმინდისა ტევანი არა დაინნიხებიან — მუნ შიმშილი ძლიერი არნ; სადა ურჯულოება ფრიად არს — მუნ სიკეთე არად სარგებელ არნ; სადა იეფობა ბოროტისა — მუნ მოკლება კეთილისა". (იოანე ბოლნელი, ქადაგებანი, გვ.35).

„მომთვრალეთა, სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკვიდრონ".

P.S.არადა, სად, თუ არა ისეთი ქადაგების დროს,

ჰკითხავენ მამას: რატომ უგზავნიდი დახვრეტილ და მიწაზე უმოწყალოდ დაგდებულ გურამ მარაძეს ასეთ „მესიჯებს", შენ მოკალი ერის მოამაგე ეს კაცი?

ეკონომიკა = გაცხოველებული მეცხვარეობის თემაზე

სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში, არაბულ ქვეყნებში, ექსპორტით, ადგილობრივი ცხვრის სულადობის მეოთხედი გაიყვანეს.

„კვირის პალიტრა", 26.10-01.11.09

**P. S.** ცხვარი ცხვარია და თუ გაცხარდა... მწვადიათ! აქაოდა, არაბიაო და ლამისაა, ერთ ადგილზე დაგვიკიდონ!

ასე რომ, ვის აბია და ვის არ აბია, ეს კიდევ საკითხავია!

დიმა ჯაიანი:

„ის ზღვა არც ისე შორს არი" —

მტერს და ავს გულს მემოვყარე:

სოხუმი — მტერმა წამართვა

და სამსახური — მოყვარემ!

ისე არ აუღია თავს ის ვებ-გვერდი...

გინდა თუ არა, ნებით თუ უნებლიედ, გაგახსენდება ომარ ხაიამი:

„გუშინ სარდაფში ჩაველ ნასვამი, ფერმიხდილი,

ვნახე მოხუცი დოქით და ღვინით გალეშილი...

ვუთხარ: ღვთის არ გრცხვენია, ეგრე რად დაძაბუნდი.

მითხრა: ღვთის წყალობაა — დალიე და... გაჩუმდი"-ო.

265. მწერალი და ორატორი, მონაზონი არსენ ბერი დავით აღმაშენებლის „მლოცველი" მოძღვარია და მას უწოდებს: საჩინოს, „ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის"; „სიბრძნისმოყვარე, შენ, უფროსად ბრწყინვალეო, თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რომელი ეგრე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყარო ხილულსა სოფელსა შორის".

304. სოლომონ ლიონიძე (XVIII ს.) ერეკლეს სამეფო კარის დიპლომატი და მრჩეველი იყო (...... სააკაშვილის კარზე!)

სოლომონ ლიონიძე ძველი ქართული მჭევრმეტყველების უკანასკნელი და უდიდესი წარმომადგენელია. იგი კარის დეკანოზის ანდრიას შვილი იყო (და არ ჰგავდა ზოგიერთი დღევანდელ ყ... ანდრია მრჩეველ — დიპლიპიტროებსა თუ დიპლომატებს!)

სოლომონ ლიონიძის მონაწილეობით შემზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 წლის საქართველო-რუსეთის „მეგობრობის პირობა" ანუ, როგორც ახლა შეარქვეს სიტყვა, რომელიც, ლამისაა, ისვრის: ტრაქტრაქ-ტრაქ...ტატი!

ისე, ამბობენ, ამ „სატირალ" ამბავში ერთი „სასაცილო" ამბავიც მოხდაო! ამ ეგრეთ წოდებული „მეგობრობის პირობის" უპირობით გაბრაზებულ კახელებს (კახეთში, ტრაქტატთან დაკავშირებულ პიესას რომ დგამდნენ), ერეკლე მეფისა თუ გარსევან ჭავჭავაძის როლის ისეთი შემსრულებელი ვერ უპოვიათ, რომელიც სცენაზე მაინც დათანხმდებოდა, ამ „ხელფეხშეკრულობაზე" რომ მოეწერა ხელი. გადამწყვეტ მომენტში ანუ საფინალო სცენაში, ერეკლეს თუ გარსევანის როლის შემსრულებლებს ქვა აუგდიათ და თავი შეუშვერიათ, ჩვენდა თავად მაგ ქაღალდზე ხელისმომწერის დედაცაო!... მააშ!...

სოლომონ ლიონიძე კი, 1802 წლიდან, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის (რომელი იყო პირველი და რომელი — მეორე, ღმერთმა იცის!) კარზე იყო.

ლიონიძე ქართული სადღესასწაულო და სამგლოვიარო მჭევრმეტყველების უბადლო ოსტატია.

ერეკლეს გამოსათხოვარში ვკითხულობთ გულის ფიცარზე ამოსაკაწრ თითოეულ მის სიტყვას: ვაი, თუ უძლეველი ხელები, რომლისაც ხმლის ვადაზე დადება სიკვდილს მახარობლობდა, ტრფიალთ სატკივრად გულზე დაკრეფილ იყოს!"

იგი, პატარა კახი, მეფე ერეკლე „ცასა და ქვეყანას ორს ფურცლად კითხულობდა"-ო.

(შენ აზრის სიდიდე და სიდიადე, ფიქრის სიმძიმე და სიტყვის ტევადობა ნახე!)

331. იოანე ბატონიშვილი — საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ძე. ენციკლოპედიური ნაშრომის „კალმასობის" (ხუმარსწავლის) ავტორია.

ორატორი შთაგონებულია არსენ ბერისა და სოლომონ ლიონიძის შემოქმედებით; მათი სწავლების გამოძახილია მისი შემდეგი ენამჭევრობა: „უფალმან დაიცვას მეფობა შენი ჯვარითა ჭეშმარიტებისათა და სკიპტრითა კეთილმოქმედებისათა, და მით უძლოდე ერსა შენსა, ვი-

თარცა მოსე ისრაელთა და ვითარცა ისო ნავეს ძე, იქმენ ამაღლებული სკიპტრითა, ვითარცა დიდი კონსტანტინე მორწმუნეთა მეფეთა შორის, მშვიდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის, და ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის, თავდადებული, ვითარცა დიმიტრი ქართველთა შორის; მართალ, ვითარცა ღმერთი ღმერთთა შორის და ვითარცა ქრისტე მართლმადიდებელთა შორის, გაკურთხოს შენ უფალმან და დაგიცვას შენ სუდარსა ზედა მეფობისა შენისა ნათესავთაგან ნათესავამდე" (ქართული მჭევრმეტყველება, გვ. 251).

342. სოლომონ დოდაშვილი (XIX ს.) — თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელი, გაზეთ „ტფილისის უწყებანისა" და ჟურნალ „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანის" რედაქტორი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

მის მიერ წარმოთქმული შესხმა „ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მონაფეთა გამოცდისას" მოაგონებს მსმენელთ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული დაქვეითების სავალალო ფაქტს, რაც, ორატორის თქმით, „რაოდენიმე უკუე საუკუნო არს"... აქ ხაზგასმულია საქართველოს ოდინდელი დიდება: „რომელიც ჰბრწყინავი და ოდესმე მაგალითთა შინა განსხვავებულია კაცთა სიბრძნითა, კეთილმოქმედებითა, შაირათმთხზუელობითა და მხნეობითა. აქვე ნაჩვენებია ქვეყნის დიდების მიზეზები და მათი მძიმე შედეგები: „უკანასკნელ ერთ-კერძო განუჭვრეტელობამან რომელთამე განმგებელთამან და ერთ-კერძო შეიწროებამან ძლიერთა ერთმან მიიყვანეს საყუარელი მამული ჩვენი ესევითარ ხარისხამდე დამდაბლებისა, რომელ დამვიწყებელი მოქალაქეებისა თავისა უფლებისა და თანად ნარწყმედელი მადლისა მის წინადანიშნულებისა კაცთა და მეფობისა, კნინღა უკუე არა განემზადებოდა მსხვერპლად მომყმართა ბარბაროსთა შემძლებელობისა და კვალად უმეტეს უმეცრებისა..."

ორატორი ცდილობს, უჩვენოს მსმენელს „ცვარი მადლისა", რათა ამიერიდან „სწავლის ვენახი" „ჰყვავილოვნებდეს და მოაქუნდეს უხუად ნაყოფნი სადიდებლად და სარგებლად მამულისა".

346. საეკლესიო მქადაგებელს, დიდ სასულიერო მოღვაწეს, პედაგოგსა და მეცნიერს გაბრიელ ქიქოძეს ილიამ მოძღვარი უწოდა: ამ საისტორიო კაცის ყოველი ნამი მისი ცხოვრებისა ანდერძია. მთელი მისი ყოფა კი სკოლა მაღალი სათნოებისა, სიყვარულისა, ჭეშმარიტებისა, მადლისა და მონყალებისა!

ეს ჯოჯო ოოჯონა ფიქრობს, რომ დავბერდით!

ათდიხყეგბს

რა სამოთხის ჩიტუკა ხარ,
ის ქიქიქიკის გინდა.
გახაზოლუჯად გვინდიხართ და
ჩიტი ბღოვნად არ დიოდა!

დირექტორთა დირექტორის ერთ 120-წლიანს —
მართავს ახალ
გვერდთა ხნორი ერთი დღეაკაჯით.
რომელმაცა აიღო და არც აკხელ — არც აკის —
მისი ქუთით გამოაკხო ხნვისი დეკალარაკის!
მასხსენდებს ქართველი ცნობილი ყოფის ერთგემლიძე. თვითმფრინავში ბეზი რომ დააჯდა, ხელი რომ იუკიყა ლოყაზე და ახე გამოიგლივა ეს მწერი: ერენა თუ იყო, მე იხერო, ამ თვითმფრინავში შენ რა გინდაო!

ქალი ალუვსებელი და ყოველად უჯმარის,
ქალს ცოლს რომ დაარქმევ — მერე ის ქმარის!
ენერგიას — სინერგიას
და ერთობა სძირდება —
სულით — სორცის ერთგულებას,
ძალისხმევას, დიდებას!

365. „ცოცხალი ლაპარაკი, ის დარბაისლური ქართული საუბარი, ის საამური ქართული სიტყვის მიხვრა-მოხვრა, ის სიმდიდრე ქართულის სიტყვიერებისა აღარ ისმის, აღარ არის... ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება".

„სიტყვა ხმალზედ უფრო უკეთ სჭრის და ზარბაზანზედ უფრო ძლიერ მოქმედებს". ერის მამამ მერე ლექსადაც ჩამოასხა ეს აზრი: „ხმალი იმოდენს ვერას იქმს — მრისხანე და ძლიერიო, რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო!"

მთქმელი და მწერალი — მჭევრ- და მწერმეტყველიაო!

ქართული ლიტერატურის ისტორიაში — ქართული გამომეტყველებითი კითხვის ხელოვნების უმთავრესი წარმომადგენელი ილია ჭავჭავაძეა.

P.S.ერთი ხელოვნება — გულოვნება, სულოვნება და წერაა, მეორე — კითხვა. ამიტომაც არსებობს ქართულში სიტყვა წერა-კითხვა! ზოგნი ამბობენ, გალა ვერ კითხულობდა ისე, როგორც წერდაო. მე კი მგონია, რომ გალაკტიონი სწორედ იმ ბედნიერ (თუ უბედურ) ვარსკვლავზე იყო დაბადებული, რომელმაც მას ორივე ნიჭი დაანათლა. გაიხსენეთ მისი „მთაწმინდის მთვარე"! როგორი თრთოლვითაცაა დაწერილი, ისეთივე თრთოლვით იკითხება.

ყელში „გაჩხერილი" პაუზა! და...

„ჯერ არასდროს არ ყოფილა მთვარე ასე წყნარი!"

ამ ბოლო სტრიქონის ჩასუნთქვის ამოსუნთქვამდე, მკითხველსაც და მსმენელსაც, „ერთი სული აქვთ" და ლამის ის სულიც ამოხდეთ.

დიახ! „ჯერ არასდროს არ ყოფილა" ლექსის ასეთი განცდა!

1874 წელს, „მეფე ლირის" თარგმანთან დაკავშირებით, ილია ოლღა გურამიშვილს სწერდა: „მაგას კაი წაკითხვა უნდა... აი, როცა მოვალ, მე თვითონ წაგიკითხამთ და მაშინ ნახავთო..."

ი. მანსვეტაშვილი ილიაზე წერს: მანამ ენიდან სიტყვა მოსწყდებოდა... აწონილ-დაწონილი უნდა ჰქონოდაო! აი, რას წერს ქართული მჭევრმეტყველების ისტორია ილიას მხატვრული სიტყვის ძალაზე:

„იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენის, იგი იყო მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა: იგი იყო მწერალი და მთქმელი, მარალის ნიჭით ცხებული; იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ — სასოებით მისი მსმენელნი; იგი იყო, ვისაც არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკიცხვად... იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა: მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას!

ილია: „ღმერთი რომ ერს, ქვეყანას მოწყალების თვალით გადმოხედავს, მოუვლენს ხოლმე (არა პარტიათა სიმრავლეს! — გ.ნ.) კაცს, პოეზიის მადლით ცხებულსა.

როცა ადამიანს სურს — შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, ყოველთა უწინარეს ამას იკითხავს: რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო? (დღეს ნუ იკითხავ! ვისაც არ ეზარება, ყველა წერს და ენას შამფურივით ატრიალებს — გ.ნ.). ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი."

პირი ქვისკენ მიქნია!

სამწუხაროდ, ამ უდროო დრომ (ალბათ, ესეც დროებითია) ამ ჭეშ-

---

*ვოლტერი: თეორიები თაგვებს ჰგვანან. ცხრა ხვრელს გაივლიან და მეათეში გაიჭედებიან.*

მარიტებასაც შეუყენა წყალი — მწერალი — ბევრია, მკითხველი — ცოტაა!

თვით განათლების ერთმა გაუნათლებელმა მონსტრმა და მინიშტერმა ბრძანა: წიგნის დრო წავიდაო!

თქვა და თვითონ წავიდა ოკეანის გაღმა, რომ გამოღმა არ შეედავონ! ჩემთვის ერთობ ახლობელი და საყვარელი ოჯახის სიძეა ეს კაცი, მაგრამ მაინც ძნელი ასატანია, რომ რუსთაველის ქვეყანას ჭკუას სანტექნიკოსი ასწავლიდეს!

აშშ-ში ელჩადა გვყავს,
არა ულან-უდეს —
ბნელში, ლამის ლომის წილი —
ლომაიას უდევს!

377. ახლა პირში ისევ წყალს ანუ წყლიან სიტყვას გამოვივლებ და საქართველოს ბულბულს — ენამზე აკაკის გავიხსენებ, ქაშუეთთან, პირველი სკოლის წინ, ერის მამას რომ უდგას გვერდით და სიტყვა-ღმერთის სამსახურში ათენ-აღამებს! მისთვის ორატორული მეტყველება დაყვანილია ორატორული მუსაიფის დონეზე (მახსენდება პირბასრი „ამაშას" — რეზო ამაშუკელის მოტანილი „მორბენალი სტრიქონი": „მე ვარ ავი მუსაიფი, კახთ ბატონის, ერეკლესი!" ან ეს გენიალური რითმა რად ღირს: „ეს ეკლესია... ერეკლესია!")

აკაკი: „ბევრისგან მესმის კახეთის მიწის ქება: ისე მდიდარია, რომ რამდენიც უნდა გადააბრუნო, არ იღლება. ეს ყველგან ასეა ჩვენში. ჩვენს სამშობლოში ისეთ ადგილზე ფეხს ვერ დაადგამთ, რომ ჩვენი წინაპრების ძვლებით არ იყოს გაპოხიერებული და მათი სისხლით დამბალი, ისე ლუკმას ვერ ჩაიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპის ნაწილი არ ჩაგყვეს და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი გმირების სისხლი არ ერიოს." „როდესაც დროზე მამალი ყივის, მუშა იღვიძებს მის ხმაზედ და მიდის სამუშაოდ. ხშირად, პატარა ფინია ერთის დროზე შეჰყეფვით, მპარავსა და ავაზაკსა შეშინებულს, უკან აბრუნებს... ჩვენი ღვანლიც სწორედ ამგვარივე იყო და დღეს სიყვარულით ვხედავთ, რომ სურვილი არ დაგვღუპვია: ხალხი გამოღვიძებულია და მტერი შეშინებული!" (ისემც კარგი დაგემართოს!).

სამგლოვიარო მჭევრმეტყველების გვირგვინი და განუზომელი სიტყვის ძალაა აკაკის მიმართვა „მოყვრის" ხელით შუბლგახვრეტილი ილიას ნეშტისადმი: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა... მაშინ, ნეტავი შენ, რომ მაგ სიკვდილით წინ წაუსწარი მის სიკვდილს..."

იქ მიზანია — სინგაპურიზაცია!
ჩვენი მიზანია — ლუკმაპურიზაცია!

სამედიცინო მომსახურების გაძვირება ყველაზე უფრო მტკივნეულად აღიქმება ისედაც თავსატკივებულ ხალხზე.
კიდევ უფრო გაიძვერა არის, ვინც თქვენ გაგაძვირათ.
გააფრინა სულ წყვილ-წყვილად და აქცია ხალხი ვირად!

გელა [illegible]აშვილი: „ლევან რამიშვილი თავისუფლების (ვისი და რისი თავისუფლების?) ინსტიტუტის დირექტორი — ეს არის უსაზიზღრესი ადამიანი — სააკაშვილის მთავარი იდეოლოგი". არადა, ეს უსაზიზღრესი კაცი, თურმე ჩემი კლასელის — უმშვენიერესი კაცის ნაზ ხოფერიას შვილიშვილი ყოფილა!!! ჭეშმარიტი ქართველის და ნამდვილი თბილისელის! ღმერთო ჩემო! ასე რამ გადააგვარა გენი ბაბუიდან — შვილიშვილამდე?!

აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანების ცხ-

P.S.ჩემი „პაემანი მცხეთაში" (უკვდავ სულებთან შეხვედრა) ინახავს რადიოს „ოქროს ფონდში" დაცულ იშვიათ ჩანაწერს — აკაკი წერეთლის მიმართვას ახალგაზრდებისადმი: „გამარჯვება თქვენი, ახალ-მომავალნო! მე, უკვე მიმავალი, გეთხოვებით და ვნუხვარ, რომ საგულისხმო ანდერძად ვერას გიტოვებთ („ვერას" მე პირდაპირი გაგებითაც ვუტოვებ ჩვენს შთამომავლობას, იმის სამახსოვროდ, რომ ასეც არ იყო საქმე — დღეს რომ ავან-ჩავან-მავან ამხანაგთა სათრეველი და სახსენებლად... უხსენებელი გახდა! — გ.ნ.) გიყვარდეთ თქვენი სამშობლო, თქვენი ერი, როგორც პირველი საფეხური კაცობრიობის თვითარსებისა, რადგანაც სიყვარულშია ადამიანის ბედნიერება!..."

387. ქართული საელჩო მჭევრმეტყველება!

443. გამეფებისთანავე მოუხდა თამარ მეფეს მოციქულების გაგზავნა განდგომილ დიდგვაროვნებთან. სამეფო კარის ნარჩინებული მანდილოსნები ხოშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი ეახლნენ აჯანყებულთა დასს, რომელსაც მეთაურობდა მეჭურჭლეთუხუცესი ვაზირი ყუთლუ არსლანი. მათ მშვიდობიანი თათბირით (და არა ეკა-ხათუნა-თეას მიეთ-მოეთებით!) ჩააცხრეს გაუგებრობა-უთანხმოება. ხოშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი, თავიანთ მბრძანებლიან — ლეგენდარულ თამარქალთან ერთად, კლასიკური ხანის ქართული დიპლომატიისა და საელჩო მჭევრმეტყველების ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან. ამ ეპოქის დიდებულ ქალთა დასთან ერთად, ქართულ საელჩო მჭევრმეტყველებას ამშვენებდნენ დიპლომატები: რატი ერისთავი, შალვა თორელი, სარგის თმოგველი, ზაქარია მხარგრძელი, რომელთაც, ხმალთან ერთად, ენაც უჭრიდათ!

452. დიდ სასამართლო მჭევრმეტყველად საქართველოს ისტორია იცნობს „ენა-კეთილსა" და „სიტყვა-მარჯვე" სადუნ მანკაბერდელს.

511. ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი — მონაზვნობაში შერქმეული სახელია).

562. ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) ქართული ზეპირი და წერითი საელჩო მჭევრმეტყველების დიდოსტატია! „ტკბილად მოუბარი", „სიბრძნით სრული" (სულხან-საბა).

„მეცნიერებასა შინა გამოცდილი და უცხო პიიტიკოს-მოშაირე (იოანე ბატონიშვილი). მამასთან ერთად, ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე ყოფილა.

XXს. დასაწყისში, 1917 წელს, მძლავრად ვითარდება ე.წ. საპროკლამაციო მჭევრმეტყველება, რომლის ისტორიულ პრეცედენტს თითქმის ვერ ვპოულობთ ქართულ კლასიკურ მჭევრმეტყველებაში.

P.S.მგონი მოყოლილი მაქვს!

ერთი მეგრელი პროკლამაციის გაკვრის ფაქტზე დაუჭერიათ, როცა იგი სრულიად ცარიელ — ფარატინა ქაღალდს აკრავდა კედელზე.

— ეს ცარიელი ფურცელი რა პროკლამაციააო? — უკითხავთ.

— ხომ იცით, რაც უნდა ეწეროს შიგო, — უპასუხია „პროკლამატორს".

592. თამარ მეფის წერილი რუმის სულთნის ნუქარდინის მიმართ.

„...სასოებით მოსავმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგ-

---

*ლეონარდო და ვინჩი: თვალი სულის სარკმელია.*

*ილია ჭავჭავაძე: ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს.*

ნი შენი... სიმრავლისა მევირეთა განდობილ ხარ უმეცარი მსჯავრსა ღმერთისასა. იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი! სიმართლე მისი და ნუ შენი!.." („ქართლის ცხოვრება", ტ. II, გვ.134-135.).

619. სულხან-საბა ორბელიანი: წერილი რომის პაპის კლიმენტი მეთერთმეტის მიმართ.

„ზეცისა სასუფეველისა კლიტეთა მპყრობელსა და ქუეყანასა ზედა წმიდათა შესაკრებელთა თავსა ცხოვართა მართალსა მწყემსსა..."

ასე აღმატებულ ხარისხში მიმართავს კათოლიკური ეკლესიის საჭეთმპყრობელს „ყოველ ცოდვილთა უცოდვილესი ორბელის შვილი სულხან, ყოფილი მონაზონი საბა, მინა ფერხთა თქუენთა" (1709, აგვისტო 15).

ხელმწიფობის „ხელოვნებისა" და ხელმწიფობის სიმწიფის გვირგვინია დავით აღმაშენებლის სიბრძნე, რომელიც ლექს-ლოცვად აღევავლინე:

*მეფე!*

თავს მდაბლად ხრიდე,
რათა — მსაჯული მართალ სჯიდე!
ოდეს — მსახურთა რისხვაი ჰქროდეს!
ღვთის მადლით მირონს გვცხებდნენ —
მართალნი ნეტარებდნენ!..
კაცით, ფულით და ვერცხლით —
„ცოდვილთა ჰგვემდეს ცეცხლი!"
აჰა, ბანი ქართლისა გულისანი...
„გალობანი სინანულისანი"!

## „ორატორები"

სნეულმა იურისტმა, ჩემი თაობის კაცმა ვახტანგ კაჭახიძემ გამოსცა კრებული „ორატორები", რომელშიც წარმოდგენილია „ანტიკური ხანის ბერძნული, რომაული, ქართული — შუა საუკუნეებისა და მომდევნო დროის მჭევრმეტყველების ნიმუშები...", რომლებიც კაცობრიობის მონაპოვრად იქცა.

ყველა დროის ამ იგავმიუწვდომელი ორატორების „ორატორიების" რამდენიმე ფრაგმენტის მოსმენაც ერთ რამედ ღირს და ხშირად გამირბის თვალი ამ წიგნებისაკენ.

ლისია!

ხელობით „ლოგოგრაფოსი". საჯაროდ წარმოსათქმელი სიტყვების მწერალი. მისი დროის წესებით, სასამართლოში, ბრალმდებელსაც და ბრალდებულსაც თვითონ უნდა წარმოეთქვა სიტყვა, რის

*ოვრების ხანგრძლივობა, რომლებმაც მძიმე ბავშვობა გადაიტანეს, საშუალოდ, 61 წლით, უდარდელი ბავშვობის მქონენი კი, საშუალოდ, 70 წელი ცხოვრობენ!*

**P.S.** *აბა, ჩემს ბავშვობას რაღა ჰქვია? უკვე 80-საც გადაუცდი და, მადლობა — ღმერთს, სიკვდილსაც დავვიწყებივარ!*

*<u>მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი):</u> შევარდნაძემ იქამდე მიიყვანა საქმე, რომ კინაღამ შალვა ნათელაშვილი მოაჯდა ქვეყანას.*

*„ახალი თაობა"*

*<u>ალექსი მაღაშენკო (ექსპერტი ფსიქოლოგი):</u> საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, საქართველომ დაანგრია. მე კარგად მახსოვს, როდესაც თბილისის „დინამო" გავიდა ფეხბურთის ჩემპიონატიდან, მივხვდი, რომ ეს სახელმწიფო ინგრეოდა.*

*„თბილისელები"*

*<u>ალექსანდრე ბიზნესმენი რუსეთის სენატორი:</u> თქვენთან მიყრუებული სოფელიც კი პოლიციურ კონტროლს ექვემდებარება. იუსტიციელებს მაფიოზის „საჰყარი"*

გამოც დახმარებისათვის მიმართავდნენ ლოგოგრაფოსებს.

ლისიას წარმოთქმული 200 სიტყვიდან დროს მხოლოდ ორმოციოდე შემორჩა. ცნობილია მისი სიტყვა „ერატისთენეს მკვლელობის გამო".

11. „თეოგონიაში" — „ღმერთების წარმოშობაში" ჰესიოდე არ მალავს ჰერაკლეს მითის — ქართული „ამირანის" პირველწყაროობას.

15. საისტორიო პროზის ფუძემდებელი, ჰალიკარნასელი ჰეროდოტე (ძვ. წ. მე-5ს.) ქართველურ ტომებს შორის ასახელებს კოლხებს, ხალიბებს, სასპერებს, მაკრონებს, მოსტებს, ტიბარებს, მოსინიკებს. აღწერილი აქვს მათი განსახლების ადგილები და საბრძოლო აღჭურვილობა.

17. პითაგორელები ყველაფერს უკავშირებენ და ხსნიან რიცხვებით.

25. პროტაგორა (პერიკლესთან მეგობრობის მიუხედავად) ათენიდან განდევნეს ღმერთების მიმართ ორჭოფული გამონათქვამის გამო: „მე არ შემიძლია, ვამტკიცო, რომ ღმერთები არსებობენ და არც ის, რომ არ არსებობენ!"

43. ათენის შუაგულში აღმართულ 75 მეტრი სიმაღლის თავწაკვეთილ კლდოვან ბექობზე (რომლის სიგრძე 300 მეტრს არ აღემატება, ხოლო სიგანე — 130 მეტრს) 25 საუკუნის წინ ააგეს ხუროთმოძღვრების ძეგლი — აკროპოლისი, რომელიც, გარდა თავდაცვითი მნიშვნელობისა, რელიგიური მისტერიების, დღესასწაულებისა და სახალხო კრებებისათვის განკუთვნილ ადგილს წარმოადგენდა.

49. „ჩვენთვის ძვირფასია მშობლები, შვილები, ახლობლები, მაგრამ ყველა წარმოდგენა სიყვარულზე თავს იყრის ერთ სიტყვაში — სამშობლო!" (დღეს კი ბევრს ისიც აღარ ახსოვს — ჰქონდათ იგი თუ არა წანახი". რამდენი ხანია, ეს სიტყვა არ გამიგონია, როცა იგი ყოვლის ღონე და ყოვლის გონია!)

54. ბედის ირონიით, ნერონის აღმზრდელი სტოელი სენეკა იყო!

56. ოვიდიუსს ეკუთვნის „ჰეროიდები" — მითოლოგიური შინაარსის სასიყვარულო ლექსები. პოემა „სიყვარულის ხელოვნება", „მეტამორფოზები". სახელმწიფოსთვის მიუღებელი ლექსების გამო ოქტავიანემ... რომიდან გაასახლა!

60. სულას დიქტატურის ხანაში მოკლეს მდიდარი მიწათმფლობელი სექსტურ როსციუსი. სულასთან დაახლოებულმა პირმა კორნელიუს ქრისოგენემ სექსტუსი პროსკრიფციებში — შავ სიებში შეიტანა, რომ მის ქონებას დაუფლებოდა.

62. ციცერონის წინადადებით, სენატმა ჯარების სარდლად პომპეუსი დანიშნა, რომლის ლაშქრობის კვალი მცხეთაშიც არის შემორჩენილი, პომპეუსის ხიდის სახით.

73. გაიუს კეისარს, 12 წლის ასაკში, ბებიის დაკრძალვაზე წარმოუთქვამს სამგლოვიარო სიტყვა.

P.S. დიდი კვიმატი რამეა ეს მეხსიერება — ჩემი სეხნია კეისრის გაიუსის საბებიამისო სიტყვასთან დაკავშირებით გამახსენდა ერთი ჩვენი დროის საბებიაჩვენო შაირი: „ბები, ბები, ჩემო ბები... გაიხსენე კეთილები, რატომ არ გამომიგზავნე ვაშლები და ჩურჩხელები"-ო!

133. ძველი ბერძნები უიდეო, უპრინციპო, ცრუმეტყველ რიტორს „სიკოფანტს" უწოდებენ. ეს სიტყვა დღესაც ძალაშია, არადა ქალაქური

---

*აკაკი წერეთელი: ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს.*

ჟარგონი ჰგონიათ — „სიაფანდი"!

135. დემოკრატიული ნყობის ნინააღმდეგ გადატრიალების ორგანიზატორს ციცერონი ასე მიმართავს: „სადამდე გინდა, ბოროტად გამოიყენო ჩვენი მოთმინება? კიდევ რამდენ ხანს უნდა გასტანოს შენმა სიგიჟემ? (დრონი მიდიან, დრონი მოდიან!)

144. „1) დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და დაცული იქნეს მისი მინა-ნყალი უცხოელთა თარეშობისა და მძლავრობა-მიტაცებისაგან.

2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს, თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლად და უკარნახოდ, მოანყოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორიც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებებსა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება". — მდაბალი ამბროსი პატრიარქი — სრულიად საქართველოისა, 7.02.1922ნ.

P.S.საუკუნე იქეთ — საუკუნე აქეთ. პრობლემები იგივე!

172. დავით აღმაშენებლის სიტყვა დიდგორის ომის ნინ (ფრანგი ისტორიკოსის გოტიეს ნიგნიდან „ანტიოქიის ომები", მე-12ს.)

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად ნესიერად ვიბრძვით, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მომდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ!"

195. სამგლოვიარო მჭევრმეტყველებას (ძველ საბერძნეთში) ეპიდექტიკურ მჭევრმეტყველებას უნოდებდნენ.

208. მოკრძალებულ ცხოვრებას ენეოდა რომის სამგზის კონსული და ტრიუმფატორი მანიუს დენტანტი. „ღატაკი კონსული თვითონ იხარშავდა ქოთანში იაფფასიან კერძს და როცა მას ელჩებმა ოქრო შესთავაზეს, უთხრა: ვისაც შეუძლია ასეთი კერძი იკმაროს, იმას ოქრო არ სჭირდებაო"... მე მირჩევნია, ოქროს მფლობელს ვფლობდე, ვიდრე თვითონ ოქროსო!"

... „ცოლქმრობაში ბავშვი უმტკიცესი კავშირია".

... „იმდენად უჭკუო ვიყავი, რომ ჩემი ცოლი ყველაზე პატიოსან დედაკაცად მიმაჩნდა".

... „დადგენილია, რომ ბრალი მკვლელობისათვის არ უნდა დაედოს მას, ვინც ცოლთან საყვარელს შეისნრებს".

პლატონი: ვფიცავ ზევსს, ათენელნო, თქვენ შელამაზებულ სიტყვას ვერ გაიგონებთ, როგორიც იყო მათი სიტყვები, ყბის საქცევითა და ლექსით ნატიფ-მოკაზმული... მე მნამს ის, რასაც ვამბობ და

წოდების ქართველებისთვის გადმოცემა მოგვიწევს.

ედუარდ შევარდნაძე: „ვარდების რევოლუცია", ეს იყო უცხოური დაზვერვის მიერ ორგანიზებული ძალიან დიდი დანაშაული. კარგია, სააკაშვილი ჩემს ინტერვიუებს თუ კითხულობს, ჭკუა მოემატება!

**P.S.** ზოგი — ჭკუასაც კარგავს.

100 000 მოწამის მიწა... მგონი, მოწამეც აღარ დარჩა.

ქართველი ქართულ მიწას ვერ იცავს და არსაიდან საშველი არ ჩანს!

და, მოდის რაღაც მღვრიე ნაკადი — ქართველი ხარ და არა ქართველობ!

რამ ათქმევინა სულმნათ აკაკის — „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!"

ჩვენს თანამედროვეებს, მტრობით, ნაწილ-ნაწილ ვშლით. ჩვენს წინაპრებს, მოყვრობით, ნაწილ-ნაწილ ვეძებთ და ვაწყობთ და ფართ ამ ნაჯექ-ჯუჯ-ჯექობაში. ჩვენი სომეხი ძმები კი „გიჟვარცუებს" გვეძახიან!

არ მშვენის, ჩემი ასაკის კაცი შეთითხნილი სიტყვით გამოვიდე (როგორც ქართული გამოთქმაა — ჩემი ხნის კაცს... ტყუილიც დაეჯერებაო!)

... პოლიტიკოსების შემდეგ ნავედი პოეტებთან, როგორც ტრაგედიების, ისე დითირამბების მთხზველებთან და სხვებთან, რათა თვალსაჩინოდ დამენახა, რომ მათზე უმეცარი ვარ.

პოეტების შესახებ სულ მალე გავიგე და მივხვდი, რომ ისინი ქმნიან არა სიბრძნით, არამედ ბუნების მადლითა და ღვთაებრივი ზეშთაგონებით, როგორც ღვთივშემოსილნი მისანნი და წინასწარმეტყველნი.

... თუმცა, ათენელნო, პატივსა გცემთ და მიყვარხართ, მორჩილებით ღმერთს უფრო ვემორჩილები, ვიდრე თქვენ.

... სათნოება წარმოიშვება არა ფულისაგან, არამედ ფული წარმოიშვება სათნოებისაგან... და ყოველი სიკეთე (კერძო თუ ზოგადი).

... მე სწორედ ისა ვარ, ვინც ღმერთს ქალაქისთვის მადლად მოუცია. თითოეულთან მოვდივარ, როგორც მამა ან უფროსი ძმა და გიქადაგებთ, რომ სათნოებისათვის იზრუნოთ!

...ვფიქრობ, ჩემი სიტყვების სიმართლეს დასამტკიცებლად ჩემი სიღარიბეც ეყოფა!

... სულ მესმის შინაგანი ხმა. ის მიშლის პოლიტიკაში ჩარევას და კარგადაც იქცევა. ძველთაგანვე, პოლიტიკისთვის რომ მომეკიდებინა ხელი, ადრევე დავიღუპებოდი. ვერც ჩემს თავსა და ვერც თქვენ გამოგადგებოდით!

...სიმართლეს, სიკვდილის შიშით, ვერავის დავუთმობ. მე, ათენელნო, სახელმწიფოში რაიმე თანამდებობას არასოდეს დავხარბებულვარ.

ამ მძლავრმა მთავრობამაც კი იმდენად ვერ შემაშინა, რომ რაიმე უსამართლობა ჩამედინა.

... ჰომეროსის თქმისა არ იყოს, არც მუხისაგან და არც კლდისაგან არ ვარ ნაშობი — ადამიანი ვარ და მყავს 3 ვაჟი.

ყოველთვის უგულებელვყოფდი იმას, რისთვისაც ბევრი ზრუნავს — სიმდიდრეს!

შეხედეთ ჩემს მოხუცებულობას!... სიცოცხლეს, უკვე, ისედაც ფრიად დავშორებულვარ და სიკვდილს მივახლოვებივარ. ამათ იმათ გასაგონად ვამბობ, ვინც სიკვდილი გადამიწყვიტა.

განვიხილოთ ისიც, რაოდენ დიდია იმედი, რომ სიკვდილი ბედნიერებაა!... რა ფასს არ გაიღებს თითოეული თქვენგანი, რომ ორფეოსთან, მუზეოსთან, ჰესიოდესთან და ჰომეროსთან ერთად იყოს.

...და, აი, უკვე დროც არის, წავიდე მე, რათა მოვკვდე და დარჩეთ თქვენ, რათა იცოცხლოთ. ხოლო ჩვენში ვინ მიდის უკეთესი და სწორი გზით, ეს ღმერთმა იცის!

დემოსთენე (რჩეულთა შორის რჩეული): ამბობენ, რომ მე მხოლოდ

---

*თუკიდიდე: ისტორია – ეს ფილოსოფიაა მაგალითებში.*

*ვაჟა-ფშაველა: ისტორია, იმდენად, არა წარსულისათვის... რამდენიც აწმყოსათვის, იწერება.*

*ჰენრი დევიდ ტორო: კანონები ვერ გახდიან ადამიანებს თავისუფლებს, თვითონ ადამიანებმა უნდა გახადონ კანონები თავისუფალი.*

ნყალს ვსვამ, ამიტომ ვარ მოლუშული და ბოლმიანი ადამიანი.

თქვენ კი ავისმქმნელთა მიმართ დიდმეხსიერნი არა ხართ.

...სასაცილოა, რასაც ჩვენ ახლა ვაკეთებთ. ვინმეს რომ ეკითხა თქვენთვის: „მშვიდობით სუფევთ თუ არა, ათენელნო მოქალაქენო?", თქვენ უპასუხებდით: „არა, ზევსს გეფიცებით, ჩვენ ხომ ფილიპესთან ვომობთ!"

რას აკეთებენ თქვენი რჩეულები, „გარდა ერთი კაცისა, საომრად რომ გაგზავნეთ, ყველა დანარჩენი დღესასწაულების მოწყობით ერთობა!"

(საიდან-სადაო? პირდაპირ, დრო აგერევა კაცს — თითქოს დემოსთენე ძველი წელთაღრიცხვიდან ახალ წელთაღრიცხვას ითვლის. ათენში კი არა, აგერაა, ყურის ძირში და „ფილიპიკებს" კი არა, „პუტინიკებს" წერს და „პუტანკებში" წერაობს!)

„ისე წავიდა ქვეყნის საქმე, რაც უფრო აშკარად ჰკილავს ვინმე ფილიპეს იმისათვის, რომ დაარღვია ხელშეკრულება, ან მტრად გადაეკიდა მთელ ელიტას, მით უფრო ძნელი გასარკვევი ხდება, რა გზას დავადგეთ?" ასე არა ვართ? წინ წყალია — უკან მეწყერი. ორ ცეცხლშუა ვართ!

მარკუს ტულიუს ციცერონი:

...შეიძლება, იკითხოთ, რა ღვთის რისხვაა, რომ ამდენ ხალხში, ესოდენ პატივცემულნი დარბაისელნი ისე შეუძრია შიშს, რომ არ სურთ, დაიცვან მოყვასი?

... ეს ავაზაკნი და კაცის მკვლელნი ბედავენ და მოითხოვენ, არა მარტო იმას, ააშორონ დამსახურებული სასჯელი, რასაც შიშითა და ძრწოლვით უნდა ელოდნენ თავიანთი ბოროტებისათვის, არამედ მოკლულის აბჯრით აღჭურვილნი და ძალმოსილნი, თქვენი განაჩენით, სამშვიდობოზე გაუშვათ ისინი!

... როდემდე გინდა, ბოროტად გამოყენო ჩემი მოთმინება? რამდენ ხანს უნდა გასტანოს შენმა სიგიჟემ? კიდევ რამდენ ხანს უნდა იყოყოჩოს აღვირახსნილმა თავხედობამ?

... რა გიზიდავს ამ ქალაქში? მასში არავინაა, გარდა ზნეობრივად გახრწნილ შეთქმულთა, რომ შენი არ ეშინოდეს, რომ შენ არ სძულდე. შენი ოჯახის ვიწრო წრეში ჩადენილი საძრახი მოქმედებების რა დაღი არ აზის შენ ცხოვრებას! რა სირცხვილით არ არის შელანძღული შენი სახელი? რა უნამუსო საქმით არ გაგითითხნია ხელები? რომელი ჭაბუკისთვის არ შეგიჩეჩებია ხელში იარაღი საავკაცოდ და არ გაგიჩირაღდნებია გზა გარყვნილებისა?

*გურამ ბენაშვილი:* ...ეშმაკეული ცთუნებებით შეპყრობილი დრტვინავს და ამაოდ „ნეტარებს". ლამის სრული სიბერწისადმი მიდრეკილი „ქართველობა".

*ლევან რამიშვილი (თავისუფლების ინსტიტუტი):* გვერდწითელს და პაპლიაშვილს რომ ნიჭი ჰქონოდათ, რა უნდოდათ მოსკოვში? იაფფასიანი „პაპასას" მოყვარული მე არა ვარ. არასდროს მომწონდა არც ერთი და არც მეორე. მეტიც, მიმაჩნია, რომ უნიჭო და უზნეო ხალხია. რატომ უნდა დავფასო? არ მესმის, მოღალატეები და აბსოლუტურად უნიჭო ხალხი რატომ მოსწონთ რუსებს. თუ რამეში არ სჭირდებათ? დიახ, სჭირდებათ ჩვენს საწინააღმდეგოდ. ეგენი არიან მანქურთები და გადაგვარებული ხალხი.

ნანა ბრეგვაძეს პრიმაკოვი ჰონორარს მისცემდა. 5 ათას დოლარზე ნაკლებს არ გადაუხდიდა. ნანის ფული არ აკლია, მაგრამ ფული ხომ ზედმეტი არას-

ზოლა: გემუდარები, საფრანგეთო, გონს მოდი!

გნეუს პომპეუსისა და იულიუს კეისრის მიმართვა ჯარისადმი!

120. ანტიკური ისტორიიდან ჩვენამდე მოაღწია სასამართლო მჭევრმეტყველების ქართულმა ძეგლებმა — კოლხეთის სახელმწიფო მოღვანეთა — აიეტის, ფარტაზისა და კოლხი ბრალმდებლის სიტყვებმა.

თედორე პლევაკო: მე-19 ს. ოთხმოციან წლებში იგი იცავდა საქართველოს ბოლო მეფის, გიორგის შვილიშვილს თავად გ.ი. გრუზინსკის, რომელსაც მისი შვილების აღმზრდელი შმიდტის მკვლელობა ედებოდა ბრალად.

სოლომონ ლიონიძე.

„მოთქმით ტირილი" ლიონიძისა (ერეკლე მეორის დაკრძალვაზე) სამგლოვიარო მჭევრმეტყველების ეტალონია!

„... ხელმწიფევ, რად გინდოდა შენ ხელმწიფედ ცხებულება — თუკი მკვდრის ზეთს იცხებდი?! რად გინდოდა სახელმწიფო პორფირი — თუკი დასამინებელ სუდარას გარს მოიხვევდი?! რად გინდოდა სკიპტრა, თუკი სკიპტრის მპყრობელ ხელებს გულზე დაიკრეფდი?!... რად გინდოდა სახელმწიფო ტახტი, თუკი დასამინებელ საფლავს იშენებდი?! დაბნელდი, მზევ... მეფე ერეკლე შენს ბრწყინვალებას ველარ ხედავს... ვის დროშას ვემსახურო?! ვისთვის მოვკუდე?!... ვისთვის ვიცოცხლო?!..."

P.S.მჭევრმეტყველება ხელოვნებაა თუ მეცნიერება? პლატონი რიტორიკას „სიტყვის ხელოვნებად" მიიჩნევს.

კანტი: ორატორი და პოეტი შემოქმედები არიან. ოღონდ, საშუალო ღირსების ლექსი აუტანელია, სიტყვა კი — მოისმინება.

ზეპირმეტყველება თუკი ბგერწერაა (გ.ნ.)

„მჭევრმეტყველება — აზრის ფერწერაა" (ბ. პასკალი)

* * *

ვინც სიყვარულს არ ინახავს გულში —
ვინაც შვილებს არ უნახავს ტყესა —
ვინც „ყველაზე კარგად" იყო გუშინ —
ის ყველაზე ცუდად არის დღესა.
სამშობლოსი ვისაც არ აქვს დარდი —
ადრე-გვიან სამშობლოდან გარბის —
ისეთ კაცსა — კაცი არა ჰქვია —
ვინც მუცლის და სწორ ნაწლავის ტყვეა.
ასეთ კაცსა რა სასწორი წონის —
ყველა ხედება — ადრეა თუ გვიან,
ისეთ კაცსა სწორი არა ჰქვია —
ვისაც მხოლოდ ნაწლავი აქვს სწორი!

---

*კატონ მარკ პორციუს ცენზორიუსი: ისეთი კანონი არ არსებობს, რომელიც ყველას აკმაყოფილებდეს.*

*ციცერონ მარკ ტულიუსი: ყაჩაღებსაც კი აქვთ თავიანთი კანონები.*

*უფროსი არის მოლაპარაკე კანონი, ხოლო კანონი — მუნჯი უფროსი.*

* * *

...შევუდგებოდე ლექსწერას სანამ,
მე გამოვრიცხავე აქ სიტყვა — არამს!
დრო აღნიშნეო, უბრძანა გალამ.
ხმალივით შიშველ, ალესილ კალამს.
ფაშიზმების თუ ბოლშევიზმების —
სოც-„ლიზმების" თუ კომუნიზმების —
ან ამ „იზმების" — ან იმ „იზმების" —
დროა მასობრივ ანანიზმების!

* * *

ველი,
როგორც ბედისწერას
(ბედი ავთვალს ამარიდებს).
წერა იტანს ყველა მწერალს,
როცა გადის ბეწვის ხიდზე!
...სიტყვა-ღმერთის საპოვნელად —
(ფონემების, იდიომის,
ეპითეტის, მეტაფორის)...
მქონდა ერთი დიდი ომი!
რომ
125 000 სიტყვაში მოსაძებნი არის ერთი —
ამას ჰქვია მწერლობა და
იმას ჰქვია სიტყვა-ღმერთი!

### მერი ბარნაბიშვილის „მოგონებებმა რეზო ინანიშვილზე" დამაწერინა ეს ერთი სტროფი!

არის სახელი — უსიკვდილო,
სიცოცხლის შემდეგაც რომ გვასახელებს...
დღესაც დაიარება სული წმინდა —
რეზო ინანიშვილის გვარ-სახელით!

* * *

ჩემმა მზემ — ნამდვილად არა ღირს —
სიყრმის მზის ხელიდან გაშვება —
დავეცქერი ბავშვობის ფიფქს...
თოვლივით მადნება ბავშვობა!

* * *

სიცოცხლით აივსება,
ნაზამთრალი ქუჩა...
თუმცა, ამ გაზაფხულს...
ზამთრის პირი უჩანს.
მზე ლოგინში დაგვხედავს და გაგვიხელს თვალებს,
მარტ-აპრილი მოვა და ყველას გაგვიყრის გარეთ!

დრის არაა. მთავარია, რომ საქართველოს მტერის დაბადების დღეზე არ უნდა უმღერო. ესე იგი, თუ მტერი ფულს გადაგიხდის, უნდა უმღერო? არა, რა დაამკვიდრა ბრეგვაძემ, პავლიაშვილმა და გვერდწითელმა. სწორადაც შერაცხეს ნანი ერის მოღალატედ. მივესალმები ამ ნოვაციას.

თინა კანდელაკი იაფფასიანი კახპაა, — წერს..

**P.S.** ამათთან ერთად, დიანა გურწკაიასაც ლანძღავენ ეს გამოსოროსირებულები. ამ ცოტა ხნის წინ დიანა ყავით მოწამვლას გადაურჩა და იმედია, ამ ენით მოწამვლასაც გადაიტანს. ამათ კი რა აიტანს, ეშმაკმა იცის.

დიახ, ეს ის მძიმე შემთხვევაა, როცა ენას არც ძვალი აქვს და არც სირცხვილნამუსი.

ჯერ იყო და, პროტესტის ნიშნად, ერაყელმა ჟურნალისტმა მუნთაზირ აზ-ზაიდმა ჯორჯ ბუშს საჯაროდ ესროლა ფეხსაცმელი. მერე კი იგივე ბედი ეწია ჩინეთის პრემიერსაც. თუ გავიხსე-

* * *

მგონი, ელიანის „ჭრელი მოთხრობების" ჭრელა-ჭრულაში მაქვს ნაკითხული, რომ ძველი ბერძნები ე.წ. „დიპოლიის" დღესასწაულზე ხარს კლავენ. მის მკვლელობაში კი ბრალს სდებენ... დანას!

ამის გაფიქრებას მოჰყვა, სწორედ, ეს ლირიული იმპულსიც!

როგორაც კი ჩანგალთანა...
დაეინახეთ მჭრელი დანა –
„ანა-ბანა-განა"-სგანა –
ჩვენ ვისწავლეთ „ომობანა"!

* * *

სულით ხალხის ნაკვნესი ხარ –
ქარაგმული ნაკვესი ხარ –
გაჭირვების ტალკვესი ხარ –
გტკივა, მაგრამ არ კვნესიხარ!

* * *

ახლა რაცა გეჭირს,
ვაჟასა –
არც უნახია თვალითა;
„სამშობლოს ბედნიერება
არ მსურს, ვეყიდო ვალითა!"
აფსუსი კია, ღმერთმანი,
არ დაეალთ მისი კვალითა;
არ გეაწყენს, ქიარებოდეთ –
წინაპრის სანთელ-კვარითა!

* * *

დაეიწყების – ლეთას წყალი დალიე?
ჯერ ინანე... მერე მოინანიე!

* * *

მირჩევნოდა, გამსკდომოდა მიწა მე;
ბოროტება – სიკეთედ რომ ვიწამე!
როს სიცრუე ცხადდებოდა სიმართლედ,
აეი – კარგად, სიბნელე კი სინათლედ!
იყო დრო, როს კაცს გაუწყრა ღმერთი –
იდგა ჟამი – წითელ უკუნეთის!

---

*ჩინური სიბრძნე: არ არსებობს წიგნის კითხვაზე დიდი ნეტარება.*

*დენი დიდრო: ადამიანები ველარ აზროვნებენ. როცა აღარ კითხულობენ.*

* * *

ტელე-შოუ-დიალოგი... ყაყან-ყროყინს აგავს.
ლამისაა, შევიშალოთ — თავს გვაყრიან ნაგავს.
ლამის, ლომის ხახაში ვართ,
ლამის, მეც ვიყვირო:
თოქ-შოუში ვხედავ ვირს და ვყვირი:
თოქში-ვირო!

* * *

ერთი თვალი იცინის და
მეორე კი — ტირის...
ერთი თვალი ლხინისაა —
მეორე კი — ჭირის.
ამჩნევ, მაგრამ ვერ გაარჩევ
მის დარდსა თუ ლადავს.
ზოგი გულით ტირისა და
ზოგი თვალით შარდავს!

* * *

მოკლედ და... ბუნდოვნად!
არადა..
კმარა და...
„სივარადა-ვარადა!“

* * *

დღეს პირველი აპრილია —
მოტყუება ადვილია —
დღეს კი ცხრა აპრილისა —
მზერა მზარავს ამ დილისა!

* * *

ვისმა ბუნებამ როგორ ინება:
ზოგს — სხვის სწყურია და სხვისი — შია.
ორპირი კაცი რაღა იქნება? —
ორპირი... ქარიც კი საშიშია!
აი, რატომ ვართ ბობო-ქარები —
სიტყვა „ქართ-ველშიც“ ქრიან ქარები!
ბოლოს და ბოლოს, „ველშიც“ რას ველით? —
სულ პირველობას ელის ქართ-ველი!

* * *

გახედე წარსულს და მიზანს!...
მეტი რა გითხრას მუზამო?!
ქართველო — მტერი ვერ გიზამს,
რასაც შენ შენს თავს უზამო!

*ნებით, „ვარდების რევოლუციის“ დროს, როცა ედუარდ შევარდნაძე პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან დაცვას ხელჩაქიდებული გაჰყავდა, მას ცალი ფეხსაცმელი დარბაზში დარჩა.*

*სხვათა შორის, ესტონეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ესტონეთის მთავრობასა და პარლამენტში, პრესკონფერენციებზე, მხოლოდ ფეხშიშველა ჟურნალისტებს უშვებენ. როგორც ერთ-ერთმა სამთავრობო ჟურნალისტმა განმარტა, ცუდ ამინდში ჟურნალისტებს მალის თბილი წინდებითაც მოამარაგებენ.*

**P.S.** *მოკლედ, ფეხსაცმელი, ლამისაა, ცეცხლისმსროლელ იარაღად იქცეს და სპეციალური ნებართვებით ატარონ!*

*<u>ქვების წვიმა</u>*

*ხობის რაიონის სოფელ ქალადიდში, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, უცნაური ამბები ხდება. როგორც სოფლის მოსახლეობა ამბობს, უხილავი და ხანდახან ხილული არსებები მათ ქვებს ესვრიან.*

**P.S.** *რაა განსაკუთ-*

## „კუდიან - ხოდიანი"
## ლექსი

### (კაი გაგებით)

ქართული ენის განძ-ზღვა თეზაურუსში
და კლაუზულების ბოლოსართ-ბურუსში —
პრეფიქსის, სუფიქსის, ინფიქსის ყოფისში —
აფიქსს ვაფიქსირებ „ობამას" ოფისში!
აქ ყოველი სიტყვის აქცენტუაცია —
ცნობს ბარაქ ობამას —
შავ-თეთრი კაცია!
ბევრ ქართულ სიტყვაში დევს მისი სახელი
და სიტყვა-ღმერთიცა მზადაა გამხელის!
...ღვთისწყალ-ობამა, შ-ობამა, ყრმ-ობამა,
ნაღდმა ძმ-ობამა, სულის წრთ-ობამა,
უტყუარ გრძნ-ობამ და მოყვრ-ობამა;
ერთურთის ცნობა-ქართველ-ობამა,
არსობის პურის ჩვენის ცხ-ობამა,
ალალი ლუკმის ალალ ტრფ-ობამა;
ტოლ-სწორ-ობამა, სწორ ტოლ-ობამა,
ხმოსნ-ობ, გმირ-ობამ, გულთა ხმ-ობამა,
მადლ-ობამ,
არა გულჩათხრ-ობამა;
მეგობრობითა მტრობის გმ-ობამა,
ბოროტებისა ამბავთ თხრ-ობამა,
სულით მწირ-ობამ, მარტო-ობამა,
ძალაუფლების ძალით ფლ-ობამა,
სიკეთის თვალხელშუა დნ-ობამა;
ასმა, ათასმა უაზრ-ობამა;
ბოლო იმედის შუქთა ქრ-ობამა,
რევოლუციის ვარდის ჭკნ-ობამა;
ამ უცმელ-უსმელ-უჭმელ-ობამა,
აქეთ — უფროსთა უმცროს-ობამა,
იქეთ — უმცროსთა უფროს-ობამა;
თავდაყირობის ყირამლ-ობამა;
ცოლის — ქმრ-ობამა, ქმრის ცოლ-ობამა,
ცხოვრების ზღვაში უაფრ-ობამა
და იმედების უკვლოდ ქრ-ობამა!
ასე განსჯამ და ასე ბჭ-ობამა,
ასე, ამრიგად — ქართველ-ობამა!
P.S. მოკლედ, შენს გარეშე ვრას ვერ ვიბრუნებთ.
პოდა, უბარაქოდ ჩვენ რას დავიბრუნებთ?...
„ბიძია თომას ქოხი"...
„ჯეკსონის კუნძული"...
ახლა იმედებით არის დახუნძლული!
ბარაქა შენს საქმეს,
ბარაქო ობამა —
თეთრად გაგვითენოს
დილა მშვიდ-ობამა!

* * *

გაქცეული კალამი —
გაფრენილი დრო —
ესეც წუთისოფელი და...
წუთის საწუთრო!...

* * *

ქუდის მოხდა და მადლობის გადახდა —
კაცის სინდისი, ნამუსი, ღონეა.
შეცდომისთვის ბოდიშის მოხდა კი —
გოგს —
თავის მოჭრა —
და ჩახდაც კი პგონია.

* * *

გია აბესაძეში
გმირსა თავი ეჩინა!
და არ შეგეპაროთ იჭვი —
მან თავი გაწირა, რომ გადაერჩინა
ძმათათვის თავეგანწირვის ნიჭი!

* * *

რადგან სიტყვას აქვსო ძალა
გახლეჩილი ატომის
ამ სეტყვაში ეძებ სიტყვას...
კალამ-პელენგატორით!
ლექსის მადანს დავეძებ და
ბაჯაღლოთი ვცნობ ოქროს —
კალამიდან — ქაღალდამდე...
ჩემი სული ბობოქრობს!

* * *

– სამშობლოს ვინ ჭამს, ან ვინ აჭმევს?
– რა გრანტი გაუძლებს ჩვენს ღრანჭებს!

## ***სადღეისო რჩევა-დარიგება***

შენ რა განაღვლებს, ვის წყურია და
ვისა შია —
ამ ქვეყანას ასახეეი — აახიე.
ღვინო—დუდუკი—ქალები...
ანუ – ჭირი იქა... ლხინი აქა
(როგორც ზღაპარშია)...
მერე ადექი და... დაახვიე!

*რა?.. დღეს ყველა ისვრის ქვებს!*

*ამას წინათ ტე-ლევიზიით გამოვიდ-ნენ ბატონები ზურაბ გურიელიძე და გიგი თევზაძე და სიამაყ-ით გვაუწყეს, სტუ-დენტები სასწავლე-ბლად ტანზანიაში გავგზავნეთო. რა უნ-და ისწავლოს ტანზა-ნიაში ქართველმა სტუდენტმა? ჟი-რაფის კურკლის ბე-ჰემოთის კურკლის-გან გარჩევა?*
**P.S.** *პირდაპირ, ტანში მეგზარავს ტანზანიური ჟაზრო-მა!*

*<u>თამარ ქოსიანელ-იძე (მიმდევრალი):</u>*
*პოლიტიკოსებსაც იყენებენ დღეს შე-მოქმედები... საკუ-თარი მიზნებისთ-ვის. კიკუს სინ-დრომი გამეფდა — „ფული, ბაბა, ფუ-ლი“.*

*რუსეთში მცხ-ოვრებმა ქართველმა გოგონამ მერი აბა-თიანმა 2003 წლის სილამაზის კონ-კურსში გაიმარჯვა და „ციმბირის ვარ-სკვლავის“ წოდება მოიპოვა.*
*მერი აბათიანი: 17*

## *გაღმა გასჭლამდე!*

### (ალავერდი დიდუბის პანთეონის თავკაც, პოეტ ბადრი ქუთათელაძესთან!)

...სანამ ჩემს ლხინს დაგიტოვებთ – სანამ თქვენს ჭირს წაეიღებ –
მოწყალებას აქეთ ველი და იქეთაც გაეიღებ!
სანამ მიქელ-გაბრიელი ჩამავალ მზის ჩრდილში ზის –
რა წყალობას ვისგან ელი? –
დაწერეო ანდერძში!
სასაფლაოს ხსნებაზეც, იყო დრო, რომ მზარაედა –
იქ სიჩუმე, უსიცოცხლოდ იდგა გლოვის კარავთან.
თუმცა, მიწას ეერ მოწყეიტაე – მიწიერსა ანთეოსს –
სიკვდილშიაც სიცოცხლისთვის... სხვა ეშხი აქვს პანთეონს!
აქ სიკვდილსა სიკვდილითა დამთრგუნველი მზე ადგას –
თვალი გრჩება, ვითარ – მიქელ მოდრეკილის იადგარს –
სიცოცხლეზე!...
ეერ ელევი წუთისოფლის ცდუნებას
და უგალობ სიკვდილშიაც – სიცოცხლის მობრუნებას!
იქამც იყოს –
აქამც იყოს...
ერთადერთი შანსია –
თუნდაც, მიწამ პირი მიღოს, მიმაწეროს შავ სიას,
თბილისიდან ფეხს არ ვიცვლი, ვრჩები ისევ ქალაქში –
მკვდარ-ცოცხალიც კი ცოცხალ-ვმკვდრობ (როგორც იგავ-არაკში!).
დედა-ქალაქში ვიბუდებ და არც იქ დაეიდუმებ –
სასაფლაო არა ჰქვია დედის უბე – დიდუბეს!
P.S. კაცი თუა... აქაც – იქაც – ორივ სოფლის მკვიდრია –
აქ, სიკვდილშიც, სიცოცხლისა ალბათობა დიდია!

* * *

„აწმყო, შობილი წარსულისაგან – შობს მომავალსა“!
რით ისტუმრებს მომავალი წარსულის ვალსა?
ქართველი კაცის, სულსა ღაფავს მისი სახელი –
საქართველოში გზა არ დარჩა –
უკან სახევი!

---

*გურამ დოჩანაშვილი: იყო მკითხველი – ეს თავისთავად სასწაულია, მკითხველი – ეს სწორედ ისაა, ვისაც შეუძლია, ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის იწვეს და სულაც არ იყო ზედმეტი. ეს – სასწაულია და მეტსაც გეტყვით, ზედმეტი კი არა, აუცილებელი ხარ, რადგან ავტორმა ასე ინება.*

* * *

კარგით და ცუდით —
სწორით და მრუდით —
სიმართლის ლოდით —
ტყუილის გუდით —
თეთრმა და შავმა —
გეათეთრ-გეაშაეა —
არავინ იცის, რა დააშავა —
ან გაანათა, ან ამზიანა —
ან გააკეთა, ან აზიანა...
კაცის აე-კარგმა
აზრი დაკარგა!

* * *

დრო მოდის და — მოვდივარ,
დრო მიდის და — მივდივარ,
წარსულიდან — მომავლის...
საცალფეხო ხიდი ვარ!
ყველაფერი იწყება!
ყველაფერი თავდება!
ღმერთი არის მოწამე,
ღმერთი იყოს თავდებად!

## ლოცვა

ჩემი ლხინი — შენ,
შენი ჭირი — მე,
შენი ზეცა — მე,
ჩემი მზეცა — შენ!
შენი კვნესა — მე...
ასე გესალმე!

* * *

ვინც რასა ფიქრობდა —
იმას არ ამბობდა —
სიტყვაცა გაბონდა —
და ჰგაედა ნაბოდეარს!

* * *

...რომ არ იმძლავროს მუმლმა მუხისა —
ლექსი რომ ჰგავდეს ჭექა-ქუხილსა —
მიეცი სიტყვას მიწისძვრის ძალა
და სისხლი მელნად ადინე კალამს!

*20 წლისამ ბედი ციმბირში გამართულ სილამაზის კონკურს „კუზბასსკაია კრასავიცაზე" ეცადა და „მის გრაცია" და „მის აღტაცება" გახდა.*

*მის ათასწლეულის სილამაზე 2000 — „მის როსია" — ზესტაფონელი მერი ასათიანი!*

*„კვირის პალიტრა", 2-8.11. 00*

*უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს აღსარება: სინანულის ცრემლები მდის და ვტირივარ, „ცოდვილთაგან მე ყველაზე ცოდვილი ვარ!*

*ანასავერ: რაღა ვეთქმის მაშინ ცოდვილთ?*

*...და, სანთლებიც კი იწვიან — ჩვენი ცოდვით!*

*საპატრულო პოლიციისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლები დააკავეს. მათ, ბიბლიოთეკის დარაჯის დახმარებით, შეაღწიეს წიგნსაცავში და 175 ცალი წიგნი მოიპარეს. წიგნები მე-17*

## *ალ-იარობად!*

სარეველები მოედო ყანას —
სიბრძნეს სიცრუე ველარ შეჰყუთნის —
რა ვქნა,
ვერ ეტოვებ ისეთ ქვეყანას...
მე რომ მინდა და შენ რომ გეკუთვნის!
ვწუხვარ, თავს ზევით არაა ძალა
და არც გარჩევა კარგის და ცუდის.
რა ექნა,
ვერ ეტოვებ ისეთ ქვეყანას...
მე რომ მინდა და შენ რომ გეკუთვნის!
თვალს და ხელშუა დრო გაიპარა,
არა მაქვს განცდა წუთსოფლის წუთის —
რა ექნა,
ვერ ეტოვებ ისეთ ქვეყანას...
მე რომ მინდა და შენ რომ გეკუთვნის!
გულში და ხნულში ვაელე სტრიქონი
და სიტყვას მივეც მაღლ-ძალა გუთნის —
მაინც ვერ შევქმენ ქორონიკონი —
მე რომ მინდა და შენ რომ გეკუთვნის!

* * *

**ტელე-შოუს „ცხოვრება მშვენიერია"**
**ავტორს ქ-ნ ნინო ქაჯაიას**

სიცოცხლეს, თუმც, უძლერისართ,
აზრს არ ჰგავს — ჰკარგავს...
ასე, რომ —
თქვენ მართლა მშვენიერი ხართ —
ცხოვრების... რა მოგახსენოთ!

## *შვილობს და შვილიშვილობს!*

სანამ ცხოვრების გზას დაადგებოდეთ —
ჯერ მაღლა აიხედეთ,
მამაზეციერის სულში ჩაიხედეთ...
მერე ჩემს გულშიც...
ვერც კი ინატრებთ უკეთეს ხედებს.
მერე ადექით
და
საკუთარ გზას დაადექით!

* * *

არესმა დარები ალესა —
ვერ ვარჩევთ შავ-თეთრს და ავ-კარგებს...
ტერიტორიებზე უარესიც...
ჩვენ სინდის-ნამუსიც დავკარგეთ!

## ტაში...
## (ტუშამდე!)

ტაში რომ არა, რამდენ ხიფათს ასცდებოდა კაცი!

ჩვენს სოფელში სწრაფად, იაფად და... მოკლედ, როგორც იყო, აშენდა, ავე თვალს რომ არ დაენახვებოდა, ისეთი კლუბი. თუმცა, რის კლუბი, ნამდვილი სასახლე!.. მის გახსნაზე მიწვეული იყვნენ სოფლიდან უგზო-უკვლოდ დაკარგული და შემდეგ აქა-იქ გამოჩენილი ჩვენი კუთხის მონინავე ადამიანები. მათ შორის, მეც.

ძალიან დამწყდა გული, რომ რაღაც მიზეზით კლუბის საზეიმო გახსნას ვერ დავესწარი, მაგრამ, როგორც კი მომეცა საშუალება და ცოტა ჰონორარიც (ეს საშუალება, რატომღაც, ყოველთვის შემოდგომაზე რთველის დროს გვიჩნდება-ხოლმე ქალაქელებს), მაშინვე სოფელს მივაშურე და, რასაკვირველია, სასახლეც მოვინახულე.

ვნახე, მარა, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!.. ნეტა არ მენახა ახალთახალი ნაგებობა... ნანგრევებად იყო ქცეული.

თვალებს არ დავუჯერე, მაგრამ დარაჯისთვის როგორ არ დამეჯერებინა. იმ ხნის კაცს ტყუილიც დაეჯერება.

— გამარჯობა, ბიძია სერაპიონ!

— კაი გამარჯობა, ბიძია, შენი!

— ჩვენი სოფლის ახალი კლუბი ესაა?

— კი, ესაა.

— რა მოუვიდა მერე, კაცო?

— საზეიმო გახსნის დღეს... ბიძია, ტაშით დაინგრა!

## „დიალოგები"

„ეს გულწრფელი წიგნია, მკითხველო"... — ასე იწყებს მონტენი თავის „ცდებს" და ამით იწყებს გურამ ასათიანი თავის „დიალოგს" (ერცელი რემარკებით).

აფსუს! ამ ბიჭს საქმიანობაც ეხერხებოდა და „უსაქმურობაც". ერთიც უხდებოდა და მეორეც! უქეიფოდაც ქეიფში იყო... მიუხედავად ქეიფშიც უქეიფობისა (ო, როგორ მეხმარება, ახლა, ეს აყირავებული სიტყვები მის... ანუ სხვის ჭირის მოზიარე ამბოხებულ სულში ჩასახედად!)

დილის სიფთაზე, ვილაცის ამწე-კრანით, ნანი ბრეგვაძისათვის (მესამე თუ მეოთხე სართულზე) ყვავილების მიმრთმევი კაცი, არ იყო მთლად სხვის ჭკუაზე დალაგებული, მაგრამ, ვისაც მისი სუ-

საუკუნით თარიღდება და უიშვიათეს სამეცნიერო და მხატვრულ ეგზემპლარებს წარმოადგენს.

**P.S.** პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიჩი წიგნის ქურდებს მიწმედ უდგებოდა, რომ წიგნის ქურდი ქურდი არ არისო, მაგრამ, დრო შეიცვალა და წიგნის ქურდებიც გამოჩნდნენ, რომლებსაც ეს ნაბიჯი გადაადგმევინა არა წიგნისადმი უსაზღვრო სიყვარულმა (რაც არ მიიძღება, ქურდობად მიევასდეს), არამედ უსაზღვრო სიღატაკემ (რაც ასევე გასათვალისწინებელია).

„კვირის პალიტრა"

### ურეკის ბინდ-ბუნდში

აკრეფილან ღრუბლები და გაკრეფილან.

ცას — ფირუზის, ზღვას კი ფითრი გადაკრავს.

ზღვის ამარა დარჩენილა ცის კამარა

და სამყარო ამ ქვეყნიერს არა ჰგავს.

ალიონმა გააბოლა ყალიონი —

ზღვის ზღვაური ეფერება ნაპირებს —

პირზე კოცნით ეგებება მიწა-წყალი

და დღე... ღამის გათენებას აპირებს.

ზღვის და ლექსის ამ მიქცევა-მოქცევაში

ლის ბაღნარში შეესვლებოდა, უკან გამოსვლას არ იფიქრებდა. იქ სხვა ბულბულები უსტვენდნენ.

მწერლის სიცოცხლის უტყუარი გარანტი მისი წიგნებია. ჰოდა, აგერ, თაროზე მიდევს მისი სული. „ვისი სული გსურსო?", ბავშვობისას ხომ გითამაშია, სიბერეში ეს უკვე თამაში კი არა — ცხონებაა! კიდევ ერთხელ გამირბის თვალი მისი სიცოცხლისკენ და ხანდახან ცალი ყურით მაინც ვისმენ მის „დიალოგებს" (ვრცელი რემარკებით). გულისყურით ნასაკითხ (კერძოსავით) ინტიმურ წერილებს... დავცქერი ან გავცქერი მის ლიტერატურულ პორტრეტებსა და ესკიზებს...

ათასმა ამბავმა ჩაიარა, ჩვენი ცხოვრების „1001" ღამეში, რომელსაც დავიწყების მტვერი დაედო, მაგრამ არის დღეები და ღამეები, რომლებიც „არ თენდებიან" და „არ ღამდებიან" — ხელუხლებლად რჩებიან!

ერთი ასეთი ღამე მან, დამწყებმა კრიტიკოსმა, მოსკოვ-თბილისის მატარებლის საერთაშორისო ვაგონის ერთ უცნაურ, ხანშიშესულ თანამგზავრთან, ვიღაც მოჩვენებასავით კაცთან გაატარა.

...გარეთ ზამთრის უმთვარო ღამე იყო. მატარებელი ზომიერად მარნევდა და ძილი მერეოდა. რეპროდუქტორიდან შარლ გუნოს მეფისტოფელის არია ისმოდა:

„На земле вес рад людской" — გრგვინავდა რადიოში ჩვენი დროის გენიალური ბასი პიროგოვი.

... სიგარეტი გავაბოლე და კუპეში შევბრუნდი.

— დაბრძანდით! — მითხრა სუფთა ქართულით უცნობმა თანამგზავრმა.

და, დაიწყო... მარა რა დაიწყო — სულ ყირამალა დააყენა ახალგამომცხვარი ქართველი კრიტიკოსის ფიქრები და წარმოდგენები...

— ქართველ კაცს ყოველთვის უნდა, ცოტათი მაინც მეტი იყოს იმაზე, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს. ეს ადამიანური თვისებაა...

... სიცრუე ხერხია. იგი საფუძვლად უდევს ხელოვნებას, როგორც არტისტიზმის განუყრელი თვისება... შემოქმედების მიზანი ჭეშმარიტებასთან მიახლოებაა... ამ მხრივ თვითეული ნაბიჯის გადადგმა შესაძლებელია მხოლოდ სრული შინაგანი სიწრფელის პირობებში.

...გულწრფელობა შემოქმედის შინაგანი თავისუფლებაა, მისი სულიერი დამოუკიდებლობის პირველნიშანია. გენიოსი ამ თვისებითაც შეიცნობა. თუმცა, სიწრფელის მოთხოვნილება ყოველთვის როდი წარმოადგენს ზნეობრივი სიწმინდის შედეგს. ყველაზე გულახდილ აღსარებას ის კარისკაცები წერდნენ სიბერის ჟამს, რომელთაც მთელი სიცოცხლე ფარისევლობაში გაატარეს.

შატობრიანი (რომელსაც ჩვენებური ქალი მშვენიერების ეტალონად მიაჩნდა და ეკუთვნის გამოთქმა „ქართველი ქალივით მშვენიეროო" — გ.ნ.) გაქნილი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ მისი „საიქიოს ჩანაწერები" სავსეა მომხიბლავი უშუალობით. ეს ამ წიგნში არ წერია — თქვა უცნობმა.

ყოველი ნამდვილი მწერალი, ასე თუ ისე, თავისი ხალხის ეროვნულ თვისებებს გამოხატავს მაშინაც კი, როდესაც სუბიექტურად მათ უარყოფას ცდილობს. ცნობილია, რომ სტენდალი ვერ იტანდა ფრანგებს, რადგან ისინი მსოფლიოში ყველაზე პატივმოყვარე ერად მიაჩნდა...

...ლიტერატურულმა ავტორიტეტებმა არ უნდა დაგვაბრმავონ! დასავლეთის ბურჟუაზიული მწერლობის ისტორიაში ბევრი რამ

*ჰენრი დევიდ ტორო: წიგნები უნდა ვიკითხოთ ისევე აუჩქარებლად და ფრთხილად, როგორც ისინი იწერებოდნენ.*

საჭიროებს ფხიზელი თვალით გადახედვას.

...როდესაც „სიცრუეზე" ველაპარაკობდი, მხედველობაში მქონდა ხელოვნების ძველისძველი საიდუმლო, ე.ნ. „სიბრძნე სიცრუისა" და არა ჩვეულებრივი სიყალბე... სიყალბეს მწერლობაში აზრის სიმხდალე ან წვრილმანი ანგარება იწვევს. არის კიდევ ერთი მიზეზი — ზერელე პატივმოყვარეობა.

...არსებობენ მწერლები, რომლებიც მკითხველის გულს ქათინაურებით იგებენ... დაკმაყოფილებული პატივმოყვარეობა გონებას აცდუნებს, ნეტარი უმოქმედობისაკენ განაწყობს ადამიანის სულს. ალბათ შეგიმჩნევიათ, როგორი სულელური გამომეტყველება უჩნდება ადამიანს, როდესაც ქართულ სუფრაზე მის სახოტბო სადღეგრძელოს სვამენ.

...იცით, ვინ გადაარჩინა გასულ საუკუნეში ქართველი კაცის შეგნება წვრილმანი პატივმოყვარეობით გამოთაყვანებას? — ილიამ!.. რომელმაც თავისი ხალხის გამოფხიზლება მოინდომა. „კაცია-ადამიანი?!" ისეთივე ეპოქალური, სასტიკი წიგნია „პატივმოყვარეობის ბაზარი", „მკვდარი სულები", „პინგვინების კუნძული". არცერთ ქართველ მწერალს არ უთქვამს ასეთი საშინელი სიტყვები თავისი ხალხისათვის:

— ჩვენისთანა ბედნიერი, განა, არის სადმე ერი?

უწყინარი, უჩინარი, ქედდრეკილი, მადლიერი...

(Бедныйერი! ამ სიტყვის რუსულ-ქართული სიმბიოზი ზუსტად გამოხატავს სათქმელის ჩანაფიქრს — გ.წ.).

...ილიამ და აკაკიმ ქართველ მკითხველს სიმართლის დაკარგული გემო გაახსენეს. აკაკი წერეთელი თავის თავს ქართული მწერლობის უბრალო, „დღიურ" მუშად თვლიდა.

ილიას ერის მამობის და მწერლობაშიც იგავმიუწვდომლობის მიუხედავად, მის ლექსებში პოეზიას ვერ ხედავდა აკაკი. ილიას სახელი... ჩვენი ეროვნული დროშაა! — აღშფოთებით შეეპასუხა გურამი უცნობს.

— ცოცხალი ადამიანი არ შეიძლება, დროშად იქცეს, — ოლიმპიური სიმშვიდით თქვა მან, — დაიმახსოვრეთ: არ არსებობს კეთილი მიზანი, რომლის დასამტკიცებლად სიმართლის ღალატი იყოს საჭირო.

...აინშტაინის ბიოგრაფები აღნიშნავენ მის თანდაყოლილ „ავადმყოფურ" მიდრეკილებას სიმართლისა და სამართლიანობისადმი!

ყველამდე ვარ ამ მიწის და ამ ცის ვალში.

105 წლის მოხუცი ორჯერ უმცროს საცოლეს დაეძებს

როგორც ჩანს, ჩინეთის ქალაქ ჩენჯის მკვიდრს, 105 წლის გონგ დერუის იმდენად უდუღს ძარღვებში სისხლი, რომ მან ცხოვრების ახალი თანამგზავრის მოძიება გადაწყვიტა და ამ მიზნის მისაღწევად იგი ყველა არსებული კანონიერი საშუალების გამოყენებას ცდილობს.

კერძოდ, გონგ დერუომ საცოლის გაცნობის სურვილი ყველა გაზეთს და ინტერნეტ-საიტზე გამოაქვეყნა და ელის ახლა გულისფანცქალით, — აბა, ვინ მოინდომებს ჩემთან ურთიერთობასო.

საინტერესოა, რომ ჩინელმა საიქიოში უკვე სამი ცოლი გაისტუმრა, ჰყავს 7 შვილი და 19 შვილიშვილი.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გონგ დერუის ცხოვრების თანამგზავრის მოძებნაში საკუთარი შვილებიც ეხმარებიან, რომლებსაც, ალბათ, „სამანიშვილის დედინაცვალი" არც კი გადაუ-

„ყველა სტილი მისაღებია, გარდა მოსაწყენისა“ — ნათქვამია.

უცნობმა დიდი ძენკვიანი საათი ამოიღო ჯიბიდან და დახედა:

— ძილის დროა!

...უცნობმა ჭიქა მომიჯახუნა... გაგიმარჯოთ!

ერიდეთ რბილ სავარძლებს! ნურასოდეს ნუ შედრკებით, თუ თქვენი აზრი არ დაემთხვევა სხვათა აზრებს. „ყველაზე მყარი თვისება ყველა ადამიანური შეხედულებისა ის გახლავთ, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან“ — ასე ამთავრებს მონტენი თავის „ცდებს“.

...მეორე თუ მესამე დილით, თვალი რომ გავახილე, — წერს გურამი, — მივხვდი, რომ ორი ღამე, ზედიზედ, მეძინა. ფანჯარაში ზღვა ჩანდა. კუპეში მარტო ვიყავი. გარედან სიცილი შემომესმა.

— რა ხდება იქ? — ვკითხე წინა ღამით არყით გამომტყვრალ რუს გამცილებელს.

— ჯანდაბას მაგათი თავი... არავის არ სჯერა, რაც ჩემი თვალით ვნახე, — თვითონაც ისტერიული სიცილი აუტყდა.

ტიხორეცკში... ჩემი თვალით ვნახე (მეტი დამაჯერებლობისათვის ისევ გაიმეორა), — ცუდი ამინდი დაგვხვდა და ამ ჭექა-ქუხილში... არ დაიჯერებთ, თქვენი ჯადოქარი მეზობელი, — ტაშინკაზე ვიღაც კალუგელი რუსი დედაბრისგან ცოცხი ვიყიდეო, რომ ამბობდა... გინდა, დაიჯერეთ — გინდა — არა — შეჯდა იმ ცოცხზე და გაქრა!

ჰოდა, თქვენც, მკითხველო, გინდ, დაიჯერეთ, გინდ — არა: ძილმა სიზმარი იცის, ცხადმა — მოჩვენება!

**„კვირის პალიტრა“, 1-7.10.07, ეკა ლომიძე**

## პაემანი თბილისთან

კვირის დასაწყისში, როდესაც თბილისში პოლიტიკურმა ტემპერატურამ მეტისმეტად აიწია, ერთ-ერთ ცნობილ ღამის კლუბში სიყვარულის ზეიმი გაიმართა. ტელევიზიები მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტების აგრესიულ კომენტარებს გადასცემდნენ, ღამის კლუბში სიმღერისა და ლექსის კორიანტელი იდგა. დიჯეის მოვალეობას, არც მეტი, არც ნაკლები, ერთი მოხუცი ასრულებდა (ისე, მაგნაირი მოხუცობა ნეტავ ყველას მისცეს ღმერთმა). ასე უსტუმრებდნენ „ვალს“ თბილისს ცნობილი ფილმის „შერეკილების“ მთავარი გმირივით — ერთაოზ ბრეგვაძესავით — სამი თაობის წარმომადგენლები. ეს ორიგინალური იდეა ცნობილ ვერელს გიზო ნიშნიანიძეს გასჩენია და მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ხნის წინ 80 წელი შეუსრულდა, საქმეს მხნედ შესდგომია. თბილისის მოსაფერებელი სცენარიც თავად დაუწერია, სხვადასხვა თაობის პროფესიონალი და მოყვარული ხელოვანებიც შეუკრებია და... პაემანიც გაიმართა თბილისთან. დიჯეიც, რაღა თქმა უნდა, ბატონი გიზო იყო.

„რა პქეია ამას?
მონატრება დედის და შვილის.
თბილისში ვცხოვრობ და...
თბილისში დავეძებ თბილისს...
მობრძანდით, გელით გაშლილი ხელით,
წარსულში ცქერით, მომავლის მზერით,
სიყრმის მზით, მწველით, — ამბებით ცხელით,

პირში თქმის ჯერით და ბედისწერით.“

— ასე ორიგინალურად ესალმებოდა გიზო ნიშნიანიძე ყველა სტუმარს.

„ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი
და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი.“

ამ ბებერმა ბიჭმა იმ საღამოს ნარსულიდან ისეთი ლამაზი კადრები ააფრიალა, იმდენი კარგი კაცის სახელი და ხსოვნა გააცოცხლა, რომ დარბაზში ბევრს, ტაშთან ერთად, ცრემლიც ნასკდა.

იმ საღამოს მთავარი კითხვა იყო — რას ნიშნავს თბილისელობა?

პასუხად ითქვა, მაჯა უნდა აგიჩქარდეს თბილისის ხსენებაზე, შენი სიცოცხლით ქალაქს სიცოცხლეს უნდა მატებდე და სიკვდილით აკლდებოდეო. ისეთებიც ბევრი გაიხსენეს, თბილისს მართლა რომ დააკლდნენ. ჩამოთვლაც კი გამიჭირდება, იმდენი ყოფილან...

მოგონებების მორევში გადავარდნილი დარბაზი აღიარებდა, რომ ძველ თბილისს ძმობაში მართლა არ ჰყავდა ბადალი. დღეს კი, როგორც შოთა ნიშნიანიძე იტყოდა:

„ჩანს თბილისის სახეზე,
როგორც ძველი ნახმლევი,
ყანწებიდან ქუჩები, ქოთნებიდან სახლები,
გაქრა ძველი თბილისი თავის ციებ-ცხელებით,
თავის მაწვნის ქილებით, სახედრებით,
ცხენებით“

რაც დარჩა, ისიც ინგრევა ან ანგრევენ. ნანგრევებს მიჰყვება ძველი თბილისის უკანასკნელი მოჰიკანების სევდა, რომელსაც გიზო ნიშნიანიძე ასე გამოთქვამს:

როდესაც თბილისში ძველ სახლს ანგრევენ... ვერისუბანში, რიყეში, ხარფუხში ან აშპაშხანაში და სამარადისოდ იშლება კვალი... მგონია, ვესნრები სადღაც პანაშვიდს და ვდგავარ, როგორც ჭირისუფალი! ალაგებულ სცენას ჰგავს ჩვენი უბანი. ახლა აქ სხვა სპექტაკლი გადის... ჩვენ „კრუგლოსუტოჩნი“ მეგობრობის ხანაში ვცხოვრობდით. საცოდაობაა, კაცი ერთხელ იბადებოდეს და ისიც სსრ კავშირშიო, — ხმადაბლა ამბობდნენ ჩვენი მამები უსუსური კავშირის ეპოქაში. თუმცა, იმ გაგანიაში, ადამიანებში მძვინვარებდა სიყვარულის ხანძარი და სიყვარულის სადარაჯოზე იდგნენ ლექსის მეხანძრენი“.

დიდი ბაბუის ნაცვლად, იმ საღამოს, თბილისს შვილიშვილი მოეფერა. უმცროსი ნიაზ დიასამიძე მღეროდა, დიდ ნიაზს კი საოცარი ამბებით იხსენებდნენ. კარის მეზობელს დანა შეუჩეჩებია ხელში, ქათამი დამიკალიო, და, თანაც, რატომღაც,

ფურცლავთ და არ იციან, რომ შესაძლოა, საკმაოდ მხცოვანმა მამაკაცმაც კი სამყაროს ახალი მემკვიდრე მოუვლინოს და ამის გამო, დღე და ღამ სასამართლოს კართან ყუზვაც მოუწიოთ — მთელი მემკვიდრეობა ჩემია, საიდან გამოძვრა ეს მამაძაღლი, ეშმაკმა თუ იცის.

ეგვიპტელები კახელებზე მეტადაც კი აფასებდნენ ვირებს! როგორც ზოგიერთი ეგვიპტოლოგი ვარაუდობს, ძველი ხალხები ამ ცხოველებს უდიდეს პატივს მათი შრომისუნარიანობის გამო სცემდნენ.

როგორც ირკვევა, ეგვიპტელი დიდებულებისა და სახედრების პირველი ერთობლივი სამარხები ამერიკელმა არქეოლოგებმა ჯერ კიდევ 2002 წელს აღმოაჩინეს, თუმცა მაშინ მეცნიერებმა ეს უჩვეულო მოვლენა ვერაფრით ახსნეს. დღეს კი, როდესაც მათ კიდევ არაერთი საინტერესო მიგნება გააკეთეს, ინფორმაციების შეჯერების შედეგად დაასკვნეს, რომ ეგვიპტელები

ისიც დაუყოლებია, ყვავი სამას წელს ცოცხლობსო. ნიაზსაც, ქათმის დაკვლა რომ არ იცოდა, ღიმილით მიუგია: იქნება, ქათამიც ცოცხლობს მაგდენ ხანს, ნუ დავკლავთ, ბიცოლაო...

გიზო ნიშნიანიძემ არაქივით ამბავი გაიხსენა: ერთხელ, ნიაზს, ამხანაგი რომ ვერ გამოუჭერია, ხოჭო დაუჭერია, გამოუბამს ფეხზე კოჭაძაფი და მასთან გაუტარებია მთელი კვირა.

„სუფრა გაუშალა, მოქაჩა თავისკენ,
შენს მოსვლას გაუმარჯოსო,
მერე გაუშვა და კვლავ ღვინით დალოცა:
შენი ნასვლის იყოსო!"

იმ დღეს „დიჯეი" გიზომ სხვანაირი თბილისი გააცოცხლა! სიყვარულისა და ერთმანეთის თანადგომის ცეცხლი ნაუკიდა სტუმრებს, თუმც, ვერ გეტყვით, სადამდე ეყოთ იგი გარეთ, პოლიტიკურად აღგზნებული ქალაქის ქუჩებში გასულთ. იმ ქუჩებში, სადაც, არ მინდა, ასე ვიფიქრო, მაგრამ ხშირად კაცობა ლექსიკონში საძიებელი სიტყვაა, ურთიერთპატივისცემა კი — „ჩარეცხილი" თუ „ჩასარეცხი" დროის გადმონაშთი.

ბოლოს, დარბაზთან ერთად, თბილისის სადღეგრძელოც დაილია და ერთმანეთის მიეინწყებული ძმობის ჟრიამულში ერთი ლამაზი საღამოც გაილია.

* * *

ამბობენ, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესს, ერის დიდ ჭირისუფალს, უკანასკნელ გზაზე სულ 40-მდე კაცი მიაცილებდა! დრო იყო ასეთიო! კაცი თუ არაკაცი, კაცთა მედროვეობას — დროს აბრალებდა! არც უმაგისობა იყო, მაგრამ თაყაიშვილთან, როგორც იტყვიან — „ეგრე არ არის, თაყაო!"

ამ, შემთხვევაში სწორედ ეგრე იყო!

ექვთიმე თაყაიშვილი: 1905 წლის მანიფესტის გამოცხადებამდე კავკასიაში მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ალიხანოვი გააგზავნა ჯარით გაცეცხლებული გურიის „ჭკუაზე მოსაყვანად". ეს რომ შევიტყვეთ, თავზარი დაგვეცა და დეპუტაცია ეახლა მთავარმართებელს, ილია ჭავჭავაძის თავკაცობითა და ხალხის ხვეწნა-მუდარით — „გურია დამშვიდდება და ალარავითარ წინააღმდეგობას არ გაუწევს მთავრობასო".

ვორონცოვმა ალიხანოვი სამტრედიიდან მოაბრუნა. არ გასულა ერთი თვეც, რომ რევოლუციონერები თავს დაესხნენ რუსის ჯარს და ერთი როტა სანახევროდ ამონყვიტეს. მაშინ იყო, გრიაზნოვის კარნახით, ნატანებიდან დაწყებული, „შვიდ ვერსზე... მთელი სოფლები მოუსპიათ!"

რუსულ-ქართული ომისა და „ფობიების" თავსხმაში ისტორიის ქარი ნამოუბერავს ასეთ ძველ ამბებსაც და სული კბილით გვიჭირავს.

... ვორონცოვს საქართველოს ისტორიაში ბევრი მაქებარიც ჰყავს და მაგინებელიც, მაგრამ რუს-ქართველთა „ძმურ" ურთიერთობას, ბრჭყალებითაც და უბრჭყალებოდაც, უტყუარად გამოხატავს ხალხური შემოქმედების ეს ერთი მანანნალა ანუ მოარული სიმღერა ჩვენებური „მასტერავოი" მატარებლისა, რომელიც დღემდე არ ამომდის ყურიდან: „რა ყოფილან ეს რუსები — გაგვითავეს რესურსები... ჩვენ აქ, „ჩაში", ვიტრუსებით — რუსებს მიაქვთ ციტრუსები"-ო.

ჰოდა, ახლა, აგერ, თავის ციტრუსებიანად მიაქვთ „ყოლიფერი". უფროსი „ძმისგან" ისიც ახსოვს საქართველოს ისტორიას, გენერალი

ერმოლოვი იმპერატორს რომ სწერდა: ყაჩაღობის მოსასპობად კავკასიაში... ტყეები გავჩეხეო (?!)

ისიც — 1905-ში კავკასიის მთავარმართებელი, მართლა დუნდუკი — ლოთი დუნდუკოვ-კორსაკოვი, ხაშურში დახვედრილ ქართველთა დეპუტაციას რომ ჰპირდებოდა — ნავსადგურს აგიშენებთო (?!) რავარია? (თავი ფოთში ჰგონებია).

...„დიადი" ოქტომბრის რევოლუციის გენერალურმა რეპეტიციამ თუ მთლად ვერ ივარგა, 1917-მა, გალაკტიონისა არ იყოს — „ჯერ ართქმულმა, ჯერ არნახულმა", დედა უტირა „ძლიერთა ამა ქვეყნისათასა" და მერე „თავის შვილებსაც" მიადგა. „მეფე-ხელმწიფე-იმპერატორი... ვინ იცის, რამდენ პარადს სარდლობდნენ!... ქვეყნიერების იყვნენ პატრონნი, იუმორისა კი... არასოდეს! ციხე-დარბაზი ლხინით ტკბებოდა, თვით ჩიტის რძესაც კი არ ნატრობდნენ, მაგრამ ეზოპე გამოჩნდებოდა და დიდებულნი ჰგავდნენ მათხოვრებს..." (ევგენი ევტუშენკოს ეს ლექსი, რევოლუციის რომელიღაც წლისთავზე, „ნიანგისთვის" ვათარგმნინეთ!)

ზემოხსენებული ფაქტები რევოლუციამდელი საქართველოს სატირულ-იუმორისტული პერიოდიკის ისტორიის ჩემეულივე სქელტანიანი წიგნიდან — „სიცილის არქივიდან" ამოვქექე. სადაც სატირული გრაფიკის ცნობილ დიდოსტატ მოორის „შემაჯამებელი" კარიკატურაცაა დაბეჭდილი: სახეზეა ისტორიული მეფე-ზარი, მეფე-ზარბაზანი და თვით მეფე!... ქვემოთ კი მათ ამშვენებს წარწერები: „არ რეკავს", „არისვრის", „არ მეფობს!". ასე გამოუყვანა მაშინ წირვა ისტორიამ — რევოლუციას!

აქეეა ის ისტერიულ-ისტორიული ხუმრობაც, რომელიც ყოველთვის თან ახლდა პროლეტარიატს:

— ეს რევოლუცია, რევოლუციად, მარა ამ მუშურ-გლეხურ ახალ სახელმწიფოს ჰიმნი და ემბლემა არ უნდაო? — იკითხა პროლეტარიატმა და პროლეტარული დიქტატურით გამოსავალიც იპოვა: „Боже царя храни"-ს ჩავამატოთ „პრისტავკა" „От" და გამოვა „Боже от царе храни"-ო! ესენინს კი (ყურმოკვრით ვიცი და მგონი, ნათქვამიც მაქვს), საემბლემოდ ასეთი სტროფი გამოუცხვია: „Серп и молот – молот, серп _ это наш советский герб. Хочешь, жни и хочешь, куй – все равно ролучит... Хуи"-ო!

მახლას, ამ ლოზუნგების ქვეყანაში ისე წავიდა საქმე, რომ ლოზუნგი — პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით! შეიცვალა ანტილოზუნგით — პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა — დაიშალეთ, არაფერი გამოდისო!

ისტორია რამეს შეგარჩენს?

მეტი არაა შენი მტერი!

ოთხეება მშრო-მელებს მათ გვერ-დით დაკრძალვის პატივს მხოლოდ და მხოლოდ მაღალი შესაძლებლობების და დამსახურებების გამო ანიჭებდნენ.

**P.S.** არასდროს დამავიწყდება, მე-ორე მსოფლიო ომის დროს სახე-დრების „ჯარში გაწ-ვევა!" გმირთა მო-ედანზე ათასობით ჩოჩორი იდგა და კავკასიონზე ზარბ-ზნების ასათრევად ემზადებოდა!

[illegible]: ციხეებში თო-ნეების გახსნა მაი-მუნობაა. 500 კაცს საწოლი არ აქვს და ფეხზე მდგარს სძი-ნავს!

**P.S.** კომუნარი ეკომუნაროდ! ჩვენში ხალხს ციხ-ეში წოლას კი არა... ჯდომას უჯიან!

[illegible]: არაფერ-ია ამქვეყნად ისეთი, რასაც ვერ წარყვნის ბილწსიტყვაობა.

„ნიუ-იორკ თაიმ-სის" ინფორმაცი-ით, აშშ-ის პირველი ლედის დიდი ბებია 1850 წელს ერთ-ერთ მდიდარ ამე-რიკელს 457 დოლა-რად შეუძენია.

გაზეთის ინფორ-მაციით, მიმეღ ობა-

## *როიალი*

**2 ნანას: ხარაძესა და ავალიშვილს**

წელში გამოყვანილი... შავგვრემანი, შავტუხა...
ბროლის თეთრი კბილებით, შავი ეშხით მაწუხებს.
ისე მიელის ძარღვებში ჟრუანტელი, ხანდახან...
ვერა, ვერ დავეხსენი მის უტკბილეს მარწუხებს!
ნოტებივით სიტყვები – სიტყვებივით ნოტები...
თეთრ და შავ კლავიშების კავშნის შემოტევით!
...ო, საკრავთა მეფეო, გვირიგებდი ხარისხებს
და ავ-კარგით გვარჩევდი შავ-თეთრ „როიალისტებს"!
გულის მესაიდუმლევ, მოწმევ სიხარულისა,
სიყვარულის ამხსნელო და გამხსნელო გულისა...
სიღრმის მზეთა მზერაო, ბულბულების ენაო –
ჩვენი სულის ლხენაო, ჩვენო ბედისწერაო!
...სალამი, ჩიტუნებო! როგორ მეუღურტულებით,
თქვენი სტვენა-ჭიკჭიკი ახლაც წივის ყურებში...
„დო-რე-მი-ფა-სოლ-ლა-სი – ხვალ არ წავალ სკოლაში"...
ჰოდა, „ფა-მი-სი-რე-რე"... ქე მოვიდა სი-ბე-რე!
აღარც გული გულობს და აღარც ვარდობს ვარდები –
არც თითების ღოღია ხელთაა განავარდებით...
სისხლი რო აჩქროლდება, წარსული რო იალებს...
ყური მიაყურადებს მდუმარე როიალებს.
მხარგაუშლელ-აშლილი... აღარ ბრდღვინავს რაშივით,
დგას თავისთვის, კუთხეში... მოწყენილი ბავშვივით!

## *გულის მეხართან!*

ხატთან დასართები სანთლის შუქზე ვწერ –
წერას ავყავარ და მეწერება.
ღმერთთან განდობილ ფიქრსა და სიტყვას –
სანთლის ცრემლივით ეჯერება.
ღმერთო, მიიღე ეს აღსარებად –
სარწმუნო რწმენად ყველა ქართველის –
ლოცვის ოცნება,
უფლის ნება და (თუ რამ ებადა)...
გულში ნათქვამი – პირში სათქმელი!
ალგორითმებით,
ლოგარითმებით,
თუ ამ შარადა – ლოგოგრიფებით –
მსურს, თავი ვიცნო და გამოვიცნო –
რანი ვიყავით?
რანი ვიქნებით?
არ ვკარგავ იმედს – რაც გულში ვთქვი მე –
რითმას მივყვები – რითმა მომყვება...
ქართველი უნდა იყოს ექვთიმე –
ვიბადებოდეთ ინგოროყვებად!
ქართველს ილია უნდა ჰქვიოდეს –
დავითი, შოთა, ვაჟა, აკაკი,
გალაკტიონი, ცოტნე, თევდორე –

სანამ გაგეწედება იგაე-არაკი!
ჩვენში ილია მეორეც არის —
ჩვენი მზე, მთვარე, ნატერის ხეც არი!...
მარადისობის ელოცაეთ კარისკაცს —
უსახელოს თუ უცნობ ჯარისკაცს.
თუმც, უსახელოს — სახელოვანსა,
სიკვდილის ძლევის სხვა ხელოვანსა.
ეინაც სიცოცხლის აზრს მაშინ წვდება —
როს იცის, რისთვის ცოცხლობს და კვდება!

## ძველი თბილისის ჭრელა-ჭრულა

ძველ თბილისში, თურმე, (ბედის კი არა) საბედოს მაძიებლები გულისსწორის საპოვნელად სქელ ფაფას ხარშავდნენ ყვავებისათვის. გამოუდგამდნენ ფანჯარაზე ან სახლის ბანზე. მოფრინდებოდა ყვანჩალა და „შეუბერავდა" — შეექცეოდა მორთმეულს და მერე სადღაც გაფრინდებოდა. აი, სწორედ იქედან მოელოდნენ საბედოს სანეფე-დედოფლეები, სადაც ის მიყრანტალდებოდა!

ორთაჭალის ბაღებში ნაქეიფარი და ორთაჭალის გოგირდის აბანოების ეშხით დაბანგული ალექსანდრე პუშკინი იგონებს: მექისე ჰასანამ ქვის ტახტზე გამშოტა და შეუდგა ჩემი სხეულის მტვრევას და სახსრების დაჭიმვას... მუშტით ძლიერად ცემას. მე მცირეოდენ ტკივილსაც კი ვერ ვგრძნობდი. პირიქით, საოცარ შვებას განვიცდიდი. აზიელი მექისეები... გახტებიან მხრებზე, ფეხებით დასრიალებენ თეძოებზე და ზურგზე ბუქნაობენ.

შემდეგ დიდხანს მხეხა მატყლის ქისით. წყალი გადამავლო და ტილოს აქაფებული მუშტით დამიწყო დაბანა. აუწერელი განცდაა... ცხელი საპონი პაერივით შემოგეფრქვევა... შემდეგ აუზი და..." მისი ჯანი!

გაამოს!

სალოლ, პუშკინ!

დღემდე შემორჩა თბილისს ეს მფრინავი ფრაზა და, აი, თურმე, საიდან!

ძველ ტფილისს, რომელსაც ორიენტალისტურ სამყაროში „სახლი სიხარულისა" ერქვა, მცველებივით შემოეჯარვიან მთანი მაღალნი: მახათა (მეხთა), კვირაცხოვლის გორა (კვირია), ყეენის გორა, მთაწმინდა, უძოს მთა, თაბორის მთა... ახლა, რამდენის სახელი დაიკარგა! სამგლეები, მეკერაანთ ხევი, უმზერას მთა, თელის, შავტუხის წყარო, მელის გორა, ბახუნდარის ხევი, კვირიკობის გორა...

*მას ბებიას სამხრეთ ამერიკელი ფერმერის ანდერძში მოხსენიებულია, როგორც „მაყვალიანი გოგო მელვინა", რომელიც ბატონის გარდაცვალების შემდეგ ჯორჯიაში გაუმწესებიათ და რომელსაც 15 წლის ასაკში 40 წლის თეთრკანიანი მამაკაცისგან ვაჟი გაუჩენია.*

*ბავშვს, რომელიც უკანონო გზით დაიბადა, სახელად დოლფუს შილდსი დაარქვეს და იგი მიშელ ობამას დიდი ბაბუა გახლავთ.*

*მელვინა შილდსი 1938 წელს გარდაიცვალა და იმის გამო, რომ ის საკუთარ მშობლებს არ იცნობდა, გარდაცვალების მოწმობაში, მშობლების გასწვრივ, წერტილები დასმული. .*

*1937 წელს სტალინმა შეძლო, წინ აღდგომოდა მოსკოვისთვის სტალინოდარის დარქმევას.*

***P.S.*** *ალავერდი ანტისტალინელებთან!*

*ანტიქრისტეს გამეფებას, სამყაროს აღსასრულს და ქრისტეს მეორედ მოსვლას მთელი კა-*

მთებმა რომ ფიქრი იციან, ამის მოწმე მთის არწივი და კაი ყმა ვაჟა-ფშაველაა: ნისლი ფიქრია მთებისაო! — თქვა მთიელმა.

პილიგრიმ-მოგზაურ ტიმოთე გაბაშვილს (XVIII ს.) ნინა აზია მოუვლია. წმინდა თაბორის მთაზეც ასულა და ცნობა სამომავლოდ შემოუნახავს: „და იყო ახლოდ მთა თაბორი, სადაც უფალმან ფერი იცვალა. კლდე მაღალი, წითელი და ზედა მონასტერი დიდი. ხოლო იტყოდნენ, ვითარმედ თაბორის მონასტერი და ოთხი ეკლესია ნაზარეთს ქართველთაგან არსო აღშენებული; ვახტანგ გორგასლანი, „უშიში, ვითარცა უხორცო" დედასთან და დასთან ერთად ხლებია ანტიოქიას. „მოულოცავს" მოსალოცნი ადგილნი წმინდანი, შეუწირავს „შესაწირავი დიდი" და ფიქრობენ — სწორედ ამით აღაშენეს ქართველთა თაბორის მონასტერი.

1045 წელს მიიღო უფალმა თბილისის ამირა და ქალაქი „ტფილელი ბერების" ხელში გადავიდა. ისინი ქართველთა მეფეში ხედავდნენ სისხლხორცეულ თავშესაფარს და ამიტომაც გადასცეს მას „კლიტენი ქალაქისანი", თუმცა ბაგრატ IV-ს იმჯერად თბილისში ფეხი ვერ მოუკიდია. ვახტანგ VI-ს, მისის ძმის, იასეს, მომხრე თავადაზნაურობა აეშალა და განუდგა. ასეთ ხელსაყრელ მომენტს გაუშვებდა ხელიდან ისტორიას ჩასაფრებული კასტა? მეფე კონსტანტინე, 1723 წელს, ლეკთა დამრბევი ლაშქრით შემოესია თბილისს და აიღო. სამი დღე ძარცვავდნენ ქალაქს ლეკნი!

დღეის გადასახედიდანაც შევხედოთ ძველ და ახალ დროს — ისტორიამ რაღაცა ხომ უნდა გვასწავლოს!

ძველ, ტფილისურ ყოფასა და პოეზიაში სირაჯხანა ძეგლად იქცა! დროის საბუთად დარჩა ხსოვნაში კამათის „საკამათლო" სიტყვა: „შენ მე რას მელაპარაკები. როცა შენ იბადებოდი, მე სირაჯხანაში ტიკზე ვიჯექი და ღვინოს ვსვამდიო!

ეს ის დრო იყო, როცა თავისი „სიმართლის" დასამტკიცებლად კაცი მდუღარე წყლიდან ჯვარს შიშველი ხელით იღებდა და ჯვარზე იფიცებდა!

ვის არ სმენია ლამაზი ლეგენდა სოფელ ტფილისის ქალაქად გადაქცევისაო — წერს მემატიანე თეიმურაზ ბერიძე!

პროფესორმა მალხაზ აბდუშელიშვილმა (მე-18 სკოლელმა, ცნობილმა ისტორიკოსმა— თავისი წარწერით მაჩუქა „ნაკადულის" გამოცემული წიგნი (ჩვენი უსაყვარლესი... საგნის — მათემატიკის კი არა, თვითონ მასწავლებლის — ვასო აბდუშელიშვილის შესახებ), რომელიც, ქართულის მასწავლებელ ვარო ვარდიაშვილთან ერთად (მასზეც გავბედე დაბეჭდვა ნარკვევისა „ვერა და ვარო"!), დღემდე, კვარცხლბეკივით შემორჩა ჩვენი თაობის „ხელთუქმნელ ძეგლს"!

რამდენიმე შტრიხი წიგნიდან „მიღწვიან, მომიგონებენ...": ავტორი იხსენებს, რა „სამგლოვიარო" დეპეშით მოვიდა ოქტომბრის რევოლუცია საქართველოში: „მთავრობაძე გარდაიცვალაო!"...

შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შენობის აივანზე გადმოდგა კიტა აბაშიძე და დემონსტრანტებს მიულოცა:

— ქრისტე აღსდგა!

---

*მაქს ვებერი: ანტიკური კულტურა, პირველ რიგში, თავისი არსით, ქალაქური კულტურაა.*

*მიგელ დე სერვანტეს საავედრა: არ შეიძლება, დაწერო ისეთი ნაწარმოები, რომელიც ყველა მკითხველს დააკმაყოფილებს!*

— ჭეშმარიტად! — იხუვლა რევოლუციის ექომ.

...ბატონი ვასოს „ათი მცნებიდან“ პირველი ხუთი ახლაც ზეპირად გვახსოვს:

1. კაცის ღირსება და პატიოსნება!

2. რწმენა!

3. სამშობლოს სიყვარული და ერთგულება!

4. მოვალეობის გრძნობა!

5. თავმოყვარეობა და არა პატივმოყვარეობა!

...უხვი და მრავალფეროვანი იყო ბატონი ვასოს „სამრევლო“ ეპითეტებისა და „ქათინაურების“ რეპერტუარი, დევიზით: „შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრად გამოგადგებაო!“ სწორედ მისი შეუვალი ხასიათის გამო შეარქვეს მას „მრისხანე ანგელოზი“.

მეორე მსოფლიო ომის დროს, უკრაინის ფრონტიდან, ერთმა მისმა ნამონაფარმა მურმან გედევანიშვილმა მოსწერა: „სატანკო ბრიგადის სამსახურის უფროსი ვარ. „За хорошие математические расчеты“ ორჯერ დამაჯილდოვეს და ეს ჯილდო ორივეჯერ თქვენთან ერთად მივიღეო!

აი, საიდან სად შეიძლება, თავი ამოჰყოს, საიდან სად შეიძლება იხაროს სიკეთის მარცვალმა!

მალხაზ აბდუშელიშვილი: „და ჩემ წინ ისევ დგება კითხვა: თესლი თუ მიწა? ალბათ მიწა! და, მაინც, როგორ სწყურია ჩვენს მაშერალ მიწას ხელმადლიანი მხვნელ-მთესველები!...

„მე მათ მზეს ეჟიცაე, მშობლიურ მიწას, ვინც გაუწოდა შვილის ხელები. მეწერება და მეც ვიწერები — ლექსის ცეცხლითა და გახელებით!“

„ალბათ, შემთხვევითობას ვერ დავაბრალებთ, რომ ჩვენი დროის უდიდესმა მათემატიკოსმა ნიკო მუსხელიშვილმა თავისი ერთადერთი შვილი, დღეს ცნობილი მეცნიერი, მე-18 სკოლაში გადმოიყვანა, სადაც მათემატიკურ საგნებს ის მადლიანი მხვნელ-მთესველი — ვასო აბდუშელიშვილი ასწავლიდა...

ნაყოფისათვის მზის სინათლე უფრო საჭიროა თუ მიწაყრილი ფესვის მადლი? ვარო ვარდიაშვილი და ვასო აბდუშელიშვილი მათი მოსწავლების კეთილი საქმის თანაავტორები არიან.

კანონს, რომელიც ჩვენში ზის, ნამუსი ჰქვიაო — იცოდა აბდუშელიშვილმა თქმა, — ღმერთს შევხედოთ და თაბაუთი ეგრე გავწიოთო! („თაბაუთი“ — ეს რა სიტყვა მაპოვნინე, შე მადლიანო, შენა — როგორც ჯარისკაცის მამა იტყოდა! — გ.ნ.).

მალხაზ აბდუშელიშვილის კალამთან ერთად, ავთო ვარაზის „ყალამიც“ შეხებია მრისხანე მოძღვრის მხატვრულ პორტრეტს!

კაცობრიობა ძრწოლვით ელის. არაერთხელ იწინასწარმეტყველეს კონკრეტული თარიღიც. მაგრამ, როგორც მაცხოვარი ბრძანებს, „იმ დღისა და იმ საათის შესახებ არავინ იცის“. რას გვამცნობს სახარება ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ? იგი ბრძანებს: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადავა ეს მოდგმა, ვიდრე ყოველივე არ აღსრულდება. ცანი და ქვეყანა გადავლენ, ხოლო ჩემი სიტყვები არ გადავლენ“.

ალენ დალესი: ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანების გასარყვნელად ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან, რომ მოვქრთამოთ და გავხრწნათ ისინი. ახალგაზრდობისგან ჩვენ შევქმნით ჯაშუშებს, კოსმოპოლიტებს.

**P.S.** ამიტომაა, ჩვენში ასე რომ მომრავლდნენ დალესილი „დალესელები“!

ანზორ ერქომაიშვილი: ვფიქრობ, ქართველ კაცს ეყოფა გონიერება, იარაღი არ გაავარდნის, თორემ, ხომ ხედავთ, რუხი პო-

დღეს მისი „მათემატიკის" საათებს — ჩვენი „ცხოვრების გაკვეთილე-ბი" ჰქვია!

მის საფლავზე, დღეს, ხავსმოკიდებული მდუმარე ლოდი დევს, რომელზეც ორი თარიღი წერია — დაბადების და გარდაცვალების...

მალხაზ აბდუშელიშვილი: ხოლო მათ შორის ერთი, თითქოს, არაფ-რისმთქმელი და თან ყოვლისმომცველი დეფისია.

მე შევეცადე, ამეხსნა ეს უტყვი ქარაგმა: აკვნიდან — საფლავამდე.

ახლა ვდგევარ მის საფლავთან და ჩემი გულის ხმით მესმის მისი გულის ხმა:

მე ვერც და ვერც რით გადაგიხდით მადლობას, ჩემო ბიჭებო, ცხ-ოვრებამ გადაგიხადოთ სამაგიერო.

„ნამკითხველო, შენდობა გვიბოძე!"

## მერაბ ბერძენიშვილი

# მშვენიერება და სიმახინჯე

ტოლ-სწორობა!..

კეთილი სალმით შეხვედრა და კეთილი სიტყვით გასტუმრება!

რუსთაველის გამზირს დაუყვებოდა — ლაღი, სიცოცხლით სავსე. „საჯაროსკენ" მიდიოდა, „სპორტული მოედნისკენ", მეგობრებისკენ თუ სად... სადაც მიდიოდა — იქით მიუხაროდა. ყველგან და ყოველთვის სულ სიყვარული და სიხარული ახლდა. სწორედ ამ სულიერებამ შეა-ძლებინა შეუძლებელი — რეზო თაბუკაშვილს.

აქ რა ნათელიც დაგვადგა — იქ იმ ნათელში ამყოფოს!

„არსად ისე არ მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში" — გალაკტიონი-სეულ ამ ამღერებულ სტრიქონამდე ითქვა კომპოზიტორ სტრავინსკის სიტყვა გურული სიმღერის უნიკალურობაზე.

საკუთარ თავთან საუბრისას მშვიდად ჭვრეტ ამ წუთისოფელს...

დღევანდელი ჩვენი პრესა წლების შემდეგ ამოსაცნობი საკვირველე-ბა იქნება — თუ რა ხდებოდა? რატომ ხდებოდა? რატომ ან საიდან ინ-თხეოდა ამდენი ბოღმა? (იმიტომაც დავურთე ამ წიგნს ფონად. — გ.ნ.)

ვცდილობ, ისე ვიცხოვრო, ქრისტიან კაცს რომ ეკადრება!

— რა არის ბედნიერება?

— ერთისთვის მზის ამოსვლა, მეორესთვის — მზის ჩასვლა!

P.S. ცხოვრება აზრს ჰკარგავს. დრო კაცს ველარ სცნობს!

## გიორგი (ასანა) ნადირაძე:

# „მე სტუმარი ვარ ღმერთის"

ეს წიგნი ასანამ მაჩუქა, თავის ნარწერიანად და გულიც თან გამო-აყოლა. ხოლო, რა ბიჭი აყო ათთავიანი, ერთგული და ცალხელა ასანა, ეს გურამ დოჩანაშვილის წინასიტყვაობაში სწერია თეთრით შავზე თუ შავ-ით თეთრზე: „სწორგზიანი მეცნიერი და სიმართლისათვის შემართული, რომელმაც იცოდა, „სად იზრდებიან პატარა კაცები"! და, ისიც, რომ „აშშ

---

*ონორე დე ბალზაკი: გააუმჯობესო შენი დროის ზნეობა – აი, მწერლის უპირველესი მიზანი.*

*მაქსიმ გორკი: ვიდრე წერას დაიწყებ, სამ კითხვას ვაძლევ თავს: რა დავწერო, როგორ დავწერო და რისთვის დავწერო???*

იმ ფილმებს, ჩვენ რომ გონებას გვიმღვრევენ, თავიანთ ტელე-ეკრანებზე არც აჭაჭანებენ." ის, „უბრალოდ კი არ ახსენებს მამულიშვილებს, არამედ, თითქოს, ანთებული სანთლით ხელში დგას და ხატების წინ ლოცულობს." (გოდერძი ჩოხელი).

ჩოხელისთანა კაცი რომ შიმშილით მოუკვდება ქვეყანას, იმ ქვეყანას ვერა აქვს საქმე კარგად. სულ პირზე მადგას: მუცელს გადაყოლილი, ქალია ცოდვა, თორემ კაცი არა და, მით უფრო, ქვეყანა!

გთხოვთ, წაიკითხოთ! წერს ეს ცალხელა და მაინც ზღაპრული შივასავით ხელხვავი კაცი: „როდესაც წარსული გრძელია და მომავალი მოკლე, როცა უკვე მცირეა გასავლელი, ყოველთვის მიპყრობს სევდა გარდასულ წლებზე. მე არ მეგულება ქვეყნად ადამიანების ურთიერთობაზე უფრო დიდი ფუფუნება.

მაღალმა ღმერთმა „ჩვენ, კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა". ჰაინეს უთქვამს, ებრაელები მუდამ თან ატარებენ თავიანთი „ჯიბის სამშობლოს — ბიბლიას", რამაც ისინი იხსნა გადაშენებისგანო! საქართველო ეროვნულმა თვითმყოფადობამ უნდა გადაარჩინოს გლობალიზაციის ურჩხულისაგან!

ღმერთმა ნუ მოუშალოს საქართველოს შენი ასეთი „გიორგობა", მთასავით კაცო! „ყველაზე ახლოს ცასთანა... კაცთაგან არის ასანა — მან ღმერთს ასწავლა კაცობა, ღმერთმა... ღმერთობა ასწავლა!" — წერს „ლომი" — ზაურ ბოლქვაძე. და, აქვე, ამოტივტივდება მისი შემოქმედების „აკმეც" (ლადოც ხომ წერდა ერთ დროს — „ავადმყოფობა" ეგონათ... ლექსები ტანზე გამონაყარიო!")

ლექსების ამ ავადმყოფობის მწვერვალია ეს სტროფი!

მე პოეტი ვარ, მიწა ვარ, ცა ვარ,
მე პოეტი ვარ, სიერცე ვარ, დრო ვარ.
მომენატრება სიკვდილი — წავალ!
მომენატრება სიცოცხლე — მოვალ!

ჰოდა, ასე მიდი-მოდიან ეს ბიჭად-კაცები და კაცად-ბიჭები სააქ-საიქიოში!

„... სახლი, რომელშიაც არა აქვთ წიგნი, იმ სხეულს ჰგავს, რომელშიც სული არ დგას" (ციცერონი).

„საქართველოში, რომაელებიდან რუსებამდე, ქართული კულტურის მაგინებელნი მუდამ პატივში იყვნენ". „სიყვარულის ნამბილწველ ვიგინდარებს დიდი მომავლის „მწერლებად" აცხადებენ... „ახალი მიმდინარეობა" არ არის უბრალოდ შინაგანი მიზეზებით წარმოქმნილი საყმაწვილო სენი, ის უფრო მიზანდასახული „დივერსიაა". ნიჰილიზმი კაცობრიობის პათოლოგიაა.

ლიტერატურებში ჩასაფრებული არიან! მეძძრა ლავროვის განცხადებამ: „ქართველები იმდენად გვიყვარს, თუ აქციაზე თითი გვარ-დება, მზად ვართ, ქართველი ხალხი ჩვენი ჯარით დავიცვათ" — ხომ გესმით, ეს რას ნიშნავს?

<u>გოგა ხაინდრავა:</u> ჩვენ ხომ ის ერი ვართ, რომელმაც 16 წლის მაიკო ორბელიანი იმპერატორ ალექსანდრეს ლოგინში ჩაუწვინა, ვასიამოვნოთო.

**P.S.** თუ თვითონ ვერ მონახა... ჩვენ მაინც მოვუნახოთ ქალს ნამუსი!

ოქტომბრის რევოლუციის ფერი თავიდან წითელი იყო (მერე გაშავდა და გადაშავდა!). „წითელს ერთ ავადმყოფობასაც ჰქვია, როცა ყველაფერ მი-წითალის სულ მაცონები უნდა უძახო! იმასაც ამბობენ, რომ პეტრე პირველის მმართველობის პერიოდში გამოიცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, ელამ და წითურ ადამიანებს კატეგორიულად ეკრძალებოდათ

სიტყვაუღრანმა მუხრანმა (მაჭავარიანმა) მკითხველს თანაავტორი უნოდა და ისიც თქვა: „ნუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის — კაი ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდიო!"

...300 წლის წინანდელ თამარისდროინდელ საბუთში ვკითხულობთ, რომ სოფელ ჭორვილას უნდა გამოეკვება 12 გელათელი ბერი. ამ სოფელში, დღემდე, სახლს ბოქლომით არავინ კეტავს... სიზმარშიაც ვერ ნახავ კაცი ისეთ კაცს, ცხადში რომ გამოეცხადა... მარტო ამ სოფელს კი არა — მთელ ჩვენს ნუთისოფელს! ამ კაცის სახელის ხმამაღლა ხსენებასაც კი ვერიდებით. თუმცა, „დიდი ქველმოქმედება ისე ვერ დაიმალება, როგორც ეკლესია... მთის წვერზე!"

...ეს იყო დიდი ხნის წინათ. სუფრას უსხდნენ ჯანო, თენგიზი, ნანი, ვანიკო, მარიკა, ცისანა, ნიკო... „მღერიან, თუ ამას მარტო სიმღერა ჰქვია. უსმენ, თავს ძლივს იკავებ, რომ სიხარულისგან არ იტირო. გრძნობ, რომ გაცილებით უკეთესი ხარ, ვიდრე ამ სიმღერამდე..." აილო ჯანსულ კახიძემ სიტყვა და „პათოსით" წარმოთქვა... დიქტატურის სადღეგრძელო: სავსებით მართალს ბრძანებდა ვლადიმერ ილიჩი, როცა მას დასაშვებად მიაჩნდა... დიქტატურა. დიახ, თამადის დიქტატორულმა ძალაუფლებამ იხსნა ეს მშვენიერი სიმღერები!..." „ჯგერენაიას რომ ჰკითხო — ქართული სუფრის არც სიტყვა მოსწონს და არც პასუხი... ხომ გეუბნებით — ეს ჯგერენაია ვერაა მთლად ჯგიროდ!)

...მოახლოებული ზამთრის ქარბორიაში დედაბერი მზესუმზირას ჰყიდის და კაპიკების მოლოდინში ბეღურასავით მობუზულა. გამოიარა ბოჰემა კაცმა, მხატვარმა რობერტ სტურუამ, ქაღალდის ფული ჩაუბღუჯა ჯიბეში და სთხოვა — ნადი, რა, სახლში, ბებო, გათბი და ტკბილად დაიძინე... იგონებს ასანა თბილისურ „ბაიათებს"...

გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი" (24.12.02) „ბატონ გიორგის (ასანას) უყვარს ფოლკნერის სიტყვების გამეორება: თუ ამერიკელებს გადარჩენა გვიწერია, იმიტომ, რომ ჩვენ ვარჩევთ, ვამჯობინებთ და ვიცავთ იმას, რომ... ამერიკელები ვართ". ეს ქართველებსაც სხვისგან არ უნდა გვესწავლებოდეს.

რომელი ქართველი არაა ეჭმიტანილი ლექსის წერაში.

ერთ ლექსსაც შემოვინახავ მისი და ჩვენი მომავლის სამახსოვროდ! ლექსპრომტი შვილიშვილ სალომეს: ვენაცვალე სალის — იმედს მაძლევს ხვალის, სახელი აქვს დიდად — ნიჭიერი ქალის. უკვე ყველა იცნობს ფრიადების ავტორს, ჩურჩულებენ ჩუმად — ნეტა, სალის პატრონს!

* * *

გალას განძთა განცდით დღემდე ისე ვარ შეძრულ-შეპყრობილი, რომ აქ ერთი სიტყვა უნდა ვიხმარო (ან იქეთ გვიხმაროს), რომელიც, რამდენადაც უხერხულად ჟღერს, იმდენად ზუსტად გამოხატავს გამოსახატავს — გალაკტიონით ვერ გავძეხი!

---

*უცნობი ავტორი: ვინც წერს, ის ორჯერ კითხულობს (მე ჯერ დაუწერლად ვკითხულობ და მერე ვწერ!).*

*რომენ როლანი: იყოს კრიტიკაც, პირუთვნელობაც, დავაც, მაგრამ სინდისსაც მოვუხმოთ, ჩვენ ხომ ადამიანები ვართ!*

*რემი დე გურმონი: კარგი პროზის ძირითადი ხარისხი მდგომარეობს იმაში, რომ ის იყოს ბუნებრივი და რიტმული, როგორც სუნთქვის პროცესი*

ვახტანგ ჯავახაძე. უცნობი: არსებობს ჩვეულებათა მთელი რიგი: შეიძლება, ლექსები დაიბეჭდოს სრულიად დაულაგებლად (თუმცა, რაც უკვდავთათვის შეიძლება, ის არ შეიძლება მოკვდავთათვის! — გ.ნ.). არც თარიღებს აქცევდა რაიმე მნიშვნელობას, თუმცა, წერდა — დრო, დრო აღნიშნეო!

...„გრიშაშვილი „ბარაშკაში" იღებს 20 მანეთს და ჩემი შედევრები კი..."

„ — ახლა, არა პოეზია — არამედ ვინ ვის!" 1929 წ. მწერლობის პოლიტიზირებისას თქვა:

ყაჩაღი ჯობია ყოჩაღს!

„მე უკვე მზადა მაქვს მეორე წიგნი, რომლითაც ყალყზე დავაყენებ მთელ საქართველოს... 1921 წელს „პოეტების მეფედ" აირჩიეს.

გაზეთებს რომ ავყოლოდი, ათასჯერ უნდა მომეკლა თავი. „მინდა, პოეტებს ვუთხრა გარეშეს: გადმოხეთქილი ზარად ზათქებით — ჯერ არ დამდგარა დრო ანგარიშის, მაგრამ დრო იგი მალე დადგება!" ალბათ დადგა ანგარიშების გასწორების დრო! — პასტერნაკის ანთოლოგიაში გალაკტიონი ვერ მოხვდა!

...მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა!

...გაიღო კარი, შემოვიდა ამხანაგი სტალინი, მიიხედ-მოიხედა და იკითხა — სად არის გალაკტიონი?

„ნაცნობი „სინტაგმა" ირონიულად გაამნიშვნელოვანა: მწერალთა კავშირს ხან „მწვერვალთა კავშირს" უწოდებს, ხან „გადამწერალთა კავშირს", ხან მიმომწერალთა, ჩამომწერალთა, ხან მწერთა კავშირს.

„მწერალთა კავშირის ჩოთქმა ასე დაიწყო მოთქმა: შენ განყვიტეო, ღმერთო, პროზაიკოსთა მოდგმა. თანამედროვე პროზას თუ გამოვაკლებთ „ოზა"-ს, დარჩება მხოლოდ „პრ" და ნუნსაც შერჩევა უნდა: თუ მივუმატებთ „პრ"-ს ნუნს, მივიღებთ პრუნუნ-პრუნუნს..."

პატივს, მაშინაც, მეფეთა პოეტებს უფრო სცემდნენ, ვიდრე პოეტების მეფეს!

კონსტანტინე გამსახურდია: სამკურნალო კომბინატში შევდიოდით შალვა დადიანის გამოსასვენებლად. გალაკტიონი ფოიეში, ერთ კუთხეში იჯდა. დამინახა თუ არა, წამოდგომა და კოცნა მოინდომა. მე... ხელი ჩამოვართვი და ცივად გავეცალე. შემეშინდა, საუბარი არ გამიბას-მეთქი. ეს დამრჩება სანანებლად მთელი სიცოცხლის მანძილზე...

„იქნებ ამ ამბორით, რომელსაც ასე გულუხვად არიგებდა იმ დღეს გალაკტიონი, არა მარტო გან-

სახელმწიფო თანამდებობების დაკავებას და სასამართლოზე მოწმედ გამოსვლას.

„ვიაგრას" მწარმოებელი, თაღლითობისთვის, 2.3 მილიარდი დოლარის კომპენსაციას გადაიხდის.

მსოფლიოში უმსხვილესი ფარმაცევტული მწარმოებელი, ამერიკული კომპანია „პფაიზერი", „თაღლითური მარკეტინგის" გამო მიღებული სანქციების შესაბამისად, კომპენსაციის სახით, რეკორდულ თანხას გადაიხდის, რომლის მოცულობაც 2.3 მილიარდ ამ დოლარს შეადგენს.

ამერიკის იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, „პფაიზერი" მიზანმიმართულად ცდილობდა მომხმარებლის მოტყუებას — კომპანია საკუთარი წამლების პრეპარატებს ისეთ თვისებებს აწერდა, რომლებიც მათ რეალურად არ გააჩნდათ.

**P.S.** ამ პრეპარატების თუ მისი მომხმარებლის იძულებით აღიარებამ ანგ-

ზრახვის დამალვას ცდილობდა, არამედ ყველას ეთხოვებოდა!

... რა მაგის პასუხია, და...

ერთი თამადა იყო. არ იცოდა სიტყვა „არამედ“ სად და როგორ ეხმარა. არადა, ძალიან მოწონდა ეს გამოთქმა და გამოთქმით იტყოდა-ხოლმე, ვთქვათ, ხუთშვილიან ოჯახზე — გაუმარჯოს თქვენს არა ოთხ შვილს, არამედ (!) ხუთსო! ეს ისე, სასხვათაშორისოდ!

გ.ნ.: პოეზიის მეფეს მაქებარიც ბევრი ჰყავდა და განმქიქებელიც...

...ეჰ, რა დროს ჩაქრა ელექტრონი! გაქრა ისე, როგორც გაქრა ის დრო, როცა მთვარის შუქზეც შემეძლო წერა!

ავტორის „ლავსტორი“ ანუ კატრენი... გალას იმპულსით:

მოვრევივარ ღამეს...

ძილი

მომრევია დილის ექვსზე —

დღის სინათლე რომ ენახათ —

მთვარის შუქზე ნაწერ ლექსებს!

...„ფეხსაცმლის მკერავმა ჩემი ფეხსაცმლის ქუსლში ორი ტყვია იპოვა ჩარჩენილი... იმპერიალისტური ომიდან“...

...ყველა შედარება მოიკოჭლებსო, მაგრამ აქვე გამახსენდა, რომ მეც სხეულით ვატარებ თბილისური ომისდროინდელ „აკაესის“ ბრმა ტყვიას, რომელმაც (იმდენად ბრმა იყო) ისიც არ იცოდა, ვისთვის იყო გამიზნული და ან სად მომხვედროდა, რომ სახსენებლად მაინც არ ყოფილიყო უხერხული! (პირველად ტკივილს... ახლა კი ეს სიამაყის გრძნობასაც კი იწვევს!)

...ისევ გალას გალაქტიკას მივუბრუნდეთ: „არაადამიანური“ სიამაყის გამო ბევრი გადაიმტერა.

მისი ცხოვრების ქრონიკებში ჩვეულებრივი ამბებიც კი არაჩვეულებრივია: 1947.02.08. ღამით შოვში მოვიდა თოვლი; 1948.27.04. მივიღე ახალგაზრდა პოეტის ნოდარ დუმბაძის ჩემდამი მოძღვნილი ლექსი... გავემგზავრე ლეჩკომისიაში, სადაც დავამთავრე მიტოვებული შოკოლადის ჭამა; ბიძინა ღოღობერიძის „წყალტუბოდან-ქუთაისში მიმავალო ქარო“ მოგვეწონა... მოქანდაკე კანდელაკმა დაიწყო ჩემი ქანდაკების ძერწვა... სადღაც მიიკარგა ჩემი საბერიკაცო ჯოხი...

საავტორო ჩანართი: ბიძინა ღოღობერიძესთან პური მიჭამია. თანაც, ბევრჯერ. შაკია ბერაძე (ძველი ფეხბურთელი და მაშინ ბროლის მაღაზიის გამგე ქუთაისში) შეკრებდა-ხოლმე ქუთათურებს, რომ გამცნობოდნენ და გამეცნო მათი იგავმიუწვდომელი იუმორი ხალხისთვის. ერთ ჩასვლაზეც, რესტორან „გოგისვანიძეებიდან“ მასპინძელმა ბ-ნ შაკიამ შუა სუფრიდან დააპირა გაქცევა. სად მიდიხარო — შეიცხადეს ამფსონებმა. რევიზია ჩამოსულა ჩემს მაღაზიაშიო! მერე, შენ რაო? რა ფეხებს მოგჭამენო? — გაამხნევეს. რას ჰქვია, რაო? ბროლის ვაზაზე ისეთი ფასი მიწერია, კაკლის მურაბიანად არ ღირს იმდენიო!!!

...ახლა ბიძინა ღოღობერიძის ამბავი! სახლში მიუკითხავთ ჟორჟიკა იაშვილს, ანტუშა საკანდელიძეს — უმისოდ პურს არ ჭამდნენ. დიასახლისს უთქვამს — სოფელშია, აგერ, ნასულიო. ესენიც წასულან და არც იქ დახვედრიათ... თანაც, ისეთი სახლ-კარი დახვედრიათ, დამწვარან ძმაკაცის საცოდაობით. მეზობლის ღობესთან, ოჩოფეხებზე მდგარი ნალიასავით სახლი, საითაც ქარი დაუქროლებდა, იქით გადაქანდებოდა — ხან მე-

*ივ. ტურგენევი: კიცხვისა და გმობის უფლება მხოლოდ მას აქვს, ვისაც... სიყვარული შეუძლია!*

ზობლის ეზოში ამოყოფდა თავს, ხან მოაწვებოდნენ იქედან და იყო ერთ ჭრიალ-ჭრიალში (?!)

— სადაა ბიძინა ბატონიო? — ზრდილობიანად უკითხავთ ქუთათურებს მასპინძლისთვის.

— სატირალში წევიდა, ბატონო, გაღმა სოფელშიო!

...გაღმა რა უნდოდა მაგ უბედურს სატირალში... სატირლად აგერ ჰქონია საქმეო!

ისევ გალას დავუბრუნდეთ!

ვერის ხიდის რეკონსტრუქცია რომ დაიწყო, გალამ მხატვარ ალექსანდრე ციმაკურიძეს სთხოვა: ვიდრე მოჭრიან, მდინარის პირას მდგარი ეს ხე დამიხატეო!

— არსად არ ვგრძნობ ისე ობლად თავს, როგორც სხვასთან — წერს ერთგან „მარტოობის ორდენის კავალერი".

მისი ულლის გამწევი, ქალბატონი ოლია ოკუჯავა წერს: მივიყვანე სახლში მეძველმანე და 14 მანეთისა და 18 კაპიკის ბოთლები გავყიდე.

...ვერის ხიდის სკვერში, თავისი ლენინის ორდენიანად, ჩასძინებია. თავზე მილიციელი დადგომია და დაუტუქსავს: არცხვენ უმაღლეს ჯილდოსო!... ვარცხვენ კია არა — ვამშვენებო! — ალალად უთქვამს.

ლადო ასათიანს ჩაუწერია: მწვანე ბაზარში გალაკტიონი ქუთაისელ მემწვანილეებთან და „მეტაჩკეებთან" ქეიფობდაო.

ისევ თბილისური შტრიხი... სურათი — ლექსად:

„ჩემი შვილი მემწვანილედ მინდოდა — ქალაქშია წავიდ-წამოვიდოდა... ავილე და მივაბარე სკოლაში, ის კი დადის, თურმე, კომსომოლაში".

იმ დროისაა ესეც!

ავლაბრელ ტიპს ეუბნებიან: თუ გინდა, კომკავშირში მიგიღოთ, დაგვიმტკიცე, რომ ღმერთი არა გნამსო. როგორო? შეაგინეო!

— ვა, თქვენ ხომ ამბობთ, ღმერთი არ არისო!... თუ არ არის, ვის შევაგინო? და, თუ არის — გიჟი ვარ, „ატნაშენია" გავიფუჭოო!

ესეც ისე — იმ დროის ფერ-უმარულისთვის!

ეს ის დროა, ალაგ-ალაგ კოხტად დაკერებული კაბით გამოსულ თბილისელ დედაბერს თბილისელმა კინტომ რომ მიულოცა: დედი, ალაგ-ალაგ მოგილოცავო და პასუხად საკადრისი მიიღო — იცოცხლე, შვილო, დღეგამოშვებითო!

ყველა დროს თავისი ეშხი აქვს!

...ბელა ახმადულინა იგონებს, ერთ თბილისელ ღამის დარაჯს გალაკტიონთან რომ ჰქონდა მასლაათის ფუფუნება...

დოტი თუ ნამდვილი ამბავი გამახსენა! ერთ მოფამფალებულ მოხუც მეგრელს ჰკითხეს — შენ თუ იცი, რაა „კოიმაქსი"? მაგას რა დიდი ცოდნა უნდა, თვითონ სიტყვა ლაპარაკობს — „კოი-მაქს" ეხე იგი კი მაქვს. მარა რად გინდათ!

<u>რეზო მუცაყიძვილი:</u> თუ თქვენ ერთხელ მაინც განახავთ ლიანა ასათიანი, შეეცადეთ, იამაყოთ — თქვენ ნანახი გყავთ ნამდვილი დედოფალი. არა სისხლით, არამედ — სულით.

ცივი დედოფლური სილამაზე, რომელსაც ვერას აკლებდა დრო, არისტოკრატიზმი — შინაგანიც და გარეგანიც. ის ზეპურია — (ზეპური — ელიტური ქალბატონი ძვ. ქართული ჯიშით).

**P.S.** დიახ, ჩვენს თაობას ასეთი მზეთუნახავების ფეფენება ჰქონდა. ახლაც მესმის რუსთაველის პროსპექტზე მათი კაბების შრიალი.

არა არაკაცები და არა ვიღაც ვირთხ-ებს...

„რჩევა ქუდსა ჰკითხეო"

ვიქეიფე მეკუბოვეებთან, მესაფლავეებთან... იგონებს გალა.

სიმონ ჩიქოვანს უთქვამს: გალაკტიონი მთვრალიც ფხიზელიაო.

„იქნება ჩემი საღამო, ჩემი სიხარული. გაუმარჯოს 25 მაისს!"

...იმპულსი: მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ, ყველას თავის „ჩიტი" უგალობს და მეც მქონდა ასეთი დღე, როცა 2200 თბილისელის წინ, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ყველაზე დიდი სიკაშკაშის ვარსვლავების გუნდთან ერთად გავმართე „პაემანი ვერაზე", 1981 წლის 28 დეკემბერს; როცა ვერის უბანმა, თეთრ ფანტელებთან ერთად, ის ღამე თეთრად გაათია! (მეორე ასეთი საღამო გაიმართა 2010 წლის 4 მაისს!).

...დიახ, ჩემს თაობას ჰქონდა ბედნიერება გალაკტიონთან უასაკო მეგობრობისა. ნიაზ დიასამიძეს, ერთხელ, ერთი გოგოს დაბადების დღეზეც კი ნაყვა!... ჩადგებოდა „ზემელზე" ჩვენი ბიჭების წრეში და თვითონაც ბავშვი ხდებოდა, თან კაცობისკენ გვექაჩებოდა. „მთელ გალაქტიკას ზიდავდა გალა, მარა... საკუთარი თავის ზიდვისთვის არ ეყო ძალა!"

მზეჭაბუკის — ბესიკის სახედ აღიარებული ბიძინა ავალიშვილის სახელოსნოშიც არა ერთხელ მინახავს გალაკტიონი, ჩვენი თაობის ვერელი კაცის ხელით (შორეული წინაპარი — პირველკაცი ადამივით რომ მოიზილა) თიხაში და ჩვენი დროის ნატვრის ხეშიც დიდოსტატის მარჯვენით იკვეთებოდა!

მარადისობამდე კი იყო შეჩვენების ნუთები — ალიოს (მაშაშვილი) „ძმური რჩევა" — „დროა, დაუსვა ტყვიის წერტილი განვლილ დროსა და შემოქმედებასო!" დიახ, ესეც იყო!

ერთხელ, ილოსთან (მოსეშვილთან) ასულა მთვრალი და მასპინძელს სტუმრისთვის გამოწვდილი ხელი შეუბრუნებია... ღირს კი ამის გახსენება?.. დროის ავკარგი — დრომ გაარჩიოს!

...სამგლეს და საძაღლეს — მწერალთა სასახლეს ვერასდროს დაღლილი ვერ მიეყუდები.

...აქ არს მოდებული... და გაბოროტებული, ეგრეთწოდებული — ბერიას კუდები!

„რაა მასზე გულდამწყვეტი, მეტეხო და დილმის ველო, მიდიოდე და ფიქრობდე, ეს არაა საქართველო!"

...„ია-ვარდი რომ არ არის, სად მოეკრიფო... საქართველო მხოლოდ პრასა და ქინძია, საქართველო ერთ დროს იყო სახელმწიფო, საქართველო ახლა არის პროვინცია.

გარშემო ბანძა არის და ოკრიბა,

თუ ვინმეა, გალაკტიონ ტაბიძეა!"

...ეს სიახლოვეც მეამაყება — ჩემი გვარიც ოკრიბიდანაა — ღვთივკურთხეულ თამარს რომ გადაუხედავს მეორე ათინად წოდებული გელათიდან და უბრძანებია — ო, კრება დიდებულთა სოფელთაო!

სამტრედიელ ალექსანდრე ახობაძეს პოეტისთვის თხმელის ფოთოლზე დაწერილი ლექსპრომტი (ტარიელ ჭანტურიასებრ თუ ვიტყვით) მიუძღვნია:

„რარიგ კარგია სამშობლო, მისი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და... გალაკტიონი!
„სიყრმეს ბინდი ეფარება,
თან სიბერე გვეპარება" (გალა)

---

*ბერტოლდ ბრეხტი: ლიტერატურა ადამიანის არასრულფასოვნების წინააღმდეგ მიმართული აქციაა.*

„საზოგადოების გულგრილობამ და გულ-ცივობამ... ადამიანებისადმი რწმენა დაუკარგა".

...სიზმარი უკეთესია, ვინემ ცხადი.

„მე მინდა, ვუთხრა ჩემს უსინდისო მტრებს: ნუნარად, გაიძვერებო!... მე ყოველთვის მზადა ვარ სიკვდილისათვის!

„მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ!"

„სიკვდილის გზა არრა არის ვარდისფერ გზის გარდა"!

„სიკვდილშიც გვაჯობაო" — ალიარა სიმონ ჩიქოვანმა.

...ანგარიშმიუცემლად მივვარდი ფანჯარას, საიდანაც მზის შუქი შემოდიოდა და დავუწყე კოცნა ფანჯრის მინებს, თითქოს გონებადაკარგული ვკოცნიდი... მზის შუქს".

* * *

...ჩემი შვილების ხსოვნაში მინდა გადავარჩინო ერთი რჩეული ვერელი ბიჭი — გვარითაც რჩეულიშვილი!

...მე მინდა, ვიყო მწერალი... მე ჩემი ფიქრების არ მეშინია. მთებში დავდივარ — მთამსვლელი არა ვარ; უნივერსიტეტში ვსწავლობ — „სტუდენტის სახე" არა მაქვს; ღვინოს ვსვამ, ლოთი არა ვარ... მხარჯველი ვარ — ფული არა მაქვს; შეყვარებული ვარ — სიყვარული არა მყავს — ცარიელა გული ვის რად უნდა!

კაცი მაშინაა უბედური, როდესაც არაფერი აქვს საფიქრალი.

ერთადერთი ჩემი გართობა... მოწყენილობაა.

ო, ზღვაო... მელნადაც (რამდენი სათქმელი ჰქონია!) არ მეყოფი!

„... უცნაურად არ უხდება ეს ხალხი ერთმანეთს"

„ტორეადორო, გახსოვდეს, რომ, ხარის გარდა, არენაზე არის მეორე, არანაკლები დიდი მტერი — ხალხი!" „მივდივარ ბასრი რქებისაკენ... რომელსაც ჰქვია ნერა. დაე, ეგ ნერა იყოს ჩემი ბედისწერა და ჩემი „მე"-ს მისია მხოლოდ იმისა, რომ ზედ არ ნამოვეგო ამ რქებს!" „რომ ამ ჩემს სიმარტოვეში ვიყო ისეთი... როგორიც ჩემს თვალში იყო მესხი — თამაშის დროს ან დოსტოევსკი — ნერის დროს" — ო. როგორ ვერ ვიტანთ ჩვენ მას, ვინც მოწმე იყო ჩვენი დამარცხების!

...ამბობენ, „ბადრიჯანს რომ ფრთები ესხას, მერცხალი იქნებოდაო" (?!)

ავტორის შენიშვნა: ჭიკჭიკს რა ვუყოთ?... მერცხალმა ჭიკჭიკიც უნდა იცოდეს.

რა მაგის პასუხია და ზოოლოგიის მასწავლებლისგან მახსოვს, რომ არსებობენ ქალაქელი და სოფლელი მერცხლები, რომლებიც ერთნაირად ამშვენებენ ცას, ოღონდ სხვადასხვანაირად ჭიკჭიკებენო!

*ჰოდა — ქუდსა ვკითხე:*
*„კმარა — არ გვაკმარა —*
*კაცზე — ქუდი... არის.*
*ქუდზე კაცი... არა!*

*XII საუკუნეში მონღოლეთის იმპერიის მთავარმა ხუბილაი ყაენმა იაპონიის დაპყრობა გადაწყვიტა. თუმცა ჩანაფიქრის განხორციელებაში მას ორმა ტაიფუნმა შეუშალა ხელი, რომელიც მონღოლთა ლაშქარს დაატყდა თავს. იაპონიის გადამრჩენელი ქარები იაპონელებმა ლოცვების შედეგად მიიჩნიეს და სახელად კამიკაძე (ღვთაებრივი ქარი) დაარქვეს.*

***P.S.*** *საიდან იცოდა ამ ქარების ამბავი საწყალმა დედაჩემმა, როცა ჩემს თავქარიანობაზე რაღაც იმედით იტყოდა-ხოლმე: კაი ბიჭი იქნება, თუ კაი დარი დაუდგა!*

*1709 წელს, შვედეთის მეფე კარლ XII გახდა პირველი ევროპელი მმართველი, ვინც რუსეთის და რუსული ზამთრის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა. შვედური შენაერთების დამარცხებაზე უმთავრესი*

„ჩემი უბედურება ის არის, რომ... ყველას უსიტყვოდ ესმის ჩემი."

სატირალზე უფრო სასაცილოა, როცა კურდღელიც გარბის — მხეცებს მოგვდევენო!

„წინათგრძნობა დამეუფლა, რომ მალე დავიღუპები"...

მისმა მზემ... ამოსვლა ვერ მოასწრო, რომ...

ჩავიდა, ისე ლამაზად, როგორც მზე ჩადის.

ზღვა იყო და ზღვამ შეიწირა.

ამერიკაში თავისუფლების ქანდაკებას ასეთი წარწერა ამშვენებს: „მომეცით მე თქვენი დამარცხებულნი, თქვენი ღატაკნი, თქვენი უსახლკარონი, თავისუფლებას მოწყურებულნი!"

ჰოდა, კიდეც იმიტომ გარბიან ამერიკაში ღატაკნი, უსახლკარონი, თვისუფლებას მოწყურებულნი და მერე, უკვე, აღარ იციან... იქედან სად გაიქცნენ!

ენციკლოპედისტის სიკერპისა და ამტანობის კაცმა ბიჭი თეზელიშვილმა, ჭიანჭველასავით რომ ატარებს მასზე ასჯერ უფრო დიდ ტვირთს, ესტაფეტასავით გადმომცა მისი ერთ-ერთი წიგნი, რომელიც ეძღვნება სიკვდილმისჯილი გამოჩენილი ადამიანების ეპიტაფიებს, სიკვდილისწინა სიტყვებს, ანდერძებს, წერილებს, წარწერებს, რომლის საფინალო სიტყვის მთავრულით აწყობილ ტექსტში ავტორი მკითხველს მიმართავს: „ამ შრომის მიზანი ისაა, რომ აქ აღწერილმა მასალამ გადაგვატანინოთ სიძნელეები და აღგჭურვეოთ ენერგიით!"

აგაშენა ღმერთმა! ალალ იყოს მთქმელისა და გამგონისათვის!

...„ სასაფლაო მშვენიერი გამოგონებაა, რათა მოკვდავი დროგამოშვებით თავის ცხოვრებას კითხულობდეს. ბედკრულის ნუგეშისცემა დასასრულია ბედნიერებისაო" — უთქვამს მტკვრის პირას „სევდიან ფიქრთ გასართველად" მისულ ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილს.

ლუკრეციუსს მიაჩნდა, რომ „სიკვდილი საშიში არ არის, რადგან „სანამ ჩვენ ვართ — ის არაა, ხოლო, როცა ისაა — ჩვენ აღარ ვართ!"

1906 წელს, პეტერბურგის სახელმწიფო სათათბიროში, ილია ჭავჭავაძემ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ გაილაშქრა — „გრძნობას ბუნებურს ატლანქებს", ამით ადამიანის სული მახინჯდებაო. ამ განცდებმა მიიყვანა ერის მამის კალამი „საღჩობელამდე"! „სისხლიანი შურისძიების სტიქია ირაციონალურია, მასში ტორტმანებს პირველქმნილი ქაოსი და იგი გაცილებით უფრო კეთილშობილია, წმინდაა, ვიდრე სახელმწიფოს ორგანიზებულ-მოფიქრებული, შეგნებულ-მხეცური შურისძიება"... ადამიანის შექმნაში, დედისა და მამის გარდა, მონაწილეობს სულიწმინდა. ამდენად, ფეხქვეშ ითელება ერთ-ერთი ათმცნებათაგანი „არა კაც ჰკლა!"

* * *

1988 წელს საქართველო შეუერთდა იმ 53 ქვეყანას, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია. რამდენად სწორი იქნებოდა ამ კანონის არსებობა და რამდენ სიკეთეს ჰპირდებოდა იგი კაცობრიობას მანამ, სანამ სიკვდილის ცელი აღიმართებოდა სოკრატეს, ჯორდანო ბრუნოს, მარიამ სტიუარტის, კარლ I, იან ჰუსის, დეკაბრისტების, ლავუაზიეს, კოპ-

*ვიქტორ მარი ჰიუგო: ლიტერატურა კაცობრიობის საკაცობრიო ხელოვნებაა.*

*ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბლოკი: ლიტერატურა უნდა იყოს პური არსობისა.*

ერნიკისა და სხვა ბრძენკაცთა თავებზე!

იყო ეშაფოტები, გილიოტინები, იყო ელექტროსკამები, რომაული ტარპეას კლდიდან გადაგდებით, ბოძზე გაკვრით, მონღოლური ხერხემლის გადატეხვითა თუ ცხენებზე გამობმითა და შუაზე გახლეჩით, ძელზე გასმითა და ჯვარცმით...

მე-17 ს. ინგლისელი პოეტი ჯ. დონი: „ყოველი ადამიანის სიკვდილი მაკნინებს მეც, რადგან ნაწილი ვარ კაცობრიობისა. ამიტომ ნუ მკითხავ — ვის უხმობს ზარი. იგი შენ გიხმობს!"

დიმიტრი ბაგრატიონის ლექსი ძეგლად — ქეთევან წამებულს:

„ცა განაკვირვა და განაკრთო მისმა თმენამა"—

შეუძლებელი აძლებინა მისმა რწმენამა (ავტორის მინაწერი).

დედოფალი განმარტოვდა სამლოცველოში და მუხლმოდრეკილი შეევედრა გამჩენს: „ღმერთო, უცნაურო და უხილავო, ენით გამოუთქმელო, მომივლინე ანგელოზი, მიიღე ჩემი სული, განმიღე შენი კარი სასძლოისა შენისა და აღმრაცხე მე გუნდსა თანა მონამეთა შენთა, როდესაც სული ჩემი ხორცს განშორდება, მიხსენი და შემატე ძალა ჩემს ძეს თეიმურაზს, რომელსაც მიეცი ღონე-ძლევა მტერთათვის"...

ქეთევანის წმინდა ნაწილების ნახევარი კათოლიკე ბერებს მოუპარავთ და შემდგომში იგი გოადა-გრასის მონასტერში (ინდოეთი), წმინდა პეტრეს ტაძარში (რომში), ნამიურის ტაძარში (ბელგიაში) ინახებოდა. დედოფლის წმინდა ნაწილები 1628 წელს თეიმურაზს მიართვეს და ალავერდის წმინდა გიორგის ტაძარში დაიკრძალა.

## *გაძვალტყავებული სიბრძნე საფლავის ლოდებისა!*

მწარე ღიმილის მომგვრელია რობესპიერის საფლავის წარწერა: „მგზავრო, ნუ იდარდებ ჩემს სიკვდილს, რადგან მე რომ ცოცხალი ვყოფილიყავი, მაშინ შენ იქნებოდი მკვდარი".

ლუციუს კორნელიუს სულას საფლავის ქვის წარწერა: „აქ ნევს სულა, რომლის მსგავსად ჯერ არავის არ მიუზღავს სიკეთე მეგობრისადმი და ბოროტება მტრისადმი"

დავით აღმაშენებელი: „ესე არს განსასვენებელი ჩემი საუკუნოდ, აქ დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს მე".

სოფელ შილდის სასაფლაო: ამ ლოდის ქვეშ ვნევარ გოგიტა აღნიაშვილი, შევაკვდი მტერს და შევერიე მიწა მიწასა.

*გავლენა გრძელმა გზამ და საშინელმა ყინვებმა მოახდინა.*

*ამიტომაცაა, რომ ისტორიულ მეცნიერებაში დამკვიდრდა ცნება: „გენერალი რუსული ზამთარი", რომელმაც მეორე მსოფლიო ომშიც თქვა თავისი სიტყვა!*

*1812 წელს, როცა ნაპოლეონ ბონაპარტე ევროპაში ყველაზე ძლიერ არმიას ჩაუდგა სათავეში და რუსეთზე გალაშქრება გადაწყვიტა, საკუთარ წარმატებაში იმედიანად იყო დარწმუნებული, რომ განზრახვაზე ზამთრის მოახლოებამდე ვერ ააღებინა ხელი. მოსკოვის წარმატებით აღებამ ფრანგებს კიდევ უფრო მეტი ძალა შემატა. თუმცა, სულ მალე რუსულმა ზამთარმა თავისი საქმე გააკეთა და, მინუს 40 გრადუსის დროს, მხოლოდ ერთ დღე-ღამეში, ნაპოლეონს 50 ათასამდე ცხენი მოუკვდა.*

*შედეგად, რუსული ზამთარი ნაპოლეონის იმპერიის დასასრულის დასაწყისად იქცა.*

*<u>გოგა ხაჩიძე (მანისყრი):</u> რამდენიმე უცხოური კომპანია გამოჩნდა, რომელიც ჩვენი ნაგვით დაინტერესდა. ჩვენს ნაგავს. თურმე,*

„ამ ლოდქვეშ ვნევარ უნათლოსშვილის ქალი — ყვავილი მინიდან ამომცქირალი."

არსენას ეპიტაფია: აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა.

ბუდუ მდივნის ბოლო სიტყვა: „დაე, სტალინი ნუ დაივიწყებს, რომ დანტონის შემდეგ რობესპიერის ჯერი დგება!"

ერეკლე მეორეს თოფზე ამოკვეთილი ნარწერა: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ერეკლესა!"

აკაკის საეპიტაფიოდ გამზადებული ჰქონია ასეთი სულისშემძვრელი, გულის ფიცარზე ამოსაკანრი სიტყვები: „შენ კვდები და მეცა ვკვდები, გეთხოვები საქართველო!"

მიხეილ ჯავახიშვილის უკანასკნელი სიტყვა (დაკითხვის ოქმიდან): „ქართველი ხალხისა და ჩემი სამშობლოს ნინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაგრამ თუ თქვენთვის ზვარაკია საჭირო, მე მზად ვარ, საქართველოს თავი შევწირო. მე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს თქვენ ვერასოდეს ალმოფხვრით..."

კონსტანტინე გამსახურდიამ სიკვდილის ნინ ფეხზე ნამოდგომა ინება!

1992 წელს — დეკემბერ-იანვრის ამბებს ყური მოკრა, თვალი გაახილა და თქვა — „ქართველები ხოცავენ ერთმანეთს..." დახუჭა თვალი და აღარც გაუღია!

პროფესორმა იოსებ ყორდანიამ, ატლანტიკის ოკეანის თავზე ავიაკატასტროფის დროს, ერთ გაფითრებულ გოგონას დაუთმო მაშველი რგოლი და თვითონ... უკვდავებაში გადასახლდა!

ფრანსუა რაბლე: მივდივარ, რაღაც უფრო დიდის საძებნელად!

კოლა ბრუნიონი: სამარეში ყველაზე საზარელი... სამარისებური სიჩუმეა.

ჩეხოვი (სიკვდილის ნინ): „რა ხანია, შამპანური არ დამილევია"

ვერგილიუსი (ეპიტაფია): „მანტურიამ მომცა სიცოცხლე, ბრინდიზმა — სიკვდილი, ნეაპოლმა — საფლავი. მე ვუმღეროდი მწყემსებს, მხვნელ-მთესველებს და გმირებს!"

დიდრო: „პირველი ნაბიჯი ფილოსოფიისაკენ იყო... ურწმუნოება!

თომას მორი (თავის მოკვეთის ნინ ჯალათს მოუნოდებდა): კისერი მოკლე მაქვს, ამიტომ კარგად დაუმიზნე (ნვერი გადაიწია და ისე დადო თავი კუნძზე), ამას ხომ მაინც არ მიუძღვის ბრალი სახელმწიფოს ღალატში!

იესო ქრისტე: ჟამსა ხმა ელი, ელი! ლიმა საბაქთანი! ესე არს: ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევე მე? (მათე 27, 46).

დიოგენი: შენს დიდებას მარადისობა ვერ მოიტაცებს, რადგან შენ, ერთმა, ასნავლე მოკვდავთ მცირედით კმაყოფილება და მიუთითე ადამიანებს ცხოვრების ყველაზე სწორი და იოლი გზა!

თეზელიშვილის ნიგნში ვკითხულობთ, რომ მე-17 საუკუნეში, საფრანგეთი აკადემიის ნევრმა ლე რუამ ნარმატებით დაიცვა დისერტა-

---

*ჩვენი პლანეტა 4 მილიარდი წლისაა, ხოლო ადამიანთა ცივილიზაცია... 70 საუკუნეს ითვლის ანუ 7000 წელს. ეს ძალზე მცირეა, დედამიწის ასაკთან შედარებით.*

*ზვიად გამსახურდია: ნამდვილი ლიტერატურა, ნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე, ღრმავდება და იზრდება ზოგადკაცობრიულისკენ.*

ცია თემაზე — „ნარნერა ადამის საფლავის ქვაზე", რომელიც აღმოაჩინეს ცეილონზე...

ეპიტაფია დაახლოებით ასეა ამოკითხული: „ადამ — მონა უფლისა და მეუფე ევასი. ღმერთო შეუნდე".

ჩვენც შენდობას ველით.

ღმერთო, გვაპატიე ხე-ცნობადისადმი ჩვენი დაუოკებელი ლტოლვა და ინტერესი, ადამის ძეთა — ცოდვა პირველი და არა უკანასკნელი!

აბდელ-კადერი: (ალჟისელი სარდალი და პოეტი): უფალო, მეორედ მოსვლის ჟამს ბრმად აღმადგინე, რომ მართლამორწმუნეთა შეხედვის არ შემრცხვეს.

ბონაპარტე II ნაპოლეონი: „დაბადება და სიკვდილი — აი, მთელი ჩემი ისტორია".

დანტონი (საფრანგეთის რევოლუციის მოღვანე): „ჩემი თავი იმის ღირსია, რომ ფრანგ ხალხს უჩვენოთ, ხოლო გვამი — რობესპიერს".

მარშალ ჟუკოვსაც უთხოვია — არ დამწვათო, მაგრამ (დაიწვას მისი დამწველი), თურმე, ეს თხოვნაც არ შეუსრულეს!"

მედიჩი კოზიმო (ფლორენციის მმართველი): სიკვდილის წინ თვალებს იმიტომ ეხუჭავ, რომ სიბნელეს შევეჩვიო!

ოქტავიანე ავგუსტუსი (რომის იმპერატორი): „ბატონებო, მგონი კარგად ვითამაშე ჩემი როლი ადამიანურ კომედიაში!"

ლენინი უგონოდ გარდაიცვალა — იგი მაგიდასა და სკამს სთხოვდა ცოდვების მიტევებას.

ქსერქსე — სპარსეთის მრისხანე მბრძანებელი, რომელმაც დაანგრია ბაბილონი და საბერძნეთის არა ერთი ქალაქი... სიცილით მომკვდარა. დაკრძალულია ცნობილი მექალთანის, კაზანოვას ბოჰემიაში. კაზანოვას საფლავის რკინის ღობედ ისეთი ნეეტიანი მესერია შემოვლებული, რომ ახლაც წამდაუწუმ ედება გამვლელ-გამომვლელი ქალბატონების კაბებს, თითქოს მიცვალებული ახლაც ნადირობდეს ქალებზე!

უცნობი ბერძენი ექიმის ეპიტაფია: „სალამი, ქარონ. ჯერ არავინ დაბრუნებულა საიქიოდან, რომ შენზე ცუდი ეთქვა... შენ ბევრი იხსენ ამ ცხოვრების სიავისგან!"

და, კიდევ ერთი შეხსენება უცნობის ეპიტაფიისა: მე ვიყავი ის, რაც შენ ხარ და შენ იქნები ის, რაც მე ვარ!

მე უკვე შინა ვარ, შენ კი სტუმარი ბრძანდები!

...და, ერთი ეპიტაფია თუ სამგლოვიარო და სარეკლამო განცხადებაც, რომელიც ერთი შოტლანდიელი მოქალაქის, ვინმე ჯონ მაკტავიშის გონებამახვილ ჭირისუფალს ეკუთვნის: „აქ განისვენებს ჯონ მაკტავიში, რომლის დამწუხრებულ

*ერთი პლუსი ჰქონია — ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კალორიული ნაგავი ყოფილა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ნაგვით დიდი ენერგიის მიღება შეიძლება.*

*__თამარ გიროთა-მაშვილი:__ როგორ შეიქმნა სამყარო, ვინ ცხოვრობს ჩვენს პარალელურად, ჩვენთვის უხილავ სივრცეში და შეძლებენ თუ არა მეცნიერები იმ წინასწარმეტყველების დამტკიცებას, რომელიც სხვა განზომილებაში ცოცხალი ორგანიზმების არსებობაზე თეორიულად მიუთითებს. ეს მემოდგომას საუკუნის ექსპერიმენტის დასაწყისი იქნება. ერთ თვეში, ჟენევაში, კვლევით ცენტრ „CERN"-ში ჰადრონული ამაჩქარებელი გაშვებამ ყველა იმ კითხვას უნდა გასცეს პასუხი, ჩვენდაუნებურად რომ ჩნდება და რომელსაც პროფესორი გია დვალი, ბოლო ათეული წლების, ფორმულებით ამტკიცებს. მაშ, ახე! ამაჩქარებელი სტარტს მალე აიღებს. ექსპერიმენტების შედეგებს კი რამდენიმე წელი დასჭირდ-*

ქვრივს აქვს შესანიშნავი რესტორანი ტაიდ-სტრიდზე (ღიაა 8-დან 22 საათამდე!)

როგორი რეკლამაა?

P.S. სულ სხვაზე წერა-კითხვაში ვარ და ერთი ისიცა ვთქვათ, რას დავაწერდი ჩემს საფლავს ეპიტაფიად?

„სიზმრებში შეხვედრამდე!"

* * *

ვიღაცას ვიღაცის სადღეგრძელოსთვის მოუკრავს ყური და
ვიღაცას ვიღაცის სადღეგრძელოსთვის ენა შეუბრუნებია!

ერთს უთქვამს: ჩვენს თავშესაფარს — თბილისს გაუმარჯოსო!

მეორეს უთქვამს: შენ ქალაქის სადღეგრძელოს სვამ თუ „ზონტიკისასო"!

დაუსწრებლადაც მივხვდი, სადაური იქნებოდა ის ერთიცა და მეორეც!

დღეს არც გვარი ფასობს,
ეძებთ სხვა იმედებს —
მამის სახელებიც...
მიტომ გაიმეტეს!

* * *

მკვდრები თუ მაინც ხვდებიან, რაა სიკვდილი?
ან ცოცხლებმა თუ იციან, რაა სიცოცხლე?
ოცნებებიც გამითავდა, ამას მივტირი —
ზეზეულად ხმება ჩემი სულის ნატვრის ხე!

* * *

აინშტაინს რომ უთხრეს, შენ უკვდავი ხარო, შეიცხადა — რას ჰქვია, ღმერთო მომკალი, მე ვისზე ნაკლები ან ვისზე მეტი ვარ — როგორც სიცოცხლე მაინტერესებს, ისე — სიკვდილიო!

არადა, სივარადა ვარადა: როგორც ყოველთვის, ახლაც მართალია ეს კაცი!... ვითომ, საიდან მოვედით, ის ვიცოდეთ... სად მივდივართ, ისიც არ ვიცით და სიკვდილისაც სიკვდილივით გვეშინია.

არადა, თურმე, უსიკვდილოდაც შეიძლება სიკვდილის ნახვა!

აკი გითხარით, თბილისის ომის დროს, ქუჩაში „აკაესის" ბრმა ტყვია მომხვდა და „სასწრაფოში" გამაქანეს. 17 წლის შემდეგ სწორედ ეს გამიხსენა გაზეთმა „ქრონიკამ" და არ ვიცი, ვინ სად, როგორ დაესწრო ჩემს ე.ნ. „კლინიკურ სიკვდილს" — ჟურნალისტმა მაია იასეშვილმა „კაი მოწყალების დასავით" გამინია გაჭირვებაში ძმობა და ჩემს გულშემატკივარს საქვეყნოდ გაუზიარა ჩემი პირველი საიქიო შთაბეჭდილებები!

შემიძლია, გულზე ხელი დავიდო და ვთქვა, რომ რაც მისი ხელით ნაწერია, ასე ვთქვათ, ჩემი პირის ზუსტი ასლია, მაგრამ ვინ — სად მოისმინა მაშინდელი აღსარება, ეს, მე მეგონა, მხოლოდ ჩემმა მეწარკოზე წერეთლის ქალმა და ქირურგმა ნოდარ ლომიძემ იცოდნენ... იქედან სად — როგორ გაჟონა, ალბათ, ეშმაკზე უფრო ღმერთმა იცის.

და, აი, ისიც!

„თბილისის კოლორიტი, ქართული იუმორის დიდოსტატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი გიზო ნიშნიანიძე ასე იხსენებს კლინიკური სიკვდილის შემთხვევას:

— სიკვდილში მთლად ფეხშედგმული არ გახლდით, საიქიოს მისაღებამდე მივედი... თუმცა, ძალიან კარგად დავინახე ის განათებული გვირაბები... თეთრ სიკაშკაშეს ვხედავდი, ირგვლივ საოცარი ნათელი იდგა... რაღაც „დაგუბებულად" მესმოდა, ექიმები რას ლაპარაკობდნენ.

დალაპარაკება მინდოდა, მაგრამ ხმა არ ამომდიოდა, ვერც ხელს ვანძრევდი, თუმცა, ყველაფერს ვგრძნობდი: ხან სიამის განცდა მქონდა, ხან — ტანჯვის... ბევრი რამ მაქვს წაკითხული კლინიკურ სიკვდილზე. იმ მდგომარეობიდან რომ გამოვედი, ჩემი განცდები წაკითხულს მივამსგავსე. მახსოვს, თითქოს, ვიღაცეები მეფერებოდნენ, ვიღაცეები მამხნევებდნენ, მაგრამ აქეთ ექიმები რომ წვალობდნენ, ამასაც აშკარად ვგრძნობდი. მინდოდა, მეთქვა, თავი დამანებეთ-მეთქი, მაგრამ...

დიახ, ასე იყო ეს! ... შეიძლება, ყოველგვარი პარა-„მნეზიისა" თუ პარა-„ნოის" გარეშე, თუმცა გარკვეული ფსიქო-„ლოგიზმისა" თუ „პათიის" პირობებში.

ხილვები აშკარად იყო. ის ტყვიის გულაც აქვეა, სხეულში, და აღარც სიკვდილი მეჩვენება უხერხულად და მგონი, ენვდები იგავმიუწვდომელი ვაჟას სიბრძნესაც: ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო — სიცოცხლე ფასობს შენითაო!

სხვათა შორის, იტალიაში, წმინდა ადგილების მოლოცვის დროს, მე, მამა საბასთან (გიგიბერია) ერთად, საიქიოცა მაქვს ნანახი რომის უძველეს კატაკომბებში („წმინდა სებასტიანისა", დომიციანისა", „წმინდა კალისტისა"...) დარეტიანებული დავბორიალობდი აგვისტოს პაპანაქებაში (მიწის ქვეშ) და საიქიოს ამ სიგრილეში, სამოთხეში მეგონა თავი!

* * *

...„სამკვიდროს გულიდამ ამოღება ძნელია" — ერის მამის ეს სიტყვები წაუმძღვარა ჩემმა უსაკოდ ძმაკაცმა, ძველმა რაგბისტმა, აკადემიკოსმა და, საერთოდ, ჭკუის საკითხავმა კაცმა პაატა კოღუაშვილმა პატარა (ჯიბით სატარებელ) ნარკვევს ილიაზე, თუმცა, ასეთი წიგნები სისქით არ იზომება.

ნამალია დღეს დიდი ილიას ყოველი სიტყვა!

ულტრალიბერალიზმს არაფერი საერთო აქვსო წაღდ ლიბერალიზმთან. დღეს კი, სწორედ იმ „ულტრას" სახელით ცდილობენ, მოგვაჩვენონ ლიბერალიზმად, როცა დიდი გულმოდგინებით თუ „ფულმოდგინებით" ცდილობენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები „საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს დაუკანონონ". ამას, თავის დროზე, უფრო ხმამაღალი ხმით წატირლებით წერდა ნიკო ლორთქიფანიზეც — იყიდება საქართველოო!

ილია დაბეჯითებით ითხოვდა, რომ „კანონები, რომლებიც პეტერბურგში იწერება, აქვე იწერებოდესო", რადგან „ის, რაც რუსისთვის სასარგებლოა, შეიძლება, ქართველისათვის მავნე იყოსო"! და, საერთოდ, ლელთ ღუნიას საანდერძო სიტყვა — „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეჯუდნესო" ერის მამის მარადიულ სადროშო მონოდებად რჩება

ება. გია დვალი უკვე ემზადება. მოლოდინი დიდია. მანამდე კი პარალელური სამყაროს არსებობისა და საკუთარი თეორიების შესახებ თბილისში. მშობლიურ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს. დვალის ლექციას არა მარტო ფიზიკის ფაკულტეტის, არამედ სხვა დარგების მეცნიერები და სტუდენტები ესწრებიან. ყველა ის, ვინც აღფრთოვანებულია ამ ადამიანით და თვლის, რომ დვალი ჩვენი დროის ლეგენდაა. (2009წ.)

<u>გოგა ჩამიშვილი:</u>

ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ჩვენი სახიქადულო პოეტი და მწერალი, ბატონი გიზო ნიშნიანიძე სიმპათიით იყო განწყობილი ჩემ მიმართ. ხშირად გვივლია კუს ტბის გარშემო და ყოველთვის სიამოვნებით ვისმენდი მის საუბარს. ვინაც განუცდია მსგავსი სიამოვნება მასთან ურთიერთობისა, ალბათ დამეთანხმება, რომ ბატონ გიზოსნაირ საინტერესო მოსაუბრეს იშვიათად შეხვდება კაცი. ყოველთვის მხიბლავდა მის მიერ წარმოთქმული ლექ-

ქართველებისათვის: „გვეყო, ბატონებო, ჩვენი აწმყოდა და მომავლის ბედის სხვაზე მიგდება" — ჩვენი სიკეთე მადლიანი მშობლიური მიწაარ!

...წმინდა ნინოს ხელით ვაზის ჯვრით შემობრძანება საქართველოში, მეფური საგალობელი „შენ ხარ ვენახი!" და შაჰ-აბასის მიერ მისი ამოძირკვა ქართული მიწიდან... ყველაზე ჭეშმარიტი საძირკველია ისტორიული აზრისა, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა — ვაზის ქვეყანაა! — გვმოძღვრავს მამაზეციერიც: „მე ვაზი ვარ, თქვენ კი ლერწები" (იოანე 15.1.5.6.). ქართველი მევენახის სინდისი ზედაშეა, რომლითაც ინათლება მისი სისხლი და ხორცი.

„შენი ნახვა მეამება, როგორც კოვზით ზიარება!" — ვმღერით საქართველოში და ამით საზიარებელსაც ვუგალობთ და მაზიარებელსაც!

წმინდანად შერაცხული ილია მართლის გზა — ეროვნული აღორძინების პროგრამაა „უკეთესი ქვეყნის" ასაშენებლად, რაც, როგორც გიორგი მთაწმინდელი ბრძანებდა, შესაძლებელია მხოლოდ ერის „ერთნებობითა და თანადგომით", რაც ასე უჭირს დღეს, ფიგურალურად რომ ვთქვათ — „მარტივ მამრავლებად" დაშლილ და გზაგაბნეულ-დაბნეულ ქართველობას, რადგან „მრავალნი არიან ჩინებულნი და მცირედნი რჩეულ" (მათე 20.16).

დალოცვილი ქართული მიწა თავის დღეში არ დაიღლება, ისე არ გაძუნწდება, რომ მიბარებული ერთი-ორად მაინც არ დაგვიბრუნოს! ტყუილად კი არ ეძახის მას ქართველი „დედამიწას"!

სამი საუკუნის წინ, ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „მთანი და ტყენი აურაცხელითა ყვავილითა, მწვანითა და სურნელითა აღსავსე, ტყენი სხვადასხვა ხითა მშვენიერითა ჭალითა და მთათა შინა" — ესაა „ქვეყანა მშვენიერი და ნაყოფიერი ყოველითა ღვთის მიერ"...

* * *

დიდია სიტყვის ძალა!

ბარდნალელი მარადიული ბიჭის, ლადო ასათიანისა არ იყოს:

„თორემ, მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ მარაბდა!"... „დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცესო!"

ასეთი „ელდა" კალამსაც ახლავს. აკი თვითონ ილია ბრძანებდა: ხმალი იმოდენს ვერა იქმს, მრისხანე და ძლიერიო — რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო!"

სიფრთხილეა საჭირო, როცა ერის მამის სახელით ლაპარაკობ და ილიას იმოწმებ!

ისტორია ერის მეხსიერებაა და კარგად ახსოვს თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის ნახმლევი — საქართველოს დასაუძლურებლად — ვაზის გასაჩეხად!

„უფლისწულმა მაკოცოს" — წინანდლის ზღაპარს ცხადად შესწრებიან პუშკინი, ალექსანდრ სერგეევიჩის ძმა და თანამოკალმე, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, გრაფი ვორონცოვი... ვინ აღარ.

წინანდალს „შუა კახეთის თვალსა და ჯვარს" ეძახდნენ.

აი, თურმე სად ყოფილა ვაზისა და ღვინის საუფლო!... წინანდალი ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ულამაზესი და უბრწყინვალესი მარგალი-

---

*ჟან კოკტო: ნაწარმოები — ესაა ოფლი.*

*ქალის ჭკუა — სილამაზეშია, კაცის სილამაზე — ჭკუაში!*

ტია! — ლოცვასავით უთქვამს ყურძნისა და ღვინის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტს, ცნობილ ფრანგ მოღვაწეს ბარონ პიერ ლერუას.

ქართველების სიძე ნიკოლოზ ასტაფიევი 1883 წელს „წინანდლით" დასათაურებულ ლექსში წერდა, რომ ეს სამოთხისებური სოფელი „მხოლოდ სიზმარში შეიძლება წარმოვიდგინოთ"!

წინანდლის ენდემსა თუ ედემზე ვის აღარ ეჭირა თვალი — „მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის დარბაზ-ბატონი (კამერგერი) ყოფილა პავლე ბაღოუტი, რომელსაც თანამდებობა გადაულოცია ვინმე ბლანკისთვის. შემდეგ ყოფილა ვიღაც კუროედოევი (გრიბო-ედოვი, კურო-ედოვი — მარტო გვარებიც კი ჭამა-სმის ეშხზე მოგიყვანს!), შემდეგ, კიდევ უფრო გასაოცარი გვარის და სახელის კაციც — ჰენრიხ ჰაინეც გამოჩენილა. შემდეგ, ვინმე ჟოკრე...

მახლას, სამოთხე იყოს და „ანგელოზებს" რა დალევდა!... მაგრამ, მთლად საოცრებაა სამოთხის ეპითეტთან ასე დამთხვევა — წინანდლის ბაღი ჩაბარებული ჰქონია ადამს... გვარად ჭიჭიაშვილს და სულაც არაა გამორიცხული, მის ცოლს ევა რქმეოდა! სადაც სამოთხეა — იქაც ესენი!

ვინ შეგარჩენს ბედნიერებას, თუ უბედურებას არ ეშინია შენი!

თუ კახთ ბატონ ერეკლესავით არ მაწერია ხმალზე (და გულის ფიცარზე) „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ერეკლისა"-ო!

დღეის სათქმელიც ეს არის — სათქმელი უნდა ითქვასა!

რა დააბნელებს მზესავით — პირზე მომდგარსა სიტყვასა!

...მტერსა და მომხდურს შიშის ზარს ევგრიდით!
რა დარჩა ქართველთ ძველი დიდების? —
შიში კი არა, რომ გვქონდეს რიდი —
მოურიდები მიურიდების!!!

...პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკი (ჩვენი ძმაკაცის ოთარ მგელაძის დის — ლიკა მგელაძის მეუღლე იყო. მისი ლექსივით პირმშვენიერი და მეფური ზნის კაცი გახლდათ. ენამწარე და თან თავის მუსიკიანად უტკბილეს ბიძინა კვერნაძისთვის უთქვამს — დუნდულებზე ძირმაგარა გამომივიდაო. ამანაც ეგრევე მიაგება თავისი „მალამოსავით" სიტყვა: მეფის ტახტზე დასაჯდომად ეგ ერთი საჯდომიღა შემოგრჩა და ეგეც აღარ გივარგაო!

როგორია?...

ერთხელ, ნაქეიფრებს „სვეტიცხოველთან" ჩამოუვლიათ და მისი „დიონისიების" მხიარულ მხლებლებთან ერთად, მამამისის საფლავთან მისუ-

*სების. სხვადასხვა საინტერესო ამბების მოსმენს და, ასევე, ყოველთვის გაკვირ-ვებული ვიყავი მისი ფენომენალური მეხ-სიერებით.*

*ერთ მშვენიერ დღეს, მორიგი სეირ-ნობისა და საუბრის შემდეგ, ბატონი გიზო შეჩერდა თა-ვის მანქანასთან, ახადა საბარგული, ამოიღო თავისი წიგნი „პაემანი ვე-რაზე", გააკეთა წარ-წერა და გამომიწო-და. რა თქმა უნდა, დიდი მადლობა მო-ვახსენე ესოდენ დიდი და საპატიო საჩუქრისათვის. მე ყოველთვის ვიყავი იმ უზარმაზარი შთა-ბეჭდილებით გამსჭვა-ლული, რომელიც მოახდინა მის მიერ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბა-ზში გამართულმა დაუვიწყარმა სა-ღამომ, რომელსაც იგივე სახელი ერქვა: „პაემანი ვერაზე".*

*გავიდა გარკვეული დრო და ბატონმა გიზომ მკითხა, წაე-იკითხე თუ არა მისი წიგნი და რა შთაბე-ჭდილება შემექმნა ნაწარმოებზე. არის პერიოდები, რაც ინტენსიურად ვკი-თხულობ ჩემთვის*

ლან. ბიძინას (ისევ ბიძინა!) „ტახტის მემკვიდრის" საფლავზე დადებული ქვის ნატეხი ერთობ პატარად მოსჩვენებია და პეტრესთვის უთქვამს: ეს რა „ზაჟიგალკის" ქვა დაგიდიათ აქაო (?!)...

„ლეონიდ კოტრელი — „ანტიკური საოცრებანი"

მსოფლიოს 7 საოცრება: 1) დიდი პირამიდა; 2) ალექსანდრიის შუქურა; 3) ბაბილონის დაკიდებული ბაღები; 4) როდოსის კოლოსი; 5) მავზოლუსის აკლდამა ჰალიკარნასში; 6) არტემიდეს ტაძარი ეფესოში; 7) ზევსის ქანდაკება ოლიმპოში და ყველაზე დიდი საოცრება — ადამიანი!

„შემზარავია იმის გაფიქრებაც კი, რომ ასობით ათასი მონის წამებამ 2,5 მილიონი ქვის ბლოკისაგან ააგო დიდი პირამიდა!" (ოტო ნებერტი, „მეფეთა ველი". ლონდონი, 1957).

საოცრებათა უმრავლესობა გადაჭიმული იყო ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით — დაკიდებული ბაღები, დასავლეთით — ზევსის ქანდაკება ოლიმპიაში. პირამიდების შემდეგ ყველაზე დიდი საოცრებაა ალექსანდრიის შუქურა „ფაროსი" (ეგვიპტის სანაპიროზე), ევფრატის ნაპირზე — ბაბილონი! დასავლეთის — როდოსი! ჰალიკარნასის მავზოლეუმი, არტემიდეს ტაძარი ეფესოში.

შეიცან თავი შენი! — აწერია დელფოს ტაძარს.

ციცერონი სიჭაბუკეშივე ხლებია ამ სიბრძნის სასახლეს... ერთ კითხვაზე პასუხის მისაღებად:

— რით მოვიხვეჭო სახელი?

— ცხოვრებაში შენივე ბუნება გყავდეს მეგზურად, მრჩევლად და არა უმრავლესობის აზრი.

აქ ქურუმად (და არა ქურდად) იჯდა პითიელი წინასწარმეტყველი ქალი (ჩვენი წინასწარმეტყველის ლელა კაკულიას შორეული წინაპარი) და ლექსად და პროზად წინასწარმეტყველებდა.

პილიგრიმები ჯერ განიწმინდებოდნენ, განიბანებოდნენ კასტილიის წყაროში, შემდეგ შესაწირს შეწირავდნენ საკურთხეველზე და ღარიბები — ცხვრით და მდიდრები კი — ხარის შეწირვით ეზიარებოდნენ საიდუმლოს.

დელფოს მისტერიების მთავარი გმირები იყვნენ აპოლონი და ღვინისა და მხიარულების ღმერთი დიონისე (თავისი სატირების გუნდითა და ბაკხანალიებით!). ამ უკანასკნელს რომაელები ბახუსსაც ეძახდნენ, ქართველები კი ბავშვებსაც არქმევდნენ სახელად ბახვა-ბახულიებს! დიონისეს ბაკხანალიებზე, მის მხლებელ ქალებს (დელფოსსა და ათენში) თიადებს ეძახდნენ (ვა, რა კამპანიიდან ყოფილა ეს ღმერთგამწყრალი თეა თუთბერიძე!), სხვაგან კი, თურმე, „მენადები" ანუ „გიჟები" ერქვათ (ამასაც წყალი არ გაუვა!). რადგან „შეპყრობილნი სჩადიოდნენ იმას, რასაც ვერც ერთი ნორმალური მოკვდავი ვერ ჩაიდენდა"-ო — წერს წიგნის ავტორი.

...სადღაც სალამური კვნესის, ვიღაც უსტვენს. ვიღაც ორ ფლეიტ-

---

*რობერტ ბერტონი: კალამი ხმალზე მრისხანეა!*

*ლაო ძი: სამართლიანობის მფლობელს ხელეწიფება ხელმწიფება.*

*ინგლისური ანდაზა: მოსამართლეებს ორივე ყური ერთნაირი უნდა ჰქონდეთ.*

*ბერძნული სიბრძნე: ანაფორის ჩაცმით მღვდელი ვერ გახდები!*

აზე ფლეიტაობს თუ „ფლირტაობს". ეს არის თაყვანისცემის რიტუალი და მას ყვირილით ეგებებიან: „ავოე", „ევოე"!... (ზუსტად ისე, როგორც თბილისში იციან! საოცარი ანტიკური პარალელი თუ „პარალელეპიპედია" (მომწონს ამ სიტყვების რახარუხი!).

...და, მაინც, ვინაა ეს ოხერი ეშმაკი, დღემდე ეშმაკმა არ იცის და მისი „პროფილაქტიკის" ერთ-ერთ საშუალებად კვლავ ის თავდაცვითი „ფუი, ეშმაკს!" რჩება!

ნაჩუქარს კბილი არ გაესინჯებაო, ნათქვამია, მაგრამ ამ საჩუქარს, რომელზეც ახლაა ლაპარაკი... კბილი კი რა — მაჯაც ესინჯება! ახლაც ძგერს იმ კაი თბილისელ ბიჭის, კაცისა და ბრძენკაცის გული, რომელიც გულზე ხელების დასაკრეფად არ გვემეტება —

გურამ ასათიანი!

გვარითაც მოდგამს ის სინათლე, რომლის ძაბვა — იყო, არის და მანამ იქნება 110-იანი, სანამ ქვეყანაზე იარსებებს ჩვენი თაობის სულიერი სინერგი-ენერგია! სანამ „უკეთეს დროთათვის" იარსებებენ „თანამდევი სულები", სანამ იარსებებს მათი გენი და „სათავეებთან" იქნებიან ისეთი ღმერთივით ბიჭები, როგორიც გურამ ასათიანი იყო!

მარგალიტების მაძიებელი ჭეშმარიტად დიდ განძად ვთვლი იმ ოთხტომეულს, რომელიც „მაგთის" მესვეურის ბ-ნ გია ჯოხთაბერიძის ქველმოქმედებით გამოიცა და შემოვიდა ჩვენს ოჯახებში.

კიდევ უფრო მეამაყება ის, რომ ეს სიბრძნისა და სიყვარულის სამოთხე ჩემთვის „განიხვნა" ავტორის, სათნოების განსახიერება — მზეთუნახავი მეუღლის სასაჩუქრო წარწერით: „ძვირფას ლიანასა და გიზოს უშრეტი სიყვარულით".

დიდი გერონტი ქიქოძის უმშვენიერეს ქალიშვილთან, თბილისის სახესთან — ქალბატონ მანანასთან... ჟურნალისტიკიდან ჩემი „ლტოლვილობის" წლებში მქონდა პატივი, მემუშავა საქართველოს ისტორიის ინსტიტუტში.

...თბილისური შნოსა და ლაზათის განსახიერება გურამ ასათიანზე სხვაგანაც მაქვს ამ ოთხტომეულში ლაპარაკი და, რასაც ახლა ვწერ, იმასაც უმარობის გრძნობა მაწერინებს! „გურამ ასათიანი რა მომხიბლაობაა!" — წერს ბორის პასტერნაკი, — „რაოდენ ამაღლებულად და, ამავე დროს, რა შეზღუდულად უნდა გრძნობდნენ თავს ასეთი ვაჟის მყოლი ლევან და თინა ასათიანები... თითქოს, მთელი ცხოვრება ვილაც გყავს სტუმრად და მუდამ ზეიმია".

აკაკი ვასაძე (შვილიშვილი): „გურამ ასათიანის

*საინტერესო წიგნებს. ხანდახან ეს პროცესი ნაკლებ ინტენსიურია. სწორედ იმ პერიოდში საკმაოდ ბევრი წიგნი მქონდა წასაკითხი და მისი „პაემანი ვერაზე" რიგში ჩავაყენე. შევატყვე, რომ პასუხი დიდად არ ესიამოვნა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ორი თვის შემდეგ კვლავ დამისვა იგივე კითხვა. საშინლად შემრცხვა, რომ წიგნი ჯერ კიდევ არ მქონდა წაკითხული. იმავე საღამოს დავჯექი ბუხართან და დავიწყე კითხვა. ერთი სულის ამოთქმით წავიკითხე ეს საკმაოდ დიდი ნაწარმოები.*

*ამ ბოლო ხანებში ამეკვიატა ჩვევა: თუ რამე მომეწონება ქართული პროზიდან, ეგრევე ვთარგმნი ხოლმე რუსულად. როგორი წარმატებული გამომდის თარგმანი, არ ვიცი, მაგრამ თვით პროცესი მანიჭებს დიდ სიამოვნებას. დავიწყე ამ წიგნის თარგმნაც, მაგრამ მალე მივხვდი, რომ „პაემანი ვერაზე" იმდენად სპეციფიური ნაწარმოებია, იმდენად ქალაქური და*

გენოტიპი უთუოდ პოეტს გულისხმობდა"... „თბილისის ქუჩებს კარგად ახსოვთ მისი ნერვიული ნაბიჯები". ქართული მხატვრული სიტყვის „მონყალების ძმა" იყო, კრიტიკული აზროვნების „სვეტიცხოველი" და ასეთი ლექსის ნერაც ხელენიფებოდა (გალასადმი): „...როგორც ქალნულის თვალები ღია — მიმზერდა ზეცის ლურჯი ტატნობი და რიგში იდგა 13 ტყვია — ცამეტჯერ შენი გულის გამპობი.

...დარჩება მნველი გრძნობის სათავე და შმაგ ოცნების ოქროს ჯავარი, შენ ქართულ სევდის ხარ მესაფლავე და ახალ ლექსის მამამთავარი" (გ.ა. ლიტმუზეუმი. ფ. 027227).

რაინდი იყო.

ქართული მნერლობის დესპანი: უნდოდა, დაენერა ნიგნი, როგორ და რაზე იცინოდნენ ძველ საქართველოში. მასზე უკეთ ვერავინ ჩანვდებოდა იმასაც — რა ატირებთ დღეს ახალ საქართველოში.

დაუდეგარი ხასიათი ჰქონდა.

ხომ გითხარით, ერთხელ, „კირიჩნზე" მე-4 სართულზე, ამნეკრანით, ფანჯრიდან მიართვა ვარდები ნანი ბრეგვაძეს (?!)

...სარეცელს მიჯაჭვულს, სიკვდილის ნინ, კალმის მეგობრებმა სთხოვეს, გოგლა ლეონიძეზე ნერილი დაგვინერეო!

— თქვენ დანერეთ და მე ნავიღებო! — იხუმრა და სიკვდილს თვალი გაუსნორა.

ეს ცნობილმა არქიტექტორმა და ტანმოვარჯიშემ, ვერელმა ნოდარ მგალობლიშვილმა გაიხსენა.

აბა, ერთი ისიც იყო — ნამდვილ-თბილისური ბოჰემა! ერთხელ, ვერის ხიდის მოაჯირზე, ამ ძახილის ნიშანივით გაჭიმა ყირა! ჯერ თბილისს არ ახსოვს, ასე აგდებულად დაეხედა ვინმეს მტკვრისათვის ზემოდან!

ან ის რა იყო, „ნაგანის" „ბარაბანში" ერთი ტყვია რომ ჩადო, დანარჩენი ცარიელი დატოვა, „რულეტკა" დაატრიალა და თავი ბედს მიანდო?!... ამ ცხოვრებასთან განშორება... კი გრიგოლ აბაშიძის ლექსს: „ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები... არარსებულთან შესაერთებლად — სულმოუთქმელად მივექანები..."

<u>დრამატურგი რეზო კლდიაშვილი. „ზარატუსტრას ჟამი"</u>

ზარატუსტრა: რას აკეთებს ბერი ტყეში მარტოობაში?

ბერი — ვთხზავ საგალობლებს, ვგალობ, ვიცინი, ვტირი, ვბუტბუტებ... ასე ვადიდებ ჩემს ღმერთს!

ზარატუსტრა: ადამიანში უფრო მეტია მაიმუნი, ვიდრე თვით მაიმუნში.

ჩართვა: აქვე, უავტოროდ მახსენდება მფრინავი ფრაზა: ადამიანის გაჩენისათვის, დედას გიტირებთ, მაიმუნებო!

* * *

ფოლკლორისტიკაში პოეზიის საცრემლე უბანს „ხმით ნატირლები" ჰქვია, რომელთა ავტორები ინოდებიან, როგორც „მგოსანნი გლოვისანი".

---

*ციცერონ მარკ ტულიუსი: მოსამართლე მოლაპარაკე კანონია. კანონი კი — მუნჯი მოსამართლე.*

*ნინილებს შემოდგომაზე ითვლიან — უკანასკნელ დღეებს კი... სიბერეში.*

*პლატონი: ნიგნი მუნჯი მასნავლებელია.*

„მზე რომ ზღვად შეეიდოდა"... მზის ჩასვლის შემდეგ ტირილი აეის მომასწავებელი იყო!

ზემო ალვანში, ბახტარაშეილების ოჯახს შვილის ქორწილი ჰქონდა, მეორე ვაჟიშვილი კი შირვანიდან მოასვენეს მამა-ბიძებმა და ქორწილის დამთავრებამდე სოფლის ახლოს დაასვენეს, რომ ლხინი... არ ჩაშლილიყო!

ასეთ დროში და ასეთ ქვეყანაში ჭირიც ლხინია!

სულ ახლახან, თუშეთში, ამხანაგისგან მოკლული 18 წლის ბიჭი დაუტირებია დედას: „კიდევ კარგი, იმან მოგკლა და არა შენ. მკვლელის დედობას — მოკლულის დედობა მირჩევნიაო!"

„... სამარევ, პირი დაიბანე მწუხარე დედის ცრემლებითა,

მინაო, შვილი შამინახე, შენ შემოგჩივი ვედრებითა —

...შენ თოფს ენაცვალოს შენი დაი,

ფარ-ხმალთა, ომში მოღალულთა.

...ხე-ქვანიც ამეტირებინნეს,

ცას-ღრუბელთ ვერა გავაგონე!..."

(ნანული აზიკურის კრებულიდან „ხმით ნატირლები", „კავკასიური სახლი", 2002)

...ბედმა თუ უბედობამ მეც მაქცია ჩვენი თაობის „ხმით ნატირლების" — ნეკროლოგ-მარტიროლოგების მწერლად და ბევრი სევდიანი სიამაყის — სხვისი ჭირის მოზიარედ!

უკანასკნელ გზაზე გამცილებელი სიტყვის ფასი ის გახლავთ, რაც ჩემთვის სამგლოვიარო პროზისა თუ პოეზიის საჯილდაო ქვად, სამარის ქვაზე, გულის ფიცარზე ამოსაკანრ სიბრძნედ იქცა: კაი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც, ვინც იხსენებს!

ეს ჩემეული სენტენცია, საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიბრძნისმეტყველებასთან ერთად, მარადიულ „ქუდად" ახურავს ერთი მადლიანი კაცის (ანზორ ბაბუხადიას) მიერ დაარსებულ გაზეთ „თანადგომის" თავფურცელს!

ასევე, მეამაყება (თუმცა, ღმერთმა დამიფაროს ამისგან!) ჩემზე ახალგაზრდა კოლეგის — დური შენგელიას ძალიან თავგამეტებული, სახალხოდ აღიარებული „ნატვრა" — სიამოვნებით წავიდოდი ამ ქვეყნიდან ჩემი ნეკროლოგის დამწერ კაცზე ადრე, თუ იგი გიზო ნიშნიანიძე იქნებაო!

P. S. მართალი გითხრათ, ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი ჩემს ადგილზეც კი, ისე, როგორც მაშინ, როცა წავიკითხე ვიღაცის მოგონება — როგორ გულით ნატრობდა ერთი კაცი მეორის მაგიერად სიკვდილს და რა სიამოვნებით იღებდა ამას ის უკანასკნელი!..

თბილისურის. რომ მისი თარგმნა არამც თუ ჩემისთანა დილეტანტს, არამედ პროფესიულ მთარგმნელსაც კი გაუჭირდება. მაგრამ, ყოველთვის არის ნებისმიერ წიგნში მარადიული, ზოგად საკაცობრიო თემები სილამაზეზე, სიყვარულზე და ა.შ., რომლებიც ყველასთვის ადვილი მისაწვდომია და, აი, ასეთი რამ ამოვიკითხე: ლურჯთვალება იას წყვეტენ სილამაზის გულისთვის. სიტურფის გარდა სხვა არა აქვს რა დანაშაული". ჩემ მიერ შესრულებული თარგმანი გამოვიდა შემდეგნაირად:

**„Голубоглазую фиалку срывают из-за красоты, только прелесть вменяется ей в вину."**

... 7 იანვარს სუსხიანი, მაგრამ მზიანი ამინდი იდგა კუს ტბაზე. თოვლიანი მთები არანაკლებ ლამაზად გამოიყურებოდნენ, ვიდრე გუშინ გაზაფხულზე — ახლად აყვავებულნი. ხალხიც აქა-იქ ჩანდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა ბატონი გიზო. გადავეხვიეთ ერთმანეთს, მივე-

## კუკიაზე გაზრდილი ბიჭის ოთარ ასლამაზიშვილის ამოშაქრული!

„თითქოს შეუთავსებადია საფლავის ქვის მთლელი და პოეზია, სიკვდილი და სიცოცხლე, დასასრული და დასაწყისი" — წერს პროფესორი ალიკო ცინცაძე, რომელსაც საპატრონოდ მოუტანეს ქვასთან და სიკვდილთან შეჭიდებული მესაფლავე კაცის ლექსები, რომელიც პურიევით გამიყო ამ დალოცვილმა.

„მოსე წინასწარმეტყველს უთქვამს: ყველაფერი ზევიდან იწყებაო!

სოლომონს უთქვამს: გულიდანო!

მარქსს: მუცლიდანო!

აინშტაინს კი უბრძანებია, რომ ყველაფერი ფარდობითიაო!

პოეზია ბევრი მიუსაფრის თავშესაფრად იქცა.

„ვისაც მობეზრდა ტანჯვის ყურება, გაბოზდა... ნაღდი ცხოვრება დაახურდავა კუპიურებად!" — წერდა მესაფლავე და წუთისოფლის სტუმრებს შენდობით ისტუმრებდა, დროს — ლექს-ძეგლებით!

საკუთარ აჩრდილს კი „ძაღლივით უყეფდა"!

წავიდა კაცი და დარჩა ლექსი!

„მამა-ღმერთი, დედა-მიწა, ცა მყარი და ზღვა სამყარო, მიწა-წყალი — წუთისოფლად, დღე და ღამე, მზე და მთვარე — მანათობლად. მისხალ-მისხლად!... შრომა და მე — დამი და მე... მამასისხლად: პური — ხორცად, წყალი — ოფლად, ღვინო — სისხლად, დედა-მშობლად... სიბრძნე — უფლად, ცოდნა — ობლად... და იესო — მახარობლად! (1.07.98)

...ნესტი ალბობს აწჯამებს — დრო ანგარიშს აჯამებს, ლექსს ვინ შეიკედლებს და რა მოუვათ მაჯამებს.

...დილით ხაში — ზედ ლავაში, პურის ყუა (თუ ხმელია)... — ჩემო სქუა, სიზმარივით გადაივლის წუხანდელი პახმელია!

30.11.99. ... დაბადების ჟამი მოსულა... ფართო შარაზე სხვებმა იარონ — ნაბიჭვარ სიტყვის ნაბუშარ ლექსზე მუზებმა უნდა იმშობიარონ.

დანარჩენს პატარა წიგნად გამოცემული მისი „საფლავის ქვებზე დაწერილი ლექსები" გეტყვიან!

* * *

...„აინშტაინზე მეტი ჭკუა ჰქონია, ვისაც რომა ღვინო მოუგონია!" — მღერიან თბილისში ყაწწების ტრიალის დროს, მაგრამ მისი ბიჭობა კაცობაში გამოჩნდა. დანახვის და გაგების სიხარული ბუნების ყველაზე შესანიშნავი ნიჭიაო — უთქვამს.

ეს, ალბათ, ღმერთის ხილვის ტოლფასია.

მეორე „ტვინიკოსს", სამყაროს მესაიდუმლეს ნილს ბორს სწორედ გაოცების ნიჭმა ათქმევინა: საგანთა ბუნების კვლევის დროს ისეთ კანონზომიერებებს ვაწყდები... შეუძლებელია, აქ ვიღაცის ხელი არ ერიოსო. ამ ნაცვალსახელში, აშკარად, უზენაესი ჰყავს ნავარაუდევი მის მისტიკურ უხილავ ხილვებში.

ადამიანი ფასდება იმით, რამდენად, როგორ, რა აზრით შეძლო საკუთარი „მე"-სგან განთავისუფლება.

*ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი: არასოდეს არ არის გვიანი, რომ საკუთარ თავს შეეკითხო: საქმეებითა ვარ მე დაკავებული თუ სისულელეებით? (მეტი საქმე არა მაქვს!... როცა საქმე ყელამდეა, შენც ყელამდე გაქვს სული ამოსული და მაინც ხმას ვერ იღებ, ჯობია, ისევ კალამი აწრიპინო – გ.ნ.)*

ბორის კუზნეცოვი:

ბუნება წყვდიადში იყო, როცა ღმერთმა თქვა — იქმნას ნიუტონი და იქმნა ნათელი!

ეს თეთრი ლექსი კი აინშტაინის ფარდობითობის თეორიის გამოჩენისა და ნიუტონისეული მექანიკის ამოსავალი იდეების უარყოფის შემდეგ დაინერა: ეშმაკმა თქვა — იქმნას აინშტაინი და ყველაფერი ისევ... წყვდიადმა მოიცვა!

ეს ხუმრობა საკმაოდ გავრცელებულ აზრს გამოხატავდა.

...სპინოზას „ათეისტების თავადს" ეძახდნენ.

„მაპატიეთ — ნასჩურჩულა მან ღმერთს, — მაგრამ მე ეფიქრობ, ჩვენ შორის დარჩეს და, თქვენ, მგონი, არ არსებობთ".

აინშტაინიც თავს ახასიათებდა, როგორც არამორწმუნეთაგან ყველაზე რელიგიურს"!

დოსტოევსკი უფრო მეტს მაძლევს, ვიდრე გაუსიო.

ჩართვა: თეოდორე დოსტოევსკის კი ასეთი სიბრძნე აქვს ნათქვამი ადამიანებისათვის: თუ კაცობრიობას სადმე, ოდესმე დაჭირდეს საბუთი მისი არსებობის გასამართლებლად, მას შეუძლია, აიღოს და მაგიდაზე დადოს სერვანტესის დონ-კიხოტი!

დიახ, ეს ქვეყანა ღირს ამ წიგნად და ეს წიგნი, ამ ქვეყნად!

მორალური ინტუიციით, დიდი მეცნიერისათვის ერთობ მახლობელი გახდა მწუხარე სახის რაინდი. აინშტაინის რაციონალიზმიც „სიცხადისაკენ გაქცევა" იყო.

აინშტაინისეული გაგებით, ინტუიცია მეცნიერულ და მხატვრულ შემოქმედებას აახლოებს. ძაღლები და პატარა ბავშვები კარგად არჩევენ ერთმანეთისაგან კეთილ და ბოროტ ადამიანებს.

## ამხანაგი დეზდემონა

კულტსაგანმანათლებლო დანესებულების მუშაკთა კულტურის სახლის მხატვრული თვითშემოქმედების აქტივისტები დიდ სამზადისში იყვნენ ქალთა საერთაშორისო დღის – 8 მარტის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ყველაფერი ისე თანაბარზომიერად მიმდინარეობდა, როგორი გეგმაზომიერებითაც იყო თავიდანვე გათვალისწინებული, მაგრამ რაღაცა მაინც გამორჩათ, რაღაცა მაინც არც მთლად ისე გამოიყურებოდა აქ, როგორც ჯერ არს, და ამის შესახებ უსათუოდ ითქმებოდა იქ, სადაც ჯერ არს.

საქმე ის გახლდათ, რომ კულტსაგანმანათლე-

*ლოცეთ შობა-ახალი წელი და გადავწყვიტე რა, რომ მისთვის მესიამოვნებინა, ვეთხარი: ბატონო გიზო, ერთი ლექსის სტროფს წაგიკითხავ და თუ გამოიცნობ, ვისი დაწერილია-მეთქი..* **„Голубоглазую фиалку срывают из-за красоты, только прелесть вменяется ей в вину."** *მივხვდი, რომ უცბად ვერ აღიქვა ნათქვამი და გავუმეორე. ბატონო გოგი, ჩემ გულთან ახლო ერთობ კარგი სიტყვებია, მაგრამ კარგად ვერ ვიხსენებ, ვისია. მაშინ ქართულად წავუკითხე. მისი უნაკლო მეხსიერების პატრონმა ვერც ახლა გაიხსენა, ვისი სიტყვები იყო (ყველაფერი ხდება!)*

*— თქვენია, ბატონო გიზო, თქვენი! — ვუთხარი მე.*

*გაიღიმა, მადლობა გადამიხადა და მარტომ გააგრძელა გზა.*

*გავიდა ერთი ხანი. ვიჯექი პავილიონში და შევექცეოდი ქეთინოს მიერ მოდუღებულ ყავას. ჩემდა მოულოდნელად მომიახლოვდა ბატონი გიზო და მითხრა:*

*— ჩემო გოგი! ამ რამდენიმე დღის*

ბლო დანესებულების მუშაკთა კულტურის სახლის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთავარი გამწევი ძალა – დრამწრე 8 მარტისთვის ამზადებდა სრულიად შეუფერებელ რეპერტუარს, და არა თუ შეუფერებელს, მე ვიტყოდი ამ დღის საერთაშორისო ხასიათისთვის სრულიად საწინააღმდეგოსა და მიუღებელსაც კი – შექსპირის „ოტელოს!"

გესმით, ქალთა დღეს „ოტელო?!" ამ დღეს კაცს რა ხელი მოუბრუნდება დაახრჩოს ქალი?

— თქვენ ხომ არ შეიშალეთ?.. სრულიად დამსახურებულად დაუღრიალა კულტურის სახლის დირექტორმა თვითმოქმედ ოტელოს, — შენ რა გენაღვლება, ბიძია, მიახრჩობ იმ ქალს და წახვალ სახლში... მე კი ასეთი სკანდალური საღამო-კონცერტისათვის შეიძლება იქეთ მიმახსნან და მიმაღრჩონ კიდეც.

იფიქრეს, იფიქრეს. ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, ბოლოს და ბოლოს, ხომ ვერ ჩაშლიდნენ ღონისძიებას? მოსაწვევები დარიგებული იყო, ხალხი – მოპატიჟებული, პროგრამები – დაბეჭდილი და „ოტელო" შიგ გაჯგიმული. ჯერ იფიქრეს სულ ამოეღოთ პიესიდან მე-5 აქტი, სადაც დეზდემონას გარდაცვალების სცენაა. მერე იფიქრეს, სხვანაირად შეერბილებინათ მოქმედება. იყო ასეთი აზრიც, მსუბუქ ყოფაქცევაში ეჭვმიტანილ სენატორ ბარბანციოს ქალიშვილს პირიქით, თვითონ დაეხრჩო ოტელო (ქალთა დღის აღსანიშნავად), მაგრამ ამაზე თავი მოიკლა და არაფრით არ დათანხმდა ოტელო, მაგი მასე არ წერიაო იქო.

მერე, მავრმა თვითონ შეიწუხა თავი და მშვენიერი ვარიანტი შესთავაზა დრამწრის კოლექტივს, რომელმაც თავის კრებაზე განიხილა წინადადებება, მოიწონა და შეუთანხმა კულტურის სახლის დირექციასა და ადგილკომს.

...და, აი, მეხუთე მოქმედებაც!.. მეორე სურათი.

დეზდემონა საწოლში იზმორება, ანთია კარტოფილის სანთლები, შემოდის ოტელო...

დეზდემონა: ეს შენ ხარ, ოტელო?

ოტელო: შენ ეს მითხარი, ძილის წინ თუ ილოცე, დეზდემონა?

დეზდემონა: აპა, არა?

...და, სწორედ ამ მომენტში, ოტელომ, იმის მაგივრად, რომ მივარდნილიყო დეზდემონასთან და მოქცეულიყო ისე, როგორც პიესაშია, მიატოვა საწოლში დეზდემონა, გამოვიდა ავანსცენაზე, დადგა მომხსენებელივით და, დრამწრის საერთო კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, წარმოთქვა მოკლე სიტყვა:

— პატივცემულო ამხანაგებო! ვიდრემდე წახვალთ, მათქმევინეთ ორიოდ სიტყვა... ამხანაგებო, ვიდრე დეზდემონას დახრჩობაზე გადავიდოდე, ნება მიბოძეთ, დირექციისა და ადგილკომის სახელით მივულოცო მას... და თქვენც, პატივცემულო ამხანაგო ქალებო, ქალთა საერთაშორისო დღე – 8 მარტი და გადავცე ფასიანი საჩუქარი — იმპორტული ცხვირსახოცების კომპლექტი! ამის თქმა და იგრიალა ტაშმა! (ამ გრიალში კი ვიღას ახსოვდა დეზდემონა!)

---

*ყველა გზა რომში მიდის და კუჭზე გადის.*

*მიგელ დე სერვანტეს სააავედრა: მთავარი არაა ის, თუ ვინ გაგაჩინა, არამედ ის, თუ ვისთან მეგობრობ.*

*ინგლისური ანდაზა: რანაირადაც მეგობარს ირჩევ, მწერალიცა და წიგნიც ისეთი ამოირჩიეთ.*

...შეიძლება, ერთი გადაბრუნება, შექსპირი კი გადაბრუნდა საფლავში, მაგრამ (რა ვუყოთ მერე, ყველას ხომ ვერ ასიამოვნებ!) კულტურის სახლის დირექტორი და ხალხი კი ძალიან კმაყოფილი დარჩა.

## ბუნების მეფის

### (პ ი რ ა დ ა დ)

— მე თუ მკითხავთ, ზოგიერთი ადამიანი მხეცზე უარესია!

— ?!

— ახლა მოგიყვებით, ვინ სად და როდის თქვა ეს. ოღონდ, ცოტა ტვინსაჭყლეტი ამბავია და თანმიმდევრობას ნუ მომთხოვთ.

მოგეხსენებათ, ამბის, ჯერ, დანყებაა ძნელი, მერე — დამთავრება. ამ ნინადადებით კი იგი არც ინყება და არც მთავრდება. ზემოხსენებული პირველი ფრაზა ჰაერში იმიტომ გამოვკიდეთ, რომ ეს ტყვიასავით ნასროლი სიტყვა მოთხრობის დედააზრია და მისი თავი და ბოლო. ამიტომ, არაფერი გვიჭირს, ცოტა თავი შევინუხოთ და თავიდანვე დავიმახსოვროთ.

...მაშ, ასე, კვირა დღეა! თქვენ იცით, რისთვის აქვს ღმერთს გამოყოფილი ეს დღე. სამყაროს შექმნის მეექვსე დღეს გაჩნდა ადამიანი და, იღბალი რომ ექნება კაცს, ღმერთმა მეშვიდე დღეს უქმე დაანესა.

მამაზეციერის ამ საბედისნერო შეცდომაში უნდა ვეძიოთ მიზეზი იმისა, რომ ასეთ ფუფუნებაში ზოგი შეეჩვეია უქმად ყოფნას და უქმად ატარებს მთელ ცხოვრებას, ზოგს კი, ნება რომ მისცე, სულ გააუქმებდა უქმეს, რადგან დასვენება, საერთოდ არ იცის, რა არის.

მოკლედ, უქმესაც მიჩვევა უნდა, თურმე და უქმად ყოფნასაც.

ამ დღეს ქალაქი გამოდის სახლიდან და გადის ქუჩაში — შედის ან რესტორანში, ან ბაღში.

თბილისში რამდენიც ბაღია, იმდენი კულტურისა და დასვენებისაა. აირჩიე და მიბრძანდი, ბატონო!

ჰოდა, რადგან ასარჩევადაა საქმე, თუმცა, არც კულტურისაა, არც დასვენების, მაგრამ მე ყოველთვის ზოოლოგიურ პარკს ვარჩევ. არ არსებობს უფრო მოსვენებული და ნყნარი ადგილი, ვიდრე სამხეცის ბაღია! აქ მხეცები არ ღრიალებენ, როგორც ჯუნგლებში და ადამიანებიც ერიდებიან ღრიალს.

წინ გამეღვიძა დილის 5 საათზე. თავში ათასნაირი აზრი მიტრიალებდა და ბოლოს ჩამოყალიბდა შემდეგი სტროფი: ყვავილი — დაფრენილი პეპელა, პეპელა — გაფრენილი ყვავილი. მალიან ვეცადე, მეთარგმნა რუსულად, მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე და იქნებ შენ სცადო!

— ბატონო გიზო, ახლა არ ვარ შესაბამის განწყობაზე, ამიტომ დავიმახსოვრებ ამ სტროფს და თუ შევძელი ნორმალურად თარგმნა, აუცილებლად დაგიკავშირდებით — ვუთხარი მე.

ტბის გარშემო სიარულისას თავში ამეკვიატა ეს სტროფი, მაგრამ ვერაფრით მოვახერხე მესაფერისი რუსული სიტყვების მოძებნა. უკანა გზაზე მომავალი, ეთნოგრაფიულ მუზეუმს რომ მოვუახლოვდი, გონებაში თითქოს გამინათდა, თავში თარგმანი ჩამოყალიბდა, სასწრაფოდ დავურეკე ბატონ გიზოს და ვუთხარი:

— ბატონო გიზო, თუ შეიძლება, ჩაიწერეთ თარგმანი და შემდეგ მითხარით, როგორ მოგეწონებათ: „**Цветок - с небес снизо-**

ზოოპარკში მოდიან დედიანი ბავშვები, ბაბუებიანი შვილიშვილები, ერთი სიტყვით, ვისაც პატრონი ჰყავს. პატარები... სამაიმუნოდ, მშლებლების გარეშე ზოოპარკში არ დაიშვებიან.

მოდიან და მოდიან მოცლილები თუ მოუცლელები, რომლებსაც ხელიხელჩაკიდებული მოჰყავთ, ან პირიქით, რომლებიც ხელიხელჩაკიდებული მოჰყავთ ნორჩებს ცხოველთა ზღაპრულ სამყაროში.

პატარაა ეს ბაღი და, რაც უფრო იზრდება ქალაქი, სულ უფრო პატარავდება. ზოოპარკისათვის ძალიან პატარაა, ზოოკუთხისთვის ძალიან დიდი. რაც გინდოდეთ, ის დაარქვით, რაც არის, ეს არის. მთავარი, ახლა, ეს როდია, მთავარია შთაბეჭდილებები!

დიახ! დაჩიქჩიქობს პონის პატარა ეტლი, რომელშიც, ალბათ, მოზრდილები 16 წელს ზევით არ დაიშვებიან, დგაფუნობენ აუზებში ჰიმალაის თუ ყინულოვანი ოკეანის თეთრი დათვები. ამაზონის თუთიყუშები თვითკრიტიკულად გაჰყვირიან „პოპკა დურაკო", ლაპუნდერებს, მაკაკებს, ჰამადრილებს მაიმუნობაში ეჯიბრებიან მაიმუნი ბიჭები... ექსკურსიამძღოლს კუდში გამოუნასკვავს დიდი თუ პატარა და დაატარებს აღმა-დაღმა. აქ ადამიანებს დიდი გაცნობა არ სჭირდებათ და, რაღაც, განსაკუთრებით თავაზიანებიც მეჩვენებიან...

ბაბუები და შვილიშვილები, როგორც წესია, გზას უთმობენ ბებიებსა და შვილიშვილებს, ისმის გულუბრყვილო აღტაცების შეძახილები და მხიარული პროცესია ნელა მიიწევს წინ.

არავინ ჩქარობს, არავინ უხეშობს, დიახ, სამხეცეში ყველას ისე უჭირავს თავი, როგორც ეს შეშვენის ბუნების მეფეს — ადამიანს!

მე და ჩემმა გადარეულმა შვილიშვილმაც კი (მაინც, ვის ჰგავს ეს მამაძაღლი!), ამჯერად, ყოველგვარი ინცინდენტის გარეშე, ჩამოვუარეთ ზოოლოგიური პარკის ხუთივე განყოფილებას — აკვარიუმ-ტერარიუმს, საფრინველეს, ჩლიქოსნებს, სამაიმუნეს, მტაცებელ ცხოველებს. ვენვიეთ ამაყ ჯიხვ-თხებს, ხალებიან შველს, კავკასიის ირმებს, ანტილოპებს, ქურციკებს, ფოცხვერებს, სიასამურებს, ჭრელ პიჟამაში გამოწყობილ ზებრებს, უზრდელ აქლემებს, რომელნიც ამჯერად სრულიად უმიზეზოდ აფურთხებდნენ გამვლელ-გამომვლელს. მოვინახულეთ ინდოეთის სპილო, მგლები, დათვები, ლომები და ვეფხვები... ჩვენი პლანეტის ფაუნის რამდენი მშვენებაა აქ!

მერე კი კმაყოფილებმა, დაღლილებმა და ჩაფიქრებულებმა, სხვა ბაბუებივითა და შვილიშვილებივით, ცაცხვების ჩრდილს შევაფარეთ თავი. გრძელ მერხზე ჩამოვჯექი და მზითა და შთაბეჭდილებებით გახურებული შუბლი გაქათქათებული ცხვირსახოცით შევიმშრალე.

ესეც ასე, — ჩავედი ანგარიშში, — შვილიშვილის დავალება შესრულებულია... მაგრამ რა მოასწრებს დღეს შეფის დავალების შესრულებას? – დამიდგა თვალწინ ხვალინდელი დღე (ხვალისთვის იუმორისტული მოთხრობა შემიკვეთა რედაქტორმა ჩვენი საზოგადოების ანტიპოდებზე): ეშმაკსაც წაუღია, სად ვნახო ახლა ეს ანტიპოდები? არ დაწერ და შენს გაჭირვებას ბუღალტერიაში, ჯამაგირზე შეატყობო, — ასე მითხრა იმ კაი დედმამიშვილმა. ამის გახსენებაზე, თანდათან გამიფუჭდა ხასიათი.

ძლივს მოვასწარი ყოველივე ამის გაფიქრება, რომ ჩემი შთამომავა-

---

*არისტოტელე: ყველას მეგობარი... არავისი მეგობარი არაა.*

*აბაი კუნანბაევი: ცუდი მეგობარი შენს აჩრდილს ჰგავს. მზიან ამინდში ვერ გაექცევი. მოღრუბლულ დღეს კი ვერსად იპოვი.*

ლი ზოომთაბეჭდილების ურთიერთგაზიარების მიზნით ყელში მნვდა.

— ბაბუ, რატომ არის ლომი დაჭერილი?

მოდი და ელაპარაკე ახლა ამას.

— რა დააშავა ლომმა, ბაბუ?

საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, რადგან ამ დროს სხვა ბავშვებმაც მიატოვეს სილაში თამაში და, სათამაშო ბარებითა და ნერაქვებით შეიარაღებულები, კითხვის ნიშნებივით დამესივნენ.

ჩვენ ხომ პატარებს, ბატონო, ერთი ფეხის ნაბიჯზე არ ვტოვებთ მარტო. ჰოდა, იმათ თავიანთი პატრონებიც მოჰყვნენ და შორიახლო ჩამნერივდნენ. ცოტა არ იყოს, გავბრაზდი კიდეც. ან რა კითხვა იყო, ან რა პასუხი გამეცა?

სახლში გაგცემ მაგის პასუხს-მეთქი, — დავპირდი და დავექადნე ჩემს ვაჟბატონს, მაგრამ ვინ მოგეშვა, მთელი ხროვა მადგა თავზე: ჩვენც ნამოვალთ რა თქვენს სახლშიო, მთხოვეს სხვა ბავშვებმა. სტუმართმოყვარე ოჯახში გაზრდილ ამ ჩემს ლანირაკსაც ჭკუაში დაუჯდა ეს აზრი.

აი, თქვე ცუგრუმელებო-მეთქი, ვცადე, ნაძალადევად გამეხუმრა. სასნრაფოდ შევაფასე მდგომარეობა და მაშინვე შევუდექი ფიქრს, რომ ერთი შეხედვით ამ მეტად მარტივ კითხვაზე აქვე გამეცა ამომნურავი პასუხი.

ამ ღლაპებთან რაღაცას როგორ ვერ მოვახერხებდი, მაგრამ, როგორც შევატყვე, ასეთივე დიდი ინტერესით მოელოდნენ პასუხს მათი მხლებლებიც, რაც კიდევ უფრო ართულებდა საქმეს. მოკლედ, დავიბენი კაცი! მაგრამ იღბალი თუ გაქვს, არ დაიკარგები. სად იყო და სად არა, ამ დროს ვოლიერის კარები გაიღო და იქედან მხეცების მომვლელი ქალი გამოვიდა ტომრებითა და ნყლის ცარიელი ჭურჭლის რახარუხით. ჩვენ რომ გაგვისნორდა, ავდექი, ჩემი გაჭირვება ვუთხარი, ეს კითხვა გადავულოცე და დიდ ზურგიან სკამზე მონინებით დავუთმე ადგილი.

ის ქალი ასეთ საქმეში განაფული ჩანდა. მოხერხებულად ჩაჯდა ბავშვებში და ნორჩი ნატურალისტებისათვის სრულიად საკმარის დონეზე გვარიანი ლექცია-საუბარი ჩაატარა.

უფროსებმა ვუტიეთ და მეზობელ მერხზე მოვკალათდით.

ამრიგად, ჩვენს კორპორაციაში აღმოჩნდა რამდენიმე ბაბუა და ერთი სიმპათიური ახალგაზრდა ბებია.

კარგა ხანს საუბარს პირი არ გაეხსნა. თუმცა, იგრძნობოდა, რომ ყველა ჩვენგანი აპირებდა მე-

**шедшая бабочка, бабочка - улетевший цветок."**

*— კარგი, გოგო! ძალიან კარგია. მაგრამ თინაკო გვთავაზობს* **„улетевший"** *კი არა, არამედ* **„пархающий"** *და მეც ვფიქრობ, რომ ეს უფრო მიმზიდველი სიტყვაა.*

*— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — მივუგე მე და საბოლოო ვარიანტი ასე ჩამოყალიბდა:* **„Цветок - с небес снизошедшая бабочка, бабочка - пархающий цветок."**

*ცხოვრება გაძლებაზეა —*

*ვინ მოითვლის, რამდენი რაუნდია!...*

*ამ ორთაბრძოლასა და დროის სრბოლაში...*

*მეტოქეს გაუშინაურდი!*

*ვით თქვას მობილმა მშობელი —*

*ღირსობა ან უღირსობა —*

*აქ — ჰქვია წუთისოფელი,*

*იქ — ჰქვია მარადისობა!*

*გენები ადამიანის მატერიალური ხა-*

ზობლებთან გამოლაპარაკებას, პირზე ჰქონდა მომდგარი სიტყვა და სტარტს ელოდებოდა. და აი, ისიც, ე.წ. სასტარტო რეპლიკა, რომელმაც დიდი „დაკადაკა" გამოიწვია.

— ისე, სხვათა შორის, ბავშვმა სრულიად სწორი შეკითხვა დასვა, — წამოიწყო ერთმა ბაბუამ, რომლის რქის დიდი სათვალე აშკარად მეტყველებდა მის, დიდ განსწავლულობაზე თუ არა, ნაკითხობაზე მაინც.

— შეკითხვა სწორია, ჩემო ბატონო, მაგრამ სწორი პასუხის გაცემაა ცოტა ძნელი, — მოვძებნე ამ შემთხვევისთვის ყველაზე სწორი პასუხი.

— მართლაც-და, რა დააშავეს ამ საცოდავებმა ასეთი, სამუდამო ტყვეობა რომ მივუსაჯეთ ადამიანებმა?

უკვე სადილობის დრო იყო მოტანებული და ასეთი ფილოსოფიური დიალოგისათვის არ ვიყავი მზად. იგი კი დინჯად და უაღრესად სერიოზულად განაგრძობდა.

— უძველესი შუმერული მითით, სამოთხეში, რომელიც არც ისე შორს, აგერ სპარსეთში უნდა ყოფილიყო, ფიქრობდნენ, რომ ადამიანები და მხეცები ერთად იცხოვრებდნენ... სრული თანხმობითა და სიმშვიდით.

ჩვენ, ქართველები, „ვეფხისა და მოყმის" ბალადაზე ვართ გაზრდილი და ასეთი გმირული ეპოსით ნასაზრდოებ ხალხს ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, — დასძინა განათლებულმა ბაბუამ და იმ ერთადერთ სიმპათიურ ბებიას გადახედა.

ამ დროს ზოოპარკის თანამშრომელმა ტრიუმფით დაამთავრა თავისი ლექცია-მოხსენება ბავშვებთან და ახლა ჩვენ გადმოგვხედა მწყალობელი თვალით, სხვა ხომ არაფერი გიჭირთო.

სათვალიანმა კაცმა მაშინვე სტაცა ხელი.

— მითხარით, გეთაყვა, მაშინ თქვენ აქ მუშაობდით, გალიიდან ვეფხვი რომ გაიპარა?

ბებია ადგილზე შეხტა და ბავშვს მივარდა.

მომვლელმა ქალმა თავიდან უნდობლად შემოგვხედა, მერე კი მიხვდა, რომ ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა იყო და არა, რევიზია.

— ჰო, ეს დიდი ხნის წინ მოხდა.

...და, აი, როგორ, — გააგრძელა მანვე, ვინც ეს კითხვა დასვა, — გალიის კარები შემთხვევით ღია დარჩენოდათ. ვეფხვი გარეთ გამოსულა და ადმინისტრაციული შენობისკენ გამოჰყოლია გზას... შუადღე ყოფილა, ხალხი ასე, ჩვენსავით, ჩვეულებრივ, დასეირნობდა ბაღში.

ბებიას აშკარად უმტყუნა ნერვებმა. ისე განიცდიდა ამბავს, თითქოს ყველაფერი ახლა ხდებოდა.

— მურთაზიკო, ხელი არ გამიშვა, თორემ, იცოდე, გული გამისკდება... – ისტერიკულად წამოიკივლა მან.

— დამშვიდდით, ქალბატონო, — დაუყვავა მთხრობელმა, — ეს ხომ ძველი ამბავია და, თანაც, სრულიად უწყინარი... ჰოდა, ბავშვებიან ქალს ჩაუარა, თურმე, გვერდით. საოცარი ფსიქოლოგიური შემთხვევაა. დედა-შვილს სრულებითაც არ შეშინებიათ, ალბათ იმიტომ, რომ ზოოპარკში ცხოველის დანახვა ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნია... ეგ კი არა და, ისიც კი მითხრეს, თითქოს ბავშვს გვერდზე ჩავლის დროს ვეფხვის კუდზე ხელი გადაუსვია.

დიახ, არის შემთხვევა, როცა მხეცები არ ერჩიან ადამიანებს...

ერთბაშად ყველამ რაღაც მოწიწება ვიგრძენით ამ კაცის მიმართ.

ტალზე ჰუმანური და დიდად განსწავლული ადამიანი ჩანდა.

ახლა ჩვენი მხრიდანაც საჭირო იყო ხმის გამოღება, რომ ამ რესპექტაბელურ საზოგადოებაში ზედმეტად არ ჩაგვეთვალა თავი.

არც ვაციე — არც ვაცხელე, ზოოპარკის თანამშრომელს მივუბრუნდი და, როგორც ძველ „ნიანგელს", რაღაცნაირად ინფანტილური კითხვა გამომივიდა:

— პო, მართლა, ნიანგი სად არის, როგორ არის?

იმანაც არც აცია, არც აცხელა და ყოველგვარი შეპარების გარეშე მითხრა:

— მოკვდა!

— მოკვდა?... როდის?... – ისე ჭირისუფალივით შევიცხადე, რომ მომვლელი ქალი გულწრფელად შენუხდა, ნეტავ, სულ არ მეთქვაო.

— ასე, 10-12 წელინადი იქნება.

— ღმერთო მომკალი, რას ამბობთ! როგორ?

— ანგინით... უფრო სწორად, მაშინ გათბობა არ გვქონდა და წყალში გაიყინა.

— ჰმ... წარმოგიდგენია, ხალხო, ჩრდილოეთ ამერიკიდან ალიგატორი ჩამოგვიყვანია და აქ ვერ მოვუარეთ... აუჰ, როგორ მეწყინა!

მომვლელმა ქალმა, შესაძლოა დანარჩენებმაც, ნიანგის ჭირისუფლობა ხუმრობად ჩამითვალა და ხუმრობითვე მკითხა – თქვენ ასე რა გაწუხებთო?

— ბიძაშვილ-მამიდაშვილად ვეკუთვნოდით ერთმანეთს, — ვუპასუხე ნახევრად სერიოზულ ტონში და მთლად გადავრიე ხალხი... – ესაა საქმე? ასე ვიკარგებით ნათესავები და ასე გვიან-გვიან ვგებულობთ ერთმანეთის ამბავს!

ეს კი ალბათ, მეტისმეტი მომივიდა. შევატყვე, როგორ გაკვირვებით და ცოტა უნდობლადაც შემომცქეროდნენ. გვერდითა მეზობელმა ნახევარი მეტრით ჩაიჩოჩა სკამზე, თვითონ მხეცების მომვლელი ქალიც კი, რომელიც ლომს ალბათ ხახაში უყოფს ხელს, განზე გადგა და ახლა სრულიად სერიოზულად მკითხა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით, ან ნიანგთან რა გესაქმებათ?

ნორმალური ურთიერთობის აღსადგენად, ახლა ერთადერთი გამოსავალი იყო, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, სწორი პასუხი გამეცა.

— მე, ამხანაგებო, ჟურნალ „ნიანგის" რედაქციაში ვმუშაობ.

როცა ჩემი ვინაობა გავამხილე, ცხადია, ყველა ყველაფერს მიხვდა და ყველამ გულიანად გაიცინა.

— ასე რომ, ნიანგის ბედით დაინტერესებას,

*ფუძველია. ადამიანს 15 000 გენი აქვს.*

*არანაირი, არავითარი ცენზურა არ არსებობს თანამედროვე თამაშებისათვის. 14-15 წლის ბიჭებს მიუწვდება კომპიუტერს და საზარელი ნაციონალიზმით გამორჩეულ ბრძოლას „აწარმოებს", „კლავს", „აწამებს". რამდენი საფრთხე ემუქრებათ ჩვენს პატარებს ბარბის, ტელელიპუტების და რობოტებისაგან. ეზრდით მანიაკებს და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს. მე-20 საუკუნის შუა წლებში მისი გაყიდვა გერმანიაში სცადეს „სექსუალურ პარტნიორად" მეზღვაურებისთვის. მაგრამ ამას საზოგადოების აღშფოთება მოჰყვა. სათამაშოს ემიგრაცია ამერიკაში მოუხდა, სადაც ზომებში დაპატარავდა, სახელი გამოიცვალა, თუმცა, „სექს-ბომბის" გარეგნობა შეინარჩუნა.*

*გაზ. „ლს",*
*2000 წელი*

*ცნობილი რუსი მომღერალი ალა პუგაჩოვა საცხოვრებლად, თურმე, კიევ-*

ვფიქრობ, პროტექციონიზმში არ ჩამომართმევთ, — გადავხედე მეზობლებს, — ბოლოს და ბოლოს, ერთადერთი ნათესავი ვყავდით იმ უბედურს თბილისში.

ეს ხუმრობაც ჩამეთვალა და საუბარი ისევ სერიოზულ კალაპოტში ჩადგა. სიტყვა კვლავ (ჩვენ შორის ყველაზე მცოდნედ აღიარებულმა) დიდსათვალიანმა აიღო.

— ადამიანისა და მხეცის ურთიერთობაზე ათასი საოცარი ლეგენდა და, მე ვიტყოდი, არანაკლებ საოცარი ლეგენდარული სინამდვილე არსებობს. ნუ წავალთ შორს. მე თვითონ ვიყავი მოწმე, უკანასკნელი საგასტროლო მოგზაურობის დროს (თუ არ ვცდები, ეს იყო 1967 წლის 8 აპრილს, მგონი დღეც კი მახსოვს ზუსტად) ცნობილმა მომთვინიერებელმა ქალმა ირინა ბუგრიმოვამ თავისი საყვარელი ლომი „დემონი" რომ დატოვა თბილისში და სწორედ ამ ზოოპარკს ჩააბარა.

დიდიან-პატარიანად სულგანაბული ვუსმენდით.

— მე ლიტერატორი არ გახლავართ, — ჩემკენ გამოიხედა, — ფსიქოლოგიის დარგში ვმოღვაწეობ და გამიჭირდება იმის აღწერა, რაც მაშინ ვნახე და განვიცადე. თუმცა, ალბათ, ეს არც ისე ძნელი წარმოსადგენი უნდა იყოს. ლომთან გამომშვიდობებისას ეს უშიშარი რაინდი ქალი ბავშვივით ტიროდა და, ღმერთია მოწამე, ჩემი თვალით ვნახე, როგორ ტიროდა ყველა, ვინც ამ სურათს შეესწრო... ზოგი მალავდა, ზოგი ვერ მალავდა ცრემლს.

— რომელი „დემონი", ახლა რომ ზაფხულის ვოლიერშია?.. – დაინტერესდა ერთ-ერთი ჩვენგანი.

— დიახ, სწორედ აი, იმ „დემონზე" მოგახსენებთ, რომელიც ახლა ჩვენ მტაცებელთა განყოფილებაში ვნახეთ.

— მართალია... პირველ ხანებში საჭმელს პირს არ აკარებდა, — დაემოწმა მომვლელი ქალი, მერე სინანულით გადააქნია თავი და ოცნებაში წასულები ციდან მიწაზე დაგვანარცხა, — ეჰ, სულ დაბერდა ჩვენი „დემონი" და ახლა ტვინი წაიღო იმაზე ფიქრმა – რა უქნან?.. არ იციან, როგორ ჩამოწერონ.

ჩვენ, ყველამ, ერთმანეთს გადავხედეთ. ფსიქოლოგმა ტაქტიკური პაუზით გაისტუმრა ეს ქალი თავის გზაზე და მსჯელობის ეტაპის დასკვნით ნაწილში ხელის ჩაქნევით დასვა წერტილი.

— აი, ხომ ხედავთ?! ჩვენ კი, ადამიანები, იმაზე უფრო მეტს ვფიქრობთ, როგორ ჩამოვწეროთ ლომი!

ისევ პაუზა ჩამოწვა, საკმაოდ ხანგრძლივი და ათასნაირი ფიქრის ბურუსში და კორიანტელში არეული.

საუბარს სრულიად გარკვეული „პროფილი" მიეცა, მაგრამ, არც არის გასაკვირი, რომ ამ პატარა ჯგუფშიც კი ყველა ამ მიმართულების მიმდევარი არ აღმოჩნდა.

— მართლაც, უცნაურადაა ეს ქვეყანა მოწყობილი, — ჩაეჩხირა ლაპარაკში კიდევ ერთი მოქალაქე თუ მოლაქლაქე და, რას ერჩი, სრულიად კეთილშობილური მიზნით — საუბრის გასახალისებლად იმანაც თავისი სათქმელი თქვა:

— ზამთარში, თურმე, ამ ჩვენს სპილოს, გასახურებლად, დღეში ერთი ლიტრა არაყი ეკუთვნის. დაურტყამს დილით 0,75-ს და სალამი ჯუნგლებიდან! არის მხეცივით.

---

*მიშელ დე მონტენი: დიდი მეგობრობა (ხანდახან) დიდ მტრობას ბადებს.*

— როგორ, ალკოჰოლიკია?... — შენუხდა ჩვენი კამპანიის ერთადერთი ბებია, — ეს როგორ შეიძლება, აქ ბავშვები დადიან, ქალები... ნარმოგიდგენიათ მთვრალი სპილო?

— ეჰეჰეჰე... მაგისთვის ერთი ვედრო არაყი ასი გრამია... ერთი ლიტრა, ქალბატონო, მაგას კი არა, მე ვერაფერს მიშვება, — კომპეტენტურად განაცხადა ამ ცნობის მომნოდებელმა.

ასეთ პასაჟს არავინ მოელოდა. რა შუაში იყო ახლა სპილოს და არყის ეს სასაცილო ამბავი?

არაფერში ისე არ ვლინდება კაცის ბუნება, როგორც იმაში, თუ რაზე იცინის. ჰოდა, თუმცა მის ყბედობაზე, ალბათ, ყველას გაეღიმა მაინც, პირზე არავინ გაიკარა სიცილი.

კაცმა რომ თქვას, მართალია, ჩვენი შეხვედრა არ იყო დაგეგმილი, მას ვერც სიმპოზიუმს დაარქმევდი, ვერც კოლოქვიუმს და ვერც რაიმე სხვა ოფიციალურ სახელს, მაგრამ სტიქიურად შეკრებილი ხალხის საუბრის თემა, როგორც ხედავთ, მეტად სერიოზულ საკითხს ეხებოდა და ამის ასე გაპამპულება არავის ეკადრებოდა... აკი, მოგახსენეთ, მსჯელობამ სრულიად გარკვეული სახე და მიმართულება მიიღო. ამ მიმართულებით თუ იტყოდი კაცი რამეს, თუ არა და ვინ გექაჩებოდა ენაზე.

და, მე, ნონასნორობის აღსადგენად, სნორედ ამ მიმართულებით მივეცი გეზი საუბარს. ჩემი აზრით, ერთობ საინტერესო ეპიზოდი გამახსენდა, რის მოსაყოლადაც უკეთეს დროსა და ადგილს ჩემს სიცოცხლეში ვერ ვიპოვიდი.

— სურვილი თუ გაქვთ, ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით, — ვუთხარი მეზობლებს, რადგან ვიცოდი, მოსაყოლი ღირდა მათ ყურადღებად. — ამას ნინათ, მივლინებით გახლდით მოსკოვში. ერთი საბავშვო ჟურნალის დაკვეთით, მხეცების ცნობილი მომთვინიერებლის — დუროვის სახლ-მუზეუმს ვენვიე. თქვენ ალბათ გსმენიათ ან იცით ამ სახლის შესახებ. ეს სახლი ადამიანისა და ცხოველთა სამყაროს ურთიერთობის მართლაც იშვიათი ძეგლია.

ახლა თავს არ შეგანყენთ ყველაფრის მოყოლით, ნერილი მალე დაისტამბება. ყოველ შემთხვევაში, სათაური უკვე მზად მაქვს, შეგიძლიათ, ადევნოთ თვალი — „ბაბუა დუროვის საკვირველებანი!"... ბავშვებს მაინც ნაუკითხეთ, — გამოვიჩინე მინიმალური თავმდაბლობა. აქ, ამ სახლში, არის პატარა თეატრიც. აქვეა მუზეუმიც ბაბუა დუროვის მხეცებისა და ფრინველების ფიტულებით, რომელთაც ჩვენ ჯერ კიდევ ბავშვობაში შევხვედრივართ თბილისის ცირკში. ერთი სიტყვით,

მი აპირებს გადასვლას. რუსული ესტრადის პრიმადონა რუსეთში ყველა კაზინოს დაკეტვამ გაანაწყენა.

ყანი სახარულიძე:

ქართლის კასრაძე!

ნიაზ დიასამიძის და ქართლის კასრაძის ერთ-ერთი შეხვედრის სტოპ-კადრი!

— პრივეტ, ნიაზ, დარაგოი, კაკ ჟიზნ, მალადაი?

— შენ რა, ბოლო გაკვეთილი რუსული გქონდა?

— ნიაზ, აი აქ, მარცხენა ლოყაზე, წვერი აღარ ამომდის.

— ეეე, რახან შენ „სკრიპკაზე" უკრავდი!

ერთხელ, ნოდარ დუმბაძემ სიყვარელიას და მოფერებით უთხრა: „ძამა! ნიჭიერი კი ხარ, მარა გიჟი ხარ, ნორმალურობის ცნობას თუ არ მომიტან, არც სამსახურში მიგიღებ და არც აღარაფერს დაგიბეჭდავო!"

გავიდა რამდენიმე დღე, გაიღო ჩემი კაბინეტის კარი და მაგიდაზე დაფრიალდა „ათასბეჭედდარტყმული" დიდი ბლანკი: „ასათიანის სახელობის ფსიქი-

სასნაულების სამყაროში მოვხვდი.

ამ სახლში, სხვებთან ერთად, კიდევ ერთი, მართლაც ულამაზესი, ენით აუწერელი სასწაული ვნახე და ახლა სწორედ ამაზე მინდა, გესაუბროთ:

... მუზეუმი დუროვის ქალიშვილმა დამათვალიერებინა. იშვიათი ადამიანია. დავყვებოდი ამ საოცარ ქალს, ინტერესით ვუსმენდი და ბავშვივით ფართოდ გახელილი თვალებით შევცქეროდი ექსპოზიციას. მან დარბაზის ერთ კუთხეში ხელით შემაჩერა. აქ განსაკუთრებული ვერაფერი შევნიშნე და ამიტომ, არც განსაკუთრებული ინტერესი გამომიჩენია იმ ექსპონატების მიმართ, რომლის წინაც ვიდექი. ეს შეამჩნია მასპინძელმა და რაღაც სევდიანი (მე ასე მომეჩვენა) ღიმილით მითხრა:

— აქ უნდა შევჩერდეთ... — მოსამსახურე ქალს დაუძახა და სინათლე ჩაართვევინა.

გაჩახჩახებულ ვიტრინაში ამაყად იდგა დიდი, თეთრი წერო და თვალი ცისკენ ეჭირა.

— დააკვირდით ამ წეროს. იგი ჩვენი ოჯახის უსაყვარლესი წევრია.

მაინც ვერაფერს მივხვდი.

— მოხარული ვიქნებოდი, რომ იგი აქ არ იდგეს.

— ?!

— თქვენ გახსოვთ მამაჩემის მხეცები!... როგორ არ მინდა, მათ ეს სახელი ვუწოდო! მხეცები კი არა, მამაჩემის დასის მსახიობები. ეს იყო ერთი დიდი ოჯახი, რომელიც დღესაც არ დანგრეულა და, როგორც ხედავთ, ისევე მეგობრულად, ერთ ოჯახად ცხოვრობს. — გაიხსენეთ, რა სანახაობა იყო, რა სპექტაკლი!...

ადამიანის ფანტაზიას არა აქვს საზღვარი.

ერთხელ მამას სამი წერო მოუყვანეს. მას უცნაური აზრი მოუვიდა და მეორე დღესვე შეუდგა წეროების წვრთნას. გადიოდა დრო. დღეები, თვეები... ალბათ წლებიც დასჭირდა იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს...

ჰოდა, დადგა ეს მშვენიერი დღეც — წეროებმა იცეკვეს კადრილი! თქვენ გესმით, რა სილამაზეა ეს?

მთელი ცირკი ემზადებოდა პრემიერისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, პრემიერა არ შედგა.

და, აი, რატომ!

პაპა დუროვი ენდობოდა თავის მხეცებს. ცხოველები ყველაფერს უჯერებდნენ და მასაც სჯეროდა მათი.

ერთ დღეს მამას კვლავ უცნაური აზრი მოუვიდა: გადაწყვიტა წეროები ღია ცის ქვეშ გამოეცადა — გენერალური რეპეტიცია ღია ცის ქვეშ!

ყველანი იქ ვიყავით. უკრავდა მუსიკა და თეთრი წეროები ლაღად სერავდნენ სივრცეს ლურჯი ცის ფონზე. ისინი საოცარი ტაქტით, მწობრად და დიდი გემოვნებით ცეკვავდნენ.

მერე მოხდა საწყენი ამბავი.

წეროები... გაფრინდნენ და აღარ დაბრუნდნენ მიწაზე!

ატყდა ჩოჩქოლი. დავიბნენით. არ ვიცოდით, რა გვექნა. ყველანი უმ-

---

*ინგლისური ანდაზა: დედლის ყიჟილი საქათმეში უბედურების მაცნეა.*

ნეოდ შევყურებდით მამას და ცას!

უნდა გენახათ, როგორ მშვიდად, ყოველგვარი პანიკის გარეშე, რა სიყვარულითა და ალერსით გააყოლა მან თვალი ნეროების გუნდს, როგორც მშობელს შეუძლია, გააცილოს შორ გზაზე თავისი შვილები.

— მშვიდობით, ჩემო კარგებო! — თქვა უფროსმა დუროემა...

მაგრამ, ეს ჯერ კიდევ არ იყო ტრაგედია...

გავიდა წლები. როცა ნეროებს ვიგონებდით, მამა გვეტყოდა ხოლმე — რას იზამ, ჩემო კარგო, თავისუფლება ყველაფერს ჯობია, მათი სახლი ცაშიაო.

ცხოველთა სამყაროს დიდი მესაიდუმლე დუროვი-უფროსი გარდაიცვალა.

დრომ წაიღო ძველი, მათ შორის ნეროების ამბავიც, რომელიც ისე აღარც გვახსოვდა და ისე აღარც გვტკენდა გულს. ბოლოს კი, თითქმის, სულ დაგვავიწყდა.

ერთხელ, ვილაც მონადირე მოვიდა ჩვენს სახლში და... მკვდარი ნერო მოგვიტანა, იქნებ რამეში გამოგადგეთ, კარგი ფიტული გამოვაო.

მართალი გითხრათ, იმ წუთში არავის მოსვლია აზრად, რა უბედურება მოგვიტანა ამ კაცმა.

იგი იყო ერთი ჩვეულებრივი ბრაკონიერი, რომლის მსგავსს, სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი ხვდება ქალაქგარეთ გასეირნების დროს და ხელს არაფერში უშლის.

მაგრამ, აკი გეუბნებით, მაშინ არავინ იცოდა, რა ბოროტი ძღვენი მოგვართვა ამ კაცმა.

როცა მან მორთმეული ძღვენით დიდი აღფრთოვანება ვერ შეგვატყო, ალბათ ამიტომ, საჭიროდ ჩათვალა, ნადირობის ეპიზოდი დაწვრილებით ეამბნა.

და, იცით, რა თქვა?

— ეს, თქვენ, ქალბატონო, უბრალო ნერო არ გეგონოთ... არცერთ მონადირეს არ დაესიზმრება ის, რაც ჩემი თვალით ვნახე...

აქ კი გული შემეკუმშა...

...წარმოიდგინეთ, ერთ ტრიალ მინდორზე სამი თეთრი ნერო აფრინდა. მაშინვე მოვიგლიჯე თოფი მხრიდან, მიზანში ამოვიღე, სასხლეტს თითი შევახე და უცბად თოფს შევეყინე, გავქვავდი კაცი. ასეთი რამ არსად წამიკითხავს, ასეთი რამ ჯერ არ გამიგია, ასეთ სურათს, არ ვიცი, საერთოდ, ვინმე შესწრებია? ნეროები ცეკვავდნენ, აშკარად ცეკვავდნენ!... არ გჯერათ? მე ვნახე. ჩემი თვალით

ატრიული დისპანსერი. ქართლის დავითის ძე კახრაძე არ არის გიჟი! მთავარმა რედაქტორმა უთხრა: ახლა ცნობა მომიტანე, რომ თვითონ ეგ ექიმი თუ ნორმალურიო!

ეს განცხადება მერაბ ქიმშარიამ რუსულ ყოველკვირეულ ჟურნალთან „ვოენნო-პრომიშლენი კურიერთან" საუბრისას გააკეთა:

არ შეიძლება ქართული არმიის ხელახალი შეიარაღება არ მახარებდეს. იმიტომ, რომ ის იარაღი, რომელიც მათთან საზღვარგარეთიდან შემოდის, საბოლოო ჯამში, მაინც ჩვენი კუთვნილება გახდება

„ჯი-ეიჩ-ენი"

**P.S.** არა ერთხელ მითქვამს, რომ მათი მამლობა ჩვენი დედლობის ბრალია!

„ვინც ქარს სთესავს, ის ქარიშხალს მოიმკის!"

(გაიხსენეთ ბაირამი „ტროიკის",

10... წელი 37...

კაკუნი და აღარაფრის იმედი!)

ენახე. სხვას რომ ეთქვა, არც მე დავიჯერებდი. თაეი სიზმარში მეგონა. ბოლო ვირაჟი რომ შემოხაზეს, მაღლა აიჭრნენ და მწკრივში დასწორდნენ. გამოვფხიზლდი, ერთი გასროლა მოვასწარი... მოვკალი. აი, ის ორი კი გაფრინდა.

მასპინძელი დიდხანს მიყურებდა თვალებში და ბოლოს თქვა:

— იმ მონადირემ მართალი თქვა, ღია ცის ქვეშ ასეთი სპექტაკლი, ამ კაცის გარდა, ალბათ, დედამიწის ზურგზე ჯერ არავის უნახავს და ასეთი ტრაგედიაც , ალბათ, ჯერ არ დადგმულა არცერთი თეატრის სცენაზე.

მე დავამთავრე...

“Слышу крик журавлей,

Улетающый в даль...”

ძველი რუსული რომანსი ჩაიღიღინა და მომაბრუნა ჩვენს დღევანდელობაში სათვალიანმა კაცმა:

— ასეა, ჩემო ბატონო... ყოველივე ერთობ საინტერესო იყო. გმადლობთ. თქვენმა მოთხრობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა... დიახ... რა შემიძლია, დავუმატო? — განაახლა საუბარი სათვალიანმა, — იცით, მე ცხოველთა ბიოეკოლოგიის საკითხებში არც ისე გარკვეული გახლავართ, მაგრამ ამჯერად მათი ფსიქიკა მაინტერესებს, — ისევ თავის სფეროში მოიქცია თემა, — შორს ნუ წავალთ, — მიუბრუნდა ლამაზ ბებიას, — როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ზოოპარკის იმ პატარა მოედანმა, რომელიც, დიდი ხანი არ არის, რაც აქ მოეწყო? მელა და ქათამი, ბოცვერი და დათვი! თქვენ გესმით?! არ ერჩიან, არ ულრენენ, არ ჭამენ ერთმანეთს... ადამიანებივით! ზოგიერთი ადამიანი კი... ისე როგორ უნდა გამხეცდეს კაცი, რომ დაამწყვდიონ!

...ბებია დროებით ისევ გამოეთიშა ჩვენს საუბარს, ისევ გამოეწთო თავის გაქცეულ შვილიშვილს. სათვალიანის გვერდით მჯდომმა, გაურკვეველი პროფესიის ჩვენმა თანამოსაუბრემაც, როგორც კი უმანდილოსნოდ დაგვიგულა, საპოლემიკო თემის „შესაფერი" ძველისძველი შემთხვევა გაიხსენა.

— ერთხელ, წყნეთელს, მაწვნით სავსე ხურჯინაკიდებული სახედრით უთენია ჩამოუვლია ციხესთან და იმხელას ყვიროდა, თურმე, ძილი გაუფრთხო პატიმრებს — მაწონი, მაწონიო. ციხიდან ვიღაც დაბოლმილს მიურითმავს — „შენი გვერდში მომწოლიო"... გლეხს ცერად აუხედავს და რკინის კვადრატებიან ფანჯარაზე ცხვირშეჭყლეტილი მუტრუკი რომ დაუნახავს, თოქში, ვიროო! — სახედრისთვის სახრე მოუქნევია, შეჩერებულა და ქვემოდან დაუძახნია: როგორი ჩიტიცა ხარ, ისეთ გალიაშიც ზიხარო.

ძლივს მოვიბრუნეთ სული სიცილისაგან.

— სწორი უთქვამს, იმის მამა ვაცხონე!

— ხალხი ბრძენია.

— ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე 250 წლით ადრე, რომაელმა პოეტმა პლავტემ თქვა: Homo homini lupus est... ადამიანი ადამიანისათვის მგელიაო, — ისევ აიყვანა საუბარი მაღალ რანგში ფსიქოლოგმა, — ეს კაპიტალისტური ჯუნგლების კანონია, ჩვენი მორალური კოდექსით კი ადამიანი ადამიანის ძმა და მეგობარია. ვისაც არ უნდა, ბატონო, იცხოვროს ამ მორალური კოდექსით — მისი ადგილი სწორედ იქ არის! ამას წინათ, გაზეთმა „კომუნისტმა", რუბრიკით „ბუნება და ად-

ამიანი", ერთი საინტერესო წერილი დაბეჭდა, რომელსაც ნამძღვარებული ჰქონდა გოეთეს სიტყვები: ბუნებას ხუმრობა არ უყვარს, იგი მუდამ ალალმართალია, მუდამ სერიოზული... ყოველთვის ზუსტი და დამაჯერებელი. შეცდომები და გაუგებრობანი კი მხოლოდ ადამიანებისაგან მოდის...

ღრმა ფიქრებში წასული „პროფესორი" (შესაძლოა, ყოველგვარი ბრჭყალების გარეშეც!) უცბად გამოერკვა და, აი, სწორედ მაშინ, სწორედ მან, სწორედ აქ ბრძანა ის სიტყვა, რომლითაც დაიწყო ეს მოთხრობა:

— მე თუ მკითხავთ... ზოგიერთი ადამიანი მხეცზე უარესია!

მოკლედ, დიდი შთაბეჭდილებებით დავუბრუნდით მე და ჩემი შვილიშვილი ოჯახს. ამ ფრაზამ სახლამდე მომაცილა, ჩემთან ისადილა, ჩემთან ერთად შეექცა ვახშამს და სამუშაო ოთახშიც შემყვა. სანერ მაგიდასთან რომ მივედი, შეფი დამიდგა თვალწინ და მისმა დავალებამ დიდხანს მაფხანია კეფა.

„თქვენ რა იცით, ბიჭებო, კურდღელი რა მხეცია..." — ერთი სასაცილო სიმღერა ამეკვიატა. რატომ მაინცდამაინც ეს სიმღერა? ამაშიაც იგრძნობოდა დღევანდელი ზოოიმპულსები:

„აბა, როგორ ვესროლო, შიგ თვალებში მიყურებს!..."

დღეს აშკარად ზოომორფიზმის გავლენის ქვეშ ვიყავი.

„და, საერთოდ, როგორი დასაწერია შეკვეთით მოთხრობა? — გავუბრაზდი ვიღაცას, — აჰ, არა ბატონო, მე დღეს პარნასის მთაზე ამსვლელი არა ვარ და არც იქიდან ველი მუზებს. ეს ის არაა, გენაცვალე, დაურეკო — აბა, ბიჭებო, მეწვიეთ-მეთქი.

არადა!...

დღე ღამეზე ბრძენია, ხვალისა ხვალემ თქვას! ხვალ რაღაცას მოვიფიქრებთ"...

P.S. სხვა თუ არაფერი — ეს მონათხრობიც ხომ შეიძლება ჩაითვალოს... მოთხრობად?

* * *

ზამთრის პირია.

პირზე ტკბილი სიტყვა არ მოგადგება... კაცს!

ისეთი დაჯღანული დღეებია, ადგომად არ ღირს. ხანდახან მზე თუ გაგიცინებს, თორემ ადამიანები ისე იბღვირებიან, თითქოს ერთმანეთის სიცოცხლე ემართოთ. არადა, სწორედ ასეა, ჩვენ, ყველას, ერთმანეთის სიცოცხლე გვმართებს და

<u>მომღერალ ნინა წურიალაშვილს:</u>

სტალინის ძეგლს თუ აიღებენ, ვისას დადგამენ. - პრეზიდენტისას? ისე, მე არც ჩემი ძეგლის დადგმაზე ვიტყოდი უარს. მოკლედ, ორი ვარიანტი მაქვს: ან სტალინის ძეგლი, მის ადგილას კი ჩემი ან მამის ძეგლი დადგან.

„ყველა სიახლე"

......და ღამეები გარბოდნენ, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები"... სადაც სიბნელეს უყვარდა ძალი, მიჭრიალებდა გზაზე ურემი. ღრუბლებს უჩანდათ თეთრი ჯიქნები და წვიმით სავსე ჰქონდათ ცურები - ვერა გავიგე მე ამ ბუნების... ვერც კაცის, ვერცა მისი გუნების!

<u>დავით მხეიძე:</u>

ახლახან დამთავრდა „დიდი ათეულის". სატელევიზიო კონკურსი, სადაც პირველი ადგილი ილია ქავთარაძემ დაიკავა. ჰოდა, მავანნი, ვინც ზაიდენისგან ილიას ლექსის ნაკ-

მუდამ ერთმანეთის ვალში ვართ. კაცი კაცითაო — ლობე სარითაო!... სათქმელად კაია, შენ ნუ მომიკვდები, მაგრამ სინამდვილეში, დღეს, სხვისი ჭირი... ლობეს ჩხირის უფრო ჰგავს!

ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, რომ დანა პირს არ მიხსნის და შენ როგორ გითხრა, როცა საკუთარი თავისთვის ვერ გამიმხელია, რა ჭირი მჭირს... ისე, გადაკვრით, ქარაგმულად კი მიხსენებია ჩემი მთავარი სატკივარი და გამგები თუა — გამგებმა გაიგოს! ორი უახლოესი ადამიანი მყავს ცხოვრებაში, რომელთაგან ერთმა — სიცოცხლე გამიადვილა, მეორემ — სიკვდილი! ახლა შენ ანონ-დანონე, მკითხველო, ვინ — რად მიღირს! ზოგჯერ — რაღაცისთვის ღირს სიცოცხლე და ზოგჯერ — სიკვდილიც სანატრელი გაგიხდება კაცს!

ეშმაკმა იცის, რა ღვთის წყრომაა ეს, როცა ღმერთს უყვარხარ და კაცს (თანაც, ყველაზე ახლობელს — ვისზედაც მზე და მთვარე ამოგდის) — არა!

დგახარ ხატების წინ და სანთლის ცრემლივით მოჟონავს ათასფიქრგამოვლილი სტრიქონი:

ლოცვადაა ერი — ბერი და ყველაფერს შენ გთხოვს, ღმერთო!...
კაცის გასაკეთებელი — კაცმა უნდა გააკეთოს!
როცა ხატთან სანთელს ვანთებ და ალსავლის ვუცქერ კარებს.
ისმის უფლის საგალობლად პატრიარქის „დავილალე!"...
რას არ მოიფიქრებს კაცი თავის გადასარჩენად!

ყველას თავისი მულამი აქვს ამ წუთისოფელში. მე, მაგალითად, ცუდ ხასიათზე როცა ვარ, რამდენიმე „ხერხი" მაქვს „ღონის" გადასარჩენად. აი, თუნდაც, ასეთი: მაშინვე გავიხსენებ რაიმე სასაცილოს! ტყუილად ხომ არ დავწერეთ მე და ჩემმა ვერელმა დაქალმა ნუნუ დუღაშვილმა სიცილის ჰიმნი (რომელიც პირველად შეასრულა 6 თუ 7-კაცამ („მხოლოდ შენ ერთს") და ტყუილად ხომ არ არის მასში ასეთი მისამღერი: „სიცილით ვინც კვდება... ის დიდხანს ცოცხლობს (?!) — სიცილი უხდება ოსტეოხონდროზს".

აი, მაგალითად, შერეკილების ცნობილი „აბი გლუკოზასავით", ყოველთვის მშველის მარჯანიშვილელების „ძველი ვოდევილებისა" და მისი მთავარი პერსონაჟის, ძველი „უხაჟორის" — ტიგრან ოფოფიანცის (ვასო გოძიაშვილი) პასუხი ერთი ქარაფშუტა ლამაზი კნეინას (ლენა ყიფშიძე) კითხვაზე!

კნეინა: თქვენ შეგიძლიათ, თავი გასწიროთ ქალისათვის?
ოფოფიანცი (ცოტა დაბნეული): მერე მე არაფერი მამივა?
ტვინის ხუჭუჭებისას რას გაიგებ?

..."მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდო" — ამ ქაოსს სად გაექცევი, ან ამ ფიქრებს რას დაეწევი! საიქიოს ქაოსის მითიურ გამგებელს იქ „აფსუს" ეძახიან და აქაც... შორისდებულ „აფსუსს" რომ იტყვიან, იქნებ, სულაც, ეს „აფსუსი" იმ „აფსუსის" ტყუპისცალია — ჰოდა, კიდევ ერთხელ უნდა ვახსენო ქაოსის მბრძანებლის სახელი და ვთქვა:

აფსუს, ერთი ხელნაწერი სადღაც გამიქრა, სადღაც გამექცა და სდიე

---

*ინგლისური ანდაზა: უბედური კაცი ქიქაშიც დაიხრჩობა.*

*თ. შტეინბერგი: მოხუცებულობა უვიცთათვის ზამთარია. სწავლულთათვის – მკის დრო.*

ახლა ქარს მინდორში — ეს ამბავიც... იმ ამბავს მინდა დავანიო! „ქართან" კი, ეს სათქმელი იმითაც არის ტყუპისცალი, რომ მისი სახელის ნახევარი ისევ „ქარს" მიაქვს — საჩუ-ქარი!

საჩუქარს კბილი არ გაესინჯებაო, მაგრამ მე ახლა ისეთ საჩუქრებზე ვლაპარაკობ, კბილიც გაესინჯება, ნნევაცა და სიცხეც!

მაბლას! საჩუქარი საჩუქარსაც გააჩნია!

ვიცი, რომ კეთილი გულით მოძღვნილი მცირედიც შეინირებისო! — ნათქვამია. დიდ და მთლად უუდიდეს საჩუქრებს რა ვუყო? მივაჩუმათოთ და დავმალოთ?

თუ ცოდვა გამხელილი ჯობია, მადლმა რაღა დააშავა?

მოყვასისადმი განვდილი ხელი არასოდეს რჩება ცარიელიო! — უფალი ბრძანებს.

„ქართული ბიბლიის" — „ვეფხისტყაოსნის" „მოკალმასე" კაცმა — დიდმა შოთა რუსთაველმა დაგვიბარა: „რასაცა გასცემ, შენიაო!"... რაც ერთმა ავლაბრელმა ვაჟარმა იქვე „გაჩოთქა" და დააყოლა: რასაც არა — ხო, შენია და შენიო!

ვისაც როგორ უნდა, ისე ესმის ეს — ენას ძვალი არა აქვს და ყურს ნამუსი!

ერთხელ, თურმე, ართავაზა ცხოვრების გაკვეთილებს უტარებდა თავის პატარა სეროჟას, რომელმაც „დედაენის" ნიგნის ფული მოითხოვა:

— დედაენა დედიშენის პირშია... რასაც გეტყვის, დაუჯერეო! — დაარიგა ნუნურაქა მამამ შეილი და ახალი „საცდელი გამოცდაც" მოუნყო: აბა, მიპასუხე: ძია რომ კამფეტს მოგცემს, რა უნდა უთხრა?

სეროჟამ ეგრევე აჯახა:

— ძია, კიდე მაიტა, რა!

მაიტაო და ართავაზამ ისეთი უთავაზა, რომ ბიჭს საჩუქრის ხსენებაზე დღესაც უნივის ყური!

...მთავარია, ვისგან — რა გეკუთვნის, სად — როგორ, ვისგან — რატომ იღებ საჩუქარს! კარგად გვახსოვს, როგორ დააქცია ტროელები „დანაელების ძღვენმა"... ფუი, ეშმაკს! მე აქ ღვთითბოძებულ, ალალ-მართალ, საბას მიერ მადლად ცნობილ არმაღანზე მოგახსენებთ!

...ჩემი „პაემანი" ვერას თუ გაცდებოდა და მესტია-ლენტეხამდე თუ ჩააღნევდა, როგორ მეგონა? და ნარმოიდგინეთ, რა სიხარული მომიტანა ერთი ლენტეხელი კაცის ნერილმა, რომელმაც ცხრაბეჭედდასმული და ნოტარიალური ნესით დამონმებული... სვანური კოშკი მაჩუქა (ყოველგვარი ხუმრობის გარეშე). მე იმ კოშკამდე ვერ ავდივარ — ის კოშკი ჩემამდე ვერ ჩამოდის, მაგრამ ოცნების კო-

*ითხვის გამო აქუ-ლოპინდა, აჯობებს, ილიას ნაზრევი ნაიკითხონ, თუნდაც ერთმორწმუნეობის, ზოგადად, რუსეთთან ერთ სახელმწიფოში ცხოვრების აუკარგის შესახებ და ვიაროთ წინ ორი ილიას — ილია მართლისა და უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს გზით, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს.*

*ახლახან, მთაწმინდაზე აბრძანდა კიდევ ერთი დიდი მწერალი ოთარ ჭილაძე!*

***P.S.** — ამ დაკრძალვით მთაწმინდის პანთეონი დაიკეტა. არასოდეს მოიცნებია „ცაზე გამოკერებაზე". და ისიც დიდ პატივად მიმაჩნია, რომ მთაწმინდაზე ვცხოვრობ!*

*მოლდოვის რესპუბლიკის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, გლობალური დათბობისგან საზოგადოების ყურადღების მისაპყრობად ხსომა წყალქვეშ გამარ-*

შკად ხომ ვარგა!... ვართ ამ შორიდან სიყვარულში და დაუსნრებელი ძმობის სიამტკბილობაში!!! (საოცარია, როგორ ჰგავს ეს ძახილის ნიშნები იმ სვანურ კოშკებს!)

...დედამინა რომ აღარ გვეყო, ახლა ავდექით და ცაზე ვარსკვლავების „მონყვეტა" დავინყეთ! — მინაზე ვუხსნით ვარსკვლავებს ჩვენს „ვარსკვლავბიჭუნებსა" და მზეთუნახავებს.

ბიძინა კვერნაძის ვარსკვლავის გახსნის დროს ასეთმა აზრმა გამიელვა თავში: ჩვენ ომისდროინდელი თაობა ვართ, სიცივესა და შიმშილში გაზრდილი. სად იყო მაშინ სათამაშოები? მაგრამ ნახერხით გატენილ ბურთებსა და ბოშა ქალების მამალოებითაც იოლად გაგვქონდა და გამოგვქონდა!... მახლას, რომ ვთქვათ, იდიომატურად (არადა, რაღაც გინებასავით უნმანურად გაისმის!). „ვარსკვლავებს ვეთამაშებოდით"! ჰოდა, ახლა ეს ციდან მონყვეტილი ვარსკვლავები მინაზეც აკაშკაშდა!

ერთმა, ერთ დროს თვალისმომჭრელმა თბილისელმა გოგომ — ნელი ბერაიამ, რომელსაც, პირველი სინჯით, ქეთო უნდა ეთამაშა უკვდავ ფილმ „ქეთო და კოტეში", ერთ მშვენიერ დღეს თვითონ „გამიხსნა" ასეთი ვარსკვლავი, დათვის თუ რომელიღაც თანავარსკვლავედში, ამ დიდებულ ხომლში ჩემი ადგილი გამიჩინა!

ამ დალოცვილის ხელს რაღაც სასნაული ხელოვნება ნამოუნყია. ბედისნერაც გამიგია, ხელნერაც, ლარნაკნერაც, ფერნერაც, მაგრამ ჯერ მძივ და მარგალიტნერისა არაფერი მსმენია! ამ მადლიანს სასნაული თვალი, ხელი და, რაც მთავარია, გული აღმოაჩნდა. დღეს მის ხელოვნებას უკვე ფართოდ ეღება საგამოფენო დარბაზების კარებები!

მოკლედ, ამ მშვენიერმა ვერელმა გოგომ (ისინი ჩვენთვის, ნებისმიერ ასაკში, გოგოებად რჩებიან!) „მარგალიტების მაძიებელს", ასე ვთქვათ, „დაუსნრებლად" გამიხსნა ვარსკვლავი, რომელიც ახლა ჩემს სამნერლო „სახელოსნოში" თუ „სახელოვნოში" ბედის ვარსკვლავივით ჰკიდია კედელზე და გულზე მალამოდ მედება!

...გვარდიაში ყოფნისას, ყოფილა, გვარდიელ ბიჭებს იარაღიც უჩუქებიათ! როგორც უჩუქებიათ — ისე გამიჩუქებია!

... „კვირის პალიტრა", კალმით ძმობის ფასად, სრულიად უანგაროდ, თავისი ფეხით მომდის ყოველ ორშაბათს და მე, თავად „მონამლული" „გაზეთჩიკი" კაცი, დღემდე ვრჩები მის ერთგულ მკითხველად!

რომელი ერთი, რომელი ერთი?

რომელი სკრუპულით, რომელი სასნორით გინდა, ანონო სიკეთე? იქნებ, მოყვასისადმი განვდილი ხელის სიგრძით, სიგანით, სიმაღლით და მადლით!

იმ ჭორვილელი კაცის სტიპენდიანტიც ვარ, ვის სიკეთეს საზღვარი არ აქვს და რისთვისაც ჯერ სახელიც ვერ დაგვირქმევია!

ბედნიერი ვარ, რომ მისმა სიკეთემ ჩემზე და ჩემშიც „იბარტყა" — ფულის შოვნა თუ ვერა, სნორი ხარჯვის გზა მასნავლა და ალალად მაზიარა რუსთველისეული სიბრძნის მადლს — „რასაცა გასცემ რო შენია!" ...ახლა, მისი სახელით მოსულს... ჩემი სახელიც მიაცილებს კაცთმოყვარეობის ქუჩაზე... ჩვენი სიკეთის შემყურე ახალ ადრესატებამდე!

...მადლობელი ვარ თბილისის ომის დროს გავარდნილი იმ ერთი ბრმა ტყვიისაც, რომელიც „იმდენად ბრმა" არ აღმოჩნდა, რომ მოეკალი და, სხვათა შორის, ახლაც ტანში მაქვს, ძმათა აშლილობის სახსოვრად! მადლობელი ვარ მზისა და მთვარის, რომლებსაც შევაბერდი! ყველასი და ყველაფრის, რამაც აქამდე გამაძლებინა!

---

*დედას პური – მამის ულვაშს ჰგავს.*

*სიბერემ ხმის უფლება მომცა და ხმა ნამართვა!*

ბეთლემის ეკლესიის მღვდელმა, 12 მარგალიტივით შვილის მამამ და ჩვენმა მოძღვარმა — მამა ალექსი ბოლქვაძემ დიდ „სამებაში" მაზიარა... და, პატრიარქის ნებით, უწმინდესსა და უნეტარესთან წარმადგინა.

„შენი ნახვა მეამება, როგორც კოვზით ზიარება" — მიღიღინებს გული.

ჩვენს პატრიარქს — ამ ღვთისნიერ კაცს საოცარი ველი აქვს და ამ ველში სამოთხის სრული განცდაა.

მოწიწებით ვემთხვიე ხელზე ილია მეორეს. მამაშვილურად გადამეხვია ეს 5 წლით ჩემზე უმცროსი ღვთის კაცი და გული გამიწათა. ის იყო და იქვე გაისმა სულისშემძვრელი საგალობელი, აკაპელა — „სამების" მგალობელთა დიდი გუნდის ღვთის სადიდებელი „კირიელეისონ!", რომელმაც „შეანგრია" გუმბათი თუ გულის ფიცარი და შეაზანზარა ამ სწორუპოვარი ტაძრის დედოზარები!... ცხრა ბალიანი ღელვასავით აგორებულმა ჰანგმა, ზღვის მოქცევასავით მოლოკა გულისყური და ამ ღვთაებრივ ხალხმრავალ დუმილში სიჩუმე ხმამაღლა გაისმა...

მსგავსი იშვიათად სმენის ყურს.

პოლიფონიურმა „მძვინვარებამ" მიწას მოგვწყვიტა და „ცათა შინა" აგვიყვანა.

და, მაშინ გულში ვთქვი: ყველა და ყველაფერი, პირველი დაბადებიდან — მეორედ დაბადებამდე, განგების ძალა და ღვთის მადლია.

გმადლობ შენ, ღმერთო!

ერთო და ერთადერთო!

...იოსებ გრიშაშვილი: ერთ ყარაჩოღელს, ტფილისში, სირაჯის დუქანი ჰქონდა, რომლის ფირნიშზეც ეწერა: დუქანი სერგი ყაითმაზაშვილისა — „გაგიმარჯოს!"

ოლივერ უორდროპი სიყვარულით იგონებს ამ სიტყვას: ეს ქართველური სალამი „გამარჯობა-გაგიმარჯოს" თითქმის იმდენსავეს ეუბნება (აჰა, ისევ ფონემა-„უბანი"! — გ.ნ.) ადამიანს, რისი თქმაც შეუძლია ისტორიული თხზულების თორმეტ (!) ტომს"!

„ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის" მოზაიკა! გრანდიოზული „ყეენობა" მოაწყო პოეტმა-გენერალმა გრიგალ თუ გრიგოლ ორბელიანმა.

...ყოჩაობის დროს ყოჩებს ქერით ათრობდნენ, ყელზე ფერად მძივებს შეაბამდნენ, ქოჩორს ენდროთი უღებავდნენ... მამლების ჩხუბი უფრო დუქნების წინ ჩაღდებოდა.

...მოკრივეთა მიჯნა შუაბაზარი იყო.. ქურქების სახელოსნომდე. მუშტით მოჩხუბართა „თაბუნს" მტკავარი ჰყოფდა.

*თის.*

**P.S.** *თხა თხაზე ნაკლებიო! ჩვენ შეგვიძლია, მათაც გადავუჯოკროთ და ევერესტზეც კი გავმართოთ პარლამენტის სხდომა. მით უმეტეს, რომ ცნობილი მთამსვლელი გია თორთლაძე უკვე ნამყოფია იქ და გზაც იცის და კვალიც!*

*კოკა გამსახურდიას: გახსოვთ, შევარდნაძემ რომ თქვა, როდესაც სოხუმი დაეცა: გაეროში დავუჯერეკე ბუტროს გალის და არ აილო. დავუჯერეკე გრაჩოვს და არ აილო და ქე დაეცა სოხუმი ამასობაში?*

*კობა ხაბაზი (პარლამენტარი): ერთ სკაში 100 ათასამდე ფუტკარია. 100 ათასი კაციც რომ გამოიყვანონ თბილისში, ჩამოვიტან ათ სკას და ხომ არის ეს ნახევარი მილიონი ფუტკარი? კაცზე 5 ცალი მოდის? — მოდის! პოდა, მივუშვებ ამ ფუტკარს მიტინგზე და ცოტა ხანში კაციშვილი აღარ იქნება მთავრობის სახლთან. ცოტას კი დაკბენენ, მაგრამ ფუტკრის შხამი, ზომიერად მიღებუ-*

...ბაქოდან ნავთი აქლემებით მოჰქონდათ (სად იყო მაშინ ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი!). „კვირაცხოვლობის" სანახაობაზე ხალხი „დროშკებით" მოზღვავდებოდა! ამბობენ, კრივს მეფე ერეკლეც ესწრებოდა-ხოლმეო!...

ქალებსაც ჰყოლიათ თავიანთი აშუღი — გერაგერმიშაანთ უსინათლო მაია, რომელიც ჭრელი აბანოს ეხო-„მიკროფონით" უმღეროდა დედიშობილა თბილისელ მზეთუნახავებს...

ერთი მაშინდელი, სატივოზე ნაქეიფარი სადღეგრძელოც!

„ეს გაუმარჯოს იმას, რომელიც ჩვენს ავს ნახავს, ნავა და კარგს იტყვის!" (— რად მიყვარხარ ბემურაზი ვიყო, თუ ვიცოდეო... ასე უხსნიდა თბილისს სიყვარულს ყარაჩოღელი!)

გიორგი ხუციშვილი „პრავდის" კორესპონდენტი იყო თბილისში და, ასე ვთქვათ, რუსეთის ფხიზელ თვალს წამოადგენდა საქართველოში. ძირძველი თბილისელი გახლდათ და მის სიყვარულში ნებისმიერ თბილისელს ტოლს არ დაუდებდა. ამ სიყვარულის ნაყოფია წიგნი „ჩემი თბილის-ქალაქი", რომელიც, როგორც დედაქალაქის სიყვარულში ერთ მოცილეს, მისახსოვრა და ტფილისის წარსულ-მომავლიანად უმძიმეს და უმსუბუქეს ტვირთად ამკიდა.

80 ნაცია ცხოვრობდა და ცხოვრობს თბილისში!

ერთ დროს ტფილისს თავისი მრავალნაციონალური ხატით და ეროვნებათა ჭრელა-ჭრულით მოჰქონდა თავი, რადგან, დედამიწის ზურგზე, მართლაც იშვიათია ქალაქი, სადაც სამი, დიამეტრალურად განსხვავებული რელიგია და მისი ძეგლი — სიონი, სინაგოგა და მეჩეთი ერთ ხელის გულისტოლა ადგილზე — ძველ ტფილისში, ასე შეხმატკბილებულად ბინადრობდნენ.

დიახ, ასეა ეს სასწაული და სწორედ ამას უმღერა ოქტომბრის რევოლუციის ნარჩენმა მონარქიამ — მეფემ-პოეტმა, ჩვენმა ძმამ და პირის ზიარებამ პეტრე გრუზინსკიმ: „მეჩეთი და სინაგოგა... აქ სიონი წმიდათ-წმიდა... კაცი იყავ კაცური და იქ ილოცე, სადაც გინდაო!"

ამას არსად ასე არ იტყვიან და ვერსად ასე ვერ გაიგონებ, ამ დალოცვილი ქალაქის გარდა, სადაც, ადრე ექვსივე კარები იღებოდა და ექვსივე კარები იკეტებოდა ღამე, რომ შემოსაშვები შემოეშვათ და არგასაშვები — არ გაეშვათ (დაგვიანებულები ღამეს ქალაქგარეთა ქარვასლებში ათენებდნენ!)

...არქეოლოგებმა თბილისის მახლობლად ადამიანის მსგავსი მაიმუნის, ეგრეთწოდებული უდაბნოპითეკის ნაშთი აღმოაჩინეს!

როგორც კი ეს გაიგეს ქუთათურებმა — არც ისინი დაგვრჩნენ ვალში და სათაფლიის მესვეურმა პეტრე ჭაბუკიანმა... დინოზავრის კვალს მიაგნო.

ახლა, მთლად პირველ ადამიანებსაც მივაგენით დმანისში — ზეზვას და მზიას.

ესეც შენი ქართული ადამ და ევა!

როგორც მსოფლიო პალეონტოლოგიის ანალები გვაუწყებს — საქართველო იყო, არც მეტი — არც ნაკლები — პირველყოფილი ადამიანის კერა, ანუ ახლანდელ — თბილისის მიწაზე ადამიანი ბინადრობდა

---

*ჟ. პაოლეტი: უვიცობა – სიღატაკის ყველაზე სავალალო და ცუდი სახეა.*

*ნაპოლეონ I: უვიცს დიდი უპირატესობა აქვს განათლებული ადამიანის წინაშე: ის მუდამ კმაყოფილია თავისი თავით.*

ჯერ კიდევ 5-6 ათასწლეულის წინათ! აბა, როგორ! ან სად ნავიდოდა უკეთეს ადგილზე? ნეტავ, სად არის კიდევ ცაო? დღემდე დაბორიალობს თბილისში ჩვენი ძმის — რეზო ლაღიძის სიმღერა — დები ჩაფიძეებისა (და ვისი აღარ) შესრულებით.

„მწერალი ალექსეი ტოლსტოი ირწმუნებოდა: მარმარილოს აუზში რომ ზიხარ, თავი ხან პომპეუსი გგონია, ხან — ლუკულუსიო" — რის რუსიო, რა რუსიო?... თბილისის წყალგადასხმული კაცი გულით უკვე ქართველიცაა და გრიგოლ ორბელიანივით იცის თბილისის „ჯადოობა"! ამის გამოძახილი იყო ჩემი „პაემანის" ორთაჭალელი მექისე ჰასანაც: მტკვარი ვერ გაგვრეცხავდა, ისეთები ჩავდიოდით. იქედან კი — მეყოლეთ გვრიტივით! — თავი ძლივს ჩაგვქონდა: მეორედ ვიბადებოდით. იმ ქედანს ვგავდით, იმ ჩიტივით... მოვფრინავდით, რომლის გალია ღიად დარჩათ... ცხოვრება ინყებოდა თავიდან... სხვა მაამებლობა მოვიდა, ბიჭებო — ის მაამებლობა ნავიდა!

ვინ იყო ჰასანა? ორთაჭალის ძველი, ჭრელი აბანოს — ამ სარდაფ-სასახლის სველი ხელმწიფე იყო!

* * *

ნიშნიანიძეების გვარის ტანუტერად ანუ თავკაცად აღიარებული ჩემი „უნიკალური" ბიძაშვილი ოთარ ნიშნიანიძე საქართველოს სააფთიაქო სამმართველოს თავკაციც იყო.

ერთხელ, ქუთაისში ჩაბრძანებულა (სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯი სიცილითაა დანაღმული!) და იქაური კოლორიტი კაცის — ადგილობრივი სააფთიაქო ქსელის გამგებლის, ასე ვთქვათ, „ღვთის პირიდან გავარდნილი მიშა ჭიჭინაძისთვის საყვედურის ტონით უთქვამს — ეს, ამდენი ნამლის დანაკლისი რომ გაქვთ, მოსკოვის რევიზია რომ დაგვადგეს თავზე, რას შობითო?

— რა ვქნათ, აკაკევიჩ, ნვიმამ გაგვიფუჭა სანყობში მედიკამენტებიო — უპასუხა ბატონმა მიშამ.

— მერე, ვერ შეადგინეთ აქტი? — აზიდა ნარბი „ხაზეინმა".

— არ ვიცოდით, რუსულად, „დოჟდი" როგორ ინერებოდა — „მიახკი ზნაკით" თუ „უმიახკიზნაკოდ"!

— ვაი, თქვენს პატრონს! — ჩაილაპარაკა მათმა პატრონმა, — და შეეცადა, ახლა მაინც აეხსნა, როგორ ინერება „ნვიმა" რუსულად — რბილი ნიშნით თუ უმისოდ — როცა თავსხმა ნვიმა და თხროშაა, მაშინ არ უნდა და, როცა რბილად ჟინჟღლავს, მაშინ საჭიროაო!

ა, როგორია!

ლი, მავნებელი არ არის.

*საპატარძლო მერაბა*

*ტყუილი, ტყუილი და... პირში პაპიროსი!...*

*თქვენ ოდესმე გინახავთ სიცრუის დედოფალი?*

*- არა მარტო მინახავს, მისზე ჯვარისწერამაც მომიწია.*

*ჩვენში იმდენად პატივს სცემენ მეუღარ-ცოცხლებს (ანუ მიცვალებულებს), რომ ცოცხალ-მეუღლეების (ანუ დეპუტატობის კანდიდატების) არჩევნებში ისინიც მონაწილეობენ. თუმცა, ზოგი ასეც თვლის, რომ მკვდარი ხელებით საარჩევნო სიების გაზრდა — მიცვალებულის სულის შეურაცხყოფაა.*

*„ალია", 24-25.04. 2008*

*ქეთა ანდრონიკაშვილი (მსახიობი): მიუხედავად იმისა, რომ რომანტიკულ გარემოში ვიზარდე, რეალისტი ვარ. ჩემი ნატვრა და სურვილები, უპირველესად, უკავშირდება ჩემს სამშობლოს — მინდა, რომ დან-*

* * *

...ბუნებაში არსებულ სხეულთა ურთიერთობას, როგორც მოგეხსენებათ — მსოფლიო მიზიდულობის კანონი ჰქვია, რომლის ავტორი ისააკ ნიუტონი გახლდათ!

არ იყო ეს კაცი ტრა-ბახ-ბახ-ბახა, როგორც ჩვენი ბავშვობის „სწორუპოვარი" გმირი ბარონ მიუნჰაუზენი, მაგრამ თავიდან ცოტა თავხედურადაც კი მომეჩვენა მისი გულზე მჯილის დარტყმა: მე ვიცი, სად გაჩერდა მამაჩემი და ჩემს მშობელზე უფრო შორს ვიყურებიო (?!)... მანამ, სანამ ბოლომდე არ ჩავიკითხე მისი ფრაზა: „რადგან მამაჩემის მხრებზე ვდგევარო"! ოოო... ასე, კი ბატონო!

უფრო შორს ვხედავ, ვიდრე იგი — მე უფრო მხნე ვარ...

რადგანაც მე დიდთა წინაპართა დიდ მხრებზე ვდგევარ!

...მეცნიერებმა თუ მსოფლიო მიზიდულობის კანონი აღმოაჩინეს, პოეტებმა მსოფლიო „მიმზიდველობას" გამოკრეს ხელი, რისთვისაც გაჩნდა ქვეყანაზე მუზების მთელი ნომენკლატურა — 9 ბერძნული ქალღმერთი: ევტერპე (მუსიკის), კალიოპე (ეპოსისა და მჭევრმეტყველების), კლიო (ისტორიის), მელპომენე (ტრაგედიის), პოლიჰიმნია (ჰიმნების, პანტომიმის), თალია (კომედიის), ტერფსიქორე („ტანცი-მანცისა" და სიმღერის), ურანია (ასტრონომიის), ერატო (სასიყვარულო პოეზიის, პროზის მუზა).

...ვინ? როდის? რატომ? ეს სამი კითხვის ნიშანი დღემდე არ აძლევს მოსვენებას კაცობრიობას და მის პასუხად ბევრი წიგნიც დაწერილა. სწორედ, აქედან მახსოვს, როგორ ისწავლეს ადამიანებმა ლაპარაკი. ჩვენი შორეული წინაპრები — პითეკანთროპები, სინანთროპები თუ მათი ნაშიერები ყელისმიერი თუ ცხვირისმიერი „წკლაპუნა ბგერებით" გადასცემდნენ ერთმანეთს შორისდებულ-მონოდებებს — სანადიროდ გასვლის, გაფრთხილების, მუცლის ამოყორვისა თუ ჭამა-სმის სხვა ნიშანს. ვლოდიმერ ზონი და კჟიშტოფ ბორუნი წერენ, რომ „ასი ათასობით წელი დასჭირდა, სანამ ეს მოკლე პირველყოფილი შეძახილები გადაიქცეოდა ცალკეულ სიტყვებად"... დროთა განმავლობაში კი, პროზად და პოეზიადაც კი!... როგორც:

ბავშვის ტიტინიდან — კაცის ღვთაებრივ სიტყვამდე!

ტირილის ცრემლებიდან — სიცილის ცრემლებამდე!

ტრაგიკულისა და კომიკურის ღირებულების გასარჩევად, მარკ ტვენისაგან მსმენია კითხვა: რით სჯობია ტრაგედიის (ტირილის) ცრემლი — კომედიის (სიცილის) ცრემლსო?

დავინტერესებულვარ ამ ცრემლების მიკროსკოპული ანუ სკრუპულოზური ანალიზითაც. სადღაც წამიკითხავს, რომ ცრემლი წყალია (სხვადასხვა, მათ შორის, უმეტესად, სუფრის მარილით). ამასთან ერთად, თურმე, იგი შეიცავს ორგანულ ნივთიერებას — ლიზოციმს, რომელიც ბაქტერიებს ებრძვის. თვალის „წარმადობაზეც" მაქვს ცნობა: საცრემლე ჯირკვლები, დღე-ღამეში, ავ-კარგის, სასაცილოსა და სატირალის გასარჩევად, 7 კუბურ სანტიმეტრ ცრემლს გამოჰყოფს!... არსებობს ისეთი ცრემლიც, რომელიც არც ერთ „ჟანრს" არ გამოხატავს — ყალ-

---

*ილია ჭავჭავაძე: უკვდავება არ დაჰკარგო წუთისოფლის გულისთვის.*

*ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი: სიკვდილზე უფრო საშიში იქნებოდა იმის განცდა, რომ... არასოდეს მოკვდები.*

ბია და მე მას, ჩემი შვილიშვილის — დათუნა ნიშნიანიძის აღმოჩენით (საავტორო უფლებების სრული დაცვითა და რეკომენდაციით) „ხახვის ცრემლები" დავარქვი!

საიდან მოდიან აზრები?

მარტივი პასუხი ასეთია: ადამიანს აქვს სული და სულს აქვს აზროვნება!

მწერლობაც სხვა რაა? სულიერების ნაყოფია!

„ნისლი ფიქრია მთებისაო!" — თქვა მთის შვილმა და კაი ვაჟმა — ვაჟამ. რა თვალით უნდა შეხვდე ნისლსა და რა გულით უნდა დაინახო ფიქრი, რომ ასე დაინახო!!!

ფიქრი!...

უგზო-უკვლოდაც კი მის გზა-კვალით იარება —
ხან მალამოდ წამეცხება, ხან იხსნება იარებად.
„შენი ნახვა მეამება, როგორც კოვზით ზიარება" —
სა მინდა, როცა მინდა, როგორც მომეპრიანება!

...და, აჰა, ესეც შენი მუხამბაზი ანუ შუაალმოსაულური პოეზიის „ნიმუში" სხვადასხვა ავტორთა პოეტური სტროფის, ძმობის ერთგულ-ერთსულ-ერთბუნებოვნებისა!!!

მაშინ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელიანი ლიტერატურათმცოდნე გურამ ასათიანი, საბჭოთა მწერლების დელეგაციასთან ერთად, კალიფორნიაში მოხვდა და, ბედნიერი შემთხვევით, უკვე კარგა ხანშიშესულ ცნობილ სომეხ მწერალს, ავტობიოგრაფიული რომანის „ადამიანური კომედიის" ავტორს — უილიამ საროიანს შეხვდა. ემიგრანტთა ოჯახში გაზრდილმა, სამშობლოს ნოსტალგიით იკითხა — აქ, ვინმე, სომხეთიდან ხომ არ არისო?

სომხეთიდან არა, მაგრამ თბილისიდან კიო!

მიადგა გურამს და დიდმა მწერალმა სთხოვა, ერთი-ორი მშობლიური სიტყვა მითხარი სომხურადო.

ბედი უნდა ყველაფერს — ორი კი არა, ერთიც ვერ გაიხსენა.

ეწყინა საროიანს, ამათ რა უნდა ველაპარაკოო... ხელი ჩაიქნია და კარებისკენ წავიდა...

ე, მაშინ გაუნათდა გონება ნახევრად სომხებში გაზრდილ თბილისელ კაცს, როცა საროიანმა კარები გამოაღო და... სანამ გამოიჯახუნებდა, გურამმა, სხვა რომ ვერაფერი გაიხსენა — ურეს გნუმ, ტოო?... მიაძახა.

ურეს გნუმ, ტოოო?... გაგიჟდა, თურმე, კაცი სიხარულით და მოტრიალდა, მარა რა მოტრიალდა:

— ეგრე, რა, ჯიგარო, ეს ქუ ცავატტანემო!..

ყნარდეს საქართველო. მენატრება ის თბილი ურთიერთობა, რაც ახასიათებდა ჩემს თბილისს. ხალხი საოცრად შეიცვალა, სახლებში არიან ჩაკეტილები. დაიკარგა გულთბილი დამოკიდებულება. ახლა ძნელი წარმოსადგენია მერაბიან ჩაიზე დაპატიჟება, უბრალო გამასპინძლება.

ფორდს კაბინეტი არ ჰქონია. ქარხნებში კი საიდუმლო პოლიციაც კი ჰყოლია. მსოფლიო ჩემპიონი ჯო ლუისიც, თურმე, იქ მუშაობდა!

გუშინ გამაჩერა: თუ აქვს უმცირესობას შნო და ძალა, მოიგოს — აჰა, ბურთი და აჰა, მოედანი!

**P.S.** ბურთიც იყო, მოედანიც, 70 000 კაციც, მაგრამ პოზიცია-ოპოზიციის ორთაბრძოლა მაინც 0:0 დამთავრდა. ორი 00 კი რისი ნიშანია და რა ხუნი ედის... კარგად მოგეხსენებათ!

ამერიკული ცქვიტე-ნიდე (დიზაინერი): ერთმა ნამდვილად

სულ ეს იყო!

გურამ ასათიანს უყვარდა ეს სტროფი:

კაცი მომცა — ღონდებოდეს, ქვეყნის სატკივარი სჭირდეს, ჭიქა მიენოდებოდეს, დალაპარაკება ღირდეს.

„ქვეყნად სიყვარული კლებულობს" („ქარი ნოემბრის თვეში") — სევდაში ანებდა კალამს რეზო ინანიშვილი.

აკაკი ბაქრაძე: ამ ქვეყნად ყველაზე მხიარული წიგნი „დონ კიხოტი" გაჟღენთილია სევდით.

„ურმული" — მთვარიანი ღამით, მარტოობით, შრომით, ადამიანის პირუტყვთან მეგობრობით აღძრული სევდაა... „ყველაზე დიდი დანაშაული და ბოროტმოქმედება მწერლისა — მწერლობის საშუალებით ადამიანის მოტყუებაა".

მწერალმა ისე უნდა წეროს, თითქოს თავის ღმერთს უყვება ამბავს!... მაშინ არც და ვერც მოიტყუებს!

...ეთერ თათარაიძე: დეკემბრის სუსხიან თბილისში, ძმათამკვლელი ომის დროს რეზო ინანიშვილი ისე გაიპარა ამ არეული ქვეყნიდან, რომ დედაქალაქს მისი სიკვდილი არც გაუგია; რადგან თბილისიც მკვდარი იყო მაშინ.

ლალი ავალიანი: „რეზო ინანიშვილის „ბრძნული გულუბრყვილობა"! მან თავის მოთხრობებს „დიდ ბავშვებზე" რობერტ ბერნსის სიტყვა უეპიგრაფა:

მდიდარს ოქრო აქვს — ჩვენ კი...

თვითონა ვართ ოქროს ბიჭები.

მისი „სამაგიდო რვეულებიდანაა": „ცოცხალი ბედნიერი მწერალი უკვე საცოდაობაა".

კომუნისტებმა რეზო ინანიშვილს მწერალთა კავშირის მდივნობა დაუპირეს. პარტიის წევრი არა ვარო! — იფიქრა, ვუშველე თავსო. მიგიღებთო! — მოუჭრეს გზა. „მამაჩემის დამხვრეტ პარტიაში არ შევალო!" — შეუვალი იყო, არა მათებრ, სიცოცხლეში ეკლესიაში რომ არ დადიან და საფლავი კი ჯვრითა აქვს დამშვენებული!

ზაალ ბოტკოველი წერდა: დინჯად ისინჯავდაო ქრისტეს პერანგს. მშვიდად აღესრულა და ლამაზი ცრემლები დაგვიტოვა.

ზურაბ ქაფიანიძემ რეზო ინანიშვილს სიტყვის ფიროსმანი უწოდა.

* * *

ძველ თბილისში, შარდენზეა ჩვენი საოჯახო ბიზნესი „მეიდან პალასი", სადაც ღვინის ღვთაების ბადაგონის ფალოსური კულტი (ღვინით სავსე ყანწით ხელში) დგას, როგორც სიცოცხლის საწყისი! რაღაც ამის მსგავსი, გრაფიკული სატირის წყაროს ანტიკური ნიმუში ვნახე პომპეიში, სადაც ძველებური (წყნეთურივით), ორპინიანი სასწორების ერთ მხარეს ოქროს ქისა დევს და მეორე მხარეს — მამაკაცის ასო — ფალოსი, რომელიც აშკარად გადაწონის ნებისმიერ ქონებას, როგორც სიცოცხლის საწყისი.

---

*ჰორაციუსი: ფული მისი მფლობელის ან ბატონია, ან მოსამსახურე.*

*გერმანული ანდაზა: ვინმესგან წყალობის მიღება თავისუფლების გაყიდვაა (გამონაკლისიც არსებობს!).*

„არც არავის ყმა ვყოფილვარ, არც არავინ ყმა მყოლია, ძველი ღვინო, ძველი პური, წლიდან — წლამდე გამყოლიაო" — გულზე მჯიღს იცემდა ქართული ხალხური ლექსი და „მთვრალი კაცი — კაი კაცი!" მფრინავ ფრაზად ამოიკანრა ქართველის გულის ფიცარზე. ღვინის სამშობლო საქართველოა და ვაზსა და ღვინოზე „ზღვა მასალა, რაც ქართველ მეცნიერთა მიერ მარცვალ-მარცვალ არის მოპოვებული (ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, ფილოლოგიურ, ლინგვისტურ, პალეობოტანიკურ, ამპელოგრაფიულ და სხვა გამოკვლევებში) ამ ღვთაებრივი სითხის ქება-თა-ქების საგანძურია!

დავით აღმაშენებლის შვილმა და თამარ დედოფლის პაპამ დემეტრე პირველმა შექმნა ქართული ვაზის საგალობელი, ჰიმნი „შენ ხარ ვენახი!"... „ახლად აყვავებული და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული..."

### ზაურ ქოქრაშვილი.

## ქართული ფენომენი - ბადაგონი

ლონდონის ცენტრშია ღვინის ქალაქი — „ვინოპოლისი", რომლის ოდისეაც საქართველოს სტენდით იწყება, სახელწოდებით „ღვინის აკვანი". სწორედ აქ, საქართველოში, ადამიანმა პირველად მოაშინაურა ველური ვაზი, პირველად დაწურა ყურძენი (რა ჭკუაში მოუვიდა!), დააყენა სასმელი, უწოდა „ღვინო" და ამ ღვათებრივ სასმელს მისცა ზიარებისა და ლოცვის ძალა!

თქვენს ყურადღებას მივაქცევთ ჩვენთვის საინტერესო სასწორის ეტლს (ზოდიაქოს) 23 სექტემბრიდან — 22 ოქტომბრამდე! დროის ამ მონაკვეთს, შემოდგომის ამ ასტროლოგიურ თვეს ძველი ქართულით „რთველისაი" ანუ „ღვინობისთვე" ეწოდება".

ახლა მაგიური ქართული სიმღერის პალიტრა ნახეთ! — შრომის, სამკურნალო, სუფრული, ლირიკულ-სატრფიალო, საწესრიტუალო, ლაშქრული, სამგლოვიარო, ეპიკურ-საგმირო, საყოფაცხოვრებო და გუმბათოვან-საგვირგვინო-საგალობლები! (ქართული კულტურის კერებში: სინაზე, ათონზე, პალესტინაში არსებობდა „მგალობელთა უხუცესის" თანამდებობა!)

საქართველოს 48 რაიონში მოიდგა ფეხი 525 ჯიშის ქართულმა ვაზმა.

ამბობენ, ჩვენი დაუძინებელი მტერი შაჰ-აბასი „ერთი მუჭა" ქართველების უძლეველობის ძალის

დარწმუნებული ვარ — ძალიან საინტერესო ქალი ვიქნებოდი.

**P.S.** ამას მხოლოდ თავის თავში უიმედოდ შეყვარებული კაცი იტყვის!

გიზო ნიშნიანიძე საქართველოს (ყველა დროის) 15 საუკეთესო ცოლუშბაში შეყამეულ დასახელეს...

(გაზ. „ალია", 30. 11. 2007)

**P.S.** ერთ პროფესიად ეს თამადობის სერტიფიკაციაც ჩამითვალე, მკითხველო!

<u>თეონა თავართქილაძე (დიზაინერი):</u> ახლახან, ბიძინა კვერნაძეს, მეზობელი შეხვდა კიბეზე, კაცა მიკვდება და მიშველეო. მან კი თავის ბულიონი უჩვია.

<u>რუსლან რუსია</u> (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის" პასუხისმგებელი რედაქტორი): ეს მთავრობის წევრები ისეთი სისწრაფით იცვლებიან, როგორი სისწრაფითაც დღეს უცვლის-ხოლმე პამპერსებს თავის ჩვილს.

მიზეზს ქართულ ვაზში ხედავდა და ცოცხალი მტერივით ხმალდახმალ ებრძოდა — ძირფესვიანად ჩეხდაო მას!

მაგრამ, ქართულმა ვაზმა იხარა და კვლავ იხარებს, თუ შინაურ მტერსაც გაუძლო (რომელიც ხმალზე უფრო მჭრელი, უსისხლო და ვერაგი იარაღით გვებრძვის. თურმე, მავანნი ფულსაც კი სთავაზობენ გლეხებს ვენახის ამოსაძირკვად (?!)

სტროფი განწყობილებისათვის:

...რომ ლექსის ჟარგოდეს კილო და
სიტყვა კი ბრდღეინავდეს მერანად.
რქაწითელს დაეწურავ ღვინოდ და
საფერავს დაეწურაე მელანად.

P. S. ხაშმის საფერავს „დევის სისხლს" ეძახდნენ კახეთში.

ეს ისე, ხასიათზე მოსაყვანად!

* * *

სიკვდილის წინ, რადიოთი, შალვა დადიანი, დადიანისებურად, სიცილით გაემასლაათა მიქელ-გაბრიელსო, — იგონებს მთასავით კაცი ირაკლი აბაშიძე — „აჰა, გნებდებიო!"

დიდ ადამიანებს, ასევე, ახასიათებთ დიდი ხილვები. გერონტი ქიქოძემაც თავის უკანასკნელ ჟამს „წერილი კი არ წაიღო" — ჟურნალში მიიტანა და იქ ნათელის დადგომამდე — აქ „მნათობში" თქვა თავისი სიტყვა, ჯიქურ დახვდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ნამების ნამს!

ჩვენი ულამაზესი დისა და უჭკვიანესი ძმის — მანანა ქიქოძისა და გურამ ასათიანის მამა და სიმამრი — გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გერონტი ქიქოძის დიდებული პორტრეტი იხატება მისი თანამოკალმეების ფიქრთა გაელვებაში!

მასზე ყველაზე ზედგამოჭრილი იყო ბაღდადელი ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვები: „სტრიქონებს ჩემთვის მანეთიც კი არ შეუგროვებიათ... თეთრი პერანგის გარდა, მართალი გითხრათ, მეტი არც არაფერი მინდაო" (აკაკი ბელიაშვილი)

მაია ბიბილეიშვილი: „მისი კალამი ქართული ენის სტიქიაში დაიბადა" (სიმონ ჩიქოვანი). „მთელი თაობა შავ მერანზე იჯდა და ბედის საზღვრის გადალახვას ლამობდა".

გერონტი ქიქოძე ბალზაკზე წერდა: „...მას შეუძლია სახის ერთ ნაოჭში, ერთ ალმაცერ გამოხედვაში ადამიანის მთელი ტრაგედია დაინახოს, ნიაგარის ხმაურში ოკეანეების ქარიშხლის ღმუილი მოისმინოსო".

ირეალისტურ ხელოვნებაში მხატვარს აღარ ანევება მძიმე ტვირთად ერთიანი სტილის საერთო აუცილებლობა, პირიქით, მრავალი სტილის განსხვავება... უხსნის შემოქმედს ფორმის, ცვალებადობის, მოქნილობის კანონებს.

200 წლის წინანდელი საქართველოს გერონტი ქიქოძისეული სურათი ასე გამოიყურება: იგი „შექსპირის ზოგიერთი ტრაგედიის მეხუთე აქტს ჰგავს, სადაც თითქმის ყველა გმირი კვდება" (ამ საუკუნეს როგორღა შეხედავდა ჩვენი წინაპარი, ახლა, ალბათ, საფლავშიც რომ ვერ ისვენებს საქართველოს დარდით!)

გერონტი ქიქოძე მზად იყო, შენდობა ეთქვა ადამის ძისათვის, რადგან ნეტარ ავგუსტინესაც სწამდა, რომ ჯერ კიდევ ქვეყნის გაჩენისას იყო დაშვებული საბედისწერო შეცდომა და ყველანი ცოდვის შვილები ვართ.

თვითონ მარადსახსოვარი ლადო გუდიაშვილი ასე იხსენებს ამ

გაუბზარავ კაცს: მახსოვს, თავისი მოჭუტული, მშვენიერი თვალებით როგორ დაჰყურებდა იგი პიტიახშების სამაროვნებსო!

ფრანგები ბრძენნი, კარტეზიანელები არიან, ადამიანის ფასის დადგენას ისტორიას მიანდობენ. დრო გადანყვეტს, ვინ — სად უნდა ესვენოს. სჯობია, გადაგასვენონ პანთეონში, ვიდრე გადმოგასვენონ პანთეონიდანო! — ამბობდა გერონტი ქიქოძე.

სიკვდილის სამზადისშია დანერილი ეს ნერილი: „უგუნური და უნიჭო მხატვრები მოარულ ჩონჩხად მხატავენ. ხელში ცელს მაძლევენ მჭრელს, ცივს. ეს სახე ბავშვობიდან შევითვისე, ვძრნოდი მის ნინაშე. გვიან დავრნმუნდი, რარიგ საშინლად ვცდებოდი. ვბედავ, შენ ნაზი, კეთილი მეგობარი ხარ, ჩვენ შორის უხმოდ დააბიჯებ, რათა მოსვენება და ბედნიერება მოგვიტანო. ხშირად ვგრძნობ შენს სუნთქვას; ის ძილის რულზე უფრო მსუბუქია, ის უფრო ნაზია, ვიდრე სიყვარულის ალერსი უცოდველი დედაკაცისა"...

ეს პატარა არაბესკა ისეა გატაცებული სიკვდილისადმი სიყვარულის ახსნით, რომ სიცოცხლეზე მეტად შეგაყვარებს თავს და ვაჟას დასტურსაც შეგახსენებს: ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო! — სიცოცხლე ფასობს შენითაო!

* * *

**აგული დადიანი:**
ჩემო გიზო, შენმა ნიგნმა მზე მაჩუქა!

**შვილიშვილს ბაბუისაგან:**
და მიგულე მანამ მარჯვედ —
სანამ მიძმობ — მიყაყარჯნებ!

* * *

ბაბუაჩემი ისიდორე და მისი კარის მეზობელი პლატონ ნიშნიანიძე სოფელში, ხეზე მინახავდნენ შეთვალულ მსხალს და ლამის თითოეულ ნაყოფს თავისი სახელი ერქვა!

* * *

...დღეს 2009 ნლის 22 ნოემბერია.

სადღაც ყური მოვკარი, რომ გურამ თამაზაშვილი მომკვდარა. სიცოცხლით სავსე მომღერალი და მოცეკვავე კაცის სიკვდილი ორფა სიკვდილია — მასთან ერთად სიმღერაც კვდებაო! თანაც, რა სიმღერა!

ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. მის სიცოცხლეს ვერ შეველევი და სნორედ ამიტომ უკანასკნელ გზაზე არ გავაცილებ (თუ უჩემობა არ დააკლდება მის ჭირისუფლობას!) მისი უკანასკნელი გზაც ჩვე-

---

ს. ბულგაკოვი: ყოველი ადამიანი თავის ხატს ქმნის.

ვიძახით ახლა, ვინ ჭამს მაგასო!

ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაცია (PET) მილიონ დოლარს სთავაზობს მას, ვინც შეძლებს 2012 წლისთვის სინთეტიკური ხორცის შექმნას. ხორცი, შესახედავად და გემოთი, ნამდვილს უნდა ჰგავდეს. აქცია მიეძღვნა დედამიწის დღეს, რომელიც 22 აპრილს აღინიშნება. აქციის მიზანი იყო ცხოველების წამებისაგან დაცვა. „აშშ-ში კერძების მოსამზადებლად, ყოველდღიურად, საშინელი წამებით კლავენ 40 მლნ წიწილას, თევზებს, ღორებს და ძროხებს — აცხადებენ ორგანიზაციის აქტივისტები, — გარდა ამისა, ხორცის წარმოება პლანეტის ეკოლოგიას აზიანებს". ისინი მოუწოდებენ ადამიანებს, უარი თქვან ხორცის ჭამაზე.

„ტაიმი"

„მშობლის ამაგს მამინაც ვერ გადაიხ-

ნი გულებისაკენ მოდის — ხსოვნაზე უფრო მინაც ვერ ინახავს კაცის სახელს!

მირჩევნია, მე გავუშინაურდე სიკვდილს, ვიდრე ის გამიშინაურდეს.

## *ლექსპრომტი ჩემი გულის მესაიდუმლესა და მაჯის შემცყობარს!*

*(კარდიოლოგს)*

პეტრიაშვილი კრავს ბედის ულოს...
თუ შალვა — შალვობს, გულიცა — გულობს!

* * *

თუ მინაზე არ გეღირსა ვარსკვლავის გახსნა, სამაგიეროდ, ცაში ყველა ვარსკვლავი ხომ ჩვენია! „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავებიო!“ მინაზე კი, უკვე, 6 ისეთი შვილიშვილი მყავს, ვარსკვლავებს ეთამაშებიან!

ჩემი სახელის მოზიარე გიზო, დავითი, დიმიტრი, ელენე, ანა, მარია!... მათთან გრიალს არაფერი სჯობია და მათში ვხედავ ჩემს მეორედ მოსვლას!

ამასწინებზე, მეუღლე, ჩემს მწერლურ ქაოსს „წესრიგის დამყარებით“ ანუ ალაგებულის დალაგებით დაემუქრა!... ამდენ „იგავს“... ნაგავს ეძახდა და უცბად ჩვენი შვილიშვილის, ამჟამად პირველი ინდიქტიონის, ანუ 15 წლის, ზღვის დონიდან 1 მეტრი და 87 სანტიმეტრიანი გიგანტის — 7 წლის წინ „დაჯღაბნილი“ ლექსების უბის წიგნაკს წააწყდა, რაც ჩვენთვის ერთობ მოულოდნელი ელდა, ხოლო ბებიისთვის, ცოტა არ იყოს, შემაწუხებელიც კი გახლდათ! არადა, იგი უფრო ადრეც იყო ექვმიტანილი ლექსების წერაში. კვიცი გვარზე ხტისო! — ნათქვამია.

კაცნი ვართ! რა იცი, იქნებ ეს პირველი სტრიქონებია იმ ლიტერატურული ამპლი-ტუდისა, რომლის ამპლი-სუდაც დიდი იმედის მომცემია!

აი, 7-9 წლის თვითნაბადი პოეტის პირველი ლექსი, სათაურით „საახალწლო თხოვნა ბაბუას“ (ე.ი. მე, ან ჩემს მძახალს, ქუჩუკი ჩიქოვანს!), ეგრევე გვაწერს „მაყუთს“!

„ბაბუ, აბა, ენახოთ,
გაქვს კეთილი გული?
მაშინ, საახალწლოდ,
მომე ცოტა ფული“!

თუ პირველ ლექსს დაჰკრავს ე.წ. მერკანტილური ელფერი, სამაგიეროდ, კრიტიკული რეალიზმის თვალსაზრისით გამოირჩევა მისი საახალწლო თხოვნა, ჩემი მეორე ნახევრის ანუ ბებიისადმი:

ბები, ჩემო ბები,
თუ გიყვარვარ, თუო —
საახალწლოდ გთხოვ, რომ...
ბევრი არ აკუო!

ნუ მიერიდები ახლა ასეთ მამაძაღლს!
კახელებისა არ იყოს — ენდე?... ენდე!

---

*ფრანსუა დე ლაროშფუკო: ამქვეყნად ცოტაა პატიოსანი ქალი, თავს რომ არ აბეზრებდეს საკუთარი პატიოსნება.*

საქვეყნოდ მომჭრის, ტრ...ს და რას დავეძებთ — თავს!

მივყვეთ მის „საშვილიშვილო" მარგალიტებს!

როგორც ჩანს, დამწყებ პოეტს გულმა უგრძნო, რომ გადაამლაშა და ახლა ჩვენი მოთაფლვაც მოინდომა, რაც ამ სტროფის მიზანმიმართულებასაც ეტყობა!

ბებო, ბებო,
ბაბუ, ბაბუ,
მე თქეენ უნდა გითხრათ — კმარა!
ნუ ჩხუბობთ და თქეენგან — კაი
გამოგეიეა წყეილი — „პარა"!
ბებო, ბაბუ! — მე გაფრთხილებთ,
ნუ აგინებთ ერთმანეთსო,
თორემ თქვენი საფულედან
ამოეიღებ 6 მანეთსო!

ამბობენ, 6 ეშმაკის ციფრიაო და ფუი, ეშმაკს! სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

## *სარკის წინ!*

**ოჰო, ენახოთ, ერთი, სარკის წინაც რა დაინახა!**

სარკეში რომ ვიყურები,
ჩემს ორეულს ეხედავ
და ჩემი ბიძაშვილები —
აქეთ — იქეთ სხედან.
ამ სურათებს რომ ეუყურებ, ძაან მიხარია —
მაგრამ ტიკტიკა საათი აქ ბეწვზე ჰკიდია!

## *ცინცაძეების კატა-ძაღლობანა!*

**(ეს ლექსი ეძღვნება მეზობლების გერმანულ ნაგაზს „ბათურას", თეთრ ლაბრადორ „მადამ კოკოს", კატა „ზოროს" და მათ სოროს)**

ამ „ზოომორფულ" თემაზეა აგებული დათუნას ნინამდებარე ლექსი.

ეს ბათურა,
ამ ჩვენს ზოროს
დიდხანს ეთამაშა...
მგონი ჩვენი ფისუნია
არის ცუგოს ნაშა!
და ამ კატაძაღლობაში,
ვთქვა, რა მოხდა მერე?
ჩვენი ძაღლი დათუჩას ჰგავს,
კატა, კიდე, ელენს!

P.S.დანარჩენ ხელნაწერებს ჯერ ვერ მივაკვლი-

*...დი, ხელისგულზე ერბო კვერცხი რომ შეუწვათ — გაგონილი გექნებათ ეს გამოთქმა და ალბათ, ეთანხმებით კიდეც. თუმცა, საწუხარო, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ერთიან გამოთქმებს კი არა, საკუთარი მშობლების ნათქვამს არ აქცევენ ყურადღებას და სწორედ ასეთების დასჯა გადაწყვიტეს ინდოეთის დედაქალაქის ხელისუფლების წარმომადგენლებმა.*

*როგორც ირკვევა, დელის ადმინისტრაციამ მიიღო ახალი კანონი, რომლის ძალითაც, ნებისმიერ ახალგაზრდა ადამიანს, რომელიც მოხუცებული მშობლისათვის ყურადღების მიქცევაზე უარს იტყვის, ციხეში ყურყუტი მოუწევს.*

*~~გამგები გაიგებს~~*

*კარგის მთქმელმაც... კარგ გამგონეს*
*კარგად უნდა გაუგოს —*
*ამ ძეგლების საძაგლეთში*
*ვის — რა ძეგლი აუგოს!*

*ბიზნესი იგივეა, რაც ველოსიპედით მგზავრობა: გააჩერებ — ჩამოვარდები.*

ეთ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ (ლექსის წერაში ეჭვმიტანილ ყმანვილს) ფაქტზე წავასწარით.

ანი, ვნახოთ, რას მიუსჯის მას უზენაესი!

* * *

„გუშხამ"... იტყვიან გურულები და საუკუნის წინანდელ ამბავს გაიხსენებენ.

საუკუნის თუ არა, ნახევარ საუკუნეზე მეტის ხომ იქნება ახლა ის, რომ გავიხსენო ჩემი სიყრმის ძმაკაცს (მაგრამ გაცილებით ჩემზე უმცროსს), „ოვსთა ბატონიშვილს" ვალნინ ცხოვრებაშვილს ქალის მოსატაცებლად რომ წავყევით „პლეხანოვზე" — ლენინგრადის ქუჩაზე, იმ სახლში, სადაც ჟენია პრიმაკოვი ცხოვრობდა (მაშინ „ევგენის" მხოლოდ ონეგინს ვეძახდით). მერე, მან, ჩვენი ნანა დიმიტრიადის ბიძაშვილი — ლაურა ხარაძე შეირთო და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობამდეც აღზევდა!

იმ ქალის „მოტაცების" ამბავი კი ასე დამთავრდა: თვითონ სასიძომ დაიხია უკან — ჯერ „სიმწიფის ატესტატი" არ ამიღიაო.

ეს, ერთხელ, პირდაპირ ეთერში მოვყევი ზაზა აბაშიძესთან, ინტერვიუს დროს, და სიცილით კინაღამ მოვკალი გენიოსი ბიჭი, როცა ვუთხარი, რომ ის მრისხანე სადედოფლო, არც მეტი, არც ნაკლები — დედამისი — ყინულის დედოფალი, შეუვალი მარინა ახვლედიანი იყო, ჩვენი ძმის და პირის ზიარების — საქვეყნოდ ცნობილი დოდო აბაშიძის მეუღლე.

ბუნებაში ყველაფერი დეტერმინირებული და ურთიერთგანპირობებულიაო, მაგრამ, აბა, 120 თუ 220-აციის გარდა, სხვა რა საერთო უნდა ჰქონდეს იმ ძველ ამბავს ამ ახალთან, რაც ტელევიზიით ვიხილეთ ა/წ 16 ნოემბერს, როდესაც ცისფერმა ეკრანმა დაუსწრებლად დაგვასწრო დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი იმ თბილისელი ბიჭის 80 წლისთავს, რომელმაც ქართველებზე გაბრაზებულ მოსკოვში თავი მოუყარა მოსკოვზე გაბრაზებულ ქართველებს და მთელ რუსულ ელიტას — ძლიერთ ამა ქვეყნისათა!

იუბილეზე გვეახლა თვით ვლადიმერ პუტინი და ისეთი განცხადება გააკეთა, თვით სიზმარშიც რომ ვერ წარმოიდგენდა სამშობლოდასახიჩრებული ქართველი კაცი. თან „ჩვენში დარჩეს" რუბრიკით კი არა, მაიაკოვსკის რიხით ანუ — Во все голос!

ძალიან კარგად ვიცი, რომ რასაც ახლა ვიტყვი, იმ დარბაზისა და წიგნის ფარგლებს გასცდება და მეც ეს მინდა — საქართველოს გაერთიანება შესაძლებელიაო!

ისევ ჩემი სახლიკაცის შოთა ნიშნიანიძის ლექსი მომადგა პირზე, რომელიც შევარდნაძის ზეობის ხნისაა.

„ერთ ცას, ერთ მიწას, როგორც უნდა, როდი ვაფასებთ —
ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს!"

---

*პიერ ბომარშე: ბუნებამ ქალს უთხრა: იყავი მშვენიერი — თუ შეგიძლია, ბრძენი — თუ გინდა, მაგრამ აუცილებლად... კეთილგონიერი.*

* * *

ერთის მამლობა მეორის დედლობის ბრალია!

ასე ეფიქრობდი ადრე!

ჩვენში რამდენი კაცია — იმდენი ვაჟკაცი, რამდენი ქალი — იმდენი მზეთუნახავი, რამდენი ბავშვი — იმდენი ვუნდერკინდი. ჩვენ არ ვეძებთ ტალანტებს... ტალანტები გვეძებენ ჩვენ და ვინ იცის, დღეს რამდენი იკარგება ამ უმისამართობაში, უხასიათობაში, უგემურობაში.

„...და, მაპატიეთ, მე თუ გავსტირი თბილისის რძიან ბალახის დილასო" — კრწანისის ყაყაჩოების ცვრის ცრემლებს ღერიდა ტიციანი!

ყველას ჩვენ-ჩვენი და... საერთოც გვქონდა!

ყველა ჩვენ-ჩვენს თბილისურ ხატს ვქმნიდით!

აბა, დღეს ვინ წარმოიდგენს, რომ კაცი მილიციის გენერალი გახდეს და კაი ბიჭადაც დარჩეს!

დიახ, ასეთი იყო ჩვენი... ვისთვის ჯემალი, ვისთვის ჯიმი, ვისთვის კი ჯიმიკია მიქელაძე, ბოლოს ნიგნადაც („წარსულის... ფანჯრები") რომ გვიფეშქაშა თავი — ჩემი თავი გენაცვალოთო! თან როგორი წარწერით!... ჩემი ხნის კაცს ქებით უკვე ველარ გააფუჭებ, მაგრამ... თუმცა, არც უამისოდ ვიყავი თავზე მთლად ცუდი წარმოდგენის! და, მაინც, კაცი, მართლაც, იმ სიტყვად უნდა ღირდეს, რითაც იწონება! ალალი იყოს ალალი სიტყვა იმ კაცსა და იმ კაცზე, რომელთა თავმდაბლობა... სხვასაც ამშვენებს!

კიდევ ერთხელ, თქვენთან ერთად, გადავხედოთ მის გზა-კვალს და თვალს წყალი დავალევინოთ! წყალიო?... მიქელაძეებში ღვინოს და სადღეგრძელოს რა გამოლევს!...

... ეს „დაკარგული სამოთხე" — მიქელაძეთა საგვარეულო რეზიდენცია... სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში გახლდათ..." ამ „კულაში" ბევრი ღვინო ამღერებულა. მიქელაძეთა გვარს „მარილად" მარტო პიპინია მიქელაძე ეყოფოდა! არ მითხრათ ახლა, ვინაა პიპინიაო?... ეს ის ენამზე პიპინიაა, რომელსაც ერის მამამ, დიდმა ილიამ უთხრა — პატივი უნდა დამდოთ და ილიაობაზე ტოლუმბაშობა გასწიოთო! აკაკი წერეთელსაც ბევრჯერ დაუმშვენებია თვითონ მიქელაძეების ლხინი, აბა!

... ჭიშკარი, ბებერი კოპიტებით გადარაჯებული მანძილი მიქელაძეთა სასახლემდე... ერთი ვერსი მაინც იქნებოდა. „ვიდრე სტუმარი ამ მანძილს გაივლიდა... ხელცქვიტი მასპინძელი თადარიგს ასწრებდა!...

საქართველოს ბულბულს განსაკუთრებით ჰყვარებია ბაბუაჩემის „კანდელაკური"... აქ ისმოდა

---

<u>სამველ გილდავანა:</u>

რუზველტი რომ ცოცხალი ყოფილიყო, „საფლავში გადატრიალდებოდა!"

**P.S.** ჩვენთან, „გადატრიალებას", ზოგი ლოგინში გადატრიალებად თვლის.

<u>თამრიკო ძიხი-ნელიძე (მამიდურა):</u> საქართველოში „ქართველის დედას ისეთი დრო დაუდგა, რომ ყველა ქართველმა ქალმა ხელში მახვილიც უნდა დაიჭიროს. ფარიც, ხმალიც და თასიც.

-ვერხვი"

საბჭოთა პერიოდის საბავშვო ბაღების იდეურ-პოლიტიკური დონის ამამაღლებელი ლოზუნგი იყო:

„სსრკ — კაკა...

ამერიკა — აკაა!"

**P.S.** ახლა პირიქითაა!

<u>ლამა ნადარეიშვილი:</u>

ზეცა ფიფქებმა გადაამავეს.

არ მეუბნება არავის ფერის...

მარადიული ვარ დამნაშავე

და ჩემი ბრალი არაფერია!

<u>გურამ პეტრიაშვილი:</u> საქართველო-

კოკინია დგებუაძის და დანიელა ურიას სიმღერა. აქვე მოუსმენია აკაკის ვარინკას „სულიკოც", დღემდე რომ არ გახუნებულა და საქართველოს „სავიზიტო ბარათად" იქცა!

იმერეთში მღერის დანიელა ურია,

კახეთში კიდევ დედას ლევანა-ო (ტიციანი).

და, „ჰკითხეთ პოეტს... ვინ უფრო აღელვებს, დედას ლევანა თუ დანიელა ურია"? ეს, მართლაც საკითხავია (თუმცა, ჩვენთვის, ალბათ, არა!)

თვით ვანო სარაჯიშვილმა აკოცა ყელზე დანიელას — „შაბათისა გლახა ვარო" — სიყვარულის „მონყალებას" რომ თხოულობდა!

აფსუს, რა დრო იყო! რა ფერ-უმარილი! როგორ უხდებოდათ ჩვენს ნინაპრებს კოკობი ულვაში, კაი ნაფიც მსაჯულად და მონმედაც რომ გამოდგებოდა!

... მაშინდელი სტოპ-კადრი: ომის დროის პურის რიგები, ნავთის რიგში დანომრილი ბიდონები.

... მიხაი ზიჩი „ვეფხისტყაოსანს" ასურათებს! ტარიელად თავადი გიორგი შერვაშიძე დაუხატავს.

... ეტლების ეჟვანთა ჟღარუნი... ნუთისოფლის სტუმრიანობა. ქართველები უქეიფობას ავადმყოფობას ვეძახით!

... გალაკტიონთან ჭიქის ჭახუნი!

ბონდო ნიკოლაიშვილი! „კირიჩნელი" — „ძველი" და მარად ახალი ბიჭი... ჩვენი ძველი ძამაკაცი!

თამადები — პეტია ბოკერია, ანაპოდისტე ცხადაძე (ქართული სუფრის სამართლის ავტორი!), სიმონიკა სხირტლაძე (ბულბულს რომ სვამდა ჭიქაზე!), ჩირგო (თემური ჩირგაძე), ბადრი პატარაია, ბოცო ჟორჟოლაძე .. „კაცი ვიყო და მათი სახელები არ ვახსენო, კაცი არ ვიქნები და მინდა, მკითხველო, მიხვდე და გაიგო ამ ადრე ნასული კაცების ფიქრები"! ნამომეშალა ფიქრი ვერაზე ჩემი პაემანიდანაც.

მამათა გამოცდილების გარეშე, როგორც დავით გურამიშვილმა ბრძანა, — უხორთუმო სპილოსავით ვერას ვარგებთ მამულსა!

... ნოდარ დუმბაძე კომკავშირის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა (მაშინ, სხვათა შორის, მეც ვახლდი „საგრიალოდ" მოსკოვში — გ.ნ.). სსრ კავშირის სამგზის გმირმა, საბჭოთა ასმა ივანე კოჟედუბმა ნოდარს მიულოცა და სიცილით უთხრა — ასეთი მედალი მე არ მაქვსო.

— ამ შობელძაღლს ტონა ჯართი ჰკიდია გულზე და ეს ჩემი კინკილა ორდენი შურსო — სიცილით თქვა ნოდარამ.

... 1978 ნლის 14 აპრილი — ქართული ენი სახელმნიფო ენად ყოფნა-არყოფნის ბატალიები!

1979 ნელს ირაკლი აბაშიძის 70 ნლისთავი მოსკოვში!

ირაკლის ცნობილი ხუმრობა — ორი კავკასიელი მნერლის გვარისა და სახელის სიგრძე-სიგანისხელა კალამბური — ეს გამზათოვი... რა სულ გამოყულიევებულაო"!

„... ჩვენი ღვანკითა — ბროლივით გამჭვირვალე და სუფთა სიტყვის პატრონი და პურმარილიანი კაცი!..

---

*ონორე დე ბალზაკი: დედაკაცი – გენიალური ჯალათი და უნიჭიერესი მწვალებელია!*

*ალექსანდრე დიუმა: ერთი სიმართლით განთქმული რუსი მეუბნებოდა: „ქართველები ბრძოლაში უნდა ნახო. მაშინ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები კი არ არიან. არამედ გიგანები. რომელთაც ძალუძთ. ზეცა იერიშით აიღონ. სადღა არიან ასეთი... ან რუსები. ან ქართველები!*

ქიათურელი ჟორია ერგემლიძე!

სად იპოვეს მარქსიზმში ეს ციტატა, ეშმაკმა იცის — მარქსს უთქვამსო: ღვინის მოყვარული კაცი კაი კაციაო! აქედანაა, ალბათ, იმდროინდელი ეს მფრინავი ფრაზაც: მთვრალი კაცი — კაი კაციო!

...„ყველაზე მეტად ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი ხარხარებდა — ალალი, მიმტევებელი კაცის სიცილით" — წერს ჯიმი მიქელაძე და სიცილშიც კაცის ცნობის უნიკალურ ნიჭს ამჟღავნებს, რადგან დიდი მოაზროვნეებისგანაც ვიცი, რომ არაფერში ისე არ მჟღავნდება კაცის ხასიათი, როგორც იმაში — რაზე, როგორ და როდის იცინის.

აბა, ერთი კაცის „ვალუტნი ღიმილი" ვიცი (ჩემი დარქმეულია), ჩემს მტერსა და ავს — მაშინ თხრიდა, თურმე, ვიღაცის საფლავს. ეს ისე, თუმც, არც მთლად სასხვათაშორისოდ!

...ქართული სუფრის ფენომენზე ალექსანდრე გრიბოედოვი წერდა, რომ ქართველები, რაც უფრო მეტს სვამენ... ფხიზლდებიანო?!

„დედამინის ზურგზე არ მეგულება მეორე ერი, რომელსაც ღვინო ასე აკეთილშობილებს, აფილოსოფოსებს, აადამიანებს. იმას, რასაც სხვები ღვინოში კარგავენ, ქართველები ღვინოში პოულობენ!" — ამას წერდა გრიბოედოვი და სხვა რამის მჭამელები კი რას აღარ მიირთმევენ, რომ ქართული სუფრის უნიკალური ტრადიციები გალანძღონ!

აშშ-ს ლეგენდარული პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი წერდა: „როდესაც დრო და ვადა ამოინურება, ადამიანი უნდა წავიდეს, რათა დიდხანს არ დაიკავოს ის ადგილი, რომელიც, წესით და რიგით, მომავალ თაობას ეკუთვნისო"!

...საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონს — ნყალბურთელ პეტრე მშვენიერაძეს გვარშივე დააყოლა ღმერთმა მშვენიერება. ის ნყალში კი არ ცურავდა, ქრისტესავით — ნყალზე ფეხით დადიოდა. ცნობილია მისი ნყლიდან ქამრამდე ამოსვლა და „არხეინად" დგომა.

მახსოვს, გოლიათს როგორ უზომავდნენ მხარბეჭს ბიჭები... და, შემდეგ დაობდნენ, თხუთმეტი კი არა, ოცი მტკაველიაო!

პეტრე მშვენიერაძის დაკრძალვის დღეს ზურაბ ნერეთელმა გადანყვიტა დროსთან შეჭიდება და უკვდავი ქართველის მარადიულობის საგარანტიოდ ნყალბურთის „პეტრე პირველის" ძეგლის აგება.

სნორედ, ჩვენი თაობის სნორუპოვარი ძეგლების აგებას, მხატვრის ყალამთან ერთად, ემსახურება მნერლის კალამი!

*-ში რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგოდ ეროვნული მოძრაობა დაიწყო რუსის ჯარის შემოსვლისთანავე. პირველი, ვინც რუსებს აგრძნობინა, რომ საქართველოში მშვიდად ვერ იბატონებდნენ, იყო მარიამ დედოფალი, რომელმაც გენერალი ლაზარევი გაგმირა ხანჯლით. მერე იყო ალექსანდრე ბატონიშვილი. მერე აჯანყებები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მერე 1832 წლის შეთქმულება...*

*საბჭოთა იმპერიის საწინააღმდეგო ეროვნული მოძრაობის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ ის დღე, როცა დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ წერილი გაუგზავნა ლენინს და გაუცხადა, ქართველი ერი ვერ შეეგუება მონობასო.*

*მერე იყო საოცარი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.*

*მერე იყო ათობით ქართველი ნაციონალისტი, რომლებიც ციხეებში სვამდნენ ან გადასახლებაში უკრავდნენ თავს. მერე წამოიზარდნენ ზვიადი და მერაბი და 1953 წელს 14 წლის ბიჭები ჩაებნენ ეროვნულ*

## *მერძენას!*

...კიდევაც დაიზრდებიანო ალგეთს ლეკვები მგლისანი,
თუმც, რისი მგლისი, ბოკვერნი ვეფხისა და მოყმისანი,
ბარტყები არწივისანი, უჟრრრ... ანგელოზნი ღვთისანი,
ბოლნისის გზაზე შემომხვდნენ ნატეხნი უტეხ კლდისანი.
მარნეულს გადმაელობნენ, ხმლით, ყრმანი თლილნი ქვისანი...
ამ მგლის ლეკვებში, მე...
მერაბ ბერძენიშვილი ვიცანი!
„ისწავლა სწავლის მძებნელმან, მიჰყვა დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამა, კვლავ ტკბილი", მოჰყვა დავითის ქებასა,
„თითზე ვართ ჩამოსათვლელნი, დასაკარგავი სად არი?"
შვილი მიჰგვარა დედასა, არ გაუცვლია ღადარი...
დგას, ახლა, გურამიშვილი და ჩვენს ჭირ-ვარამს არჩევსა,
მკვდარიც ცოცხლებში სწერია,
მადლი ღმერთს,
მადლი გამჩენსა!
დიდება აღმაშენებელს!
„ცოდვილთა პგუემდეს ცეცხლიო"...
„მართალნი ნეტარებდნენ და
აჰა, მირონ-ფიც ვერცხლიო!"
„ძლევაი საკვირველი" და
ის დიდზე დიდი დიდგორი –
„ქრისტეს მხედარი" –
„მახვილი მესიის" –
ღვთის სამკვიდრონი!
რასაც ვერ იტყვის სიტყვა და
რასაც ვერ ზიდავს ქაღალდი,
მეგალითების დუმილში
ისმის იმ ქვათა ღაღადი!
რის საქაძის ფარ-ხმალი დღესაც სამშობლოს მწედ არი,
როცა ჭიხვინებს ულაყი, მისი პატრონის მზედარი,
როცა ნესტეში ლაგამს გლეჯს მისი ბრინჯაოს მხედარი...
გმირი, თუნდ, ქვაში ცოცხლობდეს,
სოფელი – მაინც მხნედ არი!

* * *

თუ ყველაფერი, რაც სათქმელი იყო – ნათქვამია –
თუ ყველაფერი, რაც დასაწერი იყო – დაწერილია –
მე რომ წერილი მაქვს დასაწერი და წასაღები –
აბა, ის წერილი სადაა და რა წერილია?..
ყველას თავისი აქვს ბედისწერა –
ყველას თავისი ჰყავს ბედისმწერალი –
ვის – სად და როდის აიტანს, როგორც ჯერ არს –
ვის – რას არ აბედინებს ბედი-მწერალი!

---

*ჭაბუა ამირეჯიბი: სამეგრელოსა და სამურზაყანოში კიდევა, სერზე შემოდგები და რაღაცნაირად მოწიწებული ხდები. კაცოოო! ზრდილობა და თავაზიანობა გწყურია. ლამის უნაგირიდან ჩამოხტე. ცხენს კისერზე მკლავი გადაჰხვიო – მეპატიოს, რომ ზურგზე გეჯექიო და ღირსი მოგინდება.*

* * *

ზურგისა თუ პირის ქარით —
უფლის ნებით, უფლის ძალით —
სიყრმის მზით და მთვარის კვალით —
ღვთის მადლით და ქვეყნის ვალით
გზნებითა ვაგორე გზები —
სიკეთისა შევკარ ძნები —
ასე გავაბოლე წლები —
დროც მიქრის და... მეცა ვქრები.

* * *

ერთმანეთის „სიყვარულში" —
სიძულვილით „ვწონასწორობთ"...
გულზე ხელი დავიდოთ და
მართალს თვალი გავუსწოროთ!

* * *

სული იწვის და ღმერთთან ერთდება,
სანთელს ცრემლები მოსდის ღვენთებად,
ცოდვათა ჩვენთა სინანულითა —
ენით, რწმენითა და მამულითა!

* * *

ცოდვა თუ შენდობას არ გასცდა —
ლოცვანი სასწაულს იდენს.
სიტყვა „პატი-მარი", ნახევრად —
„პატი"-ებასაც იტევს!

* * *

ვინ მტყუანია
და ვინ მართალი —
ამას ხომ მხოლოდ უფალი ხედავს.
ციხის კარს... მხოლოდ უფალი აღებს,
ციხის კარს... მხოლოდ ეშმაკი კეტავს!

* * *

მჟავე სიფათების „შესაღებად"
მისწრებაა მჟავე ტყემლები —
ინდულგენციების მისაღებად...
ტირიან გლიცერინის ცრემლებით!

მოძრაობაში იმით, რომ სკოლაში ჩამოაყალიბეს „საქართველოს განთავისუფლების ორგანიზაცია".

მერე მათ პროკლამაციებით გამოხატეს პროტესტი, როცა 1956 წელს ხრუშჩოვმა დაახვრეტინა სტალინის სახელის დამცველი ქართველთა მრავალათასიანი მიტინგი.

9 აპრილს, დილით, სახლიდან რომ გადიოდა ელისო ქიპაშვილი, დედამ უთხრა, ნუ წახვალ, შვილო, ფეხმძიმედ ხარ, მაგ ბავშვის სიცოცხლესაც ხიფათში აგდებო.

ელისომ უპასუხა: დედაჩემო, თუ ჩემი ერი მონა იქნება, არც ჩემი სიცოცხლე მინდა და არც ჩემი შვილისაო.

ირაკლი წერეთელი (საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი):

ქართველო ერო, გაცხადებთ: მანამ იქნებით უბედური, სანამ პრეზიდენტად არ აირჩევთ ირაკლი წერეთელს.

„ახალი თაობა"

# *მეშვიდე ცაზე*

## ლექსად წაკითხული ეკლესიასტე
## (თავი მეშვიდე)

…ესაა სიბრძნე (სიცრუის გარეშე), ლექსად შეკაზმული აზმა.
ავი და კარგი და თეთრი და შავი რომ
აწონოს ღმერთ-სიტყვის ფასმა!
— სახელი ჯობია ნელსაცხებელს,
თუ სიკვდილი — გაჩენის დღეს?
— ვინ — როგორ არჩევს ნათელსა და ბნელს.
შენატრის მის ნატერის ხეს!
— ბრძენთა ფიქრები გლოვის კარავშია —
უგნურთა — გართობის სახლში.
— აეანი — მის ნატერის ხის ნაყოფს მისტირის,
ჩაეანი — დამწვარ ხის ნახშირს!
— ბრძენისა — გინება გირჩევნოდეს, ბრიყვისა — ქება-დიდებასო,
— ჭკვიანი კაცის აკიდება სჯობსო — სულელის გამოკიდებასო!
— ბრიყვის სიცილი ფიჩხის ტკაცუნია!
— ყბათა ლაყბობა — პირის ცმაცუნი!
— წარსული —აწმყოსა რად და რითი ჯობდა —
— დრომ იცის ქიცის... ქიცმაცურიც!
—კეთილდღეობისას — კეთილად მეყოლე,
ძნელბედობისას კი — ფრთხილადო!
—ხილი იხილე ხილად და
ჩრდილი იჩრდილე ჩრდილადო!
— ნუ იქნები მეტისმეტად მართალი —
— შენ შენი მოთალე სათალი!
— სიბრძნე თუ ბრძენთათვის ძალაა —
— სიგიჟეც... ნაკლები არაა!
— თუ ხარ — გიჟივით მართალი უნდა იყო,
ან, პირიქით — მართალივით გიჟი!
„უშიში, ვითარცა უხორცო“ — არ გქონდეს
ფობიებ-შიშების შიში!
— არ იპოვება ქვეყნად უცოდველი, რომელიც არა სცოდავს!
— ვინ ნახა - კაცი წყალს ნაყავდეს,
მინახავს — კაცი ქვას კოდავს!
— ყველა სიტყვას ყურს ნუ ათხოვებ, რომ შენი არ გესმას გინება!
თორემ, ისეთსაც იტყვიან... მკვდარსაც კი გაეცინება!
…ბიბლიური სიბრძნე — სიბრძნისმეტყველს ჰკითხე
ბრძენსა — „შესაკრებთა ქადაგსა“!
გზა ტაძრისაკენ გაიკვლიე —
ეკლესიასტეთი! (გზადაგზა).

---

*იმანუილ კანტი: საქართველო მზეთუნახავთა ორანჟერეაა!*

*ზვიად გამსახურდია: ქართული კულტურა სავსებით უნიკალურია ქრისტიანულ აღმოსავლეთში.*

## ბედისწერა

როცა იწყება თავდავიწყება —
ბედისწერაც, ე!...
მაშინ იწყება!
მოდის სტრიქონი, რითმების წყება —
აზრის საქსოვად ბგერა იწნება...
და სულის გზნება —
გზათა ზმანება —
ცეცხლის ბწკარების იკვრება ძნებად...
...ლექსის თავსხმაში, ანუ გიზგიზში
ორჯერ გაისმის ჩემი სახელი.
უნახავის ვარ, როცა მნახველი —
იტყვის რა პირი!
დაწერს რა ხელი!
როცა კალამი ისვრის... თუნდ, დროს კლავს,
როცა ქაღალდი დანაღმულ ველს ჰგავს,
სიტყვით თუ ვინმეს საფლავს უთხრიდი —
ფეთქებადსაშიშ სიტყვას უფრთხილდი!
რომ სარჩევია კარგი და ავი —
აქ სიფრთხილესაც კი სტკივა თავი.
სიტყვა — გამრჩევი თეთრის და შავის —
წამალიცაა და საწამლავიც!
...დიდება ღმერთსა და ფუი, ეშმაკს —
ლექსის წერაა ჭკუიდან შეშლა —
აზრზე გადასვლა და აზრზე მოსვლა —
ამ გაგიჟებამ მე გამამგოსნა.
მას ღვთაებრივი სიგიჟე ჰქვია —
მოგვცა ლხენა... ქარები ქრიან
და მიაქვთ-მოაქვთ ლექსად ბოდვები —
რითმით მორწმუნე კაცთა ცოდვები!

## ჭკუით მოგება!

### (ფრანგული დღიურიდან)

ასეთი მწირი სახსრებით
არ დავალ საბურთალოშიც —
მონტე-კარლოში, ასე ვთქვათ,
წავედი... ცალი კალოშით.
უფულოს წყალობს უფალი —
ბედის თანაბარ „ანაბრით“ —
შევედი, ვით კარლეონე —
„მეჟდუნაროდნი“ განაბი.
ფსონი „დავდევი“ იღბალზე —
ტოტალიტარულ იმ წილით,
რომ, რა წავაგე, არ ვიცი,
დრო კი მოვიგე... სიცილით!
მე თუ რამეთი მოვიგე,
ჭკუის ნიღაბი მოვირგე.
და, რომ არ მითამაშია —
აი, მოგება რაშია!

<u>ნიკუშა შენგელაიას:</u>

დედა დავასვენეთ დიდ ოთახში. ღამით, გვიან, როდესაც ჩვენ, ყველანი, გვერდით ოთახში ვიყავით შეხული, კედლიდან ჩამოვარდა ბებიაჩემის — ვერიკო ანჯაფარიძის პორტრეტი და კუბოს კიდეს დაეცა...

არ ვიცი, რა მოხდა. სოფიკო იმ წუთს მარტო ესვენა ოთახში... „დედის დღის“ წინა დღეს, 2 მარტს დავკარგეთ.

არასდროს სოფიკო ჭიაურელისთვის ენის მოჩლექით „სოფო“ არ დაუძახია...

თბილისში სოფიკოს ქუჩა გაჩნდა. აქ მუდამ იგრიალებს მისი ლამაზი სული.

კოსოვოს პრემიერ-მინისტრმა უდანაშაულო ადამიანების შინაგანი ორგანოების ვაჭრობით დააგროვა ქონება და კარიერაც გააკეთა!

„ასავალ-დასავალი“, 14-20.04.08

**P.S.** ეგღა გვაკლდა, სხეულის ნაწილებზეც წაუცდეთ ხელი! ეშმაკმა იცის ვინ — რას მოგვცემს!

## *ლექსპრომტი თემურ ჭიჭინაძის „თემურ წყომილემას“*

კაის-კაი ბიჭად-ბიჭნი იყვნენ ჩვენი ბიჭები —
თავის დროსთან, სახუმარო, მოიცვალეს კიჭები!...
ზიარებით ზიარების გობი დადგეს გობითა —
ძმებში — ძმაკაცობითა და ძმაკაცებში — ძმობითა!
ჭრიჭინ-ჭრიჭინ საქმეს უჭირს —
მტერო გასკდი ჭიჭინაზე!
კარგადა ვართ — მტრის ჯინაზე...
გარანტად გვყავს... ჭიჭინაძე!
„თემური და მისი რაზმი“ —
„სიმია“ თუ „ალილოა“ —
იმასაც კი გააცოცხლებს —
რაც გგონია — მკვდარი როა!

* * *

ვინ იცის, ღვინის ზარხოშსა
რამდენი უთქვამს ლექსია —
ღვინოა წამის წამალი,
მაძალიც დილის ზექსჩეა!
ღვინის და ლხინის სამშობლოდ კოლხ-ქართლ-კახეთი ხარობდა —
ზედაშეს ზიარებად და საფერავს — მელნად ხმარობდა!
ყოველგვარ მეტაფორის და გადაჭარბების გარეშე —
სამოთხის ხილვა თუ გინდა, იხილე ის ჩვენს მხარეში!

### *ნატვრა*

მენატრება და ნახვა... არ მინდა —
ვაი თუ მასზეც გამიტყდეს გული —
შეურყვნელი და „შეურაცხადი“...
ხელუხლებელი დარჩა წარსული!
მოგონებების იმ თეთრ ბურუსში,
სიტყვების ოქროს თეზაურუსში,
მზეთუნახავი ფიქრების სვედა —
ფეხდაფეხ მდევდა და... დამიბერდა.
მიჯობს, ოცნება დარჩეს ოცნებად,
არ დახურდავდეს პირზე კოცნებად,
იყოს სულ ასე — მიუწვდომელი
ყოვლად-ყოველი, მწვდომლის — მწვდომელი...

* * *

...აქ, უკვდავი სულები... მშვიდად განისვენებენ —
სიცოცხლეში დაღლილნი... სიკვდილში ისვენებენ!
ცათა შინა საფლავენი —
მთათა ნისლში დაფლულან —
მთაწმინდა, სასაფლაოდ?...
არასოდეს არ თქმულა!
(არც არასდროს აღქმულა!)

* * *

პატრუქი სანთლისა!
კალმისტრის კალამი!
მაცილებს მაცილებს სამარის კარამდე,
რომ მარადისობის მაგუოს ამ ყოფას
და სულთა მაგიით ნათელში მამყოფოს!

* * *

„კარგი გაზაფხული მოდის, მე კი, მგონი, მივდივარ." — თვალი მოუკრავს სიკვდილისთვის ელიჩკა ახვლედიანს.

თბილისი მისი თვალით — სხვა გადასახედია!

* * *

ვისთვის — ლანძღვა-გინებაა, სხვისთვის — ქება-დიდებაა, ვისთვის — კომპლიმენტია, სხვისთვის — კომპრომატია!

მთავარია, სიტყვაში — ვინ რა აზრი ატია!

* * *

ავტოკრატია, კლეპტოკრატია — დემოკრატიამ ვერ დაატია. სანამ იზრდება — ადეკვატია, რომ გაიზრდება, ის — დე-ბატია!

* * *

მინდვრის ყვავილებს მე ბალახი მიჯობს, ეგება... გვაჭმევს და გვასმევს, გვეფერება... ფეხქვეშ გვეგება.

„ცერიან ბალახზე ფეხშიშველა თუ არ გაიელი — რაა მამული?" გალაკტიონმა ასე ახსნა ეს სიყვარული!

* * *

მეზობლების ჩხუბში პასუხს ვინ აგებსო? რატომა ჭამს შენი კატა ჩემს თაგვებსო?!

შურისაგან დღეს იმდენი შარი მოდის... ვისგან აღარ გაიგონებ — სადა და როდის!

* * *

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, ფიქრები... როცა არ ვიქნები — მაშინ სად ვიქნები???

---

*სოლომონ ბრძენი: ჯობია, ბრძენმა გაგინოს, ვიდრე სულელმა გაქოს.*

---

*შავსა და თეთრს ვარჩევ...*
*ავ-კარგს —*
*უფლის მზერით ვმზერ —*
*შავით — თეთრზე ვკითხულობ და...*
*თეთრით — შავზე ვწერ!*

*(ჯავახ-პრესი) 25 მარტს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალიის აღდგენის დღეს აღნიშნავს.*

*ამ დღესთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სამების საკათედრო ტაძარში პარაკლისს გადაიხდის. ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია 457 წელს ანტიოქიის ეკლესიისგან მიიღო. რუსეთის იმპერიამ კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია 1811 წელს გააუქმა და მას შემდეგ რუსეთის სინოდი ქართულ ეკლესიას, 1917 წლამდე, ეგზარქოსების მეშვეობით ხელმძღვანელობდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს დალოცვით მოღვაწეობით მსოფლიო საპატრიარქომ, 1990 წელს, საქართველოს*

* * *

რესპუბლიკის პროკურატურის რაღაც თარიღი იყო,
სადაც (მქონდა პატივი) მიმიწვიეს და სიტყვაც მომცეს.
აი, სწორედ იქ ითქვა ეს მწარე ხუმრობა,
რომელსაც, ცხადია, არაერთგვაროვანი
რეაქცია მოჰყვა!
დღეს ისეთი დროა —თუ ფული გაქვს... სიმართლეც არ დაგეკარგება-მეთქი!
როგორია?

* * *

საუკუნის სწორზე ვარ,
მის სასწორს თვალს ვუსწორებ.
უსწორ-მასწორს ვასწორებ —
ზოგჯერ „მასწორ-უსწორებს!“
ჩემი სული და ხორცი
მის ბედ-იღბალს მინებდა.
ღმერთს რომ არ ვყვარებოდი —
რა გამაძლებინებდა?

## *ნეტარ არიან?*

სიკვდილ-სიცოცხლე —
საიდუმლო, ჰადესის წილი,
ყოფნა-არყოფნა...
უკვდავებავ, გეძებ, სადა ხარ?
მიცვალებულებს თუკი სძინავთ მარადი ძილით...
მაშ, ის ვინ არის —
სიზმარში რომ მოდის ხანდახან!
გულის სეიფი სიცივესაც ინახავს თბილად,
ხსოვნას რა მოკლავს,
ან სიყვარულს რა მოასვენებს!
ნეტარ არიან, ვინც უხილავს გულით იხილავს —
მაშ, ის ვინ არის —
დღე და ღამე თავს რომ მახსენებს!...
„გაღმა გასულებს“ ეძახიან გამოღმელები
იმათ, ვინც ტვინის ხუჭუჭებში დღესაც აბოტებს —
სადღა არიან იმ გრაალის თასის მცველები!...
მაშ, ის ვინ არის —
ძილშიაც რომ ხშირად მაბოდებს?

---

*ილია ჭავჭავაძე: ქვეყანა ტაძარი კი არაა, სადაც კაცი უნდა ლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა იხარჯებოდეს და მუშაობდეს.*

* * *

ეს დროება არის ეაი-ეიშისა... იწურება, ეით საათი ქეიშისა. სააქაო დიდი ეერაფერია — საიქიოს უკეთესსა ელიან! პოდა, ასე, უკეთესის ლოდინში — ეენაყებით ერთ საერთო როდინში.

ეეშმაკობით და ზოგჯერ ღმერთიც გეიწყრება —
ეს ჟურნალი...
კინო ახლა იწყება!

* * *

მათ საყურადღებოდ, ვინც ღვინოს ვერ იტანს: IN VINO VERITAS! — ღვინოშია ჭეშმარიტება! ავჭიკჭიკდებით ჩიტი-გვრიტებად. ღვინოა ღვთაებრივი სითხე — ვისაც გინდა, ჰკითხე!

* * *

გადაშალე ეს წიგნები, სუფრასავით გაშალე და ახსივე მზე შინიდან და ფიქრები აშალე. მოგონების გულღმობიდან — სალამ-კალამ-შრომიდან, ნუთისოფლის სტუმრობიდან — მასპინძლობა მომინდა!

წიგნი არის მასპინძელი
და მკითხველი — სტუმარი,
მთქმელიცა და გამგონეცა
ერთურთს ცნობენ გუმანით!

* * *

ყველაზე კარგი „მონმე" — მაყუთია, რასაც ყველა ერთხმად იმონმებს. ორჯერ დაცხიკვებაც „საბუთია" — 2 ცხვირი = 1 მონმეს!

## *ჩემი ვარსკვლავი*

...ბიჭობიდან ფეხს აღარ ვიცვლი და
სიყრმის მზით — სული კბილით მიჭირავს —
ჩემი სახელი ერთ ვარსკვლავს დაარქვეს და
ასე გავხდი მე ვარსკვლავთბიჭუნა!
თბილისში ქვას ვტოვებ სახელად —
ოღონდაც შენ მყავდე მნახველად!
აგერ, პოეზიის ღუზასთან!
მოდი, გელოდები მუზასთან!

---

*ბედა: ოქრო გამოიცნობა — ცეცხლით, ქალი — ოქროთი, კაცი — ქალით!*

*ეკალი... ვარდის საუწყებო დაცვაა!*

*ეკლესიის ავტოკეფა-ლიის ოფიციალურად ცნო.*

*ეკონომიკის ექს-პერტი თამაზ აქუ-ბარდია:* ერთ-ერთმა არაბ-მა, რომელმაც მეხე-და საქართველოს, თქვა, თუ გაყიდ-ით... მთლიანად ვი-ყიდი ამ ქვეყანასო. უზარმაზარი ფული აქვთ. შეუძლიათ ამის გაკეთება და. მარტო ბენდუქიძის ნება რომ იყოს, ალ-ბათ, აქამდე მთლი-ანად გაყიდულიც იქნებოდა ქვეყანა...

*გიორგი თარგამ-აძე:* ვანო მერაბიშ-ვილი მუშნი ზარან-დიას მაგონებს. არ-სებობდა უაღრესად გავლენიანი პოლი-ტიკური ჯგუფის მი-ერ კარგად დაგეგ-მილი და ინიცირე-ბული პროცესი, რომლის რეალური შედეგები ჩვენ, ყვე-ლამ, ვნახეთ და რომლის დასკვნით ნაწილს ეკლესიის დანგრევა წარმოად-გენდა. მაგრამ, ეს არ იყო არც დასაწყ-ისი და არც დასას-რული. ამას თავისი პრელუდია ჰქონდა, რომელიც იმ ადამი-ანის გონებაში იწყე-ბა, ასეთი ნაბიჯი

* * *

ყურადღება!
ვისაც ნაკლის გასწორება სურს...
გადაუსვას მინუსს (—) ხაზი
და მიიღებს პლუსს (+)!

* * *

დავიწყების მდინარე ლეთამდე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, სულის უკანასკნელ ფლეთამდე, სანთლის უკანასკნელ ღვენთამდე, სიტყვა — მე და ჩემ ღმერთამდე... რომ ჩემს სისხლს და ხორცს ვუხნა, ვუთესო და ვუბარო — მასმინე, ასმინე და ისმინე, უფალო!

* * *

ვინ-რა პირითაა რეპერი?!
სადაც იაპ — იქაც — პოოპ სხეფერი...
რითმების უაზრო მესერი —
ლექსის სენს რა პქვია — ლექსენი?..
გახსოვდეს — მისი ხარ მომკელი!
როგორ და რისიც ხარ მთესველი!

* * *

დრო მოვა და ჩვენ წავალთ —
მკლავს ამაზე ფიქრები —
ყველაფერი იქნება...
ჩვენ კი აღარ ვიქნებით!

* * *

მგონია, მარტო ვარ! (არ ვიცი, რატო ვარ?)
დრომ, თუმცა, მადროვა (რა დროა? რა დროა?)

* * *

ჭკუას უჭკუო უჭკუოსაგან ითხოვს.
ჭკუა — ჭკუის საკითხავ ჰკითხე!

* * *

მე იმ ნამებისას — ვითვლი ნამებს. სიტყვა ნანამები... ღირს ერთ რამედ. ყოფნას-არყოფნისას ვერ ვინამებ — კალამს -გირობასა ვერ დავნამებ!

### სულწაწყმედილთა გულში ჩახედული ლექსი

არც მშია, არც მწყურია, არცა მცხელა, არც მცივა — სხვათა უბედურებისგან... ბედნიერი კაცი ვარ! „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირი" — ერთ ადგილზე მკიდია. ეშმაკი ვარ, ხორცისათვის... სული გამიყიდია!

---

*აბაი კუნანბაევი: ადამიანის ღირსება განისაზღვრება იმ გზის მეშვეობით, რომლითაც ის მიზნისკენ მიემართება და არა იმით, მიაღწევს თუ არა მას.*

*ფრანსუა დე ლარომფუკო: გამჭრიახობა იმ კაცს კი არ აკლია, ვინც ვერ მიაღწია მიზანს, არამედ იმას, ვინც გვერდი აუარა მას.*

აირია ჩვენი გზა და კვალია — ვინ მტერია და ვინ კი — მოყვარეა. პოდა, რომელ ერთს ავუნთოთ „მწვანეა"? ძია სემს თუ... „ძიაძია" ვანიას?

## პაფსუს!

თბილისური შნო და ეშხი — პური, მარილი... და სიცოცხლის მადლი პეშვით — ზედაც მწვანილი!... ბაჯაღლო მზის ოქრო-ვერცხლი — დილის არილი — ღვინო-დუდუკი-ქალები... ადრენალინი!

* * *

...სულს ვუბერავ და პირს ვადებ ბოქლომს —
„სიტყვა ვერცხლია — დუმილი ოქრო!"

* * *

რაც მე ამ ქაღალდს ბდღვირი ვადინე;
რაც ქვათა ღაღადს ცრემლი ვადინე;
რაც მე ამ კალამს სისხლი ვადინე;
დედა მეტირა — დედა ვატირე!

* * *

კარისკაცნი მოგვიმრავლდა
და უფრორე მეფის კარის.
კაცზე ქუდი არის, მაგრამ —
ქუდზე კაცი... აღარ არის!
მხეცთა შორის უმხეცესი,
თუმცა, არის ძაღლის ჯიშის —
მგლისგან მწყემსი არ გამოვა —
„მგელი მგლობას არ მოიშლის!"

* * *

როცა ქართველი ქართველს კლავს, ეს... თვითმკვლელობას უფრო ჰგავს! ავის მთესავს და მომკვლელსაც — მოკლულსაც ვტირი და მკვლელსაც!

* * *

ეთერ ერაძე: ამას წინათ თავად გავხდი მოწმე აუადნასროლი მფრინავი ფრაზისა: რა შენი საქმეა??? ორთაჭალის შადრევნის გარშემო ვიღაც ქალბატონი ბლუჯა-ბლუჯა კრეფდა ვარდებს...

— რას აკეთებთ, ქალბატონო? — ვკითხე მე.

რა თქვენი საქმეაო, მიპასუხა.

ეს კაცური კითხვა და უკაცრავად პასუხია — პასუხი მეც ამეკიდა და ლექსადაც წამეკიდა!

რომ გადადგეს. ეს არის „თავისუფლების ინსტიტუტი". ვერიის მასზე ეკლესიის დანგრევის ისტორიაში მაჰმადიანი ქართველი ფიგურირებს, რომელიც ბულდოზერის მძღოლი იყო. როდესაც ღამით მასზე აიყვანეს, მან არ იცოდა, თუ რა დავალება უნდა შეესრულებინა, მაგრამ, როცა გაიგო, რომ ეკლესია უნდა დაენგრია, ბულდოზერიდან გადახტა და იქაურობას გაეცალა.

...დროდადრო ლენინის მუმიაზე თავდასხმები ხორციელდებოდა. 1934 წელს, ვინმე ნიკიტინი შეეცადა, ესროლა დაბალზამებული ბელადისთვის. თუმცა, დაცვამ და მნახველებმა ხელი შეუშალეს. თავდამსხმელმა თავი მოიკლა. 1959 წელს დამთვალიერებელმა სარკოფაგს ჩაქუჩი ესროლა. მინის ნამსხვრევებმა ბელადის სახეს და ხელებზე კანი დააზიანა. 1960 წელს ფრუნზელი მინგაევი ბარიერს გადაახტა და სარკოფაგის მინა ფეხებით ჩალეწა. 1961 წელს დამთვალიერებელმა ქალმა „ჯერ მი-

რა შენი საქმეა? რა ჩემი საქმეა? რა მისი საქმეა? შენი გულციეობა?.. ჩემი გულგრილობა ცხოვრების აკმეა! ანუ მწყერეალიაა – სახალხო „გმირობის"!..

იმ პაროქსიზმების, როდესაც სიკეთე აღარც ქვაზე დევს, აღარც გვახსოვს და აღარც გვესიზმრება!

## უპის წიგნაკიდან – სამაგიდო წიგნამდე

პირველი სტრიქონები „ჰეკლბერი ფინის თავგადასავლიდან": თქვენ ჩემ შესახებ არაფერი გცოდნიათ, თუ არ წაგიკითხავთ „ტომ სოიერის თავგადასავალი", მაგრამ ესეც არაფერია. ეს წიგნი დაწერა ბატონმა მარკ ტვენმა და, საერთოდ, არც ისე ძალიან იცრუა. ეს არაფერი. ჯერ მე არ მინახავს ისეთი ხალხი, რომლებიც სულ სიმართლეს ლაპარაკობდნენ"...

ეს წინასიტყვაობა ჩემს წიგნებსაც გამოადგებოდა... ბოლოსიტყვაობად.

გიყვარდეს მტერი შენიო!

ბიბლიური შეგონებაა.

კაცო, ჯერ დავამარცხოთ და მერე შევიყვაროთო! — ამბობს ჩემი მეგობარი ზაზა კაციაშვილი, რომელსაც კაცობა გვარითაც მოდგამს და კალმითაც.

ერთ-ერთი მისი ქარაგმული ნაკვესი და ფრთიანი ფრაზა სამიდღემჩიოდ შემორჩა მეხსიერებას!

ძმებ კარამაზოვებს — დები იშხნელები მირჩევნიაო!

ზოგიერთ თანამედროვე ისტორიკოსს — ისტერიკოსს ეძახის და ამბობს: საჯილდაო ქვაზე მძიმე... საჯილდაო სიტყვაა! ნამგალი კი არა, ცელიც ვერ მოთიბავს კალმისოდენს.

აფსუს, ჩვენს დროში ქონება-არქონება... გონება-არგონებაზე არა ჰკიდიაო. „გალობანი სინანულისანი", ერთ მეფეს კი არა, ერთ ცივილიზაციას ეყოფა მოსანანიებლად.

სიზმარი ღამის პერანგში გახვეული დღეა — ჭორი კი ნამოდულებული სიმართლეო!

„გამზრდელზე" გაზრდილ კაცს სოროსის გამოსაზრდელი რა სჭირსო? — ახალ ჭირზე ამბობს! მექალთანე არა სჯობია მეკაცთანესო?...

სტიქიური უბედურებების (რევოლუციების) გარდა, საქართველოს ახსოვს სტიქიური ბედნიერებებიც: აღმაშენებლის, რუსთაველის, თამარის დაბადება... მახლას, დიდი გზა გამოვიარეთ ნიკოფსიიდან — დარდუბალამდე!

...საერთოდ, ეს კაცი ჩემთვის გამოცანაა! კეთილგონიერი, გულკეთილი, კეთილაღნაგი, ბროლივით გამჭვირვალე, სიკეთის მკეთებელი და სიკეთის დამნახველი. მისი ძმაკაცობა „ნიანგის" რედაქციიდან ამყვა, სადაც იგავებს ნაგავებივით „ვყრიდით" და შაყირი მოსწრებული სიტყვის მისწრებაზე იყო, რადგან... ფული ღირდა, ბაბაია!

ეს კაცი პროფესიით ეკონომისტია და ახლებურად მოაზროვნე, საკმაოდ ძლიერი ეკონომისტის სახელიც აქვს, მაგრამ დღეს არსად არ მუშაობს (საკუთარი საწერი მაგიდის გარდა). აქ კი ცხვება და ცხვება წიგნები.

„დედას პურივით", „მთანმინდის ტალავერივით", „სულის საცეცხლურივით", „გალაქტიკურ გამოფენასავით"... (რომელი ერთი!) საერთო ქუდით:

ფიცით შეეკარ სამშობლოს და სახეალიო დღე იცან;
სიკვდილზე გამარჯვებული — კაციც მიყვარს და ლექსიცა!...

...ვუყურებ, ვუსმენ ამ კაცს, ვკითხულობ მის წიგნებს და ვფიქრობ ჩემთვის. ქვეყანას, რომელსაც ასეთი კაცი არ სჭირდება, ან ძალიან კარგადა აქვს საქმე, ან... ისე, როგორცაა აქვს!

„კაცი — კაცითა და ღობე სარითაო!" — სულ რომ არ მოგვერღვეს ეს ღობე (ერთხელ, ყვარელში, ერთმა კახელმა გლეხმა ქართული ჯარის სადღეგრძელო ასე თქვა: ჩვენი ქვეყნის ცოცხალ ღობეს გაუმარჯოსო!), აკაკის „ჩონგურისა" არ იყოს — ჩონგური საქართველოა და გაეუფრთხილდეთ ყოველ სიმსო!...

ერთი პატარა გოგო მომიყვანა სახლში — ნინო რამიშვილი! სამტრედიელი. ორი ნინო რამიშვილი და ორივე გენიალური... არ არსებობს! ბუნება ასე არ ანებივრებს ადამიანებს... მაგრამ, თურმე, ასეთ გამონაკლისებსაც უნდა ელოდო. რასაც ის ჯადოქარი ქალი ცეკვით ამბობდა, ამან ლექსად აალექვა კალამი! მახსენდება ფეხისნვერ-კალმისნვეროსან (მოცეკვავე-მწერალ) გივი სიხარულიძის საეპიტაფიო სტროფი, რომელიც უკვდავი ნინო რამიშვილის საფლავის ქვაზეა ამოსაკანრი: „მანამ იცოცხლებ, მშვენებავ ერის — სანამ ქართველი ცეკვავს და მღერის!"

ეს ახალი ნინო რამიშვილი კი... თითქოს, იმ ძველის ინკარნაციისა თუ რეინკარნაციის ფაქტივით, ჩემ თვალწინ იდგა (მთელი თავისი შინაგანი თუ გარეგანი მშვენიერებით) და მისი სრულიად აუხსნელი ტალანტი... პატრონს ეძებდა!

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო (ეს ამბავი მგონი სადღაც, უკვე, მოყოლილიც მაქვს), ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ — პატარა ნინო რამიშვილი დიდ გზაზე დავაყენეთ. ახლა იგი უნივერსიტეტის ასპირანტურაშია (ქალბატონი ინესა მერაბიშვილის ხელდასხმით) და ცნობილ სამშენებლო ფირმა „ოლიმპიურ ვარსკვლავში" მუშაობს, ჩვენი ხელდასხმით, დიდ ვაჟას შთამომავლებთან — რაზიკაშვილებთან ერთად! ამზადებს უცხო ენის მიერ დღემდე ხელუხლებელი მთის პოეზიის (ვაჟას) ინგლისურ თარგმანს! ამის უფლება კი შექსპირის სონეტების თარგმანით მოიპოვა, რითაც დღემდე შეძრული ვართ!

აფურთხა სარკოფაგს, შემდეგ კი ცხვირსახოცში გახვეული ქვით მინა ჩაამტვრია. 1973 წლის 1 სექტემბერს ტერორისტმა თვითნაკეთი ნაღმი მავზოლეუმშივე ააფეთქა. მასთან ერთად დაიღუპა ასტრახანელი ოჯახი, რამდენიმე მოსწავლე დაიჭრა. ყარაულმა კონცუზია მიიღო. სარკოფაგი არ დაზიანებულა.

„ასავალ-დასავალი", №43, 2008წ.

**P.S.** მავზოლეუმში შესვლის წინ, მოშეს და აბრამას კარისკაცებმა უთხრეს: მიბრძანდით, ამხანაგებო, მოიხადეთ ვალი პროლეტარიატის ბელადის წინაშე და... მიბრძანდით. მიბრძანდნენ, მიბრძანდნენ. სამშვიდობოს რომ დაიგულეს თავი, აბრამამ მოშეს გადაულაპარაკა: გესმის, მოშე?... ყველაფერი წაგვართვეს და ჩვენ, თურმე, კიდევ ვალში ვართ ამ კაცთან?!...

<u>ლევან ღვინჯილია</u>: ენის პალატის ყოფილი თავმჯდომარე: წამხედურები ვართ, პრიმატების დონეზე დავეცით. ჩემი ქრისტიანული ვალ-

**ლორდ ბაირონის საზოგადოებისა და სკოლის მესვეურს,
მშვენიერ ქალბატონს, პროფესორ ინესა მერაბიშვილს,
რომელსაც ჩემი უმცროსი თანამოკალმე
ნინო რამიშვილი „ვაშვილე“!**

მეგულებით და მიგულეთ მეგობრად!
გულით გლოცავთ — ჟამიერით მრავალით.
ამ ძმობისთვის მზად ვარ, კვერცხი მეგორა –
ლექსი იყოს ჩვენი შუმავალი!
ლორდ ბაირონს უნევთ ციურ დობასა,
სულს უბერავთ ჩვენს ახალგაზრდობასა –
სათნოების ხართ ფორმულა – სანთელი
და თქვენს ირგელივ დგას
ღვთიური ნათელი!

ნარმოგიდგენიათ!

...ერთმა რიგითმა სამტრედიელმა გოგონამ, იგავმიუწვდომელი ივანე მაჩაბელის, გივი გაჩეჩილაძის, რეზო თაბუკაშვილის შემდეგ, გაბედა ხელი მოეკიდებინა გენიალური შექსპირისათვის (ტია-ტიას — ტარიელ ჭანტურიას) კალამბურით რომ ვთქვათ: შექსპირს შაქარიო.. — და გენიალურად ეთარგმნა იგი. დიახ, მე ამ სიტყვის არ მეშინია — ალბათ ასეთ ნირვანაში იყვნენ ისინი, ვინც პირველად შეეხო უკვდავი ანა კალანდაძის შემოქმედებას!

ნინოს ფენომენსაც დრო ამოხსნის! მის „შექსპირის სონეტებს“ კი, რომელიც ვაი-ვაგლახით და „ავერსი-ფარმის“ გენდირექტორის — ბატონ პაატა კურტანიძის თაოსნობით გამოვიდა, თავფურცელზე ახლავს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს კურთხევა!

ასე გამოჩნდა გზა „ტაძრისაკენ“!

და, ამ თარგმანს პირველივე სონეტით თუ გავუსინჯავთ „ხეფსს“, გაოცების პირველი ელდაც არ აგცდებათ:

„იცი თუ არა, რომ შენა ხარ ქვეყნის ჩუქურთმა
და გაზაფხულის ერთადერთი მახარობელი?
ეარდის კოკრებად შეგინახავს შენივე სუნთქა
და მაგ მშვენებას ახლავს შენი საგალობელი.
აქ შენს სიძუნწეს და სიხარბეს ეყო თარეში,
ამ სილამაზეს ნუ დამარხავ ცივ სამარეში!“

ზოგი შექსპირისა და ზოგი მისი მთარგმნელისაც ვთქვათ:

„მთელი სამყარო ირითმება ახლა ჩემ თვალწინ...

და ამ მუსიკის ჟრუანტელში, სიტყვის ტრფიალში, ზოგჯერ ისეთი მეტაფორა ჩაისახება, რომ პოეზიის მარხვაზე დგები, მუნჯდები და გეშინია პირის გაღების!"

აქ გულზე ხელის დადებით და თავხელაღებით,
მუსეიონი მელანდება მისი თაღებით! (გ.ნ.)

ეს კი შექსპირის 66-ე სონეტია, რომელსაც ერთი ნ-იანილა სჭირდება „სატანის" საცნობად.

„როგორ დამღალა ქადნეულმა ამაოებამ,
როგორ გაქელა ულირსობამ ღირსება ეერცხლიი!
მოუხმობს სიკედილს გადაღლილი ჩემი გონება,
თვალს ვერ ეუსწორებ ჩეძს ირგელივ მყოფთ,
უკეთურ-შეცვლილთ;
როგორ განაბრძნეს უმეცარი, აკურთხეს
ბრძენად,
არ უჩანს ბოლო უზნეობის აწყეეტილ მეჯლისს!
როგორ მოაშთო ორგულობამ ერთგული ქეეყნად
და სიქალწულეს, აწ შერცხეენილს, სინდისი
ქენჯნის;
სრულყოფილება როგორ შეარცხვინა მედროვის
ენებამ,
როგორ დამუნჯდა ხელოვნება, შემოქმედება,
არარაობა მოაბიჯებს, როგორც მას ნებავს
და საუკუნე დაიბეჩდა უეიც გეერდებად!
მეც დაემრეგილეარ, თუმც სიკედილზე მეტად
მაშინებს —
ბრბო მარგოშიენილს გაგიმეტებს, ეიცი მაშინეე!"

აქეე, ორი შემოქმედის — დიდოსტატისა და ახალბედას შერკინებაა ტიტანთან. ორივე ღვთიური ნიჭის ნაპერწკალთანაა წილნაყარია და მკითხველმა თვითონ დააგემოვნოს!

## შექსპირის 66-ე სონეტი

### (თარგმანი გივი გაჩეჩილაძისა)

ეეძახი სიკედილს, დაქანცულმა როგორ ეუმზირო
მათხოერად შობილს და დათრგუნეილს ქეეყნად
ღირსებას,
როგორ ნთქაეს ნდობას სიცრუის ზღეა ერცელი,
უძირო.
სულით ღატაკი ზღეა სიმდიდრით როგორ იესება!
ულირსს პატივი მიეგება დაგმობის ნაცელად
და დეენილია ჭეშმარიტი სრულყოფილება,
და უბიწობა გათელილა უხეშად, მკაცრად,
და ძლიერება უძლურებას ემორჩილება;
და ხელოენებას ბრძანებებით დაბმია ენა,
და ბრძნად გეაჩეენებს თაეს რეგეენი
გამობრძმედილი;
და სისულელეე ეჩეენება სიმართლე სმენას
და თაეის მონად უქცევია ბოროტს კეთილი;
დაქანცული ეარ და სიცოცხლე არ მსურს
სრულებით.
მაგრამ ვერ ეტოეებ, რადგან ქეეყნად შენ
მეგულები.

ია, შევეძახო ქრისტიანებს, რომ 12 აპრილის უმსგავსო იყო მათი საქციელი. შევეძახო მათ, ვინც დაიჯერა, რომ გამარჯვება უნდა გვეზეიმა. პარლამენტის წინ რამდენიმე ათასი კაცი გამოვიდა და ცამ-ფან-დური გამართა. ახე რომ, ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, დიდი ქართველი ვახუშტი კოტეტიშვილი ქაშვეთის აღმოსავლეთის კარიბჭიდან ვერ გამოასვენეს და ცხედარი უკან მოაბრუნეს. მერე ქვემოთა კარიდან გამოაბრძანეს.

„მთელი კვირა"

ორი წლის წინ, ნაციონალური მოძრაობა და მისი მხარდამჭერნი „გამარჯვებებით" ტკბებოდნენ და ამის აღსანიშნავად, 2005 წელს, მილიონიანი ტირაჟით, ბროშურაც კი გამოსცეს ამბიციური სახელწოდებით „საქართველოს 16 გამარჯვება, რომელიც ვარდების რევოლუციამ მოგვიტანა".

ნაციონალთა ლოგიკით, „გამარჯვებები" იყო: 1. „წარომეული" აჭარის დაბრუნება; 2. გაზ-

„ჯორჯიან თაიმსში" (1-8.11.09) წავიკითხე არქიმანდრიტ რაფაელის ქადაგებებზე „კაცობრიობის კულტურის ევოლუცია და სულის ინვოლუცია": წარმართობის დროს მოსამართლე დამცინავად შეეკითხეია ერთ ქრისტიან აღმსარებელს: „შეგიძლია, მაჩვენო შენი ღმერთი?" მას უპასუხნია: „შემიძლია. იცხოვრე ღმერთით და იხილავ ღმერთს"! — ლოცვასთან ერთად სახარების მცნებათა აღსრულება — ის ადგილია, სადაც ღმერთი, რწმენა ეცხადება მორწმუნეს!

...და მეც, სწორედ, ასეთი რწმენით გადავდგი ნაბიჯი ცნობილი მობურთალის — კახი კალაძისაკენ (როცა გავიგე, რომ იგი ნინოს კლასელი იყო — სამტრედიიდან) და მინდოდა სიკეთე — სიკეთისათვის „გადამება"!

გადავწყვიტეთ, „შექსპირის სონეტების" მცირე ტირაჟით გამოცემაში მისთვის გვეთხოვა მცირე შემწეობა და, ამასთან, ვალშიც არ დავრჩენილიყავით მისი ძმის ტრაგიკული ბედისადმი: წიგნი, ამ უჟამო ჟამით ნაწამები მისი ძმის — ლევან კალაძის ხსოვნისადმი მიგვეძღვნა!...

ღმერთია მოწამე, რომ ეს საღვთო საქმე იქნებოდა, მაგრამ... ეშმაკსაც რომ არ სძინავს! აშკარად, ვერ გავუგეთ ერთმანეთს „პრინცმა" და „მათხოვარმა" — მან „მოუცლელობის გამო" ჩვენთან შეხვედრაც კი არ ინდომა, თუმცა, ცისფერ ეკრანზე კოხტაობითა და პირადი ბედნიერებით დაბანგული ადამიანის... ერთობ ხელგაშლილი კაცის შთაბეჭდილება დატოვა! და, სულო ცოდვილო, რაღაც მისტიურადაც კი მომეჩვენა, როცა იტალიის ნაკრებთან თამაშის დროს (იტალიაში გაყიდულმა ქართველმა ფეხბურთელმა) ამჯერად — საქართველოს ნაკრების კაპიტანმა, იტალიელთა სასარგებლოდ, საკუთარ კარში 2 ბურთი გაიტანა!!! (ჩვენც მოგვჭრა და თვითონაც მოიჭრა თავი!)

ასეთი რამ ბუნებაში, თუმცა, უკვე მოხდა, მაგრამ... მაინც არ ხდება.

კახი კალაძე: „სამწუხაროდ, საქართველოში გავრცელდა ჭორი, რომ მე თამაში გავყიდე. ბევრმა ჩათვალა, რომ იმ ქვეყანას დავეხმარე, რომლის ჩემპიონატშიც ვთამაშობ. ვფიცავ, კულისებ მიღმა არავითარი თამაში არ მიწარმოებია და არავის დავხმარებივარ."

ახლა, მართალ კაცად ცნობილ სპორტულ კომენტატორს ჯამლეთ ხუხაშვილსაც მოვუსმინოთ:

„ასეთი რამ არასოდეს მინახავს. სტატისტიკურ მონაცემებსაც გავეცანი. აღმოჩნდა, რომ ერთ თამაშში ორი ავტოგოლი არასდროს არავის გაუტანია, მაგრამ ეს ისეთ გამოცდილ ფეხბურთელს მოუვიდა, რომ ამას ვერ დაარქმევ გამოუცდელობას".

აბა, სხვა რა დავარქვათ?...

შემთხვევითობა თუ აუცილებლობა?

ზოგჯერ, სად და როგორ წამოგენევა კაცს ბედი-მდევარი!

ბედისწერაცაა და ბედისწერაც!

P. S. ქუთაისში, მერაბ ბერძენიშვილის დიდი მემორიალის გახსნისას, ცაში ასროლილი ქუდების მაგიერად, ზეცაში მტრედები გაუშვეს... აქედან ორი ისევ მიწაზე დაეშვა — ერთი ქანდაკებას — ცხენოსან მზეჭაბუკს დააჯდა, მეორემ სახალხო ტრიბუნის გადახურულში მიაგნო მოქანდაკეს და მერაბ ბერძენიშვილს შემოასკუპდა მხარზე!!!

მსგავს სასწაულს არ შევსწრებივარ! — სახალხოდ განაცხადა მაშინ

---

*ილია ჭავჭავაძე: როცა ადამიანს სურს, შეიტყოს ღირსება და დიდება ერისა, უწინარეს ამას იკითხავს – რამდენი მოქმედი და მწერალი ჰყავსო. ღირსებას და სიდიადეს ერისას მარტო ამ საწყაოთი სწყავს ადამიანი.*

მარადიულმა მზეჭაბუკმა — ჭაბუა ამირეჯიბმა!

„ბოროტსა სძლია კეთილმან!" — ასე ჰქვია დღეს გაძარცვულ ამ მემორიალსაც და ამ ამბავსაც!

## *ანა კალანდაძეს!*

„შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო..."

„სამებიდან" — მთაწმინდამდე
გზა...
არც ისე ახლოა.
„სამებაცა" და მთაწმინდაც
ღმერთის სამოსახლოა!
თბილისს მკერდზე უბრწყინავს,
ეით სამკერდე ნიშანი!
ამ მთის,
გრილი არც მიწაა, არც წყალნი, არც ქვიშანი.
მარადისის პანთეონი
დგას სამოთხის კარებად —
აქ სიკვდილის სიცოცხლითა
ხდება გარდაცვალება!
...შენი ბედისწერა წერე,
საგალობელს გალობდი,
ცათა შინა განისვენებ —
მზესთან ერთად ჩაესვენე —
მზესთან ერთად ამოდი!
შენ, ზეციურს, ზეციური საქართველოს შენდობა...
პოეზიის გულისუფალს,
ხელისუფალს, დედოფალს!
მიწისმზედა საქართველო —
მიწის ქვეშაც ენდობა —
შენს დედააზრს, შენს დედაარსს...
ჩვენს ძმობას და შენს დობას!
მარადისის პანთეონი
დგას სამოთხის კარებად —
აქ სიცოცხლით სიკვდილისა
ხდება გარდაცვალება!!!
ეს სიკვდილის აკრძალვაა!...
უფალს ასე ენება —
მთაწმინდაზე დაკრძალვაა —
ცაზე გამოკვერება!

**ანა კალანდაძე:** რიცხვებიდან ძალიან მიყვარს 13, რასთანაც ჩემი ერთი დიდი გამარჯვებაა დაკავშირებული (მეც მანდა ვარ — სხვა თუ არაფერი, 13-ში ვარ დაბადებული და ის „თარსი" დღე ჩემთვის ბედნიერია!)

როგორი მომხიბვლელიც არ უნდა იყოს... ნარსულის ჩხრეკას... ისევ ხვალე მირჩევნია (ხვალეზე

*რდილი ბიუჯეტი, პენსია, ხელფასები; 3. უფასო სასწრაფო დახმარება; 4. გზები და ინფრასტრუქტურა; 5. უკეთესი პირობები გლეხებისათვის; 6. საერთაშორისო აეროპორტი; 7. გაუმჯობესებული ბიზნესგარემო; 8. პოლიციის რეფორმა; 9. განათლების დიდი რეფორმა; 10. აღმშენებლობა; 11. უფრო ბედნიერი ბავშვობა; 12. ბორჯომი — საჩუქარი ბავშვებს; 13. პატრიოტთა ბანაკები; 14. ძლიერი ჯარი; 15. ახალი სკოლები; 16. იაფი საზოგადოებრივი ტრანსპორტი.*

*2005 წლის ნაცმოძრაობას ბროშურა აღარ გამოუშვია. დღესაც კი — წაგებული ომის და ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ, გამარჯვებაზე ლაპარაკობენ.*

*„ყვითელი პრესა". 20-26.11.08.*

*საინტერესო კაცია ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი გია მურღულია და საინტერესო მოსაზრებები გამოაქვეყნა („სარკე" 2015.09) სიცილის ფენომენზე, რომელზეც მეც*

ხვალემ იზრუნოს, მე კი წარსულითა და აწმყოთი ვარ. ხვალე, საერთოდ, იქნება? ეს, დასაწერზე უფრო — საკითხავია!)

მე არ ვიცოდი — ლექსის წერა თუკი ვიცოდი, მაგრამ ვიწვოდი... ეს ჩემი ალსარებაა, რასაც ანა ასე ხსნის: ლექსმა იცის თავის „ჟამი", ვისთან — როდის მივიდეს!

კაცი (ქალიც) არც ქებამ უნდა გაგაფუჭოს, არც გინებამ. მახსოვს, ერთი პატივცემული მკითხველი, — წერს ანა, — ასე გამომეხმაურა: „საოცარი რამ მოხდა, — ადამიანები, რომლებიც 1946 წლის 25 მაისს აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ... ერთი წლის შემდეგ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ კალანდაძეს". „არ იყო გამორიცხული პირადი შეუარაცხყოფაცო" — წერს ანა. „ასეთ ვითარებაში წიგნის გამოცემაზე ვინ ჭკუათმყოფელი იოცნებებდაო?"

„თბილისი... უბედურების ქალაქად გამოცხადდა! ვერაფრით დავიჯერებ, რომ ეს ყველაფერი... ჩეჩენი და ინგუში ხალხის ნება-სურვილია!..."

ჩვენ დიდად ვუწყობთ ხელს ჩვენსავე აღგვას პირისაგან მიწისა!"

ოდესღაც ნიკალას უთქვამს: ნიჭი დამელალაო!

ღვთაებრივია, როგორც პატრიარქის საგალობელი — „დავილალე, დავილალე, მოდი ჩემთან, უფალო!"

ბატონ კონსტანტინეს (სვეტიცხოველში) პანაშვიდი გადაუხდია გრიგოლ რობაქიძისათვის. „მწერალთაგან არავინ დასწრებია... ამ დიდი კაცის სულში, როგორც იტყვიან, ერთი ღამე არ გაუთევია ეგოიზმს, მისი არსება ვერ მოწამლა ნარცისიზმის შხამმა" (ასე რომ დაამახინჯა სულით მრავალი!)

... მეზობლის 5 წლის გოგონამ (იცის რა, რომ ყოველ ადამიანს აქვს სახელი და გვარი), ერთხელ იკითხა-თურმე, ქრისტე რა გვარიაო?

ნარმარმავლობასთან იაკობივით შერკინებულ 80 წლის კონსტანტინე ბატონს უთქვამს: დიდხანს სიცოცხლეც არ ვარგებულაო!

ეგოიზმის ჩხირები ულმობელია!

ასეთი სიბრძნეც გამიგია: ყველაზე ძლიერი, თურმე, თავის მომრევია! (მეც ამ ჭკუაზე ვარ!)

საქართველოში ყველაფერს გაპატიებენ... ნიჭის გარდა!

* * *

კუს ტბაზე სიცოცხლეს გამოკიდებულთა და მოძუნძულეთა შორის არ არსებობს ნაცნობი და უცნობი, ბებერი და ახალგაზრდა! აქ, ყოველგვარი მესამე კაცის გარეშე, ჩამოვართვით ხელი ერთმანეთს მე და ერთმა ვერელმა „ბაკლანმა", რომელიც შვარცნეგერივით არის დაკუნთული და ისიც, ასე ვთქვათ, ამერიკელი ქართველი თუ ქართველი ამერიკელია! გავიდა დრო და „შევლაპარაკდით" (ავაწყვეთ საუბარი). და, ერთხელ თავისი წიგნიც მაჩუქა: გიორგი მაისაშვილი — „ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის!"

ოღონდ ქართული სახელმწიფოს მშენებლობას დაადგებოდეს რამე საშველი და ამაზე უკეთესს რას ვინატრებ! ჰოდა, შევუდექი კითხვას.

---

*ახალი აღთქმა. მათეს სახარება: არ შეიძლება. ერთდროულად. ღმერთსაც ემსახურო და მამონასაც.*

ამ, დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი და ოკეანის გადაღმა ფრიად დაფასებული კაცის წიგნის კითხვას, რომელიც, რეალურ სავალალო სურათთან ერთად, საკმაოდ ოპტიმისტურად გამოიყურება: „სხვაობა ოცნებასა და მის რეალურ აღსრულებას შორის არასოდეს ყოფილა ასეთი მცირე"-ო.

როგორც იტყვიან, შექსპირს კი არა — შენ პირს შაქარი!

„უბრალო ადამიანებს, მიუხედავად იმისა, ოფშევითში დაიბადნენ თუ პარიზში, შეუძლიათ მსოფლიო მასშტაბის წარმატების მიღწევა. არასდროს არ ყოფილა უკეთესი ხანა უქონელთათვის წარმატებების მისაღწევად და Status qwo-ს შესაცვლელად!

მაშინ, ალბათ, ძნელად დავიჯერებდი, რომ 13 წლის შემდეგ, 2003 წლის ზაფხულში, ჩემი ქვეყნიდან მოშორებულს, პოლიტიკურ დევნილს — ჰიუსტონში, ტეხასის შტატში, ან უკვე მიხეილ სააკაშვილის თხოვნით, მომიხდებოდა სახელნიფოებრივ მშენებლობის პრინციპებსა და ფილოსოფიაზე პროგრამის დაწერა. ამ სიტყვებს ვწერ ჰიუსტონის ფინანსური ცენტრის ცათამბჯენის 43-ე სართულზე მოთავსებული ჩემი ოფისის მყუდრო გარემოში... თაროდან ჩემი შვილების სურათები, მათი ბრდღვიალა თვალები შემომცქერიან..."

ეს ნაშრომი მიხეილ სააკაშვილის თხოვნით, მაგრამ ყველა ქართველზე ფიქრით დაიწერა და 1990 წელს ამ პროგრამას „რომანტიული ეკონომიკა" ერქვა. საქართველოს სადღეისო ამოცანაა, გლობალიზაციის პროცესს მოერგოს, ოპტიმალურად მოირგოს, გამოიყენოს მისი პოტენციალი და მინიმუმამდე შეამციროს გლობალიზაციის თანამდევი საშიშროებები. აამოქმედოს მათგან თავდაცვის ფილტრები — ეროვნული ყოფის, კულტურის ტრადიციები. კულტურათა გაცვლით ჩვენ დავაგემოვნებთ იაპონურ „სუშის", დავტკბებით „კაბუკის" ხილვით, ხოლო იაპონელები — ჩვენი „ელარჯის" მირთმევითა და „დაისის" მოსმენით!

როცა ინდონეზიის ვალუტამ რღვევა განიცადა, სავალუტო ფონდმა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირება მოითხოვა (საქართველოში უფრო პომპეზურად „სეკვესტრი" რომ დაარქვეს) და პრეზიდენტმა სუჰარტომ ხალხს მიმართა — ცოტა ქამრებს უნდა მოვუჭიროთო, მაშინ, როცა თვითონ მშიერ-ტიტველი ხალხის ქონებაში ცურავდა!!!

ყველა შედარება მოიკოჭლებსო, მარა... ჩვენი გაჭირვება გვეყოფა და ამ ამბავმა საქართველოს ეკონომიკა გამახსენა, აქაც რომ იციან თქმა — „ჩვენ, ყველა, ერთ ნავში ვსხედვართო!" არადა, სი

*ბევრი მიფიქრია. სიცილი რომ არ იყოს ამქვეყნად, ისეთი სიბნელე იქნებოდა, გათენებაც ვერ უშველიდა.*

*იუმორზე, ოღონდ სერიოზულად!..*

*„სიცილი კაცობრიობის ერთ-ერთი მიღწევაა" — წერს იაპონელი ფილოსოფოსი სეკიდა კაცუკი. იუმორი უებარი მალამოა. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, საუკეთესო ანტიდეპრესანტია.*

*ბევრმა როდი იცის, რომ თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი გონებამახვილური ანეკდოტების კოლექციონერიცაა. იგი მათ ბავშვობიდან აგროვებდა და დღეისათვის 15 000-მდე ნიმუში მოუყრია თავი. „კითხვის ნიშნის ქვეშ დგას საკითხი, შეიძლება თუ არა ანეკდოტების თემაზე სერიოზული ლაპარაკი და ვფიქრობ, რომ შეიძლება. არსებობს იუმორის თეორია? სულ მაინტერესებს, რას იკვლევენ სტოკჰოლმის უნივერსიტეტის იუმორის კათედრაზე" — ამბობს „სარკესთან" საუბარში ბატონი გია.*

ვარადა, ვარადა — თავის დროზე ინდონეზიის ხსენებაზე ასეთი რითმა შემომაფრინდა: „ინდონეზია — იმ დონეზეა!"... (არადა, თურმე, რა დონეზე ყოფილა!)

..."ჩვენ უნდა გავხდეთ მეოცნებეები" — წერს „რომანტიკული ეკონომიკის" ავტორი! ეს, ალბათ, არ უნდა გაგვიჭირდეს მეოცნებე ნაცარქექიების შთამომავლებს. ჭკუისა რა მოგახსენოთ და ქართველს ნიჭი არ აკლია!... რა მაგის პასუხია და, ჩემს ნაცნობებს შორის, საქართველოში, მგონი ერთადერთი ქართველია ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც აქვს „ჭკუის ნიჭი"! (ეს სიტყვა, ჯერ არგაგონილ სიტყვათა შეთანხმება, ასე ვთქვათ, კომპლიმენტი, საბედნიეროდ და სამწუხაროდაც, ჩემი მოგონილია. გ.ნ.)

უნდა დავუსვათ საკუთარ „მეს" კითხვა, რით დავამახსოვრებთ თავს ისტორიას, რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა?

თუმცა, ისიც საკითხავია, დაგვრჩება კი ის შთამომავლობა, რომელიც ჩვენს ამბავს იკითხავს, გულზე ხელს დაიდებს და იტყვის — მე ქართველი ვარ!

* * *

თანამედროვეობის დიდი ფილოსოფოსი, გორელი მერაბ მამარდაშვილი 1974 წლიდან იძულებულია, იხეტიალოს თავის ბედისწერაში. მისი ლექციები სისტემატურად „იკრძალება"! (მისი შემოქმედება, უმეტესად, „ზეპირია" ან ფირებზეა ჩაწერილი). 1990 წლიდან მან თბილისში შექმნა ოპოზიცია, რომელიც გმობდა ყველა ჯურის ფაშიზმის მონათესავე ნაციონალიზმის დროშას ამოფარებულ „ნეო-ბოლშევიზმს"!

მოულოდნელი სიკვდილის წინ იგი საქართველოს მთავრობის მისამართით ამბობდა: „სამოქალაქო სიკვდილის არ მეშინია, მე უკვე ვიცხოვრე შინაგან ემიგრაციაში, მაგრამ ვეწინააღმდეგები იმათ, ვინც დღეს ახალ მონობას გვპირდება. მე ვიბრძვი არა ქართული ენისათვის, არამედ იმისათვის, რაც ამ ენაზე ითქმება. მე რწმენა არ მინდა, მე მინდა სინდისის თავისუფლება!"

სულაც არ მინდა, ახალგაზრდობა დამიბრუნდეს, 16 წლის ვიყო. ამბობენ, რა მშვენიერიაო ახალგაზრდობა! არა, სრულებითაც არაა ასე! სრულებითაც არ ვისურვებდი, კიდევ გამევლო არყოფნის რისკი, რომელიც ასე ემუქრება ახალგაზრდებს.

დანტემ თქვა: დაბადებულს, როგორც ასეთს, სული არა აქვსო.

რა იძლევა სულს? სიტყვა!

„ზელფ-ბადე" ინგლისურად ნიშნავს ადამიანს, რომელმაც თავისი თავი შექმნა.

ქართულ სიმხიარულეს საფუძველი არა აქვს, მე ვიტყოდი, კანონიერიც არაა. ეს მხიარულება არის ყველაფრის მიმართ და ყველაფრის საწინააღმდეგოდ. მაშინ, როცა ქართველს ყველანაირი საფუძველი აქვს, იყოს ...უბედური! ქართველი ბედს არ ეპუება და ბედისწერასთან ჭიდილში ის მხიარულია. ის იცინის, მღერის, სვამს. ჩვენში სუფრა არის ერთობის რიტუალი. არსებობის სიხარულის წყარო... ფრანგული აზროვნება მხიარულია. იგი ჰაერში ტრიალებს, როგორც კრიტერიუმი იმისა, რომ რაღაც ღირებული, რაღაც ნაღდი განიცადე.

... მე მსურდა შინაგანი თავისუფლება და ფილოსოფიაა ამ შინაგანი თავისუფლების იარაღი.

...იესო ქრისტე შეიძლება ათასჯერ დაბადებულიყო, მაგრამ თუ ის ერთ დღეს შენში არ მოგევლინა, შენ დაიღუპები.

მერაბ მამარდაშვილი, „ჩახშული ფიქრი".

* * *

იაკობი რომ მამაზეციერს ერკინებოდა! — ეს ღმერთს კი არ ამდაბლებს, იაკობს — განადიდებსო!

ჯონ ტეილორი: პოეზიამ მკითხველს კმაყოფილება კი არ უნდა მოჰგვაროს — სუნთქვა შეუკრას!

ტომას კარლაილი (დროის ნიშნები): კეთილშობილი ხალხი ქმნის კეთილშობილ მთავრობას და არა პირიქით.

ემერსონი: ენა მესამე მადლია, რასაც ბუნება უწყალობებს ადამიანს... (მესამე თუ უპირველესი?)

ხატოვანი ენა იმის საბუთიცაა, რომ ვინც მას იყენებს, ჭეშმარიტებასა და ღმერთს ეზიარება.

არისტოტელე: დიდი ადამიანები ბუნებით ყოველთვის დარდიანები არიან.

P. S. არისტოტელემ მთელი თავდაჯერებით აღიარა პოეზია ლიტერატურის ყველაზე უფრო ფილოსოფიურ მოვლენად. უილიამ უორდზუორთმა კი პოეზიას ყველაზე მეტაფიზიკური უწოდა.

უიტმენი: გულით მინდოდა, პატივი მიმეგო პოს ხსოვნისთვის, მაგრამ იოტისოდენა სურვილსაც კი ვერ ვგრძნობ, რომ სიტყვით გამოვიდე.

კერძო საუბარში კი ისიც ვერ დამალა, რომ ედგარ პოს პოეზიისადმი ზიზღს განიცდიდა.

ჩესტარტონი: ჯერ არ შობილა დიკენსზე უფრო მრისხანე და მეამბოხე რადიკალი, მაგრამ იგი იმასაც ხედავდა, თუ როგორ ეპარებოდათ მარადისობის ნამი წარმავალ საათთა თელაში გართულ ადამიანებს!

ალბათ, სრულიად ბუნებრივია, აქ იმანაც შეგახსენოს თავი, რომ „ბედნიერები საათზე არ იყურებიანო!" (სხვისი ჯიბისა და მუცლის გარდა, სხვაზე რაზე იყურებიან, რო?! — გ. ნ.)

ვოლტერის თვალსაზრისში მოჩანს განხეთქილება თელეოლოგიურ ოპტიმიზმთან: „რატომ ხდება, რომ ამ ქვეყანაზე იტანჯებიან სათნო ადამიანები და ბედნიერები არიან ისინი, ვინც, ჩვენებურად რომ ვთქვათ — დიდი უბედური ჰყავს გამჩენს!

ვოლტერი ვერ მივიდა თანმიმდევრულ ათეიზმამდე, ღმერთის მთლიან უარყოფამდე. იგი აღიარებდა ღმერთს, როგორც სამყაროს პირველმამოძრავებელს, რწმენის აუცილებლობას... მაგრამ მოითხოვდა გონების რელიგიის დამყარებას".

...კანტი კი მიდის დასკვნამდე, რომ საჭიროა არა უნაყოფო ფილოსოფოსობა, არამედ შრომა, რომელიც ადამიანისგან სდევნის 3 ბოროტებას: მოწყენას, გარყვნილებას და სიღარიბეს! ტელე-

*რამდენიმე ხნის წინ, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ერთ-ერთ თავყრილობაზე გია მურღულიამ იუმორის საღამო გამართა. როცა ამ თემაზე საუბარი ვთხოვეთ, ლევზელზე ლაპარაკს ლევზელის ჭამა ჯობიაო, გვითხრა და ანეკდოტებითაც გაგვახალისა.*

*— ბატონო გია, რამე არის ცნობილი ანეკდოტის ისტორიულ ფესვებზე?*

*— ანეკდოტი ბერძნული სიტყვაა და გამოუქვეყნებელს, დაუნახავს, ანუ უჩინარს ნიშნავს. ყველაზე ძველი ანეკდოტი მეცნიერებმა შუმერების თიხის ფირფიტაზე აღმოაჩინეს. სხვათა შორის, ინტერნეტში „ძველი შუმერები" წერია, თითქოს ახალი შუმერებიც არსებობდნენ. ხსენებული ანეკდოტი ძვ.წ. ალის 1900-1600 წლებითაა დათარიღებული... ანეკდოტის კულტურა, ხუმრობისა და მახვილგონიერების ბუნება, ყველა დროსა და ქვეყანაში მსგავსია. ის, რაც სასაცილოა აღმოსავლეთში, ასევეა დასავლეთში: ის, რაც ღიმილისმომგვრელია მე-10 საუკუნის*

ოლოგიური ოპტიმიზმი შრომითი ოპტიმიზმით იცვლება. ამ ფილოსოფიის საფუძველზე იყო, რომ, ერთ ინტერვიუში, ჟურნალისტის არც თუ ისეთ იოლ კითხვაზე: რას მიაღწიეთ ცხოვრებაში? — ვუპასუხე, რომ შრომა გავისურვილე!

* * *

პროფესორი ჯიბო ლომაშვილი: ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას ილიაზე ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ უთქვამს: ნამდვილი პოეტი ვაჟა-ფშაველაა. რუსთაველის შემდეგ ქართველებს ასეთი პოეტი არა გვყოლიაო. ერის მამამ — ილიამ, საგურამოში სტუმრობის დროს (როგორც ერეკლემ ხევსურ ძაღლიკა ხიმიკაურს აჩუქა ხმალი), ისე — ოქროს კალამი უსახსოვრა ვაჟას.

ილია აგლაძე იგონებს: კოოპერატორთა შეხვედრაზე მისულმა აკაკიმ ჩემი და ვაჟას გამოჩენაზე ასე მოგვიკითხა: „სალამი თქვენს მობრძანებასო". „მე ავენთე... ვაჟამ ხელი მომკიდა, გამიყვანა და ჰერკულესის მოთმინებით წარმოთქვა: „აკაკი ჩემი ბედის ეტლს ელობება, მე კი იგი სამარის კარამდე მეყვარებაო" და იქვე გაიხსენა ბეთჰოვენის სიტყვები: „სიკეთის გარდა სხვა უპირატესობას არ ვცნობო"!

* * *

ჩვენი სკოლელი,
ჩვენი კბილა,
ჩვენი ვერელი ნოდარ (ოჩო) ცერცვაძე: „ასე იყო"!

ერთხელ შვილიშვილების თანდასწრებით ანეგდოტი მოვყევი, რომელშიც ვახსენე მარქსი, ენგელსი, ლენინი და სტალინი. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ერთ-ერთმა შვილიშვილმა იკითხა: „ეგენი ვინ არიანო?" მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა და მეორე შვილიშვილი შეეცადა, განეტვირთა სიტუაცია: მე ვიცი ვინც არის ენგელსი... დედაჩემის სამსახური ენგელსის ქუჩაზეო?!

დიახ, ასე იყო!

ეს ის დრო იყო, როცა ერთ ლექტორს ერთმა ჩამოსულმა სტუდენტმა უთხრა: არც მარქსის, არც ენგელსის, არც ლენინისა და არც მათი შრომებისთვის არ მომიკრავს თვალი და ყურიო.

— სადაური ხარ, ბიძია, შენ? ე, ბიჭო, ქენი სიკეთე და ამათგან ერთი კვირა მაინც დამასვენე შენს სოფელშიო!

...ჩვენს სკოლელ რეზო მაყაშვილს, საკონტროლო წერის დროს, „ტროცკისტი" ზანდუკელის ციტატა გამოუყენებია. დეიდა ვაროს (გაიხსენეთ ჩემი ჩანახატიც — „ვერა და ვარო") ცალკე დაუბარებია, ტუჩებზე ხელი აუფარებია და ჩაუხითხითებია: „კნიაზ, „ოქროს ხანა" რუსთაველის დროს კი არ იყო, აგერ ახლა — კომუნისტების დროს არისო!"

მე-7 სკოლადამთავრებულებს „ქართულში" უგამოცდოდ უწერდნენ

---

*მერაბ მამარდაშვილი: თუ მართლა სერიოზულად ვეძებ ღმერთს, იგი უკვე მიპოვნია.*

ნიშანს — ვარო ვარდიაშვილის ნამონაფარს გამოკითხვა არ სჭირდებაო!

...მოსკოვში, ფიზკულტურელებს პარადზე გამოსასვლელად სამზადისი გაგრაში ტარდებოდა. სტალინის წინ სიმღერით უნდა გაგვევლო, მაგრამ ერთი ტიპი ისეთ ხმებს უშვებდა, ეჭვი გაგიჩნდებოდა — ეს კაცი შემოგზავნილი ხომ არ არისო.

მაშინ კადრების აღრიცხვის კითხვარში ყველაზე საჭოჭმანო კითხვა იყო — გყავს თუ არა ნათესავები საზღვარგარეთო? ახლა ამით ხალხს თავი მოსწონს, თუმცა ახლანდელი ქართველები უცხოეთში ხელზე მოსამსახურეებად თუ სჭირდებათ!

ოჩო, მაშინდელ ჩვენს ბიჭებს შეგვახსენებს გიგლა ფირცხალავას „ხანჯლურ" ცეკვასა თუ ნიაზას ოინებს!

ერთ რამედ ღირდა ექიმ თემიკო ჩირგაძის (ჩირგოს) თამადობა!

„სადღეგრძელოებსა და თხრობას შორის თემიკო ინყებდა „ფრანგულად" ლაპარაკს: „მუსიე! მადამ! პარდონ — ჟე პრან ლე ვენ ავეკ ტუ მონკერ, ატოს, პორტოს, არამის, დარტანიან შანტ მარსელიოზ, შარლ დე გოლ, ჟაკ შირაკ ალეი ოპ, ავოტრ სანტა! მობილ-პერპენტუმობილ, ბონ ტონ, ბოვე ტონ. ოჩო, მოპნი, შანტე ვუ? (რაღაც „ხანუმას" ფლან-ფსტან, ხილ-ბოსტანისა არ იყოს!)

ერთ ქართველ ემიგრანტს უთქვამს: „ეს კაცი ნამდვილად ფრანგულად ლაპარაკობს, მაგრამ ვერც ერთ სიტყვას ვერ ვარჩევ... რა ღმერთი მინყრებაო? არადა, ეს ღვთისნყრომა კი არა, ღვთისნყალობა ჩვენი გენიალური იმპროვიზატორი ბიჭების „სპექტაკლები" იყო.

მესამედ რომ შემოჰკრეს ზარი, ჩვენ ასეთ სპექტაკლს დავესნარით, იმ თბილისს სულზე მივუსნარით, ამ ზღაპარს ცხადად შევესნარით" („პაემანი ვერაზე").

აქვეა აღნერილი, ბიჭებმა დილაადრიან ნანი ბრეგვაძეს „ამნე-კრანით" ყვავილები რომ მიართვეს! ბიჭებმა, რომლებმაც ჩვენი დაქალების დედების აზრით, უდროოდ მოსვლა იცოდნენ და დროზე ნასვლა — არა, რადგან დროს ჩვენ ვატარებდით და არა — დრო გვატარებდა ჩვენ!

...საკმარისია, ერთი შეტოპო ნარსულში, რომ მაშინვე გაგახსენდეს თბილისური სიბრძნე — ნინ იყურეო!

სამნუხაროდ, უკან მოსახედი ბევრი გვაქვს, ნინ გასახედი კი დიდი არაფერი (მით უფრო, ჩვენს ასაკში!)

*ადამიანისათვის. მეტნაკლებად სასაცილოს დღესაც. მაგალითად, ჩვ.წ. აღ-მდე მე-3 საუკუნის რომაულ ანეკდოტს მოგიყვებით: ერთმა არისტოკრატმა მეორისგან მონა იყიდა. მეორე დღეს მონა მოკვდა. მყიდველმა გამყიდველს პრეტენზიით მიმართა, უხარისხო საქონელი მომყიდეო. გამყიდველმა პრეტენზია არ მიიღო, სანამ ჩემთან იყო, არასოდეს მომკვდარაო.*

*— მსოფლიოში ეტალონად ითვლება ინგლისური იუმორი. ერთ ლექციაზე თქვენ ის კახურს შეადარეთ. ამის შესახებ რას გვეტყვით?*

*— ჩემი აზრით, ინგლისური იუმორი ლიდერია ლიდერთა შორის. ბოლო ხანებში კახური იუმორიც ძალიან დაიხვეწა. ნიმუშად მოგიყვან ინგლისურ ანეკდოტებს და თავად განსაჯეთ.*

*— როდის ჩაიცვეს ინგლისელმა მოსამართლეებმა შავი სამოსი?*

*— დედოფალ ვიქტორიას გარდაცვალების გლოვის ნიშნად.*

# ქართული მხატვრული სიტყვის კვალდაკვალ

ვახტანგ კოტეტიშვილი: „ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX) შტრიხებში!

„წინასიტყვაობის დაწერა, მეტწილად, ბოდიშის მოხდა არის მკითხველის წინაშე, ზოგჯერ კი — მოჩვენებითი თვმდაბლობა, რომლის უკანაც იმალება ავტორის ქედმაღლობა".

* * *

ლიტერატურის საშუალებით, თუ გადაჭარბებით არ ეჩვენება მკითხველს, შეიძლება ისტორიის აღდგენა! იპ. ტენიც ამას გულისხმობდა, როდესაც წერდა: მე მივცემ ქარტიებს 50 ტომს და დიპლომატიური ნოტების 100 ტომს ფლორენციელი მოქანდაკისა და მწერლის ბენვენუტო ფელინის მემუარებში, პავლე მოციქულის წერილებში, ლუთერის სუფრის საუბარში და არისტოფანეს კომედიებში!

* * *

ჰაინემ ერთი თავის თანამედროვე პოეტის შესახებ თქვა, რომ „პოეტად გახადა გულის ავსილობამო".

P.S. დიახ! ლექსს თავი წერს, გულის კარნახით!

* * *

თეიმურაზ მეფეს XVII-XVIII საუკუნის ლიტერატურულ დოკუმენტებში ხშირად ადარებდნენ თვით რუსთაველსაც, რაც არჩილის „თეიმურაზიანში" ასე შემორჩა — „ზოგი შენ გაქებს, ზოგი — მეო!" თუმცა, მეფე-პოეტი ზოგჯერ რუსთაველსაც ეცილებოდა პირველმთქმელობაში: „ლექსი ჩემი სჯობს გვარადა, ტკბილად სასმენლი ყურისა, მაინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისაო"! ჰოდა, ამის შემდეგ ის უნდა გაგიკვირდე, რომ დღესაც ჭამენ ერთმანეთს პოეტები, მწერლები, პოლიტიკოსები — „ცბიერობით", „სიცრუითა" და „მუხთლობით"!

P.S. შური ტალანტის ჭიაა!

* * *

ფორმის მხრივ ბესიკი ვირტუოზია! მისი ლექსები, გარეგანი თუ შინაგანი რითმით, ხმოვანთა თუ თანხმოვანთა კომპოზიციით, ალიტერაციებითა და ასონანსებითაც კი პირდაპირ მუსიკაში გადადის: ტანოტატანო, გულნარმტანნო, უცხოდ მარებო"...

ამას რაღა აკომპონიმენრტი უნდა?

* * *

XIX საუკუნის ლიტერატურას თავკაცობენ... თავქალები — ერეკლე მეფის ასულები: მარიამი, თეკლე და ქეთევანი! მაშინ „ვაჟკაცებს არ ეცალათ, ქალები კი ნაზი ცრემლებით დასტიროდნენ „ედემის ბაღს" — საქართველოს! პატარა კახის სული მის ქალიშვილებშიც ბობოქრობდაო. 60-ჭრილობიანი მამის აჩრდილი უძღოდათ წინ ბრძოლებში გამოწრთობილ თეკლესა თუ შეთქმულების მონაწილე ქეთევანს.

„ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი, აზიის მთების დამბნელებელიო“ — ჯერ კიდევ როდის მოთქვამდა ქეთევანი. ჩვენ ვერც ამ ღრუბელს „ავცედავთ“ და არც იმ „ჭექა-ქუხილის“ ბაიბურში ვართ!

ნიკოლოზ პირველის ეპოქაში, 1826 წლის საცენზურო დებულებას — „თუჯის“ ეპითეტით მოიხსენიებენ. თვით ცენზორი გლინკაც ამბობდა, რომ ამ დებულებით „მამაო ჩვენოს აკრძალვა შეიძლებაო“. ასეთი „დებულებებით“ თუ „დებილობებით“ — ჩვენს დროს... ვერცერთი დროით ვერ გააკვირვებ!

მონოგრაფიაში, სათაურით „სიცილის არქივიდან“, რომელიც რევოლუციამდელი საქართველოს სატირულ-იუმორისტული პერიოდიკის ისტორიას ეძღვნება, უამრავ დატუსაღებულ ჟურნალსა თუ ალმანახზეა ლაპარაკი და ერთ დროს აკრძალული სატირულ-იუმორისტული პუბლიკაციები დღის სინათლეზე გამოგვაქვს რუბრიკით „ნაციხარი სატირა“!

ალექსანდრე ჭავჭავაძე:

„ეაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად,
წარილტენენ, განჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად“.

პოეტი-გენერალი, რომელიც თავისუფლების სულით სუნთქავდა, იმედგაცრუებულია და პოლიტიკური რეაქციის სახით წარმომდგარ სინამდვილეს „ქაჯს“ უწოდებს. გულისყურით თუ ისმენ, დღემდე ისმის მისი „მუხამბაზი ლათაიური“.

გრიგოლ ორბელიანი! გაორებული — დიდი ქართველი პატრიოტი და რუსეთის ტახტის ერთგული, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე და 1865 წლის ტფილისის ბუნტის ჩამქრობი; შამილის წინააღმდეგ მებრძოლი და თავისუფლების ტრფიალი... დაუნდობელი სისხლიანი მებრძოლი და უნაზესი პოეტი, უდიდესი მეოცნებე და ფხიზელი პრაქტიკოსი... როგორ გინდა, ერთ კაცში ამდენი დაპირისპირებული დაატიო. ასეთი იყო ეს ჩვენი პირბასრი და ხმალბასრი ნინაპარი — დიდი პოეტი, მეფის მოადგილეობამდე აღზევებული გენერალ-ადიუტანტი, ლოპიანას დამფასებელი გულიანი კაცი, რომელსაც დაკრძალვის დღეს ათ ბალიშზე ძლივს დატეული ორდენები უკანასკნელ გზაზე მიაცილებდნენ.

...„ნუ იქნება ოლონდ ბუნტი... ნუ იქნება ოლონდ ბუნტი...“ მღერის „ვერისუბნის“ მიუზიკლში დოდო აბაშიძის „პოლიცმეისტერი“.

...ორბელიანის დროს ხალხში ხმა გავარდნილა, რომ მთავრობა აპირებდა „ხარჯის დადებას ქათამზე, ვერცხლის ქამრებზე, კვერცხებზე, ჩოხებზე“, რამაც, თურმე, სულ გადარია ხალხი. ამას ისიც

— კი, მაგრამ დღემდე რატომ უყურებენ?

— ის ხომ ისევ მეკვდარია“.

„მოსამართლე ეკითხება ბრალდებულს:

— დაქორწინებული ხართ?

— დიახ. ქალზე.

მოსამართლე ძალიან აღშფოთდა,

— რას მასხრობთ თქვენ აქ. გასაგებია, რომ ქალზე ხართ დაქორწინებული.

— ნუ იტყვით, ბატონო მოსამართლევ, აი, მაგალითად ჩემი და კაცზეა დაქორწინებული“.

— ხშირად ცნობილი ადამიანების სხარტი გამოთქმებიც უძლებს დროს და ფრთიან ფრაზებად რჩება. თქვენ თუ გაქვთ ასეთები შეგროვებული?

— „ჯობს, ჩუმად იყო და ვინმეს სულელი ეგონო, ვიდრე, რამე თქვა და ყოველგვარი ეჭვი გაფანტო“ (მარკ ტვენი); „მე შევამჩნიე, რომ აბორტების ყველა მხარდამჭერმა მოასწრო დაბადება“ (რონალდ რეიგანი); „ქალთა პოლიტიკური გავლე-

დამატებია, რომ მოქალაქეებს, ქალამნის მაგიერ, რუსული საპოლები უნდა ეტარებინათ... თითო სტუმარზე მასპინძელს ათი შაური უნდა ეზლო ხაზინისათვის"... ამტყდარა, მარა რა ამტყდარა! თვითონ გრიგოლ ორბელიანიც მობრძანებულა მოედანზე და ხალხის დაშოშმინება უცდია:

— შვილებო, გონს მოდით... კანონი ყველასთვის ერთია. კაცი მთავარმართებელი ვარ და ცხენის ხარჯს, გადასახადებს მეც ვიხდიო.

ერთი კინტო თუ მედროგე პავლესავით ტიპი შეპასუხებია: სად თქვენ და სად ჩვენ, ბატონო? თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ ცხენი გვინახავსო!

სად — სატრაპულ ამპარტავნობას მოკლებული მაშინდელი კაცობა და სად — დღევანდელი თავგასულობა და ხალხზე ხელჩაქნეულობა, თორემ მიუსევდნენ ამ „ბუნტოვშჩიკ" მომიტინგეებს მაშინდელ „კუდსა", „სოდსა" თუ ვის აღარ და სულ კუდით ქვას ასროლინებდნენ! არა, ბიჭო!

დიდმა ილიამ, უკვდავი მუხამბაზის ავტორის დაკრძალვაზე, ქაშვეთის ეზოში თქვა, რომ „იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა" და „მეუფე" ჩვენი სალიტერატურო ძალ-ღონე-სიმდიდრისა"!

83 წლის კაცის სამგლოვიარო პროცესიაში პირველი გვირგვინი ბაყლებისა იყო და მას ასეთი წარწერა ამშვენებდა: „შენ ძმას დაცემულს ხელს აძლევდი, რომ აღგედგინა!..." „მუშა ბოქულაძის" დამწერს მელიქიშვილის სტამბის მუშაკთა გვირგვინიც მიაცილებდა წარწერით: „შენ გახსოვდა, რომ არიან ღარიბნიც".

...ამბავმა ამბავი იცის!

1995 წელს, ბიზნესმენმა გუჯა ბუბუტეიშვილმა და მე, ერის სულიერი თავკაცის — ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით, ქაშვეთის ეკლესიის ეზოში ვაკის სამოქალაქო სასაფლაოდან გადმოვასვენეთ ქართული კონიაკის მესაძირკვლე და დიდი ქართველი მეცენატი, საფლავშიაც დევნილი (ჯერ დიდუბის პანთეონში დაკრძალული, 1937-38 წლებში კი წითელი მთავრობის მიერ ვაკის სამოქალაქო სასაფლაოზე გადასვენებულ-მოუსვენებელი) დავით სარაჯიშვილი (მეუღლითურთ).

მახსოვს, საზეიმოდ გადმოსვენების წინა ღამეს როგორ გაისმა ანონიმური ზარი, რომელმაც ყველა შეგვძრა — ვიღაც „კეთილისმსურველი" გვაფრთხილებდა, რომ საჭირო იყო საკმაოდ სოლიდური „გამოსასყიდი", რათა კრიმინალებს იმ მეორე საფლავიდანაც არ მოეპარათ მიცვალებულები.

... ის ღამე სასაფლაოზე თეთრად გავათენეთ. მეორე დღეს კი ვეებერთელა სამგლოვიარო ესკორტი, საზარზეიმო კატაფალკითა და ჩოხოსანი ცხენოსნებით, ზღვა ხალხთან ერთად, დაიძრა ვაკის სასაფლაოდან ქაშვეთის ეკლესიისკენ, რომლის ქტიტორ-აღმშენებელი ბატონი დავით სარაჯიშვილი იყო.

გამახსენდა 1911 წლის პრესაში, კერძოდ, ჟურნალში „ნაროდნიე ლისტი" გამოქვეყნებული პოლონელი რუჟენა გესენსკაიას წერილის ერთი საფინალო ფრაზა, რომელსაც საუკუნის შემდეგ ჩვენი... ჩვენიც მივუმატეთ:

Погребен, как царь!

დიახ,

დაკრძალეს, როგორც მეფე!

მოთხარეს, როგორც მონა!

და მივაბარეთ ქაშვეთის მიწას, როგორც წმინდანი!

* * *

ისევ მოხუცი პოეტი-გენერლის ქრისტიანული სასოებით დანახული საქართველოს მარადიულობის — თამარის სახე:

„მიხარის — გიმზერ, ენუხეარ და გიმზერ და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე, არ გამოვფხიზლდე, რომ აღარ ვგრძნობდე ჩემი სამშობლოს სულით დაცემას"...

...ჩამჩი-მელქოს მუხამბაზური კილოა — საუკუნის გვირგვინის — „ქეთო და კოტეს" ჰანგი, მთელი ქალაქი ქუჩაში რომ იყინებოდა ჩვენი ბიჭების — გოგი გელოვანის, ზურაბ ლეჟავას პირველმეორისა და ყარაჩოხელთა ბანზე:

„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალს ავახელ, ზედ ნამნამზე მიზიხარ..."
თვალს დავხუჭავ, სულ ერთია, ვისი ხარ,
მოკვდავი ხარ... უკვდავების ღირსი ხარ!...

ახლა ორბელიანთან მომინდა „ვახტანგური"!

ალბათ ტატოს გარდა სხვას არც არავის შეისვამდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი"!

დღემდე მოდის და მოღელავს მტკვარი და ვიცით, „რასაც ბუტბუტებს, ვისთვის რას იტყვის", მაგრამ დღეს სხვის ნყალნყალა სიტყვებს უფრო დიდი გასავალი აქვთ.

„სასაცილოა, ბერიკაცი რომ ყმანვილობდესო", უბრძანებია ჩვენს სკოლელ ტატო ბარათაშვილს და ეს მხოლოდ ქალთან მოკეკლუცე ბერიკაცებზე უთქვამს, თორემ, ამ სიტყვების გადამკიდეს, რა მათქმევინებდა იმ ორ სტრიქონს, რომელიც ლამის ჩემს სლოგანად იქცა: ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი!

...საქართველოში ბატონობა უყვართ... პატრონობის გარეშე. არადა, ვახტანგ ორბელიანის ეს ორი სტრიქონიც გამოდგება მონმედ, რომ:

„ყმას ჰყავს პატრონი, არა ბატონი:
ერთნი არიან ყმა და ბატონი"-ო.

...რა ნეტარებით იფურცლება დრო!

ქართველი ქალების ეშხით ვინ აღარ ამღერებულა და გრიგოლ ორბელიანის ეს პატარა მელანქოლიური ნერილიც ამ მზეთუნახავების მშვენების ანარეკლია: „კნეინა ეკატერინა მენგრელიისა, გარდაიცვალა გორდსა... განვიდა ესეცა, ნარსული დროისა საქართველოს მშვენიერება, დედუფლად დაბადებული!... ესეთნი იყვნენ: ანნა, მანანა, მაია, ჩვენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინა გრიბოედოვისა, მისი და სოფიკო, ჩვენი მაიკო, ყაფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხვანიც! აბა, ახლა თვალი გადაავლე ჩვენს საზოგადოებას, ვინ არის ამათი მაგიერი? — ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო!

ნა ქვეყანაში დღისით ძალიან დაბალოს" (მიხაილ ჟვანეცკი); „ღმერთო, მომეცი მე სიბრძნე და თავშეკავება, ოღონდ ახლა — არა" (ნეტარი ავგუსტინე).

ჩინეთმა საკუთარ მოქალაქეებს შვილების გაჩენის ნება დართო.

(მედიანიუსი) იმ ჩინელთა ოჯახებს, რომელთაც შვილები მიწისძვრის დროს დაეღუპათ, ნება დაერთოთ, სახელმწიფო პოლიტიკის „ერთი ოჯახი — ერთი შვილი" გვერდის ავლით კიდევ გააჩინონ ბავშვი. „ალის", 24-26. 05.08

<u>ჰამლეტური კითხვა!</u>

— არის კი სადმე ხსნა, თუ უკვე არის გვიანი?

— აზრზე მოდი და ხიდზე გადი, ადამიანო!

<u>გოგა თოფაძე</u> ბიზნესმენი: ისეთი საქართველოს ნახვა მინდა, სადაც მე ყველაზე ღარიბი კაცი ვიქნები.

**P.S.** ღმერთმა დაიფაროს, მაგრამ

აბა, ის ვინ იყო, ლადო ასათიანმა რომ თქვა: სხვა თუ არაფერი, ჩვენ ქართველი ქალის ეშხი დაგვეიფარავდაო! ახლა, ჩვენი თაობის შავი ბრილიანტის — ბუბუსიასიცა ვთქვათ, ნატო ვაჩნაძისაც, ლიანა ასათიანის, დოდო ჭიჭინაძის და ვინ მოთვლის, ვისი აღარ!... მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, მარტო მათი სილამაზე არ ეყოფა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს!

ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს, ჩვენ ჩვენსაზეც ვერა!

კავკასიის მთავარმართებელმა მიხეილ ვორონცოვმა, რომელიც გამოირჩეოდა მოქნილი რუსიფიკატორული პოლიტიკით, ქართველების ნინააღმდეგ ევროპული ეტიკეტითაც — ბალ-მასკარადებითა და ნვეულებებითაც — ანუ „ბრწყინვალე" ცხოვრებითაც „გაილაშქრა". ამ ხელგაშლილობამ... ხელცარიელი დატოვა ქართველი თავადაზნაურობა! „ჩვენს ეხლანდელ სასწავლებლებზეც ვერას ვიტყვით კარგსა ჩვენი „ქართველებისათვის", — წერს ეროვნული კულტურის ფხიზელი დარაჯი ალექსანდრე ორბელიანი, — ქართველებს რუსებად ამზადებენ! (ღმერთო ჩემო, ისტორია რა თვალთმაქცია — ახლა ამერიკანიზმი გვიდგას კრიჭაში თავის „თავისუფლების ინსტიტუტიანად", დღემდე რომ კარგად ვერ გაგვიგია. საიდან მოვიდნენ და საით მივყავართ!).

„მოლაყბის" (მიხეილ თუმანიშვილის) ნერილში ვკითხულობთ: ქართველების უბედურების მიზეზი ისევ ქართველები არიანო!

ქართველს ქართველიც ეყოფა მტრადო —
შაჰ-აბასს უთქვამს...
ექცეოდით მტერადო!
მდინარეებად, სისხლისა ღვრადო —
სანთელო, ხატო — რისთვის და რატომ?...

* * *

...არჩილ ჯორჯაძის სიტყვით: XIX ს. ჯერ კიდევ ცოცხალია ის, რაც აღბეჭდილია ბექა და აღბუღას სამართალში — თავადიშვილის სისხლს ერთი ფასი აქვს, აზნაურისას — მეორე, გლეხისას — მესამეო!

„ცისკარში" „თერთმეტი მებუკის" ხელმონერილ დასტამბულ ნერილებში, რომელიც დღევანდელი „კავკასიისა" და „მაესტროს" — „უცნობის" არხებს მაგონებს, „მოლაყბის" ფსევდონიმით ქვეყნდება ახლანდელივით თავზეხელაღებული მიმართვები ხელისუფლებისადმი: „მოლაყბეს" რომ მოკლავთ, მას უკან გადარეული დასნერს... მასაც რომ მოჰკლავთ, მერე თავხედი და ბოლომდის ასე ვივლითო".

პოდა, ვზივართ ეკრანებთან, კვერცხს ვუჩეკავთ გუგულებს —
საქართველოს ისტორიას სეირივით ვუყურებთ!
ეს ისე, ლექსპრომტად!

სამწუხაროდ, ფიქრიც ვერ ნვდება ყველას ლიტერატურის სამკალში. ვინ რა სახელი დაგვიტოვა ერის საგანძურად, მაშინაც კი, როცა „თითქმის მთელ საქართველოს... გატენილ თოფებზე ეძინა!"

...ერეკლე მეფის შვილიშვილი (ბატონიშვილ თეკლას შვილი), 1832 ნლის შეთქმულების მონანილე ალექსანდრე ორბელიანი, რომელსაც რუსთ ხელმწიფის ერთგულებით, იოლი გზით შეეძლო, ეცხოვრა —

*უცნობი ავტორი: თუ შენ ესაუბრები ღმერთს — ეს ლოცვაა; როცა ღმერთი გელაპარაკება შენ — ეს შთაგონებაა.*

*ძველი გამონათქვამი: ლოცვა სულის სუნთქვაა.*

მონობაში გადიდკაცებას თავისუფლების ძებნაში სიკვდილი არჩია. მან სცადა პოეტის ჩანგისა და ქართული ხმლის სისხლით დამმობილება! არაერთხელ გაშლილა მის ბაღში გაშინაურებული მტრის თვალის ასახვევი სუფრა. შამილთანაც უცდია საქმის დაჭერა. გრაფ ვორონცოვს ჩავარდნია ხელში წერილი და ბატონიშვილისთვის უთქვამს: მეორედ არა ჰქნა ასეთი რამ. თუ უკმაყოფილო ხარ რამეში, მე მითხარი და ეს შემთხვევაც ჩვენ შორის დარჩესო!"

ალექსანდრე ორბელიანი შემსწრეა იმისა, დარეჯან დედოფალმა თუ როგორ გამოასალმა წუთისოფელს გენერალი ლაზარევი! გადასახლებაში მყოფმა დედოფალმა გალია გაუღო ჩიტებს და გაუშვა — ტყვეობა ჩემიც მეყოფაო!

...XIX საუკუნის სიბნელიდან მეტად ტრაგიკულად და სევდიანი თვალებით გამოიყურება ქართველი მწერალი ქალი — რუისელი მელანია მამაცაშვილი-ბადრიძისა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სულაც არ იცნობდა პლატონის ფილოსოფიას და არც სხვა წიგნებითაა სნეული, ყოფნა-არყოფნის საოცარი ხედვით გამოირჩევა: „იქნებ სიკვდილი არც კი არსებობს. იქნებ, არ არის თვით დაბადებაც?... და, მხოლოდ სახეთა ცვლის გამოუცნობი პროცესების ეტაპებს ვუწოდებთ დაბადება-სიკვდილსაო"!

...ზუსტად ის დროა, გავიხსენოთ სოლომონ ისაკიჩი, ლამის მეჯღანუაშვილებად რომ გვაქცია ყველა, როცა „შუა ზღვაში გადაგვადო ნავიდან". (ისე, რომ არც უკითხავს, ვიცოდით თუ არა ცურვა და... პირდაპირ ვალებში შეგვაცურა!) ლავრენტი არდაზიანის ეპოქაში ბატონყმობამ მოგვჭამა ჭირი და ბურჟუაზიულმა წყობილებამ აიწყო ფრთები. „ობლომოვის აპათიის, სიზარმაცისა თუ კვიეტიზმის ადგილს იჭერდა შტოლცის საქმიანობა, გრიუნდერობა, მოგების კულტი" — მოვიგე-წავაგეს ყოფნა-არყოფნა! ამ პერიოდის შვილია დავით სარაჯიშვილიც, რომლის სქელტანიანი კრებულის ერთ-ერთი შემდგენელი თქვენი მონა-მორჩილია და რომელთანაც, სხვათა შორის, ქართული კონიაკის წარმოებაში მუშაობდა ლავრენტი არდაზიანის შვილი, ხოლო განსაკითხველ-სამონყალოთა შორის იყო გენიალური ნიკალაც (სარაჯიშვილის დაკრძალვის ფირი ერთ-ერთი კონოვერსიაა, სადაც ფიროსმანი გაიელვებს!). სწორედ იქედან იღებს სათავეს თვითნასწავლი გენიოსის ერთ-ერთი მხატვრული ტილო („უშვილო მილიონერი"). დიდი იყო დავით სარაჯიშვილის მოქალაქეობრივი დიაპაზონი (მარტო ილიას ოჯახთან მისი ურთიერთობა რად ღირს!). მისი ქველმოქმედების აზრი, რომლითაც იცხოვრა ამ ქვეყანაზე და ჩვენც სამაგალითოდ

*მგონი უსრულდება ეს „ნატვრა" — „ხელმწიფისა" (თუ ხელმწიფარის) ურჩობისათვის აპირებენ, დაიწყონ მისი „გაკოტრების" პროცესი!*

*უკვე დგება „მავიხის" — კომისის მომისის!*

*პირველად. ილიას მოკვლა 1903 წელს სცადეს. ეს მკვლელობა ხალხს უნდა დაბრალებოდა — ნაძალადევში. მუშათა ბიბლიოთეკის გახსნაზე მისული ილია მუშებს ქვებით უნდა ჩაექოლათ. არ გამოუვიდათ. თავად მუშებმა გააფრთხილეს ილია და ბიბლიოთეკის უკანა კარიდან გაიყვანეს.*
*„კვირის პალიტრა", 26.05-1.06.08*

*ჩემი ცხადი მეოცხადე.*
*მე თავს ვდებ. შენ მესვერი ქვას.*
*შენი ცხადი ვერასოდეს*
*ვერ აჯობებს ჩემს სიზმარს!*

*დემხება (რეჯ. გრა)- ჩემი საოცნებო ქვეყანა ამერიკაა.*

დაგვიტოვა: „ფული ცუდი ბატონია და კარგი მოსამსახურე!"

მგონი ერთხელ უკვე ვთქვი და ასჯერაც რომ გავიმეორო, ღირს სათქმელად და თანაც ისე პიკანტურად, როგორც ერის დიდ მამასა და ერის ღირსეულ შვილს შეეფერება: ერთხელ ილია კანტორაში ხლებია სარაჯიშვილს, როცა ის მაშინდელ „კომპიუტერზე" — ძველებურ ჩოთქზე შემოსავალს „ჩოთქავდა" და სომხურად ანგარიშობდა: მეკ, ერკუს, ირეკ, ჩორსო...

ილიას უკითხავს: სომხურად რატომ ითვლიო?

დავითს უპასუხნია: რა ვქნა, არ ესმის ქართულიო!

მერე „თერგდალეულთა" დრო დადგა. „აბა, სად არის ქართველი და საქართველო" — თქვა ილიამ. ეს იყო ყველაზე მწარე ნათქვამი, რომელიც კი სმენია მეცხრამეტე საუკუნეს! გაივლის 200 წელი და ქვეყნის თავკაცის სასახლეში ილიაზე... პირში ვერა, მაგრამ ზურგს უკან, ისეთებს ამბობენ, თმები ყალყზე დაგიდგება და ღვთის წყალობად მოგვეჩვენება თუ მოგვეთქვენება!

ისტორია მეორდება... მწუხარების ცრემლიც. სიტყვა „განთავისუფლებაც" იმას ემსგავსება, კაცს რომ უთხრა — ნადი, თავისუფალი ხარ, ჯანდაბამდე გზა გქონიაო! 1872 წელს სერგეი მესხი წერდა: „ხშირად ისმის ჩივილი და უკმაყოფილება მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შორის". ეს, მართლაც უკანასკნელები, მამა-პაპებს „ჩარეცხილებსა" და „ჩასარეცხებს" ეძახის, მაშინ, როცა ამ „გიჟვრაცუებს" მტკვარიც ვერ გარეცხავს!

ეს ის მამათა და შვილთა დაპირისპირება კი არ არის, ვინ უკეთესად ემსახურება ერსო, არამედ უასაკო და უაზრო ნაჯექ-უკუჯექობაა!... თუმცა, რაღაც უდროო დროც და უჟამო ჟამიცაა, როცა ადამიანები ღმერთის გადანყვეტილს... სიმპოზიუმებსა, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ადმინისტრაციული გზებით ნყვეტენ. მაგალითად, ე.ნ. ევთანაზია: ამ ცრუ და გაუტანელი ნუთისოფლიდან ნებაყოფლობით ნასვლის მექანიზმი!

სად გაგონილა, კაცი ღმერთის საქმეში ერეოდეს!

„ვაი, იმ ხალხს, რომელსაც საერო ძარღვი გაუნყდა".

„მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილ ღერბიან ქაღალდზე სადაო საჩივარია... მამულის სიმაგრე ტყრუშული ღობეა... დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი, დიდი „მამული" დავშალეთ, პატარები ჩვენ — ჩვენთვის გავიკეთეთ!"

„ხალხნო, ილია გაცოცხლებულა და კალამი ხმალივით შეუმართავს..." „ქართველის ჭირსა" მასზე უკეთ ვინ მოთვლის?... ეს ჩვენი დროა თუ 200 ნლის ნინანდელი საქართველო? ჩვენს პატრიოტულ ლიტერატურაში ამ უბადლო მართალი სიტყვის ბადალი არა ვიცით რა!" — ნერდა მაშინ არჩილ ჯორჯაძე! მაშ, დღეს რაღას იტყვიან ჩემი „კალამგმირი" კალამგირი თანამოკალმენი ან თვითონ როგორ გრძნობს თავს ერის მამა... ერის ახლანდელ შვილებში?

1882 ნელს გამართული ქართული ნარმოდგენა „სამშობლო" ეროვნულ დემონსტრაციად ქცეულა, რასაც „ველიკორუსი" კატკოვი,

---

*წმიდა კვიპრიანე: ღმერთი არ იქნება იმათი მამა, ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის.*

*აიზეკ ზინგერი: ღმერთი მწერალია, ყველა ჩვენ კი მოქმედი გმირები და მკითხველები ვართ ერთდროულად.*

თავისი გაზეთით ასე გამოხმაურებია: ქართველე-ბი კარგს იზამენ, თუ ქართულ დროშებს გოდფრუ-ას ცირკს მიჰყიდიანო"! ამ პასუხს ვინ გასცემ-და უკეთეს პასუხს, ვიდრე ერის, მართლაც სნორუპოვარი, ქომაგი — დიდი ილია: ქართული დროშა, ორიათასი წლის მანძილზე ქართველებს სახელითა და დიდებით უტარებია... დღეს კი ეს დროშა საცირკოდ გაგვიხადესო!...

მახინჯს სარკე ეზარებაო. მაშინდელი და დღევანდელი დღეები მახინჯი ტყუპისცალებივით ერიდებიან სარკეს!

სოციალურ ფენებს შორის „ჩატეხილი ხიდის" პრობლემაც არახალია, თუმცა, კიდევ უფრო მახ-ინჯ სახეს იღებს პოლარულად გახლეჩილ დღევან-დელობაში, როცა საქართველოს მოსახლეობა ხე-ლზე მოსამსახურეებადაა გახიზნული საზღვარგ-არეთ და საქართველოში მოსახლეობის მხოლოდ 25%-ია დასაქმებული!

ჩემი მეხსიერებიდან არ ამოდის ერთი ქართულ-იტალიური სცენა, როცა საქართველოს საპატრი-არქოს ჯგუფთან ერთად (რომელსაც მეუფე საბა ედგა სათავეში), მოსალოცად ვიარეთ „ყველა გზე-ბით, რომლებიც რომში მიდის! და ქალაქ ბარიში, წმინდა ნიკოლოზის დღეს, ქართული და რუსული საგალობლების გვერგვინევაში გავიგონე იქაური ხე-ლზემოსამსახურე ქართველი ქალების საცოდავი ხმა, სამშობლოს რომ მისტიროდა უცხო მხარეში. ვიდექი მათ შორის, წმინდა ხატებთან, ვლოცუ-ლობდი მათთან ერთად, მერე ტაძრის ეზოში ვუ-კითხავდი მათ ლექსებს და მხოლოდ იმედი და სიყ-ვარული გვაძლებინებდა!

„მე ჩონგური მისთვის მინდა,
რომ სიმართლეს მსახურებდესო."

ჩონგური საქართველოაო, — ჩამოჰკრა სიმ-ებს ხელი აკაკიმ, — და გაგვაფრთხილა: ერთი მათგანიც რომ განყდეს, მაშინვე უნდა შეელაო!

მაგრამ, საშველი დღემდე არ ჩანს!

ისტორიული პარალელები იმდენად აშკარაა, რომ სახელებიც კი ემთხვევა ერთმანეთს და დროც კი აგერევა. მაგალითად, სახელმწიფო სატელევიზიო არხს, რომელსაც „იმედი" ჰქვია (ღმ-ერთმა იმედი ნუ მოგვიშალოს!), 1881 წლის ამავე სახელწოდების ჟურნალი ეხმიანება, რომელსაც თავისი იდეურობითა თუ სხვა ღირსებით დიდი არაფერი მოუტანია!

მერე ისევ რუსული ხელი, რუსიფიკატორული პოლიტიკა... სინოდის ობერ-პროკურორი პობე-დონოსცევის ჩამოსვლა თბილისში...

თუმცა, ბარაკ ობამ-ას გაპრეზიდენტების შემდეგ, სიმართლე ვითხრათ, იქ წასვ-ლის სურვილი გამიქრა.

„სარკე"

**P.S.** რატომ, ნეტავ „სარკეში" მეც ჩა-მახედა?!

<u>დაშა ქაბ·ვას მე ამერიკაში:</u> მადლო-ბელი ვარ ჩემი ბე-დის, მამაჩემის, რომ ამ ადამიანებთ-ან ყოფნის ბედ-ნიერება მომანიჭა. სამწუხაროდ, ეს თაობა უკვე წავიდა. ეს იყო ოქროს თაო-ბა, სიყვარულით სავსე ადამიანები, რომლებმაც განი-ცადეს დიდი გაჭირ-ვება, გამოიარეს დი-დი უბედურება, მა-გრამ არ გატყდნენ და შეინარჩუნეს ღირ-სება. ისინი აღარ განმეორდებიან.

<u>ჯაბას მემუარები:</u> კიტოვანი ჩემს კაბ-ინეტში მთავაზობს შევარდნაძის გაპან-დურებას: „როგორც ჩამოვიყვანეთ, ისე-ვე გავუშვათო".

**P.S.** კარგი „ჩიტი" დაუჭერიათ!

ბუშის ქუჩაზე ბუ-შის სახსენებელი ბუშტებით გასკდა!

საქართველოს ეგზარქოსის პავლეს მიერ ქართველების დაწყევლა...

პავლე ვერ იქცა სავლედ — დღესაც მძვინვარებს თეთრი დათვი.

დღემდე გვაფრთხილებს ხალხური სიბრძნე: დათვის რომ მოგერევა, ბაბაია დაუძახეო!

რის „ბაბაია"... „ბაბაიაგას" ვეძახით და გაღმა ვტოვებთ გამოღმა შერჩენის იმედით!

ხალხური სიბრძნე დღემდე გვასწავლის ჭკუას:

მეზობელო კარისაო — სინათლე ხარ თვალისაო!

ვის როგორ ესმის ისტორიის გაკვეთილები და...

ვინ როგორ სწავლობს მას!

P. S. ორი საუკუნის წინანდელი ქართული ლიტერატურის ბაღნარის „მებაღე" — ვახტანგ კოტეტიშვილი ჩემი ძველი და ახალი ამხანაგების — ვახუშტისა და გუგას მამა და ბაბუა იყო.

„კვიცი გვარზე ხტისო!" — ასე მოკლედ და ხატოვნადაა ნათქვამი ერთ „მოჯირითე" ქართულ ფრაზაში ის გენეტიკური კოდი, რომელიც ანატოლ ფრანსს სულ სხვანაირად, მაგრამ არა საპირისპიროდ აქვს ნათქვამი: გენი, რომელიც მუშაობს მშობლებში, ისვენებს შვილებში (და, თანაც, არც თუ იშვიათად). როგორც ჩანს, გენი გენს გააჩნია, რისი მაგალითიც, თუ გნებავთ, სწორედ კოტეტიშვილების ოჯახის სამი თაობაა, სადაც ამ გენს, დღემდე, მოსვენება არ უწერია!

რუსული ლიტერატურის ლომმა — ლევ ტოლსტოიმ შვილს ანდერძად დაუბარა, რომ ადამიანის ყველაზე დიდი ასპარეზი ლიტერატურაა და ყველაზე დიდი გმირი — ლიტერატორი! ვახტანგ კოტეტიშვილი ქართული ლიტერატურის დიდი საგანძურის, ასე ვთქვათ, „გრაალის თასის" რაინდი გახლდათ, დიდი მეცნიერი, მისი ჭირისა და ლხინის უფალი; ვახუშტი კოტეტიშვილმა, საბედნიეროდ, სასახელოდ გააგრძელა დიდი მამის მეცნიერული მემკვიდრეობაც, ქართული ფოლკლორის საგანძურსაც მოუარა და მუზებსაც გაენდო — ბრწყინვალე ლექსებით, ფუნაგორიებით, ქარაგმული ნაკვესებით...

„ფიქრს მოსწყინდება რიალ-რიალი,
სულს გაეყრება ცოდვილი ხორცი.
დავრჩები ზემოთ სიცარიელე,
ხოლო ქვემოთ კი — პატარა ბორცვი."

„გავაბითურეთ სამშობლო,
მართლაც, სამოთხის სადარი!
სხვა საქართველო კი არა,
თვით საქართველო სად არი?!"

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი თაოსნობით შემოღებული ფოლკლორული საღამოები, რომლის ტრადიციას, ვფიქრობ, არ დაკარგავს ჩვენი შთამომავლობა!

კოტეტიშვილების გენი ახლა გუგა კოტეტიშვილის შემოქმედებით მარიფათშია! მაინც, რა ნათელი დაანათლა თავის ნათლულს ნათლიამ, როცა „გუგა" დაარქვა და რა გუგითა და რა თვალით დაანახა სამყარო, როცა არც კალმითა და არც ყალმით... არც სიტყვითა და არც ლექსით... არც ხატწერით, ლარნაკწერით თუ ძეგლწერით, არამედ „მართლწერით

---

*პიო დე პეტრელჩიანო: წიგნებში ჩვენ ვეძებთ ღმერთს, ლოცვებში კი ვპოულობთ მას.*

შეექმნა თავისი ორნამენტული" ხელწერა!

ჩემი უმრნემესი ვაჟის ოჯახის დიზაინსაც შეეხო მისი მადლიანი ხელი 2000 წელს და ერთი ერთი განახათ, როგორ ჩვენი ცხოვრებასავითაა აგორებული ის სამი 0, რომელიც (ისე, როგორც გალაკტიონის ანდერძშია — დრო აღნიშნეთ!) — მავთულხლართივითაც ამბობს თავის სათქმელს!

## შობის საგალობელი

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა,
ქვეყანასა ზედა მშვიდობა და
კაცთა შორის სათნოება" —
ამბობს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე!...
არა ინატროს კაცმა სხვა დროება! — ვამბობთ ჩვენ
და სულის სინჯად... ვიწერთ პირჯვარს,
რითაც იხატება ხატი და ხატება მაცხოვრისა —
და დედა-ღვთისმშობლისა...
ანუ მართლმადიდებელი — სრულიად საქართველოისა!

* * *

ლექსს წერს სიტყვა-ღმერთი,
(ამას გვიან ჩავხედი)
მეგონა – მე ვწერდი,
ლექსის წერა გაეხდი!

* * *

— ბიკენტი, რატომ არ ყიდულობ ყველს?
— რამდენი ვიყიდე, იმდენი შეჭამეს, კაცო!

* * *

...ნალბო (ქურდების მზე) გიგლა ფირცხალავას ეზოში მოკლეს, „კალხოზნიზე".

* * *

— რა შანსი გავუშვი ხელიდან! — თქვა ერთხელ გიგლა ფირცხალავამ ერთ ულამაზეს თბილისელ გოგოზე.
— მაინც, რა შანსი გქონდა?
— ჭავჭავაძის ქუჩაზე, ის რომ ჩამოდიოდა, მე ავდიოდი-ხოლმე!
— სულ ეს იყო?!...
— რა ცოტაა?..

*დრო!*

*პედერასტებს „ვეზდრასტვებით" კი ძმაკაცებივით — ქალებში — კაცებივით, კაცებში — ქალებივით.*

*ნამდვილ კაცებს კაცად არ ვთვლით...*

*ართვალებმა გათვალონ?...*

*ამასაც ხომ ცრ...კი უნდა, თავი ქალად ჩათვალო!*

*მაყვალა გონაშვილი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი: ამ ხელისუფლებას ვერ ვაპატიებ იმას, რომ შარშან, 21 აგვისტოს, მწერალთა კავშირში შევარდნილი პოლიციის თანამშრომლები ფეხით ქელავდნენ ღვთისმშობლის ხატს და კიბეზე დავარდნილ გალაკტიონის სურათზე გადადიოდნენ. ვერ ვაპატიებ იმას, რომ მამინდელმა განათლების მინისტრმა ლომაიამ უკან გაუგზავნა ანა კალანდაძეს საიუბილეო საღამოს მოსაწვევები. მსურველი ვერ ვიპოვეთო და ასე მოუკლეს გული პოეტს!*

*„საქართველოს რესპუბლიკა"*

# ✓ კირ-კიტა!

დიდი კერკეტი და კირკიტა კაცი იყო მწერალი კიტა ბუაჩიძე! უნიჭიერესი, უკმეხი და ვინ იცის, რამდენი „უ“ არა! ასეთი კაცი ღმერთმა მოყვრად მოგცეს და მტრად გაშოროს. ბრწყინვალე დრამატურგი იყო და პოლემისტი, საკუთარ თავდაუცავი, მაგრამ ქვეყნის ქომაგი! ...ამდენი მართლის მთქმელმა კაცმა ველარ იშოვა იმდენი „შეკაზმული ცხენი“, რომ ფათერაკებისაგან გაექუსლა და დიდხანს ახეხინეს კალიმაჟორკუტები!

ცნობილია მისი შერკინება ქართველების გამთათხველ ცნობილ რუს მწერალ ვიქტორ ასტაფიევთან, რომელსაც, ალბათ, ბევრი ქართველი მწერალი ვერ გაბედავდა და აუტკივარ თავს არ აიტკივებდა! ამან კი იმ სიგრძე და იმ სიგანე („Такое длинное, длинное письмо...“...) მისწერა მის რუს კოლეგას, რომ ქართული ამბების ასეთი რუსულით წერა-კითხვას შეაძულებდა ჩვენს „დიდ ძმას“!

კიტა ბუაჩიძის კალამს ეკუთვნის, ასევე, მძვინვარე „შავზე შავი წიგნი“!

ასეთი ნატანჯი, ღრმა და თავის დროზე მრავალშვილიანი ოჯახების ხელისგამმართველი კაცის ხელის გამართვა — საღვთო საქმე გახლდათ და ალალი იყოს ყველაფერი, რაც მას ბიზნესმენმა გუჯა ბუბუტეიშვილმა და მე გავუკეთეთ. ამ, უკვე ღრმად ხანშიშესულ კაცს ვუყავარჯნეთ და სწორედ მისმა მეუღლემ, მადლიერებით გადმოგვცა მისი ბოლო ნაშრომი (რედაქტორი თამაზ კვაჭანტირაძე) სათაურით: „ხალხის მტრის ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე (1929-1979წ.წ.)“, ფორზაცზე ასეთი ნარწერით: „ჩემს დიდი მეგობარს, ჩემთვის სათაყვანებელ პიროვნებას, კიტა ბუაჩიძის წიგნის გამოცემაში გზის გამკვალავს — გიზო ნიშნიანიძეს. მთელი შენი მოღვაწეობა არის პროფესიონალიზმის, სიკეთის, სიყვარულის, მეგობრობის, ადამიანური ურთიერთობების დიდი ხელოვნება!“... (19.08.05)

კაცს თუ შუბლის ძარღვი განყვეტილი არ აქვს, ასეთმა დითირამბებმა უნდა გაანითლოს, მაგრამ ჩემს ასაკში უკვე ნაკლები საშიშროებაა, რომ ქებამ კაცი გააფუჭოს.

„მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო!“ — გვმოძღვრავს ქართული ხალხური სიბრძნე!... თუმცა, დღეს სინამდვილე ასეთია — კიდეც რომ ქნა მადლი და ქვაზე დადო... ზედაც არავინ დახედავს — კაცი არ დაიხრება მის ასაღებად. დღეს სიკეთეს ვინ დაეძებს?!

ვინც სიკეთის ყადრი იცისო! — მეტყვით. კიდევ კარგი, „ფასი“ არ ახსენეთ. ყველაფერს მუშტრის თვალით ხომ არ უნდა ვუყუროთ!

ჭკუა ჭკვიან კაცს უნდა ჰკითხოო.

თუ ვერ ვკითხავთ... წავიკითხოთ მაინც!

„ბაქოს ციხიდან ე.წ. სტოლიპინის ვაგონით ეტაპირებისას ჩემი საგანძური „სელიოდკის“ ლაყუჩებში ჩავტენე... ჩემს „ჩანაწერებს“ მემუარული იერი დაკრავთ.

ფრაგმენტი პატიმრების „ქეიფიდან“: მიესაჯოს ათი ჭიქა მთხლე, სინდისის კონფისკაციით, ამ უსვინდისო სახელმწიფოს სასარგებლოდ.

---

*ნეტარი ავგუსტინე: ჩვენ იმისთვის კი არ ვლოცულობთ, რომ ღმერთს ვუთხრათ, თუ რა უნდა გაგვიკეთოს, არამედ იმისთვის, რომ მამაზეციერმა ბიწიერებისაგან დაგვიხსნას.*

ეს წიგნი უნდა იკითხებოდეს „დროგამოშვებით და ცოტ-ცოტაო. "!

ჰოდა, ჩვენც ასე, დროგამოშვებითა და ცოტ-ცოტას გავუსინჯოთ „ხეფსი"!

...დრო დაგვიდგა იმფერი, მკვდარიც ცოდოა და ცოცხალიც!

— სამუშაოს ვეძებ.

— საიქიოში აპირებენ გზის გაყვანას და მუშახელი სჭირდებათ!

...არის ხალხი, რომელიც ჰალსტუხს მხოლოდ საპასპორტო სურათის გადაღების დროს იკეთებს.

... ეს ქვეყანა უნდა ინამო, რომ არ განამონ!

...ზოგჯერ ზარმაცს დამთქნარებაც ეზარება...

ციხეში დაძინებას ვჩქარობდი, რომ კაი სიზმარი მაინც მენახა.

...სიუხვით შემოდგომას ჰგავდა, სიტყვით — გაზაფხულს!

ნუ სვამ არაყსა, გიზამს მალაყსა!

(ეს, თბილისში გავრცელებულ სხვა მონოდებასაც ჰგავს: ნუ სვამ, ბიჭო, ნაპიტოკებს — სიბერეში დაგიტოკებს!)

...ბევრი ვნყევლე, მაგრამ არ მიუვიდა (ვინ და რატომ, ეს მხოლოდ ეშმაკმა და ადრესატმა იცოდა!).

ზოგ წიგნს ლუკმასავით ვიზოგავ.

ჩემი „ავი ძაღლის" შესახებ მწერალთა ყრილობაზე ირაკლი აბაშიძემ თქვა: „ეს პიესა მუქი საღებავებით გვიხატავს ჩვენს ნათელ სინამდვილესო!" (1978.15.02). ირაკლიმ იცოდა ავ-კარგის გარჩევა! გ.ნ.

ბესო ულენტს:

„ამხანაგებო, თეატრი ინვის —

პანიკას ტეხავს ყოველ კრებაზე!

სახანძრო რაზმი მაინც არ იძვრის!.."

სოფლელი ქალის რეპლიკა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით: ჩვენი ქება არ უნდა, ისედაც კაი კაცი იყო!

ცეცხლი ჩააქრეთ ჯერ მის ენაზე!

...ისეთი ჩიტი იყო, ჯიბით საჭმელი დაჰქონდა... ჩიტებისთვის.

ცხოვრება გააბოლა!

კაცი კი არა, სანთელია: ყველასთვის ინვის.

...ქრთამისთვის დაიჭირეს და ქრთამით გაუშვეს?!

...იყოლიეთ მტრები, მათ სარგებლობა მოაქვთ!

...დაანებე დონკიხოტობას თავიო! — მეუბნებიან (ეტყობა, სანჩოდ უპირებდნენ ჩამოქვეითებას!).

P. S. ეს ქარაგმული ნაკვესები თუ ნაკვნესებია — იგი ამ „კატორღელი" კაცის გაბზარული გულის ნამსხვრევებია, რომელსაც სიმართლის სიმწარე

*[illegible] მოდელი:* არ მაქვს ისეთი სურვილები, რომელთა განხორციელებაც არ შემიძლია. მაგალითად, მსურს, რომ სადმე, ოკეანეში, მქონდეს საკუთარი კუნძული. მართალია, დღევანდელი ჩემი მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, კუნძულს ვერ შევიძენ, მაგრამ, ხომ შეიძლება, მომავალში მილიონერი გავხდე და ეს ნატვრა ავისრულო?!

**P.S.** ყველას თავისი „ჯეკსონის კუნძული" ენატრება! ოცნებას კაცი არ მოუკლავს (მით უმეტეს, ქალი!)

*ომარ [illegible] ([illegible]):* მე მარტოობის კუნძულზე ვცხოვრობ...

— ვინ ხარ შენ, ბატონო ომარ? — ეს [illegible] შეკითხვა ერთმა ნაცნობმა ქალბატონმა დამისვა. პასუხი საკმაოდ მკვეხელური, მაგრამ ისტორიული ფაქტის მოშველიებით გავეცი: მეთექვსმეტე საუკუნეში, [illegible] ინგლისელმა მეზღვაურმა ჯონ

დაჰკრავს. ავტორის ბოლოთქმაში, „თავზეხელაღებული" სიმართლის მთქმელი კაცის პირდაპირობითაა გარჩეული ცხოვრების ავ-კარგი: „ჩემთვის, და მეპატიოს გულდაჯერებული კადნიერება, მკითხველისთვისაც, ამ ზღაპრული სიკეთის ქმნისათვის, მინდა, განუზომელი მადლობა მივაგო ელგუჯა ბუბუტეიშვილს, ტარიელ შაქერდაშვილს, გიზო ნიშნიანიძესა და ვახტანგ დოხნაძეს, რომლებმაც ყველანაირად შეუწყვეს ხელი „ხალხის მტრის ჩანაწერების" გამოშვებას.

...აქვე მახსენდება ერთი დევივით კაცის, ამჟამად ამერიკაში გადახვეწილი ცნობილი ქართველი სპალეოლოგისა და ჟურნალისტის — ჯუმბერ ჯიშკარიანის ჩანაფიქრი — გამოეცა ცამდე მართალი და მიწამდე ტანჯული კაცის, საქვეყნოდ აღიარებული მწერლის ლევან გოთუასადმი მიძღვნილი მემორიალური გაზეთი!

ქართული კონიაკის ფუძემდებლის — დავით სარაჯიშვილის საზოგადოების ჩემი ვიცე-პრეზიდენტობით ფულიან კაცობაში ეჭემიტანის გამო, მომაკითხა გარკვეული სახსარის გასაჩენად.

ჩვენი ცდა, დაგვეინტერესებინა და ნაგვექეზებინა ბიზნესმენები... იმჯერად, ამაო გამოდგა და მე იძულებული შევიქენი, პირადად გამენია ქველმოქმედება იმ კაცის კეთილმოსაგონრად და „თითით საჩვენებლად", რომელსაც ეკუთვნის (მისი სუსხიანი კალმისა და კალიმის სუსხში, ანუ საქართველოს სიყვარულით გამთბარი) კატორღული ცენზურის ეკალ-ბარდებში დაბადებული ეს „მშიშარა" სტრიქონები:

„არ ვიცი, რატომ მიყვარს ასე ჩემი სამშობლო? იმიტომ, რომ შორსა ვართ მისგან? თუ იმიტომ ვარ შორს, რომ... ასე მიყვარს ჩემი სამშობლო?...

იშვიათად შემხვედრია დიდოსტატური სიტყვის ასეთი რისკიანი „ეკვილიბრისტიკა", როცა სტრიქონი ბეწვის ხიდზე გადის!

* * *

პუშკინის თანამედროვე მონარქისტმა პოეტმა — „ძველი უბის წიგნაკის" ავტორმა და „გალექსილი ფელეტონების" ჟანრის დამამკვიდრებელმა პეტრე ვიაზემსკიმ თქვა, რომ „Есть давнее вражда каретам - пешехода".

ჰოდა!...

არ უყვართ ღარიბებს მდიდრები,
მაგრამ არსებობენ გამონაკლისებიც,
ვისაც ახსენებენ დიდებით —
და მთელი კაცური ღირსებით!..
ბრძენკაცმა ბრძანა:
სიკეთით კაცს გილხენიაო —
„რასაცა გასცემ, შენიაო!"
რუსთაველს კი დაეჯერება...
კაია, როცა ერთია —
კაცის სურვილი და ღვთის ნება!
შენ და შენი ღმერთი! — ამის გაგონებით:
რასაც შენ აკეთებ — ღმერთის შთაგონებით!

---

*კონსტანტინე გამსახურდია: გავება დასასრულია.*

*გუსტავ ფლობერი: თემა მწერლის ტემპერამენტის ანარეკლია.*

*რომენ როლანი: შექმნა ნიშნავს, მოკლა სიკვდილი.*

## „ფილოსოფიური" წიაღსვლები

ეს ფილოსოფიაა თუ ფალოსოფია —
აზრია ჯანსაღი თუ ავადმყოფია —
დაკვირვებაა თუ გაკვირვებაა —
ანუ სოფიზმივით, რაღაცა „ცოფია!"…

სიმართლე ერთია და არა ორია... თუმცაღა, მართალი მრუდესთან სწორია! მსგავს უმსგავს სიმართლეს არა ჭამს ღ-ორია. სიცრუის სიბრძნეს ვერ ცნობს დეტექტ-ორია.

...ამბობენ, რომ ორი სიმართლე არ არსებობს —
თუმც, ორი საწყისი აქვს კაცსა — ერთარსებას!
ესაა დედის და მამის გენეტიკა...
როგორიც ზნე-ჩვევა, მორალი, ეთიკა!

პოდა, ნუ შეგვიპყრობს რაღაც ილუზია — ზოგი პლუსია, ზოგი მინუსია... ის და მისი ღმერთი! (არკვიე ვისია?) — ყველას სათავისო აქვს მისი მასია!

* * *

დიდმა რობერტმა, კიდევ უფრო დიდი — რობერტ სტურუას მამამ, ჩემი, დევი სტურუასა და საკუთარი მეუღლეების ფერწერული ჯგუფური კომპოზიცია დახატა და ჟურნალ „დროში" გარეკანზე გამოაქვეყნა.

მერე, ჩვენს ეზოში, საკუთარი სახელოსნოს პატრონის — ცნობილი მხატვრის ივანე ვეფხვაძის არანაკლებ ცნობილმა შვილმა ალექსანდრემ (ალიოშამ) მთხოვა, შენი ცოლი დამახატინეო!

ჩემს ცოლს მეც ვეყოფი მწერლად და მხატვრად-მეთქი! — ვუთხარი.

არადა, საქებად არ ვამბობ (ვიცი, რომ ცოლის ქება აუგია!), მაგრამ მართლა გამოკვეთილი ქართული იერ-სახისა და ჯიშის ტიპაჟი იყო.

ალიოშა ვეფხვაძე სხვა დროში დაბადებული კინტო-ყარაჩოხელის განსახიერება გახლდათ და, ალიკა რომ ალიკაა (გიორგაძე ანუ 1000-სახიანი კაცი), სიტყვა-პასუხში იმასაც ტოლს არ დაუდებდა, და, თანაც, ისე დინჯად იტყოდა რამეს, სიცილით კუჭი აგეშლებოდა.

ოჩოპინტრე (ოჩო) ანუ ზემელელი პროფესორი ნოდარ ცერცვაძე იგონებს:

ალიოშამ ყბაახვეული ალიკა დაინახა და... რა მოგივიდაო? — ალიკა და ენაჩაკმენდილი, ყბააკრული!

— ვაიმე, კბილი... თქვა ალიკამ და სიმწარითაც სხვას გადაუჯოკრა, — ამაზე დიდი ტკივილი არ არსებობსო.

— ეგ რა არი, — „გაუპუსტიაკა" ალიოშამ, —

სთოუმ ფეხით მოიარა მთელი ინგლისი და ორმოცდაათი წლის ტიტანური შრომისა და თავგანწირვის წყალობით, ინგლისისა და ლონდონის ისტორიის დაწერა შეძლო.

ამ საოცარი ადამიანის ღვაწლის შესაფასებლად, მეფე იაკობ პირველმა, იმ დროისათვის გაუგონარი და ყველაზე ორიგინალური მოწყალება გაიღო: მიუხედავად იმისა, რომ, მისი ბრძანებით, იმ დროის ინგლისში მათხოვრობისათვის სიკვდილით დასჯა იყო შემოღებული, მან ნება დართო ჯონ სთოუს, ერთი წლის განმავლობაში, პირადი სარგებლობისათვის, ინგლისელი მოქალაქეებისთვის მოწყალება ეთხოვა.

ბოლოთქმა: აბა, ულა! მაქვს კი სხვა გზა?! თბილისს ცრემლების დიდი ხანია, არ სჯერა, დედაქალაქმა პატიოსნებისთვის ჯვარს მაცვა!

თუ ვინმეს მიგაჩნიათ, რომ აფხაზეთში საკუთარი ინიციატივით დაბრუნება ღალატის ტოლფასია, ან ახლო მომავალში გამოგ-

შენ ჩემი თქვი — ბუასილი! 100 კბილი რომ გეტკინოს, ერთად... უკანალში! აი, ეგ არი?

P.S.სიცილმა სიცილი იცის — ამ სიტყვასთან დაკავშირებით ერთი ანეგდოტი თუ მართალი ამბავიც გამახსენდა!

მეგრელმა გურული მოიკითხა, ხომ კარგად ბრძანდებითო.

— გმადლობთ, კარგად, მარა პანა გონდურასი მანუხებსო (როგორც გაზეთები იტყობინებოდნენ — არ იყო იქ მთლად კარგად საქმე).

მეგრელი ბაიბურში არ იყო — რა იყო გონდურასი, მაგრამ იხტიბარს ხომ არ გაიტეხდა — ადგა და ბუასილის 120-აციით გურულს არაპოლიტიკური რჩევა მისცა — გონდურასია თუ რაღაცა, მაგას გაუფრთხილდი... გამიზეზება იცისო!

...მთელი სამხატვრო აკადემია გენიალური ტიპებით იყო სავსე. ჯოჯოხეთივით — ამ სამოთხეს ერთი მაშხალა აკლდა (ლექციებზე დასწრებაზე უფრო, ბიჭების დაუსწრებელი მეგობრობა ანუხებდა და ხანდახან შემოივლიდა!) ნიაზ დიასამიძე! რომელიც, „ქუჩის აკადემიასთან" ერთად, სად აღარ იყო!..

ერთხელ, მისი სურათი სამხატვრო აკადემიის კედლის გაზეთის კიდეში, გაჭრილი ვაშლივით, სანახევროდ იყო გამოკრული, წარწერით: ნახევარი „გპი"-შიაო!

...რა ტიპები იყვნენ!.. რამდენიც არ უნდა ვწერო, ვერ აგიწერთ!

მჯობნის მჯობნს რა დალევს?!... მავანი გადაგრევს — დრომ ვინც ვერ ატარა, დრო იმათ ატარეს. ალალ და მართლებმა, „ჯიგრის ყაურმებმა" — მთქმელმა და გამგონემ — რა პირმა, რა — ყურებმა.

მაშინდელი შტრიხ-კოდი!

კაცია და გუნება: 1 მაისს — ე.წ. მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს დიდმა რობერტ სტურუამ... სამხედრო აღლუმზე გამოსულ ტანკისტს მაყუთი გაუმაზა და... გრუხუნ-გრუხუნითა და რახრახით, ტანკით მირახრახდა სახლში!

...ისიც ხომ გითხარით: ცივ ზამთარში, კაპიკებისათვის გამოსულ მზესუმზირის გამყიდველ დედაბერს მთელი ფუთის ფული მისცა და ფუთა არ გამოართვა: არ მინდა შენი „სემიჩკა" — წადი სახლში, გათბიო!

ბარემ მერაბისაცა ვთქვათ — ბერძენიშვილის! „ბარემ" და მერაბ — ისედაც ხომ პალინდრომია — წაღმაც და უკუღმაც ერთნაირად იკითხება!

ნებისმიერი ერი იამაყებდა ამ საამაყო კაცით. ჩვენ — მე და კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ, ამ ქართველ მიქელანჯელოსთან შემოქმედებით ალიანსში (კინოხელოვან გრიშა ჩიგოგიძესთან ერთად) შევქმენით ლექსის, მუსიკისა და ქვის სიმფონია, რომელმაც არაერთხელ გაიჟღერა ამ ხმაურიან, მაგრამ მაინც ყრუ წუთისოფელში, სადაც „ძეგლთა სამშვიდობოებიც" კი აღარ არსებობს... ამ ქვის ცხენებს (თავის მხედრებიანად) მიაქანებენ, ვისაც — როდის და ვისაც — სად მოესურვება! არის ერთი „დოლი" და „ღამეები გარბიან", როგორც კონსტანტინე ბატონმა ბრძანა, როგორც „ნაბდით დაჭედილი ბედაურები!.."

ჯერ კიდევ 2004 წელს — რა ზარს შემოჰკრა, რატომ დაარქვა მერაბ ბერძენიშვილმა მის ქვათა ღაღადს „ზარი"? რა ზარია ეს — ზარ-ზეიმის

---

*ლესინგი: რა ცუდია, რომ უშუალოდ თვალით არ ვხატავთ: რამდენი რამ იკარგება თვალსა და ხელს შუა, ფუნჯამდე.*

*ლეონარდო და ვინჩი: ფერწერა პოეზიაა, რომელსაც ხედავენ, პოეზია ფერწერაა, რომელსაც ისმენენ.*

თუ გლოვის? რა წერილი მისწერა (ჩემი არ იყოს) მერაბ ბერძენიშვილმა მერაბ ბერძენიშვილს?

სალამი, ჩემო მერაბ! როგორა ხარ?

...ამქვეყნიური სილამაზე და მშვენიერება... მარტო ქარაფშუტა მამაკაცებს და ქალებს ეკუთვნით.

კაი აგარაკი, კაი სახლი გაქვს, კაი ცოლიც გყავს... როცა ეს არ იყო, უფრო ხალისიანი, მომღიმარი(?) და სხვისი გამხარებელი, თანამდგომი იყავი.

ღმერთებთან დიალოგი გიზიდავს.

ბოროტს — სიკვდილი, სიკეთეს — სიცოცხლე! ასე თვლი, ასე მიგაჩნია, ასე გჩვევია — სიკეთემ ბოროტებას უნდა აჯობოს!

...კასპში, საგულდაგულოდ შეფუთნულ გიორგი სააკაძეს ერთი იქაური „ოთარაანთ ქვრივივით" ქალი დარაჯობდა. ძეგლის გახსნის დღეს ჯიბისკენ ხელი წავიღე — თქვენს შვილიშვილებს ჩემგან რამე საჩუქარი მიართვით-მეთქი. ვინა თქვა, საჩუქარს კბილი არ გაესინჯებაო. ერთი ამბავი დამანია: ჩემი შვილიშვილებისთვის უკეთესი საჩუქარი რა იქნება — იცოდნენ, რომ „სულ გიორგი იყო ჩვენი დარაჯი და ერთხელ მეც გამითენებია მისთვის ღამეო!"

„ყოველი ახალი ძეგლის გახსნის წინ, რაღაც შეუცნობი უგუნებობა მანუხებს" — წერს მერაბ ბერძენიშვილი. ეს გამოუცნობი მღელვარება წუთისოფლისაა და მარადისობასთან შეხვედრის ბედნიერების თანმხლები, ანუ განძთა განცდაა!

„კიდევაც დაიზრდებიანო!"
სად არიან?
„პეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?"
იქნებ, სულ არ მოდის მომავალი!

რაცა გვჭირს — ჩვენი ჭკუისაგან,
ვაი — ჩვენ, ვუი — თქვენს ტვინს.
ვერ გავიგე:
თქვენ ხართ — საქართველოსთვის თუ
საქართველოა თქვენთვის!

რამდენი ჯარისკაცი — იმდენი კარისკაცი,
რამდენი უსმელ-უჭმელ-ჩაუცმელი...
იმდენი პირადი დაცვა გვყავს, რომ...
სამშობლო დაგვრჩა დაუცველი!

როგორა ხარო? — მეკითხები.
როგორ უნდა ვიყო? — გეკითხები.
პასუხი არაა იმდენი,
რამდენიცაა შეკითხვები.

იჩნდათ მეეზოვის, ღამის დარაჯის, ნებისმიერი სამუშაო ადგილის ვაკანსია, გთხოვთ, შემეხმიანოთ ნომერზე: 855118683. **P.S.** აშშ და ა.შ!

ბედის — დაბედებით: ფიქრის — დაფეთებით: სულის — აფეთქებით; ხსოვნის — ნაფლეთებით... ვწერ ჩემს ბედისწერას — მივაქროლებ მერანს და ვცდი სიყრმის მზერას — ბედის ბადით ქერას!

უკვე უახლოეს მომავალში, ნებისმიერ მსურველს შეეძლება, საკუთარი ახლობელი მთვარეზე დაკრძალოს. კომპანია ჩელ-ესტის Inc-ის კომერციული წინადადებაა, მთვარეზე ადამიანის ფერფლის გაგზავნა. კოსმოსური აპარატების მეშვეობით. პირველი „კოსმოსური დაკრძალვა" შესაძლოა, უკვე მომავალი წლის დასაწყისში შედგეს. ამგვარი მომსახურების საფასური 10 ათასი დოლარიდან იწყება — ამდენი ღირს მთვარეზე ერთი ადამიანის ფერფლის ჩატანა.

...კაი დრო იყო!

ჩვენ დროს ასეთი ბიჭები ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყვნენ და უიმათოდ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა თბილისი!

ნარსულის —

ნარსულის დავიწყებით... რა გენვევა — ან შენ რას ენევი?... საკუთარ თავს ვერსად გაექცევი — საცა გაიქცევი — ნაიქცევი! იცი კი, რას იგებ და რას აგებ? ცრუ გზა-კვალს ტყუილად აფარდაგებ. დღის სინათლეს ვერ ნაუვა ბოროტება — დრო მოვა, მედროვის ჯერიც დგება!

* * *

უეიც-უმეცრები, ანუ უბირები,
კადრნი კადრულობენ ყოვლად უკადრებელს.
ვერა, ვერ არიან კარგი ჩუბინები —
ჯერ ისვრიან და მერე... უმიზნებენ!

* * *

ცოდვა მიეცა ქართველთა — ვინაც შენ აგატალახა.
ეს ღამე თუ არ გათენდა — შენ ფურთხის ღირსიც არა ხარ!
ასე ვის შემოელახე, ან ვინ გაქცია სალახად,
თუ, რაც გინახავს, ვერ ნახავ — შენ ფურთხის ღირსიც არა ხარ!
ფურთხის ღირსია ისინი, ქვეყანა ვინც წააქცია —
ღვთისმშობლის წილი სამოთხე, ვინც ჯოჯოხეთად აქცია —
აგროვა ასიგნაცია... გაგვაგდებინა გნაცია —
...ამდენი აქციებითა ქვეყანა ვინც დააქცია!

## Memento Mori!

საიქიოში წამსვლელნი — სააქაოსა მიეტირით —
სიკვდილსაც დაევიწყებივართ — ჩვენ კი გვახსოვდეს სიკვდილი!
სააქაოსი რა ვიცით, საიქიოსი ვიცოდეთ,
სიკვდილს ქედს ვუხრით მიწამდე,
რომ სანთელივით ვიწვოდეთ!

## *ესეც ასე!*

### *ისევ ჩვენთმნელი ნოდარ (თოთ) ცერცვაძე!*

შევაყაროთ „მისი ცერცვი" ჩვენი ძმობის კედელს! სიყრმის ეშხით თვალს ვაყოლებ მის დახატულ ხედებს!

6. ქართულის მასწავლებელმა ვარო ვარდიაშვილმა (დეიდა ვარომ) აგვიხსნა, რომ „ჩათლახს" ძველად იმ კაცს ეძახდნენ, რომელსაც არც ცხენი ჰყავდა, არც იარაღი ჰქონდა და ომში ნამსვლელიც არ იყო!

11. ვარო ვარდიაშვილის მონაფეებს, უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე, საგნის გამოუკითხავადაც უწერდნენ მაღალ ნიშანს!

35. ჩვენს უბანსა და ჩვენს თაობას შესანიშნავი მომღერლები და მოცეკვავეები ჰყავდა: ზურაბ ლეჟავა, გოგი გელოვანი, ნოდარ ანდღულაძე... მარტო ვახტანგ გუნაშვილის „სადარბაზო" ცეკვა და ცნობილი

კარიკატურისტის გიგლა ფირცხალავას პირში დანაგაჩხერილი მთიულური რად ღირდა!

133. განუმეორებელი ტოლუმბაში იყო თემიკო ჩირგაძე, ინსტიტუტის დირექტორი, ექიმი... საუკუნის თამადა. თან გენიალური იმპროვიზატორი. ნებისმიერ უცხო ენაზე ლაპარაკობდა თავისებური „აბრაკადაბრათი".

. რამდენჯერ მომიყოლია ეს ამბავი! ერთხელ, საფრანგეთიდან ჩამოსულ ემიგრანტ კაცს ისე ელაპარაკა „ფრანგულად", რომ კაცი მხრებს იჩეჩდა: ეს კაცი, ეტყობა, შესანიშნავად ფლობს ფრანგულს, მარა მე მისი არაფერი მესმისო. აი, ნარჩენი იმ ტექსტიდან: „მუსიე! მადამ! პარდონ ჟე პრან ლე ვენ ავეკ ტუ მონკერ. ატოს, პორტოს, არამის, დარტანიან შანტ მარსელიოზ, შარლ დე გოლ, ჟაკ შირაკ, ალეი პოპავოტრ სანტე! მობილ-პერპენტუმობილ. ბინ ტონ, მოვე ტონ..." და ა.შ. ასე უბერავდა!

P.S.თემიკო ჩირგაძის სიკვდილი რომ მომნედა ყურში, ჩემი ცხოვრების წიგნს ვნერდი და სრულიად სხვა ტექსტს ასეთი მინანერი გავუკეთე:

„თუ სიკვდილმა იცის თემო ჩირგაძის ფასი... ალალი იყოს-მეთქი!"

152. იმ უხოელ ქართველს „ორესტი" ერქვა და ჩირგოს განუყრელმა მეგობარმა და კარის მეზობელმა გიგო ბუაჩიძემ ეს მისებურად „გააკალამბურა" — ამ კაცის მასპინძლობის გამო მალე განახავთ თქვენ „ორესტოვანებსო".

P.S.მრავალთა შორის, ერთი გენიალური ნათქვამი აქვს გიგოს და ვერ დავუკარგავ. ვილაც, გაჭირვებულმა თუ ქვანვია პაციენტმა, თურმე, მანეთიანი ჩაუდო ჯიბეში და როცა კოლეგებმა უთხრეს, მანეთი რამ აგაღებინა პაციენტისგანო, უპასუხა: ისიც რომ არ ამეღო, ხმა გამივარდებოდა, რომ გიგო ექიმი ფულს არ იღებსო!

როგორი ნიდახედულობაა!

267. რას არ უძლებს და ეგუება ადამიანი!

ოჩო აღნერს კრემლის ყრილობათა სასახლეში ნინო ანანიაშვილის (ჩვენი სტუდენტობის ამხანაგების — ლიასა და ვახოს 17 ნლის ქალიშვილის) ტრიუმფს. არადა, ამ ნაბოლარა შვილის, მზეთუნახავის დაბადება ერთ დროს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, ვინაიდან იმ ხელმოკლეობის ჟამს მესამე შვილის გაჩენა „დიდი გამბედაობა და ცოტა თავხედობაც იყო".

300. სოსო ხარაბაძეს იმერეთის ჭიშკრის გამღებს ვეძახდი. დღეს გოგისვანიძეების რესტორანში „სოსოია ხარაბაძის" მემორიალური ოთახიც კი არის, სადაც ძველი ქუთაისის სული ტრიალებს.

„ასე იყო" — ასე ჰქვია ოჩოს ნიგნს. დიახ, ასე

*P.S. მე კი ერთი ვარსკვლავი უკვე მაქვს და არც დიდებზე ვიტყოდი უარს, რაც უკვე ვუთხარი კიდეც პანთეონის თავკაცს ზალი ქუთათელაძეს.*

<u>ახალი ადამ</u>

<u>და ევა</u>

*როგორც რუსული ჟურნალი „პრავდა" წერს, ალა პუგაჩოვამ ყველაზე ძვირადღირებული ადგილი დაჯავშნა ისრაელის სასაფლაოზე. ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ ამავე სასაფლაოზე თავისთვის ადგილი ნაყიდი ჰქონია იოსებ კობზონსაც. ეს სასაფლაო მდიდრების ყურადღებას ერთი მარტივი მიზეზის გამო იქცევს. ამბობენ, ვინც ამ სასაფლაოზე დაიკრძალება, სამოთხეში მოხვედრის გარანტირებული აქვსო. როგორც ჩანს, რუსული ესტრადის ლეგენდარი იმქვეყნიურ ცხოვრებაზე ფიქრს ახლავე იწყებს — მან უკვე მოასწრო, დაჯავშნა ადგილი სამოთხეში.*

<u>[illegible] ქართველებო!</u>

<u>[illegible]</u>

<u>ძე მოძრაობა 21-ე</u>

იყო. ჭეშმარიტად! ნოდარ ცერცვაძე ერთ, მრავალთაგან ხარაბაძისეულ, ამბავს იგონებს: რევიზია დაცემიათ თავზე. ხან ფული შეუძლევიათ, ხან — ქალი, ხან საქეიფოდ ნაყვანა დაუპირებიათ, მარა ეს კაცი ჩოთქისაგან ვერ „ოუნინკნიათ"... გადარეულა სოსოია ხარაბაძე და იმერული ზრდილობით, მარა კახური პირდაპირობით უთქვამს რევიზორისთვის: ფული შენ არ გიყვარს, ქალები შენ არ გიყვარს, ქეიფი შენ არ გყვარებია და ეს რევიზია რამ შეგაყვარა, შე ოჯახქოროო!

ოჩო იმასაც იხსენებს, სარგის ცაიშვილმა როგორ მიანიჭა შალვა კვინტრაძეს „საქართველოს სახალხო მეგობრის" ნოდება!

## *ფრაგმენტები (კომენტარებით) გენერალ ჯემალ (ჯიმი) მიქელაძის ნახახსოვრები წიგნიდან*

# „დარსულის ღია ფანჯრები"

7. მიქელაძეების საგვარეულო რეზიდენცია სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში გახლდათ. ჯვარცმის მინდვრის სანახებში იდგა მათი სასახლე, ქონგურებიანი ციხე-სიმაგრე, ეკლესია და საგვარეულო სამვალე.

8. ჭიშკრიდან ბებერი კოპიტებით დაფარულ სასახლემდე ერთი ვერსი მანძილი მაინც იქნებოდა. ვიდრე სტუმარი ამ მანძილს გაივლიდა, კაი მაინძელი თადარიგის დაჭერასაც ასწრებდა.

35. მაშინდელი ეტლების ეჟვანთა ჟღარუნი დღესაც ისმის ყურში!

მიქელაძეების დიდებულ სასახლეს რა დაავიწყებს ცნობილ დანიელა ურიას (ჯანაშვილის), კოკინია დგებუაძისა და პიპინია მიქელაძის სიმღერასა თუ მოსნრებულ სიტყვა-პასუხს!

273. ქართული სუფრის ფენომენზე ქართველების სიძე ალექსანდრე გრიბოედოვი ნერდა: „ქართველები, რაც უფრო მეტს სვამენ, მით უფრო ფხიზლდებიან. დედამიწის ზურგზე არ მეგულება მეორე ერი, რომელსაც ღვინო ასე აკეთილშობილებს, აფილოსოფოსებს, აადამიანურებს. იმას, რასაც სხვები ღვინოში კარგავენ, ქართველები სნორედ ღვინოში პოულობენო."

348. ბევრი სიკეთე მახსოვს ყველა დროის 1 ნყალბურთელის პეტრე მშვენიერაძისაგან. იგი ჩემი შვილიშვილების კერპიც იყო — მტკაველით უზომავდნენ მხრებს და შემდეგ დაობდნენ — 15 კი არა, 20 მტკაველიაო!

...იმაზე, რასაც ახლა მე, გავიხსენებ, სოფოკლეს ტრაგედიასაც ძნელად მოუბრუნდებოდა ენა. იყო ასეთი საბედისნერო შემთხვევა — საკავშირო ფინალში გასულ თბილისელ ნყალბურთელებს, მოსკოვის იმ გუნდთან მოუხდათ შერკინება, რომელსაც სათავეში ლეგენდარული ქართველი პეტრე მშვენიერაძე ედგა (ნყალზე ფეხით რომ დადიოდა"!) და, ის ერთადერთი, ჩვენთვის ნამგებიანი გოლიც სნორედ მან გაუტანა გაოგნებულ გოლკიპერს!

და, იხუვლა დარბაზმა!

---

*ციცერონ მარკ ტულიუსი: არავის შეუძლია კარგი პოეტი იყოს თავისებური სიგიჟის გარეშე (ესეც მე ვარ?.. ჩვენში, მით უმეტეს, დამწყებ მელექსეებს გიჟპოეტებს ეძახიან!).*

*გო პეროდოტი: შურიანი ორმაგად უბედურია – საკუთარი უბედურებით და სხვისი ბედნიერებით.*

და, იქვე გაისმა ერთი ქართული უნმანური გინებაც! ქართველების დამმარცხებელი... ქართველი ერთი ხელის მოსმით მოადგა გასუსულ ტრიბუნას, სადაც ქართველები ეგულებოდა და ჯიქურ იკითხა: ვინ შემაგინაო?

— მე შეგაგინე! — უთხრა მშვიდად ბეჭდაუდებელმა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა და ლეგენდარულმა გივი კარტოზიამ.

და, ღმერთი მაშინვე ჩაერია კაცთა საქმეში.

და, უსიტყვოდ გააშველა ორი დევკაცი!

გულმა გული იცნო და ღონემ — ღონე!... როგორც ილია მართალმა ბრძანა!

* * *

დაენახათ რაიც თვალებს, გაეგონათ რაიც ყურებს — გულ-სისხლ-ძარღვში გავატარე... ვნურე და ვერ ამოვნურე!

სათქმელი თუ გასაგონი — ოფლში ენურე, ვანურნურე — გულს ვუჯერე და ვიჯერე... არ ვუჯერე რაც თვალ-ყურებს.

შავი ფიქრი — შავ შავეთში, შავეთს შავად მივაშავე — „წერილი" თუ „სიხარული" ვაიგივე... ვაიგავე!

* * *

ემაფხულობთ — ეფაფხურობთ.
ვიზამთრებთ — ცეცხლს ეანთებთ.
გაზაფხულს — ეთესაეთ პურს.
შემოდექს — ვაესებთ ჭურს.
ოთხი დრო — წელიწადს!...
ვინც იცნობს იმის ყადრს.
რა დალევს ცოდვა-მადლს —
დალოცვა მათი მწადს!

* * *

ტყუილად არაა ნათქვამი, მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო! ჩემი კარის მეზობელი, კიბერნეტიკოსი, პროფესორი ალიკო ცინცაძეა. მნიგნობარი კაცი, ნიგნების ავტორი და ნიგნიერი კაცების ამქარი.

ჩვენს მეზობლობაში რაღაც მისტიკურსაც კი ეხედავ!

ერთხელ, მამაჩემის ძველ ქაღალდებში ვიქექებოდი და ერთ უცნაურ ფოტოს ნავანყდი. 3-4 ნლის ბიჭის არაპროფესიონალურად გადაღებული სურათი იყო. ეძინა. მაგრამ ამ ძილში სიცოცხლის ნიშანნყალი არ ჩანდა. დედაჩემს ვაჩვენე. სახე დაეკარგა. ჯერ გამიბრაზდა: რას დაბოდიალობ სხვის ქაღალდებშიო, მერე კი თვალცრემლიანმა მითხრა,

საუკუნის" ლეგენდა:

მე მაქვს პირადად ნანახი რუკა, სადაც საქართველო 6-7 ჯუჯა სახელმწიფოდ არის დაშლილი. ეს არის მსოფლიო ძალების ანუ ე.წ. საიდუმლო ხელის მიერ, ანუ მსოფლიო მთავრობის მიერ შექმნილი და დაწერილი რუკა. საქართველო, როგორც ტერიტორია, იარსებებს, მაგრამ საქართველო არ უნდა იყოს სახელმწიფო.

ხელის კანკალით შემოხაზულ ქართველთა რუკას.

არავინ იცის (ღმერთის გარდა), ეშმა რას უქადის!

მტერი — მოყვარის თუ მოყვარე — მტერის ხელშია.

ჭკუით, ქართველნო, საქართველო განსაცდელშია!

დღეს ჩემი დისწულისწულის — პატარა მეგის, მომღერალი მეგის, მოცეკვავე მეგის, ულამაზესი, ფერია მეგენას დაბადების დღეა. მუზაც თავისით მეწვია და „ხელცარიელი" არ გამიშვა.

რომ ეს პატარა ბიჭი ჩემი ძმა ყოფილა, და სახელად ალიკო რქმევია... ის რომ არ წასულიყო — მე ვერ მოვიდოდი ამ ქვეყანაზე, რადგან ჩვენს მშობლებს არ ჰქონდათ საშუალება ორზე მეტი შვილის ყოლისა!... იქვე, სამშობიაროს წინ — ვერის ბაღში დაუმარხავთ (თავის დროზე საქართველოს ეგზარქოს ფლაბიანე გოროდეცკისაგან მიუღიათ ნებართვა სასაფლაოს ბაღად გადაკეთების). ახლა, აქ რომ შევდივარ, მეშინია, ერთი ქართველი, არც ისე ცნობილი პოეტის დღემდე დაუვიწყარი სიტყვებისა არ იყოს, „საქართველოში ფრთხილად დავდივარ, მეშინია, სადმე თამარის საფლავს ფეხი არ დავაბიჯოო".

მეც მეშინია, ჩემი ძმის საფლავს ფეხით არ გადავუარო და ლამის ყველა ყვავილში მელანდება!

მახლას, ყელამდე ვარ ჩემი... მაშინ სამი წლით უფროსი და ახლა საუკუნით უმცროსი ძმის ვალში. თავისი სიკვდილით სიცოცხლე რომ მაჩუქა! გაანათლოს!

და, აი, რაღაც ნათელს იმაშიც ვხედავ, რომ ამ სიბერეში, კარის მეზობლად მომადგა კაცი, რომელსაც ჩემი ძმის სახელი ჰქვია!

თუ გინდა დანახვა — უნდა დაინახო!

აქვე, სიცილმაც წამოყო თავი და ერთი ანეგდოტიც „შემაწერა"!

მეგრელს, ტრამვაიში, წინ მდგომი კაცისთვის უკითხავს — ჩადიხართო? დიახო! — უთქვამს უცნობს.

— ოხ, კოლეგაო! — გახარებია მეგრელს იმის გამო, რომ... საერთო გამოუძებნია უცნობთან.

...რაღაც ზებუნებრივი ძალების რწმენას ანუ მისტიკას იმაშიც ვხედავ, რომ ჩვენი პატარა სახლის ეზოში ფარშევანგივით გაფხორილი, ერთი უზარმაზარი ხე დგას — აკაკი ჰქვია და იგი, ჰოროსკოპით, თურმე, ჩემი ანუ მერწყულის ხეა!

ახლა მისტიკასა და ზებუნებრივს სრულიად ბუნებრივი ამბავიც დავადევნოთ: ბატონ ალეკოს, როგორც პოეზიის გულშემატკივარ და ჭკუის საკითხავ კაცს, მისი ცოლიურის მეზობლებმა ერთი მადლიანი საქმეც შეასახელეს, რომელშიც მან მეც, როგორც მწერლობის ამქრის კაცი, ალალად შემიამხანაგა. ცხოვრობდა თბილისში ერთი მრავალთაგანი, მეორე მსოფლიო ომის დროს დაბადებული თბილისელი კაცი — კუკიის უბნელი მესაფლავე ოთარ ასლამაზიშვილი. თლიდა საფლავის ქვებს და წერდა ლექსებს! ამ კაცს ბატონი კი არა, პატრონი სჭირდებოდა, რომ მის ქვაზე ამოსაკაწრ ეპიტაფიებივით ლექსებს მკვდრები დაემშვენებინა... ცოცხლების საამაყოდ!

მის ლექსებსაც სჭირდებოდა „ნავსაყუდელი" და მიუხედავად „ინტერნეტისა" თუ ულტრათანამედროვე საშუალებებისა, წიგნზე უფრო კარგი თავშესაფარი სად არი?.. წიგნია ის განსასვენებელი, რომელიც ცოცხლად ინახავს ავტორსაც და მის გულშემატკივარსაც. და, აი, ამ კაი კაცების კაი კაცობით ამ ძეგლის დადგმასაც დაადგა საშველი — „საფლავის ქვაზე დაწერილმა ლექსებმაც" დღის სინათლე იხილეს!

პროფესორ ალეკო ცინცაძის შესავალი სიტყვით შევაღეთ მესაფლავე-პოეტის ობლის კვერივით გამომცხვარი წიგნის კარები!

საფრანგეთის „ლევილის" ქართველთა სასაფლაოზე სამუშაოდ ეძახდნენ ოთარ ასლამაზიშვილს და უთბილისოდ ვერ ვიცხოვრებო. კუკიის სასაფლაოა მისი „არაჩვეულებრივი გამოფენა"!

„მოსე წინასწარმეტყველს უთქვამს: ყველაფერი ზევიდან იწყებაო! სოლომონს: თავიდანო! ქრისტეს: გულიდანო! მარქსს: მუცლიდანო!

ფროიდს და აინშტაინს — ყველაფერი ფარდობითიაო!

...შეკითხვას ზოგჯერ პასუხზე მეტი პასუხისმგებლობა აქვს! — ჰქონდა უასაკო მეგობრობა სიღრმესთან!

...როგორც ყოველთვის, მახსენდება ჩემი სახლიკაცის შოთა ნიშნიანიძის იგავმიუწვდომელი სიბრძნისმეტყველება:

„ამ ნყეულ ნიღბებს იმიტომ ვიცვლი, რომ ჩემი სახე შევინარჩუნო, ცხოვრებას კიდევ გავუძლო, ვიძლო — ვიცხოვრო, ვნერო და ვიფარჩუნო!"

პოეზია, ამ მესაფლავე კაცისათვის, სიცოცხლის თავშესაფრად იქცა. ამქვეყნიური პრობლემებიდან გაქცევა მხოლოდ იქ შეეძლო. „ვისაც მობეზრდა ტანჯვის ყურება, გაბოზდა ანდა დახურდავდა კუპიურებად! „ვნერ ქვათა სიმძიმით და საკუთარ აჩრდილს ძალლივით ვულრენო!

როცა ის წავიდა, იდგა 2000 წელი. იგი მეოცე საუკუნეში დარჩა და მხოლოდ მისმა წიგნმა გადმოაბიჯა ოცდამეერთეს!

... პირველმკითხველის უფლებითა და ამქრული ვალით, ლუკმასავით გავუყოფ ჩემს საკარმიდამოს მის ლექსებს და ამ წიგნის მკითხველის თვალსაც წყალს დავალევინებ!

„ვტირივარ — ხარხარებს, ვიცინი — იცრემლება... ვლანძღავ — თავს მევლება, ლხინში ვარ — მამნარებს... ჩემი ორეული!..

გარეთ გამოვალ — სახლში მელოდება, სახლში ვზივარ და გარეთ დანანნალებს... მანამებს, მანვალებს!"

„...საოცარია ბედის ტრიალი.

დღეს იაფობაა ერთი სიზმარი — ორი რეალი".

„სახლის კართან ძალლი ნევს. კედლის ბზარში — ბელურა. თავისუფლად შეაღნევს ქარის ხასანბეგურა".

„ცოლის მზითევს მირჩევნია ძმაკაცებთან ფსონის ლუკმა, ქალაქს ნისლი მოჰფენია, როგორც შიშველს ანაფორა... გარე გამო, როგორც ძველი მეტაფორა!"

„ძველ ამბებში ვიქექები... სასნაული ნაცრად ეგოს, მე ვარ ნაცარქექიაც და ბაყბაყდევის ალტერ ეგოც!"

„...ქალი — ატრიბუტი, კაცი — ბატიბუტი, დროა გასაბუტი, ლოცვით და ბუტბუტით..."

დღეს „დაბადების ჟამი მოსულა... ფართო შარაზე სხვებმა იარონ... ნაბიჭვარ სიტყვის ნაბუშარ ლექსზე — მუზებმა უნდა იმშობიარონ!"

მინა იყო — მინად იქცა.

ახლა, მისი ჭირისუფალი — მისი ლექსებია!!!

<u>ახლა ეს!</u>

კაცნი სიღრმეში იდგამენ ფეხს და სიცოცხლის ბოლოს ვხვდებით — ცხოვრების აზრს რის ვწვდებით. მეორედ ვიბადებით!

ახლა ეს... ისე — დაბადებიდან ვკვდებით.

<u>ალიკი გაბედვაა:</u>

„გახსოვთ თებელი ძმები... დიოსკურები? ჩვენ მათი ნამიერები ვართ. მათი ბადიშები"

„ლ.ხ." 21.27.05.04.

კარგ მთქმელს — კარგი გამგონე თუ ენდა, ესე იგი, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს.

მანანა ჩიკუიშვილის ლექსიც ცის მანანასავით მემომეფეთა:

ისე აფეთქდა გზის პირს ტყემალი.

ისე კრძალვით და ისე მალულად.

თითქოს ამდგარა თეთრი ქალწული

და ქორწილიდან გამოპარულა.

საოცრებაა!

თბილისში. თბილისელ კაცს ცრემლი სახეხხებელი არ ჰქონდა — მთელი

* * *

2009 წელს გამოეიდა ჩვენი თანამედროვის, საქართველოს მეფეთა შთამომავალ პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლექსების კრებული (ყოფილი მილიციელისა და დიდად წიგნიერი კაცის დამიანე ალანიას თაოსნობით).

პეტრე, სხვა სიკეთესთან და ღირსებასთან ერთად, ოთარ მგელაძის ანუ ჩვენი სიძე, ძმა და მეგობარი იყო. „ასე ეთქვათ, „ვეტერანი" თვითმპყრობელობის... რევოლუცია რომ არა, ბიძია, მეფე იქნებოდა სრულიად ქართველობის". ჩვენ კი პირზე კოცნით ვხვდებოდით ერთმანეთს და არც ჩვენ გვახსოვდა მისი ხელმწიფობა და არც მას — კაი ყმასა და კაი ვერელ ბიჭს!

გარეგნობა და ტვინი ნამდვილად მეფური ჰქონდა და ამის მოწმე ეს მემორიალური გამოცემაცაა — მასავით ლამაზი და ამაღლებული!

პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლექსები არა მარტო იკითხებოდა, არამედ, უმეტესად, იმღერებოდა. ტევადობით კი... პოეზიის აკაკისეული, დანურული მტევანივით — „გარემოების საყვირივით" ჟღერს სიბერის მისეული მეტაფორა — „დარდის გუდურა გრილი"...

თვალს წყალივით ვასმევ... დავსეირნობ მის სტრიქონებში თუ სტრიქონებს შორის და შენდობას ვუთვლი მცხეთის სვეტიცხოველში — მეფეთა საძვალეში განსვენებულ... ხელმწიფეს თუ არა — სულმწიფეს... ბადაგი და თაფლი რომ სდის პირიდან!

ყველა-ყველა და, თვალსა და ხელს შუა ლამის ხალხურობამდე მისული „აკაკის სიმღერაც" თუ მისი იყო, აღარ მახსოვდა... (თუმცა, პეტრე გრუზინსკის რა დაავიწყებს თბილისს!)

„ჩამოასხით, ერთიც უნდა დავლიო, ეს ცხოვრება ლხინში უნდა გავლიო. ჩამოასხით, როცა ღვინო მწყურია, ეს ცხოვრება უფრო საამურია."

დოქის ტუჩი მირჩევნია ქალისას. ეს ცხოვრება ღვინომ გაახალისა. ყველა ბრძენზე მეტი ჭკუა ჰქონია, ვისაც რომა ღვინო მოუგონია!"

ასეთ ამღერებულ და დამღერებულ კაცთან სიკვდილს რა ხელი აქვს!

ასეთი სიცოცხლით სავსე სიკვდილი სად გაგონილა!

გაანათლოს!

* * *

ჯუმბერ თითმერია — უტყუარი კრიტიკოსი, კარგი მთარგმნელი და თვალსაჩინო პუბლიცისტი იყო. სანყენია, რომ ამას ნარსულ დროში ვლაპარაკობ — კაი 10 ნლით იყო ჩემზე უმცროსი.

დღეს მისი შვილის — ქართული წიგნის ჭირისუფლისა და ლხინისუფლის — ლევანის გამომცემლობაში იბეჭდება ჩემსავით თავზე და ჯიბეზე ხელაღებულთა წიგნები, რომელთაც მკითხველი დღესაც ბევრი ჰყავს — მყიდველისა კი რა მოგახსენოთ. უჭირს ხალხს და, მართალი გითხრათ, მეც მენანება წიგნი გასაყიდად... მით უფრო — სავაჭროდ!

---

*ნაპოლეონ I: გაჩერება შეიძლება მაღლა ასვლისას და არა ვარდნისას.*

*არტურ შოპენჰაუერი: ახალგაზრდების აზრით, ცხოვრება ხანგრძლივი მომავალია, მოხუცების თვალსაზრისით კი – მოკლე წარსული.*

*სენეკა ლუციუს ანეუსი: წარსულმა თაობებმა... შეპასუხების ნაცვლად – შეკითხვები დაგვიტოვეს.*

ლევან თითმერიას „წიგნთა სამშობიარო" ყველაზე ხელმისაწვდომი ოაზისია მამამისის ხელობის ხალხისთვის. ააშენოს ღმერთმა!

წიგნი ავტორის მეორე სიცოცხლეა და ვისაც ჯუმბერ თითმერიას აზრი აინტერესებს, გადაშალოს მისი „ისევ: დრო, ფიქრი, სიტყვა" და მის გულშიაც ჩაიხედოს, — რომ დიდი იაპონელი მწერალი ქალის სეი სიონაგონის (XIVს.) რომანის „მარტოობის ჟამის ჩანაწერების", მეორე იაპონელი ქალის — ნიძიოს (XIII-XIVს.) რომანის „საჩუმათო ამბავის", ლევ ტოლსტოის მოთხრობების, ლეონარდო და ვინჩის „ზღაპრების, ლეგენდების, იგავების", ვასილ შუკშინის მოთხრობების — „მგლების", ვასილ ბელოვის „ასეთია ცხოვრება", არტაშეს ქალანთარიანის რომანის „მარათონი", მიხეილ თუმანიშვილის „რეჟისორი ნავიდა თეატრიდან", ეჟი ადიგეის „თვითმკვლელის ანდერძის", იოანა ხმელევსკაიას „რა თქვა განსვენებულმა", მუაძარ ალ-კადაფის „მწვანე წიგნის", აფხაზი ალექსი გოგუას კრებულის „თეთრი, თეთრი, ქათქათა ბატკნის", სალვადორ დალის „ერთი გენიოსის ჩანაწერების", „ილიას სამრეკლოს", „იაკობის სამრეკლოს", აფხაზეთის ომში დაღუპული ჩვენი თანამემამულეების ხსოვნისადმი მიძღვნილის „მარადი ექოს", შოლოხოვის სურნელი იგრძნოს.

მე, ყველგან და ყოველთვის, სწორედ ამ მარგალიტების ანუ ამ „ძირს არდასაშვები სიტყვის" (არჩილ სულაკაური) მაძიებელი ვარ!

34. შეიძლება, დაზოგო ელექტროენერგია, წყალი, სასმელ-საჭმელიც, მაგრამ შემოქმედებითი ენერგიის დაზოგვა... ცოდვაა!

36. თამაზ ჭილაძე: ნუ გაგიკვირდებათ, თუ მალე მოხეტიალე პოეტებსაც დაინახავთ, საკრავებით ხელში.

„ჩვენ ალმაცერად დავუწყეთ ცქერა პოეზიას, ამ გულუბრყვილო, ოპტიმისტურ არსებას, რომელიც თავისი სულელური ჩანგითა და ზეთისხილის რტოთი, კომპიუტერებს შორის მეტად საცოდავად გამოიყურებოდა. პრაქტიკულმა აზრმა განდევნა ოცნება და მასთან ერთად — იმედიც. ბრძოლა კონკრეტულ პრაქტიკულ ცოდნასა და ოცნებას შორის ისეთივე ძველია, როგორც ადამიანი. ესქილეს ცნობილ ტრაგედიაში პრომეთეს ბრალს სდებენ იმიტომ, რომ მან „ბრმა" იმედები გაუჩინა ადამიანებს. სხვათა შორის, პრომეთე ამქვეყნად პირველი რობოტის — ჰეფესტოსგან გამოჭედილი პანდორას მიერ დატრიალებულ უბედურებებთან ბრძოლისათვის დაისაჯა: XVII საუკუნეში კორნელის ერთ-ერთი გმირი იტყვის: „ყველა იმედს

თბილისი მიაცილებდა ფეხით თუ თვალით...

ამას წინათ, ძველ თბილისში, უკანასკნელ გზაზე, ერთ თბილისელ კაცს ისე ცოტა ხალხი მიაცილებდა, რომ... დაუფიქრებლად გავყევი... თუმცა, კარგადაც რომ დავფიქრებულიყავი... მაინც უნდა გავყოლოდი, რადგანაც გულარხეინობის ქირი ერთობ გაგვეშინაურდა.

შოთა ნიშნიანიძის ლექსი მეწვია:

გაზაფხულია... ცად აფრინდა ჩიტი ურიცხვი,

მწვანე სანთელი სიხარულად გადასდის წიწვებს.

მამადავითზე ერთი ცოცხლის ვარდის გულისთვის

ბულბული ბულბულს დუელში იწვევს.

ჩინეთში, მეხაძლოს, „ქალთა ქალაქი" გაამენონ. „ქალები არასდროს ცდებიან. მამაკაცებს არ აქვთ უფლება, არი უთხრან მათ ნებისმიერ თხოვნაზე", — ასეთია ამ პროვინციის ლოზუნგი, რომელიც ჩინელებმა ხაზგასმულად დაამუშავეს. ახლა კი, ქვეყნის ხელისუფლებას ეძებს ინვესტორს, რომე-

მირჩევნია, ვიცოდე, რომ იმედი საერთოდ არ არსებობსო". „ეკლესიასტეს" წაკითხვის მერე არავის ჩამოუხრჩვია თავი, პირიქით, მას უამრავი მნიგნობარი ბერი საუკუნეების მანძილზე იწერდა, ათეთრებდა და შთამომავლობას გადასცემდა. არც ბოდლერის ლექსებს მიუყვანია ვინმე თვითმკვლელობამდე. მე მგონია, საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი სწორედ იმიტომ ეტანება მარიხუანასა და კოკაინს, რომ მან არც „ეკლესიასტე" იცის და არც ბოდლერის „ბოროტების ყვავილები".

37. ახალი არ ნიშნავს ძველის უარყოფას. პირიქით, კონდიციამდე დაყვანა — კადენციამდე აყვანაა. საგულისხმოა პასტერნაკის სიტყვები: „ძველ მოცარტ-ფილდისეულ ენაზე იმდენი განსაცვიფრებელი რამ თქვა მუსიკაში შოპენმა, რომ იგი მუსიკის მეორედ დაბადებად გვეჩვენება".

...კალმის მომლოდინე ცარიელი ფურცელი კაცის მომლოდინე შიშველი ქალივითაა.

„ბავშვები ისე გათავხედდნენ, მშობლებს აღარ უსმენენ. ეტყობა, ქვეყნის დასასრული მოახლოებულაო". ეს სიტყვები ერთ ეგვიპტელ ქურუმს ეკუთვნის, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი ათასი წლის წინ ცხოვრობდა. სკეპტიკოსები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან.

„ვინ გაპატიებს სიჩუმეს!"

55. საყოველთაოდაა ცნობილი, რაც თქვა დავით კლდიაშვილმა თავის საიუბილეო საღამოზე: ჩემს სიცოცხლეში არავისთვის დამიცინია. მე მებრალებოდა ადამიანი, რომელიც ცხოვრებამ გააუბედურა და სასაცილო მდგომარეობაში ჩააყენა. რასაც ვწერდი, მხოლოდ ადამიანის სიყვარულით ვწერდი." „ჩემი ცხოვრების გზაზე" — ქართული მემუარულ-დოკუმენტური პროზის შედევრია.

64. მადლობის სიტყვა ალექსი ოჩიაურს:

„მტრის გამჯავრენი ხართ, მაკეთის გამლაღენი. დედან — სადედუფლონი ხართ, მამან — საბატონონი", — ეტყვის მობოდიშე კაცი მოსაბოდიშებელს.

... მოსისხლე, სოფელთან ახლოს, ცხენზე არ შეჯდებოდა, ხელით გაატარებდა, ვიდრე სოფლიდან გზა ჩანდა. როცა მოეფარებოდა, შეჯდებოდა ცხენზე და თავისუფლად ამოისუნთქავდა... თუ დაზარალებულის გვარიდან ვინმე შეხვდებოდა, ცხენიდან უნდა გადმომხტარიყო, გზის ძირში უნდა ჩასულიყო და ქუდმოხდილი გაჩერებულიყო. ის რომ დაინახავდა, იტყოდა: ამოდი მაღლა და გზაზე გაიარეო. ... ხევსურ კაცს კი, სხვა სოფლიდან მოსულს, თავის სოფელში ცხენზე მჯდომს არ გაუშვებდნენ. თუ ის სოფელში ცხენით მოინდომებდა გავლას და არ ჩამოვიდოდა, აქაური ახალგაზრდობა მაშინვე შუღლად გაუხდებოდა, სცემდნენ და ხანდახან დაჭრიდნენ კიდეც. თუ ის ცხენიდან ჩამოვიდოდა, ალვირს ხელში დაიჭერდა და ისე გაივლიდა, ყველანი გამარჯვებას ეტყოდნენ.

74. ირაკლი აბაშიძე: „ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე, ცხოვრების ყველა ზვირთში ვერიე, გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს, მსურდა, წამელო ყველა სიამე." (ირაკლი აბაშიძე სვეტიცხოველივით კაცი იყო!)

... ოცდაერთ წელში, ახლა საბოლოოდ დასტოვეს თბილისი აქა-იქ შემორჩენილმა ზემელებმა, ოტენებმა, არამიანცებმა, ზინგერებმა, ფილიპოვებმა, მილოვებმა, ვოლოხებმა, მელიქ-კაზარიანცებმა, გომერებმა,

---

*კლოდ ადრიან ჰელვეციუსი: ადამიანის ხასიათზე და გონებაზე თავისუფლად შეიძლება ვიმსჯელოთ მის მიერ ამორჩეული წიგნებისა და მეგობრების მიხედვით.*

სეგალებმა, ხუდადოვებმა, სხვებმა და სხვებმა".

80. თ. ნაროუშვილი: „სოციალიზმის დაღუპვა გსურდათ, არ მოგაკლდებათ გაკიცხვა მუდამ" (იყვნენ ასეთი აპოლოგეტებიც!).

81. ფილიპე მახარაძე: „ილია ჭავჭავაძე იყო... მუშებისა და გლეხების ექსპლოატატორი, როგორც მწერალი, ილია ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს თაყვანისმცემელი და მონარქისტი, რეაქციონერი და კონსერვატორი" („კომუნისტი", 1931, 248).

P.S.ამ დროს გურიაში რას ჰყვებიან ფილიპეს „ფილიპიკებზე"! (ბევრჯერ მაქვს მოყოლილი).

კოლექტივიზაციის წლებში, თურმე, მისი ძმა არ შედიოდა კოლმეურნეობაში და არ შეჰყავდა ის ერთადერთი ნეზვი ღორი, რომლისგანაც „ცოციალისტებზე" მეტ სიკეთეს ელოდა. იძულებული შექნილან, ეთქვათ ეს მისი ზემდგომი ძმისთვის და ამ უკანასკნელს შავი დღე დაუყრია გლეხუჭა ძმისთვის — რას ჰქვია, კოლმეურნეობაში არ შედიხარო!... მარა, არც ეს სოფლელი ძმა ყოფილა მთლად ბნელი — კი, ძამა, შევალ იმ შეუსვლელში, მარა ერთი კითხვა ჩვენც გვაქვენ თქვენთანო!

ბრძანეო!

— მართალია, ძამა, რომ ამბობენ, ფილიპეს სახელობის კოლმეურნეობა იხსნებაო? კიო! — უთქვამს ფილიპეს... ისიც მართალია, რომ ოზურგეთში ფილიპე მახარაძის ძეგლს დგამენო? კიო! — უთქვამს... ის თუა სწორი — ოზურგეთს ფილიპეს სახელს არქმევენო? — კიო! — დაუქნევია თავი...

— ჰოდა, მაშინ, ეს ერთი ნეზვი ღორი მაინც იყოს ჩემს სახელზეო! — აუქნევია ხელი ამ უკანასკნელს.

92. თაგორი: ჩემი რელიგია... პოეტის რელიგიაა!

93. ირაკლი აბაშიძე: ბევრი უბის წიგნი ჯერ ისევ ჩემს სანერ მაგიდაზეა და უცდის, როდის დავრწმუნდები მე საბოლოოდ ჩემს მოხუცებულობაში. ერთი გენიალური იტალიელი ამბობდა: გენიოსობა გენიალურ ქურდობაშიაო!

94. „ნოვი მირში" მეცნიერები ამტკიცებენ და წერენ, რომ დედამიწის რესურსები კიდევ სამ მილიარდ წელს ეყოფა ადამიანებსო.

ჩვენში კი, დღეს, უკვე მატარებლებში შემოსული მოხეტიალე მომღერლებიც კი მღერიან:

რა ყოფილან ეს რუსები —

გაგვეითავეს რესურსები!

102-103: ევერესტის პირველდამპყრობი თენსინგ ნორგეი („მყინვართ ვეფხვი"): „საითაც უნდა

ლიც გიგანტური გასართობი პარკის მშენებლობით დაინტერესდება. ჩანაფიქრის განხორციელებლად პროექტში 26 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელებაა საჭირო. „ქალთა ქალაქში" ნებისმიერ ქალს საშუალება მიეცემა, მამაკაცი დაუმორჩილებლობისთვის დასჯის. დასჯილებს არასწორ ზედაპირზე მუხლებზე დაჩოქილად დგომა მოუწევთ.

გაზ. „რეზონანსი", 27.05.08

გიჟური ცხოვრება იწყება!

ამერიკაში 1,5 მილიონი... მოლაპარაკე ტუალეტი დამონტაჟეს. (აბა, აწი ნახეთ თქვენ მიქარვება!)

„ქრონიკა", 12-18.01.09

<u>საპყრობილე-ლუქსი</u>

მიტლანდიის ქალაქ ადივილში მალე ამუშავდება მკაცრი რეჟიმის საპყრობილე, რომლის თითოეულ საკანში იქნება საშხაპე და ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი. პატიმრებს ამ ციხეში

ნაეეყვანე ჩემი ცხოვრების გზას, ბოლოს ის მაინც მუდამ მთებში მაბრუნებდა."

...ნოდარ ჩხეიძე მწერალთა კავშირში გალაკტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას რეკომენდაციით შევიდა.

ვულკანივით ბიჭი იყო. ვმეგობრობდით. ვჩხუბობდით. ყველაფერში გამოვცადეთ ერთმანეთი (გ.ნ.)

114. „ჩვენი ეროვნული სულის ორი პოლუსი, ორი უკიდურესი გადახრა — მინდია და კვაჭი კვაჭანტირაძეა, ხოლო ზომიერება და ჰარმონია — ავთანდილი"!.. სულ სხვაა ავთანდილის სილაღე და სხვა — კვაჭი კვაჭანტირაძისა, სხვაა სილაღე ბათა ქექიასი და სხვა — კირილე მიმინოშვილისა, სხვაა ბაში-აჩუკის სილაღე და სხვა — იერემია ნარბასი.

„ყველაფერი განვითარებადია, მათ შორის, ეროვნული ხასიათიც. ამიტომ არის აუცილებელი სამომავლო თვისების ამორჩევა". ამ მიმართებით აკ. ბაქრაძემ თავისი სიტყვა თქვა წერილით „მკვახე შეძახილი"!

„პოლივალენტური მთლიანობის შექმნის ცდა სამჯერ მოხდა საქართველოში.

პირველად მაშინ, როცა ფარნავაზ მეფემ ერთიანობის საფუძვლად ქართული ენა გამოაცხადა და — „არღარა იზრახებოდა სხუაჲ ენა ქართლისა შინა თუინიერ ქართულისა."

მეორედ მაშინ, როცა ქრისტიანობა გამოცხადდა საერთო ქართულ რელიგიად და შეიქმნა იდეოლოგიური ფორმულა — „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი აღესრულების."

მესამედ კი მაშინ, როცა თერგდალეულებმა, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშის ქვეშ შეკრიბეს ქართველობა.

117. ... ტანში ჟრუანტელი დაგივლის და სხეულზე ეკლები გამოგესხმება, როცა გაიგებ, რომ მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებულ შტატებს ხუთასი ათასი მეომარი დაეღუპა, ხოლო საქართველოს — 350 ათასი. თურმე, პაწია, ორმილიონნახევრიანმა ქვეყანამ თითქმის იმდენივე მსხვერპლი გაიღო, რამდენიც ორასმილიონიანმა გიგანტმა!

გურამ ასათიანი: „მწვერვალების ერთგულება არ გამორიცხავს უფსკრულთა მიზიდულობის ძალას".

153. ავადსახსენებელი 1937. გამოთქმა „ხალხის მტერი"! „რა სამშობლოა ის სამშობლო, რომელსაც, ერთდროულად, მილიონებმა უღალატეს?!" და მათზე „შურისძიება" „მშრომელთა მასების" მქუხარე ოვაციების თანხლებით ხდებოდა."

155. ქართული კატორღული ლირიკის ნიმუში: „ო, საქართველო, მე არ ვიცოდი, თუ სიყვარული ღალატს ნიშნავდა!"

179. ოთარ ჭილაძე: „დღეს სხვანაირი მზე იკრიბება, დღეს ახალ ზეცას ეხსნება რიდე... და როიალი, თეთრი კბილებით, შექმას უპირებს შენს ლამაზ თითებს"...

182. „მგლებს, სადაც ლეკვები ჰყავთ (რომელი სოფლის ახლოსაც ბინადრობენ), იმ სოფლის პირუტყვს არ აზარალებენ, თავის გადარჩე-

*პიერ კლოდ ვიქტორ ბუასტი: ამქვეყნიური სამოთხე კარგ წიგნებში და სპეტაკ სინდისშია.*

ნის ინსტინქტი კარნახობთ, ასე მოიქცნენ".

203. აკაკი შანიძე: გვახსოვდეს, რომ შოთას ქვეყნიდან ვართ!

204. სანამ ქარი არ დაუბერავს, ბუმბულს თავი მძიმე ჰგონია!

234. საბა: რიტორობა არის ძალი ხელოვნებით დამარწმუნებელი სიტყვისა!

239. გიორგი შატბერაშვილი: არ გააგონო ბალღს ავი ქართული!

341. ვლადიმერ მაიკოვსკი: „И тот кто постоянно ясен, тот просто глуп!"

ეი, შენ! ქუდი მოიხადე, ცაო მაღალო!

მოვდივარ მე და შენ კი თავი უნდა დახარო!

... ხომ ხედავთ, მიცვალებულის მაჯისცემასავით მშვიდი ვარ!... გახსოვდეთ: როცა ვეზუვი გააბრაზეთ — მოკვდა პომპეი!... გესაუბრებით, როგორც ცოცხლებს ცოცხალი!

361. ნარწერა ალ. ჭავჭავაძის საფლავის ქვაზე (ის კახეთში, შუამთის მონასტერშია დაკრძალული): „მწუხარსა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სიხარულმან."

365. გრიგოლ ორბელიანი:

მიხარის — გიმღერ,
ეწუხვარ და — გიმღერ,
და ესრეთ მღერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოეფხიზლდე,
რომ აღარ ეპგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!...
..............................................
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ აეახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

დღეს დაწერილსა ჰგავს მისი უკანასკნელი ლექსის გოდება და ზარი:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ, დაემხო ჩემი სამშობლო,

გულს მიკლავს უიმედობა, საფლავს ჩავდივარ სიმწარით"...

377. ნიკოლოზ ბარათაშვილი (ჩვენი პირველსკოლელის, იგავმიუწვდომელი „მერანის" სწორუპოვარი მხედარი):

„ძნელი არის მარტოობა სულისა"

„გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი!..."

381. გალაკტიონი:

„წინამურთან რომ მოჰკლეს ილია,
მაშინ ეპოქა დამთავრდა დიდი..."

389. ილია:

„ადამიანი აღარა ჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა

უკვე დღე-დღეზე მოათავსებენ. ტუსა-ღებს ახალ საპყრობილეში საშუალება ექნებათ, შეუკვეთონ თავიანთი საყვარელი კერძები, ესტუმრონ ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ და სპორტულ დარბაზებს. ციხის ყოველი 12 ნაკვეთური აღჭურვილი იქნება „ელექტრონული ჯიხურით", რომლის მეშვეობითაც პატიმრები თავიანთ ანგარიშებზე თანხებს შეამოწმებენ. მსჯავრდებულებს საკნებში მხოლოდ დღის ბოლოს ჩაკეტავენ...

**P.S.** ასეთ ციხეში ჯდომაც კაია და დგომაც!

საწყალი დედოფალი

ინგლისის დედოფალმა თითქმის 50 მლნ დოლარი დაკარგა. ფინანსურმა კრიზისმა ცუნამის გიგანტურ ტალღასავით გადაუარა პლანეტას და არც ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედი დაინდო. ჯერ კიდევ გაზაფხულზე, მისი ქონება შეფასებული იყო დაახლოებით 600 მლნ დოლარად. სამართლიანობა მო-

ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!"...

და, მაინც, ვინაა განსახიერება ადამიანობის იდეალისა? აი, ამ კითხვის პასუხი:

„კარგია გაღვიძებული ადამიანი!... მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არ სძინავს...

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაუუზიარო!"...

P.S. მამის კვალზე ასე ვჭრით და ვკერავთ დროს.

ასე დავბორიალებ წარსულში, რომ მომავლისაკენ გზა გავიკვლიო და ჩემი ქვეყნის ძველ დიდებას ახალი ფრთები შევასხა!

* * *

„და აღდგნენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოჰკვლიდენ მათ" (მათე, 10, 20)

* * *

ნაღდი — კაი ძმობის და კაი ყმობის მაგალითია კაი გვარის ძმების — ჯიბოსა და ფარნაოზ ლომაშვილების ერთი დედმამიშვილობა, რომელმაც კომუნისტურ გამოცდასაც გაუძლო (ერთი, პარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანი იყო, მეორე — პარტიის ცეკას ფუნქციონერი). და, თავისუფალ, მაგრამ ჯერ კიდევ თავისუფლებას შეუჩვეველ და აფორიაქებულ საქართველოს მოქალაქეობასაც!

ვაჟა-ფშაველას კვალში ჩამდგარი კაცისაგან სიკეთე არ უნდა გაგიკვირდეს და, როცა მან, 2007 წელს, თავისი მორიგი პატარა წიგნი „ძმური სიყვარულით" მაჩუქა, ველოდი, რომ ერთი დიდი სიამოვნება მელოდა მისი „წაიალაღები" სიტყვისაგან, რომელსაც, ჰაი-ჰაი, რომ ძალიანაც უხდება მთის ჰაერი. ვაჟა-ფშაველას საზოგადოების მიერ გამოცემული ამ წიგნის თუ წიგნუკას („ვაჟა-ფშაველა ილია ჭავჭავაძის შესახებ", „ჭავჭავაძეების გვარტომობის ისტორიისათვის", „აკაკი და ვაჟა") რედაქტორიც ჩემი ახლობელი ქალბატონი, ბაჩანას შვილიშვილი ლელა რაზიკაშვილი გამოდგა და მოკლედ, კაი „კამპანიაში" მოვხვდი — ხელები დავიკაპიწე, ასე ვთქვათ, ფეხმორთხმით მოვკალათდი სავარძელში და, „ღვთის უკეთესი რა იქნებოდა", წიგნში ამოვყავი თავი. ჰოდა, ამ თემით ჩემსავით დაინტერესებულ მკითხველთანაც გამიჩნდა სასაუბრო.

ერის მამას — ილია ჭავჭავაძეს წილად ხვდა ორი ქართველი სნორუპოვარი პოეტის — ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვაჟა-ფშაველას აღმოჩენა და ქართული ლიტერატურის საგანძურში მათი პოეზიის დამკვიდრება!

1892 წელს იგი წერდა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი „ობოლი მარგალიტია... არც წინამორბედი ჰყავს, არც უკან მიმდევარი". და, იქვე, გვაცნობებს, რომ „ამ უკანასკნელ ხანებში, ერთმა ახალგაზრდამ და, ჩვენის ფიქრით, დიდსაიმედო პოეტმა ორიოდე სასახელო მაგალითი გვიჩვენა, რომ აპირებს მის კვალში ჩადგომას, მისთა აზრთა სფეროში გახმაურებას, მაგრამ თითო-ოროლა მაგალითი ჯერ საკმაო საბუთი არ არის, ეს

ახლად გამოსული მწერალი ნ. ბარათაშვილის მემკვიდრედ მივიჩნიოთ".

ეს პირველი და მოკრძალებული გაჟღერებაა ვაჟას სახელის, თუმცა, „მთის არწივით" აღფრთოვანებული ილიას რეაქცია სულის შემძვრელია:

— არა, ჩვენ, ძველებმა, ახლა კალამი უნდა დავდოთ და გზა ვაჟას დავუთმოთო.

დიდი სულგრძელობაა საჭირო, რომ ასე გაიმეტოს კაცმა თავისი კალამი, რომელიც ერის სამსახურის უკვდავ მაგალითს იძლეოდა.

ეგ კი არა, ვერაზე ჩემი „პაემანის" მეორე დღეს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ბუბა კიკაბიძის საღამო იყო, რომელსაც პატრიარქიც ესწრებოდა და თქვა, მეშინია გუშინდელი საღამოს ეშხი არ გავანელოო! დღემდე მახსოვს ეს ალალად ნათქვამ სიტყვად და დიდ სიკეთედ ვუთვლი!

აქ კი, ხედავთ, დიდი ილია რა სეფე-სიტყვით შემოუძღვა ჩარგლელ კაცს ლიტერატურაში!

ილია ვაჟას მზეს ეძახდა, მის ძმას, ბაჩანას კი — მთვარეს!

არადა, თანამოკალმეთა ქება-დიდებაში ილია ერთობ თავდაჭერილი კაცი გახლდათ. ძუნწიც კიო — ამბობს გიგა ყიფშიძე.

„დღიდან ვაჟას პოემის გამოქვეყნებისა, ილიას აღარაფერი დაუწერიაო, — წერს წიგნის ავტორი და კვლავ გიგა ყიფშიძეს იმოწმებს — ისიც კი თქვა, ვაჟას შემდეგ მრცხვენია ლექსის წერაო. ნამდვილი პოეტი ვაჟა-ფშაველააო!

ეს არ იყო ყალბი თავმდაბლობა, ეს დიდი შემოქმედის ალღო იყო. სწორედ იმ ხანებში უთქვამს მას არტურ ლაისტისთვის, შოთა რუსთაველის შემდეგ, ქართველებს ვაჟასნაირი პოეტი არ გვყოლიაო. „შორს ნავა, შორსო!" — იაკობ მანსვეტაშვილს განდობია.

ცნობილია, აგრეთვე, ასეთი ფაქტიც: ილიამ, საგურამოში, სტუმრების თანდასწრებით, ოქროს კალამი აჩუქა ვაჟას ისე, როგორც ასპინძის ომში გმირს — ხევსურ ძაღლიკა ხიმიკაურს აჩუქა ხმალი მეფე ერეკლემ.

ვაჟას მეუღლე, თამარი იგონებს: ვაჟა სულ ილიას დაკარწ გვას მისტიროდა — რა კაცი დავღუპეთ, რა კაცი გამოვასალმეთ წუთისოფელსო!

„ვერ მოკლეს!" ხატობაში გაუგია ეს საზარელი ამბავი ფშაველას და გაზეთ „ისარში" გამოუქვეყნებია სულისშემძვრელი წერილი: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოშკლავენო".

*ითხოვს, ითქვას, რომ დედოფალი ძალიან მოკრძალებულად ცხოვრობს, ფულს ყაირათიანად ხარჯავს და, მაინც, ფინანსურმა კრიზისმა 50 მლნ დოლარი დააკარგვინა. დედოფალი ძალიან შეწუხდა. შეწუხდებოდა, აბა, რა! სასახლის სახურავის შეკეთებას ვერ ახერხებს და სასახლეში წყალი ჩამოსდის!*

***P.S.*** *შეხვალ კაცი დედოფლის მდგომარეობაში და შეძლებს გამოსვლაც აღარ მოგინდეს!*

*ლექსო თორაძე:*

*ლიანა ასათიანი — დედაჩემი გმირია ყველა შემთხვევაში, მაგრამ, კონკრეტულ შემთხვევაში, გმირზე გმირი. ჩვენი ოჯახის ნაკლებად კეთილმოსურნეებს მისი სიძლიერე აღიზიანებთ კიდეც. ოკეანის გაღმა, ჩემს ყველა კონცერტზე, მისთვის ერთი თავისუფალი სკამია, რომელზეც ულამაზესი ყვავილები დევს. ყველამ იცის, რომ ეს დედაჩემის ადგილია.*

*ზურაბ რცხილაძე:*

*ერი უნდა იცნობ-*

ვაჟა: „გაიძახდნენ — სანყალი ილია!“ არ არის ილია სანყალი... იბრძოლა, იღვანა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივ სამარეს, ჩაიყოლია თან ისევ ჩვენი დარდი, დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლია თან ის ტყვიები, რომლითაც გავუმასპინძლდით, ნყლულები ჩვენს მიერ დაჩნეული. მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა ნინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც და ნყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს...“

ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს. თავზე დამჩხავის ყორანი; გაღმა გასველისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი; გაგვიბატონდა, მგოსანო, სირეგვენე შეუნონარი.

ილია მოკვდა მუხთლის ხელით, არა, როგორც თავადი, არამედ როგორც რნმენისა და აზრის კაცი (ვაჟა-ფშაველა, თხზ. ტ. IX, გვ. 274).

ვაჟა: „ხალხი, ერი — დედაა ენისა!“

* * *

შტრიხები „თაობათა გემოვნების კანონმდებლის“, შეუდარებელი ესეისტისა და უბადლო მოქართულის (გ. ასათიანი), თბილისელი მზეთუნახავის — მანანას მამის — ბატონი გერონტი ქიქოძის პორტრეტიდან, რომელიც „თავისუფალი არტისტის ხელმოკლე ცხოვრებას აძლევდა უპირატესობას მედროვეთა თვითკმაყოფილების ნინაშე“ (ბედმა ასე ინება, რომ იგი ამ ციტატის ავტორის სიმამრი გახლდათ!)

...ისევ იმ ფიქრმა ნამიღო! სიკვდილის პირას მისულ გურამს, ვითომც არაფერი არ ხდებაო, გასამხნევებლად, რომელიღაც ან განსვენებულ დიდ ქართველ კლასიკოსზე ნერილის დანერა სთხოვეს. გაუღიმა ბიჭებს თავისი ალალი ღიმილით და უთხრა: თქვენ დანერეთ და მე ნავიღებო!

ნამდვილი მნერლის ბიოგრაფია სიკვდილის შემდეგაც გრძელდებაო... ჩამესმის ბიძინა კვერნაძის ყველა ოჯახში შემოსული სიმღერის ფონზე: „ვარდები არ არიან, მაგრამ რა მევარდება“... ე.ნ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს სიმღერა მუსიკალურადაც სხვანაირად ჟღერს და პოლიტიკურადაც (იქამც იყოს!)

...ნიგნი ერთადერთი გზაა მნერლის სიცოცხლის გადარჩენისა ან პირიქით — დასამარების. გურამ ასათიანის მემორიალურ ოთხნიგნედს, მისი უღლის გამნევის — დიდი გერონტის ულამაზესი ასულის (უბერებელი მანანას) სიყვარულის საგარანტიო ნარნერა ამშვენებს: „ძვირფას ლიანასა და გიზოს — უშრეტი სიყვარულით!“

სამაგალითოდ და ქართველი კაცის სანიმუშოდ, სნორედ „უშრეტი სიყვარულით“ დავცქერი ახლა მისი გენის მამამთავრის ნაღვანს,

---

*ილია ჭავჭავაძე: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნიდან გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა...*

*დავით აღმაშენებელი: კაცთა მონიჭებული პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არს.*

*დანიური სიბრძნე: წიგნებით დატვირთულ ვირს მეცნიერს ვერ დაარქმევ.*

რომელმაც სიბრძნე შემატა და დაამშვენა ქართული ლიტერატურის საგანძური.

აკაკი ბელიაშვილი: გერონტი ქიქოძეს ამქვეყნიური სიმდიდრიდან არაფერი მოუხვეჭია. მასზე ზედგამოჭრილია მაიაკოვსკის სიტყვები — სტრიქონებს ჩემთვის მანეთიც არ მოუტანიათო!

„მისი კალამი ქართული ენის სტიქიაში დაიბადა" — ამბობს სიმონ ჩიქოვანი.

მაია ბიბილეიშვილი: გერონტი ქიქოძის წერილი „რომანტიკოსთა თაობა" ქართული ლიტერატურის ზოგადევროპულ კონტექსტში განხილვის ნიმუშია... „ყოველ დიდ ეპოქას თავისი საერთო სული აქვს, რომელიც იმორჩილებს შემოქმედ პიროვნებას. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, რომელიც „განათლების ეპოქისა" და საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის იმედების გაცრუებას მოჰყვა, მსოფლიო გოდებისა და უსაზღვრო ძიების ეპოქა იყო და მგრძნობიარე ადამიანები, ჰაერთან ერთად, ისუნთქავდნენ რომანტიკულ იდეებსა თუ სახეებს. მთელი თაობა შავ მერანზე იჯდა და ბედის საზღვრის გადალახვას ლამობდა.

... წერილში „ბალზაკი" გერონტი ქიქოძე წერდა: „... მას შეუძლია, სახის ერთ ნაოჭში, ერთ ალმაცერ გამოხედვაში ადამიანის მთელი ტრაგედია დაინახოს, ნიჟარის ხმაურში ოკეანეების ქარიშხლის ღმუილი მოისმინოს, ერთ ყვავილში ბუნების სტიქიური ძალა იგრძნოს..."

ვიქტორ გაბისკირია: წერილში „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან" გერონტი ქიქოძე წერს: „იბერიელი მეფეები და ერისთავები თავიანთ ციხე-კოშკებში, ალბათ, ისე ისხდნენ, როგორც არწივები კლდის ბუდეებში და იქედან ყოველ მხრივ ათვალიერებდნენ თავიანთ სამყოფელს, რათა მტრის მოძრაობა არ გამოჰპარვოდათ. ამგვარი რამ გერონტი ქიქოძეს ამოუკითხავს მცხეთის სამარხებში ნაპოვნ გემებზე ამოკვეთილ პიტიახშთა სახეებში".

ალექსანდრე ორბელიანისადმი მიძღვნაში ვკითხულობთ: მე-18 ს.სიუჟეტს ქართველი ერისათვის გ. ქიქოძე ასე ლაკონურად ხატავს: ჩვენთვის ეს საუკუნე... შექსპირის ზოგიერთი ტრაგედიის მეხუთე აქტს ჰგავს, სადაც თითქმის ყველა გმირი კვდება".

გივი გაჩეჩილაძე: ისტორია ყველას მის საკადრისს მიუზღავს — იმასაც, ვინც ჰქუხდა და

დეს... თავის ჯალათებსაც!

ჯერ კიდევ 50-იან წლებში გავიგე იმ ადამიანის სახელი და გვარი, ვინც მამაჩემი დააბეზღა!

თენგიზ არჩვაძე: სანამ გავეძლებ, უნდა ვიყო. სხვანაირად მოქცევა ქრისტიან, მართლმადიდებელ ადამიანს არ შეუძლია.

ნუცა არჩვაძე (თენგიზ არჩვაძის ქალიშვილი): საეჭვოა, კაცობრიობის არსებობის მანძილზე, ვინმეს ზუსტად განემარტოს, რა არის ბედნიერება. თუმცა, არსებობს ბევრი რამ, რასაც ეს შეგრძნება მოჰყვება.

ერთხელ, მესხეთში ვიყავით. რაღაცაზე წაიწუწუნე. მამამ მითხრა: მადლობელი იყავი, რომ ამ ქვეყანაზე მოხვედი. მე შენ მზის ამოსვლას გაჩუქე-ნახე. რა მთვარეა, რა სანახაობა, რა არაგვი მოდის. შეხედე, როგორ დაგვყურებს ჯვარი. ამაზე დიდი ბედნიერება რა გინდა, ვერ გავიგე...

**P.S.** ნათქვამია: თუ გინდა, იყო ბედნიერი... იყავი!

ფიცა ჩუბინიძე: ამ ე.წ. „ისცელი-

იმასაც, ვინც ჩრდილში იდგა. გერონტი ქიქოძე არ ცდილობდა, გვერდზე მდგომს მხრებით ჩამოფარებოდა.

ლადო გუდიაშვილი: მახსოვს, თავისი მშვენიერი მოჭუტული თვალებით დიდხანს რომ დაჰყურებდა პიტიახშების გათხრილ საფლავებს. გაუბზარავი, მთლიანი და მიმზიდველი პიროვნება იყო.

რევაზ თვარაძე: ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მხოლოდ ჩემი სამშობლოს კულტურული წარსულით შემეძლო მეპოვა სანთური, რომელიც ბნელ გზებს გამინათებდა სკეპტიციზმის ლაბირინთში.

ზურაბ კაკაბაძე: მე მინდა, ჩემს თაობას მივმართო — ვიცხოვროთ ისე, რომ სიკვდილის წინ საკუთარი სახის მოლანდებამ არ შეგვაშინოს!

ნოდარ კაკაბაძე: ნიცშე ამბობს, რომ კარგი პროზა ფარული ომია პოეზიასთან.

გერონტი ქიქოძისთვის უცხო იყო კაბინეტური სწავლულის ასკეტიზმი. მას არასოდეს ჰქონია უცდომელი და უცოდველი დალაილამას პოზა.

ლავროსი კალანდაძე: ფრიად დამახასიათებელია მისი, თუნდაც ერთი, ფრაზა, რომელსაც გიორგი ქუჩიშვილის დასახასიათებლად ამბობს: იგი იმ ვაჟკაცური და სულდიდი ადამიანების მოდგმას ეკუთვნის, რომელთაც თავინთი სიკვდილი არ მიაჩნიათ სამყაროს კატასტროფად".

„ცისკარი" (7. 1962წ.)

ფრანგები ბრძენი კარტეზიანელები არიან. ადამიანის ფასის დადგენას ისტორიის სამსჯავროს მიანდობენ. დრო გადაწყვეტს, ვინ სად უნდა ესვენოს. ჯობია, გადაგასვენონ პანთეონში, ვიდრე გადმოგასვენონ პანთეონიდანო — ამბობდა გერონტი ქიქოძე.

„ენა დიდი სოციალური სტიქიონია. საკმაო არ არის, რომ მწერალი უნაკლოდ ცნობდეს დედაენის გრამატიკულ წყობას, ფლობდეს მის იდიომებს და მის ლექსიკას. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ სინტაქსისა და ლექსიკონის საზღვრებს სცილდება და უშუალო კონტაქტს ამყარებს ენის ბუნებასთან, გრძნობს იდუმალ ძალებს, რომელიც ენაშია დამალული".

ვახტანგ ჭელიძე: „გერონტი ქიქოძის მონატრებაში" წერს: ჩვენი წინაპრების წარმოდგენით, კაცობრიობის კულტურის პირველ საფეხურზე დგას არა მაიმუნი-ადამიანი, არამედ პრომეთე-ამირანი, რომელმაც ცეცხლი ღმერთებს გამოსტაცა და პროგრესის იარაღად აქცია" — ადამიანებს მოუტანა!

P.S.ადამიანი მიდის — კვალი რჩება!

ნათელში გვამყოფა — ნათელში იყოს!

* * *

ოთარ ჭილაძე, *„გოდორი"*

„... ისინი ქვეყანას კი არ იცავდნენ მტრისგან, არამედ აეაზაკს — მდევრისგან, მაგრამ ყველაფერზე ძნელი სწორედ მათი გარჩევა იყო".

ალავერდი ლექსად: აირია მონასტერი, დარდი დამაქვს „ჩემოდნით".

---

*უილიამ შექსპირი: კაცმა მხოლოდ ის უნდა იკითხოს, რაც აღტაცების ღირსია.*

*უცნობი ავტორი: ხელმომჭირნე კაცი სულაც არ ჰგავს... ძუნწს.*

ბრალმდებელის კარებიდან ბრალდებული შემოდის!

მარქსი: „არ კმარა, რომ აზრი ისწრაფვოდეს სინამდვილისაკენ, სინამდვილე თვითონ უნდა ისწრაფვოდეს აზრისაკენ".

კიტა მეგრელაძე („აზრის სოციალური ფენომენოლოგია"): „ტალანტი და ნიჭი მხოლოდ ბებიაქალია სოციალური იდეების შობის პროცესში. ამ იდეების ნამდვილი მშობლები, დედ-მამა — ის საზოგადოებრივი პირობები და სოციალური პრაქტიკაა, რომლებიც მათ ქმნიან და „ხალხში გამოჰყავთ". „მე საზოგადოების მდივანი ვარ — ამბობს ბალზაკი — დრო მიბრძანებს და მეც ვწერ".

წინგამსწრებ გამოგონებათა და იდეათა ტრაგედია იმაშია, რომ კაცობრიობა, ეპოქა ძნელად ითვისებს მათ. ჭეშმარიტება მარადისობის კუთვნილებაა, მცდარობა — დროისა.

შელინგი ჰეგელს საყვედურობდა — იდეები მომპარაო. არადა, თვით შელინგმა სპინოზასაგან უფრო მეტი ისესხა, ვიდრე ჰეგელმა შელინგისგან... ვის შეუძლია, თქვას — ესა და ეს მე გამოვიგონეო — კითხულობს გოეთე, საერთოდ, სისულელეა პირველობით ტრაბახი!

ჰაინეს აზრით, პოეტს შეუძლია, თავისი შემოქმედებისთვის მასალა აიღოს, სადაც კი გადაანყდება. არის ასეთი არაკი — ობობა ფუტკარს პლაგიატობას აბრალებს! ოთარ რამიშვილის გიტარისა არ იყოს, „ფუტკარი, როგორც აფთიაქარი, ყვავილებისგან გვიმზადებს წამალს"... მე კიო... ბლანდავს რაღაცას ობობა, — მთელ აბლაბუდას ჩემივე ძაფებიდან ვქსოვო!

არ არსებობს დედამიწის ზურგზე იმაზე უფრო დიდი სიმდიდრე, ვიდრე მოსიყვარულე ადამიანია! — წერს ახალი ქართული ფილოსოფიის ბრწყინვალე წარმომადგენელი, სოფელ ხრიალეთელი (ოზურგეთის მაზრა) კიტა მეგრელაძე.

„... გეშინოდეთ შურისძიების! ნუ გასწირავთ ანმყოს... საეგებისო მომავლისათვის". ასე მსჯელობდა შუათანა ძმა, ბრძენს რომ ეძახდნენ!

ზარი მინაზე არ რეკავს — ცაში უნდა აზიდოო, — ნათქვამია, — წერს მანანა მეგრელაძე.

გერმანე ფაცაცია: ნახატს ჩარჩო არ უნდა სჯობდეს!

ავთანდილ ვარაზმა თქვა — ნახატთან ერთად, ამ ლურსმანზე, ჩემი სული ჰკიდიაო!

გენციამ’ დალუპა საქართველო. როცა საქმე საქმეზე მიდგა, აღმოჩნდა, რომ ისინი, სინამდვილეში, ერთი მამათილი მილიციონერის — ედუარდ შევარდნაძის პირისფარეშობისთვის მოვლინენენ, თურმე, ამ ქვეყანას.

ერთმა ქართველმა პროფესორმა მეცნიერებს ქოლგას შეადარა, რომელიც გლობალიზაციის თავსხმა წვიმისაგან დაგვიცავს.

<u>ინტერვიუ ანდრო ჭიაურელთან:</u>

— ლეგენდაა თუ სინამდვილე — მიხეილ ჭიაურელმა ვერიკოს სახლი იმ ადგილას აუშენა, სადაც სიყვარული აუხსნა...

— ეს ლეგენდა არ არის, სინამდვილეა. სწორედ აქ აუხსნა სიყვარული, სადაც შემდეგ სახლი ააშენა. ვერიკოს მოსწონდა ეს ადგილები.

<u>ნუგზარ ძებისაშვილი (იუველირ-დიზაინერი):</u>

როდესაც ცუდი წარმოშობის ოქრო მხვდება (ნაძარცვია ან მის გამო ადამი-

* * *

ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა", 2006. 02.N2
ოთარ ჭილაძე:

და, აი მერე ათეული დაიწყო უკვე,
დროის დილეგში ჩამწყვდეული ეუცდი სასწაულს,
ანუ აღსასრულს, რადგან მხოლოდ აღსასრულია,
ჩემს ამქვეყნიურ არსებობას რომ ადასტურებს!

* * *

ვეღარ განკურნავს ჩემს ბებრულ წუხილს
დუმილი ცაცხვის, ფიჭვის თუ მუხის...
ღმერთმა შეარგოს და მიუტევოს,
ვისაც ულხინდა და ახლაც ულხინს.
ცოტაც და, ბნელი, სიცივე მწუხრის
წერტილს დაუსვამს ენებათა დუღილს...
მეც ამ დიდებულ წამს ველოდები,
ვით გაზაფხულის ჭექას და ქუხილს.

## *ნეკროლოგის მაგიერ*

უკვდავება შენი მშობელი,
შენი შობილიც სხვით რით იცნობა —
დამთავრდა შენი წუთისოფელი...
იწყება შენი მარადისობა! *(გ.ნ.)*

* * *

„თუ რომელიმე ქვეყანას მნიშვნელოვანი პოეტი არა ჰყავს, ეს საგანგაშო მდგომარეობაა", — ამბობდა თომას ელიოტი.

* * *

რობერტ სტურუა: ერთი პატარა შეცდომა და... მთელმა ქალაქმა იცის.

* * *

უკვე „პაემანების" სტატიტიკაც არსებობს: 55% ოცნებობს, ქალი ექაჩებოდეს ლოგინისკენ; 29% მარტო საალერსო სიტყვების მოსმენა ენატრება. ნუთუ შეიძლება, არსებობდეს სიყვარულის სტატისტიკა?!

* * *

ცნობილი რევოლუციამდელი იუმორისტის „ხოზიკას" შვილიშვილმა, თავად უცნობილესმა ჟურნალისტმა და ამ ბოლო დროს ჩემსავით გაპოეტებულმა მერაბ ბერაძემ ლექს-ლუქსით ანუ სახელობითი ლექსპრომტით მაჩუქა გამომცემლობა „საქართველოს მაცნეს" მიერ დასტამბული თავისი წიგნი, სათაურით — „ცოდვაა დასავიწყებლად".

ა, ეს ლექსპრომტიც!

გახსოვს, როცა დაგვინიშნე „პაემანი ვერაზე"
გეახელი. სხვებთან ერთად, შენი მერაბ ბერაძე.

---

*პეგელი: ხელოვნება კაცობრიობის სინდისია.*

მზის სხივებს და იუმორის ტალღებს შენკენ მოედენი —
ნაღდი თბილისელობაა შენი დიდი ორდენი!

* * *

— ბატონო მერაბ! აქ რაიმე შეცდომა ხომ არ არის — თქვენ ბერაძე ხართ, თქვენი მეუღლე კი ბერიძეა? — ეკითხება კორესპონდენტი.

— არავითარი შეცდომა. ჩემს ცოლს რომ ჰკითხოთ, სწორედ მაგ ერთი ასოსთვის გამოგყვეი ცოლადო!

* * *

პროფესორ ალიოშა კაკუშაძეს სტუდენტმა ჰკითხა:

— რა განსხვავებაა კარგ და ცუდ მეცნიერს შორის?

— ნიუტონმა ხიდან ჩამოვარდნილი ვაშლი რომ დაინახა, დედამიწის მიზიდულობის კანონი აღმოაჩინა და იგივე ვაშლი ჩვენი კათედრის დოცენტს ბენედიქტეს რომ დაენახა... იმ წუთში შეჭამდა!

* * *

თბილისში, მერაბ ბერძენიშვილის დავით აღმაშენებლის ძეგლი რომ დაიდგა, ყველამ ერთსულოვნად აღიარა, რომ ეს დიდი ხელოვნების ნიმუში იყო. მაგრამ „ხელოვნებათმცოდნეობის" მანიით შეპყრობილმა ერთმა ტიპმა ჩვენს ვახო ცხადაძესთან საუბარში თქვა: არ ჰგავს დავით აღმაშენებელსო... რაზეც ვახომ, არც აცხელა, არც აცია და მთელი სერიოზულობით ჰკითხა: თუ გახსოვთ, ბოლოს როდის ნახეთ ბატონი დავითიო?

* * *

## ინტერვიუ სიმღერით

### (ერთი ძველი დოკუმენტური მოთხრობა)

კიბე აკეცეს, ღუზიდან მოიხსნენ და თეთრმა ხომალდმა ბათუმის ნავსაყუდლიდან აიწყვიტა.

უკვე ორჯერ ვიხილე ზღვაზე, შუაღამის ჟამს, თეთრსა და შავ ჩოხებში გამოწყობილი დღე-ღამის ჭიდილი — მცურავი აგარაკი „როსია" ლაღად მიარღვევს უსასრულო ლურჯ „ხმელეთს". ზურგიან სკამზე ნებივრად გადაწოლილი ვთვლემ და ვფხიზლობ, ქუთუთოებში ქურდულად მიიპარება ზღვისა და ცის სიმუქე. თავს არ ვანებებ ბურანს —

ანი მოკლეს), იმწამსვე ვგრძნობ, მის ავ წარსულს ვხვდები... როგორ? როდესაც ვეხები, იკბინებს! ხოლო, ეს როგორ ხდება, ამის მექანიზმის ახსნა... შეუძლებელია!

დოდო აბაშიძეს, ფენიკულიორზე, მეორე მსოფლიო ომის №1 გმირი, რაიხსტაგზე დროშის აღმმართველი მელიტონ ქანთარია შემოელოხა. გახუჯანჩეს. ვინ ალარ მიუგზავნა დოდომ. ბოლოს თვითონ მივიდა. მელიტონი გადაეხვია და უთხრა: ქანთარია შენ ყოფილხარო. დოდომ უპასუხა: აბაშიძედ თუ დამტოვებ, მადლობელი ვიქნებიო. ვაჟკაცებმა შერიგებაც ვაჟკაცური იცის.

თეთრი დისერტაცია:

ჯოჯოხეთი არის ტკივილი იმის გამო, რომ აღარ ძალგიძს სიყვარული.

ახყამურ აჩბას მონაყრებს, ათხაზებზე უფრო, ჩვენი თბილისური მონაყრებაა.

ვაითუ, ძილმა არ ინებოს ამ ლურჯი სიზმრის გაგრძელება.

„ალბათ „როსია" ალბატროსია"... მაქეზებს რითმა... იბადება ლექსი!

როგორც მელნის ნვეთი იცრიცება ანკარა წყალში, ისე გადაპკრა ალიონის მელნისფერმა დედამინის ჭერს — თენდება! რა მშვიდი, უშფოთველი ღამე იყო. ახალი მთვარე ოქროს ნავივით მიცურავდა ღრუბლებსა და ზღვის სარკეზე, თეთრი შუქით ელოლიავებოდა, ხელს უსვამდა აქოჩრილ ტალღებს, მოცურავდა და მიგვაცილებდა.

არაფერზე არ მსურს, ვიფიქრო, ყველა საფიქრალი ნაპირზე დავტოვე. როგორც ჯარისკაცს ენატრება ფარაჯის გახდა, იარაღის შემოხსნა, ისე მომნყურდა ბავშვური უზრუნველობა, სრული სიმშვიდე და თავისუფლება! („როგორც ირმების გუნდს ნყარო ანკარა!...").

მე გაზეთის კორესპონდენტი გახლავართ. ხელჩართულ ბრძოლას ვადარებ ამ საქმეს — მოუსვენარია, მშფოთვარე, სათავგადასავლო... ჰოდა, ამიტომ, ნაომარი ჯარისკაცივით, მეც ავიყარე იარაღი — სანერ-კალამი, დავტოვე ბრძოლის ველი — ქაღალდი და ჭრელი ქუჩები. ნელინადში ერთხელ გვაქვს ამის უფლება და ათ ნელინადში ერთხელ იბადება ამის სურვილიც!

მაშ, ასე! შვებულებას ვატარებ და საზრუნავი არაფერი მაქვს. არავინ მთხოვს რეპორტაჟს, ინტერვიუს, ინფორმაციასაც კი. არავინ ელის ჩემგან ტელეფონის ზარს, ლინოტოპები დროებით შენყვეტენ ლითონში ჩემი გვარის ჩამოსხმას — ყველამ იცის, რომ დასასვენებლად იალტას მივემგზავრები. ერთი თვით ისინიც დაისვენებენ ჩემგან და მეც დავისვენებ მათგან.

დიახ, ასეა! ვზივარ და ვოცნებობ მხოლოდ. მაგრამ... „მაგრამ?" თურმე, აქედან ინყება ყველაფერი. თუმცა, ამაზე შემდეგ...

„ამაღამდელო ღამეო, ნუ გათენდები მალეო!" — ალიღინდა გული. ხვალ კი, ალბათ, ახალ სიმღერას შევთხზავ — „ნუ დაღამდები მალეო!". ჰო, დაახლოებით ასეთი სიტყვებით... დიახ, სნორედ, დღე უფრო ლამაზია „როსიაზე". ა, რას იტყვი? თუმცა არა, ათას ერთი ღამის ზღაპარიც კი მონაგონია შავი ზღვის ამ ღამესთან... ერთი სიტყვით... ამაზე არ ღირს ფიქრი, რომელი რომელს სჯობია. ეს არც სხვას გადაუნყვეტია. ქართველები ვიტყვით-ხოლმე — ერთმანეთზე უკეთესიაო... ასეა სნორედ.

დიდებულია, მშვენიერია, ზღაპრულია... ჩამჩურჩულებს გულისთქმა. და, მაინც, არცერთი სიტყვა ამ დიდებულის, მშვენიერის, ზღაპრულის ტოლი არ არის.

საფიქრალი ერთია მხოლოდ — არ დასრულდეს, არ გაქრეს, ხელი არ ვახლოთ ამ სილამაზეს. ვის სურს — ცა ფეხად ნამოვიდეს და მინა თავზე მოგვექცეს. არის კი ასეთი ვინმე? არასოდეს მიფიქრია მარტოობისას ამაზე. ამბობენ, არისო. სასნაულია, ღმერთმანი — საიდან გაჩნდა ცასა და მინის შუა ასეთი კაცი. იქნებ უსინათლოა და ქვეყნის სილამაზე არ უხილავს. იქნებ დაბადებიდან ყრუა და ბედნიერებაზე არაფერი სმენია, ან ობოლია — დედის ალერსი არ ახსოვს, ან საპყარია — მინიერი სიამის არაფერი გაეგება...

ხელები შორს! ვინც არ უნდა იყოს იგი, უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილი, ადამიანთან რა ხელი აქვს!

ჩვენ, მატერიალისტებს, იმქვეყნიური არა გვნამს! ამიტომ შევხარით ასე თავდავინყებით რეალობას, იმას, რანიც დღეს ვართ და რანიც ხვალ ვიქნებით (ან უნდა ვიყოთ!).

იყოს სულ ასე, უსასრულოდ, უკიდეგანოდ, უდრტვინველად — მშ-

ვიდობა გვითქვამს. ეს ხომ ქართულად „გამარჯო-ბაცაა"!

„ვოცნებობ მხოლოდ..." და, აი, ჩვეულებისამე-ბრ, მოვიდა თემა: „მშვიდობა!" ვინ არ ოცნებობს, ვინ არ ფიქრობს და არ წერს ამაზე, თავიდან ვი-ცილებ ფიქრს. ტყუილი ცდაა, ავერიდო. დამემგ-ზავრა, ამედევნა, როგორც კალმოსნები იტყვიან-ხოლმე ორაზროვნად, „წერამ" ამიტანა...

„მაგრამ, არც კალამი მაქვს, არც — ქაღალ-დი"... ნიშნს ვუგებ ჩემსავე სურვილს... თუმცა, ვნახოთ, გამოდგება კი ეს მიზეზად?

გაეალ ქიმზე და ფიქრის ქარს გაჰყვება...

...ადრე იღვიძებს „როსია". აქ, ჩემი არ იყოს, სხვაც ძვირად იმეტებს დროს ძილისათვის. მოუს-ვენარი, მხიარული საკრუიზო დღე იწყება თეთრ ხომალდზე.

პირველი, მეორე, მესამე კლასის სასადილო დარბაზებიდან გამომავალი საჭმლის სურნელზე მადა ანკესივით ეგება და საღერღელი მეშლება. ქრიალა სავარძლებში ადგილებს იკავებენ ბავშვი-ანი ქალები. წყალი უმცროსის არისო, ჩვენში ამ-ბობენ, სინამდვილეში კი ყველაფერში პირველობა მათ ეკუთვნით. ღმერთმა შეარგოთ! აქაური სტუ-მარმასპინძლობაც მოგეხსენებათ — გემზე ურიცხ-ვი უცხოელი მგზავრობს. სტუმარი ღვთისააო, მართლაც „ღვთაებრივ" პატივში არიან. აგერ, ზოგს მაჯისსიმსხო წიგნი გამოუტანია და სუფთა ჰაერზე, ჰამაკებში, ადრიანად შედგომია მის ფურცვლას. ასეთ განცხრომაში წაკითხულ წიგნ-ზე არავის ვურჩევ ავტორიტეტულ მსჯელობას. აქ ხომ ყველაფერი კარგად მოგეჩვენება... შეხეთ, ამ უთენია ახალგაზრდების ერთი ჯგუფი საცურაო კოსტუმებში გამოწყობილა და უკვე აუზისაკენ გარბის. თითქოს, გემზე კი არა, სადღაც ზღვის ნა-პირზე იყვნენ. ან კი რა გაემტყუნებათ — მეორე დღეა, ზღვას გასცქერი, შურით აკვირდები, აქა-იქ აღმატრიალით როგორ „წუნაობენ" დელფინები.

სპილენძივით ჩამოსხმული, მზით გარუჯული ვაჟები თავდაყირა ეშვებიან კამკამა აუზში. დგაფუნობს წყალი, ღელავს ზღვაში ზღვა. შემდეგ ბიჭებს კინწისკვერით წამოყრიან ქალიშვილები და ახლა ისინი დალივლივებენ აქოჩრილ ტალღებში. ქერათმიანი ხათუნები ნებივრობენ, პირმზეობენ, წყლისა და ცისფერი თვალების ეშხის შხეფებით თავითფეხებამდე წუნავენ აუზთან ჯებირივით აყუდებულ ბიჭებს.

მუსიკალურ სალონში სიწყნარეა. თეთრი როიალი თავლიაა — ვილაცას ელოდება. წუხელ გვიანობამდე არ მოსცილებიან გოგონები. ირწეო-

*ახლა ვიხსენებ ცეკვილს ენინდელს.*

*ცამდე — ახლოს. ზღვამდე — შორს.*

*მომნატრებიხარ, ძმაო, ასტამურ. დაბერებულხარ, ბიჭო, ზურია.*

*მერაბ კვიცარიძე*

*ია ბაგრატიონ-მუხრანელი:*

*ამჟამად, საქართველოში და ესპანეთში ცხოვრობენ ბაგრატიონთა სამეფო შტოს წარმომადგენლები. პირადად მე ვერავის ვერ ვხედავ სამეფო ტახტზე ასასვლელად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბაგრატიონთა რამდენიმე წყვილის პირმშობი პატარაობაშ უნდა გაზარდონ აქ, საქართველოს წიაღში — ამ ქართული მსოფლმხედველობის, შემართების, ზნეობის. ახალგაზრდებში უფალი გამოაჩენს ღირსეულს.*

*მეფე არც ინიშნება და არც ირჩევა. იგი მოევლინება, როგორც ერის ისტორიული და გენეტიკური კოდის გამომხატველი, წარსულისა და მომავლის დამაკავშირებელი, მთლიანობის და*

და ვალსი და ბზრიალებდნენ წყვილები. გავიხედ-გამოვიხედე... აქ საცეკვასიმღეროდ თუ არა, ისე მაინც იციან-ხოლმე განმარტოება, სიყვარული უხმოდაც მღერის, მიიყუჟებიან ამ ვეებერთელა სალონის რომელსამე კუთხეში და ნეტარებენ... ახლა კი, შენც არ მომიკვდე — ჭაჭანება არ არის... ცარიელი სკამი, თავახდილი, კბილებდაკრეჭილი როიალი. მივეპარე, გავეთამაშე. ამ თეთრი როიალიდან მეც გამომყვა ნუხანდელი.

„მთვარე ვერცხლის ბადეა,
ცა ბუდეა მერცხლების...

მე მიყვარს, როცა მარტო ვმღერი, როცა არავინ მისმენს, შემსრულებელიც თვითონვე ვარ და მსმენელიც. საოცარია — მაშინ ორჯერ უკეთესად ვმღერი. მარტო მე არა ვარ ასე. სხვებისაგანაც მსმენია. რა შედარებაა? თუმცა, მოსწონთ კიდეც — ზოგს, ალბათ, ზრდილობით, ზოგს, იქნებ, გულწრფელადაც, მაგრამ ახლა, როცა მარტო ვარ, სულ სხვაა, სულ სხვა... ნამდვილ მომღერლად მეჩვენება თავი და სასაცილოც არაფერია, სადღაც სინანულის გრძნობაც გამკრავს — ხომ არ შევცდი პროფესიის არჩევაში — რა სჯობია მომღერალს! ვატყობ, გეცინებათ გუნებაში. აბა, საკუთარ გულშიც ჩაიხედეთ! თქვენ კი, თქვენ თავში, რა... არ „აღმოგიჩენიათ“ მსგავსი რამ?!

„...ცა ბუდეა მერცხლების...“
ისევ მოწყდა სიმღერა.
„შეესეაო, სანამ ადრეა,
სანამ შევივერცხლებიო...“

ვღიღინებ ჩემს გემოზე და უეცრად... ტაში!

გამბურძგლა ტანში და სკამზე შევხტი... აუ, რა ძალ ხალხს მოუყრია თავი. შემრცხვა. რატომ? რა ვიცი. პირველად ისე ვიგრძენი, თითქოს ამ ტაშს ჩემს ლოყებზე გაჰქონდა ტკაცა-ტკუცი. მგონი, გავწითლდი კიდეც... არ მიყვარს ასეთი სიურპრიზები. ნამოვდექი და უხერხული ნაბიჯით კარებისაკენ გავწიე. საქმეში ხარ?! ვინ გაგიშვა? მეცნენ და ახლა კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი — ხოტბას მასხამდნენ, მიტყაპუნებდნენ მხარზე ხელს და გაკვირვებას გამოთქვამდნენ: „სად იყავი აქამდეო?“

ასე გავხდი ხომალდის კარუზო. დიახ, კარუზო, თუმცა, მგონი, ბარიტონი ვარ. ჰმ... რა ვიცი, ვარ კი? ისე, ვმღერი-ხოლმე ჩვენს ბიჭებში. რომელი ქართველი არ მღერის!

რაღა ბევრი გავაგრძელო. ალბათ რეისის დასასრულამდე საიუბილეო კონცერტსაც კი მომიწყობდნენ, რომ არა ერთი შემთხვევა. ეს შემთხვევა კი მართლაც ყველასათვის საგანგებო, საზეიმო შეიქნა.

...თბომავალმა უტურფეს ქალაქ სოჭს გუგუნით ამცნო მიახლებამიახლოვება. ფარვატერზე თეთრ გიგანტს გზას უთმობენ უფრო მცირენი — პატარა ხომალდები. „როსია“ ნავსადგურს მიადგა და აფუსფუსდა. გემზე — ჩასასვლელად ემზადებიან, ნაპირზე — ამოსასვლელად.

დროებით ყველამ დაივიწყა სალონები, აუზი, „ახალი კარუზო“ და ბევრი სხვა გასართობ-გულგადასაყოლებელი — მეზღვაურებმა პორტში ხრიალით ჩაუშვეს ღუზა.

---

*იოანე 1. 5: და ნათელი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია.*

*შ. დადიანი: ადამიანს, უწინარეს ყოვლისა, თვალში აქვს ჭკუა.*

დინჯად მივუახლოვდი გადასახედს და ნაპირზე მოფუსფუსე მგზავრებსა თუ გამცილებლებს დავუწყე თვალთვალი — იქნებ ვინმე ნაცნობს მოეკრა თვალი. ამასვე ფიქრობდნენ სხვებიც ან უბრალო ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ნავმისადგომს.

უცებ რეპროდუქტორში ხავერდოვანი ბასით ქალაქს გადაწვდა სიმღერა: „Широка страна моя родная“. ყველა შემობრუნდა, თითქოს უგრძნო გულმა რაღაც უჩვეულო. ვინ არ იცის ჩვენში ეს სიმღერა, ან ვინ არ იცნობს იმ მომღერალს, რომლის ხმა ახლა ზღვასა და ხმელეთზე მტრედივით ფრთაგაშლილი მოფრინავს.

დასრულდა სიმღერა და ახლის, რიგითი ფირფიტის დატრიალების ნაცვლად დინამიკში დიქტორის აღელვებული ხმა გაისმა: ყურადღება, ყურადღება! გემზე ამოდის სასურველი სტუმარი... ყველაზე სასურველ სტუმართა შორის!..

მოუთმენლობით სული დაგველია.

...ამერიკელი მომღერალი და მშვიდობის ჯარისკაცი... პოლ რობსონი!

ნამსვლელ-დამრჩენი ტალღასავით მიაწყდა მოაჯირს.

გიგანტური შავი ფიგურა მხრებამდე ყვავილებში ჩაფლული მოარღვევს ხალხის ზღვას და ღიმილით არხევს გოლიათურ ხელს. მოუსვენარი ცხოვრების წლების სიმძიმის მიუხედავად, პოლი და მისი მეუღლე — პატარა ზანგი ქალი მსუბუქად ამოდიან კიბეზე.

ერთი გენახათ, რა ამბავი დატრიალდა. ზანზარებს გემბანი, ხალხის ტალღა აწყდება სტუმარს, ყველას სურს საკუთარი თვალით იხილოს მშვიდობის ჯარისკაცი... ყოველ კუნჭულში ხვდებიან, გზას ულობავენ, ესალმებიან, ეალერსებიან და ისიც სიყვარულით იკრავს გულში დიდსა თუ პატარას.

...სრული სვლა!... ისმის პირველი რანგის კაპიტნის განკარგულება და მაშინვე ჩვეული: „არის სრული სვლა!“ თეთრი ხომალდი კვლავ შეცურდა ზღვის ლაჟვარდში.

გემბანზე ტევა არ არის. რეპროდუქტორში პოლ რობსონი მღერის. თოლიების გუნდი აედევნა „როსიას“, ფრთების ტლაშუნით მიაცილებენ მშვიდობის ელჩ-მომღერალს.

რობსონი მღერის. არა, კი არ მღერის, გმინავს პატარა ზანგი ბიჭის უბედობაზე. და ისევ, სევდიან ჰანგებს ცვლის იმ დროისათვის იმედიანი

Широка страна моя родная,
Много в ней лесов, полей и рек...

ამერიკელ მომღერალს კორესპონდენტთა

*სტაბილურობის, რწმენის, ზნეობის სიმტკიცის გარანტი.*

*ერთს ჰკითხეს, ბიჭო გამაგებინე, დილიდან საღამომდე ამდენი სისულელის თქმას როგორ ახერხებო და... ადრე ვდგებიო, ალალად უპასუხა!*

*გურამ ასათიანი:*
*საოცარია, ყველაზე მეტად ქართველი, თითქმის, ქართველს მტრობს, მაგრამ უქართველოდ გაძლება მაინც არ შეუძლია, ვინაიდან, მაინცდამაინც, მასთან სურს მეტოქეობა, დაცილება, ძალის მოსინჯვა... ეს მხოლოდ წარსულ საუკუნეთა მემკვიდრეობა არ არის...*

*მინდა, გავექცე თბილისს, გადავიხვეწო, გადავშენდე, გადავიკარგო. რასაკვირველია, მხოლოდ იმისთვის, რომ ისევ აქ დავბრუნდე...*

*რა მძიმე ჯვარის კაიკაცობა. რა ბედნიერებაა, როცა გრძნობ, რომ არ გატყდი, არ გაიღუნე, არ გაწბილდი, ხელში არ შემოგადნა ის, რაც ერთხელ იწამე შენი არსებობის აზრად და მიზნად...*

მთელი ამალა ახლავს. ისინი პირდაპირ ბორტიდან აგზავნიან რადიოგრამებს თავიანთ ჟურნალ-გაზეთებში... მე, აბა, მე ვიღა ვარ? მეც ხომ კორესპონდენტი მქვია — პროფესიულმა ჟინმა ამიტანა. ასეთი დიდებული შემთხვევის მოწმე გავხდე და ეს ფაქტი ბებიაჩემის მუთაქებისთვის შევინახო?

ჰმ... რა სისულელე იყო! რამ მომაფიქრებინა კალმისა და ბლოკნოტის სახლში დატოვება. სადაც არ უნდა ბრძანდებოდესა მისი კორესპონდენტთაღმატებულება, განა შეუძლია უამისოდ გაძლება? — ვუბრაზდები საკუთარ თავს.

მაშინვე გავვარდი... გემის მაღაზიები შემოვირბინე და იღბლად ყველაფერი ადგილზე დამხვდა. ვიყიდე ბლოკნოტი, ავტოკალამი, შევიარაღდი, ჩამოვჯექი და აზრი მოვიკრიბე. თემა ნუხანდლიდან ამეკვიატა, მაგრამ ოცნება უსაგნოდ მეჩვენებოდა (კონკრეტული არ იყო). ახლა კი რობსონი... „მშვიდობა და მშვიდობის ჯარისკაცი რობსონი!". რაც არ უნდა დამიჯდეს, აუცილებლად უნდა მოვახერხო მისი ნახვა... ერთი წუთიც კი ძვირფასია ჩემთვის, მაგრამ ასე ძვირფასია იგი ყველასათვის, ჩვენ კი ძალიან, ძალიან ბევრნი ვართ!

რეპორტიორებისა და ფოტოკორესპონდენტების მთელი არმია ტრიალებს მის ირგვლივ. იგზავნება და იგზავნება რადიოგრამები პირდაპირ ბორტიდან. ძნელია, ასეთ დროს წარმატებას მიაღწიო, მაგრამ არავითარი სიძნელე — ჩვენ, კორესპონდენტები, განსაკუთრებული ჩამოსხმის... თუ გნებავთ — ახირებული ხალხი ვართ!.. ...ასეთ მომენტს ხელიდან ვინ გაუშვებს?

...ბინდი წვება შავ ზღვაზე, თეთრი ხომალდი ლურჯ ფერებში იძირება. კაიუტკომპანიაში ხომალდის ეკიპაჟს ძვირფასი სტუმრისათვის ვახშამი აქვს გამართული. მეზღვაურები მოძალებულ ხალხს აკავებენ — მოსვენება სჭირდება კაცს, მაგრამ ვინ მოასვენებს!

ხალხი არ ცხრება, ტალღა — ტალღაზე მოიწევს.

ვახშამი დასრულდა. თვალი მოვკარი, როგორ ააცილეს რობსონი კაპიტნის ხიდურაზე. აქ, ალბათ, სუფთა ჰაერზე დაისვენებს — ვფიქრობ და ფეხის წვერებზე ვდგები. მგზავრები დაწყნარდნენ — იქით გავლა აღარ შეიძლება. ბაგირზე ჰკიდია წარწერა: „გზა არ არის!"... ჰმ... ადვილი სათქმელია — „გზა არ არის!"... როგორი წინაღობაც არ უნდა შემხვდეს, ვეცდები. გამოვა — ხომ კარგი. არადა, ჩემი თავის წინაშეც მაინც ხომ მართალი ვიქნები.

ეჰ... რაც იქნება, იქნება... მივიწევ კაპიტნის ხიდურისაკენ და მაშინვე...

— სდექ! შენ საით, ამხანაგო?

— კაპიტანთან! — ვიცრუე.

ხიდურაზე მეზღვაურის სამხრეებიანი კაცი დგას, მოაჯირზე გადაყრდნობილა, გრილი ნიავისათვის მიუშვერია მკერდი. დამინახა თუ არა, მოტრიალდა და წასვლა დააპირა.

— ეი, ძმობილო!... ერთი წუთით... — დავადევნე სიტყვა.

შეჩერდა, მოტრიალდა. შუახანს გადაცილებული კაცი ჩანდა... შემრ-

---

*დალამბერი: ჭეშმარიტად პატიოსანმა ადამიანმა თავის თავს უნდა ამჯობინოს – ოჯახი, ოჯახს – სამშობლო, სამშობლოს – კაცობრიობა!*

*დანტე: ყველაზე ბრძენი ადამიანი არის ის, ვისაც ყველაზე მეტად აღიზიანებს დროის დაკარგვა.*

ცხვა... მგონი, ცოტა უტიფრად გამომივიდა — ჩემოდენა, ალბათ, შეილიშეილები ეყოლება.

— რაო, „ძმობილო“? — გაიმეორა ჩემი სიტყვები.

ბოდიში მოვიხადე, ჩემი ვინაობა ვუთხარი და სურვილი გავანდე.

— მაპატიეთ, ვერ დაგეხმარებით, იგი ისვენებს...

— გზა მასწავლეთ, დანარჩენს არ გთხოვთ.

— არ შეიძლება! აბა, დაფიქრდით...

დავფიქრდი... და, მაინც შევუტიე.

— კეთილი, კეთილი... რა ხალხი ხართ ეს კორესპონდენტები... — ჩაილაპარაკა უცნობმა და იქით გამახედა: მეორე მხრიდან მოუარეთ და იქ ნახავთ.

მადლობის თქმაც დამავიწყდა, ისე მოვწყდი ადგილს, შემოვუარე მეორე მხრიდან კაპიტნის ხიდურას და აქაც: „გზა არ არის!“. მოგცლიათ ერთი! — გავიფიქრე, ბაგირის ქვეშ გავძვერი და კიბე ავირბინე... აქ ბნელა, სინათლეც გამოურთავთ, ძლივს გავარჩიე ზურგიან სკამებზე გადაწოლილი ადამიანების სილუეტები. კიდეში მჯდარ უცნობს გამოველაპარაკე.

— ბოდიში! აქ რობსონი ხომ არ გინახავთ?

— არა, — მითხრა მშვიდად.

აღარ დამიცდია. კიბეზე დავეშვი და უკან მოვკურცხლე. „ძმობილო, არ გეკადრება ასეთი ტყუილი“ — გავიფიქრე და კაპიტნის ხიდურის მეორე ასასვლელთან მდგომ ახალგაზრდა მეზღვაურს ვეცი.

— ვინ არის ის კაცი? — მაისურიანზე მივუთითე.

— ვინ?... კაპიტანი!

— ბიჭოს, არ მოველოდი!... მომატყუა — ვთქვი მაინც გულმოსულმა.

— წარმოუდგენელია! კაპიტანი არასოდეს ტყუის! — ისეთი დაბეჯითებით თქვა მეზღვაურმა, რომ კამათის ხალისი დამეკარგა. ისევ გამოვბრუნდი უკან, კიბე ავირბინე და სიბნელეში მყოფ ადამიანებს ისევ ჯიქურ დავადექი თავზე.

— რას მარბენინებთ აქეთ-იქით, პატარა ბიჭი ხომ არ გგონივართ. სად არის რობსონი?

— O, какой бас! — ჩემგან მოშორებით, მესამე სავარძელში შეირხა გიგანტური ფიგურა და სიცილით გამომიწოდა ვეებერთელა ხელი — „სიტ დაუნ“.

გავშრი. დაჯდომა რომ არ ეთხოვათ, მოულოდნელობისაგან, ალბათ, ვერც შევიმაგრებდი თავს.

— პოლ რობსონი! — მითხრა გაცნობისას.

გამეცინა. წავთამამდი.

— მეც ამ პლანეტაზე ვცხოვრობ და როგორმე

<u>თამაზ ხაბეიშვილი:</u>

<u>ხილული სასწაული!</u>

დედამიწა იმდენად დამძიმდება ცოდვებით, რომ სივრცე მოიკუმშება. წელიწადი ძალიან სწრაფად გაივლის და თვეს დაემსგავსება, თვე — კვირას, კვირა — დღეს, დღე — საათს, საათი — წუთს და ა.შ. წმიდა მამების ეს წინასწარმეტყველება საოცარი სიზუსტით ცხადდება დღევანდელ დღეს...

ეკლესიებში გასმირებული საოცრებები ათეიზმის საფუძველს აბსოლუტურად სპობს. თითქმის ყოველ მეორე ტაძარში მირონმდინარე ხატი. რაც ღვთის სასწაულად აღიქმება. სხვაგვარი, თუნდაც მეცნიერული ახსნა ამას ჯერჯერობით ვერ მოუძებნეს. გარდა ამისა, საიდუმლოთია მოცული სხვა უამრავი ფაქტიც. რასაც ზოგჯერ ღვთის მსახურებიც ვერ ახსნიან. აი, მაგალითად: ვერის ბაღში მდებარე იოანე წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიაში, გარე ფასადის კედე-

ვიცი თქვენი სახელი.

მკითხა ვინაობა.

— თბილისელი ვარ, გაზეთ „თბილისის" თანამშრომელი.

— ოო, ისევ კორესპონდენტი... თუმცა, თბილისელ კორესპონდენტთან საქმე ჯერ არ მქონია.

ვატყობ, ძვირფას სტუმარს საზღვარგარეთელი თუ ჩვენი კორესპონდენტებისაგან საშველი არა აქვს და მგონი, მოსწყინდა კიდეც ეს დაუსრულებელი კითხვა-პასუხი. მაინც მოვიმარჯვე ავტოკალამი, იქნებ ნამოცდეს რამე-მეთქი.

ვდუმვარ. საუბარს პირი არ გაეხსნა. ბოლოს ისევ მან დაარღვია სიჩუმე. ასე მგონია, გამოქვაბულიდან მოგუგუნებს გოლიათის ეს „გლობალური" ხმა, რომლის მსგავსი ბავშვობაში გაგონილი ზღაპრებით თუ წარმომედგინა.

— თქვენ გსურთ ინტერვიუ... რით დავიწყოთ, აღარც კი ვიცი. დამრჩა რამე უთქმელი კორესპონდენტებისათვის? — მეჩვენება, რომ უხალისოდ ამბობს ამას... მერე, უცებ შეირხა, წინ წამოიწია, მითხრა და სხვებიც დაიმონმა — არ სჯობია, მიმღეროთ რამე ქართულად?

არ მოველოდი. ფიქრის დრო არ რჩებოდა. უყოყმანოდ დავეთანხმე და ახლა, უკვე, იმაზე ვფიქრობდი, რომელი სიმღერა წამომეწყო?.. რომ იცოდეთ, ამ წამს რამდენი რამ დამიტრიალდა გონებაში. ვატყობდი, არჩევანს დრო მიჰქონდა: „რომელი სიმღერა დავიწყო, რომელი? ..." — გული ვერ შევაჯერე. და, უცებ, დავიწყე ის, რაც გამახსენდა:

„ჩემო ციცინათელა,

.........................................

შენმა შორით ნათებამ..."

ოო, როგორ ვნანობ, რომ ჩემი ძმაკაცები — ომანა და ფუსო არ არიან ახლა აქ. კარგია „ციცინათელა", მაგრამ... სოლოდ? ვფიქრობ და გაუბედავად ვმღერი:

„ანათებ და კარგი ხარ..."

...შეშლილივით გამექცა თვალი, ირგვლივ მყოფთ ვაკვირდები — ვიღაცამ ჩინებულად მომიმღერა მეორე მუხლი... მოვძებნე, გავუცინე, გამიცინა, განვაგრძობთ. ახლა ერთი ბანი რად ღირს, ერთი ბანი... და, აი, ისიც — დაიძრა სიმღერა, აბუბუნდა მესამე ხმა, ბანი და მერე რა ბანი — ქართულ სიმღერას მღერის პოლ რობსონი. მისი მთელი ოქტავით დაბალი, ბადაგივით ტკბილი და მსუყე ბანი ხავერდს უფენს ჩვენს სიმღერას.

„ეს რა ზღაპრული „ციცინათელა" გამოდის — რუსი და ამერიკელი მშობლიური ჰანგივით შეეწყო ქართულ მელოდიას, შეითვისა, შეისისხლხორცა იგი. ქართული მელოდიით მოხიბლული რობსონი დროდადრო თავზე ხელს იტაცებს და მთვარის შუქზე ნეტარებით აელვებს თეთრად მიჯრილ კბილებს, ბავშვური გულწრფელობით უხარია, რომ ასე ერთბაშად, უშეცდომოდ მიჰყვა უცნობი, მაგრამ სასწაული ქართული ჰანგის დინებას.

— ჩინებულია!... — ამბობს ამერიკელი მეგობარი, — ვიმღეროთ კიდევ.

ახლა „სულიკო" დავამღერეთ, მერე „ისევ შენ და ისევ შენ"... შუაღამემაც მოატანა. სტუმარს სთხოვეს, კაიუტაში წასვლა და მოსვენება.

საღერღელაშლილმა უარის ნიშნად თავი გააქნია და კვლავ ვღიღინებთ.

---

*დარვინი: ადამიანი, რომელიც მზად არის, დაკარგოს თავისი დროის თუნდაც ერთი საათი, ჯერ კიდევ ვერ ამაღლებულა იქამდე, რომ ჯეროვნად დააფასოს დრო.*

ეს იყო დაუვიწყარი, სიზმარივით ცხადი, ზღვა და ხმელეთი იყო მხოლოდ ამის მოწმე.

ახალშეძენილი ავტოკალამი არ გამომადგა. ხმის ჩაწერა მას არ შეეძლო, ჩვენ კი, თითქმის, მხოლოდ სიმღერით ვისაუბრეთ. ორიოდ კითხვის მიცემა მაინც მოვასწარი:

— ხომ არ სურს ჩვენს საპატიო სტუმარს, თავის მდიდარ რეპერტუარს ქართული სიმღერაც შემატოს?

მემორიალური წიგნის („რობსონი") ავტორი, მწერალი ვიქტორ გოროხოვი ჩემს კითხვას ინგლისურად უთარგმნის.

— სიამოვნებით — მიპასუხებს, შემდეგ კი თავის მხრივ მეკითხება:

— რომელია ყველაზე კარგი თვე თბილისში ჩამოსასვლელად?

— ოქტომბერი... შემოდგომა.

— ალბათ ბევრი იქნება მაშინ „წინანდალი"?

—„წინანდალი" ჩვენში ყოველთვის სამყოფია, მით უფრო, მეგობრების სადღეგრძელოდ...

რომელია რობსონის ყველაზე დაბალი ნოტი? — ვეკითხები ახლა იმ რუსს, რომელიც ქართული სიმღერის ასეთი ჩინებული მცოდნე გამოდგა.

— კონტროქტავის სი ბემოლი — მიპასუხებს ნიკოლოზ მირონოვი. იგი, თურმე, რობსონის აქაური აკომპანიატორი ყოფილა, კარგად იცნობს ქართველ მომღერლებს: დავით გამრეკელს, მერი ნაკაშიძეს და სწორედ მათგან უსწავლია ჩვენი სიმღერებიც (ასე ოსტატურად, მეორე ხმაში რომ მომიმღერა!).

„იავნანას" რობსონი განსაკუთრებული ყურადღებით ისმენდა და ტკბებოდა. ფრთხილობდა, ხელი არ შეეშალა სიმღერისათვის, თუმცა ოქტავით დაბლა ნათქვამი ბანი, ამ მართლაც შესანიშნავ მელოდიას ისეთ იდუმალებას აძლევდა, რომ მე იგი ასეთ „მასშტაბში" არც არასოდეს მიმღერია, განმიცდია და მომწონებია.

— გმადლობთ! — მითხრა გამომშვიდობებისას რობსონმა, — ასეთი „ინტერვიუ" ჯერ არასდროს არავისთვის მიმიცია.

დაბნეულმა, გახარებულმა, ფიქრით ფეხარეულმა ჩამოვიბანცალე კიბეები, ის კი კაიუტაში გააცილეს.

...ეს ყველაფერი კარგი, ძალიან კარგი, მაგრამ სად არის ჩემი ლიტერატურული მასალა? — გულუბრყვილოდ დავეკითხე ჩემს თავს და ცარიელ ბლოკნოტს დავხედე, გამეცინა — კალმის მოსმაც ვერ მომისწრია.

რა შემრჩა ხელში: ნარკვევი? — არა. რეპორ-

ლი რამდენიმე დღის განმავლობაში ალებული იყო. ანუ ვთქვათ, ცეცხლი ეკიდა... არაფერს. თუნდაც ურწმუნო თვითმხილველები, ამის შემხედვარე, პირჯვარს ისახავდნენ. მაგრამ ცოცხლები ეჭვის თვალითაც უყურებდნენ, რამე მაქინაცია ხომ არ არისო. მაგრამ ეს მაქინაცია ვის ან როგორ უნდა განეხორციელებინა. ამასაც ვერ ხსნიდნენ. ბუნებრივია, ყოველივეს მორიგი საოცრების ინტერპრეტირება მიეცა და იმ ადგილებში, სადაც კედელს ცეცხლი ეკიდა, ხატები დაასვენეს. თბილისის ვერის ბაღში მდებარე ტაძარი ერთადერთია, სადაც ეკლესიაზე ხატები გარე ფასადზეც ასვენია. გარდა ამისა, იმ პერიოდში, საოცრება იყო ეკლესიის კუთხეში, მიწაში ჩაფლული კასრიც, სადაც სასულიერო პირები ნათლობის წყალს და ამ რიტუალის დროს მოჭრილ თმებს ათავსებდნენ. ზამთარში, როცა გარშემო ყველაფერი გაყინული იყო, ამ კასრიდან ცხელი ოხშივარი ამოდიოდა და დუღდა კიდეც. ეს

ტაჟი? — არა, ინფორმაცია?... — არც ეს... მაშ, რა დავარქვა ამ შეხვედრას, ინტერვიუ... დიახ, ინტერვიუ!... რატომაც არა! გავმხიარულდი — „ინტერვიუ... სიმღერით!"

იმ ღამით სხვაზე რაღაზე შემეძლო მეფიქრა? ყველაფერს დეტალებში ვიგონებდი, მიხაროდა, რომ ყველაფერი გაცოცხლდა, თავისი იერი მიიღო და თავის ადგილზე დადგა!

რობსონმა იალტამდე იმგზავრა ჩვენთან ერთად. სიყვარულით ემშვიდობებოდა ხომალდს, ეკიპაჟს, დარჩენილებს — გზადდამდგარებს გზა მშვიდობისას უსურვებდა, ფართო ღიმილით უნათდებოდა სახე. ასე მგონია, მეც შემამჩნია ხალხში, ისიც მომეჩვენა, რომ რაღაც განსაკუთრებულად შემომხედა და გამიღიმა კიდეც! ,,როსია" ლაღად მიაპობდა შავ ზღვას და თეთრი ღამეების სტრიქონების თეთრ ჭავლად ტოვებდა კვალს.

## „ასტორიის" ისტორია

ახალგაზრდობაში რედაქციიდან საახალწლო მივლინებით მომინია ლენინგრადში ყოფნამ და ანტიკვარულ „ასტორიაში" მოვენყვე. გარეთ თეთრად ბარდნიდა და შიგნით ბაჯაღლო „თოვდა" გაჩახჩახებული რესტორნის თვალისმომჭრელი სინათლეები.

ინყობოდა სუფრები და საახალწლო ჟრუანტელის მოლოდინში თავს ინონებდნენ ტანნერნეტა ბოთლები თუ ნელში გამოყვანილი ბროლის ჭიქები.

ვიღაცის შეკვეთილ სუფრაზე, ქართული ხელგაშლილობის ხათრით, ერთი ადგილი ძლივს გამიჩალიჩეს ოფიციანტებმა და თავი ქუდში მაქვს — აქედან დავლოცავ ჩემს სალოცავს.

საქმე ბევრი არაფერი მაქვს, ფული — მით უმეტეს... და, ვარ გიჟივით თავისუფალი.

— ვა, გიზო!... კაი გამარჯობა შენი! — მიბრახუნებს მხარზე ხელს პუტკუ ბოჭორიშვილი, რომელიც, ერთ მაყუთა ძმაკაცთან ერთად, ოჯახითაა ჩამოსული ნევისპირა ქალაქის გემოს გასასინჯად — ანუ „ინტურისტის" თუ „შინტურისტის" ენაზე რომ ვთქვათ — ძველ პეტერბურგში ტურისტული მოგზაურობისა თუ, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ლენინგრადში საგულაოდ (და, თუ ჩემს მოხვედრილობასაც დავუმატებთ — ანტიკვარულ ქალაქში — ანტიკვარული ავეჯის შესაძენად!)

— ჩემო კარგო! — მითხრა „ზემლიაკმა" — ამ საღამოს არსად დაგვეკარგო.. აი, ამ მაგიდას ხომ ხედავ (და მან ყველაზე ცენტრალური და ხვავრიელი მაგიდისაკენ გაიშვირა ხელი) — იქ გელოდები, მე და „ნინაკა" (ავთანდილ ჩიგოგიძე)... ზუსტად 12 საათზე!

ზუსტად 12-ზე საათის ისარივით გავიჭიმე ზღვა ხალხით გაჭედილ რესტორან „ასტორიაში" და... ცარიელ მაგიდასთან (და არა მაგიდაზე... სადაც მრავალსართულიანი სუფრა იყო გაშლილი!) აღმოვჩნდი...

მასპინძლები?

მართალია, ყველანი ნუთისოფლის სტუმრები ვართ, მარა... მასპინძელიც ხომ გვინდა!

---

*რენე დეკარტი: ადამიანი უნდა ეცადოს, რომ სძლიოს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავს, ვიდრე ბედს და შეცვალოს უმალ თავისი სურვილები, ვიდრე სამყარო.*

ოფიციანტი რის ოფიციანტია, კაცის მუცლის ამბავი იცოდეს და გულში ვერ ჩაიხედოს.

— თქვენმა მეგობრებმა დიდი ბოდიში შემოგ-ითვალეს... რაღაც გარემოებისა თუ გადაუდებელი საქმის გამო, სუფრაც მიატოვეს და სასტუმროც.

სახტად დავრჩი.

ამ ათკაციანი სუფრის ფულს ვინ და რა გადა-იხდის-მეთქი, გავიფიქრე.

ოფიციანტი, თითქოს ჩემს გულში იჯდა, მორიდებით გამიღიმა და მითხრა:

— მაგიდის საფასური გადახდილია!... გვიმსახ-ურეთ!

ოღონდ ერთია... დღეს „ასტორიაში" ერთობ ბევრი სტუმარი გვყავს და გთხოვთ, თქვენს სუ-ფრაზე სხვა არავინ დასვათ!

ჰოდა, ასე და ამრიგად, ჩემს სიცოცხლეში (პირველად და უკანასკნელადაც), ამდენ ხალხში, ასე ვიქეიფე მარტოდმარტომ, საკუთარ თავთან... და, მართალი გითხრათ, ცოტა ეჭვიც კი შემეპარა იმ ხალხურ სიბრძნეში, რომელიც ამტკიცებს, რომ მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოაო!

მე თუ მკითხავთ, საცოდავად ისინი უფრო გამ-ოიყურებოდნენ, ვინც სივიწროვის გამო (თუ მო-მიზეზებით) მუხლებზე ასხდნენ ერთმანეთს და ჩემი 10 კაცის პურმარილიან და ერთკაციან „ღრეობას" ნერწყვის ყლაპვით და კითხვის ნიშნებივით უყურებდნენ... ვერაფრით ვერ ამოეხსნათ ეს „ერ-თუცნობიანი" ქართული განტოლება!

ჰოდა, მეც ვიჯექი ასე, ინდაურივით გაფხო-რილი და უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, ვიდრე ვიღაც ინდოელი ნაბობისა თუ ახალი დროის ნუვო-რაშის პოზით გამეშაყირებინა რევოლუციის პეტერ-ბურგული ბომონდის ნარჩენები, თავის კისა ვორო-ბიანინოვებითა და ოსტაპ ბენდერებით...

მოკლედ, ვატყობდი, რომ მთელ დარბაზს ჩემ მეტი სალაპარაკო არაფერი ჰქონდა. ყველას ერთი სული ჰქონდა, გაეგო, ვინ ვიყავი და ბავშვობის-დროინდელი ერთი თამაშისა არ იყოს — „ვისი სული მსურდა!"

მე კი ვიჯექი ჩემს ათკაციან, ჩიტის რძიან უკა-ცურ მაგიდასთან და, როგორც კაი თამადა, სათი-თაოდ ვუჭახუნებდი ჭიქას ჭიქაზე... ჩემს დაუს-წრებელ თანამეინახეებს.

ითმინა — ითმინა ერთმა ხანშიშესულმა სიმ-პატიურმა კაცმა ეს ჩემი ფუფუნების მიზანსცენა... ბევრი აქნია აქეთ-იქეთ თავი... ბოლოს, ველარ შეიკავა და თავის ულამაზეს მხლებელ ქალთან ერ-თად ბოდიშით მომადგა მაგიდასთან:

— მება გეიბოძეთ, შეგეკითხოთ...

*საოცრება იმდენად თვალში საცემი იყო, რომ ლურჯი მონას-ტრის წინამძღვარმა მამა ზაქარიამ ვი-დეოფირზე აღბეჭდა. ამბობენ, რომ, ამ პერიოდში, რუსულ ტაძარში სასწა-ულებრივად განიკურ-ნა სავარძელს მი-ჯაჭვული ახალგაზრ-და, რომელთანაც, სამწუხაროდ, გა-საუბრება ვერ მო-ვახერხეთ, რადგან მან, ამ სასწაულის შემდეგ, ადვილად დათმო ერისკაცობა და ბერობაში — ეკ-ლესიის წიაღში გა-დაიხვეწა.*

*„ქრონიკა", 10-26.06*

*რუისის ლეგენდ-არული სასაფლაოს მხილველ ზურა ბე-რიშვილს მოვუსმი-ნოთ.*

*ზურა ბერიშვილი, ყოფილი სპორტსმე-ნი:*

*სანამ საკუთარი თვალით ვნახავდი, მეც მეგონა, რომ რუისის სასაფლაოს ამბები მხოლოდ ჭო-რი იყო და სხვა არაფერი. მაგრამ, 5-6 წლის წინ ამ სო-ფელში გასვენებაზე მოვხვდი და იქაუ-რებმა თავად მანახ-ეს ლექსებიანი საფ-ლავები, „ჯემალიზე და ჩაინიკზე ეერო*

აქ რა ხდება?

მე ისეთი ანგელოზის სახე მივიღე, ხელი მომკიდა — არ დაკრას ფეხი და ცაში არ გაფრინდესო.

— მთელი საღამოა, ეს დარბაზი თქვენ შემოგცქერით და ვერ გაგვიგია, აქ რა ხდება, — კიდევ ერთხელ გაიმეორა მან, თავისი უმშვენიერესი ქალბატონის ცნობისმოყვარე თვალთა შემონათებით.

მე კიდევ უფრო გულუბრყვილო სახე მივიღე და უფროზე უფრო გულუბრყვილოდ ვკითხე:

— თქვენ რა გაინტერესებთ, ჩემო ბატონო?

— თვითონ ბატონოო! — შემომიბრუნა სიტყვა, — ზიხართ ამ 10-კაციან (სათითაოდ გადათვალა ჭიქები და „პერსონები"!) მაგიდასთან და... მარტოდმარტო ქეიფობთ!

— ააა!... აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, — ვთქვი მე ჩემთვის და, რასაკვირველია, მათ გასაგონად. — ეს 10 ჭიქა ჩემი 10 მეგობარია, ვისთანაც ერთად მე ახლა ახალ წელს ვხვდები!

— მერე ისინი სად არიან? — იკითხა უცნობმა.

— ისინიც აქ არიან, ჩემთან ერთად, — ჯიუტად და დაბეჯითებით ვთქვი მე — სხვისთვის ვირტუალურად, ჩემთვის კი მთლად რეალურად!

როგორც იყო, მიხვდა ჩემს „აზიატურ" ფილოსოფიას და ახლა სრულიად მატერიალისტური კითხვა დამისვა:

– Мда... игра стоит свеч... "но" და ეს თამაში ხომ ხუმრობა არ არის, კოლოსალური ფული ჯდება! — გაასავსავა ხელი.

ჰოდა, მეც სულ ავიღე ნამუსზე და თავზე ერთი ხელი, მეორე ჩავიქნიე და ვთქვი — ფული? ფული რა სახსენებელია-მეთქი!

მოვიპატიჟე სუფრაზე, ჩვენებურად რომ ვთქვათ — შემოსნრებულები და ისე მოვილხინეთ, რომ იმ კაცს ის ქალი კი არა, თავიც აღარ ახსოვდა!

სიყვარულის ყოველგვარი ახსნის და ცერემონიის გარეშე ამოვიღე ჯიბიდან სასტუმროს ნომრის გასაღები, ჩავუდე იმ მშვენიერ ქალბატონს ე.წ. „რედიკულში" და ვუთხარი, რომ მეც მალე ავაკითხავდი!

ადგა და წავიდა!

ავდექი და წავყევი!

ამ დროს, ის კაცი ვიღაც თავისი ასაკის ქალთან ვალს-ბოსტონით უვლიდა წრეს ამ წრეგადასულ დროსტარებაში და ირგვლივ ისეთი ვაკხანალია სუფევდა, კაცი ვერ გაარჩევდა, ვისი — ვისში იყო!

მე კი გულის ფანცქალით მივუყვებოდი უცნობი სიამის მოლოდინის ფიანდაზას და გული, ერთი ძველი, ზესტაფონური სიმღერით, თბილისურად მიღიღინებდა:

„რედიკული ვიყიდე, მხარზე გადავიკიდე...

მე ის გოგო არ გეგონო, შენ რომ ფულით იყიდე!..."

ჩემმა მზემ, კარგი რამე კი ყოფილა ეს ფული!

ტყუილად კი არაა ნათქვამი: ფული ცუდი ბატონი და კარგი მოსამსახურეაო.

„რამდიდარი, რიმდიდარი"...

თვითონ სიტყვაც კი ცეკვავს!

---

*გოჭები რომ ღრუტუნებენ, შეიძლება იმის თქმაც კი სურთ, რომ ტყემალზე სულაც არ არიან დიდი წარმოდგენის!*

# „ერი გულადი, პურადი"

## ვახტანგური სიტყვა

ვახტანგ გოგუაძის სახელის ხსენებაზე ბევრს გაუნათდება სახე, რადგან ნათელი კაცი იყო და ამ ცხოვრების უკუნში გზის გამკვლევი!

ეს კაცი თვითონ გავიდა „დამკაში", მაგრამ სხვებივით, „უკან კვლის" უფლებით, არასოდეს უსარგებლია! კეთილი იყო და პატიოსანი!

ძნელბედობის ჟამს (1992წელს) საქართველოს პირველი მოწვევის პარლამენტში მისი სპიკერობისას, „აჭარის ლომმა" ასლან აბაშიძემ, კულტურის ვარსკვლავებთან ერთად, ბათუმში მიმიწვია, წარმოშობით ბათუმელი და მერე თბილისის კოლორიტად აღიარებულ ნიაზ დიასამიძის საღამოზე. ამაზე უკეთეს მიზეზსა და დროს სად ვიპოვიდი რესპუბლიკის თავკაცებს შორის დაპირისპირების განმუხტვაში შესაძლებელი წვლილის გასაღებად. მაშინვე მივედი პარლამენტის სპიკერთან — ძველ უნივერსიტეტელ ამხანაგთან (სიტყვა „ამხანაგის" არა პარტიული, არამედ სულხან-საბასეული გაგებით!) ვახტანგთან და ქვეყნის თავკაცს ჩემი სამსახური შევთავაზე.

— ჩვენი სახელითაც მოეფერე და გადაეცი მოკითხვაო, — მითხრა შევარდნაძიდან მობრუნებულმა სპიკერმა.

საქართველოში ბათუმი ის ერთ-ერთი უნიკალური ქალაქია, სადაც თბილისის სუნიც მცემს. საღამომ ბრწყინვალედ ჩაიარა და დიდმა ბანკეტმაც, რომელიც „ინტურისტში" ჩემი თამადობით გაიმართა.

მოვიხიბლე აბაშიძეების ოჯახითაც. სწორედ იქ გადავეცი „აჭარის ლომს" რესპუბლიკის თავკაცის მოკითხვა, ზუსტად იმ „ტემპერატურითა" და „უბინოებით", როგორითაც მან დამაბარა, ძველ „ნიანგურად" რომ ვთქვათ: „მოფერებითა და ნახვის ნატვრით".

მასპინძლის რეაქცია არ გაინტერესებთ?

— მოფერება, გიზო ბატონო, ბავშვსა და ძაღლს უნდა... მე არც ერთი ვარ და არც — მეორე... მიკიბვ-მოკიბვის გარეშე თქვა მასპინძელმა.

...ჩვენ კი, მე და ვახტანგს, ღმერთმა იცის, ბევრჯერ ვახტანგურად დაგვილევია ძმობის და მეგობრობის სადღეგრძელო, რომელიც, ზოგჯერ, ისეთი კაცის ალავერდიც ყოფილა, რომ ნამალი სანამლავად მოგვეჩვენებია!

...ამ უტყუარი, ალალი ძმაკაცობის მოსაგონარი იყო, სწორედ, ის საიუბილეო სუფრა, რომელიც ან განსვენებული ვახტანგ გოგუაძის ნლისთავსა და მისი წიგნის („ერი გულადი, პურადი") პრეზენტაციას მიეძღვნა. ყველა წიგნი პატარა

მაგარი რაღაცეები წერია. ერთი, თუ არ ვცდები, ასეთი იყო: „როცა სტუმარი გეწვია, სიკვდილი წამოგეწია". ეს, როგორც ამიხსნეს, იმ კაცის საფლავზე წერია, რომელმაც დღეობაზე სტუმრის გამო იჩხუბა და დანით მაშინ მოკლეს. ახლა, სამწუხაროდ, ყველა ის წარწერა აღარ მახსოვს, მაგრამ, რაც ვნახე, ნაღდია და ორი აზრი არ არსებობს.

როგორც ხედავთ, ქართული სასაფლაოების და საფლავების თემა მართლაც საინტერესოა და, მისტიკურობაზე მეტად, ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. ამ ყველაფერთან ერთად, უცნაურია ჩვენი, ქართველების დამოკიდებულება სასაფლაოებისადმი — ქართველებისა, რომლებიც სასაფლაოებს გორაკებზე ვაწყობთ და სიცოცხლეში დაუფასებელი თანამოძმეების მიმართ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, მათი სიკვდილის შემდეგ, პატარ-პატარა „პატივისცემებით" ვცდილობთ.

„ივერია".

უკვდავებაა — მგონი უოლტ უიტმენის წიგნის წინასიტყვაობაშია ნათქვამი. ეს არის წიგნი — „ხელი შეახე და ავტორს შეეხებიო"!

ესაა ბრძენი მწიგნობარი კაცის დაკვირვებები სულიერებაზე და ცხოვრების ავ-კარგზე.

მას პლუტარქეს, ლიკურგესა და მისი მკაცრი კანონების წყალობად მიაჩნდა ის, რომ სპარტელების ისტორია, ხალხთა ისტორიებს შორის, ესოდენ საამაყოდ გამოიყურებოდა.

...მოქალაქეთა უსამართლობისა და სიხარბის დათრგუნვას კანონის ძალით ცდილობდა სოლონიც. ანაქარსისის აზრით, ეს ნორმები არაფრით განსხვავდებიან ობობას ქსელისაგან, რადგან ობობასაებრ, ისინიც მხოლოდ სუსტებისა და წვრილფეხობის დამორჩილებას ახერხებდნენ, ძლიერნი და მდიდარნი კი სულ ადვილად ხელჰყოფდნენ მას, არღვევდნენ და ძალას უკარგავდნენ (პლუტარქე, სოლონი, 5).

პლატონის აზრით, ყველაზე ცუდ გავლენას ადამიანის სულიერებასა და ზნეობაზე ახდენდა... ცუდი მუსიკა. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა ლაშქარში აკრძალა „საეშმაკო სიმღერანი" (იგულისხმება წარმართული), გინება და ყოველგვარი უწესობა.

„გალობანი სინანულისანის" ავტორი ფრიად დახვეწილი გემოვნებისა და დიდი სულიერების ადამიანი იყო.

6. მონტენი მოგვითხრობს: ერთ დროს საფრანგეთში შემოვიდა ასეთი მოდა — ქალიშვილები ნამოსკუპდებოდნენ მეეტლის გვერდით, კოფოზე. ეს მაშინ უფრო დიდი მკრეხელობა იყო, ვიდრე დღეს ქალიშვილების გაშარვლიანებაა.

7. მცირერიცხოვანი ერი, რომელიც „სამი მხრით ხმლის ტრიალში" იყო (ს. ჯანაშია), ხასიათის სიმტკიცეს უნდა უმადლოდეს თავის ისტორიას.

9. წიგნის ავტორი მიზნად ისახავს ქართული ზნე-ჩვეულებების ფილოსოფიურ-მიმოხილვით დახასიათებას — ქართული ტრადიციების სილამაზის, შნოსა და ლაზათის ჩვენებას.

უძველესი ქართველნი მწიგნობარნი და ფილოსოფოსნი უაღრესად მოკრძალებულნი იყვნენ ქართული კულტურისა, მით უფრო, საკუთარი ღვაწლის შეფასებისას. თუმცა ამ დიდებულ ტრადიციასთან ერთად შეინიშნებოდა მეხოტბეობაც (დოქსოგრაფიული ტრადიციები).

11. ჰეროდოტე ეგვიპტელების სიბრძნისა და კულტურის დამფასებელია, მაგრამ მის მიერ აღწერილი მათი ზოგიერთი ზნე-ჩვეულება დღეს სასაცილოდაც კი გამოიყურება. მაგალითად, თუ ხანძარი გაჩნდებოდა, ეგვიპტელები სახლის კი არა... კატების გადარჩენაზე ფიქრობდნენ და გლოვა იმართებოდა.

12. ტრადიციებს სწავლობენ ფოლკლორისტები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, ეთნოგრაფები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები.

14. ისტორიის გრძელ გზაზე საქართველო იყო მსოფლიო რელიგიათა გზაჯვარედინი. აქ ხვდება ერთმანეთს პლანეტის ორი უდიდესი კონტინენტი. ეს არის არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ ისტორიული ფაქტიც. ზოროასტრა, იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი — აქ ამ რე-

*ე. დელაკრუა: ნუ დაუახლოვდები ისეთ ადამიანს, ვისაც სინდისი მეჯისმეჯად მოქნილი აქვს.*

*დემოკრიტე: არა ძალა და არც ფული შეიქმს ადამიანს ბედნიერად, არამედ სიმართლე და სიბრძნე.*

ლიგიის კვალი გადის, რამაც ძველთბილისურ ჰანგზე ამღერა ჩვენი თანამედროვე, მეფის შთამომავალი პოეტი, როგორც იტყვიან, ჩვენი ძმა და პირის ზიარება პეტრე გრუზინსკი: „კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა, იქ ილოცეო!" რაც, ძველ თბილისთან ერთად, პირველად მეტეხის პლატოზე გამართულ „ორერას" ზღაპრულ კონცერტზე მოვისმინე!

16. ელინთა რელიგიას უწოდებენ „სილამაზის რელიგიას". ეს იყო ხელოვნების ნარმართული პანთეონი. „ბერძნულ ქანდაკებებზე უფრო მშვენიერი არაფერი შექმნილა, არც არაფერი შეიქმნებაო" — ნერდა ჰეგელი. ელინურ ნარმართობას რელიგიის ისტორიაში „სილამაზის რელიგია" ენოდება.

ზარატუსტრა ხორციელი ნეტარების, ამქვეყნიური სიტკბოებისაა. ქრისტეს მიხედვით კი, ნეტარება რნმენისათვის ასკეტურ თავდადებასა და ხორციელ ტანჯვაშია.

18. გოეთე: არ არსებობს ბოროტება, რომელიც ჩემში არ იყოს!

21. ჰაინრიხ ჰაინეს აღნერილი აქვს ასეთი ეპიზოდი: გერმანიაში, ერთი საეკლესიო კრების შემდეგ, ბერებმა ბუნებაში გაისეირნეს და ბულბულის გალობა შემოესმათ. გაისუსნენ. ერთ-ერთმა თქვა: „ეშმაკს ვუსმენთო". რაზეც ერთმა სამღვდელომ... სული განუტევა! „ბულბულიც კი შეურაცხყვესო!" — აღშფოთებულა ჰაინე. და, აქ გამახსენდა ერთი ჩვენებური მონადირე კაცის, ამ ნიგნის რედაქტორ-„დიასახლისის" ანის მამის — მომღერალ-დამკვრელ-შემსრულებელ ომარ ხიხაძის ამბავი, ღამე ტყეში რომ მიდიოდა საგზლით ხელდამშვენებული, ერთ ამოჩემებულ ხესთან, ერთი ამოჩემებული ჩიტის გალობის მოსასმენად და მასთან კაი „პურის საჭმელად". რაც ერთხელ, „სოლისტის" გაუფრთხილებლად, ჩაუნერია კიდეც ხმის ჩამნერ აპარატურაზე. ეს ჩანანერი გამოვიყენე კიდეც ახალგაზრდობასთან სატელევიზიო შეხვედრაზე, როგორც ნიმუში „კაცია და გუნების" ანუ „კაცის და ბუნების" ერთარსობაზე! (ბუნების სილამაზის აღნერისაგან თავი ვერ შეიკავა თვით გიორგი მერჩულემ, რომელმაც ამით ასკეტურ ნორმებსაც კი გადაუხვია).

24. ის სპარსელები, რომლებმაც მაცხოვრის მოძღვრება მიიღეს, დედებს აღარ ირთავენ ცოლებად, აღარც სკვითები ჭამენ ადამიანის ხორცს. აღარც მამათმავლობას მისდევენ და არც ბუნების სანინააღმდეგოდ სიამოვნებას ეტრფიან...„არც მოხუცებს ჰკიდებენ სალრჩობელაზე, როგორც ნინათ" (გეორგიკა, ტ.I, 1961, X, 6).

ბ.12.02.06.

**P.S.** ქუთაისში, ერთი სასაფლაოს ერთ საფლავს, თურმე, ასეთი აწერია: „შენ აქ უნდა იწვე და მე აქ უნდა ვიწვე?.." მიდი, ელაპარაკე, ახლა, ასეთ საფლავს და „ეპიტაფიას"!!!

<u>ჩვენი სადარ... მიზიდვის ქრონიკიდან:</u>

ვის ბალამუთმა, საჰაფიზოლოგოდ, „სარიცხავის", ახალი პიესა დაწერა (ალბათ, წაიკითხავს კიდეც): ჯერ ვაიგრამდე ჯვარი მწერალს! და, ანეკდოტ-ანეკდოტებით და ხითხით-ხითხითით ყვება საკუთარ მამაკაცურ და კაცურ ამბებზე.

თურმე, პირველად ქალთან რომ მივიდა (ამ სიტყვის ეროტიკული მნიშვნელობით) 16 წლისა იყო. ფიქრობს „შემაგვიანდა", მაგრამ მერე „ავინაზღაურეო".

პირველი ქალი არასდროს ავიწყდება ადამიანს, ამბობს ვის და ალიარებს, მიხაილის პროსპექტზე მცხოვრები, სადღომზე მრამაზი მარიას არასოდეს დამავიწყდებაო.

...ტიბარენებსაც ჩვეულებად ჰქონდათ, მოხუცებულები ძალიან მაღალი კლდეებიდან დაექანებინათ"... სკვითებიც, მიცვალებულთან ერთად, ცოცხლად აღარ მარხავდნენ თავიანთ საყვარელ არსებებს"... ფრინველების და ძაღლების საჯიჯგნად არა ტოვებდნენ მინის ზევით მიცვალებულებს.

ნიკო მარი: საქართველოში, ქრისტიანობის მიღებამდე, მიცვალებულებს არ მარხავდნენ („ამას არ მალავენ ქართველი მემატიანეებიც"). ახლა, ხანდაზმულთათვის შემოვიდა ახალი ტერმინი „ჩარეცხილები"! (ჯერჯერობით, ეს მხოლოდ სალანძღავი სიტყვაა და ამ სიტყვას რა საქმე მოსდევს, ეს მხოლოდ ეშმაკმა იცის — გ.ნ.)

26.„თესმოფორიების დროს (მიწათმოქმედთა დღესასწაული დემეტრას პატივსაცემად) ალექსანდრიასა და ათენში ქალები მღეროდნენ ეროტიკული შეფერილობის სიტყვებით, რაც თანამედროვე ადამიანს ყურში არ ესმინება" (მაშინ, ალბათ, ეს ასეც იყო, მაგრამ დღეს პირიდან არამოსაშვებსა და ყურში არშესაშვებს ისეთს გაიგონებ, რომ მელოტსაც კი თმები ყალყზე დაუდგება!)

მონოთეისტური რელიგიები, პოლითეისტურთან შედარებით, მახვილს სწორედ მორალზე აკეთებენ. წარმართობისთვის სტიქიაა თავისუფლება, მონოთეისტურისთვის კი (მეტ-ნაკლებად) — ალაგმვა გრძნობებისა.

27. ქართული ფოლკლორის ისტორიის კვლევის დროს თავს იჩენს საერთო ზნე-ჩვეულებებსა და საზოგადოებას შორის გარკვეული წინააღმდეგობანი. სამღვდელოება ხშირად ერევა საერო ზნე-ჩვეულებების დარღვევის ფაქტებში, მაგალითად, ეკლესიამ დაგმო აშოტ კურაპალატის მიერ სიძის დედაკაცის მიყვანა სასახლეში. „თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათვის, ჩვენ, ყოველნი ეპისკოპოსნი, ვიტვირთავთ ცოდვათა შენთაო". — შეპირდნენ!

29. ქრისტე გმობს ქონებრივ სიმდიდრეს, ხოლო ეკლესია არ უშლიდა ხელს ფეოდალების გამდიდრებას.

30. დიდი ბაკურიოსი „კვირაში სამჯერ საკუთარი ხელით ჰგვიდა ქალაქის ეკლესიას ... საჭმელი კალათებით მიჰქონდა... მის მიერ აგებულ ღარიბთა თავშესაფარში და... მეფე საკუთარი ხელით აჭმევდა" (იოანე რუფინოსი, გეორგიკა, III, გვ.251).

ეთიკური ცხოვრების სწორუპოვარი ნიმუში იყო ქართველი ერის მშვენება — პეტრე იბერი!

32. საქართველოს დიდებული მეფე თამარი თავის ნახელავს ჰყიდდა და აღებულ ფულს ღარიბ-ღატაკებს ახმარდა (ი. ჯავახიშვილი)

33. იყო დრო, როცა მორწმუნენიც კი, იოანე საბანისძის მოსწრებული სიტყვით, ირყეოდნენ „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა".

მძიმე განსაცდელის ჟამს ღმერთისათვის თავდადება სამშობლოსათვის თავგანწირვას უდრიდა.

34. თამარ მეფის მოღვაწეობის გათვალისწინება ალბათ ჰეგელსაც შეაცვლევინებდა აზრს: „სახელმწიფო საფრთხეში ვარდება, როცა

---

*დემოკრიტე: აწმყო ეკუთვნით — ცოცხალთ, ნამყო — მეცნიერთ და მერმისი — დიდბუნებოვან კაცთა.*

*პატიოსანი და უპატიოსნო ადამიანი შეიცნობა არა მარტო იმით, რას აკეთებს, არამედ იმითაც, რისი გაკეთება სურს?*

მთავრობის მეთაური გახდება ქალი" (!)

47. „მეგრელები ძალიან კარგი ჯიშის ხალხია" — წერს შარდენი.

„დღესაც არსებობენ ხალხები, რომლებთანაც სილამაზე სრულიად არ ითვლება უპირატესობად, რადგანაც იქ ყველა ლამაზია. ერთსულოვნად გვიამბობენ ამას მოგზაურები ქართველების შესახებ" (ვინკელმანი, რჩ. ნანარმოებები და წერილები, 1935, გვ.91).

50. მცირენლოვანთა დანინდვის ფაქტი საქართველოს მრავალ კუთხეში ყოფილა გავრცელებული. მაგალითად, სამეგრელოში აკვანშივე („ონნეშ იკოდგუბა") ცოდნიათ დანიშვნა. „აკვანში ნიშნობის სვანურ ჩვეულებასთან ახლოს დგას აფხაზეთში, თუშეთში გავრცელებული ის ნესი, რომლის მიხედვით" — ბავშვებს დაბადებამდეც ნიშნავდნენ. არსებობდა ორსული დედაკაცების მოლაპარაკების ტრადიციაც. იყო ასეთი ადათიც: ნარმომადგენლობითი ჯვრისნერა, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ არა ნეფე-პატარძალი, არამედ მათი ნარმომადგენლები! ჯიშიანი ოჯახი ჯიშიანს ეძებდაო.

54. „... თამარის მეორე ქორნინების დროს იყო ხმა მგოსანთა და მუშაითთა მჭრუეტელობანიო" — ნათქვამია „ისტორიასა და აზმანში".

55. „სიმღერას საქართველოში იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ უსიმღეროდ საქორნილო კაბის გამოჭრაც კი არ შეიძლებოდა. ასე, რომ მუსიკალური მკურნალობის (გავიხსენოთ ბატონების სიმღერით დაყვავების ტრადიციაც ან ის, როგორ ამშვიდებდა სულს ყრმა დავითის ქნარი — გ.ნ.) ევლური ავტორები იყვნენ პირველი „ნატურფსიქოლოგები".

90. ღმერთი გვმოძღვრავს: მინა ჩემია, თქვენ, ადამიანები, ჩემი მოსახლენი ხართ და მინის სამუდამოდ გაყიდვის ნება თქვენ არა გაქვთ (ასე ჰკითხეთ ბენდუქიძეს!) „ძველი ებრაელები მინას მხოლოდ დროებით ყიდდნენ (ნიგნი ლევიტელთა, 25,23). თეიმურაზ მეორე ნერს: „დასჭრიან ჯვარის სანერსა თეთრ კაბებს და სამჯერ იტყვიან მაყრულსა, სანამ დასჭრიან კაბებსაო!"

...სამკურნალო მუსიკა უხდებოდა პაროკსიზმებს, კონვულსიას.

101. ალ-ნასაკი აგვინერს გარნისთან ქართველების დამარცხებას, როცა ივანე ათაბაგმა ლაშქარი ბრძოლის ველზე მიატოვა (მათ შორის, ძმები შალვა და ივანე).

103. ევლია ჩელების მოგზაურობის ნიგნი (I,გვ.297) გვიდასტურებს: საქართველოს ხალხები „...თორმეტ ენაზე ლაპარაკობენ... მოსკოვის ხელმ-

მაშინ, სანახევროდ, მარცხი განვიცადე ჩემს მამაკაცურ ამბებში და ამიტომ მარინამ მე და ჩემს ძმაკაცს, 50-50 მანეთის ნაცვლად, საყმაწვილო 30-30 გადაგვახდევინა... მოკლედ, „ხელი" გაგვიკეთა. საშინლად ვნერვიულობდი და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს სახელმწიფო გამოცდა ჩავაბარე!..

„ქრონიკა", 27.03. 2004.

კორეელმა მეცნიერებმა შექმნეს პირველი მდედრობითი სქესის ანდროიდი, რომელსაც ბიბლიური ევას მსგავსად, ევა-1 უწოდეს. სიმაღლით 160 სმ-ია და 50 კგ-ს იწონის. რობოტიზებული ქალის კანი სილიკონის მასალისგანაა დამზადებული.

ანდროიდის სახეში ჩამონტაჟებულია 150 სენსორი, რომლებიც მას საშუალებას აძლევს, მოსაუბრის გამომეტყველებას გააანალიზოს. რობოტმა 400 სიტყვა იცის. მას უნარი შესწევს, იმუშაოს საინფორმაციო სამსახურში, მუზეუმში, სუპერმარკეტში ანდა ბაღ-

ნიფის შთამომავლები რომ ამოწყდეს, ამ საქართველოდან ერთ ბეგს წაიყვანენ და გაამეფებენ. კეთილშობილი ხალხებია!"-ო.

105. შარდენი: საქართველოს სისხლი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შეიძლება ითქვას, მთელს დედამიწის ზურგზედაც... შეუძლებელია, უფრო მომხიბლავი სახისა და უფრო ლამაზი ტანის დახატვა, ვიდრე ქართველი ქალებისა. ისინი არიან მაღლები, ტანადები, უაღრესად მოქნილნი წელში (კიდევ კარგი, შარდენი ვერ მოესწრო თეა თუთბერიძეს, თორემ ქართველი ქალის სახსენებელს შეაძულებდა კაცს!). რაც მათ აფუჭებს, ის არის, რომ ისინი სახეზე უმარულს ისვამენ"-ო.

108. მანანწალა ექიორ-ბეის (ბრმა თავადს)... თვალები სწორედ ტყვეებით ვაჭრობის გამო დაუვსო სოლომონ პირველმა.

109. სტამბულის ჰარამხანაში ტყვე ქართველი ლამაზმანები საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდნენ ერეკლე მეორეს ოსმალეთის საშინაო მდგომარეობაზე"!

117. „თურქეთის ელჩებს დადიანი საზღვართან დაახვედრებდა თავის მასპინძელ-წარმომადგენლებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ, უცხო ელჩები გამოეტარებინათ საშინელი ციცაბო კლდეებით, ტალახიანი გზებით, დაბურული, გაუვალი ტყეებით. ღამეს გაათევინებდნენ ულარიბესი გლეხის ქოხში. ლოგინად თივას დაუგებდნენ. ალბათ, არც კოღოები მოანატრებდნენ თავს"... დადიანი მათ ღებულობდა არა მთავრის სასახლეში, არამედ სადღაც ხის ძირში, ძველ ხალიჩაზე, როგორც ღარიბ მასპინძელს შეეფერებოდა (მიუხედავად იმისა, რომ ლევან II დადიანი უაღრესად მდიდარ კაცად ითვლებოდა!) საბედნიეროდ, „ქონებრივი დეკლარაციები" მაშინ მოდაში არ იყო!

ასე რომ, ელჩები დაბადების დღეს იწყევლიდნენ. მასპინძელი მათ ისეთი შთაბეჭდილებით ისტუმრებდა, რომ სამეგრელოზე გაუბედურებული ქვეყანა დედამიწის ზურგზე არ არსებობდა! ერთი გამყიდველი, გამაჰმადიანებული ქართველი სულთნის ვეზირებს ამაოდ არწმუნებდა — სამეგრელოს მიწა სავსეა ოქროთი, ოღონდ დადიანი მას მალავსო.

ახლა კი თავზე ნაცარი გვაყრია და თვალში ნაცარს ვაყრით ყველას — საქართველო, ასე დასახიჩრებულიც კი, სამოთხეაო!.. თუმცა, შაგრენის ტყავივით გველევა თვალსა და ხელშუა და სწორედ ამან დამაწერინა ის ორად-ორი სტრიქონი, რომელშიაც ჩვენი ბედიცა და უბედობაც ჩაეტია:

ხელის კანკალით შემოხაზულ ქართველთა რუკას —
არავინ იცის (ღმერთის გარდა!), ეშმა რას უქადის!

133. გიორგი ათონელმა ბაგრატ მეოთხეს უარი ვერ უთხრა და ათონიდან საქართველოში დაბრუნდა. შეძრწუნდა გიორგი მთაწმინდელი, როცა იხილა დამშეული ერი და მან ალაპის მომპოვებელ ერთ მღვდელმსახურს, რომელიც მშიერ-მწყურვალთა „არა მიჰხედვიდა", მისთვის ჩვეული ღვთისა და კაცთმოყვარეობის პირდაპირობით უთხრა:

---

*ჩარლზ დიკენსი: სიყვარული ყველაზე უფრო საინტერესო და საპატიო გახლავთ ადამიანურ სისუსტეთა შორის.*

*ებრაული: ის ცხენი ჯერ არ დაბადებულა, რომლითაც საკუთარ ახალგაზრდობას დაეწევი.*

*ფრანგული: სიჭაბუკემ რომ იცოდეს და სიბერეს რომ შეეძლოს.*

*უკრაინული: სიჭაბუკე გამოუსალმებლად მიდის და სიბერე მიუსალმებლად მოდის.*

მამაზეციერს ჩვენთვის ის არ უთქვამს, „ეკლესიანი შეამკუენითო" და ხალხი შიმშილით ამოხოცეთო!

134. გრიგოლ ხანძთელის ჯორის მომვლელი შემდგომში დიდი სამონასტრო მოღვაწე გამხდარა (ბასილი დიდი).

ზოგს კი ის უკვირს, რომ ყოფილი სტიქაროსნები დღეს ხელისუფლებაში არიან და ჭკუა ეკითხებათ!

135. მემატიანე გადმოგვცემს, რომ გრიგოლ ხანძთელის წინაშე „თრთიან ხორცითა ძლიერი მეფენი"-ო. (ნეტარ იყვნენ ის მეფენიცა და ის დრონიც! –გ.ნ.)

138. საგულისხმოა, რომ ბიბლია, გვარისა და ნიჭის დაპირისპირებისას სასწორის პინას ნიჭისკენ ხრის!

ტურგენევმა მწარედ დასცინა ლევ ტოლსტოის — ვინ იცის, ქვეყანაზე რამდენი ყეყეჩი გრაფია. ეს გენიალური კაცი — მის გენიალობაზე უფრო — თავისი გრაფობით ინონებს თავსო!

...ილფსა და პეტროვს აქვთ ერთი პატარა მოთხრობა „გრაფი სრედიზემსკი", რომელშიც ლანირაკი კომკავშირლებისგან გაშაყირებული ერთი ძველი გრაფი ასეთ ოინს იგონებს: სათითაოდ იბარებს იმ ეშმაკის ფეხის მკვენეტელ „კომსომოლებს" და „ჩვენში დარჩეს" პრინციპით — სათითაოდ „ამხელს" (უფრო სწორად, აშანტაჟებს მათ) — ხელზე მოსამსახურობის დროს დედათქვენი „შემომეხარჯა" და თქვენ ჩემი ღვიძლი შვილები ხართო! შექსპირის ტრაგედიის გენიალური პაროდიაა ის „საკაცობრიო" განცდები, რასაც ისინი განიცდიან — მამალი „კომსომოლობიდან" — ამ გადღედლებულ „გრაფობამდე"... თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს, ჩქარა დადგება ჟამი, როცა მათში ჩნდება პატივმოყვარეობის ჭია და ამ გაძვალტყავებული კომკავშირლობის მშიერ სიამაყეს ცვლის „მსუქანი" სიმაძღრის, თუნდაც იმ „გრაფობის" გრაფომანიაა!

145. ნიჭი თუ უდღეური არ არის, მას ვერაფერი შეაკავებს მზისკენ ლტოლვაში. ასფალტს, ცემენტის დუღაბს უხმაუროდ ამოხეთქავს ნაზი ბალახიც!

154. ქართული ზრდილობისათვის ნიშანდობლივია ასაკისადმი პატივისცემა — უფროს-უმცროსობა და არა — უმცროს-უფროსობა!

ჩინეთში არსებობდა ასეთი წესი: ცამდე მართალი შვილი, მამისაგან დასჯილი, თუ თავის მართლებას დაიწყებდა, სასჯელს იმატებდა!

172. საჩუქარს, როგორც ერთგულებისა და სიყვარულის გამოხატვის მატერიალურ სიმბოლოს, ჩვენი წინაპარი ბრძნული თვალით და კეთილი გუ-

ვებს, ძილის წინ, ზღაპარი წაუკითხოს.

**P.S.** ევა იყოს, ადამი გამოჩნდება! მოკლედ, რა გელის XXI საუკუნის ტექნიკურ სამოთხეში... ეშმაკმა იცის!

ევროპელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ მარსზე, ერთ დროს, ისეთივე ცხოვრება ჩქეფდა, როგორც დედამიწაზე.

**P.S.** როგორი ოინი იქნება, მარსზე ჩვენი ორეულები რომ აღმოჩნდნენ... ხომ დავექამთ ერთმანეთს!

ერთხელ, ამპერმა, შინიდან გასვლისას, სტუმრების გასაფრთხილებლად კარს წააწერა: „ბატონი ამპერი შინ არ არის!". ერთი საათის შემდეგ შინ დაბრუნდა, წარწერა წაიკითხა და გაბრუნდა.

ამიტომ უნდა გახსოვდეს კაცს, ვისთვის რას წერ. ისე-ისიც ფაქტია, რომ ერთხელ აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილს, ტრამვაიში ასვლის წინ, „კალოშები" გაუხდია.

ლით უყურებდა, რასაც სულმნათმა რუსთაველმა ორი სიტყვით დაუ-ლოცა გზა სამყაროში:

„ჩუქებისა არმონწყენა!"

173. იაკობი ქრთამის გალებით ახერხებდა, ენახა საპყრობილეში მყოფი შუშანიკი (როგორც ჩანს, ქრთამი მართლაც ანათებს ჯოჯოხ-ეთს „პენიტენციალურადაც" და, რა გასაკვირია, რომ იგი დღესაც იყოს ბნელში — ნათელი!

177. „... მდიდარია ქართული. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისე-ბით იგი მსოფლიო ენაა" (ნ.მარი)

180. ფრაზა აზრის შეკუმშული ენერგიაა!

„ვიდრე აზრი სიტყვებს მოირგებდეს, დაიმორჩილებდეს, სიტყვები ძლიერ ურჩობენ. ესაა სწორი ენა ენაში " (პოლ ვალერი).

183. იოანე ზოსიმემ ქართულ ენას მეორედ მოსვლის ჟამის განსაკ-ითხავი ენა უწოდა. საუკუნის ეს მოაზროვნე ქართულსა და ბერძნულს დებად თვლის, „ვითარცა მარიამ და მართა".

184. დავით აღმაშენებელმა ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები. აგრეთვე, პოეტთათვის, რომელთაც იგი „ულუფას უნიშნავდა".

„დავითი უფრო მეტ პატივს სცემდა მუსულმანთ, ვიდრე თვით მთა-ვარი", — წერს მუსულმანი მწერალი ალ-ლაინი!

მე-12 საუკუნეში, გვაროვნული კასტების ეპოქაში, აღმაშენებელი ნიჭის მიხედვით მიაგებდა პატივს ადამიანებს, რაც შემდეგ განსხეულ-და „ვეფხისტყაოსნურ" სიბრძნეში: „ათასად გვარი დაფასდა — ათი ათასად ზრდილობაო!" (რაც ერთ სომეხს, მაშინვე, გონებაში „ჩოთქზე" ჩამოუყრია და უთქვამს: „ზნაჩიტ, ადინაცად ტისაჩა, რაო!").

მახვილი თვალი უნდა გქონდეს და სუფთა სინდისი, რომ შენი ერის ისტორიაში ჩაიხედო და თვალი გაუსწორო სინამდვილეს. მეფენიც კი უზნეობისათვის პასუხს აგებდნენ ეკლესიის წინაშე. ...აშოტ კურა-პალატმა „დედაკაცი სიძვისა" მიიყვანა სასახლეში. აღშფოთდა გრიგოლ ხანძთელი, წაართვა უზნეო ქალი მეფეს და დედათა მონასტერში გამოკეტა. დიმიტრი თავდადებულმა, მონღოლური წესების გავლენით, სამი ცოლი შეირთო, მაგრამ, როცა მეფემ სამშობლოსთვის თავგანწირ-ვა გადაწყვიტა, სამღვდელოებას მისთვის განუცხადებია: „თუ შენ დას-დებ სულსა შენსა ერისთვის, ჩვენ ვიტვირთავთ ცოდვათა შენთაო"!

... „თვით საქართველოს დიდებული მეფე თამარიც თავის ხელ-საქმეს ჰყიდდა და... ფულს ღარიბ-ღატაკთა დახმარებას ანდომებდა"!

...იოანე საბანისძე: იყო დრო, როცა მორწმუნენიც კი ირყეოდნენ „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა"... მძიმე განსაცდელის ჟამს კი ღმერთისთვის თავდადება სამშობლოსთვის თანგანწირვის ტოლფას-ად მიაჩნდათ!

ვთქვი და ვიმეორებ: თამარ მეფის სახელი უკან დაახევინებდა თვით ჰეგელსაც: სახელმწიფო საფრთხეში ვარდება, როცა მთავრობის მეთაუ-რი ხდება ქალიო!"

...ამორძალების წარმომავლობა დღესაც სადავოა. ბოლო გამოკვლ-ევა გვიმტკიცებს, რომ ეს დაკავშირებულია უბიხების ანუ კავკასიურ ტომთან!

...ბაირონის „დონ-ჟუანიდან" უნდა გვახსოვდეს, რომ მისი ყველაზე

*დოსტოევსკი: ადამიანის საუკეთესო განმარტებაა: უმადური ორფეხა.*

რჩეული სატრფო — ქართველი ქალი დუდუ იყო!

...მეგრელები ჯიშიანი ხალხია! — წერს შარდენი. და, საერთოდ, „ყველა ლამაზიაო, ერთსულოვნად გვეიამბობენ ამას მოგზაურები ქართველების შესახებ" (ვანგელმანი, რჩეული ნაწარმოებები და წერილები, 1935, გვ. 91).

...საქართველოში სიმღერას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ უსიმღეროდ „საქორწილო კაბის გამოჭრაც არ შეიძლებოდა".

ბიბლიიდანაც ცნობილია, როგორ ამშვიდებდა სულს დავითის ქნარი!

...სიტყვა „ღვინო" მრავალ ენაშია შესული საერთო ძირით: ბერძნული ოინოთი, ლათინური ვინუმით, ხეთური ვიანათი, სომხური გინით, რუსული ვინოთი, გერმანული ვაინით, სემიტურ-არაბული ვაინუმით, ებრაული ვაინით, ასირიულ-ბაბილონური ინუთი...

ღვინის გალმერთების ელინურ სტილს ხედავენ გურულ „აგუნაში"! ქრისტე ამბობს: „მე ვარ ვენახი, თქუენ რტონი" (იოანე, 5). „შენ ხარ ვენახი" უმღერის ჰიმნს საქართველოს სომბოლოს — ვაზს, მეფის საგალობელი.

სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია („სტუმარი ღვთისაა!") ისე შორს მიდიოდა კავკასიაში, რომ ძმის მკვლელიც კი ხელშეუხებელი იყო!

ყველაზე დიდი მონამე სარწმუნოებისა „ბიბლიაა" და ისაა მონმე, შურისძიების მიზნით როგორ დევნის საული დავითს, მისი შვილი იონათანი კი ძმურად ეხმარება და მფარველობს დავითს...

P. S. ყველა შედარება მოიკოჭლებსო, მაგრამ უნებლიედ მახსენდება საქართველოში ისრაელის კონსულის (ჩვენი მდგმურის) გარი კლეიმანის შვილის, პატარა იონათანისა და ჩემი შვილიშვილის — დავითის მეგობრობა! ღმერთმა ნუ ქნას, რომ განგებამ მათ ასეთი ბიბლიური გამოცდა მოუწყოს კაცთგამძლეობაში, მაგრამ ღმერთმა ინებოს, რომ ეს სიყრმის ძმობა... სიყმანვილის მეგობრობაში და კაცთა ძმობაში გადაიზარდოს!

...ან-ნასავი შეგვახსენებს გარნისთან საქართველოს დამარცხებას და ივანე ათაბაგის მიერ თავისი ლაშქრით ბრძოლის ველის მიტოვებას და ძმების — შალვასა და ივანეს ღალატით განწირვას.

„გალობანი სინანულისანი" ავტორს (სწორუპოვარ დავით ალმაშენებელს) ანდერძად უწერია: „ნუ გარდასცვალებ საზღვართა, რომელ დაამტკიცნეს მამათა შენთა სამკვიდრებელსა მას შენსა ქუეყანასა მას ზედა, რომელსაც დაგამკვიდროს შენ

---

გია ხუხაშვილი (ეკონომიკის ექსპერტი): თოვლის ბაბუა ემიგრაციაში გაუშვეს და თბილისში, როგორც უცხოელი საახალწლო ინვესტორი, სანტა-კლაუსი მოგვევლინა. თოვლის ბაბუა აღარ არსებობს, არის მხოლოდ სანტა-კლაუსი, რომელიც ახალი წლის ქართულად მილოცვის ნაცვლად გვეუბნება: — ჰელოუ!

..საქართველო და მსოფლიო

---

აინშტაინს ფიზიკაში, თურმე, ორიანს უწერდნენ. ამ მხრივ მეც აინშტაინივით ვიყავი. ჩემზე უარესები კი დღესაც თავს ინონებენ უქკუობით და არც ფიქრის დროს მალავენ სიმღერაში, რომ „აინშტაინზე მეტი ქულა ჰქონია. ვინაც რომა, ღვინო მოუგონია!"

---

გოგებაშვილს — ვაგებაშვილი უნდა!..

---

კახაბერ კენკიშვილი:

„უფალო, აჰა, რომელი გიყვარს, სნეულ არს!"

ქართველები მარ-

უფალმან ღმერთმან შენმან" (მეორე სჯული, 19, 14).

რვაასი-ცხრაასი წლის საქართველოს წარსულიდანაც კი ისმის საბას მიერ „გამოტირებული" „მწუხარების სხვისა კეთილსა ზედა" — ანუ შური. შენუხებული იოანე პეტრიწის ჩივილი — თანამემამულეთა უგვანობისა — შურისა და ვერაგობის გამო „ხედვაიმცა ფილოსოფოსთა განცდისა მეარისტოტელურაო". იგი იქვე იმოწმებს სოკრატეს: „რამეთუ ძნელია სენი, არამედ უფიცხეს უმეცრება სენისა"!

... ტრაბახი! მარტო პიროვნული თვისება კი არაა... ტრაბახა შეიძლება იყოს სოფელი, ქალაქი, ერიც!

... ძველ საბერძნეთში შრომა მონების საქმედ ითვლებოდა.

აგდებულად იხსენიებდნენ შრომას რუსი შარაფისტებიც, რომელთა საერთო ტელეფონის ნომრად სატირა თვლიდა „Два по сто, добавочный... двести"-ს და აფორიზმად კი ნაპახმელიებ „სენტენციას" — Если водка мешает в работе, бросай... работу!

...სპარტის კანონებს დიდი ლიკურგე წერდა და მას ახლა ბევრი მიმბაძველი ჰყავს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც იმდენად ჭკუის საკითხავი კაცები!

... ყველაფერი ნათქვამია, ყველაფერი გაგვიგია, მაგრამ ასეთი?...
მსგავსი არაფერი გვსმენია!

რუსთაველის „ჩუქებისა არმონყენას", ზემოდან — ქვემოთ (სოციალური მნიშვნელობით), „წყალობა" ერქვა, ქვემოდან — ზემოთ კი „შეწირვა"!

(ამ მადლიანი ბიძინა ივანიშვილის უკიდეგანო ქველმოქმედებას კი ჯერ სახელიც არა აქვს! — გ.ნ.)

რასაც გასცემ — მისცემ გზა-კვალს
(ისმენს ყური — იტყვის ენა).
რუსთაველმა მას დაარქვა:
„ჩუქებისა არ მოწყენა"!

„XII საუკუნეში... პრივილეგირებული გვაროვნული კასტების ეპოქაში, დავით აღმაშენებელი არა წოდებრიობით, არამედ ნიჭით აფასებდა კაცის ღირსებას". ნიჭს ზენა აძლევს კაცს და არა გვარიშვილობაო!

რა სიბრძნე აღარ იკითხება გოგუაძის ამ სავახტანგეთში!

*დაულაგებელი ფიქრები*

ღღე — ღღესავით ნათელია —
მზე — მზიური სანთელია —
დილა ენამზიანია —
ღამე ენაწყლიანია —

*ინგლისური: ადამიანი სიტყვის პირველ ნახევარში — მეორე ნახევრის მოლოდინშია, მეორე ნახევარში კი... პირველი ნახევრის სინანულში.*

*დრაიზერი: უმძიმესი დაძაბულობის ჟამს უფრო იცნობა და მაღლდება ადამიანი.*

*ნ. დუმბაძე: ბოლოს და ბოლოს, ვინ ხარ შენ, საიდან მოსულხარ და რა გინდა, ადამიანო?*

დილას პქეია – ჯერ ადრეა,
ღამეს – უკვე გეიანია!
ერთიცა და მეორეც
კაცის თანაზიარია!

## „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“

„ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“ ჟურნალ „რელიგიის“ რედაქტორის, მართლმადიდებლური ქრისტიანობის უერთგულესი მებრძოლი კაცის სქელტანიანი კაპიტალური ნაშრომია, რომელზეც ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი სერგი ავალიანი წერს: „ბატონ ვიქტორ რცხილაძის თეოლოგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომები... სრულიად ახალ სიტყვას წარმოადგენს თანამედროვე ქართულ თეოლოგიურსა და ფილოსოფიურ ლიტერატურაში. დიდია მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებისათვის... მე არ მეგულება მკვლევარი მე-20 საუკუნის ქართულ აზროვნებაში, რომელიც ისე ზედმიწევნით იცნობდეს თეოლოგიურ-ფილოსოფიურ ლიტერატურას, ისე ღრმად ერკვეოდეს რელიგიურ მოძღვრებებში, როგორც ჩვენი ავტორი. ზოგჯერ განცვიფრებას იწვევს მისი რელიგიურ-ფილოსოფიური მედიტაციების სიღრმე, ამ დარგში მისი განსწავლულობა, რომელსაც ვერცერთი ჩვენი ფილოსოფოსი ამ მიმართულებით ვერ გაუტოლდება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ჩვენში რელიგიის ფილოსოფიის არა მარტო პირველხარისხოვანი მკვლევარია, არამედ, აგრეთვე, მისი ფაქტიური ფუძემდებელიც“.

ჭკუა ჭკუის საკითხავ კაცს მოეკითხება!

მაინც, რაზე დაგერჩა თვალი ამ უზარმაზარ ნიგნში?

51. ქეეთავში, რომელსაც ჰორაციუსის სიტყვები აქვს ნამძღვარებული: „მანკის გარეშე ვინ იბადება“, კანტი ამტკიცებს, რომ „ადამიანი ბუნებით ბოროტია!“

2002წ. აშშ-ში გამოსული პატრიკ ჯ. ბიუკენენის მეტად საგულისხმო და შემაშფოთებელი წიგნი: „დასავლეთის სიკვდილი“. ავტორი ნიქსონისა და რეიგანის მრჩეველი გახლდათ.

„თავისუფლება ქმრებს, ცოლებს და ბავშვებს ოჯახური ვალდებულებებიდან! ევროპელმა სო-

თალ ლაზარესთან – უფლის მეგობართან მუდამ დიდი სულიერ კავშირს გრძნობდნენ. უფლის კვართით დაბინდულნი, ღვთისმშობლის წილხვედრნი, წმინდა ანდრიას ჯვრით მოქცეულნი, წმინდა ნინოსეულ ემბაზში განათლულნი, თავადაც უფლის მეგობრებად მიიჩნევდნენ თავს. მუდამ შემორტყმული ჰქონდათ სარტყელი (აკი, კიდევაც უწოდებდნენ სარტყლის ქრისტიანებს!.. და არა მარტო წმინდა გიორგის დიდი სიყვარულისთვის).

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის იატაკზე ჩვენს წინაპართ წაეწერათ: „სდექ მტკიცედ და შეურყეველად!“ ქრისტეს სიყვარულით და შიშით აღვსილნი ქართველნი, ჩვეულებისამებრ, მამულისა სვლითა ვიდოდნენ – ქართა დათმენით არ განეშორებოდნენ მხოლოდშობილსა ძესა ღვთისასა...

დანტე ალიგიერი: „ჯოჯოხეთში ყველაზე გავარვარებული ადგილები მათ ელოდება, ვინც დი-

ციალისტებმა აღმოფხვრეს საზოგადოებრივი მოთხოვნილება ოჯახისადმი, რის შედეგად ოჯახურმა ინსტინქტმა იწყო კვდომა... იძირებოდა რა სექსში, ნარკოტიკებში, როკ-ნ-როლსა და ბუნტში (რა დღეშიც დღეს ჩვენ ვართ — გ.ნ.), კულტურულმა რევოლუციამ... ახალგაზრდობა მოწყვიტა იუდაისტურ-ქრისტიანულ მორალს". ჩვენ გვაქვს ორი ამერიკა — მლოცველი და აღვირახსნილი მორალის. „მასობრივი კულტურა თავის ღირებულებათა იერარქიაში სექსის სიყვარულს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე დედობის ბედნიერებას". არნახული მომძლავრებაა ჰომოსექსუალიზმისა, რისი დადასტურებაცაა რომ ჰილარი კლინტონმა, აშშ-ს პრეზიდენტის მეუღლეებიდან პირველმა, მონაწილეობა მიიღო ჰომოსექსუალისტთა პარადში მაშინ, როდესაც მან უარი განაცხადა წმ. პატრიკის დღეს პარადზე გამოსულიყო ნიუ-იორკში".

ვენეროლოგ ბადრი ჩხაიძესაც დანანებით დაუდასტურებია ავტორისათვის, რომ თბილისში უკვე საკმაოზე მეტი ჰომოსექსუალისტია, რომელიც ხაზგასმული უტიფრობით არ მალავს ამასო (აფსუს, ჩვენს დროს, თბილისში, მგონი, რაღაც ოთხად-ოთხი პედერასტი იყო და ისინიც არ ეჩხირებოდნენ ხალხს თვალებში!)

133. გამოჩენილი გერმანელი „ისტორიის ფილოსოფოსი" ოტმარ შპანი ყურადღებას ამახვილებს ისეთ სავალალო მოვლენაზე, როგორიცაა სქესთა აღრევა: „მარჯვალთა ფემინიზაცია და ქალთა ამაზონიზაცია თანაბრად დამღუპველიაო". და ამას დარწმუნებით შეიძლება ეწოდოს დაცემის პერიოდიო!

172. გოეთე: ადამიანები მხოლოდ მანამდე არიან შემოქმედებითნი... სანამ ისინი ჯერ კიდევ რელიგიურნი არიან".

177. „ნიჭიერად აღიარებული მწერალი აკა მორჩილაძე და მისი თხზულება „გადაფრენა მადათოვზე და უკან"! ამ მართლაც ნიჭიერად დაწერილ წიგნს საშიში ტენდენცია გააჩნია: აქ, ქართულ ლიტერატურაში, მგონი, პირველად, მამათმავლობის თემაა წინ წამოწეული. იგი ჩვენს ცნობისმოყვარე მკითხველს იპყრობს თავისი „მამათმავლური ეგზოტიკით". გარდაცვლილი მამათმავლის კუბოზე მისი ამფსონები მათებურ რიტუალს ატარებენ და კუბოს თავიანთ უკანალს შეახებენ... „იმედს გამოვთქვამ, რომ ამგვარ ფანტაზიებს მომავალში ავტორი დათმობს"-ო — წერს ვიქტორ რცხილაძე და მე მახსენდება ძველქართული „სიყვარულსა მალვა უნდაო" და, მით უფრო, ისეთ სიყვარულს, რასაც პროტესტს უცხადებდა ჩვენი პატიოსანი წინაპარი: „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუშიო!"

„მტლაშა-მტლუში" და კუჭის წვენის ამოღება ახლა იკითხეთ თქვენ! ქალების გულჩახსნილობა და კაბების „გულახდილობა"... ზრდილობა-პატიოსნების ყოველგვარ ზღვარს გასცდა. როგორც დღემდე, არაოფიციალურ ხალხურ სიბრძნეშია — „შვილიშვილები ბაბუებს „წერაობას" გვასწავლიან!... თანაც, სახალხოდ... მოფარებულში კი არა!

რაღად უნდა დღეს სექსს ზექსი... ეროტიკაში. მარტო შორენა ბეგაშვილის სახალხო გაკვეთილები და თვალების ნაბვა რად ღირს!

დღემდე არ ამომდის მეხსიერებიდან ერთი ჩემი მთაწმინდელი ძმაკა-

---

*ეგზიუპერი: ყოველი ადამიანი ისე გამოდის მდგომარეობიდან, როგორც ემარჯვება.*

*ადამიანის ცხოვრება ერთი დამთქნარებაა.*

ცის მსუბუქი ყოფაქცევის ქალების „უსტაბაშ" რეზო (ბაჭყატა) ჭანტურიას ბებიის ქელეხი — გვრიტებივით რომ ისხდნენ თბილისელი ბოზანდარა გოგოები...

ესენი ვინ არიან-მეთქი? — ვკითხე ბაჭყოს, ჩემი ცოლის თანდასწრებით და მან, მისთვის ჩვეული გამჭრიახობით, მოუძებნა მათ სახელი:

— ვინა? — უცბად ჩაფიქრდა, — ესენი, იუზგარ?.. ესენი ჩვენი „გრიალუშკები" არიან!

მააააშ! მაშინ სიტყვა „ბოზს"... ბუზსაც არ აკადრებდნენ!

ეს ისე... როგორც „ნერაობას" შეეფერება, საშიგადაშიგოდ!

185. „ძმანო! ნუ ყრმა იქნებით გონებითა" (I კორ. 14, 20). „დასაბამი სიბრძნისა არს შიში უფლისა" (იგავთა, 1, 7).

ცოდვის ტრიალია საქართველოს ისტორიაში:

„იშვიათია ერი, რომელსაც იმდენი გვირგვინოსანი ნამებული ჰყავდეს სარწმუნოებისათვის, რამდენიც საქართველოს"!

საქართველოში სარწმუნოებისათვის 100 000 ნამებულია და მათი ხსოვნა მტკვარმა ნაილო მარადისობაში (თუმცა, რეზო მიშველაძეს ერთობ ებევრა ნამებულთა როცხვი!).

„იშვიათია ერი, რომლის ნიალში, მამულისა და მეფისათვის, ამდენი თავდადებული იშვა — იქნება ეს თევდორე ხუცესი თუ დავით ეჯიბი". მაგრამ, იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ პიროვნული ცოდვისა და პირველცოდვის ურთიერთჩახლართვით თაობიდან თაობას საზარელი, მოღალატური თესლიც გადაეცემა და ჰყავვის.

330. ამერიკელი მეცნიერი უილიამ ოდონი: საქართველო არის ქვეყანა, სადაც რეგიონული თუ პოლიტიკური ლიდერები მუდამ მზად არიან, მიეყიდონ რუსეთის სპეცსამსახურებს ერთადერთი მიზნით — ერთმანეთთან ანგარიშის გასასწორებლად!

331. ქართველთა ბუნების განმჭვრეტი დავით ალმაშენებლის ისტორიკოსი იუწყება: „ვინაიდან ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდდნენ, განსუქდნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი ან ხილულნი".

332. „ფაქტია, რომ სამხრეთ საქართველოს ქართველმა მოსახლეობამ ასეთი კატასტროფა განიცადა — უცხო რელიგიამ ქრისტიანობა ნალეკა (ხედავთ, სიტყვა „ნალეკვაც" ლეკიანობიდან მო-

*დი მორალური გამოცდების ჟამს გარიდება არჩია".*

*გაზეთში წავიკითხე, რომ ადამიანს, თავისი სიცოცხლის მესამედი, თურმე, სძინავს. ერთი მხედვით, ეს საკმაოდ ბევრია და უძვირფასესი დროის უქმად ხარჯვის შთაბეჭდილებასაც ქმნის. მაგრამ ყველაფერი არც მთლად ისეა, როგორც ჩანს. თურმე, არსებობს ძილის, უფრო ზუსტად კი სიზმრის ძალიან ბევრი სახეობა, რომელსაც ადამიანისთვის ბევრი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია. მაგალითად, ყველაზე საინტერესო — დიმიტრი ივანოვიჩ მენდელეევის სიზმარი ყოფილა, რომლითაც მან პერიოდულობის სისტემის აღმოჩენა შეძლო.*

***P.S.*** *ზოგიერთს, დღის განმავლობაში, კი აქვს თვალები დახუჭული, მაგრამ... ზეზეურად სძინავს (ჭკუას ვერ მოსთხოვ). მოფიქრალ კაცს კი დღეღამეში 24 საათიც არ ჰყოფნის!*

*არასდროს დამავიწყდება ერთი ქუთაისელი „მაინძელი" რომ გადამიდგა წინ და თბილის-*

დის — გ.ნ.). გამუსულმანდნენ სომხებიც (რომლებმაც, ქართველებისაგან განსხვავებით, თავიანთი სომხობაც კი დაივიწყეს!). „სპარსულ-თურქული ენები ქართველი ფეოდალების სამეჯლისო-სასაუბრო ენებად იქცა. მოკლედ, „უკადრებელსაც კადრულობდნენ" ისლამურ ძალებთან კავშირით პოლიტიკური სარგებლის მისაღებად! (როგორც დღეს უკვე ოკეანის გადაღმური ორიენტაციაა!... როცა მარტო ინგლისურისა და „ჭკუის კოლოფის" — კომპიუტერის ცოდნა ითვლება განათლებად! — გ.ნ.)

დანტემ ჯოჯოხეთში უკრა თავი მუჰამედს, როგორც ერეტიკოსს, რომელმაც ისლამი ქრისტიანობას დაუპირისპირა!

მუსულმანები ეკლესიებს ხშირად იმ საბაბით ნგრევდნენ, რომ „ღამით მათი სამრეკლოების ხმები ძილს უფრთხობდნენ ანგელოზებს მეჩეთებში", ვითომ მინარეთებიდან მოლებისა და მუეძინების ხმა გულზე ეხატებოდა არამუსულმანს!

336. იოჰან გოტფრიდ ჰერდერი თავის „იდეებში კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიის შესახებ" (1784-1791) საქართველოს გამო გვაუწყებს: „სავალალოა ქრისტიანული საქართველოს ბედი. მასში არის ეკლესიები და მონასტრები, არიან... ქალები ლამაზები, კაცები გულადნი და მაინც, მშობლები ჰყიდიან შვილებს, ქმრები — ცოლებს, თავადნი — ყმებს, მორწმუნენი — მღვდლებს. უცნაური ქრისტიანობა სუფევს ამ მხნე, უნდო, მტაცებელ ადამიანთა შორის".

...არის მოსაზრება, რომ მისიონერები საგანგებოდ აზვიადებდნენ და ამუქებდნენ მდგომარეობას, რომ მათ მიერ ამ უკეთურობათა ამოძირკვის მცდელობას მეტი ნათელი დაადგან, თუმცა, ისიც ფაქტია, რასაც თვით დავით გურამიშვილი ლექსად უტოვებს საქართველოს ისტორიას:

„...შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა,
ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა;
ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა გზირისა,
ტყვეობა, მოკვლა, ტაცება ქვრივთა, ობოლთა მწირისა!"

358. „ახლა კიდევ ერთი „ხიფათის" შესახებ, რომელსაც ჯორჯ სოროსი ჰქვია". კონსერვატორი არმსტრონგ უილიამსი სოროსს „მორალურ ბანკროტს" უწოდებს: მას ეზიზღება ღმერთი და მისი ბიბლიური პრინციპები. მას სძულს ყოველივე, რაც სიკეთესთან არის დაკავშირებული. იგი მიესალმება ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინებას... იგი თავს ესხმის ეკლესიას და ყველა იმ ინსტიტუტს, რომელიც მონოდებულია, შეგვინარჩუნოს და შეგვახსენოს მორალის სტანდარტები და პრინციპები".

„არავინ იცის, რა დემონები მართავენ სოროსს, რომელიც ანტისაოჯახო პრობლემებზე მუშაობს" (რობერტ ჰ. კნაითი, ამერიკის კონსერვატორ ქალთა კულტურისა და ოჯახის ინსტიტუტის დირექტორი). იქმნება შთაბეჭდილება, რომ მას სურს მთელი მსოფლიოს თავდაყირა დაყენება და მორალის შეცვლა ამორალურობით!

ბერი პაისი (მთაწმინდელი): „მცირე სიკეთე დიდ ბოროტებაში იძირება და ხელისუფლება ხელთ უპყრია ბოროტებას... ღმერთი ამჟამინდელ სამყაროს ორივე ხელით იფარავს, მაშინ, როდესაც წარსულში ერთიც ჰყოფნიდა".

364. სხვა რუსი მწერლებისგან განსხვავებით, რომლებიც სიამოვნებით ლანძღავენ მხოლოდ სტალინსა და სტალინიზმს, ძველი კატორ-

ღელი, ერთხანს სამშობლოდან დევნილი, შემდეგში კი ნობელის პრემიის ლაურეატი ალექსანდრე სოლჟენიცინი ამხელს ლენინსაც და ლენინიზმსაც!

„არქიპელაგ გულაგის" პირველ ტომში იგი არ მოერიდა მაქსიმ გორკისადმი პროლეტარიატის ბელადის ხულიგნური წერილის გამოქვეყნებას. როდესაც დიდმა პროლეტარულმა მწერალმა ლენინს შეჰბედა შენიშვნა — ინტელიგენცია ხალხის ტვინია და არ შეიძლება მისი განადგურებაო, ამაზე მავზოლეუმში ახლაც გულხელდაკრეფილმა და „ანგელოზივით" განსვენებულმა სატანამ უპასუხა: „ინტელიგენცია ხალხის ტვინი კი არა, ГОВНО-აო! (წიგნის ავტორი ერიდება ამ სიტყვის ქართულად თარგმანსაც კი!)

თუმცა, დიდ ბელადს ინტელიგენციის „ინტელიგენტურ" შეფასებაში დღესაც გამოუჩნდნენ ღირსეული მემკვიდრეები საქართველოში, რომლებიც ერის შემოქმედებითი პოტენციალის მატარებელ ადამიანებს, მთელი თავისი „უნიტაზური" ზრდილობით, „ჩარეცხილებს" ეძახის!

ასე, რომ ამ სუნიან სიტყვას დღესაც ჩხრიალ-ჩხრიალი გაუდის ე.წ. „კლოზეტებში"!

აქვე, კიდევ მახსენდება ებრაელი ძმების ანეგდოტი — მათი მავზოლეუმის ანუ ჩვენი პროლეტარი ლხინისუფლის ... ჭირისუფლობის ამბავი. იდგნენ, თურმე, გრძელ რიგში და მიადგნენ მავზოლეუმის კარებს, სადაც კარისკაცმა ჯარისკაცული სიტყვა შეაგებება მათ: მობრძანდით, მოიხადეთ თქვენი მოქალაქეობრივი ვალი და... მიბრძანდითო... ამის თქმაზე მოშეს თვალები გაუფართოედა და ძმას გადაულაპარაკა:

გესმის, ხაიმ?... ჩვენ, თურმე, კიდევ ამ კაცის ვალში ვყოფილვართო (?)

...დაუოკებელია ის ზიზღი, რასაც სოლჟენიცინში არარუსი ბელადი იწვევს... და თვით სოლჟენიცინიც იწვევს აშკარა მიკერძოებას ქართველების მიმართ: იგი მხოლოდ და მხოლოდ ორატორი პატიმრის საეჭვო მონათხრობზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ციმბირში პოლიტპატიმრებს ხვრეტდნენ მხოლოდ ქართველებისგან შემდგარი ასეულებიო... (ეს მაშინ, როცა სტალინის 500-კაციან დაცვაში ერთი ქართველი არ ერია!)

სხვათა შორის, ის „ორი მონმეც", ალბათ, იმ პრინციპით „შეირჩა", რომ დიდი მწერლისთვის ცნობილი იყო ლათინური პოსტულატი — ერთი მონმე... ნოლიაო!" ჰოდა, 1+1= და გახდა 2(!) პროფ. თაკერიც სტალინს ივანე მრისხანეს ადარებს.

არადა, სადღაც უკვე ვთქვი და ვიმეორებ, თუ გულზე მჯიღის საცემად ელაპარაკობთ — ქარ-

*ში არ მიმშვებდა: რას უყურებ, ბიძია, მაგ საათს? მაგას რომ ჭკუა ჰქონდეს, 24 საათს არ იმუშავებდაო!*

*...ისე, სიზმრებში მეც ბევრი კაი დრო გამიტარებია და აზრიც გამომიტანია! ლექსიც მოსულა და ბევრი ღამეც გამითენებია!*

*სტრიპტიზი თბილისში!*

*„რეზონანსი": რა ღირს აქ შემოსვლა და რას სთავაზობთ აქ შემოსულ სტუმარს, რომელიც ამ თანხას გადაიხდის?*

*პატრიცია დელონი, სტრიპტიზკლუბის მფლობელი: 50 ლარი. ამ თანხაში შედის ერთი „ველქომ დრინქი" — სპეცკოქტეილი კლუბისგან და, ასევე, შედის კანაპეების ასორტი და, რაც მთავარია, შოუ. შოუ შედგება ორი ნაწილისაგან. ეს არის „ნონსტოპი", როდესაც გოგოები გაუჩერებლად ცეკვავენ სცენაზე სტრიპტიზს. ამის შემდეგ იწყება შოუ.*

თველებს თავიანთი მეფეების სადიდებლად მათი ზედწოდებებიც ეყოფათ: დავით — აღმაშენებელი, მზე — თამარი, გიორგი ბრწყინვალე, დიმიტრი — თავდადებული (რუსული კი: ივანე მრისხანე, ცრუ დიმიტრი, უბედური რუსი და ა.შ.)

მოკლედ, სოლჟენიცინურად, „ყველაფერი კარგი რუსულია, ყველაფერი ცუდი — საბჭოთა".

385. ვინ არის ნამდვილი პლაგიატი?

გერმანელი ლიტერატურათმცოდნე ი. ვერნერი (1986) წერს, რომ გოეთე პირდაპირ ავალდებულებდა მწერალს, გამოეყენებინა ყოველივე, რაც კი წარსულის ან თანამედროვე მწერლებს შეუქმნიათ... „ყვავილი მოწყვიტოს იქ, სადაც კი ჰპოვებს. მხოლოდ სხვათა საგანძურის მითვისებით აღორძინდება-ხოლმე დიდებული რამ". ჰაინეს სიტყვებით: „ხელოვნებაში არ არსებობს მერვე მცნება, პოეტს შეუძლია, ყველაფერი აიღოს, თუკი თავის ქმნილებისათვის მასალას ჰპოვებს".

386. ჯორჯ კოლინგვული (1889-1943), ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ხელოვნების თეორეტიკოსი თავის „ხელოვნების პრინციპებში" ილაშქრებს ე.წ. „ესთეტიკური ინდივიდუალიზმის" წინააღმდეგ: „ინდივიდუალიზმი დაჟინებით ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტი ხელოვანის ნამუშევარი სრულიად „ორიგინალურია"... ადამიანები, წინასწარ შექმნილი ასეთი ყალბი აზრით, პირდაპირ შოკში ვარდებიან, როდესაც იგებენ, რომ შექსპირის პიესები, განსაკუთრებით „ჰამლეტი", წარმოადგენენ მხოლოდ სხვა ავტორთა პიესების გადამუშავებას, ნაწყვეტებს ჰოლინშედიდან, პლუტარქეს „პარალელური ბიოგრაფიიდან" და ციტატებს Gesta Romanozum-დან. მათ ანცვიფრებდათ, რომ „სკერცო" ბეთჰოვენის დო მინორ სიმფონიისა იწყება მოცარტის სოლ მინორ სიმფონიის „ფინალით"... ამ ტიტანებს რომ გაეგოთ, ეს პრაქტიკა ვიღაცას შოკში აგდებდა, ერთობ გაიკვირვებდნენ! ხელოვანთა თანამშრომლობა ძველისძველი შემოქმედებითი წესია. აიღე საუკეთესო და გახადე კიდევ უფრო უკეთესი. ეს პროგრესია!

445. „გოგი გაჩეჩილაძე გახლდათ ზ. გამსახურდიას „მრჩეველი", რომელიც ყველა პრივილეგიით სარგებლობდა შავი „ვოლგითაც" დასრიალებდა. გამსახურდიას მთავრობის შემდეგ იგი შეეცადა შევარდნაძესთან დაახლოებას: სახოტბო წერილები დაუწერა. ამან არ გაჭრა. მერე დოდონა კიზირიას — აშშ-ში მცხოვრებ ქალბატონს — დაუახლოვდა და სერიოზულად განუცხადა, რომ მას გალაკტიონისა და დოდონა კიზირიას პოეზია მოსწონს. ამ უკანასკნელის მეშვეობით იგი რამდენჯერმე იყო ამერიკაში. ცნობილია დ. კიზირიას მიერ ილიას „ოთარაანთ ქვრივის" ფროიდისტული გარჩევა. „მაგ. ოთარაანთ ქვრივი გარდაცვლილი მეუღლის თოფს რომ წმენდდა, ამით იგი, თურმე, მის Penis-ს ეალერსებოდა (?) ალბათ, ამის გამგონე ერის მამა დიდი ილია საფლავში გადაბრუნდებოდა!

...შემდგომში გ. გაჩეჩილაძე ასლან აბაშიძის პარტიაში შეღწევას ცდილობს. მერე იგი სააკაშვილის მრჩევლადაც გვევლინება და ეს უკანასკნელი „სიცილით" გადასცემს „ღირსების ორდენს".

---

*ემერსონი: ცივილიზაციის ყველაზე უტყუარი საზომი არის არა მოსახლეობის რაოდენობა, არა ქალაქების სიდიდე, არა ჭირნახულმოსავალი, არამედ ღირსება იმ ადამიანისა, რომელთაც ქვეყანა წარმოშობს.*

451. „რომში განსწავლულმა თეოლოგმა ნოდარ ლადარიამ — პაპის, თუნდაც წარსულში სახელგანთქმული კარდინალის, გვარი არ იცის". ავადმყოფური ამბიციებით შეპყრობილი გაზ. „24 საათის" პრესომბუდსმენი ლადარია (რომელიც, ამ არეულობის ჟამს, როგორც იტყვიან, ლატარიაში გვერგო — გ.ნ.) წერს: რომში შევხვდი ერთ კარდინალს, და მითხრა: ვინ იყო ის სათვალიანი კაცი, თბილისში მყოფ პაპს რომ მიესალმა კრწანისის რეზიდენციაში და თავის სიტყვაში ლათინურ სიტყვებს რომ ურევდაო. „თურმე, ნუ იტყვით და საუბარი თამაზ გამყრელიძეზეა", რომლის ენათმეცნიერებაში ეჭვის შეტანა მკრეხელობასა ჰგავს.

თ. ჭანტურიშვილი: მამათმავალი ხომ არ არის ლადარია?

გ. დოლიძე: ლადარია კეკლუცობს.

ნ. ლადარია: ...ტრაკს მივცემ, ოღონდ ამერიკას ჩავუდგე ჯიბრში!" (ჟურნალი „რელიგია", 1-2-3. 2006წ.) ვის რაში სჭირდება მისი ან თავი, ან...

„ამას თუ მოვესწრებოდი, რომ ქართულ გაზეთში შეგონებას — „ენა, მამული, სარწმუნოება" (შეგინებად აქცევდნენ) გააბითურებდნენ, აღარ მეგონა. და, ვინ სჩადის ამას? სულით მახინჯი მაჯლაჯუნა, რომელიც... აფსუობს... მეტი რა უნდა ეთქვა ფშუტ და ბოროტ ლადარიას? სამაგიეროდ, ჩვენს ქაჯებში მას დიდი გასავალი აქვს... იგორა, იგორა და მოგორდა საქაჯეთში!"

463. 9 დეკემბრის სატელევიზიო გადაცემა „მზეზე", როგორც ჩვენი საზოგადოების სავალალო სახე („24 საათი, 2005წ. თებერვალი) შედგა დუელი მემარჯვენე დეპუტატ ბ-ნ გამყრელიძესა და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორ ბ-ნ ჯგერენაიას შორის. ეს უკანასკნელი აუგად იხსენიებს ქართულ სუფრას, სადაც ქალის როლი, თურმე, სუფრის გაწყობით ამოიწურება და ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა („მოვესიყვარულოთ ერთმანეთს", „ჩავეხუტოთ ერთმანეთს") პედერასტულად ჟღერს.

ბატონი გამყრელიძის მხრიდან სრულიად ბუნებრივი იყო რეაქცია „ჯგერენაიას" ამ არა „ჯგირო" ანუ არაჯანსაღ აზრებზე და იგი მიწასთან ასწორებდა ამ „ჰომოინტელექტუალურს", ეს (ყოვლად) უკანასკნელი კი ჯიუტად იცავდა თავს — დეპუტატის საქმე „კანონებზე მუშაობაა" და არა „ინტელექტუალთა" აზროვნების გარჩევაო! მეო, ეს „ეპატაჟი" განგებ მოვახდინე, რომ მოქეიფეები გამომეფხიზლებინაო! და თავისი პოზიციის გასამყარებლად ცნობილი ფრანგი მწერალი და... პედერასტი ანდრე ჟიდი დაასახელა. მოკლედ „საპახმელიო" ბორჯომობაზეც კი დებს თავს!

როდესაც სტრიპ-ტიზი მიმდინარეობს რამდენიმე გოგოს მონაწილეობით. „რეზონანსი": კუპეები თუ არის? პატრიცია დელონი: კი. რა თქმა უნდა. პრივატ-დანსი ჰქვია. გვაქვს სამი პრივატი. შემოსულ სტუმარს შეუძლია გოგო დაპატიჟოს განკერძოებით. სადაც სრული სტრიპი ხდება ანუ ბოლომდე იხდის გოგონა. სცენაზე მხოლოდ წელსზემოთ იხდიან. გვაქვს „ქრეიზი მენიუ". ერთეული მასაჟი დარბაზში — 20 ლარი ღირს. „თეიბლ დანსი" ანუ ცეკვა მაგიდასთან — 30 ლარი, „ლეპ დანსი" — ანუ ცეკვა მაგიდასთან მუხლებზე — 40 ლარი... რომანტიკული საღამო გოგონასთან ერთად — 150 ლარი, არის 30 წუთი გოგონასთან მაგიდაზე კომუნიკაცია. „პრივატი" ერთ გოგონასთან — 100 ლარი, ორ გოგონასთან „ლეზბოშოუ" — 250 ლარი.

„ქრონიკა". 17-23.11.2008

P.S. როგორია? მახსენდება ერთი, ჩვენზე უფრო ძველი

492. შეგვეძლო თუ არა, თავიდან აგვეცილებინა 9 აპრილის ტრაგედია?

„ცხადია, შეგვეძლო. საქართველოს პატრიარქი მობრძანდა და მომიტინგეებს სთხოვა, წამომყევით, ეკლესიას შევაფაროთ თავიო... მიტინგის მესვეურებმა უარი უთხრეს. ერთ-ერთმა ხელიდან გამოგლიჯა მიკროფონი და ხმამაღლა წარმოსთქვა: „მამაო ჩვენო!“ ეს საქციელი წარმოუდგენელი უტიფრობა და ზღვარგადაცილებული უზნეობა იყო.

ამის შემდეგ მოსახდენი მოხდა. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა თავს უშველეს, პირველნი გაცვივდნენ დაოთხილნი. არადა, სწორედ მათ თქვეს უარი დაშლაზე... წესით, ისინი ბოლომდე უნდა დარჩენილიყვნენ, უკანასკნელებს უნდა დაეტოვებინათ გემი.

სულო ცოდვილო!... მაშინ ისიც კი გავიფიქრე, რომ ჩვენს სულიერ მამასაც მეტი გამბედაობა მართებდა, რომ ერისთვის თავგანწირვის მაგალითი მიეცა — სულაც განეძარცვა თავი უწმინდესისა და უნეტარესის ღვთიური უფლებამოსილებიდან და მხოლოდ ლოცვად — ბერად დამდგარიყო! მაგრამ, პატრიარქი პატრიარქია და მან, როგორც ყოველთვის, ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო — სამწყოსთან დარჩა და ყველაზე დიდი გაჭირვების ჟამს... არ მიგვატოვა!

ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით, გულზე ხელის დადებითა და ამ წიგნის ავტორის... საავტორო მიგნებით — ანუ სიკვდილთან მიახლოებული ასაკის გულწრფელობით!

ასევე, ძნელი გასაგები იყო მის მიერ პროკურორ ახალაიასთვის გადაცემული უმაღლესი საეკლესიო ჯილდო — წმინდა გიორგის ჯვარი! ჯილდოს მნიშვნელობაზე თავის დროს წერდა ჩემი სახლიკაცი შოთა ნიშნიანიძე: როცა იგი დამკიდეს ყელზე, ვიგრძენი, როგორ მიჭერდა ყულფიო!

სიბრძნის გაგებას — სიბრძნე სჭირდება!

სიკეთის მკეთებელს — სიკეთის დამნახველი!

სიკეთე კვეთე — ქვაზე დადე, მადლი ჰქენიო.

„მოთმინებითა მოიპოვე სული შენიო!“

ღმერთო, პატრიარქი გვიცოცხლე, რომ ვიყოთ მისი ლოცვა-კურთხევით!

545. გენერალსიმუსმა ფრანკომ ბრძანა, შეექმნათ მემორიალური კომპლექსი ე.წ. „დაცემულთა ველი“, სადაც გადაასვენეს სამოქალაქო ომში დაღუპულები — როგორც „გამარჯვებულთა“, ასევე დამარცხებულთა" ცხედრები, რაც სიმბოლო უნდა გამხდარიყო „ორი ესპანეთის" შერიგებისა.

P.S. ერთხელ, გენერალმა ანზორ მაისურაძემ (გმირთა მოედანზე, მემორიალთან გავლისას) მითხრა, რომ აქ არა მარტო ერთი მხარის მეომრები, არამედ მოწინააღმდეგე მხარის მებრძოლების გვარებიც უნდა ეწეროს, ეს ძმათა ომი იყოო!

ჭეშმარიტად!

547. ტელეეკრანიდან მოვისმინე: 600 000 დოლარი უჯდება პარლამენტს, ყოველწლიურად, მარტო ახალი ფირმა მანქანების შეძენა.

595. ჭაბუა ამირეჯიბი: „ძმაო და ბატონო ვიქტორ!

ლამაზი და მძლე სახელი გქვია — გამარჯვება!“

---

*ფრ. ენგელსი: როდესაც ადამიანებს ისეთ პირობებში აყენებენ, რომელიც მხოლოდ ცხოველებს შეეფერებათ, მათ სხვა აღარა დარჩენიათ რა, გარდა იმისა, რომ აჯანყდნენ, ანდა მართლაც ცხოველებად გადაიქცნენ.*

თამაზ კვაჭანტირაძე:

ვიქტორ რცხილაძე სამშობლოთი დაავადებული კაცია — ანუ სამშობლომანი!

..."დაეიფიცეთ, რომ საქართველოს განთავისუფლებამდე ცოლებს არ მოვიყვანდით — სამშობლოს სიყვარულში ცოლ-შვილიც კი არ უნდა ჩაგვეზიარებინა." — წერს იგი.

იგი დღესაც ათავისუფლებს საქართველოს!

## *ჩემი წიგნების დიასახლისებს!*

### ლექსპრომტი

... და შევტოპე ჩემს წარსულში...
და გადაერჩი ძლიეს ამ მორჟეს...
გაუმარჯოს ჩემს დაქალებს —
რედაქტორს თუ კორექტორებს...
ქალბატონებს: ანი ხიხაძეს,
ნატო დაეითაშვილს,
ირინა შაელაძეს და მზია ერისთავს!

* * *

ჩემი აბდიდან — უბდამდე 29920 დღე და ღამეა ანუ 82 წელი-წადია!

დააკვირდით, თვითონ სიტყვაც არ იცდის — წელი... წადიო და მიდის, მიქრის, გარბის უკანმოუხედავად!

წინ იყურეო! — ვამბობთ სიჭაბუკეში.

ხან უკანაც მოიხედეო! — გვაფრთხილებს ხანი!

ხან დაზმული ვარ — ხან არა... ხან არც ესა ვარ — არც ისა... რაცა მაქვს — ის არ მაწუხებს და რაც არა მაქვს — არც ისა!

„ახლა თბილისში გამარონია და მერე მომკლა, აღარ დავეძებო" — მუხრანმა. ან თბილისი სადაა ან ის თბილისელი?!... ხანდახან ვიღაც ნაცნობს მოკრავ თვალს, ან ვიღაცას მიამსგავსებ. გული აგიჩქარდება, ფეხს აუჩქარებ, ვიღაცას გამოელაპარაკები და... არ გამოგელაპარაკება.

გარბის სადღაც.

სადღაც ეჩქარება!

ვერა, მაინც...

სალანძღავ სიტყვად იქცა.

ქუჩაში გამოტანილ წიგნებში ვიყიდე კოტე ყუბანეიშვილის ლექსების კრებული „ძალა... გართობაშია".

ჰყავდა უბანს ერთი შვილი — კოტე ყუბანეიშვილი.

ოჰო! „უბანი" რადგან ახსენეს, ესე იგი უბნელობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს „სიბნელეს" და მთლად

*ანეკდოტი: თბილისელმა პარიზელს უთხრა: თქვენთან თუ ყირამალა, ანუ „69" პოზაა, ჩვენთან უკვე „71" - იცაა... „+2 თითოც უკანო!"*

*...რას მოუკვეხსნარით!*

*ძირძველი სამაჩაბლოს გასამხრეთოსეთების მხურველებს, სხვათა ტერიტორიებზე მადის აღსაძვრელად, მინდა შევახსენო ერთი ტოპონიმი, რომლის სახელს ატარებს ცნობილი ზღვა, სახელწოდებით „ეგეოსი"! ამაზე მეტი „საბუთი" რაღა გინდათ?! – ეგე ოსია! რაც ეგრევე ადასტურებს ამ ზღვების „ვინაობასა, და კუთვნილებას", რასაც, როგორც იტყვიან, „წყალი არ გაუვა"!*

*ნიკოლ კიდმანი კაცად აპირებს გადაკეთებას! – წერენ გაზეთები. ახლა ის დროა, როცა კაცი კაცს ეკითხება, რა შეგეძინა – ბიჭი თუ გოგო? და, პასუხი გამაოგნებელია: გაიზრდება და თვითონ გადაწყვეტს, ბიჭი იყოს თუ გოგო!*

არ გადაშენებულა.

ცხონებულმა მამაჩემმა (ვერელმა კაცმა) სიკვდილის წინ, მახსოვს, ასეთი სიტყვები მითხრა: „რა გეშველება, შე საწყალო, უჩემოდ ოჯახი როგორ უნდა არჩინოო" (კ. ყუბანეიშვილი).

ეს დარდი მამების თაობისაა.

შარდენზე შევხვდით ერთმანეთს და, კაი ძველი ძმაკაცებივით, „გადავპროშნეთ ერთმანეთი".

ეს კაცი ჩვენი მარაქისას უფრო ჰგავს, ვიდრე ახალ თაობას. წიგნის ყდაზევე ჩანს (რას წერს საკუთარ თავს): თუკი არა ხარ რეგვენი, ადექი, რამე ილონე, აილე, რამე შექმენი ან რამე გამოიგონე და გიტეხია თავში ქვა, გინდ თვალს გაყარონ ნაცარი... ეგება, ოდნავ აღიქვა, ეს სინამდვილე რაც არი.

აი, ასე!

ანყვეტილი ფიქრების თარეშით...

ყოველგვარი ცერემონიისა და სასვენი ნიშნების გარეშე!

## ბგდაშვდის ნააგდაშვდარი!

უნივერსიტეტთან ვდგავარ და მლოცველსა ვგავარ. ერთმა, ღმერთმა გაგვესაჯოს ანი: რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით... და რატომ გვქვია კაცნი? სიჭაბუკე სიგიჟის ნაირსახეობაა —

შეიცან შენი თავი!... ცხოვრება ავისა და კარგის ცნობაა —ცხოვრებას ნააგავს ზვავი!

ჩვენი ცოცხალი სვეტიცხოველი იყო რექტორი ნიკო კეცხოველი! საკუთარ მამაში ვერ გაარჩევდი — თუმც, სიტყვასა და თვალს ვერ შეაჩვევდი!

და იყო სამოთხე ედემის ბაღისა — რაც ღმერთმა მოგვცა და რაც ბედმა გვაღირსა!

* * *

გია ბურჯანაძე („კვირის პალიტრა", 28.07-3.08.08): რაც ბიძინა ივანიშვილზე წავიკითხე, იმის შემდეგ ჟურნალისტების დანახვა აღარ მინდა.

„თქვენი ზოგიერთი ნაძირალა კოლეგის გამო, ყველას გაქვთ ბოდიში მოსახდელი".

ბიძინა ივანიშვილი ვირტუალური პირია, არავის უნახავს და, ე.ი. ეს კაცი სინამდვილეში არც არსებობსო (?!)

„ყველას ტალახს სცხებენ გამორჩენის მიზნით. „შინაგანი სისუფთავე, ზნეობა გვაკლია".

ჩვენ კი, პირიქით, სიტყვა ვერ გვიპოვენია ამ კაცის იგავმიუწვდომელი სიკეთისათვის და ლექსად ვილვრებით:

ამას სხვას ვერაფერს ვადრი —
შენ იცი სიკეთის ყადრი.
შენა ხარ ის ნატვრის ხეო,
რომელსაც ასხია მადლი!

---

*ეშენბახი: მაღალი ღირსების ადამიანებს... მცირე შეცდომებსაც კი ადვილად არ აპატიებენ!.*

ამას არ ჰქვია დახმარება –
ესაა სულის გახარება,
რის ეშმაკს არ ეხარხარება –
როცა სიხარულობს სახარება!

მერაბ მამარდაშვილი („ჩახშული ფიქრი“ — საუბრები ანი ეპელბუამთან): სულაც არ მინდა, დამიბრუნდეს ახალგაზრდობა... არ ვისურვებდი, კიდევ გამევლო არყოფნის ის რისკი, რომელიც ასე ემუქრება მომავალ თაობას.

...ვერ წარმოგიდგენია, რა მიმზიდველია ტოტალური აზროვნების სიმარტოვე... ასეთი აზროვნება ნებას იძლევა, თავი ჭკვიანი გეგონოს...

...მარქსიზმი, როგორც სოციალური ფორმაციის თეორია, რომლის თანახმადაც, ჯერ იყო მონობა, შემდეგ ფეოდალიზმი, შემდეგ კაპიტალიზმი და ბოლოს იქნება სოციალიზმი — წმინდა წყლის იდიოტიზმია!

რა არის ფილოსოფია? ძალისხმევა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გაიგო ის სიცხადე, შენ წინ რომაა.

ქართველებში არის წარმოუდგენელი სწრაფვა სიცოცხლის სიხარულის მიმართ. ჩვენს მხიარულებას... საფუძველი არა აქვს, მე ვიტყოდი, კანონიერიც არაა. ეს მხიარულება არის ყველაფრის მიმართ და ყველაფრის სანინააღმდეგოდ.

P.S.„მერაბ“ უკუღმა „ბარემ“-აა და ბარემ აქვე ვიტყვი ერთ „უკუღმართ“ აზრს. ჩემი აზრით, ამ „სიცოცხლის სიხარულმა“ და, თუ გნებავთ, უდარდელობამ გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღემდე. ამ განწყობილებითაა დაწერილი ეს სტროფიც:

ალარაფრის დარდი აღარ მაწუხებს —
დაევეხსენი ამ ცხოვრების მარწუხებს.
უდარდელის მარიფათიც გაჩვენე...
რაღას ეუცდი?
ისევ დარდი მაჩერებს.

და, სწორედ იმ ჭკუაზე ვარ, რამაც ომარ ხაიამს ათქმევინა:

„ორი დღის თავშესანახი თუ გაქვს ერთი პური.
ყელმოტეხილ დოქში წყალი — ცივი, საამური...
რატომ უნდა ემსახურო სხვა კაცს, შენზე მცირეს,
ან თვითონ შენ რაღად გინდა სხვისი სამსახური.“

ამავე განწყობილებამ მათარგმნინა უცნობი ავტორის ერთი ასეთი სტროფიც:

ქეიფის არსებობს ათასი საბაბი:
ქაბაბი-ხინკალი, ხინკალი-ქაბაბი.
დღეობა, ღრეობა, რაღაცის ვალებში...
და „პროსტო“ ქეიფი — საბაბის გარეშე!

დედაკაცების საყურადღებოდ!

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს ულამაზესი მამაკაცების სიას:

1. დევიდ ბექჰემი; 2. მაქსიმ ჩმერკოვსკი; 3. შემარ მური (მსახიობი); 4. ანტონიო საბატო (უმცროსი, მსახიობი); 5. მაიკლ ფელპსი (მოცურავე); 6. ჯეს მეტკალფი (მსახიობი); 7. ჯერი ო კონელი (მსახიობი); 8. ეშტონ კუტჩერი (მსახიობი); 9. კრის კარმაკი (მოდელი, მსახიობი); 10. მარიო ლოპესი (მსახიობი, მოცეკვავე).

პირს ბროსნანი მე-11 ადგილზეა, ორლანდო ბლუმი — 28-ეზე, უილ სმითი — 32-ეზე, დენიელ კრეიგი — 36-ეზე, ენრიკე იგლესიასი — 46-ეზე.

**P.S.** უნებლიეთ იბადება სტროფი:

ვინ ვის უნთებს სანთელსა და კოცონს?
საკუთარი ეშხი ვისაც წვავს.
კაცს, რომელსაც თავის თავი მოსწონს...
ამას უკვე ერთი ცოლი ჰყავს!

* * *

ვისაც შია და წყურია, ვინც ხელს თავში იცემს —
მონობიდან გაიქცეს და გმირად უნდა იქცეს!
სამართალმა პური ჭამოს, რომ ეშველოს საშველს,
წაეშალოს წასაშლელი ისტორიის საშლელს.
გამოეიდეს ქუდზე კაცი და ხალხს ბრბო არ ერქვას —
სასროლად ვერ იმეტებდეს საშენებლო ერთ ქვას.
არ ჩაქოლოს მომავალი, ხმა არ მისცეს წყეღიაღს.
ემსახუროს მხოლოდ, რასაც საქართველო ჰქვია!

ძირითადი ტექსტიდან ჩამორჩენილი კიტა ბუაჩიძის პირის საქციელში და ქარაგმული ნააკვესში!

„მაშვალი საპატარძლოს აქებს: ხუთ ენაზე ლაპარაკობს, ბატონო!

— განიე იქით. ერთ ენაზე მოლაპარაკეს ვერ ვუძლებთ და ხუთ ენაზე მოლაპარაკეს რა გაუძლებს.

ეს მასალა კიტას მეუღლემ, აკადემიკოსმა თინა ბარამიძემ რომ წიგნი მაჩუქა (ნარნერით), იქედანაა: „კიტა ბუაჩიძის წიგნის გზის გამკვალავს! მთელი შენი მოღვაწეობა არის პროფესიონალიზმის, სიკეთის, სიყვარულის, მეგობრობის, ადამიანური ურთიერთობის ხელოვნება", ვკითხულობ ფორზაცზე და მიხარია ამ ნაცრხარი სტრიქონების გადარჩენა!

დრო დაგვიდგა იმფერი, მკვდარიც ცოდვაა და ცოცხალიც.

ომი მოიგეს... დახოცილებმა!

იმდენად ზარმაცი იყო, რომ დამთქნარებაც კი ეზარებოდა.

პატიმრების ქეიფი: — მიესაჯოს ათი ჭიქა, სინდისის კონფისკაციით.

სიუხვით — შემოდგომას ჰგავდა, სიტურფით — გაზაფხულს.

ბევრი ვწყევლე, მაგრამ არ მიუვიდა.

კიტა ბუაჩიძე მუქი საღებავებით გვიხატავდა ჩვენს ნათელ სინამდვილეს და მომავალს!

— ბედნიერი კაცი ვარ: როცა მინდა, თავს მაშინ მოვიკლავ!

მან ცხოვრება გააბოლა!

ნათელა სტურუას ცეკას ყოფილ მდივან დევი სტურუაზე ჰკითხეს, შენი ბიძა იყოო?

— ახლაც არისო. — უპასუხა.

მწერალი გურამ გოგიაშვილი:

მეჯავრება ტყუილების კითხვა!

კ.ბ.: აბა, მართალს რას და სად კითხულობ?

P.S. ამ მარგალიტების ძებნაში, ეს წიგნი (თუ ხელში ჩაგივარდა), თავს აუცილებლად წაგაკითხებს!

* * *

თუ ბოროტებას მოუცდა ფეხი —
გაეარდა მეხი — დახედა უკმეხი!
მოეარდა სეტყვა და დახედა ქვები —
ქვაზე მაგარიც არის სიტყვები!

* * *

შიშველ-ტიტველი მოდიხარ,
ჩაცმულ-დახურული მიდიხარ.
მიდიხარ სად? — აზრზე როდი ხარ —
მიდიხარ და უფრო მშვიდი ხარ.
თვალი ორმოცს შემდეგ გეხილება —
აქ სულ სხვა დროა და ჩვეულება.
სიკვდილი ბოლო საიდუმლოაო...
თვითონ სიცოცხლეც გეუბნება!

## ოთარა მგელაძე

თავისი თავისა გარდა —
ოთარა არავის ჰგავდა.
ჭკვიანი გიჟი იყო —
ოფოფებიცა ჰყავდა!
ო-თარი იყო თარი —
ცხოვრება დაამღერა —
ვერისთვის არაა მკვდარი —
ცოცხლებში ეუტოლებ ვერას!

## ძველი იყავი — ახალ არაკად

**(მხოლოდ ჩვენ შორის სალაპარაკოდ!)**

რწყილი და ჭიანჭველა ტლინკებს ყრიდნენ —
რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ.
რწყილი და ჭიანჭველა დაცოლშვილდნენ
და, როგორც იქნა... დაშოშმინდნენ!

* * *

როცა მუზა გეწვევა
და არა გაქვს საშველი...
„საკალმასოდ“ გეწევა
ფანქარი და საშლელი!

## გახსოვდეს!

... დიახ, ასედაც ხდება —
ჩემო სისხლო და ხორცო:
ვინ — სიცოცხლეშიც კვდება,
ვინ — სიკვდილშიაც ცოცხლობს!

* * *

აი, ასე...
ასე ჩემო ძამია!
ეს სოფელი წუთია თუ წამია.
ვისაც არ ერგება — არც შეერგება —
თავკერძ კაცს გზა — ფეხქვეშ არ გაეგება!

ერთხელ პიკასო პარიზის მერთან მივიდა და მერიის შენობის ერთ-ერთი კედლის მოხატვა შესთავაზა. მერმა უარით გამოისტუმრა, უკაცრავად, ახლახან გავაკეთეთ რემონტი!

„ამ ქალაქში ჩასვლისას ზღვის, მდინარისა და ცის შუა აღმოვჩნდი და ამიტომაც, პირველ რიგში, თევზი მოიკითხე“. — ასე აღწერს ალექსანდრე დიუმა უფროსი ფოთში ჩასვლის ამბავს.

გიგა ლორთქიფანიძე (რეჟისორი):

პრეზიდენტის მომხრე არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ახლა მებრალება. როცა დაგაწვება სიმძიმე, რომლის აწევა არ შეგიძლია, უეჭველად გადატყდები წელში. დააკვირდით, როგორი სახე, გამომეტყველება აქვს. საშინელ განწყობაზეა, რადგან ვერ ერევა იმ ურთულეს ვითარებას, რაშიც არის დღეს ქვეყანა.

ბისმარკის ანდერძში წერია: მე ვუანდერძებ გერმანიის ყველა მომავალ ხელმძღვანელს, რომ არავითარ შემთხვე-

**დავით ოქიტაშვილი („ვერსია", 1-2.02.2010):**

„ექსკლუზიურად გეტყვით, რომ ვაპირებთ, ვარსკვლავის გახსნას „პაემანი ვერაზე", გახსოვთ, ადრე, გიზო ნიშნიანიძეს ჰქონდა ძალიან კარგი საღამო „პაემანი ვერაზე". ეს პროექტი მალე აღდგება და, აპრილის ბოლოს, ყველას ვეპატიჟებით ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი სანახაობა იქნება, რომელიც მართლა მოენატრა თბილისს."

P.S. ჩვენი ფანტაზია ახლა ფანტვაზეა!... სიყრმით მოგატარეთ მთელი ევრაზია!... თუ არც ჭურში ზიხართ და არც პანტაზეა — მთელი ევრაზია... აგერ, ვერაზეა!

აღდგომა და ხვალეო... ვნახოთ!

## „სასწაული გადაგხდომიათ?

**მერაბ ბერძენიშვილი:** ქუთაისის მემორიალის გახსნისას... ბავშვებმა ასობით მტრედიააფრინეს... საოცრება ის გახლდათ, რომ ერთი მათგანი გუნდს გამოეყო და ჩემი ქანდაკების ცხენოსან ჭაბუკს მარცხენა ბეჭზე დაასკუპდა, მეორე კი ტრიბუნაზე შემოფრინდა და ჩემს მარცხენა ბეჭზე ჩამოჯდა!.. ჯერ სიჩუმე ჩამოვარდა, მერე იქუხა ტაშმა.

რა იყო ეს, თუ არა სასწაული!

**გაზ. „მშვიდობა ყოველთა", 1997, 1-15.04**

მემორიალის ავტორის მემორიალური ფრაზა:

ვცდილობ, ისე ვიცხოვრო, ქრისტეს რომ ეკადრება — უზენაეს შემოქმედს... (ქვათა ღაღად — მადლებად!).

## ძველი ქართველები

ჯერ კიდევ ქრისტესშობიდან I საუკუნეში, ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე წერდა: „იბერები არ ემორჩილებოდნენ არც მიდიელებს და არც სპარსელებს, მათ მაკედონელთა ბატონობაც კი თავიდან აიცილესო"

### ლირიულ-დრამატული კომენტარი!

რაც მემკვიდრეობით გადმოგვეცეს წინაპრებმა —
ჩვენ სულ „დავამღერეთ" და კიდევ „მორჩა კრება"!
ასეთი შეუვალნი იყვნენ — იბერები,
ჩვენ კი ბრექი გვჭირს და ისევ ვიბერებით!

* * *

ბოროტება უფრო შორს ვერ წავა,
როცა შავი... თეთრს ასაღებს შავად?!
ღვთის წყალობას — ღვთის რისხვაში გიცვლის...
უძვლო არის ენა — რას არ იტყვის!

* * *

ბნელში ზიხარ და გულს იფხან კბენით,
ყურს მოიფხან, რომ დაგჭირდეს, ენით,
ქეციანის ოხტში მოვა ქეცი,
ბოლო-ბოლო მხეცს ჭამს თვითონ მხეცი.

---

*ვაჟა-ფშაველა: „ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება!"*

* * *

პირველად ჩემს სახლიკაცს, დიდ პოეტს შოთა ნიშნიანიძეს წავაკითხე ჩემი ლექსები, რომელთაც ეს ლექსპრომტი ნავუმძღვარე!

არ გეცილები, ძმაო, მიწაზე,
მოგყვები კეალში, გიშეელი ხენაში,
მე, ჩემს ლექსებს ეწერ, გულის ფიცარზე,
საკარმიდამო გაეიყოთ... ცაში!

## *შემინდოს უფალმა*

სანამ დარეკავს წუთისოფლის ზარი გრიალით —
სანამ ცხოვრება ჩათავდება, ოხერ-ტიალი —
ბედის ბორბალი გაჩერდება ჭრიალ-ჭრიალით —
და შეისმება მოთმინების საესე ფიალით —
ცოდვებისათვის
შენდობას ვითხოვ მამაზეციერს —
ჩემი ჭაპანი,
როგორც შეეძელ —
ისე ეეწიე!

## *ხელჩაქნეული კაცის მონოლოგი*

დამანებე, თუ კაცი ხარ, თავი!..
ყველამ თავის მოუაროს საქმეს...
მე ვინ მკითხავს — თეთრია თუ შავი...
ვინ — ცოლს უშვებს, ვინ — თხოულობს ნაქმრევს,
ვისი ქმარი — ქრთამს იღებს და ლოთობს...
ვისი შვილი — იხხირავს და ქურდობს...
ვინ და როგორ „იგებს", თურმე, ლოტოს...
ზოგიერთის ცოლი ვისთან მრუდობს...
ჩემ შემდეგ, თუნდ, ქვა-ქვაზე არ დარჩეს...
დღეს რა ვუყო ამდენ მჭამელ-სარჩენს?
პოდა, მიტომ ვეკითხები გამჩენს —
რას მაჩენდა — თუკი ველარ მარჩენს?!

## *გამოლაპარაკება საკუთარ თავთან*

ყველამ მის გულში ჩაიხედოს... ერთი ხედია! თითქოს ერთ გულით — ათას გულში ჩაგიხედია. გულის ბუხარში ახლა სულ სხვა ცეცხლი ანთია, პოდა, აგერ მეც... გადავასხი ცეცხლზე ნავთია! დღეს გაორებულ ჩემს ორეულს ველაპარაკე, ალალად ვამბობ, არ ვიგონებ იგავ-არაკებს. საკუთარ თავს და საკუთარ გულს ჭკუა ვარიგე... ვერ შევარიგე!

დიალოგი კი წარიმართა ასე, ამრიგად... კაცია ჩვენი გამგებელი, ღმერთი გამრიგე!

— რაო, რად სდუმხარ, მუზავ, რატომ დაგება ენა?

ვაში არ იომონ რუსეთთან.

ეს არ უნდა დაიწყო, თორემ მერე იმაზე საუბარი, როგორი დაუნდობლები არიან, გვიანია.

(ჯი·ვიჩ·ენი): დალასში მდებარე „დიქტატორთა ხეივანს" ... ლანჩხუთელი არქიტექტორის მიერ დამზადებული ლენინის მონუმენტიც ამშვენებს. ამერიკელი მილიარდერის ჰარლან კროუს წარმომადგენლობამ ლენინის ძეგლი ლანჩხუთში რამდენიმე წლის წინ აღმოაჩინა. ტეხასელ მილიარდერს მსოფლიოს მეხუთე „კონტინენტის" შექმნა ჰქონდა გადაწყვეტილი. ადგილობრივები ამბობენ, რომ ამერიკელებმა მონუმენტში 2 მილიონი დოლარი გადაიხადეს. ძეგლის გაყიდვა ლანჩხუთის ამდროინდელი გამგებლის გია გოთუას სახელს უკავშირდება. მისი თქმით, ჩამოგდებული ძეგლის გასხვისების დავალება კულტურის მაშინდელი მინისტრისგან მიიღო და მასში არანაირი საზღაური არ გადაუხდიათ. „ეს ძეგლი არ წარმოადგენს

— აბა, რა მეთქმის, სიტყვის ნაცვლად გაისმის ღრენა.
— შენს დუმილს, ახლა, რომ იცოდე, ღალატი ჰქვია.
— რა ეთქმის კაცსა, მოციქულობს როდესაც ტყვია...
როცა ძმა — ძმას და დედა — შვილსა არ ძმობს, არ შვილობს,
დადის სიკვდილი, დაგელაობს და ხელგაშლილობს...
— ვინ გებრძვის, ანდა შენ ვის ებრძეი, სისხლხორცო ჩემო?
— საკუთარ სისხლს და საკუთარ ხორცს... საკუთარ დემონს?
— რა გჭირს, რა ღმერთი გაგნწყრომია, ვკითხო ვინ მისანს,
ქართველის დედაო, გადმოგვხედე, დედაო ღვთისავ!
ერთი ძუძუთი შვილსა ზრდიდი, მეორით მტერსა?
— ორივე ჩემი შვილები ხართ, მე ვზრდიდი ერსა!

აბა, რამ გაყო ეს სოფელი, განუყოფელი? რამ დაგვავიწყა ღმერთი — ერთი მამა — მშობელი! რომ ძმათა შორის კაენია ძმათა მგმობელი, რომ ნუთი არის ეს სანუთრო — ნუთისოფელი! ...ქართველო კაცო, ქალბატონო, ქართველო ქალო! ვისგან მოელი ნყალობასა, ან შენ ვის ნყალობ? ანგელოზს, ეშმაკს, სიკეთესა თუ ბოროტებას? ვის აყოლიხარ, დაყოლიხარ ნებას ან სნებას? ჭკუისა გჭირს თუ უჭკუობის, როგორ გგონია?

— არ ვიცი, დღემდე მსგავსი რამ არ გამიგონია!

რის ბაზალეთი? შადიმანი? რა ბოროტება?... მსგავსი არ ახსოვს ჩვენს ჯიშ-ჯილაგს გაბოროტება! დგას გორგასალი — ხელანვდილი ხელისუფალი, გაქვავებული, შეყინული ხმალ-შიმშერ-ფარით!.. დგას ჭირისუფლად, რომ თბილისი კვლავ ხატად ხატოს, რუსთველის პროსპექტს პანაშვიდი გადაუხადოს?!

დგას საქართველო, დგას უჟამო ჟამი ჟამისა — ღვთივკურთხეული, ნილხვდომილი მარიამისა, მესიის ხმალი და მშობელი რჩეულთ კრებულთა — გორგასლიანთა, დავითიან-თაედადებულთა!

...დღეს არა, ხვალე მსოფლიო გვცნობს, ყველა ვინც არი...
რად გინდა სხვისგან ცნობა, თუკი...
მე ვერ გიცანი!

* * *

ეს ნერილი კარგა ხნის ნინ ვაახლე მაშინ ამხანაგ, ახლა კი ბატონ ედუარდ შევარდნაძეს!

1975-1976 ნლებში, პოდოლსკის არქივში მუშაობის დროს, გავიცანი ერთი კრასნოდარელი მეცნიერ-მუშაკი, რომელმაც „„ჩვენში დარჩეს" გულახდილობით, თანაც ვითომ ისე, სასხვათაშორისოდ, გამოამჟღავნა ფარული ინტერესი ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ამსახველი ერთი ისტორიული დოკუმენტის მიმართ. იგი მას, ვიღაც ჩვენი „კეთილისმყოფელის" მიერ მიტანილი ამბით, საქართველოს საისტორიო არქივში ეგულებოდა. ეს რომ მხოლოდ მეცნიერული ცნობისმოყვარეობა და უბრალო ინტერესი არ იყო, იქიდანაც ჩანდა, რომ მან ამ დოკუმენტის ზუსტი მისამართი — ფონდისა და საქმის ნომერიც იცო-

---

*ვოლტერი: ადამიანის ბუნება ნაწილობრივ შებღალეს. მაგრამ ისინი სულაც არ დაბადებულან მგლებად. მგლის ბუნება შემდეგ შეიძინეს. ღმერთს მათთვის არც 24-გირვანქიანი ლულები უბოძებია და არც ხიშტები. მათ კი ერთმანეთის გასაჟლეტად, ხიშტები და ლულები გამოიგონეს.*

*ინგლისური სიბრძნე: გაბედული თავები კატის ყურშიც დაიძინებს!*

და, მაგრამ იმ მომენტიდან წლების გასვლის შემდეგ, როცა მე ამ საქმისადმი (დღევანდელი კონკრეტული გარემოებების გამო) ცხოველი ინტერესი გამიჩნდა, ჩემმა უფროსმა კოლეგამ, აშკარად, იქვე „დაამუხრუჭა" (და, ისიც ზრდილობისათვის) მხოლოდ ფონდის ნომერი „გაიხსენა", რაც (ცოტას თუ გავაზვიადებთ), თითქმის, ზღვაში ნემსის ძებნას ნიშნავს.

და, მაინც, თუ გული გულობსო — ნათქვამია, მიუხედავად ამისა, „ეძიებდე და ჰპოვებდეს" ბიბლიური პრინციპით, მივადექი საქართველოს საისტორიო არქივს, მის დირექტორს ბატონ ზურაბ ჟვანიას, რომელიც დღევანდელობისთვის შესაშური პატრიოტიზმითა და ნამდვილი მამულიშვილობით მოეკიდა ამ საქმეს და კარგა ხნის ერთობლივი ძებნისა და, თუ შეიძლება, ასე ითქვას, პროფესიული გეშის წყალობით, ამ უაღრესად დაძაბულ ვითარებაში (ამ საგანგებო დროსა და უაღრესად საჭირო მომენტში) სულზე მივაგენით ერთ ისტორიულ წყაროს, რომელიც შავ-თეთრ ფერებში წარმოგვიჩენს და შუქს ჰფენს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ისტორიას.

და, აი, ისიც, ყოველგვარი მიმატების, გამოკლების, შელამაზებისა და თარგმანის გარეშეც კი, რომ ჟამგამოვლილმა და ჟამდაკრულმა დოკუმენტმა თავისი ისტორიული სახე და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის სინამდვილე ხელუხლებლად შეინახოს.

## ერთ ცას, ერთ მიწას!

...არქივი ერის მეხსიერების მკურნალია! — ასე აწერია საქართველოს საისტორიო არქივის კედელს.

და, თუ ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის ისტორიას მკურნალობა დასჭირდა — სწორედ ამ არქივში მეგულება კიდევ ერთი წამალი, რომელიც, შესაძლოა, პანაცეად არ გამოდგეს, მაგრამ უთუოდ მალამოდ წაეცხება ჩვენს ძველ ძმობას და სისხლხორცეულ დედმამიშვილობას.

ძმა — ძმისათვისო... იქნებ სწორედ ამ დღისათვის შემორჩა მეხსიერებას ეს ამბავი!

საქართველოს სსრ საისტორიო არქივში მუშაობის დროს, მის მესვეურთა ძალისხმევითა და თანადგომით, წავაწყდი მასალებს, რომლებიც კიდევ ერთხელ ნათელს ჰფენს ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის ისტორიას.

ჩვენ წინაშეა 1861 წლის საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით, აფხაზეთისა და

*არანაირ ღირებულებას. ეს იქნება ჩვენი საჩუქარი ამერიკისადმი!" — წერდა ვალერი ასათიანი ლანჩხუთის გამგებელს. თავად ძეგლის ავტორი ამბობს, რომ „ხეივანში" მდებარე ლიდერთა მონუმენტებიდან ამერიკელმა პრესამ ყველაზე კარგ ნამუშევრად სწორედ „ლანჩხუთელი ლენინი" შეაფასა. „ამაზე იყო კულტურის სამინისტრის მიმართვა, რომ საქართველო უფასოდ გადასცემდა ძეგლს ამერიკას. ჩემთვის რამე თანხა არ გადაუხდიათ. საჩუქარი იყო და ვინ გადამიხდიდა. ამერიკაში უნდა მივეწვიე. იყო შეთანხმება და არავის მიუწვევივარ. ამერიკულ გაზეთებში ეწერა, რომ ეს ძეგლი „ხეივანში" ყველაზე კარგი მხატვრული ნამუშევარია" — აღნიშნავს ძეგლის ავტორი დავით ურუმაძე.*

**P.S.** *ერთი წინადადება მაქვს: „ვოჟდიზმის" დროინდელი ქანდაკებები, რომლებსაც ახლა ასე უმოწყალოდ ანადგურებენ (როგორც ადრე ისინი გვანადგურებდნენ), წაიღონ „მახათას"*

სამურზაყანოს თავადაზნაურობის დეპუტატთა მოხსენებითი ბარათი მისი ბრწყინვალების, ტფილისის წოდებრივ-საადგილმამულო კომიტეტის თავმჯდომარის, გენერალ-ადიუტანტ თავად სვიატოპოლ-მირსკისადმი. იგი დათარიღებულია 1870 წლის 23 მარტით.

ისტორიული დოკუმენტის სიდიდის გამო, იგი სრული სახით დავტოვე ჩემს ადრინდელ სქელტანიან წიგნში, რომელიც „?!" — კითხვისა და ძახილის ნიშნიანი (რაღა დარჩა „ძე"-მდე!) სათაურით დაიბეჭდა!

„ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომჩინებელი აღმწერლისაი საუკუნოდ" — გვასწავლის შუა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსი არსენი ამარტოლი.

ქართველი და აფხაზი ხალხის ძმობას მრავალი ისტორიული საბუთი აქვს და ესეც, მათ შორის, ერთ-ერთი უტყუარი საბუთია.

ჩვენ მივესალმებით ასეთ აფხაზეთს... საქართველოსთან ერთ ბედქვეშ და ერთ ჭერქვეშ მყოფ აფხაზეთს! ჩვენი ძმობა ურყევია ჭეშმარიტ მამულიშვილთა შთამომავლებთან, ვინც საქართველოსა და აფხაზეთს ერთ ოჯახად თვლიდა და თვლის, ვისაც, ჩემი სახლიკაცის შოთა ნიშნიანიძისა არ იყოს, ახსოვდა და სწამს, რომ:

„ქორი წიწილას აფხაზეთში თუ იტაცებდა,
ჰაუ, ჰაუო — გაჰყვიროდნენ სამეგრელოში...
და მორდუ აქეთ თუკი როსმე დააცხიკვებდა,
ხვიჩას სიცოცხლე — ეძახოდნენ აფხაზეთიდან!"

და, ბოლოს:

„ერთ ცას, ერთ მიწას, როგორც უნდა, როდი ვაფასებთ...
ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს!"

...ჩვენთან ერთად ხანშიშესული ეს წინამდებარე ჩანახატი მინდა გავაახალგაზრდავო სრულიად საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის დაბადების 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მემორიალური გაზეთის „მშვიდობა ყოველთა"-ს ინტერვიუთი (ედუარდ შევარდნაძე: ვცდილობდი, დავრჩენილიყავი იმ ადამიანად, რაც სინამდვილეში ვარ).

რამდენიმე კითხვა... პასუხით, რომელიც შედგენილია ჩემი ახალგაზრდა კოლეგის ლიანა ნაკაიძის მიერ დოსტოევსკის ცნობილი კითხვარის მიხედვით! (1998 წ. 25 იანვარი).

— ღმერთისადმი თქვენი დამოკიდებულება.

— ვინამე (მადლობა უფალს, რომ ასე მოხდა).

— პოლიტიკოსი რომ არ ყოფილიყავით, ვინ გინდოდათ, გამოსულიყავით?

— ექიმი (!)

— სასწაული გადაგხდომიათ?

— ბევრჯერ. „იმ ქვეყნიდანაც" მოვბრუნებულვარ.

— რა შეკითხვას დაუსვამდით საკუთარ თავს?

— რამდენ ხანს შევძლებ, ვიდგე მწყობრში სამშობლოს სამსახურისათვის?

— რამდენად გულწრფელად პასუხობდით?

— მკითხველმა უნდა განსაჯოს და ისტორიამაც.

— ხედავთ, ჩვენში როგორი დემოკრატიააა?! — ამბობს ერთხელ

---

*ვოლტერი: არა ჟულის უკმარობა, არამედ... ნიჭიერ ადამიანთა უკმარობა ასუსტებს სახელმწიფოს.*

ბატონი რეიგანი — ახლა აქ, თეთრ სახლთან რომ მდელოა, ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, მოვიდეს და იყვიროს: „ძირს რეიგანი!"

— როგორ გეკადრებათ? ჩვენთანაც ასეა — თვალებს ალიმილებს ედუარდი.

— მართლა? არ მჯერა.

— როგორ არა, — თავისსას არ იშლის საბჭოეთის საგარეო საქმეთა მინისტრი — ჩვენთანაც შეუძლია, ვისაც უნდა, მივიდეს წითელ მოედანზე და იყვიროს (სრული სიჩუმე ჩამოვარდა): „ძირს რეიგანი!!!"

* * *

დაბადებიდან ვკვდებითო! დაბადებიდან მეშინოდა სიკვდილის და ეს შთამომავლობით გადაეცა, ალბათ, ჩემს უმრნემეს შვილს, რომელმაც, ახალენაამოდგმულმა, დედას შებღავლა — შენ როდესმე ხომ უნდა მოკვდეო! სიყვარული მუნჯია, მაგრამ ენა თუ ამოიდგა, ისეთს იტყვის, გული გაგისკდება. დედის სიტკბო თუ ათქმევინებს ასეთ რამეს შვილს: ისე მიყვარხარ, როცა შენთან ვარ, მაშინაც კი მენატრებიო!

სიკვდილის შიში კი, ჩემს სისხლსა და ხორცს, როგორც ჩანს, ჯიშითა და ჯილაგით მოგვდგამს. ჰოდა, აჭიკჭიკებულსაც დამიდია თავი „ვახტანგურის" დალევის დროს... არასოდეს დამიდია თავი ყარამანობაზე, არასოდეს ვყოფილვარ „უშიში, ვითარცა უხორცო"! ამასაც ალალად ვაღიარებ ისე, როგორც ერთი ჩემი სახელოვანი წინამორბედი კაცი გვარად შარაშიძე და ფსევდონიმით „თაგუნა" (კაცი წრუწუნას სახელს რომ აიფარებს!): „ისეთი მშიშარა ვარ... სიკვდილსაც ვერ გადავიტანო (?!)" რევოლუციამდელი საქართველოს სატირულმა პერიოდიკამ კარგად იცის, რაა „მშიშარა" და „ლაჩარიც" — „ეშმაკი" (ნესტორ კალანდაძე) და „თაგუნა" (შალვა შარაშიძე)... რა ეშმაკებიცა და თაგუნებიც იყვნენ. მათი „ეშმაკის მათრახის" შხუილი დღემდე მესმის „სიცილის არქივიდან", რომელიც ერთ სქელტანიან წიგნად ავკინძე. თვით ბავშვობაში — სოსელოს, სიჭაბუკეში — კობასა და ცხოვრებაში — გენერალსიმუს იოსებ ბესარიონის ძე სტალინსაც (მასაც თუ რამე დარჩა სანატრელი!), თეთრი თუ შავი შურით უთქვამს: „ნეტა, „თაგუნას" კალამი მომცაო!"

ახლაც ზეპირად მახსოვს პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომისდროინდელი, პროზად დაწერილი სატირული პოეზიის, „ეშმაკის მათრახის" სანაცვლოდ, კონსპირაციულად გამომავალი ჟურნალის „ახალი მათრახის" ლექს-სათაური: „პა-

*მთაზე (სადაც 37 წელში ხალხს ხვრეტდნენ). დაედგით იქ და დავარქვით „ქვაში დასჯილი ბოროტების მუზეუმი". ეს იქნება „ქვათა ღაღადი", რომელსაც მომკითხველიც ეყოლება და გამკითხველიც!*

*პოლიტოლოგია სოსო ცნობისად:* *როდესაც თვალს ადევნებ ჩვენი ოპოზიციის ყოველდღიურ საქმიანობას, არ შეიძლება, მწარედ არ გაგახსენდეს ბიზანტიის დაცემის დღეები, როდესაც თურქები კონსტანტინოპოლის ალაყაფს ანგრევდნენ, ხოლო ქრისტიანი ბერები გართულნი იყვნენ იმაზე დავით, თუ რამდენი ანგელოზი დაეტევა ნემსის ყუნწზე.*

*„რეზონანსი"*

*მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მონარქი — 28 წლის ჯიგმე ქჰესარ ნამგელ ვანგჩუკი. ცოტა ხნის წინ, ჰიმალაების პატარა სახელმწიფოს, ბუტანის „ცეცხლისმფრქვეველი მიწის" მეფე გახდა.*

*P.S. ჩვენში რამდენი „ნამგელ"*

ტივცემული მკითხველებო, მოგვეცით ნება, ჩვენი ჟურნალის გზა გაგაცნოთ, მიმართულება! თავს არ შეგაწყენთ, მოკლედ ვიტყვით ორიოდ სიტყვით... წინასწარ ვიცით, რასაც ზოგნი ამაზე იტყვით: სიცილ-ხარხარი, ოხუნჯობა განა გშვენითო, თავს დაგვტრიალებს საშინელი ომი ქშენითო... როს თითო ნამში თითო კვდება კბილთა ღრჭენითო და, ლამის, მინამ გაიაროს ყავარჯენითო!!! „თქვენი არ ვიცი და მე აღფრთოვანებული ვარ! ტვინიდან ჩაურეცხავ ამ სტრიქონებისათვის დღემდე დროს ხელი არ უხლია. ამ მეტაფორას სხვა რა „ფორა" შეედრება!"

„შიში შეიქმს სიყვარულსაო" — ასეთი „თაგუნობიდან" არც ისე შორსაა... ლომობამდე! ყველაზე კაი ყმამ — ვაჟამ რომ დაგვიტოვა სავაჟოდ, სავაჟკაცოდ და საკაიკაცოდ:

„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო — სიცოცხლე ფასობს შენითა!"

დიახ, ასე გავუშინაურდი სიკვდილს...???

და ინგლისელი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგისა და ისტორიკოსის იუმისა (მე-18 ს.) არ იყოს, რომელმაც, ასევე, სამ ტომად დატოვა „ტრაქტატი ადამიანური ბუნების გამო", სიკვდილზე სრული სიმშვიდითა და გარკვეული თუ გაურკვეველი სიხარულითაც კი ლაპარაკობდა, თან ყოველგვარი შიშის გარეშე. თავის საფლავის ქვაზე, მას მიაჩნდა, რომ უნდა დაწერილიყო დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები, მათ შორის კი ტირეს „ტირილით" უნდა ჩასმულიყო პატარა დეფიზი, რომელიც ასე, ერთი ხელის გასმით აღნიშნავდა იმას, რასაც ქართულად გენიალური სიტყვა — წუთისოფელი ჰქვია! დაბადების და გარდაცვალების თარიღების გარდა, „დანარჩენი" — წერდა იუმი შთამომავლებს, — ანდერძსა და მოგონებებში შეგიძლიათ მიუმატოთო!

ძველ ინდიელებშიც ყოფილა ტრადიცია საფლავის ქვაზე წარწერებისა — დაიბადა ამა და ამ წელს, გარდაიცვალა ამ და ამ წელს, იცხოვრა 80 წელი, იცოცხლა 3 დღე (სიცოცხლედ იმ დღეებს თვლიდნენ, რომელსაც ჩვენ დღესასწაულებს ვეძახით). ამის გამგონე ერთ ჩვენებურ კაცს უთქვამს — აბა, ჩემისთანა კაცის საფლავს ინდოეთში ალბათ დააწერენ — მკვდარი დაიბადაო!

* * *

XXI საუკუნის გარიჟრაჟზე ანუ 2000 წელს, შიკლგრუბერის (ნეხვის ხოჭო), ადოლფ ჰიტლერის მშობლიურ ქალაქ ლინცში... მისგან ნახეთქი გულის ოპერაცია გამიკეთა პიტერ ბრუკემ, 15-20-წლიანი გარანტიით. ოპერაციამდე... ჯანმრთელობის, ანუ კარდეოლოგიის ინდუსტრიის ცენტრში — ლინცის ცენტრალურ საავადმყოფოში თუ საკარგადმყოფოში — დროებით მოფრინავდნენ საკაცეებით... აქედან კი საკუთარი ფეხითა და „ფრთებით" მიფრინავდნენ სასიცოცხლოდ „გაწნირულები".

მე, რაღაც ისეთი წამალი დამალევინეს და საოპერაციოდ მომამზადეს, რომ ოპერაცია ძილში გავატარე და, როცა ჩემს პალატაში შეშინებულმა ცოლ-შვილმა შემოიხედა — როგორც მე მეგონა, „საოპერაციოში გაყვანის წინ", ისინი იქეთ გავამხნევე, მივდივარ სარემონტოდ-მეთქი.

— მიდიხარ კი არა, მოდიხარო — მითხრა ცოლმა — ოპერაციამ უკვე ჩაიარაო.

---

*ვოლტერი: დიადი ადამიანის შესახებ მსჯელობენ მხოლოდ მისი მთავარი საქმეების და არა მისი შეცდომების მიხედვით.*

*უზომოდ პატარა ადამიანებს — უზომოდ დიდი სიამაყე ახასიათებთ.*

მერე შევშინდი!

P.S. ახლა კი, მართალი გითხრათ, საიქიოს... სააქაოსავით გავუშინაურდი და სიკვდილზე უფრო... სიცოცხლისა მეშინია!

* * *

მთის არნივი ვაჟა სულ თვალწინ მიდგას და ძალას მმატებს. მისი ხატოვანი თქმით: „მშიერს უნდა — ჭამა, მწყურვალს უნდა — სმა, სიტყვას — თქმა, ბატონს — ყმა, მუნჯს — ენა, ყრუს — სმენა, ბრმას — თვალი, ძაღლს — ძვალი, უკბილოს — კბილი, უშვილოს — შვილი!"

ჰა, არ მორაკრაკებს წყაროს წყალივით?!

გიორგი ლომაშვილს ვაჟა-ფშაველასთვის უთქვამს: „უცნაური კაცი ხარ, ლუკავ. ტყეში ნადირს არ უშვებ, ხეზე ჩიტსა, ჩვენ კი შვლის ნუკრის ცოდვით გვატირებო".

„კაცო, ოჯახის საქმეს რომ თავს ანებებ და მაგ ეშმაკის საქმეს მიუჯდები, ნეტავი რამე ფასი მაინც ჰქონდესო"... ხშირად ეუბნებოდა ცოლი ვაჟას. რაზეც ეს უკანასკნელი სიცილით პასუხობდა: „მე რომ მოვკვდები, მერე გაიგებთ ჩემს ფასსაც და იმასაც, თუ რასა ვჯღაბნიო."

ვიღაც დალაქისთვის უთქვამს: „შენ რო იცოდე, რა თავი გაკრიჭე, ფულსაც არ გამომართმევდიო".

სოფლის მამასახლისისთვის უთქვამს: „მამასახლისი კია არა, მამაძაღლისი ხარო."

შატილში, ათენგენობაზე მიმავალს, გზის შესამოკლებლად, ცხენი ადიდებულ არღუნში შეუგდია და რის ვაი-ვაგლახით გასულა გაღმა. ხევისბერს — გორგალა ბაგრატაულს უთქვამს: უშიშარ ყოფილხარ, ფრთხილად, თავი არ დაიღუპოო... — რა მოხდა მერე, — უპასუხნია ფშაველას, — დავეხსნებოდი ამ ცოდვილი სულის უკუღმართობას. ეგ არის და ეგო!

* * *

გაამერიკელებული სომეხი ისტორიკოსის — სუნის ნაწერს მის ავტორზე უარესი სუნი უდის! თავის გულის ნადებს ვერა და არც მალავს: „საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა, ხალხი რომ არ ამახინჯებდესო".

მე თუ მკითხავ: ხალხი თავის ქვეყანას ჰგავს!

* * *

ბერძენი ფილოსოფოსი ზენონი: გეშინოდეთ განათლებული ჩერჩეტისო!

* * *

...ალაზა ხაიაურმა, ერთხელ, თავის სოფელში, მთაში აგვიყვანა. სოფლის თავკაცი ძმა — ნესტორი — მისი ცნობილი მომღერალი და ვაჟკაცი ვერაფრით ავამღერეთ — სოფლისთვის სიტყვა

*ნადორ-ნაყაჩაღარის, იმდენს მეფობა უნდა!*

*უბედურ კაცს ქვა ალმართში დაეწიაო! — ნათქვამია, მაგრამ მთას გააჩნია. ძნელი დასაჯერებელია, რომ დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე — ევერესტზე ამს-ვლელ კაცს ქვა ამ ალმართში დაეწიოს. რადგან ეს ყველაზე დიდი მწვერვალის დედამიწაზე — ყველაზე დიდი ალმართია! და ჯომოლუნგმაზე ამსვლელიც... ქვამისაწვდენი კი არა, იგავმიუწვდომელი კაცია!*

*მაშ, რაში დასჭირ-და გია თორთლაძეს — ამ მწვერვალის დამპყრობ ადამიანს ასეთი „რეზონანსით" და ასე ხმამაღლა ეთქვა სოფლის სამდურავი: პირველი ქვა იმან მესროლოს, ვისაც ჩემზე უფრო პატიოსნად და უანგაროდ უცხოვრია!*

*ქვათა სროლის დროა — ჯერ ისვრიან და... მერე უმიზნებენ!*

*ინდოელი მეცნიერები გვპირდებიან „სექს-დამხმარე" რობოტის შექმნას. უამრავი განქორ-*

მაქვს მიცემული, სანამ მოსავალს არ მოვიწევთ, ჩემს სიმღერას ვერ გაიგონებთო.

ახლა კი, ზოგჯერ... სატირალზეც და... სატირალშიც მღერიან!

ალაზასავით ალაზანივით ბიჭი და ალალი პოეტი მთაშიც იშვიათად მოიძებნებოდა. აფსუს, ადრე გავიდა გალმა და კიტა ბუაჩიძემ ერთი მისი პანია შედევრიც შემოინახა თავის წიგნში:

„გზა საბოლოო — სამარე მომელის... ფოსფორის სანთლებს ანთებს იქ დილით...

ზოგის სიკვდილში — სიცოცხლე ცოცხლობს, ზოგ სიცოცხლეშიც — ცოცხლობს სიკვდილი."

P.S. ...გაუთხოვარი ქალი იგივეა, რაც გაუსვენებელი მკვდარიო! — ესეც თუშურია.

* * *

არძინბამ საქართველოს წინააღმდეგ მეომარ 90 კაცს მიანიჭა გმირის წოდება, რომელთა შორის 17 ქართველია!

როგორია?!

* * *

ბრმა ტყვიამ ბევრჯერ გაინავარდა,
საქართველოში ახლაც დგას ნისლი,
წიწამურში რომ თოფი გავარდა...
დღესაც კი მისი ქუხილი ისმის!

## *2011*

ჯერ არ მოსულა მოსავლიანი
წელი — უწყინარ ბოცვერად!
მცელავი ცელით, ფრთოსანი,
ვინ იცის, რამდენს მოცელავს!
დაძრწის სიკვდილი, თიბავს და „სუდარებსა პკერავსა" —
სადღაც, მერანი ტატოს ან ტატო უკვდება მერანსა.
მრგელოვან-ნუსხურით-მხედრულით... რა სიტყვა აღარ ეხედნეთა —
რამდენი ვარამ-კალამით უთქმელს — სათქმელად ვენდეთა!
შური ვიძიეთ შურზედა — შარით — შარს შევეკედლეთა,
და სისხლიანი სტრიქონი ვაშიშვლეთ, როგორც ვენდეთა!
რამდენი მუზა დადუმდა გულზე ხელების დაკრეფით —
მოდიან გრიალ-გრიალით, მიდიან — ფეხის აკრეფით.

* * *

ვიცი, რომ პლუსი პლუსია —
ვიცი, რომ მინუსი მინუსია —
და პლუს-მინუსის გარჩევაში
არა მაქვს რაიმე ილუზია.
დიახ, ეს ჰორიზონტალ-ვერტიკალი,
ცალ-ცალკე სულ სხვა რაკურსია
და ვიცი — ჯვრის მსგავსი ეს პლუსი,
რომ — გადახაზული მინუსია!

* * *

თეა თუა დირექტორთა დირექტორი —
დაწრუწუნებს, ვით აგენტი კაგებესი.
„ბარიერთან" ვერ დადგება ბარიერი —
კაცია თუ, ქალია თუ, ქალ-გებელსი?

ქეთევან ხამიცაშვილი:

## „ჭურამ ძაფიანიძე: სახით ხალხისაკენ!"

„... რა შემოიღეს ეს კაცის ქალად თამაში?
ქალის როლის თამაში კი არა...
რეჟისორები ცუდი კაცის როლის მოცემას ვერ მიბედავდნენ!

კარგი კაცის როლის „თამაში" —
ცუდ კაცსაც შეუძლია,
მაგრამ ცუდის როლში ცოდვა —
კაი კაცი!
სათქარია, როცა კაცი სცენაზე მეფეა,
ცხოვრებაში კი... კაცადაც არ ვარგა!
P.S. არ გამოვა მათზე საგა,
ზოგი კაცი ნაგავსა აგავს!

* * *

ენას კბილს დიდხანს ევაჭრეთ —
ეჭერდი ჭერის ჭირიდან!...
ჭირმა თავი არ დამალა —
და შხამად წამსკდა პირიდან!

* * *

ქება კალამსა და მადლი უფალს —
არსობის პურის მაწედის ულუფას!
დანიშნულების ეხედავ ეავზალსა,
მიმაქეს და ვტოვებ სულის საგზალსა!

* * *

ეს სენი არ იკურნება „მიცინით" —
გეჭირდება აე-კარგის ცნობა...
მაოვნელი ჯილდოვდება... სიცილით —
დაეკარგეთ იუმორის გრძნობა!

* * *

სიტყვა ხან ოჩანი ხარია, ხან კიდევ ბედაურია:
კაი მთქმელს — კაი გამგონე:
ენას ჭირდება ყურია!

* * *

სიტყვა ღმერთით იცნობა და ღმერთი — სიტყვით: მონყალეცაა და სანყალიც; ლოცვაცაა და ნყევლაც; ტკბილიცაა და მნარეც; სიკედილიცაა და სიცოცხლეც; ბორკილიცაა და შვებაც, თავისუფლებაცაა და საპყრობილეც; სიტყვა — ღმერთითაა და ღმერთი — სიტყვით!

წინების მიზეზი არის სექს-შეუთავსებლობა. რომელიცა შეასრულებს სცი-მელიატორის როლს ან მესამის... მესამის (ანუ ცუქმომ-სახურების), რომელიც ყოველთვის რიდას ზედმეტი.
**P.S.** ეს ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, ის კი... ისიც მთელი სერიოზულობით!
ავადმყოფი მის-ისთვის უთქვამთ, ექიმი კუზანოვი სასქესო ორგანოებს ცვლისო! ქვა აუგდია!.. თავი შეუმვერია — ხნეისა „იმიტომ" ჩემს ცოლს ვერ დავაკმაყოფილებო!

ამბავი ზიქისა რომელმაც არსენ მეკოკაშვილი ვასალიანი შეხის ძველ წარქაა!
გოგრ თარიმანი:
ხაგარეჯის ქადაობის შექსა ეშბიან. ზაზოჩემი ამბობდა: აქაური ზიქები ჯერ ისევ კვერცხში წივიან, ქადაობას რომ იწყებენ. დოლ-გარმონის ხმას რომ გაიგონებენ, გარბოდი ხოვლის სადისვნოსკენ. მას მერე კი, რაც რაიონის ხუადიონზე პაკარძლეული ცეკვი ძმის

* * *

...სხვა ასპარეზი რა გინდა?.. აგე — საწერი მაგიდა!
შუბად — კალამი, ფანქარი და... ბრძოლის ველიც აქ არი.
ქაღალდი! — ყოვლის ამტანი, სიტყვა — ვით ოქროს მადანი...
დაჯე — წერე და იკითხე: სად — რა თქვა დარის სადარი...
სად — ახლოს იყო ჭკუასთან — ხან კი შორს ალთა-ბალთამდე —
ღმერთმა არა ქნას — ცხოვრებას ვერ აუთავდე-გათავდე!
ეს ჩემი „საჭაშნიკე" და სამგოსნო სახელოსნოა —
მოგეცათ ლხენა, ამინდიც თუ ლექსთა საფრენოსნოა!..
აქ „ინრთობოდა ფოლადი" — სიტყვა სათქმელი ბოლომდე!
ამ თოკ-სტრიქონზე „ჯამბაზი" როდემდე ენონასწორობდე?..
სიტყვა, თუნდ გაუმართავი, მაგრამ გიჟივით მართალი —
რაც მოხვდა თვალთა არეში (მიკიბვ-მოკიბვის გარეშე!) —
აულაგები ფიქრებით, დაულაგები აზრებით —
გაბაზრდა დრო და ვბრაზდები —
საკუთარ თავს ვებაზრები!

## ფიქრების ქარბუქში!..

რაც იქნება — იქნება: ჩემი ცხოვრების ქარბორბალა ერთხელ კიდევ უნდა ამოვარდეს და ერთხელ კიდევ უნდა დავატრიალო ქარბორბალად!

მოტოციკლეტივით კაცი იყო — ერთი (საკუთარი თავი) დაყავდა და ასისას კაკანებდა!

* * *

როცა ბავშვობა მთავრდება — ხდება ინიციაცია...
ანუ, ჭაბუკის დალოცვით — ბიჭი... გახდება კაცია!

* * *

ბოროტება, სიტყვა—ღმერთის შიშით უნდა ძრწოდეს:
მწერლის კალამს ცალი თვალი სულ ღია უნდა ჰქონდეს!

* * *

ბედისწერიდან გულდაწყვეტილი — რაღაცას მალავს სამი წერტილი...

ცხოვრებისაგან სისხლდაწრეტილი უთქმელსაც ამბობს სამი წერტილი...

გამოებმება სიტყვების წყებას... თითქოს ცისტერნებს... ცისტერნა ებას

და ზედ ეწეროს „ცეცხლსაშიშია"...
სამი წერტილიც სხვა რა... შიშია!
შიში, რომელსაც აქვს დიდი თვალი,
მაგრამ ვერ ხედავს...
ავიწყდება მას ქვეყნის ვალი!

---

*ილია II: ადამიანი ღვთაებრივი სიყვარულის ნაყოფია. ჩვენ ვართ ხატი ღვთისა და ამით ვენათესავებით მას. ყოველი ქრისტიანი ტაძარია სულისა წმინდისა. სახლი უფლისა.*

## 13

ვის და რა დღე ებედება —
რა მოყვება ბედის ბადეს —
ვინ და რა დღეს იბადება?
მე — 13-ში დავიბადე!

* * *

კიდევ კარგი — მე კაცად დავიბადე,
შენ — ქალად!
იცი, რით გჯობივარ?
იმით, რომ...
მე — შენი ფასი ვიცი, შენ ჩემი — არა!

* * *

ერთხელ ვთქვი: ქართულ ფეხბურთს ახლა —
ახალი ახალკაცი უნდა-მეთქი!
თუ კაცი გქვია, კაცი ხარ და არ ხარ ცვედანი,
ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

* * *

„თავო, ჩემო, ბედი არ გიწერია..."
ვინ ხარ, კაცო, მწერალი თუ „წერია"?
აგერ, უკვე, მერამდენე წელია —
ვერ ავწელე სავარძლიდან წელია.
„სიყვარული, ისა სჯობს, რაც ძველია" —
და ლექსებიც მწველიან და მწველიან.

## ენისა თუ გულის გასატეხი

წამდაუწუმ... უწუმ-წამ,
ჟამ-უჟამო — ჟამ და ჟამ,
სინსილ-სამსალ — შხამ და შხამ —
მიწას ვჭამთ და მიწა გვჭამს.

* * *

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ... არაფერზე ისე არ დაგვწყვეტია გული, როგორც ციმბირზე... აღარ ვიცით, პატიმრები სად გავაციმბიროთ! ციხეებად ვიქეცით... მაგრამ, სამწუხაროდ, არა ციხესიმაგრეებად!

* * *

მე შენი სახება მაქვს გულის უბეში.
მაგ თვალთა გუბეში დგას ჩემი ნუგეში.

— ელერდაშვილების ასპარეზობას დავესწარი, მივხვდი, რა ხიბლი ჰქონია სპორტის ამ სახეობას. ჩემ გვერდით ერთი გალეული დედაკაცი იჯდა. წააქცევს ერთი — ვაიმე, შვილო... გადააგორავებს მეორე — ვაიმე, შვილო... შეხვედრა ფრედ დამთავრდა — გაიხარეთ, შვილებო... ის დედაკაცი ელერდაშვილების დედა ყოფილა!

ნეტავ იმ დედასა და ნეტავ იმ დროს!

„კვირის პალიტრა", 4-10.05.09.

ამბობენ, სენატორმა ჩემბერსმა დუგლასის სასამართლოში განცხადება მიიტანა, სადაც კაცობრიობის ყველა უბედურებაში, მათ შორის, წყალდიდობებში, მიწისძვრებში, ქარიშხლებში, ტორნადოში, ეპიდემიებში, ომებსა და მრავალ სხვა უბედურებებში ღმერთს ადანაშაულებს. ბრალმდებელი უფლისგან, რომელიც, მისი თქმით, „კაცობრიობას ატერორებს", მოითხოვდა, რომ ასეთი მკაცრი ქმედებები შეეწყვიტა. ჩემბერსის მტკიცებით, ღმერთი ყოვლისშემძლეა და

* * *

ეს წიგნი ჩემი წუთისოფლის — საუკუნის უკუნია: წელიწდეულები — წუთი წვეულების: თვიდან — თვეები, კვირადღეები, საათები, წუთები... წათენები — უთევი, ლამის ენა დამებას — თვალის დახამხამება... ნეტარება, წამება, ელეთი-მელეთი, ნათელი-ბნელეთი, წყალ-წყალა წყალეთი, ხმელ-ხმელი-ხმელეთი... გულით — სამღერეთი, სულით — სასიტყვეთი... რითმით — სალექსეთი, თვალით — საცრემლეთი... ხატით — სამზერეთი, ნატერით — ნატვრის ხეთი, მირონცხების ზეთი — სიტყვა-ღმერთის მზეთი!

* * *

*ბ-ნ. ბ.ი.-ს*

სად გაგონილა, სად თქმულა და სად მოჭორილა —
რომ წუთისოფელს სოფლად ეყოს მარტო ჭორეილა?
ჭორ-ეილას ეილავ, შურის ციხის შუშის სასახლეე —
ყოველად ქართველი ასახელე და დაასახლე!

* * *

ვიღაცას უთქვამს, უშვილობა იმითაა ცუდი, რომ უშვილიშვილობა იცისო. მე კი 6 ვარსკვლავი მარტო სახლში მყავს და მილიარდი... მე-7 ცაზე! (მეშვიდე ვარსკვლავს ვერაზე ერთ „ქვაფენილად" ვტოვებ!).

გიზოს, დათოს, დიმიტრის, ელენეს, ანას, მარიამს და მათთანას... მე ვუტოვებ საზეპიროდ — დედაენის ანა-ბანას:

რაც არ ექნას მამაშენსა
— ნურც შენ დახევ მარმაშებსა —
მჯობნის მჯობნიან თამაში სჯობს —
კომპიუტერულ თამაშებსა!
დაე, ზურგის ქარი ქროდეს —
კეიცი უნდა გვარზე ხტოდეს —
ტოლი-ტოლთან ტოლ-სწორობდეს,
ვარსკელავს ეთამაშებოდეს!

* * *

პირველად თბილისში, ქუჩის რადიოთი, „ქეთო და კოტეს" სერენადა — ყარაჩოღელების „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარო" რო გაისმა — ქალაქი გაჩერდა... ერთ ადგილზე გაიყინა და... გათბა!

* * *

რით იზომება სიმდიდრე კერის?...
ბედნიერია თუ არა ერი?
ცხვება თუ არა სიკეთის კვერი?
პყავს თუ არა პყავს მილიარდერი?
სულის სიმხნევე ეს არის ერის!
...არ ემღერება და მაინც მღერის!

---

*კარლეილი: ადამიანი არ უნდა უჩიოდეს დროებას — ამით არაფერი გამოდის. დროება ცუდია. მერე რა, ადამიანიც სწორედ იმიტომ არის, რომ გააუმჯობესოს იგი.*

*კეთილშობილი ხალხი ჰქმნის კეთილშობილ მთავრობას და არა პირიქით*

* * *

...იქედან რა შორია — აქედან რა ახლოა... სიცოცხლე და სიკვდილი მაინც შორი-ახლოა!

„კრიალოსანს" დავარქმევ, რაც ავკინძე ნიგნებად — ერთ ნრეს კიდევ მოვივლი — რაც იქნება-იქნება!

მარცვალ-მარცვალ იცლება, როგორც ქვიშის საათი —

მიყვარს კაცთან, ცეცხლთან და ჭიქასთან მასლაათი!

მომავალი იყავ და ხარ ახლა წინაპარი:
იქით – რა შორი იყო... აქეთ – რა ახლოს არი!
დრო თვალსა და ხელშუა ისე შემომეხარჯა –
არც თავი და არც ბოლო ამ სოფლისა არა ჩანს!

* * *

ეს ნიგნი მე, სანამ დავნერდი, მანამ მქონდა ნაკითხული.

* * *

ის ქვეყანა, რომელიც მნერალს ვერ იტანს... ნერასა ჰყავს ატანილი!

* * *

ეს ნიგნი გაცილებით ძვირფასია, ვიდრე იგი ღირს (მით უმეტეს, ჩემთვის!). ამიტომ სასაჩუქროდ — მემეტება, გასაყიდად — მენანება!

* * *

არ არსებობს აზრი ორი:
უნდა იყო ღმერთთან სწორი,
უნდა შეძლო, გაარჩიო –
ავ-კარგი და მართალ-ჭორი!

* * *

დრონი აზიარებენ ნუთისოფლის სტუმარს:
აკვნები ჭრიალებენ, საფლავები სდუმან!

* * *

ბულგარული სიცილის სატახტო ქალაქში — გაბროვოში ჩავედი და სამახსოვრო ნიგნში ჩავნერე, რომ ბულგარული და ქართული იუმორი ქართულ და ბულგარულ ნინაკას ჰგავს! ერთი მნარეა — მეორე... ტკბილი (არ იკბინება!)

მოგონილი სახელებ-ის მეშვეობით იმალება! მოსამართლე მარლინ პოლემა სენატორს საჩივრის განხილვაზე უარი განუცხადა. რადგან „სასამართლოს დავენილებით, ბრალდებულისთვის სასამართლო მოწვევის გასაგზავნად მისამართი არ არსებობს!“

სენატორი, ნებრასკას სენატში, 38 წლის, მუშაობს. მას ღმერთისადმი სიძულვილი არასდროს დაუმალავს და ქრისტიანების მიმართ ხშირად გამოუთქვამს კრიტიკა. ნებრასკას სენატორი, სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, აპელაციის შეტანასაც აპირებს.

„ქრონიკა“, 3-9.11.2009

**P.S.** რაღა სენატორი ჩემბერსი და რაღა ეს ჩემანალა „თავისუფლების... ჩვენი (თუმცა, არა, ჩვენი კი არა, საკუთარი) თავის-უფლების!“ ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებიც უფალს ადანაშაულებენ ყველაფერში... თავიანთი უჭკუობის ჩათვლით!

არანაკლები პარადოქსია ამავე გაზეთ-

* * *

კაცს ან თავის განძრევა უნდა შეეძლოს, ან — ხელის. თუ არცერთის განძრევა არ შეუძლია, „ზნაჩიტ“ — ენძრევა!

* * *

მაშინ, როდესაც ბნელში ნათელი,
როგორც სანთელი,
ხატთან მიექრები —
მიგულეთ თქვენი წიგნის თაროზე,
თქვენზე მლოცველი კაცის წიგნებით...
„როდესაც ამ წიგნს ხელში აიღებ — ცოცხალთა შორის
მე არ ვიქნები, მაგრამ, მკითხველო, მიხვდი, გაიგე —
ადრე წასული კაცის ფიქრები!“ (ლადო ასათიანი)
P.S. სულაც არ ვჩქარობ — თუმცა, ასე ხდება:
კაცი მიდის და წიგნები რჩება!

* * *

როცა სკამმჯდომარეობა და თავმჯდომარეობა ცუდ ჩვევად ექცევა ადამიანს, მას ციხეში ჯდომაც მოყვება-ხოლმე!

ჯდომა ჰქვია, თორემ... ნოლაც შეიძლება (მორიგეობით მაინც!).

* * *

80 წელი, გრაფიკულად, სამი 0-ია: 2 — სიმაღლეში და 1 — სიგანეში. მაგრამ, მე იგი მთელი სიგრძე-სიგანით ვერ გავასიგრძე-სიგანე და დღესაც ბიჭი მგონია თავი, რამაც შვა ეს სლოგანიც:

ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი
და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი!

* * *

ალოგიკაა თუ რა ლოგიკაა ეს?

ქართული ენის ანბანში 33 ასოა, არითმეტიკაში კი — ციფრების 10-ეული! ამ უკანასკნელში ერთობ სექსუალურად გამოიყურება 0 და 1. სადაც ეს ორი ციფრია (01), სექსუალური ხანძარიც იქ არის და სახანძროს ნომერიც — 01-იც!

ზოგჯერ ნერაც — „ნერაობად“ მოგეჩვენება კაცს. აკი თქვა კიდევაც ეს მშვენიერ ნინო ქაჯაიას შოუში („ცხოვრება მშვენიერია“) დათო ტურაშვილმა!

დიდი მელაა ეს „ტურა“ — საქათმეში შეიპარა და დაანიოკა დედლები!

მე კი ამ ტელეგადაცემამ (როგორც მოგახსენეთ) ერთი ასეთი კატრენიც დამაწერინა, რომელიც გადაცემის წამყვანს ნინო ქაჯაიას მივუძღვენი:

ცხოვრება მშვენიერია?!
სწორი ეთქვათ, ღმერთი ეახსენოთ:
თქვენ — მართლაც მშვენიერი ხართ —
ცხოვრების... რა მოგახსენოთ?!

* * *

„კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო“...

რას ეტყოდა კაჭკაჭი ყვავს და ისიც, მირითმებით?...

ყველაფერს მე ნუ მათქმევინებ... ცოტა შენც გაანძრიე ტვინი, მკითხველო!

* * *

ზოგჯერ დუმილის მჭევრმეტყველება ჯობია... სიტყვის მჭევრმეტყველებას! ხანდახან ფიქრის ზღვა... ზღვა ტალღებს აგორებს... ჰა და ჰა... მელნის ტბა... გედის ტბას მაგონებს.

კალამი გედივით დაცურავს და თეთრი გედის სიმღერას მღერის... მღერის თუ მოთქვამს?... მოთქვამს თუ მითქვამს — ჯერ ართქმული, არმოგონილი... და, მაინც, მართალი და არგაგონილი... აუნონელი თუ ანონილი სიტყვა...

ხან კი, ეს ნერა — ყინულის სარკეზე კალმის ფიგურულ სრიალს წააგავს — ზოგ მეტაფორას ვერ მოსდებ ლაგამს!

გაქცეული კალამი —
დაქცეული მელანი —
გაფრენილი წლები და
ჩემი ბედისწერანი...

* * *

კომპიუტერული „ნარმადობითა" და „ინტერნეტული ლოგიკით" —

რა არი, ასე რომ გაოცებთ და
რა არი, ასე რომ გაკვირვებთ?

ყველაზე საოცარი ისაა, რომ, ჩვენმა საუკუნემ გაოცების გრძნობა დაკარგა!

* * *

წინათ, დროს ჩვენ ვატარებდით,
ახლა — დრო ჩვენ გვატარებს.
ჰოდა, ქარის მოტანილი —
ისევ ქარს გაეატანეთ.

* * *

ქალი საიდუმლო კუნძულია, რომელიც კაცმა უნდა აღმოაჩინოს.

— იდეალური ქალი — იდეალურმა კაცმა უნდა იცნოს.

* * *

მამაჩემს (ისე, როგორც, ალბათ, ყველა მამას) ჩემთან მეგობრობა უნდოდა. არ გამოგვივიდა. ახლა მე ვცდილობ ჩემს შვილებთან და შვილიშვილებთან ძმაკაცობას. არ გამოდის!... ყოველ შემთხვევაში, ისე, როგორც ეს მე წარმომედგინა!

მამაჩემს იდეალური პირველი ხმა ჰქონდა. სკოლაში გალობას ის ინყებდა და მხოლოდ იმიტომ აპატიეს სწავლის ქირის გადაუხდელობა, რომ გალობის გაკვეთილები არ ჩაშლილიყო. იოსებ

*ში მიხეილ ხახვაძის მომზადებული დაიჯესტი, რომელიც (ვინც, დაიჯერეთ, ვინც — არა) გვაუწყებს, რომ ვიღაც 37 წლის ამერიკელი ქალი, რომელსაც ადრე ბერლინის კედელი ჰყვარებია, ახლა ცოლად გაჰყოლია... არც მეტი, არც ნაკლები — ეიფელის კოშკს!*

**P.S.** *ასე რომ, თუმცა, ჩვენს ფუნიკულიორთან საბაგირო გზით კავშირს ვერ ვამყარებთ, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, ვინმემ თავზე არ დაგვარტყას ან დაგვაცყ...ს ეს ანძა! მით უმეტეს, რომ ფუნიკულიორის უმოქმედო ტრამვაის გზის გასაყარი მორიდან მართლაც ჰგავს ქალის სამოს და ვიღაცა ისერმა რამე ისრომა არ მოუნდომის!*

*მახლას. ასეთი ინფორმაციებით დაინტერესებულს, როგორც იტყვიან, ფანტაზიაც დიდი უნდა ჰქონდეს და სხვა რამეც!*

*აქვეა ერთი „სამწუხარო" ცნობაც, რომ ჩვენს სამყაროში არსებულ სულიერ არსებებში ყველაზე დაუცველი და არასიცოცხლისუნარიანი... ადამიანია.*

ოცხელს (ვინ აღარ ახსენებდა ამ კაცს იმ დროში!) წიგნის მაღაზიაში აუყვანია (შეგირდად) და რაღაც სახსარი გაუჩენია სწავლის გასაგრძელებლად.

ერთხელ, ჩემმა ძმაკაცებმა გვარიანი შექეიფიანებული მოიყვანეს სახლში — შენ არ დაგვხვდი და მამაშენი წავიყვანეთ საქეიფოდო!

ვერაფრით ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის, რომ „სიონის" ეკლესიის მგალობლებს წდომიათ მისი გუნდში მიწვევა, მაგრამ გაგანია კომუნისტური რეჟიმის დროს ეკლესია იდევნებოდა და ვერც მე დავძლიე ის შიში, რაც ძველი და ახალი დროის გასაყარზე ჩვენს ეპოქას ახლდა, თავისი ქალაქური ფოლკლორის (თუნდაც, ერთი თბილისელი მეტაჭკის სიმღერის) სახით:

„ჩემი შვილი მემწვანილედ მინდოდა — ბაზარშია წავიდ-წამოვიდოდა... ავილე და მივაბარე შკოლაში — ის კი დადის, თურმე, კომსომოლაში!"

ჰოდა, სწორედ იმ „კომსომოლამ" და სკკპ(ბ)-მ თუ ცეკა-ტეკამ გვიყო, რაც გვიყო!

* * *

ექსპრესინფორმაცია (2011წ.16.01): „რუსთავი 2"-ის მშვენიერმა დიქტორმა (ქინქლაძემ) გვაუწყა მშვენიერი ახალი ამბავი (ისე დაგიმშვენდა ცხვირი): ეს-ესაა, თბილისში ჩამოვიდა ინგლისური ენის საყოველთაო მასწავლებელთა ახალი ნაკადი, რომლის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ძია სემის გულახდილობით თქვა, რამ ჩამოიყვანა საქართველოში: აქაურ კერძებს აქებენო!

„ახ, ნეტავი, ერთად იყოს ინგლისი და მანგლისი!" — ამიღიღინდა გული.

* * *

ცნობილმა ქართველმა არქეოლოგმა, პროფესორმა გივი ლამბაშიძემ, ყოველგვარი მესამე კაცის გარეშე, ჩამომართვა ხელი შუა ვერაზე, თავის სახლში დამპატიჟა, თონე გააჩაღა, პური გამოაცხო, სუფრა გაშალა, ვერელი ბიჭები მაწვია და იმხანად გაზეთში დაბეჭდილი ჩემი ერთი პატარა ლექსის (ოთარა მგელაძეზე და ნიაზ დიასამიძეზე) გაპოემება ანუ, უბნის სახელით, იმ ქალაქური დოკუმენტური პოემის დაწერა მთხოვა, რომელიც, შემდეგ, ერთ დიდ მხატვრულ კომპოზიციად იქცა და ფილარმონიის დიდ სცენაზე დაიდგა, სახელწოდებით „პაემანი ვერაზე"!

ეს იყო 1981 წლის 28 დეკემბერი.

თოვდა.

ის ღამე ვერისუბანმა თეთრად გაათენა.

არავინ და, მათ შორის, მეც, არ მოველოდით ენით აუწერელ სიხარულს, როცა ბედნიერები ვიყავით მკვდრებიც და ცოცხლებიც და როცა სიკვდილმაც შავები გაიხადა.

„ვერა, ვერას გზით, ვერასდიდებით —
ვერაზე ვარაზს ვერ ავცილდებით!"

ამ სტრიქონმა გამაბედინა სტრიქონთა შორისაც მეწერა ჩვენი სიყრმის მზის სადიდებელი!

P.S. ...ზამთრის თაფლივით მზემ (ასეთ მზეზე იტყვიან, ჩემმა მზემო!) დილით გალევიძებულს ოთარი და ნიაზი დამახვედრა და ავდექი და... „დავჯექი წერად"!

---

*კვინტილიანე: მატყუარას კარგი მეხსიერება უნდა ჰქონდეს.*

* * *

მოეიდნენ, ნახეს, დაგლიჯეს
და ექცნენ თბილისს უბნებად —
ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს...
მეორედ მოსვლის უჟლება!

* * *

ისეთი თავი უნდა გიყვარდეს, რომელიც, შენ გარდა, სხვასაც სჭირდება.

თავი მარტო ქუდის დასახურად ან ჩამოსაკიდად არ უნდა ჰქონდეს კაცს („ვეშოლქა" ხომ არა ხარ?).

* * *

ღმერთმა იმდენი ჯანი მოგცეს, რომ „ქართლის ცხოვრების" სქელ˘ანიანი წიგნი მაგიდაზე დაუდებლად წაგაკითხოს!

* * *

ირაკლი უჩანეიშვილის ცოლყოფილმა, ჩვენი დროის ერთმა ლამაზმანმა ქალბატონმა ნელი ბერაიამ, რომელსაც ამ ასაკში ახალი სუნთქვა გაეხსნა და „მძივნერითა" თუ სხვა ორიგინალური მასალით მხატვრული კომპოზიციების დიდოსტატი შეიქნა... არც აცივა, არც აცხელა და ზემდგომ ორგანოებთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, ასე ვთქვათ, ჩვენი თაობის სახელით, „ვარსკვლავი" გამიხსნა, რომელიც, ჯერჯერობით, ჩემს სამუშაო ოთახში კაშკაშებს.

სხვათა შორის, ამ ამბავს დაემთხვა ვერაზე „პაემნისათვის" ვარსკვლავის საზეიმოდ გახსნის სრულიად ოფიციალური განაცხადიც, რისი სურვილიც ოფიციალურად გამომიცხადა ამ ვარსკვლავიერი იდეის ავტორმა, ბატონმა დათო ოქიტაშვილმა.

ვნახოთ!

ნაჩუქარს კბილი არ გაესინჯება და, მით უმეტეს... ასეთს!

ვერელი ბიჭები უამისოდაც ვარსკვლავებს ეთამაშებოდნენ და მათი ხსოვნაც დაამშვენებს, თბილისურ ხასიათს შეუნახავს თბილისს!

* * *

საითაც ფიქრის ქარი წამიღებს —
იმ ცხრაკლიტულსაც ქარი გამიღებს
და გადამიშლის გულს უგულობაც —
თუ შეეძელ სიბრძნის სიცრუით ცნობა!

*მეცნიერებისგან ვიცით და ამას ჩვენც შესანიშნავად ვხვდებით, რომ მეტყველების უნარი და გონება მხოლოდ ჩვენ გვაქვს მომადლებული. მაგრამ რად გინდა? ერთი ფეხის გადაბრუნება და გასული ხარ მარილზე. როგორ ინატრის კაცმა, თუნდაც, ტარაკანად დაბადება?*

*რატომ, მაინცდამაინც, ტარაკანად?*

*იმიტომ, რომ ამ არსებას შეუძლია 9 დღე იცოცხლოს... თავმოგლეჯილმა, ნერვული დაბოლოებების წყალობით, რომლებიც მთელ მის სხეულზეა განლაგებული.*

**P.S.** *ამ ინფორმაციამ გუნებაში ამოატივტივა ახალი და კიდევ უფრო დრამატული ინფორმაცია, რომელიც, ასევე, ტარაკნებთან არის დაკავშირებული... ვიღაც მეგრელს აღმოუჩენია, რომ ამ მრავალფეხოსან არსებას სმენა აქვს... ფეხებში! და, ეს მან „ექსპერიმენტითაც" დაასაბუთა: ჯერ კიდევ ხაცეცებთან, ყველაფრისმჭამელ მწერს მიუკაკუნ-მოუკაკუნა და ტარაკანაც, ექსპერიმენტის ველზე, გაიქც-*

* * *

მეფე-ბატონი, იმპერატორი, აგიტატორი, პროვოკატორი... მახლას, ამქარი... ეშმას დაქალი — ისმის ქაქანი. ყველა აქ არი!... შენს პირს შაქარი — აგერ ქაღალდი, აგერ ფანქარი!

* * *

25 500 მდინარეა საქართველოში.

წყალი, თავზე საყრელად თუ არა, თავზე სასხმელად მაინც გვაქვს.

თუ საფიქრალი გაქვს — წადი მტკვარზე „ფიქრთ გასართველად".

თუ საყვირალი გაქვს, უთხარი „ყვირილას" და ქვეყანას მოსდებს.

ცხოვრება მდინარეს ჰგავს: მოდის და მოაქვს — მიდის და მიაქვს.

და რაღას ითმენ, მიდი და რითმე. იდექი „ზექსზე" და წერე ლექსი! გულს დაუჯერე — გული იჯერე — ვის უშვებენ და ვის კი იჭერენ!... წერე და წერე... და დაამღერე მთელი ცხოვრება (თუ გსურს ცხონება!)

*რა უნდა ვიცოდეთ,*
*როცა წესრიგი... უწესრიგობაა!*

მკითხველო და, მით უფრო, განმკითხველო!

ამ აბდაუბდის წამკითხველი ალბათ ფიქრობ, ვერაა ეს კაცი მთლად კარგადო! ცამდე მართალი ხარ — ვინაა დღეს კარგად, რომ მე ვიყო?... და, ამას ჰქვია... რაც გინდა, ის დაარქვი — „კარგადმყოფობის ავადმყოფობა" ან „ავადმყოფობის კარგადმყოფობა"... რაც უკუღმიდან წაღმაა, ის წაღმიდან უკუღმაა...კარგად მეყოლე!

ზოგი ტექსტი, გინდა მარცხნიდან წაიკითხე, გინდა — მარჯვნიდან; გინდა — ზემოდან, გინდა — ქვემოდან... გინდა — თავიდან, გინდა — ბოლოდან... უთავბოლოა... მაგრამ თავიანი კაცი თავსაც უპოვის და ბოლოსაც. ეს ქაოსი... სააქაოსია! ჩაყარე ტვინის საწნახელში, დაწურე მტევანივით. სიტკბო მოგეცეს — სიმწარე გაშოროს! თუ, ამ ჭირის დღესავით, მთხლე არ გამოგვივა — დაილოცე და „ალადასტურის" „ტოსტურით" — „დოსტურითა" და დასტურით ადღეგრძელე ეს ცრუ, მაგრამ თაფლივით ტკბილი წუთისოფელი!

* * *

ნიაზას ბებია, ასე ვთქვათ, „ლატარიაში ერგო"! თუმნიანი „მოგებებით" (რომელიც საკუთარი ჯიბიდან დადო) სახელმწიფო ობლიგაციების გათამაშებაში ჩაითრია. ერთ დღეს კი ათი იმდენი დააყაჭინა — ლატარიაში... წავაგეთო?!

ბლაყუჩამ (გივი ბაქრაძემ) კი ბებიამისს წითელი სამთუმნიანი დაცაცლა, „საქერაოდ მივდივარო".

ბებიაჩემმა კი ჩემი დაბადების დღისათვის შეპირებული ინდაური არ გამოგზავნა — ბოეშისთვის გიზო თუ „გიჟო" რამ დაგარქმევიათო!

* * *

„სხვის ვენახში კიმპლა-კიმპლა, ჩვენს ვენახში ძენძა-ძენძაო"?!... მაკვირვებს ამ ჩვენებური, ძველებური „შელოცვის" საიდუმლო და ხალხ-

---

*ლაბრიუერი: ადამიანები ჩივიან, გარდასული დღეები გონივრულად რომ ვერ გამოიყენეს, მაგრამ ჭკუას მაინც ვერ სწავლობენ და ვერც დარჩენილ დღეებს იყენებენ უკეთესად.*

ურობამდე დასული გულცივობა.

„ავსა კაცსა — ავი სიტყვაო!“ ესეც იმ ძველი კიდობნიდანაა, ალბათ! დავიჯერო, ჩვენი ზოგიერთი ნინაპარი ნყევლით ილოცებოდა?!

* * *

...ამოუშვი დამწყვდეული სიტყვა პირიდან (როგორც ზღაპრული ჯინი ბოთლიდან) და გულებამდე გზას თვითონ ნახავს!

სიყრმის მზე გახლავს?..

რას იტყვი ახალს!

* * *

თავისუფლება, ჩვენში, წააგავს
მკლავისუფლებას, ჩემო პიპინია.
სიტყვის თავისუფლება კი — თავის-უფალი სიტყვის
ყალბი საბუთი და კალმის წრიპინია!

* * *

ვინ და რა კაცია?
ვის და რა ღვაწლი აქვს?
საგაწამაწიო აწი და აწია —
ჰოდა, იწყება ეს გაწამაწია!

* * *

კომუნისტურ ტრიბუნამ ტვინი გადაგვიბრუნა!
„თავისუფალ სიტყვამაც“ მგონი პირი იბრუნა.

* * *

ზოგსა — გვალვა უდგას პირში.
ზოგი — მიერეკება:
არცა სხვისი ესმის ყურში,
არც მისი გაეგება!

* * *

რადგან სიბერეს არ აქვს საშველი,
რომ არ შეეხოს დროის საშლელი,
ამ ფარატინა ქაღალდს ვუტოვებ
ხსოვნას გულისას, რგოლით მაშველის!

* * *

მე ვარ დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალეს, დემეტრე თავდადებულის შთამომავალი და... მაინც არ ვიცი, მაქვს თუ არა მე მომავალი, რადგან...

შხამიც მისხია —

შადიმანიც ჩემი სისხლია!

გამოიქცა... მაგრამ როცა ექსპერიმენტატორმა ფეხები დააგლიჯა, მერე არანაირ ხმაურზე ფეხი აღარ მოუცვლია. რადგან... არცერთი ფეხი აღარ ჰქონდა.

არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა მეორე ექსპერიმენტი, რომლითაც ექსპერიმენტატორი ამტკიცებდა, რომ გახელილი და „დახუჭული“ თვალის ნერვებს უშუალო კავშირი აქვთ ერთმანეთთან... უკანალის მეშვეობით... ეს როგორი? — იკითხა მსმენელმა. პასუხი კი ამ შემთხვევაშიც სრულიად დამაჯერებლად ჟღერდა: აბა, მოიგლიჯეთ უკანალში ბალანი და ნახეთ, თუ არ წამოგივათ ცრემლი თვალებშიო!

ხელმეკრულებიდან — ფეხმეკრულობამდე!...

აი, ვეცნობით ავსტრალიის პარლამენტის უთავბოლო გადაწყვეტილებებს და, რატომღაც, თვალწინ გვიდგება ჩვენი კანონმდებლების წვა და დაგვა.

ჯერ იყო და, ამ ქვეყნის დეპუტატებმა დიდი ზომის მაიმუნებს... ადამიანების უფლებები მიანიჭეს და, ყველა

* * *

ძაღლის პროფესია მეგობრობაა.

ასლან აბაშიძის ძაღლმა მეგობრობის „მასტერ კლასი" ჩაგვიტარა ადამიანებს.

* * *

მელანი კი არა, თაფლი მომდის ხელებიდან... არა და არ ამოდის მეხსიერებიდან!

ერთხელ, გულიკო კასაბაშვილის დღეობაზე... სხვა საჩუქარი რომ არაფერი ჰქონდა...

თოვდა!

ნიაზმა გულიკოს, მისი სახლის კარებთან ხელისგულზე დაფრენილი ფიფქი აჩუქა!

ერთხელ კი, დღეობაზე, მთლად ხელდამშვენებული მივიდა — გალაკტიონი მიიყვანა!

* * *

თენგიზ კეკელიძის საფლავს ბერძენას ლომი დარაჯობს. და, უნებლიეთ, გახსენდება სპარტას მეფის საფლავის ქვის ლომის გაქვავებული სიტყვები: მე, მხეცთა შორის უძლიერესი, ვდარაჯობ — კაცთა შორის უძლიერესს!

* * *

ერთხელ უკვე მოყოლილი მაქვს, მაგრამ ასეთი შემთხვევა მოსაყოლად მრავალჯერადია!

მომღერალ და ქეიფის დამამშვენებელ ზესტაფონელ კაცს — ომარ ხიხაძეს ტყეში ერთი ხე ჰქონდა ამოჩემებული, სადაც ბულბულს უყვარდა შემოჯდომა და გულამოსკვნილი სტვენა.

მიდიოდა ღამღამობით ომარი მასთან „საპურმარილოდ", უყოფდა ლუკმას და ჩიტის ჭიკჭიკს გულში ბანს აძლევდა, რადგან... თვითონაც კაი ჩიტი იყო!

* * *

ნუთისოფლის ავ-კარგსა მივდევ ლინინ-ლინინით — ხმამაღალი ფიქტიტინითრებით მივტირი და მივცინი...

მივტირი და მივცინი ნუთისოფლის ავ-კარგსა — ტაატით და ტიტინით ჩემს დროს ვურნევ აკვანსა.

* * *

სიტყვა — ღმერთით, სიტყვა — მკვდრეთით... მართალიცა და ტყუილიც... სიტყვა-სიტყვით — სასიტყვეთი, სიტყვა-სეტყვით დასეტყვილი.

სიტყვა, პირში ნათქვამი და სიტყვა — ფერხთით განოლილი. სიტყვა — სიტყვით გაცრილი და სიტყვა — სიტყვით ანონილი!

...თუ გსურს, ალალი სიტყვა მაჯახო —

აი, ესაა სიტყვის ბაჯაღლო!

---

*ლაბრიუერი: ადამიანებს სურთ, ერთგან მონები იყვნენ, რათა სხვაგან ბატონებად იგრძნონ თავი.*

* * *

სიკვდილმაც ნახა, რა, დრო და სასიკვდილე კაცი... რეზო ინანიშვილი!

ამ ღვთისნიერ ადამიანს გვარშიაც კი ჰქონდა სინანულის განცდა (თბილისის ომი იყო. „დაგელაობდა სიკვდილი — სუდარებსა ჰკერავდა“... ეშმაკმა იცის, ვინ — რისთვის, ვინ — ვის კლავდა! ზღვა ხალხი ზღვასავით ღელავდა!) საქართველო ძაძებში იყო და ცრემლი სასესხებელი არ გვქონდა.

ნათელი კაცი იყო — ნათელში ამყოფოს!

P.S. ასეთ კაცებს გაშინაურებული სიკვდილი იმეტებს, მაგრამ დრო ვერ კლავს!

* * *

ღმერთიც წერს ლექსებს, მაგრამ რედაქციებში კი არ დაარბენინებს, არიქა, დამიბეჭდეთო! ხევს და მერე ნაკუწ-ნაკუწ, თოვლის ფანტელებად გვაყრის თავზე!

* * *

ჯარისკაცული ცხოვრება იმით არის ძნელი, რომ სხვის ჭკუაზე, სხვისი ბრძანებით უნდა ბრძანდებოდე... ბრძენდებოდე და სხვისი ნაკარნახევი „ნაბიჯით იარით“... შენი საქმე აკეთო — ემსახურო სამშობლოს!

## ეპიგრაფიკა!

ქართული ასოთხელოვნება ტვინის ხუჭუჭებს, ცხოვრების გზატკეცილებსა და გზაგრეხილებს ჰგავს! ელვასავით მიკლაკნილ-მოკლაკნილია და ბედის ბადესავით ნაქსოვი!

* * *

თბილისის ომის დროს, ბნელ თბილისში ვიდექით კაცები და სიბნელეს თვალს ვერ ვუსწორებდით.

— რა გვეშველება, რა გზას დავადგეთ? — იკითხა ვიღაცამ.

— გუშინ ქუჩაში მივაფსი, — თქვა მთაწმინდელმა „ტაბურეტკამ“, — შარდმა თვითონ ნახა თავისი გზა... დაგვამშვიდა.

კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, თუ სხვა გზა არა გვაქვს და შენი ფსელის ჭკუაზე უნდა ვიაროთ, — ვთქვი გუნებაში.

ტრასირებული ფერადი ტყვიები კი „მხურვალედ“ მოციქულობდნენ ძმათა შორის ამ ძმათამკვლელ ომში და ლევან სანიკიძის ქართველთა „309 სირცხვილს“ — სირცხვილი ემატებოდა!

*სხვა სიკეთესთან ერთად, სასტიკად აკრძალეს მათი გალიაში ჩასმა. ხოლო, რაც შეეხება ავსტრალიელი პარლამენტარების ახალ წიაღსვლას, მისი უაზრო ხასიათი, დაახლოებით, ასეთ შედეგს მოიტანს — სექსის არქონის გამო ქვეყანა სულ მალე ჩაილურის წყალს დალევს.*

*მოკლედ, ავსტრალიის პარლამენტის დამოუკიდებელმა წევრმა ენ ბრესინგტონმა მამაკაცებს მოუწოდა, სუსტი სქესის წარმომადგენლებთან სექსუალური კავშირი მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაამყარონ.*

*წარმოიდგინეთ, რა უნდა ჩაიწეროს ამ უთავბოლო ხელშეკრულებაში? ვთქვათ, მე, ესა და ეს, გაძლევთ უფლებას, საღამოს 17:35 საათზე მხოლოდ მიღუღუნით, 18:50 საათზე მაკოცეთ და შემდეგ ვნახოთ, როგორ ამეშლება ხალერლელი და შენც როგორ მოიქცევი...*

*„ალია“*

*იაპონიაში იხსნება თავშესაფარი მიტოვებული... ძაღლებისთვის!*

* * *

კალამზე ცრემლი სდიოდა მელანს —
ეღარ იჯერდა ალეირი მერანს.
პირზე მეკერა სიტყვა უშვერი...
ღმერთო, ისევ შენ, შენ თუ უშველი...
ამ ქვეყანას!

* * *

გინდ დაიჯერე, გინდა — არა — ნიკოლოზ ბარათაშვილი ჩემი სკოლის „ამხანაგია", თუმცა, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში ვსწავლობდით... თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში, სადაც, ტატოს დამკოჭლებელ კიბეზე, ვინ იცის, კიდევ ვინ მოიტეხავს კისერს და ვინ გააჭენებს თავის მერანს!

* * *

რაა საჭირო მწერლისათვის?

მწერალს — ეწერებოდეს და მკითხველს — ეკითხებოდეს!

ერთმა ჭკუის კოლოფმა, ჰამაც, განათლების მინისტრმა ბრძანა, წიგნის დრო წავიდა და კომპიუტერის დრო მოვიდაო.

სწორედ ასეთ კაცებს ეძახიან წასულ-მოსული ჭკუის ადამიანებს!

* * *

ეს ცხოვრება ფათერაკებით სავსეა, მაგრამ ავკარგიანია (თუმცა, ავი ჭარბობს!). ცხოვრებას რაღა უკლია „ცხონებამდე"? — ორადორი ასო. ჰოდა, მეც „ვორატორობ" და ამ ასოების სასოებით ვეძებ სიტყვებს, როგორც ოქროს მაძიებელი.

* * *

240 000 კაცის დახვრეტაზე ჰქონია ხელი მოწერილი ანასტას მიქოიანს. დიდი უკულმართი კაცი ყოფილა და მისი სახელი უკუღმა (ერთი ასოს გამოკლებით) უფრო სწორად იკითხება — სატანა!

* * *

იტყვიან, „გადმოგიგდია ენაო!" — იდიო- თუ „იბიომატური" სიტყვაა (ასე ამბობენ და ასე ფიქრობენ!). ან, ავიღოთ სიტყვა „ჯადოქარი" — ჯადოც აქ არის და ქარიც ამოვარდა...

ჭკვიანის ჭკვიანურ ტყუილს მე გიჟის გიჟური მართალი მირჩევნია!

ბოდვა ჯობია ცოდვას (ტყუილს!), ქვის კოდვას. დედაჩემი მკერავი ქალი იყო. ნემსის წვერზე გვზრდიდა მე და ჩემს დას. ერთი შინაბერა მეზობელი ჰყავდა შემოჩვეული — ეს მუშაობდა, ის ქაქანებდა და... ასე გაყავდათ დრო!

ერთხელ, იმ ქალმა თქვა: გამიგონია, რომ ადამიანს შენი ბედი მაშინ

---

*ბედნიერება მოწყალების გაცემაა და არა მიღება, მაგრამ საქართველოში მოიძებნა ფორმა, როცა სიკეთის კეთებაცა და დანახვაც ქველმოქმედებაა! (გ.ნ.)*

უნდა ჰკითხო, როცა ბოდავსო. ჩამნვდა თუ არა ეს ყურში, მაშინვე დავიწყე ბოდვა და მეცა ეს ქალი — ჩემი ბედი მითხარიო.

— ჯანდაბას შენი თავი, ნადი, სახლში დაელოდე-მეთქი. ძლივს მოვიშორეთ.

მგონი მოგიყევით.

ეს დამჭკნარი ქალი, ერთხელ, ჭყოიძემ მოიკითხა და, რომ უთქვამთ, „სვიდანიაზეა" ნასულიო, იმას შეუცხადებია, ბოშო, ახლა ეგ ქალი „სვიდანიაზე" კი არა, „დასვიდანიაზე" უნდა იყოს ნასულიო!

* * *

თუ ამ ქვეყანამ ვერ გაგვასწორა, ის ქვეყანა მაინც გაგვასწორებს... კაცთანაც და მინასთანაც! ის აგვწონ-დაგვწონის და სასწორის პინის ტუჩს ტუჩზე მიგვადებინებს...

* * *

შეურიგებელთა შერიგება... გარიგებაა!

* * *

თამადად საკუთარი კანდიდატურის წამოყენების დროს, გუჯა ბუბუტეიშვილმა იცის თქმა: ვანში ერთმა კაცმა შვილი ასე დაარიგაო: თუ თამადად აგირჩიეს, უნდა დადგე, შვილო... სხვის ბუუტურს შენი ბუუტური გერჩიოსო!

* * *

ქართველი კაცი, ერთეული კი არა, ერთადერთეული და განუმეორებელია (ანუ უტირაჟო!), მე ვარ და ჩემი ნაბადიო! სხვისგან თუ გაგონილა ასეთი ნერონული თავკერძობა?! „ქეიფს ვიწყებ დილიდან, ვიქირავებ დილიჟანსს... შიგ შევაბამ ლომებს, ფაფარაშლილს..." გესმით, ხალხო? კიდეც რომ არ ქნას, გულში ხომ ფიქრობს რაღაც ამის მსგავს უმსგავსობას! ამ „მე ვარ და ჩემი ნაბადის" ფილოსოფიამ მთლად გამოაფალოსა მავან-ავან-ჩავანი!

* * *

დიდხანს ვადევნე ცხოვრებას თვალყური, მაგრამ ფიქრიც ვერ დავანიე — „მირბის, მიმაფრენს..."

* * *

წუთისოფელი ყოფილა
ნეტარებაც და წამებაც...
ცხოვრების წილადობილა
სიცილ-ტირილში გამებნა!

*(გაზეთებიდან)*

**P.S.** *აბა, როგორ! თუ ძაღლი ადამიანის მეგობარია, არც ამ უკანასკნელისთვის უნდა იყო ადამიანი... ძაღლი!*

*ისიც ხომაა ნათქვამი: კაცი კაცისთვის მგელიაო!*

*ამიტომ არის, ალბათ: შევეჭამეს მგლებმა, მაგრამ კაცი უზაკონოდ ხმას ვერ სცემს. მგლის მოკვლისთვის იმხელა ჯარიმებია!*

*მახლოას, დღეს ერთობ ძნელი გასარჩევია კაცი და მხეცი!*

*სერგეი ლაზარევი:*

*მკურნალობის პრაქტიკაში ბევრჯერ მინახავს, როგორ იტანჯება და ავადმყოფობს შთამომავალთა არაერთი თაობა, თუკი წინაპარმა მკვლელობა ან თვითმკვლელობა ჩაიდინა!*

*ბრიყანული რეიტინგის სათავეში მოექცა მათივე უაზრო კანონი, რომელიც ადამიანებს ხახცოკად უკრძალავს პარლამენტის შენობაში... გარდაცვალებას. (არადა, ხანდახან აქ ისეთს გაიგონებ... გაგიხეთქავს კაცს გული! — გ.ნ.). მერე ადგ-*

## მეგი.

**(დიდობაში სადიდებლად)**

*ჩემი დის პატარა*
*შვილისშვილისშვილს*
*მზეთუნახავ მეგის*

მეგი!
მიგულე შენზე მლოცველად –
აგსრულებოდეს ყველა ოცნება –
შენზე უკეთესს მე რას ენახაო –
ჩემო პატარა მზეთუნახავო!

* * *

...მოგონებების 9-ბალიან ღელვაში ვარ და, ზურგის ქარი, ჩემი ფიქრის აფრებიანად, ნაფოტივით მისერის ტალღებზე...

* * *

ბლიც-ინტერვიუ!
— როგორ უყურებთ თქვენს 80-ს?
— ჩემს 40-ს მირჩევნია!

* * *

კაცის გაცნობისას ხელს ვუწოდებთ ერთურთს და ვამბობთ: ვიცნობდეთ ერთმანეთსო. წიგნი კი იმისთვისაა, ერთმანეთის სულში ჩავიხედოთ და გულში ვთქვათ — გულმა გული იცნოო!

* * *

რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით?
ქრიან ქარები, წვიმს ცრემლები, მათოვს ფიქრები!

* * *

ჩემი სიცოცხლე შენს ხატის წინ ღამეს ათევდა —
შენზე ლოცვაში შემომაღამ-შემომათენდა!

* * *

განა, რა მკვდარი უნდა ვიყო, ჩემო ამიგო —
შენ ჩემს საფლავზე მოხვიდე და მე ვერ გავიგო!

* * *

რამდენი ხანია, ცოლს ყურს ხან ვათხოვებ, ხან ვუგდებ, მაგრამ ასეთი ბრძნული რამ ჯერ არ დაცდენია:

---

*ჩინური: დღე – ფიქრები. ღამე – აზრები.*

*ნახევარი ღამე საკუთარ სიღარიბეზე დარდს მიაქვს. ნახევარი კი – სხვის ქონებაზე დარდს!*

*360 საქმიდან ყველაზე საპატიო მიწათმოქმედებაა.*

*წიგნს თუ არ კითხულობ, შენი სიტყვა ეშხს კარგავს.*

სარკეში ჩაიხედა და თქვა:

— ბრძენია ბუნება: ყველაფერი ზუსტად აქვს გათვლილი: სიბერეში შენი სახის ნაოჭები რომ კარგად ვერ დაინახო და გულზე არ შემოგეყაროს, თვალში სინათლეს გაკლებს!

— და ჭკუასაც გმატებს! — ვანუგეშე მე.

მეორე შემთხვევა!

კაცს ქალზე უკეთესი გემოვნება აქვს.

— პირიქით! (მისი კონტრარგუმენტია!)

— საბუთი! — მე შენ მომენონე, შენ კი — მე!

—?! ...პირველად მოკეტა.

* * *

ზოგი კალამი ისეთი ბინძურია, ისე თათხავს ადრესატს, ჯობია, მის პატრონს ქაღალდზე მელანი დაექცეს (დაიქცა ასეთი სიტყვა — ეშმაკი და არა სიტყვა-ღმერთი!). ჩემს კოლეგას ფელეტონით კაცი შემოაკვდა და მეც იმიტომ შევეშვი ამ ჟანრს, რომ ჩვენში, რაც არ უნდა მეგობრულად სძრახო კაცს, გადაგეკიდება და ცოდვას ცოდვა მოსდევს!

სწორედ ამიტომ ავიღე ხელი ამ თავზეხელაღებულობიდან (ანუ ჟანრული ცოდვისაგან).

* * *

ნუ მაშინებ, სიკვდილო! შენ რომ ასეთი საშიში იყო, შიშს დიდი თვალები აქვს და ასე იოლად არ დაეხუჭებოდა თვალები!

* * *

მეცნიერული აღმოჩენები:
ცოტა ჭკუა და
ბევრი ოფლია —
მიტომ დაეკიდეთ, ალბათ, ყვერებით —
ფალოსოფიის ფილოსოფია!

* * *

ცრუ წუთისოფლის უძირო ქვაბით,
დიდითაა თუ მცირე კარდალით —
წამოვადუღოთ ცხოვრების ქაფი
და ვხარშოთ დროის აჯაფსანდალი.
ავის და კარგის გარჩევა ვცადოთ —
მსხვილადა ვღერღოთ — წვრილადა ვცრათო.
და რაცა ხსოვნის წისქვილმა ფქვასო —
სარეკელების ენითა თქვასო.

*შუმერული: ძაღლი ძილშიაც იღრინება.*

*ილზეა კანონი, რომელიც სამშობლოს მოღალატის იარლიყს აკრავს ნებისმიერ ინგლისელს, რომელიც გაბედავს და საფოსტო მარკას, რომელზეც რომელიმე ბრიტანელი მონარქია გამოსახული, კონვერტზე თავდაყირა მიაწებებს.*

*რაც შეეხება მესამე პოზიციის მფლობელს, „ბრინჯაოს მედალი" წილად ხვდა აკრძალვას, რომლის მიხედვითაც, ქალაქ ლივერპულის ქუჩებში ტანსაცმლის გარეშე გამოჩენა ყველას სასტიკად ეკრძალება... თევზეულის გამყიდველის გარდა...*

*ასევე, სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს ნებისმიერ შოტლანდიელს, რომელიც საკუთარი სახლის კარზე მისულ ადამიანს ტუალეტში შესვლაზე უარს ეტყვის.*

*მილანური კანონებით, მილანელები ყოველთვის უნდა იღიმებოდნენ... დაკრძალვისა და საავადმყოფოში მისვლის გარდა.*

**P.S.** *ისე, რაღაც ამდაგვარი მეც გამიგია: თურმე, დიდ ქართველ კომიკოსს სანდრო ჟორჟოლი-*

* * *

არ მეცინება — ვიცინი
მწყინს — რა მეტყობა მე წყენის?
ცხოვრების იწილ-ბიწილი:
წინ — წყალი, უკან — მეწყერი!

* * *

ისეთი დღე უნდა დადგეს, რომ ღირდეს... გათენებად!
ისეთი დილა უნდა გათენდეს, რომ ღირდეს... ადგომად!
ისეთი სიტყვა უნდა თქვა, რომ ღირდეს... მოსმენად!
ისეთი გული უნდა გქონდეს, რომ ღირდეს... ფეთქვად!
ისეთი მტერი უნდა გყავდეს, რომ ღირდეს... კაცად!
ისეთი ტყუილი უნდა თქვა, რომ ღირდეს... სიმართლედ!
ისეთი ტყვია უნდა გავარდეს, რომ ღირდეს... მოხვედრად!
ისეთი სიკედილით უნდა მოკვდე, რომ ღირდეს... უკვდავებად!
ისეთი ლექსი უნდა დაიწეროს, რომ ღირდეს... წასაკითხად!
ისეთი რაღაც ითქვას — შენი გაეიგონო — ჩემი გითხრა!

* * *

პარადოქსების დროა!

თავში რომ იყო, ბოლო უნდა გქონდეს და ბოლოც რომ იყო — თავი!

ანუ, თავთან ერთად ტ...კიც უნდა ყველაფერს!

მინდოდა, შთამომავლობისთვის ამეხსნა ჩვენი დროის ყველაზე ნომენკლატურული „მაკულატურების" აბრევიატურები: ცეკა, ტეკა და საკ.კპ (ბ). თუმცა, ეს ნომენკლა„ტურებია" თუ „მგლები"... ნეტა მეც არ მცოდნოდა!

დიახ, ეს არ იყო უბრალო ენის გასატეხი რამ. ეს იყო დიდი თავსატეხი რამე-რუმე, რომლის ბიუროზე შედიოდა თავი და გამოდიოდა ტრაკი!

* * *

ჩვენი მოწყალების ძმას — თუ მივანვედენ სადმე ხმას —
ვეტყვი მას უბოდიშოდ — ვერ ივარგა ბადიშად!
თუმცა, ჰგავდა ფადიშახს — მოაბეზრა თავი ხალხს. ოქროს მთებს გვპირდებოდა — სხვის შიმშილით ძღებოდა.
... ტკბილიც იყავ და მწარეც — ქოში უკანა ჰყარე.
როგორ იგარენარე — სიცოცხლე ნაგვამწარე.
P.S. ამ მის ეპატაჟებში ისე გვეპატიჟები —
ქორწილში რომ შეგვეიშვან — გიჟს ვგონივართ გიჟები!

* * *

რწყილმა ჟირაფი ითხოვა, თურმე, ცოლად და პირველივე ღამეს, თურმე, კინაღამ სული გაძვრა. ძმაკაცებმა ჰკითხეს, რა მოგივიდაო? როგორ თუ რა მომივიდა — მთელი ღამე გზაში გავატარეო — ნადი — აკოცე, ნამოდი... უქენი, ირბინე ასე — წინ და უკანო!

* * *

დრო გარბის თავქუდმოგლეჯით —
ისარი — ისარს მისდევს,
წარსულით და მომავლეთით —
დრო ამსხვრევს დროის ხიდებს!
ადრე დღე ჰგავდა წელიწადს —
წელიწადი ჰგავს დღესა —
დრო დაემსგავსა სიზმარ-ცხადს —
ცდუნება არის ესა!

* * *

მხარეს ვერ ნახავ უფრო ნებიერს!...
მომავალს მაინც ნუ ექცევით მტერადო...
შაჰ აბასს — ასე უბრძანებია,
ქართველს ქართველიც ეყოფა მტრადო!

* * *

ერთი მერცხლის იმედზე გაზაფხული გამოვა?
ვერც ია გახდება მისი მახარობელი —
მარტო მარტის იმედზე გაზაფხული არ მოვა —
სიმართლით თუ არ ივლის ეს ცრუ წუთისოფელი!

* * *

პირში მინდოდა, მეთქვა სათქმელი
და მაინც გულში გამომიეიდა —
ყველა სათქმელი გულშიც არ ითქმის
და არც ამოდის იგი პირიდან!

* * *

დღემდე მიდგია პირში სული პიტერ ბრუკეს (ჩემი ავსტრიელი გულის ექიმის), გელა-გია მუხაშავრიების, ირაკლი მეგრელაძის და, დღემდე ჩემი „მაჯის შემტყობარის", შალვა პეტრიაშვილის ნყალობით!

მათ თუ არა, აბა, ვის დავაბრალო, რომ დღემდე, ბატონი ლუარსაბისა არ იყო, ვაცივითა ვარ და, მგონი, სიკვდილსაც დავეინყებივარ!

აქვე უნდა ითქვას, რომ თუ აქიმი — მაჯის შემტყობარია, მწერალი — ერის მკურნალი და სიჯანსაღის მოდარაჯეა. მისი ფონენდოსკოპი... გულისყურია: იხედება გულებში, ისმენს ცხოვრების სატკივარს, სვამს დიაგნოზს და ლექს-რეცეპტებად ეძებს სიტყვის სამკურნალწამლო საშუალებებს, რადგან სიტყვა წამალიცაა და საწამლავიც!

* * *

სიტყვა-ღმერთს ყური კი არ უნდა დაუგდო — გულისყურით უნდა მოუსმინო; კი არ მოისმინო — ისმინო; კი არ ისმინო – შეისმინო!

ანს სიკვდილის წინ დაუბარებია: თავდახურული კუბოთი გამასვენეთ. არ მინდა. ხალხმა სიცილით გამაცილოსო!

ერთხელ. თურმე, მეორე მსოფლიო ომის დროს, გამანადგურებელი ბატალიონის მწყრივში მიყარა ხალხმა თავლი და ისეთი ხიცილ-ხარხარი ამტყდარა, მეთაურს უბრძანებია: ეს კაცი მომაშორეთ აქედან! საბრძოლო მწყობრს ბრძოლისუნარიანობას უქვეითებსო!

ლას-ვეგასში ამერიკელი ქალწულების ყრილობა გაიმართა. მონაწილეთა რაოდენობა კი მართლაც სასაცილოა. ამხელა ამერიკაში, რომლის მოსახლეობის რაოდენობა, 2008 წლის მონაცემებით, 304 მილიონ 265 ათას 600 ადამიანს უტოლდებოდა, მხოლოდ... 200 ქალიშვილი გამოიძებნა.

თურმე, ამ ყრილობის მონაწილეებმა სხვადასხვა საგნის გამოფენაც გამართეს, რომლებიც ქორწინებამდე სექსზე უარის თქმის პროპაგანდისთვის იყო შექმნილი. მათ შორის ყოფილა ქვე-

სიტყვა-ღმერთის ელვსია... გულისყურია —
სიტყვა, როგორც ზარი — რეკავს... სული სწყურია!

* * *

დაეიღალეთ: მე — წერით და შენ — კითხვით!
ჭრელა-ჭრულას ეყვები ამ ნარეკლიანს.
და ძახილის ნიშნითა თუ შეკითხვით —
წიგნი — ჩემი სულის ანარეკლია!

* * *

უკულმართი მსჯელობით სტალინი „მართლა" ოსი გამოდის — ბიჭობის სახელშიც (წინიდანაც და უკნიდანაც „ოსი" უწერია — ს-ოსო!) მეტი რა საბუთი და საბუთქი გინდა.

* * *

რობერტ ნიშნიანიძემ მითხრა: წუხელ, სიზმარში რას მეჩურჩულებოდიო? და, რა უნდა მეპასუხა? არ ვიცი... მეძინა-მეთქი.

### *ჩემდვთმი გადაწყვეტილებით!*

ერია თუ ბერია — უდგას გლოვის კარავი!
სასიკვდილე — ბევრია, სამთაწმინდე — არავინ!

P.S. ჰოდა, მოისვენეთ იქ, სადაც მიგასვენებენ... ან, საერთოდ, რა გეჩქარებათ?..

## *ნაღდი ძველთბილისური*

მეტეხთან, მტკვრის პირას, მეთევზე სინანულით ამბობს: შამაია დავკარგეო... და კითხვაზე: მაგასა დარდობო? სინანულით დააყოლებს: არა, კაცო, მაგის დარდი კი არა მაქვს, ის მადარდებს, ვინმე იმერელმა არ იპოვოს და „ტარანად" არ შეჭამოსო!

* * *

გაზაფხული მოვა თუ არა, ჩვენი ეზოს აკაკის ხეზე (ჩემი ბედისწერის ხეა) ორი შაშვი მოფრინდება. იმათი ჭიკჭიკის მოსმენას, ასე ვთქვათ, ამ შაშვების „ფუგის" მოსმენას არაფერი ჯობია. თავის დროზე, მათი ეშხით, დავარქვი ედუარდ სეფაშვილის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს „შაშვები". მაგრამ, თურმე, ჭიკჭიკიც არ არის ყოველთვის... ჭუკჭუკი! ერთხელ ისე დაკორტნეს ერთმანეთი, რომ (მიუხედავად იმისა, ფართის უფლებით ჩავინერე ეს ჩიტუნები) იძულებული შევიქენი, რაც ხელში მომხვდა, მესროლა და გამეშველებინა, გალობისათვის დაბადებული ეს დალოცვილები. ერთი ალთას გაფრინდა, მეორე — ბალთას (თუ პირიქით!) გაფრინდნენ და აღარც მოფრენილან!

---

*ლაროშფუკო: უძლური კაცი გულწრფელი ვერ იქნება.*

*ძლიერ ცოტაა ისეთი ადამიანები, რომლებიც ისურვებდნენ თავიანთ შესახებ სიმართლის მოსმენას.*

შეიძლება, ცოლ-ქმარიც კი იყო.
სხვისი ოჯახის საქმეში არ უნდა ჩაერიოს კაცი!

* * *

როცა ადამიანს ენა გისწრებს — არაა კარგი.
არც ისაა კარგი, როცა კალამი გისწრებს და არ იცი, რას წერ (თუმცა, ახლა მორბენალი სტრიქონიც მოდაშია!)

სიტყვას აწონა უნდა
და, თანაც, სკრუპულით —
ანუ სკრუპულოზურად.
როცა —
გულით სათქმელი...
სიტყვით მოსულა!

* * *

მატარებლით მოსკოვში იშვიათად მიმგზავრია, მაგრამ როცა კი მიმგზავრია, არასოდეს არ გამიშვეია ხელიდან „ბელორეჩენსკაიას" მოხარშული დედლები და დღემდე ყურიდან არ ამომდის როსტოველი „ჟიგნების ეშხით" შეშფოთებული „პრავადნიკის" ხმა: ვუახლოვდებით როსტოვს... დაკეტეთ ფანჯრები! და, კიდევ ერთი, ქართულად ეროტიკული, მაგრამ რუსულად ერთი ჩვეულებრივი სავაჭრო რეკლამა, რომელიც კურსკის ვაგზალზე ჩასვლისთანავე, ერთი დიდი მაღაზიის თავზე მოციმციმე ასოებით, გეცემოდათ თვალში: „მოსტკანი!"
რუს გოგოებზე გადარეულ ქართველ ბიჭებს კიდევ ეს გვინდოდა?!

* * *

არსაკიძეს მკლავი მოჭრეს:
რატომ კარგი აგიგია?
ცუდი წიგნის დაწერისთვის
თავის მოჭრაც გამიგია!

* * *

ერთხელ, აკადემიკოს თენგიზ ბურჭულაძეს კინაღამ ჩაეშალა დღეობა, რადგან ვიქტორ კუპრაძესთან ერთად წერდა მათემატიკის სახელმძღვანელოს და რაღაც შეცდომა გაპარეიათ.
კატეგორიულად მოვთხოვეთ, აეხსნა, რაში იყო საქმე, მაგრამ უარს გვეუბნებოდა — მაინც ვერ გაიგებთო.
ბოლოს, რომ აღარ მოვეშვით, გვითხრა:
— მინუსი დავკარგეთო.
ჰოდა, ჩვენც, იმ მინუსივით, დაგვეკარგა საქციელი, მაგრამ მე იხტიბარი არ გავიტეხე და მთელი სერიოზულობით ვკითხე:

და საცვლები წარწერით: სდექ! უცხო პირთა შესვლა აკრძალულია!

არმაზ სიძმასნა:

„ზოგი გაქცეულია, ზოგი დაქცეულია, ზოგი ნაქცეულია, ზოგი ჩაქცეულია — ეს არის ჩემი მე-ფასება და მას აღარ გავაშიერავ" — განაცხადა პარტიის „თავისუფლების" ლიდერმა კონსტანტინე გამსახურდიამ.

ერთი მუსიკაღა უნდა, ბატონო კონსტანტინე, მაგ სიტყვებს და, პრაქტიკულად, რეპია, რა.

გაზ. „ყველა სიახლე"

ლალი მოროშკინა თავის ბესტსელერში „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი" სვამს კითხვას: ნეტავ, რატომ სჯის ღმერთი ქართველებს? იქნებ იმიტომ, რომ ზედმეტად ამპარტავანნი არიან?

ერთი კახური სიმღერაც ხომ ამასვე გვამხელს:

„ქუდი გვერდზე დაგიხურავს, ამპარტავანსა ჰგეხარო"!

ზოგს თავი მარტო იმისთვის აქვს, რომ ზედ ქუდი ჩამოჰკიდოს!

— ვისზე გაქვთ ექვი-მეთქი?

დიდ მეცნიერს, ბატონ ვიქტორს უთქვამს: მინუსისთვის ამ თვალით ჯერ არ შემიხედიაო!

* * *

...ვის — საჩიერის წიგნი აქვს, წინადადებებითა,
ვის კი უქმი ოქმები, ლანძღვა-გინებებითა —
ეს კი ავტოპორტრეტი — ავერს-რევერსებითა —
ჩემი დღე და მოსწრება... უბის წიგნაკებიდან!!

* * *

ამხანაგის არჩევისას სულ არ ვშიშობდი — „ამხანაგის უკეთესსა შენ რას იშონი!" (სულხან-საბა)

„ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია" — დელი-ოდელია!

ხმის მომცემია და ბანის მთქმელია —

ჭირში — მცველია, ლხინში — მლხენია —

ყველა სიკეთეს მისგან ელიან...

აბა, დელია!

...კომუნისტებმა კი ისე „იხმარეს" ეს ოქრო-სიტყვა... „ამხანაგოს", რომ გეტყოდნენ... ნასული იყო შენი საქმე ხელიდან!

* * *

2009 წლის 25 ოქტომბერს, „სამებაში", ჩემი ოთხტომეულიანად, მაზიარა მამა ლაზარემ. ბეთლემის მღვდელმა, 12 ანგელოზი შვილის მამამ და ჩემი მეუღლის მოძღვარმა — ალექსანდრე ბოლქვაძემ, მერე კი, პატრიარქის მინვევით, მასთან საკურთხეველში შემიყვანა...

საოცარი განცდაა, მინაზე ფეხი არ გიდგას, სადღაც მეშვიდე ცაზე ხარ, უფლის სადიდებელ გალობას ისმენ (უნმინდესისა და უნეტარესის ველში მოქცეული) და კათალიკოს-პატრიარქის სულით სუნთქავ.

დედაა — მინა, მამაა — ღმერთი!

* * *

ვარჩევ ავ-კარგს, ვამჩნევ შავ-თეთრს —
უფლის მზერით ვმზერ:
თეთრით — შავზე ვკითხულობ და შავით — თეთრზე ვწერ!

* * *

ჩემი ცხოვრების გზა და იერი —
ხედვა, ხედი თუ თვალსაწიერი —
აზრი და სიტყვა ნებისმიერი —
მიწიერია და ღვთისნიერი!

---

*ლაო-ძი: ვინც სხვათა მძლეველია — ძლიერია.*
*ვინც თავის მძლეველია: მძლეთამძლეა.*

*ლეონარდო და ვინჩი: ადამიანი სამყაროს მოდელია.*
*იქნებ ამიტომაც ერითმება ქართული — „დელი-ოდელია"!*

* * *

მწერალმა... წერტილის დასმა უნდა იცოდეს. ბოლოს და ბოლოს, კალმის ერთი ჩხვლეტაა!...

* * *

### *ამ დროის ყურემით!*

კაცით და გუნებით —
ეს ჩვენებურები —
ერთ დროს ქებულნი —
ის ძველებურები —
შეთქვენებულები —
შეჩვენებულები —
გახელებულები —
შესხელებულები —
„პატივცემულები"
და დაცემულები —
დაგლახებულები —
შეშინებულები.

P.S. ასე გამოიყურება დღეს თითებზე ჩამოსათვლელი ჩვენი თაობა!

### *ლექსპრომტი!*

**ჰოროსკოპით ლომს!**
**ჩემს ძმას და პირის ზიარებას**
**ომან ომანიძეს!**

პატივი მაქვს, მოგესალმოთ,
ამხანაგო ომან!
80 წლის ბიჭი ხარ თუ...
დამიბერდი ხომ არ?
მალე უკვე საუკუნის
2 პარასკევს გაეცდებით —
განცდილი თუ განუცდელი,
განსაცდელი განცდებით!
შენ გეკუთვნის ღვთის წყალობა
და არა ღვთისწყრომა:
ლომი იყავ,
ლომი ხარ და
ლომი დარჩი ლომად!
გაუმარჯოს!
გაუმარჯოს!
გაუმარჯოს ომანს!
ძმებში — ძმაკაცობასა და
ძმაკაცებში — ძმობას!

15.10.07.

*ალექსანდრე მაკედონელი პირადად იცნობდა საკუთარი არმიის 30 ათასამდე ჯარისკაცს.*

*პროფესიონალიზმი — ქალიშვილობის დაკარგვის შიში ყოფილა.*

*კოცნის დროს, ერთი ადამიანისგან მეორეს ბაქტერიების 278 სახეობა გადაეცემა. საბედნიეროდ, მათი 95% სრულიად უსაფრთხოა, თუმცა, დანარჩენი 5% არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს!*

*დასავლურ-აფრიკული ტომის — მაკამის წარმომადგენლები ადამიანის ჩონჩხის თავით თამაშობენ ფეხბურთს.*

*ქადრაკი სპარსული სიტყვების შერწყმისგან „შაჰისგან" და „მატისგან" წარმოიშვა, რაც ზუსტად ასე ითარგმნება: „მბრძანებელი მოკვდა".*

*ნაპოლეონი წუთში 2 ათასამდე სიტყვის წაკითხვას ახერხებდა. ბალზაკი 200-გვერდიან რო-*

* * *

„ჩოილარები“ დაკუტდნენ და იქცნენ კუტებად —
დავარდნილ კაცებს ყალყზე თმაც კი აღარ უდგებათ!

* * *

ვინ — ახარჯავს თავს ცხოვრებას,
ვინ — კი ბოჭავს,
ვინ — თავს წირავს წუთისოფელს,
ვინ კი — მოჭამს!

* * *

ტვინის უკმარისობა რას მიქვია...
ქვეყნის სლოგანია — „კმარა!!!“
უფროს-უმცროსობა გამიგია —
უმცროს-უფროსობა — არა!

## *ნასესხებ-ჩასასესხებელი!*

### *(ანუ გულით ამონაკვნესები — ძარაგმული ნაკვესები)*

ორფა აზრები — ქორფა ფრაზებით!
ჭკუა ჭკუის საკითხავ კაცს უნდა პკითხო!
და, როგორც კახურად ახურებენ —
„ბანი უთხრა ბანელებსა!“
შენ დაუკარ!
პატიოსნების ფასი ასეა:
„სინდისი — ათასი მოწმის ტოლფასია!“
პატიოსნება — უმწიკვლო ქალია —
„სინდისი ყველაზე კარგი თავსასთუმალია“!
მთელი ცხოვრება კაცის გალორებას უნდება —
თუ გალორდა — კიდეც აღრუტუნდება!

* * *

არისტოტელე:
„არა არის რა შეიარაღებულ უსამართლობაზე შემზარავიო“ —
იხილე და ამხილე იგავ-არაკი: „მგელი და კრავიო“!
შექსპირი:
„არა არის რა უმადურ ადამიანზე უარესიო“
ასეთთან — გინდა კაფე, გინდა — თესეო!

* * *

სიტყვას უებროს ვეძებ, ქარო, სანთელს ნუ აქრობ —
„ვარდი უეკლო არ არის და კაცი — უნაკლო!“

---

*ლეოპარდი: ადამიანებში გაცილებით უფრო ძლიერია გულისწყრომისა და სიძულვილის შიში, ვიდრე ერთგულებისა და მადლიერების იმედი; პირველი გაცილებით უფრო ქმედითია, ვიდრე მეორე.*

* * *

ლეონარდო და ვინჩის არ გვესმის ინჩი-ბინჩი.

* * *

დაეაყარე მეხია!... კისერიც უტეხიათ —
მეც ნახირ-ნახირაო — კუმ გამოყო ფეხია!

* * *

„ვინც სათნოებას თესავს — დიდებას იმკის!"
ცოტა ეჭვიც შეეპარა ამ სიბრძნეს, თორემ იმ ხალხურ ლექსს რა ათქმევინებდა:
ესეც „სიბრძნე" ახალ მოდის —
ვარდს ვთესავ და რა ამოდის?...

* * *

კონფუცი:
ვინც სიკეთეს ბოროტებით პასუხობს,
მისი სახლიდან ავი აღარ გავა. (ვაჰა!)

ბირაქი (ძველი აღთქმა):
დასაბამი ყოველისა საქმისა — სიტყვაა —
საღვთო სიტყვა კი გვირგვინი და სულის მიტრაა!

ქართული ანდაზა:
„ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!"
თქმა შეშვენის კაი ყმასა —
ართქმა ქალ-გაფაშატების!

* * *

ციცერონი:
საქმე როცა ლაპარაკობს — სიტყვა რა საჭიროა?
მტყუან-მართლის გამრჩევი კი ახლა მხოლოდ... კილოა!
ჯოჯოხეთის კარებიდან სამოთხის კარს აღებენ—
დამარცხებას გამარჯვებად ისე გაგისაღებენ!

* * *

პასკალი:
მახვილსიტყვაობა ცუდი ხასიათის ნიშანია!
მე თუ მკითხავთ, დუმილი უფრო ცუდსაშიშარია!

* * *

ჰორაციუსი:
„ფული, ან ბატონობს, ან ბატონებს ემსახურება" —
უფულოებს სხვა რა დარჩენიათ:
ნერწყვის ყლაპვა და თვალებში ყურება!

კარლ პოპერი:
„ფულის ყველაზე ბოროტი გამოყენება — პოლიტიკური ხელისუფლების ყიდვაა!"
ფული ხელის ჭუჭყიაო, ვამბობთ, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი სიბინძურე — ცოდვების ზიდვაა!

*მაჩებს ნახევარ საათში კითხულობდა (!)*

*ადამიანის ორგანიზმში მობინადრე ბაქტერიების საერთო წონა 2 კილოგრამს შეადგენს.*

*„მუსიკალური" ბალიში იავნანას გიმღერებთ.*
*ბრიტანელმა სპეციალისტებმა მოიფიქრეს, როგორ გააუმჯობესონ ძილის დროს მელომანების კომფორტი. ცხადია, არავის მოსწონს ყურსასმენებით ძილი, ეს ძალიან უხერხულია. ამიტომ, დიზაინერებმა სპეციალური მუსიკალური ბალიში შექმნეს მათთვის, ვისაც ღამით მუსიკის მოსმენა უყვარს.*
*„ვერსია"*

***P.S.*** *ახლა კომფორტი მისწრებაა თავზეხელაღებულებისა და ბალიშზე თავდადებულებისათვის!*

*მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული კბილი ისააკ ნიუტონის კბილია, რომელიც 1816 წელს 730 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა (დღე-*

* * *

პიერ კორნელი:

„მე შემიძლია, ყველაფერი გადავიტანო, გარდა ღირსების შელახვისა!"

ყველაფრის გადამალვა შეიძლება, გარდა ნამუსის შენახვისა!

* * *

„მგლებში თუ ცხოვრობ, ყმუილი უნდა იცოდე"
ტყუილიც თქვა და სირცხვილითაც არ ინვოდე!

* * *

ჟან ჟაკ რუსო: 1000 გზას მივყავართ მცდარობისაკენ და მხოლოდ ერთი გზა მიდის ჭეშმარიტებისაკენ!"

— შენ ვისკენ?

(მე — შენკენ, შენ — ეშმაკებისკენ!)

* * *

ავისა და კარგის გარჩევის ნიჭი — არა მოდებ-მიდებაა:
„პლატონზე უფრო დიდი მეგობარი — ჭეშმარიტებაა!"

* * *

ბეკონი:

„ჭეშმარიტება შვილია დროისა და არა ავტორიტეტისა!"

ეს სიბრძნეც მსხვერპლია ამ დროის ავტორიტარობისა, ანუ ავტორიტეტების რეტისა!

* * *

ჩარლზ ლემი:
„ჩვენს ინტელექტს სარკესთან კეკლუცობა უყვარს".
სიტყვას — სუნი ასდის —
საქმე, — კიდე, უყარს!

* * *

გიოარსი:
ჭკუა შუამავალია — სულსა და ხორცს არიგებს.
„ომი კრიმინალებსაო" და „მშვიდობა — ბარიგებს!"

* * *

გოეთე:
„ეს რა ხალხია, ღმერთს რომ მოჰგვარეს?
ერთ სუფრას უშლის მტერს და მოყვარეს!"

* * *

ბერტოლდ ბრეხტი:
„უზენაესი ხელოვნება... სიყვარულია".
სჯდება გულია —
მაშინ, როდესაც „ჩარეცხილიც" ჩარიცხულია...
კაცთა სიაში!

* * *

დენი დიდრო:

„ექიმები იბრძვიან ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად — მზარეულები კი მის გასანადგურებლად!"

* * *

ზღაპარსა ჰგავს —
ვინ ჭამს მაგას!

ზომიერება საღვთო ნესია —

არქონება, თუმცა, არ ვარგა — „ავად ქონება უარესია" (სულხან-საბა).

* * *

ილია: ცხოვრება ნენვა-გლეჯვის ბაზარია!.. ახლა, მით უფრო!

დასანახადაც საზარია!

* * *

აკაკი:

ნეტავი იმ ერს, რომელსაც კარგი ქალები ჰყავ-სო!

...ველარ კი ვარჩევთ, თეთრსა და შავს — კარგ-სა და ავსო!

* * *

ბანოვანი:

ნაშიმშილები კაცის ბატონობა მშიერი მგლის ბატონობას „უდრის" —

„უნახავმა რა ნახაო" —

უღირსის პატივს... ცუდი სუნი უდის!

* * *

გალა:

უმზეო კაცსა რა აძლებინებს ამ ქვეყანაზე! —

ის ამზეურებს სიტყვა-ღმერთსა ქვეყნის — „ყანაზე"!

* * *

კონსტანტინე:

„ერთგულისათვის ორი ხმაც ცოდოა, ორგული-სათვის კი ერთი ხმაც — მეტი!"

სიკვდილის ნინო, ერთხელ მღერის სიმღერას გედი!

* * *

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის" —

ნინათ ქართლის ჭირს მისტიროდნენ, ახლა უარესი გვჭირს, მარა ქათმის ჭირს მიეტირით.

არადა, ქათმებისა და ნინილებისადმი ჩვენი სიყვარული ტაფამწვარს — ტაბაკასა და „შქმერ-ულს" არ გაცილებია.

* * *

...ზღაპრულ ზღაპარ „ჭინჭრაქაში" თანამედ-როვე „სიცრუის დეტექტორის" ისტორიული პირ-ველწყარო — ბაყბაყდევის მრჩეველ „ქოსიკოდან" იღებს სათავეს, რომლის 2 თუ 3 თითის კომბინაცია ის „ანტენაა", რომელიც სასწაულად არჩევდა ტყუილსა და მართალს.

ახლა, მას „იმედის"არხზე დაემატა „სიმართ-

*ვანდელი კურსით — 3241 აშშ დოლარი) და რომელიც მყიდველმა ოქროს ბეჭედში ჩაასმევინა;*

*მისალმებისას ძველი რომაელები ერთმანეთს თვალზე კოცნიდნენ.*

*მე-19 საუკუნეში ჰომოსექსუალებს არა „ცისფერებად", არამედ „მწვანეებად" მოიხსენიებდნენ!*

*ფიძა ჯაიანა:*

*ღირს ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც წლის ადამიანად ბენდუქიძეს ასახელებენ, პატრიარქს მერვე ადგილს მიაკუთვნებენ, დეისაძეს კი — მეათეს?!*

*ომი, ძირითადად, სამი მიზეზის გამო ხდება. პირველი: დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე — ჯვაროსნული ომები, ბრძოლა ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის და სხვა. მეორე: დაპირისპირება ეროვნულ-ეთნიკური ნიშნით და მესამე: საზღვრების გამო!*

*ერთ წუთში მზე იმაზე მეტ ენერგიას*

ლის დრო" (ე.ი. როგორც იქნა, დადგა სიმართლის დრო) და როგორც არაერთხელ მითქვამს: ის დროა, რომ, თუ ფული გაქვს — სიმართლე... არ დაგეკარგება და პირიქით (პირიც იქეთ მიქნია): მართალში ფულს იქეთ გიხდიან... ოღონდ კოჭებამდე გულახდილი ან ჩახდილი უნდა იყო!

* * *

სალამი ჩემს სასალმეთს!
ქედს ვუხრი და ქუდს ვუხდი.
გმადლობთ თქვენ და მაღლით ღმერთს —
ვღუღდი და გადაეღუღდი.

*კალამ-სალამი!*

სიტყვის ბუნების — კალამბურების —
ეშხი ბედწერის ცდათა ცდუნების —
ალამდარული — კალმისტარული —
კალმისწვერული — კალმისცერული —
მეშვიდე ცათა ხმათა ცნობაა —
კაცის და კალმის კალმასობაა!

## ცხოვრებისათვის თვალებში ჩასახედად

ჩვენს ეპოქაში, კაცობრიობის სამეცნიერო დონე ყოველ 15 წელიწადში ორმაგდება. ზოგჯერ კი ოცნებაც ვერ ასწრებს სინამდვილეს.

პირველი დიდი აღმოჩენა იყო პირველყოფილი ქვის ჩაქუჩი, წყლის ბორბალი, კომპასი, საათი, დენთი...

აქედან მივიდა კაცობრიობა რეაქტიულ ავიაციამდე, ტელევიზიამდე, სინთეტიკურ მასალებამდე, ატომურ ენერგიამდე, ნახევარგამტარებამდე... ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდის ფანტასტიკური იდეის განსხეულება — ლაზერამდე, კოსმოსამდე და მთლად ცინცხალ სიახლემდე — კომპიუტერისა და ფიჭური კავშირგაბმულობის ფანტასტიკამდე!

კარგა ხნის წინ ჩემს ბიჭებს, ანუ „ფირმა ორ ძმას" მოსკოვში ვუყიდე „საბავშვო ლიტერატურის" ეგიდით გამოცემული ვიქტორ კომაროვის წიგნი: „ჯანსაღი აზრის საწინააღმდეგოდ", რომელიც მეც დედის რძესავით შევირგე. აქეთ, „მთვარემავალი-1", დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები, ელექტროგამომთვლელი მანქანები, იქეთ — ანტიბიოტიკები, კლინიკური სიკვდილიდან მობრუნებები, ადამიანის სხეულის ნაწილების რეპლანტაციები (გულის ოპერაციები, რომლითაც მეც მიდგას სული!), კიბერნეტიკა... გალაქტიკები, კვაზარები... რაღად გინდა სხვა ზარები!.. ატომური ენერგია, სამყაროს საიდუმლოებების ამოხსნები...

გავიხსენოთ, როგორ აუმხედრდა „ჯანსაღი აზრი" დედამიწის გარშემო შემოვლის მაგელანისეულ იდეას: როგორ შეიძლება, იარო ერთი მიმართულებით და საწყის წერტილს დაუბრუნდეო?... „ჯანსაღი აზრი" ისეთ „უაზრობას" როგორ წარმოიდგენდა, რომ დედამიწა მრგვალია და ჩვენს მოწინააღმდეგე მხარეს ადამიანები „თავდაყირა" დგანან?!... საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ მართალი იყო ის, ვინც გამოდიოდა ე.წ. „ჯანსაღი აზრის" საწინააღმდეგო პოზიციიდან და არა ის, ვინც მას „კბილებით" იცავდა!

დაახლოებით 100 წლის წინ, აშშ-ს საპატენტო ბიუროს თავმჯდომარე სახელმწიფო მდივანს წერდა: „აღარა აქვს აზრი, დავრჩე ჩემს პოსტზე,

რადგან ყველა აღმოჩენა უკვე გაკეთებულიაო!"

არქიმედეს კანონი, პითაგორას თეორია, ევკლიდეს გეომეტრია, კოპერნიკის სწავლება, ნიუტონის მექანიკა, აინშტაინის თეორია... ყველაფერი, კარგა ხანია, როგორც ფაქტი, სახეზეა!

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება მინვდა მილიარდობით სინათლის წელსა და სამყაროს საიდუმლოებებს, ჩაიხედა ატომურ სიღრმეებში — სამყარო ამოუწურავია, რომელიც თავის ახალ ლომონოსოვებს, ნიუტონებს, აინშტაინებს და სულ ახლებს... (მათ შორის, რაჭული წარმოშობის დვალებსაც ელოდება, რომლებიც, ლამისაა, ძველი ცოდნის ყირაზე დაყენებას გვპირდებიან!)

33. რა არის საჭირო ამისათვის? — იბადება კითხვა. ტალანტი? ღვთის ნაპერწკალი? შეუდრეკელობა? პატივმოყვარეობა?

მკვლევარი — ეს ის კაცია, რომელსაც, არა მხოლოდ უცნობ, არამედ ნაცნობ მოვლენასთანაც კი ორთაბრძოლა აქვს, რაც, შესაძლოა, უფრო ძნელიც კია, რადგანაც რაღაც ახლის აღმოჩენა რაღაც ძველის უარყოფაა!

ახლის შემომქმედნი — ეს ის ხალხია, რომლებსაც (ერთი გონებამახვილი ადამიანის მახვილგონიერული სიტყვით) შეუძლიათ ძველი ჭუჭრუტანიდან ახლებური ხედვა.

ყველაზე დიდი ბედნიერებაა, მოესწრო შენი სანუკვარი ოცნების ფრთების შესხმას!

— თქვენ სულ არ უფრთხილდებით თქვენს ჯანმრთელობას! — უთხრეს ერთხელ გამოჩენილ ასტრონომს, აკადემიკოს ამბარცუმიანს!

— ცხოვრებაში ყველაზე საინტერესო — შემოქმედებითი შრომაა, — უპასუხა დიდმა მეცნიერმა.

— სად იწყება სამშობლო?

— კონსტრუქტორისთვის — სახაზავ დაფაზე; მფრინავ-გამომცდელისათვის — ასაფრენ ბილიკზე; მკვლევარისათვის — სამეცნიერო ლაბორატორიაში... ჩვენი ხელობისაცა ვთქვათ: მწერლისთვის — სუფთა ფურცელთან!

ასე ვთქვათ: ფიზიკა და ლირიკა ძმები არიან.

მარქსს (ფუი, ეშმაკს!) რომ ჰკითხეს, რა არის ბედნიერებაო? — ბრძოლაო, — უპასუხა.

ბრძენია არა ის, ვინც ბევრი იცის, არამედ ის, ვინც, რაც საჭიროა, ის იცის!

დეკარტი: ყველას შემდეგ მოუსმინე... საკუთარ თავს.

ედისონი: გენიოსობა — ეს 99 პროცენტი ოფლი და 1 პროცენტი შთაგონებაა!

ფიზიკის თეორიის კორიფეს — პაულის ერთობ მწარე ენა ჰქონია და ერთი მეცნიერისთვის უთქვამს:

— არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ თქვენ ნელა აზროვნებთ, მაგრამ ვერ ვიტან, როცა

*ვამოიმუშავებს, ვიდრე დედამიწა მთელი წლის განმავლობაში.*

*ჯორჯიას შტატის უნივერსიტეტის მიკრობიოლოგების გამოთვლებით დედამიწაზე (მოემზადეთ) 5 000 000 000 000 000 000 000 000 000 000 (5 ნონილიონი) ბაქტერია ბინადრობს. ასე რომ, პარაზიტების „პარადი"!*

**P.S.** *ჩვენში ასეთ სტატისტიკაზე ნათქვამია: „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები!"*

*ქერათმიან ქალებსა და კაცებს თავზე, საშუალოდ, 150 ათასი ღერი თმა ეზრდებათ, შავთმიანებს კი — 100 ათასი.*

**P.S.** *მეცნიერებას ასე, ღერა-ღერა, აქვს დათვლილი ყველაფერი, მაგრამ ადამიანებს მაინც ყველაფრის სათვალავი გვაქვს არეული.*

*ჰოლანდიელი პედოფილების სამოქმედო გეგმა ასეთია: მათ სურთ, რომ შემცირდეს ასაკი მოზარდებისთვის, რომლებსაც სქეს-*

თქვენ იმაზე ადრე ბეჭდავთ თქვენს სამეცნიერო ნაშრომებს, ვინემ მოიფიქრებთ(?!)

გასული საუკუნის პირმშოა გასაოცარი ფიზიკური თეორია — ანუ ფარდობითობის თეორია! რომელშიც შავით თეთრზე სწერია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ოთხგანზომილებიან სივრცეში.

„ადვილი სათქმელია! უმაღლესი გეომეტრიის გარეშეც ხომ გასაგებია, რომ სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, სულ სამადსამი განზომილებაა: სიგრძე, სიგანე და სიმაღლე!... მეოთხე? მეოთხე სადღაა?... არადა, ფარდობითობის თეორია მარჯვედ იძართება სწორედ მეოთხე განზომილებით... დროით!

ბუნება ლაპარაკობს მათემატიკის ენითო! — მათემატიკა მეცნიერების საყოველთაო უნივერსალური ენაა.

87. ძველ საბერძნეთში ხალხმრავალ მოედნებზე ტარდებოდა თავისებური ასპარეზობები კამათში. მონინააღმდეგეები იგონებდნენ შთამბეჭდავ არგუმენტებს ერთმანეთის სანინააღმდეგოდ. აქ მარჯვე იარაღი იყო გონებამახვილობა, ენამახვილობა.

შუა საუკუნეების სნავლული სქოლასტიკოსები ფიქრობდნენ, რომ ასეთი გზით იპოვიდნენ სიმართლეს. დღემდე შემორჩა ხალხში მფრინავი ფრაზა: ჭეშმარიტება კამათში იბადებაო! თუმცა, ამ პოსტულატში ეჭვი დღესაც არ შეგვაქვს, მაგრამ გავიდა ასნლეულები და ჭეშმარიტმა მეცნიერებამ (კოპერნიკისა და გალილეის აღმოჩენის შემდეგ) შუა საუკუნეების „ბრძენთა განუსხეულებელი არგუმენტების" საპირისპიროდ ნამოაყენა ყველაზე ნაღდი და უტყუარი იარაღი-ფაქტი!

ახლა ვამბობთ: ფაქტი სახეზეა... და ეს არის ჭეშმარიტების სახეც!

კიბერნეტიკის დამფუძნებელი ნორბერტ ვინერი მადლიერებით იხსენებს იმ კამათებს, რომელშიაც თვითონ მონანილეობდა.

აქ უკვე, როგორც იტყვიან: კომუნისტური „ჯიგრით" — ხმის უმრავლესობით როდი ნყდება პრობლემა?!

ახალ სამეცნიერო იდეებს, რომელთაც დიდი მომავალი უნერია, თავიდან, როგორც ნესი, ცოტა მხარდამჭერი ჰყავთ!

92. არადა, კვაზარებისა და პულსარების კვლევას უცილობლად მივყავართ სამყაროზე ძველი ფიზიკური ნარმოდგენების გადახედვამდე!

104. ძველი ანდაზაა: სიბრძნის პირველი ნიშანი — სიცრუის, მეორე — ჭეშმარიტების ცნობაა!

107. 1963ნ. 16.03. ეს არის ოფიციალური თარიღი ერთ-ერთი უდიდესი საბუნებისმეტყველო, საოცარი კოსმიური ობიექტების — კვაზარების აღმოჩენისა!

110. ერთხელ ერთმა, როგორც ჩანს, გონება და ენამახვილმა კაცმა პატარა იგავი შექმნა, რომელიც არანაკლები პოპულარული გახდა, ვიდრე ნილს ბორისეული ცნობილი ფრაზა: „გიჟურ იდეებზე"!

ამ იგავის შინაარსი კი ასეთია: „იყო პრობლემა, მაგრამ ყველამ იცოდა (ერთი კაცის გარდა), რომ იგი გადაუჭრელი იყო! ჰოდა, ერთხელ მოვიდა ის ერთი კაცი, რომელმაც ეს არ იცოდა და... გადანყვიტა პრობლემა!"

112. აკადემიკოსი კაპიცა (რომლისთვისაც, ახალგაზრდობაში მქონ-

---

*ლესინგი: ადამიანისათვის ადამიანი უფრო მისაღებია, ვიდრე ანგელოზი.*

*ამ „საჭანურ" ყოფაში „ანგელოზები" უფრო ძნელი გასაძლებები არიან.*

და პატივი, ჩემს მომღერალ ძმაკაცებთან ერთად, მემასპინძლა თბილისის 1500 წლისთავის ზეიმზე და მცხეთაში, ბუხრის პირას მექეიფა!) გვმოძღვრავს: ჭკვიანი კაცი, რომელსაც გაბედულებაც აქვს და წარმოსახვის უნარიც, არ შეიძლება, არ იყოს პროგრესული, მაგრამ არც ესაა საკმარისი. მას კიდევ სჭირდება ერთი რამ — მებრძოლის ტემპერამენტი!

146. აინშტაინის ნათქვამია, რომ მას „დოსტოევსკიმ უფრო მეტი მისცა, ვინემ მათემატიკოსმა გაუსმა", რადგანაც მწერალმა თავისი ლიტერატურული გმირების მოქმედება მათ პარადოქსალურ სიტუაციებში შეისწავლა.

148. ჩვენს დროში იბადება მეცნიერების ახალი დარგი — ევრისტიკა ანუ მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ მივაღწიეთ აღმოჩენებს!

173. ცნობილი ამერიკელი მწერალი კურტ ვონეგუტი (ატომური, ნეიტრონული ბომბებისა, მომწამლავი გაზებისა და სიცოცხლის მუსრის გამვლები ბაქტერიების შემხედვარე) ამბობდა, რომ: „მეცნიერებს, რაზედაც არ უნდა მუშაობდნენ ისინი, ბოლოს მაინც... იარაღი გამოსდითო!" და იბადება თანამედროვეობის კითხვა N1.

ბოლოს და ბოლოს, რა მოაქვთ სამეცნიერო აღმოჩენებს — სიკეთე თუ ბოროტება — ავი თუ კარგი?

ბოლოს და ბოლოს, იმ ულმერთობის ჟამს — საბჭოთა მეცნიერება შეეცადა, ადამიანებისთვის წაერთმია უკვდავების იმედი, რასაც კომუნისტები რელიგიურ ზღაპრებს უწოდებდნენ.

კარგად მახსოვს ეპიზოდი შესანიშნავი კინოფილმიდან „ყველაფერი რჩება ხალხს", სადაც ცნობილი ფიზიკოსი თავის ნათესავ მღვდელმსახურს ეუბნება, რომ მეცნიერება უარყოფს ადამიანების გამოგონილ ღმერთსო! პასუხად კი იღებს სულიერი მოძღვრის გენიალურ კითხვა-პასუხს: თქვენ, კომუნისტებმა, რა მოიგონეთ ღმერთზე უკეთესიო!!!

მეცნიერება, ლენინისა არ იყოს, აქ, მიწაზე (და არა მინისქვეშეთში) ჰპირდებოდა კაცს უკვდავებას და პროგნოზისტები გვპირდებიან, რომ სადღაც 22-ე საუკუნეში) მედიცინა შეძლებს, ადამიანი, პრაქტიკულად, უკვდავად აქციოს და, ასე ვთქვათ, „ცას გამოაკეროს"!

179. „იქნებ არ ღირდა კოსმოსში გაფრენა, ატომური ენერგიის მოთოკვა. იქნებ ღირდა, მთელი ძალები გადაგვესროლა ავადმყოფობების, მკურნალობის მეთოდების აღმოჩენისაკენ, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისაკენ?"

ფაქტი ერთია!

*ალური ცხოვრების დაწყების უფლება მიეცემათ — 16-დან 17 წლამდე. მოხდეს ცხოველებთან სექსის ლეგალიზება: ადამიანებს ქუჩაში მოძრაობა სრულიად შიშვლად შეეძლოთ; ხოლო ტელეკომპანიებმა პორნოგრაფიული ფილმები დღის ნებისმიერ მონაკვეთში გაუშვან ეთერით.*

*„ალია".*

*26-28.09.09*

**P.S.** *ცივილიზაცია გვაწვევს, რომ საქართველომაც იყოს, სინდისის კი არა... უსინდისობის თავისუფლება და თბილისმაც, ბოლოს და ბოლოს, ჩატარდეს „გეი...პარადი".*

*ისეთი დროა, „ცისფერი", მგონი, არც ცისთვის უქნია ღმერთს!*

*<u>გიორგი ჯაჯანიძე (ეზოთეროლოგი):</u>*

*ერთი ქალი, რომელსაც თავი ბოზი ეგონა, მე დავარწმუნე, რომ ამდენ პარტნიორს მხოლოდ იმიტომ იცვლიდა, რომ ერთისთვის მიეგნო.*

**P.S.** *ეს ქალი, თურმე, დღემდე ეძებს!*

მედიცინის სასწაულები რომ არა — ეს სტრიქონებიც არ შეგვაწყ-ენდნენ თავს და მათი ავტორი, კარგა ხანია, მეორე სოფელში იქნებოდა (მოუსვლელს რომ ვეძახით!)

იყო ის დროც, როცა თავზეხელაღებული პოეტი ამ სტრიქონებით უსტუმრებდა ვალს მის უბედურ დღეს და მოსწრებას:

„მე დედამიწა მაშინ მაშინებს, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ... წმიდაო ღმერთო, რად გამაჩინე — მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია!.." მით უფრო მეტი სიმძაფრე აქვს მათხოვრულ დროში ამ მძვინვარე სტრიქონებს!

ფილოსოფოსი კარლ იასპერსი: სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს მივყავართ უმძიმეს ძვრებამდე!

ბოლო-ბოლო, რა მოაქვს მეცნიერებას ხალხისთვის: სიკეთე თუ ბოროტება, ავი თუ კარგი?

ამ კითხვაზე ნობელის პრემიის ლაურეატს ჩარლზ ტაუნს მხოლოდ ასეთი პასუხი აქვს: მეცნიერების განვითარებას შეუძლია, მიგვიყვანოს არასასურველ შედეგებამდეც. საერთოდ კი, იგი კაცობრიობისთვის სიკეთეა!

„დიახ, სამეცნიერო კვლევებით, კაცს აძლევენ ძალაუფლებას ბუნებაზე... იგი ებრძვის შიმშილს, სიცივეს, სხვადასხვა სნეულებებს... მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, დგება ისეთი მომენტი, როცა მიზანშეუწონელი გახდება საზოგადოების ინტერესებისათვის!" და მის მიმართ ინტერესი განელდება... ანუ შემცირდება!"

187. ლაპლასი, რომელიც დაგვპირდა სამყაროს მომავლის აბსოლუტურად ზუსტად გაანგარიშებას (თუ მას მიანვდიდნენ ცნობას ყველა ნაწილაკების მდგომარეობასა და სისწრაფეზე), ამბობდა, რომ ადამიანის აზროვნება უფრო მეტ სიბნელეს წააწყდება, როცა მას მოუწევს საკუთარ თავში ჩაღრმავება!

ჯერ სადაა! მთავარი სამეცნიერო აღმოჩენები წინაა!

190. იქ, სადაც შესაძლებელია ე.წ. „ზესინათლებრივი" სიგნალები, ირღვევა „მიზეზ-შედეგობრივი" წესრიგი, ადგილებს იცვლიან მიზეზები და შედეგები: შედეგი წინ უსწრებს მიზეზს(!) ჰოდა, რას იტყვის კაცი, მის თვალწინ ჩიტი რომ ჩამოვარდეს მონადირის თოფის გასროლამდე?!

P.S.ამაზე, ჩვენში, ჯერ მხოლოდ ხუმრობით ლაპარაკობენ და ისიც, გურულებზე: ჯერ ესვრიან და მერე უმიზნებენო!!

..რას იზამ, დრო ზოგჯერ ლოგიკასაც თავდაყირა აყენებს და დროისათვის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უცვლელი ღირებულებები!

და, როგორც ერთი ლექსის ამოგლეჯილი სტრიქონიდან მახსოვს:

„ცვალებადია ირგვლივ ყოველი, სუყველაფერი ცვალებადია. უცვლელი ქვეყნად მხოლოდ ის არის, რომ ყველაფერი... ცვალებადია!"

ყოვლად ცხადია!

---

*ჭ. ლომთათიძე: თუ ადამიანი ძლიერია, იმას, გულითაც რომ გინდოდეს, ვერ დასცინებ. რადგან ძლიერს (თუ ამხანაგად ვერ გაიხდი) უნდა ებრძოლო; თუ უჭკუოა, იმას უნდა ასწავლო რამე (დაცინვით ვერ გაწვრთნი, მეტადრე იმას, ვისაც დასცინი); თუ სუსტია ადამიანი, იმის დაცინვა დამცინავს უფრო ამცირებს!*

*რუსული: ერთ ყურს პქვია – ისმინეო, მეორეს კი – ისხლიტეო!*

# წიგნი-მოძღვარი

## („ყაბუს-ნამე“)

XI საუკუნის სპარსული კლასიკური მწერლობის დიდაქტიკური „ყაბუს-ნამე“ ეკუთვნის ამირ ონსორ ალ-მაალი ქეი-ქაუს იბნ ისქანდერ იბნ ყაბუს ვუშმაგირ იბნ ზიარის (ახლა მამის სახელებიც აღარ შეგვარჩინეს და მაშინ ძირის-ძირამდე მიყვებოდნენ!). იგი 44 კარისაგან შედგება და ყოველ კარს სიბრძნის სამოთხეში შევყავართ. იგი ეხება სტუმარ-მასპინძლობას, შვილების აღზრდას, ასტროლოგიას, ცოლის შერთვას, საუბრის ავ-კარგს, ღვინის სმის წესებს, პოეზიასა და პროზას და სხვ. წიგნის ავტორი ირანში ერთ-ერთი ბრწყინვალე გვარის — ზიარიანთა წარმომადგენელია. ისტორიამ შემოგვინახა ცნობა, რომ ქეი-ქაუსს გურჯისტანშიც ულაშქრია, მაგრამ ჭკვიანი მტერი გერჩიოს სულელ მოყვარესო. „ქართლის ცხოვრებაში“ თამარის ისტორიკოსი მას ასე მოიხსენიებს: „და თამარსა გონებითა და განზრახვითა ბრძენსა, არ ავინყდებოდა ყაბუს მწვრთნელი ქე-ქაოს“ (მიუხედავად იმისა, რომ მან განჯის მმართველ ამირა ბუ-ს-სავართან ერთად გურჯისტანში ილაშქრა და თავისი სამარეც იქვე ჰპოვა).

ეს წიგნი ეძღვნება მის შთამომავლობას, მაგრამ (ჭკუის საკითხავად) არც ჩვენს შთამომავლობას აწყენს.

წიგნის ავტორს — ქეი-ქაუს იბნ ისქანდერს (ყოზეფ ქეიში არ აგვერიოს), ერთადერთი ვაჟი ჰყავდა — გილანშაჰი, რომელსაც ეს წიგნი უძღვნა. ყველა შედარება მოიკოჭლებსო, ნათქვამია, მაგრამ მეც — ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს, მომავალ თაობას ვუძღვნი ჩემს ყოველ სიტყვასა და სტრიქონს!

თითქოს ჩემს გულში იჯდეს ან მე ვიჯდე მის გულში და ისე ვწერდე „ნასაღებ წერილს“ ჩემს შვილებს და შვილიშვილებს, როგორც იგი წერდა მის მემკვიდრეს: „ამ წუთისოფლისაგან ჩემი ხვედრი ეს სიტყვებია, ხოლო ჩემთვის ყველაზე ძვირფასი არსება შენა ხარ. მე განვემზადე ამ ქვეყნიდან გასამგზავრებლად, შენ კი გიტოვებ იმას, რაც მე წილად მხვდა“. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ წიგნის თავდაპირველი სათაური „ნასიჰათ-ნამე“ ან „ფანდ-ნამე“ („რჩევა-დარიგებათა“ წიგნი) იყო. იმასაც ფიქრობენ, რომ მამაზე გულარძნილმა შვილმა, რომელსაც ყოველგვარი ეკონომიურ-უფლებრივი პრივილეგიები ჰქონდა ჩამორთმეული, ერთგვარად შური იძია და წიგნს სათაური შეუცვალა („ყაბუს-ნამე“). დროის აღზრდას, ზოგჯერ, „ჯოხით სწავლასაც“ ეძახდნენ (თუმცა, არც ჩვენს დროში

[illegible] ([illegible]):

საყვარლად ავირჩევდი გოგი უგულავას და აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებული რომ არის — ლევან ვარშალომიძეს. ისე, მიხეილ სააკაშვილზეც არ ვიტყოდი უარს.

„რეიტინგი“

**P.S.** ამ რეიტინგის ქალს (გემოვნებას ვერ დაუწუნებ) კაცები მოსწონს თანამდებობებთან ერთად!

[illegible] (მწერალი):

პუტინის გამო ტოლსტოის უნდა გამოვუცხადოთ ომი?! სად გაგონილა ეს?! დალუპული ერი ვართ. ერი, რომელიც ჭირსა და ლხინს ველარ არჩევს. შავს და თეთრს. ძნელია ასეთი ერის გადარჩენა!

„საერთო გაზეთი“

არცთუ იშვიათად, თილისმის მოვალეობის შესრულებას სამოსი იწყებს. ბევრმა შეიძლება არც კი იცის, რომ ძველად, აღმოსავლეთში, მდიდარი ოჯახების წარმომადგენლები თავიანთ

დაგვკლებია ჯობი, ჯახი, ჯუხი და კუთხეში დგომა!).

ჭკუა ჭკვიანს მოეკითხება!

ეს ქვეყანა სიკეთისა და ბოროტების სათესი მინდორია — „რასაც დათესავ, იმას მოიმკი!"

სათქმელი 4 სახისაა: 1) არ უნდა იცოდე და არც უნდა თქვა; 2) უნდა იცოდე და კიდეც უნდა თქვა; 3) უნდა თქვა და არ უნდა იცოდე; 4) უნდა იცოდე და არ უნდა თქვა.

სახალხოდ ჭკუის სნავლება ლანძღვასა ჰგავს.

იქ ეძებე, საცა ინახავ.

ყბედს... ყრუ და მუნჯი ღლის.

მოხუცი ოჯახში იგივეა, რაც წინასწარმეტყველი ხალხში.

არ არსებობს ცუდ ჩვეულებაზე უფრო დიდი მტერი.

სიზარმაცე ტანის ჭიაა.

სათნოების სახლი... კაცთმოყვარეობის ქუჩაზეა!

სიმართლის მსგავსი სიცრუე სჯობს... სიცრუის მსგავს სიმართლეს!

სიმართლე, რაც უნდა მწარე იყოს, თქვი.

როგორ შეიძლება, მშვიდად იძინოს მან, ვისაც მეფე იცნობს?!

რეგვენია ის, ვინც განდიდებულ რეგვენს რეგვენად თვლის.

შენზე ცუდის მთქმელს აპატიე, ვიდრე ცუდი სიტყვის მომტანს.

თუ გსურს, არ იტანჯო, თუ გსურს, გაიმარჯვო — შურს მოერიე!

სიჭაბუკეში სიზმრის სიბრძნე მოგეცეს.

ცხოვრების ლაზათის ზღვარი 40 წელიწადია (მაშ, ორჯერ მეტი ლაზათი 80-სა იქნება — გ.ნ.)

საარაკო ამბავია: ერთხელ მასპინძელმა სტუმარს უთხრა — ლუკმას ბეწვი მოაცილეო! სტუმარმა მასპინძელს სიტყვა მოუბრუნა — მე იმ კაცის პურს ვერ შევჭამ, ვინც ჩემს ლუკმაზე ბეწვს ამჩნევსო.

ერიდე თრობის თასსა და ძღომის ლუკმას! (ალავერდი თათქარიძეებთან. — გ.ნ.).

ღვინის სმა ცოდვაა და ცოდვად მაინც უნდა ღირდეს!

არაბული ანდაზა ამბობს: „ხუმრობა ბოროტების შესავალიაო" (იქნებ, გამოსავალიც?" — გ.ნ.)

ისე იჩხუბე, რომ შესარიგებელი ადგილი დარჩეს (შეურიგებელს ნუ შეურიგდები! გ.ნ.).

სიზარმაცე გაჭირვების შეგირდია.

დიდი სიმდიდრეა... მცირედით კმაყოფილება!

ვალის მოთხოვნა უფრო დიდი უსიამოვნებაა, ვიდრე სესხებაზე უარის თქმა.

ბრძენს ჰკითხეს: მეგობარი ჯობია თუ ძმაო? ძმა... თუ იგი მეგობარიაო.

შენი ყველაზე კარგი მეგობარი... შენვე ხარო!

გეშინოდეს ძლიერი მტრისა და ცბიერი მეგობრისა.

სამია სიბრალულის ღირსი: ბრძენი, რომელიც უგნურს ემორჩილება; ძლიერი, რომელსაც სუსტი მბრძანებლობს; სულგრძელი, ვისაც სულმოკლეს დახმარება სჭირდება!

ღვთისმეტყველების შემდეგ არ არსებობს დასტაქრობაზე უფრო დიდი მეცნიერება.

ახალგაზრდა ხარ თუ ბებერი, ვაზირად ყოველთვის მოხუცი გყავდეს (აფსუს, ჩვენს დროში მათ „ჩასარეცხებს" უწოდებენ!).

ყოველ საქმეს თავის კაცი უნდა! (ახლა: საქმე ალთასაა — კაცი ბალთას. კადრების აღრიცხვის ფურცელი პირდაპირ მინი... სტერობითა თუ შტერობით იწყება!)

თუ მეფე ვინმეს ხელს შემოჰკრავს, იმას ხელს ვერავინ ვეღარ დააკარებს. მეფის გალახულ კაცს სხვისი ხელი არ უნდა მოხვდეს (სწორედ მაგ ჭკუაზე არის „სოდია" თუ „კუდი" — გახეთქავენ ნაკერავზე!)

სრულყოფილი ცოდნა 5-კითხვიანია: „ეშიათ", „ქიმიათ", „ქეიფიათ", „საბაბიათ" და „ლემაიათ" — რას წარმოადგენ? რა ღირსება გაქვს? რა იცი? რატომ არსებობ? და რისთვის არსებობ?

მოკლედ, ჭკუის საკითხავი თუ გინდა... ესაა!

* * *

ო, ჟამიერო, მრევლით მრავალო —
ღმერთს და კაცს შორის შუამავალო,
ილოცე: ენთოს ყველა ქართველი
უზენაესის წინ, ვით სანთელი!
რომ შეეწიოს მადლი უფლისა!
და არ შეიქნას ღირსი უღირსად!

* * *

ვფიქრობ ამ წუთისოფელზე!
ფიქრია ჩემი პროფესია!
სულის ღვთაებრივი პროცესია —
მართლმადიდებელი კონფესია!

### *სამამაპაპურო პოპური!*

„ბრიყვი მიუშვი ნებასა" —
თვით მივა კაცი — ჟირამდე.
დრო წახდა თვალს და ხელს შუა —
პაპიდან — შვილიშვილამდე!

* * *

რა გული გაუძლებს კაცთა თვალთმაქცობას —
ზურგს უკან ფლიდობას და პირში „კაცობას"?
პარტი-პურტიების მიაც-მააცობას —
ამდენ „მოძრაობის"! ამდენ უძრაობას!

### *საჯართანო!*

ერთიც დაელიოთ!
რა დარჩა
წამსვლელ-დამრჩომის ჭიქამდე:
როგორ მოვედით აქამდე?
და როგორ მივალთ იქამდე!

---

*გერმანული: ჯერ ყველა დღის საღამო არ დამდგარა.*

*ინგლისური: ყაირათიანობა სიბერის სავარძელია.*

---

შვილებს ქუჩაში დახეული ტანსაცმლით ატარებდნენ, რადგან სწამდათ, რომ ასეთი სამოსი ავი თვალისგან იცავდა ბავშვს. ალბათ, ჩვენს მკითხველსაც გააჩნია თავისი „ქუდ-ბედიანი კაბა", რომელში გამოწყობილიც ადვილად სძლევს ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებს.

„იბ", №17.09.

<u>მიხეილ სააკაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი)</u>:

მე მინდა, კარგად გვესმოდეს, რატომ მოგვიწყო რუსეთმა „სანიმუშო ეგზეკუცია" — იმიტომ, რომ საქართველო არის საზღვარი სიკეთისა და ბოროტებას შორის, ცივილიზაციისა და ბარბაროსობას შორის. დღეს საქართველოს და რუსეთის დაპირისპირება, მთელი მსოფლიოს თვალში, ქცეულია დავითის და გოლიათის დაპირისპირებად და დავითი აუცილებლად გაიმარჯვებს, საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს.

„ახალი თაობა"

<u>ცნობილი კინომცოდნე რეზო კვესელავა</u>:

ერთ მაგალითს

* * *

სიტყვას ვიწყებ შორიდან —
სიტყვასთან მაქვს კორიდა —
სიტყვის მე ვარ პატრონი —
შენ ხარ ჩემი ბატონი!
დროსთანა გაქვს დუელი და შენდობას ნუ ელი!
საუკუნის ავტორი — მე ვარ ტორეადორი!
მე ამ პროფილს ვაფასებ პროფილით    და ანფასით.
ქარიშხლებად, ხანძრებად — ამ წლებს უნდა გაძლება.
კაცმა უნდა იცოდეს — ბედის ანაბარაა —
ბერი ვარ და ვმღერივარ — წლები... ჩემი ძალაა!

## *მადლობა ღმერთს*

...ღვთისწყალობა ჰქვია ალბათ ამ ასაკის შესწრებას —
ჩემი ხნის კაცს, დღეობაზე, თვითონ ღმერთიც ესწრება!
შენ და შენს ღმერთს მე და ჩემი ღმერთი გიწვევთ ნადიმზე.
ვინც გვიყვარს და ვის ვუყვარვართ — გვიჩაითებდეს მათი მზე.
შეგვეწიოს მადლი ჩვენი თბილისური დილის —
კიდევ ერთი თეთრი ღამე გავუთენოთ თბილისს!

* * *

— საიდან მოდიხარ?
— ბებია-ბაბუებიდან...
დედიდან და მამიდან...
ჩემი სისხლ-ხორცებიდან!
ხარ მშობლებით — შობილი და მშობელი — მშობელთა!
ეს ნებაა ბუნების ყოველითა და ყოველთა!
P.S. ესაა შენი ცხოვრების მარადისობის თავდები —
შვილიშვილობით იწყები — შვილიშვილებში თავდები!

* * *

როგორც მოხეედი — ისევე მიდიხარ —
ძველი და ახალი დროების ხიდი ხარ.
შენი თაობისა შენ ტვირთის მზიდი ხარ —
რამდენად მდაბალი — იმდენად... დიდი ხარ!

## *შვილიშვილებს!*

ვერა და ვერ შევეჩვიე მე თქვენს ღაბუობას...
და სული სულ კბილით მეჭირა.
ალალად რომ ვთქვათ — მე თქვენს ბაბუობას...
უფრო ძმაკაცობა მერჩივნა!

---

*პ. ლორია: არიან ადამიანები, რომლებიც, როცა ყოველგვარი იმედი გადაეწურებათ... ღმერთს ახსენებენ...*

* * *

ერთი იყო და ასდება...
კაცი კაცობით ფასდება!
შრომა — ლხინად,
გამძლეობა — რკინად,
მოთმინება — იობად...
კაცით — კაცობრიობა!

* * *

რა არის ლექსი?..
რითმების „სექსი"?
ამ „გრიფს" რა ჰქვია? —
პორნოგრაფია?
ვოცნებობ ლექსზე
და ვდგავარ „ზექსზე" —
ვარ დღე და ღამე —
რა ის და რა მე!
ვდგავარ, გულის კარს
ვდარაჯობ, ვშიშობ —
ხან ცრემლს მიშრობს,
ხანაც სისხლს მიშრობს...
და იბადება ლექსი — ვით პირმშო!

* * *

გაქცეული კალამი,
გაფრენილი წლები,
ღვთისმიერი სალამი...
ჩამავალ მზის გზნებით!

* * *

ჟამია უჟამო —
დროს ძერას ვერ უზამო —
და რა ჰქნას მუზამო — ამ ჟამს?...
დროს ვხარჯავ — დრო მხარჯავს...
მფლანგავს — ზომ-უზომოდ...
ჟამდაჟამ მისინჯავს მაჯას!

* * *

ჩემი ხნის კაცს არ გაემტყუნება:
კვლავაც დიდია სოფლის ცდუნება!
თუმცა, არ მომწყინდა ამქვეყნის ყურება —
ჩემი აქ ყოფნის დრო იწურება!

*უკრაინული: დედასავით მზეც ვერ ათბობს.*

*დედამ 9 ძმა ხერხეულიძე — მეფეს კი არა... დედასამშობლოს შესწირა!*

*მოვიყვან: გათავისუფლების მედროშე მთელი ინდოეთი მათხოვრობდა. მაჰათმა განდის მეილოებიც სხვებივით მათხოვრობდნენ. როდესაც განდი ქვეყნის პირველი კაცი გახდა, უთხრეს, მერე მეილოებს ქუჩაში რა უნდათ. მან კი უპასუხა, სანამ ინდოეთი მათხოვრობს, და ჩემმა მეილოებმაც იმათხოვრონო!*

*რატომ გაჰყვა ქრისტეს ხალხი? იმიტომ, რომ პერანგს იხდიდა და სხვას აძლევდა, ფეხს ბანდა მოციქულებს. მას რომ მდიდრულად ეცხოვრა და ეთქვა — ვალდებული ვარ, ასე ვიყო, მე ხომ თქვენი წინამძღოლი ვარო, დაუჯერებდნენ? დღეს კი რას ვხედავთ? სახელისუფლებო ელიტა ცალკე — ხალხს მოშორდა. ცალკე, მარტო, საზოგადოების გარეშე ბედნიერი ვერავინ იქნება.*

*ბედნიერების მაძიებლებო, იყავით თქვენს უბედურ ხალხთან ერთად და ეს უკვე ბედნიერებაა!*

*<u>ნინო ქადაგიძე:</u>*

*მიშა სააკაშვილი რომ მოდიოდა ჩვენთან, ის და ზურა ერთმანეთს ხშირად ეჯიბრებოდნენ ლექ-*

## თბილისის ომში

ერთი ტყვია... მეც მატყვია — განგებამ გამიბედა! მაგრამ ტყვიამ, თვითონ ტყვიამ (ღმერთმა) არ გამიმეტა.

თუმცა, იყო ის ბრმა ტყვია — ისეთი ბრმაც არ იყო... ესროლა (დროს მოსაკლავად) და კაცი მომკვდარიყო!

თბილისური „ომის“ ხსოვნას ახლაც ტანით ვატარებ. ტყვიის გულას ხელს ვადებ და თავს ვაწონებ პატარებს... ჩემს ბადიშებს — შვილიშვილებს — ხელით რომ მისინჯავენ. გმირობას რა გიკლიაო, — შაყირობენ, გლიჯავენ.

მაშინ ვისი — ვისში იყო, ეშმაკმა არ იცოდა. ჩვენი ცოდვით ცა და მიწა უცეცხლოდაც იწვოდა. მოძებნაც კი ჭირსო სიტყვის — სხვას ესროლეს — სხვას მოხვდა... რა მოხდაო, — კაცი იტყვის და მეც ვამბობ — რა მოხდა!

P.S. ცხადია, რომ ჯერ ართქმული ცუდი ხანა გამოხდა, გული ვეღარ მოვიბრუნეთ — თბილისს სული ამოხდა! წელში ვეღარ გავემართულვართ ჩვენი „ძმობის“ მტრობითა — „წარმატების“ (ანუ არ-მატების), გამოკლების და უყოფის ყოფითა!

## მკითხველო!

უჭკუობითა გეჭირს, რაცა გეჭირს (ზოგიც ჭკუიდან),
გინდ თავიდან, გინდ ბოლოდან, გინდა შუიდან —
შენ შეგიძლია, მე ჩამხედო გულში ამ წიგნით —
რა ქაოსია, რა წესრიგი — გარეთ თუ შიგნით!
უთავბოლოა ეს ცხოვრება თავის ავ-კარგით —
წაჯექ-უკუჯექ-წეწვა-გლეჯვით და დაკადაკით!
იქეთური თუ აქეთური მიმოიხილე —
საცა შენი თქვა — იქვე ჩვენიც... თქვი და იხილე!
ხილი — იხილე, მებაღეც აქვე იკითხე —
მომიკითხავ — აგერ წიგნი და... წამიკითხე!

## ლექსპრომტი ქალბატონ ლიზიკოს!

ქართული ესტრადის
მონა ლიზად თუ ანალიზად —
ღირს მარტო ქალბატონი ლიზა!
ქართული ესტრადის თვალი —
ბაგრატიონის ქალი!
ლიზიკოს ყელი თუ კლერება —
ესე იგი, საქართველოს ემღერება!

* * *

წყურვილი ვაქციე სიცოცხლედ —
სიცოცხლე ვაქციე წყურვილად.
სურვილი ვაქციე შრომად და
შრომა კი... გავისურვილე!

### *კახას (გიგაურის) კახური აპოლოგია*

## *„ლოზუნგების ქვეყანა" ჩოქვით შემოვიარე!*

ჭკუას ვინ როგორ აჩენს და...
არ ეიცი, ვის — როგორ მოუწევს!
ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს და
მათთან გათანაბრებულ მოხუცებს!

* * *

წაქცეული ქვეყანა —
დაქცეული მელანი —
გაქცეული კალამი —
დრო და ბედისწერანი!

* * *

მორბენალი სტრიქონი —
ფურცლად — გულის ფიცარი —
საუკუნის უკუნში —
ვერც გიცან — ვერც მიცანი!

* * *

უჩვენოდ ვინ იმღერეთ?
უჩვენოდ ვინ ჭამეთა?
უდღეური დღეებით,
უღიმღამო ღამეთა!
მე თუ მკითხავეთ — რა ჭირი გვჭირს?
კაცია და გუნება:
სხვის ჯინაზე კარგად ყოფნის...
გვჭირს ჩვენ უბედურება!

* * *

დღისითა — მზითა,
ღამით — მთვარითა,
ვცეითე უჟამო ჟამი.
ჯამში ყოველი ითქმისო რითა? —
შესანდობარი ჯამით!

* * *

კაცის აქ-კარგი,
გზა-კვალი და
ქორონიკონი:
შუბლზე ღარებად გაელებული 4 სტრიქონი!
რაიც ნათლად ჩანს წუთისოფლის სიყრმის მზეზეა —
აი, რას ჰქვია სიტყვის ეშხი და პოეზია!

ხის კითხვაში.
-ყველა სიახლე"

*ერნესტ ჰემინგუეი, ერთ დროს, საბჭოთა დაზვერვის ამერიკელი აგენტების სიაში ირიცხებოდა — იუწყება* **"The Guardian"** *ჯონ ერლ ჰეინსის, ჰარვი კლერისა და ალექსანდრ ვასილევის წიგნზე — „ჯაშუშები: სულის აღმავლობა და დაცემა ამერიკაში" დაყრდნობით!*

**P.S.** *რა მაგის პასუხია და ყველა მწერალი თავისი თავის „შპიონია"!*

*<u>მიჰყვება შიმშილზე</u>*

*შიმშილის დროს გამოყოფილი ჰორმონი გრელინი ადამიანზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, თუმცა, თუკი უქმელობა დიდხანს გრძელდება, ცხადია, ამას დადებითი შედეგი აღარ მოაქვს...*

**P.S.** *შიმშილზე არ გამაგონოთ კარგი — ვინ ჭამს ამასო! — თათქარიძისეული დიაგნოზია!*

*ასტროლოგი არმაზ გიგაური მაიას კალენდრის საიდუმლოს გვიმხელს: 2012 წელს აპოკა-*

## *ბოხი „ხმით ნატირლები“*

### *გლობალიზაციის თემაზე*

**(დილის საარის ხმაზე!)**

საუკუნოდ ნაშენები – რა უგონოდ გაეიმეტეთ!... იმედი ხომ ბოლოს კვდება – ჩვენ თავშივე ვკლავთ იმედებს. რჯულზე მტკიცე ჩვეულებაც ვერ გადარჩა უვნებელი – ღმერთო, ღმერთო, არ მოგვაკლო (არ მოგვიკლა) ჭიქის მომჭახუნებელი!..

ალავერდის გადმომსხმელი, სანთლის მკმეველ- სხვა ცეცხლითა... არყისფერი დილითა და ძმობით თრობით, ფიც-ვერცხლითა!

## *გინეკოლოგიის სიახლეები!*

დღეს ორსულ ქალს ვიღა კითხავს – რა სქესზეა დღეს იჭვიო? ენახოთ!.. თვითონ გადაწყვეტსო – გოგო იყოს თუ ბიჭიო?!

## *ხელ-ფეხ-წყალ-კალათ-ფრენბურთელების საბუთი და ქართული ბურთისა და მოედნის ლოცვა!*

მშვენიერაძის წყალ-ბურთი და ქორქიას კალათ-ბურთი!... ალგეთს ლეკვები იზრდებოდნენ – გვაქვს, ქვას ხვთქავს ეს საბუთი!

...ბორის პაიჭაძის – ფეხი მოგვეცა, ჯემალ ცერცვაძის – ხელები... დაიღალა ჩვენი გარემოცვა ფეხ-ხელ-ფრენ- წყალბურთელების!

ისე... ისევ რაგბით თუ გავიტანთ ჩვენს ლელობურთს!

* * *

ძველისძველი კითხვები და ახლებური პასუხები – „შაპიდის ქამრები“ და „კოლუმბიის პალსტუხები“. ყველაფერი დროს მიაქვს და ყველაფერი მოაქვს დროსა. კალამს ეხმარობ, როგორც შუბს და ეუსმენ, როგორც კამერტონსა!

* * *

თაობებში ცისარტყელის ხიდი გაედე
(გულს თუ კაწრავს, კალამიც კი წერაქვია).
ეს სიკეთე... აეიღე და ქვაზე დაედე –
ახლა ამ ქვას ჩვენი ძველი „ვერა“ ჰქვია!
ბავშვობიდან ვარსკვლავს ვეთამაშებოდით
და ვარსკვლავი რომ გაგვიხსნეს ვერაზე...
ღვთისწყალობით ხელმეორედ ვბავშვდებოდით –
ჩამავალ მზით – ამ სიყრმის მზის – მზერაზე!

* * *

... წავალ... ვით სხვა მიდის – ზესკნელს თუ ქვესკნელს,
მაგრამ ეს თვალები რად მრჩება შენკენ?...

---

*მენანდრე: სამართლიანი ადამიანის თვისებები სავსებით ვარგისია... კანონებად.*

* * *

მომავალს ფეხს ვერ ვუწყობ.
ვეჩვენებით ქაჯებად —
ვუსმენ ნაცნობს და... უცნობს —
წარსული მექაჩება!

## *ქალაჩუნა მექალთანეს!*

მე შენ ხვადი მეგონე,
შენ კი, თურმე, ძუ ხარ:
რამდენადაც მიყვარდი —
იმდენადაც მძულხარ!

* * *

ღმერთმა დაგიფაროს, განსაცდელს რა დალევს — კაცი ორმოში ჩავარდე ოდეს...

თუ გინდა, ყველაზე იმედიანად იყო... არავის იმედი არ უნდა გქონდეს!

* * *

დმანისი.
ზეზვა და მზია —
ა, ევრაზია!

## *ქიული!*

სამშობლომ გმირი მარტო დატოვა — გმირმა სამშობლო არ მიატოვა! და უკვდავება კაცს დაებედა. და, ასე იქცა კაცი ლეგენდად!

* * *

მტყუანი და მართალი ვერ ვიცან.
დედის ნაცვლად დედინაცვალს ვფიცავთ —
შავი — თეთრად, ფიცი კიდე — მტკიცად...
დისკომფორტი — ძმის-კომფორტად იქცა!

* * *

ჩემს არჩიებე თუა —
„დიდუბესა" ვთხოვ გამჩენს —
შუა ქალაქში როა...
თბილისში მინდა დაერჩე!

არ ერქვას სასაფლაო სააქ-იქაო ადგილს და განვისვენო ძმებში — ცისა და მიწის მადლით!

---

*ქართული: თევზმა თევზს უთხრა: ცოტა იქეთ მიიწიეო და საით?... ორივე ერთ ტაფაში ვშიშხინებთო.*

*ლიფსი დადგებაო!*

*მათმა ქურუმებმა (ასტრონომ-ასტროლოგებმა) შეადგინეს კალენდარი, რომელიც უფრო ზუსტია, ვიდრე ის, რომლითაც დღეს კაცობრიობა სარგებლობს (ე.წ. „გრიგორიანული კალენდარი"). ამ კალენდრის ციკლი კი ასე გამოიყურება:*

*ტუნი = 360 დღე.*

*კატუნი = 20 ტუნი = 7200 დღე:*

*ბაკტუნი = 20 კატუნი = 144 000 დღე.*

*ყოველი, ასე ვთქვათ, „შექმნის ეპოქა", 13 ბაკტუნისგან შედგება (1 872 000). ზემოთ მითითებული ამავე პერიოდი სწორედ 2012 წლის 21 დეკემბერს სრულდება. მაინც, რა შეიძლება, მოხდეს ამ პერიოდის განმავლობაში და რატომ მიიჩნევდნენ მაიას ქურუმები ამ დღეს დასასრულად?! ამის ამოხსნას, მრავალი წლის, ათეულობით მეცნიერი და მისტიკოსი ცდილობს. თუმცა, უშედეგოდ!*

**P.S.** *მოკლედ!...*

*არ უნდა ამას დიდი ტუნი-კატუნი-ბაკტუნი...*

*არ შველის თავის კანტური...*

*„ვერლავეს" პროგნოზი არის —*

*„უქვეელიც და ნატურიც!"*

* * *

გლოცავენ და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებენ!
გწყევლიან და საიქიოში გისტუმრებენ!
ჰოდა, რა ლოცვაა, თუ სამოთხე ერთი ხეთია?
ჰოდა, რა წყევლაა, თუ ჯოჯოხეთში ჩაგიხედია?
ავია    თუ კაია — საით უფროა?
სიცოცხლე რაცაა, ისაა —
სიკვდილი კი... საიდუმლოა!

* * *

თუა წუთისოფელი —
თუა მარადისობა —
ერთითაც და მეორით —
მკვდარ-ცოცხალიც იცნობა!
წარსულით და მომავლით კაცი ბინდი-ბუნდში ხარ.
გულზე ხელდაკრეფილი... ეის — რაღაში უნდიხარ!
მიცვალებულს ეძახით ჩვენში გაღმა გასულებს...
მკვდარ-ცოცხალი
სიკვდილშიც — სიცოცხლეს არ ასრულებს!
როცა თვალებს გაახელ — გითვალთვალებს ხედები —
როცა თვალებს დახუჭავ — უფრო შორს იხედები!
კაცი, თვალდახუჭული
რაღას უნდა ხედავდეს?...
აბა, კარგად მეყოლეთ — სიზმრებში შეხვედრამდე!

**25.10.09.**

## *თბილისობის „ჰახმელიაზე“*

თბილისს, აღმოსავლეთში
„სახლი სიხარულისა“ ერქვა, თურმე,
უწინას — სული კბილით უჭირავს,
რომ დღე — დღესასწაულად — საუკუნედ აწიოს:
ჭირი მოგაშოროთ და ჭირი ლხინად გეაწიოს!
მიზეიმე თბილისთან განშორება ძნელდება — „თბილისობა“ იყო და თბილისი კი გრძელდება!
თუმცა, ახლა, „სხვა ხალხის ისმის აქ ყრიამული“ —
ღმერთმა ნუ მოგეიშალოს გაღმერთება მამულის!
ცხრათვალა მზეს თბილისში რამეს გამოაპარებ?
მზით და მთვარით იარეთ —
მზეს და მთვარეს გაბარებთ!
ეს ლექსი კი, ამ დილით, ლაჟაშიეით გამოცხვა —
ღმერთმა მიკარნახა და მეც ღვთის პირით წამომცდა!

---

*კ. მორგენშტერნი: ადამიანი იმის ნიმუშია, თუ რაოდენ უზომოა ბუნების მოთმინება.*

*რა არის ადამიანი?.. — ღმერთის ტრაგედია!*

## *ჩემი წიგნის მოწყალების დას, ანუ რედაქტორს!*

ანი შენ ხარ – ბანი მე ვარ –
და ანბანურს მიწევ დობას –
გაუმარჯოს ჩვენს ძმობას და
უასაკო მეგობრობას!

## *2009 წლის „ხმით ნატირლები"!*

საშველი არ არის – იმედის ნამცეცი. თუ გინდა, იწამე, ეწამე, ჯვარს ეცვი! დაეტირით – დაგეტირის ტელე თუ გაზეთი... მიწა, ცა – ო, ღმერთო, რა ვცოდეთ ასეთი? თუმცა-და, ყველანი ცოდვის შვილები ვართ – ცოცხლებს გვეძახიან და ცოცხალ-მკვდრები ვართ

## *„შესტიორკების" დრო!*

ანარქიიდან – ანექსიამდე:
დრო 6-იანებს – შობს 6 აპრილს!

* * *

აზრია ძველი და ჩვეული:
დუმილი ოქროა რჩეული!
ვის უნდა ყროყინი ვირისა —
დრო მოდის — დუმილიც ყვირისა!

* * *

ფეხებზე, მე, ჩემი თავი თუ მკიდია! მას — გავუყიდივარ, არ გამიყიდია; მე იგი ამ მხრებით დღემდე მოვიტანე — ის, დღესაც, ცხოვრების გაკვეთილს მიტარებს!

* * *

წიგნსა და ერსა ვინაც მსახურებს – სული უხარის, გული უმღერის.
წიგნის და ერის მოსამსახურეს – ამიტომ ჰქვია კაცს „წიგნიერი"!

* * *

...და, ერთმა ღმერთმა იცის –
ლექსის ხიბლი რაშია –
ფეხი მიწაზე გიდგას –
სული კიდე – ცაშია!

*ინგლისური: ხელმწიფეს დღისით თუ სძინავს... ხვრინვა მაინც არ უნდა ისმოდეს.*

<u>ზაალ სამადაშვილი (თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე):</u> თუ მოსკოვს ცრემლების არ სჯერა, ჩვენც არ გვჯერა მათი ნიანგის ცრემლების და იმის მტკიცებისა, რომ მათი პრეზიდენტი საქართველოზე გიჟდება.

<u>ჯემალ მქედლიშვილი:</u>

ჟრუანტელის მომგვრელია ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული მებრძოლი შვილის სანახავად ციხეში მისული გაუნათლებელი, მაგრამ ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილ-ამაღლებული ქართველი დედის დარიგება. აი, როგორ აღწერს მეტეხის საპყრობილეში სოფლიდან ჩამოსულ დედასთან შეხვედრას ვლასა მგელაძე:

„რა ვქნა, ნენა, შენი დაჭერით გულზე ცეცხლი მეკიდება... გარეთ სოფელიც შეწუხებულია, მარა ყველა გვაიმედებს, ქვეყნის ერთობის საქმეზე ხარ და ამით გულს ვიბრუნებ. შენ კი არა, ქრისტეს მოციქულებიც იყვნენ ციხეში. ჩემსავით ცოდვით მომაკვდავს კი არა, ღვთისმშობელსაც ჯვარზე გა-

* * *

**მოკითხვითა და ნახვის ნატვრით
როსტიაშვილს — დოსტიაშვილისაგან, ანუ ახალს ძველი
თანამოკალმისგან**

**(მამაშვილურად, დაძმურად და... თან, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე)**

**2008 წლის 1 აპრილს „ქრონიკაში" გამომზეურებული
„დაპირებული სტატიისა" გამო...**

**(ზრდილობისათვის მაინც ვთქვათ)...**

**ბატონ ბიძინა ივანიშვილისთანა კაცის წარმომდგენებისა და
წარმომადგენლებისაგან!**

საქართველოს ისტორიას ჯერ არც ახსოვს ასეთი —
ქველმოქმედი, მეცენატი...
ახლა რას წერს გაზეთი?
— რას წერს?
— რად წერს?
რომ ეცოდეთ, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს,
აქეთ წერენ არაკ-იგავს, იქით — იგავ-არაკებს!
...თუ საპირველაპრილოა, ხუმრობასაც არა ჰგავს,
სხვის ნატერის ხეს ვიღაცა თხრის და მისას კი არა რგავს!
რას არ იტყვის უძვლო ენა, შხამიანი კალამი...
უნდა გითხრა — ჩემი შენა და გაეფანტო წყეარამი!
თქვენი ტყუილიც მართალია და მართალიც ტყუილია!
„ცუდას რად უნდა მტერობა", ვისთვის ჭირი... ლხინია!..
ვთქვათ სიმართლე, ფუი, ეშმაკს!
გაწყდეს, საცა წერილია...
ეს წერილი, მელნით არა... ნერწყვით დაწერილია!
მე თუ მკითხავთ — ასეა და შენ თუ გკითხავთ — ისეა...
უკაცრავად პასუხია... სწორი ანალიზია!
შურის ციხე გადმოსცქერის თბილისს და ფიქრობს გულში...
სიკეთის ხმა იკარგება შარის-შურ- შარიშურში.
ისტორიას გაეუსწოროთ თვალი!
გვახსოვს ასეთიც!
დაღმართი თუ უკუღმართი, კატა-სტროფის კასეტის!
სიკეთის არდამნახველი, სიკეთის გამთათხველი!
მადლის — მატლად გადამქცევი — სამწუხაროდ...
ქართველი!
ვინ ვის ჭიას ახარებს და ჭია-ღუა ხარხარებს.
ერის მამისა არ იყოს:
რა ვთქვა?
რით გაგახაროთ?
P.S. ქალაქურ აურით, ყოვლად უხმაუროდ,
უაურზაუროდ, ვთქვათ „შუაკაურით"!
...არც სხვისი ჭირია — ღობეს ჩხირი და...
ნურც ტირი შენც სხვისი ლხინით:
იმისი სიმდიდრე — იმისი ბრალია,
შენი სიღარიბე — შენი!

P.S. Есть давняя вражда к каретам - пешехода! (П. Вяземский).

**„ალია ჰოლდინგისადმი" პატივისცემით,
კეთილისმსურველი და მშვიდობის მაძიებელი.**

*ვიხო ნიშნიანიძე*

* * *

„ჰეი, ვინ მოდის მანდ, მთაღელიდან?“
ვინ დაიკავებს სიცოცხლის ნიშას?
სასაფლაოზე მკვდარი დუმილი —
სულაც არ ნიშნავს თანხმობის ნიშანს!

* * *

პოეტი — ვინმე მოლექსეა —
პოეტი — სიყვარულის მორევშია!
პოეტის გზა სტრიქონებშია —
პოეტი — სიტყვის კონებშია.
პოეტი — ბატონია სურვილის,
პოეტი — წყაროა წკურწკურის!
პოეტი — აღერღილი სხვა ქინდია —
პოეტი — საფრენოსნო ამინდია!
პოეტი — ბოლოც კი პირველია,
პოეტი — მეფე შიშველია!
პოეტი — სიტყვა-გიშერია,
პოეტი — მახვილ-შიმშერია!
პოეტი — გულთამხილველია,
პოეტი — უცხო ფრინველია.
პოეტის — სიტყვა — ხიფათია,
პოეტი — დროის სიფათია!
პოეტს — გზა უვალი უვლია,
პოეტი — მესაიდუმლეა!
პოეტი — ალალ-მართალია,
პოეტი — სიმართლის სათვალეა!
პოეტი უქეიფობის ქეიფია —
პოეტის — გული — სეიფია!
პოეტი — სიგიჟის შიშია,
პოეტი — ჭკვიანი გიჟია!
პოეტის აღმაფრენა... მერანია! —
პოეტის სისხლი — მელანია!

## *ლექსით!*

სიტყვა შავ ღამეს თეთრად ათევდა —
თვალდახელშუა შემომათენდა —
მზიდან-მთვარემდე სული ამხადა —
თვალდახელშუა შემომაღამდა.
ლექსი დავხატე — ლექსმა დამხატა,
ღმერთი გავხადე — მონა გამხადა!

* * *

რა ვედრება შეედრება —
გულში ჩუმად ღიღინს...
ერთი კაი „გამარჯობა“ —
ერთ სიცოცხლედ მიღირს.

* * *

კაცი ვერ გამიბედავდა
ზედმეტ სიტყვას, ეაგლახად —
ეს რა ბედი მერგო ბედად —
რა გლახა დრომ გამლახა.

უკრეს მაცხოვარი. ციხეში ჯდომა სა-სირცხვო საქმეზე, სათაკილო, თვარა, რაკი შენ ამ გზაზე დაადექი, სასახელოდ უნდა მიჰყვე. მამის სახელი არ შემირცხ-ვინო, სამშობლოში არ გამოწყდე... ლონე გერჩის, მარა ლონით ციხე არ გატყდება — თავი არავის შეაკ-ლა... ყველაფერს მოესწრება, არ იდ-არდო! ჯავრი გულს წაგიხდენს, დაგაგ-ლახავებს. საქმეს ბრძოლა და ხერხი უნდა.

...გამოთხოვები-სას მისი რკინის ნერვები შეირყა, ტკ-ბილი ხმა გაიბზარა, გამოკვეთილი გა-მოთქმა აკანკალდა, რწმენით ანთებულ თვალებში კურცხალი გადმოეკიდა მარ-გალიტებად და სახეზე ჩამოციმციმდა... აიაზმად მესხურა“.

**P.S.** ნეტავ, დღევან-დელ გაქსუებულ-გაზუ-ლუქებულ ჩვენს თანა-მოძმეთ თუ მოეხმე-ნათ ოდესმე თავი-ანთი დედებისგან (მათაც ხომ ჰყავთ დედები!) მსგავსი დარიგება, ხალხი ქონების მიხვეჭა-მოტაცებით რომ გა-სივებულან და გადიდ-გულებულან, კაცობა დაუკარგავთ, ეროვნე-ბა უარუყვიათ, რწმე-ნა შეუგინებიათ და ჩირადაც არ უღირთ არც ქართველი დე-დის სამათხოვროდ

## ცხელ გულზე დაწერილი ლექსპრომტი

### ე.წ. „კონსტიტუციურ მონარქიას“, ანუ...
### (ანა და დავით ბაგრატიონებს)

8 თებერვლის, ამ ჯვრისწერით... ბაგრატოვანთ ზეიმს
მზის ამოსვლის ჰიმნს ვუმღერით — რომ გაბრწყინდეს მზე ის!
თუ, ღვთის ნებით, გაიშლება ქართველის ბედის ყარჩა...
ნეფობიდან — მეფობამდე მხოლოდ 9 თვე დარჩა!
ძველ დიდების ხალიჩებზე „ელდა ეცა ხანჯალს“ —
ნეფობიდან — მეფობამდე მხოლოდ 9 თვე დარჩა!
ღმერთო, ღმერთო ნუ მოგვიელენ ურჯუკსა და არჯალს —
ნეფობიდან — მეფობამდე... მხოლოდ 9 თვე დარჩა!
ღვთის ნებით და ღვთის განგებით... თუ ღმერთს გულში უძევს:
სახელმწიფოს,
ხელმწიფება,
მწიფობისთვეს უწევს!

08.02.09

*სტამბაში მინაწერი:* სამწუხაროდ, ეს ქორწილიც, თითქოს არ იყო იღბლიანი — იგი „უპატარძლო“ კი არა, „უნეფო“ აღმოჩნდა, რითაც ასე მოიწონა თავი მისმა „ჩამშლელმა“ და „სიმართლის დროდ“ სახელდებული „იმედის“ ტელეშოუს ერთმა გულჩახდილმა „ტელევარსკვლავმა“, რომელმაც მოიგო 4000 ლარი და ნაავგო სახელი (გამგები გაიგებს)!

P.S. თუმცა... დრო მკურნალია! ახლახანს ითქვა, რომ სანთელ-საკმეველმა თავისი გზა ნახა და სამეფო ოჯახი... ღვთის წყალობითა და ადამიანის გონიერებით, კვლავ ფეხზე დგას!

## ბერიკაცი ვარ!

მეგობრობის — მეგობრობით გამოცნობა —
კაცობისა — კაცობით და ცეცხლით წრთობა —
გულითადი მამითადი — გობით ძმობა —
ალილობა, ყეენობა, ბერიკობა!
...კავკასიას თავი მოაქვს ბერის ყოლით!
თმაშევერცხლილ მწვერვალების „ბერიკონით“!
მახვშის სიტყვა, სიმართლის თქმა — ღმერთის სწორის! —
ბერიკაცი — ვით საყვირი იერიქონის!
ზამთარიც ხომ სიბერეა წელთა წლისა —
თოვლის პაპა (თეთრი საცრით)... თეთრად ცრისა —
თეთრ ლექსებს წერს
ფიქრის... — ფიფქებს თეთრად გვაყრის —
ნაკუწ-ნაკუწ ყრის და „გალობს ჩიტი საყდრის“!
სექტემ-ბერი...
ოქტომ-ბერი...
ნოემ-ბერი...
დეკემ-ბერი...
ძველითა თუ ახალ წელით — მადლით კერის, ტკბილი კვერით —
ერით-ბერით-ახლით-ძველით:
სული იძერის — ხარობს ბერი!

---

*ნაპოლეონი: დიდი ადამიანები ემსგავსებიან მეტეორებს: გაიელვებენ, გაანათებენ ქვეყნიერებას და იფერფლებიან.*

* * *

ავი თავი გაგვიხდება
კაცებს თავში საცემი —
კაცობაზე თავსა სდებენ...
თავმოჭრილი კაცები!

* * *

სიკვდილი — სიცოცხლის ბოლო საიდუმლოაო
და არ ემეტება გასამხელად.
წუთისოფელში თვალებს ეხუჭავთ —
მარადისობაში გასახელად!

* * *

აი, ბედისწერა და
მთელი საწუთრო —
გაქცეული კალამი,
გაფრენილი დრო!

### დედას!

„კბილი არ ესინჯებაო
კეთილ გულით ნაჩუქარს“ —
რა სიკვდილი მომიკლავს მე —
ვინც სიცოცხლე მაჩუქა!

* * *

რატომ გამიწყრა ღმერთი?
რა დავაშავე, ნეტავ?
ღვთის რისხვა არის, ბედი —
ამას აშკარად ვხედავ.
მტერი მოყვრობით ვძლიე —
პური ვაჭამე მშიერს.
არ ღირდა ფეხის მტერადა —
მოყვარე მექცა მტრადა!

* * *

მკვდარიცა და
ცოცხალიცა
სადარდებლად მყავს.
მათზე ფიქრი მაცოცხლებს და
მათზე ფიქრი მკლავს.

*ბაშკირული: ჯიგიტი სახლში იბადება და ბრძოლის ველზე კვდება.*

*გამოწვდილი ხელი, სახეს რომ მაგ თავსაფარში მალავს...*
*„ყვირის პლატო“, 2007, 26.05-1.06.*

*აზარტული თამაშებისადმი არაკონტროლირებადი ლტოლვა ავადმყოფური დამოკიდებულებაა და ის ალკოჰოლის და ნარკომანიას გვეტოლება.*
*როგორც ამბობენ, მოთამაშის პორტრეტი ამ ბოლო ხანებში ძალიან შეიცვალა. ადრე 95% მამაკაცები იყვნენ, დღეს კი საერთო რაოდენობის მესამედს სუსტი სქესის წარმომადგენლები შეადგენენ.*
*„ის“. №12, 2009*

*სიამოვნების მთავარი მბრძანებელი მაინც ჰორმონი დოფამინია. როგორც კი ტვინში მისი რაოდენობა კრიტიკულ ზღვარს აღწევს, ადამიანი ნაკლებ მგრძნობიარე ხდება სიამოვნების მიმართ და „სიამოვნების ნარკოტიკის“ სულ უფრო და უფრო დიდ დოზას მოითხოვს.*

*ყველაზე მშვენიერი ქალის ღიმილიც კი სხვა არაფერია, გარდა ლაწვების კუნთების შეკუმშვისა — ამტკიცებენ ცინიკოსები.*

* * *

ლექსით თუ ესსეთი, ქარაგმით, ნაკვესით...
მიეგირი, მიეცინი დროსა და ტირანებს —
დარსა თუ აედარში, აქ-კარგში ნალესი —
მოვდიეარ, მოვლელაე, დარდი-მანდ- მდინარე.

* * *

ვისაც, რაღაც ეშმაკად, იღბლად ერგოთ შტერები —
და ვისაც ხელში შერჩათ — ბიჭის მარტო (მიურითმე!)
ბიჭის სამახარობლო თოფის სროლა მესმოდა —
თურმე, ცაში კი არა — შუბლში უნდა ესროლათ!...

* * *

ბოროტი ჭია გაუჩნდება სიტყვას (ხანდახან),
თეთრის თუ შავის და აქ-კარგის არის კორიდა.
პირის გატეხა ემუქრება „პურის გატეხეას" —
სად „ქეიფი" და სად „გეიფი"... სად გაგონილა?
ჯგერენაიას გასაგონად!!!
ვერ არის „ჯგიროდ"...
ასეთ კაცს, ალბათ, არც ესმება ქართული ღვინო.
იმის ჭკუაზე ჩვენი მტერიც კი არ ამყოფოს,
ფალოსოფოსი უფრო პქეია მსგავს ფილოსოფოსს!
ან ეს მეორე — ლადარია რამ გადარია?
რომ გეაბოლებს და რომ უბერავს, როგორც ქარია...
ასეთი ცოდეა — უცოდინარს ცოდნა ჰგონია
„ჭკუა უხმარ არს ბრიყვეთათვისო" — გამიგონია!

* * *

გზით მაცდურით და მზაკვარით... ნუ მიხვალ სიმარტოვემდე,
რომ გაკვალული გზა-კვალით — კვალს პატიოსანს ტოვებდე.
რა გზით არ მიველ-მოველი და რას არ მიველ-მოველე,
რომ...
საკუთარ თავში სიკეთეს ვეძიებდე და ვპოვებდე!

* * *

როცა მარტოც ვარ... არა ვარ მარტო —
ფიქრის კაცი ვარ — თავს ფიქრებს ვანდობ...
და მე სხვის ლხინში თუ დავნავარდობ —
სხვის სადარდელსაც — ჩემივით ვდარდობ!

---

*ბ. პასკალი: ყველას სურს მბრძანებლობა, მაგრამ ძალზე ცოტას შესწევს ამის უნარი.*

*გვეშინოდეს სიკვდილისა არა საფრთხეში, არამედ მაშინ, როცა არაფერი გვემუქრება.*

რის სხვისი ჭირი და ღობე ჩხირი —
მე შენს სატირალს — ჩემივით ვტირი;
გულს, შემიძლია, დავიდო ხელი.
მე სხვის სამღერალს — ჩემივით ვმღერი.

* * *

...რაც ჩემს დროს მოხდა — თვალშიაც მომხვდა, ყურშიც მომხვდა, გულშიაც მომხვდა...

და, თუ ქვეყანას არ მოვუარეთ — სუყველაფერი დაგვრჩება ოხრად!

## *ლოცვა*

მოდის და მიდის დროება:
რჩება:
ენა — მამული — სარწმუნოება!
მამა-ღმერთს, ძე-ღმერთს და სულიწმინდას —
სვეტიცხოველი და ჯვარი ზიდავს.
უფლის ზიარო — ადამიანო —
შენს ბაგეთაგან ღმერთი ხმიანობს,
რომ გვაზიარო... გაგვაზიარო —
რა გზას დავადგეთ, რა გზით ვიაროთ?
ვადიდებთ უფალს და მის მზეს ვფიცავთ —
მამა-ზეციერს და დედა-მიწას!

* * *

მშვიდობა ქოხებს და
ომი სასახლეებს! — ძველი ლოზუნგია
და ისმის ახლიდან.
თუმცა, მზე და მთვარე აქ ჭალებზე
ჰკიდიათ...
და შავი სიბნელე მოდის თეთრ სახლიდან!

* * *

ქართველები გვქვია, მაგრამ კიდევ ვართ და არცა ვართ და იმ ქვეყნის ქუდს ვიხურავთ — რაც ვართ და საცა ვართ!

...საქართველოს გარდა ყველაფერს ვგავართ — ქართველები ვართ და ქართველებს არ ვგავართ. დიდი ვიყავით და აღარც პატარა ვართ; სულით — წაწყმედილი, ხორცით კი — „ტარა" ვართ! ეს ოქროყანა ხომ ვარგოდა ნარგავად (სამოთხის), ჰოდა, ეს იგავი ვაქციეთ ნაგავად. გინდათ, დაიჯერეთ და გინდათ, არაო — ესა ვართ — რაცა ვართ... ესეცა „ქმარაო"!

*სიყვარულიც ქიმიის და ბიოლოგიის კანონებით შეიძლება აიხსნას. ორგაზმის მომენტში ტვინი სიამოვნების ჰორმონებს გამომუშავებს: ენდორფინებს, ენკეფალინს, დოფამინს.*

***P.S.*** *იმდენს იზამენ, ლამის ქიმიასაც კი შეგაყვარებენ კაცს!*

*უდიდესი წარუმატებლობების ყველაზე დიდი რაოდენობა ლამის 2-4 საათებში ხდება. როგორც ამბობენ, ამ დროს ბედნიერების ჩიტს სძინავს.*

*ფოლკნერმა თქვა, რომ სტრიქონი მაშინაა დაწერის ღირსი, როცა წაკითხვის ღირსია!*

*ქართველი „ამორძალის" თამარ ქოხინელიძის კაცური სიბრძნე და ქალური სევდა: როცა გოგი დოლიძეზე ვფიქრობ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ საქართველო აყვავებული სიკვდილის ქვეყანაა!!!*

*არასოდეს დამავიწყდება, თბილისის*

## *ზ-ს!*

იყო დრო, როცა ჩემს თავს მერჩიე —
გადაგეჩვიე!

* * *

ილია II: რწმენიანი ადამიანი მონაა ღვთისა, ხოლო რწმენიანი მეცნიერი — მეგობარი უფლისა!

## *საყოფაცხოვრებო თემაზე*

**(ლექსპრომტი ერთ უცნობ ყასაბს)**

სულ ტყუილზე როგორაა ეს ცხოვრება აგებული?
კაცი — კაცი უნდა იყოს, კაცურ კაცად გაგებული!
მყიდეელსაც და გამყიდველსაც უნდა ჰქონდეს პირი რიდე —
„თხა იყიდე — თხა გაყიდე" და თხასავით გაიყიდე!
ეიცი „სიბრძნე სიცრუისა": თუ არა ხარ მთლად ციგანი —
ეის თაეში რა ქარი ქრისა: სად თხაა და სად ციკანი?
ყოეელ ფეხის ნაბიჯზე რომ გკადებ ეალებს, შახეს აგებ —
ბოლოს კარგად დაითვალე: შენ რას იგებ — სხვა რას აგებს!

* * *

როგორც მენესახრე აიძულებდა შვილს — პითაგორას, ესნავლა „ილიადასა" და „ოდისეას" ფრაგმენტები, ისე ვაიძულებდი (ქრთამის შეძლევითაც) ჩემს შვილებს, ვაჟას „კაი ყმის" დაზეპირებას. აი, ამან იცის, თუ იცის — „კარგ ყმად ვინა ვთქვათ?..."

* * *

ალექსანდრე მაკედონელმა ალალად თქვა: მე რომ ალექსანდრე არ ვყოფილიყავი, დიოგენეობას ვისურვებდიო!

* * *

პლატონი სიამაყის გულგრილობით შესცქეროდა ყოველივე ცხოვრებისეულს (ახლა პლატონური სიყვარული... პლატინურ და ბრილიანტურ სიხარბემდე დაეცა!)

* * *

ვაშინგტონში, მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის შენობაზე გრავირებულია არისტოტელეს სიტყვები: „ჭეშმარიტების ძებნა ადვილიცაა და ძნელიც" (ახლა ლექსიც კი კითხულობს: ვინ მკითხულობს, ვინ დამეძებსო?...).

---

*ბ. პასკალი: რაც უფრო ჭკვიანია და კეთილი ადამიანი, მით უფრო მეტად ამჩნევს იგი სხვათა სიკეთეს.*

*პროტაგორა: ყველაფრის საზომი... ადამიანია.*

* * *

ეპიკურე: „მეგობრობაა მთავარი!"

მას პირადი ცხოვრება არ ჰქონდა. სიკვდილის წინ ჩაწვა თბილ აბაზანაში, მოითხოვა სუფთა ღვინო, უსურვა მეგობრებს, არ დამივიწყოთო და მოკვდა.

P.S. ასეთ... სიცოცხლესაც გაუმარჯოს და სიკვდილსაც!

* * *

მარკ ავრელიუსი ცუდ ადამიანებს კარგად აქცევდა. Он делал дурных людей хорошим, а хороших – превосходными. ის ასე, ეს ისე... კარგებს ცუდებად აქცევს. „შენი კარგები" „ჩემი კარგები" დღეს უკვე გინებად იქცა.

* * *

ეისი — სწორია და ეისი კი — ჭორია...
ეისაც რა-როგორ დასჭირდეს.
ზოგს წვიმაც ამინდი ჰგონია —
ეისაც უნდა, რომ გაწვიმდეს!

* * *

ავრელიუსი ავგუსტინე (ნეტარი): „ორი სანყისი იბრძოდა ჩემში." 15 წლისამ სრული თავისუფლება მისცა გრძნობებს. შემდეგში წერდა, რომ სამყაროს მთელი ბოროტება — ეს საზღაურია პირველყოფილი ცოდვისა.

მისი საფლავის წარწერაა: „შენი სხეული — მიწას ეკუთვნის, სახელი კი — საუკუნეებს!" მისი მოწოდება: „შეაერთე რწმენა გონებას!"

* * *

ავიცენამ სიკვდილის წინ დაწერა კუბოს 4 ფიცარივით შეკრული თავისი 57-წლიანი დიდი სიცოცხლის 4 სტრიქონი:

ფერხთა მტვერიდან — ციურ სხეულებამდე —
ბევრი საიდუმლო და აუხსნელი ავხსენი.
ახალდერი — ავიცდინე, თუმცა, სიკვდილის კვანძი...
არ იქნა და არაფრით, ვერა და ვერ გავხსენი!

* * *

**დიტო ჩუბინიძეს**
**(კორესპონდენტს - რესპონდენტისაგან!)**

დიტო, დიტო, ერუდიტო!
წერ სისხლით და ისერი ქვითო!
ეგ ქაღალდი და კალამი —
მშვიდობაში გაგეცვითოს!

იმის დღეებში როგორ შემოგვჩივლა ერთმა ვერელმა მესაფლავემ: რას სჩადით, ხალხო? მამები შვილებს მარხავენ?

დიახ, ეს იყო ის დრო, როცა თბილისურ სასაფლაოებზე სიკვდილს თავი მოსწონდა სიჭაბუკით.

ქართველი მეცნიერი, მათემატიკური ლინგვისტი გია კვაშილავა, რომელმაც 18 წელი ეგვიპტურის, შუმერულის და სხვა მკვდარი ენების და დამწერლობების შესწავლას მოანდომა, მსოფლიო მეცნიერებაში გადატრიალებას ამზადებს!

...ლონდონში, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიაში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები ესწრებოდნენ, 35 წლის გია კვაშილავამ 10 წლის წინათ, კუნძულ კრეტაზე ნაპოვნი, დაახლოებით 4 ათასი წლის წინანდელი „ფესტოსის დისკო", (რომლის გაშიფვრაც მთელი ამ ხნის

* * *

ვიჭერიტები სულის ცხრაკლიტულებში —
დუღს სიცოცხლე — მოგონების ჭურებში.

* * *

„საკუთარ თავთან ბრძოლაა — ყველაზე მძიმე ბრძოლა!
საკუთარ თავზე გამარჯვება ყველაზე დიდი გამარჯვება!"
გააჩნია, ვის როგორ მიაჩნია: ზოგს — სწორად, ზოგს — ჭორად,
ვინაც გაიარა, ან ვერ გაიარა გლობალიზაციის „განბაჟება!"

* * *

თომას მორის „უტოპია"! როდის ვპოულობ წერის დროს? ვიპარავ ძილისა და ჭამისთვის განკუთვნილ დროს (მე მკვდარივით მძინავს და ცოცხალივით მღვიძავს — ხანდახან სიბერე თუ წამართმევს თავს ტელევიზორის წინ და ეკრანის წინ ჩემს სიზმრებში ვყვინთავ. — გ.ნ.). იგი სიკვდილით დასაჯეს. ჯალათს გაეშაყირა: კისერი მოკლე მაქვს და ფრთხილად, ამ ჩემს წვერებს ხომ არაფერი დაუშავებიაო. მახლას, სიკვდილი მასხრად აიგდო! მორი „ყველა დროის ადამიანების რანგშია". მემენტო მორი! — გახსოვდეს სიკვდილიო! ჰოდა, მორიც თვითონ იყო — სიკვდილიც თვითონ ახსოვდა და სიკვდილსაც დავიწყებია!

* * *

ინგლისური: რაღა ახალგაზრდა და რაღა სუფთა ქაღალდი.

არაფრის ისე არ მეშინია, როგორც სუფთა ქაღალდისაო, — უთქვამს კიტსს.

* * *

პროთაგორა: „ადამიანია ყველაფრის საზომი".

ასე რომ... ჩართულია ნამზომი!

* * *

რენე დეკარტი: „მომეცით მატერია და მოძრაობა და მე მათგან ავაშენებ სამყაროს".

თუ ყველაფერი მოგეცით, შენ რაღაში გვჭირდები, აქ — ტო? ბ-ნი რენე, დეკარტი ხარ თუ დეფაქტო!

* * *

ბალთაზარ გრასიანი — ესპანელი მწერალი და ქადაგი, მონაზონი იეზუიტური ორდენისა! მისი საკაცობრიო ცხოვრების განსახიერებაა სამი აქტისაგან შემდგარი დრამა: „ბავშვობის გაზაფხული და სიჭაბუკის ზაფხულის პაპანაქება", „სიმწიფის შემოდგომა" და „სიბერის ზამთარი". „სიმწიფის შემოდგომისათვის" მიუსაჯეს მკაცრი მონანიება და მარტო პურითა და წყლით არსებობა. იეზუიტთა ორდენის გენერალმა აუკრძალა ქაღალდით და მელნით სარგებლობა.

P.S. აი, ამას ჰქვია სასჯელთა სასჯელი!

* * *

ლაროშფუკო: „ადამიანები ზოგჯერ იმიტომ აკეთებენ სიკეთეს, რომ ბოროტების კეთებაც დაუსჯელად შეძლონ"; „მტერთან შერიგება მათთან

ბრძოლაში დაღლილობის ბრალია" (მე, ბოლო სულის ამოთქმისასაც მინევს ბოლო გაბრძოლება — გ.ნ.).

ლაროშფუკოსთანა კაცთან არ მოინყენ!

აფორიზმები ყველაზე მოკლე გზაა კაცობრიობის გაუმჯობესებისაკენ! „ნამდვილი მჭევრმეტყველება უნარი, თქვა, რისი თქმაც საჭიროა და არა იმაზე მეტი, რაც საჭიროა!

* * *

ჯონ ლოკი: ადამიანის სული სუფთა ფურცელია, რომელზეც ინერება სამყაროს ანბანი!" მისი ძეგლის ეპიტაფია: „იგი აღზარდა მეცნიერებამ და ისე შორს ნავიდა, რომ მხოლოდ ჭეშმარიტების სამსახურიღა შეეძლო!"

* * *

სპინოზა ნიდერლანდელს ხმის ამოუღებლობაში აძლევდნენ 1000 ფლორინ ქრთამს. დაიმახსოვრეთ: „სიზარმაცე ისე ნელა მიდის, რომ მას ყველა სიღარიბე დაენევა."

* * *

რუსო:
„მშვიდობა ქოხებს, ომი სასახლეს".
როცა სასახლე ქოხს ხელს ვერ ახლებს —
დედაბუდიან... ფესვ და ძირიან —
მაშინ იქნება აქ იდილია!

რუსო: „ადამიანები ისინი არიან, ვინც არავის არ ეგებიან ფეხქვეშ, ცხოვრობენ ისე, როგორც მათ გული ერჩით და იქცევიან ისე, როგორც მათი ნესი და რიგია. აი, ასეთები კი მე იშვიათად მინახავს"!

(რუსო — რუსში არ აგერიოთ!)

* * *

ჰეგელი: ანტიკურობის ბრძენკაცობიდან — აღორძინების ეპოქის ფილოსოფოსებამდე!

„სულის ფენომენოლოგია" არის „მოგზაურობა აღმოჩენებისაკენ".

* * *

არტურ შოპენჰაუერი ყველა მეცნიერებასთან ფილოსოფიასთან ახლოს იყო და „შენობით" ელაპარაკებოდა. იგი „პესიმიზმის მომღერლად" ითვლებოდა. მანვე მოიფიქრა სიტყვა „პესიმიზმი". „ცხოვრება ერთობ საეჭვო რამაა და მე გადავწყვიტე, ჩემი შემოქმედება მივუძღვნა მასზე ფიქრს". იგი მამას ემადლიერებოდა, რაც კარგი მაქვს, მის-

განმავლობაში ვერავინ შეძლო), პროტოქართველური ენების მოშველიებით გაშიფრა და მსოფლიოს აღიარებული ავტორიტეტები შოკში ჩააგდო.

„ქრონიკა". 10-16.11.09

მსოფლიოში ყველაზე პატარა, 75-კილოგრამიანი მფრინავი აპარატი იაპონელებმა შექმნეს. ის ლეონარდო და ვინჩის ნახაზების მიხედვით არის აგებული. მფრინავი აპარატი მალე გენიალური შემოქმედის მშობლიურ ფლორენციაში საგამოცდო ფრენას განახორციელებს.

„ეკონომიკური პალიტრა", 26.05-1.06.08

სპარტაში მოუფიქრებელი პასუხის გაცემისათვის აღსაზრდელს ყურზე კბენდნენ.

საქართველოში კი, დაუკვირვებელი ნაბიჯისათვის, თავზე კბენა დიდი ხნის ტრადიცია იყო, რაც ანდაზებშიც აისახა!

მეორე მსოფლიო ომის დროს ცნობილი ფრანგი მწერ-

გან მაქვსო, ნიუტონიეით, „მე დიდთა წინაპართა დიდ მხრებზე ვდგევარო".

* * *

კამიუ. ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, ეგზისტენციალისტი, ნობელიანტი. ტრაქტატი: „მეამბოხე ადამიანი". რომანი „ბედნიერი სიკვდილი". პიესა „კალიგულა"... (ამ კალიგულამ... მაინც კარგად „იგულავა"!..).

აბსურდის ფილოსოფიის კლასიკოსი. „ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ისე დიდი და ჭრელია იგი. კამიუმ ფრანგული ესეისტიკა ფილოსოფიურ პროზამდე აიყვანა. აქედანაა მისი სტილი, რამაც მეც ნამათამამა, ისე ვწერო, როგორც ვფიქრობ და... რა წესითა და რიგითაც ვფიქრობ. ეს ჯობია იმას, რომ ვწერო ისე, როგორც არ ვფიქრობ, თუმცა, ვფიქრობ, ისე უფრო უნდა ანყობდეთ ძლიერთა ამა ქვეყნისათა. „მითი სიზიფეს შესახებ" თემა აბსურდისა, როგორც ადამიანური არსებობის სანყისისა, იქცა ცენტრალურ ხაზად (თუ არ მოგვეხაზა!)

1957 წელს მიიღო ნობელის პრემია. ამბობდა, ნობელმა დამაბერაო.

* * *

წიგნის რედაქტორის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის მირიან მესტიაშვილი წინასიტყვაობა (ა. ბაინდურაშვილი „ნევროზები და გივი მაზმიშვილის ფსიქოთერაპიული სეანსები"): არსებობენ სხეულის ექიმები და „სულის ექიმები". მათ ანტიკურ პერიოდში არჩევდნენ.

...ფსიქოთერაპევტი გივი მაზმიშვილი: სკეპტიკოსებს მიაჩნიათ, რომ სიტყვით მკურნალობა შეუძლებელია. და ავინყდებათ სიტყვა — ღმერთის ღვთიურობა.

ილია ამბობდა: ზოგი რამ ამ ქვეყანაზე ისეთია, რომ ჯერ უნდა ირწმუნო, რომ დაინახო. ადამიანში 90 პროცენტი გრძნობაა, ემოციებია და მხოლოდ 10%-ია გონება.

...უიმედობა ფრუსტრაციაა (დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება).

უ. ჯემსი: ღმერთმა, შეიძლება, გვაპატიოს ჩვენი შეცოდებანი, მაგრამ ჩვენი თავი არ გვაპატიებს.

წმინდა ბასილი დიდი: ნუ ჰკურნავ ბოროტსა ბოროტითა.

ჰ.სელიე (სტრესების მკვლევარი) არჩევს 2 სტრესს: დისტრესი (ცუდი) და ევსტრესი (კარგი).

გოეთე: ტანჯვა აკეთილშობილებს ადამიანს.

სინანული და მწუხარება ჩვენს ნარსულს წმენდს და სულიერად სრულგვყოფს.

* * *

1995 წ. რუსულ პრესაში გამოქვეყნდა, რომ გერმანიაში მუდმივი ცხოვრება ეკრძალებათ ოქროს კბილებიან მოქალაქეებს(!), რადგან დამზღვევი კომპანიებისათვის მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება ხელსაყრელი არ არის. როგორც გამოირკვა, ოქრო, როგორც ლითონი, მხოლოდ ოთხიდან ერთი ადამიანისათვის არის შეთავსებადი (ჯანმრთელობის ინდექსით).

---

*ნ. ჟორდანია: ადამიანის თავში ცხოვრების სინათლე შეანათებს-ხოლმე 40 წლიდან. აქ ის იწყებს ცხოვრების დეტალების გარჩევას, ცალკე პირების დანახვას, მტერ-მოყვარის გამოცნობას, ცხოვრების მორევში საზრიანად შესვლას. (და, თურმე, სწორედ აქედან იწყება მისი „ჩარეცხვის" წლებიც! —გ.ნ.)*

...რისხვითი აფექტის დროს თირკმელზედა ჯირკვალი გამოჰყოფს ადრენალინს, რომელიც იწვევს სისხლის მიმოქცევის აჩქარებას.

ფროიდის მიხედვით, ფსიქოლოგიური დაცვის ერთ-ერთი მექანიზმს წარმოადგენს სუბლიმაცია, რომლის შემთხვევაში ადგილი აქვს კონფლიქტური სიტუაციის დაძაბულობის გადართვას შემოქმედებით პროცესში, ხუმრობაში, რაც განმუხტავს დაძაბულობას.

ბედისწერა — „რაცა ღმერთსა არა სნადდეს, არა საქმე არ იქნების" — (ყოვლადყოვლის შემოქმედი მორჩილია მისი ნების — გ.ნ.).

სამედიცინო ტერმინების ამერიკულ ლექსიკონში 367 ფობიაა. ყველაზე გავრცელებულია კარდიოფობია, ლისოფობია (გაგიჟების), გიფსოფობია (სიმაღლის)... არსებობს ქუჩაში გასვლის შიშიც (მით უფრო, ახლა, ეს რეალურია და მთლად ფობიასაც არ ჰგავს).

მუსიკოთერაპიას ათასწლოვანი ისტორია აქვს. ავიცენამ (აბუ ალი იბნ სინამ), 1000 წლის წინ დაგვიტოვა ორგანული შრომა მუსიკის თეორიის შესახებ, რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუსიკას სამკურნალო მიზნებისათვის. იყო დრო, სნამდათ, რომ მუსიკა უნივერსალური წამალია. იაკობ ბობოხიძემ დაწერა მუსიკა სექტემბერზე, ამერიკის კატასტროფაზე, ორი ცათამბჯენის ჩამოქცევაზე.

„რბილი" რიტმი ამშვიდებს, დისონანსები ალაგზნებს. არის ასეთი ტერმინიც — „მუსიკალური ფარმაკოლოგია"!

## „მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია"

### საეკლესიო ბიბლიოთეკა

მიტროპოლიტი იეროთეოს ვლახოსი:

*„მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია" (მოსკოვის წმ. გიორგის სახ. ქართული ეკლესიის გამომცემლობა. „ახალი ივერიონი" . თბილისი).*

მართლმადიდებლობა მკურნალი მოძღვრებაა. ფილოსოფია ადამიანური აზროვნებაა, ქრისტიანობა — ღმერთის გაცხადება — ღმერთის პოვნაა ადამიანში.

ქრისტიანობის შეცნობა ადამიანური ლოგიკით შეუძლებელია. იქ, სადაც დაუძლურდა ადამიანური სიტყვა, მოვიდა სიტყვა — ღმერთი! ფილოსოფია ადამიანური ენერგიაა, წინასწარმეტყველება კი სულიწმინდის გამოცხადებაა.

*ალი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი იმდენად ცნობილი სამხედრო მფრინავი იყო, რომ გერმანელებმა ასმა ბეარ·სახელით გააფრთხილეს, ფრენა შეეწყვიტა და მიწაზე დამშვებუ-ლიყო...*

*P.S. „მიწაზე დამ-შვებული" მწერალი ვის უნახავს?*

*~~გია თარგამაძე (პარლამენტის თავ-დაცვისა და უშიშ-როების კომიტეტის~~ თავმჯდომარე):*

*ცივილიზებული სამყარო გადაწ-ყვეტილებას მიიღებს და რუსეთი გაიგებს საერთაშორისო ცივ-ილიზებული ინსტი-ტუციებიდან.*

*ა, როგორია?*

*ბეთჰოვენმა თავი-სი „პათეტიკური სიმფონია" ნაპო-ლეონ ბონაპარტეს მიუძღვნა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ნა-პოლეონმა საკუთა-რი თავი იმპერატო-რად გამოაცხადა, ცნობილმა კომპო-ზიტორმა მიძღვნა გააუქმა.*

*P.S. ახლა „პათე-ტიკა" პირიქითაა: ჯერ „დაპკაში" რო-გავა... მერე უხსე-ლდება „გავა" და მერე უძღვნიან სუ-ლთათანას!*

ეკლესია ქრისტეს სხეულია!

თეოლოგია ლოგიკის მიღმაა. იგი ღმერთის ხილვაა! უდიდესი მადლია ქარიზმა, რაც ადამიანს სულიწმიდისაგან ეძლევა.

ბინიერება ოთხ რამეში გამოიხატება: ფსევდო (მცდარ) ცოდნაში, საყოველთაო ვერდანახვაში, ვნებიან აზრებსა და ცოდვასთან შეგუებაში.

სათნოების მიზანია „უფალთან ერთიანობა და მისი მსგავსება" (გრიგოლ პალამა).

გულით და გონებით ლოცვაა ადამიანის ხსნის გზა.

სვიმონ ახალი ღვთისმეტყველის სიტყვით „მღვდელი ექიმია". მღვდლობა აღმატებულია მეფობაზეც კი, რადგან იგი — ღვთიურს ანესრიგებს, ხელისუფალი კი — მიწიერს!

ისიდორე პელოსიელი განასხვავებს მწყემსებს: „უწინ მწყემსი ცხოვართათვის კვდებოდა, ახლა კი თავად ჭრის მათ ყელს"... სამღვდელოებას შეუდგებოდნენ სათნონი, ახლა კი ვერცხლის მოყვარენიც არიან.

ეკლესია სოციალური პრობლემების გადასაწყვეტი ტაძარი კი არა — სულის საკურნებელია!

სული ბიბლიის ერთ-ერთი ურთულესი და ძნელად გასაგები სიტყვაა.

სული — ადამიანში უფლის ხელია!
გული — მადლის საბრძანებელია!
სული — მართავს სხეულს გულით —
გული — სულის ცენტრია...
...აქ სულმა ინება ლექსად დალაგება —
სიტყვა-ღმერთს მოუნდა აზრის გაწლაგება!
გული ტაძარია, თავი კი — გუმბათი:
სული — სისხლითაა, ეშმაკი — გუბეთი.
რაიცა შობს ქვეწარმავლებს და ბაყაყებს —
ბაყაყი ყიყინებს და ჭაობს ამყაყებს.
და ეს ყიყიყიყი... პარლამენტს მაგონებს —
ეშმაკებს აგორებს მთქმელიც... გამგონეც!

ღმერთი სინათლეშია!
ღმერთი სიმართლეშია!

სულიერი გრძნობის ველი გულია! გულის გახსნა პიროვნების გახსნას ნიშნავს, პიროვნულობა — „ღვთის მსგავსებას"!. გული ჯოჯოხეთია, სადაც უფალი გამოსახსნელად შედის. გული უფლის მისაღები დარბაზია. გული კითარაა, რომლის სიმები გრძნობებია, კლავიატურა კი აზროვნებაა... რაც ღვთის ხსოვნის ალეგორიაა.

არსებობს გულის ცრემლი და ხორცის ცრემლი. წმინდანები ქრისტიანებს ცრემლის ღვრისკენ მოუწოდებენ, რადგან ამ დროს თვალიც იწმინდება და გულიც. ცრემლი — ადამიანის ხელახლა შობის ნიშანია. საკუთარ თავს უცრემლოდ ვერც შეიცნობთ და დარდს უცრემლოდ ვერ შეიშრობთ! (ჩემმა N2 შვილიშვილმა — არ ვიცი საიდან და როგორ უნყოდა, მაგრამ... ყალბ ცრემლებს ხახვის ცრემლები უნოდა! — გ.ნ.)

---

*ფ. რაბლე: ადამიანის გონება მუშტზე ძლიერია.*

*რადიშჩევი: მხოლოდ მაშინ ხდები ადამიანი. როცა ისწავლი სხვაში ადამიანის დანახვას.*

მრავალნი პითაგორიზმის გავლენით ცდილობენ, აზროვნებით შეიცნონ საკუთარი „მე"! ეს პითაგორელებისა და ფილოსოფიის სტოიკოსების მნვალებლობაა. ასე, შეიძლება, კაცი შიზოფრენიამდეც მივიდეს.

ეკლესია სულის სამკურნალო ტაძარია. თავის ეპისტოლეებში პავლე მოციქული ჩამოთვლის ცოდვებს — ღმერთის მიტოვებისა და კერპთაყვანისმცემლობისა! „ ...და იყვნენ კაცნი თავის მოყვარე, ვერცხლისმოყვარე, ლაღ თავმოთნე, ამპარტავან, მგმობარ, მამა-დედისა ურჩ, უმადლ, უღირს, უყუარულ, უნირავ მასმენელ, უთმინო, დაუმჭეირველ, უზავ, დაუმშვიდებელ, კეთილის მოძულე, შინაგამცემელი, ნარმდებ... გულის თქუმის მოყვარეც. აქუნდეს ხატი ღმრთის მსახურებისაი და ძალისა მისსა უარ-ჰყოფდნენ" (ტიმ. 3, 1-5).

თუ სინერგია არ იქნება, ადამიანი ვერ ძლევს ვნებებს, ანუ ეშმაკს!

უფალმა, იორდანეში ნათლობის შემდეგ, „იესუ აღმოიყვანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან" (მათ. 4.1). უდაბნოში უფალმა დაამარცხა ეშმაკი, რომელმაც ქრისტეს 3 ცნობილი განსაცდელი მისცა.

„ვინც მოისმინა იესოს სიტყვა, მას შეუძლია, მოისმინოს უფლის მდუმარებაც!"

ისააკ ასური რნმენას ცოდნაზე მაღლა აყენებს! „ნეტარ არიან ნმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ" (მათ. 5.8).

ქრისტეს მეორედ მოსვლამდე, თაობიდან თაობას გადაეცემა იმედად მისი უტყუარი აღქმა: „და აჰა, ესერა მე თქუენ თანა ვარ... ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა" (მათ. 28.20

* * *

სხეული — სულის საპრობილე, გამოკეეთილი — გული — დახშული, გაუხსნელი ჯოჯოხეთია — უფლის მისაღებ დარბაზსა ჰგავს გული — კეთილი — ყოვლისშემძლე კი მოზეიმე მამა-ღმერთია!

* * *

**თაკო ჩარკვიანი:**

მადლობელი ვარ ყველა გათენებული დღის. ვდარდობ ყოველ ნუთსა და ნამს, რომელიც ცუდ ფიქრებსა და უხეშ სტრიქონებს მოვახმარე... ნავალ მაშინ, როცა გარეთ გაზაფხული იქნება.

ქალბატონი თამარი ზნეობას ამოფარებულ უზნეობას ამჩნევს.

მისი მოთხრობების პატარა კრებული 2008

*ტრილიონ, კვინტილიონ, სიქსილიონ — „კვანტალიან", „ყირყილიანი"... ეს სიტყვებზე უფრო მეტყველი ციფრებია, რომელთა სახელებიც არ ვიცით და რომლებიც უმოქმედობისგან სდუმან.*

*ყველაზე დიდი ციფრის სახელწოდებაა ცენტილიონი. იგი 600 ნულით იწერება. რა გამოსახეს ამ რიცხვით, დღემდე უცნობია. მახლას, მოთმინების ფიალაა თუ ასხი —* **Финансы поют романсы.**

*ჟინვალის მესასვლელთან არსებულ სასაფლაოს ქვაზე ამოკვეთილია წარწერა: „ჩემს მშობლებს 18 ქალ-ვაჟი ვყავდით. მე საქართველოს 10 შვილს ვუტოვებ. თქვენ? — ასინეთ მავერზაშვილი*

*„ქრონიკა", გ. 17.03.2010*

***P.S.*** *ასეთი „სიცოცხლით სავსე" საფლავის ხმა არც გამიგონია!*

*1611 წელს, საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო მეთერთმეტის ყოფილმა*

ნელს დაიბეჭდა „რა ჟამს აღსდგე ძილისაგან"!

„ბათუმის სანაპიროზე მიწებს მიზანმიმართულად ყიდულობენ მეზობელი ქვეყნის მოქალაქეები..." იყიდება საქართველო და გვაფრთხილებს: ვისაც თვალნი და ყურნი გაქვთ, ისმინეთ!

* * *

„რეაქტიული კლუბის" ალმანახი 2. ვინმე პოლიკარპე გვერდული.

„რჩევა პოეტს" — ისე უნდა გახურდე, რომ გადაიწვა. ისე უნდა გაანათო, რომ... დაბნელდეს. ისე უნდა იცხოვრო, რომ მოგკლან. ისე უნდა მოკვდე, რომ დაიბადო!!!

ახლა, მისი „ეიფორიზმებიც"!

შენ იქ იწყები, სადაც მამაშენი გაათავებს;

ქალიშვილი არის ქალი, რომელსაც კაციშვილი არ გაკარებია.

რითმებსა და მაჯამებს ეპოქა აჯამებს.

დელია და ოდელია საქართველოს მოდელია!

ზოგი ჭირი მარგებელია. „ამ ქვეყანაზე ვინც კი შობილა, უკან ბრუნდება დედიშობილა."

ეს იბერია დღეს სიბერეა. დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ! ნეტავ ვიცოდე, რა მიხარია!!!

(ლექსში შეზიარება!)

„კაცმა მიმიწვია შიოს მარანშიო,
თითქოს მიზიარა ბედი —
ჩემი სიყვარულის თეთრო პანაშვიდო,
მოდი, მომიწექი გვერდით!"

აქვეა ირაკლი 2:

ის, რაც ადამს ევასა — ევასება ევასა!

ჰემინგუეის „სიკვდილი ნაშუადღევს" — ეს არის უამრავი ლიტერატურული რამე-რუმეთი სავსე გუდა.

რაულ მამალაძე, ალიკო ცინცაძე („გრაალი, ხე შემეცნებისა..." დიდი იბერიის ფესვებთან. 2008)

რიცხვთა მისტიკა — არქეოლოგია სიტყვაში რიცხვული კვალის დასაძებნად!

„იმაზე დიდი საოცრება, ვიდრე ანბანში ამოიკითხო ღვთისმშობლის სახელი, ძნელად წარმოსადგენია."

გოგებაშვილს გაგებაშვილი უნდა (გ.ნ.). „მისი „აი ია" სულიერი სამყაროს კარია"...

ძველებური სინოპტიკური ცნობა: „თუ ჩიტები მაღლა დაფრინავენ, კარგი ამინდია მოსალოდნელი, თუ ქვემოთ ეშვებიან — გაავდრდება". ასეა ლექსის საფრენოსნო ამინდიც.

...1924 წელს. გერმანელი მეცნიერი ფრიში ამტკიცებდა, რომ გაშიფრა ფუტკრების ენა. ალმოჩნდა, რომ ისინი ცეკვით (ფრენის თავისებურებით) ატყობინებენ ერთმანეთს არა მხოლოდ საკვების არსებობას, არამედ ადგილს და მანძილს ნუგბარამდე"

ავტორები ამტკიცებენ, რომ ფუტკრის ენას თავისი დიალექტიკაც აქვს.

...მისტერიული აღქმა ადამიანის მეხსიერების გენეტიკურ ინფორმაციაში შეღწევაა. დღეს მეცნიერებას უკვე დადასტურებულად მიაჩნია ფაქტი, ადამიანში წინაპართა ინფორმაციის დაფარული სახით არსე-

*რიხნერი: ადამიანი ერთადერთი ცოცხალი არსებაა დედამიწაზე. რომელმაც იცის, რომ უნდა მოკვდეს.*

ბობის შესახებ". მაგრამ, მე ჩემს შთამომავალს მინდა, საქმე გაეუიოლო და მზამზარეულად (დააკვირდით ამ სიტყვას და „მზარეულს") და მისი უმნიფრობის ჟამს მივართვა ჩემი მნიფე (თუ მოუმნიფებელი ან გადამნიფებული არა!) ამბები და აზრები!

ავტორები, მკითხველს, ბოლო ყდაზე თეთრით შავზე სნერენ: „მიიღეთ ეს ნიგნი დედა-ენაზე თაფლის სანთლით ხელში ჩურჩულით ნარმოთქმულ ლოცვად!"

* * *

ვოლტერი: მე მძულს თქვენი აზრები, მაგრამ თავს გავენირავ იმისათვის, რომ თქვენ გქონდეთ მისი გამოთქმის უფლება.

* * *

## *ჩემი საკალმეთია — ჩემი სახალმეთია!*

* * *

იყო ოდითგან პაოს-ქართლოსი, —
მხარე ომების, მარცხის, ქაოსის...
და რჩება... იგი...
(თუ გადარჩება...)
არ უნდა ამას ჭიცი და მტკიცი!
ამაზე მაღლა როს ხტება კვიცი...
რა მოსდის დედის წინ მორბენალსა —
როს ვერ აჭერენ კბილებს ენასა!
ღმერთმა კი არა, ეშმაკმა იცის!
...ჩვენ, ვერა, მტერი ვერ მოგვერევა —
მტრებში ქართველი თუ არ ერევა(?!)
დღემდე ასეა — ქართველი ბრძოლობს...
ქართველი ქართველს მოუღებს ბოლოს.

* * *

ეზოთერული — მხოლოდ რჩეულთათვის მისანვდომია!

* * *

ამ ბოლო დროს ყველა იმ საქმეს აკეთებს, რაც მისი საქმე არ არის!

* * *

სიმართლე ბაგირის გადანევა არ არის, რომ ძლიერის მხარეს იყო!

* * *

ცვაიგი: სიმაძღრე შიმშილივით აუტანელია.

მდივანმა დაიწყო წიგნის გამოცემა. ტომები მეფის კარის ზნეობის შესახებ ზედიზედ გამოიცემოდა. სწორედ ამ წიგნმა დაუდო სათავე ჟურნალ-გაზეთების არაოფიციალურ ჟანრს, რომელსაც „სკანდალური ქრონიკა" ჰქვია.

ის თავისუფალს სულაც არა ჰგავს — იგი აშშ-ს კატის კნუტია.

თავის-უფლების კი ჰქვია, მაგრამ ვის უფლების ინსტიტუტია?

<u>პოეტი ფრეგალე სადღიანა:</u>

პოეზიაში ყველაზე დიდი წიგნია — „ვეფხისტყაოსანი". პროზაში — „დონ კიხოტი", დრამატურგიაში — „ჰამლეტი".

<u>გიო ხუციშვილი (მომღერალი):</u>

ძალიან ცუდი გამოცდილებაა ქუჩა. ყველა, ვინც ამბობს, რომ ქუჩაში კარგი გამოცდილება მიიღო, იტყუება.

„რეიტინგი"

**P.S.** გინდა — არ გინდა, ცხოვრება... ქუჩაშია და ვის ანაბარა ტოვებთ?

* * *

„სიძე, შე ძველოო!" — დღემდე მხარზე ხელის ბარტყუნით და პირზე კოცნით რომ მხვდებიან გურულები, მახსენდება ერთი ანეგდოტი: ვიღაც მამაძაღლს სასჯელს რომ ურჩევდა ხალხი: მოვკლათ, ჩამოვახრჩოთ, ცოცხლად დავმარხოთო!

— ცოტაა, ცოტაა, ცოტააო! — გაიძახოდა ყველა.

— გურული ქალი შევრთოთო! — იყვირა ბოლოს ვიღაცამ.

— ცოდოა, ცოდოა, ცოდოაო! — იხუვლა ხალხმა. მე კი, ჩემი ნებით, თანაც, დიდი სიამოვნებით დავიდგი ეს უღელი და დღემდე ვჭამთ ერთმანეთს... სიყვარულით!

რადგან ცოლის ქება აუგიაო, მისი შესახედაობის აღწერას არ შევუდგები. თუ მაინცდამაინც, იხილეთ ვეფხვაძის ნახატი, შოთა რუსთაველი თამარ მეფეს რომ უკითხავს „ვეფხისტყაოსანს" და იქ ნახავთ სათამარქალოდ წარმოდგენილ ამ პერსონაჟს. ერთ დროს კავსაძის ქუჩაზე ვცხოვრობდით და ჩვენს ეზოში იყო მხატვრების სახელოსნოები (მათ შორის, ცნობილ ფერმწერ ვეფხვაძისაც). ერთხელ მთხოვა, შენი მეუღლის დახატვა მინდა თამარ მეფედო! მაშინ, მე შოთა რუსთაველად უნდა დამხატო-მეთქი!

მახლას!

ამბობენ, ხუმრობა გურულების მოგონილიაო. ხუმრობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თვითონ ის, რასაც ამბობენ, გურულების მოგონილს ჰგავს. საქართველოში ხუმრობა... ხუმრობა არ გეგონოთ — აქ, ლამის, ყველა ეზოპე და დიონისეა. არავინ „ჯიბეში არ იყოფს ხელს სიტყვის საპოვნელად" და, სულხან-საბასი არ იყოს, საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულში ისმის სიცილი, „მაღალი და მოხდომილი, კასკასი, რახრახი, უშვერი, თქართქარი, ღინცილი, ფრუტუნი თუ ხარხარი..."

მე კი არა, ჰომეროსის ტოლი კაცი — ვაჟა-ფშაველა ცხრა მთას გადადიოდა ხალხში ერთი კაი კაფიის საპოვნელად (თუმცა, საკუთარი თავის პატრონს სხვაგან საძებარი რა ჰქონდა?). ერთ დროს სიცილის მარგალიტების მაძიებელი მეც გახლდით და „კალმასობასავით" ვაგროვებდი ხალხში ამ ბაჯაღლოს. სწორედ იმ დროისაა ეს გურული ხუმრობებიც, რომელიც დასავიწყებლად არ მემეტება და გურულების... ხათრზე უფრო, სიყვარულით, ე.წ. „ფართის უფლებით" შემაქვს ჩემი ცხოვრების წიგნში (ეს ამბავი, მგონი, ერთხელ უკვე მოყოლილიც მაქვს, მარამ, ამბავს მოყოლით რა გაცვითავს!).

... ოქტომბრის რევოლუციამ ოზურგეთს სახეც შეუცვალა და სახელიც — მახარაძე დაარქვა... ფილიპეს ხათრით! მისი ძმა კი (თავის ნეზვი ღორიანად!) ვერ იქნა და ვერაფრით ვერ შეიყვანეს კოლმეურნეობაში.

იძულებული შეიქნენ, ეს ამბავი თვით ფილიპე მახარაძის ყურამდე მიეტანათ და ზემდგომ გადაწყვეტილებას დალოდებოდნენ.

შეურაცხყოფილმა და განაწყენებულმა ზემდგომმა ძმამ დაიბარა თავისი „შეურაცხმყოფელი" და „გამნაწყენებელი" ქვემდგომი ძმა და ბოლშევიკური პირდაპირობით უთხრა: რასაა, რომ კადრულობ, ძამა, ერთი ნეზვი ღორისთვის მჭრი თავს? „უმცროსმა" ძმამ „უფროს" ძმას, თურმე, მათი ძმობა შეახსენა და თან დააყოლა:

— კითხვა მაქვს შენთან და მერე, სადაც გინდა, იქ მიკარი თავიო.

— ბრძანე! — უთხრა მბრძანებელმა.

— ხალხში ყური მოვკარი, ძამა, თურმე, შენ... ძეგლს გიდგამენ

ოზურგეთში. მართალია?

— მართალია!

— ოზურგეთსაც შენ სახელს არქმევენ, თურმე... მართალია?

— მართალია!

— ჰოდა, მაშინ, ეს ერთი ნეზვი ღორი მაინც იყოს ჩემს სახელზე, ძამა! — უთხრა ძმამ ძმას.

...ლეგენდარულმა მიხაკო ორაგველიძემ შრომის კოლმეურნეობაში ვადაზე ადრე „დაამყარა" კომუნიზმი და აალაპარაკა მთელი სსრ თუ უსუსურ კავშირი.

მაგრამ, სიცილს შენ რამეს გამოაპარებ? — იყო ერთი ჩუმი ქირქილი და ლადაობა.

ერთხელ, ბატონ მიხაკოს კბილი ატკივდა. ყბაახვეული მიადგა თავის „უფასო" პოლიკლინიკას, სადაც კბილის ექიმად გამნესებული ჰყავდა თავის ბავშვობისდროინდელი ამხანაგი — ვილაცა ფერშალი თუ „დოხტური", რომელმაც დააღებინა პირი ამ ლეგენდა კაცს, მიურყ-მოურყია ის ნარჩენი კბილი და მთელი სამედიცინო განათლების კომპეტენტურობით უთხრა:

— რა სჭირს, ძამა, ამ კბილს ამოსაღები? აი კბილი ერთ კოლმეურნეობას კიდევ შეჭამს!

P.S. ასე გადარჩა ის კბილი ამოღებას და ასე ვერ გადარჩა ის კოლმეურნეობა... შეჭმას!

ეს, ისე, ხუმრობისთვის, თორემ მთლად ასეც არ იყო საქმე.

...მახარაძის რაიონში ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა ერთი ენაკვიმატი და კაი პურის მჭამელი კაცი ლეონიდე მახარაძე.

ერთხელ, გურულებს ნვეულება ჰქონდათ. ქალაქიდან სტუმრებს ელოდნენ და, როგორც გამოცდილ თამადას, ბატონ ლეონიდეს ჰკითხეს: ერთი გოჭი რამდენ კაცს „ჩამეიარსო"?

— ცოცხლად თუ გოუშვებ, მთელ სოფელს ჩამეიარს და საჭმელად, ერთი გოჭი, მე თუ მეყოფაო!

...„ბერი არსენა" (კეჭაყმაძე) ჩემი მეუღლის ბაბუა გახლდათ. სიმონა დოლიძის მეგობარი და სინდის-ნამუსის კაცი, თავისი შეურცხვენელი ნვერ-ულვაშით. ერთხელ, ედუარდ შევარდნაძეც ვანვიე და მერე სულ „ბერი არსენას" ამბავს კითხულობდა.

საოცრება კაცი იყო, სიცოცხლით და იუმორით სავსე. რას არ იტყოდა და რას არ მოიგონებდა.

ერთხელ, სიბერეში, სხვა გასართობი რომ ველარ ნახა, საძოვარზე გარეკილი არვედან მეზობლის ერთი თხა გამოარჩია, ჯოგს ჩამოაცილა და „დურაკა" ეთამაშა. ნააგო. ნაგებული ფული ზანზალაკზე გამოაბა და პატრონთან გაატანა. ეს უკა-

გიორგი სააკაძის მკვლელია ვეზირ-აზამი. მას ოსმალეთის სულთნის და — ფატმა ხანუმი ჰყავდა ცოლად.

პირველი ვიდეოკავშირი დავამყარეთ მოსკოვთან. ენას ვუყოფდით ერთმანეთს და თვითონ არ გვჯეროდა იმის, რასაც ვხედავდით. და, გამახსენდა ვინმე დევისის სიტყვები, რომ კაპიტალიზმის ხელში ტექნიკა არის შიშველი გიჟი, შიშველი დანით ხელში. შედარების სისწორეზე პასუხს არ ვაგებ. თუმცა, სიმართლეს ჰგავს!

<u>გელა ძაბიდაშვილი:</u>

მსოფლიოს უდიდესი მეცნიერები (ჰუმბოლტი, ფურნიე და მილინგი) ამტკიცებდნენ, რომ ევროპის ცივილიზაცია საქართველოდან წამოვიდა და ჩვენ ამაზე ვდუმვართ! სხვას ჩვენს ადგილზე ასეთი ხელმოსაჭიდი რომ ჰქონდეს, უამრავ ფულს დახარჯავდა და მსოფლიოს ამას დაუმტკიცებდა. ჩვენ კი ვითომც არაფერი.

ნასკნელი სიცილით მომკვდარა და მერე, თურმე, თავისი „ყომარბაზი" თხით მანამ მოჰქონდა თავი, სანამ თავისი თხის თავი და ფეხები ბერმა არსენამ მეზობლის ბიჭის ხელით არ გაუგზავნა, თავისი „სამძიმრის დეპეშით" — შენმა თხამ კარტში თავი წააგოო!

...ერთხელ (ამ ამბავსაც კიდევ ერთხელ ვიხსენებ!), ვიღაც მეზობლის ბიჭი გახუმრებია ბერიკაცს:

— ქორწილში მივალ და შენი წვერ-ულვაში მათხუეო!

— შენ, ბიძია, ძღ...ის ჭამა იცი და დამისვრიო! — უარით გამოუსტუმრებია.

ეეეჰ... გურიაში ხუმრობას რა დაეწევა. ყოველი ფეხის ნაბიჯი სიცილითაა დანაღმული.

* * *

„ლიტერატურული პალიტრა" N5.

...მძიმედ დაავადებულმა დიდმა კოლუმბიელმა გაბრიელ გარსია მარკესმა უარი თქვა გარე სამყაროსთან კავშირზე. მარკესი არ პასუხობს სატელეფონო ზარებს, უარს ამბობს ფოსტასა და ფაქსზე. მასთან დასაკავშირებელი ერთადერთი საშუალება ინტერნეტია, მისი ელექტრონული მისამართი ლამის სახელმწიფო საიდუმლოებაა.

„ლიტერატურის პატრიარქი" თავის შემოდგომას, პრაქტიკულად, მარტოობაში ხვდება. ამ ძნელ პერიოდში გაბოს მხოლოდ ერთი ადამიანი უდგას გვერდით — მისი მეუღლე მერსედეს ბარჩა.

„მწვერვალზე ასულმა — ამბობს გაბო (ასე უწოდებენ მას მეგობრები და თაყვანისმცემლები), — უკან მოვიხედე და შევძრწუნდი: ირგვლივ არავინაა. საშინელია მარტოობა მაშინ, როცა დღედაღამ ხალხში ტრიალებ. აი, ისიც, — ნამდვილი მარტოობა, რომელზეც ასე ბევრს ვფიქრობდი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე. მარტოობის ძალაუფლება და ძალაუფლების მარტოობა — ეს არის ჩემი რომანებისა და მოთხრობების მთავარი თემა. ბედმა მწარედ დამცინა: სიცოცხლის მიწურულს თავად აღმოვჩნდი მარტოობაში გამომწყვდეული.

* * *

განმარტებით ლექსიკონში „აბდაუბდის" განმარტება!

„მოდით და ამ ოთხკეც ლოგიკას, ამ აბდა-უბდას, ამ უმ-ჭკუაობას მოჰკითხეთ, კულტურა რა ხილია!" — ამბობს ილია ასეთ „ინილო-ბინილოზე".

ვაჟა: „აყეფდი ქოფაკივითა, აბდაუბდაობ შტერადა".

„უტოპიური აბდაუბდა" — სტალინი.

...რაც გინდა, თქვი და, როგორც გინდა, აგინე — ეს ცხოვრება მაინც აბდა-უბდასა ჰგავს!

* * *

ეინც შუშის სასახლეშია, ის ქვებს არ უნდა ისროდეს (ინგლისური). მშვიდობა არც ქოხებშია — სასახლემ უნდა იცოდეს!

* * *

პრესრელიზი — პრესისათვის გამოცემული ბიულეტენია სასწრაფო პუბლიკაციისთვის.

* * *

„გამოეკიდე მას, ვინც ჭეშმარიტებას ეძებს და გაექეცი მას, ვინაც იპოვა“.

* * *

იმედი კარგი საუზმეა, მაგრამ ცუდი ვახშამი!

* * *

ფულს კი არ ვშოულობთ — ვაკეთებთ!

* * *

დროს კი არ ვატარებთ — გვატარებს!

* * *

ბეთჰოვენი: სიკეთის გარდა უპირატესობას არ ვცნობ!

* * *

ტოლსტოი: მოჩვენებითი სიკეთე უფრო აუტანელია, ვიდრე აშკარა ბოროტება!

* * *

სენეკა: თუ კაცმა არ იცის, საით მიდის, მისთვის ზურგის ქარი არ არსებობს!

* * *

ციცერონი: ორატორის ღირსებაა, ილაპარაკოს არა ის, რაც საჭიროა, არამედ ის არ ილაპარაკოს, რაც საჭირო არაა.

* * *

უნდა იცოდე რაღაცა ყველაფერზე და ყველაფერი რაღაცაზე.

* * *

შოუ: კვერცხი არასდროს დამიდია, მაგრამ შემიძლია, კვერცხებზეც მქონდეს ჩემი აზრი!

* * *

ზოგიერთისთვის ეპოქის ქარი მხოლოდ სურდოს იწვევს.

* * *

მარკესი: ზოგი ამბობს, დავბერდი, სიყვარული აღარ შემიძლიაო. სინამდვილეში: სიყვარული რომ აღარ შეგვიძლია, იმიტომ ვბერდებით!

*ის კი არა, ამას წინათ სწორედ „კვირის პალიტრაში“ წავიკითხე, ქართველ მეცნიერს 3500 წლის ფესტის დისკის საიდუმლო გაუშიფრავს — ქართული ნიშნებით არის დაწერილიო და კაცი, თურმე, 8 ათას დოლარს ვერ შოულობს, რომ ამაზე ნაშრომი გამოაქვეყნოს. რა ხდება? სად არის სახელმწიფოებრიობა? სიამაყე? ეს მაშინ, როცა 8 ათასი კი არა, ათჯერ 8 ათასი ჩვენს რესტორნებში იხარჯება ყოველ საღამოს.*

*ახლა მეღვინეობა გავიხსენოთ. ვაზის სამშობლო საქართველოა და ამ დროს ევროპის ქვეყნები, სადაც ღვინის კულტურა იბერიიდან შევიდა, მსოფლიოს უმტკიცებენ, ღვინის სამშობლო ჩვენ ვართო. საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში ზღვა ლიტერატურაა ამაზე გამოცემული... ვაზის ველური ჯიში კრიკინა, ამ ქვეყნებიდან, მხოლოდ ჩვენს ტყეებში არის. თვითონაც ბევრჯერ მინახავს ტყეში ხეებზე გასული. ვისაც ხელი მიუწვდება, ამ ვაზს მაინც გადაულის*

* * *

**გოდერძი ჩოხელი:** „ჩემი ქვეყნის ისტორია... დედის თვალებიდან ჩამოგორებულ ობოლ ცრემლს მაგონებს" (ამ კაცმა შეინახა საქართველო. საქართველომ ვერ შეინახა ეს კაცი. — გ.ნ.)

* * *

ვივალდის მუსიკა აუმჯობესებს მეხსიერებას.

გერმანელი ფსიქიატრი ერნსტ კრეჩმერი: ადამიანს სიცრუის თქმის დროს ჩასუნთქვა უგრძელდება და ამოსუნთქვა უმოკლდება. ესაა სიმართლის მეტრ-საზომი?

P.S. გინდ ახალი, გინდა ძველი,
(გინდ ზეპირად, გინდა წერით):
ფეხი — მოკლე, სუნთქვა — გრძელი,
სიცრუეა ცნობად — ძნელი!

## *შვილიშვილი №2*

გულში ხელები ვინც მიფათურა,
ჩემი სისხლ-ხორცი არის დათუნა.
მეფერა, მკოცნა, სულში ჩამიძვრა
და ეს სულ რაღაც 1 უზალთუნად.
ეშმაკმა იცის, გეეზრდება ვინა —
შვილიშვილია და თავს თელის შვილად.
არის ბუნების ნათაეხედარი —
მისგან დადგება კაი მხედარი.
საიდან ეიცი?
კოჭებში ეატყობ!
ძმაკაცს — ძმადა თვლის...
ეს რად ღირს, მარტო!

* * *

**(ჩემი სიყრმის მეგობარს — ომანიძესა ომანს)**

ჩვენი დრო იწურება...
სახლში დამწყვდეულები,
ძველი გულისყურებით
ერთურთს ვებულბულებით.
თითქმის აღარფერი
დაგვრჩა სალაპარაკო —
ტელეფონში შევძახით:
აბა, პე და
აბა, პო!

* * *

ნუ განსჯი — ეცადე, გაუგო!

ნიცშე: ჩემამდე რაც იყო, იმას რას ეძახდნენ, არ ვიცი და არც მაინტერესებს. მე ხელახლა ვსვამ კითხვებს!

* * *

„სხვისი ნაკლი — ცხვირწინაა, საკუთარი — ზურგს უკან!"

მისი ნაკლი — იცოცხლებს და სხვისი ნაკლი — „გულს უკლავს"!

* * *

ეპიკურელების დევიზი: დაენიე დროს!

ქართული: სდიე ქარს მინდორში!

* * *

სინდისი 1000 მოწმეა!..

(ტყუილს... ეშმაკები კოცნიან!)

* * *

ტაციტი ბრძანებს, რომ იშვიათია ის, როცა შეგიძლია: იფიქრო, რაც გინდა და თქვა ის, რასაც ფიქრობ.

...სანთელს ქარი გიქრობს!

* * *

ბუდა: სიძულვილს მხოლოდ სიძულვილი სძლევს.

(მთავარი კი ის არის, რომ არ გადაცდეს წრეს!)

* * *

ასე ამბობს ზარატუსტრა: ხალხის დარდით ღმერთიც კი მოკვდაო!

(და ზურგის ქარი სულ როდის ქროდაო!)

* * *

„ჩემი უფლება იწყება იქ, სადაც შენი მთავრდებაო!"

* * *

მიქელანჯელო: არ ვიცი, რა სჯობია — ბოროტება, რომელსაც სიკეთე მოაქვს თუ სიკეთე, რომელსაც ბოროტება მოსდევს!

* * *

125 000 ქართულ სიტყვარში... როგორია იმ ერთის ნახვა, რასაც მწერლობა ჰქვია. ღმერთმა თუ არ გიშველა, ეშმაკიც ვერ გაპოვნინებს!

* * *

სურათი და აჩვენის მსოფლიოს. სწორედ ჩვენი გულარხეინობის გამო გვაჩოჩებენ ნელ-ნელა გვერდზე. ასე არ შეიძლება!

ფულის მოყვარული — ფულით ვერ გაძღება და არც სიმდიდრის მოყვარული — თავის შემოსავლით. ესეც ამაოებაა! — გვამცნობს ბიბლია.

სერგეი ბაღაფშმა:

ზუსტად თუ არა, დაახლოებით მაინც ვიცი, რამდენი უმუშევარი, მათხოვარი და სამკურნალო თანხის არქონის გამო დაინვალიდებული ადამიანი ჰყავს თქვენს ქვეყანას. ძალიანაც რომ მინდოდეს საქართველოში დაბრუნება, ამას ხალხს ვერ ვაიძულებ, რადგან მან ჩემზე უკეთ იცის, იქ, ენგურს მიღმა, რა ხდება.

**P.S.** და მაინც... ენგური ჩვენ კი არ გვყოფს, გვაერთიანებს!

[illegible]:

მაიას ტომის კალენდარი 2012 წლის



* * *

კაცის მოსელისა და წასელის დღენი —
დღე — პირველი და დღე — უკანასკნელი —
ორი თარიღი ბედისწერის.
არამიწიერსა და არაბიწიერს,
არაადამიანურს, მარა ღვთიურს —
წუთიერი დუმილით პატივი ეცეთ —
სამარისებურ სიჩუმეს — მარადიულს!

## *ეძვსში ერთ შვილიშვილს*

მე ვარ ბაბუა — შენ შვილიშვილი
და გამაგიჟა ჩვენმა „ყომარმა“ —
შენ ჩემს გულში ხარ, მე შენს ჯიბეში
და მე ვარ შენი ფულის ტომარა!
აფსუსი კია,
მე და შენმა მზემ!
ფულში გაეცვალოთ ეს უკვდავება.
სიარულია მოლიპულ გზაზე —
ამ სიყვარულის დახურდავება!

* * *

ერთი სიკვდილი მე რას დამაკლებს
ამდენ სიცოცხლის ნატვრის ხვებში —
თუ დავიმარხე მე თქვენს გულებში —
ამ ჩემს პატარა სამოთხეებში!

* * *

უნდა იყოს რა რთულიც —
მადლიანი ქართულით —
თეთრით შავის გარჩევით —
ეცნობთ არადან-არჩევანს!
მარტივით პარტიები —
დისპუტებში გართულან —
დიდი განსხვავებაა —
მართალსა და მართულში!

* * *

დიალექტიკის კანონით...
დრო ადამიანს ატარებს!
საქმე საქმეზე თუ მიდგა —
კაცი კანონსაც გადარევს!
დრო დაგვედევს, როგორც სატანა,
გეწველის მეწველი ფურივით —
ქართველი თვითონ ატარებს დროს
და დროს ფლანგავს ფულივით!

*შოთა რუსთაველი: „მას მკურნალმან როგორ პკურნოს, თუ არ უთხრას რაცა სჭირსა!“ ახლა ვისგან რას გაიგებ: რა უჭირს და რა ულხინსა?!*

* * *

ლაო ძი: იქ, სადაც ადამიანები ხელისუფლობენ — ხალხი ვარ ამჩნევს მათ არსებობას; სადაც დიდი ადამიანები არ მართავენ — ხალხი მიჯაჭვულია და აქებს მათ; იქ, სადაც უფრო ნაკლებად ბრძენი ხალხის ხელშია სადავეები — ხალხს ეშინია მათი: ბოლო სადაც კიდევ უფრო მცირენი ბატონობენ, ხალხს ისინი სძულს.

* * *

არ თქმულა ჭორად!

ციცერონი: თავისუფლება თუ გინდა, უნდა იყო კანონის მონა!

* * *

მზე გარეთაა, თუ მზე შინაა... სადაც ყველა დამნაშავეა, იქ დამნაშავე არავინაა.

* * *

დოსტოევსკი: ნუ დასჯით... ოღონდ თავის სახელი დაარქვით ბოროტებას. (ყოველ შემთხვევში — ნუ დაუნწყებთ ქებას!)

* * *

მაჰათმა განდი: იდეალის ფასი იმაშია — იგი იმდენად გვშორდება, რამდენადაც ვუახლოვდებით.

* * *

პასკალი: ადამიანი არც ანგელოზია და არც — ცხოველი, მაგრამ რამდენადაც თავს დებს ანგელოზობაზე, იმდენად ემსგავსება ცხოველს.

* * *

ჰელვეციუსი: ძნელი არის იმის ქება, ვინც საქები არ არის.

* * *

მწერალი, სიტყვას, ლუკმასავით გიყოფს!

მწერალი (წერის დროს) მკითხველი უნდა იყოს!

* * *

როცა გული გულობს —
ბედის ბადე ხარ.
პირის გამტეხ კაცთან —
პურს არ გავტეხავ!

*ბენჯამინ ფრანკლინი: დრო — ფულია.*

*21 დეკემბერს მთავრდება. ნოსტრადამუსის ჩანაწერებიც, ასევე, 2012 წელს მთავრდება. ამიტომ, იბადება შეკითხვა: რა მოხდება 2012 წლის 21 დეკემბერს? აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში არსებული ყველა ძველი ცივილიზაციის კალენდარი სწორედ 2012 წლის 21 დეკემბერს მთავრდება.*

*მაქსიმ გორკი:* ბავშვებისთვის ისე უნდა წერო, როგორც მოზარდებისთვის... ოღონდ უფრო უკეთესად!

*ქეთი ფარცვანია:* ვგიჟდები სააკაშვილზე. მომწონს ყველანაირად — როგორც პოლიტიკოს და როგორც მამაკაცი. რამდენიმე დღის წინ მეკითხებოდნენ, ბრედ პიტი გირჩევნია თუ სააკაშვილი და სააკაშვილზე გავაკეთე არჩევანი. პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ჩემზე მეტად მიშა სააკაშვილი არავის უყვარს! სიზმრებშიც ვნახულობ. უკვე რამდენიმე წელია, ეს გრძელდება. ხომ არ მივვარდები და მეხ-

## ფიროსმანი!

გამჩენი ქვეყანა — ქიზიყი, კახეთი.
გაჩენის ადგილი — სოფელი მირზაანი.
ფერების სამოთხე — წმინდანის სახეთი
და ხატვა — სახატის... ცხოვრების მიზანი!
სიუხვის რქები და არხარის ყანწები,
ღმერთებთან შეზრდილი — ღმერთივით კაცები...
მოდის ალაზანი და მიაქვს, რაც მოაქვს,
ნიკალა იხატავს ბეჩავ კამბეჩოვანს.
დგას უნიკალური საწყალი ნიკალა,
კალმით დახატული ტფილისის ფერმწერი
და ნაქეიფარიც არის უქეიფოდ —
არყისფერ ალიონს მზის ცქერით შესცქერის.
დგას უნიკალური საწყალი ნიკალა,
კალმის სამოთხეში — ყალმით გზას იკვალავს,
მუზის თამადობით —
ფიქრის ნავარდობით —
ფუნჯის ჯომარდობით —
თავისთავადობით —
...ხატავდა წუთისოფელს ავკარგიანობით,
ავად თუ კარგად ცრიდა...
თავის ხატნახატებს ნიკო ფიროსმანი...
ერთ თლაშო არაყში ცვლიდა.
მისი „ვერნისაჟი“ — სადარბაზო იყო
(გულზე ხელდადებით, თავზე ხელაღებით)
„ფანტაზიები“ და „ელდორადოები“,
„სან-სუსები“ თუ სხვა ბაღნარ-ბაღები:
„Не уезжай, голубчик мои“ (ვერეს და მტკვრის შესაყართან),
„ტილიპუჭურას“ რესტორანი (ძველი ტფილისის გზა-კვალთან).
სარქისას, შავ ვანუას სარდაფები,
სირაჯხანა, უტრუხუნეს ტრაქტირი...
ცალი თვალი იცინოდა, მეორე კი...
მეორე კი... იქ სატირალს — აქ ტირის!
მარტო სახელები მოგიყვანდა ქეიფის ეშხზე!..
ნიკალა ზღაპარივით იყო და არა იყო...
ჭიქას ჭიქაზე ცლიდა —
და თავისი ფერებით ნაფერებ შედევრებს...
ერთ თლაშო არაყში ცვლიდა.
„არყისფერი დილის“ სიფთისა სჭირდა —
ტილოზე ამოსდიოდა მზე და მთვარე —
იმის ერთ ფუნჯის მოსმად ღირდა —
მთელი ეს ნახატი არე-მარე!

---

*გრ. რობაქიძე: ტყუილია, ვითომ ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისაგან... უფრო მართალია პიპოთეზა, რომ თვითონ ადამიანი გადაგვარდა მაიმუნად...*

*ყირგიზული: „პირია კარი, სიტყვაა — ქარი“ და სიტყვას ძალა აქვს ჯადოქარის!*

* * *

ზოგ ძველ ძმობას...
მტრობის კვალი აჩნია:
ძმა — ძმასა და
მტერი — მტერს გააჩნია!

* * *

გულის თქმაა თუ ფული ხმა —
ვინ — რის ჭკუაზე დადის?...
ქალის გულისაკენ მიმავალი გზა...
კაცის ჯიბეზე გადის!

* * *

ერთხელ და სამუდამოდ
გავიგოთ გასაგები:
ჩვენი ერთობაა —
ჩვენი გასაღები!...
სამოთხის კარების!
(რასაც უიმისოდ
ვერ მიეკარები!)

* * *

საათები — წუთდება
და წუთები წამდება...
უთენია თენდება,
უღიმღამოდ ღამდება.

* * *

როს ქმართან ცოლი ძალადობს —
(თუ თქმა ინებეს ენებმა) —
სიბერეს — ცოლი კი არა
ღალატობს... მეხსიერება.

* * *

რადგან „თქმითაც შაედებისო" —
ასე ფიქრობს ვინცა.
პირში წყალი ჩაიგუბა
და... ჭაობად იქცა!

* * *

წლობით, ძმობით ნაშენები...
რაც მოგვართვეს გობითა.
დავანგრიეთ ღვთის წყრომით და
მეგობრობის გმობითა!

*ინგლისური: რაღა ახალგაზრდა და რაღა სუფთა ქაღალდი!*

*რაღა ალალი სიტყვა... რაღა ქვათა ღაღადი!*

*ლებში ჩავუვარდე-ბი?! „მის საქარ-თველოზე" სასტუმ-რო „ოაზისში" რომ ვიყავით გოგონები, მაშინ მოვიდა და-ცვასთან ერთად. ძალიან მინდოდა ჩასვლა და ნახვა, მაგრამ რატომღაც „იმიჯ-ცენტრის" ხალხმა არ მომცა ამის საშუალება. სასწრაფოდ ზევით ამიყვანეს და გადა-მმალეს პრეზიდენ-ტისგან. ეს რატომ გააკეთეს, დღემდე არ ვიცი.*

*„რეგიცინგი"*

**P.S.** *„სიყვარულსა მალე უნდაო"! ახლა ქალბატონებს (სხვა რამის მოუხ-დელად და ბოდიშის მოხდით), ქართული ეს ხალხური სი-ბრძნე რომ გაახსე-ნო, ალბათ, სიცილ-ით მოკვდებიან!*

*<u>მიხეილ ცაგარე-ლი:</u>*

*სტალინი კარგად იცნობდა ვოლფ მეს-ინგს, უდიდეს ოკუ-ლტისტს. არის ვერ-სია — მესინგთან შეხვედრის მეორე დღეს დაიღუპა სტა-ლინი. შესაძლოა, მესინგის ენერგეტ-იკული დარტყმა ვერ გააუვნებელყო!*

## *მარინას მარანი!*

*ეძღვნება „მცხეთის მარნის" დიასახლისს*
*მარინა მალაზონია-ბებურიშვილს*

საქართველოში!...
ან უნდა იქეიფო — ან იყო უქეიფოდ...
ეს ჩვენი კარგადმყოფობის ავადმყოფობაა.
სულის სიმარტოვე,
გულის სიმარტივე...
უსულ-უგულობის ობი-ობობაა!
ქართული სუფრა ტრაპეზის გაგრძელებაა,
ჭიქით ლოცვა — ხატზე ლოცვის...
ეს ამ წუთისოფლის წუთშესვენებაა —
აქ, ღმერთი, მის შვილებს კოცნის!
ეს ღვინის სმა კი არაა — ზიარებაა...
მცხეთის სვეტიცხოვლის მარნიდან!...
აქ, მოციქულთა სწორი ნინო ფეხშიშველი იარება...
და ჯვარი დაგვეცქერის მაღლითა!
მარანში სული ტრიალებს მირიანის
და დედოფალი ნანასი
(ანუ კათაკმეველთა)...
პირველი ქრისტიანი მეფე-დედოფლის —
საუფლო თაფლ-სანთელ-მკმეველთა!
მარანში „იხარშება" მირონი,
„კერპები იმსხვრევიან არმაზის"...
გვიმრავლოს სამრავალგმირონი,
რომ ჭერი ავხადოთ დარბაზის!

**25.12.08.**

* * *

ერთი, ლამის ჩემი ხნის, ჩემსავით ძველი მოგონება, რომელიც დღემდე სიყრმის პირველ ცოდვად მეთვლება!

1941-42 წლებში, ზაფხულის არდადეგებზე ჩემს ოკრიბაში ვიყავი. ბებიაჩემის — ანა ნულუკიძის ქალის მადლიანი კალთა მეფარა და მის ფერებას ვიფერებდი. მაგრამ, გაგვიწყრა ღმერთი და ოჯახში ფული დაიკარგა (მაშინ მანეთსაც ფულს ეძახდნენ) — წითელი სამთუმნიანი!

ჩემს უფროს დას — ნაზიკოს ფიცი-მტკიცი არ სჭირდებოდა. ის ეჭვგარეშე იყო!

ეჭველებში დავრჩით... „სამი ძმანი... იმერლები" — უჩა, ზალიკო და... მე!

---

*ერაზმ როტერდამელი: მეტისმეტად კეთილგონიერი ადამიანები საეჭვო და საძულველნი არიან-ხოლმე დიდი მეფეებისთვის: კეისარს ეშინოდა ბრუტუსისა და კასიუსისა, მაგრამ არავინ შიშს არ განიცდიდა ლოთ ანტონიუსის წინაშე. ნერონს სძულდა სენეკა, დიონისეს — პლატონი და პირიქით! მონარქები მუდამ სწყალობდნენ უმეცარსა და გონებაჩლუნგ ადამიანებს.*

გამოაბრძანეს ხატი და გვითხრეს, ხატზე დაიფიცეთ, რომ ის, ბებიათქვენის მუთაქები თქვენ არ გიქექიათ და ის ფული თქვენ „არც მოგიპარავთ — არც გიპოვნიათო" (იყო ასეთი მოარული სიმღერაც!)

უფროსმა ბიძაშვილმა, რკინის მკვნეტელმა უჩამ (რომელსაც სოფელში უბატონოდ ხმას ვერავინ სცემდა) გულზე ხელი დაიდო და დაიფიცა.

საშუალო ბიძაშვილმა, ეშმაკის ფეხის მკვნეტელმა ზაალმა... მთლად გულზე ვერა, მარა სადღაც დაიდო ხელი, თუმცა, იმანაც დაიფიცა.

მათი ფიცი ინამეს, მაგრამ ბოლო კი აკვირეებდათ და აი, მეც... ბოლო მე ვიყავი!

— გულზე დაიდე ხელი, თვალი გაუსწორე ღმერთს და ხატზე დაიფიცეო!

ვერც გულზე დავიდე ხელი, ვერც ღმერთს გავუსწორე თვალი და ვერც ხატზე დავიფიცე, რადგან გარეთ საშინელი ამინდი იყო: ქარი ანგრევდა ყველაფერს. მზე ხან იცინოდა, ხან ღრუბლებში იმალებოდა. ხან მეხი გავარდებოდა, ხან ხოშკაკალა ცვიოდა. ხან წვიმდა, ხან ცა მინას შოლტივით მოუქნევდა ცისარტყელას... მოკლედ, მერე, ყმანვილკაცობაში რომ კვაჭი კვაჭანტირაძის დაბადებაა აღწერილი, ზუსტად ისეთი უდარობის დარი იდგა და მე ვიფიქრე, ამ ვაი-უშველებელში ღმერთმა ჩემი ფიცი, ვაითუ, კარგად ვერ გაიგოს და ჩემში ეჭვი შეეპაროს-მეთქი.

მოკლედ, მაშინ ვერ გავბედე პირჯვერის გადაწერა და ანა ნულუკიძის ქალი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ეს ამბავი ჩემს პირველ ცოდვად და დარდად წაიღო საფლავში. არადა, ახლა მაინც რა მაქვს დასამალი — მამა აბრამის ბატკანივით, ცამდე მართალი ვიყავი, ასე ვთქვათ, „კარგი ამინდი რომ დამდგომოდა!"

ბებიაჩემს ჯერ კიდევ მაშინ უყო გულმა რეჩხი — ჩემი ნათლობისათვის საგანგებოდ ნასუქი ინდაური რომ არ გამოგზავნა:

— „გიზო" რამ დაგარქმევიათ — გიჟობამდე რაღა აკლიაო!

აცხონა ღმერთმა! დღემდე მახსოვს ეს ამბავი, რომელიც მაშინ სატირლად მეყო და ახლა სასაცილოდაც აღარ მყოფნის!

## საჟრუანტელო!

სტუდენტობის წლებია.
გაგრაში ვარ.
დასასვენებლად?
ვინ დადის ამ ასაკში დასასვენებლად?...

ეკლესიასტე:
„ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში: ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა; ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა... ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა..."

**P.S.** ახლა რა და რისი დრო? უდროობის მსგავსი როა!

ლონდონის კლინიკაში ჩატარდა ოპერაციები, რომლის საშუალებითაც ადამიანი თავს აღწევს სირცხვილის გრძნობას. მხოლოდ პაციენტის თანხმად. ათიდან ცხრა ადამიანი შესაბამის სიტუაციაში, უნებურად წითლდება და, რაც მთავარია, სრულიად ვერ აკონტროლებს სისხლის მოულოდნელ მოწოლას სახეზე. სიწითლის ყველაზე გავრცელებული მიზეზი არის ე. წ. სოციოფობია, საზოგადოების წინაშე შეცდომის შიში, ძლიერი მღელვარება თუ უხერხულობის გრძნობა. ფსიქოლოგები 1-2 წლიწადში კურნავენ ძალზე მორცხვ ადამიანებს. ამ-

დასასვენებლად კი არა... დასაგრილებლად და... საგრიალოდ!

ერთი ჯიშიანი რუსის გოგო მყავს გამოჭერილი და არ ვიცი, რა ვუყო...

არა, რა ვუყო, როგორ არ ვიცი, მაგრამ როგორ და რით დავაბა?

ზღვაში ახალი ნალივლივები, ჟოეკვარადან გაგრიპშისაკენ მივყვებით ძველი „პონტოს ევქსინოსის" ანუ შავი ზღვის ლაჟვარდოვან სანაპიროს და, ადამ და ევასავით, ნახევრადშიშველები მუშტრის თვალით ვზომავთ ერთმანეთს.

რა ექნა? ეს — ეს არის, წყლიდან ამოსული... რა წყალში ჩავვარდე — რით მოვანონო ახლა თავი ამ მზედაკრულ, მაგრამ მაინც მზეთუნახავ რუსის გოგოს?— შუბლი გამიხვრიტა ფიქრმა.

მზე ჩავიდა, მთვარე ამოვიდა.

ღამეც წამოგვეპარა და მეც მეტი რა მინდა!

ახლა, ყველაფერი ჩემს მარიფათზეა!

ამის გაფიქრება და საშველის გაჩენა ერთი იყო — მაგნოლიებთან, ზურგიან სკამზე ჩამომჯდარი, ვიღაც ჩემსავით დამწვარ-დადაგული ორი ქართველი ბიჭი ორ რუსის გოგოს ეჩალიჩებოდა და ისინიც ჩემს დღეში იყვნენ.

...ბევრი ვიფიქრე, თუ ცოტა ვიფიქრე, ავდექი... არც ვაციე, არც ვაცხელე, მივედი... ჯერ პაპიროსზე და მერე გოგოებზე ვთხოვე ცეცხლის მოკიდება და წაკიდება: სამი ვართ და სამ ხმაში რამე ქართული სიმღერა ვიმღეროთ-მეთქი. ნებისმიერი 3 ქართველი ხომ... ტრიოა!

მოკლედ და... ბუნდოვნად (მახლას!) შევუხმატკბილდით ერთმანეთს (ოდელა-დელა-დელაო!) და... შენგან მოწონებული ისეთი სიმღერა ვთქვით, ტანზე ბურძგლებმა დამაყარა — ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენ, დღემდე, თვალითაც არ გვენახა ერთმანეთი და ეს „სინქრონი", ეს ყველაფერი, ქართველებში — ქართული სიმღერისა და გენის გენიალობა იყო!

... იდგნენ სულგანაბული, გულამომჯდარ-ამოძუძუებული გოგოები, ხან ერთი ბიჭისკენ გაურბოდათ თვალი, ხან — მეორისკენ და მზად იყვნენ, მაგრამ არ იცოდნენ... ვისთვის რა „მიეცათ"!

## *ჩემო ფროილაინ!*

### *(ძველისძველი ამბავი)*

საღამოა. გემბანზე ორნი ვართ. მე და ერიკა — ქერა, ლამაზი გოგონა. მინდა გამოველაპარაკო, მაგრამ მისვლა მეუხერხულება. „როსია" დინჯად მიარღვევს ტალღებს.

არ ვიცი, ალბათ მიცნო ერიკამ. ჩამოშლილ დალალებს ხელი გადაპკრა და მოაჯირის გასწვრივ, ნელ-ნელა, ჩემკენ დაიძრა.

— ოო, ერიკა! — ვითომ ახლა დავინახე, — რატომ არ გძინავს?

— არ მეძინება, კარგი საღამოა, — რაღაც თავისებური გამოთქმით მიპასუხა მან, — ხვალ იალტაში ვიქნებით?

---

*ჟან ჟაკ რუსო: ადამიანები თავისთავად როდი ხდებიან ისეთნი თუ ასეთნი – ისინი არიან იმგვარნი, როგორებადაც მათ ქმნიან.*

*საადი: უმაღლესი ქმნილება ადამიანია და უმდაბლესი – ძაღლი. მაგრამ ბრძენთა საერთო აზრით, გაწვრთნილი ძაღლი უფრო მაღლა დგას, ვიდრე უზნეო ადამიანი.*

— ვიქნებით.

— კარგი ამინდი იქნება?

არ ვიცი, მაგრამ სჩანს, გოგონას სჯერა, რომ მე ყველაფერი უნდა ვიცოდე.

— იქნება... ლამაზები არიან რუსი გოგონები, — ვამბობ ჩემთვის, მაგრამ ცხადია, მის გასაგონად.

სიცილი შენყვიტა და უცებ:

— მე გერმანელი ვარ!

— გერმანელი? — შევკრთი გაკვირვებისაგან, — ისე შესანიშნავად ფლობთ რუსულს, რომ...

ერიჰა! ყველაფერი აირია. ახალ ნაკერს ლამბს რომ დააძრობენ და არღვევენ, ისე უცბად დაირღვა ჩვენი „ძველი" ნაცნობობა. ეს ის დროა, როცა ჯერ კიდევ ცოცხლობს გერმანელში მტრის ხატი. მეორე მსოფლიო ომის ექო ჯერ კიდევ არ მინელებულა. რა ვქნა? რით გამოვხატო მისდამი ჩემი კეთილგანწყობა? სხაპასხუპობს. ენაზე წყალი არ აშრება. აუ, რამდენი რამის მოყოლა მოასწრო. თურმე, დასავლეთ სექტორში ცხოვრობს, სტუდენტია, ექიმი გახდება, ისიც კი არ დამიმალა, რომ საქმრო ჰყავს. ვამჩნევ — ამას ჩემს გასალიზიანებლად არ ამბობს, როგორც სჩვევიათ-ხოლმე ახალგაცნობილ გოგონებს. ბავშვობიდანვე ჰყვარებია, თურმე, ის ვაჟი. „ვინ არის, სად ცხოვრობს, რას აკეთებს?" — დავინტერესდი მისი ბედით. გოგონას სახე ელრუბლება. —ჩვენ სხვადასხვა ზონაში მოვხვდით.

ახლა მე ჩემსას მოვყევი. ვუთხარი გულწრფელად, რამ ამომაგდო გემბანზე, რაზე ვოცნებობდი, რატომ მიხარია სიცოცხლე...

— მოგეწონა საქართველო? — ვეკითხები.

— ოჰ, ძალიან. — თვალებს ხუჭავს.

— ხალხი?

— კარგია, ლამაზი, აქაური მზესავით თბილი...

უსიტყვოდ გავუღიმეთ ერთმანეთს. მინდა, რომ მას ყველაფერი მოსწონდეს აქაური: ხეც, ქუჩაც, ზღვაც, ადამიანიც.

გოგონა ნეტარებაშია, როცა იგონებს ნანახს, გაგონილს, ყველაფერი მოსწონს და მერე, უეცრად, სადღაც საუბარში, მახსოვს, გამოურია:

— არ დაგიმალავთ, ნოვოროსიისკს რომ ჩამოვუარეთ გემით, სანაპიროს დავაკვირდი, ახალნაშენი სახლები არ მომეწონა, ნაჩქარევი ხელი ატყვია.

გავეფითრდი! გულში გავიფიქრე:

„მადლობა ღმერთს, რომ ნატყვიარი აღარ აჩნია-მეთქი" და ის იყო, ოდნავ გალიზიანებულმა დავიწყე:

— იცით, რას გეტყვით, ჩემო კარგო?... — კიდევ კარგი, უცებ მას ქარმა მხრებიდან ყელსაბამი აართ-

ყამად კი. ამ აკვი-ატებულ უხერხულო-ბას მკურნალობენ ქირურგიული ჩარე-ვით. კერძოდ, ექი-მი პაციენტს იღლი-ის ქვეშ გადაუჭრის სიმპათიკური ნერვ-ის სისტემის ერთ-ერთ ნერვს. ამის შემდეგ მას სამუდა-მოდ მოშორდება უხ-ერხულობის გრძნო-ბა და, შესაბამისად, ნებისმიერ სიტუ-აციაში არ დაიმორ-ცხვებს.

„სეგოდნია 100"

**P.S.** მეც არა ვთქვი, ამ ხალხს ნა-მუსის ძარღვი რამ გაუწყვიტა-მეთქი. თურმე ამ არასიმპა-ტიურ ტიპებს სიმპა-თიკური ნერვი ჰქო-ნიათ გადაჭრილი!

რუსეთში საპირ-ველაპრილო ხუმ-რობები, როგორც სხვა ყველა ხალხს, პეტრე I-ის დროის დაინერგა. 1700 წლის გაზაფხულზე, მოსკოვში ხმა გა-ვარდა, — ერთ-ერთი „ჯამბაზი ბოთლში ჩაძრომას აპირებ-სო. მაყურებელი თეატრს მიაწყდა. ფარდა აიხადა და სცენაზე დადგმული ბოთლი მერჩათ წარ-წერით: „პირველი აპრილი"!

კარგი ხუმრობა არც ისე იოლი სა-

ვა. პაერშივე დაეიჭირე, გავუწოდე და სათქმელიც ქარს გავატანე.

— ერიკა, მაშ მოგეწონა საქართველო? — სხვა კითხვა ვერ მომიძებნია.

— ძალიან, ძალიან.

— რაიმე ქართული სიტყვა ხომ არ გისწავლია? — ქალიშვილმა თვალები მომაპყრო, თითქოს ჩემს თვალებში ეძებდა გასახსენებელ სიტყვას. ბარემ, მინდა ვუკარნახო, მაგრამ არ ვუკარნახებ. მაინტერესებს, იცის თუ არა რაიმე ქართული სიტყვა.

ერიკას რას გამოაპარებ, თითქოს ხვდება ჩემს განწყობილებას, ხელით მანიშნებს, არ გამახსენოო, სახე თანდათან უნათდება, ტუჩზე თითს იდებს და მარცვალ-მარცვალ წარმოთქმულ სიტყვას ხელსაც აყოლებს და ფეხის ბაკუნსაც.

— გე... ნა... ცვალე!

— მეე? — უხერხულად მოვიჩიჩქნე კეფა, მერე კი შევეცადე, ხუმრობით მეხსნა თავი, — იცით, ერიკა, მე, სხვადასხვა გარემოებათა გამო, სხვადასხვა სკოლაში მიხდებოდა სწავლა და...

ვატყობ, დააინტერესა ამ „გარემოებებმა".

— ჰო, ასე იყო, რა დასამალია, სხვადასხვა სკოლაში დამასეირნებდნენ. თითქმის ყოველ წელიწადს სკოლას ვიცვლიდი. რაღაც ბედზე ერთგან გერმანულს ასწავლიდნენ, სხვაგან ინგლისურს, ფრანგულს და მეც იმდენი ენა ვისწავლე, რომ... არცერთი არ ვიცი?!

გერმანელმა გოგონამ გულიანად გაიცინა.

— მაინც, მაინც, ნუთუ ერთი გერმანული სიტყვაც აღარ გახსოვთ? — საყვედურივით მეუბნება გოგონა.

— ეჰ, დალახვროს ეშმაკმა, არაფერი მაგონდება. მოიცა, მოიცა... „ჰენდე ჰოხ"! — წამოვიძახე უცებ

— ჰენდე ჰოხ? — შიშით გაიმეორა გოგონამ, ცივად მაქცია ზურგი და... ცივად გამშორდა.

მე თვალი შევასწარი, როგორ გაქრა მისი ვარდისფერი სიფრიფანა სახიდან ღიმილი, როგორ გაიელვეს თვალებში რაღაც უცნაური შიშის სხივებმა.

რა მოხდა? — გავიყინე ერთ ადგილზე. მძივებად დამაყარა ცივმა ოფლმა: რა ვაწყენინე ამ ჩემი ცოდვით სავსე გოგოს?..

...მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

— „ჰენდე ჰოხ!" — რა არის ეს შეჩვენებული სიტყვა ან საიდან ვიცი იგი მე? — არ მასვენებდა ფიქრი. რას ნიშნავდა ეს გერმანული ფრაზა, მალე შევიტყვე. ჩვენს ეზოში, მეზობლად, უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი გოგონა ცხოვრობს. პირდაპირ მასაც ველარ შევბედე, მეკითხა და წიგნი გამოვართვი. მოვძებნე, ამოვიკითხე: „ჰენდე ჰოხ! — ხელები მაღლა!"

ახლა კი მივხვდი, რა ვაწყენინე ამ გერმანელ... ზამბახივით გოგონას და... შემრცხვა, მაგრამ რა შემრცხვა!..

„მაინც, საიდან მოვიდა ეს ოხერი სიტყვა, საიდან ვიცი იგი მე?". ახლა ეს უნდა გამერკვია.

გავიდა ხანი. ხან დროებით მავიწყდებოდა ეს ამბავი, თუმცა, დავიწყება რას მიქვია: ყოველთვის და ყველგან ვეძებდი ამის პასუხს. და, აი, ერთ, არც ისე მშვენიერ დღეს, მერცხლის ჭიკჭიკით გათენებულ, ერთ

---

*სიბერე ყველაფერს ამბობს, რადგან ენას ძვალი არ აქვს, სიბერეს კი... ენაზე დასაჭერი კბილები!*

მშვენიერ დილას, როცა არც კი ვფიქრობდი სხვა რამეზე, ერთმა შემთხვევამ ნლების მტვერი გადააცილა ამ კითხვას.

მეზობლის გოგომ, რომელიც ერთხელ უკვე გიხსენეთ, რუსულ-გერმანული ლექსიკონი შემომირბენინა. ეს წიგნი მე თავად ვთხოვე — ნელს, მსოფლიო ფესტივალზე, ჩვენს ბიჭებს — ჟურნალისტებს აგზავნიან, მათ შორის ვიქნები მეც. ჰოდა, გერმანულში ვემზადები. იმდენი ხომ უნდა ვიცოდე — კაცს ერთი-ორი ტკბილი სიტყვა ვუთხრა.

„რა ჭკვიანურად შეუდგენიათ მაინც ეს სასაუბრო. ცხადია, არ არის ყველაფერი ის, რაც უცხო ენის საფუძვლიან შესწავლას სჭირდება, მაგრამ არის იმდენი, რომ შენი კეთილი გული უცხოელ მეგობარს გადაუშალო! „ამხანაგო — გენოსე, გუტენ მორგენ — დილა მშვიდობისა... მოხარული ვარ თქვენი ნახვისა, გადაეცით მოკითხვა..." — ვიზეპირებ პატარ იისფერ ნიგნში მოტანილ ფრაზებს.

...გულუბრყვილო აზრი მომდის: რა იქნება, ყველა ენაზე აიკრძალოს ავის გამომხატველი სიტყვები. მაშინ ხომ ხალხი სულ კეთილგანწყობით ილაპარაკებდა.

უეცრად უროსავით დამეცა თავზე — „ჰენდე ჰოხ!" ირგვლივ ყველაფერი ატრიალდა. თითქოს იმ ნერტილმა, საიდანაც ეს სიტყვა გაიზარდა, რამდენჯერმე დაჰკეესა და გამოანათა — მივაგენი. გამახსენდა, ყველაფერი გამახსენდა!

...საროტაციო მანქანებს გრიალი გააქვთ, აბლაბუდას ფეხებივით ბრუნავენ რკინის თითები და სალებავშეუშრობ გაზეთებს კონა-კონად აწყობენ ლვედებზე. ელავენ: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" და ქვევით თარილი: 1941, 22 ივნისი!!! დაფრინავენ ფურცლები, იბეჭდება მასობრივი ტირაჟები! და ხალხში იჭრება ნიგნები — მტერზე შემართული ყუმბარები! მოდიან, მოდიან, მრავლდებიან... ახლა სალაღობოს ბეჭდვის დრო არაა — სადაც გინდათ, რომელ მაღაზიაშიც გნებავთ, შეხვდებით: „ტყვეს დასაჭერ სამახსოვროს", „პარტიზანის სამახსოვროს", ომია. აი, ამ ნიგნის პირველი სტრიქონიც: „ჰენდე ჰოხ!" მე მაშინ ვისნავლე ეს სიტყვა! იქ, ქერჩში, სტალინგრადში, მოსკოვში ჩვენი უფროსი ძმები და მამები იბრძოდნენ, მე კი ჯერ კიდევ ომობანას ვთამაშობდი ეზოს ბიჭებთან და... რასაკვირველია, ყოველთვის ნითლების მხარეზე ვიყავი, იმათ კი, ვისაც ღონით ვჩაგრავდი, ფაშისტებს ვეძახდი და თავს ვესხმოდი — „ჰენდე ჰოხ! ჰენდე ჰოხ! ჰენდე ჰოხ!"

P. S. ფროილაინ, მაპატიე, რომ უნებურად გული გატკინე: ასე იყო, ცხოვრებამ მოიტანა ეს სიტყვა და მასნავლა. მაგრამ მიხვდი: შენი ნყენა

*ქმეა. რა ვქნათ, მარილიანი სიტყვა რომ წარსულს არ ჩაბარდეს? უამისოდ ხომ ცხოვრება ძალზე ერთფეროვანი იქნება! იქნებ ბარონ მიუნჰაუზენი გაიხსენოთ: თქვენ ზედმეტად სერიოზული ხართ. „ბრძენი სიფათი" ჭკუის ნიშანი სულაც არ გახლავთ, ბატონებო!*

*„ეხო კლასიკი" №14. 2000.*

*ავსტრალიაში დილის რადიოგადაცემები კუკაბარის ხარხარით იწყება. იგი ჩიტია. მასზე ამბობენ: იგი ისე გადამდებად ხარხარებს, რომ შეუძლებელია თავშეკავება".*

***P.S.*** *ჩვენში „კუკაბარებს" სიცილის „ბარები" — დილის თუ ღამის მოუები ცვლიან!*

*„ქართული სუფრის მაგია" (ანდრეი ბელის დღიურიდან): დავჯექი აღელვებული, ნაღვლიანი — ავდექი მხნე, სიყვარულით გამთბარი.*

***P.S.*** *ჩვენს ფალისოფის-ფილოსოფოსებს კი ქართული ქეიფი ღრეობისგან ვერ გაურჩევიათ.*

*ორი 00 წლის მოხუცი პარკში სა-*

რომ მდებოდა გულში, მაშინვე, იმ გემბანზე გაგცემდი პასუხს, როცა ნოვოროსიისკის სანაპიროს ახალშენები დამინუნე. შენ თქვი: სახლებს ნაჩქარევი ხელი ატყვიაო. ეს ადგილები სწორედ ომმა გაასწორა მიწასთან... ხალხს კი თავშესაფარი უნდოდა და ამიტომ ვიჩქარეთ.

...მე არ ვიცი, აღმოსავლეთ თუ დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობ? რომელ სექტორში, რომელ ქალაქში ხარ, ან რომელ ქუჩაზე, მაგრამ ვიცი, რომ ნანყენი ხარ ჩემზე. იქნებ, ამ ბარათმა მაინც მოგძებნოს და დაგამშვიდოს. ომის დროს პატარები ვიყავით... მე და შენ რა შუაში ვართ?

1959.

* * *

იალტა. 1958 წელი.

ნინო მჟავანაძე: წიგნი **„ასეთი იყო ჩემი საქართველო"** მამის — ვასილ მჟავანაძის ხსოვნას ეძღვნება (რომელიც სამხედრო კაცი იყო, გენერალ-ლეიტენანტი და დიდხანს ეკავა საქართველოს ცეკას პირველი მდივნის პოსტი!). მისი ნათქვამია: ისე უნდა იცოცხლოს კაცმა, ამ ქვეყნიდან მისმა წასვლამ მესაფლავეც აატიროსო!

ვასილ პავლოვიჩს (ხალხი, ერთ დროს, „ვასილ ბლაჟენნისაც" ანუ ნეტარ ვასილსაც ეძახდა) ცრემლი სასესხებლად არ ჰქონია, მაგრამ ახალი უფროსის ახალმა კერპთაყვანისმცემლებმა ლხინისუფლობიდან — ჭირისუფლებად ვერ ივარგეს. ერთადერთი... ძველი თბილისის ნარჩენებმა — ბებერმა ქსოვრელებმა არ უღალატეს კაიკაცობის ტრადიციას და მედუდუკეთა ცნობილმა დასტამ ეს უტყუარი კაცი სევდიანი „შუშტარით" გააცილა ამ ცრუ და გაუტანელი წუთისოფლიდან.

პენსიაზე გასვლის შემდეგ, 7 წელი, საქართველოში ფეხი არ ჩამოცდენია, მაგრამ გულით სულ იქ იყო. გულისყური საქართველოსკენ ჰქონდა, სულ ტელეფონზე იყო ჩამოკიდებული და სულ ამას კითხულობდა: რა ხდება საქართველოში? როგორი ამინდია?

„გავიდა თუ არა მამა პენსიაზე, დაიწყო მისი სახელის ტალახში ამოსვრა"...

„ბატონი შევარდნაძე მობრძანდა პანაშვიდზე და მეორე დღეს უკვე... ტევა აღარ იყო"!

მერე დაიწყო მათი ოჯახის დევნა, რამაც კიდევ უფრო გამოაჩინა „უკანა კაცის" სახე და, საერთოდ, „წინანისა და უკანანის" წაჯექ-უკუჯექობა, რამაც მიკარნახა ეს სტროფი:

„ეს ცხოვრება ცრუ არის და ფლიდია —  
ბედსა ვცდით და ცდუნება კი დიდია —  
„წინა კაცი უკანასთვის ხიდია" —  
დღეს უკანას — წინა ფეხზე ჰკიდია!"

დროა ყველაფრის თავი და ბოლო!

მთავარია, ვის — როგორ გაიხსენებს მისი უდიდებულესობა დრო!

ნოდარ ჭითანავა: ვასილ მჟავანაძის ფენომენი, დიახ, შესასწავლია!

მისი კეთილდღეობა საქართველოს აყვავებაში იყო (და არა პირიქით!).

მან ბევრი განსაცდელი ააცდინა ქვეყანას (და არა საკუთარ თავს!).

ის გამორჩეული იყო თავისი პატიოსნებით და ერთგულად ემსახურა ხალხს (და არა — იმსახურა ხალხი) დააქცია, გააქცია და სხვის მოსამსახურედ აქცია!)

---

*საგანი: ბედნიერი ადამიანი ხშირად სინდისზე მწყრალადაა.*

*სენექა: თუ გსურს, შენთვის იცხოვრო, იცხოვრე... სხვათათვისაც!*

მწერალი გივი სომხიშვილი: ვასილ მჟავანაძე... ჩვენი დამამხობელი ხრუშჩოვის — დამმხობელი, ჩვენი დროის ერთ-ერთი გმირი იყო!

იოსებ ხაზარაძე: სტალინის კულტზე მოხსენებით ხრუშჩოვი უნდა გამოსულიყო. ადგა, ტრიბუნისკენ წავიდა... რაღაცას წამოკრა ფეხი დაეცა"...

რა ღმერთი გაუწყრა... ყველა მისებურად ხსნის.

ვასილ მჟავანაძე აქ სხვასავით არ დაცემულა. მან არ შეასრულა სტალინის მესაფლავის როლი.

მან ქართველები... ხრუშჩოვის მიერ შუა აზიაში გადასახლებისგან იხსნა!

ჯუმბერ პატიაშვილი (პარტიის ცეკას პირველი მდივანი 1985-1989 წლებში): ვასილ პავლოვიჩს შეეძლო, მტერი მოყვრად ექცია (და არა პირიქით!) მჟავანაძის დროს ქვეყანა ყვაოდა, „დღეს კი ჩვენი ხელისუფლება ლატაკი ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად იბრძვის!..."

ჯემალ ნინუა (გაზ. „რესპუბლიკის" რედაქტორი): საქართველოს ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე კრემლს ჩვენს ნიაღვისეულს უმალავდა და ერს უნახავდა სამომავლოდ!

„მისი პერიოდი საქართველოს ოქროს ხანა იყო" (სერგო პერტაია).

„არავის შიოდა, არავის სციოდა და არავინ მათხოვრობდა" (შალვა მუმლაძე).

სვანეთის უბნელმა ქურთმა, ვიღაც ჯალალამ, საერთო ეზოში, დაბადების დღეზე დაპატიჟა და... მოვიდა (ჯიმშერ გიგაური).

...ჩემი ყურით მომისმენია აკადემიკოს როინ მეტრეველისგან: ვიღაც უმაღლესი ჩინის რუს სტუმართან უზომოდ უქიათ, მაშინ (ცეკას პარტიული განყოფილების ახალგაზრდა უფროსი), როგორც პერსპექტიული კადრი. მჟავანაძეს „ტაბუ" დაუდია ამ თემისთვის და „მეხოტბეებისათვის" ცივი წყალი გადაუსხია?! კაი ხნის შემდეგ კი მისი ასეთი „სუსხი" ახალგაზრდა კაცისათვის ასე აუხსნია — ამ ქებით უფრო მეტ მტრებს იშოვიდით და ამიტომ ჩემი „მწარე" სიტყვა — „ტკბილად" შეგერგოსო!

ბატონმა როინმავე გაიხსენა, როგორ იხსნა მან „ხახულის კარედი" ხრუშჩოვის მიერ ვიღაც უცხოელისათვის მიყიდვისაგან! (და არა პირიქით, ახლა, ნიკო ლორთქიფანიძის ერთი ძველი მოთხრობის ახალი ამობღავლებასავით რომ გაისმის — „იყიდება საქართველოო!)

ვალერიან ჭელიძე (სოციალისტური შრომის გმირი, მშენებელი. მე და ის ერთად გვაკურთხეს „საპატიო თბილისელებად" და ამ „ნათლობამ",

*მზე ზის. ერთ-ერთი ამაყი თვითკმაყოფილებით ამბობს:*

*— როგორც ჩანს, სიკვდილმა დაგვივიწყა...*

*მეორე თითს ტუჩებთან მიიტანს:*

*— ჩუ. არ გაგვიგონს!*

*როგორც ჩანს, ტილი მარტო ღარიბ-ღატაკთა საკუთრებად არ უნდა ჩაითვალოს და არც დიდ გინებას უნდა წარმოადგენდეს რწყილ-ტილიანი მიმართვა — მე. ტილიანო. იგი ხომ მეფე ლუდოვიკო XIV-ის სამეფო კარის პარაზიტადაც არის აღიარებული. არსებობდა სეფე-ქალების კაბებზე შეკერული ტილების მოსაცილებელი ხელსაწყოები. მეფე-მზე ხელის მტევნის ფორმის სავარცხელს ხმარობდა, რითაც ელეგანტურად იფხანდა თავს.*

***P.S.*** *კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენო, რწყილ-ტილიან თემაზე, ტარიელ ჭანტურიას (ტია-ტიას) ფუნაგორიას:*

*რა ცუდია რწყილი,*
*შეგაწუხებს კაცს,*
*აი, სხვა ტილი...*
*დაიჭერ და.. ტკაც!*

თუმც დაუსწრებელ, მაგრამ ძმებად გვაქცია — გ. ნ.): წლები ქვიშასავით იცრება დროის საცერში. რჩება ხსოვნა სიკეთისა და ბოროტებისა, რომელიც დროთა სამსჯავროზე მისხალ-მისხალ იწონება!

„...მოსკოვის ახლოს, ჟუკოვკის ნინვნარში, ციყვები — კიკი და მიკი (ასე დავარქვათ) შემოგვეჩვივნენ. მხოლოდ ვასილ პავლოვიჩის ხელიდან მიირთმევდნენ თხილსა და სხვადასხვა ნუგბარს. ასე შეგვეჩვია ერთი ფრიად მომხიბვლელი და კომუნიკაბელური ყვავიც... მამა საოცრად იზიდავდა ცხოველებს".

ეს ჟუკოვკის, ახლა თბილისის ამბავი!

თბილისში, მჟავანაძის სახლთან პატარა ბაღი იყო, რომელსაც მელია შემოეჩვია. არ ვიცი, რა ცხოველურმა ინსტიქტმა უკარნახა მელაკუდას კეთილ მასპინძელთან გაშინაურება — მხოლოდ მისი ხელიდან მიირთმევდა სასუსნავს.

ვასილ მჟავანაძის „შემოდგომის დღიურიდან": „იმისათვის, რომ გონივრული და მართებული პოლიტიკა გაატარო, არ არის საკმარისი, იცნობდე ადამიანებს — უნდა გიყვარდეს ისინი" (აი, რა აკლდა მის შემცვლელს!).

...ამ ცხოვრებიდან ნასვლით არაფერს ვკარგავთ, თუ ჩვენს ხსოვნას გულში ინახავენ.

...როგორც იტყვიან: გაეძეხი ამ კაცის სიყვარულით!

ამ... სიკეთის მკეთებელი კაცის სიკეთის დამნახველი ერთი კაცი მეც გახლავართ. რა ნიგნი დაიტევს მის კაიკაცობას!

ერთი სიტყვა, მეც მინდა, შევაწიო!

როცა მავანთა „გულმოდგინებითა" და „თავმდაბლობით" „ნიანგის" მთავარი რედაქტორობიდან, ასე ვთქვათ, „ჩამომალაბორანტეს" — ახალ შეფთან ერთად, ძველიც ანუ მეც გამომიძახეს ცეკას ბიუროზე (?!) აქ გაკვირვების ნიშანი იმიტომ დავსვი, რომ ახლის კურთხევისას ძველის „ფურთხება" ბიუროს რეჟიმში არ იყო და მთლად უფროსს — ამ შემთხვევაში მჟავანაძეს, ამ უკანასკნელის მჟავე სიფათის ყურებით არ ანუხებდნენ. მაგრამ მჟავანაძის კაცობა სწორედ ის იყო, რომ გაჭირვებულისთვის გაენია „ჭირისუფლობა" და, სწორედ მისი დაჟინებითი მოთხოვნით, თანამდებობაზე დასანიშნი და თანამდებობიდან გასათავისუფლებელი კაცი... ერთად შევედით!

დასანიშნს რაღაცა (არ დავაკონკრეტებ) ანიშნა, გასათავისუფლებელს კი „ნიშნიანიძეობა" და მცირე ხნის რედაქტორობაც არ დაუკარგა და მოეფერა, მოკლედ, მამაშვილურად დაგვმოძღვრა და „კაი კაცის გაკვეთილი" ჩაგვიტარა (გამგები გაიგებს!)

ეჰ, ვინ იცის, ვის რა სიკეთე აქვს გასახსენებელი — ამ კეთილსახსენებელი კაცისგან!

გაანათლოს!!!

---

*სერვანტესი: ადამიანს არ შეუძლია, დაეხმაროს თავის თავს, რადგან რიგიანად არც კი იცის, რა სჭირს. მარტოოდენ ერთი, ღმერთი დაგვეხსნის თავისი დიდი გულმოწყალების მეოხებით.*

*ყაზახური: ბრძილობა... უზრდელისგან ისწავლე!*

*სიუმაწვილე მთლად ჭკუაზე ვერაა.*

*ყირგიზული: ქარს ნუ ეკამათები და ჩრდილს ნუ მისდევ!*

# ვასილ პავლოვიჩი!

ნათქვამია, ახია ხალხზე ის მთავრობა, რომელიც ჰყავსო!

როგორც მოგახსენეთ, მე ვიცხოვრე ბერიას, მგელაძის, ჩარკვიანის, შევარდნაძის, სააკაშვილის დროში (და, მათი დროშით!). ვინაც „დამავიწყდა", სიკვდილს დაავიწყდეს! მათ, როგორც ჩანს, ისე არ „შევეუნუხებივარ", რომ, ასე ვთქვათ, „გველის ნაკბენივით" მახსოვდეს! ზოგიერთისა და ზოგ დროს... დროსაც ვერ დაარქმევ — ბევრი უდროობის დროც გამოვიარე.

პარადოქსი ისაა, რომ ყველაზე კეთილი კაცი — ყველაზე ბოროტმა ადამიანებმა ისე „შეგვაძულეს" — დღემდე ვერ გავრკვეულვართ (მაიაკოვსკის პოემისა არ იყოს — Что такое хорошо и что такое плохо?)

მავანმა ვასილ მჟავანაძეს — ნაომარ და „ნახიმტარ" კაცს, ალალს და მართალს, გულიანს და ჯიგრიანს „ვასილი ნეტარი" და „ყვარყვარე" დაარქვა! მის სახელს უკავშირდება საქართველოს მთლიანი ელექტრიფიკაცია, გაზიფიკაცია, უმნიშვნელოვანესი მშენებლობები, ხელოვნების აღმავლობა ...მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე კი — 1989 წლის 9 აპრილი გაუთენდა საქართველოს!

შენი დრო ის არის, რაც მოასწარი! — ეს მებრძოლი გენერლის მარტივად ნათქვამი სიბრძნეა!

პირველი, როცა მას, ჩამოსვლისთანავე, ე.წ. პროსკრიფციული — პასუხისგებაში მისაცემ პირთა სია შეუტანეს, ის იყო, რომ მან აქტივისტ ჩინოსანს მთელი საქართველოს გასაგონად უთხრა: მე აქ ხალხის დასაჭერად კი არა, სიკეთის საკეთებლად ჩამოვედიო! მან ბევრი განსაცდელი ააცდინა ქვეყანას და ხალხს! მათ შორის, მეც! ჯერ მაშინ, როცა „ნიანგის" მთავარი რედაქტორობიდან მოადგილედ „მაჩოჩებდნენ"! ისე მიხადა „ბოდიში" (სხვის მაგივრად), თითქოს რამე ვალი ჰქონდა ჩემი (გარდა კაცობისა!)

ჩამოსაშორებელ კაცს ახლა, გულს გაატანენ კი არა, თვალსაც არ გააყოლებენ. ვის უნდა შენი დაჯღანული სიფათის ყურება და „მწუხარების გაზიარება!" დღეს სხვისი ჭირი, დიდი ხანია, აღარც ჩხირად უჩანთ თვალში!

„ჩამოსაწინაურებელ-დასაწინაურებელი" კაცები ბიუროზე ერთად დაგვიბარა, მამაშვილურად შეგვარიგა ჩვენს ახალ სტატუსს (მახლას, გამგები გაიგებს!). მეორე შემთხვევა უფრო კატასტროფული იყო და აქაც მისმა გულისხმიერებამ გაჭრა: „კროკოდილში" დაიბეჭდა ჩემი ფელეტონი „შერშე

---

დედა ჯიყამზედა:

თბილისს დააკლდა ერთი ალალ-მართალი სიცოცხლე. თითქის ყველაფერი იგივე დარჩა... მხოლოდ მისი იუმორი ისე ლაღად აღარ გააცინებს არავის. მაშინაც კი, როცა ტელევიზიით ჩანაწერს გვიჩვენებენ, სადაც ობოლა ციმაკურიძე თუ მისი თოჯინა „ედუარდი" ძალიან სასაცილო ამბებს გვიყვებიან. რაზეც, ღიმილის ნაცვლად, ცრემლი დაგვეუფლება.

**P.S.** მგონი, მტკვარში დაიხრჩო. მაშინ ქალაქში არ ვიყავი. მისი სიკვდილი... დიდებული ქართველი მწერლის — რეზო ინანიშვილის ნოველასავით გამოეპარა თბილისს. აფსუს!

თუ მთლად არ დავხურდავდით ფულებით და ვალებით — „ქალებს უყვართ — ყურებით და კაცებს — თვალებით!

ზურაბ მჭედლიშვილი:

— პირადად მე იმედი მაქვს, რომ ამ ლოკალურ საპროცესო აქციებს ჩვე-

ლა ფამ!", რაც შეეხებოდა მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიას მუხრანის ხიდთან დადგმული ძეგლის — მდელოზე ნამონოლილი ქალის თვითნებურად აღებასა და კოჯრის ტყეში „დამარხვას". ყველაფერი, ეს, აღმასკომის მაშინდელი თავმჯდომარე ქალის „კაპრიზები" იყო. ამ ქვის ქალს, ხალხმა, იმ ქვის გულის მქონე ქალის სახელი — მარინა დაარქვა! ამანაც ადგა და შური იძია ქანდაკებაზე, ხოლო როცა საქმე საფელეტონედ გაუხდა, ეს „ღონისძიება" მაშინდელ ცეკას პირველ მდივანს ვასილ პაელოვიჩს „აკიდა" (მაინც ნასულიაო!).

მოკლედ, „საცეკაკეპეესესოდ" და მოსკოვში გასარჩევად გამიხადა საქმე და ჩვენგან ისედაც განაწყენებული კაცის — მჟავანაძის მამხილებელი წერილი რომ არა, ლამის ამ ქვეყნიდან სხვა წერილის წაღება მომიწევდა!

ეს — ჩემი ამბავი და ასეთებს რა დაუთვლის! ახლა, სხვა, საქვეყნოდ ცნობილი მისი სხვა სიკეთეები!.. სრულიად სამართლიანად წერს აკადემიკოსი ნოდარ ჭითანავა, რომ „ვასილ მჟავანაძის ფენომენი ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს!" სიკეთის მკეთებელ კაცს — სიკეთის დამნახველი უნდა! სწორედ, ამ დაუნახაობამ გვიქნა, რაც გვიქნა და რაც დღეს გვჭირს — შეგვაჩვია... ვითმენთ ჭირს და... ესეც რითმი „გულითვინაოო, თორემაოოო"... როგორც კახურად იტყვიან!

გაიხსენეთ, მარტო რუსეთ-საქართველოს ურთულეს ურთიერთობაში მისი როლი, ვაჟკაცური პოზიცია და თავდადება! მარტო ეს რად ღირს!

ისე უნდა იცხოვრო, სასაფლაოს დარაჯსაც ცრემლი წამოუვიდესო, — ამბობდა. „არ არის საკმარისი, იცნობდე ადამიანებს — უნდა გიყვარდეს ისინი" — ვკითხულობთ მის დღიურში.

... „შემოდგომა ფოთლებს უბრუნებს მიწას, რომელიც მისგან გაზაფხულმა სესხად აიღო" — სიკეთე სიკეთით უნდა გადაიხადო!

... საფლავისაგან მოშორებით ხუთი თუ ექვსი ღრმად მოხუცი შევნიშნე, — წერს ნინო მჟავანაძე — ჩუმად იდგნენ, თითქოს ცოტა უხერხულადაც. გვინდა, უკანასკნელი პატივი ვცეთ, ნება მოგვეცით, მის ცხედართან დუდუკი დავუკრათო. ეს ძველი თბილისის მედუდუკეთა დასტა — ქსოვრელები ყოფილან.

ალალი იყოს,
ალალი სიტყვა,
ალალ კაცზე!
დუდუკზე უკეთ კაცი ვერ იტყვის!
ნათელში გვამყოფა — ნათელში ამყოფოს!

* * *

წარსულსა აქეს მომაეალი და იმედი სხეა მრაეალი.
აწმყო არის ბებრის ეალი... უმომაელოდ – წარმაეალი!

---

*სილეზიუსი: ადამიანში ღმერთი და ეშმაკი მეზობლობენ.*

*სოლომონ ბრძენი: ადამიანი – ფიქრობს, ღმერთი – განაგებს.*

*გალაკტიონ ტაბიძე:*

*ადამიანის გულში, ხუთი წლის ასაკიდან, ოთხი წილი... ნადირი ზის! ... მორჩა და გათავდა!*

*მე უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნია მხიარული, ბრმა და ყრუ.*

* * *

რომ არ მეთქვა, მაწვა ლოდად,
გული ბოღმით მევსებოდა —
არც — აქ დამედგომებოდა,
არც — იქ არ წამესვლებოდა!

* * *

ყოველივე, სამწუხაროდ, ასეა:
ყველაფერი, თურმე, მისწრებაზეა!
სიკეთე ჰქმენ და დადევი ქვაზეა —
გამოივლი და დაგხვდება გზაზეა!

* * *

წლები მათოვეს
რა უხვად!
სიბერეს სად წაუხვალ!...
რა ქუდსა და რა ლაფაროს —
თავი რას შეაფარო?

* * *

ვერ შეელიე სიჩქარის ჩვევას —
გული გარბის და ფეხები რჩება.
წლების სიბერეს ჰქვია სიბერე! —
ვერც შეეჩვიე, ვერც შეეფერე.

* * *

სიბერე არის ნაკრძალი —
სიყრმის სიგიჟის აკრძალვის,
როს გული ერჩის გონებას —
ფულს არ ეძახი ქონებას
და ეძებ სულ სხვა ცხონებას
და სხვა ეშხი აქვს ცხოვრებას!

* * *

თუ Memento mori გვიხმობს,
რომ „გეახსოვდეს სიკვდილი!“ —
ისიც უნდა გეახსოვდეს, რას...
მიეტირით და მიეცინით!

* * *

სიტყვამ ავ-კარგის გარჩევა იცის —
მოყვრად ვეძახი და მემტერება!
ზოგჯერ ნამდვილი ფიცი და მტკიცი
არის დუმილის მჭევრმეტყველება!

*ნი თანამოქალაქეები არ გადაზრდიან ქაოსში. მაგრამ ძალიან მაღიზიანებს ხელისუფალთა თვითკმაყოფილი უდარდელობა. საუბედუროდ, ჩვენს მოსახლეობაში არის კიდევ ერთი ფენა, ალბათ ყველაზე გაღატაკებულ-გაუბედურებული, რომელთა მსგავს კატეგორიას, ჯერ კიდევ 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციისას, სანკიულოტებს (უნიფხოებს) უწოდებდნენ და რომლებმაც, ფაქტობრივად, წალეკეს და გაანადგურეს რევოლუციის სახელით ყველაფერი...*

*— განა რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ იგივე არ გაიმეორა, რაც სანკიულოტებმა გააკეთეს?*

*კვირის პალიტრა“ 2000, 3-9.07.*

***P.S.*** *ოქტომბრის რევოლუციის ყველაზე ღატაკ მასას ლუმპენ-პროლეტარიატს უწოდებდა, მე კი — ნუმპენ-პროლეტარიატიც დავარქვი.*

*მილანში გამართულ მსოფლიოს თითქმის ყველა ჯიშისა და ნარმომობის˝ ძაღლების გამოფენაზე. სა-*

* * *

ვინც მოითმენს, მოიგებსო!...
არა მჯერა ამ სიმართლის –
ვინც მოითმენს მოუთმენელს –
იმას კაცი კაცად არ თვლის!
„რაცა ღმერთსა არ ენებოს – იგი საქმე არ იქნება! –
და იობის მოთმინება არის მხოლოდ უფლის ნება!

* * *

სიტყვის თქმას ვერავინ დამიშლის,
ლექსის ფრთებს ფიქრი თუ გამიშლის.
სისხლის და მელნის ღვრას არ ვიშლი –
სისხლიც და მელანიც გამიშრა!

ოქტომბრის რევოლუციის გახსენება

მეფე — თვითმპყრობელი,
მეფე — ზარი,
მეფე — ზარბაზანი
აი, თვითმპყრობელობის მთელი ატრიბუტიკა,
თუ ხარისხი!
არ რეკავს,
არ მეფობს,
არ ისვრის!

P.S.ესაა რევოლუციის რეზოლუცია ანუ დ. მოორის პოლიტიკური კარიკატურიდან.

(ჰოდა, კაი ხვითოც დავიჭირეთ ამ ნატურიდან!)

* * *

ესაა — რაცაა... რაცაა — ესაა: დანების, ენების, კბილების ლესვაა. აქეთურ-იქეთური — ალალი, იქედნური; პირდაპირ ნათქვამი — წვრილ-წვრილად ნაფქვავი; სიტყვა გადაკრული — ქარაგმა, ნაკვესი — ნახ-არხარები, ხმით ნატირალ-ნაკვნესი!

* * *

ქუდზე – კაცს ვეძახით და კაცს – ქუდბედიანს –
რომ, უამინდოდაც, კაცისთვის იდაროს!...
საათი მარცხენა ხელზე გვიკეთია,
რომ კაცმა, დრო, გულთან ახლოს მიიტანოს!

* * *

Veni, vidi, vici-ნე...
ღმერთო, შენით... ვიმამაცე:
მივედ, ვნახე, დავამარცხე!
კვლავაც შენი მადლი მეცხოს –
ხორცი ვგვემო, სული ვრეცხო!

* * *

„როცა გულს ცეცხლი ედება – პირს ნაპერწკლები ცვივაო“
ჯოჯოხეთს ვხატავთ ედემად – სიმართლეს ყური სტკივაო!

* * *

... კი არა უბნობს – სისინებს.
თვალებში შემოგეციცინებს.
სასაცილოა – იტირებს,
სატირალია – იცინებს.

* * *

**„კვირის პალიტრა“, 25-31.01.2010**

სკივრი, რომელიც 10 წლის წინ გაივსო წერილებით, „ერისიონის“ გულისშემძვრელი „მრავალჟამიერის“ თანხლებით შემოიტანეს. წარსულიდან გამოგზავნილი 2546 სითბოთი და ტკივილით, დარდითა და სიხარულით დაწერილი წერილი სულ მალე ადრესატებთან ამოჩნდება. ეს მხოლოდ 2010 წელს გასახსნელი წერილების რიცხვია... 2025, 2050 და 2100 წელს გასახსნელი სკივრები, ვინ იცის, კიდევ რამდენ წერილს მიაქანებენ მომავალში...

მარკესის სევდიანი პოლკოვნიკი გამახსენდა, ყოველდღე რომ მიდიოდა ფოსტაში წერილის მოლოდინით და ხელცარიელი ბრუნდებოდა უკან... პენსიის საკითხი აქ რა მოსატანია (მარკესის გმირი ხომ პენსიის შესახებ ელოდა შეტყობინებას), მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი მოლოდინის — სიყვარულისა და მონატრების ათი წლის წინ დაწერილი წერილებისათვის იმ დღეს ბევრი ენვია სახელმწიფო არქივის შენობას. რამხელა ბედნიერებაა, როცა წერილს ელოდები და რა ცუდია, როცა არავინ გწერს...

**ლელა ჯიყაშვილი**

**გიზო ნიშნიანიძე, მწერალი:** ჩვენს დროს იყო ასეთი ჩვეულება: თვალში თუ რამე ჩაგივარდებოდა, ვიღაც შეგაშველებდა ხელს, ამოიღებდა და გკითხავდა: წერილი გინდა თუ სიხარულიო? წერილი სიხარულთან იყო გათანაბრებული!

ჩიტსაც კი, რომ შემოგვჭიკჭიკებდა... კაი ამბავი, ჩიტო, ჩიტუნია, ოქროს ნისკარტიო!.. იქეთ შევჭიკჭიკებდით!

მომავლისადმი გაგზავნილ წერილებს კი, რომლებსაც პირველი 10-წლიანი ვადა გაუვიდათ და ადრესატებს უნდა ჩაბარდეს, სულ სხვა ეშხი აქვს.

ეს ბრწყინვალე ჩანაფიქრი გენიალურად ინახავს დროს, მის წარმავლობას. ათი წელი გავიდა ამ წერილების დაწერიდან და თითოეული მათგანი უკვე ისტორიიდან მოდის — მე მათ გაგზავნასაც დავესწარი და მიღებასაც ვესწრები! ალალი იყოს ის სიხარული, რომელსაც იგი ადრესატს მოუტანს.

*დაც 25 ათასი ძაღლი (და მამაძაღლი) იყო წარმოდგენილი, სამი წლის ქართულმა ნაგაზმა, სახელად სიმბამ, პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა (აბსოლუტურად ყველა პარამეტრით და კომპონენტით — გარეგნობით, ჭკუა-გონებით, ღონით, სიძლიერით, ერთგულებით და, თქვენ წარმოიდგინეთ, მენჯის სიფართით და ფერითაც!). მოკლედ, სიმბამ აღაფრთოვანა მსოფლიო კინოლოგები, რომლებმაც კავკასიური ნაგაზის ჯიშის 600-მდე ძაღლს შორის უპირატესობა მას მიანიჭეს.*

**P.S.** *აწი, ალბათ, ჩვენ ბედს ძაღლიც აღარ დაჰყეფს!*

*<u>XX საუკუნის კანიბალიზმი!</u>*

*<u>[illegible]</u>*

*ამერიკელმა ჯარისკაცმა ადამიანის ხორცს პირველად ვიეტნამის ჯუნგლებში გაუსინჯა გემო. საშობაოდ დაბრუნებულმა კი 11 მეძავი მოკლა და შეჭამა.*

**P.S.** *ჩვენ რა, ცოცხლად არ ვჭამთ ერთმანეთს?! ცუდ-*

* * *

რევოლუცია — მადით მგლისა, უძლებ სვავსა ჰგავს...
თუ სალაფავად დაუდგამდნენ მას სახალხო ჯამს...
რევოლუციას, ვინაც ახდენს, ის მის სისხლსა სვამს —
რევოლუცია — მამებსაც და შვილებსაცა ჭამს!
P.S. ოღონდ ვეღარ ინელებს.

* * *

ვინც კაცს სიტყვას უშვერს და იგავს წერს საარაკოდ — ვინც ერთ ყურში შეუშვებს და თან ყელს ზევით ლაპარაკობს...
იმას ჭკუას არცა ვკითხავ, არც ყურს მოვთხოვ, რომ მათხოვოს —
მათხოვარს რა ჭკუასა ვთხოვეთ, რა გვჭირს მისი სამათხოვრო!

* * *

„გაზაფხულის ერთი დღე — მთელ წელიწადს არჩენს“ —
გაზაფხულის მარიფათს — შემოდგომა აჩენს.

## *თინეიჯერული*

— ეს ყმაწვილი მგონი „უშტვენს“...
— რას აკეთებს?
— კვერის ბუშტებს!

* * *

4X20 მირჩვენია ამ სიბერის 80-სა —
მოიხედავ, საუკუნე — კაცის ჭკუას მოგთხოვსა!
ღვთისწყალობა ჰქვია, ალბათ, ამ ასაკის შესწრებას —
ჩემი ხნის კაცს დღეობაზე თვითონ ღმერთიც ესწრება!

* * *

„კმარა“ — კმარად!
ბოროტებას კაცმა უთხრა — „არა!“
და, სადაც გადავყარა — იქვე გადაყარა...
ეს ოხერი ნარკოტიკი კი...
(ერთობ მოგვეძალა!)

* * *

არ ვიცი, რა მაკლია ამ მისტიურ ხედვამდე...
ჰოდა, კარგად მეყოლეთ... სიზმრებში შეხვედრამდე!

---

*ტიციან ტაბიძე: ადამიანი სამყაროს შექმნის ბოლო დღეს შეიქმნა, როცა ღმერთი უკვე გადაღლილი იყო.*

*მარკ ტვენი: ალბათ, ძნელია, იპოვო სამოც წელს მიღწეული გონიერი ადამიანი, რომელიც თანახმა იქნებოდა, კიდევ ერთხელ ეცხოვრა იმდენივე*

* * *

ტყის სიმფონია არის — ჩიტის ჟღურტული!
ღორის ღრუტუნსა ჰგავს — კაცის ბუტბური.
საცოდაობა არისო კატის კნაველი,
ხბოსთან ბაგაზე მიმდგარ დედა-ძროხის ბღავილი.
ყვავის ყრანტალიც არის ზოგჯერ, თურმე, მართალი.
მამალს დედლებში უყვარს წითელ დეზით წანწალი.
ძაღლის სიცილი არის ზოგჯერ კუდის ქიცინი.
...ვინ როგორ ახსნას წუთისოფლის იწილბიწილი!

* * *

ცხოვრებაში თუ დაგვიცვენ ტუზები —
ბუზებივით გეხვევიან მუზები.

* * *

მართალს ამბობს ერი-ბერი:
თუ გსურს, სული ჰპოვო —
შენი გასაკეთებელი —
ღმერთს არ უნდა სთხოვო!

* * *

რაა დასამალი? ცოდვის შვილები ვართ —
უფალმა ყოველი იცის...
და ღვთიურ ნათელით — ხატის წინ სანთელი
ჩვენი საცოდაობით იწვის!

* * *

თუ ხარ მოწამებრივი ანუ ეკლის სიაში —
ყველა შენი სანთელი იწვის ეკლესიაში!

* * *

არ იცი, სად გაგითენდება?
არ იცი, სად დაგიღამდება?
არ იცი, რა ცეცხლი გედება?
ვინ როდის სად ჩაგისაფრდება?..

* * *

თქვენს „მესიჯს“ და იმ „თოქ-შოუს“
ჩვენი „თოქში, ვირო“ მიჯობს.
რადგან...
ტკბილი — მწარობს, მწარე — ტკბილობს —
ბიჭი — ქალობს, ქალი — ბიჭობს!

*ხანნა არენდტი: შეშლილს, რომელიც გენიოსს განასახიერებს, აქვს შანსი, რომ ოდესმე მასაც დაუჯერებენ.*

*...ლისა და აჯიკის საწებელის გარემეც!*

*...სხდომაზე პაოლო იაშვილი ირაკლი აბაშიძის გვერდით იჯდა, არავის დაუნახავს, როგორ გავიდა იგი დარბაზიდან. უეცრად სხვენში გასროლის ხმა გაისმა. პაოლომ სანადირო თოფის ლულა პირში ჩაიდო და სასხლეტს გამოჰკრა...*

***P.S.*** *და ეს იყო ყველაზე საშინელი წერტილი, რომელიც მან საკუთარ თავსა და პოეზიას დაუსვა.*

*თბილისის ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ისტორიული ფაქტი მოხდა. პირველად, კავკასიაში, ამ ინსტიტუტის მეცნიერებმა გამოჩეკეს „ე. წ. სინჯარის ბავშვი“.*

***P.S.*** *მაშ, გაუმარჯოს სინჯაროვიჩებს!*

*გაზეთები იუწყებიან თბილისში გველების მომრავლებას.*

*2000. ივნის-ივლისის პრესიდან.*

***P.S.*** *მახსენდება! იმდენი ცვალებ*

* * *

ხან ზარ-ზეიმის, ან ხმით საზარით...
უზარმაზარი ზარის ზანზარი...
ზარის ენაა ღმერთების ენა,
რითაც აუწყებს ქვეყანასა ზენა!
სამების ზარი გულისყურს ესმის
და ცვივა მადლი — ღვთიური თესლი!...

## თბილისის ეშხით!

თბილისის ქუჩებმა სიცოცხლე მაჩუქა!
კბილს ვერ გაუსინჯავს კაცი ამ საჩუქარს.
ვალში ვარ ყელამდე... ყელს ზევით არ ვამბობ —
ხსოვნისას ვიტყვი, პურს — ღვინოში დაყალბობ!
იცოცხლე, თბილისო, ეშხით და სხვა სალმით!
ახალის ფასით და ძველებურ ფასადით —
ცხოვრების გზა-კვალსა, როგორც გვიხაზავდი —
„შიკ-ბლესკით" — თბილისურ შნოთი და ლაზათით!
წარსულიც და აწმყოც შარდენზე დაზავდით...
იმ ძველი ელდით და ახალი მაზანდით!

## ლირიკოთერაპია

გინდა გულის,
გინდა ფულის... ან სხვა უკმარისობას
მოუკლავხარ,
როცა ჯიბეს... წნევასავით იზომავ...
მედიცინის — და თუ ძმაა ამ უ-„აბი გლუკოზოდ" —
სისხლისმსმელი წურბელებით — „კოზლითა" და „უკოზლოდ"...
ჩვენ „მეორედ მოსვლისათვის" ჯიშში გვავარჯიშებენ,
კუს ნაბიჯით იარეო! და კუს ტბაზე გვიშვებენ!
„შერეკილებს" გვეძახიან თვით მთლად გარეკილები —
უფულოდაც კარგად ხართო! — ამბობენ ექიმები.
პოდა, „თქვენს პირს შაქარიო"! — კმაყოფილნი ბედისა —
ვამბობთ (თუმცა, გულში შიშით),.. „შაქრის" დიაბეტისა!
მეგობრობა — სამეგობრო, თურმე ერთი გობია...
სულით-გულით ჯანმრთელობა — რომელ ფულს არ სჯობია!

* * *

ღარიბ-მდიდართა შორის ზღვარი უფრო დიდდება —
ღარიბი — ღარიბდება, მდიდარი კი — მდიდრდება!
აქ დარდი უდარდელად... ო, არა და არ ივლის —
და მდიდარო — მდიდარო...
(თუმცა, კი გეცეკვება)
გეშინოდეს... ღარიბის!

---

*ო. უაილდი: ადამიანები ღმობიერნი (და ულმობელნიც — გ.ნ.) არიან: ისინი მზად არიან, ყველაფერი შეიწყნარონ, გარდა გენიისა.*

* * *

ძალა აღმართს ხნავსო!.. მთავარი არი —
ვინ — როგორ დადის მთაში თუ ბარად...
ზოგი მთამსვლელი... მწვერვალებიდან —
ჩამოსულსა აგავს და ასულს — არა!

* * *

ბოლი ცრემლის მდერია და —
მწუხარეა ბუხარია...
როს გიზგიზებს ბუხარია —
მაშინ სულსაც უხარია!

* * *

თვალები გვაქვს გასახელი —
თითქოს დარდი არ გვყოფნის.
აღარ დაგვრჩა დასაღვრელი —
ცრემლი, სისხლი და ოფლი!

* * *

რა გაუძლებს ამ ქაოსს?
უდაოსაც კი დაობს!
იმ უძველეს „სალაყბოს" —
ახალ სალაილაოს!

## დიალოგი კახა გიგაურთან!

ქართველი კაცის მართალი სიტყვა
სიბნელეშიაც ელავს:
სომეხს — სომხის გარდა არავინ უყვარს —
ქართველს — ქართველის გარდა... ყველა!
ქართველს — ქართველის გარდა, ყველა უყვარს —
სომეხს — სომხის გარდა... არავინ:
(„სხვისა სიკეთისა გამო ეწუხართ")
და გვიდგას გლოვის კარავი!
ჩვენი ძმებია ავლაბრელები,
ხოჯევანქელები, ფეთხაინელები,
ხარფუხელები, შავ-სოფლელები, ელიელები...
„ერასტგანძა" დაგვიტოვა გიჟერაცუებს
„ძმათა" ეს მტრული კერები.
მანთაშევები, ბოჟარჟიანცები — ფულის კაცები...
სხვა „იანცი" — კაზარიანცი, არამიანცი...
იქეთ — დუდუკი და ქალები...
აქეთ — ქართველების ტანცი-მანცი...
ყელამდე ამოსული... ქალები!

„ნიანგის" რედაქტორები, სანამ, ყოველგვარი გადატან-ით-გადმოტანითი მნიშვნელობისა და სუმრობის გარეშე, რედაქტორის სკამზე... ნამდვილი გველი არ დაჯდა! (სხვათა შემთხვევა მართლაც იყო!)

მაყვა რამიშვილი („დარდუბალას" ჰოროსკოპერა):

მე ვამაყობ, რომ ჩემს მეგობრებთან ერთად შევძელით ისეთი მულტფილმის გაკეთება, რომელიც ამ ხელისუფლების გადატრიალებებს გამოიწვევს.

(ვერსია 2001. 12-18 ნოემბერი)

**P.S.** ...თუ გაიხსენებთ, რას წერს კარლ მარქსი ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკის შესავალში", ამ სიტყვების სიმართლე ეჭვს არ იწვევს: ისტორია სამართლიანია და მრავალ ფაზას გაივლის, ვიდრე დრომოჭმულს სამარეში წაიღებს."

მსოფლიო ისტორიული განვითარების საბოლოო ფაზა კომედიაა. საბერძნეთის ღმერთები, რომლებიც ერთხელ უკვე იყვნენ სასიკვდილოდ დაჭრილნი ესქილეს

* * *

მე, ჩემს კალამს —
ცხეირიდან ძმარიც ვადინე, თაფლიც, ოფლიც, სისხლიც, მელანიც...
ბეერჯერ ნებაზე მიმიშვია ჩემი „მერანი"...
ჩორთით მიელია, თოხარიკით, ნაეარდ-ნაეარდით —
ჭენებ-ტაატით...
სულ რითმ-რიტმებად დამითელია გულის ძგერანი...
ესაა ჩემი ლირიკული ქრონომეტრაჟი —
და აზრი გარჯის — სიტყეითა ხარჯის —
დროის საზომი... სიტყვა უზომო!

## 8. 08. 2008.

ნეტა, ეს დღე საერთოდ არ გათენებულიყო და რუსეთ-საქართველოს ომის არ რქმეოდა!

აზრზე მოდი — ხიდზე გადიო!...

„მეგობრობა გზად და ხიდადო!"...

სადღაა ხიდები? რას გვანან ხედები? საით ვიხედებით?

რუსეთ-საქართველოს ომი!

აზრზე ხარ?...

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს — სატირალია, სასაცილო რომ არ იყოს.

ურეკში ვარ (როგორც დიქტორობისას ნუგზარ ჯუღელმა თქვა — „ბათუმიდან და ფოთუმიდან" ერთ გაფსმაზე...) მით უმეტეს, ფოთიდან 7-8 კილომეტრზე, ანუ ფრონტის ხაზზე! ისმის ერთი ბათქა-ბუთქი და ვაი-უშველებელი.

ფოთში ბომბი კი არა, ერთი ასო (ვთქვათ, „შ") რომ ჩააგდო — შ-ფოთი გამოვა!). რა გველის? აგერ, ეს ქართული სიტყვაც კი მოწმეა, რომ ჩვენი დღე და მოსწრება სულ ავის მოლოდინში ვიყავით, გველი გველანდებოდა და მომავლის შიშს დიდი თვალები ჰქონდა!

...ანგელოზი ამინდია. მზე გვეცინის. ან იმას რა აცინებს?...

ვნევარ ღვთის ანაბარა მიტოვებულ, „ასე მტერი დაგეცალოს" ჭიქასავით დაცლილ სანაპიროზე და იმ დღეებში კიდევ უფრო შავი ზღვის ტალღები წყნარად ლოკავენ უკაცრიელ ნაპირებს. შორიდან კი გრუხუნი ისმის — არ ვიცი — ცის, არ ვიცი — მიწის.

ვინა თქვა: როცა ქვემეხები ქუხან, მუზები სდუმანო?..

ვნევარ ასე, ამ „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ" ლაჟვარდში... დედიშობილა, უქაღალდოდ, უკალმოდ და მენვეია სტროფი:

ამ სილაჟვარდეში, სილაში ვარდივით,
ნაძებარ რითმამ ფრთა გაშალა:
ზღვის პირას, ქვიშაზე, ლექსს ვწერდი მიშაზე,
მოვარდა ტალღა და... წაშალა?!

...დიახ, ხანდახან რითმების ჭკუაზეც დავდივარ, რადგან, ცხონებული სიმონ ჩიქოვანისა არ იყოს, „რითმას" ზოგჯერ სულ არ აინტერე-

---

*ო. უაილდი: ვის უწოდებთ ცინიკოსს? ადამიანს, რომელმაც იცის ყველაფრის ფასი, მაგრამ არ აფასებს.*

*უცნობი ავტორი: ადამიანი ის ცოცხალი არსებაა, რომელიც დროს კლავს, ვიდრე ეს უკანასკნელი მურს იძიებდეს.*

სებს, „რის თქმა" გინდოდა. სწორედ ამან ათქმევინა ეს იმ უსინათლო, მაგრამ ნათელმხილველ პოეტს:

„მე სულ სხვა რამე მინდოდა, მეთქვა, მაგრამ სხვას ამბობს წყეული რითმაო!

* * *

დედაენა დაგვევიწყებია და
დედინაცვლის ენას ხოტბით ვამკობთ...
რავარია?
მთაყარია —
ის კი არა, რა ენაზე...
რა და როგორ გვესმის,
რას და როგორ ელაპარაკობთ!
მშობლიურ ქართულსა და უცხოურს შორის —
სალაპარაკო ენა ვერ აგვირჩევია —
ერთი, ჩვენცა გვკითხეთ, სხვათა შორის,
ინგლისურს... მანგლისური მირჩევნია!

* * *

ანტონიმების დიალექტიკა არ მოეჩვენოს კაცს ეკლექტიკად. სადაც ერთია — იქაც მეორე: ჭირიც და ლხინიც — აქაც და იქაც!

## *ჩემს სისხლსა და ხორცს!*

ამ შორიახლო ფიქრებით — მე მუდამ თქვენთან ვიქნები

და მაშინ აღარ ვიქნები, როცა... თქვენს ფიქრშიც მივეკრები.

## *ვედრება!*

რადგან გვიშვილე, ღმერთო, გვიშველე — მშიერ-მწყურვალებს, ტიტველ-შიშველებს! და, ვინც ჯოჯოხეთს ხალხებს უშენებს, არ ჰგავს ის ჩვენებს — გადაგვიშენე!!!

* * *

*ჩემს რედაქტორს, ბიოლოგიურ (?)*
*მეცნიერებათა დოქტორს ანი ხიხაძეს!*

მე ამას ვფიქრობ, კაი ხანია — სადაც ანია — იქაც ბანია?!

სად ბიოლოგია — სად ფილოლოგია — ეს ნიჭიერების არს „დემაგოგია"!

*მიჯაჭვულ პრომეთეოსში (ტრაგედიაში — გ.ნ.), კიდევ ერთხელ სიცილით უნდა დახოცილიყვნენ ლუკიანეს საუბრებში (სატირაში — გ.ნ.)*

*რატომ მიდის ასე ისტორია?... რომ ადამიანები ამაღლდნენ თავიანთ წარსულზე და... მხიარულად გამორიდნენ მას!*

*სატირულ-იუმორისტული ჟანრის ამაზე მაღალი შეფასება არ არსებობს!*

*„თბილის-ქალაქს, საქართველოს, მეც ვდარაჯობ ჩემი კალმით,*
*მარად ვდგევარ, როგორც ბურჯი...*
*მე მშობლებით ქართველი ვარ, არაგვ-მცხეთის კარიდანო. .*
*გაუმარჯოს საქართველოს, ენაცვალოს იეთიმ-გურჯი!"*

*<u>პლატონი (სოკრატეს აპოლოგია):</u>*
*...მოკლე ხანში დავრწმუნდი, რომ პოეტები სიბრძნით კი არ ქმნიან მას, რასაც ქმნიან. არამედ ერთგვარი ბუნებრივი ნიჭის და ღვთიური სიმშ-*

* * *

*ლექსპრომტი გამომცემლობა „ოაზისის" შეფ მზარეულს*
*(რომელიც ჩვენს წიგნებს აცხობს)...*
*ქ-ნ ნატო დავითაშვილს!*

მე დიდი ხანია, იოლას გავდივარ — „ნატოში" თუ ვერა, ნატოსთან დავდივარ. ნატოა ამ წიგნის ავანი-ჩავანი — ტვინის „ხუჭუჭებში" სლალომით მავალი. ჩვენს თავში, ჩვენს გულში იგი იხედება — და მერე ალაგებს ხიდებად, ხედებად!

## *გზა მამა-ღმერთის, ძე-ღმერთისა და სული წმინდის — „სამებისაკენ"!*

იგი, ჩემს თვალსაწიერში, ხელის ერთ გაწვდენაზეა —
მეშეიდე ცაზე ავდიეარ მე მის სამრეკლოს ხმაზეა.
ღამე, ვით უფლის ნათელი (ლამისა, ენა დამებას) —
ორთავე სოფლის ელჩივით დგას ღვთის ტაძარი — სამება!

* * *

ერთხელ (როგორც ყოველთვის), შუაღამეს, გალეწილი მთვრალი დაბრუნდა სახლში ეგრეთ წოდებული — ძალიან „დაგვიანებული აზნაური" ჭყოიძე. ცოლმა (როგორც ყოველთვის) მეზობლებში შეიცხადა — ისეთი მთვრალი იყო — შარვალი მე გავხადეო. ბატონ ვახტანგს, სიმთვრალის დროსაც, ყური ფხიზელი ჰქონდა და საკადრისი პასუხის გაცემაში ხომ ბადალი არ ჰყავდა:

— რა იყო, შე ქალო, რომ შემიყარე მეზობლები... სულ მე გხდი, მარა ქვეყანას კი არ ვეუბნები!

მარა, ეს რაა იმასთან შედარებით, ცოლმა რომ ქმრის გულ-მკერდზე მსუბუქი ყოფაქცევის ქალის მიერ პომადით დაწერილი „წერილი" წაიკითხა: ღამ-ღამობით შენი ქმარი ჩემთანაა და არ იწერვიულოო!

რას ჰქვია, არ ინერვიულოო! კედელზე გავიდა იმხნელის ქალი (ვახტანგ ჭყოიძე დები იმხნელების სიძე იყო!)

და უყვირა, მარა რა უყვირა ქმარს: ხედავ, იმ გათახსირებულმა რა მომწერაო. ვახტანგმა სარკეში რომ დაინახა თავი, შევიდა ცოლის მდგომარეობაში, მიუბრუნა ფართო მხარბეჭიანი ზურგი და უთხრა:

მისწერე პასუხი, მაგ გათახსირებულსო!

ჭყოიძეების ოჯახს არ ჰქონდა გამყოლი გული და გათენებამდე ყველაფერი დაავიწყდათ.... დილით ისე ბარდნიდა, რომ ჭყოიძე ცოლ-შვილის ხმამ გამოიყვანა ძილ-ბურანიდან:

— შეხე, შეხე, ვახტანგ, რა ხვავრიელად თოვს! — შესაძახა მეუღლემ და ფარდა გადასწია.

— რა გიხარია, მერე, ბოშო... სახაშემდე ჩასვლაში იმდენჯერ დამიცურდება ფეხი, რომ შეიძლება სულიც ვერ მივიტანო.

ალიონზე რა ააყენებდა ჭყოიძეს ხაშის ხოშის გარდა?! უთენია ადგა და დაადგა გზას... სად იყო — სად არა, ვილაცამ ზედ ცხვირწინ გაუჩერა შავი ლიმუზინი, რომელშიც საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი (იდეოლოგიის დარგში) ქალბატონი ვიქტორია სირაძე იჯდა. ერთს — ხაშზე ეჩქარებოდა, მეორეს — ბიუროზე!

— ამ დილაადრიან საით გაგიწევიათ, ბატონო ვახტანგ? — ჩვეული გულისხმიერებით იკითხა ქალბატონმა ვიქტორიამ.

ჭყოიძე დაიბნა, მარა არ დაიბნა:

— რადიო გაგვიფუჭდა, ქალბატონო და ამხანაგთან მივდივარ... საბჭოთა კავშირის ჰიმნის მოსასმენადო!

... ამ ამბავმა მთელი თბილისი მოიარა და დღემდე გვეყო სასაცილოდ. თუმცა, იმ დრომ ბევრი სევდაც დაგვიტოვა და ახლა, სწორედ, მრავალთაგან, ის ერთი მომადგა პირზე.

რაღაც, ენით უთქმელი თემები დაგროვდა, რომლებსაც, ზოგჯერ, თავსაც ვერ უმხელ. გული კი... ეს გული რას აღარ იტევს!

„სხვისი ჭირი" არასოდეს ყოფილა ჩემთვის „ღობეს ჩხირი"! ქალბატონი ვიკა (კაი ნათლია ჰყოლია!), რომაულ მითოლოგიაში — ვიქტორია (გამარჯვების ქალღმერთი), ნიკე (ბერძნულში) ყოველთვის გამოირჩეოდა სიბრძნით, სილამაზით... მაგრამ ეშმაკსაც არ ეძინა და, ჩემი აზრით, ბედი არც ისე მოწყალე იყო მისთვის, რადგანაც... მგლებში აღმოჩნდა!

არ ვიცი, რა ვარჩიო, მაგრამ... არ მივცემ თავს უფლებას, ამ, გამარჯვებისთვის გაჩენილი ქალის ბედ-იღბალი ახლა მე ვარჩიო, თუმცა, არც იმ სტრიქონებს წავიღებ უკან, რაც თეთრ თუ შავ ლექსად სულმა მიკარნახა, ანუ რაც გულმა იგრძნო და თვალმა ნახა!

ესაა ის ნატურფიქრები —
ალალთან — მართალი ვიქნები —
ეშმაკთან ზაეით არ ეიკერები —
ურჩხულთან არა მაქეს ლიქნები!
იყო დრო — ხალხს დედა ეტირა —
„ბოროტსა ევრ სძლია კეთილმან!"

## ექვთიმე თაყაიშვილს

მაგალითი მოგვეცა კარგი —
ნათლის მადლი დღესაც გვათოვს...
გვჭრა და გვკერა მისი თარგით —
გაგვეანათლა —
გაანათლოს!

* * *

ილია: დიდი სიბრძნეა კაცისა, ცნობა თვისისა თავისა!

ახლანდელი ქართველი რომ მქულს — იმით ვამტკიცებ, რომ საქართველო გიყვარსო!

ავის წყალობით, მსგავსად ღმრთივმთაგონებული მისნებისა და წინასწარმეტყველებისა..."

...უცბად, როტშილდი დაიხარა, მიწიდან სურდა ფული აიღო, ფრთხილად გაწმინდა და ჯიბეში ჩაიდო. ვეკითხები: რატომ ქენით ეს-მეთქი, რა მიპასუხა? — ჯერ ერთი, ახლა, რომ მე ეს 50 პენსი არ ამეღო, ფულისადმი უპატივცემლობას გამოვიჩენდი, მეორე — ეს იმის მიმანიშნებელი იქნებოდა, რომ ჩემში ფინანსისტი მოკვდა და ეს იქნებოდა ჩემი კარიერის დასასრული.

ირაკლი ჯავახაძე:
ერთ ძალიან, ძალიან მაგარ მწერალს უთქვამს — პირველყოფილ ადამიანს გრამატიკისთვის რომ არ დაჯერებინა, ახლაც უნდა ბვვლმვვლაო"...

ყოფნა-არყოფნის ფილოსოფია მამა ჩარგლელმა-ვაჟა:
ისევე, როგორც სიყვარულისთვის,

* * *

*ქ-მ ე.ს.-ს*

...ჩვენ ჩვენს დამარცხებას – ვარქმევთ გამარჯვებას (?!)
ჩვენს სხვის გამარჯვებას – ვარქმევთ დამარცხებას (?!)
გამარჯვება ჰქვია მიწას დანარცხებას?
მადლის ცხების ნაცვლად – „ნაცარ-მირონცხებას"?
ქვეყნის სამდურავი ცათა შინა წვდება –
ჩვენი ნატვრის ხე ხომ ზეზეურად ხმება!
ჩვენი მიწის ძვრანი – რჩება სულის ძვრებად,
მოვლენ-წავლენ წყალნი – ქვიშანი კი რჩება...
ქალბატონო ვიკა!
ბრძნულ-ბერძნულად – „ნიკე"!
ღმერთმა გაუმარჯოს თქვენისთანა ვიკებს!
გამარჯვების ქალღმერთს „ვიქტორია" ჰქვია...
(სიტყვა არ შემაჩვენეს ხელში, როგორც ია!)
...ვიკა-ვიქტორია ქალის სახელია –
თქვენთან დამარცხებას, აბა, რა ხელი აქვს?
თქვენ იმ ეშმაკებში ჩანდით ღვთისმშობელად,
მაგრამ ხარკს უუხდიდით ყველა იმ ერთ „ბელადს"!
ბელადი კი იყო, როგორიც „ბალანდა" –
მონად დაიბადა და ვერ იბელადა.
სხვა იყო გვარადა, სხვას ჰგავდა, არადა...
არ ჰგავდა ეს „ვეფხვის და მოყმის ბალადას"...
ვაის – გავექეცით, ვუის – შევეყარეთ –
ნავში ვინც ჩაუჯდა – წყალში გადაყარა,
ცხოვრება კი მიდის თავისი წეს-რიგით...
მის ნათესს – ღვარძლს და ჭირს – დღესაც ვიმკით.
თვითონაც ვერ აღწევს თავს მისივე ხაფანგს –
ისე... ჭირი – იქა, ესე... ლხინი – აქა!

## *მამაშვილობის ხელგაშლილობა*

### (ანუ არც მთლად დალაგებული აზრები)

შენ ახლა მამის სახელი გქვია – მე ახლა შენში ვიწყებ ბიჭობას...
როს მამა-შვილი ადგილებს ცვლიან – ნიჭს ეძახიან ამ „უნიჭობას"!
მე მენატრება შენი ბიჭობა – შენ გენატრება ჩემი კაცობა...
სხვის ტყავში კაცი უფრო იცნობა – კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა!
ჩვენ ერთმანეთის ტყავებში ვძვრებით,
რადგანაც „სხვა სხვის ომში ბრძენია"...
...ერთურთში ვეძებთ სხვა თავშესაფარს და
ვეღარ ვარჩევთ შენი-ჩემიას!
შენ ჩემი ზამთრის გაზაფხული ხარ – შენი ზაფხულის მე ვარ ზამთარი
და ჩვენს სისხლს და ხორცს, სულ მისხალ-მისხალ,
გულის სასწორით წონის ყანთარი.
ჩვენ ერთი სულის ვართ ანათალი –
მთავარი არის, ვიყოთ მართალი!...
საკუთარ თავთან და ურთიერთთან!...
უპირველეს კი შენ და შენ ღმერთთან!

* * *

როცა კარგია მიქმელსა
გამგონეცა პყაესო —
„ეინც რა უნდა, თქეასო,
წისქეილმა კი ფქეასო!"
თეალი ჭამს და სეამსო —
წიგნებს ყიდის ყდები —
წიგნი... აეტორს პგაესო
მე — არ ვიყიდები!

* * *

შეილიშეილის — დაითის
სიყეარული მათოეს —
ჩემს სიბერეს მისი —
სიჭაბუკე ათბობს.
გული იცრობს — გულსა,
ღონე იცნობს — ღონეს,
სულს გაფრენა სურს და
ჭკუით ეგავართ ტოლებს.
პოდა, მის მზეს ეფიცაე,
როცა ეფიცაე ჩემს მზეს,
უკვე ერთი თავით
მაღალია ჩემზე!

* * *

გეიყეარს ტრაბახი, მჯიღის ცემა... ცხადში აგეიხდეს! —
ყეარყეარეს მსგაესი არასოდეს გეაკლდა კაცები.
ჭკუას მოეუხმოთ, ქართეელებო, რომ არ გაგეიხდეს
„თეალში საცემი" „ართეალობა" — თაეში საცემი!

* * *

ეს სიბრძნე არის ნებისმიერი,
რომ ძმა — ძმობითა არის ძლიერი!
და, ჩეენი დროის თეალსაწიერით —
ასეთი იყო ქეეყნის იერი.
ბოროტებას კი როცა თეალს ეარჩეეთ —
ძმობას თუ მტრობას — მაშინ ვერც ეარჩეეთ!

* * *

ცხოვრების თავ-ბოლო, ეით წესი — ასეთია:
არსთა გამრიგენი დროს ანაწილებენ.
ამ ქეეყნად მოსვლაც და წასვლაც შნო-ლაზათია:
ცრემლებით — ხედებიან, ცრემლებით — აცილებენ!
ოღონდ ამ ცრემლებიდან —
ერთი სიცილისაა, მეორე — ტირილის!

ასაკს... სიკვდილისთვისაც არ აქვს მნიშვნელობა...

წესის აგების პარალელურად, წირვა უნდა შესრულდეს. წირვის მესაწირი' პური და ღვინო უნდა იყოს (სეფისკვერი და ზედაშე).

ეს უსისხლო მსხვერპლი, იესო ქრისტემ დააკანონა.

წესის აგებას თან ახლავს სანთლისა და ჯვარის რიტუალიც.

წმინდა სანთელი რწმენის სიმბოლოცაა და შუქის წყაროც. მას მაგიური მნიშვნელობა აქვს. ვინც სანთელს ანთებს, იგი ღმერთთან და ციურ სინათლესთან წილნაყარი ხდება.

სანთელი ავსულთა განდევნისთვისაც გამოიყენება.

სანთელი, ადამიანის კოსმიური სამყაროსთან კავშირის გამოხატულებაა.

სანთლის ანთებისას იგულისხმება, რომ მიცვალებულის გაცილება დღესასწაულს უნდა ჰგავდეს, რამეთუ იგი, ღმერთს მიუახლოვდება!

ჯვარი სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოა.

ქრისტე ჯვარზე აწამეს!

ჯვარი სიცოცხ-

* * *

ჯანსაღი აზრი როცა სდუმს —
კარგადა ვართ თუ ავადა —
სიტყვა ტყეიას ჰგავს — იქუხებს,
და ჰგავს პირიდან გაეარდნას!
ვაი, იმ პოეტს, რომელიც
ღმერთის, ანუ ტაძრის გზას ასცდა,
ან მუზამ მიატოვა და
კალამი გაუზარმაცდა!

* * *

ეს ცხოვრება, მიცვალებულს რომ ბალიშებზე ორდენებით მიაცილებენ, სწორედ იმას ჰგავს... თავისი დამქაშებით: ძველი სახლის ძველ კედლებზე გაკრული ძველი ხალიჩებითა და ლურსმნებზე ჩამოხრჩობილი უქარქაშო ხმლებითა თუ უხმლებო ქარქაშებით!...

* * *

ლორთქიას (გურამ ლორთქიფანიძეს) ყველაზე მეტად სიბერის ეშინოდა და ვერც მიუსწრო, თუ მოესწრო! არადა, მოუხდებოდა... რადგან სულ ბიჭობაზე იქაჩებოდა და საინტერესოა, ეს მსახიობი კაცი როგორ შეათავსებდა როლებს — სიჭაბუკეს — სიბერესთან!

* * *

სიტყვა ავტორს კარგად ერითმება სიტყვა „ლავსტორი"!

* * *

კაცსა ცრუსა და პენტელას, ერთი პირითა ორპირსა — მელაკუდობა სჩვევია — მგლის მადა, ხედვა — ორბისა! ყველგან „ამშვენებს" კრებულსა — არცა იქ, არც აქ კლებული... გააქეთ-იქეთებულსა კაცს ჰქვია — აქოთებული!

* * *

ძილში აზროვნების პრობლემის გადაჭრის კლასიკური მაგალითია სიზმარში მენდელეევის პერიოდული სისტემის აღმოჩენა!
გინდა „ლევით", გინდა „პრავით" — ასეც-ისეც, კაცის ბედო —
გინდ ოინით, გინდა დავით — მენდელეევს უნდა ვენდოთ!

* * *

— ჯერ მინას არ აცილებიხარ და უკვე ისეთი სახელი გაქვს, რომ თუ ფრთხილად არ იქენი, ყველაფერი შენ დაგბრალდება, — ვუთხარი ჩემს რუს-ქართველა შვილიშვილს, დიმიტრი (მიტო) ნიშნიანიძეს.

---

*ვალერიუ ბუტულესკუ: სახრჩობელისა არ ეშინია მხოლოდ უთავო კაცს. (რაც არა აქვს, ყულფში რას გაყოფს?)*

*ეპიკურე: როცა ჩვენ ვართ — სიკვდილი არის, როცა სიკვდილი — ჩვენ არ ვართ.*

— რატომ? — მკითხა მიტომ.
— მიტომ! — ვუპასუხე.
ორივეს გაგვეცინა.

მოკლედ, ამ კითხვაზე სხვა პასუხი არ არსებობს და ყველა ზოგადად დასმული კითხვის ზოგადი პასუხი ასეთია... და მისი პირადი სახელიც ესაა!

მოკლედ, ფრთხილად უნდა იყოს!

* * *

ამ ცხოვრებამ გამზარდა
და მასწავლა ორი რამ:
ბრძოლისათვის მამზადა —
კუდით ქვა მასროლინა!

* * *

მკითხველო თუ განმკითხველო —
ჩემი აღლადიდება,
თუ როდესმე დაგჭირდება —
აგერ, წიგნში იდება!

* * *

80 წლის ზევით —
კაცი მნათობს — მზე ვით!
ასხივებს და ათბობს —
გეაწვიმსა და გეათოვს...
ეშმაკებსაც იბრძნის —
მეტყველია სიბრძნის —
საუკუნის ტოლი —
ღმერთთანაა სწორი —
დროთი შევამოწმე —
უკეთესი მოწმე —
არ არსებობს!

* * *

იქეთ სული — აქეთ გული;
იქეთ თვალი — აქეთ ყური;
არა შარი, არა შური —
მაღლა — ფერი, დაბლა — ჭური.
აქეთ — სიტყვა და პასუხი —
იელიკანტურ-იქედნური —
ბევრი დრო და ცოტა ფული...
იდილია არის სრული!

ლის სიმბოლოცაა. ბორბალში ჩახატული ჯვარი მზეს გამოხატავს.

ჯვარი ბედნიერების სიმბოლოა. იგი უფლისა და რწმენის ნიშანია.

წესის აგებისას დასაშვებია წმინდა ნინოს ჯვარიც, რადგანაც იგი მზის სხივთა სიმბოლიკითაა შეკრული:

თმა, ვაზი, ყურძენი, ღვინო — მზის ძალას მეინოვენ...

დგება ფიზიკური განშორების დღეც.

რაც უფრო თავდაჯერილი იქნება ქელეხი, მით უფრო წაადგება მიცვალებულის სულს.

სასაფლაო სადა და ორიგინალური უნდა იყოს. ნაკლები დანახარჯებით. სულერთია, დრო მიდის, სასაფლაო ბაღად გადაიქცევა (უკეთეს შემთხვევაში).

ადრესატის გაფეციმება ცოდვაა!

სული, კოსმიური კანონით, 40 დღის შემდეგ გადადის მარადისობაში.

სული დამოუკიდებელი სუბსტანციაა, რომელიც მომაკვდავის პირიდან ამოდის და დამოუკიდებლ არსებობას განაგრძობს. შეიძლებს სხვა სხეულშიც ჩასახლდეს.

სულს, როგორც

* * *

გუთნის დედიდან — დედას პურამდე;
ეზის ცრემლიდან — ბაყბაყ-ჭურამდე:
კაცის პირიდან — კაცის ყურამდე;
გულით — გულამდე,
სულით — სულამდე!
კაცით-კაცამდე — აი, მანძილი —
განწირულთთვის — თავის გაწირვის,
თავით-თავამდე თავის დადების —
სტრიქონებს შუა ხიდის გადების —
აზრი სიცოცხლის თუ დაბადების
და აზრი... გულზე ხელის დადების!

* * *

წამლეკეს წიგნებმა, ჟურნალებმა, გაზეთებმა —
მითქმებმა, მოთქმებმა, ისეთებმა — ასეთებმა —
ჭორმა თუ სინამდვილემ, ტყუილმა თუ მართალმა —
ცხოვრების, წადილმა და ცნობის მადამ!

* * *

ცხოვრება დიდი გამოცანაა.
— რა ელის კაცს?
— დიდი გამოცდა!
ეს არის ქაოსი ამ სააქაოსი,
რაიც მე ლექსებად წამომცდა!

* * *

ბებიაქალის ფაფუკი ხელიდან —
მესაფლავის იმ დაკოჟრილ ხელამდე!
ხელიდან — ხელში!
აი, ცხოვრების თავი და ბოლო...
თეთრ ნატერის ხეშიც... სიცოცხლე ხვნეშის!

* * *

სიბერეში კაცს ენაზე დასაჭერი კბილიც აღარა აქვს და რაც პირზე მოადგება, ენაზე აღარ უჩერდება!

* * *

რა სდევს მუცელ-ქორობას — სიტყვით ჟონგლიორობას?... ვინც ნახავს ამ დაიჯესტს — კაი ჩიტსაც დაიჭერს.

ცხელ-ცხელ ამბებს ვაცხობდი — ან ნავნყმდი და ან ვცხონდი... ამ ქვეყნით — იმ ქვეყანას...

კალამი დამელალა!

---

*ვ. დალი: სიკვდილი დღესაა საშინელება. თორემ როდესმე... არა უშავს.*

*არკადი დავიდოვიჩი: სიკვდილი? ესე იგი, როცა აღარ ვიქნებით... ეს ხომ უკვე იყო?*

* * *

სდუმს საფლავის ყველა ქვა და ლოდია –
„ყველა კითხვა... საპასუხო როდია?“ (ინგლ.)

* * *

კალამს შამფურივით ვატრიალებ და ამბებს შაურმასავით ვათლი. ნელ ცეცხლზე ინვის ჩვენი ცხოვრება... თავის ცოდვით და მადლით!

* * *

ყველას თავისი „ოქროს“ მერანი — იტანს წერა და ბედისწერანი... სისხლის დენა და ნთხევა მელანის — გულით მზერა და სულში მზერანი.

ასეთი არის ბედი — მწერალი!...

* * *

სხვაში ეცი შენს თავს პატივი და თუ გინდა, წერო მისთვის... წერე შენთვის!

* * *

ვარ სიმართლის პროტექტორი –
მაქვს სიცრუის დეტექტორი –
მე ჭინჭრაქას „ქოსიკო“ ვარ –
ჭორთან – ჭორი, სწორთან – სწორი!

* * *

ზოგიერთი სიტყვის „ხელის ხლება“ ანუ გადატან-გადმოტანა არ შეიძლება, რადგან, ასე ვთქვათ, „არატრანსპორტაბელურია“! ერთხელ, სიტყვა „განვითარება“ გადავიტანეთ გვერდიდან — გვერდზე და ამ გადატან-გადმოტანაში „თა“ გამოგვრჩა! ამით კი „დიალექტიკური მატერიალიზმი“ ყირამალა დავაყენეთ და წინასწარმეტყველურად ნამომცდა ფრაზა — „სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ“ გან-ვირების გზაზე!“ ვავა კონტრრევოლუციას და ვივა რევოლუციას! — კინაღამ დაგვხსნეს ყველა და ყველას სასტიკი საყვედური გამოგვიცხადეს უკანასკნელი ... მოფერებით!

ეს როგორ გაგეპარათო?...

მოკლედ, ასეთ გაპარვებს ჩვეულებრივზე უფრო ცუდი სუნი უდიოდა.

კომუნისტები ფრთხილი თუ მფრთხალი ხალხი იყო და მათმა რევოლუციურმა სიფხიზლემ ცუდი „პახმელია“ იცოდა!

ჩვენი ჟურნალისტობის დროს, მაგალითად, არ შეიძლებოდა პროლეტარიატის ბელადების სახელების გადატანა! მოკლედ, ძნელი გადა-სატანები

ბუნებრივ ძალას, შეეძლოს, დედამიწაზე დარჩეს, ან ზეცაში ამაღლდეს.

სული მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა.

ძველი ჩინელების რწმენით, ყოველ ადამიანს აქვს ათამდე სული, რომელთაგან ერთი სხეულშია და მის მიწიერებაზე ზრუნავს, მეორე კი სივრცეშია. ეს სულიერი ძალა, სიკვდილის შემდეგ ერთიანდება და, ან ცაში ამაღლდება, ან მიწაში ჩაყვება სხეულს.

ადამიანს ათივე სული თუ აქვს, ჯანმრთელია. თუ ნაკლები აქვს, სნეულია. თუ არცერთი არა აქვს, კვდება.

რა ბედი ელის ადამიანს გარდაცვალების შემდეგ?

იმქვეყნიური სამყარო, ანუ ქვესკნელი სამი მარადიული თავშესაფრისაგან შედგება: ჯოჯოხეთი, სალხინებელი და სამოთხე.

თუმცა:

ჯოჯოხეთში მოხვედრილ სულებს უფლება აქვს გაიწმინდონ, მოინანიონ შეცოდებანი და სალხინებელში გადასახლდნენ.

ჯოჯოხეთი, უფლისა და სარწმუ-

იყვნენ! (ხედავთ, რა სიტყვებია მარტო ამ ერთ, „ვითომც აქ არაფერ" სიტყვაში ჩასაფრებული?! — „გადები" და „სატანები"!)

მოკლედ და... ბუნდოვნად! — ნამდვილად ცეცხლსაშიშია ეს დალოცვილი ქართული და ერთი ასო რომ შეგეშალოს კაცს (მით უფრო, ქალს), ისეთი სიტყვა შეგრჩება კაცს (მით უფრო, ქალს) ხელში, რომ თვითონ დაემსგავსები იმ ასოს!

მაგალითად, ზოგიერთი სიტყვის შემოკლებაც... სახიფათოა! ვთქვათ: „პრ" შეიძლება პროფესორიც იყოს, პრეზიდენტიც და პრ...ოვოკატორიც (თუ, უფრო უარესიც არა!)

* * *

წიგნიერებიდან – უწიგნურობამდე,
ინკუნაბულიდან – თვით ინტერნეტამდე,
დღემდე უხილავი ხედების ხედვამდე,
ამ მეტის-მეტიდან, იმ რეტის-რეტამდე...
მოეა დრო გვიან თუ –
ადრე თუ... მეტადრე!
ცოდვისა და მადლის
გავარჩევთ ჩვენ ყადრებს!
და კადრებს!...
ეწუხვარ ძალიან!
ძველი ვალები არ უნდა დაეუტოვოთ
ახალ თაობებს...
თორემ, სხვა მხრივ, გაუხარიათ –
საქართველო კი არაა მათ ვალში!...
ისინი (ისედაც) ყველგან და ყოველთვის –
საქართველოს ვალში არიან!

## *მცირე რეპორტაჟი... ეპატაჟიდან!*

რეპორტაჟი გვიწვევია, თუნდაც, სახრჩობელიდან –
შავით თეთრზე გვიწერია – ელიტა თუ ბნელიტა!
ეპატაჟი პატიჟია სიგიჟის სამყაროში,
სად ჭკუა და სად გონება... ყრია სადღაც, ხაროში..
ახლანდელი რევერანსი – ფურთხება-პერფორმანსი –
თავის ცხად თუ სიზმრიან –
სულ სხვა „რიგორიზმია"
მარქსიზმ-ლენინიზმიან...
სულით-ხორც თუ სქიზმიან...
მაინც, რა და რიზმია"...
დადაიზმის „იზმია"!

---

*ემილ კროტკი: სიცოცხლე და სიკვდილი ხელიხელჩაკიდებულები დადიან, მაგრამ არაფერი იციან ერთმანეთზე!*

* * *

რის წყობილება — რა წყობილება?
მთავარი არის განწყობილება!
რომ...

დილასთან ერთად ადგე და ღამესთან ერთად დაწვე; მზესთან ერთად იცინო და წვიმასთან ერთად იტირო; ქართან ერთად ამოვარდე და ნიავთან ერთად ჩადგე; ელვასთან ერთად გავარდე და მეხთან ერთად იქუხო; გემღერებოდეს და მთები ბანს გეუბნებოდნენ; გაფრენა გინდოდეს და ლექსად აფრინდე; მიწაზე ფეხი გედგას და ცაზე ხელი გეკიდოს; ცა ქუდად გქონდეს და დედამიწა — ქალამნად; გაიქცე და არ წაიქცე; გწყუროდეს და 9 წყარო გადაგესხას; შეიცნო თავი და გიყვარდეს სხვაში; მიწიერს გლოცავდნენ... ცაშიც და ზღვაშიც; არჩევდე ავ-კარგს, ბოროტს და კეთილს — აკეთე სიკეთე — გფარავდეს ღმერთი!

* * *

თბილისის მერი, მხატვარი ოთარ ლითანიშვილი ზეპირი მოთხრობების დიდოსტატი იყო. ერთხელ, თურმე, კრემლის საავადმყოფოში იწვა და სთხოვეს სამთავრობო კედლის გაზეთის გამოცემა, რომლის სლოგანად მოიფიქრა კომუნისტების შესაფერი მაიაკოვსკისებური ლოზუნგი: „საბჭოთა ავადმყოფი ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფია მსოფლიოში!"

ერთხელ, ასეთი უტირაჟო მოთხრობა მიუძღვნა სახელმწიფო ობლიგაციების ტირაჟის გათამაშებას: „ს.მ. კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში საბჭოთა პენსიონერი ზურგიან სკამს მიყრდნობია და ათვალიერებს შრიფტშეუმშრალი გაზეთის ახალ ნომერს, რომელშიც გამოქვეყნებულია 1952 წლის სახელმწიფო ლატარიის გათამაშების ტირაჟის ცხრილი! ათვალიერებს და ღიმილი ერევა. ამ დროს მას მიუახლოვდა მეორე მოქალაქე და ჰკითხა:

მეგობარო, ხომ არაფერი მოიგეთო?

პირველმა მოქალაქემ მეორე მოქალაქეს კიდევ უფრო ცერად ახედა და ალმაცერად უპასუხა:

— დედის მათის... ასე და ისე... ესენი რამეს მოგაგებინებენო!

* * *

შეხვედრა — მიყვარდა, გაცილება — არა: შეხვედრის სიხარულისა და განშორების სევდის გამო.

ნოების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის ცოდვილთა სულების საწამებელი, ანუ სასჯელის მოსახდელი ადგილია.

მიცვალებულთა სულების პირველი გამოცდა ბეწვის ხიდის გადავლაა. ხიდის ქვეშ მდუღარე კუპრის მდინარე მიედინება. ცოდვილი ხიდს გადაივლის და სალხინობელში მიხვდება.

სალხინობელი შუალედური სამყოფელია. აქ მიწიერი ცოდვებისაგან უნდა განთავისუფლდეს მიცვალებული.

სალხინობელში ყოფნის ვადის შემოკლება ქირისუფალზეა დამოკიდებული. მათი სათნო ცხოვრება, ლოცვა, მსხვერპლის შეწირვა, ხსოვნა, დიდად ეხმარება საქირისუფლო ცოდვებისაგან განწმენდას.

სამოთხე ედემია, ნეტართა, განწმენდილთა, უცოდველთა სიკვდილის შემდგომი მარადიული საუფლოა.

და, ბოლოს, თვითმკვლელობა.

ქრისტიანული რელიგია უარყოფს თვითმკვლელობას!

კაცმა რომ თქვას,

* * *

ეს ჩემი რეპორტაჟია ჩემი საკუთარი ტრილიონნნევრიანი „მეურნეობიდან", რომელსაც ჰქვია გიზო ნიშნიანიძე — თავისი ფიქრით თუ საზრუნავით, განცდით თუ განძით; გონებითა თუ ქონებით; სულით და გულით; თვალით და ყურით; დედით და ნულით...

ყველა და პური — კეთილი გული! აი, საქართველოს მენიუ (შენიუ თუ ჩვენიუ!) — მზე, ღიმილი, ქოთნის ლობიო; ცხელი მჭადი (შუაში დედის თითის ანაბეჭდით!) და ჭყინტი ყველი!

მახსოვს, ბებიაჩემს რომ მივუძუძგურდებოდი ბუხართან ყველის ამოყვანის დროს და დოს (მარილი აკლდა თუ არა) პირში რომ მატენიდა!... იმის გემოს ვერ ვიცილებ პირიდან!..

მომიტეხე მჭადი — მოგიტეხავ ყველსე —

ზესტაფონელი ხარ შენცე და მეცე!

იქ დავამხეცე ეს სიმღერა — ღერა-ღერა, როგორც ჯერ არს... იმ ნარსულის — ამ ნკვარამში, როგორ ღელავს... როგორ ელავს!

ჩვენი დროის ეშხით, როგორც ბარძიმ-ფეშხუმს, ისე ნამალივით ვინახავ იმ ნარსულის ამ ქონებას, ვით სამოთხის მოგონებას.

იმხნელების გიტარა და ჯანო ბაგრატიონისა თუ ნინო რამიშვილის ცეკვის ცეცხლით დამნვრობის სიამტკბილობა... სხვა, რაღა არის ეს სამოთხე?!

* * *

შურიანობა — შარიანობა! — თითქმის ერთია.
რომ ბოროტებას დღე — ეღამა, ღამე — ეთია!

### *დამისხი, დამალევინე!*

იმდენი ვთხოვეთ ჩვენს გამჩენს
(გაპიპინებულ ფიალით).
რომ მართლაც „წაღმა" გვიჩვენა...
სოფლის უკუღმა ტრიალი!

* * *

ღარიბები ჩურჩულით ,ყვირიან:—
„სხვისი ჭირი ღობეს ჩხირია!"
სხვისი ჭირი — ვისთვის ლხინია.
„მდიდრები არა ტირიან!"

---

*ლარომფუკო: მზესა და სიკვდილს თვალს ვერ გაუსწორებ.*

*იუვენალი: სამარცხვინოა, არსებობისათვის დაკარგო სიცოცხლის აზრი!*

*პიერ დაკი: სიზმარი იმისთვისაა მოგონილი, რომ ძილშიც არ მოვიწყინოთ.*

* * *

გიგა ლორთქიფანიძე და მე ერთ, ე.წ. „შტრაფნიკების" მე-8 ვაჟთა სკოლაში ვსწავლობდით და ჩვენი კლასის დამრიგებელი ლეონტი ლაბარტყავა იყო.

ერთხელ, ბატონმა ლეონტიმ შენიშვნა მისცა გიგას: რასაა, ამდენს რომ ლაპარაკობ მანდო?

— მერე გეტყვი, მასწ! — მიუგდო სიტყვა გიგამ და გააგრძელა.

კლასის დამრიგებელი კინაღამ გაგიჟდა!

...ახლახან მისი მეუღლის ქეთევან კიკნაძის (თუთაშხიას „ბეჩუნის") გამოსვლა მოვისმინე ტელევიზიით და პიესის ერთ ეპიზოდზე მაგრა ვიხალისე: მარჯანიშვილის ერთ-ერთ სპექტაკლში რაღაც ქეიფის სცენა ყოფილა. სიცივის გამო, მსახიობები, თურმე, ნამდვილ არაყს სვამდნენ. დარბაზში სულ 6-7 კინკილა კაცი მჯდარა. მსახიობებს შეცოდებიათ მაყურებლები და უთქვამთ, რას იყინებით მანდ, ამოდით სცენაზე და ვიქეიფოთო! ჰოდა, კაი დროც უტარებიათ!

როგორია?

აი, ამას ჰქვია ნამდვილი სოციალისტური რეალიზმი!

...ერთი, მოგონილი თუ ნამდვილი ამბავიც მახსენდება!

კახეთში, თურმე, გეორგიევსკის ტრაქტატზე პიესა დაუდგამთ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში, მეფე ერეკლეს როლის თუ გარსევან ჭავჭავაძის როლის შემსრულებელს, თავი მოუკლავს და ტრაქტატისთვის ხელი... არ მოუწერია!

როგორია?

ძლივს გამოუყვანიათ სცენიდან... და როლიდან!

* * *

მე არაფერს არ ვიგონებ, რასაც ვფიქრობ, ვწერ.

იმას, ყურით რაც მესმის და რასაც თვალით ვმზერ!

ესაა რეპორტაჟი ტვინის ხუჭუჭებიდან — თითით გამოწოვილი — თავზე დადგმულ რქებიდან: ძლომაშეურაცხადი უძლები შვილებიდან — უწყვეტი ნაწყვეტები... ძველ ქება-დიდებიდან!

* * *

როს ნიავი იძერის და ჩურჩულებენ ხე-ტყენი...
არაფერი არაა სიჩუმეზე მეტყველი.
სიბერეზე უტყვი და სიჩუმეზე მეტყველი —
როს ნიავი არ იძერის... გასუსულან ხე-ტყენი.

მართალია ლაპორნყენი:

თუმცა თავდებს ამით ნავლებს.

სიკვდილს სჯობია, თუნდაც ნამება.

დიდი შოთა რუსთაველი კი შეგვაგონებს:

„სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?

რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა!"

...თუ შენი თავი გახლავს — მარტო არა ხარ.

ობლად ჩათვალე თავი, როცა სულით დაობლდე...

განკითხვის ჟამი დაგიდგება, როს გაღმა გახვალ —

შენმა სიკეთემ მიგაცილოს სასაფლაომდე!"

გაზ. „სიყვარული და ცრემლი" (2000, 33)

**P.S.** ახლა ზოგი ჩვენიც ვთქვათ!

ანუ ავტორის მინაწერი:

„ყოფნა-არყოფნა... საკითხავი აი, ეს არი" —

„შექსპირს მაქარი" — ეს არს მისი დანაკვნესარი.

სააქ-იქარი ერთად-ერთი ნაყვერის ხეც არი —

ერთიც, მეორეც — ჯოჯოხეთიც... სამოთხეც არი!

### *დიდუბის პანთეონის დირექტორს ცოცხალ ძეგლსა და მინადარს — ბადრი ქუთათელაძეს!*

ქუთათელაძეს... ქუთუთოზე არ ეთხოვ მე ცრემლსა,
ოღონდ მიმიღოს, მიპატრონოს ჯამაათ-მრევლსა...
ოღონდაც ბადრი გამებადროს ძველი ძმობითა,
მის მკედარ-ცოცხალ თუ ცოცხალ-მკედრებში მეგობრობითა!
დიდუბის უბე — ცხენის ტერფი დამიტევს მეცა —
ამ ცხოვრებაში ყველა თავის კალოსა ლეწავს —
თავზე დამაძხე ვარსკვლავებით თბილისის ზეცა!
აი, ესაა ოცნება ჩემი:
წამსვლელ-დამრჩენიც — აქ ყველანი თბილისში ერჩებით!
მე აქაური კამპანია ძალიან მომწონს:
აქ ყველას ვიცნობ — ჭირისუფალს თუ გვერდში მომწოლს!
აქ იეთიმ გურჯიც განისვენებს ლექსის ამქარით,
დედაქალაქის შნო და ეშხი — ყველა აქ არი!
სასაფლაოსაც არ დავარქმევ მე დიდუბესა —
გედის სიმღერას, დედის უბეს, ცრემლის გუბესა.
განა, რა მკედარი უნდა ვიყო, ჩემო ამიგო!
შენ ჩემს საფლავზე მოხვიდე და... მე ვერ გავიგო!
დამადგი ფეხი და შენ იგრძნობ, რაც მეწერება,
როცა გაიგებ ამ დუმილის მჭევრმეტყველებას!!!
დიდუბის სახელს ვერ დავარქმევ მე სასაფლაოს —
ღვიძლი შეილივით ვეახლები მამა საბაოთს!

* * *

ასეთი არის ქართველთა „რთველი" და სულისკვეთება —
რომ ქართველის ბედი... უბედო — უაზროდ დაეხეტება.
ღმერთმა ინებოს — ჯოჯოხეთს რომ გაეღვიძოს ედემად —
ალიონს ცეცხლი ედება და დიდი ღამე თენდება!

* * *

ბაირონი: დემოკრატია თავზე ხელაღებულთა არისტოკრატიაა!
P.S.ასე, რომ ჯერ თავი უნდა გქონდეს, რომ მერე თავზე ხელი აიღო!

* * *

აკაკი რომ ამბობდა, ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოო!.. სანყენად კი არ უთქვამს, თურმე, ე.ნ. პერფორმანსის სათამაშოდ გვინვევდა!

---

*კორეული: კაცმა 2 გროში იშოვა და ორივე დახარჯა! (რის კორეელი?... ქართველი ყოფილა!)*

*სოლონი: სიკვდილამდე ვერ იტყვი, კაცი ბედნიერიაო.*

*ყირგიზული: 3 დღე თუ წიგნი არ წაგიკითხავს... შენს სიტყვას ემხი აკლდება.*

* * *

ჰემინგუეი: მეტწილად, კაცი რამდენადაც უფრო მდიდრდება, იმდენად უფრო უძნელდება ქველმოქმედება.

* * *

„...რასაცა გასცემ – შენია,
რაც არა – დაკარგულია!“
ყველაზე კარგი საუნჯე – უხვის უშურო გულია!
გული, რომელიც სხვისათვის ძგერს
„და სხვა“ სხვად არ ეგულება –
ასეთი არის, ღვთის ნებით –
ღმერთიერი კაცის ბუნება!

* * *

ქალის – კაცობა, კაცის – ქალობა...
ანუ ტრანსი – ტრანსსექსუალობა!
ასეთი არის დროის დაკვეთა –
ასოწარკვეთის – სასოწარკვეთა!

* * *

ო, რამდენი ლექსი ვჯღაბნე –
ეთოვე და ფანტელს რითმად ვაბნევ...
მჯობნის-მჯობნმა მჯაბნა-ვჯაბნე –
ლექსით ვწამლობ და ვიწამლე!

* * *

წუხელი ისე ვბორგავდი –
ჭკუაზე შეშლილს მოვგავდი –
რადგან ღვთის ნებით მოხველო –
„ლექსო, ამოგთქომ, ოხერო!“

* * *

მახლას!
კაცი ხარ ახლაც.
თუ თავი გახლავს –
გული გაქვს სახლად!

* * *

როცა დანა პირს ვერ გიხსნის,
კალამია ხსნა გულთმისნის.
ვლექსავ-ვლექსავ ხანჯალივით –
და თოფივით ქუხს და ისვრის!

ვახტანგ გოგუაძე (სასადილო-პაროდ-ული კავშირის მთა-ვარი ლიდერი):

კოსმოსში გაფრე-ნა მინდა. იქნებ, წესიერი ხალხი სხვა გალაქტიკაში მაინც ვნახო.

ალია“ (2000).

გიორგი გაჩე-ჩილაძე ეროვნული თანხმობის დარბა-ზის ყოფილი თავმჯ-დომარე პროფე-სორი:

ნაპოლეონმა შენი-შნა: ხიშტები კარ-გია ხელისუფლების მოსაპოვებლად, მა-გრამ ცუდია ზედ დასაჯდომად“. ახ-ლაც: მედროვეები – კარგია ხელისუფლებ-ის მოსაპოვებლად, მაგრამ ცუდია ქვეყ-ნის მართვის დრო-ოს...

კვირის პალი-ტრა“ (2000).

ფილიპ ჯიხი მო-მღერალი:

მე ცისფერი ვარ და ბედნიერიც გახ-ლავართ ამ ჩემი არასწორი სექსუ-ალური ორიენტაცი-ის“ და ცხოვრების ახალი სტილის გა-მო. მე მემაძლოა, თამამად განვაცხა-

## მედიტაცია

ღმერთმა ინებოს — გადამყაროს რამ საოცნებოს!
უდროო დრო ხომ (ლექსისათვის) არც კი არსებობს.
თუ გული გულობს, შეამჩნიე თვალში ბეწვიო —
მას, საცა უნდა, როცა უნდა, მაშინ მეწვევის!
ჰოდა, ამიტომ გულის კარებს სულ ღიას ეტოვებ.
უკეთესს სულში რას დაეძებ — ანდა რას ჰპოვებ?
ლექსია ღმერთთან საღვთო ენით გასაუბრება
და ღვთის წყალობით ენიჭება პოეტს უკვლება...
გაფრინდეს ცაში — საიგავოს და საარაკოს,
რომ ერთი-ერთზე უზენაესს ელაპარაკოს!
...ჩემი მიღების საათები მუზას აქვს სისხამ,
ჩემი ნატვრის ხე სამოთხის ვაშლს სისხამზე ისხამს.
და, ალიონი არის ჩვენი დრო პაემანის —
ლექსად აშლის და დალაგების — ანის და ბანის...
ჩიტუნებივით მოფრინავენ ასო-ნიშნები
და ასოების სასოებით (ღვთის მინიშნებით), —
სიტყვა-ღმერთებად იქცევიან ხმანი სამოთხის —
ლექსი აგაფრენს, დაგმარხავს და სულსაც ამოგხდის
და ეს იქნება ღვთის ნება და ღვთის მოწყალება!
და არ არსებობს უკეთესი გარდაცვალება —
თუკი ლექსებში გააგრძელებ სიცოცხლეს შენსას,
რადგანაც ლექსი — მელექსისა — სახელსაც მწყემსავს!

## თბილისის თილისმა

სულ სხვა არის თბილისური სიფათი და მარიფათი. რა გარჩევა არის ერის — სიმდიდრით თუ ღარიბადით... სანთელივით აღენთოს და გობით ძმობის ბარაქათი — სიყვარული აღმერთოს და ზიზღს გაართვას არაქათი —

აი, ვის ვთვლი თბილისელად, თბილისელსა კი — ქართველად... ერი უნდა ღირდეს კაცად, კაცი უნდა ღირდეს ერად!

განა, მარტო მაი-სიო, ივნი-სიო, ივლი-სიო?!... სულის მოსაბრუნებელი — თბილისია — თბილი-სიო!

დედა ჰქვია — ქალაქია, უნახავის მნახველია — „სიხარულის სახლი" ჰქვია — ეს ამ სახლის სახელია!

ალალმართლის მონაა და სილამაზის მსახურია — ბოროტისგან შორაა და მზე და მთვარე ახურია!

თბილი-სია მათი სია, ვინც თბილისთან დედაშვილობს. სადაც მონმედ ეს ლექსია — ხელმოკლეც კი ხელგაშლილობს.

თბილი-სია, ვინაც მის ხატს სახატეზე ახატია, ვინაც ენით აუწერი და სახატე ნახატია.

თბილი-სია, ვინაც გულით გულის ფიცარს აწერია — ვისი სიტყვაც და პასუხიც ალალ სისხლით ნაწერია!

* * *

თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ ყოველი გასაგებია,
ჩემი კალამი, ჩემი დროის გასაღებია!

* * *

...მათემატიკ-ოსი, ფიზიკ-ოსი, ქიმიკ-ოსი, ჰა-ოსი, ქართლ-ოსი, თარგამ-ოსი, პოლიტიკ-ოსი, პრომეთე-ოსი... მოკლედ, დავ-ოსდით, რა! ოსების ყოფილა ეს ქვეყანა (რას ვერჩით კოკოითს?!)

* * *

მთანმინდაზე არასატანიც რომ აიტანონ — აუტანლადაც... ყველას მაინც ვერ აიტანს!

* * *

ტანჯვას უნდა აგანა,
ძმობას უნდა გაგანა –
მუნჯის ენა დედამ იცის –
ფუნჯის ენა – მხატვარმა!
კალმის ძალა სიტყვაშია –
ხმალიერთ ალესილში –
უშველის ვექსილში თუ
ლექსებით გალექსილში!

* * *

ილია:
„ჩვენი ამბავი, ახლა მართალი –
გლაპრად მიუვა ჩვენს შეილიშვილებს.“
არ გავეუცხოვოთ შვილებს ლადარი –
აწმყო – მომავალს ვერ შეგვეშინებს!

* * *

კედლის საათი გაგვიჩერდა 17 საათსა და 50 წუთზე და დღეში ერთხელ (17 საათსა და 50 წუთზე) ზუსტ დროს უჩვენებს! ესეც საქმეა!

* * *

კაცი-თბილისი — ოთარ ლითანიშვილი, კაცი-„თბილისო“ — რეზო ლაღიძე და კაცი-მუსიკა — ვახტანგ ფალიაშვილი... პურს ჭამდნენ.

ვახტანგ ფალიაშვილმა უთხრა რეზო ლაღიძეს: აბა, ეს საქმეა? ფალიაშვილი მე ვარ და მუსიკებს შენ წერო! რეზო ლაღიძემ უპასუხა: აბა, ისაა საქმე, რომ ლაღიძე მე ვარ და ლიმონათს შენა სვამო?!

ამ „სიბრძნე-სიცრუისას“ და მოსწრებულ სიტყვას ის გაიგებს, ვინც ზაქარია ფალიაშვილისა და მიტროფანე ლაღიძის დროს მოესწრო. ჩვენი დროის

დო, რომ ჩემი ყვე-ლაზე სანუკვარი მისწრაფებანი... სავსებით დაკმა-ყოფილებულია!

ასე ამბობს ეს კე-თილ...შობილი და თავსა თუ ცრ...ზე ხელაღებული კაცი თუ ქალი.

(ვახ, დრონი დრონი!”).

დრონი” (2000)

<u>ლევან ბერძენიშ-ვილი ყოფილა პარ-ლამენტარი:</u>

არ შეიძლება მთაწმინდის პან-თეონის, მუზეუმებ-ის და სხვათა რამეე-ბის იჯარით გაცემა. მეგონა, რომ ეს იოლად გასაგები იყო ყველასათვის. სამ-წუხაროდ, ჩვენი ხე-ლისუფლებისათვის ეს გაუგებარი აღ-მოჩნდა.

ახალი თაობა”, (2005).

<u>ავთანდილ მარგი-ანი (საზოგადოე-ბრივ-პოლიტიკური გაერთიანების „ერ-თიანი საქართვე-ლოს“ ლიდერი):</u>

ახალი ციკლის მა-ფიოზური წყობი-ლებაა ქვეყანაში. რუსები ამაზე იტყვი-ან — „პროკურორი არის ტაიგა, ხოლო კანონი — დათვი”! სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ხალ-

თბილისელებს კი მიხვრა-მოხვრაზე და სიტყვა-პასუხზეც ცნობდა კაცი!

რა საქმეს უნდა შესწრებოდი ისეთს, რომ სუფრაზე დაგეგვიანა და შემოსწრებულის სადღეგრძელო დაელიათ. ან, პირიქით, სუფრიდან ამდგარიყავი და წასულიყავი...

რეზო კი ამდგარა და ბოდიში მოუხდია — საქმეზე ვერ წასასვლელიო.

ლითანაც ამდგარა და უთქვამს:

— კარგი, რა, რეზო, სადღა გეჩქარება, „თბილისო" ხომ უკვე დაწერილი გაქვსო!...

ეჰ, „სად არის სხვაგან ასეთი თბილისი"?

* * *

მიედიეარ და მივშლიგინობ, ტყაეში ველარ ვეტეეი,
გალლა სჯობსო...
საცა არ სჯობს — სწორედ იქ ეეკეეტები.
მკითხველო (არგანმკითხველო!)
ბედნიერი ეიქნები,
თუ სიკეთეს მოგიტანენ ჩემი „ენციკლიკები"!
ანუ ჩემი ნაფიქრალი, ჩემი გამონატანჯი —
ანუ დედალი ტყუილის — მამალ სიმართლით დასჯის!

## მეთრე ვარიანტი!

ორშაბა-თია, სამშაბა-თია, ოთხშაბა-თია, ხუთშაბა-თია...
პარასკევისა და კვირის გარდა — სულ შაბა-თია და ეუთეე „თეას"!
...თეა თუა, თეა თუა — ია უა, ია უა —
ეაი-ეაიჭკუისაგან გვჭირს — უჭკუობაც ჭკუა თუა.
P.S.კაი საღლაბუცო თემაა!

* * *

თუმც, დიდია კაცთა ცდუნება —
მომბეზრდა მე ამ ქვეყნის ყურება.
სხვა უკეთესიც არ მეგულება —
ჩემი აქ ყოფნის დრო იწურება.
წამსელელები კი მწარედ ტირიან...
რადგანაც სული... მაინც ტკბილია!

## შვილიშვილებს

ჩემო შვილო, შვილიშვილო!
(შიგადაშიგ, ვირიშვილო!)
აბა, თქვენზე უკეთესი
ვინ ვიშვილ-ვიშვილიშვილო?
ჩემი ბუდის ჩემო მართვევ,
ფულს რომ მთხოვთ და სულს რომ მართმევთ,
გახსოვდეთ, რომ ბაბუასი —
ფულზე მეტი — ჭკუა გმართებთ!

* * *

ორი კურდღლის მადევარი
არც ლომია, არც მელია —
ძნელი გასაკეთებელი და —
ადვილი სათქმელია!

## *ნოსტალგია!*

თუმც, გავიდა წლები და...
ჟრუანტელად მივლისო —
ის ლაღიძის წყლები და
იმ ლაღიძის „თბილისო“!
და, ვინ „მთაყოჩარა“?
ნეტა, ვინ გაიმეტა? —
ლაღიძის წყლებს, რომ არა...
უკეთესს რას ხსნის, ნეტავ?
წერია „ქირავდება“...
ის თბილისი თავდება!

* * *

სხაპასხუპით ლაპარაკი
იმის ინდიკატორია,
რომ სიცრუე — სიმართლისა...
უტყუარი ავტორია!

* * *

ხელჩაქნეულთა დემაგოგია! —
ნარკოლოგიის ნეკროლოგია! —
წამალიაო მჯობნზე-მჯობნია —
იჩხირავე, თურმე, ბიჭო გოგია!

* * *

ყველასათვის რომ ერთია კანონი!
ამის ცნობა არ სურს ყველა ანონიმს.
ქვეცნობიერს — იმ ჩვენს რიარიარიზმს —
ზერეალიზმს, ანუ სიურეალიზმს...
ვუწოდებთ!

* * *

კომუნისტების დროში ბევრჯერ მიფიქრია და გამივლია გულში, რომ საცოდაობაა, კაცი ერთხელ იბადებოდეს და ისიც... საბჭოთა კავშირში!

თუმცა...

არც ის ქვეყანაა ცოცხალი, რომელსაც გოდერძი ჩოხელისთანა კაცი შიმშილით მოუკვდება!

ხი შიმშილისგან გმინავს, ხოლო ხელისუფლება ნაქეიფარია, ოხშივარი ასდის და ქშინავს.

[illegible]

<u>დოდო ჩუბინაძე:</u>

აცახცახებულ მაყურებლის, რომელიც ტელე-ეკრანს მიჯაჭვოდა და ტალღებად ათამაშებულ საბანს თვალს არ აშორებდა, პირველად მაშინ გადაასხეს ცივი წყალი, როცა აჟრიჟინებული საწოლიდან თავი... ბიჭებმა ამოყვეს, ხოლო ხალხს გაოცებისგან ყბა ხელ მოლად ჩამოუვარდა, სახტად დარჩენილი ერთ-ერთი „ბარელი“ გოგონას კომენტარი რომ მოისმინა — აე. თქვენ ცისფერები თუ იყავით, ვერ გვითხარით?

გაოცება ვერ დამალა კურიერის მშვენიერმა წამყვანმა ნათია ლაზაშვილმაც, რომელმაც „ბარი“ პირდაპირ ეთერში ჩართო. მაგრამ ლოგინში ჩაწვებულ ბიჭუნებს თვალი მოასწრო თუ არა, ლამის შეჰკივლა, — ვაიმე, მანდ რა ხდებაო?

ტუალეტში რა უნდა ტელეკამერებს, რას მერებით, ხალხო?!

* * *

ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითაო! — ვაჟამ.

ზაურ ბოლქვაძეც ძალიან გაუშინაურდა სიკვდილს:

მე პოეტი ვარ, მიწა ვარ, ცა ვარ,
მე პოეტი ვარ, სივრცე ვარ, დრო ვარ,
მომენატრება სიკვდილი — წავალ,
მომენატრება სიცოცხლე — მოვალ!

მარტო ეს სტროფი ეყოფა ნებისმიერ პოეტს სახელად.

სიკვდილის როგორ უნდა შეეშინდეს კაცს, მით უმეტეს, პოეტს, რომელიც სულ ოცნებაშია — ხან მიწაშია, ხან ცაშია და აკაკის გენიალური ნაკვესისა თუ ნაკვნესის არ იყოს, სულ „გარემოების საყვირს" უბერავს!

ჩემი ტოლები, ახლა, იქეთ მეტია, ვიდრე აქეთ.

ამ დილაადრიან, ახალგაღვიძებულზე, ცოლმა მკითხა: შუაღამეს, ძილში, რა გაცინებდაო.

წუხელ 44 წლის ძმაკაცი — ოთარა მგელაძე დამესიზმრა — როგორ დაბერებულხარო! თვითონ 39 წლისა აითესა ამ ცოდვილი ქვეყნიდან და საააქაოში ჩვენს საცოდაობას საიქიოდან უყურებს.

ფიჭური კავშირგაბმულობით ასე ცალმხრივი კავშირი საიქიოსთან... სააქაოსაც კი აქვს და ვინ იცის, კიდევ რა სასწაულებს გვპირდება წუთისოფელი!

სიტყვა — ღმერთიაო, თქვა სახარებამ (მისმა გახარებამ), იქნებ სიტყვა „სიკვ-დილის" დილა-საღამოობასა და ერთხელ და სამუდამოდ გაუთენებელ-დაუღამებლობაშიც გაგვარკვიოს ამ დაწყევლილმა თუ დალოცვილმა!

სიკვდილი სიცოცხლის ბოლო საიდუმლოა და იქნებ მთელი საიდუმლოც ის არის, რომ სიკვდილმა — თავის „სამოთხით" სულ არ შეგვაძულოს სიცოცხლე — თავის „ჯოჯოხეთით", რის გამოც უკვე იტყვიანხოლმე: წამსვლელი ბევრი გვინახავს, დამბრუნებელი — არავინო!

საიდან მოვდივართ — არ ვიცით.
სად მივდივართ — არ ვიცით.
და ამაშია მთელი ეშხი!

## *იხუვ და იხუვ დათუჩას!*

ჩემს შვილიშვილს — ამ ვირიშვილს ვებაზრები რითმით...
კაცს ამ „გიჟთან" რა მოაწყენს რატრატსა და რიტრიტს!
ბოლო-ბოლო — თეთრი, შავი აბანოში ჩნდება —
არც ისეთი „ძვირფასია" — რა ძვირადაც ჯდება!
თუმც, კოჭებში კი გეტყობა — კაი პირი გიჩანს,
მაგრამ ერთობ ძვირად მიჯენ ყოველ მაღალ ნიშანს!
მიდი, ბიჭო, შეუბერე,
ჰერი, ბიჭო, ჰერი —
გვარად ნიშნიანი-ძე ხარ
(სხვა თუ არაფერი!).

*სოლონი: ბედნიერებას ფულით ვერ იყიდი — შეხედე, რა ფასებია!*

* * *

ვიცი შენი ხვაშიადი...

გველოდება ხაში, ადე!

არაფერი სურნელი არ შეედრება ნივრის სუნით აყროლებულ სადილისსიფთეს, სახაშეს! ერთხელ, კახელებს ვუთხარი: ნიორივით ხალხი ხართ — „მყრალები" და გემრიელები-მეთქი!

...ხაშის ხოშზე მუდამ ვარ.

ხაშზე თბილისიდან თელავში ნავსულვარ!

ღირს თავის დადებად და საქმის გადადებად!

საქმე მგელი არ არის — ტყეში არ გაიქცევაო!

„დილით — ხაში, ზედ — ლავაში" — მისნრებაა თუ მოსნრება.

დილის სიფთის ერთი თლაშო — პირზე კოც-ნით იკოცნება!

* * *

ცოლის სადილს... ცოლისდის საუზმე მირჩევნია!

რატომ და იმიტომ, რომ არც გამოზოგილია და არც დამადლებული!

* * *

## *იხუვ მაცთნ შალვა პეტრიაშვილს!*

**ჩემი გულის „მესაიდუმლესა" და მაჯის შემტყობარს!**

ფულს არა და მაჯას ითელი,
რომ ისანთელ-იხატო.
ეს ბოდიში და მადლობა —
სანამ უნდა გიხადო?...

## *არ დამიწყოთ ახლა იცალითრი!*

მსოფლიო საოცრებებს შორის... რისი იტალი-ური — ერთი ჩვენი თბილისური ეზოდან გამოსუ-ლი ამბავი, მაშინდელი ცხოვრების (უფრო, ცხონებ-ის!) საოცრება იყო! ერთი თვალი და ბედნიერება — უთვალავი: ერთი ჭირი, ერთი ლხინი, ერთი გული და ასი ხელი; ერთი სიმღერა და ასი ყური; ერთი მთქმელი და ასი გამგონე; ერთი ლუკმა და ასი მაძღარი; ერთი სატკივარი და ათასი გულშე-მატკივარი; ერთი ნყლის ონკანი და ათასი მნყურ-ვალი; ათასი ხელი და ერთი გული! ვენაცვალე მე ასეთი „გაჭირვების" დალხინებას!

* * *

აწმყო, შობილი წარსულისაგან
რადგან მომაელის არის მშობელი —
ესაა თვითონ უკვდავება და
მარადისობა წუთისოფელის!

*...და, ახლა, მთელ-მა საქართველომ, თურმე, იმას უნდა უყუროს, როგორ იხდებიან ქართული გოგონები თავიანთ ნიფხვებში, ხოლო ყ. ნ. ბიჭები საბნის ქვეშ ცოლქმრობანას თამაშობენ!..*

*ამ საზიზღრობისა და სისაძაგლის მე-მყურეს, ძალიან მაშ-ფოთებს ჩვენი მო-მავალი და ძარღვებ-ში სისხლი მეყინე-ბა იმის გაფიქრებ-ზეც კი, თუ რას უმზადებს ბედი მდე-ვარი ბედკრულ სა-ქართველოს.*

*ვშიშობ, ამ ქვეყ-ანამ ბიბლიურ სოდ-ომ-გომორის ხვედ-რი არ გაიზიაროს და ყველაფერი თავზე არ ჩამოგვექცეს.*

*არა მკლავს სურ-ვილი დიდაქტიკო-სობისა, არც ზნეო-ბის პოლიცმაისტერ-ის ბრჭყვიალა ეპო-ლეტები მხიბლავს და არც ხევისბერობას ვიჩემებ, ერთი ჩვეუ-ლებრივი მოკვდავი ვარ — ახალგაზრდა კაცი... ძალიან მიყ-ვარს ჩემი სამშობ-ლო და მერჩივნა, ადრე მომკვდარი-ყავი, ვიდრე სიც-ოცხლეშივე მიცვა-ლებული ჩემი თაო-ბა რევოლუციური საქართველოს „ბარ-*

* * *

ვახო ცხადაძემ მითხრა: შენ გურულების სიძე ხარ და გეცოდინებაო: თუ იცი, რა ჰქვია 5 გურულის „ლანჩსო". მკითხა და თვითონვე უპასუხა: „ლანჩ-5"! (ანუ ლანჩხუთი!)

როგორია?

* * *

ერთ ქვანვია კაცზე თქვეს — ტრამვაიში დიდი ფული ამოუცლიათ ჯიბიდანო, მაგრამ არავის შეუცხადებია.

თუ ამდენი ფული ჰქონდა იმ მამაცხონებულს, ტრამვაიში რა უნდოდაო.

აქვე, დაემატა ეს „სიბრძნეც":

ისეთ კაცს, რომელსაც ჯიბეში ხელს ვერ ჩააყოფინებ, ალალია, სხვამ ჩაუყოს ჯიბეში ხელიო!

* * *

დრო ულმობელია, დროში ვერ ვეტევით —
ვერც უკან დახევით და ვერცა შეტევით.
დროს ვეღლაბუცები... ვემასლაათები —
ცოცხალი წუთებით, მკვდარი საათებით!

* * *

...სიკვდილსაც დავვიწყებივარ!.. ვიღაცის წყევლასავით ლოცვამ მინია, თუმცა, გზაშია (ციან-მინიან)... რაც არ უნდა გააფიჩინო ფეხი, დაგატყდება, როგორც მეხი და მის ჭკუაზე გაგაჭიმინებს!... მე, ახლა, ალბათ, ჩემი ეზოსა და ჰოროსკოპის ხის — აკაკის ფოთოლივით მივცახცახებ ქარის ნებაზე. არასოდეს არ შევწყრომივარ ჩემს ასაკს, არასოდეს გავბრაზებულვარ სიბერეზე, არასოდეს ისე არ მინატრია ბიჭობა, როგორც იმ ერთი თბილისელი გოგოს დანახვისას... სიყმაწვილის ცეცხლი რომ მომიკიდა და ამამჩატა.

რა ვქნა? ასაკს — ვგრძნობ, სიბერეს — არა!

ბაბუო! — ვიღაც რომ დამიძახებს, არ მივიხედავ. მირჩევნია, სიყრუეში ჩამითვალონ, ვიდრე სიბერესთან ფარ-ხმალის დაყრაში.

რაში სჭირდება საიქიოს ჩვენი სააქაო ცხოვრების სკოლა, თუ იქ ჭკუას არავის ეკითხებიან. ღმერთი კაცი ხომ არ არის, რომ რამე შეეშალოს! სააქაო... საიქიოს დაწყებითი განათლებაა, წკვარამში გზის გასაგნებად და უფრო დიდ საიდუმლოებათა ამოსახსნელად!

სიკვდილი კი სიცოცხლის ბოლო საიდუმლოა და ამ საიდუმლოს მხოლოდ იქ ამოვხსნით:

რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით?

ცვივა და ცვივა თეთრი ციდან... „შავი" ფიფქები!

* * *

ტრაგედიაა, როცა თეატრში კომედიაა და მაყურებელი... გადის!

* * *

ჩვენმა მამალმა... კვერცხი დადოო —
„ჩურჩულმა ქვეყანა ამოაგდოო!“ (ქართული)

* * *

ამპლი-ჭუდა თუ არის — ამპლი-სუდაც იქნება.
ქარებს მოაქვთ ფიქრები... მე — წამიღეს ფიქრებმა!

* * *

ძალა აღმართს ხნავსო!

მე კი უკვე დაღმართში ვარ და ვერავითარი ძალა ჩემზე ძალას ვერ იხმარს!

* * *

ეშმაკმა იცის, რაშია საქმე, როცა კაცი ღმერთს უყვარს და შვილს — არა!

ესეცა „კმარა“!

* * *

პოეზია სულის მზეა!

* * *

ბებრული რჩევა:

როცა წერაობა აღარ შეგიძლია — მერე წერე!

* * *

დედაც ვნახე (ყორდანიას ქალი), მამაც ვნახე (ირაკლი აბაშიძე) და შვილებიც გამოვნახე... ყველა დროის საქართველოს დაამშვენებს მათი სახე!

ვახტანგი ჩემი უმცროსი კოლეგაა და, მადლობა ღმერთს, დღემდე გვაქვს... იშვიათად, მაგრამ იშვიათი უსაკო, პროფესიული მეგობრობა!

ზურაბთან ძმობის ფუფუნება მაქვს თემურ ჭიჭინაძის (თემური და მისი რაზმის თუ „თემური ნყობილების“) საყოველთაო და საყოველთაობო ძმობის საღამოებიდან, რომელმაც მეორედ მოსვლასავით... სულზე მომისწრო, თავისი ხუთვარსკვლავიანი „ალილოთი“ და ქართული ალალმართლობის სულისკვეთების... თბილისური სულის კბილით ჭერით!

შემიძლია, გულზე ხელი დავიდო და ვთქვა: მამამისთან — დიდ ირაკლისთან, თუმცა აუტალახებელი, მარა კაი უფროს-უმცროსობა მქონდა (დღევანდელი უმცროს-უფროსობისგან განსხვავებით).

ურთულეს დროში იცხოვრა.

ურთულეს ხალხში იცხოვრა.

ურთულესი გზა გაიარა — რევოლუციიდან — რუსთაველის ნაკვალევამდე, მაგრამ თავისი სი-

ში“ მესილა.

„ასავალ-დასავალი“ 2005. 17-23 ოქტომბერი.

**P.S.** რაც დროა — ის მედროვე.

ბარი — ბარში!

<u>ნანი ვიძიაშვილი:</u>

კერძო უმაღლეს სასწავლებელში სამუშაოდ არ მიიღეს კაცი, რომელმაც 25 საკანდიდატო და 17 სადოქტორო დისერტაცია დაწერა! დოცენტი ან პროფესორი უნდა იყოთ, მოუბოდიშეს ზრდილობიანად... ბატონი ბება (უშანგი) დეკანოზიძე დისერტაციებს დაკვეთით წერდა და... ყიდდა! თავისთავის კი საკანდიდატოს დაცვაც არ უფიქრია. ბებამ, ამ უნიკალური პროფესიით, კომუნისტების დროს, ხელმყირე, მილიონის მეხუთედი — 200 000 საბჭოური რკინის რუბლი“ იშოვა. თანაც მოხსნა მე-18 საუკუნის გერმანელი განმანათლებლის გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის მსოფლიო რეკორდი. ენციკლოპედიური განათლების მქონე ქართველმა მეცნიერმა 41 დისერტაცია დაწერა...

გაზ. „ასავალ-

ნაღდით დაამტკიცა, რომ შეიძლება კაცმა ცხრა მთავრობის ორგულობაში იცხოვროს და მაინც ერთგულ... ერთ სულ კაცად დარჩეს!

თავის თავზედაც კი... ერთი თავით მაღალი იყო.

საქართველოს რუსთაველზე უკეთ რა გამოაჩენდა...

ან რუსთაველს ირაკლიზე უკეთ ვინ გამოაჩენდა!

2009 წლის 1 დეკემბერს ირაკლი აბაშიძე 100 წლის, ანუ 1 საუკუნის გახდა და ამიერიდან მისი „ჟამნი", წლობით კი არა, საუკუნეებში დაინყებს ათვლას!

რუსთაველის თეატრში... (მისი გახსენების დღეს!) ვესტიბიულში, რომელიღაც ტელეარხმა ბლიც-ინტერვიუ მთხოვა და მის გენიალურ კაცობასთან და რუსთველურ-იერუსალიმურ ციკლთან ერთად ერთი მისი ქალაქური, სადუდუკე ლექსი გავიხსენე, რომელიც ალალი თბილისური სევდითაა დაწერილი.

მეხსიერებას უნდა ვენდო!

„იქნება ჯობდა, კაცმა რომ თქვას, ჯობდა ნამდვილად. მეცხოვრა ჩემთვის, მხოლოდ მწერლის ხმით და უფლებით... ჩემი ქალაქით, ჩემი ქუჩით, ჩემი უბნებით"!..

..ნარჩევ და რჩეულ თბილისელ მოქალაქეებთან ერთად, ვიჯექი დარბაზში და თვალს და ყურს ვერ ვაცილებდი სულის შემძვრელ თეატრალურ კომპოზიციას, ყოვლად უხმაურო სახელწოდებით: „ირაკლი აბაშიძე", რომლის ფინალმა ყველა გაგვაოგნა!

ლექსისა და მუსიკის მიწურულში... რეჟისორის „ვერაგობისა და სიყვარულის" დაუნდობელი ჩანაფიქრით, სცენაზე ზემოდან დაეშვა და ყრუანტელიანით დაგვიარა აბაშიძეების ოჯახის ერთმა ჩვეულებრივად არაჩვეულებრივმა შავ-თეთრმა ფოტომ — ირაკლი აბაშიძემ, რომელიც ძველებური ღიმილით დაგვცქეროდა თავზე — „კაი გამარჯობა თქვენი!... სხვა, როგორ გიკითხოთო?"

...იმ წუთში — ამ წუთმა დაკარგა რეალობის გრძნობა და სააქიქაოს ზღვარიც წაიშალა!

ეს ის წუთი იყო, რომელმაც ადამიანი დროს შეავედრა: წუთო, შეჩერდი, შენ მშვენიერი ხარ! თუ ვინმეს შეუძლია, ეჭვი შეეპაროს ამ განცდაში, ეს მისი პრობლემაა.

მე კი მითქვამს:

ეს საღამო მარტო ამ წუთადაც ღირდა!

## *ისევ შენ და ისევ შენ!*

გამარჯობა, ბიძინა!<br>
შენ ჯობიხარ... მჯობნის — მჯობნს.<br>
უფალმაც გაგიცინა —<br>
ღმერთმა შენ, გაგიმარჯოს!<br>
ვისაც სხვისი ტკივა და<br>
ხარობს სხვის სიხარულით —<br>
შეეწევა ღმერთი და...<br>
არა არს დაკარგული!<br>
...აზნაურნი უაზნო,<br>
თავად, ყმად ყოფილები —<br>
ვართ შენს კმაყოფაზე და<br>
ქე ვართ კმაყოფილები!

* * *

უფრო შორს ვერ წავა ოცნება:
ადამიანია საოცრება!

## *„სწავლობს გიგლა ციცინას" მოცივზე...*

წვალობს კაცი ხისტეინა,
„მზემ შემოუჭერიტინა" —
გეყოფა რითმის ჭერა —
არ გახდე წერის წერა.
წინ — მეწყერი, უკან — ხე,
შენც წერე და იკითხე!

* * *

კაი რამე არის გათენება —
ეიცით დილის მადლი, ქართველებმა!
კაი ხაში — ჯამში, ზედ ლაეაში —
ნიორი, უღელი და შინდალ-ყაშეი.
არყისფერი დილის სიფთა — თლაშო...
დროს დარაჯობს, მის ჯაჭვს, აბა, რა სჯობს.
დალევ, შეგერგება, აყროლდები...
ნიერით... მეორედ რომ იბადები!
...ისე, მეორედ აქ რა მოგიყვანს?
როცა კაცს გინებით პირი გიყარს!
როცა აღარ არის შენი მრეელი!...
როცა დაბადების დღეს იწყეელი!

* * *

მთლად „ქილილასა და დამანას" არ ჰგავს, მაგრამ კაი „ტურაა" ჩვენი დათო ტურაშვილი! ერთხელ, „ტელედებატებში" შემიტყუეს მასთან და ახლანდელი თაობის უთაობა (ბოდიშის მოხდით!) შვილების ცოდვები... წინა თაობას, მამებს აგვკიდა!

რასაკვირველია, ყველა მიმავალი თაობა — მომავლისა და მომავალი თაობა — მიმავლის ვალშია, მაგრამ ის, რაც დღეს უმნიფარ თაობებს ხელენიფებათ, ცუდ სიზმარშიც არ დაესიზმრებოდათ მამებს!

ნიუტონზე უკეთეს მონმეს ვის ვიშოვნი: უფრო მეტს ვხედავ მამაჩემზე და უფრო მხნე ვარ, რადგან მე დიდთა ნინაპართა დიდ მხრებზე ვდგევარო!

*იაპონური: მხედრებს ხმები არ აქვთო! (გეგონოს შენ! აბა, არჩევნებს ვინ და როგორ იგებს!)*

*დასავალი" 2001, 16-22.07*

***P.S.*** *ეს თემა, ერთ დროს, სანამ სავალდებულო საშუალო განათლებასთან ერთად სამეცნიერო ხარისხებიც სავალდებული იყო და მეცნიერებათა კანდიდატობას, დოქტორობას, პროფესორობას და თვით აკადემიკოსობასაც რამე ფასი ან გასავალი ჰქონდა, პრესის ფურცლებიდან არ ჩამოდიოდა.*

*მახსოვს, „ნიანგში", ზუსტად ამ თემაზე, ცნობილ კარიკატურისტ ჯემალ ლოლუას ასეთი თემა დავახატინე! ვიღაც მაყუთა ტიპი, მამინდელი ფუნქციონერი, მის სახელზე — სხვის დაწერილ სადოქტორო დისერტაციას ცოლს უჩვენებს და მათ მორის ასეთი დიალოგი იმართება:*

*— ეს სადოქტორო დისერტაცია კი დავაწერინე სხვას, მაგრამ ახლა ამის დაცვა არ გინდა!*

*— დამცველიც აიყვანე, შე კაცო, — ურჩევს ცოლი.*

*ერთმა თქვა: ამერიკაში 4 წლით რომ არ წასულიყავი, 4 წლის მემ-*

საკამათოდ და სადავიდარაბოდ არ ვამბობ ამას. ეს ახალგაზრდა კაცი, ჩემი აზრით, ყველა დროის კაი კაცის სტანდარტში ჯდება. იგი 2009 წლის 20 დეკემბერს მშვენიერ ნინო ქაჯაიას ჰყავდა ნვეული გადაცემაში „ცხოვრება მშვენიერია" და იქ მან ერთი, ასე ვთქვათ, ეროგენული აზრი გამოთქვა: ნერის პროცესი სექსს შეადარა, რაზეც ჩვენს ფერხორციან ინტერვიუერს... ვენერა მილოსელის ვარდისფერმა გადაჰკრა. იქნებ, ამიტომაც ეძახიან ნერას — „ნერაობას"! — გავიფიქრე ამ ბარბარიზმისა თუ ქუჩური სლენგის გადამკიდემ.

და, იქვე გამახსენდა ერთი ძველი მონარდეების ანეგდოტიც:

მეგრელი აგებდა და გურული ანყნარებდა:

— ეს ნარდია, ძამა... ეს ან ერთმა უნდა ნააგოს, ან — მეორემ. „ის" (იგულისხმება სექსი) კი არაა, ორივემ ისიამოვნოსო!

* * *

ეის ოხტშიც მოსელა მინდოდა —
ლექსით ეუშალე ლოგინი
და სექსუალურ ბიძგებში —
დაეაწყებინე სლოკინი!
ეირტუალური „არულით"
ასე ვიუჩინმაჩინე —
იქეე დედ-მამაც ეუხსენე
და ხსენიც არ შეეარჩინე!
P.S. თუმც, კარგით რომ არ ეუხადე
ავს — ახლა ეწუხეარ ძალიან.
ეშმაკმა რაც არ ინანა —
ის ღმერთმა მოინანიი!

## უძის წიგნაკი!

...ეს მინაბღაჯნები — წარსულის ფანჯრები,
ეს ნაკალმასეეი — კალმით ნამსაჯეეი,
აქეთ-იქეთური, კეთილ-უკეთური,
აქეთ ქედდრეკილი, იქეთ იქედნური,
აგე... აგერ როდის არის მინაწერი —
წეერი პაგიოსნით — ანუ კალმისწვერით!

## ცეცხლთან შენობით ლაპარაკი

იცის ჩემი სახელიც, ფიქრებიც და მიზნებიც —
შენობით ელაპარაკობთ, როცა აეგიზგიზდებით!
...და, თუ ცეცხლი გაცეცხლდა — იცის თვალის ახელაც —
თუნდაც, დღეიდე ართქმულის — გაუმხელლის გამხელა!
გული —
ბუხრის არ იყოს...
ძმაკაცი მყაეს რამხელა —
ნიშნიანი-ძე ვარ და
გიზო მქეია სახელად!

* * *

დროის ენა თუ იცი —
წუთი-წუთ და ტაატით —
წამების წაშს გაიგებ
საათთან მასლაათით.

* * *

ქირისუფლობას, ასეთს
არ აქვს ფასი და ნიხრი:
...გული კვდება — ალაპებს
კი... მუცლებით ციხდით!

* * *

ამ ცხოვრების რაც მემართა —
სტრიქონშიც ვერ გაიმართა!...
სიტყვაშიც ვერ ჩაეტია;
არ თქმა — თავსხმა, თქმა — რეტია!

* * *

გვაფრთხილებენ, რომ ცეცხლთან არ მივუშვათ ბავშვები... აგერ საუკუნეა, რაც ცეცხლს ვეთამაშები! ფიქრებს თუ შევუკეთებ (შემასაეით)... იზრდება და სადაც კი თვალს მომკრავს, იქვე აგიზგიზდება!

* * *

ახლა, როგორი კარგი გამგონეც უნდა იყო, კაი სიტყვას ვერ გაიგონებ. დღეს, აზრის დალაგება კი არა — ალაგება ხდება. სიტყვა... თავისუფალია, აზრი — გათოკილი! დღეს სიტყვას კი არ წარმოთქვამენ — ისვრიან! ყურში კი არა — გულში!

## კარიკატურა

გუშინ ერთი ხანშიშესული მშეთუნახაეი ენახე
და ის, რაცა ენახე — ნეტა არ მენახა!
რადგან დრომ მის სახეს დაუგო ის მახე —
არარა საერთო არ ჰქონდა ძველ-ახალს!
დრო — სატირული გრაფიკის დიდოსტატია —
კარიკატურაა კაცის ჯანში და ხანში —
სიბერე — მასხარას ადეკვატია.
სიბერე — სრულიად... არამეგობრული შარჟი!
დრო გეკიდებს წლებსა, ვით გირებს —
ბუნება... გეაშაყირებს!

*დღეს ვერ გაუგებდი, იქ წასვლა სისულელე რომაა!*

*მე ვარ ნათელი, მაგრამ თქვენ ვერ მხედავთ;*
*მე ვარ გზა, მაგრამ თქვენ არ მომყვებით;*
*მე ვარ ჭეშმარიტება, მაგრამ თქვენ არ გჯერათ ჩემი;*
*მე ვარ სიცოცხლე, მაგრამ თქვენ არ მეძიებთ მე;*
*მე ვარ მოძღვარი, თქვენ კი არ მისმენთ;*
*მე ვარ უფალი, მაგრამ თქვენ არ მემორჩილებით;*
*მე ვარ თქვენი ღმერთი, თქვენ კი არ მევედრებით;*
*...ნათელს ეძიებ? მე ვარ ნათელი!*
*...ნუთუ მეხი ცოდვათა სიმრავლის გრცხვენია?*
*ჩემი გულმოწყალება გაცილებით მეტია!*
*— მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი და მე განგისვენო თქვენ (მათე 11,28).*
*ნეტარ არიან მორწმუნენი!*

*გაზი ნიშნისნიდა:*
*შემოდგომაა, მიმქლოფველი ტოტები*

* * *

დედას ჯოხით ლეიბი გაუბერტყავს...
შვილი ტირილით გამსკდარა — ჩემს ლოგინს რატომ სცემო?
დღეს კი არავინ არის გამომსარჩლებელი!

* * *

ღობე-ყორეს ვედები ჩემი ზღაპარ-„კვდებით"
და „კვაჭიჭოს"* არ იყოს — მელანდება გედები.
მენატრება მტრედები... საბოლოო ხვედრამდე —
აბა, კარგად მეყოლეთ — სიზმრებში შეხვედრამდე!
სიკვდილი სიზმარია!... ძილშიაც რომ გხედავდეთ —
პოდა, კარგად მეყოლეთ — სიზმრებში შეხვედრამდე!
იქ კაცს კაცის ნატვრისა ნება არ აქვს... მეტადრე! —
აბა, აბა, თქვენ იცით — სიზმრებში შეხვედრამდე!

* კვაჭიჭო ჩემი აღმოჩენილი „ამერიკაა", თბილისელი ბარდი (უეკლოდ) ანუ ოთარ რამიშვილი!

* * *

გარბის... გარბის...
მივდევ გულით... ფეხით ველარ ვეწევი.
გული ხელით მიჭირავს... ფერწერით თუ ხელწერით...
ისევ ვესისხლხორცები ლექსებით თუ ოცნებით —
ბებრულ ჩაო-ჩაოთი... ძმური პირზე კოცნებით!

* * *

უნივერსიტეტის შემოთენება... შემოღამების შემოღიმება... უნივერსიტეტი არა მთავრდება — თუ კი დანყება ღმერთმა ინება!

სამოთხე ჰქვია ამას, რაც არი...
დგას, ვით ტაძარი —
გვწვავს, ვით ხანძარი.
და სიყვარულში დაიფერფლები —
შველისა და ნუკრის სათუთი ემბლემით.
დგას კვცხოველი — სვეტიცხოველი
აქ სათნოებით სუნთქავს ყოველი...
ბნელში ნათელი, იწვის სანთელი
და დაგეკანკალებს ყველა კანდელი!
იგი იწყება, კვლავ გეიმკლავდება —
უნივერსიტეტი არა მთავრდება!
მე მას ვუყურებ სწორედ ამ კუთხით,
იმ უკვდავების შენ ხარ საბუთი!
თუმც...
გავა დრო, და „ხვა" თუ "ბუა" —
სიტყვა ეკუთვნის ვინმე ხუბუას!
როგორც სიცრუის ახალ დეტექტორს —
გაგონილ კაცს და მოგონილ რექტორს!

* * *

კაცი ბჭობსო და ღმერთი იცინის –
კალამიც იმის ჭკუაზე დადის
და იწერება იწილ-ბიწილით:
ცხადი სიზმარი თუ სიზმარ-ცხადი!

* * *

გარჯაც არის და გარჯაც!
შეიძლება, ბიძინა ივანიშვილზე უკეთ ბევრმა იცის ფულის კეთება, მაგრამ დედამიწის ზურგზე მასზე უკეთ არავინ იცის... ხარჯვა!

* * *

ბავშვობას... მიწამდე თავი დავუხარე,
ხელი დამიქნია და... წავიდა!
სიყრმის მზის გარეშე ველარ გავიხარე –
ბედწერაც დავიწყე... თავიდან!

* * *

ვაი, თქვენს თრიას –
ვაი, თქვენს თეას –
მოდის დრო სულ სხვა –
ქარები ქრიან!
ადრე თუ გვიან, ადრე თუ გვიან –
ძველებს ახალი ცოცხები პგვიან.
არ გაგიკვირდეთ, ჭკუა რომ მოცხოს
ეშმამ თეას და... ცოცხით მოცოცხოს!
სანამდე ცეცხლსა ცოცხლად ესწრება –
ბინძური სიტყვით პირი ევსება –
სანამ ნაგავით ტვინი ესვრება –
მას ზესტაფონში არ ჩაესვლება!

* * *

როგორც წყალვარდნილი – დიდი ნიაგარა –
მოდის და მოღელავს ფიქრის ნიაღვარი –
და მოჩანჩქერობენ ლექსის ჩანჩქერები –
დგანან მწვერვალები, ვით ხევისბერები.
მზე ცეცხლად ედება მზეთუნახ მყინვარებს –
და ლექსის 9 ბალი სტრიქონში მძვინვარებს!

დარჩა იმ ნაყვრის ხიდან.

„კაცობრიობა რომ არ დაბერდეს... ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან!"

შოთა ნიშნიანიძე

საფრანგეთში, ლუვრში, ერთ-ერთ ქართულ საფლავს ასე აწერია: ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუენი კეთილნი.

მათე / 5,16

ძველ საბერძნეთში მიაჩნდათ, რომ ბავშვის სქესი პაერის ტემპერატურაზე იყო დამოკიდებული და ვისაც ბიჭი უნდოდა, სიცხეში უნდა „ნაემუშავა", ვისაც გოგო – სიცივეში. ანალოგიური ჰიპოთეზები დღესაც არსებობს. ფაქტია, რომ ცხელ ქვეყნებში მამაკაცების სიმრავლეა, ხოლო სუსხიან რეგიონებში – ქალების.

თუ გაზეთები არ ბუქსავენ, ფრანგმა მომღერალმა ლოცოცომ დორმუსელობის ყველა რეკორდი დაამხვრია. მან რამ-

* * *

1931 წელს, ბოლონიაში, ბრბომ სასტიკად სცემა დირიჟორი არტურო ტოსკანინი და მისი ცოლი. მიზეზი კი ის იყო, რომ მუსიკოსმა უარი თქვა, ედირიჟორა ფაშისტური ჰიმნისთვის.

* * *

ცა — ქუდად აქეს, დედამიწა — ქალამნად!
დაღმა ფარცხა, აღმა კი ხნა ძალამა.
მანამ შერჩა, რაც იშოვა არამად,
სანამ ქაღალდს შეარჩინა კალამმა!
სანამ შავით თეთრზე არ დაიწერა —
შენი შავი მოწერა და მიწერა —
ბოლო-ბოლო, სიტყვა-ღმერთმა გამხილა...
ეს „სამხილი" თუმც წლებში გაიწელა.
ერთი დრო ხომ არავის შერჩენია —
დაღუპა დრო ისევ „შენი-ჩემიამ".
ახლა, შენი შეცოდება... ბოდვაა —
მარტო კაცი ჭამაშიაც... ცოდვაა!

* * *

ერთი მიეთ-მოეთი!..
სხვა რა არის პოეტი?
თუ წყალობას გაიღებს —
ფიქრი სად არ წაიღებს!...
ლექსი აღმაფრენაა —
ლექსი სისხლის დენაა —
ლექსი სულის ლხენაა —
ლექსი უფლის ენაა!
თუ რამ ცოდვა არ აწევს —
ქაღალდზე ხელს არ აწევს!
კარგ ლექსს მხოლოდ ღმერთი წერს
და კაცი კი.. ხელს აწერს!

* * *

ჭურაძე, რთველიაშვილი, მაჭარაძე, ღვინიაშვილი, ქათამაძე, ტყემალაძე, შოთაძე, ხაჭაპურიძე, ნიორაძე, დოლიძე, სულაძე, გულიაშვილი... რომელი ერთი! საქართველოში ისეთი გვარებია, რომ მარტო მათი ხსენებითაც კი შეიძლება უქეიფოდაც იქეიფოთ!

* * *

კაი ცოლ-ქმარი ერთმანეთს ისე უნდა უხდებოდეს, როგორც გოჭი და ტყემალი, სულგუნი და ღომი, მწვადი და შამფური.

ჩვენში, ოჯახს და საოჯახო ჯახა-ჯუხს ასეთი ხსნა და ახსნა აქვს!
„მასვი, მაჭამე, მალხინე!"

* * *

არიან პარაზიტები, რომლებიც დედის გინებითაც... მრავლდებიან!

* * *

ვიღაც ქუთაისელს უთქვამს: საცოდაობა არაა, ამ შიმშილობის და ბოზობის დროში კაცს 32 კბილი გქონდეს და 1 ისაო!

* * *

ყველას თავისი „უქრის" მერანი —
იგანს წერა და ბედისწერანი.
ვით სისხლის დენა — ნოხევა მელანის —
სული — გული და მზეთა მზერანი!

## *კარიერის ტექნოლოგია!*

თავიდან... ცაში —
ბოლოს კი... ყბაში —
ბოლო-ბოლო კი
პანღური ტრ...ში!

* * *

ბედისწერისა განცდა!..
სიტყვა სწორ გზას თუ აცდა —
ახია, იტყვის ხალხი —
დაგემართება რაც და...
სიტყვისა წრთობა-კეჭნა —
სისხლსა და ხორცში შეჭრა —
მერე იმისი ბეჭდვა —
მერე სინდისის ქენჯნა!

* * *

ვართ ერთ გაწამაწიაში —
ძაღლს ვერ გააგდებ გარეთ —
არ ვიცით, ვის ვუშვებთ სახლში —
რას და ვის ვუღებთ კარებს.
ვცხოვრობთ ამ „ედემის ბაღში",
იცი, ვის ვუღებ კარებს?
ყველას ვერ შევუშვებ სახლში,
ძაღლსაც ვერ ვაგდებ გარეთ.

*იდიშური: ძალიან სერიოზულად მხოლოდ მასხარები ლაპარაკობენ.*

*დენიმე თვის განმავლობაში მექამა 7 ველოსიპედი, 7 ტელევიზორი, მსუბუქი თვითმფრინავი და ხელის ურიკა. ის, ერთი ველოსიპედის მექამას 10 დღეს ანდომებს.*

***P.S.*** *ჩვენ რომ ყველაფერი სხვისა გვიკვირს! ერთმა კაცმა მთელი სახელმწიფო მექამა და კვლავ დედამიწასაც მიირთმევს, მაგრამ არავინ რეკორდად არ უთვლის.*

*ნემო ბურჭულაძე:*

*უბედურია კაცი, რომელიც ამ უბედურ ქვეყანაში კარგად გრძნობს თავს. ცოცხალი უნდა ჰგავდეს ადამიანი ქვეყანას. სირცხვილია, მდიდარ ქვეყანაში — ღარიბი იყო და ღარიბ ქვეყანაში — მდიდარი.*

*თავისუფალი მაშინ კი არ ხარ, როცა მტერს ამარცხებ, არამედ მაშინ, როცა ბრძოლას იწყებ. ადამიანი, რომელსაც საკუთარ სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერი გააჩნია — საცოდავია.*

*მე არ მივაყენებ ისეთ შეურაცხყოფას ჩემს ხალხს, როგორც შევარდნაძემ მიაყენა, როცა გა-*

* * *

ფანქარია თუ ქაღალდი, სულ ტყუილად ირჯება,
რადგან ასეთ გაშარჟებას კბილი არ ესინჯება.
იმ შეჭმუხნულ შუბლ-ნაოჭებს თვალი ეძებს ხინჯებად —
ამ სიბერეს რაღად უნდა კიდე დამახინჯება?!

* * *

ნაკვესის — ნაკვნესით, სატირლის — სატირით,
გროტესკის — პროტესტით, ქართული — სხარტულით...
ვაკეთებ ჩემს საქმეს — ვამბობ მე ჩემს სათქმელს!
რამ — როგორ გვაწამა — ვწამლობ ამ საწამლავს!..

## ისევ დიდების ზმანებაზე

თუმცა, დრო ვის — როდის ამოთხრის...
მთაწმინდა ცაში ასროლილი ქუდებია!
არსებობს მიწიერი სამოთხე —
დიდუბე!
დიდი უბის ბუდობია.
დღე-ღამ უკვდავებას სხვა რა ჯობს —
ჩვენი ცოდვით იწვის სანთელია —
დღისით — ბადრი ქუთათელაძე დარაჯობს,
ღამით — ბადრი მთვარის ნათელია!

* * *

არც მინახავს, არც მსმენია,
რა ამბავიც ახლა გვჭირს —
იტყვის კაცი, ცას ახედავს
და გულზე ხელს მიადებს —
ერთი შანსი კიდევ არის,
რომ ვუშველოთ ჭირით ჭირს —
რომ არ გაგვიერთიანონ...
უნდა გავერთიანდეთ!

* * *

ცათა შინაო — მამაო ჩვენო!
კაცობრიობა შენითა შვენობს.
შენ ჩვენი ცოდვა იკისრე, ღმერთო —
შეგვიმსუბუქე მით ტვირთი ერთობ.
თუმც, როცა კაცნი გზას აცდებიან
და მიწის ბიწნი ცასა წვდებიან,
ადამის შვილზეც განრისხდებიან —
მიწა იყვნენ და კვლავ მიწდებიან!
განკითხვის ჟამი დგება კითხვებად —
იქ ყველაფერი მოგვეკითხება!

* * *

ეჭვმიტანილი ვიყავი ლექსზე...
და სიყვარულის ვიდექი „ზექსზე"!
კანონს ვარჩიე კაცობის წესი —
ვთესე და ვკაფე, ვკაფე და ვთესე.
მთელი ცხოვრება ასე ვიარე —
ცხრა მთა, ცხრა ბარი შემოვიარე —
ხატს ვეზიარე... ვხსნი ჩემს იარებს —
სულის დასალევს... ვავსებ ფიალებს.
რომ მოთმინების ფიალით შევსვა —
ჩვენი საწუთრო — წუთისოფლისა —
გულის სისხლის და შუბლის ოფლისა —
მამაზეციერ და ღვთისმშობლისა —
უპირველესი... პირველ ყოვლისა!

* * *

უფლისა მიმართ და სიკეთის წინაშე —
მე ჩემი სიმართლეც მეყოფა დალადო —
შემირცხვეს კაცობა, ამ აბდა-უბდაში
თუ ვცოდო გამჩენს და სიტყვას ვუღალატო!

* * *

სიყრმის მზიდან — სიბერის ვარსკვლავამდე...
რა შორია ამ ბოლოდან — თავამდე.
სულმოკლე კაცს ჟამი გააბოროტებს —
რა ახლოა... იმ თავიდან — ბოლომდე!

* * *

„ჩათრევას სჯობს — ჩაყოლა"
(თანაც, ხათრით ფულისა?):
სხვის ფეხის ხმის აყოლას —
გირჩევ, აჰყვე გულისხმას!

* * *

დრო ყოფნის თუ არყოფნის
და ამ გულს რა გაამთელებს? —
საყოფი ან გასაყოფი...
რაღა დარჩათ ამ ქართველებს!

* * *

ენას ძვალი არ აქვს —
მიტომ იწყებს ლაქლაქს.
ენა ეფხანება!...
პოდა, იფხანს... რა ქნას!

*ნაცხადა: მოსახლე-ობას რომ მიეცეთ არჩევის უფლებას, მათ შეიძლება გიჟი აირჩიონ.*
*გაზ. „მეოთხე"*
*24-31.08.2001.*

**P.S.** *ზოგი მგლო-ბენ, ზოგი ცხ-ვრობენ, ბატონო ჩემო! კაცმა რომ თქვას, ზოგჯერ პრეზიდენტიც არ ცდება, — ჩვენც რა, ცოტაჯერ გავგიჟე-ბულვართ და გიჟი რა, ცოტაჯერ აგვირ-ჩევია!*

*ვალერია ნოვოდ-ვორსკაია:*
*...როცა ალყა შეიკრა, ზვიადს უთ-ქვამს: რომ მყავდეს 150 ადამიანი და ერთი ცხენი, გავარ-ღვევდი ალყას, რათა ჩავსულიყავი თბი-ლისში და მომზა-დებულიყავი იქ, ხალხ-ის თვალწინ, ღია ბრძოლაში... ან თავს დავესხმოდი რუსეთის პირველ-სავე გარნიზონს.*
*ზვიად გამსახურ-დიას ცხენით — ეს ისევე არაბუნებრივ-ია, როგორც მაჰათ-მა განდი — თოფით.*
*„ახალი 7 დღე",*
*2001, 31.08-6.09.*

*მომღერალი ირაკ-ლი ჩარკვიანი (მეფე):*

* * *

ერთხელ, ჩემმა N2 შვილიშვილმა დათუნა ნიშნიანიძემ, ბავშვური გენიალობით, ცრუ ცრემლებს (რომელიც მასაც არაერთხელ გამოუყენებია) ხახვის ცრემლები უწოდა!

ცრემლი წყალია, რომელშიც გახსნილია სხვადასხვა მარილი (უმთავრესად, სუფრის!). გარდა ამისა, ცრემლი შეიცავს ორგანულ ნივთიერებას — ლიზოციმს, რომელიც ბაქტერიებს სპობს. საცრემლე ჯირკვლები, საშუალოდ, დღეში, 7 კუბურ სანტიმეტრ ცრემლს გამოყოფს. როცა ცრემლი ველარ ასწრებს ცრემლსადინარით დენას, იგი ქუთუთოებიდან იღვრება და ამას ჰქვია ტირილი! — ვკითხულობთ ვლოდიმეჟ ზონასა და კუიშტოფ ბორუნის ნაშრომში „ვინ, როდის, რატომ?"

ისიც საინტერესოა, რა განსხვავებაა ტირილისა და სიცილის ცრემლს შორის...

მარკ ტვენმაც იკითხა: სიცილის ცრემლი რითია — ტირილის ცრემლზე, ანუ კომედია — ტრაგედიაზე ნაკლებიო?

* * *

შეხვედრისას ხელის ჩამორთმევის ჩვეულება ადამიანების სიფრთხილითაა ნაკარნახევი. ხომ გახსოვთ „კაკო ყაჩაღი" მასთან ტყეში ასულ ზაქროს უპირველესად იმას ეკითხება: „რისთვის მოსულხარ — მოყვრად თუ მტრადო?" თვითონ სიტყვა „ხელის ჩამორთმევაც" ამის მანიშნებელია. ჩამორთმევა იციან იარაღის, საეჭვო ნივთების და ა.შ. ე.ი. ხელის ჩამორთმევა ერთგვარი „ხელშეკრულებაც" კია!

* * *

იყო მოსაზრება, რომ ჰომეროსის „ილიადა" და „ოდისეა" წარმოადგენდნენ სხვადასხვა ავტორების მიერ შეთხზულ ხალხური სიმღერების კრებულს, რომელსაც მთქმელები და მომღერლები (რაფსოდები) ზეპირად გადასცემდნენ თაობიდან თაობას. თითოეულ ამ ნაწარმოებს მთლიანი ლიტერატურული ფორმა მისცა რომელიღაც ნიჭიერმა პოეტმა. იმისათვის, რომ სხვადასხვა დროს შექმნილი სიუჟეტები ერთ მთლიან მხატვრულ ნაწარმოებად ქცეულიყო, საჭირო იყო ჰომეროსის გენია. „ჰომერი" ნიშნავს ლექსების მთხზველს.

ჰოდა, კიდეც მომრავლდნენ „ჰომეროსები"!

* * *

ოპერაში კაცი მივიდა — მამღერეთო!

— ხმა გაქვთო? — ჰკითხეს.

— ხმა არა, მარა, ხოში მაქვსო! — თქვა.

რას ერჩით: მთავარი არის, დღეს ემღერებოდეს კაცს და სიმღერის ხოშიც ჰქონდეს! თუმცა, დღეს ეს ხოში — ხურუშადაც იქცა (ვინ აღარ მღერის!).

---

*ზიგმუნდ ფროიდი: ადამიანის გაბედნიერება არ შედის სამყაროს შექმნის ამოცანაში (ე.ი. ჯანდაბამდე გზა ჰქონიაო! გ.ნ.).*

*ებრაული: მიუახლოვდეთ სანუკვარ შუალედს, რომ თანაბრად ვზიდოთ სააქაოც და საიქიოც.*

*არაბული: ხარს რქებით აბამენ, კაცს — ენით.*

## *საწყისი!*

რეინთან მდებარე ნეანდერტალის ველზე აღმოაჩინეს ადამიანის ჩონჩხი და პირველყოფილ ადამიანს „ნეანდერტალელი“ დაარქვეს.

სანამ ადამიანი ლაპარაკს ისწავლიდა... იგი ბგერა-სიტყვებს გამოსცემდა (ყელისმიერს, ცხვირისმიერს, ნკლაპუნა ბგერებს), რომლებიც წარმოქმნიდნენ შორისდებულ-მონოდებებს და შეიცავდნენ ყოველდღიურ მოქმედებასთან დაკავშირებულ, ასე ვთქვათ, პირველყოფილ საკომუნიკაციო ცნებებს, ვთქვათ, ნადირობის დროს ნადირის გამოჩენის გაფრთხილების, კვებისა თუ კოცონის განმსაზღვრელ ნიშანს და სხვა.

სამეტყველო ენის განვითარების პროცესს ასი ათასობით წელი დასჭირდა, სანამ მოკლე შეძახილები — ცალკე სიტყვებად, მოგვიანებით კი — მრავალრიცხოვან რთულ ფრაზებად ქცეულიყო — სიტყვა სიტყვას გადაებმებოდა და წინადადებად იქცეოდა; წინადადება — წინადადებას მოჰყვებოდა... და ასე შემდეგ!

ბავშვის პირველი ტიტინი — ეს შორისდებულ-ნამოძახილია, მაგრამ რომელ სიბრძნეს ჩამოუვარდება და რა ჭკუა შეედრება!

* * *

თვალხელშუა წუთისოფელი გადის —
მაგონდება, სიზმარი თუ ცხადი —
თვალწინ მიდგას სალოცავი ხატი...
წუთიერი ღუმილით ვცემ პატივს!

* * *

ხმას ვაძლევთ... ხმის ჩახლეჩამდე —
საჩურჩულოც კი გვაყვირებს —
„გეწამსო“, მაგრამ...
დამკვირვებლებს...
გამკვირვებლების გვაკვირვებს!
P.S. არჩევნებს ის იგებს... ვინც ითვლისო!

* * *

უნივერსიტეტის ბაღი
იყო ჩვენსავით ლაღი!
მზეს აქ თავული სდიოდა —
დრო აქ არ გადიოდა...

* * *

ინდონეზია იმ დონეზეა! (კაი რითმაა და ქვეყანასაც არა უშავსო!)

*დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტი. ამის შემდეგ ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში გავიარე თანამედროვე ინგლისური პოეზიის კურსი. თუმცა „რაინდული კლუბის“ ჩამოყალიბების იდეა გაცილებით ადრე დამებადა. ოქსფორდის უნივერსიტეტმა საკმაოდ დიდი როლი ითამაშა ჩემს პოეტად ჩამოყალიბებაში. „რაინდულმა კლუბმა“ თავისი ფუნქცია შეასრულა. მე ჩემი ლექსებით ავაშენე ფსიქიატრიული საავადმყოფო ქართულ პოეზიაში და ხელი შევუწყვე ჩვენი დაავადებული საზოგადოების გამოჯანსაღებას.*

[illegible]

*შევარდნაძე არის ბნელეთი. ჩვენ ახლა გვინდა ლიდერი, რომელმაც ინგლისური და კომპიუტერი იცის.*

*ალია 2001.*

*ენდე?..*

*ენდე! — როგორც კახელები იტყვიან.*

* * *

გადახდა თუ არა ჯეკ ლონდონს თავს ის ამბები, რომლებიც თავის წიგნებში აღწერა? არ შეიძლება ავტორის გაიგივება მის გმირებთანო... და, მით უფრო, მოწყვეტა თავის გმირებიდან (ეს უკვე ჩემი აზრია!). მით უმეტეს, მის სათავგადასავლო ნაწარმოებში ე.ნ. მემუარებში, რომელსაც, ჩემი ძველი ჟურნალისტური ჩვეულებით, ლამისაა, დავარქვა „რეპორტაჟი ტვინის ხუჭუჭებიდან"!

ვინ იცის, ფიქრის „სლალომით" რა „ტრავერსები" გელოდება!

*წიგნი გერონტი ქიქოძისა: „ასეთი იყო ჩემი ცხოვრება".*

თამაზ ჩხენკელი: სიჭაბუკით ვიყავით მთვრალები! (და ჩვენი ქალების გვეკიდა ალები!).

ვახტანგ ჭელიძე: სომერსეტ მოემის სიტყვებია:

„... ბოლოს კი დგება ჟამი, როცა თავს შეგახსენებს და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სიკვდილი; ზედიზედ გვეცლებიან თანამედროვეები." „უგნური და უნიჭო მხატვრები მოარულ ჩონჩხად მხედავენ. ხელში ცელს მაძლევენ მჭრელს, მოელვარეს და ყინულივით ცივს. ეს სახე ბავშვობიდან შევითვისე, ვძრწოდი მის წინაშე.

გვიან დავრწმუნდი, რომ საშინლად ვცდებოდი. ვხედავ, შენ ნაზი, კეთილი მეგობარი ხარ, ჩვენ შორის უაზროდ დადიხარ, რათა მოსვენება და ბედნიერება მოგვიტანო. ხშირად ვგრძნობ შენს სუნთქვას; ის ძილის რულზე უფრო მსუბუქია, უფრო ნაზია, ვიდრე სასიყვარულო ალერსი უცოდველი დედაკაცისა".

ამ პატარა არაბესკას, რომელსაც სათაურად „სიკვდილი" აქვს, მწერლის თხზულებათა სამტომეულში, არ უწერია. გერონტის უკანასკნელი სიტყვები: ბუნებაში მხოლოდ ადამიანი ამაღლდა იმ დონემდე, რომ თავისი როლი ღირსეულად შეასრულოს ცხოვრების ფარდის დახურვის წინ!

P.S. ძალიან ცუდად არის (ომანი) ომანიძე, ჩემი ძმა და პირის ზიარება და მე, ამ ამოების სიტყვების გარდა, სანუგეშოდ, სხვა ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. მოვიფიქრე. თავი დამიქნია. 2011.01.04. დღეს პირველი აპრილია. ნეტავ, ყველაფერი ტყუილი იყოს!

* * *

სადაც ეპითეტი ხატავს კალამ-ფუნჯით,
სიტყვა — სვეტიცხოველი დგას, როგორაც ბურჯი.
სიტყვის მძეინვარება ბრდღვინავს, ვითარც ლომი,
სადაც იდიომის არის დიდი ომი...
იქ იბადება ლექსი!

* * *

ახლა, გულზე ხელის დასაკრეფი დრო არ არის —
სიტყვა-ღმერთს დავეძებ სანამყენოდ,
რომე საქართველო, მთიან-ბარიანად,
სულით-ხორციანად —
მკვდრიან-ცოცხლიანად —
მკვდრეთით აღვადგინოთ —
აეამღეროთ!

---

*იაპონური: ოცნება ღრუბლებამდე გადებული ხიდია.*

*დღე დაბადებული ბავშვი მამას ჰგავს. ღამე დაბადებული — დედას!*

* * *

დაბადება თუ გარდაცვალება?
ღირს კი „ცვალება" — ამდენ წვალებად?...
ბიჭი თუ გოგო?
სქესს არ იმჩნევენ —
რომ იზრდებიან —
მერე ირჩევენ!

* * *

ფიქრის ქარი ბობოქრობს და
რას მიყვედ-მოყვედები.
წარსულად არ მემეტება —
ჩემი ხსოვნის ედემი...

* * *

როცა სიტყვა-ღმერთი გაძლევს ლიცენზიას,
მოგონების ბინდ-ბუნდს — რემინისცენციას...
ძალუძს, დაგაბრუნოს სიყრმის სამოთხეში,
სადაც სიყვარული წვიმს და მოდის თქეში!

* * *

პირველ სიყვარულს... ბოლო ალერსით —
დღემდე ვინახავ გულში ამ ლექსით!
მე ახლაც ძველი ფიქრები მათოვს —
და ტრფობის ამ სტროფს — ვუძღვნი იმ სატრფოს!

* * *

ჯერ ლექსის აზრი იკითხე
და მერე რითმებს ებაზრე.
განბანე სულის ემბაზში —
სიტყვა მიუშვი ნებაზე!
პოეტის სამიზნეა — აზრი.
აზრის სამიზნეა — სიტყვა.
იგია მალამო, მადლი —
აეი სიტყვა არის — სეტყვა!...

* * *

ადამიანი!
თუმცა, კი ყლერს იგი ამაყად —
ყველა არაკაცს ვერ დაარქმევს კაცი მამაკაცს!

---

*თურქული: ამდენი ლაყაფით... ენაზე თმა ამოდის.*

*ენა ადლიანი — სიტყვა ბალნიანი. (გ.ნ.)*

---

*ნანა ჩაჩუა (ფსი-ქოლოგი):*

*სიტყვის თავისუ-ფლება გვაქვს, მა-გრამ, სამწუხაროდ, არა გვაქვს სიტყვა.*

*„დილის გაზეთი" 2001.*

***P.S.** ხან ერთს ვამბობთ და ხან — მეორეს!*

*გიგა ლორთქიფა-ნიძე (რეჟისორი):*

*მე მახსენდება ტყავის კურტკიანი, ვერცხლის კბილები-ანი უშიშროების წარმომადგენლები, რომლებიც არბევდ-ნენ ქართულ ინ-ტელიგენციას, თა-ვისუფლებას უკრძა-ლავდნენ ადამია-ნებს. ნუთუ, ჩვენ ისევ იმ გზაზე მივ-დივართ?*

*„რუსთავი-2". 2001.*

*ვახტანგ ბოქერიშ-ვილი (პარლამენ-ტარი):*

*შეიძლება ამდენი პავლე... სავლედ გა-დაიქცეს?*

*„ახალი თაობა". 2001.*

*კოტე ყუბა-ნეიშვილი:*

*ცხოვრება ხდება ნეტარი.*

## *ისევ ომან ომანიძეს!*

რადგანა ხარ სულით, გულით, სისხლით, ხორცით მეგობარი —
მეც იმიტომ სულით, გულით, სისხლით, ხორცით მოგებარე!
შენი ძმობით თავსა ვცნობდი და ავ-კარგით — ავეკარგობდი
და ამიტომ, და იმიტომ... თავზე მეტად გენდობი!

* * *

**ზურაბ ქაფიანიძე:**

მე მინდა, ჩემს თაობას მივმართო: ვიცხოვროთ ისე, რომ სიკვდილის წინ საკუთარი სახის მოლანდებამ არ შეგვაშინოს!

P.S. შენი თაობის „ქაფი" გერჩიენოს სხვათა ენაწყლიანობას!

* * *

რომაელები ამბობენ: Promoritus cuvi bene, aut nihil (მიცვალებულზე ან კარგი თქვი, ან არაფერი! (გაჩუმდიო!)

და, მაინც... როცა ერთის სიყვარული იწვევს მეორის სიძულვილს... ეს „სიყვარული" ბოროტებასთანაა წილნაყარი.

P.S. სიძულვილი და სიყვარული — მედლის ორი მხარეა და „არიოლ-რეშკასავითაა!"

* * *

კიტა ბუაჩიძე: „ბატონო გიზო! ... ორიგინალურად წერ, სხვებს არ ჰგავხარ"

P.S. ჯობია საკუთარ თავს ვგავდე!

* * *

უშანგის მუზეუმში თქვენი სურათიც ჰკიდია, ნიშნად გიზო ნიშნიანიძისადმი დიდი სიყვარულისა. თქვენი ნინო ჩხეიძე

P.S. ვის აღარ გვიწევს დობას ჩვენი „წმინდა ნინო", მაგრამ უშანგის წილს... არავის! ის ხელშეუხებელია და ცამდე ანუ მთაწმინდამდე მართალი!

* * *

პოეტურ ინტეგრალების თუ წაგეკიდა ალები —
ალგორითმების რითმებით —
ალბათ უთქმელიც ითქმება.
ასე იყო და ასეა,
ნაკვესია თუ კვესია:
„სიბერე იმას მოიმკის —
რაც სიყრმეს დაუთესია!

* * *

ქმარი თავია, ცოლი — კისერი! (ა, რაეარია — ეს ავარია),
ჩვენი მეორე ნახევარიც კი... ჩვენი პირველი ნახევარია!

---

*მაკიაველი: ხელისუფლების გამჭრიახობაზე მის ირგვლივ მყოფთა მიხედვით მსჯელობენ.*

## შეგონება გეგონება!

ეგვიპტის ფარაონებს კარზე ჰყავდათ ერთი მონა, რომელიც დღეში სამჯერ შედიოდა იმის შესახსენებლად, რომ ის... ღმერთი არ არის!

დღეს ამ ფუნქციას აღარავინ ასრულებს... უნიტაზების გარდა! და, ცხადია, ამ სუფლიორობასაც ცუდი სუნი უდის.

მიუწვდომელს ვერ ეწვდებით და...
ცხოვრების აზრს მაშინ ჩახვდებით,
როდესაც მეორედ მოსვლით —
ან ვკვდებით, ან ვიბადებით!..
რადგან...
სიკვდილი... სიცოცხლის სულ ბოლო საიდუმლოა...
და, ერთმა, ღმერთმა თუ იცის —
საიდან — საით ჰქროა!

* * *

ჩემი დღე და მოსწრება...
სულ ვღელავ და ვღელავდი —
ვალში ვიყავ, ვალში ვარ, ვალში ვრჩები ყელამდი:
სიყვარულის, სიძულვილის, ჭირისა და ლხინისა...
სურვილისა, წყურვილისა, პურისა და ღვინისა...

* * *

მთავარია ბედს რა ენება? —
ასეთია ჩვენი მშიშარა ბედნიერება!

* * *

სულაც არ ნიშნავს აყვავებას, როცა დაგჩხავის თავზე ყვავიო!..

როცა ხალხს ჭკუას არიგებდნენ... სად იყავიო?

* * *

...საკოცნელად, ყველას ახლოს ნუ მიუშვებ — შეიძლება გიკბინოს, ან, კოცნის შემდეგ, კბილები დაითვალეო. ჩხუბის წინ კი შერიგებაზეც იფიქრე! ვისაც ვერ შეურიგდები, იმას ნურც ეჩხუბები!

* * *

როცა კაცი, ერთ ყურში, სხვაზე ცუდს მეუბნება, მეორე ყურში მესმის, რას ამბობს ის სხვა ამ კაცზე.

* * *

ბედნიერია კაცი, როცა არც მეხსიერება ღალატობს და არც — ცოლი!

როცა ხარ პარლამენტარი.

უღირსეულესი და ულარიბესი კაცი არ გაგიგიათ?

ხელით მდიდარი, პირში მთქმელი სწორედ იგია!

ნუნუ ხვიჩიას (თვითნაბადი კომედიური მსახიობის იპოლიტე ხვიჩიას ქალიშვილს):

ბატონო პრეზიდენტო!

აჩუქეთ ხელდიან თბილისს იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ღიმილის კუნძული!

...მამაჩემის ნამდვილი გვარი ყვინჩია გახლავთ.

პროექტი ჩავიფიქრე და განხორციელებისთვის შევარდნაძის ხელმოწერაა საჭირო. თბილისის კარიბჭესთან, მტკვარში ერთი კუნძულია ანწლოვანი ხეებით, რომელიც არავის არაფერში სჭირდება. ამ კუნძულს „ღიმილის კუნძული" მინდა დავარქვა და ნარდის სასახლე ავაშენო. პროექტი მზად მაქვს. შეიძლება აშენდეს საბავშვო დასასვენებელი კომპლექსი, კოტეჯები, სადაც ოჯახები დაისვენებენ.

* * *

„კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდესო," ნათქვამია და როცა გულიანად ვიცინით, გულში გვეშინია, რამე არ გვეწყინოსო! ასეთია ჩვენი მშიშარა ბედნიერება!

* * *

ვიკინგები — ჩრდილოეთის ქარმა შექმნა, ქართველები — „მრავალჟამიერმა!"

* * *

დედამიწაზე ყველაზე დიდი სიტყვაა „დედამიწა", რადგან ცხოვრება იწყება „დედით" და მთავრდება „მიწით".

დედაქალაქელობა — დედაშვილობაა!.. თბილისელობა უფლება კი არა, მოვალეობაა!

* * *

...ბიძინა ავალიშვილმა თქვა: შეარცხვინე ის თბილისელი, რომლის ქალაქელობა „ზნაჩოკით" იცნობაო.

* * *

ის ქვეყანა, სადაც ბედნიერება უბედურების მხრებზე დგას... ნგრევის ზონაშია!

* * *

მრავალ... წლიან, თვე-კვირიან,
დრო-ჟამიან-წამიერით —
თქვენი გამარჯვების იყოს —
ჩვენი მრავალჟამიერი!

* * *

კაცმა გამწირა და ღმერთმა არ გამწირა,
იმან მოუარა ჩემს ყველა იარას,
არცერთ ფათერაკს გვერდი არ ავუარე,
ყველა ფათერაკმა გვერდი ამიარა...

თუ არ ჩავთვლით თბილისში არეულობის დროს მოხვედრილ იმ ბრმა ტყვიას, რომელიც თბილისს ესროლეს — მე მომხვდა და ახლაც ტანით დამაქვს...

* * *

რა და რა კანონებით?
რისი „მაკარონებით"!..
ყველაფერი, რაც ბრჭყალებში ითქვა...
ჩემი წინაპრისაა,
გრიშაშვილის ხნისაა.
„კალმის ნაცუღლუტარი" —
„ჯიშიანი" თბილისური სიტყვა!

* * *

**რეზო დვალიშვილი:** ჩვენ ბავშვობანართმეულ თაობას გვეძახიან. გიზო ნიშნიანიძის ორიგინალური ქალაქური პოემა ვერცერთ ჟანრს ვერ მივაკუთვნე. ეს საქმე კრიტიკოსებისთვის მიმინდვია. ერთი გენახათ, რა ხდებოდა ფოიეში. ამ უმზეო, ღრუბლიან დღეს (1981წ. 28 დეკემბერი) თვალებში სიჭაბუკის სხივი ედგათ, გულში ნეტარება. ფილარმონია პირამდე სავსე იყო „ჭაღარა ბიჭებით".

იმ ღამეს თბილისის ცაც გაჭაღარავდა. თოვლი მოვიდა.

**თინა ჩიქოვანი:**
ჩურჩულებენ: ეს რა საქმე აიწყო...
გულს ასკდება მავანი და მავანი,
კარგად იცი მათი ავან-ჩავანი —
სიტყვა თქვი და „ცამ ქუხილი დაიწყო!"

**პავლე ბერეკაშვილი:**
შუა ხანსაც გასცდი უკვე,
მახვილ სიტყვის დიდი მახეში,
ხარ ჭირის და ლხინის სუფრის —
შეუცვლელი ტოლუმბაში.

**ელისო კაკაბაძე:**
...იყავ შუაკაცი მინათა და ცათა,
არხარის რქა გეპყრა ხელში, ვეებერთელა,
სადღეგრძელოს სვამდი ჩვენს დათა და ძმათა,
ამ ყანწში კი ესხას თბილისი და ვერა!

**ვერელი რობერტ მელქაძე:**
შენს წიგნს ერთი ნაკლი აქვს — ღამე არ იკითხება (უსინათლობის გამო).

* * *

**თამაზ სანებლიძე** (კაცი-წამალი): ,,პაემანი გიზო ნიშნიანიძესთან" (ნაფლეთი).

ბევრმა არც კი...
ბევრმაც იცის,
ბევრიც ახლა მოდის აზრზე,
ჯანსაღ ღიმილს, ჯანსაღ სიცილს...
ცრემლები პყავს მოზიარე...
ქედებს აბაცებდა ნისლი,
სიყვარულის გამხელამდე.
გაგიმარჯოს, შენ და თბილისს,
სიცილს — პირისახეებამდე!

ნარდის სასახლეში კი საქართველოს და საერთაშორისო ჩემპიონატების გამართვა იქნება შესაძლებელი. კენჭულთან მისასვლელად გადასახსნელი ხიდი უნდა გაკეთდეს, რომელიც ღამით აიკეცება. რაც მთავარია, საშუალო ადგილობიც შეიქმნება. აქ საპინსორს ეთხოვე და აქ ხელისუფლებას სახსს. მხოლოდ ნება დამრთონ და მიწის ფული არ გადამახდევინონ. პაწარა სამოთხე მინდა შევქმნა, იმოლიც ხვიჩას სახელობის „ღიმილის კუნძული" განა არ დაამშვენებს თბილისს?! (რაღომაც არა: სიცილი მკურნალია!)

ახლა ლექსიც მოგახსენებთ!

დაგ. გული თქვენს სიყვარულს

მარცვალ-მარცვალ მიპოვიდეს.

თქვენი ქირი შეეყარის.

თქვენს ხვიჩას იპოლიცეს.

( ახალ-დახალი" 2001, 10-16.12).

გაგა ხოხარულიძე მხატვარი მწერალი ყოფილი მოყვავეგე შოუმენი თამადა: ნიჭის და გარეგნობას ვინ

P.S. ...მერე, როცა დილამ ღამის გათენება გაბედა,
ფანტელები „ფრესკის“ ღიმილს ძველ უბნებში აბნევდა.

* * *

**ზაზა ნაფეტვარიძე** (შსს პირადი დაცვის სამმართველოს უფროსი):

გლოცავ, ჭაღარავ, მათი სახელით,
ვინც ძმობა იცის, მტრობა ვერ ღუნავს,
ბევრი ავის და კარგის მნახველი —
კაციცა ხარ და ქუდიცა გხურავს!

**გია კოსტავა** (შორეული ნაოსნობის კაპიტანი):

## რადიოგრამა გიბრალტარიდან!

ბატონო გიზო! მივცურავ ატლანტის ოკეანეში (ცასა და წყალშუა) და მახსოვს თქვენი დაბადების დღე. დღეს 13 თებერვალია, 2003 წელი — თქვენი (გავამხილო?) 75 წლისთავი!

მოგილოცავ, გლოცავ, გეხვევი და გისურვებ 9-ბალიან ღელვას პოეზიის ოკეანეში.

* * *

**„ევრიკაში“ გამოსვლის დროს**
**უცნობი ავტორის მიერ გამოგზავნილი**

***„ლექსპრომტი“***

ხან ჩორთით, ხან თოხარიკით —
გარბის ცხოვრების იაბო,
მზე ხან გვიცინის, ხან, კიდევ,
კაეფ-კაიფით კიაფობს.
არაკაცობა კაცობს და კაცობა კიდე იაფობს,
ვერ იქნა, ვეღარ გაეედით სუფთას, მშრალსა და ღია ფონს,
თქვენისთანების წყალობით დრო მიდის და შმორს მიაპობს...
გიზოჯან, როცა შეგხედები,
დანარჩენს მერე გიამბობ!

## „წინა კაცობაზე!“

საუკუნეებით ყალიბდებოდა ქართული ზნე-ჩვეულებები, რომელთაც, ლამის, კანონის ძალა ჰქონდათ. 1000-ში 1 ულამაზესი აღმოსავლური ნესრიგია უფროს-უმცროსობის ტრადიცია, რომელსაც დედამიწის ზურგზე ანალოგი არ მოეძებნება. აქედანაა ნაკარნახევი ის ხალხური სიბრძნე, რომელიც ერის სახელით ღაღადებს, რომ „წინა კაცი უკანას ხიდია“, „სიბერის გვირგვინი საყოველთაო პატივისცემა და გაელენაა“ (ციცერონი). „სიბერის ტრაგედია ის კი არაა, რომ კაცი ბერდება, არამედ ის, რომ სულით ახალგაზრდა რჩება“ (ოსკარ უაილდი). ანტიკური აფორიზმია: სიბერე ორმაგი ბავშვობააო; „მოხუცებს ახალგაზრდებისთვის იმიტომ უყვართ კარგი რჩევის თქმა, რომ ცუდი მაგალითის მიცე-

მა აღარ შეუძლიათ" — მწარე სინამდვილეს ამბობდა ფრანგი მწერალი და მორალისტი ჰერცოგი ფრანსუა ლაროშფუკო და, ასევე, ჭეშმარიტებას ბრძანებდა, როცა ამატებდა: ჩვენ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასაკში, რამდენი წლისანიც არ უნდა ვიყოთ, ახალდაბადებულებივით, ახალმოვლენილებივითა ვართ, რადგან არავითარი გამოცდილება არ გვაქვს იმ ასაკისა, რომელსაც თანდათანობით ვაღწევთო.

და, ბოლოს, თითქოს ჩემს გულში იჯდესო, 70-წლიანი წარსულისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მთლად უტყუარ სურათს იძლევა ქრისეტმდელი დიდი ჩინელი მოაზროვნე კონფუცი!

აი, ისიც!

„... 15 წლისამ ჩემი ზრახვები მივმართე სწავლისაკენ. 30 წლისამ მოვიპოვე დამოუკიდებლობა. 40 წლისა გავთავისუფლდი ყოყმანისა და ეჭვებისაგან. 50 წლისამ შევიცანი ცის (ღვთის) ნება. 60 წლისამ ვისწავლე ტყუილისა და მართლის გარჩევა. 70 წლისამ დავიწყე ცხოვრება გულის კარნახით."

დროსა და სივრცეში ადამიანის განსაცვიფრებელი პანორამაა!

ღრმა მოხუცებისადმი ღრმა პატივისცემის, ჩვენებური მთისა თუ ბარის ადათ-წესის გამომხატველი 1000 ხალხური სიბრძნეა კავკასიურ სინამდვილეში, რომელშიც კიდევ ერთი ადიღეური ანდაზა ამბობს, რომ, „სადაც კარგი მოხუცები არ არიან, იქ არც კარგი ახალგაზრდობააო"... და, ამ ათასში არის ერთი „საპირისპიროც": „ჭკუა თავშია და არა ხანშიო"... მაგრამ, არც ესაა ნათქვამი საზიანოდ ასაკობრივი თუ ხელისუფლებრივი უფროს-უმცროსობის ტრადიციისა, რომელსაც ღრმა ეროვნული და სახელმწიფოებრივი საფუძველი აქვს! წინ მიდევს ცნობილი „ხელმწიფის კარის გარიგება", რომელშიც (ხელმწიფე განარიგებს რა სამეფო სასახლის წესა და რიგს) ნაბრძანებია: დავით მეფე განსაკუთრებულ პატივს მიაგებს მოძღვართმოძღვარს, რომელსაც იგი „ნოხთა პირსა მოეგებვისო", ხოლო კათალიკოსისათვის მას „ნოხთა ზედა მესამედი" მაინც უნდა გამოეარა.

ჰაი, დედასა, კაი ხელმწიფის ხელში ისე ნაბიჯნაბიჯ იყო გაანგარიშებული ყველაფერი და მისხალ-მისხალ იყო დალაგებული სახელმწიფო, გულით რომ გდომებოდა... ვერ არევდი!

საქართველოს უახლესი ისტორია სირცხვილის ისტორიაა, რომელსაც უკვე ვნომრავთ, მაგრამ რიცხვი მაინც არ აქვს!

ღმერთს ვუწყრებით და ღმერთი გვიწყრება. სული ეშმაკს მივყიდეთ და ეშმაკიც გვიხდის მიწისძვრებით, წარღვნებით, შიმშილით, სიცივით, სიბნელით.

ვაპატიებს?

ამ ქვეყანაში ჩემნაირ კაცს უჭირს — ამბობს გიგი. — ამიტომ ცხოვრების ისეთი გზა უნდა ავირჩიო, რომ არ მეეხო სხვებს ეკლად თვალში. მე ეს გზა ვიპოვე — გაუაბდლებ–ხოლმე თავს თქვენც იმავეს გირჩევთ...

**P.S.** სხვისთვის სულელი და თავისთვის ჭკვიანი!.. ხომ გაგიგონიათ?

ილია მარამიძე:

ყურმოკრული დიალოგები

— ჩინეთს ერჩია, მილიარდნახევარი კაცის გაჩენას, ერთი შევარდნაძე გაჩინა.

— შევარდნაძე რომ გაჩინა, მილიარდნახევრის ნახევარიც ვერ გახდებოდა!

„ახავალ-დახავალი", 2001.

ჯანსუღ ჩარკვიანი პოეტი ყოფილი პარლამენტარი:

დღეს ქვეყანა რასაც იტანს, ყველაფერი ვამცნე სწორებს.

საქართველო მდერის სარცაკს, არც ერთი აქვს, არც — მეორე.

ხელისუფლებამ მოგვცა... ფეხის უფლება — სადაც გვინდა, მივდივართ; ენის უფლება — რასაც გვინდა, ვლაპარაკობთ; ყურის უფლება — რასაც გვინდა, ვუშვებთ ყურში; თავისუფლება — ყველაფერზე თავს ვდებთ; პირისუფლება — რასაც გვინდა, მივირთმევთ; ჭირისუფლება — ვისაც გვინდა, ვტირით; ლხინის უფლება — როცა გვინდა, ვქეიფობთ და ა.შ. (მაგრამ „აშ"... ყველას ამერიკის შეერთებული შტატების აბრევიატურა — ინიციალები ჰგონია და ყველა იქეთ გარბის, ან ისე უნდა მუშაობა, როგორც საბჭოთა კავშირში და ისე უნდა ცხოვრება, როგორც ამერიკაში).

როგორია?!

* * *

არ იფიქროთ, ვინმე შეუყვარდა ვლადიმირ ილიჩს და ამიტომ დაკარგა თავიო! მან ის მიიღო, რაც დაიმსახურა. სანკტ-პეტერბურგის ცნობილი პარკის „კრასნოე სელოს" (ჯერჯერობით, უცნობმა) დამთვალიერებელმა ნითელ ბელადს თავი მოაგლიჯა და უგზო-უკვლოდ მიიმალა.

რუსული მედიის ინფორმაციით, ლენინის თავი ძეგლთან ახლოს იპოვეს და უახლოეს მომავალში მას ისევ თავის ადგილზე დააბრუნებენ.

P.S. ეს რაღაც იმ ისტორიას ჰგავს, მგონი, ზესტაფონში რომ მოხდა: ლენინის დაზიანებულ თავს ქუდი დაახურეს და გახსნის დღეს... ხელშიც ეჭირა და თავზეც ეხურა!

ეს სურათი არ ამომდის მეხსირებიდან!

**ვახუშტი კოტეტიშვილი:**

*მკაფიო კაფია*

გაეაბითურეთ სამშობლო,
მართლაც სამოთხის სადარი.
სხვა საქართველო კი არა,
თვით საქართველო სად არი?!
P.S. იტყოდა... რას არ იტყოდა!...
ეს კითხვა თან გაიყოლა —
ზღაპარი კაცი იყო და —
იყო და და არა იყო რა!

## *დროის „ნატატია" თუ ანოტატია*

...რა მაგის პასუხია და ვარ სადღაც, შავი ზღვის ახლო-მახლოში... ფოთის „აკვატორიაში" (ამასაც მოვესწარი, რუსეთ-საქართველოს ომია და ჩემი „დისლოკაციის" ადგილს ბოლომდე ვერ ვამხელ). „ვისვენებ" (ამასაც თუ დასვენება და არა — გასვენება ჰქვია) და ტანკების გრუხუნში მეც ტყვიასავით ვისვრი სიტყვებს!.. (მისამართით თუ უმისამართოდ).

ჩემი თვალის ნინ ინგრევა ქვეყანა. ძირავენ ქართულ „ფლოტს" და თან სიყვარულის „ფლირტსაც" გვეთამაშებიან...

ძმობა და მტრობა, თეთრი და შავი ველარ გაგვეირჩევია. დღე და ღამე ტყვიის თავსხმაში ვარ და მიუხედავად იმისა, რომ ქვემეხები გრიალებენ — მუზები... არ სდუმან!

ჰოდა, ჩვენს „უფროს ძმებს" ვუძღვენი მათი ძმობისა და დროის შესაფერ 2X4-სტრიქონიან „კატრენს"!

დილა არა ჰგავს დილას –
ღამე არა ჰგავს ღამეს –
სიცოცხლე ითვლის წუთებს –
სიკვდილი ითვლის წამებს!
სიმღერით ჰგავხართ ურდოს –
„კაც კელით“ იკალით ხოში –
Где Ваше – „Доброе утро?“
Где Ваши – „Спокойные ночи“!

* * *

„თუ მარტო ხარ, რჩევა... ქუდს ჰკითხე“!

## ერიჰააა!

ეს შორისდებული შეიძლება შორის-დებილადაც მოგეჩვენოთ, ისეთ ამბავს ვუსათაურე.

„ენას გინუნებ, ფშაველოო“ — აკაკი წერეთლის ლექსზე ვაჟას პასუხისა არ იყოს: „ბევრი ვიფიქრე ძალიან, თუ რა პასუხი გამეცა“ იმ, უკაცრავად პასუხია, კალმის წრიპინისათვის, დღეს ერთ გაზეთში რომაა ატეხილი... ცუდად ატეხილი ჩემი უმცროსი თანამოკალმეების მიერ.

მკითხველთან და ადრესატთანაც წინასწარ ბოდიშს ვიხდი ტონისათვის, რომლის არც არჩევანია ჩემი და არც — არადანი. იარაღი — სატირა (თუ რაღაც მსგავსი თუ უმსგავსი — სატირულ-სატირალი „ჟანრი“) თვითონ ჩხუბის თავებმა, არც-თუ მთლად თავაზიანად შემოგვთავაზეს და მეც — ყოფილ ფელეტონისტს (ღმერთმა დაგვიფაროს „ფულეტონისტობისაგან“) ძველმა ხელობამ შემახსენა თავი! სხვა რა ჩარაა — იძულებული ვარ, ვიშიშველო წლებით გალეული, ტარამდე დასული ძველი ფელეტონისტის კალამი და თავით გადავეშვა ახალ ჭაობში, რადგან ნათქვამია, რომ ჭაობი ქმნის ბაყაყებს და არა ბაყაყები — ჭაობს!

დიახ, ეს სწორედ ის დროა, როცა თქმა სჯობს უთქმელობას!

სახარება გვმოძღვრავს: „პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი!“

ღვთიურ და არა უღვთო სიტყვაზეა აქ ლაპარაკი!

ნიგნთანიგნი ქადაგებს, რომ „სიტყვამან საშინელმან შეაძრწუნა გული კაცისა მართლისა“.

გულზე ხელი კი დამიდია, მაგრამ თავზე ხელის აღების გარეშე მაინც ვერ მითქვამს ბოლომდე (და სრული სიმართლე), რადგან ძველი დროის — საგარეო ცენზურა, დღეს, საშინაო ცენზურამ შეცვალა — ოჯახმა, სადაც ერთი ვაიუშველებელი და

ედუარდ შევარდნაძე:

ქვეყანა თუ კი მოძრაობს და ცოცხლობს, ეს მხოლოდ იმის შედეგია, რომ პრეზიდენტი და სახელმწიფო კანცელარია ფეხზე დგას...

„გზა“, 2001.

(და, თან, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია!)

მიხეილ სააკაშვილი:

თუ ამ ქვეყანაში სიმართლის თქმა სიგიჟედ ითვლება, დაე, ვიყო გიჟი!

„ალია“, 2001.

კახა თარგამაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი:

მე მათ არ დავადლეპინებ საქართველოს. მე რკინის კაცი ვარ.

„ახალი თაობა“, 2001, 11.

გიჩა ლომსაძე:

ეშმაკი ქრისტესაც სთავაზობდა, დაიჩოქე და მთელი ქვეყნის სიმდიდრე და დიდება შენი იქნებაო (მათე, 4.8.9).

**P.S.** მადლობა ღმერთს, რომ გაუძლო ცდუნებას, თორემ ახლა მავანნი იქით უჩოქებენ ეშმაკს, ველი მომე და

ჯახაჯუხი გვაქვს: შეგვეშვი, თუ ღმერთი გნამს! ამ ხნის კაცი ხარ, — შენც დაისვენე და ჩვენც დაგვასვენეო (რაღა დარჩა გასვენებამდე!). პოდა, მართალი გითხრათ, ეს შინაცენზურა კიდევ უფრო ამძაფრებს ჩემში პროტესტის გრძნობას!

ხალხო, შინაურო და გარეშევ!.. რაღა დროს ჩემი თვალზე და პირზე ხელის აფარებაა. არადა, ჩემი დუმილი არც არასოდეს ყოფილა უთანხმოების თანხმობის ნიშანი.

კმარა დუმილი!
ახლა ჩემი სიჩუმეც ყვირის!
არ არს გარჩევა —
მართლის, მტყუანის, ჭირის თუ ლხინის.
სიტყვა-მრუშობა არის
კაც კვლა, წამება ცილის —
თბილისში ეცხოვრობ
და თბილისში დაეეძებ თბილისს!

სათქმელი უნდა ითქვას! მაგრამ რახან, ხალხური სიბრძნის რეკომენდაციით, ჩემი ხნის კაცს ყველაფერი დაეჯერება, მეტი დაფიქრებაც მმართებს. მართლის მთქმელი გიჟივით მართალი უნდა იყოს და მართალივით გიჟი! მით უფრო მაშინ, როცა სიმართლეს ასე უჭირს და ჩვენი დროის ერთი თბილისური ყბისსაქცევით რომ ვთქვათ, „ბნელა... მთვარიან ღამეში!"

...ისევ ჩვენდა გასაჭირად, სწორედ ასეთ გასაჭირშია, ახლა, აქამდე გაჭირვების ტალკვესად ცნობილი გაზეთი „ალია", რომელსაც, ვაი თუ „სიცრუე და ორპირობა" ავადმყოფობად ექცა და უკვე „ქრონიკულშიც" გადაეზარდა! სახალხოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ჰოლდინგს დღეს აშკარა პაროქსიზმები სჭირს, რაც „ჭირთა უფრო ძნელია" (არა მარტო მისი მკითხველის, არამედ მის კეთილისმსურველ-მესვეურთათვისაც!

აქვე, ჭირისუფლის უფლებითა და გულშემატკივრის გულშემატკივრობით (თუმცა, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვისა და რევერანსების გარეშე), უნდა ვთქვა, რომ მე ამ გაზეთის არა გადამკითხველი, არამედ მკითხველი და განმკითხველი ვარ, რისი უტყუარი მოწმეა ჩემს სანიგნეთ-სამეგობრეთში დავანებული, წლობით ნაკინძი ზემოხსენებული გამოცემების სქელტანიანი შეკვრები!..

სწორი გითხრათ, დღემდე არც ამ გაზეთების ყურადღება მომკლებია — მათაც არაერთხელ გავუნებივრებივარ თავისი პუბლიკაციებით, ინტერვიუებით, რომლებშიც არც ქების „დეფიციტი" მიგრძვნია — არც ფერების!

აქვე უნდა ვაღიარო ჰოლდინგის ჩიტ- თუ გერიტკორესპონდენტთა — ქალ და კაც თანამოკალმეთა მაღალი კვალიფიკაცია, რომელიც, ნებით თუ უნებლიეთ (ალბათ, ჰოლდინგის მთავარი მესვეურის — ანუ შეფ...მზარეულის გემოვნებისამებრ ნაზავი შხამ-სამსალის მომაკვდინებელი დოზის გამოც და გემოც...). სამწუხაროდ, ზოგჯერ არცთუ ისე კარგ საქმეს ხმარდება.

მოგეხსენებათ, ეს გაზეთები თავს იწონებენ რეიტინგულობით, რომელიც (ამ შემთხვევაში) რეი-ტინგიცრობას უფრო ჰგავს.

სხვის კრიტიკაში მაგრები ხართ და ახლა ვნახოთ, სხვისგან როგორ აიტანთ კრიტიკას? ვიცი, თქვენთან ხუმრობა... ცეცხლსაშიშია!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

პატივცემულო მკითხველებო, გადამკითხველებო და განმკითხველებო!..

ოთხგზის ნაშუნტარ და გახეთქილ გულზე შემიძლია დავიდო ხელი, რომ მთელი ჩემი ჟურნალისტური კაპიტალი თქვენი, ანუ მკითხველის ნდობის მანდატია!

ამიტომ, „წინა კაცის" უფლებით და უფროსუმცროსობის ტრადიციით თავს უფლებას ვაძლევ და ვალდებულადაც ვთვლი, მოყვარეს პირში ვუძრახო!

მწერლობა ბეწვის ხიდზე სიარულიაო! — ბატონმა კონსტანტინემ.

„მე გადავდივარ ბეწვის ხიდზე,
მიზანს გავცქერი...
არც ტაში მინდა, არც რეპლიკა,
არც ღრიანცელიო, —" წერს ჩემი სახლიკაცი — შოთა ნიშნიანიძე.

წინა კაცი უკანას ხიდია! ნუ დავლეწავთ თაობებს შორის გადებულ ხიდებს!

აზრზე მოდით და ხიდზე გადით, ძმებო, როგორც, ძველი თბილისელები ამბობდნენ და ახლა პარლამენტში მიმართავენ — კოლეგებო!

მაშ, ასე: ვახსენოთ ღმერთი და შევუდგეთ ღმერთსა.

ძვირფასო მკითხველო!

თუ მეხსიერება არ მღალატობს ან მეხსიერებას არ ვღალატობ, სადღაც, ტვინის ხუჭუჭებში, ანუ რომელიღაც ჰემისფეროში შემომრჩა სილვესტრის სიტყვები, რომ „ჟურნალისტიკა მეორე უძველესი პროფესიაა... პროსტიტუციის შემდეგ"!

უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ჟურნალისტიკას დიდი შანსი აქვს, „პროსტიტუტკობაში" თვით პროსტიტუციასაც კი „გადაუჯოკროს"! მით უმეტეს, რომ ახლა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ნებისმიერ უცენზურო სიტყვაზე... ცენზურა მოხსნილია და თვით ასო-სარცხვენელის, თუ სხვა ყოვლად უხსენებლის ხსენებაც, სრულიად უსირცხვილოდ და გარკვეული „კომფორტითაც" შეიძლება. ჰოდა, მარტო ამ წმანურიანი თუ უნმანური სიტყვის „თავისუფლება" რად ღირს!

მოკლედ, ბილწსიტყვაობის — რაღა „პარადალეა" და რაღა ეს „ალია-ბალია" თუ „ალია-ქოთი!" კომუნისტების დროს, ბოროტებას, სინითლემდე ვამკობდით ქება-დიდებით, ახლა კი შემხვედრი მანქანების ტალახივით ვასხამთ ერთმანეთს... ლანძღვა-გინებას!

1 პირს — 100 ყური უნდა,
ეიდრე ჭკუა ირწმუნებდეს:
„კარგ მთქმელს — კარგი გამგონეო" —
ცუდ მთქმელსა კი... მით უმეტეს!

სული შენი იყოსო.
ლ.ს., 15.09.06.

**P.S.** ვინ — ვის აჩოქებს და ვინ — ვის უჩოქებს, ეშმაკმა იცის!!!

XX ს. 70-იან წლებში აშშ-ში სატანის ტაძარიც კი აშენებიათ (ჰიპური მოძრაობის ლიდერის მიერ). ეს უბედურება. უკვე არც ჩვენთანაა შორს — სატანისტური სექტა საქართველოშიც ფეხს იკიდებს და ფეხებზე გვკიდებს!

~~გრიგორი კლიმოვი. წითელი კაბალა:~~

ალქაჯთა და კუდიანთა შაბაში ნიუ-იორკში ყოველ წელიწადს იმართება. ჩვეულებრივ — ივნისის ბოლო კვირა დღეს. ეს ზეიმი „კეთილ ტრადიციად" იქცა და 60-იანი წლების ჰომოსექსუალური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, სისტემატურად იმართება.

**P.S.** ჩვენ კი... „ფუი, ეშმაკის" ფურთხებით გვინდა, ეშმაკებს დავუფრთხოთ ანგელოზები"!

მომრავლდნენ ქვეწარმავლები და...

ღირსი მამა სერაფიმ საროველი გვმოძღვრავს, რომ: „ცხოვრების მთავარი მიზანი სულიწმინდის მადლის მოპოვებაა. მამაღმერთის მიერ სულიწმინდით გადმოსულ მადლს აუცილებელია, ადამიანის სიყვარულით აღსავსე ძალისხმევა შეეგებოს. ასეთი სინერგიული ურთიერთობის გარეშე სიკეთე ადამიანში ვერ დამკვიდრდება" (ჟ. „კარიბჭე", ბიბლიური ისტორია. გვ. 55).

ახლახანს ბერი პაისის აღსარება წავიკითხე: „ამ მძიმე და ძალიან საშიში" წლების გაძლება-გადატანის, „საგიჟეთად ქცეული მსოფლიოს" უბედურებათა თავიდან აცილების ერთადერთი გზა სულიერებაზე გადისო!

„მოდით, ვიცხოვროთ უფრო სულიერად, უფრო მეგობრულად... ხელი გავუმართოთ კაცს. ვილოცოთ კეთილი ადამიანების გამოსაჩენად!"

„...ვილოცოთ იმისათვის, რომ ღმერთმა განგვანათლოს და მოგვივლინოს სხვა ადამიანები და არა ისინი, დღეს სამყაროს რომ ანგრევენ. ხსნა „სულიერისა და მატერიალურის ურთიერთშეზავების სახიერ მაგალითშია"-ო! თორემ რობერტ მუზილის ახლახანს ქართულად გამოცემული სქელტანიანი წიგნი „უთვისებო კაცი", პოეტის ემპათიითა და მათემატიკოსის სიზუსტით, ქმნის მისტიკურ რეალობას, რომელშიც ადამიანები სიკეთისა და ბოროტების ზღვარზე არიან დანახულნი და, თანაც, როგორი მორალური დეფინიციებით!

„ჩვენ ანტიქრისტეს სასწაულის შუაგულში ვართ... გადარჩენისათვის ბრძოლაში ფილოსოფიური სენტიმენტებისათვის ადგილი არ რჩება... ბოროტება ესწრაფვის, ფეხი დაუდოს ამაღლებულს... ვინ არ იცნობს მის მაცდურ ხიბლს... ამ ქვეყნად საყრდენად მხოლოდ ის გამოდგება, რაც ურყევია და თუ ამ საყრდენს, პატივისცემის გამო, ეშმაკს ვერ უწოდებენ, შეტრუსული ბალნის სუნი... მაინც უდის"

„ალია — ჰოლდინგის" შემთხვევაში, სწორედ „შეტრუსული ეშმაკის" სუნი გვცემს! აქ, სწორედ „აზროვნების თავისებური, უსულგულო სიყვარულით შეგვეძლო: სიკეთე — ეგოიზმის განსაკუთრებულ ფორმად განგვეხილა, სიყვარული — შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებთან დაგვეკავშირებინა... სილამაზის მიზეზად — საჭმლის მონელების სისტემა დაგვესახელებინა... თრობასა და სულიერ ავადმყოფობას შორის მსგავსება დაგვენახა (ქეიფი — გეიფად ჩაგვეთვალა — გ.ნ.), პირი და უკანალი, როგორც რექტალური და ორალური დაბოლოება — ერთმანეთთან გაგვეთანაბრებინა (მახლას, წინა და უკანა გაგვეერთიანებინა — გ.ნ.)... არსებობს რაღაც უსახელო განწყობა, რომელიც უამრავს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი: ბოროტება — მზად ყოფნა აურზაურისათვის, უნდობლობა — ყველაფრის მიმართ, რაც მოკრძალებას იწვევს" (რობერტ მუზილი, „უთვისებო კაცი". გვ. 309-311).

...თითქოს, ჩვენს გულში იჯდეს ეს დალოცვილი მუზილი და ჩვენს „მუზიკას უკვეთავდეს", ჩვენს სათქმელს ამბობდეს! ეშმაკმა დალახვროს, მგონი მართლა ანტიქრისტეს დროში ვცხოვრობთ, ეშმაკი ბობოქრობს და მეფისტოფელისა არ იყოს — "Сатана там правит бал!"

და, აი, ვუახლოვდები ჩემს უშუალო სათქმელს, ენა კი კვლავ არ მიბრუნდება, რომ სიკეთეს-უკეთურება დავარქვა და პირუკუ: უკე-

თურებას — სიკეთე! თანამოკალმის მიერ ბოლმით დანაღმული ქაღალდის ველზე პელენგატორივით დავატარებ კალამს, ისედაც დაძაბული და ფეთქებადსაშიში ბეჭდვითი სიტყვის გასანაღმავად!!! ლამის, ათივე თითი კალმისტრად მექცეს და სიკვდილის როკევასავით, ხანჯლურივით აცეკვდეს ყველაფრის ამტან ქაღალდზე; მელანი ლამის დავაქციო სუფთა ფურცელზე ამ სიბინძურის საჩვენებლადაც და დასაფარავადაც!

ჰოდა, ასე! რასაც დათესავ — იმის მოსამკელად — გლესავ და გლესავ, კალამო!

აღვირახსნილობას, გაუხედნავ სიტყვას, ზოგჯერ ბებრის ლაგამი, უფროს-უმცროსობის დაუნერელი კანონი, ტრადიცია სჭირდება! წინა კაცი — უკანას ხიდია (თუმცა, ახლა, წინას... უკანა, ეშმაკმა იცის, სად, რაზე და როგორ ჰკიდია!)

სიკეთე ჰქენი და ქვაზე დადეო!

ჰოდა, მეც ასე ვიქცევი!

აი, ეს სიკეთეც და აი, ეს ქვაც!

...ცხოვრობს საქართველოში ერთი... ერთი კი არა — ერთადერთი უტირაჟო კაცი, რომელსაც მადლს ვერ დაუთვლი (და, არც თვითონ ითვლის!). თოვლის ბაბუას არ ჩაუყვია საჩუქრისთვის გუდაში ხელი იმდენჯერ, რაც მას ჩუმად სიკეთე უკეთებია, ჩუმადვე დაუდია ქვაზე, მართლაც, კაცისა თუ ღმერთის წინაშე! მსგავსი კაცი, მგონი, ისტორიასაც არ ახსოვს. თუ სიკეთის მკეთებელ კაცს — სიკეთის დამნახველი არ ეყოლა, შესაძლოა ეს „ქვა"... შებრკოლების ლოდადაც იქცეს! თუ ასეთ „ქვებს" ავაგდებთ და თავს შევუშვერთ, შესაძლოა, ეს „ქვათა ღაღადი", ეს სიკეთის „ქვა".. საფლავის ქვადაც კი იქცეს სიკეთისთვის!

ნათქვამია: „ძმაო, ძმით ხარ ძლიერი"!
ამ სიბრძნესაც დაეკარგა იერი —
ქვაზე დადე,
თუნდაც, დადგი გობითა —
მტრობით ვანგრევთ, რაც ვაშენეთ ძმობითა.
ნუთუ, ყაელი გაუვიდა სიკეთეს?
სხვას — კარგსა და თავს — სიავეს უკეთებს!
ნუთუ, მადლი — მადლობადაც არა ღირს?
და რა პქეია ამ უსისხლო „ხარაკირს"!
...ძაღლი ყეფს და ქარავანი" მიდისო!
ვინ — რით იბრძვის, ვინ — რით იხვევს იარებს?
მან იკითხოს, ვინაც — სინდისს ყიდისო —
წინ იყურე და შენი გზით იარე!

ზეწარმავლებიც!

მათ შორის საერთო ის არის, რომ პირველნი ქვე...წარმავლები არიან, მეორენი კი ზევით მიიწევენ და იმიტომაც დაერქვა ზე-წარმავლები.

ვნახოთ, დამკვიდრდება თუ არა ეს ახალი სიტყვა ძველ ქართულ სიტყვიერებაში?

ღმერთმა ნუ ქნას!

„კალმასობა"
2006. N 1.

ასეა თუ ისე, ნობელიანტი იოსებ ბროდსკი, ტირანიის შესახებ თავის ესსეში წერს: პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა ჯუნგლის კანონთან შერწყმული წმინდა წყლის გეომეტრია.

იქ, ნემსის წვერზე, მხოლოდ ერთი ფეხია და სჯობის, იგი ბებერი იყოს, რადგან ბერიკაცები ანგელოზებად არ გაჩვენებენ თავს. საბერემეპარული ტირანის ერთადერთი ამოცანა ის არის, რომ შეინარჩუნოს თავისი მდგომარეობა. მისი დემაგოგია და პირმოთნეობა, ტექსტუალური ერთფეროვნებას ქვეშევრდომთა გონებას არ აიძულებს, დაჯერონ ან აუცილებლობად მიიღონ

პატივცემულო თანამოკალმეებო!

ჩემი ხნისა და თქვენი პროფესიის კაცს, ალბათ, უნდა დაეჯერებოდეს! თანაც, ამ საქმეში (ასე თუ ისე) სხვაზე არანაკლებ გამეგება, რადგან დიდი ქართველი მეცენატის, დავით სარაჯიშვილის სქელტანიანი კრებულის ავტორი გახლავართ და სხვაზე მეტად ჩახედული ვარ ქველმოქმედების რაობაში!

დავით სარაჯიშვილს (მისი თანამედროვეები) „არალეგალურ ქველმოქმედს" უწოდებდნენ, რადგან უხმაუროდ აკეთებდა სიკეთეს.

ერთხელ, აკაკის ჰკითხეს — როგორ ბრძანდებითო და უპასუხა:

გამიგეთ, როგორაა დათიკო სარაჯიშვილი და გეტყვით, როგორა ვარ — მისით მიდგია სულიო!

ქართული კონიაკის სწორუპოვარ მესაძირკვლეს, ერთხელ, ერის მამა — ილია ჭავჭავაძე შესწრებია კანტორაში, როცა დიდი მრეწველი მაშინდელ „კომპიუტერზე" — ძველებურ საანგარიშო „ჩოთქზე" სომხურად ითვლიდა შემოსავალ-გასავალს და განცვიფრებულა: ქართულად რატომ არ ანგარიშობო?

— რა ვქნა, ჩემო ილია, არ ესმის ამ ოხერს ქართულიო!

ჩვენს ბედოვლათობაზე ამაზე უფრო მნარედ და დელიკატურად ვერ იტყვი.

ქართული ფენომენის მონმედ კიდევ უფრო შემაძრწუნებელია ფუთიანი გირივით მძიმეწონიანი წიგნი — ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" — („ქართლის ცხოვრება" 44-45 გვ.).

„ხოლო კაცნი ამის ქუეყნისანი არიან... სახელის მაძიებელნი ესერეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქუეყანასა... სტუმართა და უცხოთა მოყუარენი; მხიარულნი... სიკეთის დამსნავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტებაზე ადრე მიმდრეკნი, თავხედნი (აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! — გ.ნ.), დიდების მოყუარენი, თუალმგებნი და მოთაკილენი".

ეს, ჩვენ ვართ სიკეთის დამსნავლელნი და მიმგებელნი??? ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე, ბატონიშვილო, მაგრამ თქვენ რომ დღევანდელი ქართველობისათვის შემოგახედათ... გულზე ხელებს არც საფლავში დაიკრეფდით.

სწორედ ამიტომ შეგანუხეთ სამაროვნებში ჩვენი დიდი წინაპრები, რომ შთამომავლებს გვახსოვდეს, ვისი გორისანი ვართ!

სულხან-საბა: „შური არს მნუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა; ხოლო ღაზობა... რამეთუ ენებოს მოსპოლვა კეთილმოქმედისა მის მოყუსისა".

ფაქტზე ნასწრებულებივით.... რამე ხომ არ გეცნოთ, ბატონებო!

ქართულ ენაში უამრავი საიდუმლოა დამარხულიო — იოანე ზოსიმემ. არ ვიცი, არის თუ არა ეს ერთი იმ უამრავთაგანი, მაგრამ ფაქტია, რომ აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე საოცარ ფონემებსა და წესრიგს ვანყდებით?!.. დაუკვირდით! ქართულ კომპოზიტებში, პირველხსენების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, სიტყვა-ღმერთი ვის და რას აძლევს უპირატესობას! აქ, მაგალითად, „მდედრობითი", ყველგან აღმატებულ ხარისხშია: დედ-მამა, ცოლ-შვილი, და-ძმა და ა. შ.

ქართული ხასიათის აღმნიშვნელადაც სიტყვა „ავ-კარგს" ვხმარობთ, რაც ერთ სიტყვაშივე გამოხატავს ჩვენს ავკარგიანობას, სადაც „ავი" „კარგზე" — პირველობით იწონებს თავს, რაც სარკესავით აუსახავს „ქართლის ცხოვრებას".

ყველაფერი ღირებული შექმნილა „ხასიათიან კაცთა" მიერო! —

ილიამ (დიახ! უხასიათო კაცი რაა, ქვეყანა რა უნდა იყოს!).

„ვაი, იმ ხალხს, ვისაც საერთო ძარღვი გაუწყდა, — წერდა ერის მამა, — ქურდ-ბაცაცებზე უარესნი არიან ისინი, ვინც იმოდენად ხელს იღებენ თავზედ, რომ ცილისწამებით, ხმის დაყრით, ჩუმად და იდუმალად უბღალავენ თავის მოპირდაპირეს პატიოსნებასა და ნამუსსა... ღონე ქვეყნისა ნიჭიერი და მხნე კაცია. ყველა ბუზი ბზუის — ფუტკართან ყველა ტყუისო!" შური, ერთმანეთის მტრობა, გაუტანლობა, ბეზღობა, ენატანიობა... ადამიანის ღირსების უარყოფა... ამისთანა თვისებების პატრონებს რა საქმეები უნდა გამოუვიდეს ხელიდან? ცხოვრება ნენვა-გლეჯის ბაზარიაო!

არა თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია. — ამბობდა „კარდუს დიდი მოურავი" — ილია მართალი.

გააბეჩავა მშობელი უმსგავსთა შეილთა ყოლამაო!

ვინც მიზიანებს სამშობლოს — მეც იმას დავაზიანებო! — ვაჟამ.

ფურთხის ღირსი ხარო! — რამ ათქმევინა აკაკის?

ხელში გეჭიროს სიმართლის თასი, მასში მტევნები გრძნობის ჩაწურე. რასაც არა აქვს სიცოცხლის ფასი — დალეწე, დასწვი, გაანადგურეო! — გალამ.

ჭკუა ჭკუის საკითხავ ხალხს უნდა ჰკითხო!

სარაჯიშვილს უყვარდა ჰორაციუსის სიტყვების — თავისებურად თქმა:

ფული — ცუდი ბატონი და კარგი მოსამსახურეო!

ღირსეულთა კანონია: სიკეთე აკეთოს და არ იდავოს (ლაო-ძი).

მითხარი, რა დათესე და გეტყვი, რას მოიმკი? (სერვანტესი).

ის გაჩუმდეს, ვინც სიკეთეს აკეთებს და იმან ილაპარაკოს, ვისაც სიკეთე გაუკეთესო (სენეკა).

იქ, სადაც საქმე ლაპარაკობს — სიტყვა ზედმეტია (ციცერონი).

ამ თემაზე მთელი ქართული ხალხური სიბრძნის — ანდაზების ფიანდაზები შემიძლია ფეხქვეშ გაგიგოთ, მაგრამ ვფიქრობ, ჭკუის სასწავლად ესეც კმარა (ა, კიდევ ერთი ნაღმი! „კმარა" დღეს ეს სიტყვაც გვარიანად შელანძღული და ფეთქებადსაშიშია!)

ჰოდა, ამდენი თუ ვიცით, ამდენი თუ გვესმის, ამდენს თუ ვხედავთ და თეთრსა და შავს, კარგსა და ცუდს ვარჩევთ, მაშინ, რა ღმერთი გვიწყრება, ხალხო?

4-10 აგვისტოს კვირის „ქრონიკის" 26-27-28-29-

მისი აზრები. მაშინ, როცა მეციჩარა ყმაწვილი, თავისი ნამდვილი თუ გამოგონილი გზნებითა და მიზანსწრაფულობით, ხამილო-ოდ, ყოველთვის ამართლებს საზოგადოებრივი ცხოვრების დონეს. კაცობრიობის ისტორიას რომ გადავხედოთ, დავრწმუნდებით, რომ პროგრესი ცინიზმით განიზომება, რადგან ახალ ცინიკოსებს თავლომაქცობისა და სისაცვის ყოველთვის ახალი ნაზავი მოაქვთ.

...სნეულებს და სიკვდილი — ეს ორი რამ თუ ათეთიანებს ცარანებს და მის ქვემევრდომეებს. ამ თავლიხაზრისათვის კი, ხალხს უჩივენია, ბეროკაცი მართვედებს.

გამონაკლისი, თურმე, ბებრებმაც არსებობს — ეშმაკებს ანგელოზებად მოაქვთ თავი.

არმაზ სანებლიძის ისტორიები მეგობ-ნამესთან.

...კონსტანტინე გამსახურდიამ ზვიადის თანდასწრებით მითხრა: ზვიადმა თქვა, გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ ახეთი მმართველი საქართველოს არ

30-31-ე გვერდებს ანოტაციად მიუძღვის რედაქციის საგანგებო გაფრთხილება, რომ ჩვენ აქ „წავიკითხავთ ქვემოთ დაბეჭდილ ინტერვიუებს" (არადა, ინტერ-ვაი-ვუიებს უფრო ჰგავს — გ.ნ.), რომლებითაც, თურმე, „უნებლიეთ გაგვახსენდება ჯერ არქიფო სეთურის „კოლმეურნეობა", შემდეგ კი — „პოლიქრონიონ, პოლიქრონიონი"!..

სულ ცოტა, 10 თავი და 2 გული მაინც უნდა გქონდეს კაცს, რომ ასეთ ხალხს დაუპირისპირდე!

გადაშლით ამ გვერდებს და თვალებს არ დაუჯერებთ, რომ ამ ყანწებივით, ანუ რქოსან ბრჭყალებში მოქცეულ „კოლმეურნეობაში" იხილავთ უმაღლესი რანგის — ქართული ერის საამაყო ადამიანებს — ნონა გაფრინდაშვილიდან და ჭაბუადან დაწყებული — მარიკა და გიგა ლორთქიფანიძეებამდე! ნახავთ ძეგლთა სამშვიდობოს გასულ მოარულ ძეგლებს, რომელთა სახელთან დროს უკვე აღარავითარი ხელი არ აქვს! (როგორაც არ უნდა გახელდეს იგი და თავზე ხელი აიღოს კაცმა!).

აქვე: „ალიასა" და „ქრონიკის"-ადმი საპროტესტო წერილის ხელმომწერებს (ანუ ამ ელიტას — იმ ბნელიტიდან) კიდევ უფრო მკაცრი სასჯელი ელის — ავადსახსენებელი 37-იანი წლების სახელმწიფო მკვლელ — თბილისელ სისხლიან ჯალათ შაშურკინთან შედარება-გაიგივება!

ჩემი ძველი კეთილისმსურველი და ბებუთივით ალესილი სიტყვის კაცი — დიტო ჩუბინიძე (შვილიშვილი ბაბუას) გაზეთით მიყვება მისთვის ყურმოკრულ და ჩემთვის საკუთარი თვალით ნანახ ამბავს — საბჭოთა ჯალათი შაშურკინი, მის ვიღაც მეორე ქართულ თანამოსისხლე ჯალათთან ერთად (რომლის გვარს, რატომღაც, „შეგნებულად არ ასახელებს"), როგორ ბანაობდა პატიოსანი ხალხის სისხლში!

წარმოიდგინეთ, საიდან — სად ამოყო ამბავმა თავი!

მახსენდება სიყმაწვილის წლები.

შაშურკინი პაპანინის ქუჩაზე ცხოვრობდა და „ზემელზე" იმ ქართველ თანა... მოსისხლესთან ერთადაც გვინახავს, ჭოპორტის პამიდორივით რომ ჰქონდა სახე წამოჭარხალებული... „ამ ჭალის მგელს" თავზე ცხერის — კრაველის ფაფახი ეხურა!

ერთხელ, ბიჭები ქუჩაში მივიმღეროდით, იმ დროს ერთობ გავრცელებულ სიმღერას: „სალამი, ჩიტუნებო"... მოვიდა ეს კაცი, თავზე დაგვადგა, იმღერეთო, გვითხრა.

და... ჯერ დამთავრებულიც არ გვქონდა სიმღერა, რომ გაგვილანძღ-გამოგვილანძღა: რასაა, რომ მღერიხართ, თქვე მამაძაღლებო, ეს მენშევიკების სიმღერააო!

ამ „ბოლშევიკურ მოფერებას" კი ის მოყვა, რომ ოთარა მგელაძე, აფთარივით ეცა მის „გალიბანდს", თავიდან წააძრო, „პლეტი, ბიჭებოო!" — იყვირა და მოქუსლა. ჩვენც ერთ წამში ავორთქლდით და კაი ორი კვირა ე. წ. „დამაშნი არესტში" ვიყავით, რომ სადმე ქუჩაში არ გადავყროდით სიკვდილის ამ მოციქულებს! (ანუ, ძველ შინსახ-კომელებსა თუ გარე—წრებს!)

და, აი, ფუი, ეშმაკს!

საიდან-სად გვიწია!

იძია შური „იმ ჩეკისტმა" თავისი გალიბანდისათვის! ჩემი ახალგაზრდა კოლეგა „ქრონიკაში" წერს: „იმ ქართველი ჯალათის გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, მხოლოდ ერთს კი ვიტყვი — მისი გვარისანი და სულისანი — ადამიანის სისხლით აქოთებული ჯალათები (ისევ „ალია"-ქოთის სტილში!) შაშურკინის მეწყვილეობას დღესაც წარმატე-

ბით სწევენ-ო"!

ფუი, ეშმაკს!

გესმით, ხალხნო, ვისთან და ვინ გვაიგავ-გვაიგივებსა და გვანყვილებს?

ესეც შენი ძველი მამები და შვილები და ესეც ჩვენი ახალი მამაშვილობა!

ყოველივე ამის შემდეგ, როცა სიტყვა „ჩათ-ლახი", ლამისაა, გაზეთის რუბრიკად იქცეს, რა გასაკვირია ბროლივით გამჭვირვალე კაცის — თენ-გიზ არჩვაძის (როგორც რესპოდენტის) ნონას-ნორობიდან გამოსვლა და ამავე გაზეთის მეორე ინ-ტერვიუერთან შეხლა-შემოხლა: „შენ რას კადრუ-ლობ, შენ ნაგავო? (მობილურ ტელეფონს თიშავს და, ალბათ, კბილებით ღრღნის" — „ქრონიკა").

უნებლიეთ გაგახსენდებათ არქიფო სეთურიო, ნერს ერთ დროს ჩემი მაქებარი და ჩემგან ნაქები კორესპონდენტი.

არქიფოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ სწორედ რომ დროა, გავიხსენოთ მეღვინეთუხუცესის დათა თუთაშხია და ასინეთების ბრბოდ ქცეული ხლისტე-ბისათვის მისი ხისტი მიმართვა:

— რა მოგდით, ხალხო, რას დაგამსგავსათ ამ მამაძაღლმა სეთურმა?

„რა ხდება, ადამიანებო, რას დავემსგავსეთ?" — ეხმაურება დღეს თუთაშხიას გენერალი ყარყარაშვილიც.

ხალხი ხალხს აღარ ჰგავს!

ერიჰააა!

როგორც ჩანს... ჩვენი ცოდვით სავსე იმ ბებერი მელასა თუ მგელი ტოტიას სინდრომი კიდევ დიდხ-ანს იბოგინებს და იბაირამებს საქართველოში.

...ღმერთი—რჯული! სრულ დისკომფორტს განვიცდი იმ ადამიანებთან შეპასუხების გამო, ვის სიტყვასაც, ჩემთვის, გარკვეული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, თავს მოვალედ ვთვლი, მართალი ვუთხრა ნაგრამს — „დისკომფორტს" მაინც „ძმის-კომფორტი" (პირში მოყვრულად თქმა მირჩევნია).

არადა, „ალიასა" და „ქრონიკის" კალმოსნებს (როგორც ძველი ნაჩიტკორესპონდენტალ-ნარე-დაქტორალი კაცის გამოცდილება მიკარნახებს) აშკარად ემარჯვებათ ნერა (თუ ნერამ არ აიტანა და სიტყვის მოთოკვაც ისნავლეს!).

თავისუფლების (და, მით უფრო, სიტყვის თავისუფლების) უფლება აქვს მას, ვისაც აქვს — უფლების თავი!

სიცილს, სიტყვას კაცი არ მოუკლავსო!

ვინ მოგახსენათ? ზოგჯერ ძველ სიბრძნესაც გასდის ყავლი.

მე მინახავს სიცილით მოკლული კაცი!

*ჰყოლიათ. ეს ჩემზე უთქვამს. ზვიადმა დაუდასტურა...*

*...ვერ გეტყვით. ქვეყანა ავაშენე-მეთქი (აგერ არაა!). მაგრამ ისეთი მემკვიდრეობა დავუტოვე, რომელზეც შენება ძალიან იოლი იყო. არ უნდა გადაებნიათ...*

*...ძალიან დააკლდა საქართველოს ზურაბ ჟვანია... ქართველობდა (რას ჰქვია ქართველობდა? ქართველი არ იყო?!).*

*...ოპოზიციამ საქართველოდან აჭარის გამოყოფის მცდელობაში დაადანაშაულა. შევარდნაძეს ეს ისეთ აბსურდულ ბრალდებად მიაჩნია, ისეთ ქორად, რომელიც თავის თავს თვითონვე ამოქამს.*

*ასეთი ბრალდების წამოყენებამდე ჯერ ის უნდა გაირკვეს, ვინ განკარგულებით მოუსმინეს საქართველოს პრეზიდენტს. იმას უნდა მოეთხოვოს პასუხი, ვინც ასეთი განკარგულება გასცა.*

*...ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელშიც ამბობთ, რომ დიდი სიამოვნებით ჩაჯდებით ციხეში.*

სწორედ ამიტომ ვერიდები ტყვიასავით სიტყვას. სწორედ ამიტომ ავიღე ხელი... თავზე ხელაღებულობაზე — ფელეტონისტობაზე და „ცისკარაძის", „გელა თელიასა" და „დაშნიანის" ფსევდონიმსაც შეეელიე!

წერეთელმა, სხვათა შორის, თურმე, ესეც დაგვიბარა!

ბრბოს ძაღლის თვისება აქვსო! თუ მაღალ საფეხურზე შემდგარი კაცი დაინახა, უნდა შეუყეფოს!

ისეთ კაცზე კი, რომელზეც ახლა ჩვენს ამ ჟურნალისტურ „სალაყბოშია" ლაპარაკი, ნათქვამია: პატიოსან კაცს ძაღლიც არ შეუყეფსო!

ამ ხანებში, ზემოხსენებული ჰოლდინგის პრესის ორგანოები, სადაც და ვისაც კი წაეწევიან, როდესაც და რაზედაც უნდა იყოს ლაპარაკი, ბოლოს მაინც მათ მიერ წამოწყებული ცილისმწამებლური კომპანიის „ნამუსის მოსაწმენდ" თემაზე ჩამოაგდებენ ლაპარაკს და ამ ჭაობში ითრევენ ახალ-ახალ „მსხვერპლს", რომელთაგან ზოგი, „ენა უძვლოას" პინციპით, კიდევ უფრო უშვებს აფრებს „ზურგის ქარს" და ვერც კი ხვდება — საით უბერავს?

ზურგსუკან ძნელად სათქმელისაც კი პირში მთქმელი კაცი — ბატონი თემურ შაშიაშვილი, 7-8 აგვისტოს „ალიაში" წერს — „ხალხო, გამოფხიზლდით!.. (აი, რა წერილს ამზადებს, თურმე, იგი ინტელიგენციისთვის გასაგზავნად!) მე ხელმოწერები ვნახე ადამიანებისა, რომლებიც ქართველი ერის დიდ სიმაღლეებად მიმაჩნია..."

„...რა ესაქმებათ ჩემთვის წარმოუდგენელი სიმაღლის ადამიანებს ისეთ მონოდებებთან..."

„ჩემო ძვირფასებო, მე, თემურ შაშიაშვილი, მუხლმოდრეკით გეუბნებით, რომ არ არის ეს თქვენი საქმე".

„დიდი სიმაღლეები არ მინდა შეცდნენ. გულწრფელი პატივისცემით გეუბნებით ჩემო სათაყვანებელო ხალხო, — თქვენ კი არა, თქვენზე გაცილებით უფრო ნაკლებად ცნობილ პიროვნებას... ვერც ერთი მილიარდერი — ერთ მილიარდ დოლარად ვერ იყიდის და რა მოხდა, რა მოგიყიდათ..."

„თქვენ ცოცხალი ლეგენდები ხართ და ნუ დაეშვებით მიწაზე!"

„ნუ გახდებით ის ადამიანები, რომლებიც აქებთ ვიღაც ფულიანს, რომელიც არც გინახავთ. მე მინდა, ბატონ მუხრან მაჭავარიანს მივმართო, — ბატონო მუხრან! მე ვებრძვი ივანიშვილს თუ ის მებრძვის მე, როცა ქუთაისში ხარჯავს 40 მილიონს და ყველაფერს ამას სააკაშვილი იბრალებს?.. თავის დროზე მე მინდოდა, შევარდნაძეს ზესტაფონი და ჭიათურა მისთვის მიეყიდა..." (აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!)

„ბატონო ბიძინა, 1000 კაცს უიაფებთ ცხოვრებას და 5 მილიონს უძვირებთ (?!)

მე ეკონომისტი ვარ და გეუბნებით, ადამიანი, რომელიც საქართველოში არ ქმნის პროდუქციას და ფული შემოაქვს გარედან, ის ყოველ ქართველს უძვირებს ცხოვრებას"(?!).

აი, ინტელიგენციისადმი როგორი რევერანსებითა და ადრესატისადმი რა... უკმეხი თუ არა — უცნაური დასკვნებითაა გაჯერებული ეს ინტერვიუ.

არც მარქსის კაპიტალისა გამეგება, არც გლადსტონის ეკონომიკისა „მეყურება", მაგრამ აქ — ეკონომიკაზე არაეკონომიკური მიდგომ-მოდგომით, ცოტა უცნაურად და ურთიერთგამომრიცხავად მეჩვენება ასეთი, თუნდაც საგაზეთო მსჯელობა!

სოკრატეს უთქვამს: მე ვიცი ის, რომ... არაფერი ვიციო!

ახლა, მე რომ ვთქვა: მე ვიცი ის, რომ — ყველაფერი ვიციო! — რომელი უფრო ბრძნულად მოგეჩვენებათ თუ მოგეთქვენებათ?

რა მაგის პასუხია და ქუთაისში (ხალხური იუმორის შეკრებისას), კომუნისტების დროს, ერთი ძველი ქუთაისელი ფოტოგრაფის ჩარკვიანის ამბავი მომიყვენ! ე. ნ. საკაბინეტო სურათის გაღების წინ ფოტოგრაფს მისი უპატივცემულესობის — რაიკომის მდივნისათვის უთქვამს: თუ შეიძლება, ისეთი „პოზა" მიიღეთ, ვითომ ქვეყნის დარდი განუხებთო?!..

აქაც ისეთი თეატრალური პოზა შეურჩევია გაზეთის ფოტოგრაფს (თითები თითებზე მიდებული), რომ... მარტო ამის შემხედვარეც იფიქრებ: ამ კაცს ქვეყნის საქმისთვის თითი-თითზე მაინც დაუდია და ინტელიგენციას ჭკუის მასწავლებლადაც გამოადგებაო!

...ძალიან გამეხარდება, თუ ამას საწყენად არ მიიღებს და ჩვეულებრივ ქუთათურ ხუმრობად ჩათვლის. კარგ მთქმელს (და ცუდ მთქმელსაც) კარგი გამგონი უნდა!

ისე, კი... რომ თქვას კაცმა, ეს მარტო ჩემი აზრი როდია!

„ბიძინას ცუდად უტრიალებენ!" — ამბობს მთისა და მთასავით კაცი — ავთანდილ მარგიანი, რომლის სიტყვა ყოველთვის გამოირჩევა „მარგი" ქმედების კოეფიციენტით!

„ჯორჯიან თაიმსში" იგი, შეგნებულად წერს: „შაშიაშვილის ნათქვამი ტყუილია... სუფთა კაცია, მაგრამ ჭორებზე იცის წამოგება. ატყუებენ და, რასაც ამბობს, შეუგნებლად ამბობსო".

...ასეთია ზემოხსენებული გაზეთების ეგრეთწოდებული აქტივი!

რაც არ უნდა უძვლო იყოს ენა... როგორც ერთ რუსულ ანდაზაშია, შესაძლოა, ენამ ციმბირამდე ჩაგიყვანოს!

„სადაც ვანო კილურაძეს (დიდ მეცნიერსა და უნიკალურ პიროვნებას — გ.ნ.) ეტყვი: „მაშ, მტყუანისო!" — იქ ყველაფერი დამთავრებულია (იქ სიმართლის ჭაჭანება არაა!)

ყველას ახსოვს, როგორი ამაზრზენი კომპანია დაიწყეს უწმინდესისა და უნეტარესის წინააღმდეგ (?!)...

რამაზ კლიმიაშვილმა, პოლიტოლოგმა კაცმა ივანიშვილს ვირტუალური პიროვნება უწოდა(?!)" აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე: „საჯაიამ „კვირის ქრონიკის" წაკითხვის შემდეგ მოიკლა თავი. დღემდე გვახსოვს „ალიას" მიერ ვალერი ასათიანის წინააღმდეგ გამართული უბინძურესი კომპანია, რომელიც ამ დიდებული მამულიშვილის შვილის სიკვდილით დამთავრდა" (სახალხო მხატვარი თემურ გოცაძე)...

*— ისე გვერდები არ აუდგეთ!..*

***P.S.*** *ჰოდა, აღარც უდგებათ!*

*გრიგოლ რობაქიძე მინდორე რუხი. სამი უდაბური. ღვრიას თვალის გუგა — დაუჯდეველ ველების.*

*დაუგემელი ნადირის ბილმა.*

*მუხლი მოღუშული დაბორვილ ნალევლის...*

*ჩემი სამშობლოა.*

*ჩემი ნატვრაა: როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა, ყოველ წელს, მცხეთას, მწიფობის. ჩემი დაბადების თვეში, სანთელს ანთებდეს ამ პაწია სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს. გვიანდერძა გრიგოლ რობაქიძემ.*

***P.S.*** *დღეს, სამწუხაროდ, უმეტესად, საკითხი ასე დგას: არა ის: რა მივეცი მე საქართველოს? არამედ: რა მომცა მე საქართველომ? სამწუხაროდ, ვიცით და ვაქცია, რომ: დიდი ალებ-მიცემობის, უდროობის დროა!*

ერთი გაზეთისათვის ამდენი ცოდვა ბევრი ხომ არ არის! ...ჰოლდინგის გაზეთებმა, ლამისაა, რუბრიკად აქციონ ლეიბორისტების ლიდერის ნათქვამი სიტყვები, რომელიც თავად მისმა „ცხელ გულზე" მთქმელმაც კი... უკან წაიღო!

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად გამართული ამ კატავასიის მიზანია, კიდევ ერთი ბზარი შეიტანონ ჩვენს, ისედაც რიგიანად შერყეულ და ურიგო რიგებში — მადლიერ თუ უმადურ ადამიანებს შორის!

არადა, ნათქვამია, დედამიწა რომ გასკდეს, ბზარი მწერლის გულზე გადაივლისო. და, ეს ჩემი მწერლური საბუთიც — აგერ ოთხშუნტიან, არც ისე დიდი ხნის წინ ნაოპერაციებ გულში მჭირს!

სწორედ ასე „დალაგებულ" და ასე დაულაგებელ ქვეყანაზე თქვა მარტოობის რაინდმა გალაკტიონ ტაბიძემ: მთელ დედამიწას დუელში ვიწვევ... ავანგრევ ქვეყანას და ხელახლა შევქმნიო!

უფრო ადრე დავით გურამიშვილი თავის „მოთქმაში" მოთქვამდა:

„ეაი, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო!
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ გაგარჩიესო.
მაცხოვნებელი შენ მათი —
წარმწყმედლად მიგიჩნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
...ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს, გაგათრიესო..."

ეშმაკს უთქვამს: ღმერთსაც აქვს თავის ჯოჯოხეთი — ეს ადამიანების სიყვარულიაო!

სწორედ ამ ჯოჯოხეთმა დაანახა ერთ ჩვენს თანამედროვეს უპოვარ, მოწყალებისთვის ხელგანვდილ კაცში უფალი:

„ძვირფასო, ჩემი სათხოვარია —
როცა ქუჩაში მათხოვარია,
ნუ განიკითხავ რა ცხოვარია? —
იქნება, სულაც, მაცხოვარია!
(ლაშა ნადარეიშვილი)

მავანნი კი, ისეთ ღმერთკაცებშიც კი, რომელთა მსგავსი არც გვინახავს და არც გვსმენია — ეშმაკს ეძებენ!

...ერთხელ, კათალიკოსთან აუდიენციის დროს, ბიბლიური პოსტულატი რუსულად გამახსენდა: „Нескудеет рука дающего"!.. რაც უწმინდესმა და უნეტარესმა ქართულად დამიდასტურა: მოყვასისადმი განვდილი ხელი არასოდეს რჩებაო ცარიელი!

ჩვენ კი, ღმერთი გვიწყრება და მადლს მატლად ვაქცევთ.

და, მაინც!..

საგაზეთო „სალაყბოების" ამ ჭექა-ქუხილსა და თავსხმაში ზოგჯერ მზესავით გამოანათებს მაძიებლური ტვინის მონაპოვარი:

სიტყვა „ბიძინა" ამომავალი მზის ქვეყნის — ანუ იაპონურ ენაზე „ნათელს" ნიშნავსო! ამ შემთხვევაში ეს, შესაძლოა, არ იყოს, ასე ვთქ-

---

*არგურ გორი: მე მადარდებს არა ის ხალხი, ვინც ციხეშია, არამედ ის, ვინც ჯერ ციხეში არ მის!*

ვათ, დეტერმინირებული — აუცილებელი მიზეზობრივი კავშირით გაპირობებული მოვლენა, მაგრამ ამ „დამთხვეულობაში" ეს დამთხვევაც... გაურკვევლად — გარკვეულ ხასიათზე გვაყენებს!

ქართული სიტყვის სალაროში 125000 სიტყვაა. მწერლობა ამ 125000 სიტყვაში იმ 1-ის პოვნაა, რომელსაც მარტო „ეშმაკ-ეშმაკ, მაპოვნინეო" — ვერ გაპოვნინებს.

სიტყვის ძებნაში მითენ-მიღამებია და ასოების სასოებით მიძებნია სიტყვა-ღმერთის საკადრისი სიტყვები...

სიტყვასთან ბავშვივითაც მითამაშნია — ნაღმაც ნამიკითხავს, უკუღმაც... სემანტიკურად, 120-იაციურადაც გამიაზრებია, ფონეტიკურადაც მიმიყურადებია, გრაფიკულადაც გამისიგრძესიგანებია... ჰოდა, როცა პირველად, ამ ღვთითნაბოძებ კაცზე... ერთ-ერთზე კი არა, ერთადერთ, ასე ვთქვათ — უტირაჟო კაცზე ავს (თვითონ სიტყვაც კი ყეფს) მოვკარი ყური — ყურებს არ დავუჯერე; ნავიკითხე — თვალებს არ დავუჯერე; ვუყურებ და თავი ცუდ სიზმარში მგონია!

რა პირით შეიძლება, კაცს ასეთ კაცზე აუგი ნამოგცდეს! ან როგორი დასაჯერებელია, რომ კაცმა ასეთ კაცზე აუგი იგუო?

სდექ!

ა, კიდე... ერთი პალინდრომი, რომელიც ნაღმაც იკითხება და უკუღმაც (აუგი-იგუა!).

სიკეთეზე აუგი არ უნდა იგუოს ადამიანმა!

ეს ისე, თუმცა, არც მთლად სასხვათაშორისოდ!..

სიტყვაზე რომ ვთქვათ... სიტყვით თუ უსიტყვოდაც — თუნდაც, შემთხვევის ლოგიკით!

ჰოდა, დაფიქრდეთ, ხალხნო, როცა „ვიღაცაზე" ვლაპარაკობთ!

ეს კაცი არის ის „ვიღაცა?.."

კვლავ ვიმეორებ: ერთმა კი არა, ერთადერთმა კაცმა ნაქცეული ქვეყანა ფეხზე დააყენა! ლამის ლომის წილი აქვს მას საქართველოს გადარჩენაში!

რა ფასი აქვს იმ ხალხს, ვინც არ იცის ასეთი კაცის ფასი.

ვაი, იმ ქვეყანას, რომელიც ყოველდღე გადასარჩენიაო!

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის მემორიალურ გაზეთ „მეცენატს", რომელიც ბიძინა ივანიშვილს ეძღვნება — ქუდად ახურავს ერის სულიერი მამის ილია II-ს სამოძღვრო სიტყვები, რომელიც „შპიგელში" აქვს ნამძღვარებული პრესის ამ ერთჯერად გამოცემას:

ყველაზე დიდი მადლი — ეს არის მოწყალება.

ნილოსის ნიანგე-ბი წელიწადში, მინ-იმუმ, 1000 ადამიანს ჭამენ.

P.S. ჩვენს ჟურნალ „ნიანგს" კი იქით ჭამდნენ გამაჟირე-ბული ჭია-დუუები!

<u>მაია იასეშვილი:</u>

ასტროლოგ-პარაფ-სიქოლოგ დავით ბუ-ციკაშვილს ქირო-ლოგია ასტროლო-გიით შეუძლია ნებ-ისმიერი პრობლე-მის გადაჭრა და ნებ-ისმიერ სიტუაციაში ოპტიმალური გამო-სავლის მიგნება. როგორც თავად ამ-ტკიცებს, ასტროლო-გია იცნობს იმ ოქროს წესებს, რი-თაც ადამიანები ბედ-ნიერების გასაღებს პოულობენ.

— ტრანსულ მდგო-მარეობაში მყოფ ადა-მიანს შეუძლია, იმოგზაუროს სამ-ყაროს ნებისმიერ დროსა და სივრცე-ში, პარალელურ სა-მყაროსა და ნებისმი-ერ განზომილებაში. არის ასეთი ინდოე-ლი ბრაჰმანი, რო-მელსაც დაწერილი აქვს წიგნი, რომ ადამიანს შეუძლია, იმოგზაუროს ნების-მიერ პლანეტაზე.

— საკუთარი წინა ცხოვრება თუ გინახ-ავთ?

— ასეთ ექსპერი-მენტებს საკუთარ

მეორედ მოსვლის ჟამს, უფლის ბრძანებით, ადამიანები დადგებიან მარცხნივ და მარჯვნივ ღვთისა. „კეთილისმყოფელები დადგებიან მარჯვენივ უფლისა — ბოროტისმყოფელნი კი მარცხნით". და, ვის რა ბედი ელის, ეს მის ამქვეყნიურ საქმეებზეა დამოკიდებული! (ქარონმა იცის თავისი საქმე, ვინ-საით გაუყენოს უკან მოუსვლელ გზას).

აქვე, ჟურნალისტი გიორგი პაპუაშვილი წერს:

„...და, თუმცა უცნაური ხალხი ვართ ქართველები — ყველაფერზე, მეტი თუ არა (სულ ცოტა) ორი აზრი გვაქვს. ბიძინა ივანიშვილზე ხალხი... არ კამათობს" (ერთი შენს სეხნია შეფ-რედაქტორსაც ჰკითხე!)

კიდევ უფრო გამოკვეთილად წერს ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი ზურაბ აბაშიძე (და, ასეთი „ცენ-ზურა" გაცილებით ახლოა ჭკუასთან!)

„ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ თითქოს კრიტიკის ფარგლებსაც სცილდება... საქართველოში ბიძინა ივანიშვილის მადლიერი ადამიანების მთელი არმიაა. ამას (ალია-ჰოლდინგის გამოხდომას — გ.ნ.) თუ საკადრისი პასუხი არ გაეცა, ვისლა მოუნდება მეცენატობა.

...სამწუხაროა, რომ სიკეთეს ზოგიერთები ბოროტებით პასუხობენ".

ადამიანის ჯიში მაიმუნობაში იწყება და ღმერთობაში ხდება სრულყოფილიო (კონსტანტინე გამსახურდია).

„...რა უნდა მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, რომ მე ამ კაცს გვერდით არ დავუდგე" — წერს და ამღერებს კალამს ჩვენი ნანინანატრი ნანი ბრეგვაძე.

„ალია-ჰოლდინგის" მამხილებელ წერილს ხელს აწერს ბაჩანა ბრეგვაძეც... აი, მიზანა და ერთაოზ ბრეგვაძეების მისამართით, სწორედ ასეთებზეა ნათქვამი გაბრიაძის გენიალურ „შერეკილებში" — „რა ჯობია ბრეგვაძეებში ქეიფსო", რომელიც უქეიფობად გვიქცია „ჰოლ-დინგმა", მისი „დინგურობით"!

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ჩემ მიერ შენაქებმა ჩემმა უმცროსმა კოლეგამ — გელა ზედელაშვილმაც გვარიანად გაანბილა მკითხველი, პატიოსნებით გამორჩეულ კაცებს — თენგიზ არჩვაძეს და აკადემიკოს კიღურაძეს, ზედ... აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძეც მიაყოლა, რომელსაც არავისგან დაცვა არ ჭირდება — ყოველთვის გამოირჩეოდა სიტყვის კაცობით და არც ცხენის შეკაზმვა სჭირდება მართლის სათქმელად.

„მე კალამი მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს.

განამტკიცოს აზრი წმინდა, გულს სიმართლით ახურებდეს"-ო! — გვასწავლის კალმის ხელში დაჭერას და სიმართლისადმი სამსახურს ჩვენი დიდი წინაპარი. აქ კი, სადაურ სიმართლეს ემსახურება და ახურებს ავტორი?

„სადაც გინდა, იქ იჩივლეთ, ფეხებზეც არა მკიდია! მეტსაც გეტყვით: სანამ ჩემს დანაშაულს არ დაამტკიცებთ, ან ბოდიშს არ მოიხდით, ყველას ცოდვებს (ლაპარაკია ჰოლდინგისადმი ინტელიგენციის წერილზე — გ.ნ.) ზედაპირზე ამოვაქტივტივებთ და შემდეგ, ამ ცოდვებთან ერთად, სინანულის გარეშე ჩაგრეცხავთ". (?!) (თანაც, რამდენი ნამუსია გასარეცხი!)

„დიახ, მე საქვეყნოდ ვაცხადებ: არა მხოლოდ წესიერი ადამიანი ვარ... ანგელოზადაც კი გამოვიყურები" (საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა... დიდი ჭკუის ნიშანი არ უნდა იყოსო, სოფოკლემ!).

სოფოკლეზე გამახსენდა! ზემოხსენებულ წერილში, წონასწორობადაკარგული კორესპონდენტი „რესპოდენტს", ლოგიკისკენ კი არა, ლოგინისკენ ექაჩება(?!) „საკუთარ ქვეშაგებს მიხედეო!" (დღემდე ვერ

გამიგია, რისი ალუზია, ილუზია თუ პირსაქცევია ეს ქარაგმა და ბილწსიტყვაობის კორიანტელი!)

ქართველს ქართველის გარდა მტერი არ სჭირდებაო — შაჰ-აბასის „დახურდავებული" სიტყვით.

ნადი, ტოლი ნახეო! — იცოდნენ თბილისში თქმა. შვილისტოლა კაცი — მამისტოლა კაცს ბოლოს ასე „ამუნათებს": „ისე, ვერ გავიგე, თქვენ ომის და გლოვის დღეებიც არ იცით? ამ ქვეყანაზე აღარაფერი გნამთო?"

თითქოს მისი წერილი, ამ ისედაც გაბოროტებულ გარემოებაში კი არა, სხვა დროს იყოს დაწერილი!

„ჩვენ შაირი არ გვინდოდა და... მათ „აგვტეხეს ძალადა"!

ჩემი შენ გითხარიო! — სწორედ ესაა.

თანაც: მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებს — ამავე გაზეთში ვიცე-პოლკოვნიკი მერაბ ლორთქიფანიძე სამართლიანად წერს: „როგორ შეიძლება ამხელა სისულელის თქმა — „როცა ომია ქვეყანაში, საყვედური არ მითხრაო?" რა „ტაქტიკური" თუ „სტრატეგიული კომფორტია ეს!"

მახლას, გეყოფათ, ხალხნო!

საკუთარ ჭიებს და მტერს ნუ გავახარებთ!

ხმალი იმოდენს ვერას იქმს, რასაც კალმის პატარა წვერიო — გაგვეაფრთხილა დიდმა ილიამ. ზემოხსენებული ჰოლდინგის სახე ყოველთვის როდი ჰგავს მის სახელს, თუმცა „ალია" თავისუფლად ეტევა სიტყვაში — „თავისუფ-ალია" „მართალია"!.. მაშინ, როცა საერთოდ, სამწუხაროდ, ეს მთლად ასე არ არის. ახლა მარტო სხვისას კი არა — ჩემი თვალით ნანახსა და ჩემი ყურით გაგონილსაც მოგახსენებთ!

კოლეგებო!

მწერლის მელანი მისი სისხლია!

მაგ შხამ-კალამში თქვენ რა გისხიათ?

გერმანული ანდაზაა — ნაღდი ფული იცინისო!

მაშ, ნაღდზე უნაღდეს იმ ფულზე რა ხელი აქვს ვინმეს, რომ თეთრი შავად მოგვაჩვენოს! ივანიშვილის სიკეთეს თვლა არა აქვს!.. მარტო ცამდე და მიწამდე მართალი (მისი აშენებული) ტაძრის — „სამების" ხატებს როგორ გინდათ, თვალი გაუსწოროთ?

...როცა, პირველად, მეხივით გავარდა და თავზე თავზარად დაგვეცა „უძღები შვილების" — ანუ ზედმეტმადიანი ადამიანების ეს არაადამიანური უმადურობა და ზემოხსენებულ ჰოლდინგს კარგ კაცზე ავი სიტყვა წამოცდა — იქვე ლექსად მოვიდა პასუხი!

ავდექი, ვეწვიე რედაქციას და ლათინური ფრთიანი გამოთქმისა არ იყოს — მიველ, ვნახე და —

*თავზეც ვყურებ და ზუსტად ვიცი, ვინ ვარ და საიდან მოვდივარ, რადგან ტრანსით ხშირად მიმოგზაურია ყველა იმ განზომილებაში, როცა სხვა ეპოქაში და ქვეყანაში ვცხოვრობდი.*

*ბუდისტები ამბობენ, ადამიანი სიკვდილამდე 10 წუთით ადრე იგებს, რისთვის არის მოსული ამ ქვეყანაზე და როგორ უნდა ცხოვროს.*

***P.S.*** *10 წუთიც არაა ცოტა სიკვდილის გასაკეთებლად! წუთის წუთისოფელი!*

*იდუმალი სამყაროს შეცნობის სურვილი და საკუთარი მომავლის განჭვრეტა თითქმის ყველა ადამიანს აინტერესებს. სწორედ ამ თვალსაზრისით მიმართავენ ადამიანები სპირიტიზმს (გარდაცვლილი სულებისგან იღებენ ინფორმაციას) და ეს უწყინარი გართობა ჰგონიათ. რა ხდება სპირიტული სეანსების დროს და ვისთან ამყარებენ სინამდვილეში კონტაქტს სპირიტიზმით გატაცებულნი?*

*გვესაუბრება პარაფსიქოლოგი ანა ლენორმანი:*

სტუმარიც და მასპინძელიც... დავმარცხდით!

მე, ამ „ალია"-„ქრონიკელი" ბიჭების ხნის მარტო ჟურნალისტური სტაჟისა და გამოცდილების მქონე კაცმა, გულუბრყვილოდ ვიფიქრე, რომ ამ სამარცხვინო ამბავს დროზე დაესმებოდა წერტილი და ამდენ დაპირისპირებასაც ავცდებოდით.

როგორც ჟურნალისტური ეთიკა მოითხოვს — გადავწყვიტე, უპირატესობა ამავე გაზეთისთვის მიმეცა და მისი ფურცლებზევე დამესტამბა იმ ავადსახსენებელი პუბლიკაციის პასუხი... ლექსად!

საქმეში ხარ!

შეფ-რედაქტორმა არც ამ პასუხის დაბეჭდვა ისურვა და არც მის ავტორთან გასაუბრება.

შუამავალმა ჟურნალისტმა (რომელთანაც, ნორმალური ურთიერთობა მაქვს), მისი შეფის მაგივრად, მომიბოდიშასავით, რომ გიორგი ბრეგვაძეს მოქალაქეთა „მიღება" საერთოდ არ აქვს?!.. და, თან, ყოველ შემთხვევისთვის, გამაფრთხილა კიდეც: ამ ლექსის დაბეჭდვას არ გირჩევთო (რუბრიკით — „რამე ფათერაკს არ გადაეყაროთ. ჩემ მტერს გადაეკიდა „ალიაო"!..).

მახლას, ამ ჰოლდინგის — „ჰოლიც" ენახე და „დინგიც"! ჰოდა, გუნებაშიც ხმამაღლა ეთქვი: მეტი რა საქმე მაქვს? ამ სიბერეში კარგ „გასართობსაც" გამოვკრავ ხელს — და, ვნახოთ, ვისი აჯობებს-მეთქი?

რა მაგის პასუხია და!..

ამ წერილში მგონი, უკვე, სადღაც ნახსენებიც მყავს: იყო ბარონ მიუნჰაუზენის ტიპის, ერთი ჩვენი მარაქის, ასე ვთქვათ — ქუჩის ზედამხედველი — „კლასგარეშე დამრიგებელი" (თუმცა, სად ჰქონდა სხვისთვის „დასარიგებელი" ჭკუა?.. ნიჭი კი, გიყვარდეს!). ჩვენი წინა თაობის ბიჭი იყო, მის დაკაცებას რომ არ დაადგა საშველი! მოწონდა ბიჭობა და არ იცვლიდა ფეხს!

ერთხელ ვუთხარი:

ამხელა კაცი, ბავშვივით რომ იქცევი, რას იტყვის ხალხი-მეთქი?

რა უნდა თქვასო?

ერთი გამრტყმელი, ქალების დამბმელი, მხარჯველი, ლამაზი, ჭკვიანი ბიჭიაო... მეტი რა უნდა თქვანო? — იქეთ შემომიტია. მეტის თქმა მართლაც შეუძლებელი იყო ამ საპირიქითო ტიპზე, რომელმაც „თვითკრიტიკისათვის" ამაზე ნაკლები სიტყვები ვერ გაიმეტა!

ჰოდა, იმ კაცისა არ იყოს — მეც სიამოვნებით შევხედავდი ჩემ თავს სხვისი, თუნდაც „ავი თვალით" (ოღონდ „ჭორები ამაშორეთა").

სხვათა შორის, თვითონ ბ-ნ ბიძინა ივანიშვილმაც... ცეცხლით, წყლითა და სიცილით, უკვე „გამატარა", ასე ვთქვათ „სცილა-ქარიბდის" საშინელებათა გამოცდები, „ორდალიებს" რომ ეძახდნენ ანგლოსაქსები — ანგლობა-ანგლობით შემოვიარე მისი აშენებული შავი ზღვისპირა ზღაპრული საბავშვო ქალაქი „ციცინათელა" — ანუ შეკვეთილის „სიცილისა" და "უჟასების" სახლები, რომლებსაც (სულო ცოდვილო!) შეიძლება, ექსპონატებადაც კი გამოადგეთ თითქმის შეუნიღბავი ზემოხსენებული ბოროტებები, რომლებიც, ადრე თუ გვიან — „დღის სინათლეს ვერსად წაუვლენ"!

ჰოლდინგში მიტანილი ჩემი ლექსი კი ასე გამოიყურება და ასევე დაიბეჭდა „კვირის პალიტრაში":

* * *

კარგმა მთქმელმა კარგ გამგონეს,
კარგად უნდა გაუგოს,
საძაგლეთის საძეგლეთში
ძეგლი ვის — სად აუგოს?
საქართველოს ისტორიას
ჯერ არ ახსოვს ასეთი —
ქველმოქმედი, მეცენატი...
ახლა რას წერს გაზეთი?..
— რას წერს? რად წერს?
რომ ვიცოდეთ, —
ჩვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.
აქეთ-წერენ არაკ-იგავს,
იქეთ — იგავ-არაკებს!
თუ საპირველაპრილოა?..
ხუმრობასაც არა ჰგავს:
სხვის ნატერას ხეს... ვიღაცა თხრის,
თავისას კი... არა რგავს!
რას არ იტყვის უძვლო ენა
— შხამიანი კალამი?
უნდა გითხრა ჩემი — შენა
და გაეფანტო წკეარამი.
ვთქვათ სიმართლე — ფუი, ეშმაკს!
გაწყდეს სადაც წერილია,
ეს წერილი, მელნით, არა —
ნერწყვით დაწერილია!
მე თუ მკითხავთ, — ასეა და
შენ თუ გკითხავთ — ისეა...
უკაცრავად პასუხი და
სწორი ანალიზია!
ხელის ჭუჭყის ხსენებაზე...
ზოგნი ჭკუას კარგავენ —
რასაც წერენ აგავს იგავს —
ან ჰგავს იგავ-ნაგავებს!
შურის ციხე
გადმოსცქერის თბილისს
და ფიქრობს გულში —
სიკეთის ხმა იკარგება
შარი-შურ —
შარიშურში!

P.S. ...ოსტაპ ბენდერმა ფულის შოვნის 400 „მეთოდი“ იცოდა, ალბათ „მარგალიტის“ ახალი მაძიებლები ახლა 401-ე გზას ეძებენ... ყოველ შემთხვევაში, მსგავსი „შანსი“ დღემდე არც კვაჭი კვაჭანტირაძისათვის იყო ცნობილი.

სულებთან კონტაქტის დამყარებაა დიდი ცოდვა. ილოცეთ სულთათვის და თუ რამე ინფორმაციის მიწოდება სურთ მათ თქვენთან, არსებობს სიზმართა საუფლო. მოსაყრებასაც სიზმარი გასცემს პასუხს.

სულ მალე, 20-25 წლიწადში, ადამიანები უკვდავები გახდებიან, — წერენ გაზეთები. მაგრამ ადამიანებს ეს პერსპექტივა დიდად არ ხიბლავთ, რადგან გაუთავებელი სიცოცხლე აუტანელი იქნება!

მეცნიერებს, გენეტიკა, კომპიუტერული და ნანოტექნოლოგიები სასწაულებს გვპირდებიან. მაგალითად, კაცი ნულის ქვეშ, კანგბადის გარეშე, 4 საათი გაძლებს! და, რამაც სულ გამაგიჟა და ჩერწეით დამარჩო: ადამიანი სქელტანიან წიგნს რამდენიმე საათში დაწერსო!

ე.ი. ალექსანდრიის ანტიკური ბიბლიოთეკის 750 000 გრაგნილს. მსოფლიოში ყველაზე დიდად აღიარებული ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის მილიონობით ფოლიანტის წაკითხვას კაცი საუკუნეობის დრო-

დგანან ახლა ჩემი ახალგაზრდა კოლეგები „ალია" — „ქრონიკიდან", ეძებენ სხვისი სიკეთით გაბოროტებულ ზოგიერთ გულღრძო ადამიანებს და მამა-აბრამის ბატკანივით ეკითხებიან ყველას ერთსა და იმავეს: რას გვერჩით, ვის რა დავუშავეთო?.. ვითომ სხვაზე უკეთ არ იციან იმის პასუხი, — რასაც კითხულობენ!

ამ ლექსის შემდეგ, მე მათთვის ჭკუის საკითხავ კაცად, ალბათ აღარ გამოვდგები, თორემ ერთი ქუთაისური ანეგდოტითაც ვუპასუხებდი:

ბაღის კიდესთან ორი ქუთათური დგას. ერთი ეუბნება მეორეს... მესამეზე — უნდა გავლახოო! იმან რომ გაგვლახოსო? — მეორემ.

— რას გვერჩისო?! — პირველმა.

ძმებო, ალია-ბალიელებო! — სწორედ ასეა თქვენი საქმე — თქვენ რას გერჩიან, კი არა — თქვენ რას ერჩით ამ უნიკალურ კაცს, რომლის მსგავსი, მგონი, ისტორიასაც არ ახსოვს!

ასეთ ადამიანებზე პასკვილები კი არა, ლეგენდები იწერება!

ასეთ კაცებზეა დაწერილი ვაჟას „კაი ყმა!"

სწორედ რომ, დრო გავიხსენოთ და ვახსენოთ!

„დაგელაობს სიკვდილი"... სუდარებსა ჰკერავს"... „თვალები-თვალებს სწველავს"... დგას უჟამო ჟამი. რაც სიყვარულმა ააშენა-მტრობა ანგრევს.

ის — ჩვენკენ! ჩვენ — ეშმაკისკენ? საიდან ამდენი „მადიანი" და „უმადური"?

## ჩვენებური კაცი

სადღაც, უკიდურეს ჩრდილოეთში, ტუნდრასა თუ არქტიკულ უდაბნოში, აგერ იქ, ყინულოვან ოკეანესთან, მოკლედ, ერთ უკაცრიელ, დაუსახლებელ ადგილას, ქართველი გეოლოგები ქართულ სახლს გადაანყდნენ?!..

როგორც თქვენ არ გჯერათ ეს ამბავი, ისე არ დაუჯერეს თვალებს ქართველებმა და გულის ფანცქალით მიადგნენ ჭიშკარს.

— მაინძელო!..

ეს თუ ვერ წარმოიდგინეთ, აბა, იმასაც ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარული იყო, როცა კარები ქართველმა კაცმა გააღო და ჩვეული ქართული სტუმართმოყვარეობით შეეგება სტუმრებს.

დატრიალდა დისახლისი, შემოუწყო კეცები ბუხარს, აშიშხინდა მაყალზე ირმის მწვადი, მოხადა ჭურებს თავი მასპინძელმა, ახადა ჭერი "ჩვენი მასპინძლის სასახლემ".

— საიდან სადაო?... ჰკითხეს სტუმრებმა ამ დაუსახლებელ ადგილზე დასახლებულ თავის მიწა-წყლის კაცს.

— რა გიკვირთ, შე კაცო, აქ ჩვენ გარდა, აგერ, კილომეტრში, კიდევ არის ქართული ოჯახი!

— რას ლაპარაკობ! — გაუხარდათ თანამემამულეებს, — სად არიან, კაცო, მერე, რატომ არ ეძახი?

პურმარილიანი და გულკეთილი მასპინძელი უცბად მოიღუშა:

— ვემდურით ერთმანეთს!

---

*ლ. კამერტონი: არ არსებობს ცუდი ღვინის სარდაფი და კარგი ციხე.*

*ვიაჩესლავ ვერხოვსკი: ო, რამდენი კარგი კაცი დაადგა... გამოსწორების გზას.*

*P.S. ამაზე უკეთ ბრძანა ბატონმა ირაკლი აბაშიძემ, როდესაც მოქეიფე ქუთაისელ მასპინძლებს გაუგო გემო: რა კარგი ხალხი ყოფილან, კაცო. ეს ანტიპოდებიო!*

* * *

მეც წავალ —
რაღა დარჩა წუთისოფლის ხვედრამდე...
აბა, კარგად მეყოლეთ...
სიზმრებში შეხვედრამდე!

* * *

რაცა მაქვს — ისა მყოფნის და
მე ოქროს კოშკებს არ ვითხოვ.
დარდი მაქვს წუთისოფლისა
და ანგელოზებს ნუ მიფრთხობ.
ჩემი გულია გალია —
ჩემი ოცნების ფრინველის,
რის „ჭამს და სვამსო, თვალია“ —
აქ ოცნებაა პირველი!

* * *

ღვთისმშობელი მარიამის
წილხვედრ მიწის წილი ვარ,
მე პატარა ქვეყნისა და
დიდი ერის შვილი ვარ!

* * *

თუმც, „საიდუმლოს“ გრიფები ადევს —
ყველა მოვლენას და ყველა საგანს...
რაც არ ვიცოდი, წიგნით ვისწავლე
და, კიდევ უფრო — ცხოვრებისაგან!

* * *

ვთქვათ!..
სინდის-ნამუსის სადარაჯოდან:
ღვთისწყალობა — სულის მადანია,
მიწამდე მართალ — ღმერთს გაუმარჯოს და
ცამდე მართალ — ადამიანს!

* * *

ენას ძვალი არ აქვს —
ყელში არ გაგვეჩხიროს.
კაცს კბილები მიტომა აქვს —
სული კბილით ეჭიროს!

* * *

ეშმაკემა არ იცის — რად არი
ასეთი უთოვლო ზამთარი?..
ბუნება ბუნებას იცვლისო,
ამბობენ — თუ გინდა მართალი!
2011

საც მოასწრებს (თუ სტუდენტობის დროს წიგნის წაკითხვის დრო დარჩა!)

ამბობენ, ყველაზე იდუმალი და ლეგენ-დარული ბიბლიოთე-კა ივანე მრისხანეს ჰქონდაო, რომელ-იც, ზოგიერთის ვა-რაუდით, კრემლის მიწისქვეშეთში ჩა-ფლული! წიგნების დასამარებას... ლე-ნინი დაემარხაო, არ ერჩიაო, დღემდე რომ „გულხელდაკრე-ფილი“ ჰყავთ მავზო-ლეუმში და მის სან-ახავად წითელ მოედ-ნამდე „საქელეზე“ რიგებია გაჭიმული?!

<u>ლანძღვა-გინება — ახალი ტკივილგამ-აყუჩებელი?</u>

როგორც ბრიტ-ანელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს, არან-ორმალური ლექსიკა ადამიანებისათვის აუცილებელია. ასე-თი ლექსიკა, თურმე, არა მარტო ეხმარე-ბა ადამიანს, ძლი-ერად გამოხატოს თავისი ემოციები, არამედ ორგანიზმში ტკივილის შეგ-რძნებასაც ამცირ-ებს.

ჰოდა, აბა, რაღა ჭირს ამ გინებას... საგინებელი?

უკრაინელმა მეც-ნიერმა, მედიცინის

## *თეთრად ნათენები ფიქრები*

ყურთბალიშზე მიდევს ყური
და იწყება ღამის „ტური"!
გულს საგულეს ვერ ვიგულებ,
ვსვამ შხამსა და ვიკლავ წყურვილს!
გათენების მეშინია,
დაღამების მეშინია,
ზოგს ჰგონია — მშიშარა ვარ, მე მგონია, შეშლილი ვარ.
ბავშვია თუ მოხუცია — ღმერთს დრო მისთვის მოუცია,
რომ ატაროს, რომ გატაროს — შარმა ვის-სად მოუწია!
შურმა ვის-სად გაიმეტა, სად აკიდა ყაითარაკი,
ვისი-როგორ ტირის დედა — საკან-საკან... დაკადაკით.
რამ აღმუვლა — დანაღმულა დიდია თუ პატარაა...
ხელის გულზე ტარება თუ ერთმანეთის „გატანაა"
ეს ცხოვრება და „ცხონება" — დაღლილ მხარზე გასადები,
განძი საშილაფლავე თუ სალოცავეთან დასადები!
შავი ფიქრი თეთრ ღამეებს ასე თეთრად ათენებსა —
ღმერთო, თეთრად გაუთენე შავ დღეში მყოფ ქართველებსა!

## *რეზო ლაღიძეს*

კაცის ქება და დიდება თუ მოგინდეთ...
მაგ საქმეში ხელიდან არ გავიშვები:
ერთხელ, ამ კაცს, როიალთან შევესწარი...
რეზოს ფიქრებს კითხულობდნენ კლავიშები!

P. S. ამ სათაურით დაიბეჭდა ჩემი პირველი რეპორტაჟი ლაღიძის ოპერა „ლელაზე". ერთ თბილისად და ერთ „თბილისოდ" ღირდა რეზო ლაღიძე! აქ ნათელი დატოვა და იქ — ნათელი ადგას.

* * *

ქართველი კაცი სულ მშვიდობის ნატვრაშია —
დილა მშვიდობიდან — ღამე მშვიდობამდე!
იყო დრო — დრო მკლავდა — ტანჯვაშია —
დადგა დრო — დროს იქით რომ ვკლავდე...
როცა მკვდრის გაცოცხლებას ვცდილობ,
ასე უსისხლოდ და ასე უსიკვდილოდ,
გინახავ კალოს და კილოს
გამხნევებ, შვილო და ძირო!

* * *

...„სანამ ცოცხალი ხარო, არ გაბედო სიკვდილი!" —
ეს ცხოვრება, თუმცაღა, ცარიელ წყლის ნაყვაა —
წუთისოფელს კი მაინც მივცინით და მივტირით —
დრო გადის და ჟამი-ჟამ... თამაშიდან გავყავართ.

## სურათი

ვარსკვლავების კიაფი თუ კაიფი...
ტყეში ხეთა შრიალით მუსაიფი...
ცაზე მთვარე — ზღაპრულ შუქთა მთოვარე...
იდუმალი ღამე — მუზათ მოვალე...
სიზმარ-ცხადი დღე და ღამის მაყრისა,
ძაღლის ყეფა და ყივილი მამლისა!

* * *

მუზა თუ გაგექცა — ვერ დაიჭერ,
რაც არ უნდა აეკიდო-გაეკიდო.
გულსაც კი თავზე ვერ დაიჯენ...
ქაღალდს ცეცხლად უნდა წაეკიდო!

* * *

მე ვუწოდებ ხალხურ სიბრძნეს —
ერის—ბერის—გენის აზრებს,
აზრის სიგანეს და სიგრძეს —
ანდაზების ფიანდაზებს!

* * *

ისინი პირშაეობით „პიარობენ"
და ლიქნით იხდიან „ბეგარას" —
სად — ატაშეები და სად — მეტაშეები...
ის, ვინც ტაშით ანგრევს ქვეყანას!

* * *

...და იყო და არა იყო...
სიზმარ-ცხადში ცხადად ვიცან —
თბილისი ქალაქი იყო...
მისამართად გადაიქცა!

* * *

„სიყმაწვილე მთლად ჭკუაზე ვერაა" —
ვერა ჩემი მშობლიური კერაა —
ვერა ჩემი სიყრმის მზეთამზერაა —
ვერა ჩემი ბუდე — ბედისწერაა!

## დას — ძმისგან!

ჩვენ და-ძმობა... დედ-მამიდან მოგვდევს
(ეს ცხოვრება ქაოსია სრული)...
არ გაბედო, სიკვდილამდე მოკვდე —
შენი ლოცვით მიდგას დღემდე სული!

მეცნიერებათა დოქტორმა კონსტანტინე რასინმა, ატომური ბირთვის აგებულების მისეული თეორიის საფუძველზე, ადამიანის უკვდავების ტექნოლოგია გამოიგონა. მან საზოგადოებას მოახსენა, რომ ბრისტოლის ორ უნივერსიტეტში, ამჟამად, რობოტ-ანდროიდების შექმნაზე მუშაობენ, რომლებსაც რეალური ადამიანისგან ვერ გაანსხვავებ.

ასე, რომ ჯერ ადამიანებს სიკვდილით გვაშინებდნენ და ახლა — უკვდავებით!

„ყველა სისხლის" ასტროსალონში ასტროლოგი რამაზ გაგაური გვესაუბრება ციფრებზე და რიცხვებზე, რომლებისაც ადამიანებს პანიკური შიში აქვთ!

ნუმეროფობია თუ ტრურნმენა?

„ბუნება ლაპარაკობს მათემატიკის ენით!" „მათემატიკა სამყაროს ენაა!" — ამბობდა პითაგორა. ციფრებს კაცობრიობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეზოთერული თვალსაზრისით, ყველა ციფრს თავისი ენერგია აქვს. აქედან

უკვდავება კაცს ვინ მიამაღა —
ვინ — რა იცის, ვინ და როდის წავა —
ბედ-იღბალთან არა ღირსო დავა —
ჩემი დით, მე, თვით თემიდას ძმა ვარ!
მარტო თქმითაც იოლად არ ითქმის —
საუკუნეს გაეუტოლდით, თითქმის!
გვინდა გული — გულისათვის მიეცეთ —
და-ძმობიდან... დედ-მამებად ვიქცეთ!

* * *

ჩვენში ვინ არ აეკიდა პოლიტიკურ ქარავანს!...
პარტიების რიცხვს ხომ, ჩვენთან, სათვალავი არა აქვს.
„მე ვარ და ჩემი ნაბადი“ — ლოზუნგი არის დღეისა.
თავი მოაქეთ: კეისრისა — მიეცითო კეისარს!

## ბებერი ბიჭი!

*ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი*
*და ვრჩები ასე: ბებერი ბიჭი!*

დაეფრინაედი!...
წლები მახსოვს შევარდნის —
ეს ჭაღარაც... სიჭაბუკის ნისლია.
სიბერეში ფეხი ისე შევადგი...
ბავშვობიდან ფეხი არ მომიცვლია!
იმედებით ცოცხლობ კაცი... მსხვერპლეადით —
დრო მიდის და წლები აღარ იცდიან —
სიბერეში ფეხი ისე შევადგი...
ბიჭობიდან ფეხი არ მომიცვლია!
„ვისი სული გსურსო?“ — თამაშს შევადრი!...
მე იმ სულით... სული დღესაც მიდგია.
სიბერეში ფეხი ისე შევადგი...
ბავშვობიდან ფეხი არ გამიდგია!

* * *

თვალს და ხელს შუა იდო ბრძოლის ეს ასპარეზი —
კალმისტარს, როგორც შუბის წვერსა, ვაწვებდი მელანს.
ღვთის ნებითა და ღვთის განგებით, უზენაესით —
ეს ბედისწერა იყო ჩემი ლექსების წერა!!!

## ერთ შინაურ ღრუტუნას!

შენ სხვა არა გინდა რა —
კუჭი ამოიყორო!
ღმერთო!
მე რა ვიღონო,

რომ შენ აღარ იდორო?

* * *

სხვა რა ძალა აქვს ამ წუთისოფელს —
ვეჭიდავები ბედ-იღბალს, ოხერს —
საიქიოში — სამოთხის ეშხით —
სააქაოში — ვუძლებთ ჯოჯოხეთს!

* * *

თუკი ხარ ნასწავლის დამსწავლელი —
მაშინ დიდი გზა გაქვს გასავლელი.
და, როცა სამღერალს უმღერიხარ —
მაშინ შენ სიკეთის უღელი ხარ!

* * *

ერია თუ ბერია — გვიდგას გლოვის კარავი —
სასიკვდილე ბევრია — სამთავრობო... არავინ!

* * *

ცილისმწამებელი და ცოლის მწამებელი!
რა მცირე მანძილია ამ ორ სიტყვას შუა!

* * *

იმან აგვირია აწმყო —
ვინც ჩვენ პარტიებად დაგვყო!
რა გვეპარტიება, ბალღო!
არ გვეპატიება, ხალხო!
...დარდსა ნაღველში ვალღობთ —
სხვისი გაჭირვებით ვლაღობთ —
უსიყვარულობით ვთალხობთ —
გული... ყინულსაც ალღობს!

* * *

ვინ რა იცის,
ვისთვის რაა ჰობია —
ბედისწერას...
ლექსის წერა სჯობია!

* * *

„სიტყვა — ვერცხლია,
დუმილი — ოქრო!"
სულს ვუბერავ და
სინათლეს ვაქრობ!
და მოდის ფიქრი — ბნელში ნათელი —
და ამ შავ ღამეს...
თეთრად ვათენებ!

გამომდინარე, ზო-
გიერთი ციფრი (უფ-
რო სწორად, რიცხ-
ვი) არათუ შორეულ
წარსულში, არამედ
დღესაც კი, ბევრ
ადამიანს თავზარს
სცემს და აშინებს
კიდეც. მაგალითად,
ცნობილია შიში 13
რიცხვისადმი, რო-
მელსაც ეშმაკის დუ-
ჟინის ეწოდება (მე
კი „13"-ს რიცხ-
ვად არ მეცა-მეცებს).

ცრურწმენა ყველა
კულტურაში გვხვდე-
ბა. მაგალითად, ია-
პონიაში, ყველა გა-
ურბის ციფრ „4"-სა
და „9"-ს, რადგან
ციფრი „4"-ის იაპო-
ნური სახელწოდება
მოგვაგონებს სიტყ-
ვას „სიკვდილი",
ხოლო ციფრი „9" —
„წამებას". გარდა
ამისა, იაპონელთა
შორის ციფრი „13"-
ც არ სარგებლობს
დიდი პოპულარო-
ბით. მათთან ეს
ცრურწმენა ევროპი-
დან არის შესული.
ბევრი ავიაკომპა-
ნია საჰაერო კატას-
ტროფების შედეგად
დაღუპული მგზავრე-
ბის ხსოვნას და
პატივისცემის ნიშ-
ნად, როგორც წესი,
წარმატებული რე-
ისების ნომრებს აუ-
ქმებს.
კიდევ ერთი მას-
შტაბური ცრურწმე-

## *თუ გინდა მართალი!*

მწარე სიმართლეს პირი უყარს —
რა პირით იტყვის ენა:
სომეხს — სომხის გარდა არავინ უყვარს...
ქართველს — ქართველის გარდა — ყველა!

## *შეწყვილებული სტრიქონები!*

**თედო სახოკია:**

„კაი სიტყვა — კაი მთქმელი, კაი ღვინო — — კაი მსმელი" —
კარგ მთქმელს — კარგი გამგონე და არაფრისგან — ყველაფერი!(გ.ნ.)

* * *

ჩვენი დროის ოფიციალური ინფორმაცია! მაშინდელი „ანგლობებიდან" (ზეპირი თუ ბეჭდვითი წყაროებიდან) მახსოვს ერთი „საერთაშორისო ინფორმაცია", რომელიც ერთ პოლიტიკურ თემაზე ასეთ რამეს იუწყებოდა: დღეს თბილისში ჩამოვიდა სეკუტური, რომელსაც ახლავს მეუღლე — სე ფუჩური და შეილი — სე პუჭური!

ზოგი შაყირი სიბერემდე მიყვება კაცს და მისი გამძლეობითაც ფასდება. ამ ხასიათში, ერთი, ასეთი „ალიტერაცია" ამეკვიატა:

მარკეტის მეპატრონე იყო — ქალ-გედი!
ზედამხედველი — ქმარ-კეტი!
ქვედამხედველი — კერკეტი!
მომხმარებელი — ბერკეტი!
გამხარებელი — ბანკეტი!

ყოველ შემთხვევისათვის, დაეიმახსოვროთ და შეეინახოთ. იქნებ, რამე უკეთესიც გამოდნეს!

* * *

ცისკრისაგან განსხვავებით — არის მიწის ვარსკვლავები,
ბრწინვალენი კაცთა ხსოვნით და დრო-ჟამთა გამკლავებით.

* * *

ეს ანდაზა გეყიდის, თუმც...
ცოტნეობას ვიჩვებებთ:
„გაჭირვება მიჩვენეო და...
გაქცევას გიჩვენებ!"
ასე რომ გავქცეოდით საქართველოს გასაჭირს —
უკვე კარგა ხანია, რომ „მოგვეჭამდა" ჭირი ჭირს...
საქართველოს ნასახიც უკვე არ იქნებოდა —
მზე ჩაესვენებოდა და მთვარეც მიქრებოდა.

---

*ებრაული: ადამიანები თანასწორნი არიან... ოღონდ არა მიწაზე... მიწაში.*

## მარინისტული ფერწერა

ზღვა ლოკავს ნაპირს —
მთაზე წევს ნისლი —
მოგორავს ტალღა
და შხეფებს ისვრის!
დილა თენდება —
დგას თეთრი ნისლი —
მამალი ყივის —
სიჩუმე ისმის.

* * *

ალესილი სიტყვით —
გალექსილი ფიქრით —
ქარწაღებულიეთით —
საქროლეთში მიექრი!...

* * *

ან გაცოცხლებს ხალხი — ხსოვნის ბადეში,
ან დაგტოვებს მარტოობის პადესში.
ხარ,
თუ ვინმე გაგიხსენებს გულშია,
უკვდავება მხოლოდ სიყვარულშია!

* * *

„ძაღლი ყეფს" და... შეცდომაა დიდი:
„ქარავანი არც მოდის" — „არც მიდის"...
ჩვენი ყოფა არ იქნება „მ-შვიდი",
ამ სიტყვაში სანამ შფოთავს — „7".

* * *

ემმა ანგელოზს აეკიდება...
დრო კი უდროო დროს ეღარ გაცდა:
ათეულობით წლები სჭირდება —
ბედნიერების წუთების განცდას!

* * *

თუქსუს!
თუ გსურს, პკითხე ქართველს —
უსამართლო მართლით გემართე.
სიტყვას გვაძლევ და სულს გვართმევ —
უბედურთა ბედი გმართებს!

*ნა სასტუმროს ბიზნესში. ცნობილი კურორტების და ქალაქების — აკაპულკოს, სან-ხოსეს, კვებეკისა და ვანკუვერის სასტუმროებში მე-13 სართული არ არსებობს, ხოლო აზიური ქვეყნების ბევრ სასტუმროში — მე-4 სართული. გარდა ამისა, სასტუმროებში ვერ შეხვდებით ოთახებს ნომრებით 666, 13 და 1313.*

**P.S.** *მე კი, როგორც არაერთხელ მითქვამს, 13 თარსად არ მემეტება —*

*13 მე არ მეტა-მეტება!*

*ყველა სასტუმროში 13 ნომერი... საერთოდ, თუ არის, თავისუფალია... და*

*ყველა ჩემის ცამეტიანს ელოდება!*

*ქალბატონი [illegible] („ქრონიკაში")* *როცა ანომალიური მოვლენების მკვლევარს ესაუბრება, განმარტავს, თუ რა ძალა აქვს რიცხვებს.*

*ხალხი 6-იანს ანტიქრისტეს მესატყვის რიცხვად მიიჩნევს. ახალი აღთქმის მიხედვით, იოანე მოციქულის „გამოცხადების" თანახმად, ბევრი ფიქრობს, რომ მისი გამეფება მეორედ*

* * *

ღმერთთან შენობით ლაპარაკობს მორწმუნე კაცი!
ვაჟამ თქვა: „მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ, ვლაპარაკობდი ღმერთთანაო!“
გურულ გლეხკაცს კი ცისთვის აუხედია და მამაზეციერს ასე გამოლაპარაკებია:
ღმერთო!
რომ ხარ, ხო ვიცი...
რომ ვარ, ხო იცი...
რას გთხოვ, ხო იცი...
ჰოდა, აბა, შენ იცი!

* * *

მე — ვერელი, მერე გავხდი სოლოლაკელი!...
გინდა მთაწმინდელი იყავ — გინდა ვაკელი...
მთავარია, იყო კაცი, არა კაცუნა —
სიჭაბუკემ ამ ქუჩებში წლები გაწურა!

* * *

წუთისოფელს დაგილოცავთ თასით გრაალის!...
ეს ცხოვრება თეთრით შავი — შავით თეთრია —
ყოველივე, რაც მოვყევი — ზღვაში წვეთია!...
მაგრამ წვეთი, თუნდაც ერთი, ზღვაში ზღვა არის!

* * *

გლოცავენ და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებენ —
გწყევლიან და ცოცხალს... სიკვდილში გისტუმრებენ!
ჰოდა, რა ლოცვაა, თუ ჯოჯოხეთია სააქაო?
ანდა, რა წყევლაა, თუ სამოთხეა საიქიო?
სიკვდილი — სიცოცხლის ბოლო საიდუმლოა! —
ავია თუ კარგია, — საით უფროა?...
ღმერთმა იცის!

## *ოქტომბრის რევოლუციის გარიჟრაჟზე!*

...კრების თავმჯდომარის ჭექა-ქუხილზე —
ხალხი მეხამრიდივით წევდა ხელებს...
ეს მახელებს!
...წევდა ხელებს და
ბოროტებას „ნებაყოფლობით“ ბარდებოდა!
დიახ, იყო ასეთი დრო —
საბჭოთა წყობილება მყარდებოდა!

## პირველ სიხარულსა და უკანასკნელ დარდს

ეს რა ცოდვის მოქმედი ვარ,
ეს ლხინი რა — ჭირად მექცა,
რომ პირველი სიხარული —
უკანასკნელ დარდად მექცა!
სად და როგორ ჩამისაფრდა
ეშმაკი და მიეშმაკა,
რომ სახელსაც კი ვერ ვარქმევ,
რაიც აგაეს იგაე-ნაგაეს!
თუმც, არ არის არც იგაეი,
არც არაკი — საარაკო.
არის დაეი — სადარაბო —
ულაპარაკ-ლაპარაკო!
ღმერთმა იცის, განჭოლება
რამდენ უცნობიანია —
ღმერთო, გენი გაგეიღეიძე,
სანამ დაუგეიანია!

* * *

თქვენ გეირჩეეთ!
ჭკუას მოეუხმოთ
და ენას კბილი ეაჭიროთ.
და ისე ვილაპარაკოთ,
როგორც თქვენ ჩათელით საჭიროდ!

* * *

თუ ხარ წინაპრის მგმობელი —
გაგჭანჯაეს წუთისოფელი.
ჭკუით გცნობს ჭკუათმყოფელი —
რა შვილიც ხარ — ის მშობელი!

* * *

დრო მკლავს —
დროს ვკლავ —
ლექსის წერა ყოფილა —
ბედისწერა, რაღაც დროის კელასავით!
ვარჩევ ჩემს წილ სარჩევ წილადობილას —
ეიყიდები, ვიყიდები თხასაეით!

* * *

ივანიშეილის სიკეთე
გაცდა ყოველგვარ სამანსა,
რასაც ის მის ხალხს უკეთებს —
შვილი ვერ უზამს მამასა!

მოსვლის დროს მოხდება. ეს გახლავთ რიცხვი ადამიანისა, რომელიც მის სახელს განსაზღვრავს. თავის დროზე, ფენგელს 66-ის შესატყვისი სახელი ნერონი ერქვა, რაც ეზოთერიკაში „განსხვავებულ ბოროტებას" ნიშნავს. ესაა ადამიანი, რომელიც ილაპარაკებს აბდაუბდას ხალხისა და ბოროტების მქადაგებ ღმერთის სახელით. მართლმადიდებლური ეკლესიის აზრით, 666 ბოროტების, სატანის სიმბოლოა. ის გლობალურ კატასტროფას მოასწავებს და ანტიქრისტე ამ ნიშნით მოვა. 666-ის უკან დიდი მაგიური ძალა დგას და უნდა ვერიდოთ.

6-იანს ეშმაკეულად აღიქვამდნენ. არადა, დედამიწის გარშემოწერილობა, სწორედ, 6666 კილომეტრის და 6 ნაწილისაგან შედგება. ჩვენ შევეჩვიეთ აზრს, რომ 13 და 666 ბოროტი ციფრებია. რიცხვი 7 ბევრ ხალხს მიაჩნდა ჰარმონიულ, ღვთიურ რიცხვად. გაიხსენეთ მაგიური შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც მიანიშნებდა კვირა-

* * *

... როცა უდროო დადგა დროება, —
როცა ქართველისა ინება ნებამ —
ქართველნი იხსნა ერთსულოვნებამ —
რწმენისა რწმენამ —
სარწმუნოებამ!
ერთპიროვნებამ,
ერთგულოვნებამ,
ბედს არმინდობამ,
შავ დღეში ძმობამ —
მაშინ, როს ქართველს
კეთილენება...
სადღაა ახლა მათი ხსენება?...
რამდენი კაცი — იმდენი ჭკუა
(თითოკაცობა... კაცობა თუა).
დრო აღნიშნეო! — ბრძანებდა გალა.
უდროობისთვის „კმარაცა“ კმარა!
მწარე — გვეტკბილა, ტკბილი — გვემწარა:
ეს „სიძულვილი“ — რამ შეგვაყვარა?
ეს ცერცვი კედელს ვინ შეაყარა?
და რა ეშმაკმა გვათითოცალა?
ყოველი კაცი ცრუა და ყრუა —
ილიამ რომ თქვა — სწორედ ის დროა!

* * *

თვალდახელშუა დრო იქცა ხანად —
თუმც, ტვირთი ეზიდე ერთი მეკურტნის...
რა ექნა,
ვერ ეტოვებ ისეთ ქვეყანას —
მე რომ მინდა და
შენ რომ გეკუთვნის!

* * *

...ჯამბაზობა თუ აზრებით ბაზრობა...
კალმის გასმა, ცმუკვა, ცეკვა-ცერებად —
სულში წვდომა — ნემსის ყუნწში გაძვრომა...
და სიმღერა, როცა არ გემღერება!
...ასეთია ჩემი თვალსაწიერი,
...ასეთია ჩემი დრო და მოსწრება.
დავიღვარე ხატების წინ ცრემლებად,
კოცნებად და ოცნებად და ლოცვებად!

---

*მერი რაინხორგი: სამყარო სულელებისაა. იგი შექმნილია ჯიუტებისა და სქელშუბლიანებისთვის, რომელთა თავშიც ერთდროულად არ არსებობს ორი აზრი.*

*ჩინური: ნახევარი ღამე — სხვის ქონებაზე დარდს მიაქვს, ნახევარი — საკუთარ სიღარიბეზე დარდს!*

* * *

თავკერძი ვარ —
ჩემ ჭკუას ვერ მოვეგე.
ვერცერთ ბოთლსა —
საცობად ვერ მოვერგე!
სხვისი ხელის ბიჭად მე ვერ ვივარგე:
ყველას — ჩემი,
ყველას — მისი მივაგე!

* * *

ღვინო არის წამალი —
მხიარული ამალით —
პოეზია სითხეში —
ღვთიური ნატამალით.
ერთადერთი საშველი —
გულის დარდის საშლელი —
ღვინოა და ლექსია —
სიყვარულით ნაშენი.

* * *

სწორი ცხოვრებით — აქვე ვცხონდებით —
რასაცა დავთესთ, რომ იგი ვმკათო.
სიონში შევალ,
სანთელს დავანთებ,
რომ უკუნეთში გზა გაგინათო!

* * *

სიგიჟედ ვის რა ცნობია —
ერიდე ღვთისა წყრომასა:
ჭკვიანთან მტრობა სჯობია —
სულელთან მეგობრობასა!

* * *

მიტომ ვეძებ სიტყვა-ღმერთს,
იმ ღმერთივით სიტყვას,
რომ,
ასე ვთქვათ,
სათქმელი —
უთქმელადაც ითქვას!

* * *

ღვთის წყალობით!..
რაც კი ხდება
ამ ჩვენს არემარეში —
ბალახიც არ შეტოკდება...
უფლის ნების გარეშე!

*ში შვიდი დღის არსებობას. 7 განეკუთვნებს პერიოდს. ინდოეთში უძველესი დროიდან „ბედნიერების ნიშნად“ ჩუქნიდნენ 7 სპილოს.*

*ნუმეროლოგთა აზრით, ციფრი 8 ყველაზე უიღბლო და თარს ციფრადაა მიჩნეული. რვიანები ეჭვიანები არიან, ოჯახებს ხშირად ანგრევენ და სრულ ბედნიერებას ვერ აღწევენ.*

*0 განსაკუთრებული ციფრია. ის ნუმეროლოგიაში ბოლო ციფრია. მას პლანეტა მარსი მართავს. მბრძანებელი ციფრია როგორც აღმშენებლობის, ისე ნგრევის პროცესში. ის წარმატების მწვერვალიცაა და მნგრეველიც!*

*ხიდან ვაშლის ჩამოვარდნამ ისააკ ნიუტონს მხოლოდ მიზიდულობის ძალა კი არ აღმოაჩენინა, როგორც ჩანს, მას წინასწარმეტყველების უნარიც მიანიჭა და ასეთი საშინელი პროგნოზიც გააკეთებინა:*

*<u>კაცობრიობის დასასრული 2060 წლისთვის დადგება...</u>*

*ეს წინასწარმეტყველება და თარი-*

* * *

შავით თეთრზე ვწერთ ანდერძებს! –
ვეფხის ტყავზედა სწერია:
„ვინ მოყვარესა არ ეძებს –
იგი თავისა მტერია!“
სულ ჩვენს სიმცირეს მივტირით –
და სულ ღმერთსა ვთხოვთ ძეობას –
რქაია რქენითა – ბედს ვანდობთ
საყანწე ენამზეობას!

* * *

ვერელი ბიჭი ვიყავი – ვერის ბერი ვარ!
ძველი ვარ და ახლის ეშხით... ვერა ვმღერივარ!
ამ უგულო წუთისოფელში... სული მელევა –
ჭიდაობას რა უნდაო? –
ძილიც მერევა!

* * *

ეშმაკს ვყავართ შეგირდად, ნეტაი, რა გვაცინებს? –
მკვდარი-მკვდარს აეკიდა – საფლავამდე აცილებს!
ცოცხალი – ცოცხალს ძირავს –
ცოცხალ-მკვდარი... მკვდარ-ცოცხალს –
ახალი ძველსა წირავს –
მოაქვს დროს და მიაქვს წყალს.

* * *

ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, ფიქრები –
როცა არ ვიქნები – მაშინ სად ვიქნები?
არ გვინდა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები, ლიქნები –
მივქრივარ,
მივქრივარ...
საცაა მივქრები!
შევავსოთ ჭიქები ღვინით და ფიქრებით –
მე, ჩემი ფიქრებით – სულ თქვენთან ვიქნები!

* * *

მკვდარ-ცოცხლად – ამ წყალგამყოფის
საყოფი ეყოს ამ ყოფას:
ცოცხალს – ნათლავდეს ნათელი,
მკვდარი – ნათელში ამყოფოს!
ესაა უზენაესი ღვთისწყალობა და ღვთის ნება.
რაც ღმერთმა კაცს დაუწესა – ლოცვებადა და მიზნებად!

* * *

მე თუ მკითხავთ — ეს არის
სწორი სულისკვეთება:
კაცის გადაკეთებას
სჯობს... ახლის გაკეთება!

## სოროსკოპები

სოროს გვითხრის სოროსა —
სოროში შესაძვრომად.
სორო გექცა სამარედ
და პროკრუსტეს საწოლად!

* * *

...თუ ერთი პირიც არა აქვს,
მეორე სიდან ექნება! —
ჰოდა, უპიროდ — ორპირ კაცს
სჭირს — შეუგნებლის შეგნება!
ვისთვის —
ვიღაცის დაძრახვა,
ლანძღვა-გინება ჰობია;
ავი კაცისთვის ავის თქმა...
მესამე პირში ჯობია!

## ქამ...ბერი!

სექტემ-ბერი!
ოქტომ-ბერი!
ნოემ-ბერი!
დეკემ-ბერი!
წელიწადის 4 დრო და
წელიწადში 4 „ბერი“!
...მე — ბერი თუ მადლი კერის,
ბერიკაცი — ტკბილი კვერი,
წელთა წერით —
ხარობს ჭერი,
მზეთა მზერით —
გული მღერის!

* * *

მიქრის ფიქრი —
სიტყვის სეტყვის ამ თავსხმაში,
ილექება დავიწყების ლექში.
როგორც კაცი ეძებს ადგილს ცხოვრებაში —
ისე, სიტყვა, ეძებს ადგილს ლექსში!

ლი ფიზიკის და ასტრონომიის მამის უბის წიგნაკში 1704 წლის ჩანაწერია, რომელიც საზოგადოებამ იხილა იერუსალიმში გახსნილ გამოფენაზე სახელწოდებით: „ნიუტონის საიდუმლოებები“.

რამდენადაც მოეხიბლებით დედამიწის მიზიდულობის ძალა, იმდენად კარგავს „მიმზიდველობას“ ქვეყნის დასასრულის პერსპექტივა!

ნისლიან ალბიონზე მეცადნენ იმის გარკვევას, თუ ვისთან შეხვედრას ისურვებდნენ ადამიანები სიზმარში.

გამოკითხულების უმრავლესობას, ყველაზე მეტად, ისევ იესო ქრისტესთან შეხვედრის სურვილი გამოუთქვამს.

მეორე ადგილზე კი პრინცესა დიანა გავიდა — მასთან შეხვედრაზე რესპონდენტების 30% ოცნებობს.

რაც შეეხება მესამე ადგილს, ეს გახლავთ უილიამ შექსპირი — მასპინძლის რანგში მის ხილვას 25% ისურვებდა.

საკვირველია, მაგრამ მერლინ მონ-

* * *

...იყო დრო, სიღარიბითაც მოგვენონდა თავი!

„მეც იმათ ჯოგიდამა ვარ, ვინც სიღარიბით ცნობილიაო", ამბობს ვაჟა და „კაი ყმის" თარგზე ჭრის და კერავს!

„ცდუნება არა სძირავდეს...
მიძღვნილსა საუფროსოსა
ამხანაგებსა სწირავდეს...
აი, ვინ არის კაი ყმაო!"

საცოდაობა კია, კაის მკეთებელ კაი კაცს... კაი დამნახველი არ ჰყავდეს!

ვერრა გავუგეთ ქვეყანას —
ხე-ცნობადსა და ხე-ყოფადს —
ქვეყანა ნაცრად ვაქციეთ —
თავზე საყრელად გვეყოფა!

გაზეთ „ყველა სიახლეში" საქართველოს ჰიმნის ავტორმა, ცნობილმა პოეტმა დავით მაღრაძემ თქვა და ჭეშმარიტადაც: „საქართველოს საჩივრის ქვეყანად ვერ გადააქცევენ. ჩვენ მუდამ ლექსის ქვეყნად დავრჩებითო"!

ჰოდა, ისევ ლექსად მოვიდა სათქმელი ამ საძეგლე კაცზე!

დროს — ერთი ქმნის და მეორე დროულობს;
ფულს — 1 გასცემს და 1000 თხოულობს;
ბედს — ერთი ჭედავს და მეორე პოულობს
ფულს — ერთი აკეთებს, მეორე — შოულობს.

...რა დღეში ვართ, რა გვჭირს? — მეკითხებიან და ვპასუხობ:

— ერთმანეთის ჯინაზე კარგად ყოფნის უბედურება!

P.S.ჩვენმა დიდმა წინაპარმა ბრძანა:

ავს თუ ავი არ დავარქვი — კარგს სახელად რა ვუწოდოო?

დიახ!

სათქმელი უნდა ითქვას.

და, აი, ისიც:

კარგს — ქველმოქმედება ჰქვია!

ავს — გველმოქმედება!

15.08.08.

## ერთ მშვენიერ დღეს...

ეს ცხოვრება ტრაგიკომედიაა და ჩვენ, ყველანი, მისი პერსონაჟები! ერთი თვალი იცინის, მეორე — ტირის! მთელი ცხოვრება ამ პატარა ტირის სიგრძეა, ანუ წუთია სოფელი და ვინც ამ წუთისოფელში სიცილსაც მოასწრებს... ალალი იყოს!

„მაცალე სულის ამოთქმა, დახამხამება თვალისაო" — მღერის ერთი ძველი თბილისური სიმღერა! აქ „ხამხამი" „ხან-ხანს" უფრო ჰგავს და „წამწამიც" დროსთან დაკავშირებულ „წამდაუწუმს"! თვალის დასახანხან... თუ დასახამხამებლად!

---

*გენადი მალკინი: პუბლსმა ენციკლოპედიიდან ამოიღო პაინე!*

*ნიკოლოზ ბერდიაევი: ქრისტიანობა არა მარტო ღმერთის, არამედ ადამიანისადმი... ადამიანში ღვთიურის აღმოჩენის რწმენაა!*

მგონი, სადღაც ინდოეთშია — საფლავის ქვაზე, რომელსაც მიცვალებულის დაბადებისა და გარდაცვალების წლები აწერია, სულ წუთობითაა დათვლილი ბედნიერი წლების ჯამი. მაგალითად: დაიბადა ამა და ამ წელს, გარდაიცვალა ამა და ამ წელს (საუკუნეც რომ იყოს!), იცხოვრა სამი დღე!

ეს როგორ?

როგორ და ნამდვილ სიცოცხლედ, ცხოვრების სათვალავში მხოლოდ ზოგიერთ და იშვიათ დღეებს თვლიან! ეს რომ ერთმა ჩვენებურმა კაცმა გაიგო, შეიცხადა: — მაშინ, ჩემს საფლავს დააწერეთ, რომ მკვდარი დაიბადაო!

კიდევ უფრო ტრაგიკული სურათი მახსოვს ბავშვობის წლებიდან! იმდენად ტრაგიკული, რომ ვერაფრით ვივიწყებ და უკვე მერამდენედ გიყვებით ამ, სხვის მოყოლილს კი არა, საკუთარი თვალით ნანახს!

ახლაც თვალწინ მიდგას ერთი თოვლის ბაბუასავით თეთრი მოხუცი კაცი, ვერაზე რომ დადიოდა და, სადაც დიდი ბელადების სურათებს დაინახავდა, „ტკბილეულივით" ურიგებდა ლანძღვაგინებას! ქუჩის ბიჭ-ბუჭები, სადაც კი მოვკრავდით თვალს, შორიახლო ავეკიდებოდით, რომ გაგვეგონა ის, რის თქმასაც მაშინ ჩურჩულითაც ვერავინ ბედავდა. 37 წელი ახალი გადაგორებული და დღემდე მოუნელებელი იყო. შუაღამისას კარებზე კაკუნის კანკალი შიშით თეთრად ათენებინებდა ხალხს შავ ღამეებს... ის კი სულ დედ-მამის სულს უტრიალებდა ჩვენს „მამებსა და მასწავლებლებს, პროლეტარიატის ბელადებს!"

იმდენად თავისუფალი იყო, რომ გიჟი ეგონათ! როცა პირველად ყური მოვკარი გამონათქვამს — „გიჟი თავისუფალიაო", ვიფიქრე, ამ კაცზეა ზედგამოჭრილი, ისე, როგორც ფიგურალური გამოთქმა (ნაკვესი თუ ნაკენესი) „9-სართულიანი გინება!"... რადგან ვერაზე, მელიქიშვილის ქუჩის დასაწყისში რომ მრავალსართულიანი სახლი დგას, მის პირველ სართულზე განლაგებული მაღაზიები აჭრელებული იყო პარტიული პორტრეტებით და სწორედ აქ გაისმოდა მისი ზარივით შემზარავი ხმა!

მერე კი, იცით, რა მოხდა?

ერთ დღეს... (მშვენიერსო, როგორ ვიტყვი იმ დღეზე?!) ამ კაცმა ვერაზე ისევ ჩამოუარა ბელადების პორტრეტებით დამშვენებულ ვიტრინებს და ცარიელი ხელების ქნევით (მუნჯი კინოსავით) უტრიალა დედ-მამის სული.

ხმა — კრინტი... არც ჩამი, არც ჩუმი...

მას შემდეგ ვერის უბანს იმ კაცის ხმა არ გაუგონია!

*რის .. ექსცენტრიკულმა ალბერტ აინშტაინმა აჯობა — მათ მეოთხე და მეხუთე პოზიციები გადაინაწილეს.*

*გარდა ამისა, საიქიოში დიდი ხნის წინ გადანაცვლებული ყველაზე სასურველი მასპინძლების ათეულში შევიდნენ: მხიარული და გამომგონებელი ლეონარდო და ვინჩი, როკვარსკვლავები ელვის პრესლი და ფრედი მერკური, ამერიკელი მწერალი როალდ დალი და აფროამერიკელების თავისუფლებისათვის მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგი.*

*რაც დრო გადის, საიქიოს — სააქაოს დანახვაც არ უნდა, სააქაოს კი... საიქიოს გაგონებას!*

*თურმე, პირველი 3-4 თვის მანძილზე ახალშობილს არაფერი ესმის.*

*ცნობილია, რომ თვითმკვლელთა რაოდენობით იაპონიას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. მარტო ერთ თვეში 2645-მა კაცმა მოისწრაფა აქ სიცოცხლე. განსაკუთრებით გაამძაფრა სიტუაცია ფინანსურმა კრიზისმა.*

მერე ვიღაცამ თქვა, მთავრობამ უკეთესი სხვა ვერაფერი რომ ვერ მოიფიქრა, ყელის ოპერაციის დროს... ხმის იოგები გადაუჭრესო. ტყუილია თუ მართალი, ეშმაკმა იცის: აბა, ღმერთს რომ სცოდნოდა, ასეთ უღმერთობას დაუშვებდა?!

დღემდე მახსოვს ის ხმაჩახლეჩილი კაცი და ერთი მაშინდელი ანეგდოტიც: ვიღაც მოხუცი ყოველ დილით რომ გამოდიოდა აივანზე და მამაზეციერს ხმამაღლა ეხვეწებოდა, 100 მანეთი მაჩუქეო!

უშიშროებისა თუ საშიშროების სამინისტროებს ასი ყური ჰქონდათ და ამას ვერ გაიგებდნენ?! ბევრი უფიქრიათ თუ ცოტა უფიქრიათ, შინსახკომის სახელით, ფოსტით გაუგზავნიათ 50 მანეთი — შენი ხმა აღარ გაგვიგონოთო!

ადრესატი მაშინვე გამოსულა აივანზე, ხელი ცისკენ გაუშვერია და ხმამაღლა მოჰყოლია ლოცვა-კურთხევას: მადლობელი ვარ, ღმერთო, მაგრამ ანი ამათი ხელით აღარ გამომიგზავნო ფული... ნახევარს მიტეხავენო!

ეს, ყველაფერი, იმიტომ მოგახსენეთ, ჩემო ბატონო, რომ მეც... მსგავს არა, მაგრამ რაღაც უმსგავს და ჯერ არნახულ, ჯერ არგაგონილ ამბავში ვარ (თანაც, მარტო მე კი არა, მთელი ქვეყანა და ქვეყნის ხალხი!)

სიყვარულს რომ მალვა უნდა, ვიცით, ბატონო, მაგრამ.. ამ დროში ბოროტებას არ მალავენ და სიკეთემ რა დააშავა?!

უკვე რამდენიმე წელიწადია, ამ გულგრილობის ეპოქაში, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, „მინისტრის ხელფასს" ვიღებ და საიდან?.. ლამის ჩემი თავისთვისაც ვერ გამიმხელია!

— ვინ მაძლევს?

— ღმერთი!

— ვისი ხელით?

— კაცის!

— ვინაა ეს კაცი?

ღმერთმა იცის!... მეც ვიცი, მარა მაგის თქმა მხოლოდ გულში თუ შეიძლება, რადგან ეს არ არის ის სიკეთე, ხმაური რომ უყვარს!

...ჩემს ბავშვობაში იყო ასეთი თამაში — „ვისი სული გსურს?" ვინ იცის, ვინ იყო ის კაცი, ვინც ბავშვობიდანვე ადამიანში, ფულის კი არა, სულის ძებნას გვასწავლიდა?!

მერე, რუსთაველის სიბრძნეც წამოეშველა: „რასაცა გასცემ, შენიაო!"

რაზედაც ვიღაც ნუნურაქს დაუყოლებია, „რასაცა არა... ხო... შენია და შენიო!"

მერე, თბილისური ხასიათის ერთ სტროფში მეც ამიხსნია: თუ გსურს, კაცობაზე იოცნებო, თავი თბილისელად მოგქონდეს — თბილისელი ასე ილოცება — ღმერთმა შენ მოგცეს, რომ მე მქონდეს!

...ჰოდა, სიყრმის იმ ნატვრისა არ იყოს, მილიონ თბილისელთან ერთად, ერთი სული მქონდა, სადმე, შემთხვევით მაინც, გადავყროდი იმ კაცს, რომლის გადაუხდელ ვალში ლამის მთელი საქართველოა! ჯერ ისტორიას არ ახსოვს სადმე, როდესმე, ვინმეს, ასე გულთან ახლოს მიეტანოს ხალხის გაჭირვება, თან იმ დროში, როცა ასე გავთითოკაცდით და „სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირად იქცა!" არადა (თუმცა, „ენას ძვალი არ აქვს"), ამ ჭორვილელი კაცის სახელსა და სასახლესაც არც „ჭორი" აკლია და არც „ვილა", არც — ქება და არც...

ფუი, ეშმაკსო! — იტყვიან. არადა, ეშმაკის რქაც კი არ ვარგა ყან-

ნად და მით უმეტეს — სიუხვის რქად: იგი დასალოცად და კაი სადღეგრძელოს სათქმელადაც არ გამოდგება!

„კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა"... ჰოდა, ბედმა თუ გაგიღიმა, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!

ამბიდან ამბამდე!

მოკლედ: სიბერემდე — სიქაჩლეო!...

მსგავსი არაფერი მინახავს და მსგავსი არაფერი გამიგია! თუმცა, ბოლომდე რომ მართალი ვიყო, მეხსიერებას საიდანღაც შემორჩა სტოლიპინის (რუსეთის იმპერიის თავკაცის) რუსი დიდვაჭრებისათვის ნათქვამი, როცა მათ ტირანს რუსეთის ტრანსციმბირის სარკინიგზო მაგისტრალის საუკუნის გეგმაში, თავისი ინტერესის გათვალისწინების საფასურად, I პოლიციელსა და მინისტრთა საბჭოს სისხლიან თავმჯდომარეს (რომლის სახრჩობელები „სტოლიპინის ჰალსტუხების" სახელით შევიდნენ ისტორიაში) ძლვნად ორი ტომარა... თვალმარგალიტი მიართვეს:

— თქვენ რა, ქრთამს მთავაზობთ?

საფეთქელზე ავარდნია ნარბი პიოტრ არკადიევიჩს, რომელიც თავის „ჰალსტუხებს"... კი არ ჭამდა, სახრჩობელებად ჰკიდებდა.

— ეს ქრთამია? — დახედეს, თურმე, აურაცხელ სიმდიდრეს დიდვაჭრებმა, — ეს, ქრთამი კი არა, მთელი ქონებაა!

...ამ ამბის 120-აციითა თუ 220-აციით, ასევე, კითხვის ნიშნებივით ვართ ახლა ჩვენც, როცა ამ ღმერთივით კაცის სიკეთის მთელი სიგრძე-სიგანით ნარმოდგენას ვცდილობთ!

ეს არაა მარტო ქველმოქმედება და ამას რაღაც სხვა ჰქვია, რომლისთვისაც ჯერ სახელიც არ მოუფიქრებიათ.

სადღაც ნავიკითხე, რომ ამ კაცს ახლობლისთვის (მგონი დედისთვის) უთქვამს: რასაც კაცს აძლევ — ღმერთი გიბრუნებს, ისე, როგორც ნყლის ამოღების შემდეგ ჭა მაინც ივსებაო!

Не скудеет рука дающего, — გვმოძღვრავს სახარება: მოყვასისადმი განვდილი ხელი არასოდეს რჩებაო ცარიელი! — შეგვახსენა საპატრიარქოში შეხვედრის დროს უნმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მე და ქართული კონიაკის ფუძემდებლის — დავით სარაჯიშვილის მამულიშვილური საქმის გამგრძელებელს, ცნობილ ბიზნესმენ გუჯა ბუბუტეიშვილს.

...და, აი, დადგა ეს ნანატრი ნუთიც და 2008 ნლის 20 დეკემბერს, მარჯანიშვილის თეატრში, სახალხო მომღერლის, ლეგენდარული მარო თარხნიშვილის სალამოზე, იმ დიდ სიამოვნებასთან ერთად, ღმერთმა ამ უტირაჟო კაცის ნახვის ნატვრაც ამისრულა!

ამერიკის ოფიციალური ენა არ არსებობს. ინგლისურს ოფიციალური სტატუსი მხოლოდ რამდენიმე შტატში აქვს მიღებული.

რუსი მოზარდების უმრავლესობას მხოლოდ სამი წიგნი აქვთ წაკითხული.

ულტრათანამედროვე ტექნოლოგიების საუკუნეში, როცა კომპიუტერული თამაშებიც და ინტერნეტიც საოცნებო აღარავის აქვს, მოზარდებში ინტელექტის დონე მნიშვნელოვნადაა შემცირებული.

როგორ ინატრის ადამიანმა ინდუსების მსგავსი სიღარიბე?! დაგვეთანხმეთ, ამას ნამდვილად სჯობია, ისევ გურამ დოჩანაშვილის ცნობილი პერსონაჟების — კეკერაძეების ერთ-ერთი ძმის მსგავსი რამ მოვიმოქმედოთ და გავხსნათ სპეციალური კარცერ-ლუქსები, სადაც მოზარდებსაც და ახალგაზრდებსაც წიგნებს იძულებით წააკითხებენ.

ვაი, თუ მართლა დადგეს დრო, როცა წიგნის წაკითხვა სასჯელად იქცევა!

...ივანიშვილი! — გადმომიჩურჩულა მეუღლემ და ჩვენ წინ, რიგში, თვალი მოვკარი ამ „არალეგალურ ქველმოქმედს", რომელსაც სიკეთეს ვერ დაუთვლი. სხვათა შორის, ეს ზედწოდება პირველად ქართული კონიაკის მესაძირკვლეს — დავით სარაჯიშვილს ამშვენებდა (რომელზეც კრებული მაქვს გამოცემული), მაგრამ, მიუხედავად ქართველი მეცენატების სხივმოსილებისა, ბიძინა ივანიშვილის მასშტაბის ქველმოქმედი... ისტორიას არ ახსოვს! (ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ისტორიას!)

...ბატონი ბიძინა, მეუღლესთან ერთად, ამფითეატრში, ჩვენს წინა რიგში იჯდა და ხანდახან „ქართული ხმების" ბიჭებს (გივი ჭიჭინაძეს) თუ გამოელაპარაკებოდა. დარბაზი თვალსა და ყურს ვერ აცილებდა სცენაზე გაცოცხლებული დიდი მარო თარხნიშვილის სულის მოძრაობას... ცალი თვალი კი... იმ მადლიანი კაცისკენაც ეჭირათ.

ამ უნიკალური შემოქმედებითი საღამოს სულისჩამდგმელი — თარხნიშვილის გენის მატარებელი, შესანიშნავი კომპოზიტორი ქალი, ჩვენი ლამაზი, მონყალების და სათნოების და, ქალბატონი მარიკა კვალიაშვილი გახლდათ. თარხნიშვილების გზა და კვალი ადგა ნათელად ყოველიევეს — ხალხური სიმღერიდან, ფოლკლორიდან — დიდოსტატობამდე, რომლის „წყალგამყოფი" — დიდი ბებიის დიდი შვილთაშვილი, ქართული სიმღერის დედოფალი ეკა კვალიაშვილი იყო, თავისი „საიქსააქაო" სიმღერა „ფერისცვალებით", ანუ სამი თაობის გადაძახილით — ჭიგოსა და ვაზივით ჩახვეული მაროს საარაკო „ურმულითა" და შიგ ჩადგმული მარიკა-ეკას სიმღერებით („მოდი ჩემთან" და „სილამაზის მშვენება"), რომლებმაც, ლამის, დრო გააჩერა!

„ამაშას" (რეზო ამაშუკელის) სიყვარულით გალეშილი ლექსი და ამღერებული სიტყვა აზანზარებდა დარბაზს.

...„მოვედი, ხელი მოგხვიე, გულზე პერანგი მოგხიე! მთვარე, მე, შენ და არაგვი... მთვრალი ვიყავით ოთხივე!.."

სადაც სხვისი ვთქვათ, იქ ჩვენიც არ დაგვავიწყდეს!

...როს მოგვეპარა ღამე და მნათი-მნათობნი კრებულით, ჩვენ შევსვით ფეხზე ადგომით მთვარის, ვით შემოსწრებულის!

რა ლექსი და რა სიმღერა გაისტუმრებს საქართველოს ვალებს!

შობა-ახალი წელი, თვალზე მწუხარების თუ სიხარულის ცრემლივით, კარზე იყო მომდგარი და კვალიაშვილის „ალილომ" დახურა საღამო, დაგვამწყალობა და საუკუნის ამ უკუნეთში დაგვაკვალიანა. საღამოს დასასრულს სცენაზე გამოანათა თარხნიშვილების ნაშიერმა — კომპოზიტორმა მარიკა კვალიაშვილმა და საღამოს ნამყვანმა, მარო თარხნიშვილის შვილიშვილმა, სცენაზე მიხმო, სიტყვა მათქმევინა და ეს ექსთუ ლექსპრომტი ნამაკითხა!

კარგი ადამიანის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც, ვინც იხსენებს!

ქართველი „ამორძალის" — ლეგენდარული მარო თარხნიშვილის მადლიერების დღეა.

დღე კია არა — დღესასწაული.

რისი დასტურია ეს დარბაზი და დარბაზობა, რომლესაც ესწრება სიკეთის მკეთებელი კაცი და სიკეთის დამნახველი ხალხი! — გადავკარი სიტყვა.

კინოფილმ „შერეკილებში" სოფელს ისიც კი ახსოვს, რომ მიზანა ბრეგვაძის სიმღერის — „ჩიტო-გვრიტოს" წუთისოფლურ ვალშია!

ჰოდა, თუ სიმღერის ყელამდე ვალიც არსებობს, მაშინ მთელი საქართველო... მარო თარხნიშვილის „ურმულის" ვალშია — ყელამდეც და ყურამდეც!

დიახ, ამ ვალშია დანერილი ეს, ასე ვთქვათ, ლექსპრომტიც!

ალაზანზე, ბულბულმა, ყელი რომ მოიღერა —
დღესაც ყურში ჩამესმის თარხნიშვილის სიმღერა!

ღვთისმშობელის ნილხვედრი
საქართველო მღეროდა:
მარო-მარიამობდა და ერიცა ერობდა!
დღეს კი მაროს „მარაო" მარიკაში მაროობს,
კვალიაშეილთა კვალში უკვდავება ნყაროობს!
ქართულ ჰანგის სინმინდეს
არ იცავს ზოგ-ზოგია —
ქართულ კილოს ამშვენებს ეკას „ეკოლოგია"!...
ეს კი ღვთისნაყლობაა
და აქ ღმერთი ვახსენოთ.
თავის-უფალ —
თარხანნო...
გენი არ მოასვენოთ!

...„ვთქვი, გამოვბრუნდი სცენიდან და დარბაზში ჩვენი ბიჭები (თბილისის, ასე ვთქვათ, ჯოკერი — მერაბ დონაძე და „ქართული ხმების" ულასკალო ჯილი თუ „ჯილა" გივი ჭიჭინაძე) პირზე კოცნით შემომეგებნენ. ამ კოცნა-კოცნაში, ღვთის ნებით, იმ კაცთან მიმიყვანა ღმერთმა, რომლის გადაუხდელ ვალშია მთელი საქართველო და რაღა დაგიმალოთ, ვისი ნახვაც ყველას ოცნებად აქვს!

„შენი ნახვა მეამება, როგორც კოვზით ზიარება!" — ემღეროდით ბიჭობაში.

ჰოდა, აგერ ეს კაცი და აგერ ჩვენი ძმა და პირის ზიარება — მისი უდიდებულესობა შემთხვევა! ის რომ არა, მსგავსი შანსი არ არსებობს!

რამდენ ხელმოკლე კაცს გაუმართა ამ კაცმა ხელი!

რამდენი ხანია, მინდა, ამ კაცს ხელი ჩამოვართვა...

„ჩამოვართვა?"... ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ამ კაცს სხვისი ხელის გამმართველი მისი ხელი! ინდუიზმის მთავარი, მონყალების ღვთაება შივასავით, ასი ათასი მონყალების ხელი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ასეთ უმონყალო დროში ამდენ სანყალს განვდეს!

ღმერთმა დამიფაროს, თავი მოვისანყლო. ამ დროს... ეს ამდენი სანყალი ხალხი... უჩემოდაც ეყოფა! ჯერ კიდევ შუაკაცობაში მივხვდი, რა ულმობელი ჟამია მოხუცებულობა და მე ამ „შავი დღისათვის" — სიბერისათვის მოვემზადე, რომ ჩემი „ცხენი დაბმული მყოლოდა"!.. მაგრამ ამ სრულიად არაორდინალურმა და მაინც რიგითმა ქართველმა ყველაზე „რიგიანად" შემაფასა თუ დამაფასა და საშუალება მომცა, ჩემი დანაზოგი (მისებურად) ჩემზე უფრო გაჭირვებულებს გამოვუზოგო და სხვისი სიხარულითაც გავიხარო. სნორედ ამის მონმეა ეს სტროფიც, რაც ივანიშვილის ქველმო-

*თამარ გორთამაშვილი (პრაიმ-ყაიმა):*

*ბევრმა მეცნიერმა, მათ შორის, აინშტაინმა, თავისი გამოკვლევების შედეგად, ღმერთი აღიარეს. შეიძლება, მას ფიზიკა არ დაარქვეს, მაგრამ აღიარეს რაღაც უზარმაზარი, ზებუნებრივი ძალა, რომელთანაც არათუ მეცნიერებს, არამედ მთელი სამყარო ვერ მივა. აქამდე მივიდნენ ისინი, ანუ გავიდნენ მეცნიერების გაღმა. თავისი მეცნიერული ლოგიკით იმ დასკვნამდე მივიდნენ იქ, რომ ამის უკან, არის მესამე ძალა და არ იციან, ამას რა დაარქვან. მას, რა თქმა უნდა, ჩვენი შემოქმედი — ღმერთი ჰქვია. ასევე, საპირისპიროს ამტკიცებს ქართველი გია დვალი, რომელიც მსოფლიოში სწორედ ამ პროექტით გახდა ცნობილი. ის კოლაიდერის მწყობრიდან გამოსვლის ფაქტს, საერთოდ უარყოფს და, მეტიც, ამბობს, რომ „ექსპერიმენტს არავითარი საერთო არა აქვს ღმერთთან და იგი*

ქმედების „ეპიდემიამ" მათქმევინა:

სხეისი სიხარულით სიხარული,
სხეისი ნეტარებით ნეტარება,
ასეთ სიხარულს და ნეტარებას
სხვა რა ნეტარება ედარება?!

...ერთი რიგის გადაღმა მივნედით ხელით ერთმანეთს და ვუთხარი:

— ბატონო ბიძინა, ამ მომენტს ხელიდან ვერ გავუშვებ. მინდა, ხელი ჩამოგართვათ და ათასების სახელით გითხრათ, რომ მეც თქვენი სტიპენდიანტი ვარ!

— ვიცი, გიცნობთ, ბატონო გიზო! — მითხრა ივანიშვილმა.

ერთი რიგის იქეთ მომნვდა და გადავკოცნეთ ერთმანეთი. გნებავთ, მამაშვილური დაარქვით ამ მოფერებას, გნებავთ, ძმური, გნებავთ, ძმაკაცური...

...მერე მარიკა კვალიაშვილის კვალმა რესტორან „ნისქვილში" მიგვიყვანა, სადაც კლდიდან მომსკდარი ჩანჩქერის ქუხილში, მტკვრის დუდუნში და ჩემს ტოლუმბაშობაში შემოგვათენდა.

ალბათ, ასეთ დღეს ჰქვია: ერთ მშვენიერ დღეს! (22.12.08.)

## ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა მწერალთა და მწიგნობართა ინსტიტუტი. მე-10 ს. კი (თუ უფრო ადრე არაო — წერს კორნელი კეკელიძე „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის" გვ. 84) იყო მწერალთა თავისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობა (იგი, თავიდან, ერისკაცი, შემდეგ სამღვდელო პირი იყო — პირველი ვეზირი საქართველოში! მწერლობაში ალიბეჭდება ერის ყოფა, სულიერი ფიზიონომია, მისი აზრები, ფიქრები, გრძნობები, განცდები.

1902წ. იერუსალიმსა და სინას მთაზე (იქაური ქართული ძეგლების შესასწავლად) იმოგზაურა აკადემიკოსმა ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა.

ქართველები უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან.

სოლომონ დოდაშვილი წერდა, რომ რუსთაველისა და თამარის ეპოქა „ინოდების ოქროს ხანადო".

ჩვენ ძველი მწერლობის ყველა წარმომადგენლის ვინაობაც კი არ ვიცით. და, „ბედნიერ მკვლევარს სრულიად ახალი, უცნობი მწერლის აღმოჩენაც კი შეუძლია, ჯერჯერობით იმდენად დაუმუშავებელია ჩვენი წარსული".

„სახელწოდება „საქართველო" ჩნდება არა უადრეს XI საუკუნისა. სახელი აღნიშნავს პოლიტიკურ-კულტურულად შედუღებულ სხვადასხვა ტომობრივს, ძმურად მონათესავე ერთეულს, როგორიცაა იბერები, მესხები, ქართები, სვანები, ჭანები, მეგრელები..."

ქართული ანბანი წარმოშობილია ფინიკურ-სემიტური ანბანიდან არა უგვიანეს მეშვიდე საუკუნისა (ძვ. წელთაღრიცხვით).

---

*არისტოტელე: ადამიანი პოლიტიკური ცხოველია.*

*პროტაგორი: ყველაფრის საზომი პიროვნებაა.*

*საფრინი: სამი კაცის ხელში ვართ: დალაქის, მეკუბოვისა და საიუბილეო ბანკეტის ორატორისა!*

35. მცხეთა. არმაზის გათხრებმა და იქ აღმოჩენილმა წარწერებმა ქართული დამწერლობა არმაზის არამეული წარწერების ანბანს დაუკავშირა. ამ ჰიპოთეზებიდან უფრო მისაღებია ის, რომელსაც ეს ანბანი ბერძნულისგან გამოჰყავს. აქ, სანერი იარაღის სახელი ქართულში ისეთივეა, როგორიც ბერძნულში: კალამი, მელანი. „თვით სიტყვა „წიგნი" უნდა მომდინარეობდეს ბერძნულ-ლათინური „სიგნუმ"-დან, რაც ქართულ ნიშანს უდრის; ქართველებს გაუფართოებიათ მისი შინაარსი და ამ სიტყვით აღუნიშნავთ ბგერის გამომხატველი ნიშნებიც. მართლაც, ასოს ძველ ქართულში ენოდება წიგნი...". ჩვენ ვწერთ მარცხნიდან მარჯვნივ და არა პირიქით, როგორც, ვთქვათ, რომაულ-ბერძნულშია!

38. VI ს. ჩვენში იწერებოდა სიგელები და სხვა დოკუმენტები, რისთვისაც, საგანგებოდ, თანამდებობაც კი ყოფილა მწიგნობრისა!

VIს. ცნობაში, რომელიც დაცულია ასურულ თხზულებაში „წიგნი ერთა და ქვეყანათათვის": „სემის, ქამისა და იაფეტისაგან წარმოიშვა 73 ერი, ტომი და ენა. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც იციან წერა-კითხვა; 15 ერია ასეთი, სხვები კი არ განირჩევიან ველურებისაგან და დაძრწიან, როგორც უგუნურნი პირუტყვნიო". „წიგნის მცოდნენი არიან ასურელნი, ებრაელნი, ბაბილოვნელნი, სპარსნი, ელამიტელნი, მეგვიპტელნი, კუშიტები, ჰინდონი, ფინიკიელნი, იონელნი, ამორელნი, ალანნი, რომაელნი, სომეხნი, ტაონი — ქართველნი".

ყველაზე საყურადღებო მოწმობა (VIს. პირველი მეოთხედიდან) ჩვენ გვაქვს ბერძნულ მწერლობაში — „საბა განწმენდილის ანდერძი". იგი იყო დამაარსებელი პალესტინაში უდიდესი ლავრისა.

ქართველებს VIს. დასაწყისში უკვე ჰქონდათ დედაენაზე თარგმნილი სახარება, სამოციქულონი, ჟამნი, სამხრისნი. 9 ჟამნი.

„ამ ხნის ქართული ლიტერატურა ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ის მხოლოდ თარგმანებით იკვებებოდა." ინტენსიურად ვითარდებოდა ორიგინალური შემოქმედებაც. VIს. ვინმე მობიდანი (რომელიც არჩილ მეფეს ეპისკოპოსად დაუსვამს) სწერდა წიგნებსა ყოვლისა საცთურისას".

ქართველები მიზნად ისახავდნენ, თანდათანობით განთავისუფლებულიყვნენ აღმოსავლური საეკლესიო ტრადიციებისაგან. „ამ ნიადაგზე წარმოიშვა გამწვავებული პოლემიკა სომხებთან, რომელიც იქამდე მივიდა, რომ ქართველებმა წარსულშიც კი უარყვეს ყოველგვარი კულტურულ-ეკლესიური ურთიერთობა სომხებთან და, წინააღმდეგ გამეფებული აზრისა, საკუთარი, გრიგოლ პართელისაგან დამოუკიდებელი მისიონერიც კი წამო-

---

*კაცობრიობას არანაირ საფრთხეს არ უქმნის". გია დვალი, ჯერჯერობით, ვერ ასახელებს კოლაიდერის გაშვების ზუსტ თარიღს. ამბობს მხოლოდ იმას, რომ ადრონული ამაჩქარებელი სტარტს ამ შემოდგომაზე აიღებს.*

*1984 წელს, საბჭოთა კოსმონავტებმა ორბიტალურ სადგურ „სალიუტ-7"-დან დედამიწას აცნობეს, რომ მათი ხომალდის ილუმინატორებთან შვიდი ანგელოზი გამოჩნდა.*

*საერთოდ, კოსმოსი ყოველთვის იყო სავსე მოულოდნელობებით და ამოუხსნელი მოვლენებით, მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ მან კომუნისტები ღმერთის არსებობაში დაარწმუნა.*

*ასეთი კოსმოგენური ინფორმაციის შემდეგ. აი, ასეთიც!..*

*„პაკისტანელ ოხუნჯებს პრეზიდენტზე ანეკდოტების მოყოლისთვის... 14 წელს მიუსჯიან"*

*ჩვენ კი...*

*როგორც მარკ ტვენი (თუ „ტვენი") ამბობს, „ღმერთის*

აყენეს ნინოს სახით.

Xს. ქართველებმა შექმნეს თეორია, რომლითაც ქართული ენა, არათუ გასწორებულია ბერძნულთან იქამდის, რომ „ისინი ორნი დანი არიან, ვითარცა მარიამ და მართა", არამედ უპირატესობაც კი აქვს მას მინიჭებული შემდეგ სიტყვებში: „ყოველი საიდუმლო ამასა შინა დამარხულ არს..." იგი საერთაშორისო, საქრისტიანო ენადაც კია აღიარებული. ვინაიდან ქართველთა რწმენით „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა უფლისა სანამებელად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა"-ო (იოანე ზოსიმე „ქებაი ქართულისა ენისაი").

58. სინას მთაზე, საბას ლავრაში ქართველებიც მოღვაწეობდნენ და აქ ქართული ლიტერატურის ძეგლებიც იყო.

59. პატრიარქის ტიტულის დამკვიდრებით Xს. საქართველო მხარში ამოუდგა აღმოსავლეთ პატრიარქატებს. მისი „შეუვალობის" ინსტიტუტის განმტკიცებით, შეიძლება ითქვას, ეკლესია „სახელმწიფოდ სახელმწიფოში" იქცა.

60. პოლიტიკურად გაძლიერებულმა და ეკლესიურად გაძლიერებულმა ქართველობამ იპოვა დრო სულიერი განვითარებისა. „ამ პერიოდში ბადრი მთვარესავით გადაიშალა შემოქმედებითი ენერგია, როგორც ლიტერატურული, ისე სულიერი ცხოვრების ყველა დარგში" და მას სამართლიანად ეწოდა „კლასიკური" ხანა.

...მწიგნობრობის გამრყვნელად სომხებს თვლის გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი გიორგი ხუცეს-მონაზონი: „დალაცათუ პირველითგანვე გვაქუნდეს სარწმუნოება? ჭეშმარიტი და მართალი, გარნა ქვეყანა? ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძნეთისა და ვითარცა ღვარძლნი რაიმე დათესილ იქნეს ქუეყანასა ჩვენსა ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი... რამეთუ ნათესავი ჩუენ წრფელ იყო და უმანკო..."

61. ათონის სკოლის მამამთავარი ექვთიმე მთაწმინდელია. შავი მთის სკოლის კანონმდებელი ეფრემ მცირეა.

62. შურითა და გესლით აღგზნებული ბერძნები არანაირ ხრიკს არ ერიდებოდნენ საზღვარგარეთ სამონასტრო ცენტრებიდან ქართველთა გასაძევებლად. მათ ისინი, როგორც ბარბაროსებს, ზევიდან მედიდურად დაჰყურებდნენ...

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობანი ცალმხრივი არ ყოფილა. ქართულ მწერლობასაც ბევრი რამ მიუცია ბერძნულისთვის. ქართულ ენაზე შენახულია ბიზანტიური მწერლობის ნიმუშები, რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია.

63. წმ. ნინოს შატბერდულ ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ ნინოს მამამ, ზაბულონმა მოაქცია ქრისტეს სჯულზე ბრანჯები (გაარაბებული ფორმა ფრანკებისა), პატალონის ველზე მათი დამარცხების შემდეგ.

66. მე-13 ს. საქართველოს განუწყვეტლივ აოხრებენ მონღოლები, მე-15 ს. — ოსმალები. მათ გაანადგურეს ქართული სულიერების ცენტრები — მწერლობისა და სწავლა-განათლებისა. აქედან გადაშენდნენ ქართველები (შავი მთა, სინას მთა), შემცირდა მათი გავლენა იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე.

P.S.სამჯერ მოვილოცე იერუსალიმის ჯვრის მონასტერი (ოჯახთან ერთად), ბერძენი მღვდლის „სულგრძელი" ნებართვით. ერთხელ, ჩვენს პილიგრიმობას შემოესწრო საქართველოს სიმფონიური ორკესტრის დი-

რიჟორი და ლეგენდარული მამის — ჯანო კახიძის შვილი ვახტანგ (ვატო) კახიძე, რომელიც ბაბუამისიდან — ვანიჩკადან დანყებულ ჩვენი ოჯახების მეგობრობას ჩემს უმცროს შვილთან ძმაკაცობით აგრძელებს (თუმცა, ჩვენი უასაკო, მით უფრო, შემოქმედებითი მეგობრობაც ერთ რამედ ღირს. მარტო „პაემანი ვერაზე" გვეყოფა ამის საბუთად — ორ როიალზე (ბუთხუზ ბასილაიასთან ერთად) მუსიკალური „მედიტაციის" ცეცხლი რომ დაანთო ჩემს მეორედ დაბადების დღეზე)!

იერუსალიმის ამ შეხვედრაშიაც ვხედავ ე.ნ. შემთხვევითობისა და აუცილებლობის რაღაც ჩვენს სისხლხორცეულ კვალსა და ვალს, რამაც სულმნათი რუსთაველის ნაკვალევზე შეგვყარა.

ღმერთო, მიიღე იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადასახული ჩვენი პირჯვარი, ისმინე და შეინყნარე ჩვენი ლოცვა-ვედრება.

ხმა ეედრების — ხაეერდების,
არა ყალბი, რიოში...
მოწედეს სააქაოსა და
მიწედეს საიქიოში!

...ეს სტროფიც იმ დაუვინყარი ნუთისაა.

76. თბილისისა და თელავის სემინარიებში (XVII-XVIIIსს.) გადმოინერგა მოსკოვის აკადემიის სქოლასტიკა. ქართველ მოზარდ თაობას რუსული სულიერი საზრდოთი კვებავენ (ეს სენი, კარგა ხანია, გვჭირს. ახლა ოქეანეს გალმელები გვყავს შემორჩენილი — გ.ნ.). მაშინ რუსები ბეჯითად ახორციელებდნენ ეკატერინე დიდის გარუსოფილების ლოზუნგს: „Чтобы тело было грузинское, а душа - русская!" რუსული გავლენა დაეტყო ქართულს — ეტიმოლოგიას, სინტაქსსა და ლექსიკას!

81. უძველეს პერიოდში ბავშვებს სნავლას ძალიან ადრე ანყებინებდნენ.

გიორგი მთანმინდელმა, ივერიის მონასტერში სამსახურისათვის, საქართველოდან სასნავლებლად ბიზანტიაში ნაიყვანა 80 ყმანვილი. დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში სასნავლებლად მიავლინა 40 ყმანვილი.

გელათი მეორე ათინად ინოდებოდა, იყალთოს აკადემია — მეორე იერუსალიმად!

84. საქართველოში ძველთაგან არსებობდა მნერალთა და მნიგნობართა ინსტიტუტი, ხოლო მე-10 საუკუნიდან (თუ უფრო ადრე არა) მნერალთ მთავრისა და მნიგნობართუხუცესის.

87. „სამსა ადგილსა გაიმართა სკოლა: ტფილისსა, გორსა და თელავსა შინა". სნავლობდნენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და... ბერძნულსა და ლათინურსაც". „მასნავლებლები

წყალობით. ქვეყანაში გვაქვს სამი სიკეთე: სიტყვის თავისუფლება, სინდისის თავისუფლება და იმის ჭკუა-გონიერება, რომ... არასოდეს ვისარგებლოთ არცერთი მათგანით!"

მწერლის, არა მარტო წიგნები, უბის წიგნაკებიც საინტერესოა!

მარკ ტვენი 1835 წლის 30 ნოემბერს, ზუსტად იმ დღეს დაიბადა, როცა დედამიწას კომეტა, სახელწოდებით — „გალეა", ჩაუფრინა. მარკ ტვენი 1910 წლის 21 აპრილს, ზუსტად იმ დღეს გარდაიცვალა, როცა „გალეა" კვლავ გამოჩნდა დედამიწის ორბიტის სიახლოვეს.

1909 წელს მწერალს თავადვე უწინასწარმეტყველებია ასეთი დამთხვევა: დედამიწაზე კომეტასთან ერთად მოვედი და აქაურობას მასთან ერთად დავტოვებ — ასეთი ჩანაწერი აღმოაჩინეს მარკ ტვენის უბის წიგნაკში.

„ნასას" სწავლულები შემდეგი

იყვნენ მეფის ხარჯითა, ხოლო მონაფენი თავიანთ მშობელთა ხარჯითა". „სასულიერო სასწავლებლები იყო განწესებით".

98. სამწერლო კოლონია ყოფილა კვიპროსზე. ჩვენ ვიცით აქ ქართველთა მონასტრის — „ჟალიას" არსებობა.

P.S.ამ მონასტრის კვალს ეძებდა სწორედ ამერიკელი პროფესორი ვახტანგ ჯობაძე. რომელმაც თბილისში მოგვიყვა ეს ამბავი. ცხრა მთა და ცხრა ბარი გადაეიარე. თვალი ვერსად მოვკარი და როცა ჩამუხლვა და ამ საქმის ხელისთვის გადადება გადავწყვიტე, აგერ, თვალსაწიერზე შემომეგება, მუხლში ძალა მომცა და გულით გამნიაო.

მიველ, ვნახე, მოვეფერე. ჩამოვჯექი, სული მოვითქვი... ტრანზისტორი ჩავრთე და, გინდათ, დაიჯერეთ — გინდათ, არა — რადიოში საქართველოს ხმა შემომესმა: „ლაპარაკობს თბილისი!"... ღირს ცხოვრება ასეთი წუთისთვის!!!

90. ბიზანტიაში სამონასტრო ცენტრების გაჩენაში დიდი დამსახურება მიუძღვის ილარიონ ქართველს, რომლის სახელთანაა დაკავშირებული ოლიმპის ან ულუმბოს მონასტრის შექმნა მცირე აზიის ბითვინიაში. ოლიმპოს მთაზე ქართველებს ჰქონიათ სამი ეკლესია: „ქუაბი ან ეკლესია წმიდისა ღვთისმშობლისა, კოზმა-დამიანე და ლავრა კრანია".

ქართველებს ცენტრი ჰქონიათ პალესტინაშიც.

უფრო მნიშვნელოვანი ლიტერატურული ცენტრები ამ ხანებში ჩვენ გვაქვს თვით საქართველოში (ტაო-კლარჯეთში), სადაც სამონასტრო ცხოვრების მეთაურად შეიქნა გრიგოლ ხანძთელი, თავისი მონაფეებითურთ, რომლებმაც უდაბური ქვეყანა აყვავებულ მხარედ აქციეს.

ოპიზა ქართული მწერლობის ცენტრი იყო. ცნობილია ოპიზის სახარება.

გრიგოლ ხანძთელმა ააშენა 3 მამათა და 2 დედათა მონასტერი. მათგან, მწერლობის ისტორიისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანია შატბერდი.

შატბერდის კრებული, ჰადიშის, ჯრუჭის, პარხლის სახარებები, უდაბნოს მონასტრის მრავალთავი ქართული მწერლობის ამ უძველესი ცენტრების ხელთქმნილი ძეგლებია!

VII-IXსს. მოღვაწე გრიგოლ ხანძთელმა 102 წელი იცოცხლა. „სიბრძნისა მისისა მდინარეთაგან, — შენიშნავს ბიოგრაფი, — ირწყვოდეს ყოველნი უდაბნონი კლარჯეთისანიო". ცნობილია მისი იადგარი და ლიტურგიკული ჰიმნები, შექმნილნი „სულისა წმინდისა შთაგონებით".

155. ბერებს მედიდურად ეჭირათ თავი მეფეების წინაშეც. „ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა ხელმწიფებასა ქუეშე არიანო", — ამბობდა გრიგოლი.

როცა კურაპალატმა თქვა: „ჯერ არს ხელმწიფეთა მორჩილებაო", საბა იშხნელმა შეუთვალა: „შენ ქუეყნის ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთა... ვერვის ხელ-ეწიფების მონება ორთა უფალთა"-ო.

157. პავლე ინგოროყვა გიორგი მერჩულეს მიაწერს საგალობელთა 2 ჯგუფს: საგალობელნი სამართალისანი — რვა ხმანი და საგალობელნი ალვსებისანი — რვა ხმანი.

P.S.პავლე ინგოროყვა ჩემი ძმისა და პირის ზიარების, ცნობილი კინორეჟისორის გუგული მგელაძის სიმამრი იყო და ამ უკანასკნელს ჰქონ-

და ბედნიერება, მასთან ერთად, ერთ ჭერქვეშ ესუნთქა.

ერთხელ, თურმე, შევარდნაძეს გადაუწყვეტია, სახლში ნვეოდა დიდ მეცნიერს და გუგულიმაც გადაწყვიტა, ეს მომენტი ხელიდან არ გაეშვა. მთელი დღე ამზადებდა სიმამრს ე.წ. „პირველთან" შესახვედრად და ოჯახის მილიონი სათხოვარის (განსაკუთრებით, სიძისთვის მსუბუქი ავტომანქანის გამოყოფის) თაობაზე, ასე ვთქვათ, „ტრენინგებს" უტარებდა. და, აი, ეს ნანატრი წუთიც დადგა! — საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბატონმა (უკაცრავად!) ამხანაგმა ედუარდმა მხცოვან მეცნიერს ჰკითხა: ჩემთან რაიმე სათხოვარი ხომ არ გაქვთო? სიძეს გული აუჩქარდა, სიმამრს კი წარბიც არ შეუხრია და სახელმწიფოს მეთაურს, კი არ სთხოვა, პირდაპირ მოსთხოვა: ქვეყანას მიმიხედეო!

167. ქართული ენა ისეთი მეგობარი და თანასწორია ბერძნულისა, როგორც ნინო და ელენე, რომელთაგან ერთმა ქართველებს უქადაგა სახარება, მეორემ კი — ბერძნებს. ისინი დებია, როგორც მართა და მარიამი. ჩვენს ენას კი ის უპირატესობა აქვს, რომ მაცხოვარი, მეორედ მოსვლის ჟამს, ამ ენაზე განიკითხავს...

174. ჰიმნოგრაფი მიქაელ მოდრეკილი: „შენევნითა დიდად სახიერისა ღმრთისათა მე, გლახაკმან... ღელვათა სოფლისათა დანთქმულმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისათა დაღონებულმან, მიქაელ მოდრეკილმან, ვიღვაწე და უზეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომა ვაჩუენე და შევკრიბე საგალობელნი...".

177. უცნობი მწერლები: ეზრა, იოანე ქონქოზის ძე (XI.), კურდანა!.. სილაბურ-ტონური საზომით დაწერილი ცამეტსტრიქონიანი იამბიკოს ავტორი ფილიპე.

დღემდე ცნობილ სხვადასხვა ხელნაწერში შემონახულა 13 ორიგინალური ქადაგება იოანე ბოლნელისა (ერთ მათგანს ჰქვია „უძლურებისა მისთვის შვილისა")... ყურადღებას იპყრობს მამხილებელი ტონი ზოგიერთი მისი ქადაგებისა. მაგალითად, მდიდრისა და მთვრალი კაცის შესახებ.

წიგნი ხსოვნაა კაცისა.

184. ათონის სალიტერატურო სკოლის მამამთავარი და ქართული მწერლობის თავის დამდგმელი ექვთიმე მთაწმინდელი.

ღვთისმსახურმა მამა იოანემ უთხრა: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანა დიდად ნაკლულოვან

სახის კოსმოსური მოლანდებების მე-ხახეზ საუბრობენ: წითური ფერის არსებებს „ელფები" ეწოდებათ, ცისფერად მოელვარეებს — „ფონტანები", ლურჯებს — „მედუზები", წითლებს — „ტაიგერები".

ჰერმანი დე ლოიგერის, ცნობილი მექსიკელი ექსპერტსხენსი:

მოვარდნილი უზარმაზარი ტალღა ვილმინგტონს წალეკვით ემუქრებს. უზარმაზარი მეტეორიტი მთვარეს დაეჯახება, ორბიტას შეუცვლის და შედეგად დედამიწაზეც შეიცვლება მიქცევისა და მოქცევის პერიოდულობა; ყველასათვის ცნობილი სოკოსგან დაამზადებენ წამალს, რომელიც ალცჰეიმერის დაავადებას დაამარცხებს; ებოლას ციებ-ცხელების აფეთქება ზაირის მოსახლეობის 97%-ს იმსხვერპლებს.

გლორია ჰოლმბერგი, ბრიტანეთის სამეფო ოჯახის პერსონალური წინასწარმეტყველი:

ჩვენ შევდივართ კატასტროფულ კოსმოსურ ქაოსში. გან-

არის წიგნთაგან... ეხედავ, რომე ღმერთსა მოუმადლებია შენდა; ან იღუანე!..."

მისი „ბალავარიანი" აგიოგრაფიულ-მორალური და ასკეტურ-დოგმატური ხასიათის თხზულებაა.

ექვთიმეს ლიტერატურული მტერიც ჰყოლია და ისეთებიც, მოკვლას რომ უპირებდნენ (ამ ღვთისკაცსაც კი გასჩენია მოშურნე და მე ჩემი გამკვირვებია!).

გიორგი მთანმინდელი (იეერიის მონასტრის წინამძღვარი (თრიალეთელი).

ქართველთა ჯვრის მონასტრის ამშენებლის სახელია პროხორე.

220. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი გიორგი მთანმინდელის ლიტერატურული მოღვაწეობაა, რომლისთვისაც იყო იგი დაბადებული. ღამით წერდა... სადღისსინათლოდ!

გადამწერებს თხოვს: „გინა თუ რიტორიცა იყოს ანუ ფილოსოფოსი, ჩუენსა ნაშრომსა ზედა ნუ ბრძნობს"-ო! (ე.ი. ხელი არ ახლოსო!)

234. ა. კალინოვსკაიას ცნობით, გიორგის ბერძნულადაც დაუწერია ერთი დღემდე უკვდავი ლექსი, რომელიც, თითქოს, რუსულ ენაზეა გადმოკეთებული ი. კოზლოვის მიერ და იწყება ასე: „Вечерный звон, вечерном звон, как много дум наводит он".

254. პეტრინის მონაფემ, არისტოტელეს მიმდევარმა ეფრემ მცირემ შემოიღო პუნქტუაციის საკუთარი სისტემა (თუმცა, სასვენ ნიშნებს მანამდეც ხმარობდნენ): ერთწერტილი, ორწერტილი და ექვსწერტილი, რომელიც ქართულ მწერლობაში დაკანონდა კიდეც.

271. დავით აღმაშენებელს, რომელიც თავს „სწავლულებისაგან და მეცნიერებისგან" დაშორებულს ეძახის... ჩვეულებად ჰქონდა „კითხუა წიგნთა", რომელიც ყველგან თან დაჰქონდა. ჯორებსა და აქლემებზე აკიდებული ბიბლიოთეკით დადიოდა ლაშქრობებშიო. ერთხელ, ომში, საბრძოლო შესვენებისას ისე გართულა გრიგოლი ღვთისმეტყველის წიგნის კითხვით, რომ კინაღამ განსაცდელში ჩავარდნილან ჯარიცა და მისი სარდალიც (რასაც, თურმე, პირში აყვედრიდნენ მისი თანამებრძოლნი). როცა კითხვით დაიღლებოდა, მერე სხვას აკითხებდა და გულისყურით უსმენდა. ჰოდა, ამაზეა ნათქვამი, სიტყვა — ნახევარი თქმულისაა და ნახევარი — გამგონისო! თვითონაც მარჯვედ იქნევდა არა მარტო ხმალს, კალამსაც — იხილეთ ანდრია კრიტელის „დიდი კანონის" მიბაძვით დაწერილი მისი „გალობანი სინანულისანი".

სასულიერო მოღვაწემ და მწერალმა ტბელ აბუსერიძემ, რომელსაც ჰქონდა ესქატოლოგიური (ანუ მისტიკური რწმენა სამყაროსა და ადამიანის საბოლოო ბედზე), იწინასწარმეტყველა, რომ ქვეყნის დასაბამიდან 7000 წლის შემდეგ (რაც 1936 წელს უკაკუნებდა) იქნებოდა მეორედ მოსვლა და ქვეყნის აღსასრული! და, კაცმა რომ თქვას, ბევრი აღარც არაფერი აკლდა დედამიწას და ბეწვზე გადარჩა, რადგან, ჩვენდა იღბლად, ჯერ კიდევ არ არსებობდა ატომური ბომბი, რომელმაც, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, ხიროსიმასა და ნაგასაკში ავბედითად დაიგრიალა და დროს სასტიკი საყვედური გამოუცხადა უკანასკნე-

*არტურ შოპენჰაუერი: თუ სასაცილო სერიოზულს ეფარება – ეს ირონიაა. თუ სერიოზული სასაცილოს – იუმორი!*

*განცხადება: ყველი იუმორის გრძნობას სიცილის მიჯნამდე! (ვთხოვთ. გამომეხმაუროთ... უხმაუროდ!).*

ლი გაფრთხილებით — ფრთხილად, სასიკვდილოაო!

348. ნიკოლოზ თბილელი — ძმა სულხან-საბასი. მღვდელ-მონაზონი, პოეტი. დაწერა შრომა „შვიდთა მომაკვდინებელთა ცოდვათა და შვიდთა მადლთათვის" (კვიპრიანე სამთავნელივით):

1. ამპარტავნება — სიმდაბლე; 2. არაწმინდაობა — სიწმინდე; 3. ნაყროვანება — მარხვა; 4. მცონარება — სიმხნე; 5. მრისხანება — სიმშვიდე; 6. შური — სიყვარული; 7. ანგარება — მოწყალება.

361. მაჰმადიანთა სამოთხის კარებში დგას ფატმანი და მის ლაჯებში უნდა გაიარონ სამოთხეში შემსვლელებმა (ტიმოთე გაბაშვილი — მღვდელმთავარი მე-18ს).

ძველი გეოგრაფები ცხოველთა სახით წარმოადგენდნენ სხვადასხვა ქვეყნებს: აზია — სისხლისმსმელი ლომია, აფრიკა— ხარი, ამერიკა — მელა, ევროპა — ადამიანი, დედაკაცი ნარნარი.

515. მარტვილობაში მოხსენიებულია პიტიახში ქართლისა (არშუშა), ვინც გვიდასტურებს, რომ ჩვენში პროზელიტიზმი ძლიერი ყოფილა. ქართლის ეკლესიას იმდენი ძალა ჰქონია, რომ ქრისტიანობას სხვა სარწმუნოების მიმდევარნი (მაგალითად, ცეცხლთაყვანისმცემლები) ხშირად ღებულობდნენ. ქრისტიანობა მაშინ ძლიერი ყოფილა თვით სპარსეთის ქალაქ განძაკში. ღვთისმსახურება სრულდებოდა ღამეც.

516. კოლაელი წარმართი ყრმების გაქრისტიანება — ნათლისღება მტკვარში!

551. ქართული ჰომილეტიკა (ზეპირი — პირისპირ თქმა) მოძღვრება, ქადაგება: 1. სადღესასწაულო ქადაგებანი; 2. პანეგირიკები ან ხოტბაშესხმანი, ე.წ. ენკომიები; 3. ეპიტაფიები (სასაფლაოზე ან მიცვალებულის ცხედართან სათქმელი გამოსათხოვარი სიტყვები); 4. საკუთრივ ქადაგება ან ჰომილია — უძველესი, X საუკუნემდელი მწერლობის დარგი.

პირველი ორიგინალური მქადაგებელი, რომლის ნაწარმოებიც ჩვენ დრომდე შემონახულა, იოანე ბოლნელია.

თამარ მეფის ცხედართან სიტყვა წარმოუთქვამთ ცნობილ იოანე ჭიმჭიმელსა და ვინმე დავითს (ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეული ვარიანტით). XVII-XVIII ს. ჩვენ ვეცნობით ნიჭიერ ქადაგთა რიგს: ნიკოლოზ რუსთაველს, იობ პიტარეთელს, გერმანე მონაზონს, ბესარიონ კათოლიკოსს, გაიოზ რექტორს, ამბროსი ნეკრესელს, ანტონ ცაგარელ-ჭყონდიდელს, ვარლამ მიტროპოლიტს, იოანე ხელაშვილსა და სხვათა.

...საბა, ძველ წინასწარმეტყველთა მსგავსად,

საცდელი ბევრი იქნება: რუსეთის პრეზიდენტს პუტინს გულის შეტევა ელის: მსოფლიოს გააოგნებს ახალი ამბავი იმის შესახებ, რომ ოლიმპიურ ჩემპიონს კიბერიმპლანტატებს აღმოუჩენენ: ტომ კრუზი შეწყვეტს ფილმებში გადაღებას, რათა სათავეში ჩაუდგეს ბრძოლას შიმშილობის წინააღმდეგ: ჰარვარდის უნივერსიტეტში მიხვდება ალბერტ აინშტაინის მატერიალიზაცია, რომელიც დაამტკიცებს დროის და სივრცეში მოგზაურობის შესაძლებლობას; მოულოდნელი გვალვა ელის მისისიპის სანაპიროებს; ძლიერი მიწისძვრის დაანგრევს ირლანდიას; ამერიკის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი დაიღუპება მეხის დაცემისგან.

<u>ასტროლოგი დავით ბუკიაშვილი:</u> როგორ უნდა ვიმოგზაუროთ დროში?

ძველბერძნულ მითოლოგიაში დროის ღვთაებას უწოდებდნენ ქრონოსს. აქედან მოდის სახელწოდება „ქრონიკა". ეს არის ღვთაება, რომელიც თავის

ცეცხლოვანი სიტყვით ამხელს ქართველების პოლიტიკურ, სოციალურ, მორალურ სენს, რომელიც გამოწვეული იყო ქვეყნის აშლილობით. ის დაუნდობლად ამათრახებს საზოგადოების მაღალ ფენას, ფეოდალურ კლასს, რომელიც ტყავს აძრობს გლეხობას. იგი არ ინდობს მდიდრებს, რომლებიც გულქვანი არიან უქონელთა მიმართ... ამპარტავნება-ზვიადობას, ანგარება-ვერცხლისმოყვარეობას და სხვა. ხედავდა რა მუსულმანობის გამხრწნელ ზეგავლენას, მოუწოდებდა ქართველთ — ნუ გათათრდებიო! (მაშინ ჩიტებიც კი ასე შემოგვჭიკჭიკებდნენ!).

573. ლიტურგიკა: ქტიტორული ტიპიკონები, ლექციონარები, ლიტურგიარიონები, ევქოლომიონი, გულანი.

ლიტურგიკული მწერლობა წარმოშვა ქართული ღვთისმსახურების აუცილებლობამ.

588. ლიტურგიკულ პოეზიას მიეკუთვნება ე.წ. საეკლესიო ჰიმნოგრაფია, რომელიც სქოლასტიკური ბორკილებითაა შებოჭილი და მოწყვეტილია პოეტიკას.

592. XI ს. იამბიკოში, შეიძლება ხალხური პოეზიის ზეგავლენითაც, შეჭრილია ნამდვილი, გამართული რითმა, რაც ჩანს სვანეთში, ლენჯერის საზოგადოებაში, მაცხოვრის ეკლესიის ღვთისმშობლის ოქროჭედილი ხატის წარწერიდან, რომელიც ბაგრატ IV-ის მეუღლეს ბორენა დედოფალს ეკუთვნის:

რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი,
ჰრქვი რა გაბრიელსა: ვარ უფლისა მხევალი
..........................................
დაემხო ძალი, პირველ სისხლითა მთვრალი.
ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირმრავალი!

600. დავით აღმაშენებელს შეუთხზავს „გალობანი სინანულისანი", ნიკოლოზ გულაბერიძეს დაუწერია საგალობელი „სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოისა", იოანე პეტრიწს — „გალობანი ყოველთა წმინდანთანი" და ზოგიერთი დღესასწაულის „აქებდით"-ზე დასადებელი. იოანე შავთელის იამბიკო „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი"... საბა სვინგელოზს — „გალობანი ქრისტეს განგებულობისა და განკაცებისანი", გრიგოლ ვახვახის ძე დოდორქელს — „ქეთევან დედოფლის ღვაწლი და აკალოთია".

601. ვახტანგ VI-ს მამას, მეფე ლევანს შეუდგენია „ვედრება იოანე ნათლისმცემლისა". თეიმურაზის დას, მაკრინას „საგალობლები იოსებ ალავერდელისა და იოანე ზედაზნელისა". იესე ქსნის ერისთავს შეუდგენია „აკალოთია"; შალვას, ელიზბარსა და ბიძინას ეკუთვნის აკროსტიკული შესხმა ისე წილკნელისა; „აკალოთიის" ავტორია ნიკოლოზ რუსთაველიც. კარგი ჰიმნოგრაფი ყოფილა ნიკოლოზ თბილელიც. საგალობლების შედგენაში ყველაზე დიდი შრომა გაუწევია ანტონ კათალიკოსს.

608. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები ბერძნულ ენაზეც წერდნენ ლექსებსო... აღსანიშნავია მათი მრავალმხრივი ნაყოფიერი შემოქმედება ლიტურგიკული პოეზიის დარგში.

ამ პოეზიის მამათავრად ეფრემ მცირე უნდა ჩაითვალოს. ამ დარგში მნიშვნელოვანი მასალა მიუცია მისთვის გრიგოლი ღვთისმეტყველის თხზულებებს, მის „ტკივილ ნამუშაკევს".

აქვე ვახსენოთ XII-XIIIსს. ჰიმნოგრაფები: იეზიკიელი, დიმიტრი მეფე,

---

*დეილი კარნეგი: გახსოვდეთ, კრიტიკა, ფოსტის მტრედივით, ყოველთვის უკან გვიბრუნდება.*

*დოსტოევსკი: ადამიანი საიდუმლოა, რომელიც უნდა ამოიცნო.*

იოანე შავთელი, არსენ ბულმაისიმის ძე, პეტრე გელათელი.

612. შტრიხები გრიგოლი ღვთისმეტყველის ჩვენამდე შემონახული 24 ლექსიდან.

ბოროტისა მიმართ:

...კუამლად გიხილე და ვიგრძენ ცეცხლისაც სნავლანი: მაგინებელ არს სიმაძღრე, რჩეულნო...

მრავლისმეტყველთ:

დუმილის მოყუარე მიეახლების ღმერთსა.

ბოროტის მუცლისა:

ნაყროვანება არს ნოვაგობად შემოქმედ ცუდდიდებისათვის:

ნუ შეინყნარებ მომგონებელს შენსა მას.

...............

სანყის ყოველთა და სასრულ ღმერთი იყავ.

## ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა

### განძეული

კილო—თქმები — სიტყვის კონა! რა ქონება, რის ქონება შეედრება ამ განძთა განძს... უნდა იყო სიტყვის მონა და არსებობს სიმდიდრე რაც!..

იგი არის უპირველესი!

1. აკებაკე — (ქიზიყ.) — უთავბოლოდ ლაპარაკი

აკმაყება (თუშ.) — ავადმყ. ბებრის აღმართზე, კიბეზე ასვლა — ლაპარაკი

აკოლიკება (ლეჩხ.) — ახუხულავება

30. ალისქარი — ავი ქარი (გურ.) პირში თუ ჩაუვარდა, ხმას ნაართმევს

31. ალო (იმერ. ფშავ.) — დრო, ვადა, „ჩემი ალო გავიყვანე"

ალუხმალუხი (ქიზიყ.) — შიგნეული

ალქე (გურ.) — რკინის ღერძი — ნისქვილის ქვის ნამოსაგები

ზოგი ალლუმი (მთიულ.) — ალლუმად არ ღირს (მინდვრის მცენარე)

ხალხი და თალხი, თალხი და ალხი (გურ.) — ყალყზე დგომა

ამარათი (ფერეიდან.) სახლ-კარი, დიდი სახლი

ამოტორა (მოხევ.) — ამოჭმა, ურიგოდ ჭამა

ამოფხაება (ხევს.) — ხმლის გალესვა

ამირიკა (ლეჩხ.) — ნარმა

35. ამფიონი (კახ.) — მიცვალებულთა გასასვენებელი ჩარდახიანი ეტლი, ბალდახინი

36. ამცბარი (გურ.) — შეშინებული, შემცბარი

*შვილებს ჭამს. დაუკვირდით, ამ ერთი წინადადებით ძველმა ბერძნებმა როგორ გენიალურად დაახასიათეს დროის მთავარი თვისება... ანუ ის, რასაც დრო ქმნის, იგივე დრო სპობს. რუსეთში იყო ერთი ასტროფიზიკოსი მეცნიერი კოზირევი (გასულ საუკუნეში გარდაიცვალა), რომელსაც მიაჩნდა, რომ დრო მატერიის ნაირსახეობას წარმოადგენს. ამ მეცნიერმა უაღრესად საინტერესო ექსპერიმენტები ჩაატარა ნოვოსიბირსკში. ჩაზნექილი სარკეების ზემოქმედებით ის ცდილობდა, ზემოქმედება მოეხდინა ადამიანებზე, რომლებიც ამ ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ. ჩაზნექილი სარკეების გავლენით ადამიანები ხედავდნენ წარსულის სურათებს. კერძოდ, შუმერული ცივილიზაციის სურათებს და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ისინი ერთსა და იმავე სურათებს ხედავდნენ. ეს ფენომენი განსაკუთრებით ძლიერდებოდა გეომაგნიტურ დღეებში.*

*ყოველ ვარსკვლავს აქ პლანეტას*

ანანური (ქართლ.) — სიპი კლდე
ანგი (ქიზიყ. ქართლ.) — მიზანი, მისი ანგი
ანგეში (ოკრ.) — წარმოსადეგი, ლამაზი
37. ანდაზა (თუშ.) — ყალიბი, კალაპოტი
ენდე (ქართლ-კახ.) — ანდე
ანდრეზი (ფშავ-ხევს.) — ანდერძი
ანკრად (გურ.) — ჭორად ნათქვამი
ანცი (რაჭ.) — ბანცი, დავიდარაბა, შფოთი — ტანცი-მანცი.
38. აპადუა (გურ.) — ჭკუანაკლები (აპატიე აპატუას! — სარითმოდ).
39. არიარედ (ფშავ.) — უსაქმოდ, აქეთ-იქით ხეტიალი
არილად (მოხევ.) — ბუნდოვნად
40. არმობრუნდის ქვეყანა (გურ.) — საიქიო
არგანა (ოკრიბ.) — კედელში დატანებული განჯინა (ბებიას ფარდა)
არობი (ფშ.) — უსაშველობა
არტაკურტა (იმერ.) — კუდაბზიკა კაცი
არუქ-მარუქი (ქართლ.) — ავ-კარგი
ასაბია (ლეჩხ.) — გათხოვილი ქალის სახლობა
ასიმანი (ფერეიდ.) — ცა
41. ამისიორდა თვალი (გურ.) — არეულ-დარეული, ბონდოვანი დანახვა
42. ასკარმოვლილი (მოხევ.) — ნამგზავრი
„ასპაჸ" (ინგილ.) — სასადილო
ატაკუტა (გურ.) — ყბადასაღები, დასაცინი
ატაუტა (მოხევ.) — ჩქარი კაცი
43. ადრატა (ხევს.) — ქაღალდი (აქედან ხომ არაა სიტყვა „ეტრატი"?)
45. აქლიავება (ქართულ.) — ქონების გათავება
(გამოქლიაევებით ინყება)
აღლი-ბუღლი (მთიულ.) — არეულდარეულობა
46. აყარშა ჩოხა (კახ.) — შინდისფერი
47. აშაღლარა ქალი (ქიზიყ. ქართ.) — უსირცხვილო, ბიჭური საქციელის ქალი
აჩამჩურა (ქიზიყ.) — მოსულელო
49. აძრახება (ფშ.) — შესიტყვება
50 ახად (ფშ.) — სამართლიანად, შესაფერისად
ახვახი (აჭარ.) — ხმამაღალი ჩივილი, ოხვრა, ვიშვიში, გოდება
52. აჯილღა — ქალაბიჭა აღებითა და მიცემით
სამეფ-დედოფლო აჯლა — ტახტები
53. ბაო (ქიზიყ.) — ჩვილი ბავშვი, ძუძუთა
ბაბა — მამაც არი და პურიც არი
ბაბაყული — უნდობელი, პირქუში, გაუტანელი, გაიძვერა (ბაბაყულების ყურებით — აუტანელი ბუნებით!) ნეტავი თავი რად მოგწონთ, ნეტავ რას მედიდგულებით!
56. ბალბა — სათიბი ბალახი
ბალბის მოხარშვა — ოხტში მოსვლა
57. ბალტყემალა (ოკრიბ.) — ტკბილი ტყემალი
59. ბარდაგი (რაჭ.) — ათი გირვანქა, ღვინოა.
61. ახალ-ახალები (იმერ.) — წრუწუნ-ბარხალები
65. ბანანკინი (ქართლ.) — მათხოვარი

ბაჭული — რაჭული ხაჭაპური. ხაჭოიან, უყვე-ლო — მაინძელს არ უყელო. რაც შეეძლო, მოგართ-ვა — არ იკადრო ავის თქმა. გულით რაც მიეცემა — დააფასოს სიძემა.

ბახარხლები (იმერ.) — წვრილ-ჩვილი ბავშვები, „ბასარსხლები", „ბაჭაჭყები"

ბახი (იმერ. ლეჩხ. გურ.) — გამხდარი ცხენი (ტრა-ბახის სარითმოა)

67. ბეზირგანი (ფშ.) — ცუდი ყოფაქცევის ქალი

68. ბემბეცო (ლეჩხ.) — ღამე, ნყვდიადი

69. ბერდედა (თუშ.) — უფროსი დიასახლისი, ბებია

ბურთუჯი (ქართლ.) — ლავაშში გახვეული ყვე-ლი

70. ბეტმეზი (გურ.) — გადაუღებელი, ტკბილი მაჭარი

ბეტლუმი (ქიზიყ.) — მოსულელო

ბექი (ქართ.) — შეუპოვარი, კერპი — ახლა ბრექები უფრო არიან!

72. ბზნილობა (იმერ.) — მარილიანი ხაჭაპურის ჭამა და მოლოდინი, მოვა კაცი და წყალს დამა-ლევინებსო

77. ბლუზუკუნი (მოხ.) — უშნო ხმით სიმღერა

78 ბოზანდარა (გურ.) — უზანდარა, კედელში დატანებული თახჩა

81. ბორბოლო (გურ.) — ენაბრგვილობა

85. ბოძკანტი (ხევს.) — მსხმოიარე ტოტის შესაყენებელი ორკაპი, სარი

86. ბაყრიალი ( იმერ.) — უაზროდ ლაპარაკი

87. ბრანძი (ლეჩხ.) — როსკიპი

ბრანი (გურ. იმერ.) — მოსაგები

ბრბო (ქართლ.) – ბული

88. ამ ბრიე-ქსიეში (ცხვრის გასარეკი შეძახ-ილი. ფშ. ვაჟას მცირე ლექსიკონიდან)

შებრონილი (რაჭ.) — შებრანული ნაყოფი

ბრუალა (იმერ.) — ღვარძლა მცენარე, თავ-ბრუს სხმა

89. ბრუნვალე (ლეჩხ.) — ქვენარმავალი

ბუანდე (ლეჩხ.) — შტერი. „ბროკე" — ლენჩი

ბუდალა (აჭარ.) — სულელი

90. ბუზიკა (ფშ.) — პატარა მაიმუნი

91. ბულა (მთიულ.) — ბავშვებს აშინებენ (ბუა-სავით)

ბული-ბულ (ქართლ.) — ბატებს ეძახიან

93. ბუდრუგანა (კახ.) — პატარა, სახელდახე-ლო სახლი

94. ბურნათობა (გურ.) — ბობოქრობა, გაცხ-არება

ბურული — ისლის სახურავით ჩამობურული (ბუნგალოსავით)

*აქვს თავისი ენერგე-ტიკა, რომლითაც ის მოქმედებს ადამია-ნის ცოცხალ ორგა-ნიზმზე ადამია-ნზე, ამ შემთხვევა-ში, ბაქტერიებზე. კონტროლავს, თავისი ექსპერიმენტებით. ეჭვქვეშ დააყენა აინ-შტაინის „ფარდობი-თობის თეორია". ის ამტკიცებდა, რომ ბუნებაში არის სიჩ-ქარეები, რომლებიც სინათლის სიჩქარეს აღემატება.*

*ვინაიდან, სამ-ყაროში არსებობს სინათლის სიჩ-ქარეზე გაცილებით მაღალი სიჩქარეები, შეგვიძლია, დავუშ-ვათ ის ფაქტიც, რომ იგივე აინშტაინის თეორიის თანახმად, დროში მოგზაურობა შესაძლებელია.*

**P.S.** *ერთი სი-ტყვით, ყველაფერი ხდება. და, არა-სოდეს არ თქვა „ყოვლად შეუძლებე-ლია", რადგან დრო-ში „ყოვლად შეუძლე-ბელიც კი „ყოვლად შესაძლებელია"!*

*„XIX საუკუნეში რომ მეცხოვრა, მწ-ერალი ვიქნებოდი"!*

*„ჩვენი სინამდ-ვილე ცირკს მა-გონებს".*

*„ყოველთვის, როცა კი ცას ავხე-დავდი, გალაკტიონ-*

96. ბუში (ლეჩხ.) — „ნაყარი". ვაზის ძირში ამოსული ზედმეტი ყლორტი

ბუშტი (ზ. იმერ.) — ჩანგურის გამობერილი მუცელი

ბნკარი (ფშ.) — სკდომის შედეგად დარჩენილი ნახეთქი

გულის ნახეთქი — ბნკარის პნკარები (გულის კარები!).

100. პნკალი (თუშ, ფშ.) — ბრჭყალი

101. ბჭე (მოხ.) — თემის მოსამართლე

გააზაქრებული (ფშ.) — გაზულუქებული, გაზარმაცებული

გაამინება (გურ.) — დასტურის მიცემა, დაშოშმინება

გაბაბანიკებული (ზ. იმერ.) — ნაპატივები, მსუქანი

102. გაბედითება (ფშ.) — დამცირება, ფასის დაკარგვა

107. გადაგება (ზ. იმერ.) — საქმეზე გადაყოლა. „გადაგებული — ვერგაგებული", თავგანწირული

108. გადაკაფვა (ქიზიყ.) — მიკერძოება, მფარველობის გაწევა

გადაკიანთება (გურ.) — სიბნელეში მთვარის გამონათება

109. გადაოგნება (ქიზიყ.) — დაღლილობით გონის დაკარგვა

გადაოგნებული (ხევს. ფშ.) — ბლაგვი ხმალი, დაჩლუნგებული

გადანარვა გულზე (გურ.) — დარდის გადაყრა, შემსუბუქება

110. გადასულფერება (რაჭ.) — გულის შეღონება

გადასხვაგნება (გურ.) — სხვა ადგილზე გადატანა, გადამალვა ბაღნებისგან

გადაქარაფუჩება (გურ.) — გადათქმა, გადაფერება

გადაქაჩვა (გურ.) — გაამაყება, თავზე დიდი წარმოდგენა

გადაქეჩება (ფშ.) — ცხვრის გადარეკვა

გადაქაჯება (აჭარ.) — გადამალვა

გადაქმანჯვა (მოხ.) — გადაღუნვა

გადაქუხება (ქართლ.) — ავდრის სწრაფად გადასვლა, გამოდარება

112. გადაჩახმახება (გურ.) — უცებ გააწჩხლება

გადაძრახება (ფშ.) — გადალაპარაკება, შეხმიანებად იყოს

120. ენის გალაქსარება (იმერ.) — გატნევა, გალექსარება

122. გამგნე (ზ. იმერ.) — გამგები

125. გამოპნკარვა (ლეჩხ.) — გამომნკრივება — ერთმანეთის მიყოლებით

ჩემი ფიქრი და აზრი ასე გამომიპნკარავს

ჩვენი ჭირის და ლხინის... ვრგავ სიტყვას და ვდგამ კარავს.

მიხვნია-მითოხნია... მითესნია-მიბარავს — ჩემი მიპოვნია და სხვისი არ მომიპარავს.

131. განკარი (რაჭ.) — მიუკარებელი, ჯიუტი, ძნელად დასარწმუნებელი ადამიანი

133. გარეთა სიდედრი (ქიზიყ.) — ცოლის ძალუა, ბიცოლა

გარეკარი (მესხ.) — კარმიდამო

135. გარსლის-გარსლი (ქიზიყ.) — ნათესავის-ნათესავი

გარუსპება (ინგილ.) — გაჩანაგება

გასანახავი (გურ.) — ბებიის გასასინჯი ლუკმა

---

*ჩანაკია პანდიტი (რაღა უკლია ბანდიტამდე): ადამიანი უბედურია, თუ სამ რამეს მოესწრება სიცოცხლეში: ცოლის სიკვდილს (სიბერეში), ფულის მინდობას (ახლობლებისათვის) და სხვებისგან დამოკიდებულებას (რომ მშიერი არ დარჩეს)!*

137. გატოტინება (იმერ.) — გაყოყოჩება

138. გაფარჩაკება (ქართლ.) — გაბიაბრუება, გაჩანაგება

139. გაფოლორცებული (იმერ.) — თავგასული, უზნეო, ცუდი ყოფაქცევის

გაფრანგება (ქიზიყ.) — გაბრაზება

140. გაფხავებული (ფშ. ვაჟა) — გალექსილი, კარგად მოლაპარაკე

გაქარვანება — განავარდება

გაქრული გზა — (მთ.) გაკვალული

141. გაქირი (ქიზიყ.) — ჯიუტი

გაქლიავება (ქიზიყ.) — გაფლანგვა

გაყულდაბაგება (მოხ.) — გამასხარავება

144. გაძლის კაცი (იმერ.) — გამორჩენის მოყვარული

განამარება (იმერ.) — თქმა, გამხელა. „სიტყვა ვაქციოთ ნამლადა", „ამბავი გავანამაროთ!"

149. გეზ-გეზ (ქიზიყ.) — ალმაცერად ყურება

გესამანია (გურ.) — მიხეედრილი ადამიანი, ვერაფერს რომ ვერ გამოაპარებ

გექენი (თუშ.) — შენი გავხდი

გვარის მაქიქი (მესხ.) — შემარცხვენელი

გვრინი (ხევს. ფშ.) — კაფია. მთიბლური სიმღერა — ვაჟა

გვრიტა (ლეჩხ.) — ნაღველა მცენარეა

გზაბანარა (ზ. აჭარ.) — გზანვრილი

გზაბოძალი (რაჭ. იმერ.) — გზაგასაყარი, ჯვარედინი

გიარე (რაჭ.) — გენაცვალე, შემოგევლე

154. გიმგა (ინგ.) — სოფლის სალაყბო ადგილი

გინდაარ (თუშ.) — აუცილებლად

გირც (ინგ.) — ხინკალი ჭინჭრისა, ხორცისა, არჯაკლისა, ცხვრისა

156. გნაცი (ქართლ. ლეჩხ.) — ძალა, ღონე

158. გონიო (ქართლ.) — უპატრონო ადამიანი

162. გუზანი (ლეჩხ.) — მძიმე ტვირთი

163. გულამბარი (იმერ.) — ბავშვის გულზე ასაფარებელი

გულარჯალი (ქართლ.) — გულმოსული

გულბანდი (გურ.) — მკერდი

გულგარა (გურ.) — უგულო კაცი

გულგვამი (ქართლ.) — ადამიანის შიგნეულობა

გულთათა (გურ.) — მასრების ჩასაწყობი ჩოხის ქილებში

გულთმეცარი — წინამგრძნობი, გულთმისანი

გულკერპი (ფშ.) — მტკიცე, მრისხანე

164. გულკუარი — გულშავი, გულკუჭი, გულფიცხი

გულქართლი (ფშ.) — პურადი

ის სიტყვები მახსენდებოდა: „მეხედე, რა ცაა, ცხაა, რაცაა!" — ამბობს კავმირ „ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებელი ლევან ყიფიანი, რომელიც გამოცვლიცყდა, რომ ბავშვობაში მოთხრობებს წერდა...

თურმე, გადარევას არიან ლინგვისტები და ვერავერით ხსნიან, როგორ მეძლო 40 წლის დეცროიცელმა „ჯგსიკა „ჯაბლონსკიმ ფრანგული ენის... ხაჯდომით, ეფრო ხნორად, ღუნდულებით მეხწავლა...

ხხვათა შორის, ამ მოვლენას მეცნიერებამ ახსნაც კი მოუძებნა და აი, ახეთი დიაგნოზი დასვა: კუქის ლინგვისტური ამპლიფიკაცია.

რაც ყველაზე მთავარია: ახეთი შემთხვევა მსოფლიოში პირველად არ დაფიქსირებულა. 1970 წელს, ინგლისის ერთ-ერთ ქალაქში ცხოვრობდა ვინმე ედვარდ პეცერსონი, რომელსაც მეცხაელად „ირმაგ ლაპარაკს" ეძახდნენ.

— ხამწუხაროდ, ამ ფენომენის ამოხსნის გზები, ჯერჯერობით, არ არსებობს

გულნუხი (ლეჩხ.) — უნებისყოფო
166. გუჯაბი (გურ.) — ჯიში, შთამომავლობა
167. დაბდური (ქართლ.) — დამბლა; კაცი, რომელსაც არაფერი ეხერხება
დაბილბითება (იმერ.) — დაპირება
171. დავლათი (ფშ.) — იღბალი, სვე
დაზაბაკება (იმერ.) — დასნეულება
დაზავება (გურ.) — მეტისმეტად დაღლილი
172. დათავნწერება (ფშ.) — გათამაშება
175. დაკიჭ(ჩაკიჭ)კიჭებული (გურ.) — სუფთად, ლამაზად ნაწერი
დაკოსება (იმერ.) — ქუდის ამპარტავნულად დახურვა (ქუდი გვერდზე დაგიხურავს, ამპარტავანსა ჰგევხარო)
დაკოსვა (იმერ.) — დაჩაჩანაკება, დაგლახავება
დალაობა (თუშ.) — 5 ცხენოსანი ასრულებს სამგლოვიარო სიმღერას
დალუსკუმება (გურ.) — კუნაპეტი ღამე
დამაიდნება (ლეჩხ.) — მომარაგება
179. დამკრახვა (იმერ.) — ხილის კარგად დამწიფება
დამრჩო (მოხ.) — მემკვიდრე, შთამომავალი
180. დანადუნე (ქიზიყ.) — დონდლო
181. დანდრაზა (ქართლ.) — სქელი
182. დანიაზებით (ქართლ.) — დანამდვილებით
დაოსებული (გაფხავებული) — დაღლილი
დაოხება (ფშ.) — დანაყრება
183. დარიანი (მესხ. ოკრ. ქიზიყ.) — საიდუმლოდ გაყვანილი ხვრელი, სამალავი; თევზის ბუნაგი
184. დარდაკი (ფშ. ქიზ.) — ყეყეჩი, სულელი
დარილი — თვალთვალი, ბოროტებისთვის შესაფერი დრო, ძებნა
185. დაროშკა — დაღერღვა, უთავბოლო ლაპარაკი
დასალახვრავი (ხევ.) — პირუტყვის სალანძღავი სიტყვა
დასალიერი (გურ.) — უკანასკნელი პუნქტი
186. დაფიშმანება (ზ. აჭარ.) — დაფიქრება
190. დაფურთხაშება (გურ.) — დანგრევა, განადგურება
195. დაჩოლფოტება (მოხ.) — დაბრიყვება, დამონება
197. დაწიგნარება (მოხ. მთიულ.) — დაწვრილებით თქმა, მოყოლა
დაწიგნება (გურ.) — მოყოლა (დაუწიგნა ყორიფელი)
დაწიგნული (ხევს.) — ხელით ნაქსოვი
200. დახლიფართვა (გურ. აჭარ.) — არევ-დარევა საქმისა
203. დედამანია (გურ.) — ბებიაქალი
დეაანი (ქიზიყ.) — გუთნის ნაწილი, სახნისის (მარცხნივ)
დედანი (ქართლ.) — ვაზის ტანი
დედანი (მთიულ.) — ბუდე, პერანგი, რაშიც ხბო იბადება
204. დედაჭუა (ხევს.) — პურძვირი
(კაცთხედული კაცი — ჯ. თითმერია)
დედე — პაპა, ბაბუა
დედიანი (თუშ.) — მშობლები
დევკაცი (ფშ.) — გმირი კაცი

დეკაცი (ინგილ.) — დედაკაცი, ცოლი

207. დიდრაჯულა (ქართლ.) — ამაყი, ზვიადი ადამიანი

210. დონაძის ხაჭაპური (გურ.) — ბევრყველიანი, გემრიელი ხაჭაპური

211. დურანი (ქიზიყ. ქართლ.) — ბედში ჩავარდნა (კაი ურანში ჩავარდა)

დორგასი (ფშ. ხევს.) — ცრუმოლაპარაკე კაცი

დოყი (იმერ.) — გულის ჯავრი

213. დუბარა (იმერ.) — ეშმაკობა

დუბე — ვაკე, ჩავარდნილი ადგილი

დოი, დოი... (ქართლ.) — მეგრელების დაძახება

214. დუნდგო (ქართლ.) – ბრბო, ჯგუფი

215. დუღდუღი (გურ.) — ლაყბობა

216. დღის დაბერება (ქართლ.) — შეღამება

217. ევქაჯი (თუშ.) — დევქაჯი, ეშმაკი

219. ენაკვესი (ფშ.) — ყბედი

ენალაქარდიანი (მთ.) — მჭევრმეტყველი; 2 — პირფერი, ფლიდი.

ენამონაკული (რაჭ.) — ჭორიკანა, ენამრავალი

ენამოქარგული (იმერ.) — სიტყვა არ უჭირს

ენატლაკია (ინგილ. ქიზიყ.) — პირშეუნახავი, ენატანია

ენატრაკალა (გურ.) — უაზროდ მოლაპარაკე

ენაუნობა (მოხ.) — ენატანიობა

ენაცქეიტი (მოს.) — ენაჭარტალა

ენახშება (რაჭ.) — ელაპარაკება

ენიაზება (ფშ.) — გულით ენატრება

ენუკბის (მთ.) — ეფარისევლება

220. ერდენა (ინგილ.) — ერთადერთი

223. ეჯიბი (ფშ.) — თავი მაყარი

ეჯაფე (მოხ.) — ხელისმომკიდე

ვაინაჩრობა (მესხ.) — სივაგლახე, გაჭირვებულობა

224. ვატატყი (ლეჩხ.) — მოლაყბე, უქნარა დედაკაცი

ვატყაპუნა — ჭორიკანა, ცუდად მოლაპარაკე

225. ვერეცინე (იმერ.) — ვერდასაცინი კაცი

ვერც როგორ (მოხ.) — ვერაფრით

227. ზაბაკი (გურ.) — ნაკლი; 2. მტყუანი (იმერ.) — დამნაშავე

ზავთი (მესხ. ფშ.) — რიხი, ძალა

235. ზრუნი (ხევს.) — გოდების ბანი

237. თაბაუთი (ქიზიყ. მოხ.) — ანგარიში, აზრი, ფიქრი

თაბუნი (გურ. იმერ. კახ.) — ტოლი, სწორი, ამხანაგი; ფრინველთა გუნდი

და ვინც საჯდომით იწყებს ლაპარაკს, მთელი ცხოვრება ვერ იკურნება, — ამბობენ მეცნიერები.

P.S. მე მგონია, მხოლოდ „მაყირით" თუ შეიძლებოდა ასეთი რამის თქმა.

კაცმა დღეს რამე გაბედული რომ თქვას, მართალია, „ურჯი" უნდა ჰქონდეს, მაგრამ თუ ეს სიმართლეს შეეფერება, სიმართლეს ყოველთვის ცუდი სუნი ასდის!

ბადრი პატარკაციშვილი: პუტინი პოლიტიკაში მე მოვიყვანე!

ამოცანა გვეკითხება: თვითონ იგი პოლიტიკიდან ვინ გაიყვანა?

ჭირით და ჭორით იწყება ტელეგადაცემები, ალბათ, იმ ოკეანისგადაღმური ფსიქოლოგიით, რომელმაც ჯერ კიდევ ბაბუის ნაჭამი ქლიავით, შვილიშვილს მოჰკვეთა კბილი. „ჭირი ჭირს ართობს!"

ამერიკელმა ქალმა სასამართლოსგან ქუჩაში შიშველი სიარულის უფლება მიიღო!

თაგუასანა (მესხ.) — ქეემძრომი, ცბიერი კაცი
239. თავლაღი (თუშ.) — ფიცხი ცხენი
240. თავუძებარი (ფშ.) — თავგამოუჩენელი, სახელმოუხვეჭელი
241. თავქეიფა (ქიზიყ.) — თავნება, ურეუიმო
თავხრილი (ფშ.) — კომბალი
245. თაქლა (ქიზიყ.) — ფარისეველი, გაიძვერა
247. თეო — ცხვრის ბინის გარშემო სადარაჯო ადგილი
248. თვალის ფიჭვები (გურ.) — წამწამები
თვალსაფრისად (კახ.) — თვალთმაქცურად
თვალყამი (ქსნ.ხეობა) — თვალის ცემა
249. თიკუნი (ხევს. ფშ. თუშ.) — მეტსახელი
თიფხი — ზუსტი
251. თოლმაჯი (მოხ.) — თვალმაძღარი, ბლომად, უხვად; 2. თვალმარჯვე
256. თხლებო (ქიზიყ.) — ბრიყვი, ცბიერი კაცი
257. იაპონია (გურ.) — იაპონიის ლობიო, სოია, მცენარე
(მცონარე მცენარე! — რითმაა)
იარდა (ხევს.) — ქისტების საკრებულო ალაგი
258. იასი (აჭარ.) — შუაღამე
იაღი (ფშ. ხევს.) — ცხონებული, განათლებული, სამოთხე
259. ილინცური (გურ.) — ირიბი, მრუდე,
იმლიკი (ქართლ.) — ეშმაკი, გაიძვერა, უკადრისი კაცი
261. ინჩქიტა (გურ.) — ძალზე ღარიბი, უკაპეიკო კაცი
იონა (ფშ.) — ნაფლეთებად ქცევა
იუიურაბანდა (ქიზიყ.) — ირიურაუა
263. იღნაღი (ქართლ.) — ქალაქივით სავაჭრო დაბა
სიღნაღი — ოდეს იღნაღი — დაბა, სოფელის სწორია,
დღესა ამისი ბადალი არც ერთი, არცა ორია.
264. იჩქიტად (რაჭ.) — სახელდახელო, უცბად მოფიქრებული რამ
265. კაბაშური (ქიზიყ.) — ბავშვის საბანი
266. კავატი (ფშ.) — ნაკლი, მანკი
267. კაკიბერა (ლეჩხ.) — შუაცეცხლზე გადებული საქვაბე დირე.
კაკილა (გურ.) — კრიალოსანი
268. კალამი (იმერ.) — სარეველა ბალახი
კალმობიე (გურ.) — საბავშვო თამაშია ერთგვარი
271. კაობითკაი (გურ.) — ერთობ კაი; კაისკაი (ჩემებურადაც რომ ვთქვათ!)
272. კაპინი (ოკრ. იმერ.) — ტყლაპის გასაყვანი ფიცარი
კაპუეტი (გურ,) — თავისნათქვამა, ჯიუტი
273. კართანა (თუშ. ლეჩხ.) (კარინაგერა) — ზღურბლი, საკართანო,
კარი-კური (ფშ. ხევს.) — კარ-მიდამო
275. კატაღუა (ფშ.) — მამლის მიერ დედლის მიალერსება დასაპეპლად
კაციკაცია (ქართლ.) — მკვლელი

---

*აღმოსავლური სიბრძნე: ბრძენს ჰკითხეს, ვისგან ისწავლე სიბრძნეო და... ბრმებისგანო, უპასუხა: ისინი არასოდეს არ გადადგამენ „წინდაუხედავ" ნაბიჯს, თუ წინასწარ არ მოსინჯესო!*

278. კბილი მოჭრა (ქიზიყ.) — მოაკეტინა, უპასუხა

კეისრობა (ლეჩხ.) — ხალხური დღეობაა ს. კუხში, ოქტომბერში

კეკიობა (გურ.) — ნინილის გამოჩეკვა

281. კერესი (ქართლ.) — ქელეხი

284. კვადაბზუა (იმერ.) — კუდაბზიკა

კვანილა (რაჭ.) — ჩვილი

291. კილოსანი (ქართ.) — სხვათა გამკილავი

კოკბათ დაესხდეთ და კაი პური ეჭამოთ (ქიზიყ.)

კინკილა (იმერ.) — მარტოხელა კაცი

292. კიოფი (იმერ.) — თეთრი ნიშანი ცხენის შუბლზე

კისორული (ოკრ.) — ს. კისორეთის (ოკრიბა) მსხალი (საშემოდგომო)

294. კიტმიჯი (ზ. აჭარ.) — ძუნნი, ქვახარშია, კუნუნრახი

296. კობერი (ზ. აჭარ.) — გაფშენილი ტარო, სიმონეთის ნაქურჩალა

კოდმე (გურ.) — მორის ფერდი

კოკინია — ხბო

კოკროჭინა (გურ.) — ავი სულიცაა

302. კორაბზუა (ქართლ.) — ამპარატავანი, უკადრისი ქალი

308. კოჭლაბუხა, კოჭლაკუნტა (გურ. აჭარ.) — კოჭლი

კოხინჯრობა — წვიმის სანინააღმდეგო, ავდრის ასაცდენი რიტუალი

309. კოხუნჯი (ქიზიყ.) — ძველი ქალამნის ნაგლეჯი (ოხუნჯი — პარალელი!)

310. კრიმანჭული (იმერ.) — დახმარება; 2. გადაკრული ლაპარაკი (მეკრიმანჭულებაო)

კრჩხე (ქსნის ხ.) — ქვაბის ჩამოსაკიდებელი კავი

კუდაკაცი (ზ. იმერ.) — მეტისმეტი ამპარტავანი

312. კუდიანთ ნუხრა (ხევს.) — დიდი ხუთშაბათის წარმართული რიტუალი

უკუნეთის კუკუნეთი (იმერ.) — ბნელი, კუნაპეტი

314. კუმეტობა (მთ.) — ახალი წლის მეორე — დაკვეხების დღე

კუნიახი (იმერ.) — კაპასი, ძუნნი

316. კურმუხეთი — ჯოჯოხეთი; მომდინარეობს პიდრონიმ-კურმუხიდან

319. კუჭია (იმერ.) — ღორმუცელა

320 ლაბლაბი (თუშ.) — უთავბოლო, მიდებ-

ხო, ამას ჰქვია, თუ ჰქვია, უფლების თავისუფლება!

სხვა თავისუფლებას „ყოველმხრივ" და ყველაფერით აუდგები ვეხხცუ კყობბა, რა იქნება!

ხინდიხის გამომჭელებისა ხმლის გამომჭელებაზე უფრო გეშინოდეთ, ხალხნო! ეს უომრად ნაგებული ომია!

აქ „ცოაცოას" (ცარიელ ქანცურას) ვენაგორია მოუხდება:

„ჩვენ არ გვინდა ცივი ომი და არც ცხელი ომი — ცივი გვინდა საცივი და ცხელი გვინდა ღომი!"

მეცნიერებს კლინიკური სიკვდილის საიდუმლო ამოუხსნიათ:

„სიკვდილგადატანილების" მონათხრობა, ჩვეულებრივ, გაქრილი ვამლიდეთ ჰგავს ერთმანეთს: „სინათლე გვირაბის ბოლოს", „მისტიკური ხმები", „თეთრებში გამოწყობილი ადამიანები" და ასე შემდეგ. თბილისის ომის დღეებში ტყვია რომ მომხვდა, მეც გადავიტანე ეს შავი დღეები. ვი-

მოდებით ლაპარაკი
321. ლაკაიტი (მოხ.) — ენამეტი, მოლაყბე
322. ლამპრობა — ჭიაკოკონობა
323. ლაჟვერდი (თუშ.) — სარეცხის ლილა, ლაჟვარდი
ლართი (თუშ.) — ხარის ასოსაგან გაკეთებული მათრახი
325. ლაქათა (ქართლ.) — ლაქლაქა, მოლაყბე
ლაქარდი (მოხ. ფშ.) — ტკბილი სიტყვა, ლაქუცი, ტკბილმოუბარი
ლაღანდარი, ლაღია (გურ.) — უსაქმური, ლაზღანდარა
ლევენდი (გურ.) — უცოლშვილი, მარტოხელა
ლელე (ზ. იმერ.) — ლენჩი, შტერი
330. ლესტერი (ქართლ.) — თავსხმა წვიმა, დელგმა, მელეხი, ლესტერი წვიმა
ლეყვერა (იმერ.) — შტერი
ლეშკაცა (ქართ.) — უმოქმედობით, სიმსუქნით ლეშადქცეული
ლია (ფშ. მესხ. ქიზიყ. ქართ.) — დატბორილი წყალი, გუბე, ტბორი „დადგა ლიაო" ლიამპალით
331. ლიანგი (გურ. იმერ.) — ერთად თავმოყრილი პირუტყვი, იტყვიან ხალხზეც
ლოგინის აკრეფა — მშობიარობის შემდეგ
335. ლოქაფი (ქართლ.) — ხარბად მჭამელი, პირღია
337. ლუსკუმა (გურ.) — ბნელი ღამე
338. მაბზაკუნა (იმერ. გურ.) — ბოლოქანქარა (პატარა ჩიტი)
339. მაზნევარი (ქიზიყ. მთ.) — ზარალის მომცემი ადამიანი, მავნე
მათქომი (ფშ.) — გამლექსე, შემთხზველი
340. მაკვარანცხი (იმერ.) — ეშმაკი, ხელმრუდე
მაკვიტი (იმერ.) — უკუღმართი, არაწმინდა
მაკინდლობა (იმერ.) — კამეჩთა, ძროხათა და კურდღელთა მძუვნობა
მაკოცია, მაკოცე (გურ. იმერ.) — შრიალა ბალახი
341. მამის ცოლი (ფშ.) — დედინაცვალი
342. მანგანა (თუშ.) — დიდი მარწუხი
343. მანდილი (მთ.) — ქათმის ბიბილო; მანდილდამშვენებული, კვერცხის დასადებად შემზადებული
346. მარწებელი (ქართლ.) — აკვნის მრწეველი
347. მატაოტი (ლეჩხ.) — ეშმაკუნა, მოუსვენარი
348. მატყუა (ქართლ.) — მაჭანკალი
მაქლიქი (გურ.) — პირფერი, მლიქვნელი
მაცილი (ფშ.) — ეშმაკი, მაცდური
და მაცინცველი (იმერ.) მეტაფორა — პატარა, ცელქი, ეშმაკი, კუდრაჭა
351. მანაკი (იმერ.) — უკმეხი, უშნო შესახედავი
მახარიის ქვაბი (იმერ.) — აუვსებელი, უძირო ქვაბი
354. მდადი (რაჭ. ლეჩხ. გუდამაყრ.) — პატარძლის მაყარი ქალი
გუდამაყრელი პატარძლის მაყარი — მდადი
მეგოდრე (ფშ.) — პატარძლის მზითევის წამლები
მეზარე (ხევს.) — ხატის მსახური, ზარის მრეკავი
357. მემთე (ფშ. აჭარ.) — მთაში საქონლის მწყემსი
მეოტი (ფშ.) — ლტოლვილი, შიშით გამოქცეული
მესოფლია (იმერ. აჭარ.) — მოყიალე კაცი

359. მესულთანე (ხევს.) — სულის მკითხავი
მეცარი (იმერ.) — გულთმისანი, წინასწარმეტყველი
361. მზეკაბანი (ფშ. ხევს.) — ნიავის ნამოქროლებული, აბიბინებული ყანა
მზვარე — მზიანი ადგილი
მთერალი ბალახი (ქიზიყ.) — ღვარძლი, მცენარე
364. მიმისება (გურ.) — მითვისება
367. მკვდრის მზე (ქიზიყ. იმერ.) — მზის ჩასვლის შემდეგ ნითლად დარჩენილი შუქი ცაზე, ალისფერი სხივი
მკვდრის ყვავილი (რაჭ.) — შროშანი
368. ავადმყოფობის „მობოდიშება" (გურ.) — ნითელა ბატონების
ლექსვა, ლექსით — ყივანახველა, ნითელასი
მობულბულება (გურ.) — მოკეთება, მოსულიერება
369. მოგუდული (ქართლ.) — ღვინო, უჭაჭოდ დაყენებული, დახშულ ქვევრში
370. მოვნე (მოხ.) — ეშმაკი, მავნე, ავი სული
მოთავისე (ქიზიყ.) — ეგოისტი
371. მოთქომი (ფშ.) — ავტორი, მთქმელი (ვაჟა)
373. მოკოკბება — ნივთების დალაგება
მოკტი-მორჩიე (გურ.) — ხშირად მოავადმყოფე
375. მონამგლე (იუშ.) — მეზობელი, ამხანაგი მეცხვარეობაში
377. მოჟამე (ქიზ.) — დროის შემრჩევი მტერი
მორგენა (ქიზ.) — სამაგიეროს მიგება
მოყივნება (ინგილ. მოხ. ფშ.) — სახელის გატეხა, თავის მოჭრა
მორყვენა (ქიზ.) — სხვისი ძაგება
380. მოქედურება (ქიზ.) — ქედის მოხრევინება, დამარცხება
382. მოქვანთრიშება (ოკრ.) — ძაღლის მიერ ადამიანის ლაქუცი, მოალერსება
383. მოღიალება (იმერ.) — მაგალითად, გულისა!
მეტაკიე (გურ.) — უვიცი, უზრდელი
384. მოშაველთე (ფშ.) — საიქიოს მყოფი (ცრურწმენით)
მიშავექავება (ქიზ.) — საწყლისთვის გამეტება რაიმესი
385. მოცადე (მთ.) — ყოჩაღი, მონდომებული კაცი
386. მონმინდარი (მთ. გუდამაყრ.) — ხატის მსახური
მონყლევა (ფშ.) — დაჭრა, დაკოდვა

ნაიდან კლინიკური სიკვდილის გარშემო კითხვები საკმაოდ დაგროვდა. მეცნიერებმა „სიკვდილ-ვადაცაჩილებზე" ხანგრძლივი კვლევა ჩაატარეს და, როგორც თავადვე ამტკიცებენ, ამ მოვლენის საიდუმლო ამოხსნეს კიდეც!

„ტეო 2"-ის მატება ჰალუცინაციების გაჩენაზე დიდ გავლენას ახდენს" — ამბობენ მეცნიერები. ანუ იქით მიანიშნებენ, რომ სული არ არსებობს და ეს მხოლოდ ბიოლოგიური პროცესებით არის გამოწვეული. ვთქვათ, გვინდა დავიჯეროთ, მაგრამ, ჯერ ერთი, მკვდარს რად ჰალუცინაციები უნდა ჰქონდეს? და, მეორე — საინტერესოა, იმას რითიდა ახსნიან, როცა კომიდან გამოსული ადამიანები დეტალურად ჰყვებიან იმას, რაც მათი გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა და რაც მკვდარმა, წესით, ვერც უნდა დაინახოს და ვერც უნდა მოისმინოს?

388. მოხიბვლა (ქიზ.) — მონამელა, მოშხამეა ადამიანის
389. მოჯოხვა (ქართლ.) — მორჯულება
მრე (ქიზ.) — ამრევ-დამრევი
391. მუზმუზელა (ქიზ.) — აჳენა, ენატანია, გონებამახვილი დედაკაცი
392. მუსრი (ხევს.) — ცივი იარაღის ეპითეტი
მუქარანი (ფშ.) — მოქიშპენი, მეტოქენი, მოჯიბრენი
მუღამი (იმერ.) — საიდუმლო
394. მეხშავი (ფშ.) — წყევლა
395. მყეფარი (ფშ.) — ქორწილში კაცი გამომცხადებელი (ვინ რა მოიტანა)
399. ნაბათი (ინგილ.) — რიგი, ჯერი, დრო (არაბულიდანაა)
400. ნაბიჭვარი (ლეჩხ.) — ზედმეტი ყლორტი ამოსული ვაზის საკვირტეში. სიმინდის, პამიდორის, ლომის უვარგისი ღერო, დედა ღეროს ძირთან ამოსული; იმერულად „ნაგერა" (ოკრიბ.)
401. ნაგაზი (აჭარ.) — სალანძღავი სიტყვა, ნაშიერი, ნაგაზი
404. ნაკი (გუდამაყრ. მთ. მოხ.) — ნაკლი; 2. მოუსავლიანი ნელინადი
406. ნამგალა (იმერ. მოხ.) — ამხანაგი მწყემსობაში
408. ნანათი (ქიზ.) — გარიჟრაჟი
ნაოხარი (ფშ.) — უპატრონო, მიგდებული, ოხრად დარჩენილი
411. ნატამალი (მოხ. მთ. გუდამაყრ.) — შორეული ნათესავი
ნაღრიბალა (გურ.) — პატარა ტანის (სალანძღავი სიტყვაა)
412. ნაქაჩი (იმერ.) — სახარჯო ღვინო, ჭაჭაზე წყალდასხმული; ნაქაჯი (ქართლ.)
ნაშენობა (მთ.) — შთამომავლობა, ვაჟები
ნაჩხატი (მოხ.) — ჩანჩქერი (ნახატი)
ნაცარგარო (ზ. აჭარ.) — ნაცარტუტა
ნაცართვალი — ნაცარტუტა
416. ნაცილი (რაჭ. ქიზ.)
— ბედისწერამ, ბედისმზერამ —
წერის წერა გამხადა. (გ.ნ.)
ნაძმობი — ძმად შეფიცული
417. ნაწნავი (მთ.) — ნივრის ან ხახვის ასხმულა
418. ნახშობა (რაჭ.) — ბაასი, სანახშო ადგილი, საკვირაო, საუქმო თავშესაყარი, თავშესაფარი
ნენა (გურ.) — დედა
ნენე (აჭარ.) — დიდედა
421. ნიორწყლად ქცევა (გურ.) — გაცამტვერება, მტვრად ქცევა
426. ოთურმა (ქართლ.) — ერთმანეთზე გადახტომა
ერთი ნანა თუ არ ყოფნის — გურულების 4 ნანაა აგერ. (გ.ნ.)
რაჭაში ეკალბარდებიან ბუჩქს ეძახიან „ოლეს"
— ესაა რაჭული „კორიდა" და იგი ხარი არ გამოვა ღორიდან, არც აზრი — ამ მეტაფორიდან!.. თუმცაღა, ასე ჩანს შორიდან. ისე „ოლე" ქიზიყში და ფშავში ტალახიანი გუბეცაა.
ორგუნებობა (ქართლ.) — ყოყმანი, გუნების შეცვლა
ორიანი (თიან.) — ორეული
ორპირი — ხანჯალი კარგია, კაცი არ ვარგა
430. ორჭკუა (ქართლ.) — ცუდი, ცვალებადი აზრის ადამიანი
ოხოხოია (გურ.) — ძველი ხალხური სიმღერა (დაიკარგა).
ოტება (იმერ.) — საქმეზე გულის აცრუება

ოტროველა (ქართლ.) — უხეიროდ გაზრდილი, აყლაყუდა

ოფსილა — ქვევრის ამოსამშრალებელი ჩვარი (ოფსილა აღარ გაქვსო, აქედანაა?)

432. ოლიაჩოლია (ქიზ.) — მიკიბე-მოკიბვა

432. ოცო-ბოცო (ქართლ.) — უთავბოლო ლაპარაკი, მიდებ-მოდება, ღობე-ყორე, აქეთურ-იქეთური

434. პამპლავაქობა (იმერ.) — თავკაცობის გამოჩენა, მეტიჩრობა

პაპასკირი (გურ.) — შარდის შეკავება

პაპლაყვერა (ქიზ.) — ნაცარქექია, ტრაბახა

პენაგი (ლეჩხ.) — სამარე (გადატანითი მნიშვნელობით) (რამაც უფალმა ატია... პანაგია გულზე სატარებელი ხატია)

438. პირაოში (ქიზ.) — პირში მთქმელი, მოურიდებელი

443. პურშავი (პურძვირი) და პირშავი (გ.ნ.)

448. ჟრუნი (ლეჩხ.) — ყველა ფერის ნარევი, ჯაჭვედა

451. რასმი (ინგილ.) — ადათი

რატარუტი (ქართლ.) — უთავბოლო ლაპარაკი

452. რეგვენი (გურ. იმერ.) — უგნური, ველური

453. რიბიბო (გურ.) — შებინდება; რიბირაბო (იმერ.) — რიჟრაჟი

რიდე (ფშ.) — თავსახური

454. როდინობის კვირა (მესხ. გურ.) — არარსებული, გაურკვეველი დრო

როკაპი — კუდიანი, კაპასი ქალი

როის-როის (იმერ.) — დიდი ლოდინის შემდეგ

როჭიკი (მთ.) — ჭიკჭიკი, სასიამოვნოდ ლაპარაკი

457. რჩხა (ქართლ. ქიზ.) — ვაზის ტოტი რქებითა და მტევნებით

საბან-გობანი (მოხ.) — ქვეშაგები

459. საბრძანისი (ფშ.) — ხატის ადგილი

სადგინი (თუშ.) — დოლი

სადედო — უჯრა ფუტკრის სკაში

სადედო — სასისხლო გადასახადი — მოკლულის დედის ძმებს აძლევენ

სადო (ხევს.) — სასისხლო გადასახადი — ეძლევათ მოკლულის დებს

სადრეკელი (თუშ.) — სახსარი

461. საეჭვმიჭო (გურ.) — საეჭვო

სავათი (ინგილ.) — განათლება, ცოდნა

სავინიცობო (იმერ.) — მოულოდნელი, გასაჭირის დროისთვის შემონახული

სავანი (ქართლ.) — ქონება, ცხოვრება, სახსარი

462. სათავს ქვიო (თუშ.) — მუთაქა

კალამი...

ვიდეოკამერით!

იაპონურმა კომპანია „დიჯიტალ კოუბოიმ“ ახალი ავტოკალამი გამოუშვა, რომელსაც ვიდეოკამერა და „ფლეშმეხსიერება“ აქვს ჩამონტაჟებული. კამერის დიამეტრიც ერთი მილიმეტრის ტოლია. მასთან ახლის მდებარეობს მიკროფონიც. თვითონ კალამი კი 150 მილიმეტრისაა. კალმის შიგნით არის მოთავსებული ფლეშბარათიც. მეხსიერების მოცულობა კი ორი გიგაბაიტის ტოლია. ეს მოწყობილობა გამოსახულებას წამში 15 კადრის ოდენობით იწერს. ადრე ეს მოწყობილობა მხოლოდ ლეგენდების სახით ვრცელდებოდა ხალხში. ითვლებოდა, რომ ის მარტო აგენტებს ჰქონდათ. სულ მალე კი, 2008 წლის ბოლოს, მისი შეძენა ყველას შეეძლება. ის 170 დოლარი ეღირება.

„ალია“,
27-28.05.08

„ედვინ დრუდის საიდუმლო“

ჩარლზ დიკენსს ეს რომანი დაუმ-

463. სათირი (კახ.) — დიდი მორი — ხარებს მოუბამენ და მიათრევენ
სათოლმაჯო (მოხ.) — თვალსაჩინო
სათრობელა (თუშ.) — ღვარძლი, მცენარე
სათუო (ოკრ.) — ავადმყოფობის გადატანა, კრიზისის გავლა
საიასაღო (გურ.) — საგანგებო, გამორჩეული
საკარგყმო — სადღეგრძელო
საკარული (გურ.) — სახლის ზღურბლი
საკარცხული (რაჭ.) — უფროსის, მოხუცის დასაჯდომი, საპატიო სკამი
საკაცებო (რაჭ.) — კერის ის მხარე, სადაც კაცები სხდებოდნენ
საკაცეთი (მოხ.) — კაცთა მოდგმა
საკინძალი (ოკრ.) — ქვაბის საკიდელი ნაჭა, ჯაჭვი შუა ცეცხლზე
466. სალექსო (ხევს.) — ლექსისათვის განკუთვნილი ჯილდო
სალთა (ქიზ. მთიულ.) — მარტოხელა კაცი
სალოსი (ლეჩხ.) — ტკბილი, მოხერხებული კაცი
468. სამთიობო (იმერ.) — ოთახი ახალშეუღლებულთათვის
469. სამოყვრო ამინდი (ქართლ.) — წვიმა, სამუშაოდ რომ ვერ ნახ-ვალ
470. სამჭკუა (ქართლ.) — ცეტი, ცვალებადი ჭკუის
471. სანაყრე (ფშ.) — კუჭი (ვაჟა)
სანახშო (რაჭ.) — სალაპარაკო ადგილი სოფელში
სანდაოცი (ქსნის ხეობა) — ადამიანი, რომელსაც ყველაფერი უკეირს
სანიაზო (ფშ.) — სანატრელი, სასურველი
საპირგამტეხლო (ფშ.) — მირთმევა ცხვრის, სანოვაგის
473. სარამიტელი (გურ.) — ჭკვიანი, კაი მოლაპარაკე
477. სატანტა (გურ.) — ენამჭევრი, ენაკვიმატი, ავი ქცევის
480. ენის საქსაქი და სიქსიქი (გ.ნ.)
483. საჩქეფა (მთ.) — ჩანჩქერი
484. საჩხრეკელა (ქსნის ხეობა) — ნაკვერცხლის საჩხრეკი.
ნაკვერცხლის საჩხრეკი ჯოხივითაა ახლა ჩემი კალამი — ვუნთებ და ვუნთებ ცეცხლს და ხან კვამლი მახრჩობს და ხან ნაპერწკლებს მაყ-რევინებს ამოლამებული თვალებიდან (გ.ნ.)
485. სანანკლავი ენა (იმერ.) — ავი, მწარე
სანაღმართო (ფშ.) — ხატის ძღვენი; სანირი (მთიულ.)
სახაფიფო (რაჭ.) — მეტად საყვარელი რამ
სახინჯარი (ქართ.) — მეტგვარი, თიკუნი გვარისა. შტოგვარი, საუბ-ნო გვარი
სახმითმატირლო (ხევს.) — დ. გოგოჭური ხსნის — დატირებისათვის განკუთვნილი ჯილდო
490. საჯაყი (გურ.) — სამასირცხვო
სეირანი (იმერ. გურ.) — ფეხისალაგი
492. სთეელი (ფშ.) — შემოდგომა (ვაჟა, საბა)
სთვლობა — რთვლობა

---

*არისტოტელე: არამზადას. სინდისის გასაღვიძებლად. სილა უნდა გააწნა.*

*ჩინური: 360 საქმიდან ყველაზე საპატიო... მიწათმოქმედებაა.*

სია (ქართ.) — მოსულელო, ყეყეჩი, გამოთაყვანებული

496. სიტყვის შეჭმა (რაჭ.) — შეუსრულებლობა სიტყვისა

სკვარამი (გურ. იმერ.) — უფსკრული, ქვესკნელი

ქართველების სნეულება — ღრეობა და სმეულობა.

ჩამოსხდებიან და.... ინყება.

სორბოითლობა (ქიზ. ფშ.) — მუსაიფი, აქაურიქაური ამბების თხრობა

500. სულთივით (ლეჩხ.) — სუთივით მიჭირავს ხელში კალმისტარი და ჩოგანივით ვურევ ამ ნუთისოფლის ქვაბში მდუღარე ცხოვრების ღომს...

სულეთი (ფშ. ხევს. თუშ. მოხ.) — საიქიო სულების სამყოფელი (ვაჟა)

სულთაკრება (მთ.) — მოცვალებულთა მოხსენიება დიდმარხვის მესამე კვირას

სულთაქათი (ქიზ.) — სულის გარდა ყველაფერი (სულთაქათი ნაიღესო)

სულთაკრეფა (თუშ.) — საეკლესიო დღესასნაულზე გარდაცველილთა მოსაგონარი

სულთაობა (იმერ.) — ალების დღე, ხსნილის უკანასკნელი კვირა

501. სულკატიანი (გურ, ფშ.) — იგივეა, რაც სულძაღლიანი

სულმაუთი — სულსნრაფი

502. სურბელა (ოკრიბ.) — მოთმინება

სუსმატი (ინგილ.) — სულნასული

503. სნორფრები (ხევს.) — სნორები

სხეიმის (იმერ.) — სხვა დროს

504. ტაბარუკი (ქიზ.) — ლატაკი, უქონელი. „შინ რომ კატა არ ჰყავს და გარეთ თაგვი არ დაურბის"; (ქართლ. მთ.) — ტუტუცი, მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანი

508. ტარულა (გურ. იმერ.) — მოხეტიალე ადამიანი

ტარღალალა (ქართლ.) — უშარელო, უნიფხვო

ქოხები — ფარღალალა, კაცები — ტარღალალა (გ.ნ.)

ტაში (თუშ.) — მათრახის ბოლოზე დამაგრებული ტყავის ნვრილი ნაჭერი.

(აქედანაა ტაში, თუ იქედანაა ტუში?)

516. ტრანტიტი (ინგილ.) — ყაჩაღი, ავაზაკი

ტრატრუ (ქიზ.) — ნიგნის კითხვის ხმის მიბაძვა —

მე შენი ტრა-ტრუ არ ვიცი, თოხი და ბარი აიღე და ნამო ყანაშიო! — კახელმა უთხრა შვილს.

— რას ამბობ, მამი... მე ქართულ მინასა თოხ

თავრებელი დარჩა. დაასრულა გარდაცვალების შემდეგ... რადგანაც ხელებს წერა არ შეეძლოთ, მწერალმა ცოცხლებს შორის იპოვა „მდივანი" და რომანის ფინალი უკარნახა.

ფრანგი ოკულტისტი ჟერარ ანკოსი განიხილავს რამდენიმე მოტივს, რის გამოც აქ ქვეყნიდან წასულების სულები ცოცხლების საქმეებში ერევიან. ესენი არიან: ძუნწები, მდიდრები, ეგოისტები, გადამალული განძის მფლობელები — მათი აჩრდილები საკუნების განმავლობაში იცავენ თავიანთ სიმდიდრეს და „მავარქეოლოგებს" ამინებენ. მეორე კატეგორიაში შედიან იმ ადამიანთა სულები, რომლებმაც ამქვეყნად მცირეწლოვანი შვილები ან საყვარელი ადამიანები დატოვეს, ანდა ვინმე მოკლეს ან ისინი, რომლებსაც დაუსრულებელი საქმეები დარჩათ. ოკულტისტი ამბობს, რომ ადამიანი სასუფეველში, მართალია, უხორცოა, მაგრამ სიცოცხლეში როგორიც იყო, იმადვე რჩება. ამის თვალსაჩინო მაგალითია

დავკრამო? — შეიცხადა უქნარამ.

517. ტრიზვა (იმერ.) — კილვა, მასხარად აგდება

ვისი ტრიკი ხარ (გურ. იმერ.) — უკანონოდ შობილი, ნაბიჭვარი

519. ტუქსუსი (იმერ.) — უნდო, ურცხვი, გაუტანელი. აზერბაიჯ. Ὀῤῆñóç!

ტუჩალა (მთ.) — დიდტუჩებიანი (ახლა ტუჩებდაბერილი ქალები)

ტყრუშული ლობესავით (ქიზ.) ფიქრებით მინდა შემოვწნა ჩემი წარსული, აწმყო და მომავალი, რომ სამომავლოდ დავუტოვო ჩემს ჯიშსა და ჯილაგს — სანთელ-საკმევლად! — შვილიდან — შვილზე გადასაცემად!

524. —უნია, —უნიკა (რაჭ.) — კნინობითი სუფიქსები: გოგუნა, თოხუნა, ბიჭუნიკა — სახელებშიაც ესიყვარულებოდნენ მათ.

უნასი (ზ.იმერ.) — გველის ან (ხევს.) პირუტყვის სალანძღავი სიტყვა. უნაური (ლეჩხ.) — ეშმაკი, მაცდური

უნჯი (მოხ. ფშ. გურ.) — განძია (მუნჯი)

ურექი (გურ.) — ბნელი, ღრმა, გაუვალი ადგილია, ტყე უდაბური. ახლა დაბას შერჩა სახელად.

527. უსახელო (ქართლ. ზ. იმერ.) — გადატანით-გადმოტანითი მნიშვნელობით გველი — უხსენებელი. უსახელოურიც არსებობს ვაზის ადგილობრივი ჯიში (ლეჩხ.) ოყურეშისა და ზუბის მიდამოებში ხარობს. შავი მრგვალი მაყვლოვანი — სახელოვან „უსახელოურს" ეძახიან.

უსიერი ტყე — ქართული ენისა!..

უტობა (ფშ.) — ჯიუტობა, სირეგვენე, უვიცობა

უქმის ძალი — შაბათი

უშმი (ქართ. კახ.) — ცუდი, საზარელი (ეშმაკი — გ.ნ.)

უწევარი (მოხ. მთ.) — მოუწვეველი სტუმარი

ფათლახი (ქსნის ხეობა) — უსუფთაო, უფრო მძიმე შემთხვევაში — ჩათლახი! — გ.ნ.

535. ფარსამი (გურ. იმერ.) — საკვირველი, უმაგალითო, მოულოდნელი (კახ. თუშ. ფშ.) — კარგი, საიმედო, ვარგისი

537. ფაფლაყვერა (გურ.) — მოხუცებული, მოტეხილი, მოხრილი

ფეხთი (მესხ.) — ფეხსაცმელი (საერთოდ)

ფეხის გაცხება (გურ.) — მოულოდნელი სიკვდილი

ფეხჩვილი (აჭარ.) — მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, მეძავი

546. ფოლორცი (ქართ.) — ლაქუცა

552. ურთხი (გურ.) — გადამვლელი წვიმა

553. ფუფული (ზ. აჭარ.) — თავხმელი მუნუკი. ბავშვებს თავზე უჩნდებათ.

ფხოველი — ფხიანი, ყოჩაღი, მარჯვე, ჭკვიანი

558. ქადაგა (გურ.) — მკითხავი, მარჩიელი, ქადაგი

ქათიბი (ფშ.) — ქალის საზაფხულო პალტოსავით მოკლე ჩასაცმელი

560. ქალწუა (მოხ.) — ქალაჩუნა

ქაქრაჭუნა (მთ.) — საქანელა

565. ქედანა (ქართ. იმერ.) — ქედმაღალი, გამბედავი, თამამი, ამპარტავანი

566. ქერის პეპელა (მოხ.) — ქერის პურის თხელი ლავაში

ქესატობა (გურ.) — სიღარიბე

ქექილი (ქიზ.) — შთამომავალი, ნათესავი, ჯიში (შენი ქექილი კი გაქრა, აჰა!)

ქეშ-ქეშად და ქვეშ-ქვეშად (ქართ.) — ალმაცერად, ირიბად

ქვებუდანი (მესხ,) — ქვეშ-ქვეშა, გაიძვერა, ჩუმი, ვერაგი

588. ქველი (ჯავახ.) — მარჯვე, ყოჩაღი (სიქველე?)

570. ქიბარი (აჭარ.) — (ხალვაშზეა?) თავმომწონე, ამპარტავანი

573. ქლინძი (ფშ.) — გაიძ-ვერა (აქ „ვერას" რა უნდა?)

574. ქოთლაღი (გურ.) — ყაჩაღი, ფირალი, ტყეში გავარდნილი

ქოლვილი (ფშ.) — დაჩაგრული, უბედური

ქოქი (გურ. ზ. აჭარ. ქიზ.) — ჯიში, ჯილაგი, გვარი

576. ქოლუმი (მოხ.) — ბოროტი, შურიანი

577. ქრთამი (კახ. მთ.) — ქალისთვის მზითვი (ფულიც)

580. ქუცა კაცი (ქართლ.) — ეშმაკი კაცი — ქუჯა კაცი

ღამაზი (აჭარ.) — შურიანი; არაბულად — მაბეზღარა

582. ღამლუმი (მოხ.) — ბინდ-ბუნდი, ალიონი

591. ეკალ-ღიჭი (ფშ. ქართ. კახ. ქიზ.) — ბალახი (ვაჟა)

ღლავი (ქიზ.) — ყმანვილის სასქესო ორგანო

ღლიცინი (იმერ.) — სიცილი, ლაზღანდარობა

592. ღლუნძა (ანარ.) — ღვარძლიანი, გულბოროტი

ღნიოში (ქართ. გურ.) — გაპარტახებული

595. ღრიანკელი (გურ.) — კლდიდან გადასაჩეხი

ღრჯუ (იმერ.) — ავგული

598. ყაბა (იმერ.) — დრო, ხანგრძლივობა

600. ყაზილარი (გურ.) — ჭკუადაულაგებელი, უპატიოსნო, უზრდელი

ყაილა (გურ. იმერ.) — აყალმაყალი (აყალი — არ ვარგა, მაყალი — კაია)

601. ყილთილანი (ქიზ.) — უმუშევარი, უქნარა, მცონარა

608. ყარყარი (ფშ.) — არწივის ხმა. წყლის პატარა ჭურჭელი, ხის ყელიანი სურა — სმაში ხმის გამცემელი, რაკრაკა

ყარყუმი (გურ. ქართ.) — ავი კაცი, ბევრი ლაპარაკის მოყვარული

ინგლისელი მწერალი ჩარლზ დიკენსი.

1873 წლის 26 ივნისს ინგლისში გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ამტკიცებს, რომ არიან მოწმეები იმისა, თუ როგორ მუშაობდა დიკენსის ხელი რომანზე.

დიკენსის „მდივანი" ითხოვდა. ჩემი გვარი არ გამოაქვეყნოთო. მისი სახელი ცნობილია — ჯეიმსი ერქვა. დაიბადა ბოსტონში, იყო მექანიკოსი. წიგნებს არ კითხულობდა. ხოლო კალამს ხელში მხოლოდ წერილის დასაწერად თუ აიღებდა. ინგლისში არასოდეს ყოფილა და დიკენსის სახელი ყურმოკვრით ჰქონდა გაგონილი.

ერთხელ, მეგობრებმა სპირიტიზმის სეანსზე დაპატიჟეს. ჯეიმსი სპირიტიზმს თვალთმაქცობად მიიჩნევდა. მაგრამ უარი არ უთქვამს, რადგან სეანსში მონაწილეობდა გოგონა, რომელიც მოსწონდა.

სეანსის დროს მაგიდა უცნაურად ამოძრავდა და ჯეიმსს მუხლებზე დაეცა.

მეორე დღეს სეანსი განაგრძეს. მოულოდნელად ჯეიმსი ტრანსში ჩავარდა და

ყარნაპი (ლეჩხ.) — ჯანმრთელი კაცი, ბევრს რომ ჭამს და არაფერს არ აკეთებს

ყაშყაში — არნივის, ორბის ხმა

614. ყრუალა კაცი (იმერ.) — უსნავლელი

615. ყუმბარა (ოკრ.) — ლომის თაველის შტო, თავთავი ყუმბარებისაგან შედგება — საბა ყვიბაროსს ეძახის.

სუთი — ზარბაზნის ლულას ჰგავს ან ხიშტს (გ.ნ.)

ყუმი (რაჭ.) — უხასიათო, ცუდი, მიუკარებელი

616. ყურმარდების მიყურადება (გუდამაყრ.) — ყურიადობა ტელეფონის მოსმენაზე

618. შაბაში (ქართ. მთ.) — პატარძლისათვის მაყუთის შეგროვება

619. შაბზე ნასვლა (ქართ.) — საიქიოში ნასელა, სიკვდილი

შავეთი (ფშ. მთ. გუდამაყრ.) — სიკვდილი

620. შავრეშხი ცხენით (ფშ.) — შავუდექ შავთა გზათაო

შალბაში (ქართ.) — საძოვრის გადასახედი, საბალახო

შამათი (მესხ.) — ხალხის ხმაური, ალიაქოთი

შემოდექი (გურ.) — შემოდგომა

624. შაცოლქმრება (გუდამაყრ.) — დაქუცმაცება

შედლუხი (გურ.) — თოფების სროლა სამხიარულო შემთხვევით

635. შლუ (გურ.) — ჭკუანაკლები, მოურიდებელი, უზრდელი

შურთი (მთ. გუდამაყრ.) — ბატკანი

შურთხი (ფშ.) — გარეული ინდაური

შუშუ (იმერ. გურ.) — მოტვინთხელო

642. ჩალამკალამი (გურ. იმერ.) — ბამბუკისმაგვარი მცენარე, მისგან სალამურს აკეთებენ

647. ჩასპანდუ (ქიზ.) — კარგი აგებულების, ჩასხმული კაცი

ჩაუტევარი კაცი ( ქიზ.) — ძალიან ფიცხი, არაფრის მომთმენი

ჩაჩანაგი (რაჭ.) — ღრმად მოხუცი

ჩაჩანაკი — ძაბუნი

ჩახჩახა (მესხ.) — ცოცხალი, ხალისიანი მოლაპარაკე

652. ჩეგერა (ფშ.) — ობლად დარჩენილი დათვის ბელი, ნადირთ ნაშიერი

ჩეთობა (გურ.) — ფირალობა

ჩითახო (რაჭ. იმერ.) — ორივე ფეხით კოჭლი

ჩითლავეი — კინკლაობა

ჩიმჩამი (რაჭ.) — ფიქრი, დაფიქრება

ჩიორა (ფშ. მთ.) — ნამოჩიტული ნინილა ქათმისა — ნამოვარიკებულ-ნამოყვინჩილებული

ჩიტირეკია (ქიზ.) — არადარბაისელი ადამიანი

ჩიტიფაფიობა (რაჭ. ქიზ. მთ.) — ყველიერში იცოდნენ: ფაფას გაუდგამდნენ ჩიტებს, ჭამეთ და ყანა არ ნაახდინოთო!

---

*კარლო გოლდონი: ადამიანი, რომელსაც ხელში წიგნი უჭირავს, მარტო არ არის.*

*ინგლისური: მეტისმეტი ცოდნა... ამელოტებსო.*

*მედიცინა კურნავს სხეულს და ფილოსოფია — სულს!*

ჩოხადამპალა (იმე.) — ივენისის წვიმიანობის მეტსახელია

სამონაზენო ჩოხანი

664. ჩრიტინი (იმერ. ლეჩხ.) — უთავბოლო ლაპარაკი

ჩუნია (მთ.) — ქალაჩუნა

ჩუტრუკი (ქიზ.) — მუტრუკი, ჩოჩორი, ვირის შვილი

ჩხა — მსხმოიარე ტოტი ვაზისა, მტევნებიან-რქებიანად

ჩხიბვა (გურ. ქიზ.) — ულამაზოდ, გაურჩევლად წერა

გურულები ომს ჩხუბს ეძახიან.

670. ცაზე ხელის გორება (გურ.) — დიდი სიხარული

ცალგული (არა ორგული) — ერთგული

ცალფეხა აზნაური (ზ. იმერ.) — მამა რომ აზნაური ჰყავდა და დედა გლეხი

672. ცენტერაძის მალაზონი სხვის სატირალს სტიროდაო

ასეთია ჩვენი ბედი — სევდა უნაპიროდაო (გ.ნ.)

673. ციაფუად (ლეჩხ.) — ნაჩქარევად

ციაცი (აჭარ.) — თვალის ცეცება

ციცაგი (ფშ.) — მონმენდილი ცა

ციცინათელას იმერეთში ეძახიან ოთახის უკადრისა მცენარეს.

677. ცოლკარგი კაცი (ფშ.) — ცხენკარგი („ცოლავიც“ უნდა იყოს — გ.ნ.)

681. ცხრა პიტიკი ენა (გურ.) — (იდიომია) ზედმეტის მოლაპარაკე ადამიანი

ცხრარჯული (იმერ.) — გაქექილი, ეშმაკი, ცხრაწვენა

ცხრაჭკუა (ქართ.) — ყოყმანა

683. ძალი (ფშ.) — ჩონგურ-ფანდურის სიმი

ძამულა (ფშ.) — ძმაო, ძამიკო

684. ძაღლის ალიონი (იმერ. გურ.) — ძალიან ადრე, ალიონზე

714. წყლეთი (ფშ.) — საპირისპირო „ხმელეთისა“

715. ქართლში ეშმაკს, ქაჯს, კუდიანს „ღამის ჭაბუკს“ ეძახიან —როგორ იტან ამდენ უძილობასაო! ეს მაშინ, როცა კაცი ძალიან მოხუცდება და არ კვდება (ჩვენი არსენა ბაბუა ამბობდა, მძინარს თუ მომეპარება, თვარა ხანჯალი მაქვს ბალიშის ქვეშ და იქით გავაფრთხობინებ სულს სიკვდილსო. ჩემი ხანჯალი კი კალამია და, მით უფრო, კალამს რა მოერევა?! ხმალი იმოდენას ვერ იქმსო! — ილიამ.

716. ჭალიკონი (გურ.) — მაგარი ქარი

*მაგიდაზე დაწერა სეანსის მონაწილე ცოლ-ქმრის გარდაცვლილი შვილის სახელი, რომლის არსებობაზეც წარმოდგენა არ ჰქონდა.*

*1872 წლის ოქტომბრის ბოლოს ჯეიმსმა ავტომატურად დაწერა წერილი, რომლის ადრესატიც თავად იყო. მისი ავტორი აღმოჩნდა... ჩარლზ დიკენსი. მწერალი 15 ნოემბრის სეანსის ჩატარებას სთხოვდა. სწორედ ამ სეანსის დროს გამოაცხადა დიკენსმა: ჯეიმსი რომან „ედვინ დრუდის საიდუმლოს“ დამთავრებაში უნდა დაეხმაროსო.*

*დიკენსი სთავაზობდა. კარნახის პირველი სეანსი შობა ხადამის შემდგარიყო. მედიუმს მთელი თავისუფალი დრო წიგნზე მუშაობისთვის უნდა დაეთმო. მექანიკოსი ჯეიმსი ალღურჟისყე აღმოჩნდა. თანამთიანი სეანსების განმავლობაში ნაკარნახევს მორჩილად ისმენდა და წერდა. ასე გაგრძელდა 1873 წლის ივლისამდე. დაიწერა 1200 გვერდი, რაც მერე 400-გვერდიან წიგნად დაიბეჭდა. თხრობა ზუსტად იმ*

ჭამპურა (რაჭ.) — გაუმაძღარი

718. ჭაჭვეთობა (გურ.) — კუდიანთა დღეობა, თავმოყრა

ჭაჭყანი (იმერ.) — ტატყან-დადლანი

ჭიამჭამელი (იმერ.) — გაუმაძღრობის სნეულება

ჭიატი — მზის გამოხედვა ღრუბლებიდან

ჭიაფანდურა (ქიზ.) — გაბმულად მოჭრიჭინე მწერი

გუდასტვირი (გურ.) — ჭიბონი

ჭიგო (ქართლ. ქიზ. ინგილ.) — ხარდანი, მარგილი, სარი

ჭინკობისთვე (იმერ.) — 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე, როცა დიდი წვიმები იცის

735. ხადილი (იმერ.) — სამასპინძლო (საბა) დროსტარება („ხადილი"-ც კი ქეიფი იყო, თუ უქეიფოდ არ იყვნენ).

ხათა (ფშ.) — ცოდვა, ხათაბალა

ხარჯულა (იმერ.) — სახარჯო ღვინო

ხატიონი (ხევს.) — ხატის მსახურნი

746. ხელხვავი (გურ.) — ხალხური სიმღერა (მოსავლის აღების დროს)

ხელკავი — ხის კავი, ღომის ხელით საცეხვი

ხელმრუდე და ხელცივი (ვით მშიერი მხეცივით — გ.ნ.)

ხელხვავი (გურ. იმერ.) — სიმღერა სიმინდის რჩევის დროს

749. ხვართქლი (ლეჩხ.) — სარეველა ხვიარა ბალახი

ხვიმირი — წისქვილის პირამიდისებურად შეკრული ყუთი, სადაც მარცვალს ყრიან

ხიბაკი (გურ.) — ბარგი, ავეჯი — ხაბაკი

ხნე (იმერ. გურ.) — ხნიერი, ხანდაზმული, მოხუცი

ხოხი (გურ.) — ძალ-ღონე

ხუსხუსი (ფშ. ქიზ.) — მოხუცისა და ახალფეხადგმული ბავშვის სიარული

ხუხუცი (ფშ.) — ბერიკაცის ტრფობა

764. ხუება (გურ.) — გულის მოსვლა — (იხუა)

ხუთშაცალა (ქიზ.) — ხუთშაბათი

767. ხშირბინდი (ქართლ.) — ახალი ჩამოღამების ხანი — დაისის შემდეგ

775. ჯარჯი (ხევს.) — კალოზე მომუშავე ხარების პირზე ნამოსაცვამი, რომ ხარმა ძნა არ შეჭამოს (ა. ჭინჭარაულს ასე აქვს განმარტებული)

ჯალი (მოხ. მთ.) — ჯანღი — ხშირი ნისლი, ბურუსი, ბუ-რუსი!

786. ჯუღელი (ოკრიბ.) — ავი, ყაყანა კაცი

788. ჰაიჰარი კაცი (ქიზ.) — წინდაუხედავი კაცი

789. ჰოობა (თუშ.) — თანხმობა

ჰოქმიანი (მესხ.) — უნარიანი, მოხერხებული, შნოიანი

---

*კონსტანტინე გამსახურდია: ახალგაზრდობას ცუდი აღზრდა აფუჭებს. კარგ სურათს — უგემური მიმტერება. კარგ ჩაის — ცუდი ჭურჭელი და კარგ წიგნს... ცუდი მკითხველი.*

*მიზანი ამართლებს საშუალებასო!... გააჩნია მიზანსაც და საშუალებასაც! (გ.ნ.)*

* * *

ჩვენ მსოფლიომ გვაღიარა —
ჩვენი ედემ-ბაღიანად.
თავს სჭირდება — თავდაჭერა...
მხარს სჭირდება — მხარდაჭერა!

* * *

პურს — მეპურე გამოაცხობს,
თვალი — თვალსა ხედავსო,
„მთისა — მეცხვარესა ჰკითხე,
ბარის — გუთნისდედასო"!

* * *

მელანსა თუ ოფლსა ვღვრიდი —
კალამსა და ქაღალდს ვღლიდი —
მოდა, დაღლით ვისვენებდი —
თავს ხსენამდე ვიხსენებდი...
რძე ჯერაც არც შემშრობია —
დედის კალთას რა სჯობია!
ამ ცხოვრებას და ცხონებას
მქვია დედამიწობია!
ცხოვრებაა ჯოჯოხეთი —
სამოთხე კი იცან ხეთი —
ხე, რომელიც ნაჯერისაა —
ჩვენი ცოდვა-მადლისაა!

## გასაუბრება მეუღლესთან

(წუთშესვენების დროს)

— ვიყავით შვილები და გავხდით მშობელნი —
— მიქვირს, გაუქმელით ამდენ რია-რიებს...
— ძალიან გაგვიჭკება ეს წუთისოფელი —
— ვეღარ შეგველია, ვეღარ შევეღლიეთ.

* * *

მაიმუნიდან წარმოიშვა ადამიანი
თუ...
ადამიანიდან იშვა მაიმუნი...
ასლი დედანთან სწორი არი —
დარვინის დარვინიზმს არ აქვს წუნი!

* * *

ხარსა თუ ხართანა დააბამ...
ან ზნით და ან ფერით იცვლება.
ურჩხულთან მებრძოლი რაინდი —
თვითონ თუ ურჩხულად იქცევა!..
ვის რაში სჭირდება ასეთი —
ახალი...
ან ძველი კასეტის.

ადგილიდან გაგრძელდა, სადაც იგი ავტორს სიკვდილმა შეაწყვეტინა. დიკენსს, რომანებში, ბოლო სცენის წინ, ახალი პერსონაჟის შეყვანა ჰქონდა ჩვეულებად.

აქაც გამოჩნდა ტრადიციული ახალი გმირი. ჯეიმსმა, რომელიც ნამყოფი არ იყო ინგლისში, ეს რომანი სუფთა ინგლისური ტრანსკრიფციით დაწერა. ხელნაწერიც კი დიკენსისა ჰქონდა. ხანდახან, გვერდების დასაწყისში, ჯეიმსისთვის უცნობი სტენოგრაფიული ნიშნები ჩნდებოდა.

ბევრი ცნობისმოყვარე და მოწმე აკვირდებოდა დიკენსის „მდივნის" მუშაობას. მერე ისინი ყვებოდნენ, თუ როგორ იწყებოდა ყველა სეანსი: „მდივანი" ფურცლებს და წვერწათლილ ფანქრებს ამზადებდა და მაგიდაზე ხელებდაწყობილი მშვიდად ელოდებოდა მოკარნახეს. მწერალი არ ჩქარობდა — 30-50 წუთს ყოველთვის იგვიანებდა. მუშაობის პირობები ამინდზე იყო დამოკიდებული. დარში ჯეიმსი დიდხანს, პრაქტიკულად მეუხვენე-

# *კონსტანტინე კაპანელის წიგნები*

კონსტანტინე კაპანელის წიგნებიდან („ქართული სული ესთეტიკურ სახეებში", „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი") მახსოვს ავტორის განმარტება მის ნაშრომზე — ეს ერთგვარი ცდაა ეროვნული შემოქმედების სისტემატიზაციისა „ორგანოტროპული სოციოლოგიის თვალთახედვითო". როგორ აირეკლება ქართული გენი მხატვრულ აზროვნებაში? რას ნიშნავს სოციალური ყოფიერება ლიტერატურისათვის? მწერალი მსხვერპლია თავისი ტემპერამენტის და შემოქმედებითი ფანტაზიის. პოეტში ღმერთი სახლობს. ლექსს ღმერთი წერს, მაგრამ... მაგრამ მერე, ჩვენსავით კი არ დაარბენინებს რედაქციებში — არიქა, დამიბეჭდეთო... ხევს, ნაკუწ-ნაკუწად აქცევს და ფანტელებად გვაყრის თავზე!

მე ასე მგონია ეს!... ასე მეჩვენება და მეთქეენება!

*ისტორიის წუთ-წამ-წამი წამწამებზე მათოვს...*

*მარადიულ კითხვებსა ესვამ: რისთვის? როდის? რატომ?*

წინ იყურეო! — იცოდნენ თბილისში თქმა. წინ გასახედად უკან მოსახედი წარსულიც უნდა გახსოვდეს, რომ მომავლის გზები გაიკვლიო.

ახლახანს, სახელმწიფო ტელევიზიით ყველა დროის „10 საუკეთესო ქართველის" პირველობის „დოლი" მოაწყეს, რაც მკრეხელობას უფრო ჰგავდა, ვიდრე იმ პატივის მიგებას, რასაც საქართველოს ისტორიის თავკაცები იმსახურებენ.

N1 ქართველად დასახელდა დავით აღმაშენებელი, მეორედ — ილია, მესამედ... ზვიადი. ვფურცლავ ახლა თბილისის ისტორიის პირველ ტომს და ჩემი ფიქრი, ძველი დროიდან, ისევ თბილისს დასტრიალებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: „აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი პირველსავე ომსა, ოთხას წელს ქონებული სპარსთა და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახელად თჳსად საუკუნოდ" (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342). აქ იგულისხმება მაჰმადიანთა ბატონობა, რაც არაბთაგან დაიწყო და თურქ-სელჩუკთა განდევნამდე გრძელდებოდა.

ალ-ფარუკის ცნობა: XII ს. 10-იანი წლები. აღმაშენებელმა ხარკი დააკისრა ტფილისს 10 000 დინარი: ქრისტიანები იხდიდნენ წელიწადში 5 დინარს, ებრაელები — 4, მუსლიმანები — 3.

სიტყვა „რაისის" ქართული შესატყვისი უხუცესია.

ტფილისელი ბერები ამირას უპირისპირდებოდნენ მაშინდელი „ჩარეცხილები" ან „ჩასარეცხები" („ტფილელი ბერები").

XI ს. ამიდი — მუსლიმანურად — მწიგნობრობას ნიშნავდა.

მუშრიბი — მოსახლეობიდან ხარკის ამკრებს;

შურტა — პოლიციელს;

ყადი — მსაჯულს...

---

*ციცერონი: ბედნიერია ის, ვინც დამოკიდებულია... თავის თავზე!*

*წმ. მარკოზ მოღვაწე: საკუთარ თავზე უფრო დიდი მტერი ადამიანს არ ჰყავს.*

*ქართული: „შემეყარა საქუაო – მატყუა და მატყუაო –*
*ახლა ჭკუას ვიღას კითხავს – მარტო ვართ და მარტოაო" (გ.ნ.)*

თბილისს მეფის მოხელე ამირა განაგებდა;

დავითს, მნიგნობრობით შექებულს, ადარებენ პტოლემეოსს (ქართლის ცხოვრება, 283-296 ნნ.)

ერი იმით ფასდება, რამდენი მთქმელი ჰყავსო — ასე ფიქრობდნენ ნინათ.

ახლა მთქმელი ბევრი გვყავს — გამგონი ცოტა!

თუმცა, მთქმელიც მთქმელს გააჩნია — ზოგჯერ ისეთს მოკრავ თვალს და ყურს, თვალს დაგიფსებს და ყურს მოგჭრის!

ნინათ ბატის ფრთით ნერდნენ სიბრძნეს, ახლა — ბატის ჭკუით ნერენ ათას სისულელეს და საქმე იქამდეც კი მივიდა, ერთმა სახელმნიფო კაცმა თქვა: კომპიუტერის ეპოქაში, რა დროს ნიგნიაო?!...

არადა, პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი! — გვემოძღვრავს სახარება! თვითონ სიტყვა „ბიბლიაც“ ხომ ბერძნულად „ნიგნს“ ნიშნავს!

...ისტორია გაკვეთილია, რომლის ცალი ყურით მოსმენა „ცალტვინებსაც“ არ უნდა მოუვიდეთ თავში აზრად!

ისტორია გვიმონმებს, რომ საქართველოში საერო მხატვრული მნერლობა ვითარდება! XII საუკუნეში აღმავლობას განიცდის პოეზია, რომელსაც, უმეტესად, საკარო-სახოტბო შინაარსი ჰქონდა (და, დღემდე ზენიტშია!). იბადება შედევრები — ჩახრუხაძის „თამარიანი“, იოანე შავთელის „აბდულმესიანი“. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“ თამარის სამეფო კარზე უნდა შექმნილიყო.

საზეიმო შეკრებებზე საზეიმოდ კითხულობენ ლექსებს!

სახოტბო პოეზიის აღმავლობას ხელი შეუნყო თამარის დიდობამ და განდიდებამ. ქართული სახოტბო პოეზიის ძეგლია „თამარიანი“ (ჩახრუხაძე). იგი ამბობს, რომ თამარის სრულყოფილად შექება არავის ძალუძს, არისტოტელეს გარდა. ასევე, სნორუპოვარი მელექსეა ჩახრუხაძე!

„თამარიანი “ არ არის ვინრო პანეგირიკული თხზულება.

მას მხარს უმშვენებენ იოანე შავთელი — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“.

შავთელი მხარს უჭერს ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი ნარმოშობის იდეას, ბაგრატიონთა ნათესაურ კავშირს ბიბლიურ ნინასნარმეტყველ მეფეებთან.

თამარის თბილისური სასახლე იყო მნერალთა და მეცნიერთა ნამდვილი „საერთო საცხოვრებელი“

*ბლად. მუშაობდა. ღრუბლიანში ცოტას წერდა. ხოლო ავდარში თითს ვერ ანძრევდა.*

*ტრანსში ჯეიმსი დიკენსს ხედავდა, სახეზე ხელებაფარებული, თითქოს ღრმა ფიქრებში ჩაძირული მწერალი მის გვერდით იდგა. სეანსის დასასრულს მძიმე, ცივ ხელს ჯეიმსს ხელზე ადებდა და ისიც ტრანსიდან გამოდიოდა. განსაკუთრებულ შემთხვევებში საჭირო ხდებოდა მესამე პირის დახმარება.*

*ჯეიმსმა არ ისურვა მწერალ დიკენსის „თანაავტორობა“ და მისი ნათესავებისგან (თავისი მძიმე შრომისთვის) არავითარი ანაზღაურება არ მოუთხოვია.*

*„ნლი“*

*ქაღალდის წარმოება ჩინეთში მე-2 საუკუნეში დაიწყო.*

*ჰოდა, ამის შემდეგ აწრიალდა კალამი.*

*ალექსანდრე აბაშიძე*

*ცხრა წყარო*

*ჩვენ. რატომღაც.*

(კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია. II, 1958, გვ. 35).

მემატიანენი წერენ: ამ მეჯლის-დღესასწაულებზე „იქმნა სიხარული გამოუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა... მუტრიბთა და მოთამაშეთა" (ქართლის ცხოვრება", II, გვ. 43).

თამარის კარზე ქართველ და ირანელ პოეტთა შეჯიბრი გამართულა. შირვანშაჰ აღსართან II-ის თბილისში სტუმრობის დროს, ფიქრობენ, რომ ირანელ სტუმართა შორის იყო თვით ნიზამი განჯელი. ამასაც „ქართლის ცხოვრება" გვიმოწმებს.

თამარის დროშა მარტო „დავითიანი" კი არა — „ალექსანდრიან"-„ავღუსტიანადაც" ინოდებოდა. ალექსანდრე მაკედონელისა და ავგუსტ კეისრის მემკვიდრეობის სახელით, ქართველები არა მარტო თურქთა მიერ მიტაცებული მახლობელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების განთავისუფლების მისიაზე, არამედ დასავლეთის კულტურული საგანძურის დაცვის მისიაზეც დებდნენ თავს!

დავით აღმაშენებელს „სუფიებისა" და პოეტებისათვის თავშესაფარი აუგია. მას ხშირად, სადღესასწაულო მეჯლისები და ნადიმებიც გაუმართავს!

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში" ასკეტური იდეალის საპირისპირო ისეთი რენესანსული და ჰუმანური იდეები იკვეთება, რომ მეცნიერებს ეძლევათ საფუძველი, XI-XII ს. საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში რენესანსი დაინახონ.

„სახიობა" პოეტური სიტყვის, მუსიკის, ცეკვის და სხვა რიგის გასართობთა აღმნიშვნელი სიტყვა იყო. ხოლო „მემღერე", „მესახიე", „მსახიობელი" — მსახიობი.

ტრაგიკოსი — „გლოვის მგოსანი"; „განწმენდა" (კათარზისი)... მრავლისმეტყველია, ისევე როგორც, „სიმღერის მწერალი", „მოშაჰირე" — კომედიოგრაფი; „გალობის მწერალი" — გალობის მეტყველი; „პოეტი" — ქება-ხოტბის მთხზველი...

ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში, ადგილობრივი საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლებს ჩვეულებად ჰქონიათ „მგოსან კაცთა და ქალთა სიმღერების მოსმენა" (გეორგიკა — ბიზანტიური მწერლობის ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II, გვ. 252).

„ხოლო საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულველი და ყოველთა უწესობა მოსპობილ იყო ლაშქარსა შინა მისთა"... — წერს დავით IV-ის ისტორიკოსი.

...ჯალალ-ედ-დინის ბრძანებით, სიონის გუმბათი მოარღვიეს და მის ადგილზე, სულთნისთვის, ქალაქზე გადასახედი საჯდომი მოაწყვეს. ხატები მეტეხის ხიდთან დაწვეს, ხალხი მირეკეს და უბრძანეს ამ სალოცავებზე ფეხით გავლა.

ქრისტიანთა უმეტესობა განუდგა ამ ცოდვას და ყველას თავები დააყრევინეს. წამების გვირგვინოსანთა რიცხვმა 100 000 მიაღწია და დღემდე შესჩუხჩუხებს იმ 100 000 მოწამის სისხლი (თუმცა, ამ ისტორიულ ფაქტსაც გაუჩნდნენ „მოეჭვენი" და ქრისტიანობის ეს სწორუპოვარი მაგალითი სალაყბო თემად იქცა!)

თბილისში საუკუნეთა მანძილზე შექმნილი სიმდიდრის აღწუსხვას „ქალაღდის ფურცელთა დასტის ბორცვი არ ეყოფოდაო" — წერს მემატიანე.

მე-XIV საუკუნეში, ტრაპიზონელი ბერძენი მემატიანის მიქელ პანარეტოსის ცნობით, თვით სამარყანდელ ჯალათ „კოჭლი თემურის" სარდლობით მონღოლებმა აიღეს ტფილისი. ხალხური გადმოცემით, კალო-

უბანში თავი მოუყარეს ყრმებს და მათსავით ველური ცხენებით გადათელეს საქართველოს მომავალი.

... XIII ს-ის ვენეციელი მოგზაურის მარკო პოლოს თხზულებებში შემონახულია ცნობა საქართველოს საზღვარზე თავისებური ზეთის — ნავთის არსებობის შესახებ. იგი წერდა: „ეს ზეთი საჭმელში არ იხმარება... შეიძლება მისი გამოყენება გასანათებლადო".

შარდენს საგანგებოდ აღუნიშნავს, რომ „ქალაქი... მაგარი კედლითაა შემოსაზღვრულიო". ქალაქის ციტადელი და მეტეხი ერთ მთლიან სიმაგრეს წარმოადგენენ.

თეიმურაზ ბაგრატიონი: „ტფილისი, უწინარეს ვახტანგ გორგასლანისა, იყო მცირე სოფლებად დაყოფილი... აბანოების ხევს გაღმა, სეიდაბადის ბაღები რომ არის, იქ, ტფილ წყლებს ახლო... ყოფილა სოფელი... ტფილისი რქმევია".

ვახუშტი წერს: თბილისელი სომხები „ქცევაზნითა ქართულითა" ცხოვრობენო. ახლა კი, ალბათ, დღეის ამბების გამგონე, ბატონიშვილი საფლავში ტრიალებს...

თბილისის მოურავი მე-15 ს. ბოლოსათვის სიაუშ სააკაძე, შემდეგ კი გიორგი სააკაძე ყოფილა (შემდეგ კი სააკაძეების შთამომავალი ავთანდილ თარხნიშვილი...). ასე, რომ სააკაძე-სააკაშვილების გვარს საქართველოში ყური, კარგა ხანია, შეეჩვია.

აქ ერთი ძველი ხუმრობა ამოტივტივდა: ერთ თბილისურ სუფრაზე, ერთ თამადას სუფრის თავკაცის პათეტიურობით აუწევია სასმისი და რუსთაველის „შაირით" გაულამაზებია სადღეგრძელო:

„ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად — ზრდილობაო!"

სომეხს, სომხური ანგარიშიანობით, ეგრევე ჩამოუყრია „ჩოთქზე" (გამოუანგარიშებია) და უთქვამს:

— ზნაჩიტ, ადინაცატ ტისიჩო! (ეს ისე! გულის მოსაფხან-მისაფხანად!)

...იტალიელი თომაზო მინატარი (XVI ს.) წერდა: „... თბილისი, დამასკოსავით, დიდი და მდიდარი ქალაქიაო"!

ჟან შარდენი: აქ შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ებრაელებს, თათრებს, მოსკოვიტებს და ევროპელებს"...

ვახტანგ VI რუსეთის იმპერიის ერთ მაღალ მოხელეს სწერდა: აქამდე რომ ფოცხერის ჭანგიდან გამოხსნას ვცდილობდით, ახლა ბაზრის ჭანგში არ ჩავვარდეთო!

*ყველაფერი ცხრა გვიყვარს: ცხრა მზე, ცხრა ზღვა, ცხრა მუხა და ცხრა კარი.*

*აგვაფრენს და ცხრა მთას იქით წაგვიყვანს — ცხრათვალა მზის ცხრაფეროვანი ზღაპარი.*

*<u>მოლი ფენიქსი</u> (მე-10 საუკუნე) ზ ე ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი შესაძლებლობის მქონე ქალი იყო, რომელიც 46 წელი ცრანხში იყო და ეძინა. მას შეეძლო დახურული წიგნის წაკითხვა?*

*მსოფლიოში ყველაზე „მონგრეული" კაცი ფრანკფურტში ცხოვრობს. იგი მლიმერი ამას სულაც არ განიცდის, პირიქით, ცირკის ჯამბაზი სავსებით იყენებს თავის ფიზიკურ ნაკლს პროფესიული საქმიანობისას: მარჯვენა ფეხი — 48, ხოლო მარცხენა — 37 ზომისა აქვს. მარჯვენა ხელი 17 სანტიმეტრით გრძელია მარცხენაზე. მარჯვენა თვალი ორჯერ დიდია მარცხენაზე, ხოლო მარჯვენა მხარი 50 სმ-ით მაღალია მარ-*

... ერთი სამეფო სასახლე სეიდაბადის აღმოსავლეთით იყო და ის ვახუშტის გეგმაზე „ხალანგარად“ ინოდებოდა! ტურნეფორი მას ერთობ „ცხვირაბზუებული“ აღნერს: ...ოთახები დაბალჭერიანებია... ყველაფერი ეს მეტად უშნო გემოვნებისაა, უხეიროდ დახატული, ცუდად შეღებილი და უფრო ცუდად შეხამებული"-ო!

ჰოდა, გავითვალისნინეთ, ბატონო ეს „ისტორიული შეცდომა“ და აგერ, ახლა, ავლაბარში ისეთი სასახლე ნამოვჭიმეთ, რომ... ავ თვალს არ დაენახვება!

ერთ დროს მეფის საზანდარს არუთინ საიათნოვასაც მოსნონდა თავი ავლაბრელობით და გულზე ხელს იდებდა: „ჩემი სამშობლო ტფილისია, მხარე საქართველოსი. დედა ავლაბრელი, მამა ალაბელიო!" თუმცა, ძველმა თბილისურმა ქალაქურმა ფოლკლორმა ერთი ლექს-საბუთიც შემოგვინახა, რისი უტყუარობა დღესაც სახეზეა, მაააშ!

„ავლაბრელი — ტრაბახეცი (!)
უმარხფეცი, დიფვერქსეცი,
ვერელეცი — ყოჩაღეცი,
ხარფუხეცი — მუშტიხფეცი!"

ახლა, ერთი „ტრაბახეცისაც“ ჰკითხეთ „ვერელეცისა"!..

...მუშტი მუშტობდა და სამართლობდა — ქვეყნის საკამათოს კამათობდა!

ეს სტროფი საკუთარ თავს დავესესხე „პაემანიდან“...

ბატონის მოედნის ერთ კუთხეში ორსართულიანი სახლი ჰქონია სახელმნიფო მოღვანეს სოლომონ ლეონიძეს, რომელიც „მიჯნის კედელს ადლნახევრით გადაცილებულა“, რის გამოც სოლომონისთვის უჩივლიათ კიდეც.

ახლა კი, ვის სად გინდა უჩივლო — კანონიც ესენი არიან და სამართალიცო! — ჩივიან მოქალაქეები და იმ დროსაც იხსენებენ, როცა თბილისში „სამართლის პურის საჭმელ ადგილად“ ასახელებდნენ ვერის უბანს — გეიჩიელეთ ზემელის „დამნვარ“ აფთიაქშიო!.. ანუ ყველაფერი ერთ ადგილზე ან, უკეთეს შემთხვევაში, ფეხებზე ეკიდათ!

ისევ თბილისის ისტორიის ძველმანებს მივუბრუნდეთ!

„1790 ნელს გიორგი XII ერთ თავის თბილისელ ყმას ნერდა: 20 თუმანი რომ არ გვასესხო, არასგზით არ შეიძლება, ვერც უარს გვეტყვი, სესხად გთხოვთ!" (მაშინაც ყოფილან შემნერები!) და, ზედაც ასეთი გაფრთხილება: „თუ ეს შეიტყო ვინმემ, ჩვენს მეტმა და ფეტიაშვილის მეტმა, ასე უნდა იცოდე, რომ ჩვენი მოსისხლე იქნები“...

აბა, როგორ გინდა, ბიძიაო! — დღესაც ასე არ ეუბნებიან ბიზნესმენებს ეს ბიზნესმსმელები თუ ბიზნესმჭმელები. „ხომ იცი, როცა ბატონს დასჭირდება, ყმამ უნდა მისცესო“ — ამუნათებენ. ჰოდა, სამართალს თუ გაექცევი, ისტორიას სად ნაუხვალ? — სულ კაკალ-კაკალ გაგიჩოთქავს ავსა და კარგს. „თბილისის ისტორიაში“ ისიც კი სნერია, რომ თეიმურაზ და ერეკლე მეორეებს ვიღაც ვაჭარ მელიქას 8600 მინალთუნი ვალი დარჩენიათ!

ეგ კი არა და, მეცნიერებაში ჩემი ლტოლვილობის დროს, ისტორიის ინსტიტუტში მუშაობისას, ჩემსავით დამნყებმა ისტორიკოსმა ნლიურ

---

*სარიმჭორგი. გზა ქურდისა: ნემსიდან – კვერცხამდე, კვერცხიდან – ძროხამდე და ძროხიდან სახრჩობელამდეო!*

*მათეს სახარება, 544: „გიყვარდეთ მტერნი თქუენნი და აკურთხევდეთ მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობენ თქუენ და გდევნიდნენ.“*

თემად წარმოადგინა გლეხებისადმი ერთი ქართველი მეფის (სახელს არ ვასახელებ, თავისი გაჭირვებაც ეყოფა!) ღვინის, პურის, ფქვილისა თუ რაღაც სხვა ვალები!

...ყველას თავისი გზა აქვს. ჩვენ ჩვენსას მივხედოთ! ამბობენ, რომ დავით ბატონიშვილს თათრის მოედანზე 12 დუქანი ჰქონია!

დრონი მეფობენო! — ახლა შარდენის ქუჩა, თავის უძრავ ქონებიანად — მანთაშევის სახლი, რესტორნები „მეიდანი", „თუსაიდი", ჩინური „ჩაინა თაუნი" და რა მოთელის... „ქეთო და კოტეს" მაკარივით რომ გავშალო ხელი — ჩემია! და, რადგან ჩემია — შენიცაა! (მამა-შვილის ქონება რამ გაყო?)

თუმცა, ეშმაკსაც არ სძინავს!

თბილისს ნატურალური გამოსაღებიც ედო მეფის სასარგებლოდ (კომლზე 2 კოდი პური და 1 კოდი ქერი), ე.წ. „სარუსო" (რუსის ჯარის შესანახი).

ჰოდა, აგერ ახლაც კარგად „შეგვინახა" და „გადაგვიხადა" რუსის ჯარმა!

თბილისის მოსახლეობა, ბოლო-ბოლო, არავის შეარჩენს ცუდკაცობას. მათი შემართებით „ხელისუფლება იძულებული გამხდარა, „ფარვით მტაცებლობის" გამო, თბილისის ნაცვალი შეეცვალათ! როგორც 2003 წელს, გადაყენებისას, უთქვამს ამბროსოვიჩს — მოგენატრებათ ჩემი დროო... მაშინაც, თურმე, თბილისელებს სანანებლად გაუხდათ, ასე ვთქვათ, კადრების საკითხის ასე გადაწყვეტა, რადგან „ფარვით მტაცებლის" მაგივრად დანიშნული ნაცვალი, ვინმე თაყუაშვილი — „ცხადად მტაცებელი" აღმოჩნდა!

მახლას! ასეა ახლაც: ახლები ძველ ყაჩაღებზე ყოჩაღები აღმოჩნდნენ, რადგან ქურდის ქურდი... ცხონებულია!

...1784 წლის 22 იანვარს, სპეციალური მისიით და საჩუქრებით დატენილი პოლკოვნიკის, ვინმე ტამარას ჩამოსვლა... ზარბაზნების 101 ზალპით ეუწყა თბილისს... (იგი „ქრისტიანთა მფარველის" ეკატერინე II-ს ნებით და რწმუნებით გვეახლა!)

ამ უკანასკნელმა მეფესა და სამეფო სახლის წევრებს საჩუქრები და მფარველობის სიგელები გადასცა! ამ ბათქა-ბუთქმა კონსტანტინოპოლში სულთანს სული შეუხუთა! გამწარდა ახალციხის ფაშაც „და იწყო ოხრება ქართლისა"!

... „1799 წლის ნოემბერში, საქართველოში, რუსეთთან ხელშეკრულებით (რომელიც შემდეგში ხელფეხშეკრულებად გვექცა — გ. ნ.) გათვალისწინებული სამხედრო ლეგიონი შემოვიდა", აგრეთვე, 46-ე ეგერთა პოლკი, რომელთაც გიორგი XII ზარ-ზეიმით შეხვდა — ზარბაზნების ქუხილითა და ყველა ეკლესიის ზარების ზანზარით!...

ცხენაზე.
„მირ ნოვოსტეი". 2002.

რის სიცოცხლე-მე, ხორცის „გვე-მით"
სულს ვერ იოქვა-მენ...
რა ქვით ჩაქოლ-ვენ.
იმავე ქვით... ძე-გლებს იდგამენ!

კონსტანტინე ნაკა-შიძე:
„იმხნელების გიტარს"!
იმხნელების მხო-ფლიო გიტარს ე-ლოდ მიუყუდებოდა კუთხეში მიდგმული სავარძლის საზურ-გეს და გაწყვეტილი, ძირს დამეგბული სიმით... თითქოს, იატაკზე დაგდებული მოხრილი „ბიჩო-კის" ალებას ლამობ-და...
„ლ.ს.", 2002.3.9.05.

მიშა ჩაკვიანაძე:
— ვინ არის კეკე-რი ჯლენტი, რომ ვკითხე. მიპასუხა — აღიარებული „პრეზ-იდენტია", ოღონდ მოქიშპეების, აგერ მიდის. მეხედე მიდიოდა არაჩვეუ-ლებრივი გარეგნო-ბის მამაკაცი და მიუყვებოდნენ. ასე-

ილია ჭავჭავაძე წერდა: „მეფის კარიდამ დანყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავის სანატრელი ფრთა..."

გუშინდელის გახსენებისა და დღევანდელობის უხსენებლობის დროში, საუკუნეთა გადაძახილში განგაშივით გაისმის ჭაბუა ამირეჯიბის ხმა:

ჭკუით, ქართველებო, ჭკუით!

...თუ სასიმღეროდ და „სატანცაოდ" არ გვქონდა საქმე, ასეთი ცეკვა და სიმღერა რამ გვასნავლა?... მარტო ის თბილისური მუხამბაზები და „მელექსეთბაშობა" რად ღირს! თუმცა, ძველადაც იყო დრო, ლექსით ვერ ირჩენდი თავს. დიდმოხელე ჭაბუა ორბელიანი (რომელიც პოეტიც იყო) ბესიკს დასცინოდა, თურმე, ლხინში „ქირით დაჰყავთო!"

მნერლობაში ჩემი შესავალი სიტყვით ხელდასხმული, დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილი მოცეკვავე, ქორეოგრაფი, მსახიობი და მნერალი გივი სიხარულიძის ერთი საეპიტაფიო ლექსი გამახსენდა მისი აღმზრდელის — ქართული ცეკვის დედოფლის — ნინო რამიშვილის საფლავზე ამოსატვიფრად. სულ სამად-სამი საეპიტაფიო სტრიქონი:

„მანამ იცოცხლებ მშვენებავ ერის —<br>სანამ ქართველი<br>ცეკვავს და მღერის!"

ახლა, ჩვენ რომ მართლა სამღერლად და საცეკვაოდ გვქონდეს საქმე — მაშინ რაღა იქნება!

მაშინდელი „ფეხმორთხმული" ქეიფების, ყარაჩოღლების მოთმინების ფიალებით ნათქვამი ალალი სადღეგრძელოები დღემდე ეყო თბილისს სულის მოსატანად! (თუმცა, ამ სიტყვაშივე ჩანს, რომ ეშმაკსა და სატანას არ ეძინა!).

ქართული სუფრის („აკადემიას" რომ ეძახის მტერ-მოყვარე!) ნესებზე საინტერესო მასალას ნარმოადგენს ფეშანგი ფაშვიბერტყაძის, მეფე-პოეტ არჩილის, თეიმურაზ მეორეს, ქართული პურ-მარილის ეშხით „დამნვარი" უცხოელი ავტორების ჩანანერები, რომლებსაც ბედნიერება ჰქონდათ ქართული პურის ჭამისა საზეიმო ნვეულებებზე, მეჯლის-ნადიმებში, ქორნილებში თუ „საგოდებელ" ქელეხ-ქირის სუფრებზე!

სუფრაზე ერთად მსხდომთ თეიმურაზი „მეერთჭამეებად" მოიხსენიებს.

მრავლის მნახველი თვით ჟან შარდენიც კი გაოცებული დარჩენილა „ქართული სუფრისათვის დამახასიათებელი ნესრიგით". „სამი ევროპელი უფრო მეტს ხმაურობს, ვიდრე ნადიმზე მყოფი ას ორმოცდაათი კაციო!"

რა ვქნათ ახლა ჩვენ, ამ კაი დედმამიშვილ — ცნობილ ფრანგ მოგზაურის, მეისტორიესა და იუველირის იუველირულ სახოტბო სიტყვას დავუჯეროთ თუ გაურკვეველი... პროფესიის, ცოდნისა და ცოდვისღვთისპირიდან გავარდნილ ჯგერენაიას (ჯგიროდ რომ ვერაა და ქართულ სუფრაზე რომ, ასე ვთქვათ, — გეი... ლაშქრა!).

თეთრი და შავი ...აბანოში გამოჩნდებაო!

„ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს... უფრო დიდებული რამ, როგორიც თბილისური აბანოებიაო!" (სალოლ, პუშკინ!) „ვინც შევა, ეგრევე გახ-

*მოთა რუსთაველი: დიდი ლხინია ქირთა თქმა...*

*არჩილი: სიბრძნეა ცნობა თავისა.*

დის, როგორც თოვლია გზისაო"! „ერეკლეს აბანომ, გრუზინსკების, თბილელების, ორბელიანების, სუმბათაშვილების, მელიქიშვილების, მირზოევის, ნოვინოვის, მანთაშევის, ჩითახოვის, თულაშვილის, ბებუთიანთ გოგირდის აბანოებმა თბილისი დღემდე უხინჯოდ და სუფთად შეინახა!

ამბობენ, 1795 წელს იმ „ღმერთგამწყრალმა" ხოჯამ — განუკურნებელმა საჭურისმა აღა-მაჰმად ხანმა ეს აბანოები მილეწ-მოლეწაო!

მაგრამ უკვდავების წყარო კვლავ მოჟონავს თბილისის ძარღვებში, თუმცა, ახლა, ხან სად ამოყოფს თავს — ხან სად. მაგრამ, ორთაჭალაში ისევ დგას ჭრელი აბანოების თამადა — ბალნეოლოგიური კურორტი, თავისი ნაღდი თბილისელი თავკაცის — ნიკა სააკაშვილის თამადობით, რომელმაც ამას წინათ ერთი სერიოზულად სასაცილო რამე მიამბო:

ვიღაც კორესპონდენტს, მის საწერ მაგიდაზე, სქელი მინის ქვეშ, ჩვენი პრეზიდენტის სურათისათვის მოუკრავს თვალი და სრულიად მოურიდებლად გამოუთქვამს თავისი აზრი: აღარ გათავდა ეს ბელადომანიაო? რაზედაც პრეზიდენტის პატარა ნიკას სეხნიას — ანუ ბაბუას — დიდ ნიკა სააკაშვილს უპასუხნია:

— ქალბატონი იმანო!... ეს კაცი ჩემთვის ბელადი კი არა... ღვიძლი შვილიაო!

XVIII საუკუნის წყაროებს ბევრი „მაჯის შემტყობარი" და სხვა განსწავლულნი „აქიმნიც" არ დავიწყნიათ. სწორედ ამ კვალზე ნავაწყდით ხსენებას მაჰმუდა აქირიშვილისას, ექიმ ოსეფას, თათულას, „დოხტურ" რაინექსს, პატრი უფროსსა და სხვას, რომლებმაც ჩვენი წინაპრები მოაცილეს ჩვენამდე და მერე, მეც, ღვთის მადლით, გადამცეს ეოვა გაბაშვილს, ავსტრიელ პიტერ ბრუკეს (გულის საოპერაციოდ), რუსუდან ლომიძეს, ირაკლი მეგრელიძეს, ანზორ მელიას, შალვა პეტრიაშვილს, პროქტოლოგ გელა მუხაშავრიას, რომელსაც, ასე ვთქვათ, თავსაც ვანდობ და ტრ...საც!

*ვე. კარგი გარეგნობის ქალაქელები: ვახტანგ ქუთიძე. — დახვეწილი იუმორის პატრონი კაცი (ბანი). ბადრი პატარაია (მეორე ხმა). თამარ ერისთავი (შესანიშნავი მომღერალი და გიტარაზე დამკვრელი). ზურა ყორყოლაძე (ბრწყინვალე პირველი ხმა). ბორია ქაბულიანი (ბანი). გამორჩეული ბარიტონი თენგიზ ზეინკლიშვილი. ვაჟკაცური ბას-ბარიტონი რეზო ჯაფარაშვილი. ალიკო ცქიტიშვილი. ბიძინა ამაშუკელი (პოეტ რეზო ამაშუკელის ძმა). მამა ბერიძე, მერაბ და დათიკო ლოლაძეები, გივი რამიშვილი, ნუგზა ქანთარია, ბაქაია, ქურუცოლო, ლევანეთა, პაწკა... (პარიზიდან).*

*...რომელი ერთი! თბილისი მაშინ უნდა გენახათ!*

***P.S.*** *ეს იყოს ქალაქის ეფრუმარილი!*

* * *

ფონემების ფონზედა — ეშხი დაპკრაეთ სიტყვებსა.
ორი სიტყვა (ზოგჯერა) ორ აზრსაც კი იტევსა...
„გრუზინი" თუ „გრუზჩიკობს" და რუსი თუ ბურუსობს.
ლინგვისტიკა, მაშინა, „უკრეფშიაც" ფუსფუსობს!
ალია თუ ბალია — ქა-რთველი, თა-თარია!
უკ-მეხით თუ ომახით — ჩვენი ძმაა სო-მეხი!

*ცარიელი ქანდარაზე:*

*თავადის ნამდვილი*
*ეს კაცი იმერეთის —*
*როგორც თავადს შეშვენის ·*
*ჯერ ხარჯავს და*

## *შვილიშვილებს.*

(ერთ, არც ისე მშვენიერ დღეს!)

ძილში რომ გამეპარეთ და გაიხურეთ კარები –
მეც ავდგები, ერთხელაც და...ძილში გაგეპარებით!
თქვენთან ყოფნა მიტომა მსურს, თვალს მიტომ ვერ გაცილებთ –
წუთიც კი არ მემეტება საუკუნო საძილედ!
იქ, საცა დღე ღამეა და ვარდი ხარობს ეკლებად –
იქ, საცა მე მონატრების უფლებაც არ მექნება –
იქ, საცა მე, არც კი ვიცი, თავს საითკენ მიკრავენ –
აქ კი, გვარზე თუ ხტის კვიცი, გულს რითღა მომიკლავენ?
...და თუ ნა(თელში) მამყოფებთ, სიზმრებით და ლოცვებით –
მომიკითხავთ, წამიკითხავთ და მაცოცხლებთ ოცნებით...
ერთხელ მაინც გადამფურცლავთ და მიწამებით ფიქრებით,
ამ მიწამდე თავს გიხრით და... მუდამ თქვენსიან ვიქნები...
ახლობელი, მადლობელი თქვენთვის მოძღვნილ წიგნებით –
დროსთან შეჯიბრებითა და „უკვდავების“ მიგნებით!...
...მეც კი მინდა მოფერება, თავთანაც ხომ ვალში ვარ –
მე ხომ ახლა – სიბერეში... თქვენზე უფრო ბავშვი ვარ!

## *სისხლის ყივილი*

როცა შვილიშვილები ქვეყანაზე ჩნდებიან –
ბებია-ბაბუები ახლად იბადებიან!
ბავშვებთან ბავშვობენ და თავადაც ბავშვდებიან –
მათი მეორედ მოსვლის სასწაულით ტკბებიან.
საუკუნის ტოლ-სწორი – მის უკეთესს რას ელის? –
არის ერთი ზეიმი – მომსვლელის და წამსვლელის!
არის ერთი გრიალი წამსვლელის და დამრჩომის,
არის ორომტრიალი სიბერის და ბავშვობის.
არის ერთი ყიჟილი სისხლისა და ხორცისა.
ტირილი და სიცილი – წასვლისა და მოსვლისა!

## *დედაშვილობა*

დედაშვილობა – სიტყვა-ღმერთის ხელგაშლილობა!
დედაშვილობა – უტკბილესი არის ჭრილობა!
დედაშვილობის ხსნადი ახსნა გაგიგონიათ?..
არა მგონია!

---

*წმ. ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩანინოვი: სიმდაბლითა მიიღწევა ყველა ცოდვის მიტევება“. (ყველა ავი – ქედმაღლითა!.. თავნებობის არ გაქვს ნება!)*

*ჟუან-იუან-ძიაო: ვერ მოაშლევინებ მედავითნეს – ანბანურ ჭეშმარიტებაზე ქაქანს, ბერიკაცს – გარდასულ დღეთა გახსენებას. უვიცს – ლექსების წერას.*
*მტყუნის!...*

პაგარა ბიჭმა უთხრა დედას – ნუ მოკვდები!..
როცა შენთან ვარ –
მაშინაც კი მენატრები?!...

* * *

როს ევრა და ვერ ევრება
სულს ხორცი და ხორცსა სული –
„უსასრულო კოშმარსა სჯობს –
კოშმარული დასასრული"!

* * *

„სიბერემდე... სიქაჩლეო!"
(თავი მოგვაქეს კიტრებად).
გაემელოტდით... რისი ყ....ეო –
თმიც კი აღარ გეიდგება!

* * *

ძველ თბილისურ კაცობას და
ნდობასა და განდობას –
„ტოს" ეძახდით ჩვენ ქუჩურად,
იმ ძველ ტოლერანტობას!
პოდა, ამ სიტყვითაც იცან
თბილისური სახეო –
ძმობით გეცნობდა დედამიწა,
წადი, ტოლი ნახეო!

* * *

დღევანდელი სტუმარი ხარ –
ხვალინდელი მასპინძელი –
ჭიქა მომიჭახუნე და
თუ ბიჭი ხარ, გამიძელი!
სადაც შენი – იქაც ჩემი
თქვი და არც ის დაგავიწყდეს –
გაარჩიო გულისცემით –
რა დარჩეს და რა დამიწდეს!

* * *

სიცოცხლეში...
თუ სიცოცხლე არ გაკლია –
სიკვდილიც კი
მშვიდობაში მოგახმაროს...
მოვა დრო და ცივ მიწასაც დაგაყრიან...
მთავარია – სიცილი არ დაგაყარონ!

*მერე თვლის!*

*ლაშა გახარია:*

*მიწაზე ვწერ და ცაზე ვათეთრებ. მაგრამ... სულ თოვლად მყრის კვალი. რა ნაგაკითხით ძმებს და ქალამ-ვრთებს. ვით მეძოგკად-რით ეს ნახევრა-ლი?!*

**P.S.** *ერთი-ორი თბილი სიტყვა ჩვენი დროის თბილისის, ჩვენი გამვლისნებ-ისა და ჩვენი გაკალმოს-ნებისს. (ძველის – არახა-ლის). ამ ქვეყანა... და რა ხანია – კარგ კაცს – კაცი ვერა ცნობს და კარგ კაცს არ გაუხარია. ორივე ხოვლეს ვეყდრებ როცა – აქ – ლექსს. იქ – შენს ხელსა ვლო-ცავ!*

*თამაზ ქადაძე:*

*ვერის უბანი. ხა-დაც. ალბათ. ყვე-ლაზე ძვირფასი წლები გავატარე. სხვა უბნებიდან. თავისთავადობით. თავისებური კო-ლორიტით გამორ-ჩეული კუთხე იყო თბილისის. ხამჯა-*

* * *

როცა შენს თავიან განმარტოვდები
და შენს საკუთარ ორეულს ხვდები —
შენ და შენს ღმერთსა მაშინა წვდები —
კაცი იყავი — ზეკაცი ხდები!
კაციც შენა ხარ —
ღმერთიც შენშია —
ღმერთიც და კაციც —
უფლის გენშია.

* * *

2009. 02.02. — 13.03.

„დრო, დრო აღნიშნეო!" — გალამ!

და მეც მივდევ თუ მომდევს დრო!

...მოდით ახლა და ვცადოთ, კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ ჩვენს გულში, თვალი ჩავიბრუნოთ სულში, სარკესავით ავირეკლოთ ის, რასაც ჩვენს გულში ჩაუხედია, ჩვენი გული შეუძრავს, ფიქრში აგვდევნებია და ყოველგვარი არქიტექტონიკის, ნესრიგის გარეშე დალექილა, დალაგებულა მეხსიერებაში და გადმოღვრილა ქაღალდზე. ეს, შეიძლება, იმასაც კი ჰგავდეს, ერთი რუსი დედაბერი მილიციის ნინ რომ აკივლდა: 40 ნლის ნინ მე აქ, ამ ადგილზე, გამაუპატიურესო!!! — მერე, ახლა ჩივითო? — ჰკითხა მილიციელმა. — ვინ ჩივის — „Просто приятно вспомнить"-ო.

რა დროა?...

უდროობის დროა და უჟამობის ჟამი. აღარც ნერა მინდა, აღარც — კითხვა, მაგრამ მაინც ვნერ და ვკითხულობ, რომ არ გადავეჩვიო და მერე ვინმემ არ თქვას — ეს რა უნერაობის ნერას აუტანია, მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებსო. ესღა გვაკლია, ახლა, საკუთარი ხელები გადავკიდოთ ერთმანეთს და ვაჩხუბოთ?! მახლას, ეს არის, ასე ვთქვათ, უთავბოლო, სტიქიური, მცირე რეპორტაჟი ტვინის ხუჭუჭებიდან, მეცნიერულად კი (როგორც, ფილოლოგიურში კი არა, ბიოლოგიურ მეცნიერებაში ახლახანს გადოქტორებული „სასნრაფო დახმარება" — ჩემი ახალგაზრდა რედაქტორი მკარნახობს) ყოველივე ეს ასე გამოიყურება თუ გაითვლებ-გამოითვლება:

„... ჰიპოკამპი პოლისენსორული, ასოციაციური სტრუქტურაა მრავალრიცხოვანი აფერენტული და ეფერენტული კავშირებით. აქ ხდება ქერქული, დიენცეფალური, მეზენცეფალური, საყნოსავი სტრუქტურების მოქმედების ინტეგრაცია. ამ ინტეგრაციის დარღვევა თრგუნავს ჰიპოკამპის ფუნქციას, რომლის აქტივობის კორელატი თეტა რიტმია.

ჰიპოკამპის თეტა რიტმის დროს ხდება ხანგრძლივი პოტენციაციის მექანიზმის ამოქმედება, რაც უზრუნველყოფს მეხსიერების კვალის ფორმირებას".

გაიგე რამე, მკითხველო?

---

*როდიონ ქორქია: მეგობრობა და ამხანაგობა საკუთარი თავის გაყოფაა... სიმარტოვემ ფუღურო ხედ მაქცია.*

ღმერთმა შეგარგოს! ალალი იყოს!...

მე კი ისევ ნეტარ ავგუსტინეს — 1600-ზე მეტი ხნის კაცის (ამ ხნის კაცს ნამდვილად დაეჯერება!) ქადაგებას თუ შევნედები ან ჩავნედები: „მეხსიერება არის სულის ერთგვარი საკუჭნაო, რომლის სენაკებში ინახება ხსოვნა „ნარმავალისა" (მზერით, სმენით, ყნოსვით, გემოთი აღქმულ საგანთა ხატებით) და ხსოვნა „ნარუვალისა" (ხატების გარეშე), ანუ გრძნობადი და ინტელექტუალური!... მდგომარეობას, როცა ჩვენი სული მოგონებას თუ ოცნებას ეძლევა, სულიერი ჭვრეტა ენოდება!... გახსენება (მოგონება) შეიძლება თვითნებური აქტი იყოს... გახსენება ჰგავს დაკარგული ნივთის ძებნას...

პოეტებისა და მნერლების მიერ შექმნილ ფანტასტიკურ სახეებს რომ გონების თვალი გადავავლოთ, დაერნმუნდებით, რომ ისინი სინამდვილეს არ შეესაბამება. ამავე დროს, ნარმოსახვისეული თავისუფლებაც უსაზღვრო და უსასრულოც როდია — მას არ შეუძლია რაიმე შექმნას... არაფრისაგან (ტყუილად კი არ ამბობენ ლათინები — „ექსნიჰილო ნიჰილ — არარაისგან (არ იქნება) არაფერი!).

„...როცა რაღაცის გახსენებას ვცდილობთ, მეხსიერებაში ვეძებთ იმას, რაც მოვისაკლისეთ, ესე იგი — გვახსოვს ის, რაც დაგვავინყდა!".

ჰოდა, გავიხსენოთ, თუნდაც ბუბას ის უკანასკნელი ყარაჩოღელი, „რაღაც" რომ უნდოდა ეთქვა!

სნორედ ამ „რაღაცეებს" მივტირი თუ მივცინი!

...ჩვენი უმაგალითო ცხოვრების სამაგალითოდ, ავიღოთ, თუნდაც, 2009 ნლის თებერვალ-მარტი! (02.02. — 13.03.)

ზამთრის მე-3 და გაზაფხულის პირველი თვე!

გავყვეთ თებერვლის ქარებს, გიჟ მარტს და ქარის მოტანილი ქარს არ გავატანოთ!

„თებერვალი დადგაო — ხეში ნყალი ჩადგაო....";

„მარტი თუ ნინ გიდევს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აგინებო!"

„თებერვალი ბერავსო, მარტი კაბას კერავსო..."

თებერვალი მერნყულების თვეა.

2-ში ჩემი აკვნის „ამხანაგის" თამაზ კალანდაძის დაბადების დღე იყო და რესტორან „ლორდში" მოვილხინეთ.

თან საქმე! ქართული მეღვინეობის მკვლევარმა, ბონდო კალანდაძემ (როგორც „დავით სარაჯიშვილის კრებულის" შემდგენელი და ამ საქმეში ფეხშედგმული კაცი), რამდენიმე დღით ადრე მიმინვია მისი ავტორობითა და დიდი რუდუნებით შედგენი-

ლი შეძლებისა და ხელმოკლე ინტელიგენციით დასახლებული. ბინასავით მყუდრო და საიმედო უბანში დიდი თუ პატარა ერთნაირად მშვიდად, უდარდელად და დაიმედებულად გრძნობდა თავს. სახლებიდან გამოყოლილი სიმყუდროვის მუქი თითქოს ხავერდოვანს ხდიდა ქუჩებს, იდუმალი სპექტაკლის დეკორაციებს ამსგავსებდა. ამ უბანში ბევრი კეთილშობილი პიროვნება ცხოვრობდა — მნერალი, მეცნიერი, მასნავლებელი. „ძველი ბიჭებიც" კი თითქოს საზოგადოებრივი ნესრიგის დამცველებად იდგნენ „ბირჟაზე". ყველა უძველესი ქალაქის მსგავსად, თბილისსაც თავისი დაუნერელი კონსტიტუცია ჰქონდა, ყველა მისი მოქალაქისთვის ერთნაირად სავალდებული. ეს დაუნერელი კანონები, იგივე მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ესტაფეტასავით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და, ამდენად, შეიძლებოდა, ერთგვარ გენეტიკურ კოდადაც ნარმოგვედგინა, რომელიც აახლოებდა და ანათესავებდა კიდეც

ლი ქართული მეღვინეობის ენციკლოპედიის „სერობაზე".

ამ საღამოზე მას, ჩემი სკოლის მეგობრის მამის — ამ დარგში ღვაწლმოსილი პიროვნების — ცნობილი მრეწველის და მოღვაწის, მისი გვარის დამამშვენებელი კაცის — დავით კალანდაძის მოღვაწეობის შესახებ, მადლიერი შთამომავლების სახელით, ველაპარაკე და ამ, დღემდე შედარებით უცნობი თემისადმი ინტერესი აღვუძარი. ასე ეძებს და ასე იკვალავს სანთელ-საკმეველი თავის გზას! არ არსებობს მომავალი — წარსულის გარეშე. ისტორია ერის მეხსიერებაა და გულმავიწყობას ვერ იტანს.

სდექ! აქ ოთხიოდ თვით უნდა გავასწრო მოვლენებს და ვთქვა, რომ ის დღე იყო და ის დღე — ქართული მეღვინეობის უანგარო მსახურმა და სწორუპოვარმა მემატიანემ ბონდო კალანდაძემ კიდევ ერთი ღვაწლმოსილი კაცი გადაარჩინა დავიწყებას და მაგიდაზე დადო მცირე, მაგრამ უაღრესად საინტერესო ახალი წიგნი: „ქართველი მეწარმე და მეცენატი დავით კალანდაძე!" და, ამრიგად, მეღვინეობის ეროვნულ მატიანეს შეემატა კიდევ ერთი „ბიბლიურივით" დავითის სახელი, ჩემი ცხოვრების პრინციპს კი... კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ „კარგი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო მას — ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც — ვინც იხსენებს!".

მცირე ამონარიდები ზემოხსენებული მონოგრაფიიდან!

„2008 წლის 12 დეკემბერს გაიმართა ჩემი წიგნის „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების" პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ ღვაწლმოსილი მეღვინეები, მეცნიერები და დარგში მოღვაწე სპეციალისტები. სტუმრებს შორის იყო ცნობილი ქართველი მწერალი, ეთნოგრაფი, პროფესორი გიზო ნიშნიანიძე. პრეზენტაციის ყველა მონაწილეს გადავეცი ჩემი წიგნი ავტოგრაფით. ორი დღის შემდეგ მირეკავს ბატონი გიზო და მაწვდის სასიხარულო ცნობას, რომ მან წაიკითხა წიგნი, ნახა აქამდე გამოუქვეყნებელი მცირე მასალა ბატონ დავით კალანდაძის შესახებ და შემატყობინა, რომ ის იცნობს მის ვაჟებს, თამაზ და გურამ (ტურკეცა) კალანდაძეებს. მომცა მათი კოორდინატები და საკონტაქტო ტელეფონები", რომ შემდგომშიც გაგვეგრძელებინა ამ ღვაწლმოსილი, დაუმსახურებლად მივიწყებული მამულიშვილის მოღვაწეობის კვლევა!... დავით კალანდაძე იყო 1920 წელს, პიატიგორსკში, სილამაზის კონკურსის სპეციალური „რაინდის პრიზის" მფლობელი. ამ პერიოდში ფართო მოხმარების საგნებზე ამოტვიფრული გახლდათ მისი სურათი — ნაციონალურ ჩაქურაში. რევოლუციამდელ საქართველოში ის ფლობდა ზესტაფონის და ოზურგეთის კონიაკის სპირტის სახდელ ქარხნებს, თბილისის სპირტის, კონიაკის და არყის ქარხანას, ადრე — ძმები სელიკანვოვების სპირტის ქარხანას; კომპანია „ძმები სესიაშვილების" მეწილე ოსკარ ზემელის აფთიაქის დამფუძნებელი და მეთვალყურეთა საბჭოს წევრი გახლდათ ცნობილი მეცენატი და ქველმოქმედი. ძველ თბილისს კარგად ახსოვს „დავით კალანდაძის" მემორიალური თეთრცხენებიანი ეტლი (მაშინ ფაეტონებს მათი პატრონის ვინაობა ეწერათ!). დავით კალანდაძის ნაირნაირი სასმელები და ხელგაშლილობა ახსოვთ მაშინდელ მდიდრულ რესტორნებსა თუ დუქნებს... მარტო მათი სახელების ნეტარხსენება რად ღირს: „გემო", „თეთრი დუქანი", „ლენე", „მეფისტო", „ტანც-გეურქა", „ნად-კუროი", „ტილი-პუჭურა", „ველიამინოვი", „ჭითავები", „სამადლო", „ბეთანია", „ტაბახმელა"; კახეთში — „ზუზუმბო", „ნადიკვარი", „შუამთა", „გომბორი", „აბელას დუქანი",

„ეელისციხე", „უტრუხუნე"; დასავლეთ საქართველოში — „ყირამალა", „დოდელიას დუქანი", „ჭალები", „გოგისვანიძეები", „ვერხვები", „ჭიშურა", „თხმელები", „ეკლები", „ჯარგვალი", „ოდა", „ფაცხა", „საბაყაყიე-სალობიე", „ცივი", „ნოეს ვაზი", „ლაითაძის დუქანი", „ერემოს დუქანი", „ქვაშავა" და სხვა.

სად ისინი და სად ჩვენი „ტანცგეურქები" და შანს-პეპლები!... და, აჰა, ისევ ჩვენს ტყავში — რესტორან „ლორდში" ვართ, მისი ანათალი სიყრმის პირველი შვილის 81-ე წლისთავზე! მააშ! ...ჩემი 0 ჯგუფიდან ძმაკაცის, თამაზ კალანდაძის დღეობაზე, რაც ჩვენი მომფერებელი კაცი — მამამისი ვაქე, ერთი იმდენი მისი შვილი ვაქიაქე! გაეუხსენე, როგორ შეხვედრია ერთხელ, სკოლიდან, თავის ბიჭბუჭებთან ერთად მომავალ ჩემს უმცროს ვაჟს (ახლა, მალხაზ გულიაშვილმა, პრესით, მილიონერ ბიზნესმენთა „პროსკრიფციულ" სიაში რომ მოიხსენია!) და როგორ „დაეხმარა", ასე ეთქვათ, „9 ძმას"... ერთი თხილის გულის გულიანად, ანუ 9-ად გაყოფაში?! 3 ბიჭს 14 „პონჩიკი" უყიდია და, რადგანაც 3-ზე ვერ გაუყვიათ, ბედზე, „ბიძია თომა" კი არა, თამაზ კალანდაძე შეხვედრიათ და მათი გაჭირვება რომ გაუგია... იქვე „გადაუწყვეტია პრობლემა" — 2 „პონჩიკი" შეუჭამია და ბავშვები კინკლაობას გადაურჩენია! (მისი „გამჭრიახობით" თითოეულს 4-4 „პონჩიკი" შეხვედრია).

...საქტელედან (პირველი არხი) დამირეკა მშვენიერმა ნათია ნულაძემ და დედანულიანად მოკითხვის შემდეგ, როგორც პროდიუსერმა, მთხოვა, ვნვეოდი მის ახალგაზრდულ გადაცემას („მოკლე ჩართვა"), რომელიც ისე „მოკლე" გამოდგა, რომ ვერც „ჩართვა" მოვასწარი, ვერც „გამორთვა" და სულის მოთქმა („ტექნიკური ხარვეზების გამო") გადაცემას რაღაც „ვირუსი შეეყარაო!"... შემომყარეს გულზე. ნავედით „მეორე ნრეზე" — შევხვდი ე.წ. თინეიჯერებს და ვინ „დამიჯერებს" — აღმოჩნდა, რომ ბაბუიდან შვილიშვილებამდე ისე დავშორიშორებულვართ ერთმანეთს, რომ მგონი, ვერც ვერაფერი გავუგეთ: ისინი ალთას იყვნენ — მე ბალთას. და, მაინც, როგორც იტყვიან — „კრება დარჩა მხიარული". მე კი დღემდე მომყვება სევდა — როგორ შეიცვალა დრო ძველი განზომილებით, ანუ ბაბუიდან შვილიშვილამდე! ერთ ენაზე ვლაპარაკობთ და (ბარბარიზმებისა თუ ჟარგონების გადამკიდე) ძლივს ვაგებინებთ და კიდევ უფრო ძლივს ვუგებთ ერთმანეთს. არადა, ასე ვთქვათ, „ბაბუის ეს გაკვეთილი" იყო თემაზე: „მეგობრობა გზად და ხიდად!". თუმცა, სამწუხაროდ, არც გზა

*მოქალაქეებს, მიუხედავად მათი მრწამსისა თუ სარწმუნოებისა.*

*„ლ.ს.", 2002. 11.04.*

*ღია წერილი:*

*დავით აღმაშენებლის „ანდერძის" სტრიქონებია:*

*„უფალო ღმერთო, დავით მიუძღვის ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი".*

*24-ე ფსალმუნში ვკითხულობთ:*

*„ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ"...*

*დავით წინასწარმეტყველი ღვთის რწმენით სძლევდა, უპირველესად, ბრძოლაში მტერს.*

*„ესენი ეტლებით და ესენი ცხენებით, ხოლო ჩვენ სახელითა უფლისათა ღმრთისა ჩვენისათვის ვხადოდით" — (მე-18 ფსალმუნი).*

*ბრძოლის წინ, დავით აღმაშენებელი ღვთის რწმენით უძლეველობას აღუთქვამდა ლაშქარს:*

*„თუ ღვთის სჯულის დასაცავად ნებიერად ვიბრძვით, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მომდევართ, არამედ*

ჩანდა და ჩატეხილი ხიდების დარდიც, გულში, ჩვენი დროის ერთი სიყვარულის ისტორიას მიღიღინებდა: „გამოღმით შენ ხარ — გაღმით მეო!". მაინც, რა გვჭირს ასეთი? თაობებს შუა ეს რა მღვრიე მდინარე თუ ნიაღვარი ჩამოგვეიდის?

...ვართ გამომწყვდეული ოთხ კედელში, უკანასკნელი სიტყვით აგინებენ და იგინება ქუჩაც. ზოგჯერ ფანჯრიდანაც აღარ მინდა გარეთ გახედვა. ციხედქცეული სახლის ყველა ოთახში, ყველა თავ-თავისი საკომუნიკაციო საშუალებით კლავს დროს — ზოგი ტელევიზორს უყურებს, ზოგი რადიოს უსმენს, ზოგი რომელ არხზეა — ზოგი რომელ ტალღაზე... ზოგიც კომპიუტერ „პენტიუმ-4"-ს დაოთხილი მისდევს ვირტუალურ სამყაროში... მახლას! სრული ქაოსია... სააქაოსი!

„ქუჩა-ქუჩა ალუბლებს ქარი თეთრად პენტავს" — მღერის რადიოში გოგი ცაბაძე.

„გაზაფხული მოდის და ზამთარს თეთრად ხვეტავს" — ვერითმები სააქაოდან საიქიოში.

...ქუჩიდან დიქტოფონით მეძახის ძველ გიზო ნიშნიანიძეს — ახალი გიზო ნიშნიანიძე და „ჩვენში დარჩეს" ხმაზე ფულს მთხოვს... 26 ნლის შვილიშვილი — 81 ნლის ბაბუას. (ნეტავ, პირიქით იყოს ან კიდევ უფრო უკეთესად — არცერთს არ გვქონდეს სამათხოვროდ საქმე! ასე უფრო სნორი და ლოგიკური იქნება!). ააშენებს ღმერთი იმ ერთ (ერთს თუ არა, ერთადერთს!) ჭორვილელ კაცს — ჯერ კიდევ კაცების სიაში რომ ვყავართ და „კუდიყავრზეგადებულ კაცებს" სახსარს გვიჩენს, რომ მეც, როგორც, „ირემმა ირემს", ჩემი მხრივ, „ბალახი მოეუკითხო" იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემს იმედზე არიან (შინაური თუ გარეშე, ახლობელი თუ შორებელი!). დედამინის ზურგზე არ არსებობს უფრო დიდი მადლი, ვიდრე კაცმა კაცს ლუკმა გაუყოს! მე-4 სართულიდან, ასე ვთქვათ ბაბუიდან — შვილიშვილამდე, „ნარნარად" ეშვება ქაღალდის ფული დედამინაზე, მაგრამ ეშმაკსაც არ სძინავს — ქაღალდის კუპიური მესამე სართულის ფანჯრის რაფაზე ეცემა. მინამდე კი, ჯერ კიდევ, 3 სართულია. დალახვროს ეშმაკმა! არც მეზობელია სახლში... მაგრამ, არც ქარის მოტანილსა და არც ამ ქარნალებულს, ისევ ქარი არ აყენებს მეზობლის ფანჯარაზე და, ჩვენდა იღბლად, ისევ ქარს მიაქვს ნიჭით გატენილი, მაგრამ ერთობ „თავქარიანი" ადრესატისკენ! (ესეც ბედია!).

... თითზე ჩამოსათვლელადღა დარჩა ჩემი მარაქის ხალხი — ჩემი ტოლები და სნორები! ხანდახან გაინკრიალებენ ტელეფონში (ხმაზე ვცნობ ჩემს „აბონენტებს"!). „ვინ მკითხულობს? ვინ დამეძებს? ვის ვუყვარვარ მე? აცრემლებულ თვალს ვაცეცებ, მოდი, ხმა გამე..." (ნოე ჩხიკვაძე). ახლა ჩემშიც „აყვავილდა ნუში"...

„... შენ, ჩემს ამბავს თუ იკითხავ — ვნერ ამ იგავ-არაკებს.

გამიხსენე, დამირეკე, გამომელაპარაკე!" — ისევ ლექსად იღრუბლებიან ფიქრები.

ეჰ, ვინ გკითხულობს?! ვინ დაგეძებს?!...

ჩვენს ასაკში ყოველი ნუთი აღრიცხვაზეა! თამაზ კალანდაძე 11 დღითაა ჩემზე უფროსი, მაგრამ დღესაც 11 ნლის ბიჭის ჭკუაზე და ხასიათზეა! ირაკლი მირიანაშვილმა (ისიც, 13 დღითაა უფროსი ჩემზე), ჩვენი არ იყოს, გვარიანად შეტოპა ასაკში, მაგრამ ვასაკასავით არ ყოყინებს და ბედს არ ემდურის (თუმცა, ბედის მორჩილიც არასოდეს ყოფილა — დააჭენებს თავის „ბედის ეტლს" — აღმა-დაღმა, ნამალს ვერ იტანს, სიბერეს არ იმჩნევს და იხტიბარს არ იტეხს).

მეც ვზივარ და ვნერ, რომ:

ხანდაზმული ვარ, ხან — არა, ხან არც ესა ვარ, არც — ისა —

რაცა მაქეს, ის არ მაწუხებს და, რაც არა მაქეს — არც ისა!

ან:

აღარაფრის დარდი აღარ მაწუხებს, დაეცხსენი ამ ცხოვრების მარწუხებს,

უდარდელის მარიფათიც გაჩვენეთ... რაღას ეუცდი? —

ისევ დარდი მაჩერების!

ჰოდა, ვის რად უნდა შენი დარდი — თავისიც ეყოფა!

ჰოდა, ვინ გკითხულობს? ვინ დაგეძებს?

ან მე ვის დავეძებ? პირველ რიგში, ჩემს ყველაზე, ყველაზე... ძმაკაცს — ომან ომანიძეს! ოთარა მგელაძის შემდეგ ის არის პირველი. ოთარას დროს კი, ჩვენს სუფრაზე ვინც არ უნდა ყოფილიყო თამადა... როცა არ უნდა შემოგვსწრებოდა, უსიტყვოდ ხდებოდა, ასე ვთქვათ — Смена караула! პირველი, ის იყო ჩვენი სიყვარულის დარაჯი. ომანა კი... თავისთავად, ომანაც საპირველკაცო კაცია! ერთ დროს რკინისმკვნეტელი ბიჭი იყო, ახლა სახლიდან ვერ გამოდის. სახსრებმა უმტყუნეს, მუხლებმა უღალატეს — ჩემს უღალატო ძმას!...

... 5 თებერვალს ოთარა მგელაძის დაბადების თარიღია. 39 წელი სააქაოში გაატარა — 42 წელი საიქიოში! და, დღემდე, ერთხელაც არ გაგვიცდენია მისი დაბადების დღე! ახლაც, ბევრი ვიფიქრეთ თუ ცოტა, მის ცოლ-შვილთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ ოთარის დაბადების დღე... ჩემთან გადამეხადა! (თუნდაც იმ, არც ისე უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩემს 4-სართულიან სახლს... ლიფტი აქვს და ომანასთან ქეიფის შანსიც გვეძლეოდა: მე-4 სართულამდე, ასე ვთქვათ, ხელისგულზე დაჯენილს ამოვიყვანდით!) თბილისი არც ისე დიდი ქალაქია და ხმა იმ დღესვე გავარდნილა ქალაქში და, ზემოხსენებულის მოქმედთ თუ ჩამფიქრებელთ, რესტორან „პურპურში", ნუგზარ ფოფხაძის პირით, სახალხოდ შეგვიქეს კაცობა (თუმცა, იყო დრო, როცა თბილისს ასეთი საქციელი არავის არ უკვირდა — ჭირიც ერთი იყო და ლხინიც!)

2009 წლის 5 თებერვალი კი, ეს იყო კიდევ ერთი ულამაზესი დღე, რომელიც ოთარა მგელაძემ სიხარულისა და სევდის ცრემლებად გვაჩუქა. მაინც, რა მოასწრო 39 წელიწადში ამ კაცადკაცმა, რომ ლამის, საუკუნეა, გვეყო საგზლად! აქ კი, მისი გარდაცვალებიდან 42-ე წლისთავზე, ქებასთან ერთად, პირველად ვაგინეთ კიდეც — ჩვენი ასე გამეტებისა და დაობლებისათვის.

ერთხელ, თურმე, სიკვდილის პირას მისულმა

თვით ეშმაკებსაც ადვილად დაამარცხებთ"-ო.

„კალმასობა", 2003, №5.

რჩევანი კაცობას:

თუ გამოგადგებათ რამეა. შემოქმედების ნამს, გთხოვთ მიმყევით ლამემი... რაც იქნენს მოვყლით. მნამს. და რომ მოგესმათ ჩემი ხმა- იმათ, ვინც პასუხს მცემს. დაუხვეთ ყველა მეკითხვა... წიგნებს დაწერილს ჩემს (თარგმანი კოტე ყუბანეიშვილისა).

ავტოექსპრომტი!

(თავზე და ხამეხზე ხელაღებული მწერლის!)

ვწერ, რადგან ვერ ვწერავ

და ვეღარ დავბიზავ:

მელექსებს — ველექსავ,

მეპროზებს — ვპროზავ.

რუსთაველს უთქვამს: „ნახეთ, თუ იქრო რასა იქმს. კვერთხი ეშმაკის ძირისა"-ო.

ნერონს, უარყოფით შეფასებათა მიღმა, ახეთი მე-

უბედურმა და უნიჭიერესმა პოეტმა შოთა ჩანტლაძემ ძმაკაცებს უთხრა: რომ მცოდნოდა, ასე გიყვარდით, უფრო მოეუვლიდი თავსო!

ოთარა მგელაძე ამასაც ვერ იტყოდა, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ უიმისოდ ვერსად ვძლებდით!

ზემოთ რესტორანი „პურპური" ვახსენე, სადაც ვასკა მჭედლიშვილის — დიდი დათიკოს (ერთ დროს ცეკას მდივნის, „კომუნისტის" ლეგენდარული რედაქტორის) უნიჭიერესი შთამომავლის „შემოქმედებითი საღამო" გაიმართა და ჰოი, საოცრებავ! — არა ბეჭდვით სიტყვაში, პუბლიცისტიკაში, პრესაში მისი დამსახურების, არამედ, ასე ვთქვათ, „გიტარასა და ჩქარ ტაშში!" — თურმე, რესტორნის მესვეურებმა (ააშენოთ ღმერთმა!) ნიკალა ფიროსმანივით შეივრდომეს ეს უსახლკაროდ დარჩენილი, ცხოვრებაში ფეხგადაბრუნებული კაცი და ამ საღამოსაც მისი სახელი დაარქვეს... დარბაზი ელიტარული საზოგადოებით იყო გადაჭედილი და სულ ვფიქრობდი, პაოლო იაშვილივით მომეხადა ქუდი (ვიღაც უპოეარისთვის ქუჩაში ხელი რომ გაიშვირა სამათხოვროდ) და მოწყალება მეთხოვა თბილისელებისათვის, რომლებიც ყოველთვის გამოირჩეოდნენ გულმოწყალებით, მაგრამ დღეს, მუცელქორობით თუ შიმშილითა და სიცივით გამოირჩევიან... ისე დააშინა დრომ, რომ ყველა დაშალა და გაათითოკაცა!

...ვერ გავრისკე. ამ ქალაქურად ნათქვამი მადლიანი სიტყვისა არ იყოს — იმ ერთი ქუდით ყველას ვერ დავახურე ქუდი, რომ გულში მაინც გვეთქვა — კაცი ვარ და ქუდი მხურავსო!

დღემდე ვერ მომიხარშია ეს ამბავი და დღემდე გულში მიდუღს!...

... აივანზე სუფთა ჰაერის, ასე ვთქვათ, „ფიქრთა გასართველ"-გასანიავებლად გამოვედი. აქედან ერთი ხელის გაწვდენაზეა მამა-ღმერთის, ძე-ღმერთისა და სულიწმინდის ტაძარი. ქალაქს ბინდისფერმა გადაკრა თუ არა, მაშინვე წამოენთო „სამება", როგორც სამშობლოს ხატის წინ დანთებული სანთელი და მისი ნათელი კაცის სულის ჯურღმულებს მისწვდა.

ჩემი სოლოლაკის გადასახედიდან ერთ ხელის გაშვერაზეა შურის ციხეზე გადმომდგარი ქართვლის დედაც და საქართველოს ისტორიისათვის (და არა მარტო მისთვის) დღემდე ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი სიკეთის მკეთებელი კაცის სასახლეც, რომლის დანახვაზე, სიკეთის დამნახველ კაცს მადლიერების ტაძარი დაუდგება თვალწინ, სიკეთე რომ ირწმუნო... სიკეთე უნდა აკეთოო! — ბრძანა ბებერმა ლომმა ლევ ტოლსტოიმ...

ვერ იქნა, ვერ დავეხსენი ამ სიკეთის მკეთებელ კაცზე ფიქრს, მისი ნახვის ნატვრას და ქვეყნის სათქმელი სამადლობელის თქმის სურვილს!

აგერ, ის — ვფიქრობ გუნებაში, — აგერ, მისი აშენებული „სამება", აგერ, მე და აგერ, „ტროპარი" ანუ ჩემი პირით სათქმელი ქვეყნის სათქმელი — სალოცავი ლექსი ამ სალოცავ კაცზე!

## „არალეგალურ ქველმოქმედს!"

სიკეთე აკეთე და ქვაზე დადევი,
როს სული ღვთისნიერ დაძარი,
ხარების ცრემლითა და ქვათა ქვითინით —
იმ ქვებით აშენე ტაძარი!

ეს ქვათა ღაღადი ძეგლია ხელთუქმნი...
ხელმოკლეს უმართავს ხელსა,
უჟამო ჟამი დგას დღეს ქვათა სროლისა...
შენ კი კელავ სიკეთეს თესავ!
როს კაცი, სინათლის და სიმართლისათვის,
ღვთისგან ღვთის წყალობას ელის,
ღვთის მადლით,
კაცს კაცის ხელის გამართვისთვის,
ღმერთმა მოუმართოს ხელი!!!
შენ შენი ჯვარიც გეყოფა ხატად და
გფარავდეს მაღალი ღმერთი!
მადლიცა პქენი და ქვაზედაც დადე
და...
სულიც აღგეიდგინე მკედრეთით!

ღმერთო, ბიძინა ივანიშვილი და მისი მსგავსი ქართველები უმრავლე და უბედნიერე საქართველოს, რომ საქართველომ იმრავლოს და იბედნიეროს! ეს, დღეს, ქართველებისათვის, სიკეთისათვის ხატის წინ სათქმელ სახალხო ლოცვად იქცა!

... ტელეფონის ზარმა მომასულიერა ფიქრიდან!

— გიზოს გაუმარჯოს! ბიძინა ვარ, კვერნაძე!

როგორ დანჯღრეულ ხასიათზეც უნდა იყო, ასეთი ზარი ხასიათზე მოგიყვანს კაცს! ბიჭობაში კახეთიდან რომ ჩამოვიდა თბილისში პირველად, მე ჩამოვართვი ხელი და ის ხელი, მერე, აღარც გამომირთმევია — მოვდივართ ასე, „ხელიხელაჩაკიდებული", ჩვენ-ჩვენი გზით, თუმცა, შორიახლო, მაგრამ ამ ურთიერთობას მეგობრობა თუ არა, ამხანაგობა... ამხანაგობა თუ არა, კაი ნაცნობობა მაინც ჰქვია! ამაზეც მადლობლები ვართ ღმერთის და აი, ღმერთმა ისევ შეგვყარა — დღეს უკვე საქვეყნოდ ცნობილმა კომპოზიტორმა, მისი ახალი ნაწარმოებისათვის, გადანყვიტა სიტყვა-ღმერთისა და ღმერთივით მუსიკის, ასე ვთქვათ, ძმად შეფიცვა და თავისი მუსიკისათვის ჩემი ლექსი ინება და, ისიც — ჩვენი თაობის კიდევ ერთი, ისტორიაგანაღდებული კაცის, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის „ქვათა ღაღადზე" — მის ძეგლთა სამშვიდობოზე! (თუმცა, დღეს აღარც ძეგლები გრძნობენ თავს მოსვენებულად!)

პირველი ნაბიჯი „სანოს" სტუდიისკენ იყო. პირველი მღელვარებაც ლექსისა და მუსიკის „შეჯ-

ფასებაც მიხვდებ: „არარაობა — საკუთარი თავის ხსნას... აგრესიული სიბრიყვით მეცადა" (ჟ.პ. სარტრი)

„მესაკუთრენი, რომლებიც დილით საკუთრებას ფლობენ, გულდამშვიდებულნი არიან, რომ საღამოზეც მესაკუთრენი იქნებიან, თავიანთ საქმეში გართულნი, ისინი სრულიად არ ზრუნავენ დროის საჭირბოროტო მოთხოვნებზე, მაგრამ მათი ფეხქვეში ოკეანის ზედაპირზე მოლივლივე ქვებს გავს, ყოველივე შეიცვლება... (შატობრიანი).

ცარიელ ქისეტიას:

მარტენ პაჟი რომანში „როგორ გავხდი იდიოტი", ერთ ადგილას ჩამოთვლის სახელოვან თვითმკვლელებს, დიდ ადამიანებს, რომელთაც... ჰყოთ სიმამაცე, თავად დაენიშნათ საკუთარი სიკვდილის საათი: ვირჯინია ვულფი, სენეკა, ჰემინგუეი, გი დებორი, კატონი, სილვია პლათი, დემოსთენე, კლეოპატრა, ლაფარ-

ვარებას" ახლდა — როგორ მოუხდებოდნენ, როგორ შეავსებდნენ ერთმანეთს.

მადლობა ღმერთს! — ყველაფერმა მოლოდინზე უკეთესად ჩაიარა, რაც, ალბათ, იმის ბრალიც იყო, რომ ჩემს ლექსებს მეც მუსიკა მანერინებს. ბავშვობიდან კარგი სმენა მქონდა და ვინ იცის, ვის აღარ შევეჯიბრებივარ ახალი მუსიკალური ფილმებიდან მელოდიის გამოტანაში!

მოკლედ, „სანოს" სტუდიაში, პირველსავე ცდაზე, ჩავწერე ლექსი და ჩვენი მასპინძლის „სასახლის" „გასამრჯელოდ" ერთი შეთავაზებაც მივიღე, რომ ჩემი ლექსების ფირფიტა გამოვეუშვა სათაურით — „პაემანი გიზო ნიშნიანიძესთან!" ენახოთ! ჭკუასთან ახლოსაა ეს წინადადება და ის ჩემი კრებულიც, რომელიც სულ ახლახანს გამოვიდა სათაურით — „მიგულე"!

...დავუბრუნდეთ, ღვთის ნებით — მერაბ ბერძენიშვილის, ბიძინა კვერნაძის და გიზო ნიშნიანიძის შემოქმედებით მემორიალს!

ასე და ამრიგად, განგებამ ინება და ერთი თაობის სამმა კაცმა, „სამების" მადლით (ჩვენს შეხვედრებს „სამების" ნათელი ადგა: ლამის, გულზე ხელის დადების მანძილზეა ჩემგან ცასა და მიწას შორის აღმართული ეს დიდებული ტაძარი), შეიქმნა ქვის, მუსიკის და ლექსის ალიანსი, რაც ობიექტივის თვალით დააფიქსირა ჩვენი შვილების თაობის კაცმა — ცნობილმა კინოხელოვანმა გრიგოლ ჩიგოგიძემ. მენანება, „კლიპად" მოვიხსენიო ძველი ვერელების ერთობლივი შემოქმედებითი „პაემანი" — ვაკის პარკის ნალკოტში, აბანოთუბანში თუ მთაწმინდაზე დანთებული ეს შემოქმედებითი ცეცხლი, რომელსაც ქუდად ახურავს ხმალივით მოქნეული და ძახილის ნიშანივით შემართული სათაური: „კიდევაც დაიზრდებიან!", რომელიც, ალბათ, „ჩქარა აბრიალდება" ცისფერ ეკრანებზე და ქართულ სულსაც წამოანთებს!

ქვა ქვისას იტყვის, მუსიკა — მუსიკისას, ლექსი კი ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს!

აი, ისიც და ქვასთან და ჰანგთან ერთად — აი, მისი სათქმელიც!

...კიდევაც დაიზრდებიანო ალგეთს ლეკვები მგლისანი,
თუმც, რისი მგლისი, ბოკვერნი ვეფხისა და მოყმისანი.
ბარტყები არწივისანი, უჟრრრ... ანგელოზნი ღვთისანი,
ბოლნისის გზაზე შემომხვდნენ ნატეხნი უტეხ კლდისანი.
მარნეულს გადმაველობნენ ხმლით ყრმანი თლილნი ქვისანი...
ამ მგლის ლეკვებში, მე... მერაბ ბერძენიშვილი
ვიცანი!
„ისწავლა სწავლის მძებნელმან, მიჰყვა დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამა, კვლავ ტკბილი", მოჰყვა დავითის ქებასა,
„თითზე ვართ ჩამოსათვლელნი, დასაკარგავი სად არი?"
შვილი მიჰგვარა დედასა, არ გაუცივა ღადარი...
დგას, ახლა, გურამიშვილი და ჩვენს ჭირ-ვარამს არჩევსა,
მკვდარიც ცოცხლებში სწერია, მადლი ღმერთს,
მადლი გამჩენსა!
დიდება აღმაშენებელს!
„ცოდვილთა ჰგვემდეს ცეცხლიო"...
„მართალნი ნეტარებდნენ და
აჰა, მირონ-ფიც ვერცხლიო!"

— როს სააკაძის ფარ-ხმალი დღესაც სამშობლოს მწედ არი,
როცა ჭიხვინებს ულაყი, მისი პატრონის მზე-დარი,
როცა ნოსტეში ლაგამს გლეჯს მისი ბრინჯაოს მხედარი...
გმირი, თუნდ ქვაში ცოცხლობდეს,
სოფელი — მაინც მხნედ არი!

...დღეს, სწორედ, ის დროა, ერთმანეთს ასე შევუძახოთ, რომ „ძველ ხანჯალს ელდა ეცეს" და სხვათა „მამლობა" ჩვენს დედლობას არ დააბრალდეს!

...საოცარი სინქრონი გამოვიდა და პირველმთქმელისა და პირველმსმენელის უფლებით ვთქვი — ხედავ, კაცო, როგორ ჩონგურივით ავეწყეთ ერთმანეთს-მეთქი. რაზეც კომპოზიტორმა, მისი მუსიკასავით ტკბილი, მაგრამ მაინც საქვეყნოდ ცნობილი „ბიძინასეული სარკაზმით" მოუძებნა სახელი: „ნაღდი დამთხვეულები ვართო!". ვის არ ახსოვს მუსიკაზე არანაკლებ პოპულარულ-მოარული მისი ქალაქური სატირულ-იუმორისტული ნკიპურტები. ერთ მის ქარაგმულ ნაკვესს აქვე შემოვუნახავ შთამომავლობას, როგორც „გრძელი სიტყვის მოკლედ" და იკლიკანტურად თქმის ნიმუშს! ვიღაც ბობოლას გასვენებაში, საპატრულო მანქანების (ანუ „კანარეიკების") ნივილ-კივილში, შავი ლიმუზინებით მოგრიალდა მთელი ე.ნ. ნომენკლატურულ-მაკულატურული სინკლიტი ანუ თანამდებობის პირთა ჯოგი. ...როგორც მობრძანდა, ისე ნაბრძანდა და ბიძინას სატირაც გაიყოლია: როგორც მოშავდნენ, ისე ნაშავდნენო! ასე, მოკლედ და კონკრეტულად, მსგავსი იშვიათად თქმულა და გაგონილა!

... ხშირად მიმათრევს ფიქრი მოგონებების ჯურღმულებში და გარდასულ დღეთა სამოთხის ცხრაკლიტულის კარებებს მილებს...

... გარეთ კი „ინგრევა" სუყველაფერი. პოზიცია და ოპოზიცია ჭამს ერთმანეთს.

... მოდის გაზაფხული დაზაფრული იებით! — ვიჭერ სტრიქონს და ვინერ ქაღალდის ნაგლეჯზე...

და იქვე —

თქვენო უმრავლესობავ! თქვენო უმცირესობავ!

მოეშვით, ამ სიგიჟეს — თუ გსურთ უკეთესობა!

... რადიო „უცნობში" თუ „ნაცნობში" თბილისის სახსენებლად და გასახსენებლად მეძახის ვერ-

გი. ყურად დე ნერვალი. მერილის მინრი. ყილ დელეზი. სეეფან ცვაიგი. მისიმა. ანრი როირდა. იენ კერციხი. რომენ გარი...

უნებლიეთ უმატებ ამ სიას იმით სახელებს. ვის საშელისნერი გადანუეცილებისაც არაფრიხელ დაეფიქრებისარი: გალაკციონი. პაოლო იაშვილი. პაოლის ნახევარი ძმა მაიაკოვსკი. მაიაკოვსკის ანციპლდი ესეხინი. ცეეცაეეა...

სხვამაც ბევრმა დაინიშნა სიკვდილის სააში თავად — თუნდაც. იმავე სერგი ორჯონიკიძემ. იმავე პეცლერმა. იმავე გერინგმა. იმავე.. და ასე შემდეგ! მაგრამ ისინი ვერ იწვევენ ჩვენში თანალმობის გრძნობას. სიკვდილისთვის ჩვენ მხოლოდ ნამდვილი ადამიანები არ გვემეცებს!

ცყეილია. ოცნებას კიცი არ მიეკლება! ვინ არიან მაშინ ეს ხაწყალი პიეცები!

„პარნასი" 2005. 7-20 ოქტომბერი.

ისუბნის თავკაცის — ლეგენდარული (სრულებითაც არ ვაჭარბებ!) დოდო აბაშიძისა და ქალის, რომელსაც „საქართველოს დედოფლობა დამშვენდებოდა" — მარინა ახვლედიანის შვილი, ცნობილი ისტორიკოსი და ღირსეული მამულიშვილი ზაზა აბაშიძე.

ამას წინათ გაზეთში წავიკითხე მისი შემაშფოთებელი წერილი — „ლამისაა გავიქცე საქართველოდანო" (?!) და სულით-ხორცამდე შემძრა. სამშობლოს სად გაექცევი, სამშობლო როგორ შეელევა ასეთ კაცებს? ვერ იქნა და ვერ ჩაითრიეს მორევში! მადლობა ღმერთს, რომ კაი საქმისთვის მოუკიდია ხელი და ეს გადაცემა მიჰყავს. დანიშნულ დროს, დანიშნულ ადგილზე დავერჭე და კაი ერთი საათი შევიქციეთ ერთმანეთიც და მსმენელიც. ბოლოს, ჩვენი სახალხო გულახდილობა (ვინ იცის, თბილისის სიყვარულში რამდენი ჩვენსავით ჩამნვარი მსმენელი გვყავდა!) იქამდისაც კი მივიდა, რომ ისიც გავიხსენე, ერთ დროს, ერთი ჩვენი უმცროსი ძმაკაცის, ერთი ბაყბაყდევივით დიდი, მაგრამ, ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ პირზე რძეშეუმშრალი ბიჭისთვის ანუ მეცხრეკლასელი ვალნინ ცხოვრებაშვილისათვის, ერთ მშვენიერ დღეს, როგორ ვაპირებდით დედამისის — მარინა ახვლედიანის მოტაცებას!... აპა!!! ამის გაგონებაზე ზაზამ ანუ ინტერვიუერმა კინაღამ „ხანჯალზე" გაიკრა ხელი და... ისტერიკული სიცილი აუვარდა. და, მერე, სად ხდებოდა ეს და რა ხალხი იყო გარეული ამ საქმეში! ცოდვა გამხელილი ჯობია! ეს ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის „პახმელიაზე", ლენინგრადის ქუჩაზე, ჟენია პრიმაკოვის — საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, კაკო კარანაძის (შემდგომში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის), თბილისის მშვენება, კარლო იმედაძის, ჩემი და თავად ვალნინ ცხოვრებაშვილის თანდასწრებით, მათი ინიციატივითა და... ბოლოს — თუ არ მოხდა... არ მოხდა თავად ნორჩი „სასიძოს" „ქვეშიდან გამოსვლის" გამო — მაიცათ!.. ჯერ სკოლის ატესტატიც არ ამიღიაო!... ჰოდა, ვის რად უნდოდა „უდიპლომო სასიძო"?! (მერე, ამ სახელწოდების ცნობილი კონოფილმის, ასე ვთქვათ, ანალოგად რომ იქცა!

ეჰ, რა არის ეს ცხოვრება!

კაცი დაიჯერებს იმას, რასაც ახლა მე საქვეყნოდ ვყვები?..

მაგრამ მოგონების მადლიც ხომ შენდობაშია!

ჰოდა, იმას ვამბობდი!

...დამირეკა ქალბატონმა მედეა ქელბაქიანმა, რომელიც ჩემს ვერელ დაქალზე, ცნობილ კომპოზიტორ ნუნუ დუღაშვილზე წერს წიგნს და „ორიოდ თბილი სიტყვა" მთხოვა. მეთქმოდა და ვთქვი:

...როგორც კი გავიგე, რომ ნუნუ დუღაშვილზე წიგნი იწერებოდა, მაშინვე ამიცეკვდა კალამი.

რაც, მარტო, მის გვარში ბადაგი „დუღს" და მტევნებად იწურება... ქვევრს გახეთქავს!

ლამაზი ქალია ნუნუ და ლამაზ სიმღერებს წერს — წეროსავით რომ ავყავართ ცაში და ცხელ გულზე „იმერეთის ნიავივით" გვიბერავს.

ასეთი ქალებისთვის მოიგონა ილიამ სიტყვა „დედაკაცი"! თორემ, ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ „კახეთი" კაცის კი არა — ქალის დანერილია?!

---

*გოეთე: ვინც ეძებს ჭეშმარიტებას, ჭკვიანია; ვინც ამბობს, ვიპოვეო — სულელი!*

სანამ „პაემანს ვერაზე" გავემართავდით, ჩვენი პირველი შემოქმედებითი პაემანი იყო „ჰიმნი სიცილს", რომელიც ანსამბლმა („მხოლოდ შენ ერთს") დააგუგუნა — მხოლოდ იმ ერთისთვის, რომელსაც საქართველო ჰქვია:

სიცილით ვინც კვდება —
ის დიდხანს ცოცხლობს.
სიცილი უხდება —
ისკეოქონდროზს!!!

...ვერაზე ჩვენი თაობის „პაემანის" ცოცხალი ძეგლი — ნიაზის და ნუნუს ლექსისა და მუსიკის „პაემანი" იყო (ჩემი თამადობით!)

„მე თბილისის მოტრფიალე ვარ!" — მღერის ნუნუ.

„ფიროსმანის შესანდობარს ვსვამ!" — ამბობს ნიაზი.

— რა ჰქვია ამას?

— მონატრება დედის და შვილის:

თბილისში ვცხოვრობ და თბილისში დავეძებ თბილისს! — ვამბობ მე.

...ალალი იყოს — ალალი სიტყვა — ალალ სიყვარულზე!

ღმერთმა ქნას, ისე ემღერებოდეს ქართველს, როგორც ნუნუ დულაშვილი უმღერის საქართველოს!

* * *

...მანთაშევის „ბიზნესშთამომავალმა", ჩემმა ღვიძლმა შვილმა შემომაპარა, რომ მის ბიზნესცენტრში იხსნება „ქორწინების დარბაზი", რომელსაც ძალიან მოუხდებოდა ჩემი ანტიკვარული სანერი მაგიდა!

ალალი იყოს! — გავიფიქრე გუნებაში. ეს მაგიდა მე ნახევარი საუკუნე მემსახურა და ზუსტად ამდენივე დროა — რაც ვემსახურები!

მომავალში კი, ამაზე უკეთესი რა უნდა გააკეთოს — დარჩეს გულების კავშირის, სიყვარულის, ქორწილების ავტოგრაფებისათვის!

და, აი, უკვე შეუდგა საქმეს. დგას იგი ქორწინების სახლში, ოქროსფერ ფირფიტაზე ამოტვიფრული გულის ნაკანრი ნარნერით:

„ამ მაგიდაზე დაინერა „პაემანი ვერაზე".

ფეშქაში იყოს!

დღეიდან იგი ქორწინების სამოქალაქო აქტებისაა, რადგან არ არსებობს უფრო დიდი მნერლობა, ვიდრე ჯვერისნერაა.

გაგიმარჯოთ!

გიზო ნიშნიანიძე
13.02.09.

ლეღა ჯაყამბადა:
კრწანისის ომში, მავხილდელებმა, 300 ლეგენდად ქცეული მეომარი ჩამოიყვანეს არაგვის ხეობიდან.

ასზე მეტი მარტო ნიკლაური დაეცა ბრძოლის ველზე. მავხლოვეულს და გედამყარს ყველაზე ნმინდა რამ აკავშირებს ერთმანეთთან — სისხლი და ცრემლი.

ვერდება. მექსიკა პირველებს ყოლიას!

...გალაკტიონმა ორიგინალურად დააკავშირა მექსიკის პოეზია და პოეზიის მექსიკა!

XX ს. მსოფლიოში აღიარებულ 5 პოეტს შორის გალაკტიონი უმაღლეს მწვერვალად მიჩანს. ფრანგი მალარმე, გერმანელი რილკე, ინგლისელი ელიოტი, რუსი მაიაკოვსკი და ქართველი გალაკტიონი ის სახელებია, რომლებმაც თავიანთი საუკუნის საზღვრები გადმოსწიეს XX საუკუნეში. გალაკტიონი წარსულთან ზურგშექცევით და

* * *

ნეტარი ავგუსტინე (დაიბადა 354 წელს, სამხრეთ ნუმიდიის პატარა ქალაქ ნოგასტაში) იყო ჰიპონიის უკანასკნელი ეპისკოპოსი. მან საკუთარი თვალით იხილა საყვარელი ქალაქის სიკვდილი. „განგვაქიქონ, ვიდრე ჩვენი აზრები ხალხისათვის გაუგებარი იყოს!" — ამბობდა იგი.

საოცარია დედის უკანასკნელი საუბარი მასთან: „ერთადერთი მიზეზი იმისა, რომ ამქვეყნად დიდხანს მეცოცხლა, ის იყო, რომ სიკვდილამდე მეხილე მართლმადიდებელ ქრისტიანად."

მავრიტანიაში, ავგუსტინეს მეცადინეობით, აღიკვეთა საშინელი ადათი, რომლის დროსაც ქალაქის მცხოვრებნი ორ შეიარაღებულ ნაწილად იყოფოდნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ.

მის მაგიდაზე ასეთი სიტყვები ეწერა: „ვისაც უყვარს ზურგს უკან ყვედრება სხვათა ცხოვრებისა, იცოდეს, რომ ეს მაგიდა ამხილებს მას." მისი ქადაგებები განკუთვნილი იყო უბრალო მეთევზეებისა, ხელოსნებისათვის და არა ანტიოქიელი თუ კონსტანტინოპოლელი არისტოკრატიისათვის. ამ ქადაგებათა უბრალოება მეტად ახლოს იყო სახარების სულთან.

ნეტარი ავგუსტინე მრავალი საკვირველი ჩვენების ღირსი გახადა უფალმა. მის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოვლენა იყო ყრმა იესოს ხილვა, რომელსაც სურდა, მთელი ოკეანე ერთ პატარა ქვიშის ორმოში მოექცია. სწორედ ამ დროს ავგუსტინე ცდილობდა, საკუთარი გონებით ჩასწვდომოდა წმიდა სამების საიდუმლოს.

ცოტა რამ სიცოცხლის მოძღვრებიდან, ანუ ბიოლოგიიდან, რომელშიაც, შეძლებისდაგვარად, განმანათლა ჩემმა მთავარმა რედაქტორმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა გულქან ხიხაძემ. მან ბუნების მოძღვრებიდან ანუ ფიზიოლოგიიდან ყურადღება გამიმახვილა ბუნების-მეტყველებაზე!

## ნეტარი ავგუსტინე მეხსიერების შესახებ!

მეხსიერება არის სულის ერთგვარი საკუჭნაო, რომლის ცალკეულ სენაკებშიც ინახება მთელი მისი შინაარსი. მეხსიერების 2 სახეა: ხსოვნა „წარმავალისა", რომელიც ხორციელი გრძნობებით (მზერა, სმენა, ყნოსვა, გემო, შეხება) აღქმულ საგანთა ხატებებთანაა დაკავშირებული, და ხსოვნა „წარუვალისა", რომელსაც ამნაირი ხატებები არ სჭირდება.

მეხსიერების პირველი სახის შემადგენელია: 1) გრძნობებით აღქმული საგანთა ხატებები, რომლებიც სხვადასხვა გზით შემოდიან ჩვენში და მეხსიერების ინტიმურ „სენაკებში" ინახებიან, რათა მოგონებისას ხელახლა ამოტივტივდნენ სულის სიღრმეში; 2) ჩვენი უწინდელი სულიერი მდგომარეობანი — შიში, ტკივილი, სიხარული, მწუხარება, ვნება და სხვა. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით დავიწყებაზე: დავიწყება შეუძლებელია მეხსიერებაში ინახებოდეს, რადგან მთლიანად გამორიცხავს მას. მაგრამ, ჩვენი დავიწყება რომ სრული იყოს, ალარაფერი გვემახსოვრებოდა მის შესახებ და, მაშასადამე, ვერც ვერაფერს გავიგებდით, როცა მასზე გველაპარაკებიან.

მეხსიერების მეორე სახეში შედის ის, რასაც ხატება, სივრცული გარშემოწერილობა და კონკრეტული თვისებრივი განსაზღვრულობა არ გააჩნია. მაგ. მარადისობის ცნება ყოველთვისაა ჩვენს სულში ისე, რომ ხატება არ სჭირდება, რათა მოგონების საგნად იქცეს; ჩვენი გონებრივი მოქმედების ყველა ნაყოფი — ცნებები თუ იდეები, მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებული ჭეშმარიტებები, რიცხვების ათასნაირი თანაფარდობანი და სხვა, რომლებსაც ვერცერთი ხორციელი გრძნობა ვერ აღბეჭდავდა ჩვენს სულში, რადგან მათ არც ფერი აქვთ, არც სუნი, არც გემო, არც ხმიანობენ.

მეხსიერების პირველ სახეს ნეტარი ავგუსტინე გრძნობად მეხსიერებას უწოდებს, მეორეს კი — ინტელექტუალურს. შეგრძნებების შემდეგ სულში ჩარჩენილ ხატებებთან დაკავშირებული მეხსიერება ცხოველებისთვისაა ნიშნეული: მერცხლები თავიანთ ბუდეებს უბრუნდებიან, მხეცები — ბუნაგს და ა. შ., რაც შეუძლებელი იქნებოდა, მათ სულში რომ არ რჩებოდნენ იმის ხატებანი, რასაც გრძნობებით აღიქვამენ. მაგრამ, უტყვ ცხოველთა ხატებანი ამით ამოიწურება.

მეხსიერების ფუნქციებია: 1) დამახსოვრება; 2) გახსენება (მოგონება) და 3) წარმოსახვა. პირველი (დამახსოვრება) შინაარსით ავსებს მეხსიერებას; მეორე (გახსენება) მეხსიერებაში დაცული ხატებისა და აბსტრაქტული ჭეშმარიტების ზუსტ რეპროდუცირებას ახდენს; მესამე (წარმოსახვა) თვითნებურად ცვლის რეალურ საგანთა ხატებებს, რომელთაგანაც ჩვენი ფანტაზია ზოგჯერ, მართლაც და, ფანტასტიურ სურათებს ქმნის.

ადამიანის სული, მისი განსხეულების მომენტიდან, ინახავს ღმერთს. აქ თანაარსებობასთან გვაქვს საქმე. დამახსოვრებასთან მხოლოდ წარმავალის ხსოვნაა დაკავშირებული. დამახსოვრების აქტს, რისი წყალობითაც მოცემული საგნის ხატება (გრძნობადი მეხსიერება) ან ახლად შექმნილი განყენებული იდეა (ინტელექტუალური მეხსიერება) მეხსიერების კუთვნილება ხდება... მატერიის, ფორმისა და მათი შემაერთებელი ნების ურთიერთქმედება განაპირობებს. ამ სამეულში მატერია არის მეხსიერება, რომელიც ცალკე ისევე განუსაზღვრელი და უშინაარსოა, როგორც მზერა, თუ მას მის მიერ აღქმული საგნისაგან

*პირით მომავლისაკენ დგას და ელოდება ღირსეულ მემკვიდრეს...*

*-ლ.ს.". 25.06-1.07.2004.*

*მესამე რაიხის კანცლერი ადოლფ ჰიტლერი და მისი პროპაგანდის მინისტრი იოზეფ გებელსი პროპაგანდას სასწაულმოქმედ ძალად თვლიდნენ და ამბობდნენ, რომ მისით კაცს ჯოჯოხეთს სამოთხედ მოაჩვენებდი! საბჭოთა პროპაგანდას კი, ამ მხრივ, ბადალი არ აღმოაჩნდა. ნახევრად ხუმრობით თუ ნახევრად სერიოზულად — ლოზუნგომანიამ საბავშვო ბაღებამდეც კი მიაღწია. გინდ დაიჯერეთ-გინდ არა - ერთ საბავშვო ბაღს, თურმე, ასეთი ტრანსპარანტიც კი ამშვენებდა: „სსრკ-კაკა... ამერიკა - ყაყა! ( ანუ, პირი აქეთ მიქნია... პირიქითააა!)*

*მეტაფიზიკოსი მალბრანში [illegible] წერდა, რომ [illegible] სისხლის აბაზანები [illegible] წამალ მიაჩნდათ.*

*შეიძლება სწორედ*

დამოუკიდებლად აღვიქვამთ. ფორმა საგნის ფსიქოფიზიკური ხატებაა, რომელიც აღქმაში გვეძლევა. ნება განსაზღვრავს შეგრძნებას და ურთიერთკავშირს ამყარებს გრძნობის ორგანოებსა და შეგრძნების საგანთა შორის.

გახსენება (მოგონება) მეხსიერებაში დაცული საგნის ხატების რეპროდუცირებას ახდენს (თუ ის ჯერ კიდევ არ ნაშლილა მეხსიერებაში, ანდა, შეძლებისდაგვარად, აღადგენს მას, თუკი ის მხოლოდ ნაწილობრივ იქცა დავიწყების ნადავლად). დავიწყება ერთბაშად კი არ ნთქავს მეხსიერების შინაარსს, არამედ თანდათანობით... გახსენების პროცესი, ისევ და ისევ შეგრძნების ანალოგიურად — მატერიის, ფორმისა და მათი შემაერთებელი ნების ურთიერთმოქმედებით აიხსნება. მდგომარეობას, როცა ჩვენი სული მოგონებასა თუ ოცნებას ეძლევა, სულიერი ჭვრეტა ეწოდება... გახსენებას იმავე საგნის არამატერიალური ხატება შეესაბამება, რომელიც მეხსიერებაშია დაცული. ეს ხატება შეიძლება არც კი იქცეს გახსენების (მოგონების) საგნად, ისევე, როგორც მატერიალური საგანი შეიძლება მზერით აღუქმელი დარჩეს, თუკი მეხსიერება და მზერა სხვა რამისკენაა მიმართული. მატერიალურ საგანთა ჭვრეტისას სული თვალის გუგებიდან წამოსული სინათლის სხივებით („თვალთა სხივები") მოსინჯავს საგანს. მოგონების უნარიც იგივე სხივია, რომელიც რაღაცას იხსენებს ან იგონებს. ის, თავისთავად, ყოველგვარ განსაზღვრულობას მოკლებულია და მხოლოდ მაშინ იძენს გარკვეულ ფორმას, როცა მეხსიერებაში დაცული საგნების ხატებას აშუქებს, და აშუქებს მანამ, სანამ სხვა ხატებაში არ გადაინაცვლებს. ნება კი მეხსიერების სენაკისკენ მიმართავს ამ სხივს, რათა მისი მეშვეობით მოსინჯოს მეხსიერების შიგთავსი.

გახსენება (მოგონება) შეიძლება თვითნებური აქტი იყოს. არცთუ იშვიათად, ნება შეგნებულად დაეძებს დავიწყებულს, რათა შინაგანი სულიერი მზერით იპოვოს იგი. ამ თვალსაზრისით გახსენება ძალიან ჰგავს დაკარგული ნივთის ძებნას: ადამიანს საერთოდ რომ არ ხსომებოდა ის, რაც დაკარგა, ვერ შეძლებდა მის მოძებნას, ხოლო შემთხვევით რომ ენახა, ვერც კი იცნობდა. მაგრამ ნივთი მთლიანად როდია დაკარგული. ადამიანს სულში ჩარჩა მისი ხატება. ძებნისას სწორედ ამ ხატებას ადარებდა ყველა ნივთს, რასაც კი წააწყდებოდა და, ამრიგად, რწმუნდებოდა, რომ ეს მისი ნივთი არ იყო. რაღაც ამგვარი ხდება ჩვენს სულშიც, როცა რაღაცის გახსენებას ვცდილობთ. მეხსიერებაში ვეძებთ იმას, რაც მოვისაკლისეთ, მაშასადამე, გვახსოვს, რაც დაგვავიწყდა. დავიწყებისას (რომელიც ბუნდოვანი გახსენების შესაძლებლობას მაინც გვიტოვებს) ყველაფერი კი არ ეძლევა დავიწყებას, არამედ მხოლოდ მთელის ნაწილი. სწორედ ამ დავიწყებულ ნაწილს ვეძებთ იმის მეშვეობით, რაც ჯერ კიდევ არ ნაშლილა მეხსიერებიდან: როდესაც ნაცნობს ვხვდებით და მისი სახელის გახსენებას ვცდილობთ, ვინ მოთვლის, რამ-

---

*იყავი ბატონი – შენი ნებისა და ყმა – შენი სინდისისა!*

*ბალზაკი: ადამიანს სიჭაბუკე... სიბერის უზრუნველსაყოფად მიეცა!*

*მაკიაველი: ადამიანს მეტყველების ნიჭი ებოძა აზრების დასამალად.*

დენ სახელს გადავთვლით და მიყოლებით ყველას უარვყოფთ, თუკი ამ სახელს ნაცნობს ვერ ვუკავშირებთ. ხოლო, როცა ცნობიერებაში ნამდვილი სახელი ამოტივტივდება, მაშინვე ვამჩნევთ ჩვეულ კავშირს და ვმშვიდდებით. მაგრამ, თუ დავიწყებამ მთლიანად შთანთქა ხატება, გახსენების სურვილიც კი არ აღგვეძვრის..."

ამ დავიწყება-გახსენების „ექსპერიმენტს" მეც კი მოვუძებნე ეს ერთი გასაღები: თუ ვინმეს სახელი თავიდან ამომივარდა — მაშინვე ვიწყებ მის ირგვლივ სამახსოვრო მოვლენების, სახელების, საგანთა გახსენებას და მაშინვე ნამოტივტივდება საძიებელი ანუ ის გამო...სკლეროზებული სახელი!

მოკლე ლირიული ჩართვა:

მახსოვს, რაც დამავიწყდა — ვერ ვივიწყებ, რაც მახსოვს...

კალამ-ყაისნაღი კი ამ ჩემს ფიქრებს ქსოვს და ქსოვს...

ჩემს ნარსულ და ანმყოსთან ვმასლაათობ, ვკამათობ —

სიყრმის მზე მიცინის — ხან... თეთრად ბარდნის და მათოვს!

„...რაც შეეხება მეხსიერების მესამე ფუნქციას — ნარმოსახვის ქმედითობა უჩვეულო თავისუფლებითა და თვითნებურობით გამოირჩევა. საკმარისია, გონების თვალი გადავავლოთ პოეტებისა და მნერლების მიერ შექმნილ ფანტასტიურ სახეებს, რომ ვრნმუნდებით, მათ სინამდვილეში არაფერი შეესაბამება. მაგრამ, ამავე დროს, ნარმოსახვისეული თავისუფლება უსაზღვრო და უსასრულო როდია: მას არ შეუძლია რაიმე შექმნას... არაფრისგან. რაგინდ შორს უნდა იდგნენ მისი ქმნილებები რეალობისგან, მათში ყოველთვის შეიძლება აღმოვაჩინოთ ნამდვილ აღქმათა ელემენტები. ხოლო როცა ამ უკანასკნელთა ნატამალიც არსადაა, ნების ვერავითარი ძალისხმევა ვერ გამოინვევს სულში შესაბამის ხატებას. ბრმადშობილს არავითარი ნარმოდგენა არა აქვს სინათლესა და ფერებზე... გონებას, დიახაც, შეუძლია, უსასრულოდ გააგრძელოს სხეულის თვით უმცირეს ნანილაკებად დაყოფა-დანანევრება, მაგრამ ნარმოსახვა მაშინვე ტოვებს მას, როცა დაყოფა მზერისთვის მისანვდომ ან გასარჩევ ზღვარს გადალახავს. ამრიგად, ნარმოსახვისათვის აუცილებელია მასალა ანუ მეხსიერებაში დაცული რეალურ საგანთა ხატებანი. სამაგიეროდ, ნარმოსახვას შეუძლია თავისუფლად შეცვალოს, დააჯგუფოს,

აქ აგზავნიდა ამ-ხალოში მერმანს კუკლოვების წყლის ჩამოსაყვანად (თუმ-ცა კუკლოვების წყლები — ბორ-ჯომი, საირმე, ზვა-რე, ლიკანი, ნაბეღ-ლავი... ჩვენ რომ გვაქვს, ისეთი უნ-და!).

თემურ ლენგისა და ჩინგიზ ხანის მეომრები უწყლო ცრამალეებში თვი-ანთ ცხენებს. თურ-მე, ცხენების სისხ-ლს ასმევდნენ. ახ-ლა კი მათი შთამო-მავლები! ლიკანში, ბორჯომის მინერ-ალური წყლის პირ-ველწყაროდან მო-ირთმევენ კუკლოვე-ბის სასმელს და ახალ მეგობრებად ქცეული ძველი მტ-რები პირში მო-ყვრულად გვძრა-ხავენ: ამ სამოთხ-ეს რომ ყიდით, უკეთეს რას ყიდუ-ლობდით?

ქამარი — სუ-ლისა და ხორცის საზღვარია.

ჩემმა კოლეგამ, სულგანათლებულმა გიორგი ბეზიროვანმა თქვა: ზოგი ცოლემ-ბამი სადღეგრძე-ლოთი იწყებს და მეხანდობარით ამ-თავრებსო!

მანვე მითხრა ი-

დაანაწევროს, გაამრავლოს, გაყოს, მკაცრი წესრიგით დაალაგოს, ან არიოს ერთმანეთში ისინი, აიღოს ერთი ხატების ნაწილი და მეორეს მიუსადაგოს.

მეხსიერება დიდ როლს ასრულებს შემეცნების პროცესში. საგნის მთლიანი ხატება მხოლოდ მეხსიერების წყალობით ითხზევება (ყველა ამ მომენტს რომ ინახავს და ინარჩუნებს).

მეხსიერების მნიშვნელობა კიდევ უფრო არსებითია სმენითი აღქმისას. მასში რომ ბგერების ნაკვალევი არ რჩებოდეს, ვერცერთ სიტყვას ვერ გავიგებდით. სიტყვა მხოლოდ მთლიანად თუ შეიძლება იყოს ცნების ნიშანი ან ურთიერთობის საშუალება. მაგრამ, ყოველი სიტყვა მარცვლებად იშლება, მარცვლები კი — ბგერებად. თვით ორმარცვლიან სიტყვასაც კი ვერ აღვიქვამთ ერთდროულად, რადგანაც მისი მეორე მარცვალი მხოლოდ მაშინ ახმიანდება, როცა მიჩუმდება პირველი, ხოლო ის, რაც ერთდროულად არ ხმიანებს, ერთბაშად ვერც სმენით აღიქმება! დროის უსასრულო დაყოფადობის გამო, არა მარტო მთელი სიტყვა, არამედ მისი ყოველი მარცვალიც ავსებს დროის იმ შუალედს, რომელშიაც სიტყვის თუ მარცვლის დასაწყისი არ თანხვდება მის დასასრულს. ამიტომ, ვერცერთ სიტყვას ვერ მოვისმენდით, რომ იმ დროს, როცა მისი დასასრული გაიხმიანებს, მეხსიერებაში არ ინახებოდეს დასაწყისის კვალი... დასაწყისისა, რომელიც უკვე წარსულის კუთვნილებად იქცა. და, ბოლოს: „აჰა, აურაცხელი ნიშნები თუ მინიშნებები — სულიერ მდგომარეობათა ანაბეჭდები, რომელთაც უკვე აღარ განიცდის სული, მაგრამ მათ ნაკვალევს ინახავს მეხსიერება, რადგანაც სულში არა არის რა ისეთი, მეხსიერებაში რომ არ იყოს. ყოველივე ამას დავიცლი, შემოვიარბენ, მაგრამ არსად ჩანს ზღვარი; ასეთია მეხსიერების ძალმოსილება, სასიცოცხლო ძალაც კაცისა, მხოლოდ სიკვდილისთვის რომ ცოცხლობს".

* * *

ზრდასრული ადამიანის თავის ტვინი, საშუალოდ, თურმე, 1375 გრამს იწონის. მისი მოცულობა 1200 სმ$^3$. ნერვული უჯრედების საერთო რაოდენობა 15 მილიარდია. თავის ტვინი იყოფა შემდეგ ნაწილებად: დიდი ტვინი, ნათხემი ანუ პატარა ტვინი და ტვინის ღერო.

დიდ ტვინი არის ის წარმონაქმნი, რომლის განვითარებამაც მაქსიმუმს ადამიანში მიაღწია. დიდი ტვინის გარეთა ზედაპირზე გადის ნაპრალი, რომელიც დიდ ტვინს მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროებად (ჰემისფეროებად) ყოფს. ჰემისფეროების ზედაპირი დაფარულია ღრმა ღარებით, რომელთა შორის სხვადასხვა სიდიდის ხვეულებია. დიდი ტვინი გარედან დაფარულია ქერქით — ნეოკორტექსით. მისი სისქე 3 სმია, ფართობი 2200სმ$^2$ და ამ ფართობის 2/3 ღარებსა და ხვეულებშია ჩამალული. მარჯვენა და მარცხენა ჰემისფეროები ასიმეტრიულია: მარცხენა ზომით მარჯვენას აღემატება.

---

*ასპინძის ბრძოლის წინ ერეკლე მეფემ ცეცხლოვანი სიტყვით მიმართა თავის მხედრობას. „...ჩვენი ზურგი მტერმა ვერ იხილოს!.. მხნენო ქართველნო! ჩემო განუყრელნო! ჩემო გულის ძმანნო! თქვენ გენაცვალოთ თქვენი ერეკლე!..“*

მარცხენა ჰემისფერო განაპირობებს მეტყველებას, რთულ ნებით მოძრაობებს, წერა-კითხვას და ანგარიშს. მარჯვენა კი — რთული მხედველობითი და სმენითი ხატის შეცნობას, ტაქტილურ (შეხებით) აღქმას, სივრცის, ფორმისა და მიმართულების აღქმას და ინტუიციას.

ჰემისფეროების ქერქის ფუნქციებთანაა დაკავშირებული ყველა ის თვისება, რომლითაც ადამიანი განსხვავდება ცხოველებისაგან:

1. სიარული ორ ფეხზე;
2. განვითარებული ხელი;
3. მეტყველება;
4. სოციალური ურთიერთობების და კულტურის განვითარება;
5. სქესობრივი და აგრესიული ინსტინქტების შეკავების უნარი;
6. პიროვნების სულიერი სამყაროს ჩამოყალიბება.

ნეოკორტექსზე არსებული ღარები წარმოქმნიან წილებს:

1. კეფის ანუ ოქციპიტალური წილი მონაწილეობს ვიზუალური ინფორმაციის დამუშავებაში; გარდა ამისა, აქ არის ცენტრი, რომელიც „სოლის" სახელწოდებით არის ცნობილი და რომლის დაზიანებაც იწვევს „ბრმა მხედველობას": ადამიანი ხედავს, მაგრამ ნანახს ვერ ცნობს.

2. საფეთქლის ანუ ტემპორალური წილი მონაწილეობს სმენითი ინფორმაციის დამუშავებაში + რთული ვიზუალური ობიექტების შეცნობა; აქვეა სენსორულ-აკუსტიკური მეტყველების ცენტრი, რომლის დაზიანების დროსაც ადამიანს ესმის სიტყვები, მაგრამ ვერ გებულობს მათ მნიშვნელობას — („უცხო ენის სინდრომი". ამან არ მოგვკლა?!).

3. თხემის ანუ პარიეტალური წილი მონაწილეობს მგრძნობელობის (გაღიზიანება, შეხება, ნნევა, ვიბრაცია, ტკივილი, ტემპერატურა და ა. შ.) აღქმაში (ხომ უნდა ვიცოდეთ, ვის ან რას — რა ჭკუა მოეკითხება!);

4. შუბლის ანუ ფრონტალური წილი მონაწილეობს მოტორული, ანუ სამოძრაო აპარატის მუშაობაში. მასზე მოდის თავის ტვინის 30%. უნდა აღინიშნოს, რომ ფრონტალურ წილში, გარდა მოტორული ცენტრებისა, ძევს ის, რაც ადამიანის სულიერ ღირებულებებს განაპირობებს (ოოო... ტყუილად კი არ ამბობენ, კაცს ბედი შუბლზე აწერიაო!).

პინელი მეცნიერების აღმოჩენის შესახებ, რომ წყალს აქვს სმენა! წყალმა ლაპარაკი რომ იცოდეს ეს ნიკოლოზ ბარათაშვილისგანაც ვიცოდი. ადამიანი — მოლაპარაკეა, წყარო — მორაკრაკე!

აკაკის იუბილეს აღნიშვნა 1908 წელს დაიწყო და 1913 წელს დასრულდა. რასაც პრეცედენტი არ გააჩნია მსოფლიო ისტორიაში.

— აკაკის 1908 წლის 7 დეკემბერს თბილისში გადაუხადეს ბრწყინვალე იუბილე. 14 დეკემბერს ქუთაისში ჩავიდა აკაკი, ხოლო 21 დეკემბერს მას არნახული შეხვედრა გაუმართეს ბაქოში აზერბაიჯანელებმა. აკაკის იუბილე აღნიშნა პეტერბურგმა, მოსკოვმა, კიევმა, ხარკოვმა, ოდესამ, პარიზმა, ბრიუსელმა, რომმა, ჟენევამ, სტამბოლმა... მოსკოვს და პეტერბურგში იუბილეზე აკაკი პირადად ჩავიდა, ის ჩავიდა, აგრეთვე, პარიზსა და სტამბოლში... მთელი რუსეთის წამყვანმა გაზეთებმა, ასევე

## თავის ტვინის ინტეგრატიული მოქმედება დასწავლა და მეხსიერება

### (მეცნიერული კვლევის შედეგად მიღებული კლასიფიკაცია)

დასწავლა არის ქცევის შეგუებითი ცვლილება, რომელიც განპირობებულია ინდივიდუალური გამოცდილებით.

მეხსიერება არის წარსული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის შენახვა და ამოკითხვა.

თავდაპირველად ხდება ობიექტის აღქმა, რომელიც იწვევს სპეციფიკურ ცვლილებებს თავის ტვინში (კვალის კონსოლიდაცია), რომლებიც აღქმული ობიექტის კვალის სახით შემოინახება (კვალის რეტენცია ანუ შენახვა). საჭიროების შემთხვევაში ტვინს შეუძლია ამ ცვლილებების ხელახლა გამოწვევა, რის შედეგადაც „კვალი" გაცნობიერებულ მეხსიერებად იქცევა (კვალის რეპროდუქცია). აღნიშნულ „კვალს" ადარებენ მაგნიტურ ფირზე ჩანაწერს, რომლის რეპროდუქცია ხდება სურვილისამებრ.

დასწავლის რამდენიმე ფორმა არსებობს:

1. იმპრინტინგი (შთაბეჭდვა). მაგ: შვილების მშობლებთან მიჯაჭვის ბიოლოგიური მოვლენა. ახალშობილის მხედველობის არეში რომელი ადამიანიც ხვდება ხშირად, მასთან ხდება მიჯაჭვა, ანალოგიურად, როგორც დედასთან (მაგ. შვილად აყვანის ფენომენი).

2. ლატენტური (ფარული) დასწავლა, როდესაც არ მჟღავნდება დასწავლის არავითარი ნიშნები, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში აღმოჩნდება, რომ თურმე „დაგვისწავლია";

3. ვიკარული (სხვაზე დაკვირვებით), რომელიც შეიძლება განხორციელდეს არა მარტო საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, არამედ სხვის მოქმედებაზე დაკვირვებითაც;

4. ასოციაციური, რომელიც იყოფა სამ ქვეტიპად: ა)პირობითრეფლექსური; ბ)ხატისმიერი; გ)უარყოფითემოციური.

პირობითრეფლექსური გულისხმობს, როდესაც რაიმე არაუარყოფითი გამღიზიანებელი ერწყმის სასიამოვნო და სასარგებლო გამღიზიანებელს (უპირობო გამღიზიანებელი) და მრავალჯერადი შერწყმის შემდეგ, საკმარისია არაუარყოფითი გამღიზიანებელთან კონტაქტი და ის იწვევს იგივე დადებით (ჩვენებურად — მადის აღმძვრელ — გ.ნ.) რეფლექსს. მაგ. შამფურის დანახვა, რომელზეც ბევრჯერ შეგვიწვავს მწვადი (უპირობო გამღიზიანებელი).

ხატისმიერ დასწავლას საფუძვლად უდევს გარეშე ობიექტების ერთჯერადი აღქმა და მათი ერთმანეთთან დაკავშირება. ბერიტაშვილის მიხედვით: რაიმე მოვლენის აღქმის დროს, თავის ტვინის სტრუქტურებში შემოინახება საგნის ფიზიკური მახასიათებლების კომპლექსური კვალი. გარკვეულ სიტუაციაში შეიძლება მოხდეს ამ კვალის რეპროდუქცია გაცნობიერებული ხატის სახით, რომელიც ისე წარმართავს ქცევას, როგორც თვით ეს საგანი აღქმის პერიოდში.

უარყოფითემოციური ანუ ავერსიული დასწავლა მდგომარეობს რაიმე ფაქტორზე განრიდების რეაქციის გამომუშავებაში. მას საფუძვლად უდევს ამ ფაქტორის ერთჯერადი შეუღლება არასასიამოვნო

ემოციის გამომწვევ გაღიზიანებასთან. მაგ. ადამიანთან, რომელთანაც ადგილი ჰქონდა არასასიამოვნო ინციდენტს, შეხვედრას გავურბივართ (ჩვენებურად: თარსი ადამიანის შეჩეხება, გათვალვის შიში და სხვა).

P.S. ჩემთვის ყველაფერი ეს მთლად ტყემალზე ჯდომას თუ არა — ჩინურს მაინც ჰგავს და ფიზიოლოგიასთან მხოლოდ ის „შეხება“ მქონდა, რომ ერთხელ, სპორტის სასახლიდან გამოსულმა, ხალხმრავლობაში, მანქანა გავუჩერე ტაქსის ლოდინში ამაოდ მდგარ დიდ ფიზიოლოგ ივანე ბერიტაშვილს და მისი ექსპონატების — ხვლიკებით, გველებით, ბაყაყებით თუ თაგვებით სავსე ნახვრეტებიანი ყუთებით რკინიგზის სადგურზე გადატანაში უანგარო სამსახური გავუწიე. მე კი დღემდე არ ამომდის იმ ქვეწარმავლების ყუთებში ფაფხურის ხმა და თავისუფლების ჟინის გამომხატველი სასონარკვეთილი ხმები. ამ დარგთა დარგის სხვა კორიფეებთანაც მახსოვს პირადი მეგობრობა — მამაჩემის ხნის კაცი, ნაღდი თბილისელი ჯიგარი — აკადემიკოსი ნარიკაშვილი, ჩვენი საერთო ძმაკაცის, პროფესორ გუჯა მონიავას შუამავლობით, მე, მაშინ ფიზიოლოგიაში სრულიად „პრახლადნად“ მყოფ კაცს... მოსკოვში, ფიზიოლოგთა ფორუმზე წაყვანას მპირებდა(?!)... ეს ის პერიოდი იყო, როცა ჩვენი ასაკის კაცი, თხემით-ტერფამდე ინტელიგენტი და გარეგნულად უდახვეწილესი პიროვნება, ქალების კერპი ვათა მოსიძე ფიზიოლოგიის ინსტიტუტს თავკაცობდა!

თემატურად, შეიძლება, აქვს რამე აზრი იმის გახსენებას, რომ ერთხელ, თურმე, ჩემი პატანატომი ძმაკაცი, გაუთავებელი ქეიფით უქეიფო ოთარ ტრაპაიძე (რომელსაც, მისი ხელობის გამო, „ტრუპაიძე“ შევარქვით) ავტოინსპექტორს გაუჩერებია, საბუთები ჩამოურთმევია და თანაც დაინტერესებულა, ამ პროფესორ კაცს ჭკუის ნატამალი არ გაქვს, გალეწილი მთვრალი რომ უზიხარ საჭესო? ტრუპაიძეს კუდი ყავარზე გაუდია და ერთი საშინელი სიმართლეც წამოცდენია: რას ჰქვია? ღმერთო კი მომკალი! შენოდენი, შენი უფროსებისოდენი და მთელი საკაცეთისოდენი ჭკუა აგერ, „ბაგაჟნიკში“, მიდევს და კაცობრიობის აზროვნების ისტორიის საცავში მიმაქვს შესანახადო (თურმე, ივანე ბერიტაშვილის ტვინი ედო მანქანაში!).

რას არ იტყვის ენა და რას არ გაიგონებს ყური!...

ევროპულმა პრესამ, ფართოდ გააშუქეს აკაკის იუბილე. აკაკის უწოდებდნენ „საქართველოს უგვირგვინო მეფეს“ „ქართველების პუშკინს, „ქართველების საადის“...

P.S. სად — ეს და სად — ის!

1990 წელს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ბერლინში, მარქსისა და ენგელსის ძეგლის პიედესტალზე გაჩნდა წარწერა: „რა ჩვენი ბრალია!“

2001 წლის ყველაზე დიდ სენსაციად იქცა ტაივანური წარმოშობის ამერიკელი მამაკაცის ლი მინგვეის ორსულობა! იგი ნიუ-იორკში ცხოვრობს, მხატვარია და გამოფენებიც ჰქონია მუზეუმში. ჟურნალმა „ტაიმსმა“ მომავალი მამა (თუ დედა?) წლის მამაკაცად (თუ დედაკაცად) გამოაცხადა.

1978 წლიდან „სინჯარაში ჩასახვის“ ცდის წარმატების შემდეგ, ექიმებმა და მეცნიერებმა შეიმუშავეს ტექნოლოგია, რომლითაც

* * *

...გიჟი თავისუფალიაო! — ნათქვამია, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ზოგიერთი „თავისუფლება" სიგიჟეს ჰგავს!

ეს ისე!

თუმცა, რაღა „ისე" — ჩემი მარაქის კაცის — უნიჭიერესი კომპოზიტორის იაკობ ბობოხიძის ქალიშვილი მთხოვს, დაესწრო მის მიერ დადგმულ სპექტაკლს, რომელიც, თურმე, წარმოიდგინეთ... წარმოადგენს ჩემი ერთი ძველი სარკასტული მოთხრობის — „ბართლომეს ღამის" ინსცენირებას!

ახლა, არ იკითხავთ, რა „ჰუგენოტების ხოცვა-ჟლეტა" აგვიტყდა ამ საკუთარი ცოდვა-მადლის განურჩევლობის დროს? ...ესაა სატირული მოთხრობა, ფანტომივით თუ ატომივით როგორ ჩაიშალა ადამიანი და საცაა აფეთქდება!...

სწორედ ამ ჩვენს ავკარგიანობაში „ბოდიალია" ის ჩემი „ბართლომეს ღამე", რომელშიც ადამიანის შიდა ამბოხებაა აღწერილი, როცა კაცი საკუთარ ტყავშიც ველარ ეტევა და მარტო კაცი კაცს კი არა — სხეულის სხვადასხვა ნაწილები ასე ასო-ასო „ჭამენ" ერთმანეთს — ფეხი — თავს (ეს ცარიელი თავი როდემდე უნდა ვთრაქოო); მარჯვენა ხელი — მარცხენას (მარჯვენამ არ იცის, მარცხენა რას აკეთებსო!); წვერი — ულვაშს (მარცხვენო); ბრმა ნაწლავი — სწორ ნაწლავს (თქვენ მე მართლა ბრმა ხომ არ გგონივართო); ცხვირი — თვალებს (მომკლა მე თქვენმა ამდენმა გაშველებამო!); ყური — ენას და თვალს (რაც მესმის — იმას ვერ ეხედავო) და ა. შ. (აშშ-ში არ აგერიოთ!).

# ბართლომეს ღამე

## (არც ისე სასაცილო მოთხრობა)

კანტორის მოხელე ბართლომე ტიკაძე ზის თავის კანტორაში და მთქნარება-მთქნარებაში ფეხბურთელივით გაჰყავს დრო.

დამლაგებელი ოთახებს ხვეტა-ხვეტით ჩამოუყვა და პატ. ბართლომეც, ასე ვთქვათ, ხვეტაში მოჰყვა. ველარ გაუძლო ამ ბუღს, ჰაერისა თუ დამლაგებლის ზრდილობის უკმარისობას და... დურთა თავი არანაკლებ ამტვერებულ ქუჩაში!

... მძიმედ გაუყვა ქუჩას, თანაბარაჩქარებულად განვლო ერცელი კვარტალი. კუთხეში იდგა „ვოლგა". იმ კუთხესთან შეჩერდა (მანქანას ყოველთვის მოფარებულში აყენებს — თვალი არ ეცესო). ჯერ მარცხნივ გაიხედა, მერე მარჯვნივ, მერე ერთი ასხმა გასაღები დააძრო ჯიბიდან, კიდევ ერთხელ გაიხედ-გამოიხედა და ჯერ საბარგული გაალო — საბურავი ხომ არის ადგილზეო, მერე კარი, მერე საჭის საკეტი, მერე სიგნალის „სეკრეტი" მოძებნა, მერე... მერე რა? ასე გამოდის, კაცმა საკუთარი მანქანა მოიპარა! მძიმედ დაძრა ადგილიდან და ასევე მძიმედ შეაჩერა ერთი გაბლენძილი სახლის ერთ სადარბაზოსთან.

ისევ ჩარაზ-ჩაკეტა ყველაფერი, ისევ დაზვერა სამეზობლო — ვინ, საიდან და რა თვალით იყურებაო, მერე დამდურებულივით ჩაუარა ლიფტს, რომლის გინება მეექვსე სართულამდე ასვლაში რაღაცნაირად ეხმარებოდა და მძიმე-მძიმედ შეუყვა კიბეს.

... სადილი აცალეს, პატარა სული მოათქმევინეს, დასაყოლებელზე კი ზედ ისეთი ამბები დააყოლეს, იმის მომნელებელი ბართლომე არ იყო. კაცს კრიჭა შეეკრა.

— პროკურატურაში გიბარებენ, — შეაპარა ცოლმა.

— მანქანა ვის სახელზე გაქვთ გაფორმებულიო! — წამოეხმარა რძალი.

— აგარაკი როდის ააშენეთო?

— რა სახსრებითო?

— საბინაო კოოპერატივში როდის შეხვედითო?

როგორ შეხვედითო.. — არ აცლიდნენ ერთმანეთს რძალ-დედამთილი.

კარგა ხანს უყურეს ერთმანეთს. მერე ყველამ ერთ მხარეს, ოთახის კუთხისაკენ გადაიტანა მზერა — დამნაშავე განცალკევებით იჯდა არა საბრალდებო, არამედ ჩვეულებრივ ხუთმანეთიან სკამზე და უშფოთველად ფშვინავდა. ყველაფერი მის სახელზე იყო გაფორმებული.

— ბებიკო!... — შეაღვიძეს შეილიშვილებმა.

— რა იყო, ნენა, ხომ მშვიდობაა?

— პროკურატურაში გიბარებენ!

* * *

მართალია, ის დღე არაფრით გამოირჩეოდა სხვა დღეებისაგან. ის იყო ერთი რიგითი კალენდარული დღე, მაგრამ ისიც მართალია, რომ იმ დღეს მოხდა სასწაული, ნამდვილი სასწაული!

რაღაც იღბლად, ბავშვს ვიღაცა რომაელი იმპერატორის... ღმერთო, გამახსენე!... ჰო, მარკუს ავრელიუსის „ფიქრები" მოეტანა. ჰოდა, რაღაც იღბლად, ბართლომემაც (ბედისწერა რომ აიტანს კაცს), რატომღაც მაინცდამაინც ამ წიგნს წაატანა ხელი, გულს გადავაყოლებო. ჩემს მტერს, რაც იმას დღე დაადგა. გული კი არა, თავიც კინაღამ გადააყოლა. იმ ღამეს რომ ნავიდა კაცი იმ „ფიქრებში", უკან აღარ დაბრუნებულა!

... ოჯახის უფროსს გაზეთის კითხვა მწოლიარე მდგომარეობაში უყვარდა. წიგნზე არ უცდია ასეთი რამ და კინაღამ ემსხვერპლა ამ სიახლეს.

ორი-სამი ნანყვეტი წაიკითხა და კიდეც დაანყდა კაცს ნერვები.

„მე ყოველთვის ბუნების გზას მივდევ და ამ გზით ვივლი მანამ... სანამ არ მიევბარები მინას... რომელიც, ამდენი ნელინადია, უშურველად მაჭმევს და მასმევს და რომელსაც ასე უმონყალოდ ვქელავ და ვყვლეფ"... ბართლომემ ოთახს თვალი მოავლო, ხომ არავინ გვეისმენსო.

საშინელი სისუსტე დაეუფლა თავიდან ფეხებამდე.

„ხელისა და ფეხის შრომა არ ეწინააღმდეგება მათ ბუნებას, სანამ ხელი ხელისას აკეთებს და ფეხი — ფეხისას..." ახლა ისიც იგრძნო, ხელი და ფეხი ძველებურად აღარ ემორჩილებოდნენ. მერე ყველაფერი ცალ-ცალკე გაიქაჩა. ასე დაიწყო ბართლომე ტიკაძის სრული დემონტაჟი! მთელი სხეუ-

შესაძლებელია განაყოფიერებული კვერცხუჯრედის გაცოცხლება მამაკაცის ორგანიზმში. რენტგენოგრამამ უჩვენა, რომ მისტერ ლის ორგანიზმში ჩანასახი წარმატებით ვითარდება.

ლი მიწვევის ამ ნაბიჯს საზოგადოების მკვეთრად განსხვავებული რეაქცია მოჰყვა: ზოგი უწონებს საქციელს, უმრავლესობა კი ქილიკს აყრის. განსაკუთრებით განაწყენებული მამაკაცები არიან: — ღმერთს რომ კაცების მშობიარობა ენება, მათ ასეთებად შექმნიდა.

„კვირის პალიტრა", 13-19-01, 2003.

**P.S.** აქვს კი ადამიანს უფლება, ღმერთის საქმეში ჩაერიოს? ან მისალოცია თუ არა ისეთი ბავშვის დაბადება, რომელსაც ასეთ ბავშვურ შეკითხვასაც ვერ დაუსვამ: დედა უფრო გიყვარს თუ მამა...

რა ჰქვია ამას, როცა დედა მამაა და მამა — დედა?

ჯერ სახელიც კი ვერ დაგვირქმევია!

47 წლის ერაყელ

ლით აცახცახდა, ნანილ-ნანილ დაიშალა, ასო-ასო ენყო ლოგინში. ამრიგად, ზუსტად 404 ნლის შემდეგ განმეორდა იმ ბართლომეს ღამის მსგავსი ამ ბართლომეს საზარელი ღამე და თუ ისტორიკოსები თავიანთ ანალებში ამ კოშმარულ ღამესაც მოიხსენიებენ... მხოლოდ ერთი განსხვავებით — ამ „ბართლომეს" იმ ბართლომეს ნმინდანობას ვერ დასნამებენ.

... მოკლედ, ყველამ თავის „ბართლომეს" მოუაროს!.. ძალიან გამიგრძელდა სიტყვა. ჩვენი ბართლომე კი აშკარად ხელიდან ნავიდა!.. მაინც, რა ღვთის რისხვა იყო ეს? რა ბურუსში გაეხვია. როგორც მოახერხოთ, ისე ნარმოიდგინეთ... ჭკუიდან გადასულ კაცს კანტიკუნტად ლაპარაკიც კი შემოესმა გულის სიღრმიდან, მერე კიდურებიც ალაპარაკდნენ, მერე შიგნეულიც აუდუღდა. კანტორის მოხელე ბართლომე ტიკაძე თავისი დასაფსები თვალით ხედავდა, როგორ აუჯანყდა საკუთარი თავი და საკუთარი ფეხით როგორ მიაპორნიალებდნენ საკუთარი სინდისის სამსჯავროზე.

სასამართლო სხდომის დარბაზი, მიუხედავად ძველი ნაცნობობისა, ძველმა კლიენტმა ვეღარ იცნო. ყველაფერს რაღაც უცნაური იერი დაჰკრავდა. არც მოსამართლე, არც მსაჯული, არც პროკურორი და არც მისი თანაშემნე. დარბაზში მარტო ერთი სკამი იდგა და ისიც... საბრალდებო! ახლა, ამ სკამზე ერთად იჯდა ყველა: მოსამართლეც, მსაჯულებიც, პროკურორიც და ვექილიც, რადგან ახლა თვითონ ბართლომე იყო საკუთარი თავის მოსამართლეც, მსაჯულიც, პროკურორიცა და... ბრალდებულიც!

სნორედ ასეთმა გაფიქრებამ მაფიქრებინა ეს ორძალიც:

ყეელაჟერი შიშსა მგერიდა, დარდი არ მაქეს ჩემოდნის...
ბრალმდებელის კარებიდან ბრალდებული შემოდის.

პროცესი დაინყო!

— ადამიანის სხეულის, კერძოდ, ბართლომე ტიკაძის სხეულის ნანილებისაგან შემდგარ დახურულ პროცესს გახსნილად ვაცხადებ, — გამოაცხადა თავმა, — სიტყვა ეძლევა... ფეხს!

ფ ე ხ ი: ამხანაგებო, ჩემს პატრონს ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, რის გამოც მე უარს ვაცხადებ მის თრევაზე. ჯერ მარტო ცარიელი თავი ატარე ერთი, რავარიაa!

თ ა ვ ი: შენ თავთან რა ფეხი გაქვს?

ფ ე ხ ი: ამხანაგებო, მე მოვითხოვ გადაყვანას უფრო შესაფერ თანამდებობაზე, თუნდაც, თავის ადგილზე! რამდენს აქვს თავში ფეხი, მარა ართმევს თავს საქმეს.

კ ი ს ე რ ი: მასე თუა, შე კაცო, მთელი მისი უსაქმური ოჯახი და ნათესაობა ჩემს კისერზეა.

თ ა ვ ი: რაც შენ ხალხი ჩამოთვალე, შენს კისერზე კი არა, ჟირაფის კისერზედაც არ დაეტევა.

კ ი ს ე რ ი: თანაც, კაცო, ჩემი პატრონი ყველას ყველაფერს ჰპირდება — თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო! ხმალი მაკლია სნორედ.

მ ა რ ც ხ ე ნ ა  ხ ე ლ ი: თქვენი პატრონის ქვეყანაც არ იყოს, აბა, მე რაღა მეთქმის! ეს უსვინდისო (დაადო ხელი ბართლომეს), სულ მარცხენას ხმარობს და ხალხში ამბობს — ჩემი მარჯვენით ვარჩენ ოჯახსო. მარცხენას მარცხი რომ მოუვიდეს და ჩავარდეს, მარჯვენამ პასუხი არ უნდა აგოს?

---

*აღმოსავლური სიბრძნე: ვინც წიგნს არ კითხულობს, არაფრით არ არის იმაზე უარესი, ვისაც სჯერა ყველაფერი, რაც წიგნში სწერია.*

მ ა რ ჯ ვ ე ნ ა: ამხანაგებო, მარჯვენამ რა იცის, მარცხენა რას აკეთებს!

მ ა რ ც ხ ე ნ ა: სამაგიეროდ, მარცხენამ იცის, მარჯვენა რას აკეთებს... რამდენი ანონიმური წერილია დაწერილი მაგ გასახმობი მარჯვენით!

მ ა რ ჯ ვ ე ნ ა: მარცხენითაც!..

ქ უ ს ლ ი: არც მთლად მასეა საქმე...

ფ ე ხ ი: გამომივიდა, ახლა, ესეც აქილევსის ქუსლი! ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ ბოლოს, მაინც, ხელი ხელს ბანს!

მ ა რ ჯ ვ ე ნ ა: ბანე, რამდენიც გინდა, მარცხენას მაინც ვერ მოაშორებ ხელის ჭუჭყს (ფულს რომ ეძახიან!). დაჰკითხეთ, ბატონო, თითები!

ს ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ი თ ი თ ი: თითით საჩვენებელი კაცია, რას ერჩით?

ნ ე კ ი: შენ რა გენაღვლება, გენაცვალე, სალოკი თითი ხარ. მე ვიკითხო... მომჭრა თავი ბართლომემ შვილიშვილებში. რაღაც ზღაპარს უყვებოდა თითებზე... ნეკზე რომ მიდგა ჯერი, ჩემი ყურით გავიგონე — „ამან თქვა, მოვიპაროთო!“ როდის ვთქვი, კაცო, მე ეს? ყველაზე პატარა რომ ვარ, დაბალი ღობე მნახეს და... საქმე რომ გაფუჭდება, ბოლოს ისევ ნეკზე იბზენენ-ხოლმე. რავარია?

ა რ ა თ ი თ ი: ახლა, კაცმა რომ თქვას, ისეც სწორია და ასეც სწორია, სადღაც, რაღაცაში... ვიღაცამ, ვიღაცას...

თ ა ვ ი: გააჩუმეთ ეს არათითი!... სიტყვა ეძლევა შუათითს!

შ უ ა თ ი თ ი: მე რა შუაში ვარ!

თ ა ვ ი: მაშინ მოვუსმინოთ ცერს. ცერი ხომ მაინცაა... შუაში... ცერადაა ქვეყნის საქმე!

ც ე რ ი: შუაში კი არა, თავში ვარ!

თ ა ვ ი: მასე ფეხსაც ეგონა, რომ თავში იყო!... მე თუ მკითხავთ, ამხანაგებო, ცერი ყველაზე მეტი დამნაშავეა ჩვენ შორის. ყველა ვატყობდით, რომ ცერად მიდიოდა ბართლომე ტიკაძის საქმე, მაგრამ ხალხი ცერს შეჰყავდა შეცდომაში — სულ რომ იბღინძებოდა და იჭიმებოდა, ასეა, ა, საქმეო! აღიაროს თვითკრიტიკის ნიშნით.

ც ე რ ი: მეტი თვითკრიტიკა მე არ ვიცი, ეკაკევე თითს.

კ ი ს ე რ ი: ამხანაგებო, მართალია, მოგვეჭრა თავი, მაგრამ ის მოჭრილი თავი მაინც სადაა, თავის თავზე კრინტი რომ არ დაუძრავს?

თ ა ვ ი: აქ ვარ, ამხანაგებო, მარა სირცხვილით თავი როგორ გამოვეყო, არ ვიცი. აქ ზოგიერთებმა გულის სიღრმიდან რეპლიკა მესროლეს — თავიდათავი თავიაო. მართალია, მაგრამ მე მოვითხოვ, ჩატარდეს რევიზია — ბართლომეს თავში ერთი გრამი ტვინი არა აქვს!

*ქალბატონს — რიჰაბ რაშიდ ტაჰას მიკრობების დედოფალს, ზოგჯერ „სიკვდილის ანგელოზსაც“ ეძახიან. იგი მსოფლიოში აღიარებული ბაქტერიოლოგია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოყვანილი ბაქტერიები საკმარისია კაცობრიობის გასანადგურებლად. თუ დასავლეთის სპეცსამსახურებს ვერწმუნებით, ამ ქალბატონის გვერდით სადამ ჰუსეინიც კი უწყინარი კრავია.*

*პეტერბურგის ეკატერინეს სასახლის ქარვით მოპირკეთებულ დარბაზს მსოფლიოს მე-8 საოცრებას ეძახიან.*

*ერთნი გვარწმუნებენ, რომ თევზის დიეტა იძლევა ინტელექტუალი ბავშვის გაჩენის გარანტიას, მეორენი დედებს შოკოლადისა და კვერცხის გულის ჭამას ურჩევენ, მესამენი კი ორსულ ქალებს რეკომენდაციას აძლევენ, მუცელზე ყურსაცვამები გაიკეთონ და ჯერ არდაბადებულ პირმშოს უცხო ენაზე „ლექციები“ მოასმენინონ.*

ფ ე ხ ი: აბა, სად გაქრა ამხელა თავიდან ტვინი?

თ ა ვ ი: ცოლმა ამოულო!...

ხ ე ლ ი : ახლა გამახსენდა: თვითონ თავი არ გვეუბნებოდა, სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობსო?! (იტკიცა შუბლზე ხელი, შეიქნა ერთი მინევ-მონევა).

ფ ე ხ ი: თავი ტყუის, ამხანაგებო, რას ქვია, ჩვენს პატრონს ტვინი არ აქვსო. აბა, ჩვენ რითი გვხელმძღვანელობდა?

კ ი ნ ჩ ხ ი: ზურგის ტვინით!

უ ლ ვ ა შ ი (ნერვულად შეტოკდა): შეგაჩვენათ ღმერთმა! თქვენი გულისათვის მე უნდა შემირცხვეს ულვაში?

ნ ვ ე რ ი (ულვაშს): ნამეტანმა ხელის სმამ შენც გაგაფუჭა, თორემ ასეთი პატიოსანი თუ იყავი, ვერ გაჰყევი თმებს, დროზე რომ უშველეს თავს და ბართლომე სიბერემდე არ ალოდინეს სიქაჩლეს?

უ ლ ვ ა შ ი: შენც ნახდი, მეც ნამახდინე, არა! შენც აგერ არა ხარ, ნვერო, სახეზე?

ნ ვ ე რ ი: მე რავარც პატარას შევაწუხებ ჩემს პატრონს, მაშინვე „მსაპნავს" და მიცილებს სახიდან, დანა მე არ მაკლია და სამართებელი.

ყ უ რ ი: ამახიეთ, თუ ძმა ხარ, ამ ცარიელ თავს. მე, მაგასთან ერთად, სხვა სამუშაოზე გადამსვლელი არა ვარ. რამდენჯერაც რამე დანაშაული ჩაიდინა, იმდენჯერ მე მტაცეს ხელი — ყური აქვს ასანევიო. სადაა პატრონი, თორემ ყური კი არა, ეს კაცი თვითონაა ასანევი და დასაქცევი!

ც ხ ვ ი რ ი: შენც კაი პარტყუნა ვიღაცა ხარ. სიმართლეს ერთი ყურიდან მეორეში უშვებდი!

ყ უ რ ი: მაგი გამჭოლი ქარის ბრალი იყო, შე კაცო! ვითომ არ იცით, რა ორპირი და რა თავქარიანი კაცია!

ც ხ ვ ი რ ი: უყურე ამ ყურუმსაღს. არ მათქმევინო, ახლა, ყველაფერი, თორემ...

ყ უ რ ი: ყურებზე ხახვი არ დამაჭრათ!

ბ რ მ ა ნ ა ნ ლ ა ვ ი: თქვენ, კაცო, მე მართლა ბრმა ხომ არ გგონივართ! ყველაფერს ვხედავ. აბრალეთ ახლა ერთმანეთს და იყავით! ცხვირო! ცხვირზე ხელი დაიდე, რამდენ სიცრუეზე ცრუმონმედ დადგომიხარ ბართლომეს?!

ც ხ ვ ი რ ი: რავა, დაცხინკების უფლება აღარა მაქვს?

თ ა ვ ი: მაშინ გადი ბიულეტენზე.

ც ხ ვ ი რ ი: რას მემდურით, კაცო? ზოგჯერ ორი ცხვირის მაგიერობას ვენეოდი!

ბ რ მ ა ნ ა ნ ლ ა ვ ი: სნორედ მაგ ორი ცხვირისთვის სჭირდებოდი ბართლომეს, შე უპატრონო! სულ სხვის საქმეში რომ ჰყოფ ცხვირს, საკუთარი ცხვირის ნინ ვერაფერს ხედავ, შე უცხვირპირო, ერთხელ ჩვენს საქმეშიც ჩაგეხედა!

ცხ ვ ი რ ი: თვალი თვალის მტერია, შუაში ცხვირი რომ არ იყოსო. მე, ბატონო, აქ დარაჯად ვმუშაობ და არა ყბედად... ვინც ამხილა და ჩირქი მოსცხო ჩვენს დანესებულებას, ქეც უტირეს ყოფა.

თ ვ ა ლ ი: ვინ გყავს მხედველობაში?

ც ხ ვ ი რ ი: გლანდები!... როგორც კი ამხილა ორგანიზმში ჩირქოვანი კერა, მაშინვე მოიშორეს თავიდან.

ბ რ მ ა ნ ა ნ ლ ა ვ ი: რამ დაგაბრმავათ, თქვე უბედურებო? აფსუსი არ არის, მე ბრმას მეძახდნენ და ამ დასაფსებ თვალებს კი!... დაგიდგათ თვალი, სად იყურებოდით, ვერ ხედავდით, რაც ხდებოდა?

თ ვ ა ლ ე ბ ი: სულ ქუთუთოების ბრალია. გვეფარებოდნენ.

ყ უ რ ი: რას ერჩით, ამაში მართლები არიან. ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ბრძანა ბართლომ-ემ, ყველაფერზე თვალი დახუჭეთო!

თ ა ვ ი: გამოდის ახლა, რომ ჩვენს პატრონს არაფერი ჰქონია სწორი.

ფ ე ხ ი: როგორ არა?!

უ ლ ვ ა შ ი: მაგალითად?

ფ ე ხ ი: სწორი ნაწლავი!

კ უ ჭ ი: ამხანაგებო, მე რა, არ მაწუხებს წყლუ-ლი?... რამდენჯერ ამეშალა ნერვები...

ც ხ ვ ი რ ი: გთხოვთ, დააზუსტოთ! ნერვები კი არა, კუჭი აგეშალათ.

თ ა ვ ი: ამხანაგებო, ბართლომეს რომ მაგარი ზურგი არ ჰქონოდა, ამდენს ვერ გაბედავდა. რა-ტომ სდუმს ზურგი... გამოვიდეს სიტყვით!

ზ უ რ გ ი: ამხანაგებო, ბართლომეს, ჩემ გარ-და, სხვა ზურგიც ჰქონდა.

მ უ ხ ლ ი: ეჰ, რა გითხრათ! იცით, მე ახლა მარ-ტო ის მადარდებს, რომელ მუხლს მოგვიყენებენ.

კ ო ჭ ე ბ ი: მაგისი დარდი ნუ გაქვს. ბართ-ლომეს ორ მუხლს ვინ აკმარებს.

გ უ ლ ი: ვალიდოლი ხომ არა გაქვთ ვინმეს?

ფ ე ხ ი: რა მოუვიდა? აწუხებს რამე?

ყ უ რ ი: მაგას გულის მანკი აქვს.

უ ლ ვ ა შ ი: მანკი გვაკლდა ჩვენ?! თანდაყ-ოლილი აქვს თუ?...

ც ხ ვ ი რ ი: არა! აურაცხელ სიმდიდრესთან ერ-თად შეძენილი.

თ ა ვ ი: ხარბი და გაუმაძღარი რომ იყო, სვას ახლა წამლები... ისე, თავის ტკივილის ხომ არაფერი გაქვთ ან „ზალატოი", ან...

ფ ე ხ ი: მაგ „ზალატოიმ" და ბრილიანტებმა გიქნათ, თქვე საწყლებო, ეს საქმე.

ბოლოს, ზომაზე მეტად გაბერილი მუცელი შეიძრა. კიდევ უფრო გაიბლიძა და ისე წამოიწია, ეტყობა, საბოლოო სიტყვას ითხოვდა. მაგრამ... რა პირით? ამიტომ ტრ...კი, როგორც იქნა, გააჩუმეს და საბოლოო სიტყვა წარმოთქვა თვით... ბართ-ლომე ტიკაძემ:

— ხალხო, ნამუსი აღარ არის? მაგას მაინც რაღა აქვს სათქმელი? ამხელა კაცი... მუცელს გა-დავყვევი. მუცელს გადაყოლილი ქალია ცოდვა, კაცი კი არა!

...„პროცესიდან" ბართლომე გულშეწუხებული გამოიტანეს და სასწრაფოში გააქანეს, იქიდან კი... „ნიანგს" გადმოსცეს სამკურნალოდ! დიახ, ჩვენ! რადგან აქ საქმე გვაქვს არა მარტო სატირალ, არამედ სატირულ პათანატომიასთან, ნორმიდან არა ფიზიოლოგიურ, არამედ საზოგადოებრივ გადახრასთან.

მშობლებს, რო-
მელთაც ჭკვიანი
ბავშვის გაჩენა
სურთ, მეცნიერები
ურჩევენ, მისი და-
ბადების დრო გათვა-
ლონ, რადგან, ზო-
გიერთი სპეციალის-
ტის მონაცემებით, ინ-
ტელექტუალი ბავშვე-
ბი ყველაზე ხშირად
იანვარში, თებერ-
ვალსა და მარტში
იბადებიან. ასეთი
დასკვნები მათ ქა-
ლის ორგანიზმში
ტესტოსტერონის
დონის ცვლილების
მიხედვით გამოი-
ტანეს. მკვლევარები
მიიჩნევენ, რომ
ტესტოსტერონის
დონე დიდ გავლენას
ახდენს ბავშვის ტვი-
ნის განვითარებაზე.
პატარა გენიოსის
დაბადების შანსები
ზაფხულის თვეებში
გაცილებით იკლებს,
— ამტკიცებენ ექს-
პერტები.

დაბადებამდე ბავშ-
ვს დედის მუცელში
„ესმის" და „ხე-
დავს". ექსპერიმენტებ-
ში ლამის ნორმად
იქცა ბეთჰოვენის
ნაწარმოებების მო-
სმენა, რათა საკუ-
თარ ნაყოფს ჯერ
„ჰარმონიული" გა-
რემო შეუქმნან.
მომავალი შვილი
რომ ლამაზი იყოს,
დედები არ იზარე-
ბენ, ლეონარდოს
თუ სხვა ოსტატების
შედევრები დაათვა-

Post Scriptum! ადამიანის დაშლა, კაცმა რომ თქვას, ატომის დაშლაზე ნაკლები ამბავი არ არის და იგი, ატომისა არ იყოს, მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით უნდა გამოვიყენოთ.

სატირული ექსპერტიზის დასკვნა:

ბართლომე ტიკაძე, თავიდან ფეხებამდე... ახლიდან ანუ თავიდან არის ასანყობი.

...ახლა იმას აღარ იკითხავთ, სად დაიდგა ეს სპექტაკლი? ბატონი ლუარსაბისა არ იყოს — ოლოლო თქვენ... ვერა და ვერ გამოიცნობთ: არც თეატრში, არც კლუბში, არც ესტრადაზე — თბილისის ავლიპი ზურაბაშვილის სახელობის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში — ფსიქიკური რეაბილიტაციის ცენტრში (სადაც ქალბატონი მაია ბობოხიძე პედაგოგად მუშაობს). მისი მონაწილეები კი პაციენტები იყვნენ (?!)... აქ ძახილისა და კითხვის ნიშანი იმიტომ დავსვი, რომ სწორედ ამ კითხვისა და ძახილის ნიშანს ვგავდი შემხედვარე ყოველივე ამისა, რომელიც საქართველოს ტელევიზიამაც დააფიქსირა!

...ამის შემდეგ „პახმელიაზე" გამომიყვანა კიდევ ერთმა ნიჭიერმა „შერეკილმა" — მოცეკვავემ, მსახიობმა, რეჟისორმა და მწერალმა, კაცმა-სასწაულმა გივი სიხარულიძემ, რომელმაც...

იცხოვრა,<br>
ცხოვრობს,<br>
კვლავაც იცხოვრებს —<br>
რაღა აკლდა ბედისწერამდე —<br>
ფეხის — წვერიდან — ენის წვერამდე,<br>
ენის — წვერიდან — კალმის — წვერამდე!..<br>
წერის წერამდე!

ახლა, ერთი კარგი რადიოგადაცემაც უტვირთია და ვეებერთელა აუდიტორია ჰყავს. ერთ გადაცემაში აკადემიკოსი ბატონი როინ მეტრეველი და მე ერთად მიგვიწვია და მილიონებთან გვალაპარაკა აქეთურ-იქეთური!

„კაცი კაცითაო — ღობე სარითაო! — ჩვენს წინაპარს უბრძანებია. „კაცით-კაცამდე" შორიაო — ჯერ კიდევ როდის მისტიროდა ადამიანთა დაშორიშორებას ქართული მხატვრული სიტყვა. ჰოდა, სწორედ ამ გულცივობამ მოარღვია ის ღობე, რომელსაც ნეტარი სულხან-საბა ციხესიმაგრედ თვლიდა: ამხანაგზე უკეთესს შენ რას იშოვიო! მეც მანდა ვარ! და წიგნის თაროდან კვერს მიკრავს სახელოვანი სახლიკაცის წიგნი, მისი ავტორი (ავტოგრაფით: „ჩემს დიდ ძმას — გიზოს! ჩვენი გვარის და არა მარტო ჩვენი გვარის! საამაყო კაცს. ძმური სიყვარულით, შოთა..." არა რუსთაველი, მარა თანამედროვეობის უპირველესი პოეტი — გ. ნ.) შოთა ნიშნიანიძე! მის წიგნში „წუთისოფელი ასეა", ძნელია, პირველ-მეორეზე გაითვალო ლექს-მარგალიტები, მაგრამ ერთს ის სურნელი ასდის, რაც სწორედ კაცთა მეგობრობას ადგას თუ ადგამს თავს: „ნიღბები!" ზემოხსენებული ავტოგრაფიც, სწორედ ამ, ჩემთვის ნაჩუქარ ლექსს ახლავს, რომელსაც ჩვენი თაობის „სიბერის" მიუხედა-

---

*მონტესკიე: ვინც 15 წლის ასაკში არ არის რა, იგი ვერასოდეს გახდება დიდბუნებოვანი კაცი.*

*ლაო ძი: ვინც გახელმწიფებისაკენ მიილტვის, მოკრძალება მართებს. ვინც წინამძღოლობას აპირებს — მოწიწება მართებს.*

ვად — არც კბილი გაესინჯება და არც სიბრძნე — ბაჯაღლოა!

„ამ წყეულ ნიღბებს იმიტომ ვიცვლი,
რომ ჩემი სახე შევინარჩუნო,
ცხოვრებას კიდევ გავუძლო ვინძლო,
ვიცხოვრო, ვწერო და ვიყაჩუნო.
და როცა დღიურ ფუსფუსის მიღმა,
ღამე საკუთარ სულს ჩამახუტებს, —
მე გადავხედავ ჩამოხსნილ ნიღბებს,
როგორც ნათმარ რკინის ჩაფხუტებს."

„...რომ ჩემი სახე შევინარჩუნო!" დიახ, დიახ... რომ ჩვენი სახე შევინარჩუნოთ, ვინ რა გზას არ ეძებს და ვინ რა ხერხს არ ხმარობს! ყველა თავის „ჯეკსონის კუნძულს" ეძებს, მაგრამ ბავშვობაზე უკეთეს თავშესაფარს სად იპოვი! ის ჩემი „პაემანი ვერაზე" სწორედ ჩვენი სამოთხის ერთი ნავსაყუდელი იყო. ამიტომაც მომჭრა თვალი სიყრმის მზემ და ამიტომაც გამექცა იქეთ სალამ-ქალამ-კალამი!

თქვენს გულში ვზივარ და სულ ვწუხდი —
ამ ოქროს ხელიდან გაშვებას!
ხარკს ვუხდი ყველაზე დიდ მეფეს —
მის უწმინდესობას...
მის უტკბილესობას...
მის უგიჟესობას...
ბავშვობას!

...სწორედ ამ ჰაერისა თუ სიყვარულის უკმარისობამ და „დაკარგული სამოთხის" ნახვის ნატვრამ ვის-სად აძებნინა თავი და თავშესაფარი. ერთი ასეთი, ულტრათანამედროვე ანუ, დღევანდელ ენაზე რომ ვთქვათ, „კორპორაციული" ამხანაგობა, ჩემი სკოლის პირველკლასელი ამხანაგის — ნანული ჭიჭინაძის უმცროსი ძმის — თემურ ჭიჭინაძის ღირსეულ კაცთა სამეგობროა, რომელსაც მე, ჯერ, არკადი გაიდარის ეშხით „თემური და მისი რაზმი" დავარქვი და მერე — „ჩვენი თემური ნყობილება"!

მაქვს პატივი ამ წრეში ტრიალის.

„თბილისელების" ახალგაზრდულმა კლუბმა — ბერიკაცს — უასაკო მეგობრობა შემომთავაზა და ძველი „პაემანით" ახალ „პაემანზე" მიმიწვია! ჰოდა, ასე, ახლა, პერმანენტულად, ყოველ თვეში ერთხელ ვიკრიბებით — მიზეზით თუ უმიზეზოდ, როგორც ერთი უცნობი რუსული ლექსის ჩემეულ ქართულ თარგმანშია:

ქეიფის არსებობს 1000 საბაბი:
ხოში და ხაში და ხინკალ-ქაბაბი,
ქორწილი, ქელეხი, მკედარ-ცოცხლის ვალებში...
და „პროსტო" ქეიფი... საბაბის გარეშე!

...თუმცა ამაზე დიდი საბაბი რა უნდა იყოს თბილისური სული კბილით რომ გვეჭიროს!

ლიერინ. კალიფორნიაში კი სპეციალური უნივერსიტეტი არსებობს, რომლის სტუდენტებიც... ჯერ არდაბადებული ჩვილები არიან.?! სასწავლო პროგრამა ისეა შემუშავებული, რომ ის ნაყოფის თავის ტვინის განვითარებას უწყობს ხელს. არსებობს დაბადებამდე განვითარების სხვა მეთოდებიც. მაგალითად, რუსეთში ხშირად იყენებენ კლასიკური მუსიკის და უცხოური ენის მოსმენას ყურსასმენების მეშვეობით, რომლებსაც ორსული ქალის მუცელზე ამაგრებენ.

„ქრონიკა", 2005, 24-30 ოქტომბერი.

**P.S.** ერთი კახური ანეკდოტი გამახსენდა: გოგოების მამამ — ვანომ, ბიჭების მამას — მიხოს ხუმრობით უთხრა — ბიჭების გაკეთება მასწავლეო. იმანაც, ალბათ, ხუმრობითვე უპასუხა: კარგად დაბანე შენი მავი მაყვალია, ნელსაცხებლები წასცხე, კარგი ლობიო გაუმალე...

— მერე? — თვალები გადმოყარა ვანომ.

...17 თებერვალს კი ჩვენი მორიგი „კალენდარული" შეხვედრა მიზეზთა-მიზეზს — ბრიუსელში ერთი ქართველი კაცის — იოანე მამუკას ძე ხაზარაძის დაბადების დღეს მიეძღვნა „რუბრიკით": „ნუხელი ბიჭი დაბადებულა!" და ეს წერილიც, სწორედ, ამ ღირშესანიშნავ მოვლენასა და ღირსახსოვარ დღეს ეძღვნება, ეს ლექსი კი —

## თემურ ქიქინაძეს

კამპანიას გაუმარჯოს!
ამ ჩვენს კორპორაციას.
აქ იმდენი ხმოსანია – რამდენიცა კაცია!
თემურისა და მის რაზმში ბიჭობას ვერ ველევით –
დროთა შფოთით – „ალილოთი"... წლებს, სიბერეს ვერევით!
...ახლა გულის „სიმს" გამოეკრავ ხელს და აელილინდები –
სიყრმის მზეზე ეიწურები, ხელმეორედ ელვინდები!
აქ კაცები, სიყმაწვილით, ცხოვრების აზრს წვდებიან –
სხვადასხვა გზით მოდიან და ძმებად იბადებიან!
სხვა, ყოველი, ამაოა,
სხვა, ყოველი, ფუჭი და –
„მეგობრობას – გზად და ხიდად"...
სული კბილით უჭირავს!
ჩქარი მატარებელია „სიჭაბუკე-სიბერე" –
კუდის ყავარზე გადებით, სიყრმის წლები გვიჯობდა!...
„მირიხინობს ბედის ეტლი", მაყრიხობს წლების სიბევრე –
ერთი გაჩერებაცა გვაქვს, რასაც ჰქვია „ბიჭობა"!

...ჩვენი „საქიქინაძეოს" ერთ-ერთი წევრი... კოლექტიურ წევრთა — იგავმიუწვდომელ ვოკალურ ანსამბლებთან „ალილოსა" და „სიმთან" ერთად — არის მისი ზემოხსენებული თაურკაცის მძახალი — საქართველოს ერთი დიდი თავკაცის შთამომავალი და თავად თავკაცი ზურაბ აბაშიძე — ქართული ენციკლოპედიის სულისჩამდგმელის — ირაკლი აბაშიძის ძე და შემოქმედებითი მემკვიდრე-ენციკლოპედისტი, რომელმაც 17 თებერვალს, ქალაქის მერიაში „თბილისის ქუჩების, გამზირებისა და მოედნების ენციკლოპედიის" პრეზენტაციაზე მიმიწვია და, როგორც „ტფილისის მეტრფესა" თუ „პაემანის" ავტორს... „ღრმა პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით" 2 ეგზემპლარი მომართვა, რის აღსანიშნავადაც იქვე, ეგრეთწოდებული „ალაფურშეტით" დავილოცეთ... ასე ვთქვათ, წასულ დროს „ჭიქა წავუქციეთ" და ფეხზე დგომით შევსვით „ტფილისის ისტორიის" სადღეგრძელო.

Здравствуйте, мои Тбилисские тротуары –
Пишите свои тротуарные мемуари!

ლექსად ამბობდა გულზე ამოსაკაწრ სიტყვებს შიო დედაბრიშვილის შვილიშვილი — „ობლების პრეზიდენტად" სახელდებული შოთა დედაბრიშვილი!

მინდოდა, უამრავი ტელეობიექტივისა და პირში ჩაჩრილი მიკროფონებისთვის მეთქვა ეს ძველი „ტფილისური" ოცნება, რომელსაც ფრთები შეესხა, მაგრამ საქმეში ხარ — ეკრანს არ გამაკარეს, რადგან, სჩანს, „სასტიკად" იყვნენ გაფრთხილებულები, რომ მიკროფონი ვინმე „უცხო პირის ყბაში არ ჩავარდნილიყო"!

ვერც იმათ მიცნეს — ვერც მე ვიცანი —
თუმცა, ერთი გვაქვს ცა და მინანი.
ერთი ნაცნობიც კი არ ერია...
თბილისო, გზა ხომ არ აგერია!...

...ვერც იმათ მიცნეს — ვერც მე ვიცანი და ასე გავუუცხოვდით ერთმანეთს ძველი და ახალი თბილისი.

* * *

...ისევ მეპატიჟებიან კორკოტასთან. თუმცა, ახლა, უკვე, ტელევიზიაში! (ნეტავ, ვისთან ერთად?) ახლა ნეფე-დედოფალივით უნდა საეკრანო თუ საეთერო პარტნიორს შერჩევა. ყველა ყველასთან არ დაიჯდომება.

გამახსენდა ჩემი პუჭურა მოთხრობა „ჩვენებური კაცი"! ქართველი გეოლოგები, სადღაც ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანესთან, ქართულ ოდასახლს გადაანყდნენ(?!) საიდან-სადაო? — ამოუვიდათ შუბლზე თვალები. რა გიკვირთო, — უთხრა მასპინძელმა და ჭურს თავი მოხადა, — ერთი ქართველი აგერ ცხოვრობს... ას მეტრშიო (?!)

მერე, რატომ არ ეძახიო?...

ვემდურით ერთმანეთსო! —

?!

...რა ჭირი გვეცა, რა ღვთის გმობაა, რა ღვთის ნყრომაა???

P.S.აქ დროებით მივაყუდოთ კალამი.

45-დღიანი „ქრონომეტრაჟით" აი, ასე გამოიყურება ნუთისოფელი!

ნუთი უძახე შენ!

რამდენში ჩაევტიე და რამდენი ჩაეტია!

სულ ესაა? — იტყვის უძლები შვილი.

სულ ესაა და თუ ოჯახის ჯახაჯუხს შენს პირად მტერ-მოყვარესთან შეხლა-შემოხლასაც მიუმატებ, ყელამდე ამოგივა!

მოსანყენად ვერ მოიცლი... საქართველოს ისტორიას მავანნი სეირივით უყურებენ და მიკვირს, რატომ არ გვისკდება ეს ჭკუის კოლოფები — ტელევიზორები, რომლებსაც სული კბილით უჭირავთ!

13 მარტი!

რიყე.

„კამერული" პოლიტიკური შოუ... თავისუფლების თვითპატიმრობისა და დაპატიმრებული თავისუფლების „ჯერ ართქმული, ჯერ არგაგონილი" დემონსტრაცია. თბილისის აჩქარებული მაჯა! „ყალყზე" შემდგარი ქალაქი! ჩატეხილი ხიდები!

...არ გეკითხება, გშია თუ გნყურია, გცივა თუ გცხელა, გიჭირს თუ გილხინს — მოდის მუზა და თავპირისმტვრევით, ხელისცეცებით გაძებნინებს ქაღალდს თუ კალამს... და ღვთის კარნახით ინერება ლექსი:

— მერე მე ვიცი.
— დააიმედა მიხეილ.

აკაკი წერეთელი:
ვინაცრა რომ უგ-ნურს ხელში სამარ-თებელს მისცემს, ნუღა დაემდურება, თუ უგნურმა პირ-ველად იმ გონი-ერსვე გამოსჭრას ყელი.

გრიგოლ რობა-ქიძე:
მიმართავს ახალ-გაზრდობისადმი! „ისმინეთ ხმა ჩემი და ჩემთან ერ-თად გადასძახეთ მშობლიურ მთა-ველებს: მზეგრძელი იყავ საქართველო!"
„...მანკიერს და ხინჯიანს ჩვენსას ჩვენვე შევაჩვენებთ. არც სიკვდილის გვეშინია, თუ რაინ-დულად ხმალში გაგვიწვევს".

ერთხელ, ერთმა საშუალო ნიჭის დრამატურგმა ვოლტ-ერს უთხრა: „თქვე-ნი ტრაგედიების კითხვისას მივხვ-დი, რომ უკეთესად ვერასოდეს დავწერ. ამიტომაც გადავწ-

დრო! დრო აღნიშნეო — დროა უდროობის — ქეებუდანობის და მელაკუდაობის!

პროსკრიფციებით თუ...
პროკლამაციებით...
პოლიტორგიებით...
და ლუსტრაციებით...
გაწამაწიებით...
ილუსტრაციებით...
თეთრი ღამეებით...
და შავი სიებით...
მოუნანიებლად...
თუ მონანიებით...
იმედის მთიებით...
თუ ცხელებ-ციებით...
დაფ-დაფებითა თუ...
კონფისკაციებით...
კაფეის კაფიებით...
ეპიტაფიებით...
სიმართლის ძიებით...
და რია-რიებით...
მოდის გაგაფხული...
დაგაფრულ იებით...

## *13 თებერვალი!*

## *(2002)*

მე მიყვარს, რაიც იყო აქამდე
და კიდევ უფრო – რაიც იქნება.
ჩემი ფიქრები – ძველ და ახალზე
შემოგინახონ ჩემმა წიგნებმა.
მე უკვდავების სხვა გზა ვერ ვნახე,
(მართალი გითხრა, არც მიძებნია),
ჩემი სამანი მე გადაველახე,
რომ შენს სისხლ-ხორცში მიმომებნია!
ასე, რომ ახლა მე შენით ვსუნთქავ –
მეძახდნენ გიზოს და მქვია დათო.
ჩემი შენს სისხლსა დარაჯად უდგას –
ბაბუის სახელს შვილიშვილს ანდობს!
დიახ, მე ახლა თქვენითა ვცოცხლობ!...
მეძახდნენ გიზოს და მქვია დათო.
მე ვრჩები შენში და ვანთებ კოცონს,
გიზი—ვარ სულში და...
თეთრად გვათოვს!

---

*გრიგოლ ორბელიანი (თბილისზე): ვინც გნახოს, კვლავაც გნახოს, არ იკმაროს, კიდევ გნახოს. (მე ვიცი შენი ჯადოობაო).*

*არსენი გულიგა: ზეცამ ადამიანს... ხვედრის შესამსუბუქებლად, ორი რამ მისცა: ძილი და იმედი, – ამბობდა ვოლტერი. კანტი ამას სიცილსაც უმატებდა, თუმცა, ვაი, რომ გონიერ კაცთ „სიცილს ძნელად მოჰგვრი. საამისოდ საჭირო გონებამხვილობა ევზომ იშვიათია."*

გია მურღულია

მსოფლიო ლიტერატურა.

I ტომი

# რჩეული მოთხრობები

## (ნაწყვეტები წინასიტყვაობიდან)

„უცნაური რამ არის წიგნი — დაუსწრებელი დიალოგი მეორე ადამიანთან..." (იქნებ, საკუთარ თავთან, ან საგანთან, ან მოვლენასთან)

...„საყვარელი წიგნი არასოდეს „ბერდება"...

•

„დონ კიხოტი — პოეზია, სანჩო — პროზა"...

•

**იოჰან ვოლფგანგ გოეთე.**

რომანში „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი" გოეთემ აჩვენა ტრაგედია ახალგაზრდა კაცისა, რომელსაც ძალზე ბევრი სურს და ძალზე ცოტა შეუძლია."

გოეთე მუშაობდა ავტობიოგრაფიულ წიგნზე „პოეზია და სინამდვილე". მისი მწვერვალი ტრაგედია „ფაუსტია", რომელსაც მთელი სიცოცხლე წერდა.

•

დიდი ამერიკელი მწერალი ედგარ ალან პო.

მწერლის მხატვრული მანერის ერთ-ერთი თავისებურება — რეალურის და ფანტასტიურის, კომიკურის და სერიოზულის შერწყმაა.

•

P.S. ელიანის „ჭრელი მოთხრობები" რეზო გაბრიაძემ მაჩუქა — ასეთ მოთხრობებზე მოსინჯე კალამიო.

•

სატირული გროტესკის ბრწყინვალე ნიმუშებია მოთხრობები „ეშმაკი სამრეკლოზე" (1839).

•

„შეშლილის ჩანაწერები" — სატახტო ქალაქის — „პეტერბურგული მოთხრობების ციკლიდან" მოქალაქეთა დაბეჩავებულ ბედზე. „რევიზორი" (სოციალური სატირა). რომანი-პოემა „მკვდარი სულები". რუსეთის დაქვეითება ფეოდალური მეურნეობითა და მოშლილი ბიუროკრატიული აპარატით.

•

**ონორე დე ბალზაკი.** 20 წელიწადში წერს 90-მდე რომანს, ნოველებს, 30 ზღაპარს, 5 პიესას. წერს „შაგრენის ტყავს", „სოფლის ექიმს", „მამა გორიოს".

*ყველე. მხოლოდ კომედიები წერე", — პასუხად ვოლტერმა გაეღიმა და მოლიერის წაკითხვა ურჩია.*

*„ყვერის პალატრა" 2005, 24-30 ოქტომბერი.*

*კონფუციუსი ცუდ მმართველად თვლიდა იმას, ვინც ხალხს სძულდა, ცოტათი უკეთესად იმას — ვინც ხალხს უყვარდა, ხოლო საუკეთესო მმართველად იმას მიიჩნევდა, ვისაც ხალხი ვერ ამჩნევდა.*

*ნაპოლეონი 52 წლის ასაკში მოკვდა. წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებულ იმპერატორს დარიშხანის მცირე დოზებით წამლავდნენ.*

*1943 წლის 30 ნოემბერს, თეირანში გამართულ შეხვედრაზე, სტალინმა ჩერჩილს და რუზველტს შესთავაზა, ომის დამთავრების შემდეგ, ბერლინის შუაგულში 50 ათას ნაცისტ ოფიცერს მოეკვეთათ თავი და სახალხოდ დაეხვრე-*

სურს ყველა რომანი გააერთიანოს ერთ წიგნად („სოციალური ეტიუდები"). ბოლოს კი, ყველაფერს ამას არქმევს „ადამიანურ კომედიას", მსგავსად დანტეს „ღვთაებრივი კომედიისა".

სურს, მოიცვას მთელი ეპოქა, საზოგადოების ყველა ფენა. არ გამოტოვოს არცერთი ტიპი, ხასიათი, არც — სიჭაბუკე, არც — სიბერე, არც — პოლიტიკა, ყოფა, რელიგია. მას სამართლიანად უწოდებენ მწერლობის პრომეთეოსს.

*

ამერიკელი **სემუელ კლემენსი** — კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ამერიკული ლიტერატურის, საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსი.

ავტობიოგრაფიული შეფერილობის „ტომ სოიერის თავგადასავალი", „ჰეკლბერ ფინის თავგადასავალი". ხალხურ იუმორზე აშენებს ლიტერატურას.

*

**ალფონს დოდე** (ფრანგი). ტრილოგია „ტარტარენ ტარასკონელზე". დახატა უმაქნისი, ბაქია სატირული ტიპი — პროვანსელი დონ კიხოტი და სანჩო ერთ სახეში.

დაწერა წიგნი „წერილები ჩემი წისქვილიდან".

(მეც ასე წვრილად და მსხვილად ვფქვავ ჩემს ამბებს „სარეკელას მადლიან ენით" (ლადო) ( გ.წ.)

*

**გი დე მოპასანი** (ფრანგი. XIX). „ტყის ქათმის მოთხრობები", „დღისა და ღამის ზღაპრები". რაფინირებული ფსიქოლოგიზმი, თხრობის ობიექტური მეთოდი, ბიოგრაფიული რომანის ფორმა, სატირული ნიჭით გამორჩეული.

დაწერა რომანი „ცხოვრება".

*

**ოსკარ უაილდი** (ირლანდიელი).

1845-1847 წლებში დაპატიმრებული იყო ამორალური ქცევისათვის.

ცნობილია მისი ზღაპარი „ვარსკვლავბიჭუნა", რომანი „დორიან გრეის პორტრეტი" (ახლა „რ" ამოვარდა და „გეის" პორტრეტებს ხატავენ). მეშჩანური ატმოსფეროს წინააღმდეგ ამბოხია მისი სულიერება, შენიღბული თუ აშკარა თვალთმაქცობის წინააღმდეგ გამოდის „პარადოქსის ხელოვნებით". „რედინგის ციხის ბალადა" გამოქვეყნებულა მისი სიკვდილის შემდეგ.

*

**კნუტ ჰამსუნი** (ნორვეგიელი) იყო საქართველოში. დაწერა პიესა „დედოფალი თამარი" და შთაბეჭდილებები „ზღაპრულ ქვეყანაში" (1930). პირველი დიდი აღიარება — „შიმშილმა" მოუტანა. ნორვეგიულ ლიტერატურაში ამ მოთხრობამ გადატრიალება მოახდინა „თემატურ-გოტიკურ, სტილისტურ-ლითოლოგიური თვალსაზრისით, როგორც შინაგანად წინააღმდეგობრივი, უკიდურესად ზნეობრივი ადამიანის სულიერი ცხოვრების ასახვის იშვიათმა ნიმუშმა". საუკეთესო რომანია „მისტერიები", „ვიქტორია". 1917 წ. დაწერილი მონუმენტური რომანისთვის „მიწის მადლი" 1920წ. ნობელის პრემია მიენიჭა.

*

**რედიარდ კიპლინგი** (ინგლისელი, XIX-XX). მწერალი, პოეტი დაიბადა ბომბეიში. ხელოვნების პროფესორის ოჯახში. „ახლომხედველობამ ხელი შეუშალა სამხატვრო კარიერაში. ინყებს ჟურნალისტური საქმიანობით.

დანერა „ჯუნგლების ნიგნი". უხეში კოლონიური ჟარგონით ნერს ლექსებს. ახლებური ვერსიფიკაცია შეიტანა პოეზიაში. პირველი ნობელიანტია ინგლისელთა შორის. კრებულში დაბეჭდილია მოთხრობა „ათასი მნუხარების ჭიშკარი", რომელსაც ნამძღვარებული აქვს ოპიუმის მნეველის გამონათქვამი: ნუ შეგშურდებათ ჩემი, რაკილა, სულ რაღაც ერთი პაისის ფასად, ძალმიძს, შევაღო სამოთხის კარი!!!

**ლუიჯი პირანდელო** (XIX-XX) იტალიელი მნერალი, დრამატურგი.

ვერისტული (ვერიზმი) ანუ იტალიურად (ჩვენებური გამონათქვამივით არ დამინყო, ახლა, იტალიურიო!) ჭეშმარიტი, ნამდვილი.

ვერიფიკაცია — რისამე ჭეშმარიტების, სინამდვილის დადგენა.

„სიყვარული უსიყვარულოდ" (პირველი ნიგნი). მისი რომანები და ნოველები, ძირითადად, ასახავს პატარა ადამიანის შინაგან სულიერ ამბოხს.

მისი ნოველების ნიგნია „სახე და ნიღაბი" (შოთა ნიშნიანიძემ მაჩუქა მისი ლექსი — „ნიღბები"!.. ასეთ საჩუქარს მართლაც არ ესინჯება კბილი.

ლუიჯი პირანდელოს მოთხრობა „ქვევრის" მიხედვით რეზო გაბრიაძემ დანერა სცენარი.

*

**თომას მანი.** დიდი გერმანელი ესეისტ- (ისემეისტი!), ეპიკური რომანების დიდოსტატი. მისი თემაა არა იმდენად სოციალური, რამდენადაც სულიერი.

ტრაგიკული, ეთიკური პათოსის მნერალია. მისი ერთ-ერთი დაუმთავრებელი რომანია „ავანტიურისტ ფელიქს კრულის აღიარება".

*

**გაბრიელ მისტრალი** (ჩილელი. XX) — „პროზაული პოემები", „სიკვდილის სონეტები", რისთვისაც სანტიაგოს ლიტერატურული პრემია მიიღო. მას ეკუთვნის, აგრეთვე, ლექსები „სასონარკვეთილება".

*

აკუტაგავა. იაპონელი. გარდაიცვალა 1927 ნელს. ღრმა ფსიქოლოგიითა და დახვენილი სტილით მოიპოვა აღიარება.

ნანარმოებებში შეზავებულია სკეპსისისა და

ცოთი. ასეთმა წი-ნადადებამ ჩერჩილ-ში თანდაყოლილი სამართლიანობის გრძნობა გააღვიძა და სასტიკი პროტეს-ტი გამოთქვა. სიტუ-აციის განმუხტვას რუზველტი ხუმრო-ბით შეეცადა — ჯან-დაბას, 40 ათასი იყ-ოსო. ჩერჩილი გაბრაზდა. ცალკე ოთახში გავიდა და უკან არ შემო-ბრუნებულა. სანამ სტალინმა არ მია-კითხა და არ უთხრა, ვიხუმრეო.

**P.S.** ასეთი ხუმ-რობა მხოლოდ სიმ-წრის სიცილის ლუე-მაა!

გრიგოლ ყვანია, პროფესორი:

იქმნება შთაბეჭდ-ილება, რომ ქარ-თველმა ერმა თავი-სი ისტორიის საათი უკან გადასწია.

....სახელმწიფო ფელუროს, ფეყდა, ერთი ლაზათიანი ქარის მემობერვა და იმის გადამხხვრე-ვა ერთია — ილია ჭავჭავაძე.

სიმონ არველაძე:

გარდასული დრო-ჟამის მეხსიერების მღვიმედან გამოხ-მობის დროს!

პესიმიზმის დაღი, რაც განპირობებულია ბურჟუაზიულ ყოფასთან და მის ეთიკურ მოთხოვნათა შეუთავსებლობასთან.

ხელოვნებისა და ცხოვრების დაპირისპირებაში იგი უპირატესობას ხელოვნებას ანიჭებს.

სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. რეალურ ცხოვრებისეული ურთიერთობებს ასახავს „სიცივე", „მაიმუნი", „მინის გოროხი".

*

**ერნესტ ჰემინგუეი.** ამერიკელი. 1928 წლამდე ცხოვრობდა პარიზში.

მწერლის მსოფლაღქმა მის პირველ წიგნში „ჩვენს დროში". ფრაზების ლაპიდარულობა, სადა ლექსიკა, სინტაქსი, „მეორე პლანის" ქვეტექსტები.

1937-40წ. ესპანეთში კორესპონდენტად მუშაობდა.

რომანი „ვისთვის რეკავს ზარი", „მოხუცი და ზღვა".

*

**ხულიო კორტასარი.** არგენტინელი. 1984. მწერალი, პოეტი-სიმბოლისტი. „მაგიური რეალიზმის" წარმომადგენელი. სწავლობდა „ბუენოს-აირესში" (რაღა დარჩა რიო დე-ჟანეირომდე — ოსტაპ ბენდერის ნატვრის ქვეყნამდე?) უსახსრობის გამო სწავლა მიატოვა. პარიზში დასახლდა და მთარგმნელად მუშაობდა იუნესკოში. დაწერილი აქვს მოთხრობები, რომანები, დრამატული პოემები, კრებულები, 2 პუბლიცისტური წიგნი-კოლაჟი, ესეები.

რომანი „კლასიკოსობანას თამაში" კრიტიკაა და ავტორი ამ წიგნს ხაზგასმით აღნიშნავს!

**კორტასარი:** „რომანი ყოველთვის იგებს ქულებით, მოთხრობამ უნდა გაიმარჯვოს ნოკაუტით".

*

**ჯერომ სელინჯერი.** თანამედროვე ამერიკელი პროზაიკოსი. „თამაში ჭვავის ყანაში" (ერთადერთი რომანი). 1965 წლიდან სელინჯერი არ იბეჭდება. (მუხრან მაჭავარიანივით) კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა. წერს მხოლოდ თავისთვის. ჩემს წიგნებს მეც ჩემთვის და ჩემი შვილიშვილებისთვის ვწერ!.. თუმცა, თუ გინდა, წერო სხვისთვის, წერე... შენთვის !

*

**რეი ბრედბერი.** თანამედროვე ამერიკელი პროზაიკოსი, პოეტი. „451 ფარენგეიტით". „ვგრძნობ, ბოროტება ახლოვდება". მოთხრობები „გაფრთხილებანი" — ავტორი ხატავს დროის ტემპისაგან კაცობრიობის „დავაჟკაცების" ჩამორჩენის შესაძლო შედეგებს.

*

**ფრანსუაზ საგანი.** თანამედროვე მწერალი ქალი. პირველი რომანია „გამარჯობა, სევდავ!", 19 წლისამ დაწერა. საყოველთაო აღიარება მოუტანა. მახსენდება სიმღერა: „Вам 19 лет!"

*

**პროსპერ მერიმე.** XIX. პირველი ნოველების კრებულს ჰქვია „მოზაიკა". ფრანგულ რეალისტურ ხელოვნებაში გზა გაუკაფა კრიტიკულ რეალიზმს.

*

**ლევ ტოლსტოი.** თბილისში დაწერა პირველი მოთხრობა „ბავშვო-

ბა". მისი კალმის ნამოქმედარია ოთხტომიანი რომანი-ეპოპეა „ომი და მშვიდობა", „ანა კარენინა", დრამა „მეუფება ნყვდიადისა". მოთხრობაში „ივან ილიჩის სიკვდილი" ღრმა ფსიქოლოგიზმით ხატავს მომაკვდავის სულში მომხდარ ძვრებს, განცდებს, აღსასრულის წინ რომ შეიგრძნო თავისი სიცოცხლის ამაოება.

პიესა „ცოცხალი ლეში" გადმოგვცემს მთავარი გმირის შინაგან დრამას — ნინააღმდეგობას შინაგან მრწამსსა და პირად ცხოვრებას შორის.

*

**ამბროზ ბირსი.** ამერიკელი. XX. 1914 გარდაიცვალა. კრებული „ცხოვრების შუაგულში", „სატანას ლექსიკონი".

*

**ო'ჰენრი.** ყოფილი აფთიაქარი (გაიხსენეთ „კვაჭიჭო" — ოთარ რამიშვილის სიმღერა — „ფუტკარი-აფთიაქარი"!). შტატ ოჰაიოს ციხეში სამი ნელი იჯდა და იქ დაიწყო მოთხრობების წერა. (ღირს ასეთი კაცის დაჭერა, მე კი სიბერემ „დამიჭირა" თუ გამომიჭირა).

მისი პირველი იუმორისტული მოთხრობით „ჩიტირეკია დევის საშობაო ნობათი" — დაიწყო ამერიკულ ლიტერატურაში მახვილგონივრული ნოველები... მოულოდნელი დასასრულით.

„მოკლე მოთხრობების" დიდოსტატია. აქვს 280 მოთხრობა, რომელმაც 18 ტომი შეადგინა. აღსანიშნავია კრებულები „მეფეები და კომბოსტო", „ქალაქის ხმა", „კეთილშობილი თაღლითი".

*

**ჰერბერტ უელსი.** XX. რომანის მამამთავარი. ინგლისელი მწერალ-პუბილიცისტი. „დროის მანქანა", „ბედის ბორბალი". 40-მდე რომანის ავტორია. მას ეკუთვნის 30 ტომი პოლიტიკური და სოციალური პროგნოზებისა, 3 საბავშვო ნიგნი.

*

**სომერსეტ მოემი.** XX ს. ინგლისელი. რეალისტი (ნატურალიზმის გავლენით). დანერა ავტობიოგრაფიული წიგნი „შეჯამება" (1938წ.) თავად ამბობდა, რომ მისი მეთოდია „უკომპრომისო სიზუსტე და სიცხადე, ყოველგვარი შელამაზების გარეშე".

*

**ანდრე მორუა.** ფრანგი. რომანისტი, ესეისტი, ისტორიკოსი.

1960 წ. გამოიცა ნოველათა კრებული — „მხოლოდ ფორტეპიანოსათვის"!

<u>როლანდ ჯალაღანია:</u>

*პირველად სულმნათმა ილიამ დაარისხა ზარები, როცა „ქვათა ღაღადით" დაანახა ქართველ ერს საკუთარ სხეულში აღმოცენებული მომაკვდინებელი სიმსივნე. მის მიერ შექმნილმა ქართულმა სადგილმამულო ბანკმა შეაჩერა ქართული მიწების გაფლანგვის პროცესი და გააკოტრა უამრავი არაქართველი მიწაქამია და მეღტიყლაპია. გაკოტრებულთა შორის იყო გაზეთის გამომცემელი, ყოველივე ქართულისა და საქართველოს დიდი მოძულე გრიგორ არწრუნი, რომელიც ხელს უწყობდა საქართველოს ნგრევის პროცესს, რომელიც, საქართველოს სტუმარ ფრანგ ჟურნალისტს, ყველა მემხედრ მახინჯ ქალს ქართველად წარმოუდგენდა, ხოლო ყველა ლამაზ ქალს — სომხად. ეს ის არწრუნია, რომელიც ამას წინათ, ლამის გულისტკივილით, მოიხსენია ლევან ბერძენიშვილის თავკაცობით*

*

**უილიამ ფოლკნერი.** დიდი ამერიკელი მწერალი. „გაზეთჩიკი". „იოკნაპატოფის საგაში" — პლანტატორული სამხრეთის დამარცხება. „იოკნაპატოფის ციკლი"!

*

**უილიამ საროიანის** (გაიხსენეთ გურამ ასათიანის: ურეს გნუმ, ტო?) ავტობიოგრაფიული მემუარული ნარკვევი „ველოსიპედისტი ბევერლი ჰილზიდან". სომხეთის მონატრებას მიეძღვნა 1978წ. წიგნი „შემთხვევითი საუბრები".

*

**ალბერ კამიუ.** 1960. ფრანგი. რომანისტი, დრამატურგი, ესეისტი, ფილოსოფოსი, ეგზისტენციალური ლიტერატურის, უფრო ზუსტად, „აბსურდის ფილოსოფიისა და ლიტერატურის" უდიდესი წარმომადგენელი. ალჟირელი. პარიზის „პარი სუარის" ჟურნალისტი. ამტკიცებს, რომ სამყარო აბსურდულია. 1957 წ. მიენიჭა ნობელის პრემია „ადამიანის სინდისის მნიშვნელობის წარმოჩინებისათვის".

*

**კობო აბე.** იაპონია. XX ს. მთავარი თემა: კონფლიქტი ადამიანსა და საზოგადოებას შორის. სულიერი მარტოობის პრობლემა. აქვს ასეთი რომანიც „საიდუმლო პაემანი".

*

**ივანე ტურგენევი.** რომანი „მამები და შვილები".

*

**შილერი:** გაბედე, შეცოდება ჩაიდინო და იოცნებო!

*

**რაბინდრანათ თაგორი.** 1941. ბენგალელ ბრამაიანთა ოჯახიდან. დიდი ინდოელი მწერალი და მოაზროვნე. 14 წლისამ გამოაქვეყნა პირველი ლექსი.

პოეტური კრებულები „მწუხრის საგალობლები", „დიეზები და ბემოლები". საგალობელთა კრებული „გატანჯული".

*

**რაინერ მარია რილკე** — დიდი ავსტრიელი პოეტი, ევროპული სიმბოლიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. პირველი კრებული მნიშვნელოვანი ლექსებისა არის სამნაწილიანი „ჟამნი".

*

**ფრანც კაფკა.** XX ს. გერმანელმა მწერალმა, ავსტრიელმა ჩინოვნიკმა, ებრაელმა ტანჯულმა და ჩეხოსლოვაკიის მოქალაქემ ფრანც კაფკამ სიკვდილის წინ ექიმებს უთხრა: „ექიმებო, მიბოძეთ სიკვდილი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავთვლი, რომ თქვენ მკვლელები ხართ!"

**აინშტაინი:** მე მაინტერესებს სიკვდილი.

პრაღა — ეს იყო ქალაქი, რომელიც კაფკას ერთნაირად უყვარდა და სძულდა (თბილისი დღეს).

კაფკამ შექმნა ბიუროკრატიული მანქანის სახე, რომელიც მართავს საზოგადოებას. წინასწარ ხედავდა — ახალი სამყაროს შექმნა ინყებოდა. მას ეკუთვნის „მეტამორფოზები, „განაჩენი", „წერილი მამას".

---

*კანტი: ჰედემონისტი (განცხრომის მოყვარული) ცხოვრებას საკუთარი ფუფუნებით აფასებს და არა მოვალეობის გრძნობით.*

*ქართული გამოთქმა: ზოგს თავი იმიტომ ადგას მხრებზე, რომ მუცელში წვიმა არ ჩაუვიდეს!*

*

**ლიონ ფოიპტვანგერი.** გერმანელი. მთელი თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე ერთადერთი („მოსკოვი, 37 წელი") პრობლემა ანალვლებდა: რა ამოძრავებდა იმ სოციალურ ცვლილებებს, რომლის მონმეც თავად ხდებოდა. ამ შეკითხვებს, შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირ პასუხს სცემდა. სტალინის ფენომენის საინტერესო ხედვა აქვს.

„ესპანურ ბალადაში" მე ბევრი შეფარული ეროვნული ოცნება ვიგრძენი.

**ხორხე ლუის ბორხესი.** პოეტი, პუბლიცისტი...

დაბრმავდა. თქვა: „ბრმაზე უკეთ ვის შეუძლია საკუთარი თავის შეცნობაო."

*

**ჟან ბრიულერი.** მწერალი და მხატვარი, წერდა „ვერკორის" ფსევდონიმით 1990.

„მწერალი, უპირველეს ყოვლისა, მამაცი უნდა იყოს და ყოველგვარ ვითარებაში, რასაც ფიქრობს, იმას უნდა ამბობდეს, როგორიც არ უნდა იყოს სამაგიერო მისი გულწრფელობისათვის. ასეთია ჩემი პროფესიული მრწამსის პირველი დოგმატი.

*

**ჯონ სტეინბეკი:** „მრისხანების მტევნები". ნობელიანტი („მსუბუქ იუმორთან და სერიოზულ სოციალურ მსოფლმხედველობასთან შეხამებული რეალისტური და პოლიტიკური ნიჭისათვის").

*

**სემუელ ბეკეტი.** ინგლისურ-ისლანდიური წარმოშობის. მისი ბიოგრაფი წერს: „ყოფიერების არსის შესაცნობად ის ცდილობდა, ადამიანის ცნობიერების არსს ჩანვდომოდა".

*

**დინო ბუცატი.** იტალიელი. მწერალი, ჟურნალისტი, მხატვარი, „ფანტასტიკური რეალიზმის" წარმომადგენელი.

„მთელი ჩემი სიცოცხლე სიკვდილზე ვწერ და თავს ნებას ვერ მივცემ — მისი მეშინოდეს".

*

**აზიზ ნესინი (მაჰმუდ ნუსრეტი).** თურქი. სტამბული. XX ს. მუშაობდა სატირულ ჟურნალში „მარკო პაშა", რომელიც ანტისახელმწიფოებრიობისათვის დახურეს. პოლიტ-სოციალური სატირის დიდოსტატი. ნანარმოებები: „თავისუფალი გიჟები". მისი საყვარელი გმირია უღიბლო ღარიბი ინტელიგენტი, რომელიც სამსახურს ეძებს. მოთხრობა „გიჟი მაღლა ავიდა" (მანამ ვერ ჩამოიყვანეს ძირს, სანამ იმპერატორობას არ შეპირდნენ!)

ჟ. „ნიანგში" ჩემი მოღვაწეობის დროს გვეწვია და ერთმანეთის მწერლური ჭირი და ლხინი გავიზიარეთ.

მოღვაწე ეროვნული ბიბლიოთეკის საუნ-ყებო გაზეთმა. რას იზამ, ყველას თავი-სი საზრუნავ-საყუა-ვარი აქვს!

შემდეგ ვაჟა-ფშაველამ ახადა ფარდა ჩვენი მეზობლების ჭეშმარიტ მიზნებს, როცა შექმნა პოე-მა „პაოსი და ქართ-ლის".

რეზო ამაშუკელი:

...ხმელთ პოეტე-ბი პაპარს კაცებს, ისევე, როგორც ყოფილი მამლის. გამოფენიისას... მხურვარს და გამ-ცემს.

„ამბობდნენ, ქალს გაურბოდა დიდი მწ-ერალი გოგოლი. ვის აღარ უყვარს გოგონა, მაგრამ საქ-მეა, როგორი?.."

„უნდა მოგახსენო, კომკავშირის ცე-კავ. რომ გამაპემჩანეს და... ახლა ფიქს-ცროცს ვწევავ..."

ისპონისმი სახნაუ-ლი მიხდა: გენმა „აურია"... 75 წლის ხეი ხენაგონი, ხრუ-ლიად მოულოდ-

*

**თედორე დოსტოევსკი.** რომანები: „დანაშაული და სასჯელი", „იდიოტი", „ეშმაკნი", „ძმები კარამაზოვები". „ადამიანებს შეუძლიათ, იყვნენ მშვენიერნი და ბედნიერნი და არ დაკარგონ დედამიწაზე ცხოვრების უნარი. მე არ მინდა და არ შემიძლია, დავიჯერო, რომ ბოროტება შეიძლება იყოს ადამიანის ნორმალური მდგომარეობა".

მწერალი „...დადის წინ და უკან ოთახებში და ცდილობს, მომხდარი ამბები განსაზღვროს, გაიაზროს, ფაქტებს „თავი მოუყაროს"... მოურჯულებელი იპოქონდრიკოსია, თავის თავთან ლაპარაკს მიჩვეული"...

*

**ბოლესლავ პრუსი** ფსევდონიმია პოლონელი ალექსანდრე გლოვაცკის. პოლონური ლიტერატურის კლასიკოსი. მოთხრობებს წერდა ბავშვებზე და ბავშვობის წლებზე („ბავშვობის შეცოდებანი").

*

**ჯეიმს ჯოისი!** ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ირლანდიელი მწერალი. „არ შემიძლია, ვწერო ისე, რომ შეურაცხყოფა არ მივაყენო ადამიანებს"!

*

**ანატოლი ფრანსი.** ფრანგი. სატირული რომანი: „პინგვინთა კუნძული". ზღაპრულ-ფანტასტიკური რომანი „ანგელოზთა ამბოხი". ნოველების კრებული „ბალთაზარი".

*

**ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი.** ამერიკელი პროზაიკოსი. რომანი „დიდი გეტსბი" (1925), რომელშიც აშკარად გამოჩნდა ე.წ. „ამერიკული ილუზიების" მსხვრევის მძიმე განცდა. ასევეა მოთხრობების კრებულში „ეს მოწყენილი ახალგაზრდები" (1926).

*

**ტრუმენ კეპოტე.** XX ს. ამერიკელი. ცნობილი პროზაიკოსი, პუბლიცისტი. 9 წლიდან წერდა. სიურეალისტური ტენდენციების, ფროიდოისტული სიბოლიკით (გროტესკით და ფანტასმაგორიით).

„ვწერდი იმიტომ, რომ თავი დამეღწია მარტოობისაგან".

*

**გაბრიელ გარსია მარკესი.** კოლუმბიელი. 6.03.1928. (ზუსტად ჩემი ხნისა, ჩემი კბილა ყოფილა!)

1967 წელს არა მარტო ლათინური ამერიკა, მსოფლიო შეძრა მისმა რომანმა „მარტოობის ასი წელიწადი", რასაც ლიტერატურული მინისძვრა უწოდეს.

დონ კიხოტის შემდეგ უდიდეს მოვლენად ჩაითვალა. „პატრიარქის შემოდგომა", „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა". „იცოცხლო იმისთვის, რომ მოუთხრო სიცოცხლის შესახებ", „ჩემი სევდიანი მეძავების მოგონება".

*

**მილორად პავიჩი** (1929). სერბიში დაიბადა. „მისი, როგორც პროზაიკოსის და პოეტის შემოქმედება იმდენად თვითმყოფადი და განსხვავებულია, რომ არანაირ ჩარჩოში არ ჯდება. ლიტერატურათმცოდნეები ვერ შეთანხმდნენ, რა ჟანრში მუშაობს მწერალი". „ჰომეროსისდარ

---

*შარლ ტალეირანი: დიდი თანამდებობა ციცაბო კლდეს ჰგავს: არწივი უნდა იყო, რომ აფრინდე, ან ქვემძრომი, რომ აფოფხდე!*

*ტარიელ საყვარელიძე: ზოგი კაცის ტვინის მიდამოებიდან ხშირად ჩალის შრიალი ისმის-ხოლმე.*

მთხრობელს" უწოდებენ.

პავიჩი: ყველა წიგნი, რომელიც ბოლო 2000 წლის განმავლობაში დაიწერა, ცალმხრივ მოძრაობასა ჰგავს — იწყება და სწორხაზოვნად მიდის ფინალამდე. მე კი წიგნსა და სახლს, ლიტერატურასა და არქიტექტურას ერთმანეთს შევადარებდი. წიგნისა და სკულპტურის დანახვა სხვადასხვა კუთხიდან შეიძლება... ჩემი რომანის ნაკითხვა ბოლოდანაც შეგიძლიათ, ასევე, დიაგონალზეც. წიგნი მკითხველის დროებითი სახლია, მას რამდენიმე კარი აქვს"...

P.S. ნებისმიერ კალმოსანს სჭირდება „საკალმასოდ" ეს ზემოხსენებული ლიტერატურული „საგზალი"!

* * *

ღამის წყვდიადში გაბაცდა ლილა —
იების ცრემლით ცვარმა იტირა —
საარის ხმაში მოჟონავს დილა —
მზეც ამოეიდა და... გაგეიცინა.

## *გენის გენიალობით!*

წარმა-ყალის ეალის ენით —
მნათობთა და მზეთა მზერით —
დრომ — მსახერალის მისის ხელით —
დრომ წალეკა ყველაფერი!
...იყენენო და არა იყენენ —
ფინიკიელ-ეტრუსკები —
შუმერები, ეგვიპტელნი,
ძველისძველი — კართაგენი —
დაილია მათი დღენი —
ჩაესვენა მათი მზენი —
ჭირთა თმენით —
მაღლით ზენით —
კვლავაც გონიბს ქართელის გენი!
რითი?..
ისევ ღმერთის წყალობითა —
გენის გენიალობითა!

* * *

რაც არსული წარსულს ტირის —
და მომაეალს უგანა...
საქართველოს ისტორიას
თეალი რჩება უკანა.
უკან წყალი, წინ მეწყერი —
დრო თეალს ეელარ ადევნებს —
ამ ბნელში ეწერ ბედისწერას...
ღამე დღეს ეერ ათენებს!

ნელად. 40 წლით გაახალგაზრდავდა. ახლა მას არ ასვენებენ მსახიობი ქალები, მდიდართა ცოლები და სთხოვენ, დიდ თანხად მიჰყიდონ მათ ახალგაზრდობის საიდუმლო.

...ეს ამბავი დაიწყო 90-იანი წლების შუა ხანებში: თავდაპირველად, სეის ჭაღარა თმა გაუმუქდა, შავი და ბზინვარე გახდა. შემდეგ, ღრძილებიდან სისხლი წამოუვიდა. მოხუცმა იფიქრა, პროთეზი მაწუხებსო და სტომატოლოგს მიაკითხა. ექიმი გაშტერდა — ქალს კბილები ამოსდიოდა! თანდათანობით ნაოჭებიც გაუსწორდა და სახე ისე გადაეცვალა, რომ სეის ქუჩაში მისი უახლოესი ადამიანებიც კი ვეღარ ცნობდნენ. ერთი წლის შემდეგ დედათა წესიც აღუდგა. სეი სენაგონი თავის 80 წლის მეუღლეს, რომელთანაც 50 წელი იცხოვრა, გაეყარა და ბანკის 40 წლის კლერკს გაჰყვა ცოლად.

ამჟამად, სეის ფენომენს შეისწავლიან გერონტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერები. ვარაუ-

## *ილია II-ს!*

ჩვენო სულიერი მამაო,
უწმინდესო და უნეტარესო!
შენი სიტყვა — არ არს ამაო
და წედება მტერ-მოყვარესო!
ერი და ბერი ერთია —
ღმერთსა ღმერთისა ვუშენოთ! —
შენ არ შეგიძლია... უჩვენოდ —
ჩვენ არ შეგვიძლია... უშენოდ.
ესაა შენი და ჩვენი ზიარება —
სიბრძნეა მამაშვილობისა —
ქრისტესმიერი მზიანება —
ნიშანი ცათა-შინობისა!

* * *

ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას გვეცილება
„მტერ-მოყვარე", პოდა,
სატირალზე გვეცინება...
დათეია თუ —
ბაბრია თუ —
ფოცხვერია —
ამათ ხელში, მადლობა ღმერთს — ცოცხალია!
თავი მოჭრეს,
ხერხემალში გადატეხეს...
„ნიკოფსიით-დარუბანდი" — შეშლილია,
ჩვენ... ჩვენს გარდა
ვერავინ ვერ მოგვჭამს ფეხებს —
საქართველოს
ხსენებისაც მეშინია.
P. S. ხელის კანკალით შემოხაზულ
ქართველთა რუკას —
არავინ იცის (ღმერთის გარდა),
ეშმა რას უქადს!

* * *

ენა უძვლოა —
რას არ იტყვის ენით უთქმელსა.
ღვინოს დალევ და იმართება სიტყვის დოღია.
ენად გაკრეფა პქვია, კაცს რო ენა უკვესავს,
მელვინეობას მიტომ პქვია „ენოლოგია"?..
ღვინო გასწავლის სიმღერასა და ლაპარაკსაც,
ფეხს აგირევს და ამოგიდგამს ენას ჭიკჭიკით.
ღვინო მიწვდება მიუწვდომელ ივაც-არაკსაც,
და მთელ სამყაროსაც დაიტევს იმ ერთი ჭიქით!
P.S. ენას ძვალი, თუმცა, არ აქვს —
რა გამოლევს ენის მარაგს —
სიტყვის კონის თაიგული —
არის გული — გათანგული!

* * *

უსმენ – ეშმაკი!
ხედავ – კაცია!
არც აცხელა და არცა აცია,
ყოველს გეპირდება, ქვეყნად რაც კია –
ხალხი აქცია დეკორაციად!

* * *

„ფულის შოვნას უნდა – გამბედაობა,
შენარჩუნებას – სიბრძნე,
ხარჯვას – ტალანტი“.
სხვანაირად ფულზე ჩალიჩს ჰქვია რაობა:
ქურდობა, ყაჩაღობა და სამშობლოს ღალატი!

* * *

ჯერ ვაქებთ და მერე ვლანძღავთ
ადამიანს – ერთი ათად –
ასე იქცა სიტყვა... ბანძად –
კომპლიმენტი – კომპრომატად!

* * *

ყველაფერი იცის, ვინც...
არაფერი არ იცის –
ანუ იცის... არ იცის –
ქიცმაცურის და ქიცის.
P. S. ესა ბრძანა ბრძენთა ბრძენმა
სოკრატემ თუ ბაგრატემ –
მაგრამ ეს რომ აღიარო...
არ ჩაგთვლიან ძაღლადაც!

* * *

წყალნი წავლენ და წამოვლენ –
დარჩებიანო ქვიშანი –
ჩემი დუმილი არ არის –
შენი თანხმობის ნიშანი!

* * *

კვიცი გვარზე უკვე აღარ ხტის –
ახლა ცოლი... ქმარი არის... ქმრის –
ახლა ქარიც სხვა ქარივით ქრის –
სახურავებს ნამუსივით ხდის.

*ილია: სიტყვა – ხმალზე უფრო ჭრის და ზარბაზანზე მეტად ჰქუხს.*

*დობენ, რომ ყველაფერი ახალგაზრდობის ვნების ბრალია. ჩვეულებრივ, ამ ასაკში ვინც უკვე „სძინავს“, სეის შემთხვევაში კი, რატომღაც „გამოიღვიძა“, როგორც ჩანს, „გაგიჟდა“ და აქტიური ფუნქციონირება დაიწყო.*

*„კვირის პალიტრა“ 2002, 1-7.07.*

**P.S.** *რუსთაველი კი ამბობს: „მე ვარ დავხულვარ, სიბერე მჭირს, ქირთა უფრო ძნელიაო“!*

*გენი და გენიალობაც ამას ჰქვია.*

*<u>მწერალი ჯემალ ჯაიაშვილი:</u>*

*ჩემი შვილები საბურთალოსკენ ვერ დავძარი და ისრაელში ცხოვრება რომ მოვინდომო, იქით დავძრავ?..*

*(ჯემალ ჯაიაშვილი: ჩემთვის სამყაროს ჭიპი სენაკია)*

*— როგორ ფიქრობთ, საქართველო უკან იხედებს?*

*— საქართველო მუდმივად გზაშია, მუდმივ ძიებაშია. აჰა, გაიხსენეთ გალაკტიონი: „მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მივაგნებ და არ მახსოვდა, მქონდა იგი*

## „ანტიკური ლიტერატურის ისტორია“

ჩემს სანიგნეთს ამშვენებს 1971 წელს გამოცემული აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის „ანტიკური ლიტერატურის ისტორია", რომელიც ნიგნიერმა კაცმა, საქართველოს კულტურის ყოფილმა მინისტრმა ვალერი ასათიანმა მაჩუქა. ამ ნიგნს ახლაც აჩნია ჩემი ნაკითხვის კვალი, რომელმაც, ხაზგასმული სტრიქონებით, მაშინვე გამახსენა თავი.

...ბერძნული ლიტერატურა რომ არ ყოფილიყო, არც რომის ლიტერატურა იქნებოდა! (ვერგილიუსის „ენეიდა", ჰორაციუსის „ოდები", ოვიდიუსის „ჰეროიდები", „მეტამორფოზები", ესქილეს „ტრაგედიები", არისტოფანეს „კომედიები" — აი, საგანძური!)

... „მხატვრულ ნანარმოებში, ამა თუ იმ შემთხვევის ასახვის კრიტერიუმად ის კი არ უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი შემთხვევა სინამდვილეში მოხდა... არამედ, საზომად უნდა ყოფილიყო მიჩნეული მხატვრულ ნანარმოებში ასასახავი მოვლენის ღირებულება საზოგადოებრივი ცხოვრების ნინსვლისა და გაუკეთესებისათვის!

...ზევსი, იდის მთაზე, სასნორზე ნონის მებრძოლის ბედს.

აქილევსი ითვლებოდა გმირთაგმირად, მაგრამ ერთ-ერთი ანტიკური ხანის პოემაში, აქილევსის დედას, თეტიდას, რადგანაც, ოდესღაც, მისთვის უნინასნარმეტყველებიათ, რომ მისი უძლეველი შვილი, ბოლოს და ბოლოს, მაინც ომში დაიღუპებოდა, თავისი შვილი გაუხიზნავს შორეულ კუნძულზე, სადაც, ქალად გადაცმული... გოგოებში იმალებოდა! მაგრამ, ის მაინც იპოვეს და აომეს... (ეს პოემა საზოგადოებამ არ მიიღო, რადგან იგი, არა მარტო სახალხო გმირს, არამედ მთელ ბერძნულ სახელმნიფოს ჭრიდა თავს!

P.S.ე.ი. იმ ერთ ქუთაისურ ხუმრობასაც ჰქონია ანტიკური ანალოგი: ერთმა ებრაელმა რომ უთხრა სამხედრო კომისარიატში მიყვანილ ნვევამდელ შვილს — გაინი, შე ჭირიანო, იქეთ, პატივცემულ კომისარს არ გადასდო ჭლექიო!...

... პეტროკლეს — მეგობრის სიკვდილი რომ გაიგო აქილევსმა, შავი ნაცარი თავზე დაიყარა. ალბათ, აქედანაა ეს ქართული ტრადიციაც!

...ათენა ფეაკეების ქვეყნის მეფის ასულს ურჩევს, საცვლები გარეცხე, გასათხოვრად მოემზადეო. ეს იმასა ჰგავს, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მეჩაიე ქალს რომ უთხრა: შენთან რაღაც ინტერვიუს აპირებენ და, ყოველ შემთხვევაში, ნიფხავი გამოიცვალეო!

... აედი მღერის ლამაზთმიან აფროდიტეზე.

...ოდისევსის ხომალდი აიას მოადგა!

... მკვდრების სამეფოში ოდისევსმა ბევრი მიცვალებულის სული ნახა (რომის კატაკომბებში ჩვენც გვიხეტიალია, მაგრამ, ერთი გურულისა არ იყოს, „ზემელზე" ახალგახსნილ მეტროსთან რომ იდგა და მინიდან ამომავალ ხალხში თავის მიცვალებულებს ელოდა... ჩვენი მიცვალებულებისთვის თვალი არ მომიკრავს!)

...ჰომეროსის სამშობლოობაზე (სიცოცხლეში უპატრონო ეზოპესავით) პრეტენზიებს აცხადებდა არაერთი ქალაქი!

...ბაირონი ბერძენთა შორის იბრძოდა თურქების ნინააღმდეგ.

...ჰომეროსის პოემებს რაფსოდები ავრცელებდნენ ზეპირად.

---

*ჰაინე: საკუთარი თავის აღწერა არამც თუ საშიშია, არა[illegible] შეუძლებელიც! (თუმცა მიზანი შეუძლებელსაც შეგვაძლ[illegible]ებს! – გ.ნ.)*

... ჰომეროსის გმირების (პრიამეს, აგამემნონის, აქილევსის, ოდისევსის, ჰექტორის, ელენეს და სხვათა) სახელები ხშირად იხსენიება შავთელის, ჩახრუხაძის, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრინის, დავითისა და თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში!

... ჰეროდეს პოემაში „სამუშაონი და დღენი" შეიცავს ცხოვრებისეულ რჩევა-დარიგებებს.

არსებობს ჯიბრი – მტრობა და ჯიბრი – მეტოქეობა. პირველი მინუსია, მეორე — პლიუსი!

... ზევსის მიერ სამი დარაჯია გამოგზავნილი დედამიწაზე სიმართლის სადარაჯოდ!

... ცხოვრება ტანჯვითა და ბოროტებით არის სავსე და მას შრომითა და სამართლიანობით უნდა გაუსწორდე.

...პანდორამ ქალური ცნობისმოყვარეობით აარიდა თავი თავის ყუთს, საიდანაც ამოიყარნენ ქვეყნის ბოროტებანი და მოედნენ ქვეყანას. პანდორას ყუთში ერთადერთი — იმედილა დარჩა!

...ჰეროდე მოუთხრობს მსმენელს მით იმ ხუთ საუკუნეზე, რომელიც გამოიარა მსოფლიომ მისი არსებობის მანძილზე: 1. ოქროს; 2. ვერცხლის; 3. სპილენძის; 4. თებესა და ტროასთან დაღუპული გმირებისა, რომელნიც ზევსმა „ნეტართა კუნძულზე" დაასახლა და 5. „რკინის მოდგმისა" — ანუ დაეიდარაბისა, ჯაფისა და ჯოჯოხეთისა, საცა აღარაა მამაშვილობის, სტუმარმასპინძლობის ნეტარება, სინდის-ნამუსი, ავკარგიანობა... (ის, რაც ახლაც გვიჭირს და რაც დღესაც თავბედს გვანწყევლინებს!)

...ტერმინ „ელეგიას" ძველი ბერძნები განმარტავდნენ „ვაითქმად" და „ჭკუაზე შეშლადაც".

...მიმნერმე (VII-VI ს. დროინდელი მოღვაწე): არ ღირს ცხოვრება სიყვარულის გარეშე!

სიბერე სიკვდილზე უარესია, რადგან სიყვარულის ცეცხლი უქრება და თეთრად ბოლავს!

ბერძენი ბრძენი სოლონი (VIIს.) პირველი ათენელი პოეტია. არისტოტელე: სოლონი, წარმოშობით განეკუთვნებოდა უპირველეს კაცთა რიცხვს, გონებით კი — საშუალოს.

იგდო თუ არა ხელთ ქვეყნის მესაჭეობა, მოინდომა, რომ შეემსუბუქებინა დემოსის სიდუხჭირე და მისი ვალი არისტოკრატიასთან, გააუქმა ღარიბთა ვალები მდიდრებისადმი (როგორც კერძო, ისე სახელმწიფოებრივი). მან შემოიღო პოლიტიკური უფლებების მინიჭება არა წარმომავლობის, არამედ ქონებრივი [illegible] შესაძლებლობების მიხედვით.

...თეოგნიდე მეგარელი: ქუსლი დაადგი ჭკუათხელ დემოსს, ურტყი წვეტიანი ჯოხი და უღლის ქვეშ ქედი უდრიკე. ვერსად, სადაც კი მზის სხივი

თუ მომაგონდა"... შეიძლება. ახლაც ვერავინ მიაგნოს სამშობლოს. ძველი გზებით — გზა შინისაკენ ახლა დაიწყო. ამჯერად. ეს უკან მოხედვა არ არის.

— ბატონო ჯემალ. თქვენ საქართველოს პარლამენტარიც ხართ და „იბრაელის ფორუმის" ბიუროს წევრიც. ევროპულის მოღვაწის მისიითაც ხშირად ხვდებით ჟურნალში. რას იტყვით ჩვენზე — ჩვენ ხომ ბევრი შეცდომა დავუშვით?

— სხვათა შორის, თუ ვინმე ვარ, ეს საქართველოს დამსახურებაა. ამ ბიურომიც საქართველოს სახელით ამირჩიეს... ქართველებზე რა სათქმელი მქონდეს? უამრავი საბუთი არსებობს იმისა, რომ ამაყად მეჭიროს თავი... არსებობს უნივერსალური პარადიგმაც მოსესი, რომელმაც მონობით დაღდასმული ხალხი 40 წლიანი უდაბნოში ატარა და შემდგომ გამოიყვანა. ამით კათარზისი უნდა [illegible]... ეს მარადიული პარადიგმაა და ნებისმიერ დროსა და სივრცეში მოქმედებს.

...ის. რაც წარმო-

ნდება, ვერ იპოვნი ხალხს, რომ ასე უყვარდეს ბატონი... სიტყვიერად მოეჩვენე მეგობრად... ტკბილად მიაძინე მტერი და... შური იძიე. ნულარ ეძებ საბაბს შურისას (სწორედ ასეთ „შარი-შურში" არ ვართ! — გ.ნ.)

...სატირიკოსი სემინიდე ამორგელი ადამიანის უბედურების მიზეზს ხედავს ქალში („სატირა ქალებზე"), რადგან მხოლოდ ლხინშია ის კაცის მეგობარი, ჭირში კი — არა! მისი აზრით, ქალები განიყოფებიან 10 ჯგუფად, იმისდა მიხედვით, რისგან არიან წარმოშობილნი: ღორის, მელიის, ძაღლის, მიწის, ზღვის, ვირის, კვერნის, ცხენის, მაიმუნის თუ ფუტკრისაგან.

...გნომური პოეზიის წარმომადგენლები, დინჯ დარიგებებთან ერთად, იძლეოდნენ დამცინავი კილოთი გამოთქმულ მოკლე ნაკვესებს.

ელეგიასა და იამბიკოსთან ერთად (VII-VI ს.) საბერძნეთში განვითარდა ლირიკის ახალი დარგები: ლირიკა, მელიკა, ქორიკა.

ჰორაციუსი ალკეოსს საბრძოლო სიმღერებს უქებს. ეს უკანასკნელი მთლად ქართველი ჯიგარივითაა — ღვინოში ეძებს წამალს. ალკეოსი პირველია პოეტთა შორის, ვინც ქმნის „სუფრულ სიმღერებს" (სკოლიონს).

აქ კაცს ომარ ხაიამის უზადო სიტყვაც მოგადგება პირზე: „ორი დღის თავშესანახი თუ გაქვს ერთი პური. ყელმოტეხილ დოქში — წყალი ცივი, საამური... რატომ უნდა ემსახურო სხვა კაცს, შენზე მცირეს. ან თვითონ შენ რაღად გინდა სხვისი სამსახური!"

ან მთლად იგავმიუწვდომელი ამსოფლურ-ფილოსოფიური...

„ერთ დროს ეს ჩემი ხელადა, ალბათ, ჩემსავით ღელავდა. ხელი დოინჯად რომ უდგას — ასე არ ჰქონდა ძველადა. ქალწულის ყელზე ეხვია — ლაღად და უდარდელადა"!

...საფოს სამშობლო იყო ლესბოსის ქალაქი ერესო. სიტყვები — ერესი და ლესბოსური... დღეს სხვა შეფერილობისაა, მაგრამ ძველი ბერძნები უდიდეს ბრძენთა შორის მოიხსენიებენ საფოს, რომელიც გადასახლებაშიც კი გაჰყოლია ქმარს.

იონიელი ანაკრეონტი, რომელიც პოლიკრატეს კარის პოეტი გახლდათ, ტირანის ცხოვრების მეხოტბე გახდა და იმ ქეიფების სულისჩამდგმელი იყო", რომელიც უმღეროდა ღვინოს და ქალებს: აქედანაა წარმოშობილი „ანაკრეონტული პოეზია" — სატრფიალო და სანადიმო (სიმპსონური) ჟანრი — ე.წ. მელიკისა (ქართულ პოეზიაში ამ ჟანრის მშვენებაა ალექსანდრე ჭავჭავაძის ადრინდელი ლირიკა).

...საგუნდო მელიკა ანუ ქორიკა.

...ადამიანთა სადიდებელი სიმღერები.

ვაჟკაცთა სიცოცხლის საქებარი — ეპინიკები და სამგლოვიარო — თრენები, თავის სტროფით, ანტისტროფით, ეპოდით...

...ეგეოსის საკმაოდ მოხუცებული იყო, როცა მან ცოლად შეირთო გრძნეული მედეა, რომელსაც კორინთოში ჩადენილ მკვლელობათა შემდეგ ათენში შეეფარებინა თავი.

...ატიკაში, საერო დღესასწაულებიდან, ხალხში ყველაზე უფრო პოპულარული იყო დღესასწაულები დიონისესი, რომელიც ბერძნულ პანთეონში ყველაზე ახალგაზრდა — ვენახისა და ღვინის ღვთაებაა. დიონისიების სამხიარულო პროცესიის აუცილებელი ატრიბუტი იყო ფალოსი!

დორიულმა დითირამბებმა მისცეს დასაბამი ტრაგედიას, ფილიკური სიმღერები კი კომედიის სანყისი გახდა.

პირველი რიგის მსახიობებს უწოდებდნენ პროტოგონისტებს.

ესქილეს საფლავს ასეთი წარწერა ამშვენებს: „აქ ასაფლავია ესქილე, ძე ევფორიონისა და სიამაყე გელისა"...

...ზევსი პრომეთეზე განრისხებული იყო იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ოლიმპოს მბრძანებელს ცოდნასა და სიბრძნეში ეცილებოდა.

პირველ სტასიმში ოკეანიდების გუნდი უმღერის პრომეთეს იმაზე, თუ როგორ გმინავს ხალხი და მისტირის დაკარგულ დიდებას... მათ შორის, „კოლხიდის მკვიდრნი!"

...ჰერმესი ზევსის ბრძანებას აუწყებს პრომეთეს, მაგრამ ეს უკანასკნელი არ ეპუება ოლიმპოს მბრძანებელს და ასე მიმართავს შუამავალს: მე არ გავცვლიდი ამ ჩემს ტანჯვას შენს მონობაზეო! მხოლოდ პრომეთემ გაბედა უზენაეს ღმერთთან ადამიანის გამოსარჩლება. აქ ისევ მარქსზე და მის ციტატაზე წამიცდა ხელი: „პრომეთე ყველაზე კეთილშობილი წმინდანია... ფილოსოფოსთა კალენდარშიო." — წერს იგი თავის სადოქტორო ნაშრომში.

...სოფლელი დურგლის, ნალბანდისა თუ მჭედლის შვილი სოფოკლე 468 წელს შეჯიბრებია მის მასწავლებელს — ესქილეს და კიმონს პირველობა მოსწავლისთვის მიუნიჭებია.

...ანტიგონე: ადამიანის დაწერილ კანონს არ შეუძლია იკანონოს ღმერთების დაუწერელ კანონზე!

ევრიპიდეს კონცეფციით, ქალს შემმუსვრელი სიყვარულიც შეუძლია და სიძულვილიც. მაგალითად, მედეა, რომელიც, მითის მიხედვით, მოღალატე იაზონის საცოლე კრეუზაზე და უკანასკნელის მამაზე — კრეონტზე იძიებს შურს. ევრიპიდე კი, რომ გაემძაფრებინა ტრაგიზმი, თავის შვილებსაც ღუპავს, რათა ამით სასტიკად დასაჯოს იაზონი".

„დაე, ნურასოდეს ნუ მოვეწყდებით სამშობლოს". არისტოფანეს კომედიაში („თესმოფორიამუსები") ერთი ქალი უჩივის ევრიპიდეს — მან ისე გაგვლანძღა და ლაფში ამოგვსვარა ქალები... ქმრები, თეატრიდან დაბრუნების შემდეგ... ათას ბოროტებაში სდებენ ბრალს ცოლებსო".

... IV ს. ტრაგედიას სარბიელი ჩამოართვა კომედიამ.

...„მხედრების" პარაბაზაში კორიფევსი უსაყვედურებს საზოგადოებას: ცუდად ეპყრობით მწერლებს, როცა ისინი ბერდებიანო"...

არისტოფანე: სოფლის ცხოვრების მოტრფიალე იყო, აქებდა მის ბუკოლიკურ გარემოს, წყნარ, სოფლურ იდილიას (და „ოდელიას")!

სახვაშია, გატოლებით უფრო ხატოვანია, ვიდრე რეალური — დაიჭერ ოქროს თევზს და ბითური ხდები. სხვათა შორის, ისტორიაც ასეა — მიზანი და წინ ცქერა სჭირდება. ამბობენ, ისტორია ლოტის ცოლს ჰგავსო... გახსოვთ, ალბათ, უფალმა როცა სოდომ-გომორის დანთქმა გადაწყვიტა, იქ ერთადერთი ლოტის ოჯახი აღმოჩნდა მართალი. უთხრა, გაერიდეთ აქაურობას, ოღონდ, უკან არ მოიხედოთო... მაგრამ გოგირდის წვიმა და ცეცხლი რომ წამოვიდა ციდან, ლოტის ცოლმა ვეღარ მოითმინა და მოიხედა. მოიხედა და, მარილის სვეტად იქცა მაშინვე!.. იცით, რა უთხრა მდიდარი ეზოპეს გამო საყირებულ ებრაელებს მისცემ? — თქვენ რომ დასტირით, ის ეზოპე აღარ არსებობსო... ისტორიაც ეგ არის — თუ სულ უკან იხედე, გაქვავდები. ძლიერი ზურგი წინ მანევრირების კარგი საშუალებაა...

...სოკრატესთან წასვლის წინ არისტოფანეს გმირი — ვაჭარი სტრეფსიადე მის ვაჟს უჩვენებს მასწავლებლის სახლს და ეუბნება: ეს არის ბრძენთა სულების სააზროვნო; იქ ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა აზრით, ზეცა ღუმელია, ჩვენ კი — ნაღვერდლები. „თუ მათ ფულს მისცემ, ისინი გასწავლიან, თუ როგორ გაიმარჯვო მართალ საქმეშიც და... უსამართლოშიც..."

...თალესმა (VII-VIსს.) სამყაროს საწყისად გამოაცხადა წყალი! ასეთია მისი ფიზიკა!

ჰერაკლიტეს აზრით, სამყარო მარად ცოცხალი ცეცხლია!

მზე რომ არ ყოფილიყო (მთვარე არ იქნებოდა. — გ.ნ.) — დღე რომ არ ყოფილიყო — ღამე არ იქნებოდა!

თვალები უფრო სანდო მოწმეები არიან, ვიდრე ყურები.

(ამიტომაა, ქართულში კომპოზიტი „თვალყური"!)

...ლევკიპეს ნაწარმოებებიდან ფრაგმენტებია მხოლოდ მოღწეული — „გონების შესახებ", „დიდი სოფლშენება" (არადა, ნუგზარ კვაშალსა და ვახო ტატიშვილს რომ ჰკითხო — „სოფლის შენებას რა უნდაო!").

...არისტოტელეს სიტყვებიდან ჩანს, რომ პლატონის ფილოსოფიის ერთ-ერთი დასაყრდენი სოკრატეს მოძღვრებაა.

რამდენი რამე უნდა სცოდნოდა „სოკრატეს", რომ „ბაგრატა" არ ყოფილიყო და ეთქვა: „მე ვიცი ის, რომ მე არაფერი არ ვიციო!"

... ბერძნული ფილოსოფიური აზროვნება უმაღლეს საფეხურზე აიყვანა არისტოტელე სტაგირელმა, რომელსაც უნივერსალური თავი უნოდეს. მან თავისი სიტყვა თქვა მეცნიერების თითქმის ყველა დარგში (ანატომია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ისტორიოგრაფია, სამართალმცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა). მისი აზრით, არსებობს სახელმწიფო წყობილების წესიერი და არაწესიერი ფორმები! წესიერია: მონარქია — არისტოკრატია... არაწესიერი ფორმებია: ტირანია, ოლიგარქია, დემოკრატია (ვაი!). პოლიტიკოსები იბოდიშებენ, ამ უკანასკნელზე უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრეთო.

არისტოტელე: ვფიქრობ, პოეზია, საზოგადოდ, ორმა მიზეზმა შექმნა... ორმა ბუნებრივმა მიზეზმა! ჯერ ერთი, მიბაძვა ადამიანის თვისებაა ბავშვობიდანვე... პირველ ცოდნას ადამიანი მიბაძვის გზით იძენს... ჩვენ სიამოვნებით ვუცქერით იმის გამოხატულებას, რაც სინამდვილეში უსიამოვნებას გვგვრის... ცოდნის შეძენა მარტო ფილოსოფოსს კი არ გვრის სიამოვნებას, არამედ სხვასაც, ხოლო სხვა ამისათვის ცოტა დროს ხარჯავს („პოეტიკა", თავი IV). პოეტის საქმეა, თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა არის, ალბათობის ან აუცილებლობის მიხედვით, შესაძლებელი". ეს არისტოტელეს აზრია ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობაზე.

ისტორიკოსი და პოეტი ერთმანეთისგან იმით განსხვავდებიან, რომ ერთი მოგვითხრობს მომხდარზე, მეორე კი იმაზე, რაც შეიძლებოდა, მომხდარიყო. ამის გამო პოეზია უფრო ფილოსოფიური და მნიშვნელო-

---

*თედორე დოსტოევსკი: შეგნებული და არა იძულებული თავგანწირვა სხვათა სიკეთისათვის, ჩემი აზრით, პიროვნების უმაღლესი განვითარების, მისი ძლევამოსილების, თვითდაუფლების, საკუთარი ნების თავისუფლების ნიშანია...*

ვანია, ვიდრე ისტორია.

არისტოტელე არ ეთანხმება პლატონს პოეზიის მნიშვნელობის შეფასებაში. პლატონის აზრით, ხელოვნებას ზიანი მოაქვს ადამიანებისათვის... ის ისედაც ბუნდოვან საგნებს კიდევ უფრო აბნელებს... უმცირესი ნაწილი პოეტური ნაწარმოებებისა მახინჯ ადამიანებს აგვისახავს... რაც რყვნის მკითხველს. არისტოტელეს აზრით კი, პირიქით... პოეზია ახდენს მკითხველის განწმენდას! მის გაკეთილშობილებას! არისტოტელე ლოგიკის და აღწერითი ბიოლოგიის მამამთავარი და ფუძემდებელია. მან შექმნა მოძღვრება სილოგიზმებზე.

...ალექსანდრიელი გრამატიკოსები 9 მუზას ითვლიან: კლიო, ევტერპე, თალია, მელპომენე, ტერფსიქორე, ერატო, პოლიმნია, ურანია, კალიოპე.

... სოფისტი პროტაგორა: ყველაფრის საზომი ადამიანია!

... ისტორიის მამამთავარმა ჰეროდოტემ ძვირფასი ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა შესძინა კაცობრიობას, მათ შორის, საქართველოს შესახებ (კოლხთა წარმოშობა, ნინადაცვეთის წესები, მასალები ქართველურ ტომებზე: მოსხებზე, ტიბარენებზე, მაკრონებზე, მოსინიკებზე... ჰეროდოტეს ისტორიას ბელეტრისტიკის სფეროშიც გადავყავართ.

...ეზოპეს იგავებსა და არაკებს ჯერ კიდევ ჰეროდე იცნობდა. დიდი მეიგავე იადმონ სამოსელის მონა ყოფილა. მას დელფოელებმა ტაძრიდან ოქრისფიალის მოპარვა დააბრალეს (როგორც ჩვენმა მეფე გიორგიმ მოუწყო „შანტაჟი" ფარსმან სპარსს) და უდანაშაულოდ მოკლეს. იგი „ლოგოპოიოსი" ანუ პროზით მწერალი იყო და არს „ეპოპეიოსი" (ანუ ლექსად მწერალი).

გარეგნულად ეზოპე მახინჯი იყო და არ შეეხედებოდაო. უყვარდა მასავით საწყალი კაცი და სძულდა ბოროტნი. სუსტს ქომაგობდა და ძლიერს ეტოქებოდა!

საქართველოში XIXს. იტალიურიდან უთარგმნიათ 95 იგავი „იეზებოს ფილოსოფოზისანი... გამოყენებული ქართულ ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა". ...მიმები (მიმი-ვებაძავ) მდაბიური ხალხური ენით მეტყველებდნენ (ანდაზებით და ზმებით). მეხუთე საუკუნემდე ეს სცენები ხალხური სიტყვიერების ფარგლებს არ გასცილებია. მხოლოდ სოფრონმა აიყვანა იგი ბელეტრისტულ პროზამდე ანუ ლიტერატურული ჟანრის სიმაღლემდე".

ეგვიპტელებს ჰქონდათ ასეთი წესი: როცა ტრაპეზი ქეიფში მიდიოდა, გაიღებოდა დარბაზის კარი და შემოჰყავდათ ადამიანის თავის ქალას — თითქოს უნდა დაეფიქრებულიყვნენ ცხოვრების ამაოებაზე, მაგრამ პირიქით, — უფრო ეძლეოდნენ ღრეობას, წამის მშვენიერებას უფრო აფასებდნენ. მეორე მხრივ, ამას ეთიკური დანიშნულებაც ჰქონდა — ცხოვრება არის წარმავალი, მეტი თანადგომა, მეტი სიკეთე უნდა გაიმეტოთ ერთმანეთისთვის, ასე რომ, ცხოვრების წამი საგანგებოდ შემოსაზღვრულია და ამ წამში ბევრი სიყვარული უნდა ჩავატიოთ...

ეთერ ერაძე.
„კვირის პალიტრა", 2002, 27.05-2.06.

„წლის მამა" — ასეთი საპატიო წოდება მიანიჭეს და სოლიდური ფულადი პრემია გადასცეს 107 წლის ესპანელ მწყემსს ხოსე პულიდოს. ამ დღეგრძელ მამაკაცს სამი ცოლისგან ორ-

... ელინისტური პერიოდის ბერძნული ლიტერატურა!

მაკედონელმა შექმნა მაკედონური იმპერია. ელინისტურ რკალში მოექცნენ მცირე აზია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები.

განსხვავება ელინისტურსა და ელინურს (წმინდა ბერძნულს) შორის! არსებობს აზრი, თითქოს ელინისტური მწერლობა გაცილებით დაბალ საფეხურზე იყოს, ვიდრე ელინური, რაც მთლად მართებული არ არის.

ძვ. ელინი, მსოფლიოზე თავისი მაშინდელი წარმოდგენით, მზად იყო, მოესმინა რაფსოდებისაგან ჰომეროსის რამდენიმე ათასტაეპიანი სიმღერები ან თეატრში, 6000 ტაეპის შემცველი ტეტროლოგიების საშუალებით, გარკვეულიყო ცხოვრების ავკარგიანობაში. ელინისტური სამეფოს მოქალაქეს კი ესაჭიროებოდა, საღამოს ჟამს, გართობის მიზნით, რომელიმე პატარა სცენა მაინც წაეკითხა ...ან სად იყო, თუ არა — მოესმინა საქართველოს ახლანდელი ტელევიზიის ნებისმიერი არხის („კავკასიისა" და „მაესტროს" გარდა!) „ქლაბ" თუ „კლიპ" თუ შორენშოუებისათვის!

ელინისტურმა მწერლობამ მისცა მსოფლიო ლიტერატურას სრულიად ახალი, მანამდე უცნობი ჟანრი — რომანი (რაც მაშინ იწერებოდა ეოლიურ, იონიურ და დორიულ ენებზე). ამ კულტურის რკალში იყო საქართველოც. ასე და ამრიგად, **ალექსანდრია და პერგამონი** იქცნენ მწიგნობრობისა და მეცნიერების ცენტრები, სადაც ჩაისახა სრულიად ახალი დარგი — ფილოლოგია!

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების ფართო ხასიათმა ხელსაყრელი პირობები შექმნა... საისტორიო პროზის ჩასახვა-განვითარებისათვის. ალექსანდრე მაკედონელს, ლაშქრობის დროს, თან დაჰყავდა ბერძენი მწერლები (გაიხსენეთ დავითის ისტორიკოსის ცნობა. აღმაშენებლის ლაშქრობებში საპალნეებით ბიბლიოთეკის თანხლებისა!)

... ელინისტურ ეპოქაში დრამის ადგილი დაიჭირეს სცენებმა სულიერი ცხოვრებიდან ანუ იდილიებმა, ქალაქურმა მიმიამბებმა, შეჯიბრებაში გამარჯვებულთა ლირიულმა შესხმებმა — ეპინიკიონებმა: კალიმაქეს რეციტაციით შესრულებულმა საკულტო ჰიმნებმა.

მწერლობის დარგში ამოსავალ წერტილად მუდამ თვლიდნენ იმ მწერლობას, რომელიც შექმნეს ძველმა ბერძნებმა. ჰომეროსის ეპოსი, არქილოქეს და ალკეოსის ლირიკა და ესქილე-სოფოკლე-ევრიპიდეს დრამები მიაჩნდათ გზისმკვლევ ჩირაღდნებად.

ეპოსი და ეპილონი! ბერძნულ ლიტერატურას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ეპოსთან.

ალექსანდრე მაკედონელმა ტროაში მოინახულა აქილევსის საფლავი, ყვავილებით შეამკო იგი და ჩასძახა: „შენ არ იყავი იმდენად დიდი, რამდენადაც დიდი მაქებარი — ჰომეროსი გყავდაო". „არა დიდი იყავი აქილევს, დიდსა მიემთხვე მაქებარსაო". ქოირილე იასოსელის (თავის დროზე სახელგანთქმული პოეტი იყო) ლექსები, ჰორაციუსის თქმით, საკმაოდ მოუხეშავი და უნიჭო იყო. არცთუ ძალიან ეხატებოდა გულზე მისი პოეზია მაკედონელს, თუმცა, ბევრი „ფილიპური ოქრო" გაუცია მასზე. ალექსანდრეს უთქვამს ქოირილეზე: „მირჩევნია, ჰომეროსის თერსიდე ვიყო, ვიდრე ამის აქილევსიო". ელინისტურ ეპოქაში ერთი მიმართულების წარმომადგენლები დაჟინებით იცავდნენ ძველ ეპოსს, ხოლო მეორენი ბრძოლას უცხადებდნენ „სქელტანიან პოემებს", „კიკ-

ლიკურ პოემებს". მოითხოვდნენ „ახალი ეპოსის" შექმნას, მცირე, ნვრილი პოემების (ეპილიონების) ნერას (ეპილიონი — საგმირო თავგადასავლის ერთი ეპიზოდის ასახვა).

...კალიმაქე — ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მეორე ბიბლიოთეკარი იყო. მის „პინაკებს" არა მარტო „კატალოგად", არამედ ლიტერატურის ისტორიადაც მიიჩნევენ. მისი „მიზეზნი" შედგებოდა 4 ნიგნისაგან, რომლებიც მოგვითხრობენ კულტებისა და ადათების, დღეობებისა და გასართობების, ქალაქებისა და ნმინდა ადგილების ნარმოშობაზე (ხალხში შემორჩენილი მითებით).

კალიმაქემ, პირველად, თავისი ეპიგრამებით (და ასე გრამებითა ნეეთნვეთობით) მიაღნია მკითხველის ზღვა სიყვარულს. საბოლოოდ, გამარჯვება ხვდა მცირე ფორმის ლირიკას, რომლის მთავარი ნარმომადგენელი კალიმაქეა.

ელინისტური ეპიგრამის ცენტრალური ფიგურაა ასკლეპიადე სამოსელი (III ს. პირველი ნახევარი), რომელიც ნერდა საფლავსზედა და მიძღვნით ეპიგრამებს.

...ბუკოლიკური მოტივები. ლონგეს რომანი „დაფნისი ქლოე" (I საუკუნე). რომაელმა ვერგილიუსმა თეოკრიტეს მიბაძვით დანერა სამნყემსო სიმღერები, ე.ნ. „ეკლოგები".

...ელინისტურმა პერიოდმა განაგრძო მისი ნინამდებარე ეპოქის — ეპოსის, ლირიკისა და დრამის განვითარების პროცესი.

ამით მთავრდება ელინისტური პოეზიის განხილვა. პროზის დარგებად კი გვევლინება საფილოსოფოსო, საისტორიო, რიტორიკული და ბელეტრისტული პროზა. ეპიკურე (342-271) ცდილობს, თავისი ეთიკური მოძღვრებით გაათავისუფლოს ადამიანი სიკვდილის შიშისაგან (აგრეთვე, ღვთისმოშიშობისგანაც). განცხრომას ადამიანი მიაღნევს სათნოებებზე დამყარებული სიამოვნებითო.

...სტოელთა ფილოსოფია უშუალოდ კავშირშია კვინიკოსთა მამამთავრ ანტისთენესთან. მათ უმაღლეს სიკეთედ მიაჩნიათ სათნოება, ურომლისოდაც ცხოვრებას არავითარი აზრი არ აქვს. ყველა ძალის პირველნყაროა შემოქმედებითი ცეცხლი. ასეთია სტოელთა ფიზიკა.

პლუტარქეს კატალოგში 227 ნაშრომია. ყველა მისი თხზულება თავმოყრილია 2 კრებულში. ერთი ნარმოადგენს „პარალელური ბიოგრაფიების" ნაკრებს, მეორეში თავმოყრილია მისი ფილოსოფიურ-მორალისტური თხზულებები და ენოდება „მორალია".

„ადამიანის ხასიათი უფრო ნათლად ვლინდება არა სახელოვან (დიდ) საქმეებში, არამედ ნვრილ-

მოცდათოთხი მეილი ჰყავს.

„ინტერნეტ ექსპრესი". 2002.

ლოკოკინას ჯერ მეტი კბილი აქვს, ვიდრე ადამიანს.

ქეთი ბერძენიშვილი:

„ვინ ყიდულობს მთვარეზე „ნაკვეთებს"...

საქართველოში აგრესიული ფონი 5-ჯერ გაიზარდა...

„კვირის პალიტრას" ესაუბრება ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ქალბატონი მარინა ნიკოლაიშვილი. აქვე დავძენთ, რომ ჩვენი რესპონდენტი აშშ-ის ბიოგეოგრაფიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტმა 2001 წლის ერთადერთ მეცნიერ ქალად აღიარა. ამავე ინსტიტუტმა თავის დროზე ეს წოდება მარგარეტ ტეტჩერს მიანიჭა...

— დღეს ბევრს საუბრობენ, რომ დედამიწაზე გლო-

მანებში, სიტყვაში და ხუმრობაში".

...რიტორიკული პროზა (ათენის დემოკრატია).

...ბელეტრისტიკა (იგავები, ნოველები... სატრფიალო ნოველის ეროტიკული მოტივები).

...ისტორიული ბელეტრისტიკა. ელინისტურ ეპოქაშია დაწერილი ანეგდოტებით სავსე ლეგენდარული რომანები ჰომეროსის, პითაგორასა და სხვათა ცხოვრებაზე.

... სატირა. ლუკიანე.

„მლიქვნელები უფრო მავნენი არიან, ვიდრე მათი ბატონები".

## „ანტიკური სამყაროს პოეტესები"

### ანტიკური სამყაროს პოეტესები — მუზები, სირინოზები, მისნები, მენადები

ჩემს საწიგნეთში ხელში ჩამივარდა ორიოდ წლის წინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის პროგრამა „ლოგოსის" ეგიდით გამოსული წიგნი, ანტიკურ სამყაროში ფემინიზაციის იდეასა და ქალთა შემოქმედების თავისთავადობაზე, რომლის ავტორია ნანა ტონია (ასეთია ამ ნაშრომის ანატომია!) ასე, რომ ეს რითმაცაა და ჭეშმარიტებაც. ერთი თვალის გადავლება — გადავხედოთ ანტიკური ხანის პოეტესებს და ქალური ლირიკის ხიბლზე ფიქრითაც დავტკბეთ!

„ილიადა", II, 484-486. „ახლა მამცნეთ, ოლიმპოს ბინადარო მუზებო... რა ხდება ზეცათა ქვეშ"...

„ილიადა", II, 595: „ბუნებრივი აედი, რომელიც თავს მიიჩნევს მედიუმად მუზებსა და მოკვდავთა შორის, ასე მიმართავს შთაგონებას: „მუზავ, მიმღერე"!

„ოდისეა" VIII, 488: „ან შენ, მუზავ, ზევსის ასულო, მასწავლე, ან შენ, აპოლონ"; „მუზავ, მიამბე იმ მრავალტანჯულ კაცზე, რომელმაც დიდხანს იხეტიალა":

ჰომეროსის ეპოსის მუზად შერაცხულია ელენე, რომელიც გამოცხადებია ჰომეროსს და პოემის დაწერა უბრძანებია (მე რომელი ერთი ჩამოვთვალო — ვინ რა ბრძანა და ვინ რა მიბრძანა — რა დროს შენი ლექსის წერააო, წერას აუტანიხარო. აკაკიმ იმ „ვარდენს" რომ მისწერა — ზოგმა ალბათ ასეც იფიქრა: წერე, წერე, ჩემო ვარდენ, მტერს ესროლე ისარიო. მწერალი თუ არ გამოხვალ — წერას მაინც ისწავლიო!).

...„ჰეროდეს მითოპოეტურ დონეზე ჩამოყალიბდა სპეციალური კონცეფცია იმის თაობაზე, თუ რატომაა ქალი ბოროტების საწყისი... ნიშანდობლივია პანდორას თქმულება, რომელიც ჰეროდეს ეპოსშია... „ქალთა დამღუპველი მოდგმა დედამიწაზე ამ ქალიდან იღებს დასაბამს („თეოგონია", 591). ჰეროდე გვაფრთხილებს: „თავქარიან ქალებს ერიდე... თავბრუს დაგახვევს... ბეღელს გაგინიავებს... და, ამასთან, „არაფერია ამ ქვეყნად კარგ ცოლზე კარგი, ისევე, როგორც არაფერია — ცუდ ცოლზე ცუდი!"

---

*ვახტანგ კოტეტიშვილი: თუ დღევანდლამდე ჩვენი პოლიტიკური ფორმულა იყო ლელთ ღუნია: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო", დღეს ჩვენი თავისუფლების ფორმულა ასეთია: „ჩვენ თავს ჩვენვე უნდა („ვეყუდნოთ") ვუპატრონოთ!"*

„ლესბოსელი საფოს გადმოცემით, ჰერას წმინდა ველზე იმართებოდა ქალთა შორის სილამაზეში შეჯიბრებები, რომელთაც „კალისტეა" ენოდებოდა" (ჰომეროსი „ილიადა", 129, გვ. 51, 163). ახლა, ჩვენში ეს ტრადიცია პოლიტიკოს ეროსი კინმარიშვილის ცოლის ბიზნესია!

ამ წიგნის ავტორს ნანა ტონიას მსურს, შევახსენო... „მოვე ტონია", როდესაც ქალი ქალს ასე „ლანძღავს"... თუ კარგს არ იტყვი, ნუ იტყვი ნურც ავს! არ ეკადრება ქალს, ეს აკადროს კომედიოგრაფ ბერძენ მენანდროსს! (მეც გავერიე ანტიკურ მარაქაში!): „იმ საოცარ ცხოველთა შორის, რომლითაცაა დასახლებული ზღვა და ხმელეთი, უსაშინლესია ქალიო!" თუმცა, ბატონი პლატონი ჩარეულა საქმეში და ისიც კი უთქვამს, რომ „სახელმწიფოს დამცველისათვის ისევე არ აქვს მნიშვნელობა სქესს, როგორც იმას, თუ როგორი მენალე კერავს ნალებს, მელოტი თუ თმახუჭუჭა... (120-აციებით ვიქცევ თავს. იხ. დიზაინერ თათა ვარდანაშვილის მაგალითი!)

დიოგენ სინოპელს, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი უბრძანებია, ქალები... საერთო უნდა იყვნენ და არ დამინყოთ აქ იტალიური — შენია-ჩემიაო! იგი საერთოდ უარყოფდა კანონიერ ქორწინებას — ვინც ვის (აიყოლიებს და) დაიყოლიებს, მასთან იცხოვროსო!

ახლა, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე!

„ბერძნული ლიტერატურის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა ძვ. წ. აღ. IV საუკუნის პოეტთა შორის არის გოგონა, სახელად ერინა", რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ენთო გულში მოგონება ბავშვობისა, რომლის სევდის მიზეზი მეგობრის უდროოდ გარდაცვალება, სიყრმის წლების მოგონებები იყო.

უუუძველეს დროშიც გაუფცქვნეს გემო საქმროებმა საცოლეების მზითევს. თუმცა, გამონაკლისებიც არსებობდნენ, ვთქვათ, ისეთი, როგორიც პოეტი მარციალისი იყო, რომელმაც, ამის დასტურად, ასეთი შინაარსის ეპიგრამაც დაგვიტოვა: „ალბათ, იკითხავთ, რატომ არ მსურს მდიდარი ცოლი. თუნდაც იმიტომ... სულაც არ მსურს ქმრად გავყვე ცოლსა!"

...ოვიდიუსის პოეტური წერილებიდან, რომელიც მას მეგობრებისთვის მიუწერია: მე მოკლებული ვარ ჩემს სამშობლოს, თქვენს თავს, პენატებს. ყველაფერი წართმეული მაქვს, რისი წართმევაც შეიძლებოდა. მხოლოდ ჩემი ნიჭია ჩემთან. იგი მამშვიდებს, მხოლოდ მასზე არ აქვს უფლება კეისარს... ჩემი სიკვდილის მერეც იცოცხლებს ჩემი დიდება... შეეცადე, აღზევდე მინიერ კოცონზე მაღლა!

*ბალური დათბობა შეინიშნება. რა გარდამავალი პროცესების წინაშე დგას ჩვენი პლანეტა?*

*— გარდამავალი პროცესები დედამიწაზე მართლაც მიმდინარეობს. თუმცა, თავიდანვე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ეს არ დასრულდება 200 ან 300 წელიწადში. ეს გაგრძელდება ათასეული წლები და უფრო მეტიც. ამ მოვლენებში უდიდეს როლს ასრულებს რადიაციული ფაქტორები, ატომური აფეთქებები, რომლებიც ამჟამად თუ მალულად აწარმოებენ მსოფლიოში, ამას ემატება ოზონის შრის შემცირებაც. ერთი მაღალტექნოლოგიური ქარხნის გამონაბოლქვიც კი, უკვალოდ არ ქრება სამყაროში.*

*რა არის რადიაციული გამოსხივება? ეს არის გააქტიურებული იონი, რომელიც გამოასხივებს. ავიღოთ მაგალითად, ყველაზე ცნობილი — ურანი. ეს გამოსხივება ადამიანზე უკიდურესად ცუდად მოქმედებს. საქმე ის არის, რომ ადამიანს არ გააჩნია რადიაციის შემ-*

## რომაული ლიტერატურა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება VIII-I საუკუნეებში

აპენინის ნახევარკუნძული დასახლებული იყო ინდო-ევროპული ოჯახის ტომებით (ლათინები, საბინები, ვოლსკები, ოსკები, უმბრები და სხვა იტალიკური ტომები).

ბერძნების წყალობით, ლათინებმა უკვე VIII ს. გაიჩინეს ანბანი და შექმნეს საკუთარი მწერლობა.

... რომაელთა მამამთავრად ლეგენდა თვლის ტროადელ გმირს ენეასს (აფროდიტესა და მწყემს ანქიზეს შვილს).

ნაყოფიერების ღვთაების — მარსის წყალობით რეა-სილვიას ეყოლა ტყუპი ვაჟი — რომულუსი და რემუსი. ამულიუსმა ეს ბავშვები ტიბრიში გადააყრევინა, მაგრამ ადიდებულმა მდინარემ ისინი გამორიყა. ბავშვები იპოვა მწყემსმა ფაუსტულემ (სანამ ის გადაანყდებოდა ტყუპებს, მათ ძუძუს მგელი აწოვებდა). ბიჭები წამოიზარდნენ, შური იძიეს ამულიუსზე და სამეფო ტახტი თავიანთ პაპას — ნუმიტორს დაუბრუნეს. თვითონ კი დაარსეს რომი, რომლისკენაც დღეს ყველა გზა მიდის! ამ ორი ძმიდან, ძმათა შორის გაჩაღებულ მტრობაში, ერთი — რომულუსი გადარჩა მხოლოდ!

IV ს. შემდეგ წარმოებს რომაელთა ექსპანსია აპენინის ნახევარკუნძულს იქეთ — პირენეიზე და სხვაგანაც, სადაც გავრცელებული იყო როგორც ინდოევროპული (კელტური შტოს), ისე არაინდოევროპული (იბერიული) ენები.

III ს. რომაელებს მოუხდათ შეტაკება კართაგენის ძლიერ სახელმწიფოსთან, რომლის ხელში იყო ხმელთაშუა ზღვის საალებმიცემო გზები. იწყება ე.წ. პუნიკური ომები (264-146წწ.), რომელიც რომაელების გამარჯვებით მთავრდება.

აქციუმის კონცხთან ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ყოფილი ბერძნული სამყაროს დაპყრობა რომაელთა მიერ. ამგვარად, 31 წლისათვის (ოქტავიანეს დროს) რომის სახელმწიფოს უდიდესი ტერიტორია, ბრიტანეთის კუნძულებიდან გადაწვდა მცირე აზიას.

რომის რესპუბლიკის მთელი ისტორია პატრიციუსების და პლებეების ბრძოლაა თანამდებობებისა და სახელწიფო მიწების დასასაკუთრებლად თუ გასანაწილებლად..

... მსოფლიო ლიტერატურის ასპარეზზე რომი გამოვიდა მაშინ, როცა საბერძნეთმა მოითავა ლიტერატურის მთავარი დარგების შექმნა-ჩამოყალიბება. ეს იყო IV-III სს. მიჯნაზე.

სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ბერძნები... (იმპულსი! მახსოვს, ერთხელ, ჟურნალ „ნიანგისთვის" ერთობ მძიმე ჟამს, როცა ერთი კრიტიკული წერილის გამო, ტყავს გვაძრობდა ე.წ. ცეკა-ტეკა... მთავარმა რედაქტორმა ნოდარ დუმბაძემ თქვა, მწერლების დელეგაციასთან ერთად სიცილიაში მივდიეარო და მე ვუთხარი: რას გვიშვები, ძმაო, შენ „სიცილიაში" მიდიხარ და ჩვენ „ტირილიაში" გვტოვებ-მეთქი?... ბოლოს, მაინც სიცილით ვუშველეთ ჩვენს მაშინდელ „სატირალს"!).

...იმას მოგახსენებდით: სამხრეთ იტალიის და სიცილიის ბერძნები განათლებით გამოირჩეოდნენ და ნაღდად გამოდგებოდნენ ჩამორჩენილი რომაელების მასწავლებლებად, ბავშვების აღმზრდელებად და სხვა...

ჯერ კიდევ VII ს. (ძვ. წ.აღ.) ლათინებმა შექმნეს საკუთარი ანბანი ბერძნებთან კულტურული ურთიერთობის საფუძველზე — მათ მიიღეს სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ქალკიდური კოლონიების დორიული

ანბანი. ამ ანბანით სრულდებოდა ქურუმთა ჩანაწერები („თორმეტი დავის კანონი").

...რომაელებს IV-III საუკუნეებამდე არ ჰქონდათ ლიტერატურა, მაგრამ მდიდარი ხალხური პოეზიის ავტორები იყვნენ (ლოცვები მარსისადმი, ქურუმთა რელიგიური ფორმულები, გმირთა სახოტბო სიმღერები, დაღუპულთა, ასე ვთქვათ, „ხმით სატირლები", სახუმარო ნაკვეს-ქარაგმები)... ეტრუსკული წარმოშობის ფესცენინები (ხალხური, ხშირად უწმაწური სიმღერები), ოსკურ-ბერძნული წარმოშობის კომიკური ნიღბიანი სცენები (ადელანები).

რომაელებს ძველთაგანვე ჰქონდათ საკუთარი სალექსო საზომი — სატურნული ლექსი (რომლითაც იყო გამართული ხალხური პოეზიის ნიმუშები).

...რომაული ხალხური პოეზია!

საკრალური სიმღერები (ღვთის სავედრებელი).

ქურუმებმა იცოდნენ ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის ფორმულები. ძირითადად, ღვათაება მარსისადმი.

ჩვენამდე მოაღწია III ს. ჰიმნმა, რომელიც იწყება სიტყვებით: „დაგვეხმარეთ ჩვენ, ლარებო!"

P.S.ლარები ახლაც სახვენარი გვაქვს, მარა სადაა?

...საერო პოეზიიდან, პირველ რიგში, მოიხსენიებენ ძველ რომაულ „სანადიმო სიმღერებს".

საერო პოეზიის კუთვნილებაა სამგლოვიარო სიმღერებიც, რომლებსაც საგანგებოდ მოწვეული ქალები, ფლეიტის აკომპანიმენტით ასრულებდნენ (თურმე, რა ანტიკური ტრადიცია ჰქონია დები იმხნელების სევდიან გიტარას!)

...ცნობილი იყო ჯარისკაცთა სიმღერებიც, რომელთაც კრიტიკული ხასიათი ჰქონდათ. ტიტუს ლივიუსის (I ს.) ცნობა გვაუწყებს, რომ ჯარისკაცები... არ ერიდებოდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათას გაკიცხვას, ნებისმიერი არაკაცური საქციელის გამო.

...ჩვენ კი, აგერ, დღემდე, მუხროვანის სამხედრო ბაზის გაბაზრების საქმე ვერ მოგვინელებია (ყველა შედარება მოიკოჭლებს, მარა — მაინც!).

... დრამატულ სანახაობათა ერთ-ერთი სახეობა გამხდარა ე.ნ. ფესცენინები (სიტყვა-პასუხზე აგებული სამოსავლო-გლეხური სიმღერები); ატელანები — ხალხური იმპროვიზაციული ნიღბიანი სცენები (ეს ძველი რომაული სცენებია — ოსკურ ქალაქ ატელას რაიმე ნაკლოვანი მხარის საპირისპიროდ, 4 უარყოფითი ნიღბით — ბრიყვის, ღორ-

*გრძნები რეცეპტორები. ჩვენ ვგრძნობთ სითბოს, სიცივეს. მაგრამ არა რადიაციას. რაც შეეხება ოზონს და მის მნიშვნელობას, იგი არეგულირებს მზის ულტრაიისფერი სხივების შემოჭრას დედამიწაზე. მზის სხივი სამგვარია: ულტრაიისფერი, ხილული და ინფრაწითელი. ჩვენთვის საჭირო და ვნებელია მხოლოდ ულტრაიისფერი. დანარჩენი კი იწვევს სიმსივნეებს. ოზონის სფეროს შემცირება კი ნიშნავს, რომ ყველა სხივი, მეტ-ნაკლებად თანაბარი ოდენობით, მოეფინება დედამიწას. თუ ოდესმე ოზონი გაქრება, სერიოზული საფრთხე დაემუქრება სიცოცხლეს.*

*— რაც შეეხება მთვარეს... „დისქავერიმ" გადმოსცა, რომ მის მიმართ ინტერესი არათუ მცირდება, პირიქით — მეცნიერებს, კერძო პირებსაც გაუცხოველდათ.*

*— მახსოვს, რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი ქვეყნის ოფიციალურმა რადიომ სენსაციური ცნობა გადმოსცა: 20-ზე მეტმა ულტრა-*

მუცელას, ძუნწისა და მატყუარას წინააღმდეგ!)

...ლივიუს ანდრონიკე — პირველი რომაელი პოეტია! იგი პედაგოგიც იყო და მსახიობიც.

ლივიუსის „ისტორია“ გვამცნობს, რომ რომაელებში ერთობ გავრცელებული იყო იმპროვიზებული გაშაყირება, როკვის ანუ ცეკვის თანხლებით, რაც, სექტემბრის თვეში, კაპიტოლიუმის იუპიტერს ეძღვნებოდა!

ანდრონიკეს დროში სამწერლო ასპარეზზე გამოსული პლებეური წარმოშობის გნეუს ნევიუსი თავის ლექსებში თავს ესხმოდა პატრიციუსებს, ქვეყნის უბედურებად თვლიდა მათ ბატონობას. ჰოდა, იმდენი ქნა, რომ კუტუსკაში მიაბრძანეს და ისევ სახალხო ტრიბუნის ჩარევით დააღწია თავი პატიმრობას...

...პლავტე ორიგინალური რომაული ლიტერატურის ფუძემდებელია. პირველ ხანებში თეატრის მსახური იყო. მუშაობდა წისქვილშიც, საცა წისქვილის ქვას ატრიალებდა. სწორედ ამ დროს (წისქვილის ქვა რომ უტრიალებდა თავზე), ამ ტრაგედიაში 3... კომედია დაუწერია! მათ შორის, „კომედია ვირზე".

...ბერძნულ კომედიებში ხშირია ჰეტერა — განათლებული ქალი.

პლავტეს სცენები სავსეა უწმაწური ადგილებით, ქუჩური სიტყვებითა და გამოთქმებით (დღეს ეგრეთწოდებული „ქუჩური აკადემიიდან"!).

კრიჟანგი, მყვლეფავი, მევახშე, მკვეხარა მხედარი და მატყუარა ჯარისკაცი, ღორმუცელა და პარაზიტი, მფლანგველი ახალგაზრდა, გზას აცდენილი ჰეტერა — აი, პლავტეს კომედიის პერსონაჟები.

კართაგენელი ტერენციუსი — პატრიციუსთა წრიდან.

მოშურნენი ლანძღავდნენ — წარმოუდგენელია, აფრიკელ მონას, ბარბაროსს შეეძლოს ასეთი დახვეწილი ენით და მხატვრული ხერხებით წერაო.

...პროზაიკოსი კატონი.

...პირველი საუკუნის რომაული ლიტერატორი.

...სულას დიქტატურა.

...მონათა აჯანყება სპარტაკის მეთაურობით.

...ტრიუმვირატი პომპეუსის, იულიუს კეისრისა და კრასუსის.

ლუკრეციუსის „საგანთა ბუნებისათვის"!

ციცერონის ტრაქტატი „ღმერთთა ბუნებისათვის"!

ელინისტური სატრფიალო პოეზია!

ლუკრეციუსი.

ჩვ.წ.აღ.-მდე I ს. მაშინდელი მსოფლიოს ცენტრში — რომში (სამოქალაქო ომის დროს) გაჩნდა მატერიალისტური მოძღვრება მსოფლიოს წარმოშობაზე. მხედართა წოდების წიაღში გაჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს, გაენთავისუფლებინათ გონება გაბატონებული წრეების მიერ გაბატონებული შიშისაგან — ღმერთების, სიკვდილისა და საიქიოს სასჯელის წინაშე... დაერწმუნებინათ ხალხი, რომ ადამიანის ბედნიერება სააქაოშია და არა საიქიოში!

---

*ზაურ ბოლქვაძე: თუ ფული არა გაქვს, კაცი არა ხარ და თუ კაცი ხარ, ფული არ გაქვს. რა შეიცვალა? ამ შეგონების პირველი ნაწილი ისევ ძალაშია, ხოლო ახლა კაცი იმდენად მაინც ღირს, რამდენიც აქვს!*

*ოსმალური ანდაზა: თუ გინდა, მრუდედ დაჯექი, ოღონდ სწორად ილაპარაკე!*

...ტიტუს ლუკრეციუსი სმას გადაჰყვა... ხოლო სიგიჟის ინტერვალებში რამდენიმე წიგნი დაწერა, 44 წლის ასაკში კი თავის მოიკლა.

არის მოსაზრება და მტკიცებულებაც, რომ ლუკრეციუსი კელტ-იბერიული წარმოშობის ესპანელი იყო.

ლუკრეციუსი თხოვნით მიმართავს ვენერას — გვექმენ მწედ, მიაძინე შენი მეუღლე მარსი (ომის ღმერთი), ხალხთა შორის ჩამოგვაგდებინე მშვიდობა, რათა იარაღის ჟღარუნმა ხელი არ შეგვიშალოს ლექსის წერის დროსო.

...რომაული ლირიკის პიონერი კატულუსი!

იულიუს კეისარი ცდილობს, შეირიგოს მოწინააღმდეგეები ინტელიგენციის ბანაკიდან, რომ თავისი პოლიტიკის სამსახურში ჩააყენოს ხალხის მესაიდუმლე პოეტები. ბევრი წამოეგო ამ ანკესს (მათ შორის, ციცერონიც). კატულუსმა კი უკუაგდო კეისრის „ზავი" და უპასუხა: „არ ვცდილობ, კეისარ... შენთვის და არც მინდა, ვიცოდე — კარგი ხარ შენ თუ ცუდი!"

ახლაც თავს რომ უკაკუნებს
და არა პგავს იმ კატულეს.
ბატონებს რომ ცრიდა ტანში,
აფხიზლებდა ტაშით — ყბაში!

...თვითონ იულიუს კეისარიც ისტორიული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

...ოქტავიანეს ხანის რომაული ლიტერატურა.

პირველი საუკუნის ზოგადი სახე.

ვერგილიუსი, ჰორაციუსი, ოვიდიუსი!

„გეორგიკა"!.. პოემა — ოთხწიგნედი: მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა: „მე მინდა, მეცენატო, ვიმღერო იმაზე, თუ როგორ მიიღოს კაცმა უხვი ჭირნახული: რომელ ვარსკვლავზე გადააბრუნოს მიწა, როგორ მიამაგროს ჭიგო ვაზს, მოუაროს ხარებს და მოაშენოს საქონელი, და როგორია მოფუსფუსე ფუტკრის დაუღალავი შრომა". პოეტი ასწავლის მიწის მუშას, წელიწადის რა დროს რა უნდა აკეთოს. „გუთანს პატივი აეყარა. მინდორში მიწა ამოხმა. რადგან მიწის მუშა მოაკლდა მას, მოღუნული ცელები მახვილებად გადაადნეს. აქ ევფრატი ამოძრავდა. იქ გერმანიამ დაიწყო ომი... ყველგან მძვინვარებს დამღუპველი მარსი" (I, 506-511).

„ენეიდას" 12 სიმღერიდან: „გახსოვდეს, რომაელო, თუ როგორ უნდა მართო ხალხი და არ დაივიწყო ეს წესები: ისწრაფო ნეტარი მშვიდობისაკენ, მორჩილნი შეიწყნარო, ურჩნი გაანადგურო"!

...რომაელი თავს განათლებულად არ თვლიდა,

მილიონერმა პლანეტაზე მთვარის ფართი იყიდა. სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის ერთი ქართველიც ერია. შემდეგ დავინტერესდი, როგორ მოხდა ყიდვა-გაყიდვა, ვის გადაუხადეს ეს ფული, რამდენი, ან ნაყიდობა რომელმა ნოტარიუსმა დაამოწმა; ამ კითხვებით დაინტერესდნენ ჩემი კოლეგებიც, მაგრამ ამაოდ: პასუხი ვერ მივიღეთ. რატომ გაძლიერდა ინტერესი მთვარის მიმართ? ბოლო წლების მონაცემებით, მთვარეზე წყალი აღმოჩნდა, წყალი კი სიცოცხლის საწყისია. არსებობს კარგად არგუმენტირებული ჰიპოთეზა, რომ ათასეული წლების შემდეგ მთვარე გახდება სიცოცხლისუნარიანი. აქ საოცარი არაფერია, რადგან თავის დროზე დედამიწაზეც ხდებოდა იგივე ვულკანური ამოფრქვევები.

„კვირის პალიტრა", 2002, 10-16.06.

<u>სიყვარულის სახეობები ძველბერძნულად</u>

აღაპე — სიყვარუ-

თუ ის აკადემოსის ჭალის სახელგანთქმულ მოძღვრებთან ან პერიპატეტიკოსებთან ანუ „მოსეირნეებთან" არ მიიღებდა განათლებას!

ჰორაციუსი, უსახსრობის გამო, გადამწერლად მუშაობდა და, როგორც თვითონ წერს — სიღარიბემ გააბედინა ლექსების წერა!

მაშ, სიღარიბესაც შეძლებია სიკეთის ქმნა. ბოლოს, ავგუსტემ შესთავაზა მას პრინცეპსის პირადი მდივნის მაღალი პოსტი, მაგრამ ჰორაციუსმა არაფერზე არ გაცვალა თავისუფლება!

ჰორაციუსი ჰკიცხავს სამხედრო ტრიბუნს, წარმოშობით მონას, რომელსაც დავიწყებია თავისი წარსული. მას რომ ესპანური შოლტით სცემდნენ, როგორც მონას და ახლა დიდი კაცი რომ გახდა, იბღინძება და უკვე სხვების საგვემად წნელების კონა უჭირავს ხელში.

რაც შეეხება მის სატირებს, რომელსაც ჰორაციუსი „საუბრებს" უწოდებს, პოეტს იგი გამოყენებული აქვს სხვადასხვა საყოფაცხოვრებო (საყვლეფაცხოვრებო — გ.წ.) და საფილოსოფოსო თემების შესატევად!

ჰორაციუსის „ოდების" მესამე წიგნს ბოლოში დართული აქვს ლექსი, რომელსაც „ძეგლი" ეწოდება!

„ძეგლი ავიგე უმტკიცესი სპილენძ-რვალისა, მეფურ პირამიდთ უდიდესი და უმაღლესი. მას ვერ შემუსრავს ვერცა წვიმა, ვერც აკვილონი, ვერრას დააკლებს ჟამთ სიავე, ვერც წელთა სრბოლა!"

„მას ვერ შემუსრავსო..." ასე ეგონა პუშკინსაც, ჩვენ ბოდიში და ასე მეგონა მეც, როცა ძეგლი ასეთი მსაზღვრელი ეპითეტით დავამშვენე — საძეგლე ხალხს „ძეგლთა სამშვიდობოს გასულები" ვუწოდე, მარა, კაცი „ქვის სროლას" რომ დაიწყებს (ეს ჩვენში სიგიჟის ერთ-ერთი და ერთობ გავრცელებული ფორმაა), მისგან რას არ უნდა მოელოდე!

...არადა, მარტო ოვიდიუსის „მეტამორფოზები" რად ღირს.

...სენეკა — ეს მოხუცი — სათნოებისა და მოთმინების მქადაგებელი, ნერონის სასახლის პირველი ინტრიგანი იყო.

პერსიუსი. იუვენალი. მარციალი. ტაციტუსი. პეტრონიუსი. აპულეი... კაცობრიობის გულის ფიცარზე ამოსაკაწრი სახელებია — რა თავებია, რა სულებია, რა გულებია, რა ხელებია!... ამ ტიტანების „ტიტინში" ლექსიც მოვიდა (თეთრია თუ შავი, მკითხველმა გაარჩიოს!)

...წარსული — უკვე წასულია; მომავალი — ჯერ არ მოსულა; შენია მხოლოდ აწმყო...

ასეთია დრო და სამყარო მატერიალისტის თვალთა არეში.

იდეალისტისთვის კი:

ან წარსული რაა,

ან — აწმყო,

ან — მომავალი —

ამ ანტიკური ისტორიის გარეშე!

---

*თამაზ ჭილაძე: რას მალავდა ქართველი კაცი პირველ რიგში, მტერი რომ შემოესეოდა? ხელნაწერს და ხატს მალავდა (რომ გადაერჩინა)!.*

*იოანე ოქროპირი: თუ შენი ხილული ძმა არ გიყვარს, როგორ შეიყვარებ უხილავ ღმერთს.*

## „მარად ცოცხალი ხელოვნება"
### ხელო-ვნებათა სამყაროში!

დაბადებით ქართველი და ბუნებით და გონებით ენციკლოპედისტი კაცი იყო აკაკი გელოვანი, ჭიანჭველასავით დიდი ტვირთმზიდი და „მთების გადამდგმელი". უყვარდა „ნიანგის" რედაქცია და ვუყვარდით „ნიანგელები". სიცილმა დაგვაძმობილა (თუმც, გარეგნულად დაღვრემილ კაცს ჰგავდა!). სქელტანიანი წიგნი „მარად ცოცხალი ხელოვნება" მისთვის დამახასიათებელი სკრუპულოზულობით ინახავს ხსოვნას სახვითი ხელოვნების კორიფეებზე — ანტიკურ ეპოქაზე — ფიდიასზე, პრაქსიტელეზე, ბოტიჩელიზე, ლეონარდო და ვინჩიზე, მიქელანჯელოზე, რაფაელზე, კორეჯოზე, ტიციანზე, ჯორჯონეზე, ვერონეზეზე, ტინტორეტოზე, დიურერზე, გრიუნევალდზე, ჰოლბაინზე, რუბენსზე, ვან დეიკზე, ველასკესზე, რემბრანდტზე, გოიაზე, დელაკრუაზე...

სიტყვა „ხელოვნება" ქართულში დაკავშირებულია „ხატთან", ლათინურ-ფრანგულში — „ოსტატობასთან" (არს-არტის, აქედან — არტისტი). ხელოვნება სახეებში აზროვნებაა.

ესპანეთში არის დიდი მინისქვეშა მღვიმე — ალტამირის გამოქვაბული, რომელსაც, ხუმრობით, „პირველყოფილი სიქსტის კაპელა" უწოდეს.

ადამიანის გენია ხელოვნების პირველ შედევრებს ქმნიდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ შიშველი და უსახლკარო იყო. ათენა იშვა ზევსის თავიდან, აფროდიტე — ზღვის ქაფიდან, ქაოსი — შუმერიდან.

ვაზარი ხელოვნებას — „დუმილის მჭევრმეტყველებას" უწოდებს!

ხმელთაშუა ზღვაში დაირწა ცივილიზაციის აკვანი — ეგვიპტის, შუმერის, ასირიის, ბაბილონის, ფინიკიის, საბერძნეთის, რომის ხელოვნებას, კაცთა მოდგმა მანამ მოიხსენიებს კრძალვითა და დიდებით, სანამ კაცთა მოდგმას სიცოცხლე უწერია.

პირამიდები აღემატებიან ყველაფერს, რაც კი ადამიანის ხელით შექმნილა.

არის გამოთქმა — პირამიდებს არ ეშინიათ დროის, დროს ეშინია პირამიდების!

თემურ-ლენგი და შაჰ-აბასი პირამიდებსა და მეჩეთებს ადამიანების მოჭრილი თავებიდან აშენებდნენ.

ადამიანი წარმატებით ებრძვის სიკვდილს რკინით, როცა მას ლანცეტის ფორმა აქვს და კიდევ მეტი წარმატებით, როცა იგი საჭრეთელია ან... მწერლის კალამი!

*ლი დაფუძნებული თვითგანწირვაზე, მსხვერპლშეწირვაზე. სიყვარული, რომელიც პარტნიორისგან არაფერს მოითხოვს. რაც მეტს გასცემ სიყვარულს, მით მდიდარი ხარ. ეს სულის სიმდიდრეზე მეტყველებს და არაფერს ითხოვს სანაცვლოდ.*

*ფილია — ურთიერთფასეულობებსა და ინტერესებზე დაყრდნობილი სიყვარული. ამ დროს პარტნიორს აფასებ, როგორც ახლო მეგობარს.*

*ეროსი — ბრმა სიყვარული. პარტნიორს ეთაყვანები და მის ნაკლს ვერ ამჩნევ.*

*სტორგე — მიჩვევა, როდესაც ისე ხარ მიჯაჭვული ადამიანთან, რომ უიმისოდ არ შეგიძლია. ეს ახასიათებს დიდი ხნის ცოლ-ქმარს.*

*საქართველოს კანონმდებლობით, მგლის მოკვლა 400 ლარით ჯარიმდება. ამ კანონმა კი მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მგლის მომრავლებას. ჩვენებურ მგლებს ...ჩრდილოკავკასიური მგლე-*

ეგვიპტელთა გენია უკვდავების, არდავიწყების გზებს ეძებდა.

ხეოპსის (ხუფუს) პირამიდის კედლებზე (რომელსაც, მქონდა პატივი, პირადად ვხლებოდი და ქედი მომეხარა მის წინაშე — გ. ნ.) გეომეტრიული სიზუსტითაა დაწყობილი 2 300 000 ორტონანახევრიანი გათლილი ლოდი! რომელიც არა საფლავებს — ადამიანის უკვდავებას ადევს ძეგლად!

ეგვიპტური ხელოვნების ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო, ახალ სამეფოშიც უჭირდათ მისი შეცვლა, მაგრამ რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, შემდგომში ველარც აგებდნენ ასეთ საძვალეებს, როგორიცაა ხეოფსისა და მისი შვილის ხეფრენის, რომლის სამარხიც მამამისზე რამდენიმე მეტრით ნაკლებია!

თუ ეგვიპტე „ნილოსის წყალობაა", ეგვიპტის წყალობაა დიდი ხელოვნება, რაც მსოფლიო ხელოვნებას ნილოსის სიუხვით რწყავდა და რწყავს დღესაც.

დედოფალ ხატშეპსუტის 3500 წლის წინანდელი პაპირუსი: „საქმენი ჩემნი იხილონ და თქვან: რა მშვენიერია იგი, ვისი ხელითაც იქმნა ესე".

ასე შეეძლო, ეთქვა თამარსაცო! — ამბობს ჩემი კოლეგა და კალმით ამხანაგი აკაკი გელოვანი.

...შუმერები — „შავთავიანნი" — შუამდინარეთის ხალხის ზოგადი სახელია.

შუმერთა მზის ჰიმნი, თავისი პოეტური ამოსუნთქვით, ქართული უძველესი ჰიმნების — ლილეოსა და რიჰას პირველსახეობაა.

ჰეგელი: მსოფლიო პროგრესი კავკასიური რასიდან მოდის!

ისტორია კი შუმერიდან იწყება!

„ქართული დამწერლობა სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ შესაძლოა ძველ არამეულთან მონათესავეა... ქართული ენა უძველესი სალიტერატურო ენაა მთელს კავკასიაში" (Meyers neues lexikon, 1974, ტ.5).

ჰეროდოტე გვაუწყებს: „კოლხები ეგვიპტელები არიანო".

1971 წ. მცხეთის რეგიონში, ნაქალაქარში აღმოაჩინეს დროში დაკარგული ქალაქი „ძალისა" (ძვ.წ.აღ. VI ს), ნიმუში ანტიკური ქალაქისა. ციკლოპური ტიპის ნაქალაქარია ბეშთაშენი. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ბასკურად ერს-ერი ჰქვია და იმავე სიტყვას შუმერშიც იგივე შინაარსი ჰქონდა: ბასკები ამაყობენ წარმოშობით! — აღმოსავლეთ აიადან დასავლეთ აიაში რომ გადასახლდნენ.

საუკუნეების მტვერს შეერია შუმერის 7000-წლოვანი კულტურა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, გადარჩა მის ბედთან წილნაყარი კოლხურ-იბერიული ნაკადი და მისი შემოქმედი ხალხი!

თრიალეთის ოქროს თასის ასაკი 3500-ზე მეტი წლისაა. ერთმა კალმოსანმა თქვა: ქართული ხელოვნების ისტორია VII საუკუნიდან იწყებაო, რაზეც მეცნიერმა შენიშნა, — თქვენ საუკუნე, წლები აღნიშნეთ და ძველი თუ ახალი წელთაღრიცხვით... ეს არაო!

---

*სენეკა: თუ კაცს ცოტა ფულს ასესხებ — მოვალეა, თუ ბევრს — მტერი.*

*კონფუცი: თუ წინსვლა გინდა, ყოველდღე განახლდი!*

*ინგლისური: რაღა ახალგაზრდობა და რაღა სუფთა ქაღალდი.*

*ქართული: ენითა მრავალმა აჯობა — ხელითა მრავალს.*

ისტორია გვაუწყებს, რომ მცხეთა აუშენებია ბიბლიური ნოეს შთამომავალ მცხეთოსს.

...მითიური მთხზველი არც არსებობდა, როცა ბეთლემთან ქართული ტაძრის იატაკს უკვე ამკობდა ბრწყინვალე ქართული ასომთავრული (იტალიელი მეცნიერის კორბოს აღმოჩენა).

საქართველოს გაძლების ხელოვნებაზე უკვე შორეულ წარსულშიც იყო ლაპარაკი. ახლანდელი თბილისის მინა-წყალზე, დელისში, გვიან ბრინჯაოს ხანაში (6000 წლის წინ) უკვე ცხოვრობდნენ შემოქმედებითი ადამიანები.

კოლხთა მეფე აიეტი მზის შვილია. მისი სპილენძის ხარები ცეცხლისმფრქვეველები არიან. მისი ასული მედეას სახელიდან კი დასაბამს იღებს... მედიცინა! უცხოელები აღიარებენ, რომ დედამიწის ზურგზე არ ეგულებათ ქვეყანა, სადაც, ეგზომ მცირე მიწაზე, ამდენი ძეგლი იყოს! დაიღუპა შუმერი, ურარტუ, ხეთები... საქართველო დღემდე დგას, ვით „გოდოლი შეურყეველი" და იმედით შესცქერის მომავალს, რომელიც ათასი „იზმითა" და „სქიზმით" გვემუქრება!

თრიალეთის 3500-წლიანი თასით დალოცვა საქართველოს აქამდე ეყო. ახლა წარსული — ალავერდს გადმოდის — აწმყოსთან... მომავლის დასალოცად!

ეგვიპტური ხელოვნება — კოპტურმა შეცვალა, შუმერული — აქადურმა, ბაბილონურმა, ასირიულმა; ძველ ბერძნული — ელინისტურმა, რომაული — იტალიურმა... საქართველოში ენაც და ხელოვნებაც იყო და არის ქართული. ხომ არ იფარება ამ ფენომენის საიდუმლო ქართველ ქალში? გოეთემ ხომ წინსვლის ქვაკუთხედად მარადიული ქალური საწყისი აღიარა! ხომ საგანგებოდ აღიარებდნენ ქართველი ქალის სილამაზესა და გენიას ბერძენი პოეტები, ლათინთა სწავლულები — ვინკელმანი, გოეთე, გრიფიუსი, ლერმონტოვი და სხვანი? ხომ დასტურდება ამაძონთა მითი... ხომ იჩინა თავი ამ გენიამ კიდევ ერთ სიბრძნის ხელოვნებაში — ჭადრაკში?

პირველი მჭედლები და მეფოლადეები ხალიბები იყვნენ. ჰეფესტოსის მსგავსი მჭედელი კოჭლი ღმერთი კოლხებსაც ჰყავდათ. დღემდე გადარჩა და შემორჩა ამ ერთი მტკაველა ქვეყნის ისტორიას 5000 ხუროთმოძღვრული ძეგლი!

წყაროსთავის სახარების ყდა ბექას მოუჭედავს და ზედ 1195 წელი წაუწერია „ვინც, ...ანუ ლილოკილოო დააკლოს და შეუცვალოს რაი ამას ნაჭედსა, კრულმც არს მკვდარი და ცოცხალი".

ქართულ რენესანსს, რომელიც ბევრად

ბიც დაემატნენ, რომლებიც საქართველოში გადმოიხვეწნენ, იქ მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო.

**P.S.** ლამისაა, პლავტის ფიგურალურ თქმას: „ადამიანი ადამიანისთვის მგელია" ალტერნატივა გაუჩნდეს: „მგელიც მგლისთვის და ადამიანიც... მგლისთვის"!

„ქრონიკა"

<u>მწერალი კობა იმედაშვილი:</u>

სამთაობიანი ოჯახი მსოფლიოსთვის ლამის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენაა... საქართველოში ჩამოსული იაპონელებისთვისაც ასე იყო. ქართულ ოჯახებში სამი თაობის წარმომადგენელთა ერთად ცხოვრების ტრადიცია მათთვის დიდი გაოცების საგანი იყო — ერთ ოჯახში პაპა-ბებიის, შვილის და შვილიშვილების ერთად ცხოვრება, დიდი სიკეთეა. დავუმატოთ ამას ქართული სუფრის და თამადის ინსტიტუტი, მეგობრობის ინსტიტუტი, მშობლებისა და წინაპრებისადმი პატივისცემის ინსტიტუტი.

უსწრებს წინ ევროპის აღორძინებას, წარღვნასავით გადაუარა მონღოლურმა ბარბაროსობამ.

ვატიკანში ჩახედული დიდი მეცნიერი ვინკელმანი, რომელმაც შექმნა უნიკალური ნაშრომი „ანტიკური ხელოვნების ისტორია" წერს: საქართველოში სილამაზე უპირატესობად არ ითვლება — აქ ყველა ლამაზიაო!

ღმერთთა სწორმა — ფიდიასმა შექმნა ოლიმპოს უზენაესი მბრძანებლის ზევსის ქანდაკება — მსოფლიო ერთ-ერთი იმ 7 საოცრებათაგანი!

აფროდიტე ადამიანის დიდებულების ტრიუმფია!

ჟამთა სიავეს, უმეტესად, ქვა და ბრინჯაო გადაურჩა!

...როცა მაღალი კლასიკის (ძვ.წ.აღ.V ს.) ფუნჯის ოსტატთა შორის გამორჩეულმა პოლიგლოტმა „ოდისევსისთვის" გასამრჯელოზე უარი თქვა, მან მთელ საბერძნეთში უსასყიდლო ცხოვრების უფლება მიიღო. დედამიწის ზურგზე ჯერ არ მოუფიქრებიათ უფრო დიდი დაფასება ხელოვანთათვის (და ამას დღეს მხოლოდ ერთი ჭორვილელი კაცის სტიპენდიანტობას თუ შევადარებ!).

...იონიური სკოლის დიდოსტატის ზევქსისის დახატულ ყურძნის მტევანს ჩიტები აწყდებოდნენ ასაკენკად. იგი თავის სურათებს არ ყიდდა, რადგან, ამ უკანასკნელის რწმენით, არ არსებობდა მისი ნახატის საფასური თანხა!

...აპელესს დაუხატავს ბუცეფალზე ამხედრებული ალექსანდრე, რომელსაც ნახატი არ მოწონებია და უბრძანებია, საჯინიბოდან გამოეყვანათ ცხენი, რომელსაც, ამ სურათთან მდგარს, ჭიხვინი დაუწყია. მხატვარს უთქვამს:

— მეფეო, ნუ მიწყენ და ამ ცხენს შენზე მეტი ჭკუა აქვსო!

მეფესაც იმდენი ჭკუა ეყო, მართალი სიტყვა არ სწყენოდა!

არის გადმოცემა, რომ აგაბედესმა და ტრიფინემ, როცა აპოლონის ტაძარი დაასრულეს, ფებოსს სთხოვეს — ჩვენი ღვაწლის საზღაური გვიბოძეო. და, აი, ორივე ხუროთმოძღვარი მკვდარი იპოვეს. ამ სამწუხარო ლეგენდის აზრი ის არის, რომ ადამიანი კვდება — ქმნილება რჩება! რა ჯილდო ეყოფოდა პართენონის, ზევსის ტაძრის, ჰალიკარნასის მავზოლეუმის, ეფესოს არტემიდეს ტაძრის მშენებლებს და მშენებლობას?!

...ჩინკვეჩენტო — დიდი აღორძინება ლეონარდო და ვინჩით იწყება. მე-16 — ტიტანების საუკუნეა! შედევრების საუკუნე! მიქელანჯელოს „პიეტა"! ლეონარდო: „სიბერის საკვები სიბრძნეა. იმოქმედე სიჭაბუკეში ისე, რომ სიბერე შიმშილით არ გაგიმწარდეს". ყველა თაობამ თავისი საძიებელი ეძიოს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ჭეშმარიტება მიუგნებელი არ დარჩეს.

სხეული სულის ტაძარია!

გოეთე: ღმერთებს ვუყვარდი!...

...ველასკესმა დუმილით ჩაუარა რაფაელის ფრესკებს.

კაცობრიობის ისტორიის 5500 წლის მანძილზე მხოლოდ 399 წელი იყო მშვიდობიანი. 14000 ომში დაიღუპა იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე ამჟამად პლანეტაზეა.

---

*ანატოლი ფრანსი: ენა დაიბადა ხნულში, წარმოშობით ის სოფლელია.. მართალია, ქალაქმა მას მისცა რაღაც სიფაქიზე და სილამაზე, მაგრამ მთელი ძალ-ღონე მას წამოჰყვა მინდვრიდან, სადაც ის იშვა ჯეჯილში, როგორც ტოროლას გალობა.*

კაცობრიობას იტალიამ ერთდროულად მისცა ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი და მიქელანჯელო!

ფიქრებიდან გამორკვევის, ანუ ჩვენს რეალობაში დაბრუნების წუთს, რა ცოდვა უნდა გქონდეს ასეთი, რომ ეშმაკმა ერთდროულად მოგცეს ამდენი არაკაცი, დღეს როა! აშკარად, გვეინყრება ღმერთი!

მიქელანჯელოს მოსე მიჯაჭვულია ქვის კვარცხლბეკზე, თორემ ადგებოდა და ივლიდა ჭეშმარიტების საქადაგებლად.

არცერთ გენიოსს არ შესრულებია საუკუნე! ტიციანს ერთი წელი დააკლდა!

მიქელანჯელოს როცა ჰკითხეს, ცოლს რად არ ირთავო, — უპასუხა: ხელოვნება ეჭვიანიაო!

სულს — ზეცას ვაბარებ, სხეულს — ფლორენციასო! — დაიბარა.

„სამყარო — ღმერთმა შექმნა, ღმერთი კი — მიქელანჯელომ"

„სიცოცხლის უკანასკნელი დღე — თავისუფლების პირველი დღეა!"

ღრმა სიბერემდე მიუღწევიათ ბოტიჩელის, ლეონარდოს, მიქელანჯელოს, ტიციანს, ტინტორენტოს...

...პოეტური პიროვნებები იყვნენ ბრუნო, კოპერნიკი, კამპანელა, ლუთერი...

დიურერსაც ჰყავდა თავისი ზოილი, მაგრამ შურისმაძიებლად ვერ აქციეს (მის საფლავზე ასეთი ნარწერაა — „რაც მისგან წარმავალი იყო, იმას ეს ბორცვი იცავს!"

სახარება: „მე ვარ ანი და ჰოე, პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული" (იოანეს გამოცხადება, 22, 12).

რომელია უფრო დიდი მოვლენა: ჰომეროსი, შექსპირი თუ დანტე; ვერგილიუსი, ჰორაციუსი თუ ოვიდიუსი; ლეონარდო, მიქელანჯელო თუ რაფაელი; რუბენსი თუ რემბრანდტი; გოეთე თუ ბაირონი; ჰოლბაინი, კრანახი თუ დიურერი...

...ფლამანდრიული ხელოვნების ვარსკვლავი ვან დეიკი — „იუდას კოცნა".

ანტიკური ანტურაჟი!.. სინედრიონის შეიარაღებულ რაზმს მიუძღვება იუდა — მან კოცნით უნდა გაყიდოს იესო — მესია!

სციპიონის ეპიტაფია: უმადურო სამშობლოვ, შენ ვერ ეღირსები ჩემს ძვლებს!

საპირისპირო: სიცოცხლეშიც — აქაც, იქაც, შენთან ერთად, შენთან ერთად!

ვინ მოკლა მარატი? მარიანა შარლოტა კორდემ, რომელიც თავს დემოკრატად თვლიდა და აძრწუნებდა რევოლუციის უკიდურესობანი. როცა მან წაიკითხა რევოლუციის ტრიბუნის — მარატის სიტყვები: რევოლუციას ჯერ კიდევ სჭირდება ოცი

*თუნდაც „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც მინაურია"-ს ტრადიციას და ა. შ.*

*„კვირის პალიტრა"*

*სამტრედიაში, პლანეტის უხუცესი მცხოვრები, 119 წლის ნინო ხურცია აღმოაჩინეს და ეს მაშინ, როცა ერთი თვის წინ მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ ადამიანად 113 წლის იაპონელი ქალი დაასახელეს და გინესის რეკორდების წიგნშიც შეიტანეს ადგილი.*

*მსოფლიოში პირველად, ჩანგალი (სადილობისას), ამერიკელმა ჯონ უინტროპმა გამოიყენა 1630 წლის 25 ივნისს.*

**P.S.** *ხოლო ქალისა თუ კაცის „მოჩანგლვა"... ქართველების მოგონილია!*

~~*სახელის და გვარის გაყიდვა ყველაფერს ჯობს!*~~

*არგენტინის პრეზიდენტმა ედუარდო დუალდემ მილიონობით მოქალაქეს — მეანაბრეებს განუცხადა, რომ სახელმწიფო მათ დანაკარგს აუნაზღაურებს. მისი*

ათასი თავიო", ჩავიდა პარიზში და იგი მოკლა! სხვათა შორის, მარატსაც და მის მკვლელსაც „რევოლუციურ" ბატალიებში დღესაც ჰყავთ „ორეულები", რომელთაც ჯერ არც სახალხო შურისძიება და არც სახელმწიფო კანონი არ შეხებიათ, თუმც, განკითხვის ჟამი არც როს არაა შორსა!

...ლათინური ანდაზაა, რომ „არიან ადამიანები, რომელთაც ღმერთმა აკოცა!"

დელაკრუა ისევე განასახიერებს XIX ს. ევროპულ ფერწერას, როგორც ჰაინე — პოეზიას, შოპენი — მუსიკას, როდენი — სკულპტურას!

დელაკრუას ქმნილებათა შორისაა კოლხი მედეა!

**მიქელანჯელო:**

ბეშთაგონების საიმედო მებოძა ბურჯი —
სიყმაწვილიდან — სილამაზის ერთგული ერჩები...
რას ეირჯებოდი, რას ეაკლავდი თაეს ამ ფიტულებს,
თუ ჩემი საქმის დასასრული ეს იყო მხოლოდ!
მსგავსად კაცისა, რომ გაცურავს ზღვებს დაბინდულებს
და თავის ცრემლში ჩაიხრჩობა ნაპირზე ბოლოს.

P. S. ვერ გეტყვით, რა „დეტერმინიზმით", რომელი 120-აციითა და რა განზომილებით, მაგრამ დღევანდელობისთვის საეჭვოდ ჟღერს მიქელეს ეს ბოლოთქმის სიტყვები:

ვისაც არ უნდა მწვანე ფოთლები,
არ უნდა იშვას ვარდობისთვეში!

## *ალოგიური ილოგია*

(ანუ ირეალური რეალობა!)

„სიუ" ერქვა თბილისსა და დროის რია-რიარიზმს... ჩვენ ამ სიზმარცხადს ვეძახდით „ზე"- ან სიურეალიზმს!

უწმაწურს ერქვა სკაბრეზი („წმაწურიანის" პირითა). ზოგნი ისმენდნენ ამრეზით — სიტყვას, ნათქვამსა ყირითა!

კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო —
მოგიხნავ დედის კვალსაო.
ამ დავი-დარაბაშიო —
არც ყვავი დარჩა ვალშიო!..
ისე შეგეცვი პირში და
ისე მოგიხან ჭკუაო.
„ყველა ცრუა და ყრუაო" —
ცრუქაქუნების დროაო!

* * *

„ლენინმა უთხრა სტალინსა — რატომ ჭამ ამდენ მწვანილსო?"
სტალინმა უთხრა ლენინსა — შენ უარესი გელისო!

---

*როცა კაცი იხრჩობა... წყალწაღებული ხავსს კი არა, თუ გაუჭირდა... საკუთარ ქოჩორსაც კი მოეჭიდება!*

* * *

გაზეთები გვაუწყებენ, რომ...

ჯერ იყო შვეიცარიული წყალქვეშა რაგბი, შემდეგ, უკვე, ჩინელებმა მოიფიქრეს წყალქვეშა გოლფი, ახლა კი აგერ, ავსტრალიელებსაც შეუღიტინა უცნაურმა იდეამ, წყალქვეშა ჰოკეი ეთამაშათ?!. ჰოდა, თქმა და ასრულება ერთი გახდა — მწვანე კონტინენტზე, წყალქვეშა ჰოკეიში უკვე პირველი ჩემპიონატიც ჩატარდა და ყველა მოხიბლული და უსაზღვროდ კმაყოფილი დარჩა.

P.S.. ერთი რამ ცხადია — აქ „მშრალი ანგარიში გამორიცხულია“ და, ალბათ, აღარც გამარჯვების „დასველებაა“ საჭირო, მაგრამ ერთი რამე მაინც ვერ გამიგია — მაყურებელიც თუ ასევე „ჭყუმპალაობს“ და, როგორც იტყვიან, „წყალში დგას და ცეცხლი უკიდია“!

* * *

**რამაზ კლიმიაშვილი:**

„ირანს, დიდი ხანია, თავისი რაკეტები დამიზნებული აქვს თბილისზე!“ (მიუხედავად ჩვენთან „უვიზო ჩახუტებისა“).

P.S.ვითომ, ისტორიიდან ირანის „პატივისცემა“ გვაკლდეს. რაკეტა კი არა, სპარსეთმა ბაბრის მზერაც რომ გვესროლოს (ფუი, ეშმაკს!), იმას რა გადაურჩება?

* * *

ვინ რა იცის, ეს სოფელი, სხვა რა მიზანს ისახავს?..
ბარეორი ბარიერი ერთად გადაგვილახავს!
გაუძლებელსაც გაუძლო კაცმა ჭირში ძმობითა —
ღვთის ნებითა, განგებითა, ბოროტების
გმობითა!

* * *

ღეთისმშობლის წილს, როცა ღმერთი
მის სამყოფად ინდომებს,
კალმით ხატვა რაღად უნდა —
ყალმით ნახატ მინდორ-ველს!

* * *

მხატვრობა თუ ფერწერაა,
მწერლობაა ენწერა —
მშვიდობაში მოახმაროს
ყველას თავის ხელწერა!

*თქმით, სახელმწიფო დიდხანს ეძებდა სახსრებს კრიზისის მსხვერპლთა დასახმარებლად და როგორც იქნა, იგი იპოვა. მთავრობა ვარაუდობს, რომ გაყიდის კუთვნილ ქონებას — რკინიგზებს, სახელმწიფო მიწებს, სამინისტროების და უწყებების შენობებს, ავეჯს, ავტომანქანებს. ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, თუ მთავრობამ ეს ყველაფერი განახორციელა, შესაძლოა არგენტინის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტოს. სამაგიეროდ, მოქალაქეებისთვის მიცემულ პირობას შეასრულებს.*

*„ელასტი“*

**P.S.** *სიტყვის გამტეხი კაცი რაა, სახელმწიფო რა იქნება!*

*ზაურ ბოლქვაძე:*
*იგი მოხუცდა*
*და ბავშვად იქცა,*
*აღარ უყეფდნენ*
*სოფლის ძაღლები...*

**P.S.** *თუმცა, ეს ის ბედი არაა, ძაღლებიც რომ არ უყეფენ!*

*„კამეჩთან მორკინალ ხარს რქები არ შერჩება!“*

**P.S.** *აბა, საიდან ამდენი რქიანები და ყანწები?!*

* * *

დიდმა ილიამ ბრძანა, რომ ერი იმითაც ფასდება, რამდენი მთქმელი და მწერალი ჰყავსო, მაგრამ ყველას, ვისაც წერა აიტანს, მწერალს ვერ დაარქმევ. კაცი რომ „საშოდან" (ან „უკანალიდან") დაიწყებს წერას (როგორც თვითონ აღიარებს), ის უკეთესს რას დაინახავს, რაც მისმა, ჯერ კიდევ კარგად გაუხელელმა თვალებმა დაინახა! არის უფრო უბედური, კრიმინალური შემთხვევებიც კი — ხომ გახსოვთ, კვაჭი კვაჭანტირაძემ, მშობიარობისას, ბებიაქალს ბეჭედი რომ წააძრო თითიდან!.. ეს ბრწყინვალე „ექსპოზიციაა" „კვაჭების" ხასიათის ასახსნელად და კალამ-გასაღების მორგებისათვის. მწერლობის ამ სიყმაწვილის სენით შეპყრობილი „მუტანტის", ქუთათური ყმაწვილის — ირაკლი დეისაძის პირველ „საიდუმლო სირობას" კი ერთობ [illegible] 120 თუ 220-აციები აქვს!

„მე რა დროც მეხარჯება შექმნაზე, იმდენივე მჭირდება მის შესაფუთად. დღეს რაც ხდება საქართველოში, მთელი ერი რომ ჩემზე ლაპარაკობს, ვარ საინფორმაციო გამოშვებების და პოლიტიკოსების კვირის თემა, ეს ჩემთვის „დაფნის გვირგვინზე" მეტია. ამ წიგნით სილა გავაწანი საზოგადოებას და ამ დოგმებს, რაც მათ რეალურად აქვთ."

„ცემა გემართებს გამზრდელისაო!" — ხომ გაგიგონიათ. ეს, კაცობაში ფეხშესადგმელად „ამხედრებული" ახალგაზრდა კაცი კი, არც ამით გვანუხებს და თვითონვე „უსწორდება" მის „არგამსწორებელ" მამა-პაპებს... მისი სამწერლო ასპარეზის წინამორბენლებს (და, არა „მორბედებს"). ის აქვე ასახელებს მისი ცოდვით სავსე — წინა თაობის კალმოსნებს, რომელთა ეპიგონობამ მიიყვანა ამ გუნებ-გონებამდე!

„მე მიმქონდა სკოლაში ისეთი წიგნები, რომლებიც შოკისმომგვრელი იყო. მაგალითად, ზაზა ბურჭულაძის „სიმპსონები". რამდენად კარგი ან ცუდი ლიტერატურაა, ეს სულ სხვა თემაა, მაგრამ, აშკარად, „სიმპსონებმა" შეცვალა ჩემში ყველაფერი. მახსოვს, ერთი კვირა საჭმელსაც ვერ ვჭამდი, იმდენად შოკისმომგვრელი იყო. მე მასწავლიდნენ ბარათაშვილს, ვაჟას, ილიას და ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, ქართველს დაეწერა მსგავსი ტექსტი"

„ქრონიკა", ნანა თვალაბეიშვილი: „სიმპსონებით" დაშოკილმა გადაწყვიტე, რომ ერთ დღესაც შენც დაგეშოკა ქვეყანა?

— კი, რა თქმა უნდა!

...და, ბოლოს, მთლად „განწირული სულისკვეთება":

„ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ გადამცემენ ანათემაზე!"

P.S. მართლაც, ანათემაზე გადაცემას ჰგავდა 2011 წლის 24 იანვარს, ეკა ხოფერიას ტელეგადაცემა საქართველოს მწერალთა კავშირის შესახებ!

## თბილისური დილის სიფთა!..

„გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში..."

მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა.

გამთენიისას ღამეს ძილი გაუტყდა, შეკრთა და ფერი-ფური წაუვიდა. როგორც იყო, გადაიღო წვიმამ. ცამ ერთიც დაიგრუხუნა და გადაიკარა.

ამომავალი მზის ქვეყნიდან ამოსულმა მზემ მახათას მთიდან გამოიჭყიტა და ისეთი შებრაწული თბილისური დილა გათენდა... იფიქრებდი, ამ დღეს დაღამება არ უწერიაო. ძველი თბილისის დილის სერანადა — დილის საარი:

— მანუნი, მანუნი — მანონი-მალაკო.

— პანტა, პანტა, პანტააა!

— ყვავილები, მინა, ყვავილების მინა...

„ვაი, შე სანყალო, მაგ ყვირილზე გიცან,

ცოცხალი ხარ კიდევა, შინდისელო ბიძავ“ (შოთა ნიშნიანიძე).

P.S.რისი „ოლივერ ტვისტი“ — ეს იყო ნამდვილი სპექტაკლი!..

* * *

ჭკუას —
უჭკუო —
უჭკუოსგან ითხოვს —
არადა...
ჭკუა ჭკუის საკითხავე
კაცს უნდა ჰკითხო!

* * *

ზარი რეკსო!...
ლექსო, შეგრჩი —
ენა მიჭრის,
გული მერჩის,
მე — ღმერთს ვეძებ ყველა კაცში
და კაცს ვეძებ ყველა ღმერთში!

* * *

შრომამ შექმნა ადამიანი!
თავისი გარჯით და ხარჯით.
ამბობენ: მაიმუნებიდან გავჩნდითო და...
მაიმუნებადვე დავრჩით?..

* * *

სადაც კაცსა მუცელი ბატონადა ჰყოლია —
გაღორება, მავანთა, გაორების ტოლია!

* * *

ეშმაკმა თუ ღმერთმა იცის —
ვინა ხარ და საითა ხარ —
კაი ბიჭი თუ არ იყავ —
კაი კაცი საიდან ხარ?
ეს ცხოვრება თუ გაგრიყავს —
„რაც გინახავს, ველარ ნახავ“ —
კაი ბიჭი თუ არ იყავ —
კაი კაცი საიდან ხარ?..

ღამის პეპლის დანახვაზე „იმიანად“ ფეხზე ედგებით — და გვაზიან ზედ ნაპნამზე „ვნებიანი მინის-ცრები“!

<u>გურამ და დავით თევზაძეების მამა — დავით თევზაძე (პროფესორი):</u>

ჩვენს ოჯახში ყველაზე დიდი სასამართლო ერთმანეთისათვის თვალის გასწორება იყო.

**P.S.** ღმერთმა ეს თვალი პატიოსანი ნუ მოუშალოს ქართველობას.

<u>გურამ დოჩანაშვილი:</u>

ზვიადის გაპრეზიდენტებას დუმილით შევხვდი.

ბოლომდე უცნობი დარჩა მინაწერი იმ ჩვენებისა, რომელიც 17 წლის გურამ დოჩანაშვილმა უბეში დაწერა. რამდენიმე დღის წინ დამირეკეს. მკითხველი მეგონა და, ბუნებრივია, ვკითხე — რომელ ნაწარმოებზე ან პერსონაჟზე სურდა საუბარი. გაიცინა და მითხრა: — არა, ბატონო გურამ, მხატვრული

* * *

მოეა ფიქრი და წამიღებს, როგორც ქარის მოტანილსა.
და მაჩუქებს ფრესკის ღიმილს – იდუმალი მონა ლიზა!..
ეშმაკსაცა არა სძინავს – კუდს გაბამს და რქებით გძირავს.
სიკეთისთვის თავდადებულს – ღმერთი კაცსა არ გაწირავს!
...გულში ნათქვამ სიტყვისაცა მოგინდება გაგონება –
ოცნება თუ შთაგონება –
მოგონება გეგონება...

## ბაბუა!

ჩემს ოკრიბელ ბაბუას (დღეის მიდი-მოდიში)
მოკრძალებით ვიხსენებთ – ბადიშები ბიდიშით.
რისი პატრონი იყო?
რითი მოგვეფერებოდა?
კარგი მოშუსაიფე, უკეთესად... მღეროდა.
სულს არ დაუკავებდა – სხვას რომ სული მიეთქვა.
(მარტო ერთი... ეს ერთიც ღირს ერთ მიეთ-მოეთად!)
...არც ჩიტს არ აკარებდა, არც გამელელის სხვა „ოროლს" –
არც ავ თვალს და არც ნიავს, არც ბიჭების ქვა-ჭოლოკს...
...სერზე იდგა გულაბის ხე და ნატერის ხეს ჰგავდა –
ბაბუა ერთ შეთვალულ მსხალს... ხეზე მინახავდა!
სოფლის გოგო-ბიჭები იხრჩობოდნენ ნერწყვითო –
იმის გახსენებაზე ახლაც კუჭი ეწვითო!
თითქოს იმ ხის კენწეროს ისევ ისე ეწეროს:
არ გეგონოთ „ქარისო"...
ეს იმ ბოეშის არისო!

* * *

ჩესტერფილდივით! — არა იქ ნასალებ, არამედ აქ დასატოვებელ ნერილს ვნერ!

ჩემი ცხოვრების კონსპექტს (ანუ გზამკვლევს) ვუტოვებ ჩემს შთამომავლობას. ახლა, სიტყვა-ულრანი მუხრანისა არ იყოს, შეიძლება ამის თქმა სჯობს (არათქმასა):

„გასნით, ხარებო, ნიქარებო... თქვენი გზა ნახეთ!"

ნინ იყურე და ზოგჯერ უკანაც მოიხედე! ჩემს გულშიაც ჩაიხედეთ და თქვენს გულშიც ჩამახედეთ!

გულისყურით მომისმინეთ და ამ ნიგნში რომ თქვენი მამების გული ძგერს... მის ბაგაბუგს ნუ შეაჩვევთ ყურს!

მე არ გეტყვით ცალყბად, ცალფად... უთქმელ თქმაშიც გავინაფე.
და ვავსებდი გულის ფიცარს — დაუნერელ სულის დაფებს.
მამებთან თუ რამ კითხვა გაქვთ: ჩვენ — მოძღვარი, თქვენ — მონაფე.
სხვას რას ჰქვია „მამითადი" — კაფე — თესე, თესე — კაფე!

*ამერიკელმა ქალბატონმა ილია II-სთან ბრძანა: გაჭედილ ავტობუსში ახალგაზრდებმა მოხუცი ქალი ამოიყვანეს. ასეთ თანაგრძნობას ამერიკაში და ევროპაში ვერ ნახავთ. ...არა, სხვისი სამოწყალო (ან საპატრონო) რა გვჭირს, თვარა კი..." – მოგვძახის სიტყვაუღრანი მუხრანი!*

## ლექსპრომტები „ჩემი მოწყალების დას“

### (ანი ხიხაძეს)

ამ ამბაეის თაეი-ბოლო
ანია და პოეა —
უასაკო მეგობრობა
ჩვენი სიახლოეეა!
ანიმ კაი ბანი მოითხრა —
სათქმელი მათქმეეინა —
სული, როგორც შემიწუხა,
ისე... მომათქმეეინა!

* * *

შენ მებაღეს რას კითხულობ:
ხილს იხილავ — ესეც კმარა.
რას ყიდი და რას ყიდულობ —
მარწყვი გინდა — მიარწყვა არა!

* * *

მზეს მზითევსაც უწუნებ და
მის ლანძღვასაც ბედავ —
მზეს — თვალსაც ვერ გაუსწორებ —
თუმც მზის ჩრდილშიც ხედავს!

* * *

კაცი კაცებს პქვიათ — კაცთაგანა!
თავის თავმდაბლობით „გამოჭერილებსა“ —
თავის ტყავში მჯდომებს
განდაგანა —
„გამოჩენილებში“ გამორჩენილებსა!

* * *

სიჭაბუკის ჯილდო... სიბერეა,
სიბერის ჯილდოა... სიჭაბუკე.
სიჭაბუკეშიაც — იბერეა —
და სიბერეშიაც — იჭაბუკე!

* * *

იყო და არაიყოდან —
სიზმარი ცხადში ვერ ვიცან.
თბილისი — სამოთხე იყო და...
ახლა — მისამართად იქცა!

ნაწარმოების კი არა, იმ ჩვენების გამო გირეკავთ. 40 წლის წინ რომ დაწერეთ. კგბ-დან გაწუხებთ. ძველ მასალებს ვეცნობოდი. არ მეშეძლო, არ დამერეკა და არ მეთქვა — კარგი ბიჭი ყოფილხართ...

**P.S.** „ამ სახლზე ოდესმე აუცილებლად დაკიდებენ მემორიალურ დაფას და არა მხოლოდ „სამოსელი პირველის“ დაწერისათვის, — გავიფიქრე, როდესაც გურამ დოჩანაშვილს დავემშვიდობე და „ლამაზ ქალაქში“ გავერიე...

ოლგა ფილადიშვილი
„ახავალ-დახავალი“

<u>ჩემსავით ძველ მკითხავს (მემთვა-ნახვამ!):</u>

სამეგრელოს ერთი არასრულ საშუალო სკოლაში ქართული ენის მასწავლებელმა ბავშვებს გაერკვეული და გაუერკვეველი წინადადებების შედგენა დაავალა.

წამოდგა პირველი მერხიდან ბავშვი და ჩააბურტყუნა: „ყოველ ღამე დედაჩემთან მოდიან ვიღაც კაცები და ქალები, ქამენ-სვა-

## ისევ შენ და ისევ შენ!

### (შ-ნ შ-ნ!)

მჩუქებელი როცა ალალად ირჯებაო!
ნაჩუქარს კბილი არ გაესინჯებაო.
სხვის ნაჩუქარ ფულებს სხვასთან რომ ეარიგებ —
ფულის გაჩუქების სხვა გემო გაიგე.
რასაც გასცემ, შენია, ძმობილო!
შაირი მეგონა — მართალი ყოფილა!
ფულის შოვნა სხვამაც იცის... ასე ხარჯვა — არავინ!
სიუხვით ვერ შეგედრება ზღაპრულ „შიოს მარანიც“!

* * *

...მე შენს ფულებს — ფულადაც კი არ ვთვლი — არც შემოსავლად და არც — გასავლად.

შენმა ბიზნესმა მე... ფულის შოვნა თუ ვერა, ფულის ხარჯვა მაინც მასწავლა!

ასეთ ფულებს მე სიკეთეთა ვთვლი!.. აბა, სხვა რა ჰქვია და რა დაერქვა?..

სიკეთე კეთდება და ქვაზე იდება — ან კაცს გულზე ადევს... სამარის ქვად!

... სიკეთის დამნახველმა კაცმა იცის — დანახვა კარგისა და ავისა. ცნობა, ეგრეთწოდებული „კოეფიციენტია“ და... მით უმეტეს, „მარგისა“! რასაც კაი კაცის, კაი ყმისა — თავიცა და გულიც ედება... რასაც ჰქვია ნაღდი ბიზნესი და ალალი ქველმოქმედება! ასეა, კაი კაცი ცხოვრებაში, ყოველ დღეს სიკეთეს უნდა აქსოვდეს — მისი, ჯობია, დაივიწყოს, სხვისი მადლი უნდა ახსოვდეს! ამ ჯერ არნახულს და ჯერ არგაგონილს — სულ მინდა ვუპოვო ახსნა!

თუ კაცი ვერ გადაგიხდის, ბიძინა, ბიძია,
უფალი მოგიზღავს ასმაგს!
არადა — დრო არის ისეთი —
კაცი სიყვარულს მალავდა —
კაცი — ღმერთივით იყო და...
ღმერთი არ იყო, არადა!

## სიჭაბუკის ტარანტელი!

გვიხაროდა, რომ ცოცხლები ვიყავით —
გადარეულებმა დროც გადარიეს და...
ეს იყო დრო გაურიყავი —
ჩვენი თბილისური „ფიესტა“!
სიცოცხლე იყო ზეიმი —
ჩვენზე ამოსდიოდა მზე და მთვარე —
ცხრათვალა იყო მზე იგი —
სიკეთე მისი ვერ დავთვალე!

---

*მათეს სახარება: „ითხოვდეთ და მოგეცეთ. ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ. ირეკდეთ და განგეღოთ თქვენ“.*

* * *

გენიალური ჰქვია წამს, რომელმაც გალაკტიონს ხელი კალმისკენ წაალებინა და მუზების საწამებლად გაიმეტა!

* * *

ცაში აფრენილი გურგუთი!..
არარა მინახავს ეგეთი.

* * *

სიყვარულში არ დამზოგოთ — არ დაგზოგავთ!
ძმანო, გამაძლებინეთ და გამიძელით.
მე ზღვასავით ვბობოქრობ და მიწას ვლოკავ —
წუთისოფლის სტუმარიც ვარ, მასპინძელიც!

* * *

მწერალმა მარტო ის კი არ უნდა გაიგოს, რასაც გაიგონებს... ის კი არ ისმინოს, რაც ესმის, არამედ ისიც, რასაც ფიქრობენ. ფიქრის მოსმენას კი — უბრალო კი არა, გულისყური უნდა!

* * *

ეს ჩვენი სიჭაბუკე ისე შემოგვაბერდა...
მიკვირს, ჩვენს „ოფოფებთან" მოსვლა როგორ გაბედა!
ეტყობა, სიყმაწვილე სიბერესაც გაუტკბა —
მაგრა შეგვაბარბაცა სიბერის ნოკაუტმა!

## *ჰეი, თქვენ!*

ლადოს ხანჯლის ელდა მეცა...
და ქართველად ვიქეც მეცა!
სხვა — ქართველი და მე — არა?..
ჟრუანტელად დამიარა —
არაგველია ისტორიამ —
ვინ ტყუის და ვინ სწორია!
თუ სისხლი არ გიდუღს ძარღვში,
ვინ დაგტოვებს ამ ბაღნარში?
თუ ძილშიაც არ გაბოდებს —
ვინ შეგარჩენს ამ სამოთხეს?
როცა ერი არა ერობს —
არც ქართველი არ ქართველობს!

* * *

ერთნი იმიტომ იბადებიან, რომ აენთონ!
მეორენი იმიტომ იბადებიან, რომ გაერთონ!
რა აქეთ ერთმანეთთან საერთო?

*მენ, მღერიან, სინათლეს აქრობენ და ძილით მიდიან.*

*— ყოჩაღ, ლაპარტყავა! — თქვა მასწავლებელმა. — ეს გავრცობილი წინადადებაა... ახლა, გაუვრცობელი!*

*წამოდგა „ბოლო მერხი" და ამ გავრცობილს გაუვრცობელი წინადადება მოაყოლა:*

*— ლაპარტყავას დედა ბიზი ყოფილა.*

*პაპ. მახნ.!*

*მარტო ადამიანებს კი არ უყვართ თევზები, თევზებსაც „ნაყვარებათ" ადამიანები! ავსტრალიაში 44-კილოგრამიანი ვირთევზა დაუჭერიათ, გაუფატრავთ და მუცელში ადგილობრივი მეთევზის თავი უპოვნიათ... ღმერთმა მოიწყალოს.. რაღა არ ხდება ამ ქვეყანაზე!..*

*ვინ — ვის ჭამს... ვერ გაიგებ!*

*34 წლის ვიერა დერობა, პოლიციამ იმ დროს დააკავა, როდესაც ის სარეცხის თოკიდან ქალის ტრუსს ხსნიდა. მისი სახლის ჩხრეკისას პოლიციამ ქალის რამდენიმე ათეული საცვალი აღ-*

* * *

„დიხტიტარამ — დახტიტარამ“.
სანამ მგელი იცნო ფარამ.
მანამ, სანამ — კალამ-კალამ.
მოიკრიბა სიტყვამ ძალა...
დატრიალდა სიტყვა ჯარა
ხანჯლისა და ფარის დარად!
ხან — ცხოვრება შემაყვარა,
ხან — უკუღმა ქოში პყარა!
ლექსი პირით უნდა ითქვას —
გულით უნდა გამოითქვას —
სიტყვა-ღმერთის ფიც-ვერცხლი და
ღვთის წყალობა უნდა სიტყვას.

## *დიალოგი შვილიშვილებთან!*

გონიერი კაცი უფრო ღონიერია თუ
ღონიერი კაცი უფრო გონიერი?..
ორივენი!
თუმცა-და, არ არსებობს
გონიერ კაცზე ღონიერი!
გონიერს შეუძლია, გადალახოს უფსკრულები —
სად ჭკუა-გონება და სად მუსკულები!
P.S. ზოგი ცისა ვთქვათ და ზოგი მიწის —
ვედებით ღობე-ყორესაო!
„ხერხი სჯობია ღონესაო“ —
უთქვია კარგ მთქმელს და კარგ გამგონესაო!

* * *

მე შენი თვალით ვუყურებ სოფელს და
ჩემი თვალით მსურს, დაგანახო.
ვერსად ვერ ნახავ შენ დაბალ ღობეს —
უნდა უყურო მას შორიახლო!
ახლოდან სხვაა, შორიდან სხვაა,
ახლოდან ცვარი — შორიდან ზღვაა.
გინდა დაუხჩვიხარ ზღვას, გინდა — ცვარსა —
მთავარი არი... დაეძებ რასა —
ავსა თუ კარგსა?..

* * *

რა ხდება?
გაგებაში არ არიან!
ტყემალზე ვართ ან ეზივართ სადღაც, ჭურში —
რასაც ახლა ვგიჟობ კალამ-ქაღალდიან —
წერითი გამოცდაა... კრიმანჭულში!

* * *

სიავემ ისე დაგვეიღამა — ვეღარ გავითენეთ კარგი დილა.
სიღარიბეს არ უქნია იმდენი ბოროტება,
რამდენიც... სიმდიდრემ ჩაიდინა!

* * *

იდგა ქალი და სამოთხეს ჰგავდა.
და მის სიტურფეს ტოლი არ ჰყავდა.
ქალი — სპექტაკლია (სიცოცხლის კართან).
ქალი — თეატრია... სამოსი-ფარდა!

* * *

აბდა-უბდის აბლაბუდის
გაჟანრება თუ მოგინდა —
ზღაპარ იყო — ზღაპარ იყო —
ფქვილი — აქა,
ქატო — იქა!
...მას დომხალის სუნი უდის.
რასაც ჰქვია ეკლექტიკა!

P.S. ზღაპარში ისეა და ცხადში ასე: ესქატოლოგია უკანასკნელი მისტიკური მოძღვრებაა სამყაროსა და ადამიანის საბოლოო ბედზე. ყველაფერი ნაგავიდან იწყება და ნაგვით მთავრდება. ეს იგავ-ნაგავიც ამისაა!

* * *

რამდენი დღე მიღამებია.
რამდენი ღამე მითევია.
კაი გამგები (მე თუ მკითხავ) —
ყველაზე კაი მკითხველია!

* * *

ახლა შენ განსაჯე — კარგად ვართ თუ ავად!
კომუნისტურ სახადს დღეს ვებახით „სქიზმას" —
რევოლუციებით,
ევოლუციებით,
ევზეკუციებით...
თეთრი იქცა შავად...
დემოკრატიები დემოკრეტინობად!

* * *

ისმენს ყური, ამბობს ბაგე,
ეგებ იგებ, ეგებ აგებ —
შენ შენს ღმერთთან პასუხს აგებ:
რა მოთხარე და რა დარგე?

* * *

მავანნი — უწარსულოდ იბადებიან და ჩავანნი
უმომავლოდ კვდებიან!
ქრებიან ისე, ვერც ხვდებიან — თუ საიდან
მოდიან — სად რჩებიან...

მოაჩინა. ქურდმა აღიარა, დანარჩენ ასეულს ცყემი, საგანგებოდ შერჩეულ ადგილას ვინახავდიო. პოლიციამ სულ 300 კრუხი იპოვნა. ვიერა დე როსამ პოლიციას გაემხილა, რომ მოპარული კრუხები მას სექსუალურ ფანტაზიებს უღვივებდა.

ასეთ ქურდებს ქურდულ ენაზე „გოლუბიატნიკები" ჰქვიათ, „მექურისცების" ენაზე კი — გამოსირებულები.

მსახიობმა მერაბ ნინიძემ განაცხადა, რომ ყველა ენაზე ყველაზე კარგად გულიანი გინება გამოსდის. ჰოდა, „ქრონიკის" თხოვნით, გული მოგვიოხებინეთ და ჩვენთვის ყველაზე ეგზოტიკურ, აფრიკულ ენაზე მამაპაპური გინება „შეუკვეთეთ". რაც ასე ჟღერს: „ვარა ცე ბვანა. რაფიკი ვანგუ მიმი ნი მალაიკა ლაკინი ვაო ნი მბურა". მართალი გითხრათ, ჩვენც არ ვიცით, ვის ეკუთვნის ეს „კურთხევა", მაგრამ ვინც არ უნდა და რაც არ უნდა „ადრესატი" იყოს, აფრიკულად მოერგოს!

P.S. კარგი ძა-

ხორცი მიდის, სული რჩებაო!.. ის არ კვდებაო.
აღდგომა და ხვალეო!
ამიტომაც ვამბობთ, სულში გენაცვალეო!
...სულს სულ სული უნდა ვუბეროთ.
ისაა ცხენი ულაგამო და უბელო,
რომელიც „მირბის, მიგვაფრენს უგზოუკვლოდ" —
ისაა სულის ნათელი (მზეზე უფრო!)

* * *

საათში არის 60 წუთი და წამში არის 60 წამი — დრო მიდის. არ გვაქვს დრო ამოსუნთქვის და თავს 60-ჯერ გვახსენებს ჟამი!

დრო გარბის და დროს მივდევთ ფეხდაფეხ. დრო არ იცდის და მიკისრისტეხობს — ჯერ არ მინახავს კაცი დროულიც... კაცი, რომელსაც მისი დრო ეყოს!

საყოფი ყოფა — ვის რით ეყოფა.
გამოსავალი?.. ბედთანა ძმობა!
ალალი გულით სიცოცხლეს ვლოცავ —
ეიკმაროთ იგი, რაც ღმერთმა მოგვეცა!

* * *

ლექსს არ სჭირდება არც ფრთები,
არც საფრენოსნო ამინდი —
ლექსია თვითონ გაფრენა —
ყვავი-ჩხიკვის და მამიდის!...

* * *

ახლა ფულის ფლობადით — სახეებით ცნობადით,
არა დობად-ძმობადით... შემოგვეაცვდა მყობადი.
დრო გავიდა-მოვიდა... ეშმაკიც კი აწვალა —
კაცმა ქუდი ვერა და ქუდმა კაცი შეცვალა!

* * *

სინამდვილე სახეზეა — ვერ გაცდება ფიქრის ზღვარს.
შენი ცხადიც (ცხადი არი)... ვერ აჯობებს ჩემს სიზმარს!

* * *

დღე პირველი და დღე უკანასკნელი,
ანუ დასაწყისი, ანუ დასასრული...
ძველი გაეიხსენე (თუმცა, ვერ ავხსენი), —
რა დრო გასულა!
ეს, რა დრო მოსულა და რა დრო გასულა!
ბოლო დღე მიქციეთ, მე, დღესასწაულად,
მე ამ დღეს მეწვევა, ალბათ, თვით უფალი,
არ გთხოვთ სხვა საურავს — იყავით სულგრძელნი,
ჭირისუფლობაშიც კი ლხინისუფალი!

* * *

ვ-ში ერთს თუ ორს აირჩევთ –
პოლიტიკის ანბანია –
დრო შეკითხვას უსვამს ბიჭებს:
„ძია სემი" თუ „დიადი ვანია"?
ორ ცეცხლს შუა ვიხრუკებით –
შავ დღეში ვართ „ბიძებიდან" –
ვაი – მიძინებითა გვჭირს,
ვუი – გამოღვიძებიდან!

* * *

სსრკ 70 წელიწადს ვერ გაძლებდა, რომ არ ყოფილიყო პოლიციის პოლიცია — ვჩკ-გპუ-ოგპუ-ნკვდ-ემგბე-კგბ...

პასუხს მაშინ ჩვენგან თხოულობდნენ —
ახლა — თვითონ აგებენ...

*საქართველოს მენიუ*

ყველი და პური – კეთილი გული.
ალალი სიტყვა – მართალი ყური!

* * *

ვწირავ ხორციელს – სულის ხსნისათვის.
ვინახავ წარსულს – მომავლისათვის!

* * *

ყალბი სიტყვის ღვჭვამა –
მთიით „ბლავილმა ხარისამ" –
აქეთ – ეშმამ შეგვჭამა –
იქეთა კი მისმა ქარიზმამ.
ვართ ამ „შენი-ჩემიით"
ჯახია თუ ოჯახი –
ველარ გაგვირჩევია
ყაჩაღი და ყოჩაღი!

* * *

არა, არ უნდა იცხოვროს
(თუ ის ქართველად ვარგა),
ქართველმა საქართველოში –
საქართველოზე კარგად!

* * *

ნამო, შეჩერდი!
მოდის ამბები ჰორიზონტალ-ვერტიკალურიდან:

ლვიან გინებასთან მაინც ვერც ერთი ლანძღვა-გინებას ვერ მივა!

<u>აკადემიკოსი მო-თა სიფორაშვილი:</u>

ოჯახის ინსტიტუ-ტის ტიპოლოგიური სახეცვლილება: ტრა-დიციიდან — თა-ვისუფლებისაკენ!

დასავლური კულ-ტურის აღმოსავ-ლურისგან სრულიად განსხვავებული პრ-ინციპების საფუძ-ველზე ჩამოყალიბ-და. ამ ორი კულტურ-ის სხვადასხვაობა განსაკუთრებით ხე-ლშესახებად შეიძლე-ბა ამერიკის მაგალ-ითზე წარმოვაჩი-ნოთ! ეს ქვეყანა შე-ქმნეს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამო-სულმა ადამიანებმა. რომლებმაც უარი თქვეს საკუთარ ეროვნულ ღირებუ-ლებებზე და ახალი ერის შექმნა დაისახ-ეს მიზნად. მათ ახ-ლებური ურთიერთო-ბები ჩამოაყალიბეს და პრიორიტეტად ადამიანის უფლებ-ათა დაცვა აქციეს. ეს ტენდენცია შეიმჩნე-ვა ამერიკულ ოჯახ-ებშიც.

დასავლურმა ორი-ენტაციამ მოშალა ჩვენი ეროვნული ფასეულობები.

დასავლური კულ-

ზოგი თავიდან, ზოგი გულიდან, ზოგი თვალიდან, ზოგი ყურიდან...
ზოგი ციდან და ზოგიც მიწიდან, ჩასძახ-მოგძახის ხსოვნის ჭურიდან.
მახლას!

* * *

ღამე ახურავს შავი ჩუდარა, დღე — გათენების არის მუდარა.
დილას — მშვიდობა, ღამეს — მშვიდობა, სხვა არაფერი არა უნდა, რა...
კაცს, ადამიანს, ცხოვრებით დაღლილს — უსიყვარულოდ ცხოვრება არ ღირს.
„უსიყვარულოდ მზე არ სუფევსო“ (უსიყვარულოდ ანუ უფესვოდ!).

* * *

როცა სიტყვის თავისუფლება აკრძალულია —
მაშინ დემოკრატიაც დაკრძალულია.
როცა დანა პირსა არა ხსნის —
დროა „სალახის“ და სალახნის!
პროკრუსტე თუ პროკურატორი?..
ტოტალიზატორი პროვოკატორი რომ არ გაგვიხდეს —
ქატო — აქ და ფქვილი — იქა —
ცუდ სიზმარშიაც რომ არ აგვიხდეს...
ჭირდება ევაკუატორი,
რომ... ეშმა არ გაგვიხდეს ბატონი!

## კათალიკოსის საგალობელის
### გულში მისამღერი!

„და-ვი-და-ლე!
და-ვი-და-ლე!
მოდი ჩემთან, უფალო!“
გავისარჯე-დავიტანჯე-დავისაჯე, უფალო!
სისხლი ვღვარე, ოფლი ვღვარე, დავიღალე, უფალო!

* * *

მწერალი მის ცოდვას კალამს ვერ დააბრალებს,
თუმცა-და კი იტყვის, მე რა შუაში ვარო...
ავტორი ღმერთსა და ქალაღდის შორისაა —
კალამი — მწერალსა და მკითხველს შორის გალობს!

* * *

გინებით თუ ქება-ქებით ერთმანეთში ვიქექებით.

### *ხაშვილიშვილობ!*

თავს შუშა კიტრივით ვუვლიდი, ე, მაშინ,
როდესაც ქალებში საქმე იყო ცერად,
ვიყავი ერთ კრეჭვა-სუნამოს ცხებაში —
პირს ახლა ვიპარსავ მათ საკოცნელად...

ეინც ახლა ბაბუაწვერას მეძახის და
სიმონიკა გოცაძის არ იყოს,
თუმანს ვიხდი კოცნაში!

* * *

ღვთის წყალობით, მზად ვარ, ერთი
მოწყალებაც გაეიღო –
ჩემი ლხინი დავი[illegible] –
თქვენი ჭირი წაეიღო!

## თვალთაგან შორსა და გულთანა ახლოს!

„მახლას“ — შორისდებული თუ შორისდებილი...
სულაც არაა მორიდებული –
ხელჩაქნეულიცაა და ხელაღებულიც.
გიჟივით მართალი თუ მართალივით გიჟი,
გაშიშვლებული და გალაღებული, მეჯური...
თავაშვებული, უაღრესი, ზეპური!
ქ-ნ მუზასთან ჩემი მიღების საათებია –
დილის 4-დან 7-მდე.
შუაღამიდან – დილა მშვიდამდე!

და, კვლავ მახსენდება პუშკინის ერთი სტროფი:

О муза пламенной сатиры! Приди на мой призывный клич! Не нужно мне гремящей лиры. Вручи мне Ювеналов бич!

* * *

81-ისა ვარ (გიზო-ჯან, ნუ წახდები),
ერთი გრძელი როქი და 18-ისა გახდები!

* * *

ჩემი კალმით მეგობარს (ჯერ კიდევ „ახკომიდან“), ფილოსოფოს შიო ლარცულიანს ივანე ელინის „დავიწყებული აქსიომები“ ქართულად გამოუცია „ოპიზაში“ (2003) და ზედ თავის შენიშვნებიც დაურთავს. ამ „შიოს მარანშია“ სწორედ „დანურული“ ეს სიბრძნეც!

ძველ საბერძნეთში, პელოპონესის ომის დროსაც უკავშირდებოდნენ ერთმანეთს უმაღლესი

ცურა ორიენტირებულია ოჯახის გაყოფაზე. მართლაც, ამ დროს ძლიერდება პიროვნების დამოუკიდებლობა. მაგრამ თავისუფლება მაინც იზღუდება. თავისუფლება არ ნიშნავს მხოლოდ [illegible] ცალკე ყოფნას. ადამიანი თავისუფალია მაშინ, როდესაც თავად შეუძლია საკუთარი ცხოვრების მართვა, გადაწყვეტილების მიღება და საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარება.

ოჯახში ცოლსა და ქმარს შორის წარმოშობილი უთანხმოებები — ქალისა და მამაკაცის გათანასწორების მოთხოვნილებამ განაპირობა. ამას, პირველ რიგში, ფემინისტები მოითხოვენ, რომელთა საქმიანობა ტრადიციული ოჯახის დაშლისკენ არის მიმართული. ისინი ჯიუტად იმედოვნებენ, რომ დიდი ოჯახის დანანგრევა მათ და მამაკაცების უფლებებს გაათანაბრებს. ჩემი აზრით, ფემინისტებს სხვა მიმართულება უნდა აერჩიათ და ქალისა და მამაკაცის ძირით-

კლასის წარმომადგენლები, ლოზუნგით: „ვფიცავ, მუდამ ვიქნები ხალხის მტერი (იხ, არისტოტელე, პლუტარქე).

სული გვეხუთება რომაელი კეისრების — ტიბერიუსის, კალიგულას, ნერონის...ავკაცობით!

რობესპიერი, კატონი, მარატი — პირსისხლიანი ჯალათები იყვნენ!

პოლიტიკა ავანტიურისტების ველური დოლი როდია!

როცა უბრალო გლეხის ქალმა შარლოტა კორდემ მოკლა საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე, „ხალხის მეგობარი" მარატი და ჰკითხეს — ვინ დაგავალაო? უპასუხა — სხვის დავალებას ცუდად ასრულებენ — ეს ჩემი ნებით მოხდაო!

ერთი მათხოვარი — ყველას გამათხოვრების საფრთხეა; ერთი შავი ჭირით დაავადებული კაცი — ხალხის დასნეულების; „თითოეული გიჟი, ლოთი, მორფინისტი — საერთო საფრთხეა. ამიტომ, ჭეშმარიტი პოლიტიკა ამკვიდრებს ყველას და ყველასთან სოლიდარობას"! პოლიტიკა ხალხის ერთიანობის, თავისუფლების ხელოვნებაა! შესაძლებლობის ოპტიმუმი — ორგანული სოლიდარობის ფარგლებში! გაშმაგებული იძულება, ტერორი — სახელმწიფოს კატორღად აქცევს!

მენაღეობას არავინ ჰკიდებს ხელს, თუ არ ხელენიფება — ხელმწიფობა კი გიყვარდეს — ყველა „საპოჟნიკის" სანატრელი ხელობაა.

ერთ „მეჯღანუაშვილობაზე" მეც გავიხსენებ ჩვენი დროის ანეგდოტს თუ მართალ ამბავს (რას გაარჩევ კაცი!): სეროჟას ჰკითხეს თურმე — „საპოჟნიკი" კაცი ხარ!... მეფედ რომ დაგსვან, რას გააკეთებო?

ალალად უპასუხა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გაქაჩა: ჩავიცვამ, დავიხურავ, ვჭამ, ვსვამ — ძმაკაცებში, ქალებში ვიგრიალებ და ჰამაც, კვირაში ერთ-ორ წყვილ ტუფლს როგორ ვერ შევკერამო?...

მახლას! ჩვენი ძმა და პირის ზიარება — შიო შეგვახსენებს, რომ „მწვერვალი რაც უფრო მაღალია, მით უფრო შორიდან სჩანს და დასაპყრობადაც იოლი გეჩვენება, მაგრამ ეს ილუზიაა, რასაც მთამსვლელობის პრაქტიკაც ადასტურებს".

...„ყაჩაღობამ და ფულის გაფეტიშებამ სულიერი გადაგვარების ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ ახლა, ჩვენში, უფლის მოსყიდვის მცდელობაც კი აღარავის უკვირს"!

არ არსებობს „უფრო დიდი მზაკვრობა, როცა ხალხის სახელით ლაპარაკობ და არ ცხოვრობ მისი ცხოვრებით"! როცა, რა ბედნიერი ხარ, მხოლოდ რადიოთი და ტელევიზიით გებულობ; როცა, როგორც უსამართლობის ერთ ცოცხალ ძეგლად ქცეული ლამარა ნიქარიშვილი ამბობს: ისე ბედნიერი ხარ, რომ არ იცი, რა უბედური ხარ!

სოლჟენიცინისებრ — ჩვენმა თანამედროვემ, მარჯანიშვილელმა ნოდარ მგალობლიშვილმა უარი თქვა ღირსების ორდენზე: ღირსების ორდენს ღირსეულ დროში უნდა არიგებდნენო. მთლად უარიც ვერ ვთქვი

---

*აკაკი: ვნატრობდი და ველოდი, რომ მომავალი წარმოშობდა დემოკრატიას, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, რომ იმისთანებს კი არა... მხოლოდ სიტყვით და არა საქმით...*

*ციცერონი: ახალგაზრდაში მომწონს ზოგი კარგი თვისება ხანში შესულისა, ხოლო ხანდაზმულში – ზოგი კარგი თვისება ახალგაზრდისა.*

„თბილისის საპატიო მოქალაქეობაზე" (2003), მაგრამ ის მაინც ეთქვი — ღმერთმა თვითონ თბილისი გახადოს საპატიო ქალაქი-მეთქი და იმ დღეს ზედაც ასეთი სტროფი ჩავიწერე სამახსოვრო უბის წიგნაკში:

— რა პქვია ამას?

— მონატრება ღვდის და შეილის —

თბილისში ეცხოვრობ და თბილისში დაეეძებ თბილისს!!!

... გავიხსენოთ „დავიწყებული აქსიომების" წიგნუკას გამომცემლობა „ოპიზაში" „მშობიარობის" წელი, რომ მივხვდეთ, რა ჟღერადობა აქვს დღეს ამ არცთუ ისე „შენიღბულ" თეთრით შავს:

ერთ სატელევიზიო გადაცემაში ჟურნალისტი მთელი სერიოზულობით ეკითხება ქვეყნის პრეზიდენტს... ვის მოიაზრებს იგი თავის შემცვლელად?... უმაღლესი ხელისუფალი პასუხობს, რომ ამაზე ბევრს ფიქრობს, მაგრამ სადღეისოდ ყურში ჩაჩურჩულებითაც ვერ ამხელს მის ვინაობას(?!)

ამგვარი დიალოგის ტრაგიკომიკურობა ისაა, რომ, ადრე სიტყვიერად მაინც აღიარებული, „დემოკრატიულობის პრინციპი ერთბაშად იცვლება წმინდა მონარქიული მიდგომით!" სიტყვით — ხალხის ნების უზენაესობას ვაღიარებთ, საქმით — უფალი პრეზიდენტის ნება-სურვილს!

ისტორიამ ასეთიც იცის: როცა მკვდრეთით აღსდგა ისრაელი, ებრაელმა ხალხმა ალბერტ აინშტაინს მიმართა თხოვნით — სათავეში ჩადგომოდა პირველ მთავრობას, რაზეც გენიალურმა მეცნიერმა კატეგორიული უარი თქვა (სად იყო ჭკუა და ჩვენი ჭკუის კოლოფები!), მაგ საქმეში მე არ გამოვდგებიო!

აინშტაინმა იცოდა, რა იყო მისი საქმე და კიდევ უფრო მეტიც — რა არ იყო მისი საქმე!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნებაში" დაისტამბა ქართული ლიტერატურის მესვეურის სოსო სიგუას წერილი ტალანტებსა და თავისუფლებაზე, რომლის ქვეთავში „სისხლიანი მარსი და შემოქმედი" ჰიტლერულ სენტენციას შეგვახსენებს: ხალხის სული სისხლის ნიაღვრისა და მკვდრების ჰეკატომბებში იბადებაო! გამუდმებული ომები ადამიანებს მხეცად ხდის, მშვიდობა კი სახედრად აქცევსო (იუნგი).

თვით გალაკტიონიც, რომელიც არ გამოირჩეოდა ომებისა და რევოლუციების თაყვანისცემით, წერდა:

„ყოველ ქართველში ომის ტრფობა ძველისძველია,

მეც ასეთი ვარ და ვერვისთვის გამიმხელია."

და ფუნქციები მათი ღირებულებების მიხედვით უნდა გვეთანაბრებინათ.

ჩვენში, დაახლოებით, 15 ტიპის ოჯახი არსებობს. მათ შორის ორი უკიდურესობის გამოყოფა შეიძლება: ოჯახები, რომლებიც სასტუმროს მოდელით ცხოვრობენ (ანუ ოჯახის წევრები სახლში მხოლოდ სასადილოდ და დასაძინებლად მიდიან და ერთმანეთთან არავითარი კავშირებით); მეორე ტიპს — დახურული ოჯახები განეკუთვნებიან.

ტიპური ქართული ოჯახი ამ ტიპს განეკუთვნება, მაგრამ ოდნავ იხრება აღმოსავლური ტიპის ოჯახისკენ.

ახალი ოჯახების შექმნას არასასურველი შედეგისკენ მივყავართ — შვილები მშობლებთან სტუმრებივით დადიან. მოხუცებულთა სახლში აბარებენ და თვეების განმავლობაში არ აკითხავენ. ახალი ოჯახის ბავშვი მოკლებულია ოჯახურ სითბოს და საყმარისას. სხვისგან იგრძნობს დადებითი დამოკიდებულებას, მაშინვე შედის მასთან კონტაქტში. არადა,

„ფუტურისტისათვის... ომი ჰიგიენა იყო, თომას მანისათვის — ჰეროიკა, ნიცშესათვის — სიცოცხლის აზრი."

აკაკი წერეთელმა შეძლო „ლირიკოსის ტემპერამენტის შენარჩუნება სიბერემდეო" — წერს სოსო სიგუა (ნეტავ, თუ ჩათვლის რაიმეს თქმის საჭიროებას ან, საერთოდ, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობა?" — მე ხომ მთლად სიბერეში დავიწყე ლირიული სიჭაბუკე და დავცხე ჩემს ბუკებსა და ნაღარებს!).

...გავიხსენოთ ოციანი წლების ქართული პოეზია და მისი ორი სიმბოლიკა — გალაკტიონის დაუდეგარი „ლურჯა ცხენები" და რაჟდენ გვეტაძის ბედის მორჩილი „ვირები"!

დროის ერთ პარადოქსსაც იხსენებს ქართული ლიტერატურის სიგრძე-სიგანის (თავისი კაცური არშინით) გამზომი კაცი: პოლ ველერის კალამბური რომ გავიმეოროთ — ყველამ იცის, რომ დანტე გენიოსია, მაგრამ „ღვთაებრივ კომედიას" არავინ კითხულობსო (?!)

იტალიაში, დანტეს სახლ-მუზეუმის სტუმრობისას, არ მქონდა ეს წაკითხული, თორემ, დროსთან ჩვენი საუკუნით „პირშერცხვენილი" კაცი, შიგ შესვლისაგან აშკარად შევიკავებდი თავს!

თუ შეგიძლია... ნუ დაწერ! — თქვა რუსული ლიტერატურის ლომმა ლევ ტოლსტოიმ.

კაცმა მაშინ უნდა ამოიღოს ხმა, როცა დუმილი ღალატის ტოლფასია. თუმცა, ზოგის დუმილიც ქუხს!

„გალაკტიონი იყო საშინლად ფხიზელი და ბავშვივით სუფთა, მიაგეს პატივი და მით უფრო წუხდა. პრეზიდიუმში თავის ადგილს ვერ პოულობდა. ლექსს ვერ ამბობდა, თუმცა, მისი დუმილიც ქუხდა!" — ასე ვიგონებ ასეთ გალაკტიონს „ვერის გალაქტიკაში"!

* * *

ფაშიზმის საჯარო გასამართლების ნიურნბერგის პროცესის მონაწილე პროფესორ მიხეილ კვესელავას „ას ერგასის დღე" (წიგნი I), „თემიდას თვალები", მეორე მსოფლიო ომის თეატრის სისხლიანი სპექტაკლები!... ფრონტზე რომ იტყვიან, „ცოცხალი ძალააო" — ეს ადამიანებია; ქალაქებსა და სოფლებს — „დასახლებულ პუნქტებს" უწოდებენ; ლამაზი ფერდობი, „უსახელო მაღლობი"; „ჰაერი!" რომ იტყვიან — ეს საჰაერო განგაშია! მშვენიერს კი ბურუსიანი დღე ჰქვია, როდესაც მტრის ყუმბარების ჩამოსაგდებად არახელსაყრელი ამინდია (?!)

...საუკუნის ტრაგედია — საკონცენტრაციო ბანაკები!!!

...გესტაპოელი ნახევრადშიშველ ქალს მიათრევს სამშობიაროდ და ავტომატშეყენებული ელოდება დაბადებას, რომ სიცოცხლეს სიკვდილი „მიულოცოს"!.. ერთ ბანაკში სამასამდე მშობიარე ქალს ცოცხალი საფლავი გაუთხარეს, ნავთი გადაასხეს და ცეცხლს მისცეს!!!

მეორე მსოფლიო ომმა 50 მილიონი ადამიანი, 170 ქალაქი, 70 ათასი სოფელი შეიწირა. ..თავიანთ საბრძოლო საგუშაგოზე იდგნენ ქართული ლექსის „მეხანძარენიც" და ქვემეხების გრიალთან ერთად თავგანწირვით გრიალებდნენ მუზებიც:

ალ. აბაშელი:

„სად ყოფილა, მყინვარწვერს მტრის მახვილი წვდებოდეს;
მტერი ხანძარს უნთებდეს საქართველოს ცის კიდეს.

........................................................................

ამირანის ნადგომზე ქონდრისკაცი დგებოდეს!"

ვერმახტმა კავკასიის ფრონტისათვის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში შეაკონინა ე.წ. განმათავისუფლებელი ნაწილები „თამარ I", „თამარ II", „ბულბული", „მთიელი". „მოხალისეთა" მთავარსარდალი იყო ფონ კესტრინგი (რომელსაც 1942 წელს ლუტენზელში ახლდა ადმირალი კანარისი და „საქართველოს გუბერნატორი", ვინმე არნო შიკედანცი!).

დედამიწის ზურგზე, დასაბამიდან გამართულ — 14500-დან ყველაზე სისხლიანმა, მეორე მსოფლიო ომის ისტორიამ კარგად იცის, რით დაიწყო და რით დამთავრდა ყოველივე ეს, რომლის ჭრილობები დღემდე ვერ მოუშუშებია დედამიწას.

ომის დაწყებისას მე 12-13 წლის ბიჭი ვიყავი. საზაფხულო არდადეგებზე მშობლიურ სოფელში (ოკრიბის მხარე, სოფელი ნაძვა) გერმანელების დესანტს სოფლის ორღობეში ნავაწყდი და მაშინვე ვიცანი (ჩვენს სოფელში უცხო კაცის ცნობას რა უნდოდა!)

როგორც ღლაპს, რაღაცეები გამომკითხა, ცაგერის გზა საითააო?... სტუმრად ვარ, გზა ამერიაო (?!) მაგის ჩიტი ვიყავი? როგორი სტუმარიც იყო — „ისეთი მასპინძლობაც გავუწიე" და ცაგერის გზით სოფლის ცენტრის — ფრიალოულასაკენ გავუყენე გზას, სადაც, სოფსაბჭოში, იღბლად ე.წ. გამანადგურებელი ბატალიონის სხდომას ატარებდა თავმჯდომარე ბენია ხუციბერიძე...

დაადგა ეს კაცი ჩემგან ნასწავლ „ცაგერის" გზას. მე კი, ყანა-ყანა, სირბილ-სირბილით დავუარე თავს და ქვეყანა შევძარი — ფაშისტი კი არა, „ფაშიზმი"(!) მოდის-მეთქი.

...ჰოდა, ქეც გადმოდგა სერზე... ჰენდე ხოხო!... უყვირეს და აანევინეს ხელები (მაშინ ყველა დაწესებულებას ეგზავნებოდა ე.წ. რუსულ-გერმანული ლექსიკონი, ტყვეებთან სასაუბროები, პარტიზნის სამახსოვროები.

ასე გასკვანჩეს ფაშისტი დივერსანტი ოკრიბაში და ახლაც რომ გამახსენდება, ტანში მზარავს მისი თვალები, ცერად რომ გამომხედა!

აბა, როგორ! მაგ კი არა — ეს თბილისელი ბიჭები ისე ვიყავით დაგეშილები, რომ მაშინ ვინმესათვის ხელში ფოტოაპარატი რომ დაგვენახა... შპიონი გვეგონა.

ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და ჩემმა თბილისელმა ამფსონებმა რომ გაიგეს ეს ამბავი, მითხრეს: რას ერჩოდი, ბიჭო იმ კაცს? შპიონი ის კი არა, შენ ყოფილხარო!

*მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე უკეთესი თერაპია არ არსებობს.*

**P.S.** *ჭეშმარიტად! ღმერთის მოგონილ ურთიერთობაზე — მამაშვილობა-დედაშვილობაზე უფრო დიდით ამქვეყნიურ სამოთხეს ვერაფერი შეცვლის.*

*თუმცა, ეშმაკსაც არ ძინავს და გულში გვიღიტინებს: სამოთხეს რა ჯობია, მაგრამ საინტერესო ტიპები უფრო ჯოჯოხეთში არიანო!*

*სოსო მჭედლიშვილი:*

*ჩვენშიც არსებობდა თავის დროზე მეძავობა, მათ შორის, საყაძროც და ამას ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს. დავაკვირდეთ, რამდენი სინონიმური მწკრივი მოგვეპოვება ქართულში ამ ცნების გამომხატველად — კახპა, ბოზი, აშალლარი, ნეწკი, ბეზირგანი, ნაძრახი, გაიძვერა, მატრეველა, მხიძავი, ავხორცი, როსკიპი, მრუში...*

*ნუ დავივიწყებთ, რომ 80-ს მიუახნებული პიკასო 20-ოდე*

ასეა, ბაბაია!

მაშინ დამსმენობა უნესობა იყო — ახლა კი ნესად იქცა!

* * *

ლევან გოთუას „ღვიძლ-ტვინიანად მოფიქრებული", მის, ლამის გასაუკუნებასთან (90) დაკავშირებით, საუკუნოდ გამოხატა (თუმცა, ერთობ ღარიბულად) გამომცემლობა „ლეთამ", მაგრამ ამ წიგნის თუ წიგნუკას ვარაყი და სქელი ყდა მის გიგანტურ აზრებშია, რომელსაც წიგნის სიბრძნე ამშვენებს და არა სხვა ვარაყი და სამშვენისი.

სამშობლოსათვის ნატანჯი ამ უტეხი კაცის მარტო ის სიბრძნე რად ღირს, რომელიც კატორღულ ცენზურასაც კი გამოაპარა ვორკუტიდან: „არ ვიცი, ასე რატომ მიყვარს ჩემი სამშობლო? იმიტომ, რომ შორსა ვარ მისგან? თუ იმიტომა ვარ შორს მისგან, რომ ასე მიყვარს ჩემი სამშობლო.."

ასე ლეგალურ-არალეგალურად ჯერ არავის აუხსნია სიყვარული სამშობლოსათვის!

არადა, იქაურ წერილებს ათასი ავი თვალი უყურებდა და, თურმე, ჩვენი თაობის ჟურნალისტმა კაცმა — თემო გრძელიძემ მომიყვა, პატიმრებს მოუფიქრებიათ, კონვერტში ცოცხალი ტილი ან ბაღლინჯო ჩაესვათ (მე შენ გეტყვი, ვერ იშოვიდნენ!) და თუ მიმღები მას ვერ იპოვნიდა — ეს იყო ნიშანი, რომ წერილი ადრესატამდე იყო გახსნილი!

რას არ მოიფიქრებს კაცი!

რა მაგის პასუხია და „მონანიების" რაღაც იმ სცენის მსგავსი ამბავი, სადაც ციმბირიდან ჩამოტანილ მორებზე ახლობლების კვალს (სახელს და გვარს) ეძებდნენ, ერთხელ მე მოვუყევი თენგიზ აბულაძეს (ქუთაისის ყოფილი თავკაცის თედო კორსაველის შესახებ!).

ახლაც კი ახსოვს ხალხს, 37 წელი როგორ უკაკუნებდა ჩვენს კარებებს — ხან სად და ხან სად!.. ხან ვისთან — ხან ვისთან!..

...„იქ, ვორკუტის ქართველთა, ვაი, რომ დიდ საძმოში, სისხლით და ცრემლით იწერებოდა „გმირთა ვარამის" პირველი წიგნი, ფურცელ-ფურცელ, მორებში ჩამალული, სიცოცხლის რისკის ფასად რომ გამოიტანეს ქართველმა პატიმრებმა".

აი, ეს ხელიხელ საგოგმანები მარგალიტებიც!

დიდი ძალაა სიტყვა და, მით უფრო, მჭრელი კალამი!

არავინ არ არის სამშობლოს დამკარგავზე უბედური!

იდეური მტერი სჯობს უიდეო მოყვარეს!

დაქსაქსული ერის შვილებს, ალბათ, არ გვაქვს პირადულზე ამდენი ფიქრის ნება!

მთელი ჩემი დანიშნულება (შეიძლება დანაშაულიც) ისაა, რომ კარგს კარგად ვხვდები და ცუდს — ცუდად!

მიმბაძველობა ყველაზე ადვილია ნიჭთა შორის!

მოუცლელობა მოუსვლელობის საპატიო მიზეზია!

ნებივრობა დედაა ცდუნებისა და ბებია — უზნეობისა!

ნუთუ, ეს არის ქართული ხასიათი — ფიქრგანუკითხაობა?

ვინ უწყის, ხვალინდელი მზე საიდან ამობრწყინდება?!

---

*კამილო ხოსე სელა: ხალხთა ისტორიისათვის ადამიანის პირველი სიტყვა უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ, ვიდრე ამერიკის აღმოჩენა, მთვარეზე გაფრენა, კვანტური ფიზიკისა თუ ატომის აღნაგობის თეორიის მიგნება.*

რა ცოტა უნდა ადამიანს და რა ცოტაა ეს „ცოტა"!

რაც უფრო მცირეა სამეფო, მით უფრო ძნელია მისი მართვა!

საერთო შრომა და მეცხრე ოფლამდეო!

ადამიანის ერთი ცრემლი... არაგვად ღირს!

სამშობლოს თუ გრძნობ — ყველგან თან გახლავს!

სიმართლე — ბნელს ანათებს და ტყუილი — მზესაც აქრობს!

სულ უსახელობას, იქნებ, ცუდი სახელი სჯობდეს!

უბედური ის კი არაა, ვისაც არ ჰქონია, არამედ ის — ვისაც ჰქონდა და აღარა აქვს!

ქალი ბედნიერებას კაცზე მეტად გრძნობს და უბედურებას მამაკაცზე უფრო მეტად იტანს!

ღიმილი იმედის უმცროსი დაა!

ყოველ თავს თავისი ქუდი შვენის!

ცხოვრება რომ მარტო ბრძოლა იყოს, მაშინ მხოლოდ ძლიერი იქნებოდა მართალი!

ძველქართული სიამაყე დახეული ჩექმასავით შემოგვრჩენია!

ნაღმა სიმტკიცე სჯობია უკუღმა ლმობიერებას!

თვალის დახუჭვაც სიბრძნეა ზოგჯერ!

ჰოი, რა საშინელია — სამშობლო ქვითა და კრულვით რომ დაედევნება შობილს!

არცერთი თაობა ისე არ სცემს პატივს ურთიერთს, როგორც მხცოვანი მხცოვანს!

გულგატეხილობა ჩვენი ხალხის ხასიათია!

გამარჯვებას უფრო ადვილად იჯერებს კაცი, ვიდრე დამარცხებას (ჯერ კიდევ მაშინ ითქვა ეს, სანამ გამარჯვებისა და დამარცხების ერთმანეთისაგან გარჩევას ვისნავლიდით — გ.ნ.)

ტომთა სიჭრელე ვერაფერი დუღაბია სახელმწიფოსათვის!

ულვაშიც ბეწვის ხიდია — ზედ ვაჟკაცობა ჰკიდია!

ფერთა შორის ყველაზე მშვიდობიანი... ჭაღარაა!

ფრთხილზე ფრთხილი... უკვე ფრთხალია!

ქვეყანას თუ გრძნობ — თვალდახუჭულიც ხედავ.

ყოველმა თაობამ თავად უნდა აუშვას თავისი ამირანი!

ერთი მოხდენილი ლექსი ას ისარს უდრის!

ნისქვილიცა და მენისქვილეც — ორივე დროის საფქვავეია!

ყველაზე დიდი ძალა ბრძნული სიტყვაა!

მარკ ტვენი კი ტვინი უნდა იყოს. მისი ტომ

წლის ქალებს ეტრ-ფოდა, იოჰან-სებას-ტიან ბახი, პრე-ლუდიებისა და ფუ-გების წერის გარ-და, ლუც მეილს პა-ტრონობდა. ლევ ტო-ლსტოი თავისი ნა-ბიჭვრებით მთელ სოფლებს ავსებდა და ა. შ.

თავისუფალი პი-როვნება რომ ნებო-ყოფლობით ხელისუ-ფლებისთვის უდი-დეს საფრთხეს წარ-მოადგენს, ამას ხე-ლისუფალნი არას-დროს მალავდნენ — ტყუილად კი არ მია-ჯაჭვებინა ზევსმა პრომეთე კავკასიო-ნის კლდეებზე. არც მაცხოვარი გაუ-კრავთ მავანთ შემ-თხვევით ჯვარზე. სხვა მრავალრიცხო-ვან წამებულზე რომ არაფერი ვთქვათ. რომლებიც სხვა-დასხვა დროს, სხვა-დასხვა მიზნით კო-ცონებზე და ბანაკე-ბში ეწამნენ.

**P.S.** მოკლედ, ფა-ლოსის კულტი, სამ-წუხაროდ, პირველყ-ოფილი მძვინვარე-ბით ვეღარ მძვინ-ვარებს და კორიდის ხარივით ვეღარა ბუღრაობს... წი-თელზე და ცისფერ-ზე კი სულ კაცის ეი-ფორიაა გაბაზებუ-ლი და „ვეფხისა და მოყმის ბალადის მაგივრად ახეთ.

სოიერისა, ჰეკლბერი ფინისა და „ჯეკსონის კუნძულების" გარეშე რაა ბავშვობა? არ ვიცი, რითი სჯობია ტირილის ცრემლი (ტრაგედია) სიცილის ცრემლს (კომედიას)!

მარკ ტვენი სხვა „მარკა" იყო, რომელმაც მთელი მსოფლიო შემოიარა, მისი ნამდვილი სახელი და გვარი — სემუელ კლემენსი ვილას ახსოვდა. მწერლობამდე ლოცმანი იყო და მისისიპიზე ცურავდა, მერე კი შეაცურა კალამი მელნის ოკეანეში და მარტო სენტ-ლუისა და ახალ ორლეანს შორის კი არა — სიზმრიდან — ცხადამდე და ზღაპრიდან — სინამდვილემდე დააცურებდა კალმის წვერს.

მძიმე ბავშვობა ჰქონდა და სიცილით შველოდა თავს. ღრმა სიბერემდე ახსოვდა სიყრმის ნეტარი წუთები. ჰანიბალში იყო ერთი პირნავარდნილი ლოთი-შფოთი ჯიმი ფინი (როგორც ჩვენი ტრუბკა — და ჩოლახა — კინტო და ყარაჩოღელი). მის შვილთან წესიერი ოჯახის შვილებს აკრძალული ჰქონდათ ამხანაგობა, მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ აკრძალული ხილი გემრიელია. ეს ბიჭი ჯეკ ფინი იყო! მოკლედ, დაბადებით სემუელ კლემენსის წიგნები ცხადია, მეტია, ვიდრე მისი ავტობიოგრაფია. მათში არის ის, რაც ავტორთან ერთად არ კვდება. მწერალთან, რომელმაც გაიარა თავისი ცხოვრება და აგერ, სიბერეში, მოიხედა წარსულისაკენ.

„თქვენ ჩემ შესახებ არაფერი იცით, თუ წაკითხული არ გაქვთ წიგნი, რომლის სათაურიცაა „ტომ სოიერის თავგადასავალი". ასე იწყებს ტვენი ჰეკლბერი ფინისა და ბავშვობის თავგადასავალს.

## *116 ქრისტიანული იგავი წასაკითხად და დასაფიქრებლად*

**(მოსკოვი. „ტრიადა", 2009)**

**პირველი იგავი**

იყო და არა იყო რა. იყო ერთი კაცი, რომელმაც გადაწყვიტა... სამყაროს შეცვლა! მაგრამ სამყარო ისე დიდია, ადამიანი კი — ისე პატარა! მერე შეეცადა, ცვლილება შეეტანა თავის ოჯახში. მაგრამ არც ოჯახი იყო ციცქნა. 10 სული მარტო ბავშვი ტრიალებდა სახლში. მაშინ კაცმა გადაწყვიტა, გამოესწორებინა ის, რისი გამოსწორებაც შეეძლო!

საკუთარი თავი!

**ესეები („მერანი", 1989)**

**სემუელ ტეილორ კოლრიჯი:**

სალი აზრი არის პოეტური გენიის ხორცი, ფანტაზია მისი სამოსია, მოძრაობა — სიცოცხლე, წარმოსახვა კი — სული.

„ჩემი ფანტაზია ახლა ფანტელზეა!
სიყრმით მოგატარე მთელი ქერაზია.
თუ არც ბურში ზიხარ და არც პანტაზეა,
მთელი ქერაზია აგერ — ქერაზეა!

*ნაზიმ ჰიქმეთი: მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, ის თუ არ დაიწვა, ბნელს რა გაანათებს...*

**ტომას კარლაილი:** კეთილშობილი ხალხი ქმნის კეთილშობილ მთავრობას და არა პირიქით.

**არისტოტელე:** დიდი ადამიანები ბუნებით ყოველთვის დარდიანები არიან.

ჯერ არ შობილა დიკენსზე უფრო მრისხანე და მეამბოხე რადიკალი — ვკითხულობთ ესეების წიგნში, — მაგრამ დიკენსი იმასაც ხედავდა, თუ როგორ ეპარებოდათ მარადისობის წამი წარმავალ საათთა თვლაში მართალ ადამიანებს.

**ტომას ელიოტი:** იმის დასაბუთებაც კი შეიძლება, რომ ბევრი სწავლა კლავს ან რყვნის პოეტურ გრძნობებს და, მტკიცედაც რომ ვინამოთ, პოეტმა იმდენი უნდა იცოდეს, რომ ვერ შეაღწევს და ვერ დააზიანებს მის აუცილებელ წარმოსახვასა და სიზარმაცეს.

**უილიამ ფოლკნერი, „საუბრები ვირჯინიის უნივერსიტეტში" (1957, 13.04)**

(წესით, ვირჯინია კახეთში უფრო უნდა იყოს, ვიდრე აშშ-ში).

— თქვენ ფიქრობთ, რომ უმჯობესია, ადამიანმა ხსნა თავის თავში იპოვოს და არა გარეთ?

— დიახ, ცხადია.

— ხომ არ არის ვინმე, ვისაც დაწერილს აკითხებთ და ეუბნებით, რას იტყვიო?

— არა, რადგან ჩემს აზრს უფრო ვენდობი...

— ხომ არ გექნებოდათ რჩევა ყმანვილკაცთათავის, ცხოვრებაში რომ გამოადგეს?

— ერთმა, ძალზე ჭკვიანმა კაცმა მითხრა, არასოდეს რჩევას არ ვიძლევი, ვაი თუ... მიიღონო!... ყოველი კაცი საკუთარ ფეხზე უნდა იდგეს.

ავგუსტინე პოეზიას თვლიდა „ცდომილების ღვინოდ".

* * *

**ანა კალანდაძე:** „რიცხვებიდან ძალიან მიყვარს 13. მასთან ჩემი ერთი დიდი გამარჯვებაა დაკავშირებული".

ჩემიც!

სხვა თუ არაფერი, მე 13-ში ანუ, როგორც იტყვიან, ეშმაკზე ერთი დღით ადრე ვარ დაბადებული.

როგორი მომხიბლავიც არ უნდა იყოს... წარსულის ჩხრეკას ისევ ხვალინდელი დღე მირჩევნია.

აქ კი, ჩვენი გზები იყოფა!

თვალები უკან მრჩება და წინ გახედვაც არ მინდა!

„კავკასიონის კალთებიდან ლავასავით წამოვიდა ჩეჩენთა დაქირავებული მკვლელები... ეს ოდით,

ხალხურობამდე მისულ ლექსსაც იმსახურებს (ერთი უწმაწური სიტყვის მაგივრად — მერე „წმაწურიან" სიტყვას ჩავსვამთ და ხელ ეგ არის) „რუსთაველის ფოლადი ახლავს ჯუელ მეფხვარის ხესაო(!), ხალიც მიადებს, გაბურღავს, როგორც ბურღი ხესაო. მეხი კი დაკაყარევე ინტელიგენციის ხესაო. მიადებს — მიაღუნება... თან მეამველებს ხელსაო, კიდევაც მაიბოდიმებს — ლექსის მქონდა დღესაო".

...მა, რა ჰქნას, ხალხური ლექსიც ფეხდაფეხ მისდევს ცხოვრებას, თუ ამასაც ცხოვრება ჰქვია.

დამა ახლედდიანა:

არასრულფასოვნების კომპლექსი თუ ახალი იდეოლოგია?

არ მოგწონს ილია, ვაჟა, შექსპირი? ნუ წაიკითხავ, წაიკითხე ის რაც მოგწონს. არ გინდა წიგნი? ჩაამუქრდი კომპიუტერს. გღლის ფელინი და ვისკონტი? უყურე იაფფასიან ფილმებს. თუ გინდა — ცელებრიალებს. ვერ ძლებ სიმყა-

მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის, სათნოებისა და მშვიდობის ქალაქი... უბედურების ქალაქად გამოცხადდა".

...„მაჯისასა შემტყვებარი"! — ასე ინოდებოდნენ უნინ აქიმები!

ახლანდელ თბილისელ ბიჭებს „ოიდიპოსის კომპლექსივით" რაღაცა სჭირთ — ჩემი დედაო! — იგინებიან.

ჰამლეტისეულ „ყოფნა-არყოფნაზე" უფრო დიდი სკოლამდელი და ბაგა-ბაღამდელი ტრაგედია და სიყრმის მზის დაბნელება უფროსების კითხვა უმცროსებისადმი:

— დედა უფრო გიყვარს თუ მამა?

## შტრიხები ტ. მურავიოვის „100 დიადი მითისა და ლეგენდისა"!

(მოსკოვი. 2004 წელი. გამომცემლობა „ვეჩერა")

ესაა სიმბოლური ხატი კაცობრიობის კოლექტიური გამოცდილებისა, რომელიც მოგვითხრობს ღმერთებზე, სამყაროს შექმნასა და საგანთა ნარმოშობასა და რაობაზე.

თვალის ერთი გადავლებით!

ოსირისმა ჰკითხა გორს: რა მიაჩნდა მას ყველაზე ღირსეულ საქციელად? ყველაზე ღირსეული საქციელია, დაეხმარო დედ-მამას და უდანაშაულოდ დაზარალებულებს. (ასე ჰკითხე ზოგიერთ გამოსირებულს!)

ოსირისმა ჰკითხა გორს: რა უფრო სასარგებლოა ასპარეზობაში — ლომი თუ ცხენი? გორმა უპასუხა: ლომი — თავდაცვის, ცხენი — თავდასხმისათვის!

ეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ ადამიანის სახელს ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც მის სულსა და სხეულს. მლოცველები, რომლებიც ტაძრების კედლებზე თავის კვალს ტოვებდნენ, ზედ ასეთი „დამცავი" ნყევლა-კრულვითაც აფრთხილებდნენ მომავალში მათ უდიერად მიმკარებლებს: ვინც ამ სახელს ნაშლის, პტა იყოს მისი მტერი, სოხმეტი — მისი მეუღლის, ტაურტი — მისი ნულების!

ოსირისის ცოლი და გორის დედა — ისიდა იყო ეგვიპტური მაგიის მფარველი და ქალღმერთი.

...ზევსმა კავკასიონზე თავისი შვილი — ჰერაკლე გააგზავნა, რომელმაც მოკლა არნივი, განყვიტა ჯაჭვი, რომლითაც პრომეთე იყო კლდეზე მიჯაჭვული და იხსნა პრომეთე. მას შემდეგ ხალხი ბეჭდებად ატარებს ამ ჯაჭვის რგოლებს, რომ არ დაივინყოს პრომეთეს ნამება ადამიანების მოდგმისათვის.

...მართლმსაჯულების ღმერთმა ნემესიდამ დასაჯა ნარცისი (სხვისი ტანჯვის მიმართ უგულობისთვის). ერთხელ ნარცისმა წყალში თავისი გამოსახულება იხილა, მოიხიბლა და საკუთარ თავში უზომოდ და უიმედოდ შეყვარებული შეიქნა.

...ახლა კი იმდენი ნარცისი გვყავს, მთელ საქართველოს „მუშტაიდის ბაღად" ეყოფა!

...„გრაალის თასზე" ყოველთვის ვეძებდი სიტყვას და აქ ცოტა მეტ ხანს შემიჩერდება თვალი!

შუა საუკუნეებში, ევროპის ქვეყნებში, კანონიკურ რელიგიურ ნიგნებთან ერთად, გამოჩნდა ფოლკლორული ლეგენდები, რომლებიც დაკავშირებული არიან სახალხო ზღაპრების ტრადიციასთან, მათ შორის

— ხალხური ფანტაზიის იშვიათ ნიმუშებთან!

ერთი ლეგენდა-ამბავია წმინდა გრაალზე, რომელიც წარმოიშვა ბრიტანეთის კუნძულებზე, მეფე არტურის შესახებ კელტური თქმულებებიდან.

ლეგენდა გვაუწყებს, რომ ლუციფერთან ღმერთის შერკინების დროს, დაკარგული და ქრისტეს დაბადების დროს ნაპოვნი აქატისა თუ აყიყის ქვისგან გამოკვეთეს ბარძიმი (ჭურჭელი), რასაც გრაალის თასი ენოდება!

რას ნიშნავს გრაალი, ამას სხვადასხვანაირი ახსნა აქვს — „ღვინისა და წყლის გასაზავებელი ჭურჭელი" (იქნებ აიაზმისაც), „სისხლი ჭეშმარიტი", „კალათა (ან, იქნებ, კალთა) სიუხვისა!"

ლეგენდის თანახმად, საიდუმლო სერობისას, გრაალის თასიდან სვამდა ღვინოს იესო. ხოლო ჯვარზე გაკრული მამაზეციერის ჭრილობებიდან გამონადენ უფლის სისხლს სწორედ ამ თასით წვეთწვეთად აგროვებდა იოსებ არიმათიელი.

ეს ლეგენდარული თასი რაღაც საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში გაქრა, მაგრამ წინასწარმეტყველების მეტყველებით გრაალი ისევ უნდა გამოჩნდეს და თვითონ აირჩიოს თავისი მცველი, რომელიც, ლეგენდის მიხედვით, აღმოჩნდა ქრისტეს ალმსარებელი უფლისწული, რომელსაც ღვთისგან ეუწყა, რომ გრაალის თასმა მის მცველად იგი აირჩია!

უხილავმა ანგელოზებმა ასე ჩააბარეს ეს უკვდავების თასი 15 წლის უფლისწულს ტიტურელს, რომელსაც, როგორც მათ მბრძანებელს, მთის ძირას ელოდებოდნენ გრაალის მცველი რაინდები!

ფონ ეშენბახის რომანის მიხედვით შექმნილი ლიბრეტო გახდა საფუძველი რიხარდ ვაგნერის ოპერა „პარსიფალისა", სადაც კომპოზიტორმა კიდევ უფრო გამოკვეთა გრაალის ლეგენდის რელიგიურ-ფილოსოფიური იდეა — ქრისტიანული ცოდვა-მადლის — შეცოდების თუ ცოდვათა გამოსყიდვისა, როცა გრაალის მცველ რაინდებს ათასი ცოდვისა და ცდუნების გაძლება უწევთ.

მართლაც, ძნელია ამ ცრუ წუთისოფელში მართალი იყო!

სწორედ ამან დამაწერინა ეს ორსტრიქონიანი აღსარება:

ჩემი არშინით გავზომე ცხოვრების ჭრელი ფართალი,
რად მინდა იგი სიმართლე – მარტო მე ვიყო მართალი!

რაინდები ვახსენეთ და ეგრევე დამიდგა თვალწინ ჩვენი ბავშვობის მოზარდ მაყურებელთა თეა-

*ნიური მეხიკის კონცერტზე? იარე მაცი-მეცი პოპის კონცერტებზე. ვინმე ვინმეს რამეს აძალებს?*

*შენ თუ მაღალ მიზნებზე ხელი არ მიგიწვდება, მე თავს არ გავალანძღვინებ იმის გამო, რომ რაც შენთვის მიზანია — ინგლისური ენა, კომპიუტერი, ფული, ჩემთვის მხოლოდ საშუალებაა.*

*მარლონ ბრანდო აცხადებდა, რომ ფული მისთვის მნიშვნელოვანია და მხოლოდ ამიტომაც თამაშობს კინოში, რათა ყოფითი პრობლემები მოიხსნას ამ ფულით და უფრო დიდი დრო და ყურადღება შეალიოს მისთვის მთავარ ღირებულებას — ადამიანურ ურთიერთობებს, სიყვარულს.*

*„სპექტრი"*

*უარყოფითი ენერგეტიკის ზეგავლენისაგან თავის დასაცავად, ძილის დროს ყველაზე სასურველი მდგომარეობაა... თავით ჩრდილოეთისკენ, ფეხებით კი სამხრეთისკენ! შეამოწმეთ, სწორად წვას თუ არა ამ თვალ-*

ტრის (ერთ ხელის განვდენაზე რომ იყო ჩემი „ზემელის“ სახლიდან — მელიქ აზარიანცის სასახლემდე!) დღემდე ხელუხლებლად შენახული სპექტაკლი — ბალადა ღარიბ-ღატაკთა ქომაგ უცხოელ ყაჩაღზე, არსენ — რობინ ჰუდზე!

არადა, ძველ მცხეთაში, არსენას ძეგლის დანახვას დღესაც ვერ იტანენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, განსაკუთრებით, მდიდრები და ზოგჯერ საკმაოდ დამაფიქრებელი საბაბით — ერთის ნამრთმევი კაცი მეორის მიმცემი არ იქნება, ყაჩაღი და ყოჩაღი ერთმანეთში არ აგერიოთო!

რობინ ჰუდს შერეუდის ტყეში ყაჩაღობითა და ნადირობით გაჰქონდა თავი, მაგრამ ტყე მეფის საკუთრება იყო, თავის ნადირიანად, და სიკვდილით დასჯის შიშით შიგ კაცი ვერ გაიჭაჭანებდა.

ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო — ჩვენში ახლაც ასე არაა?! იყიდება საქართველო, თავის მთიან-ბარიანად და სოკოს მოსაკრეფადაც ცხვირს ვერ შეყოფ ტყეში!

რობინ ჰუდის პროტოტიპია ჩვენი სახალხო გმირი არსენა! თქმულება რობინ ჰუდზე შემორჩა სიუჟეტური ლექსის ანუ ბალადის სახით. სიტყვა „ბალადა“... ბალეტის ფუძიდანაა. პირველად ბალადებს ეძახდნენ ცეკვის თანმხლებ სახალხო თქმულება-სიმღერებს!

რობინ ჰუდი და არსენა ხალხის იდეალისაგან შობილი გმირები არიან!

რობინ ჰუდი შერვუდის ტყეს აფარებდა თავს. ამ დროს ინგლისში ტყეც მეფის იყო და ტყის ნადირიც. და ამ კანონის დარღვევა სიკვდილის ტოლფასი იყო. მაგრამ რობინ ჰუდმა, არსენას კუჭატნელისა არ იყოს, სისხლი გაუშრო მეფის ნაცვალს — ნოტინგების შერიფს.

ისე, რა მაგის პასუხია, და ერთმა ცნობილმა ბიზნესმენმა, მცხეთაში, არსენა ოძელაშვილის ძეგლს რომ ჩავუარეთ, მითხრა: ერთადერთი ქვეყანა იყო საბჭოთა კავშირი, რომელიც ყაჩაღებს ძეგლს უდგამდაო და ვინ დაიჯერებს, რომ კაცი, რომელიც მდიდარს ართმევს... ღარიბს აძლევსო?!

ინგლისელი რობინ ჰუდის ხსენებაზე მახსენდება ფრანგი ყაჩაღი — პოეტი ფრანსუა ვიიონი, გილიოტინაზე ასვლის წინა დღეს რომ წერდა — ხვალ, ყულფში რომ გაყოფს თავს, მაშინ გაიგებს საწყალი ვიიონის თავი, რას იწონის მისი... უკანალიო!

...რობინ ჰუდის სახელი ლამის ტყის ღმერთის სახელამდე ავიდა, შერეუდის ტყეში კი დღემდე პატივშია „რობინ ჰუდის მუზეუმი“!

... ლეგენდა დოქტორ ფაუსტზე (ჯადოქარ-მისანზე, რომელმაც ეშმაკს მიჰყიდა სული) გერმანიაში წარმოიშვა მე-15 საუკუნის სწორს!

1909 წელს ფაუსტი მოიხსენიება ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის.

სხვათა შორის, სწორედ ამ პერიოდში, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში სწავლობდა დიდი ქართველი მრეწველი და ქველმოქმედი დავით სარაჯიშვილი (ეს ისე!).

...ლეგენდა იმის შესახებ, რომ ფაუსტმა მიჰყიდა სული ეშმაკს, ჯერ კიდევ მისი სიცოცხლის ჟამს გაჩნდა. თვით ფაუსტი ამ ხმებს უარყოფდა. იმ დროს ეშმაკთან მისი კავშირის რეალობაში ეჭვიც არ შეჰქონდათ.

სწავლული ღვთისმეტყველი იოაჰან გასტი წერდა: ყავდა მას სახენი და ძაღლი, რომლებიც, ალბათ, ქაჯები და ეშმაკუნები იყვნენ, რადგან შეეძლოთ ნებისმიერი საქმის გაკეთება. ხალხისგან გამიგია, რომ

ძაღლი ზოგჯერ მოსამსახურედაც იქცეოდა და „ხაზეინისთვის" საჭმელიც კი მიჰქონდა.

აქ, ნებით თუ უნებლიეთ, ნიაზას ქიმერა მახსენდება!

ერთმა (მგონი დიტო ნვერავამ) უთხრა, ჩემს ძაღლს გაზეთის საყიდლადაც ვაგზავნიო. ნიაზა თავის ძაღლის ქებას ვინმეს შეარჩენდა — იქვე მისცა „აბაროტი": ჩემს ძაღლს გაზეთიც მოაქვს ჩემთვის და კიდეც მიკითხავსო!

ნამეტანია, მაგრამ, იმ გაძაღლებულ დროშიც, რას არ გაიგონებდა კაცი!

აფსუს, ჩვენ არ აღმოგვაჩნდა მაშინ ჩვენი გოეთე, თორემ, ვინ იცის, ჩვენც რა „ფილოსოფიურ სიღრმეებს" ჩავწვდებოდით ჭეშმარიტების ძებნისას.

ჩვენი ბიჭობისდროინდელი გოეთეც და შექსპირიც (შექსპირს შაქარი!) ვალოდია მებურიშვილი და მისი მსგავსი თვითნასწავლი ფილოსოფოსები იყვნენ, რომლებსაც ცხოვრებაზე მსჯელობას თვითონ ცხოვრება ერჩიათ, მთელი თავისი ჭრელა-ჭრულით. ერთხელ, კომუნისტური იდეოლოგიით „გაბრუებულმა" უფროსმა ძმამ — ბატონმა შალვა მებურიშვილმა, უქმე-კვირას კი არა, გაგანია შუა სამუშაო დღეს, მისი უმცროსი ძმა — „ვალოდიე", გალეწილი მთვრალი ბალიშში ცხვირპირჩამხობილი რომ დაინახა... ეს მაინც ვერაფერს გაიგებსო და ხმამაღლა ჩაილაპარაკა...

— ასე გინდა, კაცო, შენ, კომუნიზმში შეხვიდეო?

და იქვე მიიღო ამ რიტორიკული კითხვის ნაქეიფარი პასუხი:

— შედით და გამეიხურეთ კარებიო!

...დონ ჟუანიც სრულიად რეალური პიროვნება ყოფილა და ცნობა ამ მექალთანის შესახებ შემონახულია მისი მშობლიური ქალაქის — სევილიის ქრონიკებში.

თუ არ ვცდები, ბიჭი თეზელიშვილის წიგნიდან უნდა მახსოვდეს მისი საფლავის ამბავიც, წვეტიანი მოაჯირები რომ აქვს: კაბებს ახევს გამვლელ-გამომვლელ ლამაზმანებსო!

მაძიებელ სულს ერთი სული აქვს, ჩაწვდეს მე-17 საუკუნის ერთ ჰოლანდიურ ლეგენდას ე.წ. „მფრინავი ჰოლანდიელის" შესახებ — დღესაც რომ ლეგენდის ბურუსშია გახვეული და დღემდე გვესიზმრ-გვეელინ-გვეცხადება!

...1779 წელს, ერთ-ერთ აფროსანზე, რაღაც ეპიდემიამ იფეთქა (დღესაც არ ვიცი ბევრი ეპიდემიისა თუ პანდემიის სახელი — ქათმის გრიპი, ღორის გრიპი, კურდღლის ჭლექი, თაგვის მენინგიტი თუ

*საზრისით თქვენი საწოლი. თუ არა — სასწრაფოდ გადაადგილეთ.. საწოლის ქვეშ, მის შუა ნაწილში კი, ყოველი შემთხვევისთვის, დადეთ ხახვის ბოლქვი, ერთი თავი ნიორი, პატარა სარკე, ზედაპირით იატაკისკენ ან სპილენძის ბადე. შეიძლება საწოლის ქვეშ დადგათ ჩვეულებრივი თიხის თასი, მაგრამ აუცილებლად ძირით ზევით.*

*...მოკლედ, გამოდის, ძილშიაც ფხიზლად უნდა იყოს კაცი და ისიც უნდა გათვალოს, რომ ვინმემ არ გათვალოს!*

*ცუდად ვხდები იმ ლოზუნგის დანახვაზე, რომელიც შეგვახსენებს, რომ „გვახსოვდეს აფხაზეთი"!... აფხაზეთს რა დაგვავიწყებს. მაგას ჯობია მოწოდება — გაფრთხილება: „ვახსოვდეთ აფხაზეთს!"*

*ერთმა ციპმა თუ ციპამამ იკითხა: რა არის საჭირო, რომ სვეცი იყოს?*

*მეორე ციპმა თუ ციპამამ უპასუხა:*

ათასი ჯანდაბა და დოზანა!). ხომალდის ეკიპაჟმა გადაწყვიტა, უახლოეს ნავსადგურში — მალტაში ჩასვლა, მაგრამ ჭირის გავრცელების შიშით, ეს „მფრინავი ჰოლანდიელი" არც აქ და არც ერთ ნავსადგურში არ მიიღეს.

ზოგი ჩვენიცა ვთქვათ!

ჩვენი „ხმელთაშუა ზღვის" კრუიზის ტურისტული ჯგუფი კი... არ დაგვიწყოთ ახლა იტალიურ-ჰოლანდიურიო და თავისუფლად მივადექით მალტის ნაპირს, მარა, ჩვენივე ნებით მოვუსვით იქედან, რადგან კაცს დანატრული მალტელი ბოზები დაგვერიენ და კინაღამ იქეთ გვიხმარეს!

...საიდან — სადაო და ჩვენი და რუსი მეფეების ზედწოდებები ისევ გამახსენდა.

ჯერ მარტო ამაშიც რამდენი სხვაობა და ხასიათი ჩანს: ივანე მრისხანე, ცრუ დიმიტრი, უბედური რუსი...

ვახტანგ გორგასალი — მგლისთავა, დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებული, გიორგი ბრწყინვალე...

...მწერლური ჩანაწერები მწერლის სულის საგზალია! ვსვამ და ვსვამ ამ დროის შარბათს და გალეშილი ვარ წარსულით!

* * *

ვლადიმერ მედინსკის „მითები რუსეთზე" გამოყენებული აქვს ანდაზები:

**ილია ერენბურგი:** ომი სიძულვილის გარეშე იგივეა, რაც სქესობრივი აქტი... სიყვარულის გარეშე.

**ჰებელსი:** მილიონჯერ ნათქვამი ტყუილი სიმართლედ იქცევა.

**რუსული ანდაზა:** კაცის სიცოცხლე „პახმელიაა"!

**ბერნარდ შოუ:** ალკოჰოლი, ესაა ანესთეზია, რომელიც გვეხმარება სიცოცხლის მძიმე ოპერაციის გადატანაში.

**ფაზილ ისკანდერი:** მთელი რუსეთი მთვრალი ჰამლეტია!

აქ აკლია რუსეთში მოხეტიალე ერთი ქუჩური გამოთქმა: Если водка мешает в работе – бросай... работу!

* * *

**გამომცემლობა „მენცარი" (1990)**

„სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი".

კაცის სული 3 პირობით შრედ შეიძლება დაიყოს: ცნობიერი, ქვეცნობიერი და არაცნობიერი.

იგი ცისარტყელას 9 ფერივით გადადის ერთმანეთში.

**სიზმარი!**

ცნობიერ შრეს, მეორენაირად, „მე"-საც უწოდებენ!

ფროიდი კანონზომიერებებს იკვლევდა. იგი აძინებდა პაციენტებს და ძილში უსვამდა კითხვებს და პასუხებსაც იღებდა. განსაცვიფრებელ

---

*ჯონ რიდმა მოურიდებლად უწოდა მსოფლიო ისტორიას უცნაური, მაგრამ ჭეშმარიტი სახელი — „ადამიანის მოწამეობა".*

*ალექსანდრე მაკედონელი: მე არისტოტელეს მამაჩემის გვერდით ვაყენებ, რადგან მამაჩემმა თუ სიცოცხლე მაჩუქა, არისტოტელემ მომანიჭა ყოველივე ის, რითაც სიცოცხლე ფასობს.*

შედეგებს მიაღწიეს მან და ბრეიერმა. მიაგნეს იმ ძარღვს, რომელზეც იყო აკინძული, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი სიმპტომები. პაციენტებმა მათ უამბეს არა სიმპტომები, არამედ მთელი ისტორიები. ეს იყო ფსიქოანალიზი.

ფროიდი სექსუალობად თვლიდა ყველაფერს, რაც ხორციელ სიამოვნებას იწვევს: ფხანა, ჭამა, დეფეკაცია. რამდენჯერ მითქვამს ზღაპრულ სუფრაზე, ჩიტის რძე რომ არ აკლია, ეს კუჭის გარყვნილებაა, მუცლის ბორდელია-მეთქი! უგემრიელესი კერძი და ულამაზესი ქალი — კაცს ორივე შესაჭმელად უნდა!

დედის დაგინება — „ჩემი დედა..." ლამის სოფოკლეს ტრაგედიად — „ოიდიპოსის კომპლექსად" ან „ელექტრას კომპლექსად" მოვნათლოთ. თურმე, არაცნობიერად, ყველა ვაჟი ატარებს ოიდიპოსის, ქალი კი — ელექტრას კომპლექსს.

პირველი გამოცდა — დედა უფრო გიყვარს თუ მამაო? რომელ კომპლექსში შედის ან, ჩვენებურად რომ ვთქვათ, რომელ ჭკუაში ნერია?

**სიზმრების ახსნა — ძილის „ზე-მეს" კონტროლი.**

„პიროვნება გაურბის საკუთარ თავში ჩაღრმავებას". მე კი პირიქით, თავს ვიქცევ ამით და აი, „უტოპია"! — ისე შევტოპე, რომ უკან ველარ გამომიტოპია!

**ტერენტი გრანელი:**

შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ.
წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე?
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?

ამ ბროშურის ავტორი ფინალში წერს: „პატივცემულო მკითხველო, თუ ამ წუთში ამ კითხვებზე პასუხები ვერ ამოიკითხე, ჩვენ ორში ერთ-ერთს ძალზე ცუდად ჰქონია საქმე!"

* * *

**კიტა მეგრელაძე**

**„აზრის სოციალური ფენომენოლოგია"**

**სტენდალი:** „იდეა საერთო გონებრივი განვითარების დონეზე ორი-სამი გრადუსით ზევით უნდა იდგეს, რომ მოსაწყენი არ იყოს."

წინგამსწრებ გამოგონებათა, აღმოჩენათა, იდეათა ტრაგედია იმაშია, რომ კაცობრიობა, ე.ი. გარკვეული ეპოქის საზოგადოება ძალიან ძნელად ითვისებს მათ.

*— დედა ბოზი უნდა გყავდეს და მამა პროფესორი?!*

*— ვა, ცო, მამა მიცეხავსო. — გაუწყდა ციპას თუ ციპმას.*

*ახლოს „სვეტობისთვის" ეკეტ არ კმარა და რა იცი — ვის სად და რამი გამოადგება — გთავაზობთ ნარკომანიის პატარა ცნობარს:*

*არსებობს ნარკომანიის სხვადასხვა სახეები: მორფინიზმი, ჰაშიშომანია, ბარბიტურომანია, სტიმულატორებით გამოწვეული ნარკომანია, პოლინარკომანია.*

*საინტერესოა ნარკომანთა ჟარგონი. ამ სიტყვების წარმომავლობას თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ საქართველოში ნარკომანიის გავრცელებაში მთავარი დამნაშავე არის არა დასავლეთი, არამედ ჩვენი დიდი (უფროსი) ძმა და კაი მეზობელი — რუსეთი. ქართველ ნარკომანთა ჟარგონი, ძირითადად, სწორედ რუსული სიტყვებია. გთავაზობთ ამ ჟარგონის მცირე განმარტებით ლექსიკონს:*

*კაიფი — ნარკოტიკული თრობა; პრიხოდი, ტასკა, ატხადნიაკი — ნარკო-*

ჯ. ვიკოს „ახალი მეცნიერება" ვერ შენიშნეს თანამედროვეებმა და ეპოქამ გვერდი აუარა მას. მსგავსი იდეები, საუკუნის შემდეგ, ჰეგელის ხანაში, დიდი სახელითა და აღიარებით სარგებლობდნენ.

„ნაღვანი აღარ ემორჩილება მოღვანეს, ისევე, როგორც მშვილდიდან გატყორცნილი ისარი — მსროლელს, ნათქვამი — მთქმელს!...

ჰაინეს აზრით, „იდეათა სამყარო არ უნდა დავიცვათ ებრაელი მოხუცის კანონებით. ხელოვნებაში არაფერია პლაგიატობის საყვედურებზე სულელური. პოეტს შეუძლია, თავისი ნანარმოებისათვის მასალა აიღოს ყველგან... მახსოვს არაკი: ობობა ფუტკარს ძრახავს პლაგიატობაში. საყვედურობს, ათასობით ყვავილისგან აგროვებ მასალას, საიდანაც შემდეგ თაფლს ამზადებო!

ოთარ რამიშვილის (კვაჭიჭოს) — ქუჩის მუსიკოსის („ამერიკასავით" ჩემი აღმოჩენილი) გიტარის ინდუსტრია ხომ გინახავთ და მოგისმენიათ! თვითონ ნერს, თვითონ უკრავს, თვითონ მღერის! პოეტის, კომპოზიტორის, მომღერლის, ვირტუოზი გიტარისტის „ფუტკარი, როგორც აფთიაქარი, ყვავილებისგან გვიმზადებს ნამალს" მარადიული სიმღერაა! თვითნაბად კაცს, როცა ამ სიმღერას ნერდა, ყურიც არ ჰქონდა ჰაინესთვის მოკრული და ხელოვნებაზე ფილოსოფოსების აზრის ბაიბურშიც არ იყო, მაგრამ ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო... როგორც გალაკტიონმა ბრძანა!

„არსებობს, განა, ქვეყნად სიმდიდრე მოსიყვარულე ადამიანზე უფრო ძვირფასი? კარგად დაიხსომეთ: ერთი უდანაშაულო ადამიანის ნამებას ათი სახელმნიფოს ბედნიერებითაც ვერ გამოისყიდით!

აქვე გავიხსენოთ დოსტოევსკი: მთელი სამყარო ერთი უცოდველი ბავშვის ცრემლადაც არ ღირსო!

...იყო დრო, როცა არც ქაღალდი და არც დამნერლობა არ არსებობდა. „ნერდნენ არა ასოებით, არამედ ნახატებით. ასე დანერილ იმდროინდელ ნერილებს, მეცნიერულად, „იდეოგრაფიული ნერილები" ან „პიქტოგრამები" ჰქვიათ. ეს ბერძნული სიტყვებია და ჩვენებურად „ნახატით ნერას", „ნახატ ნერილს" ნიშნავს.

...ამ ნიგნის ავტორი 44 ნლისა გარდაიცვალა პოლიტიკურ გადასახლებაში.

სხვა უამრავ სიკეთესთან ერთად დევი სტურუას დამსახურებაა მისი ნაშრომის გამოცემის პასუხისმგებლობა, როგორ კაცობასაც, იმ დროში, ბევრი ვერ დაიჩემებს!

დიდი მეცნიერის შვილი მანანა მეგრელაძე მამამისის ფილოსოფიური შემოქმედებისადმი მიძღვნილ სქელტანიან ნაშრომში ნერს:

„...ნათქვამია, ჩამოვარდნილი ზარი უხმოა, რომ დარეკოს, მაღლა უნდა აზიდოო". ყველას გაუმარჯოს, ვინც ნაქცეულ კაცს ფეხზე ნამოდგომაში ხელს შეაშველებს.

---

*სალტიკოვ-შჩედრინი: მთელი ჩვენი ანინდელი ცხოვრება ბოდიშის მოხდაზე არის აშენებული... საითკენაც მიიხედავ, ყოველ ნაბიჯზე ისეთ სისულელეს შეიტყობთ, რომ სულ „უკაცრავად" უნდა იძახო! სინდისის შერჩენა ჩვენს უსინდისო დროში... დიდი საუნჯეა!*

კიტა მეგრელაძე: თუ ჩარჩო ნახატზე უკეთესია — ამას რაღა მხატვარი და რაღა მხატვრობა ჰქვია!

* * *

ნათელა გიორგობიანის „სიცოცხლის წიგნში", რომელიც უფოლოგ თალეს შონიას ფენომენს ეძღვნება, „სეზამ, გაიღესავით!" სამყაროსთან მისი ურთიერთობის საიდუმლო დევს: „მე შენ ვარ, შენ მე ხარ, მე ხე ვარ — შენ მზე ხარ; მე ძე ვარ — შენ მძლე ხარ, მე ქვე ვარ — შენ ზე ხარ... შენც ის ხარ, რაც მე ვარ".

* * *

დედაე! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შეილის სული.
რომ წინ წარუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განათლებული!

ილია

სატიტულო ფურცელზე ეს სტროფი უძღვის წინ თანამედროვე გმირთა მემორიალურ წიგნს „უკვდავება", რომლის მთავარი რედაქტორია ჟურნალისტთა კავშირის მდივანი აკაკი სიხარულიძე. „ჩემს უფროს ძმას, სიამაყეს, იმედს..." — ამ წარწერით მიძღვნის იგი სქელტანიან კოლექტიურ ნაშრომს, რომელიც ეძღვნება მე-20 საუკუნის მინურულს საქართველოს ძმათამკვლელ ომებს. და, იხსნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის დამოძღვრით: „ეს ვაჟკაცები ჩვენს ისტორიაში შეველენ საქართველოსთვის თავგანწირულ გმირებად, ხოლო სულნი მათნი შეემატება საქართველოს სულიერ მხედრიონს..."

„ღიმილის ბიჭი ვიყავი, ბეჭზე არწივი მეხატა, 19 წლისა შევსრულდი, ოცი არ გადამეხადა"... ჩვენი წარსულიდან დასტირის მართვეებს გიორგი ლეონიძე — ...ამირანებს (ავალიანი, პაპუნაშვილი), მირიანებს (ხიდაშელი), ლევანებს (აბაშიძე), ილიებს (კოზირიძე), გუბაზებს (ჯოხაძე), მამუკებს (ჯმუხაძე), ზურაბებს (ჯაჭვაძე), პაატებს (ჯანიაშვილი), ღვთისოებს (ჯაბნიაშვილი), დავითებს (ჯაბაური), იმედებს (ხუციშვილი), მირონებს (ხორგუანი), ჯონდოებს (ხიფრანი), ბადრი-კახაბერებს (ხვედელიძე), ტარიელებს (ჩაჩუა), შმაგებს (შალამბერიძე)... რომელ ერთს! რა სიკვდილმა მოკლა ეს საჯიშე ბიჭები. გლოვის რა სიტყვა და რა ხმით ნატირალი

ტიკული თრობის სტადიები; ლომკა — აბსტინენციური სინდრომი; ლომკის გადაგდება — აბსტინენციური სინდრომის მოხსნა; გაჩხერა, დაბოლება — ნარკოტიკული ნივთიერებების ინექცია, მოწევა; პლანაქეში, ქეში — მარიხუანის მწეველი; მასტერკა, შმატი, ჩეკი, ზახოდი, კუბი, დეცი — სხვადასხვა ნარკოტიკული ნივთიერებების საზომი ერთეულები; შეკეთება — მარიხუანის მომზადება მოსაწევად. აგდება — უხარისხო ნარკოტიკის მიერ გამოწვეული არასასიამოვნო ეფექტი; მეჯდომა, შეხმა — დამოკიდებულების ჩამოყალიბება; წამალი — ნარკოტიკის ზოგადი სახელი; ვტარიაკი, ტრეტიაკი — მეორეჯერ, მესამეჯერ მოხარშული წამალი; ბაიანი — შპრიცი; ბაბოჩკა — ერთგვარი საინექციო ნემსი; „მედუზა", ალაპის ცრემლები — ანჰიდრიდი, გამხსნელი; ყაყაჩო, მაკი, მოკოლადი, მაგი — ოპიუმი, კოკნარი, სალომკა — ოპიუმის ყაყაჩოს ნამჯა, მანაგუა — რძეში მოხარშული მარიხუანა; კო-

გამოიტირებს ჩვენი გენის ამ ტრაგედიას.

მითხარი, შენზე ფიქრს სად დავემალები... ჩემო ძალავ და ნიჭო — ყველგან მიყურებენ ეგ შენი თვალები, ჩემო ლამაზო ბიჭო — ყველგან პირველ ლექსს გაანდო ფიქრი სოფელ კოლხიდასთან სნაიპერის ტყვიით მოკლული ცისფერთვალება ბიჭის — ბაჩუკი ბურძგლას მამამ და ამით დაიტირა სამზეოდან უდროოდ წასული ბიჭები (საკუთარ თავთან ერთად!). ამ სამარისპირული გასისხლული სტრიქონებით აცილებს გმირებს მარადიულობაში გმირების გმირობის კვალში ჩამდგარი ჩვენი თანამოკალმე ჯუმბერ თითმერია.

გია ყარყარაშვილის ძმას, „თეთრი არწივის" მეთაურს, გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსან პოლკოვნიკ გოჩა ყარყარაშვილს კი უკანასკნელ გზაზე აცილებენ მისი თანამებრძოლები! (საქართველოა ჭირისუფალი და მათ შორის ვარ მეც!)

თვითონ გია ყარყარაშვილი ცოცხალი კი დატოვა განგებამ, მაგრამ იგი საკუთარი თავის ძეგლად აქცია — მოუშუშებელი სამარადისო ჭრილობების ამარა! (ომის წლებში, მის ამალაში გახლდით მეც, რის საბუთად დამრჩა საბრძოლო ჯილდო — გორგასლის ორდენი!)

* * *

წუთისოფლისათვის მარადიულობის გასანაღდებლად არსებობენ მითები და ლეგენდები!

მეხსიერებამ იაროსლავლში გამოცემული „100 მითიდან და ლეგენდიდან" შემომინახა მათი სიბრძნე და სილამაზე.

(რამდენიმე ფრაგმენტი ამ ზღაპრული სამყაროდან)

ოსირისმა ერთ-ერთ შევარდნისთავიან მზიურ ღმერთს — გორს ჰკითხა: რა მიაჩნია მას სწორ საქციელად? რაზედაც ასეთი პასუხი მიიღო: მოეხმარო მშობლებს!

ჩვენს დეტექტორს თუ ჩავრთავთ, ამ პასუხს ასე შეაფასებს: სიმართლეა!

მეორე კითხვა: ბრძოლაში რომელი უფრო საჭიროა — ლომი თუ ცხენი?

ლომი — თავდაცვისთვისაა, ცხენი — მტრის დევნისათვის!

...ნადირობის ქალღმერთ არტემიდას ჩუმ-ჩუმად „ნაყვარება" მშვენიერი ჭაბუკი, სახელად ენდიმიონი, რომელიც საუკუნო ძილით ჩაუძინებიათ, მისი სიყმანვილის შესანახად (?!)...

რას არ მოიგონებს ქალი?... მით უფრო, ღმერთქალი, თან მთვარის ღვთაება, რომელიც, როცა უნდა, მაშინ გამოგიგზავნის ტკბილ სიზმრებს და ისეთ ცხადში შეგიტყუებს, შენ თვითონ აღარ მოგინდეს გამოფხიზლება!

...მართლმსაჯულების ქალღმერთ ნემეზიდას გადაუწყვეტია იმ ულამაზესი, მაგრამ უგულო ნარცისის დასჯა (სხვათათვის ბევრი სატანჯველის გაჩენის გამო).

ერთხელ, ნადირობიდან დაბრუნებულ ჭაბუკს მოსწყურებია, წყაროსთან ჩაუმუხლავს და წყლის სარკეში თავი დაუნახავს და უზომოდ შეყვარებია, რის გამოც უდარდელი ჭაბუკი ღმერთებს დარდით დაუსჯიათ და ყვავილად უქცევიათ.

შავწიგნოსანი სწავლულის, დოქტორი ფაუსტის ლეგენდა XVI

საუკუნისაა! ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში გავარდა ხმა იმის შესახებ, რომ მან სული ეშმაკს მიჰყიდა! მაგრამ მას ეს კი არ უარყვია — პირიქით! ეშმაკთან მისი შეკვრისა აშკარად სჯეროდათ მის ნაცნობებს, რომელთაგან ერთ სნავლულ ღვთისმეტყველს ვინმე იოჰანი წერს: „მას ჰყავდა ძაღლი და ცხენი, რომლებიც, ვფიქრობ, ქაჯები, ეშმაკები იყვნენ, რადგან ყველაფერი შეეძლოთ. ხალხი ამბობდა, რომ ეს ძაღლი დიდი მამაძაღლი იყო, კაი მოსამსახურესავით მოჰქონდა საჭმელი „ხაზეინისათვის".

## *კაი ყმა!*

ვაჟაობაზე, ჩარგალში, დამპატიჟა ბაჩანა რაზიკაშვილის შვილიშვილმა ლელამ (ვაჟას მუზეუმის მესვეური და სამშენებლო ფირმა „ოლიმპიური ვარსკვლავის" თანამშრომელია), რომელმაც, თავისი რედაქტორობითა და გიორგი გაბუნიას (კრებულის შემდგენელია) მეცადინეობით, გამომცემლობა „თანიში" დასტამბული კრებული — „ვაჟას ღიმილი" მაჩუქა!

ეტყობა, ლექსს მთის ჰავა უხდება! ჩარგლისა და მისი ლომის — ვაჟას სამფლობელოში მეც ამეშალა სალერლელი და მთის არნივზე ლექსი დავნერე.

კაი ყმის — ვაჟას ამ პატარა სამოთხეში (წიგნში) მოხვედრა სასნაულ ჭკუაზე და გუნებაზე დაგაყენებს!

ხშირად უნევდა, თურმე, სოფლის სამდურავის თქმა: მე თვითონ ილიამ მიკურთხა კალამი და განა სულ ასე უნდა ვიცოდვილო ამ ცოდვილ მინაზეო?

ილიაობაზე, მეჯინიბეს, თავადის დაავალებით, ვაჟას ცხენი დაუთვრია — შუაღამეს არ მოინდომოს ფშაველმა ნასვლაო და ვაჟას უთქვამს — საგურამოელებმა — მე ვერა და ცხენი დამითვრესო! გულქანის (ქალიშვილის) ნაამბობით კი, მამამისს, გაზეთში რომ ნაუკითხავს აკაკის შენიშვნა, ენას გინუნებს აკაკუნაიო, — ჩაულაპარაკებია. ახლა „სულიკოს" გადამღერებით ბაჩანას რა ლექსი გამოუთქვამს! — „საყვარლის საფლავს არ ვეძებ, ღმერთმა ნუ მაპოვნინოსაო"...

„ქოსების" სარდაფში თუ სადღაც „ანაგაში"... სანყალ მღებავს — ნიკო ფიროსმანაშვილს შეხვედრია. ორი გენიოსის შემსნრე კაცს გამოუტანია ის სიტყვა, რაც მაშინ ვაჟას პირით ნიკალას ყურისთვის თქმულა: ოქროს ხელი გაქვს და მღებაობა რა შენი საქმეაო!

*ქყეილი — ოპიუმის და ყაყაჩოს ნამჯის ექსტრაქტის ნაერთი; სიმპლექსი — აცეტილირებული ოპიუმი; მარფუშა — მორფინი; ჰერი, კოდა, კაკუნა, კალიოსა — კოდეინი; გერა, ჰედრა — ჰეროინი; პლანი, ანაშა, ბალახი, მოსაწევი, თივა, ტრავკა, ბოლი, მალა, მაცინი, ნახევრბი — მარიხუანა ან ჰაშიში; ხიმკა — ჰაშიშის ზეთი; ლამადა, ცხოვრება — მეთადონი.*

***P.S.*** *არ ცოდნა არ ცოდვაა და ეს ცოდნა კი, მგონი, ცოდვასთან უფრო ახლოს!*

*ამერიკულ ჟურნალ „ფორბსის" მორიგი რეიტინგის თანახმად, მსოფლიოში, ამჟამად, 407 მილიარდერია. წინა წელთან შედარებით მათი რიცხვი 41-ით ნაკლებია, ხოლო მათი საერთო ქონება თითქმის 200 მილიარდით შემცირდა.*

*„ფორბსის" რეიტინგში პლანეტის ყველაზე მდიდარ ადამიანს, კვლავინდებურად ბილ გეიტსი წარმოადგენს. რომელიც, ძირითა-*

მოვა დრო და ჩვენი მაზანდაც აინევსო... უთქვამს და არაყივით თუ არაკივით დაუყოლებია — ეჰ, ტაშს დაგიკრავენ და შიმშილით მოგკლავენო!

სანდრო შანშიაშვილი (ჩვენი დროის ულამაზესი ლატავრას მამა) იხსენებს ვაჟას ნათქვამს ნიცშეს „ზეკაცზე" — ჩვეულებრივი ნაცარქექიააო!

მთელი ჩემი ცხოვრება პარადოქსია: ვხნავ — ლექსზე ვფიქრობ, ვწერ — სხვა საქმეზე... ხან ერთი მიშლის ხელს, ხან მეორეო!

სიყრმიდან ერთი ასეთი ზნე მჭირდა — კარგ სახელს ვეძებდი. მოკრივეს აქებდნენ — მეცა ვკრივობდი, მოჭიდავესავით მეც ვჭიდაობდი, რათა ფალავნობა მინდოდა. მღეროდნენ — მეცა ვმღეროდი, მაგრამ ჩემი ხმა არ ესმოდათ...

ჰოდა, ლექსმა თვითონ იპოვა მთქმელი!

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდექ, ვლაპარაკობდი ღმერთთანაო!"

ვაჟამ მთის ენა იცოდა, ღმერთებთან სალაპარაკო — მზისა, მთვარისა, ქარისა, წვიმის... საიგავარაკო!

მეტი ღვთის წყალობა რა იქნებოდა!

სემინარიელებს, თურმე, საყვედურობდნენ: ჩვენს ორბიტაში რატომ არა ხართო? მე ჩემი ღერძის ირგვლივ ვტრიალებო! — პასუხობდა. ჟურნალ „ერის" რედაქტორს პეტრე სურგულაძეს ვაჟასთვის უთქვამს:

კაცო, რა არის, რომ ამ რაზიკაშვილებს მთიულური კილოთი წერა ამოგიჩემებიათო. შენი ძმის — ბაჩანასი არ იყოს, სულ ყირაზე დამდგარი გრამატიკით დაწერილი გამოგდითო!

— მე მგონია, მაგ ლექსის კითხვის დროს, თავად დადგებოდით ყირაზე — თქვენც ადექით, ნალმა დადექით და ისე წაიკითხეთო!

ვაჟას ნათქვამია ესეც: შინ მოტანილი ქვაც ქადა არისო!

ერთხელ ვაჟას ჰკითხეს — როგორ გიკითხოთ, როგორა ხარ, საქმე როგორ მიგდისო?

— კაცმა ბულბული დაიჭირა და იმღერეო! როგორ ვიმღერო, კლანჭებში ვარ მოქცეული... ჩემი საქმეც სწორედ ესეაო.

მშიერს უნდა ჭამა, მწყურვალს — სმა, სათქმელს — თქმა, ბატონს — ყმა, მუნჯს — ენა, ყრუს — სმენა, ბრმას — თვალები, ძაღლს — ძვლები, უკბილოს — კბილები, უშვილოს — შვილები!

გიორგი ლომაშვილი: უცნაური კაცი ხარ, ლუკავ. ტყეში ნადირს არ უშვებ, ხეზე — ჩიტს, ჩვენ კი შვლის ნუკრის ცოდვით გვატირებ!

1905 წლის რევოლუციის დროს ცოლს გაუფრთხილებია: ლუკავ, სახლებს ჩხრეკენ, მოდი, შენი ლექსები მიწაში ჩავფლათო.

მიწაში თავი აქვთ დასამარხი, ჩემს ლექსებს საფლავში რა უნდათო!

ვაჟას თბილისში შაურად თავი გაუკრეჭია. დალაქს უთქვამს — ვა, შაური რა არის, „სემიჩკა" ხომ არ მომიყიდნიაო?...

— შენ რომ იცოდე, რა თავი გაკრიჭე, მაგდენსაც არ გამომართმევდიო, — ხუმრობით უთქვამს მთელი სერიოზულობით სათქმელი ვაჟას.

---

*ჩინური ანდაზა: ხალხმა რომ ერთად ამოისუნთქოს, ქარიშხალი ამოვარდება!*

*ერთ გამოჩენილ უცხოელ მწერალს ქართველებისთვის უთქვამს: მანახეთ თქვენი სასაფლაოები და გეტყვით, რა მოგელითო!*

ერთხელ ხევგაღმით დაუცემინებია და ხევგამოღმით შეილისთვის უთქვამს — „ღვთის წყალობა" რატომ არ მითხარიო?

— შორს იყავ, მაინც ვერ გაიგონებდი, — უპასუხნია ვახტანგს.

— ღმერთი ხომ გაიგონებდაო! — უთქვამს ვაჟას.

...სოფელ დიდ თიანეთში მასწავლებლობისას დაძაბული ურთიერთობა ჰქონია მამასახლისთან, რომელსაც, სოფლის სატკივარის უდარდელობის გამო, პირში ეუბნებოდა: მამასახლისი კი არა, მამაძაღლისი ხარო!"

კაფიობაში გაჯიბრებულან ვაჟა და ცნობილი ხევსური მოლექსე ნია ქისტაური. ამ „დუელში" დამარცხებულის კაცური სიალალისაა ეს ნიასეული სტროფიც:

შენ ჯვარობაში მიხვალა,
ფშავ-ხევსურეთის მგოსანი.
შემობოინებ ჭიუხებს,
როგორც არწივი მთისანი!

იქნებ, სულაც აქედანაა ვაჟას მეტაფორაც — „მთის არწივი!"

...1910 წელს, ვაჟას პუბლიცისტურ წერილსაც („სხვათა შორის") შეეხო ცენზურის მსახვრალი ხელი. პუბლიკაციის ბოლოში უნდა იყოს ე.წ. „ნაცრიხარი სატირა" (ამოღებული სტროფი), რომელიც დასავიწყებლად არ გვემეტება (მით უფრო, ამ მრავალპარტიულ და მცირედ სარწმუნო დროში!):

„ვის პარტიულ გრამატიკის
დოგმატიკა სრულად სჯერა,
ვერ აღუგზნებს სიყვარულსა
ჩემი სიტყვა და სიმღერა!"

ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინდელო და ახლანდელო მკითხველო, რა რეგვენი უნდა იყოს ის, ვისაც მისი სიტყვა ყურში არ მიწვდება და გულში არ დაემარხება!

ეს სტროფი კი (თვითმხილველთა მოწმობით) ვაჟას უკანასკნელ ამოსუნთქვას ამოჰყოლია:

„მუხთალო წუთისოფელო,
მე, შენი შეილი გშორდები.
თუკი აქ ვისმეს ვალი მაქვს —
იქედან გაგისწორდებითო"-ო.

ჩვენს ვალში კი არა — მის ვალში ვართ დღემდე და ამ ვალიდან ვერ ამოვსულვართ! თან, მარტო ჩვენ კი არა, მთელი საკაცეთი!!!

დად. კომპანია „მაიკროსოფტის" აქციების ღირებულებით არის გაპიროვნებული.

ფორბსი უკვე მეთექვსმეტედ აქვეყნებს მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების ყოველწლიურ სიას. ტერაქტებმა, ეკონომიკის რეცესიამ და ენრონისა თუ გლობალ კროსინგის მსგავსმა სკანდალებმა, რომ იტყვიან, პირდაპირ გაძარცვეს მსოფლიო მილიარდერები და თუ შარშან მათი რიცხვი 538-ს აღწევდა, წლევანდელ მილიარდებით ტრაბახი მხოლოდ 497-ს შეუძლია. მათი ქონება კი, 1,7 ტრილიონიდან 1,5 ტრილიონამდე შეიკვეცა.

**P.S.** შევდივართ მილიარდერების მდგომარეობაში, მარა ვინ შეგვიმჩნევს?!...

რევოლუციის შემდეგ ძალიან პოპულარული იყო სიმღერა — „დადიანო, დადიანო... მამულები ჩამოგართვეს. გული არ დაიდარდიანო"...

და, ერთი მწარე ხუმრობაც! ერთ მეგრელს უთხრეს

# *მთის არწივს!*

*ეძღვნება ვაჟას სისხლხორცს*
*— ლელა და ზაზა რაზიკაშვილებს*

ვაჟას ვაჟაობაზე
სიტყვა-ღმერთს ვეახელი,
მოკითხვა გადავეცი მთას — მთაწმინდის სახელით,
სადაც განისვენებენ მართალნი და ნეტარნი —
ცათა შინა სწორები — მამანნი და დედანნი!
კაცმა გააღმერთა თუ
თვით განღმერთდა კაცი და
ვაჟას ნატვრა აღსრულდა —
გაწვიმდა და გვაწვიმდა...
ზვიადაურების და ალუდების ასხმაში...
ეუაღდით რაზიკაშვილებს სიყვარულის თავსხმაში!
იდგა ქოხი წყლის პირას — ვით მუზების სასახლე,
მის საქუხარს ქუხდა და ხმას აწვდენდა სხვა სახლებს.
ვიდექი და მათრობდა სურნელება ლექსისა,
ის გამიგებს, ვინც იცის გემო მსგავსის ხვესისა.
არც კალამი მეჭირა ხელში, არცა სასმელი...
ავდექი და გულში ვთქვი — გულის ყურით სასმენი!
...იგავემიუწვდომელო ვეჟო — ვაჟა-ფშაველავ!
რუსთველივით სთველო და განფენილო მთა-ველად.
რუს-თაველად!
რუდ კი არ —
თავად თავთუხ-თაველად —
მეგულები კაი ყმად!
კაი ვაჟად... ფშაველად!
მთქმელი, შენი ბადალი, მთას არც-როს არ ჰყოლია,
შენი სიტყვის სადარი... სიტყვა — ღმერთის ტოლია!
მთა-კაცს ძეგლად მთა გიდგას, ლექსებად — მწვერვალები,
შენმა სიტყვამ გააღო ეს ციცაბო ბჭკარები...
შენმა სიტყვამ შეაღო ეს სამოთხის კარები,
შენი სიტყვა მოგვებღავის, როგორც მთიდან ხარები,
ბალახობას ნატრობენ ცვარ-ნამ-ნამტირალები —
ლექსის ნიაღვარები, ნაიალაღარები.
...ეს არც ზღაპარი არი,
არცა ცხადსა არა ჰგავს...
ცად-მიწამდე თავს უუხრი
შენს ჩარგალს და ჩვენს ცარგვალს!
შენი ჩარგალ-ფარგალი დრო და სივრცის მეტრია —
ეს 9 მთა და 9 ბარი საქართველოს მკერდია!
კლდე-ღრე „შიბნ" ჭიუხდება, ცა სკდება, მთა ქუხდება...
„ღვთის პირიდან გავარდნილ" ლექსს მთის ჰავა უხდება!
...ფიწალივით ხელები —
..არწივივით მზერაა —
შენი ლექს-გახელება
ჩვენი ბედისწერაა!!!
ტოლიც ხარ და სწორიც ხარ —

ერთანაც და ბერთანაც,
„მზე და მთვარე გვენია –
ლაპარაკობ ღმერთიანა!“
..ადამის ძეე –
ღეთის შვილო –
მუზათ მუზაგეტი ხარ –
შენ საკუთარ თავზედაც
ერთი თაეიით მეტი ხარ!
„შენც იმ ჯოგიდამა ხარ“ –
კაცად ზილავ შენს თიხას –
აქანდაკებ სიტყვას და
არც იცი, რომ... ღმერთი ხარ!

* * *

## ლიტერატურათმცოდნეობის ენციკლოპედიის მცირე კონსპექტი

### (კიდევ უფრო მცირე კომენტარებით)

დაილოცა ქართული სიტყვის მადლი და ფერ-უმარილი!

ყოველი სიტყვა საიდუმლო კუნძულივითაა. ყოველ სიტყვას ყოველი მხრიდან უნდა შეხედო, რომ რამე არ გამოგეპაროს. ავიღოთ, თუნდაც, სიტყვა „პიროვნება“. ერთ რამედა ღირს!

არც თვალოვნება, არც ცხვიროვნება... პიროვნება! ადამიანს, მეორენაირად, „პირსაც“ ვეძახით, პიროვნებასაც! სიტყვა „პირი“ სახეა, ისიც „პირით“ ინყება, რადგან „პირისგან“ მოდის პირიანი სიტყვაც და უპიროც, და „ვნების“ სიმძაფრეც ამაშია.

პირია ენის ცხრაკლიტული.

ენისა და კალმის ნვერზე, მათ სიმახვილეზე კი ბენვივით ჰკიდია სიტყვის ბედ-იღბალი.

ამიტომ, სიტყვის სატევრით ბრძოლის ველზე გასვლის ნინ იარაღი უნდა შეარჩიოთ, თვალი გადაავლოთ ჟანრების მოზაიკას!

ჟანრი — ისტორიულად ჩამოყალიბებული მხატვრული ნანარმოების ტიპია. ნიგნი მნერალს ჰგავს. რაც მნერალია — ის ნიგნია! ესე იგი — ნიგნის ტიპი დამოკიდებულია იმაზე... რა ტიპია თვითონ ის კაცი, ვინც ნიგნს ნერს.

შეიცან თავი შენიო! — ასე ანერია დელფოს სამისნოს.

ესე იგი — ნიგნი ავტორის ასლია და ასლი დედანთან თუ სნორია... მაშინ ჟანრს რაღას კითხულობ?... როგორც იტყვიან, ყველა ჟანრი კარგია... მოსანყენის გარდა (ვოლტერი).

სუფრაზე. შენი მიწა-წყლის სადღეგრძელოს რატომ არ სვამო?

— მიწა ჩამომართვეს და წყალი მეისხით უკანო.

ფილის (ტვინის) გამამხნევებელი ვარჯიში!

მთვარესა თუ მზეში;
ღამეში და დღეში;
თავსხმასა და თქეშში;
ცხრა მთასა და ტყეში;
ამ ბუკვსა და ხევში;
ამ კლდესა და ღრეში;
ცოცხლებსა და მკვდრებში;
უგზოობის გზებში;
გზა რომ გავიკვლიოთ...
ძილ-ღვიძილით ვსწავლობ
სიცოცხლეს და სიკვდილს.
სააქ-საიქიოს!

პლატონი იდეათა პირამიდის მწვერვალად სიკეთეს თვლის და მას მზეს ადარებს.

ანა ჩხეიძე:

ფსალმუნში ვკითხულობთ: „მართალი, ვითარცა ფინიკი, აყვავდეს და ვითარცა ნაძვი ლი-

ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი წერდა: Начиная от „Мертвых душ" Гоголя и до „Мертвого дома" Достоевского, в новом периоде русской литературы нет ни одного прозаического произведения... которая бы в полне укладивалось в форму романа, поэмы или повести"..., რის გამოც „ომისა და მშვიდობის" ავტორი ამ საქვეყნოდ აღიარებულ ფუნდამენტურ ნაწარმოებს არც ერთ ტრადიციულ ჟანრს არ განაკუთვნებდა.

ნაწარმოები, შეიძლება, ერთდროულად, რამდენიმე ჟანრსაც კი წარმოადგენდეს.

მახსოვს, როგორი თავსატეხი გაუჩინა „პაემანმა ვერაზე" მეცნიერებს, ლიტერატურათმცოდნეებს, რომლებმაც ვერც ერთ ლიტერატურულ კალაპოტში ვერ ჩასვეს ეს „გარეკილი კალამი" და „აღეირახსნილი სიტყვა"! საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ალექსანდრე ფრანგიშვილი წერდა, რომ იგი „სრულიად ორიგინალური ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებია, რომლის ანალოგი ჩვენს მწერლობაში არ მეგულებაო"!

„გიზო ნიშნიანიძე ზენვის ხიდზე გადის, როგორც მწერალი, მაგრამ ხომ გადისო!"... ავტორმა სწორედ ის ფორმა აურჩია სათქმელს, რომელიც... არავითარ უხერხულობას არ იწვევს დიდი ქართული კლასიკური პოეზიით განებივრებულ ქართველ მკითხველშიო", — წერს სულგანათლებული მორის ფოცხიშვილი.

კარგია ეს თუ ცუდი?

ქებაა ეს თუ გინება?

პუშკინი რომ პუშკინია, ისიც არა ჩვეულებრივ, არამედ ექსპერიმენტალურ ჟანრში პოულობდა სიტყვის გასაქანს და რომან-ლექსებს წერდა!

მთავარია, როგორც კალმოსანთა ამქრის ერთმა დიდოსტატმა ბრძანა: „არც ერთი დღე... სტრიქონის გარეშე!"

„შენ ხილი იხილე და მებაღეს რას კითხულობო" — ერთი ქართული ანდაზის ბრძნული აზრის ფანტაზიისა არ იყოს!

... დოკუმენტური ლიტერატურის „ნდობით აღჭურვილი" ფორმაა ე.წ. დღიურები, მემუარები... მითქვია და კვლავაც ვიტყვი: მიკვირს, რატომ აირჩია იმ ჩვენი ცოდვით სავსე კაცმა ეს ჟანრი და თავზეხელაღებულმა რატომ არ აიღო ხელი ამ წყალწაღებული საქმიდან, როცა თავისი ცხოვრების წიგნს წერდა! აკი ღმერთმა სამსიტყვიან სათაურში 2 „უარი" ჩაუსვა ფონემებად: ედ-უარ-დ შევარდნაძის მემ-უარ-ები!

ხომ უნდა იცოდე კაცმა, რას წერ, როგორ წერ, ვისთვის და რისთვის წერ... რა წერამ აგიტანა!

ეს ჟანრი, საერთოდ, ე.წ. დასწრების ეფექტის თვალსაზრისით, შეუდარებელია და ეს განცდა ჯერ კიდევ ჩვენი ბავშვობიდან, ვთქვათ, დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზოდან" და გოგოლის „შეშლილის წერილებიდანაც" მოჰყვება კაცს. ან მარტო „ანა ფრანკის დღიურები" რად ღირს, ან რა გაშიშვლებული ტალანტის ბაჟაღლო დავკარგეთ ალექსანდრ სერგეევიჩის დღიურების დაკარგვით, რომელიც, უმაგალითო მწერლური გულახდილობის გამო, თვით ავტორმა — პუშკინმა გაანადგურა!

მარტო, ცნობისმოყვარეობა მოგკლავს კაცს იმის გაფიქრებითაც კი — რას ვერ უმხელდა მწერალი საკუთარ თავს და, მით უმეტეს, მკითხველს.

ალბათ, ამ ორში ერთ-ერთი უნდა დამნვარიყო.

... როგორც ძველებურ-ჩვენებურად იტყვიან: დაინოს მისი დამნველი!

მოკლედ და კონკრეტულად: დღიური ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული ლიტერატურული ჟანრია, სადაც ყოველ სიტყვას თავისი გემო აქვს!

ნერის პროცესი!

ფლობერი: არ აურიოთ შემოქმედის შინაგანი ხედვა ავადმყოფურ ჰალუცინაციებში. მათ შორის... უფსკრულის ჰალუცინაციებს ყოველთვის ახლავს შიშის ზარი, იმის შეგრძნება, რომ შენი პიროვნება თვალხელშუა იკარგება და საცაა... გათავდები! პოეტურ ხედვაში კი პირიქით: სიხარულით ივსები, თითქოს რაღაც შემოდის შენში!

... ამას ნინათ, პირველი არხის გადაცემაში „ცხოვრება მშვენიერია", ახალგაზრდა მნერალმა დათო ტურაშვილმა თქვა, ნერის პროცესი სექსს მაგონებსო! რაზეც გუნებაში ვთქვი: ამიტომაც ჰქვია „ნერაობა"-მეთქი!

ამ გადაცემის უმშვენიერეს ნამყვანს — ნინო ქაჯაიას კი, რომელსაც ფერად ტელევიზორში სინითლის ფერმა გადაკრა, ტელეფონით ეს ლექსპრომტი მივართვი:

ტყუილი მართალს სჯობს... ერიპა!...
სწორი ეთქვათ, ღმერთი ვახსენოთ:
თქვენ მართლაც მშვენიერი ხართ —
ცხოვრების... რა მოგახსენოთ!

* * *

კლასიციზმი!..
ისტორიზმი!..
დრო. დრო აღნიშნეო, გალამა.
და რაც დაგეიბარა გალამა —
იგი აღასრულა კალამმა!
როგორც კარნახობდნენ ზემოდან —
და როგორც ხელეწიფებოდა...
მას ღმერთი პყაედა მოკარნახედ —
მის სიტყვას დრო ხელს ვერ ახლებს!
P.S. დიახ! დრო აღნიშნეო — თქვა გალამა...
ახლა რა დროა?
მადლობა ღმერთს, რომ ცნო კალამმა...
დრომაც მადროეა!

## დაზაფრული გაზაფხული

2010 წლის მაისია —
ზაფხული მოდის...
და მოგეეწევა ქვა აღმართში —
ვის, სად და როდის?

ზანისა, განმრავ-ლდეს"...

ცნობილია, რომ ნმ. იოანე ნათლისმ-ცემლის თავის მეს-ამედ პოვნა მოხდა საქართველოში, აფხაზეთის ტერიტო-რიაზე, კერძოდ, სოფელ კამანში, ამჟამად კი ინახება დამასკოში, მეჩეთ-ში, რადგან მუსლი-მანთაც სწამთ იგი, როგორც დიდი წინასწარმეტყველი.

„კვირის პალი-ტრა" 2000, 11-17.09.

ლევან ჯავახიშ-ვილი:

ქუთაისელ მოჭი-დავე მალაქია ჩიხლაძ-ეს (რომლის სხეუ-ლი სამედიცინო სახელმძღვანელოში თვალსაჩინოებად იყო გამოკიდებული) მერე მხოლოდ ომში ყუმბარამ გა-დაუმტვრია მარცხ-ენა ხელი და მარ-ჯვენით განაგრძო სპორტული კარი-ერა!

მალაქია ჩიხლაძე პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპი-ონის დავით ცი-მაკურიძის მე-გობარი და თანატო-ლი იყო. ჰერკულე-სი იყო. — იგ-ონებს ბატონი დავ-

## *საიკვარდე ლექსი!*

როგორც იქნა გაზაფხულდა —
დაადგა საშეელი...
გათბა ეს ქვეყანა ციეი —
ცა ფეხით მოდის და მიწაზე ეშეება...
წვიმების წვეთების მძიეი.
ან მზეს რა აცინებს — სად იყო აქამდე,
რად ეფარებოდა გორას —
თვალს რომ ვერ გვისწორებს,
თეალს რომ ვერ ვუსწორებთ
და ცეცხლის ბურთიეით გორაეს.
ზამთარმა ყინულის დაყარა ფარ-ხმალი,
იმღერა სიმღერა გედის.
თვალსა და ხელს შუა მწიფდება ალუჩა —
ზაფხული ძალაში შედის.
ალუჩებს ტუჩებში ვკოცნით და ალუბალს
საყურედ გოგოებს ეკიდებთ —
მარწყვეიეით პატარა გოგოებს ვაცილებთ...
თეალით და ვადიდებთ დიდებს.
ეინ ქალობს, ეინ კაცობს,
...ეშმაკიც ვერ არჩევს
ქეებუდანასა თუ ზედანს!
ბუნება არ ხარობს და კაციც მწუხარობს —
გაზაფხულს დაზაფრულს ხედაეს.

* * *

რითმა!

რიტმი!

სიტყვის მუსიკაა.

რითმა ფრთებია — ამბობს ანა ახმატოვა. თეთრი ლექსი, ზოგჯერ, ულექსობის შავი დღისაა.

ურითმოდ ვერც გაფრინდები და ვერც გააფრენ!

„მე სულ სხვა რამე მინდოდა, მეთქვა,

მაგრამ სხვას ამბობს ნყეული რითმაო!" — დაუტკბია სიტყვის სიტკბოს სიმონ ჩიქოვანი.

ქართული ენის სილამაზეს მარტო გალაკტიონის „სილაში ვარდი" და „სილაჟვარდეც" ეყოფოდა.

ჩვენი სულიერების უსიერ ტყეში თუ ცის კამარაზე სულ დავეძებ „ტყუპისცალ" სიტყვა-ღმერთებს, რომ მერე „ხმა ვედრების ხავერდებით" მივნვდე სულის გასაღებს, სააქაო-საიქიოს მოსატანს თუ ნასაღებს!

ყველა ენას თავისი ხიბლი აქვს!

„მაგალითად, მონღოლურ ენებში არსებობს სანყისი რითმა, ძველი-

---

*ილია: მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — პირს უკანაო!*

*სტეინბეკი: მოხუცებულობა, უვიცთათვის — ზამთარია, სწავლულთათვის — დრო მკისა!*

*ბუასტი: შვილების გამნებიერებელი მშობლები მათ... უბედურებისათვის ამზადებენ.*

ეტნამურ პოეზიაში რითმები ახირებულად, ობროდ-ულ-ხუმტურიანადაა განლაგებული სტრიქონების შიგნითა და ბოლოებში; ძველესპანურ რომანსე-როებში ყოველი სტრიქონი გვირგვინდება თანხ-მოვნებით (მრავალჯერადი რითმა)...

ქართული ლექსის მრავალჟამიერით თუ კრი-მანჭულით კი ცაზე ვარსკვლავს მონყვიტავ და ჯოჯოხეთს სამოთხედ აქცევ.

ამიტომ, მივეცი ჩემს თავს ნება, ეს ორძალი მეთქვა:

ღმერთების ენით — ქართულით, თითქმის...
სათქმელიცა და უთქმელიც ითქმის!

...იქნებ ეს ჩემი ოთხნიგნედი ქრონიკებსაც ჰგავს ანუ მატიანეს ნარმოადგენს — ლიტერატურ-ის ეპიკურ-დრამატულ სახეობას, რომელსაც ფეს-ვები ზეპირ ხალხურ მეტყველებაშიც აქვს გადგმუ-ლი. როგორც ცნობილია, აღორძინების ეპოქიდან — ქრონიკებში უპირატესი ყურადღება გადადის ადამიანზე!

დღევანდელობაში ქრონიკის ჟანრმა ახალი სა-სიცოცხლო იმპულსი მიიღო, რომელიც კიდევ უფრო ზუსტად პასუხობს მნერლებისა და მკითხ-ველების მზარდ ინტერესს დოკუმენტის, რეალური ისტორიისადმი!

...ანდაზებსა და თქმულებებს კოლექტიური ავ-ტორი ჰყავთ. იგი ხალხურ შემოქმედებად ითვლება და მათ გარეშე არ არსებობს პროფესიული ლიტ-ერატურა, რადგან მათშია აკუმულირებული, რაფინირებული, საუკუნეობით დაგროვილი, პირ-იდან–პირზე გადასული, ყურიდან-ყურამდე მიტა-ნილი ხალხური სიბრძნე, რომელსაც ახასიათებს აფორისტული ელვარება, აზრის სიკაშკაშე! ისინი ორგანულად შეერნყნენ ახლო აღმოსავლეთის ეპოსს, ბიბლიას, ყურანს, ინდუსების დიად ნიგნს „პანჩატანტრას" და სხვა.

ხალხური „მარგალიტების მაძიებელი" გე-ნიალური პუშკინი აღტაცებას ვერ მალავდა, როცა კოლექტიური შემოქმედების ამ მარგალიტებს ნაან-ყდებოდა: ღმერთო ჩემო, რა ფუფუნებაა, რა აზრი დევს, რა გაგებაა ამ გამონათქვამებში! ეს რა ოქროს პატრონები ვართ! ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი ბრძანებდა: Вот как хорошо сочиняют мужики... Слов мало, чувства - много! ვ.ი დალი ნერს, რომ ანდაზა მოკლე იგავეია. რომაელი სატირ-იკოსი პერსიუსი კი სულ მაღლა სნევს თამასას და ამბობს, რომ ერთ კარგ ანეგდოტში ან ქარაგმაში „ილიადასაც" გავცვლიდიო!

ნამეტანია! მაგრამ, როგორც ისევ ანდაზა ამბობს: კაცია და გუნება!

კალამთან ჩემი პირველი შეხება ჟურნალისტი-

ითი. ჩოქბურენში მისი მომრევი და ადვილიდან დამ-ჭერილი მოჭიდავე არ იყო მხოლოდითი.

დღესაც, ჰელსინკ-ის ოლიმპიურ ჩემ-პიონთა მუზეუმში, ოლიმპიელ ჩემპი-ონთა გვერდითაა გამოფენილი მალოვა ჩიხლაძის სურათი და მას ანწერია „ცალ-ხელა ჩემპიონი"!

თუ გული გულობ-სო, ცალი ხელია-ცაო!... ამას ჰქვია.

„კვირის პალი-ტრა"

ეთნოგრაფი და ალპინისტი მოთა ჩართოლანი:

პამირზე საკუ-თარი ყურებიც ამძ-იმებს კაცს!

საქორნინო კან-ცელარიაში:

— ქალბატონო, როგორი ქმარი გინ-დათ — ქერა თუ შავგვრემანი?

— ნითური მირ-ჩევნია! იცით, სახ-ლში ნითელი ავეჯი მაქვს!

„კვირის პალი-ტრა".

**P.S.** ახლა, ეს ხუმ-რობაა და მალე, მე-ძლევა, მთლად ხუმ-რობაც აღარ იყოს!

ჰომეროსი იმდე-ნად ღარიბი იყო.

კით, პუბლიცისტიკით (ანუ საზოგადოებრივი თემატიკით — სტატიებით, შენიშვნებით, რეპორტაჟებით, მიმოხილვებით, ფელეტონებით, ნარკვევებით, ინტერვიუ-ეუიებით, კორესპონდენციებითა და სხვა საჟურნალგაზეთო ჟანრებით) დაიწყო, რაც ფაქტებთან და მოვლენებთან იყო მჭიდრო კავშირში და, ბოლო-ბოლო, ლიტერატურის მხატვრულ-დოკუმენტურ პროფილში გადაიზარდა.

ყველაზე „შილიფად" ანუ „კომფორტულად" ჩემს ტყავში კი მაშინ ვგრძნობდი თავს, როცა სატირისა და იუმორის ჟანრში ვეძებდი გასაქანს, რადგან როგორც რევოლუციამდელი საქართველოს სატირულ-იუმორისტული პერიოდიკის ისტორიაში ვნერდი: სატირა და იუმორი არის ყველაზე კეთილშობილი „ჯალათი" —კომიკოსი, რომელსაც „გილიოტინაზე აჰყავს": პოლიტიკისათვის — აპოლიტიკური, ესთეტიკისათვის — არაესთეტიკური, კეთილისათვის — ბოროტი, კარგისათვის — ავი, ფილოსოფიისათვის — დრომოჭმული, მორალისათვის — ამორალური და მილიონობით ხალხის თვალწინ საქვეყნოდ ჭრის თავს!

Слово "юмор" происходит от латинского "humor". По принятым в средневековой медицине представлением, нрав человека определяется особым соотношением в его организме жидкостей: крови, желчи, воды, лимфы...

Эпоха Возраждения, поставившая в центр мироздания человеческую личность, по-настоящему открыла стихию юмора, отправив путешествовать по дорогам Испании комических чудаков - Дон Кихота и Санчо Пансу!

როგორც ცნობილია, მხატვრულ სიტყვასაც ახლავს ე.წ. „აკრძალული ზონები", რომელზეც „ხელის ნაცდენას" ლიტერატურული ქურდობა ანუ პლაგიატი ჰქვია, რაც ლათინურ ენაზე „მიტაცებას" ნიშნავს. სხვის აზრს თუ ბრჭყალებში არ მოაქცევ, თვითონ მოექცევი სხვის ბრჭყალებში და ცხვირიდან ძმარს გადენენ.

როგორია მწერლის შრომა — ადვილი თუ ძნელი?

ამის პასუხი იმ ერთი წერილიდანაც ჩანს, რომელსაც ფლობერი ახლობელს წერდა: „ისე დავიქანცე, გეგონება, მთები გადამედგას. ხანდახან მეტირება. წერას ზეადამიანური შრომა ჭირდება, მე კი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ."

ერთ ჩემს სატირულ-იუმორისტულ კრებულს („სიცილ-სიცილში"), რომლის ბენვის ხიდიეით გადებულ ტირე-ბაგირზე ჯემალ ლოლუას ნახატი — ჯამბაზი მიწონასწორობდა... შოთა ნიშნიანიძის ლექსით ვამთავრებდი: „როცა მავთულზე გადის ჯამბაზი და ფათერაკი მართავს მასკარადს (რადგან სიმაღლეს და რისკს აფასებს)... სდუმს დარბაზი და სდუმს მასხარაც"! ამ სტროფს კი ამთავრებდა ჩემი აღიარებაც: ეს გიზო ნიშნიანიძის სიტყვები არ არის, ეს შოთა ნიშნიანიძის სიტყვებია, მაგრამ თუ კაცს სასესხებლად შეექნა საქმე, ჯობია, ისევ სახლიკაციდან ისესხოს, ქვეყანას მაინც არ შეუყრის, გამქურდესო!

P.S.ისე, რამდენი ჩემი სიტყვა დამხვედრია წინ — „სხვისი ავტორობით". ეს ღმერთმაც იცის და ეშმაკმაც, მაგრამ ზოგიერთს, ახლა, მხოლოდ შინაგანი სიამით თუ ვიგონებ!

მაგალითად?...

თენგიზ აბულაძეს, რომელიც „მონანიებით" იყო შეპყრობილი, მე მოვუყევი „ზემელზე", გასული საუკუნის 37-იან წლებში ქუთაისის პარტიის ქალაქკომის ყოფილი მდივანი თედო კორსაველი გადასახლებიდან — შორეული ციმბირიდან ხის მორებით როგორ „ანვდიდა" შინაურებს ცნობას (გვარსა და სახელს აწერდა!) მისი ყოფნა-არყოფნის

შესახებ — რაც მერე კინოფილმში ყველაფრის ნახ-ერხად ქცევის სცენად იქცა!

რეზო გაბრიაძის „არ დაიდარდოშიც" — სიმღ-ერა „ვატატაია" (დღეს რომ ყველას პირზე აკერია), ვალოდია მებურიშვილის რეპერტუარიდანაა და სწორედ მე მივართვი მუსიკალურ სუვენირად ფილ-მის მესვეურებს.

მეტსაც გეტყვით: თვით ამ კომპოზიტორ ვალოდია მებურიშვილის უპოპულარეს სიმღერაში „ვარდების კოშკი აგიგე", რომლის ტექსტის „თა-თარიახნი" ავტორი ჩვენი ქართლოს კასრაძეა, ერთი მუსიკალური ფრაზა მე მკუთვნის!

აი, ისიც: „ამდენი რამე მოგართვი... ღიმილიც კი არ მაღირსე!"

ღიმილი კი არა, თვითონ კომპოზიტორმა შუბ-ლზე მაკოცა და მაღარიჩიც იკისრა!

ამას, ამ მარგალიტების ავტორებთან შემო-ქმედებითი თანაზიარობის სიხარული მალაპარაკე-ბს და არა თანაავტორობის სიამაყე!

* * *

გენიალური „შენ ხარ ვენახის" ავტორი დავით აღმაშენებლის ძე — დემეტრე პირველი გახლავთ. ასეთების „პირველობას" თვით უფალი წყვეტს!

* * *

ფირდოუსს, შაჰ-ნამეს ყოველ სტრიქონში, შაჰ-მა თითო თუმანი გადაუხადა.

* * *

თურმე, რახმანინოვის ხელის მტევანი 12 კლავ-იშს სწვდებოდა.

* * *

მუხრან მაჭავარიანმა ინტერვიუში მკითხვ-ელს... თანაავტორი უწოდა.

მწერლის შემფასებელიც და დამფასებელიც... მკითხველია, რომელმაც ამ უდროობის დროს დრო გამონახა შენს გულში ჩასახედად და შენს სულთან ერთად გასაფრენად.

* * *

უცნობი: კაცი მაშინ ხდები მწერალი, როცა ყვე-ლა საგანსა და მოვლენას სიტყვაში ნააღებ ხელს. 125 000 სიტყვაში როგორია ერთის ნახვა!.. ღმერ-თი თუ არ მოგეხმარა — ეშმაკი ვერ გაპოვნინებს.

რომ ქალიშვილს მზითვად თავისი წიგნი გაატანა (თუმცა თვით ეს წიგნი იყო დიდი სიმდიდრე).

ჩინური სიბრძნე: „სჯობს, უქონელს ერთხელ მიეცეს ანკესი, რომ შემდეგში დამოუკიდებლად დაიჭიროს თევზი, ვიდრე ყოველდღე მიეცეს თევზი, რომ გამოიკვებოს".

გიყვარდეთ მტერნი თქვენნი, და აკურთხევდით მაწყევართა თქვენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა, და ულოცევდით მათ, რომელნი გმძლავრობენ თქვენ და გდევნიან თქვენ.

სახარება მათესაგან — 5, 44.

ჩანასახს, თურმე, დედის წიაღშიც ესმის.

სპეციალისტების მონაცემებით, ადამიანი... მთელი ცხოვრების მანძილზე 35 წლიწადი ფეხზე დგას, 25 წელი სძინავს, ზის — 17 წე-

* * *

გორკი: ბავშვებისათვის ისე უნდა წერო, როგორც მოზარდებისათვის... ოღონდ უფრო უკეთესად!

* * *

ჩვენი წინაპრები, საწერ მასალად, უფრო ხშირად, იყენებდნენ ლერწმის, იშვიათად ფრინველის ფრთას და ლითონის კალმებსაც. ლერწმის კალამს იმის მიხედვით თლიდნენ, თუ რომელი დამწერლობით უნდა შეესრულებინათ ტექსტი — ნუსხურით თუ მხედრულით. ყველა დამწერლობას თავისი სტილი აქვს.

## *სიყვარულიდან — სიძულვილამდე!*

...მე ასე კაცი არ მყვარებია —
...მე ასე კაცი არ მძულებია —
ავიც და კარგიც, თეთრიც და შავიც —
ამ ერთგულებით მიგულებია!

* * *

**პროფესორი ვასილ კიკნაძე:**

ცნობილი ფაქტია. ერთად შეიკრიბნენ ილია, აკაკი და რაფიელ ერისთავი. იხილავდნენ ქართული თეატრის საკითხს. ილიამ უთხრა მათ: რაფიელ და აკაკი, დავაფინანსებ თეატრს, ოღონდ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეთო. აკაკის ჩაეღიმა: — შენგან არ მიკვირს, ილია, რას მეუბნები?! განა, შეიძლება, ორ ქართველს ერთი საქმე დაევალოს?! მე და რაფიელი ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლას მოვუნდებით და საქმეს წინ ვერ წავწევთ. ან მე ვიქნები, ან — რაფიელი. ერთი ქართველი გმირია, ორი — ერთმანეთის მტერი.

მახსოვს, გიმნაზიის წინ აკაკისა და ილიას ძეგლი რომ იდგმებოდა, ატყდა ერთი ამბავი, ილია და აკაკი ერთად რატომ უნდა დადგანო. მსჯელობდნენ, რომელი უფრო დიდი იყო, „პირველობა" რომელს უფრო ეკუთვნოდა? ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, ბოლოს ნოდარ დუმბაძემ თქვა: გააჩნია, რომელი მხრიდან მოდიხარ და პირველად რომელს შეხედავო!

* * *

პერსპექტიული კვლევების ლაბორატორია „ჰიტაჩის" სპეციალისტებმა შექმნეს ტექნოლოგია, რომელსაც ადამიანის ფიქრების გადმოცემა შეუძლია.

ა, როგორია? არავითარი წერა-კითხვა — „ჰიტაჩი" და მისი ჯანი!

P.S. აღარც მტკვრის პირას წასვლა დაგჭირდება კაცს ,,სევდიან ფიქრთ გასართველად" და აღარც სხვა ნაცნობი ადგილების ძებნა ,,გასასვენებლად"!

## *წერა-კითხვის უნარი*

წერა-კითხვის, ასევე, საკუთარი ემოციების გადმოცემის უნარი ქალებს მამაკაცებზე მეტად აქვთ განვითარებულიო! ეს უნარი ტვინის ორი სხვადასხვა ნაწილით კონტროლდება და ზომით ისინი ქალს უფრო დიდი აქვს, ვიდრე მამაკაცს. ასე ამბობენ, უმეტესად, თვითონ ქალები! მოდი რა, ნუ შევაჯიბრებთ ერთმანეთს, ვის — რა აქვს უფრო დიდი!

* * *

მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი წიგნი ლეონარდო და ვინჩის „ლესტერის კოდექსია", „ტრაქტატი წყალსა, მინასა და ზეციურ საქმეებზე"! ძვირფას ქაღალდზე სარკისებური შრიფტით შესრულებული ტილოსყდიანი წიგნი ბილ გეიტსმა 24 მილიონ დოლარად შეიძინა.

* * *

შარლ აზნავურს უთქვამს, ჩემი მსმენელი ჩემთან ერთად ბერდებაო.

P. S. ვაი, თუ ჩემი მკითხველიც ჩემთან ერთად იწყება და თავდება!

* * *

„იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია." (ილია).

* * *

ყველაზე საუკეთესო ადგილი, ძეგლი მწერლისა და მკითხველის შეხვედრისა... წიგნია. მისი დაწერა მწერალს უნდა უჭირდეს, რომ მკითხველს ულხინდეს. წიგნი ძნელად უნდა იწერებოდეს, რომ ადვილად იკითხებოდეს.

* * *

ღმერთების კარნახით
წერილი ტექსტები...
ჩემი რეფლექსები —
არის ეს ლექსები!

* * *

ყოველის შემოქმედს,
მადლი უფალს — მამაზეციერს!
სიტყვა-ღმერთია თვით საუფლო ბაღი ედემის —
უზენაესი — არსთ გამრიგე... სად არ ვეძიე —
შემოქმედია — შემოქმედი — შემოქმედების!

* * *

დრო იყო...
ვინ — რას უწყოდა —
ქატო — აქ, ფქვილი — იქა.
ვიღაცამ ქვეყანას უწოდა —
საქართველოს ფსიქიატრიული რესპუბლიკა!

ლიწადი. ადამიანი 1 წელიწადი და 258 დღე... იცინის; ტანისამოსს იხდის 1 წელი და 170 დღე; გრიპით დაავადებულია 1 წელი და 135 დღე. დღესასწაულებს ზეიმობს 1 წელი და 10 დღე; რიგში დგას (აშშ-ში) 500 დღე; ტელეფონით საუბრობს 180 დღე; ტუალეტს 150 დღეს ანდომებს. სექსზე კი 100 დღე მიდის. ზუსტად იმდენივე, რამდენიც კბილების გახეხვისთვისაა საჭირო. ასე რომ, ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მოკრძალებული ადგილი სექსს უჭირავს.

პასადენის ობსერვატორიის მკვლევარი ფრიდმანი პლანეტების სიჩქარეზე 8 წლის დაკვირვებით ასახელებს ჩვენი სამყაროს ასაკს: 13.5 მილიარდი წელი.

**P.S.** ამ ხნის... პლანეტას მეტი ჭკუა მოეთხოვება.

იაკობ ბობოხიძემ მომასმენინა 11 სექტემბრის ამერიკული ტრაგედიის ამსახველი თავისი მუსიკა, რომელიც

* * *

რაციონალურ მარცვალს თუ დაეძებ,
ნაქურჩელში არა, შარა... ტაროში არი.
მიბიდულობის კანონის ძალა —
მიმბიდეელობის კანონში არი!

* * *

ნიკოფსიიდან — დარუბანდამდე!...
მქონდა ქვეყანა და აღარა მაქეს.
მაინც „ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი" —
კვლავ რიხით მამცნო ბუკ-ნაღარამა!
ისე დაგვექცა ცა და მიწანი.
მოყვარე... მტერი ვეღარ ვიცანი.
და საქართველო —
დედა-სამშობლო —
აღარა მრჩება დასაფიცარიც!

* * *

ქარიშხალი, წყალდიდობა, მეწყერები, ზვავები...
ღვთისწყრომაა განგებისა — ბუნების გაავებით.
დარია თუ ავდარია — კაცი უნდა დაფიქრდეს —
ცხრათვალა მზეს რა აცინებს?
შეიდპირ ცას რა აფითრებს?

## *კოტე ყუბანეიშვილს*

(რეაქტიული კლუბის მესვეურს.
ახალ ვერელს — ძველი ვერელისგან)

ყველაფერს აქვს თავის დრო და თავის ბედიო...
არის ტრაგედია უგმიროდ და გმირი... უტრაგედიოდ!
ძველი ვერის „პავმანს" რადგან ვერ მოუსწარი,
ახალ ვერის სახელით დაგვიწერე უსტარი!
თუ ცეცხლს არ გაანელებ — დიდ სამსახურს გაგვიწევ — ოღონდ, საცა თქვენი თქვათ, ჩვენიც არ დაგავიწყდეთ!..

* * *

სიტყვაა ოქროს გასაღები და
ყველა ცხრაკლიტულს აღებს...
პელენგატორივით ვაცეცებ კალამს და
ვეძებ რითმებს — ვით ნაღმებს!
ფიქრებით დანაღმულ თეთრ ქაღალდზე,
როგორც ფეთქებადსაშიშ ველზე...
ვეძებ და ვიცნებობ გულახდილ სიტყვაზე,
ქალწულზე — მთლად შიშველზე!

* * *

წუთისოფელი ასეა —
წუთისოფელი ესაა —
ვისათვის — მუხამბაზია —
სხვისათვის — წუხილ-კენესაა!

* * *

ვინ და სად გაკრავს კბილსაო,
ვინ ჭამს და ვინა ყრისაო,
ზოგი ცხვრის, ზოგი მგლისაო —
ის — ესა, ესა — ისაო...
გამოიცალა ქისაო!

* * *

„სიუ“ იყო ჩვენი დროის პაროლი.
„სიუ“ ერქვა ყველა გამელელ ანონიმს —
ქვეცნობიერს იმ ჩვენს რია-რიარიზმს —
ვუწოდებთ:
ზერეალიზმს ანუ სიურეალიზმს!

* * *

დროთა ქარტეხილებს თუ ჩაუსაფრდები —
ცხოვრების მორევში გაშალე აფრები.
შენ გზით იარე, ზურგის ქარს ნუ ელი —
ნუ ეძებ დაფნებს და მოგძებნის დაფნები!

*დავით სარაჯიშვილის მემკვიდრეს გუჯა ბუზუკიშვილს!*

არა მარტო ხათრითა და
არა მარტო ზრდილობით,
ლოცავე ყველა სალოცავებს
ქართველობის პირობით:
ქართული სიტყვით,
ქართული ღვინით,
ქართული კონიაკის...
გულახდილობით!

* * *

*ჩემი თაობის ვარსკვლავებს!*

როცა მზე ამოდის...
ვარსკვლავებს სძინავს.
სიყრმის მზე ჩადის და
ვარსკვლავი ბრწყინავს!

*ხალხური სიმღერისა და ძლიერ განცდის ნაზავია.*

*ლექსი ვენახეულოში ტრაგიკულად დაღუპულ გვანცა მერგელაშვილს:*

*ჩვენი ფერია!*
*ჯვარი გწერია.*
*ცხადში — ზღაპარი, ზღაპარში — ცხადი...*
*ახლა მეშვიდე ცაზე გელიან,*
*რომ ანგელოზად გამოგაცხადონ!*

*თბილისის სახაზინო თეატრში მიმდინარეობდა ოპერა „ბალმასკარადი“. ერთ მომენტში, სცენაზე, უცბად გამოვარდა ბალერინა, რომელიც ძალზე გამხდარი იყო და ცარიელ ძვლებადღა მოჩანდა. იმავე დროს მას აქეთ-იქიდან ეცა ორი მოცეკვავე ვაჟი და მათ ერთად განაგრძეს გაცხარებული ცეკვა-თამაში. თეატრში მყოფ აკაკი წერეთელს ჰკითხეს: „რა აზრის ბრძანდებით არტისტების თამაშობაზე?“*

*— ორ ძაღლს ერთ ძვალზე აქეთ ჩხუბიო! — მიუგო აკაკიმ.*

თუ ლოდსა — სამარის საფლავის ქვა ჰქვია...
მოწყვეტილ ვარსკვლავებს მიწაზე რა ჰქვია?
რაც ღვთის წყალობაა, ის ასე იცნობა:
აქ — წუთისოფელი!
იქ — მარადისობა!

* * *

მოსვლა — სიხარულია,
წასვლაა — მწუხარება.
თუმცა, კაცმა არ იცის — განჯეაა თუ ხარება.
მკვდრეთი და უკუნეთი... უკუნისით იცნობა?
სად ეს წუთისოფელი და სად მარადისობა?
ღმერთის ენით, შემთხვევით, არარა იხმარება:
სიტყვა „მწუ-ხარებაშიც“
არის რაღაც „ხარება“!

* * *

დედის, მამის ვალს ვერ გადაიხდი
თუნდ, მათი სახე ხატზე გეხატოს...
მშობლების ამაგს, რასაც ვერ იხდით —
სამშობლოსათვის გადაგეხადოთ!

* * *

ჩემი — პირი, შენი — ყური...
ლექსი — სიტყვის თაიგული.
ვერ აგორებ?
თუ არ იქნა —
კაი მთქმელი და გამგონე!

* * *

ზოგს რომ ეცინება —
მაშინ მეტირება...
სხვა ჭკუაზე ვარ და
მრავალწერტილებად...
საშინელებაა ლხინში მარტოობა —
შენზე ბედნიერი რომ არ გეგულება!

* * *

**(„კვირის პალიტრის“ პირველ „ინდიქტიონზე“
ანუ 15 წლისთავზე ნათქვამი სიტყვა)**

ქვეყანა იქცა ყაყანად და
გლოვის კარავად...
„კვირის პალიტრას“ ვკითხულობ და...
მარტო არა ვარ!

* * *

ცხრათვალა მზე თუ ბადრი მთვარეა,
(რითაც მშვენდება არემარეა),
დღე და ღამე
თუ რამეს უქია:
დილით — მზე,
ღამით — მთვარის შუქია!

* * *

იმ უდროო დროისას
ეწრი და ეკერავ ტექსტებით —
საუკუნის გასაყრის —
თავსაყარი ლექსებით.

* * *

„მირბის, მიმაფრენს ჩემი მერანი“,
კალამი ჩემი წერის წერაა —
ესაა ჩემი ბედი-მწერალი,
ანუ ეს ჩემი ბედისწერაა!

## 13

ეილაცა, ჩემის 18-იანებს —
ის თარს რიცხვადაც კი ემეტებათ.
სხვისთვის — „გოჭიევით რაც ეკვეტება“ —
13 — მეტი მე არ მე-ცა-მე-ტება!

* * *

აესა და კარგს ასე ეწედები!
(გულის სასწორს სხვა რა სჯობს...)
ბოროტებას ეუსაფრდები
და სიკეთეს ედარაჯობ!

## *ლირიკის ხუმანცია*

თვალის-უფლება როდი მართავს თვალსაწიერსა.
ყურის-უფლებას ვაიგივებთ ყურის გდებასთან.
გულის-უფლებით გამოეხატაეთ კაცის იერსა.
ხელის-უფლებას რა ხელი აქვს
სხვა უფლებასთან!

* * *

თუმცა, დრო კი წელავს...
მადლი ვუთხრათ გამჩენს!
ბოლო-ბოლო, ყველა
თავის სახეს აჩენს!

*<u>ყურადღება:</u> „ერის ცხოვრებაში არის მომენტები, როცა ღალატი საკუთარი მთავრობისადმი, რომელსაც ქვეყანა დაღუპვისაკენ მი-ჰყავს, პატრიოტის უმაღლეს მოვალეო-ბად იქცევა“.*

*„ფუმეს იმიტომ სძულს ასე ძლიერ ადამიანები, რომ ძალიან კარგად იც-ნობს... საკუთარ თავს...“*

*გურული ავსებს დეკლარაციას.*
*კითხვაზე: — რაა თქვენი შემოსავა-ლი? — მისი პასუხი ლაკონურია:*
*— ქიმკარი!*
*ალიკო მაჩაიძე. თერჯოლა.*

*<u>სვანი მონადირის ნათქვამი:</u>*
*ჯიხვი ზევით არ იხედება, რადგან ჰგონია, რომ მასზე მაღლა ვერავერს ძალუძს ახედვა, ამ-იტომ, თუ გინდა სათოფედ მოიხელ-თო, ზევიდან უნდა მოექცე.*
***P.S.*** *ზოგ სხვა რქიანსაც მოსდის ეს, რადგან მასზე მაღლა ვერავის წარმოუდგენია!*

## *ლექსპრომტი!*

### ალავერდი ქანდაქარ თეიმურაზ (ჭიყო) ჭყონიას მიერ გამოქანდაკებულ ჩვენი თაობის თავებთან!

იყვნენ კაცები — გრგვინავდნენ, ქუხდნენ.
ულხინდათ — ლხენდნენ, საწუხარს — წუხდნენ.
დრო უხდებოდათ, დროს უხდებოდნენ —
სიკვდილითაც კი არა კვდებოდნენ.
(მიდიოდნენ და მაინც რჩებოდნენ)...
...ცოცხლობს ისიც, რაც გულში მარხია —
მე რაც მინახავს — ისევ ვნახეა!
ამ ძმობის ეშხით იწვის ქაღალდი!
გათენდი დილავ, დღევ, არ დაღამდე —
სიყრმის მზე მომდევს ვერის ბაღამდე.
ასეთია ეს ქვათა ღაღადი!

* * *

სიტყვა-ღმერთის აღსავლისაკენ,
ფონად...
ფონემის კარი აქვს:
წარ-სული... სულით სულდგმულობს,
მომა-ვალს — ქვეყნის ვალი აქვს!

* * *

ღვთის მადლით,
წყალობით,
განგებით,
ღვთის ნებით —
მანამდე ვიქნებით — სანამდე ვიქნებით...
ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, ფიქრები —
მაშინ სად ვიქნები, როცა არ ვიქნები?
ცრის, როგორც ფიფქები,
ცრის, როგორც ფიფქები,
ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, ფიქრები...
ოცნებით, ლოცვებით...
ლოცვებით, ოცნებით —
ვეორდები, ვსამდები, ვათდები, ვოცდები...
ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, ფიქრები...
მოვდივართ,
მივდივართ
და რჩება... წიგნები...
და, თუკი, როდესმე, ჩემს ამბავს იკითხავ...
ეს წიგნი იკითხე
და მე წამიკითხავ!..

---

*ალბერტ კამიუ: თავისუფალი პრესა არის კარგი, ან ცუდი, მაგრამ თავისუფლებადაკარგული პრესა — მხოლოდ ცუდია.*

* * *

მე, ამ ცხოვრებას, სულ მისხალ-მისხლით
ვუთვლი... რამდენჯერ გამიშრო სისხლი,
რაიც ცხვირიდან მადინა ძმარად...
რაც, ოფლთან ერთად, ცრემლებად ღვარა!

* * *

გულის გასატეხ სიტყვას გავტეხავ...
ვისთვის ტყუილი ჰობია.
სახელისა და სიტყვის გატეხას...
თავის გატეხა ჯობია!

## დიდუბის პანთეონი!

დიდი... ისე ჰქვია, თორემ სულ პატარა უბეა —
სულ პატარა ღობე-ყორე — ერთი ცრემლის გუბეა.
დიდუბეა ნატერფალი მუზების და მერნისა —
და საუფლო თეთრ უფლისა —
ღვთისმშობელის დედისა!
დიდუბეა დიდი უბე ჩასვენებულ მზეთა მზით...
მზე მოწყელის სევდის ღრუბელს —
სიკვდილშიაც სიცოცხლით!

* * *

რა კაცნი გვყოლია —
რა განძი გვქონია —
სად გაქრა წარსული დიდება?
ვერ აგვიწონია —
სიზმარი გვგონია —
ჭირი გვჭირს
და ცეცხლის კიდება!

* * *

ვინ ტყუის და ვინ სწორია...
ვინ რით წონის უკუნეთს —
საქართველოს ისტორიას...
სეირიეთ უყურებს!

* * *

აფხაზეთო —
ძველო დიოსკურია!..
მწყურვალი ვარ — შენი ნახვა მწყურია.
განმუხურმა გულის კარი მოხურა —
მომენატრა „პაემანი სოხუმთან"!
მახსოვს, ის მზე როგორ გვწვავდა მაღლიდან...
ჩემი სიყრმე... ფეხს არ იცვლის გაგრიდან!

<u>ჯანსუღ ჩარკვიანი:</u> „სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფლიოში ტოლი არ ჰყოლია. მან მიიღო ხისკავიანი რუსეთი და დატოვა იგი ატომური იარაღით აღჭურვილი".

...იალტის საკონფერენციო დარბაზში მისი შემოსვლისას „ჩვენ თითქოს ბრძანებაზე ვდგებოდით და, რა საოცარიც არ უნდა მოგვეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაშეშებული".

ჩერჩილი: „ის... გენიალური იყო".

<u>გაგა ლორთქიფანიძე:</u> ძნელად თუ მოიძებნება ისეთი წყვილი, როგორიც მედეა (ჯაფარიძე) და რეზო (თაბუკაშვილი) იყვნენ. მახსოვს, ცისფერ პერანგში ჩაცმულ რეზოს, რუსთაველის პროსპექტზე. გვერდით მიჰყვებოდა ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი მედეა. მსგავსი წყვილი არსად მინახავს.

## სადაც თქვენი თქვათ!

ო, სიტყვა-ღმერთო, ერთადერთო –
ღვთის მადლით აზრად,
რადგან ჩამოგქნეს
და სანთლობა ტაძარში განდეს –
თაობებსა თუ უთაობებს,
მე სულის საგზლად...
აეის და კარგის გასარჩევად ეუტოეებ ანდერძს:
წარსულს სულ სული უბერეთ, რომ სული გადარჩეს
და რაც სიცოცხლის ღირსი არის, ის არ დამიწდეს.
დრო, დრო აღენიშნოთ და ეადროოთ დროის განაჩენს –
სადაც თქეენი თქეათ –
იქაც ჩეენი არ დაგაეიწყდეთ!

## ჩემი შენ გითხარი!

ვისთვის – სხვისი ჭირი არის „ღობეს ჩხირი“ –
ვისთვის – აედარია, ვისთვის – დარი...
ის – შენი სიმდიდრითაა ღარიბი –
შენ მისი სიღარიბით ხარ – მდიდარი!

* * *

ქართველები ედგნენ, ერთ დროს,
საქართველოს ყოველ მტკაველს.
მტერმა მტრობით რაც ვერ შეძლო,
ძმებმა – „ძმობით“ გაგეათავეს .
მონღოლებმა,
არაბებმა,
ოსმალებმა,
სპარსელებმა,
რაც დაგეაკლეს –
შეგეისრულეს ჩეენმა „ძმებმა“...
ქართველებმა!

* * *

მუცლად მყოფი ჩეილებიც –
რაღაც ფარცაგს ხედებიან –
ქვეყნის ვალების შიშით...
აღარ იბადებიან.
შობადობა შემცირდა,
შვილს უტოვებს მამა ვალს –
ფიქრშიაც კი შემციედა:
აწმყო ჭამდეს მომაეალს?
სად გაგონილა?

---

*ჯონ კენედი: რაც მეტი პოლიტიკოსი გაერკვევა პოეზიაში, ხოლო პოეტი – პოლიტიკაში, ცხოვრება მით უფრო საინტერესო გახდება.*

*ნიცშე: ერთი კაცის გაგიჟება სიგიჟე ჰქვია. მთელი ხალხის გაგიჟებას კი... რევოლუცია!*

* * *

ჩვენ, გვინდა თუ არ გვინდა,
ის რუსი და ეს რუსი...
იყო, არის, იქნება...
საქართველოს რესურსი!

* * *

არაიყოდან — იყომდე...
ქვანი უტყვადაც იტყოდნენ —
იყოდან — არაიყომდე...
კაცნი — უყოფსაც იყოფდნენ!..
არც სისხლისა და არც ფულის —
ახლა... საყოფიც არ გეყოფნის!

* * *

ხარობს ყურია — სიბრძნე სწყურია.
თავი და თავი მაინც... გულია!

* * *

ქვეყნის ბედი წყდება არა პიარით,
სინდის-ნამუსს ნუ გადააბიჯებთ!
აპრილები ტყუილების თვე არის —
არ გაბრიყვდეთ, არ მოტყუვდეთ, ბიჭებო!

* * *

ეს ცხოვრება —
საცდელია კაცადა ცნობის!...
წუთისოფელი კი სამეია...
მარადისობის!

* * *

ვისთვის ვშრომობთ?
რისთვის ვომობთ?
ვინ გაზომოს...
ოცნებიდან — სინამდვილის მანძილი —
როგორ მოჩანს ისტორიის სამზერიდან...
9 აპრილი — რუსთაველის გამზირი?

25.03.09.

### *ასე მგონია!*

ჯანსულ კახიძეს ორკესტროდაც რომ ედირიჟორა... იდუმალების იმ უხმო ხმასაც გავიგონებდით! და ეს იქნებოდა სიჩუმის გენიალური სიმფონია!

* * *

აინშტაინი: შეგიძლიათ, იცხოვროთ ორნაირად — გჯეროდეთ, რომ სასწაული არ არსებობს ან გჯეროდეთ, რომ ამ სამყაროში ყოველივე სასწაულია! ... არჩევანიც შენია და არადანიც!

<u>*ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:*</u>

*მახსენდება ის პერიოდი, როცა ხელისუფლებს იყო ურწმუნო და ისინი ამბობდნენ, რომ სამღვდელოებს წყალს ვერცხლის ჯვრით აკურთხებს და ამიტომ ძლებს იგი დიდხანს და არ ფუჭდება. ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ეს იქნება ვერცხლის ჯვარი, ოქროსი თუ ხის.*

*„საპატრიარქოს უწყებანი" (2006).*

*ცნობილმა კოლუმბიელმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა გაბრიელ გარსია მარკესმა წერა შეწყვიტა.*

*— გასულ წელს ერთი სტრიქონიც კი არ დამიწერია. ეს ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა. წერას თავი დავანებე, — განაცხადა „მარტოობის ასი წელიწადის" ავტორმა. — თუ ჩემს გამოცდილებას გავითვალისწინებთ, ახალი რომანის დაწერა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ*

## ვარემონტებთ ძველ ანდაზებს!

ძველი „სიბრძნე-სიცრუისა“
გაცვდა მეხამრიდი!
ძაღლი ყეფს და ქარავანი...
უკვე ველარ მიდის.
„ცხენის ქურდი“! —
ლამის არის კაცის შექებაო;
„ცხენი ვინ მოიპარა და...
მისმა ფეხებმაო“!

* * *

გიყურებ და... კაცს არ ჰგავხარ —
ყურს გიგდებ და... კაცი არ ხარ —
აიხედე თავზე მაღლა —
ასე რამ გამამაძაღლა?
დაეხსენი ჯოჯოხეთსა —
გაუსწორე თვალი ღმერთსა —
როს სული ხორცს გაეყრება,
იქნებ გიხსნას უფლის ნებამ!

## სიფთა

დედის ალერსზე უფრო ალერსიანია
თბილისური დილა!
ზამთარია — ყინავს,
მზე მაინც ბრწყინავს...
შენ — ტკბილად გძინავს!
მზის ბაჯაღლო სხივს რა ოქრო-ვერცხლი შეედრება!
ეს სიზმარ-ცხადია იმ ედემად...
იმედებად სულის მობრუნების —
იმ ხედებად — კაცის და გუნების —
ცა და მიწა ერთურთს რომ უხდება —
ართვალ-ავთვალის წახდენითაც რომ წუხდება...
ფანჯარას გავაღებ და დილას ჩავისუნთქავ —
არყისფერი დილის სიფთაზე უკეთესი — ვის რა უთქვამს...
სხივი თავზე ხელს გადამისვამს!...
სიმწარე გვაშოროს —
სიტკბო მოგვცესო —
შესვამ დილის სისხამს!

* * *

უკუნეთში გზას ვერ ვიგნებთ — რაც არ არის, არ არის!..
ამ სიბნელეს არ ეყოფა ის ზღაპრული ფანარიც!
დიოგენსა რას დავეძებთ, როცა ვეძებთ კაცის გენს:
დიოგენი — კაცს ეძებდა, კაცი ეძებს — დიოგენს!

* * *

სიბრძნეე და სიცრუეე —
ყოფნაე და არყოფნავ —
წამო, წამებისა — შეჩერდი!
თუმცადა გმასპინძლობ —
არ გიცნობ — არ მიცნობ:
შენ — შენითეის, სიკედილო,
მე — ჩემითეის!
რადგან ამაგროეე —
ერთი დროც დამგოეე —
„ჩეენო ძმაე“, ბატონო ქარონ...
ცოტა ხანს მადროვე
და მტერს შემატოეე,
რომ ქოში
უკულმა პყარონ!
თაეში ქეა უხლიათ...
ცხოერება მწუხრია...
სად მისი — ახსენონ ჩეენიც! —
აკენიდან... რყეეაში,
სიცოცხლის ზღეეეაში,
შენება-ნგრეეაში...
აე-კარგის რჩევაში...
„საკეირეელ ძლევაში“...
დაელიე —
გაელიე დღენი!

## დაილოცოს დალოცვილი!

თუმცა, ღეინო თრობისაა —
ფეხარეეით იარება —
ღეინო არის სადღეგრძელო —
ღეინო არის ზიარება.
ფიციცაა, ვერცხლიცაა, თაეიცაა, ძირიცაა —
წამალიც და საწამლაეიც —
ჭირიცაა, ლხინიცაა!
ოქროპირი, ზღაპარია, „იყო არა იყო რაო“ —
პურ-ღეინოზე უკეთესი მიწამ რა მოიგონაო?
ღეინო — ფრთებსაც გამოგასხამს,
ღეინო — ფრენას გასწავლის —
ღეინით — ერთი ჭკუისაა...
უსწავლელიც — ნასწავლიც!
თავი მოგეწონს... სტრიქონებად
გაელებული ეენახით —
დილის სიფთას — „აკვა ვიტე“-ს
სიცოცხლის წყალს ეეძახით!
დაილოცოს — დალოცეილი
მუდამ ჩვენზე მლოცეელი —
ხმლის ქარქაშში ჩამგები და
ძმობის გადამკიდენელი!

*მკითხველი უკვე მიხვდებოდა, რომ მასში გული ვერ ჩავდე. — აცხადებს მარკესი.*

*ოთარ ჭილაძე:*
*ვდგავარ იქ, სადაც უნდა ვიდგე და არა იქ, საიდანაც უკეთ გამოვჩნდები... ბევრად ჯობს, ვერ ხედავდე, მაგრამ გრძნობდე, ვიდრე ხედავდე და ვერ გრძნობდე...*

*მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ძაღლის გერმანული ნაგაზი გიუნთერ IV, რომელსაც ანგარიშზე 300 მლნ დოლარი აქვს. ქონება მას მამამ — გიუნთერ III დაუტოვა. ამ უკანასკნელს კი მდიდარი პატრონის, გრაფინია კარლოტა ლიბენშტაინისგან ერგო მემკვიდრეობად. ჩვენმა გმირმა, გიუნთერ IV მსოფლიოში სახელი მას შემდეგ გაითქვა, რაც მეურვეებმა (ვინც განკარგავს ნაგაზის მილიონებს), მას მადონას ყოფილი სასახლე უყიდეს 7,5 მილიონ დოლარად. სასახლის აურაცხელი ოთახებიდან 8 მხოლოდ საძინებ-*

## „პაემანი ვერაზე"!

ქუჩაში ბოლო სალმებისთვის გამოვედი —
თბილისმა ვერ მიცნო — ვერ ვიცანი!
ვერელმა — ვერა მოვიკითხე —
ვიყავი —
ვით ყვავი —
ერთი ცალი!
ფუი, ეშმაკს!
ღმერთმა დამიფაროს...
თბილისზე რამე ეთქვა აგდებით,
რაა ის ქალაქი, რომელსაც...
სიკვდილით ვერ მოაკლდები!..
სიცოცხლით ვერ შეემატები...
თითქოს არც მისულხარ — არც წასულხარ...
ასე — არც მომავალთან ხარ მართალი —
და არც პირნათელი — წარსულთან.

## ქ...ამიერი

...ქსოვა ბედის ბადის — სიზმრისა და ცხადის —
დღე გადაღლის ფიქრებს — ღამე ძალას იკრებს.
დრო მოდის და მიდის — ხედითა და ხიდით —
მიწა ჭამს და არჩენს — წამსვლელსა და დამრჩენს —
ყველაფერი კვდება — ღმერთია და რჯული —
სასწაულიც ხდება — რჩება მარტო... სული!

## ნატვრა

სხვას რას ვინატრებთ უკეთესს, უფრო სასურველს — რას?
ჩემს წარსულსა და მომავალს რომ ვუსწორებდე თვალს!
მათბობდეს ჩემი სიყრმის მზე, სიბერეს ვთვლიდე ძმად —
მესმოდეს გულის ძგერის და ზღვის მიმოქცევის ხმა!

## ყოფნა — არყოფნა...

ღვთის ნებით და ღვთის განგებით —
არსთ გამრიგეს ვნება:
ყოველ ღამე, მზესთან ერთად
ჩვენი მზეც ესვენება!
ყოველი დღე გვაჩვევს ღამეს — გათენება — სიცოცხლეს...
სააქაოს რა ვიცით, რო — საიქიოს ვიცოდეთ!

---

*არისტოტელე: ო, ბედნიერო ადამიანო, ვწუხვარ, რომ საკუთარ თავს გვერდიდან უყურებ.*

*ალი ხარაზი: ომში გამოიცდება — ვაჟკაცი, რისხვაში — ბრძენი, გაჭირვებაში — მეგობარი.*

* * *

ფიქრები გულზე შემომეყარა –
სიტყვას ეწონი და ლამაზად ეფუთნი –
რა ექნა, ვერ – ეტოვებ ისეთ ქვეყანას –
მე რომ მინდა და შენ რომ გეკუთვნის!
სარეველები მოედო ყანას –
სიბრძნე სიცრუეს ველარ შეფუთნის –
რა ექნა, ვერ ეტოვებ ისეთ ქვეყანას –
მე რომ მინდა და შენ რომ გეკუთვნის!

## 2011

ვისთვის?
როდის?
რა აზრი აქვს ახალი წლის ლოდინს?
ჩემთვის იგი – მიდის,
შენთვის იგი – მოდის.
შენ – ხვდები და მე – ვაცილებ...
წასულ-მოსულ დღესა –
გაუმარჯოს, მაშ, ორივეს –
ძველ და ახალ წელსა!

## *დრო!*

გათენებას ვერ ასწრებს... ღამდება,
დაღამებას ვერ ასწრებს... თენდება,
დღე... მოსელას ვერ ასწრებს – „ჯამდება" –
დღე... წასელას ვერ ასწრებს... – ღამდება...
დრო გარბის –
გიჟივით გარბის დრო –
ასტრონომიული საათი...
ტაკ-ტიკით, ტიკ-ტაკით, ტიკ-ტიკით...
დროს არ აქვს – დროსთან მასლაათის...
დრო!

* * *

რა აწონის ავსა და კარგს –
რა სკრუპული, ყანთარი? –
რა ახლოა ერთმანეთთან –
ტყუილი და მართალი!
რა შორსაა სიმართლისგან –
ოცნება – საოცრება...
სანთლების წინ რომ იღვრება...
ცრემლებად და ლოცვებად!!!

* * *

ოცნებებში – ოცნებებად ვსახლობ...
ახდენა არ უწერიათ, ვატყობ.
იქნებ ძილში, სიზმრად მაინც ვნახო –
ცხადში ცხადად, რასაც სიზმრად ვნატრობ!

*ლია...*

*__P.S.__ ამას ჰქვია, მის ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო! ჯერ კიდევ როდის იხმარა ეს იდიომა ქართულმა ენამ, ჩვენ კი, „ძაღლურ ცხოვრებას". ზოგჯერ, ადამიანურ ყოფას ვეძახით!*

*პატრულის მოხსენება:*

*მოკლედ, შემოვლაზე ვარ ლისის ტბაზე და კორომში მიყენებული მანქანა დავლანდე! უკვე ბნელოდა. ჯერ მაინც ფრთხილად მივედი... რა იცი, იქნებ, ის არ არის, რაც გგონია და დანაშაული ხდება?! ასეთი პრეცედენტებიც ყოფილა... ცხადია, ბანალური სურათი დამხვდა: ქალი და მამაკაცი! ბიჭოს, საბუთები მოვთხოვე და სიძე-სიდედრი არ აღმოჩნდნენ?!*

*__P.S.__ არადა, ზოგჯერ იტყვიან ხოლმე – სიდედრებს არ უყვართ სიძეებიო!*

*არადა, თურმე, ნაყვარებათ!*

*დეპუტატმა ქეთევან მახარაშვილმა „უნიკალური" კანონპროექტი მოამზადა, რომელიც*

# „სულიერი მდელო"

„სამების" ეკლესიაში შევიძინე საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრის მიერ გამოშვებული წიგნი „სულიერი მდელო", რომელიც წარმოგვიდგენს მართლმადიდებელი მოძღვრებისა და ეკლესიის მამების სიბრძნის კრებულს.

„არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსაო" — ამ წიგნზე უფრო დიდ მოყვარეს ძნელად იპოვი. გადავფურცლოთ იგი და ავივსოთ ღვთიური სიყვარულით!

„ნეტარ არიან წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ" (მთ.5.8)

23. უფალთან ერთად ყველგან სამოთხეა.

27. ღმერთს ჭიანჭველის ფეხის ხმაც კი ესმის.

29. ღვთის ნებით წყალნიც აგიზგიზდებიან და ცეცხლიც მორწყავს არემარეს.

66. ჩვენ მეტი მოვიხვეჭეთ ქრისტეში, ვიდრე დავკარგეთ ადამში.

101. წმ. კლემენტი ალექსანდრიელი: ორფეოსი, პოეტთა მტკიცებით, სიმღერით ათვინიერებდა ვეფხვებს. ღმერთმა კი ყველაზე მოუთვინიერებელი ცხოველიც კი — ადამიანი მოაქცია!

108. ადამიანი საკუთარი თავისთვისაც საიდუმლოა.

141. წმიდა ეფრემ ასური: ფრინველებში ყველაზე დიდი არწივია, მინიერ მხეცთა შორის — ლომი, ადამიანთა შორის — ღვთის მოშიში პიროვნება. ღვთის შიში... სიმდაბლით ამაღლებს ადამიანს.

147. ღვთისადმი სიყვარულის საზომი — უზომო სიყვარულია!

169. ქრისტიანი ცხოვრებას მწუხარებაში ატარებს, სამაგიეროდ, კვდება სიხარულში.

200. ვიდრე ადამიანი ღვთის სამსჯავროს წინაშე არ წარსდგება, საკუთარ თავზე რეალურ განჩინებას ვერ მოისმენს... სათნო-ეყო თუ არა ღმერთს (ამბა ისაია).

204. ყოველთვის სიკეთე აკეთე, რათა ეშმაკს კეთილი საქმით დაკავებული დახვდე.

212. ეშმაკს შეუძლია, ყველაფერში მიბაძოს ადამიანს... სიყვარულისა და თავმდაბლობის გარდა (ნეტარი ავგუსტინე).

217. ლოცვა ლოცვას გააჩენია და თხოვნა თხოვნას —

„ლოცვა ალვალს, ღვთისწყალობა კი გარდამოვალს!"

221. ზოგიერთი ლოცვას იწყებს, როგორც ცოდვილი და ამთავრებს მას, როგორც მართალი.

242. სანთელს ანთებ და თვით არ იწვი.

260. რამდენი რამე უნდა იცოდე, რომ თქვა: „მე ის ვიცი, რომ მე არაფერი ვიცი."

264. საშინელია ხვედრი არაწმინდა მწერლებისა: მათ სიკვდილის შემდეგაც მოაქვთ ზიანი.

ოდესღაც, ეგვიპტის მეფემ ბრძანა, მის მიერ დაარსებული ბიბლიოთეკისათვის გაეკეთებინათ წარწერა: „სულის წამალი". ჩვენს დროში

---

*აფხაზურ-ადიღეური: თუ ჭკუის საკითხავი არავინ გყავს, ქუდი მოიხადე, დადე და იმას ჰკითხე!*

*ჩერქეზული: კავკასიონის მაღალი მთები ამ ქვეყნის მუზარადებია!*

პირიქით, არის წიგნები, რომლებსაც შეიძლება, თამამად ვუწოდოთ „სულის სანამლავი".

ღმერთი სათნოების მინიერ საზღაურს ამცირებს, რათა მოსაგრე ზეცაში უფრო დიდი ჯილდოსათვის მოამზადოს.

266. უდიდესი სიკეთეა, იყო ბრძენი და უდიდესი სიბრძნეა, იყო კეთილი.

279. დაუახლოვდი მართალთ, რომ ამით ღმერთს მიუახლოვდე (წმ. ისააკ ასური).

283. ჯანმრთელობის ეპიდემია არ არსებობს.

289. გიყვარდეს ცოდვილნი, მაგრამ გძულდეს მათი საქმენი (წმ. ისააკ ასური).

290. როგორ უნდა სთხოვო უფალს ტაძარში: „მომეცი, უფალო!", როდესაც შენ თვითონ არ წყალობ ღატაკს. ...რამეთუ რაიცა იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს! (წმ. ტიხონ ზადონელი).

გაუწანილე მინიერი მადლი სხვებს, თუ გსურს ზეციური მადლი იგემო.

იოანე ოქროპირი: წყალს აქვს თვისება, სხეულს ჭუჭყი ჩამორეცხოს. მოწყალებას კი ძალუძს, სულიერი უწმინდურება განწმინდოს.

წმ. ბასილი დიდი: გავიღოთ მოწყალება! (რათა მივიღოთ ღვთისწყალობა! — გ.წ.)

ვინც ღატაკს შეიწყალებს, მისი მწყალობელი ღმერთია (წმ. ისააკ ასური).

მოწყალე ხელი არ გაღატაკდება.

მოყვასისადმი განვდილი ხელი არასოდეს დარჩება ხელცარიელიო! (გ.წ.)

305. მოწყალე ხელი არ გაღატაკდება.

306. მაცხოვარმა ბრძანა: „ნეტარ არს მიცემა უფროის ვიდრე მიღებისა!" (საქმ. 20,35)

ნეტარია, ვინც იმისთვის მარხულობს, რომ ღარიბებს აჭამოს.

წმ. იოანე ოქროპირი: ის მოწყალებაა ჭეშმარიტი, რომელიც სიხარულით გაიცემა.

მტრობა წყალზე უნდა დაიწეროს, რათა სწრაფად გაქრეს (წმ. ისიდორე პელუზიელი).

მზაკვართან მეგობრობა — ეშმაკთან მეგობრობას ნიშნავს (წმ. ანტონი დიდი).

რაც უფრო ნაკლებად თვლიან თავს ცოდვილებად, მით უფრო ცოდვილები არიან.

უზნეოს მზერა სულს აბნელებსო.

წმ. ამბროსი მედიოლანელი: უფალმა ორი ნიჭი გვიბოძა — ხსოვნა და დავიწყება. სიკეთე — ხსოვნას ითხოვს, ბოროტება — დავიწყებას.

საკუთარ თავს ნურაფერს აპატიებ, სხვას ყველაფერი შეუნდე.

„ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული ისაა, რომ სამართლიანი შურისძიებისგანაც კი თავი

*მღვდლებს უფლებას აძლევს სქესობრივი პარტნიორები აირჩიონ. ამაზე იყოდა ყარაჩოხელი გიყვა: „აბა, ამათ ჰყოლიათ მწყემსები, აი!…"*

*„— როგორ, კაცო, მღვდლებს უფლებას აძლევთ სქესობრივი პარტნიორი მონახონ?! მა, მე რაღა და ვიღა ვარ? კიცრი?!"*

*„კვირის პალიტრა"*

*ჩემს ასაკში სიყვარული... ჰუმანიტარული დახმარებაა!*

*ხუტა ბერულავამ თქვა: მე მიკვირს, რომ ჩვენს შორის ცხოვრობდა გალაკტიონი და ჩვენ ეს არ გვიკვირდა!*

*სკანდალური სკულპტურა პრაღაში არცთუ დიდი ხნის წინ გაჩნდა. „ძეგლი მეძავს" — ასე უწოდებს მას აქ ყველა. თუმცა, ოფიციალურად ამ სკულპტურულ კომპოზიციას „ცოდვის სამი" ეწოდება.*

*„ალია", 2006. 7-8.06*

**P.S.** *ჩვენში კი,*

შეიკავოს და უფალს მიანდოს შურისძიება. „ჩემი არს შურისძიებაი და მე მიეაგო" (ზირაქი. 28,1; რომ. 12.19).

ვინც ბოროტებას ბოროტებით მიაგებს, ის წარმართზე უარესია.

თუ ადამიანურად ძნელია წყენის მიტევება, ქრისტიანულად კიდევ უფრო ძნელია მიუტევებლობა!

ნეტარი ავგუსტინე: მტრებისათვის ცოდვების მიტევებით მოგეტევებათ საკუთარი ცოდვები; გინდათ, არ გყავდეთ მტერი? გიყვარდეს მტერი შენი! დავითმა უმეტესი გამარჯვება მოიპოვა საულის დანდობით, ვიდრე მისი დამარცხებით; არ არსებობს სამყაროში მტრის სიყვარულზე უფრო გასაოცარი რამ; ღმერთი მხოლოდ მათ შეუნდობს, ვინც საკუთარ თავს თვითონ არ პატიობს!

თავმდაბლობა სათნოებათა მარილია.

უფრო მეტად უნდა წუხდე იმ სათნოებებზე, რომლებიც არ გაქვს, ვიდრე თავი მოგქონდეს იმით, რაც გაქვს.

„უკვე მერვე ათასწლეულია, ეშმაკი ადამიანთა საცდურში ჩაგდებაში ვარჯიშობს."

წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი: დემონები ვერ ბედავენ, მიუახლოვდნენ მას, ვინც ღმერთს ესაუბრება.

ციცერონი: ყოველდღე საკუთარი თავის მოსამართლე და ბრალმდებელი ვარ... მე გადავხედავ ყოველ ჩემს სიტყვას და ქმედებას და თავს არაფერს ვპატიობ.

წმ. ეფრემ ასური: ამპარტავნება დაამარცხე, ვიდრე იგი დაგამარცხებდეს.

წმ. ტიხონ ზადონელი: არ არსებობს იმაზე დიდი გამარჯვება, ვიდრე საკუთარი მრისხანებისა და გულისწყრომის დაძლევაა.

გიყვარდეს მხილება.

ვიღაცამ შესანიშნავად უთხრა ძველ დროში დამნაშავეს: დაგსჯიდი ახლავე, განრისხებული რომ არ ვიყოო!

უფალს უყვარს თავმდაბალი ცოდვილი, ვიდრე მართალი და ამპარტავანი, რომელიც თავს ცოდვილად არ თვლის.

ბოროტთა სიმშვიდე იმას ნიშნავს, რომ ისინი უკვე ცოცხლად არიან დამარხულნი ჯოჯოხეთში (წმ. ამბროსი მედიოლანელი).

უდიდესია თავმდაბლობის სიმაღლე, უღრმესია ამპარტავნების უფსკრული. (ერთი არის მზიანი დღის სინათლე, მეორეა ბნელი ღამე — ლუსკუმი! — გ.ნ.)

„იქედნეს ნაშობთ" (მათე. 23,33) გველთა განსაკუთრებული ჯიშის სახელი ეწოდათ.

საკუთარი თავით მეტისმეტი უკმაყოფილება — სისუსტეა, მეტისმეტი კმაყოფილება — სისულელე.

წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი: შური არის მწუხარება სხვის სიკეთეზე (საბა ამბობს ასე!).

შურიან მოწყენილ კაცზე უთქვამთ: ან მას შეემთხვა რაიმე უბედურება ან მის ნაცნობს — ბედნიერებაო!

ხელმწიფის ძალა ღვთისმსახურებაშია, სახელმწიფოსი — ხელმწიფის ერთგულებაში (ვინ როგორ ჭრის და კერავს... ვის რა აქვს გუნებაში! — გ.ნ.).

ისწავლე საკუთარ თავზე ბატონობა და სხვა ბატონს ნუ ეძებ! (გ.ნ.)

558. წმიდა ამბროსი მედიოლანელი: თუ ვიკითხავთ, რა გააკეთეს ჩვენმა მშობლებმა ჩვენთვის, თავზარდაცემულნი დავრჩებით ჩვენი ვალის განუსაზღვრელობით. (შეგარგოთ, ღვთისწყალობით!)

მშობლების მორჩილება — აღთქმის პირველი მცნებაა. (უზენაესის ნებაა!)

წმ. ისაკ ასური: ყველას მეგობრის თვალით შეხედე, აზრით კი მარ-

ტო იყავი. (ასეთი არის ცხოვრების ეს საარაკო იგავი! — გ.ნ.)

591. „ამ დროის მეგობრად გახდომა იგივეა, რაც ღვთის მტრობა. ამ დროებით ცხოვრების ჭეშმარიტი მიზანი მარადიული ცხოვრების სნაველაა. ჩიტი მაშინაც დიდებით უგალობს შემოქმედს, როცა არც ბუდე აქვს და არც სარჩო.

მდიდარი ის კი არ არის, ვისაც შენზე მეტი აქვს, არამედ ის, ვინც შენზე მცირედით კმაყოფილია! ღარიბი ისაა, ვისაც მეტი უნდა!

610. ამჟამინდელი ცხოვრება... იმჟამინდელის სამზადისია (იქაური მარადისი — აქაური არის ნისია!)

697. წმ. ტიხონ ზადონელი: ღმერთი ჯვარს გვიტვირთავს და თავად გვეხმარება მის ზიდვაში (არის დრო, როცა ხელში არ აიყვანს დედა შვილს!).

716. ფუჭი გართობით („უცოდველს" რომ ვეძახით) ისევე ადვილად შემოდის სულში ცოდვები, როგორც სახლის პატარა ღრიჭოდან... მყრალი ჰაერი.

ვაი, იმ მხიარულ ადამიანებს, ვის გამოც სხვები ტირიან (როცა ერთის ლხინი — სხვისთვის ჭირია!).

827. სინდისის ქენჯნა — დანაშაულისა კი არა — დარჩენილი სათნოების ზომისაა (ნიშანი ფეხზე დგომისაო!).

დილის ლოცვა დილის ცვარივითაა (ალალივითაა!).

ბოროტი (ანუ ცოდვაში მხილებული) სინდისი ჯალათის ტოლფასია (ჯოჯოხეთის კომპასია!).

ნეტარი ავგუსტინე: წმინდანთა რიგი იზრდება ცოდვილთა რიგიდან; ცოდვათა შენდობის იმედი მას ჰქონდეს, ვინც საკუთარი თავით უკმაყოფილოა (მონანიება— შენდობის კილოა!).

წმ. ტიხონ ზადონელი: ადამიანს ღუპავს არა დიდება, არა ცოდვათა სიუხვე, არამედ მოუნანიებლობა! (როცა სული ჭაობში ეფლობა!).

მავანი იტყვის: „მარტო მე არ ვცოდავ!" ასეთებისთვის პასუხი მზადაა: „ჯოჯოხეთში ადგილები სამყოფია!" (ვის გაუგია ბოროტების წილადობია!).

გახსოვდეს წარსული, მიანდე უფალს მომავალი და კეთილ ჰყავ ანმყო! (თუკი გსურს, შენი სიკეთე ჰქნა და მადლი ნასცხო!).

წმიდა კლემენტი ალექსანდრიელი: სიბერე მაინც დავინდოთ და ვეცადოთ, ვიყოთ სამართლიანები. (ვიცხოვროთ სინდის-ნამუსის გამთლიანებით!).

იმისათვის, რომ შეასწავლო მართალს უდიდესი მეცნიერება — კარგი სიკვდილი, ჯერ კარგი ცხოვრება ასწავლე მას (თვითონაც გაარჩევს სხვას).

ადამიანის უკვდავება არის ღმერთის უკვდავი, მარადიული ქველმოქმედება (კარგის კეთება!).

ადამიანს სამი საცხოვრებელი აქვს: დედის საშო, ეს ქვეყანა და მაღლა — ზეცა (თან 2 დრო: ღამე და დღეცა!).

ჯერჯერობით, ბოზებს პირდაპირ ხამრალდები ნაამზე ნავამენ.

<u>ნანა ზარდიაშვილი:</u> ლიბერალური ღირებულებების საფუძველია ის, რომ არ შეიძლება დისკრიმინაცია. არც სქესობრივი, არც რასობრივი ნიშნით, არც აღმსარებლობით და, მით უფრო, არც ასაკობრივით... არსებობს ტერმინები — პირდაპირი რასიზმი, შოვინიზმი. ახლოს აშკარად ახალი ტერმინი შემოვიდა — „ფიჯიზმი" („ფიჯ" ინგლისურად ახალს ნიშნავს. — ავტ.)...

„ქრონიკა"

<u>ამერიკის ხმის ეკს-დირექტორი რიჩარდ ვ. კარლსონი:</u>

გასულ თვეს მე საქართველოში ვიმოგზაურე და იქ დამხვდა ძველებურად მრავალფეროვანი, მაგრამ აღსაქმელად რთული და, ამასთანავე, ღარიბი. ჰაიტზე უფრო ღარიბი ქვეყ-

ნმ. იოანე ოქროპირი: ამჟამინდელ და სამომავლო დიდებას შორის სწორედ ისეთივე განსხვავებაა, რაც სიზმარსა და ცხადს შორის.

ესაა ცხოვრების არაკი: მიწაზე იარე, მაგრამ ზეცაში იყავი. აი, ცხოვრების აზრი და გემო.

მზერა — ქვემოთ, სული — ზემოთ!

## *სამახსოვრო*

*საქართველოს საპატრიარქოს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მიერ 2009 წელს გამოცემული წიგნიდან „გზა ტაძრისაკენ", რომელიც ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების 30 წლისთავს.*
*(შემდგენელი და გამომცემელი სოლომონ ინაიშვილი)*

ნიგნის („გზა ტაძრისაკენ") ავტორს ჩემი უმცროსი ვაჟისთვის — ზაზასთვის უჩუქნია (მამისა და შვილის ქონება რამ გაყო!.. განუყოფელია ეს სულიერი სიბრძნეც!).

მიცვალებული, თურმე, 20 საზვერეს გადის.

მე-13 საზვერე ყოფილა „სხვათა ზრახვისათვის" და „ავადმეტყველებისათვის" ცოდვილთა.

დიდ პარასკევს განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ ერთმანეთის გინებას.

დიდი ნმინდა მარხვის პერიოდი მთავრდება შენდობის კვირიაკით. დილის საკვირაო ნირვაზე ეკლესია მოიხსენიებს ადამის განდევნას სამოთხიდან. საღამოს კი სრულდება მნუხრის ლოცვა. ამ დღეს მრევლი შენდობას ითხოვს. „შევიყვაროთ ერთმანეთი ისე, როგორც უფალმა შეგვიყვარა ჩვენ" (იოანე, 13, 34).

აკალოთია (გზა ტაძრისაკენ) — ლოცვათა კრებული

11. ამპარტავნებისთვის.

13. სხვათა ზრახვისა და ავმეტყველებისათვის.

147. „დიდი პარასკევი", როგორც ითქვა, ქრისტეს ჯვარცმის დღეა და უნდა მოვერიდოთ სხვათა განკითხვას. ჩავღრმავდეთ საკუთარ თავში.

146. „ლაზარეს შაბათი" — 4 დღის მკვდრის — ლაზარეს აღდგინება (იოანე, 11, 1-45). ასევე დღესასნაულია ქართული ენის, რამეთუ „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან" („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი"),

გულანი — ქართული მართლმადიდებლური საეკლესიო ნიგნების კრებულია!

დაბადება — მოსეს ხუთნიგნეულის ერთი ნიგნი. ბიბლიის დასანყისი, რომელშიც მოცემულია სამყაროს შექმნისა და ადამის მოდგმის პირველი სანყისი დედამიწაზე.

დავითიანი — დავით მეფის მიერ დანერილი საგალობლებისა და ფსალმუნების კრებული.

დიდაქე — ბერძნ. „დარიგება", „შეგონება", 12 სამოციქულო მოძღვრება.

ჟამნი — ჟამთა 9 ლოცვის ნიგნი.

საეკლესიო ნიგნებია — საღვთო — სახარება, სამოციქულო, ჟამნი, დავითიანი, თვენი, მარხვანი, სადღესასნაულო, ზატიკი, კურთხევანი, კონდაკი და ფსალმუნი.

საზვერე — საბაჟო: საზვერეებში მოგვეკითხება ჩადენილი ცოდვე-

ბი, კეთილი საქმეებიც. უცოდველები ცათა სასუფეველში შევლენ, ცოდვილები ცოდვების განკითხვის დღეს — 20 საზვერეს გაივლიან. 1) უხამსად და უქმად მეტყველებისათვის; 2) სიცრუის გამო; 3) ცილისწამებისა და განკითხვისათვის 5) სიზარმაცისათვის...

ჰიმნოგრაფია — სასულიერო პოეზიის დარგი.

შესხმა — ქართული მწერლობის ჟანრი, ქებათა-ქება.

პითაგორელები თვლიან, რომ ყველაფერი რიცხვებით აიხსნება. რიცხვის ცოდნა საგნების ცოდნის ანა-ბანასაც სჯობს — ანბანური ჭეშმარიტებით ვამბობთ — განსა-ცვიფრ-ებელი კი არა, განსა-ციფრ-ებელია!

ავტარკია — თვითდაკმაყოფილება. სტოიკოსების ფილოსოფიაში პრინციპი, როცა ადამიანს ბედნიერებას ანიჭებს სათნოება!

პლატონის შემეცნების თეორიას ანამნეზისის (მოგონების) თეორია ჰქვია!

ნიგნთა-წიგნი „ბიბლია" (ებრაელთა და ქრისტიანთა „საღმრთო წიგნების" — მითების, თქმულებების, ლოცვების წიგნი) უკვე 84 ენაზეა გამოცემული, მათ შორის, უსინათლოთათვისაც, ე.წ. ბრაილის შრიფტით, ხელის ცეცებით ნასაკითხად!

ღმერთმან თქვა: „ვქმენ კაცი ხატად და მსგავსად ჩემდა", მოზილა თიხისგან ადამიანი და შთაბერა სული.

პირველი ფსალმუნი ბიბლიიდან: „ნეტარია კაცი, რომელიც... არ დაადგება ცოდვის გზას; არ ზის ავყიათა საკრებულოში, არამედ უფლის რჯულშია"...

„იყო უფალი ჩემი თავშესაფარი და ღმერთი ჩემი ციხე-სიმაგრე (93, 22).

„სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა" (110, 10).

„ცრემლით მთესველნი... სიმღერით მოიმკიან" (125, 5).

გვ. 54. იესოს ქადაგება მომავალზე: „გაფრთხილდით, რომ არავინ შეგაცდინოთ, ვინაიდან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: მე ქრისტე ვარო... ასევე, მოისმენთ ომებზე და ომების ამბებს... მაგრამ, ჯერ კიდევ არ არის აღსასრული. ვინაიდან აღდგება ერი ერის წინააღმდეგ... იქნება შიმშილი და მიწის ძვრანი... ხოლო ყოველივე ეს მშობიაროების ტკივილთა დასაწყისია... გამრავლდება ურჯულოება, მრავალს გაუნელდება სიყვარული... აი, მაშინ დადგება აღსასრული... მზე დაბნელდება და მთვარე აღარ გამოსცემს შუქს... და იხილავენ კაცის ძეს ცის ღრუბლებზე მომავალს დიადი ძალითა და დიდებით... იმ დღეზე და ჟამზე არავინ იცის... ამი-

ანა, რომელსაც ახალი პრეზიდენტი ჰყავს, მაგრამ ძველი მენტალიტეტი შემორჩა — მენტალიტეტი, რომელიც ახდენს ქვეყნის ლიდერების ამპარტავნობის და ქედმაღლობის კულტივირებას, იმ ლიდერების, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ისტებლიშმენტმა და დასავლეთის პრესამ „ლომებად" აქცია, რათა შემდგომ ასეთივე სისწრაფით მათ მიერვე მომხდარიყო ლომების ტრანსფორმაცია დემონებად.

„ლ.ს."

დავით მხეიძე: რა ვქნა?! ჩემი თავი იმ ქორს მახემს მაგონებს, რომელიც „მთვარის მოტაცება"-ში, ამბობს — „როცა გზა ამოვა სვანეთში, სიცოცხლე აღარ მინდა". ის გზა მაშინდელი გლობალიზაცია იყო და, თუ ახლანდელი გლობალიზაცია ჩემს ქვეყანაში პედერასტების გაბულავებას მოიტანს ... „ბიჭი ბიჭს ლოშნის, უზრუნველოდ. ბიჭი ბიჭს

ტომ, ფხიზლად იყავი, რადგან არ იცით, რომელ დღეს მოვა თქვენი უფალი (მათე, 24, 4-42).

...სანნახელში ყურძნის დანურვის დროს დიონისეს სახელსაც კი ახლო ნუ მიუშვებთო (VI მსოფლიო კრების 62-ე მუხლი). ახლა კი „თბილისურ" დიონისიებზეცა ვთქვათ!.. თბილისურ საშემოდგომო რთველში ვინ აღარ უვლის აქ ბუქნას!

ლიანგრის კრების მე-15 და მე-16 კანონებით, შეჩვენებული, მიუტევებლები არიან მშობლების უპატრონოდ მიმტოვებელი შვილები და შვილების მიმტოვებელი დედები.

ადამიანი განიკითხება 10 წლის ასაკიდან.

ლაოდიიკის კრების 77-ე კანონით, ქალთან ერთად ბანაობა ეკრძალება ყველა ქრისტიანს.

წმინდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს მე-14 კანონით, დაძინებულთათვის (გარდაცვალებულთათვის) სამი დღე ლოცვითა და ფსალმუნებით აღინიშნება, რადგან ქრისტე აღდგა მესამე დღეს. 9 დღე ან განსვენებულთა მოსახსენიებელი, ხოლო ორმოცი, ძველი აღთქმისაებრ, ასევე აღსანიშნავია, რადგან ამ დღეს სული ტოვებს ხორცს და წუთისოფლიდან მარადიულობაში გადადის. მერე მოდის წლისთავი! მიცვალებულის ჭირისუფალი უპოვართა და დავრდომილთათვის (გარდაცვლილის ქონებიდან) წყალობას გასცემს!

ზრუნვა მიცვალებულებზე!

პირველი სამი დღე სული დასტრიალებს თავს სხეულს. მერე ანგელოზებს ცაში აჰყავთ და უფალს წარუდგენენ. 6 დღის განმავლობაში ათვალიერებინებენ სასუფევლის სანახებს. მე-9 დღეს კვლავ წარადგენენ მამაზეციერთან, რის შემდეგაც ჯოჯოხეთს მოატარებენ. მე-40 დღეს დგება განკითხვის ჟამი — ანგელოზები კარგ საქმეებს გაუხსენებენ, დაცემული სულები — ცოდვებს. უზენაესი მსაჯული გაასამართლებს და მის მეორედ მოსვლამდე მიუჩენს დროებით სამყოფელს — ან სასუფეველს, ან ჯოჯოხეთს!

ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ შედგება საერთო სამსჯაერო, სადაც ხელახლა განვისჯებით მარადიულობაში დამსახურებისამებრ გასამწესებლად!

სიკვდილთან ხუმრობა არ შეიძლება, მაგრამ ჩვენი ურწმუნობის ე.წ. რევოლუციურ დროში ასედაც ეშაყირებოდნენ სიკვდილს!

ერთი მკვდრისთვის იმ მეორე სოფელში უთქვამთ: არჩევანიც შენი იყოს და არადანიც — არ აჩქარდე! სამოთხეც ნახე და ჯოჯოხეთიც და მერე აირჩიეო. ჯერ სამოთხე უნახავს, თავისი ჩიტების ჭიკჭიკით და ია-ვარდებით — მოსწონებია და, ყოველ შემთხვევისთვის, ჯოჯოხეთისკენაც გაპარვია თვალი! და, ჰოი, საოცრებავ! — რაც იქ უნახავს... უნახავის მნახველი გამხდარა — იყო, თურმე, ერთი ტაშ-ფანდური და ქალებში გრიალი!... უკეთესს რას ნახავდა და ეგრევე ჯოჯოხეთი მოუთხოვია!... მოუთხოვია და კიდეც მიუღია — სინამდვილეში სულ სხვა გარემოში ამოუყვია თავი და ცოდვილთა ცოდვით დამწვარა... კუპრში ცურავდნენ ის უბედურები და ნელ ცეცხლზე ინვოდნენ!... აბა, ის რა იყო, მე რომ მაჩვენეთ და ნერწყვით კინაღამ დამახრჩვეთო? — „აშუხურებულა"!

— ის ჯოჯოხეთის სააგიტაციო პუნქტი იყო, ბატონოო! — უთხრეს.

სინამდვილეში კი მე, ჩემი თვალით ნავიკითხე იმ სატანა — მესამე იმპერიის აგიტაცია-პროპაგანდის რაიხმინისტრ გებელსის სიტყვები: აგიტაციით და პროპაგანდით კაცს ჯოჯოხეთს სამოთხედ მოვაჩვენებთო! ჰოდა, ეს პროპაგანდისტული ომიც მოვუგეთ ჰიტლერს — ჩვენში ხალხი რადიოთი იგებდა „რა კარგად ვცხოვრობდით“ (!) და ახლაც ... თუმცა, ენაზე დასაჭერი კბილიც აღარ შეგვერჩა, მაგრამ სული მაინც კბილით გვიჭირავს, აბა!

... დიდი პარასკევი, წლის 365 დღიდან ყველაზე მძიმეა. ესაა ქრისტეს ჯვარცმის დღე! უნდა ვეცადოთ საკუთარ თავში ჩაღრმავებას, მოვერიდოთ... სხვისი საქციელის განკითხვას.

მაცხოვარმა თავისი მონაფეები სასწაულმოქმედების უნარით დააჯილდოვა და მათემ (10, 8) ღვთისმსახურებს უქადაგა: „უსასყიდლოდ მოგეცეთ და უსასყიდლოდ მისცემდეთო!..“ თუმცა, იგი იქვე აღნიშნავს იმასაც, რომ „ღირს არს მუშაკი სასყიდლის თვისისა“.

„დიდაქე — მოძღვრება თორმეტი მოციქულისა“

IV. „შვილო ჩემო, ვინც ღვთის სიტყვას ქადაგებს, მოიხსენიე იგი დღეცა და ღამეც. პატივი მიაგე მას, როგორც უფალს, სადაც მეუფება იქადაგება, იქვეა უფალიც“.

9 ნეტარება და 7 საიდუმლო!

ადამი — ღვთის მიერ მიწის მტვერისაგან შექმნილი კაცი, კაცობრიობის მამამთავარი.

ავგაროზი.

აზაზელი — ძველებრაულად „განტევების ვაცი“.

10 მცნება — ზნეობრივი და სულიერი სრულყოფის მარადიული კანონი, რომელიც ღმერთმა გაანდო მოსეს სინას მთაზე.

ალილუია — ძვ. ბერძნ. „ადიდეთ უფალი!“ (სამგზის ითქმება).

ამბიონი — შემაღლებული ადგილი ეკლესიაში (ალსავლის კართან).

ანალოგია — ხატისა და სახარების დასაბრძანებელი მცირე, დახრილი მაგიდა.

ანგელოზი — ზეციური, უსხეულო არსება.

„ანი“ და „ჰოე“ — ანბანის საწყისი და სასრული ასო.

ანი და ჰოე — ყველაფრის საწყის-სასრული — ანუ შემოქმედის მარადისობა.

ანტიფონი — ორი საეკლესიო გუნდის მონაცვლეობით გალობა.

ლოცვას!“.. ახლა საქართველოში ცხოვრება არ მინდა.

„ლ.ს.“

ისტორიკოსი სერგო მახარაშვილი: ხანდაზმული მეფე ერეკლეს უამრავი შვილიდან ყველას მეფობა სურდა. როდესაც რუსეთმა საქართველოს „დათრევა“ გადაწყვიტა, მთელი თავისი ძალების მობილიზება მოახდინა, რათა ქვეყანა გაეპარტახებინა და დაეუძლურებინა, რომ მერე მუხლზე დაცემული იქით შევხვეწნოდით შეერთებას.

„კვირის პალიტრა“, 2005, 19-25 დეკემბერი.

<u>გრიგოლ რობაქიძე:</u> სტალინის ჰოროსკოპი (უპიროვნო პიროვნება).

საქმეებში ჩაფლული სტალინი კრემლში იჯდა, ძალაუფლების პატრონი. მაგრამ არა ხელმწიფე. არსება და არა ადამიანი... რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამართობილებელი ნარნარით „მომაკვდინებელის“! მასთან ტელეფონით საუბარიც კი ყველას თრგუნავდა.

ანტიქრისტე — ცრუ ქრისტე, უარმყოფელი, ურწმუნო.

ანფოლოგიონი — წიგნი, რომელიც შეიცავს დღესასწაულთა და ლოცვათა თანმიმდევრობას.

აპოსტასია — განდგომა სარწმუნოებისაგან (საყოველთაო).

ჰიპოსტასი — პირი, წმ. სამების თითოეული პირი.

არეოპაგი — ძვ. ათენის უმაღლესი სასამართლო.

არმაგედონი — ბიბლიური ქალაქი — საშინელი ომებით სახელგანთქმული.

არქიელი — მღვდელმთავარი.

ასურელი მამები.

აქაიოს — ღირსი ხელდასხმისა.

აღაპი — ქრისტიანთა სამგლოვიარო ტრაპეზი.

აღსავლის კარი — ტაძრის კანკელის შუა კარი.

აღსარება — ერთ-ერთი 7 საეკლესიო საიდუმლოთაგანი.

დიდაქე — ბერძნ. „დარიგება", „შეგონება". 12 მოციქულის მოძღვრება.

დიდი ოთხშაბათი — იუდას მიერ მაცხოვრის გაცემის დღე.

ევა — ძვ. ბერძნ. „სიცოცხლე" — პირველი ქალი, სამოთხიდან გამოაძევეს და ქმრის მორჩილება დაუწესეს. ახლა ქმრისგან მოითხოვს სამოთხეს. ადამს განგება კარნახობს — ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო.

ევანგელიე — ხარება — სახარება. შედგება 4 წიგნისაგან — მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებისაგან.

ევლოგია — სეფისკვერი.

ევქარისტია — ბერძნ. „მადლობა"

ეკლესია — ქრისტეს სახლი, ქრისტეანთა (მკვდარ-ცოცხალთა) სახლი.

ეკლესიასტე — ძვ. აღთქმის (ბიბლიის) ერთ-ერთი წიგნი.

ელიონ — ძვ. აღთქმით — ღვთის გამომხატველი სიტყვა.

ემბაზი — სანათლისღებო.

ენქერი — რომბისებური სამღვდელმთავრო სამკაული — ღვთის სიდიადის ნიშანი.

პანაღეა — ღვთისმშობლის ხატი, ეპისკოპოსის გულზე სატარებელი.

ეპისტოლე — სასულიერო მწერლობის ჟანრი.

ეპიტაფია — საფლავის ქვათა ღაღადი.

ერგასი — უფლის აღდგომიდან სულთმოფენობამდე — 50-ე დღეს აღინიშნება.

ვასილისკო — მითოლოგიური ურჩხული.

ზატიკი — მსხვერპლი, ენება იესოსი — საეკლესიო წიგნი.

ზესკნელი — ცის სამფლობელო.

თეოკრატია — სახელმწიფოს განგება სასულიერო პირების მიერ.

თორა — მოსეს ხუთწიგნეული. ებრაელთა სალოცავი.

იადიგარი — ძვ. ქართ. ჰიმნ-საგალობლების კრებული.

კათაკმეველი — ნათლისღებისა და ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად მომზადებული პირი.

კანკელი — ტიხარი, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს ეკლესიის ძირითადი ნაწილისაგან.

კატეხიზმო — ქრისტიანული მოძღვრების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.

კვეთებული — სპეციალური ლოცვა სულიერი ავადმყოფებისათვის.

კვერექსი — გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული მოკლე ლოცვები.

კონდაკი — სამღვდელმსახურო წიგნი მწუხრის, ცისკრის წირვაზე წასაკითხი ლოცვებისა.

ლევიტელთა — მოსეს ხუთწიგნეულის მესამე წიგნი.

ლოგოსი — ბერძნ. „სიტყვა". წმ. სამების მეორე პირი — ძე ღვთისა.

მარტვილობა — ჰაგიოგრაფიის ერთ-ერთი ჟანრი, ასახავს წმინდანების ცხოვრებას.

მებრძოლი და მოზეიმე ეკლესია.

მედავითნე — წირვა-ლოცვის დროს ფსალმუნთა მკითხველი.

მესვეტეობა — განდეგილობა.

პირველშეცოდება — ადამ-ევას ცოდვა.

პირჯვარი — გონების, გულისა და ძალის სიმბოლო.

როტონდა — მრგვალი ფორმის ტაძარი — წრე — უსასრულობა.

სამშვინველი — უტყვი სული.

სინდისი — მამხილებელი გონება.

სტოა — ტაძრის დასავლეთ ნაწილი, სადაც იმყოფებიან მოუნანიებელი ცოდვილნი და მოსანათლად გამზადებულნი კათაკმეველნი.

სულიწმინდის რვა ნაყოფი — სიყვარული, სიხარული, სიმშვიდე, სულგრძელობა, სიტკბოება, სარწმუნოება, მყუდროება, მოთმინება.

სულიწმინდის შვიდი ნიჭი — შიში ღვთისა, ღვთისმსახურება, ალსარება, ზრახვა, მეცნიერება, გულისხმიერება, სიბრძნე.

სქემმონაზონი — ასკეტი ბერ-მონაზონი.

ტრიკირი — სამსანთელა.

ულუკი — ეშმაკისეული, ეშმაკით შეპყრობილი — მკითხავი.

ფარლალიტი — ტაძრის დარაჯი.

ქერუბიმი — ანგელოზთა უმაღლესი დასი.

შენდობის კვირა — დიდმარხვის წინა კვირაა. შენდობას სთხოვენ ერთმანეთს მორწმუნეები და მიუტევებენ ცოდვებს.

შენდობის ლოცვა — მღვდელი უკითხავს მორწმუნეებს აღსარების შემდეგ.

შესაქმე — მოსეს ხუთწიგნეულის პირველი წიგნი.

*მისი საშიში ზემოქმედებისაგან არავინ იყო დაზღვეული. სისასტიკით აღსავსე ძლევამოსილად აღმართულიყო, როგორც საბჭოეთის, და, შესაძლოა, მთელი მსოფლიოს — ცივი და ბრმა ბედისწერა. როცა ხანდახან იდუმალი კონტაქტი გადაირთვებოდა, როცა ის — შეუდრეკელი — დროებით დენის ქსელიდან გამობობლდებოდა... დარეტიანებული და გაუცხოებული, როცა შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი მხოლოდ სოსო ჯუღაშვილი იყო, უბრალო ქართველი. მაშინ ახსენდებოდა მორღვეული საქართველო, რომლისგანაც ეხლა შემოენახა: საცივის და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედაც კი ვატირე".*

*„იაპონელმა ინჟინრებმა, ზოოფსიქოლოგებთან ერთად, გამოიგონეს სპეციალური საყელური, რომელსაც შეუძლია ძაღლის ყეფის (ყმუილის, წკმუტუნის) სიტყვე-*

შესხმა — ქება (ქრისტიანული მწერლობის ჟანრი), რომელიმე დღესასწაულის ან მონამის საპატივცემულოდ.

7 მომაკვდინებელი ცოდვა და მათი წამალი — 7 სათნოება.

1. ამპარტავნება — სიმდაბლე; 2. ანგარება — მოწყალება; 3. სიძვა — უმანკოება; 4. მრისხანება — სიმშვიდე; 5. ნაყროვანება — მარხულობა; 6. შური — სიყვარული; 7. სასონარკვეთა— სასოება!

შიშთვილი — სახრჩობელა. თავის ჩამოხრჩობა უმძიმესი, უპატიებელი ცოდვაა.

ჩილა — სანთლის გული. ბამბის ნართი — პატრუქი.

ჩხიბვა — ჯადოქრობა.

ძლისპირი — საგალობელი სტრიქონის პირველი სტროფი.

4 დიდი წინასწარმეტყველი — ესაია, იერემია, იეზეკიელი, დანიელი.

წარწყმედა — მეორედ სიკვდილი — სულის განწესება.

ჯადემი — გრძეულების უნარის მქონე.

წმინდა ადგილებში — პალესტინასთან, უფლის საფლავთან (იერუსალიმში), გოლგოთასთან, თაბორის მთასთან, ბეთლემთან, მდინარე იორდანესთან, სინას მთასთან ერთად იხსენიება „სვეტიცხოველი", სადაც დაფლულია კვართი უფლისა და თბილისის სიონი, სადაც ინახება წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი.

P. S. ნისლი — ფიქრია მთებისაო — ვაჟამ. ამ ნისლში ვარ და ამ ფიქრების ბურუსში ვეძებ სიტყვას-ღმერთს.

## „რეპორტაჟი" სულიერებიდან!

**რუდოლფ შტაინერი „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება"**
**(„ინტელექტუალის ბიბლიოთეკა")**

3. ხელდასხმა ანუ ინიციაცია, ზოგადად, ჰადესში მოგზაურობა — სიკვდილის კარიბჭის გავლაა.

6. მხოლოდ ის ადამიანი იმსახურებს სიცოცხლეს, ვინც ბრძოლით მოიპოვებს ცხოვრების უფლებას (გოეთე).

10. რუდოლფ შტაინერის თვალზე ხშირად უნახავთ ცრემლი. იგი მკურნალობდა სულით ავადმყოფებსაც. ცდილობდა, შეჰყროდა სნეულებები, რომ უკეთ გაეგო და განეჭვრიტა მათი შველის გზები. მისი შემოქმედება 8 ათასამდე (!) ნაწარმოებსა და ლექციას უდრის.

ბოლო წლებში თითქმის აღარ იძინებდა და შეეძლო, სიფხიზლეშიც მოეპოვებინა სასიცოცხლო ძალები.

13. რ. შტაინერმა გოეთეანობას „სიტყვის სახლი" უწოდა. მისი მოღვაწეობის ნაყოფია ოთხი დრამა-მისტერია, მოძრაობის ახალი, რიტმული ცეკვის მსგავსი ფორმა — ევრიტმია — ხილული მეტყველების ხელოვნება.

ცნობილია შტაინერის ანთროპოსოფიური სახელმძღვანელო წიგნები („თეოსოფია", „იდუმალმეტყველების ნარკვევი" და სხვა. წიგნი გამოვიდა ჩემი სახლიკაცის — შოთა ნიშნიანიძის ძმის — ბრწყინვალე მთარგმნელისა და მექართულის გიორგი ნიშნიანიძის საერთო რედაქციით, წინასიტყვაობითა და კომენტარებით).

20. შოპენჰაუერი: „მორალი იოლად იქადაგება, მაგრამ მისი დას-

აბუთება ძნელია".

57. პლატონი უპირატესად ახსენებდა სამ სათნოებას:

1) სიბრძნის სათნოება (იგი სიბრძნესაც სათნოებად თვლიდა. ინდოეთში მორალური ცხოვრების საფუძველი ბრაჰმანთა სიბრძნე იყო);

2) სიმამაცე, გულოვნება;

3) კეთილმინიერება (ანუ ზომიერება) ადამიანის დაფარული ვნებების მოთოკვა). და, ბოლოს,

4) სამართლიანობა, როგორც 3 ზემოხსენებული სათნოების ჰარმონიული თანაშერწყმა.

82. ძველი ბერძნები ამბობდნენ, რომ მთელი ფილოსოფია... განცვიფრებით ინყებაო.

87. როდესაც ადამიანი თავისი ქცევით და მორალით შემწეობს ადამიანს, ამით იგი ქრისტეს უწევდის ხელს.

121. ლუკას სახარებაში ნერია, როგორ მოესმათ მწყემსებს ანგელოზთა გალობა იესოს დაბადების ჟამს.

125. სულიერ სამყაროში მიღებული და შეთვისებული ყველა იმპულსი, ხელახალი დაბადებისას, კვლავ დედამინას უბრუნდება.

126. ყველა ოკულტისტისთვის ცნობილია, რომ ნიკოლაი კოპერნიკი, რომელიც ახალი დროის გარიჟრაჟის მაუწყებლად იყო შერაცხული, წინა ინკარნაციაში (1401-1464წწ.) დედამინაზე მოვიდა, როგორც ნიკოლაუს კუზანსკი, რომელმაც, ფიქრითა თუ აზრით, ზესამყაროთა წიაღს დაუნჯებულმა, მთელი თავისი ცხოვრება სულიერებისადმი ერთგულებაში გამოიარა, მაგრამ მომდევნო ინკარნაციაში გადატრიალება მოახდინა.

135. მე-14 საუკუნის დასაწყისში ევროპაში გამოჩნდა პიროვნება, რომელიც აღმოსავლეთში უდიდეს საიდუმლოებებს იყო ნაზიარები. ეს ქრისტიან როზენკროიცი გახლდათ.

„ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება"
(ლექციის კონსპექტი):

„... და იყო დრო და ვადა... ერთ-ერთმა ელოიმმა შექმნა ადამიანი, რომელსაც უნოდა ევა... ევასგან იშვა კაენი (ბიბლიის კანონიკურ ტექსტში ევა მხოლოდ კაენზე ამბობს და არა აბელზე, რომ იგი ღმერთისგან ეყოლა). ხოლო ელოიმ — იეჰოვამ შექმნა ადამი.. შეეუღლა ევას და ამ შეუღლებისაგან იშვა აბელი. ამრიგად, კაენი პირდაპირი შვილი იყო ღვთაებისა, ხოლო აბელი — ორი ადამიანისა — ადამისა და ევას ნაშიერი იყო... კაენმა საშინელი ცოდვა ჩაიდინა და მოკლა აბელი. ამის გამო კაენი

მად გარდაქმნა. — წერს გაზეთი „მტერნი“, მაგრამ მართლა მტერნი უნდა ვიყოთ, რომ ყველაფერი დავიჯეროთ, რასაც გაზეთები წერენ.

შოთა ზოიძე:

სოროსის გრანტებს დახარბებული ქართველები უმოწყალოდ ლანძღავენ შოთა რუსთაველს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, გალაკტიონ ტაბიძეს.

რუსთაველიდან ნიკოლოზ ბარათაშვილამდე შვიდი საუკუნეა გასული. ილია ჭავჭავაძიდან ვაჟამდე ნახევარი ნაბიჯი. ამდენივე მანძილია ვაჟადან გალაკტიონამდე. ვერ ვიხსენებ, ვინ უწოდა რომენ როლანს ევროპის სინდისი. ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ტვინი უწოდეს. სტალინი თვლიდა, რომ ილია მხოლოდ პრეზიდენტად გამოდგებოდა. თუ იტალიაში „შავებმა" დანტეს სიკვდილი მიუსაჯეს, ჩვენ ილია წიწამურთან მოვკალით.

„ლ. ს."

2005.30

დეკემბერი

გაძევებულ იქნა იეჰოვას პირისაგან. იგი შორეულ ქვეყანაში გადაიხვენა და მისგან ადამიანების განსაკუთრებული და გამოცალკევებული თაობები წამოვიდა".

144. ადამიანი ცხადში, სიფხიზლის დროს, ფლობს ერთმანეთთან დაკავშირებულ ოთხ წევრს: ფიზიკურ სხეულს, ეთერულ სხეულს, ასტრალურ სხეულსა და „მე"-ს.

164. „ადამიანი არა მარტო ის არსებაა, რომელსაც გარე გრძნობებით აღვიქვამთ და ფიზიკური გონებით მოვიხილავთ, არამედ მიწიერი ყოფიერების მანძილზე იგი ზეგრძნობადი, უხილავი არსებაცაა, რომელიც „მე"-სა და ასტრალური და ეთერული სხეულებიდან გამოიყოფა. ყოველ ღამე, მოზრდილი ადამიანის „მე" და ასტრალური სხეული ტოვებენ ფიზიკურ და ეთერულ სხეულებს".

„... არსებობს რაღაც ზეგრძნობადი სამყარო, რომელშიც ადამიანი სიკვდილიდან ახალ დაბადებამდე არსებულ პერიოდში იმყოფება. მას შეიძლება დედამიწამდელი ან დედამიწის შემდგომი ყოფიერების სამყარო ვუწოდოთ".

202. „წარსულს, სათანადოდ, ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიაზრებთ, როდესაც მას ჩვენი შემდგომი გავითარების სარწმუნო პერსპექტივას დავუპირისპირებთ, როდესაც უჩვეულოდ ღრმად, ჭეშმარიტად სიღრმისეულად ვიგრძნობთ იმას, რასაც ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში გრძნობდა ყველა დაუნჯებული და ღრმა ადამიანი: „მე ღმერთის არსებობის შეგრძნება დამეკარგა!" და, როდესაც ამას... დავუპირისპირებთ: „ჩვენ ვისწრაფვით, კვლავ ავაყვავოთ და ნაყოფიერვქმნათ ის სული, რომელიც ჩანასახშივე ჩვენშია განკვართული, რათა მოვიცვათ ძალი, ღვთაებრივი კვლავ მოვიპოვოთ!"

233. „დღეს, ჯერ კიდევ დიდია იმ ადამიანების რიცხვი, რომელთაც სურთ, რომ ნამდვილად არსებობდნენ რაღაც კეთილი ღმერთები, რათა მათი ყოველი წადილი ისე აღისრულონ, რომ ამ დროს თვითონ ადამიანებმა მონაწილეობაც არ მიიღონ... საკმარისია 2800 ან 3000 წელი დადგეს, რომ ჩვენ დიდი ზიზღი ვიგრძნოთ მსგავსი სურვილებისადმი".

270. „ადამიანი თავის თავს ოდესღაც ღმერთების იმაგინაციად მიიჩნევდა, შემდეგ — ღმერთების ჩანაფიქრად, შემდეგ — კონსტელაციების შედეგად და, ბოლოს, მიწიერ არსებად".

271. „რაც შეეხება ჩვენს აზრებს, ის მეხუთე პოსტატლანტიკური ეპოქის ნიშანდობლიობაა..."

276. ცივილიზაციამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ ადამიანი ჭიაყელად არ იქცეს!

ბოდისატვა (ინდუიზმით) ადამიანსა და ანგელოზს შორის მდგომი არსებაა!

სერაფიმნი — სიყვარულის სულები.

იმაგინაცია — ასტრალური ხატ-სახეებით განპირობებული ცნობიერება.

---

*ბესარიონ ბელინსკი: პოლიტიკოსის პატივმოყვარეობა გრივალია, რომელიც წინ რაც დახვდება... ყველას და ყველაფერს გადათელავს.*

*ნაპოლეონ ბონაპარტე: ;ამი ჩემია და ;ამისა მე ვარ იმედი, თვითონ სამარეც მეეიწროოს, თუ ტოლი მყავდეს! (მახლას — წადი, ტოლი ნახეთ!)*

279. იესო ქრისტე: „რითაც შეენიეთ ერთს ჩემს მცირე ძმათაგანს, იმით მე შემენიეთ" (მათე, 25,40).

# არდავიწყება მოყვრისა

## „პაემანი" ვერაზე

2004 წლის 21 მარტს კიდევ ერთი სევდიანი პაემანი შედგა ვერაზე.

ლურჯ მონასტერში ესვენა კაცი, რომელიც თბილისს გულზე ხელების დასაკრეფად არ ემეტებოდა.

ვინ იყო ეს კაცი?

ეს, მგონი, თვითონაც არ იცოდა.

თბილისელი კაცი გახლდათ.

ცხოვრებაში უფრო არტისტული იყო, ვიდრე სცენაზე.

ეს იყო კაცი — წარმოდგენა, კაცი — დღესასწაული... კალმით ნახატი კაცი!

ერთხელ, ინტერვიუში მთხოვეს, დამესახელებინა იდეალური კაცი.

— იდეალური კაცი იდეალურ ქალს უნდა ჰკითხოთ-მეთქი, — ვუპასუხე.

გლოვის დღეს მას, სწორედ, ჩვენი იდეალური თბილისელი ქალბატონები ჭირისუფლობდნენ... ჩამავალი მზის ეშხში შესულნი... მზედაკრულნი, მაგრამ მაინც მზეთუნახავები.

ვერის ბაღში კი იდგნენ დროჟამით სისხლგამშრალი, ცრემლგამშრალი ვერელები, ძველი თბილისელი მოქალაქენი და მათი დუმილი სულაც არ ჰგავდა თანხმობის ნიშანს.

ტაძრის სამარისებურ სიჩუმეში, გულის გალიაში, ჩიტებივით ფართხალებდნენ სტროფები „პაემანიდან"...

ფიქრები, ღრუბლები საავდროდ იყრებიან.

დაბორიალობენ ლანდები,

მდაბლად თავს მიკრავენ ჩვენი რაინდები — თბილისის ნამდვილი გრანდები!

(ერთი გენახათ, რა ხალხს, რა ჯამაათს მოუყარა თავი ამ ჭირის დღემ!)

ახლა, ხალხური ხმით ნატირლებისაცა ვთქვათ:

„ნეტა რა ზნე სჭირს სიკვდილსა,
ვერ ხვდება ჩემი გონება,
შიგ ამოირჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება."

[illegible]:
ცოცა მამაკაცი თუ გაბრიყვებს, რომ ქალების მიერ დაწერილს წაიკითხავს დაუჯერებ?

[illegible]:
პირველი პოეტის — რუსთაველის საფლავი არ ვიცით!
პირველი მეფის — თამარ დედოფლის საფლავი არ ვიცით!
პირველი მხატვრის — ფიროსმანის საფლავი არ ვიცით!
პირველი დიდი მთარგმნელის — ივანე მაჩაბლის საფლავი არ ვიცით!
ყველა დროის დიდი ქართველი — ილია ჭავჭავაძე ქართველთა ხელით იქნა მოკლული!
ციხეებში და მარტოობაში მოკვდნენ დიდი ქართველები — დავით გურამიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი!
თავი მოაკვლევინეს მეოცე საუკუნის გენიალურ პოეტს გალაკტიონ ტაბიძეს!
ქართველთა ხელით დაიღუპნენ: მიხეილ ჯავახიშ-

დიახ, ამბობენ, — სიკვდილსაც კარგები უყვარსო!

... მან ჩემს სტრიქონშიც ვერ მოასწრო გარდაცვალება და აფსუს... მე ეს კაცი („პაემანში") ერთადერთი სტრიქონით გავისტუმრე ისტორიაში:

„ოქროსგულოვანი... გოგი გელოვანი"!..

ეს იყო და ეს.

ამ ძმობის მადლს სიცოცხლეში ვერ გავუმკლავდი, რადგან კაცის ფასი, სიცოცხლეზე უფრო, სიკვდილმა იცის! ჰოდა, რაც სიცოცხლეში დავაკელი, სიკვდილში უნდა ავუსრულო... თან ესეცაა: „რა იციან ცოცხლებმა, რაა სიკვდილი, როცა ისიც კი არ იციან, რაა სიცოცხლე", — უთქვამს კონფუცის.

იმ დღეს, ვერისუბანში, ლურჯი მონასტრის სანთლების შუქზე, გაიმართა ბოლო სპექტაკლი, ანუ სიკვდილის „პრემიერა" იმ ღმერთის ნებიერა, მაგრამ კაცთაგან ბოლომდე დაუნახავი ვერელი კაცისა, რომელმაც იცხოვრა მაცხოვრის ნებით, კაცური ღვთისნიერებითა და ქრისტიანული სათნოებით.

„წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
თუ ერთმანეთს არ ვახარებთ,
ამის მეტი რა შეგვერჩება?"..
რა შეგვერჩება და... არაფერი!
უფერულისგან სხვა რა ფერი?..

იგი თავის სიკვდილს არ დასწრებია. მან წუთისოფელი მარადიულ სოფელში გააგრძელა. დავიწყების ღირსი ის არის, რაც გახსენების ღირსი არ არისო.

...სახარებისეული სიბრძნეა: „რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი — დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი — ამაღლდეს"!

სწორედ, ამ სახარებისეული სიბრძნით იცხოვრა და ღვთიური 10 მცნებიდან (ცოდვა გამხელილი სჯობს, სიკვდილსაც გავუბედოთ შეხუმრება) მხოლოდ ერთ ცდუნებას ვერ გაუძლო — ქალს! არა კაც კლა, არა იპარა, მაგრამ...

ჩემი სახლიკაცის — შოთა ნიშნიანიძის ნათქვამისა არ იყოს:

და როგორ გინდა, ტკბილად მოხუცდე,
ღმერთთან საუბრის გქონდეს უფლება,
როცა ყველას ჰყავს თავის პროკრუსტე:
სტრიქონი, ქალი, თავისუფლება!

მაშ, ბედის ირონია და თეატრალური თვალთმაქცობა არაა, რომ „ძველ ვოდევილებში" მან ცოლს ვიღაც ტიგრან ოფოფიანცთან შეუსწრო, როცა ცხოვრებაში თვითონ იგი (ქალების კერპი) არასოდეს „შეუსწრიათ მსგავს „უმსგავსოებაზე"! ალბათ იმიტომ, რომ იცოდა გარჩევა — „მისი" თუ „სხვისი", თორემ ისე, კაცმა რომ თქვას, ამ „საქმეში" არჩევანიც მისი იყო და არადანიც.

ეჰ, ვინ იცის, რამდენჯერ დაგვილევია იმ ძველი, სიყვარულით გაჭვარტლული თბილისური ლამპის შუშიდან — იმ ძველის-ძველი თბილისის სადღეგრძელო!

რაცაა, ეს ცაა, ღამეც და დღეცაა...
ყველას — და ყველაფერს დროჟამი ახუნებს —
„საცაა, წავა ეს ახალგაზრდობა,
წავა და კარებს გაიჯახუნებს"...

საფლავიდან მწვდება თემო ნაცვლიშვილის ხმა... იმ გარდასულ ოქროს ხანას მისტირის გოგი გელოვანის გიტარაც და მაინც, და მაინც... ბიბინებს ჩვენი ოქროყანა!

ასეთი კაცების ფასი ხალხმა იცის და, მოდით, ისევ, ცოტა ახლებურად, მაგრამ მაინც, ხალხის პირით და ხალხურად ვთქვათ:

„კარგი სიტყვა, კარგი მთქმელი,
კარგი ღვინო, კარგი მსმელი."
კარგი ლხინი, კარგი მძღერი,
მოყვარე და არა მტერი...

ესეც შენი გოგი გელოვანის ჰეროიკული პორტრეტი!

ჩვენი დროის თბილისი სავსე იყო ღმერთიევით ბიჭებით.

ჩვენ არ ვეძებდით ტალანტებს.

ტალანტები გვეძებდნენ ჩვენ და ამით განებივრებულებმა, შეიძლება, ის ცოდვაც ჩავიდინეთ, რომ თვალი შევაჩვიეთ, ბოლომდე ვერ დავაფასეთ გოგი გელოვანისთანა ბიჭების ფუფუნება!

ის ჩვენი თაობის ლოტბარიც იყო, ზრდილობის, სიტყვა-პასუხის, მიხრა-მოხრის მასნაველებელიც, თამადობის ნიმუში, კაცობის ეტალონი, მცირედით კმაყოფილების მაგალითიც და მარგალიტიც!

მან თავისი სანოტო ნიშნებიც კი გამოიგონა (პავლე ინგოროყვას მიერ გაშიფრული უძველესი „ქვაბთა ჰიმნებივით") და გელოვანებისეული დახვენილი გემოვნებით გვაძერწინებდა და გვახვენინებდა ფილიგრანულ ქართულ სიმღერებს.

ჩვენი თაობის ბიჭებს კი, ალბათ, ასეთი ეპითეტიც ახსოვთ — მშვილდივით მოზიდულ და რუსთაველის გამზირზე საზეიმოდ ჩასასვლელად გამონკეპილ გოგი გელოვანს „მამფიმ" (ოთარ მამფორიამ) სიტყვა რომ დაადევნა — რესტავრირებულ გელათს ჰგავხარო!.. (აბა, ერთი ისიც იყო, აი!)

კაცის და ტაძრის შედარების სხვა მაგალითი ბუნებაში ალბათ არც არსებობს!

... 70 როლი შეასრულა გოგი გელოვანმა თეატრში და კინოში, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი, მაინც, მისი 71-ე როლია — თვითონ გოგი გელოვანი, რომელმაც დაამშვენა ჩვენი თაობა და ამ თაობის გასული საუკუნის თვითნაბადი და განუმეორებელი სპექტაკლი.

თუნდაც, აქვე გავიხსენოთ ერთი უკვდავი სტოპ-კადრიც დედაქალაქის იმ ეპოქალური ხელოვნებიდან:

ძველი თბილისის „ჰიმნი"...
კინოფილმი „ქეთო და კოტე".
დღემდე ცოცხალი მელოდია...
ყურდაცქვეტილი, გასუსული თბილისის ქუჩები...
რეპროდუქტორებთან გაშეშებული ქალაქი...
მედუდუკეთა დასტა...
ყარაჩოღელების — გოგი გელოვანის, ზურა ლეჟავას, სერგო ზაქარიაძისა და სხვათა სულისშემძვრელი — „გინდ მეძინოს"...

ვილი, სანდრო ახმეტელი და ევგენი მიქელაძე.
„კალმასობა".
2005. №10.

მანანა კაკაბაძე:
„ქრისტიანული რელიგია ყველაზე პოეტურია ყველა არსებულ რელიგიათა შორის — წერდა შატობრიანი.
„კალმასობა"
2005. №10.

ნობელიანტი ავსტრიელი მწერალი ელფრიდე ელინეკი:
„ვიცოდი, რომ ეს ქვეყანა, პროვინციაში, უკვე აღარ მქონდეს, აქ მხოლოდ ოჯახური კავშირი, რომლებიც ადამიანთან ურთიერთობას და თითო-ოროლა პეიზაჟი მაჩერებს. აღარც რამის შეცვლის სურვილი მაქვს. აღარ მინდა მორალისტობა, ხალხისთვის უხიამო რამეების თქმა. ეს უკვე იყო. ამ ვნებამ გამიარა, საზოგადოებას ის რომ არ უყვარს, ვინც აკრიტიკებს, ძველი ჭეშმარიტებაა. მაშინაც კი კმაყოფილი ვიქნებოდი, საზოგადოებას ჩემს წინააღმდეგ პლაკატებით

სიმღერის „საპატიო ყარაულში" გარინდებული თბილისი.
ეს ყველაფერი იყო...
იყო და არა არის რა... როგორც ზღაპარშია.
მშვიდობით!
გოგი გელოვანო, იძინე მშვიდად!
„გინდ გეძინოს,
მაინც სულში გვიზიხარ"...

*ზურაბ ლეჟავას, ლევან ქაქიაშვილის, ვახტანგ ხურციძის (წოპეს) და სხვათა ხსოვნით - გიზო ნიშნიანიძე*
*(წიგნიდან „გზა... ვარდისფერი", თბილისი, 2007 წელი. გაზეთი „თანადგომა")*

## უსიკვდილოდ!

ერთ მწერალს უთქვამს: სათაური მომეცით და წიგნს მოგცემთო!

დიახ, სათაური ალექსანდრიის შუქურასავითაა — გზას გვინათებს!... და მუზების ტაძარიც აქვეა!.. შეხვალ, აღსარებას იტყვი, ეზიარები და განწმენდილი გამოხვალ!

განსხვავება ის არის — გემები, ზღვებსა და ოკეანეებზე, წყალ-წყალა სტრიქონებივით... წყლის ჭავლს ტოვებენ და ისიც გზა-გზა, მათ ფეხდაფეხ ქრება... მუსეიონის კვალი კი, სიტყვა-ღმერთის წყალობით, არასოდეს არ განყალდება!

მარადისობას არ ვეპოტინები, მაგრამ ასეა ეს და ეს სასათაურო სიტყვაც — „უსიკვდილოდ!" — ალექსანდრიის ნათელივით რომ ადგას ამ სამგლოვიარო და თან საზეიმო სიტყვას, ნათელში მიუძღვება ერთ ნათელ კაცს!

სიტყვას „უსიკვდილოდ" — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ზმნად თვლის და ორნაირად განმარტავს — „მოუკლავად" და „უთუოდ" (ანუ უცილობლად!)

ამბობენ: რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო.

მადლობა ღმერთს, ღმერთების ენის — ქართულის წყალობით, ერთი კაცობა მაინც გეკუთვნის კაცს! თუმცა, ისიც ღმერთმა იცის... ვინ იცის ბოლომდე ის საიდუმლო, რომელიც, იოანე ზოსიმესი არ იყოს, ამ ღვთიურ ქართულ ენაში „დამარხულ არს"!

ავიღოთ, თუნდაც, ეს „უსიკვდილოდ"!

არსებობს კი რამე „უსიკვდილოდ"?

რახან ღმერთი — სიტყვა ბრძანებს — ესე იგი... არსებობს!

და, ნეტავ იმას, ვინც: უსიკვდილოდ იცოცხლებს და უსიკვდილოდ მოკვდება!

აი, სწორედ ასეთ უსიკვდილო სიკვდილს დავესწარი აგერ ახლა — ქორონიკონის 2006 წლის 12 დეკემბერს, როცა ხილიანის ქუჩიდან, წუთისოფლიდან — მარადისობაში გავასვენეთ ჩვენი სიყრმის ძმა და პირის ზიარება შოთა კირვალიძე, რომელსაც ღმერთმა მეგობრობის ქვით-კირისათვის გვარშივე მისცა „კირი", ასტუმრებინა „ვალი", უბოძა „ძეობა",

---

*ალექსანდრე ცაგარელი (1896): რაღაც უცნაური ერთმანეთის ჭამიაობა და დაუცხრომელი შუღლი ჰღუპავდა წარსულში საქართველოს, და თუ ასე გასტანა, ისევე მოუღებს ბოლოს მომავალშიც. სხვა ჭირი საქართველოს არ ჭირდება.*

უპირველესი ქართველის სეხნიობა და დაბადებიდან (კირ-ვალი-ძეობასთან ერთად) ასნავლა ქვით-კირობა და ისიც, რომ — „რასაცა გასცემ — შენია"!

ტირილისა და ღიმილის მისთვის დაღერილი ეს თბილისური საჭირისუფლო ცრემლი იყოს ახლა ამის თავდები!

ამ ნაღდ თბილისელ კაცს მიყვებოდა მისი ხნის თბილისი, გული ხელით ეჭირა და თითქოს დროს ასაფლავებდა, ჩვენი ბიჭობის დროს! — ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში და გულზე ცეცხლი ედებოდა! „ცეცხლი — ცეცხლია — ზოგჯერ მცირე, ზოგჯერ დიდია — მთავარი არი: რა ინვის და ვის უკიდია" (შოთა ნიშნიანიძე).

ამ ცეცხლში წვა და ფიქრებში ბორიალია მელნისფერი სისხლით ნაწერი ეს აბდა-უბდაც...

რა მოხდა ასეთი — ვინ არ დაბადებულა და ვინ არ მომკვდარა?

შენიც მესმის, ჩემო, ჩვენს შემდეგ მისულო მკითხველო და ჩვენი დარდის ვერგანმკითხველო!... მაგრამ ჩვენიც გაიგე!... რაა ის თბილისი, რომელსაც სიცოცხლით ვერ შეემატები და სიკვდილით ვერ მოაკლდები!

შენ უკვე სხვა თბილისში ცხოვრობ!...

და, თბილისის ეშხს მხოლოდ მაშინ მიხვდები, როცა მის სატკივარს, ჩვენს გულის ნადებს ფეხქვეშ არ გაიდებ, ტალახიან ფეხს არ შეახოცავ და ჩვენი თაობის საფლავიდან ამოძახილი შენს ყურსა თუ გულს მოძებნის:

— ჩვენ შემდეგ ქვა რომ ქვაზე დარჩეს, ვლოცულობთ ვინძლო... თბილისს რომ ფრჩხილი ნამოტკივდეს, საფლავში ვიგრძნობთ!..

... სამგლოვიარო პროცესია კი მიდის და მიაქვს ჩვენი დრო!

ვინ იყო შოთა კირვალიძე?

ეს მხოლოდ ჩვენმა თაობამ და ღმერთმა იცის!...

და, არამცა და არამც — ეშმაკმა!

ეშმაკს მან ისე დაუფრთხო ანგელოზები, რომ... თუმცა, სულ ეშმაკებში ტრიალებდა... ახლოს ვერ ეკარებოდნენ!

ანგელოზად დაიბადა და ანგელოზად მოკვდა! თანაც, ვარანცოველი იყო... ჰამაც — ავლაბრელს ჰგავდა...

თბილისური სინკრეტიზმის „ორკესტრში", შესახედავად, პირველ „სკრიპკას" შეადარებდი — ახოვანი, დახვეწილი — ფილიგრანული... პირს გააღებდა და... ყარაჩოღელის ლანდი დაადგებოდა თავზე!

მე იმ თბილისური პლეადის კაცი ვარ, რომლის პირიდან ითქვა სიმღერა: „კაცი ვარ და ქუდი მხურავსო!" ჩვენი თაობის თბილისური მოდელის

რომ არ ებრძოლა, ცუდი ხელოვნების სინონიმად არ ვექცეოდ და სამარცხვინო ბოძზე არ გავაკვრი. რადგან ეს საზოგადოება ახლა არ მოიწონებს.

კიდევ გასაგები:

— ამერიკაში მეორეჯერ ირჩევს პირდაპირი არჩევნებით იხა — ერთ-ერთი ქალაქის მერად. ერთ ქალაქს მერად ბავშვი ჰყავს არჩეული. ორს — ძაღლი. მე ამას არ ვხუმრობ, ხელოვნებად მახე აირჩევს. იმიტომ, რომ არჩევნების მართვალური დემოკრატიულ სისტემაში ახალი შემთხვევები მეხამძლებელია.

„რუხთავი-ა".

**P.S.** აქ რა, ცოცხა შემთხვევა. როცა ვირი ხეზე ადის?

რეზო ესსდე:

70-იანი წლების ქვეყ. კომუნისტების რადიკ დიდი თავმჯდომარე ყოფილა, მეჯასებს მოუხდარა. ამაში მოყოლილა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივანი ვენერა მიხელიმერიძე და დამხმარე ძმეალება. ეს არის მეღვინ ქართული ვარიანტი. ევროპილეს „მეღვე XX

თავი და ბოლოც ეს იყო: იგი ისაკა მექუდის ქუდით ინყებოდა და შოთა კირვალიძის ფეხსაცმლით თავდებოდა!... ეს ის დრო იყო, როცა ამ „თავითა და ბოლოთი"... ცა — ქუდად მიგვაჩნდა და დედამინა — ქალამნად! მაშინ, მგონი, თბილისში თოვლის ბაბუაც კი... სიკეთის მკეთებელი კაცის — შოთა კირვალიძის ფეხსაცმლით მოდიოდა ახალ ნელს და ფეხბედნიერიც იყო!

„ფეხი ჩემი და კვალი ანგელოზისო!" — ამ ფრთიანი სიტყვით იცოდნენ ჩვენში ძველი ნლის გაცილება და ახლის შეხვედრა და ამ სიტყვაშივე ეტევა ეს კაციც — თავით-ფეხებამდე! მიედივართ, მივაცილებთ, გული გვნყდება, ფეხები უკან გვრჩება და ფიქრები ნინ გვისნრებს...

ფუტკარივით კაცი იყო.

თაფლი იყო — ბუზი ბაღდადიდან მოდიოდა!...

უამრავი კაცი და ქალი ეხვეოდა და მაინც მარტოსული აღმოჩნდა. სხვისი ჭირი აქცია ლხინად, სხვისი ლხინით ილხინა, სხვის სიყვარულში გაიხარჯა...

მის თვალებში თავი შეგიყვარდებოდა!

სხვისი სიხარულით — სიხარული...

სხვისი ნეტარებით — ნეტარება...

ასეთ სიხარულს და ნეტარებას —

სხვა რა ნეტარება ედარება???

ასეთებთან ამეტორღიალა ეს სტროფიც და მივდივართ თავდახრილი კია არა... თავანეული! თავდაჯერებული: ნელში მოხრილი... და, მაინც გამართული! მივდივართ და სააქაოდან საიქიოში მიგვყავს კაცი, რომელიც „დააკლდება ქალაქს"!... კაცი, რომელიც „დასავინყებლად" არ გვემეტება!

შეძლებული კაცი იყო.

შეუძლებელს აკეთებდა — ყველას ნვდებოდა. სულ იმის ცდაში იყო — ვისთვის რა პატივი ეცა! საათივით ჰქონდა ანყობილი საქმე.

ჩიტის რძეს იშოვიდა.

იცოდა, რომ ნამუსიც კაი საქონელია და არც ეს ჰქონდა საძებარი — კაცი იყო და თავზე ქუდი ეხურა.

ქონების მოყვარული კაცის ასეთი ხელგაშლილობა ვის უნახავს?... ფულს უფრო უყვარდა ის, ვიდრე მას უყვარდა ფული, რომელიც დავით სარაჯიშვილური შოთა კირვალიძეობით — ბატონად კი არა, მსახურად ჰყავდა.

უტირაჟო კაცი იყო!

ნიგნის საკითხავად, ალბათ, არც ეცალა, მაგრამ გადაუშლელადაც ნაკითხული ჰქონდა ნიგნი, თუ ცხოვრებისეული სიბრძნე... თანაც, თვითონ იყო დაუნერელი ნიგნი, რომელსაც ახლა ასე საგულდაგულოდ ვფურცლავ და თქვენთან ერთად ვკითხულობ!

„უნდა მიეჩვიო კეთილი საქმეების კეთებას" (დემოკრიტე). თვითნაბადი იყო და ეს ჩვევა დედის მუცლიდან დაჰყვა!

„უმრავლესობა ჭეშმარიტ სიკეთეს — კეთილდღეობაში, გან-

---

*გერმანული ანდაზა: რაც ყველა დედას შიგ გულში ხვდება, ის მამას მხოლოდ მუხლამდე წვდება.*

*„ივერია", 1901. №71: სადაც დამბეზღებელს აჯილდოებენ, იქ დამნაშავეს რა გამოლევს.*

ცხრომასა და ფუფუნებაში ხედავს" (პასკალი).

ის უმცირესობაში იყო!

„ცხოვრება სიკვდილზე უფრო ძნელია" (ფოიხტვანგერი).

სიცოცხლეშივე იცოდა ეს!

„ამ ქვეყნიდან ისე უნდა ნახვიდე, როგორც ნვეულებიდან — არც მნყურვალი, არც მთვრალი"... (დიოგენე სინოპელი).

და, აი, სამარადისო განსასვენებლისკენ მიდიოდა... „კაცი-სიკეთე!"..

„ჩამთავრდა მისი კრიალოსანი"... კაცისა, რომელმაც, გარკვეულნილად, ჭირი ლხინად გვიქცია; კაცისა, რომელიც ჭირშიცა და ლხინშიც თავკაცი იყო, ბევრ ქართულ ოჯახს გაუმაგრა ფუძე, თავისი კი ვერ (თუ არ) ააშენა, რადგან თავისთვის ვერ (თუ არ) მოიცალა, — ასე ნერდნენ ამ შენირული კაცის თბილისელი ძმაკაცები მის ნეკროლოგსა თუ მარტიროლოგს, რომელსაც ქუდად — „დიდი ლომის" ზაურ ბოლქვაძის ჩვენ თვალნინ დანერილ უკვდავ სტროფს ნავუმძღვარებდი, რომელიც ჩემი თაობის საზეპიროა!

გადაუარა ბალახმა საფლავს — სიცოცხლის ნერტილს...

შენ ჩემთვის როგორ არა ხარ – მე აღარა ვარ შენთვის!"

... 2006 ნლის 12 დეკემბერია!

მიდის თავჩაქინდრული, მაგრამ ამაყი ჩემი თაობა, უკანასკნელ გზაზე აცილებს თითებზე ჩამოსათვლელი მისი მზეჭაბუკების კიდევ ერთ განსახიერება — კაცს!... მერე ბრუნდება პროცესია სუფრაზე, რომელიც ლხინის სუფრიდან — ჭირის სუფრად (თუ პირიქით!) გვიქცია ჩვენმა რაინდმა ძმამ!

ყველა შედარება მოიკოჭლებსო, ნათქვამია, მაგრამ, თუ მართლაც „ბოროტსა სძლია კეთილმან"... მაშინ შოთა კირვალიძე — თხემით-ტერფამდე, სულით-ხორცამდე ლამაზი კაცი, მართლაც ჰგავდა მისი სულმნათი სეხნიის რუსთველურ პერსონაჟებს და მისი ჭირის სუფრის ავთანდილობაც... პროფესორმა ავთანდილ საყვარელიძემ გასნია, რომელმაც პირველ სადღეგრძელოდ საქართველოს ყველაზე დიდი ჭირისუფლის — თბილისის სადღეგრძელო დალია და იშვიათი შვილის დაკარგვის გამო — პირველი სამძიმარი უთხრა მას!

შესანდობარი დავლიე... ჭიქა ნავუქციე და ისევ გამექცა ფიქრი!

შემიძლია, გულზე დავიდო ხელი და ხატის ნინ

*საუკუნეში!.. რაც მოხდა, წარმოსადგენად ძნელი კი არა, შეუძლებელიც კი იყო.*

*მეორე დილით წაიყვანა ბავშვები, — ერთი უმცროსკლასელი, მეორე — სკოლამდელი, ათამაშა მთელი დღე. გაართო, მოეფერა. მერე, ასე თამაშ-თამაშით, ბოტანიკურ ბაღში ჩანჩქერთან მიიყვანა, რიგრიგობით ჰკრა ხელი და გადაყარა ხევში. ბოლოს თვითონაც გადახტა. აი, ასეთი ტრაგედია მოხდა.*

**P.S.** *ეს ამბავი დღემდე წამლავს ხსოვნას. ამ ამბავმა სულით-ხორცამდე შეძრა საქართველო.*

*ლუკა ორბელიანი:*

*ჭკუა ხანში კი არა... თავშია! 15 წლის მყავდნენ გორგასალი და დავით აღმაშენებელი. სასწაულები რომ ჩაიდინეს და ნეტავ მათნაირი კიდევ გამოჩენილიყო. 80 წლის მერეც მინახავს და 20 წლის გენიოსიც. განათლება და საქმის ცოდნაა მთავარი.*

*...ადრე კარი რომ ჩაგეკეტა, ეს მეზობლის შეურაცხყოფა იყო, ახლა ბოქლომი გიდევს და კარს*

დავიფიცო, რომ რასაც ახლა ვიტყვი... ღმერთია ამის მოწმე, რომელიც ბევრჯერ შემსწრებია ფიქრსა თუ წადილში და ბევრჯერ გაუმართია ხელი!

თვითონ განსაჯეთ!

ახლა, სწორედ იმის ფიქრში ვარ, რომ შოთას, რომელსაც სიცოცხლეში ჩემთვის (და მგონი არც არავისთვის) არასდროს არაფერი უთხოვია, ახლა კი ნაღდად ეკუთვნოდა ჩემი სამგლოვიარო სიტყვა — ნეკროლოგი!... მე კი კირ-ვალიძის ეს ვალიც ვერ მოვიხადე!

... დამთავრებულიც კი არ მქონდა ეს „გალობანი სინანულისანი", რომ... თბილისის პირველმა „მესულთათანემ" — მემორიალურ გაზეთ „თანადგომის" მესვეურმა და დიდი ზნის კაცმა ანზორ ბაბუხადიამ გადმომილაპარაკა:

— ბატონი გიზო! ვინ-ვინ და შოთა კირვალიძე კი იყო ღირსი, მისი საფლავის სამარისებურ სიჩუმეში თქვენ თქვენი სიტყვა გეთქვათ!

გესმით, ხალხო! — ფიქრში შემისწრო: თითქოს ჩემს გულში იჯდა...

... და, გულის ფიცარზე მორბენალმა სტრიქონმა ისე გაირბინა, როგორც დიდი კონსტანტინეს „ნაბდით დაჭედილმა ბედაურმა"!..

12 დეკემბერს თბილისის მიწამ გულში ჩაიკრა კიდევ ერთი თბილისელი, რომელიც დედაქალაქს სიცოცხლითაც ამშვენებდა და სიკვდილითაც დაამშვენებს...

„საცაა, წავა ახალგაზრდობა — წავა და კარებს გაიჯახუნებს"... კვლავ ჩამესმის ერთი სევდიანი თბილისური სიმღერა.

„ბინდისფერია სოფელი — უფრო და უფრო..."

მე ბოდიშს მოვიხდი ბინდისფერ წარსულთან — რაც არ გამახსენდა ამ წამს...

ზოგჯერო სათქმელი — უთქმელი ჯობია... სათქმელი — უთქმელი არ მწამს...

ყველს გაუმარჯოს, ვინც ხსოვნის ბურუსში ბჟუტავს და სევდის რძეს წველავს...

ვინაც სიყმაწვილის ელვარე სანთლებში სულ სხვა ელვარებით ელავს...

ვინც დაგვყვა აკვანში — ვინც აგვყვა აკვნიდან და ვინაც ჩვენს სულში ღელავს...

ვინც!...

კაცობა მოგვცა და ზედ ტვირთი აგვკიდა — ყველას გაუმარჯოს, ყველას!!!

მკითხველო, ეს ჩემი „პაემანის" ფინალია და ჩვენი თაობის (ღმერთმა დიდხანს გვამყოფოს!) საფინალო სასტვენიც!

... ამ ფიქრებში ვარ და სული ქაღალდზე მიმდის, რომ ასოების სასოებით ჩავიწერო ყველაფერი, რომ „ქარის მოტანილი ქარს არ გავატანო"...

ამ ჭირის სუფრაზე, სად გინდა, ახლა, ქაღალდის ნაგლეჯის პოვნა — აქ, ხელსახოციც ჭრელა-ჭრულაა და ამ საქმისთვის სრულიად გამოუსადეგარი!...

თვალებით დავეძებ ქაღალდის ნაგლეჯს და აგერ... ისევ ღმერთია მოწყალე... ერთი ჩვენი მარაქის კაცის ხელით, განგებას თითქოს ჩემთვის გამოეგზავნოს მერაბ მგალობლიშვილი, რომელიც გულის ჯიბიდან იღებს საგანგებოდ გადანახულ... თამბაქოს ფურცლებს და სიტყვის მომლოდინე ცარიელ ქაღალდს მაწვდის (?!)

ესეც შენი ღვთისწყალობა და საგანგებო შემთხვევა!

ღმერთო დიდებულო, რამდენჯერ შემსწრებიხ-არ და რამდენჯერ შევსწრებულვარ შენს წყალობას!

შემიძლია, ხატზე დავიფიცო, რომ ამ სიბერეში (როგორ მეხამუშება ეს სიტყვა!), ყოველ ფეხის ნაბიჯზე გხედავ, შენს იმედზე ვარ და შენით ვცოცხლობ!... ახლა, რაც წერა-კითხვისთვის მჭირდება — ყოველთვის, ან თითქმის ყოველთვის ერთი ხელის განვდენაზე მაქვს!

... და, აი, კიდევ ერთი ახალი სასწაული!

ერთი სიმღერისა და მურმან ლებანიძისა არ იყოს...

თუ გინდა, გჯეროდეს... უნდა დაიჯერო!

ამ ცოდვა-მადლის ტრიალში, ტირილსა თუ ლხინში, ჩვენს მაგიდას მოუახლოვდა ამ სუფრის მაკურთხებელი, საიქიოდან — სააქაოში ჩვენი ნასულების დიდ სულეთში გამცილებელი... თბილისის იეერიის ღვთისმშობლის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი მამა უშანგი (ჩარკვიანი) და... სახალხოდ, საჩუქრად გადმომცა მისი მრევლის კაცის, ოქრომჭედელ პაატას საგანგებოდ ოქროჭედილი ფირუზის ქვებით მოჭედილ-მოოჭვილი საღმრთო წიგნი „ახალი აღთქმაი" უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი"!

ღმერთო, დიდებულო!

სიზმარში მგონია თავი.

თუმცა, ახლა ცხადი... ეხლაც სჯობდა სიზმარს.

ასეთი რამ მხოლოდ ღვთის ნებით ხდება!

გულმა მიკარნახა და ისე ჩავთვალე, რომ ეს იყო უკანასკნელი საჩუქარი, რომელიც შოთა კირვალიძემ ღმერთებთან განდობილი მიტროსანი კაცის ხელით გამომიგზავნა და კიდევ ერთხელ — სიკეთით შემახსენა თავი.

აცხონოს!

ერთ ინდურ ანდაზას ფიანდაზად გავუგებ ამ ამბავს:

„ჩამავალ მზეს ყოველდღე მიაქვს ჩვენი სიცოცხლის ნაწილი"!

კაცთა სულმოკლეობისაა ისიც, რომ დღეს ამომავალ მზეს უფრო მეტი დამფასებელი ჰყავს — ვიდრე ჩამავალს!...

თუმცა, შოთა კირეალიძის მზეს ჯერ კიდევ იფიცებენ მის საძმაკაცოში!

P. S. და, აი, თვალს და ხელს შუა ის 40 დღეც გასულა...

დღეს ცაში ვაცილებთ ამ საოცრად მინიერ კაცს, რომელსაც ღმერთთანაც მიესვლება!

ღმერთს ებარებოდე — ღმერთივით კაცო!

*გიზო ნიშნიანიძე*

***წიგნიდან „გზა... ვარდისფერი", თბილისი, 2007 წელი.***

***გაზეთი „თანადგომა"***

გიმტვრევენ.

...ჯაჭვებით რომ მიჰყავდათ ქართველი ქალი სტამბოლში, მაშინ უფრო ბედნიერი ვიყავით, მაგრამ თავისი ფეხით რომ წავა ქალი იქ (ანუ ხელიდან) მაშინა ხარ დალუპული და თავლაფდასხებული.

ვინ იცის, რამდენ რთულია კოლოსალურ პიროვნებათა ტყვეობიდან გაქცევა... და რაც უფრო დროულად ხდება ეს, მით უფრო ადვილად და თავისუფლად მიაბიჯებს შემოქმედი საკუთარი სულისა და გონების „სამოთხისაკენ"... რადგან საკუთარი თავის პოვნამდე, სხვანი, თვით გენიალური ადამიანებიც კი მხოლოდ გენიალური ტალანტები არიან.

პროფესორი აკაკი ხინთიბიძე: ჭყვიშში, გალაკტიონის საცხოვრებელი სახლის ნახვისას გავიგონე: გენიოსები ქოხებში იბადებიან, დებილები კი — სასახლეებშიო.

აკაკი შანიძე დგას კორნელი კეკელიძის კუბოსთან. უყურებს ცხედარს და ამბობს: რა ცოდნა

# მარადიული ბიჭი!

## (ნეკროლოგის მაგიერ)

ბედნიერია ის თაობა, რომელსაც ასეთი ბიჭები ჰყავს!

ქართლოს კასრაძე ბიჭად დაიბადა და ბიჭად მოკვდა, თუმცა, საუკუნის ტოლი და სწორი იყო. მის ხსენებაზე დღესაც სიცილი გადაუვლის სახეზე მთელ საქართველოს.

რა შეავსებს უქართლოსობას!

მწერალ დავით კასრაძის შვილი გახლდათ.

ამბობენ, გენი, რომელიც მუშაობს მშობლებში, ხშირად ისვენებს შვილებშიო... ამასაც თუ მოსვენება ჰქვია! — კალმის ხელში აღების დღიდან წერდა, მაშინ, როცა მისმა ბევრმა თანატოლმა ჯერ წესიერად კითხვაც არ იცოდა.

კიდეც წერდა და კიდეც კითხულობდა! სცენის ჯადოქარმა მუზები, ლამის, საყვარლებად გაიხადა.

რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო! ლეგიონი ყოფილა! სადაც ჩადიოდა, იქაურ ენაზე ლაპარაკობდა, თუმცა 1000-სახიანი კაცი გახლდათ, მაგრამ არავის ჰგავდა... საკუთარი თავის გარდა!... უტირაჟო იყო.

„... ამ წყეულ ნიღბებს იმიტომ ვიცვლი,
რომ ჩემი სახე შევინარჩუნო.
ცხოვრებას კიდევ გავუძლო, ვინძლო,
ვიცხოვრო, ვწერო და ვიფაჩუნო.
და, როცა დღიურ ფუსფუსის მიღმა —
ღამე საკუთარ სულს ჩამახუტებს,
მე გადავხედავ ჩამოხსნილ ნიღბებს,
როგორც ნაომარ რკინის ჩაფხუტებს!“

ჩემი სახლიკაცის შოთა ნიშნიანიძის ეს ლექსი ქართლოსზე და ქართლოსისნაირებზეა ზედგამოჭრილი. დიახ! იმ გაგანია თუ... ამ შავ დღეში, მან თავისი ნიღბებით მისი ბიჭობა გადაარჩინა, საკუთარი სახე შეუნარჩუნა, იცხოვრა, „წერა“ და... „ფაჩუნისა“ რა მოგახსენოთ — იგრიალა! იგრიალა და გვაგრიალა, თუმცა სიხარულის ცრემლებიც გვადინა, მაგრამ განშორების მწუხარების ცრემლისაგანაც ვერ გვიხსნა და მე იგი სწორედ მაშინ დამაწია, როცა თბილისის აეროპორტში, ეგვიპტეში გასაფრენად, საბუთებს გვიმოწმებდნენ.

ზედ სასაზღვრო ზოლის გადაკვეთის წინ ვიღაცამ თქვა:

ქართლოს კასრაძე მომკვდარაო!

ქართლოსის სიკვდილი ვინ თქვა და ვინ გაიგონა!

... დილაადრიან გაზეთ „ასავალ-დასავალის“ მისაღებში დავრეკე და, ცხელ გულზე, ვერელების, თბილისელებისაგან საჭირისუფლოდ, ნეკროლოგის მაგივრად, ასეთი „თათარიახნი“ სტრიქონები დავტოვე:

იყო და არა იყო რა — სულ ოქროს კვერცხი გვიგორა:

ტირილი მოკლა... სიცილით, სიცილი კვდება... ტირილით!

ასე გამოვიტირე თუ გამოვიცინე ჩემი ქართლოსი, თუმცა, მსგავს ბიჭებზე „პრივატიზაცია“ არ ვრცელდება და აქ, ალბათ, სიტყვა „ჩემს“ „ჩვენი“ უფრო შეეფერება.

რაც შეეხება ქართლოსის სიკვდილს... სისულე-ლეა! ახლა გამოვა მისი ახალი წიგნი და „ქართლო-სიანთა“ შორის ის გააგრძელებს ქართლოსობას.

ასე, რომ... ალალი იყოს ალალი კაცის ალალი სიცილი, რომელიც იცოცხლებს და გვაცოცხლებს!

მშვიდობით და გამარჯობა, ქართლოს!

**ვერელების სახელით, გიზო ნიშნიანიძე**

P.S. ცოდვა თუ გამხელილი სჯობს, სიკეთემ რა დააშავა? ამ წიგნით ქართლოსის გაცოცხლებაში... ჩვენი წვლილიცაა... ჩემი თხოვნით დააფინანსა გამოცემა თბილისის მერიამ!

* * *

...ამასობაში რა დრო გასულა!...
ის, რაც მოსულა –
უკვე წასულა...
რაც გარდასულა, გაღმა გასულა,
იქცა წარ-სულად
და დარჩა სულად!
...ჩემო წლებო და ჩემო სიბერეე –
ორპირ ქარივით შემომიბერე,
და დამაბერე!..
როგორ ქურდულად წამომეპარე
და ყაჩაღივით გადამელობე,
კარგს – გამყარე და ავსა შემყარე –
ვერ ეცნობ თავსა და
ვერ ეცნობ მეგობრებს!..
არც ფიცი უნდა და არცა მტკიცი –
დაბადებიდან რომ ეკედებით – ეიცი!
ხან ეღარც ეარჩევ ტირილს და სიცილს –
გამოეეკერე ცას ასე – ციმციმ!

* * *

გიზო მქეია სახელად – უკუღმა ვარ „ზოგი“!
ამ გიზ-გიზ და ზოგ-ზოგში... თავი ვერ დაეზოგე!
საუკუნე გაელიე –
ტკბილში მწარე გავრიე –
წუთისოფლის ეშხითა – შხამ-სამსალაც დაველიე.
და ამ ოხერ-ტიალში... მეც ეიოხერტიალე –
ალაეერდად გიგზავნი – მოთმინების ფიალებს!

* * *

22 ოქტომბერს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ოთარ რამიშეილის (კვაჭიჭოს) საიუბილეო საღამო (75).

ოთარ რამიშეილმა, რომელიც, ასე ვთქვათ, მე

მიაქვს?!

„კალმასობა“
2006. №1.

როგორც „კრიმი-ნალური ქრონიკა“ იუწყება (№7.2007), ამერიკელმა მილიო-ნერებმა ცრუ სეიფე-ბისათვის ახალი „სეკრეტი“ მოი-გონეს. რაც, არც მეტი – არც ნაკლე-ბი... შხამიანი გვე-ლია!

სხვის ქონებაში ხელის ფათური ყოველთვის საშიში იყო და ეს რა მოუგონიათ ამ მარ-თლაც „გველის წი-წილებს“!

ლელა ჯოყამშვილის ინტერვიუ <u>რამაზ ჩხი-კვაძესთან</u>:

– შენი თაობის ხალხი გეცლება და გეცლება ხელიდან. რჩება მარტო... ეს არის საშინელება. რუსთაველის პროს-პექტზე რომ გამოვ-დიოდით, შუა ხნისანი რომ ვიყავ-ით, ვთქვათ 40 წლ-ისანი, სულ ნაცნობ სახეებს ვხვდებო-დი... იყო ერთი სჯა-ბაასი პოლი-ტიკაზე, სპორტზე, ხელოვნებაზე. დღეს აღარ არის... ახალგაზრდები ხომ ისევ არიან. მაგრამ

„აღმოაჩინე", როგორც ამერიკა, ამ სცენაზე პირველად ფეხი 1981 წლის 28 დეკემბერს შედგა, როცა გაიმართა ერთი დაუვიწყარი თბილისური საღამო — „პაემანი ვერაზე"! სწორედ ამ ამქრული ვალისაა ეს „ლექსპრომტიც"!

კეაჭიცა ხარ და გქვია „კეაჭიჭოც" —
კაციცა ხარ და ბიჭადაც ბიჭობ —
უხასიათო არც კაცი ვარგა, არცა ქალაქი...
გახსოვდეთ კარგად!
შენი სიმღერა თაფლია ფიჭის —
ჩვენ უთბილისო თბილისი გვიჭირს.
ღმერთმა არ მოგცა სიბერის ნიჭი
და რჩები ასე — ბებერი ბიჭი!...
შემოგპარვია სიბერის ვერცხლი...
და, მაინც, არ ხარ შენ „ჩასარეცხი"!
P.S. ...ასე რომ, გულმა არ გიყოს რეჩხი!..

* * *

ზოგჯერ, როცა არ არის — სხვა გზა... არცა სახსარი
და საშველიც არა ჩანს — არასგზით და არსაით...
ვცდილობ, არ გავიყიდო ზოგიერთი სხვასავით... იქეთ-აქეთ ვაწყდები — ვღელავ, ვღელავ ზღვასავით...
ენა კბილით მიჭირავს, გული ხდება ქვასავით, მაგრამ... ზოგჯერ სული მძლევს — ვიყიდები... თხასავით!

* * *

აკაკივით ვაკაკუნებ გულის კარს...
და ამ „სეიფს" თუ დატოვებ კარღია —
უნდა ღირდეს, სიმართლისთვის თუ რისკავს —
კაცის გული — მისი სულის სარკეა!

* * *

სიტყვისა — სიტყვასთან ვეძებე კავშირი,
სტრიქონი გავმართე ლექსის შალაშინით,
ვრანდე და ვასწორე — პინაზე სასწორის,
ვსვამ ლექსის შარბათს და რითმებით ვითვრები!

* * *

ვისთვის რჯული, ვისათვის კი — სიმართლის თქმა „პობია" —
პოდა, ცოდვა, ამბობენ, გამხელილი სჯობია!

* * *

წიგნი აპურებს კაცის გონებას
და სულის საგზლად თუ დაგჭირდება —
თუმცაღა, იგი არის ქონება —
საქონელივით არ იყიდება!
სხვა ჰობი კაცსა თავს დამხობია —
წიგნსა საჩუქრად სხვა რა სჯობია!

*პიერ ლაშოსე: საცა ყველა დამნაშავეა. იქ ... არავინ არაა დამნაშავე!*

* * *

მე არ ვიცოდი
ლექსის წერა თუკი ვიცოდი –
მაგრამ ვიწეოდი!
მე არ ვიცოდი –
ლექსის მუზა თუ მოვიდოდა,
მაგრამ – მინდოდა!
დაიგვიანა –
თუმც, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!
რა მადლიანად!
ლექსზე უკეთ სხვა რა მარადობს!

* * *

ჩემზე იტყვიან:

პოეტობა მაშინ გაბედა, აგერო ახლა, როცა კაცი... შემოგვებერდა!

მე, გვიან გავხდი ლექსის წერა – ანუ მწერალი – „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი!“ და არ გეგონოთ, რომ სიბერით ჭენებას ვუკლო – რაც რომ დრო გადის, კიდევ უფრო... უფრო და უფრო!

მუზის ოინებს, სწორი გითხრათ, დღემდე ვერ მივხვდი – „საყმაწვილო სენს“ ვინ – როგორ და ვინ – როდის იხდის!

* * *

ხედავ – კაცია,
ადამიანი,
თუმცა, ვერ ხედავ ვინ და რისტია...
ხანდახან ზურგში თქმასაც ებედავთ და...
ყველაფერსა ჰგავს – არაფრისტია!..

### ვინ რა ჭკუაზეა!

„ასავალ-დასავალის“ ჩიტ-კორესპონდენტის ბ-ნ ჯაბა ხუბუას აღმოჩენა (ყოველგვარი ხუმრობის გარეშე).

ჩვენზე კარგი თუკი ითქმის –
ეს სიბრძნეა სიცრუისა!
ხოლო, ცუდი თუ არ ითქმის –
ეს სიბრძნეა... სიყრუისა!

P.S. ფაქტი ფაქტად რჩება, რომ სიმართლის მთქმელს ცხენიც შეკაზმული უნდა ჰყავდეს, ვირი კი... დაბმული!

* * *

ცხოვრება სიტყვით რომ აწონო-დაწონო,
უნდა დაიბადო მგოსნად.

არცა სიჭაბუკის წასვლა გამიგია და არცა სიბერის მოსვლა!

თვალსა და ხელშუა გაფრინდა წლები და დრო შეიცვალა... მეგობრებიც მიდიან ნელ-ნელა... არადა, ჩვენი თაობა იმ წლებშია, რომ სწორედ ჩვენზეა მომდგარი მიქელ-გაბრიელი.

— თავად სიცოცხლე კი მაინც მშვენიერია.

— აბა, რა მშვენიერი პლანეტა მოგვცა ღმერთმა! თუ კაცი წესიერად იცხოვრებს, იქნება ჯანმრთელიც და ბედნიერიც. მაგრამ გამოდის, რომ ყველაზე ბოროტად და არასწორად ადამიანი ცხოვრობს. მხეცი თავის მსგავს მხეცს არ ჭამს. ჩვენ ერთმანეთს ვჭამთ. ადამიანში რომ ცოდვაა, იმდენი ცოდვა არაფერში არ არის! მთელი მსოფლიო ისტორია ხომ ადამიანების მიერ ერთმანეთის ჟლეტაა არ არის? ვინ აღარ ფიქრობს ამ პრობლემაზე: მწერალი, ფილოსოფოსი, მეცნიერი... არაფერი არ გამოდის. მეაყარე კედელს ცერცვი! მაინც გრძელდება: დოლარი როგორ ვიშოვო, სხვა როგორ დავჩაგრო... — ამისთვისაა დაუნდობელი ბრძოლა...

ყოფის აზრს კი მიეხედი გეიან –
წუთია საწუთრო, წუთია სოფელი და წუთისოფელიც პქეია!

* * *

საუკუნეს ეასწორებ – ვერ გაეიგე, რა მომდის. ამ მზესა და მთვარეზე – მზე და მთვარე ამომდის. გამიტკბა ეს სიცოცხლე, კულავაც ცეცხლი მედება – სიკვდილისათვის, იცოდეთ, თავი არ მემეტება.

თუმცა, კაცის სიკვდილი – სიკვდილსაც გააჩნია. იმას, აბა, რა მოკლავს, ვინც სიცოცხლეს აჩნია!

## ადრე თუ გვიან

კაცი ცხოვრების აზრს წვდება –
არც ღორობს და არც ქორობს ...
ქრისტიანს რომ ეკადრება –
თუ იმ ცხოვრებით ცხოვრობს!

## მეუფე ეფრემს!

### (ღვთისნიერი და ღვთისმიერი სიყვარულით)

ფიტარეთსა, წუღრუღაშენს
და ბოლნისის სიონსა –
საუკუნით მონაბერსა მამა-პაპათ სიოსა –
დაგილოცავე სანთელ-ხატსა, სააქ-საიქიოსა...
ყველაზე დიდ ამბიონსა –
ცხრა მთა კავკასიონსა!

## მზით დამწვარი ლექსი

ღვინის წურვამ და რთველითა თრობამ...
თაფლივით მზე იცის...
შემოდგომამ!

* * *

ჩამავალ მზეს – მკვდრის მზე პქვია.
მზიან ღამეს – ძილ-ღვიძილი.
ვინ იცის და ვის უგრძვნია –
დაბერებულ მზეზე ტკბილი?..

* * *

წუთისოფელი!
ერთი კაცის გზასავალია,
თავიც და ბოლოც –
ეს ასავალ-დასავალია!

---

*თ. გრი: სადაც სულელი ბედნიერია, იქ ჭკუა – უჭკუობაა!*

*არაბული: სათაურით შეიძლება წიგნზე მსჯელობა.*

*ფეიერბახი: საიქიო არის ხატში განჭვრეტილი, უხეში მატერიისაგან განწმენდილ-გამშვენიერებული სამყარო.*

* * *

სიტყვა მწერ-ალში ალი გიზგიზებს.
ამ გიზ-გიზში კი — ჩემი სახელი.
და რაც მინახავს — იმას გინახავ —
უნახავისა ვარ მე მნახველი!

## რითმების რიცმებით!

*ლექსპრომტი კოლეგას —*
*რუსლან რუსიძეს!*

რუსლანი პქეია და გვარადაც რუსია,
სად „გრუზია“ და სად კიდე „როსია“?
რამ გადაგვეკიდაო ან რა ბუ-რუსია?
გამოსავალი ხომ კონსენსუსია!

* * *

ახლანდელი „ნოუ პაუ“
მე მახსენებს პაუ-პაუს —
ქორს წიწილას რომ ვტაცებდით
და ავტეხდით აურზაურს.

## ჯვარი მწერია

ჩემს გვარში არის სიტყვა იმგვარი,
რაიცა ნიშნავს „ჯვარს“ ანუ „ნიშანს“.
იმისი მადლით ჯვარი მწერია, კაცმა რომ მკითხოს — ვარ, არა მიშავს!
თუმცა, მაშინებს ყოველი ელდა, თუნდაც, მარცხენა თვალის თამაში,
ცრურწმენააო... მე რაღაც ბედად, უბედურებას ვხედავ ამაშიც!
ბევრს ნუ იცინი! არ წაგმწარდესო!...
და ვმღერი, როცა არც მემღერება.
ცრემლებს გადენსო...
აი, ეს არის
ჩემი მშიშარა ბედნიერება!
ცალი იცინის, ცალი კი ტირის,
მითვალთვალებენ ჩემი თვალები
და მირიხინობს ცხოვრების ეტლი...
ჭრიალ-ჭრიალით,
წვალებ-წვალებით...
„წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება“ —
შენ — შენი თქვი, ჩვენ — ჩვენი ვთქვათ —
დანარჩენი... დანარჩენმა!

25.04.2002.

*„იხარე, ყრმაო, ვიდრე ნორჩი ხარ: გაამის შენმა გულმა... სიყმაწვილეში მიჰყევ შენს გულს და თვალთა მზერას, ოღონდ იცოდე, ყველაფრისთვის ამის გამო სამსჯავროზე წარგადგენს ღმერთი“ (სოლომონის ეკლესიასტე, 10-12).*

*„ლ.ს.“.*

*14 ოქტომბერი, 2005.*

*ეკა დიმაძე:*

*სიძე-სიდედრიანი ადამი დედამიწის ზურგზე ერთადერთი კაცია, რომელსაც სიდედრი არ ჰყოლია.*

*ლიკა (ცოლი): — ისე, ეგ თემა მაგარი ანეკდოტია. ერთი ამბავი მახსენდება. არც კი ვიცი, ნამდვილად მოხდა თუ არა, მაგრამ კარგად კი ვიხალისე. ფეხბურთის მატჩის დამთავრების შემდეგ. თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მანქანა თამაშდებოდა. თურმე, მოგებული ის იქნებოდა, ვისაც ჯიბეში სიდედრის ფოტო აღმოაჩნდებოდა. როგორც ჩანს, ლატარიის ორგანიზატორებიდან ვერავინ იფიქრებდა, რომ*

* * *

კაცს რო კაი კაცი ერქვას... ცოტა როდი კმარა. ზოგმა ფულის ხარჯვა იცის და კეთება — არა! ზოგმა ფულის „შოვნა" იცის და ხარჯვა კი უჭირს. ზოგი კუჭის ბატონია — ზოგს ბატონობს კუჭი. აწი, შენი კაცობაა — კაცს რით არჩევ, აწი — კაცის ხელის გამმართველსა კაცსა ჰქვია კაცი!

* * *

ავ კაცს აეი სიტყვა რომ ურჩევნია სულს და გულს — სწორედ ამ გზით გადადის — პირდაპირ და ყურდაყურ... აეი სიტყვა — ავ ყურში (ტელეთი, რადიოთი) — თითქოს მთქმელს და გამგონეს ჭკუა არ აქვთ იოტი. ჰოდა, როგორც გვეჩვენება, ეატრიალოთ ენები — როგორც ჩანს, არსებობენ გენებით — გიენები.

* * *

ადამიანს კრამიტი როცა დაუცურდება —
მისი ჭირისუფალი მერე დაფაცურდება!
წაიყვანენ ექიმთან —
გაჰყიპაევენ წამლებით,
იმას კი არ წამლობენ — რისგანაც ვიწამლებით.

* * *

იმ გაგიჟებას რა დამავიწყებს,
როცა ლექსების წერა დავიწყე!
როცა მელანი სისხლად გადმექცა —
როცა კალამიც... სიტყვაც გამექცა —
მეხი დამეცა!

* * *

ლექსების წერას უნდა „გაფრენა" და საფრენოსნო უნდა ამინდი: თეთრი ქაღალდი — გულზე საფენად (დაგიცურდება როცა კრამიტი). გიჟი არა ვარ, თუმცა ვარ გიჟო — ვერ იპოეტებ, თუ არა გიჟობ! როდესაც ლექსი აწყდება ბაგეს — ეს ღვთაებრივი არის სიშმაგე!

პირზე მომდგარსა სიტყვას თქმა უნდა — ახსენე ღმერთი, გახსენი გული — ჰოდა, დააფრთხე ეშმა ბებერი — ჰოდა, უბერე უბერებელი! გახსენი გული — დატოვე ღრიჭოდ — ჰოდა, იგივე, გიჟო, შე გიჟო!

## *ლევან ვახაძეს!*

სულით — ხორცით ლამაზი და უტყუარი კაცია —
ყველაფერი დაუბერტყავს ღმერთის — სიკეთე რაც კია...
გულზე ისე მეხატება, პირითაც ვერ მითქვია...
ღვთის კაცია და ხატება...
ასეთ კაცზე იტყვიან.

* * *

„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ...შუაღამე იწვის, დნება" —
სასწაული რაღაც ხდება... სიტყვა-ღმერთი იბადება!
შევეგებოთ სიტყვა — ზედანს, გულთა — ჭერეტას, თვალთა — ხედვას —
გაუმარჯოს უფლის ნებას: შენს — მოსვლას და ჩვენს — დახვედრას!

* * *

იგი მოვიმკეთ — რაც ვთესეთ!
„ფრიად საწუხარ არს ესე". (ანტონ კათალიკოსი)

* * *

ერთსა თხილსა 9 ძმა გაყოფს (მით უმეტეს, ციყვეია). პარტიებად ვიყოფით და ლუკმა ვერ გაგვეყოფია!

ცუდი — მომატებულა და კარგი — გამოკლებულა — ვინც გაყოფა არ იცოდა — ის ვერ გამრავლებულა. ახლა დროა ასეთი — წერს ჟურნალი, გაზეთი... მარგინალიზაციის — საუკუნის კასეტის.

## „მიცვალებულთა პატივისათვის"

მარტყოფის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა ლევანი (ნავროზაშვილი):

„კაცობრიობის ისტორია... აბელის სიკვდილით იწყება"... მას შემდეგ ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობად სიცოცხლე კი არა — სიკვდილი შეიქნა... დოგმატური დებულება, რომელსაც გვთავაზობს მართლმადიდებლობა, არის მრწამსის ის მუხლები, სადაც ლაპარაკია მეორედ მოსვლაზე, მომავალ სამსჯავროსა და მკვდრეთით აღდგომაზე... ადამის მიზეზით, ჩვენ, ყველანი, მოკვდავნი გავხდით. ისინიც, ვისაც აკრძალული ნაყოფი არ გაუსინჯავთ.

...ცრუმორწმუნე ეგვიპტელები აბალზამებდნენ ცხედრებს და აკლდამებში ასვენებდნენ; რომაელები კოცონზე წვავდნენ და ფერფლს ურნებში ინახავდნენ; იუდეველები გამოქვაბულებსა და მღვიმეებში... მწუხარებას კი ბნელში ყოფნით, მარხვითა და თავზე ნაცრის დაყრით გამოხატავდნენ. ქრისტიან მიცვალებულს განბანილს, თეთრით შემოსილს ისტუმრებენ მარადიულობაში. იოანე ოქროპირი მას უხრწნელობისა და უკვდავების შესამოსელს უწოდებს.

მართლმადიდებელი ქრისტიანი წუთისოფლიდან მარადისობაში სიხარულით აცილებს მოყვასს. უგალობს ფსალმუნებს უზენაესს, რომელმაც გაათავისუფლა გარდაცვლილი ამა სოფლის ამაოებისა და ბორკილებისაგან.

მართალია, ადამიანთაგან, წამსვლელი ბევრი გვინახავს და მომსვლელი — არავინ, მაგრამ არსებობს სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ (იოანე ოქროპირი).

„მიწა ხარ და მიწად მიიქეც" (შექმ. 3, 19).

*სიდედრის მოყვარული კაცი იარსებებდა და თანაც ის იმ დღეს სადილიზე იქნებოდა. მოკლედ, ავტომანქანა გათამაშებულა, მოუგია კაცს, რომელსაც, თურმე, სიდედრის საფლავის ქვისთვის, გასადიდებლად წამოღებული პასპორტის სურათი ეღო ჯიბეში. ალბათ, ამ ამბის შემდეგ ის კაცი სიდედრს ძეგლსაც დაუდგამდა საფლავზე.*

*თამარი (სიდედრი): — ჩემი ახლობელი ქალი და მისი სიძე ერთმანეთთან მეხუმრებულები იყვნენ. ხანდახან სიძე ისეთ რამეებს უწყობდა, სიცილით ვიხოცებოდით. ერთხელ, ქალი ავად გახდა და სიძემ საავადმყოფოში „ვენიკი" მიუტანა. ბიძო, ეს რა ჯანდაბად მინდა, ჯერ არ ვკვდებიო. — უსაყვედურა სიდედრმა. რომ მოკვდები, მერე ვეღარაფერს გაიგებ და თადარიგს წინასწარ ვიჭერო, — უპასუხა სიძემ.*

*ნუცა არჩვაძე (ონეზიზის ქალიშვილი):*

*საქმეს, კაცობრი-*

„სასაფლაო უფლის ყანაა, სადაც „დაეთესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნილებით!"...

დედაეკლესიამ საყოველთაო მოსახსენიებელ დღეებად დაადგინა ხორციელი შაბათი, სულთმოფენობის წინა შაბათი, დიდმარხვის მეორე, მესამე, მეოთხე შაბათები, ასევე, თომას კვირის სამშაბათი და დიმიტრის შაბათი...

„მას, ვისაც სულ მცირე სათნოება მიანც გააჩნდა, ან მისი აღსრულების სურვილი ჰქონდა... მართლმსაჯული არ დაუვიწყებს... ცოდვილთა სულები ლოცვით, სინანულის საიდუმლოსა და ევქარისტიის წყალობით, გარკვეულ ნუგეშს ჰპოვებენ"...

უსაზღვრო გლოვა და შავი სამოსის ტარება მეტყველებს სულის უკვდავებისადმი ურწმუნობაზე. ადამიანის მიწიერი ცხოვრება დიდი გამოცდა და სამზადისია მარადიულობისათვის!

ნეტარი ავგუსტინე: სიკვდილი არა არის რა, მე მხოლოდ გაღმა მხარეს გავედი!

*აი, ყოფნა-არყოფნის იდილია:*
*სიკვდილი — სიცოცხლის მიზანია —*
*ძილი — სიცოცხლეში სიკვდილი —*
*სიცოცხლე... სიკვდილის სიზმარია!*

ნებაზე მიშვებულმა სიტყვამ, აი, ამ სტროფად მოიყარა თავი!

## *პირჯვრის ნაწერი წიგნი*

სასაჩუქრო წიგნებზე მინაწერები... ყოველთვის მაღალ რეგისტრში იწერება, მაგრამ ბედის უკუღმართობით უბედურ, არაჩვეულებრივად ნათელ და ფაქტიურად უსინათლო მწერალ ქალბატონ ნათელა ონაშვილს ამ ქვეყანაზე არავისთან და არაფერთან არ ჰქონდა საპირფერო. და, ეს ღვთის პირით სათქმელი სიტყვები, ჩემი შემოქმედების გარდა, ალბათ, მის ერთადერთ და უკეთილშობილეს შვილთან ჩემი უსასაკო მეგობრობის წყალობა და შედეგია!

წიგნი XX და XXI საუკუნის გასაყარზე დაიბადა და მას კოსმოგენური სათაური ჰქვია: „მანძილი ზეცამდე". ის სასაჩუქრო ნარწერა კი ასეთია: „ბატონ გიზო ნიშნიანიძეს — თბილისის ეშხს, ლაზათს, მადლსა და მშვენებას, რომელმაც ყოველივე ეს საყვარელი ქალაქისაგან მიიღო მემკვიდრეობად და მშობლიურ ალაგს მანვე შეუნარჩუნა ეს განუმეორებელი თვისებები, ისევე, როგორც ძველი ტფილისის „მეტრფემ" იოსებ გრიშაშვილმა!"

დიდი პატივია და, ამასთან, დიდი მკრეხელობა, რომ ეჭვი შევიტანო შვილმკვდარი დედის სიტყვების გულწრფელობაში. ამ სიტყვების ნახევარიც კი მთელის ტოლფასია.

ქალბატონი ნათელა (ნათელში ამყოფოს მისი სული, მის საყვარელ, დედისერთა ბიჭთან ერთად) გახლდათ მეუღლე ცნობილი მოქანდაკის

*პლატონი: ძალიან მდიდარი ადამიანები გულუხვები არ არიან და რადგან გულუხვები არ არიან... არც ბედნიერები.*

*აკაკი წერეთელი: 3 რამ არის აუტანელი: ღლახა ამპარტავანი, ბებერი არშიყი და ძუნწი მდიდარი!*

გურამ პაპინაშვილისა, რომელმაც, ასევე, მისი შვილის მეგობრობითა და თბილისური ქალაქური „პაემანის" ეშხით, ბრინჯაოსგან ჩამოასხა ჩემი ბიუსტი, რომელიც, ასე და ამრიგად, ძეგლთა სამშვიდობოს არის გასული და (როგორც მურმან ლებანიძე ერთ ლექსში წერს) შემიძლია, ვთქვა: მშვიდობით, გაღმა სოფელი მოსჩანს, ანი სიკვდილი ფეხებს ვერ მომჭამს-მეთქი. თუმცა, ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ არაფრის გარანტია არ არის, შეიძლება, ვინმეს მოეპრიანოს და სადღაც ჯართად გიკრას თავი!

ვერა ხედავ, რა დროა! ძეგლების დოლი და მარულაა გამართული.

...ეს ხუმრობით და ხუმრობის გარეშეც! ის წიგნი კი „უმისამართო ბარათია, შენთვის მოწერილიო" — წერს დედა შვილს — გიგის! (ჩემი ძველისძველი მეგობრის, საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის, იუსტიციის გენერლის რევაზ — სოსო ყიფიანის თანაშემწის — ჭეშმარიტი მზეჭაბუკის მისამართით — ბრმა კაცის ბრმა ტყვიამ სხვის ლხინში ჭირის დღე რომ გაუთენა!)

...ყოველი დაღამებული დღე კიდევ ერთი ნაბიჯია შენკენ გადმოდგმული...

ეს ლექსი დედაჩემისააო, — ამბობდა გიგი და მეშვიდე ცას სწვდებოდა:

„თუ ასე ტურფა იყავი, რად ვერ გამჩნევდი, იაო,
იმად, რომ სიყვარულისთვის გული არ გაგიღიაო!..."

...ერთი გავლენიანი ოჯახის ნებიერა ქალიშვილი შეგიყვარდა... მომავალს უღიმოდი, ხან უცბად დამტაცებდი ხელს, ჰაერში ამიტაცებდი... ზოგჯერ, იმ გოგონასთვის მისართმევი ყვავილების ფულს დედას სთხოვდი, შვილო!...

„აპრილში მოხველ და მზის ალმასი გადმომაფრქვიე მკერდზე იებად,
შენ გაიზარდე ისე ლამაზი, ვით ჩემი ნაკლის შურისძიება!"

ეს სტროფი ამ უსინათლო ქალის გამოსხივებაა. შემძრა ამ „სილამაზის შურისძიებამ"!

„რა გეშველება, შვილო, მაგ გულისა და მაგ გრძნობის პატრონს ამ სისხლგაყინულ, სინდისგარეცხილ ხალხმრავალ უდაბნოში?!" — ნინასნარ ტიროდა მის ბედს, არა ახლანდელის მსგავსს, სულ სხვა შვილს, მართლაც მეუდაბნოეს რომ ჰგავდა ამ „გრიალუშკებში" და არა „დედას ბიჭის", სიმართლის ქომაგს, სულ ფიჭურ კავშირში რომ იყო სახლობასთან: „ვიმყოფები 26-ე მერიდიანის მეორმოცე გრადუსზე, ვაკე-საბურთალოს გზაზე. ირგვლივ სამშვიდეა, ხიფათი არსაიდან მელის, გეზი მიჭირავს სახლისაკენ. 5 წუთში ღუზას ჩავუშვებ ჩვენს

*ობის არსებობის მანძილზე. ვინმეს ზუსტად განემარტა, — რა არის ბედნიერება. თუმცა არსებობს ბევრი რამ, რასაც ეს შეგრძნება მოჰყვება.*

*ერთხელ, მცხეთაში ვიყავით, წავინუწუნე რაღაცაზე. მამამ მითხრა: მადლობელი იყავი, რომ ამ ქვეყანაზე მოხვედი. მე შენ მზის ამოსვლას გაჩუქე-ნახე, რა მთვარეა, რა სანახაობა, რა არაგვი მოდის, როგორ დაგვყურებს ჯვარი, ამაზე დიდი ბედნიერება რა გინდა, ვერ გავიგე...*

*სენეგალი, ბოლივია, იორდანია, ურუნდა-ბურუნდასავით ლაცაკი ქვეყნებივით ხელგამშვერილი ვარ...*

*ჩემი მეუღლის გურული ბაბუა — არსენ კეჭაყმაძე კი, უმოსავლიანობის წლებშიც, ქათმის ფეხებზე შემდგარ სასიმინდე-ნალიას შიგნიდან კედლებს ამოუშენებდა, რომ მცირეოდენი მოსავალიც კი შორიდან პირამდე ამოვსებული გამოჩენილიყო და მეზობლებში თავი არ მოეჭრა!*

ნავსადგურში" — ასე ეხუმრებოდა ამ არეულ დროსა და შინაურებს!.. და დახეთ, როგორ იძია შური ამ უდროობის დრომ და უნუთობის სანუთრომ!

„გეშინოდა, ჩემი მხედველობის პატრონი, ხიფათს არ გადავყროდი და ლექციებზეც შენ დაგყავდი მანქანით, ყველგან ხელს მაშველებდი", — წერს დედა, — „თითქოს მიხაროდა კიდეც ჩემი ფიზიკური ნაკლი, რომლის წყალობითაც შენი მსასოებელი ზრუნვის საგნად ვიქეცი"!

მახსოვს, „უნმანური სიტყვებისათვის როგორი რისხვით გააძევე სვეტიცხოველიდან ოციოდე წლის 3 ბიჭი და გარეთ, „საქმის გასარჩევად მოსული", უკვე ექვსკაცად ქცეული ხროვა... როგორ დაიფრინე!"

„უსაშველოდ მენატრები"...

რა იმედს მიველ-მოვედო, გლოვად მიჩნს ჩიტის გალობაც.

დღის დაღამებას მივილტვი და ღამის უმთენარობას!

„ისე რა უნდა მიჭირდეს, ამ გზის ცქერა რომ მიჭირს?!

რა უშაეთ სიკედილმისჯილებს, ვაი, სიცოცხლემისჯილთ!"

„ღამე თვალებს მიბრიალებს — ეშმა, შმაგი, ბებერი,

ვაი, როგორ იგვიანებს ჩემი მატარებელი!"

P. S. დღეს ისეთ დროში ვცხოვრობთ, რომ სწორედ ის დროა, როცა ჭირი ჭირს ართობს, მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს, რომ სხვისი ჭირი ღობეს ჩხირად იქცეს და კვლავ მფრინავ ფრაზად დარჩეს — „ჩხირი კედელს", მით უფრო, თუ ეს კედელი... რწმენისაა!

ღმერთმანი, ახლა უფრო მჯერა მეორე სოფლის მარადჟამისა, თორემ მამაზეციერი ასეთ დედაშვილობას წუთისოფლისთვის ვერ გაიმეტებდა!

## გლოვის მგოსნები

ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში სამგლოვიარო პოეზიას „ხმით ნატირლებს" ეძახიან. 2002 წელს, „კავკასიურმა სახლმა" ამ თემაზე ნანული აზიკურის მიერ შედგენილი კრებული გამოსცა, რომელიც ხმით ნატირლებს ეპიტაფიებად, ლიტერატურულ ძეგლებად ინახავს!

ცალი თვალი იცინის, ცალი ტირისო! აქვე გამახსენდა ჩხორონყუში, ტირილში, ვიღაც თანამდებობის პირის (ლამის მათუსალას ხნის) ბებიის ხმით დატირება, როცა რომელიღაც, ძალიან თავგამოდებით მოტირალ ბერიკაცს ვუთხარი, ეს რა ტირილი გცოდნიათ ამ მხარეში-მეთქი. — თქვენ, კიდო, სიტყვები არ გესმით, თორემო... და, კიდევ უფრო თეატრალურად წაიშინა თავში ხელი.

ეს ისე... მთელი სერიოზულობით კი გლოვის პოეზია და ხმით ნატირლები ქართული მხატვრული ლიტერატურის ერთი უიშვიათესი და ყურადსაღები მოვლენაა. იგი ჩვეულებრივი ხალხური ლექსისგან განსხვავდება ვერსიფიკაციულადაც და შექმნის ტრაგიკული პირობებითაც. ეს ნიმუშები, უმეტესად, იმპროვიზაციულ „იმწუთიერ" ხასიათს ატარებს და ამით კიდევ უფრო ზრდის მის ემოციურ მუხტს. შემონახულია მოთქმით ტირილის ნიმუშები, რომლებსაც ქმნიან „საუკუნო მარტოობისთვის განწირულნი".

ტუტანხამონის ცოლის ანხესენამონის დატირება: „ოხ, ჩემო მეუღლევ, გაიღვიძე, შენ ავად ხარ.. ვითომ გძინავს, ანიე ცისკენ თავი"...

...წინათ, ჩვენში, სასაფლაოებს საგოდებლებს ეძახდნენ. „ხმით ტირილი და ხმით მოტირალი, შეცხადება და შემცხადებელი, დალაობა და მოდალავე, ზრუნი და მეზრუნენი, მათეალარი და მამგარე... ზარი და მოზარენი ჩვენში მიცვალებულისათვის განკუთვნილი რიტუალების აუცილებელი ნაწილია, სიკვდილს რომ „უხდება“... იგი თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც „ხმით ნატირლების“ ან „გვრინების“ თუ „მთიბლურების“ ფოლკლორული ნიმუშები“. ზრუნის ზარის... ზარით შებანების და დალაობის შემსრულებელნი, ძირითადად, კაცები არიან. ხმით ნატირალი ტექსტები კი, უმეტესად, ქალებისგანაა ნათქვამი, როგორც „ლაზათის დამდევნებელი“ თანხლება.

„მზე რომ ზღვად შევიდოდა“ (ანუ მზის ჩასვლის შემდეგ), როგორც წესი, ჭირისუფლები აღარ სტიროდნენ, რადგან ეს ავისმომასწავებლად ითვლებოდა.

„ზემო ალვანში, ბახტარიშვილების ოჯახს შვილის ქორწილი ჰქონდა, მეორე ვაჟიშვილს კი... შირვანიდან მოასვენებდნენ. მამა-ბიძებმა იგი, ქორწილის დამთავრებამდე, სოფლის ახლოს დაასვენეს“, რომ ლხინი არ ჩაშლილიყო! განსაკუთრებული ემოციურობით გამოირჩევა დედის ნატირლები, რადგან სიკვდილი, სიცოცხლე და დედა ერთიანობაა! „დედა ორივეს მშობლად მოიაზრება“ (ი.გოგოლაური: „სიცოცხლე თავად გააჩინე, სიკვდილიც შენივ შვილი არი“).

თუშეთში დედას ამხანაგის მიერ მოკლული 18 წლის შვილი დაუტირებია: „კიდევ კარგი, იმან მომიკლა და არა შენ, მკვლელის დედობას მოკლულის დედობა მირჩევნიაო!“

დიდოელს შენაქოელი ვაჟკაცი მოუკლავს. თუშებს სისხლი აუღიათ და დედისთვის მკვლელის მარჯვენა მიუტანიათ. ამას იმის დედისთვის გაუგზავნია შვილის მარჯვენა და დაუტირია:

„მემრე რო დიდოიავ, ისიც ან დედაიავ,
იმასაცნ აქვაე გულივ საგულესავ“-ო!!!

ვეფხისა და მოყმის ბალადის ტოლფასია ეს სიტყვა, რომელიც, ჰაი, ჰაი, რომ დღეს კიდევ უფრო ამაყად ჟღერს!

„სიცოცხლე სევდა არის, ადამიანად ყოფნის ტკბილი სევდა... სიკვდილიც სევდა არის, ადამიანად არყოფნის სევდა“ — იტყვის გოდერძი ჩოხელი, რომელიც კაცი იყო და ქუდი ეხურა, ოღონდ გვარად ეცვა ჩოხა და ლუკმა კი, საჩოხე დროსავით, საძებარი ჰქონდა, რადგან ნამუსისგან შიშველ-ტიტველ დროში ცხოვრობდა!

ხმით ნატირლების ცრემლ-სტროფები:

„სამარევ, პირი დაიბანე მწუხარე დედის ცრემლებითა —
მიწაო, შვილი შამინახე, შენ შემოგჩივი ვედრებითა“.

„ცოლისწამება“ — რა შორსაა ეს სიტყვა ცოლის წამებისგან და რა ახლოს „ქმარის წამებასთან“!

„მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი, მოციმციმე ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.“

ვინ შექმნა ეს კოსმოგენური ლექსი, ვისია ეს ღმერთის ცოლი სიტყვა... ისტორია სდუმს. ერთადერთი, რაც დრომ გაგვიმხილა, თვალი აგვიხილა — ეს ხალხური ფოლკლორი და ქართული სულის!

ანზორ თოთაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

აღსანიშნავია, რომ ბევრი გამოჩენილი ადამიანის სიცოცხლე ძალიან ნაადრევად დასრულდა. კერძოდ, ასეთები იყვნენ: ლერმონტოვი (26), ესენინი (30), შუბერტი (31), მაიაკოვსკი (36), მოცარტი (35), ბაირონი (37), მენდელსონი (37), ბიზე (37), რაფაელი (37), ვან გოგი (37), პუშ-

„დღეო, ნუ ჰღამდები, დედა-შვილნ ურთიერთს ეყრებიან"...
(ეს სიტყვები — ცრემლივით სადენი — სიტყვები კი არა — ეკლებია!)
„შენ მკლავთ ენაცვალოს შენი დაი, მკლავთა მა ჯაფით დაძარღვულ-თა,
შენს თოფს ენაცვალოს შენი დაი, ფარ-ხმალით ომში მოღალულთა."
„კარჩი მახვიდოდევ — კარს დამიმშვენებდევ,
შინ შემოხვიდოდევ — სახლს დამიმშვენებდევ" (გულუხაიძე შეთეს დის ნატირალი).
ფშავში მეპურნყალე — საჭმელ-სასმელის მკეთებელი...
მინისფერდებულნი — განსვენებულთა ეპითეტია.
მინდვრის ჯეილები — გარდაცვლილი ახალგაზრდები.
...ქართულ — მოკვდავთა სევდასაც თავისი უკვდავი ტრადიციები აქვს, სადაც ერთი თვალით არც ტირილი იციან და არც სიცილი.

* * *

ნუთისოფლის როს დაარწევ თავს ამ ქაოსს —
სიცოცხლისა იხურება კარები.
როცა თვალი ეხუჭება სააქაოს —
საიქიოს ეხილება თვალები.

* * *

**ეპიგრამა დემოსთენეს ძეგლზე:**
შენ, დემოსთენევ, რომ ყოფილიყავ ისეთი ღონიერი, როგორიც იყავ გონიერი, მაშინ ელადას ომის ღმერთი ვერ დაიპყრობდა...

* * *

მაღალი ღმერთი იყოს თავდები —
იქეე ვიწყები, საცა ვთავდები!
მე, დროს დავითელი ამ მაჯისცემით —
გაეა წლები და მეც დავიცლები.
ჩემი სიცოცხლის მოწმე უცელელი —
სიტყვა სათქმელი —
სუფთა ფურცელი!
და სიხარული შენი მიგნების —
შენზე ფიქრები,
ჩემი წიგნები!

* * *

არ ვიცი, საით მიედივარ — არ ვიცი, სიდან მოვედი.
იყოდან — არაიყომდე — მე ასე მივედ-მოვედე!
იყოდან — არაიყომდე ვიქნები თუ არ ვიქნები — ღმერთმა იცის თუ ეშმაკმა... ვერ წედება კაცის ფიქრები.
მოვალ — ხომ კარგი!
წავალ და...
(იყოს და არა იყოს რა!)
რამდენ ჟამს... ჯანი გაეარდა —
რამდენ „ჯან-ტიკო-ტიკოსა"!

წუთისოფელის სტუმრობა ეის და რა ფასად უჯდება —
სიტყვა ეკუთვნის სიკვდილსა, როცა სიცოცხლე მუნჯდება!

**გაზეთი „კვირის ქრონიკა", N17(435).**
**26 აპრილი-2 მაისი, 2010 წელი**
**თამარ ოქრუაშვილი**

## „სიცილით ვინც კვდება, ის დიდხანს ცოცხლობს"

*„ზოგი ქალაქი ნეერის ერთ გაპარსვადაც არ ღირს, მაგრამ იმ ქალაქზე კი როგორ უნდა მოგიბრუნდეს ენა, სადაც, ქუჩაში, ტრამვაის ხელს აუწევ და გაგიჩერებს... სადაც, რაც გინახავს, იმასაც ნახავ და რაც არ გინახავს, იმასაც", — ამ სიტყვების პატრონს, თვისუფლად შეგიძლიათ, პაემანი დაუნიშნოთ ქალაქში... თვით იგი კი, აპრილის ბოლოს, ყველას ერთად გეპატიჟებათ ისევ პაემანზე, ისევ იმ ვერაზე, ასე რომ მოგვენატრა. ეს გახლავთ: განათლებით — იურისტი, გატაცებით — იუმორისტი, საქმიანობით — ისტორიკოსი, წოდებით — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ჩვენი აზრით კი... ერთი ჩვეულებრივი კაცი, რომელსაც თავისი ქალაქი და ქალაქური იუმორი ძალიან უყვარს. თქვენ წინაშეა მწერალი გიზო ნიშნიანიძე.*

— მიხარია, რომ დღეს სტუმრად ვარ, არ მოვერიდები ამ სიტყვას, იუმორის მეტრთან.

— მოდი, ზუსტად ვთქვათ: „მეტრ შესტდესიატ დევიტთან" ამდენი ვარ ზღვის დონიდან. სანამ მკითხავდე, ერთი რამე უნდა მოგიყვე: ძალიან კარგი მეგობრები მყავდა. მათ შორის ვახტანგ ჭყოიძე. რამდენიმე ხნის წინ დამირეკეს და მკითხეს: ვახტანგის საღამოს ვმართავთ და დაესწარითო. ამ, მართლა კოლორიტსა და სიცილის მეფეს რომ ეკუთვნოდა, ისეთი საღამო გამოვიდა. სარდაფი იყო მოწყობილი, წუთი თუ წამი დაერქმიათ და კარგ სიტუაციაში მოვხვდი. რა შეგრძნება გამიჩნდა, იცი? რომ ამ საშინელ ყოფას გავექეცი და, თითქოს, ბავშვობაში, კუკუდამალობანას სათამაშოდ, კარგ ხალხთან ერთად დავიმალე. კარგა ხანს არ მინდოდა, „ჭიტა" დამეძახა. მინდოდა, კიდევ დიდხანს ვყოფილიყავი იქ. გამოთქმა რომ არის — წამო, შეჩერდიო! ეს გრძნობა დამეუფლა!.. ვახტანგისნაირ ხალხს რა გახსენება უნდა. ჭყოიძე ყოველ დილით გამოდიოდა ქალაქში და თითო მარგალიტს ტოვებდა. ერთხელ, დილის 6 საათზე გამოვიდა, თურმე, ხაშის საჭმელად და მთავრობის ერთმა პირმა ჰკითხა, ბატონო ვახტანგ, ამ უთენია ქუჩაში რამ გამოგიყვანათო. და, რას ეტყოდა ვახტანგი? რადიო გამიფუჭდა, ბატონო და ჰიმნის მოსასმენად

*კინი (37). შოპენი (39). ჯეკ ლონდონი (40). ბლოკი (40). გოგოლი (47). მოპასანი (43). ჩეხოვი (43). ბოდლერი (45) და სხვ., ქართულ სინამდვილეშიც არა ერთი და ორი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ბევრმა მათგანმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა, კერძოდ, ესენინმა, მაიაკოვსკიმ, ჯეკ ლონდონმა და სხვ. პირად ცხოვრებაში დიდი ადამიანები ნამდვილად ბედნიერები თითქმის არასოდეს ყოფილან. ტრაგიკული ცხოვრება ჰქონდათ ნიცშეს, გოგოლს და კანტს, რომლებმაც საერთოდ არ იცოდნენ ქალი, ხოლო, გადმოცემის თანახმად, დემოკრიტემ თვითონ დაიბრმავა თავი, რათა მხედველობას აზროვნებისთვის, ანუ თვალებს ჭკუისთვის ხელი არ შეეშალა.*

*პაოლო იაშვილის კუბოს, მწერლებიდან, მხოლოდ კოლაუ ნადირაძე და გიორგი ლეონიძის მეუღლე მიაცილებდნენ.*

მივდიოდარ ახლობელთანო. ასეთი ხალხის ნათქვამი მთელ თბილისს ჰყოფნიდა სახალისოდ. სხვათა შორის, ისოებ ნონეშვილმა ასე აღმომაჩინა ზემელზე. გამოსული ვიყავი. მაშინ რით უნდა დამემკვიდრებინა თავი და ეტყობა, ძალიან გავაცინე. ამიტომ, მეათე კლასის მოსწავლე „ნიანგში" მიმიყვანა სამუშაოდ. თან მითხრა, აქ ხუმრობაში ფულს ვიძლევითო. გამიხარდა, ავშენებულვარ და ეს არის-მეთქი.

— აშენდით?

— სიცილით აშენებული არა, მაგრამ დანგრეული ბევრი მინახავს, იუმორი ერთ-ერთი დიდი საშველია ქვეყანაზე. ყველაზე უფრო ლაღი განშორება იმასთან, რასაც დასცინი — გაიცინებ და ის სიტუაცია უკვე წარსულია. უნდა ამაღლდე სიცილის ობიექტზე და მშვიდად განშორდე მას.

— მოდით, ჩვენც ავმაღლდეთ რაღაც-რაღაცეებზე და მთლიანად იუმორს დავუთმოთ გზა.

— სიცილი რომ არ იყოს, ადამიანს ცხოვრება გაუჭირდებოდა. ქართველები მოცინარ ერებში გავდივართ. რამდენჯერ მომიყოლია ეს და ჯერ კიდევ სიცილის ყავლი არ გასვლია! სამეგრელოში ვიყავი დაკრძალვაზე და ერთ მოხუც კაცს თანაგრძნობით ვუთხარი: ეს რა ტირილი გცოდნიათ მეგრელებს-მეთქი... რომ დაინახა, გულწრფელი ვიყავი, ოო, თქვენ, კიდო, ტექსტი არ გესმით, ტექსტიო! რა ტექსტი უნდა გამეგო, მაგრამ შენ, რადგანაც ერთი გინდა, გავიხსენო!..

— არა. მე ბევრი მინდა, რომ გაიხსენოთ.

— ქუთაისის იუმორი ძალიან თავისებურია. მხატვარია ერთი — ოთარ მანდარია. მატარებლის ბაქანზე გადიოდა ყოველდღე და ვისა ხვდებიო, ჰკითხეს. არ ვიცი, მარა ქუთაისია: ვიღაცა ხო უნდა ჩამოვიდეს და ვიღაცა ხო უნდა დახვდესო! ოთარ ნიშნიანიძე მყავდა, ბიძაშვილი. პროვიზორი და სააფთიაქო სამმართველოს უფროსი. ერთ მის მეგობარს, ქუთაისელ მიშა ჭიჭინაძეს, ქალაქის კოლორიტს, ძალიან ბევრი წამალი გაუფუჭდა და მოსკოვიდან ჩამოსულმა კომისიამ დანაკლისი აღმოუჩინა. რამდენიმე წლის წინ, მე, ამ ამბის მოყოლით, ერთ ოდესელ კაცს სიცილის ტურნირში ვაჯობე. გემზე ვიყავით და პირობა ეგეთი იყო: ის იწყებდა, მე ვასრულებდი. მე ვიწყებდი და ის ასრულებდა. ახლა, მე ძალიან გადავხტ-გადმოვხტი. მაგრამ დაკვირვებული მკითხველი მიხვდება. ჩემი ბიძაშვილი ეკითხება, თურმე, იმ მიშას: თუ წვიმამ გაგიფუჭა ამდენი წამალი, ვერ შეადგინე აქტიო? და ჭიჭინაძემ უპასუხა: არ ვიცოდი, რუსულად, წვიმა როგორ იწერებოდაო. ბოლოში „მიახკი ზნაკით" თუ უმისოდო. მაგას რა ცოდნა უნდაო, — ოთარს უთქვამს, — თუ თავსხმა წვიმაა, არ უნდა რბილი ნიშანი, და, თუ ჟუჟუნა წვიმაა, „მიახკი ზნაკი" აუცილებელიაო (იცინის). იუმორი და სიკეთე არ აკლდა თბილისს. ამ მხრივ თბილისურ ეზოს რა შეედრება?! ომარ მხეიძე რომ არის, მოცეკვავე, ცნობილია, ქორწილი რომ ჰქონდა, თათარმა მეზობლებმა კედლები გაანგრიეს და ისე გადაუხადეს ქორწილი. მერე ისევ ააშენეს კედლები. ასეთს სად ნახავ, რომელ ქვეყანაში?... კუკურა ჟღენტი დაიჭირეს. ცნობილი ვერელი, საქმიანი „ბეზდელნიკი", მაგრამ სამართლიანი, გულიანი კაცი. ვახტანგ ჭყოიძე მივიდა პროკურორ ვახტანგ რაზმაძესთან: ბოშო, გევიგეთ, კუკურა დაგიჭერიათ, ჟღენტი. ჯერ, რა დასაჭერი კუკურა იყო. მერე, ზამთარია. მცივანაა, სიცივეს ვერ

---

*აკაკი წერეთელი: 3 რამ ამშვენებს კაცს: მარილიანი სიცილი, ტკბილი ხმა, მოხდენილი სიარული.*

*3 რამ ამხიარულებს კაცს: საიდუმლო ტრფიალი, მოვალეების გასტუმრება და მონობიდან თავის გამოხსნა.*

იტანს. ახლა გამატანეთ და გაზაფხულზე ჩემი ხელით მოგიყვანთო! ...ან შიო არაგვისპირელის შთამომავალი — შოთა რად ღირდა? ეგეთი ინტელიგენტი და თბილისელი არ გენახოთ. ერთხელ დათვრა, სხვა ავტობუსში ჩაჯდა და ბორჩალოში ამოჰყო თავი. იმავე ავტობუსით უკანვე დაბრუნდა და, როგორც კი თბილისში შემოდგა ფეხი, აეშალა სადღეგრძელი და თქვა: „ზდრავსტვუიტე, მაი ტბილისსკიე ტროტუარი, პიშიტე სვოი ტროტუარნიე მემუარიო"!.. ანდა, ნიაზის არხსენება იქნება?! შეყვარებული ჰყავდა ნიაზს, გულიკო და დაბადების დღეზე, საჩუქრის ნაცვლად... გალაკტიონი მიპგვარა. ერთხელ კი კართან დაჭერილი პირველი თოვლის ფანტელი, სანამ დაადნებოდა ხელისგულზე, გულისსწორს მიართვა, — ეს იყოს ჩემი საჩუქარიო. ხომაა გენიალური? თქვი, ხომ კარგია? გალინა ნესტერენკო ცხოვრობდა ვერაზე, ულამაზესი უკრაინელი. ერთხელ გააჩერა ნიაზმა და ფული სთხოვა. გაუწოდა გოგომ. შენ დოგი დამიჭირე ცოტა ხანიო, — დაუბარა ნიაზმა, — ვინმემ უბატონოდ ხმა არ გაგცესო. თვითონ შევარდა ბაზარში, იმ ფულით ყვავილები უყიდა, — ასეთ ლამაზ გოგოს უყვავილოდ გაგიშვებდიო?!. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ანეკდოტი ითქმოდა და თბილისს ჟრუანტელივით დაუვლიდა-ხოლმე. ერთმა არათბილისელმა თბილისის სადღეგრძელო ასე დალია: ჩვენს თავშესაფარს გაუმარჯოსო და, შენ თბილისს ადღეგრძელებ თუ „ზონდიკსო"? — უთხრეს! ანდა, ლექსის გარდა, სხვა რა ფორმით ვთქვა ეს სიტყვები? — „ვერა, ვერასგზით, ვერასდიდებით, ვერაზე ვარაზს ვერ ავცილდებით!" მწუხარე სახის რაინდი რომ გვყავდა ჩვენ, ავთო ვარაზი, იმასაც იმხელა იუმორი ჰქონდა, რომ გაოცდები. ერთხელ ვარაზმა დაინახა, რომ ცოლი კარზე „გლაზოკს" აკეთებინებდა, საჭერიტინოს, რა... ამის დროც დადგა თბილისში! რას აკეთებო? — უკითხავს ავთოს და, — სტუმარი რომ მოვა, გავიხედავთ და დავინახავთო. მაგას სჯობია, შევაბრუნოთ ეგ „გლაზოკი", ისინი რომ მოვლენ, იმათ დაგვინახონ, სახლში ვართ თუ არაო.

— ის ამბავი მუშტაიდის კუკუშკა მატარებელზე მართალია?

— მართალია. ეგ ცნობილი ხუმრობა იყო. დეზერტირებიდან ნაბაზრალი თათრები გამოვიდნენ და ვაგზალი სად არისო? — იკითხეს. აგერაა, ბატონო, ვაგზალიო, — უთხრეს, მუშტაიდის მატარებელი დაანახვეს და ბილეთებიც აუღეს. სულ „სალოლ-სალოლ" აძახებინეს თათრებს და საბავშვო კუკუშკით გაუშვეს „მარნეულში". მთავარია, იმ

თემურ მირიანაშვილი:

განსაკუთრებით გულსაწყენია ის, რაც ხდება გრაფ მიხაილ სემიონოვიჩ ვორონცოვის სახელის ირგვლივ. რაც ამ კაცმა საქართველოსთვის მოიმოქმედა თბილისში მეფისნაცვლად ათწლიანი ყოფნის მანძილზე, საერთოდ არ ეძებნება ანალოგი მსოფლიო კოლონიალიზმის ისტორიაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მისმა მოღვაწეობამ შექმნა ნიადაგი ილიასა და მისი თაობის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად. ჩვენში კი ინერციად, მადლად იქცა ამ დიდებული პიროვნების ლანძღვა.

მ. ვორონცოვმა დააარსა თბილისში რუსული თეატრი (1845 წ.), იტალიური ოპერა (1851 წ.) და აღადგინა ქართული თეატრი (1852 წ.). დააარსა საჯარო ბიბლიოთეკა (1846 წ.) წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი (1847 წ.), მუზეუმი (1850 წ.), ბოტანიკური ბაღი (1845 წ.). მისი ხელშეწყობით

თათრებს ხუმრობა არ სწყენიათ. იმ ბიჭებზე მეტი იმათ იცინეს. ერთხელ მე და ნუნუ დუღაშვილმა ჰიმნი დავწერეთ სიცილზე: „სიცილით ვინც კვდება, ის დიდხანს ცოცხლობს, სიცილი უხდება ოსტეოქონდროზს". სიცილი რომ არ იყოს ამ ქვეყნად, სიცოცხლე არ ეღირებოდა: „მეფე, ხელმწიფე, იმპერატორი, ვინ იცის, რამდენ პარადს სარდლობდნენ, ქვეყნიერების იყვნენ პატრონნი, იუმორისა კი — არასოდეს... როცა ეზოპე გამოჩნდებოდა, დიდებულები ჰგავდნენ მათხოვრებს". იუმორს შეუძლია, გაამათხოვროს ადამიანი. ამბობენ, სიცილს კაცი არ მოუკლავსო, მაგრამ მე მინახავს სიცილით მოკლული კაცი. თბილისს „სიხარულის სახლს" ეძახდნენ. საერთოდ, ჩემი და ამ ქალაქის ურთიერთობა ცალკე თემაა. ერთმანეთი რომ უყვარდათ, ეს ის ქალაქი იყო. ერთხელ, ვახტანგ რურუას ვთხოვე, დაეხატა თბილისელი ბიჭების ჯგუფური კომპოზიცია. არ შეიძლება ამის არდადგმა. ათასი წლის წინათ, ამ ათას ერთი ზღაპრის ქალაქში ციხისთავეები ქალაქის კარს აისზე აღებდნენ და დაისზე კეტავდნენ, რომ შემოსაშვები შემოეშვათ და არგასაშვები არ გაეშვათ. თავიდან ამ ქალაქში ისმოდა: მე შენთვის და შენ ჩემთვის; მერე იყო: მე ჩემთვის და შენ შენთვის; ახლაა: შენც ჩემთვის და მეც ჩემთვისო! ზუსტია, რომ იცოდე. მაშინდელი ქალაქელების შეხვედრები სპექტაკლები იყო. ქუჩაში მიმავალ მოწყენილ კაცს არ გავუშვებდით, წამოვეწეოდით და რამეს, სამხიარულოს ვეტყოდით, ან, უბრალოდ, გამოველაპარაკებოდით. ერთმანეთის იმედი გვქონდა.

რა მექნა? ამას, ყველაფერს, პროზად ვერ ვიტყოდი. ლექსის გარეშე ამ თემას ვერ მოვერიე და დაიწერა „პაემანი ვერაზე", რომელიც, მალე, ალბათ, აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში, კიდევ ერთხელ დაიდგმება 30 წლის შემდეგ. წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ იქნება სიგიჟეებით სავსე საღამო. „თქვენს გულში ეზივარ და სულ ვწუხდი ამ ოქროს ხელიდან გაშვებას, ქედს ვუხრი... ხარკს ვუხდი ყველაზე დიდ მეფეს. მის უდიდესობას, მის უწმინდესობას, მის უგიჟესობას, მის უციგნესობას, მის უტკბილესობას... ბავშვობას!" ეტყობა, მოენატრა ხალხს ის ლამაზი წარსული, რომელიც გვქონდა. ჩვენს თაობას კი ლუკმის გაყოფის ნიჭი ჰქონდა, მეგობრობის ნიჭი ჰქონდა, უსასაკო სიყვარულის ნიჭი ჰქონდა. ქალაქი, ზნეობრივად, მუდამ მაღალ დონეზე იდგა! „ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი"-მეთქი, ერთხელ ვთქვი. მე უკვე საფინალო სასტვენისთვის ვემზადები და ვოცნებობ, ჩვენმა შვილებმა ოდესმე მაინც ნახონ ის თბილისი, ჩვენ რომ გვქონდა, რამაც, მაშინ, ის პოემა დამაწერინა: მე ბოდიშს მოვიხდი ბინდისფერ წარსულთან... რაც არ გამახსენდა ამ წამს, ზოგჯერო სათქმელი უთქმელი ჯობია, სათქმელი — უთქმელი არ მწამს. ყველას გაუმარჯოს, ვინც ხსოვნის ბურუსში ბჟუტავს და სევდის რძეს წველავს... ვინაც სიყმაწვილის ელვარე სანთლებში სულ სხვა ელვარებით ელავს. ვინც დაგვყვა აკვანში, ვინც აგვყვა აკვნიდან და ვინაც ჩვენს სულში ღელავს, ვინც... კაცობა მოგვცა და ზედ ტვირთი აგვკიდა, ყველას გაგიმარჯოთ, ყველას!

**გაზეთი „PRIME Time", N18(60).**

---

*აკაკი წერეთელი: 3 რამ ჩაგრავს კაცს: პირველს ვერ ვიტყვი, მეორეს არ მათქმევინებენ, მესამეს ვერ გავბედავ.*

*ილია: 3 საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება.*

3 მაისი, 2010 წელი
თამარ გონგაძე

## გიზო ნიშნიანიძეს ვარსკვლავს უხსნიან

### („პაემანი ვერაზე" 30 წლის შემდეგ)

82 წლის მწერალი, პოეტი და, უბრალოდ, კოლორიტი, თბილისელი გიზო ნიშნიანიძე 4 მაისს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საყვარელ თანაქალაქელებს ეპატიჟება. „პაემანი ვერაზე" 30 წლის შემდეგ ცოცხლდება! ძველი და ახალი თაობების შეხვედრის და „დაძველებული პაემანის" აღდგენის ინიციატორი დავით ოქიტაშვილი და ეკა იოსელიანი გახლავთ. „მომადგნენ და ამიშალეს საღერღელიო" — ხუმრობს გიზო ნიშნიანიძე.

მწერალმა სულ ნაცნობ-მეგობარი ხელოვანებით შემოიკრიბა შემოქმედებითი ჯგუფი. „ოქიტაშვილის თანამდებობა არ ვიცი და სულ ვამბობ, დათო ოქიტაშვილი თავად არის თანამდებობა-მეთქი. ლევან წულაძე კი, ჩემი ძმაკაცის, რეზო დვალიშვილის სულმა გამომიგზავნა, რომელიც თავად ლევანის ბიძა იყო". საღამოს მუსიკალური რედაქტორი ნუცა ჯანელიძეა, პროექტის პროდიუსერი კი — ეკა იოსელიანი.

საღამოსთვის მზადება ერთი თვის წინ დაიწყო. ნიშნიანიძის შემოქმედებას მსახიობები თემიკო ჭიჭინაძე, დათო დარჩია, იამზე სუხიტაშვილი, ზაზა იაქაშვილი, ზურა ბერიკაშვილი, ნიკა კუჭავა და გივი ბერიკაშვილი წარმოადგენენ.

ამ რჩეული მსახიობებით საღამოს მთავარი გმირი კმაყოფილია. „ლექსებს ისე კითხულობენ ეს ლომივით ბიჭები, ჩემს ბიჭებს მახსენებენო".

ეკრანზე ნაჩვენები „ოქროს ფონდის" ძველი ჩანაწერებით ის გარდაცვლილი კოლორიტები და მსახიობებიც გაცოცხლდებიან, რომლებიც ძველ „პაემანში" მონაწილეობდნენ. „მოკლედ, მკვდარი და ცოცხალი ერთად ვიქნებით სცენაზე" — არც მთლად ხუმრობით ამბობს მწერალი.

მას, ძველი თაობის სახელით, სურს, კიდევ ერთხელ შეგვახსენოს, როგორი იყო თბილისი. თავი ნინაპრით თუ მოგვწონს, თორემ ბევრი მოსაწონი, ახლა ცოტა გვაქვსო და იქვე ამატებს: კოლორიტი თბილისელების — ნიაზ დიასამიძის, დოდო აბაშიძის, ოთარ მგელაძის და მათნაირების გარეშე, ჩემთვის თბილისი... თბილისი არაა".

„პაემანი ვერაზე", 30 წლის წინათ, რეჟისორთან რეზო ჟვანიასთან ერთად, მეგობრებთან ერთად,

*გამოვიდა გაზეთი „კავკაზი" (1846 წ.) იგი და ქართული ჟურნალი „ცისკარი" (1857 წ.). ყოველმხრივ უწყობდა ხელს ქართველი ახალგაზრდების გამგზავრებას რუსეთის უნივერსიტეტებში. ვორონცოვის წყალობით, კეთილშობილური წარმომავლობა (თავად-აზნაურობა). საბუთების წარმოუდგენლად, დაუმტკიცდა მრავალ პირს, რომელთაც, სხვადასხვა მიზეზთა გამო, სათანადო საბუთი არ გააჩნდათ (მათ შორის იყო ილიას მამა, გრიგოლ ჭავჭავაძე). ამის შედეგად, იმპერიის არცერთ ერს არ ჰყავდა თავად-აზნაურთა ისეთი მაღალი პროცენტი, როგორიც ჩვენ - ქართველებს. იმპერიაში არსებული ორას ორმოცი კეთილშობილური წარმომავლობის გვარიდან — ქართული იყო ოთხმოცდათვრამეტი!.. ქართველი ერის წინაშე დამსახურებას სხვაც კიდევ ბევრი აქვს ამ დიდ ლიბერალს და ჰუმანისტს — დეკაბრისტებისა და ტურგენევის მეგობარს, პეტერბურგის აკადემიის საპატიო წევრს, კაცს, რო-*

დიდი ალიაქოთით თავად დადგა. „მაშინ ერთმა ძველმა თბილისელმა მითხრა: თბილისელის გამოცნობა, როგორ უნდა, იცი? მაჯაზე ხელი დაადე და თბილისი უხსენე. თუ მაჯა აუჩქარდა, ესე იგი... თბილისელიაო! ეს ჟრუანტელი ახლა ისე აღარ უვლის თბილისელებს ძარღვებში, როგორც ადრე დაცეცხლავედა.

ქოლა წულაძე დიდი პასუხისმგებლობით მიუდგა, ასე ვთქვათ, ძველი პერფორმანსის აღდგენას (ეს სიტყვა ამ საღამოს ერთობ იუცხოვა).

რეჟისორი: მეც ის ადამიანი ვარ, ვისაც თბილისის ხსენებაზე მაჯაზე პულსი მიჩქარდება და ბუსუსები მაყრის. დიდი რეჟისურა ამ საღამოს არ სჭირდება. ბატონ გიზოს ყველაფერი მოფიქრებული აქვს. მსახიობებზე არანაკლებ კითხულობს ლექსებს. თუ თბილისელობა მოვალეობაა, მეც მაქვს ჩემი მოვალეობა ამ ქალაქის წინაშე. ამიტომაც ვმუშაობთ ბევრს, როგორც ეს თბილისსა და თბილისელებს შეეფერებათ!"

გიზო ნიშნიანიძე ამბობს, რომ ყველაზე ნაღდი თბილისელობა მაშინ იგრძნო, როდესაც აკადემიკოსმა თამარ დეკანოსიძემ, ერთხელ, წერილი უმისამართოდ გაუგზავნა — „თბილისი. გიზო ნიშნიანიძეს" და იგი ადრესატამდე მივიდა!

სიტყვები „იუზგარ", „ბემურაზი"... დღესაც ჟრუანტელს მგვრისო.

...ერთხელ, ვერის ბაღის წინ, ქუჩურ ჩხუბს შეესწრო. ძველი თბილისელი მაშინვე შევარდა ჩხუბში, ბიჭებს თავისი წიგნი „პაემანი ვერაზე" ჩამოურიგა და თან დაარიგა: როგორ უნდა იჩხუბოთ, აქ წერია და წაიკითხეთო.

მავანთა სურვილით თუ ნებით — თბილისის მომღერალს მორის ფოცხიშვილს წიგნზე შავი რეცენზია უნდა დაეწერა. მორისმა კი ისეთი რეცენზია დაწერა, გიზო ნიშნიანიძემ წიგნს წინასიტყვაობად წარუმძღვარა.

## ვარსკვლავი

„გიზო ნიშნიანიძე — პაემანი ვერაზე" — ასე ეწერება ვარსკვლავს, რომელიც 4 მაისს, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, ბიძინა კვერნაძის ვარსკვლავის გვერდით გაიხსნება.

„ბიძინას ვუთხარი, ბავშვობაში სათამაშო არ გვქონია და ამიტომ ვარსკვლავებს ვეთამაშებოდით. ახლა ცაში გვიწყვეტენ ვარსკვლავებს-მეთქი. სასიამოვნოა, აბა, რა?! ეს ხომ მხოლოდ გიზო ნიშნიანიძის ვარსკვლავი არ არის. ეს მთელი ჩემი თაობის ვარსკვლავია", რომელიც ვერაზე დარჩება.

დათო ოქიტაშვილი: „ამ ხალხს სიცოცხლეში უნდა მოფერება. როდესაც ამ ქვეყნიდან წავლენ, მერე არც ვარსკვლავი უნდათ და არც ბიუსტი. ამ ვარსკვლავს არც დათო ოქიტაშვილი და არც გიზო ნიშნიანიძე არ ხსნის. ეს თბილისელების გული და ბედისწერის ვარსკვლავია".

## მშვიდობით მოსვლა!

1928 წლის 13 თებერვალი!

1981 წლის 28 დეკემბერი!

2010 წლის 4 მაისი!

პირადი კალენდრის ეს სამი თარიღი ჩემი სამი კალენდარული დღეა, რომელიც საუკუნედ მიღირს!

პირველი — ჩემი ფიზიკური დაბადების დღე გახლავთ ვერაზე, ფილარმონიის გვერდით, ყოფილ ოლგინსკაიას (შემდეგ ლენინის, შემდეგ კოსტავას) ქუჩაზე მდებარე სამშობიაროში;

მეორე — ჩემი მეტაფიზიკური დაბადების დღეა ახლანდელ კოსტავას ქუჩაზე მდგარი სამშობიაროს გვერდით მდგარ ფილარმონიაში (სადაც პირველად დაიდგა „პაემანი ვერაზე")

მესამე კი — ის დღეა, როცა უფალმა ისმინა ჩემი ვედრება:

დრო მიდის, გვითელის ნაბიჯებს და უკან აღარ ბრუნდება —

ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს მეორედ მოსვლის უფლება!

...და, აი, ჩვენი თაობა მეორედ მოვიდა, თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებში სამუდამოდ დასარჩენად!

...ვიდექი ძველი და ახალი ვერის ბურანში (მერაბ ბერძენიშვილის „მუზისა" თუ მუზების სასახლის წინ) და ასე მეგონა, ამ მჩქეფარე შადრევნებში ჩვენი თაობის თბილისელების სული მოსჩქეფდა!

იქ დაიბადა ეს სტროფიც:

ახალ ვერის ვარსკვლავ-ლოდთან
მესმის ჩვენი გულის ფეთქვა...
ძველი ვერის სულმა — დროთა
შადრევნებად ამოხეთქა!!!

ახლა, სწორედ ამ ლექსმა შემახსენა ის ვარსკვლავიც, რომელიც ამ დღეს (ჩემი სახელით) საზეიმოდ გაუხსნეს ჩვენს თაობას!

მაინც, რას ნიშნავს კაცისთვის ვარსკვლავის გახსნა?

ალბათ, იმას, რასაც მეზვრე ვაზისთვის „ცის გახსნას" ეძახის!

ეს ვაზის და ჭიგოს ძმობასა ჰგავს, როცა მხსნელი ვენახს ხარდანი მხარში უდგას და ტვირთის ზიდვაში ეხმარება. და, აი, აქ უნდა ვახსენო დავით ოქიტაშვილი — კულტურულ ღონისძიებათა დეპარტამენტის თავკაცი, რომელსაც მარტო მისი გვარი და სახელიც ეყოფა თანამდებობად! სწორედ მისი კაი კაცობისა და მადლის ნაყოფია ის ვარსკვლავები, რომელსაც, დროდადრო, ასე ვთქვათ, ცაზე გამოსაკერებლად წყვეტენ ჩვენი ე.წ. „ვარსკვლავბიჭუნები" თუ ვარსკვლავქალბატონები!

„ჩვენი ფანტაზია ახლა ფანტვაზეა", მაგრამ, ღმერთი-რჯული: არასოდეს მიფიქრია ციდან ვარსკვლავების მოწყვეტა! თუმცა, ჩვენი ბავშვობის დროს, სათამაშოების სიმცირის გამო, ვარსკვლავებს ვეთამაშებოდით და მაშინდელია ეს ფიგურალური გამოთქმაც!

მელმაც ჯერ კიდევ 1820 წელს შექმნა ყმათა განმათავისუფლებელი ორგანიზაცია. დღეს კი, რას არ გავიგონებ მის შესახებ: სხვა გზა არ ჰქონდა, იმიტომ გვთაფლავდაო; თითქოს იმ დროის დაკნინებულ ქართველებს რაიმე ძალა შესწევდათ იმპერიის უხეში ძალის დასაპირისპირებლად. ჩვენი ერის მიძინებას სურდაო; კარგი „ლოგიკაა", მისაძინებლად ხალხს უხსნიან თეატრებს, ჟურნალ-გაზეთებს, სკოლებს, ბიბლიოთეკას, მუზეუმს, ახალგაზრდობას უგზავნიან უნივერსიტეტებში!.. იმასაც გაიძახიან, სხვაგვარად ვერ დაიმონებდა, ვერ გადააგვარებდა ჩვენს ერსო.

„ლ.ხ."

**P.S.** ენას ძველი არა აქვს.
არც ნამუსი?

გრანდება:

ახლა ეს ფიქრი
სხვა სამარეს.
მოვიდა ქარი, ხე
მეარხის
და საქართველო-
ეს ის მხარეს.
სადაც ცოცხალი
ხალხი მარხია.

ცარიელ ქანდარას

წიგნიდან: „უცენზურო ლექსები!"
კრიტიკოსს არ

ვარსკვლავებთან დაკავშირებით ერთ მაგალითს მოვიყვან (საბუთად თუ გამომადგება!). ნიაზას ქუჩაზე — ბელინსკიზე იყო კონიაკ-არაყ-ლიქიორის ერთი ძველისძველი, სარაჯიშვილისდროინდელი ქარხანა (ნიაზას კიდევ ეს უნდოდა!), სადაც ჩვენი ძმაკაცი ოთარ გელაშვილი მუშაობდა (მზეთუნახავ ნატო ვაჩნაძესთან ერთად დაიღუპა თვითმფრინავის კატასტროფის დროს). ხანდახან ფეხაკრეფით შევუვლიდით-ხოლმე და იქედან ფეხარეულები გამოვდიოდით...

ერთხელ, ერთმა ბებერმა კარისკაცმა (ცალხაზიან სამხრეებზე ისევ უმცროსი ლეიტენანტის ერთი ბეწო ვარსკვლავი რო უბჟუტავდა) სათოფეზე არ გაგვიკარა!... კუკური ჟღენტმა ირონიულად დახედა ბე-ჭებზე და უთხრა:

— ბიძა-ჯან, ხანდაზმულობით კონიაკსაც კი ემატება ვარსკვლავი და შენ რა ღმერთი გაგიწყრაო?!

...ეს ხუმრობა იქეთ იყოს და როცა ერთ, მართლაც მშვენიერ დღეს, კულტურულ ღონისძიებათა დეპარტამენტის სახელით, ბატონი დავით ოქიტაშვილი, მენეჯერი — ქალბატონი ეკა იოსელიანი და ცნობილი დიზაინერი გუგა კოტეტიშვილი დამადგნენ თავზე და ახალ „პაემანზე" ჩამომიგდეს სიტყვა, მაშინ ჩემი ოთხწიგნედის მესამე წიგნის — „შენი-დან... შენამდე" წერის გაგანიაში ვიყავი (პირველი ორი — „იყოდან არაიყომდე" და „გაქცეული კალამი" უკვე იბეჭდებოდა!).

ეს მომენტი (რომელიც მე ჩემი ცხოვრების საფინალოდ თვითონ მინატრია) არ იყო ხელიდან გასაშვები!

საოცარი რაღაც ხდებოდა (ყოველგვარი მისტიკის და მისტიფიკაციის გარეშე!). ზებუნებრივი ძალებისადმი რწმენა ზოგჯერ ისე მძაფრდება, რომ ზღვარიც კი იშლება რეალურსა და ირეალურს შორის.

არადა, ლამის 4000-მდე გვერდიანი ამ ოთხწიგნედის წერის ციებ-ცხელებაში, ერთი ამოსუნთქვით, კიდევ ერთი თბილისური „პაემანის" გამართვას, შეიძლება, ზედ სულიც ამოჰყოლოდა... და — ჩემი „ლხინი" დამეტოვებინა და თქვენი „ჭირიც" ნამეღო!

რა სჯობია სცენაზე სიკვდილსო! — სცენაზე ნაქცეული მუხრანის (მაჭავარიანის) სამძიმრად თქვა გურამ საღარაძემ.

სათქმელად იოლია — საქმნელად ძნელი!

სიკვდილი, რაც არ უნდა ლამაზი იყოს, ძნელი შესაყვარებელია!

მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი: იმ ღამეს, ისე ვიყავი ყვე-ლაფრისაგან დაცლილი და სისხლიდან დაწრეტილი, რომ ფეხზე ჩამომ-წყდარს... თვალის მოხუჭვის მეშინოდა — ძილში არ გავიპარო-მეთქი!

აი, სწორედ ამ ჭკუაზე გახლდით, როცა ის ბოლო „პაემანი" მთავ-რდებოდა.

წამსვლელსაც და დამრჩენსაც — მინდა, მუდამ ეხედაედე:
აბა, კარგად მეყოლეთ... სიზმრებში შეხვედრამდე!

ლირიული ანუ სულის მოსათქმელი პაუზა!

ფრაგმენტები ახალი „პაემანიდან":

წამსვლელ-დამრჩენის კეთილხსენებით;
მტრობის ნგრევით და ძმობის შენებით;
დღისა და ღამის — დამებ-თენებით —
ვნებათა ნებით — დროს ვერკიწებით!

---

*არისტოტელე: რა განსხვავებაა განათლებულ და გაუნათლებელ ადამიანებს შორის? ისეთივე, როგორიც მკვდარსა და ცოცხალს შორის.*

აი, სიცოცხლით რაც უნდა მეთქვა! ალბათ, სიკვდილი გეტყვით დანარჩენს... ღმერთსა ვთხოვ, კიდევ მამყოფოს ერთხანს... უზენაესის ველი განაჩენს!

## ხარფუხულ-ვერული ნაზავი

ამ „სულელების" და იმ სულების
ცდომა-ცდუნებით, გზებით თუ გზნებით...
„ავავსოთ თქვენი ტუჩის ყულაბა —
ამ ჩვენი კოცნის უზალოუნებით!"

* * *

ვარ რეჟისორი, თან სუფლიორი — გთხოვთ, ყურადღება — ერთი ფიორი! თეთრი ლექსების შავი აზრებით სასიკეთოდ ვერ დავირაზმებით... როგორც გვეჭირდეს — ისე გვეღხინდეს!... როგორც გამყიდეს — ისე მიყიდეს. ჰოდა, შემაბეს მძიმე უღელში და მიმაყენეს სადღაც, კუთხეში! მერე მომიხტნენ, როგორც ჯოყოლა — ჰოდა, ჩათრევას სჯობსო ჩაყოლა!

ჩემი „სიბრძნითა" და სულგრძელობით, თქვენი ნებით და ჩემი ხელობით, ჩვენ მოგატარებთ ჩვენს სასალმეთში და ავამაღლებთ კაცთ სიტყვა — ღმერთში!

ან, ამის მეტი რა დაგვრჩენია — „რასაცა გასცემ — ის ხომ შენია!"

* * *

რანი ვიყავით და ვართო რანი?
გვჭირს უნებისყოფობა – აბულია.
ჩვენი პრომეთე – ამირანი...
ახლა უჯაჭვოდაც დაბმულია!
როცა გულგრილობით დაბმულები –
გიჟურ სიყვარულით ავიწყვეტთო.
სადაც მისას იტყვიან, ჩვენი ძმები –
იქ ჩვენიც არ დაავიწყდეთო!

* * *

აი, მთელი ამ ცხოვრების იდილია!
ეს ცხოვრება ცოდვა-მადლის ჭიდილია –
წუთისოფლის ეშხი კაცის სიცოცხლეა –
უკვდავება – უსიკვდილო სიკვდილია!!

გვაძლევს
ეს პოეტი ნებას! .
ხელ ამაოდ —
მთაწმინდას
ეპოტინება!

ამბროზ ბირხა:

ეშმაკის ლექსიკონი!

ამნისტია — დიდსულოვნება სახელმწიფოსი იმ დამნაშავეთა მიმართ, რომელთა დასჯის საშუალება არ გააჩნია.

კაკაფონია — სიკვდილის საზავემო ყული.

მილიცია — მერის თავაზიანი გამოხატვა.

სიმდიდრე — ბევრის დანაზოგი... ერთის ხელში.

ჰაერი — ღარიბთა გულუხვი გამასპინძლების უებარი საშუალება.

„ლ.ს."

2001. 5.11.01.

გელათში, დავითის საფლავს აწერია: „ეს არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ესე მთნავს: აქა დავიმკვიდრო მე".

იხეე მიხედე სემოთნდიდიშე!

ესაა სწორედ ის ისტორია,

## ფიქრები

გოგონების მოგონებით და ბიჭობის „აფეთქებით“ —
ამ სიბერეს სხვა რა შერჩა? — სიჭაბუკის ნაფლეთები!
როცა ფიქრი გამექცევა... სიტყვაც არის გაწელილი —
სადღაც ლექსი დამეწევა — იმ ცხელ გულზე დაწერილი.
და, რაც დაგერჩა ბიჭობიდან — ალალ-მართალ „იშკილებით“ —
ერთ ცეცხლზედა ეიწვოდით და ერთ ტაფაში ეშიშხინებდით!

* * *

ახლა, საქმე რაშია? —
ხოშია თუ ხაშია!
რა ქნას კარგმა მონარდემ, თუ არ დაჯდა შაშია?!
მოდის დილის სიფთა და ჩემი მუზა გზაშია,
შემომიჯენს ფრთაზე და გამაქანებს ცაშია...
რომ შემოვერა ტაშია, მერე გამცრას ტანშია...
და სულ სუფთად ჩამოეფქვა, რაც გულში და თავშია!
— „ძუ მგელივით“ მოვარდა და სიბერე მაფერხებს,
გული მერჩის, მაგრამა... რა ეუყო ამ ჩემს ფეხებს?
კენწეროში გამწარდა სამოთხის ხის ყაშლები,
სიჭაბუკეს რაც სწამდა, შლის სიბერის საშლელი!..

* * *

ფიქრებო, მიქრით და ქროლაში მიქრებით —
ფიქრებით, ფიქრებით, ფიქრებით, ფიქრებით,
როგორაც ზღაპარში: ჭირი იქ — ლხინი აქეთ...
ოღონდაც პირიქით და არა პირაქეთ!
გინდა, აქეთ-იქეთ, გინდა — იქეთ-აქეთ —
იქეთ რაც გეინახავს — აქეთ ეღარ ენახეთ!
წინაც ეიყურე და უკანაც გაეიხედე:
იქეთ — მიმავალში, აქეთ — მომავალში —
წინ წყალია და უკან მეწყერია,
თუმცა, ეს „მეწყერი“... ახლაც მომდის თვალში!
რის წარმოვიდგინე ძველი წარმოდგენა,
ფიქრით დავუბრუნდი თბილისურ ძველ სცენებს —
კვლავაც მოვესწარი — ისევ დავესწარი,
ძველის წარმოდგენით — ახალ წარმოდგენებს!
გიზო, შე ძველო და გიზო, შე ახალო —
წარსულის ხონჩავ და მომავლის ხახალო!...
რომ ხილი იხილო — შარაზე დგახარო —
აუხსნელს ვერ ახსნი — თავიც რომ ახალო!

---

*მიხეილ ჯავახიშვილი: საქართველო მაშინ წამოიწევდა-ხოლმე, როცა ხალხს სათავეში ვაჟკაცები ედგნენ.*

* * *

ისტორია ჰქვია იმ წლებს —
ყველა სოფელს თუ ქალაქს:
ერი თუ ივიწყებს „წინ წლებს" —
მომავალი არ აქვს!

* * *

ეს ცხოვრება მიშლიგინობს როს...
დრო გვადროვებს, დრო გამოგვაჩენს:
ჩვენ გვგონია — ჩვენ ვატარებთ დროს,
დროს ჰგონია — დრო გვატარებს ჩვენ!

* * *

სიტყვაზე, პასუხზე, ლექსზე თუ რომანზე —
დიახ — ფინანსები მღერიან რომანსებს!
ღვთის წყალობაზეა, თუა ღვთის წყრომაზე —
მუცლის გერემაზეა თუ არის ძლომაზე.

* * *

...და, რაც გინახავს, იმასაც ნახავ,
რაც არ გინახავს — იმასაც ნახავ.
ავუშვებთ აფრებს, წყვილ-წყვილად ვაფრენთ —
ხან დაღმა ეფარცხავთ, ხანაც აღმა ეხნავთ.

* * *

იგავი-არაკი... არაკი-იგავი...
მაშინ სად ვიყავი, როცა არ ვიყავი???
ფიქრები, ფიქრები, ფიქრები, ფიქრები —
მაშინ სად ვიქნები, როცა არ ვიქნები???
საიდან მოვდივარ და მივალ მე საით —
ბნელია და თანაც ნათელი — დღესავით!
არადა... ვარადა — შარია შარადა —
წუთია — მარადი... სამარის კარამდე!
აქეთ-იქეთური, ამბავი-ხაბარი —
ისაა — ცხადი და ესაა — ზღაპარი!

### გ.ნ.-ს!

როს ჩემს სისხლ-ხორცს თვალს შევავლებ —
ოფლი ცრემლად მოჟონავს...
როგორც ხარი, მივაბღავლებ —
გზააბნეულ ბოჩოლას!

* * *

მსგავსი მსგავსისგან ნათალია —
„კვიცი გვარზე ხტისო", ნათქვამია!

* * *

თბილისი იყო ჩვენი ედემი, ჩვენი სამოთხის ბაღი —
ზოგი ქალაქი გაღვიძებადაც — წვერის გაპარსვად
არ ღირს!

*რაც არ ცუჯის და სწორია!*

*...ვორონცოვის ხიდს არ უქნია თბილისში იმდენი სიკეთე, ვიდრე თვითონ გრაფს — მიხეილ სიმიონოვიჩს!*

*..მადლი — მაცლად არ უნდა ვაქციოთ!*

*VII ს. სომხურ ეკლესიასთან მოხდა განხეთქილება. სომხეთის ეკლესიის წინამძღვარმა აბრაამ კათალიკოსმა მოაჩვენა ერი, მოგვაჩვენა იმ მეჩვენებულმა.*

*წყევლა მაწყევარსო! — ნათქვამია.*

*ჰენრი კისინჯერი: კომუნიზმი დავამარცხეთ, ახლა მართლმადიდებლობა დაგვრჩა.*

**P.S.** *ფუი, ეშმაკს!*

*ნოდაიდელს — იაკობიძისთვის შეუთავაზებიათ მოადგილეობა. ამ უკანასკნელს უთქვამს: ვერ გავუგებთ ერთმანეთს — მე ფინანსისტი ვარ — თქვენ ფიზიკოსები.*

*დამა თამუკაშვილი: არ მესმის. ცოცხალი ეთერკანი-*

* * *

კაცმა თავის სახელი... რით? და... შვილით დატოვა!
ბავშვს გოჭივით ზრდიან და უკვირთ: ღორი რატოა?!

## *ყისმეთი*

ასე რომ არ მეცხოვრა — ასე ხომ ვერ დავწერდი —
ის მამა მიცხონდა — კალამს „სისხლში“ ვაწებდი.
ცრემლი მქონდა ნუგეშად, თვალი არ შემშრობია,
ამ დავიდარაბაში... თავიც ვერა მცნობია!
გული ხელით გვეჭირა, სული კბილით გვეჭირა,
რომ სიბერის ბურუსში — სიყრმე გადაგვერჩინა!
თუმცა, ჩემი თავ-ფეხი... რა ფეხებზე მკიდია,
ახლა ადამიანებს ნაწილ-ნაწილ ყიდიან.
იყიდება გული და იყიდება თირკმელი...
ღმერთო, რაც დღე გვაყარე — ისევ შენ თუ გვაკმარებ!
თორემ, ჩავსაფრებივართ შესაჭმელად ერთმანეთს —
ჰოდა, ასეთ სიცოცხლეს... სიკვდილი სჯობს, ღმერთმანი!

* * *

სიცოცხლე ძნელია — სიკვდილი?... არ ვიცით!
არყოფნას... ყოფნაზე უფრორე განვიცდით!
და, რაც არ მინახავს, იმასაც რომ ვნახავ,
სააქ-საიქიო სიტყვასაც მოვნახავ!
წყალნი მიდიან და რჩებიან ქვიშანი...
ეს ჩვენი დუმილი — თანხმობის ნიშანი
ყოველთვის როდია... უხმო მელოდია —
სიჩუმის კოდი თუ საფლავის ლოდია!
მიდი და გაიგე და ძეგლი აიგე,
ლხინი დაგვიტოვე და ჭირი წაიღე!
...როს დაკრავს კაცისთვის ჟამი და საათი,
ჯამით შესანდობარს შესვამს ჯამაათი
და სულ არ იქნება მისთვის ის სულერთი,
როგორ და სად — ვისთან მოხვდება სულეთში?...
და, თუმცა „სამოთხე“ გვიწივის ყურებში...
მე ის მეგულება... მხოლოდ თქვენს გულებში!

* * *

ვერაზე ვერელების ვარსკვლავის გახსნის დღეს... არც დაღამება ეწერა და არც გათენება.

საღამომ კი არ ჩაიარა...საღამო შედგა!
ბედისწერის წერითა... ფქვილი - აქ, იქ — ქატოობა,
ვარსკვლავებთან თამაში იყო ჩვენი „მარტოობა"!
სულის საცხოვნებლად და
ნეტარება — ნირვანად
— ეს კაშკაშა ვარსკვლავი
დარჩეს დროის ყირმანად!

* * *

„აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა.
დღეს — სადღეისო ითქვას სათქმელი —
ხვალ — ხვალე იტყვის სათქმელს ხვალისას!

* * *

ქალაქური მოზაიკა:
აივნებად, ხალიჩებად...
ახალ თბილისს ვუყურებ და ძველ თბილისზე
თვალი მრჩება!...

* * *

... მოკლედ, მთქმელს — გამგონე უნდაო და თბილისურ „პაემანზე" უკეთეს გამგონეს სად იშოვენი?!... ეს ხომ ჩემი ბებრული თავდავიწყების ნატვრაც იყო. „ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი"!.

ჩემს სიტყვებზე კომპოზიტორმა გოგი ჩლაიძემაც, თითქოს საგანგებოდ ამ დღისთვის დაწერა მშვენიერი სიმღერა, რომელიც ზურა დოიჯაშვილმა და მე წავუმღერ-წავუსტვინეთ იმ ერთ მშვენიერ დღეს!

ეს ლექსი ჩემთან ღამეს ათევდა...
ნახე, რა კარგი დილა გათენდა!...
ჩემი სიყრმის მზე — უკვე ჩავიდა —
ბოლოში ვარ და...
ვიწყებ თავიდან!

მისამღერი:
არც მიწისა ვარ, არც — ცისა —
არ გავჩენილვარ ნარცისად.
რაცა მაქვს — ის არ მაწუხებს
და რაც არა მაქვს — არც ისა!
ღმერთმა არ მომცა... სიბერის ნიჭი
და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი!

შენ ბებერი მიძახე, მე კი სულ დამავიწყდა ჩემი ასაკი! უკვე, მგონი, 83-ე წელში გადავდექი და წლებმა (მადლობა ღმერთს!) წელში ვერ გამტეხა — ისეთი „სკლეროზი" მჭირს — აღარც კი მახსოვს, რამდენი წლისა ვარ... თუმცა, „თბილისის ომის" დროს არც ტყვია დამკლებია და გულზედაც ოთხ ადგილზე მადევს ნაკერი. რას იზამ, ნათქვამია: დედამიწა რომ გასკდეს, ბზარი მწერლის გულზე გადაივლისო. მართალი გითხრათ, გულში ვამაყობ

...ანი რატომაა პორნოგრაფის, მაგი კი — ეთნოგრაფის?

გინდა, ლენინი იყო და მკვდარი იყო?

**P.S.** იყო ასეთი დრო, როცა ესეც საკითხავი იყო!

აშშ-ში, თურმე, 56,000 დოლარად სუფთა ბროლის კუბოებს ამზადებენ. ვიდეოტექნიკით, ლიფტით, მაგნიტოფონით, განათებით, შხაპით... !

**P.S.** ასეთი „შხაპუნა" ტყუილ-მართალი გვგონია?

უღმერთობით რაც გვაწამა — მერე ღმერთი იწამა.

არ მიიღო არც ღმერთმა, არც ცამა, არც მიწამა!

აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი:

ტრადიციიდან — თავისუფლებისაკენ (გლობალიზაცია)

„მშობლებისა და შვილების (ბაბუებისა და შვილიშვილების — გ.ნ.) ურთიერთობაზე უკეთესი თერაპია არ არსებობს.

ბალტიისპირელი ბიჭების მოვალეობაა, 16 წლის მი-

კიდეც, რომ იმ ტყვიასაც ტანით ვატარებ, რომელიც თბილისს ესროლეს და მე მომხვდა (თუმცა, სასიკვდილოდ არ გამიმეტა) და ამ ნახეთქი გულის ოთხი შუნტიც იმ ოთხი ჯილდოსავით დამაქვს (კავკასიის დაცვის მედალივით, თბილისის საპატიო მოქალაქის დიპლომივით, გორგასლის და დიდების ორდენებივით).

უბედურია ის, ვინც არ იცის, რისთვის ცოცხლობს და ბედნიერია ის, ვინც იცის, რისთვის კვდება!

...ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპრებში ხდება.

შემოქმედებით ციებ-ცხელებაში მიინურა ერთი თვე.

გული, რომელიც ხშირად ხელში მიჭირავს და საგულეში არ იცდის — არც კი ვიცოდი, საით მქონდა — მარჯვნივ თუ მარცხნივ... ადამიანის ტრილიონნევრიანი მეურნეობა „სრულ" საბრძოლო მზადყოფნაში იყო. ჩემთვის ეს, საესტრადო სანახაობა კი არა, რეპორტაჟი იყო „სახრჩობელიდან"! ჩემი სახლიკაცი — შოთა ნიშნიანიძისა არ იყოს: როცა მედალი დამკიდეს ყელზე, ვიგრძენი, როგორ მიჭერდა ყულფიო!... თუმცა, სახელმწიფოს მედლებსა და მადლიერების ამ ხალხურ ვარსკვლავებს შორის განსხვავება ცა და დედამიწაა! და, ეს მეც მაქვს ნათქვამი „მზის ჩასვლის წინ"!

— რაა სიბერე, გამორთვაა ალბათ შუქისა?

— სიბერე არის დიდი ჯილდო სიჭაბუკისა!

— მძიმეა შენი ჯილდო, რახან მიწას გიწია.

— მძიმეა, როგორც ყველა ჯილდო, ჩემო ბიძია!

— თუ ეს ჯილდოა, მოიხარე ეგრე რისათვის?

— მიწამდე ვუხრი თავს ამ მიწას სი-კე-თი-სათ-ვის!

ახლა კი ჩემს ფეხქვეშ, მიწა... თუ არ ინვოდა, ვარსკვლავი ცას წყდებოდა მაინც და ცა ფეხით ჩამოდიოდა!

საოცარი გრძნობაა, რომლის ასახსნელი სიტყვაც ვერ მიპოვნია და იქნებ... არც არის საჭირო ახსნა — დარჩეს სიყვარულივით ბოლომდე აუხსნელი!

ლექსის, პირიდან ყურამდე... უფრო სწორად, გულიდან — გულამდე მიტანას დიდი სული და სულის ბერვა უნდა! კიდევ ვიმეორებ: არავითარი მისტიკა და მისტერია — აშკარად ვგრძნობდი, რომ ამ არეულ წუთისოფელში, როცა ადამიანებს ტაძრისკენ გზა ვერ გაგვიგნია... ღმერთი ჩვენთან იყო! საიდან მოდიოდა ეს ენერგიაცა და სინერგიაც... ერთმა, ღმერთმა უწყის!

მიწამდე ვუხრი თავს არა მარტო მათ, ვინც, ასე ვთქვათ, ციდან ვარსკვლავი მომიწყვიტა: სხვისი სიხარულით — სიხარული, სხვისი ნეტარებით — ნეტარება... ასეთ სიხარულს და ნეტარებას — სხვა, რა ნეტარება ედარება... ღმერთმა გამომიგზავნა რეჟისორი ლევან წულაძე; თეატრალური დასის გამგე ქეთევან კანტიძე (ზოგს კანტი ესმის კანტი-კუნტადო, ეს კი თავისი საქმის დიდოსტატია!); გენიალური დიზაინერი გუგა კოტეტიშვილი; მუსიკალური რედაქტორი ნუცა ჯანელიძე (ნუცას ახალი სკოლის სულისჩამდგმელი); „ციდან ვარსკვლავის მომწყვეტი", თვითონ პოეტი ბადრი ქუთათელაძე, რომლის სამსახურის ნახ-

---

*მოემი: სინდისი ყოველი ადამიანის გულში მოკალათებული პოლიციელია!*

*ბუალო: სულელს... სულელ მაქებარს რა გამოულევს!*

ელავეია ეს ვარსკვლავები; მენეჯერი ეკა იოსელიანი, ჩემი წიგნების რედაქტორი და პროდიუსერი ანი ხიხაძე, პირველი სცენარის თანაავტორი მაია ჯაფარიძე..., რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს თაობათა ამ საეტაპო წარმოდგენას!

რომელი ფსიქოგენეზისით, ფსიქოანალიზით, ფსიქოლოგიზმით ანუ ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმით შეიძლება აიხსნას ის მოვლენები, რასაც მე ჩემს ცხოვრებაში (და, თუნდაც, ცხოვრების ამ საფინალო ეპიზოდში) წავაწყდი? სხვა რა ახსნა აქვს ამ ზღაპრულ ცხადს თუ ცხად ზღაპარს, გარდა ფიგურალური „განგების ნებისა"!

კაცი წყალს მიჰქონდა და გზაც იქეთ ჰქონდაო!

იმ „პაემანიდან" ამ პაემანამდე თითქმის სამი ათეული წელი გავიდა. დადგა ახალი პაემანის დრო და „მე ვატყობდი, რომ, შინაგანადაც და შემოქმედებითადაც, საკუთარ თავთანაც კი ბოლომდე „გაუმხელელად", ვემზადებოდი ამ დღისათვის. ვეძებდი გზებს, საშუალებებს, სახსრებს.

და, აი, აგერ „პაემანმა" თვითონ მომძებნა, ვარსკვლავით ხელდამშვენებული მენვია და ჩემს ქალაქთან პირისპირ დალაპარაკების კიდევ ერთი შანსი მომცა! (ამას გავუშვებდი ხელიდან!)

ამ საქმეში, ავტორთან ერთად, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა რეჟისორს. ბედმა აქაც არ მიმატოვა და მომივლინა კაცი, რომელსაც დღემდე პირადად არა, მაგრამ სისხლხორცეულად სულიერადაც კი კარგად ვიცნობდი, რადგან იგი ჩემი სიყრმის მეგობრის, ცნობილი ჟურნალისტის, ან განსვენებული რეზო დვალიშვილის დისწული აღმოჩნდა. რაც რეზომ მაშინ თავისი კალმით „პაემანს" ფრთები შეასხა — ამან მთლად „გააფრინა" და მეშვიდე ცაზე ამიყვანა, საიდანაც გადმოვხედე თუ არა ქვეყანას, მაშინვე ვთქვი ის საკრალური და ნეტარი ფრაზა: წუთო, შეჩერდი... შენ მშვენიერი ხარ!

მერე, გაზეთში, ბატონი ლევან (ჭოლა) წულაძე, მისთვის ჩვეული თავმდაბლობით წერდა, რომ მას, „პაემანთან" დაკავშირებით, ბევრი თავსატეხი არ გასჩენია, რადგან ავტორის „გულში იჯდა"! მე კი, რაღა დაგიმალოთ და მთელი მისი რეჟისურა იმაში ვიგრძენი, რომ სცენაზე სრული „ფუფუნება" ანუ არავითარი დისკომფორტი არ მქონდა!

გუგა კოტეტიშვილის დიზაინიც (რომელიც გრანდიოზულობით ანტიკურ ტრაგედიებსაც კი დაამშვენებდა) ჩვენზე — მხატვრულ სიტყვაზე და მხატვრული სიტყვის ოსტატებზე იყო აწყობილი —

ცანებული ქალიშვილების დაქალებს.

**P.S.** ამ საქმეში აღსანიშნავია ჩვენი ბიჭების სარესპუბლიკოთ მორიგი „ლეანდი"!

ჩინელი ბუდისტი ბერი ცხი ჩი, თვითმხილველების მტკიცებით, მკვდრებს აცოცხლებს. მან, თურმე, 1995 წელს ციმბირში მოგზაურობის დროს, მაგიური ლოცვების წიგნი იპოვა.

სიცილიის მაფიის წევრი, 27 წლის ანდრეა ფილდალი ციხეში ვერ ჩასვეს, რადგანაც 237 კგ-ს იწონის და, როგორც საკუთარ ცეკვაში... ვერც ერთი საკნის კარებში ვერ ეტევა.

იტალიელი ექსპერტი მიხეგიუ მერილაკი ამტკიცებს, რომ მონა ლიზას პირში არცერთი კბილი არ ჰქონია და ღიმილით ამ უკბილობას ნიღბავდა.

ცნობილია, რომ სომხები — თბილისსაც თავის დედაქალაქად თვლიან. მაგრამ რატომ?.. ეშმაკმა თუ იცის!

ზვიად მესხიძე:

„ვერ იზამს წუთი-

მთელი ეს შეხმატკბილებული გარემო: სცენა... ყოფილი კიროვის ანუ ვერის ბაღის (აქედან ერთ ხელის განვდენაზე რომაა!) ფრაგმენტს წარმოადგენდა — თავისი ოღროჩოღრო, ზურგიანი სკამებით, ლამპიონებით და წინა საუკუნის გაქვავებული პერსონაჟებით, ანტურაჟით... იქვე, კუთხეში, პირდაღებული როიალით, აბაჟურ-შუქფარითა და მყუდრო სავარძლებით... რაც განუმეორებელ კოლორიტს — ანტიკვარულ სურათს ქმნიდა... აი, ისეთს, ძველი ტფილისის მეტრფე, ხარფუხელი (და მერე ვერელი) იოსებ გრიშაშვილი რომ აღწერდა — ქორონიკონის „კენტით და ლუწით"! ჰო... კინაღამ დამავიწყდა ყველაზე მთავარი: ამ პანორამაში ცოცხალი ძეგლივით იდგა „თბილისელი ბიჭების" ჯგუფური კომპოზიცია (ავტორი ვერელი ვახო რურუა) — პერსონიფიცირებული-ძველ ვერელებს მიმსგავსებული პერსონაჟები, რომლებმაც თბილისური კოლორიტი შექმნეს და თბილისს ხასიათი შეუნარჩუნეს.

## *„პაემანი ვერაზე" (რეცრო!)*

...„ყველა აკაცია — ჩვენი ძმაკაცია!

— ვინ და რა კაცია?...

ერთი დედის — დედაქალაქის — თბილისის ღვიძლი შვილი არის!

... ვერის ბაღი!

ვერის ედემი, ვერის ენდემი!

ეს ბაღი, ერთ დროს, ქართველი დიპლომატისა და დიდვაჭრის რაფიელ დანიბეგაშვილის საკუთრებად ხმობილა...

სასაფლაოდ ქცეულა და გადაქცეულა სიკვდილი სიცოცხლით აქ უარყოფილი!

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთო! (სჯობს, ყოფნის გვემართოს)... და ისევ სიცოცხლემ აჯობა სიკვდილს... ფლაბიანე გოროდეცკის — საქართველოს ეგზარქოსს... წყალობა მოუღია (რაც ერთობ მიკვირს): საიქი-აქაოდ გაუმეტებია, უთქვამს:

სოფელი წუთის ედემია...

გაისეირნონო დიდი ძილის წინა (მიწაზე ცხოვრებაც გაითვალისწინა!).

*მეორედ მოეიდა ეს მიწა, ბებერი, ამოაყეავილა სულები ჯეჯილად — ბაღნარად აქცია ეს საგოდებელი, სად სული სიცოცხლეს კბილებით ეჭირა!"*

აი, ეს ნაწყვეტიც... ჩემი პაემანიდან ვერაზე!

და, აი, ეს ჩემი ჩაწყვეტილი გულიც!

ერთხელ, მამაჩემის ძველ საქაღალდეში ერთი, ასე 3-4 წლის, პატარა მძინარე ბიჭის სურათს წავაწყდი და... გულმა რეჩხი მიყო. ვიღაც ლამაზ, პატარ ბიჭს რაღაც იაფფასიანი პლედი ეხურა და ცუდად ეძინა!... ეძინა, კი?...

მტვერი გადავაცილე და, რა ჭკუამ მიქნა, დედაჩემს მივურბენინე — ვინაა ეს ბავშვი-მეთქი?

მოკვდა და გათავდა ქალი. ერთი სიცოცხლე გაათავა. ბოლოს, სული

---

*დავით გურამიშვილი: სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა უწვრთნელის შვილის ყოლასა.*

რომ მოითქვა, მითხრა: ეს შენი ძმაა — ალიკო! ჩვენი მეორე შვილი... ეს რომ არ ნასულიყო ამ ქვეყნიდან — შენ ვერ მოხვიდოდი, რადგან ჩვენ ორ შვილზე მეტის გაზრდის საშუალება არ გვქონდაო...

თურმე, რამხელა ვალში ვყოფილვარ!

სადაა დამარხული-მეთქი?

ვერის ბაღშიო!

მას შემდეგ ვერის ბაღში ბურთი აღარ მითამაშია და ერთი კაცის ნათქვამისა არ იყოს — ფრთხილად დავდივარ, რომ სადმე ჩემი ძმის საფლავს არ დავაბიჯო!

...ახლა კი ვდგავარ აგერ, ძველ და ახალ ვერაზე, მკვდართან თუ ცოცხალთან — ჯერართქმული, ჯერ არნახული „პაემანი" მაქვს და არ ვიცი, ჩემთან ერთად ამ საღამოს სულის ჩამდგმელები ხვდებიან თუ არა, რომ სულ სხვა ტექსტით ვიწყებ პროლოგს:

ხმა ეედრების —
ხაეერდების —
არა ყალბი, რიოში —
მოწედეს სააქაოსა და მიწედეს საიქიოში!

ძველი — 30 ნლის წინანდელი პაემანიდან ორად-ორი... ჯუჯა არა — ორად-ორი კინკილა „მოხუცი" — მე და გივი ბერიკაშვილი ვზივართ ერთად (თუ ჩვენც „მოხუცები" გვქვია!). დანარჩენებს კი „ოხშივარი" ასდით თავისი სიჭაბუკით და მზად არიან გასაფრენად! თხა თხაზე ნაკლებიო, ნათქვამია! ...სიჭაბუკის ამ მარადიულ გაზაფხულს ერთი იაც ახლავს (სუხიტაშვილი). სცენას ამშვენებენ ქართული ესტრადის მშვენებანი. ცალკე, ანტიკვარულ მაგიდასთან, სხედან ჩვენი თაობის ქალბატონები — ანტიკვარები: ლალი ბადურაშვილი, ნანა ყიფიანი, კირა ანდრონიკაშვილი.

„ერთმა, ღმერთმა უწყის
თქვენი გენის კოდი!...
გაზაფხულს ვინ უთვლის —
მერამდენედ მოდის! — მიაცილებს კომპოზიტორ ნოდარ ნიკოლაიშვილის სიმღერას („ჩემი თბილისის ქალბატონები") ჩემი საავტორო ტექსტი!

საუკუნის იქედან ისმის გრიგოლ რობაქიძის ხმა (რადიოს „ოქროს ფონდიდან"): „ჩემი ნატვრაა, როცა მე ამ სოფლად აღარ ვიქნები, მოდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს, სანთელს ანთებდეს ამ პანია სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს. მეტს არას ვთხოვ საქართველოს!"

ანთებული სანთლით ხელში, ფეხადგმული ქანდაკებასავით დაიძრა ქართველი ქალი სცენისაკენ. სწორედ ამ დღეს ეწერა იმ თხოვნას აღსრულება:

*სოფელი,
ფეხებზე დაგვკიდოს".*

***P.S.** ახლა რა — უარებზე ვკიდივართ!*

*<u>კაცს ჩააფიქრდა:</u>*

*ასი წლის წინაც ისევე უძირდა საქართველოს და ქართველობას, როგორც დღეს. სხვაობა მხოლოდ ის გახლავთ, რომ მაშინ დათვი ცოდებით ლიად გვთელავდა. ხალხი კი ან ფუხფუხებდა, ან ხელაც გახუხული იყო.*

*<u>ბოლშევური ძროხაკა — მაძღა და ძველმოქმედება!</u>*

*1907 წელს, ახალ წელთან ერთად, თბილისში საქართველოს ახალმა ეგზარქოსმა, რუსეთის ეკლესიისაგან მოვლენილმა მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ალექსიმ მემოსგიჯა. იმდროინდელი ქართული პრესის ცნობით, რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიაში მოღვაწეობისას, ალექსის ხალხის სიყვარული და პატივისცემა საეკლესიო სოფლების დამკვიდრებს-გაძლიერებით დაუმსახურებია. საქართველოს დედაქალაქში იგი ჭიდი პატივით მიუღი-*

დიდებულმა ქართველმა (თუმც, ჩამავალმა მზემ, მაგრამ მაინც მზეთუნახავმა) ღვთისმოსავმა და ღრმადმორწმუნე ქალმა ნანა ყიფიანმა აღასრულა მწერლის ოცნება!

...ძმებში — ძმაკაცობის და ძმაკაცებში — ძმობის — კაი ამხანაგის სულხან-საბასეული ტრაქტატის განსახიერებაა მარჯანიშვილელი ბიჭების ბრწყინვალე ხუთეული: ზურა ბერიკაშვილი, ნიკუშა კუჭავა, თეიმურაზ ჭიჭინაძე, ზაზა იაქაშვილი, დათო დარჩია!

სიყვარული მალულად ხილულია —

სიყვარული ბნელში ნათელიაო:

სიბერემ თქვა: რა დროს სიყვარულია?

სიყვარულმა: რა დროს სიბერეაო!... — ჩაგვჩურჩულებს მშვენიერი ია სუხიტაშვილი და გვახსენებს, რომ...

„უსიყვარულოდ მზე არ სუფევს ცის კამარაზე!"

საოცრებაა ამღერებული ეკა კვალიაშვილის გასაუბრება მისი უკვდავი ბებიის — მარო თარხნიშვილის სულთან; სიმღერისა და ცეკვის — გონაშვილ-გუნაშვილის „დუეტი", თავისი გაგრძელებით: ფრიდონ სულაბერიძის გასმის „ნაპერწკლებით" თუ ომარ მხეიძისა და მისი შვილიშვილების ქორეოგრაფიული ექსპრომტით; ნუკრი კაპანაძის ნუნუ დუღაშვილისეული „იეზიდი"; დები იშხნელების უკვდავი სიმღერა — დები ჭოხონელიძეების ძმობითა და შესრულებით; მაია ჯაბუასა და მისი „ღაბუას" (ქალიშვილის) დედაშვილური ჰანგი; გიო ხუციშვილის, დათო ნოზაძისა და მათი ძმების — ნიაზის სანიაზო სიმღერა; დათო გომართელის ცეცხლი; მიშიკო ზაქარიაშვილის ქალაქური — „პაემანისადმი" მიძღვნილი ჰანგის ეშხი; ქალაქის ყოფილი მერის — ნაღდი ქალაქელის ნიკო ლეკიშვილისა და თბილისზე გადარეული ეთერ ჭელიძის... საეთერო: „დავალ თბილისის ქუჩებში", გია ფერაძის ნაანდერძევი და ლადო ჯანელიძის ნამღერი ჯანიანი სიმღერა — „...მარტო თბილისში თუ შეიძლება, იყოს უბანი და ერქვას ვერა"!

...ტრიალებს ოთარა მგელაძის, დოდო აბაშიძის, სოფიკო ჭიაურელის, ეროსი მანჯგალაძის, ირაკლი უჩანეიშვილის სურნელი... სული, ჩვენი ბიჭებისა და გოგონების მოგონების ყრუანტელი და მახსენდება ჩვენი დროის ერთი საოცარი თამაში — „ვისი სული გსურს?"

სულის შემძვრელი იყო მამა-შვილის — ჯანსუღ და ვატო კახიძეების იგავმიუწვდომელი მუსიკა და თაობათა გადამღერება!

ნანი ბრეგვაძის ქალიშვილმა და შვილიშვილმა (ივიკო საყვარელიძესთან ერთად), დები საყვარელიძეების (ცისანა და მარიკა) ფონზე იმღერეს ერთი სიმღერა მათი საოჯახო რეპერტუარიდან... აქაც გულმა მომიბრახუნა... რადგან ეს სიმღერა ჩემი ძმაკაცის — კომპოზიტორ ვალოდია მებურიშვილისაა და მის შექმნას არათუ ვესწრებოდი... ერთი მუსიკალური ფრაზა მეც შევანიე: „ამდენი რამე მოგართვი... ღიმილიც კი არ მაღირსე!" (აი, ეს ფრაზაც). თანაავტორობაზე არ ვდებ თავს, მაგრამ ამ ერთი ფრაზით მეც მინდა, მუსიკალურ სამყაროში ფეხი შევადგა! თავი მოვიწონო, ჩემო ბატონო! მით უფრო, რომ ვლადიმერ კონსტანტინოვიჩი... სულ ამის ხაზგასმა-ხსნებაში იყო!

... საოცარია, ამ დღეს არც ერთი მუჯლუგუნი არ დამჭირვებია სცენაზე ჩემი მოკარნახის — ქ-ნ ანი ხიხაძისგან... — რისი თქმაც მსურ-

---

*ქართველი გლეხკაცის შეგონება: ქართველთა სიმდიდრეზედა მტერს სულ ეჭირა თვალია („გყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია!").*

*ბორის პასტერნაკი: ის რა შემოქმედია, რომელმაც არ იცის, გარეთ რომელი ათასწლეულია.*

და, თითქმის ყველაფერი ვთქვი... იმ ერთის გარდა, რომელსაც გულმოდგინედ მიკრძალავდა ჩემი საოჯახო ცენზურა, მაგრამ ჩემი, ასე ვთქვათ, უკაცრავად პასუხის გამო, კანკალით ელოდებოდა ჩემს „ნამუსზე შეგდებულ სიტყვას" ანუ იმ ერთ სტროფს, რომელიც ალალად გამომრჩა (მათი დაჟინებული თხოვნის გარეშეც), მათი სურვილით და ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ!

ჰოდა, იძულებული ვარ, ახლა მაინც... წიგნში მაინც გადავარჩინო!

სარეველები მიედო ყანას —
სიბრძნე — სიცრუეს ვეღარ შეფუთნის —
რა ვქნა, ვერ ვტოვებ ისეთ ქვეყანას —
მე რომ მინდა და თქვენ რომ გეკუთვნით!

ისე, დღევანდელი პათოსი კი იმ ბლოკში იყო „ნაღმივით" ჩადებული, რომლის საბრძოლო ლირიკის რეფრენი ასე გაისმოდა: „შენი გამარჯვებით — მე არ დავმარცხდები... ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ!" (რაც ამ ურთულეს ისტორიულ გზაჯვარედინზე შუბლზე უნდა ჰქონდეს ამოკანრული ყველა ქართველს):

გათითოკაცება
გვაოხერტიალებს,
ვიცი ამ ცხოვრების მე ავან-ჩავანი,
რაც გაგვყოფს კი არა — რაც გვაერთიანებს,
ეს არის,
ეს არის,
ეს არის მთავარი!
თუ ასე არ ფიქრობ, ძალიანაც ცდები,
ტყუილად გამსარჯე და ტყუილად გაისარჯე,
შენი გამარჯვებით — მე არ დავმარცხდები,
ჩემი დამარცხებით — შენ ვერ გაიმარჯვებ!

დუმილი თანხმობის ნიშანია.
დარბაზი დუმდა.
ისე დუმდა, რომ სიჩუმეც კი ისმოდა!

საერთოდ, ამ საღამოს სტილისტიკა და დრამატურგია ერთ მთავარ მოტივზე — ქართული გენის უკვდავების სიმზე იყო მშვილდივით მოზიდული!

თუმცა, არსებობს შეუვალი ფიზიოლოგიური კანონი გენეტიკისა, რომ გენი, რომელიც მუშაობს მშობლებში — ისვენებს... შვილებში, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც. ეს საღამო იყო, სწორედ, ამ გამონაკლისის — მოუსვენარი ქართული გენის ზეიმის დღე! ათასობით მაყურებლის წინაშე „ტყავში ვერ ეტეოდა" მხატვრული სიტყვა და ბობოქრობდა მუსიკა, რომელმაც წალეკა ყურთასმენა. საქართველოში, უკვე, კარგა ხანია, „ნუცას სკო-

ათ და 4 იანვარს კავკასიის მთავარმართებელთან თავად გოლიცინთან, მის თანაშემწე გენერალ ბრეზნესთან, კომენდანტ ბ. როიცერთან, გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლ. თავად მელიქიშვილთან, გუბერნატორთან და ქალაქის თავის მოადგილესთან სადარბაზოდ მიუწვევიათ.

იმავე დღეს კავკასიის მთავარმართებელ. კნიაზ გოლიცინს ჯიბეზე ხელი გაუსვამს და. მეულესთან ერთად, თავისსავე სახლში, უზარმაზარი მეჯლისი (როგორც მამინდელ გაზეთებში წერია — ბალი) გაუმართავს.

ორი დღის შემდეგ ბალი კნიაგინია ჯამბაკურიან-ორბელიანისამაც მოაწყო თბილისის სათავადაზნაურო სკოლის სასარგებლოდ და შემოწირულობებიც უხვად მიიღია: რუსეთის იმპერატორს, დიდ თავად ნიკოლოზ მიხაილოვიჩს ასი მანეთი უწყალობებია: მეზარხოშებულ კავკასიის მთავარმართებელ კნიაზ გოლიცინსაც ასმანეთიანი გაუძრია — „ათა ათაზე ნაკლებიო!" თავადი კონ-

ლის" სახელით იხსენიებენ მუსიკოს ნუცა ჯანელიძისეულ სკოლას. იგი ამ საღამოს მუსიკალური რედაქტორი და სულისჩამდგმელი გახლდათ.

ბიბლიურ სიბრძნეს ვერსად გავექცევი — დიახ, „პირველად იყო სიტყვა!", მაგრამ იმ ღვათებრივ მუსიკასაც ვერ მოიხსენიებს კაცი... ურიგოდ! დაუვინყარი, კონგენიალური იყო ის, რაც ჩვენ იქ... ჩვენი ყურით მოვისმინეთ! ჩემს სამეგობრო ნრეში, ჩემი თვალის ნინ, ან განსვენებული თემო ნაცვლიშვილის მიერ, დიდი ანას სიტყვებზე დანერილი სიმღერა, რომელიც დღემდე პირიდან პირზე გადადიოდა და თაობათა „საზეპიროდ" იქცა, უეცრად ახალ ქართულ რექვიემად მოგვევლინა და ეს მოვლენა გამაოგნებელი სიჩუმითა და სახტად დარჩენილი — დაგვიანებული ტაშის გრიალით აღინიშნა!

— თქვენ ახლა სასნაულს მოისმენთ! — ვთქვი მე და დაიძრა სიმღერა!

„ქარი გიმღერის ნანასა... ზღაპარს გიამბობს ჭადარი"...

არავითარი ზღაპარი!

ეს იყო ზღაპრული სინამდვილე, რომელსაც ფრთები შეასხეს „ფორტე" — „თეატრალებმა"!

ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა უპირველესი პირველის — გივი ჭიჭინაძისა და ლოტბარ რობერტ გოგოლაშვილის ჩანაფიქრი: „ქართულმა ხმებმა" თუ ანსამბლმა „თბილისმა" (ფილარმონიის მარჯვენა და მარცხენა ლოჟებიდან) იმერული ნადური სჭექეს! სნორედ ჭექა-ქუხილივით ისმოდა მათი ხმები და დარეტიანებული დარბაზი, იქეთ-აქეთ ცქერით, ამ გადაძახილ-გადმოძახილს ყურსაც ადევნებდა და თვალსაც!... მსგავსი არაფერი ახსოვს ფილარმონიის კედლებს!

... და აი, უცბად, სცენაზე შემოლაგდა თბილისელი ბიჭების დასტა, თავისი მუსიკალური ხაბაკ-ხუბაკით — ინსტრუმენტებითა და შიშველი ნიჭიერების სიგიჟით!

ახლა, „მგზავრებმა" ნაგვიკიდეს ცეცხლი!

კონცერტამდე ერთი მათგანის ხელის ჩამორთმევა მოვასნარი — დედალამაზიშვილიაო, — მითხრეს.

აქ, ყველა, დედ-მამა და დიდედ-პაპა ლამაზიშვილები იყვნენ — თავისი ბიჭობით ჩვენი ბიჭობა გამახსენეს და უასაკო მეგობრობა ლუკმასავით გამიყვეს!

ააშენათ ღმერთმა!

სულ ამირიეს დავთრები — აღარც ჩემი სიბერე მახსოვდა, აღარც გაჭირვება, აღარც ის, რისთვისაც მოვედი თქვენთან... მახლას, ისე ვიყავი, როგორც გოგი ცაბაძის მეფაიტონე:

„ძველი თბილისი ისევ მიგონებს, ნისლივით ქრება დარდი..."

მივდიოდი, მიმქონდა, ჩემსავით ძველი — „დარდის გუდურა გრილი"... რომელსაც, ახლა, მოგონების ცეცხლი ეკიდა!

სამი ეკრანი ვერ აუდიოდა ჟამდაკრულ, მაგრამ გაუხუნარ სურათებს — ძველი „პაემანისა" და თბილისური საოჯახო ალბომის კადრებს... თვალი — ნყალს სვამდა, გული — გულობდა, სულს — სული ედგა — ხელისგულზე იდო ნარსული, ანმყო და მომავალი!

---

*ჟაკ დელილი: უდიდესი საუნჯე იქნებოდა ადამიანების კარგი და ლამაზი აზრების კრებული.*

*სოკრატე: უვიცი რომ მესაჭედ ან სტრატეგოსად დააყენონ... დაღუპავს ხალხს... უდიდესი თაღლითია იგი, ვისაც არავითარი ღირსება არ გააჩნია და ცდილობს, მოტყუებით დააჯეროს ყველა, რომ სახელმწიფოს მართვა შეუძლია.*

კაი მედიუმივით გამოიძახა აჩიკო ორაგველიძემ (საოცარმა იმიტატორმა) ჩვენი უსაყვარლესი ირაკლი აბაშიძის სული და... გააცოცხლა... რწყილი და ჭიანჭველას სიკეთის ზღაპარივით მოეყევი რამიშვილების ისტორიას — ჩემი შემოქმედებითი „ნათლულის" — საყოველთაო კვაჭიჭოდან — ლეგენდარულ ნინო რამიშვილამდე და მის მეორე ვარიანტ — ახალ ნინო რამიშვილამდე, რომელმაც, სიყმაწვილის ასაკში, თარგმნა შექსპირის სონეტები და ახლა, „სულ გაუვიდა თავს" — ვაჟა-ფშაველას თარგმნის ინგლისურად (?!) კარგად დაიმახსოვრეთ ეს პატარა ქალბატონი და გაიხსენეთ ეს სიტყვები მისი დიდ ქართველ ქალად აღზევებისა და აღიარების დღეს! — ვთქვი მე და კიდევ ერთხელ დავლოცე სასწაულმოქმედი და ყოვლისშემძლე ქართული გენი!

რომელი ერთი!

ყველა წუთი... წვეთწვეთად ავსებდა ჩემს მოგონების ფიალას, რომლითაც, როგორც გრაალის თასით, შევსვი ნამსვლელ-დამრჩენის სადღეგრძელო, რაკიღა მისი დალევა ვერ მოაწრეს სიმონიკა სხირტლაძემ, პეტია ბოკერიამ, ტუპია იაშვილმა და სხვათა და სხვათა!

კიდევ ერთი კაცური სიტყვა აღვასრულე ამ ერთ მშვენიერ დღეს — 15-ათასიანი ტირაჟის „პაემანი ვერაზე", რომელიც (თავის დროზე) ბიზნესმენმა გუჯა ბუბუტეიშვილმა შეიძინა, ალალბედზე დავალაგეთ 2200-კაციან დარბაზში და ამით აღვასრულეთ კაცური პირობა, რაც ქველმოქმედმა ინება: წიგნი მყიდველის კი არა — მკითხველისაა — დღეს მკითხველს უჭირს და მოდი, ეს წიგნი ვაჩუქოთ ხალხსო!

იმედია, სუვენირით,
კმაყოფილი იქნებით —
ალალბედზე გაბნეული...
სასაჩუქრო წიგნებით!

ერთ დღეს კი არა, საუკუნეს ეყოფოდა ეს სიხარული! ...შესვენების დროსაც კი არ მოეასვენეთ მსმენელი და მაყურებელი: ფილარმონიის დერეფნებში ისმოდა საუკუნის ხმები სახელმწიფო რადიოს „ოქროს ფონდიდან". ამ დღეს ყველა ერთად ვიყავით — ცოცხალიც და მკვდარიც, რადგან დღეს გულზე ხელის დასაკრეფი დრო არც ერთს აქვს და არც მეორეს!!!

და, აი, დადგა საფინალო სცენის დროც და მე ძლივს წამოვდექი ფეხზე... ბოლო სიტყვის სათქმელად! მივედი მიკროფონთან, მოვიკრიბე ძალა და ცოცხალი შთაბეჭდილებებით აღსავსემ, გათვალისწინებული ტექსტის მიუხედავად, ის ვთქვი, რაც ღმერთმა მიკარნახა:

*სყაჩყინე მეხრან-ხეთყ, რა თქმა უნდა, იქ ყოფილა. აბა, გვარიშვილობას ხომ არ შეურცხვენია — ხალის კეთილდღეობისთვის ამანათოსანი არც მას დაუმურიდა. სახელგანთქმულ ბიზნესმენს დავით სარაჯიშვილს კი, ეტყობა, იმ დროისთვის საქმეები მთლად კარგად ვერ ჰქონდა და მხოლოდ 25 მანეთი გაემეტება. ბალს ბრწყინვალედ ჩაუვლია. ფრიად ნასიამოვნები საზოგადოებას დილის ოთხი საათისთვის დაშლილა.*

*2002.25.II.3.III. „ვერსია" წერს: ლენინი სიფილისიანი იყო, კომისებსტისტები იყვნენ მარქსი და ენგელსიც (ბოლო მინაყემებით. თუ მინაყემებით?).*

*~~უაღბილო აღბილოს~~ ნათქვამი საყუდა!*

*წინასაარჩევნო კომპანიის წინ პიხეარიან (საზოგადოებრივ ტუალეტში) გამოკრული ლოზუნგი: „სახელმწიფის ბედი შენს ხელშია!*

*კაცმა კაცის სახელი მთამომვლით დაცოდა.*

...ბოლოს და ბოლოს, მე დამარქვით ჩემი სახელი.
გაჩნდა, ვინც არ ჩნდა – უნახავის ვარ მე მნახველი.
„ოდეს გილხინდეს – გიკვირდესო“ – პოი, სახელო...
ბევრჯერ ყოფილა: როცა მოხველ – მაშინ წახვედი!

* * *

...მე ბოდიშს მოვიხდი ბინდისფერ წარსულთან...
რაც არ გამახსენდა ამ წამს,
ზოგჯერო სათქმელი უთქმელი ჯობია,
სათქმელი – უთქმელი არ მწამს.
ყველას გაუმარჯოს, ვინც ხსოვნის ბურუსში
ბუუტავს და სევდის რძეს წველავს –
ვინაც სიყმაწვილის ელვარე სანთლებში –
სულ სხვა ელვარებით ელავს.
ვინც დაგვყვება აკვანში,
ვინც აგვყვა აკვნიდან
და ვინაც ჩვენს სულში ღელავს –
ვინც... კაცობა მოგვცა და ზედ ტვირთი აგვკიდა –
ყველას გაგიმარჯოთ, ყველას!

... ამ სიტყვებით სცენა, ფარდის ჩამოუშვებლადაც, დაიხურა, მაგრამ საღამო არ დამთავრებულა. საღამომ კი არ ჩაიარა — საღამო შედგა! იმ დღეს, ჩემთვის, დაღამება არ ეწერა და იმ ღამეს კი... გათენება — დრო გაჩერდა და ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ დამელოდა ახალჩაბეტონებულ ვარსკვლავ-ლოდთან, რომელზეც ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული: „გიზო ნიშნიანიძე — „პაემანი ვერაზე“! ასე იქცა ჩვენი თაობის პაემანი — ახალი თაობების პაემანის ადგილად!

...მათოვდა სიყვარული და ფიქრი, რომელიც ფიფქივით ადნებოდა გავარვარებულ შუბლს.

ვილაცამ თუ რაღაცამ ჩამჩურჩულა ყურში:

იცი, ვისი ნახელავია ეს ვარსკვლავიო?

და, მგონი, იმ კაცის სახელი დამისახელა, ვისაც ჩემთვის ცხოვრებაში „ვარსკვლავი“ კი არა, დღის სინათლეც არ ემეტებოდა.

მადლობა ღმერთს, რომ აქ მხოლოდ ავტორობა იყო მისი და მადლი კი — ღვთისა!

დიახ, კაცი ბჭობს — ღმერთი იცინის!

სად ქებაა — სად გინება?...

ღმერთმა ასე ინება!

აი, ასეთია ცხოვრება!

ვის — როგორ და ვინ — როდის ჩაახედებს საკუთარ გულში!

დრო მკურნალიცაა და მსაჯულიც!

ვინც როგორც იმსახურებს!

...აქ კი, ფილარმონიასთან, ნამდვილი ზეიმია. აღარ ვიცი, რას, ვის და... როგორ ვეყო?

„კარგი რამ გჭირდეს — გიკვირდესო“

მოფერება უფრო მალფუჭადია —

გაჭირვებაში სტამბულის კაფევითა ვარ — ერთი გაკვრა და ცეცხლი მეკიდება!

ალალად ვაღიარებ:

მე არ ვიცოდი,

ლექსის წერა თუკი ვიცოდი,

მაგრამ ვიწვოდი!

„დაინოს შენი დამნველიო!“ — ჩვენი დროის „ხანძარსაწინააღმდეგო“ ქარაგმული ნაკვესი თუ ნაკვნესია!

...ფიქრიდან თავს ვიძვრენ და მაინც... ისევ აქა ვარ, ქაბატო-ჯან!

„აუ, რა კარგი დღე არის, აუ, რამდენი ქალია“ — ვამბობ გუნებაში ხარფუხელი სოსო გრიშაშვილივით.

ცოტა მოშორებით, ელგუჯა ბერძენიშვილის „მუზასთან“, იდგა მეარღნე ელგუჯა ომიაძე და არღნის სალამურებით შორიდან გვებულბულებოდა...

აქვე... სად იყო, სად არა — გაჩნდა მტრედების უსტაბაში ჯემალ (ჩიტო) ალთუნაშვილი, რომელსაც თავისი მტრედები და ჩიტი-გვრიტები ამ ამბის შთამომავლობისთვის ნასაღებად მოეყვანა.

ჰოდა, მეც და ბერიკასაც, რა, გაფრენა გაგვიჭირდებოდა?..

...ზღვა ხალხს გამოეყო სააკაძის თანასოფლელი ერთი ჩოხოსანი ვაჟკაცი, რომლის მარტო გვარიც კი სანთელივით ანათებს — გერისო კელაპტრიშვილი (საქართველოს პირველი სალამურის — ომარ კელაპტრიშვილის ღვიძლი ძმა), რომელიც ღვიძლი ძმასავით გადამეხვია და ლექსად მითხრა ყველას თავისი და იმ დღის სათქმელი:

## საქართველოს მეციხოვნეს!

მთაწმინდაზე ლხინი ლაღობს – უქედავების მღელოზე,
სუფრის თავში მგოსანი ზის, მღერის საქართველოზე.
მიეფერა მშობელ მიწას, სანამ ჭაშნიკს ნახავდა,
გული ხელისგულზე დადო და სარქველი ახადა...
ამაღელვა! ამაყრინა! შორით დროჟამს გავხედე,
უშგულიდან, შატილიდან სიტყვა „გაეითავხედე“!
დამანახვა მცხეთის ჯვარი, არსაკიძის მარჯვენა,
თამარი და მეფის ჯარი... სულ ახლოდან მაჩვენა!
ლანდი ენახე ფარნავაზის, არაგველთა ზმანება,
ველარა ვგრძნობ, ჩემი სული საით მიექანება?..
დამილოცა წინაპართა ღრმად გადგმული ფესვები –
დავიჩოქე, ავტირდი და ლექსით ვეალერსები!
ეიცი, ჩვენო მეციხოვნევ, შენც იქიდან მოდიხარ,
ეიცი, ზათქით წამოსული...
კლდეს მომწყდარი ლოდი ხარ –
ცხრა მთა, ცხრა ბარგამოვლილი –
კაცურ ქუდით მოდიხარ –
ვისთვის ბერი ქედანი ხარ, ვისთვის ოქროს ზოდი ხარ!
არასოდეს ჩამქრალიყოს ამ ვარსკვლავთა კრებული –

მგელს გოჭივით ზრდიან და უკვირთ, ღორი რაცაა?!.

ციურიხის ზოოპარკი ყოველ წელს იხურება 2 თვით, რათა ცხოველებმა დაისვენონ... ადამიანებისგან.

მომწონს ძალიან!.. სიენაში (იტალიაში) არ შეიძლება იყოს მეძავი, თუ ჰქვია მარია.

ხელით გარდახელთ, შეღებავს
ზღვიერის ვარდის
ნებით.
და ცივ ქვათა ხა-
დადა
ბედი ვწერე...
კალმებით!

ლიბერი — ძველი რომაული მითოლოგიით დროსტარების, ღვინის, ალვირახსნილობის ღმერთი. აქედან მოდის პოლიტიკური სიტყვა „ლიბერალი“.

დიზრაელი: „მეხსძლის, ცხოვრებაში ბევრი შეცდომა დავუშვა, მაგრამ არასოდეს დავქორწინდები... სიყვარულით“ (ანუ გულით და არა გონებით!)..

სიტყვა მყარი, თაეანკარა ქართულს მოწყურებული.
არასოდეს ჩაგნაცროდეს ნაკეერჩხალი კერაზე,
არასოდეს გაგეცდინოს „პაემანი ვერაზე!“

*პატივისცემით და მეგობრული სიყვარულით*
*გერისო კელაპტრიშვილი*
*01.04.2010. კავთისხევი*

...ვიდექი ვარსკვლავთან, მათოვდა ბრჭყვიალა თოვლი და იყო ერთი სიყვარულისა თავსხმა.

ეს იყო დაუვიწყარი დღე, რომელსაც ვერანაირი დრო ვერც წაშლის და ხელსაც ვერ ახლებს.

P.S.ამ საოცნებო საღამომდე და მის შემდეგაც კი იყო ბრიფინგებიც (პრესისა და ტელერადიოს წარმომადგენლებთან), კლიპები, ინტერვიუები, რეპორტაჟები და, თვით... „ნანუკას შოუც", რომელმაც მხატვრულ-დოკუმენტურად შეამზადა ეს საუკუნის „პაემანი ვერაზე"!

ფულიანებო! იყავით გულიანები! — ისროლა ახალი დროის ლოზუნგი მშვენიერმა ქალბატონმა თამარ ჩარკვიანმა. სწორედ აქ, მინამდე თავი დავუხარე იმ ადამიანებს, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ეს ზეიმი — ქალაქის მერიას, დავით სარაჯიშვილის სახელობის კონიაკის ქარხნის მესვეურებს — გუჯა და ზურაბ ბუბუტეიშვილებს და მეტკბილეულე „ბარამბოელებს", რომლებმაც ასე ტკბილად დამაბერეს"! სწორედ იქ ითქვა ეს სამადლობელო ლექსიც:

გააჩნია, რა ბატონია?
სიტყვას ქუდი დაეხურე.
ფული — ცუდი ბატონია —
კარგი მოსამსახურე!

## *ისევ და ისევ*

(ბ-6 ბ.ი.-ს)

...კეთილო ხალხო!
ცხადია, მიხედით —
თქვენს ჩუმ სიკეთეს... დუმილით ვიხდი.
ქვაზე დადებულ სიკეთეს ეხედავ —
ღვთით ბოძებულის მიღებას ებედავ!
ნაჩუქარს კბილი არ ესინჯება —
ასე ხომ მხოლოდ ღმერთი ირჯება!...
...ბატონო ჩემო!
თქვენს მოქმედებას, ზოგადად,
პქვია — ქველმოქმედება!
თუმც, ანალოგი რადგანაც არ აქვს —
რა ვარქვა?...
ვეძებ სიტყვების მარაგს.
აქ შესატყვისი სიტყვაც არ არის.
სად „ხელის ჭუჭყი" და სად ალალი?..
ლინგვისტიკაშიც —
თეზაურუსშიც —
არ არს „უბანი", რომ ამ ბურუსში
კაცმა არჩიოს ბნელში ნათელი —
კაცმა სიკეთეს უწოოს სანთელი —
არ დაინახოს ფულში უფალი!
იყოს გიჟივით თავისუფალი!

## ...ინფორმაცია!

ახლა ტელე „იმედი" იწყებს ზემოხსენებული „პაემანის" მონტაჟს, რომლის რეჟისორები არიან კახა ბუხრაშვილი და ზაზა ლეონიძე!

კიდევ ერთი დამთხვევა — ზაზა ლეონიძე შთამომავალი აღმოჩნდა დიდი გოგლა ლეონიძისა, რომლის სიტყვებიც ახურავს „ქუდად" ამ ნამუსის ლექსს:

„მოდი, გეძახი ათას წლის შემდეგ,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა,
ვარდისფურცლობის ნიშანი არის
და დრო ახალი პაემანისა"!

ერთი სული მაქვს ამ ჩანაწერის ნახვამდე, რადგან, როგორც მაშინ — თქმა მსურდა — ახლა — მოსმენა მინდა!

***2010 წლის ივნისი***

## 2010 წლის 4 მაისის ახალი „პაემანის" პრესა!

**გაზეთი „PRIME Time", N19(61).**

**10 მაისი, 2010 წელი**

**„ოქიტა", როგორც თავისუფლების ქანდაკება!**

გიზო ნიშნიანიძის ვარსკვლავი გაიხსნა თუ არა, დათო ოქიტაშვილმა, სიხარულისგან, არ იცოდა, ვარსკვლავის საფარი სად წაეღო. ჯერ თავზე დაიფარა, თავში არაფერი მომხვდესო და ამერიკის თავისუფლების ქანდაკებას დაემსგავსა. მერე, ჩვენი თხოვნით, გულზეც დაიდო. „ყოველი ვარსკვლავის გახსნის შემდეგ, ვარსკვლავებთან ერთად, მეც ბედნიერი ვარ. გიზომ ორჯერ დამირეკა, 10 წლის სიცოცხლე მომიმატეო". 19 მაისს ვარსკვლავის გახსნის 10 წელი სრულდება და ოქიტაშვილი ნინო რამიშვილის (პირველი ვარსკვლავის) იუბილესთან დაკავშირებით სუხიშვილების კონცერტებს გეგმავს.

**ჟურნალი „გზა", N 19. 13.05.2010.**

**თამუნა კვინიკაძე**

„მაშინ რომ ვიცოდით,
ისეთი გამარჯობის თქმა მენატრება"...

## „პაემანი ვერაზე" 30 წლის შემდეგ

ვერაზე დანიშნული პირველი პაემნიდან თითქმის 30 წელი გავიდა. „თვალსა და ხელშუა გაპარული დროის, სევდის, სიცილის" გასახსენებლად გიზო

დეილ კარნეგი:

მრავალი წლის წინ ერთი იგავი წავიკითხე. მზე და ქარი დანაძლევდნენ, რომელი უფრო ძლიერი აღმოჩნდებოდა. ქარმა უთხრა: „ხედავ წამოსასხამიან მოხუცს? გენაძლევები, რომ შენზე სწრაფად ვაიძულებ წამოსასხამის გახდას." მზე ღრუბლებს მიეფარა, ქარმა კი დაუბერა, ქარიშხლად გადაიქცა. მაგრამ რაც უფრო ძლიერად უბერავდა იგი, მით უფრო საგულდაგულოდ ეხვეოდა მოხუცი წამოსასხამში. ბოლოს ქარი დანებდა. მაშინ მზემ ღრუბლებიდან გამოიჭყიტა და კეთილად გაუღიმა მოხუცს. მალე მან შუბლიდან ოფლის წმენდა დაიწყო, მერე კი წამოსასხამი გაიხადა. მზემ უთხრა ქარს: „სიკეთე და სითბო ყოველთვის ჯობნის მრისხანებას და იძულებას".

ყველაზე მაღალი ტემპერატურა, რომელიც შექმნა ადამიანმა, არის — 510 მილიონი ცელსიუსი რაც 30-ჯერ აღემატება ტემპერატურას, რომელიც წარ-

ნიშნიანიძემ თანაქალაქელებს „პაემანი ვერაზე" ისევ დაუნიშნა. შეხვედრა 4 მაისს, საღამოს 7 საათზე შედგა, სადაც მეარღნე ელგუჯა ომიაძეც მოვიდა და დიდი დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაშლილ წითელ ხალიჩასთან საკუთარი ადგილი დაიკავა.

ელგუჯა ომიაძე:

— აბა, როგორ?! თბილისურ ზეიმზე დარბაზში თანაქალაქელები მუსიკით არ გავაცილო?

— დღეს რომელ მელოდიას შეასრულებთ?

— თბილისურ სიმღერებს... ძალიან მიყვარს — „დუდუკო, ჩემო...", „ცივ ზამთარში". მომწონს მელოდია ფილმიდან — „მხიარული რომანი". უცხოელი სტუმრებისთვის, ხშირად, „სულიკოს" ვაკვნესებ.

— თქვენი არღანი რამდენი წლის არის?

— 130 წლის არის. ანტიკვარია. ეტყობა?

— არა, „ახალგაზრდულად" გამოიყურება. თვითონ, დიდი ხანია, უკრავთ?

— პროფესიით მუსიკოსი ვარ, აკორდეონზე ვუკრავ. ბიძა მყავდა ცნობილი მეარღნე, დაკერა მან მასწავლა. განა, თბილისი არღნის გარეშე შეიძლება? ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს...

— რა თქმა უნდა, არ უნდა დაიკარგოს. ვრცელი ინტერვიუსთვის მომავალში შეგხვდებით, ახლა კი დარბაზში შევალ, ვნახავ, კულისებში რა ხდება...

კულისებში ღონისძიების ხელმძღვანელ დავით ოქიტაშვილს შევხვდი:

— ვფიქრობ, ეს პაემანი ყველა თბილისელს დაამახსოვრდება ისე, როგორც 30 წლის წინანდელი პაემანი ახსოვთ. თაობებს შორის კავშირების გასამყარებლად ასეთი საღამოების ჩატარება აუცილებელია. დღეს, დიდ საკონცერტო დარბაზში ყველა მოსული სტუმარი წითელი ხალიჩის გავლით მოხვდება. აქ კი, საჩუქრად, სკამებზე დაწყობილი გიზო ნიშნიანიძის „პაემანი ვერაზე" დახვდებათ. ბატონ გიზოს დღეს ვარსკვლავს ვუხსნით!

ლევან წულაძე, ღონისძიების რეჟისორი:

— დღეს სცენაზე ერთმანეთს 3 თაობის წარმომადგენლები შეხვდებიან. მათ შორის კავშირის არსებობა აუცილებელია, ისე ვერც ქალაქი და ვერც ქვეყანა ვერ გაერთიანდება. შვილმა მამით, შვილიშვილმა ბაბუით უნდა იამაყოს, მათი ღირებულებები უნდა დააფასოს, ესტაფეტა გადასცეს!

— რა დარჩა ძველ თბილისში ისეთი, რაც თანამედროვეობას ძალიან აკლია?

— ზრდილობა და ღირსება, რაც, ჩემი აზრით, ერთი და იგივეა. ზრდილობა, ღირსების გარეშე, ქლესობაა, ხოლო ღირსება... უზრდელობით — ამპარტავნობა.

— როგორი იქნება თბილისი 30 წლის შემდეგ, ამაზე გიფიქრიათ?

— ისეთი, როგორიც 30 წლის წინ იყო. მომავლის პაემანი პირველ

---

*გოეთე: უნდა დაბერდეს ადამიანი, რომ სხვებს ნაკლი და ცოდვა ადვილად შეუნდოს (მე პირიქით ვარ. – გ.ნ.). ჯერ არცერთი ცოდვა არ შემხვედრია, რომ (შესაფერ გარემოში) მეც არ ჩამედინო. (ერთობ თავზეხელაღებული და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული აღიარებაა! – გ.ნ.)*

პაემანთან უფრო ახლოს იქნება, ვიდრე დღევან-დელთან...

ზაზა იაქაშვილი, მსახიობი:

— 30 წლის წინანდელი შეხვედრის ჩანაწერი ნანახი მაქვს. იმ საღამომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მაშინ ვერც ვიფიქრებდი, რომ 30 წლის შემდეგ, ამ პროექტის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვიქნებოდი.

— შენი თაობის სხვა მსახიობებთან ერთად, გიზო ნიშნიანიძის დაწერილ ტექსტს კითხულობ. ყველაზე მეტად რომელი ფრაზა დაგამახსოვრდა?

— „ძმაკაცებში — ძმობა და ძმებში — ძმაკა-ცობა, აბა, როგორ?" და „დიახ, დიახ, თითქმის 30 წელი გავიდა პირველი პაემანის შემდეგ. იმ საღ-ამოზე დასასწრებად, იმ ღამეს, თბილისში თოვლი მოვიდა და თეთრი ლექსების კორიანტელში, თეთ-რად გაგვათენებინა თეთრი ღამე. დიახ, დიახ, ღმ-ერთიც წერს ლექსებს, მაგრამ, ზოგიერთივით, რე-დაქციაში კი არ დაარბენინებს, არიქა, დამიბეჭდე-თო. წერს, ხევს ნაკუწ-ნაკუწ და ფანტელებად გვაყრის". როგორია?.. ხომ მოგეწონა?

— რა თქმა უნდა, გატყობ, სავსე ხარ ემოცი-ით...

— მართლა ასეა. ბედნიერი ვარ, რომ გიზო ნიშ-ნიანიძესთან მუშაობის საშუალება მომეცა. ეს იყო თაობა, რომელიც „ფეხებში ედებოდა" გალაკ-ტიონს, ლადო გუდიაშვილს, ნატო ვაჩნაძეს, სესილ-ია თაყაიშვილს, ვერიკო ანჯაფარიძეს... რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო...

ღონისძიების დაწყებამდე ბატონ გიზოსთან გასაუბრებაც შევძელი...

— გილოცავთ! დღეს თქვენი ვარსკვლავი იხს-ნება...

— ეს ჩემი თაობის ვარსკვლავია, მხოლოდ მე არ მეკუთვნის. ახალგაზრდობაში ვარსკვლავებს ვეთამაშებოდით და ახლა ვარსკვლავს გვიხსნიან... ჩემი თაობიდან, დღეს, უმრავლესობა ცოცხალი აღარ არის და ეს საღამო მათ ხსოვნას ეძღვნება... აი, გივი ბერიკაშვილი კი სცენაზე ჩემთან ერთად იქნება.

გივი ბერიკაშვილი:

— 30 წლის წინანდელ საღამოშიც ვმონაწილე-ობდი.

— დღევანდელ პაემანზე როგორი განწყო-ბილებით მოხვედით?

— დღეს ეს საღამო რომ ტარდება, თან მიხარ-ია, თან გული მწყდება. ის ადამიანები, რომლებიც, ერთ დროს, სცენაზეც, ჩვენ გვერდით იდგნენ და ცხოვრებაშიც, გიზოს სიტყვებით რომ ვთქვა, მე-მორიალებად იქცნენ.

— რას ნიშნავს თქვენთვის თბილისელობა?

მოიქმნება მზის ცენტრში.

**P.S.** გამოდის, რომ ადამიანი, 16 წლის შემდეგაც... ცეცხლთან არ მიიმ-ვება!

„მე რომ უიმედო ინვალიდი არ ვყო-ფილიყავი, — წერდა ადამიანი, რომელ-მაც კაცობრიობას დედამიწაზე სიცოცხ-ლის ახალი მეც-ნიერული კონცეფ-ცია შესთავაზა, — ასეთ უზარმაზარ სა-მუშაოს არ ვიტ-ვირთებდი და ვერც ასეთ წარმატებას მივაღწევდი". აღ-იარა ჩარლზ დარვ-ინმა, რომ მისი ნა-კლი, მოულოდ-ნელად, მასვე დაეხ-მარა.

ჯანსუღ ჩარკვი-ანი:

დღეს საქართვე-ლოს ახალგაზრდობას ჰომოსექსუალიზმი — „გაცისფერების" საფრთხე ემუქრება. ეს უდიდესი ცოდვა და ღვთის გმობაა. გვახსოვდეს, რომ უფალმა შექმნა ადამ და ევა და არა ადამი და ადამი.

**P.S.** ან ევა და ევა!

სჯობს, იყო პირ-ველი... სოფელში, ვიდრე მეორე — რომში.

— ყველაფერს. თბილისი ჩემი აკვანია. კაცობაც აქ ვისწავლე, გინებაც, კარგად მოქცევაც, სიყვარულიც, დალევაც და მსახიობობაც... მე და გიზო ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ერთ უბანში ვცხოვრობდით, ახლაც ერთად ვართ... სიმართლე გითხრა, ახლა მეც მასავით ვღელავ...

ნიკო ლეკიშვილი:

— ბატონმა გიზომ „ეჟვანი შემაბა" — დღეს ერთ სიმღერას შევასრულებ. წარსულიდან გასახსენებელი ძალიან ბევრია. თავის დროზე მუხრან მაჭავარიანმა დაწერა: „მოკვდა ვერაზე შავგულიძის დგომა დოინჯით და მიხვრა-მოხვრა ვალიკოსი მოკვდა, დოლიძის... და ჯოხით ხელში სიარული მელიტონიჩის. დღეს, მეგობარო, რანაირი დროა, ხომ იცი?.." ეს ადამიანები თბილისის კოლორიტები იყვნენ. იმედი მაქვს, რომ ახალი თაობა თავის სათქმელს აუცილებლად იტყვის!

— რა გენატრებათ ძველი თბილისიდან და რას ურჩევთ ახალგაზრდობას?

გიზო ნიშნიანიძე:

— მაშინ რომ ვიცოდით, ისეთი გამარჯობის თქმა მენატრება. დილით, სკოლაში რომ მივდიოდი... სხვანაირად იღვიძებდა თბილისი!.. უფროსებს სალმის გარეშე როგორ ჩავუვლიდი? ისინიც მლოცავდნენ: გაგიმარჯოს, გენაცვალე, იხარე, იბედნიერე... დიდი ბიჭი გაიზარდეო... ჰოდა, გავიზარდეთ! ახალგაზრდებს რას ვურჩევ? პირველ რიგში, იმას, რომ დროს არ ჩამორჩნენ, შექმნან თავისი, მაგრამ წარსული ახსოვდეთ. სადაც მისი თქვან — იქ სხვისი არ დაავიწყდეთ!

## ლელა ჯიყაშვილი

### თბილისური „პაემანი ვერაზე"

თბილისში თუ გიცხოვრიათ, გეცოდინებათ, რომ ამ ქალაქში გული გულობს, ამიტომაც ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, ან რაც უნებურად გამოგვდის, შიგ ჩვენს გულში გაივლის-ხოლმე.

აქ კარგი კაცი — გულიანი კაცია, ცუდი — უგულო... ალალი კაცი — ერთგული და გულმართალია, ცრუ — ორგული. მერე რა, თუ ზოგჯერ პატარა კაცი დიდგულობს და დიდი კაცი გულჩვილად მორჩილებს, ჩვენ ხომ ვიცით, ვინ-ვინ არის და მადლობა ღმერთს, ისე არ გავლატაკებულვართ, კეთილშობილი, უანგარო, გულრწფელად მოყვარული თბილისელები რომ აღარ გვეგულებოდნენ დედაქალაქში.

ზოგჯერ ავირევით, დავირევით, ერთმანეთსაც გადავწვდებით — ხან სიტყვითა და ხან მუშტით... ისიც დაგვავიწყდება, სად ვართ და ვისი გორისანი ვართ, შიშიც აგვიტანს მომავალზე ფიქრისას... ამ ჩვენს სენს ძველებური შელოცვა — „გულო, ჩადექ საგულესა" სულაც არ სჭირდება... ისიც გვეყოფა, გიზო ნიშნიანიძის დანიშნულ „პაემანზე" არ დავაგვიანოთ, ერთად გავიხსენოთ წარსული და ვთქვათ ჩვენი სათქმელი, მოვისმინოთ და პატივი მივაგოთ იმას, რაზეც თბილისიცა და თბილისელობაც დგას!..

რამდენიმე დღის წინ, ეროვნულ საკონცერტო დარბაზში, კიდევ ერთხელ, ანშლაგით ჩატარდა „თბილისური პაემანი ვერაზე"!..

„ამ თბილისით მოვდივარ და...

„იმ თბილისზე თვალი მრჩებაო!", — ამბობს გიზო ნიშნიანიძე —

მწერალი და ჟურნალისტი, რომელსაც გაგიჟებით უყვარს თბილისი. მისი ბოლო წიგნის სახელწოდებაც ბევრს გეტყვით — „მიგულე". ჩვენც გვეგულება, მისი სახით, კარგი თბილისელი — კაცი, რომელმაც დაეინყებას გამოსტაცა ვერის უბნისა და თბილისის ხიბლი და კიდევ ერთხელ გვითხრა სათქმელი: თბილისელობა, ჩარკვიანის ქალის (თაკოსი) არ იყოს, ფულით კი არა, გულით იზომებაო!

— მაინც, რაზე გრჩებათ თვალი თქვენი სიყმანვილისდროინდელ თბილისში?

— რომელი ერთი ჩამოვთვალო: წინათ ასაკოვან ხალხს პატივს სცემდნენ, ახალგაზრდებს მათი რიდი ჰქონდათ და ერთმანეთის სიყვარული... ჩხუბიც დაუნდობელი არ იყო, მეგობრობით მთავრდებოდა. მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ ერთადერთ ტელეფონის ავტომატზე ეწერა: „შუხურის შემთხვევაში დარეკეთ ჩემთან", იქვე ტელეფონის ნომერი და სახელი და გვარი — „რეზო ფალავა"... როგორ არ მომენატროს ეს დრო?

— თბილისი ხალისიანი, მომღიმარი ქალაქი იყოო...

— მონყენილ კაცს ქუჩაში როგორ გავატარებდით! აუცილებლად ვკითხავდით, რაშია საქმე, ბიძა-ჯან, ხომ მშვიდობააო. ახლა რომელ ერთს ვკითხო, ყველას სახე ჩამოსტირის.

— ყველა თავის ნაჭუჭში იკეტება?

— ეგრე გამოდის! ხომ გაჩნდა მობილური ტელეფონი და ყოველ წუთს ხომ შეგვიძლია სიახლოვეე ერთმანეთთან... და, მაინც, ტექნიკის მიღწევებმა ვერ დაგვაახლოვა, პირიქით... დაგვაშორა ერთმანეთს... დრო იყო, კარი არ იკეტებოდა. როცა კარის გამოკეტვა და საჭვრიტინოების დაყენება დაიწყეს თბილისელებმა, ავთო ვარაზის მეუღლემაც მოინდომა, თურმე, „გლაზოკის" ჩადგმა. ეგ რა არისო? — უკითხავს ავთოს. ამაში გავიხედავთ, ენახავთ, ვინ მოვიდა და მერელა გავუღებთ კარსო... ეგ საჭვრიტინო უკუღმა დააყენე, რომ იმათ გვნახონ, სახლში ვართ თუ არაო... — უთქვამს ვარაზს.

...ვინ ნარმოიდგენდა, კართან მისული კაცისთვის, კარი არ გაეღოთ! ახლა დასჩერებიან მობილურს — ვინ რეკავს. უნდათ — ხმას გასცემენ, უნდათ — არა...

— გამოდის, ძალიან შევიცვალეთ, არა?

— რამ გაგვხადა ერთმანეთზე დანის მლესავი, გვეჯაერება ერთმანეთი ჭირის დღესავით...

— უცხოელებთან თუ გიამბიათ რამე თქვენი დროის თბილისზე?

— 1983 წელს ამერიკაში ვიყავი. გადამეკიდა

ამ პატივმოყვარეობის გამომვლენელ ფრაზას იულიუს კეისარს მიაწერენ.

...ანალოგიურ გამოთქმას ვხვდებით ჩვენ ჰომეროსის „ილიადაში". სადაც ოდისევსის მიერ საიქიოდან გამოძახებული აქილევსის აჩრდილი ამბობს, რომ დედამიწაზე მოჯამაგირეობა ჯობს მიწისქვეშა სამეფოში მეფობასო.

**P.S.** თუ პირიქით?

<u>ჰიტლერის წერილი სტალინს!</u>

„იოსებ სტალინ! დიდად ვაფასებ თქვენს მხედართმთავრულ ნიჭს და გამბედაობას. მაგრამ ქართველი ბრძანდებით და გირჩევთ, დღესვე გადაბრძანდეთ საქართველოში. სადაც ამიერიდან იმეფებთ თქვენ და თქვენი შთამომავლობა. თუ ჩემს რჩევას არ მიიღებთ, მოვდივარ ცეცხლით და მახვილით, სულ ორმოცი კილომეტრი დამრჩა მოსკოვამდე".

ადოლფ ჰიტლერი, 1942 წლის იანვარი

<u>სტალინის პასუხი ჰიტლერს!</u>

„მადლობელი ვარ დაფასებისთვის.

„სი-ენ-ენ"-ი — შეადარეთ ამერიკა და საქართველოო. რაც შემეძლო, თავი ავარიდე პასუხს. თქვენი ჯორჯია და ჩვენი ჯორჯია მაინც შეადარეთ ერთმანეთსო. ვუპასუხე: თქვენს ჯორჯიაში ღმერთი ისვენებს და კაცი მუშაობს, ჩვენს ჯორჯიაში კი — ღმერთი მუშაობს და კაცი ისვენებს-მეთქი!.. იმ დღეს, ტელევიზიით 24 საათი, სულ ამ პასუხს ატრიალებდნენ. თბილისში რომ ჩამოვედი, აქ უკვე ყველამ იცოდა ეს ამბავი...

ან ეს ანეგდოტი თუ იცით? თათარი გაუშვეს ამერიკაში. ჩამოვიდა, ეკითხება რუსი, რა მოგეწონაო. პასუხობს: ოი, ოი, ოი... თამ თაკ ხარაშო ჟივუთ... რუსმა გაუბათილა: ვეზდე ხარაშო, გდე ნას ნეტო... ფრავილნა! ვეზდე ხარაშო გდე ვას ნეთო! — დაუდასტურა თათარმა... ეს ხუმრობით, თუმცა, არც მთლად ხუმრობით...

— ახლა, უცხოეთში, რას არ ამბობენ საქართველოზე...

— თბილისს, ადრე, ორიენტალისტიკაში „სახლს სიხარულისას" ეძახდნენ. ჩვენს დროში კი იქამდეც მივედით, კავკასიაში უბედურების ზონად გამოგვეაცხადეს!..

— ზოგადად, სიტყვამაც დაკარგა ფასი?

— დაკარგა... დრო იყო „ნიანგში" მოხვედრისა ეშინოდათ... ერთხელ, დავბეჭდეთ კარიკატურა, ღიპიანი ინსპექტორი დგას და იქვე გალეული დედაბერი აბალახებს ფერდებჩავარდნილ ძროხას... ქვემოთ ეწერა: რა არის, აქ რამ მოგაყვანია შენი გაძვალტყავებული ძროხა, სად ხედავ აქ საბალახოსო? — კითხულობს ავტოინსპექტორი.

— რა ვიცი, შვილო, შენც ასეთი გამხდარი მოგიყვანეს აქ და ქე ხარ ახლა ბუღასავითო...

მძღოლებს ეს კარიკატურა, ავტოინსპექტორების „ოხტში" მოსასვლელად, მანქანებში, საქარე მინაზე ჰქონდათ გაკრული. სად იყო, სად — არა, დაგვირეკა შევარდნაძემ — მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი იყო. სწყენია ძალიან... გვისაყვედურა — სხვა საშაყირო ვერაფერი ნახეთო?..

ყური შევაჩვიეთ ერთმანეთის გინებას. ხალხს აღარაფრისა რცხვენია.

— სიცილი ყველას თავის ადგილზე აყენებს?

— სიცილი ყოველთვის გაჭირვებული კაცის მხარეზეა...

— ეხუმრებით, უბედავთ სიცილს „ძლიერთა ამა ქვეყნისათა"?

— რატომაც არა! ხუმრობა ისეთი რამაა, რომ მოგადგება, იტყვი, აბა, რას იზამ... გამგები გაიგებს: კაი კაცი — ლადო კახაძე რომ დანიშნეს საკრებულოს თავმჯდომარედ, მკითხეს, თუ იცნობო... ვინ არის-მეთქი და გინეკოლოგიაო... პროქტოლოგი უნდა დაენიშნათ, რადგან ტრ...კენ მიდის საქმე-მეთქი!... ეწყინა კი არა, მშვენიერი ლექსიც კი მომიძღვნა.

ხუმრობას არასოდეს არ ვარიდებ თავს — „სათქმელი უთქმელი არ მწამს"!

— დღევანდელ დღეზე რა გაქვთ სათქმელი?

— დრო აღნიშნეო, გალაკტიონმა... მეც მივყვები დროს; „გათითოკაცება გვაოხერტიალებს / ვიცი ამ ცხოვრების მე ავან-ჩავანი,/ რაც

---

*აკაკი: უღირსი კაციდან გმობა ისეთივე სანატრელია, როგორც ღირსეული კაცისაგან – ქება (და ძმობა – გ.ნ.).*

*სტალი: პარიზი ერთადერთია, სადაც, ბედნიერების გარეშეც ბედნიერი ხარ.*

*ჰემინგუეი: პარიზი ესაა ზეიმი, რომელიც მუდამ იქნება ჩემთან.*

გაგვყოფს კი არა, რაც გვაერთიანებს, / ეს არის, ეს არის ეს არის მთავარი!/ თუ ასე არ ფიქრობ / ძალიანაც ცდები, / ტყუილად გამსარჯე და ტყუილად გაისარჯე, / შენი გამარჯვებით მე არ დავმარცხდები — / ჩემი დამარცხებით შენ ვერ გაიმარჯვებ! მეტი რა მაქვს სათქმელი. ვხედავ, როგორ მოდის გაზაფხული დაზაფრული იებით, უნდა ვეცადოთ და გავერთიანდეთ...

P.S.თბილისში ახალი ვარსკვლავი გაიხსნა წარწერით „გიზო ნიშნიანიძე"—„პაემანი ვერაზე"... ეს თბილისის ვარსკვლავია და მე სიამოვნებით შევცქერი დედაქალაქის — არა მარტო ცაში, არამედ მიწაზეც... ვარსკვლავების ციმციმს.

რა რთულ დროშიც უნდა ეცხოვრობდეთ, თბილისს თავისი დაუწერელი კანონი აქვს: აქ გა-გულისებით კი არა, ერთ-გულ-ებით შეიძლება მომავლისკენ სიარული!

**ჟურნალი „გუმბათი", N12; 17-23.05.2010**
**ლია ოსაძე.**

**გიზო ნიშნიანიძე:**

## „თბილისის ომის დროს მოხვედრილ ტყვიას დღესაც ახლულით ვატარებ"

„კარგი ბიჭია, თუ დარი დაუდგაო"— ასე იტყოდა დედამისი გიზო ნიშნიანიძეზე, როდესაც ბავშვობაში შეაქებდნენ, ან საქციელს მოუწონებდნენ. ალბათ, მართლაც დაუდგა დარი, რადგან 82 წლის ასაკში მყოფ მწერალს ვარსკვლავი გაუხსნეს და განეული ღვაწლისთვის კიდევ ერთხელ გადაუხადეს მადლობა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოში მწერალს ვარსკვლავს უხსნიან!

— ბატონო გიზო, როგორ შეხვდით ვარსკვლავის გახსნას?

— როდესაც ვარსკვლავის გახსნა შემომთავაზეს, ცოტა არ იყოს, დავიმორცხვე. ახალგაზრდა რომ ვიყავი, ჩემი თაობის ბიჭებზე იძახდნენ: ისეთი ბიჭები არიან, „ვარსკვლავებს ეთამაშებიანო". მაშინ მართლაც ვეთამაშებოდით ვარსკვლავებს (რადგან სხვა სათამაშოები არ გვქონდა). ახლა ჩემი და ჩემი თაობის ბედის ვარსკვლავი საეჭვოდ ციმციმებს, რადგან ცხოვრება ფინიშისკენ მიდის. ამიტომ, თითოეული ახალი დღის დადგომას, ღვთის წყალობად ვთვლი.

— როგორც ცნობილია, ვარსკვლავი წიგნ-

*დიან. მე ქართველი ვარ, მაგრამ გამზარდა რუსმა ერმა და, ჩვენთან არსებული ჩვეულების მიხედვით, არ მაქვს უფლება, მივყვე იგი განსაცდელის ჟამს. მელოდეთ ბერლინში.*

*ი. ბ. სტალინი, 1942 წლის იანვარი.*

*ვან ბაიბურთი პარლამენტარი სომხურ გაზეთ „ვრასტანის" რედაქტორი:*

*თქვენ, ქართველები, სულელები ხართ, იმიტომ, რომ ადამიანები, რომლებიც ეროვნებას მალავენ, ქართველობენ, არ უნდათ სომხობა. თქვენ კი ეუბნებით — არაი. რა გინდათ, არ გიხარიათ, ისეთი ერი ხართ, რომ თქვენთან ყოფნა უნდა აქ ხალხს? მიკვირს თქვენი!*

*-ჯორჯიან თაიმსი*

***P.S.** რა განსხვავებაა ვან გოგსა და ვან ბაიბურთს შორის?*

*ჩინურ დამწერლობაში 40 000 სიმბოლოა.*

*ჰავაიურ ანბანში, მხოლოდ 12 ასოა.*

*ხმაო ნუგეშაო!*

*გლოვის ქვათა ლალადები,*

ისთვის „პაემანი ვერაზე" გაგიხსნეს.

— დიახ, ვარსკვლავი გამიხსნეს წიგნისთვის „პაემანი ვერაზე", რომელიც თბილისის დოკუმენტური პოემაა. ეს წიგნი თბილისზე და თბილისელებზეა დაწერილი. წიგნში აღწერილია სამი-ოთხი თაობის ერთი სულისკვეთება და მამათა და შვილთა ერთსულოვნება. მინდა გითხრათ, რომ კონკრეტულ ადამიანებზე წერა ძნელია. როდესაც მათზე წერ, უნდა განაზოგადო! პირველად არც ვფიქრობდი მის დაბეჭდვას. მაგრამ ბოლოს გადაწყვეტილება შევცვალე და გამოვეცი. გამოვიყენე კალამბურებიც. დღეს ყველა ქარაგმებით საუბრობს, ამიტომ მეც ასე ვარჩიე.

— კალამბურებით საუბარი მოგწონთ?

— ეს ჩემი ხელობაა, იუმორს უხდება გადაკვრით — ალუზიურად საუბარი. თავად იესო ქრისტეც ხომ იგავებით მოგვმართავდა! ერთხელ ჟურნალ „ნიანგში" იგავ-ნაგავების რუბრიკა შემოვიღე, რითაც ჟანრისადმი აგდებული დამოკიდებულება კი არა... მონიწება გამოვხატე!

— რას შეცვლის ეს ვარსკვლავი თქვენს ცხოვრებაში?

— შეცვლით არაფერს შეცვლის, მაგრამ დიდი პატივია. მინდა, გითხრათ, რომ ეს ვარსკვლავი მხოლოდ მე არ მეკუთვნის. ჩემი სახელით, ჩემს თაობას გაუხსნეს ვარსკვლავი. შეიძლება, ცოტათი მოუთოკავი ახალგაზრდები ვიყავით, მაგრამ კარგად ვიცოდით სამშობლოს და ერთმანეთის სიყვარული. ერთგან ნათქვამი მაქვს: „კარგი ბიჭი თუ არ იყავ, კარგი კაცი საიდან ხარ?" დღეს, ზოგიერთს ჰგონია, რომ კარგი კაცი ისე გახდება, თუ ცუდ ბიჭობას გამოტოვებს. თუ ბიჭობაში არ ვარგოდი, არც კაცობაში უქნიხარ ღმერთს. ამიტომ თავს წურავინ მოიტყუებს.

— „კარგ ბიჭობაში" რას გულისხმობთ?

— ვაჟა-ფშაველას „კაი ყმას" და, როგორც სულხან საბა ორბელიანი თავის განმარტებით ლექსიკონში განმარტავს... კარგ მეგობარს. ორბელიანი თავის განმარტებას ასე ამთავრებს: ამხანაგზე უკეთესს შენ რას იშოვნიო? კომუნისტებმა კი სიტყვა „ამხანაგი" ყველაზე ოდიოზურ სიტყვად აქციეს.

— რადგან წიგნი თბილისს და თბილისელებს ეხება, როგორ შეაფასებდით დღევანდელ თბილისს ძველი გადასახედიდან?

— ძველსა და ახალ თბილისს შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენ დროს, როდესაც 12-13 წლის ბიჭები ერთმანეთს ძალას უსინჯავდნენ, გამოუსწორებელ ზიანს არ აყენებდნენ. ყველა ასეთი ძალის მოსინჯვა, შერიგებით, მეგობრობით, პურ-მარილით მთავრდებოდა. ახლა რაც ხდება ქუჩებში, ყველას მოეხსენება. „ვინ გაგვხადა ერთმანეთზე დანის მლესავი, გვეზარება ერთმანეთი ჭირის დღესავით". იმის ნარჩენებიც კი არ დაგვრჩა, რა სიყვარულითაც გადმოგვილოცეს ეს ცხოვრება ჩვენმა წინაპრებმა. წინათ გაჭირვებულ ადამიანს რომ ნახავდი, დაედევნებოდი, დახმარებას შესთავაზებდი, მწუხარების მიზეზს ჰკითხავდი. დღეს რომელ ერთს უნდა გამოეკიდო და ხელი გაუმართო?

— პარტიაში თუ იყავით გაწევრიანებული?

— მაგან არ მოგვკლა?!. სხვანაირად სამსახურს ვინ მოგცემდა!

---

*შოპენჰაუერი: სახელმწიფო ალიკაპია.*

*ბისმარკი: რევოლუციას ამზადებენ – გენიოსები, ახდენენ – ფანატიკოსები და იყენებენ – ნაძირალები.*

— რატომ არ გაწევრიანდით მწერალთა კავშირში?

— ჩემს ახალგაზრდობაში მწერალთა კავშირი, მართლაც რომ მწერალთა კავშირობდა (ვგულისხმობ კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძის, ირაკლი აბაშიძის დროს), მაშინ კარის გასაღების ჭუჭრუტანიდანაც სიამოვნებით ვუყურებდი მათ — ერის მამებს... თუმცა, მაშინაც იყო ერთმანეთში შუღლი და დაპირისპირება. მაგრამ, როდესაც დაიწყო მოჩვენებითი „კალმასობა“, ასეთი რაღაცეები არასოდეს მიზიდავდა. მე აქტიური ცხოვრება უფრო მიყვარდა და ამისკენ მივისწრაფოდი. მთელი ცხოვრება „ჟრიამულში“ — „წრიალსა“ და რია-რიაში გავატარე.

— კოლეგების მხრიდან თუ ყოფილა რაიმე დაპირისპირება?

— დიახ. მწერლობაში ეს ყოველთვის იყო და, სამწუხაროდ, ალბათ, ისევ იქნება. ბევრი წიგნის ავტორი ვარ, მაგრამ „პაემანი ვერაზე“ რომ დავწერე, გამომცემლობა „მერანს“ არ უნდოდა ამის დაბეჭვდა. თურმე, მწერლებმაც ერთი ამბავი ატეხეს — წაკითხვამდეც „დაიწუნეს“ წიგნი. ჩემზე ამბობდნენ: პროზაიკოსია, ნარკვევებს და ჩანახატებს წერს და, 53 წლის ასაკში, რა დროს ლექსის წერის დაწყებააო! ბოლოს, წიგნისთვის „შავი რეცენზიის“ დაწერა მორის ფოცხიშვილსაც დაავალეს. მაგრამ იმ სულგანათლებულმა ისეთი საქებარი რეცენზია დაწერა, რომ მე იგი რეცენზიიდან — წიგნის წინასიტყვაობად ვაქციე!

— კომუნისტების დროს ცენზურა გავიწროვებდათ?

— კი, მაგრამ „ცენზურა“ ახლაც არის — თუნდაც შინაური! თუნდაც, ძველი ინერციით. დღესაც არსებობს შევიწროვების ათასი ხერხი და საშუალება, რაზეც ხმამაღლა საუბარი არ მინდა. კომუნისტების დროს ცენზურამ წიგნი „სიცილ-სიცილში“ გამიჩერა, რადგან, წიგნში შედიოდა მოთხრობა „ტაში“! ამ მოთხრობაში ალეგორიულად გადმოვცემდი, თუ როგორ ინგრეოდა კომუნისტების დროს ქვეყანა... ტაშით.

— როგორ მოხვდით ჟურნალ „ნიანგში“?

— 17 წლის ბიჭი ვიყავი და მეგობრებთან ერთად ზემელზე ვიდექი. ჩვენთვის ზემელი დედამიწის ჭიპი იყო. ბიჭები ერთმანეთს ვახალისებდით, ვხუმრობდით. ერთ დღესაც „ნიანგის“ რედაქტორის მოადგილემ იოსებ ნონეშვილმა ჩამოიარა და დაინახა, რომ ხალხის წრეში ვარ ჩამდგარი და ხალხს პირის გახევამდე ვაცინებ. ცხონებულმა მითხრა: წამოდი ჩვენთან, „ნიანგში“, იქ ჩვენ ხუმრობაში

სამარეთა ხმები... ვით ხიყვლილის კაფიები — ეპიტაფიები!

ძველ რომში, თუ პაციენტი ოპერაციის დროს მოკვდებოდა, ექიმს ხელს აჭრიდნენ.

**P.S.** ახლა, ზოგჯერ, თავსაც ჭრიან!..

ფსიქოლოგი ალფრედ ადლერი ამბობს: ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე საოცარი თვისებაა „მინუსების პლუსებად გადაქცევის უნარი“.

**P.S.** მინუს-პლუსი — ციფრული „ავ-კარგი“!

ბრიტანეთის სამეფო გვირგვინზე ზუსტად 1783 ბრილიანტია. მათ შორის — „აფრიკის ვარსკვლავი“ (530 კარატი).

ღმერთმა მის ხატად შემქმნა, რომ

ხელ ხელში მქონდეს საჩინო

მის გულში თავი ვიცნო და

ჩემ გულში გადავარჩინო!

ფულს ვიხდითო! ვიფიქრე, გაკეთებულეარ და ეგაა-მეთქი. ასე მოვხვდი „ნიანგში". მას შემდეგ პრესას არ მოვშორებივარ. ადამიანის ხასიათი ისე არაფერში არა ჩანს, როგორც სიცილში. რაზე იცინის, რას დასცინის და ვის დასცინის? თუ ვინმე „ნიანგის" ფურცლებზე მოხვდებოდა, ეს მისთვის თავის მოჭრის ტოლფასი იყო.

— ბატონო გიზო, ბავშვობას როგორ გაიხსენებდით?

— 1928 წელს დავიბადე. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოში ახალი ეპოქა იწყებოდა და კომუნისტები დედამიწაზე სამოთხეს გვპირდებოდნენ. მაშინ ჩვენ პატარები ვიყავით და თვალი გართობაზე გვეჭირა. სათამაშოები ჭირდა და ბავშვები თავად ვიგონებდით და ვაკეთებდით სათამაშოებს: ხის თოფებს, ჯოხ-ცხენებს, რაგატკებს და ასე შემდეგ.

— როგორია გიზო ნიშნიანიძე ოჯახში?

— არც თუ ისე ტკბილი. ცხოვრებაში ყველაზე მეტად ის მალიზიანებს, რომ ოცნება და სინამდვილე ერთმანეთს დაშორდა. მაშინ, როდესაც უფრო გვიჭირდა და არაფერი არ გვქონდა, ეს ასე არ იყო.

ბუნებით არასტანდარტული კაცი ვარ. ყველაფერი ახალი მაინტერესებს.

— ხელოვანი ადამიანის მეუღლეობა ცოტათი რთულია, თქვენი მეუღლე როგორი გიგებთ?

— ერთხელ ჩემს მეუღლეს, ლიანას, ასეთი ლექსპრომტი გამოვუთქვი:

ძნელია, იყო პოეტის ცოლი,
მთელი ცხოვრება მასთან იარო.
თვითონ პოეტი უნდა იყო,
რომ პოეტის ბედი გაიზიარო!

პოეტის მეუღლე თავად პოეტი თუ არ იქნება, კარგი მსმენელი მაინც უნდა იყოს. თუ რამეში ვერ გამიგებს და წავკამათდებით, ყველაფერს ვარსკვლავებს აბრალებს, სხვადასხვა ვარსკვლავზე ვართ დაბადებულებიო. ისე ეკლესიური ქალია, მაგრამ ასტრონომიის და ვარსკვლავებისაც სჯერა.

— რამდენი წელია, რაც ერთად ხართ?

— დაახლოვებით, 60 წელი.

— მეუღლისთვის სხვა ლექსი თუ მიგიძღვნიათ?

— კი. ერთი სევდიანი ლექსი დავწერე... ასაკში როცა შევიდა.

ის ალმური აღარ ასდის,
სიყვარულის პირველ კოცონს,
სუყველაფერს ყაელი გასდის,
მიყვარს, მაგრამ... აღარ მომწონს!

— სევდიანია!..

— სევდიანზე უფრო სასაცილოა!

— რამდენი შვილი გყავთ?

— ორი! სამწუხაროდ. მინდოდა, ბევრი შვილი მყოლოდა, მაგრამ ასე მოხდა, რომ ორზე გავჩერდით. მაგრამ ერთმა შვილმა 4 შვილიშვილი მაჩუქა, მეორემ კი — 2. ასე რომ, ბედნიერი ბაბუა ვარ.

— თქვენი ცხოვრების მიზანი?

— ღმერთმა, ამ ქვეყანაზე რაც არსებობა განმისაზღვრა, მინდა ალალად, ტკბილად გავატარო... მეგობრობაში, ძმობაში. დღემდე დახარბებული ვარ ცხოვრებას.

— ცხოვრებაში გული რაზე გწყდებათ?

— გული წარსულზე კი არა, მომავალზე მწყდება. გული მწყდება

ჩემმა მეგობრებმა რომ მიმატოვეს და ამ ქვეყნიდან წავიდნენ. პროფესიით იურისტი ვარ, მაგრამ იარაღი კალამზე გავცვალე. დამერწმუნეთ, კალამი არანაკლები ცეცხსასროლი იარაღია. გამოგიტყდებით და გეტყვით, რომ სულ არ მეგონა მწერალი თუ გავხდებოდი, სადოქტოროს თუ დავიცავდი და, რაც მთავარია, ამდენ მეგობარს თუ გავიჩენდი.

— თქვენ ახსენეთ, რომ ქალბატონი ლიანა ეკლესიურია, თავად როგორი მორწმუნე ხართ?

— სამწუხაროდ, ეკლესიაში ხშირად ვერ დავდივარ. თუმცა, ხატებით, სანთლით... ლოცვით დილასაღამოს ვლოცულობ და ზიარებასაც ვიღებ. ჩემი აზრით, ყველა ადამიანი თავად არის ეკლესია. ეკლესიის გუმბათი – ადამიანის თავია, ხოლო, ადამიანის გული და სული ღვთის სახლი – ეკლესიაა, თავის ხატებით. ღმერთი არის: სიყვარული, შთაგონება, აზროვნება, რწმენა, სიკეთის გზით სიარული!

რამდენიმე ეკლესიის მსახურს ასეთი შეკითხვა დავუსვი: რატომ არ ითვლება სიტყვის მსახურება, ღვთის მსახურებად-მეთქი? მაშინ, როდესაც იოანეს სახარების მიხედვით „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი".

— რა პასუხი მიიღეთ?

— ზოგი დამეთანხმა, ზოგი დაეჭვდა. ერთს, მწერლების წყენინება არ უნდოდა და ასე ამიხსნა: იქ, საღვთო სიტყვაზეა საუბარიო. მაგრამ ვერ დამარწმუნა. ამიტომ მიმაჩნია, რომ საღვთო სიტყვის მსახურება — ღვთის მსახურებაცაა.

— ცხოვრების მძიმე წუთებში ღვთის დახმარება თუ გიგრძვნიათ?

— კი. დაილოცოს ღვთის სამართალი!

კაცი, რომელიც სხვებს აცინებს, თავად სევდიანია! მართალია, ბუნებით მებრძოლი ადამიანი ვარ, მიჭირს, ბოროტება ვინმეს შევარჩინო... მაგრამ დარდიანი კაციც ვარ. თუმცა, ვერ ვიტან ჩემ გვერდით ადამიანი რომ მოწყენილია და ვცდილობ, ხასიათზე მოვიყვანო. ცხოვრებაში ბევრჯერ მქონია მძიმე მომენტები. თბილისის ომის დროს ტყვია მომხვდა! რომ მკითხო, ვისი მადლიერი ხარო, გეტყვით: იმ ტყვიის, რომელიც თბილისს ესროლეს და მეც არ ამცდა. საბედნიეროდ, ამ ტყვიამ სასიკვდილოდ არ გამიმეტა და დღესაც სხეულით, სახსოვრად, დავატარებ.

...უფრო მეტს გეტყვით, ერთხელ იმ დონემდეც კი მივედი, რომ ლამის თვითმკვლელობაც კი ვცადე, მაგრამ ლექსი გადამეღობა. პოეტს ლექსებს ხომ ღმერთი აწერინებს, ჰოდა, მეც ღმერთმა ერთი „თავ-

*<u>ნინო გიძაშვილი:</u>*

*ინტიმურ ტელეფონს მოსახლეობის საქართველოს ჯანმრთელი ნაწილი სერიოზულად აუმხედრდა. ზოგიერთებს არ ეზარებათ, რეკავენ მითითებულ ნომრებზე და ოპერატორებს უშვერი სიტყვებით ლანძღავენ: „თქვე ბოზებო, რას აკეთებთ, მანდ რომ სხედხართ?.." „მართლაც, საინტერესოა, ვინ არიან ეს ადამიანები?*

*ინტიმ-ტელეფონის ოპერატორი სოფი ახალგაზრდა, ფრიად ერუდირებული და განათლებული პიროვნებაა.*

*— ზოგიერთები დედას მაგინებენ, — ამბობს სოფი, — ვინც მე მლანძღავს, ვერასდროს მიხვდება, რას ვაკეთებ... მაგრამ იმიტომ არ ვემსახურები ინტიმ-ტელეფონს, რომ მაღალი ანაზღაურება მაქვს. პროფესიით ფსიქოლოგი ვარ და მომწონს ჩემი სამუშაო, ადამიანებთან ურთიერთობა...*

*...გვირეკავენ ნეკროფილები, პედოფილები, ზოოფილები, სადისტები, მა-*

განწირული“ ლექსი დამაწერინა და... გადამარჩინა!

— რა მოხდა ისეთი, თვითმკვლელობა რომ გაფიქრებინათ?

— ამის გახსენება არ მინდა!.. ერთმა ადამიანმა ჩემი გადაყლაპვა და შეჭმა მოინდომა!.. ცხოვრება აღარ მინდოდა. სასოწარკვეთილმა ლექსიც კი დავწერე, რომელიც ასეთი შინაარსისა იყო: დედაჩემი შემომჩიოდა: რა უფლება გაქვს, მომიკლა შვილიო. მერე, ცოლი ამიმხედრდა: რა უფლება გაქვს, მომიკლა ქმარიო. შვილები გამახსენდნენ: რა უფლება გაქვს, მოგვიკლა მამაო და მაშინ მივხვდი, რომ ცხოვრება იმის უფლებასაც კი არ გვაძლევს, რომ საკუთარი სიცოცხლე განვკარგოთ. ყველაფერი უფლის ნებაა და ჩვენც მის ნებას უნდა დავემორჩილოთ.

დიახ! ჩემი არშინით გავზომე ცხოვრების ჭრელი ფართალი —
რად მინდა იგი სიმართლე... მარტო მე ვიყო მართალი?!

**„კვირის პალიტრა“, 19-25 ივლისი, 2010.**

**მამუკა ნაცვალაძე**

## „დარდაძმული თბილისი“

საოცარი სილამაზე დააბერტყა თბილისს გამჩენმა. დროის მანქანაში უმშვენიერესი პეიზაჟები ისახება ქალაქის ნებისმიერი უბნიდან: მთაზე მერცხლის ბუდესავით შეფენილი აივნიანი სახლები, ქვაფენილით მოკირწყლული ძველი ქალაქის ქუჩები, ფაეტონი, კონკა და იქვე ბებერი მეარღნე, „აჩაინი სონას“ რომ ატრიალებს არხეინად...

დროჟამმა თავისი გაიტანა, კონკაც წარსულს ჩაბარდა, ტრამვაიც, „აჩაინი სონამაც“ მოგჭამათ ჭირი, თუმცა, მაინც დარჩა დიდი ნოსტალგია იმ ქალაქისა, რომლის სავიზიტო ბარათი ნაღდი, ადამიანური ურთიერთობები იყო. თბილისის ფენომენს სწორედ ის ურთიერთობები ქმნიდა, დღეს რომ საარაკოდ ყვებიან ჩვენი წინაპრები...

იმ თბილისის მეტრფე და მემატიანე, მწერალი გიზო ნიშნიანიძე გახლავთ ერთ-ერთი, ვინც დიდი რუდუნებით უგალობა მშობლიურ ქალაქს. ბატონ გიზოს მეიდანზე შევხვდით, იმ ადგილას, რომელსაც მსოფლიო ისტორიაში ანალოგი არ გააჩნია. ამ პატარა მიწაზე, რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, ერთად, მშვიდობიანად ცხოვრობენ სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები.

## „თბილისელობა ნაციონალობაა“

გოგლა ლეონიძე ამბობდა, თბილისელობა ნაციონალობააო. სხვათა შორის, ეს მარტო ჩვენს ქვეყანას არ ახასიათებს. მაგალითად, მარსელელი არასდროს იტყვის, რომ ფრანგია. ის იტყვის, რომ მარსელელია. მე როცა უცხოეთში მეკითხებიან სადაური ვარ, ვპასუხობ, რომ ვარ ქართველი. როცა საქართველოში მისვამენ ამ კითხვას, ვპასუხობ, რომ ვარ თბილისელი. როცა თბილისში მეკითხებიან, სადაური ვარ, ვეუბნები, რომ იმერელი ვარ. იმერეთში თუ ვინმე დამისვამს ამ კითხვას, ვუპასუხებ, რომ ოკრიბელი ვარ. ოკრიბაში — თბილისელი ვარ... თბილისში კი, თუ ისევ გამიმეორებენ კითხვას — სადაური ხარო, ვეტყვი, რომ ვერელი ვარ!.. ესაა დედამიწაზე ჩემი მისამართი!

## „ასეთ სალამს მარტო ღმერთებს აძლევდნენ"

ყველა ქუჩას და უბანს თავისი პენი აქვს. უბნელებს ვცნობ ლაპარაკზე, მიხრა-მოხრაზე. იყო შალიკო დვალი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კრივში. ისეთი სიარული იცოდა, ყველასგან გამოარჩევდი... მუხლებში კი არ დადიოდა, კოჭებში დადიოდა. ამას ჩასპანდურ სიარულს ვეძახდით... თავისი ეშხი ჰქონდა, ვინ როგორ გაივლიდა... იყო ჩვენი მასწავლებელი, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ფრანგიშვილი. ისეთი სალმის მოცემა იცოდა, ასეთ სალამს ღმერთებს აძლევენ მხოლოდ. მოუწესრიგებლები თუ ვიყავით, მიღრეცილ-მოღრეცილები, თავი წესრიგში მოგვყავდა, რომ მისი კარგი სალამისთვის — ჩვენი კარგი სალამი შეგვეგებებინა!

თბილისს „სახლი სიხარულისა" ერქვა. ძალიან გამიხარდა, ეს რომ წავიკითხე. აღმოსავლურ სამყაროში — ორიენტალისტიკაში სახლი სიხარულისა რომ დაგარქვან, მართლა უნდა ღირდეს ეს ქალაქი სიხარულად. არადა, ახლა ისეთი დრო დაგვიდგა, ჩრდილოეთ კავკასიაში, ლამის, უბედურების ზონად გამოგვაცხადეს.

## როგორ უნდა იცნო თბილისელი

მახსოვს, „პაემანი ვერაზე" რომ გაიმართა, ჩემზე უფრო ძველმა თბილისელმა გამაჩერა და მითხრა, გიზო არა ხარ, ნიშნიანიძეო? რა კარგი „პაემანი" გამოგსვლიაო! თუ იცი, როგორ უნდა იცნო თბილისელიო? ლაპარაკით და სიტყვა-პასუხით ვიცნობ-მეთქი, ვუპასუხე. არა, ეგრე არაო. თბილისელი თუ გინდა, იცნო, მაჯაზე მოკიდე ხელი და თბილისი უხსენე... მაჯა თუ აუჩქარდა, თბილისელი იქნებაო!

ერთხელ, ერთმა ჩამოსულმა კაცმა თბილისის სადღეგრძელო დალია — ჩვენს თავშესაფარს გაუმარჯოსო. სხვანაირი მეტაფორა ვერ მოუგონა. აქაურმა სომეხმა უთხრა: შენ, რა, „ზონტიკის" სადღეგრძელოს სვამო?.. ვიტალი კოროტიჩს აქვს ნათქვამი: „როცა თვალებს იფშენიტავსო მზე, თბილისი მესიზმრებაო მე..." ანდა, გალაკტიონის ლექსი რად ღირს: „და, თუ ქრისტემ გალილეა აირჩია, მე ტფილისი ავირჩიე ბებერი". თბილისს სიჭაბუკეც უხდება და სიბერეც. თბილისელი კაცი სხვანაირად ბერდება: აზრიანად, დაშხოშიანად, ჯიგრიანად...

ლედ ავადმყოფი ადამიანები, რომელთაც სერიოზული პრობლემები აქვთ... ჩვენი ერთ-ერთი კლიენტის ერთი მოხუცი კაცი, რომელსაც შვილიშვილთან სქესობრივი კავშირის დამყარება სურს. ნეგატიური ემოციისგან დასაცლელად ინტიმ-ტელეფონი ამ მოხუცისთვის მისწრებაა...

**P.S.** რაო-რაო???

როდესაც გერმანელმა ეგვიპტოლოგმა ლუდვიგ ბორხარდმა ნეფერტიტის ბიუსტი აღმოაჩინა, თავის დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „აღწერას აზრი არა აქვს. ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო!"

**P.S.** ეგვიპტოლოგის რჩევით და „ენცურის" მეშვეობით. საკუთარი თვალით ვნახე კაცობრიობის ცივილიზაციის უძველესი კერა და... თვალებსაც არ დავუჯერე.

ალასკის დროშა შექმნა 13 წლის ბიჭმა.

ქართული პლასტიკური ქირურგიის პატრიარქი იყო კე-

## „მაუზერისტი" და ქურთი ადო!

როცა მეკითხებიან, როდის იგრძენი თავი კაცადო (მენტალური მომენტი მაქვს მხედველობაში და არა ფიზიოლოგიური) ვპასუხობ: მაშინ ვიგრძენი, როცა „მაუზერისტების" რევოლუციური თაობის ერთ-ერთმა ტიპმა „ზემელზე"...ჩვენი სახლის ფანჯარაში დედაჩემის ალუბლის „ვიშნოვკა" რომ ამოიღო მიზანში. იქვე ერთმა, ჩემი ხნის, 15-16 წლის ბიჭმა ხელი აუკრა რევოლვერზე და უთხრა, აქ ჩვენი ძმაკაცი ცხოვრობს და არ ისროლოო. მაშინ მივხვდი, რომ დაიწყო ჩემი კაცად აღიარების მომენტი!

...მახსოვს ვერაზე ქურთი მეკურტნე ადო! პიანინო ჰქონდა მოკიდებული... მოსკოვის ქუჩიდან (ახლანდელი ლეონიძის ქუჩა) ზემელისკენ მოდიოდა... ქალი თუ შეხვდებოდა გზაზე, ტვირთს შეაბრუნებდა, გზას დაუთმობდა... ამის მომსწრემ, აბა, მითხარით, რა უნდა ვუთხრა იმ უზრდელ ხალხს, სოკოებივით რომ მომრავლდნენ თბილისის ქუჩებში? მედარდება, მენატრება ქურთი ადოს ის ზრდილობა, წარსულს რომ ჩაბარდა...

## „ცუდს კარგი ჰქვია, კარგს — ცუდი!"

ისე შეიცვალა თვალსა და ხელს შუა დრო, რომ ცუდს კარგი დაერქვა და კარგს — ცუდი. მე არც შევადარებ ამ დროს და იმ დროს. მე იმ ყოფამ გამხადა პოეტი. 53 წლის ვიყავი, ლექსი რომ დავწერე პირველად. ლექსი იმ მარადიულ ფასეულობებზე ვწერე, რასაც თბილისი ჰქვია! ამ დროზე მე, გულითაც რომ მოვინდომო, ალბათ, ლექსს ვერ დავწერ...

...ერთ ამბავს გავიხსენებ: დიდ ქართველ ფსიქიატრთან, ბატონ ავლიპ ზურაბაშვილთან ბებიას შვილიშვილი მიუყვანია. ისეთი ბიჭი იყო, თურმე, ავ თვალს არ დაენახვებოდა. რა გაწუხებთ, ქალბატონოო? — უკითხავს ბატონ ავლიპს. რა მაწუხებს და, აი, ეს დევივით ბიჭი ობლობაში გავზარდე, ეს კი ამხანაგებზეა გადაყოლილი. უკანასკნელი ლუკმა რომ ჰქონდეს, იმასაც ამხანაგს მისცემსო. ბატონ ავლიპს თავი გადაუქნევია: რას ამბობთ, რას ამბობთო? სხვას რას იტყვითო. სხვა რაღა გითხრათ? ისე ჯანმრთელიაო.

— შენა, ბიჭო, შენ რაღა გაწუხებსო? — ახლა შვილიშვილს მიბრუნებია ბატონი ავლიპი. მე მარტო ის მაწუხებს, რომ ბებიაჩემი წუხსო. ბატონი ავლიპი ამდგარა, მამაშვილურად გადაუკოცნია „პაციენტი" და უთქვამს: შენ გაიხარე, შვილო! კაცი შენა ყოფილხარ. კარგი ბიჭი ხარ, ბებიაშენი რომ მომიყვანე სამკურნალოდო!

ჩვენ დროს ასეთი დაუწერელი კანონი იყო: მე შენთვის — შენ ჩემთვისო. მერე შეიცვალა: შენ შენთვის — მე ჩემთვისო. ახლა, მთლად უარესიცაა: შენც ჩემთვის და მეც ჩემთვისო?!. როგორ გინდა, შეეთვისო?! ამგვარმა მენტალიტეტმა გადააგვარა ჭეშმარიტი ფასეულობები...

## „გოდერძი ჩოხელი დარდებს აგროვებდა"

„კომუნისტური სამოთხის" ჯოჯოხეთში ნაცხოვრებ კაცს რაღა გააკვირვებს, მაგრამ... ქვეყანას გოდერძი ჩოხელისთანა კაცი რომ მოუკვდება, იქ მთლად კარგად ვერ უნდა იყოს საქმე (რაც უნდა ილაპარაკონ, რომ კარგად ვართ და ჩვენზე ბედნიერი არავინ არის, რაც

უნდა იძახონ, რომ ნაგებული... მოგებულია).

გოდერძი ჩოხელი ვახსენე. საოცრად მტკივა გული. როგორ ვერ გავიცანი?! კაცი დარდებს აგროვებდა. მეც ხომ ძველმანებივით ვაგროვებ დარდებს. ჩემი ერთ-ერთი დარდი კი ის არის, რომ გოდერძისთანა კაცს ვერ ვუპატრონეთ! მე მაქვს ერთი ასეთი ლექსიც:

„ალარაფრის დარდი ალარ მაწუხებს,
დაეეხსენი ამ ცხოერების მარწუხებს,
უდარდელის მარიფათიც გაჩეენე,
რაღას ვუცდი?
ისეე დარდი მაჩერებს..."

P.S.ბატონი გიზოს დარდები ჩემთვისაც გადამდები აღმოჩნდა. თბილისურმა ნოსტალგიამ, ნარსულის ულამაზესი ეპიზოდების გახსენებამ კიდევ უფრო გაგვიძლიერა ემოციური მუხტი. მდუმარედ გამოვუყევით ლესელიძის ქუჩას, ფიქრი ვერ წყდებოდა 40-იანი ნლების თბილისის სურათებს. მერე ისევ დავიწყეთ საუბარი... ვიღა არ გავიხსენეთ: ნიკალა ფიროსმანი, იეთიმ-გურჯი, არუთინ საიათნოვა, „გუტენ მორგენ გურგენა" — ამერიკა, აფრიკა, ჟანგიანი რაფიკა, თავისი პორნოსეანსების გრაფიკით!.. სევდიანი მირაჟის ფონზე ღიმილნარევი სიხარულით ვიგონებდით უამრავ ამბავს... ბოლოს, ჩვენი შეხვედრა დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო... ჭიქით ხელში!

პირველი სადღეგრძელო დარდადქცეული თბილისისა ვთქვით... მაგრამ ჭიქა არ ნავუქციეთ, რადგან თბილისში კვლავაც ისმის სიმღერა - „ცოცხალი ვარ, ცოცხალი!"

**ჟურნალი „გზა", N41 (487), 8. 10. 2010**

## თამუნა კვინიკაძე

## *„თბილისში ვცხოვრობ და თბილისში დავქძებ... თბილისს."*

გიზო ნიშნიანიძე თბილისის განუმეორებელი კოლორიტია, ვერაზე დაიბადა და შოთა რუსთაველის ძეგლის თვალწინ გაიზარდა. ამბობს, რომ ბავშვობაში ის და მისი ძმაკაცები „იძულებით კაცები" იყვნენ, კაცობაში კი, საკუთარი ნებით... ბავშვებად დარჩნენ! ახალგაზრდობაში იმ დღით, იმ წუთით ტკბებოდა და მომავალზე ნაკლებად ფიქრობდა.

ახლა ბევრს ფიქრობს, ოღონდ, ისევ იმ დღეებზე; განვლილ გზას შორიდან უყურებს და საკუთარ ნარსულს მესამე პირში „კითხულობს". „ნაკითხული" ფურცელზე გადააქვს და გვპირდება, რომ მომავალში ჩვენც ნაგვეაკითხებს. ბატონ გიზო

*ზანოვი:*

*— არაერთი ოპერაციის გამოყენების პირველად საქართველოში. თითების, მტევნის და კიდურების მიკერება, სხეულის სისხლძარღვოვანი ნაწლავის გადანერგვა, სქესის შეცვლა ქირურგიული წესით. ხელ-ფალოსის შექმნა არის ოპერაცია, რომელიც მთელს მსოფლიოში პირველად მე გავაკეთე.*

*— რომელი?*

*— ხელოვნური ხელ-ფალოსის შექმნა. ეს პირველად გავაკეთე სამი წლის წინ. ლოს-ანჯელესში ვიყავი მიწვეული. იქ დოკუმენტური ფილმი გადაიღეს ამ თემაზე, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.*

***P.S.*** *ის ფაქტი — ეს ანეკდოტი!*

*იმკილებიდან ჩამოვარდნილი და ახოდავარდნილი მიხოხათვის შეუთავაზებიათ ხელ-ფალოსი. ქვა აუგდია და თავი შეუშვერია — ოპერაციაზე უარი უთქვამს. ახლა მიზეზს არ იკითხავთ?..*

*სხვისი იმითა (ანუ ასოთი) ჩემ ცოლთან ვერ დავწვები!..*

ნიშნიანიძეს საყვარელ ქალაქზე და „თბილისელ ბიჭებზე" სასაუბროდ შინ ვეწვიე. „დრო ჯიბის ქურდივით გეიფათურებს ხელს გულის ჯიბეში და გწაპნის ასაკს... ალალი იყოს!„ – მითხრა და სამუშაო ოთახში, უფრო სწორად, საკუთარ სამყაროში შემიპატიჟა. უცხო სიტყვათა ლექსიკონი გადაშალა და ნამიკითხა: „კოლორიტი" — იტალიური სიტყვაა, რომელიც „ფერს, ფერების შეხამებას ნიშნავს, რაც ქმნის სურათის, ორნამენტის, მოზაიკის მთლიანობას, იერს", — შემდეგ კი თხრობა განაგრძო:

— საკუთარი ფერი არ უნდა დავკარგოთ. გლობალიზაცია ჩვენს ცხოვრებაში სწრაფი ტემპით შემოიჭრა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართველი კაცი, ქართული ხასიათის გარეშე, არაფერია. დღევანდელი დღე უფრო ცივია, ვიდრე — გუშინდელი, რაზეც ძალიან მწყდება გული. ადრე სიყვარული ბატონობდა, უფროს-უმცროსობა ყველამ იცოდა... ერთხელ, მე და რეზო ესაძეს მოსკოვში, ჩეჩნებთან, უთანხმოება მოგვიხდა. როგორღაც, რეზო გავაპარე; ბოლოს, ჩეჩნებმა მითხრეს, — ნამოგვყევი და ჩვენთან ვილაპარაკოთო. გავყევი. სუფრასთან აღმოვჩნდით. ოჯახში შესულს სხვაგვარად შემომხედეს, სადღეგრძელო ვთქვი, მოეწონათ. რაც ჩვენ შორის მოხდა, მოხდა. ახლა ჩამოვწეროთ, ვინ რამდენი წლის ვართ და რომელიც უფროსი იქნება, ჩვენი დავა იმან გადაწყვიტოსო, — მითხრეს. ვილაცაზე 2 თვით უფროსი აღმოვჩნდი და ამან მიშველა!.. ასაკში ცუდი რა არის, აბა, უფროს-უმცროსობას... უმცროს-უფროსობა სჯობია?! რაც მე ვიცი, ის შენ ჯერ არ იცი, რადგან ის გზა ჯერ არ გაგივლია. მე რომ მოვდიოდი, შენ მაშინ მიდიოდი... ეს მიდი-მოდია მთელი ცხოვრება!

— „ამ ქვეყანაზე რამდენი კაციცაა — იმდენი ბილიკია", — წერთ ნიგნში — „პაემანი ვერაზე". მინდა თქვენი ცხოვრების გზის დასაწყისზე მიამბოთ.

— ჩემი ცხოვრების გზა ვერის უბნიდან იწყება... თბილისში დავიბადე და გავიზარდე. ჩემი გვარი იმერეთის ერთი ულამაზესი ისტორიული კუთხიდან, ოკრიბიდან მოდის. ნაძვა — ნიშნიანიძეებისა და უგრეხელიძეების სოფელია... მამაჩემი კანცელარიის მუშაკი იყო, დედა — მკერავი. ზემელზე ვცხოვრობდით, იქ, სადაც ახლა „კინოს სახლია". კარგი თბილისური ეზო გვქონდა. ერთხელ, სახლში, შემთხვევით, სამიოდე წლის ბიჭის სურათი ვიპოვე... დედას ვკითხე — ეს ფოტო ვისია-მეთქი? სახეზე ფერი ეცვალა, მცირე პაუზის შემდეგ მიპასუხა: — ეს შენი ძმაა; მე შვილი მაკლია, შენ მის სანაცვლოდ დაიბადეო... ჩემს მშობლებს ორზე მეტი შვილის გაზრდის საშუალება არ ჰქონდათ, თორემ დებსა და ძმებს არ მომაკლებდნენ. ჩემი ძმა „კიროვის პარკის" (ვერის ბაღი) ეზოში დაუკრძალავთ. დღეს, როცა იქ გავივლი ხოლმე, სულ იმის მეშინია, საფლავს ფეხი არ დავაბიჯო... მაშინდელ მე-18 სკოლაში ვსწავლობდი (ახლანდელ 51-ში), მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი „სკოლა" ვერაზე ცხოვრება იყო. ჩვენს ეზოში ბევრი ხალხი მიდი-მოდიოდა (მარტო 6 მკერავი ცხოვრობდა). ვისი სახლიდანაც კარგი სუნი გამოდიოდა, მასთან ვსადილობდი! ერთი დიდი ოჯახი გვქონდა, ჭირიც საერთო იყო და ლხინიც. რესტორან „გემოდან" ბარბაცით გამოსულ გალაკტიონს რომ დავ-

---

*კლიუჩევსკი: გული იყოს. თორემ... დარდს რა გამოლევს!*

*რუსეთის გასათბობად. მზად არიან... ცეცხლს მისცენ იგი.*

*შოუ: ერთადერთი ჭკუა. რომელიც შეიძლება. ისტორიის გაკვეთილებიდან გამოიტანო, ისაა, რომ ხალხი ვერავითარ ჭკუას ვერ სწავლობს ისტორიის გაკვეთილებიდან!*

ინახავდით, ძმაკაცებივით შემოეეხვეოდით. ის კი ღიმილით ზემოდან დაგვცქეროდა. ერთხელ გვკითხა: როგორ სნავლობთო? იმ დროს საიდანღაც ჩვენი კლასელი (შემდგომ, არცთუ ისე უმნიშვნელო კაცი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — დიმიტრი ქართველიშვილი) გამოძვრა: ლექსებში, ზოგჯერ, ორიანებს გვიწერენ და ხუთიანები სახეზე გვახატია, მამების ტორებს ველარ ვუძლებთ, ცოტა იოლი ლექსები წერეთო, — „ჩაანყო" გალასთან საქმე.

— მერე, რა გითხრათ გალაკტიონმა?

მისთვის დამახასიათებელი ღიმილით ჩაიქირქილა — თავადაც ხომ დიდი ბავშვი იყო!.. კიდევ ერთ ბავშვურ ოინს გავიხსენებ. ერთხელ, პატარა ბიჭებს, „მუშტაიდის ბაღთან", „დეზერტირების" ბაზრიდან გამოსულმა აზერბაიჯანელებმა გვკითხეს: „მალჩიკი, მალჩიკი, გდე ვოგზალ?" — ჩვენი „ვაგზალი" აგერაა, მუშტაიდის საბავშვო რკინიგზათქო. ავულეთ ბილეთი, ჩავსვით „კუკუშკაში". ალბათ, ჩვენს ოინბაზობას მეორე წრეზე - სადგურ „მზიურში" ან „პიონერულში" მაინც მიხვდებოდნენ.

— აღარ შეგხვედრიან?

— არა. ერთი ბეწო იუმორის გრძნობა თუ ჰქონდათ, ამ უბოროტო ხუმრობაზე ჩვენსავით იცინებდნენ. სამწუხაროდ, ჩვენი სიჭაბუკის წლები ომმა დაანგრია. თბილისის ფანჯრებში სინათლე ჩაქრა, პური ზომაზე „მოგვიჭრეს"... თითქოს მზეც დაბნელდა, ცაზე ვარსკვლავები გაქრნენ...

— მსმენია, ბავშვობაში გერმანელი „შპიონი" დაგიჭერიათ...

— ეს, სოფელ ნაძვაში თუ მანდიკორში მოხდა. 1942 წლის 28 აგვისტო იყო. წინა ღამეს სოფლის თავზე მტრის თვითმფრინავებმა გადაიფრინეს (ღმუილზე ვცნობდით), დილით კი სოფელში ხმა გავარდა, გერმანელებმა დესანტი გადმოსხესო. შუადღეს ბებერი მუხის ქვეშ ვიჯექი და ყინულივით ცივ წყალს ვსვამდი. უეცრად, ზურგს უკან, ვიღაცის სუნთქვა ვიგრძენი, გამაცივა... მხარზე ხელის შეხებამ გამომაცოცხლა, ჩემ უკან ვეებერთელა ზურგჩანთამოკიდებული კაცი იდგა და მიღიმოდა. მან, ალბათ, იფიქრა, რომ მე ერთი სოფლელი ბიჭი ვიყავი, რომელსაც ყველაფერს დააფქვევინებდა. ცაგერის გზა მკითხა, ვითომ თავის ნაწილს ეძებდა; მერე — სოფელში ჯარისკაცები თუ არიანო? მივხვდი, შპიონი იყო. „როგორ მოვიქცე?" — ვკითხე საკუთარ თავს. გონებაში ათასმა აზრმა გაიელვა. „შპიონი" „დამტვრეული" რუსულით ლაპარაკობდა. მას ისე ავურიე გზა და კვალი, ცაგერის ნაცვლად, ჩვენი სოფლის ცენტრისკენ — ფრიალოულისკენ

*ნინო ქავჟავაძის როიალი, თურმე, 2400 ლარად ყოფილა შეფასებული. მაშინ, როცა სამუზეუმო ექსპონატს კი არა, ჩვეულებრივ საკონცერტო როიალს ვერ იშოვნი ახლა მიზერულ ფასად.*

*საფრანგეთში, ქართული სათვისტომო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშტის სამშობლოში გადასვენებას... უარყოფითად აფასებს. ქართველი ემიგრანტის — მერაბ მელუას თქმით, ისტორიულ პირთა გადასვენებით ლევილი საქართველოს ისტორიისგან დაიცლება.*

*„ქრონიკა"*

*1918 წლის ბოლოს (ტერიტორიული პრეტენზიებით), ომის გამოუცხადებლად, უკადრისად დაგვესხა თავს ჩვენი მოძმე სომხეთი, რაზედაც საკადრისი პასუხი მიიღო. სამხედრო მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი დავით ვაჩნაძე საინტერესო ამბავს იგონებს:*

*ავლაბრის მოედან-*

გავუშვი. მე კი სხვა გზიდან მოვუარე და ჩავასწარი. იღბალზე, სოფსაბჭოში სახალხო ბატალიონის შეკრება იყო — წინა ღამით გადმოსხმული დესანტის დაჭერის ოპერატიულ გეგმას ადგენდნენ.

— ფაშისტი მოდის! ფაშიზმი მოდის! — ქვეყანა ყვირილით შევძარი. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბენია ხუციბერიძემ შეიარაღებული ბიჭები დაახვედრა და ჯაშუშს იარაღი აჰყარეს. მე მაშინვე ხალხში გავძვერგამოვძვერი და „შპიონს" წინ ავეტუზე. ყველაფერს მიხვდა, თვალები ორლულიანი თოფივით ისე მომიშვირა, ადგილზე დამმარხა... ამ ამბის შემდეგ ბენია ხუციბერიძე — „წითელი დროშის ორდენით", მე კი 30 შრომადღით დამაჯილდოვეს და მომცეს ცნობა, რომელშიც ეს ამბავი დაწვრილებით იყო აღწერილი. ეს ცნობა, არ იკითხავთ, რაში გამომადგა? კომკავშირში არ მიღებდნენ — მაგან ჯერ თავის ყოფაქცევას მიხედოსო, — ბოლოს კი, ამ ცნობის წყალობით, მიმიღეს. სიმართლე გითხრათ, იმ შპიონის დაჭერის ამბავს ახლა, „გმირობად" კი არა, ლამის ცოდვად მითვლიან! თბილისში დაბრუნებულმა, როცა ეს ამბავი ბიჭებს ვუამბე, მითხრეს „შპიონი" შენ ყოფილხარ, კაცი თავის გზაზე მიდიოდა, რას დააჭერინეო?! ...თავის კი არა, ჩვენს გზაზე მიდიოდა და ახია მაგაზე-მეთქი! 1937 წლით ისე ვიყავით დაგეშილები, ქუჩაში ვინმე ფოტოაპარატით თუ დადიოდა და სურათებს იღებდა, მასაც კი ეჭვის თვალით ვუყურებდით...

— თქვენი დროის თბილისურ ამბებს დავუბრუნდეთ, თქვენს მეგობრებზეც მიამბეთ.

— თბილისური ამბებიდან რომელი ერთი გავიხსენო?! ნათქვამია — თუ გინდა, კარგი მეგობარი გყავდეს, შენ თვითონ უნდა იყო კარგი მეგობარიო. კონიაკის ქარხანაში ერთი ჩვენი ძმაკაცი — ოთარ გელაშვილი მუშაობდა. იგი იმ თვითმფრინავში დაიღუპა, რომელმაც ულამაზესი ნატო ვაჩნაძე იმსხვერპლა. ოთარი მაგარი ბიჭი იყო და მაგარ კონიაკსაც ამზადებდა. რამდენჯერ შევუყვანივართ „პახმელიაზე" გამოსაყვანად! მაშინ ქარხანაში შესვლაც ჭირდა და გამოსვლაც: შესვლაში დარაჯი გვიშლიდა ხელს, გამოსვლისას კი ჩვენ გვეშლებოდა ფეხი... ერთხელ, კარისკაცს კარგად შეჭიკჭიკებულმა კუკურა ჟღენტმა გამოსვლისას (აბა, შესვლისას ხომ არ აკადრებდა?) ჰკითხა: — ბიძაჩემო, უკაცრაული პასუხი კია, მაგრამ რა ჩინი გაქვთ საუწყებო დაცვაშიო? — ვითომ, რატომ კითხულობ? რიგოსანი ვარო, — რიგიანად უპასუხა ბაბუის ხნის კაცმა, რომელსაც პენსიაზე, ალბათ, იმიტომ ვერ უშვებდნენ, რომ სულ ეძინა და მის გაღვიძებას ერიდებოდნენ... ის ცხონებული, მაინცდამაინც, მაშინ ფხიზლობდა, როცა ჩვენ — უფრო გასართობად, ვიდრე დასათრობად, — შევდიოდით.

— ჩინი არ მაქვს, თვალისჩინი კი არ მაკლია... რატომ მეკითხები მაგას, ბიძიაო?

— რატომ, ბიძია, და, ამ ქარხანაში ხანდაზმულობით ვარსკვლავები კონიაკსაც კი ემატება და შენ რა ღმერთი გიწყრებაო?!.

ერთი კვირა სათოფეზე აღარ გვიკარებდა...

— ნიაზ დიასამიძესა და ავთო ვარაზზეც ბევრი გაქვთ გასახსენებელი...

— ნიაზი ბავშვობიდანვე გამორჩეული იყო. ერთხელ ქიმიის მასწავლებელმა, ქალბატონმა „ნინაკამ" უთხრა: შენი გაძლება აღარ შემიძლია — დამაწყდა სიმპათიკური ნერვებიო, სხვა სკოლაში გადადიო.

— ამ ნიშნებით სხვა სკოლაში კი არა, „კიროვის პარკში" არ მიმიღებენო!.. —შეწუხდა ნიაზი. — ნიშნები ჩემზე იყოსო, შეპირდა მასწავ-

ლებელი და დანაპირებიც აასრულა: ნიაზი ოთხე-ბითა და ხუთებით სავსე აკადემიური მოსწრების ფურცლით ჩვენს უბანში მდებარე მეორე სკოლას მიადგა. იმ სკოლის დირექტორის გვარი არ მახს-ოვს, მეტსახელად — „დობრი მიშკას" ვეძახდით. ფრიადებმა იგი ძალიან დააეჭვა, ნიაზს კი უთხრა: — ფრიადოსნის მიღება ფრიად სასიამოვნო ამბა-ვია, მაგრამ ფრიად ვწუხვარ, რომ სკოლაში ვერ მიგიღებ... ადგილი არ გვაქვსო. — რა გაეწყობაო?! — უპასუხა ნიაზმა და ზემელზე შეკრებილი მეკურტნე ქურთებისკენ გაემართა. — ჯიგრებო, თავისუფლები ხართო? — შესძახა მძიმეტვირ-თიანივით. მერე ერთ-ერთი მათგანი — ადო გამ-ოიხმო და თავისი დარდი „აჰკიდა", თან განზრახ-ვაც გაანდო. ადოს სიცილით ულვაშები დაუგრძელ-და, ძველ სკოლაში გაჰყვა, მისი მერხი ზურგზე მოიგდო და მეორე სკოლაში მიიტანა. მასწავლე-ბლები ლამის ფანჯრებიდან გადმოცვივდნენ. ჩემი ადგილი მოვიტანეო! — ახარა ნიაზმა „დობრი მიშ-კას".

— ნიაზმა შეყვარებულს სახლში გალაკტიონი მიჰგვარაო, მართალია?

— მართალია, ნიაზს ბევრი გოგო უყვარდა, მა-გრამ მათ შორის ერთს — გულიკო კასაბაშვილს განსაკუთრებით ეტრფოდა. ის მთელ თბილისს უყ-ვარდა. ერთხელ, დაბადების დღეს პირველი თოვ-ლის ფიფქი აჩუქა; მეორე წელს რა უნდა ექნა? გალაკტიონთან ძმაკაცობდა. ადგა და საქმე ისე მოაგვარა, რომ გულის სწორს დაბადების დღეზე გალაკტიონი მიჰგვარა. ავთო ვარაზი ვერაზე ყვე-ლას ახსოვს, მაგრამ მისგან წყენა — არავის. ერთხ-ელ, ავთოს მეუღლემ კარზე „გლაზოკი" დააყენა. — ეს რა არისო? — უკითხავს შინ დაბრუნებულ ავ-თოს. მეუღლეს აუხსნია, აქედან გაიხედავ და კარ-თან ვინ დგას, იმას დაინახავო. — ასეთი რამ მე რაში მჭირდება?! — გაგიჟებულა ავთო. — ეს რას ნიშნავს, ჩემამდე მოსულ ადამიანს შეიძლება, კარი არ გავუღოო? ეგ საჭვრიტინო სასწრაფოდ უკუღ-მა დააყენე, ყველამ შემოიხედოს და გაიგოს, სახლ-ში ვარ თუ არაო... ის არასოდეს ყოფილა კინომ-სახიობი, მაგრამ მისი შესრულებული ფიროსმანი (გიორგი შენგელაიას ფილმში), ყველას გვახსოვს. ერთხელ მეუღლისთვის უთქვამს: მსახიობი ფიროს-მანს ითამაშებს, მე კი ნიკალას გავაცოცხლებო... მამა-შვილი არ ჰგავს ხოლმე ისე ერთმანეთს ფერ-ით, იერით, სახით, ფიქრებით, ოცნებით, როგორც ავთო და ნიკალა... ოღონდ ავთოსთვის თბილისი — დედა იყო, ნიკალასთვის კი — დედინაცვალი!.. ვარაზის პორტრეტები მასავით „ჩაფიქრებულები

*თან, გზასთან ჩა-მომსხდარი ორმოც-დაათამდე თუში ენ-ახავს.*

*— ბიჭოხო, მთაში ამბავი მოგვივიდა, ხომჩებმა იმი აგვი-ცეხეხო. ჩვენც ჩამო-ვედით სამორ-დო, — უთქვამთ.*

***P.S.*** *სად არიან ის ქედზე კაცები!*

*„თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვე-ნაში, ტაძრის ნაცვ-ლად, მეჩეთი მდ-გარიყო. რადგან თბილისის ციტა-დელს ეხეთქებოდ-ნენ საუკუნეების განმავლობაში ჯა-ლალ ედ-დინები, ჩინგის-ხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰე-ბი. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე. საიდ-ანაც მთელი საქრის-ტიანოს მტრები, სისხლისაგან და-ცლილნი და დასუს-ტებულნი, თუ აღწ-ევდნენ ევროპამ-დე." — წერდა თავის შრომაში „თბილი-სის აპოლოგია" ავსტრიელი მეც-ნიერი პეტერ პეჭერ-ცი.*

*ჟურნალისტებს მხოლოდ ყვე-ლაზე ნერვული სამ-უშაო აქვთ. მათი პროფესიის გაცილე-ბით მეტ ნერვიულო-*

არიან"... არასდროს უძებნია, ვინ დაეხატა. ხატავდა მეგობრებს, ახლობლებს, ძმაკაცებს — იმათ, ვინც უყვარდა.

— ავთო ვარაზის მამა ნობელის პრემიის პრეტენდენტი იყო, არა?

— ვასილ ვარაზი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გახლდათ. მას 1983 წელს შვეიცარიიდან წერილი მოსვლია, რომელშიც ეწერა: გვაქვს პატივი, მოგიწვიოთ ნობელის პრემიის მოსაპოვებლად ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგშიო!.. 30 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ამ წერილის არსებობის შესახებ არავინ იცოდა. იგი ვასილ ვარაზის არქივში, მისი გარდაცვალების შემდეგ, შემთხვევით იპოვეს. რატომღაც არავის გაუმხილა წერილის შინაარსი და უპასუხოდ დატოვა ნობელის პრემიის კომიტეტის თხოვნა, საატესტაციო საბუთების გაგზავნაზე.

— ამბობენ, ძველი თბილისის ყველა უბანსა თუ ქუჩას თავისი ყოჩი ჰყავდაო...

— ნამდვილად ასე იყო, ერთი მეორეს არაფრით ჰგავდა, არც მიხრა-მოხრით, არც სიტყვა-პასუხით, არც გარტყმა-გამორტყმით, არც დარდიმანდობით. რუსთაველზე არკადი აბაშმაძე არავის აჩხუბებდა — ეს სიყვარულის ქუჩააო! ნაღდი დამრტყმელი იყო. თბილისელი გოგო ქუჩაში რომ გაივლიდა, კარგი ბიჭი იყავი და, რამე გაგებედა: ჩვენი აივნებიდან თვალით ვმწყემსავდით. მოგვიანებით, ჩემი თაობის ერთმა გაუთხოვარმა ლამაზმა ქალმა მითხრა: ეს საქმეა?.. არათბილისელს არ გავყევი ცოლად და თბილისში ქმარი ვერ ვიშოვე, — ყველა ჩემი ძმაკაციაო!.. ჩვენი გურამ თიკანაძის პატარა დაიკო — რუსიკო — „ჩრდილოეთის პატარძალი" გახდა — ცნობილმა კინორეჟისორმა ბოგინმა მოგვტაცა. ერთხელ მოსკოვში შევხვდი, ველარ მოვითმინე და ვუთხარი: აქ როდემდე უნდა „იბოგინო"-მეთქი? მაშინ თბილისში სხვა სურნელი ტრიალებდა, ცუდი ქცევით თავს ვერავის მოაწონებდი. დღეს კი თბილისში ვცხოვრობ და დავეძებ თბილისს...

— რას ნიშნავს თქვენთვის თბილისელობა?

— თბილისელობა საპასპორტო რეჟიმით არ განისაზღვრება. ეს მარტო ამ ქალაქში ჩაწერას არ ნიშნავს. თბილისელია ის, ვინც კარგისა და ცუდის, სწორისა და მრუდის გარჩევა იცის. ვინც ამ ქალაქს სიზმარშიც ხედავს, მისთვის ხარკად სულსა და გულსაც კი გაიღებს. თბილისელობა დიდი ტვირთია!.. ერთმა ამ ქალაქის სადღეგრძელო ასე დალია: ჩვენს თავშესაფარს გაუმარჯოსო! შეუსწორეს, — თბილისის სადღეგრძელოს სვამ თუ ქოლგისასო?!. დალევაზე გამახსენდა და აქვე გეტყვით: მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე შარაფისტთა გუნდები ხშირად იკრიბებოდნენ და „საუკუნის მატჩს" რესტორან „გემოში" მართავდნენ. ეს ღრეობა კი არა, ქართული სუფრის ზეიმი იყო — მოსწრებული სადღეგრძელო, სიტყვა-პასუხი... ერთ ბრძენს უთქვამს: ისეთ სუფრას რა ვუთხარი, სადაც პურ-მარილი ყელამდეა, მაგრამ სული მაინც მშიერი რჩებაო!

ერთხელ, ცნობილი კომპოზიტორი რეზო ლაღიძე და ასევე ცნობილი

---

*მოუ: გონიერი კაცი ერგება, უგნო კი ირგებს სამყაროს... „პროგრესი" ამ უკანასკნელებისგანაა!*

*ჰესე: ყოველი, ვინც თავის გზით დადის, ყოველი, ვინც იმას აკეთებს, რაც შეუძლია – გმირია!*

*ჯობია, მოითმინო სიავე, ვიდრე ჩაიდინო!*

დირიჟორი ვახტანგ ფალიაშვილი ნეეულებაზე ყოფილან. პირველს, თურმე, ჭიქა ვერ მოაშორეს პირიდან, მეორეს — ვერ აალებინეს ხელში. პარადოქსებისაა ეს ქვეყანა — უთქვამს ვახტანგს რეზოსთვის — ფალიაშვილი მე ვარ და მუსიკას შენ წერო. — რას იზამ, ჩემო ვახტანგ, ლაღიძე მე ვარ და ლიმონათს შენ სვამო, — უპასუხია რეზოს... მინდა, მათთან ერთად ჩემი მეგობარი ალეკა გორგაძეც გავიხსენო. მას შეეძლო, ათას არაკაცში მდგარიყო და ათასმეერთე არ ყოფილიყო. ვინც ალეკას კარგად იცნობდა, მის ხსენებაზეც კი იცინოდა. ერთხელ, ავტომრბოლ ავთო გუნიას სთხოვა, შენი მანქანა მათხოვე, ქალაქში ვიგრიალებო. ავთო უარს როგორ ეტყოდა. ალეკას იმ საღამოს ერთ ლამაზ გოგოსთან პაემანი ჰქონია. უფიქრია, „ვიტაქსაეებ", ერთ-ორ კაპიკსაც გავაკეთებო, მაგრამ „ტაქსაობასაც" ხომ ცოდნა უნდა. ალეკას მთელი თბილისი შემოუვლია და, ხელანეული, გორგასალის გარდა, ვერავინ უპოვია. ბოლოს, ჩოხატაურში ამოუყვია თავი. 2 დღის შემდეგ, საღამოს დაბრუნებულა და მანქანის პატრონისთვის, ხარკად, არაყი და 3 მუჭა თხილი ჩამოუტანია. ავთოს უთქვამს, ამის მეტი თუ არაფერი გქონდა, ქვემოდან დაგეძახა, ჭიქებს მაინც ჩამოვიტანდი და შენი მშვიდობით დაბრუნების სადღეგრძელოს დავლევდიო... აი, ეს არის ძმაკაცობა. ჩვენს დროს ასეთი დაუწერელი კანონი იყო: მე — შენთვის, შენ — ჩემთვის; მერე შეიცვალა და გახდა: მე — ჩემთვის, შენც — შენთვის; ახლა უარესია: მეც — ჩემთვის და შენც — ჩემთვისო?!. ამასთან შეგუება შეიძლება? ზოგი შვილს გოჭივით ზრდის და მერე უკვირს, ღორი რატომ გამოვიდაო?! შვილებს სიქაჩლემდე ვუსვამთ თავზე ხელს, ზედმეტი სულის ბერვით, საპნის ბუშტებივით ვბერავთ, და მათთან ერთად გვისკდება გულები!... ადამიანის აღზრდას სულ სხვა სულის ბერვა უნდა. სათბურში გაზრდილი მწვანილი არ ვარგა და კაცი ივარგებს?! ახლა, ყაჩაღებს — ყოჩაღებს ეძახიან. ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. აღზრდაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ერთხელ, სკოლაში უეცრად მოსულ რევიზიას კართან, წიგნით ხელში, დარაჯი დახვედრია. დაინტერესებულან, რას კითხულობო? — „ოდისეასო", — წყნარად უპასუხია დარაჯს. კომისიის წევრებს ერთმანეთისთვის გადაუხედავთ და უკან გაბრუნებულან: არ ღირს იმ სკოლის შემოწმება, სადაც, დარაჯიც კი, ჰომეროსს კითხულობსო. თბილისს ადრე სხვა ზნე „სჭირდა" — ხასიათიანი ქალაქი იყო. თბილისელობა პროფესიააო — გასცა საბუთი გოგლა ლეონიძემ. თბილისელები ერთმანეთს, იცი, როგორ ლოცავდნენ?

*ბახთან არის დაკავშირებული, ვიდრე მყვინთავების, მორინავეებისა და საწარმოს ხელმძღვანელთა საქმიანობას.*

*საფრანგეთის ელჩმა მირეი მიუხომ თქვა: თეთრი ზანგები ხართო.*

**P.S.** *ჯანდაბას! მაგ ქართველობას თეთრი ზანგობა ვერჩივნოს!*

*დათო საყვარელიძე, ოპერისა და ბალეტის თეატრის გენერალური დირექტორი:*

*ჩვენი თეატრის სცენაზე ძველი მოღვაწეების სულები ბუდობენ. ღამე, დაახლოებით 4 საათისთვის თუ მიხვალთ, მათ სიმღერას აუცილებლად გაიგონებთ. ეს ბევრმა იცის, მაგრამ დღემდე არავის უთქვამს.*

*„სარკე"*

**P.S.** *როგორც ჩანს, არა მარტო გული მღერის, არამედ — სულებიც მღერიან!*

*სულიკო ნაშნაძე, მუშ. კაცი (ზღ-საფონი)*

*ეს სურქონები, მუშას კაცს, ცუხვილს არ გამიღვქიას.*

*ვინა თქვა, მეორე არის 14 ლარი ჰქონ-ნია?!*

— როგორ?

— „ღმერთმა შენ მოგცეს, რომ მე მქონდესო!" თუ ასე არ იცხოვრებდი, ადგილს ვერ დაიმკვიდრებდი. ერთხელ, ვერაზე კრიტიკოსი ფილიპე ბერიძე და პოეტი მორის ფოცხიშვილი მდგარან და სიგარეტის ფულიც არ ჰქონიათ. ამ დროს მათთან ვილაც პიყონი მისულა, რომელიც, თურმე, ბიჭებისათვის სანატრელ „პრიმას" კი არა, მეფურ „ფილიპ-მორისს" აბოლებდა. ამ მუტრუკს აზრადაც არ მოსვლია, სიგარეტი ბიჭებისთვისაც მიეწოდებინა. ფილიპეს ვეღარ მოუთმენია და ყბაში ულეწია, თან ორიგინალურად უმართლებია თავი: აბა, რა მექნა? ფილიპე მე ვარ, მორისი — შენ და „ფილიპ-მორისს" კი ეს დეგენერატი აბოლებდაო. ერთხელ, მორისს დავუწერე: „შენ გაგიმარჯოს, მორისო, კაცო, საერთაშორისო". მან კი ასე მომირითმა: „ჩემო გიზო, ასე უნდა იგიზგიზოო!"

— ბატონო გიზო, ამჟამად რაზე მუშაობთ?

— ვმუშაობ წიგნებზე. პირველ ნაწილს „იყოდან არაიყომდე" დავარქვი, მეორეს — „გაქცეული კალამი". მესამე ნაწილის აქეთურ-იქეთურისათვის კი სახელი ჯერ არ მომიფიქრებია (და ეს სიტყვაც „აქეთურ-იქეთური" პირველად სწორედ აქ წამომცდა!).

— რა მოგწონთ და რა — არა თანამედროვე თბილისში?

— არ მომწონს ის, რომ ვბერდები და მომწონს ის, რომ ჩემი ქალაქი ახალგაზრდავდება, გარეგნულად ლამაზდება. გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ თბილისი ცოტა გაცივდა, უხასიათო გახდა!

— ეს რისი ბრალია?

— თითოეული ჩვენგანის. საერთოდ, ტექნიკა რაც უფრო წინ მიდის, ადამიანები ერთმანეთისგან უფრო ვითიშებით. ცოტა ხნის წინ მოვისმინე ინფორმაცია, რომ მთაწმინდიდან სტალინის დედის გადმოსვენება უნდათ გორში. თავად, სტალინის ძეგლის გარშემოც კამათობენ... რა უფლება გვაქვს, დროს ხელი ვახლოთ, ის ჩვენი არ არის... ჩვენ ჩვენი დრო გვაქვს და მას უნდა მოვუაროთ. თუ ასეა, მაშინ რაც ჩამოყრილი ძეგლებია, წავიღოთ „მახათას" მთაზე და იქ „ქვაში დასჯილი ბოროტების მუზეუმი" გავხსნათ...

— თბილისობა ახლოვდება. ამ დღესასწაულის შესახებ რას გვეტყვით?

— ადამიანები იხდიან დაბადების დღეებს და ქალაქმა რატომ არ უნდა გადაიხადოს?! მაგრამ, ეს ისე უნდა მოხდეს, როგორც თბილისს ეკადრება. უკვე გითხარი, თბილისი ხასიათიანი ქალაქია. ასეთი ქალაქებია ქუთაისი, ბათუმი, თელავი, ზესტაფონი, ჭიათურა და ა.შ. ახლა პარლამენტის წევრობა მოდაშია. მათ ცნობად სახეებს უწოდებენ. მე მირჩევნია, ქალაქსაც და ქვეყანასაც „გრძნობადი" და „ძმობადი" სახეები მართავდნენ. ერთი აზრი მაქვს და ბარემ მოგახსენებთ: ამას, საჯაროდ, თქვენთან ვაცხადებ პირველად — მოდი, თბილისის ქუჩები ავალაპარაკოთ. რუსთაველის, ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, წერეთლის და ა.შ. პროსპექტებზე დავდგათ ბილბორდები, რომლებზეც ამ გენიოსების თითო ფრთიანი გამონათქვამი ან აფორიზმი ეწერება. სულის საგზლად, იქნებ, აქ მაინც წაიკითხონ ეს შედევრები ამ უწიგნურ დროში! და, კიდევ ერთი სურვილიც: ეს უკვე, კარგა ხანია, დედაქალაქის შვილებმა დაიმსახურეს: მეტრო „რუსთაველთან" მდებარე რესტავრირებულ „რწმენის კედელთან" ვახტანგ რურუას სურათის მიხედვით შექმნილი „თბილისელი ბიჭების" ძეგლი დაიდგას!

ღმერთმა გვისმინა! კაცმაც გვისმოჩოს!

---

*ჯიბრანი: შეიძლება დაგავიწყდეს, ვისთან ერთადაც გიცინია, მაგრამ ვისთან ერთადაც გიტირია, ვერ დაივიწყებ!*

## *სალამი, ჩიტუნებო!*

ერთი სული აქეთ ცის ბინადართ
მიწაზე ყოფნის,
მაგრამ ჩიტუნებს ეშინიათ
კაცის .
და თოფის!
ჩვენ, სიყრმიდანვე, რაგატკებით
დაედევთ ჩიტუნებს.
...ცოცხლებზე უფრო ეფერებით
მერე... ფიტულებს.
შეხედეთ, ხალხო,
თბილისის ცა დაცარიელდა —
ან ის მერცხალი, ან ბეღურა
სად გაქრნენ, ნეტავ?
აღარც გალობა ისმის შაშვის,
აღარც ბულბულის.
ასეთი მთას და ბარს
არ აქეს წონა ერთი ბუმბულის.
ვერ ითმენს კაცი დედამიწის დაძაბუნებას
ო, გაუფრთხილდეთ, შვილნო ჩვენნო,
დედა-ბუნებას!

* * *

სამშობლოსათვის!
მუდამ მზად იყავ,
რომ გულისათვის მისცე გულია.
კაცს საამისოდ თუ არ გაწირავ...
იგი ისედაც განწირულია!

## *უფლისა მიმართ!*

ო, ზეციერო,
უფლის იერო,
უფლისმიერო
და ღვთისნიერო...
ღმერთო, გვიშველე!
ღმერთო, გვიშველე!
მშიერ-მწყურვალებს, ტიტველ-შიშველებს...
გულს რომ გიხსნის და სულს რომ გაბარებს...
მიუსაფარებს, თავს რომ გაფარებს...
მამაო ჩვენო!
ნათლისა მჩენო!
ნათლისა მფენო!
სულისა მლხენო!...
წმიდა იყავნ სახელი შენი!

*თქვენ როგორ ხარჯავთ, არ ვიცი. მე გავიმართე წელ-ში.*

*თბილისში სახლი ვიყიდე და აგარაკი წყნეთში.*

**P.S.** *ახლა „სული-კოს“ დაუწყებ ძებნას, აბა რა!*

*მემედ აბაშიძე:*

*მუყაითად, სამშობლოს მესვეურნო! რომელთაც სახელმწიფოს სადავე გიპყრიათ ხელში, ფრთხილად! განსაკუთრებით, თქვენი ცხოველი ყურადღება სამშობლოს იმ სანაპირო კუთხეებისაკენ უნდა იქნეს მიპყრობილი, სადაც ეროვნული გრძნობა და მისწრაფება მეტად ნაზათ და სათუთად არის აღზრდილი. დაუდევრობა დაღუპავს ჩვენს საერთო საქმეს. უმნიშვნელო საქმეებს მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რათა შემდეგში არ გაგვიხდეს სავალალოდ. წყალი, რომც ნალურსმევისოდენა სადენ თვალს ნახავს, მეიქრება იქ და თვისი თანდათანობითი დენით უზარმაზარ გემსაც დაღუპავს.*

*გაზ. „ტრიბუნა“, 1921 წ. 17.IX. N 24.*

* * *

ცრუა სააქაო –
ყრუა საიქიო –
და ღმერთმა დაგიფაროს... გადაგცენ ანათემას...
ღმერთი არ გაგიწყრეს, არ გააიგიეო –
გათბობა იქ არაა და განათება!

## მარტოობა სულისა

შემომეცალნენ მეგობრები
და დავრჩი ცალად –
თვალს და ხელს შუა საძმაკაცო შემომეცალა...
ვლადიმერ კოწიჩ-ოთარ-ნიაზ... სად დამეკარგეთ? –
(ამბობენ, მიქელ-გაბრიელიც არჩევსო კარგებს!)
ამ ცრუ სოფელში, კაცი, სიკვდილს უფრო ენდობა –
„თქვენ აღარა ხართ, მე ამ ჭიქით გითვლით შენდობას!“
ყარაჩოხელის შენდობისა ასე ისმება –
ქალაქელებო, ისეე გხატავეთ ცაზე ნისლებად.
მკედარსა და ცოცხალს „პაემანი“ გვქონდა ვერაზე...
სიკვდილი ფეხებსაც ვერ მოსჭამს ოთარ მგელაძეს!
როგორ აკლიხართ დედაქალაქს, თბილისელ ძველებს –
ეს რომ იცოდეთ, საფლავებში რა მოგასვენებთ?
...ყველა დროს თავის ეშხი აქვს თუ შნო და ლაზათი –
„თავისუფლების“ ყბად აღებამ გაგვააზატა!
ამბობენ, რომა ჩვენსა ბედსა ძაღლიც არა პყეფს –
ტკბილ-მწარე ვერ გაურჩევიათ სიფთის არაყებს!
...დრომ გიჩვენოთ – ეს ცხოვრება რას დაემსგავსა –
ცოდვით იწვოდეთ, ვერ არჩევდეთავსა და კარგსა –
საკუთარ შვილებს, შვილიშვილებს ვეღარა ცნობდეთ –
მოყვარეს – მტრობდეთ, მტერს – მოყვრობდეთ –
თავს ობლად გრძნობდეთ!..
...გენატრებოდეთ სიკვდილი და გძულდეთ სიცოცხლე –
თვალს და ხელში შუა გიხმებოდეთ ნატვრის ხე და ტყე!
სააქაო თუ საიქიო იმით იცნობა –
აქეთ წუთია, იქეთა კი – მარადისობა!
თუმც, საიქიოს საქმეებში ჩვენ არ გეახლებით,
ვიცი, საფლავსაც გამითბობთ და თბილს დამახვედრებთ!

## უქმური დილის იდილია

იმ დილების იდილიას ნეტარებით ვიგონებ...
გაზაფხულის ყრუანტელებს დაედევნებ სტრიქონებს!
...დგას ისეთი სიჩუმე, რომ სიჩუმეს გაიგონებ –
გინდა, სულზე მიუსწრო და რა ღონეს იღონებ!
...ახლა წავა ზამთრის პირის დაჯღანული დღეები –
ფოთლის ყურებს ჩამოყრიან მოწყენილი ხეები.
წაიტირებს ზაფხული და ცრემლებად დაიღვრება –
მზეც გადაიკარგება და ქარიც გადაიღლება.
ჩიტიც აღარ აჟღერდება ხალისით ძველებურით,
ყველაფერი გაფითრდება – არაფრის ფერი-ფურით.

* * *

ყველას თავისი უქრის მერანი,
თუმც...
მერნის მხედარი ყველა ვერ არი,
ხმალი — კალამი, ზღვა კი — მელანი,
ბედის-წერა თუ წერა-მწერალი!

## ბებერი ბიჭი!

ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი
და ვრჩები ასე — ბებერი ბიჭი!
ჩემი სიყრმის მზე უკვე ჩავიდა —
ბოლოში ვარ და ვიწყებ თავიდან!
ეს ლექსი ჩემთან ღამეს ათევდა —
ნახე, როგორი დილა გათენდა!
ჩემი სიყრმის მზე უკვე ჩავიდა —
ბოლოში ვარ და ვიწყებ თავიდან!
თუმცა, ღირს კია მეორედ მოსვლა?..
ლექსის სიცოცხლე უსურვეთ მგოსანს.
მარადისობა შვენის სხივ-მოსავს —
სიტყვა ღმერთია და უძლებს დროსა.
ეს ლექსი ჩემთან ღამეს ათევდა —
ნახე, როგორი დილა გათენდა!..
ჩემი სიყრმის მზე უკვე ჩავიდა —
ბოლოში ვარ და ვიწყებ... თავიდან!

P.S. ამ ლექსის „ზექსზე" იდგა კომპოზიტორი გოგი ჩლაიძის სიმღერა და მომღერალი ზურაბ დაიჯაშვილი. სიმღერის ნათლობა გაიმართა 2010 წლის 4 მაისს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ჩვენი თაობის სახელით ჩემთვის ვარსკვლავის გახსნის დღეს. როიალთან გოგი ჩლაიძე იჯდა... ზურა და მე კი ვმღეროდით და ვუსტვენდით... დარბაზმა კი... სტვენის გარეშე, ტაშის გრიალით მიიღო სიმღერის პრემიერა!
გაუმარჯოს სიმღერის დაბადებას!

* * *

იყო დრო, ერთად ვახსენებდით
ოდიშ-აფხაზეთს.
აფსუს!
აფსუებულ ახლა აფხაზეთს
ახსენებენ უბოდიშოდაც და... უოდიშოდაც!

* * *

ფიქრის ფანტელები თეთრად მათოვს —
წარსული ქვათა ღაღადია —
მწერლისთვის ყველაზე სახიფათო —
ფეთქებადსაშიში ქაღალდია!

ვარდელი ტრუბა-დური კოტე ყუბა-ნეიშვილი:
ქაჯობამ გვაჯობა
ზოგი გაქცეული:
ზოგი ნაქცეული:
ზოგი დაქცეული:
ზოგიც ჩაქცეული.

<u>ნუგზარ შატაიძე</u>
მინდა, რომ აღა-რასოდეს დავწერო ასეთი სტრიქონები: „საძვლეს და საძ-აღლეს, მწვერვალთა სასახლეს... ვერას-დროს, დაღლილი, ვერ მიგყვები" (გალაკტიონ ტაბიძე). „ახალი თაობა"
P.S. ახლანდელ თაობაზე უარესს კი... ვერც ინატრებ: ცოცხლად ვჭამთ ერთმანეთს!

<u>ვაძიძე!</u>
— ბატონო ოთარ, ცნობილია, რომ იყო პერიოდი, როდესაც თქვენს შემოქმედებას არ სწყალობდნენ...
— მიუხედავად იმისა, რომ პოპულარობა ნამდვილად არ მაკლდა. პირველ კონცერტზე, რომელიც ფილარმონიაში გაიმართა, სახელწოდებით „პაემანი ვერაზე", ბატონ გიზო ნიშნიანიძის დახმარებით მივიღე მონაწილეობა. იყო დრო, როდესაც მარ-

## მოკლედ და... მინდოვნად!

რად და რით დამსაჯა ღმერთმა, მგონი მიეხედი...
ჰოდა, ახლა, სასჯელს... პატიოსნად ვიხდი.
რატომ არ ხტის ზოგჯერ გვარზე ურა კეიცი,
ესეც მხოლოდ მე და ჩემმა ღმერთმა ვიცით.
სიბრძნის სიცრუენი შერჩენია ზღაპარს —
თითქოს, ეს ცოდვები ჩემს ჩადენილს არ ჰგავს.
ყველა იმას იმკის, რასაც თვითონ დარგავს,
სანთელ-საკმეველი თავის გზას არ კარგავს!

## მიგელ!

მიგელ!.. მიგულე, შენი მარაქით —
ვინ შეგედრება სიტყვის ბარაქით?
საჭურველმტვირთველ სანჩო-პანსათი —
როსინანტით და...
კალამ-სანათლით...
ცეცხლს რომ უკიდებს და გადაბუგავს,
რასაც სიკეთის სახე არ უგავს.
რას ბოროტების დაჰკრავს ელფერი,
და კაცად კაცებს რაც არ შეჰფერით...
მიგელ, გიგულებთ შენ „დონ კიხოტად“ —
მწუხარე სახის რაინდს გადარებთ...
და შენს წიგნს  კაცობის, კაცობრიობის...
უტყუარ საბუთს —
გულით ვატარებთ!

## იყოდან-არაიყომდე...

იყოდან — არაიყომდე!... ერთი სიცოცხლის მანძილი —
სიზმარი იყო თუ ცხადი, ღვიძილი იყო თუ ძილი...
იყოდან — არაიყომდე ეტევა წუთისოფელი —
წარ-სულისაგან შობილი და მომა-ვალის მშობელი.
ყოფნა-არყოფნა ჟამია — „კრიმანჭულია“ სამყარო —
საწუთრო წუთია ჯამია — საგანგაშ-საბუკნაღარო!
ეს წიგნიც „კრიმანჭულსა“ ჰგავს —
„კრინით“... „მანჭულით“ ნათქვამსა...
თვითონ ცხოვრების ამ ნაგავს... აგავს, ამ ტყუილ-მართალსა!
დრო, დრო აღენიშნოთ!... ის არის ბატონ-პატრონი, ცხადია —
„დრონი მეფობენ“... მეფენიც დროის ჭკუაზე დადიან!
იყოდან — არაიყომდე დროს ჰქვია „ერთი დროება“ —
ცოდვის და მადლის გარჩევა, ცხოვრების ამაოება!
დღეა ან დღესასწაული, ან უღიმღამო ღამეა —
იყოდან — არაიყომდე... ყოფნა-არყოფნის ჟამია!
ღამე იყო თუ დღე იყო... მოპარვითა თუ გაპარვით —
„იყო და არა იყო რა“! — ასე იწყება ზღაპარი,
ცხოვრება იყო ჯვარცმა და სიზმარი იყო ცხონება...
„იყო და არა იყო რა“! — ასე თავდება ცხოვრება!

## წიგნის ანოტაცია!

მე და ჩემი ღმერთი!...
თვით მსურს –
„მე და ჩემი ღმერთის ხილვა!" –
რომ ჩავხედო გულსა და სულს...
შევძლო თავის მიმოხილვა!
ერთი თვალის გადავლება –
ამ გარდასულ დღე-ღამეთა –
მოთოეთრეთა – მოშავეთა –
მედღეეეთა – მეხვალეთა –
მედროეეთა – მეხანეთა –
მუხანათ და მოხანეთა –
კაცთ გარდასულთ –
ასულთ, ძეთა –
მედღევეთა – მეხვალეთა –
იმ წამების მოწამეთა –
მოლხინე და მოზარეთა –
იმ შინა და ამ გარეთა –
ამ მზეთა და იმ მთვარეთა –
გულის ხვთქვა, სულის ფლეთა –
აღმა-დაღმა, კლდეთა-ღრეთა –
ცხრათა მთათა – გზათა ცეეთა –
მრავალწერტილ-სისხლით წრეტა...
ბოროტება-სიკეთეთა –
მზიან ღამე – მზიან დღეთა –
იმ სანატრელ ნატვრის ხეთა –
შეხვედრა თვით მაღალ ღმერთთან...
მიარება უზესთაესთან!

* * *

ყოველი დილა – უფლის ნებაა!
გაოცებაა! საოცრებაა!
სხვა ოცნებაა... გაცოცხლებაა –
ღმერთთან ხლებაა –
სხვა შეგრძნებაა –
ფუფუნებაა –
უკვდავებაა –
ღვთისა ნებაა –
და ღვთის განგება!
P.S. ყოველი დაღამებით კაცი კვდება!
ყოველი გათენებით... იბადება!

* * *

მორწმუნის წესი ესაა:
დრო, ჟამია, თუ მსგეფსია,
ჩემთვის – ერთი ელვესია
სულთათანა – ეს ლექსია!

თუმც იკრძალებოდა სიმართლის თქმა, მათ შორის, ჩემი შემოქმედებაც, ყრა-ზანაზავით იკ-ბინებსო, – ამბობ-დნენ ჩემს ლექსე-ბზე... არაერთხელ აგიმებიც ჩამოუხე-ვიათ.
„რა-რა?"

(ინტერ-ვიუ)
მართლმადიდებ-ლური საყდარი 6 მარტს წმინდა ცხრა-თა კოლაელთა ძმათა ხსენებას აღნიშნავს. საპატრიარქოს ცნო-ბით, კოლაელი ცხრა ძმა – გურამი, ადარ-ნასე, ბაქარი, ვაჩე, ბარძიმი, დაჩი, ჯუა-ნშერი, რამაზი და ფარსმანი მეექვსე საუკუნეში, სამხრეთ საქართველოში – ისტორიულ ტაოში ცხოვრობდა. ისინი წარმართული მრწამ-სის შეცვლისა და ქრისტიანული მრ-წამსის მიღების გამო საკუთარმა მშობლებმა და-ხოცეს. იმ ადგილას, სადაც ცხრა ძმა მოინათლა, მათმა მშობლებმა დიდი ორმო ამოთხარეს და შიგ ჩაყრილი ბავშვები ქვებით ჩაქოლეს.

სერგეი ლახაური

## ხმელთაშუა
## (ანუ თვალ და ხელთაშუა) სამოთხე!

როგორც მუსიკალურ, ისე ლიტერატურულ ნანარმოებს თავისი გასაღები უნდა! სანოტო ნიშნების „გარნიტური" უფრო მდიდარია, ვიდრე ტექსტის, ასე ვთქვათ, „აკუპუნქტურა" — ბემოლი, დიეზი, პიანო, ფორტე, ლეგატო, მაჟორი, მინორი... პუნქტუაცია თუ ტექსტის აკომპანიმენტია, სოლფეჯიო — მუსიკის გრამატიკაა! საპროზ-საპოეზიო ნიშნები კი — კითხვის, ძახილის, მძიმის, წერტილისა და მრავალწერტილის ამარაა!

გულდანყვეტილი, სისხლდანრეტილი —

რაღაცას მალავს სამი წერტილი!... — სადღაცა მითქვამს!

ყველა ამ ნიშანს სიტყვა ღმერთთან აქვს საქმე და უფლის ნებით არსებობს, როგორც ვაზი და ჭიგო, რომელიც სიტყვას, როგორც მსხმოიარე ვაზს, მხარში უდგას და ტვირთს უმსუბუქებს.

...რა მაგის პასუხია და... ერთ სკოლაში დამრიგებელს ბავშვებისთვის უკითხავს — ხომ არ იცით, საკლასო ოთახის გასაღები სადააო?

სად და ბაბუაჩემთანო, — უთქვამს ერთს.

— ბაბუაშენთან რა უნდაო? — გადარეულა მასნავლებელი.

— მამაჩემი ამბობს, ბაბუაშენს ყველაფერი ერთ ადგილზე ჰკიდიაო...

დიახ... ამბობენ, რომ ჩემი ხნის კაცს (83-ე ნელი) თავისი ვირი უკვე დაბმული ჰყავს, ვირი, რომელიც, სიტყვის თავისუფლების პირობებშიც, თავის ჭკუაზე ყროყინებს და ხეზე თუ ავიდა... ველარ ჩამოჰყავთ!

ცენზორად ჩემი ცოლ-შვილიც მეყოფა!

„არ დაიჯერო, არ დაიჯერო"... მესმის დები იშხნელების ძველი, ბანტიან გიტარაზე დასამღერებელი სიმღერის ხმა.

სიტყვის თავისუფლების „საყმანვილო სენი" აგერ, სიბერემდე, მომყვა და დღემდე ვარ მასთან უთანასნორო ომში!

ამ ცხოერების „ადანდალი" არის „დანდალი" —
ეპაგაჟი — აბდა-უბდა — აჯაფსანდალი!
............................................
სიყმაწვილეს ვუბრუნდები მოგონების თილისმით —
სიზმარშიაც, ცხადშიც ვხედავ ძილისპირულ ძილისპირს —
ბადიშების ტკბილ ბადეში უბოდიშოდ გაეები —
სიყვარულით ჩემს მეორე „მეს" ველოლიავები.

* * *

...სიყმაწვილის უჭკუობა — სიბერეში ჭკუად მექცა —
მეც კუსავით ფეხსა ვყოფდი — ნახირ-ნახირ ვიყავ მეცა.
საცა თქეენი — იქაც ჩვენი თქვით და ასე დაილოცეთ —
საცა თქვენს ერთს გააღმერთებთ — იქაც ჩვენი გაიოცეთ!

* * *

უნახავმა რა ნახა — ნეტავი მეც მანახა —
იტყვი კაცი ხანდახან და... უკრეჟშიაც გადახეალ.
თუ სიმართლეს ამართლებ — ყბედი ხარ და ყბადა ხარ —
თუ არ ფიქრობ ამათებრ — თურმე, ჯერე... სადა ხარ!

* * *

ძია სემია თუ
ძია ეანია —
როგორიც ალია, ისეთი ბალია!

* * *

„არღნის ჩიტებს“ ეძახიან პრეზიდენტის ჟღურტულებს —
მოშიმშილეს — ხმაც არა აქეს, მაძღარი კი — ღრუტუნებს!

* * *

გასაუპატიურებლად ჩვენი დედაქალაქის —
ასე „გასაჟარჩაგებლად“ ძველ ეშხის თუ მარაქის —
გეი-აღლუმს (მოესმა ყურს?) ამ დღეს „ჩაეეზდრასტებით“ —
გეი-ძაღლუძ-მამაძაღლუმს... ჩაეპედერასტებით!
გეი-გეი-გეიგონოს, კაცო, შენმა ყურებმა —
სად ევა და სად ადამი — ბუნების შებრუნება...
ქმარიც შენ ხარ, ცოლიც შენ ხარ — სიძეცა ხარ და რძალიც —
უზნეობით მშიერიც და სიძვით გაუმაძღარიც!
ხალხს თაელაფის დასასხმელად ასე ნუ გაეიმეტებთ
და ნუ ექცევით ჯოჯოხეთად ედემს — სამოთხის ენდემს —
მოგეიმრავლდა ნაქალარი-ნაბიჭვარ-ნაკაცარი —
სქესთა თავისუფლებაა — გიჟის თვალში ნაცარი!

* * *

ეიფორიით ვართ შეპყრობილნი —
და გასისხლული ეს სტრიქონები —
კარგადმყოფობით ავადმყოფობის —
კატასტროფების არის სტროფები!

* * *

კაცნი კაცობისა აზრს ველარ ხედებიან —
კაცსა და კაცს შორის იმსხვრევა ხიდები —
ადამიანები თითოკაცდებიან —
და კაცობრიობენ... რობოტოიდები!

* * *

ერთობ დიდი პატიეია, რაც უფალმა მაპატია
და რაც ახლა მაბადია — ჩემი გუდა-ნაბადია!

* * *

დიდი ვერაფერი აღმოჩენა-ეერიკა!...
რაღა გეეშველება აწი?
რაც უფრო წინაა ტექნიკა —
მით უფრო უკანაა კაცი!

კარმის დიაგნოსტიკა: მორწმუნე ადამიანი მუდამ დამოუკიდებელია. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი მიზეზია იმის, რატომაც საბჭოთა ხელისუფლებამ მღვდლები გაანადგურა. ამიტომ ყოველი მორწმუნე და მოყვარული ადამიანი მუდამ ხელისუფლების ოპოზიციაში იქნება. და ეს ხელისუფლებისა და სახელმწიფოს განვითარების პირობას წარმოადგენს. ძალაუფლება მუდამ დაკავშირებულია ძალადობასთან და მიჯაჭვულია ადამიანურ ბედნიერებას. ამიტომაც ყოველი სახელმწიფო მოხელე ესწრაფვის უზნეობას და, მამასადამე, რეალობის შეგრძნებას და გარე სამყაროს სწორი შეფასების უნარს კარგავს.

„ახვალ-დახვალი“, 2005, 5-11 დეკემბერი.

<u>ნორმან კაზინსი:</u>

ალბერტ შვაიცერს მუდამ სწამდა: ნებისმიერი ავადმყოფობის საუკეთესო წამალი, ეს არის იმის შეგნება, რომ არსებობს საქმე, რომელიც უნდა შეასრულოს, პლუს იუმორის გრძნობა.

* * *

გაყამიერდა უყამო ჟამი —
უჭირს კაცობას და ერს — ერობა —
დრონი მეფობენ წამების წამით
და ძვირად ფასობს... გაიძვერობა!

* * *

ბრძანა მეფემ — უშიშმა და უხორცომ —
გორგასალმა ხელი აპყრო ცაშია!
„ეძიებდეთ ქრისტესათვის სიკვდილსა!“ —
აი, თურმე უკვდავება რაშია!

* * *

შიზოფრენიიდან — გიზოფრენიამდე — თავზე აღარც ქუდი, აღარც ფაფანაკი —

გულახდილობიდან — სულჩახდილობამდე... პერანგსაც აღარა ჰყავს უკვე ამხანაგი!

## *შიშველი სიმართლე*

ნება-სურვილით შიშვლდებიან —
ნებაყოფლობით გიჟდებიან.
ასო-სარცხვენლისაც არ რცხვენიათ...
არადა, როგორი საცქერია!

* * *

ვინც იმაში მახათს იყრის — გასართობი ჰქონია —
ნაღვლისა და შარდის ბუშტი სათამაშო ჰგონია!

* * *

კარგია, როცა სულდგმულობ — თავსა გრძნობ, გულს ემღერება...
ფულია კეთილდღეობა და არა ბედნიერება!

* * *

სიტყვამ მეფეს... კატა შეაჭამაო და მე რაღას მიზამდა!

ხატს თუ სანთელს შეპირდები... კიდეც უნდა დაუნთო!...

ჩემი ხატი ჩემი შვილები და შვილიშვილებია. 2 შვილიშვილთან, პირველი „ინდიქტიონის" (15 წ.) ასაკის, 1,90 სანტიმეტრიან დათვ — დათუნასთან წამომცდა პირობა, რომ თუ ღირსეულად დაამთავრებდა სასწავლო წელს (ამერიკული აკადემიის მე-10 კლასს, ე.წ. „შოპჰომორე"-ობას, რომლის მნიშვნელობა დღემდე ვერ ამომიხსნია! თუმცა, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, დაბეჯითებით გიხსნიან, რომ ეს სიტყვა (სიტყვასიტყვით — „ჭკვიან-სულელობის" ადებატურ-ადეკვატურია!), ზაფხ-

---

*ერნესტ ჰემინგუეი: პროზა არქიტექტურაა და არა დეკორატიული ხელოვნება.*

ულის არდადეგებზე, სადაც უნდოდა, იქ წავიყვანდი!

ჰოდა, იმანაც რაღაც „რომაული არდადეგების" მსგავსი „პონტი" მოიგონა და, არც მეტი, არც ნაკლები... მსოფლიო მარგალიტი — ნიცა მომინდომა — მსოფლიოს უპირველესი კურორტი, რომელიც ჩვ.წ.VI საუკუნეში დააარსეს ძველმა ბერძნებმა და, ლიგურიელთა გამარჯვების აღსანიშნავად, გამარჯვების ქალღმერთის — ნიკეას სახელი უწოდეს! „კვირის პალიტრამაც" ცეცხლზე ნავთი გადაგვისხა და კინაღამ ნერწყვით დაგვახრჩო: „ნიცა ყველაფრით ხიბლავს დამსვენებლებს: ინგლისური სანაპიროთი, ძველი სახლებითა და მდიდრული სასახლეებით (გამოირჩევა სავოიის ჰერცოგთა სასახლე — ამჟამად პრეფექტურა), მუზეუმებით (მათ შორის, შაგალისა და მატისის), რომაული ნანგრევებით, ტაძრებითა და, ცხადია, რესტორნებითა და მომსახურების უმაღლესი სტანდარტით. მართალია, ეს, ყოველივე, ძვირია, მაგრამ პრესტიჟიც ხომ ფული ღირს?

ნიცა თანდათან გახდა ბოჰემური კურორტი: აქ სხვადასხვა დროს ჩამოდიოდნენ პიკასო, მოდილიანი, კოკტო, ივ მონტანი, გრეტა გარბო, ბერტ ლანკასტერი, კატრინ დენევი — დიდგვაროვნები. აქ ყოველ წელს ჩამოდიან კინოსა თუ ესტრადის სუპერვარსკვლავები. ქალაქში თითქმის აღარ დარჩა შენობა ან ადგილი, რამე მოვლენასთან ან ცნობილ პიროვნებასთან რომ არ იყოს დაკავშირებული.

სწორედ ამიტომ, ვისაც იზიდავს ცნობილი ადამიანების საზოგადოება და მარიაჟი და თან ფულიც აქვს (ანუ უჭყავის — გ.ნ.), მისი ადგილი ნიცაშია..."

ეს მინიერი სამოთხე სამშობლოა იტალიის სახალხო გმირის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადის ჯუზეპე გარიბალდისა, რომლის საბრძოლო რაზმში ჩაწერის მსურველთა შორის იყო თავად დიდი ილია ჭავჭავაძე!

დიახ, ნიცა ახლა დიდი მეტროპოლიაა (მთასა და ზღვას შორის მისი გეოგრაფიული მდებარეობის, თანამედროვე ნავსადგურისა და აეროპორტის გამო) და იგი ევროპაში ხმელთაშუა ზღვის კარიბჭედ იქცა. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი... ვიჯექით ხმელთა მთათა, „ბართა" თუ „კაფეთა", ჰოტელთა და რესტორანთა ულამაზეს ქაოსში და მე და ჩემი შვილიშვილი, თათქარიძის ბუზებივით, ვითვლიდით ნაირნაირ თვითმფრინავებს, რომლებიც ყოველ 3 წუთში (თითქმის ზედიზედ) მოფრინავდნენ ამ საოცნებო ქალაქისაკენ.

*ერთხელ იხუმრა, ავადმყოფობა ცდილობს, მალე გამეცალოს, რადგან ჩემი ორგანიზმი კარგ მასპინძლობას არ უწევსო.*

*სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა ბიჭებმა ძალიან ორიგინალური პროტესტი გამოუხატეს რექტორს — ადგნენ და გატიტვლდნენ. ახლა კიდევ მთლად „აუწყვეტიათ" პროტესტანტებს — ამდგარან და ბულაძის კაბინეტის კარზე და კაბინეტის ქალზე პრეზერვატივები არ დაუკიდიათ კი ჩურჩხელებივით!.. ეს ამბავი „ალიადან" გავიგე. „ალიაში" ისიც ეწერა, ეს აქცია, თურმე, თავად ბულაძესთან ყოფილა შეთანხმებულ-სანქცირებული?!*

**P.S.** *სამხატვრო აკადემიაში რას არ გაიგონებდი, რაც არ ვენახა. იმას ნახავდი კაცი! მარტო ამის გახსენება რად ღირს! კაც-სახ-ნაულს. ალიკა გორგაძეს ერთხელ, თურმე, ზღმარტლის გამყიდველი ნუნეთელი ბიჭი აუყვანია სახელოსნოში ტიტველა ქალების სანახავად და ერთი შიშველი ნატურის ჩვენებაში — 5 კილო*

თითქმის ჩემი ხნისაა ხმელთაშუა ზღვის სასახლე ,,არტ დევო" (1929). აქ ჩვენსავით ცოდნიათ ცოცხლებს მიცვალებულების პატივისცემა, რისი მოწმეცაა ებრაული თუ კათოლიკური სასაფლაოები, თავისი ანგელოზების გამოსახულებებით, საოჯახო სცენების ამსახველი თეთრი მარმარილოს ქანდაკებებით... დიდებულია წმინდა ნიკოლოზის ტაძრის ცის თაღს მიბჯენილი ჯვრები, რომლებიც აქ მომსვლელ-წამსვლელ-დამრჩენის ლოცვებს წვდებიან და ადამიანებს იმედით ალავსებენ. ქოლერის საშინელი ეპიდემიის შემდეგ, ღვთისმშობლის სახელზე და მისი წყალობის იმედით, 1932 წელს (სენ ჟან ბატისტის პროსპექტზე), სწორედ ამიტომაა აგებული უფლის სახლი.

შაგალის, ანტიური არქეოლოგიური — მატისის, უუუძველესი ისტორიაძდელი — ტერა აგატას, კაზმული ხელოვნების (ჟიულ-შერეს), მსოფლიოს პრომიტივისტ მხატვრების, საზღვაო ფლოტის მუზეუმები...

ნიცის მუზეუმები, თუ ლოცვისათვის არა, მედიტაციებისათვის მაინც განაწყობენ კაცთ!

აქ ჯერ კიდევ ტრიალებს სამყაროს ცოცხალი ძეგლების — ფრიდრიხ ნიც-შეს (ქალაქის სახელი და ფილოსოფოსის გვარიც ასე რომ ემთხვევა ერთმანეთს), მოპასანის, ანატოლ ფრანსის, გიიომ აპოლინერის, ფრედერიკ მისტრალის „სურნელი"... ყოველ ფეხის ნაბიჯს ედება ნიცის ყვავილების, „ბატალიების", ფეიერვერკებისა და მუსიკის... ზღაპრული დაუვიწყარი კარნავალებისა და ფესტივალების ფერი-ფური!

ფეშენებელურ, ზღვისპირა სასტუმროების რკალში გაბატონებულ ადგილზეა ჩვენი ,,გრანდ-ოტელი ,,მერიდიანი" — თავის ხმელთაშუა ზღვის ნიავითა და სამოთხის ფუფუნებით. ამ რკალში, ღამღამობით, სატრანსპორტო მოძრაობა ჩერდება, ჯაზ-ორკესტრებისა და თუ ქუჩის მოხეტიალე მუსიკოსების — მენესტრელების ჯაგა-ჯუგში ნიცა თეთრად ათენებს ღამეებს. აქვე, ფერადი ბუშტებითა თუ ნაირნაირი სუვენირებით ვაჭრობენ ფერადკანიანები და, ეშმაკმა იცის, რით აღარ გვეჭრიან თვალს (დათუჩამ სწორედ ეშმაკის წითლად მოელვარე რქები შეიძინა სუვენირად... არ ვიცი, სიეშმაკისკენ კაცის მიდრეკილებისა თუ ასეთი რამე-რუმეების ეშმაკური სიიაფის გამო).

ეშმაკისგან თავის დასაცავად ქართველებს ერთი ხალხური ჩვეულება აქვს და ახლა მეც იმის იმედზე ვარ: ფუი, ეშმაკს!

...მოკლედ, სწორედ ამას ჰქვია — ,,ძალად მაცხონეობა!"

,,ენა კაცს ვიბორგამდე ჩაიყვანსო!" — ამ კატორღული ანდაზისა არ იყოს, შვილიშვილისადმი მიცემულმა სიტყვამ იძულებული გამხადა, მილიონერების მარაქაშიც გავრეულიყავი. მააშ!

აბა, როგორო? კაცის სიტყვა სიტყვაა და დათო ვის რას შეარჩენს! ,,თუ შეპირდი ხატსა სანთელს... კიდეც უნდა დაუნთოო!"

და, აი, ზურაბ ვარშალომიძისა და მაია გვარამიას ტურბიუროს (უფრო სწორედ, სიბერისთვის შემონახული ფულის ჭყავილით) მეც კაი ,,ტურა" დავიჭირე და აგერ, უკვე, ამ ტურისტული სამოთხის მე-7 ცაზე ვარ (,,მერიდიანის" 713 ნომერში), გადმოვცქერი ქვეყანას, მაგრამ მაინც ...,,ვერსად ვერა ვხედავ ჩემი სამშობლოსთანას" (როგორც ერთ ძველისძველ ქართულ სიმღერაშია!). ეს ,,13" ხომ არა და არ მშორდება. გინდა, მე-7 ცაზე ვიყო, გინდა — მიწაზე! 13 ჩემი ამქვეყნად გაჩენის დღეა და ყველგან ფეხებში მებლანდება. ამიტომაა, რომ ერთ ლექსში ასეთი ,,ძეგლი" დავუდგი: ,,13... თარს რიცხვად მე არ მემეტება — რადგანაც ცა-მეტი... არ მე-ცა-მეტება!"

ეს ისე!

ისეა თუ ასე — 13 ჩემი ბედისწერის ციფრიცაა და შიფრიც!

...კინოფესტივალების მსოფლიო დედაქალაქ კანში კაი ქართული მასპინძელიც გვეგულებოდა და არც მოლოდინმა გაგვაწბილა — ჩვენს სიმყუდროვე-ში კანიდან სატელეფონო ზარი შემოწკრიალდა, მოგვიკითხა, მოგვეაკითხა და მიგვიპატიჟა... დიდი თავპატიჟი არც ჩვენ გაგვიდია და ცნობილ ბიზნეს-მენს დათო ზოდელავას და მის მშვენიერ ცოლ-შვილს, მისივე ლიმუზინით, მის ვილაში ვესტუმრეთ, საღამოს კი (ლამის, მთელი აქაური ზღვისპირეთის ქართველობის თანდასწრებით) დავესწარით (თუ შევესწარით) ცხად სიზმარს, რომელსაც პიროტე-ქნიკის ფესტივალი ჰქვია!!!

ცაში, სამი ძახილის ნიშანივით, აიჭრნენ „ეშ-მაკის მაშხალები" და ზღვისა თუ მუსიკის აკომპანი-მენტზე აცეკვდნენ ულტრატექნიკით ნაფერები ნაირფერები...

ახლა, ამ ცაზე გამოსაკერებელ სიტყვას მეც ამავე სასწაულ ცაზე გამოვაკერებ და იმ ღამის ამ თეთრ ზღაპარს სიზმარივით მოგიყვებით მთ-ვარეული ლექსით!

## *პიროტექნიკის კანის ფესტივალზე!*

*(ანუ სტუმრად „ფრანგოეთში" ბიზნესმენ დავით ზოდელავასთან, მისი მეუღლის — ეკოს „ეკოლოგია" და მათი შვილების სილაღეში გატარებული დაუვიწყარი წუთები!)*

...პირველად ენახე სიზმარი ცხადში:  
ცა იქცა – სცენად, მიწა – მხილველად –  
სინათლე როგორ აცეკვდა ეალში –  
ჩემს ცხოვრებაში ენახე პირველად!  
მონუსხულიყო ზღვა – ხმელთაშუა –  
ვიდექ და იდგა ბნელში ნათელი –  
სანაპიროზე, იმ ხეთა შუა –  
იწვოდა სული ფერთა სანთელით!  
...სიცოცხლე ეღარ ეტევა კანში –  
ცა ქუდადა გვაქვს, მიწა – ქალამნად.  
ცხადი რომ სიზმარს არ რჩება ეალში –  
რით ათქმევინოს ქაღალდს კალამმა?...  
ცაზე საყანწე მთვარე ეკიდა...  
წყალში ვიდექით – ცეცხლი გვეკიდა!  
7.08.2010.

*ზღმარტლი წაურთმევია ამ მეჩვენებულს იმ მეჩვენებულისთვის... აბა!*

*მეორე დღეს კი, სამხატვრო აკადემიასთან, თავის სახედრებიანად გამწკრივებულან წყნეთელი თუ კუმისელი ბიჭები და ცოცველა ქალების ნახვის ეშხით, გაბრუებულებს „ზღმარტლი, ზღმარტლის" ყვირილით აუკლიათ ქუჩა!*

*ვან გოგი და ვან ბაიბურთი — გარდა სახელისა, რა საერთოა მათ შორის? ვან გოგმა — გენიალურმა ჰოლანდიელმა ფერმწერმა ფსიქიური აშლილობის გამო ნებაყოფლობით მოიჭრა ყური; ვან ბაიბურთი · თავისი ბატონების ყურმოჭრილ მონად დაიბადა და დღემდე ყურებზე ხახვს ვერავინ აჭრის!*

*ლევან სანიკიძე:*

*გაზულუქებული ფეოდალების თავხედობამ ათქმევინა დავით აღმაშენებლის მემატიანეს ეს სასტიკი სიტყვა:*

*„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდე-*

ცხელ გულზე ნათქვამი ესაა. ისე კი, ერთი ლექსპრომტი თვითონ ცნობილ ბიზნესმენ დათო ზოდელავას (მეტსახელად „ტარაკანას") სახელზეც ამეკვიატა და რაღა შორს წავიდო!

პა, ბურთი და მოედანი — უიმბლდონი, მარაკანა —
თბილისის ზღვა — ხმელთაშუა... მარადონა — „ტარაკანა"...
ეს სიკეთეც დათოს ათოვს — სული გულით მარიფათობს...
და ოქროს ზოდს, როგორც ლავას, ჩამოასხამს ზოდელავა.
ვერ ეტევა „ტარა" კანში... კანში მიტომ დაივანა — კაცობაში ... დავითია, ბიჭობაში — ტარაკანა!

...მონაკო, მონტე-კარლო — ტოტალიზატორების ტოტალური სამყარო, ჩვენი (მსოფლიოში, ალბათ, უიშვიათესი) ბაბუაშვილიშვილური კრუიზის ბოლო ლუკმაა, რომელიც გემრიელი კი არაა... შეიძლება, ყელზეც დაგადგეს კაცს და გადაგიყოლოს კიდეც... მაგრამ ჩვენ იგი, ჩვენდა სასახელოდ, მოვიგეთ (რადგან... არც გვითამაშია!), რადგან ეს იგივე იქნებოდა, რაც ცეცხლთან თამაში!

მახსენდება რუმინეთის მეფის მიხაის სამონტეკარლოო მჭევრმეტყველების ნიმუშები, რომელიც აქ სახსენებლად ნამდვილად... ღირს.

ხელმწიფეს ე.წ. „კარე" გამოუცხადებია!!! მერე კი... სამი „კაროლი" დაუდია მაგიდაზე და უთქვამს — მეოთხე... მე ვარო!

ვინ მოთვლის, მონტე-კარლოს ბედ-იღბალთან საბედისწერო რამდენი თამაში, ტრაგედია და შუბლში ტყვიებიც ახსოვს.

ამ, ისედაც ერთი ციცქნა სახელმწიფოს — 220 000კვ.მეტრი — აქაურებმა ზღვას წაართვეს. აქაურ სასახლეს, ოპერას, ყარაულის ცვლის არქაულ ცერემონიას, კათედრალურ ტაძრებს, ეგზოტიკურ ბაღებს, „ვარსკვლავების დარბაზს", მუზეუმებს (ნაციონალურს, ოკეანოგრაფიის „აკვარიუმს", ანთროპოლოგიის, საზღვაო), ანტიკვარული ავტომობილების გამოფენას, ზოოპარკს, საცურაო აუზებს, უძვირფასესი ყელსაბამივით ბრწყინვალე, ჰერკულესის სახელობის ნავსაყუდელს, ოტელ „დე-პარის" თუ კაფე „დე-პარის"... ერთხელ ნახავ და მერე ხსოვნიდან ვეღარ წაშლი!

თუმცა, ჩვენ (ჩვენის შემდეგ) სხვა ედუარდით ვინ გაგვაკვირვებს, მაგრამ მონაკოსთან გაშინაურებული ხალხის სიაში სიამაყით ახსენებენ ედუარდ VII-ს, რომელიც, ჯერ კიდევ უელსის პრინცობის დროს, ყოველ დილით მოდიოდა აქ, „სიუზეტად" წოდებული ბლინების მისართმევად!

მონაკოსთან გაშინაურებულ ისტორიულ პიროვნებებს შორის ასახელებენ დიდ თავადებს: ნიკოლოზს, ბორისსა და მიხეილს; ბელგიის მეფეს ლეოპოლდ II, სარა ბერნარს, არისტოტელე ონასისს... აქაურობას ამშვენებდა ენრიკო კარუზო, ეგვიპტის მეფე ფარუხი, სერ უინსტონ ჩერჩილის, აგა-ხანის (ვისი აღარ!) ვიზიტები. მონაკოს ხომალდის საჭესთან იდგა პრონცი რენიე III (გარდაიცვალა 2005 წელს). მსოფლიოს გზაჯვარედინი — მონაკოს სათავადო — ეს არისო ნალკოტი მთელი სამყაროს ყვავილნარისა — ნამდვილი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი" (ქართული სამოთხის აკაკისეულ ეპითეტებს თუ გავუყოფთ), ხოლო მარსელ პოლიონის სიტყვებით თუ სიტყვასიტყვით ვიტყვით: ადგილი, სადაც კერძო საკუთრება უზრუნველყოფს „საყოველთაო თავისუფლებასა და კეთილდღეობას"! მონაკოზეა ზედგამოჭრილი უილიამ შექსპირის სიტყვები „რიჩარდ II"-დან: "Дивный сей алмаз в серебрянной оправе океана..."... იგი მაგნიტივით იზიდავს ბედის მაძიებელ ხალხს და

აგერ ისინიც... მილეთის ხალხში ქართული ლაპარაკი შემომესმა და უცებ ქართველების ჯგუფის შუაგულშიც მოვექეცი. სასწაულია, ღმერთმანი — საქართველოში ქართველს ქართველის დანახვა ლამის აღარ უნდა და საქართველოდან მოშორებით ერთმანეთზე სული მიგვდის... ჩემთვის უსაყვარლესი გვარის — სტურუების ნაშიერები აღმოჩნდნენ (თავისი უჭულ-ბუჭულებით). მიცნეს, საიდანსადაო?! მომესიყვარულნენ... მოვეფერეთ ერთმანეთს.

...ერთხელ, ჩემს თბილისელ ძმაკაცს, ფიროსმანივით თვითნაბად და თვითნასწავლ მხატვარს კახა გიგაურს ჰკითხეს: რა განსხვავებაა სომეხსა და ქართველს შორისო და მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობითა და „ჩუბინობით" მოარტყა: სომეხს, სომხის გარდა... არავინ უყვარს, ქართველს კი, ქართველის გარდა, ყველა უყვარსო!

ეჰ, მონტე-კარლოს რას დავეძებ, ჩვენს ქალაქში რაც ხდება, ის ვერ გაგვიგია. რა მაგის პასუხია და, ამასწინათ (ეს სიტყვა ,,გუშხამივით", ნებისმიერ დროში ინელება), თბილისის ქუჩებში გამოტანილ და გამოტენილ ძველ წიგნებში, ერთ საავტორო წიგნს წავაწყდი, რომელიც, ასე ვთქვათ, კაცობაში ,,ბაყბაყ"დევი — ჩვენი დევი სტურუა... თაობის არანაკლებ სახელოვანი კაცის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის კაკო კარანაძის შვილს — ვაჟიკოს უძღვნიდა!

ნაჩუქარს კბილი არ გაესინჯებაო, მაგრამ როგორ უნდა გაჭირვებოდა კაცს და რა გარემოებას უნდა ეიძულებინა, რომ რაღაც გროშებად შელეოდა ამ საჩუქარს?...

მაშინვე გავიკარი ჯიბეზე ხელი, არა იმდენად წიგნის ინტერესით, რამდენადაც ამ ,,დაუსწრებელ-დასწრებული" დრამატული სურათის გასამუხტად და, როგორც იტყვიან, ,,ჩვენში დასარჩენად" (თუმცა, ალბათ, არც ახლა ღირდა ეს გულახდილობა!)

ცხოვრება იცვლება და, საუბედუროდ, არცთუ უკეთესობისაკენ!

მახლას!

...მერე, მერე, იქ, „ბატონ ბედისწერის" ქალაქში — მონტე-კარლოში რა მოხდა?

რა და... კაზინოში მე შემიშვეს და დათუნა — არა, მიუხედავად იმისა, რომ ისედაც მოდღლეშილი (16 წლის, 190 სმ. და 105 კგ.) ყმაწვილი საახალწლო ინდაურივით იბლინძებოდა, რომ დიდად მოჩვენებოდათ და ცალი თვალით მაინც შეეჭყიტა ამ ყბადაღებული მონტე-კარლოს ციებ-ცხელებაში...

ილფის და პეტროვის ,,მრავალსართულიანი ამერიკა" გამახსენდა, თავისი ,,ელექტრონის სკამის" განსაცდელით და... შევედი, რომ ამ ნუთიერი

ბა პოონ და განსუენებმა, იწყებენ განზრახვად მოროცეისა".

**P.S.** სწორედ ამნაირ „განსხუქებულ მოროცოთაგან გვექირს, რაცა გვექირს.

<u>გურამ ყორანაშვილი:</u>

ცნობილი ფრანგი პოეტი და მოაზროვნე პოლ ვალერი შენიშნავდა: „ისტორია (ისტორიოგრაფიის მნიშვნელობით, გ. ნ.) ყველაზე საშიში პროდუქტია, ინტელექტის ქიმიის მიერ გამომუშავებული. მისი ნიშანთვისებანი კარგად არის ცნობილი. იგი იწვევს ოცნებებს, ათრობს ხალხებს, წარმოშობს მათში ყალბ მოგონებებს, ამძაფრებს მათ რეფლექსებს, ალიზიანებს მათ ძველ წყლულებს, არღვევს მათ ძველ სიმშვიდეს, მიჰყავს ისინი განდიდების ან დევნის მანიისაკენ და ქმნის ერებს მწარეს, ყოყლოჩინას, აუტანელს და ფაცი-ფუცას".

უპირველესად, სწორედ, პოლ ვალერის ეს აზრი გამახსენდა, როდესაც შევიტყვე, რომ ცხინვალში გამართულ საზოგადოებრივ სა-

„სამოთხის" ჯოჯოხეთში შემეხედა და მისი ციებ-ცხელება განმეცადა...

იყო ერთი, ე.წ. „ბაკარა" — რულეტ-ბლეკჯეკის განამანია! რითაც შევედი, იმითვე გამოვედი და, როგორც გითხარით, მოვიგე ის, რომ არ წავაგე... რადგან არც მითამაშია! როგორც პორნოფილმის საყურებლად ბავშვები კინოში 16 წლამდე არ დაიშვებიან, ისე ხანში შესულებს, ვთქვათ, 76 წლამდე, კაზინოში არ უნდა უშვებდნენ (და, თანაც, ისე მამასისხლად ნაშოვნი ფულით, როგორც იგი ჩვენში იშოვება. არადა, ფულს, სწორედ, კეთება უნდა და არა — „შოვნა"!)

მონტე-კარლოში კი, როგორც ერთი აქაური მოარული ხუმრობა (თუმცა, არც მთლად ხუმრობით!) ამბობს: კაზინოში რამდენმა უპატრონომაც არ უნდა ითამაშოს... მოგება მაინც... პატრონს რჩება!... არა, ბიჭო!... სადაა შენი მოსაგები? ვინ ხარ, ვის დაკარგვიხარ!

ისე კი, ერთი საბჭოური პერიოდის ხუმრობისა (ისევ, არცთუ ხუმრობით!) არ იყოს, სწორედ იმ ჭკუაზე ვარ, ამერიკაში მყოფ ერთ თათარს, ყველა პოლიტიკური სიფრთხილის მიუხედავად, რომ ათქმევინა: კაპიტალიზმი ლპება, მაგრამ, ჩემმა მზემ, კაი სუნი კი უდისო!

დიახ, თვალსა და ხელს შუა, სწორედ ასე იყნოსა ლექსმაც ხმელთაშუა ზღვის ეს იგავმიუწვდომელი ზღაპარი!

ნიცა-კანი-მონაკო... არ მგონია, მონახო
უფრო გასაკვირველი — პლანეტაზე პირველი!
აქ ხომ ყოველ ნაბიჯზე ფუფუნება ბინადრობს —
ფანტაზიაც არ გყოფნის, უკეთესი ინატრო!
ხმელთაშუა ზღვა ლოკავს ულამაზეს ნაპირებს —
თითქოს ზღვა და ხმელეთი ქორწინებას აპირებს!
მარგალიტის მძივივით ყრია მთა და ბარია —
აქ ადამსა და ევას სამოთხე აბარია!

P.S. ასე და ამრიგად, თითქოს, ეს სათქმელიც ვთქვი და კალამიც, მინდოდა, დამედო, რომ ცალი თვალით ისევ თბილისიდან წამოღებული გაზეთებისკენ გავიხედე და... როგორც იტყვიან... პირკატა მეცა — აგერ, სადღაც, ნიცაში, „ასავალ-დასავალის" კვირგვინოსნებში, „დანაშაულზე" ნასწრებულივით დამადგა თავზე ე.წ. ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური ლიდერი გიორგი გუგავა და ნამუსზე შემაგდო: „ქართველმა კაცმა, რომელსაც გული ოდნავ მაინც ეთანაღრება სამშობლოზე, თავს უფლება არ უნდა მისცეს, რომ საზღვარგარეთ კურორტებზე გაილაღოსო"! გეყურებათ?

ურა და ვაშა! რევოლუციის ტრიბუნის ნათქვამსა ჰგავს!

აქ არც ასაკობრივი, პროფესიული ან რაიმე სხვა შეღავათი არ არსებობს და ამ ყოვლად „უკომპრომისობაში", ნებით თუ უნებლიეთ, იბადება აზრი, რომ დღეს საქართველოში, სწორად, მგონი, კომპასიც კი აღარ უჩვენებს... სრული ანომალიაა. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები: მთავარი ის კი არაა, ვინ — რას ამბობს, მთავარია, რას — ვინ ამბობს (ისე, ეს ნათქვამი ერთობ უშეღავათო და უკომპრომისოა, თორემ მთლად ტყუილსაც არ ჰგავს!).

დიდი ილია ჯერ კიდევ როდის წუხდა:

„ამ გამწარებულ წუთისოფელში, ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოსო"!

ასეა ეს, მაგრამ „არა გვგონია, სხვაგან იყოს ისეთი ქვეყანა, საცა ადამიანის პატიოსნება და ნამუსი ასე წინდაუხედავად... ილანძღებოდეს, როგორც ჩვენში."

რას იზამ, „დედამიწაზე არ არსებობს შინააშლილობაზე დიდი უბე-

დურებაო", პასკალმა.

„არ არსებობს უფრო დიდი ტრაგედია ადამიანისათვის, როცა იგი საკუთარ მდგომარეობაში ვერ ერკვევა" (ფოლკნერი).

„ძნელია განუკითხავი მსაჯულის ყბაში ჩავარდნა" (სოკრატე).

„ვირნეოდით ქართველები, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა" — მემატიანე.

ვფიქრობ, საკმარისზე მეტი მოწმეა ენაზე კბილის დასაჭერად და დაუფიქრებელი სიტყვის მოსათოკად.

„პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა?!" არადა, ლამის საუკუნეს გატოლებულ კაცს... ვინ მისცა მრავალუცნობიანი განტოლების ამოხსნის დრო?... ძალა? ...ან უფლება?

თავისუფლების უფლება აქვს მას, ვისაც აქვს თავისუფლების თავი!

## Memento mori!

### ან
### გახსოვდეს სიკვდილი!

ლათინურ სიბრძნეში ეჭვიც არ მეპარება, მაგრამ კაცმა რომ თქვას, სიკვდილზე ადრე... სიბერე უნდა გახსოვდეს, თორემ, ისე „ჩაგრეცხავენ", რომ შენგან ცარიელი ადგილის მეტი არაფერი დარჩება.

სიბერისათვის ჯერ კიდევ მაშინ უნდა ემზადო, როცა „გულში გაზაფხული ხარობს..." და არა მაშინ, როცა 100 წლამდე... 17-ია დარჩენილი!

როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ, ოღონდ ეცადეთ, გამიგოთ — დღემდე (83-ე წელიწადში ვარ!) არ ვიცი, რაა სიბერე... გარდა იმისა, რომ გული გარბის და ფეხები უკან რჩება.

ასეა ჩემი ძმაკაცი ომან ომანიძეც — ყველაფერი ემორჩილება... ფეხების გარდა და მე სულ ასე ვარიგებ ჭკუას: ფეხები ფეხებზე დაიკიდე-მეთქი!!!

ყველაფერი რომ ფეხებზე გვეკიდა, ალბათ, ფეხებმაც იმიტომ დაგვეკიდეს ფეხებზეო! — მპასუხობს.

არის ამაში რაღაც ლოგიკა, ისევე, როგორც იმ ჩემს, სლოგანად ქცეულ, სტროფში, რომელსაც ხშირად ვიმეორებ, ჩემი ლხინისუფლების და ჭირისუფლების გასამხნევებლად:

ღმერთმა არ მომცა სიბერის ნიჭი
და ერჩები ასე — ბებერი ბიჭი!

მაგრამ, ფაქტია, რომ მომრავლდნენ სევდიანი დღეებიც!

სასამართლოზე გაუსამართლებიათ საქართველოს პრეზიდენტები: ნოე ჟორდანია (სხვათა შორის, მას ფორმალურად არავითარი თანამდებობა არ ეკავა), ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი. საინტერესოა, როგორ მოიქცა ცხინვალის აღნიშნული სასამართლო ჟიური. თვითონ რა ინტელექტის და ზნეობის ადამიანები იყვნენ მისი წევრები?

15 წლის ნეპალელ მოზარდს მრავალი ბუდისტი მორწმუნე ბუდას რეინკარნაციად მიიჩნევს. ბიჭუნა უკვე ნახევარი წელია, ლოტოსის პოზაში ზის, თანაც უჭმელ-უსმელი.

ისინი, ვინც ბამჯანში ახალ ბუდას ხედავენ, განსაკუთრებულ ნიშნად მიიჩნევენ იმას, რომ მის დედას, ისევე როგორც გაუთამა ბუდას დედას, მაია დევი ჰქვია.

„ახალი თაობა"

„თეოლოგიური მსოფლმხედველობის მიხედვით სამყაროში — ნდობით

ერთი ასეთი დღე იყო 2010 წლის 24 აგვისტო, როცა მანქანის მართვის უფლება ჩამომართვეს!... და, თანაც... ვინ? საკუთარმა შვილებმა!

ეს როგორ?

როგორ და... ჭრელად! ურეკში, ოდესღაც ჩემი ხელით აშენებულ ფინურ სახლში (ახლა, ჩემს უფროს ვაჟს, მის გვერდით, სასტუმრო აქვს წამოჭიმული), ჩემი მანქანით „შევროლე-ეპიკით" ვაპირებდი წაბრძანებას. გადამიდგნენ წინ და მითხრეს:

— რასაც შენ ვერ ხვდები, იძულებულები ვართ, ჩვენ გითხრათ: ამხელა გზაზე, ამხელა კაცისთვის საჭის წდობა აღარ შეიძლება!

ეს იყო ჩემთვის უმძიმესი განაჩენი, რომელიც 1000 სადღეგრძელოთი დღემდე სულმოტანილმა სიბერემ გამომიტანა!

აფსუს!

რა დრო დადგა. ქვეყნის საჭესთან შვილიშვილები... კი არ „ზიან" — სხედან (და ბესო ჟღენტის „იაზეობისა" არ იყოს — ზიანს გვაყენებენო!), ბაბუებს კი საკუთარი მანქანის საჭესაც აღარ ენდობიან!

თუ ჩემი ჩამოწერა თქვენ რაიმე ხიფათს აგაცდენთ... ჯანდაბას ჩემი თავი!

უფრო სწორად, როგორც ჩვენი დროის ხელგაშლილი ბიძა იტყოდა: ჩემი თავი თქვენი ფეშქაში იყოს!

თუმცა, ჯერ ჩემი „შოფრობა" და პოლიციელის სასტვენის ჭკუაზე სიარული არ დამთავრებულა.

...

ჩემი პირველი შვილიშვილი და მეორე გიზო ნიშნიანიძე, მისი პირველი ზამთრის პირველ თოვლში ქუჩაში გავაქანეთ და ისე ყინჩად დადგა, გეგონებოდათ, ეს თეთრი სიზმარი სადღაც უკვე ნანახი ჰქონდა!

ჰოდა, ამ სიზმარს ცხადში, იქვე, მოყვა, ფანჯარასთან მომდგარი ლექსი:

დგას წერტილივით,

ღმერთმა იცის, რა პირი უჩანს...

ბებია ამბობს: ნახეთ, როგორ დააჩნდა ქუჩას!

დიახ, ესაა ყველაზე მთავარი — ვინ როგორ დააჩნდება ამ ქვეყანას!

ჩემი ყანა ბიბინებს! ...მარადისობას არ ვეპოტინები, მაგრამ გულში კი მიხარია, რომ, თაობის სახელით და სასახელოდ, ვერაზე, მუზასთან, ღია ცის ქვეშ, ქუჩაში, ერთ ფილაქნად, ვტოვებ ჩემი ბედისა თუ ბედისწერის ვარსკვლავს, რომ შვილებმა და შვილთაშვილებმა... სადაც თავისი თქვან, იქ ჩვენიც არ დაავიწყდეთ! ანას ანდერძისებრ დაგვადგან ფეხი და... მუხრანის ულრანი სიტყვისა არ იყოს — იარონ, იარონ, იარონ!...

* * *

ყოფნა!...
ღირს თავის გაწირვად.
მე მას ქედს ვუხრი მიწამდე.
ცხოვრება არის მანძილი:
ფეხის ადგმიდან — მიდგმამდე!

*„ერთი გიჟი შეკითხვას რომ დასვამს, იმას, ზოგჯერ, ათასი ბრძენიც ვერ გასცემს პასუხს!.."*

* * *

დღეს 2010 წლის 23 ივლისია.

ჩემი N3 შვილიშვილის დაბადების დღე.

დღეს, 21-საუკუნესა და მას 10 წელი შეუსრულდათ

ამ ლექსპრომტით ვულოცავ ერთსაც და მეორესაც!

### დიმიტრი 10

დრონი დაიძრნენ — სიყრმის მზე...
ვინ იცის, რა წამს გიჯობდა.
დამთავრდა შენი ბავშვობა —
იწყება შენი ბიჭობა!
ამ სიყმაწვილის ათიანს —
(კაციდან ბერიკაცამდე)
მამაზეციერს ვავედრებ —
ღმერთო, სცადე და აცადე!
რომე იცხოვროს კაცურად
(ვარსკვლავს ვუტოვებ სახსოვრად)
სიკეთის საკეთებლად და
ქრისტეს პერანგის საქსოვად!

### გენის გენიალობით!

**(შვილთაშვილებს)**

შვილიშვილების სახით ვრჩები ისევ სახეზე
და უკვდავებისათვის ჩემს გენს მათში ვაქეზებ!
გიზო — ჩემი სეხნია, ჩემი მოსახელეა —
სახელს ვაძლევ, რომ ზიდოს — მეტი რა მოხელეა!
დათომ (ორმეტრიანმა) იდავითოს კაცობით —
ჩვენი დიდი წინაპრის — მის სისხლ-ხორცში გაცნობით!
დიმიტრი თავდადებულს ჰქონდეს თავი დიმიტრის...
მზის — ღმერთივით ტარების — თავსაბური იმ მიტრის!
ელენეს ელენობა —
წმინდა ელენეს კუნძულს...
მიწვდეს — იანგელოზის — სირინოზობა თუ სურს!
ანა ანა-ბანაა გვარის კოდის დიდების —
და განსახიერებაა კარის... სულიწმინდების!
მარიკუნა-მარიკას... მიეც გზა და კვალია —
საქართველოვ, წილხვედრო ღვთისმშობელი მარიას!
ჩემი სისხლი და ხორცი თქვენში დამილოცნია,
სანთელი დამინთია, ხატი დამიკოცნია —
პირჯვარი მიწერია,
დღე დამიღამებია,
ღამე მითენებია,
მზე და მთვარე მხლებია.

და სიყვარულით ხედვა აპირობებს უპირობო რწმენას, რომლის მეშვეობით ადამიანი აღმოაჩენს უზენაეს არსებას — ღმერთს, რომელიც არის საფუძველი როგორც თავისუფლად ვარდნილი ფოთლის, ისე ამ ვარდნის კანონზომიერებისა.

„იაპონელმა გამომგონებლებმა თანამედროვეებს მიცვალებულის „დამარხვის" ახალი მეთოდი შესთავაზეს. ნებისმიერ იაპონელს, რომელიც ამას მოისურვებს, სიკვდილის შემდეგ ქვად „გადაქცევა" შეეძლება. საამისოდ გარდაცვლილის ნეშტის კრემაცია ხდება, ხოლო მის ფერფლს ხელოვნური კრისტალების დამზადებისთვის გამოიყენებენ. სურვილის მიხედვით, სიკვდილის შემდეგ შეგიძლიათ, იქცეთ ნებისმიერი ზომის და ფერის ქვად. მიცვალებულის სახსოვრად დაგვრჩება „ბრილიანტი", ბეჭედი ან გულსაკიდი, რომლებიც ასეთი „მინერალების" გამოყენებით იქნება დამზადებული. უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილის შემდეგ

გენის გენიალობით —
ღვთის მადლით და წყალობით —
ჩვენს სისხლ-ხორცს ვახარებდით —
ჩვენს სისხლ-ხორცში ვხარობდით!

* * *

სამშობლო!

უპირველეს ყოვლისა!

ესაა პოეტების უპირველესი ხატი!

ერთხელ „შტატგარეშე შოთა რუსთაველმა" (ჩემი მოგონილი თიკუნია)! წინიდან — თბილისელმა და უკნიდან — ქუთაისელმა ოთარ მამფორიამ თქვა: მუზა მზეთუნახავ ქალს ჰგავს! როგორც არ უნდა ეცადო... ვერ დაიჭერ. მაგრამ, თუ თვითონ მოგაკითხა... ჯანდაბამდე გზა რომ ჰქონდეს, უნდა გაყვე!

ასე იბადება ლექსი!

ჭკუა უნდა „დაკარგო", რომ ლექსი იპოვო!

ჰოდა, მეც, მისი „ხელის ბიჭივით", თვალებში შევცქერი მუზაგეტს — მუზების მამამთავარს და ვცდილობ, მისი წყალობა... ღვთისწყალობად ვაქციო!

რჯულზე უმტკიცესიაო უჩვეულო ჩვეულება!

ტანჯვასა და ლხინს ნაავგავს იმ მუზების წვეულება —

უკითხავად რომ მოვა და საკითხავად გიხდის საქმეს...

ლექსით დასნეულებული —

ლექსით კურნავ —

ლექსის აკმეს!

...ტყუილად როდი ამბობდა ბარდნალელი ბიჭი (ლადო ასათიანი):

„ავადმყოფობა ეგონათ, ძმაო, ლექსები, ტანზე გამონაყარიო!"

და, თუ მაინც, პოეტობას ავადმყოფობას დავარქმევთ, ისიც ვთქვათ, რომ ეს... ჭირის ლხინია — კარგადმყოფობის ავადმყოფობაა!

### *მიდი — მოვდივარ!...*

ღვთის ურჩებს რა ელით — მნახველი ვარ!
მედროვეს მარადისობასთან რა ხელი აქვს?
დრომ იცის, ვისთვის და რა მოაქვს —
ვერდიქტი დროზე... დროს გამოაქვს!
დროსა აქვს გარჩევის უნარი —
დრო არის მკვლელიც და მკურნალიც!

* * *

არქიმანდრიტი რაფაელის ღვთისნიერი და ღვთისმიერი აზრები სერიალებად იბეჭდება გაზეთ „ჯორჯიან თაიმსსა" და საეკლესიო ჟურნალ „კარიბჭეში" და მეც იმ მკითხველთა ამალაში ვარ, ვისაც მისი სიტყვისა სჯერა.

...და, „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ"... შუაღამე კი არ ინვის, შუადღის პაპანაქებაა. ვზივარ „ბაზალეთის" ტბის დასასვენებლი კომპლექსის სასტუმრო „აჭარაში" (აქვეა „აფხაზეთი", „გურია", „სამეგრელო" — საქართველოს თაიგული). ბაზალეთი ჩვენი ისტორი-

ის „309 სირცხვილიდან" ერთ-ერთია და ძმათამკვლელი ომის ჯოჯოხეთიდან ძმათა ძმობის სამოთხედ აქცია ჩემმა ებრაელმა ძმამ, ფუტკარივით კაცმა ილო მოსიაშვილმა... ვზივარ და „სიო, სარკმლით მონაბერი" ველთა ზღაპარს კი არა, ჩვენი დღევანდელობის სიზმარ-ცხადს მიყვება!

„ცა ისეა მოხატულიო..." მინაზე აღარ უჩერდება გული გალაკტიონს, „რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალიო"!

და, აი, ისიც... ღმერთო ჩემო... ბაზალეთის ნალკოტში, ტბის პირას, თავის ჩრდილს მიუყვება, ოფთალმოლოგიის ენაზე, „ახლომხედველი" და სიბრძნისმეტყველების ენაზე „შორსმჭვრეტელი" (და, მერე, როგორი!) შაოსანი კაცი, რომელსაც მეყავარჯნედ და გზამკვლევად ახლავს მისი სულიერი შვილი... არც მეტი, არც ნაკლები — სამყაროს დედოფალი ჭადრაკში, მსოფლიოს 5- და 9-გზის ოლიმპიური ჩემპიონი... მაია ჩიბურდანიძე!

მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენც და... ისიც!

...ცხოვრებაზე დიდი მეზღაპრე არ არსებობს!

გულით რომ გინდოდეს, ასეთს ვერც ინატრებ და ვერც მოიგონებ.

ამ ფარატინა ქაღალდამდე სანამ ეს ამბავი მოაღწევს, გული საგულეში აღარ იცდის.

რამდენიმე დღით „ბაზალეთში" სულის მოსათქმელად ამოსულ ამ სულიერ ტანდემს მორიდებით ვაყოლებთ თვალს და ჩემი ეკლესიური მეუღლე საქციელ და ფერდაკარგული მიჩურჩულებს: ღმერთო ჩემო, ეს კაცი ხომ... რაფაელ კარელინია!

რა იყო ეს? შემთხვევითობა თუ აუცილებლობა!

ამას დიალექტიკის ენაზე კი არა... სულიერებით თუ ავხსნი — ღვთის ნყალობა, რომელიც ბაზალეთის ტბის სარკეზეც აისახა!

„შარაგზის ყაჩაღებივით" გადავუდექით გზაზე და შენდობა ვთხოვეთ.

შენდობასთან ერთად კი მან გვაახლა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის (შიოლაშვილის) ლოცვა-კურთხევით, გამომცემლობა „მერიდიანში" დასტამბული თავისი წიგნი „მართლმადიდებლობა და ამა სოფლის ცდომილებანი".

„საქართველოში ხალხის ერთობის მთავარი საყრდენი მართლმადიდებლობა იყო."

მწერლის ხელოვნება იმაშია, რომ საკუთარ სამშვინველში მკვეთრი, ნარმტაცი გრძნობები და ვნებები აღძრას და გადასცეს...

„დღეს „განმაახლებლობამ" ახალი პროვოკაციები მოიგონა... მართლმადიდებლობისათვის

სიცოცხლის ასე „გაგრძელება" ტრადიციულ დაკრძალვებზე გაცილებით ეკონომიურია. იაპონია არც ისე დიდი ქვეყანაა და მიწის პატარა ნაკვეთიც კი აქ უზარმაზარი თანხა ღირს...

ევროპასა და ამერიკაში გარდაცვლილის უკანასკნელ გზაზე გაცილების მრავალი უცნაური მეთოდი შემოიღეს. მაგალითად, ამერიკელებს კოსმოსში „დამარხვას" სთავაზობენ. ურნებს ფერფლით კოსმოსური ხომალდების რაკეტებზე ამაგრებენ და გალაქტიკაში სამუდამო მოგზაურობისთვის უშვებენ. ფასიც ხელ რაღაც. 4 ათასი დოლარია. გარემოს თავგამოდებულ დამცველ მწვანეებს მიაჩნიათ, რომ გარდაცვლილის ტრადიციული დაკრძალვა ეკოლოგიურად მავნე რიტუალია. ისინი გვამის თხევადი აზოტით დამუშავებას ამჯობინებენ. გაყინულ სხეულს კი ძლიერი ულტრაბგერითი ხმით შლიან. ნარჩენებს პატარა ყუთში ათავსებენ და მას სასუქად იყენებენ. ასე რომ, საყვარელი ადამიანი, სიკვდილის შემდეგ. მეხა-

სიახლეა — ლოცვა... გიტარის თანხლებით. მალე, მოხეტიალე მუსიკოს-მონაზვნების ახალი ტიპი გაჩნდება"...

„ჩვენს ეკლესიურ სამყაროში გამოჩნდნენ უხილავი ძალები, რომლებმაც მიზნად დაისახეს დისკრედიტაცია უყონ... მართლმადიდებლურ მენტალიტეტს. შექმნან ადოგმატური რელიგია — ქრისტიანობა ქრისტეს გარეშე... ლიბერალური ქრისტიანობა, რომელშიც ქრისტე წარმოდგენილია არა, როგორც მაცხოვარი, არამედ ზნეობრიობის მასწავლებელი, რომელმაც გოლგოთის მსხვერპლის გზით კაცთა ცოდვები კი არ გამოისყიდა, არამედ მხოლოდ თავგანწირვის მაგალითი გვიჩვენა".

...რომელ ცოდვილს სურს სარკეში თავისი მახინჯი სახის დანახვა?!

იოანე ღვთისმეტყველის ეპისტოლეში ნათქვამია, რომ „ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა დგას" (1 ინ. 5,19).

ქვეთავი „ჩვენი დროის ჰეკატომბა" გვაუწყებს, რომ როცა ბერძნებმა ტროა დაიპყრეს, ცოცხლად დარჩენილ ტროელებს შესთავაზეს, დაეტოვებინათ გადასაწვავად განწირული ქალაქი. ამასთან, თითოეულ მათგანს ერთადერთი ნივთის წაღების უფლება მისცეს. სახელოვანმა ტროელმა გმირმა ენეასმა თავისი ღრმად მოხუცებული და სნეული მამა შეისვა ზურგზე — ჩემი ყველაზე ძვირფასი განძი ეს არისო!

„ჩვენი სამყარო ძალიან ჰგავს ილუმინაციებით გაჩირაღდნებულ „ტიტანიკს", რომელიც, ვინ იცის, საით მიცურავს ისტორიის ოკეანის წყვდიადში"...

... მსოფლიო ისტორია დაგვემოწმება: კაცობრიობა ღრმა სნეულია. არც ერთი არსება დედამიწაზე არ არის ისე გარყვნილი და მანკიერი, როგორც ადამიანი... ზეციური ნათელის გამოკრთომები მეტაფიზიკური წყვდიადით იცვლება. „პარადოქსია: რაც უფრო ცოდვილია ადამიანი, მით უფრო ნაკლებად აღიქვამს თავს ასეთად".

საუკუნო ცხონება არის ღმერთთან საუკუნო თანაზიარება!

„ზოგიერთი ღვთისმეტყველის თქმით, ჯოჯოხეთი უფლის უკანასკნელი წყალობაა ცოდვილთა მიმართ. ღმერთი ისე არ სჯის ცოდვილებს, როგორც ამსოფლიური მართლმსაჯულება. იგი მათ ადგილს უმკვიდრებს მარადისობაში — იმ ადგილს, რომელიც დაიმსახურეს".

...„სინანული, ისევე, როგორც ყველა სხვა სათნოება, დაფარული უნდა იყოს!"

...ჰუმანისტმა უიტმენმა თქვა: შრომის ოფლის სუნი... ყოველგვარ ლოცვაზე უფრო სურნელოვანიაო"... „მართლმადიდებლობა უღრმეს ზნეობრივ პრინციპებს შეიცავს, მაგრამ სრულიადაც არ აიგივებს თავის თავს საზოგადოებრივ ეთიკასთან.

„ჭეშმარიტ სიკეთეს, მარკოზ მოღვაწის სიტყვით, მხოლოდ ღმერთის მადლი იქმს". თეორია, რომლის თანახმადაც, ადამიანის ცხონება შესაძლებელია მხოლოდ მისი კეთილი საქმეებით, მიუნჰაუზენის მოგონილ ერთ-ერთ ზღაპარს წააგავს: ბარონი საკუთარ წაწნავს რომ ჩაებღაუჭა თავისი თავისა და ცხენის ჭაობიდან ამოსათრევად!"

„ეკლესია ღმერთკაცობრივი დაწესებულებაა."

„პირველი, ვინც თავი ღმერთს გაუტოლა, იყო სატანა."

„რა საბრალო იქნებოდა ის ღმერთი, რომლის დანახვაც შესაძლებელი გახდებოდა მიკროსკოპით ან ტელესკოპით."

„ქრისტიანის გზაა — საკუთარი გულის უფსკრულის დანახვა სინანულის შუქზე."

„ვფიქრობ, მაიმუნი უფრო შეძლებს სცენაზე კაცის როლის თამაშს, ვიდრე მსახიობი — ქრისტეს წარმოსახვას."

...მაინც, რა არის მთავარი ენება?

ამპარტავნება, ამპარტავნება!

„კაენის შთამომავლობამ სწრაფად განვლო გზა თეიზმიდან ათეიზმამდე... სატანიზმამდე!"

* * *

... ტელეფონის ზარსაც კი მეზარის ხმა აქვს — ხან შემზარავს — ავ-კარგ ამბავს, ავად თუ კარგად, გაარჩევ! საოჯახო ელსმენი ნერას მანყვეტინებს. ჩვენი დროის ერთი ცნობილი ექიმის — პროფესორ გივი ბახტაძის შეილი მირეკავს (საიდან გავახსენდი!).

— ბატონო გიზო... დედა გარდაიცვალა. 6 ივლისს ვასაფლავებთ... უკაცრავად, — თქვა მან და ყურმილის „ტუ-ტუ-ტუუ" დამიტოვა ჭირისუფლად.

გავშრი. მელანი კალამზე შემაშრა.

„დედაო"... იცით, რომელ დედაზე მელაპარაკებოდა? — გულნარა კასაბაშეილზე, ლამის მთელ თბილისს რომ უყვარდა; პლეხანოვზე რომ ცხოვრობდა, „საბაჩი პერეულოკში" და სხვადასხვა უბნელები მანანწალა ძაღლებივით აედევნებოდნენ ქუჩაში ან თვალით მიაცილ-მოაცილებდნენ... ანგელოზებს უფრთხობდნენ ერთმანეთს ამ გოგოს ეშხით: ე, მანდ ვინმეს რამე არ შეეშალოსო!

თანაც, ერთი ძველზე-ძველი ბიჭის, მაშინ საყოველთაოდ ცნობილი „ჩარლიკას" (კასაბაშეილის) ნათესავი იყო და უბატონოდ ხმას ვინ გასცემდა!

კაცმა რომ თქვას, თვითონაც შავზღველ ამორძალს ჰგავდა და ვაგლახად ვერავინ ვერაფერს გაუბედავდა. მეგობრობა და ავისა თუ კარგის გარჩევა კი ბიჭებზე უკეთესი იცოდა! მოკლედ ჩვენს დას — თემიდას ვეძახდით!

აფსუს!

ეს ის გულნარაა... ნიაზას პირველი სიყვარული, დაბადების დღეზე „საჩუქრად"... გალაკტიონი რომ მიუყვანა!.. მეორეჯერ კი თბილისური ზამთრის თოვლის ერთი ფიფქი მიართვა ხელისგულით...

ამ სტრიქონის გარდა, არაფერი მახსოვს ამ მეტაფორისა... არც ლექსი, არც ავტორი და ეს სტრიქონიც, ალბათ, მხოლოდ გულნარა კასაბაშვილის ეშხით, მისი ავტორიტეტით თუ შემორჩა ყურს, გულს და... დასავინყებლად, მით უფრო, დასამინებლად არ ემეტება!

გულიკომ დამნყვიტა გული და... სიცოცხლე ქსელიდან გამორთეს —

მიდიან, მიდიან, მიდიან და რჩება ფიქრების სამოთხე!..

თავს გიხრით იმ მინამდე, რომელსაც ასე ამშვენებდი!

ძლით, რომელიმე მეენარედ „ამოიზარდოს".

**P.S.** არ ვიცი, ამ ულტრათანამედროვე გარნიტურიდან, რომელი ჯობია — ბრეჟნევობა, სახუქრობა, კოსმოსში დამარხვა თუ გალაქტიკაში ცურვა და თავბრუხვევა.

ამიტომ გირჩევთ, თავი შეიკავოთ სიკვდილისგან...

ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ უკვდავების წამალსაც გამოიგონებდნენ.

გიორგი სანადირაძე — „ალმასელის ჩამევების კიბით" („მეგრელთა საქმე") საქართველოს კპ(ბ) ცეკას მეორე მდივნის მიხეილ ბარამიას დაკითხვის ოქმიდან.

დაკითხვა: სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელმა, უშიშროების პოლკოვნიკმა სუქპანოვმა.

კითხვა: ...კიდევ რამე გამოიხატებოდა იდეოლოგიურ ფრონტზე არსებული არასასურველი მდგომარეობა?

პასუხი: ინტელიგენციას მიერ ცუ-

„სულთათანა განუსვენე, მაცხოვარ!"

* * *

ტელეფონის ზარის ხმაზე ეცნობ ავსა თუ კარგ ზარს... ზოგჯერ, დილის საარის ხმასავით გაინკრიალებს, ზოგი თავზარივითაა...

— გისმენთ!

— ზაურ ბოლქვაძე გარდაიცვალა! — მატყობინებს ერთი... იმ დარჩენილი თუ გადარჩენილი — თითზე ჩამოსათვლელი ძმაკაცებიდან.

ეს უკვე მეორე ზაურია!

და მეორე ბოლქვაძე!

ის — პოეტი, ეს — მომღერალი (თანაც, როგორი!)

ორივე „დააკლდა" ქალაქს... მაგრამ ამ სიტყვას მაინც ბრჭყალებში ვსვამ, რადგან მეხსიერებიდან არ ამომდის და სულ პირზე მადგას პოეტ ზაურ ბოლქვაძის, იგივე „ლომის", უკვდავი სიტყვები: „მე, პოეტი ვარ — მინა ვარ, ცა ვარ... მე, პოეტი ვარ — სიერცე ვარ, დრო ვარ... მომენატრება სიკვდილი — წავალ, მომენატრება სიცოცხლე — მოვალ!" ასეა მეორე ზაურ ბოლქვაძეც, რომლის განუმეორებელმა სიმღერამ ბევრი ბედნიერი დილა გაგვითენა და სალამო დაგვიღამა... ზაურ ბოლქვაძეს (ერთსაც და მეორესაც) შეეძლო, როგორც პრუსიის მეფე ვილჰელმმა შემოუთვალა ერეკლე II-ს, ეთქვა: „დასავლეთში მე — აღმოსავლეთში ჰამლეტ გონაშვილი!" (ხო, ხო... რა ფუფუნებაში ვიყავით!"

როგორ ჩუმად, უხმაუროდ გაიკრიფნენ ბიჭები...
წავიდნენ... ხმა ჩაგვიწყვიტეს... და შეგვიკრეს კრიჭები.
როგორც მოსვლით გაგვახარეს — წასვლით გვაუბედურეს —
შეხმატკბილებისთვის ეუთვლი — მადლობის საყვედურებს.
სადაც თქვენ ხართ — ლხინი იქა!... იქ ჭირის დღეს რა უნდა?!
ენით უთქმელ გამოსათქმელს... უთქმელადაც თქმა უნდა.
გასვენების... დასვენება როგორ არ დავიჯერო?...
ღმერთმა ნათელში გამყოფოთ, ნათელ-სანთელ-ბიჭებო!

* * *

სენეკა (უმცროსი): სიკვდილი, სასჯელი კი არა... კანონია!

* * *

...2010 წლის დეკემბრის 28-ე კალენდარული დღის სტოპ-კადრი!

დღეცაა და დღეც... წუთიცა და წუთიც... საათის ზარის ხმითაც... ნამმზომის ტიკტიკითაც რომ გამოარჩევ!

დიდუბეში — ერთ დროს „ცხენის ტერფად" წოდებულ — დედამიწის პატარა უბეში მეორე ზაურ ბოლქვაძეს ვასაფლავებთ — ქართული ხმების" პირველ ხმას! ორი ზაურის ეს „აურზაური" ბევრი ხომ არაა ამ ერთი ციცქნა მიწისათვის — იეთიმ გურჯისა და მისი მარაქის ხალხის ხსოვნას რომ ინახავს!

ეს ზღვა ხალხი აქ, საყოველთაო ყურადღებამ, მისმა გულისყურმა მოიყვანა! „იყო შაშვი მგალობელი (ღმერთი ჩვენი მწყალობელი!)", მთე-

---

*ჰორაციუსი: „პოეტებს საშუალო დონეზე ყოფნის უფლებას არც ღმერთები აძლევენ, არც ადამიანები და არც წიგნით მოვაჭრენი"!*

ლი თავისი სული და ხორცი გიტარაზე დაამღერა და ახლა მისი დუმილის მოსასმენად მოაწყდა დიდუბეს მთელი საქართველო!

ეს დღე, სიკვდილი რო არა... რაღაც სასწაული გამოდგა, რომლის დღესასწაულობას თითქმის არაფერი აკლდა... თვითონ ზაურ ბოლქვაძის გარდა, რომელმაც ჩემი ბევრი დაბადების დღე... კი არ მანყეელინა... მალოცვინა და ჩვენი ძმობის „კასეტებად" სახსოვრად დამიტოვა! ასე რომ, ამ ზაურსაც... როცა უნდა, — ნავა! როცა უნდა — მოვა! როცა უნდა — ცოცხალია! როცა უნდა... დაისვენებს! (თუმცა, ვინ დაასვენებს!)

...ახლა ჩავრთოთ ისევ 2010 წლის 28 დეკემბრის ქრონომეტრაჟი და „გაზეთჩიკის" ჩემი ძველი ხელობით — რეპორტაჟით წარმოვადგინოთ ეს... ვისთვის — დღე უკანასკნელი და ვისთვის — დღე პირველი!.. მთელი თავისი შემთხვევითობა-აუცილებლობითა თუ მიზეზ-შედეგობრიობის დიალექტიკით!

...პირველი არხიდან დამირეკა დაუვინყარი კაცის — დათო შალიკაშვილის ტელეჟურნალისტმა ქალიშვილმა ქალბატონმა მარიკამ და საახალწლოდ, ასე ვთქვათ, „თათარიახნი" საახალწლო ელფერის ინტერვიუ მთხოვა. მოვიდა ტელეოპერატორთან ერთად და ამალაპარაკა, როიალთანაც დამსვა და ნამომამღერა კიდეც!

ამ დროს, სად იყო, სად არა — ნანატრიევით, დაბარებულივით (ახალი წლის მოსალოცად!) მომადგა კარზე მამა საბა (კუჭავა) — მახათას მთაზე მშენებარე ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის მოძღვარი, ვისთანაც ჩვენი სულიერი ნათესაობა ჯერ კიდევ „ზედაზნიდან" მოდის!

საოცარი თანადგომა თუ დამთხვევა იყო, რომელმაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტი სულიერება და აზრი შესძინა ჩვენს შეხვედრას.

მამა საბასთან ერთად დამდეგი ახალი წელი მივულოცეთ ჩვენს ვერ იქნა და ვერდანყნარებულ (მაგრამ, ასე ამღერებულ-აცეკვებულ) ერს და დავლოცეთ საქართველო: ღმერთმა მოგვცეს საქმე ისე საცეკვაო-სასიმღეროდ... როგორი სიმღერაც და ცეკვაც ვიცით-მეთქი!

დანარჩენი კი, რაც იმ საახალწლო გან-ნყობილების ნუთში ხმამაღლა ვერ ვთქვი... ჩუმად ჩავინერე გაზეთის ნაგლეჯზე, აგერ ახლა... სუფთა ქაღალდზე გადა-სატანად:

დროც — სივრცეც — მატერიაც... ფიზიკაშია!
მეცნიერების დარგებია მისი „ხელობა".
მიზიდულობის კანონი თუ კელავ ძალაშია...
ამ დედამიწამ სულ დაკარგა... მიმზიდველობა!

დად დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრ-დელობითი მუშაო-ბის შედეგი იყო ისიც, რომ ზოგიერ-თი პოეტი მეტისმეტ ხოტბას ასხამდა თავის პროვინციას, გორებსა და გორაკე-ბს, თავისი კუთხის კამკამა ნაკადულებ-სა და „განსაკუთრე-ბულ ზეცას". და, ამავე დროს, ვერ ხედავდა საქართვე-ლოს სიამაყეს — რუსთავის მეტალურ-გიულ ქარხანას, ქუთაისის ავტოქარხ-ანას, ჰიდროელექტ-როსადგურებსა და სხვა საწარმოებს, საბჭოთა ხუთწლედე-ბის წლებში რომ აშენდა.

მე. ჩარკვიანს, მარიას და მადურს ბრალი მიუძღვის იმაში, რომ არ გამ-ოვიყენეთ საჭირო დასკვნები საკავ-შირო ცენტრალური კომიტეტის მითითე-ბებიდან, ლიტერატუ-რულ მუშაკებს შო-რის იდეოლოგიური საქმიანობის გა-ძლიერების შესახ-ებ. ჩვენ არაერთგ-ზის გვიმსჯელია საქართველოს კო-მპარტიის ცენ-ტრალურ კომიტეტში საქართველოს ზოგი-ერთი მწერლის და პოეტის შემოქმედებ-ით საქმიანობაში კუთხურობის, არა-ჯანსაღი ტენდენ-ციების საკითხებზე და ამ უალრებად

* * *

სანტა კრუსიც გამიგია, სანტა-ფეც, სანტა-ელიაც და ამ სანტა-კლაუსმა ხომ ლამისაა, დამიქვრივოს თოვლის... ბაბუაცა და ბებიაც! ალბათ ამ განწყობილებისაა ეს სიტყვებიც:

სანტა-კლაუსებს ესაქმებათ ნეტავი აქ რა?
თოვლის ბაბუა შარშანდელი თოვლივით გაქრა.
ჩვენი „უსები" კარგად ახსოვთ და კითხეთ რუსებს —
რუსის „ვანიას" ვამჯობინებთ — სანტა-კლაუსებს!
...დედის მაგიერად დედინაცვალს ვიფიცებით ახლა —
ბატონს ვახლავართ!
თუ ბატონი იქითა გვახლავს?...
მახლას!... ჩვენს ამბავს თუ იკითხავ, ვართ, არა გვიშავს —
წყალნი წავლენ და წამოვლენ და... ტოვებენ ქვიშას!

* * *

ჰეროდე: მე ჩემი ქვეყნის მომავლის ყველა იმედს დავკარგავ, თუ მმართველობის სათავეებს ხელში აიღებს ახალგაზრდობა, რადგან იგი აუტანელია (გაუტანელია!), თავშეუკავებელია (მგელია)... უ-ბრალოდ (?) საშინელებაა! (ეს კაცი მთლად შორებელ დროში მცხოვრებ და მთლად შორებელსაც არ ჰგავს, მაგრამ სადღეისოდ ჭურში ზის!)

ძველინდური აფორიზმებია: რა მოთოკავს გამხეცებულ მხეცს, აშაღლარ (გიჟ) მეფესა და გაბოროტებულ სწავლულსო?

დიდება შენ, სილატაკევ, ყველაფერს ხედავ და ვერავინ გხედავს!

ძნელია არსებობა, ცოდნის შეძენა, ხელისუფლების ხელში ჩაგდება, მწერლის ხელობა...

სხვას აპატიე — შენს თავს არა!

...ახლა კი მამა საბას საახალწლო „მისიაზეც" ანუ „მოკითხვასა და ნახვის ნატვრაზე" — მისი მოსვლის მიზეზზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა!

რაში ყოფილა საქმე?

კარგა ხანს ვუსმენდი სულიერი მამის მოსვლის მიზეზს, რომელიც... ღმერთთან რომ მართალი ვიყოთ და ალალად ვთქვათ — ჯერ თვითონაც არ ჰქონდა, ასე ვთქვათ, კარგად მოხელკეთილებულ-„მოპირკეთებული"!

— ბატონო გიზო!... — მსმენელის სულგრძელობის იმედით მოკლედ მომიჭრა მან, — უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია II-ს სურს, გაუზიაროს მრევლს თავისი ერთი ახალი ჩანაფიქრი! კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა და სასურველია, ერის, ხალხის სახელით, თქვენ იყოთ ამ სიახლის ანუ ამ იდეის პირველმსმენელი და პირველშემფასებელი.

ეს დიდი პატივი იყო და... მეორე დღესვე, დიდი მოკრძალებით (რამდენიმე თბილისელ არქიტექტორთან ერთად) შევაღე საპატრირქოს საახალწლოდ დამშვენებული სადარბაზოს კარი, სადაც პატრიარქი სტუმრებს იღებს.

და, აი, დადგა პატრიარქთან ჩვენი სტუმარ-მასპინძლობის ნეტარი ჟამი:

გაიღო კარი და გვეახლა მისი უწმინდესობა... მისი უნეტარესობის ნათელით.

ამ ნუთში ისიც არ ვიცი, ჯერ მაქვს თუ არა ყოველივე ამაზე ხმამაღლა ლაპარაკის კურთხევა!

ორიოდ სიტყვით კი ეს არის „ჩემ შემდეგ ქვა-ქვაზე არ დარჩენილას" პრინციპით ხელჩაქნეული კაცისა, ანუ ნარღვენის კი არა... ჩვენი მომავლის საიმედო ხვალინდელი დღის უკვდავებაზე ფიქრის სულიერი ზეკაცობის ღვთიური მაგალითი!

— რას იტყვით იმის თაობაზე, რომ „სამების" საკათედრო ტაძართან, ჩვენმა თაობამ, მომავალ თაობებს დაუტოვოს სულიერებისა და კულტურის ცენტრი, ანუ მეცნიერების მწერლობის, მხატვრობის, მუსიკალური ხელოვნების შემოქმედებითი ტაძარი... კოლიზეუმივით სასახლე — შუაში ღია ცისქვეშა დარბაზით, შემოქმედებითი სახელოსნოებითა და დიდოსტატთა სამუშაო ოთახებით... სადაც ჩვენი ერის ძველი თუ ახალი ნიჭიერება მოიყრის თავს!!!

ეს იყო კითხვა, რომელიც ჩვენგან პასუხს ელოდა!

...მივდიოდი საპატრიარქოდან და, როგორც ჩემი ძველი ნინაპარი იტყოდა, ცა — ქუდად მეჩვენებოდა, დედამიწა — ქალამნად და ფიქრი მეშვიდე ცას ნვდებოდა!

... აღარც თავი „მახსოვდა"... პატრიარქის აზრი ყრუანტელით მოვისმინეთ და ვთქვი, რომ ყოველივე ეს საწყალ ნიკალას (ან ნიკალას საწყლობა ვინ თქვა!) ფიროსმანის ნათქვამს მაგონებდა, მწერლებს რომ გაანდო გულის ნადილი: მოდით, ერთი ოთახი ვიშოვოთ, იქ შევიკრიბოთ-ხოლმე, ჩაიდანი დავდგათ, ჩაი ვსვათ და ხელოვნებაზე ვისაუბროთო!

აკაკის — „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი ქვეყნის" ბულბულის სიტყვებია... „გარემოების საყვირი — ხან მინისა ვარ, ხან — ცისაო!"

...მიწასა და ცას შორის —
პატრიარქია ჩვენი შუამავალი...
ღმერთო, ატამიერე,
მიეც წლები მრავალი!...
ეს ღმერთ-კაცობა —
უფლის წესია —
როგორც მესია —
ისე მისია
ორივესია!...

ყოველთვის, ყოველგან, ყველასთან თქვენი სიტყვებით ვამბობ და ვიტყვი, უწმინდესო:

ჩვენთან არს ღმერთი!

შემიძლია, გულზე ხელი დავიდო და ხატთან და სანთელთან განდობილი ლოცვა ხმამაღლა ვთქვა. ჩემი დილა ამით იწყება და საღამო ამით თავდება:

მავნე მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე".

ვახტანგ რაზმაძე:
ხამეიმეილის ნეკროლოგზე ხელმომწერთა უმეტესობა მისი მკვლელობის თანამონაწილეები იყვნენ.

როგორც ისინი „იზიარებდნენ" სხვათა მწუხარებას, ისე „იზიარებს" ხალხი მათ სიხარულს.

ეშმაკმა დალახვროს! — ასეთი არც ჭირისუფალი და არც ლხინისუფალი უქნია ღმერთს!

...გოეთეს, ეკერმანთან საუბრებში, მეფის შესახებ ასეთი ნათქვამი აქვს: — „მე რომ მეფე ვიყო, სახელმწიფოს პირველ კაცებად არ გავაჩერებდი იმათ, რომლებიც დაბადებით და გაკვალულ გზაზე ხანგრძლივი წინსვლით ან რაღაც დამსახურებით აღზევებულან, სადაც, რა თქმა უნდა, ბევრი არაფერი გამოვა. უმალ ვისურვებდი მყოლოდა ახალგაზრდები, ოღონდ ცხადია, გამჭრიახი გონებით დაჯილდოებულნი, ენერგიულნი, კეთილი ნებისანი და ხასიათით უკეთილ-

ღმერთო, გვიცოცხლე საქართველოს სულიერი მამა ილია II, რომ მისმა ლოცვა-კურთხევამ გვაცოცხლოს!

... იმ საშვილიშვილო, სალოცავ საქმესთან ერთად — აქვე დავილოცები:

ღმერთო, გვიცოცხლე და გვიბედნიერე ბიძინა ივანიშვილი და მისი მსგავსი ქართველები, რომ საქართველომ იცოცხლოს და იბედნიეროს!

ეს მარტო ჩემი კი არა, მთელი საქართველოს სალოცავეია!

ისევ ლექსმა წამომაშველა სიტყვა!

ფულს უნდა არა „შოვნა", არამედ — კეთება...

ხარჯვას კი „გზის" პოვნა და სულისკვეთება!

ასეთი (თავს ზევით არ არის ძალა!) —

მშოვნელი — მინახავს, მხარჯველი — არა!

P. S. გულიანები — იშვიათად არიან ფულიანები

(ტრიალებს ცხოვრების ჯარა).

„ფულიანებო, იყავით გულიანები!"

— თაკო ჩარკვიანმა ბრძანა!

... ამ კაცის დანახვაზე... უნახავის მნახველი ვხდები და ენით უთქმელი რაღაც მჭირს! მისი სტიპენდიანტი ვარ (ეს გამოთქმაც ჩემი მოგონილია!), საქვეყნო... საქვეყნო ვალს ვიღებ და, ქვეყნის სიყვარულის გარდა, სხვა ვალი არა მაქვს — საქართველოს ერთგულება — ფასდაუდებელია!

...ჭირი იქა, ლხინი აქასავით გაშლილ ჭირის სუფრაზე... ლხინის საბაბიც იყო, რადგან ისეთ ბიჭებს აქ სიკვდილი არ უწერიათ, იქ კი ისინი ღმერთს ებარებიან სამარადისო სასუფეველში.

ზღვა ხალხში, უეცრად, ბერიკასთან და კახისთან (კავსაძე) ბიძინა ივანიშვილი დაველანდე, თავისი სათნო მეუღლითურთ!

ვერც კი შევამჩნიე... ფეხებმა თვითონ მიმიყვანეს საქართველოს ამ დიდ ჭირისუფალ-ლხინისუფალთან და ენამ თვითონ მათქმევინა... მარტო ჩემი კი არა... ქვეყნის სამადლობელი. ჩემი ხნის კაცს კი, ალბათ, ქებით ველარ გააფუჭებ და ისიც, მისთვის ჩვეული ხელგაშლილობითა და გულგახსნილობით შემომეგება:

— კარგი მამა ხართ, მაგრამ არანაკლები შვილი გყოლიათო!

(ზაზასთან რაღაც საერთო საქმე გასჩენია, რაც ერთობ მახარებს!)

— მამულისთვის ასე სჯობს-მეთქი! — ჩემსას რომ ვერ მივაგენი... ხალხური სიბრძნე ავიფარე.

P.S. P.S. ამასობაში გულმა ლექსიც გვიკარნახა:

სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილში...
გამარჯვებული ის არის,
ვინც ნაყოფს ისხამს სინდისში
და ჩვენი ნატვრის ხის არის!

2010.28.12.

## *სვეტიცხოვლური ფიქრები*
## *მამა-პაპათა საძვალესთან*

...წინაპართან გამოსაჩენ პირსაც ვერა ვხედავთ —
ვცხოვრობთ ვაივაგლახით და სიკვდილსაც ვერ ვბედავთ!
წუთისოფლის სამდურავსა — მარადიულ სოფელს...
ვერ უსაგზლებ უჭკუობით — კაცსა ჭკუათმყოფელს!

...გულზე ხელის დასაკრეფი დრო არ არის ახლა —
ხოში მაქეს, რომ დღეს „ვახოში" გაგაღვიძო,
ვახტანგ!
გორგასალო! არ აცალო დაკნინება მართვეს —
შენი ჯიში და ჯილაგი — უჯილაგე ქართველს!
საქართველომ „გმირთა ვარამს" რომ გაართვას
თავი —
„დათოში" მსურს, შეგაღვიძო, მეჯედმეფევ, დავით!
შენც „თაკოში" იმზირე, მზეთამზეო თამარ!
ნუ დაგვეტოვებ ენის ჩლუქით, „თამუნიას" ამარ!
ღმერთო ერთო!... შენ გვასწავლე მტერ-მოყვარის
ცნობა —
ქეთევანის წამებაა... ქეთუსიად ხმობა!
ნინოს — ნინიდ, ნანას — ნანიდ —
ნანუკებად ჟღურტულს
ქართულ ენას განდაგანით... სულ სხვა სისხლი
უდუღს!
სად „იკა" და სად ირაკლი... ნაკლიცაა — ნაკლიც!...
ერეკლის ხმლის „მუსაიფით" ფეხზე იდგა სახლი!
დილაცა და საღამოცა „მშვიდობისა" იყო —
პოდა, შიდააშლილობამ გვეიყო, რაცა გვეიყო!
...სად „ფარნა", სად ფარნავაზი და ქართული ენა —
ურომლისოდ არრა არის არც „ვაზი", არც ლხ-ენა!...
რანი ვართ და რანი ვიყავთ — რისი მოისარნი —
რა ჯიშის და ჯილაგისა — ვისი გორისანი?
სისხლის ყივილი არ ესმის კრწანისს და ბასიანს —
მოთმინების ფიალას ჰგავს გრაალის თასია.
არც დიდგორი დიდგორობს და ქართლის ჭირსა ვერ
ვთელით —
ვერ იქნა, ვერ შევიკარით ფიცითა თუ ვერცხლით!
მამა-პაპის ხმალ-ხანჯალი ჩანს წარსულის ელჩად —
სახლის კედლებს, ხალიჩებზე, ძველ დიდებად
შერჩათ!
შაგრენიეთ დაგველია საქართველოს რუქა...
და ვინ იცის, ამ ქვეყანას, ეშმაკი რას უქადს?...

* * *

არ შეიძლება არც თქმა, არც ართქმა — სიბერე ზამთრის მზესავით გატკბა!... ოღონდ ეს არის, ნატერის ხესავით... ხელში არ შემრჩა ბავშვობის ნატერა! და ის ნარსული (თავის ნამყოთი) — ვით დღე და ღამე, ვით ცა და მინა... და იმ სამოთხის ოქროს ნაყოფი... განხეთქილების ვაშლებად იქცა...

* * *

თვალი და ყურები ფანჯრებია,
სახლისთვის პირია კარებად:
ერთგულ გულს, ფხიზელ თვალს, მახვილ ყურს...
ბოროტი ვერ გაეკარება.

მობილეხნი"...
დღევანდელ დღეს, თუ ამ საზომით მივუდგებით, სწორედ ასე უნდა ვქნათ და ვეგონოთ.. თუმცა, ერთი დასანამისეული ჩინური სიბრძნეც არ დავივიწყოთ: სასაცილოა ის ქვეყანა, რომელსაც მოხუცები თავკაცობენ და საცოდავია ის, რომელსაც ახალგაზრდები მართავენ!
არც სიყვარულს, არც მეგობრობას ასაკი არა აქვს... სახელმწიფო საქმეს — მით უმეტეს!

პოლიტიკა, ისტორია... ერის მეხსიერებაა!
1872 წელს პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოვიდა, არა გოგოლის, არამედ ნამდვილი რევიზორი, რომელმაც სასულიერო სემინარიაში ქართული ენა აკრძალა.

ზოგიერთმა ახალქალაქელმა სომეხმა ჯერ კიდევ კარგად არ იცის, რა უნდა: ავტონომია თუ ფედერაცია?
კაცმა რომ თქვას — არც ჩვენ — ქართველებმა ვიცით — რა გვინდა?
ეს, ამ „დამოხვეულების" ინტერესთა დამოხვევაა, რაც ასევე ემოხვევა მს-

ქართული სიბრძნისაცა აქვე ვთქვათ! ჯიხვმა თქვა: ჩემი რქის ზევით მარტო ღმერთი მეგულებაო!

* * *

ალავერდი ჩემს რედაქტორთან — კაცისტვინა ქალთან, კერძოდ, ბიოლოგიისა და, ალბათ, საერთოდ, „ყველა სხვა მეცნიერებათა" დოქტორთან, „კვირის პალიტრის" ერთი საამდროო სხარტულა: „ცოტაა, შენი თავის ფასი იცოდე, საჭიროა, შენზე მოთხოვნილებაც იყოს!" არც ჩვენ გვჭირდება ისეთი დრო, რომელსაც ჩვენ არ ვჭირდებით!

* * *

მართლკვეთა (ბერძნ.) — სწორად და მართებულად თქმა. სიტყვის ხელოვნების ტერმინია.

მარიალისა — ივნისის (თიბათვის) კიდევ უფრო ძველი, ქართული წარმართული სახელწოდება.

მარტიროლოგი — თხზულება, მოწამეთა ღვაწლის ამსახველი კრებული., „მოწამეთა წიგნი".

„მარწუხი" — ნაკვერცხლის ასაღები საკეცე, ანუ მაშაა. ტიმოთე გაბაშვილს მისი სახელი დაურქმევია ისტორიულ-პოლემიკური ხასიათის თხზულებისათვის.

მარწუხს „დიდი სჯულის კანონში" ეძახდნენ საზიარებელ კოვზსაც.

„შენი ნახვა მეამება, როგორც კოვზით ზიარება"... არ ვიცი, ვისი სიტყვები და სიმღერაა, მაგრამ ამ სიმღერით კი ვიჯერეთ გული იმ სიყმაწვილის დროის „გაუმხელელი სიყვარულის" მალვა-მალვაში...

მახარებელი — „ახალი აღთქმის" უმთავრესი წიგნის — სახარების (იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თხზულების) დამწერი წმინდა მოციქულნი, რომელთაგან ეკლესიამ კანონიკურად ცნო ოთხი მოციქულის: მათესი, მარკოზის, ლუკასი და იოანეს სახარება.

გიორგი მთაწმინდელის დიდ სვინაქსარში, წიგნის მკითხველს, ფსალმუნთა მთქმელს — მეფსალმუნე ჰქვია.

მექა — არაბეთის ნახევარკუნძულზე მდებარე მაჰმადიანთა წმინდა ქალაქი.

მზე და მთვარე! — ჩვენში წარმართობის ერთ-ერთი გამოხატვა მნათობთა თაყვანისცემით აღინიშნებოდა. მამაღმერთად კი მთვარეს თვლიდნენ (მისი დღე ორშაბათი იყო), მზე კი დედად მიაჩნდათ. დღე „მზისაი" კვირა გახლდათ.

„მთავრობანი" — ანგელოზთა მეშვიდე დასი (დიონისე არეოპაგელის მიხედვით), სერაფიმთა, ქერუბიმთა, საყდართა, უფლებათა, ძალთა და ხელმწიფებათა შემდეგ... (ახლანდელ „მთავრობას" — ნუ იკითხავთ!)

აქ „მთავრობანი" არა დღევანდელი ეშმაკეული ანუ მუცელღმერთობის, არამედ მაღალი სულიერი გაგებით ითქმის.

ანტიფონური „მიმოგდებითი გალობა"! მარჯვენა და მარცხენა მხარის (კლიროსის) მგალობელთა ურთიერთმონაცვლეობა.

P.S. 4 მაისს (2010) მუზის სასახლეში — ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, როცა მეორედ გაიმართა გრანდიოზული საღამო „თბილისური პაემანი ვერაზე", რომელიც, ჩემი სახელით, მიეძღვნა ჩვენი თაობის ვარსკვლავის გახსნას, „ქართული ხმებისა" და „თბილისის" ან-

სამბლების „ანსამბლეამ" სწორედ ამ, ჩემი აზრით უპრეცედენტო, „არქაულ" სტილში (ორი ლოჟიდან) პირველად შეასრულა „იმერული ნადური" ერთი, ჩემი კუთხის ანუ ჩვენებური, ოკრიბელი კაცის, ჰიმნოგრაფ-მგალობელ მიქაელ მოდრეკილის „შთამომავლის", საქვეყნოდ ცნობილი ლოტბარის — რობერტ გოგოლაშვილისა და „ბუნების ნათავხედარი", უბადლო პირველი ხმის, ჩემი უმცროსი ძმისა და „პირის ზიარებების"... გივი ჭიჭინაძის პირთა ზიარებით!, რომელსაც მაშინ „გადაძახილი" დავარქვი.

არადა, მას, თურმე, ქრონოგრაფ გიორგი ჰამარტოლის დამოწმებით, ასეთი ისტორიული წინაპარი ჰყოლია!

დაინგრა დარბაზი... თუ ნადურით, თუ ტაშით!

...მისაძინებელს, „დიდი სჯულის კანონის" მოწმობით, უწოდებენ წმინდა მორწმუნეთა განსასვენებელს.

ადრე, სასაფლაოებს, ქართულად, საგოდებლებს ეძახდნენ.

„ჟამი პირველი" — ყოველდღიური ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება მზის ამოსვლის ჟამს, რის გამოც, ხშირად, „მზისა"-საც უწოდებენ.

ჟამი სინანულისა.

ჟამისწირვა — „ლიტურგია"

ჟამისწირვა ბასილი დიდისა, იოანე ოქროპირისა.

„ჟამი მეცხრე" — ყოველდღიური საეკლესიო მსახურება, რომელიც სრულდება „„მეცხრე ჟამს" (ე.ი. ნაშუადღევს).

* * *

საქართველოში უძველესია გუდარეხის (1278წ.) სამრეკლო.

ქართული სამრეკლოების თვალსაჩინო ნიმუშებია ვარძიის, იჯარეთის, გელათის, საფარის, ზარზმის ზარები, ნინოწმინდის, ანჩისხატის, გრემისა და დიდი სამების სამრეკლოები.

## *თემურელები*

**(თემურ ჭიჭინაძის თამადობით)**

ჩვენ, თემურელები – (არა „ლენგელები")
ცალ-ცალკე – ღერები, ერთად კი – „მგელები"!
თემურ წყობილების ამ განწყობილებით,
ჩვენ – ძმობილები და
ჩვენ – აწყობილები...
რაცა ვართ, ესა ვართ –
ვართ ისეთ-ასეთები:

*გავს დამთხვეულთა დამთხვეულობას?!.. ამ აბრაკადაბრას... მხოლოდ ასეთი დაბრაკა აბრა შეეფერება.*

*ყველაზე დასაფასებელი... ერთგულებაა! ამაში კი ცხოველებს ადამიანები ვერ გაეჯიბრებიან. „მწერალი მიხაილ ველერი კი დარწმუნებულია, რომ სიყვარულის გამო ცხოველთა სამყაროშიც ხდება თვითმკვლელობები. მას მაგალითებიც მოჰყავს. დაქვრივებული გედი აიჭრება ცაში, შემდეგ ფრთებს ამოიკეცავს და მიწას ენარცხება. ასევე იქცევიან მერცხლებიც... მეგობარს მოკლებული მგელი კი (ზოოპარკის გალიაში) საჭმელს არ ეკარება, გაუნძრევლად წევს, თვალები ჩაჰქრობია, ბეწვი ბლუჯა-ბლუჯა სცვივა. რით არის ნაკლები მისი დარდი უიღბლო სიყვარულით გულმოკლული კაცის სევდაზე? როგორც ჩანს, მწერალი მართალია. აი, რა უამბო რუსმა კომპოზიტორმა გიორგი გლადკოვმა „ექსპრეს-გაზეტას" კორესპონდენტს: „სამი ძაღლი მყავს. მეუჯიშო, მაწანწალა*

ერთ გულის, ერთ სკოლის
სხვადასხვა კლასელები,
ქრისტეს ჯვრის მტვირთველნი და
გრაალის თასელები!
სხვადასხვა ასაკის –
და ერთი დასელები.

## СИМПОЗИУМ О ЛЮБВИ

„Председатель: Любовь это болезнь, т. к. требует постельного режима.

Врач: Какая же это болезнь, если затрачиваешь энергию - это работа.

Инженер: Какая же это работа, если главный агрегат стоит, это процесс.

Юрист: Какой же это процесс, один дает, а другой берет - это взятка.

Коммерсант: Какая же эта взятка, если обе стороны удовлетворены - это искусство.

Артист: Какое же это искусство, если нет зрителя - это наука.

Профессор: Какая же эта наука, если самый неспособный студент может, а я нет. Это сделка.

Еврей: Какая же это сделка, если вкладываешь больше, а вынимаешь меньше."

არც ვიცი და არც მახსოვს, საიდანაა ეს ამონაწერი და საიდან გაჩნდა იგი ჩემი, ისედაც თავზესაყრელი, ქაღალდების ქაოსში, მაგრამ ვფიქრობ, ერთობ ზრდილობიანად (და ობიექტურადაც!) გამოიყურება, თემის სკაბრეზულობის მიუხედავად. ამიტომაც, ავიღე, ბრჭყალებში ჩავსვი და რადგან „დასავიწყებლად არ მემეტება" — სადაც მისი ვთქვი, იქაც ჩვენი არ დავივიწყე!

გასაბჭოებულ კახეთში, თურმე, რაიკომის მდივანსა და აღმასკომის თავმჯდომარეს, კაი ვახშმის ლოდინში გაჩაღებული ნარდის დროს, კამათი მოსვლიათ და ახლა, რა საკითხზე, აღარ იკითხავთ?...

ცოლთან სექსი შრომაა თუ დასვენებააო?...

ვაა! გაგონილა, კაცო — ერთიცა და მეორეც თავისაზე იდგნენ — ვერაფრით ვერ შეთანხმებულან.

ერთი — ერთს ამბობდა, მეორე — მეორეს. გაქირი ვირებივით არ იცვლიდნენ ფეხს. და, ლამის ხელით შეეხნენ ერთმანეთს — იყო ერთი განევ-გამონევა, სანამ გზაზე ერთი, მთელი დღის ნაოფლარი — დაღლილ-დაქანცული გლეხი არ გამოჩნდა და გლეხური ალალმართლობით არ გადაწყვიტა „პრობლემა"! გააჩერეს და ჰკითხეს:

— აბა, მიხო, შენ რაღას იტყვიო?

— ცოლთანა სექსი... ბატონო, შრომა კი არა, სიამოვნება, თორემა ეგ რო შრომა იყოს... მაგასაც ჩვენ დაგვავალებდითო! — უპასუხა სანყალმა გლეხმა.

---

*ნიკო ნიკოლაძე: „ადამიანის პიროვნებას უნდა ვაფასებდეთ დამნაშავეშიაც, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოებრივი უხეირობისა და კანონების უსამართლობის მსხვერპლი".*

*ორძალი: პატრონს ლანძღავენ – პატრულს აქებენ -
ახლები – ძველებს აქიაქებენ!*

* * *

ბედისწერის თაესხმაში ეარ
და ცა ფეხად წამოეიდა...
სეტყვამ სიტყვა დასეტყვა და
წერტილებად თავს მაყრიდა...

* * *

ლოცვადაა ერი, ბერი
და ყოველსა შენ გთხოვს, ღმერთო!
კაცის გასაკეთებელი...
კაცმა უნდა გააკეთოს!
როცა ხატთან სანთელს ვანთებ
და აღსავლის შევცქერ კარებს...
შენზე ლოცვით ღამეს ათევს
პატრიარქის „დაეიდალე!"
უწმინდესის საგალობელს
ღმერთი ისმენს ცათა შინა,
ვინც ამ ცოდვილ წუთისოფელს
სულთამხსნელად მოგვევლინა!

## გაამოთ!

**(ჭრელი აბანოების ჭრელა-ჭრულა)**

...საცა თქვენი თქვათ, იქ ჩვენიც არ დაგა-ვიწყდეთო, რომ... დღევანდელით უგუშინდლოთ ხვალინდელ დღესო!

ერთს კიდევ გეტყვით აბანოს ამბავს...
(რასაც კალამი აბამს და ლამბავს!)
...როს ღამე წავა და დღე ინათებს —
იმ სიბნელიდან დგება სინათლე!
ქრება სანთელი — დგება ნათელი —
მე, ამ დილასთან... ღამეს ვათევდი!
როცა ალიონს ცეცხლი ედება —
ფიქრში ღამდება — ლექსში თენდება!
მე, არყისფერი დილის ალიონს —
ვურჩევ, პილატეს ცრემლი დალიოს!
ხაშის, ლავაშის სუფრა გაშალოს —
სიტკბო მოგვეცეს და მწარე გვაშოროს!
ჭრელი აბანოს სიჭრელემ მომჭრას
თვალი...
უშმური ფეხებს ვერ მომჭამს!

*„ეიყიდე წიგნი პარაკლიტონი" და მივეც ფასად ცხენის ნახევარიო" (ვკითხულობთ თ.ჟორდანიას ქრონიკებში, II,49). ვაფასებ იმ დროს, წიგნი რომ ფასობდა.*

ძაღლები მირ-ჩევნია. სადაც დავ-ინახავ, მაშინვე შინ მიმყავს ხოლმე. ზოგიერთს — კე-თილ პატრონს ვუჩენ, ზოგს თავად ვიტოვებ. ერთ-ერთი უცნაურად „ვიშ-ვილე". რამდენიმე დღე ვაკვირდებო-დი, როგორ ცდი-ლობდა თავის მოკვ-ლას, რადგან პა-ტრონმა სახლიდან გააგდო. გადიოდა შუა ქუჩაში და წვე-ბოდა, რომ მანქანას გაეტანა. ამჟამად ჩემთან ცხოვრობს. საერთოდ, ძაღლზე დიდი პატივისცე-მით უნდა ვილაპარა-კოთ. არავინ არის მასზე ერთგული და თავგანწირულად მო-ყვარული. ყველაზე ცნობილი თვითმკვ-ლელის მოცარტის ძაღლი, რომელსაც პატრონის საფლავზე შიმშილით ამოხდა სული...

„კვირის პალი-ტრა"

გერმანიის კან-ცლერი ოტო ფონ ბისმარკი გამოირ-ჩეოდა უჩვეულო მა-დით. 30 წლისა ისე-თი მსუქანი იყო, რომ ექიმების და-ჟინებული მოთხ-ოვნით დიეტაზე გა-დავიდა და საგრძნო-ბლად გახდა. ამ ფაქ-ტის აღსანიშნავად დიდი წვეულება გამ-ართა და... ისევ იმ-

ფეხქვეშ გამიდებს ქისა მექისის –
არ შემშურდება თვითონ მეფისაც!
ზურგს ამიჭრელებს ცოცხის ფოთლები...
მექისის ორთქლში მეც ავეორთქლდები.
ის შემომიყენს საპნის მუთაქებს
და ტანში შემჯდარ ეშმაკს უთაქებს.
თავს შემომავლებს გოგირდის წყალი –
მეორედ მოვალ, უფლისა ძალით.
მისი ჯანით და მერე აუზით...
სად ეს სარდაფი – სად ,,პენტჰაუზი"?
იქვე მოისმენ დილის ბაიათს –
და რაც კაია – იტყვი კაია!
ღირდა ერთი რამედ – თვალად და ყურად –
ჭრელი აბანოს ეს ჭრელა-ჭრულა!

**ჟურნალი „გუმბათი" N9, 28 თებერვალი-4 მარტი, 2011 წელი.**
**თეონა კენჭიაშვილი**

## გიზო ნიშნიანიძე:

## *თბილისური ამბები - ჩემი გულის ამონაკვნეს-ამონაკვეს-ამოშაქრული!*

„გარეგნობით მამას ვგავდი, ხასიათით — დედას. იუმორიც, მარკ ტვენისა არ იყოს, დედისა გამომყოლია. ხმა ორივეს ჰქონდა, დედაჩემის გიტარა — „გიტარისა და ჩქარი ტაშის" ქვეყანაში — ზესტაფონის „უეზდში" და განსაკუთრებით ზორეეთ-ჩხარ-საჩხერეში ცნობილი იყო. მამაჩემს ისეთი კანკალა ტენორი ჰქონია, მისი პირველი ხმით ინყებოდა ქუთაისში იოსებ ოცხელის სკოლის სასკოლო ნირვები.... მშობლები შვილებს ვალს არ თხოვენ, მაგრამ კიდევ უფრო საშინელებაა მოუთხოვნელ ვალში ყოფნა. დედის მიმართ, ასე თუ ისე, ორიოდ თბილი სიტყვა ღმერთმა მათქმევინა. მამაჩემი კი კვლავ სულგრძელად ელის ჩემგან ლექსად გახსენებას..." ეს სიტყვები გიზო ნიშნიანიძის ნიგნიდან („პაემანი თბილისთან") არის. ეს ნიგნი ჟურნალ „გუმბათთან" ერთად გამოიცა და დღეიდან მისი ნაკითხვა ყველას შეგიძლიათ.

ნინამდებარე გამოცემა მოიცავს ბატონი გიზოს ესსეებს, მხატვრულ-დოკუმენტურ ჩანახატებს, მოგონებებს, რომლებიც სხვადასხვა ნიგნებიდან არის ამოკრეფილი. უფრო მეტიც, მასში შესულია ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნანერები, რადგანაც უკვე 83 ნლის მნერალი ამჟამად ოთხტომეულზე მუშაობს, რომელიც სულ მალე გამოიცემა. ბატონ გიზოს სნორედ მაშინ ვესტუმრეთ, როცა გაგანია მუშაობაში

---

*დიდი მკრეხელობაა ავადმყოფ ერს მისი თავკაცის ჯანმრთელობაზე ელაპარაკო.*

*ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი ამბობდა, რომ ადამიანის მეხსიერების დროითი ქრონოტიპი ძალიან მოკლეა და იგი ოთხ-ხუთ თაობას თუ სწვდება.*

*საქართველო ჰგავს აულაგებელ სუფრას, სადაც ერთი ჭამს, მეორე სვამს, მესამე ნერწყვს ყლაპავს.*

იყო და როგორც თავად თქვა, „ჩემს მაგიდაზე ისეთი ქაოსია, რომ აქ ქაღალდის ნაგლეჯსაც ვერ დააგდებო". თუ რაზე გვესაუბრა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მწერალი და, უბრალოდ, თბილისზე შეყვარებული კაცი — გიზო ნიშნიანიძე, ამ ყველაფერს ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ბატონო გიზო, ამჟამად რა წიგნზე მუშაობთ?

— ამჟამად ვმუშაობ ჩემი ცხოვრების საფინალო ნაშრომზე, რომელიც ოთხ წიგნად იწერება. ის, რაც თქვენს ჟურნალთან ერთად გამოიცა პირველი მერცხალივითაა, რადგან მასში არის ამოკრებილი ამ ოთხი წიგნიდან სხვადასხვა ესსეები. ჩემთვის როგორც მწერლისთვის, ეს ერთგვარი ანონსია, რაც ძალიან კარგია. მით უმეტეს, ამას ასეთი საპატივცემულო ჟურნალი გამოსცემს, როგორიც „გუმბათია". თქვენი ჟურნალი მკითხველს აძლევს სულიერ საზრდოს და ავტორებსაც ეხმარება სულიერების მკითხველამდე მიტანაში. დღეს ჩვენ, მწერლებს უკეთესი საშუალება არც გვაქვს. როგორც, თავის დროზე, ჩემი ვარსკვლავის გახსნაზე არ მიფიქრია, ისე არ მიფიქრია ამაზე, რომ თქვენი ჟურნალი ასეთ კარგ სამსახურს გამიწევდა. ამ წიგნის გამოცემა რომ დააპირეთ, ჩემთვის ეს დიდი პატივია, თუმცა, არ მიკვირს. ალალი იყოს ჩემთვის და ჩემი მკითხველისთვისაც! თქვენ კი არა, მე თვითონაც ძალიან მაინტერესებს, რა დავწერე ამდენი... და, ალბათ, მკითხველს მით უფრო დააინტერესებს. მასში არის ისეთი ესსეები, რომლებიც ადრე გამოცემულა და ისეთებიც, რომლებსაც ჯერ დღის სინათლე არ უნახავთ. ჩემთვის ეს ანონსია და კარგია, რომ მკითხველი პირველ გემოს გაუსინჯავს ჩემს მომავალ წიგნებს, რომლებიც, ალბათ, ადრე თუ გვიან, გამოიცემა. სიბერის ამ ზამთარში ჩემი შემოქმედებითი გაზაფხული მოდის და პირველი მერცხალიც ეს წიგნი იქნება. ერთხელ ერთი სტროფი დავწერე, რომელიც ერთ ლამაზ ქალბატონს მივუძღვენი: „ერთმა ღმერთმა უწყის... თქვენი გენის კოდი! გაზაფხულს ვინ უთვლის, მერამდენედ მოდის!" ასე რომ, ჩემთვის გაზაფხული მოდის (თუ მიდის) და ღმერთმა იცის, ეს მერამდენეა. მინდა, მთელი ქვეყნისთვის მოვიდეს გაზაფხული და ყველამ ერთად გავიხაროთ. ზოგ ადამიანს ზაფხულშიაც ზამთარი უდგას გულში. ერთი თბილისური ხუმრობა გამახსენდა, რაც ნამდვილი ამბავია. ვახტანგ ჭყოიძე ჩვენი თანამედროვე იყო, ერთი კარგი ტიპი და მოქეიფე კაცი. ერთ დილას ცოლმა მიახარა: ვახტანგ, გაიხედე გარეთ, შეხე,

დენი მიირთვა, რომ ისევ მოხაბრუნებელი შეიქნა.

ესეც შენი გერმანული „კუჭის ადამიანი?

იცი, რა უთქვამს ჯორჯ ბუშს მიშასთვის, სუფრაზე ყურში?.. ხალხს რას გამოაპარებ, — ახლა ვხედები, რა ქვეიანი კაცი ყოფილა პაპაჩემი, რო მამაჩემსაც და მეც ამ თქვენი მაღლიანი ქვეყნის სახელი დაგვარქვაო!

თანაც, მამამისი და ჯონ მალხაზ შალიკაშვილი მეგობრები ყოფილან.

<u>დავით ჩუბინიძე: განგაში!</u>

ლეგენდარულმა ნიკო მარმა, საქართველოს თავის სამშობლოდ რომ არასოდეს თვლიდა და მხოლოდ კლასის მეცნიერის ცვენი მერაბ მამარდაშვილისეული კოსმოპოლიტიზმის ბაცილით იყო დასნებოვნებული, ძველ სომხურ ქალაქ ანისში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინა ძეგლები, რომლებსაც ქართული წარწერები ამშვენებდა... ნიკო მარმა ეს ფაქტი სამეცნიერო საზოგადოებას დაუმალა და აღმოჩენა გაასაიდუმლოვა, რის გამოც

რა ლამაზად ბარდნისო! ბატონმა ვახტანგმა კი, „პახმელიის სიმყავით", უპასუხა: რა გიხარია, ქალო? სანამ რესტორან „თბილისამდე" ხაშის საჭმელად ჩავალ, მანამდე სამჯერ დამიცურდება ფეხიო!..

— „პაემანს ვერაზე", როგორც ვიცით, თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰქონდა და ახლაც საკმაოდ პოპულარულია. რას გვეტყვით ამ წიგნზე?

— მეც, პროფესიით, თქვენსავით, ჟურნალისტი ვარ! დაახლოებით სამოცდახუთი წელი ამ საქმეს შევალიე. მთელი ცხოვრება თბილისში და თბილისთან გავატარე. როგორც ტოლსტოი უბარებდა თავის შვილს, რომ ყველაზე საპატიო შრომად ლიტერატორის შრომა ჩათვალეო, მეც ვთელი, რომ ძალიან დიდი ბედნიერებაა, თუ ღმერთი იმის საშუალებას მოგცემს, რომ შენი ცხოვრების გამოხატვის უნარი შეგნევდეს. მე ეს „მადა" ნელ-ნელა გამეხსნა. 53 წლის ვიყავი როდესაც „პაემანი ვერაზე" დავწერე! მანამდე ლექსის ერთი სტრიქონიც კი არ მქონდა დაწერილი და ლექსის წერაში ეჭვმიტანილიც კი არ ვყოფილვარ. „პაემანმა ვერაზე" სხვა ფორმა ვერ აიტანა და ერთადერთი სწორი ჟანრი პროზა აღმოჩნდა... ლექსი, რომლითაც შესაძლებელი გახდა იმის გადმოცემა, რისი თქმაც მსურდა. თბილისს თავისი ხასიათი აქვს და ჩემი ნაწერებიც სწორედ ამ ხასიათს გამოხატავს. ჩემი ოთხტომეულიც სწორედ პროზისა და პოეზიის მონაცვლეობით არის დაწერილი. ასეთი წერის ფორმა ჯერ კიდევ ანტიკურ მწერლობაში არსებობდა. ჩემს პოეტობას, როგორც უკვე გითხარით, არავინ იყო შეჩვეული და უცბად ვერ წარმოიდგინეს, რომ ამსისქე წიგნი ლექსად დავწერე. ნოდარ დუმბაძეს კიდეც უხუმრია — შოთა რუსთაველს არ დაუწერია ამხელა წიგნი და გიზო ნიშნიანიძეს რამ დააწერინაო? ჟანრი უნდა განსაზღვროს იმის მოთხოვნილებამ, თუ რის თქმას აპირებ. ის ოღრო-ჩოღრო ლექსი, რაც მე დავწერე, ზუსტად მოერგო ამ ოღრო-ჩოღრო თბილისს და მასთან საურთიერთობო ენას.

— თქვენ ხართ მწერალი, რომელიც ძირითადად თბილისზე წერს და ყველა ამბავს თბილისს უკავშირებს. როგორია თქვენი თვალით დანახული თბილისი?

— გახსოვთ? იოსებ გრიშაშვილი წერდა: „შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა, ქორონიკონის კენტი და ლუწი, მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა რა სურათები მოქარგა უწინო"! ეს მართლა ასეა, რადგან დღესაც კი კარგად არ ვიცით, როდის — რა სურათები აქვს ჩვენს ქალაქს დასურათხატებული. ის ხასიათიანი ქალაქია. დღეს ზოგიერთები ცდილობენ, რომ თბილისის ახალი ხასიათი შექმნან, მაგრამ ეს მაინც ხალხის პრეროგატივაა. ხასიათს ხალხი ქმნის. აკადემიკოსმა ფრანგიშვილმა თქვა, რომ თურმე თბილისს კოლექტიური ფსიქოლოგია ჰქონია, რაც დღემდე არ შეგვისწავლიაო. მომწერა — შენი „პაემანი ვერაზე" რომ წავიკითხე, მივხვდი, რომ ჩვენ, ფსიქოლოგებს, ახალი თავსატეხი გაგვიჩნდაო.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა, უხასიათო კაცი რა არისო!.. ქალაქი რა იქნება! ერთ-ერთი უდიდესი მწერალი ჩინგიზ აითმატოვი წერდა: „სულ მინდოდა, ჩემს ქალაქზე რამე დამეწერა, მაგრამ სულ მეშინოდა, რამე

---

*ლადო ასათიანი: ღმერთო ჩემო, ამ ღმერთების ენაში - ქართულში რა ღვთიური წესრიგია, რა ქრისტესმიერი გასაღები დევს სიტყვა - ღმერთში... ნებისმიერი იგავმიუწვდომელი აზრის ცხრაკლიტულის გასახსნელად და დასახსნელად!.*

არ დავაკლოო!" ქალაქი არ გაპატიებს, რომ რამე დაგავიწყდეს ან ზუსტად ვერ თქვა. მორის ფოცხიშვილი ტყუილად კი არ წერდა, რომ გიზო ნიშნიანიძემ ბენვის ხიდზე გაიარა, მაგრამ ხომ გაიარაო (აცხონა ღმერთმა! ალალი კაცი და პოეტი იყო!). ასეთი რამ თბილისზე ყველა ჩვენგანს ცალ-ცალკე უნდა დაეწერა ან ყველას ერთად და ამ შემთხვევაში გიზოს გაულიმა ბედმაო.

ამ წიგნებშიც თბილისური ამბებია — ჩემი გულის ამონაკვნეს-ამონაკვეს-ამოშაქრული და ამომწნარებულიც!... რაც მთავარია, მასში ყველაფერი რეალურია და მოგონილი არაფერი არ არის. აბა, ასეთი რამის მოგონება როგორ შეიძლება?! ამ წიგნს რომ ვწერდი, მახსოვს, გურამ ასათიანმა მითხრა, ბიჭო, ის ამბავი არ გამოგრჩეს, „ზემელზე", მოზარდ-მაყურებელთა თეატრთან, ტელეფონის ავტომატზე ამოტვიფრული რომ იყო: „ჩხუბის შემთხვევაში ამა და ამ ნომერზე დარეკეთო!". ამას რეზო ფალავა წერდა, რომელიც ცნობილი დამრტყმელი იყო და მის გარეშე უბანს ბუზს ვერავინ აუფრენდა! ჩვენ ჩვენს დედაქალაქს დედასავით ვუვლიდით. მე ისიც კი გამიკვირდა, რაც თბილისში შემდეგ მოხდა. ის, ჩვენს დროს, შეუძლებლადაც კი მეჩვენება! მახლას! გამგები გაიგებს!

— ბატონო გიზო, თქვენ ამბობთ, რომ თბილისი ხასიათიანი ქალაქია. როგორ ფიქრობთ, ახლა აქვს მას ისევ ძველებური ხასიათი?

— ღმერთმა ქნას, რომ თბილისური ხასიათი არასდროს დაიკარგოს. საქართველოში მარტო თბილისს კი არა, სხვა ქალაქებსაც აქვთ თავისი ხასიათი, მაგალითად, ქუთაისს, თელავს, ზესტაფონს, ბათუმს და ა.შ. უხასიათო ქალაქი რუსთავი მეგონა, მაგრამ შეხვედრა რომ მომიწყვეს, მივხვდი, ვცდებოდი. იქ უკვე ყალიბდება რუსთავის, როგორც ქალაქის კოლორიტი. სხვათა შორის, სწორედ რუსთავის ახალგაზრდებთან შეხვედრაზე ერთმა ბიჭმა მითხრა, თქვენი წიგნი „პაემანი ვერაზე" ძალიან მომეწონა, მაგრამ მასში ომისდროინდელ შიმშილობას ისე ლამაზად ხატავთ, თითქოს არ გინდათ, რომ თქვენი შვილები „დუბლიონკებში" იყვნენ გამოწყობილნი და ფუფუნებაში ცხოვრობდნენო. მე კი თავს ვუშველე და ასეთი პასუხი გავეცი, რომ სიტყვა „ფუფუნება" ორჯერ იფურთხება და მასში დიდი ვერაფერი გემო არის-მეთქი. საქართველო განსაკუთრებული ქვეყანაა და აქ განსაკუთრებული ხალხი ცხოვრობს. მე გული მწყდება, რომ ჩვენ ჯერ ვერ მივაგენით იმ ძველი თბილისური ხასიათის რესატ-

ქართველი პატრიოტების რისხვა დამსახურა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ნიკო მარი ვირეშმაკობაში ამხილა, კონსტანტინე გამსახურდია იყო, თუმცა, ქართველი სიტყვის კლასიკოსს, „დიდოსტატის მარჯვენას" ავტორს არც იმის თქმა დავიწყებია, რომ ნიკო მარის სახით მამინდელი მსოფლიოს გენიოსთა თანავარსკვლავედს უდიდესი მეცნიერისა და ლინგვისტის პერსონა ანათებდა.

ვფიქრობ, რომ ფულზე დახარბებული და სექტანტებთან შეკრული ქართველი ბედოვლათები კოლხური ოქროთი გაძეძგილ „ახვლედიანების გორას", არმაზს, დმანისს, თრიალეთის ყორღანებს, გონიოს და არქეოლოგიური თვალსაზრისით სხვა უნიკალურ ძეგლებს, ყურძო „არქეოლოგ-ოქროსმაძიებლებს" მიუგდებენ და მით ახალ ელდორადოზე საქართველოში გააცოცხლებენ!

„ასავალ-დასავალი"

„მწერლური ცხოვრება" 2005, 30 დეკემბერი — 2006, 20 იანვარი.

რეზო ქეიშვილი: „თბილისი გახდა... თბილისის დედაქალაქი".

ავრაციის საშუალებებს და „თბილისელობის" მცნებას, ასე ვთქვათ, „ჭია" გაუჩნდა!.

— ალბათ, ახლანდელი თბილისი, თქვენდროინდელ თბილისთან შედარებით, გვარიანად შეცვლილია...

— კუს ტბაზე დავდივარ... სიბერეს რომ გავექცე... ერთხელ, რამდენიმე წრე რომ დავარტყი, ასეთი სტროფი დამენია:

„რა ჰქვია ამას,
მონატრება დედის და შვილის,
თბილისში ვცხოვრობ და თბილისში დავეძებ თბილისს".

ეს ის თბილისი აღარ არის, რაც ადრე იყო. დიახ, ძალიან ბევრი რამე შეიცვალა. მაგრამ იმედია, რომ ჩვენი დედაქალაქი დროის ქარტეხილებს ასე ადვილად არ დანებდება და თავის ხასიათს შეინარჩუნებს. ერთმა კაცმა მითხრა, ერთ-ერთი საღამოს შემდეგ: თუ გინდა გაიგო, ვინ არის თბილისელი, მაჯაზე ხელი მოკიდე, თბილისი უხსენე და თუ მაჯა აუჩქარდა, ე.ი თბილისელიაო! ასე რომ, როდესაც ჩემს წიგნს წაიკითხავთ და ამ დროს მაჯა აგიჩქარდებათ, ჩათვალეთ — თქვენც თბილისელი ხართ! ისე არ გეგონოთ, რომ თბილისელობა რამე განსაკუთრებული პრივილეგიაა. ეს არის დიდი პატივი და, ამავდროულად, დიდი მოვალეობაც! ზოგს ალიზიანებს თბილისზე ლაპარაკი, მაგრამ მათ ვკითხავ ასეთ რამეს: გულზე ლაპარაკიც აღიზიანებთ? ადამიანს ორი რამ აქვს ნამყვანი. მართალია, ნამთრევი ფეხებია, მაგრამ ნამყვანი და განმკარგულებელი თავი და გულია!

— რას გვეტყვით თქვენს მკითხველებზე?

— მე უკვე დიდი ხანია, ქაღალდთან და კალამთან მაქვს საქმე. საკმაო რაოდენობის მკითხველი მყავს და იმედი მაქვს, რომ არ მიმატოვებენ. მართალია, დღეს ხალხს პურის ფული არ აქვს, მაგრამ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ ფულსაც წიგნში ხარჯავენ. კარგი მკითხველი მყავს და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. მკითხველები ჩემ მიმართ საკმაოდ დიდ ყურადღებას იჩენენ. დღესდღეობით კომუნიკაციის უამრავი საშუალება გაჩნდა, მაგრამ, მე ვფიქრობ, წიგნს ვერაფერი შეცვლის. წიგნია ადამიანის მეორე „მე" და, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკა წინ წავიდა, არა მგონია, რომ ადამიანებიც ისე წავიდნენ ხელიდან, რომ ყველაზე ერთგულ მეგობარს ზურგი შეაქციონ. ასეთი წინ წასვლა მწერლისთვისაც დამღუპველი იქნება და მკითხველისთვისაც! ნათქვამია „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო". ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელსაც პირადად არ ვიცნობ, წერილი გამომიგზავნა. ადამიანი, რომ მოგწერს, რომ შენ მას სიცოცხლის ხალისი დაუბრუნე, ეს ბედნიერებაა. იგი მწერს, რომ არა თქვენი „პაემანი ვერაზე", ალბათ ბევრჯერ ჩავიქნევდი ხელს ცხოვრებაზეო! ძალიან დიდი პატივია, გყავდეს ისეთი მკითხველი, როგორიც თბილისელი მკითხველია. იგი არის ყველაფერში ჩახედული, შენი თანამოაზრე და ფიქრისა და ოცნების მონილადე. ის, რისი თქმაც მინდა, ამ წიგნში წერია. მინდა, ყველანი კარგად იყოთ. თქვენ რომ არა, ჩვენ რა გვეშველებოდა? მწერ-

*დავით გურამიშვილი: „ყრმა სწავლაში მომშვილდების. რკინა ცეცხლში მორბილდების. უსწავლელი ვაჟიკაცი სიბერის დროს გაწბილდების"... მაგრამ შუაზეც რომ გავწყვიტოთ ხალხური სიბრძნე - ისიც ფაქტია, რომ ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის"!*

ალს თუ მკითხველი არ ჰყავს, ის მწერალი არ არის. წიგნს კარგი მეგობარივით უნდა შერჩევა! როგორც მეგობარს ირჩევ, ისე უნდა აირჩიო წიგნიც. ერთხელ მკითხეს, რას ინატრებდითო და ვუპასუხე, ნეტავ, „ტომ სოიერი" მქონდეს ნასაკითხი-მეთქი. „ტომ სოიერთან" ძმაკაცობას რომ ვაბამდი, მაგ დროს უებდნიერესი კაცი ვიყავი. კაცი ორ სიტყვას რომ იტყვის უკვე ჩანს, რისი მთქმელი და რისი დამწერია. ისე კი... არ დაგიმალავთ და... საკუთარი თავისთვის ვწერ. ერთი სული მაქვს, როდის წავიკითხავ იმას, რასაც ვწერ!

უწიგნური კაცი ყველაზე უფრო უბედურია, იმიტომ რომ წიგნზე ნაღდი მეგობარი... არ არსებობს. წიგნი ყველაფერს გაძლევს და არაფერს ითხოვს.

— და ბოლოს, ბატონო გიზო, თქვენი წიგნიდან „პაემანი თბილისთან" ერთი ფრაგმენტი წაგვიკითხეთ.

— ამ წიგნში ერთი პატარა მოთხრობაა „ტაში", რომლის გამოც თავის დროზე „ნიანგის" ბიბლიოთეკის გამოცემა დროებით შემიწყვიტეს. მასში ასეთი რამ მაქვს აღწერილი: ჩვენს სოფელში სწრაფად და იაფად ააშენეს კულტურის კლუბი. სიტყვა „კლუბი" ეცოტავათ და სახლი დაარქვეს, სახლიც ეცოტავეათ და ბოლოს სასახლე დაარქვეს, მაგრამ გახსნეს თუ არა, ტაშისგან დაინგრა-თქო (ტაში ყურს ახლაც ხშირად აყრუებს). ჰოდა, ასეთი რამის დაწერის გამო წიგნის გამოცემა შეჩერდა, მიხვდნენ, რომ ამით კომუნისტები გავაკრიტიკე.

კიდევ ერთ ფრაგმენტს გეტყვით ამ წიგნიდან! დედაჩემი 92 წლის იყო და მასაც გაეუბედე ლექსი.

... „ეს ჯადო ქალი...
ეს ჯადოქარი დედაა ჩემი...
რაც ხდება, იმას ახსნა აქვს ყოველს,
ალბათ იმიტომ არ იცვლის ფეხს, რომ
ამ ქვეყანაზე მარტო ეერ მტოეებს.
ხელში მადნება, როგორც სანთელი
და თეთრი თმები ჩამოსდის ღვენთად,
თავზე ადგია დიდი ნათელი,
იყო ქალი და იქცა ქალღმერთად...
და როგორც წესი, როცა მხედებიან:
როგორა გყაესო? — მეკითხებიან.
— მადლობთ, კარგად-თქო, — ეათაეებ სიკვდილს,
ვფიქრობ ჩემთვის და მაინც ხედებიან...
დედა არ კვდება...
რად უკვირთ — მიკვირს,
რადგან ღმერთები არა კვდებიან!"

ვაჟა ფშაველა
(„კავკასია". სანკტ-პეტერბურგი 1904 წ.)

„ცუდი აზრი სომხებზე დასაბამიდან ჩამოყალიბდა და ეს საკმაოდ საფუძვლიანი, შეუმცდარი აზრი გახლავთ.

...აუცილებელია, ერთმანეთისაგან გავარჩიოთ სომეხი ხალხის ძირითადი მასა და ამ ერის მცაცებელი პლუტოკრატია, პოლიტიკანიზმით გამსჭვალული სამღვდელოება და ინტელიგენცია. ე. ი. სომხური საზოგადოების მშრომელი ფენები, რომლებიც ჩაგრავენ არა მხოლოდ მეზობლებს, არამედ საკუთარ, უბრალო თანამემამულეებსაც. მეორეც, მშრომელ წრეებშიც, უეჭველად მოიძებნება წესიერ ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, რომელნიც დამნაშავენი მხოლოდ იმაში არიან, რომ ბრმად ემორჩილებიან თავიანთ თავკაცებს და იმ პირობების გავლენის ქვეშ იმყოფებიან, რომელსაც ცომობრივა ან (სრულიად უსაფუძვლოდ) ეროვნული იდეა ენოდება.

...სომხებს ძალიან არ უყვართ, როცა მათ ებრაელებს ადარებენ და

ჟურნალი „სარკე", N9, 2-8 მარტი, 2011 წელი
ირინე მჭედლიძე

## გიზო ნიშნიანიძე:

# „სევდიანი კაცი ვარ"

იოსებ გრიშაშვილის შემდეგ თბილისს და თბილისელებს ისე არავინ მოფერებია, როგორც მწერალი გიზო ნიშნიანიძე. მან თავის თაობას ძეგლი აუგო საკუთარი ნანარმოებებით. „კარგი კაცის გახსენება პატივს მიაგებს არა მარტო მას, ვისაც იხსენებენ, არამედ მასაც, ვინც იხსენებს", – ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული მის წიგნს, ახალი ქართული პროზის მე–10 ტომს, მხატვრულ–დოკუმენტური მოთხრობების კრებულს „პაემანი თბილისთან", რომელიც 28 თებერვლიდან ჟურნალ „გუმბათთან" ერთად გამოიცა.

...მეორე მსოფლიო ომი, ნაადრევად დაკაცებული ბიჭები, ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათები... ბატონო გიზო, ეს თქვენი ბავშვობაა?

– ჩემმა თაობამ ბევრი რამ გადაიტანა. არც 1937 წლის საბჭოთა რეპრესიები დაგვკლებია, არც ომი, არც 50–იანი წლების თუ ჩვენი დროის სირთულეები... ასე რომ, სულ ბრძოლებსა და განამანიაში ვართ. მეორე მსოფლიო ომმა ბავშვობა წაიღო, თითქოს უცებ დავკაცდით... ბავშვები პურის და ნავთის რიგებში!.. მე მაშინ იმ ადგილას ვცხოვრობდი, სადაც ახლა კინოს სახლია. ჩვენი სახლის გვერდით ნავთს ყიდდნენ. რიგს ღამით იჭერდნენ, რომ ნავთი შეხვედროდათ. ღამით ადგომა და რიგში ჩადგომა მეზარებოდა. დილით რიგი ირეოდა ხოლმე და ვიცოდი, რომ ამ დროს შეიძლებოდა, შევმძვრალიყავი და ნავთი ამეღო. „ბიდონზე" ვიღაც ბერიკაცს თავისი რიგის ნომერი ეწერა. ავდექი და ცარცით ჩემი ნომერი დავაწერე. ბერიკაცმა მითხრა, არა გრცხვენია, სითბოს მპარავ მოხუცებულსო... თვითონ სიტყვა „ურიგობა" ნეგატიური მნიშვნელობისაა. ახალგაზრდები შეიძლება, ზოგჯერ, ურიგოდაც ვიქცეოდით, მაგრამ ჩვენმა მასწავლებლებმა და ქალაქმა იმდენი გვჩორკნეს, იქამდე არ მოგვეშვნენ, სანამ ასე თუ ისე რიგიან კაცებად არ ვიქეცით. მაშინ, ლამის ყველა... პიროვნება იყო!

დღეს გაცილებით კარგი ცხოვრების პირობებია, მაგრამ ისეთი ურთიერთობები აღარ არის, როგორც ადრე იყო. მაშინ ადამიანებს ლუკმაპურის გაყოფის ნიჭი გაგვაჩნდა, რაც დღეს დაკარგულია. ქუჩაში მოწყენილი კაცი რომ დაგვენახა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მოწყენის უამრავი მიზეზი არსებობდა, უკან მივდევდით, რომ გაგვეგო, რა აწუხებდა. თბილისში, ომიდან, პირველი დაჭრილი რომ ჩამოვიდა და შეხვეული ხელი მოჰქონდა ძლევნივით, მთელი ქალაქი უკან მისდევდა, ეფერებოდა და ესალმებოდა... გაჭირვების მიუხედავად, ახალგაზრდობას მაინც თავისი გაჰქონდა...

ბიძინა კვერნაძეს ვარსკვლავი რომ გაუხსნეს, მაშინ ვუთხარი, პატარები რომ ვიყავით, ვარსკვლავებს ვეთამაშებოდით, ახლა ვარსკვლავები იქეთ გვეთამაშებიან–მეთქი. საბედნიეროდ, მეც გამიხსნეს ვარსკვლავი და ჩემს თაობასაც, რომელსაც მე პოემა „პაემანი ვერაზე" მივუძღვენი.

– ზემელზე ცხოვრობდით, სადაც დადიოდნენ გალაკტიონი, იოსებ ნონეშვილი...

– იოსებ ნონეშვილმა მაქცია კალმისკაცად. ერთხელ, ზემელზე ჩამოიარა. მაშინ „ნიანგის" რედაქტორის მოადგილე გახლდათ. დამინახა, რომ ბიჭებთან შაყირით მომქონდა თავი და ჩემს ადამიანურ „კაპიტალს" ვაგროვებდი. მოვიდა და მითხრა, სიცილში „ნიანგში" ფულს ვიხდით, ნამოდი და ჩვენთან ითანამშრომლეო. 16–17 წლის ვიყავი, სწორედ მაშინ მოხდა ჩემი ჟურნალისტად კურთხევა... ჩვენ გვჭირდა ბედნიერება, გალაკტიონთან გვქონოდა ურთიერთობა. ჩვენთან ამხანაგობდა. ნიაზ დიასამიძეს მისი შეყვარებულის დაბადების დღეებზეც კი დაჰყვებოდა. გალაკტიონი ბავშვობაშენახული კაცი იყო. ერთხელ, ვიღაც მილიციელმა ნასვამ გალაკტიონს ლენინის ორდენზე მიუთითა და უთხრა, ამას ნუ არცხვენო. გალაკტიონმა უპასუხა, ამას კი არ ვარცხვენ, ვამშვენებო. რამდენჯერმე დაკარგა ის ორდენი, მაგრამ მაინც მიუტანეს.

– ადამიანებს ყოველთვის კარგ განწყობას უქმნით, ეფერებით... ამ ხალასი იუმორის მიღმა როგორი კაცი დგას?

– სევდიანი. როცა მარტო ვარ, ჩემს თავს ვატყუობ, რომ სევდა მძალავს!.. იმედი არ მაკლია, მაგრამ არც ხბოს აღტაცებით ვუყურებ ცხოვრებას. გურამ ასათიანზე დადებითი პიროვნება ცხოვრებაში იშვიათად მინახავს. ორი–სამი დღის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ იმის ძალა შერჩენოდა, რომ ადამიანებს მოფერებოდა. მეც მომეფერა, მითხრა, ბიჭო, შენ ლექსის წერა თუ იცოდი, რატომ აქამდე არ თქვიო... საოცარი ადამიანები იყვნენ.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა, უხასიათო კაცი რა არის და ქალაქი რა იქნებაო. თბილისი ხასიათიანი ქალაქი იყო. დიდი ფსიქოლოგი ალექსანდრე ფრანგიშვილი აკადემიის ვიცეპრეზიდენტი გახლდათ. ის რომ ქუჩაში გამოივლიდა, ისეთი სალმის მოცემა იცოდა, ბიჭები ნარხუბრები, ნაჭიდავები რომ ვყოფილიყავით, მაშინვე წესრიგში მოგვყავდა თავი, ფეხზე ვდგებოდით და მას რომ ეკადრებოდა, ისეთ სალამს ვაძლევდით. 1981 წლის 28 დეკემბერს „პაემანი ვერაზე" რომ გავმართე, დარბაზში 12 აკადემიკოსი იჯდა, მათ შორის – ალექსანდრე ფრანგიშვილიც. მან დაწერა: გიზო ნიშნიანიძემ ფსიქოლოგებს თავსატეხი გაგვიჩინა, თურმე ქალაქს აქვს თავისი კოლექტიური ფსიქოლოგია და ჩვენ ის ჯერ შესწავლილი არ გვაქვსო. დღეს კი თბილისი ხასიათს კარგავს, ლამის მარტო მისამართად იქცეს. ერთხელ, აკადემიკოსმა თამარ დეკანოსიძემ წერილი მომწერა, მისამართის ნაცვლად ენერა, ფოსტის თანამშრომლებო, გიზო ნიშნიანიძემ ბინა გამოიცვალა, ახალი მისამართი არ ვიცი,

*თავიანთ დამკვე-ლებს ავალებენ, რომ რაც შეიძლება ენ-ერგიულად ამტკი-ცონ ჰაიკელი ხალხ-ის არიული წარმო-მავლობა. ალბათ, ყოველივე ამას ეძღვნება მახვილგო-ნიერი ქართული ან-დაზა: „მხოლოდ მო-ნას, თუ მას ნაბრ-ძანები აქვს, ეკადრე-ბა იმის მტკიცება, რომ მუხის ხე... ვაშლს ისხამს"!*

*...აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სომეხი ნავ-თობმრეწველი მეცე-ნატები გაძლიერებუ-ლად ზრუნავენ სომხეთის გან-საკუთრებული ის-ტორიის შექმნაზე. ამ პატარა ერის და მისი „გმირების" განდიდებაზე. ისი-ნი, პატივისცემის ღირსი შემთხვევი-თი გენერლები იქნებიან, თუ ასევე პატივისცემის ღირ-სი (ოლონდ სხვა კუთხიდან) არა-შემთხვევითი კონ-ტრაბანდისტები, კე-რძოდ, ისინი ხელ-იდან არ უშვებენ შემთხვევას, პარა-ზიტული ხერხებით განადიდონ თავიან-თი ისტორიული „დამსახურებები" და ამჟამინდელი ღირსებები: გზადაგ-ზა ცდილობენ, და-ჩრდილონ ის მეზო-ბელი ხალხები, რომელთაც ბევრი ნათელი ისტორია და*

თქვენ უნდა იცოდეთ და მიუტანეთო! წერილი მართლაც მომივიდა, ბარათს ეწერა – „თბილისი, გიზო ნიშნიანიძეს"...

ჩემი ლექსის ერთ სტროფს გეტყვით:

„დრო მიდის, გვითელის ნაბიჯებს
და უკან აღარ ბრუნდება,
ღმერთო, მიეცი ამ ბიჭებს,
მეორედ მოსვლის უფლება!".

მე ვცადე, რომ ჩემი თაობის ბიჭები გამეცოცხლებინა. ისინი ძალიან დამაკლდნენ თვალში. მათ გარეშე ჩემმა ცხოვრებამ ფერი დაკარგა. ამ წიგნებს იმიტომ ვწერ, რომ მინდა, იმ დროში და იმ მოგონებებით ვიცხოვრო. დრო მქლავს და მეც დროს ვკლავ!... და ვართ ერთ ჭიდაობაში.

– რა არის თქვენი ყველაზე დიდი სევდა?

– ადრე თბილისში საოჯახო სურათის გადაღება იყო წესად. სახლში მიკიდია ფოტო, სადაც ჩემი მშობლები, ჩემი უფროსი და და მე ვართ გადაღებული. ეს სურათი ჩემთვის ხატად იქცა. გენატრება მშობლები, ნარსული... მისი დანახვისას რაღაცნაირი სევდა მიპყრობს... მიფიქრია, ნეტა, ცხოვრება ისე იყოს მოწყობილი, ცუდით იწყებოდეს და კარგით მთავრდებოდეს–მეთქი (იქნებ ასეცაა!). სიკვდილი ბოლო საიდუმლოაო! არც ის ვიცით, საიდან მოვდივართ და არც ის, საით მივდივართ. ალბათ, როგორც დავიმსახურებთ, მეორე სოფელიც ისე მიგვიღებს. ვინც სიტყვა „წუთისოფელი" მოიგონა, ყველაზე მოკლე რომანის ყველაზე დიდ რომანისტად მიმაჩნია. ისე, რამდენიმე ქართული სიტყვა მეც მოვიგონე, გამოვიყენე და მშვენივრად მიიღო მკითხველმა. მაგალითად, ჩემს სანაცნობოს ჩემი სასალმეთი დავარქვი... მადლობელი ვარ უფლის, რომ მაქვს იმის ნიჭი, წერილობით გავიმეორო ჩემი ცხოვრება. ამის საშუალებას ხომ სხვა პროფესია არ მოგცემს. ასე მგონია, ლექსს ღმერთი წერს, მერე ნაკუწ–ნაკუწ აქცევს და თოვლის ფანტელებად გვაყრის. ჩვენ უბრალოდ ღვთის პირველი მსმენელები ვართ. 53 წლის კაცი ვიყავი, პირველად რომ დავწერე ლექსი. სხვანაირად არ გამოდიოდა, რისი თქმაც მინდოდა, სხვა ჟანრის არტახები იმის საშუალებას არ მაძლევდა, ასე ლაკონურად მეთქვა ყველაფერი.

ძველად აღმოსავლეთში თბილისს ასე უწოდებდნენ – „სახლი სიხარულისა". დედაქალაქი მართლაც იყო სახლი სიყვარულის და სიხარულისა. იმ დროის თბილისის ყველაფერი მენატრება და, როგორც ერთ სიმღერაშია, „დასავიწყებლად არ მემეტება..."

## *მოლოთქმის წინასიტყვაობა!*

(ჩემს სისხლსა და ხორცს)

ამ წიგნის მიგნებით – სულ ერთად ვიქნებით...
ოღონდ არ დაგზაფროს შენმა სიმარტოვემ.
მიგულე – საგულეს –
როგორც ავგაროზი –
მე – სულ შენთანა ვარ –
მე – არ მიგატოვებ!

---

*ადიღეურ-ჩერქეზული: მიწას ერთს აძლევ, ორს გიბრუნებს.*

*ქვრივი ქალი ადვილი გასაჭორია!*

* * *

დრო გარბის... მიედევ —
ეწვიო რომ კვლავ —
და ერთიც, კიდევ...
დრო — მკლავს და დროს — ვკლავ!

* * *

მოყვარეს პირში ეუძრახე —
პირში მთქმელს კაცი ეუძახე —
თუ გაქვს ნამუსი „ერცახე" —
მხოლოდ ნაყოფით იცან ხე!

* * *

ფეხიდან თავამდე,
თავიდან ქუდამდე,
ეს აბდა-უბდაა...
აბდიდან-უბდამდე!

* * *

ტოტია გაშინაურდა —
უძაღლო ფარას მიადგა.
ადამიანი — გამგელდა,
მგელი — გაადამიანდა!

## *ლექსპრომტი*

*1928 წლის 13 თებერვალს დაბადებულ*
*გიზო ნიშნიანიძეს*

რიცხვთა შორის —
(სხვათა შორის) —
ცრუ რწმენით თუ ფარსით —
„მე-13 გოჯის" ენით
13-ს ჰქვია... თარსი!
(თუმცა, თავის არსით!)
. . . . . . . . . . . . . .
ბებერად თუ არ გახმა
კაცის ნატვრის ხეა —
ჩვენს ასაკში, ყოველი დღე...
დაბადების დღეა!
ქართულ ციფრთა ოცეულში
პატივი აქვს 13-ს —
კვიმატიანს —
სხვა ბედიანს —
ცა — მეტი აქვს
13-ს!

*13.02.2011*

*ღირსებს გააჩნიათ, ვიდრე საკუთრივ სომხებს. ისტორიულ-არქეოლოგიური სომხები ქართველებს უსინდისოდ ძარცვავენ — ისტორიული ძეგლებიდან ამოკაწვრით მთიან ქართულ წარწერებს, იტაცებენ უძველეს მართლმადიდებლურ სამრეკლოებს და დაცარიელებულ ეკლესიებს.*

*...არმენოლოგ პროფესორ პაცკანოვის მიწაზე ნაკუმარი ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რომ სომხების სასარგებლოდ ქართველებს რამე წაგლიჯოს. თანაც სულ იმის დამტკიცებას ცდილობს, რომ უძველესი ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი" ნასესხები ნაწარმოებია.*

*...ვიღაც გ. ეზოვი თავის ფენომენალურად უცერემონიო წიგნში „პეტრე დიდის კავშირი სომეხ ხალხთან", ყოველგვარი საშუალებით ცდილობს, დაამტკიცოს დაუმტკიცებელი.*

*მეტად საინტერესო წიგნი — „ქვათა ღაღადი" ეძღვნა სომეხთა მთელ ამ სიცრუეებს და ბინძურ ისტორიულ-არქეოლოგიურ მაცებლობას ცნობილმა ქართველმა პოეტმა და პუბლი-*

## ლექსპრომტი „ალილოს"

ქართულ სუფრის ადლო, მადლო, მარილო...
ბარძიმ-ფეშხუმ-ეშხო — ფერ-უმარილო...
ღვთის წინაშე მოიხადო ვალი რო...
გაიკელიო ქვეყნის ალი-კვალი რო...
და შეაღო სამოთხისა კარი რო...
ალილუია — ღმერთს დიდება —
ალილო!

* * *

*ბ.ნ ბ.ს!*
*(„ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!")*

დღეს ყველა...
ლამის ყველა ცალკერძობს —
დღეს ყველა...
ლამის ყველა ცალკე ძოვს!
ცალკეტუჩაობს,
ჯამიტლეკიობს,
ეით დიდოელი, გვძარცვავს ლეკიო!
მაგრამ... ბუნების ნათაეხედარნი —
გამოჩნდებიან ქრისტეს მხედარნი —
შავს გახდიან და თეთრს ჩააცმევენ —
და კაცის ჭირსა — ლხინად აქცევენ.
...რა პქეია ენით უთქმელ სიკეთეს —
ვინც ჯოჯოხეთშიც ედემს გეიკეთებს?
რადგან არ არის მსგავსი შემთხვევა...
არც ერთი სიტყვა მას არ ემთხვევა...
და თუ არსებობს გამონაკლისი —
არის საწყისი — მადლი აკენისა.
ღმერთმა გეიმრაელოს მსგავსი კაცები —
კეთილ ნებით და ალალ გაცემით!
რუსთველის სიბრძნეს მოულხენია:
რასაცა გასცემ — იგი შენია...
და, რასაც არა — დაკარგულია,
ერის სიმდიდრე — კაცის გულია!

* * *

სული-გული-ღმერთი რჯული —
ასი თვალი — ასი ყური —
დღე და ღამე გადაბმული —
აქეთური — იქეთური!

* * *

ფიქრის ფიფქები თეთრად მათოვენ...
მკლავეს სიმარტოვე!
სიტყვა გამექცა, ვერ დავეწიე,
სად არ ვეძიე...
მომნატრებია საზერეღ, საყანიდ —
სამურზაყანო!
დარდი გასივდა, როგორც ღრუბელი...
მომკლავეს ჭუბერი!..
უზღვოდ ვიხრჩობი — დიოსკურია
ისე მწყურია!!!

* * *

ქართველია და ქართულს იძრახვის —
საუცხოოს და უცხოურს ნატრობს.
„ვაის“ მაგიერად „ვაუს“ იძახის,
ვაი ჩვენსა და „ვაუ“ მათ პატრონს!

* * *

მივაგორებ ამ ჩემს ურემს,
რომ სადმე არ გადაბრუნდეს,
მეგულები და მიგულე,
უკან ხედვით... წინ იყურე!
რომ წარსულის ამ ხედებით —
მომავლისკენ გაიხედოთ...
რომ ჩემს გულში ჩაიხედო
და შენს გულში ჩამახედო...

* * *

კაცნი ჩვენ-ჩვენი ბედისწერა ვართ,
გული გვერჩოდეს, ენა გვეჭრიდეს...
„ცამდე მართალი“, მგონი, ყველა ვართ...
ცოტა... მიწაზე რომ არ გვეჭირდეს!

* * *

ეზომო-ეწონო რითი,
ჩამოეთვალი რვეთი,
დაილოცოს, ღმერთით —
ჩემი სასალმეთი!

* * *

დიდო თუ პატარა,
მოხუცო და ბალღო,
ღმერთი იყოს თქვენთან —
გაგიმარჯოთ, ხალხო!

ცისტმა თავადმა ილია ჭავჭავაძემ.

...როცა თბილისში სომხების და ქართველების ტომთა შორის ურთიერთობაზე საუბრობენ, იხსენებენ გაზეთ „ტემპის“ კორესპონდენტს, ვიღაც კუტულის. ჩამოვიდა თუ არა თბილისში, იგი წამსვე ხელთ იგდო გაქნილმა ეშმაკმა, მაგრამ ჭკვიანმა პოლიტიკურმა აგიტატორმა, კუზიანმა არწრუნმა, რომელიც გამოსცემდა გაზეთ „მშაკს“. სომხებმა ბობოლებმა პატივისცემით თავზე დაასხეს კუტულის — აჭმევდნენ, ასმევდნენ, წამით არ იშორებდნენ გვერდიდან. მას სრულიად დაჰკარგვოდა გარემოს აღქმის უნარი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ კუტულის ყველა შემხვედრ ლამაზ ქალს სომხად წარუდგენდნენ, მახინჯს კი — ქართველად. კომიკური სიტუაცია შეიქმნა, რადგან ქართველებიც კი, რომელთაც გამძაფრებული აქვთ ისტორიული თავმოყვარეობა, ღიმილს ვერ იკავებდნენ მიმნდობი თუ მოსყიდული ფრანგის ჩანაწერების წაკითხვისას.

ხოლ ახლახანს კი, ჭეშმარიტად სასეირო სანახაობად

* * *

რა ღირს წიგნი?

ეს წიგნს აწერია!

მაგრამ, რა ფასი აქვს მას მკითხველისთვის, ან რა უღირს იგი ავტორს... ეს ღმერთმა იცის!

გუსტავ ფლობერმა ერთ რომანს 4 წელინადი მიაფშვნა და ბოლო წერტილის დასმის შემდეგ თქვა: ისე დავიღალე, თითქოს მთები გადამედგას. ხანდახან ტირილი მომინდება. წერას არაადამიანური ძალა უნდა. მე კი მხოლოდ ადამიანი ვარ... როგორ ხათაბალა რამაა ეს ოხერი პროზა — ვერაფრით ვერ დაამთავრებ და მონყდები... მე ვფიქრობ, რომ იგი თავისუფლად შეიძლება, ლექსივით გააჯერო — პროზაული ფრაზა, რიტმული ჟღერადობით, პოეზიასავით უნდა იკითხებოდეს. დიდხანს ვარჩიე და ვეძებე წერის მანერა, რაც, ბოლოს და ბოლოს, მგონი, ვიპოვე... მწერლური სიძნელეების დათვლა ალბათ შუბლზე მომდგარი ოფლის წვეთებით თუ შეიძლება!

დიახ, ასეა ეს, მაგრამ მწერალს ოფლისა და მელნის წვეთებს რა დაუთვლის! ფლობერივით უნდა ფლობდე კაცი სიტყვას, რომ მას... ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის 125 000 სიტყვაში... ჯერ მიაგნო და მერე თავის ადგილზე დასვა! სიტყვის გაწერთნა... ზოგჯერ, აფთარის მორჯულებასაც კი ჰგავს... ბევრი ვეცადე, ბარათაშვილივით, მეც „მერნისთვის" ამეკიდებინა ფიქრი ჩემი „შავად მღელვარე", რომ დღეებსა და ღამეებს გაერბინათ კონსტანტინეს „ნაბდით დაჭედილი ბედაურებივით"!

ჭკუის საკითხავ კაცებს რომ ჰკითხო, ენა უძვლო კია, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი და მრისხანე იარაღი გახლავთ, რომ მარტო ენათმეცნიერების იმედზეც ვერ დავტოვებთ. ენა ხალხის საუნჯეა და ხალხმა უნდა შეინახოს. აი, კიდევ ერთი ფონემა! „უნჯი" — განძიცაა და, ილიას ნათქვამივით — ენაზე კბილის დაჭერაც!

კვენტონ კრისპი: არსებობს მწერლად გახდომის 3 მიზეზი: 1. ფული გჭირდებათ; 2. რაღაც სათქმელი გაქვთ; ან 3. არ იცით, რით უშველოთ თავს ზამთრის გრძელ ღამეში...

სამში ერთს გადავრჩი!

სამში ორი კი... მეც მომხვდა გულზე!

ჩვენში დღეს, მწერლობას, ფული კი არ მოაქვს... მიაქვს!

რაც შეეხება სათქმელს... 83 წელინადში იმდენი კი დაგროვდა, რომ მის მოყოლას ერთი ამდენიც არ ეყოფა! თანაც, ზოგი წლობით, თვეობითა და კვირეობით ცხოვრობს, ზოგი დღეებით, საათებით და წუთებით (წუთისოფელი ღირს იმდენად, რომ წუთობით ითვალო!)

აი, ეს მე-3 მიზეზი კი!...

არსებობს ერთი ჩემი ხნის ძველი თბილისური სიმღერა: „ზამთრის ყინვა არ მაშინებს, როცა გხედავ, მაშინ მცივა!"

ახლა ისეთ ჯამაათში ტრიალებ და იმდენ ურჯულო კაცს დაინახავ კაცი, რომ ტანშიც გაგცრის და კიდეც გაგაცივებს. ჰოდა, ზამთრის ყინვა და დაზაფრული გაზაფხულები რომ მაშინებდა, სწორედ ამან გადამაწყვეტინა, ცოტა წარსულით მაინც შემეთბო ეს ჩემი პირადი ზამთარი

და როგორმე გადამეტანა... სწორედ ამან გადამაწყვეტინა სქელტანიანი ფოლიანტების (ოთხკუთხივ ჯვარდასაწერი ოთწიგნედის) წერა-კითხვები!

... აქ, ნებაზე მიშვებულმა სიტყვამ ისევ ლექსად ინება მობრძანება და, ამრიგად, როგორც იტყვიან, ხმა ღვთისა და ხმა ერისა. სიტყვა ეძლევა პოეზიას!

დღეს კაცს შია ან სწყურია (ვარ მნახველი უნახავის)

იშვიათად არის ერთად სახელიცა და სახრავიც!

ან ფული გაქვს, ან სახელი (ორივე ერთად ვერა ძლევენ)...

არ გკითხავენ, „რა იცი“ და...

კითხულობენ — „რა იშოვე?“

* * *

30 წლის შემდეგ, ანუ 2010 წლის 4 მაისს... იმ პირველიდან მეორე „პაემანის“ დღეს, როცა ვერაზე ერთ ფილაქნის ქვას ჩემი სახელი დააწერეს და დღევანდელობის ენით რომ ვთქვათ — ე.წ. „ვარსკვლავი გამიხსნეს“... საიდანღაც ამოტივტივდა რომაელი „ვარსკვლავებიჭუნას“ — ფილოსოფოსისა და მწერლის, პანთეისტ ლუციუს სენეკას სიტყვები: „დედამიწიდან ვარსკვლავებამდე სავალი გზა... გზატკეცილი არ არის“!

დიახ, სწორედ ამ ცხრაწყაროს, ცხრამთისა და ცხრა ბარის...

ღობე-ყორე სიზმარ-ცხადი გახლავთ ჩემი ზღაპარი!

80-ს გადავაბიჯე!

(აღარ ვითვლი ნაბიჯებს) —

წვიმაა თუ ქარია — ყველა ნაჩუქარია...

წუთია და საათი — მაქვს „მე“-სთან მასლაათი.

დრო ირჯება!...

ნაჩუქარს...

კბილი არ ესინჯება!

* * *

ისე, ასტრონომების მეცნიერულ კვლევებს თუ ვენდობით, გალაქტიკაში, საშუალოდ, 100 მილიარდი ვარსკვლავია! იმ შემთხვევაში, თუკი შევძლებთ და დავითვლით (სიჩქარით — 3 ვარსკვლავი წამში), ბოლომდე გასვლას 1000 წელს მოვანდომებთ.

იქცა სომეხი პოლიტიკანების და „ისტორიის მიხზვევლების“ მცდელობა — თავბრუ დამხვევით ფრანგი სწავლულის, ბარონ დე ბაისთვის, რომელიც ბევრს წერდა რუსებზე. მაგრამ სომხებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. და ბაიამ მოინახულა სომხეთს კათალიკოსის რეზიდენცია — ეჩმიაძინი. სადაც მას წარუდგინეს „წარმოუდგენლად“ ძველი ნივთები, რაღაც გვირგვინები, ფიალები, მოქარგული გადასაფარებლები და სხვა. გამოცდილმა არქეოლოგმა წამსვე შეამჩნია, რომ ნივთების რეალური ასაკი არ ემთხვეოდა მათ „სომხურ დათარიღებას“ და ამის თაობაზე პრესში საკმაო ირონიით დაწერა.

და, რას წერს სომხებზე ტაციტუსი თავის მეორე წიგნის 53-ე პარაგრაფში — მიუკერძოებელი, ჰუმანური და მაღალზნეობრივი ტაციტუსი, რომელსაც სიმართლისათვის შეეძლო რომის მტრების, გერმანელების ქებაც კი: „ეს არის დასაბამიდან ორსახოვანი ხალხი, როგორც ხასიათით, ასევე გეოგრაფიული მდებარეობით“. ხოლო მე-

ჰოდა, ჩვენც ვიყოთ და ვნყვიტოთ ეს ვარსკვლავები — რა გვეჩქარება?

კატებს, თურმე, თითო ყურზე 32 კუნთი აქვს და თაგვის ფაჩუნიც ესმით.

სიბერეც, ვითომ ყრუა, მაგრამ სიკვდილის ფეხის ხმას ვერ გამოაპარებ. სადღაც ნავიკითხე, რომ ბეთჰოვენი როცა ინსტრუმენტთან „საომრად" მივიდოდა... ანუ სიმფონიების ნერისას, თავზე ცივ ნყალს ისხამდა!...

შემიძლია, ხატზე დავიფიცო, მე ჩემით მივედი იმ დასკვნამდე, რომ ნერის დროს ამ ოხშივარავარდნილ, მოტვლეპილ თავზე ცივი ნყლის გადავლება... მისნრებაა!

ეს პარალელი იმ მეგრელის რეპლიკასაც ჰგავს, ტრამვაიდან ჩასვლისას მეორე ჩამსვლელს რომ უთხრა — ოხ, კოლეგა! თქვენც ამ გაჩერებაზე ჩადიხართ?!

მახლას!

ლ. ბერნე: იმისათვის, რომ კარგი ნიგნი დანერო, საჭიროა: აიღო კალამი, ჩაანო მელანში და სული „გააცხო" ქაღალდზე!

ჟან დე ლა ბრიუიერი: ზოგი ქება-დიდების ღირსია იმიტომ, რომ კარგად ნერს. ზოგი კი იმიტომ, რომ... საერთოდ არ ნერს... ამ უკანასკნელის სიბრძნეს კიდევ უფრო მაღალ შეფასებას მივცემდი, რომ არა ერთი მისი პოსტულატი, რომელიც პირდაპირ უნისონშია და ეხმიანება დღევანდელ, ასე ვთქვათ, „ფიქსტულატს": „ბუნების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმახინჯე... შეყვარებული ბერიკაციაო!" ცნობილი მორალისტი — მორალისტად, მაგრამ სად სიყვარული და სად სიმახინჯე?!

ციცერონი: თავიანთ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს უგუნური ადამიანები სიბერეს აბრალებენ.

ალბერ კამიუ: სიბერე გრძნობიდან... თანაგრძნობაზე გადასვლას ნიშნავს.

ფრანსუა დე ლაროშფუკო: სიბერე — ეს არის ტირანი, რომელიც, სიკვდილის მუქარით, ახალგაზრდულ სიამოვნებებს გვეკრძალავს.

მარკ ტვენი: სიბერისას — ნაოჭები უნდა ნარმოადგენდეს იმ ადგილებს, სადაც სახეს ადრე ღიმილი დათამაშებდა.

ვოლტერი: სულელისათვის სიბერე ტვირთია, უვიცისათვის — ზამთარი, მეცნიერისათვის — რთველი.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე: უნდა მოხუცდე, რომ კეთილი გახდე. უცნობი ავტორი: მოხუცები ორგზის ბავშვები არიან (ესეც მე ვარ?).

და მაინც!

ილია ერენბურგი: ძალიან ძნელია, „ცხოვრების შემოღამებისას" გაიგო რაიმე — „ცხოვრების დილისა", რადგან იცვლება განათება და იმის აღქმაც, რასაც ხედავ.

ჩვენი ილიაც ასე ფიქრობს: კაცი რომ დაბერდება, შვილდი ძირს უნდა დასდოს.

და მეც „ნახირ-ნახირ": სიბერე ღვთის ნყალობაცაა და ღვთის რისხვაც (ვინ როგორ იმსახურეს!)!

---

*სოლონი: სიკვდილამდე ვერ იტყვი, კაცი ბედნიერიაო.*

*ბედნიერებას ფულით ვერ იყიდი – შეხედე, რა ფასებია!*

* * *

სიტყვა — ღმერთია —
ღვთისა ხელით —
შესაძლებლის გაეცდი ზღუდეს...
ქართულ ენის საჭრეთელით —
ენით უთქმელს ვაჩუქურთმებ.

* * *

ქართულო ენავ!
ვერ გიმეტებ საუწმაწუროდ —
სადღეგრძელოდ და სამზეგრძელოდ
უნდა დაგწურო!

* * *

თვალია — გაფაციცებული,
ხელია — გავარჯიშებული,
კალამი — ნებაზე მიშვებული,
სიტყვაა — გადაჯიშებული!

* * *

როგორიც ვარ... თუ ისეთი არ გინდივარ...
ჩემი ნებით არც მოვსულვარ — არც მივდივარ!
ყველაფერი, რაცა ხდება (ბოლოს ვხედებით) —
უჯერებლის შეჯერებით
და ღვთის ნებით!

* * *

დაბადებაა... წვალება?...
შევბაა — გარდაცვალება!
მოწმე მჭირდება როცა მე —
ვამბობ: ღმერთია მოწამე!

* * *

არც მოსვლა უკითხავთ —
არც წასვლას გკითხავენ —
ახსენე ღმერთი და
შენდობა ითხოვე!

* * *

რომ მცოდნოდა — სად მოვდივარ?...
არ მოვიდოდი!
რომ ვიცოდე, სად მივდივარ?...
თუ წავიდოდი?..
„გამარჯობა!“ — მოსვლისაა... ბედის მინდობით —
(წარა-მარით),
წასვლისა კი... არის „მშვიდობით!“

12 წიგნის 40-ე პარა-გრაფში იგი აშკარ-ად მიუთითებს სომეხთა მზაკვრულ ბუნებაზე.

„შენ ხარ მშიშა-რა, შენ ხარ მონა, შენ ხარ სომეხი! — ამბობს პუშკინი მოხუცი მთიელის პირით. ქართველები ამბობენ — „მოვი-და სომეხი, მოიტანა სხვა მეხი“. სომეხი მევახშეების მიერ ქართველი თავადებ-ის მშობლიური მი-წებიდან განდევნამ მთელი რიგი ქართუ-ლი ანდაზები შვა: „ჯიშიანი ცხენები გაწყდნენ, დოლი ვირებს დარჩათ“, „გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდო“ და სხვა. ამიერკავკასიელი თათრები ამბობენ: „ათივე თითი სანთ-ლად რომ იქციო და სომეხს გზა გაუნათო, მისგან მადლობას ვერ ეღ-ირსები“. რუსი ხალ-ხი საკმაოდ დამამ-ცირებელი ეპითეტე-ბით მოიხსენიებს სომხებს — ხან ზიზღით, ხან კიდევ დამცინავად. ნეკრა-სოვი ამბობს:

„ვიღაც სომეხს კისრისცემით გაჰყ-ვაო“...

...საქმეში ჩახედუ-ლი და მიუკერძოე-ბელი ადამიანები უდიდესი რისკის ფასადაც კი აღარ ერიდებიან სომეხთა წინააღმდეგ ხმის

* * *

სიცოცხლეში... სიკვდილის გულახდილობით ვერ ილაპარაკებ.

სიკვდილმა კი... ლაპარაკი არ იცის. ალბათ იმიტომ, რომ ვაი ცოცხლებს, თუ მკვდრები ალაპარაკდნენ!

* * *

ჩემი სიყმანვილის გზა-კვალისა თუ უგზოუკვლობის გამო, დედაჩემი რომ დამნყევლიდა, „ჯანდაბამდე გზა გქონიაო!", თურმე, ეს ნყევლა კი არა... ლოცვა ყოფილა! მთავარია, პატიოსნად იარო და გზამ ტაძრამდე მიგიყვანოს, თორემ ახალდაბიდან — ჯანდაბამდე იქნება ეს თუ საკუთარ ტყავში დატევა... ამას მე-13 საზვერეში დაადგენენ! (13 კი, მოგეხსენებათ, ჩემი რიცხვია და 13-ისთვის თავი ყოველთვის მე-ცა-მეტება!) ალბათ, ამ ნყობილებისა არა, მაგრამ ამ განნყობილებისაა ეს კატრენიც!...

მშობლის ურჩი ულაყის წინ —
მიწანიც კი იწევიან...
მამის ლოცვა მეწია და...
დედის „წყევლამ" მიწია!

* * *

ცხრაპირი გაიძერე ტყავი, რომ
შენზე გაჭირვებულს ეძმო.
ძალიან გიყვარდეს თავი, რომ...
თავის თავგანწირვა შეძლო!

ძველინდური აფორიზმი უფრო შორს მიდის: ის ასკეტია საქები, ვისთვისაც მტერი მოყვრის ტოლფასია და ის მეფეა საგინებელი, რომლისთვისაც ბოროტმოქმედება... კეთილშობილებაა!

...როცა ნიგნის ნაკითხვა მომინდება... ვჯდები და ვინყებ ნერას(!) ამ ნიგნების მნერალიცა და პირველი მკითხველიც... მე ვარ. ვნერ, რომ შორიდან შემოვხედო ჩემს „მეს"!... — მე — თავი შევიქციო, შენ — თავში ჩაგახედო (ჩემი დროის მოსაკლავად და თქვენი დროის სატარებლად!). ვნერ... ვნერ და... ერთი სული მაქვს, როდის ნავიკითხავ!

ხლართვა არის ეს თუ ხელრთვა —
ერთი სული მქონდა, მეთქვა...
დღე და ღამეს ვასწორებდი —
შავით — თეთრზე... სხვა რა მექნა!
კალმით, როგორც ყაისნაღით...
ვქსოვდი ფიქრებს სიტყვით-ნაღდით...
გავილექსე, გავბაღნარდი —
გავლაღდი და გამილაღდი!

* * *

„სხვისსა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარიო" — ცხოვრებისეული სიმართლით გვატარა ნინაპრის სიბრძნემ.

მნერლის ბედნიერებაც და უბედურებაც ისაა, რომ მას უკვე „ნაკითხული" აქვს ის, რაც ჯერ... დანერილიც არ აქვს!

ეს ღვთიური საქმეა და ამ კოსმოგონიაში ღმერთის ხელი ურევია. მაგრამ არის სხვა ადამიანური სისუსტეები, რაც სხვისი გულის მესაიდუმლეს — მნერალს კი არა, რიგით მოკვდავსაც კი არ ეკადრება — აღარ გათავდა ეს კალმისნვერული ძიძგი-ძიძგილაობა — მამლების გადედლება თუ

დედლების გამამლება... ცალკეტუჩაობა, ქილიკი და ჩემიშენიო!.. რასაც (სულო ცოდვილო), არა რწმენამ და არა მკითხველმა... არამედ, სწორედ არამკითხე მოამბეებმა შეუწყეს ხელი და ცეცხლზე ნავთი უსხ-ეს!... საქმე თუ საქმოსნობა იქამდეც კი მივიდა, რომ კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარე-სის გასაშველებელ-გასაშვილებლებიც კი შევიქენით! სულიერმა მამამ სამების ტაძრში შეიკედლა ქართუ-ლი მწერლობა და მათ ეროვნულ მხატვრულ სიტყვას დარბაზი უბოძა დედაეკლესიაში.

რამ გაგვხადა ერთმანეთზე დანის მლესავი...
გვეჯავრება ერთმანეთი... ჭირის დღესავით.
საქელეილის — ლხინის ჭირი სად შეეყარა —
ღვთისმშობელი მარიამის წილხვედრ ქვეყანას?

რას უნდა გაემწარებინა ეს ღვთისნიერი კაცი (ეკ-ლესიაში ალკვეცილი), მწერლების ნაღდი ძმა და მე-გობარი მერაბ ელიოზიშვილი, რომ „დემარშით" გა-მოსულიყო სამწერლო ასპარეზზე და გაზეთში ასეთი განცხადება განეცხადებინა:

„მწერალი ვარ. ვისაც უნდა, იმას შევეჯიბრები, მოაწყონ მაჩაბელის ქუჩაზე შეჯიბრი, მარტო კალმე-ბით მოიყვანონ ხალხი, დაურიგონ ფურცლები, დამ-აწერინონ, ნახონ, რას დავწერ. „ვინც არ არის კახ-აბერი, მე ვერ ვიტყვი კახაბერად", — გურამიშვილმა ხომ თქვა, მეც ასე ვარ, სიმართლეს დავწერ. მწერა-ლი ვარ. თუ არ მექნა ქაღალდი, რაზე დავწერ" (?!)

ფუი, ეშმაკს! თუმცა, შორსა ვარ ამ ამქრული „ბატალიებიდან", მაგრამ ეს ის სხვისი ჭირი არ არის — „ღობის ჩხირად" რომ მოეჩვენოს კაცს თუ არ-აკაცს!

ქარი რომ სანთელს მიქრობს...
რა ღვთის წყრომაა? — ვფიქრობ.
და ენატრობ ნეტარ იმ დროს —
იმ კალმისტარულ სინქრონს...
როცა ერთმანეთს ჯიბრში კი...
არ ვუდექით — სამშობლოს
სიყვარულში ვეჯიბრებოდით!

* * *

ფანტელივით იფანტება ფიფქები...
იწვის, დნება ფიქრი აზრის მიგნებით...
სიტყვის ცეცხლი მეკიდება... ვინთები —
თეთრად ბარდნის — ლექსად მათოვს რითმები!

* * *

წიგნი — უფლის ჯვარია, სანთელ—კვარია...
საკურთხევლის დიდი კარია...
ბორხესმა თქვა — წიგნი კაცის გზა და კვალია —
„წიგნი შენი მარტოობის მეგობარია"!

ამაღლებას. ცნობილი ფრანგი მოგზაური, გრაფი დე ილდ — სომხეთის, ქურთისტანისა და მესოპოტამიის მომოხილვის შემდეგ მუსულმანების სომხებისადმი დამოკიდებულების ფონზე წერდა: „მიუხედავად დიდი თანაგრძნობისა, რომელსაც ბადებს სომხების სიღარიბე და ტანჯვა-ვაება, მე ვერასოდეს მოვახერხე მათთან დაახლოება, რადგან ვერ შევეგუე ზიზღისმომგვრელ მათ ცბიერებას, სულმდაბლობას და გულისამრევ სიმუხთლეს!"

...გერმანელი მოგზაური ალფრედ კაროცე თავის „ანატოლიურ ესკიზებში" სიტყვებს ქარს როდი ატანს: ყველგან მართლდება ანდაზა, რომ ბერძენს ძალუძს ორი ებრაელის მოტყუება, სომეხს კი შეუძლია მოატყუოს ორი ბერძენი. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ თუ ანატოლიაში სადმე მოგატყუებს, ესე იგი საქმე სომეხთან გქონიათ".

სომეხი ისტორიკოსები პრეტენზიას აცხადებენ ლეგენდარული პერიოდის მონაცემთა „ეშყუარ" სიზუსტეზე. თითქოს სომხეთ წარმოშობა ეშუა-

* * *

მწერალს — მკითხველი მოაკლდა,
მკითხველს — მწერალი...
მისხალ-მისხლით გაშრა სისხლი,
დაშრა მელანი!

* * *

ლევ ტოლსტოიმ თქვა: თუ შეგიძლია... ნუ დაწერო!

მეფე რომ ვყოფილიყავი, კანონს გამოვცემდი, რომლის თანახმად, მწერალს, რომელიც ისეთ სიტყვას გამოიყენებდა, რომლის მნიშვნელობასაც ვერ ახსნიდა, მწერლობის უფლება ჩამოერთმეოდა და ას მათრახსაც დაიმსახურებდაო.

P.S. კალამგირობა — უფრო მეტ სასჯელსაც იმსახურებს. გრაფომანებს „გრაფებად" მოაქვთ თავი.

* * *

ადამიანის წესიერება — სიტყვებისადმი მის დამოკიდებულებაში ჩანს.

მიგელ დე სერვანტეს სააავედრა: არ შეიძლება დაწერო ისეთი ნაწარმოები, რომელიც ყველა მკითხველს დააკმაყოფილებს.

უცნობი ავტორი: ვინც წერს, ის ორჯერ კითხულობს.

რომენ როლანი: იყოს კრიტიკაც, დავაც, მაგრამ სინდისიც... ჩვენ ხომ ადამიანები ვართ!

ალექსანდრე ბლოკი: ლიტერატურა უნდა იყოს პური არსობისა.

კობო აბე: მე ყოველთვის მაოცებს ის გარემოება, რომ ზოგიერთის ნაწერს... ცარიელი ადგილის ფასი აქვს!

ნიკოლოზ ვასილის ძე გოგოლი: მწერალს მხოლოდ ერთი მასწავლებელი ჰყავს — მკითხველი!

ზვიად გამსახურდია: ნამდვილი ლიტერატურა, ნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე, ღრმავდება და იზრდება ზოგადკაცობრიულისკენ!

ჟან კოკტო: ნაწარმოები — ესაა ოფლი (შუბლის ღარები — სტრიქონებია და საამაყოდ ისიცა მყოფნის — მუზისთვის კვერცხი მიგორებია! — გ.ნ.).

ერნესტ ჰემინგუეი: პროზა — არქიტექტურაა და არა დეკორატორის ხელოვნება.

რობერტ ბერტონი: კალამი ხმალზე ბასრიცაა!

ილია ჭავჭავაძე: ხმალი იმოდენს ვერას იქმს — მრისხანე და ძლიერიო, რასაც იქმს მშვიდობიანი კალმის პატარა წვერიო!

მიგელ დე სერვანტეს სააავედრა. „სამოძღვრებო ნოველები". ეპილოგადაც რომ გამოდგება, ისეთი პროლოგი მკითხველს: „...როგორი შესახედაობისაა კაცი, ვინც თავისი უსასრულო ფიქრითა და ზრახვებით საჯაროდ გამოსვლას ბედავს".

ვაღიარებ, პირადად, მე — ზღვის დონიდან 1,69მ... ჰა, ჰა, 1,70მ ვარ.

...თუმცა, ხშირად მებორკება ენა!.. ენას არ ვუჩივი!.. როგორც იტყვიან — სიტყვისთვის ჯიბეში ხელს არ ვიყოფ და რაიმე ლოგოპედიური პრობლემა რომ მქონდეს, აგერაა ჩვენი ძმისა და პირის ზიარების — ცნობილი სახიობისა და „ჯოკერის" — სატიოელი-ვერელი ბერიკას

(გივი ბერიკაშვილის) ცოლი, ცნობილი ლოგოპედი (რომელმაც, ალბათ, ზოგ „ხმის ჩასაკმენდსაც" კი ამოუდგა ენა!)... სიმართლეს მაინც გაუჭირვებლად გეტყვით, მით უფრო, რომ სიმართლის გამოსახატად, ზოგჯერ, სიტყვები არც კი არის საჭირო... მინიშნებაც საკმარისია!..

ამ ნოველებს მე „სამოძღვრებო" ვუწოდე... — წერს უსაფლავოდ დაკარგული, მაგრამ მარადიული მიგელ დე სააჰვედრა.

„ბოლოს და ბოლოს, დღენიადაგ ტაძარში ხომ არ ვართ, მუდამ ხომ არ ვესწრებით წირვას. არც გაუთავებლად ვსაქმიანობთ, რაგინდ მნიშვნელოვანი საქმე გვქონდეს, დგება გართობის დროც და ჩვენი განაწამები სული ისვენებს."

მე უკვე იმ ასაკში გახლავართ, როცა საიქიო ცხოვრებასთან ხოხმიკობა შეუფერებელია...

ჰოდა, აი, რა ამოცანა დავუსახე ჩემს ნიჭს.

ვიცი, რომ ჩემისთანა სუსტი ძალის მქონე კაცი ერთობ ბევრს ვკისრულობ, მაგრამ ქვეყნად ვის ძალუძს ადამიანის ფიქრისათვის ლაგამის ამოდება!..."

ღმერთმა შარიანი და ნუნია „კრიტიკოსების ლანძღვა-გინებისათვის გამაძლებინოს!" — წერს ბოლოს „დონ კიხოტის" დამწერი კაცი.

... ასე, დრო და დრო, ნაკუწ-ნაკუწ იწერებოდა ისე, რაც მეწერებოდა და მეც... აულაგებელი ფიქრების დაულაგებლობით... ისეთი აქეთურ-იქეთურობით ვწერდი, როგორი აბდაუბდაცაა ეს ცხოვრება!

ყველაფერს თავის გზა-კვალი უნდა...
ზვავად იქცევა პატარა გუნდა...
აბდა და უბდა — გუბედ დაგუბდა —
მიწა — ქალამნად და ცა კი — ქუდად!

ყველა კითხავს თავისი პასუხი აქვს, თუმცა, დღეს იმდენ და ისეთ კითხვებს სვამს ეს ცხოვრება, რომ... რამდენი კითხვაცაა, სადაა იმდენი პასუხი?

მარკ ტვენი: „როცა ვინმეზე გინდა ისაუბრო, უმჯობესია, მასვე მისცე სიტყვა, რადგან იგი უკეთ იტყვის თავის თავზე, ვიდრე ნებისმიერი... ვინც ამას აპირებს".

ჩვენი ტვენისა და ჩემი... მარკ ტვენისეული ბავშვობის თავისუფლების „ჯეკსონის კუნძული"... ზემელი იყო!

ტვენი პირდაპირ წერდა: „ნეტავ ცხოვრების ამაო ფაცი-ფუცს ამაშორა და ჯეკსონის კუნძულზე შემაფარებინა თავიო".

ამასვე წერდა ირაკლი აბაშიძეც: იქნება ჯობდაო... ჯობდა ნამდვილად! მეცხოვრა ჩემთვის — ჩემი ქუჩით, ჩემი უბანითო!...

ლოდ ნოეს უკავშირდება. მისი შვილთაშვილი იაფეტის შვილიშვილი იყო ჰაიკი. სომეხი არქიეპისკოპოსის იოსების მტკიცებით, რომელმაც იმპერატორ პავლე პირველს წიგნი უძღვნა, სომხური წარმომავლობა შემდეგი სქემით ვითარდება: ნოემ შვა იაფეტი, იაფეტმა შვა კომერი, კომერმა შვა ტირასი, ტირასმა შვა თორგომი, თორგომმა შვა ჰაიკი, რომელმაც ნიმროდთან ერთად ბაბილონელთა ენის აღრევა გამოიწვია. ჰაიკს არ სურდა ნიმროდის უმაღლესი ხელისუფლების აღიარება, აუჯანყდა მას, გაიმარჯვა და ნიმროდი მოკლა. ამდენად, ხალხმა, რომელსაც თავკაცობდა ჰაიკი, საკუთარ თავს უწოდა „ჰაიკელები". ამას მთელი რიგი ანალოგიური „სიმართლის მომცველი და აღიარებული" ფაქტები მოჰყვება. გვერდები აჭრელებულია ისეთი „დიდ ადამიანთა" სახელებით, რომელთაც ისტორია არ იცნობს. ორმა მელიქმა, მეჯინუნმა და აბომ, თავიანთ დახამხამებაში უღალატეს თავის ახალ მფარველს — მეფე ერეკლეს და აღა მაჰ-

ანატოლი ფრანსი: ლექსების თხზვა ღვთისმსახურებასთან ძალზე ახლოსაა.

ჰაინე: ყველა ეპოქას თავისი ამოცანა აქვს.

...ვინც პირველად უნოდა ქალს ყვავილი... პირველი პოეტიც ის იყო!

ვესლავ ბრუძინსკი: სამოთხიდან გაძევება, ხშირად, ხდება ტრიუმფალური თაღიდანაც... ანუ ტრიუმფით!

P.S. საკონცერტო დარბაზ „ტრიუმფში" მოენყო „პაემანი გიზო ნიშნიანიძესთან", რესტორნულად — ქეიფითა და ჭიქების ჯახა-ჯუხით! სიტყვა, ნახევარი, მთქმელისაა, ნახევარი — გამგონის! ლექსისთვის სრულიად შეუფერებელ გარემოში სიტყვა „ბეწვზე ეკიდა", მაგრამ თბილისურმა ეშხმა მაინც გაუძლო „ტრიუმფში" — ტრიუმფალური თაღიდან „ტრიუმფით" გაცილებას!

...პოლ ტერო: მნერლობა ნერვებზე თამაშია.

ყველა მემუარისტს ფაქტზე ნასნრებულივით ჩააფიქრებს კრისტიან გებელის შენიშვნა: ყველა თავის ავტობიოგრაფიას წერს და კარგადაც... მაშინაც კი, როცა ის მთლად კარგადაც არც იცის!...

მნარე სიმართლეს შეგვახსენებს „მრავალსართულიანი ამერიკის" თანაავტორი ილია ილფი: თუ მკითხველი არ იცნობს მნერალს... მნერლის ბრალია და არა მკითხველის.

ერთობ ორიგინალური და „თავისუფალია" ფოლკნერის აზრი სამშობლოსა და თავისუფლებაზე: „ ეს თავისუფალი ქვეყანაა, სადაც ხალხს უფლება აქვს, მომნეროს — მე კი უფლება მაქვს... არ ვუპასუხოო!"

განსაკუთრებით შთამბეჭდავია, მაგრამ არც ისე ორიგინალური — გენადი გალკინის აზრი ცხოვრებაზე: ჩემს სიკვდილში — ჩემი სიცოცხლეა დამნაშავეო!

* * *

ზვიად გურული:

ალექსანდრე დიუმამ „რეჟანში აილო" — სიცოცხლეშივე ხალხის უსაყვარლეს მნერლად აღიარებულმა, ვერც სამნერლო, ვერც სამთავრობო და, მით უმეტეს, ვერც სამეცნიერო ნრეებში ჰპოვა აღიარება: დიდგვაროვნები — არ სნყალობდნენ, ისტორიკოსები — ისტორიის გაყალბებას აბრალებდნენ, ხოლო მნერლები — არასერიოზულობაში სდებდნენ ბრალს.

...„უცნაური, ნიჭიერი და თაქარიანი" (ასე უნოდა, თურმე, ერთმა მაშინდელმა კრიტიკოსმა).

ქართველებს გვიყვარს-ხოლმე თავის ქება და უხცოელების კომპლიმენტების გაზვიადება, მაგრამ საქართველოთი დიუმა მართლაც აღფრთოვანდა და გააფრინა! არც არის გასაკვირი, დროის ტარების სიყვარულით ცნობილი კაცი უკეთეს ადგილას სად ნავიდოდა, ვიდრე მაშინდელი თბილისი იყო! მაგრამ, ქართული „ეიფორიის" მიზეზი ცხადია, მხოლოდ ეს არ ყოფილა — იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ჩვენი ქვეყნის ბუნებაზეც, ხალხზეც, ტრადიციებზეც...

...თუმცა, ეს ასეც უნდა ყოფილიყო — ეს ხომ დიუმა გახლდათ: „უცნაური, ნიჭიერი, თაქარიანი!"

აბა, „ჩვეულებრივი" უჩვეულოს — დ'არტანიანსა და გრაფ მონტეკრისტოს ვერ „გააჩენდა"!

ოსკარ უაილდი: ნინათ ნიგნებს ნერდნენ მნიგნობრები და კითხულობდნენ მკითხველები, ახლა მკითხველები ნერენ და სადღა არიან... მკითხველები?

იულიან ტუვიმი: ქვეყნიდან დევნილებზე უფრო საშიში — დროის მიერ დევნილები არიან!

ნორმან მეილერი: დრო იშვიათად არის ხალხზე უარესი.

მილორად პავიჩი: ყველა წიგნი, რომელიც ბოლო 2000 წლის განმავლობაში დაიწერა — ცალმხრივ მოძრაობასა ჰგავს — იწყება და სწორხაზოვნად მიდის ფინალამდე. მე კი, წიგნსა და სახლს, ლიტერატურასა და არქიტექტურას ერთმანეთს შევადარებდი. წიგნისა და სკულპტურის დანახვა სხვადასხვა კუთხიდან შეიძლება... ჩემი რომანის წაკითხვა ბოლოდანაც შეგიძლიათ, ასევე, დიაგონალზეც. წიგნი მკითხველის დროებითი სახლია, მას რამდენიმე კარი აქვს"... საიდანაც გინდა — იქედან შემობრძანდი!

რამდენიც გინდა, ფანჯარა... რამდენიც გინდა, თვალი და ყური, სული და გული! იკითხეთ, გინდა თავიდან, გინდა ბოლოდან... ოღონდ მარცხნიდან — მარჯვნივ და სულით და გულით!...

ჰემინგუეის „წიგნების თემატიკამ და ტონმა მწერლის ყოფილი მეზობლების გაოცება და შეურაცხყოფაც კი გამოიწვია. მწერალმა 35 წლის შემდეგ განაცხადა: შემეძლო, შესანიშნავი რომანი დამეწერა უოკ-პარკის შესახებ (სადაც გაიზარდა), მაგრამ ვერ დავწერე, ცოცხალი ადამიანებისათვის გული რომ არ მეტკინა".

...ეს პრობლემა მეც ტვინს მიბურღავდა თბილისური დოკუმენტური პოემის (ჯერ „ფრესკის", შემდგომ — „„პაემანი ვერაზე" სახელწოდებით) წერის დროს.

ზოგადის დაკონკრეტებაზე ძნელი... კონკრეტულის განზოგადება აღმოჩნდა! და ესეც არ იყოს, სხვა ათას მისამართიან თუ უმისამართო უხერხულობასთან ერთად, დოკუმენტალისტიკისა და მხატვრულობის... ამ ტერმინებისა თუ სიტყვათა შეთავსება, რაღაც შეუთავსებელსაც კი ჰგავს — დიდ თავსატეხს უჩენს ლიტერატურათმცოდნეობასაც, რომლის ვალია, სახელი დაარქვას ამ მხატვრულ-დოკუმენტური პროზა-პოეზიის... თუმცა, ანტიკური ტრადიციისა, მაგრამ დღევანდელობისთვის მაინც უჩვეულო ჟანრს.

ვახტანგ VI ბრძანებს: ენა უკლიტოდ — მორბედი ჭირია ულხინებელით!

კალამი — გულის ცხრაკლიტულ-სეიფს მორგებული გასაღები უნდა იყოს, რომელსაც სულის სამოთხეში შევყავართ.

ლიტერატურა და ხელოვნება — ეს არის ადამიანის ვნება და უზენაესის ნება!

ე.წ. გულის ავადმყოფობა... სულის ჯანმრთელობისათვის!

*მალ ხანს თბილისში შემოუძღვნენ გენერალ-ლეიტენანტმა ს. ო. ქიშმიშოვმაც აღიარა.*

***P.S.*** *ასე „ქიშმიშოვებით“ და „ლაბლაბოვებით“ ქმნიან ზოგნი თავის ისტორიას, ქართულ ხალხურ სიბრძნეს რომ ჰკითხო: „მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო!“*

*ფრთხილად, ქართველებო! გაუფრთხილდით თქვენს ისტორიას!*

*თანამედროვე ხელოვნების „ფუძემდებელი“ გახდა შიმპანზე „კონგო“. მისი შედევრები მილიარდობით დოლარი ღირს.*

*ლონდონის აუქციონზე, პირველად ისტორიაში, რენუარის ტილოების გვერდით, გაიყიდა შიმპანზე კონგოს ნამუშევრები — იუწყებს პრესა.*

*„კონგომ ასობით ტილო შექმნა. მისი ნამუშევრები სათანადოდ მოაფასეს ცნობილმა მხატვრებმა. ერთი მათგანი პიკასოს საკუთრებაცაა. დიდი მხატვარი განცვიფრებული იყო მაიმუნის ნახატებით. ერთხელ, ლონდონის*

...მიხეილ ჯავახიშვილის წერილში („როგორ ვმუშაობ") ვკითხულობთ: ყველაზე უფრო ძნელი მოთხრობის დაწყებაა. დასაწყისი მთელ მოთხრობას აძლევს რიტმს, კოლორიტს, სტილს.

უნდილად დაწყებული ამბავი — უნდილადვე წავა. ძნელია შემდეგში ცეცხლის გაღვივება. სტილისა და რიტმის შეცვლა ძნელიც არის და სახიფათოც! ამიტომ, მე დიდხანს ვეძებ-ხოლმე დასაწყისს! რუსები რებუსების ბურუსში ამბობენ, მოზვერს ერთბაშად უნდა სტაცო ხელი რქებშიო! მეც კარგა ხანს ვუტრიალებ ამ მოზვერს და როცა დროს ვიხელთებ, ვცდილობ, უცბად, რქებს ვწვდე, როგორც ყაწნებს, რომ სადღეგრძელებლის სადღეგრძელო... სამზეგრძელოდ ვთქვა!

## ვის - რისი ეშინია და ვის - რა აფიქრებს?

მსოფლიო კინოს ცოცხალ ლეგენდას, ამერიკელ ვარსკვლავს რობერტ დე ნიროს (რომელმაც ნიუ-იორკში, თავის „ვერისუბან"-მანჰეტენში, „ტრაიბეკის" სახელწოდების კინოფესტივალი დააარსა) სიკვდილივით ეშინია საკუთარი ფილმების ყურებისას... არ ჩაეძინოს (იგივე „ფობია" არანაკლებ მაშინებს მე, მაგრამ არც იმაზე ვიტყოდი უარს, თუ მეც და ჩემს მკითხველსაც ამ წიგნების კითხვისას ტკბილად ჩაგვეძინება და სიზმრებში შევხვდებით ერთმანეთს!)

დე ნირო: მიყვარს რჩევა-დარიგებების მიცემა, მაშინაც კი, როცა ვიცი, რომ ამ რჩევას არ გაიზიარებენ. ჩემს შვილებსაც კი არ აინტერესებთ ჩემი გამოცდილება, მაგრამ მე მაინც ვმოძღვრავ, ცხადია, სინდისის დასამშვიდებლად.

„ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვისო" — ჩვენში იტყვიან —
მე კი მითქვია: ჩემ მტერს... მიზანს თუ აცდა ტყვია!
სიტყვაა გულთან მისატანი, სიტყვა — ღმერთია —
წამალიცა და საწამლავიც — სულის... კეთია!

* * *

...ცელიც ვერ მოთიბავს კალმისოდენს!

სიბრძნე ბალაჰვარისა: „მე ვარ კაცი — სიტყვის მკერავი".

... ძილში გაპარვა სჯობია თუ სცენაზე სიკვდილი? ჩვენი თაობის მახასიათებელმა კაცმა... თავისი ლექსით დალია სული ხალხის წინაშე და ლოცვად დატოვა მთქმელისა და გამგონის სურვილი!

მუხრანი:

„ყოვლადძლიერო, გახარება
თუ გინდა ჩემი, —
უნარი სხვისი გახარების
მიბოძე უმალ".
ეპიტაფიად გამოდგება ეს სიტყვა-გემა:
ქვათა ღაღადი გაისმის და საფლავნი სდუმან!
P.S. კაცის სახელი — მის გვარია და მის გზა-კვალშია.
უფლისა ნებით: ხორცს მიწა ჭამს — სული ცაშია!

* * *

უილიამ ფოლკნერი: ხომ არ არის ვინმე, ვისაც დაწერილს აკითხებთ და ეკითხებით: რას იტყვიო?

— არა, რადგან ჩემს თავს უფრო ვენდობი.

არასოდეს რჩევას არ ვიძლევი... ვაი თუ მიიღონ!

ყველა თავის ფეხზე უნდა იდგეს.

ნეტარი ავგუსტინე პოეზიას „ცთომილების ღვინოდ" თვლიდა!

..სადღაც წავიკითხე, რომ XIX საუკუნეში ყოფილა ვიღაც მოლი ფერჩერი, რომელსაც ჰქონია ზებუნებრივი ნიჭი... წიგნის გადაუშლელად წაკითხვისა!...

46 წელი ტრანსში ყოფილა და ძილში გაუტარებია.

ჩემი „ძილისპირულიც"... წიგნის კითხვა იყო და ვინ იცის, რამდენი ღამე რამდენი წიგნის სიზმარ-ცხადში მიტარებია!

ჩემი რიცხვია 13.

ჩემი ზოდიაქო — დრაკონი!

ჩემი ჰოროსკოპი — მერწყული!

გახსოვთ გალაკტიონის — „13-ჯერ უნდა მოვიკლა თავი!"

ერთხელ მეც გავიმეტე თავი, მაგრამ ლექსმა გადამაფიქრებინა!

* * *

იაპონური შეგონება: ლაპარაკის დაწყებამდე 7-ჯერ შეაბრუნე ენა პირში! (რომ სიტყვა ვერ შემოგიბრუნონ! — გ.ნ.)

ეგვიპტელები ტაძრების კედლებზე საწყევლაკრულევო ტექსტს ტოვებენ დროსთან გასამკლავებლად: „ვინც ამ სახელს წაშლის, პტა იყოს მისი მტერი, სოხმეტი — მისი მეუღლე, ტაურტი — მისი წულები!...

იდეათა სამყარო არ უნდა დავიცვათ ებრაელი მოხუცის „ბებრული კანონებით". ვნებაში არაფერია პლაგიატობის საყვედურზე სულელური!...

...ვაჟა ამბობდა, მე ჩემი ორბიტა მაქვსო.

ჩემი სტუდენტობის ძმაკაცი რობერტ მელქაძე წერდა: გიზო ნიშნიანიძის სქელტანიან წიგნებს ერთი დიდი ნაკლი აქვთ — ნასაკითხად იოლია და ხელში ასაწევად — მძიმე... და კიდევ ერთიც... ღამე უსინათლოდ არ იკითხებაო! არცთუ ცუდ შეფასებად მეჩვენება — მწერალმა უნდა ინამოს, რომ მკითხველმა — იხაროს. წიგნის სიგრძე-სიგანე... თვალით არ იზომება. უინსტონ ჩერჩილს... წიგნისთვის ერთი „ჩრჩილიც" აღმოუჩენია: ნაშრომიც უჩვეულო სისქე იცავს მას... წაკითხვის საფრთხისგანო!

როგორც ყოველთვის — ზუსტად მიზანში არტყამთ, სერ!

ზოოპარკში (სადაც პრიმატი ცხოვრობდა) მივიდა ესპანელი მხატვარი ხუან მირო მიროსი და კონგის პატრონს ერთი შედევრი დახატვა. უფრო სწორად, კონგის ერთ ტილოში ორი თავისი გაუცვალა. როცა სალვადორ დალიმ პრიმატის ნამუშევრები ნახა, წამოიძახა: — შიმპანზეს ზეადამიანური ხელი აქვსო. კონგის ორიგინალები გამოფენილია ლონდონის ისტორიის მუზეუმში, ბუკინგემის სასახლეში, ერთ-ერთი ნახატი შეიძინა ედინბურგის ჰერცოგმა.

მირორი

„ავანიოკში" ეწერა რომ: „დედამიწის ბრუნვისა და კოორდინაციის პარამეტრების შემსწავლელმა საერთაშორისო სამსახურმა გადაწყვიტა — 2005 წლის ერთი ზედმეტი წამი დაუმატოს. პირველად წამი 1972 წლის მიუმატეს და 1996 წლამდე ყოველწლიურად თითო წამს უმატებდნენ. მაგრამ შვიდი წლის წინ, დედამიწამ მოულოდნელად აუჩქარა ღერძის გარშემო ბრუნვას და ამიტომ კალენდარში წამი

თუმცა, ნაღდ მკითხველს წიგნის სიგრძე-სიგანით ვერ შეაშინებ!

...არსებობს რასიზმი, შოვინიზმი, ახლა ხმარებაში შემოდის სიტყვა „ეიჯიზმი" (რაც ქართულად ასაკს ნიშნავს).

ლეონარდო და ვინჩი: სიბერის საკვები... სიბრძნეა. სიჭაბუკემ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ სიბერეს არ მოშივდეს (ღმერთი-რჯული, მაშინ ნაკითხულიც არ მქონდა ეს და ჩემი სიჭაბუკის ლუკმას... სიბერესაც ვუყოფდი, თორემ ახლა ხელგაშვერილი კაცი ვიღას უკვირს!).

სრული ჭეშმარიტებაა!

კაცის გამათხოვრებას კიდევ აიტანს ქვეყანა, მაგრამ ქვეყნის გამათხოვრებას ვერ აიტანს კაცი (მით უფრო... მათხოვარი)!

..."კითხვაზე, რომელ ხუთ წიგნს წაიღებდით დაუსახლებელ კუნძულზე, ბერნარდ შოუმ უპასუხა, რომ წაიღებდა 5 წიგნს... სუფთა ფურცლებად! 1974 წელს ეს კონცეფცია ამერიკულმა გამომცემლობა „ჰარმონი ბუქსმა" გამოიყენა — გამოუშვა 192-გვერდიანი წიგნი, რომელშიც საერთოდ არაფერი ეწერა და... მწერლის ხელს ელოდებოდა!

მარქსი (ოღონდ გრაუჩო): ბაბუობა ცუდი როდია... ბებიის ქმრობაც რომ არ იყოს.

სტივენ ფრაი: არ მჭირდება მე თქვენგან სიბერის შეხსენება. ამას ჩემი შარდის ბუშტი თქვენზე უკეთ ახერხებს...

ბოგდან ლებლი: მოხუცები იმიტომ კი არ დადიან ნელა, რომ მათ ფეხები სტკივათ... აღარსად ეჩქარებათ!

ლორენს პიტერი: სიბერეა, როცა ყველაფერი იცი და არაფერს გეკითხებიან.

ფაინა რანევსკაია: სიბერე ჰქვია, როცა ცუდი სიზმრები კი არა, ცუდი სინამდვილე უფრო განუხებს.

ვოლტერი: მკითხველის თვალები უფრო მკაცრი მოსამართლეები არიან, ვიდრე ყურებია კარგი მსმენელი.

ივანე ანდრეის ძე კრილოვი: სიბერე ყბედია (რადგან ადამიანს უკვე აღარა აქვს ენაზე დასაჭერი კბილები. — გ.ნ.)

* * *

ადრე თუ გვიან, ეშხით სამოთხის...
სულთამხუთავი სულსაც ამოგვხდის!...
...მოვა სიკვდილი ვერაგი —
წითელი ძოვის პერანგით —
რაითაცა — ან თავდავიწყება, ან...
უკვდავება იწყება!

* * *

როცა თვალი გვითამაშებს —
(ბედ-იღბალში გვახედებს) —
ამ ტანჯვაში ვართ და ტანში
გვაციებს და გვაცხელებს...
დარდსაცა და სიხარულსაც
უცრემლოდ ვერ ველევით:
მწუხარებას — ცრემლით ეხედებით,
სიხარულსაც — ცრემლებით!

* * *

მუზად „მერანი“ — ბედისწერანი...
მელანი, სისხლად რაც მინთხევია...
ჩემთვის ყველაზე კარგი მწერალი —
თანაავტორი — ის მკითხველია,
რომელიც გამიგებს!

## *სცეპ-კარი!*

გუნებაშიც ეხატაე იმედს —
სახლის კუთხე-კუნჭულით...
თითქმის ყველა „წერტილ-მძიმეს“
ეხედავ თვალდახუჭული.
სკამ-ლოგინი, ჯამ-ჭურჭელი...
გაცდა ფიქრი რუბიკონს.
სათითაოდ ჩამოგითვლი...
სანაძლეოდ თუნდ იყოს!...
საკიდებლებს თვალი ვკიდე,
სადღაც თვალი გამექცა —
ძველი ფოტო ჩამივარდა —
თავზარივით დამეცა!
საოჯახო სურათია —
დედა-მამა-და და მე...
და ეს სული სულ ანთია
უკვდავებით გადამრევს!
აგერ — დედა,
აგერ — მამა,
აგერ — და და
აგერ — მე!...
სუყველანი სახეზე ვართ —
სურათი არ გვაბერებს...
ერთი, მხოლოდ ღმერთი არის —
სხვა არაა „სულერთი“!...
ორ ლურსმანზე ერთადაა —
საათი და სურათი...
იქვე, მწკრივში, სარკეცაა...
შიგ ჩახედვაც არ მინდა.
ვილაც უცხო კაცი მიბღვერს —
ყვავი-ჩხიკვის — მამიდა!...
მახლას — აქეთ სარკეა და
იქეთ — სურათ-საათი...
თითქოს ისმის სიყრმისა და
სიბერის მასლაათი!
სიბერეში სუყველაფერს
ვაკვირდები თავიდან —
თვალხელშუა დრო სად-როდის...
რა და როგორ გავიდა!
თვით განგებამ, საგანგებოდ,

*აღარ დაუმატებიათ.*
*უკანასკნელ ხანს —*
*ჩვენმა პოლიციამ და-*
*მუხრუჭება დაიწყო*
*და ამის გამო 2005*
*წლის 31 დეკემბრის*
*ღამეს ის ერთი*
*წამი კალენდარს კვ-*
*ლავ დაემატა.*

***P.S.*** *დროს ნუ*
*მოგვაკლებენ და*
*დამატებით — დაუ-*
*მატონ... რა იცი*
*რამე გამოგვადგეს!*

*ბუშზე თავდასხმა-*
*ში ეჭვმიტანილმა*
*არუთინოვმა* ***FBI****-ის*
*წარმომადგენელი*
*უშვერი სიტყვებით*
*ინგლისურად აგი-*
*ნა.*

*ინგლისურში სა-*
*დაა იმდენი უშვერი*
*სიტყვა, რამდენიც,*
*კოწია გამსახურდი-*
*ასი არ იყოს —*
*რუსულში და მით*
*უმეტეს — სომხურ-*
*ში!*

*ამერიკელებს იმ-*
*დენსართულიანი*
*სახლი არც უნახავთ,*
*რამდენსართულიან*
*გინებასაც ჩვენში*
*იციან.*

*ექვსფეხა და ორ-*
*პენისიანი ძაღლი*
*დაბადებულა.*

*კაცი ძაღლად რომ*
*იბადება, ან თვითონ*
*რომაა პენისი... ეს*
*რატომ არ გვი-*
*კვირს? ალბათ, მხ-*
*ოლოდ იმიტომ,*
*რომ პირველი —*

ჩამოპკიდა გეერდიგვერდ,
რომ იმედით სული კვებონ –
მადლი გამჩენს – მადლი ღმერთს!
პოდა, ახლა ამის ფასი –
სხვა რა არის ქონება?
დედაჩემის უკვდავება –
მამაჩემის ცხონება –
რავარია?
მთავარია – რა რით აიწონებით?
თავი –გულით –
გული – თავით –
ასეთია ღვთის ნება!
ასე გვირჩევს მამა-ღმერთი –
არ გვაცდუნოს ცდუნებამ –
რომ ვადიდოთ ცოცხალ-მკვდრეთით –
კაცია და გუნებაც!...

### *შთამომავლობას*

მე ბედნიერი ვარ იმით,
რითაც შენ ბედნიერი ხარ.
თუმცა, ვხედავ, რომ
არ გემღერება და მაინც მღერიხარ!
ჩემო სისხლო და ხორცო –
როგორც მწყუროდი, ისე მწყურიხარ:
მე უბედური ვარ იმით,
რითაც შენ უბედური ხარ!
ურთმანეთოდ მე არავითარ სიკეთეს არ ველი...
ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

### *ნაღვინები ფიქრები*

ღვინო... გულში რაც გიდევს –
ენის წვერზე დაგიდებს...
ბეწვის ხიდებს გაგიდებს...
საკუთარ თავს წაგკიდებს!
ენას გულზე მოგაბამს –
სიტყვას აქცევს როკაპად –
გათქმევინებს სიმართლეს –
გამოგილევს სინათლეს!

* * *

„აბსურდის თეატრის" თავკაცისა და მისტიკური სონეტების ავტორის, ფრანგი მწერლის ანტონენ არტოს ალიარებისა არ იყოს, მე ერ-

---

*დიდგორის მემორიალი გაძრცვავთ!*
*ვახ, დრონი, დრონი!*
*ვისთვის ის ძეგლია, ვისთვის – ჯართი! ვაი, სირცხვილო!*

თადერთი მოწმე ვარ საკუთარი თავისა და ღვთის წინაშე აღიარებას ვიძლევი!

ნეტაი მას, ვინც ლოცვას იწყებს, როგორც ცოდვილი და ამთავრებს, როგორც მართალი!

* * *

მშვენიერი თამარ (თამუნა) კარელიძე: მეგობრებთან წიგნებზე საუბრისას იდეა გაჩნდა: შევიკრიბოთ იპოდრომზე და წავიკითხოთ ჩვენი ბავშვობის წიგნები. რატომ იპოდრომი? იმიტომ, რომ ჩვენი ურთიერთობის ყველაზე მაგარ მოგონებებს უკავშირდება. ავდგებით რომელიმე უქმე დღეს, ამოვიჩრით იღლიაში ჟიულ ვერნის, ლინდგრენს, ძმებ გრიმებს, „ვინი პუჰს", ვიყიდით უგემრიელეს ლობიანს, ლუდს, ერთჯერად ჭიქებს. მოვალთ იპოდრომზე, ჩიტებივით ჩამოვსხდებით ჩვენ-ჩვენ კუნძზე, გავიყინებით, ერთმანეთს თითო აბზაცს ვაჩუქებთ ბავშვობის წიგნებიდან და გავთბებით!

P.S. ამ სულიერი გამყინვარების ჟამს, ლექსის ზეიმი, პროზის დღესასწაულები, წიგნის საჯაროდ კითხვა და ტელესაუბრები (ლიტერატურისა და ხელოვნების თემებზე) იქნებ ცივსისხლიანი გლობალიზაციიდან საუკუნის ხსნის ერთადერთი თუ არა — ერთ-ერთი გზაა — გზა ტაძრისაკენ!

### *სიტყვა-სიტყვით!*

სიტყვას —
ჯერ უთქმელს —
გაუგონარს —
ეძებ მე სათქმელს —
სიტყვის სეტყვაში...
სიტყვა-ღმერთი,
რომ ვპოვო სადმე!

* * *

სიყვარულის დღე რომ ჰქვია — ვალენტინობა...
ნეტაი, ვინ მოიგონა ეს უტვინობა?!
სიყვარულის, დღეს კი არა, წუთებს დაეძებ —
ერთი სალმისთვის გამოვდიოდი
დღეს რუსთაველზე!
სადა ხარ, ჩემო სასალმეთო, სად დამეკარგე?
აფსუს! იქით მეტი ხართ და ცოტა ხართ აქეთ.
ნათქვამია: „უჩვენოთა ვინა მღერიან?“
„გამარჯობა — გაგიმარჯოს“ შემომელია.
სალამი, თუმც, ღვთისა არის — კაცის მალამო...
კაი გამარჯობა შენი — კაი სალამო!

პირდაპირი მნიშვნელობითაა ნათქვამი, მეორე — გადატანითი მნიშვნელობით. მარა, გადატანითი მნიშვნელობაც რავარი გადასატანია?

ფიქრ ფრაზე: არიან ადამიანები, რომელთაც თავისი მიწა-წყლის სიყვარული — ერთი ადგილიდან მეორეში ისე გადააქვთ, როგორც ქარს ყვავილების მტვერი. როგორც მტვერი — თესლად, თესლი — ყვავილად, სიყვარულიც იქ იზრდება. სადაც ეს ხალხი ფეხს დაადგამს და გარემო მყოფთ საქართველოს მთაბარზე უამბობს. მათი ნაამბობი მეძლება მოთხრობებად აქციო და სწორედ მაშინ გაიხსენო, როცა მორეთში სამშობლოს სევდა შემოგაწვება...

ერთი მონადირის ნაამბობი სადაც მეც ჩავიწერე. იქცა თუ არა მოთხრობებად, არ ვიცი, მაგრამ ჩვენს ულამაზეს სამშობლოზე კიდევ ერთხელ რომ დაგვაფიქრებს, ეჭვი არ მეპარება.

სხვათა შორის, კაცს, რომელსაც ბუნების ნებისმიერ

* * *

ვილხენით ჭირის ლხინითა და
ვკვდებით თავის ქიცინით.
საცინარზე — ვტირით და
სატირალზე — ვიცინით.
შამფურები ტრიალებენ, ერთმანეთს ვჭამთ უმად —
ქვემეხები გრიალებენ, მუზები არ სდუმან!

* * *

ეს წერილი — ღმერთის ნაკარნახევი და
კაცის ხელით გადაწერილია...
ამ წერილს წასაღებად არ ვწერ...
ეს ჩემი ღია წერილია!
არის დახურული წერილებიც,
როცა ვიღაცას რაღაცას უმალავ —
ჩემი სურვილით და თქვენი ნებით,
ვრჩები წუთისოფლის სტუმარად!

## *თბილისური*

ეს ოღრო-ჩოღრო ლექსი
მე ძველ თბილისს ვამსგავსე —
ის ერთადერთი მირჩევნია სხვების ათასებს!
მე სულ სხვა ეშხით და ლაზათით
ქალაქს ვაფასებ... ჩემთვის ვაბოლებ...
მისი ცის ფერ „თურქულ“ ნაფაზებს.
ისიც არ ვიცი, ამ ჩემს ტყავში რამ დამატია...
თბილისი ჩემი თილისმა და ანდამატია.
დედაქალაქის — ვით დედის რძე, შევირგე ხსენი...
ვეღარც დავეხსენ... სიყვარულიც ვერ ავუხსენი.
...აფსუს!
თბილისში თბილისლობას ყაელი გაუვიდა:
თბილისში,
თბილისელი,
თბილისს ცუდად არ ჩაუვლიდა!
იყო დრო — კაცი თბილისს
კაცით ცნობდა...
ვისითაც თბილისი — თბილისობდა!
ახლა, ყოველ ნაბიჯზე დაძრწის ეშმა —
დაკარგა შნო და ლაზათი... თბილისურმა ეშხმა!
ლამისაა, მიწა გამისკდეს და პირი მიღოს —
ჯერ, უხასიათო კაცი რა... ქალაქი იყოს!
ტოლობის აზრი და ხოში იდო ქალაქურ „ტო“-ში!
თბილისს — „სახლი სიხარულისა“ ერქვა

ორიენტალისტურ სამყაროში!
...თბილისელ კაცს თავის სინდის-ნამუსი
უკანა სდევდა –
თბილისელი კაცი
უკადრებელს არ იკადრებდა!
თბილისელმა კაცმა ღალატი რა იყო –
არ იცოდა –
თბილისელი კაცი უღალატო იყო
უფიც-მტკიცოდაც!
თბილისელი კაცი – კაცი იყო და
ქუდი ეხურა –
თბილისელი კაცი – ღმერთმა მოგცეს კაცს სახლში...
მეფეხურად!
თბილისელი კაცი დღესაც ჩემი ხატი და სალოცავეია –
თბილისმა დამცალოს, თბილისს ენაცვალოს ჩემი თავეია!
...გამოვეკერე ცას...
ჩათვალეთ, როგორც გენებოთ –
ბოლო სალმისთვის გამოვედი,
თბილისელებო!
მოგეხსენებათ:
კარგ მთქმელს უნდა კარგი გამგები,
ჩემი სალამი არ ჩათვალოთ გამოსალმებად!
სულით და გულით მუდამ თქვენთან რომ ვიყო, ვინძლო...
თბილისს რომ რამე წამოტკივდეს, საფლავში ვიგრძნობ!
არ აგერიოთ ავი – კარგში და მგელი – კრავში,
ვინც გააჩმახებს, ჩემი წიგნი ჩაარტყით თავში!

### *ოთარ მგელაძეს!*
### (რომელიც ჩვენთან ერთად დაიბადა და ახლა ჩვენზე ორჯერ უმცროსია!)

ადრე წასულ კაი ყმასა, იმედად...
ბეციერმა პირჯვარი გადასახა.
წუთისოფლისთვისაც ვერ გაიმეტა...
მარადისობაში გადაასახლა!
დგას ახლა და ძმაკაცებს „გველოდება",
რომ გაექცაედეთ სიყვარულის ლოდებად –
სიკვდილშიაც თუკი ერთად ვიქნებით –
სიკვდილიც კი არ ღირს მაშინ გოდებად.

*ქმნილებასთან მეგობრობის ნიჭი აქვს (გველების ნაყვარულით ოთხმეტრიანი მახრჩობელას გამოზარდა და თავს ევლება). ჟურნალისტის დიქტოფონის სასტიკად ეშინია. სამაგიეროდ, მშვიდად ცხოვრობს აფრიკულ მორიელებთან (მისი შხამი 10 წუთში ანადგურებს მსხვერპლს) და, ასევე, შხამიან ტროპიკულ ტარანტულებთან ერთად. ამას ისიც დავამატოთ, რომ მისი წიგნების კარადიდან სასხვათაშორისოდ „იმზირება" ჰემინგუეის საყვარელი კუს ფიტული (მოხ-უცმა ბალერინამ აჩუქა მოსკოვში) და — ძველებურ სერვანტში (ჭურჭლის ნაცვლად) უნიკალური ნიჟარების კოლექცია... ამ „ქონების" პატრონს სხვა ბევრი არაფერი გააჩნია, ამ ამბავს კი ის ასეთი „ფილოსოფიით" უყურებს: „არ აშენდა ქურდის სახლი, არც მონადირისა, სამი დღით ადრე დაიქცა მეთევზე-მებადურისაო".*

***P.S.*** *ამ კაცთან თუნდაც დაუსწრებელი მეგობრობა, ბუხრის პირას ჯდომა და მასლაათი მომინდა...*

*ავიღე და მის*

* * *

ერთი, ღმერთი... მართლის ათელით —
სხვა — ტყუილსაც... მართლად ჩათვლის!
რადგან „ვინ-ის“ ვინაობა —
გარანტია ტყუილ-მართლის!
როს დროს პარადოქსი პქეია —
ვინ „ხერხავს“ და ვინ კი აპობს —
რაეარია?
ვინ — რას კი არ —
მთაეარია:
რას — ვინ ამბობს!

* * *

უიღბლოს თუ იღბლიანს —
თვალებს უხელს ლიბრიანს —
ბიბლია —
ღვთაებრივი ხიბლია!..
ანია და პოეა —
სიგანე და სიგრძეა —
სიტყვა-ღმერთი — ბიბლია —
ღვთაებრივი სიბრძნეა!

## *პაემანი ვერაზე*

### (დაგვიანებული ფრაგმენტი)

...რომეო და ჯულიეტებს რა გამოლიეს ვერაზე...
„ვერაა“ თუ „ვერონა“, ახლაც მადგას ენაზე...
პირველ კოცნის ალმური მაშინ რომ წამეკიდა...
სიყვარული... ბეწვის ხიდს, როცა ბეწვზე ეკიდა...
გაზაფხულს გვახარებდნენ ლურჯთვალება იები —
ბუსუსებად გვაყრიდნენ უბანს... ბუბუსიები.
ჟრუანტელი უვლიდა თბილისს მათ ხსენებაზე —
მკვდარიც გაცოცხლდებოდა ენებათ-ღელვის ნებაზე!
და ასე თენდებოდა ვერისუბნის დილები —
მზეს ათინათინებდნენ ჩვენი ავთანდილები —
ერნოკრატ თალაკვაძე წერდა „კვერნისტყაოსანს“ —
გიჟიც გენიოსობდა... აბა, როგორ, ძმაოსან!
„ღამეები გარბოდნენ, როგორც ბედაურები“ —
და მითქარათქურობდნენ ბაგა-ბუგით გულები...
ძილისათვის არც ღამე, არც დღე გვემეტებოდა —
რადგან ღამის სიზმარი — ცხადშიაც ცხადდებოდა!
იყო და არა იყო — ჭირიან თუ ლხინიან —
სიზმარიან-ცხადიან-ღვიძილიან-ძილიან —
დილიან და ღამიან-მზიან-ვარსკვლავ-მთვარიან —
ჯოჯოხეთის ბჭიანა და სამოთხის კარიან...
იყო დედაქალაქი — ალალ შვილთა და ძმათა —
„იყო ურთიერთობა კეთილშობილთა ყრმათა“!
იყო შეხმიანება, იყო შეწყობა ხმათა —
იყო ქვათა ქვითინიც... დარჩა ღაღადად ქვათა!

# ჩვენ დროს!

„...შეეკითხე გარდასულ თაობებს..."
(ბიბლია)

ნეტა იმ დროს, რომელ დროსაც...
„ჩვენ დროს" ვეძახდით!
თუმცა, ძველით ახალსაც როდი ვეძრახვით.
ჯერ ტკბილია, მერე მწარე ჩვენი ცხოვრება.
სიყრმით ფასობს და სიღრმითა აიწონება.
სიბერემდე ქოჩორით... მერე სიქაჩლე!
კარგი ღვინო ვერ დადგება, თუ არ იმაჯრე.
იმ პირველი სიყვარულის შოლთი მაკვირვებს —
ალბათ მისგან ჰქონდა სუსტი... ქუსლი აქილევსს!
რაც ჩვენ მაშინ თავი ვთოკეთ დედის ფიცილით —
მისი ემხით ცხრათვალა მზე ახლაც გვიცინის.
უასაკო მეგობრობის იყო მამაში...
კაცს — კოჭებში იცნობდი და ქალსა — კაბაში.
მუხლის ღარებზე ენერათ კაცებს კაცობა —
არცერთ მოთელსა არ მოერგნენ კაცნი საცობად!
მაშინ ერთ რამედა ღირდა კაი სალამი,
საიდუმლოს ენდობოდა ქაღალდის კალამი!
1 თხილი 9 ძმამ გაყო — განუყოფელი —
მარადიულს ნაძგავდა წუთისოფელი!
იყო უფროს-უმცროსობის სამტკბილობა —
ათასათასად ფასობდა კაცის ზრდილობა!
პატარამ დიდი იცოდა — დიდმა პატარა.
ნეტა იმ დროს — დრო ვატარეთ და დრომ გვატარა!
ღვთის წყალობით მოჩუხჩუხებს ნაკადულები,
წყაროს ენით ჩემს სიყრმის მზეს ვებულბულები.
9 მთისა და 9 ბარისკენ... უკან ყურებით...
9 მთითა და 9 ბარითა... წინ ვიყურები!
პაემანი სიცოცხლესთან გვქონდა ვერაზე
და მაჭარი ადნებოდა ყველას ენაზე.
რა ლამაზად თენდებოდა და ღამდებოდა!..
დილით — ხაში, ზედ — ლავაში... გველოდებოდა...
ერთი თლაში არყის ფასად სიტკბო მღეროდა

მონაყოლს ზოგი ჩემიც მოვაყოლე!
...გინახავთ ოდესმე, როგორ კვდება კაკაბი, ცალი (ანუ ცოლი — გ.ნ.) რომ ეღუპება? ბალახზე ჩამოსკუპდება... დაადგება თავს, ფეხს არ მოიცვლის, აიყვან, შეგეცოდება და დასვამ. დასვამ და ისევ დგას. არც სვამს უწვალებლად, არც ჭამს. სიკვდილი უნდა და კვდება... ასევე, ირემია ის შეყვარებულისათვის ბრძოლაში კვდება.
ახლა დედაშვილობისას გაუყვით! მერცხალს, ბუდეს რომ დ ა უ ნ გ რ ე ვ ე ნ, გამოექანება და მიწას დაასკდება... მტრედმაც ეგრე იცის, ბარტყი რომ აღარ დახვდება, წვეტიან ქვას ამოირჩევს, მკერდით შეეხლება და სულს განუტევებს...
ბევრი კიდე გაიძახის, ბუნების უმაღლესი ქმნილება ადამიანიაო!
ნამდვილ მონადირეს წითელი წიგნი... გულში აქვს. ჩვენ ის ხალხი არ ვართ, ავტომატით რომ მივხვდეთ ტყეში ნადირს, მდინარეში კი თევზს დინამიტს ვუწყობთ. შთამომავლობამ ჯიხვი ან არჩვი მხოლოდ ზოოპარკში როგორ უნდა ნახოს!..

*და „სიმწარეც" დუდუკში მოლოერწმისლერობდა!*
*წუთისოფლის სტუმრები ვართ — კარგად ვიცოდით...*
*ძმობის ხმობის ფიცვერცხლს ვჭამდით. ფიცით ვმტკიცობდით.*
*გავატარეთ ეს სოფელი საშას ცნობითა:*
*ძმებში — ძმაკაცობითა და ძმაკაცთ — ძმობითა!*
*ჩაფსკვნილი-ჩამარყუყუმული ყოფა ვიცოდით.*
*სიხარულით — ვხარობდით და ცოდვით — ვიწვოდით!*
*სიყვარული გადავარდა ახლა მოდიდან —*
*„სიხარულის სახლს" ეძახდნენ თბილისს ოდითგან!*
*სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი... არა ჩხირობდა:*
*სხვის საცინარს — იცინოდა. ტირილს — ტიროდა.*
*ქუჩაში რო კატაფალკა გამოჩნდებოდა —*
*ქალაქი ქუდს მოიხდიდა და ჩერდებოდა!..*
*გულის პერანგებს ვიხევდით... ადრე დავკაცდით —*
*გულის ფიცარს დავუტოვეთ სულის ნაკაწრი.*
*ერთმანეთის გულში ჯდომით — სულში ვძვრებოდით,*
*ერთმანეთში ვაფრენდით და ვიძირებოდით.*
*გვიხაროდა სიცოცხლე და მასაც ვუყვარდით —*
*მთა — მხრებამდე გვწვდებოდა და ზღვა კი — მუხლამდე!*
*სიყმაწვილე... ქეიფიდან არ გაპარულა —*
*დღეობების, ლრეობების იყო მარულა.*
*გობით ძმობამ. მეგობრობამ. მხარი-მხარულად...*
*ღვინის ჭიქის წკარა-წკურით... გაიწკარუნა!*
*გაამათ!*

P. S. ფინიშის სწორზე ვარ — ვასწორებ უსწორ-მასწორებს... „ბებერი ხარის რქებიც ხნავსო" — დაიმახსოვრეთ!

...გამოვეკერე ცას... ჩათვალეთ, როგორც გენებოთ — ბოლო სალმისთვის გამოვედი, თბილისელებო!

მოგეხსენებათ:
კარგ მთქმელს უნდა კარგი... გამგებად,
ჩემი სალამი არ ჩათვალოთ
გამოსალმებად!
სულით და გულით მუდამ თქვენთან რომ ვიყო, ვინძლო:
თბილისს რომ რამე
წამოსტკივდეს, საფლავში ვიგრძნობ!

## *დილის იდილია*

ყიეის მაჩალი და ყეფს მურია...
კარზე მომდგარა გაზაფხულია.
მზემ შემოაღო ცისკრის კარიო
და დილის მადლი წასცხო ალიონს.
ცამ ვერ მოსწყვიტა მიწასა თვალი —
სიხარულის ცრემლს ვერ მალავს ცვარი.
თეთრ ლექსებს წერენ ხენი კეირტებად...
რომ არ გაგიჟდე, გამიკვირდება.
ნიავმა ნიავს გადუჩურჩულა —
როგორ დააბა ვარდი ბულბულმა.
ჩიტუნა თვალებს ისე ნაბავდა,
ვერც მიხვდებოდი — ვინ ვის აბამდა.
ია შენ რამეს გამოაპარებ?!...
თვალს ვერ მოსწყვიტავ იმის ლურჯ თვალებს...
მელანიც იის ფერებით სუნთქავს,
ბატის ფრთასაც კი რა აღარ უთქვამს.
აბა, შენ იცი, ჩემო კალამო,
კაი სალამო — ხარო მალამო...
მინდვრის ყვავილებს ტკბილად აზმორებს —
ტყეს სამეჯლისო კაბას აზომებს...
ჭადრებს ამოსდით ფოთლის ყურები,
თვალი ვერ ძღება მათი ყურებით...
ჟუჟუნა წვიმამ წამოიტირა
და დაასველა არყისფრად დილა...
მთებს დადგომიათ თავს თეთრი ნისლი,
ბურუსი მტრედს ჰგავს...
სიჩუმეც ისმის...
წყარო კლდის ამბავს ლიკლიკით ყვება —
დღე იბადება და ღამე კვდება...

* * *

ვედრება!...

როცა ხატის წინ სანთელს ცეცხლი ედება და ჩვენი ცოდვით ინვის... ანუ ლოცვა ცისა და მიწის!

„უფალო, შეგვიწყალენ“ — უფალო, შენ გვიწამე. „დიდება, აწ და“... დაგანძთა განცდა — ხილულსაც გაცდა!

„მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“ — შენს სამოთხეში ანუ სულში დამიდე ბინა!

„წმინდა იყავნ სახელი შენი" — განგვიმრავლენ ნეტარნი დღენი!

„მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა" — გიგულებთ მზედა!

„პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს" — რომე ნატერის ხე ვახაროთ და  ვამსგავსო ტყეს!

„და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა" — წყალობით ზეთა!

„და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა" (ვევედრით სულთ მხსნელთა),

„არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან. ამინ"

ესაა ღმერთთან მიახლების ნამი!

* * *

*დროო — გადროვე:*
*ჟამო — შეჯერდი:*
*ნამო — მინამე:*
*„ნუთო — შეჩერდი"!..*

## *სარჩევი... შერჩევით!*

პროლოგი -- 3; „ჩაკრული" — 19; „კიდევ ერთი დავითი" -- 50; ,,თბილისობის ექო" (სადღეგრძელო!) -- 59; ,,თბილისის ისტორია" - 61; ლექსები..... — 73... „სიზმარ-ცხადი" — 77... „კალმისკაცობა" - - 78; 1985 წლის აპრილი. ქრისტე აღსდგა! (თბილისური სახლის კონტურები) — 70; „ძველი თბილისის სურათები" — 82; „შარდენის მოგზაურობა" — 85; ცოტა რამ სიცილის წარსულიდან — 94; სიცილის დემოკრატიული ბუნება — 96; მე და შოთა (რუსთაველი) — 100; ლექსები... — 113... „მთაწმინდური მონატრებით" — 114 ... „ლექსის თვალით"! .... — 116; წუთისოფელი ასეა! (აბდიდან — უბდამდე) — 118; ნეტარ არიან მორწმუნენი! — 120; ლექსები — 126... „ლექსის წერას რა უნდა" — 128; „ფილოსოფიის ისტორია" — 132; მართლმადიდებელი ენციკლოპედიიდან „ადამიტები" — 139; სიბრძნის დომხალი — 141; აბდაუბდა — 142; „პაემანი" რუსთაველ მოსწავლეებთან — 153; აბდაუბდა — 154; წუთისოფელ-ცრუთისოფელი!... ლექსები... — 158... წინასიტყვაობა წიგნისათვის „მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია" — 160; ლექსები — 162; მამა თეოდორე (გიგნაძე) — 168; ამონარიდი პატრიარქის ქადაგებიდან — 176; აბდაუბდა — 177; „ღმერთის ნება იყოს ჩვენი სურვილი" — 185; ლირიკული ექსპერიმენტ-ციფრ-ასო-რტიმენტი! — 186; „წუთისოფელი ბრმა არის..." — 188; სამახსოვრო ჩანაწერები ქართულ ანბანზე — 191; მოძღვრება ადამიანზე — 192; ლექსები... -- 200; გივი კარტოზიას (ცხელ გულზე) — 202... ინტერვიუების დაიჯესტი — 213; ოთარ ჭილაძეს — 216; „მწერლობა მილიონი კითხვის ნიშანია" (ინტერვიუ) — 221; სიცილ-სიცილში — 224; „მჭევრმეტყველებისა და ორატორული ხელოვნების ისტორია" -- 226; „მეფეო!" „ორატორები" — 235; ლექსები... — 241; „კუდიან-სოდიანი" ლექსი (კაი გაგებით) — 244; „გაღმა გასვლამდე" — 246; „აღ-იარებად!" — 248; „ტაში", „დიალოგები" (გურამ ასათიანი) — 249; „პაემანი თბილისთან" (ინტერვიუ) — 252; „როიალი", „გულის ბუხართან" — 256; „ძველი თბილისის ჭრელა-ჭრულა" — 257; მერაბ ბერძენიშვილი: მშვენიერება და სიმახინჯე; გიორგი ნადირაძე (ასანა): მე სტუმარი ვარ დედამიწაზე — 260; გაქვავებული სიბრძნე საფლავის ლოდებისა! — 269; გურამ ასათიანი — 247; ოთარ ასლამაზიშვილის ლექსები — 280; ამხანაგი დეზდემონა — 281; ბუნების მეფეს (პირადად) — 289; ზამთრის პირია... — 293; „ქართული ფენომენი — ბადაგონი" — 303; გერონტი ქიქოძე — 304; დათუნა ნიშნიანიძის უბის წიგნაკი — 306; ბერძენას! — 312; „მეშვიდე ცაზე" (ლექსად წასაკითხი ეკლესიასტე) — 314; „ბედისწერა" — „ჭკუით მოგება!" — 315; ლექსპრომტი თემურ ჭიჭინაძის „თემურ წყობილებას" — 316; „ნეტარ არიან?" — 318; უბის წიგნაკიდან — სამაგიდო წიგნამდე — 322; ნინო რამიშვილი — 324; ანა კალანდაძეს! — 327; „ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის!" (გიორგი მაისაშვილი) — 328; მერაბ მამარდაშვილი — 330; ოჩო ცერცვაძე "ასე იყო" — 332; საქართველოს მხატვრული სიტყვის კვალდაკვალ — 334; არჩილ ჯორჯაძე -- 338; შო-

ბის საგალობელი — 343; კირ-კიტა! — 344; „ფილოსოფიური ნიაღსვლე-ბი" — 347; ისევ ჩვენუბნელი ოჩო ცერცვაძე! — 350; „წარსულის ღია ფან-ჯრები" (ჯიმი მიქელაძე) — 352; ვზაფხულობთ — ვფაფხურობთ..." (ლექ-სი); „მეზობელო კარისაო..." — 353; პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ლექსები; ჯუმბერ თითმერია: „ისევ: დრო, ფიქრი, სიტყვა" — 356; წიგნე-ბი ვაჟა-ფშაველაზე — 362; გერონტი ქიქოძე — 364; ოთარ ჭილაძე, „გოდორი" — 366; „ხოზიკას" შვილიშვილი მერაბ ბერაძე — 368; ინტერ-ვიუ სიმღერით — 369; „ასტორიის" ისტორია — 378; „ერი გულადი, პურა-დი" (ვახტანგური სიტყვა) — 381; „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამ-ოვლინება საქართველოში" (ვიქტორ რცხილაძე) — 391; აბდაუბდის ნააბ-დაუბდარი — 400; კიტა ბუაჩიძის პირის საქცევები — 402; ლექსები... ოთარა მგელაძე, ძველი იგავი — ახალ არაკად — 403; „გამოლაპარაკება საკუთარ თავთან" — 405; „ერთ ცას, ერთ მიწას..." (არქივი ერის მეხ-სიერების მკურნალია!) — 406; „დაბადებიდან ვკვდებითო!" — 409; მთის არწივი — 411; ლექსები... 2011; „პლუსი გადახაზული მინუსია" — 412; „...რაღაცას მალავს სამი წერტილი..." — 414; აბდაუბდა — 415; მამაჩემი — 419; რა უნდა ვიცოდეთ, როცა წესრიგი... უწესრიგობაა — 422; „...შადი-მანიც ჩემი სისხლია!" — 423; „ისეთი დღე უნდა დადგეს, რომ..." — 430; ლექსები... „სიტყვის მასალად!" „ლექსპრომტი ომან ომანიძეს! — 435; აზრების კიდობანი (ლექსად) — 437; ცხოვრებისათვის თვალებში ჩასახედად — 440; წიგნი-მოძღვარი („ყაბუს-ნამე") — 445; ლექსები... „ო, ჟამიერო!..." — 447; „მადლობა ღმერთს!" „შვილიშვილებს" — 448; „თბილისის ომში!" — 450; „ლოზუნგების ქვეყანა" — 451; „თაობებში ცისარტყელის ხიდი გავდე..." — 452; ჟიული! — 453; „თუა წუთისოფელი — თუა მარადისობა..." თბილისობის „პახმელიაზე" — 454; როსტიაშვილს — დოსტიაშვილისაგან — 456; „პოეტი — ვინმე მოლექსეა..." — 457; ცხელ გულზე დაწერილი ლექსპრომტი (ანა და დავით ბაგრატიონებს); „ბერიკა-ცი ვარ!" — 458; „ბოროტი ჭია გაუჩნდება სიტყვას..." — 460; ლოცვა — 461; საყვლეფაცხოვრებო თემაზე; აფორიზმები — 462; იეროთეოს ვლახ-ოსი, მართლმადიდებლური ფსიქოთერაპია — 467; „სიძე, შე ძველოო!" — 472; ლექსები... „მე და ომანი" — 476; „დიალექტიკის კანონით... — 478; ფიროსმანი! — 480; მარინას მარანი! „ჩემსავით ძველი მოგონება..." — 482; საყრუანტელო! — 483; ჩემო ფროილაინ! — 484; მჟავანაძე — 488; ლექსები... — 496; „თბილისის ქუჩებმა სიცოცხლე მაჩუქა..." — 498; დია-ლოგი კახა გიგაურთან — 499; 8.08.2008 — 500; ვახტანგ ჭყოიძე — 502; ექვთიმე თაყაიშვილს — 503; „ჩვენ ჩვენს დამარცხებას ვარქმევთ გამარ-ჯვებას..." „მამაშვილობის ხელგაშლილობა" — 504; „რის წყობილება, რა წყობილება..." — 511; „დამისხი, დამალევინე!" — 512; დიდუბის პანთეო-ნის ცოცხალ ძეგლს და ბინადარს — ბადრი ქუთათელაძეს! — 514; „წუხ-ელი ისე ვბორგავდი..." — 515; მედიტაცია. თბილისის თილისმა — 516; ლექსები... — 517; „ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო...", ისევ და ისევ დათუ-ჩას! — 520; შალვა პეტრიაშვილს! არ დამიწყოთ ახლა იტალიური! — 521; აბაშიძეები! — 523; „კაი რამე არის გათენება..." — 525; „კარიკატუ-რა" — 527; „უნივერსიტეტის შემოთენება... შემოღამების შემოღიმება..." — 528; „ცა ქუდად აქვ, დედამიწა ქალამნად..." — 530; „ისევ დიდუბის ზმანებაზე..." „...იქ ყველაფერი მოგვეკითხება!" — 532; „ეჭვმიტანილი ვიყავი ლექსზე..." — 533; აბდაუბდა — 538; გამოხმაურება „პაემანი ვერ-

აზე" — 541; რადიოგრამა გიბრალტარიდან; უცნობი ავტორის ლექსი — 542; წინა კაცობაზე! — 542; ერიჰააა! — 545; ჩვენებური კაცი — 562; ლექსები — 563; „თეთრად ნათენები ფიქრები", „რეზო ლაღიძეს"... — 564; „დას — ძმისგან", „ბებერი ბიჭი", „ერთ შინაურ ღრუტუნას" — 566; „მარინისტული ფერწერა"... — 569; „...სიკვდილი სიცოცხლის ბოლო საიდუმლოა!..." — 570; „პირველ სიხარულსა და უკანასკნელ დარდს" — 571; ლექსები... „...ყოველი კაცი ცრუა და ყრუა...", „...რა ვქნა, ვერ ვტოვებ ისეთ ქვეყანას..." — 572; ...„ვერელი ბიჭი ვიყავი"... „რაც ღმერთმა კაცს დაუწესა"... — 574; „უამი-ერი!", „მიქრის ფიქრი..." — 575; ერთ მშვენიერ დღეს — 576; ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან — 582; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა — 591; ლექსები... „გასაუბრება მეუღლესთან" — 611; კონსტანტინე კაპანელის წიგნები — 612; ლექსები... „შვილიშვილებს" (ერთ, არც ისე მშვენიერ დღეს!), „სისხლის ყივილი", დედაშვილობა"... — 620; 2009. 02.02. — 13.03. — 622; ლეგალური ლოცვა „არალეგალურ ქველმოქმედს!" — 628; „კიდევაც დაიზრდებიანო..." — 630; ნეტარი ავგუსტინე მეხსიერების შესახებ! — 634; თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედება — დასწავლა და მეხსიერება — 640; ბართლომეს ღამე — 642; თემურ ჭიჭინაძეს (სიჭაბუკის პრეზიდენტს) — 650; „...მოდის გაზაფხული... დაზაფრული იებით...", „13 თებერვალი" — 652; გია მურღულია, „მსოფლიო ლიტერატურა" — 653; „გენის გენიალობით!" — 661; ილია II-ს — 662; ლექსები... — 663; ანტიკური ლიტერატურის ისტორია — 664; „ანტიკური სამყაროს პოეტესები" — 672; „რომაული ლიტერატურა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება VIII-I საუკუნეებში" — 674; „მარად ცოცხალი ხელოვნება" — 679; თბილისური დილის სიფთა! — 686; ლექსები... „ბაბუა"... „ისევ შენ და ისევ შენ"...688; „კათალიკოსის საგალობელის გულში მისამღერი" — 696; შიო ლარცულიანი (ივანე ელინის „დავიწყებული აქსიომები") — 697; მიხეილ კვესელავა „ას ერგასის დღე" — 700; ლევან გოთუას „ღვიძლ-ტვინიანად მოფიქრებული" — 702; ტ. მურავიოვი „100 დიადი მითი და ლეგენდა" — 706; კიტა მეგრელაძე „აზრის სოციალური ფენომენოლოგია" — 711; კაი ყმა! — 715; „მთის არწივს!" — 718; ლიტერატურათმცოდნეობის ენციკლოპედიის მცირე კონსპექტი (კიდევ უფრო მცირე კომენტარებით) — 719; საიავარდე ლექსი; „რითმა! რიტმი! სიტყვის მუსიკაა..." — 722; აბდა-უბდა — 726; ლექსები — 728; ...„საშინელებაა ლხინში მარტოობა..." — 730; ალავერდი ქანდაქარ თეიმურაზ ჭყონიას მიერ გამოქანდაკებულ თავებთან! — 732; „დიდუბის პანთეონი" „აფხაზეთო!..." — 733; ...„სიფთა"... — 736; ...„საკვირველ ძლევაში" გავლიე დღენი! ...„დაილოცოს დალოცვილი..."— 737; „პაემანი ვერაზე"! „ყოფნა-არყოფნა" — 738; სულიერი მდელო — 740; სამახსოვრო („გზა ტაძრისაკენ") — 744; რ. შტაინერი „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება" — 750; არდავიწყება მოყვრისა — 753; ლექსები... ლექსპრომტი კვაჭიჭოს! — 764; მეუფე ეფრემს! — 766; „ჯვარი მწერია" — 767; ლევან ვასაძეს — 768; „მიცვალებულთა პატივისათვის" — 769; პირჯვრის ნაწერი წიგნი — „მანძილი ზეცამდე" — 770; გლოვის მგოსნები — 772; „სიცილით ვინც კვდება, ის დიდხანს ცოცხლობს" — 775; „გიზო ნიშნიანიძეს ვარსკვლავს უხსნიან" — 779; მეორედ მოსვლა! — 780; 2010 წლის 4 მაისის ახალი „პაემანის" პრესა! — 799; „თბილისის ომის დროს მოხვედრილ ტყვიას დღესაც სხეუ-

ლით ვატარებ" (ინტერვიუ. ჟ. „გუმბათი", 2010) — 805; „დარდაქცეული თბილისი" (ინტერვიუ. „კვირის პალიტრა", 2010) — 810; „თბილისში ვცხოვრობ და თბილისში დავეძებ თბილისს..." (ინტერვიუ. ჟ. „გზა", 2010) — 813; „სალამი, ჩიტუნებო!" „უფლისა მიმართ!" — 821; „მარტოობა სულისა", „უჟმური დილის იდილია" — 822; „ბებერი ბიჭი" — 823; „მოკლედ და... ბუნდოვნად!" „მიგელ!" „იყოდან-არაიყომდე..." — 824; „წიგნის ანოტაცია!" „ყოველი დილა ღმერთის ნებაა..." — 825; ხმელთაშუა (ანუ თვალ და ხელთაშუა) სამოთხე! — 826; Memento mori! — 835; „გენის გენიალობით" (შვილთაშვილებს) — 837; არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი „მართლმადიდებლობა და ამა სოფლის ცდომილებანი" — 838; „სვეტიცხოველური ფიქრები მამა-პაპათა საძვალესთან" — 846; Симпозиум о любви — 850; „თემურელებს!" „გაამოთ!" (ჭრელი აბანოების ჭრელა-ჭრულა) — 851; „თბილისური ამბები — ჩემი გულის ამონაკვეს-ამონამღერ-ამოშაქრული!" (ინტერვიუ. ჟ. „გუმბათი", 2011) — 852; „სევდიანი კაცი ვარ" (ინტერვიუ. ჟ. „სარკე", 2011) — 858; ბოლოთქმის წინასიტყვაობა! — 860; ლექსპრომტი 1928 წლის 13 თებერვალს დაბადებულ გიზო ნიშნიანიძეს — 861; ლექსები... ლექსპრომტი „ალილოს"; ბ-ნ ბ-ს! — 862; „რა ღირს წიგნი? " — 864; „სტოპ-კადრი!" — 877; შთამომავლობას; ნაღვინები ფიქრები — 878; ლექსები... „თბილისური", ოთარ მგელაძეს! „ჩვენ დროს!" „პაემანი ვერაზე" (დაგვიანებული ფრაგმენტი) — 880; დილის იდილია; „უფალო, შეგვიწყალენ!" — 885...